მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

დედა ეკლესია

წერილები და ქადაგებანი

(მეორე შევსებული გამოცემა)

2019

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნი სახელწოდებით „დედა ეკლესია” პირველად გამოქვეყნდა 1996 წელს.

2019 წლის მეორე გამოცემა იმავე სახელწოდებით „დედა ეკლესია” შევსებულია მეუფე ანანიას მრავალი ახალი წერილით, სტატიით, გამოკვლევითა და ქადაგებით, მათ შორის ზოგიერთი პირველად ქვეყნდება.

© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
ISBN 978-9941-8-3432-5

მეუფე ანანიას ღვაწლი
შესავალი

თავისი ცხოვრების 70 წლისა და მღვდელმთავრობის 38 წლის მანძილზე მეუფე ანანიამ მრავალი სასულიერო პირი აკურთხა და ამით ფაქტიურად დაუდო საფუძველი თავის ეპარქიებს.

1981 წლის მარტის თვეში მეუფე ანანია დაინიშნა ნიკორწმიდის ეპარქიის მმართველად.

1981 წლის მაისში ნიკორწმიდის მღვდლად აკურთხა მამა ვახტანგ ასათიანი, მალევე უწმიდესმა მეუფე ანანია დანიშნა საპატრიარქოში შეიძლება ითქვას ერთერთ ყველაზე უმთავრეს თანამდებობაზე - საქართველოს საპატრიარქოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილების თავჯდომარედ (იმჟამად საპატრიარქო სულ ორი განყოფილებისაგან შედგებოდა, საგარეო, რომლის თავჯდომარე იყო მეუფე ნიკოლოზ მახარაძე და აღნიშნული, სამეურნეო-საფინანსო).

რთული იყო ვითარება უწმიდესის მიერ ახლად დაარსებულ ეპარქიებში, მაგალითად, ახალციხისა და სამცხე - ჯავახეთის ეპარქიაში, ამ მდგომარეობის დასარეგულირებლად უწმიდესმა პატრიარქმა იმავე წლის ზაფხულში სამცხე ჯავახეთის ეპარქიის მმართველად გადაიყვანა მეუფე ანანია.

ამ დროს ეპარქიაში შედიოდა 5 რაიონი, ბოგდანოვკისა (მალე ეწოდა ნინოწმიდა), ახალქალაქისა, ასპინძისა, ახალციხისა და ადიგენისა. პირველივე წლებში მეუფის მუშაობა დადებითად მიიჩნია უწმიდესმა პატრიარქმა და ამიტომ ამ ეპარქიას კიდევ ერთი ახალი რაიონი დაუმატა - ბორჯომისა.

იმჟამად სამცხე-ჯავახეთის ეპარქიაში მხოლოდ ერთი სასულიერო პირი ემსახურებოდა მორწმუნეებს (მღვდელი სტეფანე ნადირაძე).

მეუფე ანანიამ აღზარდა და ამ სამცხე - ჯავახეთის ეპარქიას 1981-1992 წლებში შემატა მრავალი სასულიერო პირი.

მეუფემ, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წინააღმდეგობა გადაეღობა ათეისტური ხელისუფლების მხრივ, დიდი შრომით აკურთხა ვარძიისა და ზარზმას დიდებული მონასტრები, უდეს, ვალეს, ხვილიშას, აბასთუმნისა და სხვა ეკლესიები, მათთვის მეუფემ დიაკვნებად და მღვდლებად აკურთხა სერაფიმე კიკონიშვილი, იოანე გელაშვილი, გიორგი ხაბეიშვილი, და სხვა მრავალი. მათ შორის უფრო ადრე დიაკვნებად და შემდეგ მღვდლებად ახალციხეში აკურთხა წალკელი მამა ვახტანგი (ვიტალი) ალმანოვი და მალევე მამა შალვა.

მეუფე ანანიამ ხელახლა აკურთხა და XX საუკუნის პირველი წირვა აღასრულა დიდებულ საფარაში. მალევე აქ უწმიდესმა ბერები გამოაგზავნა, რომელთაც ახალი სიცოცხლე შესძინეს საფარას. მათი მხარდაჭერით მეუფე ანანიამ დაარსა ახალციხის საულიერო სასწავლებელი, რომლის დამთავრების შემდეგ დიპლომის შესაბამისად, კურსდამთავრებულებს ნება ენიჭებოდა, რომ მათ არა მხოლოდ მედავითნეებად, არამედ რელიგიის მასწავლებლებადაც ემუშავნათ სკოლებში, მართლაც ახალციხის საულიერო სასწავლებელმა, რომელიც ამავე დროს სემინარიისა და პედაგოგიური ინსტიტუტის ნიშნებს ატარებდა, აღზარდა მრავალი სასულიერო პირი, მედავითნე თუ პედაგოგი. იმ წლებში მხოლოდ მცხეთაში არსებობდას საქართველოში ერთადერთი სასულიერო სემინარია, სადაც ვაჟები სწავლობდნენ, ახალციხის სასწავლებელში კი ვაჟებთან ერთად გოგონებიც სწავლობდნენ, მათგან მრავალი ქალი მედავითნე, პედაგოგი და მონაზონი აღიზარდა, ვაჟთაგან უფრო მეტად კი სასულიერო პირები და ეპისკოპოსებიც კი.

მეუფე ანანიას მღვდელმთავრობის ამ წლებში უწმიდესი პატრიარქი ილია მეორე საკმაოდ ხშირად სტუმრობდა სამცხე-ჯავახეთის ეპარქიას, ერთხელ მან იქ საპატიო სტუმარი, ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი უწმიდესი ნიკოლოზ VI ჩაიყვანა, რომელიც საქართველოს ეკლესიას გვერდით ედგა ავტოკეფალიის ძიების რთულ წლებში.

წმიდა მარინეს ეკლესიის ეზოში იდგა მცირე შენობა ყოფილი ოთხწლედისა, რომელიც მეუფის რეზიდენციას წარმოადგენდა, ამ შენობაში დაიწერა მეუფე ანანიას ცნობილი წიგნი - „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", მისი პირველი და მეორე ტომები, ხოლო მესამე და მეოთხე ტომები მეუფემ დაწერა ბორჯომის რეზიდენციაში. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა პატარა სახლს კოკინაკის ქუჩაზე, რომელიც პატრიარქმა მეუფეს რეზიდენციისათვის აყიდინა. უწმიდესი ამ სახლსაც ეწვია, როდესაც ჩაბრძანდა ბორჯომში, მალევე, მეუფის ძალისხმევით ამოქმედდა ბორჯომის ეკლესია, მაშინ ერთადერთი ამ რაიონში. ამ რაიონისათვის სხვადასხვა წლებში მეუფემ აკურთხა მამა ნიკოლოზ მელიქიძე, მამა გიორგი, მამა გიორგი კაპანაძე, მამა ღვთისი ხაჩიძე, იოსებ ზედგინიძე და სხვები. მეუფე ანანიას მიერ ნაკურთხ ეკლესიებს მალევე შეემატა კიმოთესუბნის, სადგერის, ახალსოფლისა და სხვა ეკლესიები.

ბორჯომის რეზიდენცია წარმოადგენდა ნამდვილ საზოგადოებრივ ცენტრს 1987-1990-იან წლებში. ეს იყო დუღილის ეპოქა საქართველოში და მათ შორის ბორჯომშიც. თვალდათვალ იღუპებოდა და იშლებოდა საძაგელი საბჭოთა კომუნისტური იმპერია ანუ საბჭოთა კავშირი.

1980-იანი წლების ბოლოს საქართველო ჩქეფდა თავისუფლების მოპოვების დიადი სურვილით აღგზნებული. ხალხი იბრძოდა საქართველოს სახელმწიფოს აღსადგენად. ამ ურთულეს დროს მოხდა ისე, რომ ავტორიტეტი და მიზიდულობის ძალა დაკარგეს რაიკომებმა და პარტკომებმა, მათ ადგილას ბორჯომშიც ჩამოყალიბდა მრავალი პარტია, მათ წევრებს ამ წლებში სავალდებულოდ მიაჩნდათ თავიანთი სამოქმედო გეგმები, პროგრამები და შეხედულებანი გაეცნოთ მეუფე ანანიასათვის ბორჯომის რეზიდენციაში, ყავისფრად გალაქული მაგიდის გარშემო მრავალი და მრავალი პატრიოტი საუბრობდა მომავლი თავისუფალი საქართველოს შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ მაგიდაზე დაიწერა მეუფე ანანიას ქვემდებარე წიგნში შესული მრვალი იმჟამინდელი წერილი, რომელიც ხშირად იბეჭდებოდა საქართველოს გაზეთებში. ამ მაგიდასთან დაწერა მეუფემ „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის" მე-3 და მე-4 ტომები, სხვა წიგნებიც, კერძოდ, „ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია", „ქართველთა დენაციონალიზაცია" (გაოსება, გასომხება, გააფხაზება, გამაჰმადიანება, გალეკება) და „შობა, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება იესო ქრისტესი", ეს ბოლო წიგნი მეუფემ სასწავლებლის სტუდენტებისათვის დაწერა.

1991-1992 წლებში დამოუკიდებელ საქართველოში ძმათა მკვლელი სისხლისღვრა გაიმართა, ამ მიზეზის გათვალისწინებით უწმიდესამა სასურველად მიიჩნია (როგორც მან მეუფეს განუცხადა), რომ ის „მასთან უფრო ახლოს" ყოფილიყო, გადმოიყვანა ეპარქიიდან, მიანიჭა მთავარეპისკოპოსის მაღალი წოდება და დანიშნა მანგლისის ეპარქიის მმართველად.

უწმიდესმა მეუფეს დაუთმო თავისი რეზიდენცია მანგლისში, რომელიც, ისევე, როგორც მრავალი ნაგებობა საქართველოში, ძალზე სარემონტო იყო.

მეუფემ ახალციხისა და სამცხე ჯავახეთის ეპარქიაში დატოვა საუკუნეთა შემდეგ მის მიერ ახლად ნაკურთხი საფარას, ვარძიას, ზარზმის, კიმოთესუბნის მონასტრები, უამრავი ახალამოქმედებული ეკლესია დაკომპლექტებული სასულიერო პირებით, ახალი ტრაპეზებით, კანკელებით, ბევრგან მედავითნეებითა და დიაკვნებით, ასევე საკუთარი სასულიერო სემინარიით, რამდენიმე რეზიდენციით, მათ შორის ორი ახალციხეში, ამასთანავე მეუფემ ეპარქიის საკუთრებაში მთავრობას გამოაყოფინა ასეულობით ჰექტარი მიწა.

მთელ მანგლისის ეპარქიაში, 1993 წლის დასაწყისსი, როდესაც მეუფე ჩაბრძანდა, ვითარცა ეპარქიის მმართველი, მხოლოდ ერთადერთი მღვდელი მსახურობდა (მამა იოანე თედეევი). ეპარქიაში არ მოქმედებდა არცერთი ეკლესია მანგლისის ტაძრის გარდა. ამიტომაც მეუფეს

რამდენიმე წელი დასჭირდა სათანადო მორჩილების მოსაზიდად და შემდეგ მათ საულიერო პირებად აღსაზრდელად (1993 წლის მარტში დიაკვნად აკურთხა თამაზ გოგოლაძე, ამავე წლის აპრილში სოფელ ღოუბნის ეკლესიში მღვდლად აკრთხა მამა დავით ხიმშიაშვილი, თბილისის „ლურჯ მონასტერში" წირვისას მღვდლად აკურთხა მამა ვახტანგ ძინძიბაძე 1994 წლი 13 დეკემბერს).

მორჩილების სამღვდელო პირებად ჩამოყალიბებას დიდი ძალა, ენერგია, მოთმინება და სიყვარული ესაჭიროებოდა, მით უმეტეს, პერიოდში, როცა, 90 წლების დასწყისში, ქვეყანა მოიცვა საშინელმა შიმშილმა, უიმედობამ და დეპრესიამ. გულსატკენი და დასაძლევი იყო ომებში დამარცხებითა და სამოქალაქო ომით დათრგუნული ახალგაზრდების ნიჰილიზმი.

მანგლისის ეპარქიას, რომელიც თეთრიწყაროს რაიონს მოიცავს, მალევე უწმიდესმა დაუმატა კიდევ ერთი რაიონი (წალკისა). ჩამოყალიბდა ახალი, გაფართოვებული „მანგლის-წალკის ეპარქია", ის უწმიდესმა სამართავად ჩააბარა მეუფე ანანიას.

მეუფემ ორივე რაიონის უმოქმედო ეკლესიებისათვის ყოველგვარი გარე დახმარების გარეშე მოამზადა და შემდეგ აკურთხა მრავალი სასულიერო პირი, მათ შორის დიაკვნებად - დავით შენგელია, 1995 წლის 7 აპრილს მღვდლად ხელი დაასხა აბელ ბუცხრიკიძეს და განამწესა სოფელ კოდას ეკლესიაში, ეს ეკლესია კომუნისტებს საწყობად ჰქონდათ გადაკეთებული, მეუფემ ის აკურთხა და უწოდა წმიდა ნინოს სახელი, რათა წმიდა ნინოს კვლავ მოექცია მონოფიზიტების აგრესიით დაზარალებული ქვემო ქართლის ქართველობა, რომელთაც ამ ეპოქაში თავისი სარწმუნოებრივი ვინაობა აღიდგინეს.

ამავე 1995 წლის „ამაღლებას" მეუფემ მღვდლად აკურთხა გიორგი მალხაზიშვილი, დიაკვნობაშიც მან თავი გამოიჩინა, მეუფემ ის დანიშნა მის მიერ აღდგენილ ალგეთის მთავარანგელოზთა ეკლესიაში, ეს ეკლესია თითქმის დანგრეული და უსახურავო დიდი გასაჭირით აღსდა, მრევლის თანამონაწილეობით (აღდგენის საქმეში ცნობილი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძეც კი მონაწილეობდა), თვით უწმიდესი პატრიარქი ჩამობრძანდა მის კურთხევაზე.

1996 წლის 25 თებერვალს მეუფემ დიაკვნად აკუთხა მამა ნიკოლოზ ლაბარტყავა, რომელიც შემდეგ მღვდლედ დანიშნა თეთრი წყაროს ეკლესიაში. ეს ეკლესია იქამდე მუდამ რუსულენოვანი იყო, მამა ნიკოლოზის ოჯახის ტკბილმა ქართულმა გალობამ გაათბო ამ ეკლესიის მრევლის გული.

1998 წლის 20 სექტემბერს მეუფემ მღვდლად აკურთხა გაბრიელ მურვანიძე, რომელიც დანიშნა ორბეთის ეკლესიაში.

2000 წლის 27 მარტს მეუფემ დიაკვნად აკურთხა ანტონ ავალიანი, თავდადებული მუშაკი და მოძღვარი. მღვდლად კურთხევის შემდეგ (2001. 7. 04), მას დაევალა, ასევე, მზრუნველობა გაეწია იმ მეწველი ძროხების ფერმისათვის, რომლის შესაქმნელად მრავალი ენერგია და შრომა მეუფესთან ერთად ჩადეს ეპარქიის სასულიერო პირებმა, მორჩილებმა და მრევლმა. ამ ფერმამ შეძლო სამოქალაქო ომის ცეცხლის გამო უკიდურეს გასაჭირში ჩავარდნილი მორჩილებისა და მრევლის ნაწილის გამოკვება. მამა ანტონი ამ ფერმას თან დაყვებოდა წალკის რაიონის ველებზეც, სადაც საქონელის საზაფხულო საძოვრები იყო. აწ ცხონებული მამა ანტონის სიყვარული და სითბო ძალზე ბევრს ნიშნავდა ფერმის მორჩილებისათვის, რომელთაგან შემდგომ ხალხისათვის საყვარელი რამდენიმე სასულიერო აღიზარდა.

2001 წელს მეუფემ მღვდლად აკურთვა დიაკონი სამოელ ზვიადაური, რომლის მამამ ხალხურმა პოეტმა ლევან ზვიდაურმა მეუფეს რამდნიმე მნიშვნელოვანი ცნობა მიაწოდა ჩრდილო კავკასიაში ქართველთ ცხოვრების შესახებ.

მორჩილთაგან თავისი თავმდაბლობით, ერთგულებითა და მიმტევებლობით გამორჩეული ავთანდილ დევსურაშვილი დიაკვნად კურთხევის (17.11.2001) შემდეგ მეუფემ მღვდალად აკურთხა 2002 წლის 20 ივლისს. უწოდა სახელი მიქაელი და დაადგინა ქველმოქმედ ბატონ დავით ბეჟუაშვილის მიერ აგებული ასურეთის ეკლესიის წინამძღვრად. მამა მიქაელის ოჯახი თავისი

სიკეთის შესაბამისად გაამრავლა უფალმა 8 შვილით, მეუფე სუფრებზე (ტრაპეზებზე) ხუმრობით ასე ადღეგრძლელებდა ახალგაზრდებს - „გამრავლდით ვითარცა მამა მიქაელი".

მეუფემ კოდის ეკლესიაში დიაკვნებად აკურთხა ავთანდილ გულაშვილი (19.10.2003), მოსე (21.09.2004) და გიორგი ბაღიაური (04.12.2004), შემდეგში მღვდლებად აკურთხა მამა ავთანდილ გულაშვილი (17.04, 2005), მამა გიორგი ბაღიაური (წალკის ეკლესიაში) (21.09.2005), მამა ლაზარე გელაშვილი (21.11.2007) სოფელ ჭივჭავის ახლად აგებულ ეკლესიაში.

მეუფემ დიაკვნად აკურთხა გიორგი (სერაფიმე) ბარჯაძე (2008.15 ივნისი) და მღვდლად ხელდასხმის შემდეგ, უწოდა სახელი ნიკოლოზი, დაადგინა წინწყაროს ეკლესიაში (19.12. 2008), სადაც მან პირველად დაიწყო ქართულენოვანი წირვა ლოცვა (ამ სოფლის ბერძენი მოსახლეობა ამ წლებში საბერძნეთში გადასახლდა).

მეუფემ გუნიაკალას მონასტრის ბერი შალვა ბუდაღაშვული დიაკვნად აკურთხა ჭივჭავში ხარებას (7.04.2009).

ასევე მრავალშვილიანია მეუფის მიერ ნაკურთხი მღვდელი გოჩა (ყოფილი იაგო) წიწილაშვილი (2009. 19 ივლისი), რომელიც დაადგინდა ბეშტაშენის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.

ამავე წალკის რაიონის სოფელ ბარეთში (ყოფილ ბაშკოიში) მეუფე ანანიამ აკურთხა მღვდელმონაზონი თორნიკე ნაცვლიშვილი (2010 წლის 15 აგვისტოს) და დაადგინა იქვე, ორმოცი სებასტიელი მოწამის ეკლესიაში.

წალკის რაიონის ეკლესიებში ამ და სხვა ამ დროს ნაკურთხი სამღვდელოების მიერ პირველად გაისმა ქართულენოვანი ყოველკვირეული წირვის ხმა.

ამ დროს წალკის რაიონში ურთულესი ეთნოდემოგრაფიული ცვლილებები ხდებოდა. ძირითადი მოსახლეობა - ბერძნები, გულაცრუებული და გაღიზიანებული იყო შექმნილი სახელმწიფოებრივი ცვლილებით, იქამდე ისინი სკოლებში რუსულ ენაზე სწავლობდნენ, შესაბამისად მათთვის ქართული კულტურა და საქართველოს ინტერესები უცნობი იყო, პირიქით მოსკოვის პროპაგანდა ქართელობას მათ მტრებად სახავდა, ამის გადამოწმება კი არ შეეძლოთ ენობრივი ბარიერისა და განსაკუთრებით იმის გამო, რომ რაიონში ქართველების რიცხვი ძალზე უმნიშნელო იყო. ამ დროისათვის წალკის რაიონში ჩასახლებული აჭარელი ეკომიგრანტები, რომელნიც ადგილობრივმა ბერძნებმა და სომხებმა დიდი ეჭვის ბადეში მოაქციეს, საჭიროებდა ჩვენი სამღვდელოების მხრიდან მხარდაჭერასა და გამხნევებას.

ბერძნული მრევლის საჭიროებისათვის მეუფემ აამოქმედა იქამდე გაუქმებული თეთრიწყაროს რაიონის ბერძნული სოფლის ირაგას ეკლესია და მათთვის მღვდლად აკურთხა გიორგი ალთუნაშვილი (დედით ბერძენი), რომელიც იქამდე მანგლისში დიაკვნობდა (6.03.2011).

გუდარეხის მონასტრის კურთხევამ თითქმის 300 წლოვანი უქმობის შემდეგ - დიდი სიხარული მიანიჭა მეუფეს, აქ ამ მონასტრის დიდი მნიშვნელობის გამო წინამძვრად დანიშნა მამა თორნიკე ნაცვლიშვილი, რომელსა მალევე მიანიჭა იღუმენის წოდება (7.04.2011). ასევე აღსდგა ფიტარეთის მონასტერი მამა ექვთიმეს ღვაწლით, სამწუხაროდ უგზოობა და დიდი ეკონომიკური სიდუხჭირე ამჟამადაც საეჭვოს ხდის აქ (განსაკუთრებით გუდარეხში, ასევე, მეუფის მიერ ნაკურთხ პირღებულის, ორმოცებისა და სხვა მონასტრებში) მამათა დამაგრებას, სახელმწიფოს, სამწუხაროდ, არ გამოუჩენია სურვილი დახმარებისა, ვთქვათ, გზების შეკეთებისა.

სამღვდელოების გასამხნევებლად, მრავალწლიანი შრომის დასაფასებლად, მეუფემ უწმიდესის ნებით მაღალი სასულიერო წოდებებით დააჯილდოვა სამღვდელოება - დეკანოზის წოდება მიანიჭა მამა გაბრიელ მურვანიძეს (18.05.2010), მამა მიქაელ დევსურაშვილს 18.05.2010, გიორგი ბაღიაურს 15.06.2010, გიორგი მალხაზიშვილს 18.05. 2010, ლაზარე გელაშვილს 02.06.2011 და სხვებს.

იღუმენობა მიანიჭა მღვდელმონაზონ ლუკიანე ბუდაღაშვილს 15. 06. 2010, მღვდელმონაზონ ექვთიმე შავდათუაშვილს (ფიტარეთის მონასტრის წინამძღვარს), მღვდელმონაზონ ნიკოლოზ მურვანიძეს 20.11.2013, შემდეგში უწმიდესის ნებით არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა იღუმენ

თორნიკე ნაცვლიშვილს (გუდარეხი მონასტერში 21.09.2014), ფიტარეთის იღუმენ ექვთიმე შავდათუაშვილს (თეთრიწყაროს ეკლესიაში 27.09.2014) და სხვებს.

ამავე დროს მრავალი აკურთხა მეუფემ - მათ შორის, დიაკვნად დავით ბლიაძე და უწოდა სახელი ანდრია (სოფელ წინწყაროში ნიკოლოზობა დღეს 19.12.2010), იგივე მღვდლად აკურთხა სოფელ სამებაში (ყოფილი გუნიაკალა) 03.06.2011. დიაკვნად აკურთხა ფიტარეთის მონასტერში თენგიზ (მიქაელ) არაბიძე 29.11.2011.

2011 წლის 7 აპრილს მეუფემ მღვდლად აკურთხა დიაკონი ვახტანგ ფეიქრიშვილი, რომელსაც უწოდა გიორგი და დანიშნა ასურეთის ეკლესიის წინამძღვრად.

მეუფემ ბერად აკურთხა მორჩილი გიორგი ხუციშვილი, უწოდა ანტონი (2.07.2011), ბერდიაკონი ანტონი მეუფემ აკურთხა მღვდელმონაზვნად თეთრიწყაროს წმ. ნიკოლოზის ტაძარში 19.12. 2012, მას დაევალა ს. ვაშლოვანა-ერტისთან ახლოს ტყეში ჩაკარგული ძველი ნამონასტრალის წინამძღვრობა, 40 სებასტიელი მოწამის სახელობისა, შემდგომში ის ვითარცა მღვდელმონაზონი აქ მოღვაწეობდა და 2014 წლის 12 ივნისს ის მეუფემ ამ მონასტრის იღუმენად აკურთხა.

2011 წლის 16 ოქტომბერს მეუფემ წალკის ტაძარში მღვდლად აკურთხა დიაკონი შენგელი გოცირიძე.

2012 19 იანვარს მეუფემ მღვდლად აურთხა დიაკონი მიხეილ არაბიძე. 2012 წლის 5 აგვისტოს მეუფემ მღვდლად აკურთხა დიაკონი დავით (დანიელ) ზურაბიანი. მეუფემ იღუმენის წოდებით დააჯილდოვა წყლულეთის მონასტრის წინამძღვარი ნიკოლოზ ცაბაძე 2014 წლის 3 ივლისს (წყლულეთის ეკლესია სრულიად დანგრეული იქამდე რამდენიმე წლით ადრე აღადგინა მორწმუნე ენთუზიასტთა ჯგუფმა).

მეუფემ დიაკვნად აკურთხა ოლეგი სავლე ზურაბიანი და უწოდა სახელი პავლე, თეთრიწყაროს ტაძარში, ის 2014 წლის 19 აგვისტოს მღვდლად აკურთხა, და ასევე სხვანი, მღვდლებად და დიაკვნებად.

ამ ეპარქიებში მეუფის 38 წლიანი მოღვაწეობის მანძილზე მრავალი მოსაგონარი ამბავი მოხდა, ამის მაგალითი მრავალია.

ისტორიის ინსტიტუტში 1999 წელს დისერტაციის დაცვის შემდეგ მეუფე ანანიამ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა თეოლოგიის კათედრა, 2001 წლის უნივერსიტეტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საგანგებო კრებამ, რომელსაც საქართველოს უწმიდესი პატრიარქი ესწრებოდა, მეუფე ანანია აირჩია პროფესორად და დაავალა თეოლოგიის კათედრის ხელმძღვანელობა, უწმიდესმა პატრიარქმა თავის ვრცელ სიტყვაში მოუწონა სამეცნიერო საბჭოს ეს გადაწყვეტილება და კარგი არჩევანი უწოდა. უწმიდესი პატრიარქი ესწრებოდა თეოლოგიის კათედრის (შემდგომ თეოლოგიის სამეცნიერო სასწავლო დეპარტამენტის) 5 და 10 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო სხდომებს და თავისი სიტყვით ამხნევებდა მის თანამშრომლებს. ტექნიკურმა უნივერიტეტმა დააფასა მეუფე ანანიას შრომა, დააჯილდოვა უნივერსიტეტის ყველაზე მაღალი - გიორგი ნიკოლაძის მედლით, საქართველოს პრეზიდენტმა მეუფე ანანია ღირსების ორდენით დააჯილდოვა უნივერსიტეტის წარდგინებით, უნივერსიტეტმა გამოსცა მეუფე ანანიას მრავალი მონოგრაფია და სხვადასხვა წიგნები, ტექნიკური უნივერსიტეტი საპატიო დოქტორის წოდებას ანიჭებს უმაღლეს პირებს, სახელმწიფოთა მეთაურებს და გამოჩენილ ადამიანებს, უწმიდესი პატრიარქის შემდეგ საპატიო დოქტორის წოდებით ასევე დააჯილდოვა მეუფე ანანია.

მის უწმიდესობას საჭიროდ მიაჩნდა მეუფე ანანია სიტყვით გამოსულიყო და თავისი სიტყვა ეთქვა საპატრიარქოს მიერ გამართულ სხვადასხვა ღონიძიებათა დროს, მისი უწმიდესობის საიუბილეო დღეებისას, სხვა მნიშვნელოვანი შეხვედრების დროს, ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს „უფლის კვართის ორდენით“ უწმიდესის დაჯილდოვებისას მეუფე ანანიამ გაახმოვანა სინოდის

დადგენილება, მან სიტყვები წარმოთქვა მსოფლიო პატრიარქის სტუმრობისას, სვეტიცხოვლის 1000 წლისთავის აღნიშვნისას და სხვა. ეს სიტყვები ამ წიგნშია მოცემული.

ამ კრებულში („დედა ეკლესია 2“) თავმოყრილია მეუფე ანანიას უამრავი წერილი და გამოკვლევა, რომელიც თითქმის ყოველწლიურად იბეჭდებოდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში და მასმედიის სხვა საშუალებებში. ეს წერილები კარგად ასახავს წუხილს, სიხარულსა და საზრუნავს ამ წლებისა (1980-დან 2018 წლის ჩათვლით) როცა იბადებოდა ახლი დამოუკიდებელი საქართველო. პირველად ეს წიგნი უფრო ადრე დაიბეჭდა. (1996 წელს მეუფე ანანიამ „დედა ეკლესია“ უწოდა თავის ქადაგებათა წიგნს, რომელიც გამოსცა იმჟამად ცნობილმა გამომცემლობა „განათლებამ”. აქ მან აღნიშნა - საქართველოს ეკლესია ყოველი ქართველისათვის „დედა ეკლესიაა, რომელმაც წარსულ საუკუნეებში მის მრევლს, ქართველ ერს, შეუნარჩუნა ვინაობა და ეროვნული ცნობიერება”. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკლესიის მიმართ გამოთქმული ეს სახელწოდება - „დედა ეკლესია”, იმჟამად, სიახლეს წარმოადგენდა, რადგანაც იქამდე საქართველოს ეკლესიას არავინ მოიხსენიებდა ამ სახელით - „დედა ეკლესია”. 1996 წელს დაბეჭდილ წიგნს, პირობითად, ჩვენ ვუწოდეთ „დედა ეკლესია 1”, ხოლო 2019 წელს დაბეჭდილს „დედა ეკლესია 2”).

წიგნში შესული მრავალი გამოკვლევა ეძღვნება საქართველოს რეალურ (და არა საბჭოთა სისტემის მიერ დამახინჯებულ) ისტორიას.

„გაუყალბე ადამიანებს ისტორია და ერთი თაობის შემდეგ მათგან მივიღებთ ბრბოს, ხოლო კიდევ ერთი თაობის შემდეგ მათი მანიპულირება ნახირის მართვაზე მარტივი გახდება” - ვფიქრობ ეს სიტყვები იოზეფ გებალსმა ისწავლა რუსეთის იმპერიის მართვის სქემების გაშიფრვისას. მან გამოიკვლია, რომ რუსმა იმპერიალისტებმა სხვადასხვა დამორჩილებულ ხალხებს თავდაპირველად ისტორია გაუყალბეს, საწყალ და უსუსურ ჯგუფებად წარმოაჩინეს, რომლის გადარჩენა მხოლოდ რუსეთს შეეძლო, შემდეგ კი საკუთარი წარსულის მიმართ ნიჰილისტურად ქცეული ბრბო იმპერიის ელემენტად აქციეს.

რუსეთის იმპერიამ ეს მეთოდი აამუშავა ქართველთა მიმართაც. გააყალბა საქართველოს გმირული ისტორია, წარმოაჩინა ის პატარა, მაგრამ მძვინვარე იმპერიალისტ მტაცებლად, რაც ასახა ქართიზაციის თეორიამ.

ქართიზაციის თეორია საშინელი ყულფია, რომელიც ქართველი ერის ისტორიას ჩამოაცვა ქ. პატკანოვმა, ნ. მარმა და შემდგომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ.

ქართიზაციის თეორია საგანგებოდაა შექმნილი ქართული ეროვნული წყაროების ავტორიტეტის დასაცემად, მათი ცნობების გასაბათილებლადა.

მაგალითად „ქართლის ცხოვრებისა” და „მოქცევაი ქართლისაის” მიხედვით დასავლეთ-აღმოსავლეთის მომცველი საქართველოს ერთიანი სახელმწიფო, ანუ „ქართლის სამეფო” შეიქმნა ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე **მეფე ფარნავაზის და ერისთავ ქუჯის** დროს. იმ ეპოქაში, ანუ ქრისტეშობამდე 400-300 წლით ადრე, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას (ქართველი ხალხს) სისხლით ნათესაობასთან ერთად აერთიანებდათ საერთო სახელმწიფო, საერთო ენა, საერთო მწიგნობრობა და საერთო მამაპაპათა რელიგია (არა იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული).

ქართიზაციის არასწორი თეორიით კი დასვლეთ საქართველო თავდაპირველად დასახლებული იყო არა ქართველებით, არამედ ჩერქეზულ-აფსუურ-ადიღეური ტომებით (ამის მამტკიცებელ ენობრივ ნაშთად ს. ჯანასიას მიაჩნდა „ყვა” და „ფსა” ფუძე-ძირებით შედგენილი ტოპონიმები).

ამ თეორიის შესაბამისად, თანამედროვე „აფხაზი” ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ კოლხები ეთნიკურად იყვნენ არა ქართველები, არამედ ადიღე-ჩერქეზები (ანუ აფსუათა წინაპრები), რომელნიც დაახლოებით არაბულ ეპოქაში შეავიწროვეს ქართულმა ტომებმა, როდესაც ისინი თითქოსდა დასახლდნენ დასავლეთ საქართველოში. ამ საუკუნეებში, მათი თვლასაზრისით

აფსუათა ნასახლარებზე ჩამოყალიბდა სამეგრელო, გურია, არგვეთი და სხვა ქართული ოლქები. ამის შემდეგ, თითქოსდა მათ, აფსუებმა, კვლავ იმძლავრეს და მე-8 საუკუნესათვის დასავლეთ საქართველოში აფხაზთა სამეფო ჩამოაყალიბეს, რომელიც კვლავ ქართველმა „იმპერიალისტებმა" (როგორც ისინი წერენ) დაიპყრეს მე-10 საუკუნის ბოლოს, მათი აზრით ასე ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო მე-11 საუკუნის დასაწყისში.

სამწუხაროდ, ეს არასწორი თეორია არა მხოლოდ უპასუხოდ რჩება, არამედ საქართველოს ზოგიერთი ისტორიკოსი იზიარებს კიდეც.

ამ კრებულის მრავალი სტატია ეხება ამ საკითხს.

ქართული ისტორიოგრაფია ძალზე ძლიერ შეცდა, როდესაც არ გაიზიარა სულკურთხეული **პავლე ინგოროყვასა** და დიდი ისტორიკოსის **ნიკოლოზ (ნიკო) ბერძენიშვილის** სამართლიანი კვლევები, რომ სრულიად სხვადასხვა ხალხები იყვნენ ძველი აფხაზები და აფსუები, პირველები (ძველი აფხაზები) ქართული ენის, კულტურისა და სახელმწიფოებრიობის მატარებელნი იყვნენ, ხოლო აფსუები-ჩრდილო კავკასიიდან მე-17 საუკუნის შემდეგ ჩამოსახლებული ადიღეური ტომები, რომელმაც დაიპყრეს აფხაზეთი და სამეგრელოს დიდი ნაწილი, ვიდრე ენგურამდე. მათ საბჭოთა ეპოქაში შეძლეს ერთიან ეთნოსად ჩამოყალიბება და წითელი იმპერიის ხელშეწყობით შეძლეს ასიმილირება მკვიდრი ქართული მოსახლეობისა.

ასვე უამრავი წერილი და სტატია ეძღვნება საკითხს, რომ არა მხოლოდ პოლიტიკურად, ეკლესიურადაც ძალზე დამაზიანებელია ქართიზაციის თეორია, რომლის მიხედვითაც, დასავლეთ საქართველო მე-10 საუკუნემდე, თითქოსდა, შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში და ასევე, მსგავსი არასწორი მტკიცება იმისა, რომ თითქოსდა, ისტორიულად კახეთი, საინგილოსთან ერთად, შედიოდა ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაქში და მხოლოდ შემდგომ, „პროზელიტურმა ქართულმა ეკლესიამ" თითქოსდა ეს ტერიტორიები ჩამოაშორა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და ალბანეთის საკათალიკოსოს.

ეს თეორია კარგად გამოიყენეს „აფხაზმა" საეკლესიო სეპარატისტებმა. მათ თვიანთი გაუთავებელი თხოვნებითა და „გამოკვლევებით" 21-ე საუკუნის დასწყისში მართალაც შეძლეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაინტერესება ამ საკითხით. აფხაზეთის ეკლესიური საკითხის განსახილველად საქართველოში რამდენჯერმე ჩამობრძანდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდის დელეგაცია, ხოლო სტამბოლში კონსტანტინოლის პატრიარქთან შესახვედრად თვით საქართველოს უწმიდესი პატრიარქი ჩაბრძანდა, მას იქ მეუფე ანანიაც თან ახლდა. ამ ფაქტებს, ვითარცა თვითმხილველი და თანამონაწილე, ამ კრებულში აღწერს მეუფე.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ქართული ოფიციალური ისტორიოგრაფია, მაინც დაბეჯითებით (წყაროებზე ძალდატანებით და მათში დასახელებული პუნქტების არასწორი ლოკალიზაციით) კვლავ ამტკიცებს, რომ დასავლეთ საქართველო თითქოს 600 წლის მანძილზე (მე-10) საუკუნებდე შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, რაც საფრთხისშემცველია,

აფხაზი საეკლესიო სეპარატისტებისათვის ერთერთი უმთავრესია მტკიცება იმისა, რომ პიტიუნტის ეპისკოპოსმა, რომელიც 325 წელს პირველ საეკლესიო მსოფლიო კრებაში მონაწილეობდა, აფხაზური ეკლესია უფრო ადრე დააარსა, ვიდრე დაარსდებოდა საქართველოს ეკლესია 326 წელს, ამიტომც მიიჩნევენ ისინი, რომ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში აფხაზური ეკლესიის ყოფნა არაკანონიკურია.

სინამდვილეში, როგორც პ. ინგოროყვას, ნ. ადონცის და სხვა ცნობილ მეცნიერთა კვლევებიდან ჩანს, ქალაქი პიტიუნტი, რომლის ეპისკოპოსი მონაწილეობდა **პირველ მსოფლიო** საეკლესიო კრებაში, მდებარეობდა არა აფხაზეთში, არა ბიჭვინთაში, არამედ ტრაპეზუნტის მხარეს რიზე-ოფის რეგიონში (სადაც, ბიზანტიური წყაროებით, პიტია-პიტიუნტსა, როდოპოლისსა და ზიგანაში არმენიის დუქსს თავისი ჯარის ნაწილები ჰყავდა განლაგებული), ხოლო ბიჭვინთის, გუდაყვის, ცაიშის თუ ვარციხის სასულიერო კერები საქართველოს ეკლესიის საუკუნოვანი ნაღვაწია.

ნ. ადონცისავე კვლევით, რომელიც სრულებით მისაღებია, ბიზანტიურ საეკლესიო ნოტიციებში მოხსენიებული როდოპოლისის საეპისკოპოსო მდებარეობდა არა ვარციხეში, როგორც შეცდომით მიიჩნევს ქართული ისტორიოგრაფია, არამედ ლაზიკაში, ამჟამინდელ პუნქტ მაჩკასთან, სუმელას მონასტერთან ახლოს. ზიგანას (ზიგანევის) ბერძნული საეპისკოპოსო მდებარეობდა არა აფხაზეთში გუდაყვასთან, არამედ ლაზისტანში, გუმუშხანესთან. ასევე საისინის ბერძნული საეპისკოპოსო მდებარეობდა არა სამეგრელოს ცაიშში, არამედ არდასასთან ახლოს. ხოლო პეტრას ბერძნული საეპისკოპოსო კათედრა მდებარეობდა არა ზღვისპირის პეტრას ცნობილ ციხე-სიმაგრეში, არამედ კლდოვან რეგიონში ბაიბურდთან ახლოს, ლაზიკის ქალაქში. თუ ასე იყო მაშინ სრულიად უსაფუძვლოა ბრალდება, თითქოსდა ქართული ეკლესია შეიჭრა დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლურ იურისდიქციაში.

ასევე მეუფე ანანიას მრავალი გამოკვლევა და წერილი ეძღვნება კონსტანტინოპოლის საპატრიარქის **ალანიის** ეპარქიის სწორი ლოკალიზაციის საკითხს. ოფიციალური ისტორიოგრაფია არასწორად მიიჩნევს, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის საეპარქიო იურისდიქციაში თითქოსდა შედიოდა მთელი ქრისტიანული ჩრდილოეთ კავკასია ყაზბეგისა და ჯავის რაიონების ჩათვლით. შესაბამისად, ამ არასწორი ლოკალიზაციით ქართული ეკლესიის იურისდიქცია შიდა ქართლის რეგიონშიც კი საეჭვო ხდება.

მეუფე ანანიას კვლევით, რომელიც აისახა მის წიგნში - **„საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილოეთ კავკასიაში”** (2018), კონსტანტინოპლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია მე-11 საუკუნის 80-იან წლებამდე, მართალია, მდებარეობდა ჩრდილო კავკასიაში (აფხაზეთ-სვანეთის საზღვართან), მაგრამ, XI ს. ბოლოდან, საიმპერატორო კარის ნებით, ის გადატანილ იქნა დონისპირეთის სტეპებში ყირიმთან ახლოს, სადაც მომთაბარეობდნენ ნომადი ალანების ტომები, ამ მიზეზის გამო არ იქ არსებობდა მღვდელმთავრისათვის საკათედრო ქალაქი, ამიტომაც ალანიის ეპისკოპოსის ქალაქად განისაზღვრა სოტერიოპოლისი, რომელიც მდებარეობდა არა ალანიაში, არამედ ბიზანტიის სხვა რეგიონში (ტრაპეზუნტის ოლქში), რასაც მიუთითებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდის დადგენილება, რომლის შესახებაც ამ წიგნშია საუბარი.

ამავე წიგნში გარკვეულია, რომ **ადიღეური ტომები** ჩრდილოეთ კავკასიაში შემოიყვანა ოქროს ურდოს ცნობილმა მხედართმთავარმა ედიგეიმ (ადიგემ), მის მიერ ჩამოგდებული ხანის შადიბეკეის დევნისას XV საუკუნის დასაწყისში (ამ ხანმა თავი შეაფარა ჩრდილოეთ კავკასიას).

ედიგეი წარმოშობით ენისეის ოლქიდან იყო, აქ მის საკუთრებას შეადგენდა მრავალრიცხოვანი ულუსი (ურდო), სახელოვანი თავისი მეომრული სულისკვეთებით. არალ-ალტაი-ენისეის ამ რეგიონიდან კავკასიისაკენ სხვადასხვა საუკუნეებში ჩამოსახლდნენ სხვადასხვა ტომები, მათ შორის ყივჩაღები (მე-11 საუკუნეში) და ნოღაელები (მე-15 საუკუნიდან).

ამავე ენისეისპირეთიდან მე-15 საუკუნის დასაწყისში, ედიგეიმ თავისი ულუსი ჩამოასახლა ჩრდილოეთ კავკასიაში და გააბატონა იქაურ ყველა ტომზე (იქამდე, ჩრდილოკავკასიის ეს ტომები განადგურების პირას მიიყვანა თემურ-ლენგმა, ამიტომაც მათი დამორჩილება ხანგრძლივი ბრძოლებით შეძლო ედიგეის ციმბირულმა ულუსმა, რომელთაც მათი წინამძღვრის სახელის მიხედვით „ადიღეველები” უწოდეს).

შესაბამისად არასწორია თეორია, თითქოსდა ადიღეური ხალხები კავკასიის ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობაა. სინამდვილეში, როგორც ითქვა ადიღეველები კავკასიაში დაფუძნდნენ მხოლოდ მე-15 საუკუნის შემდეგ.

ადიღეველ მომთაბარე ბუნების ტომებს იქამდე არ გააჩნდათ თავისი საკუთარი სახელები და ამიტომაც კავკასიაში ადიღეურ ტომებს სახელებს მათ მიერ დაპყრობილი ოლქებისა და იქაური ტომების სახელების მიხედვით უწოდებდნენ, მაგალითად ადიღეველების იმ ნაწილს, რომელთაც შეძლეს იქამდე თემურ ლენგის მიერ სასტიკად დაუძლურებული თურქულენოვანი ჩერქეზების დამარცხება - თვით უწოდეს „ჩერქეზები”, ამის გამო ეს ახლი ე.წ. „ჩერქეზები” ადიღეური ენის

მატარებლებლებად გადაიქცნენ ასიმილირების შემდეგ (ე.ი. ძველი ჩერქეზები, XV ს.-მდე თურქულენოვანი ხალხი იყო, ხოლო XV ს. შემდეგ- ადიღურენოვანი), ასევე, როდესაც ერთერთ ადიღეური ტომი გაბატონდა ჩრდილოკავკასიელი აბაზების ტომზე, თვით ეს გამარჯვებული ადიღეური ტომი იწოდა „აბაზა ტომად", შესაბამისად, ადიღებში ასიმილებული „ძველი აბაზები" მე-15 საუკუნის შემდეგ ადიღეენოვან ხალხად იქცა.

ადიღეური ენა ენისეურ ენათა რიგში შედის, თავის მხრივ კი ენისეური ენა სინო-ტიბეტურ ენათა წრეს განეკუთვნება. ადიღეველთა კავკასიაში გაბატონების შემდეგ, ადიღეურმა ენამ სახე შეუცვალა ჩრდილო კავკასიის ყველა დამორჩილებული ხალხის ენას, ამის გამო ჩრდილო კავკასიელები ენობრივად ჩამოშორდნენ ქართულ ენობრივ სამყაროს მე-15 საუკუნის შემდეგ და ე.წ. სინო-კავკასიური ენათა ჯგუფი შექმნეს.

შესაბამისად, სინო-კავკასიური ენათა ჯგუფი ჩამოყალიბდა მე-15 საუკუნის შემდეგ ალტაი-ენისეიდან (ციმბირიდან) ადიღეური ტომების კავკასიაში ჩამოსახლების შედეგად, და არა ქრისტეშობამდე, უძველესი ხალხების ხატებისა და ხეთების ეპოქაში, როგორც ამჟამად უმართებულოდაა მიღებული.

ასევე ამ წიგნში მრავალი წერილი ეძღვნება **ალბანეთის** საკათალიკოსოს არასწორი ლოკალიზაციის საკითხს.

ამჟამად აღიარებული ლოკალიზაციით, ალბანეთის საკათალიკოსო მოიცავდა კახეთის დიდ ნაწილს საინგილოსთან ერთად, კერძოდ კი ტერიტორიებს, ბოდბე-გურჯაანიდან დავით-გარეჯას ჩათვლით.

ჩვენი ისტორიოგრაფია არასწორად მიიჩნევს, რომ თითქოს ალბანელები წარმოადგენდნენ კახეთის აღნიშნულ ნაწილში მცხოვრებ მკვიდრ არაქართულ მოსახლეობას, რომელთაც ასევე უწოდებდნენ ჰერებს, ამავე არასწორი თეორიით ჰერების ე.წ. ქართიზაცია მოხდა პირველ ათასწლეულში, ამავე არასწორი თეორიის შესაბამისად, ეკლესიურადაც, ალბანეთის საკათალიკოსო თითქოსდა მოიცავდა კახეთის დიდ ნაწილს და მან ის დაკარგა ქართული ეკლესიის პროზელიტიზმის შედეგად. თითქოსდა ასე აღმოჩნდა (როგორც ისინი წერენ) „ალბანური პუნქტები ბოდბე-გურჯაან-საინგილო-დავით-გარეჯა" ქართული ეკლესიის ხელში.

ეს აბსურდული თვალსაზრისი საყოველთაო სამეცნიერო სამოსითაა შემოსილი და განვრცობილი.

აზერბაიჯანულ და რუსულენოვან გამოკვლევებში **ბოდბე-გურჯაან-საინგილო-დავით-გარეჯას ეკლესია-მონასტრები** მიიჩნევა ალბანური კულტურისა და ისტორიის ძეგლებად, ქართიზაციის თეორიის გამო მათზე პრეტენზიას არა მხოლოდ აზერბაიჯანული დაინტერესებული პირები, არამედ მოსკოვის საპატრიარქოს ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიაც კი აცხადებს, როგორც ეს ამ კრებულში მოყვანილ საინტერნეტო მასალიდანაც ჩანს.

სინამდვილეში კი ამ კახეთის რეგიონს ისტორიულად არასოდეს ერქვა ალბანეთი.

წყაროს ცნობით საზღვარი საქართველოსა (კახეთსა) და ჰერეთ-ალბანეთს შორის გადიოდა პურქტ გულგულასთან. თუ სად მდებარეობდა ჰერეთსა და კახეთს შორის მდებარე ცნობილი პუნქტი გულგულა მოცემულია მეუფის მრავალ კვლევაში რომელიც ამ წიგნშია შესული, კერძოდ ის მდებარეობდა არა თელავთან, როგორც ამჟამადაა მიჩეული, არამედ, ალაზნის უმთავრეს შენაკად გიშისწყლის ხეობაში, ამჟამინდელ აზერბაიჯანში, სოფელ ვართაშენთან ახლოს (ოგუზის რაიონი), ესაა ქართლის სამეფოში მე-8 საუკუნემდე შემავალი შაქის ოლქის ერთერთ პუნქტი, **ქედ გურჯიდაღთან** ახლოს. ეს ქედი **(გურჯიდაღი)** ადგილობრივი მოსახლეობის მიერაც მიიჩნეოდა საქართველოს საზღვრად.

ქართიზაციის თეორია ასევე სამხრეთ საქართველოშიც აყალბებს ისტორიას, მაგალითად, სრულიად ფაქტების გაყალბებით აცხადებს, რომ **ტაო** მე-9 საუკუნემდე თითქოსდა დასახლებული იყო არა ქართული, არამედ სომხური მოსახლეობით, რომელთაც მიიღეს ქალკედონიტობა და ამიტომაც მათ (სომხებს) ეწოდათ „ქართველები". ამ თეორიის შედეგია მაგალითად ის, რომ **ოშკი,**

ბანა, ხახული (და უამრავი ქართული ეკლესია-მონასტერი) ზოგიერთი სოლიდური სამეცნიერო წრის მიერ სომხური კულტურის ძეგლებადაა მიჩნეული.

მეუფის მრავალი წერილი და ნაშრომი ეხება ამ საკითხის კვლევას, რომლის მიხედვითაც **ქართული მოსახლეობა (ივერები, იბერები) ტაოსა და მის სამხრეთით (ვიდრე არაქსამდე)** ქრისტეშობამდე საუკუნეთა წინაც ცხოვრობდნენ და მხოლოდ შემდეგ შემოვიდა მათ მიწა-წყალზე სომხური მოსახლეობა, სტრაბონი საგანგებოდ მიუთითებს, რომ არმენიის იქამდე მცირე ტერიტორია გაიზარდა ქართული ოლქების პარიადრეს, ხორძენასა და გოგარენას მიტაცების შედეგად, მათ ასევე, სტრაბონის ცნობითვე, ქართველებისაგან მიიტაცეს კარენიტი (არზრუმის ოლქი) და სხვა მიწები. ამის გამო ქრიტეშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ადგილობრივი ქართული მოსახლეობა (არაქსიდან კლარჯეთამდე) სომხური სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა მას შემდეგ, რაც არმენიელებმა ივერებისაგან მიიტაცეს ხორძენა, გოგარენა და პარიადრეს კალთები, ცხადია ამ მიტაცების შემდეგ ადგილზე დარჩა მკვიდრი ქართული მოსახლეობა, რომლის ინტენსიური არმენიზაციის პროცესიც დაიწყო.

ამ ფაქტის გამო, ანუ არმენიელთა მიერ იბერების ისტორიული მიწა-წყლის დაპყრობის შედეგად სომხურ სახელმწიფოში უამრავი ძირძველი ქართული სოფელი და ოლქი მოექცა არაქსიდან - კლარჯეთამდე.

მე-4 საუკუნეში, სომხეთში, ქრისტიანული ეკლესიის დაფუძნების შემდეგ სომხეთში მცხოვრები აღნიშნული ქართველები (ივერებისა და ლაზების ნაწილი) სომხური ეკლესიის მრევლად გადაიქცა, ყოფილ ანუ დაპყრობილ ივერიაში, ახლა უკვე არმენიაში (ანუ სომხურ სახელმწიფოში - არაქსიდან ბასიანისა და ტაოს ჩათვლით) მცხოვრები ქართველებისათვის IV-VIII საუკუნეებში არმენიზაციის პროცესმა **ქართული ენა** გადაქცია „მდბალ და დაწუნებულ" ენად.

ანუ, IV-VIII საუკუნეებში, არაქსიდან ტაოს ჩათვლით მდებარე მიწაწყალზე, რომელიც მოქცეული იყო არმენიულ სახელმწიფოში, მხოლოდ სომხური ენა გამოიყენებოდა ეკლესიის, კულტურისა და ადმინისტრაციის ენად, ხოლო იქაურ (არმენიის მკვიდრ) ქართველებს საკუთარი ენა მხოლოდ შინ, სახლებში შეეძლოთ მოეხმარათ.

მოვსეს ხორენაციც მიუთითებს სომხეთში სომხური ენის სავალდებულო განვრცობის შესახებ.

როგორც ითქვა, სომხეთში (არაქსიდან ტაოს ჩათვლით) ქრისტიანული ეკლესიის დაფუძნების შემდეგ, სომხეთში მცხოვრები ქართველები (ივერები, ვრაცები) სომხური ეკლესიის მრევლად გადაიქცა, მხოლოდ მე-7 საუკუნის შემდეგ სარწმუნოებრივმა დავამ გამოაფხიზლა სომხეთის ეს ქართველობა. მე-7 საუკუნისათვის სომხეთის ქართველობა, ისევე როგორც ოფიციალური სომხური ეკლესია - ქალკედონიტობას აღიარებდა, მაგრამ ვითარება საბოლოოდ შეიცვალა მე-8 საუკუნის დასწყისში.

726 წელს შედგა სომხეთის საეკლესიო კრება, რომელმაც ოფიციალურად დაგმო ქალედონიტობა და საზეიმოდ აღიარა მონოფიზიტობა საუკუნოვან სარწმუნოებრივ მიმართულებად.

ტაო-ბასიანისა და სხვა მხარეების მკვიდრი ქართველი ქალკედონიტები არ დაემორჩილნენ ამ კრების გადაწყვეტილებას, მათ მხურვალედ დაუჭირეს მხარი ქალკედონიტობას.

780 წელს შედაგა ტაოსა და აქაური ქართული ოლქების (ბასიანი, ვანანდი, კარინი და სხვა) ქართველთა საეკლესიო კრება, რომელმაც მხარი მტკიცედ დაუჭირა ქალკედონიტობას, ეს წელი მიჩნეული იქნა ქართული წელთაღრიცხვის დასწყისად, რადგანაც ძალზე საეტაპო და უმნიშვნელოვანესი იყო სომხური მრავალსაუკუნოვანი უღლისაგან ამ მხარეების ქართველთა გათავისუფლება.

ამ 780 წლის კრების შემდეგ ტაო-ბასიანისა და სხვა მიმდებარე (კარინი, ვანანდი) მხარეების ქართველთა ეკლესიებში აიკრძალა სომხურენოვანი საეკლესიო მსახურება და დაკანონდა ქართულენოვნება. მაგალითად იშხანის ტაძარში (რომელიც ააგო ტაოელმა ანუ ეთნიკურად

ქართველმა სომხეთის კათალიკოსმა წმ. ნესრე იშხნელმა) იქამდე სომხურად წირავდნენ იქაური ქართველი იერარქები, მაგრამ, ამ კრების შემდეგ მათ გაიმარჯვეს და დააწესეს მშობლიური ანუ ქართულენოვანი მსახურება.

780 წლის კრება იყო დიდებული მომენტი, რამაც დიდი ენერგია შესძინა იქაურ (ყოფილი არმენიის) მკვიდრ ქართველობას, რაც საფუძვლად დაედო ტაო-კლარჯეთის კულტურულ-სარწმუნობრივ და სახელმწიფოებრივ აღორძინებს, რაც დაგვირგვინდა ამ მხარეში „ქართველთა სამეფოს" დაარსებით.

ამ დიდებული მომენტისათვის საუკუნეთა მანძილზე იღწოდნენ აქაური ქართველები, რომელიც ჩანს ლიტერატურულ ძეგლში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი", სადაც აღწერილია თუ როგორი „დაწუნებული და მძინარე" იყო ამ მხარეებში, (ანუ არმენიელთა მიერ დაპყრობილ ქართულ (ივერიულ) ოლქებში არაქსიდან კლარჯეთამდე) ქართული ენა. 780 წლის ტაოს ამ კრების სულკურთხეულმა მამებმა თითქოსდა აღასრულეს საუკუნოვანი ნატვრა და ამ მხარეებში იქამდე დაფარული („დამარხული"), მალვით მოსახმარი ქართული ენა გადაიქციეს ტაოელ მეფეთა და მღვდელმთავართა ენად.

საუკუნით ადრე იგივე შეძლო დიდმა **კირიონ** კათალიკოსმა, ოღონდ საქართველოს სულ სხვა მხარეში, მან გუგარქის სომხები კი არ გააქართველა, როგორც შეცდომით წერენ ჩვენი მე-20 საუკუნის მეცნიერები, არამედ გუგარქის ქართველობას ეკლესიებში აღუდგინა ქართულენოვანი ღვთისმსახურება.

იქამდე, მე-6 საუკუნის შუა წლებში სპარსეთის შაჰების ხელშეწყობით **გუგარქის** ქართველობას სომხურმა ეკლესიამ დაუნერგა სომხურენოვანი მსახურება, სწორედ ეს უსამართლო წესი აღმოფხვრა კირიონ კათალიკოსმა. შეიძლება შევადაროთ, რომ ამავე ეპოქაში, განსაკუთრებით კი მე-7 საუკუნედან, სომხურმა ეკლესიამ ალბანელებსაც დაუნერგა ეკლესიებში სომხურენოვანი მსახურება, ეს ფაქტი აღწერილია მოვსეს კალანკატუაცთან. ამ პროცესის შედეგად ალბანელები თანდათან გასომხდნენ. ალბანელებსაც რომ ჰყოლოდათ კირიონ კათალიკოსისის მსგავსი წინამძღვარი, ანდა 780 წლის ტაოს საეკლესიო კრების მამების სულისკვეთების მქონე ლიდერები - არც ალბანელები გასომხდებოდნენ.

ამ საკითხების კვლევას მეუფე ანანიამ მიუძღვნა წიგნი „არიან-ქართლი, საეპისკოპოსები ისტორიულ ივერიაში".

მეუფემ მრავალი წერილი მიუძღვნა **უცხოეთში სამუშაოდ და საცხოვრებლედ გასული ქართველების** იდენტობის შენარჩუნების საკითხს. მაგალითად, ამჟამად უცხოეთში გასული უამრავი ქართველის მეორე თაობა ცუდად ფლობს ანდა არც იცის ქართული ენა, ხოლო მესამე თაობა თითქმის ასიმილირებულია რომელიმე უცხო ერში, შემდეგი კი ფაქტიურად უკვე აღარაა ქართველი.

ესაა სამწუხარო თვისება ქართველებისა, მაშინ როცაო, წერს მეუფე ანანია, ვთქვათ, სომხებმა ახლახანს იდღესასწაულეს ბულგარეთში თავიანთი ჩასახლების 1000 წლისთავი, სადაც მათ შექმნეს სომხური თემები თავიანთი ეკლესიების ირგვლივ, სომხური სკოლები და დღესაც მოქმედი სომხური უმაღლესი სასწავლებლები, რითაც საუკუნეთა მანძილზე იდენტობა შეინარჩუნეს. ეს უნარი სამწუხაროდ შუა საუკუნეებში ვერ გამოავლინეს ჩვენმა სულკურთხეულმა წინაპრებმა, პირიქით, უცხოეთში საუკუნეთა წინ წასულმა ქართველობამ, ფერეიდნელთა გარდა, ვერ შეინარჩუნა ეროვნული ცნობიერება და თითქმის მთლიანად ასიმილირდა უცხო ერებში. უცხოეთში კი უამრავი ქართველობა გადიოდა არა მხოლოდ ტყვეების სახით.

მიუკერძოებელი ეთნოგრაფი თავისი დაკვირვებით ალბათ შეამჩნევს, რომ XVII-XVIII და XX-XXI საუკუნეთა უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ბედი მსგავსია, მაგალითად, წყაროთა ცნობით, მე-17 საუკუნეში თითქმის ყველა ირანულ ოჯახში ცხოვრობდა ქართველი მხევალი ქალი, სამწუხაროდ, ახლაც, 21-ე საუკუნის დასაწყისში, თურქეთის, საბერძნეთის თუ იტალიიის უამრავ ოჯახში ცხოვრობს ქართველი მოახლე ქალი, ამავე ქვეყნებში ცხადია ემიგრანტი ქართველი

მამაკაცებიც ცხოვრობენ და ცხოვრობდნენ წინა საუკუნეებშიც (ეგვიპტიდან სპარსეთის ჩათვლით), რომელთაც ვერ შეძლეს ქართული იდენტობის შენარჩუნება.

იგივე, ანუ უცხოელებში ასიმილირება მოელის უცხოეთში (იგულისხმება 90-იანი წლებიდან) გასულ მილიონზე მეტ ქართველს, თუ მათ ვერ შეძლეს საქართველოს ეკლესიასთან მუდმივი კავშირის შენარჩუნებაო - წერდა მეუფე.

რა გზა არსებობს ამისა? აუცილებელია უცხოეთში ამოქმედდეს ქართული სამრევლოები, მათი მეშვეობით საბოლოოდ ვინაობას შეინარჩუნებენ ქართველებიო - აცხადებდა მეუფე ანანია თავის უამრავ წერილში, რომელნიც ქვეყნდებოდა მაშინ, როდესაც ქართული საეპისკოპოსოები და სამრევლოები უცხოეთში ჯერ კიდევ არ არსებობდნენ.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მეუფე ანანიამ 1990 წლების პირველ წლებში მრავალი მნიშვნელოვანი წერილი დაბეჭდა ეკლესიის ოფიციალურ ორგანოში - საქართველოს ეკლესიის კალენდარში, სადაც ის მოუწოდებდა უცხოეთში გასულ უამრავ ქართველობას არ გაეწყვიტათ კავშირი დედა ქართულ ეკლესიასთან, არ გადაქცეულიყვნენ უცხოური ეკლესიების წევრებად, არამედ უცხოეთში დაეარსებინათ ქართლი სამრევლოები, საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ, ამით ისინი თავიდან აირიდებდნენ ასიმილირებას და იდენტობის დაკარგვას.

იმაჟამად საქართველოს ეკლესიას უცხოეთში არ გააჩნდა თავისი ეპარქიები, ძირითადი მიზეზი ამისა იყო ის, რომ საპატრიარქოში დომინირებდა პრინციპული მოსაზრება: უცხოეთში გასული ქართველები საცხოვრებლად არ უნდა დარჩენილიყვნენ უცხოეთში და სასწრაფოდ, უკანვე, სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ პირველივე შესაძლებლობისთანავე, ამიტომაც მათ იქ სამრევლოები არ უნდა შეექმნათ.

მეუფე ანანიას კი განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა, მისი აზრით შექმნილი რეალობა არ აძლევდა ქართველობას უკან დაბრუნების საშუალებას, ამიტომაც მათი ეროვნულ-რელიგიური იდენტობის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო უცხოეთში ქართული ეპარქიებისა და სამრევლოების დაარსება. ამის შესახებ მეუფის მრავალი გამოკვლევა არსებობს. მართალაც, დიდი სიხარული იყო როდესაც შემდეგში უწმიდესმა პატრიარქმა უცხოეთში დააარსა ქართული საეპისკოპოსოები. იმედია მათი მეშვეობით უცხოეთის ქართველობა ვინაობას შეინარჩუნებს.

უწმიდესი პატრიარქი გვერდით ედგა და ამხნევებდა მეუფე ანანიას, როდესაც ის იმჟამად უცხო და იქამდე უცნობ მოსაზრებებს აცნობდა საზოგადოებას, მას ისტორიკოსთა და მეცნიერთა ერთი ნაწილი წყენით იღებდა და ამ კვლევებს პირად შეურაცხყოფად აღიქვამდა. მეუფე ანანია განმარტავდა, რომ არა მხოლოდ ეკლესიის ისტორია მახინჯდებოდა და კნინდებოდა საბჭოური თეორიებით, მათ შორის ე.წ. „ქართიზაციის თეორიით", არამედ მთელი ქართველი ერის ისტორიაც უსამართლობის მსხვერპლი ხდებოდა.

ამ და მსგავს უსამართლობათა დასაძლევად **უწმიდესმა პატრიარქმა ილია მეორემ და მისი თავმჯდომარეობით საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა მიიღო მრავალი დადგენილება მეუფე ანანიას მხარდაჭერად.**

მაგალითად, 2011 წლის 20 დეკემბრის წმიდა სინოდის დადგენილება თავის 2.დ. მუხლში აღნიშნავს - ***„საბჭოთა პერიოდში ხდებოდა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის გაყალბება, შეცდომების გამოსასწორებლად შეიქმნას ისტორიკოსთა ჯგუფი მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ხელმძღვანელობით".***

საკითხის სიმძაფრის გამო უწმიდესმა პატრიარქმა საჭიროდ მიიჩნია, რათა ეს საკითხი ასევე განეხილა მომდევნო წლის სინოდის სხდომას, მართლაც, 2012 წლის 5 ივლისს წმ. სინოდის სხდომამ მიიღო დადგენილება, რომელმაც სრული მხარდაჭერა გამოუცხადა მეუფე ანანიას, დაავალდებულა სასწავლებლები რათა მეუფე ანანიას მიერ გაჟღერებული თეორიები საყოველთაოდ გავრცელებულიყო. წმ. სინოდის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილების მე-6 მუხლში ამასთან დაკავშირებით ნათქვამია-

„წმინდა სინოდმა მოისმინა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) მოხსენება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით და განაჩინა: ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით, XX საუკუნეში, - კომუნისტების მმართველობის ხანაში, მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ, მკვიდრდებოდა რა აზრი, თითქოს დასავლეთ საქართველო IV-X საუკუნეებში, ანუ 600 წლის მანძილზე, არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ამასთან, თითქოს, ჩვენი ზოგიერთი ისტორიული რეგიონი ასევე არ შედიოდა ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში, დაევალოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს, გადადგას რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯები ათეისტურ პერიოდში შემუშავებული იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის. ხელი შეეწყოს მეუფე ანანიას (ჯაფარიძე) მიერ წარმოდგენილი მასალების დაბეჭდვას და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობილი იმ ჭეშმარიტი აზრის განმტკიცებას, რომ "წმინდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა," ხოლო წმინდა ნინომ "განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა." (დიდი სჯულის კანონი, 1974, გვ. 545-546) და რომ ამას მოწმობენ უცხოური წყაროებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აზრს სრულად იზიარებს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. იგი წერს: "ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ." (ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 47.)

ეს დადგენილება წმ. სინოდმა გამოსცა 2012 წელს.

კიდევ უფრო ადრე, მიუღებელი საისტორიო პრობლემების აღმოსაფხვრელად, უწმიდესმა პატრიარქმა ილია მეორემ თავისი 2009 წლის 10 ივლისის N76 ბრძანებით დაარსა **„საქართველოს საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია**".

თავის 2009 წლის 76-ე ბრძანებაში უწმიდესი პატრიარქი ბრძანებს-

„მე-19, მე-20 საუკუნეებში საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები, ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

1. **საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ხელმძღვანელობით.**

2. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესორ მანანა ტაბიძის ხელმძღვანელობით".

საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენ მუდმივმოქმედ კომისაიას მუშაობის მიმართულება განუსაზღვრა წმ. სინოდიმა თავის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილების მე-6 მუხლით.

წმ. სინოდი ამ დადგენილებით მტკიცედ უჭერს მხარს მეუფე ანანიას მიერ გაჟღერებულ ძველქართულ თეორიას, რომ საქართველოს ეკლესია თავის იურისდიქციაში (წმიდა მოციქულების მიერ მისი ჩამოყალიბების დროიდანვე) მოიცავდა საქართველოს ყველა, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ნაწილებს.

დასავლეთ საქართველო მოციქულების ეპოქიდნვე საქართველოს ეკლესიის იურისდიქიაში იმყოფებოდა. ამასვე ამტკიცებს ყველა ძველი ქართული საისტორიო წყარო, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა და საეკლესიო წყარო.

მე-20 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია ძალზე კრიტიკულად აფასებდა და უნდობლობას უცხადებდა, უარყოფდა ქართული წყაროების მნიშვნელობას, ასეთ სიტუაციაში მათ

მიერ არასწორად მოხდა ლოკალიზება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის საეპისკოპოსო ცენტრებისა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქართველი სამღვდელოება იბრძოდა რუსეთის იმპერიის მიერ უკანონოდ ჩამორთმეული ავტოკეფალიის აღსადგენად. ამ საკითხის გასარკვევად 1906 წელს რუსეთის იმპერიის დედაქალაქში ჩაინიშნა წმ. სინოდის სხდომა, რომელსაც ქართველი მღვდელმთავრები და მათივე თხოვნით მეცნიერებიც ესწრებოდნენ.

ავტოკეფალიის ძიებისას სამღვდელოებას თავის იარაღად მიაჩნდა ჯერ კიდევ წმიდა გიორგი მთაწმიდელის მიერ მოწოდებული თეორია საქართველოში მოციქულების ქადაგების შესახებ. ეს თეორია უშუალოდ უკავშირდებოდა ავტოკეფალიის საკითხს. იმჟამინდელი მიდგომით ავტოკეფალურად მიიჩნეოდა ეკლესიები, რომელნიც დაარსდნენ თვით მოციქულების მიერ, შესაბამისად, მოციქულების მიერ დაარსებული საქართველოს ეკლესია დაარსებისთანავე ავტოკეფალური - თავისთავადი იყო.

წმ. გიორგი მთაწმიდელმა ამ მტკიცებით დაიცვა საქართველს ეკლესიის ავტოკეფალია ანტიოქიაში.

ყველაზე მთავრი სამართლებრივი წყარო ქართული ეკლესიისა, რუის-ურბნისის კრება ასევე ადასტურებდა, რომ საქართველოს ეკლესია დააარსეს თვით იესო ქრისტეს მოციქულებმა ანუ ის დაარსებისთანავე თავისთავადი იყო.

ამ სამართლებრივი იარაღით აღჭურვილი ქართველი მღვდელმთავრები 1906 წელს ჩავიდნენ პეტერბურგში, სადაც იხილებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი.

სამწუხაროდ მათი საბუთები მთლიანად გააქარწყლა არა რუსეთის წმ. სინოდის წევრებმა, არამედ იმჟამად მეცნიერების უმაღლეს ეტალონად მიჩნეულმა ნ. მარმა და მისმა სკოლამ.

ნ. მარმა და მისმა საისტორიო სკოლამ წარმოადგინა თეორია რომ მოციქულების საქართველოში ქადაგება მხოლოდ ლეგენდაა. მათი აზრით ავტოკეფალიის საკითხი უფრო ადვილად გადაიჭრებოდა, თუკი ვაღიარებდით, რომ საქართველოს ეკლესია თავდაპირველად არ იყო თავისთავადი, არამედ, შედიოდა სხვა უცხო ეკლესიის იურიდაიქციაში, რომლისაგანაც გათავისუფლდა ანუ მისგან ავტოკეფალია მოიპოვა რომელიღაც საუკუნეში. მათ დაიწყეს ძიება იმისა თუ რომელი ეკლესია იყო საქართველოს თავდაპირველი „დედა ეკლესია", ასეთად უმეტესად მიჩნეული იქნა ანტიოქიის ეკლესია, სხვები ასეთად ასახელებდნენ იერუსალიმს, კონსტანტინოპოლს, პონტო-კაბადოკიას, თვით ნ. მარს საქართველოს დედა ეკლესიად სომხური ეკლესია მიაჩნდა.

რა შედეგი მოიტანა ნ. მარისა და მისი მოსწავლეების ე.წ. სამეცნიერო საბურველით შემოსილმა მტკიცებამ, რომ საქართველოში წმ. მოციქულებს არ უქადაგნიათ? ამ მტკიცებამ ძალზე შეაფერხა ავტოკეფალიისათვის ბრძოლა კირიონისა და ლეონიდეს დროს, მე-20 საუკუნის დასაწყისში.

კერძოდ, თუკი იქამდე ქართველ მღვდელმთავრებს ხელთ ეპყრათ ქართული საეკლესიო სამართლის წყაროები, რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა", წმ. გიორგი მთაწმიდელის მტკიცებანი საქართველოში მოციქულების ქადაგების, შესაბამსად მოციქულების მიერ საქართველოს თავისთავადი ეკლესიის დაარსების შესახებ, ისინი ახლა უკვე სრულიად ძალადაკარგულ ფარატინა ქაღალდებად იქცნენ, რომელთაც იურიდიული ძალა გამოეცალათ და სამატიანო ფოლიანტებად გადაიქცნენ.

ამ მოხსენებით წარდგა 1906 წლის წმ. სინოდის სხდომაზე ნიკო მარი - „საქართველოს ეკლესიის ისტორიული განხილვა ძველი დროიდან".

ამ მოხსენებაში ნ. მარი უმტკიცებდა რუსეთის წმ. სინოდის წევრებს, რომ არასწორია გიორგი მთაწმიდელის მტკიცება წმ. მოციქულების საქართველოში ქადაგების შესახებ, რომ სინამდვილეში მოციქულებს საქართველოში არ უქადაგნიათ, შესაბამისად საქართველოს ეკლესია არაა სამოციქულო და არც ავტოკეფალია მიუღია მოციქულების ეპოქიდან (როდესაც მოციქულების

მიერ დაარსებული ყველა ეკლესია ავტოკეფალურად იწოდებდა). სინამდვილეში საქართველოს ეკლესიამო, ამტკიცებდა ნ. მარი, ავტოკეფალია მოიპოვა საკმაოდ გვიან, დაახლოებით VII-IX საუკუნეებში სომხური ეკლესიიდან გამოყოფის შედეგად, ანდა XI საუკუნეში - ბერძნული ეკლესიისაგან. მე-16 საუკუნის შემდეგო კი ეს ავტოკეფალია შეირყა, როგორც ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქების იმ საბუთებიდან ჩანს, რომელიც მათ საქართველოში მოგზაურობისას გამოსცესო - ბრძანებდა ის.

1906 წლის ამ მოხსნების მოსმენის შემდეგ რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები ამბობდნენ, რომ სწორედ ნ. მარის მოხსენებამ დაარწმუნა საბოლოოდ ისინი, რომ საქართველოს ეკლესიას არ ეკუთვნის ავტოკეფალია, რადგანაც ამ მოხსენების თანახმად საქართველომ საკმაოდ გვიან მიიღო ავტოკეფალია, და საკმაოდ ხშირადაც კარგავდა კიდევაც მასო, ამიტომაც რუსეთის ეკლესიის ქმედებანი საქართველოს ეკლესიის მიმართ მე-19 ს. დასაწყისში, არა საეკლესიო უკანონობად, არამედ არსებული მდგომარეობის შედეგის ასახვად უნდა ჩაითვალოსო.

ეს თეორია, რომ მოციქულებს საქართველოში არ უქადაგნიათ, და შესაბამისად, საქართველოს ეკლესია არაა სამოციქულო ეკლესია, გაბატონებული იყო და დიდი მეცნიერული შეფერილობა ჰქონდა მეუფე ანანიას წიგნის **„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის”** გამოსვლამდე. **ამ წიგნის იდეები იმდენად გაითავისა ხალხმა, მრევლმა და სასულიერო წოდებამ, რომ უარმყოფელმა მეცნიერებმა ვეღარ გაბედეს ემტკიცებინათ, რომ საქართველოში მოციქულების ქადაგება - ლეგენდაა, პირიქით, მის მხარდამჭერებად იქცნენ.** 80-იანი წლების დასაწყისში უწმიდესი პატრიარქი მეუფეს აძლევდა ლოცვა კურთხევას ამა თუ იმ თემის დამუშავებისა და კვლევისა, ეს იყო დრო ავტოკეფალიის ძიებისა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ძალზე მწირი უცხოური მასალა არსებობდა, **გამონაკლისი იყო ბერძენი მიტროპოლიტის, სახელგანთქმული კანონისტის მაქსიმე სარდელის ბერძნულენოვანი ნაშრომი**, იმდენად იშვიათი, რომ რუსულადაც კი არ იყო ნათარგმნი.

ათენში დაბეჭდილი მიტროპლიტ მაქსიმე სარდელის წიგნი - **„საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია”** ბერძნულიდან საგანგებოდ ათარგმნინა უწმიდესმა თავის მოსკოველ კოლეგებს და ერთადერთი ეგზემპლიარი, ხელით საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი, გადასცა მეუფე ანანიას რათა კვლევისას გამოეყენებინა, ასევე თვით უწმიდესმა პატრიარქმა ილია მეორემ გადასცა მეუფეს პარიზში რუსულ ენაზე დაბეჭდილი წიგნი **ცნობილი კანონისტისა კარტაშევისა „მსოფლიო საეკლესიო კრებები”** თავის ნაშრომში გამოსაყენებლად, ასევე, მეუფეს საგანგებოდ გადაეცა **„გეორგიკების” ტომები** და სხვა იშვიათი ლიტერატურა. უწმიდესი და განსაკუთრებით ქორეპისკოპოსი მიტროპოლიტი კონსტანტინე მელიქიძე, ძალზე გაახარა წიგნმა **„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია”**, მეუფე იხსენებს, რომ დაუვიწყარია მისთვის როცა მეუფე კონსტანტინე წამოდგა, სიხარულით ორივე ხელით მაღლა ასწია ეს წიგნი და აკოცა. **იმჟამად, ამ წიგნმა მოციქულების საქართველოში მოღვაწეობის სადავო საკითხი უდავოდ აქცია.**

ამჟამად კი, 21-ე საუკუნის დასაწყისში, სხვა პრობლემები გამოიკვეთა, როგორც აღინიშნა, კვლავ გაბატონებულია არასწორი საისტორიო თეორია, რომ დასავლეთ საქართველო მე-10, მე-11 საუკუნეებამდე თითქოსდა იმყოფებოდა არა საქართველოს, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, კახეთის დიდი ნაწილი ალბანეთის საკათალიკოსოს, ხოლო ჩრდლო კავკასია ალანიის ეპაქიის იურისდიქციაში. ეს თეორიები დიდ პრობლემებს ქმნის, ამიტომაცაა, რომ მეუფე ანანია დაუღალავად, თითქმის 30 წლის მანძილზე წერს მათ შესახებ, მიუხედავად მრავალი დიდი სამოქალაქო პიროვნების განაწყენებისა.

მე-3 მსოფლიო კრების მე-8 კანონი მოითხოვს აღსდგეს ყოველი ძველი, თავდაპირველი იურისდიქცია, თუკი ის რაღაც მიზეზით დაირღვა. ერთი ეპარქიის მეორეში შეჭრა, ერთი ეკლესიის მიერ მეორის კათედრების მითვისება, უკანონობაა და ის საბოლოოდ უნდა დასრულდეს თავდაპირველი იურისდიქციის აღდგენით. პროზელიტიზმი ანუ სხვა ეკლესიის სამრევლოების მითვისება ანდა მიტაცება - დაგმობილია.

შესაბამისად, თუკი დასავლეთ საქართველო თავდაპირველად იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში IV-X საუკუნეებში, როგორც გვიმტკიცებს ზოგიერთი ისტორიკოსი, აუცილებლად დადგება დრო თავდაპირველი იურისდიქციის აღდგენისა.

ასევე, როგორც აღინიშნა, რუსეთის სახელმწიფო და საეკლესიო დონეზე ვრცელდება ინფორმაცია (პრავასლავნაია ენციკლოპედია, ასევე ალანიის მიტროპოლიტის განცხადებები), თითქოსდა თავდაპირველად ამჟამინდელი ყაზბეგის, ჯავისა და ცხინვალის რეგიონის მხარეები შედიოდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიის შემადგენლობაში, რომელნიც თითქოსდა X-XI საუკუნეებში შეიერთა საქართველოს ეკლესიამ. ხოლო აზერბაიჯანულ ვებ გვერდებზე, არა მხოლოდ დავით-გარეჯა და საინგილოს ეკლესია მონასტრები, თვით წმიდა ნინოს განსასვენებელი ბოდბე - აზერბაიჯანული („ალბანური") „კულტურის ძეგლადაა" მიჩნეული. შესაბამისად უცხო ეკლესიებსა და სახელმწიფოებს უჩნდებათ საცდური საქართველოს ტერიტორიების არა მხოლოდ პოლიტიკური, ეკლესიური მიტაცებისაც. სწორედ ამ საკითხების განხილვას ეძღვნება მეუფე ანანიას მრავალი წერილი.

შევთხოვთ უფალ ღმერთს მეუფე ანანიას ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა უფალმა ღმერთმა კვლავ მისცეს ძალა ახალი ნაშრომებით მრევლის გახარებისა.

მარიამ (ლამარა) ოკრიბარი

2019 წ.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

დედა ეკლესია

წერილები და ქადაგებანი

(მეორე შევსებული გამოცემა)

თავი პირველი

1980-იანი წლები

სიტყვა წარმოთქმული ახალციხის ეკლესიაში უწმიდესი პატრიარქის სტუმრობისას 1981 წლის სექტემბერში

წმიდა მარინეს ტაძარში, საზეიმო წირვის შემდეგ, უწმიდესსა და უნეტარესს, საპატიო სტუმარსა და მამამთავარს ილია II სიტყვით მიმართა ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა ანანიამ

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ! ჩვენი ერის კეთილო მწყემსო,
წმიდა სინოდის წევრნო,
მოძღვარნო და შვილნო ქართული ეკლესიისა, მორწმუნენო!

ამ დღეებში ზეიმია მესხეთის მიწისა. ჩვენი ეროვნული კულტურის ძველი მედროშე და სამჭედლო - მესხეთი სიხარულის ცრემლებით შეხვდა ერის მამათმთავარის, უწმიდესი და უნეტარესი პატრიარქის ჩამობრძანებას.

დღეს სიხარულისა და ბედნიერების დღეა.

თქვენ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, საქართველოს არცერთ ეპარქიას არ აკლებთ მზრუნველობასა და ყურადღებას. თქვენ ყველა ეპარქიის არა იშვიათი სტუმარი ბრძანდებით, მაგრამ სულ სხვა აზრი და მნიშვნელობა აქვს თქვენს - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ჩამობრძანებას ამ კუთხეში, მესხეთში. უკვე რამდენიმე ასეული წელი გავიდა, რაც მესხეთს არ სწვევია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, როგორც ოფიციალური სტუმარი. დიახ, რამდენიმე ასეული წელი.

ეს გამოწვეული იყო მესხეთის - საქართველოს ამ ძველი ეროვნული ბურჯის - ტრაგიკული ბედით. ჯერ კიდევ რამდენიმე ასეული წლის წინ, ყვარყვარე და მზეჭაბუკ ათაბაგების დროს, მესხეთის ეკლესია გავიდა მშობლიური თბილი კერიდან, იხეტიალა, იგვემა მრავლად და ბოლოს ისევ ჩვენთან, საქართველოს ერთიან წმიდა სამოციქულო ეკლესიასთან, ჩვენს წმიდა კალთასთან დაბრუნებით ხარობს.

როგორც კი მესხეთის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა იძულებით მიიღო მაჰმადიანობა, მან დაკარგა არა მარტო ქრისტიანობა, არამედ ეროვნებაც, მაშინ, როცა ქრისტიანმა ქართველებმა მტკიცედ შემოინახეს თავიანთი ქართველობა, ჰზიდეს ქრისტეს ჯვარი და დღემდე მოიტანეს საქართველო.

ჭეშმარიტად განუზომელია სიდიადე ქრისტიანული სარწმუნოებისა. თავისი სრულქმნილებით, კაცთმოყვარეობითა და სიყვარულით, ის აყალიბებს ადამიანის მაღალ ზნეობას.

ქრისტიანის შინაგანი ბუნება თავისი სარწმუნოებით ისეა აღზრდილი, რომ მას არა მარტო თავისი მოყვასი, არამედ თავისი მოძულეცა და მაჭირვებელიც უყვარს. ქრისტიანმა იცის, რომ მისი მტერიც ღვთისგანაა შექმნილი. ამიტომ ღვთის სიყვარულით იხსენიებს მას.

უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი სარწმუნოებრივ დევნას. საქართველოს ისტორია მოიცავს ათასწლეულებს, მაგრამ, როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი წერს, - მთელი ისტორიის მანძილზე ქართულ სახელმწიფოში ერთნაირი უფლებებით ცხოვრობენ ქართველებიცა და არაქართველებიც. ქართველ ერს არასოდეს არ დაუჩაგრავს სხვა ერი.

განსაკუთრებით უცხო იყო ჩვენში სარწმუნოებრივი დევნა. ეს უსათუოდ უნდა ითქვას სწორედ აქ, მესხეთის მრავალნატანჯ მიწაზე, მის წმიდა სალოცავში.

მაცხოვარმა, უფალმა იესო ქრისტემ, თავისი ჯვარცმით და აღდგომით აღადგინა ცოდვით დაცემული კაცობრიობა. მაცხოვარმა იხსნა ყოველი ადამიანის სული, ამიტომ გვიყვარს და გვწამს ჩვენ ჩვენი უფალი იესო ქრისტე. აქაც, საქართველოს ამ ულამაზეს მხარეშიც, რუსთაველისა და აშოტ კურაპალატის, გრიგოლ ხანძთელის, სერაპიონ ზარზმელის, არსენ საფარელისა და სხვა ღირს მამათა სამშობლოშიც განსაკუთრებით უყვარდათ იგი.

მესხები იყვნენ დიდი კაპადოკიელები და დიდი ათონელი მამები: იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები - მნათობები სრულიად საქართველოსი, თორნიკე ერისთავი, ძმები ბაკურიანის ძენი.

მესხეთი ბურჯი იყო ქრისტიანობისა. აქ ჰყვაოდა არა მარტო სულიერი, არამედ მატერიალური კულტურა, ხელოვნება. იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებები, მაგრამ როგორც კი ქრისტიანობა დაკარგა, მას შემდეგ აქ აღარაფერი ღირებული და მნიშვნელოვანი აღარ შექმნილა. ადამიანები იგივენი დარჩნენ, მოსახლეობა არ შეცვლილა, სულიერი და მატერიალური კულტურა კი ჩაკვდა. რა იყო ამის მიზეზი? მიზეზი იყო ის, რომ ქართველი კაცი თავისი შინაგანი ბუნებით ქრისტიანია. მისთვის ქრისტიანობა მშობლიური გარემოა. ამ გარემოში ის თავისუფლად ამჟღავნებს ქართული ბუნების სიდიადეს. სხვა სარწმუნოება მისთვის ბორკილი აღმოჩნდა. მაჰმადიანობის მიღება იყო ქართველი ადამიანის შინაგანი არსის შერყევა.

დღეს ზეიმის დღეა. თავისი შვილი ისევ დაუბრუნდა მშობლიურ კერას - ქართულ ეკლესიას. თქვენი, როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტის ჩამობრძანებით, გახარებულია არა მარტო ხალხი, მესხეთის აურაცხელი ტაძრების ჩუქურთმიანი ქვებიც კი მღერიან და ღაღადებენ სიხარულისაგან. თქვენი ჩამობრძანება - ეს არის ნიშანი იმისა, რომ მესხეთი დღეს არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც განუყოფელია ერთობლივი საქართველოსაგან. დღეს ძველი მესხეთის დიდება კვლავ ბრწყინავს.

მადლიერი მესხეთის, ჩვენი ეპარქიის ყველა მორწმუნის სახელით, გმადლობთ თქვენ, თქვენო უწმიდესობავ.

„ჯვარი ვაზისა“, N2, 1981 წ.

მოგზაურობა ათონზე

1981 წლის სექტემბერი

1981 წლის 19 სექტემბერს საბერძნეთში ივერთა მონასტრის მოსალოცად გაემგზავრა ჩვენი ხუთკაციანი ჯგუფი. მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი-მოსკოვი-სოფია-ათენი-თესალონიკი-ურანოპოლისი-ივერონი.

ურანოპოლისიდან ათონის ნახევარკუნძულისაკენ გავემგზავრეთ პატარა გემით.

ათონის ნახევარკუნძულზე, ანუ მთაწმიდაზე განლაგებულია ორი ათეული მონასტერი. მათ შორისაა ივერონის მონასტერიც. ინტენსიური სამონასტრო ცხოვრება აქ დაწყებულა ადრეულ შუა საუკუნეებში და უწყვეტად მიმდინარეობს დღემდე. ათონის მონასტრებში დაცულია მსოფლიო მნიშვნელობის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, უამრავი ხელნაწერი, მინიატურა, ისტორიული საბუთი, მხატვრობა, მდიდარი სამონასტრო განძი, ისტორიულ პირთა მემორიალური ნივთი და წმიდანთა ნაწილები. ათონის ნახევარკუნძული ნამდვილი განძთსაცავია. ამიტომაც არავის უშვებენ სპეციალური ნებართვის გარეშე. პირველ რიგში საჭიროა კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნებართვა. ამ

ნებართვის საფუძველზე საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო იძლევა ათონის ნახევარკუნძულზე შესასვლელ საშვს. ჩვენ კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნებართვა თბილისშივე მივიღეთ, ხოლო ათენში ქორეპისკოპოს ქრიზოსტომოსის თავაზიანი დახმარებით მივიღეთ საშვი.

ათონის ნახევარკუნძულის პატარა ნავმისადგომ „დაფნისში" დაგვხვდა ივერთა მონასტრის ერთ-ერთი წინამძღვარი პროიღუმენი, არქიმანდრიტი კალინიკე.

დიდი, მომქანცველი გზის გავლის შემდეგ მასპინძლის შეხვედრამ ძალზე გაგვახარა. დაფნისიდან ივერონისაკენ გავემგზავრეთ ავტობუსით. პროიღუმენმა კალინიკემ შორიდან დაგვანახა ივერონი, დიდებული ივერთა მონასტერი.

„მამანი ჩვენნი... მოიწინეს... განმამრავლებლად ნათესავისა ჩვენისა... აღაშენეს დიდებული ესე ლავრა სამკვიდრებლად ქართველთა" - წერს გიორგი მთაწმინდელი. საუკუნეთა მანძილზე მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები ივერონში. მათი ღვაწლის შედეგი იყო ის, რომ „შეიმკო და აღყვავდა ენა ჩვენი", "განათლდა ქართველთ ქვეყანა და ენა".

ივერთა მონასტრის შესასვლელ მშვენიერ კარიბჭესთან შეგვხვდნენ მონასტრის მმართველი უხუცესთა საბჭოს წევრები, ბერები. მღვდელთმთავართან შეხვედრის ტრადიციული წესის შესაბამისად, მეუფე კონსტანტინეს მოახურეს მანტია, მიართვეს სამღვდელმთავრო კვერთხი, ამთხვევინეს სახარებაზე და დარეკეს ზარები. მონასტრის ეზოში შეგვიძღვა ორი ახალგაზრდა ბერი. ანთებული გრძელი სანთლებით, მასპინძლებთან ერთად, საზეიმო საგალობლით შევედით ივერთა მონასტრის მთავარ ტაძარში. უცებ სხვა სამყაროში მოვხვდით. ესაა ყავისფერ - ოქროსფერი უსასრულობა, რომელიც იწვევს სასოებისა და მოკრძალების გრძნობას. აქ სრულებით იცვლება ადამიანი. დიდებულია ტაძრის ინტერიერი - კანკელი, ჭაღები, დიდი ქორკანდელი, გამოქანდაკებული შანდლები, მშვენიერი უძველესი, მოოქროვილ - პერანგიანი სასწაულთმოქმედი ხატები, ფრესკები, მდიდარი საეკლესიო სამკაულები.

ტაძრის გუმბათი ეყრდნობა ოთხ მძლავრ მარმარილოს სვეტს. მის ცენტრში გუმბათის ქვეშ დამაგრებულია „კიკლო" - მრგვალი სპილენძის რკალი, რომელზედაც წერია: **„მე დავამყარე ოთხი ბოძი და არ შეირყევა უკუნითი უკუნისამდე - გიორგი მონაზონი, ივერი ქტიტორი".**

დიახ, ქართველებმა ავაგეთ ივერონი. ივერონი სიამაყეა ათონის წმიდა მთისა, საბერძნეთისა და მთელი მართლმადიდებლობისა. ჩვენ ივერები ვართ. ამიტომაც ვართ აქ ასეთი ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ.

ივერონის მთელი მონასტერი საქართველოს ისტორიისა და ქართველი ერის კულტურის ნამდვილი მუზეუმია. გასაოცრად ცოცხლდება აქ ჩვენი ერის წარსული, თითქმის უწყვეტად, მე-10 საუკუნიდან დღემდე. მონასტრის ყველა შენობა უკავშირდება რომელიმე ქართველ საეკლესიო, სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწეს.

ტაძარი, რომელშიც დასვენებულია ივერიის სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატი - „პორტაიტისა", აგებულია აშოტ მუხრანბატონის მიერ. იგი ამავე ტაძარშია გამოხატული, დასავლეთის კედელზე. აქვე, კარიბჭის შესასვლელთან, ექვთიმე მთაწმინდელის ცნობილ კოშკში, იწერებოდა ქართული სახარება. მთავარი ტაძარი აგებულია გიორგი მთაწმინდელის მიერ. მონასტერს იცავს უმშვენიერესი, ძალზე დიდი კოშკი, ბიზანტიური სტილისა, აგებული ყვარყვარე ათაბაგის მიერ. მასვე აუშენებია სატრაპეზო. მესამე ტაძარი აგებულია ყველაზე უფრო ადრე, იოანე მთაწმინდელის მიერ. ქართველების აგებულია სამრეკლოც და საერთოდ, ძველი ნაგებობების უმრავლესობა. მონასტრის გარშემო არის XIX და წინა საუკუნეებში ქართველი ბერების მიერ აშენებული სამლოცველოები და "სკიტები".

ივერონში განსაკუთრებული მოწიწებით უყვართ ამ მონასტრის დამაარსებელნი. ყოველი წირვა-ლოცვის დროს, მონასტრის ტიპიკონის შესაბამისად, ჩამოლოცვისას აუცილებლად დღეში რამდენჯერმე მოიხსენიება იოანე, ექვთიმე, გაბრიელ, გიორგი მთაწმინდელები. მათ შესახებ ერთმანეთსა და სტუმრებს უყვებიან ძველ გადმოცემებს. ისინი არიან წმიდანები ღირსი მამები,

რომელთაც თხოვენ შველასა და დახმარებას, მეოხებას ღვთის წინაშე. სიხარულითა და სიამაყით უჩვენებენ მლოცველებს მათ ნივთებს, თუ წერილებს. მათი ხსოვნა არა მარტო ივერონში, არამედ მთელს ათონის მთაზე ცოცხლობს.

ათასი წლის წინ მოღვაწე ჩვენი წმიდა მამები გზას გვიკვალავდნენ საბერძნეთსა და ათონზე. მაგალითად, ათონზე ერთი მონასტრის მოლოცვისას გზაზე შემოგვხვდა ბერი, რომელმაც არ იცოდა ჩვენი ვინაობა. ავუხსენით, მაგრამ ვერ გაიგო. შემდეგ ვუთხარით, რომ იმ ქვეყნიდან ვართ, საიდანაც იყვნენ იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. მაშინვე მიხვდა, რომელ ქვეყანაზე იყო ლაპარაკი და ჩვენს მიმართ აშკარა მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალა. ივერონის მონასტრის ათასი წლის აღსანიშნავად მოჭრეს სამახსოვრო მედალი, საკმაოდ დიდი დიამეტრისა. მასზე გამოხატულნი არიან ქართველი წმიდა მამები: - იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები.

ათონზე ოცზე მეტი მონასტერია. შევძელით მოგველოცა ათიოდე მონასტერი, სადაც ჩვენ, ივერიელ ეპისკოპოსებს, გასაოცარი სიყვარულითა და სიხარულით, ტიპიკონის სრული დაცვით გვხვდებოდნენ. ზოგიერთ მონასტერში გაკვირვებასაც კი გამოთქვამდნენ, რატომ არ იყვნენ ივერთა მონასტერში ივერიელი, ქართველი ბერები.

მთელს ათონზე გაბნეულია ქართული წიგნები და ნივთები. მაგრამ სულ სხვაა ივერონი, ესაა ქართული კულტურის ცენტრი. უამრავი ქართული ეროვნული, ისტორიული, საეკლესიო ნივთით, შენობით, წიგნით. ძალზე საგულისხმო იყო ჩემთვის **ქართული დრო**. დიახ, ივერონი მუშაობს დროის სადღეღამისო აღრიცხვის საკუთარი სისტემით, რომელსაც ქართულ დროს ეძახიან. ეს მოდის ძველთაგანვე. საერთოდ, ათონის მონასტრებში დროის აღრიცხვა განსხვავებულია საბერძნეთისა და მთელი ევროპის დროისაგან. ათონის მონასტრები მუშაობენ ბიზანტიური დროით. მათგან განსხვავებით მხოლოდ ივერონი მუშაობს, როგორც აღვნიშნეთ, დროის საკუთარი აღრიცხვით - ქართული დროით. ეს დრო, როგორც გვითხრეს, მიღებული ყოფილა ძველ საქართველოში.

ყველაფერი მნიშვნელოვანია ივერონში, უბრალო წვრილმანიც კი, მაგრამ მაინც შეუძლებელია განსაკუთრებით არ აღინიშნოს ივერონის სამი სიამაყე - ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი - „პორტაიტისა", ბიბლიოთეკა - ქართული ხელნაწერი წიგნებით და მუზეუმი - ქართული ნივთებით.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი სიყვარულით სარგებლობს ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს შორის ივერიის ღვთისმშობლის ხატი. წარმოუდგენელია ივერთა მონასტერი ამ უწმიდესი სიდიადის გარეშე. ჩვენ მოწმენი ვიყავით იმისა, თუ როგორ ამხნევებს და სულიერად აძლიერებს „პორტაიტისა" მონასტრის ბერებს. ამ ხატთან ყოველ დილით სრულდება პარაკლისი ივერიის ღვთისმშობლისა. ივერიის ღვთისმშობელი მოჭედილია. ახალი მოჭედილობის ქვეშ ჩანს ძველი ქართული მოჭედილობა. ხატზე ჩამოკიდებულია ოქროსა და ძვირფასი ლითონების ნაკეთობანი, მედალიონები, ჯვრები და სხვა. ეს შემოწირულობაა. ასე ყოფილა ძველ საქართველოშიც. ცნობილია, რომ ხახულის ღვთისმშობლის ხატსაც სწირავდნენ ჩვენი მეფეები და მლოცველები ძვირფას ნივთებს. ძნელი ასაწერია ის ზემოქმედება, რომელსაც ახდენს „პორტაიტისა" მთელს ივერონსა და ათონზე. როგორც ვთქვით, იგი არის სიამაყე, სიქადული, ღირსება ივერონის მონასტრისა და არა მარტო ივერონისა, შეიძლება ითქვას, მთელი საბერძნეთისა და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისა. და რაოდენ სასიხარულოა ჩვენთვის, ქართველებისათვის, რომ ეს ცნობილი ხატი დაკავშირებულია ქართველი ბერის - გაბრიელის და ივერონის ქართველი მამების სახელთან.

ივერონის ქართული ბიბლიოთეკა შედარებით კარგადაა ცნობილი საქართველოში. ამ ბიბლიოთეკის ხელნაწერების მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულია ჩვენი საზოგადოებრიობა. ამ ხელნაწერების მიკროფილმები ჩამოტანილია საქართველოში.

ჩვენში ყველაზე ნაკლებადაა ცნობილი ივერონის მუზეუმი; პირიქით კი უნდა იყოს; აქ იმდენი ძველი, ღირებული, მნიშვნელოვანი ქართული ნივთია. გვიჩვენეს მონასტრის სიგელები, ქართული მინაწერებით. მინაწერების უმრავლესობა ისეა გამქრალი, რომ მათი ფოტო, ან კინოფიქსაცია შეუძლებელია. მინაწერების ამოკითხვა იქვე, ადგილზე შეუძლია მხოლოდ სპეციალისტს. მაგალითად, სიგელ N8-ზე არის ქართული წინადადება; უფრო ზუსტად, წინადადების ფრაგმენტები:

“ყოვლისა (?) მთისაგან (?) დაწერილი

რომელს (?) ერის ას არავინ

გარდახდებოდეს”

ასევე არის N10 და N11 ხელნაწერზე. ეს ხელნაწერი სიგელები ბერძნულია, მინაწერები კი - ძველ ქართული. მუზეუმში გვაჩვენეს ქართული დაფარნები ქართული წარწერებით. ერთ დაფარნას აქვს წარწერა - ეპისკოპოსი ელისე. გვიჩვენეს ქართული ენქერები, ბარძიმ - ფეშხუმები ქართული წარწერებით, მოჭედილი სახარებები ასევე ქართული წარწერებით. არის ბერძნული სახარება, აგრეთვე, აღსავლის კარებზე ჩამოსაფარებელი კრეტსაბმელი, რომელზეც გამოხატულია თორნიკე ერისთავი. არის უამრავი ქართული ოქრომკედით შესრულებული სამღვდელო და სამღვდელმთავრო სამოსელი, ქართული უმშვენიერესი პეტრახილები, სამაჯურები და სხვა.

ქართული შესამოსელით ყოველ აღდგომის დღეს აუცილებლად უნდა შეიმოსოს მთავარ ტაძარში მწირველი მღვდელმთავარი, - ასეთია ტრადიცია. მუზეუმში ინახება ქართული წმიდა ნაწილები.

ივერონში ოცდაათამდე ბერია. ყველაზე ახალგაზრდა ბერი, იოაკიმე, 24 წლისაა, ყველაზე მოხუცი, დამიანოსი - 90-ის. იგი ივერონში მივიდა 1910 წელს და 71 წელი გაატარა მონასტერში და ამჟამადაც ერთ-ერთი ყველაზე საპატიო მეთაურია ივერონისა; ძალზე გამჭრიახი და ნათელი გონებისაა. მონასტერში ერიდებიან ახალგაზრდა ბერების მიღებას. მსურველმა ჯერ უნდა გაიაროს კურსი სპეციალურ სკოლაში. ასეთი სკოლა არის ათონის „დედაქალაქ” კარიესში. სკოლის დამთავრების შემდეგ გაანაწილებენ რომელიმე მონასტერში, სადაც მან მორჩილად უნდა დაჰყოს მნიშვნელოვანი დრო (1 წელი მაინც). მორჩილების ვადა დამოკიდებულია თვით მორჩილზე, მის ქცევაზე, ბერობისათვის მზადყოფნაზე. თუ მორჩილი გამოიჩენს თავს, მას ბერად აღკვეცავენ. ბერი დიდი პატივისცემით სარგებლობს. ის გამორჩეული ადამიანია. როგორც გვითხრეს, ივერიის მონასტერის ბერი ევსევიოსი თეოლოგიის პროფესორია, ბერი გენადიოსი - ენათმეცნიერების დოქტორი, ბერი გერასიმე - ფილოლოგი, ერთი ბერი ექიმია. საერთოდ, ბერები ნათელი გონების, ძალზე განვითარებული, ერუდირებული ადამიანები არიან. მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი მუშაობისა და შემოქმედებისათვის. აქვთ მშვენიერი ბინები მონასტრის შენობაში, მიწის საკუთარი ნაკვეთები საცხოვრებელთან ახლოს, საკუთარი ბაღები. ისინი ცხოვრობენ ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად, მაგრამ ქმნიან ერთ მთლიან შემჭიდროებულ კოლექტივს. უმთავრესად მათ აერთიანებთ წირვა-ლოცვა, რომელსაც დღე - ღამეში დაახლოებით 8 საათი ეთმობა. დანარჩენ დროს სრულებით თავისუფლები არიან.

მონასტრები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტიპიკონის მიხედვით. ტიპიკონი - ესაა მონასტერში ბერების ცხოვრების წესი. ცხადია, ბერს რომელი მონასტრის ტიპიკონიც მოსწონს, იმ მონასტრის ძმობაში შევა. მაგალითად, მონასტერ სტავრონიკიტაში უფრო მკაცრი ტიპიკონის ბერები არიან, მონასტერ სიმონ-პეტრეში კი პირიქით, ნაკლები სიმკაცრეა. სამაგიეროდ, აქ ყურადღება გამახვილებულია სასულიერო ხელოვნების შესწავლა-განვითარებაზე.

ათონი სარგებლობს ავტონომიით. ათონის ადმინისტრაციულ ცენტრში, კარიესში, ანუ კარეაში, არის ათონის მთის გუბერნატორის რეზიდენცია, ქალაქის ხელისუფლება და ათონის წმიდა მთის მონასტრების მმართველი საბჭო - კინოტი. საბჭოს წევრებს ირჩევენ დიდი მონასტრებიდან ყოველწლიურად. 1982 წელს ამ საბჭოში უფროსი იქნება ივერონის წარმომადგენელი.

ოთხშაბათს კარეაში ვეწვიეთ წმიდა კინოტს, სადაც მოგვიწყვეს ოფიციალური, ძალზე საზეიმო შეხვედრა. გადავიხადეთ საერთო პარაკლისი, "დედაქალაქის" მთავარ ტაძარ პროტატში. შემდეგ მიგვიწვიეს რეზიდენციაში. მმართველმა მოგვმართა სიტყვით. დიდი სურვილი აქვთ, უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან.

ხუთშაბათს გავემგზავრეთ დიდ, ანუ ათანასეს ლავრაში. გზად მოვილოცეთ მონასტერ კარაკალაში. მონასტერში სულ 12 ბერია, მაგრამ მათი სამონასტრო ცხოვრება და სულიერი სიმაღლე სამაგალითოა. კარაკალას შემდეგ მოვილოცეთ მონასტერი ფილოთეოსი. ეს მონასტერი საინტერესოა ქართველი კაცისათვის.

ფილოთეოში შეგვხვდნენ განსაკუთრებული ზეიმითა და სიხარულით. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ეს სიხარული გამოწვეული ყოფილა იმით, რომ ჩვენ ვიყავით საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები. ქართველებს დიდად უმოღვაწიათ ამ მონასტრის აღდგენასა და გამშვენიერებაზე, მისი სულიერი განმტკიცება-აყვავებისათვის. პარაკლისის შემდეგ მიგვიწვიეს სადილზე. შევედით მშვენიერ, დიდ სატრაპეზოში. სწორედ აქ შევიტყვეთ ქართველთა ღვაწლის შესახებ. სატრაპეზოს კედელზე გამოხატულნი არიან კახეთის მეფეები: ლევანი და მისი ძე - ალექსანდრე. მათ ხელში უჭირავთ მოდელი მონასტრისა (არა ერთი ტაძრისა, არამედ მთელი სამონასტრო ანსამბლისა). ეს იმას ნიშნავს, რომ მათ მთელი მონასტრის აღდგენა-გამშვენებაშიც მიუძღვით დიდი ღვაწლი. მონასტრის თავდაპირველი მაშენებელი იყო ფილოთეოსი, რომლის სახელსაც ატარებს მონასტერი. ჩვენს კითხვაზე, იყო თუ არა მონასტერში ქართული წიგნები, ან რაიმე ნივთი, გვიპასუხეს, რომ არის ერთი ქართული წიგნი, რომელშიც ჩაწერილია სია იმ პირებისა, რომელთაც იხსენიებდნენ წირვა-ლოცვის დროს. ეს წიგნი ვერ ვნახეთ, რადგან მონასტრის იღუმენი იმჟამად არ იყო მონასტერში. ჩვენც ვჩქარობდით. ყველა მათ სიტყვაში იგრძნობოდა სიყვარული საქართველოსა და ქართველების მიმართ. ხალისით გვაჩვენეს შავი ყურძენი, გვითხრეს ქართულიაო. იგი გავრცელებულია მთელს ათონზე. აქვე გამოთქვეს წუხილი ივერონში ქართველი ბერების არყოფნის გამო. „ფილოთეო" ძალზე დიდი მონასტერია, - სუფთა, მდიდარი, გამორჩეული. აქ არის 70-მდე ბერი. აქ ჩვენი მკვლევარი ძალზე ბევრ ქართულს აღმოაჩენდა და შეისწავლიდა. აუცილებლად საჭიროა ქართველი მკვლევარის მივლინება.

ათანასეს დიდი ლავრა ათონზე მთავარი ლავრაა არა სიდიდით, არამედ თავისი მნიშვნელობით, იგი წმიდა ათანასემ, ათონზე სამონასტრო ცხოვრების დამწყებმა დააარსა. ამიტომაც ამ მონასტერს განსაკუთრებული ავტორიტეტი აქვს. როგორც გვითხრეს, წმ. ათანასეს დედა ქართველი ყოფილა, ლაზი. მისგან ჰქონდაო ათანასეს სიყვარული ქართველების მიმართ. ამით ასაბუთებენ განსაკუთრებულ მზრუნველობასა და მფარველობას, რომელსაც წმ. ათანასე იჩენდა წმ. იოანე მთაწმინდელის, „ივერონის" დამაარსებლისადმი. წმ. ათანასემ მისცა იოანეს მონასტრის აშენების ნებართვა. ეს ნებართვა ახლაც შენახულია. ათანასეს ლავრა განთქმულია თავისი ბიბლიოთეკითა და მუზეუმით. ბიბლიოთეკაში რამდენიმე ქართული ხელნაწერი გვიჩვენეს, ერთი ქართული ხელნაწერის ნომერი იყო ძ1-37. ამას გარდა, სხვა ქართული ხელნაწერებიც არის. ყველა ხელნაწერის მიკროფილმია გადაღებული. ისინი ინახება სალონიკში. მუზეუმში არის ქართული ნივთები, ძალზე იშვიათნი და ძალზე საინტერესონი. ზოგიერთი გამოფენილია ვიტრინაში. მაგალითად, აქ არის XVI საუკუნის ეპიტრახილი ქართული წარწერებით. როგორც გვითხრეს, ძალზე ბევრია აქ ქართული ნივთები. მათი უმრავლესობა ჩაწყობილია ყუთებში და არაა გამოფენილი.

ათანასეს ლავრა ათონის ნახევარკუნძულის ბოლოშია, ყველაზე ძნელად მისასვლელ ადგილზე. ამჟამად იქამდე მიდის ახლად გაყვანილი მოუკირწყლავი გზა.

სამაგიეროდ, ივერონი ყველაზე კარგ ადგილზეა. აქ მიდის ყველაზე უკეთესი გზა. ახლოა ცენტრთან. ათონზე ჩამოსული სტუმარი აუცილებლად უნდა ეწვიოს ივერონს. ეს გამოწვეულია სიახლოვით და ივერონის გამორჩეული სტუმართმოყვარეობით. ივერთა მონასტრის პროიღუმენი კალინიკე ხუმრობდა - წმ. ათანასე ბერძენი იყო, ცხადია, ძუნწი და არა სტუმართმოყვარე;

ამიტომაც დააარსა თავისი მონასტერი ხალხისათვის ძნელადმისადგომ და ძნელადმისაგნებ ადგილზე. სამაგიეროდ, იოანე მთაწმინდელი ქართველი კაცი იყო, სტუმართმოყვარე, ამიტომაც ადვილად მისადგომ ადგილზე დააარსაო მონასტერი. ივერონში ნებისმიერი სტუმარი აუცილებლად უნდა მიიღონ, ღამე გაათევინონ და კარგად გაუმასპინძლდნენ. ასეთია საუკუნოვანი ტრადიცია. ამ ტრადიციით ეს მონასტერი განსხვავდება სხვა მონასტრებისაგან. ეს ცნობილია საყოველთაოდ.

პარასკევს ივერონის მთავარ ტაძარში წირვა შესრულდა ქართულ ენაზე. ამავე დღეს თაყვანი ვეცით ივერიონის წმიდა ნაწილებს. წმიდა ნაწილებით, საერთოდ, მდიდარია ივერონი. ისინი აქ, მთავარი ტაძრის ერთ-ერთ ოთახში, ვიტრინებშია გამოფენილი. ვიტრინებს მთელი ოთახი უკავიათ. აქ არის წმ. გიორგის ქვედა ყბა.

თითქმის ყველა წმიდანის წმიდა ნაწილი ინახება ათონზე. ნებისმიერი მონასტრის უმთავრეს სიმდიდრედ წმიდა ნაწილები ითვლება. მაგალითად, მონასტერი „ქსიროპოტამი” სახელგანთქმულია იმით, რომ აქ ინახება ცხოველმყოფელი ჯვრის (ანუ იმ ჯვრის, რომელზედაც დამსჭვალეს უფალი იესო ქრისტე) ყველაზე დიდი ნაწილი, ხოლო მონასტერი სიმონ-პეტრე ამაყობს მარიამ მაგდალინელის ხელის ნაწილით. ეს ნაწილი ხანდახან თბება. ეს მარიამ მაგდალინელის დიდი სიყვარულის სითბო არისო, გვითხრეს ბერებმა. ჩვენ გვქონდა ბედნიერება, გველოცა სულ სხვადასხვა წმიდანის წმიდა ნაწილებთან. მონასტრის მოლოცვისას სტუმარს თუ წმიდა ნაწილს აჩვენებენ, ეს ნიშნავს, რომ ის მიღებულია ძალზე საპატიო სტუმრად.

ათონელები ძალზე არიან დაინტერესებულები საქართველოში საუკუნეთა მანძილზე დაცულ წმიდა ნაწილთა ბედით. ბერები გვეკითხებოდნენ მათ შესახებ. მაგალითად, აინტერესებდათ, ამჟამად სად ინახება ღვთისმშობლის სარტყლის ნახევარი. ამ სარტყლისათვის XIX საუკუნეში, ზუგდიდში აუშენებიათ სპეციალური ტაძარი. სარტყლის მეორე ნახევარი ამჟამად დაცულია საბერძნეთში და ქვეყნის მთავარ სიწმიდედ ითვლება. აინტერესებდათ, სად ინახება ამჟამად წმიდა საბა განმწმედელის დიდი ნაწილი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში საფარის მონასტერში იყო დაცული. გვეკითხებოდნენ სხვადასხვა უამრავ ნაწილთა შესახებ. აინტერესებდათ ბედი იმ ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილისა, რომელიც ლევან კახთა მეფემ იერუსალიმიდან ჩამოასვენა ალავერდის მონასტერში, აგრეთვე, ლანგრისა, რომელიც საიდუმლო სერობის დროს იხმარეს და თომა მოციქულის თავის ქალასთან ერთად ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაცული ყოფილა ქვათახევის მონასტერში, გვეკითხებოდნენ ფერხთა ფიცრისა და ქრისტეს სამსჭვალთა შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ადრევე გაუტანიათ საქართველოდან, მაგრამ ისევ დაუბრუნებიათ ქართველებს შუა საუკუნეების დროს და სხვა.

ათონის საზოგადოებრიობა ძალზე დაინტერესებულია საქართველოში დაცული წმიდა ნაწილების ბედით. შეიძლება ითქვას, დაინტერესებულია ისევე, როგორც ჩვენი, ქართველი საზოგადოებრიობაა დაინტერესებული ათონზე დაცული ქართული ხელნაწერებითა და ნივთებით. ჩვენ შეგვეძლო ერთმანეთს შორის გაგვეცვალა ინფორმაცია ამ სიწმიდეთა შესახებ. ეს ჩვენთვის ძალზე სასარგებლო იქნებოდა, რადგანაც ათონზე გაბნეულია უამრავი ქართული ნივთი და ხელნაწერი წიგნი.

შაბათს მე ვწირე „პორტაიტისას” ტაძარში. ამ მცირე, აშოტ მუხრანბატონის მიერ აგებულ ტაძარში მართლმადიდებელ ქრისტიანთა საუნჯე - ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი არის დასვენებული. აქ უწყვეტად მიმდინარეობს წირვა-ლოცვა და პარაკლისი. თვით ის გასაოცარი ფაქტი, რომ ჩვენ ამ წმიდა ტაძარში ნება დაგვრთეს ქართული წირვისა, მეტყველებს ქართული ეკლესიის ახლანდელი დიდი ავტორიტეტის შესახებ. ეს იყო ნიშანი მოკრძალებისა და პატივისცემისა ივერიელი ქტიტორებისადმი. ჩვენ წინასწარ რამდენჯერმე გაგვაფრთხილეს, გვეწირა მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე. მათ მიაჩნდათ, რომ ქართული წირვის შემდეგ იოანე, ექვთიმე, გიორგი და გაბრიელ მთაწმინდელები უფრო მეტი მეოხნი და მფარველნი

იქნებოდნენ ღვთის წინაშე ივერთა მონასტრისა, რომ ქართულ მონასტერში, ქართული წირვის შემდეგ, ღმერთი უფრო მეტ მოწყალებას გაიღებდა მონასტრისადმი.

ვწირე მარტო, რადგანაც საკურთხეველის სიმცირის გამო სხვების თანამონაწილეობა წირვაში უხერხულობას შექმნიდა.

მე შემმოსეს XVI საუკუნის ქართული შესამოსელით. ეს ჩემთვის იყო დიდი ბედნიერება და მოწყალება ღვთისა. ვმადლობ უფალს, რომ ღირსი გამხადა ქართულად მეწირა ივერთა ღვთისმშობლის უწმინდესი ხატის ტაძარში.

შაბათს, წირვის შემდეგ, მოვილოცეთ ათონის მონასტერი - სიმონ-პეტრე, ქსიროპოტამი, პანტელეიმონი, სტავრონიკიტა.

სიმონ-პეტრეს მონასტერი აშენებულია უზარმაზარ კლდეზე და შორიდან ციხე-ქალაქს ჰგავს. დაუვიწყარია სიმონ-პეტრეს ბერები. ყველა უმაღლესი განათლებითაა. ამით ეს მონასტერი გამორჩეულია. კდემამოსილება, სიყვარული და სათნოებაა აღბეჭდილი მათ ფერმკრთალ სახეებზე. მიუხედავად განათლებისა და სულიერი სიმაღლისა, ისინი ყველანი მორჩილნი და თავმდაბალნი არიან. სიმონ-პეტრედან წასვლისას ჩვენს გასაცილებლად მონასტრიდან ბერები გამოიშალნენ. ისინი ჩვენი დელეგაციის წევრმა, მამა ალექსანდრე შათირიშვილმა შეადარა ბარტყებს მერცხლის ბუდეში. სიმონ-პეტრე მართლაც ჰგავს კლდეზე აშენებულ მერცხლის ბუდეს, ხოლო ბერები შავი შესამოსლით და საყელოზე თეთრი ზოლით - მერცხლებს. აქ 50 ბერია.

„პანტელეიმონის" რუსთა მონასტერში დიდი სიხარულით შეგვხვდნენ. ვემთხვიეთ წმიდა პანტელეიმონის ნაწილებს. ღვთისმშობლის საფარველის ტაძარში თაყვანი ვეცით იერუსალიმის ღვთისმშობლის ხატს. პარაკლისის შემდეგ მიგვიწვიეს სადილზე.

მონასტერი სტავრონიკიტა პატარა, მაგრამ ცნობილი მონასტერია. ის მდებარეობს ივერონის მონასტრის მეზობლად. ივერონელები მის ბერებს დიდ პატივს სცემენ.

კვირას ივერონის მთავარ ტაძარში ჩავატარეთ შერეული, ქართულ-ბერძნული წირვა. მწირველები ვიყავით ყველანი. ყველა ჩვენთაგანმა ვიგრძენით, როგორ გარდამოვიდა ჩვენზე მადლი ღვთისა - ეს გამოიხატა ერთმანეთის მიმართ მომეტებული სიყვარულისა და პატივისცემის შეგრძნებით. წირვის შემდეგ მიგვიწვია ივერონის უხუცესთა საბჭომ. გამოითქვა სურვილი ჩვენს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებისა. აქვე დაადგინეს, საპასუხო ვიზიტით გამოეგზავნათ ივერონის სამი ბერი საქართველოში. მართლაც, საქართველოში ჩვენი დაბრუნების შემდეგ, ჩვენს სამოციქულო ეკლესიას ეწვია სამი მეთაური - პროიღუმენი მაქსიმე, პროიღუმენი კალინიკე და საქმეთა მმართველი ანთიმოზი.

კვირა საღამოს გამოსათხოვარი ქართული პარაკლისი გავმართეთ ივერონის ღვთისმშობლის ხატთან. ჩვენ ვეთხოვებოდით დედა-ღვთისას - მფარველს და მეოხს ქართველი ერისას, ვეთხოვებოდით ივერონსა და ათონს. ამ დროს ძნელი იყო ცრემლის დამალვა. ჩვენ ცრემლით, ტირილით ვთხოვდით დედა-ღვთისას შემწეობასა და მფარველობას მისდამი წილხვედრი ივერთა მიწისა და ერისა.

ორშაბათს პროიღუმენმა კალინიკემ ნავსადგურ დაფნიმდე მიგვაცილა. თესალონიკში ოფიციალური მიღება გვქონდა თესალონიკის მიტროპოლიტ პანტელეიმონთან. მან მოგვმართა სიტყვით, რომელშიც გაგვაცნო თესალონიკის ეკლესიის ახლანდელი მდგომარეობა. ის მეთაურია თესალონიკის უნივერსიტეტისა. მან გამოთქვა ამ უნივერსიტეტში 2 ქართველი სტუდენტის მიღების სურვილი. საქართველოს ეკლესიიდან წარმოგზავნილ ორ ახალგაზრდას უნივერსიტეტში ჩვენივე ხარჯებით და სტიპენდიით მივაღებინებთ განათლებასო. მანვე გაგვაცნო გეგმა, რომლის მიხედვით გადაწყვეტილი აქვს შექმნას მართლმადიდებლობის შემსწავლელი თეოლოგიური ცენტრი თესალონიკში, ყველა ეკლესიიდან წარმომადგენლების მონაწილეობით. მან გამოთქვა სურვილი, საქართველოს ეკლესიამაც წარგზავნოს მუდმივი წარმომადგენელი ამ ცენტრშიო. საპასუხო სიტყვაში ვუსურვეთ აყვავება თესალონიკისა და საბერძნეთის ეკლესიას. მიტროპოლიტმა პანტელეიმონმა დაგვაჯილდოვა წმიდა სიმონის მედლებით.

თესალონიკში ვილოცეთ სამიტროპოლიტო და დიმიტრი თესალონიკელის უძველეს, დიდებულ ტაძარში.

ათენში დავყავით რამდენიმე დღე. ვცხოვრობდით ათენის ახლოს, პენდელის მონასტერში, ჩვენი კეთილი მასპინძელი იყო ამ მონასტრის წინამძღვარი, ელადის ეკლესიის მეთაური ქორეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი. ის ადრე იყო სინას მთის მონასტრების იღუმენი - მეთაური. მას ხელი მიუწვდება სინას მთის ქართულ ხელნაწერებზე.

რამდენიმე დღე გვქონდა ათენის დასათვალიერებლად, მისი შემოგარენის, მონასტრებისა და ეკლესიების მოსალოცად. ათენში 1000 მოქმედი ეკლესიაა. ეკლესიები დიდებულადაა მოვლილი. ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ქალთა მონასტერმა - დაუპენდელმა. ეს მონასტერი მეათე საუკუნემდე დაუარსებიათ ტაოდან ჩამოსულ ქართველ ბერებს - ასეთია ადგილობრივი გადმოცემა. მონასტრის მთავარი ტაძრის ერთი ნაწილი მართლაც ჰგავს ქართულ ტაძარს - ჯვრის ტიპისას. ასეთივეა ათონზე, ტყეში ჩაკარგული ერთი ტაძარი - ესაა ორმეოც მოწამეთა ეკლესია - ასევე მსგავსი ჯვრის ტიპისა. ძალზე კარგად არის მოწყობილი სამონასტრო ცხოვრება ქალთა მონასტერ დაუ-პენდელში. აქაური მონოზვნები ხატავენ ხატებს, ქარგავენ, გამოჰყავთ მცენარეთა და ყვავილთა ნერგები, ჰყავთ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ფარები, კეთილად აწყობენ ეკლესიასა და საცხოვრებელ ბინებს. გასაოცარია მათი ლოცვა-მორჩილება. აქ დაინტერესდნენ ქალთა ქართული მონასტრების ცხოვრებით. მათ შემოგვთავაზეს ჩვენთვის ძალზე საინტერესო აზრი: გამოცდილების გასაზიარებლად მიიწვიონ საქართველოდან 2-3 მონოზონი. ეს მონოზნები იცხოვრებენ დაუ-პენდელში, მცირე ხნით.

ათენში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით ვეწვიეთ საბერძნეთის ეკლესიის მეთაურს - ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოს სერაფიმეს.

„ჯვარი ვაზისა", N2, 1981 წ.

წმიდა ნინოს ტროპარი

ქართული მხატვრული სიტყვის ნამდვილი მარგალიტებია წმიდათა ტროპრები. ტროპართა ყოველი სიტყვა დამუხტულია პოეზიითა და სულიერებით, ყოველი სიტყვა და ფრაზა ძალზე ტევადია და გაოცებას იწვევს მაღალმხატვრული ოსტატობით. ერთ-ერთი ასეთი არის წმიდა ნინოს ტროპარი:

"სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანა მოსაგრეო, და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო, და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის".

ტროპარის ავტორის ოსტატობის უკეთ შეცნობისათვის დავყოთ ეს ტროპარი მუხლებად და განვიხილოთ თითოეული მუხლი ცალ-ცალკე.

პირველი მუხლი: "სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანა მოსაგრეო"... თანამედროვე ქართულით გამოითქმება ასე: "ღვთის სიტყვის მსახურების თანა მოსაგრევ..."

"სიტყვა" ანუ "ღვთის სიტყვა" არის მაცხოვარი, თანაარსი წმიდა სამებისა, ძე ღვთისა, ჭეშმარიტი ღმერთი იესო ქრისტე.

რატომ უწოდებს ტროპარის ავტორი მაცხოვარს ღვთის სიტყვას? "ცათა და ქვეყნისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა" შემოქმედმა ღმერთმა, თავის ხატად და მსგავსად შექმნა ადამიანი. შემდგომში ადამიანმა დაკარგა მფარველობა ღვთისა, რადგანაც ცოდვით დაეცა. ადამის შთამომავლობა საუკუნეთა განმავლობაში ცოდვებში ცხოვრობდა.

ღვთის შემწეობის გარეშე, თავისი ძალებით, ადამიანთა მოდგმამ ვერ შესძლო თავის დაღწევა ცოდვებისაგან, თუმცა ამას ძლიერ ცდილობდა.

კაცობრიობის გადარჩენისათვის აუცილებელი აღმოჩნდა ღვთის დახმარება.

ღმერთმა - წმიდა სამებამ, იმდენად შეიყვარა თავის მიერვე შექმნილი კაცობრიობა, თავის მიერ შექმნილი ადამიანი, რომ გადაწყვიტა ადამიანთა ხსნისათვის წმიდა სამების ერთ-ერთი პირი - ძე ღვთისა მოევლინა ქვეყნად ადამიანის სახით. მართლაც ჩვენი ცხოვრებისათვის - ე. ი. ცოდვებისაგან დახსნისა და ადამიანთა სულის გაუკვდავებისათვის ძე ღვთისა "გარდამოხდა ზეცით და ხორცი შეისხა და განკაცდა", შემდეგში თავისი ვნებით და ჯვარცმით "ერთ გზის თავი თვისი შესწირა, ვითარცა მსხვერპლი თვისისა მამისა..." (ზიარების ლოცვა, სძლისპირი 9).

ე. ი. კაცობრიობის ცოდვების დასახსნელად, ცოდვების მისატევებლად ძე ღვთისამ თავისი თავი მსხვერპლად შესწირა. ამით მან აღადგინა ცოდვით დაცემული კაცობრიობა, უკვდავება მოანიჭა ადამიანს.

აღსრულდა ნება ღვთისა. წმიდა სამების გადაწყვეტილება აღასრულა ძე ღვთისამ. უფალი იესო ქრისტე წმიდა სამების ნების გამომხატველი და აღმასრულებელია, ამიტომაც არის ის ღვთის სიტყვა, ანუ სიტყვა. სწორედ მის გამო თქვა იოანე მახარებელმა: "პირველითგან იყო სიტყვაი და სიტყვაი იგი იყო ღვთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვაი იგი" (იო. I,I). ე. ი. წმიდა ნინოს ტროპარის პირველ მუხლში: "სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანა მოსაგრეო..." "სიტყვისა ღვთისა" შეგვიძლია შევცვალოთ სიტყვებით "იესო ქრისტე", და მაშინ მივიღებთ

- იესო ქრისტეს მსახურთა თანა მოსაგრევ ანუ

- იესო ქრისტეს მსახურების თანა მოსაგრევ...

ვინ იყვნენ იესო ქრისტეს მსახურები? პირველ რიგში მისი მოწაფეები, მისი მოციქულები, მიმდევრები, ღვთის სიტყვის შემსრულებლები, სახარების მცნებათა აღმასრულებლები. აქ იგულისხმება მამამთავრები, ღირსი მამები.

თანამოსაგრე ნიშნავს თანამებრძოლს, თანამოაზრეს, ერთი მიზნისათვის მებრძოლებს.

მაგალითად, დიდი ილია ჭავჭავაძის თანამოსაგრე იყო აკაკი. წმიდა კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლისა - კი გიორგი ჭყონდიდელი ეპისკოპოსი. თანამოსაგრენი შეიძლება იყვნენ არა მარტო თანამედროვე, არამედ სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა დროს, მაგრამ ერთი იდეისათვის მებრძოლი ადამიანები. მაგალითად, ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ფარნაოზის თანამოსაგრე იყო გიორგი V ბრწყინვალე. მათ აერთიანებდა ერთი დიდი მიზანი - ქართველ ერს ჰქონოდა საკუთარი, ძლიერი სახელმწიფო.

ე. ი. "სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანა მოსაგრეო"-ში თუ ჩავსვამთ შესაბამის თანამედროვე სიტყვებს - იქნება ასე "იესო ქრისტეს მიმდევრების თანამებრძოლი" - ასეთი იქნება პირველი მუხლი.

მეორე მუხლი: "ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო". წმიდა ანდრია მოციქული იყო იესო ქრისტეს პირველი მიმდევარი - პირველწოდებული.

"იყო ანდრია, ძმაი სიმონ-პეტრესი, ერთი ორთაგანი, რომელთა ესმა იოანესაგან, და მისდევს მას.

პოვა ამან პირველად ძმაი თვისი სიმონ და ჰრქუა მას: ვპოვეთ მესია, რომელ არს თარგმანებით:. "ქრისტე"...

ამან მოიყვანა იგი იესუსა" (იო. II,40 - 41 - 42).

უფალ იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ მოციქულებს დაევალათ წარმართების მოქცევა: "წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაი ესე ყოველთა დაბადებულთა" (მარკ. 16,15). მოციქულები და მასთან ერთად ღვთისმშობელი შეიკრიბნენ, რათა წილი ეყარათ, თუ ვის რომელი ქვეყანა და რომელი ერი მოექცია ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. წილის ყრის დროს ღვთის განგებით ღვთისმშობელს შეხვდა "ივერია" ე. ი. ღვთისმშობელს საქართველოში უნდა ექადაგა სარწმუნოება. ღვთისმშობელი ემზადებოდა საქართველოში გამოსამგზავრებლად, როცა ეცნობა

ნება ღვთისა მისი მიძინების შესახებ. ამის გამო ღვთისმშობელმა დაავალა საქართველოში სახარების ქადაგება ანდრია პირველწოდებულს. "პირველად ქრისტიანობამ, იქ სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპმსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადერკი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპთ-თაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისათვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ კიდევ წმიდა ნინოს მოსვლამდე"[1]. მართლაც, ანდრია პირველწოდებულმა და მოციქულმა სიმონ კანანელმა იქადაგეს საქართველოში ქრისტიანობა. წმ. ანდრიამ მოიტანა საქართველოში ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი. ანდრიას ქადაგებათა კვალი დღესაც ატყვია საქართველოს. ხალხში დღესაც ცოცხალია გადმოცემები საქართველოში მისი მოღვაწეობის შესახებ. ანდრია არის ქართველი ერის უპირველესი განმანათლებელი. მან დააყენა ქართველი ერის ერთი ნაწილი ჭეშმარიტების გზაზე, მაგრამ შემდეგ II-III საუკუნეებში წარმართობამ იმძლავრა საქართველოში. საჭირო იყო განმტკიცება ქრისტიანობისა, მისი სახელმწიფოებრივ დონეზე აყვანა. საჭირო იყო, როგორც ქვეყნის მმართველს, ასევე უბრალო მიწის მუშასაც ერთნაირად ჰყვარებოდა ქრისტე. მართლაც, ღვთის მადლით, ქრისტიანობა იქადაგა და სამეფო კარიც ქრისტეს მიმდევრად აქცია წმიდა ნინომ. წმიდა ნინოს შემდეგ ქართველი ერი ათეულ საუკუნეთა მანძილზე სიყვარულით ატარებს ქრისტეს ტკბილ უღელს. ე. ი. ქრისტიანობა საქართველოში პირველად იქადაგა ანდრიამ, ხოლო შემდეგ, ანდრიას მიზანი საბოლოოდ აღასრულა მისმა თანამოსაგრემ წმიდა ნინომ. ამიტომაც უწოდებს ტროპარის ავტორი წმიდა ნინოს ანდრიას ქადაგებათა წარმმართველს. წმიდა ნინომ ანდრიას საქმე გააგრძელა, წარმართა, მიიყვანა საბოლოო გამარჯვებამდე - ამიტომაც ითქვა - „ანდრიას ქადაგებათა წარმართებაო".

მესამე მუხლი: "ქართველთა განმანათლებელო". როგორ უბრალოდ და მარტივად გვესმის ჩვენ დღეს ეს სიტყვა. ქართველთა განმანათლებელი არის ის ადამიანი, რომელმაც მთელ ქართველ ერს ასწავლა ჭეშმარიტების გზა - ქრისტიანობა, განანათლა მთელი ერი ე. ი. გამოიყვანა წარმართობის უვიცობიდან და ცოდვით სიკვდილისაგან. მაგრამ არც თუ ისე შორეულ წარსულში, XVI საუკუნიდან XIX საუკუნემდე, "ქართველის" ქვეშ გულისხმობდნენ არა მთელ ქართველ ერს, არამედ მის ერთ ნაწილს - ქართლელებს:

"განვთითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით. ასო-ასოდ დავიჭერით... დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა - სახელი ჩვენის ხალხობისა ხუთ, თუ ექვს ნაჭრად დავყავით... ქართველს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა...

იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი - ეს ცალ-ცალკე მითვისებული კერძოებითად მიღებული განმყოფელი სახელები ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია"[2].

წმიდა ნინოს ტროპარის ავტორი, ისევე, როგორც საერთოდ ნებისმიერი ძველი ქართული ეკლესიის მამა და მწერალი ყოველთვის სიტყვა "ქართველის" ქვეშ გულისხმობდა მთელ ქართველ ერს და არა მის რომელიმე კუთხის შვილს. ეს იმიტომ, რომ ქართული ქრისტიანული მწერლობის ჩამოყალიბების დროს და საქართველოში ქრისტიანობის ჩასახვის პერიოდში ქართველი ერი ერთიანი იყო და მთლიანი. ამას ამტკიცებს მთელი ძველი ქართული მწერლობა. XVI საუკუნის შემდეგ საქართველო იშლება ცალკეულ ნაწილებად. ამან ხელი შეუწყო კუთხობრივ სეპარატიზმს, კუთხობრივ პატრიოტიზმს, ერის ტომებად დაშლას, ამიტომაც გამოჩნდნენ იმერლები, გურულები, მეგრელები, კახელები, მესხები და სხვ. ძველად ეს ასე რომ არ იყო, და კუთხობრიობას ძალზე მცირე ანდა არავითარი მნიშვნელობა რომ არ ენიჭებოდა, ამას ადასტურებს XV-XVI საუკუნემდელი მამათა ცხოვრებანი, ქართული საისტორიო, საეკლესიო და საერო მწერლობა.

მაგალითისათვის საკმარისია თვალი გადავავლოთ მხოლოდ გიორგი მთაწმინდელის "იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებას", რომ თვალნათლივ დავრწმუნდეთ ამაში.

იოანე მთაწმინდელი მესხი იყო. მას რომ ეცხოვრა XV-XVI საუკუნის შემდეგ, აუცილებლად აღნიშნავდნენ მის მესხობას, მაგრამ გიორგი მთაწმინდელს საერთოდ არ აღუნიშნავს მისი კუთხური წარმომავლობა. ის წერს: "იოანე იყო ნათესავით ქართველი"[3], იმიტომ რომ "მესხი" - ტომობრივი ერთეული, იმ დროს არ არსებობდა. არსებობდა "მესხეთი", მაგრამ მკვიდრი მესხეთისა იყო ქართველი, ასევე იყო საქართველოს ნებისმიერ კუთხეში.

მაგალითად "განითქვა სახელი მისი და პატივსა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი"[4]. აქ ქართველში იგულისხმება საქართველოს ნებისმიერი კუთხის შვილი.

ექვთიმე "გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩვენისა": "ჩვენი ნათესავი" - ეს ტერმინი ძველად, ერის დაყოფამდე, აღნიშნავდა უბრალოდ ქართველ ერს.

იოანემ "ქართველთა განსვენებისათვის... თავს იდვა ამისი ხელყოფა" - ე. ი. მონასტრისა.

"იწყეს მიერითგან ქართველთა მოსვლად და განმრავლებად" (მონასტერში).

"კაცნი ვართ სახელოვანი და ქართველნი მოგვმართებენ" (ე. ი. იოანესა და ექვთიმეს).

"ინება, რათა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკვიდრნი ყოველნი" - ე.ი. რომ ივერთა მონასტრის ყოველი მკვიდრი ყოფილიყო ქართველი. "ქართველში" იგულისხმება ქართველი - დღევანდელი გაგებით, მაშინ როცა XVII-XVIII და XIX საუკუნის დასაწყისის მკითხველი ამ "ქართველის" ქვეშ იგულისხმებდა "ქართლელს".

"ილტვოდა სპანიად... რამეთუ ასმიოდა ვითარმედ ქართველნი არა მცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდრნ არიან მუნ". ე.ი. ესპანეთში უნდოდა გამგზავრება, რადგანაც გაგონილი ჰქონდა თითქოსდა იქ მრავალრიცხოვნად მკვიდრობენ ქართველები.

ივერონში იმ დროს მოღვაწეობდა არსენი ნინოწმინდელი და იოანე ხახულელი. ნინოწმიდა კახეთშია, არსენიც კახელი იყო წარმოშობით, მაგრამ მისი კახელობა, ისევე როგორც იოანე ხახულელის მესხობა, არასოდეს არსად არ აღინიშნება. სამაგიეროდ, საქართველოსა და ერის დაშლის შემდეგ, XVI-XVII საუკუნეებში, ათონის მთაზე ერთ-ერთი მონასტერი "ფილოთეო" აღადგინეს კახეთის მეფეებმა ლევანმა და ალექსანდრემ. ისინი გამოხატული არიან ამ მონასტრის სატრაპეზოში და მათ ფრესკას აქვს ასეთი წარწერა: "ალექსანდრე და ლევანი კახეთის მეფეები". ამიტომაც ახლა საჭიროა აქაური ბერების დარწმუნება, რომ კახელი იგივე ქართველია. მათ რომ ეცხოვრათ XV საუკუნემდე, სიტყვა კახელს საერთოდ არ იხმარდნენ.

იოანემ ექვთიმეს "პირველად ქართული სწავლა ასწავლა და მერე ბერძნულად გაასწავა".

ექვთიმე უყვება იოანეს: "აწღა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქვა ქართულითა ენითა რაი არს, რაი გელმის ექვთიმე?", "არარაი არს ვნება შენ თანა, აღსდეგ ნუ გეშინიან და ქართულად ხსნილად უბნობდი".

იმ დრომდე "ძნიად უბნობდა ქართულად", "ხოლო მიერითაგან დაუყენებლად ვითარცა წყარო აღმოდინ უწმიდეს ყოველთა ქართველთასა".

მიაქციეთ ყურადღება "ყოველთა ქართველთასა" - მშვენიერი ტერმინია. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყანაა, ის ქართველი ერის მფარველია, ქართული ენაც - მისი საყვარელი ენაა, ამიტომაც აღუდგინა ქართული მეტყველება ღვთისმშობელმა ექვთიმეს. ამიტომაც "ეგევითარი თარგმანი... არღა გამოჩინებულ არს ენასა ჩვენსა", "დაატკბო ენა ჩვენი" - ასე ამბობდა ნებისმიერი კუთხის ქართველი საუკუნეთა მანძილზე.

მერე საქართველო დაიშალა. გაჩნდნენ სამეფოები, სამთავროები და არა მარტო ქვეყნის, ერის სულიერი მეთაურის, საქართველოს საპატრიარქოს ერთიანობაც დაიშალა. შეიქმნა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათალიკოსო, დედა ეკლესიას გამოეყო სამხრეთ საქართველოს - მესხეთის ეკლესიაც. ირღვევა ერთიანობა ერისა. ჩნდება იმერლობა და ამერლობა. XV საუკუნის მეორე ნახევრამდე არის ნიშნები ერის დაშლისა ტომებად და კუთხეებად...

"ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსათვის. იმერელი - იმერელია, გურული - გურულია, მეგრელი - მეგრელია, ქართლელი - ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან: ვაი იმ

ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა... "განვთიოეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით... დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა... სახელი მთელის ჩვენის ხალხობისა ხუთ, თუ ექვს ნაჭრად დავყავით... ქართველს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა..." ჰგოდებდა დიდი ილია[5].

"აბა დაიძახე ქართველი-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმობრუნებულის ქართლელის მეტმა (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენსკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო.

ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელიღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა..."[6].

ამ საშინელი კრიზისის დროს ერის გამაერთიანებლად გამოდის ქართული ენა და ქრისტიანული სარწმუნოება. ერის სულიერი საზრდო ძველთაგანვე ქართულ ენაზე შექმნილი ქრისტიანული ლიტერატურაა.

წმიდა ნინოს ტროპარიც ამ საქმეს ემსახურება, ეროვნული თვითშეგნების გრძნობის, ერის გადარჩენისათვის იბრძვის. და ვინაიდან საეკლესიო ტიპიკონი საქართველოს ყოველ კუთხეში აბსოლუტურად ერთნაირი იყო, ამიტომ ყველგან ერთნაირად ითქმოდა წმიდა ნინოს ტროპარი: "წმიდაო ნინო... ქართველთა განმანათლებელო". საქართველოს ყოველ კუთხეში წმიდა ნინო მიაჩნდათ ქართველთა განმანათლებლად. მართალია ამ დროს "კახეთში კახელობდნენ, იმერეთში იმერლობდნენ, სვანეთში სვანობდნენ, სამეგრელოში მეგრელობდნენ", მაგრამ ყველგან, ყოველ კუთხეში ერთნაირად ამბობდნენ და ევედრებოდნენ "წმიდაო ნინო, ქართველთა განმანათლებელო". ქართველის ქვეშ, ცხადია, ყოველ კუთხეში თავის თავს გულისხმობდნენ. ასე იყო საუკუნეთა მანძილზე. წმიდა ნინო ეროვნულ თვითშეგნებას აღვივებდა და ამიტომაც ის სულიერად აერთიანებდა საქართველოს ყოველ კუთხეს; აერთ-მთლიანებდა ქართველ ერს; აღვიძებდა ეროვნულ გრძნობას ყოველ ქართველში.

მეოთხე მუხლია საოცრად პოეტური ფრაზა: "სულისა წმიდისა ქნარო" - რას ნიშნავს ეს?

მრწამსში გვაქვს: და სულიწმიდა, უფალი და ცხოველ-მყოფელი... რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ". წინასწარმეტყველები მოვლენილნი იყვნენ ღვთისაგან, ასწავლიდნენ ხალხს ღვთის სიტყვას. ისინი თავიანთი გონებით, თავისი აზრით კი არ ქადაგებდნენ, არამედ ქადაგებისა და წინასწარმეტყველების დროს მათი პირით იტყოდა, წინასწარმეტყველებდა სული წმიდა.

ასევე წმიდა ნინო თავით თვისით კი არ ქადაგებდა, არამედ წინასწარმეტყველებდა სულიწმიდის მიერ. წინასწარმეტყველებზე ნათქვამია, რომ ისინი იტყოდნენ სულიწმიდის მიერ, ხოლო წმიდა ნინო კი არ იტყოდა, უბრალოდ კი არ ამბობდა და მეტყველებდა, არამედ ის გალობდა, მღეროდა. იგი სული წმიდის უბრალო გამომთქმელი კი არ იყო, არამედ იყო სულიწმიდის ქნარი. წმიდა ნინოს საშუალებით სულიწმიდა გალობდა. ის, ავტორის შედარებით, ემსგავსა მუსიკალურ ინსტრუმენტს, რომელზედაც უკრავდა ღმერთი-სულიწმიდა. წმიდა ნინო იყო ქნარი სულიწმიდისა. ასე მაღალია ტროპარის ავტორის პოეტური ოსტატობა.

მეხუთე მუხლი: "ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის". წმიდა ნინომ თავისი ამქვეყნიური ცხოვრებით დაიმსახურა მოწყალე ღმერთისაგან ის, რომ მისი სული იმყოფება ღვთის ნათელში, ღმერთთან ახლოს. მას შეუძლია ღმერთს შეავედროს ჩვენი ცოდვილი სულები, შეუძლია ევედროს, რათა ღმერთმა შეგვიწყალოს ჩვენ. წმიდა ნინო ავედრებს ღმერთს მისგან მოქცეულ ქართველ ერს.

1. *ი. ჭავჭავაძე, რჩეული, I, 1975, გვ. 150;* **2.** *იქვე, გვ. 142;* **3.** *ძველი ქართ. ლიტერატურის ძეგლები, გვ. 225;* **4.** *იქვე, გვ. 226;* **5.** *ი. ჭავჭავაძე, იქვე, გვ. 142;* **6.** *იქვე, გვ. 141.*

"საღვთისმეტყველო კრებული", 1, 1984.

ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესია

1. საქართველოს ეკლესიის შეფასება

„საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არაოდეს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა" (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I გვ. 213).

საამაყოა ილიასეული შეფასება საქართველოს ეკლესიის ღვაწლისა - „ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ" - წერდა ის (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I. გვ. 216). აქ, „ჩვენ", ცხადია, არის ქართველი ერი და საქართველო.

2. ქართული ეკლესიის ავტორიტეტი

ქართული ეკლესიის ავტორიტეტი განსაკუთრებული მნიშვნელობის საგანი იყო დიდი ილიასათვის, მისი აზრით ქართული ეკლესია იყო ქართველი ერის ჭეშმარიტი პატრონი, ამიტომაც ილია ეკლესიის დალოცვისა და კურთხევის განსაკუთრებული აზრს და მნიშვნელობას ანიჭებდა.

ილია 1888 წლის 12 თებერვალს წერილით მიმართავს ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს (1822-1907), რომელიც მონაწილეობას იღებდა ქართულ საზოგადო საქმეებში და რომლის საფასითაც გამოიცა ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, საისტორიო საბუთები (ილია ჭავჭავაძე, ტ.10, გვ. 511) და სხვა:

„თქვენო მეუფებავ და ჩვენო სასიქადულო მღვდელთმთავარო!

თქვენი წერილი მივიღე და დიდის სიხარულით ვასრულებ თქვენს სამსახურსა... ღმერთმა ჰქმნას თქვენი სურვილი აღსრულდეს და მეც საბუთი მით მომეცეს ვინუგეშო, რომ თქვენ ჩემის მცირე სამსახურით გასიამოვნეთ.

თქვენი მეუფების ლოცვა-კურთხევის მონატრული" (იქვე, ტ.10.გვ.126).

იმერეთის ეპისკოპოსს (1825-1896) გაბრიელ ქიქოძეს ილია 1891 წ. 8 თებერვალს წერს - „თქვენო ყოვლადუსამღვდელესობავ, მოწყალეო ბატონო მამათ-მთავარო გაბრიელ! ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო წევრთა კრებამ 21 ნოემბერს 1890 წ. ერთხმად აღიარა უღრმესის პატივისცემით და გულითადის მადლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადოდ და ქართლის მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად და იქვე ერთხმად დაადგინა უმორჩილესად გთხოვოთ მიიღოთ ამ „საზოგადოების" საპატიო წევრობა, რათა თქვენი ბრწყინვალე სახელი ჩაერთვას მისთა საქმეთა და თქვენმა მონაწილეობამ გაუადვილოს „საზოგადოებას" გზა მისაღწევად მისთა დანიშნულებისა... თქვენის ყოვლადუსამღვდელესობის უღრმესი და უგულითადესი პატივისმცემელი თავმჯდომარე „საზოგადოებისა". ილია ჭავჭავაძე.

მართალია საქართველოს ეკლესიას XIX საუკუნეში მართავდა რუსული სინოდი, მაგრამ თავისი სულისკვეთებით ქართული იყო. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ მრევლი, სამღვდელოება და მღვდელმთავრების უმრავლესობაც ეროვნებით ქართველები იყვნენ და საეკლესიო ნამდვილი ცხოვრება ქართულ ენაზე წარმოებდა.

„ათონის ქართული სავანის შესახებ" ილია 1888 წ. „ივერიაში (N257, 258) ათავსებს წერილს - „საქართველო, როცა კი მოიცლიდა ხოლმე გარეშე მტერთა ზედმოსევისა და მოგერიებისაგან,

მაშინვე შეუდგებოდა ხოლმე ქრისტეს აღსარების განმტკიცებისა და გაძლიერების საქმესა“ (ტ. 8, გვ. 305).

3. სარწმუნოება

„ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია (ყოვლადუსამღვდელესი ეპისკოპოსი გაბრიელია) მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა“.

„იგი ერთს თავის ქადაგებაში სთხოვდა თავისს სამწყსოს, რომელიც ყოველთვის სულ-გაკმენდით უსმენდა ხოლმე, ევედრენით ღმერთს, რომ მომცეს მე ძალა ჯეროვნად ვემსახურო ეკლესიასა, ესე იგი თქვენს ცხოვრებასაო, რადგან თვითოეული თქვენგანი და ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ეკლესია ღვთისა ჰქვიანო (ი. ჭ. ტ. 4, გვ. 252).

„პირველად ქრისტიანობამ, იქ სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებით, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპ-მსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადერკი მეფეს უნდოდა კერპთ-თაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისათვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე“

(ი. ჭ. რჩეული I, 1975, გვ.150).

საქართველოს ისტორია

წმ. დავით აღმაშენებელი -

„აი ამისთანა კაცის ხსენება გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოზარდა. ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებული მეფე, დიდებული კაცი“(ტ. 4, გვ.183).

„ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმიდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანობის შარავანდედითა, და თაყვანისცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა... ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისათვის. მისი მიცვალების დღე 26 იანვარია, ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და ადიდებს სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებელის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად“ (გვ. 180).

„თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა“ (გვ. 214).

„ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელს ქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“ - ამბობს სასულიერო პირი.

წმ. ლუარსაბ II -

„21-ს ივნისს საქართველოს ეკლესია ადიდებს სახელს მეფის ლუარსაბისას, რომელიც ამ დღეს ეწამა შაჰ-აბაზისაგან“. (ტ. 4 გვ. 184).

„...მეფემ ითხოვა, მაცალეთ სიკვდილის წინ ვილოცოო. ნება მისცეს დაისვენა თურმე წინ ხატი ღვთისმშობლისა, რომელიც თანა ჰქონდა. და ესე შეევედრა: “ოი დედოფალო ღვთისმშობელო, შენდამი დამიძს სასოება ჩემი, შენ ხარ ნუგეშინის-მცემელი ჩემი. შენ მომეც შეწევნა წამებისა ჩემისა ამის, და შემრთე წმიდათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა, ძესა და წმიდასა სულსა“.

მხოლოდ დიდ-ბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და თუ საჭიროება მოითხოვს შესწირონ თავი თვისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე... დღეს ერთი საქართველოს გმირთაგანი გავიხსენეთ, იგი გმირი, რომელმაც თქვა: რა მადლია თავი გადავირჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინოო, - წავიდა და წამებულის გვირგვინი შეიმოსა სახელოვანი თავი ქვეყნისა და ქრისტეს სახელითა და დღეს ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია რა გარდა იმისა, რომ ბესარიონ კათოლიკოზთან ერთად ქება-დიდებით წარმოვსთქვათ:

„ყოფადთა მცნობი, ბრძენი და ახოვანი მეფე ლუარსაბ დღეს იდიდებოდენ“.

წმ. გაბრიელ ქიქოძე -

„სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს“ -

“...იგი ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად“.

“...მისის ბაგით თვით ღმერთი მეტყველებდა... ამას ამტკიცებს გლოვა ამოდენა ერისა, რომელიც დღეს შემოჰხვევია ძვირფას კუბოს, რომ უკანასკნელად ემთხვიოს იმა ბაგეთა, რომლითაც იგი გვლოცავდა და გვწვრთნიდა, იმ მადლიან მარჯვენას, რომლითაც იგი გვაკურთხებდა“… იგი ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად“ (ტ. 4 გვ. 184).

„...დიდი თუ პატარა ერთი ერთმანეთისათვის საჭირნი ვართ, თუ დღეს არა, ხვალვე მაინცა. არა შემიძლიან რაო? კაი კაცობა არ შეგიძლიან? მაშ რაღა კაცი ჰყოფილხარ? ღვთის სული რად გიდგა?“ (ი. ჭ. რჩეული I, გვ. 164).

„საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო“

„დიდი ხანია ლაპარაკი იყო, რომ აქაური სასულიერო წოდება აპირებს სიონთან დაარსოს მუზეუმი შესანახად და დასაცავად ძველთა საეკლესიო ნივთთა, რაც კი აღმოჩნდება საქართველოს საექსარხოსოში. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს განზრახვა დღეს უკვე შეუსრულებიათ და სიონის ჩრდილოეთით, სიონისვე ეზოში, დღეს წამოჭიმულია მაღალი შენობა მუზეუმისათვის...“(ტ.4, გვ. 205).

4. ილია სამღვდელოების შესახებ

ილია სამღვდელოების შესახებ წერს სემინარიაში ქართული ენის სწავლების საკითხთან დაკავშირებით (ტ. 5, გვ. 109).

1881 წლის დეკემბრის „შინაური მიმოხილვა“ -

„ჩვენს ერს მღვდელი არ ჰყავს. ის მღვდლები, რომელნიც არიან, იმისთანა ყოფაში არიან, რომ მარტო ლუკმა პურის ძებნაში აღამებენ თავიანთ დღესა და ერის სასულიერო საქმისათვის ვეღარ იცლიან...“ (ი. ჭ. ტ.5 გვ. 136)

გლახის ნაამბობში ეხება სამღვდელოების მადლს -

„როგორც შემეძლო, ხომ გითხარი, მღვდელმა რა უთხრა დედაკაცსა დიდი არაფერია, მაგრამ დამიჯერე, რომ იმ ნათქვამმა იმ დედაკაცს თავისი გულის ნაღველი იმ ოთახში დააგდებინა და ის კი გაისტუმრა ნუგეშითა. მზე რად უზამს იმოდენას დამზრალს ყვავილსა, რაც თბილი სიტყვა დაჩაგრულს გულსა!.. ოო!... სითბო?... დიდი რამ არის!... დედამიწის ზურგი იმითი აყვავდება ხოლმე, წუთის სოფლის ცხოვრება იმითი მოისხამს ყვავილსა! მაგრამ რა სიტყვა!... ცარიელ სიტყვას ის მღვდელი არ სჯერდებოდა მერე შევიტყე, წელიწად-ნახევარი თურმე ინახავდა - თითონ ღარიბი - დაგდებულ ქმარსა და ცოლსა“ (ი. ჭ. ტ.5. გვ. 174).

„მღვდელი, დალოცვილი, მადლით სავსე… მღვდელი“ (ი. ჭ. ტ.5. გვ.174).

გლახა გაბრიელი ჰყვება: „მღვდელთან გავიქეცი კურთხევის ჩამოსართმევად. მივედი ლოცვა-კურთხევა ვთხოვე იმან პირჯვარი გადამწერა და მიბრძანა: „მშვიდობით, ჩემო გაბრიელ! მართალი იყავ და სიმართლეს სდიე, გზა ყოველთვის კაცური გექნება. ესეც იცოდე, ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავის მტერია, მშვიდობით“ (გვ.186).

გლახა: „...აღსარებასავით ამ ამბავს გიამბობთ და ტყუილს არ ვიტყვი“ (გვ. 195).

„ის დალოცვილი მღვდელი ხშირად გარიგებდა ხოლმე, რომ მტერსაც პატივება უნდაო“ (გვ. 205).

გლახას საზიარებლად მოიყვანეს მღვდელი -

- კურთხევა უფლისა შენზედა, ჩემო ძმობილო, მე, მღვდელი მოვსულვარ, რომ წმიდა ზიარება მიგაღებინო ქრისტიანს კაცსა

- მადლი უფალსა მადლი... - დაიწყო გლახამ ...ჩემი სული თურმე შენ გლოდნებია, ეხლა ნუგეშით და იმედით მოვკვდები... მაზიარე, შენი ჭირიმე, შენის მადლიანის ხელით... აღსარების თქმას სულთა-მხუთავი არ დამაცლის, შემინანია ყოველიფერი, უაღსარებოდ შემინდე და მაპატივე და ისე მაღირსე ზიარება.

- ...აქ მე შემინდვიხარ და იქ ღმერთმა იცოდეს. შენთვის ვილოცებ, უბედურო გაბრიელ.

- რაკი შენ შემინდე - წამოიძახა სიხარულით გლახამ, - ღმერთიც შემინდობს, იმიტომ რომ შენის ენით ყოველთვის ღმერთი ლაპარაკობდა. თუ ღირსი ვარ ეხლა ზიარებისა, მიბოძე.

- შენთვის და მრავალთათვის არის განტეხილი ხორცი ესე ქრისტესი და დანთხეული მისი წმიდა სისხლი მისატევებელად ცოდვათა მიიღე და სჭამე!... - სთქვა დიდებითა და ნუგეშინის ცემით ბლაღოჩინმა.

- ვენაცვალე ჩვენთვის ჯვარცმულ ქრისტესა! - წარმოსთქვა სასოებით გლახამა - მაღირსე ახლა ზიარება, მღვდელო!

- ბლაღოჩინმა ლოცვა დაიწყო, ამოიღო სანაწილედამ წმიდა ნაწილი, გლახას წინ დაუჩოქა, კოვზით ზიარება მიაწოდა და წარმოთქვა ვედრებითა:

- ჰოი, ყოველთვის ჯვარცმულო ღმერთო! ტანჯულთა და ცოდვილთა მეოხევ! მოიხსენე ესე - ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა

მომიხსენე მე, უფალო და დამიფარე!... - შეევედრა გლახა და მერე ბლაღოჩინს უთხრა, - არა, შენი ჭირიმე! მე ეგრე მწოლარედ ზიარების მიღებას არ ვაკადრებ ჩემსა მხსნელსა და მაცხოვარსა. ვენაცვალე იმის მადლს! მინდა ჯერ პირქვე დავემხო იმის წმიდა ხორცისა და სისხლის წინ და შევავედრო ჩემი თავი“.(გვ. 231).

5. ილია ოჯახის სიმტკიცის შესახებ

სტატიაში „გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია“ ილია ლაპარაკობს მტკიცე ოჯახის აუცილებლობაზე, ოჯახის გაუბზარავად შენახვაზე. ოჯახის სიმტკიცე, ილიას აზრით, დამოკიდებულია ცოლ-ქმრის სიყვარულზე.

შეიძლებაო ამბობს ილია, ცოლსა და ქმარს ერთმანეთი აღარ უყვარდეთ, მაგრამ „ვერ გაჰყრიან ერთმანეთს, რადგანაც, რაც გინდ იყოს, ცოლ-ქმრობის დარღვევა მძიმე და სათაკილო საქმეა და თუ არ დიდად პატივსადები მიზეზი, ძნელად გასაბედია“ (ტ. 3, გვ. 431).

6. ქრისტიანული წესი

ცოდვა-მადლი

...“ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილ-უბრალოდ არ გააქარწყლოს.

მეც ქრისტიანი ვარ და არა-რა ქრისტიანობრივი არ მეუცხოების. მეც დავიყენე ჩემი თავი ჩემ წინა, ვითარცა მსაჯულმა და გამკითხველმა, და ვკითხე: აბა რას ინანი და რას არა? სანანებელი ცოდვაა და არ სანანებელი მადლიაო, მიპასუხა. აბა მაშ ჩამოთვალე თვითოეული ცოდვა, რაც შენ ჩაგიდენია მეთქი...“ (გვ. 326).

ოთარაანთ ქვრივი მორწმუნე იყო, ის ჰყვება ქმრის შესახებ: „მიაბარა ღმერთს ალალი სული“ (გვ. 263).

ქვრივი ეუბნება თავის შვილს:

„ღმერთმა რომ ადამიანი გააჩინა, უბრძანა: წადი, შენს თავს შენვე მოუარეო: შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო, რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება... აქ ჩემთან რომ ამოხვალ ადუღებულ კუპრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, - გაივლი; მადლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუწყდებაო

- მადლი სუბუქია და ცოდო მძიმე განა, დედი?...“

გიორგის დაღუპვის წინ ოთარაანთ ქვრივი ითხოვს:

„ - მღვდელი, ღვთის გულისათვის, მღვდელი!

... მოიყვანეს მღვდელი და შვილი უზიარეს!“

კესო გიორგის დაღუპვის შემდეგ გიორგის სამარესთან:

„... მუხლი მოიყარა, პირჯვარი გადაიწერა და ხმაგაკმენდილი ჰლოცულობდა“ (ოთარაანთ ქვრივი, გვ. 312)

ლელთ ღუნია მორწმუნეა:

- ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს, - ვუთხარი მოხევეს, როცა მე დამიწია, - აი სტეფანწმიდის პირდაპირ რა მონასტერია?

გიწყალობნოსთ ცოცხალთა, შეგინდნოსთ მკვდართა, წმიდა სამების სახტარი არნ, უწინდელთ განძთა საფარი, ერთა საბჭო“ (მგზავრის წერილები).

სრულყოფილი ადამიანი

ლუარსაბი და დარეჯანი - „თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია.

- ვაჟო! მე ვარისხებ ღმერთსაო? - გეტყოდათ გაოცებით ლუარსაბი:

- წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მომიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, - რაზედ ვარისხებთ ღმერთსა?

მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისათვის არ მოგიპარავს, ერთი სიტყვით - რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია - ესეც კარგია: არარაობას ეგა სჯობია მაგრამ ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?

- დიაღ - მეტყვი შენ - მიჭამია არც ერთი დღე მშიერი არა ვყოფილვარ.

მითამ პასუხი ეგ არის? წირვა-ლოცვას არ ვაკლდებოდიო რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრულიო. „აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ? არა, შენ მაგისთვის არა სცხოვრობ: შენ სცხოვრობ - რომ სვა და სჭამო, და არა იმისათვის სჭამ და სვამ რომ იცხოვრო; ესე იგი ეცადო - რომ ვითა მამა ზეცის იყო შენც სრული“. (კაცია-ადამიანი).

ლუარსაბი კიცხვისა საგანი და თითით საჩვენებელი არის თავისი არასრულობის გამო.

ლუარსაბი არ არის სრული კაცი, მას აკლია ის თვისებები, რომელიც უნდა ჰქონდეს სრულყოფილ ადამიანს.

როგორი უნდა იყოს სრულყოფილი ადამიანი?

ამ მარადიული კითხვის პასუხი გვაქვს ჩვენ სახარებაში იესო გვმოძღვრავს - „ვითა მამა ზეცის იყო შენ სრული“. ე.ი. ადამიანი უნდა ბაძავდეს, უნდა მიემსგავსოს ღმერთს, რომელმაც შექმნა ადამიანი, შექმნა ის თავის ხატად და მსგავსად.

ადამიანი, რომელიც არ ცდილობს იყოს სრული ისევე, როგორც ზეციერი მამა, ასეთი კაცის კაცობა და ადამიანობა ეჭვის ქვეშ დასაყენებელი ხდება, რადგანაც ის ემსგავსება არა ღვთის ხატად შექმნილ ადამიანს, არამედ ცხოველს - თავის არასრულყოფილი ქცევებითა, მიზნებითა და მოქმედებებით. ასეთი ადამიანი მიზანია დაიკმაყოფილოს ვიტალური მოთხოვნილებები, ის არ ფიქრობს სულზე და მის უკვდავებაზე. აქედანვეა მისი ცხოვრების ცხოველური და არასრულყოფილი წესი. ილია პირდაპირ ბრძანებს ამის შესახებ.

„იესო ქრისტე ღარიბი იყო, თავშიშველი და ფეხშიშველი დადიოდა, ღმერთად კი იწამა მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ. სჩანს ღირსება და სახელოვანება მარტო სიმდიდრე არ ყოფილა...“

„მწიკვლი და ცოდვა სხვისაგან გამომცხვარის პურის ჭამაა, სხვის ოფლის სმაა...“(ტ. 8, „ქვათა ღაღადი“, გვ. 139).

7. ეროვნული ერთობა

„... ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსთვის. იმერელი - იმერელია, გურული - გურულია, მეგრელი - მეგრელია, ქართლელი - ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან.

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა...“ (იქვე გვ.142).

„განვთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით... დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა... სახელი მთელს ჩვენის ხალხობისა ხუთ, თუ ექვს ნაჭრად დავყავით... ქართველს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა...“

„აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმობრუნებულის ქართლელის მეტმა (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენსკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო.

ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელიღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა რომელიც ერთად ტანჯულა...“ (ი.ჭ. რჩეული წიგნი I, 1975, გვ. 141).

„იმერელი, გურული, მეგრელი, ქართველი, კახელი - ეს ცალ-ცალკე მითვისებული, კერძოობითად მიღებული განმყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია“ (იქვე, გვ.141).

8. პიროვნების სახელი და ავტორიტეტი

„იქ, ევროპაში ერისათვის მოღვაწე კაცი არამც თუ მარტო ქვეყნის სახელი და დიდებაა, არამედ თვითოეულის თანამემამულისაცა ცალკედ.

იქ თვითოეული მამულისშვილი ისე უფრთხილდება ერისათვის მოღვაწე კაცის სახელსა, პატიოსნებას, დიდებასა, როგორც საკუთარის თავისას.

იქ იქნება საკუთარის თავისათვის ის არ გამოიდოს თავი კაცმა, როგორც მისთვის ვისაც ერისთვის შრომა გაუწევია...

იქ გამოჩენილის კაცის სახელით თვითოეული მისი თანამემამულე თავს იწონებს, თითქო ის სახელი მისი საკუთარი იყოს („შინაური მიმოხილვა“ 1882 წ. სექტემბერი, ტ.5, გვ. 184).

9. „უარმყოფელობა ჩვენში“

...“ეს არევ-დარევა აზრებისა ეს გაურჩევლობა ტყუილისა და მართლისა, ბოროტისა და კეთილისა, არსად სხვაგან ისე თავმოწონებით არ გათამამებულა, არ გაკადნიერებულა, როგორც ჩვენში“ გვ. 298.

...“საკმაოა მხოლოდ ყური მოჰკრან ჰოსა და არას, და გათავდა საქმე, ყოველს სასაცილობას წამოიყრანტალებენ, გამოუძიებლად, საბუთის უკითხველად, ნამეტნავად მაშინ, თუ ყურში წასჩურჩულეთ...“ (ტ.3, გვ. 297).

...“გმობა“ - ეს სამარცხვინო და ყოვლად საზიზღარი ხელობა ფლიდობისა და დაბალსულობისა...“ (ტ. 4, გვ. 196).

10. სიკვდილით დასჯაზე

ილია წინააღმდეგი იყო სიკვდილით დასჯისა - „არა კაც ჰკლა“.

ილია ამზადებდა სიტყვას სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ სახელმწიფო საბჭოში წარმოსათქმელად (რუსეთის სახელმწიფო საბჭოს მეორე სესია მუშაობდა 1907 წლის 20 თებერვლიდან 5 ივნისამდე).

შემორჩენილია ამ სიტყვის მოკლე კონსპექტი* სადაც კერძოთ აღნიშნულია: სიკვდილით დასჯა „ეწინაღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე“, (იქვე აღნიშნულია „ხმა ერისა არის ხმა ღვთისა“. „Когда умирает Бог в душе противника смертной казни“* (ტ.10, გვ. 465).

ყოველ ადამიანში სულია ღვთისა, ყოველი ადამიანი ღვთისაგან არის შექმნილი, ამიტომაც სხვა ადამიანის მოკვლა ეწინააღმდეგება ღვთის ნებას. ღმერთმა ინება და შექმნა ადამიანი, ამ კაცის მოკვლა სხვა ადამიანის მიერ ღვთის ნების საწინააღმდეგო ქმედებაა, წინააღმდგობაა ღვთისა, ამიტომაც მოგვეცა ღვთისაგან „არა კაც ჰკლა“ გაფრთხილება ადამიანისა, პატივისცემა ადამიანისა. ყურადღება ადამიანისადმი დიდ სიქველეთ და სიკეთეთ ითვლება ღვთის წინაშე, რადგანაც ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი. ამიტომაც ძველ საქართველოში ყოველი კაცი, აღზრდილი ქრისტეს ჭეშმარიტი მცნებებით, მოყვარული იყო სხვა ადამიანისა. მისთვის კაცის მოკვლა გაუგონარი და ძალზე უსასტიკეს სასჯელად მიიღებოდა, ამიტომაც ვერ დაიჯერა მოხუცმა პეტრემ, რომ შეიძლება ადამიანის ჩამოხრჩობა... მოთხრობაში სარჩობელაზედ მოხუცმა პეტრემ ვერ დაიჯერა, რომ შეიძლება ადამიანის ჩამოხრჩობა

„ბოლოს ამაზედ დადგა, რომ სწორედ ტყუილი რამ თვათმაქცობა იქნება ჯამბაზისაო

... კაცის ჩამოხრჩობა აბა რა სანახავიაო? კატა ხომ არ არის აიღო და ჩამოჰკიდო, რაც უნდა იყოს, ღვთის სული ადამიანია ...“ (გვ.241).

რატომ არ შეიძლება ადამიანის ჩამოხრჩობა... იმიტომ რომ ადამიანში სულია ღვთისა (გვ. 241)

11. გულგრილობა

„...ყველა ხედავდა, რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ თქვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადავუხდი და როცა აღარ ვიქნები, იქ ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს; იქ სამართალი არ გაბრუნდდება.“ (გვ. 250).

პ.ს. ეს წერილი დაიწერა ათეიზმის დროს, როდესაც სამტკიცებელი იყო ისიც კი, რომ ილია მორწმუნე იყო და პატივს სცემდა ეკლესიასა და სამღვდელოებას.

ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

მესხეთის წარსულიდან

დაახლოებით 1270 წელს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე სარგის ჯაყელი ბერად აღიკვეცა. სამეფოში ერთ-ერთი პირველი კაცი, ერთდროულად ათაბაგი, მეჭურჭლეთუხუცესი და სპასალარი, მფლობელი ვრცელი ქვეყნისა “ტასისკარიდან კარნუ-ქალაქამდე” მონასტერში საბას სახელით შევიდა. მან ერისთავის წითელი, ოქროსარშიებიანი შესამოსი თავის ვაჟს, მანდატურთუხუცეს ბექას, გადასცა. ეს ახალი ხელისუფალი, მანდატურთუხუცესი ბექა, ღვთისმოყვარე დიდებული იყო, “მაშენებელი

ქვეყანათა, ეკლესიათა, მონასტერთა", დიდად აფასებდა თავის მამას - საბა სარგისყოფილს, და გადაწყვიტა მის პატივსაცემად წმიდა საბას სახელზე საფარაში აეშენებინა დიდებული ეკლესია.

ბექა მანდატურთუხუცესს საფარის მონასტრის წმიდა საბას მშვენიერი ეკლესია მოუხატვინებია კიდეც; თვითონაც შიგაა დახატული მამასთან, საბა ათაბაგთან ერთად. საბას ბერის შესამოსი აცვია, ბექას კი წითელი, მთავრისა.

საფარის მონასტრის მნახველი ვერასოდეს იფიქრებს, რომ ეს ბრწყინვალე მრავალჩუქურთმიანი ტაძარი მონღოლობის დროსაა აშენებული. იგი მიგვანიშნებს, რომ ჭირთა შიგანაც არ შემდრკალა ქართველი კაცის სული.

მრავალი წარწერა შემოუნახავს საფარას. იგი გვაცნობს რომ ხუროთმოძღვართა - ფარეზისძეებს "საძირკველითვე ყოვლითა ფერით" აუშენებიათ და სრულუქმნიათ ტაძარი. ქვებზე სხვა შემომწირველთა და მშენებელთა სახელებიცაა აღბეჭდილი - გაბაცაძისა, ღავასაშვილისა, სვიმონ ბერისა... ხალხს კი ისინი აღარ ახსოვს, დავიწყნია. დიდი დრო გავიდა XIII საუკუნის შემდეგ. დღეს თუ იკითხავთ საფარის ახლომახლო სოფლებში საფარის მაშენებლის სახელს, ვერ გიპასუხებენ, არ იციან; არც ბექა და სარგისი ახსოვთ... მაგრამ შეიძლება გიამბონ ამბავი საფარის მაშენებელი ხარისა. სახელიც ახსოვთ იმ ხარის, რომელიც ქვებს ტაძრის ასაშენებლად ეზიდებოდა. ინდუშა ხარი ერქვა თურმე. მის თავდადებას და ამაგს ახლაც, 700 წლის შემდეგ, სიყვარულით და მოწიწებით, გულიდან ამოსული სითბოთი ჰყვებიან. ლეგენდა ასეთია (მთქმელი ანდრიაწმიდელი თამარ ინასარიძე):

"სოფელ ანდრიაწმიდას საფარასთან ახლოს აქვს ყანები. ამ ყანების ბოლოში არის ერთი ვაკე ადგილი, სადაც უნდა აშენებულიყო საფარის მონასტერი. დაიწყეს შენება; ერთ დღეს იმუშავეს, საღამოს დატოვეს სამუშაო ხელსაწყოები და წავიდნენ სახლში. მეორე დღეს კი ხელსაწყოები ადგილზე არ დახვდათ. ასე განმეორდა რამდენჯერმე. დაინტერესდნენ, დაუწყეს ძებნა და ბოლოს იპოვეს. ხალხი ამბობს, ეს იარაღები წაიღეს ანგელოზებმა იმ ადგილას, სადაც დღეს არის საფარა. ანგელოზების არჩეულ ახალ ადგილზე დაუწყიათ საფარის მშენებლობა. სამშენებლო ქვას ეზიდებოდნენ ანდრიაწმიდის ახლო მთიდან - ელიას გვერდიდან. იყო ერთი ხარი... არც მეურმე, არც არავინ არ მიჰყვებოდა, დაუდებდნენ ტვირთს და წაიღებდა. მრავალ წელს იმუშავა, ერთხელაც დაიღალა და დაეცა. გზაზე მოკვდა. როცა ხარი არც საფარაში და არც ელიასგვერდზე არ მივიდა, ორივე ადგილიდან წავიდნენ მის მოსაძებნად და ნახეს, რომ მკვდარია, ქვა კი მარხილზე დევს. ეს ქვა დღესაც გდია გზაზე და მას "ინდუშას ქვას" ეძახიან. ამ ხარს ინდუშა ერქვა".

ასეთია ლეგენდა. მთქმელმა ამ ამბავს მოაბა ცნობილი ლექსი იმის შესახებ, თუ ადამიანის შენახვა როგორ "იდო თავზედ" ხარმა. ამით გახარებულმა ანგელოზებმა კაცის მარჩენალ ხარს რქებზე სანთლები დაუნთეს. ხარი იმიტომ უყვართ, რომ კაცის ერთგულია, კაცის მარჩენალია.

ანდრიაწმიდა პატარა სოფელია, ოთხმოცამდე კომლი ცხოვრობს, მაგრამ აქ რამდენიმე ეკლესია და მრავალი წმიდა ადგილია. ბევრი ნაეკლესიარია ანდრიაწმიდის ირგვლივ ნასოფლარებში. არის წმიდა ანდრიასა და წმიდა თევდორეს ეკლესია (დღესასწაულობენ დიდმარხვის პირველი კვირის შაბათს), სოფლის ახლოს, ელიასმთის წვერზე წმიდა ილიას ნაეკლესიარია (დღესასწაულობენ 2 აგვისტოს), სოფელთან ახლოა საფარა (მორწმუნე ანდრიაწმიდელები აქ 28 აგვისტოს "მარიამობას" დღესასწაულობენ, 18 დეკემბერს კი საბაობას), აქვეა ნასოფლარები "ულვა" და "ოხუმი" (აქ ამაღლებას დღესასწაულობენ), ნასოფლარი "ბორჯომები" მახლობლადაა. ჰყვებიან ლეგენდას, თითქოსდა, ულველები და ოხუმელები ბათუმში გადასახლდნენ და ასე დააარსეს ეს ქალაქი, ხოლო ბორჯომელებმა - ბორჯომი. მრავალ საინტერესო ლეგენდას მოისმენთ აქ. მაგალითად, როგორ გააქვავა წმიდა თევდორემ თათრები. საინტერესოა "ნამდვილი ამბავი" წმიდა ილიას შესახებ, რომელსაც თურმე ჰყვებოდა აწ გარდაცვლილი ერთი ანდრიაწმიდელი.

"თივას ვთიბავდი, ხორბლის დამწიფებას ერთი კვირაღა აკლდა. ამასობაში ელიასმხრიდან (ელიასმხარე ჰქვია მაღალ მთას) წამოვიდა შავი ღრუბელი, შემდეგ წამოვიდა სეტყვა. ჩვენ ბუჩქებს

შევეფარეთ, ერთმა ჩვენმა ამხანაგმა კაცმა მოიხადა ქუდი, გაიხადა ფეხზე და ურბენდა თავის ყანას გარშემო და ეხვეწებოდა ელიას - ”წმიდა ელია, ნუ დამიტოვებ ცოლშვილს მშიერს, ამდენი შვილები როგორ გამოკვებო”, ჩვენ კი ბუჩქებში ვიჯექით და ვიცინოდით. სეტყვამ რომ გადაიღო, ვნახეთ, რომ ამ კაცის ყანაში ერთი მარცვალი არ იყო ჩავარდნილი, ჩვენი კი გაოხრებულიყო. ახლა ამ კაცმა იცინა ჩვენზე”. ანდრიაწმიდელი მორწმუნეები დიდ პატივს სცემენ წმიდა ანდრია მოციქულს, რომლის სახელიც ჰქვია მათ სოფელს. ისინი წმიდა ანდრიას ეკლესიაში დღესასწაულ - ”ანდრიაობას” ლიტონიობითა და ღამის თევით ატარებენ, მრავალ სასწაულს ჰყვებიან, რომელნიც წმიდა ანდრიას მიეწერება. ეს არ მოგვეჩვენება გასაოცრად, თუ გავიხსენებთ, რომ წმიდა ანდრია მოციქული მართლაც იყო ამ მხარეებში, მესხეთში და, ალბათ, ამ სოფელშიც.

ქართული ქრისტიანობა აქედან დაწყებულა, ამ მხარეებიდან, პირველი ქრისტიანები აჭარლები და მესხები ყოფილან.

ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს შობის წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ასულა მეფე ადერკი. მან, მემატიანის ცნობით, “დაიპყრა ყოველი ქვეყანა: ქართლი და ეგრისი, ხოლო პირველსავე წელსა მეფობისა მისისასა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბეთლემს ურიასტანისა”.

ძველი ისტორიკოსი შემთხვევით არ უკავშირებს ერთმანეთს მაცხოვრის შობას და ადერკის მეფობას. ადერკის დროს საქართველოდან იერუსალიმში ჩავიდნენ და ჯვარცმას დაესწრნენ მცხეთელები; იქვე შეიძინეს უფლის კვართი და ჩამოასვენეს საქართველოში. ადერკის მეფობაშივე საქართველოში შემოვიდნენ წმიდა მოციქულები. ადერკის დროსვე მოხდა ქრისტიანობის პირველი დევნა საქართველოში.

წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული მესხეთში დიდაჭარიდან გადმოსულა, სადაც მას ღვთისმშობლის სახელზე ეკლესია დაუფუძნებია. საქართველოში პირველი ეკლესია აჭარაში დაფუძნებულა, პირველი მღვდლები და დიაკვნებიც აქვე უკურთხებია წმიდა ანდრიას - ”დაადგინა მღვდელნი და დიაკონნი, და დაუდვა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა”. აჭარისა და მესხეთის სასაზღვრო მთაზე წმიდა ანდრიას აღუმართავს დიდი რკინის ჯვარი. ჩაუვლია ოძრხეს (აბასთუმნის) ხევი და მისულა სამცხის სოფელ ზადენ-გორაში, სადაც კერპებს სწირავდნენ მსხვერპლს. აქედან ის მისულა აწყურში, რომელსაც ადრე სოსანიგეთი ეწოდებოდა.

ანდრიას საქართველოში პირველი საეპისკოპოსო აწყურში დაუარსებია, იქვე უკურთხებია პირველი ეპისკოპოსი. აწყურის საეპისკოპოსოში I საუკუნეში ერთი ეპისკოპოსი და რამდენიმე მღვდელ-დიაკონი ყოფილა. ამ საეპისკოპოსოს მრევლისათვის წმიდა ანდრიას უსწავლებია - ”...ყოველი წესი სჯულისა და სარწმუნოებისა და დაუდგინნა ეპისკოპოსი, მღვდელნი და დიაკონნი...”

აქ მასთან ერთად ყოფილან სხვა მოციქულებიც: სიმონ კანანელი და მატათა. აწყურში მათ დაასვენეს ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი. ანდრია პირველწოდებულმა მოუთხრო აწყურთან ახლოს “საქრისის ველზე” შემოკრებილ ქართველობას, თუ რატომ მიენიჭა მათ ქვეყანას ასეთი მადლი.

უფლის ამაღლების შემდეგო - უამბობს იგი ქართველობას - ჩვენ, მოციქულებმა წილი ვიგდეთ, თუ ვის რომელ ქვეყანაში გვექადაგა”,... მაშინ ყოვლადწმიდასა ღვთისმშობელსა წილად ხვდა მოქცევად ქვეყანა საქართველოისა და ჩვენებით ეჩვენა მას ძე მისი, უფალი ჩვენი, და რქუა: ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის, ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა, და თანა - წარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცველად მათდა უკუნისამდე ჟამთა”. წმიდა ანდრიამ შემოკრებილ ქართველებს გადასცა ხატი და უთხრა - ”ხატი ესე თვით ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა პირსა ზედა დადებით გამოსახული არს”. და მიუთხრა ყოველივე... ვითარ - იგი

ყოვლად წმიდასა ღვთისმშობელსა წილ-ხვდა ქვეყანა ესე... და მის მიერ წარმოგზავნილ არს ხატი იგი სასოდ და მცველად წილხდომილთათვის".

აჭარის, ტაოს, კლარჯეთის, სამცხის გარდა წმიდა მოციქულებმა: ანდრიამ, სვიმონ კანანელმა და მატათამ იმოღვაწეს დასავლეთ საქართველოშიც - სამეგრელოსა, სვანეთსა და აფხაზეთში. იქვე აღესრულნენ კიდეც მატათა და სვიმონ კანანელი. ორი მოციქულია დაკრძალული საქართველოში, სვიმონ კანანელის განსასვენებელი საყოველთაოდ ცნობილია, მოციქული მატათა კი დაკრძალული ყოფილა ზღვისპირეთში ბათუმიდან სამხრეთით 10-15 კილომეტრზე, პუნქტში, რომელსაც "აფსარი" ეწოდებოდა.

სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის გაქრისტიანება შეუმჩნეველი არ დარჩენია წარმართ მეფე ადერკის. მან მაშინვე მკაცრი ზომები მიიღო ქრისტიანთა წინააღმდეგ, მოსახლეობა კვლავ "მიქცეულა" წარმართობისაკენ - "ხოლო ვითარცა ესმა მეფესა ადერკის მეგრელთაგან სჯულისა დატევება, განუწყრა და წარავლინა ერისთავნი მისნი და იძულებით კუალადვე მიაქცევინა მეგრელნი. და დამალნეს ხატნი და ჯვარნი და შერისხნა მეფე ადერკი ერისთავსა კლარჯეთისასა, რომელმაც მშვიდობით განუტევა ანდრია მოციქული".

მეფე ადერკის ანდრია მოციქულის მოკვლა სდომნია, ხოლო მოსახლეობას არა მთლიანად განუგდია ქრისტიანობა, არამედ "დაუმალავთ" ქრისტიანობის ნიშნები - ხატები და ჯვრები.

გავიდა დრო. ქრისტიანობა ქართული სახელმწიფოს მიერ აკრძალულ სარწმუნოებად იქცა, მაგრამ მოსახლეობაში ქრისტიანთა რიცხვი თურმე იზრდებოდა, ამაზე მიუთითებენ ლათინური წყაროები. ზოგიერთი ამ წყაროს თანახმად, ქრისტიანობას ჩვენში ავრცელებდნენ რომის იმპერიიდან კოლხეთსა და ბოსფორში გადმოსახლებული ქრისტიანები. კერძოდ, საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებლად ამ წყაროებს მიაჩნიათ რომის პაპი კლიმენტიოსი, და შავი ზღვისპირეთში იმპერატორ ჰალენიუსის დროს (253-268) გადმოსახლებული ქრისტიანები. ქართველთა გაქრისტიანების ეპოქად II-III საუკუნეები მიაჩნიათ ლათინურ წყაროებს. ამას თითქოსდა, ეხმიანება იოანე საბანისძის "აბო ტფილელის წამება", სადაც VIII საუკუნის ავტორი ამაყად აცხადებს, ქართველები უკვე 500 წლის ქრისტიანები ვართო.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი საქართველო ქართული ქრისტიანობის უპირველესი კერათაგანია, მესხეთი მაინც განსაკუთრებული მადლით არის აღბეჭდილი. თუ წმიდა ნინოს შემოსვლამდე ქრისტიანობა ქართველთა ერთ-ერთი რელიგიათაგანი იყო წარმართობასთან ერთად, წმიდა ნინომ ქრისტიანობა ჩვენს ერთადერთ ეროვნულ სარწმუნოებად აქცია. მესხეთის მიწა იყო პირველი მასპინძელი ჩვენი მოციქულთა - სწორი ღირსი დედისა, წმიდა ნინოსი. გზა, რომელიც წმიდა ნინომ გაიარა ჯავახეთიდან მცხეთამდე, ცნობისწადილს აღუძრავს ჩვენს მორწმუნეებს. წმიდა ნინო პირველად ჯავახეთში შემოვიდა, ფარავნის ტბასთან. მემატიანე გადმოგვცემს - "მესხეთის ბუნების სიმკაცრემ ისე შეაკრთო ნაზი ქალწული, სიცოცხლე აღარ უნდოდა" - და წარმოვიდა მუნით წმიდა ნინო... და თვესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი, წარმოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა, სადაც იგი მიემთხვია ტბასა დიდსა გადამდინარესა, რომელსაც ჰქვია ფარავნა, ხოლო მიხედა რა მუნით და იხილნა მთანი ჩრდილოსანი; რამეთუ დღეთა მათ ზაფხულისათა იყვნენ სავსენი თოვლითა და ჰაერითა სასტიკითა და შეძრწუნდა წმიდა ნინო და თქვა. "უფალო, უფალო, მიიღო სული ჩემი ჩემგან".

ფარავნის ტბასთან წმიდა ნინომ ორი დღე დაჰყო, გაესაუბრა მცხეთელ მწყემსებს, რომლებიც თაყვანს სცემდნენ არმაზს და ზადენს. მისი საბოლოო მიზანი იყო მისულიყო მცხეთაში, სადაც ცხოვრობდა ქართველთა მეფე და იგი ქრისტეს რჯულზე მოექცია. ეს დავალება წმიდა ნინომ თვით უფლისაგან მიიღო. ამიტომ კითხულობს, სად მდებარეობს მცხეთა და როგორ მივიდეს იქ. მატიანის თანახმად, წმიდა ნინო გაჰყვა ფარავნის ტბიდან გამავალ მდინარეს. მიაღწია ქალაქ ურბნისს, აქედან კი მცხეთაში ჩავიდა.

მემატიანე აღწერს წმიდა ნინოს გზას - ”და შემდგომად ამისა წარემართა მდინარესა მას ტბისასა, და იყო დინება მისი დასავლეთ - კერძო და მიუდგა გზათა... ვიდრეღა მიიღწია ადგილსა მას, სად წყალმან აღმოსავლით იწყო დინება... მიიწია ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი”.

მატიანის თანახმად, წმიდა ნინო ფარავნისა და მტკვრის ხეობას გაჰყოლია ურბნისამდე. ამჟამადაც ჯავახეთიდან სამცხემდე და შემდგომ ხაშურამდე დღევანდელი გზა ამ ხეობებს გასდევს. ეს ერთადერთი საგზაო ადგილია, სხვაგან გზის გაყვანა მოუხერხებელია. შუა საუკუნეების საქარავნო გზაც ამ ხეობებზე გადადიოდა. ხეობა ძალზედ ვიწროა და ტყითაა დაფარული. წმიდა ნინომაც, თურმე... ნახა ჭირნი დიდნი გზითაგან და შიში დიდი მხეცთაგან, ვიდრეღა მიიწია ადგილსა მას, სადა წყალმან აღმოსავლით იწყო დინება”. ახალციხე - აწყურთან მტკვარი გაივაკებს და ჩრდილო-აღმოსავლეთით მიედინება. აქედან წმიდა ნინო ურბნისში ჩასულა, შემდეგ მცხეთაში.

წმიდა ნინოს გზა ქართული ეკლესიის სიწმიდეა, სიმონ კანანელისა და მატათა მოციქულის საფლავებთან და ანდრია მოციქულის მიერ გავლილ გზასთან ერთად.

ფარავნის ტბასთან წმიდა ნინომ “...დაიდვა ლოდი სასთუმალ, დაწვა და დაიძინა გარდასადინელსა მას ტბისასა. და ვითარ ეძინა, მოვიდა კაცი ერთი ჩვენებითა... და მოსცა მან წიგნი დაბეჭდული წმიდასა ნინოს და რქუა: “მიართუ ესე მცხეთას მეფესა მას წარმართთასა”. ხოლო წმიდამან ნინო იწყო ტირილად და ვედრებად მისა: “უფალო მე დედაკაცი ვარ უცხო და უმეცარი...”, წიგნში, რომელიც წმიდა ნინომ მიიღო მეფისათვის გადასაცემად, სხვათა შორის, ესეც ეწერა - ” არც მამაკაცება არს, არც დედაკაცება, არამედ თქვენ ყოველნი ერთ ხართ”. - ეს ქრისტიანობის მიერ მოცემული სრულებით ახალი იდეაა, უცნობი წარმართული მსოფლიოსათვის. იდეა ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა, რომელიც წმიდა ნინომ შემოიტანა, ქრისტიანობის სხვა მცნებებთან ერთად აიტაცა ქართულმა აზროვნებამ, გაითავისა, განავითარა და დიდ შოთას ათქმევინა - ”ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია”. ქალებმა ძალზე დიდი საქმე იტვირთეს ქართველი ერისა და ეკლესიის ისტორიაში. მათ შორის, ჩვენი მემატიანე გამოკვეთილად გადმოგვცემს ორი დედოფლის ამბავს, რომელთაგან ერთმა სიკვდილის შიშითაც არ უარყო წმიდა ნინოს რჯული, მეორემ კი უარყო, რითაც არა მარტო თავისი სული დაიღუპა, არამედ მთელი თავისი კუთხე - მესხეთი.

XVI საუკუნის შემდეგ, დაპყრობილ ქართლ-კახეთსა და მესხეთში, ზოგჯერ, იძულების გამო, გავლენიანი ოჯახის მეთაური მამაკაცი “თათრდებოდა” - მაჰმადიანდებოდა, მაგრამ ოჯახის დედა - ქალი მტკიცე ქრისტიანი იყო; როგორც წესი, შვილები ქრისტიანები იყვნენ, ამიტომ ქვეყანაც ქრისტიანული რჩებოდა. მაგალითად, ქართლის მაჰმადიანი “მეფე” როსტომის მეუღლე მარიამი ბურჯად ედგა ქრისტიანობას. ასე იყო სხვა ოჯახებშიც.

მესხეთის ათაბაგები იძულებულნი გახდნენ მაჰმადიანობა მიეღოთ, რისთვისაც ფაშობა ებოძათ. მათი ოჯახები კი ქრისტიანული იყო, ვიდრე ფაშამდე. ფაშას მეუღლის “გათათრება” თვით ოსმალეთის ხონთქარმა მოითხოვა.

საქართველოს ორი დედოფალი: კახეთისა - ქეთევანი და მესხეთის დედოფალი - დედისიმედი ერთ ეპოქაში ცხოვრობდნენ. თუ ოდესმე გამოჩნდება მწერალი, რომელიც დაწერს ამ ორი ქალის პარალელურ ბიოგრაფიას, მკითხველი დედისიმედის ფონზე ნათლად დაინახავს წმიდა ქეთევანის უდიდეს ღვაწლს. ერთმა თავისი უხასიათობითა და უნებისყოფობით ხელი შეუწყო მესხეთის “გათათრებასა” და გადაგვარებას, მეორემ კი პირიქით, თავისი მაგალითით კახეთი და ქართლი შეამჭიდროვა და განამტკიცა.

უცნაურად მოიქცა დედოფალი დედისიმედი... როცა მას სარწმუნოების დაგმობა და “გათათრება” აიძულეს, გადმოცემის თანახმად, განაცხადა: მე რომ გავთათრდე, მესხეთის ყველა ქალ-რძალის დასაცინი გავხდები. ჯერ ყველა გაათათრეთ და მერე მეც გავთათრდებიო. მართლაც, ერთი ხელის დაკვრით, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, მესხეთის ზედა ფენა გაათათრეს; ამის შემდეგ კი დედისიმედიც მაჰმადის რჯულზე მიიქცა. “...გამოჰგზავნა კაცი ხონთქარმან და

დაპატიჟეს სჯული მაჰმადისა ცოლსა როსტომ ფაშისა, ხოლო მას ესმა, შეძრწუნდა ფრიად და ზარი დაეცა და განიგულა სიკვდილი თავისა თვისისა და არა დატევება სჯულისა... ჰყვანდათ შეპყრობილი და სულს იქით ღონე აღარა ჰქონდა. და რა მისჭირდა ქალსა მას, მაშინ უთხრა: "უკეთუ ყოველსავე საათაბაგოში შინა მყოფსა ქალსა და კაცსა ყველაკას გაათათრებ, მეცა გავთათრდებიო, და უკეთუ არა, თავს მოვიკლავო და არა ვიქო. მაშინ დაათათრეს ყოველივე და იგიცა გათათრდა: და ყოველთავე მუნ მყოფთა დაუტევეს სჯული ქრისტიანობისა და იქმნეს მოჰამედიან".

მართალია, მესხეთის გამაჰმადიანებას სხვა, უფრო სერიოზულმა მიზეზებმაც შეუწყვეს ხელი; კერძოდ, მიწაზე საკუთრების წესის შეცვლამ, უმიწო გლეხობას კი ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის გამხნევება და გვერდში ამოდგომა ესაჭიროებოდა, ასეთი კაცი კი არ ჩანდა ...ქართველი ფეოდალები ან გამოიქცნენ ან გამაჰმადიანდნენ. ამგვარად, ოსმალურ საათაბაგოში ქართველ გლეხს ბატონი გამოეცალა. ამ დროიდან დაიწყო სამხრეთ საქართველოს "გათათრება" ... მე-16 საუკუნის მიწურულში დაწყებული ეს პროცესი მე-19 საუკუნის დასაწყისშიც არ ყოფილა დასრულებული. ოსმალობის დამყარება სამცხე-საათაბაგოში ფეოდალური საქართველოს უდიდესი მარცხი იყო... გადაგვარების გზას დაადგა ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული და კულტურულ-შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული ნაწილი; სამშობლო ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა, ბექა ოპიზარისა და შოთა რუსთაველისა.

ქეთევანმა კი არ უარყო ქრისტიანობა, არამედ თავი თვისი მსხვერპლად შესწირა ქრისტეს სჯულსა და თავის მრავალტანჯულ ქვეყანას. მემატიანე გადმოგვცემს - "გაუბეს ხელ-ფეხი და გააშიშვლეს წმიდა ქეთევან დედოფალი და გახურებული გაზებით დაგლიჯეს ძუძუები და გახურებული საჯები ნაგლეჯ ხორცზე შემოაწყვეს და დაგლიჯეს. გაახურეს ლურსმნები და დაუყარეს ქვეშ და ზედ გაატარეს. დააწვინეს და შიშველს შემოაყარეს ლურსმნები გახურებული, კვალად გახურებული შამფურები გაავლეს მუცელსა და ძუძუ-მკერდში. გახურებული ქვაბი დაარქვეს თავზე, კვალად გახურებულ ქვაბში ჩასვეს და თავსაც დახურეს, შემოუწყვეს გახურებული ბარები შუბლზე და იხეთქა თავისა კეფა..."

წმიდა ქეთევანის სიკვდილი იყო გაცნობიერებული სიკვდილი. მან წინასწარ იცოდა, თავისი რწმენის დაცვისათვის რა საშინელი ტანჯვით მოკლავდნენ. პატიმრობაში დიდი დრო ჰქონდა ფიქრისა და არჩევანისათვის და ტანჯვით სიკვდილი არჩია თავისი მრწამსის, მეობის უარყოფას.

ორივე დედოფლის მაგალითი გადამდები იყო. მათ ერი შეჰყურებდა.

დედისიმედს ნაკლებად ჰქონია ქრისტიანული მორალი, კერძოდ, თავის დადება და სიკვდილი მოყვასის სიცოცხლისა და გადარჩენისათვის, რაც ამ სიტყვებითაა გადმოცემული წმიდა სახარებაში - "...უმჯობესია მოკვდეს ერთი ადამიანი ხალხისათვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს" (იოანე. 11,50), ხოლო რუსთაველმა ასე გამოხატა: "მე იგი ვარ... ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად". თვით უფალმა იესო ქრისტემ მოგვცა პირველი მაგალითი ხალხისათვის თავდადებისა, მან თავისი ნებით ინება ჯვარცმა და სიკვდილი კაცობრიობის გადარჩენისა და საუკუნო სიცოცხლისათვის. იესო მაგალითი იყო წმიდა ქეთევანისათვისაც. "გათათრება" ხალხის გადაგვარებას და სხვა ხალხებში გაქრობას ნიშნავდა.

ამ დროს ძალზე უჭირდა მესხეთს. ვინც მაჰმადიანობას არ მიიღებდა, არა მარტო საგანგებო - "ურწმუნოთა" გადასახადი უნდა ეხადა სხვა გადასახადებთან ერთად, არამედ განეცადა სასტიკი დევნაც. მთელ ქრისტიანულ სოფლებს ჟლეტდნენ. ამის შესახებ სოფელ მუსხში ჰყვებიან ლეგენდას, რომელსაც "ახდილა" ჰქვია.

"ახდილა თურმე იმ სოფელს ერქვა, რომელსაც დღეს მუსხი ჰქვია. ადრე სოფელი მუსხი გზიდან მოშორებით მთაზე მდებარეობდა. მაშინ მხოლოდ მთებში, მიუვალ ხრიოკებში შეეძლო მართლმადიდებელთა სოფელს არსებობა. "ახდილაში" სულ რამდენიმე ათეული წლის წინ ჩასახლებულან მუსხელები. ისინი სოფლის სახელის წარმოშობას ასე ხსნიან:

მეზობელ მაჰმადიანებს გაუწყვეტიათ ამ სოფლის ყველა მცხოვრები ქრისტიანი. შემთხვევით გადარჩენილა ახალგაზრდა ქალ-ვაჟი. მათ სოფლის მიწისქვეშა ეკლესიაში ჯვარი დაუწერიათ და სახლში გვიან დაბრუნებულან. ცეცხლი დაუნთიათ. დილით მაჰმადიანებს დაუნახავთ, რომ ერთი ბუხრიდან კვამლი ადიოდა; გაოცებულან, უთქვამთ, ამ სოფელში ყველა დავხოცეთ და კიდევ დარჩენილანო. შესულან სახლში და ახალჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი მოუკლავთ. ამის გამო თქვეს თურმე "ახ, დილა, დილაო". სოფელსაც "ახდილა" დაარქვეს." - ასეთია ლეგენდა.

მესხეთის ტრაგედია იმაშიც მდგომარეობდა, რომ ძველი ხალხი ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა ეროვნებასა და სარწმუნოებას. სარწმუნოებაშეცვლილი, გამაჰმადიანებული ქართველები სულ სხვა ხალხად თვლიდნენ თავს და მტრობდნენ თავიანთ ყოფილ ნათესავებს თავიანთ სისხლსა და ხორცს - ქრისტიანებს. ის მაჰმადიანები, რომლებსაც "ახდილას" ქრისტიანები დახოცეს, ქართველები იყვნენ, მაგრამ მათ არ იცოდნენ ამის შესახებ. გამაჰმადიანების შემდეგ მესხეთის ეთნიკური სახე არ შეცვლილა, მოსახლეობა კვლავ ქართული დარჩა, მაგრამ შეიცვალა ეთნოფსიქოლოგია.

დიდი ივანე ჯავახიშვილი დაინტერესდა, თუ რა იყო მიზეზი მესხეთის გამაჰმადიანებისა, ხოლო საქართველოს სხვა კუთხეთა მიერ ქრისტიანობის შენარჩუნებისა. გამოიკვლია და დაასკვნა, რომ "მესხეთის გამაჰმადიანებას, საქართველოსაგან ჩამოშორებას და მისი უდიდესი ნაწილის გათურქებას უეჭველია, სხვათა შორის, ათაბაგთა მიერ მისი საქართველოს ეკლესიისაგან ჩამოსაშორებლად წარმოებულმა დაუნდობელმა ბრძოლამ და, რასაკვირველია, თვით გამოყოფამ შეუწყო ხელი". საქართველოს სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაყოფის შემდეგ, მესხეთის ათაბაგები სჯიდნენ და ასახელებდნენ იმ ეპისკოპოსებსა და სამღვდელოებას, რომელნიც ერთიანი საქართველოსა და მცხეთის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებისათვის იღვწოდნენ. ივ. ჯავახიშვილი წერს - "...კათალიკოს-პატრიარქიღა იყო საქართველოსა და ქართველი ერის მთლიანობის გამომხატველი. დედა ეკლესიისაგან ჩამოშორება მაშინ იმ სულიერ სარწმუნოებრივ კავშირსა წყვეტდა, რომელიც მხოლოდ აერთებდა დანარჩენ საქართველოსთან ამა თუ იმ პოლიტიკურად უკვე განკერძოებულ ნაწილს... კათალიკოსები სრულიად, განუყოფელი საქართველოს შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ".

დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველოს პირობებში ეკლესიის მთლიანობის დაცვას უფრო მეტი პოლიტიკურ-ეროვნული მნიშვნელობა მიენიჭა. ათაბაგებმა იცოდნენ ეს, იცოდნენ, რომ ისინი ვერ შესძლებდნენ საქართველოსაგან მესხეთის გამოყოფას, თუ ეკლესიურად არ ჩამოშორდებოდნენ მას; ამიტომაც არ მოერიდნენ პატრიარქთა და მის მომხრე ეპისკოპოსთა ცილისწამებას. ამან "...ხალხის თვალში ეკლესიასა და ქრისტიანობას ავტორიტეტი შეუსუსტა, მეორე მხრით, მესხეთის სამღვდელოებას, დედაეკლესიას მოწყვეტილსა და განმარტოებულს, მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლისუნარიანობა დაუკარგა; ხოლო იქ, სადაც ქრისტიანობამ მაჰმადიანობას დაუთმო ასპარეზი, ქართველობის ეროვნული გადაგვარება და გათურქებაც დაიწყო". აი, თურმე, რა ყოფილა მიზეზი მესხეთის გადაგვარებისა - შინაური შუღლი.

XV საუკუნის შემდეგ მართლმადიდებლობას მესხეთში ბედი არ სწყალობდა. თუ დაპყრობამდე ცილისწამებით იყო სახელგატეხილი, დაპყრობის შემდეგ თურქეთის სახელმწიფომ აქ საერთოდ აკრძალა მართლმადიდებელი ქრისტიანობა.

თურქეთში თითქმის ყველა სარწმუნოება - რელიგიას ითმენდნენ მართლმადიდებლობის გარდა. განსაკუთრებით აფრთხობდათ მართლმადიდებლობა საქართველოში, რადგანაც ის მიაჩნდათ მართლმადიდებლური რუსეთის ერთმორწმუნედ. მართალია, კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ თურქებს მართლმადიდებელთა ბერძნული საპატრიარქო არ გაუუქმებიათ, მაგრამ სრულებით დაიმორჩილეს ის, გამოსცეს განკარგულება, რომლის ძალითაც თურქეთის სახელმწიფოში მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი უნდა დაქვემდებარებოდა ბერძნების ამ საპატრიარქოს. მესხეთში მცხოვრები მართლმადიდებლები ამის შემდეგ კონსტანტინეპოლის პატრიარქს უნდა დაქვემდებარებოდნენ. როგორც შ. ლომსაძე წერს, თურქებმა კონსტანტინეპოლში

სომხური საპატრიარქოც დააარსეს და მართლმადიდებელთა პატრიარქს დაალოცვინეს, რითაც მსოფლიოს დაანახვეს, თითქოსდა ისინი ქრისტიანებს არ დევნიდნენ. გრიგორიანულ სარწმუნოებას თურქეთი და სპარსეთი პატივისცემით ეკიდებოდნენ, რადგანაც ნეიტრალურ სარწმუნოებად მიაჩნდათ - ის არც მართლმადიდებლური იყო, არც კათოლიკური. მართლმადიდებლურ და კათოლიკურ სახელმწიფოებს კი თურქეთი განუწყვეტლივ ეომებოდა XVI-XIX საუკუნეებში. თურქეთში ასე გადაიჭრა ეროვნულ-სარწმუნოებრივი საკითხი - ქრისტიანი, რომელიც ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლის ბერძნულ საპატრიარქოს - ითვლებოდა "ბერძნად"; ქრისტიანი, რომელიც ექვემდებარებოდა გრიგორიანულ საპატრიარქოებს - ითვლებოდა "სომხად", ქრისტიანი, რომელიც ემორჩილებოდა რომის პაპს - ითვლებოდა "ფრანგად".

კათოლიკობას ქართველთა შორის ფეხი მონღოლების დროს მოუკიდნია. მ. თამარაშვილს თავის ცნობილ წიგნში მოჰყავს ამონაწერი ა. ხახანაშვილის წერილიდან, სადაც, კერძოდ, აღნიშნულია - "XIII საუკუნიდან იწყება ქართველი კათოლიკების ეკლესიის დაფუძნება..." ამ დროს მათი რიცხვი ძალზე მცირე იყო, მდგომარეობა შეიცვალა XVI საუკუნის შემდეგ, როცა აქ მართლმადიდებელთა დევნა დაიწყო. გათათრებისაგან გადარჩენის მიზნით, მართლმადიდებლები იღებდნენ კათოლიკობას. ასეთი მდგომარეობა იყო არა მარტო მესხეთში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოში მთლიანად, განსაკუთრებით XVII-XVIII საუკუნეებში. ამ დროს, სპარს-ოსმალთა მიერ დაპყრობილ ქართლ-კახეთსა და მესხეთში დევნილი მართლმადიდებლები მასობრივად იღებდნენ გრიგორიანობას ან კათოლიკობას. მ. თამარაშვილს მოჰყავს სიტყვა ცნობილი ქართველი დიპლომატისა ნიკოლოზ ირბახისა, რომელიც მან 1634 წელს სასამართლოზე წარმოთქვა: "ყოველდღივ ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან და უფრო მომეტებული მათგანი მაჰმადის სარწმუნოებას ღებულობს, მაშ ვისაც კი უნდა გაფრანგება, რაღად უნდა დაეშალოს?", აქვე ცნობილ მეცნიერს მოყვანილი აქვს მისიონერ ამბროზის მოხსენება, გაგზავნილი რომში 1640 წელს, სადაც მისიონერი სთავაზობს რომს, კათოლიკებმა შეიძინონ საქართველოში მამულები, სოფლები და ყმები. მან იცის, რომ ამ სოფლებსა და მამულებში მცხოვრები მოსახლეობა ამ გზით გაკათოლიკდება; რადგანაცო, წერს ის, აქ მდიდარმა გრიგორიანებმა და იუდეველებმა შეიძინეს მამულები და სოფლები, რომელთა მცხოვრებლებმაც თავიანთი ბატონების ხელქვეით მყოფებმა, მიიღეს და აღიარეს გრიგორიანობა, ანდა იუდეველობაო. ქართველებიო, - წერს ის - "...რაკი მათი ხელქვეითი გახდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზედ, ამაზედ უარესიც ვნახეთ, ზოგიერთმა საქართველოში მცხოვრებმა მდიდარმა ურიებმა გააურიავეს რამდენიმე თავიანთი ყმა და მოსამსახურე".

ეს პროცესი ქართლ-კახეთში არ გაღრმავებულა, რადგანაც ასე თუ ისე, დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და აქ საქართველოს საპატრიარქოს სიძლიერე-გავლენა არ შერყეულა; მესხეთში კი თურქეთის ბატონობის ხანაში ქართველობა დაიშალა. მესხები ან გამაჰმადიანდნენ, ან გაგრიგორიანდნენ, ან გაკათოლიკდნენ, ხოლო ის მცირერიცხოვანი მართლმადიდებლები, რომლებიც ქართლის საზღვართან მოშორებით ცხოვრობდნენ, ბერძნებად განიხილებოდნენ. შ. ლომსაძე წერს, რომ ანტიოქიელი პატრიარქის, მაკარის მტკიცებით, საქართველოს სამხრეთი საზღვარი მის დროს (XVII ს.) იყო მდინარე ევფრატი. ამას მოწმობს თურქი ისტორიკოსი ჩელები და კონსტანტინე პორფიროგენეტი. XVIII საუკუნის შუა წლებში ტიმოთე გაბაშვილმა გიუმიშხანეში (საიდანაც XIX საუკუნეში ბერძნები ჩამოსახლდნენ საქართველოში), დაადასტურა არა მარტო ქართული ეკლესიის არსებობა, არამედ მოსახლეობაში შერჩენილი ხსოვნაც, რომ ადრე იგი საქართველოდ ითვლებოდა. ასევე ლაზეთის დიდი ქვეყანა მართლმადიდებლური იყო. თურქეთის სახელმწიფოსათვის ყველა მართლმადიდებელი, რა ეროვნებისაც არ უნდა ყოფილიყო ის, "ბერძენი" იყო. ასე იქცნენ მართლმადიდებელი ლაზები და მესხები - "ბერძნებად", მხოლოდ საქართველოს (ქართლის) საზღვართან ახლოს, ახალციხესა და მის შემოგარენში - სამცხესა და

ჯავახეთში მცხოვრებ მართლმადიდებლებს უწოდებდნენ - ქართველებს, მესხეთის სამხრეთი ნაწილის მართლმადიდებლებს "ბერძნები" უწოდეს.

ამის შემდეგ მესხეთში მაჰმადიანი ქართველები იწოდებოდნენ "თათრებად", კათოლიკე ქართველები - "ფრანგებად", გრიგორიანი ქართველები - "სომხებად", მართლმადიდებლები ქართველების ერთი ნაწილი - "ბერძნებად", მეორე ნაწილი კი - "ქართველებად". თურქეთის ბატონობის დროსაც სარწმუნოებრივი აღმსარებლობის შესაბამისად დაშლილ ქართველებს - საბედნიეროდ გააჩნდათ ერთი საერთო რამ, რაც მათ აერთიანებდა და აგონებდა ნამდვილ ვინაობას - ეს იყო დედაენა. ყველა მათგანს საოჯახო, საშინაო, მშობლიურ ენად ჰქონდა ქართული ენა. ყველას ახსოვდა საქართველო და ქართველობა. მათ შორის ხანდახან იბადებოდნენ ხოლმე ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტები. XVIII საუკუნის ბოლოს ისეთი სურათი იხატებოდა, რომ თითქოს მთელი მესხეთის მოსახლეობა ქართველობისაკენ იხრებოდა, ისე ჩანდა, თითქოს გადაგვარება ნიღაბი იყო, თუ შესაბამისი მომენტი დადგებოდა, ყველაფერი კვლავ ძველებურად აღსდგებოდა.

XIX საუკუნემ ვითარება შეცვალა. ამ დროს სხვადასხვა მიზეზების გამო გაძლიერდა მუსულმანური (და საერთოდ, სარწმუნოებრივი) ფანატიზმი. ფანატიკოსებმა ქართული ენა ქრისტიანობის ენად გამოაცხადეს და შეიძულეს ის. დ. ბაქრაძე და სხვა მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ მშობლებმა და ბებია-ბაბუებმა კარგად იცოდნენ ქართული ენა, შვილებმა კი აღარ, ან ძალზე ცუდად. მესხეთის ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ხალხის მიერ მშობლიური ენის დავიწყება, თურმე, შესაძლებელი ყოფილა 20-30 წლის განმავლობაში, იმ შემთხვევაში, თუ ამ ენას მისი მომხმარებელი არაფრად ჩააგდებს, ან შეიძულებს.

სიმტკიცესა და ქართული ენის სიყვარულის დიდი მაგალითი გვიჩვენეს ქართველმა კათოლიკებმა. ჭეშმარიტად დევნილი ქართული ენა მათ შეიფარეს და თავიანთი მტკიცე, შეურყეველი, უტეხი ხასიათის წყალობით წმიდად მოაქვთ დღემდე.

სოფელი უდე მესხეთის შეურყეველი სოფელია. ის სხვა, სულ რამდენიმე სოფელთან ერთად, ქრისტიანობის შენარჩუნების გამო, თავისთავად არის ძეგლი სულიერი სიძლიერისა, მოთმინებისა და გამძლეობისა. ამ სოფლებში მრავლად არიან მორწმუნენი, განსაკუთრებით მოხუცებულნი, რომელნიც, მტკიცედ და უდიდესი სიყვარულით ინახავენ მრავალჭირგამოვლილ სარწმუნოებას, მესხეთის დღევანდელი ქრისტიანობა მიაგავს დიდი ტაძრის ნანგრევებში აქა-იქ მიმოფანტულ უმშვენიერეს ჩუქურთმიან ქვებს, რომელნიც, თავის მხრივ, დასრულებული შედევრები არიან, მაგრამ ისინი მაინც ნაწილნი არიან მთელისა, რომლის აღდგენა ოცნებას თუ შეუძლია. აქაურ თითოოროლა მოხუცს, აღვსილთ ღვთის მადლით, ეკლესიურობითა და სულიერობით, სრულყოფილად შემოუნახავთ არათუ ქრისტიანული სარწმუნოება, არამედ სრული საეკლესიო ტიპიკონი. ზეპირად იციან უამრავი გალობა, ლოცვა, საეკლესიო წესი. ისინი წარმოადგენენ ცოცხალ ეკლესიას, არა ახლად შექმნილს, არამედ ძველქართულს, შემონახულს დღემდე. ერთი ასეთი მოხუცია უდელი ელენე პარუნაშვილი-მერაბიშვილისა, მტკიცე, უტეხი ქრისტიანი, მრავალჭირნახული, კარგად ახსოვს თურქების ბოლო თავდასხმა მესხეთში, მაშინ ხუთი წლის ვიყავიო, ჰყვება (დაბადებულია 1913 წ.), მახსოვს ზამთარში, ღამით, მთელი სოფელი ავიყარეთ და ახალციხეში გაჭირვებით ჩავედით ლტოლვილები. დედაჩემმა ხელში ქათამი მომცა თბილია, ხელები აღარ გაგეყინებაო. კარგად იცის ძველი გალობები, ლოცვები, თქმულებები, გადმოცემები. მისგან 1985 წელს ჩავიწერე ანბანთქება, როგორც თვითონ უწოდებს "ღვთისმშობლის ლოცვა". ეს არის გამჭვირვალე ლექსი, აღვსილი პოეზიით.

ანბანთქება ძალზე პოპულარული იყო საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში. ჩანს, ლოცვებიც კი ანბანზე იყო გაწყობილი. მთქმელი ანბანის ასოებს უწოდებდა არა ან, ბან და ა. შ., არამედ ანო, ბანო, განო... (წოდებითი ფორმით). მისთვის ასე უსწავლებიათ "ტანტრაზე" - ანბანის სასწავლო დაფაზე, რომელიც საკუთრად ჰქონია ყოველ მოსწავლეს. მას ეს ლოცვა კარგად აღარ ახსოვს, ზოგიერთ ადგილს კი რამდენჯერმე იმეორებს. ეს მესხური ანბანთქება ასეთია -

“ლოცვა - ავსილხარ, ყოვლად წმიდაო,
ღვთისმშობლისა

ანო - ავსილხარ, ყოვლად წმიდაო, ყოვლისა მადლით უფლისა,
ბანო - ბახჩა ხარ, აღყვავებული, სადგომად სულის წმიდისა,
განო - გაბრიელის ხარებითა მოგვევლინა ძალი ხვთისა,
დონო - დედა ხარ იესო ქრისტესი, ქალი ზეციერ მამისა.
ენო - ემანუილ შენგნით იშვა, მიზეზად ჩვენი დახსნისა,
ვინო - ვარდი ხარ მეტად ლამაზი, მოსაწონარი უფლისა,
ზენო - ზიხარ მუდამ შენს ძესთანა, მეოხევ ცოდვილებისა,
თანო - თვალი შენი ჩვენზედ იყოს, შიში არ გვქონდეს მტერისა.
ინო - იგი ძუძუ დაილოცოს, რომ აწოვე ქრისტეს პირსა,
კანო - კურთხეული ხარ მარიამ, დედა ხარ მოწყალებისა,
ლასო - ლამპარი ხარ ანთებული, გამნათებელი ბნელისა,
მანო - მარიამ, მიმადლებულო, სიტყვა გაქვს ანგელოზისა.
ნარო - ნეტარელი ხარ მარიამ, ხილვა გვაღირსე ზეცისა,
ონო - ორნი გზანი მიგვაჩნია, გვიწინამძღვრებს სამოთხესა,
პარო - პილწსა ეშმაკსა ნუ მიგვცემ, შეგვახვეწე მაცხოვარსა,
ჟანო - ჟამი იგი დაილოცოს, რომ აწოვე ქრისტეს პირსა.
რაე - რა ღირს ვართ, რომ ჩვენ შენ გაქოთ, თუ შენ არ მოგვცემ ენასა,
სანო - სანთელი ხარ ანთებული, გამნათებელი ბნელისა,
ტარო - ტიტველი ვარ მე ცოდვილი, კაბა ჩამაცვი ნათლისა,
უნო - უშენოდ არ შემიძლია ხილვა წმიდა სამებისა.
ფარო - ფარფოთლიანი ვარდი ხარ, სუნი გაქვს უკვდავებისა,
ქანო - ქვეყნის მცველად გაჩენილო, სამყარო ჩვენი ზეცისა,
ღანო - ღრუბელი ხარ უწვიმარი, წვიმა გაქვს შვიდმაისისა,
ყარო - ყოვლის ფერადად შემკულო, ტაძარო სოლომონისა,
შინო - შიშველი ვარ მე ცოდვილი, კაბა ჩამაცვი ნათლისა,
ჩინო - ჩვენთვის შენს ძეს შეგვახვეწე, ნუ გვკითხავს ჩვენ ცოდვილებსა,
ცანო - ცამ - ქვეყანამ განიხარა, იესო ქრისტე შობილა,
ძინო - ძე ღვთისა ქვეყნად მობრძანდა...
წილო - წყალობის კარი გაგვიღე, ღირსი გაგვხადე ზეცისა
ჭარო - ...
ხანო - ...
ჯანო - ...
ჰაე - ...
ჰოი - ჰოი, რა ტკბილი დედა ხარ, ხილვა გვაღირსე ზეცისა,
ამინ”...

ასეთია ეს ანბანთქება. შეიძლება ეს ლოცვა ანბანის დასამახსოვრებლად, მოსწავლეებისათვის იყო განკუთვნილი. 72 წლის მოხუც მთქმელს ის უნაკლოდ აღარ ახსოვდა. საინტერესოა, ასევე მისგან ჩაწერილი ძალზე კარგი მელოდიის მქონე გალობის “მარიამ შენა ხარ” ზოგიერთი სტროფი - ”მარიამ შენ ხარ ხვთის ტკბილი დედა, ჩვენ გაქებთ გულით, დიდება შენდა, გლოცავთ, გლოცავთ, გლოცავთ მარიამ (2-ჯერ), ივერი უსმენს ამ ჩვენს გალობას...” და ა.შ. ამ გალობაში წმ. ნინო იხსენიება.

დღეს მესხეთის ქრისტიანებს ემსახურება ახალციხის წმიდა მარინეს ეკლესიის სამღვდელოება. ახალციხის იმ უბანს, სადაც ეს ეკლესიაა, რაბათი ჰქვია. რაბათში იმყოფებოდა ჯერ ათაბაგების, მერე ფაშების რეზიდენცია.

ამჟამად მესხეთში წმიდა მარინეს ეკლესიაა ერთადერთი მემკვიდრე ტაო-კლარჯეთის უბრწყინვალესი ქრისტიანული კულტურისა, ათასობით და ათიათასობით წმიდა მამისა, რომელნიც ერისა და სულის უკვდავებისათვის იღვწოდნენ.

წმიდა მარინეს ეკლესია 1980 წელს გაიხსნა ჩვენი დიდი მეუფის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და ხელისუფლების დახმარებით. როცა ჩვენი ეკლესია გაიხსნა, ახალციხის რაიონში უკვე მოქმედებდა იუდეველთა სინაგოგა, გრიგორიანთა და სომეხ - კათოლიკეთა ეკლესიები.

ტაძრის შენობა ძველი არ არის, როგორც მისი ძუნწი წარწერა გვამცნობს, შენება 1869 წელს დაუწყიათ და 1893 წელს დაუმთავრებიათ. XX საუკუნის დამდეგს გამოცემული ერთი წიგნიდან ჩანს, ამ დროს ტაძარში ქართულენოვანი წირვა-ლოცვის გაუქმება და ბერძნულის დაწესება სდომებიათ, რასაც ახალციხის ქართველთა საზოგადოება აღუშფოთებია. ეგზარქოსის ჩამოსვლის შემდგომ, მდგომარეობა გამოსწორებულა. ტაძარი მისი ცხონებული თავმჯდომარის, პარმენ ჯაფარიძის გადმოცემით, 1923 წლამდე მოქმედებდა; მაგრამ მისი ფაქტიური ახალი ცხოვრება 1982 წლიდან დაიწყო - შეკეთების შემდეგ. 1982-83 წლებში მთლიანად შევცვალეთ სახურავი, შეილესა, დამონტაჟდა ელექტრობა, გათბობა. ჩვენ ვლოცავთ და საშვილიშვილოდ ვაკურთხებთ ყველა იმ მორწმუნეს, ვინც ეწეოდა ამ საქმეს. ამჟამად, თუმცა მრავალი საქმეა გასაკეთებელი, მაგრამ საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

XIX საუკუნეში ახალი ეკლესია ძველის ადგილზე აუშენებიათ. აქვე ასიოდ მეტრში ფაშების მთავარი მეჩეთია, რამდენად მოსათმენი იყო მათთვის, მეჩეთთან ახლოს, მართლმადიდებელთა ეკლესიის არსებობა? ჩანს, ვერც ითმენდნენ. ამაზე ნათლად მიუთითებს ადამიანის ძვლების გასაოცარი სიმრავლე, რომელიც კეთილმოწყობის დროს აღმოჩნდა ეზოს ყოველ კუთხეში. მართალია, საერთოდ, ეკლესიების ეზოები დროთა განმავლობაში სასაფლაოებად იქცეოდნენ ხოლმე, მაგრამ წმ. მარინეს ეზოში ერთმანეთზე უწესრიგოდ დაყრილი ძვლების უზომო რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ აქ იმ ქრისტიან მართლმადიდებელთა საძმო საფლავი იყო, რომელთაც მასობრივად ხოცავდნენ. დახოცილებს ალბათ, თავიანთ ეკლესიაში ერთად მოასვენებდნენ ურმებით ან სხვა საშუალებით და ერთად ასაფლავებდნენ. აღსანიშნავია, რომ ძვლები თითქმის მიწის ზედაპირზეა, ბარის ერთ პირზე.

XIX საუკუნის მშენებლებს ძველი წარწერიანი ქვები სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ საძირკვლის ზემოთ. საინტერესოა მასში ჩაყოლებული ერთი საფლავის ქვის ეპიტაფია, რომელიც შაირით ყოფილა დაწერილი - (სამუშაოთა დროს ამ წარწერის მეორე ნახევარი გამოჩნდა, ნახევარი კედელშია მოქცეული) - "თავადთა შორის მეც ვიყავ აბაშიძობით თქმულიო, ხუთ წელს ვიცხოვრე ნიკოლოზ ოსმალშიდ დაკარგულიო...", ახალციხე მაშინ ოსმალეთის ტერიტორიაზე იყო, ჩანს თავადი ნიკოლოზ აბაშიძე საქართველოდან გაქცეულა და ოსმალეთში "დაკარგულა", სადაც ხუთი წელი უცხოვრია. აქ წარწერიანი ქვების არცთუ დიდი რაოდენობაა.

ყოველი საღმრთო ლიტურგიის დროს ჩვენ ვლოცავთ და ვაკურთხებთ მესხეთის მიწას, შევთხოვთ უფალ ღმერთს აქ ქართველი ერის გამრავლებას, რომ მესხეთი კვლავ იქცეს ქართული კულტურის ბრწყინვალე კერად, რომ მისი ნათელი დრომ ვერ გაანელოს.

"ჯვარი ვაზისა", N2, 1986

პირველი წირვა უდეს ტაძარში

საქართველოს ერთ-ერთ უძველეს და უდიდეს სოფელ უდეში ამოქმედდა ეკლესია. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რელიგიების საქმეთა საბჭომ ამა წლის 14(27) მაისის დადგენილებით რეგისტრაციაში აიყვანა ამ სოფლის მორწმუნეთა საზოგადოება.

7(20) ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ეკლესიის კურთხევისათვის უდეში აბრძანდა ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე). ეკლესიის ეზოში ეპისკოპოსის მოლოდინში შეკრებილიყვნენ სოფლელები და მესხეთის სხვა კუთხეებიდან ჩამოსული მორწმუნეები. მათ ორმოცდაათი წლის უქმობის შემდეგ ეკლესიის გახსნით გამოწვეული სიხარულის დამალვა არ შეეძლოთ. დაირეკა ეკლესიის ზარი და ეპისკოპოსი ანანია ახლადდანიშნულ დეკანოზ სტეფანე ნადირაძის თანხლებით ტაძარში შებრძანდა. დაიწყო ტაძრის კურთხევა, რის შემდგომაც მორწმუნე მრევლთან ერთად სამღვდელოებამ სამგზის შემოუარა ეკლესიას. ეპისკოპოსი აიაზმას ასხურებდა ტაძარსა და ხალხს, ისმოდა გალობა. კურთხევის დასრულებისა და ჩამოლოცვის შემდეგ ტაძრის ამბიონიდან მან სიტყვით მიმართა მორწმუნეებს.

ეპისკოპოს ანანიას ქადაგება უდეს ეკლესიაში:

სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა. პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, მორწმუნენო, ქრისტესმიერ საყვარელნო შვილებო!

დღეს დიდი სიხარულისა და ბედნიერების დღეა. ათეული წლების უქმობის შემდგომ ღმერთმა ინება გახსნა და კურთხევა უდეს დიდებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიისა.

დღევანდელი დღე სახელოვანია, დღევანდელი დღე ისტორიულია. ჩვენ ახლა, ამ წუთებში საფუძველი დავუდეთ ქართული ეკლესიისა და ქართველი მრევლის ერთიანობას მესხეთში. ინებოს ღმერთმა, რომ თქვენმა შთამომავლობამ სიამაყით მოიგონოს ეს დღე უდეს ეკლესიისა. ტაძარი, რომელიც ჩვენ დღეს ვაკურთხეთ, ერთ-ერთი მშვენიერია საქართველოში, ისევე ცნობილია რომ თქვენ, უდელები, ქრისტეს მცნებათა მტკიცე და ერთგული დამცველი ქრისტიანები იყავით წარსულში. მრავალი ტანჯვისა და გარემომხდური მტრის მოძალების მიუხედავად, წმიდად მოიტანეთ დღემდე თქვენი სარწმუნოება, დედაენა, მშობელი ქვეყნისადმი მამულიშვილური სიყვარული: ამიტომაცაა, რომ ღმერთმა არ დაივიწყა ჩვენი მხარე, მოხედა წყალობით და ინება გახსნა თქვენი ეკლესიისა.

ჩვენს წმიდა წიგნში - ”ქართლის ცხოვრებაში” ნათქვამია, რომ წინა დროებაშიც ღმერთი მოწყალებით მოხედავდა ხოლმე ქართველობას და დედა ღვთისმშობელი კი თავის კალთას აფარებდა. სწორედ ასე განაცხადა, ამ მხარეში, მესხეთში შემოსულმა ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს უპირველესმა მოწაფემ - მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა. თქვენს წინაპრებს, ქართველთა შორის პირველ ქრისტიანებს, თავის გარშემო შემოკრებილ მესხებს ანდრია მოციქულმა ამცნო, რომ ივერია ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ხოლო ივერიელებს ყურადღებას არასდროს მოაკლებდა უფალი ღმერთი.

სწორედ ანდრია პირველწოდებულმა დაუდო საფუძველი ქართულ ეკლესიას. ჩვენი ეკლესია დაარსებულია წმიდა ანდრიას მიერ. ეს არის სამოციქულო ეკლესია. მეოთხე საუკუნეში კი აქ, მესხეთში შემოვიდა თვითონვე მესხი - კაპადოკიელი ქალი, მოციქულთასწორი წმიდა ნინო. მან გაიარა სამცხე, ჩავიდა მცხეთაში, ქრისტეს

სარწმუნოებაზე მოაქცია ივერიის მეფე - დედოფალი მირიანი და ნანა, რის გამოც ერთიანად მოინათლა მთელი ქართველი ერი. გაიზარდა წმიდა ანდრიას მიერ დაარსებული ქართული ეკლესიის მრევლი.

წმიდა ნინომ იცოდა, რომ ქართული სამოციქულო ეკლესიის ცენტრი უნდა ყოფილიყო მცხეთაში, საქართველოს მაშინდელ დედაქალაქში, სადაც შენახული იყო და ცხადია დღესაცაა კვართი უფლისა. მისი ნებით დადგენილი იქნა სრულიად საქართველოს მთავარეპისკოპოსი, რომელსაც შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქის ტიტული მიენიჭა. "კათოლოს", რომლისაგანაც წარმომდგარა სიტყვები "კათოლიკოსი" და "კათოლიკე" - ბერძნულია და ქართულად ნიშნავს - "საყოველთაოს". "კათოლიკოს-პატრიარქი" იგივეა ქართულ ენაზე, რაც - საყოველთაო მამათმთავარი. მესხეთის ქრისტიანები, თქვენი წინაპრები, ისე როგორც სხვა კუთხეთა ქართველები, მუდამ, მხოლოდ და მხოლოდ მცხეთას ექვემდებარებოდნენ. მცხეთის საკათოლიკოსო-საპატრიარქოს მრევლი იყვნენ თქვენი წინაპრები საუკუნეთა მანძილზე.

I-X საუკუნეებში მსოფლიო ეკლესია იყო ერთიანი, მთლიანი და დაუყოფელი. ამ მთლიან ეკლესიას მაშინ ეწოდებოდა საყოველთაო ანუ "კათოლიკე" ეკლესია. მოციქულთა მრწამსში, რომელიც ყოველი მორწმუნის კრედოა, ნათქვამია - "მრწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია". რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ ქრისტიანს სწამს, რომ მთელ მსოფლიოში არსებობს ერთიანი ანუ საყოველთაო სამოციქულო ეკლესია... ჩვენ ეს კარგად უნდა ვიცოდეთ, ჩვენი მრწამსის თანახმად ჩვენ გვწამს არა რამდენიმე, არა სხვადასხვა ეკლესია, არამედ ერთი საყოველთაო მსოფლიო ეკლესია. მსოფლიოში არსებობს ერთი ეკლესია, რადგანაც ერთი იყო იესო ქრისტე - დამაარსებელი და მეთაური მსოფლიო, ანუ საყოველთაო, კათოლიკე ეკლესიისა.

ეს მრწამსი, რომელსაც დღეს აღიარებს ქართული ეკლესია, საქართველოში იქადაგეს და გაავრცელეს თვით მოციქულებმა. სხვადასხვა ქართულ და უცხოურ წყაროთა თანახმად, საქართველოში ქადაგებდა არა მარტო **ანდრია**, არამედ სხვა მოციქულებიც, კერძოდ, **სვიმონ კანანელი, მატათა, ბართლომე, თადეოზი და თომა.** ჩვენი უფლისა და მაცხოვრის 12 მოციქულიდან **ექვსი** მოციქული საქართველოში ქადაგებდა. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ მოციქულთა დროს იბერია იყო რომის იმპერიის მეტოქე ძლიერი სახელმწიფო, რომლის ხელშიც იყო პართიასა, სკვითიასა და ნაწილობრივ პონტოში შემავალი სავაჭრო გზები. ორი მოციქული კი მატათა და სვიმონ კანანელი საქართველოში არიან დაკრძალულნი. მოციქული მატათა აქ, ჩვენთან, დასავლეთ საქართველოში, ბათუმთან ახლოს განისვენებს. როგორც მოციქულებმა ქართველ ხალხს მისცეს მრწამსი, რომელსაც ახლაც უბიწოდ და უმწიკვლოდ იცავს ქართული ეკლესია.

ქართული სამოციქულო ეკლესია არა მარტო მრწამსის იმ ნაწილს იცავს მტკიცედ, რომელშიც ნათქვამია: "მრწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია", არამედ მთლიან მრწამსსა და სარწმუნოების საერთო სისპეტაკეს. დიდმა გიორგი მთაწმინდელმა, რომელიც ჩვენი მხრიდან, ჯავახეთიდან იყო, ღირსეულად განუცხადა ბიზანტიის იმპერატორს - "ეს არის სარწმუნოება ჩვენი ნათესავისა - რაჟამს ღმერთი ერთგზის გვიცნობიეს, არ მივდრეკილვართ არც მარცხნივ და არც მარჯვნივ და არც მივდრკებით, თუ ღმერთს უნდესო", არსენ იყალთოელი წერდა: "ყოველი ერი ჩვენი მტკიცედ და შეურყევლად სდგას მართალ სარწმუნოებაზე"... ამასვე ამბობდნენ სხვა მამებიც. ამის თქმის უფლებას ქართველ სამღვდელოებას აძლევდა ის, რომ მაშინ, როცა მსოფლიო ეკლესია XI საუკუნეში ორად გაიყო, ბიზანტიისა და დასავლეთის ეკლესიებად, ამ ეკლესიათა მეთაურების შუღლისა და ერთმანეთისადმი ქიშპობის გამო, ქართული ეკლესია მოციქულთა სწავლების ერთგული დარჩა. მსოფლიო ეკლესიის ორად განყოფის იმ ქარიშხლიან დროს გიორგი მთაწმინდელმა გამოიკვლია ქართული ეკლესიის, აგრეთვე დასავლეთის, ბიზანტიისა და მონოფიზიტთა

ეკლესიების სარწმუნოებრივი მიმართულებანი და დაასკვნა, რომ მთელ მსოფლიოში ერთადერთი ქართული ეკლესია იყო ჭეშმარიტად ერთგული მოციქულთა სწავლისა. მართლაც, დასავლეთის ეკლესია განვითარების თავისი გზით წავიდა, ბიზანტიის ეკლესიაში თავიდანვე მრავალი წვალება და ერესი იყო დანერგილი, ხოლო მონოფიზიტთა შეცდომები თავიდანვე იყო დაგმობილი მსოფლიო მამათა მიერ.

ქართული სამოციქულო ეკლესია საუკუნეთა მანძილზე არ შეცვლილა, ის ისევე წმიდა და უბიწოა, როგორც იყო მოციქულთა დროს.

სწორედ ამაში გამოიხატა ჩვენზე მონიჭებული მადლი იესო ქრისტესი და დედა ღვთისმშობლის მფარველობისა.

მესხეთი ყოველთვის ქართული ქრისტიანობის ბურჯი იყო, მესხეთს მსოფლიო ქრისტიანობის წინაშეც მიუძღვის ღვაწლი. ამ დალოცვილმა კუთხემ მსოფლიო ეკლესიას აღუზარდა ისეთი დიდი წმიდანები და მამები, როგორებიც იყვნენ: **წმიდა გიორგი, წმიდა ნინო, ბასილი დიდი და მისი ძმა დიდი გრიგოლი.** ასევე მრავალი სხვა წმიდანი. ისინი კაბადოკიიდან იყვნენ. კაბადოკია კი ქართულ კოლონიად ითვლებოდა. მათ მიანიჭეს სიმტკიცე მესხეთისა და მთელი საქართველოს ქრისტიანობას.

აქ ტაო-კლარჯეთის "ქართველთა სამეფოს" დაარსების შემდეგ მოღვაწეობდნენ წმიდა მამა გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფენი, მესხეთიდან ჩასული ბერები ავსებდნენ ათონის ივერთა და პეტრიწონის მონასტრებს. ჰყვაოდა აქ ქართული ქრისტიანობა... ხოლო მესხეთში არსებული თოთხმეტივე საეპისკოპოსო მთელი თავისი მრევლით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამწყსოში შედიოდა.

ოსმალთა მიერ მესხეთის დაპყრობამ XVI საუკუნის შემდეგ ბოლო მოუღო ქართულ ქრისტიანობას ამ კუთხეში. თურქი დამპყრობლები პირველ რიგში ებრძოდნენ და ანადგურებდნენ ქართველ სამღვდელოებას. სამასი წლის მანძილზე ანგრევდნენ (XVI-XVIII საუკუნეებში) ქართულ კულტურასა და საეკლესიო ცხოვრებას. მტერი მოითხოვდა ქართველ სამღვდელოებას გაეწყვიტა კავშირი საქართველოს საკათოლიკოსოსთან. თურქები დევნიდნენ არა მარტო ყველა ქრისტიანს, არამედ იმას, ვინც მცხეთის საკათოლიკოში შედიოდა. მაგალითად, მესხეთის 14 საეპისკოპოსოდან 1764 წლისათვის დარჩენილი იყო მხოლოდ ერთადერთი, რომლის ეპისკოპოსი გიორგი ჩამოშორდა საქართველოს ეკლესიას და დაუკავშირდა დასავლეთის ქრისტიანობას. მისი სასტიკი დევნა მაშინვე შეწყვიტეს.

მესხებს ნება მიეცათ მიეღოთ ნებისმიერი სარწმუნოება, ოღონდ აუცილებლად უნდა უარეყოთ ქართული. მათ კავშირი უნდა გაეწყვიტათ საქართველოს ეკლესიასთან. მართლაც მესხების ძალზე დიდმა ნაწილმა იძულებით მიიღო მაჰმადიანობა. ოსმალებმა ნება მისცეს უცხოეთის სამღვდელოებას შემოსულიყო მესხეთში. ასე გაჩნდნენ მონოფიზიტები და კათოლიკენი. ძველ დროს, სამწუხაროდ, ხალხი ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა ეროვნებასა და სარწმუნოებას, ამიტომაც იმ ქართველებს, რომელთაც მაჰმადიანობა მიიღეს - "თათრები" უწოდეს, იმ ქართველებს, რომელთაც მონოფიზიტობა მიიღეს - "სომხები", ხოლო იმათ, რომელნიც ევროპულ ქრისტიანულ ცენტრს დაუკავშირდნენ - "ფრანგები". იმ დროს მთელ ევროპას ოსმალეთში "საფრანგეთს" უწოდებდნენ. თურქების შემოსევამდე მესხეთში არ ცხოვრობდა ქართველების გარდა არც ერთი სხვა ხალხი. ისინი არც შემდგომ ჩამოსახლებულან მესხეთში, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, "თათრები" მაჰმადიან ქართველებს უწოდეს; ის ქართველები კი, რომელთაც მაჰმადიანობა არ მიიღეს, მაგრამ არც ქართული ეკლესიის წევრად დარჩენა შეეძლოთ, ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის იძულებულნი გახდნენ ევროპელი მისიონერების მრევლად ქცეულიყვნენ.

აღნიშნული მდგომარეობის უკეთ დანახვის მიზნით მე მინდა მოგაწოდოთ ამონაწერი შოთა ლომსაძის წიგნიდან "სამცხე-ჯავახეთი" (გვ. 502). "ქართველ კათოლიკებში, იმის გამო, რომ ვატიკანში კონგრეგაციის მიერ ქართული ენა არ იყო დამტკიცებული

ღვთისმსახურებისათვის მოქმედ ენად, გაბატონდა ლათინური და სომხური... ქართული კათოლიკური ეკლესიებიდან გამოიდევნა ლათინური ენა და ქართველი კათოლიკენი შერჩნენ სომხურ ენას. ხშირ შემთხვევაში, ქართველ კათოლიკეთა მრევლს სომეხ კათოლიკეთა წარმომადგენლები თუ გასომხებული ქართველები წინამძღვრობდნენ. ასეთი ვითარება ქართველ კათოლიკეთა სრულ დაბნევას იწვევდა, რადგანაც მეტყველებდნენ ქართულად, აიძულებდნენ ელოცათ სომხურად, ადიდებდნენ რომის პაპს და ცხოვრობდნენ თურქული პოლიტიკის ქვეშ. სომხურ-კათოლიკური ეკლესია ხელმძღვანელობდა მათ ჯვრისწერა-მონათვლას. მონათვლისას არქმევდნენ სომეხი კათოლიკე ეპისკოპოსის მიერ რეკომენდებულ სახელებს და, ასე თანდათან, იცვლებოდა მათი ნამდვილი ვინაობა. ხშირად ახალ სახელს ახალი გვარის ხელოვნურად შექმნა და გადაკეთებაც მოსდევდა. შოვინისტი კათოლიკე მოძღვარნი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ქართველ კათოლიკებს დაევიწყებინათ მშობლიური ენა, გვარი, წარმომავლობა და ბოლოს, რადგანაც კონგრეგაციას მათ საეკლესიო ენად სომხური ენა ჰქონდა დამტკიცებული, სომხებად გამოეცხადებინათ. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ ვნახეთ, სოფელ ვალეს მაგალითზე, მესხეთის სინამდვილეში ეს ნაწილობრივ კიდეც გაკეთდა. ამას თითქმის აღარაფერი ეშველებოდა, რომ ეს საქმე თვით მესხეთის ქართველ კათოლიკებს არ გადაეჭრათ. ისინი: იოანე ხუცესი, პეტრე ხარისჭირაშვილი, ივანე გვარამაძე, მიხეილ თამარაშვილი და სხვანი გმირული შემართებით აღუდგნენ ყალბისმქმნელებს და მეცნიერული საბუთიანობით ყველაფერი სააშკარაოზე გამოიტანეს.

დიახ, საუკუნეთა მანძილზე აქაური ქართველი ქრისტიანები ვალდებულნი იყვნენ წირვა-ლოცვისას, ჯვრის-წერისა და ნათლობისას ეხმარათ სომხური ენა, ქართული ენა აკრძალული, უხმარი და გამოუყენებელი იყო. ამან გამოიწვია ამ მხარის ეთნიკური სახის შეცვლა. თურქი მოხელეებისა და მათი აგენტების მიერ სასტიკად იდევნებოდა არა მარტო ქართული, არამედ ყველა პირიც, ვინც გაბედავდა და ქართული ენის გამოყენებას მოითხოვდა.

ქართული ენის დაცვისათვის XVIII საუკუნეში მესხეთიდან განდევნილი იოანე ხუცესი, იძულებული გახდა იმერეთისათვის შეეფარებინა თავი; ასევე, ქართული ენის დაცვისათვის მესხეთიდან გააძევეს პეტრე ხარისჭირაშვილი და უცხოეთში გადახვეწეს. რისი გაკეთების ნებაც მას თავის სამშობლოში არ მისცეს, უცხოეთში შეძლო - ქართული მონასტერი დააარსა სტამბოლში.

მამა მიქაელ თამარაშვილი, საქართველოდან გაძევებული, ჩაუჯდა რომის არქივებს და დაამტკიცა, რომ მესხეთის კათოლიკენი ეროვნებით ქართველები არიან.

“ირეკდევ და განგეღოთ თქვენ, ეძიებდეთ და ჰპოვეთ” - ნაბრძანებია წმიდა სახარებაში, თანდათან სრულდება ამ კუთხის საუკუნოვანი ოცნება, იღვიძებს ქართული წირვა-ლოცვა მესხეთში.

აღსრულდა დიდი მამის, პეტრე ხარისჭირაშვილის ოცნება - უდის ღვთისმშობლის ეკლესიაში დღეიდან წირვა-ლოცვის ენა იქნება არა სხვათა ენა, არამედ - ქართული.

თქვენ ხართ ბედნიერი, რადგან თქვენივე მოწადინებითა და მონდომებით შესძელით ის, რისთვისაც თქვენი წინაპრები საუკუნეთა მანძილზე იღვწოდნენ.

გიხაროდენ, ქართულად მონათლავთ თქვენს ბავშვებს.

გიხაროდენ, ამ წმიდა ტაძარში ამიერიდან მკვიდრდება ქართული ენა, ქართული გალობა.

შევთხოვ უფალს, უკუნითი უკუნისამდი იყოს თქვენი სიხარული. აღსრულდა ის, რისთვისაც მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდნენ ამ კუთხის სახელოვანი შვილები. ხელისუფლება მზრუნველობითა და ყურადღებით მოეკიდა ჩვენს მრავალგზის სათხოვარს; თქვენი სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულია.

დიდი ილია ჭავჭავაძე იმდროინდელი ქართველობის შესახებ წერდა: „დავიშალენით, გავითიშენით დავცალცალკევდით იმერლებად, მესხებად, ქართლელებად, მეგრელებად, კახელებად... მხოლოდ ჩვენი კუთხენი გვახსოვს. ერთიანი ერი კი გადაგვავიწყდაო“. ასეთ დაყოფას სარწმუნოებრივი სისუსტეც იწვევს, რადგანაც ეშმაკი ძლიერია მცირე სარწმუნოების მქონე ადამიანთან. ღმერთი შეაერთებს, ეშმაკი კი განყოფს. ღმერთის ნებაა გაერთიანება მესხეთის ქრისტიანებისა მთელ ქართველ ქრისტიანებთან, ეშმაკის სურვილია განაცალკეოს მესხეთის ქრისტიანები საქართველოსაგან, მაგრამ სუსტდება იგი.

ერთიანია ჩვენი ერი, ერთიანია ჩვენი ეკლესია. წმიდა ანდრიას მიერ დაარსებული ქართული სამოციქულო ეკლესია საქართველოს ყველა კუთხის ქრისტიანებს ემსახურება და მწყემსავს I საუკუნიდან დღემდე. თანდათან აღსდგება ერთიანობა ქართული ეკლესიისა, ამიტომაც დღევანდელი სიხარულის - ამ ეკლესიის კურთხევის დიდებულ დღეს, მე ვლოცავ მესხეთსა და მთელ საქართველოს, გლოცავთ თქვენ, თქვენს ოჯახებს, შევთხოვ უფალ ღმერთს თქვენს გამრავლებას.

სიხარული, სიძლიერე და მშვიდობა მოგანიჭოთ უფალმა, მრავალ სიხარულს დაესწარით, ამინ.

“ჯვარი ვაზისა”, 2, 1987

პირველი წირვა საფარაში

1988 წლის 28 აგვისტოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს საფარის მონასტრის წმიდა საბას ტაძარში სწირა ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსმა ანანიამ (ჯაფარიძე). ეს იყო პირველი ლიტურგია 20-იანი წლების შემდეგ. ზიარებისას ეპისკოპოსმა ქადაგებით მიმართა მორწმუნეებს.

ეპისკოპოს ანანიას ქადაგება საფარის მონასტრის კურთხევისას

28.08.1988

ვატიოსანნო და დიდებულო ქართველნო, მარად აღავსებს მადლი ყოვლადწმიდა დედა ღვთისმშობლისა ჩვენს მორწმუნე ერს. ყოვლადწმიდის მფარველობით დღეს საფარის წმიდა ტაძარში პირველად, ოციანი წლების შემდეგ, კვლავ შეიწირა წმიდა წირვა, თითქმის სამოცი წლის აკრძალვის თავზე.

ჩვენმა უფალმა და მაცხოვარმა იესო ქრისტემ თავის დედას - ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს განუცხადა (თანახმად “ქართლის ცხოვრებისა”), რომ არასოდეს მოაკლებდა თავის მფარველობასა და წყალობას “საზეპურო” ქართველ ერს, და მართლაც, ქრისტიანობა კვლავ ჩვენი ეროვნული ნიშან-თვისებაა, ჩვენი მორწმუნე ხალხი კვლავ იმ გზით მიდის, რომელი გზითაც წინაპრებს უვლიათ. ენა, მამული და ქრისტიანული სარწმუნოება - აი, დიდი ილია მართლის მიერ დატოვებული ანდერძი. ქრისტიანობა ჩვენთვის არა მარტო საზოგადო რელიგიაა, არამედ ჩვენი სუბიექტური თვისება, ჩვენი პირადობა და მეობა. ჩვენს წინაპრებსაც ასევე მიაჩნდათ და იმ ქართველს, რომელიც ქრისტიანობას უარყოფდა, ქართველად აღარც კი თვლიდნენ. ეს ჩვენი

კუთხის ტრაგედიაც იყო, როგორც ამას უჩვენებს მაგალითი მესხების იმ მნიშვნელოვანი ნაწილისა, რომელთაც ნებსით თუ უნებლიეთ მაჰმადიანობა მიიღეს.

დღევანდელ წირვისას მე თქვენთან ერთად მოვიხსენიე ამ წმიდა ტაძრის აღმაშენებელთა სულნი, საბა-სარგისყოფილ და ბექა ჯაყელებისა და ასევე, სულნი ათასობით ბერისა, რომელნიც ამ მონასტერში საუკუნეთა მანძილზე მკვიდრობდნენ. საფარაში თვით თურქების საშინელი გაბატონების დროსაც კი, წირვა-ლოცვა არ შეწყვეტილა. "აწ ხუცის ამარააო" - წერდა XVIII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილი. შემდეგ საუკუნეებშიც აქ კვლავ დაემკვიდრნენ ბერები, ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში კი სასულიერო ცხოვრება სრულიად ჩაკვდა.

თქვენც ხედავთ, რა შედეგი გამოიღო ამ ეკლესიის უმოქმედობამ. ჩვენს წინაა სრულებით მოუვლელი, უპატრონო ეკლესია, აღარსადაა კანკელი და ხატები, წვიმის წყალს გაუჟონავს კედელში, ათხრილა იატაკი, უსუფთაობის დაღი აძევს ყოველივეს და, რა თქმა უნდა, არ ისმის ზარის ხმა.

ბევრი თქვენგანისაგან მსმენია, როგორ გამოიყურებოდა ეს ეკლესია 50-60 წლის წინ - მშვენივრად ნაჩუქურთმევი, მოოქროვილი კანკელი, მაღალმხატვრული, უძვირფასესი ხატები - მშვენიერი ჩარჩოებით, თითქმის მთელი დარბაზის შემავსებელი ბრინჯაოსაგან ოსტატურად ჩამოსხმული ქორკანდელი, მოჭედილ-მოთვალულ ყუთებსა და კოლოფებში პატივისცემით ჩალაგებული წმიდათა აურაცხელი ნაწილები, საგანგებო შანდლები და სასანთლეები და აქაური ბერებისათვის განსაკუთრებით თაყვანსაცემი საბა განწმედილის (VI ს.) წმიდა ნაწილები. უცხოეთში - საბერძნეთშიც კი მკითხეს, ამჟამად სად ინახება განძი მსოფლიო მართლმადიდებლობისა - ნაწილები წმიდა საბასიო? ვინ იცის, თვალთაგან მიეფარა ჩვენი ურწმუნოების გამო.

ვინ უნდა დავადანაშაულოთ? მხოლოდ ჩვენი თავი. ყველამ, ყველა ჩვენგანმა უნდა ჩავიხედოთ გულში, ვაღიაროთ ჩვენი შეცოდებანი. სინანული, აღსარება და ცოდვებისაგან განწმენდა აღადგენს ჩვენს ქრისტიანობას. არა ცუდმედიდობა, ცუდმეტყველება, სხვისი განკითხვა და აუგი, არამედ სიწმიდე, სიმდაბლე, მოთმინება და სიყვარული. ეს, და მხოლოდ ეს, კვლავ აღგვამაღლებს. წმიდა წიგნებში ნაბრძანებია, ტაძარი შეიძლება დაინგრეს და თავისი ქვებითვე აღადგინონ, მაგრამ ადამიანის დაშლილი სულის აღდგენა აღარავის ხელეწიფებისო. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ადამიანის სულზე. არ უნდა დაირღვეს ადამიანის სულის მთლიანობა, სახარებაც ასევე ბრძანებს - გწამდეს ღმერთი და გიყვარდეს ადამიანი, ტაძარს კი სულმთელი ადამიანი კვლავ აღაშენებს. დიახ, უნდა ვიზრუნოთ ტაძარზე, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ტაძრები ადამიანისათვის, მისი სულის ცხონებისათვის არის აგებული.

1828 წლისათვის ათასობით ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი ხალხი, ვალაშკერტის, ანისის, არზრუმის თუ კარის ქართული საეპისკოპოსოების ყოფილი მრევლი, იმ დროისათვის უკვე ჩამოშორებული ქართულ დედა ეკლესიას, ჩამოსახლდა სამცხე-ჯავახეთში, თრიალეთსა და წალკაში. მათ დედაენაც დავიწყნოდათ და თურქულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ქრისტიანული სული შენარჩუნებული ჰქონდათ.

თურქეთში ყველა მართლმადიდებელს "ბერძენს" უწოდებდნენ, მიუხედავად მათი ეროვნებისა, კონსტანტინეპოლის ბერძნული საპატრიარქოს მრევლად მიიჩნევდნენ. ყველა გრიგორიანს - "სომეხს", ყველა კათოლიკეს "ფრანგს", სამხრეთ მესხეთშიც - არზრუმსა, გიუმიშხანეს, ვალაშკერტსა თუ ბასიანში მცხოვრებ ქართველ მართლმადიდებლებს "ბერძნებს" უწოდებდნენ, ლაზებსაც კი, რომლებმაც მაჰმადიანობა არ მიიღეს და მართლმადიდებლობა დაიცვეს, თურქები "ბერძნებს" უწოდებდნენ. იმის შემდეგ, რაც ეს "ბერძნები" თურქეთიდან საქართველოში გადმოსახლდნენ, ჩვენშიც გაუგებრობა მოხდა, ჩვენც აღარ ვუწოდეთ მათ თავიანთი ნამდვილი სახელი. საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ გარემოში მცხოვრებმა თანამორწმუნეებმა ერთმანეთი ვერ შევიცანით.

დღევანდელ დღეს ისე, როგორც ყოველწლიურად, ალბათ კვლავ ინება ყოვლადწმიდამ ჩვენი მორწმუნეების შეკრება ვარძიის კედლებთან. წლევანდელ ვარძიობაში მონაწილეობის სურვილი, სოფელ ტურცხში მცხოვრებმა კათოლიკებმა- ე. წ. "ფრანგებმაც" გამოთქვეს. საყოველთაოდ ცნობილია და მეცნიერული გამოკვლევებიც არსებობს იმის შესახებ, თუ თურქეთის საზღვრებში მოხვედრილი სოფელ ველის ქართველობა 1828 წლის გადმოსახლების დროს როგორ დაესახლა ჯავახეთის რამდენიმე სოფელში - ხულგუმოში, ტურცხში, ბავრასა, კარტიკამსა და სხვაგან. მათ ამ დროს იცოდნენ თავიანთი დედაენა. შ. ლომსაძე შრომაში "სოფელ ველის ისტორიიდან" წერს, რომ მათ 1841 წლამდე ეკლესიებში ქართული ტიპიკონი ჰქონდათ, ხოლო შემდეგ კი - სომხური. ზოგიერთ ზემოთ ჩამოთვლილ სოფელში ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდის ქართული სკოლები არსებობდა. დღეს ასე აღარ არის. ამ სოფლებში ჩასახლებულ ველელ ქართველებს ქართული ენა დედაენად აღარ მიაჩნიათ და თითქმის აღარც იციან. მათ საქართველოშივე, ჩვენს შორის დაკარგეს დედაენა და ქართული ტიპიკონი. სწორედ ამის გამო, მათ მონაწილეობას ვარძიის დღესასწაულში დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს. ვარძიის ამოქმედებას იმედით ელიან ჯავახეთში შემორჩენილი სულ რამდენიმე ქართული სოფლის მცხოვრებნი. პლატო, რომელიც ვარძიას გადმოჰყურებს - ჯავახეთის ზეგანი - ძალზე მჭიდროდაა დასახლებული, აქ ახალქალაქის და ბოგდანოვკის რაიონებში 120 ათასზე მეტი ადამიანი სახლობს, მაგრამ მათგან მხოლოდ სამიათასამდეა ქართველი. სწორედ მათ, გოგაშნელებმა, კოთელიელებმა, პრეტენელებმა და ჩუნჩხელებმა ითხოვეს ვარძიის ეკლესიის ამოქმედება. ეს ეკლესია მათ მართლმადიდებლობის (ანუ ქართველობის) შენარჩუნებისათვის აუცილებლად ესაჭიროებათ.

შევთხოვოთ ყოვლადწმიდას, მიხედოს თავის მოწყალე ჯავახეთს. ჩვენც ხელი შევუწყოთ და ქრისტიანული სითბო ვაგრძნობინოთ თანამორწმუნეებს. ჯავახეთის ქართველობას უსათუოდ უნდა დავეხმაროთ - თუ მათთვის წყლისა და გზის გაყვანა არ შეგვიძლია, ის ხომ მაინც შეგვიძლია, უბრალოდ ავიდეთ, მოვინახულოთ, ვესაუბროთ. ამით მათ გულის სითბოს ვაგრძნობინებთ, მართლმადიდებლობასა და ქართულ ენას არ დავავიწყებთ! იქ ამჟამად არა მარტო ბავშვებს, მოზრდილებსაც უჭირთ ქართულად გამართული ლაპარაკი. ასეა ახალქალაქის ახლო მდებარე ქართულ სოფელ ხოსპიოშიც. ამ სოფელში მითხრეს, ეს რაა, სოფელ მურჯახეთში ქართველებმა ქართული სრულებით არ იციანო. ახალგაზრდებიც ტოვებენ ამ სოფლებს. თითქმის ერთი საათი ვესაუბრებოდით და მშობლებთან ერთად ვარწმუნებდით ერთ ხოსპიოელ ახალგაზრდას, არ წასულიყო საცხოვრებლად სხვა რესპუბლიკის რომელიღაც ქალაქში, დარჩენილიყო თავის რაიონში, მაგრამ ამაოდ.

უფალი წმიდა სახარებაში ბრძანებს - "ეძიებდეთ და ჰპოვეთ, ირეკდეთ და განგეღოთ თქვენ", რასაც უფალ ღმერთს წმიდა რწმენით შევთხოვთ, უთუოდ აგვისრულდება, მაგრამ ჩვენი უბედობა სწორედ ჩვენს ურწმუნოებაშია, ღმერთს სასოებითა და სიწმიდით აღარაფერს ვთხოვთ, მაშასადამე, აღარც სიკეთის მიღების უნარი გვაქვს და თუ უფლისაგან სიკეთეს არ ვიღებთ, გვაქვს ის, რასაც ჩვენ თვალით ვხედავთ - სამცხე-ჯავახეთის დღევანდელი დემოგრაფიული ყოფა.

ეს, უპირველესად ყოვლისა, ითქმის გამრავლებაზე. მუცლის მოშლა და დედის წიაღში ბავშვის მოკვლა უდიდესი ცოდვაა. მინდა ერთი მაგალითი მოგიყვანოთ. მე ვკითხე ერთ მაჰმადიან ინტელიგენტს, ცხრა შვილის მამას და მეათის მომლოდინეს, სურდა თუ არა მის მეუღლეს ამდენი ბავშვი. მან მიპასუხა - ჩემს მეუღლეს ღმერთი სწამს და ბავშვის მოკვლით თავის თავზე ღვთის რისხვას არ დაიტეხს, თავისი ცოდვით ღმერთს არ განარისხებს. საერთოდ, ყველა ჩვენი ქალი ასეთია - ყოველი ბავშვი ღვთისაგან მონიჭებულ ძღვნად მიაჩნია და რასაც ღმერთი აძლევს, სიხარულით იღებსო. ასეთი ღვთის რიდი რომ ჰქონდეს არა მარტო სამცხე-ჯავახეთის, არამედ მთელი საქართველოს დედებს, დემოგრაფიული პრობლემაც აღარ იარსებებდა. უღმერთობამ და ურწმუნოებამ არა მარტო ზნეობრივად შეგვცვალა, ღვთის იმ მოჭარბებული მადლის მიღების უნარიც გამოგვაცალა, რითაც ასე უხვად აჯილდოებს უფალი ყოველ ქართველს.

აი, ახლა ჩვენ საფარის წმიდა ტაძარში ვიმყოფებით, რომელიც ამავე დროს, საუკუნეთა მანძილზე საძვალეც იყო წარჩინებული ქართველი არისტოკრატიისა და საეკლესიო მოღვაწეთა, ამჟამად კი, თქვენც ხედავთ, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში იატაკი ათხრილია, საფლავები ღიაა, ამოყრილი ძვლები აქამდე კუთხეებში იყო მიწყობილი, ახლა საერთოდ აღარ ჩანს; ეს სულ უკანასკნელი წლების "ნაღვაწია". მე გეკითხებით, განა მათი სულები, რომელთა საფლავებიც ასე უდიერად ხელვყავით, ილოცებენ ღვთის წინაშე ჩვენთვის? მაგრამ ღმერთი მოწყალეა, ხოლო დრო ყოველივეს მკურნალი. შევთხოვ ღმერთს, ჩვენს სულსა და გულში ღრმა სარწმუნოებით დაემკვიდროს ქრისტე.

მორწმუნენო, დღეს არის, აგრეთვე, თაყვანისცემა აწყურის ღვთისმშობლის ხატისა. აწყურის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ანუ როგორც მესხეთში იტყვიან, "სასწაულიან" ხატს თაყვანს სცემენ სხვა ქვეყნების ეკლესიებიც. მაგალითად, რუსეთის საპატრიარქოს კალენდარში აღნიშნულია, რომ ეს ხატი არის I საუკუნისა. "ქართლის ცხოვრების" თანახმად, ის მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა ჩამოასვენა იერუსალიმიდან აწყურში, სადაც ამ ხატს უდიდესი ტაძარიც აუგეს. ეს არის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი.

ჩვენში ცნობილია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატიც - ანჩისხატი. ხშირად იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა ხატი იყოს ხელთუქმნელი? დიახ, შეიძლება. თუ ჩვენს წინაპრებს ამის შესახებ გააჩნდათ რწმენა, ჩვენ გვაქვს ცოდნაც. ეკლესიაში დაცულია მრავალი გადმოცემა, თუ როგორ გადადიოდა ქრისტეს ღვთაებრივი სახე ტილოზე, ფიცარზე ან კეცზე (გამომწვარი თიხა). ავადმყოფი მეფე აბგარის მხატვარმა ვერ შეძლო იესოს სახის სრულყოფილად გადატანა ტილოზე, მაშინ უფალმა მიიდო სახეზე ნაჭერი და მასზე აღბეჭდილი გამოსახულება გაუგზავნა მეფეს. ეს იყო იესოს პირველი ხატი.

ანდრია მოციქულმაც ასევე ფიცარზე აღბეჭდილი ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი ჩამოასვენა. როგორც მეცნიერების ერთ ნაწილს მიაჩნია, ტურინის სუდარაზე გადასულია იესო ქრისტეს სხეულის სრული ანაბეჭდი. ამ სუდარაში იყო ის გახვეული გარდამოხსნიდან აღდგომამდე. თუ ყურადღება მიაქციეთ წლევანდელ გაზეთ "ზა რუბეჟომ"-ს, მის ერთ ნომერში აღწერილია ის დაინტერესება, რომელსაც იჩენენ მსოფლიოს მეცნიერები ამ სუდარის მიმართ. მსოფლიოს უმსხვილესმა სამეცნიერო კვლევითმა ცენტრებმა ყველაზე თანამედროვე ხელსაწყოებითა და სხვა საშუალებებით გამოიკვლიეს სუდარა. 50-მდე გამოჩენილმა ამერიკელმა მეცნიერმა, აგრეთვე, ფრანგმა და იტალიელმა სპეციალისტებმა ყოველმხრივი ანალიზით (სპექტრომეტრიულით, რენტგენულით თუ სხვა ხერხებით) დაადგინეს, რომ ტურინის სუდარაზე აღბეჭდილი გამოსახულება არ წარმოადგენს ადამიანის ხელით დახატულს, ეს არის "ხელთუქმნელი ხატი".

აღსანიშნავია, რომ ტურინის სუდარის გამოსახულების ფოტოგრაფია შეიტანეს კოსმოსური კვლევის საგანგებო ხელსაწყოში - ე. წ. "გამოსახულების ანალიზატორში", რომლის უმთავრესი კომპონენტი არის მიკროელექტროგამომთვლელი მანქანა. აქ თვით მეცნიერთა თქმით, მოხდა შეუძლებელი და დაუჯერებელი რამ - მანქანის დისპლეეზე გამოჩნდა ადამიანის სამგანზომილებიანი გამოსახულება, რომელიც იყო ნაგვემი მათრახით და ჯვარცმით. მას გრძელი თმა და წვერი ჰქონდა და თავის მრავალრიცხოვანი ჭრილობებიდან გამომავალი სისხლის ნაკვალევი აჩნდა. აღნიშნულ დისპლეეზე მიღებული გამოსახულების ფოტო გაზეთის ამავე ნომერშია დაბეჭდილი.

სწორედ ტურინის სუდარის მსგავსი ხელთუქმნელი ხატია აწყურის ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც დღეს თაყვანს ვცემთ. აწყურის ხატმა საუკუნეთა მანძილზე სრულიად გაიზიარა მესხეთის ბედი. აწყურის ტაძრიდან ის ორჯერ გაიტაცეს სპარსელებმა, მაგრამ სასწაულით ყოველთვის სამცხეს უბრუნდებოდა, მესხეთის გამაჰმადიანების შემდეგ კი ის გელათში გადაასვენეს.

საუბედუროდ, აწყურის ხატის მრევლი (მესხეთი) ქრისტიანობას განუდგა (მოსახლეობის ერთი ნაწილის გარდა), რომელთა წინაპრებიც თაყვანს სცემდნენ ჭეშმარიტ ღმერთს მოციქულთა დროიდან. ისინი რამდენჯერმე გადაასახლეს კიდეც და ახლა მათ "თურქ-მესხებს" უწოდებენ.

1944 წელს მესხეთიდან გადასახლების დროს კი ისინი თავიანთ თავს "მუსულმანებს" "ბინალებს" ე.ი. ადგილობრივებს უწოდებდნენ.

რუსეთის იმპერიის აღწერის წიგნში, კერძოდ 1870 წელს გამოცემულ "თბილისის გუბერნიის აღწერის მასალების კრებულში მათ ეწოდებათ არა თურქები, არამედ "ქართველი სუნიტები" (ახლანდელი ადიგენის, ახალციხის, ასპინძისა და ახალქალაქის რაიონებში). სწორედ მათ, ქართველ მაჰმადიან სუნიტებს უწოდებენ ახლა "თურქ მესხებს". ეს სახელი მათ მხოლოდ გადასახლების შემდეგ მიიღეს, თუმცა ზოგიერთებს ქართული გვარები შემონახულიც კი აქვთ და ქართულიც იციან. შესაძლებელია, მათი ერთი ნაწილი კვლავ დაუბრუნდეს თავის ქვეყანას. როგორ უნდა შევხვდეთ მათ? წმიდა სახარებაში ნაბრძანებია - "ღმერთი სიყვარულია". მაშასადამე, უსიყვარულობა მხოლოდ უღმერთობის ნიშანია. თუ ჩვენ სიყვარული გვაქვს, თუ ღმერთი გვწამს, ჩვენ უნდა ვიცნოთ ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლი და ხორცი, გზასაცდენილი, ნატანჯი შვილები ქართველი ერისა, თავიანთი თავის შეცნობის უნარიც რომ აღარა აქვთ და თავიანთი სახელიც არ ახსოვთ. ვაპოვნინოთ თავიანთი თავი, დავუბრუნოთ ისინი მშობელ ერს.

მე მინდა დღევანდელ ღვთივკურთხეულ დღეს საფარის წმიდა ტაძარში შევთხოვო უფალს, მოწყალე თვალით გადმოხედოს სრულიად საქართველოს, მესხეთს. შევთხოვ თქვენს სიხარულსა და გამრავლებას, ღმერთმა დაგლოცოთ.

"ჯვარი ვაზისა" N4, 1988

წირვა ვალეს ეკლესიაში

1988 წლის 21 სექტემბერი

ახალციხიდან თორმეტიოდე კილომეტრზე, სოფელ ვალეში, მდინარე ფოცხოვის ნაპირზე დგას პატარა ლამაზი სამნავიანი ბაზილიკა. თავდაპირველად ის გუმბათიანი ტაძარი ყოფილა. ფასადებზე ახლაც შემორჩენილია ძველი, მეათე საუკუნის მდიდრული დეკორი, წმიდა გიორგისა და სხვა ცხენოსანი წმიდანების რელიეფური ქანდაკებები, ქვაში გამოკვეთილია საერო პირთა ფიგურები. ეს ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა. ვალელები აქ დღესასწაულობენ ღვთისმშობლის შობას. 1988 წლის 21 სექტემბერს ღვთისმშობლის შობის სადღესასწაულო წირვის შემდეგ სოფლელებს სიტყვით მიმართა ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსმა ანანია ჯაფარიძემ.

ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ქადაგება ვალეს ეკლესიაში

1988 წლის 21 სექტემბერი

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარად სათაყვანებელია ჩვენთვის. მისი სახელის ხსენებაც კი იმედით აღავსებს ყოველ ჩვენთაგანს. რამეთუ დედა ღვთისა არა მარტო მფარველია ჩვენი ქვეყნისა და დედა ყოველი ქრისტიანისა, იმედი მლოცველისა და მკურნალი სნეულისა, შემწე გაჭირვებულისა და პატრონი ობლისა, არამედ დიდი მაგალითის მიმცემი არის ყოველი ჩვენგანისათვის.

დედა ღვთისამ ამ ქვეყნად იცხოვრა სამაგალითო ცხოვრებით. წმიდა სახარების თანახმად, ის განსაკუთრებული თვისება, განსაკუთრებული მადლი, რომლის გამოც უფალი მიეახლა მას, იყო უმანკოება, ლოცვა და შრომისმოყვარეობა.

კურთხეულია უფლის მიერ შრომისმოყვარეობა.

მშრომელთა ოჯახში ინება შობა ჩვენმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ, თუმცა, ცხადია, მას სხვაგვარადაც შეეძლო. მართალი იოსები დამწინდველი ქალწულ მარიამისა - მშრომელი კაცი იყო, ხოლო დედა ღვთისა თავისი სიყმაწვილიდანვე გასაოცარი სიბეჯითით და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა.

პატიოსანმა და მართალმა იოაკიმემ და ანამ თავიანთი პატარა შვილი - მარიამი ღმერთს შესწირეს და ოთხი წლისა ეკლესიას მიაბარეს. აქ მას ლოცვასა და უბიწოებასთან ერთად შეაყვარეს შრომა და გარჯა, ხელსაქმე, ქსოვა, ქარგვა...

იმ დროს ყოველდღიური შრომა ძალზე მძიმე იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, კვირაში ექვს დღეს თავდადებით შრომობდნენ, ერთ დღეს უქმობდნენ, გულით ლოცულობდნენ და ზომიერ გართობა-თამაშობასაც არ ივიწყებდნენ. ხელსაქმე და დაუზარელი შრომა ქალწულ მარიამს დაწინდვის შემდეგაც უყვარდა. ძველი მხატვრები ანგელოზის მიერ ხარების დროს ღვთისმშობელს ხელსაქმით ხელში ხატავდნენ. ყოვლადწმიდას მიბაძვით თვით თამარ მეფეც ხელსაქმესა და შრომას არ უკადრისობდა, თუმცა მისი სახელმწიფოს ხაზინა უმდიდრესი იყო. ეს წმიდა მეფე უხვად გასცემდა მოწყალებას, პირად შემწეობას არ აკლებდა გაჭირვებულსა და ქვრივ-ობოლს, მაგრამ მათ აძლევდა არა სახელმწიფო ხაზინიდან, არამედ თავისი ხელსაქმის გაყიდვით მიღებულ თანხას გასცემდა. თავის მხრივ სახელმწიფოც თავისი შემოსავლის მეათედს დახმარებისათვის გასცემდა. მეფე თამარი ეკლესიისთვისაც არ იშურებდა მადლიან შრომას - მღვდლებს თავისი ხელით უკერავდა წირვის შესამოსელს - "ქართლის ცხოვრების" თანახმად ის ამით შრომისმოყვარეობისა და გარჯის საჭიროების მაგალითს აძლევდა თავის ხალხს.

გამრჯელი იყო ჩვენი ხალხი, დაუზარელი, მშრომელი, ამის უტყუარი მაგალითია უთვალავი ციხე-ტაძარი გადაშლილი ძველ საქართველოში. ამის მაგალითი ერთი ქართული ხალხური ნოველაც არის, რომელსაც ჰქვია - "მეფობა ხელობა არ არის" ...ერთ ახალგაზრდა მეფეს უბრალო ოჯახის შვილი შეუყვარდა, მაგრამ გოგონამ იუკადრისა. როცა მიზეზი ჰკითხეს, თქვა - მართალია ის მეფეა, მაგრამ მეფობა ხელობა არ არის, მან არც ერთი ხელობა არ იცისო. მეფემ გოგონას სიყვარულით ხალიჩების ქსოვა ისწავლა. ამ ხელობამ ის შემდეგ სიკვდილს გადაარჩინა. გონიერი გოგონა კი დედოფალი გახდა.

"ხელობას" ჩვენი ხალხი ეძახდა იმას, რასაც ამჟამად "სპეციალობას" ვუწოდებთ. ჩვენს ერში ხელობის მცოდნე კაცს დაფასება ჰქონია. ყველა წოდების ადამიანი რაიმე ხელობას ფლობდა. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ მეფობაც კი ხელობად არ ითვლებოდა, მითუმეტეს, არც უმაღლესი განათლების დიპლომის ქონება ჩაითვლებოდა ძველ დროს ხელობად. ამასთან დაკავშირებით მინდა ჩემი დაკვირვების შესახებ მოგახსენოთ:

ახალციხეში, რაბათში, ჩვენს ეკლესიასთან ბევრი სომეხი და ბერძენი ცხოვრობს. ყოველი ადამიანი, რა ეროვნებისაც უნდა იყოს ის, ღვთისაგან დაბადებულია, ღვთის შვილია, სასიყვარულო და დასაფასებელი. ჩვენი ხალხი ყოველთვის პატივს სცემდა სხვა ერის ადამიანებს, მათგან კარგ მაგალითსაც გადმოიღებდა ხოლმე. ახლაც უნდა გადმოვიღოთ მათგან კარგი მაგალითი. მე დიდად ვაფასებ მათ შრომისმოყვარეობას, თქვენც მათ შრომისმოყვარეთ უწოდებთ. ხელობის ანუ "სპეციალობის" შეძენის მხრივ თუ შევადარებთ ჩვენს და მათ ახალგაზრდებს, ძალზე დიდ სხვაობას დავინახავთ. ხშირად ვხედავ, ჩვენი ქალ-ვაჟი 18-25 წლისანი "დიპლომატებით" და საქაღალდეებით დადიან ქუჩაში - "ემზადებიან" უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. მათი 14-18 წლის ყმაწვილები კი უთუოდ რაიმე ხელობას სწავლობენ, არ ეთაკილებათ, არ ეზარებათ შრომა და გარჯა, პირიქით, ხელობის ცოდნა სასახელო და სახელოვან საქმედ მიაჩნიათ. 14-17 წლის ასაკში ეუფლებიან და უკვე იციან ასაკის შესაბამისად ლესვა, შენება, დურგლობა და სხვა.

სამუშაოდ მიწვევა და “საქმის აღება” სიამოვნებთ, ესახელებათ, ამიტომაცაა, რომ უკვე 17-18 წლის ასაკში მათი ვაჟები ეკონომიკურად დამოუკიდებელი პიროვნებები არიან. დაგროვილი აქვთ მცირეოდენი თანხა, უკვე აქვთ სამსახური - ხელოსნები არიან. ამ ასაკშივე ირთავენ ქალებს და ...თავისივე ხელით იწყებენ საკუთარი სახლის შენებას, რამდენიმე წელში ამთავრებენ კიდეც თავიანთი ტოლი ყმაწვილების - ხელოსნების დახმარებით. ამიტომაცაა, რომ, ახალგაზრდობაშივე გახარებულნი, ხალისიანნი, მხნენი, ენერგიულნი, საქმიანნი, თავის თავში დაჯერებულნი არიან. ჩვენი თვალით ვხედავთ, აქვთ კიდეც მშვენიერი სახლები, ახალგაზრდობაშივე ჰყავთ არა ერთი და ორი, არამედ ოთხი-ხუთი კარგად ჩაცმულ-დახურული ბავშვი. ამაში მესხეთის ყველა მკვიდრი დამეთანხმება. იმაშიც დამეთანხმებით, რომ არც წვეულებანი და სმა-ჭამა იციან უზომო და ხალხმრავალი.

დიახ, სწავლა-განათლების მოყვარეა ჩვენი ხალხი, მაგრამ წინათ მას სწავლასთან ერთად შრომაც დიდად ჰყვარებია. ქართველი ერის მიერ მსოფლიო საგანძურში მიტანილი საკაცობრიო მნიშვნელობის უთვალავი ღირებულება მხოლოდ შრომითაა შექმნილი. განა ახლაც ყოველგვარი ღირებულების შექმნა მხოლოდ შრომით და გარჯით არ ხდება? განა უშრომელად რაიმეს მივიღებთ? განა მხოლოდ შრომა და მხოლოდ გარჯა არ დაგვაყენებს სწორ გზაზე - ჯანმრთელობისა, სიმდიდრისა და გამრავლებისაკენ? განა დანაშაულს არ სჩადის ის კაცი, რომელსაც შეუძლია მუშაობა და კი არ მუშაობს, არამედ დიპლომის საძიებლად საქართველოდანაც კი მიემგზავრება? განა ხარბად არ უნდა ჩაითვალოს კაცი, რომელიც დიპლომის წყალობით ცდილობს სხვისი შრომის მითვისებას?

მადლობა ღმერთს, ეს ყველაზე არ ითქმის. ჩვენი ახალგაზრდები ძირითადად შრომისმოყვარენი არიან, მაგრამ, ალბათ, სწორად არ არის მიმართული მათი უსაზღვრო ენერგია. სწავლის წყურვილი და ცოდნის მიღების სურვილი დიდად დასაფასებელია, მაგრამ რაღაც სხვაა საჭირო, სხვა. ეს “სხვა” დიდმა ილია მართალმა ადრევე განსაზღვრა და თქვა - ”ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო რა - შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს” (“რა გითხრათ, რით გაგახაროთ”).

მაშასადამე, გვესაჭიროება არა მარტო აკადემიური ცოდნა, არამედ შრომა, გარჯა, ცოდნა და ხერხი ერთად.

სწავლა მხოლოდ დიპლომისათვის - უსარგებლო შრომაა.

ჩვენებური გამრჯე კაცი სიამაყით იტყვის ხოლმე-”მე შრომის ფასი ვიცი”. მისთვის შრომა სასახელო და სასიამოვნო საქმიანობაა და არა უსიამოვნო იძულება. შრომას სიყრმიდანვე უნდა შეეჩვიოს ბავშვი. ძველად 7-8 წლის ყმაწვილებს პატარა თოხს გაუკეთებდნენ და მუშაობის დროს გვერდში ამოიყენებდნენ. პატარა ხელურემს გაუკეთებდნენ, პატარა ნამგალს მისცემდნენ, ბავშვს შრომა ეხერხებოდა, არ ეზარებოდა, სიამოვნებდა, არ ეთაკილებოდა. ამით იგი შრომას ეჩვეოდა. ხელით შრომა, მითუმეტეს, ხელოსნობა ჩვენში სათაკილო არასოდეს არ ყოფილა, პირიქით, სათაკილო ის იყო, თუ კაცს შრომა არ ეხერხებოდა და ხელობა არ იცოდა. დიდი ილია ამბობს - ”შრომა პატიოსანია, თავმოსაწონია, შრომა ნამუსიანია, თავგამოსაჩენი, შრომა ვაჟკაცობაა”.

“ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო”.

აი, ეს მინდოდა მეთქვა თქვენთვის შრომისა და ხელოსნობის შესახებ. ჩვენი მესხეთი - არა დიდი ქალაქების, არამედ პატარა სოფლების მხარეა. თქვენი სოფელი ვალეც ასეთია. სოფელს მშრომელი, გამრჯე ხელოსნები სჭირდება და არა ქვეყნის დასალიერში დიპლომისათვის წასული ახალგაზრდები.

მე მინდა გაკურთხოთ: - გაუფრთხილდით ბავშვებს. მათ მაგალითსა და შრომას ნუ მოაკლებთ. წმიდა მოციქულ პეტრეს გამონათქვამი საქვეყნოდაა ცნობილი - ”ვინც არ მუშაობს ნუ ჭამს”. მან ისიც თქვა - ”გააკეთე შენი საქმე საკუთარი ხელებით”. ჩვენს საქმეს ჩვენს ნაცვლად არავინ არ გააკეთებს.

მე მინდა მოგახსენოთ საეკლესიო ენის შესახებაც. ვალეში, უდესა და არალში, საერთოდ, სამხრეთ საქართველოში, ძალზე მწვავედ იდგა საეკლესიო ენის საკითხი ბოლო საუკუნეთა მანძილზე. ეს საკითხი ამ კუთხის ზოგიერთ მორწმუნეს ახლაც მნიშვნელოვნად მიაჩნია. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამ კუთხეში ბატონობის დროს თურქებმა ქრისტიანული ეკლესიებიდან განდევნეს მხოლოდ ქართული ენა და ქართველი ქრისტიანებისათვის სომხურ-ლათინური ტიპიკონის დაწესებას ხელი არ შეუშალეს, მაგრამ ეს იყო არა ნება და სურვილი ქრისტიანთა უმაღლესი ხელისუფლებისა, როგორადაც მიაჩნია ზოგიერთს, არამედ მხოლოდ მაჰმადიანური ქვეყნის ქმედება, გამიზნული ამ მხარის მოსახლეობის გათიშვისათვის.

უნდა ითქვას ჭეშმარიტება საეკლესიო ენის შესახებ საქართველოში, სადაც უძველესი დროიდანვე წირვა-ლოცვის აღსრულება ნებადართული იყო მხოლოდ ძველქართულ ენაზე. ძველქართული ენა მთლიანი, სრულიად საქართველოში ერთადერთი საეკლესიო ენა იყო, მიუხედავად იმისა, რომ აქ არაქართველი ქრისტიანებიც ცხოვრობდნენ. მსგავსადვე იყო სხვაგანაც - ევროპაში დიდხანს ერთადერთი საეკლესიო ენა იყო ლათინური ენა, მიუხედავად მისი მრავალეროვნულობისა, ასევე მრავალეროვნულ აღმოსავლეთ ევროპაში ერთადერთი საეკლესიო ენა იყო და არის სლავური ენა. ყოველივე ამას აქვს თეოლოგიური საფუძველი, მაგალითად, ძველქართული საეკლესიო ენა აერთიანებდა და მომავალშიც უნდა გააერთიანოს სრულიად საქართველოში მცხოვრები ქრისტიანები ერთ სამწყსოდ, ერთ ეკლესიად. ეკლესია ეს არის ცოცხალ მორწმუნეთა ერთობა, მაგრამ არ იარსებებს არავითარი ერთობა ერთი ენის გარეშე. საქართველოს ქრისტიანებისათვის ასეთი ენა იყო ძველქართული ენა. მუდამ, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოს ყოველი კუთხის ეკლესიაში, სადაც უნდა ყოფილიყო ის, მთაში თუ ბარში, მოქვსა და დრანდაში, ლარგვისსა თუ იკორთაში, თბილისსა თუ ქუთაისში, ბიჭვინთასა თუ აწყურში, ცხინვალსა თუ ჯავაში და ცხადია, აქაც, ვალეშიც, ერთდაერთი საეკლესიო ენა იყო ძველქართული ენა. მერვე საუკუნეში, 720 წელს დაარსდა თანახმად "ქართლის ცხოვრებისა" აფხაზეთის საკათალიკოსო. ამ დროიდან რვაასი წლის მანძილზე - მეჩვიდმეტე საუკუნემდე აფხაზეთის კათალიკოსი ბიჭვინთაში იჯდა. მთელი ამ ხნის მანძილზე, ისე როგორც შემდეგ საუკუნეებში, ამ საკათალიკოსოში ერთადერთი საეკლესიო ენა იყო მხოლოდ და მხოლოდ ძველქართული ენა. ეს არის ისტორიული ჭეშმარიტება. ასევე იყო, ცხადია, მესხეთშიც თურქების შემოსვლამდე, ასევე იყო ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში. თუმცა ისიცაა აღსანიშნავი, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ეგზარხოსობის დროს ზოგიერთი ქალაქის ეკლესიაში ქართულთან ერთად სლავურიც დაწესდა, ამიტომაც ოციან წლებში ეკლესიების მასობრივი დახურვის დროს დაიხურა ამ ენებზე დაწერილი საეკლესიო წიგნები. არც ერთ სხვა ენაზე, ამათ გარდა, ჩვენს ეკლესიაში წირვა-ლოცვა არც არსებულა და არც გაგონილა.

ქართული ენა ღვთისმშობლის ენაა, საღვთო ენაა. დღეს ღვთისმშობლის დღესასწაულია და ამიტომაც უნდა გავიხსენოთ ეს.

აი, რას გვიამბობს წმიდა ექვთიმე მთაწმინდელის მამა წმიდა იოანე მთაწმინდელი: "ათონზე ჩემი შვილი - ყრმა ექვთიმე შეიპყრო მძაფრმა სენმა - სასიკვდილოდ დაავადდა - "სიკვდილს მიეახლა", მეგონა სული ამოხდებოდა, ვინაიდან აღარც სიტყვის თქმა შეეძლო და აღარც ხმის ამოღება, დავკარგე სასოება მისი სიცოცხლისა, ასე შეშფოთებული წავედი ღვთისმშობლის ტაძარში, დავვარდი წმიდა დედოფლის ხატის წინ და მხურვალე ცრემლით ვევედრებოდი უხრწნელ მარადის ქალწულ ღვთისმშობელს, რათა შეწეოდა და ეშველა. ვამცნე მღვდელს სწრაფად ამოსულიყო და ეზიარებინა. სწრაფადვე გავეშურე ექვთიმეს სახილველად თუ რა დაემართა, გავაღე სენაკის კარი სადაც ის მწოლიარე დავტოვე. და უცებ ვიყნოსე სუნი სურნელებისა საკვირველი, რამეთუ იქმნა მოხედვა წმიდა ღვთისმშობლისა. და ვიხილე ექვთიმე მისი მადლით აღდგომილიყო და იჯდა საწოლზე ყოველმხრივ ჯანმრთელი და უვნებელი. შეკრთა ჩემი გონება და ვკითხე მას - "რა არის ეს, შვილო?" მიპასუხა: - "ახლახან წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მითხრა ქართული ენით - რა არის, რა გტკივა ექვთიმე?" - ხოლო მე ვუთხარ -

”მოვკვდები დედოფალო”, და ეს რომ ვთქვი, მომიახლოვდა, მომკიდა ხელი და მითხრა - ”აღარავითარი ვნება შენთან აღარ იქნება, ადექი, ნუ გეშინია და ქართულად უნაკლოდ ილაპარაკე!” - და აჰა, როგორც მხედავ სრულებით არაფერი მტკივა”. და ამბობდა ხოლმე ნეტარი იოვანე, რომ - ამ ჟამამდე ექვთიმე ძნელად საუბრობდა ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავი ამის გამო, ხოლო მის შემდეგ შეუწყვეტლივ, როგორც წყარო ამოდის მისი პირიდან ქართული სიტყვა, ყველა ქართველზე უფრო წმიდად”.

“ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი” გვამცნობს რომ ყოველი “სიყვარული საიდუმლო“ ამ ენაშია შენახული (დამარხული). ქართული ენის ერთ-ერთი საღვთო საიდუმლო ალბათ ის არის, რომ ძველად შეძლო და კვლავ უნდა შეძლოს საქართველოს ქრისტიანთა გაერთიანება, ერთ მრევლად შეკვრა, ერთიან ეკლესიად ქცევა.

გიორგი მერჩულე, მკვიდრი მესხეთის, ბრძანებს - ”ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების”, მაშასადამე, ქართლს ვეღარ ვუწოდებთ ქართლს, თუ მის ყოველ კუთხეში წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე არ შევასრულებთ. ქართლი კი სრულიად საქართველოს ეწოდებოდა ძველ ქართულ ენაზე, იმ ენაზე, რომელსაც “სახარებასა შინა ლაზარე ჰქვია”, და “ესე ენაი, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული - მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა” - ნაბრძანებია “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაიში”.

პატიოსანო მორწმუნენო, დღევანდელ დღეს მინდა შევთხოვო უფალ ღმერთს, ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს კურთხევა და გამრავლება მესხი ქართველებისა. სიცოცხლე და მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი თქვენ ყოველთა თანა.

ამინ.

თავი მეორე

1990-იანი წლები

ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

ჩვენგან გავაუცხოოთ ჩვენი სისხლი და ხორცი?

ჩვენს უფალსა და მაცხოვარს იესო ქრისტეს წმიდა სახარებაში ნაბრძანები აქვს იგავი კეთილი მწყემსის შესახებ, რომელსაც თავისი ასი ცხვრიდან ერთი დაეკარგა. მწყემსმა მიატოვა მინდორზე 99 ცხვარი და წავიდა ერთადერთი ცხვრის საძებნელად. როცა იპოვა, გაიხარა და შეუერთა მიტოვებულთ. ეს იგავი ჩვენ დღევანდელ ყოფასაც შეეხება. მე ვგულისხმობ იმ დამოკიდებულებას, რომელიც შეიქმნა ქართველთა და ოსთა შორის.

პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, განა დღემდე ჩვენი საყვარელი საქართველოს ქართული თუ ოსური ნაწილი ჩვენს საეკლესიო სამწყსოში არ შემოდიოდა და შემოდის დღესაც? მაშ, როგორ უნდა მოიქცეს კეთილი მწყემსი, როცა სამწყსოს ერთი ნაწილი დანარჩენისაგან ჩამორჩენას აპირებს, მიატოვოს ეს და სხვა ცხვარნი წინ გაირეკოს? სად უნდა იყოს კეთილი მწყემსი ამ დროს?

მცნება, სიყვარული ქრისტესი, გვავალებს სიყვარულით, პატივისცემით და გაგებით მოვეკიდოთ ჩვენში მცხოვრებ ოსებს. მწყემსმა კეთილმა ისინი თავის სამწყსოს უნდა დაუბრუნოს, მთელი თავისი ყურადღება იმ ერთადერთს, სამწყსოდან ჩამორჩენილს უნდა მიაპყროს. ამიტომაც უნდა ითქვას - ოსები საქართველოს შვილები არიან. უფრო მეტიც, ისინი არა ფორმალურად შემოდიან ჩვენი ეკლესიის სამწყსოში, არამედ რეალურად. საერთოდ, საქართველოს ეკლესიაში შემოდიან არა მარტო ქართველები, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ქრისტიანი - რუსები იქნებიან თუ უკრაინელები. ოსი ქრისტიანები ჩვენი სამწყსოს ნაწილია. და ახლა, ამ გასაჭირის დროს, ჩვენ მათთან ვართ ჩვენ მათ გვერდში ვიქნებით, არ დავანებებთ მგელს ანუ საქართველოს მტერს, წაგვართვას ნაწილი ჩვენი სამწყსოსი, სადაც ყველა დაცული და კურთხეული უნდა იყოს.

მე მხედველობაში მაქვს, პირველ რიგში, ჩვენი ეპარქია, რომელშიც შედის ბორჯომის რაიონი. აქ მრავალი ოსი ცხოვრობს, კეთილი ქრისტიანები, კეთილმორწმუნენი. ჩვენ ყოველთვის დავიცავთ ამ ქრისტიანების ინტერესებს.

და თქვენ, ჩვენო საყვარელო საქართველოს შვილებო - ოსებო, იყავით გულდინჯნი და გულმშვიდნი, ერთი წუთითაც არ დაეჭვდეთ თქვენს მიმართ ქართველების ძმობასა და მეგობრობაში. განა დღემდე საუკუნეთა მანძილზე ჩვენ ერთობა, სიყვარული, ძმობა, ნათელმირონობა, ნათლიმამობა არ გვქონდა და გვაქვს ერთმანეთში, განა ცოტაა ჩვენი ერთ ოჯახში, ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ქართველები და ოსები? ჩვენ ხომ არა მარტო სულიერი ერთობა გვაკავშირებს, არამედ ერთ სისხლად და ხორცად ვართ ქცეულნი. განა ასე არ იყო საუკუნეთა მანძილზე? ახლა ყველამ ერთად ვეცადოთ, ცხვარი მგლად არ იქცეს, როგორც ეს ალან ჩოჩიევს სურს.

მე წავიკითხე ოსი მოქალაქის წერილი რესპუბლიკურ გაზეთში, სადაც ის ჩოჩიევს პირად მტერს უწოდებს და ეს ასეა მართლაც, ამ კაცს და მის ჯგუფს თავის ხალხის დაღუპვა სურს. ჩვენ ჩვენს სამწყსოს მარად დავიცავთ, როგორც ჩოჩიევების მსგავსთაგან, ისე იმ ქართველთაგანაც, რომლებმაც არ იციან მტრობის გაღვივებით რას უმზადებენ ქართველ ხალხს.

ქართველო ქრისტიანო, შენ უზარმაზარი პოლიტიკური კულტურის მემკვიდრე ხარ, როგორ ფიქრობ, ასეთი მიდგომა რომ ჰქონოდა ჩვენს ერს სხვა ეროვნების შვილებთან, ჩვენი სახელმწიფო იარსებებდა ორიათას ექვსასი წელი? ჩვენ მუდამ გვქონდა ჩვენი სახელმწიფო, მაგრამ ჩვენს წინაპრებს, ყველაფერთან ერთად, ქრისტიანული სიყვარული და პოლიტიკური მოთმინება ჰქონდათ. სიყვარული და არა ამპარტავნული თავის აღერება, მოთმინება და არა მოუთმენლობა.

“იყვარებოდეთ ურთიერთას” - გვასწავლის უფალი, “შეიყვარე მოყვასი შენი - ვითარცა თავი შენი” - ”იყავით სრული, ვითარცა მამა ღმერთი” - იმეორებს დიდი ილია მართალი. ნუ გავხდით ცილისწამებას პოლიტიკურ იარაღად, ცილისწამება სიმდაბლეა, ცილისწამება იგმობა უფლის იმ ათ მცნებაში, რომელიც მოსე წინასწარმეტყველს მისცა თვით ღმერთმა: - ”არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა”.

როგორც გაირკვა, ქართველების ერთ ნაწილს არაქართველებად მიიჩნევენ მათი “ოსური” გვარების გამო. ასეთი მიგომა არასწორია და მცდარი. არსებობს მეცნიერული ნაშრომები, ძველი საბუთები, საიდანაც ნათლად მტკიცდება, რომ ამ გვარების ნაწილი ქართული წარმოშობისაა.

მე აქ შევეხები მხოლოდ რამდენიმე გვარს, ჩვენს რაიონში გავრცელებულთ, მაგალითად, თედიაშვილების გვარი საერთოდ ბორჯომული წარმოშობისაა. დიდი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც ასევე ცნობილი გეოგრაფი იყო, XVIII საუკუნის დასაწყისში, დღევანდელი ბორჯომის რაიონში ასახელებს “თედიანთ - უბანს” ანუ თედიაშვილების სოფელს. ეს ის დროა, როცა, იმავე ვახუშტის გადმოცემით, ჩრდილო კავკასიიდან ქართლის მიდამოებში თანდათან ესახლებიან ოს - დვალები (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 634 - 650). ვახუშტი ასახელებს ყოველ ხევს, ყოველ ადგილს, სადაც კი ოს - დვალები სახლობენ ამ დროს. მათი დასახლების არეალი საქართველოში იმ დროს მხოლოდ ქართლის მთიანეთს მოიცავდა და არავითარი ოსური მოსახლეობა ან ოსური გვარი დღევანდელ ბორჯომის რაიონში ვახუშტის დროს არ ცხოვრობდა. მაგრამ იქ, როგორც აღვნიშნეთ, თედიაშვილების სოფელი იყო. თედიანთ - უბანი, ს. მაკალათიას მიხედვით წაღვერთან მდებარებოდა (ბორჯომის ხეობა, 1957, გვ. 26). თედიაშვილები იმ დროს იყვნენ ავალიშვილების ყმები. ცნობილია, რომ ვახუშტის შემდეგ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ავალიშვილები თავიანთი ყმებით ბორჯომის ხეობიდან გადასახლდნენ შიდა ქართლში. ცხადია, მათ შორის იყვნენ, თედიაშვილებიც. აქ ისინი მეცხრამეტე საუკუნეში მოექცნენ ოსურ გარემოში და ამ გვარის ზოგიერთი წევრი გაოსდა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ავალიშვილები კვლავ დაბრუნდნენ ბორჯომის ხეობაში, მათ შორის იყვნენ თედიაშვილებიც.

ქართველების გაოსების შესახებ ჩვენ გვაქვს მეცნიერ ეთნოგრაფთა უამრავი მონაცემები. გ. ჯიბლაძე წერს: “თუ ქართველთა და გაქართველებულ დვალთა გაოსება წინა საუკუნეში მხოლოდ მაღალმთიან ხეობას მოიცავდა, მეოცე საუკუნეში პროცესმა გადმოინაცვლა დაბალმთიანი გარდამავალი ზოლისაკენ” (ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, კრებული შიდა ქართლი, 1987, გვ. 17-18), ხოლო რაც შეეხება ქართველთა გაოსებას მაღალ მთიანეთში, ამის შესახებ წერდა მეთვრამეტე საუკუნის დიდი გერმანელი მეცნიერი გიულდენშტედტიც. ეს მეცნიერი გერმანიიდან კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მოგზაურობდა. ის წერს “კავკასიელ მთიელთა შორის, განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში, არის ბევრი ქართველი, რომელთაც რელიგიასთან ერთად ენაც დაივიწყეს” (გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I. გვ. 185). მისი დაკვირვებით, ქართლის მთიანეთში ოსთა შორის მცხოვრები ქართველები კარგავდნენ ქართულ ენასა და სარწმუნოებას, რის გამოც ისინი ოსდებოდნენ.

ვახუშტის დროს ქართლის მთიანეთში ოს - დვალები არცთუ დიდი ხნის შემოსულები იყვნენ. ამიტომაც მაღრან-დვალეთში (საქართველოში ოსთა განსახლების ძირითად ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა დღევანდელი ჯავის რაიონის ერთ ნაწილს), ოსებთან ერთად ჯერ კიდევ ცხოვრობდა ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა (იხ. დასახ. ნაშრ. ტ. I, გვ. 101; ტ. II, გვ. 91). სწორედ ისინი განიცდიდნენ იმ დროს გაოსებას და ეს პროცესი შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნეში გავრცელდა ქართლის ბარში, მთიელების ბარში ხიზნებად ჩამოსახლებასთან ერთად.

ამ პროცესს თვით ხალხი უკვირდებოდა და აფიქსირებდა თავის მახსოვრობაში. აი, რას წერს მეცნიერი: “საინტერესოა ეთნოგრაფიული მასალა ოდიშვილების შესახებ. ძირ-გვარი ყოფილა ცეცხლაძე. თავიდან მეჯუდის ხეობის სოფელ სარდისში უცხოვრიათ. მანდ ყოფილან სამნი ძმანი ცეცხლაძეები (აღსანიშნავია, რომ ცეცხლაძეები 1744 წლის აღწერის თანახმად, ჭურთის ხევის

მკვიდრნი არიან, იხ. ჯავახიშვილი, გვ. 184). ერთს ერქვა ბედო, მეორეს - მელა, მესამეს - ოდი. ესენი ჩამოსულან და დაუკარგავთ ნამდვილი გვარი ცეცხლაძე და გადაკეთებულან სამ გვარად - ოდიშვილად, ბედოშვილად და მელაძედ. მელაძის წინაპარი დასახლდა ჭურთაში, ოდიშვილისა - ზოდეხში, ბედოშვილისა - საფარშეთში. მელაძეები და ბედოშვილები გაოსდნენ. ხევშიც არიან ოდიშვილები, პაპაჩემის გადმოცემით ისინი გოდეხში მიდიოდნენ სალოცავად" (რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის ზოგიერთი ეთნო - ისტორიული საკითხები, მაცნე, ისტორიის სერია, 1987, N4, გვ. 35).

არის სხვა საგვარეულო დაკვირვებაც ხარხელების, ჯაბაურების და ფსუტურების გაოსების შესახებ - "ჩვენი მოგვარენი ყოფილან აგრეთვე ქოლოთში მოსახლე ხარხელები და ფსუტურები, ზოგი ნახიდში ცხოვრობენ. ნახიდში ბევრი გაოსდა და ფსუტურები თვითონ უფრო ოსურად ლაპარაკობდნენ" (იქვე, გვ. 39). ასევე არის ბიტიევების შესახებაც. "ძელყორაშვილების ძირგვარი გუთნიაშვილი ყოფილა, ძელყორაშვილების გვარს კი შედარებით გვიან (XIX საუკუნის პირველ ნახევარში) გამოყოფიან ბეკარაშვილები და ბიტიაშვილების გვარი" (იქვე, გვ. 39). ბიტიაშვილები ანუ ბიტიაანთ რუსული ადმინისტრაციის გავლენით XIX საუკუნეში თავიანთ გვარს უმატებენ გვარწარმომქმნელ რუსულ სუფიქსს "ევ" და ბიტიაშვილების ნაცვლად ფორმდება გვარი ბიტიევი.

დასახელებულ ნაშრომში აღწერილია, აგრეთვე, მსგავსი პროცესები - მაგალითად, თუ როგორ შევიდა ილურიძეების ოჯახში ოსური ენა და წეს-ჩვეულებები; ისინი ოსურ გარემოში, ერთ-ერთი მთის ხეობაში ცხოვრობდნენ: "ცნობილია, რომ ქალი იშვიათად თხოვდებოდა ბარიდან მთაში, ძირითადად პირიქით მოვლენას აქვს ხოლმე ადგილი. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ილურიძეებიც: მათ ქვემოდან მოსახლე ქართველთაგან ზემოთ არავინ თხოვდებოდა. ილურიძეების ზემოთ კი ოსები მკვიდრობდნენ. XIX საუკუნეში ილურიძეებმა მასობრივად დაიწყეს ოსის ქალებთან დაქორწინება. ქალებმა კი, რომლებიც ილურიძეთა ოჯახების დედები და რძლები გახდნენ, გვარში შემოიტანეს ოსური ენა, ყოფა და რიგი წეს-ჩვეულებები. ილურიძეები დღეს ფაქტიურად ორენოვანნი არიან. XVIII საუკუნის აღწერის მასალებით ილურიძეების ქართველობა არავითარ ეჭვს არ იწვევს" (იქვე, გვ. 35). ასევე ითქმის გვარ ელოევის შესახებ. გ. ჩიქოვანის მიერ ჩაწერილი მასალით, ქარჩოხში ხევიდან მოსულან გიგაურები, რომელთა მემკვიდრენი არიან ქსნის ხეველი პავლიაშვილები. "პავლიაშვილების განაყრებად ითვლებიან ელოშვილები. ახალი გვარ-სახელის გამოყოფა შედარებით გვიან, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარა. ამ გვარისათვის საფუძველი დიდი ოჯახის უფროსს ელო პავლიაშვილს მიუცია. 1774 წლის აღწერის დავთარში ასეთი პიროვნება მართლაც გვხვდება" (იქვე, გვ. 32). ასევე ითქმის სიუკაევების შესახებაც, "1774 წ. სოფ. უკანა მხარში, ძირითადად მკვიდრობენ შიუკაშვილები, ოღაძეები, 1873 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, აქ ჩანან მანჯიკაშვილები, ეთნოგრაფიული მასალით ოღაძეთა გვარიდან არიან გამოსული პაპიაშვილები" (იქვე, გვ. 33). ჯიკაევების (მანჯიკაევი) და პაპიაევების მსგავსად, ქოქოშვილების ანუ ქოქოევების განაყოფი ყოფილან კაჭიაურები. "გავაზში მკვიდრობენ კაჭიაურებიც. მათი ძირი გვარი ქოქოშვილი ყოფილა" (იქვე, გვ. 36). "ჭოჭალების (ჩოჩელები) ძირი გვარია ქარუმიძე" (იქვე, გვ. 37). მთის გვარ ჩოჩელებისაგან ნაწარმოებია გვარი ჩოჩიშვილებისა.

ქართველთა გაოსებით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო გასულ საუკუნეში ცარისტული ადმინისტრაცია. მეფის ჩინოვნიკები აღწერის მასალებში განგებ იქცეოდნენ შემდეგნაირად: მიუხედავად იმისა, რომ 1886 წლის საოჯახო სიების აღწერის მასალებში თრუსოს ხეობის სოფელ ოქროყანაში, აღწერის თანახმად, მკვიდრობდნენ ეროვნებით ქართველები, აღმწერმა ისინი რუსული სუფიქსით "ევ" ჩაწერა: გუდიევები, ბიბილოვები, არჯინოვები, ბიდაგოვები, ზაგალოვები, კაკაევები (რ. თოფჩიშვილი, XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მასალები, მნათობი, 1987, N12, გვ. 160-161). მიუხედავად იმისა, რომ სოფ. თოლგოთის მკვიდრი ფიტაროვების და თაყაევების საოჯახო ენა ქართული იყო. აღმწერმა ისინი ოსებად ჩაწერა. არსებობს ძველი ქართული მასალები, საიდანაც ჩანს, რომ ის გვარები, რომლებიც დღეს ოსურად მიიჩნევა, ძველად ნამდვილად ქართულს წარმოადგენდა. მაგალითად, ხარებაშვილების ანუ

დღევანდელი ხარებოვების წინაპრებს ქართული სამართლის ძეგლები ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში მოიხსენიებენ როგორც მღვდლებს. ცნობილია, რომ ოსები იმ დროს არა თუ მღვდლებად, არამედ ქრისტიანებადაც კი ნაკლებად მიიჩნეოდნენ, მათ გაქრისტიანებას ჩრდილო კავკასიაში, ანუ ოსთა განსახლების ძირითად ტერიტორიაზე ეწეოდა რუსული ხელისუფლება. ამიტომაც, შუაგულ საქართველოში, რუისსა და შინდისში ოსი მღვდლად ვერ გამწესდებოდა. ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტიდან ჩანს, აღნიშნული მღვდელი ოსი რომ ყოფილიყო, ამის შესახებ უთუოდ მიუთითებდა მისი მომჩივანი ეპისკოპოსი. 1793 წლის 16 თებერვალს რუისელი ეპისკოპოსი ჩივის ვახტანგ ბატონიშვილთან იმის შესახებ, რომ "ხარებაშვილს გიორგი მღვდელს აბისი სოფელი მივაბარე სანახევროდ, რაც ეშოვა შუაზე უნდა გაეყო" (ქართ. სამართ. ძეგლები, ტ. VIII, გვ. 196), მაგრამ იმ მღვდელ ხარებაშვილს არ გაუყვია და შინდისში გადასულა. ასევე ითქმის მარგიშვილების, ახლანდელი მარგიევების შესახებ. ისინი კიდევ უფრო ადრე, XVIII საუკუნიდან მოიხსენებიან წერილობით საბუთებში (იქვე, ტ. VII, გვ. 690 - 691). მარგიშვილების ერთ შტოს ჯავახეთთანაც აქვს კავშირი. ისინი თუმანიშვილების ყმები ყოფილან (ტ. VIII, გვ. 90). შიდა ქართლში არა მარტო ყმა გლეხები (ხიზნები) გაოსებულან, არამედ თავადების და აზნაურების ნაწილიც კი. მაგალითად, ბორტიევების წინაპარი ბორტიშვილები მაჩაბლების ერთ - ერთ შტოს წარმოადგენდნენ. "მაჩაბლების გვარი თავადურ სახელებად დაიყო: ზაალიშვილებად, გიორგიშვილებად, რევაზიშვილებად და ბორტიშვილებად" (ქსე ტ. 6, გვ. 509). რევაზოვებიც (რევაზიშვილები) გაოსდნენ. ახლანდელი დიაკონოვების წინაპარი დიაკვნისშვილები XVI საუკუნიდანვე იხსენიება, "გორელმა ვაჭარმა დიაკვნისშვილმა სტამბოლში გარდაცვლილი სიმონ მეფის ნეშტი საქართველოში წამოასვენა" (ისტორიული წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, 1988, გვ. 28).

აღსანიშნავია, რომ ქართველთა გაოსების ზემოთ აღნიშნულ პროცესს განსაკუთრებული მეთოდებით ავითარებდა ცარისტული ხელისუფლება. მაგალითად, საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამდე რვა წლით ადრე ხელისუფლებამ ქართველი ბატონებისაგან გაათავისუფლა მათი ყმების ოსური ნაწილი. ეს მოხდა 1852 წლის 8 ივნისს იმპერატორის რეზოლუციის შედეგად, რომელიც მან დაადო მეფისნაცვალ ვორონცოვის შესაბამის წარდგინებას. რუსეთის სენატის გადაწყვეტილება შეეხებოდა ქართველ მებატონეთაგან ყმების ოსური ნაწილის გათავისუფლების მოთხოვნას. მეფის ნაცვალი იძულებული გახდა ახალი გზები ეძია ყმების ოსური ნაწილის გათავისუფლებისათვის, კერძოდ, მაჩაბლებს დაუნიშნა ყოველწლიური პენსია ხუთი ათასი მანეთის ოდენობით: ოღონდ მათ უნდა გაეთავისუფლებინათ თავიანთი ყმების ოსური ნაწილი (სამხრეთ ოსეთის ისტორიის ნარკვევების, ტ. I, გვ. 186, ქ. ს. ე. საქ. სსრ, 1981, გვ. 338). ამის გამო, ბატონყმობის გადავარდნამდე დიდი ხნით ადრე, 1852 წელს ოსები გამოვიდნენ ყმობის უღლისაგან. ისინი იქცნენ თავისუფალ სახელმწიფო გლეხებად და შეეძლოთ დასახლება სახაზინო მიწებზე, აგრეთვე, ქართველ მემამულეთა მიწებზეც. ოღონდ არა როგორც ყმებს, არამედ როგორც ხიზნებს - თავისუფალ მიწათმოქმედებს, ეს იყო ძალზედ დიდი პრივილეგია, რომელიც მიენიჭა შიდა ქართლის მოსახლეობის მხოლოდ ოსურ ნაწილს. ამის გამო მრავალი ქართველი ყმა გლეხისათვის "ოსობა" სანატრელი იყო და ესენიც ცდილობდნენ ჩაწერილიყვნენ ოსებად ყოველი მომდევნო აღწერის დროს. ხოლო უფრო ადრე, XIX საუკუნის დასაწყისში, ქართველების გაოსებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი საეკლესიო პოლიტიკამ, რომელსაც რუსული საეგზარხოსო ეწოდა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ. ამ დროს მრავალი ქართული საეპისკოპოსო გააუქმეს და მათ ნაცვლად დააარსეს სულ სამი ეპარქია: ქართლისა, ოსეთისა და სიღნაღისა. ე. წ. "ოსეთის ეპარქიის" შექმნით რუსულმა საეკლესიო ხელისუფლებამ გადაწყვიტა "აღედგინა" ქრისტიანობა საქართველოს მთიანეთში. ამ დროს აღსდგა ოსეთის სასულიერო კომისიაც, რომელიც თითქოსდა "აქრისტიანებდა" ქართლის მთიანეთის მოსახლეობას, ამ დროს აქ მოინათლა მოსახლეობის დიდი რაოდენობა. "1815 წელს უკვე მონათლული იყო 11446 ოსი, ხოლო 1820 წლის პირველი ივლისისათვის მონათლული ოსების რიცხვმა 31997 კაცს მიაღწია" (სამხრეთ

ოსეთის ისტ. ნარკვევები, გვ. 245). მონათლულთაგან ყველა ოსი არ იყო. ქართველი მთიელებიც ინათლებოდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ რუსული საეკლესიო ხელისუფლება მონათვლის საფასურად მხოლოდ ოსებს ათავისუფლებდა ბატონყმური ურთიერთობისაგან და, აგრეთვე, აძლევდა ფულად ჯილდოს, ქართლელი მთიელებიც, სახაზინო გლეხების კატეგორიაში გადაყვანის მიზნით, ოსებად აცხადებდნენ თავს და "ინათლებოდნენ". ხელისუფლებამ მიზნად დაისახა როგორმე აღმოეფხვრა ქართლის მთიანეთში ქართული საეკლესიო მსახურება, ქართული წირვა-ლოცვა, რელიგიური წესების ქართული რიგით აღსრულება. მთიელების ქართველთაგან გაუცხოების მიზნით მრავალი ღონისძიება გატარდა.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილო კავკასიაშიც მთელი ტომების გაქრისტიანებულ წევრებს რუსეთის ხელისუფლება ასახლებდა, დაბლობში აძლევდა მიწას და გარკვეული ოდენობით თანხას (მ. გონიკაშვილი, საადგილმამულო რეფორმა, 1984, გვ. 72-74). გარდა პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური მიზეზებისა, არსებობდა ქართველთა გაოსების სხვა მიზეზებიც. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ქართველი მოსახლეობის ეთნიკური თვითშემეცნების უაღრესად დაბალი დონე, რომელიც განსაკუთრებით გაღრმავდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების გამო. ეროვნული თვითშემეცნება იმდენად დაბალ დონეზე იდგა, რომ თვით ილია ჭავჭავაძის ფიგურალური შეფასებით ქართველად თავის თავს თვლიდა ძირითადად მხოლოდ ქართლელი, ბარელი და კახეთის მოსახლეობის შეგნებული ნაწილი (იხ. ი. ჭავჭავაძე. ტ. III, გვ. 72-73). ამ დროს თვითშემეცნების დაბალ დონეს რელიგიური მომენტიც აღრმავებდა, ქართველად მხოლოდ ქართველ მართლმადიდებლებს თვლიდნენ, ქართველ კათოლიკებს უწოდებდნენ ფრანგებს, ქართველ გრიგორიანებს - სომხებს, ქართველ მაჰმადიანებს - თათრებს. როგორც ვთქვით, ქართველობა დაკავშირებული იყო მტკიცე მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან, ამიტომაც იყო ტენდენციები იმისა, რომ ბარში მასობრივად ჩამოსახლებული მთიელების მოუნათლაობის გამო ბარელები დაეჭვებულიყვნენ მთიელთა მართლმადიდებლობაში, ანუ რაც იგივეა მათ "ქართველობაში". არსებობს ამის დამამტკიცებელი მრავალი ფაქტი. მაგალითად, ბესტავაშვილები ძველთაგანვე ქართველებად მიიჩნეოდნენ, ჯერ კიდევ ოსების საქართველოს მთიანეთში ჩამოსახლებამდე. მიუხედავად ამისა, ქართლის მთიანეთის "ბესტავაანთ სოფლიდან" ბარში გადმოსახლებული ბესტავაშვილების ნაწილი ოსებად მიიჩნიეს ბარელებმა, მათი არამართლმადიდებლობის ანუ არაეკლესიურობის გამო. მაგალითად, XVIII საუკუნის სამოცდაათიანი წლების აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ ბესტავაშვილების სოფელში, ანუ "ბესტაავანთ სოფელში" სულ ოთხი კომლი ოსი ცხოვრობდა (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. ჰდ. დოკ. 5421). თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1870 წელს ამ სოფელში ადმინისტრაციამ "გახსნა" ეკლესია; ეს ნიშნავდა ქართველი მთიელების ოსებად ჩაწერას. ქართველი მთიელები (ოსები) ბატონყმური უფლისაგან (მაჩაბლებისაგან) გათავისუფლების შემდეგ (1852 წლიდან) მრავლად ესახლებიან საფალავანდოში ანუ დღევანდელ ზნაურის რაიონში. აქ ისინი, როგორც თავისუფალი გლეხები, მემამულისაგან დასამუშავებლად იღებენ მიწას 10 დესეტინამდე. ისინი იყვნენ არა ყმები, არამედ ხიზნები. მალე ისინი გამდიდრდნენ და ქართველ მოსახლეობასაც აღუძრეს სურვილი მსგავსი წესით მიეღოთ მიწა-წყალი . მაგრამ ამ დროს საქართველოში ჯერ კიდევ არსებობდა ბატონყმობა, ხოლო ყმობისგან მხოლოდ ოსები იყვნენ გათავისუფლებულნი. ამიტომ "ოსობა" იქცა სოციალურ კატეგორიად. "ოსობამ" თავისუფალ მიწათმოქმედად აქცია ყმა-გლეხი და ეს დიდ გავლენას ახდენდა ქართველებზე. "ნ. მარი და შემდეგ უფრო საფუძვლიანად ვ. აბაევი ამტკიცებს, რომ ოსები რომელიღაც მოსული ირანული ტომის უბრალო გაგრძელება არ არიან. მათ დამხვდური მცხოვრებნი არც გაუჟლეტიათ და არც გაწყვეტილან, არამედ შეხამებიან, მოხდა ასიმილაცია და ამის შედეგად წარმოიშვა ახლანდელი ოსური ტიპი" (ი. მეგრელიძე, სიძველენი ლიახვის ხეობაში, 1984, გვ. 7). მართალია, ეს შეეხება კავკასიის მთიანეთს, სადაც მოხდა მოსული ირანული ტომისა და დამხვდური იბერიული ტომების ურთიერთშერევა რამაც, აბაევის თანახმად, ხელი შეუწყო "ახლანდელი ოსური ტიპის

ჩამოყალიბებას". მაგრამ ეს ხსნის ქართველთა ოსებში ასიმილაციის პროცესსაც, რადგანაც ქართველები იბერიულ-კავკასიური ტომია, მსგავსად დვალებისა, რომელნიც, თანახმად ვახუშტისა, საფუძვლად უდევს თანამედროვე სამხრეთელი ოსების ეთნოსს. "სწორედ ამიტომ ზოგი ავტორი საეჭვოდ მიიჩნევს ჩრდილოელი და სამხრეთელი ოსების ერთიან წარმომავლობას." (იოსებ მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, 1984, გვ. 10). ხოლო "ენობრივი მონაცემებით ვ. აბაევი თვლის, რომ ჩრდილოოსური ენა უკანასკნელი ორასი წლის მიხედვით უფრო რუსული ენის გავლენას გვიჩვენებს, ხოლო სამხრეთ ოსური - ქართული ენისა" (იქვე, გვ. 11). თუმცა ისიცაა აღსანიშნავი, რომ ამ საკითხზე სხვაგვარი თვალსაზრისიც არსებობს.

როგორც აღინიშნა, საფალავანდოსა (ზნაურის რაიონი) და ქსნის საერისთაოში (ლენინგორის რაიონი) მცხოვრებლებზე ქართული ზეგავლენა სრულიად აშკარაა. თვით სამაჩაბლოსა და მაღრან დვალეთის (ცხინვალისა და ჯავის რაიონების) ეპიგრაფიკული მასალა მსგავს ზეგავლენაზე გვანიშნებს. ჯერ კიდევ გიულდენშტედტი მიუთითებდა, დიდი ლიახვის ხეობაში და მის ზემოწელზე მრავალი ქართული სოფელი არსებობდა. XVIII საუკუნის ბოლოს ისინი ოსურ გარემოში მოხვედრილან, ანუ როგორც მეცნიერები უწოდებენ - "ოსური დაფენების" ქვეშ. არსებობს ქართველთა გაოსების ეპიგრაფიკული სურათიც, კერძოდ, აქ იგულისხმება წარწერები საფლავის ქვებსა და სხვ. აქედან ჩანს: თუკი მამა-პაპა ქართული გვარის მატარებელია თვით XIX საუკუნის I ნახევარში, შვილს უკვე "ოსურ" ყაიდაზე - რუსული დაბოლოებით მოუწყვია თავისი გვარი. მაგალითები უამრავია, მათ მოყვანამდე უნდა ითქვას, რომ გვართან ერთად აქაური ქართველები ენასაც კარგავდნენ, თვით XX საუკუნის დასაწყისშიც კი, თუკი მამა-პაპებმა ქართული ენა იცოდნენ, შვილებმა უკვე აღარ იციან, "ადგილობრივ ოსთა უფროსი თაობის დიდი უმრავლესობა ორენოვანია, ისინი მშობლიური ოსური ენის გარდა ქართულ ენაზეც მეტყველებენ" (იქვე, გვ. 230). სოფ. გუფთელი ჯიოევებისა და თიგიშვილების წინაპრების საფლავის ქვებს აწერია: "ჯიოშვილი ("ტატო ჯიოშვილი", "ქალამანა", "არჯევანა", "სოსიკო ჯიოშვილის მეუღლე" და სხვ.), ხოლო ახალ დროში - "ჯიოევი". ასევე აწერია ძველი დროის საფლავის ქვებს მშვენიერი ქართული ენით დაწერილი ლექსი - ეპიტაფიები, წარწერები: "თიგიშვილი", "გასიშვილი", "ფილიშვილი", ახლა - თიგიევი, გასიევი, პლიევი (იქვე, გვ. 234 - 235). "ფილიევების ზოგი ოჯახი ბიჭიკაშვილად იხსენიება. მაშასადამე, მათ წინაპარს ბიჭიკა რქმევია" (იქვე, გვ. 236). უძველეს დროს ერთი ჯიოშვილი მღვდელი ყოფილა და სიონშიც უმსახურია. "ყოფილა მორგოელი ჯივაშვილი ანუ ჯიოევი, რომელიც შემდეგ თბილისში სიონში მსახურობდაო" (იქვე, გვ. 237), სოფ. ჯრიაში არის ქოთოლაშვილების ეპიტაფიები და შემდეგ ქოთოლოვოვებისა (გვ. 238). სოფ. ნინოში 1894 წ. ქვაზე აწერია ქარსანაშვილი, რამდენიმე ხნის შემდეგ - ქარსანოვი (გვ. 239). თუკი სოფ. მსხლებში 1880 წლის ეპიტაფიაზე მშვენიერი ქართულით არის ცხოვრებაშვილის ეპიტაფია, რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე ჩნდება "ცხოვრებაევისა" (გვ. 242). საინტერესოა ცნობა ცაბაევის შესახებ: "ვასილ ცაბაევის მეტრიკულ ამონაწერში ჩაბაშვილი წერია. ვასილს ვეკითხები, ჩაბაევი და ცაბაევი განა ერთი და იგივეა? მისი პასუხია: ასე იყო, ჩაბაშვილს გვიწოდებდნენ, აგერ 50 წელიწადია ცაბაევს (ცაბათი) გვეძახიანო" (გვ. 246). ჯავაში არის 1870 წელს მშვენიერი ქართულით დაწერილი ეპიტაფია ბათო სანაყოშვილისა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ახალი საფლავის ქვაზე სანაყოევი წაუწერიათ. ძველ წარწერებში კი ყველგან ქართული ფორმებია. ერთი ამ გვარისა თანამდებობის პირი ყოფილა. "თანამდებობის პირებს უფრო ადრე დაუწყიათ გვარების გარუსულება" (გვ. 249). გვხვდება გვარები თავდაპირველი ფორმით: ბაბაშვილი, თანდილაშვილი, თიბილაშვილი, ქვაბაძე, ხარებაშვილი, ფარასტაშვილი (შემდეგ ფარასტაევი), გათოკოშვილი, შემდეგ გათოკოევი, რელგურაძე, ქოქოშვილი, დედაშვილი-ვალიშვილი, ბაღაშვილი და არა ბაგიევი (იხ. იქვე, გვ. 249-291). აქვე, ამ მოსახლეობაში არსებობდა მრავალი ქართული ლეგენდა, თქმულება, ხატ-ჯვრებისა თუ ეკლესიების სახელები და მათი საგვარეულო თაყვანისცემის წეს-ჩვეულება. "სამხრეთ-ოსეთის განსაკუთრებით ჯავის რაიონის მცხოვრებთა ზეპირსიტყვიერებაში ვხვდებით ქართულის მსგავს თქმულებებსა და ლეგენდებს" (გვ. 251). არსებობს ასევე გვარები ტოპონიმური წარმოშობისა,

მაგალითად “სავახტანგო” ეწოდებოდა ერთ ვრცელ კუთხეს შიდა ქართლში, სამაჩაბლოსა და ქსნის ხეობის საზღვარზე. აქაურების გვარი - ვახტანგიშვილი, შემდეგ ვახტანგოვებად გარდაიქმნა, თუმცა იმერეთში გვხვდება გვარი ვახტანგაძე, აჭარაში - ვახტანგური, ქართლში - ვახტანგიშვილი. დვალეთში იყო ტოპონიმი “ბობალეთი”, ამიტომაც ამ ხეობის მკვიდრთ ერქვათ - ბიბილურები (ძეგლი ერისთავთა, ქართ. სამართლის ძეგლ. II, 1965, გვ. 102). საერთოდ, ზემოთ მოყვანილის განსამტკიცებლად არსებობს უამრავი უძველესი წერილობითი წყარო: მოსახლეობის აღწერები, ეთნოგრაფიული ჩანაწერები, ეპიგრაფიული მასალა თუ სამართლებრივი საბუთები. საჭიროა მხოლოდ მათი თავმოყრა.

ყოველივე ზემოაღნიშნული სრულ უფლებას იძლევა ითქვას, რომ ქართველი და ოსი ხალხების ძმობას არა მხოლოდ სულიერი, არამედ ხორციელი, ეთნიკური საფუძველიც გააჩნია. განხეთქილებას ამ ორ მოძმე ხალხს შორის უფალი არ დაუშვებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოთ მოყვანილი მასალა ჩვენ გადმოვეცით არა ვისმე ეროვნული გრძნობების დასათრგუნად, არამედ იმის საჩვენებლად, რომ ერთი წარმოშობის ორი გვარი ერთმანეთს არ დაუპირისპირდეს. მაგალითად, თიბილაშვილი, რომელსაც პასპორტში ქართველი უწერია, სისხლისმიერი ნათესავია თიბილოვისა, ცხოვრებაშვილი - ცხოვრებოვისა, ბაღაშვილი - ბაგაევისა და ასე შემდეგ. ჩვენ ყველანი საქართველოს შვილები ვართ, წევრები უფლის ერთი სამწყსოსი და ჩვენს შორის განხეთქილება მხოლოდ უფლის მტრებს გაახარებს. შევთხოვ უფალ ღმერთს, დაამკვიდროს მშვიდობა თქვენს გულებში. ნაბრძანებია - დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

იარეთ უფლის გზით.

“ჯვარი ვაზისა”, N1, 1990.

გვიანი მინაწერი:

პ.ს. ქართული წარმოშობის ოსების დასაცავად ჩემი წერილები მრავლად იბეჭდებოდა 1980-ანი წლების ბოლოს სხვადასხვა გაზეთებში, განსაკუთრებით ბორჯომში. მათი დაწერის ძირითადი მიზეზი იყო ბორჯომის რაიონში, სადაც იმჟამად ვცხოვრობდი, ოსების დევნა იმ შეიარაღებული ჯგუფის მიერ, რომელსაც ხალხი მხედრიონს უწოდებდა. ეს ქართველი ე.წ. „ოსები” საუბრობდნენ ქართულად, სწავლობდნენ ქართულ სკოლებში და ეროვნულ მოძრაობაშიც ბევრი მონაწილეობდა, როგორც ქართველი პატრიოტი, მათ ახლა უკვე (ცხინვალის ოლქში ვითარების გაუარესების შემდეგ), სამწუხაროდ, სასტიკად დევნიდნენ აღნიშნული გალაღებული ჯგუფები, მათ შესაჩერებლად საჭიროდ მივიჩნიე ჭეშმარიტების გამომზეურება, რომ სინამდვილეში ისინი, წარმოშობით ეთნიკური ქართველები იყვნენ, „ოსებად” ჩაწერილები რუსული ხელისუფლების დროს და უმჯობესი იყო მათი შეწყნარება. მათი უმეტესობა იმ დროს გულით ქართველი და პასპორტით ოსი იყო.

განდევნის შემდეგ ისინი უკვე ნამდვილ ოსებად ფორმირდნენ, ჩასახლდნენ ჩრდილო - კავკასიაში, იქედან კი ცხინვალში და ძალზე მტრულად განეწყვნენ საქართველოს მიმართ. 14.10.2018.

ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ქადაგება ახალციხის სასულიერო სასწავლებლის გახსნისას

1990 წ. 30 სექტემბერი

ბოლო წლებამდე საქართველოში ერთადერთი სასულიერო სემინარია არსებობდა მცხეთაში, რომელიც შემდგომ თბილისში იქნა გადატანილი და გაფართოებული. დედაქალაქის გარეთ, საქართველოს კუთხეთა შორის, მესხეთი იყო პირველი, სადაც 1990 წელს დაარსდა სასულიერო სასწავლებელი. ესაა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა სამცხე-ჯავახეთის ეპარქიისათვის. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან - იმერეთიდან, ქართლ-კახეთიდან და თბილისიდანაც კი აქ შემოკრებილი სტუდენტები უნდა აღიზარდნონ საეკლესიო მოღვაწეებად, რომელთაც სულიერად უნდა გააძლიერონ ჩვენი მამული. ღვთის ამ დიდი მოწყალების სამადლობელი საზეიმო წირვის შემდეგ 1990 წ. 30 სექტემბერს სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსმა ანანია ჯაფარიძემ სასწავლებლის პირველმა რექტორმა, სიტყვით მიმართა მორწმუნეებსა და საზოგადოებას.

პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო!

უპირველესად ყოვლისა, ვმადლობდეთ უფალ ღმერთს, რომელმაც თავისი დიდი მოწყალებით მოხედა ჩვენს დავრდომილ კუთხეს - მესხეთს და ინება აქ დაარსება სასულიერო სასწავლებლისა.

ღვთივკურთხეულ საქართველოში სწავლისა და ცოდნის მოყვარულ ქართველ ერს მრავალი სხვადასხვა ტიპის სასწავლებელი გააჩნია, მიუხედავად ამისა, ახლის გახსნა ყოველთვის სიხარულის მომტანია საზოგადოებისათვის, მით უმეტეს, განსაკუთრებულად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს სასულიერო სასწავლებლის გახსნა, რამეთუ ჩვენში სულ რამდენიმე სასულიერო სკოლა არსებობს.

სასულიერო სასწავლებლის დანიშნულებაა აღზარდოს საეკლესიო მოღვაწენი, რომელთაც სულიერად უნდა გააძლიერონ საქართველო, მხოლოდ სულიერად ძლიერ ერს შეუძლია ზნეობრივი გაწმენდა და ამაღლება, თავისუფლების მოპოვება და მისი დაცვა.

ქართველი ერის სულიერი გაძლიერება ყოველთვის აშინებდა ჩვენს დამპყრობლებს, ამიტომაც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე ცარისტულმა ხელისუფლებამ მოსპო ქართული სასულიერო სემინარიები, რომელნიც არსებობდნენ თელავსა და თბილისში, მათ ნაცვლად მოგვიანებით დააარსეს რუსულენოვანი სემინარიები. ამან დიდად ავნო სარწმუნოების საქმეს საქართველოში. ქართველთა სახელგანთქმული ქრისტიანული რწმენა თანდათან მინელდა. თანდათან ქართველობა სარწმუნოების მიმართ გაგულგრილდა. ფაქტიურად სწორედ რუსულენოვან სემინარიებში აღიზარდნენ საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის მიმართ ნიჰილისტურად განწყობილი ახალგაზრდები, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა შემდგომ საერთოდ უარყო სარწმუნოება და ათეისტ რევოლუციონერებად მოევლინნენ საქართველოს. მათ კიდევ უფრო გააცივეს ხალხის გული ქრისტიანობის მიმართ. 1921 წელს საქართველოს ანექსიის შემდეგ ძირითადად რუსულენოვანი განათლების მქონე მამა-პაპური ზნე-ჩვეულებების უარმყოფელი ქართველი ათეისტები ჩაუდგნენ სათავეში ქართული ეკლესია-მონასტრების დანგრევა-გაუქმების საშინელ საქმეს. დაბადეს უღმერთოება, აღზარდეს თავისი მსგავსი თაობა.

დაეცა ზნეობა, გადაგვარდა ხალხი, უბედურება ის კი არაა, რომ ათეისტების მიერ აღზრდილი ჩვენი ხალხი ზნეობრივადაა დაცემული, არამედ ის, რომ მან არ იცის ამის შესახებ, ვერ გრძნობს თავის სულიერ დაქვეითებას, დაცემას.

ჩვენს ერს სჭირდება მოძღვრები, ზნეობისა და სულიერების მასწავლებლები, მათ წმინდა წერილის უწმინდეს სარკეში უნდა ჩაახედონ ჩვენი ხალხი, ერი, დაანახონ თავისი სულიერი სახე. წმიდა წერილი, სიტყვა ღვთისა, კვლავ ძველებურადვე აღადგენს ჩვენს ერს, ააღორძინებს მას, დაუბრუნებს ძველ დიდებას, მიანიჭებს სულიერ სიმაღლეს, გაათავისუფლებს, განუახლებს ეროვნულ სახლს - სახელმწიფოს. მხოლოდ ზნეობრივად ამაღლებული ერი გაიმარჯვებს. ზნეობა კი ღრმა ქრისტიანობით მოიპოვება, და როგორც ითქვა, სწორედ ამიტომ აშინებდა ერის სულიერი გაძლიერება ჩვენს დამპყრობლებს.

აღნიშნულ მიზეზთა გამო ჩვენს ერს ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ქართულენოვანი სასულიერო სასწავლებელი თითქმის არ ჰქონია, როგორც ითქვა, მეცხრამეტე საუკუნეში ისინი ცარიზმმა გააუქმა, ხოლო მეოცე საუკუნეში - ათეისტებმა. მხოლოდ ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში აღსდგა მთელ საქართველოში ერთადერთი სასულიერო სემინარია, ამჟამად კი ჩვენი უწმინდესი პატრიარქის ილია მეორის ღვაწლით აკადემიაც გაიხსნა.

მნიშვნელოვანი საქმეა მესხეთში სასულიერო სასწავლებლის გახსნა. მოგეხსენებათ, მესხეთში უჭირს ქართველობასა და, ცხადია, ქართულ ქრისტიანობას - მართლმადიდებლობას. ჩვენი კუთხე, ისტორიული ტაო-კლარჯეთი, სამცხე-ჯავახეთი, წარმოადგენდა აკვანს ქართული ქრისტიანობისა, ამიტომაც აქაურ სოფლებში მრავლადაა შემორჩენილი ეკლესია-მონასტრები, ამჟამად გაუქმებულ-დადუმებული. ღვთის შეწევნით ჩვენ მრავლად გადმოგვეცა ასეთი ეკლესიები, ახლა ნება გვაქვს აქ წირვა-ლოცვისა, მაგრამ ყველაფრის ახლიდან დაწყებაა საჭირო. სოფლელებმა ძირითადად აღარ იციან რაა წირვა, ლოცვა, აღსარება, ზიარება, სინანული, ხალხი წარმართობის გზაზეა დამდგარი, ამასთანავე არა გვყავს მოძღვრები სოფლებში გასაგზავნად, ამიტომაც ჩვენ მრავლად გვესაჭიროება მღვდლები, დიაკვნები, მედავითნეები, მგალობლები, ეკლესიური ადამიანები, მორწმუნეები, მორჩილები, გვესაჭიროება მქადაგებლები, ღვთის სიტყვის გამავრცელებლები, ქრისტესათვის თავდადებულნი მოღვაწენი.

თუ ღმერთი ინებებს, და ჩვენც ვლოცულობთ ამისათვის, ჩვენი სასწავლებლის დანიშნულებაც ესაა - აღზარდოს საეკლესიო მოღვაწენი. ლოცვითა და მონდომებით შესაძლებელია ყოველივეს მიღწევა. “ირეკდეთ და განგეღოთ თქვენ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ” - ნაბრძანებია წმინდა სახარებაში. რწმენით კლდესაც კი გადააბრუნებთ. ცოდნის შეძენა მოითხოვს უზომო შრომისმოყვარეობას, მონდომებასა და საქმის სიყვარულს. მოსწავლე უნდა გაუფრთხილდეს დროს და ყოველი წუთი ცოდნის შეძენას მოახმაროს.

უფალმა ღმერთმა სამყაროსთან ერთად შექმნა დრო. ქვეყნიერება მარად ახლდება, ამიტომაც დრო მარად წინ მიდის და არავის შეუძლია მისი შეჩერება, ანდა უკან დაბრუნება. ამის გამოცაა ყველაფერი წარმავალი ამქვეყნად, ყველაფერი დროებითია. ეს კი ადამიანს ავალებს დრო უქმად არ დაკარგოს, დროზე გააკეთოს კეთილი საქმე. მაქსიმალურად ისარგებლოს სიცოცხლის იმ მომენტით, რომელიც დროის გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული, მაგრამ რომელია ყველაზე სასიკეთო, ყველაზე მარადიული და წარუშლელი საქმე? სიმდიდრის დაგროვება, ქვეყნების დაპყრობა, ქალაქებისა და სოფლების გაშენება, განცხრომითა და მოსვენებით ცხოვრება? - არც ერთი ამათგანი არ იძლევა მარადიულ ნაყოფს, ყველაფერი ეს “წარვალს და არა დაადგრების ერთსა საუკუნისად”.

მხოლოდ სწავლა, მხოლოდ ცოდნა არის “ნაყოფი კეთილი”, რომელსაც უდიდესი სიკეთე მოაქვს. ვახუშტი ბაგრატიონი, ჩვენი დიდი ისტორიკოსი წერს - ”სწავლა განაბრძნობს, თავისუფალ ჰყოფს, აცნობებს ღმერთსა და შიშსა მისსა დანერგავს. განდევნის ბოროტსა, შეაყვარებს მოყვასსა, შემოიყვანს კეთილსა, მატებს ქვეყანასა, აღაშენებს და დაამშვენებს, მტერთა დაამდაბლებს, თავისთა აამაღლებს და აკადნიერებს”.

სწავლა და ცოდნა ყოველგვარი ამქვეყნიერი სიკეთის ფუძე ყოფილა, ამიტომაც უთქვამს ბრძენს - ”ყოველი ჟამი ჩაივლის ფუჭად, რომელსაც ცოდნის შესაძენად არ გამოვიყენებთ”, სწავლა და ცოდნა არა მარტო სამყაროს შეცნობისათვის ყოფილა საჭირო, არამედ სიბრძნისა და თავისუფლების მოპოვებისათვის, ზნეობრივი განწმედისათვის, სულგრძელობისა და ურთიერთპატივისცემის დანერგვისათვის.

მაგრამ თანახმად ვახუშტისა, ცოდნა წარმავალი ყოფილა, ადამიანთა მეხსიერებას მხოლოდ სამი-ოთხი თაობის მანძილზე შესძლებია დაგროვილი ცოდნის შენახვა, შემდეგ იგი ქრება. რა გზა, რა საშუალება არსებობს ამის თავიდან ასაცილებლად?

ერთადერთი საშუალება ცოდნისა და სიბრძნის შესანახად და მის დასაუნჯებლად ყოფილა ჩანაწერი, რომელიც “არა წარწყმედის, არამედ ჰგიეს უკუნისამდე”. წიგნი უზრუნველყოფს ცოდნასა და სიბრძნის შენახვას, მის მარადიულობას. ვახუშტი იმოწმებს წმიდა იოანე დამასკელის ნათქვამს, რომ სასარგებლოა ნებისმიერი სახის წიგნი, პირველ რიგში კი სასულიერო წიგნები. კარგი მკითხველისათვის უსარგებლო წიგნი არ არსებობს.

ახალგაზრდამ უნდა შეიყვაროს წიგნი, მასში დაუნჯებული ცოდნა. ცოდნით კი, როგორც ითქვა, მივიღებთ სიბრძნესა და თავისუფლებას, განვიწმინდებით ზნეობრივად, ვისწავლით სიკეთის ქმნას, ჩაგვენერგება სული შემოქმედებისა, მშვიდობისმოყვარეობისა და სიყვარულისა.

სწორედ ამიტომაა ქრისტიანობის უპირველესი განძი წიგნი, რომელსაც ეწოდება წმინდა სახარება, ანუ წმინდა ოთხთავი. ჩვენს სასწავლებელში უპირველეს ყოვლისა ეს წიგნი - სიბრძნის ოკეანე უნდა შეისწავლოთ. ორი დიდი წიგნის, წმინდა წერილისა და “ქართლის ცხოვრების” - ანუ ეროვნული ისტორიის შესწავლა, ჩვენს წინაპრებს უდიდეს საქმედ მიაჩნიათ. ეს წმინდა წიგნები მათ ეხმარებოდათ განესხვავებინათ კეთილი ბოროტისაგან.

ჩვენი წინაპარნი ისტორიას პატრიოტულ მეცნიერებად მიიჩნევდნენ, რამდენადაც ის ადამიანს აცნობდა ვინაობას, წარმომავლობას, აყვარებდა თავის თვისტომს, თავის მამა-პაპათა სარწმუნოებას - ანუ ქრისტიანობას, უერთგულებდა თავის ქვეყანას. ეს ასეა ახლაც. ამიტომაც ჩვენს სასწავლებელში წმინდა წერილის გვერდით უნდა იდოს “ქართლის ცხოვრება” და ჩვენი ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილი წიგნები.

მესხეთი საქართველოს განსაკუთრებული ისტორიული მხარეა. აქ შემოდგეს ფეხი პირველად წმიდა ანდრია პირველწოდებულმა და წმინდა ნინომ. აქედან განათლდა საქართველო, მრავალი საუკუნის შემდგომაც არაბთაგან განადგურებული საქართველოს აღდგენაც აქედან დაიწყო, კერძოდ, ჩვენი დიდი ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელი ქართლიდან გადავიდა მესხეთში, ააღორძინა აქ სამონასტრო ცხოვრება, მესხეთში აღორძინებული სულიერება კი საფუძვლად დაედო საქართველოს განახლებას.

ვილოცოთ იმისათვის, რათა თქვენ, ჩვენი სასწავლებლის სტუდენტები, ახალი თაობა, ქალები და ვაჟები მომავალში გადაიქცეთ მამა გრიგოლისა და დედა თებრონიას ღვაწლის მემკვიდრეებად. თქვენ უნდა აღადგინოთ დაცემული საქართველო, თქვენ უნდა გახდეთ დვრიტა მესხეთის სულიერი ცხოვრებისა, ჩვენი მამულის აღორძინებისა, შევთხოვოთ უფალ ღმერთს და ვილოცოთ ამისათვის. არა ურთიერთქიშპი და გაუტანლობა, არამედ სიმშვიდე, სიყვარული, ცოდნის მიღების წყურვილი უნდა იყოს თქვენი მამოძრავებელი. თქვენ მუდამ უნდა იმეორებდეთ ეფრემ ასურის სიტყვებს - ”უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისა, სულსა უქმობისასა და ცუდადმეტყველებისასა ნუ მომცემ მე, ხოლო სული სიწმიდისა, სიმშვიდისა, მოთმინებისა, და სიყვარულისა მომმადლე მე მონასა შენსა, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა ჩემისა”, ამავე ლოცვაში იხსენიება აგრეთვე სიტყვები - ”მიმომწვლილველობა” - რაც წვრილმანი, არამთავარი საქმეების მოყვარულობას ნიშნავს და “მთავრობისმოყვარეობა”, რაც უფროსობის, განდიდების მოსურნეობას ნიშნავს, რაც დაგმობილია.

უსაქმურობა, ცუდადმეტყველება, განდიდებისა და უფროსობის სურვილი შორს უნდა იყოს ჩვენი სასწავლებლის მოსწავლეებისაგან, აქ უნდა მეფობდეს სიმშვიდე, სიყვარული, სიმდაბლე,

კიდევ ერთხელ გილოცავთ, შევთხოვ უფალ ღმერთს თქვენსა და სრულიად საქართველოს გაძლიერებას. ღმერთმა დაგლოცოთ.

გაზეთი "მესხეთი", 27. IV. 1992.

ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს!

პოლემიკა, გაზეთი "სახალხო განათლება" 17. V. 1990 წ.

"ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თვალ-ახმა ვისთვისმე" - წერს ჩვენი მემატიანე და აქვე აღნიშნავს "გულისწყრომამან კაცისამან სიმართლე ღმრთისა არა ყვის" ("ქართლის ცხ." I, გვ. 199). მართლაც რომ ასეა.

ვფიქრობ ეს სიტყვები ეხება ბატონებს თ. გვანცელაძესა და მ. ჩუხუას, რომელთაც გაზეთ "სახალხო განათლებაში" გულისწყრომით გასცეს პასუხი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ალ. ონიანს.

ბატონმა ალექსანდრემ გაბედა და საჯაროდ თქვა ის სიმართლე, რომელიც, რაც უნდა ვმალოთ, მაინც ითქმება ხვალ თუ არა, ათეული წლების შემდეგ.

მაინც რა სიმართლეა ეს?

ბატონებო, ცხონებული და ნეტარხსენებული პავლე ინგოროყვას თვალსაზრისი ახალი აფხაზებისა და ძველი აფხაზების სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის შესახებ, გარკვეული მიზეზების გამო ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ განუკითხავად უარყო (50-იან, 60-იან წლებში). მაშინვე ინტენსიურად დაიწყო საპირისპირო გამაბათილებელი იდეების წამოყენება. ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი თუ ენათმეცნიერი აქვეყნებდა შრომებს აწინდელი აფხაზების დასავლეთ საქართველოში უხსოვარი დროიდან ცხოვრების შესახებ. ამჟამად ცნობილია, თუ როგორ იყენებენ ამ შრომებს.

ა. ონიანს მოჰყავს ქართველ მეცნიერთა ზოგიერთი დებულება:

ა. ჩიქობავა წერს - „არსებობს სერიოზული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველურ ტომებს წინ უსწრებდენ აფხაზურ-ადიღეური ტომები..."

ქ. ლომთათიძე: "აფხაზურ ენაზე მეტყველ ტომებს ქართველ ტომებთან უძველესი დროიდან ჰქონდათ მტკიცე კავშირი, ამ ურთიერთობის შედეგია აფხაზური ენის უდავო გავლენა ქართულზე და არა მხოლოდ ლექსიკის სფეროში, არამედ აგრეთვე მორფოლოგიის გარკვეულ სფეროებშიც..." (იხ. გაზ. "სახ. გან." 3. 1. 1990) და სხვა.

ფაქტობრივად სწორედ მსგავსი მოსაზრებანი სხვადასხვა ქართული მეცნიერებისა გაიმეორა ჯორჯ ჰიუიტმა თავის ცნობილ წერილში: - "უნდა ვიკითხოთ მეგრელები ისე კარგად როდისღა ფლობდნენ აფხაზურს, რომ ესესხათ აფხაზურისათვის დამახასიათებელი სინტაქსი და (თუ ჯანაშიას აზრი სწორია) მორფოლოგიაც? ჩემი აზრით, ისტორიაში უნდა ვეძებოთ დრო... ასეთი დრო ხომ არ იქნება ზემოთ ხსენებული "აფხაზეთის სამეფო" (იხ. გაზ. "ლიტ. საქ." 21. VI).

ჰიუიტს იმის თქმა სურს, რომ აწინდელი აფხაზები არამარტო ცხოვრობდნენ დასავლეთ საქართველოში, არამედ "აფხაზთა სამეფოც" შექმნეს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, ანუ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთ დროს აფხაზურენოვანი იყო. აქედან შემორჩა მეტყველებაში ენობრივი ნაშთი, კულტურა დას. საქართველოსი წარმოშობით აფხაზურია და ა. შ.

(ე. ი. შეფარვით ნათქვამია, რომ ბაგრატისა და მარტვილის ტაძრები, იოანე პეტრიწი თუ სხვა მოღვაწენი აფხაზური კულტურის სფეროს განეკუთვნებიან).

ცნობილია თუ როგორი მძაფრი კრიტიკით შეხვდა ქართული საზოგადოება ჰიუიტის არამეგობრულ წერილს, მაგრამ მან ხომ ის აზრები გაიმეორა, რაც პ. ინგოროყვას ცნობილი წიგნის "გიორგი მერჩულეს" გამოსვლის შემდეგ მის განსაქიქებლად გაისმოდა მეცნიერთა ოფიციალურ წრეებში, რომელთა მოწაფეც ჰიუიტი იყო საკმაო ხნის მანძილზე?

ოფიციალური ისტორიოგრაფები ინგოროყვას ისტორიკოს-სპეციალისტად არ თვლიდნენ. დაცინვითაც კი იღებდნენ მის დიდტანიან ისტორიულ თხზულებებს (სამწუხაროდ, არც ახლა ისწავლება უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში ინგოროყვას შრომები).

თ. გვანცელაძესა და მ. ჩუხუას არ ეპარებათ ეჭვი აწინდელი აფხაზების (აფსუების) დასავლეთ საქართველოში უხსოვარ დროიდან ცხოვრებაში და აფსუებსა და ძველ აფხაზებს ერთმანეთთან აიგივებენ.

კერძოდ, წერენ: "ვთქვათ საბოლოო ჭეშმარიტებად მივიღეთ ა. ონიანის მიერ ავტორის დაუსახელებლად გამეორებული სხვისი შეხედულება იმის შესახებ, რომ ამჟამინდელი აფხაზები XVIII საუკუნეში არიან მოსულნი მათი ახლანდელი განსახლების ადგილას. ნუთუ ონიანს ჰგონია, რომ ამით დღევანდელ თუ თავისუფალ საქართველოს ეხსნება პასუხისმგებლობა თავის მოქალაქეთა წინაშე!" (გაზ. "სახ. განა." 8.III.90).

უცნაური ლოგიკაა, არა თუ ა. ონიანისათვისაც, არამედ ბავშვისთვისაც ცნობილია, რომ აქ საქმე ეხება ქართული კულტურისა და საქართველოს ტერიტორიის სხვა ერის მიერ მითვისება-მიტაცების მცდელობას და არა "მოქალაქეთა წინაშე პასუხისმგებლობას".

შემდეგ წერენ ა. ონიანის შესახებ - "როცა გადაჭრით უარყოფს ეთნონიმ "აფსუას" კავშირს ეთნონიმ "აფხაზთან" იცის კი, რომ ეს ეთნონიმი ერთმანეთს ჯერ კიდევ 1912 წელს დაუკავშირა უკვე მრავალგზის ნახსენებმა მარმა?"

ვითომ ამ საკითხში ნიკო მარი ავტორიტეტია? ის, თანახმად ივანე ჯავახიშვილისა, არა თუ აფხაზებს, მეგრელებს და სვანებსაც კი არაქართველებად მიიჩნევდა. მას ვენდოთ?

დიდი ივანე წერდა - "აკად. ნ. მარი მისაყვედურებს, რომ მეგრელებს, სვანებს და აფხაზებს მე ქართველებს ვუწოდებ და პონტოსა და ფრიგიის ერები თითქოს ქართველებადაც კი მიქცევია. აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ, რაც შეეხება მეგრელებს და სვანებს და დავუმატებ ჭანებსაც, მათ მართლაც ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ..." (ივ. ჯავახიშვილი, ტ. I, გვ. 152).

"სვანურის ნარევობის თეორია ნ. მარის შექმნილია" - წერენ თ. გვანცელაძე და მ. ჩუხუა. ხოლო ამ თეორიის შესახებ ონიანი წერს - "სვანურის ნარევობის მცდარი თეზისი აფხაზი მოსახლეობის საქართველოს მიწა-წყალზე (სვანეთის მეზობლად) "ათასწლეულთა განმავლობაში" ცხოვრების საბუთად გადაიქცაო".

ასე აქცია ნ. მარმა დასავლეთ საქართველოს ქართველები არაქართველებად, მაგრამ მისი ყურადღება არც აღმოსავლეთ საქართველოს ასცდა. მისი თეორიის თანახმად, ფშავ-ხევსურები ჩეჩნური ტომები ყოფილან - შემდეგ გაქართველებულნი.

ამ თეორიას ზოგიერთი ქართველი მკვლევარი არა ქართულ, არამედ რუსულ ენაზე დაბეჭდილ წიგნებში ამრავლებს, მაგალითად, 1983 წელს ზ. ანჩაბიძის რედაქტორობით დაბეჭდილ წიგნში "Культурные взаимосвязи народов Грузии и центр Предкавказия" ნათქვამია ნ. მარის შესახებ - В своем труде "К истории передвижения яфетических народов", он пишет следующее: "Не скрою, что грузинские горцы, в числе их хевсуры и пшавы, мне сейчас представляются такими же грузинизированными племенами чеченского народа" (გვ. 33).

ნ. მარს სხვა შრომაშიც ასეთივე აზრი გამოუთქვამს, რომ ფშავ-ხევსურები ჩეჩენი ხალხის ტომები არიან - В своем труде "Племенной состав населения Кавказа" Н. Марр особо выделил

чечено-ингушские племена, отнеся их к восточной группе яфетических народов Кавказа, в которую входят пшавы, хевсуры и цова тушины или бацбы" (იქვე, გვ. 82).

ნ. მარის აზრით, მხოლოდ X საუკუნის შემდეგ გაქართველებულა ჩეჩნების ერთი ნაწილი (ფშავ-ხევსურები მისი აზრით), ხოლო მეორე ნაწილი კი ჩრდილო კავკასიაში გადასულა (იხ. ზ. დიდებულიძის დასახ. ნაშრ. გვ. 34).

მარის ეს თეორია ცნობილი მეცნიერების მხარდაჭერით სარგებლობს.

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ასეთი აბსურდული თეორიის უკრიტიკოდ მიღებას და გაღრმავებას, განსაკუთრებით რუსულად გამოცემულ წიგნებში? სავალალო!

თუ რაიმე დიდი პოლიტიკური კატასტროფის გამო ჩრდილო კავკასიიდან ჩეჩნების ტომი საქართველოში გადმოსახლდა (ახლაც ცხოვრობს ახმეტის რაიონში, ქისტების ერთი ჯგუფი). ისინი ნ. მარის თეორიაზე დაყრდნობით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს თავის ისტორიულ სამშობლოდ გამოაცხადებენ. განა უმაგალითოა ასეთი ვარაუდი? ასევე არ იქცევიან აფსუები და სხვანი?

ახლა ვნახოთ რას წერდა ნ. მარი სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის შესახებ - "ნ. მარის დასკვნით, თუმცა, კლარჯეთი, ტაოსთან ერთად შემოერთებულ იქნაო საქართველოსთან მე-8 - მე-9 საუკუნეებში, მაგრამ მოსახლეობის შემადგენლობით იგი, ვითომც, ამის შემდეგაც სომხური დარჩა. კლარჯეთი, ისე როგორც ტაო, დასახლებული იყოო სომხებით, რომლებიც სარწმუნოებით ქალკედონიტები (ე. ი. მართლმადიდებლები) იყვნენო. ამრიგად, ნ. მარის მტკიცებით, კლარჯეთის და ტაოს მოსახლეობა თვით შემდგომ ხანაშიც კი, ეს იყვნენ არა ქართველები, არამედ ძირითადში გაქართველებული სომხები" (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 404).

შედეგი სამხრეთ საქართველოს "მკვიდრი" სომხების გაქართველების თეორიისა?

სხვა ერს (ისევე როგორც აფსუებს) უჩნდება პრეტენზიები ქართულ კულტურაზე, სამხრეთ საქართველოს მატერიალურ თუ სულიერ ძეგლებზე, მიწა-წყალზე. საქმე იქამდეც მიდის, რომ არათუ პეტრიწონის მაშენებელი ძმები ბაკურიანისძენი გამოაცხადეს სომხებად, არამედ ათონის ივერთა მონასტრის ბერებიც კი, და კიდევ უფრო უარესია მოსალოდნელი, რამეთუ სომეხთა "გაქალკედონიტების" ანუ "გაქართველების" თეორიას ჩვენს "საბჭოთა" ისტორიოგრაფიაში მყარი ფესვები აქვს გადგმული.

კიდევ უფრო მეტიც, თურმე ნუ იტყვით, და კახეთ-ჰერეთიც გაქართველებული (!) მხარეები ყოფილა - "ამ ათიოდე დღის წინათ, რუსულ ენაზე გამოვიდა კიდევ ერთი წიგნი "აზერბაიჯანის ისტორიული გეოგრაფია", რომელსაც 1987 წ. თარიღი უზის... ამ წიგნში გატარებულია აზრი, რომ ალბანელები აზერბაიჯანელთა უშუალო წინაპრები არიან, ხოლო ინგილოები - გაქართველებული ალბანელები... ასევე "გაქართველებულია" კახეთის დიდი ნაწილი, ჰერეთი და ა. შ. ხომ ხედავთ, სადამდის მიდის საქმე?" (რ. მიმინოშვილი, "დღეს ან არასოდეს", "ლიტ. საქ." 24. VI. 1988).

საცა სამართალია, უნდა ითქვას, რომ ისტორიული გეოგრაფია, როგორც სამეცნიერო დარგი, აზერბაიჯანში ახალფეხადგმულია და აღნიშნული წიგნი პირველი ნაბიჯია, ამიტომაც აზერბაიჯანელმა ისტორიკოსებმა ჰერეთის გაქართველების თეორია საბჭოთა ქართველი ისტორიკოსებისაგან გადაიღეს.

ჩვენი მეცნიერები, შეიძლება ითქვას, ინტენსიურად წერენ ჰერეთისა და ალბანეთის ერთი ნაწილის "გაქართველების" შესახებ.

"ჰერეთი ეთნიკურ-ისტორიული მნიშვნელობით მოიცავდა გვიანი ხანის შიგნით კახეთსა და გაღმამხრის ტერიტორიას (მდ. ალაზნის ველი). საინგილოს ჩათვლით" (ქსე, ტ. II, გვ. 628), ამიტომაც ჰერეთი თუ "გაქართველდა", კახეთსაც ეს საქმე დამართნია და რაღას ვერჩით აზერბაიჯანელ მეცნიერებს, რომლებმაც ჩვენი ისტორიკოსებისაგან გადაიღეს თავიანთი აზრი?

როგორც ვხედავთ, თურმე ნუ იტყვით და "გაქართველებულა" დასავლეთი საქართველო, აღმოსავლეთის მთა-ბარი, სამხრეთი საქართველო, მაშ, სადღა იყო საქართველო, სად ცხოვრობდა ქართველი ხალხი?

ჩვენი მეცნიერი ა. აბდალაძეც ამ კითხვას სვამს სომხურ ენციკლოპედიაში დაბეჭდილ რ. ხონელიას სტატიის განხილვის შემდგომ:

“რ. ხონელიას რომ კაცმა ყური უგდოს (ვაი, რომ ჰყავს მას საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორია), ქართის ელემენტი X საუკუნეში, არამც თუ დასავლეთ, აღმოსავლეთ საქართველოშიც არ ყოფილა, ძალიან მაინტერესებს რ. ხონელიას აზრით, როდის და საიდან გაჩნდნენ ქართველები?” (ა. აბდალაძე “ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა...” 1988, გვ. 182).

თუ ვინმე ფიქრობს, რომ გაქართველების თეორია მხოლოდ ჩვენს მეზობლებს აძლევს უფლებას პრეტენზიები განაცხადონ ქართველი ერის მემკვიდრეობაზე და თვით ქართველების ეროვნულ თვითშეგნებაზე არავითარ გავლენას არ ახდენს, ვფიქრობ, რომ ცდებიან, სწორედ ამ თეორიის წყალობით ქართველთა შორის გაჩენილა რაღაც ეჭვები.

აი რას წერს მკვლევარი: “კაცი, რომელსაც ეროვნული თვითშეგნება არ გააჩნია, საცოდავი კაცია, არარაობა და ასეთი არსებისაგან როდესაც ვისმენ: მესხები და ინგილოები ქართველები არ არიან და არც ყოფილანო, გული მიკვდება, მეცოდება ამის მთქმელი და ბრაზით ვივსები: რატომ უნდა წასულიყო ჩვენი საქმე ამგვარად...? (ტ. ფუტკარაძე “საწუხ არს ესე” “ახალგ. კომ.” 29.X.1988).

მაინც ვინ მოიფიქრა ეს უცნაური გაქართველების თეორია (მოდი და ამის შემდეგ გაგიკვირდეს საქართველოსათვის “იმპერიის” წოდება)?

ამ თეორიას საფუძველი დაუდო ნ. მარმა და მისმა მიმდევრებმა გააღრმავეს: “ქრისტიანობის გავრცელება აღმ. საქართველოს მთიანეთში მათ ქართიზაციას განაპირობებდა, რაც შეეხება დას. საქართველოს... დას. საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დას. საქართველოს ქართიზაციის პროცესს”, - წერს ჩვენი ენციკლოპედია (იხ. ტ. “საქ. სსრ”. გვ. 61).

მარისგან მომდინარეობს იდეა აღმ. საქართველოს მთიანეთის, ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის “ქართიზაციის” ანუ გაქართველების შესახებ. ხელოვნურია ტერმინი და იდეაც ასეთივეა.

სინამდვილეში კი ძველი ქართული წყაროების თანახმად, მთიანეთის, კახეთ-ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას “ქართიზაცია” არ ესაჭიროებოდა, რადგანაც ძველთაგანვე (და ფარნავაზ მეფის დროსაც) აღნიშნულ კუთხეთა მცხოვრებნი, როგორც მთიელები, ისე ეგრისელები (მესხებსა და ჰერ-კახელებზე რომ არაფერი ვთქვათ) ქართველი ხალხის ძირითად ნაწილად განიხილებოდნენ. ეს ასე ესმის “ქართლის ცხოვრებას”, ძველ ქრონიკებსა და ძველ ავტორებს.

უძველესი საისტორიო წყარო “მოქცევაი ქართლისაისას” თანახმად, ქრისტეშობამდე საუკუნეებით ადრე ქართველი ხალხი განსახლებული იყო შემდეგ საზღვრებში - დასავლეთის საზღვარს წარმოადგენდა მდინარე ეგრისწყალი, ხოლო ჰერეთი და მესხეთი მის საცხოვრის არეალს განეკუთვნებოდა. ქართული ენა ამ კუთხეებში “ქართული ეკლესიის გაბატონების” გამო კი არ “გავრცელდა”, და ამის გამო, მათი “ქართიზაცია” კი არ მოხდა, როგორც წერს ჩვენი ენციკლოპედია, არამედ ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე, წარმართობის დროს კულტმსახურების ენა ქართული იყო, ყველა აღნიშნულ კუთხეში.

დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ქრისტიანობამდე ყველა ქართულ ტომთათვის (სამეგრელოსა და სვანეთშიც) კულტმსახურების ენა იყო ქართული ენა და არსებობდა მთელი ქართველი ხალხის მომცველი საერთო სარწმუნოება (წარმართული). “ცხადი ხდება, რომ არამცთუ საზოგადოდ ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის, მეგრელთა და სვანთათვის, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ, წარმართობის საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა” (“საქ. ისტორიის ნარკვევები”, ტ. I. გვ. 662).

ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე, ეს ყველა ტომთათვის საერთო ქართული ენა, მეფე ფარნავაზმა დააფიქსირა სრულიად საქართველოში, როგორც ერთადერთი სავალდებულო სახელმწიფო ენა, და საერთოდ, პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო წარმოიქმნა

ფუძექართული (ანუ საერთო ქართული) ენის სხვადასხვა დიალექტებად დაშლის დაწყებიდან სულ რაღაც 300-400 წლის შემდეგ - "ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშლის დასაწყისი ძვ. წ. VIII საუკუნით უნდა დათარიღდეს" (იქვე, გვ. 338), ხოლო IV-III საუკუნეებში უკვე შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო სავალდებულო ქართული ენით. ამ დროს მეგრული და ქართული ენები ძლიერ ახლოს იდგნენ ერთმანეთთან და ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ, ანუ სახელმწიფო ქართული ენა სრულიად გასაგები იყო ეგრისის მოსახლეობისათვის, ის მის დედაენას წარმოადგენდა, თუმცა კი, თანდათან ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ახალი დიალექტი, "რა თქმა უნდა, ენობრივი და სხვა სახის განსხვავება ამ დროს ბევრად ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე შემდეგში" (იქვე, გვ. 442).

ეს იმას ნიშნავს, რომ ფარნავაზმა ყველა ქართულ ტომთათვის გასაგები ენა გამოაცხადა სახელმწიფო ენად. ეს ენა ქრისტიანობის შემოსვლისთანავე იქცა ქართულ ტომთათვის ერთადერთ სამწერლობო, კულტურის ენად, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსა და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი - წერს ივანე ჯავახიშვილი. "ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და სამწერლო ენაც ჰქონდა და აბადია ეხლაც, რომელიც, როგორც ეს თვით აკად. ნ. მარსაც კარგად მოეხსენება, და თვითონაც არა ერთხელ დაუდასტურებია, მეგრელებისა და სვანებისთვისაც ერთადერთი სამწერლო და კულტურის ენა იყო და არის ეხლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსაც და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი" (ივ. ჯავახ. ტ. I, გვ. 154).

ეს ის ქართული ენაა, რომელიც არა თუ ქრისტიანობის დროს, არამედ წარმართობის დროსაც საერთო ენას წარმოადგენდა ყველა ქართული ტომისათვის, და საერთო წარმართულ კულტმსახურებასაც ამ ენაზე აღასრულებდნენ (იხ. იქვე).

თუკი ეს ასეა, მაშინ არაა სწორი ჩვენი ენციკლოპედია, რომელიც, როგორც აღინიშნა, წერს, რომ - "დას. საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დას. საქართველოს ქართიზაციის პროცესს".

ჯერ ერთი, ქართული ეკლესია დასავლეთ საქართველოში არ "გაბატონებულა", არამედ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველომ ერთდროულად მიიღო ქრისტიანობა I-IV საუკუნეებში, რასაც დაბეჯითებით მიუთითებენ ძველქართული წყაროები და დაადასტურა არქეოლოგიამ (იხ. პ. ზაქარაიას "ნოქალაქევი - არქეოპოლისი").

მეორეც, ქართული ენა დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის დროს კი არ გავრცელდა, არამედ ჯერ კიდევ წარმართული ღვთის მსახურება აქ ქართულად აღესრულებოდა ქრისტიანობის გავრცელებამდე, უფრო მეტიც, ლიტერატურულ ანუ საეკლესიო ენის შექმნა-შემუშავებაში თვითვე ჰქონდათ მეგრელებსა და სვანებს უშუალო მონაწილეობა მიღებული - თანახმად ი. ჯავახიშვილისა, მაშასადამე, არავითარი "ქართიზაცია" ამ ტომებს არ ესაჭიროებოდათ, "მეგრელებსა და სვანებს და დავუმატებთ ჭანებსაც, მათ მართლაც ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ" - "ქართველურ ტომებს" კი არ უწოდებდა, არამედ "ქართულს".

ამჟამად არსებული თვალსაზრისი - ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ - ფაქტიურად ნ. მარის "გაქართველების" თეორიას ეფუძნება, რომელიც დაახლოებით ასეთია - ერთიანი ქართველი ხალხი, როგორც ეთნიკური ერთობა, მხოლოდ IX-X საუკუნეების შემდეგ ჩამოყალიბდა, რადგანაც ამ საუკუნეებში "ქართების" ტომმა გაავრცელა ქართულენოვანი მღვდელმსახურობა ჰერეთსა, მესხეთსა და დას. საქართველოში, მთიანეთში, რის შემდეგაც გაქართდნენ აღნიშნულ კუთხეთა მცხოვრებნი - ჩამოყალიბდა ქართველი ხალხი. ამიტომაც საქართველო, როგორც კულტურულ-ეთნიკური მთლიანობა მხოლოდ XI საუკუნისათვის ჩამოყალიბდაო.

ეს თეორია აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ი. ჭავჭავაძის და (ნ. მარამდელი) ქართული ისტორიოგრაფიის შეხედულებას ქართველი ერის ჩამოყალიბების დროის შესახებ.

დიდი ილია მართალი წერდა: “ჩვენს ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით” (“ერი და ისტორია”).

ილია ხშირად წერდა ორიათასწლოვანი ერთიანი ქართველი ერის შესახებ. ასეთივე თვალსაზრისი გააჩნდათ ილიას გარშემო შემოკრებილ დიდებულ ისტორიკოსებს (ამჟამად მივიწყებულია დ. ბაქრაძის, ალ. ცაგარელის, თ. ჟორდანიას, ილიას სხვა თანამოსაგრეთა, ასევე ძველქართველ ისტორიკოსთა, ლ. მროველის, ჯუანშერისა თუ ვახუშტის მტკიცებანი).

მართალია, ძველთაგანვე არსებობდა ქართველი ხალხის სხვადასხვა ეთნოჯგუფები მაგრამ ილიას თქმით, ისინი წარმოქმნილან ერთიანი ორიათასწლოვანი ქართველი ხალხის წიაღში საუკუნეთა მანძილზე - ”ის შემკრებლობითი, დიდებული, ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი სახელი, კერძოობითი სახელიღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა... ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და აღარც უცხოსათვის, იმერელი - იმერელია, მეგრელი - მეგრელია, ქართლელი - ქართლელია და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან... რაკი ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდან გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაიფუყა, სულით და ხორცით დავკუწმაწდით...” (ტ. III, გვ. 77), თუმცა, კი “უეჭველია, რომ ჩვენ ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისი ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა” (ტ. IV, გვ. 176).

მაშასადამე, ორიათასწლოვანი ქართველი ერი შემდგომში “დაკუწმაწდა” სხვადასვა ეთნიკურ ჯგუფებად (ე. წ. ქართველურ ტომებად და დიალექტმატარებლებად), რომელთა კვლავ ერთიან ერად შეკავშირებისათვისაც იღვწოდა ილია.

მისი რწმენით, ერთიანი ქართველი ხალხი უკვე ჩამოყალიბებული იყო ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე. მის წიაღში არსებული სხვადასხვა ეთნოჯგუფების არსებობა შედეგია ერთიანი ერის ნაწილობრივი დაშლისა, რადგანაც ყოველი ერი დაპყრობისა და თავისუფლების დაკარგვის დროს განიცდის დენაციონალიზაციას, ხოლო ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე კი კონსოლიდაციას (განსაკუთრებით თავისუფლების აღდგენის შემდეგ).

ილიამ იმ დროისათვის შესაძლებლობის ფარგლებში გარკვეულწილად შეაგნებინა ჟამთა ვითარების გამო “დაკუწმაწებულ” ქართველობას კონსოლიდაციის აუცილებლობა.

ძველქართულ ისტორიოგრაფიას ქართველი და სომეხი ხალხები ერთ დროს ჩამოყალიბებულად მიაჩნდა (ქართლოსისა და ჰაოსის ძმობა). ჩვენი ენციკლოპედია წერს - ”სომეხი ხალხის ჩამოყალიბების ბოლო ეტაპი თანხვდება ძვ. წ. VI ს-ში სომხეთის სახელმწიფოს შექმნას. მან ურარტუს სახელმწიფო დაიკავა” (ქსე, ტ. 9, გვ. 463). ასეთივე აზრისაა “Советский энциклопедический словарь”, რომელიც წერს: “Во второй пол. I тыс. до н.э. в осн. сложилась арм. народность” (გვ. 78). ახლა ვნახოთ, რას წერს იგივე ენციკლოპედია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების შესახებ - ეს მომხდარა სომეხი ხალხის ჩამოყალიბებიდან თითქმის 1500 წლის შემდეგ - ”В VI-X вв. в осн. сложилась груз. народность” (იქვე, გვ. 349).

ახლა კი ვნახოთ იმავე წიგნის აზრი აფხაზი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ:

“К VIII в. сложились абх. народность” (იქვე, СЭС, 1980, გვ. 11). მას ბანს აძლევს ჩვენი ენციკლოპედია “...VIII ს-თვის ძირითადად დასრულდა აფხაზი ხალხის ჩამოყალიბება” (ქსე, ტ. 2, გვ. 29).

რა გამოდის? ქართველი ხალხის ჩამოყალიბება დასრულებულა X-XI საუკუნეებისათვის აფხაზი ხალხის ჩამოყალიბებიდან 2-3 საუკუნის შემდეგ!

რა პრაქტიკული შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამგვარ თეორიას, მით უმეტეს, რომ არსებობს შემხვედრი თეორია IX-X საუკუნეებში დას. საქართველოს “გაქართებისა”?

აი, ასეთ "აკადემიურ" და მეცნიერულ თვალსაზრისს ეფუძნება ჯ. ჰიუიტისა და სეპარატისთა რიხი.

სინამდვილეში კი აღნიშნულ საუკუნეებში აფხაზები წარმოადგენდნენ ქართველი ხალხის ნაწილს.

ნ. მარი აიგივებდა აფსუებსა და აფხაზებს: "Абхазский народ заслуживает однако, самого серьезного внимания" (იხ. შ. ხიდაშელის სტატია, გაზ. "სახ. გან."), მაშინ, როცა, როგორც ვახუშტი, ისე ევროპელი მისიონერები სრულიად გარკვეულად წერენ თანამედროვე აფხაზების წინაპრების ჩრდილო კავკასიიდან XVI-XVIII საუკუნეებში ჩამოსახლებასა და ისტორიულ აფხაზეთში ჩასახლების შესახებ, რომელსაც თან სდევდა სწორედ ქრისტიანული (ქართულენოვანი!) კერების განადგურება. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ქართულმა ისტორიოგრაფიამ მიიღო და შემდეგ საყოველთაოდ გაავრცელა ნ. მარის თვალსაზრისი აფხაზეთის შესახებ.

ათასწლოვანი ამოუცნობიც ამოხსნა, მაგალითად, I საუკუნეში პლინიუსის მიერ აღწერილი აფსილები "ერთ-ერთ უძველეს აფხაზურ ტომად" გამოაცხადა, რომელთა ქვეყანა აფსილეთი "თავდაპირველად მოიცავდა ახლანდელი გალის რაიონს" (ქსე, ტ. 2. გვ. 28).

შედეგი? ცნობილია!

ნ. მარის იდეები საყოველთაოდ დამკვიდრდა, რადგანაც, მისი კრიტიკა სასტიკად იყო აკრძალული საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

აი რას გვიამბობს აფხაზოლოგი, ცნობილი მეცნიერი აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე - "მე რომ ვსწავლობდი, თავიდან ყველაფერი რიგიანად მიდიოდა, მაგრამ ოცდაათიან წლებში ინტელეგენციის დარბევა დაიწყო... ვიჯექი აუდიტორიაში და მესმოდა: "გაეთრიოს ეს პროფესორი"... არა, ვერ გეტყვით, ვერ აღვწერ იმ სცენებს. ასპირანტურაში ვიყავი და რიცხავდნენ იმათ, ვინც ნიკო მარის თეორიებს არ იზიარებდა, მომხრეებს საქმე კარგად მისდიოდათ, ძნელად გადავურჩი ამ პერიოდს" (გაზ. "ახალგ. კომ." NN124, 15. X. 1988).

ნ. მარის მოწინააღმდეგე ისტორიკოს-ენათმეცნიერები გააძევეს, ხოლო მომხრეებმა აღზარდეს ახალი თაობა ნ. მარის თეორიების ერთგულნი, ცხადია, მათ პ. ინგოროყვას თეორიები არამეცნიერულად მიიღეს.

როგორც აღინიშნა, ნ. მარის "გაქართველების" თეორიის აღიარებამ ფაქტიურად ჩიხში შეიყვანა ქართული ისტორიოგრაფია (ქართული ისტორიოგრაფიის ფაქტიური მდგომარეობის შესახებ, იხილეთ პროფ. გურამ ყორანაშვილის წერილები).

ამ თეორიის გაბატონებას ხელი შეუწყო იმან, რომ რევოლუციამდე საქართველოში არ არსებობდა ქართველთა ისტორიის შემსწავლელი არც ერთი სამეცნიერო ცენტრი (უნივერსიტეტი, ინსტიტუტი).

ჩვენი უნივერსიტეტის დაფუძნების შემდეგ, მოსალოდნელი იყო ჩვენი მეცნიერები უარყოფდნენ ე. წ. "გაქართველების" (გაქართების) თეორიას, მაგრამ მოხდა სრულებით მოულოდნელი რამ - ნ. მარის თეორიების კრიტიკა სასტიკად აიკრძალა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში.

ნ. მარის თეორიების უბრალო კრიტიკისთვისაც კი არა მარტო აძევებდნენ უნივერსიტეტიდან და სხვა დაწესებულებებიდან, არამედ სჯიდნენ და ასახლებდნენ კიდეც.

ამ დროისათვის ნ. მარმა ისტორიკოს-ფილოლოგმა ე. წ. მარქსისტულ ენათმეცნიერებას დაუდო საფუძველი, ის გახდა მთავრობისა და პარტიის უმაღლესი ორგანოების წევრი. მარის თეორიების საპირისპირო მსჯელობა განიხილებოდა როგორც "ბურჟუაზიული", "მავნე", "არამარქსისტული", "იდეალისტური" - წერს მ. გორბანოვსკი. "Академик Императорской Академии Наук стал и академиком АН СССР, практически главой советской лингвистики, но и того изменившим науке (трагический парадокс?). Особенно "результативным" был для Марра 1930 год. В этом году он беспартийный получает право произнести приветственное слово XVI съезду ВКП от имени всесоюзной ассоциации работников науки и техники. Его внимательно слушает Сталин. Марр

немедленно получает партийный билет (что ему очень развязало руки), а затем - орден Ленина. В 1931 году академик Марр избирается членом ВЦИК... Иные суждения противоречащие марризма начали рассматриваться как “немарсистские”, “идеалистические” “буржуазные”, “вредные”... после окончания войны новый (чут не ставший решаюшим) этап борьбы последователей Марра за “чистоту” умов и кадров...” (М. Горбановский, “Конспект по корифею” “Литературная газета” 25 мая, 1988 г. №21, стр. 12).

ამ სტატიაში ნათქვამია, რომ როგორც ომამდე, ისე ომის შემდეგ, მრავალი ჭეშმარიტი, დიდი მეცნიერის სიცოცხლე შეიწირა “მარიზმმა” - ასე უწოდებს ავტორი ნ. მარის სამეცნიერო მიმდინარეობას და მის სკოლას.

საფიქრებელია, რომ სტალინის ყურადღება ნ. მარმა მიიპყრო არა 1930 წელს, როგორც წერს მ. გორბანოვსკი, არამედ ადრე, რევოლუციამდე, როცა ორთავე მათ მოძღვრებასა და შეხედულებებს საკადრის პასუხს სცემდა ილია.

ნ. ჟორდანიასადმი პასუხებმა დაარწმუნა ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომ მათებური “მარქსიზმი” საქართველოში ვერ გავრცელდებოდა, თუკი ილიას ავტორიტეტი დიდი იქნებოდა ქართველთა შორის.

ახალგაზრდა სტალინი ამ მიზეზის გამო, უთუოდ აპყრობდა თავის ყურადღებას ილიას ყველა იდეურ მოწინააღმდეგეს, ერთ-ერთი ასეთი იყო ნ. მარი, რომელიც განსაკუთრებით მტრულად განეწყო ილიას მიმართ, “ქვათა ღაღადის” გამოქვეყნების შემდეგ.

ნ. მარი, ჯერ კიდევ ადრე იყო ილიას მიერ სასტიკად გაკრიტიკებული, ხოლო “ქვათა ღაღადმა”, რომელიც ამხელდა მიკერძოებულ მეცნიერთა “ოინებს”, კიდევ უფრო გაზარდა ილიასადმი, შეიძლება ითქვას, სიძულვილი, რადგანაც ნ. მარი და მისი მოძღვრება ქარცეცხლში იყვნენ გატარებულნი.

“ქვათა ღაღადი” სენსაციასავით მიიღო იმ დროის საზოგადოებამ და არა მარტო სამაგიდო წიგნად იყო ქცეული ათეული წლის მანძილზე, არამედ - დიდი მეცნიერული ავტორიტეტის მქონე ნაშრომადაც. ნ. მარის საპირისპირო თეორიის გავრცელებამდე (ილიას თეორიით, არა თუ სამხრეთი და დასავლეთ საქართველოა უძველესი დროიდანვე ქართველებით დასახლებული, არამედ ურარტუელები და აღმოსავლეთის სხვა ცივილიზაციათა შემქმნელი ხალხები ქართული წარმომავლობისანი იყვნენ, მარის თეორიით კი, არა თუ ურარტუელები და სხვა ხალხები იყვნენ ქართული წარმომავლობისანი, არამედ თვით აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი ტომი, სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა არაქართული წარმოშობისანი იყვნენ).

ახალგაზრდა სტალინი, ალბათ, ყურადღებით ადევნებდა თვალს ილიასა და ნ. მარის კამათს. როგორც ტიციანი (ტაბიძე) ამბობს “სული სულს როგორ დაემალებაო”, ქართველთა საკითხშიც სტალინისა და მარის პოზიციებიც ერთმანეთს თანხვდებოდა. ერთს პოლიტიკური მოსაზრებებით, ხოლო მეორეს, ალბათ, სუბიექტური (მარს) მიზეზებით ქართული “ნაციონალიზმისათვის” იდეოლოგიური საფუძვლის გამოცვლა ეწადათ. სტალინის ცნობილი თეორიაც ერების შესახებ, სადაც დასავლურ - ქართულ ტომებს ქართველებად არ მოიხსენიებს, ნ. მარის გავლენით უნდა იყოს შემუშავებული. სტალინს, ჩანს, ადრევე მოსწონდა მარის თეორიები, თანაუგრძნობდა, ხოლო ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ, მის თეორიებს დოგმის მნიშვნელობა მიანიჭა.

სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის შესახებ ილია წერდა: “...ქართველთა ნათესაობას სჭერია მთელი სივრცე ღალისის მდინარითგან მცირე აზიაში შავი ზღვის პირამდე და მთელი აღმოსავლეთი მხარე ამ ზღვისა და აგრეთვე იგი ადგილები, რომელნიც მტკვარსა და არაქსს შუა მდებარეობენ. აშკარაა, ვისაც ამ ადგილებში დაჩემება რამ უნდა, ან ქართველის კუთვნილების გაუქმება მოუნდება, დაამტკიცოს, რომ ზემო დასახელებულნი ერნი ქართველთა ნათესაობის არც იყვნენ და არც არიან. სწორედ ასე მოიქცა ჩვენი გულადი პროფესორი და გვეფიცება, რომ “მოსხები და კოლხები” ქართველის ნათესაობის არ არიანო და არავითარს საბუთს ამისას არ იძლევა ეს საოცარი “მოფიცარი”, “მე პატკანოვის შეგირდი ვარო, იძახის თავმომწონებით

ბ-ნი მარი... ბ-ნი მარი, თუმცა პატკანოვისაებრ ოინებში ჯერ თავი არ უჩენია... სხვაფრივ კი, იმის გზაზე დამდგარა" (ი. ჭავჭავაძე, თხზ. 1984, გვ. 734, 735).

რა სურდა ნ. მარის მასწავლებელსა და მოძღვარს პატკანოვს (პატკანიანს), რომელიც ცნობილი მეცნიერი და კავკასიოლოგი იყო პეტერბურგში? თავისი ერისათვის დაემკვიდრებინა სამხრეთ საქართველო, ამიტომაც წერდა ილია მასზე: "...ხელს იწვდის ტაოსკარზე, ეხლანდელ ჭოროხის ხეობაზე" (იქვე, გვ. 734). პატკანოვის აღზრდილ ნ. მარს, მართალია "ქვათა ღაღადის" დაწერის დროს პატკანოვისამებრ ოინებში ჯერ თავი არ ეჩინა, მაგრამ მალე, მანაც "ხელი გაიწოდა" და თავი გამოიჩინა.

ნ. მარის დასკვნით, თუმცა კლარჯეთი, ტაოსთან ერთად შემოერთებულ იქნაო საქართველოსთან მე-8 - მე-9 საუკუნეებში, მაგრამ მოსახლეობის შემადგენლობით იგი ვითომც, ამის შემდეგ სომხური დარჩა" - წერდა ილიას ჭეშმარიტი შეგირდი და ამიტომაც მთავრობის მიერ დევნილი პ. ინგოროყვა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სტალინ-მარის (და მათი მოძღვრების) ანტიქართული ეროვნული იდეები განსაზღვრული იყო არა მარტო პირადი სიმპათია-ანტიპათიებით, არამედ გლობალური იმპერიული პოლიტიკით (ცარიზმიც ასევე იქცეოდა) "...რუსიფიკატორული პოლიტიკა საგანგებოდ ითვალისწინებდა რუსეთის განაპირა მხარეების ეროვნულ-უფლებრივი ინტერესების შელახვას, ათანაბრებდა ეთნოგრაფიულ და ეროვნულ ნიშნებს და ამ გზით ცდილობდა დაენაწევრებინა ერთიანი ეროვნული სხეული, წინ აღდგომოდა ჩაგრული ხალხების თვითშეგნების გამოღვიძებას, ყოველმხრივ შეეფერხებინა ერის კონსოლიდაცია" (ვ. ჯაოშვილი "საქართველოს მოსახლეობა...", 1984, გვ. 111).

ცხადია იმპერია მხარს უჭერდა ყველა თეორიას, რომელიც ქართველი ერის კონსოლიდაციას აფერხებდა. სწორედ ასეთი იყო მარის "გაქართველების" თეორია.

როგორც ითქვა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ნ. მარის თეორიების კრიტიკა სასტიკად აიკრძალა, შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ გაღრმავება ამ თეორიებისა.

მაგალითად, 1937 წელს ი. აბულაძემ საჯარო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება, რომელშიც გააღრმავა აღნიშნული შეხედულებანი - თითქოსდა ქართული ეკლესია შეიჭრა სომხურ მიწა-წყალზე ტაო-კლარჯეთში და იქ სომხური ეკლესიების ნგრევით, ჯვართა დაწვით მიაღწია საწადელს - "გააქართველა" ეს მხარე - "ეკლესიათა ნგრევა და ჯვართა წვა კიდევ იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ერთი ეკლესია იჭრება მეორეში და მათ გვერდით და მათ ნაამაგარზე თავისას აფუძნებს. ესეც არაა უცხო ამბავი იმ დროისათვის. სომხეთის მიწა-წყალზე არა ერთი და ორი "ქართველთა" სავანე იხსნება ამ დროს. ტერმინი "ქართველი", როგორც აკად. ნ. მარმა დაამტკიცა, დიოფიზიტურს ნიშნავს ამ დროისათვის და იქმნება იგი მარტოდენ ქართველთა და სომეხთა ელემენტებისაგან" (ი. აბულაძე, შრომები, IV, 1985, გვ. 10).

ეს ი. აბულაძემ საჯაროდ წარმოთქვა 1937 წლის 17 დეკემბერს. მან, ცხადია ამ წლის მწარე გაკვეთილით იცოდა რისი თქმა შეიძლებოდა ამ დროს და რისი არა. თქვა ის, რაც მოსაწონი იყო იმ დროისათვის, კერძოდ, გააღრმავა ნ. მარის თეორია. ტაო-კლარჯეთი "სომხეთის მიწა-წყლად" გამოაცხადა, ხოლო თურმე ნუ იტყვით და, "ქართველი ეთნიკურად ქართველს კი არ ნიშნავს, არამედ ისეთ მოსახლეობას, რომელიც "ქართველთა და სომეხთა ელემენტებისაგან შედგება".

სინამდვილეში არავითარი სომხების "გაქართველება" არ ხდებოდა ტაო-კლარჯეთში, ეს მხარე ქრისტეშობამდეს ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ VI-VII საუკუნეებში, პოლიტიკური მიზეზების გამო, მოექცა სომხური ეკლესიის იურისდიქციის სფეროში, რამაც აქ ხელი შეუწყო საეკლესიო სომხურენოვანი წირვა-ლოცვის დანერგვას, მაგრამ VIII საუკუნის შემდეგ ტაო-კლარჯეთი კვლავ დედა ქართული ეკლესიის წიაღში დაბრუნდა, ამიტომაც, ცხადია, ეკლესიებში კვლავინდებურად აღსდგა ქართულენოვანი მსახურება.

ესაა და ეს. აქ მოხდა არა "სომხების გაქალკედონიტება", არამედ ქართველი მოსახლეობა დაუბრუნდა დედა ეკლესიას.

ასევე ითქმის დასავლეთ საქართველოს შესახებაც. აქაც ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი, სწორედ აღნიშნულ დროს (ძირითადად VII ს. 20-იანი წლებიდან, ერეკლე კეისრის ლაშქრობის შემდეგ) მოექცა ბერძნულ საეკლესიო სფეროში და ეს მხარეც თანდათან VIII-IX საუკუნეებში დაუბრუნდა დედა ქართულ ეკლესიას, რომლის წიაღშიც ის შედიოდა IV საუკუნიდანვე, რასაც ქართულ-უცხოური წყაროები მიუთითებენ. ბერძნულ-ლათინურ წყაროთა თანახმად, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად მიუღია ქრისტიანობა, წმიდა ნინოს ქართული წყაროები სრულიად საქართველოს განმანათლებელს უწოდებენ.

ქართლის ცხოვრება წერს - მირიან მეფემ ნათელი სცა ყოველთა ივერიელთაო, ივერიას კი ჩვენი წყაროები საქართველოს უწოდებდნენ. მირიანის დროს მისი დასავლეთი საზღვარი შავი ზღვის სანაპიროსა და მდინარე ეგრისწყალზე გადიოდა. თანახმად ჩვენი მეცნიერის დ. მუსხელიშვილისა, მეხუთე საუკუნეში დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში, მაინც წირვა-ლოცვის ენა ქართული იყო. თანახმად ვახუშტისა, ხონის საეპისკოპოსო აღნიშნულ დროს (ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებამდე), ვახუშტისავე ცნობით ის (VIII სუკუნემდე) მცხეთელ მთავარეპისკოპოსს ექვემდებარებოდა, სომხურ წყაროთა თანახმად მცხეთელი კათალიკოსი კირიონი "წინანდელ წესთა თანახმად" (ანუ VII საუკუნის ჩათვლით) ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო, ნოქალაქევისა და მარტვილის ტაძრების არქიტექტურა მიუთითებს ამ მხარის ქართული ეკლესიის სფეროში ყოფნის შესახებ, ყოველივე ამის მიუხედავად, გ. მერჩულეს "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" არსებული ერთი ქარაგმის არასწორი გახსნის წყალობით, მიღებულია ისეთი კარდინალური დასკვნები, როგორიცაა - "პირველად IX-X საუკუნეებში ეწოდა დასავლეთ საქართველოს "ქართლი". აღნიშნულ თხზულებაში არსებული ქარაგმა "ა - სა" გადამწერს გაუხსნია არასწორედ, კერძოდ, უნდა გახსნილიყო როგორც "აფხაზეთისა" და გახსნილია ასე - "აღმოსავალისა", აღმოსავლეთისა. წინადადება ასეთია - "რამეთუ პირველად ა-სა კათალიკოსთა (ე. ი. აფხაზეთის კათალიკოსებს და არა აღმოსავლეთის კათალიკოსებს - ეპ. ა. ჯაფარიძე) მიჰრონი იერუსალიმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონის კურთხევა ქართლს განეწესა იერუსალიმის პატრიარქის განწესებითა და წამებითა სიხარულითა, არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების" (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლ. 1978, გვ. 182). მთელი წინადადება ნათელი და გასაგები გახდა ქარაგმის სწორად გახსნის შემდეგ. აფხაზეთის საკათალიკოსო, როგორც ძველქართულ, ისე უცხოურ წყაროთა (იხ. მიტრ. მაქსიმე "ქართული ეკლესიის ავტოკეფალია", თეოლოგია. ათენი, 1966), თანახმად, დაარსდა VIII საუკუნის I ნახევარში (იხ. ვ. გოილაძის შრომები), დაარსებისთანავე ის ქართულენოვანი იყო. ამან მოიცვა ლაზიკისა და აბაზგიის ყოფილი ეკლესიები, რომელნიც აქამდე კონსტანტინეპოლს ექვემდებარებოდნენ, ამიტომაც, ცხადია, მირონი იქიდან მოჰქონდათ. ამ ეპოქაში, კონსტანტინეპოლში მწვალებლობა - ხატმებრძოლობა გავრცელდა, ამიტომაც ახლადშექმნილ აფხაზეთის საკათალიკოსოს მირონის წამოღება იერუსალიმის საპატრიარქოდან დაუწყია, აღსანიშნავია, რომ მსგავსადვე აღნიშნული მიზეზების გამო, გოთეთის ეკლესია ჩამოსცილდა კონსტანტინეპოლს და დაუკავშირდა იერუსალიმს. IX საუკუნეში ეფრემ აწყურელის მეცადინეობით, იერუსალიმის საპატრიარქოს გადაუწყვეტია აფხაზეთის საკათალიკოსოს მირონი მიეღო არა იერუსალიმიდან, არამედ მცხეთიდან (ქართლიდან), რატომ? იმიტომ, რომ "ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების". მაშასადამე, იმის გამო, რომ აფხაზეთში წირვა-ლოცვა ქართულია, ეს ქვეყანა (ეკლესია) ქართლის ქვეყნის (ანუ ერთიანი ქართული ეკლესიის) ნაწილია. ამიტომაც, მირონი ქართლიდან (ე. ი. მცხეთიდან) უნდა მიიღოსო. აი, ესაა აზრი გ. მერჩულეს აღნიშნული წინადადებისა. აქ არსად არ წერია - პირველად ამ დროს, IX საუკუნეში ეწოდა აფხაზეთს ქართლიო, არამედ, ახსნილია წმიდა საეკლესიო საკითხი, არავითარ ეთნო-პოლიტიკურ საკითხს არ გვიხსნის გიორგი მერჩულე. ამიტომაც, ის არ არის რაიმე წინააღმდეგობაში ძველ ქართულ

წყაროებთან («მოქცევაჲ ქართლისაჲ”, “ქართლის ცხოვრება” და სხვა), რომელნიც დაბეჯითებით ამტკიცებენ დასავლეთ საქართველოს ქართლის სამეფოს შიგნით არსებობას, ეს სამეფო კი, თანახმად წყაროებისა, ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა, მდგრადი პოლიტიკური ერთეული იყო და მისი დასავლეთი საზღვარი მდინარე ეგრისწყალისა და მდ. კლისურაზე (V საუკუნიდან) გადიოდა.

იერუსალიმთან დაკავშირებით, ეს ცნობა რომ სწორია, იქიდანაც ჩანს, რომ იმავე IX საუკუნეში იერუსალიმის საპატრიარქოს ნებართვით, იოანე გუთელი ეპისკოპოსი ქართლში აკურთხეს. მაშასადამე, ამ დროს ქართლისა და იერუსალიმის ეკლესიებს შორის კარგი ურთიერთობაა და კონსტანტინეპოლმა ხატმებრძოლური მწვალებლობის გამო, კონსტანტინეპოლის საეკლესიო სფეროში მყოფი ზოგიერთი ეკლესია, ქართულ ეკლესიას გადაეცა, ამგვარ ფონზე გასაგებია, თუ რატომ დართო იერუსალიმმა ქართულენოვან აფხაზეთის საკათალიკოსოს ნება, მირონის მცხეთიდან მიღებისა.

აღნიშნული წინადადება გ. მერჩულისა, ამჟამად IX-X საუკუნეებში დას. საქართველოს “გაქართება” ქართველების მომხრეებს, დიდ საყრდენად მიაჩნიათ, მაგრამ აღნიშნული ქარაგმის სწორად გახსნა, ალბათ, მათ მიდგომას შეცვლის.

ისიც სათქმელია, რომ “აღმოსავალის” - აღმოსავლეთის კათალიკოსებს მირონი იერუსალიმიდან არ მიჰქონდათ. ჯერ კიდევ ეფრემ მცირემ განაცხადა თავის შრომაში, რომ ქალკედონის კრების შემდეგ, ყველა ავტოკეფალურ ეკლესიას ნება მიეცა, მირონი თვითვე ეკურთხებინა, აქედან გამომდინარე, ქართულ ეკლესიაში მირონის კურთხევა დაწესდა V საუკუნეში, ამას ისიც ადასტურებს, რომ ჩვენს მეზობელ ალბანეთისა და სომხეთის ეკლესიებში VI-VII საუკუნეებში მირონს აკურთხებდნენ (უხტანესი, “ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან”, გვ. 361, გვ. 187). VII საუკუნეშიც, VI მსოფლიო კრებამ, დაადასტურა ქართული ეკლესიის პრაქტიკა, მირონის კურთხევის უფლებისა - ”ხოლო ოდესცა ენებოს შემზადება და კურთხევა მიჰრონისა აკურთხოს თვისსა ეკლესიასა” (ქართ. ცხ. გვ. 232).

ზემოთ აღნიშნულის გამო, ჩვენ არ ვიზიარებთ აზრს, ქართულ ეკლესიაში მირონის კურთხევის IX საუკუნიდან დაწესების შესახებ (თუმცა ეს სხვა საკითხია).

“გაქართველების” თეორიის წარმოშობა, თავის დროზე გამოიწვია იმპერიის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მცდელობამ, ამჟამად, ეს თეორია, როგორც უსაფუძვლო, უარყოფილ უნდა იქნეს. ეს მიიღწევა იმით, თუკი ჩვენი ეროვნული ისტორიოგრაფია გაჰყვება ილია ჭავჭავაძის გზას. ილია დიდებული ისტორიკოსი იყო. ის ღირსია იმისა, რომ მისი ისტორიოგრაფიული გამოკვლევები ისტორიის ფაკულტეტზე (როგორც საგანი) მაინც ისწავლებოდეს. ილია ძველქართულ ისტორიოგრაფიას ავითარებდა, ხოლო ნ. მარი - პატკანოვის სკოლის იდეებს, ანუ, როგორც ივანე ჯავახიშვილის მამა ალექსანდრე ამბობდა, ნ. მარი “ყოველივე ქართულის საწინააღმდეგო მიმართულებას” ავითარებდა (იხ. ს. ჯორბენაძე, “ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა”, 1984).

უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ნ. მარს ქართველოლოგიის წინაშე. ამ მეცნიერების უღელს სხვა დიდ მეცნიერებთან ერთად ეზიდებოდა, ამით ის უკვდავია, ცოცხალი, მის აზრს, იდეას თუ ნაფიქრალს მგზნებარება არ დაუკარგავს, მართალია, მისი ენათმეცნიერული იდეები ფაქტიურად უარყოფილია (სტალინმა “ძველი გვარდიის” სხვა წევრების მსგავსად, ნ. მარი გაანადგურა სიკვდილიდან თითქმის 20 წლის შემდეგ), მაგრამ მარს, როგორც კავკასიოლოგსა და ქართველოლოგს, არავინ შეხებია, ამიტომაც, მისი იდეები, ამ სფეროში, კვლავაც მოქმედია. (სხვათაშორის, თვით სტალინმაც კი აღიარა, რომ მარისტული სკოლა, მეცნიერებაში ამყარებდა უსასტიკეს რეჟიმს - მოწინააღმდეგისადმი დაუნდობელი მოპყრობით. სტალინი წერს: “დისკუსიამ გვიჩვენა, რომ ენათმეცნიერების ორგანოებში, როგორც ცენტრში, ისე რესპუბლიკებში, მეფობდა მეცნიერებისათვის დაუშვებელი რეჟიმი... დისკუსია სასარგებლო აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა

იმიტომ, რომ მან მზის სინათლეზე გამოიტანა ეს არაკჩევული რეჟიმი და იგი ნამსხვრევებად აქცია” (იხ. “ცისკარი” 1990 წ. №3, გვ. 159).

ისმის კითხვა - აქვს თუ არა ვინმეს უფლება, ეჭვის თვალით შეხედოს ნ. მარს, როგორც ისტორიკოსს? ეს ჩვენში სრულიად მიუღებელია, მას ცუდ დღეში ჩააგდებენ. მსგავსად პროფ. ა. ონიანისა (რომლის დასაცავადაც დაიწერა ეს წერილი) უკადრისს აკადრებენ. მაგრამ, ასე მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს, თავისუფალ ქვეყანაში კი საქმე პირიქითაა. იქ საქმე ისეა, როგორც ჯ. ელიაშვილი წერს - ”თავისუფალ ადამიანს შეუძლია ეჭვი მიიტანოს ნებისმიერ საყოველთაოდ აღიარებულ კონცეფციაზე და შეეცადოს შეცვალოს იგი” (გაზ. “სახ. განათ.” 29. III. 1990) ტოტალიტარულ საზოგადოებაში (ე. ი. ჩვენში) კი ისეა, როგორც ა. სულაკაური წერს: “...საქართველო არის ის ქვეყანა, სადაც მეცნიერული აზრი არ ძველდება, მით უმეტეს, თუ მას პატრონი ჰყავს. ჩვენი მეცნიერები ერთხელ ოდესღაც გამოთქმულ აზრს ხშირად ვერ ელევიან, არადა, წესით ყველა მეცნიერული აზრი არ შეიძლება იყოს მარადიული, ზოგი უნდა ძველდებოდეს, რადგან აზრი თუ არ მოძველდა, არც პროგრესი იქნება. ყოველ შემთხვევაში, განსხვავებულ აზრს მაინც უნდა მივცეთ არსებობის უფლება” (გაზ. “კომუნისტი” 26. X. 1987 წ.).

“გაქართველების” თეორიაც მოძველებულია, მაგრამ, ვაი მას, ვინც ამის თქმას გაბედავს, არც მე ველი შექებას ამ თეორიის “პატრონებისაგან”, მაგრამ, ღვთის იმედი მაქვს, რომელმაც ადამიანი თავისუფალი ნებისყოფით შექმნა, როგორც III მსოფლიო საეკლესიო კრების მამები ამბობენ - თავისუფლება თვისითა სისხლითა მოგვანიჭა ჩვენ იესო ქრისტემან (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 267), როგორც ჩვენი უწმიდესი პატრიარქი ილია II იმეორებს სახარების სიტყვებს - „სცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ“. ღმერთმა დაგლოცოთ.

გაზ. “სახ. განათ.” 17. V. 1990 წ.

ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სიტყვა წარმოთქმული პანაშვიდისას ეკლესიაში მეფე სოლომონ მეორის ნეშტის ქ. ახალციხიდან გადასვენების შემდეგ

პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ახლახანს ახალციხიდან გავაცილეთ ნეშტი საქართველოს კეთილმსახურისა მეფისა, რომელმაც აღასრულა მცნება ჩვენისა მაცხოვრისა იესო ქრისტესი და სული თვისი დასდო ერისა თვისისათვის.

უფალმა ღმერთმა კაცთა მოდგმა თავისუფალი ნებისყოფის ყოფით შეჰქმნა. თავისუფლება თვისითა სისხლითა მოგვანიჭა ჩვენ იესო ქრისტემან განმათავისუფლებელმან ყოველთა კაცთა, ამიტომაც მარადჟამს, ყველგან და ყოველთვის მეცადინეობა ერისა და ქვეყნის განთავისუფლებისათვის წმინდა საქმედ ითვლებოდა, ხოლო საქართველოს სამოციქულო ეკლესია სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ყოველ კაცს დიდი ღმერთის საკურთხევლის სიახლოვეს ადგილს უბოძებდა ხოლმე.

პირველქმნილი სიკეთითა და მშვენებით აღსავსე მეფე სოლომონ მეორე ჩვენი ქვეყნისა და ერის თავისუფლების დაცვისათვის მხნედ და შეუდრეკლად ებრძოდა უზარმაზარ, უძლიერეს იმპერიას, რომლის წინაშეც ძრწოდნენ მსოფლიოს მრავალრიცხოვანი ერები. დედამიწის მეექვსედის მპყრობელი იმპერია ჩვენს კეთილმსახურ მეფე სოლომონ მეორეს ებრძოდა არა ერთი და ორი, არამედ უხანგრძლივესი ათი წლის განმავლობაში - 1801 წლიდან 1810 წლის ჩათვლით. მეფეს გვერდით ედგა მთელი ქართველი ერი, მაგრამ უხეშმა ძალამ დათრგუნა ის და მეფე სოლომონმა უცხოობაში დალია სული.

თავისუფლებისმოყვარე ქართველ ერს მარად გააჩნდა თავისი ეროვნული სახელმწიფო. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს პირველი მეფის ფარნავაზის შემდგომ სახელოვანი სამეფო სახლი **ფარნავაზიანებისა** თითქმის **ათასსამასი** წელი მართავდა საქართველოს, **მეფე ადერკი**, რომლის დროსაც იშვა ჩვენი მაცხოვარი **იესო ქრისტე**, **მეფე რევ მართალი**, რომელიც ჯერ კიდევ III საუკუნეში აღასრულებდა მაცხოვრის ზოგიერთ მცნებას, **მეფე მირიანი**, რომლის წყალობით **წმიდა ნინოს** მიერ გაქრისტიანდა ქართველი ერი, **წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი** - ფარნავაზიანთა სამეფო სახლის შვილები იყვნენ. ამ სახელოვანი დინასტიის ნათესავსა და მემკვიდრეს წარმოადგენდა კიდევ უფრო სახელოვანი სამეფო სახლი **ბაგრატიონებისა**, რომელიც ათას წელზე მეტ ხანს წარმართავდა ქართველთა ცხოვრებას და მათ დროს ჩვენი სამშობლო ბედნიერი იყო. საქართველო თავისი ერის ბუნებითი კანონების მიხედვით იმართებოდა. ქვეყანა თავისუფალი და დამოუკიდებელი იყო, საჭიროების შემთხვევაში კი მხნედ იბრძოდა თავისუფლებისათვის. ხალხი ეკონომიკურად შეძლებული, ეკლესია აყვავებული, ბერი ბეროობდა, ერი ეროობდა, ქალი ქალობდა, ვაჟი ვაჟობდა, - "მით იყვის უკედო" - ამბობდა დიდი ილია მართლის ლელთ ღუნია.

ქართველ ხალხს უყვარდა თავისი მეფეები. სწორედ ამ დღეებში ჩვენმა წმიდა ეკლესიამ აღნიშნა ხსენება მეფისათვის თავდადებული **იოთამ ზედგინიძისა**, რომელმაც მეფის სიკვდილს არჩია თავად მომკვდარიყო და თავი დაედო მეფის გადასარჩენად. საქართველოს თავისუფლების მომსპობი ხელისუფლება ეძებდა მკვლელს მეფე სოლომონ მეორის მოსაკლავად, მაგრამ ქართველთა შორის მკვლელი ვერ მოძებნეს. "ქართველები თავიანთ მეფეს ეთაყვანებიან, არც ერთი ქართველი არავითარ საფასურად მეფეს არ მოკლავს, ისევ თქვენში მოძებნეთ ასეთი მკვლელიო" - წერდნენ მათ. უფრო მეტიც, ქართველები თავს დებდნენ მეფე სოლომონისათვის, ასე მოხდა თბილისშიც, საიდანაც გამოაპარეს შეპყრობილი მეფე და ახალციხეში პატივითა და ღირსებით შეხვდნენ. აქ ის სულკურთხეულ ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად ეძიებდა გზებს საქართველოს ხსნისათვის.

ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ერთმორწმუნეობის გამო კავკასიის კარი გაუხსნეს უცხო სახელმწიფოს, რომლის ჩინოვნიკებმაც ქალები და ბავშვები უღლის ქვეშ შეყარეს, რამაც მთიულეთი ააჯანყა 1804 წელს, 1812 წლის კახეთის აჯანყების ჩაქრობისას თვით ოთხმოც წელს მიტანებული მონაზონიც არ დაინდეს და სხვებთან ერთად ჩამოახრჩეს, ხოლო ჯარის შესაგებებლად ჯვრით ხელში მდგარი სამღვდელოება ხიშტებზე წამოაგეს, 1820 წლის იმერეთის საეკლესიო აჯანყების მოთავეობისათვის ეპისკოპოსებიც არ დაინდეს, დოსითეოს ქუთათელს ხიშტითა და ცემით სული ამოხადეს, იმავე ხელისუფლებამ ერთი საუკუნის შემდეგ მსგავსადვე მიწაში ცოცხლად დამარხა მიტროპოლიტი ნაზარი, ხოლო ეკლესია-მონასტრები დაანგრია, სამღვდელოება მოსპო. ვითომდა ერთმორწმუნეებმა სინამდვილეში შეარყიეს საფუძველი ქრისტიანობისა და ქართველობა სარწმუნოების მიმართ გააგულგრილეს.

ხალხური ლექსიც კი არსებობს, რაჭის სოფელ ფუტიეთში გამოთქმული, რომელიც აუჯანყდა სისასტიკეს - "...მოხვედით ქრისტეს სახელით, მაგრამ გვინგრიეთ საყდრები, შებღალეთ ყოვლად წმიდანი, ჩვენი სალოცავ-ხატები...", ყოველივე ამას წინასწარ სჭვრეტდა ჩვენი კეთილმსახური მეფე სოლომონ მეორე.

განმეძარცვა მე პირველქმნილი სიკეთე და მშვენებაო, ნაბრძანებია მისი საფლავის ეპიტაფიაში, და, აი, მეფეო შენი საქართველოში ჩამობრძანებით კვლავ გმოსავს ქართველი ერი პირველქმნილი სიკეთით, რომლითაც აღვსილი იყო ბაგრატიონთა სამეფო გვარი.

მოგიხსენოს შენ უფალმა სასუფეველსა თვისსა და საჯოს უფალმან წინააღმდგომნი შენნი.

საუკუნო იყავნ ხსენება შენი ღირსო ნეტარებისაო სამარადისოდ ხსენებულო მეფევ ქართველთა. ხსენება და კურთხევა შენი.

ენკენია აბასთუმნის ეკლესია

ქართული სატაძრო არქიტექტურის ერთ-ერთ ცენტრს - მესხეთს, ეკლესიათა მშვენიერებით ვერ გააკვირვებ, მაგრამ აბასთუმნის ეკლესია მართლაც რომ ულამაზესია სამცხე-ჯავახეთში ვითარცა ქაშუეთი თბილისში. ქაშუეთივით, აბასთუმნის ეკლესიაც, ახალ ტაძრად ითვლება (აშენებულია XIX საუკუნეში რუსეთის საიმპერატორო კარის დაკვეთით, ოდნავ გადაკეთებული ასლია ზარზმის დიდებული მონასტრისა). ქაშუეთივით ისიც თავისი დროის უდიდესი მხატვრის მიერაა მოხატული (მოხატა ცნობილმა ნესტოროვმა) და მასაც მარმარილოს კანკელი ამშვენებს. ეს დიდებული ტაძარი ბოლო 70 წლის მანძილზე ბარბაროსული მოპყრობის, წირვა-ლოცვის გაუქმებისა და უპატრონობის შედეგად ძალზე დაზიანდა და აი, უფალმა ღმერთმა ინება ეკლესიის ამოქმედება. 1991 წლის 14 აპილს ტაძარი ხელახლა აკურთხა და პირველი საღმრთო ლიტურგიის ჟამს უსისხლო მსხვერპლი შესწირა სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის მმართველმა ეპისკოპოსმა ანანია ჯაფარიძემ, რომელმაც წირვის შემდეგ სიტყვით მიმართა აბასთუმნელ და მახლობელი სოფლებიდან ამ დღისათვის საგანგებოდ მოსულ მრავალრიცხოვან მორწმუნეებს.

ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ქადაგება აბასთუმნის ეკლესიაში

1991 წლის 14 აპილი

პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, საქართველოს საყვარელნო შვილებო, პირველი სიტყვა, რომელსაც აღმოთქვამს ჩვენი მძიმე ბაგე თქვენს განახლებულ, ახლად ნაკურთხ ეკლესიაში პირველი წირვის შემდეგ არის სადიდებელი ღვთისა: დიდება შენდა უფალო, ქრისტე ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა. ჩვენი ენა არ დადუმდა შენს სადიდებლად, რამეთუ მოგვასწარ ამ წმიდა ტაძრის აღდგენას, ქართველი ერის გამოღვიძებას, საქართველოს განახლებას.

ვინ იფიქრებდა თუ დაემხობოდა საშინელი ბოროტება, რომელიც გვიკრძალავდა არა მარტო ამ ტაძარში შემოსვლასა და ლოცვას, არამედ ვარძიაშიც, საფარასა, ზარზმასა თუ სხვა ეკლესიებში, არა მარტო მორწმუნეებსა და სამღვდელოებას, ეპისკოპოსსაც კი. ამჟამად, ღვთის მადლით, მოქმედებს მესხეთის ყველა მნიშვნელოვანი ეკლესია. ორიოდე წლის წინ ვაკურთხეთ იქამდე უპატრონოდ მიტოვებული თქვენს რაიონში მდებარე ზარზმის მონასტერი, ახლა კი იქ ყოფნას არაფერი შეედრება, სამოთხის ბაღივითაა აყვავებული მისი ეზო-გარემო, პატრონის ხელი დაეტყო, ასევეა საფარასა და ვარძიაში.

დღევანდელი დღე მარად მოსაგონარი საზეიმო დღე უნდა იყოს თქვენთვის, რამეთუ ტაძრის განახლება დიდი დღესასწაულია. ძველქართულად მას - ენკენია ერქვა, ამ დღეს საგანგებო ლოცვები იკითხებოდა და დღესაც შევთხოვთ უფალს - "...მოეც ტაძარსა ამას ენკენიაი სულის მიერ წმიდისა, რათა დაუსჯელად ამას შინა თაყვანს გცემდეთ და გადიდებდეთ შენ მხოლოსა ჭეშმარიტსა ღმერთსა, რადგან მოავლინე იესო ქრისტე... აწ აღშენებული ტაძარი ესე განაახლე და წინაშე შენსა შეწირულ ჰყავ... მოგვხედე ჩვენ ცოდვილთა და უღირსთა მონათა შენთა და დაამტკიცე სახლი ესე ცადამდე აღწევნილი და ამას შინა საღმრთო ქადაგებაი და მსხვერპლის შეწირვაი განამრავლე და დაამტკიცე სადიდებლად დიდებისა შენისა... აღავსე დიდებითა და სიწმიდითა და მადლითა საკუთრხეველი ესე... და აწ აღმართული ტაძარი ესე შენი და სულითა შენითა წმიდითა განაახლე ესე..."

ჩვენ დიდხანს ვფიქრობდით თუ ვის სახელზე გვეკურთხებინა განახლებული ტაძარი, ამისთვის ვლოცულობდით და ბოლოს ჩვენი დედა ღვთისმშობლის სახელზე ვაკურთხეთ იგი. მართალია, ძველად სხვა წმინდანის სახელობისა იყო, მაგრამ მორწმუნე მრევლი ამ ტაძრის უქმობის დროსაც ეზოში ღვთისმშობლობას ზეიმობდა, გარდა ამისა, სწორედ აქ, ამ კუთხეში განაცხადა ჩვენი უფლისა და მაცხოვრის მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

თქვენ მოგეხსენებათ ანდრია პირველწოდებული აჭარიდან გადმოვიდა ოძრხეში, სადაც აღმართულია აბასთუმნის ტაძარი, შემდეგ კი მან სამცხეში - აწყურში შემოკრებილ ქართველობას განუცხადა დედა ღვთისმშობლის დანაბარები, რომ ქართველ "საზეპურო ერს" უფალი ღმერთი არ მოაკლებდა თავის სიყვარულს, მარიამ ღვთისმშობელი კი - პატრონობას, ამიტომაც ვაკურთხეთ მის სახელზე განახლებული ტაძარი.

დღეს ასევე ჩვენი მორწმუნე ერი აღნიშნავს კვირაცხოვლობას ანუ აღდგომის განახლებას, მას ასევე თომას კვირა ეწოდება. აღდგომის შემდეგ ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე თავის მოციქულებს გამოეცხადა, მათ შორის არ იყო თომა მოციქული. ამბის გაგების შემდეგ მან განაცხადა "არ დავიჯერებ იესოს აღდგომას, სანამ ჩემს თითს არ ჩავყოფ მის ხელთა ნალურსანევში და დალახვრული გვერდის ჭრილობაში".

იესო კვლავ გამოეცხადა თავის მოციქულებს, მათ შორის იყო "ურწმუნო" თომაც. უფალმა მოუწოდა მას და უთხრა - მოდი თომა და იხილე ჩემი ჭრილობები და ჩაჰყავი მათში შენი თითი. უფლის აღდგომით აღფრთოვანებულმა და გახარებულმა თომამ წამოიძახა - უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი, იესომ მას უთხრა ნეტარი ხარ შენ რომელმაც მიხილე და ირწმუნე, უფრო ნეტარია, ის, ვინც ვერ მიხილავს, მაგრამ ირწმუნებსო. მათში თქვენ, მორწმუნენი იგულისხმებით, რომელნიც უხილავი ღმერთის სიყვარულითა და მადლით ხართ აღვსილნი.

დღევანდელ დღეს - 14 აპრილს ჩვენი ერი ზეიმობს - "ქართული ენის დღეს". ჩვენი, საქართველოს ეკლესიის წმიდანმა ილია მართალმა ენა, მამული და სარწმუნოება ქართველთათვის ტოლფარდ კატეგორიებად მიიჩნია, ამ წმიდა ტაძარში (სანამ მოქმედებდა ძველ დროს) წირვა-ლოცვა რუსულ-სლავურ ენაზე ტარდებოდა და რუსი წმიდანის სახელიც ერქვა ეკლესიას, განახლების შემდეგ კი, დღეიდან აქ მხოლოდ ქართული ენით ვადიდებთ უფალ ღმერთს. შევთხოვ მას თქვენს დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას, მრავალს დაესწარით.

IV. 1991 წ.

ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ქადაგება უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში

1991 წლის 25 მარტს ქ. ახალციხეში დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის ფილიალში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსმა ანანია ჯაფარიძემ. პარაკლისის შემდეგ მან სიტყვით მიმართა სტუდენტებს:

პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ქრისტეს მიერ საყვარელნო შვილებო, დღეს ჩვენი მორწმუნე ქართველი ერი დღესასწაულობს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის წლისთავს. 1917 წლის 25 მარტი მარად მოსაგონებელი თარიღია ათასწლოვანი ქართული ეკლესიისათვის. დღევანდელი სამადლობელი პარაკლისი გადავიხადეთ უფლის სადიდებლად, რომელმაც საღმრთო წყალობით ინება განთავისუფლება ჩვენი დედა ეკლესიისა უცხო თესლთა ბატონობისაგან. ამასთანავე სამადლობელი პარაკლისის ჟამს ვმადლობდით და ვადიდებდით უფალს დღევანდელი

დღისათვის, ჩვენი ხალხის, ქრისტესმოყვარე ერის აზრისა და გონების განთავისუფლებისათვის, ათეიზმის არტახებისაგან დახსნისა და სინდისის თავისუფლების მონიჭებისათვის.

სულ ახლახან, ერთი-ორი წლის წინ ჩვენს საგანგებოდ გამოცემული და მტკიცედ დამკვიდრებული კანონების ძალით მკაცრად გვეკრძალებოდა შეხვედრა ჩვენს ახალგაზრდებთან, შესვლა სკოლებში, სასწავლებლებში, საუბარი ყმაწვილებთან თუ მათ აღმზრდელებთან. მიზანი ამისა იყო დათრგუნვა ქრისტიანული ზნეობისა და მორალისა, ეროვნული ტრადიციების მოსპობა.

ამჟამად, ფაქტიურად, პირველად მოგვეცა საშუალება და უფლება დაუბრკოლებლად შევსულიყავით სკოლებში, შევხვედროდით ჩვენს მოზარდ თაობას და ერთად გველოცა ერისათვის პარაკლისების გადახდისას. მესხეთის სამღვდელოებასა და ახალციხის სასულიერო სასწავლებლის სტუდენტებთან ერთად მოვიარეთ ჩვენი ეპარქიის მრავალი სოფელი, სკოლა, ეკლესია. სწორედ ამიტომ ვმადლობთ და ვადიდებთ უფალს.

მოხდა გასაოცარი ცვლილება. ათეისტურ ხელისუფლებას ძალა გამოეცალა. დაემხო ძალა, რომელიც ჩვენს ხალხს აუცხოებდა ეკლესიისაგან. ღვთის მგმობელთა და უარმყოფელთა გზა მოკლე აღმოჩნდა. ბოროტი დამარცხდა და გამოჩნდა კეთილი - მძლავრი აქამდე ჩვენს ხალხში მიმალული ფესვები სარწმუნოებრივი სიყვარულისა.

ღვთივკურთხეული ქართველი ერი მიისწრაფის ჭეშმარიტებისა და თავისუფლებისაკენ. მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება, რომელიც მე მიწამებს, ის მარად იცოცხლებს - ბრძანებს ჩვენი უფალი. კიდევ ერთხელ დიდება და მადლობა უფალს ჩვენი სარწმუნოებრივი გადარჩენისა და გათავისუფლებისათვის.

შემჩნეულია, რომ სარწმუნოებრივი განთავისუფლება მარად წინ უძღოდა ჩვენ ეროვნულ თავისუფლებას, ასე იყო ამ ათასი წლის წინაც, როცა ჯერ სარწმუნოებრივად და ეკლესიურად გაერთიანდა საქართველო, ხოლო შემდეგ კი საქართველოს სხვადასხვა სამეფოებიც გაერთიანდნენ და შეიქმნა ერთიანი ცენტრალიზებული ქრისტიანული საქართველოს სახელმწიფო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თვით 1917 წელს ჩვენი ეკლესიური განთავისუფლება, რომელიც გამოცხადდა სწორედ დღევანდელ დღეს 25 მარტს - წინ უძღოდა საქართველოს განთავისუფლებას რუსეთის იმპერიისაგან - ანუ 1918 წლის 26 მაისს. შევთხოვთ უფალ ღმერთს, ვილოცოთ, რათა ამჟამინდელი სარწმუნოებრივი განთავისუფლება და ათეიზმის დამარცხება წინ უძღოდეს საქართველოს ჭეშმარიტ განთავისუფლებას და ეროვნული სახელმწიფოს აღდგენას.

თავისუფლება ყოველ ჩვენთაგანს უფლისგანა გვაქვს ნაბოძები, რამეთუ ადამიანი თავისუფალი ნებისყოფით დაჰბადა, ხოლო ჩვენმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ თავისი წმიდა სისხლით მონობისაგან განათავისუფლა კაცობრიობა, ამიტომაც ჩვენი სარწმუნოება, ქრისტიანობა დაინტერესებულია, რათა ადამიანი, საზოგადოება, ერი არ იყოს დამონებული, ხოლო დამონებულნი - განთავისუფლდნენ. არაა შემთხვევითი, რომ ქართველთა მფარველი წმიდანის წმიდა გიორგის ერთ-ერთი ეპითეტია - "ტყვეთა განმათავისუფლებელი", ხოლო ძველქართულ საზოგადოებას თანახმად რუსთაველისა, უდიდეს სიქველედ მიაჩნდა თავისუფლება და ჰქონდა კიდეც ლოზუნგი-მოწოდება - "ათავისუფლე მონები". ყოველგვარი შეზღუდვა და მონობა - ქრისტიანობის მიერ დაგმობილია, ხოლო პიროვნებისა და ერის სწრაფვა სულიერი და პოლიტიკური თავისუფლებისაკენ - კურთხეულია. ამიტომაც, ახლა, როცა ჩვენი ერი ემზადება ძალზე მნიშვნელოვანი 31 მარტის რეფერენდუმისათვის - უთუოდ ყველა ქრისტიანმა ხმა უნდა მისცეს ეროვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ეს პირველი შემთხვევაა იმპერიის მიერ დამონებულ ერს რომ მიეცა შესაძლებლობა დაუბრკოლებლად გამოხატოს თავისი აზრი: რა ურჩევნია - თავისუფლება თუ მონობა, სარწმუნოება თუ ათეიზმი.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ ქართული ქრისტიანობის უძველესი კერა, მესხეთი ჩვენმა დამპყრობლებმა განადგურების პირას მიიყვანეს, ყველას მოგეხსენებათ მესხეთის სავალალო ისტორიული ბედი. სარწმუნოებრივად მას არც ამ ბოლო 70 წლის მანძილზე გაუმართლა, აქ ათეიზმის მძლავრობის ჟამს არ არსებობდა არც ერთი ქართულ-მართლმადიდებლური ეკლესია,

არ იყო არც ერთი ქართველი მღვდელი, მაშინ როცა აქ ფაქტიურად უწყვეტად ფუნქციონირებდა გრიგორიანული რამდენიმე ეკლესია, სინაგოგა და კათოლიკური ეკლესია. პირველად ამ ათიოდე წლის წინ გაიხსნა ქართული ეკლესია, რომელმაც, თითქოსდა, თავისი მადლი მოჰფინა სამცხე-ჯავახეთს, ღვთის შეწევნითა და უფლის სადიდებლად, სულ ახლახან, ამ ბოლო ორ წელიწადში მრავალი ეკლესია ახლად ვაკურთხეთ და პირველი საღმრთო ლიტურგიებიც აღვასრულეთ ათეულობით წლების იძულებითი უქმობის შემდეგ, ჩვენს დიდებულ ზარზმასა და ვარძიაში, საფარასა თუ ბორჯომში, სამწუხაროდ, არ გვყოფნის სასულიერო კადრები, ამიტომაც დავაარსეთ მესხეთში სასულიერო სასწავლებელი, მაგრამ რატომღაც აქ სწავლას მესხი ვაჟები თავს არიდებენ, მაშინ როცა ჩვენს სასწავლებელში სწავლობენ თბილისიდან, ქართლიდან, იმერეთიდან თუ სამეგრელოდან ჩამოსული ახალგაზრდები, მათ შორის რამდენიმე გოგონა უმაღლესი განათლებითაც კი. ჩვენ ახალ სასწავლო წელს იმედი გვაქვს მესხეთის მკვიდრნიც შეაღებენ ჩვენი სასწავლებლის კარს. იმედი გვაქვს, რომ თანდათან მესხეთში სარწმუნოება აღორძინდება, მესხეთი ხომ აკვანია ძველი ქართული კულტურისა, სარწმუნოებისა, აქ იქადაგა ჩვენი მაცხოვრის უპირველესმა მოწაფემ ანდრია მოციქულმა, სწორედ მესხეთში განუცხადა მან ქართველობას, რომ საქართველო დედა ღვთისმშობლის ქვეყანაა, ხოლო ქართველი ერი ღვთის მიერ გამორჩეული "საზეპურო" ერი. შევთხოვ უფალს, ღვთის მადლი და წყალობა არ მოკლებოდეს ჩვენს ერს, ყველა თქვენთაგანს.

25. III. 1991.

ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

„რაი არს ჭეშმარიტება"

პოლემიკა, გაზეთი "ერი" 27. II. 1991

"შვილო, როგორც მამა გირჩევ, შენი საკუთარი და ჭეშმარიტი კრიტიკულის თვალით შეხედო ყველაფერს და არა მიეპყრო ნ.მარის ქართულის საწინააღმდეგო მიმართულებას" - ასე არიგებდა შვილს მამა გასული საუკუნის მიწურულს...

ჩვენს სასტიკ ეპოქაში გაზრდილ თაობებს სწორედ ჩვენი საკუთარი და ჭეშმარიტი კრიტიკული თვალით ხედვის უნარი არ გაგვაჩნია.

ჩვენი მხცოვანი მოღვაწე, ბატონი იოსებ მეგრელიძე, რომელსაც მე უდიდეს პატივს ვცემ, წერს: „ა. ჯაფარიძე აცხადებს ივანე ჯავახიშვილის მამა ალექსანდრე, ამბობდა, ნ. მარი "ყოველივე ქართულის საწინააღმდეგო მიმართულებას ავითარებდა". წიგნს, რომელსაც საძიებელი აქვს ალ. ჯავახიშვილის სახელთან ეგ სიტყვები არ ჩანს" (იხ. "ერთი წერილის გამო", გაზ. "ერი", 7.11.91).

ჩემს წინა წერილში სიდიდის გამო არ შემეძლო ვრცელი ამონაწერის მოტანა, რადგანაც საჭიროება ითხოვს - ინებეთ: "...სამღვდელოება კიდევ აიტანდა ამ მკრეხელურ გამოთქმებს, მაგრამ მათთვის პირდაპირ აღმაშფოთებელი იყო ის, რომ მეცნიერ-დებიუტანტი საერთოდ უარყოფდა ათასი წლის ხანდაზმულობის მქონე საეკლესიო ჭეშმარიტებად ქცეულ მოვლენებს, მტკივნეული აფორიაქებით ხვდებიან ამას ივ. ჯავახიშვილის ახლობლები. თვითონ ალექსანდრე ჯავახიშვილს არწმუნებენ, რომ ნიკო მარის ზეგავლენით ივ. ჯავახიშვილი ანტიპატრიოტულ პოზიციებზე დგას, 1898 წლის 22 ოქტომბერს აფორიაქებული მამა სწერდა: "შვილო, როგორც მამა გირჩევ, შენი საკუთარი და ჭეშმარიტის კრიტიკულის თვალით შეხედო ყველაფერს და არა მიეპყრო მარის ქართულის საწინააღმდეგო მიმართულებას". 1898 წელს დედა სწერდა: "ამ გაზეთებმა ღამის გამაგიჟოს, რას არ წერენო". თვითონ ივანე ჯავახიშვილი გრძნობდა იმ უხერხულობას, რაც მის მტკიცებას ახლდა მორწმუნეთათვის" (ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, 1984, გვ. 48).

რა შეიძლება აქედან დავასკვნათ? გასული საუკუნის მიწურულსაც კი ქართული საზოგადოება ნ. მარის პატრიოტიზმს არა თუ ეჭვის თვალით უმზერდა, არამედ მის სამეცნიერო მიმართულებას ყოველივე ქართულის საწინააღმდეგოდ მიიჩნევდა, რასაც ასახვა უპოვია ქართულ პრესაში და აგრეთვე ჩვენი ერის უდიდესი და უსაყვარლესი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მშობელთა წერილებშიც. რა შუაში ვართ აქ ჩვენ, ან მე ან ბატონი მოპასუხე? ჩვენს წერილში მხოლოდ მასალა აისახა.

იქნებ უსაფუძვლოდ ებრძოდა ჩვენი დიდი ილია, ქართული ერის ჭეშმარიტი მამა ნ. მარს და მის "მოძღვრებას" (როგორც თავად უწოდებს)? ილია ებრძოდა არა ნიკო მარის პიროვნებას, არამედ მის აზრებს, თეორიებს, რომელთაგანაც ის მოელოდა რაღაც ეროვნულ საფრთხეს. დიდ ილიას ალღომ არ უმტყუნა! ის მართალი იყო, როგორც ყოველთვის.

აი, თითქმის ასი წლის შემდეგ, დღევანდელი უდიდესი ეროვნული განსაცდელის ჟამს, როცა ყოველი კუთხიდან სისხლისღვრითა და უსასტიკესი გაბოროტებით გვედავებიან საქართველოს მიწა - წყალს, ჩვენი მოწინააღმდეგე სეპარატისტები თავიანთ პრეტენზიებს ხშირად და ძალზე ხშირად აფუძნებენ ნ. მარის თეორიებზეც.

რომელი ერთი მაგალითი მოვიყვანოთ. ჩვენი წერილი, რომელსაც პასუხი გასცა ბატონმა ი. მეგრელიძემ, ძირითადად ხომ ამ საკითხს მიეძღვნა: "სვანურის ნარევობის თეორია ნ. მარის შექმნილია" - წერდნენ ბატონ ალექსანდრე ონიანის ოპონენტები; ამ თეორიის შესახებ კი ონიანი წერდა: "სვანურის ნარევობის თეორია აფხაზი მოსახლეობის საქართველოს მიწა-წყალზე (სვანების მეზობლად) "ათასწლეულთა განმავლობაში "ცხოვრების საბუთად გადაიქცა" (იხ. გაზ. "სახ. განმ." 17. V. 90).

ეს იმ თეორიის შემადგენელი ნაწილია, რომლის თანახმადაც არა მარტო აფხაზეთი, არამედ დასავლეთ საქართველოს ვრცელი ტერიტორია არა ქართველთა, არამედ აფხაზთა პირველ სამშობლოდ ითვლება, რაც, თავის მხრივ, ზოგიერთ მეცნიერს აღუძრავს აზრს, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი გაქართველებული აფხაზები არიან, რომ ამის გამო დარჩა ამ კუთხის ენებში აფხაზური ენობრივი დანალექები და რომ აფხაზები XVII საუკუნეშიც კი (თითქოსდა ევლია ჩელების ცნობის თანახმად) მდინარე რიონთან ცხოვრობდნენ.

იქნებ მე მოვიფიქრე და არ არსებობს ნ. მარის თეორია, რომლის თანახმადაც მთელი სამხრეთი საქართველო არა ქართველების, არამედ სომეხთა მიწა-წყლად მიიჩნევა, ხოლო იქაური ქართველობა - გაქართველებულ სომხებად?!

"ნ. მარის დასკვნით, თუმცა კლარჯეთი ტაოსთან ერთად შემოერთებული იქნაო საქართველოსთან მე-8 - მე- 9 საუკუნეებში, მაგრამ მოსახლეობის შემადგენლობით იგი ვითომც ამის შემდეგაც სომხური დარჩა. კლარჯეთი, ისე როგორც ტაო, დასახლებული იყოო სომხებით, რომლებიც სარწმუნოებით ქალკედონიტები იყვნენო. ამრიგად, ნ. მარის მტკიცებით, კლარჯეთის და ტაოს მოსახლეობა თვით შემდგომ ხანაშიც კი ეს იყვნენ არა ქართველები, არამედ ძირითადში გაქართველებული სომხები" - წერდა პ. ინგოროყვა (იხ. იქვე, გვ. 12).

შედეგი?! რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მესხეთის "მკვიდრი" სომხების გაქართველების თეორიას? წინა წერილშიც აღინიშნა, რომ სხვა ერს უჩნდება არა მარტო პრეტენზიები ტაო-კლარჯეთის დიდ ქართულ კულტურაზე, მატერიალურ და სულიერ ძეგლებზე, არამედ მიწა-წყალზეც! ეს პრეტენზიები მომისმენია საკუთარი ყურით და პრეტენდენტები მიხილავს საკუთარი თვალით. ვითარცა მესხეთის ეპისკოპოსს მქონია მათთან შეხვედრის საშუალება და ყველაზე განათლებულნი მათ შორის, როგორც წესი, თავიანთი პრეტენზიების საფუძვლად აცხადებენ მარის აღნიშნულ თეორიას.

იქნებ მე მოვიგონე და არ არსებობს ნ. მარის თეორია აღმ. საქართველოს მთიანეთის გაქართველების შესახებ, ხევსურები და თუშები ჩეჩნურ-ინგუშურ ტომებად მიიჩნევა: ნ. მარს თავის შრომაში "იაფეტური ხალხების გადაადგილების ისტორია" დაუწერია შემდეგი: "არ დავფარავ, რომ ქართველი მთიელები, მათ რიცხვში ხევსურები და ფშავები მე ახლა

წარმომიდგებიან ჩეჩენი ხალხის გაქართველებულ ტომებად" (იქვე, გვ. 12), ხოლო სხვა შრომაში "კავკასიის ტომობრივი შემადგენლობა" ფშავები, ხევსურები და წოვა თუშები მიაკუთვნა ჩეჩნურ-ინგუშურ ტომს.

უფრო მეტიც, სადავო გახდა არა მარტო ჭეშმარიტი ქართველების (თუშ-ფშავ-ხევსურების) ეთნიკური კუთვნილება, არამედ საქართველოს მიწა-წყალი ც. აღნიშნული თეორიის თანახმად, თითქოსდა, მეათე საუკუნემდე აღმ. საქართველოს მთიანეთში მცხოვრები ჩეჩნების ტომი ჩრდილო კავკასიაში გადასახლდა, მაგრამ მათი ერთი ნაწილი გაქართველდა და მათ ეწოდათ ფშავები და ხევსურები.

რა შედეგს უნდა ველოდოთ ამ თეორიიდან? ჯერ ერთი, ეს საშინელი თეორია საფუძველს უთხრის ქართველი ერის ეთნიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ ერთობას, ე. ი. ეროვნულადაა საშიში. მეორე მხრივ, უფლებას აძლევს ჩრდილო კავკასიელ ტომებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი თავიანთ ისტორიულ სამშობლოდ გამოაცხადონ.

ვერიდები მკითხველის გადაღლას, მაგრამ პატ. ოპონენტს მსურს ვკითხო, განა მარი არ საყვედურობდა ივანე ჯავახიშვილს, მეგრელებსა და სვანებს ქართველებს რატომ უწოდებო? განა მეგრელთა და სვანთა არაქართველებად გამოცხადებით საფუძველი არ ეთხრება ქართველი ერის ერთობას?! დიდი ივანე იძულებული იყო თავი დაეცვა აკადემიკოსის შემოტევისაგან: "აკად. ნ. მარი მისაყვედურებს, რომ მეგრელებსა და სვანებს და აფხაზებს მე ქართველებს ვუწოდებ და პონტოსა და ფრიგიის ერები თითქოს ქართველებადაც კი მიქცევია. აფხაზებს მე ქართველთ მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ, რაც შეეხება მეგრელებსა და სვანებს და დავუმატებ ჭანებსაც, მათ მართლაც ქართულ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ".

მე სრულებითაც არ ვარ განწყობილი ნ. მარის პიროვნების წინააღმდეგ; მე კარგად მესმის რომ ის იყო დიდი მეცნიერი, და ვწერდი კიდეც მის შესახებ - "უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ნ. მარს ქართველოლოგიის წინაშე, ამით ის უკვდავია, ცოცხალი, მის აზრს, იდეას თუ ნაფიქრალს მგზნებარება არ დაუკარგავს", მე მხიბლავს მისი პიროვნება, მაგრამ მაშფოთებს ე. წ. "გაქართველების" თეორია, რომელიც უდიდესი საფრთხის მომტანია ქართველობისათვის; საბედნიეროდ, ის არაა დოგმა და არ არის ერთადერთი თეორია, არამედ არის ერთ-ერთი თეორია, რომელიც დროთა ვითარებაში შეიძლება შეიცვალოს კიდეც, თუნდაც მისი ავტორი "ტიტანი" იყოს.

თუ არა შიში აღძრული ე. წ. "გაქართველების" თეორიით და დღევანდელი სეპარატისტების მიერ ამ თეორიის მარჯვე გამოყენებით, გარწმუნებთ სიტყვასაც არასოდეს დავძრავდი ნ. მარის შესახებ.

მაინც რაში მდგომარეობს გაქართველების თეორია? თუმცა ჯერ განვაგრძოთ გაქართველების ამბები.

სწორედ ამჟამად ოსი სეპარატისტები პრეტენზიას აცხადებენ შიდა ქართლის ტერიტორიაზე, იმ მოტივით, რომ ის ძველთაგანვე დვალების ოსური ტომით იყო დასახლებული. მაგრამ განა დვალები ეთნიკური წარმომავლობით ოსები იყვნენ? ეს კითხვა ასეთი ინტონაციით ამჟამად, გაჭირვების ჟამს ისმება, აქამდე ჩვენი ისტორიოგრაფია მხოლოდ და მხოლოდ დვალების "გაქართველების" მტკიცებით იყო დაკავებული, რომელმაც ასახვა ჰპოვა შესაბამის შრომებში.

ჩვენი ენციკლოპედიის თანახმად, ქართული ეკლესიის მოღვაწე ნიკოლოზ დვალი ოსი ყოფილა ეროვნებით: "ნიკოლოზი იყო დვალი (ოსი), სოფელ წაიდან. 12 წლისა ბერად აღკვეცილა კლარჯეთში, შემდეგ იერუსალიმში დამკვიდრებულა. მისი ღვაწლის აღმწერი თხზულება ცნობებს გვაწვდის XIII-XIV საუკუნეებში აღმ. ქვეყნებში ქართველთა მდგომარეობისა და ოსების გაქრისტიანების შესახებ (ქსე, VII, გვ. 433).

სინამდვილეში კი ნიკოლოზ დვალის აღმწერი თხზულება არავითარ ცნობებს არ შეიცავს "ოსების გაქრისტიანების ისტორიის შესახებ". აი რას მოგვითხრობს ეს თხზულება ნიკოლოზის წარმოშობის შესახებ - "ესე სანატრელი ქრისტეს მოწამე ნიკოლოზ იყო ნათესავად დვალი,

სოფლისაგან რომელსა ეწოდების წაი, შვილი მორწმუნეთა და მოსავთა წმინდისა ნათლისმცემელისათა, რომლისა საშოითგან დედისაით შესწირეს, და რაი ათორმეტის წლისა იქმნა, მონაზონ იქმნა...” (ძვ. ქართ. ქრესტ. I. 1946, გვ. 255). მაშასადამე, წმინდა ნიკოლოზი იყო არა ოსი, არამედ დვალი. ამ დროისათვის დვალები არ იყვნენ გაოსებულნი, ენციკლოპედიის აღნიშნული განცხადება მომდინარეობს ჩვენი ერთი მეცნიერის ასეთი თვალსაზრისიდან - ”ნიკოლოზის სოფელს ერქვა წაი, მართალია, თერგის ოლქში ცნობილია ზემო და ქვემო წაი, მაგრამ საეჭვოა აქ თერგის ოლქი იგულისხმებოდეს, მით უმეტეს, რომ ნიკოლოზი იყო დვალი, ესე იგი დვალეთიდან. დიდი ლიახვის ხეობიდან ოსეთიდან, ყოველ შემთხვევაში ეს ძეგლი საინტერესოა იმით, რომ ცნობებს გვაწვდის ოსების ქრისტიანიზაციის და ქართიზაციის შესახებ” (ტ. I. გვ. 542. ავტორის გვარის დასახელებას ვერიდები, შესაძლო არასწორად გაიგონ ციტირება).

როგორც ითქვა, წმ. ნიკოლოზ დვალის “ცხოვრება” არ შეეხება ოსების გაქრისტიანებას, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი გულისხმობს, რომ დიდი ლიახვის ხეობა XIII-XIV საუკუნეებში ოსებით იყო დასახლებული და ამ ოსებს სატომო სახელი დვალები ერქვათ და თითქოსდა ხდებოდა მათი გაქრისტიანება. ჩვენი მეცნიერის აზრი მხოლოდ მაშინ ხდება გასაგები, როცა ის ლაპარაკობს “ოსების ქრისტიანიზაციისა და ქართიზაციის” შესახებ, ე. ი. მაშინ, როცა ის იყენებს ნ. მარის მიერ შემუშავებულ სქემებს კავკასიის ტომების გაქართველების შესახებ. ამ სქემით “ადვილი ასახსნელი” ხდება სხვადასხვა პრობლემა. ქართიზაციის თეორეტიკოსებმა ასე დამართეს წმ. ნიკოლოზ დვალსაც. მათი აზრით - „ის მთიელი იყო, მაშასადამე, - არაქართველი. ქრისტიანი იყო, შესაბამისად, გაქართველებული დვალი, მაშასადამე ოსი”.

ამ თავიანთი არასწორი კვლევის შესაბამისად ქართიზაციის თეორეტიკოსებმა დაასკვნეს - „თხზულება დვალებს, ანუ ოსებს შეეხება, მაშასადამე აქ გვაქვს ცნობა ოსების გაქრისტიანების შესახებ”. ეს სქემა მცდარია - სინამდვილის უკუღმა წარმომდგენი. სინამდვილეში დვალები იყვნენ არა ოსები, არამედ ქართულ-ქართველური ტომი და, რაც მთავარია, ისინი XIII საუკუნეში ღრმადმორწმუნე ქრისტიანები იყვნენ.

აღნიშნული “ცხოვრების” არასწორი კვლევის შესაბამისად არასწორად ასკვნიან - ”თხზულებაში შემონახული ცნობებიდან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ დროს მიმდინარეობს მთის ერთ-ერთი ტომის - დვალების ქრისტიანიზაცია-ქართველიზაცია...” (საქ. ისტ. ნარკვ. III. 1979, გვ. 845).

წმინდა ნიკოლოზის ცხოვრებაში მსგავსი არაფერი წერია.

წმინდა ნიკოლოზის მშობლები ღრმადმორწმუნე ქრისტიანენი იყვნენ, იმდენად, რომ შვილი დედის წიაღშივე ღმერთს შესწირეს, 12 წლის ასაკში ბერად აღკვეცეს და ეკლესიას მიაბარეს, თავის მხრივ შვილმა თავი გასწირა ქრისტეს სიყვარულისათვის, ხოლო ნიკოლოზის მშობელთა გარდა არც ერთი სხვა “დვალი” პერსონაჟი თხზულებაში არ გვხვდება; ასე, რომ, ამ თხზულებაში დვალები არც ქრისტიანდებიან და არც ქართველდებიან, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ისინი აღნიშნული თხზულების დაწერამდე საუკუნეებით ადრე უკვე იყვნენ ქრისტიანები და წინა საუკუნეებში მოღვაწე მრავალი დვალი ქრისტიანის სახელია ცნობილი. ისინი იერუსალიმში, სინას მთაზე, უცხოეთის სხვადასხვა ქართულ მონასტრებშიც კი მოღვაწეობდნენ (ამიერკავკასიაში ოსების გამოჩენამდე გაცილებით ადრე). მაგალითად, იოანე დვალი (დვალი აქ გვარი კი არაა, არამედ სადაურობის აღმნიშვნელია) ცხოვრობდა XI საუკუნეში, მას თვენი გადაუწერია. 1055 წელს კი - წმინდა ბასილის ცხოვრება. მიქელ დვალს ჟამნი გადაუწერია, სტეფანე დვალს - ჟამისწირვის კრებული, გიორგი დვალს - ლაბეჭინის ოთხთავი, რომელსაც XIII საუკუნეს მიაკუთვნებენ (ქსე III გვ. 490); საიდან ჩანს, რომ იმ ტომს, რომელმაც ქართულ ეკლესიას ამდენი მოღვაწე მისცა (ოსების ჩვენს მთებში გამოჩენამდე) გაქართველება ესაჭიროებოდა. დვალებს XIII-XIV საუკუნეებში არც გაქრისტიანება ესაჭიროებოდათ და არც გაქართველება. ისინი ერთსაც და მეორესაც წარმოადგენდნენ, მაშასადამე არც “ნიკოლოზ დვალის ცხოვრებას” შეუძლია დვალების გაქრისტიანების ცნობები მოგვაწოდოს, მით უმეტეს ეს ძეგლი არ გვაწვდის ცნობებს “ოსების

ქრისტიანიზაციის და ქართიზაციის შესახებ" - ვინც აღნიშნულ "ცხოვრებას" წაიკითხავს ამაში დარწმუნდება, ცხადია, თუკი ნ. მარის თეორიების ტყვეობაში არ იქნება მოქცეული.

მაგრამ, უმთავრესია, რა ზოგადი დასკვნა კეთდება ზემოთ მოყვანილი თხზულების ანალიზიდან - ოსები ანუ დვალები XIII-XIV საუკუნეებში ცხოვრობენ შიდა ქართლში (კერძოდ ლიახვის ხეობაში) და ისინი განიცდიან გაქართველების პროცესს! ყველაფერი უკუღმა! მართალია, ჩრდილო კავკასიის ველებიდან ლტოლვილ ოს მოლაშქრეებს მონგოლები თავიანთი საჭიროებისათვის იყენებდნენ საქართველოში XIII-XIV საუკუნეებში, მაგრამ ისინი დვალეთში როდი ცხოვრობდნენ. ოს მოლაშქრეთა გარნიზონები იდგა ჩვენი სამეფოს სხვადასხვა კუთხეებში; ხოლო მონგოლთა დამარცხების შემდეგ გიორგი ბრწყინვალემ ისინი გააძევა საქართველოდან, მაგრამ ვახუშტის თანახმად, შემდეგ, განსაკუთრებით კი თემურ ლენგის დროს, ოსთა მეორე ტალღა აღწევს კავკასიის მთებში, კერძოდ კი დვალეთში, რომელიც იმ დროს ნარ-მამისონის ქვაბულს მოიცავდა ჩრდილო კავკასიაში. XV საუკუნის შემდგომ თანდათან დვალების ქართული ტომი იწყებს გაოსებას, შემდგომ დვალები და გაოსებული დვალები გადმოდიან აქეთ, აღწევენ ქართლის მთიანეთში, შემდეგ კი XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნეში თანდათან ჩამოყვნენ ლიახვისა და ქსნის ხეობებს, XIX საუკუნეში უახლოვდებიან შიდა ქართლის ვაკეს, რომელსაც იჭერენ კიდეც (ე. ი. ცხინვალის სანახებს) - XX საუკუნეში. ამ დროს მიმდინარეობდა არა ოსების "გაქართველება", არამედ, გერმანელი მეცნიერისა და აღმწერის გიულდენშტედტის თანახმად ქართველები, ოსურ გარემოში მოქცეულნი, ოსდებოდნენ. ის წერს: - "განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში არიან ბევრი ქართველები, რომელთაც რელიგიასთან ერთად, ენაც დაივიწყეს" ("გიულდენშტედტი. "მოგზაურობა საქართველოში" ტ. I. 1962, გვ. 185).

თუ ყოველივე ზემოთ ნათქვამს ნაწილობრივ შევაჯამებთ, აღმოჩნდება, რომ, გაქართველების თეორიის თანახმად, გაქართველდნენ საქართველოს მთიანეთში მცხოვრები თუშები, ხევსურები, ფშავლები, დვალები, სვანები, გაქართველდა მთელი დასავლეთი საქართველო, მთელი სამხრეთი საქართველო, იქნებ აღმოსავლეთ საქართველოც გაქართველდა? დიახ, არსებობს თეორია ჰერეთისა და კახეთის დიდი ნაწილის გაქართველების შესახებ.

ყოველ აღნიშნულ კუთხეთა გაქართველების თეორია არსებობს ვითარცა უკანასკნელი და ღრმა მეცნიერული სიტყვა.

მაშ სადღა იყო საქართველო, სად ცხოვრობდა ქართველი ხალხი? ვსვამდი კითხვას წინა წერილში და განვაგრძობდი: "მაინც ვინ მოიფიქრა ეს უცნაური გაქართველების თეორია (მოდი და ამის შემდეგ გაგიკვირდეს საქართველოსათვის "იმპერიის" წოდება)? ამ თეორიას საფუძველი დაუდო ნ. მარმა და მისმა მიმდევრებმა გააღრმავეს: "ქრისტიანობის გავრცელება აღმ. საქართველოს მთიანეთში მათ ქართიზაციას განაპირობებდა, რაც შეეხება დას. საქართველოს... დას. საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დას. საქართველოს ქართიზაციის პროცესს" - წერს ჩვენი ენციკლოპედია (იხ. ტ. "საქ. სსრ". გვ. 61).

მარისაგან მომდინარეობს იდეა აღმ. საქართველოს მთიანეთის, ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის "ქართიზაციის" ანუ გაქართველების შესახებ. ხელოვნურია ტერმინი და იდეაც ასეთივეა".

შემდეგ განვაგრძობდი, რომ საქართველოს არც ერთ დასახლებულ კუთხეს არავითარი "ქართიზაცია" - გაქართველება არ ესაჭიროებოდა, რადგანაც ისინი ქართული მხარეები იყვნენ ძველქართულ წყაროთა, ძველი ქართული ისტორიოგრაფიის თანახმად.

უძველესი წყაროს "მოქცევაი ქართლისაის" მიხედვით ქრისტეშობამდე საუკუნეებით ადრე, თვით პირველი ერთიანი აზონ-ფარნავაზის სახელმწიფოს შექმნამდე ქართველი ხალხის განსახლების დასავლეთ საზღვარს მდინარე ეგრის-წყალი და შავი ზღვა წარმოადგენდა, ხოლო მესხეთი მის არეალს განეკუთვნებოდა. ქართული ენა ამ კუთხეებში "ქართული ეკლესიის გაბატონების გამო" კი არ გავრცელდა (ეს "ქართიზაციის" პირობად ითვლება), არამედ

ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე წარმართობის დროს კულტმსახურების ენას ქართული წარმოადგენდა საქართველოს ყოველ კუთხეში.

დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ქრისტიანობამდე ყველა ქართულ ტომთათვის (სამეგრელოსა და სვანეთშიც) კულტმსახურების ენა იყო ქართული ენა და არსებობდა მთელი ქართველი ხალხის მომცველი საერთო სარწმუნოება (წარმართული). "ცხადი ხდება, რომ არამცთუ საზოგადო ქართული ყველა ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვის, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ, რომ წარმართობის საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა" (საქ. ისტორიის ნარკვევები, ტ. I. გვ. 662) ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე; ეს ყველა ტომთათვის საერთო ქართული ენა, მეფე ფარნავაზმა დააფიქსირა სრულიად საქართველოში, როგორც ერთადერთი სავალდებულო სახელმწიფო ენა. ეს მოხდა ფუძექართული ანუ საერთო ქართული ენის სხვადასხვა დიალექტებად დაშლიდან სულ რაღაც 300-400 წლის შემდეგ - "ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშლის დასაწყისი ძვ. წ. VIII საუკუნით უნდა დათარიღდეს" (იქვე, გვ. 338), ხოლო IV-III საუკუნეებში უკვე შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო, სავალდებულო ქართული ენით. ამ დროს მეგრული და ქართული ენები ძლიერ ახლოს იდგნენ ერთმანეთთან და ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ, ანუ სახელმწიფო ქართული ენა სრულიად გასაგები იყო ეგრისის მოსახლეობისათვის, ის მის დედაენას წარმოადგენდა, თუმცა კი თანდათან ვითარდებოდა და ყალიბდებოდა ახალი დიალექტი. "რა თქმა უნდა ენობრივი და სხვა სახის განსხვავება ამ დროს ბევრად ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე შემდეგში (იქვე, გვ. 442). ეს იმას ნიშნავს, რომ ფარნავაზმა ყველა ქართული ტომისთვის გასაგები ენა გამოაცხადა სახელმწიფო ენად. ეს ენა ქრისტიანობის შემოსვლისთანავე იქცა ქართულ ტომთათვის ერთადერთი სამწერლობო, კულტურის ენად, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსა და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი, - წერს ივანე ჯავახიშვილი."

ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და სამწერლო ენაც ჰქონდა და აბადია ეხლაც, რომელიც როგორც ეს თვით აკად. ნ. მარსაც კარგად მოეხსენება, და თვითონაც არაერთხელ დაუდასტურებია მეგრელებსა და სვანებისთვისაც ერთადერთი სამწერლო და კულტურის ენა იყო და არის ეხლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი (ივ. ჯავახ. I. გვ. 154). ქართული ენა, როგორც სამწერლო ენა, ჩამოყალიბდა როგორც მიიჩნევენ, ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ, IV-V საუკუნეებში, ასევე ცხადია კულტურის ენაც. თუ ამ დროს დასავლეთ საქართველო არ შედიოდა ქართულ ეროვნულ ორბიტაში, სვანები და მეგრელები როგორღა შეიტანდნენ წვილს მის "შექმნა-შემუშავებაში"? მაგრამ, რადგანაც ქრისტიანობის შემოსვლამდეც კი საერთო ქართული წარმართული კულტმსახურება სამეგრელოსა და სვანეთში თანახმად ივანე ჯავახიშვილსა, არა სხვა, არამედ ქართულ ენაზე აღესრულებოდა, IV-V საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის შესვლისთანავე ქრისტიანულ კულტმსახურების ენად დარჩა ენა ძველი წარმართული სარწმუნოებისა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლოთ "სამწერლო და კულტურის ენის შექმნა-შემუშავებაში" თავიანთი წვლილის შეტანა დასავლელ ქართველებს. მით უმეტეს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველომ ერთდროულად მიიღო ქრისტიანობა I-IV საუკუნეებში, როგორც ეს არქეოლოგიამ დაადასტურა, და არა VI საუკუნეში როგორც აქამდე დას. საქართველოსთვის იყო მიღებული; აქედან გამომდინარე, ალბათ გადასახედია ენციკლოპედიის ის დასკვნა, რომლის თანახმადაც IX-X საუკუნეებში "დას. საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დას. საქართველოს ქართიზაციის პროცესს". როგორც ითქვა, ქართული ენა დასავლეთ საქართველოში ღვთისმსახურების ენას წარმოადგენდა არა თუ IX-X საუკუნეებში, არამედ ათასი წლით ადრე - წარმართობის დროსაც. და იგივე ენა აქ, ამავე დროს, სახელმწიფო ენას წარმოადგენდა ფარნავაზის კანონის ძალით. ამიტომაც ქრისტიანობამაც იქ შესვლისთანავე I-IV საუკუნეებში ღვთის დიდება ხალხისათვის საერთო-სახალხოდ ქცეულ ქართულ ენაზე დაიწყო. აქაურ ტომებს IX-X საუკუნეებში არავითარი

ქართიზაცია-გაქართველება არ ესაჭიროებოდა, აქ ქართული სული ტრიალებდა და ისინი ქართველები იყვნენ. სხვა საკითხია ის, თუ დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილზე როდის გაავრცელა ბერძნულმა ეკლესიამ თავისი იურისდიქცია - ბერძნული საეკლესიო ენის გამოყენებით. საფიქრებელია, რომ ეს მოხდა VII საუკუნის დასაწყისში იმპერატორ ჰერაკლეს მიერ დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილის ანექსიის შემდეგ. IX-X საუკუნეებში ამ მიწებზე ქართულმა ეკლესიამ აღადგინა თავისი ძველი უფლებები.

როგორც აღნიშნული იყო, ამჟამად არსებული თვალსაზრისი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ ფაქტიურად ნ. მარის "გაქართველების" თეორიას ეფუძნება, რომლის ძალითაც ერთიანი ქართველი ხალხი, როგორც ეთნიკურ-კულტურული ერთობა IX-X საუკუნეების შემდეგ ჩამოყალიბდა, რადგანაც ამ საუკუნეებში "ქართების" ტომმა გაავრცელა ქართულენოვანი ღვთისმსახურება დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, მთიანეთსა თუ ჰერეთში, რის შემდეგაც გაქართდნენ ანუ გაქართველდნენ აღნიშნულ კუთხეთა მცხოვრებნი - რამაც ჩამოაყალიბა ქართველი ხალხი და XI საუკუნისათვის "საქართველო" როგორც კულტურულ-ეთნიკური მთლიანობაო, აღნიშნული იყო ისიც, რომ ეს თეორია აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ი. ჭავჭავაძისა და ნ. მარამდელი ქართული ისტორიოგრაფიის შეხედულებებს ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ.

ვთქვათ, დავეთანხმოთ ჩვენ ენციკლოპედიას, რომლის თანახმადაც "VIII საუკუნისათვის ძირითადად დასრულდა აფხაზი ხალხის ჩამოყალიბება" (ქსე. II. გვ. 29). ამავე დროს, ამავე ენციკლოპედიის თანახმად, აფხაზები ცხოვრობდნენ დასავლეთ საქართველოში სხვა ჯერ კიდევ "გაუქართებელ" ტომებთან ერთად, რამეთუ მთელ დასავლეთ საქართველოს "აფხაზეთი" ეწოდებოდა. IX-X საუკუნეებში მიმდინარეობს დას. საქართველოს მოსახლეობის "ქართიზაცია" და X-XI საუკუნეებისათვის ყალიბდება ერთიანი ქართული ეროვნება, რომელმაც ამ დროისათვის უკვე მოიცვა ადრე აფხაზებით "ნაწილობრივ" დასახლებული აფხაზეთის სამეფო, სახეზეა რა? ასიმილაცია? ერთი ხალხის (აფხაზების) მეორე ხალხად ქცევა? მაშ როგორია ჭეშმარიტება, როგორ ვიხსნათ თავი ამ აბსურდისაგან?

ალბათ იმით, რომ ჩვენი ისტორიოგრაფია უნდა დაუბრუნდეს "ძველ ნადინებს", ანუ აღდგეს ძველქართული ისტორიოგრაფია ახალ, თანამედროვე მიღწევათა საკადრისად, ხოლო მარის ხელდებულ ახალ საბჭოურ (უღრმესად ვითხოვ საწყენად ნუ მიიღებენ ამ სიტყვას, გვსურს თუ არა - ესაა ფაქტი) ისტორიოგრაფიას მოუწევს გადახედოს ზოგიერთ თავის თეორიას, კერძოდ, უნდა აღიაროს, რომ ერთიანი ქართველი ხალხი პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეპოქაში უკვე არსებობდა, ანუ ქრისტეშობამდე 400-300 წლით ადრე. დაახლოებით ამ ეპოქით თარიღდება სომეხი ერის ჩამოყალიბება, რასაც შენიშნავს ჩვენი ენციკლოპედია - „სომეხი ხალხის ჩამოყალიბების ბოლო ეტაპი თანხვდება ძვ. წ. VI საუკუნეში სომხეთის სახელმწიფოს შექმნას, მან ურარტუს სახელმწიფო დაიკავა" (ქსე, IX, გვ. 463) (ვაშა, თქვენ, სომეხო ისტორიკოსებო!). ქართველი ხალხის ჩამოყალიბების "ბოლო ეტაპი" რატომ არ უნდა თანხვდებოდეს ერთიანი აზონ-ფარნავაზის ქართული სახელმწიფოს შექმნას? მით უმეტეს, რომ ძველ წყაროთა თანახმად, ამ დროს ქართველ ხალხს ჰქონია არამარტო ერთიანი სახელმწიფო, არამედ ერთიანი სახელმწიფო ენა, ერთიანი წარმართული სარწმუნოება, ერთიანი კულტმსახურება ქართული ენით, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა.

ვინ იცის, იქნებ არც ღირდა გამოპასუხება, და სათქმელიც ბევრია, მაგრამ გასათვალისწინებელია ბატონ იოსების რამდენიმე შენიშვნა. ის "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" სავარაუდო ქარაგმა "ა-სა"-ს შესახებ ამბობს: "წერილის ავტორი ვერ დაგვისახელებს VIII-IX ან შემდეგდროინდელ ძველ ხელნაწერს, სადაც ასეთი ქარაგმა არსებობდეს" (იხ. მისი წერილი. 7. II. 91). მართლაც, ეს შეუძლებელია, რამეთუ VIII-IX საუკუნეებში "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ხელნაწერი არ არსებობდა, ის გიორგი მერჩულემ მეათე საუკუნეში დაწერა, სადაც აღინიშნა, რომ "ა- სა" ანუ აფხაზეთის კათალიკოსებს მირონი ქართლიდან მიჰყვანდათ IX საუკუნიდან. ამით

ხაზგასმულია ქართული ეკლესიის ერთიანობა, რომ ახალი საკათალიკოსოც ქართულ-ეროვნულია, რადგანაც წირვა-ლოცვა ქართულია, ის ერთიანი ქართლის ქვეყნის ნაწილს წარმოადგენსო. არის სხვა შენიშვნაც, თითქოსდა მე ერთი ჩვენი მეცნიერი "მარისტად" გამოვაცხადე, რაც არასწორია, მე მხოლოდ მივუთითე ციტატა მისი ნაშრომიდან, სადაც აღნიშნული მეცნიერი უთითებს ნ. მარს და ასახელებს მას.

აღნიშნულმა წერილმა მე ვერ დამარწმუნა, რომ მარის კრიტიკა აკრძალული არ იყო საბჭოთა (ბოლშევიკური) ხელისუფლების მიერ. ამის შესახებ წერენ ცნობილი მეცნიერები. თუ "გაქართველების" თეორია არ ეკუთვნის ნ. მარს, მაშინ შენდობას ვითხოვ მისი ნათელი ხსოვნის წინაშე, ხოლო თუ ეს თეორია მარის დაფუძნებულია, მაშინ საბოდიშო არაფერია. იმის გამო, რომ როგორც ბ-ნი იოსები წერს, "ნ. მარი თვითონ იყო თავისი ნაშრომების უსასტიკესი კრიტიკოსი, და ამიტომაც იცვლიდა აზრებს, არც სხვას უშლიდა მის გაკრიტიკებას... სტუდენტი ვწერდი: "დიდ ადამიანებს ხშირად დიდი შეცდომა მოსდით... ნ. მარსაც აქვს შეცდომები". თუკი ბატონ იოსებს სტუდენტობის წლებში ჰქონდა ნ. მარის შეცდომებზე წერის უფლება, რატომ გვეკრძალება ეს ჩვენ სიბერის ჟამსაც კი? იქვე ბატონი იოსები აღწერს თავის ბიოგრაფიას, თავის დევნას; რადგანაც სიტყვა ჩამოვარდა, ვიტყვი, რომ სსრკ-ში იდევნებოდნენ არა მარტო მარის მოწაფენი, არამედ ყოველი ადამიანი, მშვიდად თავს არავინ გრძნობდა; ხოლო რაც შეეხება ეკლესიისა და სამღვდელოების დევნას - არა თუ ძველად, უკანასკნელ ათწლეულებშიც კი პირადად უსასტიკესად ვიდევნებოდი...

მაგრამ რა წუხილი შეედრება სამშობლოს უბედურების განცდას, რომელი პირადი განსაცდელი აგონებდა ამ დროს ადამიანს.

ჩვენს სამშობლოს ნაწილებად ჰგლეჯენ (ნ. მარის თეორიების მოშველიებითაც), მე კი ვგოდებ დედა მტკვრის პირას, რომლის მარჯვენა სანაპირო აღნიშნულმა თეორიებმა თითქმის სომხეთს მიაკუთვნეს, ხოლო მარცხენა - ოსეთს...

ნუ იყოფინ!!!

წმინდა მეფე დავითი ამბობს: "ყოველი თესლები გარე მომადგეს მე და სახელითა უფლისათა ვერეოდი მათ". ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო უფლის სახელით სძლევს გარე მომდგარ ყოველ მტერს.

უფალი არს მწე ჩემდა, არა შემეშინოს, რაი მიყოს მე კაცმან?"

უფლის მარჯვენა აღამაღლებს საქართველოს, ამინ.

"ერი", 27. II. 1991.

ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

მოციქულთა გზა

"საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე მოვალეა თავის ქვეყნის წარსული იცოდეს" - წერდა დიდი ივანე ჯავახიშვილი 1919 წელს (იხ. "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის", გვ. 1).

ჩვენი ქვეყნის წარსულს ვერ გავიაზრებთ ქართული ეკლესიის მონაწილეობის გარეშე და, პირიქით, ისტორია ქართული ეკლესიისა არის ისტორია ქართველი ქრისტიანი ერისა. მართალია, ქართველ ხალხს ეროვნული ერთიანობის შეგნება უკვე ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდა და ფარნავაზ მეფის მიერ საფუძველჩაყრილ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველ ერთიან სახელმწიფოში უხდებოდათ მოღვაწეობა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოციქულებს,

მაგრამ, იმის შემდეგ რაც ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო და გაითავისა ყველა ქართველმა, ერის ისტორია ქართული ეკლესიის გარეშე წარმოუდგენელია.

საზოგადოდ ქრისტიანული ეკლესია და ქართველი ხალხი ურთიერთშეთავსებულ, ურთიერთშერწყმულ მთლიანობად იქცა. ვითარცა სული და სხეული შეადგენენ ერთ მთელს და სხეულში განფენილი სული იღვწის მისთვის, ასევე ქართული ეკლესია - ერისათვის.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ჩვენი ერი მსოფლიოს იმ მცირერიცხოვან ერთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც დამოუკიდებელი ეროვნული ეკლესია აქვთ. მსოფლიოს სულ რამდენიმე ათეულ ერსა აქვს ეროვნული ("ადგილობრივი") ეკლესია. მათი მეტი წილი XX საუკუნეში ჩამოყალიბდა. ქართული ეკლესია კი, თანახმად გიორგი მთაწმინდელისა, მოციქულთა მიერაა დაარსებული ამ ორი ათასი წლის წინ. ჩვენ იმდენად შევეჩვიეთ ამ ფაქტს, რომ ვეღარც კი ვაფასებთ მის დიდებულებას.

"ძველ საქართველოში უეჭველ ჭეშმარიტებად იყო აღიარებული წმიდა ანდრიასა და სხვა მოციქულების ჩვენში მოღვაწეობა და ქადაგება. ახალ დროში, განსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისში, წმიდა ანდრიას საქართველოში ქადაგება ლეგენდად გამოცხადდა. უარმყოფელებს ერთ თავის არგუმენტად ისიც მიაჩნდათ, რომ იბერია უმნიშვნელო ქვეყანა იყო, რომელსაც არ შეეძლო მოციქულთა ყურადღების მიპყრობაო. სინამდვილეში, მოციქულთა ეპოქაში, I საუკუნის 30- ანი წლებიდან II საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით იბერია იყო ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ფაქტიურად მოიცავდა ამიერკავკასიას. I-II საუკუნეების საქართველოს სიდიადითა და სიძლიერით მხოლოდ დავით აღმაშენებლისა და თამარის გაერთიანებული საქართველო თუ შეედრება. მოციქულთა ეპოქის იბერია სახელგანთქმული და ცნობილი ქვეყანა იყო მთელს მაშინდელ მსოფლიოში, ამიტომაც რომაელი ისტორიკოსები ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები სიამოვნებით უთმობდნენ თავიანთ თხზულებებში ადგილს იბერიის სისხლსავსე ცხოვრების აღწერას და შუა საუკუნეთა ევროპელები ანტიკური დროის იბერიას უკეთ იცნობდნენ, ვიდრე თავიანთი დროის საქართველოს (იხ. ა. ჯაფარიძე, "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ტ. I, 1988, გვ. 11 - 12).

ჩვენთვის სასახელოა, რომ იმპერატორმა ავგუსტმა, რომლის დროსაც წმიდა სახარების თანახმად დაიბადა უფალი იესო ქრისტე (ლუკა 2,1) საფუძველი დაუდო მეგობრულ ურთიერთობას რომის იმპერიასა და იბერიის სახელმწიფოს შორის. რომთან ურთიერთობის წყალობით, იბერიის სახელმწიფოს საზღვრები გაფართოვდა, ამ დროისათვის ალბანეთი მისი გავლენის სფეროში შედიოდა, ხოლო სომხეთს ზოგჯერ იბერიის სამეფო ოჯახის წევრები მართავდნენ (მაგალითად, ფარსმან მეფის ძე რადამისტი, იბერიის მეფის ძმა მითრიდატე) I საუკუნის შუა წლებში, ხოლო I საუკუნის 70-იან წლებში, როგორც ამას 1940 წელს აღმოჩენილი წარწერა უჩვენებს, ფარსმან მეფის ძე მითრიდატემ სომხეთში დიდი გამარჯვება იზეიმა. იბერიის სახელმწიფოს საზღვრები შავი ზღვის პირზე რომ გადადიოდა, მოწმობს არიანე (II საუკუნის დასაწყისში), ამიტომაც რომი იბერიას დიდი პატივისცემით ეკიდებოდა. იმპერატორ ანტონიუს პიუსის (133-161) დროს იბერიის მეფე ფარსმან II-ს საზეიმო შეხვედრა მოუწყეს რომში და მსოფლიოს დედაქალაქში მისი ცხენოსანი ქანდაკებაც აღმართეს, როგორც ეს საყოველთაოდაა ცნობილი, დიონ კასიუსის თანახმად, იმპერატორს "გაუფართოებია მისი სამფლობელო. "ჩანს არა მარტო ცნო იბერიის უკვე არსებული საზღვრები, არამედ დაუმატა კიდეც სხვა მიწები შავიზღვისპირეთსა და სომხეთში" (იქვე, გვ. 26). რომთან მეგობრობისა და საგარეო ომებში წარმატებების გამო საქართველოში დიდი სიმდიდრე დაგროვილა - "ძველ ისტორიკოსთა ცნობებს იბერიის შესახებ ადასტურებენ არქეოლოგები, რომელნიც რწმუნდებიან, რომ ქართველ ერს ასეთი მდიდარი და ბრწყინვალე სახელმწიფო არასოდეს ჰქონია, თუ არ ჩავთვლით თამარის ეპოქას (გვ. 13). ცნობილია, არმაზის არქეოლოგიური განძის სიმდიდრემ ივ. ჯავახიშვილს ათქმევინა, რომ ხელახლა იყო დასაწერი საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი.

სწორედ იბერიის ძლიერების აღნიშნული პერიოდი I საუკუნის 30-იანი წლებიდან II საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით იწოდება მოციქულთა ეპოქად. ამ დროს ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს მოციქულები (ათთორმეტნი და სამოცდაათთაგანნი) ქადაგებდნენ მთელს მსოფლიოში, დააარსეს პირველი ადგილობრივი ეკლესიები და საფუძველი დაუდეს მსოფლიო ქრისტიანობას. ამ დროს კი, როგორც არაერთხელ აღინიშნა, იბერია უბრწყინვალესი სახელმწიფო იყო - ამიერკავკასიის ჰეგემონი. მაშ რატომ უნდა აექციათ გვერდი მოციქულებს იბერიისათვის?

რუსეთსა და უცხოეთში დასტამბული ახალი აღთქმის ყველა სერიოზულ გამოცემაში დასახელებულია მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, სადაც მოციქულებს უქადაგნიათ ანდა მოწამეობრივად აღსრულებულან, კერძოდ, რომის იმპერია, სკვითია, ეგვიპტე, ეთიოპია, სპარსეთი, ასია, ფრიგია, აფრიკა თუ ინდოეთი. სამწუხაროდ, მათში არაფერია ნათქვამი მოციქულების საქართველოში მოღვაწეობის შესახებ.

ცნობილია, რომ ბერძენი და რომაელი ავტორები სკვითიას უწოდებენ შავი ზღვის გარშემო გადაშლილ ვრცელ ქვეყანას, რომლის ერთი ნაწილი შემდგომ რუსეთის სახელმწიფომ დაიჭირა: ამის გამო ძველ რუსულ (სლავურ) საეკლესიო ისტორიოგრაფიაში გაჩნდა თხზულებანი, რომელთა თანახმადაც ანდრია პირველწოდებულმა დნეპრის გზით მიაღწია იმ ადგილებამდე, სადაც შემდგომ აღმოცენდა კიევის ქალაქი. ანდრია მოციქულმა აქ "აკურთხა კიევის გორები", სლავურ საეკლესიო ისტორიოგრაფიაზე დაყრდნობით, რუსული ეკლესია გამოცხადებულია წმიდა ანდრია პირველწოდებულის მიერ დაფუძნებულად. რუსეთის საპატრიარქოს მიერ გამოცემული ნათლისღების ათასი წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი - "რუსსკაია პრავოსლავნაია ცერკოვ" ამას აღნიშნავს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ფაქტს. ახლახან დაიბეჭდა ა. ნიკიტინის გამოკვლევა "მოციქულ ანდრიას ნაკვალევზე", რომელშიც მრავალ წყაროზე დაყრდნობით გარკვეულია ანდრია მოციქულის მიერ ჩრდილო დასავლეთ შავიზღვისპირეთში განვლილი გზა (იხ. ა. ნიკიტინ, "პო სლედამ აპოსტოლა ანდრეია", 1990), რომლის თანახმადაც, მოციქული ანდრია შავიზღვისპირეთიდან რომში ჩასულა მდინარე დუნაიზე იმ დროისათვის არსებული საერთაშორისო გზით.

ასე რომ, მსოფლიოში უდიდესი და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი რუსეთის ეკლესია, მისი მკვლევარი ისტორიკოსები, თავიანთი ეროვნულ-ეკლესიური საჭიროებისათვის შეუზღუდავად იყენებენ წმიდა ანდრიას შესახებ არსებულ ცნობებს. ჩვენში კი, რატომღაც სიფრთხილეს იჩენენ ყოველთვის. არა თუ ანდრია პირველწოდებულის, თვით წმიდა ნინოს მოღვაწეობაც კი თავის დროზე ლეგენდად გამოცხადდა, უფრო მეტიც, ისტორიულ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული აზრი, რომ ქართველებმა წმიდა ნინოს მოღვაწეობის შესახებ ლეგენდა ჩაიწერეს IX-X საუკუნეებში, და ამიტომაც ჩვენამდე მოღწეული წმ. ნინოს ცხოვრების ვრცელი რედაქცია - "არ უნდა იყოს IX საუკუნის ადრინდელი ძეგლიო".

"წმიდა ნინოს ცხოვრების" თანამედროვე მკვლევარი - მეცნიერი მ. ჩხარტიშვილი ქართული წყაროების მიმართ ამგვარ დამოკიდებულებას "ჰიპერკრიტიკულს" უწოდებს. ის წერს: "ზემოთქმულიც აშკარას ხდის, რომ ქართული წყაროების მიმართ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების პირობებში "ნინოს ცხოვრების" ვრცელი რედაქციის გვიანი საუკუნეებით დათარიღება ხდებოდა ფაქტებზე ძალდატანებით... დღეს სპეციალისტთა ნაწილის მიერ ვრცელი "ნინოს ცხოვრების" გვიანხანაში შექმნის შესახებ თვალსაზრისის გაზიარება ემყარება მხოლოდ და მხოლოდ დასახელებულ მკვლევართა ავტორიტეტს და არა რაიმე განმტკიცებულ საბუთს". მ. ჩხარტიშვილი წერს: "შეუძლებელია ვაღიარებდეთ იმას, რომ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას IV საუკუნეში ჰქონდა ადგილი და ამავე დროს ვამტკიცებდეთ, რომ ცნობები ამ ფაქტის შესახებ მხოლოდ IX საუკუნეში ჩაიწერეს. ესეც რომ არა, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, "რომ V საუკუნეში "რიგით" წმინდანს შუშანიკს საქართველოში ეძღვნებოდა სპეციალური თხზულება, ქართველთა განმანათლებლის

“მოციქულთასწორის” ნინოს ცხოვრება კი აღწერილი არ იყო!”. მარინე ჩხარტიშვილმა თავისი კვლევის მეშვეობით დაადასტურა ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული, ხოლო ახალ ქართულში უარყოფილი, ფაქტი იმისა, რომ წმიდა ნინოს ცხოვრება IV საუკუნეში დაიწერა. ამის აღიარება გარკვეულწილად სარისკო იყო, რამეთუ ქართულ წყაროთა მიმართ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება დოგმად იყო ქცეული. ჩანს ამის გამო უყურებდნენ ქართულ წყაროებს მომეტებული ეჭვის თვალით. “ჩანს, მაშინ, როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, მართლაც აუცილებელი იყო ქართულ წყაროთა მიმართ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება, თორემ სხვაგვარად წარმოუდგენელია ამგვარი პრეტენზია წაეყენოს ნაწარმოებს” (მ. ჩხარტიშვილი “ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები”, 1987, გვ. 80).

ძველ ქართულ წყაროთა და ქრონიკათა მიმართ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების რეციდივები ამჟამადაც არსებობს. მაგალითად, ანდრია პირველწოდებულმა, ძველ ცნობათა თანახმად, საქართველოში შემოასვენა ღვთისმშობლის ცნობილი - აწყურის სასწაულმოქმედი ხატი, მაშასადამე, ეს ხატი I საუკუნისაა, ასევე პირველ საუკუნისად თარიღდება აწყურის ხატი ყოველწლიურ რუსულ საეკლესიო კალენდრებში, ხოლო ჩვენში ეს ხატი XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება მოჭედილობის მიხედვით; ასევე ჩვენი წყაროები წერენ, რომ ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში არათუ “გორები აკურთხა”, არამედ პირველი საეპისკოპოსოც კი დააარსა აწყურში (“ქართლის ცხოვრების” თანახმად) თავის სამღვდელოებით, ასევე სამღვდელოება დაუდგინა დიდაჭარის გაქრისტიანებულ მრევლს. ეს ცნობებიც დაუფასებელია.

ანდრია პირველწოდებულის მიერ საქართველოში განვლილი გზის განსაზღვრა შესაძლებელია ძველი ქართული წყაროებისა და ძველი რუკების შეჯერებით, ჩვენ ამის შესახებ ვწერდით 1988 წელს ზემოთ აღნიშნულ წიგნში. წმ. ანდრიას შესახებ ყველაზე ადრეულ ცნობებს იძლევა ევსევი კესარიელი მეოთხე საუკუნის დასაწყისში. როგორც ცნობილია, უფლის ამაღლების შემდეგ დედა ღვთისმშობელსა და მოციქულებს წილად ხვდათ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში ქადაგება, სადაც უნდა ექადაგნათ ქრისტიანობა. ევსევი კესარიელის თანახმად, ანდრია გაემგზავრა სკვითიაში, რომელიც იმდროინდელი განსაზღვრებით მოიცავდა შავი ზღვის დასავლეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარე მიწებს. ანდრიას ასევე მოუვლია ანატოლიის ჩრდილოეთი, კავკასია, აზოვისპირეთი, ყირიმი, ბიზანტია, ელადა (ვ. გ. ვასილევსკი, შრომები, ტ. II, 1909, გვ. 214).

ძველი მწერლობის ცნობებს ანდრიასა და სხვა მოციქულების სკვითიაში მოგზაურობის შესახებ დიდი ყურადღება მიაპყრეს ჩვენმა დიდმა მთაწმინდელმა წმიდა მამებმა X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში. მათ ამ ათასი წლის წინ გადმოგვცეს იბერიაში მოციქულების მიერ განვლილი გზა, რამაც ასახვა ჰპოვა “ქართლის ცხოვრების” ჩანართებში. მათ შეამჩნიეს, რომ ძველი ავტორები სკვითიასა და სკვითური ტომების ქვეშ ხშირად გულისხმობდნენ კოლხეთსა და დასავლურ ქართულ ტომებს. მართლაც, ძველი ავტორები სკვითიას კასპიისა და შავ ზღვას შორის მოქცეულ ტერიტორიასაც უწოდებდნენ, რაც უფლებას ამლევს ივ. ჯავახიშვილს “ძვ. წ. აღ. პირველ ათასეულში მცხოვრებ სკვით-სარმატებში ძირითადად ქართველთა მონათესავე ჩრდილო-კავკასიის მოსახლეობა იგულისხმოს” (გ. ახვლედიანი, ივ. ჯავახიშვილი ეპიკური... ლიტ. ძიებანი, III, 1989, გვ. 455). ძველქართველი ისტორიკოსები კი ამჩნევდნენ, რომ დას. საქართველოში მოსახლე ტომები, რომელთაც ძველი ავტორები ზოგჯერ “სკვითებს” უწოდებდნენ, იყვნენ დასავლეთ საქართველოში ანდრიას მიერ დამოძღვრილი ქართული ტომები.

აქ თანდართულ რუკაზე გადმოცემულია ანდრიას საქართველოში მოგზაურობის გზა, შედგენილი ძველ ცნობებზე დაყრდნობით. აღსანიშნავია, რომ ძველქართველ ისტორიკოსთა მიერ გადმოცემული ანდრია მოციქულის მარშრუტი - ტრაპიზონი, აფსარი (გონიო), დიდაჭარა, ოძრხე, აწყური, დასავლეთი საქართველო, ცხუმი (სებასტოპოლისი), ნიკოფსია - თითქმის ემთხვევა ძველ რომაულ IV საუკუნის საგზაო რუკას - ”ტაბულა პეუტინგერიანის”, რომელზეც საერთაშორისო სავაჭრო გზებია დატანილი; მართალია, ეს რუკა IV საუკუნისაა “მაგრამ მნიშვნელოვანწილად

უფრო ძველ I-II საუკუნეების მასალას ემყარება (იხ. საქ. ისტ. წარკ. I. გვ. 535). წმ. ანდრიას საქართველოში რამდენჯერმე უმოგზაურია, პირველად ის მარტო ჩამოსულა, ხოლო შემდეგ სხვა მოციქულებთან, კერძოდ, სიმონ კანანელსა და მატათა მოციქულთან ერთად. ჩვენს მიერ გარკვეულია, რომ პირველად წმ. ანდრიას საქართველოში უმოგზაურია 30-35 წლებში (იხ. ა. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 38) და ასევე ისიც, რომ მოციქული მატათა განისვენებს საქართველოში (იქვე, გვ. 39), ძველ აფსარში (გონიოში). ხოლო სიმონ კანანელის საფლავის შესახებ ნიკოფსიაში მიუთითებდა ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდელი.

ამჟამად, კი სიმონ კანანელის განსასვენებელია, მდინარე ფსირცხას ხეობაში, ახალ ათონთან ახლოს (იხ. "საქ. მართლმადიდებელი ეკლესია", რუსულ ენაზე, მ. 1983, გვ. 3). ჩანს, მოციქულის წმიდა ნაწილები ნიკოფსიიდან გადმოასვენეს XVI-XVII საუკუნეებში, აფხაზეთში მომხდარ ეთნიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო.

აღნიშნულ კუთხეთა გარდა ანდრიას უმოგზაურია ტაოში, ასევე სვანეთში. საიდანაც ის გადასულა "ოსეთში", იქედან კი აფხაზეთის გავლით დაბრუნებულა ცხუმში (სავარაუდო გზა ასახულია რუკაზე). "ოსეთი" იმ დროისათვის, როგორც ცნობილია მდებარეობდა სწორედ სვანეთ-აფხაზეთის ჩრდილოეთით, ჩანს ამის გამოც აფხაზეთის ერთ ჩრდილო კუთხეს "ალანია" ერქვა.

ასევე მნიშვნელოვანია ჩვენთვის წმიდა ნინოს მიერ განვლილი გზა. "წმიდა ნინოს გზა ქართული ეკლესიის სიწმინდეა სიმონ კანანელისა და მატათა მოციქულის საფლავებთან და ანდრია მოციქულის მიერ განვლილ გზასთან ერთად", ჩვენი მემატიანეების მიერ გადმოცემული წმიდა ნინოს მარშრუტის შესახებ მასში აღნიშნულია - "მემატიანეების თანახმად, წმიდა ნინო ფარავნის და მტკვრის ხეობას გაჰყოლია ურბნისამდე. ამჟამადაც ჯავახეთიდან სამცხემდე და შემდგომ ხაშურამდე გზა ამ ხეობას გასდევს. ეს ერთადერთი საგზაო ადგილია, სხვაგან გზის გაყვანა მოუხერხებელია". ამ ხუთი წლის წინ ამ წინადადების გამო ჩემი აზრით "ჰიპერკრიტიკულად" განწყობილმა მკვლევარმა საყვედური გამოთქვა. მან განაცხადა, რომ წმიდა ნინო გაჰყვებოდა არა ფარავნის ტბიდან გამდინარე მდინარეს, არამედ ფარავნიდან ურბნისში მიმავალ თრიალეთის ქედზე გამავალ საქარავნო გზას. მართლაც სულ ახლახან დასტამბული "შიდაქართლის" V საუკუნის რუკა (იხ. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, N5, 1990, გვ. 17) უჩვენებს, რომ ფარავნიდან მართლაც გადადიოდა პირდაპირი გზა თრიალეთის გავლით რუისსა და ურბნისში, იქვე დართული წინა საუკუნეთა რუკაც ასევე უჩვენებს ფარავნის ტბიდან ქართლში შემავალ მოკლე გზებს, მაგრამ მე ვფიქრობ, ჩვენ უნდა ვენდოთ მემატიანეს, ძველ წყაროს, მითუმეტეს, რომ ჯავახეთსა და სამცხეში არსებობენ მტკვრის პირას ტაძრები წმიდა ნინოს სახელობისა, არც ისაა შემთხვევითი, რომ სამცხეში, ურავლის ხეობაში, სოფელს ეწოდება "ანდრიაწმიდა", რაც ამ კუთხეში ანდრიას მოღვაწეობის დამადასტურებელ ნიშნად მიიჩნევა.

წმიდა ნინოსთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ცნობილი სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის მიერ გადმოცემული ცნობა, რომ წმიდა ნინომ იქადაგა "კლარჯეთიდან მასქუთებამდე" (იხ. სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172). მასქუთები კასპიის ზღვის პირზე ცხოვრობდნენ, იბერიიდან მასქუთებისაკენ მიმავალი ყველაზე მოხერხებული გზა გადიოდა ახლანდელ საინგილოს, ანუ ძველი აღმოსავლეთ კახეთის გავლით. ხორენაცის ცნობით წმიდა ნინოს გაცილებით მეტ არეალზე უქადაგნია, ვიდრე ამას "ქართლის ცხოვრება" გვამცნობს. თანდართულ რუკაზე გადმოცემულია წმიდა ნინოს გზა "ქართლის ცხოვრებისა" და სავარაუდო გზა - ხორენაცის მიხედვით.

იბერიის I-V საუკუნეების რუკა შედგენილია ძველ წყაროთა მიხედვით. "ქართლის ცხოვრება", ისევე, როგორც სხვა ქრონიკები თანმიმდევრულად გვამცნობენ, რომ (განსაკუთრებით «მოქცევაჲ ქართლისაჲ") ქართლის, ანუ იბერიის სამეფოს საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით გადიოდა ეგრისწყალზე მეფე ფარნავაზიდან ვიდრე მეფე ვახტანგ გორგასლამდე. ვახტანგის დროს

იბერიასა და ბიზანტიას შორის საზღვარი გავლებული იქნა მდინარე კლისურაზე, რაც აღნიშნულია რუკაზე.

გაზ. "ერი", 21. VIII. 1991 წ.

ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

„საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი"

ზოგჯერ ისმის კითხვა საჭიროა თუ არა წერა ქართველთა გაოსების შესახებ და საერთოდ არსებობს თუ არა ასეთი პრობლემა. ქართველთა გაოსების საკითხი ჩვენ ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია და ამასთანავე სასწრაფოდ გადასაჭრელ პრობლემად. როგორც ცნობილია ოსებსა და ქართველებს ძალზე ხშირად აქვთ ერთიდაიგივე გვარები. სხვადასხვა კუთხის ქართულ მოსახლეობას საკითხის არსში გაურკვევლობის გამო "ოსური" გვარის მატარებელი ადამიანი, როგორც წესი, ოსური ეროვნების მქონედ მიაჩნია. ეს თაობათა მანძილზე ოსურ თვითშემეცნებასაც კი უყალიბებს "ოსური" გვარის მატარებელ ქართველს, ზოგჯერ კი მძიმე ფსიქოლოგიურ შედეგსაც იწვევს.

მაგალითად, თბილისთან ახლო სოფელ დიდ ლილოში ცხოვრობენ "ოსური" გვარის მატარებელი ქართველები - ცხოვრებაშვილები, თიგიშვილები და სხვანი. ისინი თავის დროზე სამაჩაბლოდან გადასახლებულან ლილოში. ისინი "ოსური" გვარის მატარებელნი კი არ არიან, არამედ პირიქით, სამაჩაბლოში დარჩენილი მათი მოგვარეები - გაოსდნენ, მთებიდან ოსების ქართლში ჩამოსახლების შემდგომ, ოსურ გარემოში მოქცევის შედეგად. ამიტომაც ლილოელთა პრობლემა (კერძოდ ის, რომ მათ ოსებად მიიჩნევენ), გამოწვეულია საკითხში მათი მეზობლების გაუცნობიერებლობით. გულნაკლული რ. თიგიშვილი, ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თბილისელი მოღვაწე, წერს - "წინაპართა გადმოცემით დიდი ლილოელთა ჯილაგი და მოდგმა წმიდა ქართულია, ასეთივე აზრია დამკვიდრებული სამაჩაბლოს ქართულ მოსახლეობის ნაწილში (ე. ი. მათში, რომელთაც "ოსური" გვარები აქვთ)... ბუნებრივია, იბადება კითხვა: მაინც როდემდე უნდა იყოს დიდი ლილოს მკვიდრი მოსახლეობა ხალხში გაბატონებული მცდარი შეხედულებით მონათლული? ჩვენ კარგად გვესმის, რომ ყოველივე ამის გასარკვევად დიდ ლილოელთა ეტიმოლოგიით დაინტერესებულ ისტორიკოსთა ავტორიტეტული დასკვნებია საჭირო, ამიტომაც მოთმინებით ველით იმის საჯაროდ გამოცხადებას და აღიარებას, რაც ჩვენთვის დიდი ხანია ცხადზე უცხადესია. საყურადღებოა ერთი გარემოება - ძველი გადმოცემების მიხედვით, თაობიდან თაობის ხსოვნას შემორჩა ლილოელთათვის უცილობელი ჭეშმარიტება: ჩვენი წინაპრები ქართველები იყვნენ და სამაჩაბლოს დროშის ქვეშ იცავდნენ სამშობლოს" (რ. თიგიშვილი, დიდი ლილოს ჭეშმარიტი სული, გაზ. "მამული", N15, VIII, 1990 წ.).

მიუხედავად დიდ ლილოელთა ასეთი ეროვნული სულისკვეთებისა, მეზობლები მათ თავდაჯერებით - ოსებს უწოდებენ, ამიტომაც კითხულობს ავტორი - "აბა მაშ რა გამართლება უნდა მოვუძებნოთ ისეთ აბსურდულობამდე თავდაჯერებული ადამიანების ახირებას, რომლებიც სისხლით, სულით-ხორცამდე ქართველებს არაქართველებად აცხადებენ?" (იქვე, გვ. 4).

მართლაც, უცოდინარობა და სიმართლის გაგების უსურველობა წარმოშობით ქართველს არაქართველად აცხადებს საქართველოშივე. მადლობა ღმერთს, სამაჩაბლოს ზემოთ აღნიშნული მკვიდრნი არ გაოსებულან, მაგრამ მათი მოგვარეების და თანამეტომეების ნაწილი ხომ "ოსებად" ჩაეწერა, სხვა ავტორები წერენ - "მრავალი ქართველი, რომელნიც ცხოვრობდნენ ქსნის, ლიახვის, მეჯუდას, ჭარებუდას და ელტურას ხეობებში, ისტორიულ სამაჩაბლოსა და ქსნის საერისთაოში - ილურიძეები, ელბაქიძეები, მარიამიძეები, შევარდნაძეები, ჯირკვალიძეები და სხვები, მთიდან

მოწოლილი ოსური მოსახლეობის ისეთ იზოლაციაში მოხვდნენ, რომ ნაწილობრივ დაკარგეს მშობლიური ენა, თვითშემეცნება და ბევრჯერ ჩვენ თვითონ დაგვიდასტურებია, როცა ერთი ძმა ქართველად იწერება, ხოლო მეორე ოსად" (ელ. ნადირაძე, ნ. შოშიტაშვილი "კვიცი გვარზე ხტის" გაზ. "ახ. ივერიელი", 26. VI. 1990 წ.).

წარმოუდგენელია ერის უფრო მეტად დაცემა, თვით სამშობლოშივე დენაციონალიზაცია! და თანაც თვალხილულად, იმდენად, რომ მაგალითად ქართული წარმომავლობის ორი ძმიდან ერთი ოსად იწერება და მეორე ქართველად! უფრო მეტიც, ჩანს, ერთ-ორ "ოსად" ჩაწერილ ქართველს მოუწადინებია მამაპაპეული ეროვნების აღდგენა, მაგრამ მას დიდ წინააღმდეგობას უწევენ, ამიტომაც ზემოთ ხსენებული ავტორები ეკითხებიან მსგავს მოწინააღმდეგეს - "ამხ. ბერელიძევ, როგორ ფიქრობთ, ასეთ ხალხს უარი უნდა ეთქვას თავისი ნამდვილი გვარის აღდგენაზე თუ ყველაფერი მოსკოვს უნდა შევეკითხოთ?" (იქვე, გვ. 3).

ავტორთა მიერ ნახსენებ "ამხ. ბერელიძის" მსგავს ადამიანზე იტყვიან ხოლმე - "თავისი თავი რომის პაპზე უფრო მეტ კათოლიკედ მოაქვსო", გადაჭარბებას, ყალბ თუ ნამდვილ ემოციურობას სიკეთე არავისთვის მოუტანია, რამეთუ "რომლითა საწყაულითა მოუწყოთ - მოგეწყოთ თქვენ", - ბრძანებს ჩვენი უფალი იესო ქრისტე, რომელსაც ასე ვევედრებით - "ისევე მოგვიტევე ჩვენ ჩვენი ცოდვები, როგორც ჩვენ მივუტევებთ ჩვენს მიმართ შემცოდეთ", მიუტევე და მოგეტევება, შეუნდე და შეგინდობენ, ვინაა შეუცდომელი? დიახ, შეცდნენ ის ქართველები, ვინც თავის დროზე "ოსად" ჩაეწერა, მაგრამ მათ შვილებს და შთამომავლებს რატომ არ უნდა მიეცეთ წინაპართა შეცდომის გამოსწორების ნება?

უთუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ისტორიულ სამაჩაბლოში მცხოვრები ქართველები იძულებულნი იყვნენ ოსებად ჩაწერილიყვნენ XIX საუკუნეში, რუსთა მპყრობელობის დროს, რუსეთის ხელისუფლების მიერ საგანგებოდ გატარებული და დაგეგმილი პოლიტიკის შედეგად, რუსულმა ადმინისტრაციამ შექმნა ისეთი სოციალური გარემო, რომ ქართველად ყოფნა გაუსაძლისი გახდა შიდა ქართლში, ხოლო ოსებისა და "ოსებად" ჩაწერილ ქართველებს დიდი შეღავათები და უპირატესობანი ეძლეოდათ, ამის შესახებ არსებობს ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა. შიდა ქართლში მსგავსი ანტიქართული პოლიტიკა ტარდებოდა XX საუკუნეშიც, ე. ი. XX საუკუნეშიც ქართლში მცხოვრები ქართველები იძულებულნი იყვნენ ოსებად ჩაწერილიყვნენ. XX საუკუნის 20-30-იან წლებში მსგავსი იძულების გამომწვევი პირობები კარგად აქვს გადმოცემული მიუდგომელ მეცნიერ - მკვლევარს გ. ბოჭორიძეს, რომელიც ე. წ. "სამხრეთ ოსეთის აო" - ში მოყოლილი 4129 ქართველი კომლის ანუ 23460 ქართველის შესახებ 20-იან წლებში წერდა: "ოსეთში მოყოლილი ქართველები ყოველმხრივ საშინლად შევიწროებულნი არიან, ისინი აშკარა ტყვეებად გრძნობენ თავს... ქართული ენა იდევნებოდა ქართულ სოფლებში. მიწერ-მოწერა და სხვა ჯერ რუსულად სწარმოებდა, ხოლო ახლა ოსურად, ქართული კი განდევნილია. სამართალი მიდგომითია. ყველაფერში აშკარა გადახრა არის ოსების მხარეს, თვალში ამოღებული კაცისათვის სამართალი არ არსებობს... ადგილ-მამულის მფლობელობის საქმეში უპირატესობა ოსებს ეძლევა (ძირითადად ამ მიზეზის გამო ეწერებოდნენ ქართველები ოსებად - ა. ჯაფარიძე). გადასახადს პირველ ხანებში მარტო ქართველებს ახდევინებდნენ, ხოლო შემდეგ აშკარად ქართველ გლეხებს სტვირთავდნენ. სკოლებს უხსნიან ოსებს, ქართველებს კი იშვიათად... "თუ გინდათ ოსურ სკოლაში ატარეთ შვილები, თუ არა და თქვენთვის სკოლას ვერ გავხსნითო... მოსამსახურეებად მილიციიდან დაწყებული სულ ოსებს იღებენ. სომხებს უფრო აძლევენ ადგილს ვიდრე ქართველებს" (ლ. ფრუიძე, გ. ბოჭორიძე "მნათობი" N9, 1990, გვ. 136).

გ. ბოჭორიძის მიერ მოყვანილი ფაქტები სხვა მასალებითაც დასტურდება. მაგ. 1923 წელს "სამხრეთ ოსეთის ცაკის" დადგენილებით საქართველოს ისტორიულ ნაწილში - სამაჩაბლოში, საერთოდ უკუგდებული იქნა ქართული ენა და ოსური სავალდებულო ენად იქცა (ა. თოთაძე, ოსები ქართულ მიწაზე, გაზ. "სოფ. ცხოვრება" 9. II, 1991 წ.). სამაჩაბლოში ანტიქართული ისტერია უფრო ადრეც - 1917-1920 წლებშიც მიმდინარეობდა. 1918 წლის 29 მარტს გაზეთი "ალიონი" წერდა

- ”გაბოლშევიკებულმა ჯარისკაცებმა უთხრეს გლეხებს: ხომ ხედავთ მიწას არ გაძლევთ გასწყვიტეთ თავადაზნაურობა და წაიღეთ მიწებიო, გლეხებიც ასე მოიქცნენ. თავადებსა და მათ ბავშვებს ჰხოცდა ბრბო შეუბრალებლად” - ქართული მოსახლეობის სასტიკი დევნის შესახებ წერს ლევან თოიძე (მაცნე, ისტორიის სერია N3, 1990).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რევოლუციამდეც ოსი მოსახლეობა, რომელიც მაშინ ხიზნების სახელით ცხოვრობდა შიდა ქართლში, ქართველ მოსახლეობაზე მეტი უპირატესობითა და შეღავათებით სარგებლობდა სოციალურ სფეროებში (იქვე, გვ. 33).

ოსებს ქართველებთან შედარებით დიდ უპირატესობას ანიჭებდა რუსეთის ხელისუფლება XIX საუკუნეში, რაც წინასწარ იყო გამიზნული იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე. განსაზღვრული იყო შიდა ქართლში უზარმაზარი სამხედრო პოლიგონის მოწყობა, იქედან ქართველების აყრა და ოსების ჩასახლება, საბედნიეროდ იმპერია დაემხო და გეგმა განუხორციელებელი დარჩა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იწვევდა ქართველების სოციალურ-ეროვნულ შეზღუდვას ოს ხალხთან შედარებით, რაც დაედო კიდეც საფუძვლად ქართველების გაოსებას საქართველოშივე. ამ მიზეზის გამო ჩაეწერა “ოსად” ქართველობა.

“ქართველთა ისტორიული ბედუკუღმართობის ბრალია ყოველივე ეს თორემ ჩვენს ქვეყანაში რატომ უნდა გაოსებულიყო, გასომხებულიყო, გათათრებულიყო, გაფრანგებულიყო, გალეკებულიყო, გააფხაზებულიყო ჩვენი სისხლი და ხორცი?” - წერს როლანდ თოფჩიშვილი (ისტორიის გამყალბებლებთან კამათს აზრი აქვს? გაზ. “ლიტ. საქ.” 18. I. 1991 წ.).

დიახ, ქართველები გაოსდნენ. საბედნიეროდ ხშირად გაოსება იმით გამოიხატება, რომ - ”ოსად” ჩაწერილ ქართველს უყალიბდება ოსური თვითშემეცნება (ე. ი. ოსად მიიჩნევს თავის თავს). სხვა მხრივ ის აბსოლუტურად ინარჩუნებს ქართულ წეს-ჩვეულებებს, ქართულ ენას, ქართულ ტრადიციებსა და ქართულ გვარსაც კი. “გაოსებულის” ქართული ფორმის მქონე გვარი - უკვე აღარ მიიჩნევა ქართულად. ეროვნული თვითშემეცნება სხვა ყველა თვისებას ფარავს. ასე იქცევა ხოლმე სისხლ-ხორცით, მამა-პაპით ქართველი ოსად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს დოკუმენტურად ადასტურებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებობს.

მაგალითად გვარი თომაევი, ერთი შეხედვით, ოსურია, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის, აი, რას წერს აღნიშნული ინსტიტუტი - ”თომაევები წარმოშობით არიან გუჯარეთიდან. აქ გადმოსახლებული არიან შიდა ქართლის მთიანეთიდან (სოფლები ქვემო კაბუეთი, როკა). გვარი ნაწარმოებია რუსული სუფიქსით და მისი მატარებელნი მიკუთვნებულნი არიან ოსური ეროვნებისადმი, მაგრამ, როგორც საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, თომაევები წარმომავლობით არიან ქართველები და მათი ადრინდელი ქართული გვარი იყო თომაშვილი. თომაშვილების თომაევებად და ოსად ჩაწერა მოხდა იმიტომ, რომ გვიან ფეოდალურ პერიოდში შიდა ქართლში განსახლებულნი მოყვნენ ოსურ ეთნიკურ გარემოში. შიდა ქართლის მთიანეთი (ლიახვის, ლეხურას, მეჯუდას ხეობების ზემო წელი) XVI საუკუნემდე მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. ქართველი მთიელების ბარში ჯგუფურმა გადმოსახლებამ, შიდა ქართლის მთიანეთში გამოიწვია ჩრდილო კავკასიის მთიანეთიდან ოსთა გადმოსახლება, რომელთაც აქ დახვდათ მცირე რაოდენობით ქართული მოსახლეობა. უმცირესობაში აღმოჩენილი ქართველი მთიელები, მოხვდნენ რა ოსურ გარემოცვაში, გაოსდნენ, მათ შორის არიან თომაშვილები, სხვათაშორის 1886 წლის საოჯახო სიებში კოშკებში მცხოვრები თომაშვილები ქართველებად არიან ჩაწერილი (სცსსა ფ. 254 ან. 3 საქ. NN1682). ასევე ქართველებად არიან ჩაწერილი 1814 წლის აღწერაში (სცსსა. ფ. 254. ან. I. საქ. N367). ამავე აღწერიდან ისიც ირკვევა, რომ უფრო ადრე თომაშვილებს თომაურის გვარი უტარებიათ. თომაშვილების თომაევად ჩაწერა მოხდა XX საუკუნის დასაწყისში. ამრიგად თომაევები წარმომავლობით არიან ქართველები,

რომელთა ადრინდელი ქართული გვარი იყო თომაშვილი. თომაშვილების ოსებად და თომაევებად ჩაწერა (გაოსება) მოხდა იმიტომ, რომ ისინი მოხვდნენ ოსურ გარემოში. თომაევების მიერ თავდაპირველი ქართული გვარისა (თომაშვილი) და ქართული ეროვნების აღდგენა მეცნიერულად გამართლებული და სასურველია". ხელს აწერენ - ინსტიტუტის დირექტორი აკად. გ. მელიქიშვილი, სწავლული მდივანი თ. თოდრია, წამყვანი მეცნიერი რ. თოფჩიშვილი. ინსტიტუტის მიერ საბუთი გაცემულია 19. 04. 90 წ. N06. 01662.

ვაი სირცხვილო ჩვენი ერის დაცემავ და განუკითხაობავ, ქართველი თავის სამშობლოში - საქართველოშივე ჰკარგავს ეროვნებას, გვარს, თვითშემეცნებას, ხოლო ჩვენ გართული ვართ წვრილმანი ამბიციური საყოფაცხოვრებო, საოჯახო თუ სამეზობლო მოვლენებით. ჩვენს გვერდით მცხოვრები ქართველი ეროვნებას ჰკარგავს, ჩვენგან უცხოვდება, გვეთიშება. თუმცა სიტყვით ხშირად ვამბობთ პათეტიკით - "საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!", საქმით? ქართველი გვეკარგება, ჩვენ კი მივბახით - გზაც იქით გქონიაო! საით? არ ვიცით, რომ რაც არ უნდა ეწეროს პასპორტში ქართველს, ის მაინც უკანვე საქართველოში დაბრუნდება და დაბრუნდება უკვე არა მოყვარედ, არამედ მტრად.

აი, რას წერს აღნიშნული ინსტიტუტი გვარ თურმანოვის შესახებ - "გაცნობებთ შემდეგს: თურმანოვი წარმოშობით არის შიდა ქართლის მთიანეთიდან, ისინი წარმომავლობით არიან ქართველები, რომლებიც შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარის სხვადასხვა სოფლებში იყვნენ განსახლებული. გვარი ნაწარმოებია რუსული სუფიქსით და მისი მატარებელნი მიკუთვნებულნი არიან ოსური ეროვნებისადმი, მაგრამ როგორც საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, თურმანოვები წარმომავლობით არიან ქართველები და მათი ადრინდელი ქართული გვარი იყო - თურმანიძე. თურმანიძეების ოსებად და თურმანოვებად ჩაწერა მოხდა იმიტომ, რომ ისინი მოხვდნენ ოსურ ეთნიკურ გარემოში... თურმანოვების წინაპარი თურმანიძეები სწორედ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციიდან - დვალეთიდან არიან. თურმანიძეების ადრინდელი ქართული ეროვნება ფიქსირებულია 1814 წლის აღწერაში (სცსსა ფ. 254. ან. I, საქ. N367)... თავდაპირველი ქართული გვარისა (თურმანიძე) და ქართული ეროვნების აღდგენა მეცნიერულად გამართლებული და სასურველია. ინსტიტუტის დირექტორი აკად. გ. მელიქიშვილი, სწავლული მდივანი თ. თოდრია, წამყვანი მეცნიერი რ. თოფჩიშვილი" საბუთი გაცემულია ინსტიტუტის მიერ 24. II. 1989 წ. N0601662.

ხეთაგუროვი - ცნობილი გვარია. გვარის დაბოლოება "ოვ" რუსული სუფიქსია და რუსმა ჩინოვნიკებმა დაუმატეს ჩვენებურთა გვარებს, რუსული სუფიქსის ჩამოცლის შემდეგ დარჩენილი "ურ" სუფიქსი (ხეთაგური) - ქართულია და ჩვენ მთიელთა შორის გავრცელებული (ზვიადაური, ალუდაური და სხვა). აი, რას წერს ამ გვარის შესახებ ინსტიტუტი - "...საინტერესო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, ხეთაგურები წარმომავლობით არიან ქართველები... 1814 წლის აღწერაში ხეთაგურები ქართველებად არიან ჩაწერილი (სცსსა. ფ. 254, ან. I, ქ. N367). გაოსებულ ხეთაგურთა ზოგიერთი ნაწილი ხეთაგუროვებად ჩაწერეს. ამრიგად, ხეთაგურები წარმომავლობით არიან ქართველები, რომელთა ოსებად ჩაწერა მოხდა იმიტომ, რომ ისინი აღმოჩნდნენ ოსურ ეთნიკურ-ენობრივ გარემოში. ხეთაგურების მიერ ქართული ეროვნების აღდგენა მეცნიერულად გამართლებული და სასურველია". საბუთი გაცემულია ინსტიტუტის მიერ 27. 04. 1990, N0617007.

ბუძიშვილი - საკმაოდ გავრცელებული გვარია (აქედანაა - ბუძიევი). სულ რამდენიმე ათეული წლის ბუძიშვილები - იწერებოდნენ როგორც ბუჯიშვილები (ამას ადასტურებს გიორგი ალექსის ძე ბუჯიშვილის (დაბ. 1908 წ.) ქორწინების მოწმობა (გაცემული 31. X. 90 წ. ქორწინება 8. VII. 1926 მისი შთამომავლები ბუძიშვილებად იწერებიან ამჟამად).

აღნიშნული ინსტიტუტი საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით ასკვნის - "...ბუძიშვილები წარმომავლობით არიან ქართველები და მათი ადრინდელი ქართული გვარი იყო - ბუჯიაშვილი... 1886 წლის საოჯახო სიებში ბუძიშვილები - ბუჯიაშვილებად და ქართველებად არიან ჩაწერილი

(სცსსა, ფ. 254, ან. I საქ. N367). შიდა ქართლის მთაში განსახლებული ბუძიშვილების (ბუჯიაშვილების) წინაპრები ბუჯიძის გვარს ატარებდნენ, ამრიგად, ბუძიშვილები წარმომავლობით არიან ქართველები, მათი ოსებად ჩაწერა (გაოსება) მოხდა იმიტომ, რომ ისინი მოხვდნენ ოსურ ეთნიკურ გარემოში. ბუძიშვილების მიერ თავდაპირველი ქართული გვარისა (ბუჯიაშვილი) და ქართული ეროვნების აღდგენა მეცნიერულად გამართლებული და სასურველია". საბუთი გაცემულია 15. 10. 1990, N0601662.

ქართველთა გაოსების შესახებ ჩვენ გვაქვს მეცნიერ ეთნოგრაფთა უამრავი მონაცემი. გ. ჯალაბაძე წერს - რომ ქართველთა გაოსების პროცესი ჯერ დაიწყო ქართლის მთიანეთში და "მხოლოდ მაღალმთიან ხეობას მოიცავდა, მეოცე საუკუნეში პროცესმა გადმოინაცვლა დაბალმთიანი გარდამავალი ზოლისაკენ" (ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში 1987, გვ. 17-18), ე. ი. თუ ქართველები XIX და წინა საუკუნეებში ოსდებოდნენ მხოლოდ ქართლის მთიანეთში, XX საუკუნეში, ქართველები უკვე ოსდებოდნენ ბარში - სოფლებსა და ქალაქებში. ქართველთა გაოსების პროცესი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ საქართველოში შემოსულ უცხოელ მეცნიერებს. მაგალითად XVIII საუკუნის დიდი გერმანელი მეცნიერი გიულდენშტედტი წერს - "კავკასიელ მთიელთა შორის, განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში, არის ბევრი ქართველი, რომელთაც რელიგიასთან ერთად ენაც დაივიწყეს" (გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 185).

ვახუშტის დროს ქართლის მთიანეთში ოს-დვალები არცთუ დიდი ხნის შემოსულები იყვნენ, ამიტომაც მაღრან-დვალეთში (ჯავის რაიონში) ოსებთან ერთად ჯერ კიდევ ცხოვრობდა ქართველების დიდი რაოდენობა, რის შესახებაც წერს გიულდენშტედტიც. მალე ქართველები - ოსურ გარემოში მოქცეულნი გაოსდნენ ანდა ბარში ჩამოსახლდნენ. ბარელები ამ მხარეებიდან ჩამოსულ ქართველებს - ოსებს უწოდებდნენ. აღსანიშნავია, რომ დვალები - ქართველები იყვნენ, რომელნიც კიდევ უფრო ადრე გაოსდნენ, მათი გაოსების პროცესს გამოწვლილვით აღწერს ვახუშტი.

აღსანიშნავია, რომ ქართველთა გაოსების პროცესი არც უბრალო ხალხისათვის ყოფილა შეუმჩნეველი. გაოსების შესახებ ეთნოგრაფიული მასალები მოკრებილია მეცნიერთა მიერ. მაგალითად ბედოშვილებს, ოდიშვილებს და მელაძეებს ერთი წინაპარი ჰყოლიათ. გვარად ცეცხლაძე, მეჯუდის ხეობელი. ამ ძირ გვარ ცეცხლაძედან, სამი ძმის გაყოფის შემდეგ წარმოშობილან აღნიშნული გვარები. შემდეგ გამრავლებულან, ბარში ჩამოსულან "დაუკარგავთ ნამდვილი გვარი, ცეცხლაძე და გადაკეთებულან სამ გვარად - ოდიშვილად, ბედოშვილად და მელაძედ. მელაძეები და ბედოშვილები გაოსდნენ" (რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის ზოგიერთი ეთნო - ისტორიული საკითხები, მაცნე, ისტორიის სერია, 1987, N4, გვ. 35).

ხარხელები, ჯაბაურები და ფსუტურებიც გაოსებული ქართველები არიან - "ჩვენი მოგვარეები ყოფილან აგრეთვე ქოლოთში მოსახლე ხარხელები და ფსუტურები, ზოგი ნახიდში ცხოვრობდა. ნახიდში ბევრი გაოსდა და ფსუტურები თვითონ უფრო ოსურად ლაპარაკობენ" (იქვე, გვ. 39). ასევე ითქმის ბიტიევების ანუ პიტიევების შესახებ. მათი წინაპრები ყოფილან გუთნიაშვილები, გუთნიაშვილების ერთ-ერთ შტოსათვის ძელყორაშვილების გვარი მიუციათ. მათი ნამრავლი ორ შტოდ გაყოფილა - ბეკარაშვილებად და ბიტიაშვილებად. ბიტიაშვილები გაოსებულან. "ძელყორაშვილების ძირგვარი გუთნიაშვილი ყოფილა. ძელყორაშვილების გვარს კი შედარებით გვიან - XIX საუკუნის პირველ ნახევარში - გამოყოფიან ბეკარაშვილებისა და ბიტიაშვილების გვარი" (იქვე, გვ. 39). ბიტიაშვილები ანუ ბიტიაანთი რუსული ადმინისტრაციის გავლენით გვარს უმატებენ გვარწარმომქმნელ რუსულ სუფიქსს "ევ" და ბიტიაშვილების ნაცვლად ფორმირდება გვარი - ბიტიევი.

ქართველები არიან აგრეთვე ილურიძეები, თუმცა მათ პასპორტში ეროვნება - ოსი აქვთ ჩაწერილი და ოსურიც იციან. ილურიძეების გაოსების მეცნიერული სურათი იქვეა მოცემული. წარმოშოით ქართველებია ელოევები. მათი წინაპარი მოხევე გიგაური ყოფილა, რომელიც

ქარჩოხში დასახლებულა, მათი მემკვიდრენი არიან ქსნის ხეობელი პავლიაშვილები - ”პავლიაშვილების განაყრებად ითვლებიან ელოშვილები. ამ გვარისათვის საფუძველი დიდი ოჯახის უფროსს ელო პავლიაშვილს მიუცია. 1774 წლის აღწერის დავთარში ასეთი პიროვნება მართლაც გვხვდება” (იქვე, გვ. 32).

სიუკაევების ანუ შიუკაევების წინაპრები ყოფილან - შიუკაშვილები - აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ ჯიკაევების ანუ მანჯიკაევების წინაპრები - მანჯიკაშვილები ყოფილან, არა უხსოვარ დროს, არამედ ამ ასიოდე წლის წინ, მაშასადამე, ისინი უკანასკნელ ათწლეულებში გაოსდნენ. კაჭიური - სუფთად ქართული გვარია მაგრამ ის განაყოფია ქოქიაშვილებისა ანუ ქოქოევებისა, მაშასადამე, ორი ძმიდან ერთი - ქართველია (კაჭიური), მეორე კი “ოსი” - ქოქოევი. თვითონ ჩოჩიევებიც კი ქართული წარმოშობისანი არიან, მათი ძირ გვარი - ქარუმიძე ყოფილა. “1774 წ. სოფ. უკანა მხარში ძირითადად მკვიდრობენ შიუკაშვილები, ოღაძეები. 1873 წლის კამერალური აღწერის მიხედვით აქ ჩანან მანჯიკაშვილები, ეთნოგრაფიული მასალით ოღაძეთა გვარიდან არიან გამოსული პაპიაშვილები... გავაზში მკვიდრობენ კაჭიურებიც, მათი ძირი გვარი ქოქოშვილი ყოფილა... ჭოჭალების (ჩოჩელები) ძირი გვარი ქარუმიძე (იქვე, გვ. 33, 36, 37). მთის გვარ ჩოჩელებისაგან ნაწარმოებია გვარი ჩოჩიშვილებისა.

აი, რას წერს იკოშვილების გვარის შესახებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი - ”იკოშვილი წარმოშობით არის შიდა ქართლის მთიანეთიდან. ისინი წარმომავლობით არიან ქართველები... გვარი ნაწარმოებია ქართული სუფიქსით და მისი მატარებლები მიკუთვნებული არიან ოსური ეროვნებისადმი, მაგრამ, როგორც საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, იკოშვილები წარმომავლობით არიან ქართველები. იკოშვილების ოსებად ჩაწერა მოხდა იმიტომ, რომ ისინი მოხვდნენ ოსურ ეთნიკურ გარემოში. XVI საუკუნიდან შიდა ქართლის მთიანეთიდან ქართველი გლეხები მასიურად აიყარნენ და მტრისაგან გავერანებულ ბარში დასახლდნენ, ქართველთა ნასოფლარებზე კი ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან გადმოსახლებული ოსები დაფუძნდნენ. ოსთა მრავალრიცხოვან გარემოცვაში მცირერიცხოვანი ქართველი მთიელები გაოსდნენ... იკოშვილების ქართველობა ფიქსირებულია 1814 წლის აღწერაში, სადაც ქართველებად არიან ჩაწერილი (სცსსა ფ. 254, ან. I, საქ. N369). ქართველებად არიან ჩაწერილი იკოშვილები 1873 წლის აღწერაში ქართლის კამერალურ აღწერაშიც (სცსსა. ფ. 254, ან. 3, საქ. N146, გვ. 211). ამრიგად, იკოშვილები, წარმომავლობით არიან ქართველები, რომელთა ოსებად ჩაწერა მოხდა იმიტომ, რომ ისინი აღმოჩნდნენ ოსურ ეროვნულ გარემოში. იკოშვილების მიერ ქართული ეროვნების აღდგენა მეცნიერულად გამართლებულია და სასურველია”. საბუთი გაცემულია ინსტიტუტის მიერ 27. 11. 1990, N06. 01. 622.

ჩვენი აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი მრავალგზის აღნიშნავს, ქართლის მთიანეთში ქართველთა გაოსების ხელშემწყობ მთავარ მიზეზს, კერძოდ, XVI-XVII საუკუნეებში ქართველი მთიელების ერთი ნაწილი ჩამოსახლდა ქართლის ბარში, ხოლო მთიანეთში კავკასიიდან შემოსული ოსები დამკვიდრდნენ. ისინი უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე მთის სოფლებში დარჩენილი მკვიდრი ქართველობა. ამიტომაც ქართველები მოჰყვნენ ოსურ გარემოცვაში და თანდათან გაოსდნენ, ხოლო ბარელებმა ამ გაოსებულთა უკვე ბარში მცხოვრები მოგვარეები და ნათესავებიც ოსებად მიიჩნიეს. მაგალითად ძველთაგანვე ცნობილი ქართული გვარია ბესტავაშვილი. ისინი საქართველოს მთიანეთში ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ საქართველოს მთებში ოსების შემოსვლამდე. არსებობდა კიდეც სოფელი სახელწოდებით “ბესტაავაანთ სოფელი”, მალე აქედან და მთის სოფელ გუდისიდან ბესტავაშვილები თანდათან ბარში ჩამოსახლდნენ. ხოლო მათ სოფლებში თანდათანობით ჩასახლდნენ ოსები, მაგალითად XVIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში “ბესტავაანთ სოფელში” სულ ოთხი კომლი ოსი ცხოვრობდა (ხელნაწერთა ინსტიტუტი ფ. “ჰაშ. დე” დოკ. 5421). მალე ოსების რიცხვი გამრავლდა, ბესტავაშვილები კი ოსურ გარემოში მოექცნენ, მართალია მაშინ მათ მიიღეს ზოგიერთი ოსური ჩვეულება, მაგრამ როგორც ეთნოგრაფიული მასალა უჩვენებს - არ გაოსებულან. ბესტავაშვილების ერთი ნაწილი გაოსდა არა მთაში, არამედ

უკვე ქართლის ბარში. ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ მთიდან ჩამოსახლებული ბესტავაშვილები ქართველობდნენ და დასახლებულან ძამის ხეობაში (ახლანდელი ქარელის რაიონი), ზღუდერში (ფანასკერტელების მამულში), ოსური არც ცოდნიათ, და გვარში ერთი ცნობილი მღვდელიც ჰყოლიათ (ცნობილია იმ დროისათვის ოსები წარმართები იყვნენ და მათგან მღვდლად არავის აკურთხებდნენ). აქედან ისინი გაყოფილან და სხვადასხვა კუთხეებში გადასახლებულან. მაგალითად გორში, ატენში, გორსა და სხვაგან დამკვიდრებული ბესტავაშვილები ქართველები არიან, მათგანაა გამოსული ინგლისში გადასახლებული ცნობილი მეცნიერი სელექციონერი ბესტავაშვილი, სოფელ ტყემლანაში გადასახლებულ ბესტავაშვილებს ოსური შეუსწავლიათ, ხოლო აქედან აფნისში გადასახლების შემდეგ უკვე "ოსებად" ჩაწერილან. ასე რომ, ბესტავაშვილების დიდ ნაწილს პასპორტში "ქართველი" უწერია, თავისი ნამდვილი ეროვნება, ხოლო მცირე ნაწილს - "ოსი". ასევეა გიკაშვილებიც. გიკაშვილების დიდ ნაწილს პასპორტში "ქართველი" უწერია და წარმოშობითაც ქართველები არიან, ქართველი გიკაშვილები ცხოვრობენ ქარელის რაიონის სოფ. ზემო და ქვემო შაქშაქეთში, არადეთში, აგარაში, ხოლო მათი განაყოფების ანუ როგორც უწოდებენ "ერთი ძმის შვილების", აფნისში და ლექეთში მცხოვრები გიკაშვილების ეროვნება - "ოსია". ერთი ძმა ქართველია, მეორე ოსი, ორივენი კი წარმოშობით ჩვენი სისხლი და ხორცია.

ჩვენი დაუდევრობის გამო უკვე სადავოდაა ქცეული თაყაიშვილების, ბარათაშვილების, სააკაძეების, ერისთავების, ხერხეულიძეების, გუდიაშვილების, თარხნიშვილების და სხვათა ეროვნება, ისინი ოსებად ცხადდებიან. როგორ მოეწონებოდა ექვთიმე თაყაიშვილს, მიქელ თარხნიშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, გიორგი სააკაძეს, თორნიკე ერისთავს, ცხრა ძმა ხერხეულიძეს, ლადო გუდიაშვილს და სხვებს მათი და მათი მოგვარეების ოსებად გამოცხადება, არადა მათი მოგვარეების ერთი ნაწილი მართლაც ჩაეწერა ოსად, ზემოაღნიშნული იძულების გამო, არა ისინი არიან "გაქართველებულნი", არამედ ჭეშმარიტი მათი მოგვარეები "ოსებად" იქცნენ (ბ. ჯორბენაძე, "ახ. კომ." 10. X. 1989 წ.).

ჩვენს შრომაში "ჩვენგან გავაუცხოვოთ ჩვენი სისხლი და ხორცი" (იხ. "ჯვარი ვაზისა", 1990, N1, გვ. 54), გადმოცემული გვქონდა თუ როგორ ჩაწერა 1886 წელს რუსმა აღმწერმა თრუსოს ხეობის სოფელ ოქროყანაში მცხოვრები ქართველი გუდიაშვილები, ბიბილურები, არჯინაშვილები, ბიდაგიშვილები, ზაგალიშვილები, კაკაშვილები - გუდიევებად, ბიბილოვებად, არჯინოვებად, ბიდაგოვებად, ზაგილოვებად, კაკაევებად, მიუხედავად იმისა, რომ სოფ. თოლგოთის მკვიდრი თაყაიშვილებისა და ფიტარიშვილების საოჯახო ენა ქართული იყო, აღმწერმა ისინი ოსებად "ფიტაროვებად" და "თაყაევებად" ჩაწერა. იქვე გვქონდა გადმოცემული თუ როგორ იკარგება ქართველი გვარები თანდათან, თანახმად მოღწეული ეპიგრაფიკული მასალისა. როგორ იცვლება ქართული მამა-პაპეული გვარები რუსული "ევ" სუფიქსის დართვით - "ოსურად". ასე იქცნენ თანდათან გუფთელი ჯიოშვილები და თიგიშვილები - ჯიოევებად და ტიგიევებად (იხ. იქვე, გვ. 56). ფილიშვილები და გასიშვილები - ფილიევებად, პლიევებად, გასიევებად. "ფილიევების ზოგი ოჯახი ბიჭიკაშვილებად იხსენიება" (იხ. იქვე, გვ. 56). ჯიოშვილი მღვდელი ყოფილა და სიონში უმსახურია, იმ დროს ოს - წარმართს მღვდლად არავინ აკურთხებდა. სოფელ ჯრიელი ქოთოლაშვილები - ქოთოლოვებად იქცნენ, სოფ. ნინოელი ქარსანაშვილები - ქარსანოვები, სოფ. მსხლებელი ცხოვრებაშვილები - ცხოვრებოვებად (ე. ი. ეპიგრაფიკული მასალიდან ქვაზე წარწერებიდან) ჩანს, რომ ძველი ძირ გვარია - ქართული დაბოლოების მქონე, ხოლო ახალია რუსული "ევ" დაბოლოების მქონე. ამასვე უჩვენებს წარწერა - ძველი - სანაყოშვილებისა, შემდეგ იქცნენ - სანაკოევებად (გვ. 56). ძველქართული გვარებია სამაჩაბლოს მთიანეთსა - ბაბაშვილი, თანდილაშვილი, თიბილაშვილი (და არა თიბილოვი), ქვაბაძე, ხარებაშვილი, ფარასტაშვილი (და არა ფარასტაევი), გათოკაშვილი, რელგურიძე, ქოქოშვილი, დედაშვილი - ვალიშვილი, ბალიაშვილი და არა ბაგიევი (იქვე, გვ. 57). ვახტანგაძე ან ვახტანგური და არა ვახტანგოვი, ჩაბაშვილი და არა ცაბაევი (გვ. 56). ხარებაშვილები საერთოდ ოსების ჩვენს მთებში შემოსვლამდე

მოღვაწე ქართველი მღვდლები იყვნენ (ქართ. სამართლის ძეგლ. ტ. VII, გვ. 196). ასევე ოსების ჩვენში შემოსვლამდე მარგიშვილები (მარღიშვილები) - ჯავახეთშიც კი ცხოვრობდნენ (იქვე, გვ. 90). აღსანიშნავია, რომ გაოსებულან არა მარტო ქართველი ყმა - გლეხები, არამედ აზნაურები და თავადებიც კი. მაგალითად, ბორტიევების წინაპარი ბორტიშვილები მაჩაბლების ერთ-ერთ შტოს წარმოადგენდნენ. "მაჩაბლების გვარი თავადურ სახლებად დაიყო: ზაალიშვილებად, გიორგიშვილებად, რევაზიშვილებად და ბორტიშვილებად". რევაზიშვილები - რევაზოვებად იქცნენ და გაოსდნენ. გაოსდნენ ქართველი ვაჭრები - დიაკვნისშვილები (დიაკონოვებად ჩაეწერნენ). გაოსებულ ქართველთა რიცხვი საკმაოდ დიდია, აღსანიშნავია, რომ მათ ფაქტიურად არ იციან ოსური ენა, არა აქვთ ოსური წეს-ჩვეულებები, ისინი ქართულ ენაზე ზრდიან შვილებს, ქართულ სკოლებში ქართული ადათ-წესებითა და ჩვეულებით, მათი "ოსობა" მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ პასპორტში რუსულ-ბოლშევიკური ხელისუფლების წყალობით "ოსი" უწერიათ, სხვა მხრივ, როგორც წარმოშობით, ისე თვითშემეცნებით ისინი ქართველები არიან. თუმცა შეიძლება იყოს გამონაკლისი. მათ ერთმანეთს შორის სიყვარული და პატივისცემა უნდა ჰქონდეთ, ხოლო ჩვენ ვილოცოთ ყველა ქრისტიანისათვის.

გაზ. "ერი". 4. V. 1991 წელი.

ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

მესხეთის შესახებ

პოლემიკა გაზეთი „ერი", 1.05.1991

27 მარტს გაზეთ "ერის" კორესპონდენტი ესაუბრებოდა კათოლიკური წმიდა მოციქულების პეტრესა და პავლეს ეკლესიის მოძღვარს პატრ იან სნიჟინსკის -

" - პატრ იან, გთხოვთ მოგვითხროთ, თუ რამდენი კათოლიკური ეკლესიაა საქართველოში?

- საქართველოში გასაბჭოებამდე რამდენიმე მოქმედი კათოლიკური ეკლესია იყო, დღესდღეობით კი მხოლოდ ერთი - წმიდა მოციქულების პეტრე და პავლეს ეკლესიაა".

ამ წინადადებამ ჩვენში, მესხეთში, გაუგებრობა დაბადა. საქმე ისაა, რომ მხოლოდ მესხეთში დღეისათვის ხუთი კათოლიკური ეკლესია მოქმედებს: ესენია: 1. სხვილისის კათოლიკური ეკლესია, რომელიც მუდამ, კერძოდ, მაშინაც კი მოქმედებდა, როცა მესხეთის ყველა მართლმადიდებლური ეკლესია დაკეტილი იყო; 2. წყალთბილას კათოლიკური ეკლესია (ახალციხის რაიონი); 3. ტურცხის კათოლიკური ეკლესია (ახალქალაქის რაიონი); 4. ვალეს კათოლიკური ეკლესია; 5. ნაოხრების კათოლიკური ეკლესია (ახალციხის რაიონი). ამათ გარდა ათეულობით არარეგისტრირებული კათოლიკური ეკლესია მოქმედებს ნინოწმინდის (ბოგდანოვკის), ახალქალაქის და ახალციხის რაიონებში, ყველა კათოლიკურ სოფელში. (ამის შემოწმება ადვილია).

ეს ეკლესიები უმოძღვრებოდ კი არ არიან მიტოვებულნი, არამედ მათ ემსახურებიან საქართველოს საზღვარგარეთიდან მოწვეული მღვდლები - პატრები. ზოგიერთი მათგანი უკვე საკმაო ხანია (მაგალითად, სხვილისის მღვდელი ათ წელზე მეტია) რაც თავის მრევლს ემსახურება. დღესდღეობით მესხეთში იმყოფება და მოღვაწეობს სამი კათოლიკე მოძღვარი. ისინი ცხოვრობენ სოფლებში - სხვილისში, წყალთბილასა და ტურცხში, აქედან ისინი მთელ სამცხე-ჯავახეთის რეგიონს სწვდებიან.

სულ ახლახან, 31 მარტს რეფერენდუმის წინ, ჩენ საგანგებოდ მოვიარეთ ეპარქიის სოფლები, ეკლესიები, სადაც პარაკლისის გადახდის ჟამს წინასწარ ვლოცავდით ყველა მორწმუნეს, რომელიც ხმას მისცემდა სამშობლოს თავისუფლებას, რამეთუ "თავისუფლება თავისითა სისხლითა

მოგვანიჭა ჩვენ იესო ქრისტემან, განმათავისუფლებელმან ყოველთა კაცთა"; შევედით ზოგიერთ სომხურ სოფელშიც, კერძოდ, წყალთბილას კათოლიკურ ეკლესიაში ჩვენს ქადაგებას, რეფერენდუმში მონაწილეობის საჭიროების შესახებ, ესწრებოდა სამცხე-ჯავახეთის სამი (!) კათოლიკე მოძღვარი, მოწმე ამისა არის ახალციხისა და ვარძიის ორი მართლმადიდებელი მღვდელი, ერთი თბილისელი მოღვაწე ბერი, ახალციხის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები, რომელნიც გალობდნენ პარაკლისის გადახდის დროს. ამიტომაც აღარ ვიცით, რას მივაწეროთ ზემოთ მოყვანილი განცხადება, რომ საქართველოში მხოლოდ ერთი კათოლიკური ეკლესიაა.

1981 წლამდე, იმის გამო რომ საქართველოს სამოციქულო (მართლმადიდებლური) ეკლესია განსაკუთრებით იყო დევნილი ხელისუფლების მიერ, მესხეთში, ანუ სამცხე-ჯავახეთის ეპარქიაში, რომელშიც შედიან ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდის რაიონები, არ მოქმედებდა არც ერთი ქართული ეკლესია, მაშინ, როცა მუდამ მოქმედებდა და მორწმუნეებს ემსახურებოდა ომამდე და ომის შემდეგაც სომხურ-გრიგორიანული ეკლესიები ახალციხესა და ახალქალაქში, აგრეთვე ზემოთ აღნიშნული კათოლიკური ეკლესია სოფელ სხვილისში (ეს სოფელი დღეს ფაქტიურად ახალციხის გარეუბანს წარმოადგენს და ერთ-ერთი ყველაზე შეძლებულია ამ მხარეში).

ქართული ეკლესიების უმოქმედობის გამო ქართული მოსახლეობა იძულებული იყო ბავშვები მოსანათლად თბილისსა თუ ხაშურში ჩაეყვანა. ვისაც ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა, იძულებული იყო ბავშვები მესხეთის სომხურ ეკლესიაში მოენათლა. თვით 1944 წლის შემდეგ მესხეთში ჩამოსახლებული იმერლების დიდი ნაწილი ზემოთ აღნიშნული იძულების გამო ბავშვებს სომხურ ეკლესიაში ნათლავდა (ბავშვის მოუნათლავად დატოვება უფრო დიდ ცოდვად მიაჩნდათ ამ ახლად დასახლებულ, ღარიბ ადამიანებს, რომელთა უმრავლესობას თბილისში ბავშვის მოსანათლად ჩაყვანა უდიდეს ფუფუნებად მიაჩნდა და არც შეეძლო). სწორედ აღნიშნული უკუღმართი ფაქტი დაედო საფუძვლად ახალციხელების განუწყვეტელ სათხოვარს, რომლის შემდეგაც მთავრობამ ინება წმიდა მარინეს ეკლესიის გახსნა აღნიშნულ წელს. ამ ათი წლის წინ ეს ეკლესია ერთადერთი მოქმედი ეკლესია იყო მთელ სამცხე-ჯავახეთში (ღვთის შემწეობით ამჟამად აქ მრავალი ეკლესია ახლად ვაკურთხეთ, მონასტრები და სასულიერო სასწავლებლებიც კი), მაგრამ მღვდელმსახურთა ძლიერ ნაკლებობას განვიცდით; მაშინ, როცა ჯავახეთში თავის კათოლიკურ მრევლს საქართველოს ფარგლებს გარედან საგანგებოდ ჩამოსული პატრი ემსახურება, ქართველთა შორის ერთი მღვდელიც კი არ გამოჩნდა აქ მოღვაწეობის სურვილის მქონე, ადგილობრივი კადრი კი არ არის, თვით ჩვენს საეპარქიო სასწავლებელში არც ერთი მესხი ვაჟი არ სწავლობს, სწავლობენ თბილისელი, რუსთაველი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან - სამეგრელოდან, ქართლიდან, იმერეთიდან - ჩამოსული ახალგაზრდები. ჩვენ ახალი სასწავლო წლისათვის იმედი გვაქვს, მესხი ვაჟებიც შეავსებენ ჩვენს სასულიერო სასწავლებელს.

მესხეთში ქართული ეკლესიის გახსნამ და საეპისკოპოსო ცენტრის დაარსებამ სარწმუნოებრივი ვითარება შეცვალა. ჩვენთან მოსანათლად მოდიოდნენ არა მარტო მართლმადიდებლები, არამედ ქართველი კათოლიკენიც, მიუხედავად იმისა, რომ მესხეთში, როგორც აღინიშნა, უკვე არსებობდა ძლიერი, მოქმედი კათოლიკური ეკლესია (სოფელ სხვილისისა). ქართველი კათოლიკენი აშკარად ერიდებოდნენ თავიანთ კათოლიკურ ეკლესიას და ჩვენთან - საქართველოს სამოციქულო - მართლმადიდებლურ ეკლესიასთან - ცდილობდნენ დაკავშირებას. რატომ? იმ მიზეზის გამო, რომ ისტორიულად მესხეთში კათოლიკობა მხოლოდ სარწმუნოებრივ მიმართულებას არ ნიშნავდა, ისტორიულად ის ამ მხარეში (ოსმალოს საქართველოში), სომხურ-კათოლიკური ეკლესიის ბატონობის გამო ქართველი კათოლიკების გასომხებას უწყობდა ხელს; ასევე იყო რუსთა მპყრობელობისა და კომუნისტების მმართველობის დროსაც. სხვილისის ეკლესიაც სომხურ-კათოლიკურია.

ვისაც მიქაელ თამარაშვილის “ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის” თუ “პასუხი სომხის მწერლებს” წაუკითხავს, მიხვდება, რატომ არიდებენ თავს ქართველები აღნიშნულ კათოლიკურ ეკლესიას, იმასაც მიხვდება, რატომ ილტვიან ისინი ჩვენკენ - საქართველოს სამოციქულო ეკლესიისაკენ. მათ კარგად იციან, რომ სომხურ-კათოლიკური ეკლესიის წიაღში ყოფნა, ჯავახელთა მსგავსად, მათ გასომხებას გამოიწვევს დროთა ვითარებაში, თანდათან.

გასული საუკუნის დასაწყისში თურქეთის სოფლებიდან (ველიდან, გუგუბოდან, არტანიდან და სხვ.), ჯავახეთში გადმოსახლდნენ ქართველი მართლმადიდებლები. ჯავახეთში დასახლების შემდეგ ეს ქართველობა კათოლიკური ეკლესიის მრევლად იქცა. კათოლიკური ეკლესია კი მესხეთში როგორც აღინიშნა, სომხური ორიენტაციისა, სომხურენოვანი წირვა-ლოცვით, სომხური კულტურისადმი დაქვემდებარებით. სომხურ-კათოლიკური ეკლესიის წიაღში მოქცეული ჯავახეთში გადმოსახლებული ქართველები გამრავლდნენ, მრავალი სოფელი დააარსეს, ამავე დროს კი ეროვნული სახეცვლილებაც განიცადეს; ამის გამო XIX საუკუნის ბოლოსვე ველელი თუ არტაანელი ქართველების ეროვნული კუთვნილება სადავო გახდა. სომხები მათ სომხებს აკუთვნებდნენ, ქართველები - ქართველებს, მთავრობა რუსეთისა იძულებული გახდა საგანგებო კომისიების მეშვეობით დაედგინა მათი ეროვნული ვინაობა. “1883 წ., როცა სომეხ და ქართველ კათოლიკეთა წრეში “ტომობრიობასა და გვაროვნებაზე” კამათი ატყდა, ველიდან გადმოსახლებულთა საკითხის შესასწავლად გამოიყო კომისია სახელმწიფო გამომძიებლის იგნატიევის თავმჯდომარეობით, რომელმაც დაკითხა სოფლის მოხუცები, მათ უპასუხეს, რომ 1841 წლამდე ქართულ ტიპიკონს ვხმარობდით და ქართულად ვგალობდითო, რომ ჩვენი მამა-პაპა მართლმადიდებელი ქართველები იყვნენო. საკითხის დაზუსტებისათვის 1885 წ. ამავე სოფლებში გაიგზავნა მეორე კომისია დონდუროვისა და კორსანოვის შემადგენლობით, მეორე კომისიამაც თითქმის იგივე გაიმეორა - ველელები წარმოშობითა და ყოფაქცევით ქართველები არიან - ახლა ასწავლიან სომხურ ენასაო. სამწუხაროდ, ამ კომისიების მიერ წარმოდგენილ დასკვნებს ჯეროვანი შედეგი არ მოჰყოლია” (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, 1975, გვ. 364). კერძოდ, რით გამოიხატა კომისიის დასკვნების უშედეგობა? გამოიხატა იმით, რომ ველელები ამჟამად სომხებად აღირიცხებიან. ქართველი მართლმადიდებლები, რომელთა ქართველობა თვით რუსეთის მთავრობის საგანგებო კომისიების მიერ იყო დადგენილი, ასი წლის განმავლობაში კათოლიკური ეკლესიის წიაღში მოქცევის წყალობით სომხებად იქცნენ და ამჟამადაც სომხებად აღირიცხებიან. ისინი ალბათ ჯავახეთის მოსახლეობის 10%-ს მაინც შეადგენდნენ, თუ უფრო მეტს არა.

ველელები, გუგუბოელები და სხვები ჯავახეთში გადმოსახლების შემდეგ დასახლდნენ სოფლებში - ტურცხში, ბავრაში, ხულგუმოში, კარტიკამში და სხვაგან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჯავახელ კათოლიკებს ეკლესიებში დანერგილი სომხურენოვანი ტიპიკონის ანალოგიით ბოლშევიკებმა სომხურენოვანი სკოლები გაუხსნეს, სადაც მათ შეისწავლეს და გაითავისეს სომხეთის დიდებული ისტორია, შეიყვარეს ბრწყინვალე სომხური კულტურა.

აი, რატომ ილტვის ქართველი კათოლიკების ინტელექტუალური ნაწილი და ახალგაზრდობა ჩვენი ეროვნული, დედა ეკლესიისაკენ. საოცარია, მაგრამ ფაქტია ის, რომ ქართველი (მესხი) კათოლიკების სწრაფვას, დაუბრუნდნენ წიაღს ქართული (მართლმადიდებლური) ეკლესიისა, რომლიდანაც ერთ დროს (ძირითადად XVII-XVIII საუკუნეებში) გავიდნენ მათი წინაპრები, გარკვეულწილად აფერხებდნენ თბილისის ზოგიერთ წრეებში, მაგალითად, რამდენიმე წლის წინ სოფელ ვალეს მცხოვრებნი, კათოლიკებად სახელდებულნი, დაბეჯითებით და ხვეწნა-მუდარით თხოვდნენ მთავრობას, გაეხსნა მათთვის ეკლესია, სადაც იმოღვაწებდა ქართველი მღვდელი, ამასვე ითხოვდნენ ისინი ჩვენგანაც - დაგვენიშნა მათთვის მღვდელი, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მინისტრთა საბჭოს საგანგებო ორგანოს მიერ ამ ეკლესიის, როგორც საქართველოს საპატრიარქოში შემავალის, რეგისტრაცია. მინისტრთა საბჭომ კი სოფელ ვალეს ეკლესია ფაქტიურად გადასცა სომხურ კათოლიკური სხვილისის ეკლესიის სამრევლოს თავისი შეუსაბამო

რეგისტრაციის წყალობით, წინააღმდეგ ქართველი მორწმუნეების თხოვნისა. უნდა აიხსნას თუ რას ნიშნავს ეს:

ზემოთ ნახსენები პატივცემული პატრი იან სნიჟინსკიც აღნიშნავდა, რომ რომის კათოლიკურ ეკლესიას საქართველოში საეპისკოპოსო არ გააჩნია, ამიტომაც საქართველოში არსებული კათოლიკური სამრევლოები ექვემდებარება ბალტიისპირეთში არსებულ კათოლიკურ საეპისკოპოსოს, რომელსაც საქართველოში ორი სამრევლო აქვს, ერთი თბილისში და ერთიც მესხეთში. მესხეთის კათოლიკური სამრევლოს ფაქტიური ცენტრი მდებარეობს სოფელ სხვილისში. ვალეს ეკლესიაც ამ კათოლიკურ სამრევლოში შეიყვანეს. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვილისის სომხურ - კათოლიკური ეკლესიის პატრი ადის ვალეს ეკლესიაში, აყენებს იქ წირვა-ლოცვას, ემსახურება ქართულ მრევლს. მართალია, ეს პატრი ეროვნებით არაა სომეხი, მაგრამ ის სომხურ-კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარია და მისი მეშვეობით ქართველ კათოლიკეთა ერთი ნაწილი სომხურ-კათოლიკური სულიერი დაქვემდებარების ქვეშ მოექცა. არა მარტო ვალელები, აღნიშნული პატრი არალისა და ივლიტას ქართულ სოფლებსაც ემსახურება. ამ გზით კი მესხეთის ქართველობა ისტორიულად განიცდიდა არმენიზაციას. მითუმეტეს, რომ სომხური ეკლესიის იურისდიცქიის სფეროში მოხვედრილ ქართველ კათოლიკეებს სომხური მხარე ეროვნულადაც სომხებად აცხადებს ხოლმე. რამდენი შრომა დასჭირდა ჩვენს სულკურთხეულ დიდებულ წინაპრებს ივანე გვარამაძეს, მიქაელ თამარაშვილს, პეტრე ხარისჭირაშვილს და სხვებს, რათა ქართველი კათოლიკების ეროვნებით ქართველობა დაემტკიცებინათ. მათი შრომა კი დღეს წყალშია გადაყრილი აღნიშნულ ქართულ სოფლებში სომხურ-კათოლიკური ეკლესიის მღვდლის მუშაობის წყალობით, ანუ მინ. საბჭოს უსამართლო რეგისტრაციის მეოხებით, რომელიც აქაურ ქართველებს არაეროვნულ ეკლესიას უქვემდებარებს.

ჩვენი ეროვნული (მართლმადიდებლური) ეკლესიის შესახებ მიქაელ თამარაშვილი წერდა, რომ საქართველოს ეკლესიას "მტკიცედ აქვს დაცული მსოფლიო კრებათა დადგენილი ყოველა დოგმები, ამიტომ რომის ეკლესია მას არ უწოდებს ერეტიკ-მწვალებლად. არამედ უხმობს მარტო გაყრილად... სწორედ ამ დოგმატობრივი ერთგვაროვნების მიზეზია, რომ დღესაც კონსტანტინეპოლში ქართველთა კათოლიკის ტიპიკონის ბერები ხმარობენ შეუცვლელად ყველა იმ ლიტურღიის ქართულ წიგნებს, რაც დაბეჭდილია რუსეთსა და საქართველოში და რასაც დღეს საქართველოს მთელი სამღვდელოება ხმარობს" (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. 1902, გვ. 54 - 55). ეს იმას ნიშნავს, რომ "დოგმატობრივი ერთგვაროვნების" გამო ქართველი კათოლიკენი უნდა ხმარობდნენ იმ საეკლესიო წიგნებს, წირვა-ლოცვისა და საეკლესიო მსახურების იმ წესებს, რაც იხმარება ჩვენს დედა-ქართულ ეკლესიაში და არა უცხოქვეყნიურს.

ასე რომ, საქართველოში არა ერთადერთი, არამედ მრავალი კათოლიკური ეკლესიაა.

3 აპრილი, 1991, ახალციხე.

(გაზ. "ერი" I.V.1991 წ.)

პ.ს. ამ წერილში პირველად ეწოდა საქართველოს ეკლესიას „დედა ეკლესია"

ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

ქართული ეკლესია XIX საუკუნეში

“ქრისტიანობა ქრისტეს მოძღვრების გარდა ჩვენში ჰნიშნავდა ქართველობას, საქართველოს მიწა-წყალს” - წერდა ილია მართალი, ქრისტიანობას კი ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს ქვეყანაში საუკუნეთა მანძილზე, ღირსებით პატრონობდა საქართველოს სამოციქულო ეკლესია, ამიტომაც დიდი ილია ქართული ეკლესიის სახელს ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულით მოიხსენებდა ხოლმე და ამბობდა: “ჩვენი დამცველი ეკლესია”, ანდა “საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს, და არასოდეს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა” (ილია ჭავჭავაძე, ტ. 1, გვ. 213).

მართლაც, ქართულმა ეკლესიამ ღირსეულად გამოატარა ქრისტიანული სარწმუნოება საუკუნეთა ქარიშხლებში ქართული ერი მრავალ გასაჭირთა მიუხედავათ არ განაშორა ჩვენს უფალსა და მაცხოვარს იესო ქრისტეს, ქრისტიანობა ეროვნულ სარწმუნოებად აქცია, ხოლო ქართველები კი თავდადებულ ქრისტიანებად. ასე იყო ვიდრე XIX საუკუნის დასაწყისამდე, “ერთმორწმუნე” რუსეთის კავკასიაში შემოსვლამდე. გავიდა ასი წელი. “ერთმორწმუნეთა” წყალობით დაემხო ქართული ეკლესია, რამაც ცხადია დასცა ქართველთა შორის ქრისტიანული სარწმუნოება, ამიტომაც XX საუკუნის დასაწყისში კირიონ II - ქართველი მამამთავარი მწუხარებით წერდა - ”ასი წლის მონობის გამო შეირყა საქართველოს ეკლესიის მწყობრი ცხოვრება”.

დიახ, მიუხედავად არახელსაყრელი საგარეო პირობებისა ქართველმა ხალხმა უძველესი დროიდან საუკუნეთა მანძილზე შესძლო სახელმწიფოებრიობისა ეროვნული ავტოკეფალური ეკლესიის არა თუ შენარჩუნება, არამედ წარმატებათა ახალ და ახალ სიმაღლეებზე აყვანა.

ასევე იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც ჩვენში რუსთა მფლობელობის დამყარებამდე ქართულ ეკლესიას მეთაურობდა დიდი პატრიარქი ანტონ I კათალიკოსი, მის დროს ქართული ეკლესიის შინაგან ცხოვრებას საეკლესიო და საერო მეცნიერების ყოველ დარგს მიეცა მყარი საფუძველი, ეკლესია აყვავდა და გაიფურჩქნა იმდენად, რომ ზოგიერთი ძველი მკვლევარი ანტონ I ხანას “ქართული ეკლესიის ოქროს ხანას” უწოდებდა. ამავე დროს თეიმურაზ II და ერეკლე II მეთაურობით აღორძინებული ქართული სახელმწიფო ერთეულები აღმოსავლეთ საქართველოში გაერთიანდნენ. ქართლ-კახეთის სამეფო ამიერკავკასიაში ძლიერ პოლიტიკურ ერთეულად იქცა, რომელიც თავისი გავლენის სფეროს ავრცელებდა მდინარე არაქსამდე. ერევნისა და განჯის სახანოები, ქართული სახელმწიფოს ყმადნაფიცებად იქცნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოში სოლომონ II მეთაურობით სახელმწიფოს აღორძინებას თან მოჰყვა ეკლესიის თვალსაჩინო წარმატებები. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიები ფაქტიურად გაერთიანებული იყო 1795 წლისათვის. მანამდე ამ გაერთიანებას რეალურ სახეს აძლევდა ის, რომ ანტონ I მიერ დაარსებული დიკასტერია (უმაღლესი საეკლესიო სასამართლო, რომელიც ფაქტიურად წმიდა სინოდის მოვალეობას ასრულებდა) წყვეტდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ საეკლესიო დავებს, არამედ მისი მოქმედების არეალი მოიცავდა დასავლეთ საქართველოსაც. (შემდგომ რუსებმა დიკასტერია რუსულ ეკლესიას დაუქვემდებარეს და მის იარაღად აქციეს).

XVIII საუკუნის II ნახევარში აღორძინებულ სახელმწიფოებრიობას, დიდ პოლიტიკურ მიღწევებს, საგარეო და საშინაო ასპარეზზე მოპოვებულ წარმატებებს, ესაჭიროება განმტკიცება, სტაბილიზაცია. სწორედ ამისათვის ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა დადეს მეგობრული ხელშეკრულება (ე.წ. გეორგევსკის ტრაქტატი) რუსეთთან, როგორც უზარმაზარ ქრისტიანულ

მართლმადიდებლურ სახელმწიფოსთან. ქართველთა აზრით, რუსეთის ქრისტიანული სახელმწიფო მაჰმადიანურ ოკეანეში მოქცეული ქართული სახელმწიფოს წარმატებებს მიანიჭებდა სტაბილურ სახეს. სამწუხაროდ, რუსეთი მუდამ არღვევდა ხელშეკრულების მუხლებს, თვით ხელშეკრულებამ კი უკიდურესად გააღიზიანა ქართველთა მეზობელი სახელმწიფოები და ხალხები. საბოლოოდ, ხელშეკრულებამ უკიდურესად დაასუსტა ქართული სახელმწიფო. ამან კი საშუალება მისცა რუსეთის იმპერიას დაუბრკოლებლად შემოსულიყო საქართველოში.

გეორგიევსკის ხელშეკრულებამ ამიერკავკასიაში შემოიყვანა რუსეთის იმპერია. 1801 წლიდან ქართული ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის მოშლის შემდგომ რუსეთი შეუდგა საქართველოს დაპყრობას. მსგავს სიტუაციებში ეკლესიას ყოველთვის ეკისრება განსაკუთრებული მისია - ის ერისათვის სახელმწიფო მოვალეობას ასრულებს ხოლმე. მაგალითად სომეხი ერისათვის სახელმწიფოს ფუნქციას ეკლესია ასრულებდა საუკუნეთა მანძილზე, რადგანაც XI საუკუნის შემდეგ სომხური სახელმწიფოებრიობა აღარ არსებობდა კავკასიაში. XIX საუკუნის სახელმწიფოებრიობის მოშლის შემდეგ ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის დვრიტას ქართული ავტოკეფალური ეკლესია წარმოადგენდა, რომელიც თავისი ათასგვარი საშუალებით აგონებდა ქართველებს ეროვნული სახელმწიფოს ქონების საჭიროებას, ამტკიცებდა ეროვნულ თვითშემეცნებას. ამიტომაც რუსეთის იმპერიისათვის ქართული ეკლესიის გაუქმება უპირველესი მნიშვნელობის საქმედ იქცა. საქართველოს დაკარგვას რუსეთი არ დაუშვებდა, ამით მას დაეკარგებოდა კავკასია. გამოეთხოვებოდა ოცნებას კავკასიის გზით ირანისა და ოსმალეთის დამორჩილებისას.

რუსეთის იმპერია განსაკუთრებული სალდაფონური სისასტიკითა და ცინიზმით შეუდგა ქართული ეკლესიის გაუქმებას რაც იმით გამოიხატებოდა, რომ თავის არაკანონიკურ, არაეკლესიურ ქმედებას რუსეთი ახვევდა კეთილმოსურნეობის, უმაღლესი კანონიერ მანტიაში. მაგალითად საქართველოს იმჟამინდელი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II, რომელიც სამუდამოდ არჩეული იყო ქართული ეკლესიის მეთაურად, რუსეთის ხელისუფლებამ 1811 წელს საქართველოდან გაასახლა ვითარცა ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრი (იმჟამად სამეფო ოჯახის წევრებს რუსეთში ასახლებდნენ) ქართული ეკლესიის "აშლილი" საქმეების დაწყობასაც ასახელებდნენ კათალიკოს-პატრიარქის რუსეთში გადასახლების ერთ-ერთ მიზეზად. ანტონს ცხადია ჩამოართვეს ქართული ეკლესიის მართვის უფლება (თუმცა მან კიდევ 19 წელს იცოცხლა და 65 წლის გარდაიცვალა), ხოლო ქართველ სამღვდელოებას ნება აღარ დართეს აერჩია ახალი კათალიკოს - პატრიარქი, ქართული ეკლესია რუსეთის სინოდმა უშუალოდ დაიქვემდებარა დიპლომატიურ საბურველში გახვეული მეთოდით - ქართული ეკლესიის მეთაურად დასვეს ქართველი მღვდელმთავარი, ბაგრატიონთა სამეფო სახლის მიმართ მტრულად განწყობილი, რომელიც თავის მხრივ უშუალოდ დაუმორჩილეს რუსულ სინოდს. ქართული ეკლესიის მეთაურს ეგზარქოსი უწოდეს. პირველის შემდეგ ყველა ეგზარქოსი ეროვნებით რუსი იყო, პათოლოგიურად მოძულე ქართველობისა და ქართული ეკლესიის ეროვნული სახისა. ასე რომ სხვადასხვა ხერხებით რუსეთის პოლიტიკოსებმა ფაქტიურად უმტკივნეულოდ გააქრეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, მისი საუკუნოვანი თავისთავადობა, მაგრამ დასავლეთ საქართველოში ეროვნული ეკლესიის გაუქმებას ქართველმა ხალხმა ძლიერ სახალხო აჯანყებით უპასუხა. 1811 წ. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება წარმოადგენდა რუსეთის ეკლესიის არაკანონიკურ ქმედებას, რომელიც არღვევდა მსოფლიო საეკლესიო კრებებისა და ქართული ეკლესიის ადგილობრივი კრებების დადგენილებებს. სინოდმა დაარღვია ქართული ეკლესიის ყოველგვარი უფლებები, კერძოთ ქართული ეკლესიის თავისთავადობის გაუქმების უფლება ჰქონდა მხოლოდ მთელი საქართველოს ეკლესიისა და ხალხისაგან არჩეული კრებულის საერთო საეკლესიო კრებას, რომელსაც მხარს დაუჭერდა უმაღლესი სამღვდელოების დადგენილება, მას თან უნდა დართოდა მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებასაც. მხოლოდ ასეთი კანონიკური გადაწყვეტილებით იქნებოდა შესაძლებელი ერთი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი

მიერთება მისსავე მსგავს მეორე ეკლესიასთან. ცხადია, მსგავსი არაფერი მომხდარა. მხოლოდ საერო რუსული მთავრობის (იმპერატორის) დადგენილება და ვითომდა ბაგრატიონთა სამეფო სახლის დასჯისა და საეკლესიო საქმეთა დაწყობის მიზნით ანტონ II საქართველოდან გასახლება დაუდო საფუძვლად რუსეთის სინოდმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებასა და მის შთანთქმას. იმ დროისათვის უკლებლივ ყველა მართლმადიდებლური საპატრიარქო (კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის) და ყველა ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესია თურქულ-მუსულმანურ უღელქვეშ მოქცეულ სახელმწიფოებაში მდებარეობდნენ.

ამიტომაც ცხადია ბურჯს მართლმადიდებლობისას სლავური-მართლმადიდებლობა წარმოადგენდა. სლავთაგანაც სერბეთისა და ბულგარეთის ეკლესიები ოსმალთა იმპერიაში მდებარეობდნენ. რუსული ეკლესია იყო თავისუფალი, ძლიერი, მსოფლიოს მეექვსედზე გადაჭიმული ეკლესია, უდიდესი გავლენის მქონე. სწორედ ასეთი საგარეო სარწმუნოებრივი ვითარების გამო შესცქეროდნენ სასოებით ქართველი ქრისტიანები რუსეთს, ჰქონდათ მისგან ეკლესიისა და ქრისტიანობის განმტკიცების იმედი. როგორც აღინიშნა, საქართველოში შემოსვლისთანავე რუსულმა ეკლესიამ უშუალოდ მიიერთა ჯერ ქართლის, ხოლო შემდეგ იმერეთის საკათალიკოსოები (ე.ი. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიები). რა შედეგი მოჰყვა რუსული ეკლესიის ამგვარ ქმედებას, იქნებ ადმინისტრაციული თავისთავადობის დაკარგვის სანაცვლოდ ქართველმა ქრისტიანებმა და ქართულმა ეკლესიამ მიიღო სხვა რომელიმე სიკეთე? პატივი? თავისუფლის დაკარგვის სანაცვლოდ ქართულმა ეკლესიამ "ერთმორწმუნე მსოფლიო მართლმადიდებლობის ბურჯისაგან" მიიღო ყველაზე უარესი რის მოფიქრებაც კი გონებას შეუძლია, ქართველები განუდგნენ ქრისტიანულ ეკლესიას, ისინი სარწმუნოების მიმართ გულგრილნი გახდნენ. ასი წლის შემდეგ XX საუკუნის დასაწყისში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლისას სწორედ ეს სავალალო ფაქტი წარმოადგენდა საეკლესიო თავისუფლების მოთხოვნის ერთერთ საფუძველს. ქართველ ავტოკეფალისტთა თვალსაზრისით ეკლესიის თავისუფლების აღდგენა ააღორძინებდა ქართველთა შორის რუსთა ბატონობისას და სახელგატეხილ ქრისტიანობას.

მართლაც "ქრისტიანული" რუსეთის სასტიკი ქმედებანი საქართველოში ამხელდა, რომ ქრისტიანობა და მართლმადიდებლობა მხოლოდ ზედაპირული მოვლენა თუ ნიღაბი იყო რუსულ ჩინოვნიკურ-სამხედრო-საეკლესიო ადმინისტრაციის მოხელეებისათვის, ფორმალური ქრისტიანობის უკან იმალებოდა უხეში ამორალობა და უღმერთოება (სწორედ შინაგანმა უღმერთოებამ შეუწყო ხელი რუსეთის უდიდეს მართლმადიდებლურ ქვეყანაში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ათეიზმად და კომუნიზმად ცნობილი უღმერთოების გავრცელებას, ეკლესიათა მასიურ რბევას და დანგრევას). რა შედეგი მოიტანა საქართველოს რუსული ეკლესიის ფრთეთა ქვეშ მოქცევამ? ავტოკეფალიის გაუქმებისთანავე რუსები შეუდგნენ ქართული ეკლესიის ქონების მითვისებას, ქონებრივად მართლაც უმდიდრესი იყო ქართული ეკლესია, მას ხომ ათასწლეულთა მანძილზე სწირავდნენ მამულებს, ძვირფასეულობებსა და სიმდიდრეს. ეკლესია-მონასტრები ავსილნი იყვნენ უძვირფასესი ოქროსა და ვერცხლის ხატებით, ხელოვნების სხვადასხვა ძეგლებით, უძველესი ფასდაუდებელი ხელნაწერებით, ტიხრული მინანქრით შემკული, ხელოვნებით დამზადებული ნივთები. მრავალმილიონიანი ქონების დატაცებისთანავე შეუდგნენ ეპარქიებისა და ეკლესიების დახურვას, პარალელურად მიმდინარეობდა მონასტრებისა და ეკლესიების გარუსება, ეკლესიისათვის მამულების ჩამორთმევა, ქართული საეკლესიო წეს-ჩვეულების აკრძალვა და აბუჩად აგდება, ქართული ენის განდევნა და სლავურ-რუსული წირვა-ლოცვის დადგენა, ქართული ეკლესიის არაქართული მრევლის (ოსებისა და აფხაზების) ჯერ ქართველ სამღვდელოთაგან მოწყვეტა, ხოლო შემდგომ აშკარა გარუსება და სხვა უამრავი. სასულიერო სასწავლებლები და სემინარები ამზადებდნენ ქართული ენის საეკლესიო ღვთისმსახურებისა და ხალხის ადათ-ჩვევების უცოდინარ

სამღვდელოებას, იმდენად, რომ როგორც ავტოკეფალისტები აღნიშნავდნენ XX საუკუნის დასაწყისში სემინარიები სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის ათეისტ პროპაგანდისტებს უფრო ამზადებდნენ ვიდრე მღვდელებს (იხ. ქვემოთ), ხოლო ეკლესიის წიაღში მოღვაწე პატიოსანი სამღვდელოება ეკონომიურად უკიდურესად იყო გაჭირვებული იმდენად, რომ არა ხალხის სულიერ აღზრდაზე ფიქრობდა, არამედ ოჯახის გამოკვებაზე.

ამიტომაც გმინავდა ილია XIX საუკუნის 80-იან წლებში:

“ჩვენს ერის მღვდელი არა ჰყავს. ის მღვდლები, რომელნიც არიან, იმისთანა ყოფაში არიან, რომ მარტო ლუკმა-პურის ძებნაში აღამებენ თავიანთ დღესა და ერის სასულიერო საქმისათვის ვეღარ იცლიან” (ი.ჭ. ტ. 5, გვ.274).

რუსეთის ხაზინამ საქართველოს ეკლესიას ჩამოართვა სულ მცირე 150 000 000 მანეთის ქონება, კერძოდ ხაზინას გადაეცა ქართული ეკლესიის მამულები ქ. თბილისში 437.719 კვადრ. საჟენი, თბილისის გუბერნიაში 282.600 დესეტინა მიწა, იმერეთში - 40.475 დესეტინა მიწა, გურიაში - 356 დესეტინა მიწა, რაც სულ საქართველოს სხვა კუთხეებში ეკლესიისათვის ჩამორთმეული მიწის გარდა შეადგენს 323.431 დესეტინასა და 437.719 კვადრატულ საჟენს. რუსეთის იმპერიაში XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში როცა ქართულ ეკლესიას მიწები ჩამოართვეს გამოიყენებოდა ა.წ. “დესეტინა ვლადელჩესკაია”, რომელიც უდრიდა 3200 კვ. საჟენს ანუ 1.45 ჰა (სეს, 1980, გვ. 383), ამიტომაც ხაზინაზე გადაცემული ქართული ეკლესიის მიწა თბილისში ჩამორთმეულის გარდა შეადგენდა - 468974,95 ჰა, ხოლო თბილისის ჩათვლით 488774, 95 ჰა ესაა თითქმის ნახევარი მილიონი ჰექტარი მიწა და არა უბრალო მიწა - არამედ ბაღები, ვენახები, ხეხილი, ხოდაბუნები, სავარგიელები, ნაყოფიერი, ყველაზე საუკეთესო და ვარგისი მიწის ნაკვეთები ქართლსა, კახეთსა, იმერეთსა თუ გურიაში. ამ მიწებში მითვლილი არაა სამცხე-ჯავახეთის მიწები, რადგანაც იმპერია თვლიდა რომ მან ახალციხის საფაშო ხმლით დაიჭირა (სამხედრო ძალის გამოყენებით დაიპყრო) და მიწებიც კანონიერად მას ეკუთვნოდა. ქართული ეკლესიისათვის ჩამორთმეული მიწებისა და ქონების სანაცვლოდ ქართული ეკლესიის საჭიროებისათვის ხაზინას მიერ გამოიყოფოდა გარკვეული თანხა, თუ რა შეუდარებლად მცირე თანხა ეძლეოდა ქართულ ეკლესიას ყოველწლიური საჭიროებისათვის ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: მიწების გარდა ხაზინამ ქართული ეკლესიისაგან აიღო 14.147 სახლი (თოთხმეტი ათასზე მეტი სახლი), აგრეთვე მხოლოდ ქ. თბილისში: ერეკლეს აბანო, 13 ბაღი, 11 სახლი, 28 სავაჭრო, 1 სამღებრო, 1 სათევზაო ადგილი და ქარვასლა, თბილისის გუბერნიაში - 2 საგაჯე, 11 საკირე, აგურის ქარხანა, 9 სამღებრო, 3 თევზის დუქანი, რაც მიწებთან ერთად შეფასებული იყო 140.330.00 ვერცხლის მანეთად. მხოლოდ მოგება ანუ ქართული საეკლესიო ქონებიდან ხაზინაში ყოველწლიურად შესული თანხა შეადგენდა 10 მილიონ მანეთს, რის სანაცვლოდ ქართული ეკლესია რუსეთის სახელმწიფო ხაზინიდან წლიურად ღებულობდა მისი საეკლესიო ქონების შემოსავლებიდან 1%-ზე ნაკლებს. (იხ. დურნოვი, ქართ. ეკლ. ბედი, 1990, განთიადი, N10 გვ. 71).

აღსანიშნავია ისიც, რომ ამიერკავკასიაში დაპყრობის შემდეგ მრავალი რუსულ-მართლმადიდებლური ეკლესია ამოქმედდა სხვადასხვა კუთხეებსა და ქალაქებში (მაგ. ბაქოში, ყარსში), ყველა ამ ეკლესიებისათვის ხაზინის მიერ გაღებული თანხა გადიოდა ქართული ეკლესიის ქონების შემოსავლიდან, მაშასადამე ფაქტიურად ქართული ეკლესია აფინანსებდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის მართლმადიდებლურ ეკლესიებს. “ხაზინამ წაიღო 150 მილიონ მანეთად ღირებული ქართული საეკლესიო ქონება, რომლისათვისაც ქართული ეკლესია ღებულობს 700.000 მანეთამდე ყოველწლიურად და ამ თანხიდან 150.000 მანეთი იხარჯება რუსული და ბერძნული ეკლესიებისათვის ბაქოს, ელიზავეტპოლის, ყარსის და ერევნის გუბერნიებში, სადაც 175-ზე მეტი ეკლესიაა და ქართველი მოსახლეობა თითქმის არ არის, წერდა ნ. დურნოვო, რუსი ღვთისმეტყველი და კანონისტი (იქვე, გვ. 36)

რუსული სახელმწიფო ქართული ეკლესიისაგან მამულებისა და ქონების ჩამორთმევას როდი დასჯერდა, საეგზარქოსოს შექმნის შემდეგ რუსი სამღვდელო პირები პირდაპირ იტაცებდნენ და ძარცვავდნენ ქართულ ეკლესია-მონასტრებში არსებულ საუკუნეთა მანძილზე ნაგროვებ საგანძურს. მაგალითად ეგზარქოს ევსევს (ილინსკის) "ფული რომ დასჭირდა, თავისი დამქაშების მეშვეობით კათოლიკოსების ყოფილი საპატრიარქოს საეკლესიო სალაროს მთელი განძეულობა გაჰყიდა, შესამოსლებს, მიტრებს და ხატებს ძვირფასეულობა მოხსნა... დატაცებულ იქნა ორ მილიონზე მეტად ღირებული საეკლესიო განძეულობა" ("საეკლესიო საკითხები რუსეთში", 1986 წ. იქვე, გვ. 39).

"საქართველოში განწესებული რუსი ეგზარქოსები ამ ქვეყანას ისე უყურებენ, როგორც მათთვის განკუთვნილ გასაძარცვ მხარეს ...გელათის მონასტრის საეკლესიო სალაროში 1870 წლამდე ინახებოდა მილიონებად ღირებული განძეულობა: 1) ოქროთი მოჭედილი, ტიხრული მინანქრით გაწყობილი XI საუკუნის უძველესი ქართული სახარება, ეს სახარება ეგზარქოს ევსევის ნებართვით გელათიდან გაიტანა ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშოვმა, რომელმაც მოხსნა ოქროს მოჭედილობა და იგი შეცვალა რაზიკოვის იაფფასიანი ვერცხლის ნახელავით ...ინგლისელები სახარების ოქროს მოჭედილობაში იძლეოდნენ ასი ათას ფუნტ სტერლინგს. 2) ოქრომკერდით მოქარგული მსხვილი მარგალიტით მორთული აბრეშუმის სქელი ქსოვილისაგან შეკერილი იმერეთის კათალიკოსების პატრიარქის შესამოსელი... მისგან რვა ფუნტი ოქრო გამოადნეს, ხოლო ლალი და მარგალიტი გამოყენებული იქნა გულქანდების დასამზადებლად... სიონის ტაძრიდან ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატის ძვირფას მორთულობასთან ერთად გაქრა მრავალი ძვირფასი ნივთი და სამღვდელმთავრო ომოფორებიდან და ბისონებიდან ფუთობით მოხსნილი თვალ-მარგალიტი, ზუსტად ასევე გაქრა აურაცხელი ძვირფასეულობა: ოქროს ჭურჭელი, ჯურები და სხვა განძეული მცხეთის, ალავერდის, ბოდბის, ნინოწმინდის და სხვა საკათედრო ტაძრებიდან. ამათ მოჰყვა განძეულობა იოანე ნათლისმცემელის უდაბნოდან, ჯუმათის, შემოქმედის და სხვა მონასტრებიდან" ("საეკლესიო უწყებანი" 1906, N47, იქვე, გვ. 41).

საქართველოს ყველა მაჰმადიანი მტერი როდი იქცეოდა ასე, ჩვენი წმიდა მატიანეები მხოლოდ ერთეულ შემთხვევებს ასახელებენ, როცა დამპყრობელმა ეკლესიათა სიწმიდეებიდან აღებული თვალ-მარგალიტი თუ ძვირფასი ქვები, ქალების სამკაულებად, თუ სხვა საჭიროებისათვის გამოიყენეს.

მაჰმადიანთა შემოსევებისას ქრისტიანები საგანგებოდ იცავდნენ ანდა მალავდნენ საეკლესიო ქონებას, რუსებმა კი ვითარცა ქრისტიანებმა ადვილად იგდეს ხელთ სრულიად საქართველოს საეკლესიო ქონება, მათგან დაფარული არაფერი იყო, თვით ეკლესიების სხვენებიც კი საგულდაგულოდ იჩხრიკებოდა, რათა ქართველებს ვერაფერი გადაემალათ - "ეგზარქოს პავლეს დროს მეტეხის ეკლესიიდან გაქრა ოქროთი მოჭედილი მეტეხის ღვთისმშობლის (ბეთლემის) სასწაულთმოქმედი ხატი, რომელიც ღირდა 50 ათასი მან. მასში ჩაწყობილი იყო წმინდათა ნაწილები. წმიდა ხატი ცხრაკლიტულში იყო გადამალული. 1891 წელს ეგზარქოს პალადის დროს იგი ნაპოვნი იქნა ამავე ეკლესიის სხვენზე, მაგრამ მოჭედილობა აღარ ჰქონდა" (იქვე, გვ. 41). საერთოდ ქართულ ეკლესიაში იმდენი და ისეთი რაოდენობის საუკუნეთა მანძილზე დაცული ძვირფასი ნივთი იყო, ხოლო რუსული საეკლესიო ხელისუფლების მიერ მათი მძარცველობის შემხთვევები ისე მრავალი, რომ მათი აღწერა შეუძლებელიცაა. ქართველი მეფეები, მთავრები, ერისთავები და უბრალო ადამიანები საუკუნეთა მანძილზე თავიანთი ქონების საუკეთესო ნაწილს წირავდნენ ეკლესიას, ხოლო ეკლესია, თავის მხრივ თაობათა მანძილზე სათუთათ უფრთხილდებოდა საგანძურს, გონივრად იყენებდა მას რწმენის განმტკიცებისათვის, იმერეთის კათალიკოსის მარგალიტებით მოოჭვილი მიტრა დამშვენებული ყოფილა ერთ დროს მეფე ვახტანგ გორგასლის გვირგვინის შემამკობელი ჯვრით, ხოლო წინგასაძღოლი საპატრიარქო ჯვარი მთლიანი ლალისა ყოფილა. ცხადია რუს საეკლესიო ხელისუფალთა სიხარბეს ისინი ვერ გადაურჩნენ. ეგზარქოს ევსევის დროს ხახულის ხატიდან მოხსნეს ოთხი დიდი და შვიდი მცირე

ლალი, რომლებიც ოდესღაც ამკობდნენ თამარ მეფის გვირგვინს. ხალხს ისე ჰყვარებია ეს ლალები თავიანთი ბრწყინვალებით სახელგანთქმულნი მთელ საქართველოში, რომ ყველა მათგანისათვის თავისი სახელი დაურქმევია. ყველაზე დიდ ლალს ერქვა "ობოლა", მეორე ლალს ერქვა - "კედელა", ის თურმე "ობოლას" ჰყოფდა სხვა მცირე ლალებისაგან, მესამე ლალის სახელი - "მედეგა"[1] ყოფილა. ეს ლალები თამარ მეფეს თავის ხელით დაუკიდნია ღვთისშმობლის ხატის გვირგვინზე. "ეგზარქოს პავლეს დროს სიონის ტაძრიდან გაქრა ნინოწმინდის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, რომელსაც ძვირადღირებული ოქროს მოჭედილობა ამშვენებდა. საქმე უკეთესად არ იყო ეგზარქოს პალადის დროსაც. მან "თავის საყვარელ მხატვარს სომეხ საბინგუსს, თითქოსდა ახალი მოჭედილობის გასაკეთებლად ნება დართო სამეგრელოსა და გურიის მონასტრებიდან გაეტანა უძველესი ხატების საუკეთესო და ძვირფასო მოკაზმულობა. საბინგუსმა მარტვილის, ხობის, ჯუმათის და შემოქმედის მონასტრებიდან წაიღო ძვირად ღირებული და ოსტატურად შესრულებული ხატები ...დოქტორი ერისტოვ-შერვაშიძე თავის წიგნში "სამახსოვრო წერილი ქართველი ხალხის გაჭირვებათა შესახებ" ამბობს: "რასაც ქართველი ხალხი ოდითგანვე სასოებით ინახავდა და იცავდა, ამჟამად დღისით-მზისით იძარცვება, მრავალსაუკუნოვანი ჩვენი ტაძრები მძარცველთა საკუთრება გახდა, მონასტრები გაპარტახების წყვდიადში იძირებიან ანდა უმეცარი ბერების (ათონელი რუსების) მიერ იბილწებიან" (იქვე, გვ. 42).

დავით აღმაშენებელმა მთელი თავისი თვალ-მარგალიტი ხახულის ხატს უანდერძა. მის შემდეგ ომში გამარჯვებული ყოველი ქართველი მეფე ძვირფას შენაწირს უგზავნიდა ხატს. თამარ მეფემ უმთავრესი ნადავლი შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ ხატს უანდერძა. ყველა ეს სიმდიდრე, თვალ-მარგალიტი ხატის კარედზე მაგრდებოდა და მისგან განუყოფელი ხდებოდა.

ერთი მხრივ თვით ხატის სიმდიდრე (მინანქარი, ძვირფასი ქვები), ხოლო მეორე მხრივ ძვირფასი შენაწირი, რომლებიც კარედზე იყო დაკიდული 1856 წელს გაიტაცა რუსმა გენერალ-გუბერნატორმა ლევოშოვმა, მაგრამ განსაკუთრებითი დანაკარგი იყო თვით მინანქრის ხატის ნაწილებად დამსხვრევა და გატაცება. ხელოვნების უკვდავი ძეგლი "დამსხვრეული, დანაწილებული და გაყიდული იქნა". 1904-1905 წლებში კვლავ გაძარცვეს მსოფლიოს ძეგლთა შორის უბრწყინვალესი ხახულის ხატი (რ. ყენია "ხახულის ხატი").

თვით რუსეთის განათლების მინისტრი პროფ. პოკროვსკი აღიარებდა, რომ რუსეთი "ავიწროებდა საქართველოს, ითვისებდა და იტაცებდა ერის კულტურის განძს" (შ. ამირანაშვილი, საქართველოდან გატანილი სამუზეუმო განძეულობა, 1968, გვ. 3).

საქართველოდან გატანილი საეკლესიო განძეული ისეთი რაოდენობისა იყო, რომ რუსი სიძველეთა მოყვარულები კოლექციებს ქმნიდნენ. ბოტკინის კოლექციაში მრავალი გატაცებული მინანქარი შესულა - "მასში დაცული იყო ქართული მინანქრების ბრწყინვალე ნიმუშები, რომელთა დიდი ნაწილი მოტაცებული იყო საქართველოს საგანძურიდან: გელათიდან, მარტვილიდან და ჯუმათიდან" (იქვე, გვ. 5).

რუსი საეკლესიო ხელისუფლები მხოლოდ ქართული საეკლესიო განძის ქურდობა-დატაცებით არ დაკმაყოფილდნენ, შეუდგნენ ეკლესიების თავისებურ "რესტავრაციას". "გალამაზების" მიზნით კირით რუსული ეკლესიების მსგავსად კირით ათეთრებდნენ უმშვენიერეს ქართულ კედლის სასულიერო მხატვრობას. კირით გარედანაც კი ათეთრებდნენ ტაძრებს. ფაქტიურად ქართული მონუმენტური ფერწერა მოსპეს ანდა დააზიანეს.

რუსმა საეკლესიო ხელისუფლებმა გაათეთრეს სვეტიცხოვლის ფრესკები (XI საუკუნისა) შიომღვიმე (VI ს.), სამთავროს, ბეთანიის, ალავერდის და სხვა დიდებული ტაძრები.

ალავერდი, აგრეთვე სვეტიცხოველი, სამთავრო და სხვა ტაძრები პირველად შეათეთრეს XIX სუკუნის 20-იან წლებში, რუსეთის იმპერატორის მიერ ახლად შეერთებულ საქართველოს დათვალიერებასთან დაკავშირებით ("ძეგლის მეგობარი" N10-11 გვ. 72), ქართულ ტაძრებს რუსები თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე ათეთრებდნენ.

“ცნობილია, რომ ალავერდის ტაძარი XIX საუკუნეში შეთეთრებულია შიგნითაც და გარეთაც. შიგნითა სიბრტყეები რამდენჯერმე შეეთეთრებინათ კირით, ამას მოწმობს შეთეთრების 3-4 ფენა. უკანასკნელად ალავერდის ტაძარი 1884 წელს შეუთეთრებიათ” (იქვე, გვ. 72). ე.ი. ფრესკები 1820-დან 1890 წლამდე უთეთრებიათ.

ქართულ ფრესკებს ეხებოდნენ ზეთის საღებავით, ზოგჯერ ზეთის საღებავით ახლად ხატავდნენ კედლებს, რაც სპობდა ძველ მხატვრობას. მაგალითად - ანჩისხატის ეკლესია (VI ს.) 1814 წელს ზეთის საღებავით მოუხატავთ. ეს იყო მხატვრობა “თავისი ნახატებითა და კოლორიტით სრულიად უცხო ქართული ხელოვნებისათვის” (“ძეგლის მეგობარი” N7, გვ. 38). რესტავრაციისას ცდილობდნენ “როგორმე მიეჩქმალათ ის ძეგლი, რაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ამ ძეგლს “გაელამაზებინათ” იგი ისეთი მასალებით, როგორიცაა გაჯის შელესილობა, ძველი მხატვრობის დაფარვა ზეთის საღებავით და ა.შ. ამავე დროს ძველ VI ს. წყობის ულმობლად სპობდნენ ახალი შესასვლელებისა და ფანჯრების მოსაწყობად” (იქვე, გვ. 40).

საქართველოს მოსახლეობა ყოველ კუთხეში გამუდმებით ჯანყდებოდა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ და ითხოვდა ბაგრატიონთა ტახტის აღდგენას, ამიტომაც ადმინისტრაცია ცდილობდა ქართველ მეფეთა ყოველი ნაკვალევის წაშლას, ამიტომაც არ ერიდებოდნენ თვით სასახლეების დანგრევასაც კი, გეგუთის სამეფო სასახლე ადმინისტრაციამ ააფეთქა, აფეთქების შედეგად დახვავებული აგური - მოსახლეობას ურმებით გააზიდინა რათა სასახლის აღდგენა შეუძლებელი ყოფილიყო, რუსული საეკლესიო ხელისუფლება არ ჩამორჩებოდა ადმინისტრაციას. დაურიდებლად აფეთქებდნენ ეკლესიათა იმ ნაწილებსა და მინაშენებს, რომელნიც არ მოწონდათ. ააფეთქეს სვეტიცხოვლისა და სხვა მნიშვნელოვანი ტაძრების სტოები (არქიტექტურული გემოვნებით ნაშენი შესასვლელები). “XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როცა საეკლესიო ხელისუფლებს არ ჰქონდა შეგნებული სვეტიცხოვლის ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა, ააფეთქეს სამლოცველოები და სამარხები, რომლებიც მას გარს ერტყა, შიგნით კი შელესეს, ამ შელესვამ მხატვრობას ბოლო მოუღო” (ვ. ბერიძე, სვეტიცხოველი “ფრესკა” 1967, N1, გვ. 25).

მცხეთაში პომპეუსის ხიდიც კი ააფეთქეს. ეს ხიდი ქართველთა სიამაყის საგანი იყო, ყველა ჩამომსვლელს მას აჩვენებდნენ. ის ვახტანგ გორგასლის მიერ გაფართოებულად მიაჩნდათ.

რუსეთში გაჰქონდათ არა მარტო ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საეკლესიო ნივთები, მინანქრები, მინიატურები, ძვირფასი თვლები, არამედ ქვის ნივთებიც კი. მაგალითად უვაროვას მიერ რუსეთში ჩატანილი იქნა საფარის XI საუკუნის კანკელის ფილები, შემკული შესანიშნავი რელიეფური ქანდაკებითა და ჩუქურთმებით.

საქართველოს ბარში დაგროვილი საეკლესიო საუნჯის დატაცების შემდეგ რუსი სამღვდელო ხელისუფალნი მთას მიადგნენ. მთიელ ქართველებს ისინი კერპთაყვანისმცემლებს უწოდებდნენ, ვაჟა-ფშაველა ირონიით წერდა - ”კარგი იქნებოდა კერპთაყვანისმცემლებიდან შემოსული ფული არ მიჰქონდეს სინოდალურ კანტორას, და როგორც ერის საკუთრება ერსავე უბრუნდებოდეს ან კი რა საკადრისია მართლმადიდებელი დაწესებულებისათვის კერპთაყვანისცემის დროს აღებული ფული” (ვაჟ -ფშაველა, 1956, ტ. VII, გვ. 354).

რუსებს ფშავ-ხევსურეთიდან თამარისა და ლაშას მიერ შეწირული ჯვრებიც წაუღიათ - ”...ერთი ლაშა გორგასლისგან შეწირული ...ლაშარის ჯვარი, მეორე თამარ მეფისა და მესამე თავ-წყაროსიო” (იქვე, გვ. 355). “...თამარის ჯვარი იქნება თავის ტარიანად არშინ-ნახევარი. ტარი ვერცხლით საუცხოოდ არის მოვარაყებული და ეს ჯვარი ბერმა ილარიონმა ჩამოიტანა ქალაქში ეპისკოპოს ანტონთან” (იქვე, გვ. 355).

საერთოდ რუსები ცდილობდნენ საქართველოდან გაეძევებინათ სამეფო ოჯახის წევრები, მემკვიდრენი და ნათესავები, ხოლო სამეფო ნივთები რუსეთში გაეზიდათ. თეიმურაზ ბატონიშვილი წერდა მარი ბროსეს - მოსკოვშია “ძვირფასი ქვებით შემკული გვირგვინი სადედოფლო მეფის რუსუდანისა”.

ყოველივე ზემოთჩამოთვლილი ძარცვა მატერიალური კლებაა და ჩვენს ეკლესიას ის ვერ დააძაბუნებდა, თუ არა გეგმაზომიერი მოქმედება რუსეთის ეკლესიისა ქართული ეკლესიის სულიერი გადაგვარებისათვის. საპატრიარქო ცენტრების მოსპობის შემდგომ რუსეთის საეკლესიო ხელისუფლება შეუდგა ეპარქიების გაუქმებას, ეკლესიებისა და მონასტრების დახურვას (შემცირებას). დურნოვი წერს - "1811 წლამდე ქართულ ეკლესიას ჰქონდა 15 ეპარქია ქართლში, კახეთში და სამცხეში, 7 იმერეთში, 2 სამეგრელოში და 2 გურიაში. ამჟამად ქართველებს აქვთ 1 ეპარქია იმერეთში, 1 გურიაში, 1 აფხაზეთში და 2 საქორეპისკოპოსო ქართლში... 1811 წლიდან დაიხურა 15 მონასტერი და 800-ზე მეტი ეკლესია. აი, საქართველოში რუსული სასულიერო ბიუროკრატიის თვითნებობის და მართვის ნაყოფი" (დასახ. ნაშრ. გვ. 36).

"დახურეს 25 ეპარქია, რომელთაგან ზოგიერთი არსებობდა საქართველოში ქრისტიანობის შემოღების დასაწყისიდანვე ე.ი. დაახლოებით 15 საუკუნე, გაანადგურეს ბევრი უძველესი მონასტერი, დაბეჯითებით მოითხოვდნენ, ჩამორთმეოდათ და ხაზინას გადასცემოდა ქართული საეკლესიო მამულები და ქართული ეკლესია იმ სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ ამჟამად 860-ზე მეტი ტაძარი ღვთისმსახურების გარეშეა დარჩენილი" (საეკლესიო საკითხები რუსეთში" იქვე, გვ. 39).

ქართულ ეკლესიას ისტორიულად ათეულობით საეპისკოპოსოები ანუ ეპარქიები ჰქონდა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში. მესხეთის ანუ ისტორიული ტაო-კლარჯეთის 14 საეპისკოპოსო ოსმალო დამპყრობლებმა მოსპეს, ხოლო ქართლ-კახეთსა და დასავლეთ საქართველოს მუსულმანთაგან გადარჩენილი ათეულობით საეპისკოპოსო რუსებმა გააუქმეს. ცხადია საეპისკოპოსო კათედრების გაუქმება რუსი საეკლესიო ხელისუფლების თვითმიზანი არ ყოფილა, მათ მხოლოდ ქართული ეკლესიის გავლენის შესუსტება სურდათ ქართველ ქრისტიანთა შორის, მაგრამ შედეგი მათთვის ცხადია მოულოდნელი იყო - საეპისკოპოსოთა მოსპობით დაეცა ქრისტიანული სარწმუნოება ქართველთა შორის. საეპისკოპოსთა გაუქმებას საერთოდ ქრისტიანობის დაცემა რომ მოსდევს ეს კარგად იცოდნენ ქართული ათასწლოვანი ეკლესიის სულიერმა მამებმა, ამიტომაც ისინი განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ ეპისკოპოსის ავტორიტეტს, ეს კარგად ჩანს XVIII საუკუნის საათაბაგოში გაგზავნილი ერთი სიგელიდან, რომელშიც კერძოთდ ნათქვამია - "რა რომ საათაბაგო სჯულზე მიდრეკა და ეპისკოპოსნი მოიშალნენ მას აქეთ თქვენს ქვეყანაში ეპისკოპოსი აღარ შემოსულა და რასაც ადგილში ეპისკოპოსი არ შევა და იმისი მადლი და კურთხევა არ მივა, ან იმისი მამამთავარი და მოძღვარი არ ასწავლის და არ ჰმწყსის, ის ქვეყანა და იქ მსახლობელნი ქრისტიანენი არ იქნებიან და არც მართლმადიდებელში აღირაცხვიან" ("ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III, გვ. 747).

აქედან ჩანს, რომ კახეთის უამრავი საეპისკოპოსოების გაუქმებით, ასეთივე ქმედებით ქართლს, იმერეთსა და სამეგრელო-გურიაში ქართველი ქრისტიანები მოაკლდნენ ეპისკოპოსის მიერ გადაცემულ საღმრთო მადლსა და კურთხევას, ასეთ უეპისკოპოსო მრევლს კი აღნიშნული ქართული საბუთი - არაქრისტიანებსა და არამართლმადიდებლებს უწოდებს. ასე რომ საეპისკოპოსო კათედრების მოსპობით "მართლმადიდებელმა" რუსულმა ეკლესიამ დასცა ქართველთა შორის მართლმადიდებლობა და ქრისტიანობა.

"25 სამღვდელმთავარო კათედრის დახურვამ ეპისკოპოსებს წაართვა სამღვდელოებაზე ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის საშუალება და მათი უმრავლესობა მრევლზე არ ზრუნავდა, ლოთობასა და გარყვნილებაში ატარებდა დროს" - წერს ავტორი წიგნისა "საეკლესიო საკითხები რუსეთში" (დასახ. ნაშრ. გვ. 40).

საერთოდ ცნობილია, რომ ქართველი ეპისკოპოსები და მღვდელმთავრები თავიანთი უბრალო ცხოვრებით ახლოს იდგნენ ხალხთან, მაშინ როცა რუსი იერარქები უფრო ჩინოვნიკებს ჰგავდნენ, მათსა და ხალხს შორის "კანონების" ჯებირი იყო აღმართული.

“ქართველი მღვდელმთავრების ხალხთა სიახლოვე არ მოსწონდათ რუს ეგზარქოსებს, რომლებიც უცხონი იყვნენ ხალხისათვის, როგორც სულიერად, ასევე ენობრივად. შეეცადნენ ქართველი მღვდელმთავრები ხალხისაგან მოეწყვიტათ. დახურეს 25 სამღვდელმთავრო კათედრა, რომელთა შესანახად რუსეთის სახელმწიფო გროშსაც არ იმეტებდა. ქართული ეკლესიის უძველესი წყობა, რომელიც მკაცრად იყო შემონახული IV საუკუნიდან XIX საუკუნემდე, რუსულმა სასულიერო კოლეგიუმმა დაარღვია და შეცვალა ჩინოვნიკური სასულიერო უწყების სასარგებლოდ, რომელიც აწ ქართულ ეკლესიას უნდა ერჩინა” (იქვე, გვ. 40).

როგორც შეფარვით ჩანს ზემოთ მოყვანილი ავტორების შრომებში რუსი საეკლესიო ხელისუფლება ეპარქიათა შემცირებით არ დაკმაყოფილებულა, იმ ეპარქიებშიც კი, რომელნიც არსებობდნენ ეპისკოპოსის ხელისუფლება შეუზღუდავთ, იმდენად, რომ მღვდელმთავარს ნება აღარ ჰქონია სამღვდელოების რეალური ხელმძღვანელობისა. ჩანს სამღვდელოება საეპარქიოსი რეალურად იმართებოდა თბილისიდან, საეგზარქოსო კარიდან, ცხადია - ”სამღვდელოებაზე ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის საშუალებას” მოკლებულ ეპისკოპოსებს მღვდლები აღარ ემორჩილებოდნენ. ამიტომაც მღვდლების უმრავლესობა მრევლზე არ ზრუნავდა, ლოთობასა და გარყვნილობაში ატარებდა დროს”. ეპისკოპოსს, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მღვდელების ეკლესიაში დანიშვნის ერთი ადილიდან მეორეში გადაყვანის, კურთხევისა და საკანონოს დადების უფლება, მხოლოდ ფორმალურად არის საეპარქიოს გამგებელი. რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებასაც ეს სურდა - თბილისიდან, ეპარქიების გარეშე ემართა მთელი ეკლესია, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო.

როგორც ითქვა, რუსი ხელისუფლება ეპარქიების (კათედრების) გაუქმებით, ქართველი ეპისკოპოსების რეალური ძალაუფლების შეზღუდვით არ დაკმაყოფილებულა - ხურავდა მონასტრებს, ჰყიდდა საეკლესიო შენობებს - ”ეკლესიები დაარიგეს, ან პირველივე შემხვედრს საჯაროდ მიჰყიდეს, ზოგჯერ მათში გასართობი დაწესებულების მოსაწყობად” (იქვე, გვ. 59).

ქართველი ხალხი და ქრისტიანობისათვის თავდადებული ქართველი სამღვდელოება კარგად გრძნობდა, თუ რა უბედურება ელოდა ქვეყანას საეპისკოპოსოების გაუქმებით, ამიტომაც ქართველთა სარწმუნოების გადარჩენისათვის მარად ითხოვდა გაუქმებული ეპარქიების აღდგენას. “ქართველები არაერთხელ ითხოვდნენ ურბნისის, ალავერდის, ბოდბის გაუქმებული კათედრების აღდგენას. 1841 წელს ეგზარქოს ევგენის თხოვნით მიმართეს, რომ “გურიაში მღვდელმთავართა კათედრის დახურვის შემდეგ რელიგიურობამ დაქვეითება დაიწყო და გურულები, რომლებიც მაჰმადიანური თურქეთის საზღვარზე ცხოვრობენ, საჭიროებენ მღვდელმთავრის მიერ დამოძღვრას, მართლმადიდებლური სარწმუნოების ჩაგონებასა და განმტკიცებას... გურიის თავადაზნაურთა ეს დაჟინებული შუამდგომლობა 1844 წელს იქნა დაკმაყოფილებული, მაგრამ 1885 წელს ეგზარქოსმა პავლემ გურიაში დახურა ჯუმათის, ხოლო სამეგრელოში - ჭყონდიდის კათედრა. ამის შედეგად 1905 წელს გურია კინაღამ რესპუბლიკა შეიქნა, ხალხმა შეწყვიტა ეკლესიაში სიარული” (იქვე, გვ. 65).

საერთოდ, რუსი სამღვდელო პირების ანტიეკლესიური მოქმედების გამო ქართველებმა, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისში თავდადებული ქრისტიანები იყვნენ, თანდათან ზურგი აქციეს ეკლესიას. რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებმა მოსპეს განათლების ეროვნული სისტემა საქართველოში და დააფუძნეს რუსულ-შოვინისტური, ქართული ენა სკოლებიდან გადევნეს, ხოლო ენის უცოდინარ ქართველ ბავშვებს რუსულ ენაზე ასწავლიდნენ, რაც განათლების საერთო დონეს ადაბლებდა, თუმცა კი რუსი ხელისუფლება ამტკიცებდა, თითქოსდა მან შემოიტანა განათლება საქართველოში.

საქართველოს დაპყრობისთანავე რუსებმა გააქუმეს ქართული სასულიერო სემინარიები. თუ როგორი სისასტიკით გააკეთეს ეს გადმოგვცემს თელავის სემინარიის უკანასკნელი რექტორი დავითი: “მას ჟამსა რუსნი მოვიდეს დასხოლა შეურაცხყვეს და სადა სახელი ღვთისა იქადაგებოდა

ჰყვეს ქვაბ ავაზაკთა, ხოლო მე პირად პირადნი განსაცდელნი შემამთხვივნეს და მრავალი ბოროტი მოაწვნიეს ჩემზედა" (მ. დარაჩა, გაიოზ რექტორი, გვ. 19).

თუ როგორი მოწიწება ჰქონდათ ქართველებს სემინარიის მიმართ ჩანს 1755 წელს ანტონ I სასახლესთან გახსნილი სემინარიის შესასვლელში ამოტვიფრულ წარწერაში - "ესე არა რაი არს გარნა სახელი ღვთისა და ბჭე ზეცისა".

"სახლი ღვთისა და ბჭე ზეცისა" რუსებმა "ქვაბ ავაზაკთა" სახლად ჰყვეს, როგორც დავით რექტორი ამბობდა. ისიც კი იკადრეს რომ სკოლების ინვენტარი ერთიანად მიითვისეს "სკოლა წამართვეს, კარგად გაკეთებული სახლები წამართვეს... სამგზის წყეულებმა იქიდან გამომაგდეს..." - ჩიოდა რექტორი.

ქართულ-ეროვნული საეკლესიო სასწავლებლის დახურვის შემდგომ რამდენიმე წელიწადს საქართველოში აღარ მოქმედებდა არცერთი სკოლა, ვიდრე 1804 წლამდე. ამ წელს მთავარმართებელმა ციციანოვმა დააარსა რუსულენოვანი სასწავლებელი, სადაც რუსულ-შოვინისტური სულისკვეთებით ზრდიდნენ 60 ბავშვს, მაშინ როცა XVIII საუკუნის მიწურულისათვის თბილისის სკოლებში 400-ზე მეტი მოსწავლე იყო (იქვე, გვ. 38).

საუკუნის მანძილზე (XIX საუკუნეში) სასწავლებელთა რიცხვი ცხადია გაიზარდა, მაგრამ რუსი ხელისუფლება იბრძოდა სკოლებში აქრთული ენის ხსენების აღმოფხვრისათვის, უფრო მეტიც, სდევნიდა ეროვნებით ქართველ მასწავლებლებს, ამ ქმედებას თვით რუსი ავტორი ასე აფასებს - "უგუნურნო! რუსულ ენას ქართველებს ყველაზე იოლი გზით ის შეასწავლის, ვინც ქართულ ენას ფლობს. რა თქმა უნდა მეუფე ეგზარქოსმა იცის, რომ ქართველი მასწავლებლების გარეშე ძნელია რუსული ენა შეისწავლონ მცირეწლოვანებმა. 6 ქართული სასულიერო სასწავლებლიდან ყოველწლიურად გონებაჩლუნგობისა და წარუმატებლობისათვის ამაოდ კი არ ერეკებოდნენ ასეულობით ბავშვს" (იხ. ნ. დურნოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 60).

უცხო ენაზე საგნების შესწავლა ენის უცოდინარ ბავშვს ცხადია უჭირდა, ამიტომაც "გონებაჩლუნგების" რაოდენობა ძალზე გაზრდილა.

"ქართველი მოსწავლეები - ამბობს უსამღვდელოესობა ლეონიდ - სემინარიას რომ დაამთავრებდნენ, გაცნობილნი არ იყვნენ ტერმინებს: იპოსტასი, სამება, ჯვარცმა, განგება, ვინაიდან სემინარიებში ღვთისმეტყველების საგნებს რუსულ ენაზე ასწავლიდნენ. გაუნათლებელ სემინარია დამთავრებულ ქართველ მღვდლებს არ შეეძლოთ გაენათლებინათ თავიანთი მრევლი" (იქვე, გვ. 69).

არა მარტო სემინარიებში, მორწმუნეთა მრევლისათვის განკუთვნილ სკოლებშიც, არა თუ საგნები ისწავლებოდა მშობლიურ ენაზე, საერთოდ ქართული ენა არ ისწავლებოდა - "იმის გამო, რომ სამრევლო სკოლებში ქართულ ენას არ ასწავლიდნენ და თუ ასწავლიდნენ, იმასაც სხვათა შორის, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა აჟამად წერა-კითხვის უცოდინარია. "ნუთუ, ამბობს პროფესორი მარი - აქ ფიქრობენ, რომ ენისა და ლიტერატურის არცოდნა მრევლს" ცარიელ ადგილამდე, გონებრივ და კულტურულ დაცემამდე არ მიიყვანეს და ამის შედეგად არ მოჰყვება სიბრიყვე და რელიგიურ გაგებათა დაცემა?" (იქვე, გვ. 64).

ქართული ენა განდევნილი იყო გიმნაზიებიდანაც, მასწავლებელთა ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ ქართველთა კულტურისა და საერთოდ ქართველი ერის მიმართ მოსწავლეებში წარმოშვა შინაგანი წინააღმდეგობა, რამაც ხელი შეუწყო მათ შორის ანტისახელმწიფოებრივ მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულებების წარმოქმნას, ანარქიზმისა და სოციალიზმის იდეების გავრცელებას. "ერისტოვ-შერვაშიძე ამგვარად დაასკვნის: ამიერკავკასიის გიმნაზიების (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) არასრულყოფილებამ შინაგანი ბიძგი მისცა სხვადასხვა პარტიების განვითარებას, რომლებიც ისწრაფვიან არსებული წყობილების დასამხობად".

საქართველოს სემინარიებს საგანგებოდ ავსებდნენ რუსეთიდან ჩამოყვანილი, რუსეთის სემინარიებიდან განდევნილი აღსაზრდელებით, "სწორედ ამათ ჩაუნერგეს ქართველ

სემინარისტებს სოციალისტთა მოძღვრება". თავის მხრივ რუსი პედაგოგები თავიანთი ნიჰილიზმითა და ქართველთ მოძულეობით თავისდაუნებლიეთ "...თავიანთ მოსწავლეებში სოციალიზმს, ურწმუნოებასა და ათეიზმს ნერგავენ" (იქვე, გვ. 70).

ქართველი ახალგაზრდები, რომელნიც მოწყივტეს მშობლიურ ფესვებს, რომელთა თვალშიც გააუფასურეს ქართული კულტურა, ხოლო სამაგიეროდ კი ვერაფერი მისცეს, დაეწაფა სოციალიზმისა და ათეიზმის იდეებს.

დამკვირებელი ასე ხსნიდა ამ მოვლენას - "ქართველთა მხურვალე თავები ადვილად ემორჩილებიან რუს ანარქისტებს" (იქვე, გვ. 64). ეროვნული იდეოლოგიის, ლიტერატურის არ არსებობის გამო ქართველობა რუსულს ოღონდ არაოფიციალურს დაეწაფა, ოფიციალური ხომ მისთვის ცნობილი და სრულიად მიუღებელი იყო.

რუსმა პედაგოგებმა, საგანგებოდ მოწყობილი აღზრდის სისტემის საშუალებით მართლაც შეძლეს ქართველ ახალგაზრდებში ეროვნული ნიჰილიზმის ჩანერგვა, მათი დაინტერესება არაეროვნული იდეებით, ლიტერატურით, მისწრაფებებით.

ამის ერთ-ერთ მიზეზს ხსნის დიდი ილია - "მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეცხრამეტის პირველი წლების წეწვა-გლეჯამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის თავის იმედი დააკარგვინა" (ი. ჭავჭავაძე, ტ. III, 1953, გვ. 203).

და ასკვნის - "ჩვენი ქვეყანა სათრეველაა, ერთს დიდს ურემზედ გამობმული, საითაც გაიწევს ურემი, იქით მიდის სათრეველაც. ეს ყველასთვის ცხადი და უეჭველია" (იქვე, გვ. 268). - სემინარიადამთავრებული ქართველი ახალგაზრდები, გაუუცხოვდნენ ქართულს, დაეწაფნენ რუსულ და რუსულ ქურაში გატარებულ ევროპულ იდეებს სოციალიზმისა, ათეიზმისა და ანარქიზმისა. როგორც აღინიშნა ამას ხელს უწყობდა რუს პედაგოგთა მიდგომა ქართული ეროვნული წეს-ჩვეულებებისადმი, ქართული ენისადმი, და ამგვარივე სულისკვეთების დანერგვა მოსწავლეთა შორის.

ენობრივი საკითხი ძალზე მწვავედ იდგა XIX საუკუნეში, რუსული საეკლესიო ხელისუფლება იქამდე იყო დაცემული, რომ ქართულ ეკლესიებში ქართულენოვანი ღვთისმსახურება აკრძალა. იმ ტაძრებშიც კი სადაც ათეულ საუკუნეთა მანძილზე ქართული ენით იდიდებოდა უფალი ღმერთი და ქართული გალობა გაისმოდა ქართული წირვა-ლოცვა მოშალეს და სლავურ-რუსული დანერგეს. ასეთები იყო მაგალითად თბილისის სიონის, ბოდბის წმიდა ნინოს ტაძრები, აფხაზეთის, ბათუმის, საქართველოს მთელი კუთხეების ეკლესიები. არა თუ ცენტრალურ ტაძრებში, პერიფერიების ეკლესიებიდანაც კი დევნიდნენ ქართულს - "თბილისში ეგზარქოსმა ალექსიმ სასაფლაოთა ეკლესიებში ქართველებს აუკრძალა ქართულ ენაზე წესის აგება. ეგზარქოსმა ქართულ ენაზე ღვთისმსახურება აკრძალა დუშეთსა და გომბორშიც" (ერისტოვ-შერვაშიძე "ქართველი ხალხის გაჭირვების შესახებ სამახსოვრო წერილი" დასახ. ნაშრ. გვ. 63).

ერისტოვ-შერვაშიძე განაგრძობს - "ქართლისა და კახეთის ყველა ეპარქიას 1811 წლიდან მართავს ეგზარქოსი, რომელმაც არ იცის 500.000-იანი ქართული მრევლის არც ენა და არც წესები" (იქვე, გვ. 46).

ქართული ენის განსაკუთრებული მდევნელი იყო სასწავლებელთა "მზრუნველი" იანოვსკი, რომლის შესახებაც გაბრიელ ეპისკოპოსი წერდა - "ნუთუ ბატონმა მზრუნველმა არ იცის რომ ქრისტიანთა სულიერი მწყემსმთავრები უეჭველად უნდა იყვნენ გამოსულნი იმ ხალხიდან, რომელსაც მათი სამწყსო განეკუთვნება? ეს არის ქრისტიანული ეკლესიის მართვის ძირითადი კანონი. სულიწმინდა მისთვის გარდმოევლინა მოციქულთა ზედა და მათ ასწავლა სხვადასხვა ენა, რამეთუ ყველა ხალხმა და ტომმა ქრისტეს ხარება თავიანთ ენაზე მოისმინონ" (იქვე, გვ. 46).

მღვდელმთავარი ეკლესიისა, რომელშიც ღვთისმსახურება უწყვეტად 1500 წლის მანძილზე ქართულ ენაზე აღესრულებოდა IV საუკუნიდან XIX საუკუნემდე, იძულებული იყო მსგავსი მსჯელობით დაეცვა თავისი ხალხის მშობლიური ენა.

რუსულ საეკლესიო მმართველობას ერთმორწმუნე ხალხებში რუსეთის მიმართ მხოლოდ შიშის აღძვრა შეუძლია" - ამბობს უსამღვდელოესი ლეონიდე - ქართველები რუს ეგზარქოსებს ადანაშაულებენ ქართველი ხალხის დევნისათვის, ქართულ ეკლესიაში ძველთაგანვე არსებულ, ქრისტიანობის პირველი წლებიდანვე მომდინარე ადათ-წესების დამხობისათვის" (იქვე, გვ. 61). თვით ქართული გალობაც კი იდევნებოდა. მას ძაღლის ყმუილს ამსგავსებდნენ - "...ერთმა ეგზარქოსმა მას "ძაღლის ყეფა" უწოდა... სემინარიაში რუსი მასწავლებლები დასცინოდნენ ქართულ საეკლესიო გალობას" (იქვე, გვ. 65).

განსაკუთრებულ მზაკვრობას წარმოადგენდა რუსი და გარუსებული ბერების მიერ ქართული მონასტრების დაჭერა. საუკუნეთა მანძილზე მონასტრები წარმოადგენდნენ ქართული ეკლესიის სულიერი სიმტკიცის საფუძველს... მონასტრებში ტრადიციულად გაჩაღებული იყო სამეცნიერო და სალიტერატურო საქმიანობა, ამიტომაც ისინი არა მარტო სულიერ, კულტურის კერებსაც წარმოადგენდნენ, განსაკუთრებით საჭიროს უცხოელთაგან ქვეყნის დაკავების დროს. სწორედ ამიტომ ქართული ეკლესიის საბოლოო დამხობის მიზნით რუსმა ხელისუფლებმა ქართული მონასტრები ეროვნებით რუს ანდა გარუსებულ ბერებს გადასცეს. ქართული ეკლესიის სულიერი სიმტკიცე დასცეს. სამეცნიერო და სალიტერატურო საქმიანობა ამოაგდეს, ამის ნაცვლად მონასტრებიდან გავრცელება დაიწყო რუსულ - დიდმპყრობელურმა, ქართული კულტურული მონაპოვრის მიმართ ნიჰილისტურად განწყობილმა იდეებმა.

"ქართველი ბერები განდევნილ იქნენ იმ მონასტრებიდან, რომლებიც რუსულად მოაქციეს: საფარის, ზარზმის, კაბენის, მამკოდის, დრანდის, სამების, ბიჭვინთის, ბერძენი ბერები კი განდევნეს ახტალის მონასტრიდან, გარდა ამისა, ბოდბის მონასტერი, სადაც საქართველოს განმანათლებელი წმიდა ნინოს საფლავია, მოქცეული იქნა რუსულ მონასტრად და მასში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე აღარ ტარდებოდა" (იქვე, გვ. 43).

ცნობილია რომ ქართული მონასტრები, ქართული სასულიერო ლიტერატურისა და კულტურის, ეროვნული სულიერი თვითგამოვლენის კერები ქართულმა ეკლესიამ დაკარგა ძირითადად სწორედ XIX საუკუნეში - რუსთა ბატონობის დროს, უცხოეთში არსებულ ქართულ მონასტრებს ძირითადად ბერძნები დაეპატრონენ, საქართველოში კი ქართულ მონასტერთა მეპატრონეებად რუსი ბერები იქცნენ (გვ. 66,47,42).

ერისტოვ-შერვაშიძე წერდა - "მონასტრები გაპარტახების წყვდიადში იძირებიან ანდა უმეცარი ბერების (ათონელი რუსების) მიერ იბილწებიან" (იქვე, გვ. 42).

კირიონი ამბობდა - "რატომაა გამოცარიელებული ქართული მონასტრები? იმიტომ, რომ გაქურდეს, მიწები წაართვეს, რამდენი მონასტრებიდან გააძევეს ქართველი ბერები! მათ ნაცვლად იქ სხვა ეროვნების წარმომადგენლები შეუშვეს" (იქვე, გვ. 66). ხოლო ავტორი ბროშურისა "რა გააკეთა რუსეთმა..." რუს საეკლესიო ხელისუფლების "ჩვენი მონასტრების გამტიალებლებს" უწოდებს (იქვე, გვ. 47).

რუსული საეკლესიო ხელისუფლების არა თუ ანტიქართულმა, არამედ ანტიეკლესიურმა და არაქრისტიანულმა ქმედებებმა უსაშინლესი შედეგი გამოიღო მთელი ქართველი ერის მასშტაბში - აქამდე ქრისტესმოყვარე და სარწმუნოებისათვის თავდადებულმა ქართველებმა ზურგი შეაქციეს ეკლესიას, შეწყვიტეს ეკლესიაში სიარული, სარწმუნოების მიმართ გულგრილნი გახდნენ ეს შეამჩნიეს უკვე XIX საუკუნის II ნახევარში.

"ეგზარქოსულმა მმართველობამ, ამბობს უსამღვდელესობა ლეონიდე, ძირი გამოუთხარა რუსი ეგზარქოსებისადმი ხალხის ნდობას და საერთოდ რუსულ სამღვდელოებას და ხალხი მართლმადიდებლობას ჩამოაშორა..." (იქვე, გვ. 71).

რუს საეკლესიო პირთა მიერ საეკლესიო განძისა და ხელუხლებლად მიჩნეული მამულების ჩამორთმევამ ხალხის ცნობიერებაში არია სამართლებრივი ცნებები "...და ეკლესიაში სულის მოსახსენებლად შეწირულობების შეტანა, რომელ საქმეშიც წინა საუკუნეებში გულუხვად იქცეორდნენ ქართველები, XIX საუკუნეში სავსებით შეწყდა" (იქვე, გვ. 59).

ამ რთულ ვითარებისაგან გამოსვლის ძებნას კვლავ ქართველი მღვდელმთავრები შეუდგნენ. ისინი მთავრობას უგზავნიდნენ პროტესტებს, რათა მას მცირეოდენი დათმობით მაინც მოექციათ ხალხი ეკლესიისაკენ. მართლაც ზოგჯერ მცირე დათმობაც საკმარისი იყო, მაგალითად როცა სამუზარაყანოში რუსმა ეპისკოპოსმა აკრძალა ქართულენოვანი მსახურება - ხალხი ეკლესიას ჩამოშორდა - "უსამღვდელოესობა კირიონმა სამურზაყანოს მეგრულ მოსახლეობასთან ქართულ ენაზე განაახლა ღვთისმსახურება და ხალხმა დაიწყო ეკლესიაში სიარული" (იქვე, გვ. 76).

საერთოდ ქართველმა ხალხმა დაკარგა სარწმუნოების მიმართ ძველი მხურვალე სიყვარული. საზოგადოებაში ტრიალი დაიწყო აზრმა, რომ ხალხი მაშინ დაუბრუნდება თავის ტაძრებს, როცა აღსდგებოდა საქართველოს სამეფო და ეკლესიის დამოუკიდებლობა.

და მართლაც ხალხს, რომელიც უსასტიკესად დაისაჯა 1820-იან წლებში საეკლესიო ქონების დაცვისათვის, "მართლმადიდებლური" რუსეთისა და მისი საეკლესიო ხელისუფლების მიერ, არ შეიძლებოდა არ განელებოდა სარწმუნოებრივის გრძნობები.

აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა, საეკლესიო მამულებისა და ქონების დაუფარავი დატაცების შემდეგ რუსულმა ადმინისტრაციამ გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ქონების ხელში ჩაგდება. 1819 წლის ივნისში იმერეთში დაიწყეს საეკლესიო ქონების აღწერა. ეს ხალხს შეუმჩნეველი არ ადრჩა, ხალხმა უკვე იცოდა, რომ თანამორწმუნეთა ნიღბით ქართველობა ჩავარდა ურწმუნო მტრის ხელში, ამიტომაც არ დაანებეს "საეკლესიო ქონების აღწერა", რამეთუ იცოდნენ რომ "აღწერას" ქონების ჩამორთმევა მოჰყვებოდა. ეკლესიას პირველად "ვაკის" ოლქი (ქუთაისის სანახები, ქვემო იმერეთი) გამოექომაგა, ხალხი აღელდა, ეკლესიის ქონების აღმწერნი მოხელენი სოფლიდან გამოაძევეს, ასევე მოხდა გურია-სამეგრელოშიც, ხოლო იმერეთში ეკლესიის დასაცავად აჯანყებამ იფეთქა. აჯანყდა მთელი ხალხი, აჯანყებამ სახალხო მოძრაობის სახე მიიღო. სახალხო რისხვა გამოიწვია იმან, რომ რუსი ხელისუფლები მხოლოდ ეკლესიათა ქონების აღწერით არ დაკმაყოფილდნენ - ისინი ასეულობით ეკლესიას ხურავდნენ. იმერეთში ჩავიდა საქართველოს ეგზარქოსი, ეროვნებით რუსი თეოდოლაქტე და შეუდგა არა ეკლესიათა გაძლიერების, მრევლის სარწმუნოების განმტკიცებას, არამედ ამცირებდა სამრევლოებს, ხურავდა ასეულობით ეკლესიებს, ხალხისაგან მოითხოვდა ფულად საეკლესიო გადასახადს, ავიწროებდა საეპისკოპოსოებს, სამწყროებს, აბუჩად იგდებდა მათ. აჯანყებამდე ხალხმა დახმარებისათვის მიმართა რუსეთის ხელისუფლებს, ისინი წერდნენ - "ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ბილწი აგარიანელების ხელში ვიყავით, ბევრი ტანჯვა-წამება გადავიტანეთ, მაგრამ აგარიანელები ჩვენს სასულიერო საქმეებს არ შეხებიან. ჩვენ ის ხალხი ვართ, სარწმუნოება თითქმის ქრისტეს ჯვარცმის დროიდან რომ შევინარჩუნეთ და იმ იუდელებზე უფრო სამულველნი ვერ გავხდებით, რომლებიც რუსეთის მმართველობის სახელით ფარფაშობენ, ჩვენ მწუხარებას საზღვარი არა აქვს, როდესაც ვხედავთ, როგორ ხურავენ ჩვენს წმიდა ეკლესიებს, როგორ გვაშორებენ ჩვენი სულის გადარჩენაზე მზრუნველ ღვთისმოშიშ მღვდელებს, როგორ გვართმევენ სახალხო ქონებით შემკულ ჯვრებსა და ხატებს და ბოლოს როგორ ასხვისებენ საეკლესიო ქონებას, რომელიც საუკუნეების მანძილზე სისხლითაა შემენილი ან ჩვენი უწინდელი მეფეების მიერ საჩუქრადაა გადმოცემული" (იქვე, გვ. 48).

"1820 წელს აჯანყდა დასავლეთ საქართველო, იმერეთი. მთავარი დამნაშავე იყო პირველი რუსი იერარქი, საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე. საქმე იმაშია, რომ ტრაქტატის თანახმად საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ უნდა შედგენილიყო საგანგებო არტიკული, რაც რუსეთის მთავრობამ ზედმეტად ჩათვალა. საქართველოს რუსეთთან მიერთების შემდეგ კათალიკოს ანტონ II 1811 წლამდე არ შეეხნენ, მაგრამ ამ წელს ის გაიძახეს პეტერბურგში თითქოსდა სინოდის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. ამ დრომდეც მთავრობა კათალიკოსის გვერდის ავლით საქმეს აწარმოებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გასაუქმებლად. მათთვის სასურველ არქიეპისკოპოს ვარლამს წინადადება ჰქონდა მიცემული შეედგინა პროექტი ქართული ეკლესიის სინოდისადმი დასაქვემდებარებლად. 1811 წლის 30 ივნისს გამოიცა უმაღლესი

ბრძანება, რომლის ძალითაც მაშინვე და უბრალოდ მოსპეს ავტოკეფალია ერთერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესიისა და დაწესდა მმართველი სინოდის საეგზარქოსო. ვარლამი პირველ ეგზარქოსად დანიშნეს, შვიდი წლის შემდეგ ისიც პეტერბურგში გაიწვიეს, გაათავისუფლეს და მის ადგილზე დანიშნეს რიაზანელი არქიეპისკოპოსი თეოფილაქტე. ქართული ენის, ადგილობრივი საეკლესიო და სახალხო ჩვევების უცოდინარი თავის პირველსავე ქმედებებს შეუდგა ქართული ენის დევნით. 1817 წლის 14 მაისს ის ეგზარქოსად დანიშნეს და უკვე 9 ნოემბერს მისცა მითითება საკათედრო ტაძრის წინამძღვარს, რომ სიონის ტაძარში რუსულენოვანი წირვა-ლოცვა დაწესებულიყო ყოველ სადღესასწაულო და ყოველ კვირა დღეს, ასევე სამშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით. ქართულ ენაზე კი ორშაბათობით და ოთხშაბათ-ხუთშაბათობით.

მაშასადამე, რუსეთთან საქართველოს მიერთების 16 წლის შემდეგ ქართველებს მოესპოთ საშუალება, მოესმინათ ღვთისმსახურება საქართველოს დედაქალაქის საკათედრო ტაძარში მშობლიურ ენაზე, რომელზედაც 1400 წლის მანძილზე განუწყვეტლივ აღევლინებოდა მხურვალე ლოცვები. არც სპარსელებს, ცეცხლთაყვანისმცემლებსა და მაჰმადიანებს, არც არაბებს, არც წარმართ მონგოლებს, არც თურქებს არ გაუკეთებიათ ის, რაც გააკეთა რუსეთის მთავრობამ და მისმა მართლმადიდებელმა, ქრისტიანმა ეგზარქოსმა. თუკი ქართული ღვთისმსახურება ნებადართული იყო მხოლოდ სადაგ, სამუშაო დღეებში ორშაბათობით, ოთხშაბათ-ხუთშაბათობით, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დღეები არ ემთხვეოდა საეკლესიო ანდა სახელმწიფო დღესასწაულებს, ხომ არ უთანაბრდებოდა ის სრულიად გაუქმებას?... თეოფილაქტე მსგავსადვე "თამამად და ნებიერად" შეუდგა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის "გარდაქმნასაც". ის ფიქრობდა, რომ როგორც აჯანყებებითა და სასტიკი რეპრესიებით დაუძლურებული აღმოსავლეთი საქართველო შეხვდა მის რეფორმებს, დასავლეთით მსგავსადვე მოიქცეოდა, მაგრამ ძლიერ შეცდა. ის შეხვდა თავდაჯერებულ, მტკიცე წინააღმდეგობას იმერეთის ეპისკოპოსებისას, თეოფილაქტემ ძალადობას მიმართა. "გადაწყდა რუსეთში გაეგზავნათ მთავარი იერარქები მიტროპოლიტები: გელათელი და ქუთათელი. მათი დაპატიმრებისას თვითმხილველ კაპიტან დუბეცკის სიტყვით გამოიყენეს ხიშტები, ისე, რომ ნაცემი და გასისხლიანებული მღვდელმთავარი გაკოჭეს და ძალით შესვეს ცხენზე". ამან გამოიწვია ხალხის ძლიერი უკმაყოფილება. 1819 წელს რიონის ნაპირზე შედგა კრება მრავალ ათასი კაცისა, თავად-აზნაურებისა და სასულიერო პირებისა". (ივ. ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში, XIX ს-ში, გვ. 112).

ქრისტესმოყვარე, ღვთისმოშიში და ღვთისერთგული ხალხი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო ქონების დაცვისათვის აჯანყდა, იუდას უწოდებს რუს სამღვდელო ხელისუფალთ, რომელნიც თავიანთი ქმედებით ყველაფერს აკეთებდნენ ხალხის სარწმუნოების დასაცემად. მართლმადიდებლობის აღმოსაფხვრელად. მართლაც იუდასმაგვარი გამცემლობით ეგზარქოსმა თეოფილაქტემ აჯანყების მოთავედ დასახა ქართველი მცხოვანი მიტროპოლიტები და ისინი დააჭერინა. "თეოფილაქტე ველიამინოვს (სამოქალაქო მმართველ-გენერალს) შეხვდა და იმერეთის აჯანყება ადგილობრივი მიტროპოლიტების - ქუთათელისა და გელათელის ბრალად დასახა. ველიამინოვმა ყოველივე ერმილოვს აცნობა. ერმილოვმა აჯანყების მოთავეთა დასჯა ბრძანა. მაშინ ისევ განახლდა აჯანყება იმერეთსა და რაჭას, მთავრობამ გადამჭრელ ზომებს მიმართა... გაგზავნა უფრო სასტიკი პოლკოვნიკი პუზირევსკი იმერეთს მივიდა და აჯანყების მეთაურთა დაპატიმრება დაიწყო. შეიპყრეს დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი მიტროპოლიტი... ხელ-ფეხი შეუკრეს, თავზე ტომრები ჩამოაცვეს და თბილისის გზას გაუყენეს. გზაზე სურამსა და გორს შუა დოსითეოს ქუთათელი, საშინლად ნაცემი და ტომარაში სუნთქვადახშური - გარდაიცვალა. მეთაურების დაპატიმრებამ აჯანყება არამც თუ არ დააშინა და დააკნინა, არამედ უფრო გაამძაფრა და გაახელა" (ლ. სანიკიძე, დედა ისტორია, 1986, ტ. II, გვ. 254).

რუსი სასულიერო მთავრობა და მისი არმია, რომელნიც ერთმორწმუნეთა და მართლმადიდებელთა ნიღბით შემოვიდნენ საქართველოში, უსასტიკესი გაბოროტებით შეესიენ

დასავლეთ საქართველოს სოფლებსა და კუთხეებს, გურიას, სამეგრელოს, რაჭას, იმერეთს, ყველა კუთხე თავდადებით იბრძოდა ქრისტიანობისა და ეროვნული ეკლესიის გადასარჩენად. “ველიამინოვი და იმერეთის ახალი მმართველი გორჩაკოვი ცეცხლითა და მახვილით მოედნენ დასავლეთ საქართველოს აჯანყებულ სოფელ-ქალაქებს, მეამბოხენი იბრძოდნენ უკიდურესი თავგანწირვით” (იქვე, გვ. 256).

როგორც რაჭის საეკლესიო სოფელ ფუტიეთის მაგალითი უჭვენებს მომხდურთა წინააღმდეგ მებრძოლთა შორის იყვნენ მეომრის ტანსაცმლით მოსილი ქართველი მღვდლებიც და ბერებიც. მთელი სოფელი ამობუგეს.

“...ცეცხლს მისცეს და მიწასთან გაასწორეს სოფლები, დაანგრიეს ციხე-სიმაგრეები... რაჭის განადგურების შემდეგ პოლკოვნიკმა გორჩაკოვმა თავისი ჯარი დასძრა ხანის ვიწროებისაკენ, სადაც აჯანყებულებთან ერთად გამაგრებული იყო ივანე აბაშიძე. აბაშიძე დამარცხდა და თურქეთში გაიქცა. ახლა ჯერი გურიაზე მიდგა... მთავარსარდალი ერმილოვის ბრძანებით შემოქმედის ციხე მიწასთან გაასწორეს, მახლობელი სოფლები გადაწვეს. იმერეთისა და გურიის აჯანყებაც საბოლოოდ დამარცხდა. “ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ. ბაღები და ვენახები ძირებამდე ავჩეხეთ, მრავალი წლის შემდეგაც ვერ აღიდგენენ მოღალატენი პირვანდელ მდგომარეობას” - ასე იკვეხნიდა გაბოროტებული ერმილოვი... აჯანყებულთა დიდი ნაწილი ციხეებსა და გადასახლებებში დაიხოცა” (საქ. ისტ. ნარკვ. ტ.IV, გვ. 936).

ქართულ ეკლესიათა დამაქცეველნი და მკვრეხელნი - ”ერთმორწმუნეთა” ნიღბით მოსილი რუსი საეკლესიო ხელისუფლება და ადმინისტრაცია მართლაც რომ სასტიკი იყო, მისთვის არ არსებობდა არავითარი საეკლესიო მორიდება, დანდობა. ენით აუწერელია და ჩვენი ისტორიისათვის უცნობია ფაქტი მიტროპოლიტის ტომარაში ჩასმისა, და სასიკვდილოდ ცემისა, ასეთ რაიმეს არასოდეს არ აკეთებდნენ მაჰმადიანები, მაგრამ რუსებისათვის ეს ფაქტი გამონაკლისი კი არა, წესი იყო, 1812 წლის აჯანყების დროს ხეზე ჩამოკიდეს და მოურიდებლად ჩამოახრჩეს 80 წლის მონაზონი, ხოლო ჯვრით შემოგებებული ქართველი მღვდლები - ხიშტებით აკუწეს. ასეთ რაიმეს მხოლოდ რუსულ-ბოლშევიკური ხელისუფლება ჩადიოდა საუკუნის შემდეგ (XX საუკუნეში), როგორც ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ჩანს რუს-ბოლშევიკებს “ღირსეული” წინაპრები ჰყავდათ - რუსი სასულიერო და საერო ადმინისტრაციის სახით.

მართლაც, ძლიერი რომ არ ყოფილიყო ქართველ ხალხში სიყვარული ქრისტეს სარწმუნოებისა და მართლმადიდებლობის მიმართ, უთუოდ შეაქცევდა ზურგს სარწმუნოებას, ერისტოვ- შერვაშიძის ცნობით რუსი საეკლესიო ხელისუფლება ხალხის თვალში ურწმუნოების და ათეიზმის განსახიერებად იქცა - ”მათგან გაძარცული იქნა ისეთი სალოცავები, თურქ-ოსმალთა შემოსევებს რომ გადაურჩა”, მაგრამ მარტო ამით არ შემოიფარგლება შინაური მტერი, მან, როგორც ურწმუნოებისა და ათეიზმის განსახიერებამ, ქართველ ხალხში თვით ეკლესიისადმი უპატივცემლობის დანერგვა დაიწყო და თავის აგრესიულად განწყობილი მოქმედებით, იმდენად გათავხედდა, რომ ხალხს მამა-პაპათა დროინდელ ტაძრებსა და მონასტრებში შესვლა დაუფარავად აუკრძალა” (ნ. დურნოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 42).

მიუხედავად იმისა, რომ რუსი საეკლესიო ხელისუფლებამ ქართული ეკლესია მატერიალურად და სულიერად გაანადგურა, ქართველებისაგან მხოლოდ მადლობასა და თაყვანისცემას მოითხოვდა. ქართველები კი მათ მიმართ მხოლოდ პროტესტისა და ზიზღის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი, ეს გრძნობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც ეგზარქოსმა პავლემ ქართველობა და ქართული ეკლესია შეაჩვენა, რასაც დიმიტრი ყიფიანი შეეწირა.

უკვე XIX საუკუნის ბოლოსვე დაიწყო და XX საუკუნის დასაწყისში გაიზარდა საერთო-სახალხო მოთხოვნა ქართული ეკლესიის რუსთაგან გათავისუფლებისა და ავტოკეფალიის აღდგენისა. ავტოკეფალისტთა მოძრაობას მხარს უჭერდაილია, სათავეში კი ედგნენ ქართველი მღვდელმთავრები.

ავტოკეფალიის მოთხოვნა იმდენად ძლიერი იყო, რომ ქართული ეკლესიის რუსი მმართველები დაფრთხნენ, მთხოვნელებს ჯერ ხელს უშლიდნენ ათასგვარი ხერხებითა და ცილისწამებით, ხოლო შემდგომ შეეცადნენ ქართული ეკლესიისათვის მიენიჭებინათ არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული ავტოკეფალია, ე.ი. საქართველოს ქართული მრევლი გადაეცათ ქართველი სამღვდელოებისათვის, ხოლო არაქართველი მრევლი დარჩენოდა რუსულ ეკლესიას. ეს მიუღებელი იყო ქართული მხარისათვის, რადგანაც ასეთი ქმედება ხელს შეუწყობდა საქართველოს ტერიტორიულ დაშლას, ეთნიკურ დანაწევრებას, ტრადიციულადაც მიუღებელი იყო, რამეთუ ისტორიულად ქართული ეკლესია სრულიად საქართველოზე ახორციელებდა თავის ავტოკეფალიას.

რუსული მხარის თანახმად ქართული ეკლესიის იურისდიქციის სფეროდან უნდა გასულიყო აფხაზეთი, სამცხე (სამხრეთ საქართველო), შიდა ქართლის მთიანი მხარე (ე.წ. "სამხრეთ ოსეთი"), ასევე ქალაქებში მცხოვრები რუსულენოვანი მრევლი.

ცნობილია, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა ერის მართმადიდებელი ქართული ეკლესიის ერთგულ მრევლს წარმოადგენდა. ეროვნულ-ეთნიკური საკითხები ქართული ეკლესიის წიაღში არ არსებობდა ვიდრე XIX საუკუნემდე. რუსმა საეკლესიო ხელისუფლებამ კი ქართველებს "წაუსისინა" სხვა ერები. ნ. დურნოვი წერს - "...მტრებს თიშავენ, ხოლო მეგობრებს აერთიანებენ, რათა მყარი და საიმედო დასაყრდენი იქონიონ. რუსეთში კი 1885 წლიდან ცდილობდნენ, ოსებისა და აფხაზებით ქართველებზე მისისინებას" (დასახ. ნაშრ. გვ. 76). რუს საეკლესიო ხელისუფლებას არ ეთმობოდა ქართული ეკლესიისათვის მისი ძირძველი ნაწილი - აფხაზეთი, მაგრამ საოცარია ის, რომ თვით სამცხის ჩამოშორებასაც კი გეგმავდნენ ქართული ეკლესიისაგან - ავტოკეფალიის მიღების წინ შეიქმნა საგანგებო რუსული კომისია რომელსაც ევალებოდა წინადადებათა შემუშავება: - "კომისიამ წინადადება წამოაყენა - გარდა ქ. თბილისისა, რუსი არქიეპისკოპოსის გამგებლობაში შესულიყო ქართული მიწის აკვანი - სამცხე, იმიტომ, რომ იქ 6 ათას რუსზე სულ 6 ათასი მართმადიდებელი ქართველი და 27 ათასი ბერძენია... სოხუმის ეპარქია, კომისიის გადაწყვეტილებით, უნდა დაემორჩილოს რუს არქიეპისკოპოსს; მას უნდა გამოეყოს მეგრელებით დასახლებული სამურზაყანოს ნაწილი... ქ. ბათუმი, სადაც ქართველები ჭარბობენ, უნდა გამოეყოს გურიის ეპარქიას მიეკუთვნოს სოხუმის ეპარქიას" (იქვე, გვ. 84). ასეთი იყო რუსული ეკლესიის გეგმა სამცხისა და აფხაზეთის ქართული ეკლესიიდან გამოყოფისა, მაგრამ მსგავსი გეგმა არსებობდა შიდა ქართლის მიმართაც - ეს გეგმა XX სუკუნის 90-იან წლებში შედგენილი ეგონება მკითხველს, ამ გეგმის განხორციელებას, როგორც ჩანს, დღესაც ცდილობენ - "კომისიამ წინადადება წამოაყენა, რომ ქართლის ეპარქიიდან გამოყოფილიყო ოსეთის სამრევლოები ჩრდილოეთით ჯავის ხეობიდან და გუდაურის უღელტეხილიდან ვლადიკავკაზის ეპარქიამდე. რისთვის?... ვლადიკავკაზის საეპისკოპოსოზე ქართველებისა და ოსების გადაცემა გასარუსებლად - უღმერთობაა" - წერს რუსი ავტორი (იქვე, გვ. 85).

მართალია, დღეს დღეობით, ღვთის მადლით, ქართულ და რუსულ ეკლესიათა შორის ყოველგვარი სადავო საკითხი მოგვარებულია, მაგრამ როგორც ჩანს ზოგიერთ რუს სამღვდელოთა თუ ბერთა შორის კვლავ არსებობს საეკლესიო იმპერიალიზმის საცდური. ამას მიუთითებს ერთი ვლადიკავკაზელი მღვდლის განცხადება, რომელიც ეხმიანება ზემოთმოყვანილი კომისიის თითქმის საუკუნის წინ მიღებულ წინადადებას. ამ დღეებში მან წინადადება წამოაყენა ე.წ. სამხრეთ ოსეთის მრევლი დაექვემდებაროს ვლადიკავკაზის ეპარქიას. ასე რომ, ბოროტების მარცვალს, დათესილს რუს საეკლესიო ხელისუფალთა მიერ XIX სუკუნეში, აღმონაცენი აქვს.

საქართველოს საპატრიარქოს გაზეთი "მადლი" წერს - "1991 წლის 31 ოქტომბერს "დამოუკიდებელ გაზეთში" გამოქვეყნებული წერილით ქართველმა მკითხველმა შეიტყო, რომ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენელი გამოთქვამს მზადყოფნას, რათა თავის თავზე აიღოს სამხრეთ ოსეთზე მზრუნველობა" ("მადლი" N2, 26.XI.91 წ.). ჩვენი ეკლესიის მეთაური თავის მიმართვაში ამ საკითხთან დაკავშირებით კერძოდ წერს -

”დამოუკიდებელმა გაზეთმა” გამოაქვეყნა ჟანა მარუკიანის წერილი სათაურით: “სამხრეთ ოსეთის ქრისტიანები დახმარებას სთხოვენ რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას”, სადაც ნათქვამია: - ”მამა ვიტალი, ვლადიკავკაზის ღვთისმშობლის საფარველის სახელობის ტაძრის მოძღვარი, თანახმაა თავის თავზე აიღოს მზრუნველობა სამხრეთ ოსეთზე, რომელმაც მას თხოვნით მიმართა”. რა უფლება აქვს მამა ვიტალის უცხო საპატრიარქოს იურისდიქციაში ჩარევისა?... ყველაზე მეტად ჩვენ გვაოცებს სტავროპოლისა და ბაქოს მიტროპოლიტის, მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი გედეონის პოზიცია... წერილში ვკითხულობთ: “მას ამისათვის კურთხევას აძლევს სტავროპოლისა და ბაქოს მიტროპოლიტი გედეონი, რომელმაც ამას წინათ გამოხატა თავისი აზრი ორი ოსეთის შეერთების თაობაზე” (იქვე). ასე რომ, რუსული ეკლესია არ დაკმაყოფილებულა ჩვენი ეკლესიის განადგურებით, მის ზოგიერთ წევრს ჩანს დღესაც აქვს პრეტენზიები ქართული ეკლესიის ზემოთ ჩამოთვლილ კუთხეთა მიმართ (იგულისხმება სამცხე, შიდა ქართლი, აფხაზეთი და სხვა). არა მარტო პრეტენზიები, გეგმებიც კი. მაგალითად რამდენიმე წლის წინ სამცხეში ერთერთ მონასტერში დამკვიდრდა რუსეთიდან ჩამოსული ბერი, რომლის მოქმედება და საეკლესიო მიმართულება სწორედ ისეთი იყო, როგორსაც აღწერს ნიკოლოზ დურნოვი.

XIX საუკუნეში საფარა, ზარზმა, დრანდა, ბიჭვინთა და სხვა მონასტრები რუსმა ბერებმა დაიჭირეს. ჩანს სამცხისა და მის მონასტერთა, ასევე აფხაზეთის მიმართ ინტერესს (ზემოთ აღნიშნულ მამა ვიტალისა და მის მეუფე გედეონის დარად) აჟამადაც იჩენენ რუსულ გარკვეულ საეკლესიო წრეებში. ყოველშემთხვევაში აღნიშნული ბერი ისე იქცეოდა, როგორც მის რუსულ წინაპართა შესახებ წერს ნ. დურნოვი - ”...ამან უხეშად და უგერგილოდ იმდენად გარყვნა თავისი ყოფილი აღსაზრდელების აზრი და გონება, რომ მათ სავსებით დაკარგეს თავიანთი მამებისა და პაპების სურვილებისა და მისწრაფების, სიკეთისა და ბოროტების, სოლიდარობისა და სამართლიანობის გაგების უნარი” (ნ. დურნოვო, დასახ. ნაშრ. გვ. 49). აღნიშნული ბერი ნ. დურნოვოს სიტყვებით რომ ვთქვათ, “პირმოთნეობით, ანგარებით, პატივმოყვარეობით, ძალადობითა და ცრუდასმენით იკეთებდა კარიერას”, ამ მხრივ თავისი რუსი სულიერი წინაპრების ღირსეული მემკვიდრე იყო, სულიერად რყვნიდა და ქართველი სამღვდელოების წინააღმდეგ ამხედრებდა კომუნისტურ კოშმარს გადარჩენილ ალალ ქართველ ადგილობრივ მორწმუნეებს. ქართველ მრევლს აშკარად ნიჰილისტურად ზრდიდა და განაწყობდა ქართული კულტურისა და წარსულის მიმართ. შეწინააღმდეგებისას კი უყვიროდა მათ: “რა გაქვთ ქართველებს, სადა გაქვთ?” (გულისხმობდა საეკლესიო ლიტერატურის ნაკლებობას), თითქოსდა რას პასუხობს ნ. დურნოვო - ”ქართული მონასტრებისა და ეკლესიების არქივებში ინახებოდა X საუკუნიდან მოყოლებული ძველი ქართული საღმრთო წიგნების სიები. ისინი არქივებში ლპებოდნენ, მათ გამოსაცემ სახსრებს ვერ პოულობდნენ” (იქვე, გვ. 64). იქცეოდა თავისი სულიერი წინაპრების მსგავსად, განსაკუთრებით ვერ იტანდნენ სამშობლოს მოყვარულ მღვდელმთავრებს - ”...სამრევლო სკოლების ზედამხედველი ქართველ მღვდელმთავრებზე უფროსობდა. ბაქოში დეკანოზმა იუზვიცკიმ უსამღვდელოესობა კირიონი ტაძარში არ შეუშვა და ცხვირწინ მიუხურა კარები” (იქვე, გვ. 70).

აღნიშნული ბერი და მის უკან მდგომი თავიანთი მოქმედებით ამართლებდნენ ნ. დურნოვოს მიერ გადმოცემულ ფაქტებს - ”...ქართველ სამღვდელოებას “არამზადულს” ეძახდნენ. ძმათა მოძულეობისა და შეუწყნარებლობის მსგავსი მაგალითები, ეპისკოპოს ლეონიდეს თქმით, ცოტა როდი იყო ქართველ ერს შეურაცხყოფდნენ” (იქვე, გვ. 70). ბერი ქართველებს ასე იხსენიებდა: “...სიცრუეზე, გამცემლობაზე და სისხლზე გაზრდილი ბარბაროსები, მუხანათები, უსირცხვილონი” (იქვე, გვ. 77). ქართველების მტრებს ტერმინოლოგია არ შეუცვლიათ. “ჯაშუშების ხროვით გარშემორტყმული დახვეწილი დიპლომატი” - როგორც მსგავს სამღვდელოებას უწოდებს ნ. დურნოვო, ქართველი მრევლის გულის მოგებას ცდილობდა - ”ეშმაკობით, ჰიპნოზით, ტკბილი სიტყვით და მოსყიდვით”. ქართული ეკლესიის ფულით ყოველ კვირა დღეს მართავდა სამეფო სუფრებს, სადაც იწვევდა კომუნისტებისაგან დამშეულ არჩეულ მრევლს, მათი მშობლიური

ეკლესიისაგან მოწყვეტის, მათში ნიჰილიზმის ჩანერგვის მიზნით. სამცხის მრევლი დააჯერა,რომ ქართული სახარება - ცუდადაა ქართულ ენაზე ნათარგმნი და საყოველთაოდ გაავრცელა რუსული სახარებები, ხოლო ერთგულ და "რჩეულ" ახალგაზრდებს მორიგეობით (თვეში რამდენიმეს) აგზავნიდა თავისი ხარჯით ზაგორსკში, მათზე რუსული ეკლესიის სიმდიდრისა და ბრწყინვალების ზემოქმედების მიზნით. საბოლოოდ როცა თავისივე უახლოესმა ადამიანებმა ამხილეს, ის რუსეთში გაიქცა, სადაც დურნოვოს სიტყვით რომ ვთქვათ "კარიერა გაიკეთა ქართველების დაჩაგვრითა და შეურაცხყოფით". ასე, რომ ამჟამად არა მარტო შიდა ქართლი, თვით სამცხეც კი კვლავ რუსული ეკლესიის ორბიტაში მყოფად ესახებათ ზოგიერთ საეკლესიო მოღვაწეებს. ჭრილობა, რომელიც ქართულ ეროვნულ საეკლესიო სხეულს მიაყენა რუსულმა ეკლესიამ XIX საუკუნეში, ჯერ კიდევ ღიაა.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ჭეშმარიტი რუსი მამულიშვილის, თავისი სამშობლოს მოყვარულის საეკლესიო მოღვაწის - ღვთისმეტყველისა და კანონისტის ნიკოლოზ დურნოვოს მიერ გამოთქმული შეფასებანი ქართული ეკლესიის მიმართ. მან შეიცნო მთელი დიდებულება ათასწლოვანი ივერიის ეკლესიისა, პატივი მიაგო მის ღირსებას. ის წერდა - "ქართული ეკლესია მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ფურცლებზე შემკობილია მოწამეობრივი გვირგვინით, რაც მას უფლებას აძლევს იარსებოს თვითმყოფადად" (იქვე, გვ. 36) მისი შეფასებით ქართული ეკლესია "...თავისი გმირობითა და მოწამეობით კონსტანტინეპოლის დიადი ეკლესიის დონეზე დგას" (გვ. 37). "რომ არ ყოფილიყო ბერძნული და ქართული ეკლესიები, არც იქნებოდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიაც" (გვ. 73). ქართველები მის სიტყვით - "წმინდა ეკლესიის საყვარელი შვილები არიან" (გვ. 80). საქართველომ - "...პირნათლად შეასრულა ბიზანტიის ანდერძი და იარაღასხმულმა დაიცვა უფლის სამარე და მართლმადიდებლობა. საქართველომ უზომო ძალღონით, პირველყოფილი სიწმინდითა და შეუხებლობით XIX საუკუნის ზღურბლამდე მოიტანა წმინდა მართლმადიდებლური სარწმუნოება..." (გვ. 90).

ქართული ეკლესიის ისტორიული წარმატება ნ. დურნოვოს აზრით უნდა მიეწეროს მის მეთაურებს - ეპისკოპოსებს - "ქართული ეკლესია მთელი თავისი ავტოკეფალური არსებობით მიჩვეული იყო სათავეში ჰყოლოდა ისეთი პირები, რომლებიც თავიანთ მიწიერ არსებობას მხოლოდ იმით კი არ აღნიშნავდნენ, რომ ისინი უძველეს ეკლესიას ხელმძღვანელობდნენ, არამედ იმით რომ ისინი სწერდნენ სოლიდურ ნაშრომებს საეკლესიო საკითხებზე და ლიტერატურაზე. ეს ნაშრომები მადლიერი შთამომავლობის საკუთრება გახდა" რუსი საეკლესიო მოღვაწენი საქართველოში ასე არ იქცეოდნენ - "თითქმის 100 წლის მანძილზე საქართველოს ეგზარქოსებს თავიანთი მოღვაწეობა არაფრით აღუნიშნავთ გარდა ბიუროკრატიული რეჟიმისა და კანცელიარობისა ქართული ეკლესიის საქმეებში" (გვ. 42).

ნ. დურნოვი წერს - "რით უნდა იამაყოს ჩვენმა რუსეთის ეკლესიამ? სტაროობრიადული და მისგან გამომდინარე ბულგარული გათიშვით? იმით ხომ არა, რომ მწყემსმთავრების უთაურობით მთელი რუსეთი მოფენილია სხვადასხვა სექტებით, ჩვენი ჭკუათხელი, გონებაჩლუნგი ახალგაზრდობა ღვთის არსებობის უარყოფამდეც კი მივიდა და ქრისტიანულ საქართველოში ანარქისტების, სოციალისტებისა და ათეისტების მოძღვრების დანერგვას შეუდგა" (იქვე, გვ. 35). "ჩვენი რუსული ეკლესია, როგორც ამაში ბევრი ქართველი დარწმუნებულია, არის "მწვალებლური", სასულიერო-წოდებრივი ეკლესია, რომელიც თავის წოდებრიობაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე ხალხზე... ვინ არიან რუსული სამწყსოების მღვდელები? ესენი არიან რუსეთიდან გადმოსახლებულები, რომლებიდანაც ბევრს რუსულ ეპარქიებში არასოდეს არ უბოძებდნენ მღვდლისა ან დიაკონის ხარისხს. მათ დიდი დრო დასჭირდებოდათ მედავითნის წოდების მისაღებადაც" (გვ. 80).

აი, ასეთი სამღვდელოების ხელში იყო ქართველი მრევლი.

რას ელოდა ქართველი ერი რუსეთისაგან და რა მიიღო!

რუსეთისა და საქართველოს დაკავშირებით ისარგებლა მხოლოდ ერთმა მხარემ - რუსეთმა. ქართველობა მწარედ მოტყუებული, გაძარცვული და სულიერად დაკნინებული შეეგება ახალ XX საუკუნეს.

ა. ცაგარელი წერდა - "რუსეთმა ამიერკავკასიის მხარეში მხოლოდ მაშინ მოიკიდა ფეხი, როცა საქართველომ სტუმართმოყვარულად გაუხსნა რუსებს თავისი სახელმწიფოს საზღვრები. ამგვარად არამარტო კავკასიის მთიელების დამორჩილება, რომლებიც სასაზღვრო ხაზებს აცამტვერებდნენ, არამედ შუა აზიის და ამიერკავკასიის მხარის დაპყრობაც ბუნებრივი შედეგია 1783 წ. ქართული ხელშეკრულებისა. რუსეთთან კავშირს, ამბობს პროფ. ა.ა. ცაგარელი, საქართველომ შესწირა თავისი ოც საუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა, თხუთმეტსაუკუნოვანი ეკლესიურობა" (იქვე, გვ. 77).

ნ. დურნოვო წერს რომ რუსულ ეკლესიას "დანაშაული მიუძღვის თავისივე უფროსი დის, ჯვარცმული ქართული ეკლესიის ფათერაკებსა და უბედურებაში".

---

1. ამ მესამე თვალს სხვა წყაროს თანახმად ერქვა - "შედემა" (ს.კაკაბაძე, საისტ. კრებული, IV, ვგ. 62).

ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე
ქ. ბორჯომი, 15 დეკემბერი 1991 წელი

ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სიტყვა წარმოთქმული სამგლოვიარო მიტინგზე ქ. ბორჯომში 1992 წლის 9 ოქტომბერს

პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ქრისტეს მიერ საყვარელო შვილებო, ჩვენი სამშობლოს მთლიანობა შებღალულია. საქართველო, მართალია, თავდაცვით, მაგრამ მაინც ომშია ჩათრეული. როგორც ყოველთვის ქართველობა იბრძვის არა მარტო სამშობლოსათვის, არამედ ქრისტიანობისთვისაც, რამეთუ მაჰმადიანური ფუნდამენტალიზმისათვის ქრისტიანული სარწმუნოების წმინდა კერის - საქართველოს მთლიანობა მოუთმენელია. გაგრა, განთიადი და ლესელიძე დატოვეს ჩვენმა ჯარებმა. ქისტები, ჩეჩნები და სხვა მუსულმანები მაჯებს უხსნიან დატყვევებულ ქართველ ყმაწვილებს და მათ სისხლს სვამენ. ტელევიზიით ვიხილეთ თათრების კავკასიური ცეკვა-თამაში. ვაი, ჩვენი სამშობლოს უძლურებავ.

XV საუკუნეში გამაჰმადიანდა ჩრდილოეთი კავკასია, ამის შემდეგ კავკასიელი მთიელები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე განუწყვეტლივ ეომებოდნენ საქართველოს. ახლაც კავკასიურმა კონფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება მაჰმადიანური საღვთო ომისა. რა ომია ეს? როგორც წინათ, ესაა კავკასიური მაჰმადიანური ტომების ომი ქართველობის, ქრისტიანობის წინააღმდეგ. ეს არაა ახალი, ახლად დაწყებული ომი. ესაა საუკუნეთა მანძილზე მიმდინარე ომი, რომელიც დროებით შეწყდა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნეში რუსეთის მძლავრი სახელმწიფოს გავლენით, მაგრამ ამ შემაკავებელი უზარმაზარი ძალის შესუსტების თანავე მთიელთა საყოველთაო შემოტევა საქართველოზე განახლდა.

ეს შეტევა, როგორც აღინიშნა, XV საუკუნიდან დაიწყო, განსაკუთრებით გამძაფრდა XVII-XVIII საუკუნეებში, როცა ჩერქეზულმა ტომებმა (აფსარ-აფსუებმა) დაიპყრეს აფხაზეთი და ოდიშის ნაწილი, წალეკეს დასავლეთი საქართველო... ამ დროს იმძლავრეს ოს-ალანებმა, შემოვიდნენ შიდა ქართლში და მასობრივი ასიმილაცია მოახდინეს მთიელი ქართველებისა, ხოლო აღმოსავლეთ კახეთის ყველაზე უნაყოფიერესი მიწები, დღეს საინგილოდ წოდებული, - დაღესტნელებმა - ლეკებმა - დაიპყრეს. მათვე გაავერანეს ქვემო ქართლი და მოსპეს იქ ქართველთა გასაგისი, და აი, თითქმის ერთ საუკუნოვანი შესვენების შემდეგ, კვლავ დაიწყო ჩრდილო

კავკასიელი ტომების შემოსევა საქართველოზე. მათ ისევე, როგორც წინა საუკუნეებში, აერთიანებთ ერთი სარწმუნოება - მაჰმადიანობა. როგორც ითქვა, დღევანდელი ომი განახლებული, ძველი ომია, ომი, რომელშიც კავკასიელი ტომები ძველადაც მოგებულნი დარჩნენ დიდ ისლამურ სახელმწიფოთა ხელშეწყობით. მათ ფაქტიურად დაიჭირეს საქართველოს ზოგიერთი კუთხე, კავკასიის მთიანეთის ხრიოკებიდან, უნაყოფო ადგილებიდან ჩასახლდნენ სამაჩაბლოში, აფხაზეთსა და საინგილოში.

დღეს, ქართული, ერთიანი სახელმწიფოს აღდგენამ ძალზე შეაშფოთა ისინი. იგრძნეს, რომ მთავრდება მათი ბატონობა ქართულ მიწებზე, თუმცა კი ჩვენ სრულ თანასწორუფლებიანობას ვთავაზობთ, ამიტომაც საშველად მოუხმეს ჩრდილოკავკასიელ თანამოძმეებს, თანაც შეპირდნენ, რომ თუკი ერთობლივი ძალით კვლავ, ისევე როგორც საუკუნეთა წინ შეძლებენ ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამთავროებად დაშლას, არამარტო შავიზღვისპირეთში, საქართველოს მზიან ველებზეც ჩაასახლებენ თანატომელებს. მთიელებს საქართველო თავიანთ სამოსახლოდ, თავიანთი შვილებისა და შთამომავლებისათვის სურთ.

ასეთია ზოგადი მდგომარეობა. ეს ყველამ იცის. მაგრამ სამწუხაროდ, ყველას არა აქვს გაცნობიერებული. ჩვენმა ვერაგმა მტერმა დროებით, მაგრამ მაინც მოიპოვა გამარჯვება. მიუხედავად ამისა, ჩვენი ხალხის თითოეულ წევრს ეს უბედურება ვერ გაუთავისებია, ვერ შეუგრძნია, ვერ გაუგია.

ძველად, ყოველი ოჯახი, ყოველი ქართველი დედა შვილებს მამულისათვის ზრდიდა. როგორც ჩანს, დღეს, ოჯახების ერთი ნაწილი შვილებს სათავისოდ, პირადი კეთილდღეობისთვის ზრდის.

სამწუხაროდ, მოწმენი ვართ, რომ დედა, რომელიც "უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა", დღეს მამულის გასაჭირის ჟამს შვილს მალავს, არ უშვებს ქართულ ჯარში და ეს მაშინ, როცა სამშობლოს მთლიანობა დარღვეულია, მტრები მშვიდობიან ქართველ მოქალაქეებს ხვრეტენ და წვავენ!

ყველას კარგად გვახსოვს ოთხი-ხუთი წლის წინ ქართველი დედები უხმოდ, ყოველგვარი წინააღმდეგობისა და პროტესტის გარეშე უშვებდნენ შვილებს ავღანეთის ომში, ციმბირის ყინულეთში და სხვაგან "სამხედრო სავალდებულო სამსახურში" ანუ "სამხედრო ბეგარის მოსახდელად". უცხოელთა, ჩვენი ბუნებითი მტრების არმიებში ერთგულად, და შეიძლება ითქვას, გმირულად იბრძოდნენ ქართველები. "შენი რაა რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ჩრდილოეთსაო"- ამბობდა ილია მათ შესახებ. დღეს, როცა აღდგენილია ქართული სახელმწიფოებრიობა, განა შეიძლება დედამ შვილი არ გაუშვას სამშობლოს დასაცავად, თვით დედისავე დასაცავად? მით უმეტეს, შეიძლება თვით ახალგაზრდას მოუვიდეს ფიქრად თავის არიდება დედა-სამშობლოს დასაცავად? ნუთუ მონის სული ჩაუდგეს ქართველ ყმაწვილებს?

როგორ უნდა შეფასდეს ამგვარი ქმედება? იმპერიის მონობაში ყოფნისას ქართველები უხმოდ მიდიოდნენ მტრის ჯარში სამსახურისათვის, ძირითადად სახელმწიფო სადამსჯელო ორგანოების შიშის გამო, ახლა ვითარება შეიცვალა, ჩვენ გვაქვს ჩვენი ეროვნული სახელმწიფო, ჩვენი ფსიქოლოგია კი არ შეცვლილა. არ შეგვწევს უნარი ვიქცეთ მოქალაქეებად, შევიმეცნოთ, რომ ეს სახელმწიფო ჩვენია, რომ ყოველი მოქალაქის, ყოველი ოჯახის შინაგანი მოვალეობაა დაიცვას თავისი ქვეყანა, თავისი სახელმწიფო, ეს საკუთარი თავის, ცოლ-შვილის, სანათესაოს, თვისტომის დაცვაა. ეს ღირსების საქმეა. მართალია, მონას ღირსების გრძნობა არ გააჩნია, მაგრამ ჩვენ მონები არა ვართ, ჩვენ ჩვენი თავისუფალი მამული გვაქვს და ვართ მისი მეპატრონენი-მოქალაქეები.

ჩვენში არსებული ფსიქოლოგია სარკესავითაა არეკლილი ჩვენს არმიაში. მე გუშინ შემხვდა აქაური მებრძოლი, რომელიც გაგრაში იბრძოდა. ის მონაწილეა ჩვენი დროებითი მარცხისა ჩრდილოეთის ჭიშკართან აფხაზეთში. გადმოგცემთ მის სიტყვებს: ჩვენს საჯარისო დანაყოფებში ფაქტიურად დაბალია საბრძოლო სულისკვეთება. იგრძნობა უსულგულობა, ზერელობა. ზოგიერთების სხვის ქონებაზე დახარბებამ დასცა მეომრული შემართება, ამის შედეგია უდისციპლინობა. მეომრები ბოლომდე არ არიან ჩახედულნი საქმის არსში. თითქოსდა ბოლომდე

ვერ გარკვეულან სამართლიანია თუ არა მათი ბრძოლა (იგულისხმება 1992 წლის ზაფხული), ეს მაშინ, როცა გადამთიელი კავკასიელები შინაგანად აღვსილნი არიან საბრძოლო სულისკვეთებით, თვალსაზრისით, რომ ისინი იცავენ და ეშველებიან თვისტომს, თანამორწმუნეს, აკეთებენ კეთილ საქმეს და არიან გმირები.

აზროვნების გამრუდებასა და მიზნის დაუსახველობაში თავისი წვლილი მიუძღვის საზოგადოებას, რომელიც ამტკიცებს დღევანდელი და ძველი აფხაზების იგივეობას. მაშინ როცა ძველი აფხაზები ქართული წარმოშობისანი იყვნენ, ხოლო აწინდელი აფხაზები ჩერქეზულ-ადიღეური წარმოშობისანი არიან. როგორც ყველაფრიდან ჩანს, ეს კარგად იციან ჩრდილოკავკასიელმა ადიღეველებმა, ჩერქეზული წარმოშობის ყაბარდოელებმა და სხვებმა, რომლებიც გვერდით უდგანან თავიანთ თანამეტომე დღევანდელ აფხაზებს, ერთიანი ძალით ებრძვიან ქართველებს.

ყველა უცხოელი ისტორიული მეზობელი, ქართველთა გარდა, აფხაზებს თავიანთ ნამდვილ სახელს ჩერქეზებს უწოდებს, მაგალითად, XIX საუკუნეში მუჰაჯირობის დროს აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებული დღევანდელი აფხაზების თანამეტომენი ცნობილნი არიან არა აფხაზების არამედ ჩერქეზების სახელით. ჩერქეზების, ანუ ადიღეველების ნაწილად მიაჩნიათ თავიანთი თავი დღევანდელ აფხაზებსაც, სწორედ ამიტომ არ აშინებთ მათ პოლიტიკურ მეთაურებს მათი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, მათი თვალსაზრისით დღევანდელი აფხაზების რაოდენობრივი დანაკლისის ანაზღაურება ადვილად შეიძლება თურქეთში მცხოვრები თუ ჩრდილო-კავკასიელი ჩერქეზებით, ამით მათი ტომობრივი სახე არ შეიცვლება. ასევე ხედავენ ჩრდილოკავკასიელებიც თანამედროვე აფხაზებში თავიანთ თანამეტომეებს და იბრძვიან არა სხვისთვის, არამედ თავიანთთვის.

არა თუ ჩრდილოკავკასიელები, ვერც ერთი არმია ვერ დაამარცხებს თავისი სამშობლოსათვის მებრძოლ ერს, ისევე როგორც ავღანელები ვერ დაამარცხეს შეიარაღებულმა რუსებმა, ყოველი სახლი ციხე-სიმაგრედ იქცევა, ყოველი ეზო ბრძოლის არენად. იმ დროებით მარცხში, რომელიც ჩვენ ვიწვნიეთ მთიელ მაჰმადიანებთან ომისას აფხაზეთში, ლომის წილი მიუძღვის ჩვენში არსებულ ლუარსაბობის, გულგრილობის, უადგილო ზვიადობის სინდრომს. თუ ჩვენი ერი შეიმეცნებს თავის თავს, თავის სამშობლოს, თავის სახელმწიფოებრიობას, წინ წაიმძღვარებს ქრისტიანობას, არა თუ კავკასიური ტომები, არმიებიც ვერას დააკლებს, მით უმეტეს, რომ მაჰმადიანთა წინააღმდეგ ქართველთა წინამბრძოლი წმიდა გიორგია, ზეციური მფარველი კი - ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი. შევთხოვოთ მას მეოხება.

9. X. 1992.

ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

ვასწავლოთ თუ არა საქართველოს ეკლესიის ისტორია სკოლაში

უცხოეთში გასული ქართველობა ხდება მრევლი არაქართული ეკლესიებისა. ამჟამად უცხოეთში ქართველობა არ ქმნის ეროვნულ-სარწმუნოებრივ სამრევლოებს, ეროვნულ ეკლესიებს, ეს მაშინ, როცა თითქმის ყველა მართლმადიდებელ ერს უცხოეთში საეპისკოპოსოებიც გააჩნიათ მსოფლიოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში. მაგალითად, ნიუ-იორკში რეზიდენცია აქვს მართლმადიდებელი და "აღმოსავლური" ეკლესიების ათ ეპისკოპოსს, მათ შორის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ჰყავს - 4 ეპისკოპოსი, რუსულ ეკლესიას - 2, სომხებს - 4 ეპისკოპოსი. პარიზში ზის რუმინული ეკლესიის 2 ეპისკოპოსი, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს - 3 ეპისკოპოსი, სომხური ეკლესიის - 2 ეპისკოპოსი.

ლონდონში რუსულ ეკლესიას ჰყავს ერთი ეპისკოპოსი, კონსტანტინეპოლს - 5, სომხებს ერთი ეპისკოპოსი. იერუსალიმშია კოპტური ეკლესიის ერთი ეპისკოპოსი, სომხური ეკლესიის 6 ეპისკოპოსი, ეთიოპიის - 2, სირიის ეკლესიის ერთი ეპისკოპოსი, ბეირუთში სომხებს ჰყავთ 5 ეპისკოპოსი, ანტიოქიის საპატრიარქოს - 3, სირიის ეკლესიას ერთი (ცნობები ამოღებულია წიგნიდან "ORTHODOXIA, 1982, ostkirchliches Institut, Regensburg, გვ. 134, 135, 137, 138, 139).

ეს მაშინ, როცა არა თუ საეპისკოპოსოები, ქართველებს უცხოეთში დამოუკიდებელი ეკლესიებიც კი არ გააჩნიათ (პარიზის წმ. ნინოს ეკლესია არა ქართულ საეკლესიო ცენტრს, არამედ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ექვემდებარება).

მაინც რაა მიზეზი ქართველების საოცარი სულიერ-საეკლესიო ნაკლოვანებისა საერთაშორისო ასპარეზზე?

მიზეზი ალბათ არის შემდეგი: - ყველა ჩვენს მეზობელ მართლმადიდებელ ერს აქვს ნაციონალურ-ეკლესიური თვითშემეცნება. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ეს თვისება დღევანდელ ქართველობას თითქმის არ გააჩნია. უცხოეთში გასული ქართველი, როგორც წესი, ხდება მრევლი სხვა რომელიმე, უფრო ხშირად რუსული, ანდა ბერძნული ეკლესიისა, მაშინ, როცა რუმინელი, სერბი, რუსი თუ ბერძენი მართლმადიდებელი ქრისტიანები უცხოეთში არ იქცევიან მრევლად სხვა ერის მართლმადიდებლური ეკლესიისა. ისინი მხოლოდ ეროვნულ-მართლმადიდებლურ ეკლესიებს აყალიბებენ უცხოეთშივე (ე. ი. უცხოეთში ქრისტიანები ქმნიან საეკლესიო სამრევლოებს ეროვნული ნიშნის მიხედვით, ხსნიან ეროვნულ ეკლესიებს, ხოლო შემდეგ კი - საეპისკოპოსოებსაც).

რევოლუციის შემდეგ უცხოეთში გასულმა რუსმა მოსახლეობამ შექმნა რუსული სამრევლოები, რის საფუძველზეც შეიქმნა უცხოეთის რუსული საეპისკოპოსოები. მაგალითად, მოსკოვის საპატრიარქოს უცხოეთში აქვს ეპარქიები და ჰყავს ეპისკოპოსები - სამხრეთ ამერიკაში (არგენტინაში), გერმანიაში (ბავარიასა და ბერლინში), ბელგიაში, ავსტრიაში, ნიდერლანდებში და სხვაგან (იხ. Православный церковный Календарь, 1991).

ხოლო ე. წ. "სინოდალურ" რუსულ ეკლესიას, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოსგან დამოუკიდებლად არსებობს, საეპისკოპოსო ეპარქიები აქვს აშშ-ში (ნიუ-იორკში, ბოსტონში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში - 2), კანადაში, არგენტინაში, ვენესუელაში, ბრაზილიაში, გერმანიაში (მიუნხენში - 2), ავსტრალიაში. უცხოეთშივე აქვს მონასტრებიც. (იხ. Russich - Octhoxe im Ecxil. ORTHODOXIA. გვ. 90 - 92).

ჩვენმა მეზობელმა სომხებმა უცხოეთში მრავალი ეპარქია და საეპისკოპოსო დააარსეს, მათ შორის, როგორც აღინიშნა, პარიზში, მარსელში, ლონდონში, ბუქარესტში, ნიუ-იორკში, ლოს-ანჟელესში, მონრეალში, ბუენოს-აირესში, იერუსალიმში, კაიროში, ბეირუთში, სტამბულში, სირიაში, ათენში, ნიქოზიაში, თეირანში, ჯულფაში, სან-ფრანცისკოში (იხ. ORTHODOXIA. გვ. 13-17).

ბულგარელმა მოსახლეობამ ორი საეპისკოპოსო დააარსა ამერიკაში - დასავლეთ ევროპაში. იუგოსლავიის სერბიელმა მოსახლეობამ სამი საეპისკოპოსო დააარსა ამერიკაში, ერთი ავსტრალიაში, ერთი დას. ევროპაში, ხოლო მაკედონიელებმა ეროვნული საეპისკოპოსოები დააარსეს კანადასა და ავსტრალიაში (იხ. იქვე, გვ. 70, გვ. 96). უცხოეთში გასულმა რუმინელებმა საეპისკოპოსოები დააარსეს ამერიკასა და საფრანგეთში (იხ. იქვე, გვ. 79). ცნობილია, რომ ბერძნულენოვან მართლმადიდებლებს მსოფლიოში რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეკლესია გააჩნიათ (კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის საპატრიარქოები, ელადისა და კვიპროსის ეკლესიები) და ერთ მათგანს "მსოფლიო" (ეკუმენური) საპატრიარქოც კი ეწოდა და მაინც მათ თავიანთი ეკლესიების ფარგლებს გარეთ სამრევლოები და საეპისკოპოსოები აქვთ. ანტიოქიის საპატრიარქოს საეპისკოპოსოები აქვს არგენტინაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, მექსიკაში, ავსტრალიაში, ბრაზილიაში (იხ. იქვე, გვ. 10-11) ელადის ეკლესიას - ამერიკაში. თვით უცხოეთში

მცხოვრებმა უკრაინელებმა დააარსეს დამოუკიდებელი ეკლესია საეპისკოპოსოებით აშშ, დას. ევროპასა და კანადაში (Ukrainion Autocephalous ortodox church im Exile).

მაშასადამე, უცხოეთში მცხოვრები მართლმადიდებლები არ ხდებიან მრევლი სხვა ერის თუნდაც მართლმადიდებლური ეკლესიისა. ისინი თავიანთ ეროვნულ ეკლესიებს აარსებენ. ჩვენი ქართველები კი, არა თუ უცხოეთში გასულნი, თვით საქართველოშივეც კი გაუცნობიერებელნი არიან, არ იციან, არის თუ არა საჭირო ეკლესიათა მსგავსი შერჩევა, უფრო მეტიც, მეტმა ნაწილმა არ იცის, რას წარმოადგენს ეპარქია, საეპისკოპოსო, სამრევლო და თვით საპატრიარქოც კი, აქედან გამომდინარე, არც ის იცის, საერთოდ საჭიროა თუ არა ერთგულება ნაციონალური ეკლესიისა. ე. ი. არა აქვს ეკლესიური თვითშემეცნება. ეს რომ არ ჰქონდეს ჩვენს მეზობელ ერებს, ცხადია, ისინი უცხოეთში საეპისკოპოსოებს ვერ დააარსებდნენ. როგორ ინერგება მათში ნაციონალურ-ეკლესიური თვითშეგნება? ცხადია ოჯახის, სკოლის მეშვეობით, ეკლესიური აღზრდით. სკოლის როლი ამ სფეროში წარმმართველია. სკოლას კი მხოლოდ მშობლიური ეკლესიის ისტორიის შესწავლით თუ შეუძლია ყმაწვილში აღძრას ნაციონალური ეკლესიისადმი ერთგულება.

და მაინც, რა საჭიროა ნაციონალური ეკლესიისადმი ერთგულება? ხშირად ვხედავთ ჩვენი თვალით: არა თუ უცხოეთში, რუსეთში გასული ქართველი ხშირად უკვე მესამე-მეოთხე თაობის შემდეგ კარგავს ქართველობას და რუსდება. XVIII საუკუნეში ვახტანგ VI-ს მრავალრიცხოვანი ინტელიგენციისა და დიდებულების ნაღები გაჰყვა რუსეთში. არა თუ დღეს, ერთი საუკუნის წინათაც კი მათი შთამომავლები გარუსებულნი იყვნენ. XIX და XX საუკუნეებში მრავალი ქართველი გადასახლდა რუსეთში. დღეს ძირითადად ისინი განშორებულნი არიან ჩვენი ერისაგან. უცხოეთში გასული სხვა ერის ადამიანები ათასი წლობითაც კი ინარჩუნებდნენ ეროვნებას, მაგალითად, არც თუ დიდი ხნის წინ აღინიშნა ბალკანეთში (რუმინეთსა თუ ბულგარეთში) სომეხთა დასახლების ათასი წლისთავი. ცნობილია, რომ იქ მცხოვრებმა სომხებმა ამ ათასი წლის მანძილზე შეძლეს ეროვნების შენარჩუნება, ასევეა სხვა ერებიც. მაინც როგორ ხდება ეს? როგორც აღინიშნა ეროვნულ-ეკლესიური თემების შექმნით, ეროვნულ-სარწმუნოებრივი სამრევლოების დაარსებით. მაგალითად, ბაქოში, თბილისში, მოსკოვში, როსტოვში თუ სხვა ქალაქებში მცხოვრებ სომხებს აქვთ საკუთარი ეკლესიები, სკოლები, საზოგადოებანი და ეროვნული სასაფლაოებიც. ეს იმით მიიღწევა, რომ ამ უცხო ქალაქებში მათ ეროვნულ-სარწმუნოებრივი სამრევლოები შექმნეს. მის გარშემო გაერთიანდნენ არა ფორმალურად, არამედ მთელი არსებით. სწორედ იქ გამოხატავენ ღვთისადმი თავიანთ სიყვარულს. ეკლესია მათი ნაციონალური სიწმინდეც და საყრდენიც არის. თავის მხრივ ნაციონალურმა ეკლესიამ მრავალრიცხოვანი საშუალებებით დაიცვა თავისი ერი. მსგავსადვე იყო ძველ საქართველოშიც, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს არსებობისას (XV-XVI საუკუნეებამდე). ძალზედ მაღალი იყო მაშინ ნაციონალურ-ეკლესიური თვითშემეცნება, რომელიც განსაკუთრებით დაკნინდა XVII-XVIII საუკუნეებში, ხოლო XIX საუკუნეში ქართული ეკლესიის თავისთავადობის გაუქმებამ და ქართველ ქრისტიანთა სულებზე რუსული ეკლესიის გაბატონებამ სასტიკად დასცა ქართველთა ნაციონალურ-ეკლესიური თვითშემეცნება. არა თუ უცხოეთში, თვით საქართველოშივე ქართველები გაუუცხოვდნენ მშობლიურ ეკლესიას, ხოლო რუსულ-ბოლშევიკური ბატონობისას ამ ბოლო 70 წლის მანძილზე ჩვენი ეროვნულ-ეკლესიური თვითშემეცნების დონე შემზარავია.

არა და ისტორიულად, ბოლო საუკუნეთა მანძილზე, "ქართველს" სწორედ საქართველოს სამოციქულო (მართმალიდებლური) ეკლესიის წევრს უწოდებდნენ. XVII-XVIII საუკუნეებში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის, საქართველოს სპარსეთისა და ოსმალეთის გავლენის სფეროში მოქცევის შემდგომ, ქართველთა შორის გავრცელება დაიწყო არაეროვნულმა სარწმუნოებებმა. ქართველი მართლმადიდებლები იძულებული გახდნენ მიეღოთ მაჰმადიანობა, გრიგორიანობა, კათოლიკობა. ხალხში ამ სარწმუნოებათა მიღების შემდგომ მხოლოდ და მხოლოდ ქართველ მართლმადიდებლებს უწოდებდნენ "ქართველს", ქართველ მაჰმადიანებს-"მუსულმანებს", ქართველ კათოლიკეებს- ფრანგებს", ქართველ გრიგორიანებს კი-"სომხებს".

უცხო ეკლესიათა მრევლად გადაქცევისა და ეროვნულ-ქართული ეკლესიისაგან განდგომის შემდგომ მრავალი ქართველი განშორდა ჩვენს ერს, დაკარგეს ეროვნული თვითშემეცნება, შეემატნენ "თათრებსა" თუ "სომხებს" (ქართველი კათოლიკებიც მრავლად გასომხდნენ), უფრო მეტიც, საქართველოს მთიანი კუთხეების ქართველები (აღმოსავლეთ კახეთში (დღევანდელ საინგილოში), შიდა ქართლის მთიანეთსა და აფხაზეთში) ჩრდილო კავკასიელი ტომების - ლეკების, ოსებისა და აფსარების ჩამოსახლების შემდგომ მოწყდნენ ქართულ ეკლესიას, გაწარმართდნენ ან გამაჰმადიანდნენ, ამის შედეგად კი ეროვნულადაც გადაგვარდნენ, ნაწილობრივ აღნიშნული სარწმუნოებრივი მომენტითაც აიხსნება მეცნიერთა მიერ დადასტურებული ქართველთა გაოსების, გააფხაზებისა და გალეკების პროცესი. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ სამხრეთ საქართველოს ოსმალთა მიერ დაპყრობის შემდეგ ბასიანის, თორთუმის ხეობებში, გიუმიშხანესა, ლაზეთსა თუ არზრუმში დარჩენილი მრავალრიცხოვანი ქართველი მართლმადიდებლები იქცნენ მრევლად ბერძნული ეკლესიისა, რამეთუ ოსმალო ხელისუფლების მიერ ოსმალეთის იმპერიაში ბერძნული ეკლესია ოფიციალურად იყო აღიარებული, ხოლო ქართული ეკლესია დევნილი. ბერძნული ეკლესიის მრევლად გადაქცევის შემდეგ მრავალი ქართველი გაბერძნდა.

სპარსეთ-ოსმალეთი ებრძოდა არა ზოგად ქრისტიანობას, არამედ ძირითადად ქართულ ეკლესიას, ამ ეკლესიის წევრ ქრისტიანებს. ამ აზრს ადასტურებს უამრავი მაგალითი. ოსმალეთსა და სპარსეთის მტრობა ქართული ეკლესიისადმი გამოწვეული იყო რუსეთის მართლმადიდებელი სახელმწიფოს სიძლიერით, რომელიც აღნიშნული საუკუნეებისათვის ზედიზედ იპყრობდა ტერიტორიებს, უახლოვდებოდა კავკასიას, განადგურებით ემუქრებოდა მაჰმადიანურ სამთავროებსა და ოსმალეთ-სპარსეთის სახელმწიფოებს. ასეთ ვითარებაში მაჰმადიანთა აზრით ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და სამეფო-სამთავროები პლაცდარმს უქმნიდნენ რუსეთის აგრესიულ სახელმწიფოს მახლობელი აღმოსავლეთის დასაპყრობად. ამიტომაც სამხრეთ საქართველოს (მესხეთის) დაპყრობის შემდეგ "...ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა გამოეცხადა. მტრის პირველი დარტყმები პირველ რიგში ქართული ეკლესიის ზურგს ხვდებოდა. ოსმალებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დათრგუნვის გარეშე მათ მიერ დაწყებული საქმე შეიძლებოდა წარმატებით ვერ დაგვირგვინებულიყო" (შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, 1979 წ. გვ. 35).

"აღნიშნულ საუკუნეებში ოსმალები და სპარსელები ქრისტიან გრიგორიანებსა და ქრისტიან კათოლიკებს არ ებრძოდნენ, პირიქით მათ საეკლესიო ცენტრებს შეღავათებსა და უპირატესობას ანიჭებდნენ, ხოლო ქართული ეკლესიის წევრებს კი ყოველგვარ პირობებს უქმნიდნენ, რათა მათ უარეყოთ "ქართველობა" (ანუ ქართული მართლმადიდებლობა) სამაგიეროდ კი ქართული ეკლესიის ყოფილ წევრებს აიძულებდნენ მიეღოთ გრიგორიანული ანდა კათოლიკური აღმსარებლობანი, უფრო ხშირად კი აიძულებდნენ მიეღოთ მაჰმადიანობა. ისიცაა აღსანიშნავი, რომ ოსმალეთი საერთოდ მართლმადიდებლობას კი არ ებრძოდა, არამედ მხოლოდ ქართულ ეკლესიას და ქართულ მართლმადიდებლობას, ოსმალეთში სარწმუნოებრივი ავტონომია ჰქონდათ იმ მართლმადიდებლებს, რომლებიც კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდნენ, მათ განურჩევლად ეროვნებისა "ბერძნებს" უწოდებდნენ (იხ. ა. ჯაფარიძე, "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ტ. III, გვ. 351).

ქართველ მართლმადიდებლებს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, XVII-XVIII საუკუნეებში გარკვეულ მიზეზთა გამო უწოდებდნენ "ქართველს" რადგანაც ისინი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მრევლს შეადგენდნენ. ხოლო იმ ქართველებს, რომელნიც განშორდნენ ქართულ ეკლესიას და აღიარეს უცხო სარწმუნოება "ქართველებად" არ მიიჩნევდნენ, მაგალითად ქართველ გრიგორიანებს, ქართველ მაჰმადიანებს და ასე შემდეგ.

მაჰმადიან სახელმწიფოთა მიერ შექმნილი მიზეზების გამო "ქართველად ყოფნა გაუსაძლისი გახდა... გლეხკაცობაც ავბედს დაემორჩილა... მესხთა ნაწილი პილიგრიმული სიჯიუტით მაინც არ

ტოვებდა ქრისტიანობას და ზოგჯერ კათოლიკობასა და გრიგორიანობას ღებულობდა, უმეტეს შემთხვევაში თავის ერს მაინც ეკარგებოდა, მესხთა შორის მეტად უმცირესმა ნაწილმა შეინარჩუნა მართლმადიდებლური სარწმუნოება, როგორც ზემოთ ვთქვით, ყარსის, არზრუმის, ვალაშკერტის და ნაწილობრივ არტაანის მხარის ქართველობის დიდი ნაწილი გაგრიგორიანდა, როგორც ჩანს, მათი გაგრიგორიანება XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში უნდა მომხდარიყო" (შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 46).

ოსმალეთში ისტორიულ მიწა-წყალზე მცხოვრები და ასევე სპარსეთში მცხოვრები ქართველები მასობრივად კარგავდნენ ეროვნებას საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტის გამო, ანუ რაც იგივეა, მათ ადგილებზე ვერ შეძლეს ნაციონალური სამრევლოებისა და საეპისკოპოსოების შექმნა, ხოლო მსგავს (მაჰმადიანურ) გარემოში მცხოვრებმა სხვა ქრისტიანმა ერებმა, მაგალითად, სომხებმა და ბერძნებმა, შეძლეს ნაციონალური სარწმუნოებრივი თემების, სამრევლოებისა და საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება, რაც მათ ეროვნებას ანარჩუნებინებდა მაჰმადიანურ ოკეანეში.

ჩვენში რატომღაც მიჩნეულია, რომ ქართველები საქართველოს არ ტოვებდნენ და ნაკლებად გადიოდნენ უცხოეთში, მაშინ, როცა ასეულ ათასობით ქართველმა დატოვა საქართველო XVII-XVIII საუკუნეებში (საქართველოს მთელი მხარეები, ჩვენი სამშობლოს თითქმის ერთი მესამედი - მესხეთი, კახეთის თითქმის ნახევარი (ჭარ-ბელაქანი), ქვემო ქართლისა და დასავლეთ საქართველოს მთელი მხარეები უცხო სახელმწიფოთა ნაწილებად იქცნენ მრავალრიცხოვანი ქართული მოსახლეობით). XIX საუკუნეშიც ქართველების არამცირედი ნაწილი გადასახლდა რუსეთსა და უცხოეთში, სად გაქრნენ ისინი? ვინ არიან მათი შთამომავალნი? თითქმის ყველანი ასიმილირდნენ უცხო ტომებსა და ერებში, დაეკარგნენ საქართველოს, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ მათ ვერ შეძლეს უცხოეთში ეროვნული ეკლესიების დაარსება, რამეთუ მათ არ გააჩნდათ ნაციონალურ-ეკლესიური თვითშემეცნება. იქცნენ უცხო ეკლესიათა მრევლად, რის შედეგადაც სწორედ იმ ერებს შეემატნენ, რომელთა ეკლესიათა წევრებადაც იქცნენ (არსებობდა უმნიშვნელო გამონაკლისი).

ევროპელ მისიონერთა, ასევე თურქულ-სპარსულ წყაროებში არსებული ცნობების თანახმად XVII-XVIII საუკუნეებში ქართველების კოლოსალურმა რაოდენობამ დატოვა საქართველოს ქრისტიანული ნაწილი. **პიეტრო დელა ვალეს გადმოცემით** - "არა იპოვება არც ერთი სახლი მთელ სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ქართველი დედაკაცებით და მამაკაცებით" (მ. რეხვიაშვილი "დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში". 1976 წ. გვ. 14).

ასევე ქართველები დიდი რაოდენობით იმყოფებოდნენ ოსმალეთის იმპერიაში.

XV საუკუნის ერთი იტალიური ქრონიკის თანახმად საქართველო იმ დროისათვის წარმოადგენდა "ვრცელ ქვეყანას მრავალრიცხოვანი მოსახლეობით", ამ ცნობის სისწორე იქიდანაც დასტურდება, რომ თვით XIX საუკუნის დასაწყისშიც კი ქართველები ამიერკავკასიის მოსახლეობის უმრავლესობას - 44% შეადგენდნენ. საქართველო დაიცალა მოსახლეობისაგან XVII-XVIII საუკუნეებში. "როგორც დონ ჯუსტი პრატო, ასევე სხვა კათოლიკე მისიონერები აღნიშნავდნენ, სპარსელები და თურქები ყველა საშუალებას მიმართავდნენ, რათა საქართველოდან წაეყვანათ ახალგაზრდები. ისინი მათ იყენებდნენ პირველ რიგში თავიანთი ლაშქრის გასაძლიერებლად და ასევე ამით დიდ ზიანს აყენებდნენ საქართველოს... რის გამოც საქართველო განუწყვეტლივ იცლებოდა და ნადგურდებოდა" (ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, 1987, გვ. 191).

მისიონერების დაკვირვებიდან ჩანს, რომ ჩვენი ქვეყნიდან მოსახლეობა მასობრივად გაჰყავდათ ქრისტიანობისა და ქართველობის აღმოფხვრის მიზნით. თურქეთისა და სპარსეთის არა მარტო ცენტრალური ოლქები, არამედ პროვინციებიც (ეგვიპტე, ერაყი და სხვ.) მრავალრიცხოვანი ქართველების საცხოვრისი იყო. ქალაქებში ქართველობა ვაჭრობის ობიექტს წარმოადგენდა.

მაგალითად, ევლი ჩელებს ქართველი ტყვეები შეუძენია თავის მოგზაურობისას: თავრიზში, ახალციხეში, ყარსში, არზრუმში, ბაქოში, ერევანში და სხვაგან.

ყველგან, არა მარტო უცხოეთში, არამედ თვით საქართველოშიც კი ამ პერიოდში ქართველები ეროვნებას კარგავდნენ ქართულ ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტისთანავე, მაგალითად, 1628 წელს გორში მისულმა ავგუსტინელმა ბერმა პატრი ამბროზიმ 1640 წელს რომში გაგზავნა მოხსენება, რომელშიც კერძოდ წერს: "ამ ქრისტიანების ქვეყანაში კვალად შეიძლება ბევრი კეთილის ქმნა რამდენიმე მამულ-სოფლების ყიდვით, როგორადაც შვრებიან სომხები, რომლებისაც თუმცა დიდი სიმძულვარე აქვთ ქართველებს სარწმუნოების საქმეში, მაგრამ რაკი მათი ხელქვეითი გახდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხების წესზეც. ამაზე უარესიც ვნახეთ - ზოგიერთმა საქართველოში მცხოვრებმა მდიდარმა ურიებმა გააურიავეს რამდენიმე თავიანთი ყმა და მოსამსახურე" (მ. თამარაშვილი, პასუხი სომხის მწერლებს, გვ. 237).

როგორც ევროპელი მისიონერების დაკვირვება უჩვენებს, ქართველები ეროვნული გადაგვარებისაგან დაცულნი არ იყვნენ თვით საქართველოში, მით უფრო უცხოეთში.

"განსაკუთრებით სპარსეთში ბევრი იყო ქართველი: "დღეს მთელი სპარსეთი სავსეა ქართველებით, რჯულგანდგომილებით - წერს დონ ჯუსტი პრატო - მათ ხელშია ყველა დიდი თანამდებობაც კი სახელმწიფოში" (ი. ტაბაღუა, გვ. 111).

"სპარსელთა სისხლი გაკეთილშობილებულია ორი ეროვნების - ქართველებისა და ჩერქეზების სისხლით, რომლებიც ყველა სხვა ხალხზე ლამაზები არიან. სპარსეთში თითქმის არ არის არც ერთი წარჩინებული, რომლის დედა ქართველების ან ჩერქეზების შთამომავალი არ იყოს (იქვე).

საქართველოში ტყვეთა ყიდვა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რის გამოც, ჟარ შარდენის ცნობით, სამეგრელოს 40000-იანი მოსახლეობა 1640-იანი წლებიდან მოყოლებული სულ რაღაც 30 წლის განმავლობაში 20000-მდე შემცირდა.

უცხოეთში ქართველების ტყვეთა სახით გასვლის გარდა, საქართველოს მოსახლეობას ძალზე ამცირებდა ქართველების გადასახლებაც. შაჰ-აბას I-მა საქართველოში ზედიზედ სამი ლაშქრობის შედეგად ასეულ-ათასობით კაცი გადაასახლა უცხოეთში. ქართველების ეროვნული ცნობიერება ირყეოდა თვით საქართველოშივე. მაკარი ანტიოქიელი ასახავს XVII საუკუნის 60-იან წლებში არსებულ ვითარებას დასავლეთ საქართველოში: "მთელი ვაჭრობა ქართველთა ხელქვეითი სომხების, ებრაელებისა და ზოგიერთი ბერძნის ხელთაა... ეს სომხები და ებრაელები წარმოადგენდნენ მდიდართა კლასს საქართველოში და მათ წინაშე ყველა ქართველი დავალებულია განურჩევლად წარჩინებულობისა და მმართველობისა. ყოველ ამ ვაჭართაგანს ოჯახში ჰყავს ქართველი გოგო-ბიჭები მსახურად, რომელთაც როგორც უნდათ ისე ექცევიან" (შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, 1983 წ. გვ. 316). სწორედ მსგავს არამართლმადიდებელ ("არაქართველ") მებატონეთა ხელში მოხვედრილი ქართველები კარგავდნენ ეროვნებას.

ასე რომ, ჩვენში მიღებული თვალსაზრისი, თითქოს და ქართველებმა ისტორიულად ნაკლებად დატოვეს სამშობლო, არასწორია, სწორია ის, რომ ისინი ასიმილირდნენ.

ჩვენში ახლახან გამოქვეყნდა ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს წიგნი "ქართველები კონსტანტინეპოლში". ამ ევროპელსაც შეუმჩნევია, რომ ქართველები უცხოეთში განიცდიან დენაციონალიზაციას და ეკარგებიან ჩვენს ერს. ის წერს უცხოეთში მცხოვრები ქართველების შესახებ: "სამწუხაროდ, ბევრმა ქართველმა და მათმა ოჯახმა დაივიწყეს თავიანთი მშობლიური ენა და უარყვეს თვით ქართველობაც", ავტორი დაასკვნის "ქართველი ერის ისტორიაში ეს ხშირი და დასაგმობი მოვლენაა".

დალეჯიო წერს: "ჩვენ კიდევ გვესმის, როდესაც რომელიმე ქართველი მუსულმანი ივიწყებს თავის ენას და ეროვნებას, რადგანაც მისი რჯული თურქულ-პოლიტიკურია და ასე თუ ისე, გარეშე პირობებიც იძულებულს ჰყოფს მას გადაგვარდეს. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გამოგვიკვლევია რამ აიძულა კონსტანტინეპოლის ქრისტიანი ქართველების ნაწილი, რომელთაც უარყვეს ქართველობა.

მათ შორის უმრავლესობამ სომხებად აღიარეს თავი და თვით თავიანთი გვაროვნობის სახელწოდებაც დაივიწყეს. ამ გადაგვარებულთა შორის შედარებით ცოტანი არიან, რომელთაც თავიანთი გვარი კიდევ ახსოვთ. სხვათა შორის დავასახელებ ლიკონტას (ცხადაიას), გურჯიანების (ქართველიშვილების), აზიზიანების, თუმანიანების, ზურაბიანების ოჯახებს, რომლებიც, თუმცა უარს არ ყოფენ, რომ ქართველების შთამომავალნი არიან, მაგრამ დღეს თავიანთ თავს ქართველებად აღარ აღიარებენ.

სასურველია, ქართველმა საზოგადოებამ პრაქტიკული ყურადღება მიაპყროს არა მარტო ოსმალეთის და კონსტანტინეპოლის ქართველ მუსულმანებს, არამედ თვით ქართველ ქრისტიანებსაც, რომელთაც კულტურული დაწესებულებაც კი არა აქვთ, სადაც ყველა რწმენისა და მისწრაფების ქართველსაც თავისუფლად შეეძლება მისვლა და პრაქტიკულად მუშაობა, როგორც ეს აქვთ სხვა ხალხთა ახალშენებს" ("ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში" თბ. 1990 წ. გვ. 20).

ამ 70-დე წლის წინ დაწერილი ევროპელის ეს სიტყვები ისე ჟღერს, თითქოს დღეს იყოს ნათქვამი. ფაქტიურად ქართველმა საზოგადოებამ ვერ შეძლო უცხოეთში ეროვნულ-კულტურულ სარწმუნოებრივი დაწესებულებების შექმნა და ამის გამო უცხოეთში მცხოვრები ქართველები დენაციონალიზაციას განიცდიან.

როგორც ცნობილია, უკვე მიღებულია და რამდენიმე წელში მოქმედებას შეუდგება კანონი, რომლის ძალითაც მოქალაქეებს უფლება მიეცემათ უცხოეთში გასვლისა. ამ კანონის ძალით, ალბათ, ქართველობა, როგორც სხვა ქვეყნების შრომისუნარიანი მოსახლეობა, მასობრივად გავა უცხოეთში სამუშაოდ, სასწავლებლად თუ საცხოვრებლად. მაგრამ, როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ჩვენ ვიცით, რომ უცხოეთში გასული ქართველები სამი-ოთხი თაობის შემდეგ უკვე დენაციონალიზაციას განიცდიან, იმის გამო, რომ მათ არა აქვთ ეროვნულ-კულტურულ-სარწმუნოებრივი დაწესებულებები.

როგორც აღინიშნა, ჩვენი მეზობელი ერები უცხოეთში გასვლისთანავე ქმნიან ეროვნულ სამრევლოებს, ეკლესიებს და საეპისკოპოსოებსაც კი, რომლებიც იქცევიან ხოლმე ცენტრებად მათი ეროვნულ-კულტურული დაწესებულებებისა. ამის მიღწევა მათ შეაძლებინა იმან, რომ სამშობლოშივე უკვე გამომუშავებული ჰქონდათ ნაციონალურ-ეკლესიური თვითშემეცნება: უცხოეთში გასვლისთანავე ისინი მხოლოდ ეროვნული ეკლესიის მრევლად იქცევიან ხოლმე, რაც ხელს უწყობს მათ ეროვნების შენარჩუნებაში არა ასეული, არამედ ათასეული წლების მანძილზეც კი. მაშასადამე, იმისათვის, რათა ქართველი ადამიანი ყოველთვის და ყველა პირობებში თავის თავს თვლიდეს ქართული ეკლესიის წევრად, საჭირო არის ქართველ ყმაწვილში სკოლის ასაკიდანვე ჩაინერგოს ნაციონალურ-ეკლესიური თვითშემეცნება, ანუ შვილური ერთგულება მხოლოდ და მხოლოდ ქართული ეკლესიისადმი. ამისათვის კი საჭიროა სკოლებში ისწავლებოდეს ქართული ეკლესიის ისტორია.

შეიძლება ითქვას, რომ ძველ საქართველოშიც წიგნი, რომლითაც ყმაწვილი იზრდებოდა - "ქართლის ცხოვრება", უხვად შეიცავდა ცნობებს ქართული ეკლესიის ისტორიიდან. წმ. სახარება "ქართლის ცხოვრებასთან" ერთად ყმაწვილის უმთავრეს სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. პირველი მასში ნერგავდა სარწმუნოებისა და ღვთისადმი სიყვარულს, ხოლო მეორე კი სიყვარულს მშობლიური ერისა და ეკლესიისადმი. სწორედ მშობლიური ეკლესიის ისტორიის მეოხებით ქართველი ყმაწვილი იგებდა, თუ როგორ იქცა მისი სამშობლო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანად, ხოლო უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე კი მუდმივ მფარველად და პატრონად ქართველი "საზეპურო" ერისა.

ამჟამად თუკი ჩვენ გვსურს, რომ ქართველი საზოგადოება დაუბრუნდეს თავის უკვდავ საწყისებს, უთუოდ საჭირო არის სკოლებში ისწავლებოდეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია უნდა ისწავლებოდეს როგორც დისციპლინის ერთი დარგი, მიუხედავად ყმაწვილის მშობელთა სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა. საქართველოს ეკლესიის ისტორია ისეთივე განყენებული და სავალდებულო შესწავლის საგანი უნდა იყოს როგორც, ვთქვათ, საქართველოს გეოგრაფია ან საქართველოს ისტორია.

ჟურნალი "რელიგია", №9, 1992.

პ.ს. 1990-იან წლებში ჩვენი ეკლესიის ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, რომ უცხოეთში იმ წლებში მასიურად გასული ქართველობა უკან უნდა დაბრუნებულიყო დაუყოვნებლივ, ამიტომც არ მიიჩნევდა საჭიროდ მათთვის უცხოეთში შექმნას ეროვნულ-ქართული სამრევლოებისა, მისგან განსხვავებით, მე კი ვფიქრობდი რომ უცხოეთში კიდევ უფრო მეტი ქართველი წავიდოდა საცხოვრებლად თუ სამუშაოდ, ამიტომაც მიმაჩნდა, რომ მათთვის უთუოდ უნდა დაარსებულიყო ქართული საეპისკპოსოები თავისი ქართველი სამღვდელოებითა და მრევლით, რათა მათ შეენარჩუნებინათ ეროვნულ-ეკლესიური ცნობიერება. ამ მიზეზის გამო მუდამ ვაქვეყნებდი წერილებს მოწოდებით, რათა ქართული სამრევლოები დაარსებულიყო უცხოეთში, ერთ-ერთი ეს წერილია, ასევე ამავე თვალსაზრისის მქონე ჩემი წერილები იბეჭდებოდა ამ წლებში "საქართველოს ეკლესიის კალენდარში", საბოლოოდ, მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც, როგორც ცნობილია, უცხოეთში დარსებულ იქნა მრავალი ქართული საეპისკოპოსო, რომელნიც ემსახურებიან უცხოეთში გასულ ქართველობას.

2018.12.08

პირველი წირვა კიმოთესუბანში

1992 წლის 19 აგვისტოს, ჩვენი უფლისა და მაცხოვრის
იესო ქრისტეს ფერისცვალების დღეს,
70 წლის უქმობის შემდეგ პირველი წირვა,
ანუ პირველი ლიტურგია
კიმოთესუბნის ტაძარში აღავლინა
მესხეთის ეპისკოპოსმა,
ყოვლადუსამღვდელოესმა **მეუფე ანანია ჯაფარიძემ.**
ზიარების შემდეგ მან სიტყვით მიმართა შემოკრებილ მორწმუნეებს.

ვატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ქრისტეს მიერ საყვარელო შვილებო, დღეს ჩვენთვის ორმაგი დღესასწაული და სიხარულია. დღეს მსოფლიო მართლმადიდებლობა დიდებით აღნიშნავს ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს ფერისცვალებას, ხოლო ჩვენთვის განსაკუთრებით საზეიმოა ეს დღესასწაული, რამეთუ 70 წლიანი უქმობის შემდეგ ვაკურთხეთ და პირველი წირვა დავაყენეთ კიმოთესუბნის ეკლესიაში, დიახ, 20-იან - 30-იან წლებში ამ წმიდა მონასტერში ქრისტიანობის მტრებმა აკრძალეს წირვა და ლოცვა, ღვთისმსახურება, ქადაგება, ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, ყოველი ქრისტიანული საიდუმლოს აღსრულება, მოხსნეს და მოშალეს წმიდა ტრაპეზი, კანკელი, ხოლო ტაძრის წმიდა საკურთხეველი, რომელშიც ძველად ათასი წლის მანძილზე ჩვენი სამღვდელოება უფალ ღმერთს ადიდებდა, სწირავდა უსისხლო მსხვერპლს, აქციეს საკონცერტო სცენად, სადაც ფსევდოპატრიოტი მუშაკები აიძულებდნენ ჩვენს ყმაწვილებს ემღერათ და ეცეკვათ მმართველთა საამებლად და სასეიროდ. დაივიწყეს, რომ მხოლოდ უფალი ღმერთია სადიდებელი.

და აი, მოვესწარით პირველ წირვას, “დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება”, ამ სიტყვებით დავიწყეთ წირვა.

ვმადლობდეთ უფალს ჩვენზედ მოვლენილი სიკეთისათვის. დღეს, როგორც აღვნიშნეთ, ვდღესასწაულობთ თაბორის მთაზე თავის მოციქულთა და მოწაფეთა წინაშე უფლის ფერისცვალებას, ოდეს ზეცაში ამაღლებული უფლის სახე იქმნა ვითარცა მზე და უბრწყინვალეს მზისა, ხოლო სამოსი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი. სიმბოლურია, რომ ამ წმიდა ტაძრის კურთხევით დასრულდა ჩვენი სამცხე-ჯავახეთის, ეპარქიის ფესცვალებაც, ამ ათიოდე წლის წინ მესხეთში არ მოქმედებდა არც ერთი ქართული ეკლესია, მაშინ, როცა მოქმედებდნენ ყველა სხვა ერების ეკლესიები, სომხურნი - ახალციხესა და ახალქალაქში, კათოლიკური ეკლესია, სინაგოგაც კი, მართლმადიდებლურ ეკლესიათა უმოქმედობის გამო ფაქტიურად ჩვენი ეპარქიაც არ არსებობდა, ხოლო ადგილობრივი ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი სომხურ ეკლესიებში ინათლებოდნენ ახალციხესა და ახალქალაქში.

ბედნიერი ვარ რომ ღვთის მადლით პირველი წირვები დავაყენე, ვაკურთხე და ამოქმედდა საფარის, ვარძიის, ზარზმის, ბორჯომის, საყუნეთის, ასპინძის (ხვილიშას), ვალეს და აბასთუმნის ეკლესიები, ვაკურთხე ახალი მღვდლები: მამა სერაფიმე ვარძიელი, მამა გიორგი ზარზმელი, მამა იოანე ასპინძელი, ამჟამად ვარძიელი, მამა ეფრემი აბასთუმნელი, ახლახან კი ვაკურთხეთ მამა გიორგი - კიმოთესუბნელი, ვაკურთხეთ მრავალი სხვა მღვდელიც, მათ შორის ბორჯომშიც.

ჩვენს ეპარქიაში, დიდ ტაძართა შორის მხოლოდ კიმოთესუბანიღა იყო დარჩენილი კურთხევის გარეშე და აი, ეს დღეც დადგა, დღევანდელ ფერისცვალება დღეს, უკვე მოქმედებს მესხეთის ყველა დიდი ტაძარი, დიდება შენდა უფალო, ამ დღესაც მოგვასწარი.

თქვენ მოგეხსენებათ, ბოლშევიკები დაოსტატებულნი იყვნენ საეკლესიო ქონების ძარცვაში. კიმოთესუბნის ეკლესია საფუძვლიანადაა გაძარცულ-გაპარტახებული მათი პარტიის ყოფილი წევრების მიერ, ამიტომაც ამ წმიდა ტაძარში პირველი წირვის დაყენებისათვის დიდი მზადება და შრომა დაგვჭირდა ისევე, როგორც სხვა ტაძრების ამოქმედებისას.

აღვადგინეთ კანკელი, დაქცეული და გაუქმებული, დავაგეთ ხის იატაკი საკურთხეველში, აღვმართეთ ტრაპეზი, გავაწყეთ ხატებით საკურთხეველი და კანკელი, აღვადგინეთ სამკვეთლო, შევიძინეთ შანდლები, შესამოსელი, წირვა-ლოცვისათვის საჭირო უთვალავი საეკლესიო ინვენტარი, მაგრამ, ცხადია, ეკლესიას აკლია მრავალი ნივთი, რაც ათეისტურმა ხელისუფლებამ 70 წლის მანძილზე ეკლესიიდან გაზიდა, ერთბაშად ვერ შეივსება, მაგრამ საერთო მონდომებით ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი.

ეკლესია ერის სულიერი სახლია, ის არის ტახტი ჩვენი შემოქმედისა, კერა მართლმადიდებლობისა, რომელმაც ჩვენ, ქართველებს ეროვნება და ნაციონალური სახე შეგვინარჩუნა, ამიტომ განა ყოველი ადამიანი მოვალე არაა დაეხმაროს და შეეწიოს დედა ეკლესიას, ვინც უნდა იყოს ის ხელისუფალი თუ მიწის მუშა?

გარეგნულად, სიტყვიერად ყველა ეხმარება, მაგრამ საქმით კი არავინ, მაგალითად, კანკელისა და საკურთხევლისათვის საჭირო ხის მასალა არავინ გამოგვიყო, და იძულებული გავხდი სულ სხვა ეკლესიისათვის საჭირო ხის მასალა 5 კუბური მეტრი გამოგვეყენებინა ამ საქმისათვის.

“საღმრთო კლდეზეა დაფუძნებული დედა ეკლესია და ბრჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან მას”. არა ეკლესიას ესაჭიროება ჩვენი დახმარება, არამედ პირიქით, ჩვენ ადამიანებს გვესაჭიროება ეკლესიის დახმარება, სწორედ ასე ესმოდათ ეს საკითხი ჩვენს წინაპრებსაც.

ჩვენი დიდებული მამა-პაპანი ეკლესიებს აშენებდნენ არა იმისათვის, რათა რაიმე “ისტორიის” ანდა “კულტურის ძეგლი” (როგორც ახლა უწოდებენ) აეშენებინათ, არამედ ისინი მთელი შეგნებით აშენებდნენ საღმრთო სახლებს, რომელშიც მლოცველ სამღვდელოებას საუკუნეთა მანძილზე უნდა მოეხსენებინათ ეკლესიის მშენებელ-არქიტექტორთა სულები.

ადამიანი, როგორც მოგეხსენებათ, ორი საწყისისაგან, ორი სუბსტანციისაგან შედგება: სულისა და ხორცისაგან, სული უკვდავია, სწორედ ისაა ჩვენი "მე", ის იმყოფება ხორცში (სხეულში), ვითარცა ჭურჭელში, დროთა ვითარებაში ჭურჭელი იმსხვრევა ანდა იშლება, ანუ ადამიანის სხეული კვდება, ხოლო სული თავისუფლდება, ის განაგრძობს არსებობასა და სიცოცხლეს.

სხეულისაგან განთავისუფლების შემდეგ სული მიილტვის ღვთაებრივი ნათლისაკენ, ღმერთისაკენ, სულის ნეტარებაა ცათა სასუფევლის დამკვიდრება, ხოლო სულის ტანჯვა ღვთაებრივი ნათლისაგან განშორება, სწორედ ამისათვისაა საჭირო სამღვდელოების ლოცვა სულისათვის, სულს ესაჭიროება მიწაზე დარჩენილი ადამიანების ლოცვა, განსაკუთრებით ეკლესიებში, სწორედ ამიტომ აშენებდნენ ჩვენი წინაპრები ეკლესიებს, ამკობდნენ და ამშვენებდნენ, მათ იცოდნენ, რომ ლიტურგიის, ანუ წირვის დროს სამღვდელოება შესაბამის "კვერექსსა" თუ "ასამაღლებელში" უთუოდ მოიხსენებდნენ მშენებელთა სულს.

აი, დღევანდელი წირვის დროსაც ითქვა ლოცვა: "საუკუნითგან აღსრულებულნი მონანი და მხევალნი ღვთისანი, აღმაშენებელნი წმინდისა ამის ტაძრისანი, მოიხსენოს უფალმა ღმერთმა სასუფეველსა თვისსა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნეთამდე, ამინ!"

დღეს მრავალ ადამიანს აღარ სწამს სულის უკვდავება, აღარ ზრუნავს თავის უკვდავი სულის მოხსენიებისათვის, ამიტომაც აღარც ტაძართა აშენება-შემკობას ცდილობს.

ქრისტესმიერ საყვარელნო შვილნო, სულ რამდენიმე დღის შემდეგ 28 აგვისტოს მსოფლიოს ქრისტიანობა დღესასწაულობს "მარიამობას" ანუ ყოვლადწმიდა დედა ღვთისმშობლის "მიძინების" დღეს. ეს დღე კიმოთესუბნის ტაძრის დღესასწაულიც იქნება, რამეთუ ტაძარი ღვთისმშობლის სახელზეა ნაკურთხი, თქვენ მოგეხსენებათ, რომ ვარძიისა და საფარის ტაძრები ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა, ამიტომაც ამ დღეს ვდღესასწაულობთ ვარძიობას, საფარობას, ასევე კიმოთესუბნობაც იდღესასწაულება.

ყოვლადწმიდა დედა ღვთისმშობელი მიძინების წინ ფიქრობდა საქართველოზე და ლოცულობდა ქართველი ერისათვის, ჩვენ ამას გვამცნობს "ქართლის ცხოვრება".

ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს ამაღლებისა და სულიწმიდის მოფენის შემდეგ მოციქულებმა და ღვთისმშობელმა წილი იყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგნა ქრისტიანობა. ღვთისმშობელს წილად ხვდა ივერიაში ქადაგება, სწორედ ამიტომ ეწოდა საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, საქართველოში გამომგზავრების წინ დედა ღვთისას ეჩვენა მისი ძე - ჩვენი უფალი იესო ქრისტე და უთხრა: "ჰოი დედაო ჩემო. მე არ უგულველვყოფ ყველა ხალხზე უფრო საზეპურო ქართველ ერს. შენ კი შენს წილხვედრ საქართველოში წარავლინე ანდრია პირველწოდებული". მართლაც დედა ღვთისამ თავის ნაცვლად ჩვენთან ქრისტიანობის საქადაგებლად გამოგზავნა ანდრია მოციქული, მიზეზი ის იყო, რომ მოახლოებული იყო მიძინება ყოვლადწმიდა მარიამისა, ანუ გარდაცვალება. ანდრიას დედაღვთისამ უთხრა - "მე მარად ვიქნები ქართველთა ცხოვრების განმგებელი. მარად შევეწევი, არავინ მტერთაგან მძლე ექმნას მათ".

ღვთისმშობლის დღესასწაულის შესახებ ნათქვამია:

ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის მიძინების დღესასწაულს ეკლესია აღასრულებს ყოველწლიურად, "რამეთუ იგი უკუე უაღრეს არს ყოველთა ბუნებასა ანგელოსთა და კაცთასა იგი არს კვერთხი, რომლისაგან აღმოსცენდა ყვავილი ქრისტესი, მისთვის თქვა წინასწარმეტყველმან: აჰა, ქალწულმან მუცლად იღოს და შვეს ძე". მრავალ დღესასწაულს აღვასრულებთ ღვთისმშობლის მოსახსენებლად, მაგრამ მიძინების დღესასწაული ყველას აღემატება - "რამეთუ მიიცვალა იგი ცხოვრებად არა მხოლოდ სულითა, არამედ ხორცითაც", ის, ვითარცა ილია წინასწარმეტყველი, ხორცეულად ამაღლდა ზეცად.

დედა ღვთისამ 15 წლის ასაკში შვა ძე თავისი და ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე. უფლის ჯვარცმისა და ამაღლების შემდგომ ცხოვრობდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში და მიიცვალა ანუ

მიიძინა მოხუცებულმა. მიძინებისას ღვთის განგებით მასთან შეიკრიბა ყველა მოციქული თომას გარდა. ის დაკრძალეს გეთსამანიის ბაღში, დაფლვის შემდეგ, მესამე დღეს მოვიდა თომა მოციქულიც, რომელიც დიდად წუხდა დაკრძალვაზე არ ყოფნის გამო, სურდა საფლავის ხილვა, მივიდა სხვა მოციქულებთან ერთად მის საფლავზე და "ვერა პოვეს გვამი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა, მაშინ ყოველთა რწმენა, რამეთუ ხორცითა საკვირველთა განგებითა ღვთისათა, საფლავისაგან ზეცისა სუფევასა აღიყვანა".

როგორც ითქვა 28 აგვისტო (მიძინება) დღესასწაულია კიმოთესუბნისა, ამ დღეს აქ ჩატარდება მღვდლის მიერ ლიტურგია, წირვა, ხოლო ჩვენ ვარძიაში ვწირავთ. ტაძარში წირვა-ლოცვის დაყენებისათვის უთუოდ საჭირონი არიან მგალობლები, მედავითნეები, მნათეები, ეკლესიური ადამიანები. დღეს ჩვენს საზოგადოებას მათი მოცემა არ შეუძლია, ამიტომაც ახალციხის სასულიერო სასწავლებელს დავაკისრეთ მედავითნეებისა და მგალობლების აღზრდა. რაიონის ახალგაზრდებს ქალებსა და ვაჟებს სიამოვნებით მივიღებთ ჩვენ სასწავლებელში.

ისტორიულად თორი - მესხეთის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, რამეთუ ამ კუთხიდან იყო მესხეთის მმართველი ერისთავების საგვარეულო - თორელ-ციხისჯვრელები. მათ საუკუნო სავანეს წარმოადგენდა ეს წმიდა ტაძარი, შალვა ახალციხელი, ერთ-ერთი ქტიტორი ამ ტაძრისა, რომლის ხსენებაც რამდენიმე კვირის წინ აღვნიშნეთ, წმიდა მოწამეა რომელმაც თავი დადო თავისი ერისათვის.

ჯალალედინთან ომის დროს მტერს შეერკინა მესხთა მოწინავე ლაშქარით, მაგრამ მხარგრძელთა ღალატის გამო შეიპყრეს, შალვამ არ უარყო ქრისტიანობა, მტკიცედ დაიცვა სარწმუნოება უსასტიკესი ტანჯვის მიუხედავად. დღეს გახარებულია მისი სული, ისევე, როგორც ამ ტაძარში ასწლეულობით მოღვაწე ბერთა და მონაზონთა სულები, რამეთუ აღსდგა ღვთისმსახურება.

დიდება უფალს.

გაზეთი "ბორჯომი", 28.VIII.1992 წ.

ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

„მეგრელთა სისხლი სწყუროდათ..."

ეს გარდაცვლილი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი აფხაზებს მომეტებული ყურადღებით ეპყრობოდა, მაგრამ აფხაზ-აფსუათა მიერ გაგრა-ლესელიძის დალაშქვრისას ქართველთა მიმართ ჩადენილმა სისასტიკემ სულიერად შეძრა. ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ შეხვდა უცხოელ კორესპონდენტებს, ჩამოვიდა თბილისში და საჯაროდ ამხილა ფაქტები, კერძოდ ისიც, თუ როგორ გადაუხსნეს ძარღვები ქართველ ჭაბუკებს აფხაზ-მთიელებმა, როგორ აავსეს სისხლით ჭიქა და დალიეს.

ჭიქით ქართველთა სისხლის სმის ამბის მოსმენისას უნებლიედ გვახსენდება ორასი წლის წინანდელი ჩვენი მე-18 საუკუნის მგოსანი ბესიკი, რომელიც ასევე აღწერდა აფხაზეთში ქართველთა სისხლის სმას, ოღონდ არა ჭიქით, არამედ გობით.

ეს ასე ყოფილა მე-17, მე-18 საუკუნეებში: აფხაზეთის მთავარს ქართველთა წინააღმდეგ საომრად მოუწვევია ჩრდილოკავკასიური ტომები, ყირიმელი თათრები, ჯიქელნი, ადიღები, ყივჩაღები (ბესიკის დროს "ყივჩაღებს" უწოდებდნენ კავკასიურ თურქულენოვან ტომებს), სწორედ მათ აფხაზებთან ერთად გადაუწყვეტიათ ქართველთა სისხლის სმა, თუმცა პოეტს მოვუსმინოთ:

"ყირიმელთ, ჯიქელთ, ალანელთ, კერმუგელთ ამცნეს ცნობითა,
ყივჩაღთა შემოიწევდნენ, ინდობდნენ სჯულის ძმობითა,
აფხაზნი შეეფიცოდნენ ქრთამით და აგრევ ძღვნობითა,

და მეგრელთა სისხლი სწყუროდათ, თუმცა შეესვათ გობითა".

ნაცნობი სურათია. აფსუა-აფხაზები ამ ჩრდილოკავკასიელ ტომებს მაშინაც, 200-300 წლის წინაც, როგორც ახლა, იწვევდნენ შეპირებითა და ფიცით, რომ საქართველოს წინააღმდეგ ომში მონაწილეობისათვის მიართმევდნენ "ქრთამს" ანუ ფულსა და "მღვენს" (ალბათ ქართველთა ქონებასა და სახლ-კარს ზღვის სანაპიროზე), "ყივჩაღებს" კი (გენეტიკურად არამონათესავეთ) იწვევდნენ "სჯულის ძმობით", ანუ ვითარცა მაჰმადიან თანამოძმეებს ქრისტიანთა წინააღმდეგ ომში. სრული თანამედროვე სურათია, ოღონდ გადმოცემული XVIII საუკუნის პოეტის მიერ, რამეთუ იმ დროსაც აფხაზეთში იდენტური პროცესი მიმდინარეობდა (ჩრდილოკავკასიელთა ჩამოსახლება საქართველოს მთისწინეთში). ბესიკი იქვე, თავის პოემა "რუხის ომში" წერს, რომ ჩვენს მიწა-წყალს მისეული ეს ინტერვენტები იყვნენ "ექვსნი გვარისანი" და ისინი "ექვს ენითა ერთხმაობდნენ ბევრის ბევრად" (ახლაც თითქმის "ექვსი გვარის" ტომები ესევიან საქართველოს - რუსკაზაკები, თურქი მოქალაქენი, ჩეჩნები, ადიღები, ყაბარდოელები, ოსები თუ არას ვიტყვით აფხაზებზე).

ასე რომ, ისტორია სრული სახით მეორდება, ოღონდ ჯერ-ჯეროობით, როგორც ჩანს, გობი არ უხმარიათ ქართველთა სისხლის სასმელად.

თუ ვინმე ამბობს, რომ კავკასიელთა და აფხაზ მეთაურთა ომი საქართველოს წინააღმდეგ 1992 წელს დაიწყო, ვფიქრობ ცდება. თუ ასეა, მაშინ როგორ ავხსნათ "ქართლის ცხოვრების" მემატიანეების, ვახუშტისა და სხვათა მონაცემები იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოში XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან, ვიდრე XIX საუკუნის შუა წლებამდე ჩრდილოკავკასიელთა განუწყვეტელი ომი წარმოებდა პირველ რიგში სამეგრელო-ოდიშის წინააღმდეგ?

ისტორიული საზღვარი აფხაზეთსა და ოდიშს შორის, თანახმად ვახუშტისა, იწყებოდა ანაკოფიასთან (დღევანდელ ახალ ათონთან). ამ ქალაქის შესახებ ის წერდა XVIII საუკუნეში "...აწ ოხერ არს და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა. ამ ანაკოფიის აღმოსავლეთ ზღვიდამ მთამდე შევლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან აფხაზთა გამოუსვლელობისათვის". ცნობილი "აფხაზეთის კედელი" თვით "სახელოვან" ი. ვორონოვის თქმითაც კი სამეგრელოს მთავარს აუგია. ის წერს: "როგორც გამოირკვა კელასურის კედლის თავდაცვის ხაზის საერთო სიგრძე ასი კილომეტრია. მტერს ჩრდილო-დასავლეთიდან ელოდნენ. ნაგებობა მრავალ ადგილას დიდი სისწრაფითაა აგებული, ზოგჯერ კოშკებს უსაძირკვლოდ, პირდაპირ ბალახზე ან ნახევრადგადამწვარ ბუჩქნარზე დგამდნენ. თავისი მმართველობის ბოლო პერიოდში ლევანი იძულებული გახდა გადასულიყო თავისი სამფლობელოს ორგანიზებულ თავდაცვაზე, რომელიც გამოიხატა აფხაზეთის საზღვართან საფორტიფიკაციო ნაგებობების აგებითა და გამაგრებით. არქანჯელო ლამბერტი იძლევა ცნობას, რომ სამეგრელოს მფლობელებმა "ძალზე დიდი დანახარჯებით ააგეს კედელი 60 ათასი ნაბიჯის სიგრძისა", ხოლო მეორე იტალიელი მისიონერის კასტელის რუკაზე კელასურის კედლის გამოსახულებას აქვს წარწერა - "კედელი 60 ათასი ნაბიჯია. განსაზღვრულია აფხაზთა შესაკავებლად". (ი. ვორონოვი; "ვ მირე არხიტეკტურნიხ პამიატნიკოვ აბხაზიი", 1978, გვ. 104).

XVII ს. 40-50-იან წლებში აგებული ეს კედელი იცავდა სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, გალისა და ნაწილობრივ ზუგდიდის რაიონების ზღვისპირა, უხვმოსავლიან, სამიწათმოქმედო მხარეებს, რომელსაც მაშინ ოდიში ეწოდებოდა.

რატომ აიგო აღნიშნული გალავანი, რომელსაც ოდიშის თავადების გარდა ეპისკოპოსთა ჯარებიც იცავდნენ? რატომ იყო დაინტერესებული თვით ეკლესიაც კი ამ კედლის დაცვით, ვის ელოდნენ ჩრდილო-დასავლეთიდან? ელოდნენ ჩრდილოკავკასიელ მეომარ ტომებს, ესენი იყვნენ ადიღე-ჩერქეზული ტომები, მათი ერთი ნაწილი იყო აფსუები, ისინი ჩრდილოკავკასიის ველებიდან და მთებიდან სასტიკი მრისხანებით ჩამოსახლდნენ საქართველოს ამ ნაწილში, თავდაპირველად ვითარცა მოკავშირენი აფხზეთის მათავრისა. აფხაზეთის სამთავრო იმჟამად ანაკოფია-კოდორამდე ვრცელდებოდა, ადიღე ჩერქეზების (აფსუების) ტომები ჯერ აქამდე

ჩასახლდნენ, შემდეგ კი გადალახეს კოდორი და შეუტიეს სამეგრელოს, ანუ თანამედროვე სოხუმ-გულრიფშ-ოჩამჩირე-გალის რაიონებს.

ამ მხარეში XVII საუკუნეში მოხდა გასაოცარი მოვლენა, აფხაზეთის ახლადწარმოქმნილმა პატარა სამთავრომ, ორიოდე ათეულ წელიწადში გაცილებით უფრო ძლიერ და დიდ სამეგრელოს სამთავროს ჩამოაჭრა მნიშვნელოვანი აყვავებული ტერიტორიები ისე, რომ საზღვარი ანაკოფიიდან გადატანილ იქნა ქვეყნის შუაგულში, სამთავროს დედაქალაქ ზუგდიდამდე.

ეკონომიკურად, კულტურულად და საზოგადოებრივი ყოფით აფხაზეთის სამთავროს მცხოვრებნი ი. ვორონოვის მიერ ნახსენები უცხოელი მისიონერების აღწერით უკიდურესად ჩამორჩენილნი იყვნენ, მიწათმოქმედებასაც არ ეწეოდნენ, არ ჰქონდათ ქალაქები და სოფლებიც კი ჩვეულებრივი გაგებით, ამ პატარა ქვეყნის მოსახლეობაც მცირერიცხოვანი იყო, ხოლო სამეგრელო განვითარებული მიწათმოქმედების, ინტენსიური სოფლის მეურნეობის ქვეყანას წარმოადგენდა, აფხაზეთთან შედარებით მრავალრიცხოვანს, როგორც შეიარაღებით, ასევე სამხედრო ტექნიკით მოწინავეს. მაშ როგორ მოხდა, რომ პატარა სამთავრომ დაამარცხა შეუდარებლად დიდი სამთავრო?

არა აფხაზეთმა დაამარცხა ოდიში და ჩამოაჭრა ყველაზე აყვავებული მიწა-წყალი კელასურიდან ენგურამდე, არამედ ჩრდილოკავკასიურმა მრავალრიცხოვანმა ტომებმა, რომელთაც წინ აფხაზეთის მთავრები მიუძღოდნენ. არც ოდიშსა და არც მთელ დასავლეთ საქართველოს ძალა არ შესწევდა წინ აღდგომოდნენ კავკასიაში იმ დროისათვის ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნოსს-ადიღე-ჩერქეზებს. XVII საუკუნის 40-იან წლებში ლევან II დადიანის დროს ისინი გრიგალივით შეიჭრნენ სამეგრელოში აფხაზეთის გზით. მტრის შეჩერება ვერ შეძლეს სასწაფოდ აგებული უგრძესი ე. წ. "აფხაზეთის კედლით" და 60-იან წლებში მათ უკვე ეჭირათ სამეგრელოს ტერიტორია კოდორიდან ეგრისწყალამდე (ღალიძგამდე), ხოლო 80-იან წლებში ენგურამდე.

XVII-XVIII საუკუნეებში აღნიშნული მდგომარეობის გამო დაპყრობილ მიწა-წყალზე მოხდა დიდი ეთნიკური ცვლილება, გაჰქრნენ ძველი აფხაზები, ქართველური ტომი, ისტორიულ-კულტურული სახით ქართველები, მათი ადგილი თანდათანობით დაიჭირა ახალმა ეთნოსმა, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებში საკუთარ ტომობრივ-ეთნიკური სახით ჩამოყალიბდა. ის უკვე არა ქართველური, არამედ ადიღე-ჩერქეზული წარმომავლობისა და სახისა იყო. ეს საკითხი გამოწვლილვითა აქვს გამოკვლეული ნიკო ბერძენიშვილს. სამწუხაროა, რომ მისი მშვენიერი წიგნი, რომელმაც როგორღაც იხილა მზის სინათლე 1990 წელს, ფაქტობრივად მიუწვდომელია მოსახლეობისათვის.

ნ. ბერძენიშვილმა მეცნიერული სიღრმით უარყო მოსაზრება, რომ ძველი და ახალი აფხაზები ერთი ეთნიკური წარმოშობის ხალხია. ის წერს, რომ შუა საუკუნეებში აფხაზეთში მოხდა "მთის ჩამოწოლა", ანუ მთის ეთნოსის ჩასახლება აფხაზეთის ბარში. აფხაზი თავადაზნაურობა, რომელმაც ბოლო დრომდე შეინარჩუნა თავისი ქართული და ქრისტიანული სახე, შეურიგდა მომხვდურებს და მოლაშქრეებად გამოიყენა ისინი განუწყვეტელ ფეოდალურ ომებში. სამწუხაროდ, აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი-დაბალი ფენები მოისპო, ტყვედ დაიყიდა ან მონებად აქციეს. მონებს "აგირუა" ერქვათ, რაც გურულს ან მეგრელს ნიშნავს. ახლად ჩამოსახლებულებსაც - "აფხაზები" უწოდეს ქართველებმა ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხის "აფხაზეთის" სახელის მიხედვით. ნ. ბერძენიშვილი ძველ აფხაზებზე წერდა - "როგორც ფეოდალური ქვეყანა, აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერნი, როგორც ქართლი და ქართლელი". ახალი აფხაზები კი, როგორც ითქვა, უკვე არაქართული ტომები იყო, აფხაზობა უკვე არაქართველობაა. გააფხაზება - ეროვნების დაკარგვის ტოლფასია. მეცნიერი წერს: "აფხაზი თავად-აზნაურობა შეურიგდა შექმნილ ვითარებას და დაიწყო "გააფხაზება" (დასახ. ნაშრ. გვ. 610). აფხაზეთში მთის ტომის მიერ შემოტანილი პრიმიტიული საზოგადოებრივი ყოფა, ახალი აფხაზების სოციალური უპირატესობა მიმზიდველი ჩანდა ბატონყმურ უღელქვეშ მყოფ საქართველოს სხვა კუთხეთა გლეხებისათვის - "ბატონყმობაში სულამოხდილი გლეხობა (არა

მარტო ზღვისპირეთის) მიეტანა აფხაზობას, აფხაზეთი ყველა ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი გლეხების თავშესაფარი გახდა. და შეიქმნა ახალი აფხაზეთი" (იქვე, გვ. 610). "აფხაზეთში გაბატონებული ახალი ყოფა რომ სასურველი იყო ფეოდალურ უღელში ჩაბმულ საზოგადოებისათვის, კარგად ჩანს იქიდან, რომ XIX საუკუნეში სამეგრელოს მოსახლეობა მნიშვნელოვანი რაოდენობით გადადის აფხაზეთში და იქ "აფხაზდება" მხოლოდ იმიტომ, რომ მას ეს სოციალურად ათავისუფლებს" (გვ. 616).

დამონებასა და დატყვევებას გადარჩენილმა მკვიდრებმა იმის შემდეგ, რაც ქვეყანას ახალი პატრონი მოევლინა, გააფხაზება დაიწყო. ერთი მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ ჩრდილოკავკასიელთა მიერ დაპრყობილ ვრცელ ტერიტორიაზე მთებიდან ენგურამდე მცხოვრები მკვიდრნი უაღრესად შეშინებული და თავზარდაცემულნი იყვნენ, მომხდურთა გასაოცარი სისასტიკით. მათგან თავდაცვის ყველაზე უკეთესი გზა - მათ თანამეტომედ თავის გამოცხადება, მათი ენისა, რელიგიისა და წეს-ჩვეულებების გათავისება იყო. შემოსეულთა სისასტიკეს ადასტურებენ ევროპელი მისიონერები და მოგზაურები. ჟან შარდენის ცნობით, სამეგრელოს 40 000-იანი მოსახლეობა 1640-იანი წლებიდან სულ რაღაც 30 წლის განმავლობაში განახევრებულა და ოცი ათასამდე შემცირებულა. ვახუშტი წერს - "იყო ჭირი ოდიშს, ვითარცა აღვწერეთ უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელით, სტყვევნიდიან, დაიპყრეს ეგრისის მდინარემდე და დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას ეპისკოპოსნი"... "ოდიშის ჭირი" არანაკლები იყო "ქართლის ჭირზე" - "კვლითა და ყიდვითა ტყვისათა უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ლაშქრად და აოხრებდიან ქვეყანათა ავაზაკობითა და ცხადად" (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 354). ევროპელი მისიონერი წერდა: "სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, დაქცეული და აოხრებულია, კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზეთის შიშია". ოდიში გაუდაბურდა.

საკუთრივ აფხაზებს ადიღური ტომები უფრო ადრე შემოესივნენ. 1533 წლის იანვარში აფხაზეთში შემოჭრილ ჯიქებს შეებრძოლნენ მამია გურიელი და მამია დადიანი ეპისკოპოსებთან ერთად. სამწუხაროდ, გაგრასთან ომში 31 იანვარს ქართველები დამარცხდნენ. გაგრის მარცხის შემდეგ მტერს გზა გაეხსნა ბიჭვინთისაკენ, რომელიც იმ დროისათვის დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა. აქ უკვე VIII საუკუნიდან ქართული წირვა-ლოცვა იყო გაჩაღებული. შემოსევის გამო საკათალიკოსო ტახტი გელათში იქნა გადატანილი, ხოლო საეკლესიო განძი, ნაგროვები ათასი წლის მანძილზე, მთიელებმა დაიტაცეს. XVII საუკუნეში შემოჭრილმა მთიელი ტომების ტალღამ უმოწყალოდ მოსპო ქართულენოვანი საეპისკოპოსოები დრანდისა, მოქვისა, ბედიისა და სხვა ეკლესია-მონასტრებისა. აი, რას წერს ერთი თანამედროვე მკვლევარი ამ მთიელი ტომების ეთნიკური კუთვნილების შესახებ - "აფხაზებს შემორჩათ ბუნდოვანი წარმოდგენები მათი წინაპრების ამ მიწაზე საიდანღაც (ეტყობა დღევანდელი ადიღედან) მოსვლის შესახებ... იმათი მნიშვნელოვანი ნაწილი, ვინც თავის თავსა აფხაზებს უწოდებს, უნდა მივიჩნიოთ ამ სულ ცოტა ხნის წინანდელი ჩრდილოელი დამპყრობლების შთამომავლებად" (რ. ევდოკიმოვ-ვოლგაკი "აფხაზეთის..."გაზ. "სახ. განა." 29. XI. 89).

ყველა უცხოელი მეცნიერი XIX საუკუნის მიწურულამდე იმ ხალხს, რომელსაც ქართველები "აფხაზებად" იხსენებენ - ჩერქეზებს ანდა აბაზებს უწოდებს, მხოლოდ ქართველები უწოდებდნენ მთებიდან აფხაზეთში ჩამოსახლებულ სხვადასხვა ტომებს (ჯიქებს, ჩერქეზებს, აბაზებს, აფსარებს ანუ აფსუებს) - აფხაზებს. მაგალითად, ქათიბ ჩელების ცნობით - "ჩერქეზების საზღვარი სამეგრელოა" მისი აზრით "აბაზა" და "ჩერქეზი" ერთი ხალხია. ის წერს - "აბაზა არაა ქართველი, მეგრელი და დადიანი კი ნამდვილი ქართველია". მას გაუგონია გადმოცემები აბაზების უცხო მხრიდან მოსვლის შესახებ, მოჰყავს შესაბამისი ლეგენდა და ასკვნის - "ჩერქეზები და აბაზები ამ სამი ტომიდან გავრცელდნენ" ("ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ", 1978, გვ. 132).

ახალი აფხაზების ეთნიკური კუთვნილების შესახებ წერენ ევროპელებიც: სპანსერი მათ პირდაპირ "ჩერქეზებს" უწოდებს. მის დროს ბიჭვინთა უკვე მათ მიერ იყო დაჭერილი. ბამბორი -

ლიხნი, მისი აზრით, ჩერქეზეთის შუაგულია, შერვაშიძე - ჩერქეზების ტომის მთავარია". 1866 წ. აჯანყების შემდეგ რუსეთის მთავრობამ ეს ახალი აფხაზები თურქეთში გაასახლა. აღსანიშნავია, რომ გასახლებულნი და მათი შთამომავალნი თავიანთ თავს არა "აფხაზებს", არამედ "ჩერქეზებს" უწოდებდნენ. თურქეთის ოფიციალური სტატისტიკითაც ისინი აღირიცხნენ არა აფხაზებად, არამედ ჩერქეზებად. მხოლოდ ქართველები უწოდებდნენ აფხაზეთის ახალ მოსახლეთ "აფხაზებს", როგორც ეს უკვე აღინიშნა, სწორედ ქართველების გავლენით უწოდეს მათ რუსებმა "აფხაზები", რუსების გავლენით კი ევროპელებმაც. აფხაზების ნამდვილი ეთნიკური კუთვნილების შესახებ შესანიშნავად იციან ჩრდილოკავკასიურმა ტომებმა. სწორედ ამიტომ ეხმარებიან ამჟამად ისინი აფხაზებს, ვითარცა თანამეტომეებსა და თანამორწმუნეებს, გამომდინარე აქედან, აფხაზთა, ანუ აფსუა-აფსართა და ჩრდილოკავკასიელთა ქმედება აფხაზეთში მიზანმიმართულია, წინასწარდასახული და დაგეგმილი. მათი შორს გამიზნული სტრატეგია ითვალისწინებს იმ დანაკლისის ანაზღაურებას, რომელიც ადიღურ-ჩერქეზულ ტომებს კავკასიაში რუსების დამკვიდრების გამო მოუვიდათ. როგორც ცნობილია, კავკასიის ეს უდიდესი ტომი რუსეთის იმპერიამ თითქმის განადგურებამდე მიიყვანა. ამჟამად ჩრდილოკავკასიაში, ისტორიულ სამშობლოში მათი რიცხვი უმნიშვნელოა და იქ ამჟამად რუს-კაზაკები არიან დასახლებულნი (კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები). ამ მიზეზების გამო ჩერქეზების სახელმწიფოს აღდგენა ჩრდილო კავკასიაში ჯერჯერობით შეუძლებელია, სამაგიეროდ საქართველოს სუსტი სახელმწიფოს ნაწილ - აფხაზეთში მათ ეს შესაძლებლად მიაჩნიათ. მათი აზრით, საქართველო ვერ გაუძლებს თურქეთში მცხოვრები ასეული ათასი ჩერქეზის, მათი ჩრდილოკავკასიელი თანამეტომეების აფხაზეთში შესევას, მათ კაზაკებიც სიამოვნებით დაუჭერენ მხარს, რადგანაც აფხაზეთში ჩერქეზული სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებში მცხოვრები მცირერიცხოვანი ადიღე-ჩერქეზები აფხაზეთში გადასახლდებიან. ეს კი კაზაკების ოცნებაა. რაც შეეხება აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს, აფხაზთა მეთაურების ფიქრით ისინი აფხაზებად ჩაეწერებიან, როგორც ეს პროცესი ადრეც მოხდა ქართველთა გააფხაზების სახით.

ზემოთ მოყვანილიდან და აფხაზეთში ამჟამად შექმნილი ვითარებიდან კარგად ჩანს, თუ ვინ არიან ინტერვენტები და ქვეყნის დამპყრობნი, მაგრამ უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი სხვაგვარად სახავენ ვითარებას. ცხადია, ამჟამად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, აფხაზების წინაპრები მკვიდრნი არიან თუ ჩამოსახლებულნი, მათ აქვთ და ყოველთვის ექნებათ ყოველგვარი სამოქალაქო უფლებები, თანაბრად საქართველოს ამ კუთხის სხვა მოსახლეებისა, მაგრამ მათ სწორედ ეს გათანაბრება არ სურთ.

მოსკოვის რადიო შარშან, 26 ოქტომბერს ასე გადმოსცემდა აფხაზეთში არსებულ ვითარებას - "მართალია, ქართველებს აქვთ რიცხობრივი უპირატესობა და ტექნიკის სიჭარბე, მაგრამ აფხაზთა მხარესაა მორალური უპირატესობა თავისი მიწისათვის მებრძოლი ჯარისკაცისა, რომელთაც ჩრდილოკავკასიელებიც ეთანხმებიან სამართლიან ომში". მაშასადამე, ქართველები არიან სხვისი მიწის დამპყრობნი, უსამართლო ომის გამჩაღებლები და ამის გამო მორალურადაც დაცემულნი.

ამ საკითხში, მართლაც, საჭიროა მეტი სიცხადის შეტანა. ომის სამართლიანობის საკითხში ჯარისკაცს უნდა ჰქონდეს სრული სიცხადე. რაიმე ეჭვი დამღუპველია. არათუ ახლა, არამედ XII საუკუნეშიც კი თავისი სახელმწიფოს უდიდესი სიძლიერის დროს ქართველ ჯარისკაცს ხმალი არ დაუძრავს სხვისი მიწის დასაპყრობად. ასეა ახლაც.

ხშირად გამოუთქვამთ წუხილი იმის შესახებ, რომ ინფორმაციულ ომში ქართული მხარე დამარცხდა, რუსეთსა და უცხოეთში საინფორმაციო საშუალებები აფხაზებს უჭერენ მხარს. ამაში ბრალი არა აქვთ ქართველ ჟურნალისტებს. ინფორმაციული ომი არა ახლა, შარშან და წელს წავაგეთ, არამედ მაშინ, წინა წლებში, როცა არ გავიზიარეთ სიმართლე, გამოთქმული პ. ინგოროყვასა და ნ. ბერძენიშვილის მიერ აფხაზთა ეთნიკური წარმომავალობის შესახებ.

“ლეონის ორდენი”, რომელიც არძინბას დაუწესებია, როგორც “აფხაზეთის სახელმწიფოს” უმაღლესი ჯილდო, პირველ რიგში ეკუთვნით იმ ქართველთ, რომელნიც წერენ VIII საუკუნეში “აფხაზი ეროვნების” არსებობისა და მისი არაქართველობის შესახებ, ცხადია, მათი აზრით VIII საუკუნეში მოღვაწე აფხაზთა მეფეები ლეონ I და ლეონ II არაქართველები იყვნენ, სწორედ ამგვარ მეცნიერულ საფუძვლებზე დგას არძინბას იდეოლოგიური სიცრუის მანქანა.

გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა”, 17. III. 1992 წ.

ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

მირონის კურთხევის შესახებ

ბახალ ქართულ მეცნიერებაში დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ ქართულმა ეკლესიამ მირონის კურთხევის უფლება მიიღო IX საუკუნეში, მართლაც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში წერია, რომ მირონის კურთხევის ნება იერუსალიმის პატრიარქს გამოსთხოვა ეფრემმაო.

ძველ ქართულ მწერლობაში კი სხვაგვარი აზრი იყო დამკვიდრებული, კერძოდ, მირონის კურთხევის ნება ქართულმა ეკლესიამ მიიღო ქალკედონის კრების - 451 წლის შემდეგო.

ძველადვე, ეკურთხებოდა თუ არა ქართულ ეკლესიაში მირონი? ამ საკითხის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი მდგომარეობა იყო ამ მხრივ მეზობელ სომხეთსა და ალბანეთში, ეკურთხებოდა თუ არა ჩვენს უშუალო მეზობელ ეკლესიებში მირონი ძველთაგანვე.

სომხურ ისტორიოგრაფიაში შემონახული ცნობების თანახმად ქართველი ხალხი და სამღვდელოება ქართული ეკლესიის ღირსებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ალბანური ეკლესიის ღირსებას, ამიტომაც როდესაც რაღაც მიზეზის გამო სომხეთის პატრიარქმა ალბანეთის ეკლესიას უპირატესობა მისცა ქართულ ეკლესიასთან შედარებით და ალბანური ეკლესია ქართულ ეკლესიაზე წინ დააყენა, ეს ქართველმა მამამთავარმა იუკადრისა და უხტანესის მიერ შეგროვილი ცნობების თანახმად სრულებით გაწყვიტა კავშირი სომხურ ეკლესიასთან. ამის შესახებ ალბანელი ისტორიკოსი მოსე კალანკატუელი წერს, რომ სომხეთის “...მთავარმა საეკლესიო მოღვაწეებმა, სომხეთის ამპარტავანი ხასიათის მიხედვით, თვითნებული სურვილით განაწესეს აბრაამი პატრიარქად, ალბანელი - არქიეპისკოპოსად, ქართველი - მიტროპოლიტად, აღშფოთდა ქართველი, რომელსაც კირიონი ერქვა და საწინააღმდეგო კამათი დაიწყო. ხოლო წმიდა მამამთავარი აბრაამი ამბობდა, რომ ალბანელები ქართველებზე ადრე იყვნენ ქრისტიანები და მთავარეპისკოპოსობა მათ შეეფერებათო (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა სომეხთაგან ქართველთა. კომენტარი გვ. 365).

ქართული ეკლესიის პატივისა და ღირსების დამცირებად მიიჩნიაო ქართულმა ეკლესიამ ალბანეთის ეკლესიაზე უფრო დაბალ საფეხურზე დაყენება. ასეთი თვალსაზრისი არა მარტო მოსე კალანკატუელს, არამედ ძველ სომეხ ისტორიკოსებსაც ჰქონდათ, ამას ზოგიერთ წრეში საეკლესიო განხეთქილების მიზეზად მიიჩნევდნენ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ ეკლესიას თავისი ღირსება და პატივი ალბანურ ეკლესიაზე ნაკლებად არ მიაჩნდა, ქართულ ეკლესიას თავისი ღირსება არც სომხურ ეკლესიაზე ნაკლებად მიაჩნდა, ამიტომაც თუკი სომხურ, ანდა ალბანურ ეკლესიებში მირონს აკურთხებდნენ, მაშინ აუცილებლად ქართულ ეკლესიაშიც აკურთხებდნენ მირონს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა სრული არ იქნებოდა და ვეღარც შეედრებოდა თავისი პატივითა და ღირსებით იმ ეკლესიებს (ამ შემთხვევაში ალბანეთისა და სომხეთისას), რომელთაც მირონის კურთხევის უფლება ჰქონდათ მოპოვებული.

ალბანეთის ეკლესიას, მოსე კალენკატუელის თანახმად, მირონის კურთხევის უფლება არა თუ IX საუკუნემდე ჰქონია, არამედ VI საუკუნეშიც. უფრო მეტიც, ამ დროს ალბანეთის ეკლესია სივნიეთის ეკლესიასაც კი აძლევდა მირონს. მოსე კალანკატუელი თავისი "ალბანეთის ისტორიის" 48-ე თავს ასე ასათაურებს "...სივნიელთა მოქცევა სომეხთაგან ალბანეთისაკენ და ხელდასხმა და ზეთის მათგან მიღება" (იქვე, გვ. 361).

უხტანესი ამ მდგომარეობას ასე ხსნის: "...სომხეთი სპარსელებსა და ბერძნებს ჰქონდათ ერთმანეთში გაყოფილი... გაყოფილი საპატრიარქო საყდარი უარყვეს სივნიეთის უფლებმა და წინააღმდეგობის გამო არ დათანხმდნენ რომელიმეს დამორჩილებოდნენ პეტრე ეპისკოპოსის ბრძანებით, რომელმაც... უბრძანა თავის სამწყსოს ხელდასხმა, მირონის კურთხევა ალბანელთაგან მიეღოთ, სანამ წმიდა გრიგორის საპატრიარქო საყდარი გაერთიანდებოდა. ამ დროიდან აქამდე ხელდასხმასა და მირონს სივნიელები ალბანელთაგან იღებდნენ..." (იქვე, გვ. 187).

აქედან ჩანს, რომ როგორც ალბანელი მოსე კალანკატუელის, ისე სომეხი უხტანესის მიხედვით ალბანეთის ეკლესია თვითვე აკურთხებდა მირონს ჯერ კიდევ სომხეთის საკათალიკოსოს ორად გაყოფამდე. სომხეთის საკათალიკოსო ორად გაიყო VI საუკუნის დასასრულს. იოანე კოგოვიტელი, გაყოფის დროინდელი სომეხი ქალკედონიტი კათალიკოსი 590-611 წლებში ზეობდა. ალბანეთის ეკლესია VI საუკუნეში მირონს აკურთხებდა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კი მირონს სხვა ეკლესიასაც აწოდებდა.

ზ. ალექსიძე წერს: "მოსე კალანკატუელის გადმოცემით, როცა სომხეთის საკათალიკოსო ორად გაიყო VI-VII საუკუნრრბის მიჯნაზე იოანესა (ქალკედონიტი) და მოსეს (მონოფიზიტი) შორის სივნიეთის მმართველებმა არც ერთი აღარა სცნეს და ხელდასმისათვის ალბანელთა კათალიკოსებს მიმართავდნენ ხოლმე. ალბანეთიდანვე იღებდნენ მირონს, სანამ აბრაამმა არ გააერთიანა ორივე საყდარი". (არსენი საფარელი, განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა, გვ. 124). აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ ალბანეთის ეკლესიას მირონის კურთხევა VI საუკუნეშიც შეეძლო, ქართულ ეკლესიასაც ასეთივე უფლება ექნებოდა, რადგანაც ქართულ ეკლესიას ალბანურ ეკლესიაზე ღირსეულად და მეტი პატივის მქონედ მიაჩნდა თავი.

სომხეთის კათალიკოსისადმი კირიონ ქართველთა კათალიკოსის მიერ გაგზავნილი წერილებიდან ჩანს, რომ ქართულ ეკლესიას თავისი თავი სომხური ეკლესიის თანასწორ და თანატოლ ეკლესიად მიაჩნდა.

ჰქონდა თუ არა სომხურ ეკლესიას მირონის კურთხევის უფლება?

ჰქონდა, რადგანაც VII საუკუნის დასაწყისში, საპატრიარქო ტახტზე ასვლისთანავე კათალიკოსმა აბრაამმა მირონი აკურთხა. უხტანესი აღწერს კიდეც თუ რა არის მირონი და როგორი წესით აკურთხებენ მას.

სომეხმა იერარქებმა - წერს უხტანესი - კრების დამთავრების შემდეგ "...ისიც კანონიერად მიიჩნიეს, რომ შევედრებოდნენ თავიანთ მამამთავარს, ეკურთხა და მათთვის მიეცა საცხებელი ზეთი, ესე იგი მირონი, რომლითაც სცხებენ და ნათლავენ... რადგანაც მოსეს შემდეგ არავის უკურთხებია საცხებელი ზეთი... შეუდგა მწუხრის მსახურებას ფსალმუნებით, კურთხევითა და სულიერი გალობით დღის საიდუმლოს შესაფერისად კითხვით გაათიეს ღამე და მთელი დღე მღვიძარედ ღმერთისსა მიმართ ლოცვაში, ვიდრე აღსრულდებოდა ყველა საიდუმლო ღმერთის სადიდებლად. ხოლო მეორე დღეს გაუნაწილა მამამთავარმა კურთხევის ზეთი..." (უხტანესი, გვ. 113).

უხტანესი წერს, რომ VI საუკუნის ბოლოს, კათალიკოსმა მოსემ (574-604) აკურთხა მირონი, ხოლო მეშვიდე საუკუნის დასაწყისში აბრაამმა.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, საქართველოს მეზობელი ეკლესიები სომხეთი და ალბანეთი მირონს აკურთხებდნენ VI-VII საუკუნეებში და ალბათ V საუკუნეშიც, ამიტომაც მათი თანატოლი-თანაფარდი, მათთან საეკლესიო კავშირში მყოფი ქართული ეკლესიაც მირონს აკურთხებდა VI-VII საუკუნეებში. თუ თანაბარი ღირსების სამი ავტოკეფალური ეკლესიიდან,

რომელნიც “საეკლესიო ერთობას” ჰქმნიდნენ, ორი მირონს აკურთხებდა, მაშინ მესამეც აკურთხებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული ეკლესია ნაკლები ღირსებისა და პატივისა იქნებოდა და არც არავითარი პატივი ექნებოდა ალბანურ ეკლესიასთან შედარებით.

ქართული წყაროების მიხედვით ქართული ეკლესია V საუკუნეშივე მირონს აკურთხებდა. მოღწეულია კიდეც, როგორც ჩანს იმ დროის მირონის კურთხევის ტექსტი, რომელიც შევსებულია შემდგომ საუკუნეებში, მასში ჩამატებულია ახალ საუკუნეთა ატრიბუტები, ამიტომაც ახალი დროის დოკუმენტად მიიჩნევა. ასევე ეფრემ მცირე თავის შრომაში წერს, რომ მირონის კურთხევის ნება ქართულ ეკლესიას მიენიჭა V საუკუნეშიო, ის აღწერს თუ როგორ და რა დროს მიენიჭა ქართულ ეკლესიას მირონის კურთხევის ნება.

ეფრემ მცირე ასე აღწერს ამ პროცესს: წმიდა ნინოს დროსო ქართული ეკლესია დაამყარა ევსტათი ანტიოქიელმა პატრიარქმა. გადაწყდა, რომ მირონი ქართულ ეკლესიას მიეღო ანტიოქიის საპატრიარქოდან, იმის გამო რომ იმ დროს, IV საუკუნეში, მირონს მხოლოდ ანტიოქიის საპატრიარქო ამზადებდა და აკურთხებდა, მირონის შესასყიდად ქართველებს ანტიოქიისათვის უნდა ეძლიათ ათასი კომლის გადასახადი, მცირე ხნის შემდეგ ანტიოქიამ ათასი კომლის გადასახადის ნაცვლად ითხოვა ათასი დრაჰკანი ყოველწლიურად. მალე ანტიოქიამ ბერძენთა მეფის შუამავლობით ქართველთა ათასი დრაჰკანი გადასცა იერუსალიმის საპატრიარქოს. ახლა უკვე მირონის შესასყიდი თანხა ქართველებს იერუსალიმისათვის უნდა ეძლიათ.

ზემომოყვანილი აღწერის შემდეგ ეფრემ მცირე წერს: “აქა დაგვიშთა საძიებელი კურთხევა მიჰრონისა და ამისდა ცნობად... ვპოვე საზოგადოდ ყოველთათვის ვითარმედ ქალკიდონისა კრებასა ესმა, რომელ სიძვირისათვის ფასით ჰყიდდეს მიჰრონსა, ამისთვის ბრძანეს წმიდათა მამათა, რაითა არა ხოლო ანტიოქიას, არამედ სხვათაცა ეკლესიათა შინა წმიდა იქმნებოდეს მიჰრონი. ხოლო თვისაგან ქართველთა საგონებელ არს ვითარმედ სიშორისათვის გზისა და რომელ ფრიად საშიშ არს უცხო თესლთა შორის ხმელით ანტიოქიით ქართლს წარღება წმიდისა მიჰრონისა, ამისათვის თვით ადგილსა დაწესებულ არს მათდა კურთხევა მიჰრონისა” (ეფრემ მცირე, “უწყება მიზეზსა ქართველთა”... გვ. 10, 1959 წ.).

ეფრემ მცირეს აზრით, მირონის საქართველოშივე კურთხევის გზა ასეთი ყოფილა - IV საუკუნეში მირონს ანტიოქიიდან ვყიდულობდით. შემდეგ მალევე IV საუკუნის ბოლოს ან V საუკუნის დასაწყისში მირონის საყიდელ თანხას იერუსალიმს ვუხდიდით, V საუკუნეშივე 451 წლის ქალკედონის კრების შემდეგ ყველა ეკლესიას და მათ შორის ქართულ ეკლესიასაც ნება მიეცა ადგილზე მირონის კურთხევისა, ასეც რომ არ ყოფილიყო, სიშორისა და გზის სიძნელის გამო მირონის ტრანსპორტირება ძალზე ძნელი იყო. ასე რომ, ეფრემის თანახმად, საქართველოში მირონი V საუკუნიდანვე ეკურთხება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ძველთაგანვე დამკვიდრებული იყო ტრადიციული გადმოცემა, რომლის თანახმადაც მირონი გადმოედინებოდა სვეტიცხოვლიდან ანუ ცხოველმყოფელი ხის გადანაჭრიდან მცხეთაში. ამიტომაც, როცა არსენი იყალთოელი იმეორებს ეფრემის ცნობას “...სასყიდლად ნივთთა წმიდისა მიჰრონისათა ეკლესიასა ანტიოქიისასა... დრაჰკანი ათასი” (იხ. ქართ. ლიტ. ძეგლები, გვ. 393). ამ დროს არსენი დარწმუნებულია, რომ არა თვით მირონს ყიდულობენ ქართველები, არამედ მირონის შემზადებისათვის საჭირო სურნელოვან, არომატულ ნივთიერებას, ხოლო თვით მირონის შეზავება-კურთხევა და დამზადება საქართველოში ხდება, აღნიშნულ ძველ სლავურ ანტიოქური ქრონოგრაფის თარგმანშიც წერია “წმიდა მირონის არომატის შესაძენად” და არა წმიდა მირონის შესაძენად (ეფრემ მცირე - ”უწყება...” გვ. 10). ქართველები თითქოსდა მირონის შეზავებისათვის საჭირო ნივთიერებას, არომატს ყიდულობდნენ, სინამდვილეში კი ესეც “არასრული ავტოკეფალიის” მომხრე ბერძენთა შეთხზული თეორიაა.

მირონის კურთხევის წესი ასეთი ყოფილა: “ოდეს მეფე, ათაბაგი, ქართლისა ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერისთავნი და ყოველნი მღვდელმოძღვარნი შემოკრბენ მცხეთას დიდსა

ხუთშაბათსა - დიდისა სომხეთისა მიტროპოლიტსა მართებს ნივთთა ზედა დგომად. და ქვაბნი საკურთხეველთად გამოიხვნენ და მიტროპოლიტსა და ქადაგსა ეტვირთნენ კეტი ქვაბთანი. წინათა კეტთა მიტროპოლიტი შეუდგეს და უკანათა ქადაგი. თუ მწირველი იყოს თეთრითა შესამოსლითა შემოსილ იყოს თუ მწირველი არა იყოს, თეთრისა ატლასისა ჩაჩი თავსა ეხუროს მოყუნტუზვილი და მეორეთა ქვაბთა მთავარ - ეპისკოპოზი ქვეშა უდგეს და წინა მივიდოდეს და უკანათა კეტთა მაწყვერელი და უკანა მთავარეპისკოპოსი მიჰყვებოდეს. და რაჟამს განაზავებენ ტაკუკსა, ტაკუკი მაწყვერლსა ეტვირთოს და რაჟამს განაზაონ, ტაკუკი ქადაგისა ხელითა დაიბეჭდვიდეს. და ყოველთა ეპისკოპოსთა თითო კოკა მირონისა ეტვირთოს...” (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 47.).

ამავე დოკუმენტში მოხსენებულია მეფე არჩილი და კათალიკოსი მიქაელი, მეფე არჩილი დავალებას აძლევს საეკლესიო პირს მიქაელს, შეადგინოს მირონის კურთხევის განგება, რასაც გარკვეული დროის შემდეგ ასრულებს მიქაელი, ის იძიებს, ირკვევს მირონის კურთხევის წესს და ადგენს განგებას მირონის კურთხევის ძველი “ნიშნის” შესაბამისად, ხოლო დოკუმენტის გამოცემის დროს ის უკვე კათალიკოსია.

“დიდნი შფოთნი და ამბოხნი იქმნებოდეს ეფისკოპოსთა ცოლობისაგან და ღმერთივ - გვირგვინოსანმან მეფემან არჩილ არა სათნო იჩინა ამათ შფოთთა ქმნად და გვიბრძანა გაჩენად, ვითა ნიშანთა შეეტყვებოდა და ხელვყავით მე, გლახაკმან მიქაელ ქართლისა კათალიკოზმან და ვაკურთხეთ წმიდა მირონი...” (“კურთხევა მირონისა” ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 47).

ჩანს, რომ ეს დოკუმენტი მირონის კურთხევისა შედგენილია IX საუკუნემდე. ამიტომ აზრს, რომ ქართულმა ეკლესიამ მირონის კურთხევის ნება მიიღო IX საუკუნეში, ეს დოკუმენტი აბათილებს. არსებობს მოსაზრება, რომ ეს დოკუმენტი არის “ნატყუარი”, უნდა ითქვას, რომ “ნატყუარი” სიგელი ანდა დოკუმენტი შეიძლებოდა შეედგინათ რამე კერძო მცირე ადგილ-მამულის და მსგავსთა თაობაზე, რომლის შემოწმება საერთო-სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივი ინტერესს არ წარმოადგენდა, მაგრამ მირონის კურთხევის საერთო სახალხო-სახელმწიფო მნიშვნელობის ცერემონიალში მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მეთაური - მეფე, ქვეყნის ყველა პროვინციათა მმართველი ერისთავები, კათალიკოს-ეპისკოპოსები, მუშაობდა მთელი სახელმწიფო და საეკლესიო აპარატი, იმართებოდა საგანგებო დარბაზობა, ამ დარბაზობაზე ერისთავები და ეპისკოპოსები სხდებოდნენ მტკიცედ განსაზღვრული წესით და რიგით და ნუთუ ისინი “ნატყუარ” დოკუმენტს იჭერდნენ ხელში და იმის მიხედვითა აკურთხებდნენ მირონს, დარბაზობაზე კი დგებოდნენ და სხდებოდნენ? “ხელმწიფის კარის გარიგებიდან” სრულებით აშკარად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასეთი სახელმწიფოებრივი ცერემონიის დროს საგანგებო წესების დაცვას. ასეთივე სახის დოკუმენტია “კურთხევა მირონისა”.

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ მირონის კურთხევას ემღვნებოდა საგანგებო დარბაზობა და ამ დარბაზობაზე ეპისკოპოსები სხდებოდნენ დადგენილი წესით, რომლის რღვევა და შეცვლა მხოლოდ მეფისა და კათალიკოსის ჩარევით შეიძლებოდა. “მირონის კურთხევის” აღნიშნული დოკუმენტი ხელთ ჰქონიათ ერეკლე II და ანტონ კათალიკოსს და მის მიხედვით განუსაზღვრავთ ნინოწმიდელი ეპისკოპოსის პატივი და ადგილი დარბაზობის დროს. ეს დოკუმენტი ერეკლე II და ანტონ I მიაჩნდათ იმ დროის შედგენილად, როცა ქალაქი ტფილისი არ იყო სამეფო ანუ სატახტო ქალაქი. ამ დოკუმენტის შედგენის დროს სამეფო ქალაქი ყოფილა ნისანი და ქუთაისი, ამის გამო, წერენ ისინი, თბილელი ეპისკოპოსის პატივი და ღირსება შედარებით მცირეა და ის დგას ეპისკოპოსთა რიგის ბოლოშიო.

“ტფილელი უკვე განჩინებასა მას შინა სამეფოსა ფრიად ქვემეორე დგებოდის და ჯდებოდის კრებასა შინა, ამისათვის რომელ სამეფო ქალაქი არ იყო ტფილისი დროთა მის შინა, არამედ ნისანი და ქუთაისი” - (ქართული სამართლის ძეგლები, II. გვ. 401).

ანტონ I და ერეკლე II მიხედვით მირონის კურთხევის დოკუმენტი შედგენილი ყოფილა VI-XI საუკუნეებში, რადგანაც მცხეთა დედაქალაქად არაა მოხსენიებული, ხოლო XII საუკუნის შემდეგ თბილისი დედაქალაქია. მათ ასეთ მტკიცებას ისიც ეთანხმება, რომ მირონის კურთხევის დოკუმენტში 35 საეპისკოპოსოა ჩამოთვლილი, ასევე ცნობილია, რომ VI საუკუნის დასაწყისში საქართველოს საკათალიკოსო შედგებოდა 35 საეპისკოპოსოსაგან, შეიძლება დაგვეშვა, რომ V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის დასაწყისის მირონის კურთხევის დოკუმენტში ჩამოთვლილი ეპისკოპოსთა რიცხვი შემდეგ საუკუნეთა გადამწერ-შემავსებელ-შემცვლელებმა არ შეცვალეს, თუმცა ამის გამო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. მათ ახალ სიაში გამოუტოვებიათ რამდენიმე საეპისკოპოსო, რაც შემდგომ არშიებზე მიუწერიათ.

საბუთი "კურთხევა მირონისა და განგება დარბაზობისა" - ...პირველად თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა. იგი ფიქრობდა, რომ საბუთში მოხსენიებული "მეფე არჩილი" უნდა იყოს პირველი (გარდაიცვალა 434 წ.) და არა მეორე (გარდაიცვალა 718), რადგანაც უკანასკნელ დროს მიქელ კათალიკოსი არა ჩანს და არც დასაჯერებელია, რომ VII-VIII საუკუნეების არევდარევის დროს ამისთანა კითხვაზე მოცლა შესაძლებელი ყოფილიყოს, არც დიდი "სომხეთის მიტროპოლიტი" ყოფილა VIII საუკუნეში, მაგრამ რადგან ათაბაგი არის მოხსენიებული "დარბაზობაში" და სხვა რამდენიმე არჩილ I დროის წინააღმდგომნი წესწყობილებანი, ამით საფუძველი გვეძლევა ვიფიქროთ, რომ "დარბაზობაში" დროთა მიხედვით სხვადასხვა ცვლილებები უნდა შემოეღოთ" (იქვე, გვ. 596).

მირონის კურთხევის უფლება ქართულ ეკლესიას IX საუკუნემდე რომ ჰქონია, ამის შესახებ წერს "ქართლის ცხოვრებაც", საიდანაც ჩანს, რომ ქართული ეკლესიის ძველთაგანვე V საუკუნიდან არსებული უფლება მირონის კურთხევისა VII საუკუნეში დაუდასტურებია მსოფლიო საეკლესიო კრებას: "...იქმნა კრება მეექვსე. ამ კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმინდისა ეკლესიისა საქართველოსთვის, რომ არს წმინდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა... ამ კრებისა მიერ დაგვიმტკიცებია პატრიარქად... ხოლო ოდესცა ენებოს შემზადება და კურთხევა მიჰრონისა აკურთხოს თვისსა ეკლესიასა" (ქ. ცხ. I, გვ. 232).

აქედან ჩანს, რომ 681 წლის კრებას დაუდასტურებია, რომ ქართულ ეკლესიას უფლება აქვს - "ოდესცა ენებოს შემზადება და კურთხევა მიჰრონისა აკურთხოს თვისსა ეკლესიასა".

მართლაც, ამიერკავკასიის ყველა ავტოკეფალურ ეკლესიას VI-VII საუკუნეებში (იგულისხმება სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიები) უფლება ჰქონდათ მირონის კურთხევისა და აკურთხებდნენ კიდეც, ქართული ეკლესია არ შეიძლება გამონაკლისი ყოფილიყო, რადგანაც სწორედ სომხური წყაროებიდან ჩანს, რომ იმ დროისათვის ქართული ეკლესია ისეთივე რანგის ავტოკეფალური ეკლესიაა, როგორც სომხური და ალბანური ეკლესიები.

ამიტომაცაა, რომ ეფრემ მცირეს თანახმად, რომელსაც ყველა ქართული წყარო ეთანხმება, ქართველები მირონს უკვე V საუკუნიდანვე აკურთხებდნენ.

ჩვენს მეცნიერებაში ამჟამად დამკვიდრებულია თვალსაზრისი, თითქოსდა მირონის დამზადების უფლება ქართულმა ეკლესიამ "...მხოლოდ IX საუკუნის 40-იანი წლებიდან მიიღო, მისი დამზადების უფლება იერუსალიმის პატრიარქისაგან, რისი ინიციატორი და საქმის მომგვარებელი იყო აწყურის ეპისკოპოსი ეფრემი..." (საღვთისმეტყველო კრებული, 1981 წ. NN12, გვ. 88).

ასეთი თვალსაზრისი არ არის მისაღები, რადგანაც გიორგი მერჩულეს ცნობის არასწორ გაშიფრვაზეა დამოკიდებული. გიორგი მერჩულე წერს - "რამეთუ პირველად ა-სა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალიმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონის კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალიმის პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით, არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების..." (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლ. 1978, გვ. 182).

გიორგი მერჩულეს ამ ცნობაში შემდეგდროინდელ გადამწერს სწორად ვერ გაუხსნია ქარაგმა “ა-სა”; ქარაგმა - ”ა-სა” კონტექსტის მიხედვით უნდა გაიხსნას “აფხაზეთისა”, მაშინ აზრი ნათელი და სრულიად გასაგები გახდება - მწერალი წერს - თავიდან აფხაზეთის კათოლიკოსებს მირონი იერუსალიმიდან მიჰქონდათ, ეფრემის შემწეობით კი აფხაზეთისათვის საჭირო მირონის კურთხევა გადაწყდა ქართლში, რადგანაც აფხაზეთი ანუ დასავლეთ საქართველოც ქართლია, ქართული ეკლესიის ნაწილი, რადგანაც წირვა-ლოცვა აქ ქართულ ენაზე სწარმოებსო. აზრი სრულიად ნათელი და გასაგებია.

ამჟამად კი, როცა ნაცვლად აფხაზეთისა კითხულობენ “აღმოსავალისა”, ქარაგმის არასწორი გახსნის გამო აზრი დაბნელებული, უშინაარსო და არასწორია - თითქოსდა აღმოსავლეთის ქვეყნების საკათალიკოსოებს თავდაპირველად მირონი იერუსალიმიდან მიჰქონდათ, ეს სრულებით მრუდე აზრი არ შეიძლება იყოს გიორგი მერჩულეს დაწერილი, რადგანაც გიორგი მერჩულე არის სრულებით სანდო, განათლებული, მოაზროვნე მოღვაწე. საქმე ისაა, რომ I საუკუნის 70-იან წლებში იერუსალიმი სრულებით დაანგრიეს და მის ადგილზე ერთი მცირე სოფელიღა აღმოცენდა საუკუნის შემდეგ. IV საუკუნეში ელენემ და კონსტანტინემ, რომის იმპერატორმა, ეს ქალაქი აღადგინა, მაგრამ მისი ეპისკოპოსი იმ დროს ექვემდებარებოდა ხან ანტიოქიის ეპისკოპოსს, ხან კი - კესარია-პალესტინისას. მხოლოდ V საუკუნეში ქალკედონის კრების შემდეგ გამოვიდა იერუსალიმის ეპისკოპოსი კესარია-პალესტინის ეპისკოპოსის დაქვემდებარებისაგან და გადაიქცა საპატრიარქო ეკლესიად.

ამიტომაც, I-V საუკუნეებში აღმოსავლეთის ქვეყნების საკათალიკოსოები მირონს იერუსალიმიდან ვერ წაიღებდნენ. I საუკუნის 70-იან წლებამდე, როცა ქალაქი იერუსალიმი არსებობდა, აღმოსავლეთის საკათალიკოსოები არ არსებობდნენ, ხოლო შემდეგ საუკუნეებში იერუსალიმი არ იყო არც საეკლესიო და არც საერთაშორისო მნიშვნელობის ქრისტიანული ცენტრი. ასეთი იყო მთელი აღმოსავლეთისათვის მხოლოდ ანტიოქია, ამიტომაც შეიძლება მართალია როცა ეფრემ მცირე წერს, რომ ანტიოქიის საპატრიარქოში ეკურთხებოდა მირონი და სხვაგან არსადო.

თუ აღმოსავლისას ქვეშ ვიგულისხმებთ ქართლის კათალიკოსებს, მაშინ სწორედ “ქართლისა” უნდა დაეწერა კიდეც ავტორს, მითუმეტეს, რომ რამდენიმე სიტყვის შემდეგ ნახსენებია სიტყვა ქართლი. მაგრამ კონტექსტიდან ჩანს, რომ ამ ცნობაში ლაპარაკია ახლად შექმნილ აფხაზეთის საკათალიკოსოს მიერ მირონის მიღების შესახებ, კერძოდ თავიდან აფხაზეთის კათალიკოსს მირონი იერუსალიმიდან მიჰქონდა, ხოლო შემდეგ განეწესა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს მირონი მიეღო არა იერუსალიმიდან, არამედ ქართლის საკათალიკოსოდან, რადგანაც აფხაზეთის ქვეყანა (ე. ი. დას. საქართველო) ქართლის ქვეყნის ნაწილია, ხოლო აფხაზეთის საკათალიკოსო ქართლის საკათალიკოსოს ანუ ერთიანი ქართული ეკლესიის ნაწილია რადგანაც “...ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების”.

გიორგი მერჩულეს ახალი არაფერი არ უთქვამს, რადგანაც დასავლეთ საქართველოს უკვე მეფე ფარნავაზის დროიდანვე უწოდებდნენ ქართლს - მდინარე ეგრისწყლის აღმოსავლეთით მიმდებარე ქვეყანას, ვიდრე ალბანეთის საზღვრამდე.

გიორგი მერჩულეს ცნობიდან ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო დაარსების შემდეგ, ე.ი. 720 წლიდან მირონს იღებდა იერუსალიმის საპატრიარქოდან, ხოლო 840-იან წლებში მირონს იღებდა უკვე მცხეთიდან - მსოფლიო მართლმადიდებლობის დასტურით.

მართლაც აფხაზეთის საკათალიკოსო, 830 წელს სცნო ქართლის (ტაო-კლარჯეთის) სამეფო კარმა და ალბათ ქართლის (მცხეთის) საპატრიარქომაც, მალევე ამ ცნობის შემდეგ ის მირონს მცხეთიდან იღებს - ე. ი. აფხაზეთის საკათალიკოსოში მირონი არ ეკურთხებოდა, დასავლეთ საქართველოში მირონი მცხეთიდან მიჰქონდათ.

ხოლო რაც შეეხება მცხეთას - აქ მირონი V საუკუნიდანვე ეკურთხებოდა.

იქამდე კი, ის გადმოედინებოდა გადაჭრილი სვეტიდან.

ისმის ასეთი კითხვა - რატომ მიჰქონდა აფხაზეთს მირონი იერუსალიმიდან IX საუკუნიის 40-იან წლებამდე? როცა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის აბაზგიის საარქიეპისკოპოსოს და ლაზიკის სამიტროპოლიტოს გაერთიანების შემდეგ წარმოქმნილმა ეკლესიამ ხატმებრძოლური ერესის გამო გაწყვიტა კავშირი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან - ამ ეკლესიას ჯერ კიდევ არ ეწოდებოდა აფხაზეთის საკათალიკოსო. ამ ახალმა ეკლესიამ კონსტანტინეპოლთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ ჩანს კავშირი დაამყარა იერუსალიმის საპატრიარქოსთან.

არსებობს მსგავსი მაგალითიც - როცა VIII საუკუნის I ნახევარში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში წარმოქმნილი ხატმებრძოლური ერესის გამო კავშირი გაწყვიტა კონსტანტინეპოლთან, გოთეთის მთავარეპისკოპოსი იერუსალიმში ჩავიდა კურთხევისათვის და იქ სამი წელი ელოდა კურთხევას (იხ. "ცხოვრება იოანე გოთელისა").

იოანე გოთელი ანტიოქიის საპატრიარქოში არ მივიდა იმ მიზეზის გამო, რომ ანტიოქიელი პატრიარქები არაბთა შემოსევების გამო არა ანტიოქიაში, არამედ კონსტანტინეპოლში იმყოფებოდნენ იმ დროს.

ასევე, როცა აბაზგიის საარქიეპისკოპოსოსა და ლაზიკის სამიტროპოლიტოს გაერთიანებით შექმნილმა ახალმა ეკლესიამ (რომელსაც შემდგომ აფხაზეთის საკათალიკოსო ეწოდა) VIII საუკუნის I ნახევარში ხატმებრძოლობის გამო კავშირი გაწყვიტა კონსტანტინეპოლთან, მას კავშირი დაუმყარებია იერუსალიმის საპატრიარქოსთან.

აღსანიშნავია და ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ იერუსალიმის საპატრიარქოში გოთეთის ეპისკოპოსი არ აკურთხეს და ქართლში (იბერიაში, მცხეთაში) ეკურთხა ქართლის კათალიკოსის ხელით. იოანე გოთელის მცხეთაში კურთხევის შესახებ ბერძნული წყაროებიც მიუთითებენ, ასევე სრულებით მსგავსია და ეთანხმება აღნიშნულ ფაქტს ის, რომ აფხაზეთის ეკლესიის შესახებაც ასევე მოქცეულა იერუსალიმის საპატრიარქო.

მსგავსად გოთეთის დამოუკიდებელი ეკლესიისა, აფხაზეთის ეკლესიაც იბერიის - ქართლის ეკლესიისათვის დაუქვემდებარებია იერუსალიმის საპატრიარქოს.

ჩანს, იერუსალიმსა და ქართულ ეკლესიას შორის იმ დროს კარგი ურთიერთობა იყო.

ცნობა იოანე გოთელისა და აფხაზეთის მცხეთაზე დამოკიდებულების შესახებ ერთმანეთის მსგავსია. იერუსალიმის საპატრიარქოს ნებით აფხაზეთისათვის საჭირო მირონი მცხეთას (ქართლში) ეკურთხება, იერუსალიმის საპატრიარქოდან მოსული იოანე გოთელიც მცხეთაში ეკურთხება.

უნდა დავასკვნათ, რომ მირონი მცხეთაში V საუკუნიდანვე ეკურთხება. ხოლო დაახლოებით 720-830 წლებში დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც უფრო ადრე კონსტანტინეპოლზე იყო დამოკიდებული, მირონს იერუსალიმიდან იღებდა, ხოლო ამის შემდეგ მცხეთიდან.

გაზეთი "მადლი", 1992 წ. 7. IV.

პ.ს. ეს წერილი დაიწერა 27 წლის წინ, 1992 წელს, ამის შემდეგ საგანგებოდ ვიმუშავე ამ საკითხის უკეთ გასარკვევად (რაც გადმოცემულია ჩემს წიგნში „არაიან ქართლში"), დავრწმუნდი რომ სწორია ეფრემ მცირე, მაგრამ არასწორია ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია, რომელიც ნაკლებად ერკვევა მის ტერმინოლოგიაში, კერძოდ ავტორი „აღმოსავლეთს" უწოდებს არა რომელიმე ვრცელ გეოგრაფიულ რეგიონს, არამედ კონკრეტულ პოლიტიკურ ოლქს, რომელსაც ბიზანტიელები „იბერიის ფემას" (იბერიის თემს) უწოდებდნენ. მისი დიდი ნაწილი დავით კურაპალატის დროს გადაიქცა დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოდ, მას ვითარცა დამოუკიდებელ სამეფოს (იგულისხმება „ქართველთა სამეფო", „ტაოს სამეფო") გააჩნდა საკუთარი დამოუკიდებელი ქართული საეკლესიო ოლქი თავისი პატრიარქ-კათალიკოსით და მღვდელმთავრებით (თუმცა ზოგად ქართულ სამყაროში უხუცეს და უპირატეს პატრიარქად

მცხეთელი კათალიკოსი მიიჩნეოდა). მართალია ამ საეკლესიო ოლქის არსებობა ისევე მცირეხნოვანი იყო, როგორც ტაოს "ქართველთა სამეფოსი", მაგრამ ამ საეკლესიო ოლქს გააჩნდა თავისი დიდი მრევლი, არა მხოლოდ ტაოს მოსახლეობა, არამედ ყოფილი „იბერიის ფემის" ქალკედონიტი ანუ იბერიული მოსახლეობა. შესაბამისად მას გააჩნდა დიდი საეკლესიო წარსული, მასაც ქართლის ეკლესია ეწოდებოდა. შესაბამისად არსებობდა ორი ქართლის ეკელსია, მცხეთის ქართლის ეკლესია, რომელიც ქართველთა მიერ ავტოკეფალურად იწოდებოდა მოციქულების ეპოქიდან და „აღმოსავლეთის" (ანუ ტაო, ბასიან, კარინ, ანისის) „ქართლის (იბერიის) ეკლესია", რომელმაც დიდხანს იბრძოლა სომხური საეკლესიო უღლისაგან გასათავისუფლებლად და საბოლოოდ ავტოკეფალია მოიპოვა ანტიოქია-იერუსალიმის ხელშეწყობით, მისგან მირონის კურთხევის მიღებისა და სხვა უფლებებით. შესაბამისად ფრაზა „პირველად ა-სა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალიმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონის კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალიმის პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით", ნიშნავს იმას, რომ „აღმოსავლეთის" ანუ ტაოს კათალიკოსებს სომხური უღლისაგან გათავისუფლებსათვის ბრძოლოს დროს მიუმართავთ ანტიოქია-იერუსალიმისათვის და საეკლესიო თავისთავადობის დასტურად თავდაპირველად მისგან იღებდნენ მირონს, ხოლო ეფრემ ეპისკოპოსის დროს მოუპოვებით სრული უფლება - მირონის ადგილზე კურთხევისა. რაც შეეხება მცხეთას, აქ მირონი უძველესი დროიდანვე იკურთხებოდა. **10.01.2019**

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

ახალი ერი

ჩვენ თანამონაწილენი ვართ ქართველთა მრავალათასწლოვანი არსებობის მანძილზე იშვიათი წარმატებისა - ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა, რაც მთელმა მსოფლიომ დაადასტურა, მაგრამ ამავე დროს ჩვენ მომსწრენი ვართ აგრეთვე ჩვენი მშობელი ხალხის უბედურებისაც, რომლის მიზეზიც ბოლო წლებში ჩვენს მიერ გამომჟღავნებული უზნეობა და უგუნურებაა. თუ უცხოთა ზედამხედველობის ქვეშ, ასე თუ ისე კანონის მორჩილებას ვიჩენდით, თავისუფლების მოპოვების შემდგომ, ქვეყანა ურთიერთკინკლაობით, ქიშპობით, შინაბრძოლებითა და ქურდობა-ყაჩაღობით გავაჩანაგეთ.

რაა მიზეზი ჩვენი ხალხის დღევანდელი სავალალო სულიერი მდგომარეობისა?

ერთი გავრცელებული თვალსაზრისით, მიზეზი ქართველი ერის "დაბერებაა", სხვების აზრით "მუდამ დამონებულ" ხალხს თავისუფალი ქვეყნის პატრონობა გაუჭირდა, მესამენი ფიქრობენ, რომ ჩვენი ერი "ავადმყოფია" და ა. შ. ყველა ამგვარი შეხედულება ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობის მიზეზებზე პრინციპულად არასწორია და შეუწყნარებელი.

იყო მცდელობა, რომ ყოველგვარი უბედურების მიზეზად "მესამე ძალა" დაგვესახა, მაგრამ ალბათ მიზეზები მაინც ჩვენსავე თავში - ერის შემადგენელ ცალკეულ პიროვნებათა სულში უნდა ვეძიოთ, რამეთუ სულიდან ანუ გულიდან გამოვლენ ბოროტი ზრახვანი, მკვლელობანი, მრუშობანი, ქურდობანი, სიცრუენი, ცილისწამებანი, გმობანი (იხ. მათე, 15,19).

სწორედ ეს ცოდვებია საფუძველი ჩვენი ამჟამინდელი ეროვნული უბედურებისა, რამეთუ ბოროტი უზნეობა არა ერთი და ორი კაცის, არამედ მრავალთა სულშია დაბუდებული.

დაბადებისას ადამიანი არაა უზნეო არსება, მის პიროვნებას სულიერი აღზრდა აყალიბებს, მაშასადამე, ახალი თაობის სულიერი აღზრდით შესაძლებელია მომავალში დიდ ეროვნულ ბედნიერებას მივაღწიოთ. აღზრდის სისტემას, აღმზრდელს, ოჯახსა და დედას უდიდესი ეროვნული მისია აკისრიათ - "დედავ ისმინე ქართვლის ვედრება, ისე აღზარდე შენ შვილის სული,

რომ, წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება, უკან რჩეს კვალი განათლებული” - ამბობდა ჩვენი ეკლესიის წმინდანი ილია მართალი. იგი ვერ წარმოიდგენდა, რომ მის შემდეგ მოვიდოდა თაობა, რომელიც თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე ბავშვის აღზრდის სისტემიდან საერთოდ გამორიცხავდა სიკეთისა და ზნეობის ერთადერთ წყაროს - ღმერთს.

ილია მთელ ქართველ ერს ავედრებდა დედას და მისი სახელით სთხოვდა აღეზარდა ადამიანი, რომელსაც ცხოვრების სავალ გზებზე, ორიენტირად ჭეშმარიტება ექნებოდა.

რა არის ჭეშმარიტება? - ამ სახარებისეულ კითხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. “მე ვარ გზა ჭეშმარიტება და სიცოცხლე” - ბრძანებს უფალი. ჭეშმარიტება ღმერთია. მაშასადამე, ილიას აზრით აღმზრდელს ღვთის მოშიში, ღვთის მოყვარე, ანუ მორწმუნე ადამიანის, აღზრდა ევალება. ამგვარ ადამიანს წინ ჭეშმარიტება გაუძღვება, ხოლო ცხოვრების განვლილ გზაზე არა ცოდვიან, არამედ მადლით განათლებულ კვალს დატოვებს.

ეპისკოპოსი გაბრიელის აზრით (რომელსაც წმინდა ილია მართალი უდიდეს პატივს სცემდა), აღზრდას უდიდესი გავლენა აქვს ხასიათის ჩამოყალიბებაზე. “აღზრდა იმისთვისაა სწორედ მოწოდებული, რომ შეცვალოს და მდგრადობა მიანიჭოს ადამიანის ზნეობას, გაუნათლებელ ადამიანთა ვნება მოუთოკავია, განათლებული კაცი კი - პირიქით, მოქმედებს გონების, ვიდრე ვნებათა კარნახით, ვნებანი მასში გამოვლინდებიან სულ სხვაგვარად, ვიდრე გაუნათლებელთან. ისინი მასთან შერბილებული, განსჯას დაქვემდებარებულია. განათლებულმა უნდა გაანელოს ბუნებრივი გრძნობის სიუხეშე”.

ვინც ბოლო წლებში ქართველთა ქმედებებს გააანალიზებს, ალბათ იტყვის, რომ ჩვენი ხალხის უმრავლესობა მოუთოკავი ვნებებით, გონებით გაუკონტროლებელი, უხეში ბუნებრივი გრძნობებით მოქმედებდა. ეს კი თანახმად ეპისკოპოსი გაბრიელის თვალსაზრისისა, შედეგია ცუდი აღზრდისა და გაუნათლებლობისა. ჩვენს ხალხში მართალია დიდია რიცხვი იმათი, რომელთაც საშუალო და უმაღლესი განათლების დიპლომები აქვთ, მაგრამ სულიერი აღზრდა და საერთოდ-განათლება, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, აკლიათ.

მხოლოდ ვნებებს აყოლილ, ანალიზისა და გონიერი შეფასების უნარმოკლებულ ანუ აღუზრდელ ადამიანს შეუძლია ააფეთქოს საკუთარი ქვეყნის ხიდები, გვირაბები და რკინიგზები, დაწვას და დაანგრიოს დედაქალაქი, სხვა მთავარი ქალაქები, მოკიდოს იარაღს ხელი და რაღაც წარმავალ პოლიტიკურ წყენათა გამო თავგამეტებით იბრძოლოს მარადიულის - სამშობლოს დაშლა-დანეწევრებისათვის, დაუნდობლად ხოცოს, ძარცვოს თვისტომი და ყოველივე ეს ეგზალტირებულ დემონსტრაცია-მიტინგებზე შეამზადოს და გაამართლოს.

ნუთუ მომავალშიც გაგრძელდება დღევანდელი უბედურება. რა შეცვლის ქართველი კაცის ხასიათს, ზნეობას? - აღზრდა! ოღონდ არა უბრალო, ჩვენში ტრადიციულად ქცეული სისტემით, არამედ რელიგიური აღზრდა! ევროპასა, ამერიკასა და მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში აღზრდის სისტემა რელიგიურია, თუმცა კი რელიგიური ცოდნა-მცნებები, მოზარდ თაობას გარკვეული ხერხებით, განსხვავებული ხარისხით და სხვადასხვა დოზებით მიეწოდება.

თუ რატომ არის საჭირო ყმაწვილების რელიგიური ცოდნით აღზრდა, ამ კითხვაზე წმიდა ეპისკოპოსი გვპასუხობს: “ზნეობასა და ხასიათზე რელიგიის გავლენა ყველაზე ღრმა და უცილობელია. ეს დასტურდება ისტორიითაც და იმ ხალხთა ხასიათების სხვადასხვაობითაც, რომლებიც სხვადასხვა სარწმუნოებას აღიარებენ”.

საკმარისია, უბრალოდ გავიაზროთ, თუ რა ცვლილებები გამოიწვია ერების აზროვნებასა და საქმიანობაში ქრისტიანულმა სარწმუნოებამ, რომ აღნიშნული დებულება ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ. ქრისტიანულმა რწმენამ გარდაქმნა ადამიანის აზრები, გამოცვალა მისი გრძნობები და სათნოებებად აქცია ისინი. სხვა მიმართულებით წარმართა ნება და ახალი მიზნების მინიშნებით, სიყვარულისა და ძმობის, როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფუძვლების წარმოჩენით ადამიანთა შორის ახალი ურთიერთობანი დაამყარა.

მოკლედ, მან მთლიანად გარდაქმნა ადამიანი ყოველი მიმართულებით. სამწუხაროდ, დღეს ქართველი ხალხის უმეტესი ნაწილი მხოლოდ სახელითაა ქრისტიანი, მას არ მიუღია ქრისტიანული აღზრდა და შესისხლხორცებული არა აქვს ქრისტიანული ზნეობა, მისი მცნებები. მართალია, ოჯახებში დაცულია ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი და ადამიანური ურთიერთობანი, მაგრამ ეს სიკეთე დათრგუნა ათეისტური ტოტალური აღზრდის არაჰუმანური-არაადამიანური სისტემის შედეგმა, რომელიც თაობათა მანძილზე ილექებოდა ჩვენში, როგორც სკოლებში, ისე საზოგადოებაში. ქრისტიანული სარწმუნოების ფაქტიურმა დაკარგვამ თავისი შედეგი გამოიღო, მაგრამ მომავალში უთუოდ უდიდეს ცვლილებებს გამოიწვევს და ყოველი მიმართულებით გარდაქმნის ადამიანს ქრისტიანული აღზრდა.

მოვალეობის მოხდისა და სარწმუნოებრივ თემებზე ტელერადიოგადაცემებსა და პრესაში გამოქვეყნებულ ცალკეულ მასალებს საერთო არაფერი აქვთ რელიგიურ აღზრდასთან. მოზარდი თაობის რელიგიური აღზრდა საშუალო სკოლებში უნდა მოხდეს, პირველიდან უკანასკნელი კლასის ჩათვლით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი საგანგებო სარწმუნოებრივი საგნების შემოღება, როგორიცაა საღმრთო სჯული (საქრისტიანო მოძღვრება), რელიგიის ისტორია და სხვა, ვერ მოიცავს რელიგიური აღზრდის სისრულეს; საკმარისი არაა ცალკეული საგნების შეტანა საშუალო სკოლის პროგრამაში, არამედ საჭიროა სასწავლო პროგრამის მთლიანად შეცვლა-განახლება, მისი მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან.

უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღეს განაცხადა - "საქართველოში დღეს შექმნილი მძიმე ვითარება არ შეიცვლება, თუ არ შეიცვალა გული ადამიანისა" და შემდეგ: "ადამიანი უნდა აღიზარდოს სკოლაში და ეკლესიამ უნდა იკისროს ერის აღზრდის ფუნქცია", ასევე - "თუ არ შეიცვალა სასწავლო პროგრამა, არაფერი არ შეიცვლება".

ევროპის სკოლებში ეკლესიისა და სკოლის კავშირი ძალზე მჭიდროა. სასწავლო პროცესი, პროგრამები - რელიგიურ-ზნეობრივია. უნგრეთში მოსახლეობისათვის მძიმე 1950-55 წლებშიც კი კომუნისტებმა ვერ შეძლეს სკოლასა და ეკლესიას შორის კავშირის გაწყვეტა. როგორც ეს ახლახან უნგრელმა სტუმრებმა განაცხადეს, ამჟამად ეკლესიას უბრუნდება ის ძველი სკოლები, რომელნიც მას ადრე ეკუთვნოდა. საეკლესიო სკოლების გარდა უნგრეთში სხვადასხვა ტიპის სკოლებიც არსებობენ, რომლებშიც პირველი კლასიდანვე შემოღებულია რელიგიური საგნების სწავლება. სახელმწიფო უნგრეთის ეკლესიას, როგორც წესი, ყოველწლიურად აძლევს დოტაციას, რომლითაც მას შეუძლია განათლების სისტემაში აქტიური მოქმედება, ზრუნვა ახალი თაობის აღსაზრდელად. ასევეა ევროპის ყველა ქვეყანაში. ჩვენში ალბათ ისევე, როგორც უცხოეთში I-IV დაწყებითი, ანუ ფუნდამენტური ოთხწლედის შემდგომ, მოზარდი თაობა მიდრეკილებათა მიხედვით სასოფლო-სამეურნეო, ჰუმანიტარულ თუ ტექნიკურ რვაწლედებში გააგრძელებს სწავლას და შემდგომ სურვილის შესაბამისად მაღალ კლასებშიც, მაგრამ ყველგან ყოველი მიმართულების სასწავლებელში მტკიცედ განსაზღვრული პროგრამით, კუთვნილი ადგილი უნდა დაიჭიროს რელიგიურმა აღზრდამ. ჩვენი ეკლესიის მეთაურის ამ მოსაზრებამ სათანადო პრაქტიკული ასახვა უნდა მოიპოვოს, რამეთუ ძველად ყოველი მსგავსი სულიერი კრიზისის დროს ჩვენი ხალხისა და ქვეყნის მეთაურები, რჩევასა და სულიერ შემწეობას საქართველოს პატრიარქებს სთხოვდნენ და მათი მითითებითა და ლოცვა-კურთხევით ძლევდნენ ერის სულიერ გასაჭირს.

უნდა დაიბადოს, უნდა იშვას ახალი ქართველი ერი. ერი მტკიცე, ძლიერი, უძლეველი, ღვთისმოყვარე და ღვთისმოშიში, რაც შესაძლებელია ათეისტების მიერ ათწლეულთა მანძილზე გულებში დანერგილი სიძულვილის აღმოფხვრითა და ძველი ქართული ზნეობრიობის აღორძინებით. ეს კი მოხდება მხოლოდ და მხოლოდ საშუალო სკოლებში პირველი კლასიდანვე რელიგიური აღზრდის ყოველდღიური დანერგვით.

შევთხოვოთ უფალ ღმერთს მრავალჟამიერი, საუკუნოვანი სულიერი ძლიერება ახალი, მომავალი ქართველი ერისა.**გაზეთი "მადლი", N18, 1993.**

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს საპატრიარქოს ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში

მეათე და მეთერთმეტე საუკუნეთა მიჯნაზე საქართველო გაერთიანდა, რისთვისაც საუკუნეთა მანძილზე იღვწოდა იბერიის ეკლესია. სხვადასხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების გაერთიანებამ ერთიან მძლავრ სახელმწიფოდ გამოიწვია საქართველოს ჰეგემონობა მთელ კავკასიაში. აღმოსავლეთის ეკლესია განსაკუთრებით სავალდებულოდ ხდიდა სამოქალაქო-საერო დაყოფის გადაღებას საეკლესიოში, ასე რომ, ყოველ ცვლილებას საეროში შესაბამისი ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა საეკლესიოში. ამიტომაც სახელმწიფოს გაერთიანებას თან მოჰყვა ქართული ეკლესიის გაერთიანება. აქამდე აფხაზეთის სამეფოში არსებობდა "აფხაზეთის საკათალიკოსო", ქართლის სამეფოში კი - "ქართლის საკათალიკოსო". სამეფოთა გაერთიანების შემდეგ გაერთიანდა ეკლესიებიც და ერთიან ქართულ სახელმწიფოში წარმოიქმნა ერთიანი ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს სახელწოდებით. საქართველოს საპატრიარქო, გარდა აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოებისა, შეიცავდა აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროში შემავალ ჩრდილო კავკასიის ქრისტიანებს, აგრეთვე სომხეთისა და ყოფილი ალბანეთის მართლმადიდებელ მოსახლეობას. ჩრდილო კავკასიის ქრისტიანები უშუალოდ საქართველოს პატრიარქს ექვემდებარებოდნენ, რასაც მოწმობს ეპიგრაფიკული მასალა, ხოლო XV საუკუნისათვის ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთით შექმნილი იყო ხუნძეთის საკათალიკოსო, რომელიც ჩვენს საპატრიარქოში შედიოდა. საქართველოს საპატრიარქოში შევიდა სომხეთის სამიტროპოლიტო, რომელიც ისტორიული საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარეობდა - სომხეთის (ანისის) ყოფილ სამეფოში. საქართველოს საპატრიარქოს შექმნის შემდეგ საკათალიკოსოები არ გაუქმებულან, ისინი არსებობას განაგრძობდნენ, ისე როგორც ბიზანტიურ საპატრიარქოში არსებობდნენ სამიტროპოლიტოები. როგორც წესი, პატრიარქი იმავე დროს მცხეთის ანუ ქართლის კათალიკოსიც იყო, მას სვეტიცხოვლის პატრიარქიც ეწოდებოდა სასაყდრო ტაძრის მიხედვით.

საქართველოს საპატრიარქო კავკასიის მასშტაბით ძალზე დიდი ეკლესია იყო. ის მოიცავდა არა მარტო კავკასიის მართლმადიდებლობას, არამედ ძალზე სცილდებოდა კავკასიის საზღვრებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით. სამხრეთით საქართველოს საპატრიარქოს ესაზღვრებოდა ვანის ტბა და ტერიტორიები, რომელიც დავით კურაპალატმა შეიყვანა ქართველთა სამეფოში. აქაურ მოსახლეობაში ქართველები მრავლად იყვნენ. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით "...მდინარე არაქსის (ანუ ფასისის) მარცხენა მხარე იბერიისაკენ მიპყრობილი ეპყრათ იბერებს...", XI საუკუნისათვის საქართველოს საპატრიარქოს თავისი საეპისკოპოსო მდინარე არეზის (რახსის) სამხრეთითან (მარჯვენა მხარესაც) ჰქონდა - ვალაშკერტში. მდინარე არეზის აქეთა მხარესა და არზრუმის მიდამოებს დიდხანს შემორჩა ქართული მოსახლეობა. XVII საუკუნის არზრუმის მიდამოებში გამოვლილმა არქანჯელო ლამბერტიმ რამდენიმე ქართული სოფელი ნახა, რომელთაც არზრუმელად წოდებული ქართველი მწყემსმთავარი ეჯდათ არზრუმში. XVII საუკუნის ანტიოქიელი პატრიარქი მაკარიც, რომელმაც თითქმის მთელი მესხეთი ფეხით მოიარა, ადასტურებს, რომ ადრე საქართველოს სამხრეთი საზღვარი იყო მდინარე ევფრატი და ევფრატის აქეთა ტერიტორიები სულ საქართველოდ ითვლებოდა, რომ საქართველოს საზღვარი ევფრატამდე ჩადიოდა, ამას მოწმობს ჩელებიც (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, 1975, გვ. 257).

XVIII საუკუნის შუა წლებში ტ. გაბაშვილმა გიუმიშხანეში დაადასტურა არა მარტო ქართული ეკლესიის არსებობა, არამედ მოსახლეობაში შემორჩენილი ხსოვნაც, რომ ადრე იგი საქართველოდ ითვლებოდა.

საქართველოს საპატრიარქოს დაარსებისთანავე XI საუკუნეში თავისი მრევლი და საეპისკოპოსოები ჰქონდა ყოფილი პონტოს დიოცეზის მარჯვენა მხარეს. საპატრიარქოში შესული იყო ისტორიული ქართული მიწები: მტკვრისა და ჭოროხის აუზი მთლიანად, ამას გარდა "მესხეთის ძირეულ ნაწილს შეადგენდა მცირე მოცულობის სექტორები მეზობელი არაქსისა და დასავლეთ ევფრატის ხეობებისა" (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. გვ. 297). ეს ტერიტორიები პონტოს დიოცეზის საკმაო ნაწილს წარმოადგენდა, პონტოს დიოცეზი კი თავისი "ბარბაროსებით" ქალკედონის მსოფლიო კრების 28-ე კანონით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ეკუთვნოდა. ამიტომაც კონსტანტინეპოლის საპატრიარქო და საერთოდ, ბიზანტიური საპატრიარქოები არ აპატიებდნენ საქართველოს საპატრიარქოს თავისი კანონიერი იურისდიქციის გავრცელებას ქართულ მიწაზე. მართლაც, XI საუკუნეში საქართველოს საპატრიარქოს დაარსების შემდეგ, ბიზანტიის იმპერიაში დაიწყო ქართული ეკლესიისა და ქართველი ბერების ტოტალური დევნა და რბევა. მითუმეტეს, რომ საქართველოს საპატრიარქომ თავისი იურისდიქცია არა მარტო "პონტოს დიოცეზის" ერთ ნაწილზე, არამედ პონტოს დიოცეზის იურისდიქციაში შემავალ "ბარბაროსებზეც" "სკვითიაზე და ალანიაზე" განახორციელა ჩრდილო კავკასიაში. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდილოეთით ყოფილი პონტოს დიოცეზის კესარია - კაპადოკიელი მისიონერების მიერ მოქცეული ქრისტიანები "ბარბაროსები" კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პონტოს დიოცეზში შემავლად მიაჩნდა და მასზე იურისდიქციას ახორციელებდა. ჩრდილო კავკასიელი ქრისტიანები კი თვით ხერსონესამდე და კაფამდე საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა. XV საუკუნეშიც კი ქართული ეკლესიის იურისდიქციის ჩრდილო საზღვარი კაფამდე (ხერსონესთან) და რუსეთამდე აღწევდა. XVI საუკუნით დათარიღებულ "ბიჭვინთის იადგარშია" - აფხაზეთის (ქვემო იბერიის) "კათალიკოზის საკურთხი არის, სამწყსო - ლიხსა და კაფას შუა და რუსეთის სამზღვარსა და ჭანეთს შუა" (ქართ. სამართლ. ძეგლ. II. გვ. 180). კაფა ჰქვია ნავსადგურსა და ნახევარკუნძულს ხერსონესთან, ეს არის ისტორიულ სკვითიაში. არქანჯელო ლამბერტის თანახმად, ხერსონესი 500 მილით იყო დაშორებული კოლხეთიდან. XVI საუკუნისათვის რუსეთი ჯერ კიდევ არ აღწევდა კავკასიამდე და დაახლოებით ასეთი მანძილით იყო დაშორებული საქართველოდან. ისტორიული "ალანია", ჩერქეზეთ-ოსეთ-ჩეჩნეთ-ინგუშეთ-დაღესტანი საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში შევიდა. ამას მოწმობს როგორც ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილი და შესწავლილი მრავალრიცხოვანი ეკლესიები ქართული წარწერებითა და კედლის მხატვრობით, აგრეთვე წერილობითი მონაცემებიც. 1310 წლის ერთ-ერთი სახარების მინაწერიდან ჩანს, რომ საქართველოს საპატრიარქოს თავისი საეპისკოპოსოები ჰქონდა კასპიის ზღვის სიახლოვეს, როგორც ამიერკავკასიაში, ისე იმიერკავკასიაში (ხუნძახის, ანწუხისა და წახურისა). ამასვე მოწმობს სინას მთის ერთ-ერთი ხელნაწერი, ხოლო ჩრდილო კავკასიაში მდებარე იმიერკავკასიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქრისტიანულ ძეგლზე - ტყობა-იერდის ეკლესიაზე არის მოხსენიება, რომელშიც საქართველოს პატრიარქს მელქისედეკ I (XI საუკუნე) ეწოდება "აღმოსავლეთის პატრიარქი".

საქართველოს საზღვრებს გარეთ აღმოჩენილი მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოს პატრიარქს უწოდებენ არა საქართველოს ანდა კავკასიის პატრიარქს, არამედ საერთოდ აღმოსავლეთის პატრიარქს, ადასტურებს, რომ აღმოსავლეთის ქრისტიან-მართლმადიდებლებისათვის ქართული ეკლესია წარმოადგენდა ძალზე მაღალი ავტორიტეტის მქონე ეკლესიას, რომლის მეთაურსაც მთელ აღმოსავლეთზე ჰქონდა გავლენა.

საქართველოს საპატრიარქოს წარმოშობამდე არ არსებობდა ქართული ეკლესიის მეთაურის ღირსების ბიზანტიელ იერარქების ღირსებასთან შედარების საჭიროება, ამიტომაც ალბათ ქართულ ეკლესიაში დიპტიხი არ გამოიყენებოდა, ვითარება შეიცვალა საპატრიარქოს შექმნის შემდეგ. ახალმა მდგომარეობამ წარმოშვა საკითხი თუ პატრიარქთა რიგში რომელ ადგილზე უნდა

დაეყენებინათ, ანდა რომელი პატრიარქის შემდეგ უნდა ეხსენებინათ ახალი პატრიარქი - ქართული ეკლესიის მეთაური. მართალია, იმ დროს ზოგიერთი არამართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურს ჰქონდა პატრიარქის ტიტული, მაგრამ მსოფლიო მართლმადიდებლურ ეკლესიაში მხოლოდ ხუთი პატრიარქი არსებობდა, რასაც მსოფლიო საეკლესიო კრებებიც ადასტურებდა. იმ დროს გადახედეს არსებული პატრიარქების რიგს და დაადგინეს, რომ ახალი ქართველი პატრიარქი იყო მეექვსე პატრიარქი - რომის პაპის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის პატრიარქების შემდეგ. ასე შესდგა ქართული ეკლესიის დიპტიხი. ქართული ეკლესიის დიპტიხი უკვე არსებობდა საეკლესიო განყოფამდე რომსა და კონსტანტინეპოლს შორის და ამიტომაც ამ განყოფამდე უკვე არსებული დიპტიხი საუკუნეების მანძილზე უცვლელად გადადიოდა საბუთიდან საბუთში. XIII საუკუნის დოკუმენტშიც ასეთი დიპტიხია დაცული: "...ჩვენცა, გლახაკი ქრისტეს მიერ, შემდგომად ხუთთა პატრიარქთა და უპირველეს მათსა... სვეტიცხოვლის მეექვსისა პატრიარქისა და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოჲსა კათალიკოზი ნიკოლოზ ვამტკიცებ და წარვწერ..." (ქართ. სამართლ. ძეგლ. II, გვ. 66).

აქედან ჩანს, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს დიპტიხის პატრიარქთა რიგში მეექვსე ადგილი უჭირავს, მაგრამ მას თავისი ღირსება არც ერთი პატრიარქის ღირსებაზე ნაკლებად არ მიაჩნია.

დიპტიხში ქართველ პატრიარქს VI ადგილზე XI საუკუნის დასაწყისშივე რომ აყენებდნენ, ეს შემდეგიდან ჩანს: საქართველოს საპატრიარქო შეიქმნა მსოფლიო ქრისტიანობის კათოლიკებად და მართლმადიდებლებად გაყოფამდე, რაც 1054 წელს მოხდა, ამის შემდეგ ქართული ეკლესია მარად მართლმადიდებელთა დიდი ოჯახის წევრი იყო, ამიტომაც გაყოფის შემდგომ შედგენილ ქართულ საბუთებში რომის პაპი აღარ იხსენიებოდა მართლმადიდებლობასთან და მართლმადიდებელ პატრიარქებთან კავშირში. გამონაკლისია ქართული ეკლესიის დიპტიხი, მასში რომის პაპის სხვა აღმოსავლელი პატრიარქების გვერდით დაყენება მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ეკლესიის დიპტიხი შედგენილია საეკლესიო განხეთქილებამდე, ხოლო შემდგომი საუკუნეების საბუთებში დიპტიხის შეუცვლელად გადატანა მიუთითებს საეკლესიო ტრადიციულობაზე, რომელიც განსაკუთრებით იყო დაცული ქართულ ეკლესიაში. გარდა ამისა, ქართული ეკლესია მუდამჟამს ერთგული იყო საეკლესიო კრებათა კანონებისა, განსაკუთრებით კი ქალკედონის კრებისა. ქალკედონის კრებამ კი თავის 28-ე კანონში დაადგინა, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქი უნდა მდგარიყო არა პირველ ადგილზე, არამედ მეორე ადგილზე. პირველი ადგილი რომის პატრიარქს უნდა დაეკავებინა, კონსტანტინეპოლი "...მეორე იყო შემდგომად მისა..." (დიდი სჯულის კანონი, გვ. 275). იგივე დაადასტურა იუსტინიანემ თავის 131-ე ნოველაში, კერძოდ, - "საეკლესიო კანონების განსაზღვრების თანახმად უწმიდესი პაპი ძველი რომისა იყო პირველი ყველა მღვდელმთავართა შორის. ახალი რომისას კი ექნება მეორე ადგილი ძველი რომის წმიდა სამოციქულო საყდრის შემდეგ, მაგრამ ადგილს დაიჭერს სხვა საყდრების მაღლა" (დას კორპუს იურის ცივილის..., ნოვ ელემ, ლეიპციგ, 1833. ს. 648-649). ტრულის საეკლესიო კრების 36-ე კანონმაც გაიმეორა ძველი კანონები და საპატრიარქოთა ადგილები ასე განსაზღვრა - "...განვასაზღვრებთ რაითა საყდარსა კონსტანტინეპოლისასა სწორი პატივი აქუნდეს ძველი რომისა საყდრისა და ვითარცა - იგი განდიდნების საეკლესიოთა შინა საქმეთა მეორე იყოს შემდგომად მისსა, რომლისა შემდგომად იყავნ ალექსანდრიელთა დიდისა ქალაქისაი და შემდგომად მისსა იერუსალიმელთა ქალაქისაი" (დიდი სჯულის კანონი, 1975, გვ. 386). ტრულის კრებამ, გაიმეორა რა კონსტანტინეპოლის საყდართან დაკავშირებით მეორე მსოფლიო კრების მე-3 კანონი და 28-ე კანონი მეოთხე მსოფლიო კრებისა, განსაზღვრა, რომ პირველი ყოფილიყო რომის საყდარი, მეორე კონსტანტინეპოლისა, მესამე - ალექსანდრიისა, მეოთხე - ანტიოქიისა და მეხუთე იერუსალიმისა.

მცხეთის (საქართველოს) საპატრიარქო საყდარი დადგა იერუსალიმის საყდრის შემდეგ. ქართული დიპტიხის შედგენისას გათვალისწინებული იქნა მეორე მსოფლიო კრების მესამე, ქალკედონის 28-ე, ტრულის 36-ე კანონები და მიიღო ასეთი სახე:

1. რომის საყდარი,
2. კონსტანტინეპოლის საყდარი,
3. ალექსანდრიის საყდარი,
4. ანტიოქიის საყდარი,
5. იერუსალიმის საყდარი,
6. მცხეთის (სვეტიცხოვლის) საყდარი.

ქართული დიპტიხის მიხედვით, საქართველოს ეკლესიის მეთაურს სხვა ავტოკეფალური ეკლესიების მეთაურთა რიგში ეჭირა მე-6 ადგილი.

ქართული ეკლესიის მეთაურის მე-6 ადგილზე მოხსენიებას ქართულ ეკლესიაში საუკუნეების მანძილზე ჰქონდა ისტორიულ-ტრადიციული მნიშვნელობა და ისევე შეუცვლელად ითვლებოდა, როგორც საეკლესიო კრებათა და მამათა კანონები.

დიპტიხის ზემოთ მოყვანილი სახე მიუთითებს იმაზე, რომ ის შედგენილია საეკლესიო განყოფამდე.

ბიზანტიის იმპერიაში გაბატონებული იყო "პენტარხიის თეორია", მსოფლიოში ხუთი ავტოკეფალური ეკლესიის არსებობის შესახებ. ეს თეორია იყო გამონაგონი ბიზანტიური საიმპერატორო და საპატრიარქო კარისა. თვით იმპერიაშივე არსებობდა მეექვსე ავტოკეფალური ეკლესია კვიპროსისა, ხოლო იუსტინიანემ დააარსა ახალი ავტოკეფალური ეკლესია "პირველი იუსტინიანეს" სახელწოდებით, ხოლო იმპერიის გარეთ ძველთაგანვე იბერიის (საქართველოს) ავტოკეფალური ეკლესია არსებობდა, მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთის ეკლესიებში და მათ შორის საქართველოშიც იცნობდნენ პენტარხიის თეორიას და მასში კორექტივიც შეჰქონდათ. ქართული წყაროების თანახმად, ქართველი პატრიარქი იდგა "ხუთ" მსოფლიო პატრიარქის შემდგომ.

საქართველოში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ხუთი მსოფლიო პატრიარქის შემდგომ იდგა საქართველოს ანუ მცხეთის კათალიკოს-პატრიარქი. საქართველოს საპატრიარქოს დაარსებიდან მცირე ხნის შემდეგ 1057 წელს მეფე ბაგრატ IV შეწირულების სიგელს შიომღვიმისადმი აქვს მინაწერი ქართული ეკლესიის მეთაურისა, რომლის თანახმადაც ის დგას მეექვსე ადგილზე მსოფლიოს ხუთი პატრიარქის შემდეგ. ვინც ეს სიგელი დაარღვიოსო, წერს ის - "...კრულმცა არიან... ხუთთა პატრიარქთა ჯვარითა... და ჩემ გლახაკისა ჯვარითა" (ქართ. სამართლ. ძეგლ. გვ. 28).

1245-1250 წლების დაწერილს შიომღვიმისადმი აქვს მინაწერი - "...ხუთთა პატრიარქთა ჯვარითა. წმიდისა და სამოციქულოისა კათოლიკე ეკლესიისა მადლითა და რაოდენი მას შინა წმიდანი ქართლისა კათალიკოზნი სხდომილ არიან და დასხდებიან მათ ყოვლითა ჯვარითა" (იქვე, გვ. 41). წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია იყო ქართული ეკლესიის სახელწოდება, და ყოველთვის ამ ფორმულით მოიხსენიებოდა ის. ეს სიგელიც ხუთი მსოფლიო საპატრიარქო საყდრის შემდეგ ქართულ ეკლესიას ასახელებს.

1259 წლის შეწირულების დაწერილს რკონის მონასტრისადმი ამტკიცებს საქართველოს ეკლესიის მეთაური - "...ჩვენცა შემდგომად ხუთთა პატრიარქთა... მეექვსისა პატრიარქისა... ვამტკიცებ..." (იქვე, გვ. 66).

ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ უკვე მეთერთმეტე საუკუნეშივე, საქართველოს საპატრიარქოს ჩამოყალიბებისთანავე, საქართველოს პატრიარქს მართლმადიდებლურ დიპტიხში ეჭირა მეექვსე ადგილი ხუთი პატრიარქის შემდეგ.

მართალია, ქართული ეკლესიის დიპტიხში ქართველ პატრიარქს ეჭირა მეექვსე ადგილი, მაგრამ სცნობდნენ თუ არა ამას მსოფლიოს სხვა საპატრიარქოები, აღიარებდნენ თუ არა ისინი

ქართველი მამამთავრის საყდარს მეექვსე ადგილზე? ჩვენ დაბეჯითებით უნდა ვთქვათ, რომ როგორც რომის პაპები, ისე აღმოსავლეთის ოთხი პატრიარქი სცნობდნენ იბერიის ეკლესიის ადგილს მეექვსე ადგილზე იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ. ამას მიუთითებს ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების დიპტიხი. ამ კრებაზე ქართულ ეკლესიას ეჭირა VI ადგილი რომის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საყდრების შემდეგ. ეს რომ შემთხვევითი არ იყო და ეკლესიათა ადგილების განაწილებას ამ კრებაზე ისე, როგორც "XII მსოფლიო" კრებაზე, საგანგებო ყურადღება ექცეოდა, იქიდანაც ჩანს, რომ ფლორენციის კრებამ 1438 წელს უნიის შესახებ დეკრეტში დაადგინა: "კონსტანტინეპოლის პატრიარქი იქნება მეორე წმიდა რომის პაპის შემდეგ, ალექსანდრიელი მესამე, შემდეგ მეოთხე ანტიოქიელი და მეხუთე-იერუსალიმელი..." (ა. კარტაშევი, მსოფლიო კრებები, 1963, გვ. 425). მართალია, ამ კრებას არ გამოუცია დოკუმენტი თუ როგორ უნდა განაწილებულიყო შემდეგი ადგილები, რადგანაც კრება ეხებოდა არა დიპტიხის საკითხს, არამედ სარწმუნოების საკითხს, მაგრამ საერთოდ ეკლესიათა (კათედრათა) ადგილების განაწილებას ძალზე დიდი ყურადღება რომ ექცეოდა, ზემოთ მოყვანილი დადგენილებიდანაც ჩანს.

ქართული ანუ იბერიის ეკლესიის წარმომადგენელს ამ წარმომადგენლობით კრებაზე ეჭირა VI ადგილი. 1438 წლის 5 თებერვალს ფერარაში გახსნილ და ფლორენციაში გაგრძელებულ "მსოფლიო" საეკლესიო კრებას, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის წარმომადგენლები და რომლის აქტებსაც აღმოსავლეთის საპატრიარქოებმა ხელი მოაწერეს, - "თანაბარი უფლებით ესწრებოდა იბერიის მიტროპოლიტი" (ჰეინრიხ., სტორია გენერალე დელლე მისსიონიკატოლიშე... ტორინო, 1846, პ. 13; წიგნიდან ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის წიგნსაცავებსა და არქივებში, I, გვ. 101).

"იბერიის მიტროპოლიტი იჯდა მართლმადიდებელთა მხარეს მეხუთე ადგილზე კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის წარმომადგენლების შემდეგ. - "პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი... პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ... იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი მენზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი იბერიის მიტროპოლიტი" (იქვე, გვ. 102).

კრების მონაწილენი ისხდნენ შემდეგი რიგის მიხედვით: ცენტრიდან თანაბარ მანძილზე იდგა ორი ტახტი - რომის იმპერატორისა და ბერძენთა იმპერატორისა. სასულიერო პირები განლაგებულნი იყვნენ შემდეგი რიგის მიხედვით: ერთ მხარეს ისხდნენ ლათინთა წარმომადგენლები, მეორე მხარეს ისხდნენ მართლმადიდებელთა წარმომადგენლები. ჩვენთვის საინტერესო მართლმადიდებელთა რიგი იყო შემდეგი სახისა: მართლმადიდებელთა რიგში პირველად იდგა - 1. კონსტანტინეპოლის პატრიარქის სავარძელი (პატრიარქი ამ სხდომას არ ესწრებოდა); პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ: - 2. ალექსანდრიის პატრიარქის წარმომადგენელი - არქიეპისკოპოსი; 3. ანტიოქიის პატრიარქის წარმომადგენელი - არქიეპისკოპოსი; 4. იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი - არქიეპისკოპოსი; 5. იბერიის პატრიარქის (დოკუმენტშია - "მეფის") წარმომადგენელი - მიტროპოლიტი. ამის შემდეგ დიპტიხის მიხედვით ისხდნენ სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსები.

"ნაწყვეტი ფლორენციის წმიდა მსოფლიო საეკლესიო კრების ოქმიდან... სასულიერო პირების განლაგების შესახებ... პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი (პატრიარქი, შეუძლოდ ყოფნის გამო, იმ დღეს კრებას ვერ ესწრებოდა)... პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ - ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი, რომელსაც ალექსანდრიის პატრიარქის კანონიერი მანდატი ჰქონდა და მისი ადგილი ეკავა; ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოგზავნილი ეფესიის არქიეპისკოპოსი; იერუსალიმის პატრიარქის წარმოგზავნილი მენზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი - იბერიის მიტროპოლიტი; ამათ შემდეგ ისხდნენ ტრაპეზუნტის, რიზეს, ნიკეის... არქიეპისკოპოსები... მიტროპოლიტები... ბერები, თავიანთი წესის მიხედვით" (იქვე, გვ. 214; ლათინური ტექსტი, გვ. 280).

ფლორენციის კრებაზე არა მარტო ეკლესიათა წარმომადგენელი სასულიერო პირები ისხდნენ "წესის" ანუ დიპტიხის მიხედვით, არამედ საერო პირებიც ასევე "წესის" მიხედვით ისხდნენ.

ფერარა-ფლორენციის "მსოფლიო" საეკლესიო კრებიდან ჩანს, რომ ქართული ეკლესიის მეექვსე ადგილი მსოფლიო ეკლესიათა რიგში, ხოლო მეხუთე ადგილი მართლმადიდებელთა რიგში აღიარებული და ცნობილი იყო როგორც რომის პაპის, ასევე მსოფლიო (კონსტანტინეპოლის) პატრიარქის და სხვა აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ, თავისი დროისათვის ძალზე მნიშვნელოვან კრებაზე, რომელიც მსოფლიო ეკლესიის გაერთიანებას ისახავდა მიზნად, რომისა და აღმოსავლეთის ქრისტიანები ერთმანეთთან უთანხმოებაში არ შევიდოდნენ იბერიის ეკლესიის ადგილის ძიებისათვის. იბერიის ეკლესიის ადგილი დიპტიხში ძველთაგანვე ცნობილი იყო, ამიტომაც მან ამ "მსოფლიო" კრებაზე ყოველგვარი დავის გარეშე თავისი ადგილი დაიჭირა.

მეთხუთმეტე საუკუნის I ნახევრის დიპტიხი, დაცული ფერარა-ფლორენციის კრებაზე, ასეთია: 1. რომის პაპი, 2. მსოფლიო (კონსტანტინეპოლის) პატრიარქი, 3. ალექსანდრიის, 4. ანტიოქიის, 5. იერუსალიმის, 6. იბერიის, 7. ტრაპეზუნტის, 8. რიზეს, 9. ნიკეის, 10. ლაკედემონიის, 11. ნიკომედიის, 12. ტრივონიის, 13. ამასიის, 14. მიტილენის, 15. ტოლოზინოს, 16. სტავროპოლის, 17. ტუსტრიცის, 18. გარინის, 19. მელენტინის, 20. აქილის, 21. მულდულის პატრიარქები და არქიეპისკოპოსები (იქვე, გვ. 214 - 215; ლათინური ტექსტი, გვ. 280).

მართალია, ამ კრებაზე ასე ისხდნენ ეკლესიის იერარქები, მაგრამ მათგან ავტოკეფალურ ეკლესიად მიიჩნეოდა მხოლოდ ხუთი ეკლესია: კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და იბერიისა, ამიტომაც ამ ავტოკეფალურ ეკლესიათა წარმომადგენლებს ამ კრებაზე ეჭირათ განსაკუთრებული, სხვებისაგან განსხვავებული სკამები კრების მონაწილეთა პირველ რიგში. ხოლო იბერიის მეფის ელჩი, რომელსაც აგრეთვე ტრაპეზუნტის იმპერატორის მანდატი ჰქონდა, პაპის თანმხლები პირის პირდაპირ იჯდა (იქვე, გვ. 215).

ასეთი სახის დიპტიხი იყო "მსოფლიო" ეკლესიის დიპტიხი. მართლმადიდებლური დიპტიხიდან კი გავიდა რომის პაპის მოხსენიება, მაგრამ ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ქართული ეკლესიისათვის კანონიკურად მიჩნეულ მე-6 ადგილზე. კერძოდ, მართალია, მართლმადიდებლური დიპტიხიდან გავიდა რომის პაპის მოხსენიება, რამაც ვაკანტური ადგილი წარმოშვა ადგილობრივი ეკლესიების მეთაურთა ექვსეულში, მაგრამ მალე ვაკანტური ადგილი დაიჭირა რუსეთის ეკლესიამ მსოფლიო საპატრიარქოსა და სხვა საპატრიარქოთა გადაწყვეტილებით, რაც სცნო ქართულმა ეკლესიამ.

"კონსტანტინეპოლის პატრიარქმა გენადი სხოლარიმ (1453-1460) სხვა აღმოსავლელ პატრიარქებთან ერთად სცნო რუსული ეკლესიის დამოუკიდებელი არსებობა და განსაზღვრა ჩათვლილიყო ავტოკეფალური რუსული მიტროპოლია თავისი ღირსებით იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ, ესე იგი მეხუთე ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიხში" (Православний церковний календарь, 1985, გვ. 3).

აქამდე ქართულ ეკლესიას დიპტიხში ადგილი იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ ეჭირა, ამის შემდეგ კი მან თავისი ტრადიციული VI ადგილი დაიჭირა რუსეთის ეკლესიის შემდეგ.

1589 წელს რუსეთის საპატრიარქოს დაარსების შემდეგ მისმა პატრიარქმა დიპტიხში მაღალი ადგილი დაიკავა. "როცა დიდმა კრებამ 1593 წელს განსაზღვრა მოსკოვის საპატრიარქოს მდგომარეობა, მას გამოეყო უფრო მაღალი ადგილი, ვიდრე მაშინ არსებულ არქიეპისკოპოსებს ავტოკეფალურ და თვითმმართველ ეკლესიებისა - არხიდიისას, კვიპროსისას, ივერიისას და პეკიისას, მაგრამ არა ალექსანდრიის პატრიარქის შემდეგ, როგორც სურდა რუსეთის მეფეს, არამედ მხოლოდ იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ, იმასთან დაკავშირებით, რომ კრების მამებმა შესაბამის მიმართვაში განაცხადეს წმიდა მამათა კანონების შეუცვლელობა" (Вклад вселенского патриархата в разработке теми "диптихи", გვ. 11).

რუსეთის მეფეს სურდა და აღმოსავლეთის საპატრიარქოებიც არ იყვნენ წინააღმდეგნი, რუსეთის პატრიარქს დიპტიხში დაეჭირა ადგილი ალექსანდრიის პატრიარქის შემდეგ, მაგრამ რადგანაც წინა საუკუნეებში წმიდა მამათა მიერ დადგენილი იყო დიპტიხში ალექსანდრიის საპატრიარქოს შემდეგ ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქთა ხსენება, რაც დადასტურებული იყო ტრულის კრების კანონით, ამიტომაც აღმოსავლეთის პატრიარქებმა გადაწყვიტეს რუსეთის პატრიარქის ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში ყოფილიყო იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ. ეს ადგილი რუსეთის საპატრიარქომ მიიღო თავისი არა მარტო სიდიდისა და ეკონომიური სიძლიერის გამო, არამედ იმიტომაც, რომ იმ დროს მაჰმადიანურ ქვეყნებში არსებული აღმოსავლეთის ყველა პატრიარქი რუსეთის ქრისტიანულ სახელმწიფოს იმედის თვალით შესცქეროდა. ასევე იყო საქართველოშიც, ამიტომაც ქართულმა ეკლესიამ სცნო და აღიარა რუსეთის საპატრიარქოს ადგილი იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ. მაგრამ დიპტიხში VI ადგილზე კვლავ ქართული ეკლესია უნდა ყოფილიყო.

ქართულმა ეკლესიამ რუსეთის პატრიარქის ადგილი იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ რომ აღიარა, ამას მიუთითებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ანტონის მიმართვა რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედისადმი. 1757 წელს ანტონ I, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი წერდა: - "...ყოველსა, რასაცა აღიარებს და დაამტკიცებს, შეიწყნარებს და მიიღებს დღეს წმ. ეკლესია აღმოსავლეთისა, რომელ არს კონსტანტინეპოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და იერუსალიმისა და ყოვლისა რუსეთისა - მეცა აღვიარებ..." (ევ. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918, გვ. 188). აქედან ჩანს, რომ უკვე XVII საუკუნის შემდგომ ქართული ეკლესიის დიპტიხი ასეთი იყო: 1. კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქო, 2. ალექსანდრიის, 3. ანტიოქიის, 4. იერუსალიმის, 5. რუსეთის საპატრიარქოები, 6. საქართველოს საპატრიარქო.

ამჟამადაც მართლმადიდებლურ დიპტიხში ქართულ ეკლესიას უჭირავს ისტორიულ-ტრადიციული VI ადგილი, რაც სრულებით კანონიერია.

"ჯვარი ვაზისა" N1, 1993.

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

ქართველების არმენიზაცია

რა ბედი ელით იმ ქართველებს, რომლებიც განშორდნენ ჩვენს დედას - საქართველოს სამოციქულო ეკლესიას და უცხო ეკლესიათა მრევლად იქცნენ?

ამჟამად სხვადასხვა სარწმუნოებრივი მიმართულებანი, რომელნიც ეროვნულობას უარყოფენ, - იეღოველობა, ბაპტიზმი, ორმოცდაათიანელობა, სტაროვერობა და სხვანი, ცდილობენ ფეხი მოიკიდონ საქართველოში. ცხადია, ჩვენ პატივს ვცემთ ყოველი ადამიანის თავისუფალ სინდისს, მაგრამ ისტორიული გამოცდილება გვარწმუნებს, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიისაგან განშორებული ჩვენი თანამემამულენი ეროვნულადაც გადაგვარდნენ. ამჟამადაც ხომ არ გაუცხოვდებიან ქართველობისაგან ქართველი იეღოველები ანდა ბაპტისტები, მათი შთამომავალნი ქართველებად ჩათვლიან თუ არა თავიანთ თავს? ეს კითხვა უპასუხოდ არ უნდა დარჩეს, რამეთუ საზღვრების გახსნის შემდგომ მრავალი ქართველი მიაშურებს უცხოეთს. ისინი თავიანთი უცხოური სარწმუნოების წყალობით უცხოეთში გაითქვიფებიან, თუ თავს კვლავ დედა ქართული ეკლესიის წევრებად ჩათვლიან და ამით უფალი ღმერთის შემწეობით ქართველობას შეინარჩუნებენ?

ჩვენ გვაქვს ისტორიული მაგალითი, ისტორიული გამოცდილება, რომლის ანალიზი ზემოთ გამოთქმული დაეჭვების უფლებას გვაძლევს.

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდგომ ნაწილებად დაყოფილი ქვეყანა მაჰმადიანურმა იმპერიებმა ერთმანეთს შორის გაინაწილეს. მტერი ყოველი ღონისძიებით

ცდილობდა ქართული ეკლესიის დასუსტებას. მართლმადიდებლებს ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები შეუქმნეს, რომ ქართველების არცთუ ისე მცირე ნაწილი დედა ეკლესიას განშორდა და საქართველოში არსებულ უცხოურ ეკლესიებს შეემატა, რომლებიც არა მარტო უცხოეთიდან ფინანსდებოდნენ, არამედ ადგილობრივ ხელისუფალთა მხრიდანაც ჰქონდათ შეღავათები, რის გამოც XVII-XVIII საუკუნეებში ქართველების ერთი ნაწილი სომხური და კათოლიკური ეკლესიების მრევლად იქცა, ხოლო უფრო მომეტებული ნაწილი გამაჰმადიანდა.

უცხო ეკლესიათა ფრთებქვეშ მოქცეული ქართველები სულიერადაც გაუცხოვდნენ, ნაწილობრივ მათი ეროვნული ცნობიერებაც შეიცვალა. უცხო ეკლესიის წიაღში შესული ჩვენი თანამემამულენი თანდათან კარგავდნენ საკუთარ ეროვნულს და იმ ერის ნიშან-თვისებებს იძენდნენ, რომლის ეკლესიასაც თავიანთ თავს აკუთვნებდნენ, ითვისებდნენ უცხოურ წეს-ჩვეულებებს, ზოგჯერ ენასაც. შემთხვევითი არ იყო, რომ ხალხი ქართველ გრიგორიანელებს - ”სომხებს”, ქართველ კათოლიკეებს კი “ფრანგებს” უწოდებდა. დედა ეკლესიისაგან გაუცხოვება საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა.

განვიხილოთ ის მიზეზები, რომელთაც ქართველების არმენიზაციას შეუწყვეს ხელი.

XVI საუკუნის ბოლოსათვის სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო გავლენის სფეროებად დაინაწილეს სპარსეთმა და ოსმალეთმა. ხოლო სამხრეთ საქართველო (მესხეთი და ლაზეთი), ქვემო ქართლი და აღმოსავლეთი კახეთი პოლიტიკურად მოწყვიტეს ჩვენს ქვეყანას და უშუალოდ უცხო სახელმწიფოთა მმართველობას დაუქვემდებარეს.

XVII-XVIII საუკუნეებში საგარეო-პოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. საქართველოს ჩრდილოეთით ახლად წარმოქმნილი რუსეთის იმპერია სწრაფად აფართოებდა თავის საზღვრებს. იგი კავკასიის ქედს მიუახლოვდა, ყირიმისა და ჩრდილო კავკასიის დაპყრობის შემდეგ რუსეთმა მიზნად დაისახა კონსტანტინეპოლის აღება შავი ზღვის სრუტეების ხელში ჩაგდების მიზნით, ინდოეთის ხელში ჩასაგდებად კი სპარსეთის დალაშქვრა დაგეგმა. რუსეთის იმპერიის სწრაფმა ზრდამ და აგრესიულობამ სასიკვდილო საფრთხე შეუქმნა სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს. ჯერ კიდევ კახეთის მეფეთა წინააღმდეგ მებრძოლი დაღესტნის შამხალი აფრთხილებდა ოსმალეთის სულთანს, რომ სწორედ საქართველოს გზით და ქართველთა მეოხებით აპირებდა რუსეთი კონსტანტინეპოლის დაპყრობას, ოსმალეთის იმპერიის დაშლა-დამორჩილებას და სპარსეთის დალაშქვრას. მართლაც, კავკასიაში რუსეთის იმპერიის უპირველეს საყრდენს საქართველო წარმოადგენდა. იმ შემთხვევაში, თუ ამიერკავკასიაში რუსები გაბატონდებოდნენ, სპარსეთ-ოსმალეთის იმპერიათა მზე ჩაესვენებოდა (ეს მართლაც ასე მოხდა XIX-XX საუკუნეებში).

სპარსეთისა და ოსმალეთის მმართველებისათვის ცნობილი იყო, რომ ქართველები რუსებს ერთმორწმუნეობის გამო სიყვარულით ეკიდებოდნენ. ეს ოსმალებმაც და სპარსელებმაც იცოდნენ და დაპყრობილ ქართულ მიწებზე (მესხეთში, ლაზეთში, ქვემო ქართლში, აფხაზეთის ნაწილში, აღმოსავლეთ კახეთში) მართლმადიდებლურ სარწმუნოებას სასტიკად ებრძოდნენ, ხოლო გავლენის სფეროში მოქცეულ ქართლ-კახეთსა და დასავლეთ საქართველოში ძლიერ ზღუდავდნენ მას.

მტრები ცდილობდნენ აღმოეფხვრათ ქართველთა შორის მართლმადიდებლობა და მის ნაცვლად მაჰმადიანობა გაევრცელებინათ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამას ვერ შეძლებდნენ, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ქართველები მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღიდან მოეწყვიტათ, რადგან სომხური და კათოლიკური ეკლესიები მათთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა. ამის გამო საქართველოში თანდათანობით ფეხს იკიდებდა სომხური და კათოლიკური ეკლესიები.

ჩვენი ეკლესიის ისტორიკოსი ე. ნიკოლაძე წერს, რომ სპარს-ოსმალთა ხელშეწყობით საქართველოში ფრიად გაძლიერებულა სომხური ეკლესიის პროპაგანდა, რომელსაც დიდად დაუზარალებია მართლმადიდებლობა. ის წერს: “მთელი ხრამის უღელტეხილი, ბორჩალოს მაზრა

და ალაზნის გაღმა მხარე სავსე იყო სომეხთა მისიონერებით, რომლებიც სქოლასტიკურად განათლებულნი, დიდად ცდილობდნენ, რომ საქართველოს პოლიტიკური უბედურებას თან მიმატებოდა სარწმუნოებრივი განხეთქილება. სომეხთა მწვალებლობა წარმატებით ვრცელდებოდა ქართველთა შორის, იმიტომ, რომ საქართველოში იყო გამოცხადებული სარწმუნოებრივი თავისუფლება და მთავრობას არ შეეძლო სარწმუნოებრივი დავის აკრძალვა". ე. ნიკოლაძე წერს, რომ საქართველოში გრიგორიანული სარწმუნოების გავრცელების წინააღმდეგ იბრძოდნენ განათლებული კათოლიკოსები: ნიკოლოზ ამილახვარი (1675-1688 წწ.), დომენტი (1705-1724) და განსაკუთრებით უწმიდესი ბესარიონი (1724-1739) (იხ. ა. ჯაფარიძის "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ტ. II, გვ. 1097).

ქართველთა სარწმუნოებრივი გასომხების შესახებ ჩვენი ძველი საეკლესიო მოღვაწეებიც წერდნენ. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა, საქართველოს ერთ-ერთმა ყველაზე უფრო გავლენიანმა სასულიერო პირმა, როსტომ მეფის წინაშე მწუხარებით განაცხადა კიდეც - "ყოველ დღე ჩვენი თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან და უფრო მომეტებული მათგანი მაჰმადის სარწმუნოებას ღებულობს" (იქვე, გვ. 1087).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომხურ ეკლესიას საქართველოში აძლიერებდა სპარს-ოსმალური ხელისუფლება, რასაც უცხოელი მოგზაურებიც ამჩნევდნენ. ფრედერიკო დე ბუა წერდა: "საოცარი ესაა, რომ მარტო ქართველებს სდევნიან და არა სომხებს". იგულისხმება, რომ მტრები სდევნიდნენ ქართველ მართლმადიდებლებს და არ დევნიდნენ ქართველ გრიგორიანელებს და საერთოდ გრიგორიანული ეკლესიის წევრებს.

როგორც ცნობილია, კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ, თურქებმა სომხებს თავიანთი იმპერიის დედაქალაქში საპატრიარქო დაუარსეს, რომელსაც არა მარტო სომხები, არამედ ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები სხვა ეროვნების ქრისტიანი ხალხებიც დაუმორჩილეს. შ. ლომსაძე მ. ორმანიანზე დაყრდნობით წერს: "ახლად შექმნილ სომეხთა საპატრიარქოს თურქებმა დაუმორჩილეს სომხები, სირიელები, ქალდეველები, კოპტები, ქართველები (იგულისხმება ამ დროს თურქების მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობილი პროვინციების ქართველები, ყარს-არზრუმისა და ნაწილობრივ იმიერ ტაოს მიმდებარე მიდამოების ქართული მოსახლეობა) და აბისინიელები".

არა მარტო მესხეთში, არამედ ყველგან, მთელ საქართველოში, სადაც სპარს-ოსმალები ბატონობდნენ, სომხურ ეკლესიას უფლება ეძლეოდა ქართველ ქრისტიანებზე, ხოლო ქართული ეკლესია იდევნებოდა. შ. ლომსაძე წერს: "თითქოს გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, XV საუკუნის შუა ხანებში თურქეთის დაპყრობილ ტერიტორიებზე არნახულად გაიზარდა როგორც სომეხ ვაჭარ-მრეწველთა, ისე სომხურ გრიგორიანული ეკლესიის ძლიერება და ავტორიტეტი. საკუთარი სახელმწიფო დაკარგული სომეხი ხალხი თურქეთის სულთანებს თავიანთი პოლიტიკის დასაყრდენ იარაღად მიაჩნდათ". სულთან მეჰმედ II სომხებს თავისი ინტერესების ერთგულ დამცველად თვლიდა. საერთოდ სომხური მონოფიზიტური ქრისტიანული სარწმუნოებრივი მიმდინარეობა, რომელსაც მოგვიანებით (1836 წელს) გრიგორიანელობა შეერქვა, სომხებს შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა როგორც თურქეთში, ისე ირანში. ამრიგად, სომეხი ხალხი სომხური სახელმწიფოს არარსებობის პირობებში უცბად ორი საპატრიარქოს (ეჩმიაძინ-კონსტანტინეპოლის), ორი საკათალიკოსოს (სისიისა და ახტამარის) პატრონი გახდა. ამავე პერიოდში სპარსელი შაჰების ხელშეწყობით ირანში სომხურ ეკლესიებს აგებდნენ ბრწყინვალე არქიტექტურული გადაწყვეტით, მოოქროვილი ჭერითა და გუმბათებით, დახვეწილი ევროპული სტილის ფერწერით (1605-1663 წლებში). სპარსი შაჰები სომხურ საეკლესიო დღესასწაულებზე დადიოდნენ და ქრისტიანულ რიტუალებს ესწრებოდნენ. გამოსული იყო განსაკუთრებული ბრძანება, რომლის ძალითაც სჯიდნენ ყველას, ვინც სომეხ ქრისტიანს შეურაცხყოფას მიაყენებდა. ნადირ შაჰის ერთ რაყამში ვკითხულობთ: "თუ რომელიმე სომეხი

ქრისტიანი მიიღებს მაჰმადიანურ სარწმუნოებას, მაშინ მას ჩამოერთმევა მთელი მისი მემკვიდრეობა" (იხ. იქვე, გვ. 1084).

ამავე ეპოქაში, კი, შაჰ-აბასის შემოსევების შემდგომ, კახეთის მოსახლეობა მასობრივად აჰყარეს მიწა-წყლიდან და სპარსეთში გადაასახლეს, სპარსთა მიერ ხელისუფლად დადგენილმა როსტომმა საქართველოს კათოლიკოსი ედემოზ დიასამიძე კლდიდან გადააგდებინა, მესხეთში თოთხმეტი ქართული საეპისკოპოსო გააუქმეს, დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვა და მაჰმადიანურ ქვეყნებში გაყიდვა დაიწყო. თბილისის სიონი მეჩეთად გადაქცევას ქართველი დიდებულების თავდადების წყალობით გადაურჩა.

XVI-XVIII საუკუნეებში სომხურმა ეკლესიამ დიდ ბრწყინვალებას მიაღწია. მაჰმადიანურ სამყაროში პატივს სცემდნენ სომხებს, როგორც ვაჭარ-მრეწველებსა და ხელოსნებს. სომხური ეკლესიის მრევლი ღირსეულად იყო განფენილი ევროპისა და აზიის ქალაქებსა და რეგიონებში - ბომბეიდან ლონდონამდე. საქართველოში ხელისუფლება პატივს სცემდა სომხებს - ვითარცა ვაჭრობასა და ხელოსნობაში დაოსტატებულ მოქალაქეებს.

სომხურმა ეკლესიამ შეძლო ჩაენერგა თავისი მრევლისათვის აღებ-მიცემობის, ვაჭრობისა და ხელოსნობის სიყვარული მიწის მუშაკობასთან ერთად. საქართველოშიც სომხური ეკლესიის მრევლად ქცეული მოსახლეობაც - თანდათანობით ვაჭრობა-ხელოსნობას ჰკიდებდა ხელს. ამ ვითარების გამო თანდათან "სომხობა" ვაჭარ-ხელოსანთა ფენის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. ირანსა და თურქეთში (და მათ მიერ დამორჩილებულ საქართველოში) სომხებს როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური წარმატების საყრდენს ისე უყურებდნენ. სწორედ ამის გამო მათ შეღავათები ენიჭებოდათ. სომხებს ათავისუფლებდნენ სამხედრო ბეგარისაგან, ყმას - ბატონყმობის უღლისაგან; თუ ქართველი გლეხი თავის თავს სომხური ეკლესიის წევრად აღიარებდა, იგი სამხედრო სამსახურიდან თავისუფლდებოდა. გარდა ამისა, გრიგორიანელებს თავიანთ ეკლესიებთან შექმნილი ჰქონდათ ერთგვარი კორპორაციები, ურთიერთდახმარების სალაროები. ეკლესია ეხმარებოდა ღატაკს, აძლევდა ბავშვებს განათლებას, ასწავლიდა ვაჭრობას და რაც მთავარია, ტყვედ წაყვანილი ოჯახების გამოსყიდვასაც ახერხებდა და თავის საცხოვრებელ ადგილზე აბრუნებდა, რაც სომხურ ეკლესიას დიდ მიმზიდველობას ანიჭებდა. ამავე დროს კი ქართული ეკლესია უკიდურეს ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდიდა, ის თავად საჭიროებდა თავისი მრევლისაგან შეწევნას. როგორც აღინიშნა, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მაჰმადიანთაგან დამორჩილებულ ქვეყანაში მტერი ყოველი ღონით ებრძოდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას, ვითარცა მზარდი რუსეთის იმპერიის დასაყრდენს საქართველოში, ხოლო გრიგორიანულ სარწმუნოებას, ვითარცა ნეიტრალურს, სახიფათოდ არ მიიჩნევდა, ამიტომ გარკვეულ შეღავათებსაც ანიჭებდა. "ირან-ოსმალეთისათვის შედარებით უფრო მოსათმენი იყო რუსულისაგან განსხვავებული ქრისტიანობა, რის გამოც ქართველნი ფარულად ქრისტიანობდნენ, სომეხნი კი ცხადად" - წერს გ. მაისურაძე.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მეფე-მთავრებიც მზრუნველობით ეპყრობოდნენ გრიგორიანელებს, ზოგჯერ სომხურ ეკლესიებსაც კი აშენებდნენ, ეჩმიაძინს მამულებსა და ყმებს სწირავდნენ. ეს ფაქტი, გარდა ეკონომიკური მოტივებისა, იმითაც აიხსნება, რომ ირანის გავლენის სფეროში მოქცეული აღმოსავლეთი საქართველო იძულებული იყო იგივე სარწმუნოებრივი პოლიტიკა გაეტარებინა, როგორსაც ირანი ატარებდა. განსაკუთრებით გაიზარდა სომხური ეკლესიის მრევლი საქართველოში ქართლის მეფე როსტომ ხანის დროს. მალე როსტომის კარზე მაღალი სარწმუნოებრივი თანამდებობები გრიგორიანელებმა დაიჭირეს (იგულისხმება ეროვნებით ქართველები). როსტომი გრიგორიანელთა მიმართ სპარსულ პოლიტიკას ატარებდა, იცავდა და მფარველობდა მათ მაშინ, როცა მართლმადიდებლურ ეკლესიას დევნიდა; ქართლის კათალიკოსი ევდემონი დაახრჩობინა და ციხიდან გადმოაგდებინა. მან იცოდა, რომ ქართული ეკლესია და მართლმადიდებელი ქართველობა სამეფო ტახტზე მხარს მის მეტოქეს, თეიმურაზს უჭერდა.

როსტომის დროს გაიზარდა და განვითარდა საქალაქო ცხოვრება, ხელოსნური წარმოება, ვაჭრობა. დაწინაურდა თბილისი, გაჩნდა სხვა ქალაქები, მათ შორის სურამი, ახალქალაქი, რაც გრიგორიანელთა რიცხვის გაზრდასაც გულისხმობდა, რადგან ვაჭრობა-ხელოსნობას სწორედ ისინი მისდევდნენ. ამანაც შეუწყო ხელი ქართული მართლმადიდებლური მრევლის ერთი ნაწილის სარწმუნოებრივ გასომხებას. თავის მხრივ არც ეჩმიაძინი იყო გულზე ხელდაკრეფილი. იგი საქართველოში (იქვე, გვ. 1113) სოფლებს, მამულებს, ყმებს იძენდა, პატრი ამბროზის ცნობით, "სომეხთა ხელქვეითი ქართველები მალე გადადიან სომხის წესზე". თბილისელი ვაჭრები ყიდულობდნენ მართლმადიდებლებს სახლის საჭიროებისათვის, სახელოსნოებში სამუშაოდ. სხვადასხვა კუთხეებიდან დევნილი ქართველი ყმები ეთვისებოდნენ სომხებს, ირქმევდნენ სომხურ სახელებს, "სომხობა" მათ ბატონყმობის უღლისაგან ათავისუფლებდა.

ზ. ჭიჭინაძე წერდა: "დღეს მთელი ქართლ-კახეთი და იმერეთი სავსეა ქართველი გრიგორიანელებით, მათ ყველას კარგად ეტყობათ, რომ ისინი შთამომავლობით ნამდვილი ქართველები უნდა იყვნენ. ამას ეჭვი და ყოყმანი არ უნდა, თუკი ვინმე დააკვირდება". "ტომით ქართველნი და სჯულით სომეხნი" ვართო - აცხადებდა ზოგიერთი. ზ. ჭიჭინაძის თვალსაზრისით ქვემო ქართლისა და თბილისის მკვიდრი სომხების უმეტეს ნაწილს ქართველი გრიგორიანელები ე. ი. ეთნიკურად ქართველები, სარწმუნოებით კი სომხური ეკლესიის მრევლი წარმოადგენდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ეთნოგრაფ ნ. ვოლკოვას შრომები. ნ. ვოლკოვამ ქვემო ქართლში ეთნოგრაფიული მუშაობის შედეგად გამოავლინა, რომ "აქაური სომხური გვარის მატარებლები წარმოშობით ქართველები არიან და აქ ასიოდე წლის წინ მოსულან სხვადასხვა რაიონებიდან, ასე მაგალითად, მინასიანცების და მიქელიანცების წინაპრები დიღმელი თეთრაძეები ყოფილან, მარქაროვებისა - გორელი ნაბდიშვილები და ა.შ. აქაურებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ შეუცვალა ადგილობრივმა სომეხმა მემამულემ ქართველებს გვარი სომხურად".

ზ. ჭიჭინაძის, რ. თოფჩიშვილისა და სხვა მეცნიერთა შრომებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ზოგიერთი ქართველი გრიგორიანელის გვარი, რომელნიც თუმცა წარმოშობით ქართველები იყვნენ, მაგრამ სარწმუნოებრივი აღმსარებლობის გამო რუს ხელისუფალთა მიერ სააღწერო მასალებში სომხებად ეწერნენ. ასეთნი იყვნენ: ახალდაბაში პაპუაშვილები, თათრიშვილები, ნაცვლიშვილები; ახალქალაქში - მამასახლისშვილი, ქვრივიშვილი, ხუციშვილი, მეზურნიშვილი, გოგინაშვილი, ოქრომჭედლიშვილი, ჩალაშვილი, ტატანაშვილი, აბუაშვილი, გაბრიელიძე, წვერიანაშვილი, მჭედლიშვილი, ნასყიდაშვილი, ივერიანოვი, ფირალიშვილი, გოდერძიშვილი, მამაცაშვილი. ბერბუკში - გიგაურები, ვერხვიაშვილები; ვაყაში - იმედაშვილები, მამულაშვილები, მეფარიშვილები; გრაკალში - გოგინაშვილები, დურგლიშვილები, ტატიაშვილები, პაპუაშვილები; დიდ გარეჯვარში - თუშიშვილები, მუნჯიშვილები; დარბში - კულუმბეგაშვილები, დოლიაშვილები, მომმანაშვილები, თეთრუაშვილები, ქოთუაშვილები, ბერიანაშვილები, პაატაშვილები; ზემო რეხში - კაკიტაშვილები, მამუკელაშვილები, ქართველიშვილები, კაბულაშვილები; ტყვიავში - ქარელები, მერაბიშვილები, გიგუაშვილები, ხაბაზიშვილები და მრავალი სხვა. კავთისხევში - ნანიკაშვილები, ქსოვრელები, ირემაშვილები, ბასიაშვილები, ბიჭიკაშვილები; ქვახვრელში - ბერიკაშვილები, პაპიაშვილები, გოგოლაშვილები, მათიაშვილები, ხუციშვილები, გიგოლაშვილები. ახალგორში - მზარეულოვი, მურდინოვი, ვარაყოვი, კაკილოვი, კიკოლაშვილი, ხუბაშვილები, ხოცეულაშვილი, ბერიაშვილი, ლოსეურაშვილი, გათენაშვილი, გელიაშვილი, დათიაშვილი, გრემელაშვილი, ცაგარელი. ამ სიის გაგრძელება შეიძლება 1886 წლის სააღწერო მასალების მიხედვით თბილისის, თელავის, სიღნაღის მაზრებიდან. რ. თოფჩიშვილის მიხედვით, კუმისის მოსახლეობის დიდი ნაწილი: გრიგორიანული რწმენის გამო სომხებად ჩაწერილი ქართველები იყვნენ - ბაბალაშვილი, გურასპაშვილი, საყვარელაშვილი, მათურაძე, თათარაშვილი, გზირიშვილი, გარსევანიშვილი, ხოსიტოვი, გურამოვი, გაბიევი, ჟუჟიაშვილი, ტეტიაშვილი, კახელაშვილი, ქობულაშვილი, ოლქიაშვილი, დედილაშვილი, ნონიაშვილი, სოზიაშვილი, მაისურაძე, საყევაროვი, კახუროვი,

როსტიაშვილი. პატარა ენგეთში - გრიქუაშვილი (იგივე მესტვირიშვილი). სანიორეში - ოხანაშვილი (იგივე ორკოდაშვილი). სარქისაშვილი (კიკუაშვილი), ყანდაურაში - კუზანაშვილი (იგივე განმტკიცულაშვილი), ჩუმლაყში - დემუროვი (მენაბდიშვილი), ანანურში - სტეპანოვი (მუხაშვილი). ქართველ გრიგორიანელთა გვარები გაცილებით უფრო მეტია ნაშრომში. გრიგორიანელების რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა XIX საუკუნის II ნახევრიდან, რაც სააღწერო მონაცემებიდანაც ჩანს, როცა ესა თუ ის გვარები ჯერ ქართველებად - რამდენიმე ათეული წლის შემდეგ კი სომხებად არიან ჩაწერილნი. ამის მიზეზი იყო რუსთა ბატონობის გამო ქართული ეკლესიის დასუსტება და სომხურის გაძლიერება, ქართველი მრევლი სომხურ სარწმუნოებას მიეკედლა. ამ პროცესს შეუშფოთებია რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება, ამიტომაც თვით რუსეთის იმპერატორის მითითებით გადაწყვიტეს გამოეცათ ანტონ I კათალიკოსის ცნობილი წიგნი - "მზამეტყველება", რომელიც საგანგებოდაა დაწერილი მონოფიზიტური სარწმუნოების განსაქიქებლად. მასში ყოველი კაცი იპოვის მზა პასუხს მწვალებელთა ყოველ კითხვაზე. აღსანიშნავია, რომ 1752 წელს დასრულებული აღნიშნული წიგნი მიმართულია გრიგორიანული სარწმუნოების წინააღმდეგ. ამ წიგნმა XVIII საუკუნეში უდიდესი საქმე აღასრულა საქართველოს ეკლესიის განსამტკიცებლად და სომხურ-კათოლიკური პროპაგანდის შესასუსტებლად. XIX საუკუნეშიც, როგორც აღინიშნა, იმპერატორის ნებართვით ის კვლავ გამოსცეს.

განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, რომ სომხდებოდნენ ის ქართველებიც, რომლებიც იღებდნენ კათოლიკურ სარწმუნოებას. ქართველი კათოლიკების გასომხებას მ. თამარაშვილი იმით ხსნის, რომ რადგან ვატიკანში ქართული ენა არ იყო დამტკიცებული ღვთისმსახურების ენად, საქართველოს კათოლიკურ ეკლესიებში ლათინური და სომხური ენები გაბატონდნენ, მაგრამ იმის შემდეგ, რაც XVI-XVII საუკუნეებში თურქეთმა ევროპაში მისასვლელი გზები ჩაკეტა და მისიონერებს საქართველოში შემოსვლა აუკრძალა, საქართველოს კათოლიკური ეკლესიებიდან (უპირველეს ყოვლისა იგულისხმება მესხეთი) თანდათანობით განიდევნა ლათინური ენა და ქართველ კათოლიკებს წირვა-ლოცვის ენად სომხური შემორჩათ. კათოლიკურ მრევლს სომეხი კათოლიკენი ხელმძღვანელობდნენ, რაც ქართველ კათოლიკეთა სრულ დაბნევას იწვევდა. რადგანაც შინ ქართულად ლაპარაკობდნენ, აიძულებდნენ ელოცათ სომხურად, ადიდებდნენ რომის პაპს და ცხოვრობდნენ თურქული პოლიტიკის ქვეშ (იგულისხმება მესხეთი), მათ ნათლობისას არქმევდნენ სომხურ სახელებს: ავიწყებდნენ თავიანთ წარმომავლობას. მესხეთში (რომელიც საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედს მოიცავდა), უამრავმა ქართველმა შეძლო ქრისტიანობის შენარჩუნება კათოლიკური სარწმუნოების მიღების გზით, მაგრამ კათოლიკე ქართველები სომეხ-კათოლიკე სამღვდელოების ხელში მოექცნენ და გასომხდნენ.

ასე რომ, ქართველები შექმნილი პოლიტიკურ-სოციალური ვითარების გამო XVII-XIX საუკუნეებში არა მარტო გრიგორიანელობის მიღებით, არამედ კათოლიკური სარწმუნოების აღიარებითაც სომხდებოდნენ. ამიტომაც ამ პროცესს ზოგადად შეიძლება ქართველების არმენიზაცია ვუწოდოთ.

ქართველების გასომხების უპირველესი მიზეზი იყო მათი გასვლა დედა - ქართული ეკლესიის წიაღიდან და შეკედლება უცხო ეკლესიათა ფრთებქვეშ. ამან არა მარტო სულიერად - ხორციელადაც გადააგვარა ისინი - დააკარგვინა ეროვნება.

ამჟამადაც, როცა ქართული ეკლესიის წიაღს ტოვებს რომელიმე ადამიანი თუ ოჯახი, კარგად უნდა ჩაუფიქრდეს კითხვას: მისი შთამომავალი შეძლებს ეროვნების შენარჩუნებას, თუ სულთან ერთად გვარ-ტომობასაც დაკარგავს?

გაზეთი "მადლი", NN11, 1993 წ.

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

ქართველების გამაჰმადიანება

წმიდა წერილში მრავალჯერ გვხვდება გამოთქმა “ჩვენი მამების ღმერთი”. უფალ ღმერთს თაყვანს სცემდნენ ისრაელში, ვითარცა აბრაამის, ისააკისა და იაკობის ღმერთს. უცხო “ღმერთების” თაყვანისცემა “მამათა ღმერთის” ანუ ჭეშმარიტი, სამყაროს შემოქმედი ღმერთის უარყოფად, წინაპრების უპატივცემულობად, ერის, მისი ისტორიისა და წარსულის გმობად მიიჩნეოდა. “მამათა ღმერთის” სიყვარულით ცხოვრობდა ღვთისგან რჩეული ერი.

ჩვენ, ქართველები, უკვე ორი ათასი წელია თაყვანს ვცემთ ჩვენს უფალს, - იესო ქრისტეს, ყოვლადწმიდა სამებას. ორი ათასი წლის მანძილზე მრავალი თაობა ცხოვრობდა ჭეშმარიტი ღმერთის სიყვარულით, ამიტომაც, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ჩვენი წინაპრების ღმერთი იესო ქრისტეა და კურთხეულია უფალი ღმერთი ჩვენი მამებისა.

იეღოველები ცდილობენ, რომ ჩვენმა ხალხმა ამჟამად თაყვანი მათ მიერ ნაქადაგებ “ღმერთს” სცეს. მამა-პაპათა ღმერთის უარმყოფელთ კი ის დაემართებათ, რაც ქართველთა ერთ ნაწილს შეემთხვა ჭეშმარიტი უფლისა და დედა ქართული ეკლესიის უარყოფის შემდეგ. წინაპართა მრწამსის უარმყოფელ ქართველებს, უცხო ეკლესიათა მრევლად ქცეულთ, დიდი უბედურება ეწიათ იმით, რომ ეროვნული ცნობიერება დაკარგეს და მშობელ ერს მოსწყდნენ.

მართალია, გამაჰმადიანებული ქართველების საუკეთესო ნაწილს ეროვნული თვითშეგნება არ დაუკარგავს, მაგრამ უცილობელი ფაქტია, რომ მომეტებული ნაწილი სხვადასხვა მაჰმადიან ხალხთან ასიმილირდა. ეროვნული ეკლესიის უარყოფის შემდეგ მსგავსადვე აითქვიფნენ სხვადასხვა ხალხებში ბერძნულ, გრიგორიანულ და რომაულ ეკლესიებს შეკედლებული ქართველები. ასევე გაუცხოვდებიან მომავალშიც დედა ეკლესიის უარმყოფელი ქართველი იეღოველები და სხვა სექტების წევრებიც.

განვიხილოთ ქართველთა გამაჰმადიანება. მართალია ამჟამად ქართველობა მცირერიცხოვან ერად მიიჩნევა, მაგრამ XV საუკუნის ბოლოსათვის, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის წინ, ის სხვა დიდი ერების გვერდით იდგა. ოსმალეთის იმპერიის დაარსების დროისათვის ქართველებით იყო დასახლებული არა მარტო ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი, არამედ მცირე აზიაში ევფრატის, ჭოროხისა და არეზიის ხეობათა სათავეები. ქართველთა გამაჰმადიანების შედეგად საქართველოს მთელი რიგი მხარეები ჩამოსცილდა - ლაზეთი, ჰერეთი, აღმოსავლეთ კახეთი (საინგილო), მესხეთი, ქვემო ქართლის ნაწილი (ტაშირი, აბოცი, გელაქუნამდე), ჩრდ. აფხაზეთი. გამაჰმადიანდნენ ჩრდ. კავკასიაში საქართველოს მოსაზღვრე მხარეებში მცხოვრები ქართველები. განსაკუთრებით მძიმე დანაკლისს წარმოადგენდა ქართული ეროვნული სხეულისათვის მესხეთისა და აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) გამაჰმადიანება. XVII-XVIII საუკუნეებში ქართველთა მასობრივი გამაჰმადიანების შედეგად ერთ დროს დიდი სახელმწიფო საქართველო უმნიშვნელო ქვეყნად იქცა.

მესხეთის ვრცელ მხარეში (30000 კვ. კმ) მცხოვრები ქართველები მაწყვერელი, კუმურდოელი, იშხნელი, ანჩელი, არზრუმელი, მტბევარი, წურწყაბელი, წყაროსთაველი, ერუშელი, ვალაშკერტელი, ანელი, კარელი, ბანელი და დადაშნელი ეპისკოპოსების მრევლს წარმოადგენდნენ. მესხეთი, წმიდა ილია მართლის თქმით, ქართული ქრისტიანობის აკვანს წარმოადგენდა და გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული ქართველები, რომელნიც მამაპაპეულ რჯულს, საუკუნეთა მანძილზე იცავდნენ, საკმაოდ სწრაფად გამაჰმადიანდნენ, მაშინ, როცა სხვა კუთხეებში (მაგალითად ქართლსა და კახეთში) უცხო სარწმუნოების გავრცელებას მოსახლეობა თავდაუზოგავად ეწინააღმდეგებოდა.

მესხეთში სარწმუნოებრივი ვითარება მაჰმადიანობის გავრცელების წინ გართულებული იყო. როგორც ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, მესხეთში მაჰმადიანობის სწრაფ გავრცელებას გარკვეულწილად ათაბაგების უგუნურმა საეკლესიო პოლიტიკამაც შეუწყო ხელი. იმ დროს, როცა ამ მხარეში ქრისტიანობა ჰყვაოდა და მისი მკვიდრნი გულმხურვალე მორწმუნეები იყვნენ, ათაბაგებმა თითქმის ასი წლის მანძილზე (XV საუკუნის შუა წლებიდან) იბრძოლეს ქართული ეკლესიის მთლიანობის დარღვევისა და მისი წიაღიდან მესხეთის ეკლესიის გამოყოფისათვის. სამწუხაროდ, მათ ეს შეძლეს და მესხეთის ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოსაგან "დამოუკიდებელი" გახადეს. ამას მაწყვერელ-საფარელი ეპისკოპოსების საეკლესიო სეპარატიზმმაც შეუწყო ხელი. მესხეთის ეკლესიის გამოყოფას ქართული ეკლესიიდან საბედისწერო შედეგი მოჰყვა. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, მესხეთის დედა ეკლესიისაგან ჩამოშორებამ გაწყვიტა ის სულიერ-სარწმუნოებრივი კავშირი, რომელიც ამ მხარეს დანარჩენ საქართველოსთან აერთიანებდა: "მესხების გათურქებას, უეჭველია, სხვათა შორის ათაბაგთა მიერ მესხეთის საქართველოს ეკლესიისაგან ჩამოსაშორებლად წარმოებულმა დაუნდობელმა ბრძოლამ და რასაკვირველია, თვით გამოყოფამაც შეუწყო ხელი. ერთი მხრივ, ამ გამწარებულმა ბრძოლამ ხალხის თვალში ეკლესიისა და ქრისტიანობის ავტორიტეტი შეასუსტა, მეორე მხრივ მესხეთის სამღვდელოებას, დედა ეკლესიას მოწყვეტილს და განმარტოებულს, მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის უნარიანობა დაუკარგა. ხოლო იქ, სადაც ქრისტიანობამ მაჰმადიანობას დაუთმო ასპარეზი, ქართველობის ეროვნული გადაგვარება და გათურქებაც დაიწყო" - წერს ივანე ჯავახიშვილი (იხ. ა. ჯაფარიძე საქ. სამოც. ეკლესიის ისტორია ტ. IV, გვ. 405).

ქრისტიანული ეკლესიის ავტორიტეტი მესხეთში ისე დაეცა, რომ ერთსა და იმავე პირობებში მცხოვრები ქართველები მაჰმადიანდებოდნენ, სომხები კი არა. ჰაკობ კარნეცის ცნობით, იმის შემდგომ, რაც სულთანის (იბრაჰიმ I, 1640-1648) ბრძანების მერე ქრისტიანებს გადასახადი დაუმძიმდათ, თორთომის (მესხეთის ამ კუთხის, სადაც ოშკისა და ხახულის ტაძრები იყო) ქართული მოსახლეობა გადასახადის მომატებით იმდენად შეძრწუნებულა, რომ ერთიანად მაჰმადიანობა მიუღია, ხოლო სომხებს ქრისტიანობა შეუნარჩუნებიათ. ტაშიანის ცნობით, სომხები სარწმუნოებას ახალციხის საფაშოს ცენტრსა და მესხეთის სხვა დიდ დასახლებებშიც ინარჩუნებდნენ. მართალია, ამას თავისი პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მოსახლეობის სულიერ დაქვემდებარებას ენიჭებოდა. სომეხი მეცნიერის ცნობით, მესხეთის სომხური მოსახლეობა მხოლოდ პოლიტიკურად ექვემდებარებოდა საფაშოს, სულიერად კი თავის სასულიერო ცენტრებთან, ამ შემთხვევაში ეჩმიაძინთან იყო დაკავშირებული, სომხური ეკლესიის მრევლად ყოფნა უცხოეთში მცხოვრებ სომხებს ეროვნული თვითშემეცნების მდგრადობას ანიჭებდა. მესხეთისა და საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრები ქართველებიც თავის ეროვნებას ასევე მხოლოდ და მხოლოდ დედა ეკლესიასთან კავშირით ინარჩუნებდნენ. როგორც აღინიშნა, ქართულ ეკლესიას ჩამოშორებული მოსახლეობა ქართველობას კარგავდა. ქართველების გამაჰმადიანება თავის თავში ეროვნული თვითშემეცნების შერყევასაც გულისხმობდა. XVII-XVIII საუკუნეებში არსებული ცნობიერებით "ქართველი" ეწოდებოდა ეთნიკური წარმოშობით ქართველს, რომელიც ამავე დროს ქართული ეკლესიის მრევლიც იყო, ხოლო ეთნიკური წარმოშობით ქართველებს, რომლებიც ჟამთა ვითარებამ სომხური, ბერძნული, ანდა კათოლიკური ეკლესიების მრევლად აქცია, შესაბამისად, "სომხებს", "ბერძნებს" ანდა "ფრანგებს" უწოდებდნენ.

ქართველთა გამაჰმადიანების გამო ზედიზედ გაუქმდა საეპისკოპოსოები მესხეთისა: XVI საუკუნის მეორე ნახევარში ბანის, იშხანისა და ანჩის სამღვდელმთავროების (ეპარქიების) გაუქმების შემდგომ ასი წლის განმავლობაში თითქმის ყველა საეპისკოპოსო გაუქმდა. ისე, რომ XVII საუკუნის 60-იანი წლებისათვის, ამ მხარეში ერთადერთი საეპისკოპოსოღა იყო დარჩენილი. უპატრონოდ რჩებოდა ეკლესიები, რომლებიც თავისი სიმდიდრით ოქრომჭედლობის, ხატების, ძვირფასი თვლების ნიმუშებითა და წიგნების სიუხვით გამოირჩეოდა. ეროვნებით ქართველმა

როსტომ ფაშამ XVII საუკუნის შუა წლებში მესხეთის ეკლესიებსა და სასახლეებში არსებული ქრისტიანული სიწმინდენი მოაგროვა, ხატებს ძვირფასი თვლები მოხსნა და ისინი დასაწვავად მოაგროვა სახარებებთან, ჯვრებთან და სხვა საეკლესიო წიგნებთან ერთად, რომელიც იმდენი ყოფილა, რომ მათგან მსგავსად წყლისა, მოედინებოდა ოქრო და ვერცხლი (იქვე, გვ. 419).

მესხეთში გაუქმებული საეპისკოპოსოებიდან დევნილი ეპისკოპოსები და საეკლესიო მოღვაწენი გურიაში, იმერეთში, ქართლში, კახეთსა თუ სამეგრელოში გადადიოდნენ. შ. ლომსაძის ცნობით, XVII საუკუნის 30-იან წლებში საფარელი ეპისკოპოსი ტბეთში გაიქცა და "მტბევარად" იქცა, XVIII საუკუნის დასაწყისში აწყურის ეპისკოპოსი იმერეთში გადავიდა და ბოლოს "გენათელობა" მიიღო.

მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, მესხეთში ეპისკოპოსებს ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული გარკვეული გავლენა მოსახლეობაზე. როგორც ჩანს ეს სულთანის კარზეც გაითვალისწინეს. სულთანმა მესხეთში ეპისკოპოსი საგანგებო ფირმანით დანიშნა, რის შედეგადაც ეპისკოპოსის დევნა შეწყდა.

1640 წელს სულთანს ფირმანით იშხნელობა, მაწყვერელობა და ჩანს, საფარელ-მტბევრობა გაუცია. ერთი ეპისკოპოსისათვის რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრის გაერთიანება იშხანის, აწყურის, საფარისა და ტბეთის ეპარქიების დამცრობით იყო გამოწვეული. მესხეთის სხვა საეპისკოპოსოები უკვე გაუქმებულნი იყვნენ. ამის შემდგომ, სულ რაღაც ასიოდე წელიწადში, სარწმუნოებრივი ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა. თუ XVI საუკუნის 40-იან წლებში ოსმალეთისათვის მესხეთში ქართული საეპისკოპოსოს არსებობა რამდენადმე მისაღები იყო, საუკუნის ბოლოსათვის ის მიუღებელი გამხდარა. მართლმადიდებელ ქრისტიანობაში ოსმალეთი რუსეთ-საქართველოს კავშირის საფუძველს ხედავდა და არავითარ შემთხვევაში არ სურდა მისი შეწყნარება ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე. ამ მიზეზის გამო, ოსმალეთი ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ყოველი ღონით იბრძოდა. რუსეთის იმპერია, რომელიც ამ ქვეყნებს განადგურებით ემუქრებოდა, თავის საყრდენს კავკასიაში პოულობდა. ოსმალეთ-სპარსეთის სახელმწიფოებს რუსეთის მზარდი იმპერია სასიკვდილოდ ემუქრებოდა. რუსეთის იმპერიის საყრდენს კავკასიაში მართლმადიდებელი საქართველო წარმოადგენდა. ოსმალეთი და სპარსეთი იმედოვნებდნენ, რომ ქართული ეკლესიის დასუსტების შედეგად რუსეთის იმპერიის სარწმუნოებრივი საყრდენი კავკასიაში მოიხსნებოდა. სპარსელები და ოსმალები რომ სწორედ ქართულ ეკლესიას ებრძოდნენ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ უშუალოდ ამ ქვეყნებში სხვა ქრისტიანული ეკლესიები, თემები და სამრევლოები ლეგალურად იხსენიებოდნენ, როგორც ცნობილია, ოსმალეთის დედაქალაქში აქტიურად მოღვაწეობდნენ სომხური და ბერძნული საპატრიარქოები, ირანის სახელმწიფოს ტერიტორიაზე კი ეჩმიაძინის სომხური საპატრიარქო. მიღებული წესის თანახმად, ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი, ეროვნული წარმოშობის მიუხედავად, ბერძნულ საპატრიარქოს უნდა დამორჩილებოდა, ხოლო ყველა გრიგორიანელი კი - სომხურ საპატრიარქოს. ოსმალეთის იმპერიაში, მესხეთსა და ლაზეთში, იმის გამო, რომ ქართული ეკლესიის მრევლობა აკრძალული იყო, ქართველთა შორის წარმატებით ვრცელდებოდა კათოლიკური და გრიგორიანული სარწმუნოებანი. ხალხი თავს იმით ინუგეშებდა, რომ არ გმობდა ქრისტიანობას, არ იღებდა მაჰმადიანობას და მხოლოდ სხვა, თუმცა კი არაეროვნულ ეკლესიას ეკედლებოდა.

შექმნილი ვითარების გამო, ბოლო ეპისკოპოსი მესხეთისა, რომელიც როგორც აღინიშნა, ერთდროულად იყო მაწყვერელ-საფარელ-იშხნელ-მტბევარი, იძულებული გამხდარა, უარეყო მართლმადიდებლობა და კათოლიკობა მიეღო. შ. ლომსაძე წერს - "ამ ერთადერთმა საეპისკოპოსომ სამცხე-ჯავახეთში, როგორც ჩანს იარსება 1763 წლამდე. 1763 წლის ბოლოს და 1764 წლის დასაწყისში ამ მხარის ეპისკოპოსმა ვინმე გიორგიმ იძულებით დატოვა მართლმადიდებლობა... ნაცვლად მიიღო კათოლიკური სარწმუნოება, რაც საკმარისი საბაბი გამხდარა იმისათვის, რომ თურქ მოხელეებს შეეწყვიტათ საეპისკოპოსოს დევნა. სამაგიეროდ გაკათოლიკებულ ეპისკოპოსს

დევნა დაუწყო ეჩმიაძინის პატრიარქმა... სომეხ პატრიარქს მოპოვებული ჰქონდა სულთანისაგან უფლება თურქეთში შემავალი კავკასიის ქრისტიანების მეურვეობისა" (იქვე გვ. 420-421). მესხეთისა და ლაზეთის ქართულმა მოსახლეობამ ოსმალეთში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა და დაბალი ეროვნული თვითშეგნების გამო დედა ქართული ეკლესია უარყო და გამაჰმადიანდა, ანდა კათოლიკურ, გრიგორიანულ და ბერძნულ ეკლესიებს შეეკედლა, რამაც ქართველთა ეროვნული ცნობიერება კიდევ უფრო დაშალა. მესხეთის და ლაზეთის ქართველობა დედა ეკლესიიდან გასვლის შემდეგ სარწმუნოებრივ თემებად დაიყო და იმჟამინდელი ცნობიერების შესაბამისად სარწმუნოებრივი ნიშნის მიხედვით თათრებად (თურქებად), ფრანგებად, ბერძნებად და სომხებად დაიყო. ქართველობის შენარჩუნება მესხეთის, ერთ დროს ვრცელი ქვეყნის, მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა შეძლო, კერძოდ იმათ, რომელნიც ქართლისა და იმერეთის საზღვართან ცხოვრობდნენ და თავიანთ თავს ქრისტიანული საქართველოს საეპისკოპოსოების სამწყსოს აკუთვნებდნენ. მესხეთის ქართველობის უდიდესი ნაწილი XVIII საუკუნისათვის უკვე გამაჰმადიანებული იყო, მაგრამ ქართული ენა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დავიწყებული.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთში იძულებით არ ამაჰმადიანებდნენ. იქ ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პირობები იყო შექმნილი, რომ ხალხი "ნებაყოფლობით" მაჰმადიანდებოდა. იძულებით გამაჰმადიანებას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მიმართავდნენ. წათე ბაწაში წერს - "მოსახლეობის ძალდატანებითი გამუსულმანების პროცესს მასობრივი ხასიათი არ მიუღია, ეს არც შეესაბამებოდა იმპერიის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს. ჩვეულებრივ მუსულმანობას მოსახლეობა იღებდა საკუთარი საზოგადოებრივი და ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად" (იქვე, გვ. 412). მესხეთისა და ოსმალეთის ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ქართულ ეკლესიას ეკონომიკურ-უფლებრივი საფუძვლები გამოცლოდა და უმწყემსოდ დარჩენილი ქართველები სხვა ეკლესიას შეკედლებოდნენ. ასეთმა მდგომარეობამ მართლაც გამოიღო თავისი ნაყოფი. ქართულ ეკლესიას ზურგშექცეული ქართველები ეროვნულად გაუცხოვდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილის აზრით, მესხეთში ქართველთა სწრაფი გამაჰმადიანება ათაბაგებისა და მესხი ეპისკოპოსების უგუნური პოლიტიკის შედეგი იყო. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ქვეყანა ქრისტიანი იყო, მათ სურდათ მესხეთის ეკლესიის გამოყოფა დედა ქართული ეკლესიისაგან მაწყვერელი ეპისკოპოსის მეთაურობით. საეკლესიო სეპარატიზმს თან სდევდა ლანძღვა-ცილისწამება სამღვდელოებისა და საზოგადოდ ქართული ეკლესიისა, რომელსაც მაშინ მცხეთის (პატრიარქის სასაყდრო ქალაქის მიხედვით) ეკლესია ეწოდებოდა.

მცხეთისაგან მესხეთის ეპისკოპოსების "დამოუკიდებლობას" არა მხოლოდ ადგილობრივი ქართული ხელისუფლება, არამედ უცხოელი სასულიერო პირებიც აქეზებდნენ. ამ პერიოდში მესხეთში საგანგებოდ მიიწვიეს იერუსალიმ-ანტიოქიელი პატრიარქები და მიტროპოლიტები. მათ, თითქოსდა, ძველი სიგელ-გუჯრების შემოწმების შემდგომ დაადგინეს, რომ კანონიკურად მესხეთის ეკლესია არა მცხეთას, არამედ ანტიოქია-იერუსალიმს უნდა დაქვემდებარებოდა.

საზოგადოდ მესხეთის მთავართა სეპარატიზმი საფუძველი გახდა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლისა. სოფელ არადეთთან სამარცხვინო ომის შემდეგ, როდესაც საქართველოს მეფე მისმა ყოფილმა ვასალმა - მესხეთის მთავარმა დაამარცხა, მესხეთის სამთავროს გზა გაეხსნა "დამოუკიდებლობისაკენ". საქართველოს სამოციქულო ეკლესია, როგორც წესი აქტიურად იღვწოდა სახელმწიფოს ცენტრალიზებული მმართველობის აღდგენისათვის. ამ სფეროში ქართული ეკლესიის მოღვაწეობა მესხი მთავრებისათვის სრულიად მიუღებელი იყო, მით უმეტეს, რომ მესხეთის ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვის დროს სამღვდელოება საეკლესიო წესების შესაბამისად პირველ რიგში საქართველოს მეფის სახელს იხსენებდა და მისი დღეგრძელობისათვის ლოცულობდა. ამ დროს კი ლოცვაში მოხსენიებული მეფისა და მესხი მთავრის მხედრობა ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებოდა. მესხმა მთავრებმა მიზნად

დაისახეს სრულიად საქართველოსაგან არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი, არამედ ეკლესიური გამოყოფაც. მათი მიზანი მესხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა იყო. ეკლესიური დამოუკიდებლობის აღიარებისათვის საჭიროდ ჩათვალეს საქართველოს საპატრიარქოსაგან მესხეთის ეკლესიის გამოყოფის "კანონიერების" დადასტურება ბერძნული ანტიოქია-იერუსალიმის საპატრიარქოების მიერ. მართლაც XV-XVI საუკუნეებში მესხეთში მრავალჯერ მიიწვიეს ანტიოქიელ-იერუსალიმელი, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ "მოკალმასე" მღვდელთმთავრები, რომელნიც უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვების გამო (ეს საპატრიარქოები იმ დროისათვის უკვე მაჰმადიანთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში მდებარეობდნენ და ფინანსურად ძლიერ გასაჭირში იმყოფებოდნენ), იძულებულნი იყვნენ შეესრულებინათ მესხეთის უმდიდრესი მთავრის მოთხოვნები (მით უმეტეს, რომ იმ დროისათვის მართლმადიდებლობისა და ეკლესიის მოყვარული მესხი მთავრები არა თუ მტკიცედ იდგნენ სარწმუნოებაზე, არამედ მდიდარ შესაწირავსაც სწირავდნენ უცხოეთის მართლმადიდებლურ ცენტრებს; მათ ამ დროს აღადგინეს ივერთა მონასტერი საბერძნეთში).

უცხოელი მღვდელთმთავრების მოგზაურობებს მცხეთაში ეჭვის თვალით უყურებდნენ. მათ მიერ მესხეთის ეკლესიის "დამოუკიდებლობის" აღიარებას პოლიტიკურად უნდა მოჰყოლოდა მესხეთის ეკლესიების, მონასტრების და ქრისტიანული მოსახლეობის დარწმუნება ათაბაგთა საეკლესიო პოლიტიკის სამართლიანობაში. უცხოელი მღვდელთმთავრები მესხეთის ეკლესიის საქართველოს საპატრიარქოსაგან გამოყოფის კანონიერებას ასე ასაბუთებდნენ - საქართველო ეკლესიურად მუდამ ანტიოქიის საპატრიარქოზე იყო დამოკიდებული, რადგანაც მისი ეკლესიის ავტოკეფალიას კანონიერი საფუძველი არა აქვს, ის ახლაც ანტიოქიას უნდა ექვემდებარებოდეს, ამიტომაც მესხეთი, ვითარცა ქართული ქვეყანა თუ სულიერად ანტიოქიას დაექვემდებარება, ამით სამართლიანობა აღდგება და აქედან გამომდინარე, ათაბაგების ბრძოლა მცხეთის ეკლესიიდან გამოყოფისათვის არის არა უკანონო ქმედება, არამედ საეკლესიო სამართლის აღდგენა. - ასე არწმუნებდნენ უცხოელები მესხეთის ბერებსა და საეკლესიო მოღვაწეებს.

უცხოელი მღვდელთმთავრის ერთი ასეთი ვიზიტის დროს მესხეთში საქართველოს პატრიარქი ჩავიდა. როგორც მემატიანე წერს, ავიდა "საფარის თავზე" და "კანონქვეშ შეყარა ბერები", რომელთაც უმასპინძლეს და მიიღეს ქართული ეკლესიის დაშლა-დანაწევრების მოწადინე მოგზაური. საფარა მესხეთის მთავრების ძვალთშესალაგ აკლდამას წარმოადგენდა, იქვე მდებარეობდა მათი სასახლე; აქ მოღვაწეობდნენ ათაბაგთა საეკლესიო პოლიტიკის აქტიურად მხარდამჭერი ბერები. "საფარის თავზე" საქართველოს პატრიარქის ასვლა და განკერძოების მოსურნე სამღვდელოების "საეკლესიო დასჯა" შემთხვევითი არ იყო. მაგრამ მიუხედავად საქართველოს პატრიარქის მცდელობისა "მესხეთი ეკლესიურადაც გამოეყო დანარჩენ საქართველოს, რამაც სავალალო შედეგი მოუტანა ქართველ ერს".

ამის შემდგომ მესხეთი მალე ოსმალეთმა დაიპყრო. ვახუშტის თანახმად, მესხ თავად-აზნაურთა გამაჰმადიანების შემდგომ ოსმალეთის ხელისუფლებას მესხეთის ეკლესია-მონასტრებისათვის მამულები ჩამოურთმევია, უსახსროდ დარჩენილ სამღვდელოებას კი პატრონობა ვეღარ გაუწევია ჯერ კიდევ ქრისტიანი გლეხობისათვის. უმწყემსოდ დარჩენილი ქართველი ქრისტიანები სხვადასხვა სარწმუნოებრივ თემებს მიეკედლნენ. დროთა ვითარებაში ისინი ბერძნულმა, რომაულმა და გრიგორიანულმა ეკლესიებმა გაინაწილეს ერთმანეთს შორის.

ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ მესხეთში არსებულმა სეპარატიზმმა ავტორიტეტი შეურყია ქართულ ეკლესიას. მოსახლეობის ქრისტიანული რწმენის სიმყარე ეკლესიის ავტორიტეტს ეფუძნებოდა. ქართული ეკლესიის დაცემამ გზა გაუხსნა მაჰმადიანობის გავრცელებას. მუსულმანმა მქადაგებლებმა ქართველების სარწმუნოებრივი გაორება შენიშნეს და თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს.

მესხებს გამაჰმადიანების დროს ათქმევინებდნენ ფიცს, სარწმუნოებრივ ფორმულას, რომლიდანაც ჩანს, რომ მათ არა მხოლოდ წინაპართა რწმენას, არამედ საკუთარ ეროვნებასაც

აგმობინებდნენ. ჩვენამდე მოღწეულია ოსმალური დოკუმენტები, რომელთაც "ქართველთა გამაჰმადიანების წესი" ეწოდებოდა. მასში გადმოცემულია ქართველთა გამაჰმადიანებისას სათქმელი ფორმულა, რომელშიც ქრისტიანის ფსიქიკაა გათვალისწინებული. კერძოდ, ამ დოკუმენტის თანახმად, რჯულშეცვლილი, თითქოსდა არა იესო ქრისტესა და ღვთისმშობელ დედას გმობდა, არამედ მხოლოდ "ქართველთა რჯულს", კერძოდ დოკუმენტში ნათქვამია: "წმინდა მარიამი, იმისი შვილი, იესო მოციქული, ღმერთმა გააჩინა, დედაშვილნი მოციქულნი ღმერთის მსახურნი არიან... მუჰამედი ჩვენი წმინდა ადამიანი არი, მოციქული ღმერთის მსახური არი, იმის რჯული რომ თათრის რჯული არის, სუფთა არის, მოციქული ღმერთის რჩეული არის. - დავიჯერე, ქართველის რჯული რომ ბოროტი იყო, გონჯი იყო, ეშმაკის რჩეული იყო - გავაგდე" (იქვე, გვ. 410).

მაშასადამე, გამაჰმადიანების დროს ქართველი ადამიანი იძულებული იყო, საჯაროდ "ქართველის რჯული" დაეგმო და მისთვის "გონჯი, ბილწი და ბოროტი" ეწოდებინა. ამავე დროს საჯაროდ უნდა ექო "თათრის რჯული" და განეცხადებინა, რომ დაიჯერა მაჰმადიანური სარწმუნოების სიწმინდე. უნდა ვიფიქროთ, რომ ერთ დროს ოშკსა და ხახულში მლოცველ ქართველებს, შეძრწუნებულთ შეწერილი გადასახადის სიმძიმით, ნებაყოფლობით სარწმუნოების შეცვლისას ქართული რჯული ანუ ქართული ეკლესია დააგმობინეს და შემდგომ "გაათათრეს", ანუ "თათრის რჯული" მიაღებინეს.

კიდევ ერთხელ მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ ქართველ ქრისტიანებს "გათათრების" დროს მხოლოდ "ქართულ რჯულს" და არა საზოგადოდ ქრისტიანულ რჯულს აგმობინებდნენ, ანუ არ აგმობინებდნენ "ბერძნის რჯულს", "სომხის რჯულს", "ფრანგის რჯულს". აქედანაც ჩანს, რომ ოსმალო ხელისუფალნი თავიანთ ქვეყანაში ქართულ ეკლესიას განსაკუთრებული სისასტიკით დევნიდნენ, სხვა ქრისტიანული ეკლესიების მიმართ გარკვეულ ლოიალობას იჩენდნენ. ქართული ეკლესიის მართლმადიდებლობა, როგორც აღინიშნა, ძალზე აფრთხობდა ოსმალებსა და სპარსელებს. მათ იცოდნენ, რომ საქართველოს და რუსეთის სახელმწიფოების დაახლოება ქართული და რუსული ეკლესიის ერთმორწმუნეობას ეფუძნებოდა. სამწუხაროდ, რუსეთის სახელმწიფომ, იმის შემდგომ, რაც მან ქართველთა შემწეობით ამიერკავკასიაში ფეხი შემოდგა, მაჰმადიანი ქართველების დაბრუნება დედა ეკლესიის წიაღში არ ისურვა, თუმცა კი, მოღწეული საბუთების თანახმად, ქართველი მაჰმადიანები მზად იყვნენ, კვლავ გაქრისტიანებულიყვნენ (მათში ჯერ კიდევ იყო დაცული ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი), მაგრამ რუსეთის ადმინისტრაციამ ეს არ ინება, პირიქით, ფაქტიურად ქართველი მაჰმადიანების ერთი ნაწილი აიძულა სამშობლოდან ოსმალეთში გადასახლებულიყო, მათ ნაცვლად კი ქრისტიანული სომხური მოსახლეობა შემოასახლა.

შ. ლომსაძე წერს - "მხეცობა და ენით გაუგონარი, აზიაშიც კი არ სმენილი სისასტიკე, რომელიც რუსის ჯარმა მესხი მუსულმანების მიმართ გამოიჩინა, განსაკუთრებით ახალციხის აღების დროს, მთელ ოსმალეთში გახდა ცნობილი. მოსახლეობა ყველგან დაშინდა. მთელი ანატოლია პანიკამ მოიცვა". ხანძარწაკიდებულ სახლებში იწვოდნენ ქალები, მოხუცები და ბავშვები. ქალაქის ერთ დიდ შენობაში შეკეტილი 400 კაცი შენობასთან ერთად ამოიბუგა. როგორც ახალციხის აღების თვითმხილველნი წერდნენ, რუსული ადმინისტრაციის მიერ მესხეთში გამოჩენილმა სისასტიკემ ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ მტრულად განაწყო ქართველი მაჰმადიანები. ამის გამო "უფრო გაცხოველდა მუსულმანური ეკლესიის საქმიანობა, სასულიერო მოძღვრებს, მოლებს სპეციალურად ანატოლიიდან იწვევდნენ, მოლები ადრე გაშლილ მუშაობას ახლა ამთავრებდნენ. ფანატიზმით შეპყრობილი ახალგაზრდობა ალაჰის ამ მოციქულებს სასოებით შეჰყურებდა და ქართულ ენას თანდათან შორდებოდა" (იქვე, გვ. 426).

XX საუკუნეში, ათეისტების ბატონობის დამყარების შემდგომ, მესხეთში დარჩენილმა ქართველმა მაჰმადიანებმა მრავალგზის სთხოვეს მთავრობას მათთვის გაეხსნათ ქართული სკოლები. "თქვენ თათრები ხართ, თათრულად ისწავლეთ" - ასეთი რეზოლუციით ისტუმრებდნენ

ქართველ მაჰმადიანებს მოხელეები. როგორც აღინიშნა გამაჰმადიანდა სამხრეთ საქართველოს ქართველების უდიდესი ნაწილი, ამიტომაც გამაჰმადიანებულთა გვარები უთვალავია. ვერ დავასახელებთ საქართველოში ვერც ერთ საგვარეულოს, მათ თანამოგვარეს მაჰმადიანობა რომ არ მიეღო; კერძოდ, გამაჰმადიანდნენ ბარათაშვილები, ორჯონიკიძეები, ბაქრაძეები, მუხრანსკები, გურგენიძეები, აზნაუროვ-აზნაურაშვილები და სხვა მრავალი (სოფ. აწყურში), გვარამაძეები (სოფ. ტყემლანაში), მაღრაძეები (წრიოხში), ჯავახიშვილები, მჭედლიშვილები, ტალახაძეები და სხვები - (საყუნეთში), გოგოლაძეები, ნადირაძეები და სხვები - (ზიკილიაში), ჯაფარიძეები - (წინუბანში), ლოლაძეები - (გურკელაში), ჩიტაძეები და სხვები - (აგარაში) და ასე შემდეგ - ახალციხიდან-არზრუმამდე გვარები და სოფლები ათასობითაა. ასეთი შედეგი გამოიღო დედა ეკლესიისაგან მოწყვეტამ. ეს სამაგალითო უნდა იყოს ყველასათვის. ხალხი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის ნაწილს წარმოადგენდა და თაყვანს აწყურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხელთუქმნელ ხატს სცემდა, სარწმუნოების შეცვლის შემდგომ მადლდაკარგული სხვადასხვა მაჰმადიანურ ქვეყნებში გაიფანტა, ზოგიერთს პასპორტში უზბეკი ან ტაჯიკი აქვს ჩაწერილი ეროვნებად, ზოგიერთს თურქი ან აზერბაიჯანელი, თუმცა გულით გრძნობენ, რომ ისინი მამა-პაპათა ღმერთის უარმყოფელი ქართველები არიან, ბიბლიური უძღები შვილის დარად თავიანთი ხვედრით მწუხარენი.

“მადლი” N15, 1993

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

ქართველების გააფხაზება

იერუსალიმის დაქცევას ჰგავდა უწყალო მტრის მიერ 1993 წელს სოხუმისა და, საერთოდ, აფხაზეთის სოფელ-ქალაქთა დანგრევა. ილტვოდნენ ქართველები, ჰგოდებდნენ უმწეო ბალღები, ქალები და მოხუცები. თითქოს საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხის აოხრებას ხატავს იერემია წინასწარმეტყველი:

“ცრემლებმა დაშრიტეს თვალისჩინი, მეწვის გულ-ღვიძლი, მიწაზე დაიღვარა ჩემი ნაღველი, რადგან ღონემიხდილნი ყრიან ყმაწვილები და ძუძუთა ბავშვები ქალაქის ქუჩებში, დახოცილნი არიან სახლების სარდაფებში შექუჩული მცხოვრებნი, ხოლო გოდების გზებზე ჩვილები დედებს შებღავიან: სად არის პური და საჭმელი? და იკრუნჩხებიან დაჭრილებივით და სულს ღაფავენ დედის კალთებში.”

რა ვთქვა შენზე, რას შეგადარო საქართველოს ასულო აფხაზეთო, რას მიგამსგავსო, რომ განუგეშო ცხუმის ქალაქო, რადგან ზღვასავით დიდია შენი დაქცევა, ვინ არის შენი განმკურნებელი? ტაშს შემოჰკრავს შენზე ყოველი გზად ჩამვლელი მთიელი და ჩრდილოელი, დაუსტვენს და თავს გააქნევს ჩემი ერის ასულზე - ეს ის ქალაქია, რომელზეც ამბობდნენ სრულქმნილი მშვენიერებააო, მთელი საქართველოს სიხარულიაო?

ხახა დააღეს შენმა მტრებმა, უსტვენენ, კბილებს აღრჭიალებენ, ყვირიან: ჩავყლაპავთ უკვე! აჰა, ეს დღე, რომელსაც ველოდით, მოვესწარით, ვხედავთო მას!

სოხუმის კედლებო, ნიაღვარივით ღვარეთ ცრემლი დღედაღამ, შვებას ნუ მოიცემთ, ნურც შეშრება თქვენი თვალის გუგები, იღაღადე ღამით, ყოველ განთიადს, წყალივით დაღვარე შენი გული უფლის წინაშე, გაიწოდე ხელები მისკენ, შენი ჩვილების სიცოცხლისათვის, შიმშილით რომ იხოცებიან გზაჯვარედინებზე.

მოიხედე, უფალო, და დაინახე, ყრიან ქუჩის მტვერში ყმაწვილი და მოხუცი, შენი ქალწულები და მოყმეები ტყვიით დაეცნენ. დაიხოცნენ შენი რისხვის დღეს, დაკლეს, არ დაინდეს...

ვიხსენებ ამას და მიღონდება სული, ვპასუხობ ჩემს გულს - იმედი მაქვს არ დაილევა უფლის მადლი, არ შეწყდება მისი წყალობა. ჩემი ხვედრია უფალი, ამბობს ჩემი სული, ამიტომაც მაქვს სასოება მისი, კეთილია უფალი მისი მძებნელი სულისათვის.

გაიხსენე, უფალო, რაც დაგვემართა, მოგვხედე და დაინახე ჩვენი დამცირება - ჩვენი სამკვიდრო უცხომ დაიმკვიდრა, ჩვენი სახლები - გადამთიელებმა, ობლები გავხდით, მამა არა გვყავს, დაქვრივდნენ ჩვენი დედები, უცხოელთ ვუშვერთ ხელს, უცხოთ, რომ პურით გავძღეთ, ჩვენმა მამებმა შესცოდეს, აღარ არიან, ჩვენ კი მათ სასჯელს ვიხდით, დაპყრობილ მიწაზე ჩვენს ხალხს მონებად ამუშავებენ, ბიჭები ფორთხავენ მძიმე ტვირთის ქვეშ, აღარ მღერიან ყმაწვილები აფხაზეთში, მოხუცები კარიბჭესთან აღარ სხედან, შემწყდარია ჩვენი გულის სიხარული, გლოვად გადაიქცა ჩვენი ცეკვა-თამაში, გაუკაცრიელდა აფხაზეთი, ტურები დარბიან იქ, სიკვდილს გადარჩენილნი კი "აფხაზებად" ეწერებიან, რათა სიცოცხლე შეინარჩუნონ.

შენსკენ მოგვაქციე უფალო და მოვიქცევით, განგვიახლე დღეები, როგორც ძველად იყო.

ნუთუ საბოლოოდ შეგვიძულე და უსაზომოდ გაჯავრდი ჩვენზე? - ასე გოდებდა იერემია და სიტყვები დავესესხეთ მას, ამჟამად ჩვენი საგლოვი აფხაზეთის დამხობისას.

აფხაზეთი დაიპყრეს...

მტრის სისასტიკით თავზარდაცემული ასეულ ათასობით ქართველის ლტოლვამ მშობლიური კუთხიდან იქნებ დაანახოს ჩვენს ერს სახარებისეული სიმართლის დაცვის საჭიროება - "სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ". იქნებ ახლა მაინც ვირწმუნოთ, რომ სიმართლის თქმა ყოველთვის და ყველა პირობებში - ქრისტიანის მოვალეობაა, რომ ყოველგვარი სიცრუე შეუთავსებელია ქრისტიანის სახელთან, რადგან ჭეშმარიტება ღმერთია, ხოლო მამად ტყუილისა ეშმაკი იწოდება. უფალი ამბობს: მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება. პავლე მოციქული კი გვასწავლის: - "განიშორეთ სიცრუე და თითოეულმა თქვენთაგანმა თავის მოყვასს ჭეშმარიტება ელაპარაკოს" (ეფეს. 4, 25).

სიცრუეს შეაგონებდნენ ჩვენს ხალხს "აფხაზთა" ეთნიკური წარმოშობისა და ვინაობის შესახებ, სიცრუემ მოადუნა მისი ყურადღება, რამეთუ ასეთ დაუნდობელ გაწირვას "მმათაგან" არ ელოდა, სიცრუემ დაგვაკარგვინა აფხაზეთი, რეალობა კი ქართველთა მასობრივი გენოციდია.

კიდევ ერთხელ უწევს ჩვენს ქრისტიან ხალხს წარმართთა და მაჰმადისმოყვარე მტრისაგან ტანჯვა-წამება, ხოცვა და ჟლეტა, შეშინებული, პანიკით მოცული ხალხი, ისევე როგორც წინა საუკუნეებში, მთებს, ხეობებს, ტყეებსა და გამოქვაბულებს აფარებს თავს, ტოვებს სახლ-კარს, ქონებას და გაურბის მტრებს, რომელნიც ბავშვებს ხელ-ფეხს ამტვრევენ და სარზე აცვამენ, ერთად შერეკილ ქალებს მანქანის საბურავების ცეცხლში ცოცხლად წვავენ, ჭაბუკებს ძარღვებს უხსნიან და მათ სისხლს სვამენ...

რატომ? რა დანაშაული მიუძღვის მათ წინაშე მშვიდობისმოყვარე ჩვენს ხალხს? რით დაიმსახურეს ჩვენმა თანამემამულეებმა ასეთი სისასტიკით მოპყრობა, იქნებ ეს შურისძიების, სამაგიეროს გადახდის წყურვილია?

არა, მტერი ჩვენს ხალხს სამაგიეროს არ უხდის, მტრის სისასტიკე სხვა ვითარებითაა გამოწვეული. რაც დღეს ხდება, ეს საუკუნოვანი მტრული შემოტევების გაგრძელებაა.

XVII-XVIII საუკუნეებში აფხაზეთსა და ოდიშს ჩრდილო-კავკასიური ადიღე-ჩერქეზული ტომები (ჯიქები, აბაზები, აფსარები ანუ აფსუები) შემოესივნენ. იმ დროისათვის ისინი ან წარმართები, ან კიდევ მაჰმადიანები იყვნენ და მკვიდრ ქართულ მოსახლეობას ისეთივე სისასტიკით ეპყრობოდნენ, რისი მოწმენიც ჩვენ დღეს გავხდით. ქართველი მემატიანენი და უცხოელი მოგზაურები ხშირად აღწერდნენ დაუნდობელი რბევის საზარელ სურათებს. შემოსეულმა მთიელებმა შეძლეს ოდიშის ძლიერი სამთავროს დამარცხება, თანდათანობით ჩამოაჭრეს მას აყვავებული მიწა-წყალი ბიჭვინთიდან ენგურამდე და დაპყრობილ ტერიტორიაზე "აფხაზთა" სახელწოდებით გაბატონებულ ეთნოსად ჩამოყალიბდნენ. აფხაზეთის დაპყრობისა და იქ დამკვიდრების შემდეგ, დამპყრობლებს ქვეყნის სახელის მიხედვით „აფხაზები" უწოდეს,

თუმცა ისინი თავიანთა თავს სულ სხვა სახელს უწოდებნენ. გაბატონების შემდეგ მთიელებმა მკვიდრი მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელიც დახოცვას გადაურჩა - მონებად აქციეს. მონებს აფსუათა ენაზე "აგირუა" ერქვა, რაც მეგრელს ნიშნავს, ხოლო მეორე ნაწილმა კი მომხდურების გაუგონარი სისასტიკით დაშინებულმა, სიცოცხლის, ოჯახისა და ქონების გადარჩენის მიზნით თავისი თავი "აფხაზად" გამოაცხადა, თანდათანობით შეითვისა რა შემოსეულთა ენა, ჩვეულებები და ადათები. გააფხაზებულთა რიცხვი აფხაზთა სამთავროს ტერიტორიის გაზრდის კვალდაკვალ (ოდიშის ხარჯზე) XVII-XVIII საუკუნეებში თანდათან მრავლდებოდა.

საქართველოში შემოსვლის შემდეგ რუსებმა აფხაზთა რიცხვი შეამცირეს (დიდი ნაწილი თურქეთში გადაასახლეს), აფხაზეთში დარჩენილ აფხაზებს კი ქართველებთან შედარებით ყოველგვარი უპირატესობანი მიანიჭეს, არ დაბეგრეს სამხედრო სამსახურით (არ მიჰყავდათ ჯარში), რამაც „აფხაზობა" ქართველთა თვალში მიმზიდველად აქცია. XX საუკუნეში კი აფხაზობა აფხაზეთში ეთნოკრატიას წარმოადგენდა, პოლიტიკურ უპირატესობათა მქონე, მკვიდრ ქართველებზე გაბატონებულ ფენას. აფხაზეთში მცხოვრებ ყოველ უნიჭო და ზოგჯერ კი ნიჭიერ ქართველს ნანატრი კარიერისათვის ადვილად შეეძლო მიეღწია თავისი თავის "აფხაზად" გამოცხადებით.

ფაქტიურად აფხაზეთში აფხაზობა ეთნოკრატიას წარმოადგენდა XVIII საუკუნიდან დღემდე, ჩვენში როგორც რუსების დამკვიდრებამდე, ისე მის შემდეგაც.

ბოლო წლებში აფხაზეთის ეთნოკრატიამ, ანუ როგორც ჩვენ ვუწოდებთ "აფხაზობამ", სასიკვდილო საფრთხე იგრძნო - აღორძინდა საქართველოს სახელმწიფო, რის შედეგადაც პირველი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთანავე დაკარგავდა ბატონობას აფხაზეთში, რადგან ჩაგრულთა ფენა - ქართველობა უმრავლესობას წარმოადგენდა, მსოფლიოში აღიარებული თანაცხოვრების წესი კი ითხოვს ყველა მოქალაქის უფლებათა გათანაბრებას. აფხაზებისათვის უფლებათა გათანაბრება ნიშნავს ეთნოკრატიის ანუ "აფხაზობის", როგორც სხვებზე ბატონობის ჩამოყალიბებული სისტემის მოსპობას. ეთნოკრატიისათვის ამ სასიკვდილო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით აფხაზ სეპარატისტთა მეთაურებმა შეიმუშავეს გეგმა - ჩაეტარებინათ ეთნიკური წმენდა აფხაზები აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობად ექციათ.

ასე, რომ აფხაზთა არგაგონილი სისასტიკე წარმოადგენს არა შურისძიებასა და სამაგიეროს გადახდას, არამედ წინასწარ შემუშავებულ ღონისძიებას ქართველთა მოსასპობად და დასაშინებლად, მათგან აფხაზეთის ტერიტორიის "გასაწმენდად".

მიაღწიეს მიზანს, და ვაი, რომ უფრო უარესია მოსალოდნელი: გარკვეული ხნის შემდგომ, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შეცდენის მიზნით აფხაზები უკანვე დააბრუნებენ ლტოლვილი მოსახლეობის გარკვეულ რაოდენობას, ამავე დროს კი მალული თუ აშკარა ხერხებით უკანდაბრუნებულებს პირობად დაუდებენ "აფხაზად" ჩაწერას, მოსალოდნელია ქართველთა გააფხაზების საუკუნეთა წინ დაწყებული პროცესის გაღრმავება, მითუმეტეს, რომ როგორც უკვე ამბობენ, გალის რაიონში დარჩენილი ქართული მოსახლეობის ნაწილი, სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, თავს აფხაზად აცხადებს. თუ აფხაზეთის მდგომარეობა არ გამოსწორდა და დღეს იქ შექმნილი ვითარება არ შეიცვალა, ეთნიკური წარმოშობით ქართველების ახალ თაობას აფხაზური სულისკვეთებით გაზრდიან და მათ ქართველ ერს დაუპირისპირებენ. მტერი ჩვენი გენით გაძლიერდება და საქართველოს ჭრილობა განგრენად იქცევა.

აფხაზეთის დაპყრობამ კიდევ უფრო შეავიწროვა მაჰმადიანური რკალი, რომელიც შემორტყმული აქვს საქართველოს. გენოციდმა საფრთხე შეუქმნა აფხაზეთში ქრისტიანობას, განსაკუთრებით კი - ქართულ ეკლესიას. ძველად საქართველოს დაპყრობილ კუთხეებში მტერი ქართულ მოსახლეობას უკრძალავდა ყოველგვარ კავშირს დედა ქართულ ეკლესიასთან. ამჟამადაც მოსალოდნელია, რომ დაპყრობილ აფხაზეთში დედა ქართული ეკლესიის ნაცვლად გააბატონებენ არაქართულ ეკლესიებს, სექტანტურ ქრისტიანულ მიმდინარეობებს, გააძლიერებენ მაჰმადიანობას, რაც გამოიწვევს ჩვენი ეკლესიის მრევლის (ქართველებისა და არაქართველების)

ჩვენგან გაუცხოებას, გადაგვარებას, უფრო მეტად საწუხარი კი ისაა, რომ ქრისტეს დაეკარგება სამწყსო, სულს წარიწყმედს ასეული ათასობით ადამიანი. აფხაზეთის დამპყრობლები, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანობის მტრები, მისი ამომძირკველები არიან.

ქრისტიანობის მტერთა წინააღმდეგ მსოფლიო ეკლესიის წმინდა მამები მძაფრი სიტყვით ქადაგებდნენ, "უფლის ფეხით დასათრგუნელ ასპიდსა და ვასილისკოს" უწოდებდნენ მათ. ქართული ეკლესია თავდადებით იბრძოდა მთის წარმართულ-მაჰმადიანური ტომების საქართველოში შემოჭრის წინააღმდეგ. ეპისკოპოსები და საეპისკოპოსო ჯარები უშუალოდაც კი გადიოდნენ ბრძოლის ველზე ქრისტიანობის მტრებთან საბრძოლველად არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ხმლითაც.

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლისთანავე ჩრდილო-კავკასიურმა ტომებმა შემოუტიეს საქართველოს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა დაღესტნელების შემოსევები აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში), გაოსებული დვალების ჩამოსახლება შიდა ქართლში და ჩერქეზული ტომის - ჯიქების (აფსუების ანუ თანამედროვე აფხაზების ერთ-ერთი წინაპრების) შემოსევები. ჯიქები თავს ესხმოდნენ გურია-ოდიშ-აფხაზეთის ზღვის სანაპირო ზოლს და აოხრებდნენ. იმერეთის მეფის ბაგრატის თაოსნობით გადაწყდა ლაშქრობა მათ დასასჯელად და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან გზის ჩასაკეტად. 1533 წლის იანვარში გურიელი და დადიანი სალაშქროდ გაემართნენ. პირველ ბრძოლაში ჯიქები დამარცხდნენ, მაგრამ შემდგომ ბრძოლაში ღალატის შედეგად დამარცხება ქართველებმა განიცადეს. დადიანი ბრძოლაში დაიღუპა, გურიელი კი თავისი ძმებით, ეპისკოპოსითა და ჯარით ტყვედ ჩავარდა.

ეპისკოპოსის მონაწილეობა ამ ომში მოწმობს, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ეკლესია მიწა-წყლის დაცვას ამ მიმართულებით. მართლაც, ამ მარცხის შემდეგ ჩვენი უდიდესი საეკლესიო ცენტრი ბიჭვინთა - დაუცველი დარჩა. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ბიჭვინთის სანახები უკვე ჩერქეზებს ჰქონდათ დაჭერილი, რის გამოც საკათალიკოსო ტახტი ბიჭვინთიდან გელათში იქნა გადატანილი. ადიღეელმა წარმართებმა მოსპეს ქართული ქრისტიანობის საუკუნოვანი ცენტრის - ბიჭვინთის ცხოველმყოფელი მოღვაწეობა.

განსაკუთრებით ძლიერი იყო ადიღე-ჩერქეზების მეორე შემოტევა XVII საუკუნეში. მათ 1640-იანი წლებიდან სულ რამდენიმე ათეულ წელიწადში შეძლეს ოდიშის ტერიტორიის დაპყრობა კოდორიდან ენგურამდე. მტერი, უპირველეს ყოვლისა, სპობდა მოსახლეობას, ქრისტიანობას, მოსპო იქ არსებული საეპისკოპოსოები მოქვისა, დრანდისა და ბედიისა. ვახუშტი წერდა - "იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვწერეთ და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყვევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე და დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქვს ეპისკოპოსი". იტალიელი მისიონერი წერდა - სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი. დაქცეული და აოხრებულია, კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს - მუდამ აფხაზების შიშიაო.

ჩერქეზ-ჯიქ-აფსარები ატყვევებდნენ, ყიდდნენ, ხოცავდნენ მოსახლეობას, აყვავებულ მხარეს - უდაბნოდ აქცევდნენ (ერთ დროს ზემოაღნიშნული საეპისკოპოსოების მრევლით მჭიდროდ დასახლებული მხარე კოდორსა და ენგურს შორის - გაუდაბურებულ კუთხედ იქცა), ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად ლევან II დადიანმა და ქართველმა ეპისკოპოსებმა 100 კილომეტრიანი თავდაცვითი ნაგებობის - ციხე-გალავნის (ე. წ. "აფხაზეთის კედელი") მშენებლობა წამოიწყეს, დიდი საზღაურის ფასად ააგეს კიდევაც, მაგრამ მტრის შეკავება მაინც ვერ შესძლეს. ამის შესახებ აღნიშნავდნენ არქანჯელო ლამბერტი, კასტელი და ვახუშტი (იხ. ა. ჯაფარიძე, საქ. სამოციქ. ეკლ. ისტორია, IV, გვ. 278).

ქრისტიანობის მტრების შემოსევებმა სრულიად მოსპო და აღმოფხვრა მოქვის, დრანდისა და ბედიის საეპისკოპოსოები. როგორც ეს აღინიშნა, უცხოელი მოგზაურები და დამკვირვებლები დაბეჯითებით წერდნენ, რომ ამ საეპისკოპოსოთა მოსახლეობას წარმოადგენდნენ ქართველები. ნ.

ბერძენიშვილი ცნობების ანალიზის შედეგად ასკვნის: “მე-17 საუკუნის დასაწყისში მოქვის რაიონი არა მარტო პოლიტიკურად სამეგრელოა, ის ეთნიკურადაც მეგრელებითაა დასახლებული. დრანდა, ისევე როგორც ბედია - სამეგრელოშია, იგულისხმება, რომ დრანდის რაიონი, როგორც ბედიისა, ქართველებითაა დასახლებული” (იქვე, გვ. 272).

ამ კუთხის დაპყრობის შემდეგ აფხაზებმა ზედიზედ მოსპეს ქართული საეპისკოპოსოები. თვით ი. ვორონოვიც წერს, რომ დრანდის ბოლო ეპისკოპოსი თავისი კათედრიდან აფხაზეთის სამთავროს გაფართოების შედეგად, ე. ი. იმის გამო იქნა განდევნილი, რომ დრანდის საეპისკოპოსო აფხაზ მთიელთა ხელში მოექცა და ამის გამო ეპისკოპოსს იქ აღარ ედგომებოდა (იქვე, გვ. 272).

ნ. ბერძენიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას საეპისკოპოსოების გაუქმებას აქცევდა. ის უარყოფდა მოსაზრებას, რომ ძველი და ახალი აფხაზები ერთი წარმოშობის ხალხია: “აფხაზეთში უქმდება ზედიზედ საეპისკოპოსოები, ქრება ქრისტიანობა, რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? რა მოხდა? მოხდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა არაერთგან საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობაში - ფეოდალური ბარის დასუსტების შედეგად ჩამოწვა მთა”.

“ჩამოწვა მთა” ნიშნავს იმას, რომ ბარში არაქართული წარმოშობის წარმართულ-მაჰმადიანური ტომები ჩამოსახლდნენ, რომელთაც, ცხადია, საეპისკოპოსოები არ ესაჭიროებოდათ. XVI-XVII საუკუნეებამდე ბიჭვინთის, დრანდის, მოქვისა და ბედიის საეპისკოპოსოების არსებობისას აფხაზეთში წირვა-ლოცვა მხოლოდ ქართულენოვანი იყო, ამას მოწმობს უამრავი წარწერები ეკლესიებსა და საეკლესიო ნივთებზე, შემონახული საბუთები: ლიხნის ტაძრის, ბედიის ბარძიმის ქართულენოვანი წარწერები, მოქვის სახარება და სხვა. მაგალითად მოქვის სახარებას აქვს ასეთი წარწერები - ”მოქვისა ღვთის მშობელო, შეიწყალე სული მოქველ მთავარეპისკოპოსისა”, “ჩვენი სახარებანი პირველთაგან წმიდად თარგმნილია და კეთილხანმეტნიცა და საბაწმიდურიცა” - აქედან ჩანს, რომ სახარების მეპატრონენი მოქველი ღვთისმსახურნი “ჩვენ სახარებას” უწოდებენ IV-VI და VIII საუკუნეების შემდეგდროინდელ სახარების ძველქართულ ხანმეტსა და საბაწმიდურ რედაქციებს.

განსაკუთრებით მძიმე დანაკლისი იყო ქრისტიანობისათვის, ქართველი ერისა და მთლიანად საქართველოსათვის მთიელთა შემოსევის შედეგად ბიჭვინთის საკათალიკოსო ცენტრის გაუქმება.

ბიჭვინთის ტაძარში იდგა ტახტი აფხაზეთის კათალიკოსისა და ამიტომაც იგი ქართული ეკლესიისათვის მცხეთის ტოლ დედაქალაქად მიიჩნეოდა. განსაკუთრებული მოწიწება, სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა ქართველთაგან ბიჭვინთის დედა ღვთისმშობლის ხატსა და ტაძარს. საუკუნეთა მანძილზე, როგორც ეს დოკუმენტებიდან ჩანს, ქართველი ღვთისმსახურნი ასე ადიდებდნენ მას:

“ეჰა ასულო შვენიერო, იოვაკიმის ნაყოფო, სიტკბოებით აღსავსეო, ანას მორჩო, რტო გარდაფენილო, სოლომონის ვენახო, რქა მეწამულო, დავითის ყვავილო, დაბადებულთა სულნელ მყოფელო, იესეს კვერთხო, დიდებით აყვავებულო, იუდას შროშანო, იაკობის კიბეო ზეცად აღმართებაო, ისაკის ვარდო უბიწოებით აყვავებულო, აბრამის კვირტო, დიდებით აღმოფრჩვენილო...” და სხვა.

საუკუნეთა მანძილზე სწირავდნენ ბიჭვინთას შესაწირს ქართველი მღვდელმთავრები და საერთოდ, ასეულ წლობით ნაგროვები განძი იყო დაცული აფხაზეთის ეკლესიებში, ერთი-ორი საბუთიდანაც კი ჩანს, თუ რა აურაცხელი განძის პატრონი იყო ქართული ეკლესია ამ მხარეში. მაგალითად, აი რა ქონება შესწირა ქართველმა მამათმთავარმა ბიჭვინთას 1600 წელს - ”ნებითა ღმრთისათა არს ევდემონ კათალიკოზის შეწირული: ერთი ოქროს ხატი, ერთი ოქროს ჯვარი მოთვალ-მარგალიტული, ერთი ბარძიმი ოქროისა მოთვალ-მარგალიტული, ერთი ოთხთავი ოქროთ მოჭედილი მოთვალ-მარგალიტული” ანდა “შევწირე აფხაზეთსა კათალიკოზმან ეფთვიმი საყვარელიძემან ბიჭვინთისა ღვთისმშობელსა - გვირგვინი ოქროისა მოთვალ-მარგალიტული, ომოფორი მძიმედ მოთვალ-მარგალიტული, ბისონი სტავრისა ოქროს ღილებიანი, ქამარი ოქროსაი, ენქერი სირმისაი მოთვალ-მარგალიტული, ოქროს ხატი მძიმედ მოთვალ-მარგალიტული, ერთი

ფეშხუმი ოქროისა და ერთი ვერცხლისაი, ერთი ქამარი ოქროისა მოთვალული, ოქროს კონდაკი, ოქროს დოსტაქანი".

აფხაზეთის კათალიკოზმა მალაქიამ ბიჭვინთას შესწირა: - "ერთი მურასა გულსაკიდი ხატი, ერთი დიდი ლანბაქი ოქროისა ოთხასს ფლერისა, ბისონი მოთვალ-მარგალიტული, ოქროს ომოფორი მძიმედ მოთვალ-მარგალიტული ერთის დიდის ლალითა, ბისონი სტავრისა ორმოცდაექვსი ყირმიზი იაგუნდი, სხვა მრავალი თვალითა და მარგალიტითა"; ბიჭვინთას გურია-ოდიშში, იმერეთში და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სწირავდნენ მამულებს, სოფლებს, ყმებს, უთვალავ ქონებას, რომელთა აღწერილობით ავსილია საეკლესიო საბუთები, რომელთაგან მხოლოდ უმცირესი ჩამოვთვალეთ. მხოლოდ შეწირული წიგნების სათაურების ჩამოთვლაც კი შეუძლებელია, იმდენად მრავალია ისინი.

ბიჭვინთის საკათალიკოსო ცენტრი სავსე იყო საუკუნეების მანძილზე ნაგროვები საეკლესიო განძით, რომელთა გამრავლებაზეც განუწყვეტლივ ზრუნავდნენ აფხაზეთის კათალიკოსები - მალაქია აბაშიძე (1529-1557), ევდემოზ ჩხეტიძე (1557-1578), ექვთიმე I საყვარელიძე (1578-1605), ევდემონ საყვარელიძე (1600-იანი წლები), მალაქია გურიელი (1616-1639), მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657), ზაქარია ქვარიანი (1657-1660), სვიმონ ჩხეტიძე (1660-1666), ევდემოზ II საყვარელიძე (1666-1669), ექვთიმე II საყვარელიძე (1669-1673), დავით ნემსაძე (1673-1696), გრიგოლ ლორთქიფანიძე (1696-1742), გერმანე წულუკიძე, ბესარიონ ერისთავი, იოსებ ბაგრატიონი და სხვები.

მთიელი წარმართებისათვის, რომელნიც უკიდურესად უქონელნი, ჩამორჩენილნი იყვნენ და უცხოელ მისიონერთა აღწერით არ ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, არ ჰქონდათ ქალაქები, სოფლები და უმეტესად ტყეებში ცხოვრობდნენ, გორაკებზე აგებულ პატარა მოწნულ ფაცხებში - აფხაზეთის საეკლესიო განძი - ზღაპრულ სიმდიდრეს წარმოადგენდა. ამ განძის მოსაპოვებლად და მის დასატაცებლად ისინი ძალას, ენერგიას და სიცოცხლესაც კი არ იშურებდნენ. ისევე როგორც პირველ საუკუნეებში რომში დაცული სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად დაიძრა ჩრდილო ევროპისა და აზიის ტომები, მე-18 საუკუნეში აფხაზეთში დაცული განძის დასატაცებლად მთელმა ჩრდილოკავკასიურმა, ადიღე-ჩერქეზულმა ტომებმა გამოილაშქრეს; განძის დატაცებისა და ეკლესია-მონასტრების მოსპობის შემდეგ მათ აფხაზეთის მკვიდრი ქართველი მოსახლეობის მოტაცებასა და ტყვეებად გაყიდვას მოჰყვეს ხელი. აფხაზებმა მთელი სოფლები აჰყარეს და გლეხები ცოლ-შვილიანად ტყვეებად და მონებად წაასხეს.

იმდროინდელ საბუთებში ვკითხულობთ: - "ნაყანევს სოფელი აბხაზებს აეყარა", ანდა "ბებია ბოლქვაძე აფხაზს ცოლ-შვილიანად წაეყვანა". აფხაზეთის სამღვდელოება "აფხაზებს" თანხას უხდიდა და ამ გზით ათავისუფლებდა ტყვეობიდან ქრისტიანებს. ასეთ რთულ ვითარებაში აფხაზეთის კათალიკოსებს მიზნად დაუსახავთ აფხაზეთიდან "აყრილი" ქართული მოსახლეობა საქართველოს შედარებით დაცულ კუთხეებში - იმერეთსა და სამეგრელო-გურიაში დაესახლებინათ, რისთვისაც დიდი გასაჭირის მიუხედავად, მიუღწევიათ კიდევაც (იხ. იქვე, გვ. 266).

მთიელ-აფსარული ტომების შემოჭრის შემდგომ კათალიკოსმა ევდემონ ჩხეტიძემ ბიჭვინთა დატოვა და გელათში გადმოინაცვლა, თუმცა ბიჭვინთას, როგორც ერთ-ერთ საეკლესიო ცენტრს, არც ამის შემდეგ შეუწყვეტია არსებობა.

XVII-XVIII საუკუნეების ყველა მოგზაურისათვის ცნობილი იყო, რომ აფხაზეთში ომი მკვიდრ ქართველთა და მთიდან ჩამოსულ ჩერქეზთა შორის მიმდინარეობდა. ქათიბ ჩელებს ჩერქეზები და აბაზები (აფხაზები) ერთი ხალხის ტომებად მიაჩნია (იქვე, გვ. 300). მე-19 საუკუნეში ევროპელი მოგზაური სპენსერი იმ ხალხს, რომელსაც ჩვენ ამჟამად "აფხაზებს" ვეძახით, ჩერქეზებს უწოდებს. ბიჭვინთა მის დროს უკვე ჩერქეზების ხელში ყოფილა. ჟ. გამბას ცნობით, ტერიტორია ენგურსა და კოდორს შორის აფხაზების განუწყვეტელი შემოსევების გამო უკაცრიელ უდაბნოდ (მცირედ დასახლებულ მიწად) ქცეულა. ის წერს: "ლეკებისა და აფხაზების სახელმწიფოთა

საზღვრებზე უდაბნოებია გადაჭიმული. ამდენად გასაკვირი არ არის, რომ ენგურსა და კოდორს შორის მოქცეული ქვეყანა დაუსახლებელია და მიწები გამოუყენებელია”.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში ქართველობა აფხაზეთში კვლავ გამრავლდა. შრომისმოყვარე ქართველებმა დააშრეს ჭაობები, ქვეყანა ბაღებითა და პლანტაციებით დაამშვენეს, მაგრამ როგორც კი აფხაზებმა საქართველოს სახელმწიფოს სისუსტე იგრძნეს, კვლავ ძველ გზას დაადგნენ, კერძოდ, ქართველთა სრული მოსპობა მოისურვეს.

თუ როგორი შემართებით იბრძოდნენ აფხაზები სხვისი მიწა-წყლის მისატაცებლად, ამის შესახებ ერთ მოგზაურს მოვუსმინოთ:

“აქაური მრავალრიცხოვანი მცხოვრებნი კავკასიის ყველა ტომს შორის ცნობილნი იყვნენ, როგორც ყველაზე მეომარი ბუნებისა და რუსეთის დაუძინებელი მტრები, როცა ჩერქეზები (გულისხმობს აფხაზებს - ა. ჯაფარიძე) თვალს მოჰკრავდნენ ნაპირისაკენ მოახლოებულ გემს, თითქოსდა ჯადოსნური ჯოხის დაქნევაზე, გორაკები თვალის დახამხამებაში ივსებოდა შეიარაღებული ხალხით, მათი კივილი ერთგვარად წააგავს ტურების ყმუილს. იგი იმდენად შემაზრზენი და არაადამიანურია, რომ თუ ის პირველად ესმის ადამიანს, შეიძლება გონებაც კი დაკარგოს. პანიკური შიში იპყრობს ჩერქეზების საბრძოლო ყიჟინაზე რუსების არმიას, საზარელია გამძვინვარებულ მთიელთა ბრბოს ყიჟინა”.

ამიტომაც არაა გასაკვირი სოხუმელთა და აფხაზეთის ქართველთა პანიკური შიში და გაქცევა აფხაზეთიდან თოვლიანი მთებისაკენ სიცოცხლის გადასარჩენად.

ისტორია შემობრუნდა და გრძელდება. შეუძლებელია აფხაზეთის დაპყრობამ, ქართველებისაგან ამ კუთხის დაცლამ საუკუნოდ არ ააღელვოს ჩვენი ერი, არ შეიძლება ამ უბედურების მიმართ უგრძნობი იყოს რომელიმე ადამიანი. “მკვდარია უგრძნობი კაცი, უსაზარლესი მკვდარზედა” - ამბობდა ვაჟა, ასევე მკვდარია ერი, რომელიც საკუთარი უბედურების მიმართ უგრძნობი დარჩება. ერმა, ახალგაზრდობამ უნდა გააცნობიეროს ის სირცხვილი, რომელიც აფხაზეთის დაკარგვით თავს დაგვატყდა. საქართველო მთლიანი სახით მიიღო ჩვენმა თაობამ - ასევე უნდა გადავცეთ მომავალ თაობებსაც. ჩვენ პირნათელნი უნდა ვიყოთ როგორც გიორგი მთაწმინდელისა, რომელიც ამ კუთხეს “ქვეყანასა ჩვენსა” უწოდებდა და სხვა სულკურთხეულ წინაპართა წინაშე, ასევე თვით აფხაზეთში ამჟამად დაღუპულ ახალგაზრდათა, ყრმათა და დედათა წინაშეც.

კიდევ უფრო უდიდესი სირცხვილია ქართველების აფხაზებად ჩაწერა, რაც მიუთითებს ჩვენს უკიდურესად დაბალსა და შეზღუდულ ეროვნულ ცნობიერებაზე, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამას საფუძვლად უიმედობა და აფხაზეთში ქართველად ყოფნის გაუსაძლისობა უდევს. შეიძლება ყველაფერს შევურიგდეთ, მაგრამ არ შეიძლება შევურიგდეთ აფხაზეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთა, ჩვენი სისხლისა და ხორცის ჩვენგან გაუცხოვებას, ქართველთა გააფხაზების პროცესს. გააფხაზებული ქართველობა, გამაჰმადიანებული მესხებისა (ე. წ. თურქი-მესხების) და გაოსებული დვალების მსგავსად მრავალ მოუგვარებელ პრობლემას შეუქმნის საქართველოს.

მსგავსად ეპიდემიებისა და შიმშილობისა, ომი დიდი საზოგადოებრივი უბედურებაა, ღვთის მიერ დაშვებული ერის გამოსასწორებლად და გონზე მოსაყვანად. რწმენისა და მამულისათვის ომში მკვლელობას ეკლესია არ თვლის ადამიანის პირად ცოდვად, მითუმეტეს რომ ომში თითოეული მეომარი ქრისტეს მცნების თანახმად მზადაა თავისი სიცოცხლე სამშობლოს, ხალხისა და სარწმუნოების დასაცავად გასწიროს. ერისა და მამულის დასაცავად ომში კაცის კვლა მეექვსე მცნების დარღვევად და ცოდვად არ ითვლება, პირიქით, ცოდვაა, როდესაც მტრის მიერ სამშობლოს თუნდაც ერთი კუთხის დაპყრობის ჟამს კაცი თუ ქალი მთელ თავის ძალას, უკანასკნელ სისხლის წვეთს არ იღებს ქვეყნისათვის, თავისი ყოველდღიური თავდადებული შრომითა და მორჩილებით არ აძლიერებს სახელმწიფოს, არ ემზადება სამშობლოს გასათავისუფლებლად, არ ზრდის მომავალ თაობას, არ უნერგავს მას სულისკვეთებას მამა-პაპათა სისხლით მორწყული მიწის დასახსნელად, დღენიადაგ არ წვრთნის მას ფიზიკურად და

ზნეობრივად ეროვნული მიზნის აღსასრულებლად. ჩვენ არ მოვუწოდებთ ახალგაზრდებს შურისძიებისაკენ; ჩვენი ხალხის ქრისტიანულმა სულმა შეთხზა ამბავი დედისა, რომელიც შვილის მკვლელის დედას უთანაგრძნობს, ილიას მოთხრობის გმირმა ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილმა სწორედ იმიტომ არ მოკლა მრავალი ქართველი ვაჟკაცის მკვლელი, რომ ისიც ვაჟკაცი იყო.

ჩვენი ერი, რომელსაც შენდობის უნარი აქვს, ალბათ ძალას მოიკრებს და განაცხადებს, რომ წარსულს დაივიწყებს, ოღონდ ერთი პირობით - საქართველოს წმიდა მიწაზე, აფხაზეთში ქართველებმა და აფხაზებმა თანაბარი სამოქალაქო უფლებებით უნდა იცხოვრონ.

გაზეთი "მადლი", 1994, N16.

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

ქართველების გაბერძნება

წარღვნის შემდგომ გამრავლებული კაცობრიობა, თანახმად წმიდა წერილისა, ერებად და ტომებად დაყოფილი არ ყოფილა: "ერთპირი იყო მთელი დედამიწა და ერთ ენაზე მეტყველი" (დაბ. 11, I). შემდგომ კი უფალმა ღმერთმა კაცობრიობის ეთნიკურ ჯგუფებად დაყოფა ინება და წარმოიქმნა ენები, ტომები, ერები. როგორც კაცობრიობის ისტორია მიუთითებს, აღნიშნული ეთნიკური ერთეულები მუდმივ, უცვლელ კატეგორიებს არ წარმოადგენდნენ. დროთა მსვლელობამ მრავალი ერი წარმოშვა, გააძლიერა; შემდგომ დაშალა და გააქრო. ერის გაქრობა ადამიანთა ფიზიკურ მოსპობას არ ნიშნავს, უმეტეს შემთხვევაში ასიმილაცია, ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში გადასვლა - დენაციონალიზაცია ხდება. მაგალითად, შუმერებისა - აქადელებად, მიდიელებისა - სპარსელებად, კაპადოკიელებისა - ბერძნებად. ამ პროცესის დროს, ერთი ერის წარმომადგენელი სხვა რომელიმე ერის ენას, წეს-ჩვეულებებს ითვისებს და შვილებს სხვა ერის ეთნიკური წევრობის სულისკვეთებით ზრდის. ადამიანი სწორედ იმ ეროვნებისა ხდება, რომლის წევრადაც თავის თავს თვლის. რა არის მიზეზი ერების დაშლისა, რა უწყობს ამას ხელს; დღეს ერი ეწოდება გარკვეულ შემოფარგლულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, რომელსაც თავისი სახელმწიფო გააჩნია. წმიდა ილია მართლის თქმით, ეს "ერთსული და ერთხორცი მკვიდრნი საერთო ისტორიით არიან შედუღებულნი (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. 1984 გვ. 716). ერს უთუოდ უნდა ჰქონდეს თავისი სახელმწიფო. უსახელმწიფოდ ერი ერობას კარგავს. იშლება სწორედ ის ერი, რომელმაც სახელმწიფოებრიობა დაკარგა, ანდა რომლის სახელმწიფოც ნაწილებად დაიყო, რომელთაც პოლიტიკური თავისთავადობა დაკარგეს. უცხო სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით მოქცეული ერი, ასიმილაციას ანუ დენაციონალიზაციას არა სწრაფად, არამედ თანდათანობით, ეტაპობრივად, საუკუნეთა მანძილზე განიცდის.

ამ წესიდან გარკვეული გამონაკლისიც არსებობს, თავისი ეროვნული სახელმწიფოს გაუქმების შემდგომ ზოგიერთმა ეთნიკურმა ჯგუფმა, ძირითადად ეთნო-სარწმუნოებრივი თემების შექმნითა და ეროვნულ-კულტურული ავტონომიის დაწესებით, უცხო სახელმწიფოშიც შეძლო თავისთავადობის შენარჩუნება.

საზოგადო წესიდან არც ქართველი ერია გამონაკლისი. საქართველოს სახელმწიფოს დაშლა - ერის ეთნიკურ ჯგუფებად დაყოფას, ხოლო სახელმწიფოს გაერთიანება - ერის კონსოლიდაციას უწყობდა ხელს. საუკუნეთა მანძილზე საქართველოს სამოციქულო ეკლესია საქართველოს გაერთიანებისაკენ მიისწრაფოდა და ერის ერთიანობისათვის იღვწოდა. ჩვენი დედა ეკლესიისათვის ცნობილი იყო, რომ საქართველოს დაყოფა და უცხო სახელმწიფოს გავლენის სფეროებში მისი ნაწილების მოქცევა ძირითადი მიზეზი იყო ერთიანი ქართველი ერის ჯერ ეთნიკურ ჯგუფებად (ქართლელებად, კახელებად, იმერლებად, მესხებად, მეგრელებად,

გურულებად და ა. შ.), დაყოფისა, ხოლო შემდგომ საერთოდ დენაციონალიზაციისა - ეროვნული გადაგვარებისა. XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ ეთნიკურ ერთეულებად დაშლილ ქართველობას ერის ტომობრივი დაშლის საშინელი სახე დაანახა და მიძინებული ეროვნული ერთიანობის სული გამოაფხიზლა.

ძველი ქართველი ისტორიოგრაფები, რომლებიც ძირითადად ჩვენი ეკლესიის წმიდა მამები იყვნენ (ლეონტი მროველი, არსენი ბერი და სხვ.), საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ორგზის დაშლას აგვიწერენ. ფარნავაზ მეფის მიერ ქრისტეს შობამდე დაარსებულმა მთელი საქართველოს მომცველმა სამეფომ მთლიანობა თითქმის 800-900 წლის მანძილზე შეინარჩუნა. მე-6 საუკუნის ბოლოს ვახტანგ გორგასალის შთამომავალთა დროს კი იგი დაიშალა და სახელმწიფოც გაუქმდა. VIII-IX საუკუნეებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში წარმოიქმნა ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულები (ტაო-კლარჯეთის, კახეთ-ჰერეთის და აფხაზეთის სამეფოები), რომლებიც X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის დასაწყისში გაერთიანდნენ ერთიან საქართველოს სამეფოდ, რომელიც შემდგომ, კერძოდ XV-XVI საუკუნეებში ისევ დაიშალა. როგორც აღინიშნა, ერთიანი სახელმწიფოს დროს ძლიერდებოდა ქართველი ერის კონსოლიდაცია და, პირიქით, კუთხური სახელმწიფოებრივი ერთეულების წარმოქმნა ხელს უწყობდა კუთხური, ტომობრივი ნიშან-თვისებების გაძლიერებას, ერის ეთნოჯგუფებად დაყოფას. უფრო მეტიც, უცხო სახელმწიფოთა საზღვრებს შიგნით მოქცეულ საქართველოს ნაწილებში დაიწყო ქართველთა ასიმილაცია უცხო ტომებთან, მაგალითად, ოსმალეთის სახელმწიფოში მოხვედრილ მესხეთში ინტენსიურად მიმდინარეობდა ქართველების გამაჰმადიანება, რასაც შემდგომ ნაწილობრივ მათი გათათრება (ეროვნული ცნობიერების შეცვლა) მოჰყვა. იქვე მიმდინარეობდა რელიგიურ ნიადაგზე სხვა ეთნოპროცესებიც. მსგავსი პროცესი მიმდინარეობდა სპარსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეულ აღმოსავლეთ კახეთსა (ჭარ-ბელაქანსა) და ქვემო ქართლში (აქ ძირითადად ხდებოდა ქართველების გამაჰმადიანება და არმენიზაცია), მსგავსი პროცესები შემდეგ დაიწყო ჩრდილო კავკასიელი ტომების გავლენის სფეროში მოქცეულ აფხაზეთსა და შიდა ქართლში - უცხო გარემოში მოხვედრილი ქართველები კარგავდნენ ეროვნებას და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს ერწყმოდნენ.

განვიხილოთ ქართველების გაბერძნების საკითხი. კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ ოსმალებმა ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქო არ გააუქმეს, უფრო მეტიც, მას უფლებები გაუფართოვეს, პატრიარქს "ბერძნული თემის ეთნარქის" ფუნქციები დააკისრეს. სულთანს ქრისტიანთა შორის წონასწორობის და სამართლიანობის დამყარების პრეტენზია გააჩნდა (იხ. შ. ლომსაძე "ახალციხური ქრონიკები", გვ. 23). ოსმალებმა თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანები ორ მთავარ ჯგუფად დაყვეს და მათ სულიერ მეთაურად კონსტანტინეპოლში მყოფი ბერძენი და სომეხი პატრიარქები დანიშნეს. ბერძენთა (ასე უწოდებდნენ მართლმადიდებლებს) საპატრიარქოს განმგებლობაში შევიდნენ: ბერძნები, ბულგარელები, სერბები, ალბანელები, ვალახები, მოლდაველები, ხორვატები, სირიელები, ქრისტიანი არაბები, ლაზები (იქვე, გვ. 25). მესხეთის დაპყრობის, ანუ ოსმალეთის იმპერიაში სამხრეთ საქართველოს შესვლის შემდგომ მათ რიცხვს ქართველებიც მიემატნენ. წათე ბაწაში წერს: "1476 წელს მეჰმედ II მიერ გამოცემულ "კანუნ - ნამეს" მიხედვით დაწესდა სტატუსი არამუსულმანური რელიგიური თემისათვის და დამტკიცდნენ კონსტანტინეპოლში მართლმადიდებლური (ბერძნული) და სომხური (გრიგორიანული) პატრიარქები და ებრაელთა მთავარი რაბინი. ყველა მართლმადიდებელი (ბერძნები, ბულგარელები, სერბები, ალბანელები, ქართველები, ვალახელები და მოლდაველები) ამიერიდან განიხილებოდა როგორც ერთი "ბერძნული თემი" (ბერძენი ერი), რომელზედაც ბერძენთა პატრიარქი როგორც საეკლესიო, ისევე სასამართლო ძალაუფლებით სარგებლობდა, კატორღაში გაგზავნის ჩათვლითაც კი. ბერძენთა პატრიარქს და ეპისკოპოსებს ეკუთვნოდათ კონტროლი მართლმადიდებელი ეროვნების სკოლებსა და წიგნებზე. მათ ჰქონდათ მინიჭებული აგრეთვე ზოგიერთი პირადი პრივილეგია. ოსმალეთში

“ერის” ცნებას რელიგიური შინაარსი ჰქონდა, ე.ი. ყველა მუსულმანს - ოსმალო, ყველა კათოლიკეს - ფრანგი, ყველა მართლმადიდებელს - ბერძენი, ყველა გრიგორიანელს - სომეხი ეწოდებოდა. ოსმალების იმპერიაში ოთხი “ერი” ცხოვრობდა; ამ ოთხი ერის (ოსმალო, ბერძენი, სომეხი, ფრანგი) არსებობას აღიარებდა სახელმწიფოცა და მოსახლეობაც (სინამდვილეში, როგორც აღინიშნა ეთნოჯგუფების, ერების, რაოდენობა უამრავი იყო. იხ. ა. ჯაფარიძე “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია” ტ. 4, გვ. 343).

რა ბედი ეწიათ ოსმალეთის საზღვრებს შიგნით მოქცეულ მესხეთისა და ლაზეთის ქართველებს? ისინი ოსმალეთის ქვეშევრდომებად იქცნენ. ქვეყნის კანონი კი მოითხოვდა, რომ მართლმადიდებელი მესხები და ლაზები კონსტანტინეპოლის ბერძნულ საპატრიარქოს დაქვემდებარებოდნენ, გაგრიგორიანებული ქართველები კი - სომეხ პატრიარქს. იმპერიაში არსებული შეხედულების შესაბამისად მესხეთის (და ლაზეთის) მოსახლეობა ოთხ ჯგუფად დაიყო - მუსულმანებად (თათრებად), ფრანგებად, სომხებად და ბერძნებად, თუმცა ყველა ისინი ქართველები იყვნენ. ისიცაა აღსანიშნავი, რომ მესხეთის ჩრდილო მხარეში მცხოვრები მცირერიცხოვანი მართლმადიდებლები, რომელთაც ბოლომდე არ გაუწყვეტიათ ფარული კავშირი მცხეთის (ქართულ) საპატრიარქოსთან - ”ქართველებად” იწოდებოდნენ.

ქართველთა ეთნიკური განსახლების საზღვარი სამხრეთის მიმართულებით ევფრატამდე აღწევდა. XVII საუკუნეში ანტიოქიელი პატრიარქი მაკარი, რომელმაც თითქმის მთელი მესხეთი ფეხით მოიარა, ადასტურებს, რომ ადრე საქართველოს სამხრეთი საზღვარი ევფრატამდე აღწევდა, ამასვე მოწმობს ჩელებიც. არზრუმის მიდამოებს დიდხანს შემორჩა ქართული მოსახლეობა. არქანჯელო ლამბერტი წერს, რომ მათ ქართველი ეპისკოპოსი ეჯდათ არზრუმში; XVII საუკუნეში ტ. გაბაშვილმა გიუმიშხანეში დაადასტურა ქართული ეკლესიების არსებობა და აგრეთვე მოსახლეობაში შემორჩენილი ხსოვნა, რომ ადრე ეს ადგილი საქართველოდ ითვლებოდა (შ. ლომსაძე “სამცხე-ჯავახეთი” გვ. 58). ეს ფაქტი იმითაც არის საინტერესო, რომ დღევანდელ საქართველოში ბერძნული მოსახლეობა სწორედ გიუმიშხანედან და არზრუმიდან გადმოსახლდა XIX საუკუნეში, თუმცა მას რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული შეთანხმებით საბერძნეთში გადასახლებაც შეეძლო, მაგრამ საბერძნეთში წასვლა არ ისურვა და შიდა ქართლში (წალკასა და სხვაგან) ჩასახლება ირჩია.

როგორც ითქვა, ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ბალკანეთის ნახევარკუნძულის, ასევე პონტოს და მესხეთის მართლმადიდებლური მოსახლეობა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა. ეს იურისდიქცია არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო ხასიათსაც ატარებდა. ბერძენ პატრიარქს, მის მიტროპოლიტებსა და ეპისკოპოსებს სასამართლო და საგადასახადო უფლებები ჰქონდათ ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის მიმართ, განურჩევლად მათი ეროვნებისა. ყველა სკოლა მართლმადიდებლებისა დამოკიდებული იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქზე, სკოლაში სწავლება, როგორც წესი, ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. ბერძნულ ენაზე სრულდებოდა მღვდელმსახურებაც. ბერძნული საპატრიარქო ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა სხვა ეროვნულ კულტურათა განვითარებას. ამ მიზეზის გამო ოსმალეთის იმპერიაში ბერძნული ენა საყოველთაოდ გავრცელდა მართლმადიდებელთა შორის. ეს გამოიწვია განათლებისა და ეკლესიის “ელინიზაციამ” და აგრეთვე ეკონომიკურმა მოთხოვნილებებმა (იხ. წათე ბაწაში: “ეთნო-რელიგიური პროცესები ანატოლიაში” 1988 წ. გვ. 40-41). როგორც აქედან ჩანს, ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ ბერძნულმა ეკლესიამ მიიღო უფლება ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი ეროვნების თავისი იურისდიქციის ქვეშ მოქცევისა, რამაც ბერძნული ენის გავრცელება და ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის გაბერძნება გამოიწვია. როგორც აღინიშნა, კონსტანტინეპოლის პატრიარქი ახლად შემოერთებულ არაბერძნულ სამრევლოს ბერძენ მღვდელს უგზავნიდა. მღვდელს კი, ოსმალეთის სახელმწიფოში მიღებული კანონების თანახმად, თავის სამწყსოზე განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა, მღვდელი მისთვის არა მარტო სასულიერო პირი, არამედ მსაჯულიცა და მოსამართლეც

იყო. მას დამნაშავის კატორღაში გაგზავნაც კი შეეძლო. მრევლში მღვდელი ერთდროულად იყო მსაჯული, მამასახლისი, მასწავლებელი, გადასახადების ამკრები, ყოვლის მომცველი მეურვე და ხელმძღვანელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მესხეთისა და ლაზეთის ქართველობა რომელიც დაპყრობათა შედეგად ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვრებში აღმოჩნდა, სარწმუნოებრივ საკითხებში ფენებად დაიყო.

ვახუშტი წერს: "შეიქმნა სრულიად მაჰმადიანობა, წესითა და სჯულითა მათითა. და აღშენდებოდიან მეჩეთნი. არამედ დარჩნენ გლეხნი უმწყემსელნი, ვითარცა პირუტყვნი" ("ქართ. ცხ." ტ. 4, გვ. 729).

დაახლოებით 1659 წლისათვის მესხეთის მოსახლეობა სარწმუნოებრივად ორ ფენად გაიყო: მაღალ ფენას მიუღია მაჰმადიანობა, ხოლო გლეხები კვლავ ქრისტიანებად დარჩენილან, მაგრამ წინამძღვართა გარეშე. ქართველ გლეხობას ქართველი სამღვდელოება აღარ ემსახურებოდა, რადგანაც ქართულ ეკლესიას მატერიალურ-ფინანსური საფუძველი გამოეცალა, ხოლო წარჩინებულები კი უკვე ეკლესიაზე აღარ ზრუნავდნენ. ქართული ეკლესიის გარეშე, როგორც ვახუშტი წერს "პირუტყვებივით" უმწყემსოდ დარჩენილი გლეხები ეროვნული თვითშეგნების დაბალი დონის გამო ბერძნულმა, სომხურმა და კათოლიკურმა ეკლესიებმა გაინაწილეს ერთმანეთს შორის, რომელთაც ოსმალეთის იმპერიაში სახელმწიფოებრივი სტატუსი ჰქონდათ (აღიარებულნი იყვნენ ხელისუფალთა მიერ), ხოლო გლეხების ნაწილი წარჩინებულთა წაბაძვით გამაჰმადიანდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეკლესია ოსმალეთის იმპერიაში სასტიკად იდევნებოდა, რადგანაც ოსმალ ხელისუფალთა თვალსაზრისით საქართველოს სახელმწიფო რუსეთის სახელმწიფოს გაბატონებას ამიერკავკასიაში ქართული ეკლესიის ნებით აპირებდა. რუსეთი კი ოსმალეთის იმპერიასთან მებრძოლი ქვეყანა იყო. მესხეთსა და ლაზეთში მცხოვრები ის ქართველი გლეხები, რომელთაც მართლმადიდებლური სარწმუნოება შეინარჩუნეს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ოსმალეთის სახელმწიფოს კანონთა შესაბამისად კონსტანტინეპოლის ბერძენი პატრიარქის მრევლად იქცნენ. ქართველი მართლმადიდებლების რიცხვი განსაკუთრებით დიდი იყო არზრუმსა და გიუმიშხანეში. მათ XVII-XVIII საუკუნეებში კონსტანტინეპოლმა, როგორც კანონი მოითხოვდა, ბერძენი იერარქები და სამღვდელოება გაუგზავნა, რისი წყალობითაც მათში თანდათანობით ბერძნული ცნობიერება ჩამოყალიბდა, მაგრამ XIX საუკუნეში მათ, რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმების შესაბამისად, მოსახლეობის გაცვლის დროს, არა საბერძნეთში, არამედ საქართველოში წასვლა ისურვეს: ამ მოსახლეობას ურუმები ეწოდებოდათ. ეთნოგრაფიული ნიშნებით ურუმები უფრო ქართულ-კავკასიურ-ოსმალურ სამყაროს განეკუთვნებიან, ვიდრე ბერძნულს. მათ არ იცოდნენ ბერძნული ენა და თურქულად საუბრობდნენ. შეინარჩუნეს მართლმადიდებლური რწმენა, მაგრამ ენის შენარჩუნება ვერ შეძლეს. ურუმები მათ ვითარცა ანატოლიის მკვიდრთ ეწოდებოდათ, ანატოლია კი ბიზანტიის იმპერიის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა. ბიზანტია - მეცნიერული ტერმინია; ბიზანტიელები თავიანთ თავს - რომაელებს, თურქები კი ურუმებს უწოდებდნენ (სიტყვა რომიდან); ურუმებს ეძახდნენ აგრეთვე ამ ტერიტორიაზე დამკვიდრებულ ოსმალებსაც. არზრუმსა და გიუმიშხანიდან გადმოსახლებულ ურუმებში რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი შედიოდა, მათ შორის ლაზებიც. ისინი XIX საუკუნეში წალკაში, ბოლნისში, ბორჯომსა და სხვაგან დასახლდნენ. ურუმების ჩამოსახლება საქართველოში ინტენსიური იყო XIX საუკუნის 50-იან წლებში და გრძელდებოდა XX საუკუნის 30-იან წლებამდე (იხ. ი. ახუაშვილი: "ბერძნული ახალშენები ქვემო ქართლში"). ისინი დაუსახლებიათ ქართველ მემამულეთა მიწებზე გარისსა და თრიალეთში, ძველ ქართულ სოფლებსა და ნასოფლარებში. მათ იქ ქართველი მკვიდრი მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა დახვედრიათ. რუსეთის მთავრობა მათ ყურადღებით ეპყრობოდა და ყოველ მხრივ ცდილობდა მათში ბერძნული თვითშეგნების განმტკიცებას. ი. ახუაშვილის შრომების თანახმად ეს ქართველები გაბერძნებულან (იხ. "მნათობი" 1988 წ. N6; 1988 წ. N10; 1989 წ. N12). დოკუმენტებიდან ჩანს, რომ არიდაშვილი ჩაწერილია არედოვად, ასლანიშვილი - ასლანოვად, ასლამაზიშვილი -

ასლამაზოვად, ანესიშვილი - ამოსოვად, ამანათაშვილი - ტრაპეტუნტოვად, ბარათაშვილი ჩაწერილია ჯერ დარჩიევად, ხოლო შემდეგ - ბარათოვად. აივაზაშვილს მიუღია გვარი - აივაზოვი, ბალაბანიშვილს - ბალაბანოვი, ბერძენიშვილს - გურჯიევი. ამ გვართან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გურჯიევად ჩაწერილან თეთრაძეები და ასევე ქართველიშვილები. ბოსტანაშვილს მიუღია გვარი ბოსტანჯიევი, ბერუაშვილს - ბეროვი, ბიჭიაშვილს - ბიდჟოევი, გაბაშვილს - გაბაოღლი, გიორგაშვილს - გიორგი ოღლი, გიგოლაშვილს - გიგოლოვი, ვახტანგიშვილს გვარი არ შეუცვლია, მაგრამ აღწერისას ეროვნებად ბერძენი ჩაუწერინებია, ზაზაშვილს - ზაზოევი, თევდორაშვილს - ანოზოვი და ფედოროვი, თოფურიძეს გვარი არ შეუცვლია, მაგრამ ეროვნებით - "ბერძენია", თომაშვილს - ტომაზოვი, იორდანიშვილს - ჩულაევი, ისანამიშვილს - სიმონოვი, ისაკაძეს - ბახიროვი, კალაძეს - კალაიჩევი, კოსტანაშვილს - კოსტანოვი, კეკელაშვილს გვარი არ შეუცვლია, მაგრამ ეროვნებით "ბერძენია". ლაზარიშვილს - ლაზარიდი, მალიშვილს - მაზმულოვი, მაზმანიშვილს - მაზმულოვი, მერმანიშვილს - მერმაევი. ეროვნება შეუცვლიათ: მურადაშვილს, მირზაშვილს, მერაბიშვილს, ნიკოლაძეს, რომელიც ნიკოდიმოვად ჩაწერილა, პეტრიაშვილი - დიმოევად, საკალიძეს გვარი არ შეუცვლია, ეროვნებით "ბერძენია". ასევე საბაძეს, უფლისაშვილი - პლიზოღლი, ფარაჯანაშვილი - ფარაჯანოვი, ფერიაშვილი - ვარაქლიევი, ფურცელაძე - ერგიშევი, ფალავანდიშვილი - პაფლენოვი, ღვინიაშვილი - ხრისტოფოროვი, ყარაჯაშვილი - ყარაჯიევი, ჭედილაშვილს გვარი არ შეუცვლია, ხეჩინაშვილი - ხეჩინოვი, ხამაჯაგაშვილი - ჩიფლიევი, ჯალიაშვილი - კილინკაროვი, ჯავარაშვილი - ჯავაროღლი. ქართველების ასიმილაცია, სხვადასხვა ერებსა და ტომებში შერწყმა, როგორც აღვნიშნეთ, XV-XVI საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობის დაშლამ და დაპყრობათა წყალობით ზოგიერთ კუთხეში სახელმწიფოებრიობის მოშლამ გამოიწვია. მსგავსი პროცესი მიმდინარეობს ყოველ ერში. სახელმწიფომოშლილი ერი, რომელიც ვერ შეძლებს თვითშემეცნების მაღალი დონის გამომჟღავნებას, ვერ ინარჩუნებს თავისთავადობას და ნაწილი ხდება სხვა ერისა. ქართველების გაბერძნებაც არ არის გამონაკლისი, სწორედ ამიტომ ამბობდა წმიდა ილია მართალი: "ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა. გავთითეულდით ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით, დიდებული ქართველობის აზრი ის საყოველთაო სახელი გონებიდან გამოგვეცალა... ის შემკრებლობით დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდან ამოშრა".

ეროვნული თვითშეგნების დაბალი დონე იყო ძირითადი მიზეზი ქართველების გაბერძნებისა, გათათრებისა და გასომხებისა.

პოლიტიკური ვითარების გამო ქართველი ერის ერთიან სხეულს ჩამოშორდნენ ის ქართველები, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ განშორდნენ ჩვენს დედას, საქართველოს სამოციქულო ეკლესიას და უცხო ეკლესიათა მრევლად იქცნენ.

მაღლი, N8, 1994

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

ქართველების გალეკება

ჳახეთის სამეფოს ყველაზე ნაყოფიერი და მოსავლიანი მიწები საინგილოში ანუ აღმოსავლეთ კახეთში მდებარეობდა. ალაზნის გაღმა მხარე (კახის, ზაქათალის, ბელაქნის და მიმდებარე რაიონების მიწა-წყალი) ზომიერი და თბილი კლიმატით, ვრცლად გადაშლილი ვენახებით, ხილის, კაკლისა და თუთის ბაღებით იყო ცნობილი; ქვეყანა დაფარული იყო ჭალა-ტყეებით. საინგილოში მდებარეობდა კახეთის სამეფოს ძველი დედაქალაქები - ძეგამი, ზაგეში და ბაზარქალაქი. აქედან იმართებოდა მთელი კახეთი. აქ ააშენა სამეფო სასახლე მერვე საუკუნეში მეფე არჩილმა (ბელაქნის წყალთან), აქვე მაწის წყალთან სხვა სამეფო სასახლეც იდგა. გიშის წყალთან იჯდა ეპისკოპოსი "მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხისა". ფიფინეთის წყალთან (ჭარი) იყო "მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი". საერთოდ აქ მრავალი ეკლესია-მონასტერი იყო "ხოლო კაცნი და ქალნი შვენიერი, ჰაეროვანი და მსგავსნი ყოველთავე ქართველთა ზნითა ჩვეულებითა და ქცევით მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნოებითა ქართლისათა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზნი" - წერს ვახუშტი.

აღმოსავლეთ კახეთის ბედი იმის შემდგომ შეიცვალა, რაც შაჰ-აბასმა 1604 წელს ჯერ პოლიტიკურად ჩამოაშორა იგი კახეთის სამეფოს, ხოლო 1616 წლის შემოსევის შემდგომ კაკ-ენისელიდან 100000 ქართველი აყარა და ირანში გადაასახლა. შაჰმა აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში) ჩამოასახლა უცხო ტომი, მთებიდან ჩამოსახლება იწყეს აგრეთვე ლეკებმაც, საბედნიეროდ, ქართველმა მეფეებმა შემდგომ წლებში მდგომარეობის გამოსწორება შეძლეს. ვითარება მკვეთრად შეიცვალა 1677 წლიდან, როცა კახეთის მმართველებად მაჰმადიანი (ყიზილბაში) ხანები დასხდნენ. ისინი ლეკებში თავიანთ მოკავშირეებს ხედავდნენ და მათ კახეთში ჩამოსახლებას ხელს უწყობდნენ; ქართველთა (ქრისტიანთა) წინააღმდეგ აქეზებდნენ. თუ ლეკი ან თათარი ქართველს მოკლავდა, პასუხს არ აგებინებდნენ, ამართლებდნენ სიტყვებით "ესრეთ ჯერ არს", ქრისტიანს კი დამნაშავე მაჰმადიანის მოკვლის უფლებაც კი არ ჰქონდა - "არა ჯერ არს გიაურისაგან მუსულმანის სიკვდილი" - ამბობდნენ ისინი. თუ აქამდე ლეკები კახელებს ემორჩილებოდნენ (დაღესტნის დასავლეთი მთიანეთი კახეთის სამეფოს ხელდებულ ქვეყანას წარმოადგენდა), აღმოსავლეთ კახეთში ლეკთა ჩამოსახლების შემდგომ სპარსელი ხანების მხარდაჭერით ლეკებმა დაიპყრეს ალაზნისპირა დაბლობში მდებარე სოფლები და აქაური ქართული მოსახლეობა ყმებად გაიხადეს. მე-18 საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ კახეთში ავარელ და წახურელ ლეკთა "უბატონო თემები" ჩამოყალიბდნენ, რომელთაც კახეთის სამეფოს დიდი ნაწილი დაიმორჩილეს. მართალია, თავდაპირველად, როგორც სპარსეთი, ისე ოსმალეთი კახეთის სამეფოს აღმოსავლეთში აღმოცენებულ ჭარ-ბელაქანისა და ელისუს სასულთანოს აძლიერებდნენ, მაგრამ მალე სპარსეთისათვის ეს მიუღებელი გახდა. მიუხედავად ამისა, მე-18 საუკუნეში მეორე ნახევარში ჭარ-ბელაქანი და "თავისუფალი თემები" მთელ ამიერკავკასიაში ძლიერ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ, კერძოდ, ისინი დაღესტნელებს საქართველოზე ლაშქრობისას პლაცდარმს უქმნიდნენ. ერეკლე და თეიმურაზი ოცნებობდნენ დაეპყროთ ჭარ-ბელაქანი და იქ "ქართველობა" აღედგინათ, რისთვისაც თანახმად, პ. ბუტკოვისა, რუსეთიდან ოთხი ათას ჯარისკაცს ითხოვდნენ. "ქართველობის აღდგენაში" იგულისხმებოდა გამაჰმადიანებული კახელების კვლავ გაქრისტიანება ალაზნის მარცხენა სანაპიროზე.

ჭარ-ბელაქნისა და თავისუფალი თემების ძირითად მოსახლეობას (უმრავლესობას) სოციალურად დიფერენცირებული ქართველები წარმოადგენდნენ. ერთი ნაწილი ქართველებისა ლეკურ თემებს მიეკედლა, რის შედეგადაც სოციალური კიბის მაღალ საფეხურზე ასვლა მოახერხა,

ხოლო მეორე ნაწილს ლეკთა მორჩილების ქვეშ მყოფი გლეხობა წარმოადგენდა. სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, თავის მხრივ, გლეხობაც ორ ნაწილად გაიყო. უმრავლესობამ მაჰმადიანობა მიიღო, მხოლოდ მეორე ნაწილიღა დარჩა ერთგული მამაპაპეული სარწმუნოებისა - ქრისტიანობისა.

როგორც ითქვა, აღმოსავლეთ კახეთში მე-17 საუკუნეში მონღოლური ტომი მუღალები - ძველი მაჰმადიანები ჩამოასახლეს. შემდგომში აქვე ჩამოსახლნენ ლეკებიც - ძველთაგანვე გამაჰმადიანებულები, ქართველებს, რომელთაც მაჰმადიანობა მათ შემდგომ მიიღეს, ახლად მოქცეულები ანუ ინგილოები უწოდეს, რადგანაც ისინი მუღალებთან და ლეკებთან შედარებით მართლაც უფრო ახალი მაჰმადიანები იყვნენ (თუ არაფერს ვიტყვით სპარსელებსა და თურქმანულ ტომებზე).

XIX საუკუნის დასაწყისში ჭარ-ბელაქანის დამორჩილება რუსებსაც გაუჭირდათ, ხოლო შემდგომში, აჯანყებათა თავიდან აცილების მიზნით, იძულებულნი გახდნენ აღმოსავლეთ კახეთში არსებული საზოგადოების სოციალური სახე ეცნოთ. 1830 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ I დაამტკიცა წესდება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: - "ჭარის პროვინცია დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით განიყოფა ორ კლასად: გაბატონებულ მფლობელებად, რომლებიც უმთავრესად ლეკებისაგან შედგებიან, და მათ მიერ დამორჩილებულ ქართველებად, რომელთათვისაც ლეკებს იძულებით მაჰმადიანური სარწმუნოება მიუღებინებიათ" (იხ. ა. ჯაფარიძის "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", IV. გვ. 393), მართლაც, საინგილოში ორი უმთავრესი ჯგუფი ცხოვრობდა - ლეკები და ქართველები. ამასთან, საინგილოელი ლეკების უმეტესი ნაწილი წარმოშობით ქართველები იყვნენ. ეს რუსმა ჩინოვნიკებმაც კი იცოდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით "ზაქათალის მხარის წოდებრივ-საადგილმამულო მოწყობის კომისიას" მრავალი მასალა დაუგროვდა, ვ. ივაშენკო წერდა, რომ ქართველების გალეკება XVIII საუკუნის II ნახევარში მოხდა - "დამორჩილებული ქართველები თითქმის მთლიანად გალეკდნენ და გამაჰმადიანდნენ" (იქვე, გვ. 374). 1801 წლის აპრილში პეტერბურგში ჩასული ქართველი ელჩები აცხადებდნენ - "ჭარელნი შთამომავლობით თვისით არიან ძველი კახეთისაგანნი და ადგილი იგი, რომელთაცა ზედა დაშენებულ არს, აწცა კახეთისაა" (იხ. თ. პაპუაშვილი, "ჭარ-ბელაქანი", გვ. 381). თავდაპირველად ქართველი დიპლომატები ჭარელებს ლეკებისაგან განასხვავებდნენ; მაგრამ შემდგომ მათაც ლეკები უწოდეს.

ქართველთა გალეკებას პოლიტიკურთან ერთად, სოციალური მიზეზიც ჰქონდა. გალეკება, როგორც ჩანს, არა იძულებით, არამედ თითქოს ნებაყოფლობით ხდებოდა. ლეკდებოდნენ არა მარტო ქართველი თავადები, არამედ გლეხებიც - "რაც შეეხება გლეხობას, ისინი ლეკებში თავიანთ კლასობრივ მოძმეს ხედავდნენ. ლეკების მხარეზე გადასვლით მათ იმედი ეძლეოდათ, რომ ბატონყმობის მძიმე უღელს თავს დააღწევდნენ და მდგომარეობას გაიუმჯობესებდნენ. "ლეკთა მხარეზე მთელი სოფლები გადადიოდნენ" (იქვე, გვ. 376). ნ. ბერძენიშვილი კი ამის შესახებ ამბობდა - "კახელი გლეხები "ლეკობაში" უბატონობას ხედავდნენ" (აღსანიშნავია, რომ ბატონყმობის უღლისაგან თავის დასახსნელ ხერხად შიდა ქართლელ გლეხებს გაოსება მიაჩნდათ, ოდიშელებს - გააფხაზება. ნაწილობრივ ამის გამო იღებდნენ მაჰმადიანობასა და გრიგორიანობას მესხი და ქართლელი გლეხებიც. მაჰმადიანური სამყარო არ იცნობდა ბატონყმობას, ასევე გაგრიგორიანების შემდგომ ვაჭარ-ხელოსანთა კლასში შესული მოსახლეობა მეტი უფლებებით სარგებლობდა). "ლეკები, თავის მხრივ, ხერხიანად სარგებლობდნენ ბატონყმური ძარცვის ნიადაგზე გამწვავებული კლასობრივი ურთიერთობით, "ემოციქულებოდნენ" გლეხებს, კავშირსა და მშვიდობას აღუთქვამდნენ მათ და თავადების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ" - წერს ნ. ბერძენიშვილი. ვახუშტი წერს - "ამ ჟამთა იწყეს გლეხთა მძლავრებისათვის ლეკთა ლტოლვად და მისვლად ლეკთა თანა (ე. ი. ლეკების ძალმოსილების გამო ლეკთა მხარეზე გადასვლა. საფიქრალია, აფხაზთა ამჟამინდელმა ძლიერებამაც არ შეაცდინოს ჩვენი ჩაგრული მოსახლეობა აფხაზეთში, ანანია ჯაფარიძე), რამეთუ აკლიან რაიმე მეპატრონეთა თვისთაგან და მუნ მისრულნი

ეტიკობდიან და დაესხმიან დაბნებთა, ასევე - მროწლეთა, კაცნი მოსრნიან, ტყვენი და საქონელნი წარიყვანიან". მაშასადამე, როცა ქართველ საერო ხელისუფალთაგან რაიმე დააკლდებოდათ, ქართველი გლეხები თავს ანებებდნენ შრომას, ლეკების მხარეს გადადიოდნენ და ყაჩაღობას - ქრისტიან თანამოძმეთა ძარცვას იწყებდნენ.

XVIII საუკუნის ერთ პერიოდში მთელ კახეთს "გალეკების" საფრთხე შეექმნა, რის მიზეზადაც ამ დროის სახელმწიფო მოღვაწეები მტრის შემოსევათა გამო ილაჯგაწყვეტილი ხალხის უიმედობას მიიჩნევდნენ; მშველელი არსაიდან ჩანდა, მუდმივმა წარუმატებელმა თავდაცვამ კი ხალხს იმედი გადაუწურა; ამას თან გლეხკაცის "უჭკუობაც" დაერთო. როგორც კახეთის მმართველი, წარმოშობით ქართველი ბაგრატიონი - იმამ ყული - ხანი ვახტანგ VI წერდა: "სოფლებმა პირი მისცეს, მათ ლაშქარში ერეკებიან. ამდენი ომი და ხმლის ქვეშ ყოფნა, თქვენც მოგეხსენებათ, კაცისაგან არ გაიძლება. გლეხ კაცს ამას ემოციქულებიან - ჩვენი პირობა დაიჭირეთო და თქვენ არას შეგცოდებთო და ამავე სიტყვით ბევრი ელაპარაკათ, თქვენც მოგეხსენებათ გლეხ კაცს მოკლე ჭკუა აქვს, რასაც თვალით არ ნახავს, მის მეტი არა იციან და მერმე მეშველი ჯარი ვერსად ნახეს, მუდმივ ბრძოლისაგან შეწუხებულნი დიად უიმედოდ გახდნენ" (იქვე, გვ. 379). მოსახლეობის გალეკების შიშით შეპყრობილი კახეთის ხანი ვახტანგს წერდა, რომ თუ კახეთს "მაშველი არ მოუვიდოდა, მაშინ, ვინც დარჩომილან და ვინც დახიზნულან, ესენიც ლეკს პირს მისცემენ". ალავერდი, თელავი და გავაზი ლეკებმა დაიჭირეს. კახეთის ტახტზე მჯდომი კონსტანტინე (დავითის ძე) ფშავში გაიხიზნა. საბედნიეროდ კახეთი აჯანყდა, ლეკები გააძევეს, მაგრამ ალაზნის გაღმა კახეთის მიწა-წყალი ლეკებს დარჩათ.

რუსთა მმართველობის დამყარების შემდეგ მრავალმა ლეკმა გაიხსენა თავისი ქართული წარმომავლობა. თ. პაპუაშვილი წერს - "კაკ-ენისელის მთისძირა სოფლების მკვიდრი ქართული მოსახლეობა, ავარელი ლეკების აქ ჩამოსახლების შემდეგ გალეკდა, ეთნიკურად შეერწყო მათ. ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ, როდესაც "ზაქათალის კომისია" ჭარ-ბელაქანში მუსულმანური მაღალი წოდების უფლებებს არკვევდა, პრეტენდენტთა შორის მრავალნი აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც თავიანთ თავს კახელი თავადების ჩამომავლებად სთვლიდნენ. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ ბელაქანის თემში მცხოვრები გალაჯოვები გამოგვადგებიან" (იქვე, გვ. 382).

ლეკი გალაჯოვები - ვაჩნაძეები ყოფილან წარმოშობით, შაბანოღლების წინაპარი ვინმე ივანე თავადიშვილი ყოფილა, რაჯაბოღლების წინაპრები - ზურაბიშვილები. "ზოგიერთი აქაური ლეკი დღესაც ატარებს გვარს - წეთოებს, ამბობენ, რომ მათი წინაპრები ქართველები ყოფილან - წერეთლები" - წერს მ. ყულოშვილი (იქვე, გვ. 384).

უნდა აღინიშნოს, რომ გალეკდა აღმოსავლეთ კახეთის მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილი. მთელი მოსახლეობის გალეკება თვით ლეკებისთვისაც მიუღებელი იყო. საქმე ისაა, რომ ლეკობა - სოციალურ კლასს წარმოადგენდა, ლეკების თემი ამ ქვეყნის მიწების მფლობელი-მეპატრონე იყო. მათ მიწის მუშები ესაჭიროებოდათ, რომელთაგანაც მიწათსარგებლობის სანაცვლოდ გადასახადს იღებდნენ. ლეკთა მიწებს ინგილოები და მუღალები ამუშავებდნენ. საინგილოში მესამე ფენაც არსებობდა - ვაჭარ-ხელოსნები. XVII-XVIII საუკუნეებში მთელ საქართველოში საშუალო ფენამ გრიგორიანული სარწმუნოება მიიღო, ანუ "გასომხდა". ამ მხრივ არც საინგილო ყოფილა გამონაკლისი. აღსანიშნავია, რომ ინგილო სოციალური თვალსაზრისით უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე საქართველოს ქრისტიანულ ნაწილში მცხოვრები გლეხები (ყმები). ინგილოები მხოლოდ მიწის გადასახადს უხდიდნენ ლეკებს, სხვა მხრივ ლეკები არ ერეოდნენ მათ ცხოვრებაში. ინგილოებს ლეკებისაგან მიწის შეძენაც შეეძლოთ. ამის გამო საქართველოდან ჭარ-ბელაქანში მოსახლეობის ლტოლვა შეიმჩნეოდა. მიუხედავად შედარებითი თავისუფლებისა, ლეკთა მიერ ქართველი (ინგილო) გლეხები უფრო იჩაგრებოდა, ვიდრე მუღალები. ქართველი მაჰმადიანების (ინგილოების) სოფლებია: ალიაბადი, თასმალო, ზაგემი, ჰენგაანი, ვერხიანი, მოსული, ყანდახი, ყაპანაჩხი, მარსანი, ლალაფაშა, სუსკენტი, ყორაღანი,

შოთავარი და სხვა. ქართველი ქრისტიანები (შემდგომ ისინიც ინგილოებად იწოდნენ) ცხოვრობდნენ კახში, ალიბეგლოში, მუშამბაშში, ალათემურში, ბაზართალაში, ბახთალაში, საკანში, ყარამეშაში, ქეშგუთანში, ხარაზ-თალაში, ქოთუქლოში, ყორაღანში და სხვაგან.

საინგილოს ქართველი მაჰმადიანები ფარული ქრისტიანები იყვნენ. ისინი რუსთაგან აქტიურ მხარდაჭერას, მიწებზე მფლობელობის დაბრუნებას, ლეკთა შევიწროებას ელოდნენ და ყოველივე ამის შემდეგ გაქრისტიანება სურდათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, პირიქით, ფანატიკოსი მუსულმანების შიშით მათი გამაჰმადიანების პროცესი კვლავ გაგრძელდა, ხელისუფლება კი დუმდა, რადგანაც აჯანყებისა ეშინოდა. ამის მაგალითია 1863 წლის მაჰმადიანური აჯანყება. 1850 წელს თბილისში 8 ინგილო ჩამოვიდა და მონათვლა მოითხოვა. ისინი სიონში თვით მთავარმართებელმა და უმაღლესმა არისტოკრატიამ მონათლეს. ამ გულისხმიერი დამოკიდებულების შედეგად ჭარ-ბელაქანსა და ელისუში მრავალი ქართველი მაჰმადიანი დაუბრუნდა დედა-ეკლესიას, მაგრამ ეს პროცესი მაჰმადიანი ფანატიკოსებისათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა და 1863 წელს ისინი აჯანყდნენ, ხელისუფლებამ უკან დაიხია, გამარჯვებულმა მაჰმადიანებმა გაქრისტიანების დაწყებული პროცესი შეწყვიტეს, ხოლო ზოგიერთი გაქრისტიანებული კვლავ გაამაჰმადიანეს.

ამჟამად მაჰმადიანი ინგილოები პასპორტის მიხედვით აზერბაიჯანელებად ითვლებიან, სკოლებშიც მომავალ თაობებს აზერბაიჯანული ეროვნული სულისკვეთებით ზრდიან. განსაკუთრებით დამაფიქრებელია შემდეგი ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ მათ ჯერ კიდევ აქვთ შენარჩუნებული ქართული ენა და ცნობიერება, ახალ იდეას უნერგავენ, თითქოსდა ისინი არა ქართველების, არამედ თურქული ტომის - ”გახების” შთამომავალნი არიან.

ზოგიერთი აზერბაიჯანელი მეცნიერის აზრით, ძველი ალბანეთის ხანაში მდინარე ალაზნის აღმოსავლეთით გახ-ების (კახ-ების) თურქულ-ალბანური მოდგმის ტომი ცხოვრობდა, რომლის შთამომავალიც დღეს თითქოსდა თანამედროვე საინგილოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილია. როგორც აზერბაიჯანელები, ისე ქართველები ამ კახ-ების შთამომავალნი არიან, მათ ადათ-წესებსა და ჩვეულებებში ძველალბანური ტრადიციის ნაკვალევი ჩანს (იქვე, გვ. 366). უფრო მეტიც, მთელი კახეთი ალბანეთის მიწა-წყლადაა მიჩნეული, ხოლო ალბანელებს (ჰერებს) რატომღაც აზერბაიჯანელთა უშუალო წინაპრებად თვლიან.

აქ უნდა ითქვას ის, რომ საინგილოს მოსახლეობა ძველად მართლაც იწოდებოდა “კახ”-ებად, მაგრამ ისინი არა თურქულ-ალბანური ტომის გახ-ების (საერთოდ, საეჭვოა ასეთი მოდგმის ტომის არსებობა) მოდგმად, არამედ ქართველთა ეთნარქის ქართლოსის ძის - კახოსის შთამომავლებად მიიჩნეოდნენ.

ჩვენი წინაპრები კახელებს (ე. ი. დღევანდელი საინგილოს მოსახლეობასაც) უპირველეს ქართველებად თვლიდნენ. სწორედ ამიტომ წარმოაჩინა ისინი მემატიანემ ქართლოსის შთამომავლებად და კახოსის ნამრავლად.

ყველა ქართველი მეცნიერი, რომელიც საინგილოს საკითხს იკვლევს, ინგილოებს კახელებად, და არა ჰერებად მიიჩნევს, ხოლო საინგილოს აღმოსავლეთ კახეთს უწოდებს და არა ჰერეთს (ინგილოებს ჰერებს რატომღაც პრესისა და ინფორმაციის მუშაკები უწოდებენ). თანამედროვე საინგილო რომ ძველთაგანვე მართლაც კახეთის მიწა-წყლად მიიჩნეოდა, ამაზე ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში დაცული ცნობაც მიუთითებს, კერძოდ იმის თაობაზე, რომ თვით ახლანდელი ქალაქ შექის სანახებში მცხოვრებ მოსახლეობას “კახეთის მთიულები” ეწოდებოდა (ქ. შექი მდებარეობს ზაქათალის აღმოსავლეთით 64 კმ მანძილზე). ვახტანგის ძემ “მეფემან დაჩი დაჰპატიჟა მთეულთა კახეთისათა, რათა აღიარონ ქრისტე, ხოლო მათ არა ინებეს და განდგეს ყოველნი ნოპატელნი” (ქ. ცხ. I, გვ. 205). ნოპატელნი იგივეა, რაც ნუხპატელნი (იხ. იქვე, ლექსიკონი, გვ. 415). VIII საუკუნეში “კახეთის მთეულთა” (დღევანდელი საინგილოს მიმდებარე მთიანეთის მოსახლეობა) გაქრისტიანება ინება არჩილ მეფემ - ”ძმისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად... დაჯდა წუქეთს, პოვა წუქეთის მთავარი... არა ინება მისგან წარღებად წუქეთი და აღაშენა ციხე-

ქალაქი ერთი ნუხაპეტის ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხაპეტელნი უწინარეს იყვნენ კაცნი წარმართნი" (იქვე, გვ. 243). მაშასადამე, არჩილი მეფეა კახეთისა, რეზიდენცია - საჯდომი კი წუქეთში აქვს. აქედან ჩანს, რომ ძველთაგანვე "კახეთი" მდინარე არაგვის აღმოსავლეთით მცირე კუთხეს კი არ ეწოდებოდა, არამედ მხარეს, რომელშიც კავკასიის მთისპირა ზოლი, მათ შორის საინგილოც შედიოდა. კუხეთსა და ჰერეთს კახეთი ძველთაგანვე ეწოდათ. თანახმად ვახუშტისა, სახელწოდება კუხეთი VIII-IX საუკუნეებში გაქრა, ხოლო ჰერეთი XV საუკუნის შემდგომ - "განდგა გრიგოლ მთავარი, ამან მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად"; ჰერეთთან დაკავშირებით კი ამბობს: "ხოლო შემდგომად განდგომილებისა ქორონიკონს 1466 მოისპო სახელი ჰერეთისაცა და იწოდა საკუთრად კახთა მეფედ".

აქედან ჩანს, რომ აღმოსავლეთ კახეთს (საინგილოს) XV საუკუნიდან არ შეიძლებოდა წოდებოდა ჰერეთი. მას კახეთი ეწოდებოდა იმ დროსაც, როცა 250 წლის შემდეგ (XVII საუკუნეში) იგი საქართველოს ჩამოაშორეს. მისი მოსახლეობის ანუ კახელების (და არა ჰერების) გამაჰმადიანება და გალეკება ძირითადად XVIII საუკუნეში მიმდინარეობდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჰერებიც, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ქართველური ტომი იყო, ისტორიითა და კულტურით ძველთაგანვე ჭეშმარიტი ქართველები, მაგრამ ჩვენი მემატიანე მაინც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "ჰეროსი" "თვისი" იყო "ქართლოსისა", "კახოსი" კი შვილი. ე. ი. მემატიანეს კახელები ისეთივე ქართველებად მიაჩნია, როგორც მცხეთოსისა და ქართლოსის სხვა ძეების შთამომავალნი. ქართველთა მთავარ - ეთნარქის შვილების შესახებ ნათქვამია: ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა მცხეთოს, მეორესა გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გაჩიოს ესე - ხუთნივე იყვნეს გმირნი, არამედ მცხეთოს უგმირე იყო სხვათა მათ" (ქ. ცხ. I. გვ. 8).

ძველი ქართველი ისტორიკოსები, რომელნიც საქართველოსა და კავკასიის ეთნიკურ სურათს საუკუნეთა მანძილზე აკვირდებოდნენ, მიიჩნევდნენ, რომ თბილისის არა მარტო აღმოსავლეთით, არამედ სამხრეთით მდებარე ტერიტორიაც არა ჰერების, არამედ ქართლოსის ძეთა მიწა-წყალს წარმოადგენდა, კერძოდ, არც რუსთავი მდებარეობს ჰერეთში, როგორც ეს ამჟამადაა მიჩნეული (იგი ქართლოსის ცოლმა ააშენა), არც გარდაბანი (ასე ეწოდებოდა ძალზე ვრცელ მხარეს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით), რადგანაც გარდაბნელთა ეთნარქი გარდაბოსი ქართლოსის ძეა, არც ასევე ვრცელი მხარე გაჩიანი ("გაჩიოსიც" ქართლოსის ვაჟია) და ამავე მიზეზის გამო არც კუხეთი და, მითუმეტეს, არც კახეთი (რადგანაც "კახოსი" მსგავსად მცხეთოსისა - ქართლოსის ძეა). მაშასადამე, ზემოთ ჩამოთვლილ ვრცელ მხარეთა მკვიდრნი ანუ კახელები, კუხელები, გარდაბნელები და გაჩიანელები არა ჰერები, არამედ ისეთივე ქართველები არიან, როგორც მცხეთელები. ზემოთ ნახსენები ყველა მხარის მცხოვრებნი - რადგანაც "მცხეთოს უგმირე იყო სხვათა მათ" მცხეთის ირგვლივ გაერთიანდნენ; ჰერელნიც, ცხადია ენათესავებოდნენ მცხეთელებს, მაგრამ ისინი სხვა სახლის შვილებად მიიჩნეოდნენ. ცნობილია, რომ ჰერეთი ისტორიის ზოგიერთ მონაკვეთში თავისი პოლიტიკური გავლენის სფეროს აფართოებდა, ზოგჯერ კი პირიქით. იყო პერიოდი, როცა მის საზღვრებში მართლაც შედიოდა თბილისის სამხრეთი და აღმოსავლეთი მხარეები, მაგრამ ეთნიკურად ზემოაღნიშნულ მხარეთა მოსახლეობა ყოველთვის ქართველებად მიიჩნეოდა. ძველ სომეხ ისტორიკოსთა მიერაც - ყოველ შემთხვევაში - XVII-XVIII საუკუნეებში აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) მოსახლეობა კახელებს წარმოადგენდნენ და არა ჰერებს (სამწუხაროდ, ზოგიერთი აზერბაიჯანელი ისტორიკოსი, როგორც აღვნიშნეთ, ჰერებს ალბანელებად მიიჩნევს და მათი ქართული სამყაროდან გაყვანას ცდილობს. უფრო მეტიც, ამ მომენტს ნებსით თუ უნებლიეთ გამაჰმადიანებული აღმოსავლელი კახელების ქართული ოჯახიდან გასაყვანადაც იყენებენ).

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ბედი გამაჰმადიანებული მოსახლეობისა აღმოსავლეთ კახეთში ძალზე მძიმე იყო. მისი გადაგვარების უპირველეს მიზეზს სარწმუნოებრივი გაუცხოება, დედა - ქართული ეკლესიისაგან მოწყვეტა წარმოადგენდა. მათი ბედი მამა-პაპათა სარწმუნოების

შეცვლამ განსაზღვრა. ქართული ეროვნული თვითშემეცნება შეერყათ იმ ქართველებს, რომელნიც მართლმადიდებლობასა და ჩვენს ეროვნულ ეკლესიას მოსწყდნენ. მეორე მხრივ, ეროვნება სწორედ იმ ინგილოებმა შეინარჩუნეს, რომელნიც ჩვენს სარწმუნოებასა და ეკლესიას ერთგულობენ.

ქართველთა დენაციონალიზაციის შემდგომ გადაგვარებული ქართველები არა მხოლოდ საქართველოს მიმართ გაუცხოვებულ მასად, არამედ ზოგჯერ მშობლიური ქვეყნის მტრადაც კი იქცნენ. ცნობილია, რომ აფხაზეთში ყოველივეს, რაც ქართულია, ყველაზე უფრო დაუნდობლად გააფხაზებული ქართველები ებრძვიან, ასევე იქცევიან გაოსებული ქართლელი მთიელები სამაჩაბლოში და გათურქებული მესხები; იმავე სურათს ვხედავთ საინგილოს ლეკებშიც. აქედან ჩანს, თუ რამდენად სახიფათოა ქართველთა დენაციონალიზაცია საქართველოშივე, ანუ რამდენად მნიშვნელოვანია ერთგულება ეროვნული ქართული ეკლესიისა, მამა-პაპათა მართლმადიდებლური სარწმუნოებისა. საერთოდ, დენაციონალიზაციის პროცესს ღრმა მეცნიერული შესწავლა, ხოლო ქართული ეკლესიის ისტორიის დაუბეჭდავ სახელმძღვანელოებს გამოცემა ესაჭიროება. საგაზეთო წერილებით ამ პრობლემის მხოლოდ გაცნობა თუ შეიძლება.

“მადლი” N3, 1994

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

ქართველთა გაოსება

ხშირად ამბობენ, რომ ქართველებს მსოფლიოში მონათესავე ერი არა გვყავს, ძირითადად ეს მართლაც ასეა, მაგრამ თუ დავუკვირდებით, თვით საქართველოში მოსახლე სხვადასხვა ერთა შორისაც ვიპოვით მონათესავეს, მეტიც, ჩვენი სახლის ძველ განაყოფს, ჩვენი ეროვნული ოჯახიდან გასულს, ახლობელს სისხლით, ადათ - ჩვეულებებით, ცხოვრების წესით, იერსახითა და სხვა.

ვახუშტი ბაგრატიონი ოსთა შესახებ წერდა, რომ მათ ეთნოგენეზისში ძველად კავკასიურმა ტომებმა, ახალ დროში კი ქართველებმა (დვალებმა და ქართლელმა მთიელებმა) მიიღეს მონაწილეობა. თუ ოსებს ამ თვალსაზრისით შევხედავთ, ისინი ჩვენი მონათესავენი არიან. კარგია შევიცნოთ ნათესავი, რათა მასთან ერთად ვიცხოვროთ მშვიდობით, მყუდროებით, “ყოვლითა ღვთის მსახურებითა და სიწმიდით, რამეთუ ესე არს კეთილ და სათნო წინაშე მაცხოვრისა ჩვენისა ღვთისა” (I ტიმ. 2, 3).

ქართველების გაოსების შესახებ არა მარტო ჩვენი, არამედ უცხოელი მეცნიერებიც წერენ. განსაკუთრებით სანდო და მნიშვნელოვანია ცნობილი მოგზაურისა და მკვლევარის გიულდენშტედტის ცნობა, რომელიც წერს - ”კავკასიელ მთიელთა შორის, განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში, არიან ბევრი ქართველები, რომლებმაც რელიგიასთან ერთად ენაც დაივიწყეს”. როგორც ვხედავთ, ოსთა გარემოში მცხოვრები, “ბევრი ქართველი” გაოსებულა. მათი გადაგვარება გამოწვეული ყოფილა იმით, რომ მათ ჯერ მართლმადიდებლური სარწმუნოება, ხოლო შემდგომ მშობლიური ენაც დაუკარგავთ.

ვახუშტის თვალსაზრისს ძველ დროს ოსთა ეთნოგენეზისში კავკასიელთა მონაწილეობის შესახებ რამდენიმე წლის წინ ქ. ორჯონიკიძეში დაბეჭდილი “ჩრდილო ოსეთის ასსრ ისტორიაც” იზიარებს (ტ. I, 1987), რომლის მიხედვით ოსების წინაპრები, როგორც სკვითურ-სარმატულ-ალანური ტომები, ასევე კავკასიელი აბორიგენები არიან, რომლებიც ერთმანეთს ჩრდილო კავკასიის სტეპებში შეერივნენ (გვ. 5), წიგნის ავტორთა თანახმად, ალან-ოსური ეროვნების ფორმირება X-XII საუკუნეებში მოხდა მდინარეებს ყუბანსა და თეგს შორის მდებარე ველზე (გვ. 140). აქ მათ შექმნეს ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ მონღოლ-თათრებმა გაანადგურეს. აღნიშნული წიგნის ავტორთა თანახმად ალანების დიდი ნაწილი

მონღოლებთან ომში დაღუპულა, ხოლო გადარჩენილი მოსახლეობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში გაფანტულა. გადარჩენილთა ერთი ჯგუფი კავკასიის მთებს შეხიზვნია და ცენტრალური კავკასიის ჩრდილო კალთებზე დამკვიდრებულა. მონღოლებთან ომის შედეგად, ავტორთა თანახმად, ალანებს დაუკარგავთ თავიანთი სამკვიდრო ტერიტორია (ე. ი. ჩრდილო კავკასიის ველები) და სხვათა მიწებს, მათ შორის საქართველოს შეხიზვნიან. საქართველოში ოსებს ხელსაყრელი პირობები შეექმნათ, რაც იმდროინდელი საერთაშორისო ვითარებით იყო გამოწვეული.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში, ორი ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი, უზარმაზარი მონღოლური სახელმწიფო წარმოიშვა. ოქროს ურდო ჩრდილო კავკასიას, ყირიმს, ვოლგიდან დუნაიმდე გადაჭიმულ სტეპებს და სხვა ტერიტორიებს მოიცავდა ხოლო ჰულაგიდების ილხანთა ირანის მონღოლურ სახელმწიფოში ამიერკავკასია, მცირე აზიის ნაწილი, ერაყი და ირანთან ერთად თურქმენეთი და ავღანეთიც შედიოდა. ეს ორი უძლიერესი იმპერია, ერთმანეთს სასტიკად მტრობდა. მათ საერთო საზღვარი ჰქონდათ - კავკასიის ქედი, რომლის უღელტეხილებსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ოსების მიმართ ამ ორ იმპერიას სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდა. ოქროს ურდოს ლაშქარმა 1222, 1238 და 1278 წლებში სასტიკად დაამარცხა ოსები და მათი სახელმწიფო მოსპო. ოსები ცდილობდნენ ოქროს ურდოსთან ომში სამხრეთ მონღოლური სახელმწიფო გამოეყენებინათ; თავის მხრივ, ილხანებიც ენდობოდნენ და იყენებდნენ კიდეც ოსებს ამიერკავკასიასა და საქართველოში. საქმე ისაა, რომ ქართველები ილხანთა წინააღმდეგ ოქროს ურდოს გამოყენებას ცდილობდნენ, ოსები კი - პირიქით. ამით იყო გამოწვეული, რომ გიორგი ბრწყინვალემდე ილხანთა მიერ დაპყრობილ საქართველოში ოსები გაძლიერდნენ, მონღოლთა გაძევების შემდგომ საქართველოდან ოსებიც გააძევეს. აქ იგულისხმება, რომ საქართველოდან არა ოსების ეთნოსი (ისინი კომპაქტურად ჯერ კიდევ არ სახლობდნენ ჩვენში), არამედ მონღოლთა სამხედრო წყობის მსგავსად ფორმირებული ოსური ლაშქარი (ე. ი. მეომრები თავიანთი დედა-წულით), ანუ მონღოლთა დამხმარე ძლიერი სამხედრო ძალა გააძევეს.

ოსები კვლავ გამოჩნდნენ საქართველოში თემურ-ლენგის ლაშქრობათა შემდგომ, რაც საერთაშორისო პოლიტიკურ ინტერესებთან იყო დაკავშირებული. ორი მონღოლური იმპერია კვლავ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებოდა ერთმანეთს. თემურ-ლენგი თავის უპირველეს მოსისხლე მტრად თოხთამიშს - ოქროს ურდოს ხანს მიიჩნევდა. თემურის სახელმწიფო დერბენდიდან და კავკასიონის მთებიდან იწყებოდა (მოიცავდა საქართველოს, არმენიას, აზერბაიჯანს) და ამიტომაც ოქროს ურდოსგან მისი დაცვის მიზნით კავკასიონის უღელტეხილების ჩაკეტვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. 1382 წელს კავკასიონის გადმოსასვლელის გზით თოხთამიშ-ხანი ირანს შეესია, თემურ-ლენგმა სასტიკად იძია შური თავრიზელებზე, რომლებიც თოხთამიშს დაეხმარნენ; ცხადია თემური არც საქართველოს აპატიებდა კავკასიონის გადმოსასვლელების გახსნას, რომელთა ხელში ჩაგდებასაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, ამიტომაც 1395 წელს ჩრდილო კავკასიაში გამართულ დიდ ომში, თოხთამიშთან გამარჯვების შემდგომ, მან დერბენდი ხელახლა გაამაგრა და მცველები დაუყენა. უკან დაბრუნებისას თემურ-ლენგმა საგანგებოდ დალაშქრა ჩრდილო-კავკასიის მთიანეთი, განსაკუთრებით კი ის ქვეყნები და ხალხები, რომელთაც კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან, დაუნგრია მათ ეკლესიები, "ჯვარ-ხატები", და ძალით მიაღებინა ისლამის რჯული. როგორც ვახუშტი გადმოგვცემს, ამ დროს ოსები საქართველოს მთის ერთ კუთხეში შემოსულან, რომელსაც დვალეთი ეწოდებოდა და დაუპყრიათ იგი. როგორც აღნიშნული იყო, ოსები სამხრეთელ მონღოლთა დახმარებით ცდილობდნენ გადაეგდოთ ოქროს ურდოს უღელი. ისინი თოხთამიშს მტრობდნენ და თემურ-ლენგს ეხმარებოდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ თემურ-ლენგმა კავკასიონის ყველაზე მნიშვნელოვანი გადმოსასვლელების დაცვის მიზნით საგანგებოდ დაასახლა ოსები დვალეთში. საქმე ისაა, რომ დვალეთი დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის

მდებარეობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩრდილო კავკასიაში გამავალი ყველა მთავარი უღელტეხილი (დარუბანდის გარდა) დვალების ხელში იყო, რამაც შემდგომში განსაზღვრა კიდეც მათი ბედი. თემურ-ლენგამდე დვალეთი თავისი უღელტეხილებით საქართველოს სახელმწიფოს გამგებლობაში იმყოფებოდა, თემურის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ვახუშტი წერს - "შემდგომად მოსვლისა ლანგ-თემურისა და აღებისა კონსტანტინეპოლისა, ემძლავრნენ ოვსთა იქით თათარხანნი და აქეთ ლანგთემურის ელნი-მაჰმადიანნი და შემოივლტოდნენ კავკასიასა შინა და დაიპყრნეს კავკასთა ნათესავნი, რომელ არიან დუალნი".

დვალები წარმოშობით ქართულ-კავკასიურ ტომს წარმოადგენდა, რომელიც, როგორც ამას ვახუშტი გვიამბობს, ოსთა მიერ "დაპყრობის" შემდეგ გაოსდნენ. მართალია, ოსების პირველი ტალღა კავკასიის მთებში ჩინგიზ და ბათო ყაენების დროს შესულა, მაგრამ XV საუკუნის დასაწყისისათვის, თემურ-ლენგის ჟამს, ოსების ახალ ტალღას დვალეთში უკვე გაბატონებული მდგომარეობა მოუპოვებია. დვალეთის დაპყრობის შემდგომ სრულიად შეიცვალა საქართველოს ამ კუთხის ბედი. შეიცვალა დვალეთის საზოგადოების სოციალური სახე. დაპყრობის შემდგომ დვალეთში საზოგადოების მაღალ, დიდგვაროვან ფენას ოსებს უწოდებდნენ, ხოლო დაბალ, უქონელ და ღარიბ ფენას - დვალებს. ვახუშტი თავისი თანამედროვე დვალეთის მოსახლეობის შესახებ წერს: "უწყიან გვარნიცა და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი", ხოლო "უგვარონი-დვალნი". ვახუშტი სხვაგანაც იმეორებს - "აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა - კვალად დვალადვე". აქედან ჩანს, რომ დვალების გაოსებას საფუძვლად რელიგიურთან ერთად, რომელსაც ქვემოთ შევეხებით, სოციალური მიზეზიც ჰქონდა, კერძოდ დვალეთის დაპყრობის შემდეგ ოსებმა სოციალური პრივილეგიები მოიპოვეს, დვალებმა კი დაკარგეს. შეიქმნა ახალი ფსიქოლოგია, რომელიც როგორც ჩანს, კავკასიის ამ რეგიონის ეთნოფსიქოლოგიას დაედო საფუძვლად და რომლის მიხედვითაც ოსობა სასახელო იყო, დვალობა კი - სათაკილო; პირველი უფროსი - ბატონი იყო, მეორე - დაქვემდებარებული - მონა, - "რამეთუ დვალნი უმდაბლესნი არიან გვარითა".

საქართველოს ისტორიული მხარე დვალეთი დღევანდელ ჩრდილო კავკასიაში მდებარე ე. წ. ნარო - მამისონის ქვაბულსა და ჯავის რაიონის მთიან ნაწილს მოიცავდა. დვალები ეთნიკურად იბერიულ - კავკასიურ ენათა ოჯახს განეკუთვნებოდნენ და სრულიად განსხვავდებოდნენ ირანულენოვან ოსებისაგან, რომელნიც ისტორიულად ჩრდილო კავკასიის ველებზე ცხოვრობდნენ. დვალები ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ და ქართული ეკლესიის სამწყსოს წარმოადგენდნენ. ვახტანგ გორგასალის დროს დვალეთი ნიქოზელი ეპისკოპოსის ეპარქიაში შედიოდა. დვალები ქართული ეკლესიისა და ქართული კულტურის აქტიური მოღვაწენი იყვნენ. მაგალითად, ცნობილნი არიან ქართული წიგნის დვალი გადამწერები და კალიგრაფები, რომელნიც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც ქართული ქრისტიანობის თავდადებულ მოღვაწეებს წარმოადგენდნენ IX-XI საუკუნეებში. დვალების ბედი, როგორც აღვნიშნეთ, XIII საუკუნის შემდგომ, განსაკუთრებით კი XV საუკუნეში შეიცვალა, როცა იქ უცხოელები გაბატონდნენ. შეიცვალა დვალეთის სარწმუნოებრივი სახეც. ოსთაგან დვალების დაპყრობის შემდგომ, დვალები, როგორც ითქვა, დაბალ ფენად იქცა. ისინი ვითარცა ძველი ქრისტიანები - ქრისტიანებადვე დარჩნენ, მაღალი ფენა კი - ოსები, არაქრისტიანები ვახუშტის თქმით, მაჰმადიანები იყვნენ. "წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი და დაბალნი გლეხნი ქრისტიანნი". როგორც ცნობილია, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდგომ, მაჰმადიანურ რკალში მოქცეულ საქართველოში ქრისტიანობა გარკვეულწილად შესუსტდა, საქართველოს მთიან კუთხეებს ქართული ეკლესია ისეთ ყურადღებას ვეღარ აქცევდა, როგორც ადრე - VI-XIV საუკუნეებში, მითუმეტეს, დვალეთს, სადაც შესული ოსები არა მხოლოდ სკვითურ - წარმართული სარწმუნოების, არამედ მაჰმადიანობის მიმდევარნიც იყვნენ. ოსურ წარმართობას დვალების სარწმუნოებაზე თავისი გავლენა მოუხდენია. ამის გამო დვალეთში ვერც ოსები იცავდნენ მაჰმადიანობას და ვერც დვალები - ქრისტიანობას. ვახუშტი მათზე წერს: "გარნა უმეცარნი ორივეს

სჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არის ესე: რომელნი სჭამენ ღორსა არიან ქრისტიანენი, და რომელნი სჭამენ ცხენსა ესენი არიან მაჰმადიანნი, გარნა ყოველთა უწყიან მსგავსი კერპისა, რომელსაც უწოდებენ ვაჩილას... თაყვანსცემენ ტყავსა მას დღესა შინა ეკლესიასა რათა არა მოუვლინოს ელიამ სეტყვანი და მოსცეს ნაყოფი ქვეყანისანი".

დვალური ენა დღეს მკვდარი ენაა, ისიც კი არაა დადგენილი, იგი დამოუკიდებელი ენა იყო თუ დიალექტი ქართველური ენებისა, თუმც კი დვალური ტოპონიმები, როგორც ჩრდილო კავკასიაში, არდონის ხეობაში, ისე მის სამხრეთითაც ქართულენოვანია: "ზეკარა", "ხოხის მთა", "ბრუც - საბრძელა", "კედელა", "კასრის კარი", "ბასიანი" (სამხრეთ საქართველოშიც არის ეს ტოპონიმი), "ყაყიდური", "კვირა", "ქურთათა", "თაგაური", "ხეთაძე", "ჟღელის ღელე", "დაბის წყარო" და სხვა.

XVIII საუკუნის დასაწყისში ვახუშტის დროს დვალთა გაოსების პროცესი ჯერ კიდევ დასრულებული არ ყოფილა, მაგრამ ამ საუკუნის პირველ ნახევარში დასრულდა. XIX საუკუნეში დვალები, როგორც თავისთავადი ტომი, აღარ იხსენიება. VI საუკუნიდან მოყოლებული, დვალების გაქრისტიანების შემდგომ, დვალეთში - სარწმუნოების, ლიტერატურის, ქვეყანასთან (საქართველოსთან) ურთიერთობის ენა ქართული იყო და დვალები, ისევე როგორც მათი მეზობელი რაჭველები, მოხევენი, არაგვისპირელნი და ქართლელნი ქართველთა დიდი ოჯახის წევრებს წარმოადგენდნენ. მონღოლ-თათრებმა და შემდგომ სხვა მტრებმა ჩვენი ეროვნული ოჯახიდან გაიყვანა ერთ-ერთი ქართველური ტომი. აქ ჩვენი ეროვნული თვითშემეცნების საზოგადოდ დაბალმა დონემაც იქონია გავლენა.

დვალების გაოსების შემდგომ დაიწყო ახალი პროცესი ქართველების დენაციონალიზაციისა - ქართლელი მთიელების გაოსება. როგორც ცნობილია, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდგომ, XVI-XVIII საუკუნეებში, საქართველოსკენ დაიძრნენ და ჩვენს ქვეყანაში ჩამოსახლდნენ ჩრდილო კავკასიური ტომები, აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში) - დაღესტნელები, აფხაზეთში - აფსარ-ჩერქეზები, შიდა ქართლის მთიანეთში კი - დვალები, იმ დროისათვის უკვე გაოსებულნი.

ვახუშტის დროს ოსი - დვალები ნაწილობრივ უკვე იყვნენ ჩამოსახლებულნი ქართლის მთიანეთში, კერძოდ ზოგიერთი ხეობის სათავეებში. ვახუშტი წერს: "ხოლო რაოდენნი ოსნი დავწერეთ ამ ადგილებითა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად... გარდმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან", ცხადია ყველა ქართველი ქართლის მთიანეთიდან ბარში ვერ ჩამოსახლდებოდა, მთაში დარჩენილი ქართული მოსახლეობა ოსურ გარემოში მოექცა და გაოსდა.

XVIII საუკუნის 20-30-იან წლებში ქართლში გადმოსული ოსი - დვალები არაგვისა და ქსნის საერისთავოებს, მაჩაბლების სამფლობელოებს შეეხიზნენ, მცირე ნაწილი კი მუხრანელი ბაგრატიონების, ფავლენიშვილების, ფალავანდიშვილების და ხერხეულიძეების სამფლობელოებში დამკვიდრდა. უნდა ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოს დასუსტების შემდგომ მთიელი მოსახლეობა ეურჩებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას. 1625 წელს ოსური ორიენტაციის დვალების აჯანყება გიორგი სააკაძემ ჩაახშო, რომელმაც დვალეთში (ე. ი. ჩრდილო კავკასიაში) ილაშქრა. ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური მარცხის შემდეგ, როცა ქართლში ჯერ ოსმალები, შემდგომ კი ყიზილბაშები გაბატონდნენ, ოს-დვალებს, როგორც ოსმალები, ისე სპარსელები მაჰმადიანთა წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველ ხელისუფალთა წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდნენ. 1744 წელს ქართლ-კახეთის ქრისტიანული სახელმწიფო აღდგა. თეიმურაზ II და ერეკლე II, როგორც მეისტორიე პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ ჩათვალეს დაეცხროთ არაგვისპირეთსა და ქართლში შემოსახლებული ოსების აჯანყება. მემატიანის თქმით, ამ დროისათვის "ოსები ცემდნენ ზემო ქართლს", არაგვისა და ქსნის საერისთავოებში შესული ოსები სამეფო გადასახადს არ იხდიდნენ: "ორსავ საერისთაონი დიად ავკაცობდნენ, არც ბეგარას აძლევდნენ, არც მოხელე შეუშვეს". მეფეები შევიდნენ ოსთა მიერ

დაჭერილ ტერიტორიაზე: “მოეგებნენ ოსნი და შეიქმნა ომი. მობრძანდა ბატონიც, დაერივნენ ხმალდახმალ და გააქციეს ოსნი და მიიყვანეს, შეჰყარეს კოშკებში და შემოადგნენ კარს. განაძლიერა ჯარი მეფემ. ორმოცი კოშკი დაწვეს, თრუსი დაატყვევეს და ყოვლის გზით ყალთანი უყვეს, რომ რისხვა ღმრთისა დასცეს. რა ეს ამბავი და არაგვის ოსის წახდენის ამბავი შეიტყვეს ერისთავის ოსთა, მივიდნენ მაშინვე ვანათს და შემოეხვივნენ მეფეს. თეიმურაზს მოსთხოვეს დანაშაულის ფირმანი და მოსცეს სრული ბეგარა”. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართლის მთიანეთში გადმოსულ ოსებს ქართველმა მეფეებმა ორი მხრიდან შეუტიეს - მეფე ერეკლე არაგვის ხეობას აჰყვა და იქ დაამარცხა ოსები, ხოლო მეფე თეიმურაზი ქსნის ხეობაში შევიდა, არაგვისპირელი ოსების დამარცხების ამბის გაგების შემდეგ სამაჩაბლოელი ოსები შეშინდნენ, თხოვნით მიმართეს მეფე თეიმურაზს და მისგან შემორიგების ფირმანი მიიღეს. ამის შემდგომ ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსები ქვეყნის მშვიდობიან მოქალაქეებად იქცნენ. მათ ისეთივე სამოქალაქო უფლებები ჰქონდათ, როგორც ქართველებს, ისინი ერთგულებდნენ ქართველ მეფეებს, რამაც გავლენა იქონია მათ ბედზე XIX საუკუნეში.

XIX საუკუნეში ჩვენი ქვეყნის რუსეთის იმპერიაში შესვლას თან აჯანყებები მოჰყვა, ქართლსა და კახეთში სახალხო აჯანყებათა სულის ჩამდგმელები ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრები იყვნენ. თავდაპირველად ოსები ისევ ერთგულებდნენ ქართულ სამეფო სახლს და მრავალჯერ აჯანყდნენ რუს ხელისუფალთა წინააღმდეგ ფარნავაზ, იულონ და ალექსანდრე ბატონიშვილთა მხარდასაჭერად, მაგრამ შემდგომში პასკევიჩმა დიდად იღვაწა, რათა ქართულ-ოსური ერთსულოვნება გაეთიშა, რისთვისაც ოსებს გარკვეული სოციალური უფლებანი მიანიჭა, ხოლო ქართველი მემამულეების უფლებები ოს გლეხებზე საეჭვოდ მიიჩნია, რის გამოც 1830 წელს მაჩაბლებმა საჩივარი შეიტანეს გორის სასამართლოში. 1830 წლიდან 1845 წლამდე სასამართლოს გადაწყვეტილება არ გამოუტანია, შემდგომ კი გადაწყვიტა, რომ ოსები მაჩაბლების მუდმივ მფლობელობაში უნდა დარჩენილიყვნენ. ამ დროისათვის ოსები საქართველოში კომპაქტურად მხოლოდ მაჩაბლების მამულში ცხოვრობდნენ. სასამართლოს გადაწყვეტილება გლეხებმა გაასაჩივრეს, თბილისის სასამართლო პალატამ იგივე დაადგინა, ოსი გლეხების ქართველ თავადთა მფლობელობაში მოქცევა უმაღლესი ხელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამიტომაც საქმე პეტერბურგში - სენატში გასარჩევად გადაიტანეს. სენატმა სასამართლოთა წინა გადაწყვეტილებანი გააუქმა და ოსები მაჩაბლების ყმებად არ ცნო. ეს 1851-52 წლებში მოხდა. სენატის ეს დადგენილება ძალზე მნიშვნელოვანია ქართველთა გაოსების საკითხის გარკვევისათვის, რამეთუ ამ დადგენილებით სენატმა ოსი გლეხები ბატონყმობისაგან საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამდე ცამეტი წლით ადრე გაათავისუფლა. ბატონყმობისაგან ოსების გათავისუფლება ქართლელი გლეხებისათვის უდიდეს საცდურს წარმოადგენდა. ყმობისაგან განთავისუფლება ყველას სურდა, თავისუფლება კი მხოლოდ მათ ენიჭებოდათ, რომელნიც ოსებად იყვნენ ცნობილნი.

“ოსობით” ბატონყმური უღლისაგან თავდაღწეულმა შიდა ქართლის მკვიდრმა გლეხებმა ხიზნების სახით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს მიაშურეს. ჩვეულებრივ გლეხებთან შედარებით ხიზნებს გარკვეული უპირატესობანი ჰქონდათ: გარდა პირადი თავისუფლებისა, მათ უფლება ჰქონდათ მემამულის მიწების უვადო მოხმარებისა გარკვეული საზღაურის გადახდით (“სამხრ. ოსეთის ისტორიის ნარკვევები” გვ. 172), მემამულის მიწაზე მცხოვრები ხიზანი თავისი საკარმიდამო მიწის გადასახადს არ იხდიდა და შეეძლო უფასოდ ესარგებლა ტყითა და სარწყავი წყლით. ეს კანონით იყო განსაზღვრული. საგლეხო რეფორმის შემდეგ მრავალი ქართველი მემამულე შეეცადა გაესახლებინა თავიანთი მიწებიდან ოსი ხიზნები, მაგრამ ვერ შეძლო: ურჩ გლეხობას ხელისუფლება არ სჯიდა, მემამულეებს კი ძალა არ შესწევდათ, უფრო მეტიც, ხიზნები ჰკლავდნენ მემამულეებს, უწვავდნენ სახლ-კარს, უჩეხავდნენ ტყეს, სარგებლობდნენ საძოვრებით, უხნავდნენ მიწებს (იქვე გვ. 198). ხელისუფალთა ფარული მხარდაჭერით ფაქტიურად ხიზნებს დარჩათ ქართველთა მიწები შიდა ქართლში, ვორონცოვ-დაშკოვის დროს არსებობდა პროექტი,

რომლის მიხედვითაც შიდა ქართლი, როგორც მტკვრის მარჯვენა, ისე მარცხენა სანაპიროზე, ოსი მოახალშენეებისათვის უნდა გადაეცათ. მიწების მიღების მიზნით ქართლელი გლეხები ოსებად აცხადებდნენ თავიანთ თავს, ტოვებდნენ მამაპაპეულ სოფლებს და ხიზნების სახით დღევანდელი გორის, დუშეთის, ქარელის, ხაშურის, კასპის, ბორჯომის, მცხეთისა და სხვა რაიონებში სახლდებოდნენ. საქართველოში ოსების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, რაც მხოლოდ ბუნებრივი მატების გზით შეუძლებელი იყო.

სოციალურთან ერთად არსებობდა არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი ქართველთა გაოსებისა. კერძოდ, რელიგიური. როგორც აღინიშნა, დვალები მე-6 საუკუნიდან მოყოლებული ქრისტიანები იყვნენ და ქართული ეკლესიის მრევლს შეადგენდნენ, XIX საუკუნემდე გაოსებულ დვალებსა და მთიელებს ტრადიციულად ქართული ეკლესია ემსახურებოდა. დვალეთის ეკლესიებსა და სალოცავებში XIX საუკუნის შუაწლებამდე წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ტარდებოდა და ღვთისმსახურებისათვის ქართული საეკლესიო წიგნები გამოიყენებოდა. არც თუ დიდი ხნის წინათ ისტორიულ დვალეთში (ჩრდ. კავკასიაში) ზარომაგის ეკლესიის ნანგრევში აღმოჩნდა ქართული ფსალმუნის ხელნაწერი, რომელიც X საუკუნეს ეკუთვნის. იქვეა ეკლესია ქართული წარწერებით. სოფელ წაიდან (ამჟამად ცეი ეწოდება) იყო ქართული ეკლესიის წმიდანი - ნიკოლოზ დვალი. წაი მდებარეობდა "კასრის კართან" (ვახუშტის ცნობით, ეს "კარი არდონის ხეობაში ქართველ მეფეებს აუგიათ "ოსთა გადმოუსვლელობისათვის"). ქართულ ეკლესიასთან ათასწლოვანი კავშირის გამო დვალურიდან ოსურ ენაში საეკლესიო ტერმინოლოგიაა შესული, ოსურად უმაღლეს ღვთაებას "ხუცავი" ეწოდება (ქართული "ხუცესიდან"). ოსური "კუირა", "ბარასკა", "ტარანჯელო", "ჯიორქომა", "სანიბა", "მიქელგაბრიტა", "მარიამ" და სხვა ქართული საეკლესიო ტერმინოლოგიიდანაა გადაღებული და ფონეტიკურად სახეშეცვლილი. (შესაბამისად - კვირა, პარასკევი, მთავარანგელოზი, გიორგობა, სამება, მიქელგაბრიელი, მარიამი (იხ. ა. ჯაფარიძე საქართველოს ეკლესიის ისტორია ტ. IV, გვ. 263).

ჯავის რაიონში მრავლად იყო ე. წ. "ძუარები" (ე. ი. ჯვრები), რომელთაც ფშავ - ხევსურთა და მთიელთა ხატ - ჯვრების მსგავსად თაყვანს სცემდა ადგილობრივი მოსახლეობა (არსებობდა საგვარეულო და სათემო "ძუარები"). აღნიშნული მოსახლეობის სარწმუნოებრივი კავშირი დედა - ქართულ ეკლესიასთან XIX საუკუნეში, ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, გაძნელდა. ცნობილია, რომ ჩრდ. კავკასიაში მცხოვრებ ოსთა შორის ქრისტიანობის გასავრცელებლად რუსი საეკლესიო ხელისუფლება XVIII საუკუნიდანვე იყენებდა ქართველ საეკლესიო მოღვაწეებს. 1815 წელს აღადგინეს ე. წ. "ოსეთის სასულიერო კომისია" და მისი მოქმედების არეალში თბილისის გუბერნიის ოსებით დასახლებული მიწებიც შეიტანეს. ამ დროისათვის არდონის ხეობის ნარ-მამისონის ქვაბული თბილისის გუბერნიას ეკუთვნოდა. ეს ტერიტორია, რომელიც მუდამ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, 1858 წელს მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ თბილისის გუბერნიას ჩამოაშორა და თერგის ოლქს შეუერთა.

ხელისუფლება თუშ-ფშავ-ხევსურეთსა, ხევში და საერთოდ, საქართველოს მთიანეთში შერყეული ქრისტიანობის აღდგენას შეეცადა. მთის რთული სარწმუნოებრივი ვითარების გამოსასწორებლად რუსული ეკლესია იმ ცოდნასა და გამოცდილებას იყენებდა, რომელიც XVIII საუკუნიდანვე ჰქონდა დაგროვილი ოსეთის სასულიერო კომისიას. 1814 წლის 17 ოქტომბერს გამოიცა ბრძანება - "საქართველოში იყოს ერთი ეგზარქოსი და სამი ეპარქია - ქართლისა, ოსეთისა და სიღნაღისა, მოზდოკის ოსური კომისიის მოვალეობა დაეკისროს თელავის არქიეპისკოპოსს. ოსი უხუცესების წახალისებისათვის გაიცეს 1500 მანეთი" (იქვე, გვ. 267). ავტოკეფალიის მოსპობის შემდეგ საქართველოს ბარში მრავალი ეპარქია გააუქმეს, მთაში კი ე. წ. "ოსეთის ეპარქია" შექმნეს, არა მხოლოდ ეკლესიურად, ადმინისტრაციულადაც შეიქმნა "ოსეთის ოკრუგი", რომელშიც მოხევენი, მთიულნი და სამხედრო გზისპირას მცხოვრები ქართველები შეიყვანეს. ამ "ოკრუგის" ცენტრად მთიულეთში მდებარე ქართული სოფელი ქვეშეთი აირჩიეს (იქვე, გვ. 267). ხელისუფლებამ მიზნად დაისახა "ოსეთის ეპარქიასა" და "ოსეთის ოკრუგში" მცხოვრები

მთიელების გაქრისტიანება (აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოსახლეობა თავის თავს მტკიცე ქრისტიანად თვლიდა, მაგრამ უნათლავნი იყვნენ). პირველ ხანებში მართლაც ბევრი "გაქრისტიანდა" (ე. ი. მოინათლა). როგორც აღინიშნა, მთიელთა გაქრისტიანების საქმე "ოსეთის სასულიერო კომისიას" ევალებოდა, რომელიც ყველა მონათლულს ოსად აცხადებდა. ამაზე მონათლულთა კოლოსალური რაოდენობა მიუთითებს. 1815 წელს 11445 კაცი იყო მონათლული, ხოლო 1820 წელს 31.997 (მონათლულთაგან ყველა ოსი რომ არ იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1865 წლისათვისაც კი ჩვენში მცხოვრები ოსების რაოდენობა პ. გუგუშვილის მონაცემებით 40.000 კაცს არ აჭარბებდა).

1820 წლისათვის რუს სამღვდელოებას შეუმჩნევია, რომ მონათლული მთიელები კვლავ წარმართობას უბრუნდებოდნენ, რის გამოც დაუსახავთ ღონისძიებანი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხალხის გაქრისტიანებისას ფორმალობას იჩენდნენ. სახელმწიფო ამ დიდი საქმის აღსრულებისათვის დიდი თანხებით აჯილდოებდა სამღვდელოებასა და ადმინისტრაციას, რომელნიც თავის მხრივ მონათლულთა რიცხვის გაზრდას ცდილობდნენ. მონათლულთა კვლავ "გაწარმართების" ერთ-ერთ მიზეზად რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებმა ოსურ ენაზე საეკლესიო ლიტერატურის არ არსებობა მიიჩნიეს, ამიტომაც ქართულ ეკლესიაში აღზრდილ იოანე იაღლუზიძეს ქართულიდან ოსურად წმიდა სახარება ათარგმნინეს, მაგრამ გაწარმართების საქმე მაინც არ გამოსწორდა. თავის მართლების მიზნით საეგზარქოსოში გამოიმუშავეს პოზიცია, რომელიც წმ. სინოდისადმი ეგზარქოსის მიწერილობიდან ჩანს: - "ქრისტიანობის წარმატებით გავრცელების გამაძნელებელ მიზეზთა შორის ოს ხალხში, რომელიც მონათვლის შემდგომ არაიშვიათად დაუბრუნდა კერპთმსახურებას უნდა მიეკუთვნოს: 1. ოსურ ენაზე წიგნების არარსებობა, 2. სამღვდელოების მიერ ოსური ენის უცოდინაროზა და პირიქით, ოსების მიერ ქართულისა, რომელზეც სრულდება საღმრთო ლიტურგია და ქრისტიანობის სხვა წესები" (იქვე, გვ. 269).

საეგზარქოსომ მიზნად დაისახა შეეცვალა მთიანეთში ქართული საეკლესიო მსახურება. ქართული ეკლესია კი მთის მოსახლეობის ქართველ ერთან დამაკავშირებელ ძარღვს წარმოადგენდა, ხალხიც ქართულენოვან მსახურებას იყო შეჩვეული, არ უარყოფდა ქართველ სამღვდელოებას და სიამოვნებით იღებდა მას. საეგზარქოსოს ადმინისტრაციული ჩარევა დასჭირდა - ქართველ მღვდლებს მთიანეთში სამსახური აეკრძალა. სასწრაფოდ აკურთხეს ადგილობრივი მკვიდრნი, უცოდინარნი, ერთ-ერთი ასეთი პირის დავით ბეგიზოვის ნაამბობი ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარშია ჩაწერილი: "ქრთამით ამიღეს დოკუმენტი "ო ბლაგონადეჟნოსტი", მიმიყვანეს საქართველოს ეგზარქოსთან, რომელსაც აეკრძალა სამხრეთ ოსეთში ქართველის მღვდლად ან მასწავლებლად გაგზავნა. ეგზარქოსმა სწრაფად მაკურთხა, დამლოცა, ჩამიწყვეს წიგნებში ფურცლები, რა წამეკითხა ჯვრის წერაზე, რა პანაშვიდზე და რა რომელ დღესასწაულზე. მქონდა ჯამაგირი, დრამის ფულს არ ვიღებდი, ეს გადასახადი ოსებმა არ იცოდნენ. ჯავის ზევით მე ვიყავი პირველი ოსი მღვდლად და კიდევ იყო შემდეგ ორი ოსი, თორემ უწინ სულ ქართველები იყვნენ ჩვენში ამ სამსახურში" (იქვე, გვ. 270).

საქართველოს საპატრიარქოს გაუქმების შემდეგ ქართლელ მთიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეს ხელისუფლებამ სათავეში ქართველი საეკლესიო პირები ჩაუყენა. უხვად ასაჩუქრებდნენ გაქრისტიანებულ (ე. ი. მონათლულ) მთიელებს, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი "ოსები" უნდა ყოფილიყვნენ. ახლად მონათლულ ქართველს საჩუქარი არ ეძლეოდა, მხოლოდ ოსი საჩუქრდებოდა. ამის გამო გასული საუკუნის დასაწყისში შეუთხზავთ სატირა ქართველ არქიეპისკოპოს დოსითეოსზე, რომელიც დეკანოზ ალექსი პეტრიაშვილთან (კეთილშობილთა სასწავლებლის პირველ რექტორთან) ერთად უხვი საჩუქრებით ანუ როგორც სატირაშია - "ჩითით" ნათლავდა მთიელებს.

"კანტორა რომ უწოდეს, რას ამბობენ ბილმან,
დოსითეოს ალექსით წინასწარით ბილმან...

ჩითით ნათლავენ ოსებსა, ქრისტიანად ბილმან".

სატირაში მოხსენებულია 1814 წელს დაარსებული ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალური კანტორა, რომელთანაც ერთად განახლდა ოსეთის სასულიერო კომისია. დოსითეოსი დანიშნეს კანტორის წევრად და კომისიის ხელმძღვანელად. მას მთიელთა შორის ქრისტიანობის დანერგვა-გავრცელება ევალებოდა, მართლაც, "მოკლე ხანში ათასობით ოსი მოაქცია ქრისტიანად. რასაკვირველია, ასეთი წარმატება დოსითეოსისა და მისი ხელქვეითი პირების "მისიონერული მოღვაწეობისა" და ოსების მაღალ სარწმუნოებრივი შეგნების შედეგი არ ყოფილა. წარმატების მიზეზი მატერიალური პირობები იყო. საქმე ისაა, რომ კომისიის დაარსებისთანავე დოსითეოსის ენერგიული შუამდგომლობით ალექსანდრე I 1814 წ. 30 აგვისტოს ქსნის ერისთავებს ქსანი და გვერდისძირი ჩამოართვა. უამისოდ ქრისტიანობა ვერ გავრცელდება მთიელებშიო, ამტკიცებდა დოსითეოსი... ის არწმუნებდა ოსებს, რომ თუ ქრისტიანობას მიიღებდნენ, ერისთავის წინაშე ყოველგვარი მოვალეობისაგან განთავისუფლდებოდნენ და მხოლოდ სახელმწიფო გადასახადს გადაიხდიდნენ, რომ ქრისტიანობა მიღებული ოსი უკვე არც ერთ მემამულეს აღარ ეკუთვნის, იგი მხოლოდ სახაზინო გლეხია და ქრისტიანი ბერის გარდა მათ უფროსი აღარ ეყოლებოდათ" ("აქტები", VI, გვ. 363 იხ. გ. ბერძნიშვილი, მასალები. I. 1980, გვ. 218).

ქართველთა გაოსების საკითხი ჩვენთვის საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ ეს პროცესი მეცნიერთა თქმით ამჟამადაც გრძელდება. რ. თოფჩიშვილი წერს: "თვით ჩვენც არაერთი შემთხვევა გვქონდა შიდა ქართლის მთიანეთში გვენახა გაოსებული ან გაოსების გზაზე შემდგარი ქართველები. ასეთი პროცესები შიდა ქართლის მთიანეთში მეტნაკლებად დღესაც მიმდინარეობს" (იქვე, გვ. 252).

ჩვენთვის გაოსებისა და ქართველთა დენაციონალიზაციის სხვა პროცესების ცოდნა საჭიროა, რათა უფრო ღრმად ჩავწვდეთ ჩვენს ეროვნულ ბუნებას, თავიდან ავიცილოთ თანამემამულეთა გადაგვარება საქართველოსა და უცხოეთში. ჩვენი ერი ერთი მხრივ - ძლიერი და მხნეა, რაზეც მისი ათასწლოვანი ისტორია მიუთითებს, მეორე მხრივ, ფაქიზი და სუსტი, ეროვნული ცნობიერების სწრაფად დამკარგველი. ქართველთა გაოსების, გაბერძნების, არმენიზაციისა და გამაჰმადიანების სურათები აჩვენებს, რომ არახელსაყრელ გარემოში ცხოვრებისას, განსაკუთრებით კი ქართულ ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტის შემდგომ, ქართველები დენაციონალიზაციას განიცდიან. სწორედ ამიტომ უცხოეთში ამჟამად მრავლად გასული ქართველები ყოველი ღონისძიებით უნდა ეცადონ არ გაწყვიტონ კავშირი ეროვნულ ეკლესიასთან. ეროვნული ნიშნით შექმნან თემები, საზოგადოებანი. იყოლიონ უთუოდ ქართველი ღვთისმსახური, რომელიც იერარქიულად არა რომელიმე უცხო ეკლესიას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს ანუ ქართულ ეკლესიას დაექვემდებარება. უცხოეთში და საქართველოში მცხოვრები ქართველებისათვის ცნობილი უნდა იყოს რამდენად სახიფათოა მათთვის სხვადასხვა სექტებში შესვლა, კავშირის გაწყვეტა დედა - ქართულ ეკლესიასთან. ეროვნულმა ეკლესიამ შეუნარჩუნა ცნობიერება ჩვენს მამა-პაპათ საუკუნეთა მანძილზე. ეჭვი არავის ეპარება, რომ ამჟამად ადამიანები, რომელთაც თავიანთი თავი ოსებად მიაჩნიათ - ოსები არიან, რადგან ადამიანის ეროვნებას წარმომავლობასთან ერთად ცნობიერებაც განსაზღვრავს.

მრავალი გაოსებული ქართველის გვარია გამოკვლეული მეცნიერთა მიერ.

აქ არ გადმოვცემთ გაოსებული ქართველების გვარების სიას, რამეთუ ამას ეხებოდა წინა წლებში გამოქვეყნებული ჩვენი წერილები ("საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი", "ჩვენგან განვიშოროთ ჩვენი სისხლი და ხორცი?"), რომელნიც საგანგებოდ დაიწერა, რათა შეწყვეტილიყო სამარცხვინო დევნა საქართველოს შესანიშნავი მოქალაქეებისა - ოსებისა, რომელნიც ჩვენში დამკვიდრებულ არაქართველთა შორის ყველაზე უფრო ახლოს არიან ქართველ ერთან, მის კულტურასთან და წეს-ჩვეულებებთან. ოსების მნიშვნელოვანი ნაწილი არა მხოლოდ ზრდიდა თავის შვილებს ქართულ სკოლებში, არამედ ოჯახებშიც უნერგავდა მათ ქართველთა სიყვარულს (იგულისხმება სამაჩაბლოს გარე საქართველოს რაიონები).

ოსთა დასაცავად გამოქვეყნებული ვრცელი წერილი გაზეთ "ერში" სწორედ თბილისს, ბორჯომსა და სხვაგან ანტიოსური კომპანიის დროს მოვამზადე. მე არასოდეს დამავიწყდება ის ახალგაზრდები, მოხუცები, ქალები და კაცები, რომელნიც იმ გასაჭირის დღეებში უწყვეტად მოდიოდნენ ჩემთან ბორჯომის რეზიდენციაში, ვითარცა, - ოსების დამცველთან. მიჩვენებდნენ ისტორიის ინსტიტუტის მიერ გაცემულ ცნობებს მათი ქართული წარმოშობის შესახებ (ამ ცნობების ნომრები მე გადმოვეცი აღნიშნულ წერილში); სხვები მომითხრობდნენ ოჯახებში შემორჩენილ ძველ გადმოცემებს თავიანთი ქართველი წინაპრების შესახებ; ზოგიერთს ისიც კი ახსოვდა (თავიანთ წინაპართაგან), სად, საქართველოს რომელ რაიონში მოხდა მათი გაოსება (მაგალითად, ბესტავაშვილების გაოსების შესახებ მე დაწვრილებით მომითხრეს საოჯახო გადმოცემები, რაც გადმოვეცი).

ჩვენ ქრისტიანი ერი ვართ, ამიტომაც უფლება არა გვაქვს წავბაძოთ აფხაზ და ოს ფაშისტებს, რომელთაც უსაშინლესი გენოციდი მოუწყეს ქართველობას და მასობრივად დახოცეს ისინი. ჩვენი ერი ძველთაგანვე შემწყნარებლობით, ტოლერანტობით გამოირჩეოდა, ამას ავალდებულებდა მას ღვთისმშობლის წილხვედრილობა.

"მადლი", N2, 1994

პ.ს. ეს მოკლე წერილები ქართველთა დენაციონალიზაციის შესხებ საგანგებოდ დაიწერა გაზეთ „მადლისათვის", ისინი წარმოადგენენ იქამდე უკვე დაწერილი ამავე თემის ნაშრომების შემოკლებულ ვარიანტებს.

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

აფხაზების საცხოვრისი ჩრდილო კავკასიაში

ლენინგრადელი პროფესორი ა. ნ. გენკო (1896-1941) წლების მანძილზე იკვლევდა აფხაზურ და აბაზურ ენებს, ავტორია მრავალი გამოქვეყნებული ნაშრომისა და ითვლება აფხაზურ-აბაზური ენების ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სპეციალისტად. ის თავის ნაშრომში "აფხაზური და აბაზური ენების ფონეტიკური ურთიერთდამოკიდებულება" ეხება აღნიშნული ენების და კილო-თქმების გავრცელების გეოგრაფიულ არეალსაც. კერძოდ ა. გენკო აღნიშნავს, რომ თანამედროვე აფხაზური ენა გავრცელებულია არა მხოლოდ საქართველოში (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში), არამედ მისგან შორს, ჩრდილო კავკასიის დაბლობებში, ჩერქეზეთისა და ადიღეს ავტონომიურ ოლქებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიაზე ერთმანეთის გვერდითაა გავრცელებული

1. აფხაზური ენა.
2. აბაზური ენა.
3. ყაბარდოული ენა.
4. ადიღეური ენა.

ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული აფხაზური ენის შესახებ ა. გენკო წერს: "ჩრდილო-აფხაზური ანუ შკარავა, ჩვენს მიერ სახელდებულია აფხაზური ენის ზელენჩუკურ კილოდ. მას მიეკუთვნება მოსახლეობა სამი აულისა: აფსუა (ყოფ. შახგირიევსკიი), სტაროკუვინსკი და ნოვოკუვინსკი (А. Н. Генко, Фонетические взаимоотношения абхазского и абазинского языков. Труды Абхазского института языка, литературы и истории. XVIII, 1957, Сухуми. стр. 188).

აფხაზური ენის ზელენჩუკური კილოს გავრცელების არეალს ა. გენკო ამატებს ჩრდილო კავკასიის "დენაციონალიზებულ" აულებს - აბაზაკატსა და იულაბს (იქვე გვ. 189). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ა. გენკო აფხაზურ და აბაზურ ენებს არ ურევს ერთმანეთში, თუმცა კი

ცნობილია ამ ენებისა და მათი კილოების დიდი სიახლოვე. ის ეხება ჩრდილო კავკასიაში როგორც აფხაზური, ისე აბაზური ენების გავრცელების არეალებს.

აღნიშნულ ენათა კილო - თქმეს ის ასე ანაწილებს:

აფხაზური ენა (აფსუა ბიზშვა)

1. კოდორის კილო (საქართველოში)
    ა. აბჟივური თქმა (აბჟიუაა. მას ეფუძნება აფხაზური სალიტერატურო ენა)
    ბ. სამურზაყანოს თქმა
2. ბზიფური კილო (აბზიპკვა, საქართველოში)
3. ზელენჩუკური კილო (ე. წ. აფსუა ბიზშვა, რუსეთში)
    ა. შახგირევსკის თქმა (ჩაგრიია)
    ბ. კუვური თქმა (ხვიჟვი)
    გ. ეგიბოკოვსკის თქმა (გაბაკვაი)
    დ. ულიაბური თქმა (უილაბ)

აბაზური ენა (ტაპანტა ბიზშვა)

1. დუდარუკო - ბიბერდოვსკის თქმა.
2. კუბა - ზელენჩუკ - ლოოვსკის თქმა.
3. კუმსკო - ლოოვსკის თქმა (გვ. 189).

ა. გენკო წერს, რომ ჩრდილოკავკასიაში აღნიშნულთა გარდა სხვა მრავალი აულის მცხოვრებნი წარმოშობით აფხაზები არიან, გარკვეული ზომით შენახულიცა აქვთ მშობლიური ენა, მაგრამ თავიანთი არჩევანით იყენებენ ყაბარდოულ ანდა ადიღეურ ენებს. ასეთი აულებია საუიჩადშა (ყოფ. კლიჩევსკი), აბაზაკატი (ჩერქეზეთის ავტონ. ოლქი), აული უილაბი (ადიღეს ავტ. ოლქი), ხუმარინსკი, კოშელაბი და სხვა აულების მოსახლეობის ერთი ნაწილი (იქვე, გვ. 188).

ა. გენკომ თავისი ნაშრომი დაწერა 1935-1940 წლებში; პავლე ინგოროყვას ცნობილი შრომის გამოქვეყნებამდე გაცილებით ადრე.

როგორც ცნობილია, პ. ინგოროყვამ წამოაყენა თეორია, რომლის მიხედვითაც ძველი და ახალი აფხაზები სხვადასხვა წარმოშობის ხალხია. პირველნი საქართველოს მკვიდრი ქართველები არიან, მეორენი კი საქართველოში მე-16-მე-17 საუკუნეთა შემდგომ ჩამოსახლებული ადიღეურ-ჩერქეზული წარმოშობის აფსუები, რომელთაც აფხაზები ეწოდათ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის - აფხაზეთის სახელის მიხედვით. როგორც ცნობილია, პ. ინგოროყვას ეს თეორია აფხაზი (აფსუა) მეცნიერებისათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა, ამიტომაც მათ საერთოდ უარყვეს თვალსაზრისი ჩრდილო კავკასიაში აფხაზების (ე. ი. აფსუების) ცხოვრების შესახებ. ა. გენკოსათვის აღნიშნული დავა უცნობი იყო. მან კეთილსინდისიერად გამოიკვლია აფხაზური ენის გავრცელების არეალი ჩრდილო კავკასიაში, დაასახელა რაიონები და სოფლები ჩრდილო კავკასიის მკვიდრი "აფხაზებისა" (აფსუებისა).

აფხაზების ჩრდილო კავკასიაში ცხოვრების შესახებ გამოჩენილი მეცნიერებიც იძლევიან ცნობებს: კლაპორტი წერს: "აფხაზები ცხოვრობენ არა მხოლოდ ზღვის სანაპიროზე, არამედ მათი ზოგიერთი ტომი ცხოვრობს კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით" (იულიუს კლაპორტი, მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში, პარიზი, 1823, გვ. 411. იხ. აფხაზეთის ენისა და ისტორიის ინსტიტუტის დასახ. შრომები, გვ. 370). ხოლო ლ. ი. ლიულიე წერს: "აფხაზურ ენაზე (აზეგა) ლაპარაკობს ყველა აფხაზური ტომი კავკასიის ქედის როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთ ფერდობებზე (იქვე, გვ. 373). ჩრდილო კავკასიის დაბლობებში აფხაზთა გარდა ცხოვრობენ აბაზები. მრავალი მეცნიერი ორივე ამ ტომს მიიჩნევს ერთი წარმოშობის ხალხად. აბაზები ძირითადად ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქსა და მის მომიჯნავე მხარეებში ცხოვრობენ, მდინარეების - ყუბანის, ყუმის, დიდი და პატარა ზელენჩუკის ველებზე. "ძველ დროს აფხაზები და აბაზები შეადგენდნენ ერთ ეთნიკურ ჯგუფს, ერთიან კოლექტივს, ენობრივადაც - ერთიან ენაზე მოლაპარაკეთ, რომელთაც ჰქონდათ დიალექტური სხვაობა... ჩვენს დროშიც აფხაზურ-აბაზური

კილოები რჩებიან ახლომყოფებად. მათ შეინარჩუნეს გრამატიკული წყობისა და ძირითადი სიტყვიერი ფონდის ერთიანობა. ამ ორი დიალექტის წარმომადგენლებს ერთმანეთისათვის გაგებინება შეუძლიათ" - წერს ხ. ბღაჟბა (იხ. მისი "Бзыбский диалект абхазского языка", იქვე, გვ. 868) ა. გენკოც მათ (ე.ი. აფსუებსა და აბაზებას) ერთი წარმოშობის ხალხად მიიჩნევდა (გვ. 370).

აღნიშნულის გამოა ალბათ, რომ თვით ჩერქეზებიც კი, აბაზ-აფხაზების საუკეთესო მცოდნენი, იმ ხალხს, რომელსაც ჩვენ აფხაზებს ვუწოდებთ, უწოდებენ აბაზებს, მაგრამ მათთან უშუალო მეზობლად მცხოვრები აბაზებისაგან განსასხვავებლად უწოდებენ "პირიქითა აბაზებს" - "კუშ-კაბისი აბაზი" (ე. ი. "აბაზები, რომლებიც ცხოვრობენ მთების იქით" (იქვე, გვ. 370). ჩერქეზებისათვის თანამედროვე აფხაზები "მთების იქით მცხოვრები" აბაზები იყო.

ცნობილია, რომ იმ ჩრდილო კავკასიელ მთიელ აბაზა-აფსუა ტომებს, რაც ისინი მე-16 - მე-17 საუკუნეებში შემოიჭრნენ საქართველოს შავიზღვისპირეთში და დაპყრობის შემდეგ დაიმკვიდრეს აფხაზეთი, ქართველებმა "აფხაზები" უწოდეს.

თურქი და ზოგიერთი ევროპელი მოგზაური და მეცნიერი ამ ტომებს არა აფხაზებს, არამედ "აბაზებსა" და "ჩერქეზებს" უწოდებს.

თუმცა აფხაზეთში დამკვიდრებულ ჩრდილო კავკასიურ ტომებს ქართველთა გავლენით ზოგიერთმა ხალხმა აფხაზები უწოდა.

რუსებმა ქართველებისაგან შეითვისეს ეს სახელი. მათ აფხაზეთის აბაზურ-ადიღეური წარმოშობის ტომებს აფხაზები უწოდეს (ისევე, როგორც რუსებმა ქართველებისაგან შეითვისეს ისეთი სახელები, როგორიცაა "ოსეტინი", "ინგუშეტია" და სხვა).

ევლია ჩელები აფხაზებს "აბაზებს" უწოდებს და არა აფხაზებს.

"აბაზებს" უწოდებდნენ ჩვენს მიერ აფხაზებად წოდებულ ხალხს აკადემიკოსი გიულდენშტედტი, პალასი, კლაპორტი (გვ. 369);

იაკობ რეინეგსი, ქართველთა გავლენით, აფხაზეთში ჩასახლებულ აბაზას ტომებს "აფხაზებს" უწოდებს. ის, რადგანაც აბაზების დიდი რაოდენობა ცხოვრობდა ჩრდილო კავკასიაში, წერს ორი აფხაზეთის არსებობის შესახებ - დიდი და მცირე. იგი მცირე აფხაზეთს უწოდებს ჩრდილო კავკასიაში აფხაზ-აბაზების საცხოვრისს, დიდ აფხაზეთს კი საქართველოს შავიზღვისპირეთში მდებარე ისტორიულ აფხაზეთს. მისი თქმით, დიდი და მცირე აფხაზეთის მოსახლე მთიელი ტომები ლაპარაკობენ "ერთი ენით და განსხვავდებიან მხოლოდ დიალექტით, აქვთ ერთნაირი ზნე-ჩვეულებები" (გვ. 370).

სხვა წყაროებიც ადასტურებენ, რომ აბაზები და თანამედროვე აფხაზები ერთი ხალხია, განეკუთვნებიან ერთ ეთნიკურ ჯგუფს - წერს ბღაჟბა (იქვე, გვ. 371).

ლავროვის აზრით, მე-19 საუკუნემდე აბაზები იყვნენ კავკასიის დიდი და ძლიერი ხალხი (იქვე, გვ. 372).

როგორც ვთქვით, აბაზებსა და თანამედროვე აფხაზებს განიხილავენ ერთ ეთნიკურ ჯგუფად, ამიტომაც ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ აბაზებს - ტაპანტელებსა და აშხარუელებს - აფხაზურ ტომებს მიაკუთვნებენ. ისინი წარმოადგენენ მცირე ტომებს, ცხოვრობენ ჩრდილო კავკასიის ველებზე. ტერმინი "ტაპანტა" ა. გენკოს აზრით, ირანული (ოსური) წარმოშობისაა და "დაბლობის მცხოვრებს" ნიშნავს. აშხარუა ნიშნავს მთიელს (იქვე, გვ. 374-375). მიიჩნევა, რომ აშხარუელები ჩასახლებულან ჩრდილო კავკასიის მთებიდან ველებზე. ძველად ყველა აფხაზური ტომის დიალექტები და სამხრეთ-აფხაზური დიალექტები ქმნიდნენ ერთ ენას - წერს გენკო.

სწორედ ამიტომ, იმ ხალხს, რომელსაც გვიან საუკუნეებში ქართველებმა აფხაზები უწოდეს, ყოფენ სამ ტომად: 1. აფსუები, 2. საძები (ჯიქები, Джигеты) და 3. აბაზები (ესაა დუბროვინის თვალსაზრისი, გვ. 374).

აფსუები, ანუ აფხაზები, როგორც აღვნიშნეთ, ცხოვრობენ არა მხოლოდ საქართველოს შავი ზღვის ნაპირზე, აფხაზეთში, არამედ ჩრდილო კავკასიაშიც. საძები, ანუ ჯიქები გადაასახლეს

თურქეთში მე-19 საუკუნეში, აბაზები ამჟამად ცხოვრობენ ჩრდილო კავკასიაში. როგორც ვთქვით, ყველა ისინი აფხაზურ ტომებად აღირიცხებიან.

თავის მხრივ, როგორც ჩრდილოკავკასიის, ისე ჩვენში დამკვიდრებული აფხაზური ტომები მიეკუთვნებიან ხალხთა უფრო დიდ ოჯახს - ჩერქეზულს ანუ ადიღურს.

დიუბუას აზრით, ჩერქეზი ხალხის ტომებია: 1. ადიღები, 2. ყაბარდოელები, 3. აბაზები, 4. აფხაზები.

"ენები, რომლითაც ლაპარაკობენ ხალხები ამ ოთხი მთავარი განშტოებისა, მეტ-ნაკლებად ერთმანეთის მსგავსია, აქვთ საერთო ფორმები და ძირები. ყაბარდოული ენა ძალზე მცირედ განსხვავდება საკუთრივ ჩერქეზულისაგან, აბაზურსა და აფხაზურს კიდევ უფრო ახლო მსგავსება აქვთ, მაგრამ აფხაზურ-აბაზური კი საკმაოდ განსხვავებულია საკუთრივ ჩერქეზულისაგან" (იქვე, გვ. 371).

როგორც ღრმა შესწავლით ირკვევა, თანამედროვე აფხაზები ადიღე-ჩერქეზული ტომია.

ადიღე-ჩერქეზი ხალხის ძირითადი და უმთავრესი მასა მოსახლეობდა ჩრდილო კავკასიაში და მის წინამდებარე ველებზე. ბუნებრივი იქნებოდა, თუკი მკვლევარი მივიდოდა დასკვნამდე, რომ ჩერქეზი ხალხის ძირითად მასას გამოეყვნენ თანამედროვე აფხაზების წინაპრები და დამკვიდრდნენ საქართველოს შავიზღვისპირეთში. მართლაც, მთიელები თანამედროვე აფხაზებს უწოდებენ "აძეგე"-ს. ტერმინი აძეგე ამოდის ადიღეური სიტყვიდან "აძიგე", რაც შეიძლება გაიშიფროს როგორც "წასულნი", "ჩვენგან განშორებულნი". ადიღელები დღესაც კი აფხაზებს უწოდებენ სიტყვას "აძიგე", რომელიც, თუ მისი ეტიმოლოგიით ვიმსჯელებთ, უკავშირდება აფხაზურ-ადიღეური ერთობის მოგონებებს (იქვე, გვ. 374. ბღაჟბას შენიშვნა 85).

ერთ დროს მთიან აფხაზურ-ადიღეურ ერთობას გამოყოფიან თანამედროვე აფხაზების წინაპრები და დამკვიდრებულან საქართველოს ზღვისპირეთში. როდის შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?

აფხაზთა გადასახლების შესახებ თვით თანამედროვე აფხაზი მეცნიერებიც წერენ. ისინი ჩრდილო კავკასიაში აფხაზურენოვანი ტომების ცხოვრებას ხსნიან იმით, თითქოსდა ისინი შავიზღვისპირეთიდან გადასახლდნენ ჩრდილოკავკასიაში დაახლოებით მე-17 საუკუნეში.

სწორედ მე-17 და მასთან ახლო წინამყოფი საუკუნეები უნდა იყოს ჩრდილო კავკასიაში არსებული ერთიანი ადიღე-ჩერქეზული ხალხის მასიდან აფსუა-აბაზების გამოყოფისა და საქართველოს ზღვისპირეთში დასახლების ხანა.

რამდენად რეალურია არსებობა თეორიისა, რომლის მიხედვითაც ჩრილო კავკასიაში აფხაზური ტომები მე-17 საუკუნის ახლო ხანაში დამკვიდრდნენ? საქმე ისაა, რომ ე. წ. "აფხაზურ-ადიღეური" ერთობა ანუ თანამედროვე აფხაზების მონათესავე ხალხის უმთავრესი მასა კომპაქტურად ცხოვრობს ჩრდილო კავკასიაში. ეს მხარე ითვლება ადიღე-ჩერქეზული ტომების სამშობლოდ. მათი თანამედროვე რომელიმე ჯგუფის სხვაგან ცხოვრება შეიძლება მხოლოდ ძირითადი მასისაგან მოწყვეტით და გადასახლებით აიხსნას და არა პირიქით. სხვაგვარად ახსნა შეუძლებელია.

საქართველოს ჩრდილოეთით, იმიერკავკასიის მიწა-წყალზე, როგორც ჩანს, თურქული და მონგოლური ტომების (პაჭანიკების, ყივჩაღების, ოქროს ურდოს ძალების) გამოჩენის შემდგომ შევიწროებული ალანების ადგილი დაიჭირეს ჩერქეზულმა (ადიღე-ყაბარდო-აბაზურმა) და თურქულმა (ყარაჩაელებმა, ბალყარელმა) ტომებმა. მათ იქაური ქართველებიც შეავიწროვეს.

როგორც მიიჩნევენ, მე-13 - მე-14 საუკუნეებამდე და შემდგომ, ჩრდილო კავკასიაში ქართველებსა და ქართველურ ტომებს მნიშვნელოვანი რაოდენობრივი წილი ეჭირათ.

საქართველოს სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცების შემდგომ (მე-15 - მე-16 საუკუნეები) ჩრდილო კავკასიური ადიღე-ჩერქეზული ტომები კიდევ უფრო გაძლიერდნენ, შეუდგნენ ჯერ თანამედროვე სოჭისა, ტუაფსისა და ახლო მდებარე შავიზღვისპირეთის დაპყრობას (ამას უნდა დავუკავშიროთ შავიზღვისპირეთში უბიხებისა, საძებისა და სხვათა გამოჩენა), ხოლო შემდგომ

თანდათან შეიჭრნენ საქართველოს მიწა-წყალზე და გაბატონდნენ ისტორიულ აფხაზეთში, მე-17 საუკუნის შემდგომ კი შეუტიეს ოდიშს, დაიპყრეს სამეგრელოს მიწა-წყალი (იგულისხმება თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონები) და მივიდნენ მდინარე ენგურამდე.

ისტორიული ფაქტია ის, რომ აფხაზეთის სამთავრო მე-17 საუკუნეში გაფართოვდა სამეგრელოს ტერიტორიის ხარჯზე და მას ჩამოაჭრა ზემოთ აღნიშნული მიწა-წყალი . მხოლოდ ასეთი ერთიანი სურათის ფონზე შეიძლება აიხსნას ჩრდილო კავკასიის ველებზე აფხაზეთიდან, ძალზე შორს, აფხაზურენოვანი ტომების არსებობა და არა იმით, რომ აფხაზები ზღვისპირეთიდან ასახლდნენ და საცხოვრებლად გადავიდნენ ჩრდილო კავკასიაში. ასეთი მოსაზრება უმოტივო თეორიაა.

ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, ჩვენი აზრით, აძლიერებს ის, რომ, როგორც ჩანს, ჯიქები, რომელნიც ისტორიულად ძველთაგანვე მკვიდრნი არიან შავიზღვისპირეთისა, დაპყრობილ და დამორჩილებულ იქნენ ადიღე - აფსარების მიერ. ამას მიუთითებს ის, რომ ჯიქები გვიან მე-18 - მე-19 საუკუნეებშიც კი ოფიციალურად და საჯაროდ აფხაზურ ენაზე საუბრობდნენ, ხოლო დამალვითა და შიშით - საკუთარ ენაზე, რომელსაც აფხაზები უწოდებენ "ასაძიპსუას".

რუსი გენერალი ი. ფილიპსონი, რომელიც დიდხანს მსახურობდა კავკასიის არმიაში და კარგად იცნობდა ჯიქებს, წერს - "ამ ხალხს, რომელიც სუფთა აფხაზურ ენაზე ლაპარაკობს, აქვს თავისი საკუთარი ენა - ასაძიპსუა, რომელიც არ ჰგავს არც აფხაზურს და არც ადიღეურს, ის თანდათან ეძლევა დავიწყებას, იმით ხანდახან მხოლოდ დაბალი ფენის წარმომადგენლები საუბრობენ და ისიც თითქოსდა მოპარვით, სხვა ხალხისგან დამალულად" (იქვე, გვ. 374).

ბღაჟბა ვარაუდობს, რომ ასაძიპსუა თითქოსდა აფხაზური ენის დიალექტი იყო, მაგრამ თვით ავტორი ცნობისა - ფილიპსონი, კარგი მცოდნე ჯიქებისა, გარკვევით წერს, რომ ასაძიპსუა არ წააგავდა არც აფხაზურს და არც ადიღეურს.

ჯიქების არააფხაზური ენის არსებობა ამტკიცებს იმ აზრს, რომ ეს ტომი არ იყო წარმომავლობით აფხაზური და ის ასეთი გახდა მხოლოდ ადიღე-ჩერქეზების მიერ მათი დაპყრობის შედეგად. გააფხაზების შემდგომ ამ ტომს "საძები" ეწოდა.

ჯიქეთის დაპყრობის შემდგომ ადიღეურმა ტომებმა დაიპყრეს საკუთრივ აფხაზეთი, შემდგომ კი შეუტიეს ოდიშს, ჩამოაჭრეს მას აყვავებული მიწა-წყალი ენგურამდე.

ამ დაპყრობის შესახებ უწყვეტლივ ლაპარაკობდნენ მოგზაურები და მისიონერები მე-19 საუკუნემდე (ლამბერტიდან შარდენამდე).

აბაზების შესაკავებლად ლევან II დადიანმა და ეპისკოპოსებმა ააგეს დიდი კედელი (ე. წ. აფხაზეთისა), მაგრამ ჩერქეზ-აბაზების შემოტევა ვერ შეაჩერეს. აბაზების გაბატონების შემდგომ, ყოფილ ოდიშში (შემდგომი სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში) ახლა უკვე ადგილობრივი მეგრული ენა გახდა დამალულად და დაფარულად მოსახმარი, რამეთუ ქვეყნის მკვიდრი მეგრელები აფსუებმა ყმებად და მონებად აქციეს და "აგირუები" უწოდეს.

მე-19 საუკუნის დასაწყისში მთელ შავიზღვისპირეთში, თანამედროვე სოჭი-ტუაფსის რაიონებშიც, ახალი ომებისა და დაპყრობების კვალი აშკარა იყო. ი. ლუკიისკი წერდა - "и в настоящее время разноплеменность и следы недавнего завоевания очень заметны в этом участке" (იქვე, გვ. 374).

აფხაზეთში გაბატონების შემდგომ, როგორც საერთოდ ეს ხდება, დაპყრობათა შემდგომ წარმოშობილ ახალ მოსახლეობასაც "აფხაზები" უწოდეს (ისე როგორც ძველი ეგვიპტელების ქვეყანაში მცხოვრებ არაბებს ამჟამად "ეგვიპტელები" ეწოდებათ, ხოლო ძველი ასირიელი ხალხის ქვეყანაში მცხოვრებ არაბებს კი - "სირიელები" და ა. შ.), მაგრამ ნამდვილი სამშობლო ახალი ე. წ. "აფხაზებისა", ანუ აფსუებისა, ჩრდილო კავკასიის ველებია, სადაც ამჟამადაც მცხოვრები აფხაზების ენას აფსუა ბიზშვა ეწოდება.

"ქართველოლოგიური სიმპოზიუმის ბიულეტენი", 1994.

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

მებრძოლი ეკლესია

ვუძღვნი ეკლესიისათვის თავდადებული დედის, აფხაზთა მიერ
მოკლულ თამრიკო პარუნაშვილ-გობეჩიას ხსოვნას.

“თქვენ კი ხართ ჩემს განსაცდელში ჩემს გვერდით მყოფნი” (ლუკა, 22,28).

ჩვენისმეტყველთა განმარტებით ეკლესია ორ ნაწილად განიყოფა: ერთია ქრისტეს რწმენით, ურთიერთ სიყვარულით, საღვთო სჯულით, იერარქიითა და წმინდა საიდუმლოებით შეკრულ-გაერთიანებულ ადამიანთა ერთობა - ხილული (ქვეყნიური) ანუ მებრძოლი ეკლესია, ხოლო მეორეში - მიცვალებულნი და ანგელოზები იმყოფებიან, მას ზეციური ანუ მედღესასწაულეთა ეკლესია ეწოდება.

განმარტებათა თანახმად, ქვეყნიურ ეკლესიას მებრძოლი იმ მიზეზის გამო ეწოდება, რომ დაუცხრომლად ებრძვის სარწმუნოების მტრებს, იღვწის და შრომობს თავის შვილთა აღსაზრდელად.

ეკლესია სარწმუნოების მტრებს მუდამ თავდადებით ებრძოდა, სიტყვითაც და სამხედრო ძალითაც. IV საუკუნიდან, ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარებიდან მოყოლებული თითქმის XIX საუკუნემდე არ ყოფილა არც ერთი დღე სარწმუნოების მტრებთან უბრძოლველად. ქრისტიანული ბიზანტია, საქართველო და სომხეთი დაუღალავად იცავდნენ თავს ჯერ ცეცხლთაყვანისმცემლური სპარსეთის შემოტევებისაგან, შემდეგ კი მხნედ იგერიებდნენ მაჰმადიანებს.

მაჰმადიანურ სახელმწიფოებთან მრავალსაუკუნოვან ომში დაემხნენ ბიზანტია და სომხეთი, საქართველომ კი ბოლომდე გაუძლო. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, ვიდრე XIX საუკუნემდე, აქეთ ქართლ-კახეთის, იქით კი იმერეთის სამეფოები მაჰმადიანურ ოკეანეში არა მხოლოდ არსებობას ინარჩუნებდნენ, არამედ მედგრად იბრძოდნენ მომხდურ ურჯულოების წინააღმდეგ. ქართველები ძლიერნი იყვნენ სარწმუნოებითაც და ხმლითაც. ქრისტიანობის მტრებთან სასტიკ ომში თავის ძეს, თავდადებულ მეომარს, მეფე თეიმურაზ პირველს, სიმამაცით არ ჩამორჩა მისი დედა, წმინდა დიდმოწამე ქეთევანი, რომელმაც ურჯულონი რწმენით დაამარცხა.

არც XIX საუკუნეში ყოფილან ქართველები უქმად, ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად გაათავისუფლეს და დედა-სამშობლოს საკუთარი სიცოცხლის ფასად შემოუერთეს დაკარგული ისტორიული მიწა-წყალი - აჭარა-კლარჯეთი, სამცხე-ჯავახეთი, ზღვისპირეთი და საინგილო. ამავე საუკუნეში ქართველებმა ერთმორწმუნე რუსებთან ერთად დაამარცხეს მძვინვარედ მღელვარე მაჰმადიანური ზღვა ჩრდილო კავკასიასა და დაღესტანში, რომელიც საქართველოს წალეკვით ემუქრებოდა. ასევე ნეტარხსენებული უწმიდესი პატრიარქის ამბროსის დროს ქართულმა ეკლესიამ პირველმა აღიმაღლა ხმა წითელი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ საქართველოს გათავისუფლების მოთხოვნით (როგორც ვიცით, ამ იმპერიამ თავისი მშობლიური ეკლესიაცა და ქრისტიანობაც უარყო). ვერც ამჟამად ხვდება ეკლესია გულმშვიდად ურჯულო მტრის მიერ აფხაზეთის დაპყრობას, ხალხის ტანჯვას, ქალების, ბავშვებისა და მოხუცების მასობრივ მკვლელობას, ქართველთა გენოციდს.

ჩრდილოკავკასიური ტომების მიერ აფხაზეთის დაპყრობას შედეგად ქვეყნის არა მხოლოდ მატერიალური განადგურება, არამედ სულიერი წარწყმედაც მოჰყვება, რადგანაც მტერი ქრისტიანობის წილ უცხო სარწმუნოებას დანერგავს, რითაც დაღუპავს ცოცხლად დარჩენილ

ადამიანთა სულებს, ხოლო ქართველთა ახალ თაობას ანტიქართული, ანტიეროვნული სულისკვეთებით აღზრდის, გადაარჯულებს და ჩვენგან განაშორებს.

ქრისტიანი მოვალეა თავისი სული დადოს მეგობრისათვის, მოკვდეს, მაგრამ მოყვასი კი გადაარჩინოს. მოყვასი და მეგობარი ქრისტიანისათვის ყველა ქრისტიანია, განურჩევლად წარმოშობისა და ეროვნებისა, მით უმეტეს, იგი ორმაგად ვალდებულია თანამემამულეთა წინაშე, რჯულის მტრებს უნდა შეაკვდეს, საქრისტიანო კი გადაარჩინოს.

ბრძოლის ველზე დაცემულ ვაჟკაცს სასუფეველი, ქრისტეში განსვენება, მარადი ნეტარება და სამოთხეში დღესასწაული მოელის, რადგანაც ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე ბრძანებს: - ”თქვენ კი ხართ ჩემს განსაცდელში ჩემს გვერდით მყოფნი და მე აღგითქვამთ თქვენ, როგორც მე აღმითქვა მამამ ჩემმა - სასუფეველი”! (ლუკა, 22,29).

ქრისტიანთა ყველაზე დიდი განსაცდელი ურჯულოთა მიერ სამშობლოს დაპყრობაა. ვინც ქრისტეს ერთგულია, ქრისტეს გვერდით უნდა დადგეს ქრისტიანთა განსაცდელის ჟამს, მის მტერს შეებრძოლოს და არ გაამარჯვებინოს.

ნეტარია მტერთან ბრძოლაში მკვდარი შვილის დედა, რადგანაც მას მისი ძე სამოთხის ნათელში შეეგებება და ქრისტეს წინაშე დედის სულის საოხად იშუამდგომლებს, ხოლო გამარჯვებით დაბრუნებული ვაჟკაცის ცოლ-შვილი ბედნიერია, რადგანაც ოჯახის მეთაური სამშობლოსა და ქრისტეს ერთგული გმირია. აფხაზეთში მზაკვრულად შემოჭრილ ჩრდილოკავკასიელებსა და ურწმუნო სეპარატისტებთან ომში დაღუპულმა ქრისტეს ერთგულებმა აღთქმული სასუფეველი დაიმკვიდრეს, ხოლო ჩვენი გული სავსეა ცრემლითა და მწუხარებით, რადგანაც ურჯულო მტერმა ჩვენი სამშობლოს უმშვენიერესი კუთხე დაიპყრო, ქართველთა შრომით, ჯაფითა და ოფლით სამოთხის ბაღივით აშენებულ-აყვავებული საქრისტიანო ქვეყანა მოსპო, ადამიანები, ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი დები და ძმები უმოწყალოდ დახოცა, ცოცხლად დაწვა, თავები დააჭრა, დაუნდობლად ტანჯა და გვემა, სიკვდილს გადარჩენილები კი დღესაც მთებსა და ხევებს, საკუთარი ხელებით გაშენებულ პლანტაციებს აფარებენ თავს. ჩვენი მარცხი მხოლოდ ჩვენი, მთელი ხალხის გულგრილობისა და რწმენის დაცემის შედეგია. სამშობლოს, საქრისტიანოს სატანჯველი ვერ გაითავისა ყოველმა კაცმა.

ვახტანგ გორგასლის ბავშვობის დროს, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ქართული სახელმწიფოს სისუსტის გამო საქართველოს ზღვისპირეთი მტერმა მიიტაცა. სამშობლოს ერთი კუთხის დაკარგვას დიდად აუღელვებია ყოველი ოჯახი, ყოველი ქალი და კაცი, მწუხარებდა და იგლოვდა ყოველი ადამიანი არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, არამედ აღმოსავლეთსა და სამხრეთშიც. მემატიანე წერს: “იმ დროს შემოვიდნენ ბერძნები აფხაზეთიდან, რამეთუ ბერძნებს ეჭირათ ეგრისწყალის ქვემო ქვეყანა და დაიპყრეს ბერძნებმა ეგრისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე. მაშინ შეიქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ქართველთა და იტყოდნენ: “განვამრავლეთ ცოდვა ღვთის მიმართ და არა კეთილად ვიპყარით სჯული ქრისტესი. სამართლიანად მოაწია ღმერთმა ეს რისხვა ჩვენზე, რამეთუ მიგვცა ჩვენ წარსატყვევნელად უცხო ერს და ჩვენი საზღვარი მიიტაცა... ეს არა ჩვენი მეფეების ცოდვისაგან იქმნა, არამედ ერის ცოდვისაგან”. ვახტანგ გორგასლის სიყმაწვილის ჟამს, როგორც აღვნიშნეთ აფხაზეთის მიმდებარე მიწა-წყლის დაკარგვას მთელი ერი (“ყოველი ქართველი”) იგლოვდა, ამიტომაც შემდგომ მთელი ერი ერთ ძალად შეიკრა, ჭაბუკ მეფეს მხარში ამოუდგა, ჩრდილო კავკასიელები დაამარცხებინა და აფხაზეთი დედა-სამშობლოს დაუბრუნა. უდიდესი ეროვნული დანაკარგის დღევანდელი სახალხო განცდა და გლოვა, ხვალ უკანვე დაგვიბრუნებს და, პირიქით, წართმეულის არად ჩაგდება საუკუნოდ დაგვაკარგვინებს მას.

ადრეც მომხდარა, განსაკუთრებით საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობის მოშლის (XVI ს.) შემდეგ, ყოველი მხრიდან შემოსეული ჩრდილოკავკასიელებისა და მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველები დაღლილან, დაუძლურებულან, დამარცხებულან და იმდენად დამფრთხალან, რომ ერთი თათარი მრავალ ქართველ ვაჟკაცს ამარცხებდა, ათი-ათასს, ხოლო

ათასი მთელ კუთხეს იპყრობდა. უკაცობით კი არა, სილაჩრით, სულიერი სიძაბუნით იღუპებოდა საქართველო, ე. ი. საქრისტიანო ქვეყანა. ეს რომ დაინახესო, წერს ვახუშტი, შეწუხდნენ ქართველი ეპისკოპოსები, თუმცა კი წესი არ იყო და არც ეკადრებოდათ - ხელში ხმალი აიღეს, აბჯარი აისხეს, შეუძახეს ქრისტიანებს, სამალავებიდან გამოიყვანეს ვაჟკაცები, საბრძოლველად გაწვრთნეს და გაამხნევეს სიტყვებით - ”ნუ მოღაფლდებით, ნუ მოუღონოვდებით” (ნუ მოეშვებით, ღონეს ნუ დაკარგავთ), წინ გაუძღვნენ ლაშქარს, მრავალ ბრძოლაში გაამარჯვებინეს და მტერი დაამარცხებინესო. კახეთში (რომელიც ჩრდილოკავკასიელ დაღესტნელი ლეკებისაგან იყო შეწუხებული), მამულის დასაცავად მებრძოლებს ეპისკოპოსები მეთაუროობდნენ; კერძოდ, რუსთაველი ეპისკოპოსი (რეზიდენცია მარტყოფში ჰქონდა) თავის სადროშოში მრავალ სათავადოსა და სააზნაუროს აერთიანებდა და თავის ჯარში ისეთი მტკიცე წესრიგი ჰქონდა, რომ მთელი სპარსეთის იმპერიაში ქართველ ლაშქარზე უფრო დარაზმული არცერთი ჯარი არ არისო, - წერდნენ მოგზაურები. მემატიანე იტყობინება, რომ მწყობრში დაგვიანებისათვის დიდგვაროვანსაც კი ჯოხით სცემდნენ, ანდა დიდ გადასახადს ადებდნენ. რუსთაველი ეპისკოპოსის საბრძოლო დროშა ჭიჭინაძეების საგვარეულოს ჰქონდა ჩაბარებული. დროშის გამოსვენების შემდეგ, განსაკუთრებით კი ბრძოლაში, იგი გვარში უხუცესს ეჭირა, ხოლო მთელი საგვარეულო გუნდივით გარს ეხვია მას. დროშის ძირს დასვენება არ შეიძლებოდა, მედროშის დაჭრის ან მოკვლის შემთხვევაში იგი ხელიდან ხელში უნდა გადასულიყო. მრავალ ომში გაიმარჯვეს ქართველებმა ამ დროშით...

ამ ბოლო წლებში აღარც კი ვიცით რა არის ბრძოლის ველზე გამარჯვება. ისტორია ჭეშმარიტად მეორდება. ძველებურად კვლავ შემოგვესივნენ ჩრდილოკავკასიელები, ჩვენ კვლავ ვმარცხდებით, ვაი, რომ ერთი თათარი თუ წარმართი ათ ქართველს ამარცხებს, ათასი კი მთელი რაიონის დასაპყრობად საკმარისია. ამის მაგალითია ბოლო დღეებში გალის რაიონი, სადაც თებერვლის დამდეგს შესულმა ათასმა აფსუამ და ჩრდილოკავკასიელმა რაიონში იმ დროისათვის დარჩენილი 15-20 ათასამდე ადამიანი აწამა, ტანჯა, სამალავებში შერეკა, სახლ-კარი გადაუწვა, ცოცხლად მრავალი დაწვა, 20-25 კაცი ერთმანეთზე ჯაჭვებით გადაბმული “ბეტეერით” ათრია, თოვლსა და ყინვაში ლტოლვილებად აქცია. რამდენიმე ხნით ადრე გალის რაიონი, როგორც წერენ, სულ 500 “ბოევიკს” აუღია, თუნდაც სამი ათასი ყოფილიყო, ამ რაიონში ამ დროისათვის სულ მცირე 30-40 ათასი კაცი მაინც ცხოვრობდა. ჯარისკაცებს აღარ ვანგარიშობთ. სოხუმის უმთავრესი სტრატეგიული სიმაღლე ჩვენებს უბრძოლველად მიუტოვებიათ და სხვა მსგავს მაგალითებსაც ჰყვებიან.

დიახ, უფლის მადლით იყო თავდადება, ვაჟკაცობა და ერთგულება ჩვენი ერის ყველაზე საუკეთესო შვილებისა, მაგრამ როგორც შედეგი უჩვენებს, უფრო მეტი ყოფილა შიში, ლაჩრობა, უდისციპლინობა, ღალატი, იარაღის ხელში ჩასაგდებად თანამოძმეთა ხოცვა და მაროდიორობა. მაროდიორობის ქვეშ ამ შემთხვევაში იგულისხმება საკუთარი ხალხის ძარცვა, საკუთარის!.. სანაცვლოდ დაიკარგა ფასდაუდებელი სიმდიდრე - სამშობლოს ერთი ნაწილი, შეიბღალა ჩვენი სახელი, პრესტიჟი, დასაცინი და თითით საჩვენებელი გავხდით მეზობლებისა და მტრებისათვის. მოყვარენი კი სინანულით თავებს აქნევენ და დუმან. უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ ჩვენ ხალხს მსჯელობაც კი არ სურს თავისი დამარცხების შესახებ, გაგონებაც არ უნდა, არა თუ ანალიზი და გამოწვლილვითი ძიება საკუთარი მარცხის მიზეზებისა, თითქოსდა ეს დამარცხება მისი კი არ იყოს, არამედ ვიღაც სხვისა, ვინმე მეზობლისა, ცალკეული პიროვნებებისა, მთავრობისა, ყველასი, გარდა საკუთარი თავისა.

ისტორიულად ვინ არ დამარცხებულა, მაგრამ თუ დამარცხებული თავის დამარცხებას არ განიცდის, არ გრძნობს, წამოდგომასა და წელის წამოწევას არ ცდილობს და მომავალი ბრძოლისათვის არ ემზადება, ცოცხალიღა ეთქმის ასეთ კაცს, ერს?

ჩვენ უთუოდ უნდა გავაანალიზოთ, გამოვიკვლიოთ თუ როგორ მოხდა, რომ რაოდენობრივად მცირე 80-100 ათას კაცს ფაქტობრივად იარაღის ხელში აუღებლად ჩაბარდა 250-

300 ათასი აფხაზეთში მცხოვრები ქართველი და მასთან ერთად სასტიკად დამარცხდა მის უკან მდგომი სამი მილიონი კაცი. სეპარპატისტები ომისათვის საგანგებოდ ემზადებოდნენ. აღსანიშნავია, რომ მათ იდეოლოგიურადაც ყოველმხრივ დაამარცხეს ქართველები. ჩვენი მხრიდან აკრძალული იყო აფხაზეთის შესახებ სიმართლის თქმა როგორც კომუნისტების, ისე გამსახურდიას დროს. ომის დაწყების შემდეგ კი საინფორმაციო საშუალებანი სასხვათაშორისოდ, უსულგულოდ, ნაძალადევად, თითქოსდა სხვისი დავალებით, მოუწადინებლად აშუქებდნენ ომის მოვლენებს, გამარჯვებებსა და დამარცხებებს.

საერთოდ, ეს ომი, რომელიც აფხაზებს საიდუმლოდ ადრევე დაუწყიათ, ჩვენთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა, გონს გვიან მოვედით და იძულებით ჩავებით მასში. სხვა გამოსავალი აღარ იყო, ან ჩვენი ჯარისკაცები უნდა შესულიყვნენ აფხაზეთში, ანდა უბრძოლველად ჩაგვებარებინა ის მტრისათვის. შედეგი კი უარესი იქნებოდა - აფხაზები ქართველების უმეტეს ნაწილს ისე მოსპობდნენ, მცირე ნაწილს კი მონებად აქცევდნენ, მსოფლიო ვერაფერს შეიტყობდა.

შემთხვევით არ ვახსენეთ აქ სიტყვა "მონა". ტრადიციულად XVII-XVIII საუკუნეებში, და შემდგომაც, ქართველები აფხაზეთში აფსუების მონები იყვნენ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სწორედ ამიტომ არის საჭირო ისტორიის გაანალიზება, რაც ჩვენში უგულებელყოფილი იყო. თუმც კი ზოგიერთისათვის დაუჯერებელია, მაგრამ, როგორც ცნობილია, ქართულ ქვეყანას, საქართველოს ნაწილს, ქართველებით დასახლებულ აფხაზეთს XVII-XVIII საუკუნეებში ჩრდილოკავკასიელი ადიღე-ჩერქეზული ტომები, მათ შორის აფსუა-აფსარები, აბაზები, აბაძეხები და სხვები შემოესივნენ. ამ ჩერქეზულმა ტომებმა დაიპყრეს აფხაზეთი ვიდრე მდინარე ენგურამდე, მკვიდრი მოსახლეობა მოსპეს, მონებად დაყიდეს, ნაწილი კი მონებად დაიტოვეს. აფხაზურ ენაში დღემდე შემორჩა ამის კვალი, მონას აფხაზურად "მეგრელი" (აგირუა), "გურული" (აგური), საერთოდ ქართველი ჰქვია. 1870 წლის 23 მარტს აფხაზმა თავადებმა გენერალ სვიატოპოლკ-მირსკის სახელზე გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნეს, რომ აფხაზეთში არსებობს თავისებური კლასი უუფლებო მონებისა საერთო სახელწოდებით "აგირუა" (მეგრელი). მათი მოვალეობა, უპირველეს ყოვლისა, აფხაზის ოჯახისათვის საჭმლის მომზადება, საშინაო და ყოველგვარ საქმეში მომსახურება იყო. ამ მონებს აფხაზები თავიანთ მეზობლად აცხოვრებდნენ ცალკე სახლებსა და სამზადებში. სამურზაყანოში მათ დოლმახარე ერქვათ, ჩვეულებრივ ისინი აფხაზეთის ძველქართული აბორიგენული მოსახლეობის ნაშთი ანუ მეგრელები იყვნენ. ოდიში ხომ, როგორც ვახუშტი გადმოგვცემს, ვრცელ ტერიტორიას ერქვა ვიდრე ახალ ათონამდე, სხვაგვარად ექცეოდნენ აფხაზები სამხედრო ტყვეებს, ზოგადად მათაც "მეგრელს" უწოდებდნენ, მაგრამ კერძო სახელიც ჰქონდათ - "ახაშვალა". სამხედრო ტყვეს გამრავლების, ე. ი. ოჯახის შექმნის უფლებას არ აძლევდნენ და ყოველგვარ საქმეში იყენებდნენ.

ახლახან შევხვდი ჩემს სოხუმელ ნათესავს, რომელიც რამდენიმე თვე დაკარგული იყო და მკვდარი გვეგონა. მან მიამბო ამჟამად აფხაზეთში დარჩენილი მცირერიცხოვანი ქართველების მდგომარეობის შესახებ - "შედიან აფხაზები ქართველის ოჯახში და ეუბნებიან 15 წუთში გამზადებული საჭმელი დაგვახვედრეთ, თორემ ამოგხოცავთო, ამზადებენ შეშინებულები". აფხაზებს სურთ აღადგინონ ძველი მონათმფლობელური საზოგადოება, როცა ერთ გაბატონებულ ფენას აფსუა მოლაშქრეები შეადგენდნენ, რომელთა ძირითადი საქმიანობა მეკობრეობა და სხვისი ძარცვა-გლეჯა იყო, მეორე დამორჩილებულ ნაწილს კი მეგრელები, რომლებიც ამუშავებდნენ მიწას, მოჰყავდათ მოსავალი, ბატონებს სადილსაც უმზადებდნენ. დროთა განმავლობაში ყოფილი მონები აფხაზებად იქცნენ, მათი ენა და ზნე-ჩვეულება შეითვისეს. თუკი მშვიდად შეეგუებიან თავიანთ "ტრადიციულ" მოვალეობას, ალბათ, ახლად დამონებულებსაც ჰპირდებიან პერსპექტივაში გააფხაზებას.

ჩვენს იდეოლოგებს უნდა სცოდნოდათ, რომ აფხაზეთის "დამოუკიდებელი" სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენს ერთ ნაწილს დიდი გეგმისა, რომელსაც "დიდი ჩერქეზეთის" აღდგენა ეწოდება. აფხაზები ჩერქეზი ხალხის ნაწილია, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ XIX საუკუნრში

თურქეთში გადასახლებულ აფხაზებს ამჟამადაც ჩერქეზებს უწოდებენ. ამ ხალხს "აფხაზები" ჩვენ შევარქვით და ჩვენს მონათესავეებად ჩავთვალეთ, როცა თვითონ ძალიან კარგად იციან თავიანთი წარმომავლობა და ეროვნული ერთობა ადიღე-ჩერქეზებთან. ისინი თავიანთ თავს არა დამოუკიდებელ ერად, არამედ ადიღე-ჩერქეზების ნაწილად მიიჩნევენ. ამიტომაც არც ომში "გენოფონდის" მოსპობის შიში აქვთ, რამეთუ ადიღე-ჩერქეზების საერთო რიცხვი, ქართველთა საერთო რიცხვს დიდად არ ჩამორჩება. ჩვენ, ჩვენი ბუნების შესაბამისად, აფხაზებს მხოლოდ ერთ რამეს ვევედრებოდით, ჩვენთან ერთად ეცხოვრათ თანაბარი სამოქალაქო უფლებებით, მაგრამ როგორც ბატონი ვერ შეეგუება მონასთან სამოქალაქო უფლებების გათანაბრებას, ისე აფხაზები ვერ შეეგუებიან ყოფილ მონებთან უფლებრივ გათანასწორებას. ეს ხომ მათი პარაზიტული ცხოვრების ფესვებს გაახმობს, იმ ფესვებს, რომელნიც ქართველთა ოფლითა და ჯაფით ასაზრდოებენ აფხაზურ მაღალ ფენებს. სამოქალაქო უფლებათა გათანაბრება "აფხაზობის" როგორც სოციალური მოვლენის მოსპობას ნიშნავს, რადგანაც არა თუ ადრე, არამედ კომუნისტების დროსაც, ყოველი მაღალი თუ შემოსავლიანი თანამდებობა აფხაზი ეროვნების ადამიანებს ეჭირათ; ასეთი ურთიერთდამოკიდებულების მოსპობა - ტრადიციული ყოფის, ჩამოყალიბებული სოციალური ინსტიტუტების მოსპობას ნიშნავს, რაც მათი ეროვნული მოშლის ტოლფასია. ამჟამად აფხაზები კმაყოფილი უნდა იყვნენ, რომ ჩაახშეს ქართველთა, ანუ მონათა აჯანყება. ისინი, როგორც ბატონები, დაუნდობელი არიან აჯანყებული მონების მიმართ.

ქართველები კი თამაშით, სილაღით შევიდნენ ამ სასტიკ ომში და ძალზე დაიბნენ მოულოდნელობისაგან. მათ უსაშინლესი სივერაგე იხილეს იმ მხარისა, რომლის "გენოფონდის" დაცვასაც მთელ გადაცემებს უძღვნიდნენ თბილისის საინფორმაციო საშუალებანი. არტისტული ბუნების ჩვენი ბიჭების (როგორც საერთოდ ყოველი ქართველის) თავდადება სატელევიზიო გადაცემებშიც კი ვერ ასახეს ისე, როგორც საჭიროა. მათი გმირობა, ვაჟკაცობა, შემართება და სიკისკასე ჩვენმა ხალხმა ვერ იხილა, მხოლოდ მათი ფოტოსურათები გვიჩვენეს.

ალბათ, უნდა მივხვდეთ, რომ არ შეიძლება სარწმუნოების მტრებთან თამაში. საქართველოს სახელმწიფო სიძლიერეს ჩრდილოკავკასიელებმა მოუღეს ბოლო, კავკასიის კედელი საქართველოს თემურ-ლენგმა მოურღვია, როცა მთიელ ტომებს ისლამი ძალით მიაღებინა. მანამდე ჩვენი უერთგულესი მეგობრები - უბოროტეს მტრებად გადაგვექცნენ, საქართველოსკენ დაიძრნენ და დაიპყრეს მისი მიწები აფხაზეთში, დვალეთში, საინგილოში - კავკასიის მთელ სიგრძეზე, შეეკვრნენ თავიანთ თანამორწმუნეებს ოსმალ-სპარსელებს და საქართველო ოთხსაუკუნოვან ალყაში მოაქციეს. სიტყვა "ლეკის" გაგონებისას ცახცახებდნენ ჩვენი ბავშვები აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოში კი - "აფხაზის" გაგონებისას.

აფხაზეთის ტრაგედია დაიწყო არა ჩვენი საუკუნის 90-იან წლებში, არამედ XVII საუკუნეში, როცა აფსუებმა, აბაზებმა და სხვა ტომებმა, როგორც ევროპელი და თურქი ისტორიკოსები წერენ, მოსპეს და "უდაბნოდ აქციეს" იმ დროისათვის სამეგრელოს კუთვნილი მიწა-წყალი კელასურიდან ენგურამდე. XIX საუკუნეშიც, ვიდრე 70-80-იან წლებამდე, სამურზაყანო ჭაობად და გაუვალ ტყედ იყო ქცეული აფხაზთა წყალობით (აფხაზები თარეშობდნენ, ხალხს მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ, ხოცავდნენ და ატყვევებდნენ), მხოლოდ საუკუნის დამლევსა და ჩვენს საუკუნეში რუსების მიერ დამყარებული მშვიდობის მეოხებით, მკვიდრი და სამეგრელოდან გადასული ქართველების წყალობით, მათი ჯაფით, შრომითა და ოფლით კვლავ აყვავდა, ბაღებითა და პლანტაციებით დაიფარა სამურზაყანო, სოხუმის, გაგრისა და სხვა რაიონები. აფხაზეთი ქართველთა შრომის ნაყოფია, ქართველებმა ააშენეს და ააყვავეს ეს მხარე, ამ სიტყვის სრული გაგებით.

XVII საუკუნემდეც აფხაზეთი მხოლოდ და მხოლოდ ქართული კულტურის მხარე იყო. კოხის, სპენსერის, სხვა მოგზაურთა და მეცნიერთა მითითებანი "აფხაზებად" სახელდებული ტომის (ისინი ამ ტომს ჩერქეზებს, აბაზებს და სხვა სახელებს უწოდებდნენ) მიერ აფხაზეთის XVII-XVIII საუკუნეებში მოსპობის შესახებ ჩვენს მიერ უყურადღებოდ არის დატოვებული, მაშინ, როცა

აფხაზებმა მთელ მსოფლიოს, განსაკუთრებით კი რუსეთის საზოგადოებრივი აზრის დამუშავების მიზნით, შექმნეს მძლავრი იდეოლოგიური სიცრუის მანქანა, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში ანტიქართულ წიგნებსა და ბროშურებს სტამბავენ აფხაზეთის ისტორიისა და ყოფის შესახებ. ჩვენ კი არა თუ უცხოელები, ჩვენი ერიც კი ვერ დაგვირწმუნებია ჩვენს სიმართლეში. სწორედ ამიტომ არ გაითავისა ჩვენმა ხალხმა აფხაზეთის ომი; ძირითადად ამიტომ დავკარგეთ აფხაზეთი. არა თუ მთელ საქართველოს, სამეგრელოსაც კი შეეძლო აფხაზეთის გადარჩენა, მაგრამ სამეგრელოც, ისევე როგორც მთელი საქართველო, იდეოლოგიურად მოუმზადებელი იყო. არავინ იცოდა სიმართლე არც წარსულისა და არც აწმყოს შესახებ. თუ ჩვენ ახალგაზრდებს არ დავარწმუნებთ ჩვენს სიმართლეში, სამშობლოს ამ კუთხის გათავისუფლება გაჭირდება.

მაჰმადიანთა ბატონობისაგან აფხაზეთის გათავისუფლებას წინ უნდა უძღოდეს დიდი იდეოლოგიური სამზადისი, ჩვენმა ხალხმა უნდა უწყოდეს მტრის სიბოროტისა და სისასტიკის შესახებ. სამწუხაროდ, აფხაზეთის ტრაგედია ჩვენი ხალხისათვის უცნობია. მართალია, გვაქვს ზოგადი სურათი, მაგრამ გაგრელთა, გულრიფშელთა, სოხუმელთა, გალელთა და სხვაგან მცხოვრებ მოქალაქეთა პიროვნული ტრაგედიის შესახებ არაფერი ვიცით. გაზეთებში განუწყვეტლივ უნდა იბეჭდებოდეს დაზარალებულთა მიერ პირადად განცდილი, თავისი თვალით ნანახი, გაგონილი უბედურების ამბები. ტელევიზიით უნდა გადაიცემოდეს ლტოლვილთა პირადი ტანჯვა, იქმნებოდეს ფილმები, წიგნები. თითოეულმა დაზარალებულმა უნდა აღწეროს განცდილ საშინელებათა ისტორია, რათა მათმა შთამომავლებმა ისევე არ დაივიწყონ მტრის სისასტიკე, როგორც იმავე მიწაზე XVII-XVIII საუკუნეებში დახოცილთა შთამომავლებმა, რის გამოც არ გაფრთხილდნენ და გენოციდის მსხვერპლნი გახდნენ. ამისათვის საჭიროა, აფხაზეთიდან გამოსულმა თითოეულმა პირმა აღწეროს თავისი საკუთარი ნათესავებისა თუ მეზობლების თავგადასავალი. ეს აღწერილობა შინ უნდა შეინახონ, უფრო მეტიც, შთამომავლებს უანდერძონ, რომ მომავალში, წელიწადის ერთ რომელიმე არჩეულ დღეს გადმოიღონ და ხმამაღლა წაუკითხონ ოჯახის წევრებს წინაპართა ხსოვნის აღსანიშნავად, შვილების, შვილიშვილებისა და შთამომავლების საჯანმრთელოდ, რათა ისინი გაფრთხილდნენ და ახალი გენოციდის მსხვერპლნი არ გახდნენ.

აფხაზეთის ტრაგედიის ერთი უპირველესი მიზეზია ჩვენი საზოგადოების პასიურობა, სასიცოცხლო პულსის მოდუნება, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი გულგრილობა, საყოველთაო ინერტულობა, საერთოდ, ალბათ, ეს არის ძირითადი მიზეზი საქართველოს ამჟამინდელი სავალალო მდგომარეობისა, სიღატაკისა, შიმშილისა და სიცივისა. საზოგადოება გარედან ელის შველას, როცა სასიცოცხლო ძალა თვით მასშია, მხოლოდ მისი ამოძრავება და ამოქმედებაა საჭირო, მაგრამ როგორ? როგორ ავამოქმედოთ ჩვენში არსებული სასიცოცხლო ძალები? ამის ცოდნა არა გვაქვს, ცოდნის მიღებას დრო, მონდომება, შრომა და მოთმინება ესაჭიროება. თუ ამ გასაჭირს მოვითმენთ და მისგან თავის დაღწევას მოვინდომებთ, მსოფლიო უთუოდ დაგვეხმარება. ეკლესია, როგორც წარსულში, მზად არის აქტიურად ჩაებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, გადააქციოს ყოველი ადამიანი საზოგადოების აქტიურად მოღვაწე მუშაკად, ხელი შეუწყოს სასიცოცხლო ძალების ამოქმედებას, რაც უპირველესად მოყვასისადმი სიყვარულით, მცნებათა აღსრულებით, რჯულის კანონთა დაცვით, ეროვნული სულისკვეთების აღორძინებით, ანუ ახალი მორწმუნე თაობის აღზრდით, მასში საკუთარი ღირსებისა და სამშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობის ჩანერგვით მიიღწევა.

“ნუ მოღაფლდებით და ნუ მოუღონოვდებით ბრძოლად მათდა და ნუ დაუტევებთ სარწმუნოებას, რჯულსა და ჩვეულებას თქვენსა, და ჩვენ ვიქმნებით წინამბრძოლნი თქვენი”, - ამ სიტყვებით ამხნევებდნენ ერთ დროს სასიცოცხლო პულსს მოკლებულ ქართველებს საეკლესიო მოღვაწენი და იქვე ამატებდნენ: - ”დღეს ბრძოლა არის სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისა,

იმისთვის არა ვყო უწინარეს თქვენსა არა დავთხიო სისხლი ჩემი მახვილის ამღებმან". ამინ, ღმერთმა ინებოს!

გაზ. "მადლი", 1994. N4.
უფრო ადრე დაიბეჭდა გაზ. "საქართველოს რესპუბლიკაში"
სათაურით - "რწმენა უნდა იბრძოდეს". 2. IV. 1994 წ. N52.

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

აფხაზეთში მიმდინარე ე. წ. "გამეგრელების" იძულებითი პროცესის ნამდვილი არსი

ჩვენი ერის უსაშინელესი გენოციდის შემდეგ აფხაზეთში ჩარჩენილ ქართველებს აფხაზი პოლიტიკოსები მეგრელებად ჩაწერას აიძულებდნენ, რის შესახებაც რადიოთი გადმოცემული განცხადებით გვაცნობა საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ბატონმა ნადარეიშვილმა (6. VII. 94).

ცნობილი აფხაზი მეცნიერი გ. ძიძარია წიგნში "1866 წლის აჯანყება აფხაზეთში" (1953 წ. სოხუმი) მიიჩნევს, რომ "სახალხო რისხვის მომენტის დამაჩქარებელს წარმოადგენდა აფხაზეთში 1851 წლიდან დაწყებული მისიონერული მოღვაწეობა მოსახლეობაში ქრისტიანობის აღდგენის მიზნით, ეკლესიის მსახურთა მიერ მიღებულმა იძულებითმა მეთოდებმა ითამაშეს კატალიზატორის როლი". აფხაზეთი ძველ ქრისტიანულ ქვეყანას წარმოადგენდა, სამწყსოს ქართული ეკლესიისა, ამიტომაც ცხადია მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში აქ კვლავ ძლიერი საფუძველი გააჩნდა ქრისტიანობას მკვიდრთა შორის. შესაძლოა რუსულ ეკლესიას, რომელიც ამ დროისათვის აქ ქრისტიანობის აღსადგენად იღვწოდა, წარმატებაც ჰქონოდა, რომ არა ცნობილი აჯანყება. რაც შეეხება ქართულ ეკლესიას, ამ დროისათვის მას არ შეეძლო მონაწილეობის მიღება აღნიშნულ პროცესში, რამეთუ ამ დროისათვის დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა. ამჟამად აფხაზეთის ზოგიერთ წრეებში მიიჩნევენ, რომ 1866 წლის აჯანყებამდე და რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877-1878 წ.) დაწყებამდე, რომელსაც შედეგად რუსული ადმინისტრაციის ჩარევით მოსახლეობის ერთი ნაწილის ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება მოჰყვა, აფხაზეთის ეთნიკური შედგენილობა ერთგვაროვანი იყო და იქ მხოლოდ და მხოლოდ აფხაზები ცხოვრობდნენ. თითქოსდა, ქართული მოსახლეობა აფხაზეთში მე-19 საუკუნის ბოლოს ამ აჯანყებისა და ომის შედეგად გაჩნდა. აფხაზ პოლიტიკოსებს, როგორც ცნობილია, სურთ აფხაზების XIX საუკუნის 70-იან წლებამდე არსებული დემოგრაფიული სურათი "აღადგინონ", როცა იქ, მათი აზრით, ქართველები არ ცხოვრობდნენ და ქვეყანა მხოლოდ აფხაზებით იყო დასახლებული. რამდენად შეესაბამება ეს მოსაზრება გასული საუკუნის 70-იან წლებამდე არსებულ ვითარებას, მართლა არ ცხოვრობდნენ ქართველები აფხაზეთში?

ქართველთა აფხაზეთში ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს არა მხოლოდ უცხოური წყაროები და სხვა ზღვა ისტორიული მასალა, არამედ თვით აფხაზ მეცნიერთა დამუშავებული თემებიც. მათი ნაშრომებიდან ჩანს, რომ აფხაზეთის მოსახლეობის ერთ, თანაც არც თუ უმნიშვნელო ნაწილს, 1866 წლის აჯანყებამდეც ქართველები შეადგენდნენ.

გლეხობა აფხაზეთში კატეგორიებად იყო დაყოფილი, რომელთა ერთი მნიშვნელოვანი ფენა, როგორც აფხაზ მეცნიერთა მტკიცებით, ისე სხვა მრავალი წყაროს მონაცემებით, ქართული იყო. აქვე უნდა ითქვას, რომ ძველი აფხაზეთის თავადაზნაურობის უმეტესობას და სამღვდელოებას, გამონაკლისის გარეშე, ქართული ეროვნული თვითშემეცნება ჰქონდა და თავის თავს ქართველად

მიიჩნევდა, ამის დასტურია გიორგი შერვაშიძის ავტობიოგრაფიული თხზულებები, სხვადასხვა პირთა განცხადებები და აფხაზეთის კათოლიკოსებისა და ეპისკოპოსების მიერ დატოვებული საბუთები და ცნობები.

XVII საუკუნის შემდეგ აფხაზეთში გლეხობა სამ უმთავრეს კატეგორიად იყოფოდა - ანხაიუ, ახოიუ და ახაშვალა. ამათგან ორს ახოიუს და ახაშვალას კატეგორიის გლეხებს სხვა სახელიც ჰქონდათ - "აგირუა", რაც აფხაზურად მეგრელს ნიშნავს. "ახოიუ" ანუ "აგირუა" აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. ტერმინი "ახოიუ" საჭმლის მომმზადებელს" (მოსამსახურეს) ეწოდება, ამ ტერმინს აგრეთვე "მუშის" ან "მზარეულის" მნიშვნელობითაც თარგმნიან. მასში ასახულია მისი თავდაპირველი და მთავარი მოვალეობა, რომელიც შემდგომ მნიშნველოვნად გაიზარდა. ახოიუს ზოგჯერ უწოდებენ "აგირუას" (მეგრელს) ან კიდევ "აგურს" (გურულს) - (საქ. ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. გვ. 200).

როგორც მისი ნაშრომიდან ჩანს, ბატონი გ. ძიძარია მიიჩნევს, რომ ახოიუს "აგირუას" (მეგრელს) არა მხოლოდ ზოგჯერ, არამედ საერთოდ უწოდებდნენ. სიტყვებს "ახოიუსა" და "აგირუას" სინონიმური მნიშვნელობებიც ჰქონდა. ფ. ტორნაუს შრომის განხილვისას გ. ძიძარია წერს: "აგირუა" ამ გლეხების ("ახოიუ") მეორე სახელია (იხ. გ. ძიძარია "ახაშვალა - ყველაზე დაბალი სოციალური კატეგორია ფეოდალურ აფხაზეთში XIX საუკუნეში", აფხაზეთის ისტორიის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის შრომები, XVIII, 1957, გვ. 41).

ახოიუ ბეგარის გადამხდელი გლეხია, მებეგრეა, ახოიუ-მებეგრეს პირადი თავისუფლება დაკარგული აქვს და უფრო მძიმე უღელი ადევს, ვიდრე ამაზურაცკუს, მათი რიგების შევსება ხდებოდა ტყვე და ნაყიდი გლეხების მიწაზე მიმაგრებით (მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო, გვ. 178). ი. ანთელავა ახოიუს ნამდვილ ყმა-გლეხად მიიჩნევს (აფხაზეთის ისტორიისა და ენის ინსტიტუტის დასახ. შრომები, გვ. 477).

"აგირუა" აფხაზურ აზროვნებაში არა მხოლოდ მეზობელ ეთნოსს, არამედ აფხაზური საზოგადოების დაბალ, მშრომელ, დაქვემდებარებულ ფენას ეწოდებოდა, რომელსაც მრავალი უფლება ჰქონდა ჩამორთმეული. ამჟამად "გამეგრელების" ანუ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის "აგირუად" ჩაწერის პროცესი მრავალ სიღრმისეულ ქვენა მოსაზრებას შეიცავს.

ეს თემა უფრო გამოწვლილვით განვიხილოთ. გვიანი დროის, XVII-XVIII საუკუნეში აფხაზეთში, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, ფეოდალური საზოგადოება არ არსებობდა. აქ გვაროვნულ-პატრიარქალური ურთიერთობა იყო გაბატონებული. უმაღლეს წოდებასთან ("ათავად") ერთად არსებობდნენ თავისუფალი მეთემენიც ("ანხაიუ") და მონებიც ("ახაშვალა"); მათ გლეხებს მხოლოდ პირობითად თუ ვუწოდებთ, არსებობდა ასევე "ახოიუ" - მიწაზე მიმაგრებული ყოფილი მონა.

ანხაიუებს (ე.ი. თავისუფალ მეთემეებს) შეეძლოთ თავიანთი უფლებების დაცვა სასამართლოში, შეეძლოთ გაეცათ ან გაეყიდათ მიწა. ახოიუები არ იყვნენ მიწის მეპატრონენი, პატრონი მათი მებატონე იყო, რომელსაც პირდაპირი უფლება ჰქონდა მის პიროვნებაზე, მაგრამ მათ ჰქონდათ მემკვიდრეობითი უფლება მიწაზე. "ახაშვალებს" - ჩამორთმეული ჰქონდათ ყოველგვარი ქონებრივი და იურიდიული უფლება. მათი მიწაზე მიმაგრებით ივსებოდა ახოიუების რიგები. გ. ძიძარია წერს, რომ ტერმინი "ახაშვალა" მოიაზრება როგორც "მოგება", "ის, რაც შეგხვდა" და ა. შ. მას უწოდებენ აგრეთვე სახლის კაცს ანუ მონას. აღსანიშნავია, რომ აბაზინებში (ე.ი. ქართულად "აბაზებში") მონა იწოდებოდა მსგავსადვე - "სახლის კაცი" - იუნაიუ (იქვე, გვ. 37) გ. ძიძარიას აზრით, ახაშვალა მონაა და მისი გათანაბრება ყმასთან (რუსული ბატონყმობა) ანდა მოჯალაბესთან (იმერეთ-სამეგრელო) - არასწორია. ახაშვალას უფრო ადიღეური (ჩერქეზული) - უნაუტი, კერძოდ, ყაბარდოული "Безобрядные унауты" ეთანადება, რომელთაც ყაბარდოული ფეოდალური ადათით ყოველგვარი ადამიანური უფლება წართმეული ჰქონდათ. მსგავსი მდგომარეობა ჰქონდათ ყუბანში უნაუტებს (ცხადია ჩერქეზთა შორის) - მათ დაოჯახება არ შეეძლოთ ("Кубанские войсковые ведомости", 1867, №15 тамже, стр. 45).

როგორც აღვნიშნეთ, ახაშვალებს უმეტესწილად ტყვეები წარმოადგენდნენ. მონებს აფხაზეთში სიმაღლის მიხედვით ყიდდნენ და ყიდულობდნენ; ბავშვები და მოზრდილებიც იზომებოდნენ და ფასდებოდნენ. ბიჭები 30-40 ძროხად, 8-10 წლის გოგონები 25 60 ძროხად და ა. შ. (იქვე, გვ. 39 - 40).

როგორც ამას ივ. ავერკიევი და სხვა საარქივო წყაროები გვაუწყებენ (იხ. გაზ. "Кавказ", 1866 №74, "С северо-восточного прибережья Черного моря", ЦГИАГ Ф. 416, ОН 1876 г. д. 403 №1. იქვე გ. ძიძარიას მითითება, გვ. 41), ყველა კატეგორიის ახაშვალების მეორე სახელი - აგირუა იყო.

გ. ძიძარია ნაწილობრივ არ ეთანხმება ივ. ავერკიევს, ასევე სხვა წყაროებს და მიიჩნევს, რომ აფხაზეთში "აგირუა" არა ყველა კატეგორიის ახაშვალებს ეწოდებოდა, არამედ ყმა-გლეხთა ერთ-ერთ კატეგორიას, კერძოდ, "ახოიუს" (გვ. 41) და ასევე ახაშვალების იმ ჯგუფს, რომელნიც წარმოშობით სამეგრელოდან და გურიიდან იყვნენ (გვ. 40). მაშასადამე, თვით გ. ძიძარიას თვალსაზრისით, აფხაზეთში "აგირუა" ყველაზე დაბალ (მაგრამ მრავალრიცხოვან) სოციალურ ფენას, ყმა გლეხებისა და მონების ერთ უდიდეს ნაწილს ეწოდებოდა.

"აგირუას" შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. ამ ტერმინის გვერდით არსებობს და მისი სინონიმური მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე "აგურუა", "აგრუა". ა. ჩერეპოვი წერდა - "ბზიფელები ყვებიან, რომ წარსულ წლებში მათ ჰქონდათ გალერები, რომლითაც დაცურავდნენ შავი ზღვის სანაპიროზე და თავს ესხმოდნენ მეზობლებს, უმეტესად მეგრელებს და გურულებს, რომელთაც აფხაზურად აგირუა და აგურუა ეწოდებათ. ძარცვა-ყაჩაღობით მოპოვებულ ტყვეებს საკუთარ სახელსაც არ არქმევდნენ, არამედ სამშობლოს სახელის მიხედვით სატომო სახელს აგირუას და აგურუას უტოვებდნენ" (იქვე, გვ. 40). უფრო საფიქრებელია, რომ "აფხაზეთის "აგირუები" არა მხოლოდ ომებში დატყვევებულ და ძარცვა-ყაჩაღობით მოპოვებულ ადამიანებს, არამედ აფხაზეთის ძველ მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდნენ, რომელნიც XVII საუკუნეში მასობრივად ჩამოსახლებულმა და გამრავლებულმა ჩრდილოკავკასიელმა ტომებმა (ადიღე-ჩერქეზ-აბაზებმა) მონებად აქციეს. შემდგომში ისინი გარკვეული ვალდებულებებით მიამაგრეს მიწაზე და მონიდან ყმა-გლეხების კატეგორიაში გადაიყვანეს (სხვათა შორის, მსგავს პროცესს ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში). ამ კუთხის სპარსთა მიერ საქართველოდან ჩამოშორების შემდგომ ჩამოსახლებულმა ჩრდილო კავკასიელებმა (ლეკებმა) მკვიდრი მოსახლეობის ერთი ნაწილი ყმებად და მონებად აქციეს. ფ. ტორნაუ XIX საუკუნის 30-იან წლებში აღნიშნავდა, რომ აფხაზეთში მონები ორი სახისა იყვნენ. მათგან პირველ ჯგუფს შეადგენდა "მკვიდრნი... დაბადებულნი ამ მხარეში", ხოლო მეორეს - "ახალნი, ძარცვა-ყაჩაღობით და ომებში მოპოვებულნი". პირველ ჯგუფს, ტორნაუს მიხედვით, აფხაზები "აგირუას", ხოლო მეორე ჯგუფს კი "ახაშვალას" უწოდებდნენ (Ф. Ф. Торнау, Воспоминания кавказского офицера, 1835 г. ч. I м, 1864, стр. 58, также стр. 41).

ფ. ტორნაუს დაკვირვება ჩვენ გვიმტკიცებს თვალსაზრისს, რომ აფხაზეთში "აგირუები" ადიღე-ჩერქეზ-აფსარების მიერ XVII-XVIII საუკუნეებში დამონებულ და დატყვევებულ აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობას - მეგრელებს ეწოდებოდათ, ხოლო "ახაშვალები" აფხაზთა მიერ მეზობელ მხარეებში წარმოებული თავდასხმებისა და ყაჩაღობების შემდეგ მოპოვებულ ტყვე-მონებს. როგორც ცნობილია, ძველი და ახალი აფხაზები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხია.

საზღვარი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდგომ წარმოშობილ აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროთა შორის ახალ ათონთან და კელასურთან გადიოდა. ვახუშტი ახალი ათონის სამხრეთით მიმდებარე ქვეყანას ვიდრე ენგურამდე ოდიშს უწოდებდა. ეს ტერიტორია ე. ი. შემდეგდროინდელი სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის და გალის რაიონების ტერიტორიები, თვით აფხაზეთის სამთავროს წარმოქმნის დროსაც მეგრელებით იყო დასახლებული. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ლევან II დადიანისაგან შეურაცხყოფილმა აფხაზეთის მთავრებმა და თავადაზნაურებმა სამეგრელოს სამთავროში სალაშქროდ ჩრდილო-კავკასიელი

მეომარი ტომები (აფსუა-აფსარ-აბაზები) მოიწვიეს, აფხაზთა სამთავრო დაპყრობილი სამეგრელოს ტერიტორიის ხარჯზე გაფართოვდა. კერძოდ, მე-17 საუკუნის 40-80-იან წლებში აფხაზეთმა დაიპყრო და სამეგრელომ დაკარგა დღევანდელი სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის და გალის რაიონები, ისე რომ, საზღვარი თითქმის სამეგრელოს დედაქალაქამდე - ზუგდიდამდე იქნა მიტანილი, როგორც უცხოელი მისიონერების მასალები, ისე ქართული და სხვა წყაროები ერთხმად გვიდასტურებენ, რომ აღნიშნული რაიონების მოსახლეობა მეგრულენოვანი იყო. დამპყრობელმა აფსუა-აბაზ-ადიღელებმა (რომელთაც ინერციით სახელად კვლავ - აფხაზები მიიღეს) ომებს გადარჩენილ მოსახლეობას (ანუ ოდიშის მკვიდრ მეგრელებს) - "აგირუები" უწოდეს, რომელნიც შემდეგ ყმა-გლეხების კატეგორიაში აღმოჩნდნენ, რაც აფხაზურ ენაშიც აისახა.

როგორც აღინიშნა, გ. ძიძარიას აზრით, აგირუა არა მხოლოდ დატყვევებული მონების ნაწილს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ყმა-გლეხების ერთ უმთავრეს კატეგორიას ეწოდებოდა, ზემოთ მოყვანილი ტორნაუს ცნობა კი ადასტურებს იმ აზრს, რომ აფხაზეთში სოციალურად ყველაზე დაბალ, თუმცა კი მრავალრიცხოვან ფენას "მეგრელებს" უწოდებდნენ (თითქოსდა სამურზაყანოს მეგრული ნაღვლიანი სიმღერებიც ამას მოგვითხრობენ). ძიძარიას აზრით, ტორნაუმ ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება ახოიუებისა მონების პირველ კატეგორიას, ანუ აფხაზეთის მკვიდრ და არა ახალდატყვევებულ ნაწილს მიაწერა. ტორნაუ პირველ კატეგორიას (ანუ მკვიდრ მონებს) მონა-აგირუას ("რაბ-აგირუა") უწოდებს. ეს აგირუა-მონები მისი აზრით ვალდებულნი იყვნენ კვირაში სამი დღე პატრონის სასარგებლოდ ემუშავნათ, ხოლო დანარჩენი დრო შეეძლოთ თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ, მათ ოჯახებიც ჰქონდათ. მეორე კატეგორიის მონებს კი საკუთრივ ახაშვალა ეწოდებოდათ და უცოლშვილონი, მხოლოდ მფლობელს ემსახურებოდნენ. იმავეს წერდა აფხაზეთში მონათა ორი ჯგუფის არსებობის შესახებ ნ. დუბროვინიც. გ. ძიძარიას თქმით კი, სინამდვილეში ისინი, რომელთაც ნ. დუბროვინი და სხვები მონათა I ჯგუფს უწოდებდნენ, ახოიეუები იყვნენ, მონათა მეორე ჯგუფი კი - ახაშვალები.

ვინ იყვნენ ეთნიკურად აფხაზეთის სოციალურად ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომნი, შეიძლებოდა თუ არა ეთნიკური წარმომავლობით აფხაზის დამონება? ამის შესახებ ვედენსკი წერდა - რომ ეთნიკური აფხაზის დამონება უძნელეს საქმეს წარმოადგენდა და ვერ იკადრებდა აფხაზეთის მთავარიც კი, რადგან "ყველაზე ღატაკი გლეხიც კი გაუსწორდებოდა მიხაილ-ბეის (მიხეილ შერვაშიძეს), თუკი ის მისი მახლობლის მონად გაყიდვას გაბედავდა (იქვე, გვ. 42.). აქედანაც ჩანს, რომ აფხაზეთში მონებად არა აფხაზები, არამედ აფხაზეთის ძველი მკვიდრი მოსახლეობა, ძირითადად მეგრელები იყიდებოდნენ (თუმცა შესაძლოა აქ გამონაკლისიც იყო). ა. ლავრენტიევიც მონებს ორ კატეგორიად ყოფდა, რომელთაგან პირველ ჯგუფს მფლობელის სასარგებლოდ სამი დღე უნდა ემუშავნა, მეორე ჯგუფს კი სრული მონები წარმოადგენდნენ.

რუსეთის მფლობელობის დამყარების შემდეგ ე. ი. XIX საუკუნის 60-80-იანი წლებიდან, აფხაზებს მოესპოთ საშუალება სამეგრელოსა და საქართველოს სხვა კუთხეების ძარცვა-გლეჯისა, ამიტომაც II ჯგუფის მონების ანუ ახაშვალების წყარო შეწყდა - ქართველებს ვეღარ ატყვევებდნენ. ამის გამო ახაშვალების ფენამ დაიწყო შემცირება, ის წყვეტდა თავის არსებობას, მით უმეტეს, რომ რუსული კანონების თანახმად მაჰმადიან მფლობელს უფლება არ ეძლეოდა ქრისტიანები მონებად და ყმებად ჰყოლოდა. ამიტომ რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებმა აფხაზებმა უმჯობესად მიიჩნიეს ახაშვალები ახოიუს კატეგორიაში გადაეყვანათ, ე. ი. მონებს უფლება მიეცათ გლეხებად გადაქცევისა (ეს პროცესი უფრო მდორედ ადრეც მიმდინარეობდა), მისცეს მათ დაოჯახების ნება, აძლევდნენ მიწის ნაკვეთს (ერთ ბროხად შეფასებულს), ხბოს ანდა ხარს და სხვა წვრილმანს, სამაგიეროდ გლეხი უკვე დაინტერესებული იყო შრომით და მეპატრონეს მისგან მეტი მოგება რჩებოდა (გვ. 47). ამ პერიოდში უხილავს დ. ბაქრაძეს აფხაზეთში ქართველთა ასეთი გაუსაძლისი ყოფა. ახაშვალას იგი მოჯალაბეს უწოდებს. დ. ბაქრაძე წერდა: "მოჯალაბე აფხაზეთში არის არც მეტი არც ნაკლები მონა... საკმარისია ერთხელ შეავლო თვალი მოჯალაბეს, რომ დარწმუნდე თუ რა ტანჯვა დაითმინა მან, მას დაკარგული აქვს ადამიანური სახე, ეს ნამდვილი იდიოტია ამ

სიტყვის სრული მნიშვნელობით. მას დაკარგული აქვს მეტყველების უნარი. რაღაც უმნიშვნელო შემთხვევის გამოც კი უბედური შიშით კანკალებს, რომ არ გაამათრახონ. საოცარი იქნებოდა, რომ ასეთ მდგომარეობამდე მისულს, რომელიმე მათგანს გაქცევა ეცადა. მე მითხრეს, რომ ესეთი რამ იშვიათად თუ მომხდარა, მემამულის სახლში ყველა შავ სამუშაოს მოჯალაბე ასრულებს. თუ შინ არაფერია გასაკეთებელი, მათ მინდორში ერეკებიან. კაცები, ქალები, ბავშვებიც კი იძულებულნი არიან დილიდან საღამომდე იმუშაონ - შეუძლიათ მათ ეს თუ არა. მათ კვებავენ ისე როგორც ცხოველებს, უმრავლესობას ძლივს უფარავს სხეულს ძონძები. ამ შავი მუშა-ხელის გასამრავლებლად მათ უსათუოდ დააქორწინებენ, რა თქმა უნდა, მოჯალაბური წარმოშობის ქალიშვილზე. ყველაზე საწყალი და გაღატაკებული პიოში ანუ პარეში ვერ გაბედავს მოჯალაბესთან დამოყვრებას. ეს უკანასკნელი საყოველთაო სიძულვილის საგანს წარმოადგენს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მფლობელი უფლებამოსილია გააჩუქოს, გაყიდოს და დააგირავოს მოჯალაბე. ეს საქონელი აქ ძალზე ძვირად ფასობს - ორასიდან სამას მანეთამდე. ახალგაზრდა მოჯალაბე ხნიერზე მეტი ღირს, ვაჭრობის დროს მის ღირებულებას მოჯალაბის სიმაღლის დადგენილი ნორმა განაპირობებს. თვითგამოსყიდვის შემთხვევები მოჯალაბის მხრიდან ძალზე იშვიათია, რადგან არც ერთ მათგანს არ ძალუძს გადაიხადოს თუნდაც კაპიკი საკუთარი თავის გამოსასყიდად" (იქვე, გვ. 49).

ძნელი დასაშვებია, მაგრამ მაინც საფიქრებელია, აფხაზურმა მხარემ ახლანდელ ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული ჩვენი ბიჭები (დაახლოებით 1000-მდე კაცი) ახაშვალა მონებად ხომ არ აქცია? ცხადია ეს კითხვა არ დაგვებადებოდა ომის მსვლელობისას მეორე მხარეს რომ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ შუა საუკუნეებშიც კი მიუღებელი ხერხები - ჭიქით სისხლის სმა, ყურების დაჭრა, მოჭრილი თავებით ბურთაობა, ცეცხლწაკიდებული საბურავებით ქალებისა და ბავშვების ცოცხლად დაწვა, ბავშვების სარებზე ჩამოცმა და სხვა არ გამოეყენებინა. სხვათა შორის ქართულმა მხარემ უდრტვინველად მიიღო მის თავზე მოწეული გენოციდი, ხოლო გენოციდის კომისიას, როგორც ცნობილია, თითქმის არაფერი გამოუქვეყნებია.

საბოლოოდ უნდა ითქვას შემდეგი: როგორც დავინახეთ, XVII საუკუნიდან მთიელ აფსუა-ადიღელთა გაბატონების შემდეგ, აფხაზურ საზოგადოებაში დაბალი ფენის წარმომადგენლებს შეეძლოთ სოციალური კიბის უფრო მაღალ საფეხურზე ასულიყვნენ, მაგალითად, ახაშვალები ახოიუს კატეგორიაში გადიოდნენ. რუსთა მიერ გატარებული საგლეხო რეფორმის შემდეგ, ცხადია, ახოიუებიც - ანხაიუებად ე. ი. თავისუფალ მიწათმოქმედებად გადაიქცნენ. რევოლუციის შემდეგ კი მეოცე საუკუნეში, ყველანი გათანაბრდნენ - კოლმეურნე გლეხებად იქცნენ. ჩვენთვის აქ საინტერესოა ის, რომ სოციალური კიბის ერთი საფეხურიდან მეორე, უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლა ფაქტიურად ერთი ეთნიკური წარმოშობის ადამიანების სხვა ეთნოჯგუფში გადასვლას წარმოადგენდა. კერძოდ, აფხაზეთში ამ სოციალური საშუალებით ქართველების ანუ აგირუების გააფხაზება, ანუ აფხაზეთის საზოგადოების სრულუფლებიან წევრად გადაქცევა ხდებოდა. თავისუფალ გლეხებად გადაქცევის შემდეგ ისინი აფხაზდებოდნენ, რამეთუ ამ ქვეყანაში აგირუობა სათაკილო იყო (ვითარცა საზოგადოების ყველაზე დაბალ საფეხურზე ყოფნა), აფსუობა კი სასახელო. აქ მხოლოდ თავისუფალ და სრულუფლებიან ადამიანს ეწოდებოდა აფხაზი (აფსუა). ყველა აგირუას, ანუ დაბალი კასტის წარმომადგენელს უფლებათა მოპოვება, ანუ საზოგადოების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა - გააფსუება და მოპოვებულის შენარჩუნება - აღიარება სურდა.

აგირუების გააფხაზება (გააფსუება) ძველთაგანვე მასიური მოვლენა ყოფილა. ჩვენთვის გასაოცარი აფხაზური თვითშემეცნება აფხაზეთში მცხოვრები ჭავჭავაძეებისა, აბაშიძეებისა და სხვათა ამ გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული. მათი წინაპრები ალბად ტყვეებად ჩავარდნილი ახაშვალები იყვნენ, რომელნიც დროთა ვითარებაში გააფხაზდნენ, ხოლო ისეთი ცნობილი გააფხაზებული გვარების წინაპრები, როგორებიც არიან კოღონიები, კვიწინიები, ლაბახუები, პაპასკირები, გულიები, ჯონუები, ფაჩალიები, ლასურიები და სხვები, ალბათ ამჟამად აფხაზეთის საზღვრებში მოქცეული ოდიშის მკვიდრი მოსახლეობა იყო, რომლებიც ჩრდილო კავკასიელმა

აფსუებმა XVII საუკუნის შემდგომ ჯერ თავიანთ ყმებად ანუ, ახოიუ-აგირუებად აქციეს, ხოლო შემდეგ გააასფსუეს. აფხაზეთის აბორიგენი მოსახლეობის - მეგრელების გააფხაზებამ თავისი კვალი დაამჩნია აფხაზურ ენასაც. ამჟამად სალიტერატურო აფხაზურს, რომელიც აბჟუურ დიალექტს ეფუძნება, გადაჭარბებული მეგრელიზმები, ე. ი. მეგრული წარმოშობის სიტყვების სიმრავლე ახასიათებს (А. Н. Генко, "Фонетические взаимоотношения абхазского и абазинского языков", Труды Абхазского института языка литературы и истории XVIII, 1957 г. стр. 187).

ამჟამადაც, ჩვენი აზრით, აფხაზეთში დარჩენილი ქართველების "მეგრელებად" ე. ი. "აგირუებად" ჩაწერა იმ მოსაზრებით სურთ, რომ დროთა ვითარებაში, როგორც ეს ისტორიულადაა ცნობილი, აგირუები შეითვისებენ რა ბატონების ენასა და ზნე-ჩვეულებებს, აფხაზებად გადაიქცევიან. სწორედ ეს უნდა იყოს ნამდვილი არსი ამ პროცესისა, ამდენად "აგირუად" ჩაწერა არა მხოლოდ აფხაზური საზოგადოების უმდაბლეს სოციალურ საფეხურზე ყოფნას ნიშნავს, არამედ ქართველობის დაკარგვასაც და გააფსუებასაც.

"მადლი", 27. IX. 1994.

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

საბრძოლო დროშა

"კურთხეულ არს უფალი, ბურჯი ჩემი, რომელმაც ასწავლა
ჩემს ხელებს ბრძოლა და ჩემს თითებს ომი" (ფს. 143.1)

Ყოველი ერი მტკივნეულად განიცდის თავის დევნას, ძველი კულტუროსანი ერებისათვის გლოვა, მგლოვიარე სახის ჩვენება ნიშნეულია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ გენოციდი აქვთ გამოვლილი. ებრაელი ერი ყველგან და ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს საკუთარი ერის გენოციდს საუკუნეთა მანძილზე. ასევე, ჩვენი მეზობელი სომეხი ერი მუდმივად მოიხსენებს თავის გენოციდს XX საუკუნის დასაწყისში. ერევანთან ახლოს ერთ მთაზე გენოციდის მემორიალ-მუზეუმი აქვთ მოწყობილი, სადაც ერთ საგანგებო დღეს ათეულ-ათასობით სომეხი მწუხარებითა და გლოვით იხსენიებს ამ თავის ეროვნულ უბედურებას. ვის არ სმენია იერუსალიმში არსებული "გოდების კედლის" შესახებ, სადაც პირით ქვისკენ მიქცეულები მუდმივად, ყოველდღიურად, დღეღამის ყოველ წუთს დგანან მგლოვიარე ებრაელი მამაკაცები, მგლოვიარენი არა პირადი ანდა ოჯახური უბედურებით, არამედ ეროვნულით. ისინი ამ მიზნით საგანგებოდ ჩადიან იერუსალიმში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. როგორც ებრაელები, ისე სომხები და სხვა ძველი ერები ხაზგასმით, ყველგან, ყველა ქვეყნის პრესით, რადიოთი თუ ტელევიზიით მუდამ საუბრობენ მათ ძველ და ახალ დევნათა შესახებ, მსოფლიოს ყველა ხალხი მათ ამის გამო თანაგრძნობით უყურებს, ხოლო ახალი თაობა იზრდება ეროვნული ერთობის, მთლიანობის, თავის ერის შვილთა მიმართ თანაგრძნობის, თანალმობის სულისკვეთებით, იმ მტკიცე რწმენით, რომ მომავალში თავის ერისკაცებს აღარავის დააჩაგვრინებს.

იშვიათად თუ რომელიმე ერს განუცდია ისეთი საშინელი გენოციდი, როგორიც თავს დაატყდა ჩვენს ერს აფხაზეთში. წარმოუდგენელი, ენით აუწერელი მასობრივი მკვლელობები ქართველებისა, მშვიდობიანი მოქალაქეებით სავსე ქალაქების უმოწყალო დაბომბვა, ტყვედჩავარდნილი ქართველების სისხლის სმა ჭიქით, თავების მოჭრა და ბურთაობა, ასოთა მოჭრა, ყურების დათლა ცოცხალი ყმაწვილებისა, ქალების დაწვა ავტომობილების საბურავების ცეცხლით, ბავშვების სარებზე ჩამოცმა, ჩვენი ჯარის აფხაზეთიდან გამოსვლის შემდეგ იქ დარჩენილი მშვიდობიანი ქართველი მამაკაცებისათვის ყელების გამოჭრა რაღაც განსაკუთრებული წესით (ე. წ. "კოლუმბიური გალსტუკი"), სხვა და სხვა, ენით უთქმელი... ასეულ

ათასობით ქართველის გამოქცევა საკუთარი სახლ-კარიდან, მიწა-წყლიდან, დედ-მამის სამშობლოდან... ვაი ჩვენს მოსწრებას... ამისდა მიუხედავად ჩვენში ჩვენი ერის გენოციდის შესახებ არავინ ლაპარაკობს (იგულისხმება ოჯახები, კერძო პირების პირადული განცდა), თითქოსდა ასეთი რამ არც მომხდარიყოს, მხოლოდ ოფიციალურ წრეებში ისმის შესაბამის დროს ერთი-ორი სიტყვა. რამ ჩაკლა ასე ეროვნული სულისკვეთება, რამ დაბადა ნიჰილისტური სული, ძველად როგორ იყო?

ჩვენს ქრისტესმოყვარე ერს მრავალი მტერი ჰყოლია ათასწლეულთა მანძილზე, მაგრამ ღვთის შემწეობითა და დახმარებით ჩვენს მამა-პაპას მრავლად დაუმარცხებია ისინი. საუკეთესო მამულიშვილები, ეკლესიის მამები წინ უძღოდნენ ჩვენს გულად ვაჟკაცებს მტერთან შერკინების ჟამს, ამხნევებდნენ, ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ, ხოლო თუ მტერი ძლიერდებოდა, ჩვენს არმიას კი ძალა არ ჰყოფნიდა, ელოდებოდნენ შესაფერის დროს, ლაშქარს კი წვრთნიდნენ, ამზადებდნენ ბრძოლისათვის, ანთებდნენ მათში შურისძიების წადილს, თავის დროზე უტევდნენ და იმარჯვებდნენ.

სამშობლოს საზღვრების დაცვა ჩვენს მეფეთა უპირველეს მოვალეობას შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ხალხი, უბრალო ადამიანები, ოჯახები ძალზე მტკივნეულად განიცდიდნენ ქვეყნის მთლიანობის ყოველგვარ შებღალვას, ამ მხრივ აღსანიშნავია ერთი მომენტი ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან - ვახტანგის ყრმობისას მეზობელმა ქვეყანამ ისარგებლა 10 წლის უფლისწულის დაობლებით, თავს დაესხა საქართველოს და მიიტაცა აფხაზეთი. იქამდე კი ჩრდილოკავკასიელმა ტომებმა (ოს-ალანებმა) ილაშქრეს შიდა ქართლში და მოიტაცეს ვახტანგის მცირეწლოვანი და, ძალზე ნიშანდობლივად გადმოგვცემს მემატიანე ხალხის დამოკიდებულებას ქვეყნის ამ უბედურების მიმართ, კერძოდ ბერძენთა მიერ აფხაზეთის ტერიტორიის მიტაცებას განიცდიდა ყოველი ადამიანი საქართველოს ყოველ კუთხეში. მწუხარებდა და იგლოვდაო ყოველი ქართველი და ამბობდა: "ეს უბედურება ჩვენს ქვეყანას დაემართა არა მეფეთა ცოდვების გამო, არამედ ერის, ხალხის ცოდვების გამო, რამეთუ მტკიცედ არ გვიჭირავს რჯული ქრისტესი. ახლა კი საჭიროა დალოდება, რათა მეფე წამოიზარდოს, ჩვენ კი მოვემზადოთ, გავიწვრთნათ ომისათვის, შევიდეთ კავკასიაში, დავამარცხოთ ალან - ოსები და მერე აფხაზეთი გავათავისუფლოთო".

აქედან ჩანს, რომ ძველ დროს ქვეყნის მთლიანობის დარღვევას პირად უბედურებად მიიჩნევდა ყოველი ქართველი და საქართველოს ყოფილი მოქალაქე. თუ იმ მომენტში ერს ძალა არ შესწევდა მტრის დასამარცხებლად, არჩევდნენ დალოდებას, შესაფერისი მომენტის შერჩევას, ამასობაში ემზადებოდნენ, ძლიერდებოდნენ შინაგანი ერთობით, არმიას ომისათვის ამზადებდნენ, შემდგომ კი ათავისუფლებდნენ ქვეყანას მტრისაგან. მაშასადამე, ქვეყნის უბედურების შინაგანი განცდა და ამავე დროს სულის სიმხნევე დამახასიათებელი იყო ძველი ქართველებისათვის და არა გულგრილობა, თვითკმაყოფილება, უდანაშაულობის განცდა, ომში დამარცხების მთავრობისა და მხედრობისათვის გადაბრალება.

სარწმუნოებისა და ქვეყნის დაცვა, მტერთან ბრძოლის წინ წვრთნა და მზადება, მტრის დამარცხება - აი, უპირველესი საქმე და მოვალეობა ჭეშმარიტი ვაჟკაცისა და საერთოდ მოქალაქისა.

სამწუხაროდ, დღეს უცნაური დამოკიდებულება არსებობს ჩვენში მტრის მიმართ. კითხვებიც კი გაისმოდა საქართველოს წმიდა კუთხის აფხაზეთის დაცვისათვის ომის დროს - "ვითომო თუ არა? ომში კაცის კვლა განა ცოდვა არ არის? ჩემს შვილს ომში რად გავუშვებ, სხვებმა იომონ" და სხვა მსგავსი, მაშინ, როცა არ დარჩა ჩრდილოკავკასიელთა რჯული და ტომი, უცხო ერის შვილები, რომელთაც ჩვენს წინააღმდეგ იარაღი არ აღემართოთ აფხაზეთში. თუ საკუთარი მიწის დაცვა ჩვენთვის ცოდვაა, სხვისათვის რად ჩაითვალა მადლად ჩვენს მიწა-წყალზე ჩვენს წინააღმდეგ ომი?.. საქმე ისაა, რომ, ისინი, მაჰმადიანები, ქრისტიანული ქვეყნის წინააღმდეგ იბძროდნენ, თავიანთი სარწმუნოების "მტრებთან" და "ურჯულოთა" დახოცვა მადლად მიაჩნდათ, ჩვენ კი ჩვენი ეროვნული სარწმუნოებისადმი გულგრილობის გამო, აღარც სარწმუნოების მტრები

მივიჩნიეთ ნამდვილ მტრებად. შედეგი კი ასეთია: ჩვენი ქვეყნის ერთი კუთხე ოკუპირებული და დაპყრობილია ჩრდილოკავკასიელი ტომების მიერ. ამის განცდა კი ჩვენში არ არსებობს. ამით ძველი და ახალი ქართველები ერთმანეთისაგან განვსხვავდებით, როგორც ვახტანგ გორგასლის ცხოვრება გვიჩვენებს, რამეთუ ვახტანგის სიყმაწვილის დროს მტრებმა საქართველო დაამარცხეს, აფხაზეთი წაგვართვეს, მაგრამ ხალხი არ გატყდა, 5-6 წლის განმავლობაში იარაღდებოდა, იწვრთნებოდა, არმიას აყალიბებდა, საომრად ემზადებოდა. ამასობაში ვახტანგიც წამოიზარდა, ერი მხარში ამოუდგა, შევიდა კავკასიაში და როგორც ხალხურ ლექსშია ნათქვამი: "იალუბზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა", დაამარცხა ოსები, ჩრდილოკავკასიის გზით შევიდა აფხაზეთში, გაათავისუფლა იგი და გამარჯვებული თბილისს დაბრუნდა.

როგორ უყურებს წმიდა ეკლესია სარწმუნოებისათვის თავდადებას, ქრისტიანული ქვეყნის დაცვისათვის ომს? ასეთ ომში მოწინააღმდეგის მოკვლა წმიდა ეკლესიას არ მიაჩნია ცოდვად, რამეთუ თვით მაცხოვარი ბრძანებს: - "თქვენ კი ისინი ხართ, რომელნიც ჩემს გვერდით დარჩით ჩემს განსაცდელში, მეც აღგითქვამთ - სასუფეველს". არ არსებობს უფრო მეტი განსაცდელი ქრისტიანული ერისათვის, ვიდრე ქრისტიანების მასობრივი დახოცვა, ჭეშმარიტის ნაცვლად - ურჯულოთა სარწმუნოების გავრცელება. თუ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, განა ღვთისმშობლის ქვეყნის დაცვა სარწმუნოების დაცვა არაა თავისთავად? გარდა ამისა, როგორც უფალი ბრძანებს, მოყვასის, საკუთარი ერის, საკუთარი ხალხის, საქრისტიანოს დაცვა იგივე არ არის, რასაც მეგობრისათვის თავდადებას უწოდებს წმიდა მოციქული, როცა გადმოცემს ქრისტეს სიტყვებს - "ესაა ჩემი მცნება: გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავის სულს სწირავს თავის მეგობრისათვის", მაშასადამე, ის, ვინც ქვეყნისა და ქრისტიანობის დაცვისათვის თავის სულს გასწირავს, ანუ თავის სიცოცხლეს დათმობს, საუკუნოდ იარსებებს ქრისტეს სიყვარულში - საუკუნო ნათელში. საქართველოს წმიდა მიწისთვის ომში თავდადება სასუფეველს დაუმკვიდრებს ადამიანის სულს.

სწორედ ამ სულისკვეთებით იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები. ჩვენი მებრძოლები ბრძოლის წინ, როგორც წესი ეზიარებონენ ხოლმე. ცნობილია, რომ ზიარების შემდგომ სიკვდილი, ანუ სიკვდილი ცოდვების გარეშე სასუფეველს დაუმკვიდრებს ადამიანის სულს, ამასთანავე მებრძოლებმა იცოდნენ, რომ სარწმუნოების მტრებთან ბრძოლაც ეკლესიის მიერ კურთხეული იყო. მაშასადამე, ბრძოლაში შესული ნაზიარები მებრძოლი თავის საკუთარი სულის საცხოვნებლად ორმაგ ქრისტიანულ საქმეს აკეთებდა: პირველი ეს იყო სიკვდილი ქრისტესთვის, ანუ ქრისტეს მტრების წინააღმდეგ თავდადება და მეორე - სიკვდილი ზიარებისთანავე ე. ი. უცოდველად - ეკლესიის მიერ ნაკურთხი საქმის კეთებისას. ერთი ასეთი ძველი ამბავია შემორჩენილი - ერთი ბრძოლის წინ ლაშქარს თვითონ ეპისკოპოსი აზიარებდა - მოლაშქრეებმა მას უთხრეს: "ყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო, თუ შენ დღეს ჩვენთან ერთად აპირებ ქრისტეს მტრებთან ომში შესვლას და ხმლის ხელში აღებას, მაშინ უბრძანე, რომ სხვამ გვაზიაროს, ხოლო თუ შენ ბრძოლას არ აპირებ, მაშინ გვაზიარეო" - აქედან ჩანს, რომ ცხადია ლაშქარს კაცის კვლა საზარელ საქმედ მიაჩნია, მაგრამ თუ სხვა გზა არ არის და ლაშქრის უკან დგას სამშობლო, მშვიდობიანი მოსახლეობა, ოჯახები და ბავშვები, მაშინ ხმლით ხელში წმიდა ზიარების შემდგომ მზადაა ქრისტეს მამულისა და ქრისტეს რწმენისათვის სული დადოს - ანუ უკვდავება მოიპოვოს სასუფეველში.

ჩვენი დიდი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს, რომ სანამ საქართველო ერთიანი, განუყოფელი და მთლიანი იყო, ძლიერი ლაშქარიც ჰყავდა და ქართველი სამღვდელოებაც ომში მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ საქართველოს სამეფო - სამთავროებად დაყოფის შემდგომ იმდენად დაუძლურდა ქართველობა, რომ ერთი ურჯულო თათარი ათ ქართველს ჰკლავა, ხოლო ასი კი ათასს, როცა ქართველთა ასეთი უღონობა, ქვეყნის უძლურება, მოსახლეობის სულიერი დაძაბუნება იხილეს ჩვენმა ეპისკოპოსებმაო - წერს ვახუშტი, ხალხს შეუძახეს: "ნუ მოღაფლდებით, ნუ მოუღონოვდებით" ე. ი. ნუ დაძაბუნდებით, ღონე არ დაკარგოთო, შეაგულიანეს ხალხი, შეაიარაღეს, გაწვრთნეს ახალგაზრდები თუ ჭარმაგები,

თვითონვე ჩაუდგნენ ლაშქარს სათავეში და თვითონვე იბრძოლეს ურჯულო მტრის წინააღმდეგ. ასე გადაარჩინა ჩვენმა წმიდა სამღვდელოებამ ჩვენი ქვეყანა და საქრისტიანო გათათრებას.

ძველი საქართველო დაყოფილი იყო სამხედრო ოლქებად ანუ სადროშოებად, რომელთაც ევალებოდათ მტრის წინააღმდეგ ლაშქრის გამოყვანა. საქართველოს დაშლის შემდგომ კახეთის სამეფოში ოთხი ასეთი სადროშო არსებობდა, რომელთაც სათავეში ედგნენ არა დიდგვაროვანი ფეოდალები, არამედ ეპისკოპოსები, რომელთაც ემორჩილებოდა ძლიერი, გაწვრთნილი ჯარი. შეიძლება ამიტომაც იყო კახეთის სამეფო სხვა ქართულ სამეფოებთან შედარებით ერთ-ერთი უძლიერესი თვით XIX საუკუნის დასაწყისამდე.

ტერმინი "სადროშო" მიუთითებს, რომ ეს სამხედრო ოლქი და მასში შემავალი ჯარისკაცები გაერთიანებულნი იყვნენ საბძოლო დროშის ირგვლივ. საბრძოლო დროშას გააჩნდა უდიდესი სულიერი ძალა. "დროშის კურთხევის" წესი გადმოგვცემს:

საკურთხევლად გამზადებულ დროშას დადგამდნენ ეკლესიაში ამბიონზე გაშლილი სახით, წმიდა ტრაპეზის წინ ლოცვას აღავლენდა მღვდელმთავარი, რომელიც სამღვდელოებასთან ერთად ევედრებოდა უფალს - "რათა აკურთხოს დროშა ესე სამხედრო ზეციერითა კურთხევითა თვისითა, საშინელ და შესაძრწუნებელ ყოველთა მტერთა ჰყოს ესე".

აი, თურმე რა ძალა ენიჭებოდა სამხედრო დროშას კურთხევის შემდგომ: თუ ამ დროშას უყურებდა მორწმუნე მხედრობა, მას ენიჭებოდა სიმტკიცე და სითამამე, რათა შეემუსრა და დაეთრგუნა თავისი მტრები, თუ ამ დროშას უყურებდა მტრის ჯარი, მათი სითამამე შიშად შეიცვლებოდა, ძალა კი უძლურებად, სიმხნე - სულმოკლეობად.

ძველქართულით ასე გადმოიცემა დროშის კურთხევის ლოცვა:

- "რათა ყოველთა მტერთა ჩვენთა ზედა შიშითა ამათ ზედა მზირთა შეუცვალნეს კადნიერება - მოშიშებად, ძალი - უძლურებად, სიმხნე - სულმოკლეობად და ლტოლვად... მკლავნი მათნი შემუსრნეს და ქვეშე ფერხთა მორწმუნეთა თვისთა დაამორჩილნეს.

- რათა სირცხვილითა და უპატიობითა აღივსნეს პირნი წინააღმდგომთა ჩვენთანი, ხოლო გული მათი შიშითა და ძრწოლითა და ანგელოზი უფლისა ექმნეს მდევნელ და დამთრგუნველ მათდა.

- რათა ჩვენი მწუხარება და ურვა შეიცვალნეს შვებად და სიხარულად, მტკიცედ მშვიდობად".

ასეთი სულიერი ძალის მატარებელი იყო ქართული საბრძოლო დროშა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე თავის გარშემო აერთიანებდა ასეულობით და ათასეულობით ქართველ ქრისტესმოყვარე მხედარს, იცავდა მამულს.

აკურთხევდნენ ასევე სამხედრო იარაღსაც. საჭურველს აწყობდნენ ამბიონის წინ მდგარ მაგიდაზე და ამბობდნენ ლოცვას: "უფლო ამათ ზედა კურთხევა შენი ზეციერი გარდამოავლინე და მონასა ამას ზედა (სახელი) ტვირთად ამისა განსამტკიცებელად და შესაწევნელად წმიდისა ეკლესიისა ქვრივთა და ობოლთა, ქვეყანასა ზედა მყოფთა, წმიდისა სამკვიდრებელისა შენისა კეთილმორწმუნეთა ძალი და ძლიერება მოანიჭე, მტერთა ბანაკებისა მქადებელ და მაშინებელ ჰქმენ ესე და მარადის ძლევაშემოსილად გამოაჩინე სადიდებელად შენდა".

ჩვენი მებრძოლები ჩვენი ქვეყნის უძლურებისა, ჩვენი ხალხის ურწმუნოებისა და ჩვენ ცოდვათა გამო აფხაზეთში დამარცხდნენ. ქართველობამ აფსუა-სეპარატისტებისაგან განიცადა უსაშინელესი გენოციდი, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს სასტიკი მარცხი და ეროვნული უბედურება ჩვენი საზოგადოების მიერ სათანადოდ არ ანალიზდება. სხვათა შორის, ასევე იყო წარსულშიც და ჩვენი არცთუ შორეული წინაპრების მიამიტობა ("ერი ლიტონი და გულმარტივი" - ამბობდა მემატიანე), ალბათ ერთ-ერთი მიზეზი იყო ჩვენი დღევანდელი უბედურებისა. კერძოდ, აი, რა: ჩრდილოკავკასიური ჩერქეზული ტომები, მათ შორის აფსუები, აბაზები და სხვა ადიღეველები საქართველოს (კერძოდ, კი აფხაზეთს) შემოესივნენ XVI-XVII საუკუნეებში. როგორც ევროპელი მისიონერები, მოგზაურები და ჩვენი ძველი ისტორიკოსები წერენ - სასტიკი იყო აფსუა-

აბაზ-ჩერქეზების ანუ დღეს “აფხაზებად” სახელდებული ტომების წინაპრების თავდასხმები აფხაზეთში. მათ XVII-XVIII საუკუნეებში აფხაზეთის სამთავროს მიწა-წყალზე დახოცეს, დაატყვევეს, ამოჟლიტეს მკვიდრი ქართული მოსახლეობა, ანუ “ძველი აფხაზები”, დაესახლნენ აოხრებულ ტერიტორიაზე და თვითონ მიისაკუთრეს არა მხოლოდ ტერიტორია, არამედ სახელიც ძველი აფხაზებისა. დამპყრობლები აფხაზეთისა “აფხაზებად” იწოდნენ, რამეთუ უკვე თვითონ გახდნენ ბატონები ახლად დამორჩილებული კუთხისა.

ოდიშის ანუ სამეგრელოს სამთავროს საზღვარი ძველად იწყებოდა ანაკოფიასთან ანუ ახალ ათონთან (როგორც ვახუშტი გვამცნობს). აფსუებმა ახლა უკვე აფხაზებად სახელდებულმა ტომმა XVII-XVIII საუკუნეებში დღევანდელი სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში (ე. ი. ისტორიული ოდიშის მიწაზე) განუწყვეტლივ ლაშქრობათა შედეგად ახლა უკვე აქ მოსპეს, დაიმონეს და ტყვეებად დაყიდეს მკვიდრი ქართული მოსახლეობა (ოდიშელები ანუ მეგრელები). ლევან II დადიანმა და ეპისკოპოსებმა ამ შემოსეული მთიელი ტომების შესაკავებლად ააგეს უზარმაზარი თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც გადაჭიმული იყო კელასურიდან ვიდრე მდინარე ენგურამდე, თითქმის 100 კილომეტრის მანძილზე (ე. წ. აფხაზეთის დიდი კედელი) მაგრამ, მაშინ, როგორც აღინიშნა, ქართველები დამარცხდნენ, “აფხაზებად” სახელდებულმა აფსუებმა გაიმარჯვეს, მასობრივად დახოცეს მკვიდრი ქართული მოსახლეობა და ერთ დროს აყვავებული ოდიშის ეს დაპყრობილი მხარე უდაბნოდ (უპატრონო, უკაცოდ მიგდებულ, დაუსახლებელ, გატყევებულ ადგილად) აქციეს, როგორც ამას წერენ უცხოელი მოგზაურები ლამბერტიდან ვიდრე კოხამდე და სპენსერამდე. წყაროთა თანახმად ცნობილია, რომ ე. წ. აფხაზებმა გადარჩენილი მკვიდრი ქართული მოსახლეობა მონებად გადააქციეს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მათ რიგებს ასევე ავსებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დატყვევებული, აფხაზეთში ჩაყვანილი ადამიანების დამონებით.

საქმე ისაა, რომ ამ ახალი აფხაზების საზოგადოებისათვის უცნობი იყო ფეოდალური წყობილება და ისინი იმყოფებოდნენ თავიანთი განვითარების პატრიარქალურ-გვაროვნულ საფეხურზე. ამ საზოგადოებაში არსებობდა შემდეგი ფენები: 1. “ათავად” ანუ მმართველი ფენა; 2. “ანხაიუ” - სრულიად თავისუფალი ფენა; 3. “ახოიუ” - მონები, რომელნიც შედარებით თავისუფლად გრძნობდნენ თავს იმით, რომ ოჯახის შექმნა შეეძლოთ და მიწის ნაკვეთსაც ამლევდნენ დროებით სარგებლობაში დასამუშავებლად და 4. “ახაშვალები” - სრული მონები. მათ დაოჯახების უფლება არ ჰქონდათ, ხშირად ყოფილ ტყვეებს წარმოადგენდნენ. ეს ორი ბოლო ფენა ასეც იწოდებოდა - ”აგირუა”, “აგურუა” რაც, საერთოდ, ქართველს ნიშნავს, კერძოდ კი მეგრელს ან გურულს. ასე რომ, აფხაზეთისა და სამეგრელოს ერთი ნაწილის (ოდიშის) დაპყრობის შემდეგ XVII-XVIII საუკუნეებში გენოციდგამოვლილი და შემთხვევით ცოცხლად გადარჩენილი მკვიდრი ქართული მოსახლეობა აფხაზებმა თავიანთ მონებად გაიხადეს, - ”აგირუა” უწოდეს. უბედურება ისაა რომ თითქმის ორი საუკუნის შემდგომ იგივე განმეორდა, იმიტომ რომ თავის დროზე XVII-XVIII საუკუნეების ამ გენოციდს ანალიზი არ გაუკეთდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს უბედურება არ იქნა მიტანილი მთელი ქართველი ერის გულამდე, ხალხის მეხსიერებამ კი გამოვლილი გენოციდი ადვილად დაივიწყა (მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოს სამურზაყანოს ნაღვლიანმა და გულსაკლავმა სიმღერებმა შემოგვინახა იგი).

ძველი გენოციდი რომ გაანალიზებულიყო, XIX-XX საუკუნეებში, იმავე უბედურებას აფსუა სეპარატისტები თავს ვეღარ დაგვატეხავდნენ, რამეთუ აღარც ჩვენი ახალგაზრდობა და ხალხი დასვამდა კითხვას - ”ღირს თუ არა აფხაზეთში ბრძოლა, რატომაა აფხაზეთში ომი?” ისტორია განმეორდა, რადგან მტერი სათანადოდ ვერ შევაფასეთ მიუხედავად ძველი ისტორიული გაკვეთილებისა.

ზემონათქვამიდან გამომდინარე რა დღეში არიან ახლა აფხაზეთში მცხოვრები ქართველები, როგორ ეპყრობიან მათ აფხაზები, ისევე როგორც ძველ დროს თუ უკეთ?

წმიდა მოციქული პეტრე ბრძანებს: - ”რომლისაგანაცა ვინ ძლეულ არნ მიზდაცა დამონებულ არნ” (II. პეტრე, 2,19), ანუ “ვინც ვისგანაა ძლეული, მისივე მონაა. ცხადია, გამარჯვებული არათუ ველური და ბარბაროსი, არამედ კულტურულიც კი ომში დამარცხებულ მოსახლეობას სასტიკად ეპყრობა, მით უმეტეს, რა ითქმის აფხაზთა შესახებ, ისინი აიძულებენ აფხაზეთში დარჩენილ ქართველებს ჩაეწერონ მეგრელებად ანუ “აგირუებად” ამ სახელს კი ისტორიულად უწოდებდნენ მონებს, რომელთაც აყენებდნენ საზოგადოების ყველაზე უმდაბლეს საფეხურზე, არ ანიჭებდნენ არავითარ სამოქალაქო უფლებებს, არამედ ამუშავებდნენ თავიანთ სასარგებლოდ. ამიტომაც უნდა შევეკითხოთ იმ ქართველებს, რომელნიც უნებართვოდ გადადიან მდინარე ენგურზე, გული მიუწევთ თავიანთი ყანა - პლანტაციისაკენ, ბაღ - ვენახისაკენ, სახლ - კარისაკენ, გული მიუწევთ პაპისპაპეული მამულის, მიტოვებული საფლავების მოსავლელად - სად მიდიხარ? “სი ქოულ ბატა?” - ნუ შეცდებით, იქ თქვენ გელით მართალთა შრომა, მაგრამ შრომა არა თავისუფალი მოქალაქისა, არამედ მონისა, მსახურად გადაქცევა იმ დროებით გამარჯვებულისა, რომელსაც მალე დაამარცხებს ღვთის სამართალი, შენ კი იმ შენი მტრის დამარცხების დროს შენი ბატონი აფხაზი ტყვიის წინ საფრად დაგიყენებს. ნუ უღალატებ რჯულს, წინაპრებს, სამშობლოს, ხალხს, დროებით გასაჭირში ყოფნა სჯობს მოღალატის მონურ, ხანმოკლე სიცოცხლეს.

მსოფლიო ქრისტიანობის ბურჯის კონსტანტინეპოლის დაცემას (1453) თან მოჰყვა ჩვენი მეგობარი, მოკავშირე, მართლმადიდებელი ბიზანტიის ადგილზე ოსმალეთის იმპერიის წარმოშობა. საქართველო მოექცა ურჯულოთა რკალში. განსაკუთრებით სახიფათო და საშიში გახდა ჩვენთვის ჩრდილო-კავკასიური მაჰმადიანური ტომები, რომლებიც, ისლამის ფანატიზმით აღტაცებულნი, თავს ესხმოდნენ იმ დროისათვის დაშლა-დანაწევრების პირას მისულ საქართველოს კუთხეებს, აოხრებნენ მათ, ატყვევებდნენ მოსახლეობას - ქრისტიანებს. ლეკებმა, ქისტებმა, დიდოელებმა, ოსებმა მოსპეს და ააოხრეს აღმოსავლეთი საქართველო, დასავლეთი კი ჩერქეზულ-აფხაზურმა ტომებმა. როგორც წარსულში, ისე ახლა, ამ ტომებს სურთ (მათი ეს სურვილი ქვეცნობიერად დევს მთელ მათ შეგნებაში), ხელთ იგდონ საქართველოს მზიანი ველები, აყვავებული მიწა-წყალი, ამას ბოლო დროს დაემატა სურვილი, როგორმე საქართველოს გზით დაუკავშირდნენ შავ ზღვას, ისლამურ სამყაროსა და მსოფლიოს. ჩვენი მეფეები რუსეთის ხელმწიფეებს სწერდნენ, რომ ქართველებს შეეძლოთ პირდაპირ ომში სპარსეთისა და ოსმალეთის არმიების მოგერიება, მაგრამ ვერაფერს უხერხებდნენ ჩრდილო-კავკასიელ მოთარეშე ტომებს, რომელთა მცირერიცხოვანი რაზმები განუწყვეტლივ, ქურდული მიპარვით, წელიწადში მრავალგზის თავს ესხმოდნენ საქართველოს ყველა კუთხეს. ლეკებმა დაიპყრეს აღმოსავლეთი კახეთი, დღეს საინგილოდ წოდებული, რომელიც თავის დროზე წარმოადგენდა კახეთის სამეფოს ყველაზე უხვმოსავლიან მიწა-წყალს, რომელზეც მდებარეობდა ამ სამეფოს დედა-ქალაქები - ძეგამი და ბაზარქალაქი. შემდეგ კი ლეკებმა სრულებით ააოხრეს ქვემოქართლი, ამოწყვიტეს იქაური ქართული მოსახლეობა და ამით ხელი შეუწყვეს დღევანდელი ბოლნისის, დმანისის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში არაქართული მოსახლეობის გამრავლებას. ქისტების ანუ ჩეჩენ-ინგუშების შემოტევები ხევსურებმა შეაჩერეს, მაგრამ ვერ გაუძლო მთიელი ქართველების იმ ტომმა, რომელსაც - დვალები ერქვა. დვალები ჩრდილოეთიდან შემოსულ ოსებთან ომში დამარცხდნენ და ამის გამო დვალების ტომი თვითონვე გაოსდა - დამპყრობლებმა გააოსეს, მათი საცხოვრისი (შიდა ქართლის მთიანეთი) ამის შემდგომ ოსებით დასახლებული აღმოჩნდა. სვანებმა და რაჭველებმა შეაჩერეს ყაბარდოული და ბალყარული ტომები, ხოლო ძველაფხაზების ქართული ტომი დამარცხდა ჩრდილო-კავკასიურ ადიღე-ჩერქეზებთან ომში, რის გამოც, როგორც ითქვა, აფხაზეთში ჩამოსახლდნენ აბაზები და აფსუები, რომლებიც ამის შემდგომ უკვე აფხაზეთის მკვიდრებად იქცნენ, შეუტიეს ოდიშს, დაამარცხეს და აყვავებული მიწა-წყალი ჩამოაჭრეს ვიდრე ენგურამდე.

ჩრდილო-კავკასია ისტორიულად მუდამ სახიფათო მხარეს წარმოადგენდა არა მხოლოდ საქართველოსათვის. რომის იმპერიაც კი, თუ არას ვიტყვით სპარსეთსა და შემდეგდროინდელ

ბიზანტიაზე, მუდამ შიშით უყურებდა ათასგვარი ტომებით დასახლებულ კავკასიის გადაღმა მხარეს. საქართველომ იმის შემდგომ მოისვენა, რაც ვახტანგ გორგასლის მიერ დამარცხებულ ამ მხარეში ქრისტიანობა გავრცელდა. ქრისტეს ეკლესიამ ეს მხარე წმიდა სარწმუნოების მეშვეობით უხიფათო ზონად აქცია საქართველოს სახელმწიფოსათვის, მაგრამ თემურ ლენგის ლაშქრობათა შემდგომ, რაც კოჭლმა დესპოტმა იქ მაჰმადიანობა გაავრცელა, საქართველომ მოსვენება დაკარგა. არა ერთი და ორი წლის, არამედ ისტორიულ საბუთთა თანახმად, საუკუნეთა მანძილზე ქართველი მეფეები ცდილობდნენ შეეჩერებინათ ჩრდილო-კავკასიელთა თავდასხმები საქართველოზე.

ჩვენი წინაპრები XVII-XVIII საუკუნეებში, თხოვდნენ რუსეთს იურიდიულად ეცნო თავისუფალი საქართველოს სახელმწიფო თავის მეგობარ, თანასწორუფლებიან და ერთგულ ქვეყნად. საოცარია, რომ ასეთი, ძველად ნანატრი მდგომარეობა ჩვენს სახელმწიფოთა, ანუ რუსეთსა და საქართველოს შორის - დღეისათვის უკვე არსებობს - რისთვისაც დიდება უნდა აღვუვლინოთ უფალს, ყველაფერი დანარჩენი - საქართველოს გამთლიანება სახელმწიფოს გაძლიერება და აყვავება ჩვენს პირად ღვაწლსა და თავდაცვით ბრძოლაზეა დამოკიდებული.

უნდა ჩამოვაყალიბოთ მაღალი ზნეობრივი იდეალების მქონე არმია (წინააღმდეგ შემთხვევაში, უზნეო ჯარი, არა მხოლოდ ვერ გაიმარჯვებს მტერზე, არამედ ზიანს მიაყენებს საკუთარ ხალხსაც). როგორც მეფე დავითი ბრძანებს - რათა "უკუიქცეს მტერი ჩემი მართლუკუნ, მოუძლურდენ და წარწყმდენ პირისაგან ღვთისა"; რათა "მტერისა მახვილი მოაკლდეს სრულიად და ქალაქნი აღაოხრდნენ, წარწყმდა სახსენებელი მათი ღაღადებითურთ" (ფს. 2 - 3,6), რათა "მტერი ჩემი მომცენ მე მეოტად და მოძულენი ჩემნი მოსრენ" (ფს. 17,40) და "ვდევნო მტერი ჩემი, დავეწიო მათ და არა მოვაქციო, ვიდრე არა მოესრულენ" (17,17). როგორც ქართველი გლეხი კაცი მღეროდა - "ნუმცა უხარის ჩემზედა მტერსა ჩემთა უსამართლოდ, რომელთა მომიძულეს მე ცუდად" (ფს. 34,19), შევთხოვოთ უფალს "წყალობითა შენითა მოსრნე მტერნი ჩემი და წარწყმიდე ყოველნი მაჭირვებელი სულისა ჩემისანი, რამეთუ მონაი შენი ვარ" (142,12). ვითარცა უგალობდა უფალს მოსე თავის ერის ეგვიპტიდან გამოყვანის შემდგომ - "მარჯვენე შენი უფალო დიდებულ არს ძალით შენითა, მარჯვენემან ხელმან შენმან მოსრნა მტერნი და სიმრავლითა მით დიდებისა შენისათა შემუსრა მხდომნი იგი" (გალობა I მოსესი). ჩვენ კი დავლოცოთ ჩვენი ახლადაღორძინებული არმია: "მხნე იყავნ და გაძლიერდინ გული შენი და სძლიე მტერსა შენსა და ესევდი უფალსა სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა, ამინ".

მანგლისი. გაზ. "მადლი", III, 1995

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

ეროვნული ეკლესია

"ქედმოდრეკილა ნაღვლით საწყალი,
რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა"
ილია მართალი. "აჩრდილი"

ჩვენს ერს აქვს შინაგანი, ღრმა, გულისგულში დაფარული სიყვარული დედა-ეკლესიისადმი, მაგრამ ეს ტრფობა ჩვენს არსში ქვეცნობიერად დევს, ის წინაპართაგანაა ნაანდერძევი, ძველთაგან გადმოცემული, ამდენად მილევადია და მიმქრალი, რამეთუ არაა განმტკიცებული ახალი ცოდნით, სწავლებით, საზოგადოებრივი დამოკიდებულებით, ავტორიტეტით, მიბაძვით, მაგალითით.

უფრო მეტიც, არაიშვიათად ჩვენი ხალხისაგან ისმის საყვედურები, განსაკუთრებით მათგან, რომელთაც უკვე გაიცნეს სექტანტური მიმდინარეობები და უჩნდებათ კითხვები ეკლესიისადმი

თავიანთი გულგრილობის გასამართლებლად: რატომ იყიდება სანთელი ეკლესიაში? რატომაა ძვირი? რატომ იღებს მღვდელი ფულს ნათლობასა და სხვა წესების შესრულებაში? რატომ არაა მუდმივი, უწყვეტი ქადაგება ეკლესიებში, როცა იქ შესულ თუნდაც ერთადერთ ადამიანს მღვდელი ხვდება და ესაუბრება? რატომ არა გაქვთ სასულიერო ლიტერატურა, რაცა გაქვთ, რატომ ყიდით მას და არ არიგებთ უფასოდ, როგორც სხვები? ყველაფრით ვაჭრობა და გაყიდვა შეიძლება? სახარებისაც? რატომ არ არის ეკლესიებში ისეთივე სისუფთავე, როგორიცაა ვთქვათ არაქართულ ეკლესიებში, მით უმეტეს უცხოეთში? რატომაა მომსახურეობა თქვენთან დაბალი დონისა?.. და სხვა მრავალი.

განსაკუთრებით საყურადღებოა სიმართლითა და ზრუნვით გამოთქმული გულისტკივილი: ჩვენს სოფელში ეკლესიაა, მღვდელს ვითხოვთ წლების მანძილზედ, არ გვიგზავნიან, მთელ რაიონში ერთი ღვთისმსახურიც არა გვყავს, უყურადღებობის გამო სარწმუნოებრივად უცოდინარ ჩვენს ხალხს სექტანტები იბირებენ თავისკენ...

ახლახან საბერძნეთიდან ჩამოსული ერთი ადამიანი აღტაცებით ლაპარაკობდა ბერძნულ ეკლესიებში მრევლისადმი ყურადღების შესახებ, რომ იქ სანთელი არ იყიდება, სუფთაა და არა ისეთი, როგორიც ჩვენთან (ძვირი და უხარისხო), რომ ბერძენი მღვდლები პირადად იცნობენ მრევლის ოჯახის თითოეულ წევრს, წარმოადგენენ ოჯახის უდიდეს მრჩეველს და თანამდგომს ჭირსა თუ ლხინში, რომ ბავშვობიდან ვიდრე სიბერემდე იქაური ადამიანები სამღვდელოების სულიერი მზრუნველობით არიან გარემოცულნი. მსგავსადვე ლაპარაკობენ უცხოეთიდან ჩამოსული სხვა ადამიანებიც.

დიახ, რა თქმა უნდა, ასე უნდა იყოს - სამღვდელოება და მისი სამწყსო ერთ მთლიანობას, ერთიან სულიერ ორგანიზმს უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც ეწოდება კიდეც ეკლესია. ვინც საქართველოს წარსულ საეკლესიო ცხოვრებას იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ჩვენშიც ასევე იყო ძველად.

რა ვუპასუხოთ ზემოთ მოყვანილ კითხვებს, მათ პასუხი უნდა გაეცეთ, როგორი მწარეც არ უნდა იყოს ის. საბედნიეროდ, ვინც ჩვენი ეკლესიის შინაგან ცხოვრებას იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ჩვენი სამღვდელოება, შეიძლება ითქვას, გმირული თავდადებით ასრულებს მასზე დაკისრებულ უზენაეს ვალდებულებას, ესაა - მსახურება ღვთისა და ერისა. როგორ? - იკითხავს მკითხველი, მაშ ვის ეხება გამოთქმული საყვედურები? ისინი ბუმერანგივითაა. საქმე ისაა, რომ ჩვენი დედა საქართველოს სამოციქულო (მართლმადიდებლური) ეკლესია - მართალია, ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთ-ერთი უღარიბესიცაა. არავითარი მუდმივი შემოსავალი, უცვლელი საარსებო წყარო არც სამღვდელოებასა და არც ეკლესიას არ გააჩნია. აქ იგულისხმება ის, რომ არც ჩვენი სამღვდელოება და არც ეკლესია არ იღებს საზოგადოებისაგან - სახელმწიფოსაგან დოტაციას, საარსებო სახსრებს, არ არსებობს ხელფასები, სოციალური დახმარება. სამღვდელოება არსებობს შემთხვევიდან-შემთხვევამდე, მათი ოჯახების კეთილდღეობა, სოციალური ყოფა დამოკიდებულია იმ ადამიანებზე, რომელთაც ემსახურებიან ნათლობითა და სხვა წესების შესრულებით, მათთვის უცნობია სახელმწიფოს მიერ გაცემული ბინები, პენსიები, სხვა შეღავათები, რითაც არსებობენ საქართველოს მოქალაქენი, სამღვდელოების გამოკლებით. ხოლო ჩვენი ეკლესიების შეკეთების, გუნდების, მომსახურე პერსონალის, დიაკვნების, მედავითნეების, სასულიერო სასწავლებლების სტუდენტების, პედაგოგებისა და სხვათა ხელფასები და სტიპენდიები გაიცემა ეკლესიებში სანთლის გაყიდვით შემოსული თანხისაგან. საოცარი ისაა, კიდევ როგორ ახერხებს ჩვენი ეკლესია ფეხზე დგომას და თავისი თავის ღირსეულად წარმოჩენას მსოფლიოსა და მრავალი ჩამოსული სტუმრის წინაშე.

თუ როგორი იყო ჩვენი ეკლესიის ყოფა ძველად, ამას ქვემოთ შევეხებით, მანამდე კი განვიხილოთ უცხოეთის ქვეყნებში ეკლესიათა თანამედროვე ყოფა, რა წარმოადგენს მათ საარსებო წყაროს - ეკლესიაში სანთლის გაყიდვით, ნათლობითა და სხვა წესების შესრულებით მიღებული თანხები?!

მსოფლიოს უძველეს მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის საბერძნეთის ეკლესია ერთ-ერთი უძველესია და დღითი დღე უფრო ძლიერდება, თანდათანობით იჭერს თავის კუთვნილ, წამყვან ადგილს საერთაშორისო ასპარეზზე. ამის მიზეზი გახლავთ საბერძნეთის სახელმწიფოსა და ხალხის დამოკიდებულება თავისი ეკლესიისადმი. კონსტანტინეპოლის დაცემის (1453) შემდგომ ელადა ოსმალებმა დაიპყრეს. ბერძნებმა ეროვნული სახელმწიფოებრიობა არც თუ დიდი ხნის წინ, XIX საუკუნის II ნახევარში აღიდგინეს. ოსმალებისაგან საბერძნეთის განთავისუფლებას ხელს უწყობდა მაშინდელი მთელი კულტურული მსოფლიო, გამოჩენილი ადამიანები პირადად მონაწილეობდნენ (ბაირონმა სიცოცხლეც არ დაიშურა) ამ საქმეში, მაგრამ მრავალ პიროვნებას ეეჭვებოდა, რომ თითქმის 400 წლოვანი მონობის შემდგომ ბერძნები შეძლებდნენ ეროვნული თავისთავადობის ანუ იმ ძველი "ბერძნობის" დაბრუნებას, რომელსაც ასე სცემდა თაყვანს კაცობრიობა. საბედნიეროდ, ბერძნებმა შეძლეს ეროვნული ხასიათის, ეროვნულ ჩვეულებათა აღდგენა. მათ იცოდნენ, რომ ნაციონალურ თვისებათა დვრიტას ბერძნული ეკლესია წარმოადგენდა. საუკუნეთა მანძილზე ბერძნობა და ქრისტიანობა, ბერძნობა და მართლმადიდებლობა, ბერძნობა და ეკლესია გაერთმნიშვნელოვანდა. ვისაც "ბერძნობის" აღორძინება სურდა, მას უნდა ეზრუნა კიდეც ეროვნული ეკლესიის აღორძინებისათვის, და, მართლაც, XIX საუკუნის II ნახევარშივე, ახლად წარმოქმნილმა საბერძნეთის სახელმწიფომ ბერძნული ეკლესია გამოაცხადა ეროვნულ ეკლესიად. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ბერძნული ეკლესიის ყოველგვარი სოციალურ-ეკონომიკური საკითხის გადაჭრა, სამღვდელოებას დაენიშნა ხელფასები I კატეგორიის სახელმწიფო მოხელეთა თანაბრად, ბიუჯეტი ითვალისწინებს სახსრებს სამღვდელოების პენსიების, სოც-უზრუნველყოფის, ბინების, კომუნალური მომსახურებისა და სხვა საჭიროებისათვის, მხოლოდ ერთი მოვალეობა დაეკისრა სამღვდელოებას - შეასრულოს თავისი სულიერი ვალდებულება - აღზარდოს ახალი თაობა, ზნეობრივად განამტკიცოს და გააჯანსაღოს ერი.

ჩვენ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ საბერძნეთში მართლმადიდებლური სარწმუნოება არის სახელმწიფო რელიგია, უფრო მეტიც, სახელმწიფო კანონმდებლობის ზოგიერთი ნაწილი დაფუძნებულია საეკლესიო სამართლის პრინციპებზე.

ვინც ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებასაა გაცნობილი, დამემოწმება, რომ ჩვენშიც ჩვენი ეროვნული ეკლესია წარმოადგენდა სახელმწიფო ეკლესიას. სახელმწიფოსა და ეკლესიის მჭიდრო ურთიერთობის ძველებური სახე უცვლელადაა შემონახული ევროპისა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში რომელიმე ქრისტიანული მიმდინარეობა წარმოადგენს ან სახელმწიფო ან ოფიციალურ რელიგიას (ეროვნულ, გაბატონებულ, პრივილეგირებულ), სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ მყოფ ეკლესიებს. მათი ასეთი მდგომარეობა არანაირად არ არღვევს დემოკრატიის პრინციპებს და აღმსარებლობის (სინდისის) თავისუფლებას.

მაგალითად, დემოკრატიის ისეთ ბურჯში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, არის ორი სახელმწიფო ეკლესია. ინგლისში ანგლიკანური ეკლესიაა, ხოლო შოტლანდიაში 1952 წლიდან - პრესვიტერიანული. ანგლიკანური ეკლესიის მღვდელმთავრების (ეპისკოპოსებისა და მთავარეპისკოპოსების) დიდი ნაწილი ლორდთა პალატის წევრია. სამღვდელოება სრულებით არის უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ, ანუ სამღვდელოების ხელფასებს, პენსიებს, სოც-დახმარებებს და სხვა საეკლესიო გასავალ თანხებს სრულიად იძლევა სახელმწიფო.

ასევე შვეიცარიაში, ევანგელიკურ-ლუთერანული ეკლესია თავისი სტატუსით არის სახელმწიფო ეკლესია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის ჩვენთვის ეკლესიის მიმართ იტალიის სახელმწიფოს დამოკიდებულება. 1947 წლის იტალიის კონსტიტუციამ გამოაცხადა სინდისის (აღმსარებლობის) თავისუფლება, მაგრამ კათოლიკობა გამოაცხადა სახელმწიფო რელიგიად. სამოქალაქო კანონმდებლობის ფუნდამენტად გამოყენებულია კანონიკური სამართალი. ჩვენთვის უაღრესად

საყურადღებოა, რომ კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო და კერძო სასწავლებლებში სავალდებულოა საღმრთო რჯულისა და თეოლოგიური საგნების სწავლება. კათოლიკური ეკლესია განთავისუფლებულია გადასახადებისაგან.

ირლანდიაში კათოლიკურ ეკლესიას განსაკუთრებით პრივილეგირებული მდგომარეობა უკავია, მას დიდი ავტორიტეტი გააჩნია საზოგადოებაში. 1937 წლის კონსტიტუციამ კათოლიკურ ეკლესიას განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა. ჩვენთვის საყურადღებოა, რომ ევროპის ამ ქვეყანაში ეკლესია აკონტროლებს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემას; დიდი გავლენა აქვს პოლიტიკურ სტრუქტურებზე, აკრძალულია განქორწინებანი, აბორტები და კონტრაცეპტიური საშუალებების გაყიდვა, თანახმად კანონისა.

ბელგიაში კათოლიკურ ეკლესიას გაბატონებული მდგომარეობა უკავია. 1831 წლის კონსტიტუციით მას აქვს ფართო რელიგიური პროპაგანდის უფლება. კათოლიკურად არის ჩამოყალიბებული განათლების ყველა საფეხური. ცნობილია ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, რომელიც რამდენიმე რომის პაპმა დაამთავრა.

ავსტრიაში კათოლიკობა არის გაბატონებული კონფესია და ის დაფიქსირებულია შესაბამისი კანონმდებლობით. კერძოდ, კონკორდატით ავსტრიასა და ვატიკანს შორის, რომელიც 1933 წელს დაიდო და 1957 წელს განახლდა.

პორტუგალიაში კათოლიკური ეკლესია პრივილეგირებული კონფესიაა. 1940 წელს დადებულმა კონკორდატმა ვატიკანსა და პორტუგალიას შორის კათოლიკურ ეკლესიას ფართო უფლებები მიანიჭა.

გერმანიაში ორი მიმდინარეობა არის გაბატონებული და ეს პრივილეგირებული მდგომარეობა დაფიქსირებულია შესაბამისი კანონმდებლობით. ეს კონფესიებია კათოლიციზმი და ლუთერანობა (ევანგელიკური ეკლესია).

დანიაში კანონმდებლობის შესაბამისად არსებობს სახელმწიფო რელიგია, რომელსაც ეწოდება "დანიის სახალხო ეკლესია" (ევანგელიკურ-ლუთერანული), მისი ფორმალური მეთაური არის მეფე.

ისლანდიაში, ასევე კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენს - "ისლანდიის სახალხო ეკლესია" (დგას ევანგელიკურ-ლუთერანულ პოზიციებზე), სახელმწიფო მხარს უჭერს და ეკონომიკურად ეხმარება მას.

ნორვეგიაში სახელმწიფო რელიგია არის ევანგელიკურ-ლუთერანული ეკლესია. მისი ფორმალური მეთაური არის მეფე.

ფინეთში სახელმწიფო ეკლესიის სტატუსი აქვს ევანგელიკურ-ლუთერანულ ეკლესიას. ეკლესიის შესახებ კანონების მიღება ხდება ერთობლივად ეკლესიისა და სახელმწიფოს მიერ. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საეკლესიო კრებას ეკუთვნის.

ესპანეთში სახელმწიფო რელიგია არის კათოლიციზმი.

ევროპის იმ ქვეყნებში, რომლებიც ბოლო წლებში განთავისუფლდნენ კომუნიზმისაგან, მიღებულია ახალი კანონმდებლობანი ეკლესიის მიმართ. ჩეხეთად და სლოვაკეთად გაყოფამდე ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციის თანახმადაც არც მართლმადიდებელი და არც კათოლიკური ეკლესიები არ იყვნენ გამოყოფილი სახელმწიფოსაგან. სახელმწიფო ეკონომიკურად ეხმარებოდა მათ.

უნგრეთში ორი გავლენიანი კონფესიაა, რაც დაფიქსირებულია შესაბამისი კანონმდებლობით - კათოლიკობა და უნგრეთის ევანგელიკურ-რეფორმატული ეკლესია.

პოლონეთში მიიღეს ცალკე კანონმდებლობა კათოლიკური ეკლესიის შესახებ.

ასეთია სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება ეკლესიისადმი ევროპულ ქვეყნებში, რომელნიც მიიჩნევიან მსოფლიო დემოკრატიის უდიდეს ბურჯებად, მაგრამ უფრო ღრმაა ეს დამოკიდებულება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ლათინურ ამერიკასა და სხვა ქვეყნებში. ბოლივიაში კათოლიციზმი სახელმწიფო სარწმუნოებას წარმოადგენს, საერთოდ, ლათინური

ამერიკის ქვეყნებში სახელმწიფო განსაკუთრებით მფარველობს კათოლიკურ ეკლესიას (პატრონატის უფლება). ასეთი ქვეყნებია არგენტინა, ვენესუელა, ჰაიტი, დომინიკანური რესპუბლიკა, კოლუმბია, კოსტა-რიკა, პარაგვაი, პერუ. ამ ქვეყნებში კათოლიკურ ეკლესიას ეწოდება - "ეროვნული ეკლესია".

კოლუმბიაში კათოლიკურ ეკლესიას აქვს ფართო იურიდიული და სამოქალაქო უფლებები. გამოცხადებულია სინდისის (აღმსარებლობის) თავისუფლება, მაგრამ კათოლიკობა აღიარებულია ერის (ნაციის) რელიგიად და "ქვეყანაში ერთიანობისა და საზოგადოებრივი მოწესრიგების ერთ-ერთ ფუნდამენტად", რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა.

ბრაზილიაში კათოლიკურ ეკლესიას პრივილეგირებული მდგომარეობა უკავია, ის იძლევა ეროვნულ პროგრამებს ეკონომიკური განვითარებისა, აგრარული რეფორმებისა, განათლებისა და სხვადასხვა კანონმდებლობებისა.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში სახელმწიფო რელიგია შეტანილია 43 ქვეყნის კონსტიტუციაში, თუ არას ვიტყვით ისლამურ და სხვა ქვეყნებზე.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ ეკლესიისა და სახელმწიფოს მჭიდრო ურთიერთობა, მოსახლეობის უმრავლესობის სარწმუნოების ეროვნულად აღიარება და ეროვნული ეკლესიის სახელმწიფოებრივი სტატუსი არ არღვევს დემოკრატიის პრინციპებს, აღმსარებლობის თავისუფლებას.

შევადაროთ უცხოეთის ეკლესიათა და სამღვდელოების ყოფა ჩვენსას, იქ სახელმწიფო უვლის, აშენებს, პატრონობს მოქმედ ეკლესიათა შენობა-ნაგებობებს, სამღვდელოებას უხდის ხელფასს, პენსიებს, განათლებისა და ჯანმრთელობის სისტემები ეკლესიის კონტროლის ქვეშაა, სასულიერო წოდებას ღირსეული ადგილი უჭირავს საზოგადოებაში, ჩვენი სამღვდელოება კი, მიუხედავად კომუნისტური წყობის დაშლისა, ფაქტიურად ყოველგვარ სამოქალაქო უფლებასაა მოკლებული, თუნდაც ის რად ღირს, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე შრომის შემდეგ სახელმწიფო ღვთისმსახურს არ აძლევს პენსიას, თუ არას ვიტყვით ბინასა და სოციალურ დახმარებებზე, ამჟამადაც სახელმწიფო ქონების პრივატიზირებისას სამღვდელოებას არ შეხვდა ქონების არავითარი ნაწილი, რამეთუ ფაბრიკა-ქარხნებისა და მსგავსთა განსახელმწიფოებრიობაში ეკლესიას არ უდევს არავითარი წილი, თუმცა ყოველივე ზემოთ თქმული წარმოუდგენელ ფუფუნებად ჩანს იმ ფონზე, რომ სამღვდელოება სახელმწიფოსაგან არ იღებს ხელფასს, მაშინ როცა ჩვენი საზოგადოების ყოველ ფენას სახელმწიფო უხდის ხელფასს, მიუხედავად იმისა, ადამიანები სამსახურში დადიან თუ არა.

ჩვენი სამღვდელოება ყოველდღიურ ზრუნვასა და ჯაფაშია, რომ როგორმე მოიპოვოს საარსებო სახსარი ოჯახის გამოსაკვებად, ქველი საქმის აღსასრულებლად, სხვათა დასახმარებლად, ამ სახსრებს კი თავისი პირადი შრომით მოიპოვებს - ნათლობითა და სხვა წესების შესრულებით; საბედნიეროდ, მიუხედავად ასეთი ჯაფისა, ჩვენს სამღვდელოებას კიდევ ყოფნის ენერგია, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მრევლის სულიერი აღზრდისა და უცხო სექტების საწინააღმდეგო ღვაწლში. ხოლო საეკლესიო შენობა-ნაგებობათა, გუნდების, მომსახურე პერსონალისა და სხვათა შესანახი სახსრები, როგორც აღინიშნა, მიიღება იმ მცირეოდენი თანხების შეგროვებით, რომლებიც სანთლის გაყიდვისაგან შემოდის, ჭეშმარიტად, რომ სახელმწიფოს ზურგი აქვს შექცეული ჩვენი ეკლესიის მიმართ და მერე რომლისა, იმ ეკლესიისა, რომელმაც ავად თუ კარგად ჩვენს ერს - ეროვნებას შეუნარჩუნა, ჩვენს ხალხს - ქართველობა, ჩვენს სამშობლოს კი - ქრისტიანული ქვეყნის სახელი. ძველი ქართული კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა და უმეტესი იმისა, რითაც ჩვენი ერი ამაყობს, ნაღვაწია ჩვენს ეკლესია-მონასტრებში, უფრო მეტიც, საუკუნეთა მანძილზე ჩვენს ეროვნულ თვალთახედვაში ქრისტიანობა და ქართველობა გაერთმნიშვნელოვანდა, სინონიმებად იქცა, ამიტომაც იყო, რომ თუ, რაღაც მიზეზების გამო, ქართველი მართმადიდებლობას უარყოფდა და გრიგორიანობას მიიღებდა, მას ქართველს კი აღარ უწოდებდნენ, არამედ "სომეხს", თუ ქართველი კათოლიკობას მიიღებდა - "ფრანგს" უწოდებდნენ,

მაჰმადიანს - ”თათარს” ან “თურქს”, ხოლო ბერძნულ ეკლესიას მიკედლებულ ქართველს - ”ბერძენს”, ე. ი. “ქართველი” მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრს ეწოდებოდა.

ჩვენი ქართველობა - ჩვენმა დედა ეკლესიამ შეგვინარჩუნა, ამიტომაც იყო, რომ ჩვენი ძველი სახელმწიფო მეთაურები, მეფეები, პოლიტიკური მოღვაწეები, მთავრები განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებდნენ საქართველოს ეკლესიას, აძლევდნენ ქონებას, მამულებს, შეღავათებს, სახსრებს, შეწირულობებს, სოფლებს, ჩვენი ეკლესია მონაწილეობდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში, ხელმწიფის კარზე (ჩვენი ქვეყნის ერთიანობისას) იმყოფებოდა უპირველესი ვეზირი ანუ პრემიერ-მინისტრი ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსის წოდებით, იქვე იმყოფებოდნენ სხვა ეპისკოპოსები, მოძღვართმოძღვარი, კათალიკოსები. მათ ხელში იყო არა მხოლოდ საეკლესიო და სახელმწიფო დაწესებულებების (მაგალითად - ”სააჯო კარის” - უზენაესი სასამართლოს) მართვა, არამედ ზოგჯერ ლაშქრის ხელმძღვანელობაც კი. საქართველოს დასუსტება-დაშლისას სადროშოებს, ანუ სამხედრო ოლქებს (მაგალითად კახეთში), ეპისკოპოსები მეთაურობდნენ.

ეკლესიას ყოველთვის დიდი ქონება ჰქონდა, ამიტომაც სამღვდელოება დაუბრკოლებლად აღასრულებდა თავის უშუალო მოვალეობას - ერის ზნეობრივ აღზრდას.

ქართული ეკლესიის დღევანდელ სავალალო ყოფას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნეში. საერთოდ ერისათვის ყველაზე დიდი უბედურებაა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოშლა. ქართული სახელმწიფო ერთეულების გაუქმებას თან მოჰყვა ეროვნული ეკლესიის გაქრობაც. რუსეთის ადმინისტრაციამ და იმპერიამ ქართულ ეკლესიას ჩამოართვა უზარმაზარი ქონება - შეფასებული 150 მილიონ ოქროს მანეთად, ამაში შედიოდა მამულები, სოფლები, ფაბრიკა-ქარხნები, სამღებროები, წისქვილები, ბაღები, სარეწაო და შემოსავლიანი ადგილები და სხვა მრავალი, არას ვიტყვით შენობა-ნაგებობებზე და იმ საეკლესიო გადასახადებზე, რომლითაც დაბეგრილი იყო მთელი მოსახლეობა. ამ 150 მილიონი მანეთის ყოველწლიური მოგების 1-3%-ს მთავრობა ხელფასების სახით აძლევდა მართლმადიდებელ სამღვდელოებას, არა მხოლოდ საქართველოსას, არამედ მთელი ამიერკავკასიისას (ბაქოსა, დღევანდელ განჯასა და სხვაგან გაიხსნა მართლმადიდებლური ეკლესიები). ასე რომ, საქართველოს ეკლესიის ქონების პროცენტებით გასული საუკუნის მანძილზე არსებობდა ამიერკავკასიის რუსულ-ბერძნულ-ქართული სამღვდელოება. XX საუკუნეში კი ახლად აღორძინებულ ქართულ ეკლესიას ათეისტურ-კომუნისტურმა სახელმწიფომ ჩამოართვა როგორც ამბობენ 20.000 მოქმედი ეკლესია-მონასტერი, თუ არას ვიტყვით საეკლესიო განძსა, მამულებსა და სხვა უდიდეს დანაკლისზე. საერთოდ, ქართული ათასწლობით ნაგროვები ეროვნული განძი ეკლესია-მონასტრებში იყო დაცული უძვირფასესი ხატების, ჯვრებისა და სხვა ნივთების სახით. ყველა ისინი სახელმწიფომ მოიხმარა. რა დარჩა დღეს სახელმწიფოს მიერ ქონებაჩამორთმეულ ქართულ ეკლესიას? იმედი იმისა, რომ ახალი ქართული სახელმწიფო თავის ჭეშმარიტ ეროვნულობას საფუძველს ჩაუყრიდა ქართული ეკლესიის განმტკიცებითა და აღორძინებისათვის ზრუნვით, ჯერჯერობით გაცრუებულია.

ჩვენთვის განსაკუთრებით აუნაზღაურებელია ის მორალურ-ზნეობრივი დანაკლისი, რომელიც განვიცადეთ ათეისტების ბატონობისას, მათ განუწყვეტელი, მუდმივი და ყოველდღიური პროპაგანდით, პრესით, რადიო-ტელევიზიით, ლიტერატურით მოახერხეს სამღვდელოების, დედა-ეკლესიისა და ეროვნული სარწმუნოების სახელის შებღალვა. მართალია, ხალხს არ სწამდა კომუნისტებისა, მაგრამ ათეისტურმა, ანტიეკლესიურმა აღზრდამ, ბავშვობიდან ვიდრე სიბერემდე, დაღი დაასვა ადამიანთა შეხედულებებს, რომელიც თანდათან დაილექა ადამიანთა შემეცნებასა და გულებში. სწორედ ამიტომ ეკლესიას უნდა მიეცეს უფლება აქტიური პროპაგანდისა, ისე როგორც ბელგიის კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, ე. ი. მიეცეს რადიო და ტელე ქადაგებებისა და სწავლებისათვის დიდი დრო, პრესაში დაეთმოს მნიშვნელოვანი ადგილი, გადაეცეს გამომცემლობა, გადაიღოს ფილმები და მსგავსი, ყოველივე ეს უნდა დაფინანსდეს სახელმწიფოს მიერ, ისევე, როგორც სახელმწიფო აფინანსებდა მსგავსი

საშუალებებით ათეისტურ პროპაგანდას. ეს ჩვენი მორალურ-ზნეობრივი დანაკარგების კომპენსაციაც იქნებოდა.

ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართველი ხალხისა და საქართველოს მოსახლეობის ეროვნული ერთობის საძირკველს სარწმუნოებრივი ერთობა წარმოადგენდა, ახლაც სასურველია თუ ხალხი ერთ რელიგიას აღიარებს, ექნება ერთი ეკლესია. ესაა საფუძველი სახელმწიფოს სიმტკიცისა; ასევე ესმით ეს საკითხი უცხოეთშიც, ამიტომაცაა, რომ, მაგალითად, კოლუმბიაში, როგორც აღინიშნა, კათოლიკობა აღიარებულია ერის (ნაციის) რელიგიად და "ქვეყანაში ერთიანობისა და საზოგადოებრივი მოწესრიგების ერთ-ერთ ფუნდამენტად". საბედნიეროდ, ჩვენ ამ მხრივ არ გვესაჭიროება რაიმე ხელოვნური ქმედების განხორციელება, ძველთაგანვე მოციქულთა მიერ ნაანდერძევი მართლმადიდებლობა ჩვენი ერის (ნაციის) რელიგიას წარმოადგენს, ამასთანავე ეს სარწმუნოება იყო და არის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის სარწმუნოება, ამიტომაც თამამად შეუძლიათ ჩვენს კანონმდებლებს განაცხადონ, რომ საქართველოში მართლმადიდებლობა წარმოადგენს ქვეყნის ერთიანობისა და საზოგადოებრივი მოწესრიგების ერთ-ერთ ფუნდამენტს. მართლაც, ჩვენივე ისტორიული გამოცდილებით ვიცით, რომ მთელი ჯგუფები ჩვენი ერისა, მთელი ნაწილები ჩამოშორდა ქართველ ხალხსა და საქართველოს მართლმადიდებლობისა და ეროვნული ეკლესიის უარყოფის შემდეგ. როგორც აღინიშნა, ქართველი მოსახლეობის საკმაო ნაწილის არმენიზაცია, გათათრება, გაფრანგება, გაბერძნება და მსგავსი, შედეგი იყო ჩვენი ეროვნული სარწმუნოების უარყოფისა, უცხო აღმსარებლობის აღიარებისა, მსგავსადვე ჩამოშორდება ქართველ ერს (თუმცა ჩვენ არ ვისურვებდით ამას) დღევანდელი ქართველი იეღოველების, ბაპტისტების, ორმოცდაათიანელებისა და სხვა სექტანტების შთამომავლები, ყოველივე ეს კი საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობა-მთლიანობას, დაშლის ჩვენს საზოგადოებას, ჩვენმა კანონმდებლებმა ეს უნდა გაითვალისწინონ.

XVII საუკუნეში, როცა ჩვენმა მტრებმა მოშალეს ეროვნულ-ქრისტიანული სახელმწიფოებრიობა და საქართველოს მაჰმადიანი მეფე-ხანები მართავდნენ, დაეცა ეროვნული ზნეობა, მოიშალა ეროვნული საძირკვლები. ამის გამოსასწორებლად ვახტანგ VI დიდად იღვაწა, დიდი მუშაობა გასწია სამართლისა და სახელმწიფო წეს-წყობილების მოსაწესრიგებლად, შექმნა სახელმწიფო კანონების სახელმძღვანელო წიგნი - დასტურლამალი, რომელშიც საპატიო ადგილი უჭირავს საეკლესიო სამართალს. ამჟამადაც ჩვენმა კანონმდებლებმა უნდა იზრუნონ, რათა სამოქალაქო კანონმდებლობის ფუნდამენტად გამოყენებულ იქნეს კანონიკური სამართალი, როგორც ესაა ევროპასა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ჩვენშიც ეკლესიას უნდა დაეკისროს განათლების სისტემის კონტროლი - ევროპის მრავალ სახელმწიფოთა დარად. ყველა ის უბედურება, რაც თავს დაატყდა საქართველოს ბოლო წლებში - ძმათა მკვლელი სამოქალაქო ომი - უთუოდ შედეგია ხალხის ათეისტური აღზრდისა, ანუ მასობრივად დაცემული ზნეობისა.

საქართველოში მოხდა სამოქალაქო ომი, ომი, რომელიც ჩვენი ხალხისათვის უცნობი იყო ათასწლეულთა მანძილზე, ქართველებმა დახოცეს ქართველები, გადაწვეს საკუთარი დედაქალაქი, გამოდიოდნენ ქუჩებში აღგზნებული ადამიანები აბსურდული და ყოვლად წარმოუდგენელი ლოზუნგებით - საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის მოსპობა და საკუთარი სახელმწიფოს დასუსტება თუ მოყვებოდა ამ მოთხოვნებს შედეგად და არა სხვა რაიმე. აფეთქებდნენ საკუთარი ქვეყნის ხიდებს, გვირაბებს, რკინიგზებს, სასიცოცხლო მაგისტრალებს, ელექტრო-გადამცემ ხაზებს, ანადგურებდნენ და ძარცვავდნენ კეთილმოწყობილ შენობებს, სასტუმროებს, ცენტრებს, ფაბრიკა-ქარხნებს, მილიონობით მანეთად ღირებულ დაზგა-დანადგარებიდან იღებდნენ და ახლაც იღებენ სპილენძსა და ძვირფას შენადნობებს, გააქვთ საზღვარგარეთ და კაპიკებზე ყიდიან, ზოგიერთი ქალი ნებაყოფლობით გადიოდა უცხოეთში ამორალური საქციელით კაპიკების მოსახვეჭად, მაშინ, როცა ამის იძულება არ იყო და უმრავლესობას ჰქონდა საკუთარი კეთილმოწყობილი ოჯახი,

სახლ-კარი, მანქანები და ფუფუნებაც კი, მაგრამ, რადგანაც შემთხვევა მიეცათ, არ დაზოგეს სამშობლო, ეროვნული ქონება და ყოვლად უზნეოდ გაანიავეს. ყოველივე ეს შედეგია მასობრივი სულიერი გაუნათლებლობისა - უღმერთობისა. უზნეობა სუფევს ჩვენს საზოგადოებაში. სწორედ ამიტომაა საჭირო, რომ განათლების სისტემა იმყოფებოდეს ეკლესიის მეთვალყურეობისა და ზედამხედველობის ქვეშ, როგორც ესაა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სასკოლო სისტემამ ეკლესიის უშუალო მონაწილეობით უნდა აღზარდოს ახალი ქართველი ერი, ზნეობრივი, ღმერთისა, სამშობლოსა და ერის ჭეშმარიტად და არა ყალბად, ზედაპირულად მოყვარული.

ალბათ მალე განსახილველად გამოიტანენ ახალ ქართულ კონსტიტუციას, რომელშიც ჩვენმა კანონმდებლებმა სასურველია გაითვალისწინონ ჩვენი ფუნდამენტური მიზანი:

- საქართველოს სამოციქულო (მართლმადიდებელი) ეკლესია აღიარებული უნდა იქნეს ეროვნულ ეკლესიად საქართველოს რესპუბლიკაში. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესიას მიენიჭება სტატუსი სახელმწიფო ეკლესიისა (სახელმწიფო ეკლესიად საქართველოს რესპუბლიკაში აღიარებული იქნება საქართველოს სამოციქულო ეკლესია). ამ სტატუსიდან გამომდინარე, ყველა თავისი შედეგით, რაც ზემოთ იყო ჩამოთვლილი, მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების გაღება ჩვენი ეკლესიის ხარჯების დასაფარავად (ესაა პირველ რიგში ხელფასები, სოც. უზრუნველყოფა, პენსიები).

ეროვნულ ეკლესიად ქართული ეკლესიის გამოცხადება არ შეზღუდავს საქართველოს რესპუბლიკაში სინდისის (აღმსარებლობის) თავისუფლებას, რაც აღიარებული იქნება კანონით. საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებს, თავიანთი კონსტიტუციის შესაბამისად, ცხადია შეუზღუდველად შეეძლებათ ზემოთ აღნიშნული კანონის განვრცობა. დედა - ქართული ეკლესიის ეროვნულ ეკლესიად გამოცხადება განამტკიცებს ჩვენი სახელმწიფოს საძირკვლებს, ჭეშმარიტად რომ მომავალში განაბრწყინებს საქართველოს.

მანგლისი, 12 იანვარი, 1995 წ.
გაზ. "მადლი", N2, 1995.

პირველი წირვა კოდის ეკლესიაში

საქართველოს ერთ-ერთი სახელოვანი სოფელია კოდა, ქვემო ქართლში.

ეს რეგიონი ერთ დროს საქართველოს ბეღლად ითვლებოდა და იყო წყარო ქართველ მეფეთა სიძლიერისა.

აქ, ამ ბარაქიან მიწაზე ქართველი ერი იყო ეკონომიკურად ძლიერი და ბრძოლაში გამოცდილი, ერქვა კიდეც ამ რეგიონს "მეწინავე სადროშო", ვითარცა პირველი ბასტიონი საქართველოს გოდოლ- სიმაგრეთა შორის.

დრო შეიცვალა, იმძლავრა ქრისტიანობის მტერმა.

ქართველთა სარწმუნოებასა და ეროვნული ვინაობას მიზანმიმართულად ებრძოდა აქ შემოსული მტერი. ამის გამო აქაური ქართველობა იძულებული გახდა დროებით მიკედლებოდა სხვა ეკლესიას, დაემალა თავისი ქართველობა, შედეგად კი მაჰმადიანებმა და მონოფიზიტებმა იმძლავრეს ქვემო ქართლში.

საუკეთესო ვაჟკაცები ბრძოლებში ამოწყდა, სხვები მიზანმიმართულად ამოხოცა გამარჯვებულმა მტერმა, გადარჩენილი მამაკაცები ვეღარ ბედავდნენ ხმის ამოღებას, ამ დროს ისევ ქალებმა შინარჩუნეს ქართველობა და მართლმადიდებლობა, აქაური ქალების - ანაბაჯისა და აქაური მაია მწყნეთელის ქალობა და გმირობა საარაკო იყო თემთა შორის ("მწყნეთი" აქაურ სოფელს ერქვა, წყნეთი კი სხვაგანაა).

უფლის მადლით კვლავ იმძლავრა წინაპართა გენმა და წინაპართა სისხლმა. ხალხმა ისევ გაბედა და აღიარა თავის გულის გულში ღრმად დამარხული წმიდა სარწმუნოება და აი ეს დღეც დადგა, ხალხის მოთხოვნით ავამოქმედეთ ეს წმიდა ეკლესია და დღეს ის ვაკურთხეთ ჩვენი განმამათლებლის წმიდა ნინოს სახელზე.

ეს ეკლესია XIX საუკუნეში აუგია საგინაშვილების სახელოვან გვარს მთელი სოფლის მხარდაჭერით, XIX საუკუნეში ქართულ ეკლესიას დაკარგული ჰქონდა ავტოკეფალია, ამიტომაც ეს ეკლესია რუსი წმინდანის ალექსანდრე სახელზე უკურთხებიათ.

ხალხისთვის ეს სახელი მაინც უცხო იყო, არც დღეობა იდღესასწაულებოდა მის სახელზე. ამიტომაც, თვით ხალხისავე მოთხოვნით, ისევ ხალხის საყვარელი წმინდანის, ხალხის იმედისა და რწმენის მომცემის - წმ. ნინოს სახელზე ვაკურთხეთ ეს წმიდა ეკლესია. დღეიდან ამ ეკლესიის დღესასწაული აღესრულება ყოველი წლის 27 იანვარს, ნინოობა დღეს. კოდის წმიდა ნინოს ეკლესიაში წინამძღვრად დავადგინე შესანიშნავი მოძღვარი მამა აბელ ბუცხრიკიძე, ახალგაზრდა, ენერგიული კაცი, რომელმაც თავი გამოიჩინა თავისი მონდომებით. ის თავის დიაკვნობის დროსაც, მანგლისის ეპარქიაში, მხნედ ასრულებდა თავის ვალს. ამჟამად კი ვაკურთხე მღვდლად, რათა სულიერი ჭრილობები დაუამოს კოდისა და მუხათის მრავალტანჯულ მოსახლეობას. აქაური მოძღვარი უნდა იყოს იყოს ხალხის სულიერი მამა და მლოცველი, იმედი სოფლისა, საყრდენი ყოველი ოჯახისა, ახალგაზრდობის აღმზრდელი და მზრუნველი მამა, რომელიც იზრუნებს რათა თქვენმა უკვდავმა სულებმა სამარადისოდ დაიკავოს ღირსეული ადგილი უფლის წინაშე. კიდევ ერთხელ გილიცავთ ამ ეკლესიის კურთხევას, უფალმა ღმერთმა თქვენც გაკურთხოთ და დაგლოცოთ.

1995. 7.04.

თავი მესამე

2000-იანი წლები

ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხი

(იოანე ლაზი)

XIX-XX საუკუნეებამდე, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის აფხაზეთსა, სვანეთსა და სამეგრელოში, საეკლესიო და სალიტერატურო საჭიროებისათვის მხოლოდ ძველი ქართული ენა გამოიყენებოდა. არც ერთი ადგილობრივი ენაკავი თუ დიალექტი საღვთისმეტყველო მიზნით გამოყენებული არ ყოფილა. ძველი ქართული საეკლესიო ენა, რომელიც, ამავე დროს, საერთო-სახალხო, სალიტერატურო ენას წარმოადგენდა, ხასიათდებოდა ზოგადეროვნული მთლიანობით, მიუხედავად ქვეყნის დაქსაქსვა-დაყოფისა, არ ამჟღავნებდა ტომობრივ-გეოგრაფიულ მიკერძოებას არც ენობრივ-სტილისტურად, არც იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით. ამიტომაც არ არსებობდა აღმოსავლურქართული, სამხრეთქართული და დასავლურქართული ლიტერატურული მიმართულებანი, მთელი ქართული სასულიერო თუ საერო ლიტერატურა (მწერლობა) არსებითად იყო ერთიანქართული, საქართველოს რომელ კუთხეშიც არ უნდა შექმნილიყო ესა თუ ის ნაწარმოები და რომელი ქართული ტომის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო მისი ავტორი. "ეს მოვლენა ლიტერატურის ისტორიაში საყოველთაო ხასიათისა არ არის, ვინაიდან მსოფლიოს ბევრი მოწინავე ლიტერატურის ისტორია ტომობრივ-კუთხური მიმართულებით ვითარდებოდა და ეს მიმართულებანი ღრმა კვალს ტოვებდნენ საერთო-ეროვნული ლიტერატურის განვითარებაზე" (მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო, 1989, გვ. 472).

ისმის კითხვა, რატომ არ წარმოიქმნა ძველ საქართველოში ლიტერატურის კუთხურ-ტომობრივი მიმართულებანი მაშინ, როცა იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა არა ერთიან სახელმწიფოს, არამედ შიდაფეოდალური ომებით მოცულ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ წარმონაქმნებს, უფრო მეტად განაწილებულთ უცხო სახელმწიფოთა შორის (იგულისხმება VI-XVIII საუკუნეები)?

ეს კითხვა ძალზე მნიშვნელოვანია. როგორც ითქვა, მსოფლიოს მაღალგანვითარებულმა მრავალმა ერმა თავი ვერ აარიდა კუთხური ლიტერატურის შექმნას. უნდა გაირკვეს თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში შექმნილი ქართული მწერლობის ძეგლი საერთო - ქართული იყო ენობრივი თვალსაზრისით.

სწორედ ამ საკითხის რკვევას ქრისტიანული არქეოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით შეეხება ჩვენი თემა. წინასწარ კი უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოში ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ზოგადეროვნულობა, ერთადერთობა და ყოვლისმომცველობა გამოწვეული იყო ქართველი ერის ენობრივი მთლიანობით გვიან შუა საუკუნეებამდე (XVI-XVII საუკუნეებამდე). საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის დაშლამდე, ე.ი. XV-XVI საუკუნეებამდე, მართალია არსებობდნენ კუთხური დიალექტები, მაგრამ ისინი ძალზე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, რითაც, საბოლოო ჯამში, ქმნიდნენ ენობრივ მთლიანობას. XVI-XVIII საუკუნეებში კუთხური სახელმწიფოებრივი ერთეულების - ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოების, სხვა სამთავროების წარმოქმნის კვალდაკვალ წარმოქმნა შესაბამისი დიალექტები: ქართლური, კახური, იმერული და სხვა დიალექტები არიან არა უძველეს დროს წარმოქნილნი, არამედ ერთიანი საქართველოს დაშლისა და კუთხური სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების შემდეგ ჩამოყალიბებულნი. ასევე უნდა ვიგულისხმოთ, რომ კუთხური ქართველური ენებიც შედარებით ახალი წარმონაქმნია. იგულისხმება, რომ საერთო-ქართული ფუძე ენის დაშლა

დიალექტურ დონეზე და მისგან ზანურის გამოყოფა მოხდა არა უძველს დროს, ქრისტეშობამდე ათასწლეულებით ადრე, არამედ ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, მაშინ როცა საფუძველი ეყრებოდა ერთიანი ქართული საღვთისმსახურო ენის შექმნას. ამის შესახებ მიუთითებდა ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი. იგი წერდა: "ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი სამწერლობო ენა ჰქონდა და აქვს, რომელიც მეგრელებისა და სვანებისათვისაც ერთადერთი სამწერლობო და კულტურის ენა იყო და არის ეხლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსა და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი" (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 1, 1979, გვ. 154).

მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, ქართული სალიტერატურო ენის შექმნა შემუშავებაში მეგრელებსა და სვანებს თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი. რომელი ხანა იგულისხმება? ცხადია, IV-V საუკუნეები, როდესაც მიმდინარეობდა ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება, წმიდა წერილის თარგმნა-გადმოღება ქართულ ენაზე (საქმე ისაა, რომ VI-VII საუკუნეების შემდეგ ბიზანტიური აგრესიის შედეგად დასავლეთ საქართველოში საღვთისმსახურო საჭიროებისათვის დაინერგა ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა და დასავლეთ საქართველოს ეკლესიებიდან განიდევნა ქართული ენა თითქმის IX-X საუკუნეებამდე. ამიტომაც დასავლელ ქართველებს ქართული სამწერლობო და კულტურის ენის შექმნა-შემუშავებაში თავიანთი წვლილი უნდა შეეტანათ იქამდე ე.ი. VI-VII საუკუნეებამდე. (ივანე ჯავახიშვილი, როგორც აღინიშნა, გულისხმობდა IV-V საუკუნეებს - ქართული საეკლესიო-სალიტერატურო ენის შექმნა-შემუშავების ხანას).

შეეძლო თუ არა მეგრელებსა და სვანებს IV-V საუკუნეებში ქართული სამწერლობო (საეკლესიო) ენის შექმნა-შემუშავებაში მონაწილეობის მიღება? ამ კითხვასაც პასუხი გასცა ივანე ჯავახიშვილმა, მან თავისი კვლევის შედეგად დაამტკიცა, რომ ჯერ - კიდევ წარმართობის დროს, ანუ IV საუკუნემდე გაცილებით ადრე, ყველა ქართული ტომის მიერ, მათ შორის სამეგრელოსა და სვანეთში წარმართული კერპთმსახურება, ანუ წარმართული ლოცვა-რიტუალი ქართულ ენაზე აღესრულებოდა. ივანე ჯავახიშვილი წერდა: "არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართული ტომისათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ რომ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია" (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. 1, 1979, გვ. 156).

ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებამდე ყველა ქართულ ტომს ჰქონდა საერთო სარწმუნოება (წარმართული), საერთო ქართული ენითა და საერთო ტერმინოლოგიით, ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ქრისტიანობის პირველმქადაგებლები საქართველოში ისარგებლებდნენ უკვე არსებული საერთო ქართული საკულტო ენით და მას კიდეც გამოიყენებდნენ.

საეკლესიო ლიტურგიკული ენის საფუძვლების ძიების დროს ჩვენ უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ქრისტიანობის ქადაგების პირველსაუკუნეთა საშუალებანი, რადგანაც არქეოლოგიური მონაპოვრები მიუთითებს, რომ საქართველოში ქრისტიანების რაღაც რაოდენობა უკვე II-III საუკუნეებში ცხოვრობდა. ამის შესახებ წერილობითი წყაროებიც მიუთითებს.

II-III საუკუნეთა ქრისტიანული სამარხები აღმოჩენილია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ერწო-თიანეთიდან საჩხერემდე (თ.ბიბილური, თიხის ფილასამაგრები, გვ. 57, თ. ბიბილური, ქრისტიანობის გავრცელება, გვ. 2). იმავეს ადასტურებს იოანე საბანის ძე, როცა VIII საუკუნეში ქართველებს 500 წლოვან ქრისტიანებად მიიჩნევდა. ეკლესიის ისტორიკოსთა ცნობებს საქართველოში მოციქულთა მიერ ქრისტიანული თემების დაარსებისა და II-III საუკუნეებში მათი ყოფის შესახებ წყაროებიც მიუთითებს. მაგალითად, II საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდნენ ჩვენი ეკლესიის წმიდანები "სუქია და 16 ქართველი მოწამე". თამარაშვილის ცნობით, I საუკუნეში იმპერატორ მაქსიმილიანეს ემსახურებოდნენ ქრისტიანი ქართველი მეომრები, რომელნიც კოლხიდაში გააძევეს. ირინეოსის ცნობით, კოლხიდაში ეპისკოპოსმა პალმოსმა და მისმა მეგობრებმა 70 ეკლესია ააშენეს. არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილია

წმიდა ნინომდელი ეკლესიები სოფ. ნასტაკისსა და სხვაგან. ქართლის ცხოვრების თანახმად, III საუკუნის ქართლის მეფე რევ მართალმა სახელმწიფოში ქრისტიანული სახის რეფორმა გაატარა (მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქული ეკლესიის ისტორია, ახალციხე, 1988, გვ. 447) და სხვა. სამთავროს სამარავანზე III საუკუნის დასაწყისის მდიდრული ახალგაზრდა ქალის სამარხი N25 მიუთითებს, რომ ქრისტიანობა იმ დროისათვის გავრცელებული იყო არა მხოლოდ დაბალ ფენებში, არამედ მაღალ ფენებშიც და იმდენად იყო განმტკიცებული, რომ თვით სახელმწიფოს დედაქალაქში უშიშრად დაკრძალეს ქრიატიანი მდიდარი ქალბატონი მთელი ღირსების დაცვით. ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქრისტიანთა დევნის ფონზე მთელი რომის იმპერიაში.

რომის იმპერიასა და სხვაგან არსებულ ქრისტიანული თემების ცხოვრებას შეეხება უძველესი ძეგლი "სწავლა თორმეტი მოციქულისა" ანუ დიდაქე. იგი ასახავს II-III საუკუნეთა ყოფას, თუმცა თვითონ ამ ძეგლს IV საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ. ეს ძეგლი ჩვენ გამოგვადგება II-III საუკუნეთა საქართველოში ქრისტიანული თემების საეკლესიო ენის საკითხების რკვევისას. "დიდაქეს" ანალიზი აჩვენებს, რომ ქრისტიანულ თემში ჟამით-ჟამად უცხო მხრიდან მოდიოდნენ ხოლმე "მოსიარულე მოციქულები", "წინასწარმეტყველები" და "მოძღვრები". მათ თემში სამ დღეზე მეტი ხნით დარჩენის უფლება არ ჰქონდათ.

„მოციქულები" ქრისტიანული თემის წევრებს ასე არიგებდნენ მომსვლელთა შესახებ: "ვინც თქვენთან მოვა და გასწავლით... მიიღეთ იგი... თუ მოძღვარი თვითონ მიიქცევა სხვა სწავლებისკენ... არ ისმინოთ მისი" (დიდაქე, XI, 1,2).

„მოძღვრის" მოვალეობა იყო ხალხისათვის ესწავლებინა ზეპირი სიტყვით - "სიმართლე და ცოდნა უფალზე", მრევლის მოვალეობა იყო მოესმინა მოძღვრის სიტყვა. აქედან ჩანს, რომ პირველქრისტიანთა შორის მოსული მოძღვრები ზეპირი სიტყვის მეშვეობით, და არა წერილობითი სახით, ქრისტიანებს გადასცემდნენ საქრისტიანო ცოდნას.

ეს განსაკუთრებით ითქმის „წინასწარმეტყველთა" შესახებ, რომელთაც ევალებოდათ ხმამაღალი ქადაგება ცოცხალი სიტყვით. წინასწარმეტყველები "მეტყველებენ", კერძოდ ესაა, "სულის მიერ მეტყველება" (დიდაქე, XI, 8), ამის გარდა იგი "ასწავლის ჭეშმარიტებას", ანდა "ასწავლის იმას, რასაც თავად იქმს" (დიდაქე, XI, 11).

მაშასადამე, სოფლებში მიმსვლელებს - მოძღვრებს თუ წინასწარმეტყველებს ხალხთან უნდა ესაუბრათ და დაერწმუნებინათ ისინი.

რომელი ენით უნდა ექადაგათ საქართველოში ქრისტიან წინასწარმეტყველებს, მოძღვრებსა და მოსიარულე მოციქულებს?

ქრისტიანობის უპირველესი წესის თანახმად, ყოველ ხალხში ადგილობრივი ენით უნდა ექადაგათ მოციქულებს. ეს იყო არა მოციქულთა პირადი სურვილი, არამედ საღმრთო ნება სულიწმიდის მიერ გაცხადებული. ცხადია, II-III საუკუნეებსი საქართველოში მცხოვრებ ქრისტიანთა შორის "მოსიარულე მოციქულებს, მოძღვრებსა და წინასწარმეტყველებს" უნდა ექადაგათ ხალხის ენით. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია საქართველოს კუთხიდან კუთხეში, ხევიდან ხევში მოსიარულე მქადაგებლებს ორ-სამ დღეში შეეთვისებინათ თემის, კუთხის თუ ხევის დიალექტი (ენა), ამიტომაც ცხადია მქადაგებელთა წინაშე საქართველოში თავიდანვე უნდა დასმულიყო საკითხი იმისა, თუ როგორ მოეგვარებინათ ენობრივი პრობლემა ისე, რომ მათი ნათქვამი და ნალოცი სიტყვა ხალხისათვის გასაგები ყოფილიყო, ამიტომაც მათ უნდა გამოეკვლიათ ჰქონდა თუ არა ამ ხალხს საერთო კოინე ენა ანდა საერთო - საღვთისმსახურო ენა, რომელიც ყველას ესმოდა. ასევე მოიქცნენ ისინი ბერძენთა შორისაც, მათ ბერძნულ დიალექტთა შორის უპირატესობა მიანიჭეს საერთო კოინე ენას, გასაგებს ყველა დიალექტის მქონე ბერძენისათვის და ამ ენაზე არა მხოლოდ გადასცეს სიტყვა, არამედ ჩაწერეს კიდეც წმიდა სახარება.

არსებობდა თუ არა ქართული საერთო წმიდა ენა, ანუ ენა, რომლითაც წარმართულ კულტმსახურებას აღასრულებდნენ ქართველები. როგორც ზემოთ ითქვა, ასეთი ენა არსებობდა და სამეგრელოსა და სვანეთშიც კი წარმართული საკულტო ცერემონიალი ძველ ქართულ (ანუ საერთო) ენაზე აღესრულებოდა წმიდა ნინოს შემოსვლამდე დიდი ხნით ადრე, როგორც ეს გამოიკვლია ივანე ჯავახიშვილმა. სწორედ ეს საერთო-საკულტო ქართული ენა უნდა აეღოთ გამოსაყენებლად II-III საუკუნეებში მოსიარულე მოციქულებს, წინასწარმეტყველებსა და მოძღვრებს საქართველოში.

ენათმეცნიერთა მიერ გამორკვეულია, რომ ზოგიერთი ქართული სიტყვის ლინგვისტური ანალიზის თანახმად ქრისტიანული სწავლება ჩვენში ვრცელდებოდა ზეპირი გზით. "უძველესი ბერძნული ნასესხობები ქართულში ისტორიულად უშორეს პერიოდთანაა დაკავშირებული... სიტყვები: - ეკლესია, კერეონი, მონაზონი, გუტერი და სხვა ქრისტიანული ეკლესიის უპირველეს წმინდანთა და ანგელოზთა სახელებთან ერთად ის სიტყვებია, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ზეპირი გზითაა გავრცელებული ჩვენში და რომელთაც შემდეგ ქრისტიანული ლიტერატურის თარგმანებშიც უცვლელად შეინარჩუნეს ზეპირი გავრცელების ზოგიერთი ნიშანი. პირველ რიგში, ეს ითქმის იმ საკუთარ სახელთა მიმართ, რომლებიც ბერძნული წოდებითი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული ქართულში: იესუ ქრისტე, პავლე, დამიანე, და სხვა მრავალი" (ნელი მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, 1978, გვ.58).

"ქრისტეს სახელი "იესუ" "მიმართვის ფორმით, ვოკატივითაა ჩვენში შემოსული (ეს ზეპირი გზით გავრცელებულ ბერძნულ სახელებში გვაქვს), ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემა ვოკატივის ფორმით იმდენად ხშირი იყო ქართულში, რომ საბოლოოდ გაგებული იქნა, როგორც ბერძნულ სახელთა გადმოცემის საერთო წესი" (ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, I, გვ. 22).

"დიდაქეს" ეპოქაში უნდა წარმოჩენილიყო ჩვენში ახალი ქართული საკულტო სიტყვები - "მღვდელი", "ზედაშე", "მარანი". როგორც გარკვეულია სიტყვა "მღდელი" მიღებულია სიტყვიდან - ღაღადი, ხადილი, მ-ელი მაწარმოებლის დართვით (ფუძე "ღდ") მ-ღდ-ელი. პირველქრისტიანთათვის უპირველესი სახე მღაღადებლობისა (მქადაგებლობისა) იყო წინასწარმეტყველი და ნათლისმცემელი იოანე ("ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა"). ამ წინასწარმეტყველის მაგალითის გამავრცელებლები უნდა ყოფილიყვნენ დიდაქეში ნახსენები "წინაწარმეტყველები", რომელთაც 2-3 დღით შეეძლოთ წვეოდნენ პირველქრისტიანებს და ექადაგნათ (ეღაღადათ) მათ შორის და ალბათ მოენათლათ კიდეც ისინი. "ხადილ-ღაღადიდანაა" არა მარტო მღდელი, არამედ ქადაგიც (აქედანაა ქადაგებაც). პირველქრისტიანები თავიანთი ერთად შეკრება-ლოცვების ბოლოს, რომელიც პურის გატეხვითა და ღვინის შესმით მთავრდებოდა, ამბობდნენ სიტყვას "მარანთა" (I კორ, 16, 22, დიდაქე, X, 6), აქედან უნდა იყოს ქართული "მარანი" (ღვინის შესმის ანდა შენახვის ადგილი). პირველქრისტიანებს ევალებოდათ მიერთმიათ მოძღვრისათვის ზედა, საუკეთესო ნაღები ღვინისა თუ ზეთისა "პირველთავი" (დიდაქე, XIII, 6), აქედან უნდა იყოს ქართული "ზედაშე" (მისი საპირისპიროა - "ქვედაშე", რაც ქვევრის ფსკერზე ანდა ქვაბის ფსკერზე ნალექს ეწოდება). ამ სიტყვების არსებობაც ადასტურებს ჩვენში ქრისტიანობის ზეპირი გზით გავრცელებას ჯერ კიდევ წმიდა ნინომდე და ქართული ლიტერატურის წარმოშობამდე.

IV საუკუნემდე ქართლში ქრისტიანული თემების არსებობის შესახებ მიუთითებდა ს. ჯანაშია. მისი აზრით, ქართლში (უპირატესად ქალაქებში) უნდა არსებულიყო წვრილი ქრისტიანული თემური ურთიერთობანი, ისევე, როგორც რომის პროვინციებში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად ქცევამდის (ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 213). პ. ინგოროყვა, გ. გოზალიშვილი და სხვა მეცნიერები ამ აზრს იზიარებენ. ა. ბოხოჩაძემ ეს მოსაზრება დაადასტურა არქეოლოგიური მონაცემებით (А. Бохочадзе. Результаты. с. 8; ა. ბოგვერაძე, განვითარება, გვ. 13 - 14).

სამარხულ ძეგლებთან დაკავირვებით თ. ბიბილური წერს, რომ არქეოლოგიური და ნარატიული წყაროები სრულ თანხმობაში არიან, რადგანაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (დიდი მცხეთა, ერწო, ახალი ჟინვალი, არაგვისპირი, ურბნისი, ზღუდერი, მოდნახე) აღმოჩნდა II-III საუკუნეთა ქრისტიანული სამარხები.

ფილოლოგიური კვლევის შედეგად თ. მგალობლიშვილის დასკვნით, IV საუკუნემდე ქართლში გავრცელებული იყო ე.წ. ძველი ნაკადი ქრისტიანობისა (გულისხმობს იუდაურ ქრისტიანობას), რომელიც წმიდა ნინოს დროს და შემდეგ შეიცვალა ე.წ. ახალი ნაკადით ანუ "ელინისტური ქრისტიანობით" (კლარჯული მრავალთავი. თ. მგალობლიშვილის გამოცემა, 1991, გვ.171), მისი აზრით, "ქართლში ოფიციალურად ქრისტიანობის ელინისტური ნაკადი იქნა აღიარებული. ბუნებრივია, დროთა განმავლობაში ქრისტინობის ეს ახალი ნაკადი სრულიად დევნის უკვე მოძველებულ იუდეურ-ქრისტიანულ ტრადიციას, თუმცა "მოქცევაისა" და "მეფეთა ცხოვრებაში" მაინც შეინიშნება ამ უძველესი ტრადიციის ნაშთი (იქვე, გვ.171).

თ. მგალობლიშვილის აზრით მახლობელ ქვეყნებშიც, მაგალითად, ედესაში (ოსროენაში) იუდეველ-ქრისტიანთა მეფემ უპირატესობა მაინც ქრისტიანობის ახალ, ელინისტურ ნაკადს მიანიჭა და მის საფუძველზე აღიარა თავის სახელმწიფოში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად (იქვე, გვ.173). ედესის პირველ ეპისკოპოსად მიჩნეულ იქნა პალუთი (სერაპიონ ანტიოქიელის მიერ თითქოსდა ხელდასხმული), თუმცა ეს იყო მხოლოდ ბერძნული ტრადიციის აღიარების ფაქტი და არა ისტორიული სინამდვილე (იქვე, გვ.173).

ქართლში, თ. მგალობლიშვილის აზრით, II-III საუკუნეებში არსებულ იუდეურ-ქრისტიანი ნაკადი შეიცვალა მეფე მირიანის დროს ახალი, ელინისტურით, მთელი მისი შედეგებით.

ჩვენამდე მოღწეული წმიდა ნინოს და პეტრე იბერის ცხოვრებიდან ჩანს, რომ ახალი ელინისტური ნაკადი ძველი იუდაურისაგან ძირითადად იმით განსხვავდებოდა, რომ მონაზვნური სულისკვეთების შემომტანი და დამნერგავი იყო, კერძოდ ახასიათებდა "ასკეტიზმი და ნაზარეველობა".

მართალია, სახარების მცნების (მათე 19, 21, I კორ. 7, 32-35) შესაბამისად, ზოგიერთი ქრისტიანი ქალწულობის აღთქმას I საუკუნეებიდანვე დებდა, მაგრამ მას III საუკუნიდან უფრო მასობრივი სახე მიუღია. ქალწულები და მონაზვნები (მარტო მყოფელი, განდეგილები) უკვე უდაბნოში გადიოდნენ. ანტონ დიდი (251-354) პირველი შეუდგა თავის გარშემო მეუდაბნოე განდეგილთა შეკრებას. პახომი დიდმა (282-346) ორგანიზაციული სახე მისცა განდეგილთა თემს, დააარსა პირველი ქალთა მონასტერი, მაგრამ სირიელი აფრაატის ცნობით განდეგილ ქალწულთა (ქალთა და კაცთა) ძმური კავშირები იქამდეც არსებობდა. წმიდა ნინო ეკუთვნოდა მსგავს თემს, კერძოდ, ქალწულთა კავშირს, რომელშიც 52 წევრი იყო, მას მემატიანე მონასტერს უწოდებს და წერს: "მოიხსენეს მათ უბიწო იგი აღთქმა და ღირსი ქებისა მარტოებით ცხოვრება, რომელსა იგი იყვნეს განსწავლულ... ერთობით განზრახვითა დაუტევეს ქვეყანა და ფარულად ორმოცდათორმეტმან სულმან" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ. 82). წმიდა ნინოს მამა, განდეგილი იყო "და წარვიდა წიაღ იორდანესა, კაცთა მათ თანა ველურთა" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ. 77), ქონება გლახაკებს დაურიგა. დედაც ოჯახს განშორდა და დადგა "მსახურად გლახაკთა დედათა და უძლურთა" (იქვე, გვ. 77). წმიდა ნინოც ბავშვობიდანვე სხვებს ემსახურებოდა "მსახურებდა ნიაფორსა" (იქვე, გვ. 77). რომში მან "იპოვა რიფსიმე და დედამძუძე მისი გაიანე მონასტერსა შინა ქალწულთასა". საქართველოში შემოსვლის შემდეგ ქრისტიანულ მიმართულებას წმიდა ნინომ ასკეტური სულისკვეთება მიანიჭა. ეს კარგად ჩანს IV საუკუნის II ნახევრის ქართლის ცხოვრების აღწერიდან. მაგალითად, პეტრე იბერის პაპა, ბაკურ დიდი და მისი მეუღლე დუხტია თავიანთი მეფობის დროს მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდნენ. რამდენიმე შვილის გაჩენის შემდეგ ერთმანეთში დადეს აღთქმა ხორციელი კავშირის უარყოფისა (გეორგიკა, II, 1965, გვ.250). ზედმიწევნით მლოცველი და მმარხველი მეფე ბაკური თავის ხელით აჭმევდა გლახაკებს ღარიბთა თავშესაფარში. დედოფალმა გაყიდა ოქროს ნივთები და ღარიბებს დაურიგა. პეტრეს მამის

(ბუზმარიოსის) თანამედროვე არსილიოსი ქალწულობის აღთქმის დაცვას ცდილობდა (გეორგიკა, II, გვ.251). პეტრეს აღმზრდელი "მუძო" ისეთი წმიდა იყო, რომ ღამით დგებოდა და უცხოური წყაროს თანახმად ქართულად ლოცულობდა და ტიროდა ისე, რომ ნეტარ პეტრეს ცრემლებით ასველებდა". პეტრეს დედა დაქვრივების შემდეგ ქალაქიდან გავიდა, სოფლად ცხოვრობდა ასკეტურად, აგებდა უცხოთა თავშესაფრებს, საავადმყოფოებს, ჩაიცვა "მონაზონის კაბა" (გეორგიკა, II, გვ. 251).

ვ. გოილაძის თანახმად პეტრე იბერი განეკუთვნებოდა ქართლის სამეფო დინასტიის ე.წ. რევიანთა შტოს, რომელსაც სათავე დაუდო მეფე მირიანის ძე რევმა, მისი მეორე ძის ბაქარის შთამომავლებმა (ბაქარიანებმა) ასევე თავის ხელში აიღეს სამეფო ხელისუფლება (ვ. გოილაძე, ფარნავაზთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, 1990, გვ.159). იმის შემდეგ რაც ქართლი 369 წელს ორად გაიყვეს ირანმა და ბიზანტიამ ერთმანეთს შორის, რევიანები მართავდნენ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ ქართულ ქვეყნებს, მათ შორის თავიანთ ხელდებულად მიიჩნევდნენ კლარჯეთსა და ეგრისს, ხოლო ბაქარიანები მტკვრის მარცხენა მხრის ქვეყნებს. ბაქარიანების სატახტო იყო მცხეთა, ხოლო რევიანებისა არმაზი. არმაზთან ერთად რევიანთა სამეფოს ცენტრი უნდა ყოფილიყო ბოლნისიც, სადაც რევიანმა მეფეებმა ააშენეს ერთ-ერთი უდიდესი ტაძარი თავისი დროისათვის. მაშასადამე, პეტრეს პაპა ბაკურ დიდი, მამა ბუზმარიოსი, დედა ბაკურდუხტი და სხვანი ცხოვრობდნენ ბოლნისში ანდა ბოლნისთან, იმ მიწაზე, რომელსაც ამჟამად ქვემო ქართლი ეწოდება, სადაც იყო მათი სამეფოს ცენტრი.

ქართული საეკლესიო ლიტურგიკული ენის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ეს მომენტი იმით არის საინტერესო, რომ არმაზი ჯერ კიდევ წარმართობის დროს წარმოადგენდა, როგორც ფიქრობენ, ქართული წარმართული საისტორიო ლიტერატურის შექმნის კერას, ხოლო ბოლნისში IV საუკუნის ბოლოს აიგო ტაძარი V საუკუნის დასაწყისის პირველი ქართული წარწერებით. ვ. გოილაძის მტკიცებით, "ძველი ქართული წყაროების მონაცემებიდან გამომდინარე ბოლნისის სიონის შეკაზმვა, აღდგენა ქართლის მთავარეპისკოპოსის ელიას (383-397) თრდატ რევის ძის (383-395), ფარსმანის (395-397) და ბაკურის (396-416) ზეობაში ხდება" (იქვე, გვ.126). ამ დროინდელია მისი წარწერებიც, მაშასადამე პირველნი აქამდე ცნობილთა შორის.

ეს ტაძარი, როგორც მიიჩნეოდა, აგებული იყო V საუკუნის ბოლოს, მაგრამ არის სხვა მოსაზრებანიც. როგორც აღინიშნა, "უახლოეს სამეცნიერო ლიტერატურაში "ფრიად სარწმუნო ბაკური" (როგორც მას უწოდებენ გელასი კესარიელი და რუფინუსი), იდენტიფიცირებულია ქართლის მოქცევის ქრონიკებში დასახელებულ ბაკურ თრდატის ძესთან და მართებულად არის გაიგივებული ფილოსოფოს ბაკურთან, რომელიც იბერიის მეფე იყო 403-416 წლებში, თუ ბოლნისის სიონი მართლაც თხუთმეტი წელი შენდებოდა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდით ბაკურს 14 წლის განმავლობაში შეეძლო ეშენებინა ეს ეკლესია, ხოლო ფარსმანს მისი ორწლიანი ზეობის დროს შეეძლო დაესრულებინა ეს ტაძარი. ამგვარად "ფრიად სარწმუნო ბაკური" არა მხოლოდ ბოლნისის ეკლესიის მაშენებლად შეგვეძლო მიგვეჩნია, არამედ პირველი ქრისტიანული ეროვნული იკონოგრაფიის პროგრამის მესაძირკვლედაც" (გ. აბრამიშვილი, "ფრიად სარწმუნო ბაკური" ქრისტიანული არქეოლოგიის მესამე სამეცნიერო კონფერენცია, 1999, გვ. 10).

როგორც აღინიშნა, წმიდა ნინოს შემოსვლის შემდეგ, ჩანს, საქართველოში გაიმარჯვა ქრისტიანობის ახალმა ელინისტურმა ნაკადმა, რომელიც არა მხოლოდ მონაზვნური სულისკვეთებით გამოირჩეოდა, არამედ ღვთისმსახურების საგანგებო წესების შემოღებითაც. ახლა უკვე ღვთისმსახურებისას წიგნების გამოყენება აუცილებელი იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ბერძნულენოვანი საღმრთო წიგნები გამოიყენებოდა, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ამ დროისათვის, ქართულად თითქმის უკვე ჩამოყალიბებული იყო შესაბამისი საეკლესიო ზეპირი ტერმინოლოგია, ამიტომაც ბერძნული ტექსტის წაკითხვის შემდეგ საგანგებო მთარგმნელი მას ქართულ ენაზე თარგმნიდა. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ ენაზე ლოცვები იმ

დროისათვის უკვე არსებობდა, ამის შემდეგ გვაქვს წყაროს პირდაპირი მითითება. პეტრე იბერის გამზრდელი "ძუძო" (შეადარე - "დედამძუძე", "ძიძა") იოანე რუფუსის სიტყვით, ქართულად ლოცულობდა შემდეგი სიტყვებით: "უფალო იესო, ღმერთო ჩემო, ჩემი სიცოცხლის შემქმნელო, შემიბრალე მე" (გეორგიკა, II, გვ.251) V საუკუნის 10-ინ წლებში.

როგორც ითქვა, რევიანთა ქართლის სამეფო, რომელიც მიიჩნეოდა არმაზის ძველი კულტურულ-ისტორიული ტრადიციის მემკვიდრედ, ტერიტორიული სიახლოვის გამო ხშირად სომხეთის გავლენის სფეროში ექცეოდა. ირანისა და რომის 377 წლის შეთანხმებით სომხეთის დიდ ნაწილში დამყარდა ირანელთა ხელისუფლება, ხოლო 387 წელს მოხდა სომხეთის გაყოფა ამ ორ იმპერიას შორის. ამ დროს რევიანთა სამეფო, ანუ ქვემო ქართლი ირანის გავლენის სფეროში მოექცა. სომხეთში ირანი კრძალავდა ღვთისმსახურების დროს ბერძნულენოვანი წიგნების გამოყენებას. მოვსეს ხორენაცის ცნობით, ირანელთა ხელისუფალი "რა წიგნებსაც კი წააწყდებოდა, წვავდა. ბრძანა რომ ესწავლათ სპარსული და არა ბერძნული წერა-კითხვა, არავის ჰქონდა უფლება ელაპარაკა ბერძნულად, ანდა ეთარგმნა ამ ენიდან" (მ. ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.206).

ამ მიზეზის გამო, სომხეთში ღვთისმსახურები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგანაც ტრადიციულად ღვთისმსახურების დროს წიგნის მკითხველები ჯერ ბერძნულ ენაზე კითხულობდნენ წიგნებიდან ტექსტებს, იქვე მყოფი მთარგმნელები კი თარგმნიდნენ სომხურ ენაზე, რომელსაც ისმენდა ხალხი (იქვე, გვ. 216). IV საუკუნის ბოლოსათვის ირანის ხელისუფლების მიერ სომხეთში მოისპო ბერძნული წიგნები, წიგნების უქონლობის გამო სომხური ეკლესიის მეთაური საჰაკ დიდი იყენებდა ასურულ წიგნებს. ხორენაცი განმარტავს: "საქმე ისაა, რომ მეჰრუჟანმა დაწვა ბერძნული წიგნები მთელს ჩვენს ქვეყანაში. ამასთანავე, სომხეთის დანაწილებისას სპარსთა წილ სომხეთში სპარსელი მოხელეები არავის რთავდნენ ბერძნული მწიგნობრობის შეთვისების ნებას", ხელისუფლებამ მოითხოვა, რომ საღვთისმსახურო საჭიროებისათვის სომხებს თვითონვე შეექმნათ სომხური ანბანი, ანდა ბერძნულის ნაცვლად გამოეყენებინათ ასურული მწიგნობრობა. ასეთი იძულების გამო სომხებმა დაიწყეს ფიქრი და მზრუნველობა სომხური ანბანის შესაქმნელად, რომლითაც დაწერილი წიგნები დაიჭერდა ბერძნულის ადგილს.

ირანელები თავიანთ ხელდებულ რევიანთა ქართლის სამეფოშიც მსგავსადვე უნდა მოქცეულიყვნენ. ხორენაცის სიტყვით სომხური ანბანის შექმნის საკითხებზე ზრუნავდა "საჰაკ დიდთან შეკრებილი ყველა ეპისკოპოსი" (იქვე, გვ.222), ასევე ქართული ანბანის რესტავრაციას თუ შექმნა-შემუშავებას ხორენაცის სიტყვით ხელს უწყობდა "ქართლის მეფე ბაკური და მოსე ეპისკოპოსი" (იქვე, გვ.224). აგრეთვე ვინმე ჯალა და მეფის კარზე ქართული პროვინციებიდან (ხორძენედან და ტარონიდან) ჩამოსული სასულიერო პირები.

როგორც ცნობილია, მესროპ მაშტოცმა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები მოიარა სომხური ანბანის ძიების ჟამს, ასევე იქცეოდნენ სხვა მაძიებლებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოშიც მსგავს მომენტს ჰქონდა ადგილი. ქართველებს ან საკუთარი ანბანი უნდა შეექმნათ, ანდა გამოეყენებინათ საეკლესიო საჭიროებისათვის სხვა უკვე არსებული მწიგნობრობა, ბერძნულის სანაცვლოდ, რომელიც აკმაყოფილებდა. ასეთ დროს საფიქრებელია, ქართველებს მოეძებნათ ის ანბანი, რომელსაც მათი წინაპრები იქამდეც იყენებდნენ, კერძოდ, არმაზში და სხვა ქალაქებში იყენებდნენ ე.წ. "არმაზულ დამწერლობას". ქრისტეშობის შემდეგ საუკუნეებში "არმაზული ანბანით" შესრულებული მრავალრიცხოვანი წარწერა არის აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად. თავის მხრივ, როგორც ცნობილია, არმაზული დამწერლობა არის არამეული დამწერლობის თავისებური სახეობა. მესროპ მაშტოცის ეპოქაში ეროვნული ანბანის ქრისტიანული საჭიროებისათვის ძიებისას ქართველები უპირველესად იფიქრებდნენ არმაზული ანბანის გამოყენების შესახებ. ამ ახალი საჭიროებისათვის მათ, ცხადია, უნდა მოეძებნათ არმაზული დამწერლობის პირველსახე, ანუ ის ანბანი, რომელიც არმაზული ანბანის თავდაპირველ, ამოსავალ სახედ მიიჩნეოდა.

დადგენილია, რომ როგორც ითქვა, არმაზული ანბანი არამეული დამწერლობიდანაა წარმომდგარი. IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში ქართველთა მიზანი იქნებოდა მოეძებნათ არამეული დამწერლობის "სწორი", მათი აზრით, "თავდაპირველი" სახეობა. ასეთი უნდა ყოფილიყო ძველი სემიტური წერის არამეული განშტოების ე.წ. "ქილამუვას" და "მარრებუქის" სახეობები (მათგან იქნა მიღებული შემდგომ "არმაზული" დამწერლობაც, თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, 1989, გვ. 38). საერთოდ, შეიძლება ითქვას, ესაა საშუალო ფინიკიური დამწერლობა, რომლიდანაც იქნა მიღებული როგორც ბერძნული, ისე ქანაანური დამწერლობანი. ქართულ ასომთავრულსაც რ. პატარიძე და სხვა ქართველი მკვლევარები მიიჩნევენ მათგან მიღებულად. ასე, რომ "არმაზულ დამწერლობასა" და ასომთავრულ ანბანს ერთი წყარო გააჩნიათ: სემიტურ-ფინიკიურ-არამეული. როგორც აღინიშნა, ბერძნული წიგნის, ანბანისა და ენის გამოყენება განსახილველ პერიოდში აკრძალული იყო ირანის ხელისუფალთა მიერ, ამიტომაც ქართველებს, ბერძნულის ნაცვლად, უნდა გამოეძებნათ სხვა ანბანი საღვთისმსახურო საჭიროებისათვის, ასეთად კი უნდა მიეჩნიათ ეროვნული იმჟამად უკვე არსებული "არმაზული დამწერლობის" თავდაპირველი სახეობა, რომელიც, როგორც ჩანს, ქართველთათვის ქრისტეშობამდე მრავალი ასწლეულით ადრე იყო ცნობილი. ქართული ანბანის პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა ქართული ანბანის შექმნა ძვ.წ. VII საუკუნეში ივარაუდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ.236).

პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ ქართული ანბანი უნდა ჩამოყალიბებულიყო ძვ. წ. IX - VIII საუკუნეებში, როცა ქართველი ხალხის ერთი ნაწილი, თობალები და მესხები, მცირე აზიის ტერიტორიაზე მკვიდრდებოდა (პ. ინგოროყვა, თხზ. ტ. IV, 1978, გვ. 248). რ. პატარიძის აზრით, ქართული ანბანი ძვ. წ. V საუკუნეში ჩამოყალიბდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს იყო არა ასომთავრული ანბანი, არამედ ზემოაღნიშნული სემიტურ-ფინიკიური ანბანი. ასეთი დაშვება თ. გამყრელიძეს შესაძლებლად მიაჩნია, ოღონდ ქართული ანბანის ე. წ. "დანართი" ნაწილის მიმართ (იგულისხმება საკუთრივ ქართულისათვის დამახასიათებელ ბგერათა ასო ნიშნები, თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ.177). მან ამ მხრივ ყურადღება მიაქცია ქართულ ასომთავრულის "წილ" ასონიშანს, რომლის პროტოტიპად სემიტური (არამეული) შესაბამისი ასო, კერძოდ არმაზული არამეულის ერთ-ერთი ასონიშნის ფორმა მიიჩნია. მისი მოსაზრებით, ეს ფორმა არსებითად ემთხვევა "წილ" ასოს მოხაზულობას ქართულ ნუსხა-ხუცურ დამწერლობაში (იქვე, გვ.178). ასევე აღსანიშნავია ის, რომ ქართული ასომთავრულის პირველი ნიშანი "ან"-ის გრაფიკული პროტოტიპი შესაძლებელია იყოს სემიტურ-ფინიკიური "ალეფი" (მთლიანად მსგავსი არქაული ბერძნულის ალფა ნიშნისა), რომელსაც ქართულში მიუწერეს დამატებითი ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც ძირითად გრაფიკულ ელემენტს - ნახევარწრეხაზს, ზემოდან ერთვის, ქართული ბან-ის არქაული გრაფიკული სახეობა თითქმის მთლიანად მსგავსია შესაბამისი სემიტურის "ბეტ" ნიშნისა და უფრო ნაკლებ ჰგავს არქაული ბერძნულის "ბეტას". ასევეა "განი", "დონი" და სხვა ასო ნიშნები, რაც კარგად აღწერა რ. პატარიძემ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, რომ IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში საქართველოში მეფეების ბაკურისა და ფარსმანის დროს მოხდა ბერძნული ანბანის მიხედვით ძველი ქართული (სემიტურ-ფინიკიურიდან წარმომავალი) დამწერლობის რეფორმა. ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას იძლევა ის, რომ ამ დრომდე საქართველოში ნამდვილად არსებობდა და გამოიყენებოდა ადგილობრივი ე. წ. "არმაზული დამწერლობა", რომლის შესახებაც, ცხადია, ცოდნა უნდა ჰქონოდა "არმაზული ქართლის", ანუ "რევიანთა ქართლის" სამეფო დინასტიის მესვეურებს, რომელნიც ამავე დროს ცნობილი და სახელგანთქმული პირები იყვნენ მთელ ბერძნულ სამყაროში, ვითარცა ბერძნული ენისა და ფილოსოფიის საუკეთესო მცოდნენი.

ქართული საეკლესიო-ლიტურგიკული ენის ჩამოყალიბების თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ "რევიანთა ქართლის" თავდაპირველ დედაქალაქში - არმაზში სპეციალისტების

დასკვნით იქმნებოდა წარმართული ხანის ქართული საისტორიო ძეგლები, კერძოდ "მოქცევაი ქართლისაში" (უძველეს საისტორიო ძეგლში) ე. წ. ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია "უცილობლად ავთენტურობის ბეჭედს ატარებს". ამ წყაროს "ისტორიული ტექსტი, რომელიც ეხება ანტიკურ ხანას... მომდინარეობს წარმართული ხანის ძეგლებიდან" (პ. ინგოროყვა, თხ. ტ. IV, გვ. 254,255). პ. ინგოროყვას ეთანხმება გ. მელიქიშვილი, ივ. ლოლიშვილი და სხვანი. წარმართული მწერლობის მთელი რიგი ფრაგმენტები და ნაწყვეტები შემონახულია ქართულ საისტორიო თხზულებებში. რ. ბარამიძის აზრით, "ქართლის ცხოვრებაში" გვხვდება წარმართული ხანის საუკუნეებში შექმნილი მთლიანი ნაწარმოებები დასრულებული სახით. ვ. გოილაძის აზრით, ქართული წარმართული მწერლობის არსებობა უეჭველია, მისი აზრით ქართლის წარმართი მემატიანეები მომხდარ ამბებს იწერდნენ ქართულ ენაზე. ს. კაკაბაძის აზრით, ეს ხდებოდა არამეული ენის საშუალებით, ე.ი. იქმნებოდა ქართლის ისტორიის არამეული წყაროები. ეს წყარო ჰქონდა ხელთ IV საუკუნეში გრიგოლ დიაკონს, რომელმაც "მოქცევაი ქართლისაის" ბერძნული ტექსტი შეადგინა. თ. გამყრელიძის აზრით მემატიანის ცნობა ფარნავაზ მეფის მიერ ქართული მწიგნობრობის შექმნის შესახებ შეიძლება ნიშნავდეს ამ დროს ქართულის წერილობითი ხმარების შემოღებას "ჰეტეროგრაფიის" სახით, ე. ი. რომელიმე გავრცელებულ უცხოურ ენაზე, მაგალითად არამეულად შედგენილი ტექსტის წაკითხვით ადგილობრივი ენის საფუძველზე (თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა", გვ. 198). ასეთი ხერხიც კი გულისხმობს ქართული სალიტერატურო (თუმცა კი ზეპირი) ენის ჩამოყალიბებას წარმართულ ხანაში, ე. ი. IV საუკუნემდე გაცილებით ადრე, რაც ცხადია საფუძვლად უნდა დადებოდა შემდგომში ქართული საეკლესიო ლიტურგიკული ენისა და საერთოდ ქრისტიანული ლიტერატურის ჩამოყალიბებას.

როგორც მიღებულია, მესროპ მაშტოცმა სომხური ანბანი შექმნა დაახლოებით 405-406 წლებში. თითქმის ამავე წლებში სომხურ წყაროთა ცნობით შეიქმნა ქართული ანბანიც. როგორც იმჟამინდელი საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, ქართული უძველესი სემიტურ-ფინიკიური წარმომავლობის დამწერლობის რეფორმა ბერძნული ანბანის გავლენით ამ ეპოქაში უნდა მომხდარიყო მეფე ბაკურის დროს (როგორც ამას სომხური წყაროებიც მიუთითებს), კერძოდ V საუკუნის ავტორი კორიუნი (Ш. В. Смбатяна; К. А. Мелик-Оганджаняна, "Жития Маштоца", 1962, თავი 15; გვ. 100-101) და ხორენაცი (მ. ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.231).

ამავე წლების შესახებ მიუთითებს პეტრე იბერის ცხოვრებაც. მისი ბიოგრაფის ზაქარიას ცნობით, რომელიც ქართლიდანვე გაჰყოლია უცხოეთში მონაზვნად წასულ პეტრეს, პატარა მურვანიოსი საქართველოშივე სამი წლის ასაკიდან "მისცეს სამწიგნობრედ და დაისწავა მან ყოველივე სწავლაი და გულისხმის ყოფით აღმოიკითხვნ წმიდათა წერილთა და იწურთინ მარად დღე და ღამე" (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ.217). მურვანიოსი დაბადებულა დაახლოებით 411 წელს, მისი სამი წლის ასაკში ე.ი. 414-415 წლისათვის ქართულად უკვე არსებობდა წმიდა წერილის თარგმანები, ამას მიუთითებს ის, რომ მისი ბიოგრაფები, რომელნიც კარგად იცნობდნენ მისი სიყმაწვილის გარემოს, წერენ: პეტრე იბერმა ბერძნული და ასურული ენები შეისწავლა უცხოეთში, და ეს ენები მან ქართლში არ იცოდა, კერძოდ, პეტრემ 12 წლის ასაკში კონსტანტინოპოლში "დაისწავლა ენაი ბერძნული და სწავლაი" (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 224), ხოლო იერუსალიმში გამგზავრების შემდეგ იქ "ისწავა ენაი და სწავლაი ასურებრივი" (იქვე, გვ. 224). ე.ი. ასურული ენა. მაშასადამე, პატარა პეტრეს ქართლში 3 წლის ასაკიდან ასწავლიდნენ ქართულ მწიგნობრობას, კერძოდ კი წმიდა წერილს. სწორედ მას სწავლობდა პატარა პეტრე "დღე და ღამ" 9 წლის მანძილზე (3 წლის ასაკიდან 12 წლამდე) 414-420 წლამდე. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ პალესტინაში ბეთლემის მახლობლად პეტრე იბერის მიერ აშენებულ მონასტრებში (ივარაუდება 433 წლის ახლო ხანებში) აღმოჩნდა ასომთავრული წარწერები, სადაც იხსენიებიან პეტრე და მისი წინაპრები, მათ შორის მეფე ბაკური (პეტრეს პაპა დედის მხრივ). მკვლევარების დასკვნით იმ მცირე ენობრივი

მასალის მიხედვითაც, რომელიც წარწერებშია წარმოდგენილი, აშკარად ჩანს, რომ უკვე ამ დროს (V ს. პირველ ნახევარში) სალიტერატურო ქართული ენა მტკიცედ იყო ჩამოყალიბებული. ამავე ხანას განეკუთვნება პეტრე იბერის პაპის ძმის მეფე არჩილის მიერ დასმული ქართლის ეპისკოპოსის მობიდანის შესახებ დაცული ცნობა, რომ იგი "ფარულად წერდა წიგნებსა საცთურისასა, რომელ შემდგომად მისსა დაწვა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ". მობიდანი, რასაკვირველია, წერდა ქართულად, ვინაიდან მისი მიზანი იყო გაევრცელებინა მაცდური მოძღვრება თავის სამწყსოში - ქართველთა შორის. იმ ცნობის თანახმად, V საუკუნის I მესამედში ქართულ ენაზე იწერებოდა "წიგნები". ამავე ეპოქას განეკუთვნება ცნობა არჩილ მეფის (422-432) შვილის მირდატის მეუღლისათვის წმიდა სახარების თარგმანის შესახებ (იგი ქართველი არ იყო) - "საგდუხტ დედოფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი რამეთუ ქმარმან მისმან მოჰგვარა კაცნი სჯულისა მეცნიერნი და უთარგმნეს სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი". ცნობაში ხმარებული სიტყვა "უთარგმნეს", ბუნებრივია, ისე უნდა გავიგოთ, რომ თარგმნეს ან ქართულად, ან ქართულიდან (უფრო ბუნებრივია ქართულიდან უთარგმნეს, ანუ განუმარტეს).

ქართლში IV საუკუნეში გამარჯვებული ქრისტიანობის ელინისტური მიმართულება გულისხმობდა ასკეტურ მონაზვნურ მოშურნეობას შეკავშირებულს მწიგნობრობასთან. კერძოდ, პეტრე იბერი თავის მოწაფეებს ასე მოძღვრავდა - როგორც ურწყავი ბაღი გახმება და უნაყოფო იქნება, "ეგრეთვე გონება მონაზონისა უნაყოფო იქნების თვინიერ წიგნის კითხვისა და სმენისა სწავლათა სულიერთა" (ძველი ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლ., II, 1967, გვ. 255). უნდა ვიგულისხმოთ, რომ IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში ქართლში სამეფო კარისა და ეკლესიის იერარქთა მეთაურობით გაჩაღებული იყო ყოვლისმომცველი მთარგმნელობითი მუშაობა, რომელსაც ერთოდა საკუთრივ ქრისტიანული დამწერლობის შექმნა-ძიება. ქრისტიანული მწიგნობრობის დაფუძნების ამ ეპოქაში მოღვაწეობდნენ წმიდა წერილის პირველი მთარგმნელები. ძირითადად პეტრე იბერის ოჯახის კარზე, პირველ მთარგმნელებს თავიანთი მოღვაწეობის საყრდენად უნდა ჰქონოდათ ადგილობრივი ლიტერატურული მემკვიდრეობა. კერძოდ, აღნიშნულ სამეფო დინასტიას იქამდე უკვე გააჩდა საკუთარი საისტორიო მატიანე - "მოქცევაი ქართლისაი", რომელიც ვ. გოილაძის თანახმად არის რევიან მეფეთა ისტორია, შედგენილი IV-V საუკუნეებში. რევიანი მეფეები იყვნენ მემკვიდრენი იმ მიწა-წყლისა, რომელიც "საპიტიახშოდ" იწოდებოდა, მის დედაქალაქ არმაზში. როგორც აღინიშნა, პ. ინგოროყვას თანახმად "ჟამით-ჟამად" იწერებოდა ქართლის ანტიკურ მეფეთა" ქრონიკები, ე.ი. ქვემო ქართლში წარმართობის დროს და ქრისტიანობის გამარჯვების პირველ საუკუნეში იწერებოდა ქართლის ისტორიის ერთ-ერთი ვარიანტი. ეს იყო ის ლიტერატურული მიღწევა, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა V საუკუნის დასაწყისში (ან IV საუკუნის ბოლოს) ქრისტიანული მწიგნობრობის ჩამოყალიბებასა და წმიდა წერილის თარგმანის საქმეს. ეს ლიტერატურული საფუძველი არ იყო ადგილობრივი მნიშვნელობისა, არამედ წარმოადგენდა ზოგადქართულს, რადგანაც განეკუთვნებოდა იმ ეპოქას, როცა ფუძექართული ენის დაშლის პროცესი ახალი დაწყებული იყო, ამიტომაც კუთხური ენები და მითუმეტეს დიალექტები ძალზე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან და ფუძე ქართულ ენასთან. როგორც აღინიშნა, არმაზული ლიტერატურული საფუძვლები იქმნებოდა ანტიკურ ეპოქაში, ამავე ხანაში იწყებოდა ფუძექართული ენის დიალექტურ დონეზე დანაწევრება, ამიტომაც, როგორც აღინიშნა, წარმართობის დროს ყველა ქართულ ტომში, მათ შორის, სამეგრელოსა და სვანეთში საკერპთმსახურო ენა ანუ ლოცვა-რიტუალი ქართულ ენაზე აღესრულებოდა, არსებობდა "საერთო წარმართობა" მათ შორის მეგრელთა და სვანთათვის საერთო ქართული ენითა და საერთო ტერმინოლოგიით (ივ. ჯავახიშვილი, თხზ. I, გვ. 156).

IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში რევიან მეფეთა კარზე გაჩაღებულ ქრისტიანული სამწერლობო და კულტურის ენის შექმნა-შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლებსაც, რადგან ივ. ჯავახიშვილის სიტყვით "მის შექმნა-შემუშავებაში მეგრელებსა და სვანებს თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი". ამის პიროვნულ

გამოხატულებად ჩვენ უნდა მივიჩნიოთ პატარა პეტრე იბერის (მურვანოსის) აღმზრდელად დასავლეთ საქართველოდან იოანე ლაზის მოწვევა. იოანე ლაზი პატარა პეტრეს "დღე და ღამ" 3 წლის ასაკიდან ვიდრე 12 წლის ასაკამდე ზრდიდა და მწიგნობრობას ასწავლიდა, როგორც აღნიშნული იყო ქართულ ენაზე. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი აქტიურად მონაწილეობდა იმ დიდ შემოქმედებით მუშაობაში, რომელიც სამეფო კარზე მიმდინარეობდა საეკლესიო-ლიტერატურული ენის შექმნა-ჩამოყალიბებისათვის IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში ამ დროს არსებობდა რაღაც სკოლა ამ მიმართულებისა, რომლის წარმომადგენელის მოწვევა ქართველი უფლისწულის აღმზრდელად საჭიროდ მიუჩნევიათ. ს. ყაუხჩიშვილის თვალსაზრისით, იოანე ანუ მითრიდატე ლაზი იყო კოლხეთის ცნობილი რიტორიკული სკოლის წარმომადგენელი, რამდენიმე ათეული წლით უფროსი პეტრე იბერზე. მიუხედავად ამისა, იგი პეტრეს ასწავლიდა არა ბერძნულ მწიგნობრობას, არამედ ქართულს, რადგანაც ბერძნული "ენა და სწავლა" პეტრემ შეითვისა კონსტანტინოპოლში, ქართლიდან წასვლის შემდეგ, როგორც ეს აღინიშნა. იოანე ლაზი უნდა ყოფილიყო ქართული საეკლესიო საღვთისმსახურო ენისა და ლიტერატურის ფუძემდებელთა, პირველ მთარგმნელთა წრის აქტიური წევრი, ქართული თავდაპირველი მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი ლიდერი. ამ განცხადების უფლებას იძლევა ის, რომ სწორედ იოანე ლაზის მიერ აგებულ პალესტინის მონასტერში აღმოჩნდა ქართული წარწერები, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, უძველესნი უცხოეთში დღემდე ცნობილ წარწერათა შორის. მათში ნახსენები არიან ანტონი, აბაი, და იოსია. ეს უკანასკნელნი პირველქართველ მთარგმნელებად იყვნენ მიჩნეულნი ძველ საქართველოში. პალესტინის აღნიშნული წარწერების აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე პირველქართველ მთარგმნელთა ვინაობას შეეხო კალისტრატე ცინცაძე (XX საუკუნის დასაწყისში), იგი წერდა, რომ "პეტრე მაიუმელის მიერ აგებულ მონასტერში უნდა მიეღოთ თავშესაფარი პირველ ქართველ მთარგმნელებს სამშობლოს გარეთ - სტეფანესა და დავითს... ამავე მონასტერში უნდა ეცხოვრათ და ემოღვაწათ სხვა ძველ მთარგმნელებს ანტონსა და საბას, რომელთა სახელების მოიხსენიება წმ. გიორგი მთაწმიდელის პირადად მცნობის ეფრემ კირილეს ძის ჩანაწერებში" („Палестинский сборник. X. С. 181" წიგნიდან "საღვთისმეტყველო კრებული, N1, 1991, გვ. 176).

მაშასადამე, ძველი ქართული საზოგადოებისათვის ცნობილი იყო პირველ ქართველ მთარგმნელთა სახელები. ესენი იყვნენ: დავითი, სტეფანე, ანტონი და საბა. პალესტინის ქართულ წარწერებში იხსენიებიან: ანტონი, აბაი, და იოსია. მიიჩნევა, რომ აბა ანტონი იყო აბატი ანუ წინამძღვარი, თუმცა შესაძლოა აქ იყოს ორი კაცის სახელი ანტონი და აბა, მესამე კი არის იოსია. მათ მონასტრის იატაკის დაგებისათვის უზრუნიათ. თუმცა კი ძველი ცნობებით, ისინი მთარგმნელები ყოფილან. ქართული ისტორიოგრაფია პეტრე იბერს აკავშირებდა პირველ ქართველ მთარგმნელობით სკოლასთან, ამ სკოლის წევრი უნდა ყოფილიყო პეტრეს აღმზრდელი და მოძღვარი იოანე ლაზი. ს. ყაუხჩიშვილი მათ აგებულად მიიჩნევს პალესტინის იმ ქართულ მონასტერს, სადაც აღმოჩნდა ზემოაღნიშნული წარწერები მთარგმნელთა სახელებით.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ იოანე ლაზისა და პეტრე იბერის, საერთოდ დასავლელ და აღმოსავლელ ქართველთა აქტიური ურთიერთთანამშრომლობის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო ის საოცარი ძველი ქართული საეკლესიო-ლიტურგიკული და ამასთანავე სალიტერატურო ენა, რომელიც მოიცავდა სრულიად საქართველოში არსებულ დიალექტებს (მათ შორის მეგრულსა და სვანურს) და იქვემდებარებდა მათ. საქართველოში იმ დროისათვის, თითქმის 1600 წლის წინ არსებული დიალექტები ძალზე ახლოს უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან, როგორც ეს მრავალგზის აღინიშნა, და ერთმანეთისაგან უფრო ნაკლები სიშორე უნდა ჰქონოდათ, ვიდრე მათ ამჟამად გააჩნიათ. როგორც ცნობილია, ერთ დროს ქართების, მეგრელებისა და სვანების ენები ერთ ენობრივ მთლიანობას ქმნიდნენ და მხოლოდ შემდგომ ათასწლეულთა მანძილზე დაშორდნენ ისინი ერთმანეთს. ფარნავაზის მიერ ერთიანი, დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ და ახ. წ. II-III

საუკუნეებში, ქრისტიანობის ქადაგებათა ჟამს, ჩანს მთელ საქართველოში ჯერ კიდევ ესმოდათ ის ერთიანი ენა, რომელიც საფუძვლად დასდებია წარმართულ კულტმსახურების ენას, შემდგომ კი ქრისტიანულ ღვთისმსახურება-ქადაგებას. იმჟამად ჯერ კიდევ არსებული ენობრივი ერთობა დაედებოდა საფუძვლად IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაყისში პირველ მთარგმნელთა საქმიანობას. ამ პროცესში, როგორც იოანე ლაზისა და პეტრე იბერის ურთიერთთანამშრომლობის მაგალითი მიუთითებს, მონაწილეობას იღებდა მთელი ქართველი ერის ინტელექტუალური ზედაფენა. სწორედ ასე უნდა გავიგოთ ჩვენ ივანე ჯავახიშვილის გამოთქმა, რომ ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-შემუშავებაში თავიანთი წვლილი შეუტანიათ მეგრელებსა და სვანებს, ე.ი. დასავლეთ საქართველოს ქართველობას, მხოლოდ ამის შედეგი იყო ის, რომ "მეგრელებისა და სვანებისათვის ერთადერთი სამწერლო და კულტურის ენა იყო და არის დღესაც ძველი ქართული ენა" (ივ. ჯავახიშვილი). ამის შედეგი იყო ისიც, რომ საქართველოში არასოდეს შექმნილა რაიმე თხზულება, ანდა უბრალო წარწერებიც კი რომელიმე კუთხურ ენასა და დიალექტზე. ძველი ქართული სალიტერატურო ენა სინამდვილეში იყო საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრთათვის მშობლიური, უმთავრესი ანუ დედაენა.

8.03.2000

მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სიტყვა წარმოთქმული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ დიდ საბჭოზე

(თეოლოგიის კათედრის დაარსებისას 2001 წლის 19 ოქტომბერს)

ოქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, ბატონო რექტორო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს პატივცემულო წევრნო, ყოვლადსამღვდელო მეუფენო, ქალბატონებო და ბატონები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მთელი ქართველი ერისათვის წარმოადგენს მეცნიერების, კულტურისა და განათლების საამაყო კერას, სასწავლო სამეცნიერო დაწესებულებას, სადაც აღზრდილი მაღალკვალიფიციური კადრები დაუღალავად იღწვიან ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამიტომაც აქ თეოლოგიის კათედრის დაარსებას და მის კურთხევას უწმინდესისა და უნეტარესის კათალიკოს პატრიარქის მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. თეოლოგიის კათედრის დაფუძვნება ერთი ნაწილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იმ დიდი პროგრამისა, რომლის მიხედვითაც საუნივერსიტეტო ტექნიკური განათლება ამასთანავე ჰუმანიტარული განათლების სრულიად ახალ საფეხურზე აყვანას, მის გაფართოებას, გარღმავებას, პროფესიონალი ინჟინრის მიერ ეროვნული სულიერი კულტურის გათავისებას და მისი ეროვნული ფენომენის მატარებელ მოქალაქედ აღზრდას გულისხმობს. თეოლოგიის კათედრას ამ მხრივ დიდი მისია ეკისრება. მის მუშაობას საფუძვლად დაედება უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სწავლება რწმენისა და ცოდნის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მან ბრძანა:

"დღეს ჩვენს ინტელიგენციას იმაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე თვითონ გრძნობს. ის როლი, რასაც თავის დროზე სამეფო დინასტია, თავადაზნაურობა ეკლესიასთან ერთად ასრულებდა, დღეს ინტელიგენციამ უნდა იტვირთოს. იგი უნდა იქცეს ერისათვის ჭეშმარიტი გზის მკვალავად, ეროვნული მრწამსის, კულტურისა და ხელოვნების დამცველად. ამიტომაც, ხელი უნდა შევუწყოთ მისი ნიჭისა და მაღალი თვისებების მაქსიმალურ გამოვლენას ერისა და ღვთის სამსახურად.

თუ ნორმალური საზოგადოების შექმნა გვსურს, ჩვენმა ინტელიგენციამ, ერისმთავრებმა უპირველესად მოზარდი თაობის სწორ აღზრდაზე უნდა იზრუნოს, ადამიანის ბუნება დაცემულია

და ჩვენი ცოდვისმიერი თვისებანი ასაკისდა მიხედვით გამოვლინდებიან. ამიტომაც, ახალგაზრდებმა თავიდანვე უნდა ისწავლონ ავისა და კარგის გარჩევა, ბოროტებასთან ბრძოლა და უფლის შეწევნით დაძლიონ მანკიერი მიდრეკილებანი.

მართლმადიდებელი სარწმუნოება ხერხემალია ჩვენი ეროვნული სხეულისა, მისი შეცვლით ან დაკარგვით ჩვენ ქართულ სულს ვკარგავთ. ამისი მაგალითი ბევრი გვაქვს".

უწმინდესი ილია II კვლავ ბრძანებს: "საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, თუნდაც მატერიალური პოტენციალის აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყოს. მეცნიერების და მის წარმომადგენელთა სულიერება იქნება სათავე ჩვენი ქვეყნის განახლებისა. ინტელიგენციაში დიდი პოტენციური ძალაა. წარსული დროის უმძიმეს პერიოდებშიც მოაზროვნე ფენა ჩვენი ქვეყნისა ხალხში ნერგავდა განათლებისა და სოციალური პროგრესის მაღალ იდეალებს. ერთდერთი რაც მას აკლდა ეს იყო ჭეშმარიტი სარწმუნოების სრული გააზრება. თავისი ფუნქციის სწორად შეფასებას და შესრულებას ინტელიგენცია მხოლოდ მაშინ შესძლებს, როცა თავის ცოდნას რწმენას უკავშირებს. ოდენ ამ შემთხვევაში მიაღწევს ის დიდ და სასურველ შედეგებს". ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უწმიდესი პატრიარქის მიერ მოხმობილი მაგალითი II საუკუნის ცნობილი მეცნიერის კლიმენტი ალექსანდრიელისა, რომელმაც შეიმუშავა მოძღვრება რწმენისა და ცოდნის შერწყმისა. მას უწოდებენ პირველ ქრისტიან მეცნიერს. მართალია, იგი მღვდელი, სასულიერო პირი იყო, მაგრამ სამოძღვრო საქმიანობით არ იფარგლებოდა. კლიმენტი ალექსანდრიელის თანახმად ქრისტიანები ორ ჯგუფად იყოფიან, მონანი ღვთისა და მეგობარნი უფლისა. ეს უკანასკნელი რწმენისა და ცოდნის წყალობით ამაღლდნენ სულიერი და მისტიკური ჭვრეტის საფეხურებამდე და განვლეს სრულყოფის გზა ღვთის მონიდან - ღვთის მეგობრამდე. მაგრამ კლიმენტის აზრით, არც ცოდნაა საკმარისი, ამასთანავე საჭიროა სიკეთის ქმნა, ურომლისოდაც შეუძლებელია აღსრულება ღვთის მცნებებისა და მიმსგავსება შემოქმედისა.

სიკეთის ქმნით, უანგარო სიყვარულის მეშვეობით პიროვნება თანდათან თავისუფლდება შურის, სასოწარკვეთილების, შიშის, ბოროტების და სხვა ვნებებისაგან. მას უყვარს ყველა, ცდილობს მათ დაახლოებას ღმერთთან, თვითონაც სიყვარულის მადლით ამყარებს მუდმივ, ლოცვით ურთიერთობებს უფალთან.

თუ პიროვნებას, მით უმეტეს მეცნიერს, არა აქვს ჭეშმარიტი სარწმუნოება, არა აქვს სულიერი საგანძური და მისთვის ერთადერთი ურყევი ავტორიტეტი არ არის ღვთის მცნებები, მაშინ მისი ნებისმიერი იდეა თუ გამოგონება ერის, კაცობრიობის საწინააღმდეგოდ მობრუნდება".

სარწმუნოებისა და მეცნიერების დაკავშირების შესახებ წმიდა ილია მართლის ცნობილი მოძღვრება მარად უკვდავია და მისი გახსენება ყოველთვის საჭიროა: "ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი არიან, მაგრამ ამ ორ სამფლობელოს შორის შემაერთებელი ხიდი არის სიბრძნე. გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება არის წყარო ერის მსახურებისა, ღვაწლისა, მადლისა და საქმისა, რადგანაც კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისა.

მეცნიერება და სარწმუნოება შეიძლება ორ მძლავრ ფრთას შევადაროთ, რომელზეც დაყრდნობითაც ქართველ ერს შეუძლია კვლავ მოიპოვოს სულიერი და სახელმწიფოებრივი სიძლიერე. ახალი თაობა, უთუოდ, კვლავ, გადებს შემაერთებელ სიბრძნის ხიდს მეცნიერებასა და სარწმუნოებას შორის.

წყარო ერის ბედნიერებისა, დიდი ილიას თქმით, ცოდნა და განათლებაა: "სწავლის და ცოდნის შეძენა იმ ძვირფასი თესლის შეკრებას ჰგავს, რომელიც მშობელ ქვეყანას უნდა მოჰფინონ ერთი ათასად მოსამკელად".

ჩვენი წმიდა სამოციქულო ეკლესიის წევრთათვის საამაყოა, რომ ძველ საქართველოში სწავლისა და ცოდნის კერებს ეკლესია - მონასტრები წარმოადგენენ. უფლისადმი მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა და იშვა დიდი ქართული მწერლობა. ითარგმნა წმიდა წერილი, საფუძველი ჩაეყარა ქართულ ლიტერატურას.

პირველი მწერლები სასულიერო პირები იყვნენ და შესაბამისად ეროვნულ ლიტერატურას XI საუკუნემდე სასულიერო სახე გააჩნდა. ძველი ქართული მეცნიერება, ისტორიოგრაფია ეკლესიის წიაღიდან სულიერად განამტკიცებდა ქართველობას, აყალიბებდა იდეოლოგიას ერის კონსოლიდაციისა და გამთლიანებისათვის. ქართული ეკლესიის წიაღში იშვა ყველა ჩვენთაგანისათვის საამაყო ძველი ქართული არქიტექტურა, მხატვრობა, სატაძრო მუსიკა. ყოველივე ეს ქმნიდა ქართული სულიერების გარეგან სახეს, მაგრამ რაც შედარებით არსებითია, ეკლესია ზრდიდა მორწმუნე, ღმერთთან შერიგებულ, ღვთის მოყვარულ და ღვთის მოშიშ მრევლს.

ამიტომაც, ქართველი ადამიანი ყოველთვის იყო სულიერად მტკიცე, ძლიერი. შეეძლო მოქალაქეობრივ - პატრიოტული მოვალეობის აღსრულებასთან ერთად პირადი ზნეობრივი განწმედა, თავის ცოდვის დანახვა. მასში ძლიერი იყო ხმა უფლისა, ხმა სინდისისა, გააჩნდა სინანულის გრძნობა ჩადენილი ცოდვების გამო და სურვილი იმისა, რომ ყოფილიყო ცოდვებისაგან განწმენდილი, წმიდა წინაშე ღვთისა. შესაბამისად ეძლეოდა კიდეც უფლისაგან მადლი, კურთხევა, უნარი მოყვასის, გვერდით მდგომი ადამიანის სიყვარულისა. უფალი ღმერთი ქართველ ერს ანიჭებდა კეთილდღეობას, უმტკიცებდა სახელმწიფოებრიობას, აძლევდა საშუალებას აღეზარდა კიდევ უფრო უკეთესი ახალი თაობა, თუმცა, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად, სულიერი მოდუნება, დათმობა როგორც სულიერი, ისე გარეშე მტრისადმი, ამრავლებდა ცოდვებს, შესაბამისად ისჯებოდა ქვეყანა, იშლებოდა ნაწილებად, ერთმანეთთან მებრძოლ, ერთმანეთთან მოქიშპე რეგიონებად, რაც აუძლურებდა ქართველობას, დაბლა სცემდა სულიერებას.

რეგიონებად დაშლილ-დანაწევრებულ და კუთხური ცნობიერებით დასუსტებულ ქართველ ერს XIX საუკუნეში სახელმწიფოებრიობაც მოუსპეს, ხოლო XX საუკუნეში ათეისტური ხელისუფლება შეეცადა მთლიანად ამოეძირკვა მისი სულიერება. ამასთან დაკავშირებით, კირიონ კათალიკოსი წინასწარმეტყველებდა კიდეც 70 წლის წინ ათეისტების ბატონობის დამკვიდრებისას, ის ამბობდა:

“გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერი გაველურების, გახრწნის კარამდე”.

გავიდა უღმერთო ათეისტების ბატონობის 70 წელი. ღვთის შეწევნით ერი გადაურჩა ფიზიკურ გადაშენებას, მაგრამ “სულიერ გაველურებას და სულიერ გახრწნას” თავი ვერ აარიდა. ეს გამოჩნდა უკანასკნელ წლებში ე.წ. სამოქალაქო ომის დროს, როცა საქართველომ დაკარგა ძირძველი მიწა-წყალი აფხაზეთსა და სხვაგან. ეს ჩანს აგრეთვე, ერის მაცოცხლებელი სულის - ეკლესიისადმი დამოკიდებულებითაც და იმ ნიჰილიზმით, რომელიც ამჟამად არსებობს საზოგადოებაში.

წმიდა კათალიკოსმა ამბროსი ხელაიამ, ჯერ კიდევ, სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ “ერი და ეკლესია, ყოველი მოქალაქე ქვეყნისა მოვალეა, როდესაც ხედავს უსამართლობას, გარეშე ძალების მომძალებას, ხალხის შევიწროებას, ერისათვის საზიანო შეცდომებს, ივტირთოს ხალხის სამსახური, მისი ინტერესების დაცვა, გაითავისოს მისი მწუხარება, იღვაწოს მისი გაუმჯობესებისათვის”.

საბედნიეროდ III ათასწლეულის დასაწყისს ქართველი ერი თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობით შეეგება. აღსრულდა დიდი ილიას ოცნება - “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს”. ახლა ჩვენს ხელთაა ჩვენი ერის და ჩვენი ქვეყნის მომავალი, მისი აყვავება, რაც მხოლოდ სულიერების აღორძინებით, ახალი თაობის სათანადო აღზრდითაა შესაძლებელი.

ჩვენი ფიქრით, თეოლოგიის კათედრის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა არის მცდელობა მთლიანი, ჰარმონიული პიროვნების აღზრდა - ჩამოყალიბებისა, ძიება სხვადასხვა ხერხისა და საშუალებებისა პიროვნების სულიერი გაძლიერებისათვის. პიროვნებამ საკუთარი უნარის, თავისი აქტიურობის წყალობით უნდა შეძლოს პირადი ბედნიერების მოპოვება, შეძლოს თავისი ყველაზე

დიდი ოცნების აღსრულება. მან უნდა მიიღოს უძლეველი იარაღი - ჭეშმარიტი ცოდნა, რათა თამამად და მხნედ გაუძღვეს თავის საქმეს, დაძლიოს ცხოვრებისეული წინააღმდეგობანი. ამასთანავე იყოს მოშიში და მოყვარული ღვთისა და აღმსრულებელი მისი მცნებებისა.

უკვდავი მამა და მოძღვარი დიდი ილია, რომლის სწავლება მარად თანამედროვეა, წერს: "ახლანდელი დრო ისეთია, რომ თუ კაცი თვითონ არ არის, თვითონ არ შველის თავს, თვითონ არ ირჯება თავისი სიკეთისა და ბედნიერებისათვის, ეყრდნობა არა საკუთარ მხნეობას, არამედ გარედან ელის დახმარებას, გარეთ ეძებს სახსარს თავისი ცხოვრების გასაძლიერებლად, ამისთანა კაცი გადადებულია უფრო დასამარცხებლად, ვიდრე გასამარჯვებლად".

ილიას მიაჩნია, რომ ბოლო საუკუნეებში ქართველი ერის ცხოვრების ქრონიკული მოუგვარებლობის მიზეზი არის "სენი უქმობისა" - უმოქმედობისა. "ეს საშინელი სენი უქმობისა, თავის თავის არპატრონობისა, თავის თავის არ შველისა, ისე არსად არ არის გავრცელებული, როგორც საქართველოში". ილია მართალი აღრმავებს ეკლესიის სწავლას, გამოთქმულს დიდი მამის ეფრემ ასურის მიერ, რომ "სული უქმობისა", უსაქმურობისა და უილაჯობისა - ცოდვაა. საჭიროა მისი განგდება, რამეთუ ყოველი კაცი მოვალეა ღვთის კურთხევის შესაბამისად საკუთარი გარჯით, მხნეობით, შრომით, ოფლის მოდენით ცხოვრობდეს თვითონ და აცხოვრებდეს თავის ოჯახს. "პიროფლიანი ჭამდე პურს" - ესაა წმიდა წერილში გაცხადებული ნება უფლისა კაცის მიმართ. აქედან გამომდინარე, სწავლა-განათლება უნდა წარმოადგენდეს არა გარეგან ფორმალურ სამკაულს, სამშვენისსა, გამოხატულს დიპლომის სახით, არამედ პირიქით, როგორც ითქვა, ბასრ იარაღს გამარჯვების, ბედნიერების მოსაპოვებლად, სიღარიბის დასაძლევად, ოჯახისა და ქვეყნის ასაყვავებლად.

"ამ წუთისოფელში ბედი იმისა, ვინც ძლიერია და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია" - ილიას უკვდავი იდეები, ცხადია, საყრდენი იქნება ჩვენი კათედრის მუშაობისა.

დაარსება ამ მნიშვნელოვანი კათედრისა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესია დღეს აღმავლობის გზაზეა. არასოდეს ყოფილა საქართველოში ეკლესიების ასეთი დიდი რაოდენობის ერთდროული მშენებლობა. ეს მიგვითითებს, რომ ერის ქრისტიანული სული ცოცხალია და ერი იმედით უყურებს მომავალს. ხალხი მობრუნებულია სარწმუნოებისაკენ და ცხადია, რომ ეს არის სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქ ილია II გეგმაზომიერი, თანმიმდევრული მოღვაწეობის შედეგი, როგორც ათეისტური მძიმე რეჟიმის დროს, ისე შემდგომ, ჩვენს რთულ ხანაში უწმინდესი პატრიარქის ილია II დროს ეკლესიას ახალი სასიცოცხლო ძალა მიეცა.

ქართული ეკლესიის აღორძინება საწინდარია საქართველოს სახელმწიფოებრივი გაძლიერებისა, ქართული ეკლესია სულია ქართველი ერისა. როგორც სხეულს არ შეუძლია სიცოცხლე უსულოდ, ისევე ქართველ ერს მისი მაცოცხლებელი სულის გარეშე და დღეს, როცა ხალხი სულიერ საზრდოს ეწაფება, მისთვის შესაბამისი პირობების მიცემაა საჭირო.

მართლაც, ბოლო წლებში უწმიდესი კათალიკოს-პატრიარქის ღვაწლით დაარსდა მრავალი სასულიერო სასწავლებელი, სემინარია, სასულიერო აკადემიები თბილისსა და ქუთაისში, ეკლესიის წიაღში უწმიდესის კურთხევით ჩამოყალიბდა გელათის მეცნიერებათა აკადემია. ყველა ისინი მოწოდებულნი არიან არა მხოლოდ სასულიერო მოღვაწეობისათვის, არამედ სამეცნიერო კვლევითი მუშაობისათვისაც, რათა იქცნენ "ახალ იერუსალიმად" - სულიერებით და "სხვა ათენად" მეცნიერებით. მათ შორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრამ ღირსეული ადგილი უნდა დაიჭიროს. ზემოთ აღნიშნული აკადემიების, აგრეთვე, უცხოეთის უნივერსიტეტებში არსებული თეოლოგიის ფაკულტეტების პროგრამების შესაბამისად, თეოლოგიის კათედრაც უნდა შეეცადოს ყურადღება მიაპყროს ბიბლიოლოგიის (ძველი და ახალი აღთქმის, წმიდა წერილის), ღვთისმეტყველების შესწავლას, ქართველოლოგიური და საენათმეცნიერო ელემენტების კვლევას, კულტურული, ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნიკური, ისტორიული და სხვა საკითხების გაშუქებას, მსოფლიო რელიგიათა ისტორიის

შეცნობას, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გაანალიზებას. აქ უნდა იღვაწონ საერო და სასულიერო მკვლევარებმა.

როგორც ამბობენ, სიტყვებსა და იდეებს მსოფლიოს შეცვლა შეუძლიათ. მით უმეტეს წმიდა წერილში, წმიდა სახარებაში გადმოცემულ ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს სიტყვებსა და "ქართლის ცხოვრებაში" გადმოცემულ ეროვნულ იდეებს, რომელთა შესწავლას ასევე დიდი დრო დაეთმობა ჩვენთან.

დასასრულ, მისი უწმინდესობის ლოცვით გულითადად ვულოცავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ საბჭოს, მის ყველა წევრს, რექტორატს, სტუდენტობას, რომელთაც სიხარულით მიიღეს მათთვის უჩვეულო თეოლოგიის კათედრის დაარსება. ღმერთმა დალოცოს და აკურთხოს თეოლოგიის ახალი კათედრა, ამინ".

პირველი წირვა ასურეთის ეკლესიაში

Სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

ქრისტესმიერ საყვარელო შვილებო, დღეს ჩვენთვის ორმაგი ზეიმია, პირველად ის, რომ ჩვენი ახალაშენებული ეკლესია ვაკურთხეთ და წმიდა ტრაპეზზე პირველი წირვა დავაყენეთ, ამასთანავე დღეს არის სულთმოფენობის დიდი საუფლო დღესასწაული.

ვმადლობ უფალ ღმერთს, რომელმა ინება ამ სოფელში ახალი ეკლესიის აშენება.

სადიდებლად ყოვლად წმიდა სამებისა ამ ეკლესიას დღეიდან ეწოდება "წმიდა სამება".

ყოვლადწმიდა სამების მადლის მატარებელია დღეიდან ეს ტაძარი და ამისთვის კიდევ და კიდევ ვმადლობდეთ უფალ ღმერთს. ვლოცავთ ამ ეკლესიის მშენებლობის დამფინანსებელ ბატონ დავითს, რომელმაც ხალხის გული გაათბო ამ ღვაწლით.

ასურეთში ოდესღაც იყო ძველი ქართული სოფელი, შემდეგ თეთრიწყაროს ამჟამინდელი რაიონი ისევე, როგორც მთელი ქვემო ქართლი და ალგეთის ხეობა გატეხა სასტიკმა მტერმა, რომელიც ებრძოდა ქრისტიანობას, ქრისტესმოყვარე ქართველ ერს.

დაიწყო სასტიკი ლეკიანობა, სპარსეთ-ოსმალეთის წაქეზებით ჩრდილო კავკასიელთა ტომები შემოესივნენ საქართველოს კუთხეებს. ისინი ებრძოდნენ მხოლოდ მართლმადიდებლებს, აოხრებდნენ და ატყვევებდნენ მხოლოდ ქართულ სოფლებს. ეს სოფელიც გატყდა და ხალხისგან თითქმის დაიცალა. შემდეგ როდესაც რუსეთის იმპერიის ხელში გადავიდა ეს მხარე, აქ ჩამოასახლეს გერმანელი კოლონისტები, კარგი, მშრომელი ხალხი, თავისი სარწმუნოების მქონე. მათ მოეწონათ ეს ადგილი და აქ გადაწყვიტეს დაფუძნება.

როგორც გადმომცეს, ახლანდელი სოფლის ცენტრში გერმანელებს დახვედრიათ ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევები და იქვე, იმავე ადგილას, რადგანაც მოვაკებული და კარგი მდებარეობის ადგილია, გადაუწყვეტიათ თავიანთი დიდი და მშვენიერი ეკლესიის აშენება დანგრეული ქართული ეკლესიის ქვებით, მართლაც ააშენეს, მაგრამ შემდეგ, გასაბჭოების დროს, თვითონვე გადასცეს სახელმწიფოს ეს შენობა და იქ თვითონვე დააფუძვნეს კულტურის სახლი. შემდეგ, II მსოფლიო იმის დროს, ისინი შუა აზიაში გადაასახლეს.

გერმანელების ძველი ეკლესიის შენობა, ახლა უკვე სოფლის კულტურის სახლი, თანდათან დაინგრა. სოფელში რაჭიდან ჩამოსახლებულმა ქართველებმა შეიტყვეს, რომ კულტურის სახლი აგებული იყო ძველ, ნაეკლესიარ, მართლმადიდებელთა მიერ ნაკურთხ ადგილზე, ისევ ძველი ქართული ეკლესიის ქვებით და ამიტომაც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამ კლუბის ერთერთ კუთხეში გამართეს მართლმადიდებელთა ეკლესია, მოიტანეს ოჯახებიდან ხატები,

ჯვრები და იქ ლოცულობდნენ, და ახლაც ლოცულობენ. ახალი ეკლესია, რომელიც დღეს ვაკურთხეთ, მართალია სოფლიდან შედარებით მოშორებითაა, მაგრამ უკვე კურთხეულია. ის ახალ, მშვენიერ ადგილას აშენდა, ამ გორაზე, პარკში. აქ დავნიშნეთ შესანიშნავი მამაო მიქაელ დევყურაშვილი, მისი დიდი იმედი გვაქვს.

ამ ეკლესიის დღესასწაული იქნება ყოველი წლის სულთმოფენობა.

უფალმა ღმერთმა მრავალს, მრავალს დაგასწროთ, ღმერთმა გაკურთხოთ, ამინ.

2002 წლის 20 ივლისი

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

ეკლესიის როლი თანამედროვე საქართველოს გეოპოლიტიკურ რეალობაში

(წაკითხულ იქნა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში - 18.05.2002. კონფერენცია. 12 საათი)

ო ქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ბატონებო და ქალბატონებო,

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა XX საუკუნის უდიდესი მონაპოვარია, რისთვისაც ასწლეულთა მანძილზე იღვწოდნენ და ლოცულობდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა მამები. ჯერ კიდევ 1917 წელს, ავტოკეფალიის აღდგენის თანავე უწმიდესმა და უნეტარესმა კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II, ქართველ ხალხსა და მთელ მსოფლიოს მიმართა გუჯარით, რომელშიც ჩამოაყალიბა ის საზრუნავი, რომელიც ეკლესიას ეკისრებოდა ახალ რეალობაში: "ეკლესია უნდა ემსახუროს ეროვნულ იდეას, მედგრად შეახსენოს კაცობრიობას სახელი ქართველი ერისა, ხელი შეუწყოს ქართველი ერის განმტკიცებასა და გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ქართველმა ერმა ჰპოვოს შესაფერი და დამსახურებული ადგილი" ("ჯვარი ვაზისა" 1987, N1, გვ.10).

ჩვენი დღევანდელი თემა "ეკლესიის როლი თანამედროვე საქართველოს გეოპოლიტიკურ რეალობაში" ეხმიანება კირიონის ფრაზას: - "ეკლესიამ უნდა იზრუნოს, რათა ქართველმა ერმა კაცობრიობის ფერხულში ჰპოვოს შესაფერი და დამსახურებული ადგილი".

ისტორიულად, ათასწლეულთა მანძილზე საქართველო იმყოფებოდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, აზიასა და ევროპას შორის, არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ კულტურულ - მსოფლმხედველობითი თვალსაზრისითაც და ის მიჯნავდა ორ მსოფლიო ცივილიზაციას, ქრისტეშობამდე ბერძნულ-რომაულსა და აღმოსავლურს, ხოლო ქრისტეს შობის შემდეგ ქრისტიანულსა და მუსლიმანურს (ისლამურს). ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ისტორიკოსები საქართველოში გამავალ მდინარე ფაზისს მიიჩნევდნენ მიჯნად ევროპასა და აზიას შორის, შემდგომში, როდესაც ქრისტიანობის საკაცობრიო იდეები და სარწმუნოება გავრცელდა მსოფლიოში, - ქართველმა ხალხმა ორ უდიდეს ორიენტირს შორის უპირატესი ღირსება მიანიჭა დასავლეთის ცივილიზაციას, რადგანაც ძველ ქართველთათვის დასავლეთის პირველსახეს წარმოადგენდა ბიზანტიის ბრწყინვალე იმპერია, ჩვენი თანამორწმუნე, უზარმაზარი მართლმადიდებლური სამყარო, ბურჯი იმჟამინდელი ევროპული ცივილიზაციისა და მსოფლიო კულტურის უდიდესი შემოქმედი, ხოლო აღმოსავლეთი წარმოადგენდა საქართველოს მიმართ არა მხოლოდ მტრულად განწყობილ სამყაროს, არამედ იმ სახელმწიფოებს, რომელნიც თითქმის შეუსვენებლად ათასწლეულთა მანძილზე აგრესიულ ომებს აწარმოებდნენ ქართველი ხალხის

ქრისტიანული სარწმუნოებისა და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. ცხადია ასეთ დროს ქართველი ხალხის მუდმივი ორიენტირი იყო ბიზანტია, ევროპა, იდეა კი ევროპეიზმი. უფრო მეტიც ქართველ ხალხს თავისი სახელმწიფო და ეროვნული ცივილიზაცია მიაჩნდა განუყოფელ ნაწილად ევროპული ცივილიზაციისა.

ერის სულიერ მესაჭეს, საქართველოს ეკლესიას, იმთავითვე ჰქონდა განსაზღვრული ეკლესიის როლი - ეს იყო მუდმივი გეზი ქრისტიანული მსოფლიოსკენ. ამ მიმართულებას საფუძველი დაუდო მოციქულთასწორმა, ქართველთა განმანათლებელმა წმიდა ნინომ და ასევე მოციქულთასწორმა მეფე მირიანმა, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა, სხვა საეკლესიო სახელმწიფო მოღვაწეებმა. ქართული მატეანეების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ მეფე მირიანი აღზრდილი იყო აღმოსავლური ტრადიციებით, მან საღმრთო ნებით უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ქრისტიანულ სარწმუნოებას, რაც ახარა კიდეც იმჟამინდელი რომის სახელოვან იმპერატორს, მოციქულთასწორ წმიდა მეფე კონსტანტინეს. ბერძენი მემატეანეებიც შენიშნავენ, რომ იმპერატორი გაახარა აღმოსავლეთში ახალი ქრისტიანი, მაშასადამე მისი ერთგული ხალხის შემომატებამ. მსგავსადვე მეფე ვახტანგ გორგასლმა ანდერძით ამცნო მომავალ თაობებს - "გამცნებ თქვენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდეგთ... და სიყვარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ" (ქ.ც. I გვ.203).

ეს იყო ევროპეიზმის ქრისტიანული მსოფლიოსაკენ მუდმივი ორიენტაციის იდეა. სისხლის დათხევით იცავდა კიდეც ქართველი ერი ამ ანდერძს და მზადაა კვლავ დაიცვას იგი.

ყოველივე ამის შეხსენება საჭიროდ მივიჩნიეთ იმ ფაქტის გამო, რომ, როგორც ცნობილია, ამჟამად საქართველოში, ისევე როგორც მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში მოქმედებენ გავლენიანი სარწმუნოებრივი ჯგუფები, რომელნიც სასტიკად გმობენ დასავლეთს, დასავლურ ცივილიზაციას. უფრო მეტიც, მიაწერენ მას სატანურ ძალმოსილებას. ესაა რეალობა, რომელიც დატოვა ათეისტურმა სახელმწიფოებრივმა რეჟიმმა. ასეთი დამოკიდებულებით შეფასებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ამკვიდრებდა ბოლშევიკურ-კომუნისტური სამყარო. საბჭოთა იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი იყო დასავლეთის კულტურის, ცივილიზაციის, მიღწევებისა და ცხოვრების წესის გმობა. ყოველი ოჯახი და პირი ვალდებული იყო შეესწავლა ეს იდეოლოგია, მაგალითად მე მახსოვს, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებში, დედაჩემი, უბრალო მშრომელი ქალი ვალდებული იყო სქელტანიან რვეულებში დაეკონსპექტებინა დასავლეთის საგმობი საბჭოთა პროპაგანდისტული თეზისები და შემდეგ ჩაებარებინა თავისი სამსახურის ადგილზე ერთ-ერთი ხელმძღვანელისთვის, ხოლო ჩემი IV კლასის მათემატიკის მასწავლებელი სიამაყით გვიმტკიცებდა, რომ მალე საბჭოთა თვითმფრინავები დაფარავდნენ ევროპისა და ამერიკის ცას. ასეთი წარსულის შემდეგ არაა საკვირველი, როცა ამჟამად საბჭოთა სისტემის ნგრევის მიუხედავად ზოგიერთი ძლიერი ჯგუფი, მათ შორის სარწმუნოებრივიც, თითქმის იმავეს ამტკიცებს - ე.ი. გმობს დასავლეთს, მიაწერს მას სატანურ თვისებებს, კვლავ სურთ დასავლეთი წარმოისახონ საფრთხობელად, მტრულ ძალად პატიოსანი ადამიანების წინაშე.

ასეთი ჯგუფები, როგორც მონაცემებიდან ჩანს, თავიანთ იდეოლოგიას ახვევენ რელიგიურ საბურველში, სამწუხაროდ ახასიათებთ რელიგიური ექსტრემიზმი, სწრაფვა ადამიანთა უფლებების არცნობისა, მათ მიერ გამოყენებული ლიტერატურა წამქეზებლურია, ხელს არ უწყობს ჰარმონიული საზოგადოების ჩამოყალიბებას, ქრისტიანული კაცთმოყვარეობის იდეის გავრცელებას, თავიანთი დაჯგუფების გარეთ მყოფ ადამიანებს განიხილავენ ე.წ. მასონებად, ეშმაკის მოციქულებად და სხვა.

მეორე მხრივ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში ბოლო დროს მოქმედი, ძირითადად, სწორედ დასავლეთიდან შემოსული რელიგიური ჯგუფები, მართლაც ძირს უთხრიან ეროვნულ ანუ ქრისტიანულ სარწმუნოებას, აკნინებენ ქართველთა ეროვნულ თვითშემეცნებას, ებრძვიან მართლმადიდებელ ეკლესიას. ერთი ასეთია იეღოველთა სექტა, უცხოეთიდან ისე

დაფინანსებული, რომ შეძლეს თავიანთი სარწმუნოების ქადაგება საქართველოს ყველა რაიონში, ქალაქებსა და სოფლებში, ოჯახებში კი ავრცელებენ უფასო ლიტერატურას. რით არის საშიში ეს სექტა საქართველოს საზოგადოებისთვის და საერთოდ სახელმწიფოსთვის? უპირველესად იმით, რომ ძირს უთხრიან ქრისტიანულ სარწმუნოებას!

მხოლოდ ეს მომენტიც კი საკმარისია ეროვნული ცნობიერების დასასუსტებლად. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ რაც საქართველოში იქადაგეს იესო ქრისტეს მოწაფეებმა და მოციქულებმა ქართველმა ხალხმა გაითავისა ქრისტიანული სარწმუნოება, დაამყარა მასზე თავისი ყოველი ტრადიცია, ზნე-ჩვეულება, ადათი, ქცევა და იმდენად შეიტკბო მან ქრისტიანობა, რომ იგი გადაიქცა ეროვნული ცნობიერების არა თუ უმთავრეს ელემენტად, არამედ ფუძე-საყრდენად. საუკუნეთა მანძილზე სიტყვები "ქრისტიანობა" და "ქართველობა" სინონიმები იყვნენ. ისტორიულად მტკიცედ დადასტურებული ფაქტია, რომ ერთის უარყოფა იწვევდა მეორის უარყოფას და პირიქით, ქრისტიანობის დაცვა ქართველობის დაცვას გულისხმობდა. ისტორიულად ქართული ეკლესიის, ქრისტიანობის წიაღში ჩამოყალიბდა ეროვნული თვისებების ნიშნები-სახელოვანი ძველი ქართული ზნეობა, ურთიერთგატანა, ურთიერთპატივისცემა, კულტურა, ფერწერა, არქიტექტურა და თვით ბრწყინვალე ქართული ლიტერატურა.

ასეთი ვითარების დროს ქრისტიანობის უარყოფა, რაც საფუძველია იეღოვური სარწმუნოებისა, ანგრევს ქართველი ადამიანის ფსიქიკას, აუცხოვებს იეღოველის ცნობიერებას ეროვნული ცნობიერებისაგან. სამაგალითოდ ჩვენ შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი - ამჟამად ეროვნულ წეს-ჩვეულებებს ეფუძვნება ტრადიციული ქორწილი, ნიშნობა, ნათლობა, დაკრძალვის წესი, მიცვალებულის ხსოვნის პატივისცემა, შობა, აღდგომა, რაც არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ ჩვევითი-საოჯახო ყოფის ელემენტებია. ქრისტეს ღვთაებრიობის უარყოფით იეღოვური სარწმუნოების მიღების შემდეგ, ყოველივე ამ ტრადიციულ წეს-ჩვეულებას საფუძველი ეცლება და ნიველირდება ქაოსად. სხვათაშორის კომუნისტური იდეოლოგიაც გამძაფრებით ებრძოდა ეროვნულ წეს-ჩვეულებებს და "მავნე ტრადიციებს" უწოდებდა მას. ახლა უკვე იმავეს ასრულებს იეღოვური ჯგუფები. ეროვნული კულტურისა და ტრადიციების მიმართ გაუცხოვებული ადამიანი ნიჰილისტურად განეწყობა ყოველივე ეროვნულის მიმართ, ეს კი ძალზე სახიფათო მომენტია ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსთვის, რომლის სიმტკიცეც პატრიოტიზმს უნდა ეფუძვნებოდეს. იეღოველები გმობენ ეროვნულობას, პატრიოტიზმს, სახელმწიფოებრიობას, ამიტომაც არ სურთ სახელმწიფოს დაცვა, ჯარში არ მიდიან, ასევე არ სურთ საზოგადოების, სამშობლოს, ერის დაცვა, პირიქით. ამასთანავე ახასიათებთ უკიდურესი ექსტრემიზმი, კარჩაკეტილობა, ფანატიზმი, იმდენად რომ ხელმძღვანელების მიერ წაქეზებული ზოგიერთი ჯგუფი სიმაღლეებიდანაც კი გადმოხტნენ და ამით სასიკვდილოდ გაიმეტეს თანამორწმუნეები, კრძალავენ სისხლის გადასხმას და ასევე სასიკვდილოდ იმეტებენ ადამიანებს.

ამ ფანატიზმის შედეგად ირყევა ქართველობა, რადგანაც მოედნენ ქვეყნის კუთხეებს, ირყევა ქართველთა ქრისტიანობა, საზოგადოება ხდება არამდგრადი და უფრო მეტი, მათი ქმედება მიმართულია ტრადიციული საზოგადოების დაშლისკენ. უბრალო ხალხში, სამართლიანად მიიჩნევა, რომ ეს ანტიეროვნული სარწმუნოება შემოვიდა დასავლეთიდან და დასავლეთივე აფინანსებს ამ ანტიეროვნულ ჯგუფებს, ამიტომაც დასავლეთიც, ზოგიერთი პატიოსანი ადამიანის თვალში წარმოდგება ვითარცა საშიში ცივილიზაცია. აქ უფრო მეტად ადგილი აქვს გაუგებრობას, მაგრამ საზოგადოებას უნდა შეეძლოს თავის ფასეულობათა დაცვა.

შეუძლია თუ არა საქართველოს ეკლესიას შეასრულოს უფრო აქტიური როლი ამ საქმეში? ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ათეისტური რეჟიმის დროს განსაკუთრებულად იდევნებოდა, ის მივიდა თითქმის გაქრობის პირამდე XX საუკუნის 70-იან წლებში. არსად მთელ საბჭოთა კავშირში ეკლესიას ისე არ დევნიდნენ, როგორც საქართველოში. ეს ფრაზა სასამართლო პროცესზე განაცხადა კათალიკოს პატრიარქმა წმიდა ამბროსი ხელაიამ. უფრო ადრე XIX საუკუნეში საქართველოს ეკლესიას ებრძოდა რუსეთის იმპერიული ძალები. მათ შეძლეს

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, მაშასადამე მან დაკარგა საეკლესიო თავისთავადობა, ამასთანავე, რუსეთის სახელმწიფო ხაზინამ მიისაკუთრა ქართული ეკლესიის მრავალასეულ მილიონიანი, საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი ქონება, ამასთანავე ნახევარი მილიონი ჰექტარი საეკლესიო მიწა-წყალი ც ჩამოართვეს. ორასი წლის მანძილზე ქართული ეკლესიის ნგრევის შემდეგ, ამჟამად ათეისტური რეჟიმიდან გათავისუფლებული საქართველოს ეკლესია ცხადია ეკონომიკურად უკიდურესად არის დასუსტებული. ამის გამო უცხოეთის დიდი ეკლესიებისა და საზოგადოებების მიერ დაფინანსებული სექტები ბედავენ და ცდილობენ ჩაენაცვლონ ქართულ ეკლესიას, მათ სურთ ის ადგილი დაიჭირონ საზოგადოებაში, რაც ტრადიციული იყო ათასწლეულთა მანძილზე ქართული ეკლესიისთვის. მათგან ზოგიერთი ჯგუფი თავის თავს "ჭეშმარიტ მართლმადიდებლებად" მიიჩნევს თუმცა კი უცხოეთიდან არიან დაფინანსებულნი. მსგავსი და სხვა უცხოეთიდან დაფინანსებული ჯგუფები საქართველოში ყალიბდებიან ეკლესიებად, ჰქადაგებენ მართლმადიდებელთა შორის, პროზელი-ტიზმის გზით თავისკენ იბირებენ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ ნაწილს. თანაც აცხადებენ თითქოს ეს ხალხი არ არის რელიგიური და მათ თითქოს ე.წ. "ნულოვანი წერტილიდან" რელიგიისაგან გაუცხოებულ ადამიანებს შეასწავლეს სარწმუნოება. უნდა ითქვას, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ბავშვობაშივე მონათლულ ამ ადამიანებს, რომელნიც შესაძლოა ვერ ერკვეოდეს ლიტურგიკულ წესებში, მაგრამ საოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრება მთლიანად მართლმადიდებლური ტრადიციებით აქვს განმტკიცებული და ჩვენი ეკლესიის მრევლია უწყვეტად ათასწლეულთა მანძილზე არ შეიძლება ვუწოდოთ "რელიგიისგან თვისუფალი" ადამიანი და ცხადია მათი გამოყვანა ქართული ეკლესიის წიაღიდან პროზელიტიზმია აღნიშნული სექტების თუ უცხო ეკლესიების მხრიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო კვლავ დილემის წინ დგას ჩვენი საზოგადოება, ისმება კითხვა რამდენად სანდოა დასავლეთი, რომელიც ხალხის ცნობიერებაში მოიაზრება ვითარცა არამართლმადიდებელი და ამდენად უცხო ცივილიზაცია? - ესაა კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს.

მე ვფიქრობ, რომ უნდა გავყვეთ წინაპართა გზას, იმ ორიენტირს, რომელიც გაგვიკაფა წმიდა ნინომ, მეფე მირიანმა, ვახტანგ გორგასალმა და ისტორიულმა გამოცდილებამ. უნდა ითქვას, რომ ევროპა არაა ჩვენთვის უცხო, უფრო მეტი, ჩვენი დასავლური ცივილიზაციის უშიშროებასა და უსაფრთხოებას ვიცავდით საუკუნეთა მნძილზე.

ბიზანტიის იმპერია ევროპის მცველი აღმოსავლური აგრესიისგან, როგორც ცნობილია დაკნინდა და დაეცა მაჰმადიანური ძალების შეტევათა შედეგად. ბიზანტიის დაცემის შემდეგ საქართველო ფაქტიურად გადაიქცა ერთადერთ ქრისტიანულ სახელმწიფოდ მთელს აღმოსავლეთში, მოქცეული ისლამური სახელმწიფოებისა და ტომების ალყაში. ამის გამო მან თავის თავზე მიიღო უმთავრესი დარტყმები არაქრისტიანული იმპერიებისა, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო ბრძოლა ქრისტიანული ცივილიზაციის წინააღმდეგ. საქართველო ვითარცა ერთი კუნძული აღელვებულ მაჰმადიანურ ოკეანეში თავდადებით იგერიებდა მსახვრალ ტალღებს, თავისკენ იზიდავდა და ებრძოდა ქრისტიანობის მტრებს, ამით ფაქტიურად იგი იცავდა ევროპის ხალხთა, დასავლეთის ქვეყნების ქრისტიანობას, ცივილიზაციას და უშიშროებას. საქართველომ, ვითარცა ერთერთმა მხნე გუშაგმა და მცველმა მსოფლიო ქრისტიანობისა ღირსეულად აღასრულა თავისი ვალი, თუმცა ამით ძალზე დაზარალდა. თუ არა ქრისტიანული საქართველო რომლის დაპყრობა ვერ შეძლო ოსმალეთის იმპერიამ, სავარაუდოა, რომ XV-XVI საუკუნეებში ოსმალთა ძალები შეჩერდებოდნენ არა ბელგრადისა და ბუდაპეშტის კედლებთან, არამედ გაცილებით ღრმად შეიჭრებოდნენ ევროპაში და საფრთხეს შეუქმნიდნენ შუა და ჩრდილოეთ ევროპის იმ ხალხებს, რომელთაც თანამედროვე მაღალ საფეხურამდე აიყვანეს მსოფლიო ცივილიზაცია და კულტურა. მათ მშვიდობიან განვითარებას იცავდა აგრესიულ, არაქრისტიან იმპერიებთან მარტოდმარტო დარჩენილი საქართველო, მაგრამ როგორც ითქვა

დიდი დანაკარგის ფასად. ერთ დროს დიდი და მრავალრიცხოვანი ქართველი ერი პატარა ხალხად გადაიქცა, უხმობდა მშველელს, მაგრამ საქართველოსთვის ევროპაში იმ დროს არავის ეცალა. ასე, რომ ჩვენ ჩვენი თავი უნდა მოვიაზროთ არა მხოლოდ ევროპის ნაწილად, არამედ ისტორიულად მისი უშიშროებისა და უსაფრთხოების დამცველად. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქრისტიანული სახელმწიფო და ქრისტესმოყვარე ქართველი ერი უკვე აღიარებულია ქრისტიანული მსოფლიოს მიერ და თუ ეს ასე არ არის უთუოდ დადგება ეს მომენტიც.

ჩვენთვის ბოლომდე ცნობილი არაა, რამდენად სანდო არის ანალიტიკოსების პროგნოზი იმის შესახებ, რომ მომავალი მსოფლიო უნდა ელოდოს ომებს არა სახელმწიფოთა შორის, არამედ ცივილიზაციათა შორის. ფიქრობენ, რომ მომავალ ცივილიზაციათა შორის ომს ექნება სარწმუნოებრივი ნიშანი. რამდენად მოსალოდნელია ეს არავინ იცის, მაგრამ ამ პროგნოზს თითქოსდა ეხმიანება მსოფლიოში უკანასკნელ დროს მომხდარი ფაქტები. არ შეიძლება გულგრილი დარჩეს კაცობრიობა 11 სექტემბრის საშინელი ფაქტის მიმართ, მან წინ უნდა გაიხედოს, მსოფლიო ქრისტიანულმა სახელმწიფოებმა მეტი ღირსება უნდა მიანიჭონ აღმოსავლეთის ერებსა და სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი საქართველოს, რომელმაც თავის თავზე დიდ ხნის წინ განიცადა არა მხოლოდ ტერორისტული შეტევები და შემოსევები აგრესიული იმპერიების და არა ერთი და ორი წლის მანძილზე არამედ ათასწლეულთა. ჩვენი ერი და სახელმწიფო თავისი აღმსარებლობითი, ქრისტესადმი ერთგულების გამო, მწამს ღირსეულ ადგილს დაიჭერს თანამედროვე და მომავალ ცივილიზებულ მსოფლიოში. ეს კი ჩვენ გვავალდებულებს კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ეროვნული მართლმადიდებელი სარწმუნოება, აღვზარდოთ ახალი თაობა ქრისტიანული სულისკვეთებით, ღრმად შევასწავლოთ მას ეს დიადი მოძღვრება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ამისთვის კი საჭიროა სახელმწიფო მხარში ამოუდგეს ეროვნულ ეკლესიას და საბოლოოდ გააუქმოს ბოლშევიკ-ათეისტების მიერ გამოცემული დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიის, ეკლესიისაგან კი სკოლის გამოყოფის შესახებ. საქართველოს კანონები რელიგიისა და ეკლესიის მიმართ ისეთივე უნდა იყოს, როგორიცაა ევროპის ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებში, სამაგალითოა დიდი ბრიტანეთი, სადაც არსებობს ორი სახელმწიფო ეკლესია, სკანდინავიის ქვეყნები, სადაც არსებობდნენ ეროვნული და სახალხო ეკლესიები, საბერძნეთი, ლათინური, შუა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ყველგან ეკლესიებს მინიჭებული აქვს ეროვნული, სახელმწიფო ან სახალხო ეკლესიის სტატუსი, ასევე მინიჭებული აქვთ განათლების, სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის სფეროთა კურირების უფლება, რაც ეკლესიას ღირსებას ანიჭებს. ჩვენში კი ფაქტიურად კვლავ მოქმედებს აღნიშნული დეკრეტი სკოლის ეკლესიისგან, ხოლო ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის შესახებ, ამის შედეგად საზოგადოება ფაქტიურად, როგორც საკუთარი სახელმწიფოებრიობის, ისე კულტურის მიმართ ნიჰილისტურად არის განწყობილი, კნინდება ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდეალები, ამის შედეგია დღევანდელი საქართველოს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სამხედრო და სახელმწიფოებრივი სისუსტე.

ჩვენ კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით ბიზანტიის იმპერიას. რომლის დამხობამაც ძირფესვიანად შეცვალა საქართველოს გეოპოლიტიკური გარემო საქართველო არა მხოლოდ სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან მოექცა მუსლიმურ გარემოცვაში, არამედ ჩრდილოეთის მხრიდანაც. ჩრდილო კავკასიური ტომები, ქართველთა მონათესავენი ეთნიკური თვალსაზრისით და იქამდე მრევლი საქართველოს ეკლესიისა, თანდათანობით გამუსულმანდა და ამიტომაც მტრულად განეწყვნენ საქართველოს, ვითარცა ქრისტიანული ქვეყნის მიმართ. საქართველოში დაიწყო ჩრდილოკავკასიური ტომების თარეში, ლეკიანობა, ადიღე-ჩერქეზების შემოსევები და ჩამოსახლება.

ჩვენ მადლიერებით უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის იმპერიამ საქართველოში ჩრდილოკავკასიური ტომების თარეში აღკვეთა. თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე მათგან საქართველო მოსვენებული იყო. მაგრამ ამჟამად რუსეთის დასუსტების, თუ სხვა მიზეზების გამო

ფაქტიურად კვლავ განახლდა ეს მაჰმადიანური შემოსევები. ეს კარგად გამოჩნდა აფხაზეთში (და სხვა კუთხეებშიც).

აფხაზეთში XX საუკუნის 90-იან წლებში ჩრდილო კავკასიიდან შეიჭრნენ მაჰმადიანური სარწმუნოებრივი ნიშნით გაერთიანებული ექსტრემისტულ-ტერორისტული ბოევიკების ჯგუფები რომელნიც გარეგნულად აერთიანებდნენ ადიღე-ჩერქეზულ და ჩეჩნურ ტომთა წარმომადგენლებს, მაგრამ სინამდვილეში მათ აერთიანებდათ სარწმუნოებრივი ომის განახლების სურვილი, რომელიც ადრევე ნიშნეული იყო. მათ, კერძოდ კი ჩეჩნურ ჯგუფებს, ამჟამად უკვე ტერორისტებად აღიარებს არა მხოლოდ რუსეთის სახელმწიფო, არამედ მსოფლიო თანამეგობრობა. ამ მუსულმანმა მებრძოლებმა, რომელთაც აიარაღებდა საქართველოს დაშლით დაინტერესებული გენერალიტეტი რუსეთიდან, შეძლეს კიდეც აფხაზეთის ოკუპირება.

ჩეჩნურმა და ადიღე-ჩერქეზულმა ტერორისტულმა ჯგუფებმა აფხაზეთიდან გამოდევნეს 300 ათასი მართლმადიდებელი ქართველი. მოახდინეს ეთნიკურ-სარწმუნოებრივი წმენდა აფხაზეთში, შეძლეს ის, რომ იქამდე მართლმადიდებლური მხარე ფაქტიურად მუსულმანურ კუთხედ გადააქციეს. თუმცა აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება თავისი დანაშაულის დაფარვის მიზნით აფხაზეთიდან გამოძევებული სამღვდელოების ნაცვლად საქართველოს ეკლესიის კუთვნილი ათასწლოვანი ეკლესია-მონასტრები გადასცა უცხოეთიდან მოწვეულ რუსეთის ემიგრანტული ეკლესიის სამღვდელოებას, მიუხედავად ამისა დარღვეული ეთნიკურ-სარწმუნოებრივი ბალანსისა და მუსულმანური დაჯგუფების გაბატონების გამო აფხაზეთში ამჟამად მიმდინარეობს მკვიდრი ქართული და საქართველოს ეკლესიის ტრადიციული მრევლის გამუსულმანების პროცესი და აგრეთვე ადიღე-ჩერქეზული წარმოშობის ტომებთან მათი სწრაფი ასიმილირება, ეს უკანასკნელი თვალხილული პროცესია.

სამწუხაროდ, როგორც მიიჩნევა, იგივე პროცესი მიმდინარეობს პანკისის ხეობაშიც, რომელიც ხელდებულია ჩრდილოკავკასიელ-ჩეჩენთა მიერ. აქაც თავიანთი საცხოვრისიდან ძირითადად გამოიდევნა ქართული მოსახლეობა, მიმდინარეობს არა მხოლოდ ამ ხეობის მცხოვრებთა არამედ თბილისელი ინტელიგენციისა და ჟურნალისტური წრეების დაშინება-დატერორება, ხეობაში დარჩენილი ქართულ-მართლმადიდებლური მოსახლეობა იძულებულია თავისი თავი აღიაროს მუსულმანური სარწმუნოების მიმართ ლოიალურად, რაც სახიფათო მომენტია სარწმუნოებრივი სიმტკიცის თვალსაზრისით, მითუმეტეს, რომ აღნიშნული მუსულმანური ჯგუფები ებრძვიან კიდეც თავიანთ ოფიციალურ მუსულმანურ სარწმუნოებას და აღიარებენ მის განსხვავებულ მიმდინარეობას.

საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რომ ეკლესიის როლი თანამედროვე საქართველოს ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში, ჩვენი ფიქრით არის ის, რომ ხელი შეუწყოს საქართველოს სახელმწიფოებრივ გაძლიერებას, დაიცვას ეკლესიური ტრადიციული სარწმუნოებრივი ორიენტაცია ცივილიზებული მსოფლიოსკენ, იდეურად შეეწიოს საქართველოს არმიის ფორმირებას, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომლისთვისაც უმთავრესი იქნება კანონმორჩილება, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიზაციის პრინციპების დაცვა, ზრუნვა იმისათვის, რათა მოხდეს ეროვნული კონსოლიდაცია-გამთლიანება.

დემოკრატია-კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია, რომლის დაცვა უცხო არ იყო ქართული ეკლესიისათვის. როგორც ივანე ჯავახიშვილის კვლევა გვიჩვენებს, ჯერ კიდევ ათასი წლის წინ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები ისახავდნენ მიზნად ეკლესიისა და სახელმწიფო აპარატის რეფორმას დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად.

ეკლესია თავისი მისიის შესრულებას შეძლებს, თუ საქართველოს სახელმწიფო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მიანიჭებს იმ ტრადიციულ ადგილას, რომელიც ნიშნული იყო მისთვის საუკუნეთა მნძილზე ანუ მიანიჭებს მას “ეროვნული ეკლესიის” სტატუსს.

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.

18.05.2002.

მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე

რეგიონალიზმი შეაფერხებს ეროვნულ კონსოლიდაციას

გამოქვეყნდა ბატონ თამაზ ჩხენკელის შესანიშნავი წერილები ქართველი ერის დღევანდელი კონსოლიდაციის დონის შესახებ, რომლებშიც ავტორს გამოკვლეული აქვს, რომ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი დასრულებული არ არის. ესაა სიმართლე, რომელსაც ესაჭიროება ღრმა ანალიზი და თვალის გასწორება. იმ ჭეშმარიტების აღიარება, რომ ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით ქართველთა გამთლიანების, ნაციად ჩამოყალიბების პროცესის პერიოდში, მხოლოდ სიკეთეს მოუტანს ჩვენს ქვეყანას, ნათლად წარმოაჩენს არსებული მრავალი გაურკვევლობის საფუძველს და ხელს შეუწყობს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას (“ლიტერატურული საქართველო” (2001 წლის N25), ჟურნალი “საგურამო” (2001 წლის N1).

თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოს სახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით ერი ეწოდება იმ ხალხს, რომელსაც აქვს თავისი სახელმწიფო. უსახელმწიფო ხალხი, თუნდაც უძველესი წარმომავლობისა, ერად არ განიხილება, თუმცა მას მინიჭებული აქვს უფლება შექმნას თავისი სახელმწიფო, რომელშიც იგი თანდათანობით ასწლეულთა და საუკუნეთა მანძილზე ერად ჩამოყალიბდება. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპაში ერების ჩამოყალიბების პროცესი დაკავშირებული იყო XV-XIX საუკუნეებში ეროვნული ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოშობა-ჩამოყალიბებასთან. მაგალითად გერმანელი ერის ფორმირება ძირითადად დამთავრდა XIX საუკუნის შუა წლებში, იქამდე გერმანელთა ეროვნულ კონსოლიდაციის პროცესს აფერხებდა ხანგრძლივი ფეოდალური დაქუცმაცებულობა და ქვეყნის ეკონომიკური გათიშულობა, რაც XIX საუკუნემდე გაგრძელდა. სასაზღვრო, ფინანსური და სხვა დაბრკოლებანი მოისპო XIX საუკუნის დამდეგს ეროვნული თვითშეგნების ზრდის შედეგად, რამაც დააჩქარა გერმანელთა გაერთიანება ვითარცა ერის ფორმირება (იხ.ქსე.ტ. 3. სტატია “გერმანელები”).

უფრო გვიან XIX საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბდნენ ესპანელები ვითარცა ერი (იხ.ქსე.ტ. 4. სტატია “ესპანელები”). მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთი გაერთიანდა XV საუკუნეში, რამაც ხელი შეუწყო ესპანელების ეროვნული შეგნების ჩამოყალიბებას. ზოგიერთი ოლქის მცხოვრებნი XX საუკუნემდე თავის თავს ძველებურად კასტილიელებს, არაგონელებს, ანდალუზიელებს უწოდებდნენ და შემორჩენილი ჰქონდათ ეთნოგრაფიული თვისებანი, ამის მიზეზი იყო თავისთავადობა ცალკეული ოლქებისა (დაქუცმაცება) და კაპიტალიზმის განვითარების ნელი ტემპი.

კიდევ უფრო გვიან XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა თურქეთი ერად (იხ.ქსე.ტ.5. სტატია “თურქები”). თურქთა ეროვნული კონსოლიდაციის დასაჩქარებლად XX საუკუნის დასაწყისში იღწოდა თურქ ინტელიგენტთა საზოგადოება ე.წ. “ახალგაზრდა ოსმალები”. მათ დაამკვიდრეს თურქულ საზოგადოებაში თანამედროვე ერის მცნება, რამაც ასახვა ჰპოვა თურქეთის მმართველი სახალხო რესპუბლიკური პარტიის წესდებაში. წესდების ავტორები გარკვეულ განსხვავებებს ხედავენ თანამედროვე ერებსა და იმ ერებს შორის, რომლებიც წარსულში არსებობდნენ და არა მარტო განსხვავებას ხედავენ, არამედ თვლიან, რომ “თანამედროვე ერების” არსებობა ქმნის ახალი ხასიათის ურთიერთობებს (იხ. ო. გიგინეიშვილი “ნაციონალიზმის ქემალისტური დებულება”, წიგნში: “მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია”. თბ. 1983 წ. გვ.145). ამ მოძრაობამ, როგორც ცნობილია, საფუძველი შეუქმნა თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოს დაარსებას და თურქი ხალხის სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას. სახალხო რესპუბლიკური პარტიის საყრდენ ექვს თეორიულ დებულებათაგან ერთერთია “ეთათიზმი” (სახელმწიფოებრიობა). რადგანაც მიიჩნევა, რომ თანამედროვე ერების

ჩამოყალიბების პროცესი იწყება ფეოდალური დანაწევრების დაძლევის, ერთიანი ცენტრალიზებული, ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით. ერთიანი, საერთო შიდაეკონომიკური ბაზრის შექმნითა და შიდაეთნიკური საზღვრის მოშლით. ყოველივე ეს ეთნოჯგუფებსა და ეროვნებებს ერთიან ერად ჰკრავს (ერთი სახელმწიფო - ერთი ერი).

ო. გიგინეიშვილი აღნიშნავს "თურქეთში ნაციონალიზმის დებულება არ ისახავს მიზნად მხოლოდ ეროვნული ხასიათისა და ეროვნული თავისებურებების დაცვას, არამედ ის გულისხმობს ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, რომლის საფუძველი და დასაყრდენი იქნება თურქი ერი. ეს არის ის, რასაც მოითხოვს ქემალ-ათათურქის ნაციონალიზმის დებულება. სწორედ ამ პრინციპით - "ერთი ერი - ერთი სახელმწიფო - " იქმნებოდნენ თანამედროვე საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ჰოლანდია, ესპანეთი და სხვა. ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები, რომლებსაც ეროვნულ სახელმწიფოებს უწოდებენ, მართლაც ერთეროვანნი არიან" (იქვე გვ.146).

ოსმალეთის იმპერიის ბოლო წლებში (XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში) მოხდა ეროვნული კონსოლიდაცია ბულგარელებისა, ვლახებისა, ბერძნებისა და სხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებისა (იქვე გვ.147 - 148).

როგორც ვხედავთ ცივილიზებულ მსოფლიოში "თანამედროვე ერების და ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი არ შეწყვეტილა, მიმდინარეობდა და მიმდინარეობს თითქმის ჩვენს თვალწინ (ვგულისხმობ XIX და XX საუკუნეებს), ამავე პროცესის ნაწილია ქართველი ერის ამჟამინდელი კონსოლიდაცია-გამთლიანება და ეროვნული ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა. პროცესს, როგორც აღინიშნა იკვლევს ბატონი თამაზ ჩხენკელი. ის წერს, რომ XX საუკუნის დასაწყისში ქართველი ხალხი "იყო ახლად ჩამოყალიბებული "დემოსი", გულუბრყვილო, პროვინციული ფსიქოლოგიის მქონე, პოლიტიკურად ლაბილური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სრულიად უწვრთნელი, რადგან ამ "დემოსის" ცნობიერება არ იყო ქართულ-ეროვნულ ნიშნით განმტკიცებული. ქართველი ხალხის კონსოლიდაცია ახალი დაწყებული იყო. ამ პროცესს ჯერ არ ჰქონდა მასშტაბური ფორმა. მთელი XIX საუკუნე ქართული კულტურის მამამთავრებმა ქართველი ერის კონსოლიდაციას, ხალხის ეროვნული გაცნობიერებისათვის ბრძოლას შეალიეს ენერგია. 1874 წელს წიფის გვირაბი გაიჭრა. თბილისს (ლიხთ-იმერეთიდან) შემომატებული მოსახლეობა ვერ ასწრებდა ნატურალიზაციას, კუთხური (საკუთრივ არასახელმწიფოებრივი) შეგნების გაწაფვას. ის ჯერ კიდევ არ არის, როგორც გრ. რობაქიძე იტყვის: "უკანასკნელი ჩამოსხმით დადუღებული" ქართველი. მისი ენა და ცნობიერება კუთხურ-პროვინციულია, იგი ერეკლეს ყოფილი სამეფოს არეალში აღიქმება, როგორც ნათესაური, მაგრამ განსხვავებული ეთნოსი, ამიტომ ითქვა მაინცდამაინც 1921 წელს: - "ჩვენმა თაობამ გაორკეცებული ძალით უნდა დააჩქაროს ქართველი ერის თვითშეცნობის პროცესი" (კ. გამსახურდია). ეს ლოზუნგი დღესაც ძალაშია, რადგან კონსოლიდაციის პროცესი ჯერ არ არის დამთავრებული და სამწუხაროდ მის დაჩქარებას ხელს არ უწყობს მასმედია და არც ტელევიზია... ქართველობა ახალი ერია და არა "ძველი" და "დაღლილი" ერი, როგორც ხშირად წარმოაჩენენ მას. რა უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, საუკუნის დასაწყისში აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი ერთმანეთს უზიარებდნენ სიხარულს იმის გამო, რომ ამერ-იმერის შვილნი ქორწინებით უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ ყოფის ამ სფეროშიც ირღვეოდა 400 წლოვანი კუთხობრივი კარჩაკეტილობა და ფსიქოლოგიური გაუცხოვება. XX საუკუნის ურბანისტულმა კულტურამ დააჩქარა ეს პროცესი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის მიყვანილი ბოლომდე". (თ. ჩხენკელი:"ლიტერატურული საქართველო", 2001 წელი N25).

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი დასრულებული არ არის და ამით განსაკუთრებული არაფერი ხდება, პირიქით, ქართველი ერი თანამონაწილეა მსოფლიოში ბოლო საუკუნეებში მიმდინარე იმ პროცესებისა, რომელსაც ეროვნული სახელმწიფოების წარმოქმნა და მასში ეროვნული კონსოლიდაცია ეწოდება.

ამ მხრივ უკვე გადადგმულია დიდი ნაბიჯები, XIX საუკუნეში დაწყებული ქართველთა კონსოლიდაციის პროცესი დაგვირგვინდა ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნით XX სუკუნეში, ხოლო, XXI საუკუნეში ამ სახელმწიფოში თანამედროვე ერი უნდა ჩამოყალიბდეს, ე.ი. ერთიან ერად უნდა შეირწყას ამ ქვეყნის ყველა მოქალაქე ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად. ესაა თანამედროვე ერების ჩამოყალიბების მსოფლიოში არსებული პრინციპი, ჩვენ უნდა ვმადლობდეთ უფალს, რადგანაც კიდევ ერთხელ მოგვცა საშუალება დავდგეთ მსოფლიოს თანამედროვე ერთა და სახელმწიფოთა შორის, ვითარცა მათი თანასწორი.

აქედან გამომდინარე არსებობს სხვა საშიშროება, რომ ხელი არ შეეშალოს საქართველოში ამჟამად მიმდინარე ეროვნულ კონსოლიდაციას და ერს მიეცეს საშუალება ბოლომდე მიიყვანოს ის. დამკვირვებელი წერს: "მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ათი წელი გადის ჩვენი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, ვერა და ვერ გავამყარეთ ჩვენი სახელმწიფოებრიობა, პირველყოვლისა ჩვენივე მოქალაქეთა ცნობიერებაში, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას ეწევა" (ვ. რცხილაძე, "ლიტერატურული საქართველო", 2001 წ. N11).

ანტისახელმწიფოებრივად შეიძლება მივიჩნიოთ მცდელობა ეროვნული კონსოლიდაციის მიმდინარე პროცესის შეფერხებისა. ერთი ასეთია, ჩვენი აზრით, საქართველოს ე.წ. რეგიონალიზაცია.

თუ რა იგულისხმება ამ ტერმინში, კარგად გადმოგვცა შესაბამის წრეებთან დაახლოებულმა ბატონმა ამბროსი გრიშიკაშვილმა თითქმის ათი წლის წინ (იხ. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 27.02.1993). იგი თავის სტატიაში საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ წერდა: "სასურველია თუ ამას საფუძვლად დაედება საქართველოს ისტორიულ-ეთნიკური დაყოფა - ქართლი, კახეთი, იმერეთი და ასე შემდგომ". ისინი უნდა იყვნენ "დამოუკიდებელი, მაქსიმალური უფლებების მქონე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთაც უნდა გააჩნდეთ რეანიმირებული, ეთნიკურ ქარგას მორგებული მმართველობა". მაშასადამე, ავტორის აზრით, საქართველოში არსებობენ "ეთნიკური ჯგუფები" (ე.ი. ქართლელები, კახელები, იმერლები და ა.შ.), რომელთაც ამჟამად უნდა მიეცეთ საკუთარი "ეთნიკურ ქარგას მორგებული მმართველობა". როგორც ჩანს, ავტორი გრძნობს, რომ ამ "ჯგუფებს" "ეთნიკური" განსხვავებულობა მაინცდამაინც კარგად შენარჩუნებული არა აქვთ, ამიტომაც ავტორს სურს მოახდინოს მათი "რეანიმაცია", რათა "რეანიმირებული ეთნიკური მმართველობა" მიიღოს.

არის თუ არა ეს მისწრაფება იმისა, რომ შეფერხდეს ამჟამად რეალურად მიმდინარე ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი? ჩვენ შუასაუკუნეობრივი სამართლებრივი მოდელის ანუ ეთნიკურ- სახელმწიფოებრივი დაქუცმაცებულობის რეანიმირება უნდა მოვახდინოთ თუ თანამედროვე ტიპის ერთიანი, უნიტარული სახელმწიფო - შევქმნათ?

მაინც რატომ გახდა საჭირო კუთხური, საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროინდელი მოდელის რეანიმირება, რაშია საქმე? საქმე, როგორც ჩანს შეეხება არა უბრალოდ ადმინისტრაციული მმართველობის საშუალების ძიებას, არამედ ალბათ არსებობს საქართველოს ფედერალიზაციის, ავტონომიურ ტერიტორიებად დაყოფის სურვილი, რომლის პირველ საფეხურად ფედერაციული სახელმწიფოს გამოცხადება მოიაზრება, რომელსაც ალბათ კონფედერაციის შექმნა, შემდეგ კი ქვეყნის უსისხლო დაშლა მოჰყვება. ფედერაციულ სახელმწიფოში ანდა კონფედერაციაში ქართველთა ეროვნული კონსოლიდაცია არა თუ შეფერხდება, არამედ შეუძლებელი იქნება. ეს არ მისცემს საშუალებას ქართველ ერს დადგეს სხვა თანამედროვე ერთა გვერდით. "დამოუკიდებელ, მაქსიმალური უფლებების მქონე ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულებში" ანუ ქართლის, კახეთის, იმერეთის თუ სხვა რეგიონალურ ფაქტიურად სახელმწიფოებრივ ერთეულებში, არა ერთიანი ერი, არამედ ქართლელობა, კახელობა, იმერლობა და ა.შ. ჩამოყალიბდება და ისინი ჩამოყალიბდებიან ვითარცა თავისთავადი ეთნიკური ერთეულები, მაშასადამე ერი უფრო დაქუცმაცდება.

რეგიონალიზმის მომხრეებს სურთ წარმოადგინონ, თითქოსდა საფრანგეთსა, ესპანეთსა თუ გერმანიაში არსებობდეს ისტორიულ-ეთნიკური დაყოფის შესაბამისი რეგიონალური ერთეულები, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. მაგალითად საფრანგეთში 37 ისტორიული ოლქია, მაგრამ რეგიონი, დეპარტამენტი არის არა 37 არამედ 95. ესპანეთში 13 ისტორიოული ოლქია, მაგრამ რეგიონი, პროვინცია არის 50 (იხ. ქსე. ტ. 4).

მაშასადამე ევროპელმა ერებმა თავიანთი ისტორიული ოლქები დაყვეს უფრო მცირე ნაწილებად და ამ ნაწილებში შექმნეს ადმინისტრაციული ერთეულები, მათაც კი ისტორიული ოლქების შენარჩუნება საშიშად მიიჩნიეს, მით უმეტეს ჩვენთვის ეს უფრო მეტია. ესპანეთის, საფრანგეთის თუ გერმანიის სახელმწიფოები შეიქმნა რეგიონალური სახელმწიფოებრივი ერთეულების გაერთიანების შედეგად, რამაც ცხადია თავისი სახე მისცა მათ ამჟამინდელ ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ დაყოფას, მაგრამ დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო ხომ ამ პრინციპით შექმნილი არ არის, რატომ უნდა დაემსგავსოს ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციულ - ტერიტორიული მოწყობის სახე ამ ქვეყნებისას? XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთეულები დაიპყრო რუსეთის იმპერიამ, რომელმაც ერთიანი ქართლ-კახეთის სამეფოს ადგილას შექმნეს ტფილისის გუბერნია, რასაც დაპყრობათა კვალდაკვალ ქუთაისის გუბერნიის შექმნა მოჰყვა. საბედნიეროდ, რუსეთის იმპერიის წიაღში ქართველებმა მოახერხეს ეროვნული კონსოლიდაცია, ამიტომ XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის რღვევის კვალდაკვალ 1918 წელს შესაძლებელი გახდა ერთიანი საქართველოს წარმოქმნა. ეს ცენტრალიზებული სახელმწიფო არ ცნობდა "ეთნიკურ" ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფას, ამიტომაც 1921 წელს საქართველოს კონსტიტუციაში ასეთი დაყოფა არც აისახა. ასეთი ცნებაც კი ("ეთნიკური ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული") იმ დროს სამარცხვინოდ მიიჩნეოდა. თვით რუსმა ბოლშევიკებმა საქართველოს ხელმეორედ ანექსიის დროს 1921-1991 წლებშიც ვერ გაბედეს საქართველოს დაქუცმაცება "ეთნიკურ ერთეულებად ქართლად, კახეთად, იმერეთად და ა. შ." ნუთუ ახლა, ორასი წლის შემდგომ, როცა უკვე განვლილია შუა საუკუნეთა დაქუცმაცების ეტაპი კვლავ ფეოდალური ქარგის ხელოვნური რეანიმაციის გზით უნდა აღდგეს კუთხურ-ეთნიკური ერთეულები? ამით ხომ ხელმეორედ ვკლავთ მთელი XIX-XX საუკუნეთა მოღვაწეების, თერგდალეულთა, დიდი ილიას ოცნებას ერთიანი, დაუნაწევრებელი, მთლიანი საქართველოს შექმნის შესახებ?

ილიამდეც პლატონ იოსელიანი სიხარულით ხვდებოდა ქართველთა კონსოლიდაციის პირველ ნაბიჯებს XIX საუკუნის დასაწყისში. მისი თვალსაზრისით, რომელიც ძველი ქართული ისტორიოგრაფიის მონაცემებს ეფუძნება ერთიანი ქართული ეროვნული თვითშეგნება არსებობდა უძველესი დროიდან, საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის შესაბამისად. დიდ სიმაღლეს მიაღწია მან VI-XII საუკუნეებში, მაგრამ ძალზედ დაზარალდა მონღოლთა შემოსევებისა და განსაკუთრებით კი ერთიანი ცენტრალიზებული საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ. XV-XVI საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დარღვევამ, მის ადგილზე სხვადასხვა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კუთხური სამეფო-სამთავროების წარმოქმნამ, როგორც აღინიშნა საფუძველი შეურყია ერთიან ქართულ თვითშეგნებას კუთხურ სახელმწიფოებრივ ერთეულებში, განსაკუთრებით კი პერიფერიებში ასწლეულების მანძილზე (XVI-XVIII საუკუნეებში) თანდათანობით ჩამოყალიბდა, გაღრმავდა და განმტკიცდა კუთხური ეთნიკურ-ეთნოგრაფიული ნიშანთვისებები, წარმოიქმნა დიალექტები, ჩამოყალიბდა ქართლელობა, კახელობა, იმერლობა, მეგრელობა, გურულობა, სვანობა, მესხობა და ა.შ. როგორც ავღნიშნეთ ამის მიზეზად მიიჩნეოდა კუთხური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების არსებობა, რადგანაც სახელმწიფოს აქვს უნარი თავისი საზღვრების შიგნით მცხოვრებ მოსახლეობას ხანგრძლივი თანაცხოვრების შემდეგ მისცეს საკუთარი ეთნიკური სახე. აქედან გამომდინარე საქართველოს გაერთიანება, კუთხური სამეფო-სამთავროების ანუ სახელმწიფოებრივი ერთეულების შერწყმა უთუოდ ხელს შეუწყობდა ერთიანი ეროვნული (ე. ი. ზოგადქართული)

თვითშემეცნების გამოცოცხლებასა და მის აღდგენა-აღორძინებას. ამისათვის საუკუნეთა მანძილზე იღვწოდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა მამები და საუკეთესო შვილები. საუკუნეთა მანძილზე ამიტომაც შესთხოვდნენ ისინი რუსეთის ერთმორწმუნე ხალხს დახმარებას. მართლაც, რუსეთის იმპერიის მიერ ქართული კუთხური სახელმწიფოებრივი ერთეულების უნებლიე გაერთიანებამ ხელი შეუწყო XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ქართველი ერის კონსოლიდაციის საქმეს, ერთიანი ქართული ცნობიერების აღორძინებას. ესაა ფაქტი, თუმცა კი ცხადია საოცარი. ამ ფაქტს, როგორც აღვნიშნეთ იმთავითვე მიაქცია ყურადღება თავისი დროისათვის სახელოვანმა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა. ეს ფაქტი მან მიიჩნია რუსეთის იმპერიის მმართველობის დადებით შედეგად.

პლატონ იოსელიანი ასე აჯამებს რუსეთის მმართველობის დამყარებას საქართველოში: - "თემნი ქართველთა სამეფოსა, დაგლეჯილნი და დანაწევრებულნი გაუქმდნენ. მცხოვრებნი თემთა ამათ: იმერელნი, მეგრელნი, გურულნი, სვანნი, რაჭველნი და სამცხე-ათაბაგთა შეიქმნენ ხერადჯ და იწოდნენ ქართველებად". (პ. იოსელიანი, "ცხოვრება გიორგი XIII-ისა", "ქართული მწერლობა" ტ.X. 1995 გვ. 287).

მალე თვით რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციამ გააცნობიერა, რომ რუსეთის იმპერიის საზღვრებში, კავკასიის მასშტაბით დიდი ხალხი ერთიანდებოდა და ერად იკვრებოდა. ცხადია ერად კონსოლიდირებული ხალხი სამომავლოდ მოითხოვდა თვითგამორკვევას და საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ამის გაცნობიერებამ შეაშფოთა საიმპერიო წრეები. სასწრაფოდ XIX საუკუნის 50-60-იანი წლებიდანვე იქნა მიღებული ზომები ქართველი ერის კონსოლიდაციის შესაფერხებლად. სასწრაფოდ დაავალეს შესაბამის წრეებს გამოეცათ ნაშრომები ქართველთა ეთნიკური დაშლა-დანაწევრების ხელშესაწყობად. რუსულმა იმპერიულმა წრეებმა მიზნად დაისახეს არ დაეშვათ ქართველი ერის კონსოლიდაცია. დაიწყო მოურიდებელი დევნა ქართული კულტურისა და ენისა. იქამდეც კი, რომ ქართულენოვანი წირვა-ლოცვა და გალობა შეიზღუდა ცენტრში, ხოლო კუთხეებში, კერძოდ კი აფხაზეთსა, სვანეთსა, სამეგრელოსა და ქართლის მთიანეთში აიკრძალა კიდეც. სამეგრელო და მთელი ქართული საზოგადოება აღაშფოთა ხელისუფლების მიზანმიმართულმა ქმედებამ ქართველი ერის კონსოლიდაციის შესაფერხებლად და ქართველთა ეთნიკურ ტომებად დაშლის მიზნით. სასულიერო ორგანო გაზეთ "მწყემსში" შეშფოთებული ქართველი ღვთის მსახური წერდა: "დიდ იმპერიას მივეკედლეთ უმთავრესად იმისთვის, რომ დაქსაქსული ერი ივერიისა შეკრებილიყო, გაერთიანებულიყო და შეერთებული ძალით შედგომოდა ეროვნულ საქმეს. მაგრამ (რუსები) იღწვიან, რათა ეს ერთობა არ ჩამოვარდეს ჩვენთა შორის. ჩვენი დაქსაქსვა, დანაწილება და დაქუცმაცება - აი, მათი ჯოჯოხეთური იდეალი". (გაზ."მწყემსი". 1905 წ. N5, გვ.6) ქართველთა დაშლა-დაქუცმაცების იდეალი კარგად ჩამოაყალიბა საეგზარხოსოს სკოლების მეთვალყურე ვოსტორგოვმა, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ჰყოფდა ერთმანეთის მიმართ დამოუკიდებელ "ერებად", ასეთები მისი აზრით იყვნენ "ქართლ-კახელები", "იმერლები", გურულები", "ხევსურები", "ფშაველები" და ა.შ. ("მწყემსი" 1905 წ. N8 გვ. 6) მიუხედავად ამისა რუსეთის ხელისუფლებამ და მისმა მემკვიდრე ბოლშევიკებმა ვერ გაბედეს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრები დაემთხვია კუთხურ "ეთნიკური" საზღვრებისათვის.

ჩვენი ხალხი შინაგანად საკმაოდ კონსოლიდირებულია და ამიტომ წარსულის კუთხობრივი განცდის რეციდივების გამოვლენა უფრო გარეფაქტორებით, გარეგანი გამღიზიანებლებითაა გამოწვეული და არა შინაგანი მოთხოვნით. პირადად ვადასტურებ, რომ თუმცა იმერეთში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ სასკოლო ასაკში მე და ჩემს ახლობლებს გვქონდა განცდა არა ჩვენი "იმერლობისა", არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქართველობისა. არც კი ვიცოდით, რომ თურმე იმერელთა ეთნოგრაფიული ჯგუფი არსებობდა. მხოლოდ თბილისში, სტუდენტობის დროს გავაცნობიერეთ ეს არაჯანსაღი გარემოს იძულებით. შეიძლება ითქვას, რომ ასავეა ძირითადად ჩვენი ხალხი. ამიტომაა, რომ საქართველოს რეგიონებად დაყოფის სურვილი და

მოთხოვნა მოდის არა ხალხიდან, კუთხეებიდან, არამედ ზედა ფენიდან, მთავრობიდან. ამ უჩვეულო მომენტს კარგად ხსნის ბატონი თამაზ ჩხენკელი და მას ყური უნდა დავუგდოთ: "უკანასკნელმა ათწლეულმა ამ მხრივ დამაღონებელი სურათი გვიჩვენა. საქართველოში მძვინვარებს კულტურულ-ადმინისტრაციული და ენობრივი პარტიკეულარიზმი, რომლის ინიციატორად გვევლინება არა ხალხი, ან რომელიმე რეგიონის მოსახლეობა, არამედ ჭკუამოკლე პოლიტიკანებისა და რენეგატების ცალკეული ჯგუფები. მოძლიერების შემთხვევაში ისინი, შეიძლება სახელმწიფოსათვის საშიშ მოვლენად იქცნენ. ამ პრობლემის მიფუჩეჩება არ ხამს... "კუთხურმა ინდივიდუალიზმმა" შვა უცნაური მოვლენა, რაც ჩვენი მტრების ხელში 200 წლის განმავლობაში თანდათან იხვეწებოდა, ბოლო ხანებში საქართველოს სახელმწიფოს ძირგამომთხრელ ტენდენციად ჩამოყალიბდა". (იხ. გაზ. 2001 წ. N25) ამ ტენდენციის შესახებ ჩვენც მივუთითეთ თითქმის ათი წლის წინ გამოქვეყნებულ წერილში "ნუ დაანაწევრებთ", რომელშიც პარლამენტარებს ვთხოვდი არ დაეყოთ ეთნიკურ რეგიონალურ-ადმინისტრაციულ პოლიტიკურ ერთეულებად საქართველოს სახელმწიფო: "მსოფლიო ინტეგრაციის გზით მიდის, ცხადია საქართველოც ვერ აცდება ამას, ეს გამოიწვევს საქართველოში არსებული "ეთნიკური ტერიტორიების (თუ ასეთი შეიქმნებიან) შერწყმა-გაერთიანების პირობების შექმნას "ეთნიკურ ქარგას მორგებულ მმართველობას" გარკვეული ხნის შემდეგ დაემუქრება გაქრობა, მაგრამ "ეთნიკურ-ჩინოვნიკური ნომენკლატურა" თავისი სავარძლების გაუქმებას ასე ადვილად ვერ შეელევა. ისინი წააქეზებენ რეგიონის მოსახლეობას სეპარატიზმისაკენ, ჩანერგავენ კუთხურ პატრიოტიზმს. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება, რომ არ ყოფილიყო ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" ეთნიკური ადმინისტრაცია, ჩვენ არ გვექნებოდა ქართულ-ოსური კონფლიქტი, რამეთუ ქართველებსა და ოსებს შორის შესანიშნავი ურთიერთ-დამოკიდებულება არსებობდა. სეპარატიზმისაკენ საქართველოს ოსური მოსახლეობა "ეთნიკურმა ადმინისტრაციამ" წააქეზა. ასევე იყო აფხაზეთში. შეიძლება ასევე მოხდეს სხვა კუთხეებშიც თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველთა ჯგუფები მიიღებენ "ეთნიკურ ტერიტორიებს", განა უფრო მეტი უფლება არ ექნებათ საქართველოში კომპაქტურად დასახლებულ არაქართველებს მსგავსი "ეთნოტერიტორიების" მოთხოვნისა? ეს კი საქართველოს სიკეთეს არ მოუტანს". (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 29 V. 1993).

კუთხური სეპარატიზმის აჩრდილი სამწუხაროდ რეალური საფრთხეა - რასაც სამართლიანად აღნიშნავს ბატონი თ. ჩხენკელი: "მას ღრმად აქვს ფესვი გადგმული, განსაკუთრებით რელაქტიურ ტვინებში, ხელისუფლებამ ძლიერი პროპაგანდით, ხოლო საზოგადოებამ, ხელისუფლების ძლიერი პროპაგანდის დახმარებით, კულტურული ზეწოლით უნდა გააუვნებელყოს ეს საფრთხე... სოციალური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი "საკუთარი კულტურის ისტორიასთან" შინაგანი კონტაქტის უქონლობაა" (თ. ჩხენკელი).

როგორ უნდა მოახდინოს საზოგადოებამ "კულტურული ზეწოლით" კუთხური სეპარატიზმის აჩრდილის უვნებელყოფა? ეს ალბათ ჩვენში ისევე უნდა მოხდეს, როგორც მაგალითად სხვა ქვეყნებში, კერძოდ თურქეთში.

ქემალ ათათურქისა და ახალგაზრდა რეფორმატორების მიზანი იყო მოეშორებინათ ოსმალეთის იმპერიული მემკვიდრეობა, რომელიც ხელს უშლიდა თურქი ერის კონსოლიდაციას, ამიტომაც მათ თავდაპირველად არა ეკონომიკასა და მრეწველობას მიაპყრეს ყურადღება, არამედ კონსოლიდაციის უპირველეს იარაღს - ენას, კულტურას, ნაციონალიზმს. მკვლევარი რეფორმატორთა შესახებ წერს - "რეფორმების მიზანი იყო "თურქი ერის კონსოლიდაციის დაჩქარება, "მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს თურქულ ენას, მის განვითარებასა და სახელმწიფოში გავრცელებას" რამეთუ "თურქეთს მინიჭებოდა პრიორიტეტი ოსმალურთან შედარებით (დასახ. ნაშრ. გვ.148) ოსმალური ენა - ყოფილი იმპერიის (მმართველი ზედაფენის) ენა, განსხვავდებოდა ეროვნული თურქული ენისაგან, რეფორმატორთა მიერ ოსმალეთის იმპერია განიხილებოდა, ვითარცა კოსმოპოლიტური, არაეროვნული სახელმწიფო. რეფორმების შემდეგ

ახალ თურქეთში “პრიორიტეტი მხოლოდ ენის სფეროთი არ შემოიფარგლებოდა, იგი გავრცელდა ცხოვრების ყველა დარგზე, ერთმანეთს დაუპირისპირდა ოსმალური და თურქული ლიტერატურა, ოსმალური და თურქული მუსიკა, ოსმალური და თურქული მორალი, ფილოსოფია, ეკონომიკური დოქტრინები და ა.შ. ყველაფერი ოსმალური გამოცხადდა კოსმოპოლიტურად, თურქული ეროვნულად, ნაციონალურად. ასე ყალიბდებოდა თანდათანობით ეროვნულისა და ნაციონალურის გაგება” (ო. გიგინეიშვილი, “ნაციონალიზმის ქემალისტური დებულება” წიგნში: “მახლობელი აღმოსავლეთი ახალი და უახლესი ისტორია” 1983. გვ.149).

რისთვის იყო ეს ყველაფერი საჭირო? “რათა თურქეთს საშუალება მისცემოდა გამკლავებოდა ევროპის მოსახლეობას, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის მეშვეობით გაძლიერდა, თურქეთის წინაშე უპირატესობა მოიპოვა და შეტევაზე გადმოვიდა მის წინააღმდეგ (იქვე. გვ. 148).

რითაა ეს ყველაფერი ჩვენთვის საინტერესო?

“ევროპის მოძალება” - რომლის გასამკლავებლადაც იღწვიან ჩვენი მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლები, არც საქართველოსთვისაა უცხო. გლობალიზაციას თურქი რეფორმატორები კი არ უფრთხოდნენ, არ გმობდნენ, ანდა უგულებელყოფდნენ, არამედ ამზადებდნენ თავის ხალხს, აყალიბებდნენ ერად, უღვივებდნენ ნაციონალურ გრძნობებს, რათა თურქეთის სახელმწიფო გაძლიერებულიყო. რადგანაც თურქი ხალხის კონსოლიდაციას ხელს უშლიდა წარსულის - ოსმალური იმპერიის დროინდელი კოსმოპოლიტური შეხედულებები. ამიტომაც ყველაფერი დაემორჩილა მის უარყოფასა და ახალის, ეროვნულის წარმოჩენას. გაძლიერებულმა თურქეთმაც ღირსეული ადგილი დაიჭირა ხალხთა ევროპულ ოჯახში.

ჩვენი ქვეყნის გასაძლიერებლად, ჩვენი სახელმწიფოს დასაყრდენის - ქართველი ხალხის კონსოლიდაციის უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად, წარსულის კოსმოპოლიტური ანუ კონსოლიდაციის შემაფერხებელი შეხედულებების დაძლევაა საჭირო. თურქეთში კოსმოპოლიტურად, როგორც აღინიშნა, მიიჩნეოდა ძველი ოსმალეთის იმპერიის ენა, კულტურა, წეს-ჩვეულებები, რომელთაც ებრძოდნენ იმით, რომ დაურიდებლად აძევებდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროდან და მის ნაცვლად ამკვიდრებდნენ ეროვნულს.

ჩვენში ძველი იმპერიის ენა, ანუ იმ იმპერიის ენა, რომლის შემადგენლობაში ქართველი ხალხი მთელი 200 წლის განმავლობაში იმყოფებოდა, არის რუსული ენა, რომელიც წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის დროს იარაღს ქართველი ხალხის გასათქვეფად იმპერიის რუს ერში (გასარუსებლად) ამიტომაც ზემოთ მოყვანილი დევიზის პერიფრაზა ალბათ ასეთი უნდა იყოს - ”ქართულს მიენიჭოს პრიორიტეტი რუსულთან შედარებით” (კულტურული სფერო და არა ეთნიკური) იგულისხმება მთელი საქართველოს მოცვა ქართული ენით, კულტურით, ლიტერატურით, მუსიკით, მორალით, ფილოსოფიით, ეკონომიკური დოქტრინებით. ყველაფერი რუსული უნდა გამოცხადდეს კოსმოპოლიტურად (როგორც თურქეთში ოსმალური (ე.ი. იმპერიული) გამოცხადდა კოსმოპოლიტურად) ეს თანდათანობით ჩამოაყალიბებს ეროვნულისა და ნაციონალურის გაგებას. ამით არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება, პირიქით, სწორედ ეს გზა აქვს არჩეული ჩვენს მეზობელ ერებს - რუსეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს, თურქეთს. იგივეს აკეთებენ თვით პატარა ხალხებიც კი, რომელთაც საკუთარი სახელმწიფოს შექმნა სურთ. ჩვენში სამწუხაროდ კოსმოპოლიტურს, უფრო მეტი გასავალი აქვს, ვიდრე ნაციონალურს. ამიტომაც ნაციონალურობა, ნაციონალიზმი - სამარცხვინოდ, დანაშაულად მიიჩნევა მაღალ წრეებშიც კი. შედეგიც სახეზეა - სახელმწიფო არ ყალიბდება საზოგადოდ კოსმოპოლიტიზმის იდეით. სახელმწიფოებად ყალიბდებოდნენ იმპერიული, ფედერაციული ანდა კონფედერაციული სახელმწიფოები, რომელნიც მხოლოდ რამდენიმე ხანს არსებობდნენ და საბოლოოდ იშლებიან ეროვნულ სახელმწიფოებად. ყველა იმპერიის ბედი ასეთია. დაშლა და დანაწევრება, მაშინ როცა ეროვნული სახელმწიფოები, თანამედროვე მსოფლიოს სტაბილიზაციის ქვაკუთხედია - ევროპისა და მსოფლიოს (ცივილიზებული) სახელმწიფო სამართალი ეროვნულ სახელმწიფოებს, ნაციონალიზმის იდეას ეფუძნება.

როგორც აღინიშნა თურქეთის სახელმწიფოს შემქმნელებმა უდიდესი ყურადღება მიაპყრეს ეროვნულ პოლიტიკას, რათა თურქული სახელმწიფოს დასაყრდენი თურქი ხალხი განმსჭვალულიყო თურქული კულტურით და სახელმწიფოში ყველაფერი დამორჩილებოდა თურქულ ეროვნულ აღზრდას, რათა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდილიყო ახალგაზრდობა (დას. წიგნ. გვ. 155). თურქული ენის გავრცელება მთელს სახელმწიფოში უპირველესი მიზანი იყო. ამ მხრივ ჩვენში თუ რა მდგომარეობაა - ცნობილია. ოც წელზე მეტია სამხრეთ საქართველოში ვცხოვრობ და ვიცი, რომ იქ ქართული ენის გავრცელების უმთავრესი წყარო, ტელევიზია ძირითადად რუსულენოვანია. ქართული ენა გაძევებულია რუსული, სომხური და თურქული (აზერბაიჯანული) ენებით. თუმცა თითქმის ასეთივე ვითარებაა თბილისშიც. გაიარეთ რუსთაველის პროსპექტზე და თქვენ იხილავთ გასაყიდად გამოტანილი იმპერიული (ე.ი. რუსული) ლიტერატურით ავსებულ თაროებს, რომელიც მთელს პროსპექტზეა განლაგებული. ამას ყველა ხედავს და არავითარი პროტესტის ხმა არ გაისმის. ეს არაფერია იმასთან შედარებით, რომ თბილისის ტელეარხები ზედმეტად რუსულენოვანია, ჩვენი ყმაწვილები, ბავშვები ტელევიზიიდან სწავლობენ რუსულ ენას. ეს ქმედება მიუღებლად, არასახელმწიფოებრივად აღიქმებოდა ყველა თავმოყვარე ერის მიერ, მაგრამ საქართველოში ეს ბუნებრივად ჩანს. ქართველთა კონსოლიდაციისათვის პირველ რიგში საჭიროა, რომ ქართულმა კულტურამ, ქართულმა ენამ გაამთლიანოს საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხი. ეს ეტაპი ქართველი ერის მიერ განვლილი ორი ათასი წლის წინ კვლავ გასავლელია. პირველ ქართულ სახელმწიფოში მეფე ფარნავაზმა "განავრცელა ენა ქართული და უბრძანა რათა არღარ ძრახვიდნენ ენათა სხვათა თვინიერ ქართულსა"(ქ. ც. II. გვ. 57).

სახელმწიფოს მშენებლობაში ჩვენი წინაპრები ქვეყნის მთელ მოსახლეობას რთავდნენ ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად - "ჩვენი უჭკვიანესი მეფეები და სახელმწიფო მოღვაწეები, მუდამ იმის ცდაში იყვნენ: საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობაში ყველა საქართველოში მცხოვრები ტომის, ენისა და ჯიშის ხალხი ჩაერთოთ" (კ. გამსახურდია. ტ.VII, გვ. 248). ეს შესაძლებელია ქართული კულტურის, ქართული ენის, ქართული იდეოლოგიის მეოხებით. ეს იდეოლოგია ეროვნული უნდა იყოს და არა კოსმოპოლიტური. თ. ჩხენკელის წერილში შესაძლებელი დევიზი ასე გადმოიცა - "გადავადნოთ ჩვენი ეთნიკური ვინაობა სახელმწიფოებრიობის ბრძმედში და ვიქცეთ თანამედროვე ერად" (ზ. დგებუაძე) რეგიონალიზაცია, ე. ი. ეროვნული სახელმწიფოს ეთნიკურ რეგიონებად დაშლა-დანაწევრება ხელს შეუშლის ამ პროცესს და ქართველი ერის საბოლოო კონსოლიდაციას რამდენიმე საუკუნით უკან გადაწევს.

ვილოცოთ, რათა შთამომავლობამ არ თქვას ჩვენი თაობის შესახებ: "საუკუნეთა მანძილზე ჩვენი მამა-პაპები იბრძოდნენ ჩვენი კუთხეების გაერთიანებისთვის, თქვენ კი, XXI საუკუნის პოლიტიკოსებმა, ჩვენ გაგვთიშეთ".

19.07.2002.

რეგიონალიზმი შეაფერხებს ეროვნულ კონსოლიდაციას. დასასრული.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მოგზაურობა ათონის წმიდა მთაზე 22 წლის შემდეგ

2003 წ. ოქტომბერ-ნოემბერი

2003 წლის 23 ოქტომბერს ოთხკაციანი ჯგუფი თბილისიდან მსუბუქი მანქანით გამოვემგზავრეთ ივერთა მონასტერის მოსალოცად. მიგვიღეს დიდი პატივისცემით, წუხელ, ღამის 2.30 დაიწყო ჟამნობა დიდ ტაძარში, რომელსაც კათოლიკონი ეწოდება (ე.ი. საკრებულო ტაძარი). 29 ოქტომბერს ვარ ივერონში, ჩემს სენაკში, რომელიც მომიჩინეს.

ივერთა მონასტერში მე ადრეც ვიყავი, 1981 წლის სექტემბრის თვეში. მაშინ ჩვენ, შეიძლება ითქვას, პირველი საეკლესიო დელეგაცია ვიყავით ათეისტური საქართველოდან, იმჟამად, მართლაც გასაოცარი პატივისცემით შეგვხვდნენ რადგანაც, როგორც აღინიშნა პირველები ვიყავით. ახლა, ღვთის შეწევნით, მრავალი საეკლესიო დელეგაცია ჩამოდის საქართველოდან, ერთს მოელიან ჩვენი გამგზავრებისთანავე. ჩემი სენაკი კეთილმოწყობილია, არის განათება და ელექტროგათბობა, სხვა სენაკებში უმეტესობას ელექტრობა არა აქვს.

კათოლიკონში ღამით, სანთლის შუქზე ლოცულობენ ბერები.

თავდაპირველად ლოცვა დაიწყო მთავარი ეკლესიის კარების წინ, სტოაში. შემდეგ ყველანი შევედით მთავარ ტაძარში. კედლებთან ბერებისა და მლოცველებისათვის საგანგებო სკამ-სავარძლებია ხისგან დამზადებული. აქ მომიჩინეს საპატიო ადგილი თავში.

ღამით მოდიოდნენ ბერები ჩემთან კურთხევის ასღებად, ყველა ვაკურთხე, კმევითაც თავდაპირველად მე მიკმევდნენ, მორწმუნეებიც ასევე მოდიოდნენ ჩემთან დასალოცად.

ჟამნობის გათავების შემდეგ გადაგვიყვანეს სხვა პატარა ეკლესიაში, ეს არის ამავე კათოლიკონის სტოაში. როგორც ვიცი ეს სტოა აუშენებია თუ განუახლებია ყვარყვარე ათაბაგს.

აქ წირვის დროს მათქმევინეს ქართულ ენაზე "მრწამსი" და "მამაო ჩვენო", ასევე წირვისას სათქმელი "მშვიდობა ყოველთა" მე წარმოვთქვი ქართულ ენაზე. ბერები ისმენდნენ მოწიწებით.

წირვა გამოვიდა დილის 6.00 საათზე. ამის შემდეგ წავედით ჩვენს სენაკებში დასაძინებლად. დილის 10.30 თუ 9.30 იყო საუზმე. საუზმე შედგა დიდ სატრაპეზოში. ერთ მხარეს ისხდნენ ბერები, ყველანი კუნკულ-ბარტყულით, მორე მხარეს კი - ერისკაცები, ძირითადად სტუმრები. სუფრა მე ვაკურთხე, დამსვეს თავში. საუზმის ბოლოს მოგვიტანეს რაღაც კოლიო თუ წანდალი, მე მაკურთხებინეს კოვზით. ხილის მერე ეს ჩამოურიგეს ყველას. ტრაპეზი სწრაფად დამთავრდა.

საუზმის დამთავრების შემდეგ მე გარეთ გამიყვანეს, სატრაპეზოს წინ, ბერები ორ მწკრივად დაეწყვნენ და მე მათ ვაკურთხებდი აწეული ხელით. ასევე საუზმეზე შესვლის წინ ბერები კათოლიკონის სტოაში შეიკრიბნენ და ერთად შევიდნენ ყველანი სატრაპეზოდ.

ტრაპეზის შემდეგ ბერმა, იღუმენის მოადგილე კალინიკემ, ძველმა ნაცნობმა 1981 წლიდან, მიგვიპატიჟა სასტუმრო სახლის I სართულზე საგანგებო დარბაზში ყავის დასალევად. შემდეგ ჩვენ ვთხოვეთ რომ მოგვენახულებინა მონასტრის გარეთ "აიაზმა", წყარო, რომელიც გადმოდინდა ამ ადგილზე პორტაიტისას წმიდა ხატის ზღვიდან გადმოსვენების შემდეგ წმიდა გაბრიელ ქართველის მიერ.

წყაროდან, ე. ი. მონასტრის წინა ზღვის სანაპიროდან, ახლო მთებზე მოჩანდა ქართველთა მიერ XIX-XX საუკუნეში აგებული იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ნანგრევები და X საუკუნის

წმიდანის გაბრიელ ქართველის სენაკი, ანუ აქაურად "სკიტი" (ნათლისმცემლის ეკლესია თავისი გუმბათით ახლაც დგას).

ჩვენმა თანმხლებმა კრეტელმა მღვდელმონაზონმა არ იცოდა, რომ გაბრიელი ქართველი იყო, რამდენჯერმე თქვა, რომ ქართველი არ იყოო (შემდეგ ჩვენ დავარწმუნეთ იგი), იოანე ნათლისმცემლის მონასტერზე კი არაფერი უთქვამს საერთოდ.

იოანე ნათლისმცემლის მონასტერი კი ქართველმა ბერებმა ააგეს XIX საუკუნეში, ივერონის მონასტრიდან ბერძენი ბერების მიერ გაძევებულებმა.

1981 წელს ამბობდნენ რომ, როდესაც XIX საუკუნის 50-იან წლებში ივერთა მონასტრის საცხოვრებელი შენობები დაიწვა, ბერძნებმა ეს მიიღეს ნიშნად და გაძევებულ ქართველ ბერებს კვლავ დართეს ივერონში ცხოვრების ნება.

ბოლო ქართველი ბერი, აქაური ცნობით XX საუკუნის 50-იან წლებში გარდაიცვალა.

აქ ახლა დიდი მშენებლობაა გაჩაღებული, არემონტებენ X საუკუნის "პირღოსს", ესაა დიდი კოშკი, რომელიც თავის დროზე განუახლებია და შეიძლება ითქვას, კვლავ აუშენებია ყვარყვარე ათაბაგს, მაგრამ მას ახლა აღარ ახსენებენ, ამბობენ რომ ეს უძველესი X საუკუნის კოშკია - თავდაპირველი აქაური ნაგებობა. ახლა მას ზემოდან დაადგეს კიდევ რამდენიმე სართული და საცხოვრებლად გამოიყენებენ ალბათ. მის წინ გაყავთ მონასტერში შესასვლელი მეორე დიდი სამანქანო გზა, მუშაობს ახლაც ტრაქტორები, სატვირთო მანქანები, კოშკს თავთან დიდი ამწე ადგას.

კათოლიკონის სტოა კარგადაა მოხატული, მაგრამ უკვე დაძველებულია ფრესკები, ზოგიერთ მცირე ადგილზე ადგილ-ადგილ ჩამოცვენილი ფრესკა შელესილია. აქ დგას სკამები, გრძელი მერხები ბერების ჩამოსასხდომად.

პორტაიტისას ეკლესია კარგადაა მოვლილი, 1981 წელს ამბობდნენ, რომ ეს აშენებულა აშოტინ მუხრან-ბატონის მიერ. ხატზე უამრავი ძვირფასეულობა, შენაწირია მიმაგრებული, ქართული წარწერები არ ჩანს, რადგან ზემოდან ეს შენაწირია დაკიდებული.

ზემოთ ნახსენები "აიაზმიდან" უკან, მონასტერში, დავბრუნდით სხვა - ზღვისპირა გზით. ამინდი სუსხიანია ამ დროისათვის, გრილი ზღვა ღელავდა.

სანაპიროდან მოჩანს მონასტრის გარეთ მდებარე "საძვალეს" შენობა.

აქ აწყობენ გარდაცვლილი ბერების ძვლებს.

როგორც აგვიხსნეს, გარდაცვალების შემდეგ ბერს ჩვეულებრივად მიწაში დაკრძალავენ, 8 (რვა) წლის შემდეგ კი საფლავს გახსნიან, ძვლებს ამოალაგებენ და საძვალეში წაასვენებენ. თავის ქალები და შესაბამისი ძვლები ერთადაა შეკრებილი. აწერიათ (ქალებს) ბერის დაბადებისა და გარდაცვალების წელი. ამ საძვალეში ბერი კალინიკეს ცნობით 45 000 ბერის ძვლებია თავმოყრილი, გორებივით ბევრი.

მე ვუთხარი, რომ საქართველოშიც ადრე ყოფილა საძვალეები, მაგალითად, ბეთანიაში, მაგრამ ათეისტ-კომუნისტების ბატონობის წლებში ბილწავდნენ ამ საძვალეებს, ფანტავდნენ ძვლებს, საბოლოოდ საქართველოში საძვალეების ნაგებობის დანიშნულება უცნობი გახდა. ე.ი. არ იცოდნენ ეს შენობები რისთვის გამოიყენებოდა, ამიტომაც XX საუკუნის საქართველოში მონასტრების (ეკლესიების) იატაკის ქვეშ საგანგებოდ აშენებული საძვალეებიდან ძვლები გაიტანეს და მიწაში დამარხეს, საძვალეები კი რაღაც დამხმარე ნაგებობად მიიჩნიეს.

ეს დღე ასე დამთავრდა, გავიხსენოთ წინა დღეები: -

წინა დღეების გახსენება - 2003 წლის 24 ოქტომბერს ბათუმში სასტუმროში გავათენეთ ღამე. სასტუმრო კეთილმოწყობილია, ადგილობრივ ქართველს აუშენებია.

გურიიდან აჭარაში შესასვლელი ამჟამად საზღვრად არის გადაქცეული. ამ "საზღვრის" წინ იდგნენ დარბეული მომიტინგე ქართველები 30-40 კაცი, უხასიათოდ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს შეჯგუფულები, ესენი ყოფილან მიხეილ სააკაშვილის პარტიის წევრები, რომელთაც ბათუმში მიტინგის ჩატარება სურდათ, მაგრამ არ დაანებეს, უცემიათ. ბათუმის ტელევიზია

აჩვენებდა ამ მიტინგის საწინააღმდეგოდ გამართულ დიდ დემონსტრაციას ქალების მონაწილეობით, რომლებიც გმობდნენ სააკაშვილის პარტიას.

24-ში გადავკვეთეთ თურქეთის საზღვარი, ეს მაინცდამაინც მნელი არ აღმოჩნდა, სასაზღვრო პუნქტი სავსეა ქართველებით, რომლებიც უცხოეთში, შეიძლება ითქვას, გარბიან-გაუსაძლისი პირობების გამო.

შევედით ქალაქ ტრაპიზონში, აქ მძღოლს, თეიმურაზ კოროშინაძეს, სურდა თურქეთის მობილური ტელეფონის ბარათის აღება და ამისთვის დაჭირდა თავისი ნაცნობის დახმარება, რომელიც საქართველოს საკონსულოში მუშაობს. საკონსულოს მიგნება გაგვიჭირდა, მძღოლი არ აჩერებდა მანქანას და არ სურდა ვინმესთვის ეთხოვა გზის გაგნებაში დახმარება, სულ ერთია ვერავის ვერაფერს გავაგებინებ ენის უცოდინარობის გამოო, მაინც ვაიძულე აქეთ-იქით სიარულის შემდეგ გაეჩერებინა მანქანა და ეკითხა ვინმესათვის. ბედად, ვინც პირველი შეგვხვდა ახალგაზრდა ბიჭი - ქართველი აღმოჩნდა, იქაური, მგონი სოფელ მურღულიდან (თუ ბორჩხა თქვა). ქართულად ლაპარაკობდა, ტრაპეზუნში სტუდენტი ყოფილა, გვიღიმოდა და გვიცინოდა, ესიამოვნა ქართველების ნახვა. მთელი ქალაქი მოგვატარა, ღმერთმა უშველოს, თავისი გვარიც თქვა, მგონი ყაჩაიშვილი თუ სხვა, "შვილზე" მთავრდებოდა, მგონი მემედი ერქვა. კარგი ბიჭია.

შემდეგ მძღოლი საათში თითქმის 200 კმ-ს გადიოდა, მივედით სამსუნში. მთელი სანაპირო თურქებს კარგად მოუწყვიათ, შენდება და შენდება ახალი დიდებული სანაპირო მაგისტრალი, სანატრელია ჩვენთვის. თვალში გვხვდება უამრავი მეჩეთი - ძველები, უფრო ახლები, უამრავი, ერთმანეთის მიყოლებით, ზოგი ახალ მშენებარე.

ხალხი კეთილგანწყობილია, მშვიდია და ჩანს ბედნიერიც, თავისი თავით და თავისი საქმიანობით კმაყოფილი.

გზებზე ნახატები და რაღაც ფიგურების ბარელიეფებია გურული ტანსაცმლით, ჩანს ეს გურული ტანსაცმელი აქაურიცაა. თვითონ ამბობენ თურქულიაო.

სამსუნში ღამე გავათიეთ, მძღოლს ტელეფონზე დარეკვა დასჭირდა, მეორე დღეს უთხრეს ეს ულტრა ზარი იყოო და 3 წუთში 120 დოლარი გადაახდევინეს, გადაირია კაცი. პოლიციის გამოძახებას აპირებდნენ, რადგანაც არ უნდოდა გადახდა, მერე მე ვურჩიე, რომ გადაეხადა. მაინც გადაახდევინებდნენ საბოლოოდ და პოლიციაშიც წაიყვანდნენ.

სამსუნიდან სიღრმეში შევედით ანკარისაკენ, რათა სტამბოლის გზა შეგვემოკლებინა.

თურქეთის სიღრმე-უფრო გლეხურია, ნაკლებად კეთილმოწყობილი, ჩანს ქვეყანა სიღარიბიდან ახლა გამოდის, ეტყობა რომ უცხოური ფულით შენდება სანაპირო და ახალი ქალაქები. მრავალია ასეთი დასახლება სადაც შესანიშნავი 4-5 სართულიანი ახალი სახლები შენდება და დგას უამრავი კორპუსი, ჯერაც დაუსახლებელი, საქართველოში კი პირიქით ასეთი მშვენიერი კორპუსები ინგრევა, რადგან ხალხმა მიატოვა სახლები და ძირითადად თბილისში ანდა უცხოეთში წავიდა, მაგალითად ტყიბულში ასეთი მშვენიერი ახალი, მაგრამ მიტოვებისაგან თითქმის დანგრეული კორპუსი მრავალია. უცხოეთი ითხოვს საქართველოში დემოკრატიას, მერე ალბათ ჩვენც დაგვეხმარებიან, მაგრამ საქართველოს მთავრობას არ სურს დემოკრატია, კარგად არიან ქვეყანაზე გაბატონებული.

მე მგონი 25-ში უკვე სტამბოლში შევედით.

აქ, შემთხვევითი ნაცნობობით მამა ვახტანგს უთხრეს, რომ ერთ-ერთი სასტუმროს მეპატრონეა მაჰმადიანი, თურქეთის მკვიდრი ქართველი, რომლის ტელეფონის ნომერიც მოგვცეს. ამ ქართველს ტელეფონით დავუკავშირდით ჯერ კიდევ სამსუნიდან რამდენჯერმე გზაში, თითქმის მთელი დღე გვიცდიდა ეს კაცი, სტამბოლში შეგვხვდა სასტუმრო "ჰისტორის" წინ, დაგვაბინავა, დიდი ყურადღებით მოგვეპყრო, ქართულ ენაზე გველაპარაკებოდა.

შეიძლება შევადაროთ მაჰმადიან ქართველებს კარგად შემოუნახავთ სიყვარული ზოგადად ქართველთა მიმართ და რამხელა სირცხვილია, რომ ახლანდელ საქართველოში ცივი დამოკიდებულებაა, ვთქვათ მესხეთიდან გადასახლებული ქართველი მაჰმადიანების მიმართ.

მიუხედავად იმისა, მათ ერთ ნაწილს, პირადი ურთიერთობიდან ვიცი, აქვთ ქართული ეროვნული თვითშემეცნება, ყველას მათ ერთად აღებულთ მაინც "თურქ-მესხებს" ანდა "მესხეთელ თურქებს" ეძახიან. ესაა სამწუხარო რეალობა.

ურანოპოლისიდან გემით გავემგზავრეთ ივერონში. ქალწულებრივი მოკრძალებით მივემართებოდით ივერთა ძველთაძველ სალოცავში.

ურანოპოლისში ქართველმა ქალმა სახელად ნელიმ გვიმასპინძლა, კარგად მოგვეპყრო, დიდი პატივისცემით, აქ გათხოვილა, შვილი კი უკვე დიდი ჰყავს. თემურმა ჩვენმა სპონსორმა, ერთი ღამის შემდეგ დატოვა მთაწმიდა (ივერონი) და მანქანით გაემგზავრა ათენში.

ივერონში ღამის ლოცვა იწყება ღამის სამის ნახევარზე, როგორც ვთქვით მთავრდება წირვით დილის 6 საათზე.

წირვის დროს კვერექსებში მე მახსენებენ კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის შემდეგ, რადგანაც იქვე ვესწრები ლოცვას, ასევე ჩამოლოცვის შემდეგაც მომიხსენია მწირველმა მღვდელმა დაახლოებით ასე - "ეპისკოპოს ანანიას ლოცვით მოგვიხსენე უფალო".

ყოველი ლოცვისა და ქმედების წინ ბერები ჩემთან მოდიან და იღებენ ჩემგან კურთხევას და ხელზე მემთხვევიან, ამას ისეთი სიყვარულით აკეთებენ - თანაც ერთი ლოცვის დროს რამდენჯერმე (და დღე-ღამეში კი მრავალჯერ), - რომ მე ავივსე მათი სიყვარულით და ნდობით.

თითქოს მე მივხვდი ბერძნული და სხვა ეკლესიების სიძლიერის მიზეზს - ესაა მდგრადი სამკუთხედი - შემდგარი ხალხის (მრევლის), სამღვდელოებისა (ბერების ჩათვლით) და იერარქიისაგან, რომელთაც ჰკრავთ და ადუღაბებთ მორჩილი სიყვარული, ანუ ნებაყოფლობითი მტკიცე სიყვარული, სავალდებულო და ამავე დროს უპირობო. ერთი სიტყვით, საეკლესიო პირების იერარქიისადმი დისციპლინირებული სასულიერო მორჩილება.

არა მგონია ჩვენი ეკლესია ამ მხრივ გამართული იყოს.

ჩვენი სასულიერო პირებს ერთმანეთისადმი და იერარქიისადმი უფრო გამორჩენით-კლანური დამოკიდებულება აქვთ. ავტორიტეტი დამყარებულია მდგომარეობაზე - უპირობო, მორჩილი სიყვარული ძნელად თუ აქვს ვინმეს. თუმცა არცაა საკვირველი - ისეთი ათეისტური რეჟიმიდან გამოვედით, თუმცა საკითხავია გამოვედით თუ არა ბოლომდე?

ახლა პარასკევია, 31 ოქტომბერი. პანტელეიმონის რუსული მონასტრიდან ჩანს ზღვაში ჩამავალი მზე, ლურჯი ზეცა და მშვენიერი ზღვა, ისმის მუდმივი ხმიანობა ტალღებისა.

პეტრე ჭეჭია - ათონის მთის პანტელეიმონის რუსული მონასტრის ქართველი მორჩილი მოვიდა ჩემთან, ახალგაზრდა უმშვენიერესი ვაჟკაცი, შავთმიანი, კარგღიმილიანი, განათლებული, გერმანიაში მოვექეცი - ქრისტიანი იქ გავხდიო, მითხრა, ერთ ოჯახში შემთხვევით იოანეს სახარება წავიკითხე, მესამე თავის შემდეგ, უკვე, თითქოს თავში დამკრესო - მთლიანად შევიცვალე - თქვა მან.

მე ვუთხარი ჩვენ ყველამ ეს გზა განვლეთ მეთქი. რა ენაზე წაიკითხე სახარება, ალბათ რუსულად მეთქი, ვკითხე, - არა გერმანულადო.

ბავშვობიდანვე სწავლობდა გერმანულს, უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული ისტორიული, პანტელეიმონის მონასტერში სამზარეულოში სატრაპეზოშია გამწესებული - თეფშებს რეცხავს.

დიდი სიხარულით აღვივსე მისი გაცნობის შემდეგ, გულს იმედი ჩამესახა, ეს ფაქტიურად აქ, ამ ბერების ქვეყანაში - ერთადერთი თუ არა, ერთი ქართველია, რომელიც ათონის მთაზე მონასტრის საძმოს წევრია.

აქ ყველა მართლმადიდებელ ერს აქვს თავისი მონასტერი - რუსებს, სერბებს, ბულგარელებს. სკიტი აქვთ რუმინელებს - სახელგანთქმული და დიდი. ქართველების მონასტერი კი ბერძნების ხელშია, ამბობენ მე-13 საუკუნიდან ჩვენიაო, ზოგჯერ მე-14 საუკუნეს ამბობენ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ საბოლოოდ ქართველების მონასტერი ბერძნებმა მე-19 საუკუნეში ჩაიგდეს ხელში, როცა მრავალრიცხოვანი ქართველები (ამბობენ 100-მდე) მონასტრიდან გააძევეს და მათ ივერონის ახლოს ახალი სკიტი - მონასტერი ააშენეს იოანე ნათლისმცემლის სახელობისა. ალექსი ბერი

შუშანიას მასალებიდან ჩანს, რომ ივერონში მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისში ნაკადად მოდიოდნენ საბეროები დასავლეთ საქართველოდან - ძირითადად სამეგრელოდან.

ეს იმიტომ გამახსენდა, მორჩილ პეტრე ჭეჭიას ვკითხე რა გვარი ხარ მეთქი და მიპასუხა, ცოტა უცნაური გვარი მაქვს და გამოთქმით თქვა - "ჭეჭია". მე ვუთხარი კარგი გვარი გაქვს, ახლახან ვუყვებოდი მამა ვახტანგს მეთქი, რომ სამეგრელოდან გასულ საუკუნეში ივერონში ნაკადად მოდიოდნენ ქართველი საბერეები მეთქი.

მერე ვკითხე - ხომ გაგიგონია წმიდა ალექსი შუშანია, ან ქართული წერა-კითხვა ხომ იცი მეთქი? მიპასუხა ვიცი, უმაღლესი დავამთავრე და ა.შ.

- თუ არ იცი უნდა ისწავლო მეთქი, შენ ხომ ახლა ათონის მთაზე მანათებული შუქურა ხარ საქართველოსთვის მეთქი და მთელ ჩვენს ეკლესიას და საქართველოს შენი იმედი გვაქვს, რომ აქ გაძლიერდები სულიერად, განმტკიცდები, შენს გარშემო შემოიკრებ ქართველობას და იქნება ქართველებმაც აქ ფეხი მოვიდგათ მეთქი.

ამ წმიდა მთაზე 6 ქართველი ვართო. ხვალ თუ მათ შევხვდი უფრო დაწვრილებით გამოვკითხავ.

პეტრეს გაცნობამდე ნახევარი საათით ადრე, ჩემთან სასტუმროს ნომერში (პანტელეიმონის რუსულ მონასტერში) მოვიდა ოთხი ქართველი ახალგაზრდა ყმაწვილი - აქ ვართ მუშებადო, რა დიდი სიხარულით უხაროდათ ჩემი ნახვა, რა სიამე და სიხარული ესახებოდათ მათ!

ღმერთო დალოცე საწყალი ქართველები, საწყალი საქართველო, რომელიც ყველაზე საუკეთესო შვილებს უცხოეთში ყრის, მიუტოვებიათ ამ ყმაწვილებს ოჯახები და ისევ ოჯახის გამოსაკვებად მოაშურეს უცხოეთს, ავსებულია საბერძნეთი და ყველა მეზობელი ქვეყანა ქართველებით, ვინ დარჩა საქართველოში?

დარვინი წერდა თურმე-სპარსეთში ერთ ოჯახს ვერ იპოვით იქ ქართველი ქალი რომ არ იყოსო, ძალიან მიკვირდა და აი, ცოცხალი მაგალითი! საბერძნეთში მგონი ყველა ოჯახში ქართველი მოსამსახურე და მოახლე ჰყავთ. ისტორია მეორდება, არაა დიდი განსხვავება. ეს ბიჭებიც დიდად არ განსხვავდებიან წინა საუკუნეებში საქართველოდან გამოყვანილი ქართველი ყმაწვილებისაგან - ერთიც მუშა ძალა იყო უცხოელებისათვის და მეორენიც - დრო იცვლება, საქართველო კი იგივე რჩება - მეორე და მეათე ხარისხოვანი ქვეყანა, ეთნომასალა უცხო ერების გასამდიდრებლად. ვუთხარი კიდეც ამ ყმაწვილებს რამდენჯერმე "არ დაიკარგოთ, ბიჭებო, არ დაიკარგოთ ამ უცხოეთში მეთქი", გაკვირვებულებს მერე ვუთხარი - "დაკარგვა ის იქნება თუ უცხოელ, აქაურ ქალებს მოიყვანთ და აქ დასახლდებით მეთქი", ფიცივით მითხრეს - არ მოვიყვანთ უცხოელ ქალებს, მხოლოდ ქართველ გოგოებს შევირთავთო. ღმერთო ინებე, გადაარჩინე ქართველი ერი და გაამრავლე. რა დღეში ვართ, რა დღეში, ეს რა დაგვემართა.

ეს ბიჭები ხელოსნები არიან, დავალება აქვთ იკონოსტასის დამზადება, აკეთებენ მშვენივრად, მაჩვენეს კიდეც - კარგი ხელობით.

პანტელეიმონის მონასტერში დავესწარით საღმრთო ლოცვას, იდგა ორი შესანიშნავი გუნდი მრავალხმიანი გალობით, მე კვერექსებში მომიხსენიეს, ლოცვის ბოლოს ჯვარზე ბერებს და დამსწრე ხალხს მე ვამთხვევინე, აქ იყო სტუმრად რუსეთიდან არქიეპისკოპოსი სერგი, დიდი პატივისცემით მომესალმა რამდენჯერმე, ადგილობრივმა მლოცველმა მღვდელმა დიდი პატივისცემით გამომაცილა.

ჩემმა თანმხლებმა მღვდელმა მითხრა რა კარგი იყვნენ რუსები, უნდა ვყოფილიყავით რუსების ხელში, ამაზე კარგი ხალხი ჩვენთვის არ არსებობსო.

ეს სიტყვები მე ვფიქრობ უბრალო არ არის.

ესაა ანარეკლი საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივი აზრისა, რომელსაც ქმნის ამჟამიდელი ზედა ფენა.

ამ ვაჟბატონებმა რაც კი რაიმე ღირებული ქონება იყო საქართველოში ამოხაპეს, მიისაკუთრეს, ახლა კი საქართველოს რუსებს აძლევენ, თანაც საზოგადოებრივ აზრსაც ქმნიან - რა

კარგია რუსეთი, ურუსეთოდ ჩვენ არაფერი შეგვიძლიაო. რუსებს რატომ აძლევენ? ალბათ იმისათვის, რომ ნატაცები ქონება ადვილად შერჩეთ. ქართველი ხალხი კი საქართველოდან გამოყარეს - ესაა დაფანტული, უდიასპორო, უეროვნობო საწყალი ხალხი, ხალხი ეროვნული ცნობიერების გარეშე! საცოდავი, მიამიტი, საწყალი და ტკბილი უბრალო ადამიანები, გოგოები და ბიჭები, ჯანმრთელი ქალები და კაცები - ცხვრებივით მსოფლიო გზებზე დაეხეტებიან ლუკმა-პურისათვის, ვაი, ჩვენი ბრალი!

1-ლი ნოემბერი (იგულისხმება 1.11.2003)

ახალი დღე დაიწყო. დილაა. ბიზანტიური დროით 2 საათია, თბილისში, ალბათ, დილის 7 საათი. პანტელეიმონის რუსული მონასტრის ეკლესიაში წირვაზე მიმიწვიეს. წირვა ღამითაა, როგორც ივერონში და ათონის მთის მონასტრებში საერთოდ. დიდი პატივისცემით მიმიღეს, მომიჩინეს ადგილი ეკლესიის ყველაზე საპატიო სამღვდელმთავრო კათედრაზე, რომელიც სვეტზეა მიდგმული წმიდა პანტელეიმონის ხატის წინ, ქართულად წარმოვთქვით "მრწამსი" და "მამაო ჩვენო". ჰყავდათ შესანიშნავი გუნდები. ჩვენი იქ ყოფნის აღსანიშნავად გუნდმა ორჯერ იგალობა ქართულად "წმიდაო ღმერთო", ჯერ შესაბამის ადგილას, შემდეგ კი განიცადეზე. ქართულად თქვეს აგრეთვე ერთ-ერთი კვერექსის დროს "უფალო შეგვიწყალენ", ხალხი და ბერები მოდიოდნენ ჩემთან კათედრაზე და მოწიწებით კურთხევას იღებდნენ, დიდება უფალს!

სიმდიდრით ოქროსფრად ჩახჩახებს კანკელი, ხატები და ტაძარი საერთოდ. სადილს ხუთი ეპისკოპოსი ვესწრებოდით საერთო სატრაპეზოში, უკრაინიდან იყვნენ, მე დამსვეს ცენტრალურ სავარძელში და სუფრა მე ვაკურთხე.

ახლა 300-ზე გვეპატიჟება წინამძღვარი ექსკურსიაზე მონასტერში.

ვფიქრობ ხვალინდელ დღეზე.

1-ლი ნოემბერი

საქართველოსათვის დიდი დღე უნდა იყოს არჩევნების გამო. ღმერთმა ინებოს დემოკრატიის გამარჯვება და სტაბილურობა, კეთილდღეობა საქართველოსი, ამინ!

ორჯერ ვეზიარე ივერონში, ზედიზედ. ეს ჩემთვის დიდი მოვლენაა, ამით კმაყოფილი ვარ. ღამის ლოცვები არ გამიცდენია, მიჭირდა ჯანმრთელობის მხრივ, მაგრამ უფლის შეწევნით მადლი მივიღე. წამოსვლის წინ ივერონის პორტაიტისას წმიდა ხატის წინ ქართულად პარაკლისი გადავიხადეთ.

ბერძენი ბერები არ დასწრებიან, მარტო კალინიკე იყო, ისიც გვაჩქარებდა (ხშირი გასვლა-გამოსვლით), გვაგრძნობინებდა, რომ შეიძლებოდა გემი გასულიყო, რომელსაც დაფნიდან რუსიკონში (პანტელეიმონში) უნდა წავეყვანეთ.

გემზე ავედით. ზღვა იყო შესანიშნავი ლურჯი, ცრიატი და გამჭირვალე, საოცარი, მოლურჯო-მოცისფრო დიდი თევზი ცურავდა გემის გვერდით.

მზის ჩასვლის შემდეგ, ღამით, ჩემს ოთახს მთვარე მოადგა, ნამგალა, თეთრად ანათებდა გრძელი ათინათით ზღვას ზედ ჩემი ფანჯრის წინ.

ახლა კი მშვენიერი, წყნარი დღის შუქით განათებული ზღვა მოჩანს. ისმის ტალღების ხმა.

გუშინწინ მოვილოცეთ ივერონის მეზობელი სტავრონიკიტას მონასტერი, შემდეგ კი გერმანული მანქანით წაგვიყვანეს ათანასე დიდის ლავრის მოსალოცად. მძღოლი ბერი იყო, ათანასეს ლავრაში შემხვედრი ბერი გვესაუბრებოდა წმ. ათანასე დიდისა და ქართველთა (იოანეს და სხვების) ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის შესახებ. ამიტომაც, ახლაც ივერონისა და ჩვენი მონასტრები ძალზე ახლოს ვართ ერთმანეთთან დღესასწაულის დღეების თუ სხვა მოვლენების დროსო.

მე ათანასე დიდის რკინის კვერთხით დავლოცე ხალხი და შემდეგ იქაურ და ჩვენებურ მღვდლებს ვთხოვე ამ კვერთხით შემხებოდნენ ზურგზე, რათა ბეჭებისა და ხელების ტკივილისაგან განვიკურნო ამით, მე მეჩვენება რომ ათანასე დიდმა დამლოცა თავისი კვერთხით. ამინ!

შემდეგ მივედით ღვთისმშობლის წყაროსთან (აიაზმასთან), რომელიც ათანასე დიდის კვერთხის შეხებითა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნებით აღმოცენდა უწყლო ადგილას, ახლაც მიედინება დიდად მშვენიერი წყაროს რუ და გარშემო პატარა ყვავილნარიც აქვს მოწყობილი, აქვეა სამლოცველო.

პანტელეიმონის რუსული მონასტრის ეკლესიის მთავარი 4 ფრესკა (შესასვლელის გვერდითა კედლებზე), დიდი ზომისა მოუხატავს აქაურ ქართველ ბერს ნიკოლოზს 1906 წლებში, ის ცნობილი მხატვარი ყოფილა და 1938 წელს დაუწერია ზუსტი ასლი ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა.

ამხსნელი (გიდი) ბერი გვიყვებოდა, რომ ბერი ნიკოლოზ ქართველი სიამაყეში ჩავარდნილა, რადგანაც ზუსტი ასლი მისდაგვარად იქამდე არავის მიერ არ ყოფილა დაწერილი და ხელების კანკალის დაავადებით დაავადებულა, შემდეგ შევედრებია ყოვლადწმიდა დედას რომ ნება მიეცა ხატის დასრულებისა. მართლაც, განკურნებულა ავადმყოფობისაგან და ეს მის მიერ დაწერილი ხატი ახლა მოთავსებულია სტოაში ტაძრის კარის წინ.

ათონზე ახლა 6 ქართველი ძმაა, აქედან სამი ბერი და სამი მორჩილი. ერთია პეტრე, ერთიც ვინმე ქართველი მხატვარია ერთ-ერთ მონასტერში.

6.11.2003.

ახლა ვართ სტამბულის სასტუმრო "ლიონის" N 203 ოთახში. ტელევიზორით აჩვენებენ მრავალ პროგრამას, უფროს ქალებს ხელზე კოცნიან და შემდეგ ხელი თავთან მიაქვთ პატივისცემის ნიშნად. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ეკონომიკურად და ყოველმხრივ წინ წავიდა, კარგად ჩანს ძველი ტრადიციებისადმი ერთგულება და პატივისცემა.

გუშინ ვახშამზე თავის სასტუმროში მიგვიწვია ახმედ ბეიმ, ესაა მდიდრული ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო "გრანდ ჰოტელ გულსოი". ახმედ ბეი მისი მეპატრონეა. ის წარმოშობით "ბურსადან" არის, ამბობს, რომ იქ 20-ზე მეტი ქართულენოვანი სოფელიაო, ქართული დედაჩემის ენააო, ქართველები ბევრნი ვართო. მე გაოცებული ვარ, რა სიყვარული აქვთ. აქვე მოვიდა თურქეთში საქართველოდან სამუშაოდ ჩასული ორი ქართველი ქალი, აქ მუშაობენ, წვრილმანს ყიდიან და ვაჭრობენ, ესაა უმაღლეს დამთავრებული სერიოზული და ძალზე მშრომელი ქალები, ზოგიერთს ფხა გამოუჩენია. სტამბულში ამ ქართველ ქალებს ერთად მოუყრიათ თავი სასტუმროში. ესაა "ფუატფაშა" - ბაკირჯილარი...

ისინი უნდა დამეხმარონ, რომ თბილისში გამოვფრინდე კვირა საღამოს. მათ წყენად განაცხადეს, რომ საქართველოში ცუდი წარმოდგენა აქვთ თურქეთში გადახვეწილ ქართველ ქალებზე, ჩვენ ჩვენი ოფლით, დიდი შრომით, თავდადებით ვმუშაობთ და ჩვენი შრომისმოყვარეობის გამო აქაური ქართველები და საერთოდ აქაურები პატივისცემით გვეპყრობიანო.

მათი თქმით თურქეთში 12 მილიონამდე ადგილობრივი ქართველი ცხოვრობს, იციან ქართული ენა, არიან ღრმად მორწმუნე მუსულმანები, ფანატიკოსობამდე.

საბერძნეთში ყოველი ტელეარხი დღეში უამრავჯერ აჩვენებს წირვებს, ლოცვებს, საეკლესიო პირების შეკრებას, მათ საუბრებს, ესაა ნორმა, ჩვეულებრივი ამბავი, არა თუ აკვირვებს ვინმეს, არამედ ბუნებრივად ითვლება. რაზე საუბრობენ - მეთქი ასე ხშირად და თითქმის მუდმივად ტელეარხებზე სასულიერო პირები - მეთქი, მიპასუხეს რომ სასულიერო პირები საუბრობენ ნებისმიერ საკითხზე, მათ შორის პოლიტიკაზე, რაც მოწონთ და რაც არ მოწონთ აცხადებენ, საუბრობენ, მე თვითონ მოწმე ვარ, რომ მათ საუბრებს დიდი ყურადღებით უსმენენ.

სალონიკში ჩვენი მასპინძელი იყო ღონღაძე, საქართველოდან გადმოხვეწილი ქალი, წარმატება მოუპოვებია, ნაქირავები აქვს 300 ევროდ კარგი ბინა, თითქმის 4 დღე გვიმასპინძლა საოცრად დიდი სიყვარულით. მისი ძმა საქართველოსა და გერმანიას შორის მანქანებით ვაჭრობს. დაუვიწყარია პატივისცემა.

მან მითხრა, რომ საქართველოში მრავალმა ქართველმა ბერძენად ჩაიწერა თავისი თავი, რომ საბერძნეთში ადვილად ჩამოსულიყვნენ. მეც შემომთავაზეს თბილისშივე ბერძენად ჩაწერა 300 დოლარად, მაძლევდნენ გვარს "ღოღანიდუ", ასეთი გვარის ბერძნები საბერძნეთში ნამდვილად ცხოვრობენ. ეს მოხდა სპორტის სასახლესთან დაახლოებით 1991-1992 წლებში, გახსნილი იყო წალკელი ბერძნების ვიზების გასაცემელი ოფისი და იქო.

სალონიკში ჩამოვიდა ერთი გადმოხვეწილი ქართველი კაცი ვალერი, ის მუშაობს თუ თავშეფარებულია ერთ-ერთ მონასტერში კორინთოსთან ახლოს. ძალიან და დაჟინებით გვეპატიჟებოდა ამ მონასტერში, მაგრამ არ წავედი. ეს ბიჭი აღტაცებულია ბერძნობით, ბერძნული გალობით. ერთი ნაბიჯი აკლია გაბერძნებამდე. თუ აქ დარჩა კიდევ ათიოდე წელი, ეს იქნება პატრიოტი ბერძენი. ქართულად კარგად ვერ წერს - წერა-კითხვა ჩანს არ ეხერხება. ასევეა - ქართული კითხვა (მხედრული) ძალიან უჭირს - წამოსვლის წინ ივერონის მონასტერში ქართული პარაკლისი გადავიხადეთ, მხედრული ასოებით დაწერილი პარაკლისის ტექსტს ის ბლუყუნ-ბლუყუნით კითხულობდა, სამარცხვინოდ, მერე მისმა მამამ გამოართვა წიგნი და მან წაიკითხა. ეს იმ ფონზე, როცა ბერძნები პარაკლისს დიდის დიდებითა და ამაღლებული კითხვის წესით იხდიან.

სტამბულში ვნახე და ჩემთვის ვილოცე აია სოფიას წმიდა ტაძარში. ყურადღება მივაქციე რომ სტამბულში სომხებს კარგი მდგომარეობა უჭირავთ. ერთ-ერთი ტელე არხის რაღაც ნაწილი მგონი სომხურია.

ხალხური ანუ პოპმუსიკა აქ ნამდვილად ხალხურია. ჩვეულებრივი, ყოველდღიური ტანსაცმლით ცეკვავენ ხალხურ ცეკვებს, ერთმანეთს ეჯიბრებიან ჩვეულებრივი ხალხი. ეს ბუნებრივია, ჩვენში კი პირიქით, ხალხური კულტურა - ცეკვა და სიმღერა გაუცხოვებულია ხალხისაგან და სცენაზეა ატანილი. ეს ჩვენში ბუნებრივად მიიჩნევა, მაშინ როცა ეს არის აბსოლუტურად არანორმალური მოვლენა. ჩვენში ხალხს ხალხური ცეკვის ანდა სიმღერის შესრულება ჩვეულებრივად, ბუნებრივად არ შეუძლია. ჩვენი "ხალხური ცეკვა" ესაა ჩოხებითა და ახალუხებით შემოსილი ხალხის სცენაზე ცეკვა და ასევეა სიმღერაც. აქ კი თვითონ ხალხი ცეკვავს და მღერის ბუნებრივად. საჭიროა, რომ ჩვენშიც ხალხური ცეკვა დაერქვას არა იმას, რასაც სცენაზე ცეკვავენ, არამედ იმას რასაც ხალხი ბუნებრივად ცეკვავს და ასევეა სიმღერაც. მაშინ ხალხი ბუნებრივად აითვისებს და განავითარებს კიდეც ტრადიციულ მამა-პაპურ კულტურას.

გული მწყდება, რომ უმშვენიერესი ქართული-ხალხური რიტმები, აკორდეონზე და დოლზე ხალხში შესრულებული, თითქმის მოისპო და მოძველებულ მუსიკად ითვლება, მის ნაცვლად, ქართული პოპმუსიკა ეწოდება რაღაც ხელოვნურ-ევროპულ ჰანგებს. აქ კი პირიქითაა - ხალხი ხალხურს ბუნებრივად ცეკვავს და მღერის, მომღერლებიც ამ ხალხურ სიმღერებს მღერიან, ყველა ტელე არხი სავსეა ასეთი თურქულ-ეროვნული სიმღერებით, სახალხო მომღერლების შესრულებით, ჩვენში ხალხური შეცვალეს ე. წ. "პოპ მუსიკით", ხელოვნური, არაბუნებრივი მუსიკით, რაღაც ეკლექტიკით. ნამდვილი ხალხური მუზები სცენის საკუთრებად აქციეს, აი, რებუსი.

გვაჩვენებს სტამბულის "გრანდ ბაზარ", აქ თურმე ქართველებს მონებად ჰყიდნენ, ამავე დროს კი სომხებს, სტამბულში, თავისი ეკლესიები და საეკლესიო ცენტრები ჰქონდათ. აქაური ქართველი ქალები ყვებიან, რომ ერთ-ერთი დიდი ხიდის ქვეშ არის დამწვარი სომხური ეკლესია, სომხების დევნის დროს დამწვარა.

თესალონიკშიც და სტამბულშიც ვევედრებოდი ქართველებს ეფიქრათ ქართული საეკლესიო-კულტურული ცენტრების შესაქმნელად. ეს იდეა იმდენად უცხოა აქაური უბედური, დევნილი და დამცირებული ქართველებისათვის, რომ მათთვის მთლიანად გაუგებარია.

ევგენი დალეჯიო - 1900 წელს წერდა, რომ სტამბულში ყველა ერს აქვს თავისი საკუთარი კულტურული ცენტრები, სადაც ამ ეთნოსის ადამიანები იკრიბებიან და თავიანთ ეროვნულ გრძნობებს იკმაყოფილებენ ქართველების გარდაო. ეს ევგენიოს ძალზედ უკვირდა, რომ ქართველებმა სტამბოლში ვერ შეძლეს ქართული კულტურული ცენტრის შექმნა. გავიდა 100

წელი, იგივე მდგომარეობაა, ქართველებს არა აქვთ უნარი უცხო ქვეყანაში შექმნან თავიანთი კულტურული ცენტრები. იქნებ საქართველოს გაამაყებულ-გამეტიჩრებულ ელიტას ეს შეუძლია, ან ჩვენს კულტურის სამინისტროს? ვითომ?

სტამბოლიდან თვითმფრინავით გამოვფრინდი ღამის 3 საათზე. გულიანად ვარ მადლობელი და კმაყოფილი ბატონი ახმედ ბეისა, რომელმაც გამოფრენის წინ ორჯერ მომიკითხა სასტუმროში, შემდეგ კი, გამოფრენის წინ, საგანგებო ვახშამზე მიმიწვია თავის სასტუმროში. ამ ვახშამს ესწრებდა ორი შესანიშნავი ქართველი ქალბატონი, რომელთა შესახებაც ზემოთ ვწერდი ხათუნა და მანანა, რომელთაც მთელი დღე დამითმეს მე (კვირა) და დამათვალიერებინეს ქალაქი სტამბული, შემდეგ კი გამომაცილეს აეროპორტში. ვახშამის შემდეგ იქვე დავრჩით სასტუმროში და ტაქსის ლოდინში ვსაუბრობდით სალონში, ამ დროს, საგანგებოდ ჩვენთან, პატივისცემის გამოსახატავად, მოვიდა ეროვნებით ქართველი, თურქეთის მკვიდრი, ყოფილი უფროსი სტამბულის პოლიცია-პროკურატურისა (ამ თანამდებობას თავისი თურქული სახელი აქვს, რომელიც აღარ მახსოვს). ეს კაცი - შუახნის ვაჟკაცია, სათვალეებით. ქართულად რასაც ამბობს გამართულად ამბობს, ლაზებს უწოდებს "ჭანებს", ხანაც "ჩვენ მეგრელებს". ეს კაცი ავადმყოფობის შემდეგ გადამდგარა თანამდებობიდან და ახლა ერთ-ერთი სპორტული კლუბის თავმჯდომარეა. აქვე ვახშამზე მოვიდა კიდევ ერთი თბილისელი ქართველი ქალი, თურქეთში გათხოვილი. შემდეგ გამოითქვა აზრი, რომ ეს იყო ქართველი ებრაელი. რა სიყვარულს გამოხატავდნენ ყველანი საქართველოს, ქართული ენის მიმართ! ლაპარაკობდნენ თუ როგორ სტუმრობენ ამ სასტუმროს ქართველები ისრაელიდან და ტირიან ქართული ენის გაგონებისას (ე.ი. ებრაელები), რომ იყოს რაიმე ძალა ამ ქართველების გასაერთაინებლად! ამ ვახშამზე განაცხადეს, რომ თურქეთში დაახლოებით 12 მილიონი ქართველი უნდა ცხოვრობდეს, აქედან 6 მილიონი ლაზი. ახმედ ბეის გვარი ყოფილა ბარდანიძე. ბურსაში, ბურსის რაიონში 20 ქართული სოფელია, ასევეა ყველგან თურქეთში. ახალი თაობა უფრო ივიწყებს ენას, მაგრამ იცის თავის წარმომავლობაო.

ღმერთმა დალოცოს ხათუნა, მანანა, თამრიკო (თამილა), ნელი, ახმედ ბეი, ყველა ქართველი, რომელიც საბერძნეთსა და თურქეთში გასაწყლებული იყურებიან ერთ მხარეს, საქართველოსაკენ. კარგი, კეთილი ადამიანები, რომელთაც საქართველოს და ქართველობის სიყვარულით მე, და ჩვენ ყველას, განუზომელი პატივი დაგვდეს. ამინ!

12.XI.2003

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ენა და სახელმწიფო

საქართველოში რუსული კულტურის ქართული კულტურით გადაფარვის აუცილებლობის შესახებ, 2004 წ. მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი

ქართველი ერის უპირველესი მისია, ამჟამად, 21-ე საუკუნის პირველ წლებში, არის განამტკიცოს თავისი სახელმწიფო, რისთვისაც საჭიროა, რომ იგი ჩამოყალიბდეს ვითარცა თანამედროვე ერი. მან უნდა შეძლოს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საქართველოს საზღვრებს შიგნით მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის საქართველოს მოქალაქეებად, ანუ ერად ჩამოყალიბება. ისმის კითხვა, არსებობს თუ არა საშუალებანი ამისა? დიახ, თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა გამოცდილების მსგავსად ორი უმთავრესი მოთხოვნილების შესრულებაა საჭირო. ესენია: 1) ქართველი ხალხის შიდა კონსოლიდაციის დაჩქარება, 2) საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაცია ერთიან სახელმწიფოში.

ჩვენს მეზობელ თურქეთში XX საუკუნის დასაწყისში თურქთა ეროვნული კონსოლიდაციის დასაჩქარებლად იღწვოდა თურქ ინტელიგენტთა საზოგადოება. მათ დაამკვიდრეს თურქულ საზოგადოებაში თანამედროვე ერის ცნება. მალე ეს საზოგადოება გადაიქცა თურქეთის მმართველ პარტიად, რომლის წესდების თანახმად გარკვეული განსხვავებაა იმ ერებს შორის, რომელნიც წარსულში არსებობდნენ და თანამედროვე ერებს შორის. თანამედროვე ერების ჩამოყალიბების პროცესი იწყება ქვეყნის ფეოდალური დანაწევრების დაძლევის, ერთიანი ცენტრალიზებული, ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით, ერთიანი საერთო შიდაეკონომიკური ბაზრის შექმნითა და შიდაეთნიკური საზღვრის მოშლით. ყოველივე ეს ეთნოჯგუფებსა და ეროვნებებს ერთიან ერად ჰკრავს (ო. გიგინეიშვილი, "ნაციონალიზმის ქემალისტური დებულება", კრებულში "მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია", თბ. 1983, გვ. 145-146). ო. გიგინეიშვილი აღნიშნავს: "თურქეთში ნაციონალიზმის დებულება გულისხმობს ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, რომლის საფუძველი იქნება თურქი ერი, სწორედ ამ პრინციპით "ერთი ერი - ერთი სახელმწიფო" იქმნებოდნენ თანამედროვე საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ჰოლანდია, ესპანეთი და სხვა. ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ევროპის სახელმწიფოები, რომლებსაც ეროვნულ სახელმწიფოებს უწოდებენ, მართლაც ერთეროვანნი არიან" (იქვე, გვ. 146).

თურქეთში რეფორმების გატარებამ საფუძველი შეუქმნა თურქეთის სახელმწიფოს დაარსებას და თურქი ხალხის სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას. მსგავსადვე მოხდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია ბულგარელებისა, რუმინელებისა, ბერძნებისა და სხვა ხალხებისა.

ამ კუთხით თუ შევხედავთ, სამწუხაროდ საქართველო (ალბათ ჯერჯერობით) უფრო ემსგავსება კონგლომერატს კონფესიურად, კულტურულად, ლინგვისტურად და რაც მთავარია, ეთნიკურად ერთმანეთისაგან დაშორებული მოსახლეობისა. აი, სწორედ ამ ხალხების გადაქცევაა საჭირო თანამედროვე ერთიან ერად, ისევე როგორც ეს მოახერხეს ჩვენმა მეზობელმა სახელმწიფოებმა.

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების ინტეგრაცია არ გულისხმობს იმას, რომ ვთქვათ, მაგალითად, აზერბაიჯანელები ქართველ ეთნიკურ ჯგუფად გადაიქცევიან, არამედ იმას, რომ ისინი შეინარჩუნებენ შიდა ეთნიკურ თავისთავადობას, მაგრამ საქართველოს თანამედროვე ერის ნაწილად იქცევიან ქართული ენის ცოდნით, საქართველოს საკუთარ სახელმწიფოდ აღიარებით, მისი კულტურის მატარებლობით, მის სრულფასოვან მოქალაქეებად გადაქცევით.

რა უშლის ხელს საქართველოს ხალხების ინტეგრაციას? - ერთიანი კულტურის არარსებობა. კულტურა ხალხთა გამაერთიანებელი უდიდესი ძალაა, საფუძველია ერთობისა. სახელმწიფოებრიობასთან, საერთო მოქალაქეობასა და სამართალთან ერთად საერთო ქართულმა კულტურამ უნდა შექმნას სამომავლოდ საქართველოს ერის იერსახე და მისი მთლიანობის ნიშნად იქცეს. საქართველოს ნაციას უნდა ჰქონდეს კულტურული ერთობის განცდა.

ძველად, XIX საუკუნემდე, ქართული კულტურა აერთიანებდა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებს. ნ. მარის სიტყვითაც, XIX საუკუნემდე, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, ქართული ენა იყო კავკასიის ხალხებისათვის ერთაშორისი ურთიერთობის ენა. ქართული ენით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს დაღესტნელი დიდოელები და ჭარ-ბელაქნელი (აზერბაიჯანელი) ლეკები, ქართული ენა იცოდნენ ჩეჩენი და ადიღეველი ხალხების დიდებულებმა, საქართველოში მცხოვრებმა მუსულმანების შესაბამისმა ფენებმა.

სამწუხაროდ, რუსთა 200-წლიანი ბატონობის შედეგად, ამჟამად ქართულმა ენამ და ქართულმა კულტურამ საქართველოშივე დაკარგა ერთაშორისი ურთიერთობის ფუნქცია.

ფაქტიურად საქართველოში ამჟამად არსებობს რამდენიმე ტოლხარისხოვანი კულტურა. ესაა ქართული, რუსული, სომხური და სხვა ეთნოსების კულტურები. ყველა ისინი, რუსულის გარდა, თავის ეთნოჯგუფებში არსებულ ჩაკეტილ სისტემებს წარმოადგენენ. მხოლოდ რუსული კულტურა აერთიანებს საქართველოში არსებულ სხვადასხვა კულტურებს. მაშასადამე, ქართული

კულტურა კი არ ფარავს სრულიად საქართველოს, არამედ უცხო, სხვა ერის კულტურა, როგორც ითქვა, ესაა რუსული კულტურა. შესაბამისად რუსული ენა საქართველოში წარმოადგენს ერთაშორისი ურთიერთობების საშუალებას. ესაა ეროვნული ტრაგედია, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი უდიდესი შემაფერხებელი მიზეზია საქართველოს ხალხების ინტეგრაციისა ერთიან ერ-სახელმწიფოდ (სამწუხაროდ ამ ტრაგედიის განცდა თითქმის არა აქვს ჩვენს საზოგადოებას).

აი, როგორ გადაჭრეს მსგავსი ვითარება ჩვენმა მეზობლებმა. ქემალ ათათურქის და რეფორმატორების მიზანი იყო მოეშორებინათ ოსმალეთის იმპერიული მემკვიდრეობა, რომელიც ხელს უშლიდა თურქეთში მცხოვრები ტომებისა და ხალხების ერთიან ერად კონსოლიდაციას. ამიტომაც მათ თავდაპირველად არა ეკონომიკასა და მრეწველობას მიაპყრეს ყურადღება, არამედ კონსოლიდაციის უპირველეს იარაღს - ენას, კულტურას, ნაციონალიზმს. ო. გიგინეიშვილი წერს - "ოსმალური ენა, ყოფილი იმპერიის ანუ მმართველი ზედაფენის ენა, განსხვავდებოდა ეროვნული თურქული ენისაგან. ამიტომაც რეფორმატორებმა ყურადღება მიაპყრეს თურქულ ენას, მის განვითარებასა და სახელმწიფოში გავრცელებას, რათა "თურქულ ენას მინიჭებოდა პრიორიტეტი ძველი იმპერიის ენასთან შედარებით". რეფორმატორთა მიერ ოსმალეთის იმპერია განიხილებოდა, ვითარცა კოსმოპოლიტური (არაეროვნული) სახელმწიფო. ახალ თურქეთში თურქული ენა და კულტურა დაუპირისპირდა ძველ იმპერიულს (ოსმალურს). ერთმანეთს დაუპირისპირდა ოსმალური და თურქული ლიტერატურა, ოსმალური და თურქული მუსიკა, ოსმალური და თურქული მორალი. ფილოსოფია, ეკონომიკური დოქტრინები, ყველაფერი ოსმალური გამოცხადდა კოსმოპოლიტურად, თურქული-ეროვნულად, ნაციონალურად. ასე ყალიბდებოდა თანდათანობით ეროვნულისა და ნაციონალურის გაგება" (ო. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 149). რისთვის იყო ეს ყველაფერი საჭირო? თურქი ნაციის ჩამოსაყალიბებლად, რათა ის გამკლავებოდა მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს. როგორც ო. გიგინეიშვილი წერს "რათა თურქეთს საშუალება მისცემოდა გამკლავებოდა ევროპის მოძალებას, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის მეშვეობით გაძლიერდა, თურქეთის წინაშე უპირატესობა მოიპოვა და გადმოვიდა მის წინააღმდეგ" (იქვე, გვ. 148). რა შეიძლება ვისწავლოთ ჩვენი მეზობლის მაგალითით? ჩვენი ქვეყნის გასაძლიერებლად, ჩვენი სახელმწიფოს დასაყრდენის - ქართველი ხალხის კონსოლიდაციის უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად საჭიროა წარსულის იმპერიული მემკვიდრეობის დაძლევა ანუ საქართველოში რუსული კულტურის ქართული კულტურით გადაფარვაა აუცილებელი! თურქეთში, როგორც ითქვა, კოსმოპოლიტურად, ე.ი. არაეროვნულად მიიჩნეოდა ოსმალეთის იმპერიის ენა, კულტურა, წეს-ჩვეულებები, რომელთაც ებრძოდნენ იმით, რომ დაურიდებლად აძევებდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროდან და მათ ნაცვლად ამკვიდრებდნენ ეროვნულს. ჩვენში ძველი იმპერიის ენის ე.ი. რუსულის მიმართ შესაბამისი მიდგომები უნდა შემუშავდეს. ზემოთმოყვანილი დევიზის პერიფრაზა ალბათ ასეთი უნდა იყოს - "ქართულ ენასა და კულტურას საქართველოში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს რუსულთან შედარებით", იგულისხმება მთელი საქართველოს მოცვა ქართული კულტურით, ენით, ლიტერატურით, მუსიკით, მორალით, ფილოსოფიით, ეკონომიკური დოქტრინებით. ყოფილი ჩრდილო-იმპერიული უნდა გამოცხადდეს კოლონიალურ ნაშთად, რომელიც ამჟამად აფერხებს საქართველოს სხვადასხვა ხალხების ინტეგრაციას. ამით არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება, რადგანაც სწორედ ეს გზა აქვთ არჩეული ჩვენს ყველა მეზობელ ერს. მაგალითად, XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში ფრანგული ენისა და კულტურის მომხმარებელმა ზედაფენებმა ნაპოლეონის ომების შემდეგ უარყვეს ფრანგული ვითარცა დამპყრობლის ენა და კულტურა, რომლის ადგილი ნაციონალურმა (რუსულმა) დაიჭირა. ქართული ენის გავრცელებას ძველ საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. საქართველოდ ის ტერიტორია მიიჩნეოდა, სადაც ქართული ენით ადიდებდნენ უფალს და ქართული ენით ლოცულობდნენ. დღეს მსოფლიოში მსგავსი პრობლემების გადაჭრა დაკისრებული აქვს მასმედიას, მასობრივ კულტურას, ტელევიზიას, განათლების სისტემებს. საყოველთაო განათლება - სკოლები საქართველოში უნდა

იყოს ქართულენოვანი, ამის მიღწევა ალბათ ჯერჯერობით ძნელია, მაგრამ ტელეპროგრამები საქართველოში უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ქართულენოვანი. არ შეიძლება სახელმწიფო და ქვეყნის მომცველი კერძო ტელეარხები გადასცემდნენ რუსულენოვან ფილმებსა და პროგრამებს, ეს სხვა ქვეყნებში წარმოუდგენელია. საქართველოს სამხრეთ რეგიონებში - ესაა ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და სხვა რეგიონებშიც ტელევიზია ძირითადად რუსულენოვანია, ქართული ენა გაძევებულია რუსული, სომხური და აზერბაიჯანული (თურქული) ენებით. თბილისის თვით პირველი სახელმწიფო არხიც კი - რუსულენოვან ფილმებს აჩვენებს არცთუ იშვიათად, როგორც ითქვა, ეს სხვა ქვეყნებში - წარმოუდგენელია. სხვა სფეროშიც თითქმის ასეთი ვითარებაა, გაიარეთ რუსთაველის პროსპექტზე და თქვენ იხილავთ გასაყიდი წიგნების უწყვეტ თაროებს - მაგრამ აი, საოცრება, ესაა ძირითადად რუსულენოვანი წიგნები, საქართველოს არც ერთი, არც სახელმწიფოებრივი და არც კულტურული ფენები ამას არც კი განიცდიან, იმდენადაა გამსჭვალული რუსული კულტურით საქართველოს საზოგადოებრივი სფერო - რუსული ენისა თუ წიგნების ეს ბატონობა შეუმჩნეველიც კი რჩება. ამის შედეგია ის, რომ არა თუ არაქართული ეთნიკური წარმომავლობის, არამედ თვით ქართველი ბავშვებიც კი საქართველოს ტელევიზიიდან სწავლობენ რუსულ ენას, ითავისებენ რუსულ კულტურას. ამის შედეგად ქართველებისათვის რუსული კულტურა თითქმის მშობლიურად იქცა, რუსული ენისა და კულტურის ათვისების გამო ქართველები რუსეთს თითქმის მშობლიურ ქვეყნად მიიჩნევენ, მიდიან იქ საცხოვრებლად და სამუშაოდ, ადვილად ეგუებიან გარემოს. მილიონი ქართველი რუსეთში ცხოვრობს ან რუსეთზეა საქმიანობით დამოკიდებული, ეს იწვევს მათ სწრაფ ასიმილაცია გარუსებას, მეორე მხრივ, ქართველის მიერ რუსული კულტურის გათავისებით დაზარალდება საქართველოს სახელმწიფო. ამის შედეგი იქნება საქართველოს ვითარცა არ შემდგარი კულტურის სახელმწიფოს დაშლა-დანაწილება, რადგანაც ვერ გაავრცელა თავისი ეროვნული კულტურა და ახალ ეპოქაში, თანამედროვე ვითარებაში, ვერ დაიცვა სულიერი ეროვნული ღირებულებები. მართალია, XX საუკუნეში უფალმა აღუდგინა თავისუფლება, მაგრამ თავისი ჯვარი ვერ მიიტანა ბოლომდე, ვერ ჩამოყალიბდა ნაციად და ამით ვერ გახდა მკვიდრი ამქვეყნიური მომავალი დიდებისა. უფალმა მოგვცა ჩვენი სახელმწიფო, ეროვნული ეკლესია, უძველესი კულტურა, ენა, ჩვენ მხოლოდ ერთი მოვალეობა დაგვაკისრა - მათი დაცვა, განმტკიცება და განვრცობა.

რეგიონებში ქართული კულტურის განვრცობა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს აღორძინება ჩვენი ხალხის მოვალეობად და ღირსების საქმედ უნდა იქცეს უფლის შემწეობით.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

გლობალიზაციის საყოველთაო პროცესი საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას - კულტურულ და ცნობიერ კავშირს ისტორიულ ფესვებთან. ამ პროცესის შესახვედრად თვით უძლიერესი ერებიც კი ემზადებოდნენ (ცენტრალიზებული ნაციონალური სახელმწიფოს დაარსებით, ფეოდალური დანაწევრების დაძლევით, საერთო შიდაეკონომიკური ბაზრის შექმნით, ერთიანი კულტურული სივრცის ჩამოყალიბებით, შიდაეთნიკური საზღვრების მოშლით).

უძველესი ხანიდან XIX საუკუნემდე ქართული ენა და კულტურა აერთიანებდა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებს. რუსეთის 200 წლიანი (XIX-XX სს) ბატონობის შემდეგ, ამჟამად საქართველოში ერთაშორისი ურთიერთობის ენა არის არა ქართული, არამედ რუსული. ფაქტობრივად რუსული კულტურა აერთიანებს საქართველოში არსებულ სხვადასხვა ეთნოსების კულტურებს (იგულისხმება აზერბაიჯანული, სომხური, თვით ქართული, ოსური, აფხაზური და სხვა). რუსული ენისა და კულტურის მიერ ქართულის შეზღუდავამ, ამ უკანასკნელს ჩამოართვა ფუნქცია ხალხთა გამაერთიანებლისა, რადგანაც კულტურა მოქალაქეთა მთლიანობის უმთავრესი ნიშანი და ერთობის საფუძველია. კულტურული ერთობის განცდა საქართველოს შვილების (ერის) მთლიანობის ნიშანი იყო ძველად, რაც დღესდღეისობით ჩანაცვლებულია არაეროვნულით (რუსულით), ეს ერთ-ერთი მიზეზია საქართველოს ეთნოსების (ხალხების) შეფერხებული ინტეგრაციისა.

ამ ვითარების გამო აუცილებლად მივიჩნევთ, რომ სამომავლოდ ქართულ ენასა და კულტურას საქართველოში მიენიჭოს პრიორიტეტი რუსულთან შედარებით. იგულისხმება საქართველოს მოცვა ქართული ენით, ლიტერატურით, მუსიკით, ფილოსოფიით, კულტურით, ეკონომიკური დოქტრინებით. სახელმწიფომ ქვეყანაში უნდა გაატაროს შესაბამისი ენობრივი პოლიტიკა, ქართული ენის სახელმწიფოებრიობა რეალურად უნდა განხორციელდეს.

აღნიშნულის განსახორციელებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საინფორმაციო საშუალებების (ტელეხედვის, რადიომაუწყებლობისა და ინტერნეტის) ქართულენოვანებას. ქართულმა ტელეარხებმა ყველა გადაცემა უნდა განახორციელონ სახელმწიფო ენით, ისევე როგორც ეს სხვა ქვეყნებშია. ქართული კულტურისათვის დამამცირებელია, რომ საქართველოს მხარეების უდიდესი ნაწილი ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთის მთიანეთი, ქვეყნის სხვა ოლქები წარმოადგენს რუსულ და უცხოენოვან ტელე და რადიო სივრცეს და (არა ქართულს). თვით თბილისის რადიო და ტელეარხების 30 - 40% რუსულენოვანია, ქართველი ბავშვები ტელევიზიის საშუალებით სწავლობენ რუსულ ენას, ითვისებენ რუსულ კულტურას, ამის შედეგია ის, რომ რუსეთში სამუშაოდ გასული ასეულათასობით ქართველს უცხო გარემოსთან შეგუება უადვილდება ენის ცოდნის გამო. ამიტომაც ხდება რუსეთში მათი სწრაფი ასიმილაცია, საქართველოს სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილის დაცარიელება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტელე და რადიო დიქტორთა მეტყველებას. მათი საუბარი გასაგები უნდა იყოს უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის. არა მხოლოდ თურქეთისა და ირანის მკვიდრ ქართველებს, არამედ თვით საქართველოს მსმენელს უჭირს ტელე და რადიო დიქტორთა უზომოდ აჩქარებული და აქცენტირებული მეტყველების აღქმა, მითუმეტეს, მათი მოსმენა უჭირთ საქართველოში მცხოვრებ იმ აზერბაიჯანელებსა თუ სომხებს, რომელთაც სახელმწიფო ენის ათვისება სურთ.

საქართველო, ვითარცა მცირერიცხოვანი ქვეყანა, როგორც აღინიშნა, უფრო მეტად უნდა შეემზადოს გლობალიზაციის პროცესის შესახვედრად ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებით, შესაბამისად, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიზნით, ამჟამად საქართველო არ უნდა დაიყოს კუთხური ნიშნით შექმნილ რეგიონალურ მხარეებად. ამან შეიძლება სამომავლოდ ქვეყნის მთლიანობას საფრთხე შეუქმნას. ამჟამად შუასაუკუნეობრივი სამართლებრივი მოდელის მიხედვით საქართველოს რეგიონებად დაქუცმაცება არის ეთნიკური სახელმწიფოებრივი დაქუცმაცების რეანიმაცია. ეს ძლიერ შეუშლის ხელს ქართველი ერის კონსოლიდაციასა და საქართველოში მცხოვრები ეთნოჯგუფების ინტეგრაციას საქართველოს მოქალაქეებად, რაც ასე ძლიერ სურთ ჩვენს იმპერიულ მეზობლებს და აიძულებენ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებს საქართველო ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბონ, თუმცა ქართველ ერს ამის სურვილი არ აქვს (ამიტომაც წერდა ჩვენი პოეტი მურმან ლებანიძე "ქართლ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, გურიად, ვისაც ჩვენი დაყოფა და გათიშვა სწყურია ან ჭკვიანი მტერი არის ან უგნური მოყვარე").

გლობალიზაციის პროცესის ღირსეულად შესახვედრად ქართველმა ერმა უნდა განამტკიცოს თავისი სახელმწიფო, შეძლოს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად ჩამყალიბება, რისთვისაც უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართული ენისა და კულტურის გავრცობას.

2004

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ქართული ენა - საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაციის საშუალება

გლობალიზაციის შესახვედრად თვით უძლიერესი ერებიც კი ემზადებოდნენ (ცენტრალიზებული ნაციონალური სახელმწიფოს დაარსებით, ფეოდალური დანაწევრების დაძლევით, საერთო შიდაეკონომიკური ბაზრის შექმნით, ერთიანი კულტურული სივრცის ჩამოყალიბებით, შიდაეთნიკური საზღვრების მოშლით).

უძველესი ხანიდან XIX საუკუნემდე ქართული ენა და კულტურა აერთიანებდა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებს. რუსეთის 200-წლიანი (XIX-XX სს) ბატონობის შემდეგ, ამჟამად საქართველოში ერთაშორისი ურთიერთობის ენა არის არა ქართული, არამედ რუსული. ფაქტობრივად რუსული კულტურა აერთიანებს საქართველოში არსებულ სხვადასხვა ეთნოსების კულტურებს (იგულისხმება აზერბაიჯანული, სომხური, თვით ქართული, ოსური, აფხაზური და სხვ.). რუსული ენისა და კულტურის მიერ ქართულის შეზღუდვამ, ამ უკანასკნელს ჩამოართვა ფუნქცია ხალხთა გამაერთიანებლისა, რადგანაც კულტურა მოქალაქეთა მთლიანობის უმთავრესი ნიშანი და ერთობის საფუძველია. კულტურული ერთობის განცდა საქართველოს შვილების (ერის) მთლიანობის ნიშანი იყო ძველად, რაც დღესდღეისობით ჩანაცვლებულია არაეროვნულით (რუსულით), ეს ერთ-ერთი მიზეზია საქართველოს ეთნოსების (ხალხების) შეფერხებული ინტეგრაციისა. მაშასადამე, რუსულს უნდა ჩაენაცვლოს არა ინგლისური, არამედ ქართული ენა.

ამ ვითარების გამო აუცილებლად მივიჩნევთ, რომ სამომავლოდ ქართულ ენასა და კულტურას საქართველოში მიენიჭოს პრიორიტეტი რუსულთან შედარებით. იგულისხმება საქართველოს მოცვა ქართული ენით, ლიტერატურით, მუსიკით, ფილოსოფიით, კულტურით, ეკონომიკური დოქტრინებით. სახელმწიფომ ქვეყანაში უნდა გაატაროს შესაბამისი ენობრივი პოლიტიკა, ქართული ენის სახელმწიფოებრიობა რეალურად უნდა განხორციელდეს.

აღნიშნულის განსახორციელებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საინფორმაციო საშუალებების (ტელეხედვის, რადიომაუწყებლობისა და ინტერნეტის) ქართულენოვნებას. ქართულმა ტელეარხებმა ყველა გადაცემა უნდა განახორციელონ სახელმწიფო ენით, ისევე როგორც ეს სხვა ქვეყნებშია. ქართული კულტურისათვის დამამცირებელია, რომ საქართველოს მხარეების უდიდესი ნაწილი ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთის მთიანეთი, ქვეყნის სხვა ოლქები წარმოადგენს უცხოენოვან ტელე და რადიო სივრცეს (და არა ქართულს). თვით თბილისის რადიო და ტელეარხების 30-40% უცხოენოვანია, ქართველი ბავშვები ტელევიზიის საშუალებით სწავლობენ არა სახელმწიფო ენას, არამედ უცხო ენას, ითვისებენ უცხო კულტურას, ამის შედეგია ის, რომ უცხოეთში სამუშაოდ გასული ასეულათასობით ქართველს უცხო გარემოსთან შეგუება უადვილდება ენის ცოდნის გამო. ამიტომაც ხდება რუსეთსა და უცხოეთში მათი სწრაფი ასიმილაცია, საქართველოს სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილის დაცარიელება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტელე და რადიო დიქტორთა მეტყველებას. მათი საუბარი გასაგები უნდა იყოს უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის. არა მხოლოდ თურქეთისა და ირანის მკვიდრ ქართველებს, არამედ თვით საქართველოს მსმენელს უჭირს ტელე და რადიო დიქტორთა უზომოდ აჩქარებული და აქცენტირებული მეტყველების აღქმა, მითუმეტეს, მათი მოსმენა უჭირთ საქართველოში მცხოვრებ იმ აზერბაიჯანელებსა თუ სომხებს, რომელთაც სახელმწიფო ენის ათვისება სურთ.

საქართველო, ვითარცა მცირერიცხოვანი ქვეყანა, როგორც აღინიშნა, უფრო მეტად უნდა შეემზადოს გლობალიზაციის პროცესის შესახვედრად ცენტრალიზებული სახელმწიფოს

გაძლიერებით, შესაბამისად, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიზნით ამჟამად საქართველო არ უნდა დაიყოს კუთხური ნიშნით შექმნილ რეგიონალურ მხარეებად. ამან შეიძლება სამომავლოდ ქვეყნის მთლიანობას საფრთხე შეუქმნას. შესაძლოა, ამგვარმა დაყოფამ ხელი შეუწყოს სეპარატისტული ტენდენციების ჩანერგვასა და განვითარებას რეგიონალური ხელისუფლების მხრიდან (მაგალითად ისე, როგორც ეს მოხდა ე.წ. "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში"), ფედერალური მოწყობა შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს საქართველოსათვის. მით უმეტეს სახიფათოა ამ ნიშნით ჯარის (თუნდაც სარეზერვოსი) ჩამოყალიბება, ასევე სამხარეო პროკურატურებისა, ძალოვანი სტრუქტურებისა და განათლების სისტემისა. ივანე ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ საქართველოს ერთიანობას მუდამ ემუქრებოდა თემობრიობა, კუთხურობა, ერთიანი საქართველოს დაშლა-დანაწევრება XV-XVI სს-ში ამ მიზეზით მოხდა - "თემობრივობამ თავისი გაიტანა და სრულიად საქართველოს მეფე დამარცხდა" (ივ. ჯავახიშვილი ტ. IV. ნაწ. I გვ. 191). ფეოდალიზმის დროისთვის დამახასიათებელი "ქართველი ერის წიაღში არსებული (ტომობრივ - გეოგრაფიული) თემობრივი თავისებურება" არყევდა საქართველოს მთლიანობას შუა საუკუნეებში. ფეოდალური დანაწევრების ეტაპი უკვე განვლეს გლობალიზაციის მომლოდინე სხვა ქვეყნებმა (მაგ. თურქეთმა, აზერბაიჯანმა, რუმინეთმა და სხვ.) და ჩამოყალიბდნენ ცენტრალიზებულ სახელმწიფოებად. ამჟამად შუასაუკუნეობრივი სამართლებრივი მოდელის მიხედვით საქართველოს რეგიონებად დაქუცმაცება არის ეთნიკური სახელმწიფოებრივი დაქუცმაცების რეანიმაცია. ეს ძლიერ შეუშლის ხელს ქართველი ერის კონსოლიდაციასა და საქართველოში მცხოვრები ეთნოჯგუფების ინტეგრაციას საქართველოს მოქალაქეებად, რაც ასე ძლიერ სურთ ჩვენს იმპერიულ მეზობლებს და აიძულებენ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებს საქართველო ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბონ, თუმცა ქართველ ერს ამის სურვილი არ აქვს (ამიტომაც წერდა ჩვენი პოეტი მურმან ლებანიძე "ქართლ - კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, გურიად, ვისაც ჩვენი დაყოფა და გათიშვა სწყურია ან ჭკვიანი მტერი არის ან უგნური მოყვარე").

გლობალიზაციის პროცესის ღირსეულად შესახვედრად ქართველმა ერმა უნდა განამტკიცოს თავისი სახელმწიფო, შეძლოს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება, რისთვისაც უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართული ენისა და კულტურის გავრცობას.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ორი თვალსაზრისი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ორი, ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავებული თვალსაზრისი ქართველი ხალხის "ეროვნების" ჩამოყალიბების შესახებ. პირველი ჩამონაკვთული იყო უკვე ქართული ისტორიოგრაფიის დაფუძნების ჟამს და არსებობდა ვითარცა ერთადერთი თეორია უძველესი ხანიდან ვიდრე XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე. მეორე თვალსაზრისი ქართველი ხალხის რაობისა და წარმოშობის შესახებ ჩამოყალიბდა XIX-XX საუკუნეებში რუსეთის იმპერიის და აგრეთვე საბჭოთა კავშირის საისტორიო წრეებში. რა განსხვავებაა ამ ორ თეორიას შორის?

1. ერთი ქვეყნის, ერთი სახელმწიფოს მოსახლენი

პირველის მიხედვით დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ქრისტეშობამდე საუკუნეებით ადრე იყო ერთი ეთნოსი, ერთი კულტურისა და სარწმუნოების

მქონე ეთნიკური მთლიანობა. ამიტომაც შეძლო ჩვენს ერამდე IV-III საუკუნეებში ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც აერთიანებდა ქვეყნის ორივე ნაწილს - შავი ზღვიდან და მდ. ეგრისწყლიდან - სომხეთისა და ალბანეთის საზღვრებამდე. ამ სახელმწიფოს მოსახლეობა - ეგრისელები, მარგველები, დასავლეთ საქართველოს სხვა საერისთავოების მცხოვრებნი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად ერთი ენისა და ერთი "მწიგნობრობის" "ე.ი. კულტურის" მქონე ხალხს წარმოადგენდა თანახმად "ქართლის ცხოვრებისა", ხოლო უფრო ძველი საისტორიო წყარო "მოქცევაჲ ქარსლისაჲ" წერს, რომ ფარნავაზ მეფემდეც ქართველთა სახელმწიფოს საზღვარს დასავლეთით შავი ზღვა და მდინარე ეგრისწყალი წარმოადგენდა, აღმოსავლეთით კი სომხეთ-ალბანეთი - "საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთა ცროლისა... და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზო, ძე არიან - ქართველთა მეფისა და მოკუდა, და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ" (ძეგლ. I, 1964, გვ. 82).

მეორის ე. ი. საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიხედვით ქართველთა ერთობა ვითარცა ეთნოპოლიტიკური მთლიანობა და ერთიანი ხალხი, ჩამოყალიბდა IX-X საუკუნეებში "ქართიზაციის" პროცესის შედეგად, თითქოსდა ჰიპოტეტურმა ქართის ტომმა შეძლო დასავლეთ საქართველოს, კახეთ-ჰერეთის, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, ტაო-კლარჯეთის, ქვემო ქართლის ქართული წარმოშობის და ასევე არაქართველების (სომხეთისა და ალბანელების) ქართიზაცია და ასე თანდათან ჩამოყალიბდა ქართველი ხალხი. სულ სხვა თვალსაზრისი გააჩნდა, როგორც ითქვა, ძველ ქართულ ისტორიოგრაფიას.

ძველი ქართული წყაროს თანახმად დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას ფარნავაზიდან ვიდრე ვახტანგ გორგასლის ეპოქამდე და მის შემდეგაც გააჩნდა საერთო ერთიანი სახელმწიფო, საერთო ისტორიული ცნობიერება, საერთო კულტურა "ჯერ საერთო წარმართული სარწმუნოება, შემდეგ კი საერთო ქრისტიანული ეკლესია, საერთო ენა, მწიგნობრობა", საერთო სამშობლოს განცდა, საერთო სოლიდარობის შეგრძნება (მაგალითად, ვახტანგ გორგასლის სიყმაწვილის დროს (10 წლისა იყო), როდესაც ბერძნებმა მიიტაცეს ქართლის სახელმწიფოს ტერიტორია მდ. ეგრისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე, "ამას იგლოვდა ყოველი ქართველი", (როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში), შესაბამისად საერთო კულტურულ-ისტორიული ერთობა, ერთი სიტყვით, მემატიანეთა თქმით ეს იყო ერთი სახელმწიფოს მქონე ეთნიკური (ეროვნული) - კონფესიური ერთობა, ანუ ქართველი ერი ან ეროვნება. მემატიანეთა ეს მონაცემი მე გამოწვლილვით მაქვს გადმოცემული წიგნში "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია" (ტ. I, 1996). ამიტომაც მას აქ აღარ გადმოვცემ, მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ისეთი სომეხი უდიდესი ისტორიკოსები, როგორებიც იყვნენ ხორენაცი და უხტანესი, ჩვენი ერის შესახებ ავითარებენ იმავე თვალსაზრისს. კერძოდ, მათი აზრით, ქართველთა თავდაპირველი სამშობლო კავკასიაში არის დასავლეთი საქართველო, საიდანაც ისინი "გამრავლდნენ და მოედნენ მთელ არეს ვიდრე სომხეთამდე" (უხტანესი, განყოფისათვის სომეხთა და ქარსველთა, გვ. 67).

ამავე თვალსაზრისს, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის მთელი განსახლება ერთი ეთნოსია, ვითარცა ერთადერთსა და ჭეშმარიტს საუკუნეთა მანძილზე ავითარებდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა მამები, რომლის უკეთესი გამოხატულებაა, ცხადია, რუის-ურბნისის კრების მეგლისწერა. ამ სახელმწიფო-საეკლესიო მნიშვნელობის ძეგლის თანახმად, I საუკუნეში "საქართველო" ვითარცა ერთიანი ეთნო-პოლიტიკური მთლიანობა უკვე არსებობდა, მოიცავდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს და აი, აქ იქადაგა ანდრია მოციქულმა - "ქადაგა სახარება ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა", ასევე წმიდა ნინომ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა კი არ გააქრისტიანა, არამედ მთელი ერი - "ყოველნი ქართველნი" (დიდი სჯულის კანონი, 1975, გვ. 545). მაშასადამე, "მეგლისწერა" ქვეყნის დასავლეთ ნაწილს ეგრისს ანდა კოლხეთს კი არ უწოდებს, სადაც ძირითადად იქადაგა ანდრიამ, არამედ "საქართველოს", ხოლო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას - "ქართველებს". ამავე თვალსაზრისს გადმოგვცემს არსენ ბერი (დავით აღმაშენებლის მოძღვარი) - "ჩვენ შვილნი ვართ

მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენა მათი ვუწყით" (ძეგლ. III, გვ. 47). როგორც "მოქცევაჲ"-დან ჩანს, არიან-ქართლიდან გამოსული მოსახლეობა დასახლდა დასავლეთ საქართველოში მდ. ეგრისწყლიდან ვიდრე სომხეთ-ალბანეთამდე ე.ი. დასავლეთიდან განივრცო აღმოსავლეთით სომხეთ-ალბანეთამდე, აი, ამ ხალხის (ე.ი. ეგრისელების, მარგველების, სვანების და ა.შ.) საერთო სახელია ქართველები და ისინი არიან ერთი ნათესავი (ეთნოსი) "შვილები", ერთი ენის მქონენი (ქართული ენა არიან-ქართლშიც საერთო ენა იყო) და იყვნენ ერთი ქვეყნის, ერთი სახელმწიფოს მოსახლენი.

ერთი სიტყვით, ძველ საქართველოში ქართველი ხალხი ერთ ერად მოიხსენებოდა. ვითარება შეიცვალა მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში.

2. ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის წარმოშობის შესახებ

დიდი ივანე ჯავახიშვილი თავისი მოღვაწეობის ყველაზე ნაყოფიერ პერიოდში არ იზიარებდა ე.წ. "ქართიზაციის" შედეგად ქართველი ხალხის ჩამოყალიბების თეორიას, პირიქით, ის მიიჩნევდა, რომ ამიერკავკასიაში შემოსვლამდეც, ძველ ისტორიულ სამშობლოში ქართველები ეროვნულ ერთობას წარმოადგენდნენ. ივ. ჯავახიშვილის ეს თვალსაზრისი ფართოდ იხილებოდა XX საუკუნის 30-იან წლებში ცნობილი დისკუსიების დროს. უნივერსიტეტის იმჟამინდელ რექტორს, კ. ორაგველიძეს, ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების უფროსს, ხელისუფლების მიერ საგანგებოდ დაევალა შეესწავლა ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული მოსაზრება და მოემზადებინა შესაბამისი მოხსენება. ის აღნიშნავს: "როგორია ჯავახიშვილის თეორიული წარმოდგენები ნაციონალურ საკითხზე? ჯავახიშვილის აზრით, ქართველი ერი არსებობდა ქრისტეს დაბადების წინაც. ეროვნული ერთიანობის, ძველი სამშობლოს ხსოვნა, ქართველების მესამე შტოს წარმომადგენლებს, სვანებსაც აქვთ შერჩენილი ("კალდე", "ხალდე", ისევე როგორც მეორე შტოს - მეგრელ-ჭანებს, იგივე "ქალდებს", ქალდეას ქვეყნის მცხოვრებთ).

ერთი სიტყვით, ხალდე, ანუ ქართუ ჩვენი ეროვნების თავდაპირველ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს, "მაშასადამე, დაასკვნის კ. ორაგველიძე - ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართველები ჩვენს წელთაღრიცხვამდის ძლიერ ერს წარმოადგენდნენ. ამიერკავკასიაში გადმოსვლას არ მოჰყოლია ქართველებისათვის თავისი ეროვნების დაკარგვა; "ქართველი ერი ქრისტეს წინაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდა ისტორიულად, ვითარცა განვითარებული და წარმატებული მოქალაქეობის მქონებელი ეროვნება", - ძლიერ შეშფოთებული იყო ივ. ჯავახიშვილის ამ აზრით. კ. ორაგველიძე. (იხ. წიგნში "ივ. ჯავახიშვილი ტირანიის წინააღმდეგ", თბ., 2004, გვ. 159).

ივანე ჯავახიშვილის ეს მოსაზრება ქართველი ერის უძველესობის, ანუ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი ეროვნული მთლიანობის შესახებ სავსებით მიუღებელი იყო საბჭოთა მთავრობისათვის. ეს თეორია მიჩნეულ იქნა ივანე ჯავახიშვილის უმთავრეს დანაშაულად: "როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ ერთიან ქართველ ერზე, მაშინ როდესაც ფეოდალები იყვნენ ბატონ-პატრონნი თავიანთი კუთხისა და იბრძოდნენ სხვა ფეოდალების და მეფის წინააღმდეგ? სად არის აქ ეროვნული გრძნობა", წერს აღშფოთებული რექტორი კ. ორაგველიძე და ასკვნის: "ივ. ჯავახიშვილი მეცნიერულად ვერ ხსნის თავის განმარტებას, რომ ქართველი ერი რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში არსებობდა" (იქვე, გვ. 163).

საბოლოო ჯამში იმ ცნობილი დისკუსიების შემდეგ, რომელიც "საისტორიო მეცნიერებაში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დამკვიდრების მიზნით" გაიმართა, გადაწყდა, საბოლოოდ "აღებულიყო ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ციხე-სიმაგრე" და მისი ადგილი დაეჭირა "საქართველოს მარქსისტულ ისტორიას". ეს მხატვრულადაც კარგად გამოხატა კ. ორაგველიძემ, რომელსაც შემდგომი თაობები იმეორებდნენ ვითარცა პარტიის ურყევ მიზანს საისტორიო მეცნიერებაში: "ჩვენს წინაშე დგას ციხე-სიმაგრე, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება და რომელიც ჯერ აუღებელია, მაგრამ არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოთ, საჭიროა ენერგიული მუშაობა და მტკიცე ბოლშევიკური ნებისყოფა ამ

ციხე-სიმაგრის ასაღებად" (იქვე, გვ. 172). ეს იყო დავალება პარტიისა, კრემლისა. ამ სამუშაოს აღსასრულებელ გეგმაში ჩართული იქნა ყველა იმჟამინდელი სწავლული, მეცნიერი, მოღვაწე, ასპირანტი და სტუდენტი.

საბოლოოდ, XX საუკუნის II ნახევარში მიღწეულ იქნა მიზანი, "დანგრეულ იქნა საქართველოს ისტორიის ციხე-სიმაგრე", უარყოფილი იქნა ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ცნობები ქართველი ერის და მისი ერთიანი სახელმწიფოს შესახებ და მის ნაცვლად ახალი, განახლებული ფორმით შემოთავაზებული იქნა ე.წ. "ქართიზაციის" თეორია, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში იქნა შემუშავებული პროფ. პატკანოვისა და მისი მოწაფის ნ. მარის მიერ რუსეთის იმჟამინდელი დედაქალაქის უნივერსიტეტში არმენოლოგიის კათედრაზე. ამ თეორიის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა არის დამოუკიდებელი ეთნოსი, ძველი კოლხების ეთნო-კულტურული და ენობრივი მემკვიდრე, აღმოსავლეთ საქართველოში კი სხვა ეთნოსი, - "ქართი" - არსებობდა, ამ უკანასკნელის ეთნო-რელიგიური ექსპანსიის შედეგად ასიმილირდა საქართველოს ტერიტორიაზე იქამდე მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსები და ასე ჩამოყალიბდა ქართველი ხალხი, მარქსისტი ისტორიკოსების მიხედვით ეს მოხდა IX-X საუკუნეებში, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლოჟამინდელი "პატრიოტი" ისტორიკოსების მიხედვით ეს ჩვენს წელთაღრიცხვამდეც კი შეიძლებოდა მომხდარიყო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის "ქართიზაციის" შედეგად.

3. "ქართიზაციის" თეორია, ანუ ორი ეთნოსი, ორი კულტურა, ორი ეროვნება, ორი მეფე

XX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველმა ისტორიკოსებმა ისტორიულ ფაქტად მიიჩნიეს კოლხეთის სამეფოს არსებობა, მაშინ როცა ძველი ქართული ისტორიოგრაფია, ეროვნული საისტორიო წყაროები საერთოდ არ იცნობს "კოლხეთის სამეფოს" და არასდროს არ ახსენებს მას. "ძვ. წ. VIII საუკუნის 20-იანი წლებიდან კოლხას (ძველი კოლხური სამეფოს) დაცემის შემდეგ... დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში ჩამოყალიბდა ახალი, ძლიერი, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეული, კოლხეთის სამეფო, რომელსაც ჰეროდოტე აღმოსავლეთის დიდი მონარქების მიდიისა და აქემენიდური ირანის გვერდით იხსენიებს... ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში კოლხეთში იჭრებოდა ვერცხლის ფული... ძვ.წ. III საუკუნეში ცნობილია კოლხეთის მეფე აკე" (ქ.ს.ე. ტ. 5, გვ. 596), რის შედეგადაც კოლხეთის სამეფოში თანდათანობით ჩამოყალიბდა კოლხური ეთნიკური ერთობა (ეთნოსი), რომელიც უკვე ერად (ნაციად) იწყებდა ჩამოყალიბებას, რომ არა ქართების (იბერების) ეთნოსი, რომელმაც ამ პროცესის დასრულება შეუძლებლად აქცია, ამასთან დაკავშირებით ქართველთა ეთნოგენეზისის ცნობილი სპეციალისტი წერს: "კოლხეთის სახელმწიფოს შემქმნელები იყვნენ დასავლურ-ქართული კულტურის მატარებელი ზანური (მეგრულ-ჭანური) ტომები, რაც შეეხება იბერიას (ქართლს), ის აღმოსავლურმა ქართულმა ტომებმა, იბერებმა (ქართებმა) შექმნეს ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე... კოლხეთი, ანუ ეგრისი და იბერია, ანუ ქართლი, მაღალი კლასის საფეხურის ეთნიკური ერთობები (ეთნოსები) არიან, რომლებსაც ტომობრიობის საფეხური უკვე განვლილი აქვთ და იწყება მათი ერებად (ნაციებად) ჩამოყალიბება, რადგან გააჩნიათ სახელმწიფოებრიობა" (რ. თოფჩიშვილი. ქართველთა ეთნიკური ისტორია, თბ., 2002, გვ. 6, 7). მაშასადამე, ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ორი სახელმწიფო და ორი ეთნოსი, რომელთა ერებად (ნაციებად) ჩამოყალიბების პროცესი უკვე მიმდინარეობდა. ერთი ეთნოსის მემკვიდრედ მიიჩნევა თანამედროვე ქართველი ხალხის ერთი ნაწილი, მეორე ეთნოსისა კი - სამეგრელოს ამჟამინდელი მოსახლეობა. სპეციალისტი წერს: "სამეგრელოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული მეგრელთა ეთნოგრაფიული ჯგუფი ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული კოლხეთის უშუალო მემკვიდრეები არიან" (იქვე, გვ. 83).

დასავლეთ საქართველოს ქართიზაცია კი მარქსისტული ისტორიოგრაფიის თანახმად მომხდარა ეკლესიის გაბატონების შედეგად - IX-X საუკუნეებში "დასავლეთ საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც

დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოს ქართიზაციის პროცესს" (ქ.ს.ე., ტომი "საქ. სსრ", თბ. 1981, გვ. 60).

საერთოდ, ქართული ეკლესია, ნ. მარისა და მისი მოწაფეების თანახმად, გამოირჩეოდა თავისი რეაქციულობით. ხშირად აღნიშნავდნენ ქართული ეკლესიის როლს მესხეთის "ქართიზაციის" საქმეში (კერძოდ ტაოსა და კლარჯეთში), სადაც თითქოსდა სომეხთა ისტორიულ მიწა-წყალზე, ქართული ეკლესიის ძალადობის შედეგად "გაქალკედონიტდა" ანუ "გაქართველდა" ეთნიკურად სომხური მოსახლეობა, რამაც სომეხ ხალხს მიაყენა უზარმაზარი დანაკარგი, რიცხობრივად და მორალურად". რა ხერხებით შეძლო ეს ქართულმა ეკლესიამ, ამის შესახებ აბულაძე წერს - "ეკლესიათა ნგრევა და ჯვართა წვა იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ერთი ეკლესია იჭრება მეორეში და მათ გვერდით, მათ ნაამაგარზე თავისას აფუძნებს, ესეც არაა უცხო ამბავი იმ დროისათვის. სომხეთის მიწა-წყალზე არა ერთი და ორი "ქართველთა" სავანე იხსენიება ამ დროს. ტერმინი "ქართველი", როგორც აკად. ნ. მარმა დაამტკიცა, დიოფიზიტურს ნიშნავს ამ დროისათვის, და იქმნება იგი მარტოოდენ ქართველთა და სომეხთა ელემენტებისაგან შედგენილი" (ი. აბულაძე, შრომები, ტ. IV, გვ. 10).

ქართული ეკლესიის დახმარებით "ქართის ტომმა" შეძლო არა მარტო დასავლეთ საქართველოს და მესხეთის ქართიზაცია, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისაც (ფშავ-ხევსურეთი), რომელიც იქამდე არაქართული ეთნოსით იყო დასახლებული ნ. მარის თეორიის თანახმად. "ქრისტიანობის გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მათ ქართიზაციას განაპირობებდა" (ქ.ს.ე., ტ. "საქ. სსრ", გვ. 61).

"ქართის ტომს" ექსპანსიის შედეგად ალბანური ტომების (ჰერების) და აღმოსავლეთ საქართველოს "ადგილობრივი ჩეჩნური, ვეინახური და დაღესტნური ტომების ნაწილის" ასიმილაცია მოუხდენია (ქ.ს.ე., ტ. 10, გვ. 459).

საბოლოოდ ქართის ტომი - "აღმოსავლურ-ქართულ ეროვნებად" ფორმირებულა (იქვე, გვ. 459). ჩამოყალიბდა "აღმოსავლურ-ქართული ენა", დასავლეთ საქართველოს კოლხურ ეთნოსს კი სხვა ენა ჰქონდა.

ასე შეხვდა ერთმანეთს საქართველოს ტერიტორიაზე ორი - ქართის და კოლხური ეთნოსი. ბოლო წლებში ისტორიულ ჭეშმარიტებად უკვე ის ითვლება, რომ "ქუჯი იყო ეგრისის მეფე".

4. საისტორიო წყაროები "ქართის" ტომისა და "კოლხეთის სამეფოს" შესახებ

ჩვენს ერამდე VI-IV საუკუნეებში "კოლხური ეროვნების" არსებობას იმით ამტკიცებენ ჩვენი მეცნიერები, რომ "ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში ჩამოყალიბდა ახალი ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეული, მთელ ანტიკურ სამყაროში ფართოდ ცნობილი კოლხეთის სამეფო, რომელსაც ჰეროდოტე ახლო აღმოსავლეთის დიდი მონარქების - მიდიისა და აქემენიდების ირანის გვერდით იხსენიებს" (ქსე, ტ. 5, გვ. 596).

მსგავსი ისტორიული ფაქტის შემცველი ცნობები ჰეროდოტესთან არ გვხვდება. ჰეროდოტე თავის თხრობას იწყებს თქმულებებითა და მითებით, აქ მეფის ასულ ევროპეს მოტაცების ეპოსის (მითის) გადმოცემის შემდეგ მოგვითხრობს, როგორ მოიტაცეს არგონავტებმა მედეა "აია კოლხიდაში". ამის სანაცვლოდ "კოლხთა მეფემ გაგზავნა ელადაში მოციქული" (ჰეროდოტე, I, 2). ასე რომ, "კოლხთა მეფე" ჰეროდოტესთან და საერთოდ ბერძნულ წყაროებში მხოლოდ მითებთანაა დაკავშირებული, "კოლხთა მეფე" ან "კოლხეთის მეფე" სხვაგან არსად აღარ გვხვდება ჰეროდოტეს ვრცელ თხზულებაში, თუმცა კი კოლხეთს საკმაოდ ხშირად იხსენიებს.

უცხოური ისტორიოგრაფია მიიჩნევს, რომ "კოლხა არ იყო თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, რომ კოლხეთიც მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დავუკავშიროთ დასავლეთ საქართველოს. ძველი ბერძნული კოლხეთის პირვანდელი მნიშვნელობა მოიცავს არა მხოლოდ ურარტულ კოლხას, არამედ ზოგადად შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ტერიტორიას, კერძოდ კი დღევანდელი თურქეთის სინოპსა და ტრაპიზონს შორის. ბერძნული კოლონიზაციის განვითარებასთან ერთად იცვლება აგრეთვე კოლხეთის ცნების გაგებაც - ჰეროდოტე აღნიშნავს,

რომ მდინარე ფაზისი (რიონი) წარმოადგენს კოლხეთის ჩრდილოეთ საზღვარს. კოლხეთი დასახლებულია სხვადასხვა ტომებით, მათ შორის მოსხებით, მაკრონებით, მოსინიკებით, თვით კოლხებით, მარებით, ტიბარანებით და სხვა ტომებით, კოლხეთი არაა ერთი ეთნოსი" (ადელლე ბილლი, საქართველოში აღმოჩენილ სამარხთა კვლევა, ბონი, 2003 წ. კრებულში "ამირანი", IX, 2, 2003, გვ. 55-60).

ჰეროდოტეს ეპოქაში სემიტური ტომები ჩრდილოეთით უფრო ვრცლად იყვნენ განსახლებულნი, ვიდრე შემდგომ. მაგალითად, ჰეროდოტესთან სირიელებსა და პაფლაგონიელებს შორის საზღვრად მდ. ჰალისი ითვლება, რომელიც ისტორიულ კოლხეთთან ახლოს მიედინებოდა. ჰეროდოტეს კოლხები კანის ფერის, თმის სახეობისა და ენის მიხედვით ასევე სემიტურ ან ქამიტურ ტომად მიაჩნია და არა ინდოევროპელებად. ზემოთჩამოთვლილ ტომებს ის სემიტებს უკავშირებს, მუქკანიან რასას. ის წერს - "ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან... რადგან კოლხები შავგვრემანები არიან ხუჭუჭთმიანები... ეგვიპტელებსა და კოლხებს ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის" (ჰეროდოტე, VII, 72). მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ ეგვიპტელები ევროპელებისაგან განსხვავდებოდნენ რასობრივად კანის მუქი ფერით და თმით. ასევე კარგადაა ცნობილი ისიც, რომ ამჟამინდელი "კავკასიური რასა", უფრო ზუსტად კი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა განეკუთვნება სამხრეთევროპულ რასას და არავითარ შემთხვევაში მუქკანიან სემიტურ ან ქამიტურ რასას. ამიტომაც ჰეროდოტეს "კოლხები" რასობრივადაც კი განსხვავდება თანამედროვე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისაგან.

მეორე ბერძენი ავტორი სტრაბონი, ასევე საგანგებოდ აღწერს კოლხეთს. სტრაბონის მიხედვით, ქრისტეშობამდე I საუკუნეში კოლხეთი წარმოადგენდა კრებით სახელს მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში - ტრაპიზონიდან ბიჭვინთამდე. ამ ეპოქის ბერძნული წყაროებით კოლხეთი არ აღნიშნავდა ეთნოსს, არამედ ბერძნულ წყაროებში სიტყვა "კოლხეთი" გეოგრაფიული მნიშვნელობით იხმარება. როგორც ჩანს, ეს ცნობილი ფაქტია დასავლეთ ევროპული სამეცნიერო წრეებისათვის, ამიტომაც წერს კიდეც ამ საკითხის შესახებ ცენტრალურ ევროპაში მოღვაწე მეცნიერი, რომელმაც პირადად შეისწავლა ქართველ მეცნიერთა მოსაზრებანი აღნიშნულ საკითხზე: "ქართველი მეცნიერები ცდებიან, როცა სიტყვა "კოლხეთით" ეთნოსს აღნიშნავენ, "კოლხეთი გეოგრაფიული მნიშვნელობით იხმარებოდა ბერძნულ წყაროებში!" (ადელლე ბილლი, საქართველოში აღმოჩენილ სამარხთა კვლევა, ბონი, 2003 წ. კრებულში "ამირანი", IX2, 2003, გვ. 55-60).

განა გასაოცარი არ არის, რომ ევროპელ მეცნიერთა თვალსაზრისი მთლიანად ეთანადება ძველ ქართულს, ქართულ საისტორიო წყაროებში მუდამ ხაზგასმით მითითებულს, რომ დასავლეთ საქართველოში არ ცხოვრობდა ადგილობრივი კოლხური ეთნოსი, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო ისტორიულად მუდამ ერთი ეთნოსით, ერთი ხალხით, ერთი ეროვნებით იყო დასახლებული და ეს იყო ქართველი ხალხი, რომ დასავლეთ საქართველოს საერისთავოებში მცხოვრები მოსახლეობა იმთავითვე ქართველი ხალხის განუყოფელი ნაწილი იყო, იგულისხმება - გურულები, ეგრისელები, მარგველები, თაკვერელები თუ სვანები ბუნებით ქართველები იყვნენ და მათ ამიტომ "ქართიზაცია" არ ესაჭიროებოდათ, რამეთუ თვითვე იყვნენ ე.წ. "ქართებიც" და ქართველებიც. ამის ახსნას იძლევა ივ. ჯავახიშვილი, მიაჩნია, რომ ქართველთა უძველეს სამშობლოში - კარდუში ერთ ერად იყო ფორმირებული შემდეგდროინდელი სვანები, ჭანები, მეგრელები და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა. ისინი იმთავითვე ერთი ეროვნება, ერთი ქართველი ერი იყვნენ.

რუსეთის საიმპერიო სამეცნიერო წრეები XIX საუკუნის ბოლოს გეგმაზომიერად შეუდგნენ ქართველთა ეროვნული სხეულიდან აფხაზების, მეგრელების, სვანებისა და სხვა კუთხეებში მცხოვრები თემების ჩამოშორების "მეცნიერული საფუძვლების" ძიებას. საქმე ის იყო, როგორც რუსეთის საიმპერიო წრეებისათვის ნათელი შეიქმნა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, კავკასიაში იმჟამად მიმდინარეობდა ქართველთა კონსოლიდაციის პროცესი, მალე

იმპერიის წინაშე წარსდგებოდა ერთიანი ქართველი ერი, რომელიც, ცხადია, მოითხოვდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას და იმპერიული კოლონიური უღლის გადაგდებას, ამიტომაც, რათა ქართველთა ეროვნული სხეულიდან გაეყვანათ აღნიშნული თემები, შეუდგნენ, როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერული საფუძვლების ძიებას, ეს ამოიცნო იმჟამინდელმა ქართველმა ინტელიგენციამ. ილია ჭავჭავაძემ ამხილა ეს იმპერიული ჩარევა თავის "ქვათა ღაღადში": "ვისაც ამ ადგილების (ე.ი. დასავლეთ საქართველოს) დაჩემება უნდა ან აქ ქართველთა კუთვნილების გაუქმება მოუნდება, ეცდება დაამტკიცოს, რომ ზემოდასახელებულნი ერნი ქართველთა ნათესაობისანი არც იყვნენ და არც არიან. სწორედ ასე მოიქცა ჩვენი გულადი პროფესორი (პატკანოვი) და გვეფიცება, რომ მოსხები და კოლხები ქართველის ნათესაობისანი არ არიანო" ("ქვათა ღაღადი", ილიას რჩეული, 1987, ტ. 5, გვ. 32).

თუ არსებობდა კოლხეთის სამეფო - თავისთავადი სახელმწიფო, ცხადია, აქ შესაძლებელი იყო კიდეც "კოლხების ეროვნების" ფორმირება, როგორც ამას მიიჩნევს საბჭოური ისტორიოგრაფია. ნამდვილად არსებობდა "კოლხეთის სამეფო"? თანამედროვე ევროპის ისტორიოგრაფია ამბობს: კოლხეთის სამეფო არ არსებობდა. წყაროებით ეს არ დასტურდება, ამიტომაც წერს ევროპელი მეცნიერი: "ცდებიან ქართველი მეცნიერები, როცა კოლხეთის სამეფოს არსებობას ფაქტად მიიჩნევენ! კოლხეთი სამეფოდ მოიხსენიება მხოლოდ არგონავტების ეპოსში.

სტრაბონი სამეფო დინასტიის არსებობას მხოლოდ იბერიის აღწერისას მოიხსენებს და არა კოლხეთის აღწერილობისას" (ადელე ბილლი, საქართველოში აღმოჩენილ სამარხთა კვლევა, ბონი, 2003, კრებულში "ამირანი", IX2, მონრეალი - თბილისი, 2003, გვ. 55-62). "ცდებიან ქართველი მეცნიერები, როდესაც "კოლხურ თეთრს" კოლხეთის სამეფოს არსებობის დამადასტურებელ ფაქტად მიიჩნევენ" (იქვე, გვ. 60). სწორედ ამას გვასწავლის ძველი ქართული ისტორიოგრაფია, რომელიც საერთოდ არ იცნობს "კოლხეთის სამეფოს". ჩვენი წინაპრები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთი ერი (ეროვნება) იყო. ამიტომაც შექმნა მან ერთიანი სახელმწიფო ფარნავაზის დროს.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ამჟამად არსებობს ორი თეორია ქართველი ერის ჩამოყალიბების შესახებ. პირველი არის ძველქართული, რომელიც ამტკიცებს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთიან ერს წარმოადგენდა ქრისტეშობამდე საუკუნეებით ადრე. მეორე კი არის ე.წ. "ქართიზაციის" თეორია, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა კოლხური და "ქართის" ეროვნებები და ამ უკანასკნელმა შეძლო ახალი ეროვნების ფორმირება. საქართველოს წმიდა ეკლესიის მამები და მემატიანეები, ისევე როგორც დიდი ქართველი მამულიშვილები, არასდროს იზიარებდნენ ამ მეორე თეორიას და მათთვის სწორედ პირველი თეორია წარმოადგენდა ჭეშმარიტებას.

14 ივნისი, 2004 წელი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

კულტურა და ეროვნული მისია

(სიტყვა, წარმოთქმული კონფერენციაზე
"ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა", 4.10.2004)

ო ქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,
ბატონებო, ღვთის უდიდესი მადლით, ქართველ ერს დღეს-დღეობით გააჩნია თავისი ეროვნული სახელმწიფო. ეს მოვლენა ჭეშმარიტად უზენაესის უდიდესი მოწყალებაა. როგორც ცნობილია, ჩვენმა ერმა თავისი ერთიანი სახელმწიფოებრიობა

დაკარგა XV საუკუნის ბოლოს. 500 წლის მანძილზე ჩვენ ფაქტიურად არ გაგვაჩნდა ერთიანი ეროვნული სახლი. ჯერ საქართველო დაიყო პატარ-პატარა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ რეგიონალურ სახელმწიფოებრივ ერთეულებად - ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად, კიდევ უფრო მცირე რეგიონალურ სამთავროებად, რომელნიც თითქმის სამასი წლის განმავლობაში ებრძოდნენ არა მარტო მტერს, არამედ ერთმანეთსაც. საბოლოოდ დაშლილ-დანაწევრებული ქვეყანა მეზობელმა იმპერიებმა ერთმანეთს შორის გაინაწილეს. უკანასკნელი ორასი წელი საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო. ამ დროს შეირყა ეროვნული ცნობიერება, ჩამოყალიბდა კუთხურობა. ქართველებმა იცოდნენ, რომ ყველა უბედურების სათავე იყო ქვეყნის დანაწილება რეგიონებად, თითქმის 500 წელი იბრძოდნენ საქართველოს გაერთიანებისთვის, მაგრამ ვერ შეძლეს.

და აი, ჩვენმა თაობამ უფლისაგან მოიპოვა ეს უდიდესი საბოძვარი, ახდა 500-წლოვანი ნატვრა წინა თაობებისა და გვაქვს ეროვნული სახელმწიფო, რომლის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის პროცესი ამჟამად მიმდინარეობს.

საქართველო, ვითარცა დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჩაერთო მსოფლიოს მიმდინარე პროცესებში. დღევანდელ მსოფლიოში გლობალიზაცია წარმოადგენს ფაქტს. თანამედროვე ცივილიზაცია, რომელსაც ევროპული ცივილიზაცია უდევს საფუძვლად, მიისწრაფის ტექნოლოგიური საშუალებებით მსოფლიოს ინტეგრაციისაკენ. გლობალიზაციის პროცესი მოიცავს როგორც დიდ, ასევე მცირე სახელმწიფოებსა და კულტურებს. ის საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას, ერების კულტურულ და ცნობად კავშირს თავის ისტორიულ ფესვებთან. მსოფლიოს თვით უძლიერესი ერებიც კი ემზადებოდნენ, რათა ღირსეულად დახვედროდნენ გლობალურ პროცესს, ისე ჩართულიყვნენ მასში, რომ მიეღოთ სარგებელი და ამასთანავე არ დაეკარგათ კავშირი ეროვნულ კულტურასთან და იდენტობასთან. ეს, მართლაც, დიდებულად შეძლეს იაპონელებმა, ჩინელებმა, თურქებმა, მსოფლიოს სხვა ერებმა. მცირე კულტურის ხალხებმა კი ვერ გაუძლეს ამ პროცესს. აფრიკისა თუ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო ენა არის არა მშობლიური, არამედ უცხო ენა - ინგლისური თუ ფრანგული. ამიტომაცაა, რომ მათ ვერც კულტურის შენარჩუნება შეძლეს და სხვა ცივილიზაციის ნაწილად იქცნენ. როგორ უნდა შევხვდეთ ჩვენ ქართველები ამ გარდაუვალ პროცესს - ერთიანი კულტურით, უნიტარული სახელმწიფოებრიობით თუ რეგიონებად დაყოფილი ქვეყნით?

ამჟამინდელ მსოფლიოში მიმდინარეობს თანამედროვე ერების ჩამოყალიბების გამალებული პროცესი. ჩემი თაობის თვალწინ ასობით ახალი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. XX საუკუნის 50-60-იანი წლებიდან აფრიკასა და აზიაში კოლონიურმა სისტემამ თითქოსდა ელვისებურად ადგილი დაუთმო ახალ სახელმწიფოებს, თანამონაწილენი ვართ რუსეთის საბჭოთა იმპერიის დაშლისა სხვადასხვა სახელმწიფოებად. დედამიწაზე მშვიდობისა და სტაბილურობისათვის თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფო სამართალი აღიარებს ასეთ პრინციპს: "ერთი ერი - ერთი სახელმწიფო". რას ნიშნავს ეს? ქვეყნის დომინანტმა ერმა უნდა შეძლოს თავისი ენა და კულტურა განავრცოს მთელ სახელმწიფოში, მისცეს მის სახღვრებში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსებს თავისი კულტურული იერსახე, საბოლოოდ კი ჩამოაყალიბოს ისინი ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად. სახელმწიფო იმ ხალხისა, რომელიც ერად ვერ აყალიბებს თავისი ქვეყნის მოსახლეობას, არა აქვს უნარი მოქალაქეთა ერთობად გარდაქმნას ქვეყნის სხვადასხვა წარმოშობისა თუ კონფესიის პირი, ანდა არ შეუძლია იყოს მაკონსოლიდირებელი ძალა თავის ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა, იშლება ნაწილებად, სხვადასხვა ტერიტორიებად და სახელმწიფოებად. ამიტომაც შესაბამის ლიტერატურაში ზოგჯერ ისმის კითხვები, მაგალითად, რა ელის ირანს, თუ სპარსი ხალხი ერთიან ერად ვერ ჩამოაყალიბებს ირანში მცხოვრებ არასპარს მილიონობით მოქალაქეს? მსგავსადვე ფიქრობენ ერაყისა და სხვა სახელმწიფოთა შესახებაც, სადაც ძირითადმა ხალხმა ვერ შეძლო ერთიან ერად გადაექცია ქვეყნის ყველა მცხოვრები. ასეთივე თვალსაზრისი ზოგჯერ გამოითქმის რუსეთის მიმართაც. ამ საშიში ზონიდან თურქეთი XX საუკუნის 20-იანი

წლებიდან გამოიყვანა ქემალ ათათურქის რეფორმამ და სახელმწიფო პოლიტიკამ, რომელმაც შეძლო ყოფილი ოსმალეთის სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის და კონფესიის ადამიანი გადაექცია ერთიანი თურქეთის მოქალაქეებად, თურქული ენითა და კულტურით. თურქმა ხალხმა XX საუკუნეში შეძლო თურქი ერის ჩამოყალიბება, ანუ სხვადასხვა ეთნოჯგუფებისა და კონფესიის მოსახლეობის ერთიან ერად (ეროვნულ ერთობად), ნაციად გადაქცევა.

როგორც ითქვა, იმ სახელმწიფოთა საზღვრებს შიგნით, რომელიც ცნო მსოფლიო თანამეგობრობამ, მიმდინარეობს თვისობრივად ახალი ერების ჩამოყალიბება. მაგალითად, ინდონეზია ისტორიულად დასახლებულია სხვადასხვაენოვანი, სხვადასხვა წარმოშობის უამრავი ტომით, რომელნიც ამჟამად ახალ ინდონეზიელ ერად ყალიბდება ერთი ენითა და ერთი კულტურით. მსოფლიოში ათობით ასეთი ახალი ერი-სახელმწიფო ყალიბდება.

უფალმა ღმერთმა ინება კაცობრიობა აეშენებინა ერებისა და სახელმწიფოების სახით, ისტორიულად ცივილიზებული დედამიწა მუდამ სახელმწიფოებად იყო დაყოფილი, სახელმწიფოებს ერები ქმნიდნენ და, როგორც ითქვა, კაცობრიობის მთელი ისტორია ერებისა და სახელმწიფოების ისტორიაა, რომელსაც მათი ურთიერთობანი ქმნის. აქედანაც ჩანს, რომ ერები და სახელმწიფოები ღვთის ნებითაა შექმნილი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერი-სახელმწიფოები კარგი მასალაა კაცობრიობის დიადი მშენებლის ხელში, აქედან ალბათ გამომდინარეობს კიდეც ერებისა და სახელმწიფოების მისია. მაგალითად, ბერძენი ხალხი მიიჩნევს, რომ მან თანამედროვე კაცობრიობის კულტურასა და ცივილიზაციას დაუდო საფუძველი, ევროპელი ერები თავიანთ მისიად მიიჩნევენ - უფრო კულტურული და სამართლიანი იყოს მსოფლიო. სხვა ერებს თავიანთ მისიად მიაჩნიათ იზრუნონ ადამიანის უფლებების დასაცავად მთელ მსოფლიოში. რა მისია აქვს ამჟამად ქართველ ერს? რა მისია უნდა ჰქონდეს ხალხს, რომელმაც 200-წლიანი კოლონიური ჩაგვრის უღელი გადაიგდო და ამის გამო ჯერჯერობით ძალზე სუსტი სახელმწიფო აქვს? ამ კითხვის პასუხი ალბათ ასეთი შეიძლება იყოს - ქართველი ერის უპირველესი მისია ამჟამად არის განამტკიცოს თავისი სახელმწიფო, რისთვისაც საჭიროა, რომ იგი ჩამოყალიბდეს ვითარცა თანამედროვე ერი-ნაცია. მან უნდა შეძლოს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საქართველოს საზღვრებს შიგნით მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის საქართველოს მოქალაქეებად, ანუ ერად ჩამოყალიბება. თანამედროვე ერად ჩამოყალიბების შემდეგ კი, როცა ის უკვე მიიღებს თავის სახეს, უფალი ღმერთი მას, ისევე როგორც სხვა ერებს, გამოიყენებს მსოფლიოს ცივილიზაციის მშენებლობის დიად საქმეში. იქამდე კი, როგორც ითქვა, თანამედროვე ერად, ნაციად ჩამოყალიბება უნდა იყოს საყოველთაო საზრუნავი. ისმის კითხვა, არსებობს თუ არა საშუალებანი ამისა? დიახ, თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა გამოცდილების მსგავსად ორი უმთავრესი მოთხოვნილების შესრულებაა საჭირო. ესენია:

1. ქართველი ხალხის შიდა კონსოლიდაციის დაჩქარება,

2. საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაცია ერთიან სახელმწიფოში.

ჩვენს მეზობელ თურქეთში XX საუკუნის დასაწყისში თურქთა ეროვნული კონსოლიდაციის დასაჩქარებლად იღვწოდა თურქ ინტელიგენტთა საზოგადოება. მათ დაამკვიდრეს თურქულ საზოგადოებაში თანამედროვე ერის ცნება. მალე ეს საზოგადოება გადაიქცა თურქეთის მმართველ პარტიად, რომლის წესდების თანახმად გარკვეული განსხვავებაა იმ ერებს შორის, რომელნიც წარსულში არსებობდნენ და თანამედროვე ერებს შორის. თანამედროვე ერების ჩამოყალიბების პროცესი იწყება ქვეყნის ფეოდალური დანაწევრების დაძლევის, ერთიანი ცენტრალიზებული, ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით, ერთიანი საერთო შიდაეკონომიკური ბაზრის შექმნითა და შიდაეთნიკური საზღვრის მოშლით. ყოველივე ეს ეთნოჯგუფებსა და ეროვნებებს ერთიან ერად ჰკრავს (ო. გიგინეიშვილი. ნაციონალიზმის ქმალისტური დებულება, კრებულში "მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია", თბ. 1983, გვ. 145-146). ო.

გიგინეიშვილი აღნიშნავს: “თურქეთში ნაციონალიზმის დებულება გულისხმობს ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, რომლის საფუძველი იქნება თურქი ერი, სწორედ ამ პრინციპით “ერთი ერი - ერთი სახელმწიფო” იქმნებოდნენ თანამედროვე საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ჰოლანდია, ესპანეთი და სხვა. ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ევროპის სახელმწიფოები, რომლებსაც ეროვნულ სახელმწიფოებს უწოდებენ, მართლაც ერთეროვანნი არიან” (იქვე, გვ.146).

ევროპის სახელმწიფოების მოწყობის სისტემის შესაბამისად თურქეთში რეფორმების გატარებამ საფუძველი შეუქმნა თურქეთის სახელმწიფოს დაარსებას და თურქი ხალხის სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას. მსგავსადვე მოხდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია ბულგარელებისა, რუმინელებისა, ბერძნებისა და სხვა ხალხებისა.

ამ კუთხით თუ შევხედავთ, სამწუხაროდ, საქართველო (ალბათ ჯერჯერობით) უფრო ემსგავსება კონგლომერატს კონფესიურად, კულტურულად, ლინგვისტურად და რაც მთავარია, ეთნიკურად ერთმანეთისაგან დაშორებული მოსახლეობისა. აი, სწორედ ამ ხალხების გადაქცევაა საჭირო თანამედროვე ერთიან ერად, ისევე როგორც ეს მოახერხეს ჩვენმა მეზობელმა სახელმწიფოებმა.

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების ინტეგრაცია არ გულისხმობს იმას, რომ ვთქვათ, მაგალითად, აზერბაიჯანელები ქართველ ეთნიკურ ჯგუფად გადაიქცევიან, არამედ იმას, რომ ისინი შეინარჩუნებენ შიდაეთნიკურ თავისთავადობას, მაგრამ საქართველოს თანამედროვე ერის ნაწილად იქცევიან ქართული ენის ცოდნით, საქართველოს საკუთარ სახელმწიფოდ აღიარებით, მისი კულტურის მატარებლობით, მის სრულფასოვან მოქალაქეებად გადაქცევით.

რა უშლის ხელს საქართველოს ხალხების ინტეგრაციას? - ერთიანი კულტურის არარსებობა. კულტურა ხალხთა გამაერთიანებელი უდიდესი ძალაა, საფუძველია ერთობისა. სახელმწიფოებრიობასთან, საერთო მოქალაქეობასა და სამართალთან ერთად საერთო ქართულმა კულტურამ უნდა შექმნას სამომავლოდ საქართველოს ერის იერსახე და მისი მთლიანობის ნიშნად იქცეს. საქართველოს ნაციას უნდა ჰქონდეს კულტურული ერთობის განცდა.

ო. გიგინეიშვილი წერს: “ოსმალური ენა, ყოფილი იმპერიის, ანუ მმართველი ზედაფენის ენა, განსხვავდებოდა ეროვნული თურქული ენისაგან. ამიტომაც რეფორმატორებმა ყურადღება მიაპყრეს თურქულ ენას, მის განვითარებასა და სახელმწიფოში გავრცელებას, რათა “თურქულ ენას მინიჭებოდა პრიორიტეტი ძველი იმპერიის ენასთან შედარებით”. რეფორმატორთა მიერ ოსმალეთის იმპერია განიხილებოდა, ვითარცა კოსმოპოლიტური (არაეროვნული) სახელმწიფო. ახალ თურქეთში თურქული ენა და კულტურა დაუპირისპირდა ძველ იმპერიულს (ოსმალურს). ერთმანეთს დაუპირისპირდა ოსმალური და თურქული ლიტერატურა, ოსმალური და თურქული მუსიკა, ოსმალური და თურქული მორალი. ფილოსოფია, ეკონომიკური დოქტრინები, ყველაფერი ოსმალური გამოცხადდა კოსმოპოლიტურად, თურქული - ეროვნულად, ნაციონალურად. ასე ყალიბდებოდა თანდათანობით ეროვნულისა და ნაციონალურის გაგება” (ო. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ.149). რისთვის იყო ეს ყველაფერი საჭირო? თურქი ნაციის ჩამოსაყალიბებლად, რათა ის გამკლავებოდა მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს. როგორც ო. გიგინეიშვილი წერს “რათა თურქეთს საშუალება მისცემოდა გამკლავებოდა ევროპის მოძალებას, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის მეშვეობით გაძლიერდა, თურქეთის წინაშე უპირატესობა მოიპოვა და გადმოვიდა მის წინააღმდეგ” (იქვე, გვ.148). რა შეიძლება ვისწავლოთ ჩვენი მეზობლის მაგალითით? ჩვენი ქვეყნის გასაძლიერებლად, ჩვენი სახელმწიფოს დასაყრდენის - ქართველი ხალხის კონსოლიდაციის უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად საჭიროა წარსულის იმპერიული მემკვიდრეობის დაძლევა, ანუ საქართველოში რუსული კულტურის ქართული კულტურით გადაფარვაა აუცილებელი! თურქეთში, როგორც ითქვა, კოსმოპოლიტურად, ე.ი. არაეროვნულად მიიჩნეოდა ოსმალეთის იმპერიის ენა, კულტურა, წეს-ჩვეულებები, რომელთაც ებრძოდნენ იმით, რომ დაურიდებლად აძევებდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროდან და მათ ნაცვლად

ამკვიდრებდნენ ეროვნულს. ჩვენში ძველი იმპერიის ენის, ე.ი. რუსულის, მიმართ შესაბამისი მიდგომები უნდა შემუშავდეს. ზემომოყვანილი დევიზის პერიფრაზა ალბათ ასეთი უნდა იყოს - "ქართულ ენასა და კულტურას საქართველოში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს რუსულთან შედარებით", იგულისხმება მთელი საქართველოს მოცვა ქართული კულტურით, ენით, ლიტერატურით, მუსიკით, მორალით, ფილოსოფიით, ეკონომიკური დოქტრინებით. ყველაფერი რუსული უნდა გამოცხადდეს იმპერიულ-კოლონიალურ ნაშთად, რომელიც აფერხებს საქართველოს სხვადასხვა ხალხების ინტეგრაციას. ამით არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება, რადგანაც სწორედ ეს გზა აქვთ არჩეული ჩვენს ყველა მეზობელ ერს. მილიონი ქართველი რუსეთში ცხოვრობს ან რუსეთზეა საქმიანობით დამოკიდებული, ეს იწვევს მათ სწრაფ ასიმილაციას - გარუსებას, მეორე მხრივ, ქართველის მიერ რუსული კულტურის გათავისებით დაზარალდება საქართველოს სახელმწიფო. ამის შედეგი იქნება საქართველოს ვითარცა არ შემდგარი კულტურის სახელმწიფოს დაშლა-დანაწილება, რადგანაც ვერ გაავრცელა თავისი ეროვნული კულტურა და ახალ ეპოქაში, თანამედროვე ვითარებაში, ვერ დაიცვა სულიერი ეროვნული ღირებულებები. მართალია, XX საუკუნეში უფალმა აღუდგინა თავისუფლება, მაგრამ თავისი ჯვარი ვერ მიიტანა ბოლომდე, ვერ ჩამოყალიბდა ნაციად და ამით ვერ გახდა მკვიდრი ამქვეყნიური მომავალი დიდებისა. უფალმა მოგვცა ჩვენი სახელმწიფო, ეროვნული ეკლესია, უძველესი კულტურა, ენა, ჩვენ მხოლოდ ერთი მოვალეობა დაგვაკისრა - მათი დაცვა, განმტკიცება და განვრცობა.

რეგიონებში ქართული კულტურის განვრცობა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს აღორძინება ჩვენი ხალხის მოვალეობად და ღირსების საქმედ უნდა იქცეს უფლის შემწეობით, ამინ.

შენიშვნა: მოხსენების საფუძველზე კონფერენციამ მიიღო შემდეგი მიმართვა -

2004 წლის 4-10 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრის ინიციატივით ჩატარდა დისციპლინათაშორისი რესპუბლიკური კონფერენცია თემაზე: **„ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა".**

კონფერენციამ მიიღო

მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისა და

პარლამენტისადმი

1. გლობალიზაციის საყოველთაო პროცესი მსოფლიოს ყველა „დიდ და მცირე" სახელმწიფოსა და კულტურას მოიცავს, საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას - კულტურულ და ცნობიერ კავშირს ისტორიულ ფესვებთან. ამ პროცესის შესახვედრად თვით უძლიერესი ერებიც კი ემზადებოდნენ „ცენტრალიზებული ნაციონალური სახელმწიფოს დაარსება, ფეოდალური დანაწევრების დაძლევა, საერთო შიდაეკონომიკური ბაზრის შექმნა, ერთიანი კულტურული სივრცის ჩამოყალიბება, შიდაეთნიკური საზღვრების მოშლა".

2. გლობალიზაციის პროცესის ღირსეულად შესახვედრად ქართველმა ერმა უნდა განამტკიცოს თავისი სახელმწიფო, შეძლოს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება, რისთვისაც უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართული კულტურის გავრცობას.

3. უძველესი ხანიდან I საუკუნემდე ქართული ენა და კულტურა აერთიანებდა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებს. რუსეთის 200 წლიანი (XIX-XX სს) ბატონობის შემდეგ, ამჟამად საქართველოში ერთაშორისი ურთიერთობის ენა არის არა ქართული, არამედ რუსული. ფაქტობრივად რუსული კულტურა აერთიანებს საქართველოში არსებულ სხვადასხვა ეთნოსების კულტურებს „იგულისხმება აზერბაიჯანული, სომხური, თვით ქართული - ოსური, აფხაზური და სხვ". რუსული ენისა და კულტურის მიერ ქართულის

შეზღუდვამ ამ უკანასკნელს ჩამოართვა ფუნქცია ხალხთა გამაერთიანებლისა, რადგანაც კულტურა მოქალაქეთა მთლიანობის უმთავრესი ნიშანი და ერთობის საფუძველია. კულტურული ერთობის განცდა საქართველოს შვილების „ერის“ მთლიანობის ნიშანი იყო „ძველად“, რაც დღესდღეისობით ჩანაცვლებულია არაეროვნულით „რუსულით“, ეს ერთ-ერთი მიზეზია საქართველოს ეთნოსების „ხალხების“ შეფერხებული ინტეგრაციისა.

4. ამ ვითარების გამო აუცილებლად მივიჩნევთ, რომ სამომავლოდ ქართულ ენასა და კულტურას საქართველოში მიენიჭოს პრიორიტეტი რუსულთან შედარებით. იგულისხმება საქართველოს მოცვა ქართული ენით, ლიტერატურით, მუსიკით, ფილოსოფიით, კულტურით, ეკონომიკური დოქტრინებით. სახელმწიფომ ქვეყანაში უნდა გაატაროს შესაბამისი ენობრივი პოლიტიკა, ქართული ენის სახელმწიფოებრიობა რეალურად უნდა განხორციელდეს.

5. აღნიშნულის განსახორციელებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საინფორმაციო საშუალებების „ტელეხედვის, რადიომაუწყებლობისა და ინტერნეტის“ ქართულენოვნებას. ქართულმა ტელეარხებმა ყველა გადაცემა უნდა განახორციელონ სახელმწიფო ენით, ისევე როგორც ეს სხვა ქვეყნებშია. ქართული კულტურისათვის დამამცირებელია, რომ საქართველოს მხარეების უდიდესი ნაწილი - ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთის მთიანეთი, ქვეყნის სხვა ოლქებიყ წარმოადგენს აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ და უცხოენოვან ტელე - რადიოსივრცეს „და არა ქართულს“. თვით თბილისის რადიო და ტელეარხების 30-40) რუსულენოვანია, ქართველი ბავშვები ტელევიზიის საშუალებით სწავლობენ რუსულ ენას, ითვისებენ რუსულ კულტურას. ამის შედეგია ის, რომ რუსეთში სამუშაოდ გასული ასეულათასობით ქართველს უცხო გარემოსთან შეგუება უადვილდება ენის ცოდნის გამო. ამიტომაც ხდება რუსეთში მათი სწრაფი ასიმილაცია, საქართველოს სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი კი დაცარიელდა.

6. კონფერენციის მონაწილეებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ტელე და რადიო დიქტორთა მეტყველებას. მათი საუბარი გასაგები უნდა იყოს უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის. არა მხოლოდ თურქეთისა და ირანის მკვიდრ ქართველებს, არამედ თვით საქართველოს მსმენელს უჭირს ტელე-რადიოდიქტორთა უზომოდ აჩქარებული და აქცენტირებული მეტყველების აღქმა, მითუმეტეს, მათი მოსმენა უჭირთ საქართველოში მცხოვრებ იმ აზერბაიჯანელებსა თუ სომხებს, რომელთაც სახელმწიფო ენის ათვისება სურთ.

7. საქართველო, ვითარცა მცირერიცხოვანი ქვეყანა, როგორც აღინიშნა, უფრო მეტად უნდა შეემზადოს გლობალიზაციის პროცესის შესახვედრად ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებით, შესაბამისად, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიზნით ამჟამად საქართველო არ უნდა დაიყოს კუთხური ნიშნით შექმნილ რეგიონალურ მხარეებად. ამან შეიძლება სამომავლოდ ქვეყნის მთლიანობას საფრთხე შეუქმნას. შესაძლოა, ამგვარმა დაყოფამ ხელი შეუწყოს სეპარატისტული ტენდენციების ჩანერგვასა და განვითარებას რეგიონალური ხელისუფლების მხრიდან „მაგალითად ისე, როგორც ეს მოხდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“, ფედერალური მოწყობა შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს საქართველოსათვის. მით უმეტეს სახიფათოა ამ ნიშნით ჯარის „თუნდაც სარეზერვოსი“ ჩამოყალიბება, ასევე სამხარეო პროკურატურებისა, ძალოვანი სტრუქტურებისა და განათლების სისტემისა. ივანე ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ საქართველოს ერთიანობას მუდამ ემუქრებოდა თემობრიობა, კუთხურობა. ერთიანი საქართველოს დაშლა-დანაწევრება V-VI საუკუნეებში ამ მიზეზით მოხდა - „თემობრივობამ თავისი გაიტანა და სრულიად საქართველოს მეფე დამარცხდა“ (ივ. ჯავახიშვილი ტ. IV. ნაწ. I, გვ. 191). ფეოდალიზმის დროისთვის დამახასიათებელი „ქართველი ერის წიაღში არსებული „ტომობრივ-გეოგრაფიული“ თემობრივი თავისებურება არყევდა საქართველოს მთლიანობას შუა საუკუნეებში. ფეოდალური დანაწევრების ეტაპი უკვე განვლეს გლობალიზაციის მომლოდინე სხვა ქვეყნებმა „მაგ. თურქეთმა, აზერბაიჯანმა, რუმინეთმა და სხვ.“ და ჩამოყალიბდნენ ცენტრალიზებულ სახელმწიფოებად. ამჟამად შუასაუკუნეობრივი

სამართლებრივი მოდელის მიხედვით საქართველოს რეგიონებად დაქუცმაცება არის ეთნიკური სახელმწიფოებრივი დაქუცმაცების რეანიმაცია. ეს ძლიერ შეუშლის ხელს ქართველი ერის კონსოლიდაციასა და საქართველოში მცხოვრები ეთნოჯგუფების ინტეგრაციას საქართველოს მოქალაქეებად, რაც ასე ძლიერ სურთ ჩვენს იმპერიულ მეზობლებს და აიძულებენ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებს საქართველო ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბონ, თუმცა ქართველ ერს ამის სურვილი არ აქვს „ამიტომაც წერდა ჩვენი პოეტი მურმან ლებანიძე „ქართლ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, გურიად, ვისაც ჩვენი დაყოფა და გათიშვა სწყურია ან ჭკვიანი მტერი არის ან უგნური მოყვარე“.

8. სასწავლო პროგრამებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაეთმოს ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის სწავლებას, რათა თავიდან ავიცილოთ კოსმოპოლიტურად და ნიჰილისტურად განწყობილი თაობის აღზრდა. საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლის დანერგვა სკოლებში დასაშვებია კონსტიტუციით, რომელიც აღიარებს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ისტორიაში. რადგანაც საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, სამომავლოდაც ეკლესიას კვლავ შეუძლია აღასრულოს „ერის სულიერ გადარჩენასთან ერთად“ თავისი ძველთაგანვე დამახასიათებელი ნიშან-თვისება-იყოს ქართველი ერის ერთ-ერთი უძლიერესი მაკონსოლიდირებელი ძალა. საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა რელიგიური აღზრდა-განათლების ეროვნულ საფუძვლებს გაამყარებს.

9. კონფერენცია სიყვარულით მიესალმა უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II, რომლის მამამთავრობის დროს საქართველოს წმიდა ეკლესია კვლავ იბრუნებს ქართული კულტურის განვრცობისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობის აღორძინების მედროშის ფუნქციას, რათა მომავალმა თაობებმა სიამაყით კვლავ გაიმეორონ ძველისძველი ფრაზა - „საქართველოდ ვრცელი ქვეყანა იწოდება, სადაც ქართული ენით ადიდებენ უფალს და ყოველი საზოგადოებრივი საქმე აღესრულება“. **ა მ ი ნ**

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

“ქართიზაციის” თეორიის კრიტიკის ისტორია XX საუკუნის ბოლოს

(მოხსენება)

ᲕᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲜᲝ და დიდებულნო ქართველნო, ქრისტესმიერ საყვარელო შვილებო

2004 წლის 29 იანვარს უფალი ღმერთის შეწევნით დაფუძნდა „იბერიულ-კავკასიური საერთაშორისო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი”. ამ კავშირის მიზანია იბერიული (ქართველური) ეთნოსის ენობრივ-კულტურული საერთო ისტორიის, ქართველთა მთლიანობის (ერთიანობის) შესახებ ძველი ქართული, მრავალსაუკუნოვანი ისტორიოგრაფიული შეხედულებების კვლევა და წარმოჩენა.

თვალსაზრისი ქართველი ხალხის ეთნიკური ერთგვაროვნების შესახებ (ჯერ საერთო ენითა და ტერიტორიით, შემდეგ კი ქრისტეშობამდე საუკუნეებით ადრე წარმოქმნილი საერთო სახელმწიფოთი) ტრადიციულია, ქართული საეკლესიო თუ საერო საისტორიო წყაროები „მოქცევაი ქართლისაიდან” და „ქართლის ცხოვრებიდან”, ვიდრე XIX საუკუნის დასაწყისამდე (ავტოკეფალიის გაუქმებამდე) მუდამ მიუთითებდნენ ამის შესახებ.

მხოლოდ რუსეთის იმპერიის ბატონობის დროს, ქართული სახელმწიფოებრიობის გაქრობის კვალდაკვალ, იმპერიულ საისტორიო თუ საენათმეცნიერო წრეებში წარმოიქმნა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში ერთადერთ სამეცნიერო-საისტორიო თეორიად ჩამოყალიბდა ე.წ. „ქართიზაციის” თეორია, რომლის მიხედვითაც, ძირითადად, VIII-X საუკუნეებში აღმოსავლეთ

საქართველოში მცხოვრებმა ე.წ. „ქართის" ტომმა მოახდინა სამხრეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის „ქართიზაცია" - გაქართველება იმით, რომ დანერგა იქ ქართულენოვანება საეკლესიო და საერო ყოფაში და ჩაერთო საერთო-ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. უფრო ადრე კი თითქოსდა ამავე „ქართის" ტომმა მოახდინა ჰერებისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების (არაქართული წარმოშობის ტომების) ქართიზაცია - გაქართველება.

ამ მოსაზრებამ თავისი ასახვა ჰპოვა „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში", რომელიც XX საუკუნის 70-იანი წლებში გამოიცა.

საქართველოს ეკლესიის წიაღში დაცული ტრადიციულობის შესაბამისად, ქრისტესმოყვარე იერარქები XX საუკუნეში გამოთქვამდნენ შეშფოთებას ოფიციალური ისტორიოგრაფიული თეორიებისა და ეკლესიის წიაღში დაცული ტრადიციული საისტორიო თვალსაზრისის ურთიერთდაშორების გამო.

ეს განსაკუთრებით გამოიხატა ჩემს წერილებში, რომელთაც ვაქვეყნებდი საეკლესიო და საერო ორგანოებში XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან, ღვთის შეწევნით, ვიდრე დღემდე (გამოქვეყნებულია 50 სტატიაზე მეტი), სიტყვებში, რომლებითაც საკმაოდ ხშირად გამოვდიოდი საპატრიარქოსა და სხვა სამეცნიერო ცენტრების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებზე, ასევე განსაკუთრებით გამოიხატა ჩემს წიგნებში - „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის" ოთხტომეულში (I ტომი გამოიცა ქ. ახალციხეში 1988 წელს, შემდეგ კი I ტომი ხელახლა გამოიცა თბილისში 1996 წელს), ასევე „საქართველოს საეკლესიო კრებების" სამტომეულში (გამოიცა 2003 წ.), ასევე სხვა ჩემს წიგნებში (გამოცემულია 20-ზე მეტი).

უნდა ითქვას: XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოს უწმიდესმა პატრიარქმა ილია II წმიდა სინოდის წევრებს, კერძოდ კი პირადად მე, ვითარცა ისტორიკოსს, დამავალა მომემზადებინა ეკლესიისათვის იმჟამად უაღრესად მნიშვნელოვანი თემები საკითხებზე: „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია" და „საქართველოს ეკლესიის ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში", რადგანაც ამ დროისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ღირსების საკითხის საერთაშორისო საეკლესიო მნიშვნელობა მიენიჭა და ამ საკითხების შესახებ საისტორიო მნიშვნელობის თემებს ჩვენგან ითხოვდნენ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო და სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები.

ამ თემების შესწავლის დროს საპატრიარქოში შეხვედრები მქონდა საქართველოს ზოგიერთ გამოჩენილ ისტორიკოსთან (ბაბილინა ლომინაძე და სხვა), რომელნიც უწმიდესის კურთხევით ჩართული იყვნენ და იკვლევდნენ ამ საკითხებს.

დაგროვილმა მასალამ, მათ შორის უცხოეთში შესრულებულმა მრავალმა გამოკვლევამ, ანდა უცხოეთის არქივებიდან შემოსულმა მასალამ (მაგალითად, მათ შორის აღსანიშნავია ბერძენი სარდელი მიტროპოლიტის მაქსიმეს ნაშრომი „საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია", თარგმნილი ბერძნულიდან რუსულად ხელნაწერის სახით, ასევე, XVII საუკუნის ანტიოქიელი და იერუსალიმელი პატრიარქების მასალები და სხვა) მე საშუალება მომცა ეროვნული წყაროების ანალიზის შემდეგ სულ სხვაგვარად გამეაზრებინა საქართველოს, მისი ერისა და ეკლესიის ისტორია, რაც ჯერ კიდევ ხელნაწერში XX საუკუნის 80-იან წლებში გავაცანი საქართველოს იმდროისათვის ყველაზე გამოჩენილ მკვლევარ ისტორიკოსებს, მათ შორის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ შოთა ბადრიძეს. მან, კერძოდ, 1986 წელს თავის ძალზე დადებით რეცენზიაში აღნიშნა „ქართიზაციის" თეორიის კრიტიკის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი მომენტი: „ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე ვრცელი პროგრამით იკვლევს საქართველოს ეკლესიის მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა მიმართაც ავტორი ყველა შემთხვევაში ნოვატორულადაა განწყობილი, ... ნაშრომის ვრცელი მონაკვეთი უკავია, მაგალითად, იმის მტკიცებას, რომ ქართველი ხალხი თავის ისტორიაში გამოჩენამდე ეთნიკურად

ერთგვაროვანი იყო, რაც იმით შეიძლება დამტკიცდეს, რომ თეორიული თვალსაზრისით ადრინდელი ქართული ეთნოსი ჯერ გაუდიფერენცირებული იყო, ამასთანავე, საერთო ქართული ენა უნდა ყოფილიყო წინაქრისტიანული ქართული სარწმუნოების ღვთისმსახურების ენა და ა.შ. ამ თვალსაზრისს ავტორს სურს მიუსადაგოს მატერიალური თუ წერილობითი წყაროების მონაცემები, რის საფუძველზეც ნაშრომში გატარებულია თვალსაზრისი ქართველთა ეთნიკურ ერთიანობის შესახებ იმ ხანაშიც, როდესაც ჩვენში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოშიც ქრისტიანობა იქნა გამოცხადებული სახელმწიფო სარწმუნოებად" (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, პირველი გამოცემა, ახალციხერაბათი, 1988 წელი, გვ. 653).

"საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის" I ტომში, ფაქტიურად, შევაჯამე ახალი თვალსაზრისი, რომ ქართველი ხალხი ე.წ. „ქართიზაციის" შედეგად კი არ ჩამოყალიბდა, არამედ ჯერ კიდევ „მის ისტორიაში გამოჩენამდე, ანუ ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე: 1. ეთნიკურ მთლიანობას წარმოადგენდა 2. საერთო ქართული ენით და ტერიტორიით 3. მოიცავდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს". ასეთია პროფ. შ. ბადრიძის დასკვნა, გამოთქმული 1986 წელს (დაიბეჭდა 1988 წელს).

ამ ნაშრომის შესახებ ამავე წლებში მსგავსი დასკვნა გამოაქვეყნა მეორე ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვახტანგ გოილაძემ.

ვახტანგ გოილაძე კერძოდ წერს - „ნაშრომში საინტერესოდაა გადმოცემული ქართული სახელმწიფოს, ქართველი ერისა და ქართული ენის ჩამოყალიბების პროცესი... ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ფარნავაზის დროიდან მოყოლებული 1. ქართლი და ეგრისი ერთიანი ქართული ქვეყანა - „ყოველი საქართველო" იყო... ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმის მტკიცებას, რომ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტერიტორია ასევე იბერიად (ქართლად) იწოდებოდა... ეპისკოპოსი ანანია ზოგჯერ იბერიის ტერიტორიად მთელ დასავლეთ საქართველოსაც გულისხმობს და ასკვნის, რომ რადგან ამ ერთიან ისტორიულ ქართულ ტერიტორიაზე 2. ერთიანი ქართველი ხალხი ცხოვრობდა, 3. ერთიანი შეგნებით, 4. ერთიანი კულტურით, მთელ ამ ტერიტორიაზე IV საუკუნიდან წირვა-ლოცვა, 5. ერთ ქართულ ენაზე იყო" (იხ. ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ახალციხერაბათი 1988, გვ. 660).

ვ. გოილაძის იგივე თვალსაზრისია გამოთქმული ჩემი იმავე წიგნის ახალ გამოცემაში, რომელიც 1996 წელს განახორციელა გამომცემლობა „მერანმა" (წიგნი ბუდაპეშტში დაიბეჭდა). უფრო ადრე ცალკე წიგნის სახით გამოიცა ვ. გოილაძის ვრცელი გამოკვლევა აღნიშნული ნაშრომის შესახებ, ცხადია, მასშიც იგივე აზრია გამოთქმული (თბ. 1995), რომ ეპისკოპოსმა ანანიამ პირველმა გამოთქვა თვალსაზრისი 1. ქართველთა საერთო ტერიტორიის, 2. საერთო ენის, 3. ერთიანი შეგნების, 4. ერთიანი კულტურისა, 5.ერთიანი უძველესი სახელმწიფოს შესახებ ქრისტესშობამდევე.

ისტორიკოსი და წყაროთმცოდნე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიული ალასანია ჩემს აღნიშნულ ნაშრომს აძლევს უაღრესად დიდ მნიშვნელობას და წერს: „ამგვარად, ეს ნაშრომი ქართულ ისტორიოგრაფიაში იმ სისხლის გადასხმას ჰგავს, რომელიც დროდადრო აუცილებლია ჯანსაღი ორგანიზმის შესანარჩუნებლად.... წიგნი მიზნად ისახავს აღადგინოს საქართველოს წარსულის ობიექტური და სრული სურათი... ნაბიჯ-ნაბიჯ, სხვადასხვა წყაროებით ასაბუთებს 1. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობას... წიგნში ცალ-ცალკეა განხილული ერის ნიშნები, როგორიც არის, 2. საერთო ენა, 3. საერთო ტერიტორია, 4. საერთო კულტი, 5. ერთმორწმუნეობა, 6. საერთო ფსიქიკური წყობა, 7. საერთო ეთნიკური წარმოშობა, 8. განუწყვეტელი ისტორიული და ეკონომიკური კავშირები და სხვ. ყველა ამ ნიშანს მკვლევარი ძალზე ადრე ხედავს ქართველი ხალხის ისტორიაში, ჯერ კიდევ ქართლის სახელმწიფოს

ჩამოყალიბების დროს ძვ.წ. IV-III სს.” (იხ. წიგნი: გ. ალასანია, ვ. გოილაძე. „საქართველოს ეკლესიის ისტორიის პირველი სრული გამოკვლევა”, თბ., 2000, გვ.6).

ათეულობით ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და შესაბამისმა საისტორიო კათედრებმა გამოთქვეს თვალსაზრისი ამ წიგნის შესახებ, მათ შორის ჩვენი საკითხის განსახილველად საინტერესოა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ბიჭიკო დიასამიძის ნაშრომი „ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში”, ბათუმი, 2001 წ. აქ ავტორი დიდ შეფასებას აძლევს წიგნს - „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია” და წერს - **„მთავარეპისკოპოს ა. ჯაფარიძის გამოკვლევები ყველაზე სრულყოფილი ნაშრომებია საქართველოს ეკლესიის პრობლემებზე”** (გვ. 16).

კერძოდ, აქ ბ. დიასამიძე წერს: „სარწმუნო ჩანს მთავარეპიკოპოს ა. ჯაფარიძის აზრი, რომ მართალია არსებობდა ახლად წარმოქმნილი ქართული ფუძე ენის დაშლის შედეგად მიღებული ტომობრივი ენები ქართებისა და მეგრელებისა, მაგრამ ეს ენები ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ და იმდენად ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, რომ შეიძლებოდა ერთიან ენაზე ლაპარაკი” (ბ. დიასამიძე. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 2001, გვ. 74).

მაშასადამე, საქართველოს გამოჩენილი ისტორიკოსების თვალსაზრისით ეპისკოპოსმა ანანიამ 1988 წელს გამოაქვეყნა ფუნდამენტური მოცულობის გამოკვლევა, რომელშიც პირველად გამოთქვა შემდეგი მოსაზრება: ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა 1. საერთო ქართული კოინე ენა. 2. არსებობდა საერთო ქართული ეთნოსი ერთი ენით, 3. ერთი კულტურით, 4. ერთიანი ფსიქოლოგიური წყობით, 5. საერთო ქართულ ეთნოსს გააჩნდა ერთი ტერიტორია დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი, შემდეგ კი საერთო სახელმწიფო ჯერ კოლხეთი და შემდეგ კი ქრისტესშობამდე IV-III საუკუნეებიდან ქართლი.

მეორე წიგნთან დაკავშირებით რეცენზენტები ასკვნიან შემდეგს: კოლხეთი რომ საერთო ქართული სახელმწიფო იყო, ეს გამოწვლილვითაა გამოკვლეული ეპისკოპოს ანანიას წიგნში - „ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე”, (თბ., 1994 წ.) მასში აღნიშნულია, რომ კოლხეთში ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების ეპოქა წინ უსწრებდა ფარნავაზის ეპოქას. შესაბამისად, ე.წ. „კოლხური კულტურა” მოიცავდა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიას და ცილდებოდა კიდეც მის საზღვრებს, მოიცავდა ჩრდილო კავკასიის ნაწილსაც და სამხრეთით კი ვრცელდებოდა დღევანდელი თურქეთის ქალაქ ორდუმდე და სომხეთში - სევანის ტბამდე. ეს იყო ერთიანი, ჯერ კიდევ არადიფერენცირებული ქართველი ხალხის კულტურა და მისი განსახლების საზღვრები (დასახ. ნაშ. გვ.58). ამიტომაც სახელი „კოლხი” არა რომელიმე ქართული ტომის, არამედ საერთო ქართველური ელემენტის აღმნიშვნელი იყო. წიგნში აღნიშნულია: „სახელი „კოლხი” ზუსტად დიფერენცირებულ ქართულ-ეთნიკურ ერთობას მოიცავდა (ამიტომაც უწოდებდნენ „მოსხებს” - “კოლხებს”) (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, “ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია”, თბ. 1994, გვ. 59). ამ წიგნში გამოთქმულია დასკვნა ენის შესახებ, რომ კოლხეთის წიაღში ჩამოყალიბებულ ერთიან ახალ ქართლის სახელმწიფოში, რომელიც დაარსებული იქნა ფარნავაზის მიერ, „ფუძექართული ენის დაშლის ხარისხი დიდი არ იყო. ტომების ენები ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. ქართების, ზანების და სვანების ენები, ცხადია, ამ 2500 წლის წინ ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ. ისინი დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდნენ შემდგომ, საფიქრებელია მას შემდეგ, რაც ფარნავაზის მიერ შექმნილი სახელმწიფო დაიშალა (იგულისხმება ვახტანგ გორგასალის შვილთა დროს) (იქვე, გვ. 65).

მაშასადამე, პირველად, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ მეგრული დიალექტი, ისევე როგორც სვანური, თავისი სახით ძველი ქართული ენის, ანუ საერთო ქართველური ენის წიაღში ფორმირდა მოგვიანებით VI-VIII საუკუნეების შემდეგ, ამიტომაც VIII საუკუნეში ჩამოყალიბებულ აფხაზთა სამეფოში ქართული ენა იქამდეც ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიურ ენას წარმოადგენდა და ამიტომ მოსახლეობის დედაენა აფხაზთა სამეფოში იქცა სახელმწიფო და საეკლესიო ენად.

ცხადია, მრავალიათასობით გამოცემულ ამ წიგნებში გამოთქმული თვალსაზრისი გავრცელდა კიდეც მთელ საქართველოში, თუმცა, ცხადია, მას ოფიციალური ენათმეცნიერები თითქოსდა ვერ ამჩნევდნენ, თუმცა კი კარგად იცნობდნენ, მათ საკუთარ ბიბლიოთეკებში უდევთ კიდეც ეს წიგნები (წიგნი „ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია" 5 000-იანი ტირაჟით გამოიცა 1994 წელს, ხოლო „სამოციქულო ეკლესიის ისტორიის" ოთხტომეულის, ასევე „საეკლესიო კრებების" სამტომეულის საერთო ტირაჟი, სხვა 20 დასახელების მსგავსი შინაარსის წიგნებთან ერთად 10 000-ს აჭარბებს, წიგნების საერთო იდეაა „ქართიზაციის" თეორიის უმართებულობის მეცნიერული მტკიცება).

საბჭოთა კავშირის რღვევის წლებში, საქართველოში სეპარატისტულმა რეჟიმებმა და მებრძოლებმა კარგად გამოიყენეს აღნიშნული „ქართიზაციის" თეორია თავიანთი მიზნებისათვის, ამიტომაც უკან დახევა შეუძლებელი გახდა. ცენტრალური გამოცემების საშუალებით საჯაროდ, დაუფარავად გაკრიტიკდა „ქართიზაციის" თეორია 1988-1989-91 წლებში. წერილები იბეჭდებოდა გაზეთებში: „სახალხო განათლება" და „ერი", რომელთა რედაქტორი იყო პროფესორი აპოლონ სილაგაძე. „იდეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის „ქართიზაციის", ანუ გაქართველების შესახებ ხელოვნურია. სინამდვილეში კი ძველი ქართული წყაროების თანახმად მთიანეთის, კახეთ-ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას „ქართიზაცია" არ ესაჭიროებოდა, რადგანაც ძველთაგანვე (და ფარნავაზ მეფის დროსაც) აღნიშნულ კუთხეთა მცხოვრებნი, როგორც მთიულები, ისე ეგრისელები (მესხებსა და ჰერ-კახელებზე რომ არაფერი ვთქვათ) ქართველი ხალხის ძირითად ნაწილებად განიხილებოდნენ... ქართული ენა ამ კუთხეებში „ქართული ეკლესიის გაბატონების" გამო კი არ „გავრცელდა" და ამის გამო მათი „ქართიზაცია" კი არ მოხდა, როგორც წერს ჩვენი ენციკლოპედია, არამედ ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე, წარმართობის დროს კულტმსახურების ენა ქართული იყო ყველა აღნიშნულ კუთხეში" (ეპისკ. ანანია ჯაფარიძე, პოლემიკა: „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს", გაზ. „სახალხო განათლება", 17.V.1990 წ. გადაბეჭდილია წიგნში ეპისკ. ანანია ჯაფარიძე, „დედა ეკლესია" 1996 წ. გვ.196). ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ჩემთან მძაფრი პოლემიკა გამართა ნ. მარის მოწაფემ ცნობილმა მეცნიერმა იოსებ მეგრელიძემ, მასთან კამათისას მე გამოვაქვეყნე წერილი, რომელშიც აღინიშნა: "ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში უკვე შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო, სავალდებულო ქართული ენით. ამ დროს მეგრული და ქართული ენები ძლიერ ახლოს იდგნენ ერთმანეთთან და ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ, ანუ სახელმწიფო ქართული ენა სრულიად გასაგები იყო ეგრისის მოსახლეობისათვის, ის მის დედაენას წარმოადგენდა, თუმცა კი თანდათან ვითარდებოდა და ყალიბდებოდა ახალი დიალექტი" (ეპისკ. ანანია ჯაფარიძე, „რაი არს ჭეშმარიტება", გაზ. „ერი", 27.02.1991 წ. გადაბეჭდილია წიგნში "დედა ეკლესია", 1996, გვ.214).

აღნიშნული გაზეთები იმ დროს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს არსებობისას, ჩემი წერილების გამოქვეყნების დროს, ასეულ ათასობით ტირაჟით ვრცელდებოდა მთელ საქართველოში, ამიტომ საოცარია, როცა ზოგიერთი ახალი მკვლევარი 2003-2004 წლებში დაბეჭდილ 100-200 ეგზემპლარით გამოსულ თავიანთ წერილებში, თუმცა კი იმეორებენ ჩემს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ჩვენი ენობრივი და ეთნიკური მთლიანობის შესახებ, მაგრამ რატომღაც თავიანთ "აღმოჩენილად" მიიჩნევენ, სხვა თუ არაფერი იოსებ მეგრელიძე ხომ მათი კოლეგა ისტორიკოს-ენათმეცნიერი იყო?!

1998 წელს იქამდე ხელნაწერებით მრავლად გავრცელებული "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის" II ტომი გამოიცა, სადაც უკვე პირდაპირაა წარმოჩენილი ე.წ. "ქართიზაციის" თეორიის უმართებულობა. აქ გაკრიტიკებულია ქართულ ენციკლოპედიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ "ქრისტიანობის გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მათ ქართიზაციას განაპირობებდა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს ... დასავლეთ საქართველოში

გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოს ქართიზაციის პროცესს" (ქსე. ტომი "საქ. სსრ", გვ. 61). ამ წიგნში აღნიშნული ტერმინი "ქართი" ნიკო მარის შემოღებულია, ცხადია მისგან მომდინარეობს იდეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ქართიზაციის შესახებ, ხელოვნურია ტერმინი და იდეა, სინამდვილეში ძველ ქართულ წყაროთა თანახმად არც მთიანეთისა და არც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ქართიზაცია არ ესაჭიროებოდა, რადგანაც ძველთაგანვე და ფარნავაზ მეფის დროსაც, როგორც მთიელები, ისე ეგრისელები, ქართველი ხალხის ძირითად ნაწილად განიხილებოდნენ, ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეთა მცხოვრებნი. "აღსანიშნავია, რომ ნ. მარი აღზრდილი იყო პროფესორ პატკანოვის მიერ, ამიტომაც ავითარებდა პატკანოვის საისტორიო შეხედულებებს" (ეპის. ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II, 1996, გვ. 262).

ამ წიგნში "ქართიზაციის" თეორიის კრიტიკას ეძღვნება 100 გვერდი (გვ.259 - 350), ესაა მთელი თავი, რომელსაც აქვს 6 დიდი პარაგრაფი, ესაა ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობილი ფუნდამენტური ნაკვლევი, ახლა რომ ზოგიერთი ისტორიკოსი მის ძირითად დასკვნებს გადმოცემს 6 ფურცლით და მიიჩნევს საკუთარ სამეცნიერო ნაშრომად. საკვირველია?!

როგორც ითქვა, "ქართიზაციის" თეორიის კრიტიკას ეძღვნება ჩემი სხვა უამრავი გამოქვეყნებული წიგნი და ნაშრომი, კონფერენციებზე წარმოთქმული მოხსენებები და სიტყვები; ჩვენს საზოგადოებაში, როგორც იქნა ჩაინერგა იდეა, რომ შესაძლოა რუსულ-კომუნისტურ-ათეისტური "ქართიზაციის" საისტორიო თეორიის გვერდით შეიძლება არსებობდეს ძველი ქართული თეორია ქართველი ხალხის ერთიანობისა შავი ზღვიდან სომხეთ-ალბანეთამდე ქრისტეშობამდელ ხანაშივე. ამ იდეას, მის გავრცელებას ხალხსა და სამეცნიერო წრეებში ემსახურებოდა 1983 წლიდან დღემდე, თითქმის 20-ზე მეტი წლის განმავლობაში, გამოქვეყნებული ჩემი ყოველი ნაშრომი, ეს კარგად იციან ისტორიკოსებმა და შესაბამისმა წრეებმა, სასურველია ამას ენათმეცნიერებმაც მიაპყრონ ყურადღება, ამისათვის შეიქმნა კიდეც წერილის დასაწყისში აღნიშნული ჩვენი კავშირი, რომელშიც, იმედია, მრავალი წევრი გაერთიანდება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ბატონ თ. გამყრელიძეს

ბატონო პრეზიდენტო, 15-20 წლის წინ ძველ ქართულ საეკლესიო წყაროებზე დაყრდნობით წამოვაყენე თეორია, რომ ძველი ქართული საეკლესიო ენა დაეფუძნა ფუძე-ქართველურ ენას და ის უშუალოდ მისგან (და არა ქართის დიალექტიდან) მომდინარეობს. მივიჩნევდი და მივიჩნევ, რომ მოციქულთა და ქრისტიანობის პირველ მქადაგებელთა ეპოქაში, ამ 2000 წლის წინ, ათასწლეულთა მიჯნაზე ფუძექართული ენის დაშლის ხარისხი დიდი არ იყო, ხოლო ქართულ-ზანური ენობრივი მთლიანობის ეპოქა ამ დროს (ე.ი. მოციქულთა მოღვაწეობისას) ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

ენობრივი (ყოველ შემთხვევაში ქართულ-ზანური) მთლიანობის გამო მოციქულთა ეპოქაშივე I-II საუკუნეებში იბერთა და ლაზთა შორის ქრისტიანობის ზეპირი ქადაგებების ენა იყო საერთო ქართველური (ან დაუშლელი ქართულ-ზანური), ეს ენა მალევე IV საუკუნის დასაწყისში საფუძვლად დაედო ქართულ საეკლესიო ლიტურგიკულ ენას. ანუ ძველი ქართული ენა საერთოქართულ, ე.წ. ქართ-ზანურ ფუძე ენას დაეფუძნა.

ამ თეორიას ვავითარებ 1985 წლიდან დღემდე გამოცემულ მრავალ მონოგრაფიაში (მათ შორის „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", "საქართველოს საეკლესიო კრებები" და

სხვა). აღნიშნული თეორია რეცენზირებულია ჩვენი მკვლევარების მიერ (გ. ალასანია, შ. ბადრიძე, ბ. დიასამიძე და სხვ.).

ბატონო პრეზიდენტო, აღნიშნული თეორიისადმი რწმენა კიდევ უფრო განმიმტკიცდა თქვენი ნაშრომის გაცნობის შემდგომ, რომელსაც, სამწუხაროდ, გვიან გავეცანი. კერძოდ თქვენ წერთ - „ქართულ-ზანურის დიფერენციაცია ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე დაიწყო" (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 17). მაშასადამე, თქვენი და გ. მაჭავარიანის თეორიის თანახმად ქართულ-ზანური ენობრივი მთლიანობა ჯერ კიდევ არსებობდა მოციქულების საქართველოში ქადაგებების დროს, ანუ „ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე", 2000 წლის წინ, კერძოდ იმ ეპოქაში, როდესაც ქრისტეს მოციქულები და სხვა მასწავლებლები შემობრძანდნენ საქართველოში და საეკლესიო წესების თანახმად ქართველ ხალხს მშობლიურ ენაზე მოძღვრავდნენ. მაშასადამე, მათი ქადაგებების ენა დაუშლელი ქართულ-ზანური ყოფილა.

თქვენი თეორია ძალზე ძვირფასი საყრდენია ქართული საეკლესიო ლიტურგიკული ენის კვლევისათვის, რადგანაც ქართული საეკლესიო ენის წერილობითი ძეგლები უკვე IV საუკუნის დასაწყისიდანვეა ცნობილი, რაც უმნიშვნელოდ, მხოლოდ რამდენიმე საუკუნითაა დაშორებული მოციქულთა ხანას (I-II საუკუნეები).

ძველი ქართული საეკლესიო ენა (ანუ ძველი ქართული ენა) თუ ასახავს ქართულ-ზანურ ენობრივ მთლიანობას, მაშინ IV საუკუნის დასაწყისში, საქართველოს ეკლესიის ორგანიზების დროს, ის ერთნაირად გასაგები იქნებოდა როგორც დასავლეთ (ე. წ. ზანებისათვის), ისე აღმოსავლეთ საქართველოს მრევლისათვის (ე.წ. ქართებისათვის). მართლაც რუის-ურბნისის კრების წმიდა მამები დარწმუნებით გვაუწყებენ ამის შესახებ, კერძოდ წერენ, რომ წმიდა ნინოს დროს „ნათელ იღო ყოველთა ქართველთა". ამ კრების წმიდა მამები, ისევე როგორც ყველა სხვა ძველი ქართველი მემატიანეები, დაბეჯითებით წერენ, რომ I-IV საუკუნეებში ქართველებს, ე.ი. დასავლეთ და აღმოსავლეთ მოსახლეობას, გააჩნდათ ერთიანი ენა, რომელიც აისახა კიდეც საეკლესიო ღვთისმსახურებაში (ძველი ქართული საეკლესიო ენა).

აქედან გამომდინარე ეგრისში (სამეგრელოში) ძველი ქართული ენა, ანუ რაც იგივეა ზან-ქართული, გავრცელდა არა ამ მხარის „ქართიზაციის" შედეგად IX-X საუკუნეებში (ეს თვალსაზრისი ამჟამად ოფიციალურადაა გავრცელებული), არამედ ის ამ მხარის მოსახლეობის დედაენა იყო "ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზეც", ანუ პირველი ათასწლეულის დასაწყისში. ამას ეთანადება სტრაბონის ცნობა, რომ მის ეპოქაში „სვანებს იბერიელებს უწოდებენ", ეს თავისთავად ენობრივ ერთობასაც ნიშნავს, ასევე, გელასი კესარიელისა და სხვა ბერძენ რომაელი ავტორების თანახმად, წმიდა ნინომ „იქადაგა იბერთა და ლაზთა შორის", ანუ მან ერიანი, მთელი ისტორიული საქართველოს მომცველი ეკლესია დაარსა.

ამჟამად არის მცდელობა იმისა, რომ სამეგრელოს მოსახლეობისათვის მშობლიურ „ენაზე" ითარგმნოს წმიდა წერილი. ჩვენი თეორიის თანახმად მეგრელები და სვანები იმთავითვე არიან შემოქმედნი ქართული საეკლესიო ლიტურგიკული ენისა და ქართული კულტურისა, სხვა კუთხის ქართველებთან ერთად.

ბატონო თამაზ, უწმინდესი პატრიარქის მიერ ქართული ენისა და კულტურის სამეცნიერო საბჭოს შექმნა, რომლის თავმჯდომარედაც დავინიშნე, ამ საკითხის კვლევას ემსახურება.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ივნისი, 2005

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მოხსენება წარმოთქმული საერთაშორისო კონფერენციაზე - "რელიგია და მეცნიერება"

23.05.05.

ოქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ,
თქვენო აღმატებულებავ ბატონო რექტორო, პატივცემულო სტუმრებო,
ქალბატონებო და ბატონებო!

ვიღებ კურთხევას და მაქვს პატივი მოგესალმოთ ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის სახელით.

XX საუკუნემ გარკვეული მიჯნა აღმართა მეცნიერებასა და სარწმუნოებას შირის. ჩვენი კათედრის ერთ-ერთი მოვალეობაა დაძლევა ამ მიჯნისა და ამ ორი ღირებულების ურთიერთდაახლოება ახალგაზრდობის სულიერ ღირსებათა განმტკიცების, მათი ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად ჩამოყალიბების მიზნით. მეცნიერებისა და სარწმუნოების დაახლოება ჩვენ გვესახება ვითარცა საერო და საეკლესიო სამეცნიერო დარგების ურთიერთჰარმონიული შეთანხმება ჭეშმარიტების დასადგენად. "სცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ" - ბრძანებს წმ. სახარება. ერის თავისუფლების ხარისხის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო სიმართლის დადგენას ყველა დარგში, მათ შორის საისტორიო მეცნიერების მხრივ.

ჩვენთვის სამაგალითოა კულტურულ მსოფლიოში მიმდინარე მსგავსი პროცესები. XVIII-XX საუკუნეებში როცა არნახულად განვითარდა მეცნიერება და ადამიანის გონებამ სახე უცვალა დედამიწას და როცა ეპოქას ეწოდა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ხანა, რომელსაც თან ერთვოდა ათეისტების მიერ დარვინის თეორიის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენება, ვრცელდებოდა მოსაზრება, რომ საზოგადოებასა და ბუნებაში ადგილი აღარ დარჩა რელიგიისათვის. მეცნიერებს მიზნად დაუსახეს მონაწილეობა მიეღოთ რელიგიის დევნაში, რომ თითქოს მეცნიერება რელიგია ერთმანეთის მეტოქეები არიან და სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან ერთმანეთს. რელიგია მიიჩნეოდა ანაქრონიზმად, წარსულის გადმონაშთად. ფიზიკოსები და მეცნიერები კი ფიქრობდნენ, რომ ფლობდნენ ბუნების ყველა საიდუმლოს, ნაზიარები იყვნენ აბსოლიტურ ჭეშმარიტებას.

საბედნიეროდ მეცნიერების, ფიზიკის განვითარებამ, ელემენტარული ნაწილაკების სამყაროს შესწავლამ აღმოაჩინა, რომ მექანიკური ფიზიკა, რომელიც იქამდე მარტივად ხსნიდა სამყაროში მიმდინარე ნებისმიერ პროცესს, მცდარი და არაზუსტი აღმოჩნდა, რამაც მოითხოვა ფიზიკის ახალი თეორიის შექმნა, რომელიც სწორად ახსნიდა ბუნებაში მიმდინარე პროცესებს. ჩამოყალიბდა თანამედროვე ფიზიკა, რომლის ფუძემდებლებიც იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები და ფილოსოფოსები: აინშტაინი, შრედინგერი, ბორი, ჰაიზენბერგი და სხვანი.

თანამედროვე მეცნიერების ჯერარნახული განვითარება დაემყარა კვანტურ მექანიკას, ანუ თანამედროვე ფიზიკას. ამ ძველი და ახალი თეორიების ურთიერთშეჯერება ხდებოდა ფიზიკოსებისა და ფილოსოფოსების ე.წ. "სოლვეის" კონფერენციებზე. მოგეხსენებათ, რომ I კონფერენცია შედგა 1911 წ.

ჩვენთვის, მორწმუნეთათვის განსაკუთრებით საინტერესოა V კონფერენცია, რომელიც 1927 წ. შედგა, ოქტომბრის თვეში, ქალაქ ბრიუსელში. ამ კონფერენციაზე გაიმართა ფართო დისკუსია - მსჯელობა ცნობილ მეცნიერთა შორის. კამათი ეხებოდა ყველაზე მთავრს - მიკროსამყაროს კანონების ალბათურ ახსნა-განმარტებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ბრძოლა ძველ ფიზიკასა და კვანტურ მექანიკას შორის - მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის. ამ კონფერენციის აღმწერი

შემდგომ იტყვის, რომ: “ამ ბრძოლაში ფიზიკოსები ნებსით თუ უნებლიედ იდიალიზმის მხარეზე აღმოჩნდნენ, ანუ ისეთი მსოფლმხედველობისა, რომელიც სინამდვილის დასაბამად სულიერს აღიარებს და მიიჩნევს, რომ მატერიალური აღმოცენებულია სულიერის საფუძველზე. მატერიალური სულიერის გამოვლინებაა. იდეალიზმი სამყაროს შემოქმედად და დასაბამად აღიარებს სულს, რომელიც ამტკიცებს, რომ სული წინ უსწრებს ბუნებას; ბუნებაზე ადრე არსებობდა”. ამ კონფერენციამ დაამტკიცა, რომ XX საუკუნის აღმოჩენებმა ფიზიკაში გამოიწვია კლასიკური ფიზიკის ცნებათა მსხვრევა, რითაც მატერიალიზმიც ინგრევა. ამიტომაც ამბობდა ცნობილი ასტროფიზიკოსი ედინქტონი: 1927 წლიდან ჩამოყალიბებული მეცნიერული აზრისათვის რელიგია მისაღები გახდა. ამის შესახებ 20-იან წლებშივე შეიტყო მთელმა მსოფლიომ. ფიზიკოსთა კონფერენციის მსგავსად, მეცნიერების სხვა დარგების რელიგიისა და მეცნიერების შესახებ აზრთა ურთიერთშეთანადება ხდებოდა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე. როგორც ჩანს ამ ტალღამ ჩვენამდეც მოაღწია. საბედნიეროდ, ღვთის მადლით დაინგრა ის ათეისტური რეჟიმი, რომელიც დევნიდა რელიგიასა და რელიგიურ სამეცნიერო მიმართულებებს საქართველოში და დღევანდელი ჩვენი კონფერენციაც ამ მიზანს ემსახურება, “სოლვეის” კონფერენციის მსგავსად. რადგანაც ათეისტური მიჯნა ხელოვნურად აღარ გვაშორებს ჩვენ - მორწმუნე და არამორწმუნე მეცნიერებს. ალბათ ჩვენშიც დადგა დრო ერთად დავსხდეთ სხვადასხვა დარგების სპეციალისტები და კონფერენციაზე ერთმანეთს შევათანხმოთ სხვადასხვა მოსაზრებანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესახებ. რათა არც სასკოლო და არც უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში არ ჩანდეს მხოლოდ ერთი მიმართულება, ერთი თვალსაზრისი სამყაროს, ბუნებისა და ადამიანის წარმოშობისა და მისი რაობის შესახებ.

ქართველ ისტორიკოსებს უდიდესი ღვაწლი მიუძღვით იმ დიად საქმეში, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა ეწოდება, მაგრამ ცხადია საისტორიო დარგებიც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში განიცდიდნენ ზეწოლას იმპერიული და ათეისტური რეჟიმების მხრიდან და ბუნებრივია იგი არ შეიძლებოდა განვითარებულიყო ისე, როგორადაც განვითარდებოდა ის თავისუფალ საზოგადოებაში. ამიტომაც ალბათ საჭიროა “სოლვეის” კონფერენციათა მსგავსად ამ დარგის სპეციალისტების საგანგებო კონფერენციის ჩატარება და სხვადასხვა მოსაზრებების ურთიერთშეთანხმება - შეჯერება.

სამეცნიერო დარგთა შორის, რომელიც შეისწავლებოდა ძვ. საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ისტორიოგრაფიას. ძვ. საქართველოს საისტორიო სკოლა იყენებდა უძველეს ქართულ წყაროებს და მატიანეებს, რომელნიც უხვად იყვნენ გაჯერებულნი ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე დაფიქსირებული ცნობებით და შეიძლება ითქვას, რომ არცთუიშვიათი სახელმწიფოებრივი კატაკლიზმების გამო ძვ. ქართული საისტორიო სკოლა არსებობდა ეკლესიის წიაღში და სასულიერო მოღვაწეები - ბერები და ეპისკოპოსები იყვნენ კიდეც ქართველი ერის მემატიანეები. (ჩვენ მხედველობაში გვყავს ლეონტი-მროველი ეპისკოპოსი, არსენ ბერი. “მოქცევაჲ ქართლისაჲ”-ს განმვრცობი) სამწუხაროდ ძველმა ქართულმა საისტორიო სკოლამ იარსება მე-19 საუკუნის შუა წლებამდე. ის ასპარეზიდან გაქრა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების კვალდაკვალ. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ძვ. ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის ადგილი დაიჭირა რუსეთის საიმპერიო უნივერსიტეტების ბაზაზე აღმოცენებულმა ახალმა ქართულმა საისტორიო სკოლამ, რომელიც ძალზე კრიტიკულად მიუდგა ძვ. ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიის საბაზისო მონაცემებს, უარყო და მათ ნაცვლად შემოგვთავაზა ახალი. ისინი სამწუხაროდ ვერ გვიხსნიან მრავალ ისეთ საკითხს, რომელნიც გადაჭრილი ჰქონდა ძველს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ურთიერთწინააღმდეგობა საეკლესიო და საერო ისტორიოგრაფიათა შორის დროულად უნდა გადაიჭრას.

წიგნის - “გეორგიკა” (ტ. IV, ნაკვეთი II, 1952 წ., ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა) წინასიტყვაობაში აღნიშნულია: “1934 წ. გამოიცა საკავშირო მთავრობის კომპარტიის ცეკას დადგენილება - “სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ სსრკ სკოლებში”, იმავე წლის აგვისტოში მივიღეთ ი.

სტალინის, ს. კიროვის და ა. ჟდანოვის მითითებები იმის შესახებ თუ როგორ უნდა დაიწეროს "სსრკ ისტორიისა" და "ახალი ისტორიის" სახელმძღვანელოები" (გვ. 8).

ამ დადგენილებების, განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის დადგენილებების, შესაბამისად მავნებლობად გამოცხადდა საქართველოს ერთიან ქვეყნად წარმოსახვა და ქართველი ერის "უძველეს ხანაში" ჩამოყალიბების თეორია. ისტორიული "ფაქტები" ისე უნდა მიეწოდებინათ მკითხველისათვის, რომ მათ ქართველი ერი - ახლად ჩამოყალიბებულად, ხოლო საქართველო არც თუ უძველეს ხანაში წარმოქმნილ ქვეყნად დაესახათ.

ამის შესაბამისია ს. ყაუხჩიშვილის წინასიტყვაობაც (სხვა შემთხვევაში წიგნი არ გამოიცემოდა) - აქ აღნიშნული თითქოსდა ბიზანტიური საეკლესიო კათედრების ნუსხების ე.წ. "ეკთესისების" მიხედვით დასავლეთ საქართველო კონსტანტინეპოლის კათედრას ექვემდებარებოდა IX საუკუნემდე, ხოლო ის გარემოება რომ X საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოს ეპარქია" აღარ იხსენება ბიზანტიურ ეკთესისებში, მოწმობს მის ჩამოშორებას ბიზანტიისაგან და მცხეთის საკათალიკოსოსთან დაკავშირებას, რაც უთუოდ საგულისხმოა საქართველოს გაერთიანების იმ პროცესის შესასწავლად, რომელიც IX საუკუნიდან "იწყება" (იქვე, გვ. 7).

სინამდვილეში "ეკთესისებში" ჩამოთვლილი "დას. საქართველოს" საეპისკოპოსოები განლაგებულნი იყვნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ იმ ქვეყნებში, რომლებსაც ბერძნები "ლაზიკას" უწოდებდნენ, ანუ ტრაპიზონის ოლქში.

ს. ყაუხჩიშვილის აზრით კი "დასავლეთ საქართველოა - ლაზეთი", თითქოს აქ არსებობდა "დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო". სინამდვილეში "ლაზთა მეფეები" და "ლაზიკა" იყო ტრაპიზონის მხარე და მისი გამგებლები.

VI საუკუნეში იმპერატორი იუსტინიანე ლაზიკის ეპარქიების შესახებ წერდა - "პოლემონის პონტოში შედის ხუთი ქალაქი: (ნეოკესარია, კომანა, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, პოლემენიონი. პიტიუნტი და სებასტოპოლისი ხომ უფრო ციხე-სიმაგრეებშია ჩასათვლელი, ვიდრე ქალაქებში), მათ შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკა (სადაც არის ქალაქი პეტრა..., არქეოპოლისი, როდოპოლისი", აქვე შედის ჩვენს მიერ სპარსელებისგან უკან ჩამორთმეული სიმაგრეები სკანდისი, სარაპანისი, მუსურუსი, ლისისი, შემდეგ მოდის ჭანთა ქვეყანა მხოლოდ ჩვენი მეფობის დროს დაპყრობილი... სხვა ტომებიც - სვანები, სვიმავები, აფსილები, აბაზგები" (მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით, 2003, V მს. კრება). რომელია "ჭანთა ქვეყანა, ჩვენი მეფობის დროს დაპყრობილი"?, ცხადია აქ იგულისხმება არა ქალდეა-ჭანიკა, ტრაპეზუნის ახლოს მდებარე ქვეყანა, არამედ მდ. რიონის მარჯვენა სანაპირო, სადაც იმჟამად გადმოსახლებულა ჭანური მოსახლეობა ტრაპიზონიდან და ამიტომ ეწოდება მას "ჭანთა ქვეყანა". იქვეა სვანები, აფსუები, აბაზგები. მაშასადამე "ჩვენი ლაზიკა" ანუ ბიზანტიელების მიერ დაპყრობილი "ლაზიკა" მოიცავდა მდ. რიონის დასავლეთ სანაპიროს, შემდეგდროინდელ გურიასა და ტრაპიზონის ქვეყანას. მაშასადამე მთელ დასავლეთ საქართველოს არ ერქვა "ლაზეთი".

ლაზიკის ეპარქიაში ჩანს თავდაპირველად იყო ორი სამიტროპოლიტო ფასიდისა და ტრაპეზუნტისა, შემდეგ ისინი გაერთიანდნენ.

I ნოტაციის მიხედვით "ეპარქია ლაზიკისა - ფასიდის მიტროპოლიტი 1. როდოპოლისის ეპისკოპოსი, 2. აბისსენთა ეპისკოპოსი, 3. პეტრათა ეპისკოპოსი, 4. ზიგნევთა ეპისკოპოსი" (იქვე, გვ.130). ტრაპეზუნტი I ანოტაციის მიხედვით პოლემონის ნეოკესარიის ერთერთი საეპისკოპოსოა კერასუნტის, პოლემონიონისა და კომანის გვერდით. (იქვე, გვ.184). ყველა ამ ქალაქს ასახელებს იუსტინიანეც.

II ნოტაციით ტრაპეზუნტი უკვე სამიტროპოლიტო ქალაქია.

III ნოტაციით "ლაზიკაში, ტრაპეზუნტის მიტროპოლიტს ექვემდებარება 13 ეპისკოპოსი, მათ შორის ერთერთი არის "ფასიანის ეპისკოპოსი" (იქვე, გვ.133).

IV ნოტაციაში ტრაპეზუნტის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. ის უკვე არის "მიტროპოლიტი ტრაპეზუნტისა, მთელი ლაზიკისა, მას ახლა კესარიის ადგილი უჭირავს" (იქვე, გვ.136). აქედან ჩანს, რომ ტრაპეზუნტის მიტროპოლიტი თუ კი იქამდე იყო ლაზიკის მხოლოდ ერთი ნაწილის იერარქი, ახლა ის არის "მიტროპოლიტი მთელი ლაზიკისა", ანუ მის იურისდიქციაში ახლა ლაზიკის მეორე ნაწილის ანუ "ფასიდის" სამიტროპოლიტო, თუმცა კი ჩანს ისინი მაინც ცალკე სამიტროპოლიტოების სახით არსებობენ, ანდა ზოგჯერ მთლიანდებიან, ისე რომ "ფასიდი ტრაპეზუნტი" ერთ ქალაქად წარმოიდგინება კიდეც. ამიტომაც უძველეს საეკლესიო წყაროებზე დაყრდნობით პ. ვესელინგი XVIII საუკუნეში წერდა, რომ "ნიკეის II კრების (787 წ.) მახლობელ ხანებში ფასისი და ტრაპეზუნტი, როგორც ჩანს ერთ ეპისკოპოსს ექვემდებარებოდნენ" (გეორგიკა, ტ. IV, ნაწილი II, 1952 წ. გვ. 200).

ს. ყაუხჩიშვილს სამართლიანად მიაჩნია, რომ "სრულიად გამორიცხულია, რომ ერთმანეთს ტერიტორიულად ასე დაშორებული ფოთი და ტრაპეზუნტი ერთ საეპისკოპოსო კათედრაში ყოფილიყვნენ" (იქვე, გვ. 200), მაგრამ, თვით ნოტაციები და ასევე მრავალი წყარო მიუთითებს, რომ ფასისი და ტრაპეზუნტი გარკვეული ხნიდან ნამდვილად იმართებოდნენ ერთი ეპისკოპოსის მიერ. თუმცა ს. ყაუხჩიშვილიც მართალია "აქედან გამოსავალი არის ერთი - ფასისი არ ერქვა ფოთს, რადგანაც ფოთი ძალზეა დაშორებული ტრაპეზუნტიდან. ფასისი ერქვა არა ფოთს, არამედ მდ. ჭოროხთან ანუ ფასისთან (და არა რიონთან) მდებარე ქალაქს. ეს უნდა ყოფილიყო ძველი აფსაროსი, თანამედროვე გონიო. I-II საუკუნეების "აფსარუნტი" (აფსაროსი), IV-VII საუკუნეებში "ფასიდად" იწოდებოდა და ის მდებარეობდა ლაზიკის ჩრდილო ნაწილში. ლაზიკა კი, როგორც აღინიშნა, ეწოდებოდა ტრაპეზუნტის მხარეს და მის ჩრდილოეთით მდებარე ოლქს. მას ჩვენი მთარგმნელები თარგმნიდნენ ასე - "სოფელი მცხეთა", ესაა თანამედროვე ლაზეთი თურქეთში და იშვიათ შემთხვევაში მდ. რიონის მარცხენა სანაპირო, ძირითადად კი ესაა ჭოროხის ხეობა, აფსაროსი ანუ ქალაქი ფასისი, რომელიც მდებარეობდა ძველი წყაროების განმარტებით, მდინარე ფასისის (ანუ ჭოროხის) მარცხენა მხარეს, ესაა გონიო. აქვე ამ არეალშივე უნდა ყოფილიყო ფასისის სამიტროპოლიტოში შემავალი საეპისკოპოსოები როდოპოლისისა, საისონისა და ზიგნევისა და არა დასავლეთ საქართველოს სიღრმეებში, როგორც ეს მიაჩნია ს. ყაუხჩიშვილს. ს. ყაუხჩიშვილამდე გაცილებით ადრე ისტორიული გეოგრაფიის დიდად აღიარებული მცოდნე ადონელი წერდა კიდეც, რომ "არდასის ჩრდილოეთით მდებარეობს ზიგანა, იმავე სახელის ქედის ძირში, ტრაპეზუნტის მთავარ გზაზე. ზიგანა იყო ძველ დროს ძალზე მნიშვნელოვანი პუნქტი და იქ იყო რეზიდენცია იმ ხუთი ეპისკოპოსიდან ერთერთის რეზიდენციად, რომელნიც ლაზიკის ეპარქიაში შედიოდნენ. საეკლესიო თვალსაზრისით ჭანიკა ლაზიკას მიეკუთვნებოდა" (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПБ. 1906. стр. 65). ს. ყაუხჩიშვილმა დიდი გამოკვლევა ჩაატარა იმის დასამტკიცებლად, რომ (ზიგანა) ზიგანევი თითქოსდა იყო გუდაყვის საეპისკოპოსო კათედრა, ასევე ძალზე ხელოვნურია საისინის გამოცხადება ცაიშის კათედრად, როდოპოლისისა კი ვარდციხედ. საქმე ისაა, რომ ვარციხე ბაღდადთან არ იწოდებოდა ვარდციხედ. პირიქით, ეტიმოლოგიურად ვარციხე არ არის ამოვარდნილი ქართული ტოპონიმების წარმოების წესიდან. ვარციხე ნაწარმოები არის ისე, როგორც მაგალითად ვარძია, ვარიანი, ვარკეთილი. ისევე როგორც ვარძია არ იყო "ვარდძია", ანდა ვარიანი - "ვარდიანი", ვარკეთილი - "ვარდკეთილი", ასევე ვარციხე არ ყოფილა "ვარდციხე" ანუ როდოპოლისი.

ს. ყაუხჩიშვილის აღნიშნული ჰიპოთეზა შემდგომში საფუძვლად დაედო ისეთ მძიმე დასკვნებს, თითქოსდა დასავლეთ საქართველო შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში და მისგან გათავისუფლდა IX-X საუკუნეებში. თუმც კი ს. ყაუხჩიშვილი პატიოსნად აღნიშნავდა ამის შესახებ: "ჯერჯერობით არავითარი მტკიცე დასაყრდენი არა გვაქვს ამ გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაციისთვის" (გეორგიკა, IV, გვ.189).

ამ მხრივ ჩვენ უფრო უნდა ვენდოთ უძველეს ქართულ წყაროებს, რომელნიც მიიჩნევდნენ დასავლეთ საქართველოს მცხეთის იურისდიქციის ქვეშ მდებარე ტერიტორიად IV საუკუნიდანვე,

ხოლო “ლაზიკები ფასისის მიტროპოლიაში შემავალი როდოპოლისი, საისენთა, პეტრასა და ძიგანევის საეპისკოპოსოები” განლაგებულნი უნდა ყოფილიყვნენ მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე ტრაპეზუნტის მიმართულებით, თუმცა მათგან შესაძლებელია პეტრა იყოს არა გონიო, არამედ ის ციხე ჭოროხთან, რომელსაც ამჟამად “ქაჯეთის ციხე” ეწოდება.

აქვე, ტრაპეზუნტის ოლქში მიუთითებდა ადონელიც ფასიდის სამიტროპოლიტოს აღნიშნული საეპისკოპოსოების არსებობას. ჭოროხისა და ტრაპეზუნტის ქვეყანას ეწოდებოდა ლაზიკა. მის ჩრდილო ნაწილში უნდა ყოფილიყო ფასიდის სამიტროპოლიტო განლაგებული. ეს ალბათ იყო ის მიწა-წყალი, რომელსაც ძველი ქართველი ისტორიკოსები უწოდებდნენ “ბოლო კლარჯეთისა”, რომელიც განლაგებული იყო შავი ზღვის პირზე. ქართული “კლარჯ” ალბათ ბერძნული “კლარძ” ანდა “კლაზიკად” ანდა “ლაზიკად” გამოითქმოდა. “ბოლო კლარჯეთისას” ქვეყანაში შედიოდა - ხუფათი, გონიო, მის საზღვართან ქვემო გურიაში კი ბათომი და ქაჯთა ციხე, ესენი უნდა ყოფილიყვნენ ფასიდის სამიტროპოლიტო და მისი ყოფილი საეპისკოპოსოები. ეს იყო ისტორიული ლაზიკის ჩრდილო მხარე. როგორც ითქვა, ლაზიკის მეორე სამიტროპოლიტო იყო ტრაპეზუნტი, რომელსაც შემდეგ მთელი ლაზეთის ყველა ეპარქია დაემორჩილა.

რიზესა და ხუფათს შუა ცხოვრობდა ხალხი, რომელიც არ ემორჩილებოდა მის სამხრეთით ტერიტორიაზე არსებულ “რომაელ” ხელისუფლებას და არც მის ჩრდილოეთით “ლაზიკის მეფეთა” (რომაელთა მიერ დადგენილ) ხელისუფლებას, ეს ხალხი იბერიის მეფეს ემორჩილებოდა, ეკლესიურად მათ თურმე ლაზეთის ეპისკოპოსები უნიშნავდნენ მღვდელმსახურებს, თუმცა ყველანი კი ეკლესიურად “კათალიკოსს” ემორჩილებოდნენ. ეს “კათალიკოსი” უნდა ყოფილიყო არა დვინის, არამედ მცხეთის კათალიკოსი (იხ. ჩემი “მსოფლიო საეკლესიო კრებები”, VII კრება).

განსაკუთრებით გასაოცარი და შეიძლება ითქვას შოკისმომგვრელია ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ ნოტაციათა ცხრილებში ბერძნულ ხელნაწერებში არსებული ცნობების თვითნებური შეცვლა. კერძოდ, VI და VIII ნოტაციების ხელნაწერებშია “ამისიის სებასტოპოლისის ავტოკეფალური ეკლესია” და სიტყვა “ამისია”-ს ყაუხჩიშვილმა წაშალა და მის ნაცვლად დაწერა “აბასგია” თანაც ბერძნული შრიფტით და ისე მიაწოდა მკითხველს. ამის შედეგად მან და მასთან ერთად მთელმა საზოგადოებამ დაასკვნა, თითქოსდა “აბასგიის ავტოკეფალური ეკლესია” არსებობდა X საუკუნის შემდგომაც, რაც არასწორია. დედნებში არ არის ასეთი მინიშნება, პირიქით, ნოტაციების სწორი წაკითხვა, ანუ წაკითხვა იმისა, რაც წერია, იძლევა საშუალებას იმისა, რომ გამართლდეს ძველი ქართული ისტორიოგრაფია, რომ VIII საუკუნეში, აფხაზეთის საერისთავოს გათავისუფლებისა და მისთვის დასავლეთ საქართველოს მიწების გადაცემის შემდეგ, მეფეების - არჩილისა და მისი დის დროს, მოხდა საეკლესიო გაერთიანება - აბაზგიის ეკლესიისა და დასავლეთ საქართველოს (ქართლის) ეკლესიათა გაერთიანებაც.

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ სიტყა “ფასისის” განსაზღვრებას. მ. ბერძნიშვილი წერს, რომ ბერძნები “ფასისს” უწოდებდნენ მდინარეებს 1) ყუბანს, 2) არაქსს, 3) ჭოროხს, 4) რიონს, 5) ჯულფას. (მ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფასისის ისტორიისათვის, 1969, გვ.88). ერთი სიტყვით, შავი ზღვის იმ სანაპიროს მდინარეებს, სადაც ქართულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა, რადგანაც პროქართული ენით ფსა, ფშა აღნიშნავდა წყალს (კერძოდ “ფ” - განშლა, „ს”, „შ” აღნიშნავდა წყალს) უფრო ზუსტად კი მდინარის დელტას, მის შესართავს ზღვასთან, ანუ გაშლილ წყალს.

აღნიშნულ მდინარეთაგან “შეუდარებლად უფრო ხშირად იხსენიება ფასისის სახელით მდ. ჭოროხი... ამ ფასისის სათავედ სდებენ არმენიის მთებს ან მოსხიკეს მთებს. საგულისხმოა, რომ ჭოროხის გაიგივება ფასისთან უფრო მყარიცაა. ამ სახით იგი გვხვდება (თუ ქსენეფონტეს არ ჩავთვლით) ძვ. წელთაღრიცხვით III საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე, დაწყებული ერისტოსთენედან და დამთავრებული პროკოფი კესარიელით” (იქვე, გვ. 91).

პუნქტები “ზიგანე-ზიგანევი”, “სებასტოპოლისი”, “პიტია” (პიტიუნტი), “მოხორა” შეტანილია ბიზანტიურ სამხედრო დანაყოფთა იმ ნუსხაში, რომელის ჯარი იდგა მცირე არმენიაში

(ტრაპეზუნტის ოლქში) (ამ ნუსხას შემოკლებით ”ნოტატია”-ს უწოდებენ) - ბიზანტიის ჯარის განლაგება: “არმენიის დუქსი, არმენიის სარდლის ხელქვეით არიან პონტოში - პონტოს პირველი ლეგიონის პრეფექტი - ტრაპეზუნტი, რაზმი რიზესი, რაზმი თეოდოსესი... პითია (პიტიუნტი), ვალენტა, ესიპორტო, პარამბოლე, სებასტოპოლისი, ზიგანნე, მოხორა” (გეორგიკა, I, 1961, გვ. 175).

აქ მოხსენებული “ზიგანე”, რომელშიც იდგა ბიზანტიის ჯარი და იყო ეპისკოპოსის კათედრა, ნ. ადონცის მტკიცებით, მდებარეობდა არზრუმ-გუმუშხანე-ტრაპეზუნტის გზაზე. აქვე იყო მის არეალში ლაზიკის სხვა ოთხი საეპისკოპოსო და არა რიონის ხეობაში. აქ ყოფილა ზიგანის მთა, უღელტეხილი, სოფელი. ეს სახელი დღემდე ეწოდება ამ სოფელს და მთას! ლაზეთის საეპისკოპოსო ცენტრი “მიგნე” ადონცის აზრით, სწორედ აქ იყო (იქვე, გვ. 176), ე.ი გუმუშხანესტან, ლაზისტანში (ლაზიკაში).

“მოხორა” ასევე საეპისკოპოსო ცენტრი და ბიზანტიის კოპორტის ბანაკი ყოფილა ზიგანის მარჯვნივ. (იქვე, გვ.177).

უსუპორტი - საეპისკოპოსო ცენტრი და ბიზანტიის ჯარის ბანაკი, აქვეა, ესაა “არიანა”, შემდეგდროინდელი “სუსარმია”, ახლანდელი “სიურმენე” ნავსადგური ტრაპეზუნტის მარჯვნივ (გვ.177).

აქვე იყო “პიტია” და “სებასტოპოლი”, რადგანაც აღნიშნული ბიზანტიური ჯარების განლაგების წესის შედგენის დროს აბაზგიის პიტიუნტსა და სებასტოპოლზე ბიზანტიას ხელი არ მიუწვდებოდა (გვ.177).

საქართველოს უწმინდესმა პატრიარქმა ახალგაზრდათა მიერ მეცნიერების უკეთ დაუფლების მიზნით შემოგვთავაზა “ღრმა აზროვნების” პროგრამა, რაც მოითხოვს ფაქტების უფრო ღრმა ანალიზს. ეს არის კურთხევა, რომელიც ცხადია უთუოდ უნდა შესრულდეს. უნდა შეიქმნას “ღრმა აზროვნების” სასკოლო სახელმძღვანელოები. ამჟამად ათასობით მოსწავლე და სტუდენტი ეუფლება რელიგიისა და ეკლესიის ისტორიას. ჩვენ “ღრმა აზროვნების” პროგრამის შესაბამისად ვავალებთ სტუდენტებს უფრო უკეთ გაეცნონ სამეცნიერო ლიტერატურას ჩვენი ერისა და ეკლესიის წარსულისა და ისტორიის შესახებ. სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ საერო-საისტორიო ლიტერატურის საბაზისო მონაცემების ნაწილი არ ეთანხმება იმას, რასაც ასწავლის ძველი მატიანეები და წმ. ეკლესია. ამის შესახებ თავდაპირველად მიგვითითეს სტუდენტებმა და ასევე ლექტორებმაც. მათ მიერ მრავალგზის დაისვა კითხვა, რომელიც ძალზე გვაფიქრებს და შეიძლება ითქვას დილემის წინაშეც კი გვაყენებს. მხოლოდ ერთ ყველაზე მცირე მაგალითს მოვიტან მათ შორის. კერძოდ, წმ. ეკლესია და ძველი მატიანეები გვასწავლიან, რომ I საუკუნეში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს წილად ხვდა ივერია, ივერიელი ხალხი მისი საფარველის ქვეშ უნდა ზიარებულიყო ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ეკლესიის სწავლებით, (რომელიც ასახულია შესაბამის ტროპარებსა და კონდაკებში და ასევე საეკლესიო კრებების დადგენილებებშიც, რომელთაც ქვემოთ შევეხებით), I საუკუნეში, ანუ წმ. მოციქულთა დროს “ქართლი” ანუ “ივერია” ეწოდებოდა შემდეგდროინდელ სრულიად საქართველოს, ქართველნი კი ერქვათ ამ ქვეყნის მკვიდრთ, მთელს მოსახლეობას, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში. ჩვენ ცხადია აღნიშნული “ღრმა აზროვნების” პროგრამის შესაბამისად ვავალებთ სტუდენტებს გაეცნონ საერო ისტორიოგრაფიის მიღწევებს ამ მიმართულებით და გამოიყენონ მათი მტკიცებულებები აღნიშნული რელიგიური საკითხების შესასწავლად და ბოლო ჯამში კი თავიანთი რწმენის განსამტკიცებლად, მაგრამ სწორედ აი აქ, შესაბამისი საერო ლიტერატურის გაცნობის შემდეგ აწყდებიან ისინი დიდ წინააღმდეგობებს. აღმოჩნდა, რომ ახალი საერო-საისტორიო ლიტერატურის მიხედვით “ქართლი” ანუ “ივერია” X საუკუნემდე ეწოდებოდა თურმე მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, “ქართველნი” კი აღმ. საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილს. ცხადია ეს შეუსაბამობები, რომელნიც არსებობენ საერო და საეკლესიო ისტორიოგრაფიებს შორის დაბნეულობასა და გაურკვევლობას იწვევს. მოუგვარებელ პრობლემათა ჩიხიდან გამოსასვლელი გზა სწორედ საერო და საეკლესიო-საისტორიო მეცნიერებათა

ურთიერთთანამშრომლობით უნდა დაიწყოს. მივიჩნევთ, რომ საჭიროა უფრო ჩავუღრმავდეთ ამ და მრავალ სხვა საკითხს, რომელთაც ქვემოთ შევეხებით. ძვ. ქართველ მემატიანეთა მტკიცებით ქართველი ერი, ვითარცა ეთნოპოლიტიკური მთლიანობა უკვე არსებობდა ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში და ამიტომაც მან შეძლო იმ დროს ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბება მეფეების - აზონისა და ფარნავაზის მიერ. ახ. ქართული ისტორიოგრაფია უარყოფს ამ თვალსაზრისს და მიიჩნევს რომ ფარნავაზი იყო მხოლოდ აღ. საქართველოს მეფე. ქვეყნის გაერთიანება, ანუ დასავლეთ საქართველოს შემოერთება ქართულ სახელმწიფოებრივ და კულტურულ სივრცეში დაიწყო გაცილებით გვიან, IX-X საუკუნეებში, შესაბამისად ამავე საუკუნეების შემდეგ დაიწყო ქართველი ერის ჩამოყალიბება. მაშასადამე ჩვენ გვაქვს ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავებული ორი თვალსაზრისი ქართველი ერის და მისი ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბების დროის შესახებ. ამისგან გამომდინარეობს არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა დასკვნები.

აღმოჩნდა, რომ ჩვენი საერო ისტორიოგრაფიის აღნიშნული მონაცემები ასახულია ისეთ აკადემიურ საეკლესიო, მაგრამ უცხოენოვან გამოცემებში, როგორიცაა “Провославная Энциклопедия” და სხვ. П. Э. როგორც ცნობილია წარმოადგენს მართლმადიდებლური ღვთისმეტყველებისა და ზოგადად უდიდეს საეკლესიო სამეცნიერო მიღწევას და ის ვრცელდება არამხოლოდ რუსეთისა და ჩვენს მომმე სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებში, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროში, მთელს მსოფლიოში. სამწუხაროა, რომ აქ არა მარტო ტაო-კლარჯეთის საეკლესიო არქიტექტურა და ამ მხარის მოსახლეობაა მოხსენებული არაქართულად. არამედ П. Э-ის სხვადასხვა ტომეულებში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები ძალზე დამახინჯებითაა მითითებული. კერძოდ, I ტომში, სტატიაში “ალბანეთის საკათალიკოსო” და თან დართულ შესაბამის რუკაზე აღნიშნულია, რომ წმ. ნინოს დროს, IV საუკუნის დასაწყისში აღმ. საქართველოს დიდი ნაწილი ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდა, რომ თითქოსდა ბოდბე, რუკაზე აღნიშნული გურჯაანი, იორ-ალაზნის ხეობები და სხვა ტერიტორიებიც დასახლებული იყო ალბანელებით, ხოლო ეს უკანასკნელნი კი თანამედროვე აზერბაიჯანელი ხალხის წინაპრებად მიაჩნიათ. ცხადია ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ამ სტატიისა და რუქის პათოსს, რადგანაც ქართლის განმანათლებელი წმ. ნინო ქართლის ერთერთ დაბაში დაიკრძალა, რომელსაც მაშინ ბოდი ეწოდებოდა და ეს ქვეყანა შედიოდა მეფე მირიანის იბერიის ანუ ქართლის სამეფოში და არა ალბანეთში, რომელსაც П. Э.-ში მიაკუთვნეს ბოდბე. ჩვენდა სამწუხაროდ სტატიისა და რუქის ავტორები მიუთითებენ ქართველ ისტორიკოსთა შრომებს, რომელნიც “ქართიზაციის თეორიის” შესაბამისად ამტკიცებენ, რომ თითქოს ჰერები ალბანელები იყვნენ, რომელთა გაქართველება, ასიმილაცია და ქართიზაცია დაიწყო უძველეს ხანაში და საბოლოოდ მხოლოდ ვახტანგ გორგასლის დროს შემოუერთდა ჰერეთი (ანუ ე.წ. დასავლეთ ალბანეთი) ქართლს. ეს თვალსაზრისი ასახულია ჩვენს ქართულ ენციკლოპედიებსა და საქართველოს ისტორიის ნარკვევების ტომეულებში და სწორედ ეს გახლავთ საყრდენი აღნიშნული სტატიისა П. Э. - ში.

საქმე ისაა, რომ წმ. ნინოს ცხოვრებას, ვითარცა საისტორიო წყაროს ბოლო დრომდე ნაკლებად ეყრდნობოდნენ, რადგანაც მიაჩნდათ: ვაკეთებ ციტირებას: “ლეგენდა წმ. ნინოს შესახებ ჩამოყალიბდა გვიან VIII-IX საუკუნეებში”. არცთუ დიდი ხნის წინ ასეთი იყო ამ წყაროს მიმართ ოფიციალური ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება. მაგრამ, რადგანაც უკვე შეიცვალა “წმ. ნინოს ცხოვრების” მიმართ ესეთი დამოკიდებულება, ალბათ უკვე შეიძლება და უნდა შეიცვალოს კიდეც იორ-ალაზნის ხეობისა და მისი მოსახლეობის მიმართაც მცდარი შეხედულება, ვინაიდან ეს მხარეები და მისი მოსახლეობა “წმ. ნინოს ცხოვრების” მიხედვით ცხადია ქართლის სახელმწიფოს ეკუთვნიან და ეთნიკური ქართველები არიან. “ქართიზაციის თეორია” არც ამ მიმართულებითაა სამართლიანი, რადგანაც მიიჩნევს, რომ ალაზნისა და ივრის ხეობათა მოსახლეობა თითქოსდა არაქართველები იყვნენ, რომელნიც შემდგომ გაქართველდნენ. მითუმეტეს რომ, აღნიშნულ რუქაზე, რომელიც “ალბანეთის საკათალიკოსოს” შეეხება, იორის ხეობის უდიდესი ნაწილი, მისი

მარჯვენა სანაპირო მდ. მტკვრამდე, ისევე როგორც მთელი ქვემო ქართლი "სომხურ ოლქადაა" გამოცხადებული. ცხადია ეს "ქართიზაცია" - "გაქართველების" იმპერიულ-საბჭოური თეორიის შედეგია, რომელიც ჰიპერკრიტიკულად მიუდგა უძველეს ქართულ მატიანეებს, მათ შორის ფარნავაზიან მეფეთა მატიანესაც, სადაც გარკვევითაა აღნიშნული, რომ ფარნავაზიან მეფეთა სახელმწიფოში აქ ისხდნენ ერისთავები ხუნანისა და სამშვილდისა.

იორისა და ალაზნის ხეობების ისტორიულ ჰერეთად, ანუ ალბანეთად წარმოდგენა ამჟამადაც კი აფერხებს ქართველი ერის ქართველი ერის კონსოლიდაციის საქმეს. საქმე ისაა, რომ თანამედროვე აზერბაიჯანელმა ისტორიკოსებმა აზერბაიჯანელ ერში ჩანერგეს თვალსაზრისი, რომ ისტორიული ალბანელები არიან აზერბაიჯანელთა წინაპრები, მაშასადამე შესაბამისად ძველ ალბანელთა კულტურული მემკვიდრეობა აზერბაიჯანელი ერის სულიერი საგანძურია, ამიტომაც აღნიშნულ რუკაზე ალბანეთის საკათალიკოსოში გურჯაანის, ბოდბისა და სხვა ქართული ძველი ქალაქების მოქცევა არაა შემთხვევითი. მათ აქვთ რაღაც სამომავლო პრეტენზიები. ასევე არაა შემთხვევითი, რომ ისტორიულ აღმოსავლეთ კახეთში, რომელსაც ჩვენ ამჟამად საინგილოს ვუწოდებთ, ძვ. ქართულ ეკლესიებზე ბოლო წლებში გაკრული იქნა ბრინჯაოს დაფები, რომლებზეც აღნიშნულია, რომ თითქოსდა ეს ქართული ეკლესიები სინამდვილეში არიან ძველი ალბანური ანუ აზერბაიჯანული კულტურის ძეგლები, რამეთუ ჰერეთი ისტორიული ალბანეთის ნაწილად, ხოლო ჰერები კი ალბანელებად, ანუ აზერბაიჯანელთა წინაპრებად მიიჩნევა. მათი ეს მტკიცება, როგორც ეს П.Э.-ის შესაბამისი სტატიის თანდართული ლიტერატურიდან ჩანს ეფუძნება ქართველ მეცნიერთა შორის პოპულარულ ქართიზაციის თეორიას, რომლის მიხედვითაც როგორც აღვნიშნეთ ჰერები თითქოსდა უძველეს ხანაში არაქართველები იყვნენ, რომელთა ქართიზაციაც ანუ გაქართველება შემდგომ მოხდა. განსაკუთრებით სავალალოა, რომ ჩვენს მეცნიერთა დაუფიქრებლობით ვკარგავთ არა მარტო კულტურის ძეგლებს, არამედ მოსახლეობასაც. საქმე ისაა, რომ აზერბაიჯანში მცხოვრებ ინგილოებს თბილისიდან უნერგავენ დაბეჯითებულ თვალსაზრისს, რომ ისინი ჰერები არიან, ხოლო აზერბაიჯანელები კი უნერგავენ თვალსაზრისს, რომ ჰერები იგივე ალბანელები არიან, მაშასადამე ინგილოები არიან ძვ. ალბანელთა შთამომავლები, ისევე როგორც აზერბაიჯანელი ერის სხვა ეთნოჯგუფები. ასე რომ მალე, ალბათ რამდენიმე ათეულ წელში ჩვენ ინგილოებსაც დავკარგავთ. აღნიშნული საკითხების მიმართ სულ სხვა თვალსაზრისი აქვს საეკლესიო ისტორიოგრაფიას, მაგ. წმ. შუშანიკი იყო ჰერთა ანუ რანთა დედოფალი. ასეა ეს გადმოცემული შესაბამის ძველ ლოცვებში, ტროპარებსა და კონდაკებში. მაშასადამე, საეკლესიო ისტორიოგრაფიის მიხედვით ჰერეთი არ ეწოდებოდა ივრისა და ალაზნის ხეობებს, არამედ ეწოდებოდა შემდეგდროინდელ მხარეს - რანს, რომელიც მდებარეობდა გაცილებით სამხრეთით და მოიცავდა თანამედროვე განჯის რეგიონს. ძველ მატიანეებშიც იგივე თვალსაზრისია გამოთქმული. მაგ.: წმ. მეფე არჩილი გადავიდა VIII საუკუნეში კახეთში და იმ მხარეში, რომელსაც ჩვენ ამჟამად საინგილოს ვუწოდებთ. ანუ ისტორიულ კახეთში ააშენა ეკლესიები. მემატიანეც წერს: "ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად... და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე... და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხბათს ორთა წყალთა შუა". ("ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ. 244). მაშასადამე ძვ. ქართველი მემატიანეების მიხედვით იორის, ალაზნის ხეობებს ვიდრე კავკასიის ქედამდე, ანუ იმ მიწა-წყალს, რომელსაც ამჟამად კახეთი და საინგილო ეწოდება ერქვა ერთი სახელი - "კახეთი". ასეა ეს მეფე არჩილის ცხოვრების მიხედვით VIII საუკუნეში და ჩანს შემდგომი დროის მემატიანეების ჯუანშერისა და ლეონტი მროველის დროსაც. ანუ ეკლესიები, რომელთაც აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა მიაწერეს, რომ თითქოს ალბანური კულტურის ძეგლები არიან, სინამდვილეში ააშენა არჩილ მეფემ კახეთის მხარეში და არა ჰერეთში. ჰერეთი არც კია ნახსენები მის ცხოვრებაში. ჰერეთი იმჟამად, როგორც ვთქვით, იორ-ალაზნის შესართავის სამხრეთით მდებარე მხარეს ეწოდებოდა და არა თანამედროვე საინგილოს, მითუმეტეს ბოდბე-გურჯაანის რეგიონს. ასე რომ,

ჩვენი XX საუკუნის ისტორიოგრაფია, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ საერო ისტორიოგრაფიასაც არ ეთანადება საეკლესიოს, ანუ XIX საუკუნემდელს, რაც მრავალ დაბრკოლებას ქმნის.

П. Э.-ის 2000 წელს დაბეჭდილ I ტომში დამახინჯებულია ასევე საქართველოს ეკლესიის ჩრდ. საზღვარის საკითხიც, რომელიც, სამწუხაროდ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ჯერჯერობით არ ყოფილა ქართველ მეცნიერთა განსჯის საგანი. კერძოდ აქ, სტატიაში ოსეთის ანუ "ალანიის ეპარქიის" შესახებ და მასზე თანდართულ რუქაზე აღნიშნულია, რომ თითქოს დიდი ლიახვისა და თერგის სათავეები, ალანების (ე.ი. ოსების) აღმოსავლეთის ჯგუფის საეკლესიო ქრისტიანული ძეგლების ისტორიულ არეალს წარმოადგენდა X საუკუნეში. (წყაროდ მითითებულია ვ. კუზნეცოვის შრომები). მაშასადამე თანამედროვე ყაზბეგისა და ახალგორის რაიონები თითქოსდა არ შედიოდნენ აღნიშნულ დროს ქართული ეკლესიის იურისდიქციაში და ექვემდებარებოდა ოსეთის ანუ ალანიის სამიტროპოლიტოს, რომელიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იყო. ეს მოსაზრება ცხადია არასწორია. ჩვენ ვიცით, რომ ისტორიული დვალეთი ანუ ნარ-მამისონის ქვაბული მუდამ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. საქართველოს ეკლესიის კალენდარში დღესაც კი მოიხსენიება ის დვალი, ანუ ქართველი წმინდანები (მაგ. წმ. ნიკოლოზი), რომელნიც დვალეთის მიწაზე ოსური ტომების დასახლებამდე (ე.ი. XV-XVI საუკუნეებამდე) ჩვენს ეკლესიაში მოღვაწეობდნენ, ისევე როგორც ცნობილნი არიან ქართული წმ. წერილის დვალი გადამწერები და სხვა საეკლესიო მოღვაწენი. ცხადია დვალეთი არასოდეს შედიოდა ალანიის ეპარქიაში. მით უფრო გასაოცარია აღნიშნული სტატიის ავტორთა მტკიცება და უხვი ფოტოგრაფიული მასალები, რომლითაც ისინი ავითარებენ მცდარ აზრს, რომ თითქოს ინგუშეთის ცნობილი ტყობა-იერდას ეკლესია ოსეთის - ალანიის ეპარქიაში შედიოდა. რამდენადაც ცნობილია, რომ ამ ტაძარზე არის ქართული წარწერები, რომელთაგან ერთ-ერთში მოხსენებულია საქართველოს პატრიარქის სახელი, რომელსაც ამ წარწერის მიხედვით "აღმოსავლეთის პატრიარქი" ეწოდება (ბატონი გივი ღამბაშიძის ცნობით, რომელიც დღეს ჩვენთან იმყოფება). მაშ როგორ შეიძლება ითქვას რომ ეს ტაძარი ეკუთვნოდა ალანიის ეპარქიას და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს?! აქაც ცხადია, ე.წ. "ქართიზაცია-გაქართველების" იმპერიულ-საბჭოური თეორია გამოდის წინა პლანზე. საქმე ისაა, რომ ამ თეორიის მიხედვით, რომელიც ასახულია ქართულ ენციკლოპედიებსა (ГСЭ. ГССР) და საქართველოს ისტორიის ნარკვევებშიც, IX-X საუკუნეებში თითქოს "აღ. საქართველოს მთიანეთის ქართიზაცია" მიმდინარეობდა, ხდებოდა მათი ქართულ კულტურულ და საეკლესიო არეალში შემოყვანა, ანუ იქამდე ისინი ქართულ კულტურულ სამყაროს არ ეკუთვნოდნენ. ეს "ქართველი მთიელები" სინამდვილეში იყვნენ ფარნავაზიანთა ხანის ქართველი ერის დვრიტა და სიძლიერის საყრდენი. ნ. მარი და მისი გავლენით ზოგიერთი ქართველი და ასევე რუსი სამეცნიერო თუ საეკლესიო მოღვაწენი, (მაგალითად რუსული ეკლესიის ახალმოწამე წმ. იოანე ვოსტორგოვი) ამ ქართველ მთიელებს, კერძოდ ხევსურებსა და ფშავლებს ჩეჩნურ-ვაინახურ ტომებად მიიჩნევდა, რომელნიც თითქოს აღნიშნულ IX-X საუკუნეებში გაქართველდნენ ქართული ეკლესიის მეოხებით. ეს აზრი ცხადია იმპერიული გადმონაშთია, რომელიც დროულად უნდა აღმოიფხვრას თეორიული მუშაობით, წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი სტატიები მუდამ დაიბეჭდება.

ფარნავაზიან მეფეთა სახელმწიფოში საქართველოს სამხრეთი ოძრხის, წუნდის და კლარჯეთის საერისთავოების სახით შედიოდა, ხოლო ძვ. ბერძენი ავტორების ცნობით ქართველური ტომები კაპადუკიიდან ვიდრე არაქსის სათავეებამდე იყვნენ დასახლებულნი. ამით იყო გამოწვეული, რომ ვახტანგ გორგასალმა ჭოროხის ხეობაში ტაო-კლარჯეთში პირველი მონასტრები და ციხე-სიმაგრეები დაარსა. კერძოდ ტაოში, (იმიერ ტაოში) იმ ადგილთან ახლოს, სადაც შემდგომ იშხნის ცნობილი კათედრალი აშენდა, ვახტანგ გორგასალმა აღმართა "თუხარისის" ციხე-სიმაგრე, ხოლო კლარჯეთში არტანუჯთან ახლოს - მონასტრები და ეკლესიები (ქ.ც.I გვ.177).

VI საუკუნის შემდეგ, სპარსეთის აგრესიის შედეგად შეირყა ფარნავაზიან მეფეთა ქართლის სამეფო, მან დაკარგა სამხრეთის ტერიტორიების ერთი ნაწილი, სადაც სპარსეთი მხარს უჭერდა

ანტიბიზანტიური მიმართულების სომხური ეკლესიის იურისდიქციის განვრცობას. ასე მოექცა ქართველი ხალხით დასახლებული სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ. ამ მიზეზთა გამო VII საუკუნეში იშხანში დაარსებულ იქნა სომხური საკათალიკოსო ერთ-ერთი ცენტრი. პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორებისთანავე ტაო-კლარჯეთის ქართულმა მოსახლეობამ სასწრაფოდ გადაიგდო სომხური ეკლესიის ბატონობის მძიმე უღელი, რომელიც მათ არმენიზაციას უწყობდა ხელს და დაიბრუნა, აღიდგინა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა. უფრო მეტიც, ამ ეთნიკური ქართველების გულმხურვალე პატრიოტიზმი იქცა სიძლიერის ტახტად ბაგრატიონი მეფეებისა და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობისა IX-X საუკუნეთა შემდგომ. როგორც ცნობილია, ნიკო მარმა წამოაყენა ამ ქართული საეკლესიო სწავლების საპირისპიროდ თეორია, რომელიც მიიჩნევდა, რომ მთელი ეს მხარეები, ტაო-კლარჯეთი ეთნიკური სომხებით იყვნენ დასახლებულნი. შემდეგ აქ თითქოს შეიჭრა ქართული ეკლესია და გააქართველა აქაური სომხობა. სამწუხაროდ ნ. მარს გამოუჩნდნენ მომხრეები, უფრო მეტიც მისი თეორია გაბატონდა კიდეც ისტორიულ მეცნიერებაში. მიუხედავად სიმონ ჯანაშიას და პავლე ინგოროყვას ცნობილი შრომებისა ნ. მარის ეს მოსაზრება ასახულია П.Э.-ის I ტომში, რადგანაც ეს საკითხი განხილული იქნა ჩვენი პრესისა და ტელევიზიის მიერ მრავალჯერ. მას აღარ შევეხები, თუმცა კი უნდა ითქვას, რომ "საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" მაინცაა ასახული ნ. მარის ეს მოსაზრება, სადაც ნათქვამია, რომ თითქოს "ტაო-კლარჯეთის ფეოდალური სამთავროს შემადგენლობაში შევიდა ამ ტერიტორიის ქართული და სომხურ-ქალკედონიტური ეპარქიებიც" (საქ.ისტ.ნარკ.II, 1973, გვ. 585). სწორედ ამ "სომხურ-ქალკედონიტურ" ეკლესიებადაა გამოცხადებული П.Э.-ის მიერ ოშკი, ბანა, ხახული, ოთხთა ეკლესია და ტაო-კლარჯეთის ყველა სხვა ეკლესია. ისინი იყვნენ არა "სომხურ-ქალკედონიტური" ეკლესიები, არამედ ეთნიკური ქართველებისა, რომელნიც იქამდე "სომხურ-ქალკედონიტური" საეკლესიო ცენტრის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ და ეს უღელი მათ გადაიგდეს. (ისევე როგორც, მაგალითად, თბილისის სიონი არ იყო "რუსულ-ქალკედონიტური" ეკლესია XIX საუკუნეში, არამედ იყო ეთნიკური ქართველების ეკლესია, რომელიც დროებით იყო რუსული ქალკედონიტური ეკლესიის იურისდიქციაში). ამიტომაც არაა სამართლიანი ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის მოსაზრება П.Э.-ის სტატიაში. ესაა, ცხადია, ურთულესი საკითხი, მაგრამ წმ. ეკლესიას ამის შესახებ აქვს თავისი საეკლესიო ავტორთა შესაბამისი გამოკვლევები, რომელთა გაცნობაც საჭიროა უცხოეთში მსგავსი სტატიების გაგზავნის წინ.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ძალზე სადავო საკითხად იქცა XX საუკუნის სეპარატისტული რეჟიმების მოთხოვნითა და ხელშეწყობით. ისინი დას. საქართველოს ეკლესიას, მათ შორის აფხაზეთის საკათალიკოსოს მიიჩნევდნენ ადგილობრივი მოსახლეობის იმ ავტოკეფალურ საეკლესიო ერთეულად, რომელიც ისტორიულად კონსტანტინეპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა და რომლის "ქართიზაცია-გაქართველებაც" შემდეგ მოხდა ქართული ეკლესიის მიერ.

სამწუხაროდ, П.Э. I ტომში მსგავსი თვალსაზრისია გადმოცემული, სადაც ნათქვამია, რომ თითქოს VII საუკუნის შემდგომ არაბების ძალაუფლების გავრცელებამ "გამოიწვია ქართლის მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია დას. საქართველოში, რამაც აქ გამოიწვია აღმოსავლურ-ქართული (ქართლის) ენის შეჭრა დას. საქართველოს კულტურასა და საეკლესიო სფეროში. ამიტომაც ეს ენა აქ გადაიქცა ღვთისმსახურებისა და აგიოგრაფიის ენად" (სტატია "აფხაზეთის საკათალიკოსო" П.Э.ტ.1, გვ.68).

საეკლესიო ისტორიოგრაფიისთვის მიუღებელია მსგავსი თვალსაზრისი. ჩვენი საეკლესიო მატიანეები, უფრო მეტიც, საეკლესიო კრებათა დადგენილებანი, მაგ. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ანდრია მოციქულმა აქ იქადაგა "ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა", ხოლო წმ. ნინომ მოაქცია "ყოველნი ქართველნი".

ჩვენ ვიცით, რომ ანდრია მოციქულმა ძირითადად დასავლეთ საქართველოში იქადაგა, მაგრამ დასავლეთ საქართველო ეკლესიის წმ. მამათა მითითებით არა VII-IX საუკუნეებიდან, არამედ ძველთაგანვე, ისტორიულად არის იგივე ქართლი, ქართლის ფარნავაზიანთა სამეფოს ერთი ნაწილი, ანუ საქართველო. ამიტომაც უწოდებს I საუკუნის დასავლეთ და აღმოსავლეთ ქართლს რუის-ურბნისის კრება "საქართველოს", მატიანეებიც, როგორც "მოქცევაჲ ქართლისაჲ" ისე "ქართლის ცხოვრება" დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ აქ ქართლის ფარნავაზიან მეფეებს დადგენილი ჰყავდათ ე.წ. "დასავლეთის" ანუ ეგრისისა და არგვეთის ერისთავები. რუის-ურბნისის კრების წმ. მამათა მტკიცებით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ისევე ეწოდებოდათ ქართველნი, როგორც აღმოსავლეთ საქართველოსას. ეს იყო ერთი ხალხი, ერთი ერი, რომელიც მოაქცია წმ. ნინომ. ამიტომაცაა აქ ნაბრძანები "მოაქცია ყოველნი ქართველნი", ე.ი. მათ შორის ეგრისის და არგვეთის მოსახლეობაც. საეკლესიო იურისდიქციის თვალსაზრისით, XX საუკუნეში გამოითქვა თვალსაზრისი, რომელიც თანდათან დოგმად ითქვა, თითქოსდა დასავლეთ საქართველო ე.წ. "ნოტაციების" მიხედვით IV-VIII საუკუნეებში შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში.

დოსითეოსი და ქრისანთო ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები XVII საუკუნეში ბერძნული წყაროების შესწავლის შედეგად აცხადებდნენ, რომ ეკლესიას, რომელსაც ქართველები "აფხაზეთის საკათალიკოსოს" უწოდებენ, ბერძნულ და ბიზანტიურ წყაროებში ეწოდება "ქვემო იბერიის ეკლესია", "ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსო" ჯერ კიდევ ლევ ისავროსის დროიდან, VIII საუკუნიდან. ვინაიდან იბერიას აქვს ორი გეოგრაფიული მხარე - ერთს ე.ი. აღმ. საქართველოს ეწოდება "ზემო იბერია", ხოლო მეორეს, ე.ი. დას. საქართველოს - "ქვემო იბერია", რომ ერთიან იბერიელ ხალხს გარკვეული დროიდან ორი საკათალიკოსო ჰქონდა და ერთი უზენაესი პატრიარქი.

ამ თვალსაზრისში, როგორც ითქვა, ეჭვი შეიტანეს XX საუკუნის დასაწყისში ნ. მარის "ქართიზაციის" თეორიის შედეგად, რომლის მიხედვითაც ქართული ენა არის მხოლოდ შიდა ქართლის მოსახლეობის ენა, რომელმაც თავისი ენა და კულტურა მცხეთის საკათალიკოსოს დახმარებით განავრცო მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ ჰერეთში, ქვემო ქართლში, ტაო-კლარჯეთს, აღმ. საქართველოს მთიანეთსა და დას. საქართველოში. ეს მოსაზრება იქცა ურყეველ დოგმად, რომელიც ასახულია ქართულ ენციკლოპედიებსა და საქართველოს ისტორიის ნარკვევებში. მაგ. "მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ნიადაგზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთიმერეთში, წამოაყენა ფორმულა თავისი ორგანიზაციულ გაბატონების დასაფუძნებლად (საქ. ისტ. ნარკვ. II, 1973, გვ.586).

ძველი საეკლესიო სწავლებით კი ქართული ენა იყო არა ერთ-ერთი ქართული (ქართლის) ტომის ენა, არამედ საერთო-სახალხო-საყოველთაო ენა. ჯერ კიდევ არიან-ქართლში ყოფნის დროს, ანუ ძვ. ქართული ენა - ყველა ქართული ტომის საერთო ენა იყო. (ხოლო ეკლესიის მამების სწავლებით, ყველა სატომო დიალექტები ერთიანი უძველესი ქართული ენის განშტოებანი იყვნენ. ეს მოსაზრება სულხან-საბას ლექსიკონშიცაა ასახული). ამოტომაც წერდა არსენ ბერი - მოძღვარი დავით აღმაშენებლისა - "ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით". ე.ი. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ენა იყო არიან-ქართველთა ენა, ანუ უძველესი ქართული ენა.

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა დას. საქართველოში მასიურად რომ გადასახლებულიყო IX - X საუკუნეებში, ეს უთუოდ ეცოდინებოდა X საუკუნის ქართული ეკლესიის ისტორიის სომეხ მკვლევარს უხტანესს, რომელიც საგამგებოდ იკვლევდა ქართველ - სომეხთა საეკლესიო განხეთქილების საკითხს. ის ეხება ქართველთა ეთნიკურ ვინაობას და სწორედ X საუკუნეში წერს, რომ ივერიელები ის ხალხია, რომელნიც პონტოს ზღვის პირზე (ლაზიკაში) დაასახლა ნაბუქოდონოსორმა, სადაც ეს ხალხი განმრავლდა, გადმოსახლდა აღმ. საქართველოში. ასეთია X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის აზრი. არც სომხურ და არც ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში ოდნავი მითითებაც კი არ არის იმისა, რომ აღმ. საქართველოს მოსახლეობა

გადასახლდა დასავლეთ საქართველოში, როგორც ამის შესახებ წერს П.Э. აქ უნდა ითქვას, რომ დას. საქართველოს მოსახლეობასაც I საუკუნეში იბერიულ ტომებად მიიჩნევდნენ. მაგ. სტრაბონის დროს, I საუკუნეში, ბერძენი ისტორიკოსებისა და მეცნიერების ერთი ნაწილი სვანურ ტომებს იბერიელებად მიიჩნევდა. ამიტომაც წერდა სტრაბონი, რომ "ზოგიერთები მათ იბერიელებს უწოდებენ". ეს იბერიელებად წოდებული სვანები კი, სტრაბონისავე ცნობით, ბატონობდნენ ყველა მეზობელ ტომზე და ცხოვრობდნენ ვრცელ ტერიტორიაზე ბიჭვინთიდან (პიტიუნტიდან) სოხუმამდე (დიოსკურიამდე). ცხადია, სვანები უცხოელებისათვის იბერიელები იყვნენ თავიანთი ენითა და კულტურით. ქართულენოვანნი უნდა ყოფილიყვნენ სტრაბონისავე ჩვენებით შიდა კოლხეთში მცხოვრები მესხებიც. სტრაბონისავე სიტყვით, აქ "მოსხთა ქვეყანაში" იყო კოლხეთის უმთავრესი "ლევკოთეას" სალოცავი. სწორედ იბერიელებად სახელდებული სვანები, მესხები, ქვემო იბერები ანუ ლაზები იყვნენ ჯერ კიდევ არადიფერენცირებული ფუძე - ქართული ენის მატარებლები, რომელსაც დაეფუძნა ძვ. ქართული საეკლესიო ლიტურგიკული ენა, რომლის შექმნა შემუშავებაშიც ივ. ჯავახიშვილის სიტყვით მეგრელებსაც და სვანებსაც მიუღიათ მონაწილეობა. როგორც ჩვენი გამოკვლევებიდან ჩანს, პეტრე იბერის აღმზრდელი და მოძღვარი იოანე ლაზი იყო, წმ. წერილის ქართველ მთარგმნელთა იმ პლიადის მეთაური, რომელმაც IV-V საუკუნეების მიჯნაზე ქართულ ენაზე უზადოდ გადმოიღო წმ. სახარება, ძვ. და ახ. აღთქმის წიგნები. ამით იყო გამოწვეული, რომ უძველესი ხანიდან, ვიდრე XIX-XX საუკუნეებამდე, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის აფხაზეთს, სვანეთსა და სამეგრელოში საეკლესიო და სალიტერატურო საჭიროებისათვის მხოლოდ ძვ. ქართული ენა გამოიყენებოდა. მიზეზი ამისა იყო არა ქართიზაცია აღნიშნული ტომებისა, არამედ ის, რომ ეს ენა არასდროს ყოფილა სატომო, ერთერთი რომელიმე კუთხის ენა, არამედ პროტო, ანუ ფუძექართული ენის განვითარებას წარმოადგენდა და საერთო სახალხო ენა იყო ყველა ქართველური ტომისათვის.

ეკლესიის სწავლებით ქართულ ენას მფარველობდა თვით დედა ღვთისმშობელი. ექვთიმე ათონელს ღვთისმშობლის გამოცხადებით მიეცა ქართული ენის ცოდნის ნიჭი. უფრო ადრე, X საუკუნეში, ილარიონ ქართველის ეპოქაში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა თავისი გამოცხადებით დაიცვა უცხოეთში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა. კიდევ უფრო ადრე, ქართველთა საეკლესიო პატივისცემა ამ ენისადმი დამოწმებულია ისეთ უკვდავ ქმნილებაში, როგორიცაა "ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ".

ვმადლობთ უფალს, რომ დადგა ჟამი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა, აღარ არის ის ათეისტური დაუძლეველი მიჯნა, რომელიც აშორებდა ერთმანეთს მეცნიერებასა და სარწმუნოებას, მაგრამ ჩანს, ჯერ კიდევ დასაძლევია ჩვენს ცნობიერებაში შემორჩენილი მისი ნაშთები. მეცნიერების და სარწმუნოების ურთიერთდაახლოება XX საუკუნეში კარგად შეძლეს ფილოსოფოსებმა და ფიზიკოსებმა, იმედი გვაქვს, რომ ჩვენი დღევანდელი კონფერენციაც თავის სიტყვას იტყვის ამ მიმართულებით.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ქუჯი ერისთავისა და ფარნავაზის ურთიერთმიმართება სტრაბონის ცნობის გათვალისწინებით

პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფუძემდებელმა ფარნავაზმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო სახელმწიფო ენასა და კულტურას - "განავრცო ენაი ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობაი ქართული" (იქვე, გვ.26)

ჩვენს მიერ დადგენილია, რომ ფარნავაზიანთა და ბაგრატიონთა სახელმწიფო მმართველობის სისტემები იყო იდენტური.

მის განხილვამდე შევეხოთ სტრაბონისეულ (და სხვა ბერძენ - რომაელი ისტორიკოსების) ცნობათა თანხვედრას ძველ ქართულ წყაროებთან სამეფო ხელისუფლების შესახებ.

კერძოდ, სტრაბონის ცნობით, იბერიის მეფეებს ირჩევდნენ მოსახლეობის I წრიდან გვარის უხუცესობისა და პატივის შესაბამისად.

სწორედ ასეთივე გაგებისაა "ქართლის ცხოვრებაც", რომლის მიხედვით ერთიანი საქართველოს სამეფოს ფუძემდებელი არის ფარნავაზი, რომელსაც "ქართლის მეფის" ტიტული ჰქონდა.

მისი ცნობით, ფარნავაზი და ქუჯი ერისთავი „უფალთა" პირველი გვარის უხუცესების წრიდან არიან, და ერთმანეთს პატივს მიაგებენ ამ პირველმოგვარეობის წესების შესაბამისად, რასაც მიუთითებს სტრაბონი. ქართულ წყაროში სტრაბონის მიერ ნახსენები პირველი საგვარეულო იწოდება კონკრეტული სახელით - „ქართლისთავთაშვილი", ამავე „უფალთა" ფენის ანუ საგვარეულოს წევრია - ქუჯიც.

უფალთა ფენის შიგნით კი სტრაბონის ცნობით, ურთიერთდამოკიდებულება განისაზღვრება შესაბამისი „პატივით".

ესეც გადმოცემული ქართულ წყაროში - „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი". ანუ ნათესაობის ხარისხის მიხედვით უპირატესობა ეკუთვნის ფარნავაზს, ამასვე წერს სტრაბონი. სტრაბონის მიხედვით, საზოგადოდ, იბერიელი ხალხის ზედაფენა ანუ „უფალთა" ფენა მართავდა ქვეყანას, მაგრამ, მეფეებსა და „უფროსებს" ამ ფენიდან გამოირჩევდნენ ნათესაობის ხარისხია და ასაკის შესაბამისად (სტრაბონი, XI, 3,6).

სწორედ სტრაბონის მიერ აღწერილ ამ ცნობას ადასტურებს ქართული წყარო ფარნავაზ ქუჯის ურთიერთმიმართების გადმოცემისას.

ამ წყაროს მიხედვით მცხეთელი მამასახლისის ძმისწულმა, ფარნავაზმა იპოვნა დიდი საგანძური და გადაწყვიტა ის გამოეყენებინა ქვეყნის გასათავისუფლებლად ალექსანდრე მაკედონელის პატრიკ აზონისაგან. ამ მიზნისთვის მან უპირველესყოვლისა, მიმართა ეგრისის გავლენიან პირს - ქუჯის, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა წოდება ერისთავისა.

საუკუნეთა მანძილზე, მკვლევართა ინტერესს იწვევს დიალოგი ქუჯისა და ფარნავაზს შორის, მზაობა ქუჯისა დამორჩილებოდა ფარნავაზს.

იმხანად მართალია მდიდარ, მაგრამ გავლენის არმქონე ფარნავაზს ქუჯი ასე მიმართავს: "შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი" (ქ.ც.I, გვ.22) ამ დიალოგის არსს ჩვენ ფაქტიურად გვიხსნის სტრაბონის ცნობა, რომელიც ეხება იბერიაში მეფეთა გამორჩევის წესს.

კერძოდ, სტრაბონის მიხედვით, იბერიაში მცხოვრები მოსახლეობა საზოგადოებრივად იყოფოდა ოთხ ფენად. პირველი ფენა იყო "უფალთა" - ყველაზე უფროსთა წრე - მათგან ირჩევდნენ მეფეებს, უფროსებს (ალბათ ძვ. ქართულად "მამასახლისებს") ნათესაობის, ხარისხისა და ასაკის შესაბამისად. (სტრაბონი, XI, 3,6).

ფარნავაზამდე ქართველებს, ამ წყაროს მიხედვით, ჰყოლიათ არა მეფე, არამედ მამასახლისი (ქართლის ცხოვრება, გვ. 11, 15, 16, 20, 22), რომელიც ყოფილა არა უბრალო პიროვნება, არამედ უფროსი თავის საგვარეულოში "გვარის უფროსი", "სახლთუფროსი" (ტერმინი "სახლი" ჩვენ გვხვდება «მოქცევაჲ ქართლისაჲ" - ში).

მამასახლისი იყო "ქვეყნის უფროსიც" - "მაზავებელ და ბჭე სხვათა ქართლოსიანთა (ქ.ც. I, გვ.11).

მამასახლისს უნდა მიმართონ მნიშვნელოვანი ამბების შესახებ, თავის მხრივ ის აუწყებს "ყოველთა ქართველთა" და გამოიკვლევს მათ თვალსაზრისს (ქ.ც.I, გვ.15)

ქართლში შემოსული უცხოელები მოვალენი არიან მამასახლისს მიმართონ (იქვე გვ. 15).

ქართული წყაროს "მამასახლისი" უნდა იყოს ის, რომელსაც სტრაბონი უწოდებს "უფროსი ნათესაობისა და ასაკის მიხედვით" და სტრაბონის დროს მას უკვე მეფედ ირჩევდნენ. ("უფალთა" ანუ " I ხარისხის ადამიანების" წრიდან).

მაშასადამე ფარნავაზი ვითარცა ძმისწული სამარ მამასახლისისა იყო თავის გვარში, ანუ "უფალთა წრეში" უფროსი ნათესაობის მიხედვით, ხოლო ამ "უფროსთა" შორის ის ასაკითაც "უხუცესი"იყო, თუმცა კი ახალგაზრდა, რადგანაც ჩანს მასზე უფრო ასაკოვანნი შემოსულ მტრებს დაუხოცავთ, როგორც მათ მოკლეს მამასახლისი სამარი.

აქედან გამომდინარე ფარნავაზი "პირველი ხარისხის ადამიანთა" შორის (როგორც მათ უწოდებს სტრაბონი) უპირატესია. ამავე "უფალთა" წრის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო ქუჯიც, ამითაა გამოწვეული მისი სიტყვები - **"შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩემი და მე ვარ მონა შენი"** (ქ.ც.5, გვ.22)

სტრაბონმა ფაქტიურად აგვიხსნა ამ სიტყვების მნიშვნელობა.

ქუჯი და ფარნავაზი იბერიის ერთი წრის (ერთი საგვარეულოს) ადამიანები არიან. ამ წრის წესების შესაბამისად ქუჯს ფარნავაზის მიმართ, ვითარცა გვარში ნათესაობის ხარისხით უპირატესისა, თავისი მოვალეობანი აქვს.

იბერიისა და კოლხეთის უმაღლესი და სამეფო წრეების ერთი წარმომავლობისა და ნათესაობის შესახებ ჩვენ ცნობებს გვაწვდიან სხვა ბერძენ-ლათინი ისტორიკოსებიც.

ტაციტუსისა და სტრაბონის მიხედვით იბერები და იბერიის მეფეები წარმოშობით თესალიელები არიან, რომელნიც დასახლდნენ კოლხეთში.

საერთოდაც, მათი აზრით, თესალიელები კოლხი მედეას ძის თეტალოსის სახელის მიხედვით არიან სახელდებულნი. თეტალოსი - თესალიის ეპონიმია. "თეტალოსი, რომელიც დედის მიერ მოკვლას გადაურჩა... იასონის სამშობლო იოლკოსში მივიდა, აქ მემკვიდრეობის შესაბამისად, სამეფო ხელისუფლება მიიღო და ქვეშევრდომებს საკუთარი სახელის მიხედვით თეტალელები უწოდა (დიოდოსე სტილელი "ისტორიული ბიბლიოთეკა" I, 55, 2, წიგნში - ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, III, 1976, გვ.49)

თავის მხრივ თესალიის ისტორიული მოსახლეობა პელაზგური იყო - ისინი ტროას ომამდე გადასახლებულან ალპებსა და აპენინის მთებს შორის ძვ. წ. 387 წ. მათ შეებრძოლნენ გალები და გარეკეს. აქ მათ ტირენელები ერქვათ (იქვე, გვ. 71).

ტაციტუსის მიხედვით იბერებსა და კოლხებს ერთი სამეფო დინასტია ჰყავთ იასონისაგან დაფუძნებული.

საერთოდ იბერიელები კოლხებში არიან წარმოშობილნი მას შემდეგ, რაც იასონი მეორეჯერ ჩამოვიდა კოლხეთში, რომელიც იმჟამად გაუკაცრიელებული იყო. აქ ის გამეფდა და საფუძველი დაუდო იბერიელ ხალხს.

ტაციტუსი წერს - “იბერები და ალბანელები ამბობენ, რომ თესალიელებისაგან არიან წარმოშობილნი იმ დროს, როცა იასონი მედეას წაყვანისა და მასთან შვილების გაჩენის შემდეგ დაბრუნდა უკან აიეტის ცარიელ სასახლესა და თავისუფალ (უმეფო) კოლხეთში” (ტაციტუსი, ანალიები, XI, 3,4, წიგნიდან ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, 1973, გვ.55).

ტაციტუსის ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ანტიკურ-რომაული სამყარო მათ თანამედროვე კოლხებს და იბერებს ერთი წარმოშობის, ერთ ეთნიკურ მთლიანობად მოიაზრებდა. ასევე სტრაბონიც, როცა ის მაგალითად კოლხეთში დიოსკურიის მახლობლად მცხოვრებ სვანებზე საუბრობს იბერიას იხსენებს, მიაჩნია, რომ მთელი ამ არეალის მოსახლეობას “აგრეთვე ზოგიერთები უწოდებენ იბერიელებს - დასავლეთის მსგავსად, ოქროს ქვიშის გამო, რომელიც ორივე ქვეყანაშია (სტრაბონი, X, 2 - 19).

ასეთი მაგალითი მრავალია, როცა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან აიგივებენ ან ანათესავებენ წარმოშობის თუ სხვა თვისებათა გამო. აქედან გამომდინარე, ქართველ მემატიანეთა მსგავსი თვალსაზრისის ასახვა ისტორიული ფაქტი უნდა იყოს. ქუჯი ერისთავისა და ფარნავაზ მეფის ურთიერთმიმართება მათი “I წრის ადამიანების” საგვარეულოს წევრობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ამიტომაცაა, რომ მაგალითად, გელასი კესარიელისა და სხვა უძველესი ქრისტიანი ისტორიკოსების ცნობებით, წმიდა ნინომ მოაქცია იბერები და ლაზები, ანუ წმიდა ნინო არა მხოლოდ იბერების, ლაზების განმანათლებელიცაა, წმიდა ნინომ ჩამოაყალიბა საქართველოს ეკლესია, რომლის მრევლი იყო როგორც ლაზური, ისე იბერიული მოსხლეობა, ერთი წარმოშობის მთლიანი ქართველი ერი.

პირველი წირვა წყლულეთის მონასტერში

ჩვენ დღეს ვლოცულობთ ერთ მიუსაფარ, მაგრამ ლამაზ ადგილას, რომელსაც წყლულეთი ეწოდება.

ხალხისთვის ეს ადგილი წმიდაა არა ხოლოდ ამ მონასტრის გამო, არამედ წარსულის ხსოვნის მიზეზით.

ხალხური გადმოცემით დიდგორის ომის დიდ ბრძოლებში დაჭრილებს აქ, ამ ადგილას ათავსებდნენ და კურნავდნენ - წყლულებს უშუშებდნენ, ამიტომ ეწოდა ეს სახელი - წყლულეთი.

იმასაც ამბობენ, რომ ამ მონასტრის წყაროს განსაკუთრებული თვისება გააჩნდა იმით, რომ წყლულებს ადვილად უკურნავდა დაჭრილებს.

გავიდა საუკუნეები, საქართველოს ძველი დიდება წარსულად იქცა და ეს მონასტერი გაუქმდა.

უფალმა ათეისტური იმპერია - საბჭოთა კავშირიც წარსულად აქცია და დადგა დრო საქართველოს ძველი ჭრილობების მოშუშებისა.

რამდენიმე წლის წინ ჩემთან მოვიდა ერთი აქაური ახალგაზრდა, რომელიც ანთებული იყო ამ ეკლესიის აღდგენის სურვილით, ჩემი კურთხევით მან დაიწყო დიდი მოსამზადებელი სამუშაოები.

სამშენებლო სამუშაოების დროს ეკლესიის ეზოში აღმოჩენდა უჩვეულოდ მრავალი ძვალი აქ დაფლული ადამიანებისა, ძალზე დიდი ოდენობისა. ვფიქრობდით, რომ ისინი დიდგორის ომის მონაწილეები იყვნენ, დაჭრილ-დასხიჩრებულნი აქ მოყვანილნი, ვითარცა ჰოსპიტალში სამკურნალოდ, ალბათ ყველა ვერ განიკურნა, აქვე დარჩნენ და მიაბარეს უფალს თავიანთი წმიდა სული.

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ ამ ეკლესიის თავიდან აშენების საქმეს.

აქ იდგა მხოლოდ ამ ეკლესიის საძირკველი და მასზე დარჩენილი კედლის რამდენიმე ქვა - ეკლესიია სრულად დაშლილი იყო, თუმცა საძირკველი მტკიცე ჰქონდა.

უფალმა ინება, რომ ერთი ნიშანი დადებოდა საფუძვლად წმიდა საქმის დაწყებას - ახალგაზრდებმა მოლოცვის დროს ამ ეკლესიის ნანგრევებში იპოვნეს ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის პერანგი. დაახლოებით XIX საუკუნეში ფაბრიკული წესით დამზადებული. თითქოსდა უბრალო საქმეა, მაგრამ შეიძლება ითქვას, მოხდა საოცრება. ეს ნაპოვნი მათ მიიჩნიეს სულიერ ნიშნად. ასეც იყო, და სულიერად იმდენად აღფრთოვანდნენ ახალგაზრდები, რომ ისინი მაშინვე შეუდგნენ საზოგადოების მობილიზაციას, რათა სხვადასხვა ხერხებით თანხები მოეზიდათ წმიდა საქმის აღსასრულებლად - ეკლესიის ასაშენებლად. ეს იყო კალენდრისა თუ ბუკლეტების გამოშვება, შეხვედრები და სხვა.

მე სიამოვნებით ვიდექი მათ გვერდით და მართალი რომ გითხრათ ვერც წარმოვიდგენდი თუ ასე ჩქარა, სულ რამდენიმე წლის შრომის შედეგად აღსრულდებოდა მათი ოცნება.

ჩვენ ვხედავთ შედეგს - ვდგევართ შესანიშნავ ტაძარში, სადაც დღეს აღვასრულეთ პირველი წირვა, მრავალი საუკუნის შემდეგ.

როგორც ჩანს, თავის ეპოქაში წყლულეთის მონასტერი სახელოვანი ყოფილა, რადგანაც აქ იატაკის ქვეშ მოთავსებულია დიდი საძვალე. ანუ აქ იატაკის ქვეშ არის დიდი სამაროვანი, სადაც მიცვალებულთა ძვლებია დალაგებული. ასეთი საძვალეები მხოლოდ რჩეულ მონასტრებს ჰქონდათ. მაგალითად აქვე მდაგრ ბეთანიის მონასტერს.

საბერძნეთში, ივერონის მონასტრის საძვალეებში თავმოყრილია ათასობით ბერის ძვალი. როგორც იქ მითხრეს, მიწაში დაკრძალვიდან რვა წლის შემდეგ ხსნიდნენ გარდაცვლილი ბერის საფალავს, ძვლებს მიწიდან ამოასვენებენ, გადაასვენებდნენ და სამუდამოდ მოათავსებენ საგანგებო სათავსოში - საძვალეში, სადაც ბერები მოელიან აღდგომას მკვდრეთით.

აქაც, წყლულეთში, როგორც მოგახსენეთ, ასეთი საძვალეა, ჩვენ მას უნდა მოვუაროთ და ვეცადოთ მის აღდგენას.

მონასტერს აქვს შესანიშნავი გარემო, აქვე ჩაედინება მდინარე ვერე და აქვეა წვერის სახელოვანი წმიდა გიორგის ეკლესია. საერთოდ როგორც ჩანს თბილის-მანგლისის ძველი გზა ამ მდინარეს მიუყვებოდა, ამიტომაცაა ამ მდინარის ნაპირებზე ძველი სოფლები თავისი ეკლესიებითა და მონასტრებით.

აქვე, მთის გადაღმიდან მონასტერს დაჰყურებს დიდგორი, სადაც დავით აღმაშენებლის ჯარს ომისას თვით წმიდა გიორგი ეხმარებოდა, აქვე სხვა მრავალი ძველი ქართული სოფელია, საუბედუროდ სულ ბოლო წლებში დაცლილ-გაუკაცრიელებულნი. მიზეზად სახელდება, რომ არ არის შესაბამისი ცხოვრების პირობები, თუმცა კი აქვე ახლოს, სოფელ მსხლებში აზერბაიჯანლები თავიანთი ჯაფითა და შრომით მშვენივრად ცხოვრობენ.

ამ სოფლის, მსხლების, ძველი ქართული ეკლესიის კარი გაგვიღო მისმა მომვლელმა, კეთილმა აზერბაიჯანელმა კაცმა. მან მომითხრო, რომ აქ იყო ქართული სოფელი, რომლის თავადს თურმე ერთი ახალგაზრდა აზერბაიჯანელი ყმაწვილი ჰყოლია მოსამსახურედ, თანდათან ის და მისი შთამომავლობა გამრავლებულა, ქართველობა კი გამქრალა, იმდენად, რომ ერთი კაციც კი არ დარჩენილა ეკლესიის მომვლელად და ეს მუსლიმი აზერბაიჯანელი ამჟამად ეკლესიას უვლის და პატრონობს.

როგორ მოხდა, რომ ერთსა და იმავე პირობებში ქართველებმა ვერ გაუძლეს აქაური ცხოვრების პირობებს, სხვებმა კი ეს შეძლეს?

მიზეზი მე ვფიქრობ ისაა, რომ ქართველები მოვწყდით მიწას, ბუნებრივ ცხოვრებას, უბრალოებით, სიღარიბითა და დიდი შრომით ცხოვრებას, ვითხოვთ დიდ კომფორტს, ერთის მხრივ ეს ბუნებრივი მოთხოვნაა, მაგრამ კი შედეგი ისაა, რასაც ვხედავთ.

ძირითადი მიზეზი მაინც კავშირის დაკარგვაა შემოქმედთან.

ამ კავშირის აღსადგენად, ერისათვის ლოცვისა და ქვეყნად მშვიდობისათვისაა დაარსებული ყველა მონასტერი.

ჯერ ჯეროზით არ გვყავს ამ მონასტრის ბერები, მე შეგულებული მყავს ერთი მოღვაწე მღვდელ-მონაზონი მამა იოანე და დიდი იმედი მაქვს, როცა მას აქ წინამძღვრად დავადგენთ, ააღორძინებს აქ სამონასტრო ცხოვრებას და აღუდგენს წყლულეთის მონასტერს ძველ დიდებას. მე ვიცი მას უყურადღებოდ არ დატოვებენ ის ძვირფასი ახალგაზრდები, დიდი ვაჟკაცები, რომელთა ნაწილი ამჟამად აქ დგას. თქვენ ფერფლიდან და ნანაგრევებიდან ტაძარი აღმართეთ. ვხედავდი წლების მანძილზე თქვენს საოცარ და დიდ შრომას და განსაკუთრებით გლოცავთ თქვენ.

დღეს ეკლესია ვაკურთხეთ ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელზე. მე ვთხოვ და ვევედრები დედაღვთისას, რათა შეგეწიოთ თქვენ ყოველ კეთილ საქმეში. ვლოცავ ყველა აქ მყოფს, ყველა მლოცველს, და მათაც, რომელნიც აქ მომავალში ილოცებენ. ამინ!

2005

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ბერძენ-რომაელი ავტორები ქართველთა წარმოშობის შესახებ და "ქართიზაციის" თეორია

ევროპელქრისტიანი მწერლები ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ ყოველი ერისა და ხალხისთვის გამოეძებნებინათ ეთნარქი წმიდა ბიბლიის შესაბამისად. ეკლესიის ისტორიკოსები ნოეს ძეებს: სემს, ქამსა და იაფეტს აკავშირებდნენ მათვის ცნობილ სხვადასხვა, განსაკუთრებით კი ქრისტიან ხალხებთან. ეს კვლევა ეყრდნობოდა სხვადასხვა უძველეს წყაროებს, ჩანაწერებსა და დაკვირვებებს.

ძველი მწერლების ერთ ნაწილს ამ ეპოქაში მიაჩნდა, რომ ბერძენთა წინაპარი იყო იაფეტის ძე იავანი. იაფეტის სხვა ძე თობელი დაკავშირებული იყო ძირითადად იბერებთან და წინა აზიის სხვა ზოგიერთ ტომთან. აღსანიშნავია, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ თესალიელებს აკავშირებდნენ არა ბერძენთა წინაპარ იავანთან, არამედ იბერთა წინაპართან თობელთან, თავის მხრივ კი თესალიელებს პელაზგებთან აიგივებდნენ. მაგალითად, გიორგი სვინგელოზი (VIII-IX სს.) თესალიელების წინაპრად თობელს მიიჩნევდა ("გეორგიკა" IV, 1, გვ.7,61), თობელი იბერების წინაპრადაც იყო მიჩნეული იოსებ ფლავიუსისა და სხვათა მიერ. თესალიელების დაკავშირება ქართველთა წინაპარ თობელთან უნდა მიუთითებდეს იმის შესახებ, რომ ბერძნულ სამყაროში თესალიურ ეთნოსს ანათესავებდნენ კავკასიურთან, რომ თესალიელებსა და კავკასიელებს, კერძოდ კი იბერებს (კოლხებს), რაღაც ეთნიკური საერთო ნიშან-თვისებები ჰქონდა. მართლაც, ბერძნულ სამყაროში მიიჩნეოდა, რომ თესალია იყო პელაზგების ქვეყანა, რომ აქ პელაზგურმა ეთნოსმა უფრო დიდხანს შეინარჩუნა თავისი ეთნიკური სახე (ამ საკითხს ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევეხებით).

აღნიშნული საკითხი თესალიელთა და იბერთა ნათესაობის შესახებ ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე მოღვაწე მრავალი საყოველთაოდ ცნობილი ბერძენი და ლათინი ავტორი მიიჩნევდა, რომ ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუა საუკუნეებში მომხდარა ხალხთა დიდი გადაადგილებანი (გადასახლებანი) ბალკანეთსა და კავკასიას შორის. ამ მოძრაობას, ხალხთა ამ გადაადგილებას ისინი არგონავტებთან, იასონის ლაშქრობასთან აკავშირებდნენ. თუ ჩვენ გავაანალიზებთ ყველა ამ ავტორის მონათხრობს და მათი ცნობებიდან ამოვიღებთ მითიურ წარმოსახვებს, ალბათ, შეიძლება აღდგენილ იქნას რეალობის გარკვეული პირველსახე, რომ აღნიშნულ ეპოქაში, მართლაც, ხდებოდა ხალხთა დიდი გადაადგილებანი და გადასახლებანი კავკასიასა და ბალკანეთს შორის.

ამასთანავე, ლათინ და ბერძენ ისტორიკოსთა აღნიშნულ მონაცემებს თუ შევავსებთ წმ. ბიბლიაში გადმოცემული წინასწარმეტყველ იეზეკიელის და იერემიას ეპოქაში მომხდარ ხალხთა გადაადგილებების ცნობებით, ალბათ უფრო სრულ სურათს მივიღებთ.

ქრისტესშობამდე ასწლეულებით ადრე, ბერძენთა მიერ ხმელთაშუაზღვისპირეთის კოლონიზაციის დროს, ძველი ბერძენი მეცნიერები (მათ შორის ისტორიკოსები, გეოგრაფები, მწერლები) საგულდაგულოდ სწავლობდნენ უცხო მხარეებს და ქმნიდნენ შესანიშნავ ნაშრომებს სხვადასხვა ხალხების წარმოშობისა და ცხოვრების შესახებ.

ქართველთა წარმოშობის შესახებ ძველ ბერძენ და ლათინ ისტორიკოსებს მრავალი ცნობა აქვთ მოცემული. ისინი მოგვითხრობენ ქართველთა და საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებში მცხოვრებთა წარმოშობაზე, კერძოდ სტრაბონი, ტაციტუსი, დიოდორე სიცილიელი, პოლიბიოსი, პლინიუსი, ოვიდიუსი, აპოლონიოს როდოსელი და სხვანი გადმოგვცემენ ცნობებს აქეელების, ჰერიოხების, კოლხ-იბერების, ალბანელების, ჩრდილო სომხების და ჩრდილო მიდიელთა წარმოშობის შესახებ. ამ და სხვა მრავალ ავტორს მიაჩნია, რომ ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი ტომი და ხალხი არის ერთი, თესალიურ-პელაზგური წარმოშობისა, ერთი საერთო წინაპრისგან წარმომავალნი. ზემოთ ხსენებულ ხალხთა ერთი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ბერძენ-ლათინი ავტორები მოგვითხრობენ შემდეგს:

ანტიკური სამყაროს ისტორიოგრაფიის უდიდესი წარმომადგენლის ტაციტუსის (50-117) აზრით იბერები კოლხური ხალხია და ამასთანავე იბერთა სამეფო დინასტიაც კოლხებშია ჩამოყალიბებული. თავდაპირველად იგი ეხება იბერებისა და ალბანელების წარმოშობის საკითხს და მიაჩნია, რომ ისინი ერთი წარმოშობის ხალხია. ალბანებისა და იბერების შესახებ ტაციტუსი წერს: „ამბობენ რომ თესალიელებისაგან არიან წარმოშობილნი" (ტაციტუსი, ანალები, VI, 34, წიგნში: „ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ", 1973, გვ. 57). ამის შემდგომ თავის მოსაზრებას, იბერთა კოლხეთიდან წარმოშობის შესახებ ტაციტუსი ავითარებს შემდეგი მსჯელობით: იბერები, იასონისა და მის თანამგზავრ თესალიელებისაგან, იმ დროს წარმოიშვნენ „როცა იასონი მედეას წაყვანისა და მასთან შვილების გაჩენის შემდეგ დაბრუნდა უკან აიეტის ცარიელ სასახლეში და თავისუფალ (ე.ი. უმეფო) კოლხებში" (იქვე. გვ. 57).

პართელებთან იბერების ბრძოლის აღწერისას ტაციტუსი საუბრობს მეფე ფარსმანის შესახებაც და ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ეხება იბერების წარმოშობისა და მათი სამეფო დინასტიის საკითხს. ტაციტუსისათვის იბერების სამეფო დინასტია კოლხებშია ჩამოყალიბებული და ამიტომ კოლხეთი იბერიის დინასტიური მთავრობის ქვეშ იმყოფება და საერთოდ იბერები წარმოიქმნენ კოლხებში იასონის გამეფების შემდეგ. უფრო ზუსტი ციტირება ტაციტუსისა შემდეგია: იბერები და ალბანელები „ამბობენ რომ თესალიელებისაგან არიან წარმოშობილნი იმ დროს, როცა იასონი მედეას წაყვანასა და მასთან შვილების გაჩენის შემდეგ დაბრუნდა უკან აიეტის ცარიელ სასახლესა და თავისუფალ კოლხებში, ბევრიც მოგვაგონებს მის სახელსა და ფრიქსოსის ორაკულს, არც ვინმე სწირავს ვერძს, რადგანაც სჯერათ, რომ მან ჩამოიყვანა ფრიქსოსი" (ტაციტუსი. ანალები, VI, 34). მაშასადამე, კოლხები თესალიური ხალხია, იბერები მათგან წარმოიშვნენ ოღონდ უკვე კოლხეთში, თავის მხრივ კი ალბანელებიც ასეთივე წარმოშობისაა. კოლხებში იბერების წარმოშობისა და მათი ეთნიკური ჩვევების აღწერის შემდეგ ტაციტუსი აგრძელებს თხრობას პართელებთან იბერების ბრძოლის შესახებ. აქედან, კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ჩანს, რომ იბერები და კოლხები ტაციტუსისთვის ერთი ხალხია, ანუ იბერები კოლხებს ეწოდათ შემდგომ საუკუნეებში. იბერების წარმოშობისა და მათი ეთნოგრაფიული ჩვევების წყარო კოლხებია.

ტაციტუსის ეს მოსაზრება სრულად ეთანადება ძველი ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთი ეთნოსი, ერთი ხალხია. მაგ. "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ის თანახმად, არიან-ქართლიდან, სამხრეთის ქვეყნიდან, მეფის ძის აზონის მიერ გამოყვანილი მოსახლეობა თანაბრად დასახლდა როგორც დასავლეთ, ისე

აღმოსავლეთ საქართველოში, ამიტომ აზონის მიერ დაარსებულ ქართლის სახელმწიფოში შედიოდა დასავლეთ საქართველოც. სახელმწიფო საზღვარი გადიოდა მდ. ეგრისწყალზე („მოქცევაჲ ქართლისაჲ". იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 81). მთელი ამ მოსახლეობის, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ხალხის, ენა იყო ერთი ენა, ანუ "არიან-ქართველთა" ენა. როგორც ამის შესახებ წერდა დავით აღმაშენებლის მოძღვარი არსენ ბერი „ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით" (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. III, გვ.47). „ქართლის ცხოვრების" თანახმადაც ფარნავაზის სახელმწიფოში და მისი წინამორბედის აზონის სახელმწიფოშიც აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად შედიოდა დასავლეთ საქართველოც ეგრისისა და არგვეთის საერისთავოების სახით. ენობრივ საკითხსაც ეხება ჩვენი მემატიანე და წერს, რომ ფარნავაზის სახელმწიფოში, რომელიც ვრცელდებოდა მდინარე ეგრისწყლიდან სომხეთამდე, მოსახლეობის ენა იყო - ერთი ქართული ენა. სხვა ენა ამ სახელმწიფოში "არ იზრახებოდა, თვინიერ ქართულისა ენისა" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ. 26).

აღსანიშნავია, რომ სტრაბონი (XI-IV, 8) და პლინიუს უფროსიც (VI, 38) მიიჩნევენ, რომ იბერები კოლხების ქვეყნიდან შთამომავლობენ ალბანელების მსგავსად. სტრაბონი წერს: „გადმოცემით, იასონმა, როცა თესალიელ არმენთან ერთად იმოგზაურა კოლხებში, მიაღწია კასპიის ზღვამდე, იყო იბერიაში, ალბანეთში, არმენიის დიდ ნაწილში და მიდიაში, როგორც ამას გვიმტკიცებს იქ არსებული იასონის სალოცავი და სხვა ძეგლები" (სტრაბონი. XI, 4,8).

სტრაბონის, ისევე როგორც სხვა ბერძენ ავტორთა, აზრით სამხრეთ კავკასიის, ჩრდილო არმენიის („არმენიის დიდი ნაწილისა") და ჩრდილო მიდიის მოსახლეობა ერთი წარმოშობისაა. ისინი სამხრეთიდან შემოსული ერთი ხალხის შთამომავლები არიან, კერძოდ, მათი აზრით ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან გამოსულ თესალიელებს და მათ მეზობლებს ჯერ შეუღწევიათ მცირე აზიასა და პონტოსპირეთში, შემდგომ ისინი შემოსულან სამხრეთ კავკასიაში, ჩრდილო არმენიასა და ჩრდილო მიდიაში. კერძოდ სტრაბონი წერს ჩრდილო აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში დასახლებულ აქეელთა და ჰენიოხთა შესახებ „ამბობენ, რომ ეს აქეია დაასახლეს ფტიოტიელმა აქეელებმა იასონის ჯარიდან, ხოლო ლაკონელები დასახლდნენ ჰენიოხიაში" (სტრაბონი. XI - II,12). სტრაბონი შემდგომ წერს ჩრდილო არმენიის და ჩრდილო მიდიის, ასევე იბერიისა და ალბანიის მოსახლეობის წარმოშობის შესახებ. "...გადმოცემით, იასონმა კოლხებში თავისი მოგზაურობის დროს თესალიელ არმენთან ერთად შეაღწია კასპიის ზღვამდე, იყო იბერიაში, ალბანიაში, არმენიისა და მიდიის დიდ ნაწილში, როგორც ამას უჩვენებს იქ არსებული იასონის სალოცავები და სხვა ძეგლები. შემდეგ მონათხრობთა მიხედვით, არმენი წარმოშობით იყო არმენიადან, ერთი ქალაქიდან, რომელიც მდებარეობდა ბებეიდის ტბასთან, ფერასა და ლარისას შუა. არმენის თანამგზავრებმა დაიჭირეს აკილსენესა და სისპირიტის ოლქი თითქმის კალახანისა და ადიაბენამდე ჩათვლით, მან შემდეგ დატოვა თავის თანამოსახელე არმენია" (სტრაბონი, XI - IV,8).

ამავე თვალსაზრისისაა ლათინი ავტორი პომპეის სტროგუსი, რომ არმენიელები იაზონის თანამგზავრ არმენის შთამომავლები არიან, ხოლო ალბანელები იტალიიდან, ალბის მთიდან ჩამოყვნენ ჰერაკლეს („ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ", 1973, გვ.23). სხვადასხვა ავტორთა ანალიზი სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის წარმოშობის შესახებ საშუალებას იძლევა გამოითქვას მოსაზრება, რომ აქ ჩვენ გვაქვს გარკვეული გამომახილი ანტიკურ სამყაროში ცნობილი თეორიისა, რომ მათი თანამედროვე კოლხ-იბერები კავკასიაში ჩასახლდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის ტერიტორიიდან. ტაციტუსის მოსაზრებას, რომ იბერები და კოლხები ერთი სამეფო დინასტიიდან იმართებიან, ეხმიანება, როგორც აღვნიშნეთ, უძველესი ქართული წყაროები. მაგ: „ქართლის ცხოვრების" თანახმად, ეგრისის მმართველი ქუჯი მეფე ფარნავაზს ემორჩილება სიტყვებით: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი, შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი" ("ქართლის ცხოვრება", I. გვ.22). ამ სიტყვებიდან ჩანს,

რომ ფარნავაზი უფალია, ვითარცა სამეფო დინასტიაში, ლეგიტიმურად უფროსი პირი, ხოლო ქუჯი არის ამავე სამეფო დინასტიის წარმომადგენელი, მაგრამ უფლებრივად ნაკლები რანგის, ანუ ფარნავაზი ტახტის უშუალო მემკვიდრეა, ხოლო ქუჯის ასეთი პატივი არ აქვს და, სამეფო ოჯახის იმჟამინდელი წესის თანახმად, მას ევალება დაემორჩილოს უპირატესს, ანუ ფარნავაზს. მართლაც, სტრაბონის ცნობით, იბერიის მეფეებს ირჩევდნენ ნათესაობისა და ასაკის მიხედვით უფროსობის შესაბამისად (სტრაბონი. XI, III, 6). ჩანს, ფარნავაზი იბერიის სამეფო სახლში „ნათესაობის" მხრივ უფროსი იყო.

ანტიკურ სამყაროში ასევე არსებობდა თეორია, რომ ესპანეთის, ანუ დასავლეთის, იბერები წარმოშობილი იყვნენ კავკასიელი იბერებისაგან. ამ მოსაზრებას ეხმიანება დიოდორე სიცილიელი, რომლის მიხედვით არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობა იყო წარმოშობილი თესალიელებისაგან, არამედ, თავის მხრივ, თესალიელები წარმოშობილი იყვნენ კოლხებისგან. ის წერს, რომ თეტალოსი, თესალიის ეპონიმი, კოლხი მედეას ძეა. „თეტალოსი, რომელიც დედის მიერ მოკვლას გადაურჩა... იასონის სამშობლო იოლკოსში მივიდა, აქ მემკვიდრეობის შესაბამისად სამეფო ხელისუფლება მიიღო და ქვეშევრდომებს საკუთარი სახელის მიხედვით თეტალელები უწოდა" (დიოდორე სიცილიელი, ისტორიული ბიბლიოთეკა, I 55.2 წიგნში „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ", III, 1976, გვ.49).

თესალიის ისტორიული მოსახლეობა იყო პელაზგები, რომლებიც ტროას ომამდე გადასახლებულან "ალპებისა და აპენინის მთებს შორის" (იქვე, გვ. 71). "თესალია და თრაკია, ბერძნული წყაროების ჩვენებით, პელაზგების ოდინდელი სამკვიდრებელია" ("არგონავტიკა", 1975, გვ. 907). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერძენი საეკლესიო პირი გიორგი სვინგელოზი (VIII-X სს.) თესალიელთა წინაპრად მიიჩნევს თობელს, ხოლო ბერძენთა წინაპრად კი იაფეტის სხვა შვილს - იავანს. იგივე ბერძნული წყაროები თობელს იბერთა წინაპრადაც მიიჩნევდნენ ("გეორგიკა", IV-I, გვ. 7,61). თესალიელებსა და იბერებს, როგორც ზემოდან ჩანს, ერთი წარმოშობის ხალხად თვლიდნენ არა მხოლოდ ანტიკური ხანის ავტორები, არამედ პირველქრისტიანული ეპოქის მწერლებიც.

თესალიიდან პელაზგური ტომები გამოუძევებიათ ელინებს. ისინი, როგორც აღვნიშნეთ, გადასახლებულან მცირე აზიასა და შავიზღვისპირეთში. ელინების მიერ თესალიიდან გამოძევებული პელაზგური ტომები, მათ შორის მაკრონები, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ გამოხიზნულან და ნათესავი ტომების მეზობლად დაბინავებულან. აკ. ურუშაძის აზრით, „მაკრონ მაკრისი „მარგალის" შესატყვისია და ბერძნული მორფოლოგიის კვალობაზეა გაფორმებული" ("არგონავტიკა", 1975, გვ.24).

საბოლოოდ თუ შევაჯამებთ, ბერძნულ-ლათინური წყაროების მიხედვით პელაზგურ-თესალიური წარმოშობისად მიიჩნევიან კოლხ-იბერები, აქეელები, ჰენიოხები, ალბანელები, ჩრდილო სომხები და ჩრდილო მიდიელები.

ბერძნული წყაროებით მაკრისელთა და პელაზგთა მეფე იყო იასონი (და მისი სამეფო ოჯახი). ტაციტუსისა და სხვათა მიხედვით იბერთა სამეფო დინასტია იასონისაგან იყო წარმოშობილი. ამ მოსაზრებას ეფუძნება აზრი, რომ ამ წარმოშობის ერთი სამეფო დინასტია მართავდა ვრცელ სივრცეს, რომელშიც ცხოვრობდნენ არა მხოლოდ კოლხ-იბერები, არამედ პონტოს ზღვისპირეთში მცხოვრები სხვადასხვა ტომებიც. ესაა მითრიდატების სახელით ცნობილი დინასტია. აღსანიშნავია, რომ ამავე თვალსაზრისს დაბეჯითებით ავითარებდა ძველი სომხური ისტორიოგრაფიაც. კერძოდ, მოვსეს ხორენაცისა და უხტანესის მიხედვით დარიოსის ერთ-ერთი მხედართმთავრისაგან წარმოშობილი მიჰრდატიდების სამეფო დინასტია მართავდა პონტოს ზღვისპირეთსა და ქართველთა ქვეყანას. მათი აზრით, მითრიდატე-მიჰრდატიანების დინასტიას ეკუთვნოდნენ ქართველი მეფეები, კერძოდ, წმ. ნინოს ეპოქის მეფე მირიანი და სხვა ქართველი მეფეები, რომ მათი სამეფო ოჯახის წევრები იყვნენ კოლხეთ-პონტოს ზღვიპირეთის მმართველებიც (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.111).

ბერძენ და სომეხ ავტორთა ცნობების მსგავსება იმით გამოიხატება, რომ ისინი საუბრობენ ერთი სამეფო ოჯახის, ერთი სამეფო დინასტიის მიერ პონტოს ზღვისპირეთ-კოლხეთ-იბერიის მართვის შესახებ, თუმცა კი ერთნი (ბერძნები) ამ დინასტიის წარმოშობას იასონს უკავშირებენ, მეორენი კი (სომხები) - დარიოსის მხედართმთავარს. ზემოთ აღნიშნულ წყაროთა ეს თვალსაზრისი ეთანადება ძველ ქართულ ისტორიოგრაფიას. კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ის თანახმად ქრისტეშობამდე დაარსებული ქართული სამეფო დინასტია სამხრეთიდან ("არიან-ქართლიდან") ჩამოსული მეფის ძის აზონის მიერ წარმოიშვა (აღსანიშნავია, რომ ბერძნული წყაროებით იასონიც აზონის ძეა და ამ სამეფო დინასტიას ეზონიდები ეწოდება. ეს იყო ძველ ბერძნულ სამყაროში სახელგანთქმულ პელაზგ თესალიელთა სამეფო დინასტია). "ქართლის ცხოვრების" თანახმად, ფარნავაზის წინამორბედი აზო იყო დარიოსთან გამარჯვებულ ალექსანდრე მაკედონელის წარმოგზავნილი მხედარმთავარი. ასე რომ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ" უფრო ახლოსაა ბერძნულ ცნობებთან, ხოლო „ქართლის ცხოვრება" - სომხურთან.

ბერძნულ-რომაული წყაროების მიხედვით ერთი და იგივე სახელის მქონე ტომები სხვადასხვა ადგილას ცხოვრობდნენ. მაგალითად, ჰენიოხები - ჩრდილო შავიზღვისპირეთსა და სამხრეთ იბერიაში, მესხები და სვანები - (სტრაბონის მიხედვით) - ჩრდილო შავიზღვისპირეთსა და კოლხეთის სიღრმეებში. ისტორიულ გალატეაში ეგრიტიკის ტბასთან და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში მდ. ეგრისუსთან მცხოვრები მეგრელები და მაკრისელები. მდ. ეგრისწყალი აფხაზეთთანაც იყო, ისტორიულ ეგრისთან. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადასახლების დროს ეს ტომები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ხოლო ნაწილი ესახლებოდა შემდგომი ტომის მეზობლად. ყოველ შემთხვევაში, ეტიმოლოგიური ძიება იძლევა ძალზე საინტერესო მასალას.

საზოგადო სახელების „არგონავტების", „მაკრონებისა" და „მაკრისელების" ძველ ბერძენ ავტორთა მიერ მოხსენიებული „კერკეტების", "გეორგების", კავკასიაში მცხოვრებ „გელების" ტომის, ქართული მხარეების „არგვეთის", „ეგრისის", „გურიის", „გუგარქის", „გარდმანის", „გარდაბნის", „ალგეთის", „გარისის", სხვა ქართული და მც. აზიური სამყაროს ეთნონიმებისა და ტოპონიმების ფუძეების იგივეობა **თესალიურ** ეთნიკასა და ტოპონიმიკასთან ქმნის საინტერესო იდენტურ სურათს. **სურათი შემდეგია:**

ა-რგ-ოსი -------- „არგოსი" (I ვარიანტი, პელაზგური ქვეყანა)

ა-რგ-ოსი -------- „არგოსი" (II ვარიანტი, მედეას დისშვილის ფრიქსეს ვაჟი)

ა-კრ-ისია -------- „აკრისია" (არგოსის მეფე)

ა-რკ-ადია -------- „არკადია" (პელაზგური მხარე)

ა-რგ-ო -------- „არგო" (თესალიური ხომალდი)

მე-გარ-ოსი -------- „მეგაროსი" (მედეას ვაჟი II ქმარ ეგეოსთან)

ა-რგ-ონავტი -------- „არგონავტი" (არგოს ეკი პაჟი)

მა-კრ-ონი -------- „მაკრონი" (პელაზგური ტომი)

მა-კრ-ისი -------- „მაკრისი" (თესალიური ქვეყანა)

ა-რგ-უ-ეთი -------- „არგუეთი" (კოლხური მხარე)

ე-გრ-ისი -------- „ეგრისი" (კოლხური მხარე)

კე-გრ-იტიკა -------- „კეგრიტიკა" (მდ.როანასთან მდებარე მხარე პლინიუს უფროსის მიხედვით „ტაციტუსის ცნობები" 1973, გვ.32)

გეო-რგ-ები -------- „გეორგები" (კავკასიური ტომი პლინიუს უფროსის მიხედვით, იქვე, გვ.37)

კე-რკ-ეტები -------- „კერკეტები" (შავიზღვისპირა ტომი, სტრაბონი)

გუ-გარ-ქი -------- „გუგარქ" (ქართლი სომხური წყაროებით)

გურ-ია -------- „გურია" (კოლხური მხარე)

გარ-დმან -------- „გარდმან" (ქართლის მხარე სომხური წყაროებით)

გარდ-აბან -------- „გარდაბანი“ (ქართლის მხარე)

გელ-ი -------- „გელები“ (კავკასიური ტომი პტოლემეოსის მიხედვით)

ა-ლგ-ეთი -------- „ალგეთი“ (ქართლის მხარე)

გარ-ისი -------- „გარისი“ (ქართლის მხარე)

ქართ-ლი -------- „ქართლი“ (ქვეყანა)

გორ-დ-ა -------- „გორდა“ (სოფელი)

კოლ-ხი -------- „კოლხი“ (ტომი)

თესალიური და ძველ ქართული (კოლხ-იბერული), აგრეთვე მცირეაზიული ტოპონიმების გეოგრაფიული და ეთნიკური სახელების ეტიმოლოგიური ძიება გვიჩვენებს, რომ ამ სახელთა ფუძეები ზედმიწევნით იდენტურია.

თესალიურ-ქართული ფუძეებია ძირითადად „გრ” ან „რგ”. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულში გვაქვს ბგერათა დაჯგუფება „გ”, „კ”, „ქ” და ასევე „რ” და „ლ” ბგერათა ურთიერთცვლა, ზოგჯერ ფუძეებში შეიძლება „გრ” ან “რგ”-ს ნაცვლად შეგვხდეს „კლ”, „ქრ”, „რკ”, „ლკ”, „გლ” და სხვა. ამ ერთი ფუძის ურთიერთნაცვალია ცნობილი ტოპონიმები და ეთნონიმები „კოლხი”, „ქართლი”, „კეგრიტიკა”, „გურია”, „ეგრისი” და ა.შ. ამ მხრივ ისინი იდენტურია. ეს ერთი ფუძეა, როგორც ითქვა, “გრ” ან “რგ”.

ტაციტუსი ეხება ქართველთა წარმოშობის თეორიას, რომ ქართველები წარმოშობილნი არიან **თესალიელებისაგან,** როცა იასონი კოლხებში, აიეტის ქვეყანაში დაბრუნდა

ტაციტუსი წერს - „იბერები ამტკიცებენ, რომ **თესალიელებისაგან** არიან წარმოშობილები და მათ აჰყავთ თავიანთი წარმოშობა იმ უძველეს დრომდე, როცა იასონი (მედეას წაყვანისა და მასთან შვილების გაჩენის შემდეგ) დაბრუნდა აიეტის დაცარიელებულ სასახლეში და ხელისუფლების გარეშე დარჩენილ კოლხებში. ეს თეორია იმით მტკიცდებაო, განგრძობს ტაციტუსი, რომ იბერები პატივს მიაგებენ იასონის სხსოვნას, ფრიქსეს სალოცავს და იქ არავინ წირავს მსხვერპლად ცხვარს, რადგანაც მიიჩნევენ, რომ ფრიქსე მათთან მიიყვანა ცხვარმა, მიუხედავად იმის, ის ცოცხალი არსება იყო თუ ხომალდის ნიშანი.

(მაშასადამე იბერიელები კოლხებში ჩამოყალიბდნენ თესალიური ხელისუფლების დამყარების შემდეგ)

ეტიმოლოგიური მონაცემები აგრეთვე მიუთითებს პელაზგებისა და კელტების შესაძლო ნათესაობის შესახებაც. პელაზგური სახელების „არგოსის”, „აკრისია”-ს, ზემოთ განხილული სხვა სახელების და ასევე კელტების ეთნონიმებისა და ტოპონიმების („კელტები”, „გალები”, „გელვეტები” და ა.შ.) მსგავსება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ფუძე „გლ”, „კლ”, „გრ”, კელტურ-გალურ ტომებისათვისაც ძირითადი მახასიათებელია.

აღსანიშნავია, რომ იგივე ფუძეები “გრ”, “რგ” გააჩნია ჩვენამდე მოღწეულ ფრიგიულ-კაპადოკიური ეთნიკური და გეოგრაფიული სახელების მნიშვნელოვან ნაწილს. მაგ: ფრიგიელთა მეფე გორდიოსი და ფრიგიელთა ქალაქი „გორდიონი”, ჰეროდოტეს მიხედვით, ფრიგიელთაგან მომდინარეობენ - „ბრიგები”. ამ სახელთა ფუძეებია „ფრგ”, “გრდ”, „ბრგ”, რომელთა საერთო ელემენტია „რგ” და „გრ”. აღნიშნული ფუძე „რგ”, „გრ”, როგორც ვთქვით, კოლხურ-იბერიულ-პელაზგური საერთო ფუძეა.

არაა შემთხვევითი, რომ ბოლო საუკუნეების ცნობილმა მკვლევარებმა (მაგ. ვინკლერმა) ძველ სამყაროში ცნობილი „მოსხების” ტომის წარმოშობა დაუკავშირეს „ფრიგიელებს” - „ბრიგებს”. ამ უკანასკნელ სიტყვაში ჩვენთვის საინტერესოა ფუძე „ბრგ”, რომელიც შეიძლება „იბერს” და ასევე, ფუძე „რგ”, „რგ”-ს დაუკავშირდეს, თავის მხრივ „გრ” „რგ”, როგორც აღვნიშნეთ ქართულ სამყაროს უკავშირდება.

ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს უკავშირდება ივ. ჯავახიშვილის დაკვირვება, რომ სამივე ქართული შტოს, სვანების, ლაზების და ქართების პირველ სამშობლოდ მოიაზრებოდა

ჰიპოთეტური ქვეყანა “კარდუ”-“ქალდეა”-“კარდუხი”, რომელთა ფუძეებია “კრდ”, “ქლდ”. მათი საერთო ელემენტია “კრ” იგივე “ქლ” (“გრ”). ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეტიმოლოგიური ძიება გვიდასტურებს ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილ თეორიას, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და მცირე აზიის ვრცელ მიწა-წყალზე ქართველთა წინაპრების ცხოვრების შესახებ ქრ. შობამდე წინა ათასწლეულებში. ძველი ავტორები, ჩანს კავკასია-მცირე აზიის აღნიშნულ მხარეებში მცხოვრებ მოსახლეობას ერთი წარმოშობის ხალხად მოიაზრებდნენ. მაგ. ჰეკატოს მილეტელი (ძვ.წ. VI-V სს.) მიიჩნევდა, რომ მოსხები კოლხური ტომია, ანუ მოსხებს და კოლხებს ერთ ხალხად თვლიდა. მართლაც, ფუძეები “კოლხი”-სა (“კლხ” „კლ”, „გლ” „გრ”) და მოსხების წინაპარი “ბრიგებისა” (“ბრგ”) თითქმის იდენტურია, ორივესთან ფუძისეული ძირითადი ელემენტია “რგ”-“გრ” (“კლ”-”კრ”-“გრ”).

ამ ტომებრივი იგივეობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის, რომ სტრაბონის, ასევე სხვა ძველ ავტორთა, ცნობით “მოსხები” ცხოვრობდნენ “კოლხეთის” სიღრმეებში და შავიზღვისპირეთის ჩრდ. - აღ. ნაწილში (შემდეგდროინდელ აფხაზეთში). სტრაბონი აღნიშნავს, რომ პიტიუნტთან ცხოვრობენ “აქეელები, ზიგები, ჰენიოხები, კერკეტები, მოსხები, მათ მაღლა ცხოვრობენ ფტიროფაგები და სვანები” (სტრაბონი, XI - II,14), ე.ი. ძველი ბიჭვინთის სანაპირო დასახლებული ყოფილა მოსხებით, მიმდებარე მთები კი - სვანებით (სტრაბონის ეპოქაში, ანუ I საუკუნეში). სხვაგან სტრაბონი აღნიშნავს მდინარე ფაზისის შენაკადების მაღლა - “მოსხების ქვეყანაში არის ფრიქსეს მიერ დაფუძნებული ლევკოთიას სამლოცველო, (სტრაბონი, XI - II,17). პლინიუს უფროსის მიხედვით ფასისის სათავე მოსხებშია (“ტაციტუსის ცნობები”, 1973, გვ.40). მარკუს ლუკანუსის მიხედვით ცხოვრობენ “მოსხები, იქ სადაც ფასისი მიაპობს კოლხთა დოვლათიან ყანებს” (იქვე, გვ. 41). ამ ტომთა ერთიანი წარმომავლობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის, რომ ძველი მწერლების თვალსაზრისით, კოლხეთის დიდი ნაწილი სვანებით იყო დასახლებული. მაგ., როგორც აღვნიშნეთ, სტრაბონი საგანგებოდ ეხება სვანების ცხოვრების საკითხს და წერს, რომ მათი დიდი ნაწილი ცხოვრობდა თანამედროვე აფხაზეთში, სოხუმსა და ბიჭვინთას შორის. ის წერს: “იმ ხალხთა შორის, რომელნიც თავს იყრიან დიოსკურიადაში არიან ფტიროფაგებიც... მათ ახლოს ცხოვრობენ სოანები... უკეთესი მეომრები და ძლიერები არიან ყველასთან შედარებით. ყოველ შემთხვევაში, ისინი ბატონობენ მათ გარშემო მცხოვრებ ყველა ხალხზე, რომელთაც კავკასიის მაღლობები უჭირავთ დიოსკურიადის გარშემო, მათ ჰყავთ მეფე და 300 კაცისაგან შემდგარი საბჭო. ამბობენ, რომ შეუძლიათ 200.000 კაცისაგან შემდგარი ჯარის გამოყვანა. გადმოცემით მათ ქვეყანაში მთის ნაკადებს ჩამოაქვს ოქრო და იჭერენ ფაცერით და ბეწვიანი ტყავით. ამბობენ აქედან წარმოიშვა მითი ოქროს საწმისზე. ზოგიერთები მათ აგრეთვე უწოდებენ იბერიელებს, ისევე როგორც დასავლეთელებს, ორთავე ქვეყანაში ოქროს ქვიშის სიჭარბის გამო. (სტრაბონი, XI - II,19). ასე რომ, სვანებს სტრაბონის დროინდელი მეცნიერები და ავტორები იბერებადაც მოიხსენებდნენ, ხოლო, როგორც აღვნიშნეთ, მათ წინაპრებს “კარდუებთან”, “ქალდელებთანაც” აიგივებდნენ. პლინიუს უფროსის მიხედვით კოლხეთის ცნობილი ოქროს მეპატრონეები იყვნენ სვანები, ამიტომაც წერს: “კოლხების დამპყრობმა მეფე სავლაკმა მიიტაცა სვანების ტომის მრავალი ოქრო და ვერცხლი” (იხ. წიგნი “ტაციტუსის ცნობები”, 1973, გვ.39). პლინიუსისვე ცნობით, სვანები ცხოვრობდნენ მდინარე ფასისიდან დიოსკურამდე. ასე რომ, მდინარე ხობი სვანებით დასახლებულ ტერიტორიაზე მიედინებოდა: “მდინარე ხობოსი კავკასიონიდან სვანებზე ჩამოდის” (იქვე, გვ.32). სვანები ცხოვრობდნენ არა მარტო კოლხეთში, არამედ ჩრდ. კავკასიაშიც. კოლხურ-იბერიული “გრ” ფუძის მატარებელი ეთნოსი იმჟამად ჩრდ. კავკასიაშიც ცხოვრობდა. ამიტომაც წერს მკვლევარი, რომ “ტომი გეორგები და სვანები ჩრდ. კავკასიაშიც ცხოვრობდნენ” (იქვე, გვ. 37). კოლხეთში ისე ჭარბი ყოფილა სვანური მოსახლეობა, რომ პლინიუს უფროსი კოლხეთის მოსახლეობას იცნობს ეთნოსახელით “სვანო-კოლხი” (იქვე, გვ. 19). ის, რომ სვანებს იბერებს უწოდებდნენ, არ არის შემთხვევითი.

სტრაბონის ცნობით, კოლხეთი ერქვა მხოლოდ ზღვისპირა ვიწრო ზოლს. დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი იბერიის საზღვრებში იმყოფებოდა. ამიტომაც ის წერდა,

რომ კავკასიის ქედის "შტოები სამხრეთითაა მიმართული და გადიან შუა იბერიაში. ეს განშტოებები ეხებიან არმენიისა და ე.წ. მოსხიის ქედებს და აგრეთვე სკიდოსსა და პარიადრის ქედებს" (სტრაბონი, XI - II,15). ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ სამხრეთისაკენ მიმართულ კავკასიის ქედთა შორის მხოლოდ ლიხის მთა უერთდება (ეხება) "მოსხიის" (და არმენიის) ქედებს. ის კი, ე.ი. "ლიხის მთა", შუა იბერიაში გადიოდა. აქედან ჩანს, რომ იბერიის მიწები ვრცლად იყო გადაშლილი ლიხის მთის დასავლეთითაც შავი ზღვისკენ, ამიტომაც იყო მოსხთა ქვეყანაში მდებარე ლევკოთეას ტაძარი კოლხეთის სიღრმეში და ამავე დროს იბერიის ნაწილში.

როგორც ცნობილია, თესალია იყო შემდეგდროინდელი მაკედონიის ერთი ნაწილი. ამ კუთხით თესალიელ-მაკედონელთა მონაწილეობა ქართველთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ცნობილია ძველი ქართული წყაროებისათვისაც, მაგ: "ქართლის ცხოვრების" მიხედვით, მაკედონელები არიან ფარნავაზამდელი ქართული სახელმწიფოს მპყრობელი აზო და მისი მრავალრიცხოვანი მეომრები. ძველი ქართული შეხედულებით, რომელიც წყაროებში იყო ასახული, ქართველი აზნაურები, ანუ მოსახლეობის თავისუფალი ფენა, თავის თავს მიიჩნევდა აზონის მაკედონელი მეომრების გენეტიკურ მემკვიდრეებად და მიაჩნდათ, რომ სიტყვა აზნაური წარმოქმნილია აზონისაგან (აზონაური) და არა სიტყვა "აზატისაგან", როგორც XIX-XX საუკუნეებში მიიჩნიეს. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობა და მისი მემატიანეებიც ხმელთაშუაზღვისპირა ეთნოსებთან ნათესაურ კავშირს ბუნებრივად მიიჩნევდნენ.

მართლაც, აღსანიშნავია რომ ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში, რომელსაც "ქართლის ცხოვრება" აკავშირებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირებასთან, კვლავ გრძელდებოდა ბალკანეთიდან ტომების გადმოსახლება მცირე აზიაში. ამ დროს გადმოსახლდნენ მაკედონიის მეზობლად მცხოვრები კელტგალატური ტომები მცირე აზიაში, რომელთაც აქ სახელმწიფო გალატეა დაარსეს. ძველი ბერძნები და ლათინი ისტორიკოსები წერენ არა მხოლოდ ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან კავკასიაში ხალხთა გადმოსახლების შესახებ, არამედ პირიქითა პროცესის შესახებაც, რომელიც გაცილებით უფრო ადრე მომხდარა. მაგ., ისინი წერენ, რომ თესალიიდან წამოსულთა მიერ იბერების, ალბანელებისა და კავკასიის სხვა ხალხების წარმოშობა მოხდა იაზონის კოლხეთში მეორეჯერ მისვლის, კოლხეთში დაბრუნების შემდგომ. თუ ამ მითის უკან დავინახავთ რაიმე ისტორიული ჭეშმარიტების მარცვალს, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იაზონის კოლხეთში უკან დაბრუნების ქვეშ მოიაზრებოდა რაღაც ეპოქა ან საუკუნე, რომელიც გავიდა კოლხეთში არგონავტების I ლაშქრობის შემდეგ. ხოლო რაც შეეხება კოლხების გადასახლებას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კერძოდ ილირიასა და ასევე ჩრდ. იტალიაში, ძველი ბერძენი და ლათინი ისტორიკოსები მას უკავშირებენ არგონავტების I ლაშქრობის ეპოქას. მაგ., როგორც მიიჩნევა, "აია" არის კოლხეთის ეპითეტი, მაგრამ აპოლონ როდესელის სიტყვით სინამდვილეში კოლხეთი შორსაა ტიტანური აიადან ("არგონავტიკა", გვ. 159), ხოლო კოლხეთის მეფის აიეტის და კირკე ცხოვრობს იტალიის კუნძულ აიაიაზე, რომელიც ეტრურიაშია ("ოდისეა", IX, 31-32), ჰომეროსის ოდისეის აიაია დასავლეთშია, ტირენეის ზღვის კუნძულია, აია კი ეტრურიაშია (იხ. არგონავტიკა, გვ. 214). ოდისევსი თავის ხეტიალის დროს მივიდა იტალიის აიაიაში, ეტრურიაში, ეს აიაია შემდგომ რაღაცნაირად კოლხეთს დაუკავშირეს. აპოლონიოს როდოსელი წერს, რომ კოლხები ამასთანავე მოსახლეობდნენ იტალიასთან ადრიატიკის ზღვის კუნძულზე, ილირიის სანაპიროსთან. ამ კოლხებს აფსირტელები ეწოდებოდათ ("არგონავტიკა", გვ. 220). კოლხებით დასახლებულ ამ კუნძულებს ადრე ბრეგიდის კუნძულები ერქვათ, ახლა კვარნეოს კუნძულებია. ეტიმოლოგიურადაც სახელი "ბრეგიდის" ფუძის ("ბრგდ") დაკავშირება შეიძლება ფრიგიელების წინაპარ ბრიგებთან, რომლის ფუძეა "ბრგ", ბრგდ-ბრგ. როგორც ცნობილია, ფრიგიელებს აკავშირებენ მოსხებთან, მოსხები კი ჰეკატოს მილეტელს მიაჩნდა კოლხურ ტომად. მაშასადამე, თუკი კუნძულ ბრეგიდას სახელი უკავშირდება ბრიგების ტომს, ხოლო უკანასკნელთ კავშირი ჰქონიათ კოლხებთან, კუნძულის სახელიც კოლხებთან ყოფილა დაკავშირებული. როგორც აღვნიშნეთ, აპოლონიოს როდოსელის სიტყვით, არგონავტებს გაედევნა კოლხთა დიდი

ლაშქარი. ეს კოლხები მისულან ჯერ მდინარე ისტროსთან (დუნაი), სადაც ყოფილა ქალაქი აია ("არგონავტიკა", გვ.163), ე.ი. ძველი ავტორები აიას ათავსებდნენ ხან მდ. ისტროზე, ხან კი სადღაც იტალიისაკენ. აპოლონიოს როდოსელი ათქმევინებს არგონავტებს, რომ ისტროსის ერთი ტოტი თითქოსდა ჩაედინება შავ ზღვაში, მეორე კი "ტრინაკრიის" ზღვაში იტალიასთან. ისტროსზე მოკლეს მედეას ძმა აფსირტე. ისტროსზე იმ დროს ცხოვრობდნენ ბრიგები. ასე რომ, ბრიგებსა და კოლხებს აპოლონიოს როდოსელიც აკავშირებს ერთმანეთთან. ამ ბრიგებმა ისტროსის კუნძულზე ოდესღაც "არტემიდეს აუგეს ტაძარი" ("არგონავტიკა", გვ.169). აფსირტეს ჯარის შთამომავალი აფსირტელები აპოლონიოს როდოსელის სიტყვით მის დროსაც ცხოვრობდნენ იტალიის კუნძულებზე - "დღესაც იმათი შთამომავლები, აფსირტელები ცხოვრობენ იქა" (იქვე, გვ. 170). აპოლონიოსის სიტყვით, კოლხები მის დროს ასევე ილირიაშიც ცხოვრობდნენ და "ცხოვრობენ დღესაც" (იქვე, გვ. 170). თუ ვენდობით აპოლონიოს როდოსელს, მის ეპოქაში, ძვ. წელთაღრიცხვის III საუკუნეში, კოლხები ცხოვრობდნენ ორ ადგილას შავიზღვისპირზე და დასავლეთით, ილირიასა (ბალკანეთის ნახ. კუნძ.) და იტალიის კუნძულებზე. იმდენად გავრცელებული ყოფილა ძველ სამყაროში ქართველური ტომების (კოლხებისა და სხვა-თა) ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ცხოვრების თეორია, რომ ოვიდიუსიც (ძვ. წელთაღ. 43 - ახ. წელთაღ. 18 წწ.) თავის "სევდიან სიმღერებში" წერს: "აქ დუნაიზე ცხოვრობენ კოლხები და ტაბარანები" ("ტაციტუსის ცნობი", 1973, გვ.22). აღსანიშნავია, რომ პლინიუს უფროსიც (23-79 წწ.), რომელმაც გამოწვლილვით აღწერა შავიზღვისპირეთი, წერს თავის "ბუნების ისტორიაში", რომ ბალკანეთში იყო კოლხების კოლონია პოლა (იქვე, გვ.22). მიუხედავათ იმისა, ვირწმუნებთ თუ არა აღნიშნულ ავტორთა ცნობების სიზუსტეს, მითიური სურათის უკან შეიძლება დავინახოთ ფაქტი იმისა, რომ თავდაპირველად მოხდა კოლხური მოსახლეობის გადასახლება ჩრდილო ბალკანეთსა და ჩრდილო იტალიისაკენ, შემდგომ მათი უკან დაბრუნება ფრიგიელებისა და თესალიელების სახელით. თუმცა კოლხების დასავლეთში გადასახლებას აღნიშნული ავტორები უკავშირებდნენ არგონავტების პირველი ლაშქრობის ეპოქას, ხოლო თესალიელების კავკასიაში შემოსვლას კი - იაზონის მეორე ლაშქრობის ეპოქას. ამ ორ ეპოქას შორის, ალბათ, რეალურად საუკუნეები იყო გასული. აღნიშნულ მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ თესალიელებს პელაზგური წარმოშობის ხალხად მიიჩნევდნენ, ამ უკანასკნელს კი რაღაცნაირად კოლხებთანაც აკავშირებდნენ, რაც ზემოთ იყო განხილული.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტროას ეპოქაში მცირეაზიური კოლხური მოსახლეობა სხვადასხვა გზით გადასახლდა ჩრდ. ბალკანეთსა და იტალიაში. მოძრაობა შესაძლოა საუკუნეთა შემდგომაც გაგრძელდა, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყო კავკასიასა და მც. აზიაში კიმერიელების შემოჭრას. ძვ.წ. VIII საუკუნის შემდეგ კიმერიელთა თავდასხმებს, როგორც ცნობილია, თან მოჰყვა ხალხთა გარკვეული გადაადგილებანი. ყოველ შემთხვევაში უდავო ფაქტია ის, რომ მცირე აზიაში ბალკანეთიდან ხდებოდა ხალხთა მასობრივი გადაადგილებანი, კერძოდ, თავდაპირველად შემოსულან ფრიგიული ტომები, შემდგომ - თესალიური ტომები, ბოლოს კი - კელტური ტომები, რომელთაც ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში აქ სახელმწიფო გალატეა დაარსეს.

ხალხთა ინტენსიური გადასახლებების გამო, პონტოს ზღვისპირეთი და მისი მიმდებარე მიწა-წყალი, მათ შორის კოლხეთი, არ იყო ეთნიკურად ერთგვარი მხარე. ამის შესახებ თითქოსდა მიუთითებს ჰეროდოტეს და სხვათა ცნობები. კერძოდ, კოლხების მიმართ ძველ მწერალთა შრომებში იყო ორგვარი შეხედულება. ჰეროდოტეს კოლხები თუ ეგვიპტური წარმოშობის ხალხად მიაჩნდა, სხვა ავტორების აბსოლუტური უმრავლესობა კოლხებს - კავკასიისა და ჩრდილო არმენია-მიდიის მოსახლეობას თესალიური წარმოშობისად მიიჩნევდა (აღსანიშნავია ავტორთა ერთი ნაწილი არა მხოლოდ კოლხებს ანათესავებდა ეგვიპტელებთან, არამედ მიიჩნეოდა, რომ თითქოსდა თავდაპირველად ევროპა ეგვიპტელი კოლონისტებით იყო დასახლებული (მაგალითად, ამ ეგვიპტელებით იყო დასახლებული ისტროსთან მდებარე ქალაქი აიაც, სადაც კოლხების ჯარი მივიდა აფსირტეს მეთაურობით (აპ. როდოსელის ცნობით). ჰეროდოტემდე კოლხეთი რომ არ იყო ერთი ეთნოსი, ამის შესახებ მიუთითებენ თანამედროვე ევროპელი

მკვლევარებიც და ასევე მიუთითებდა ანტიკური ავტორების ქართველი მკვლევარი ალ. გამყრელიძე. ის წერდა: "ყურადღებას იქცევს ჰენიოხების მრავალსახელიან ტომებზე მითითება და აგრეთვე კრებითად კოლხთა ტომების ხსენება" ("ტაციტუსის ცნობები", 1973, გვ.33). ალ. გამყრელიძე ფიქრობდა, რომ შესაძლოა ზოგიერთი მწერალი რომელიმე ერთი ტომის ცალკეულ შტოებს სხვადასხვა ეთნოსებად მიიჩნევდა. მცირე აზიიდან, თესალია-მაკედონიიდან და ხმელთაშუაზღვისპირეთიდან მოსახლეობის გადმოსახლების შესახებ სხვადასხვა ავტორი იმდენს საუბრობს (მათ შორის ძველი ქართველი და სომეხი ისტორიკოსები), რომ ალბათ აქ, ამ თეორიაში უნდა ვეძიოთ ჭეშმარიტების მარცვალი. მითუმეტეს, რომ დას. საქართველოს არქეოლოგიური გათხრებიც ძვ. წ. აღ. V-IV საუკუნეებისა ამჟღავნებს იდენტობას ამავე საუკუნეთა მაკედონიურ სამარხებთან (იხ. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის დარეჯან კაჭარავას ინტერვიუ. ჟურნალი "მუდმივი კავშირის სამყარო" N1(25) 2005 წ. გვ. 19).

ჰეროდოტეს შემდგომ ვითარება შეცვლილა, სტრაბონს სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობა მიაჩნია ერთი წარმოშობის ეთნოსად, კერძოდ, მისი აზრით, ალბანელები და იბერები თესალიური წარმოშობის მოსახლეობაა და ისინი იაზონისაგან მომდინარეობენ. ამ იაზონის რაზმის წევრ არმენისაგან მომდინარეობს არმენიისა და მიდიის მოსახლეობის ერთი ნაწილი, იმავე ბალკანური წარმოშობისად მიაჩნია ჰენიოხები და კოლხეთის სხვა ტომები. აღსანიშნავია, რომ სტრაბონს არმენიისა და მიდიის მთელი მოსახლეობა არ მიაჩნია თესალიური წარმოშობისად. როგორც ჩანს, ის არმენიელებს არ მიიჩნევდა ერთი ეთნოსისაგან შემდგარ ხალხად. მიაჩნდა, რომ მხოლოდ არმენიის ერთი ნაწილი არის თესალიური წარმოშობისა. მაშასადამე, არმენიის მოსახლეობის სხვა ნაწილი სხვა წარმოშობისაა, სხვა ეთნოსია. როგორც აღინიშნა, ის წერდა, რომ იასონის თანამგზავრმა არმენმა შეაღწია არმენიის და მიდიის დიდ ნაწილში (სტრაბონი, XI - IV,8). ამით საფუძველი ჩაუყარა არმენიის ამ ეთნოსს. ამ თესალიური წარმოშობის ხალხის განსახლების სამხრეთის საზღვრების შესახებ სტრაბონი წერს, რომ არმენიის თანამგზავრებმა დაიჭირეს "აკილსენესა" და "სისპირიტის" ოლქი, თითქმის "კალახანისა" და "ადიაბენის" ჩათვლით. მან შემდეგ დატოვა "არმენია" (სტრაბონი, XI - IV,8). აქედან, ჩვენი აზრით, ჩანს შემდეგი: თესალიური წარმოშობისა იყო არა მთელი არმენია, არამედ "აკილსენესა" და "სისპირიტის" ოლქიდან - ჩრდილოეთის მიმართულებით "მტკვრამდე" - სტრაბონის აღნიშნული შეხედულებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის, რომ სტრაბონს მცხეთის სამხრეთით - ქართლის, ანუ იმჟამად არმენიის სახელმწიფოს საზღვრის შიგნით მცხოვრები მოსახლეობა, როგორც ჩანს, სომხებად მიაჩნია. მაშასადამე, თანამედროვე ქვემო ქართლს და "გუგარქს" სტრაბონი სომხებს მიაკუთვნებს. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ როგორც ჩანს სტრაბონის წყაროს ეპოქაში ეს ქართული მხარეები სომხეთის სახელმწიფოებრივი გავლენის სფეროში იყვნენ მოქცეული. სომხეთმა იბერიისაგან მიიტაცა გუგარქისა და სხვა მისი მიმდებარე მხარეები. მართლაც, "ქართლის ცხოვრების" თანახმადაც ამ დროისათვის ქართლში იყო ორმეფობა. მტკვრის მარცხენა სანაპიროს მცხეთელი მეფეები განაგებდნენ, ხოლო მარჯვენას (ე.ი. ქვემო ქართლს და მიმდებარე ქვეყნებს) განაგებდნენ არმაზელი მეფეები. ქართლის მცხეთელი და არმაზელი მეფეები ერთმანეთთან მეტოქეობის დროს იყენებდნენ მეზობელი ქვეყნების ძალებს. არმაზელი მეფეები ძირითადად სომხურ სახელმწიფოს ეყრდნობოდნენ, რის შედეგადაც, როგორც ჩანს არმენიის გავლენის სფეროში ექცეოდნენ ხოლმე. ეს მოვლენა, ჩანს, სტრაბონმა ან მისმა წყარომ, მიიჩნია იმის დასტურად, რომ არმაზის სამხრეთით მდებარე ტერიტორია არმენიის შემადგენლობაში შედიოდა და შესაბამისად მისი მოსახლეობა სომხებად ჩაითვალა.

აღნიშნული ეპოქის ვითარება კარგად აღწერა გაიუს პლინიუს სეკუნდუსმა, იგივე პლინიუს უფროსმა. იგი თავის წიგნში "ბუნების ისტორია" მიიჩნევს, რომ იბერია (ასევე კაბადოკია და არმენია) ალექსანდრე მაკედონელის დროს დაიპყრეს მაკედონელებმა (ტაციტუსის ცნობები, 1973, გვ. 29). ეს ცნობა ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ იმავე თვალსაზრისს ავითარებს ქართული უმთავრესი საისტორიო წყარო "ქართლის ცხოვრება". მაშასადამე, საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ

სხვადასხვა ბერძენ-რომაელ ავტორთა თვალსაზრისით ქრ. შობამდე I ათასწლეულში სამხრეთ კავკასიაში შემოვიდა ალპურ-ბალკანური წარმოშობის მოსახლეობა, რომელიც ცალკეულ ტომებად დაყოფილი მოძრაობდა პონტოსპირეთიდან კავკასიისაკენ და მან შეავსო მთელი არეალი კასპიისა და შავ ზღვებს შორის. ეს მოსახლეობა მოძრაობდა სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ფაქტი იმისა, რომ, როგორც აღინიშნა, კოლხეთი ძველ ავტორებთან მდებარეობდა უფრო სამხრეთით, შემდეგ მოგვიანებით კი შავიზღვისპირეთის ჩრ. აღმ. ნაწილსაც ეწოდა ეს სახელი. შესაბამისად ერთი და იმავე დასახელების ტომების საცხოვრისს ჯერ უფრო სამხრეთით აღნიშნავდნენ, შემდეგ კი უფრო ჩრდილოეთით. ასე აღმოჩნდა ძველ ავტორთა აზრით ალპებიდან (და ჩრდ. იტალიიდან) წამოსული მოსახლეობა, კავკასიის ალბანელები იბერების აღმოსავლეთით, ხოლო "გეორგების" ტომი ჩრდილო კავკასიაშიც კი. მაგ., პლინიუს უფროსის მიხედვით, "კავკასიის გადაღმა, სკვითებისა და კიმერიელების გვერდით ცხოვრობენ გეორგები" (იქვე, გვ.37). აღსანიშნავია, რომ გეორგებს ახსენებს პონპონიუს მელაც. ამასთანავე სვანები ცხოვრობენ არა მხოლოდ შავიზღვისპირეთში კოლხეთის ვრცელ მიწა-წყალზე, არამედ ჩრდ. კავკასიაშიც. შეუძლებელია ეტიმოლოგიურად ერთმანეთს არ დაუკავშიროთ მათ მიერ ნახსენები კერკეტები, გეორგები და ასევე მხარის სახელი კეგრიტიკე, რომელიც პლინიუს უფროსის მიხედვით მდებარეობდა მდ. როანასთან. ეტიმოლოგიური მსგავსება შემდეგი სახისაა: აღნიშნული სიტყვების ფუძეებია "კრკტ" (კერკეტები), "გრგ" (გეორგები), "კგრტკ" (კეგრიტიკე)

კრკ-ტ

გრგ

კგრ-ტ-კ

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართულ ენაში გვაქვს ბგერათა დაჯგუფება „გკქ", აქედან გამომდინარე, ფუძეებში აღნიშნულ თანხმოვანთა ურთიერთჩანაცვლების პრინციპით შეიძლება მივიღოთ „კრკ"-ს ნაცვლად „გრგ", ესაა ზემოთ აღნიშნული ფუძე "გრ", "რგ". საერთოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფუძეებში „გრ" და „რგ" ერთმანეთს ენაცვლებიან, შესაბამისად, საერთო ანალიზით, შეიძლება მივიდეთ მოსაზრებამდე, რომ ერთი და იმავე ფუძით აღინიშნებოდა ერთი ეთნოსის სხვადასხვა ტომი. მაშასადამე „კერკეტები" „გეორგები" და „კეგრიტიკის" მოსახლეობა იყვნენ სხვადასხვა დასახელების ტომები ერთიფუძისა. თუ გავითვალისწინებთ, რომ როანა ანუ მდინარე რიონთან მდებარე „კეგრიტიკე" არის ეგრისი, მივალთ დასკვნამდე რომ გეორგები, ეგრისელები და აფხაზეთის კერკეტები ერთი ეთნოსი იყო.

პლინიუს უფროსის აღნიშნული ცნობა, რომ კოლხეთში მდინარე როანას მხარეს მდებარეობდა „კეგრიტიკე" ("ტაციტუსის ცნობები", 1973, გვ.32) ჩვენთვის იმითაა ძვირფასი, რომ ეტიმოლოგიურად სიტყვა „კეგრიტიკე" - ს ფუძე „კგრტკ" იდენტურია სიტყვა „ქართლის" ფუძისა - "ქრთ".

„კ-გრტ -კ"

„ქრთ"

ანალოგიურად, როგორც ცნობილია, ბგერათა დაჯგუფება „გკქ"-ს გვერდით ქართულ ენაში გვაქვს - დაჯგუფება „დტთ". სიტყვა ქართლის ფუძეში (ქრთ), „თ" შეიძლება შეიცვალოს „ტ" ან „დ" ბგერით (შდრ. „გარდმანი", „გარდაბანი"), ხოლო „კეგრი - ტი - კის" ფუძეში „გ" ბგერა შეიძლება „ქ" - თი ჩავანაცვლოთ, ხოლო „ტ" - „თ",

კ-გრტ-კ

კ-ქრთ

- -ქრთ

„კ" და "გ" - ჯგუფდებოდა და მიიღებოდა ორი იდენტური, ჩანს ურთიერთგამაძლიერებელი ბგერა, ასევე არის სხვა ქართული ტომის (მხარის) ფუძეშიც. იგულისხმება გუგარქ (გგრ), გეორგ (გრგ) ხგგრ, გრგჯ, და ასევე სიტყვა "კეგრიტიკის" ფუძეშიც (კგრტკ);

ფუძეების ასეთი ეტიმოლოგიური მსგავსება კიდევ უფრო აძლიერებს ბერძენ-რომაელ ავტორთა თვალსაზრის, რომ სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, ერთი ეთნოსი სახლობდა. კეგრიტიკე, როგორც ყველაფრიდან ჩანს, არის თავდაპირველი ფორმა სიტყვა „ეგრისისა", მაშასადამე თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, სიტყვა „ეგრისის" ფუძეში დაკარგულია ბგერა „თ" (დ,ტ). თავდაპირველად შესაძლებელია ეს სიტყვა „ეგრისი" გამოითქმოდა ასე: ეგრიტი ან „ეგრიტისი" (ეგრითისი, ეგრიდისი). პლინიუს უფროსის ცნობა ჩვენ უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ ასეთი თვალსაზრისი: ეგრიტიკე, ეგრითი, ეგართ, გართ, ქართ, ქართლი.

პლინიუს უფროსის მიხედვით სხვა არის მდინარე როანა (ეს უნდა იყოს თანამედროვე მდინარე რიონი) და სხვაა მდინარე ფასისი (ეს უნდა იყოს თანამედროვე მდინარე ჭოროხი). პლინიუს უფროსი ძალზე გამოწვლილვით აღწერს აღმ. შავიზღვისპირეთს, იმდენად, რომ მიუთითებს არა მხოლოდ ტომთა განსახლების ზუსტ გეოგრაფიულ არეალს, არამედ ზოგჯერ გადმოგვცემს მდინარეთა შორის მანძილებს ნაბიჯებისა და „სტადიონების" მიხედვით (სიგრძის ერთეული სტადიონი უდრიდა 177 მეტრსა და 40 სანტიმეტრს). მაგალითად, მისი ცნობით მდინარე თერმოდონტთან ცხოვრობდნენ კენებისა (ალბათ ჭანების) და ხალიბების ტომები (ეს მდ. თერმოდონტი იმითაა საინტერესო, რომ თემისტიოსის მიხედვით თერმოდონტის მახლობლად ფასისთან მდებარეობდა ცნობილი „ფასისის რიტორიკული სკოლა". იქვე მახლობლად ყოფილა მხარე არმენია. თუ პლინიუსს ვერწმუნებით ფასისის რიტორიკული სკოლა მდებარეობდა მდ. თერმოდონტთან, ანუ ტრაპიზონის მახლობლად, სადაც, მისივე ცნობით, ტრაპიზონის გადაღმა 30000 ნაბიჯის მანძილზე ცხოვრობდა არმენოხალიბების ტომი და იყო დიდი არმენია (იქვე, გვ. 31). ტრაპიზონის ჩრდილოეთით მიედინებოდა მდინარე აფსაროსი და იყო ამავე სახელის მქონე ციხესიმაგრე. პლინიუსი წერდა: „იმ ადგილებში მთებს გადაღმა იბერიაა" (იქვე, გვ. 32). აქ ცხოვრობდნენ ჰენიოხები, ამპრევტები და ლაზები (მდინარე როანასთან, კეგრიტიკეში, ლაზების ცხოვრების შესახებ არ მიუთითებს). მდინარე აფსაროსსა და თერმოდონტს შორის ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ შემდეგი ქართული ტომები: აღნიშნული კენები და ხალიბები, ტიბარენები, მასინები (მოსინიკები); მაკროკეფალები (ქ. კოტიორასთან); ბეხირები და ბუქსურები (ქ. კერასუნტთან და კორდულასთან); მახორონები და სიდონები (ე.წ. შავ მდინარესთან); მდ. სიდენი (აქ იყო ქ. პოლემონიონი), მდ. იაზონიონი; მდ. მელანთიონი (ქ. ფარნაკე), მდ. ტრიპოლისი (ქ. ფილოკალია, ქ. ლივიოპოლისი, ქ. ტრაპეზუნტი); ტრაპეზუნტის აქეთ ცხოვრობდა სან-ჰენიოხთა ტომი (მდ. პიკსეპესის აქეთ) და აღნიშნული მდინარე აფსაროსი. მის აქეთ გაედინებოდა შემდეგი მდინარეები: მდ. აკამპსეონი, მდ. ისისი, მდ. მოგრუსი, მდ. ბათისი (აქ ცხოვრობდა კოლხთა ტომი). ბათისი ეტიმოლოგიურად მოგვაგონებს ბათუმს (ბათისი-ბათუმი). თუმცა უნდა ითქვას, რომ ასეთი დასახელების პუნქტი დღესაცაა ისტორიულ ლაზეთის ზღვისპირზე ამჟამინდელ თურქეთში. პლინიუსის მიხედვით, სხვა ტომია კოლხები და სხვა ტომია ლაზები. ე.ი. მდინარე ბათისიდან მდინარე ფასისამდე გაედინებოდა მდ. ჰერაკლიონი, სადაც იყო ქალაქი მატიუმი. პლინიუსი წერს: „მდ. ფასისი გამოდის მოსხებში" (ბუნების ისტორია, VI, 13, იქვე, გვ.32). ის წერს: მდინარე ფასისი სანაოსნოა 38500 ნაბიჯის მანძილზე, აქვს 120 ხიდი და გარშემო მრავალი ქალაქია (იქვე, გვ.32). ჩვენი ანგარიშით 38000 ნაბიჯი არის დაახლოებით 30-31კმ. მაშასადამე, თუ ფასისი ჭოროხია, ის სანაოსნო ყოფილა დაახლოებით 30კმ. მანძილზე. პლინიუსის მიხედვით, მდ. ფასისზე მდებარეობდა ქალაქები კინდარიდა, კირკეუმი, კიგნოსი, სურიუმი, ადრე იქ ყოფილა ქალაქი ეა, სადაც ფასისს ერთვოდა მდინარეები ჰიპოსი და კიანეოსი, უფრო მოშორებით, აფსაროსიდან 70000 ნაბიჯზე, ფასისს უერთდება მდ. გლავკოსი (ჩვენი ანგარიშით, ესაა დაახლოებით 56 კმ. თუ ერთ ნაბიჯს ჩავთვლით 80 სანტიმეტრად). მას სხვა ავტორები უწოდებენ - „ლიკე", ესაა ალბათ მდინარე ლიგანისხევი (ლიგანი), რომელიც დაახლოებით 50-60 კმ-ზე ერთვის ჭოროხს. თუ ფასისი გამოდიოდა „მოსხებიდან", აქ უნდა ვიგულისხმოთ ჭოროხის სათავეები, რომელიც მართლაც მესხური ტომებით იყო დასახლებული. ჩვენს ვარაუდს, რომ ფასისი ჭოროხია,

კიდევ უფრო აძლიერებს პლინიუსის აზრი, რომ მის ჩრდილოეთით გაედინება მნიშვნელოვანი მდინარე „როანა", ეტიმოლოგიურად შეუძლებელია „როანა" და „რიონი" ერთმანეთს არ დავაკავშიროთ. ამ მდინარის მნიშვნელობას პლინიუსი ხაზს უსვამს იმით, რომ აღნიშნავს: გაედინება „მდ. როანი კეგრიტიკის მხარეს". შეუძლებელია, ასევე ეტიმოლოგიურად „კეგრიტიკე და „ეგრისი" ერთმანეთს არ დავაკავშიროთ. პლინიუსის მიხედვით, მდ. ხობისი ახლოა ფასისთან (ხომ არ იგულისხმება ამ მდინარის ქვეშ „ხობისწყალი" და არა მდ. „ხობი"), სადაც თურმე ცხოვრობდნენ სვანები, ხოლო მდინარე როანადან აფსილების ტომამდე (სებასტოპოლისის ციხესიმაგრემდე) გაედინებოდნენ მდინარეები: „ზიგანია", „თერხოსი", „ასტელფოსი" და „ქრისოროსი". აფსილების იქით ცხოვრობდნენ სანიკებისა და ჰენიოხების ტომები. პლინიუსი ასევე აღწერს კასპიისზღვისპირა ტომებსაც და წერს, რომ სხვა ხალხია უდინები და სხვა ხალხია ალბანელები. „ალბანთა ტომი მოდებულია კავკასიის მთებს, აღწევს მდ. მტკვარს, რომელიც სომხეთის და იბერიის საზღვარს წარმოადგენს" (იქვე, გვ.38), ხოლო უდინები კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირზე ცხოვრობენ. აქედან გამომდინარე შეცდომაა ამჟამად გავრცელებული თვალსაზრისი, რომ თითქოსდა უდინები ეთნიკური ალბანელები იყვნენ.

უდინებს პლინიუსი სკვითებად მიიჩნევდა. კასპიის ზღვის დასასავლეთ ნაწილი „უჭირავს სკვითების ხალხს - უდინებს" (იქვე, გვ.38), უდინების აქეთ იბერებისაკენ ცხოვრობდნენ ალბანელები, ხოლო დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი სვანების ტომით დასახლებულად მიიჩნევა. მაგალითად, მითიური აიეტის შთამომავალ კოლხეთის მეფე სავლაკს მიუღია „კოლხეთის ხელუხლებელი მიწა და მან „მოიპოვა მრავალი ოქრო და ვერცხლი სვანების ტომისა" (იქვე, გვ. 39). კოლხებსა და მოსხებს ძველ ავტორთა ცნობით მდ. ფასისი აერთებდა. მაგ., მარკუს ლუკანოსი წერს: ცხოვრობენ „სასტიკი მოსხები იქ, სადაც ფაზისი მოაპობს კოლხთა დოვლათიან ყანებს" (იქვე, გვ. 41). მაშასადამე, აღნიშნული არეალის ძირითადი მოსახლეობა მოსხები, კოლხები და სვანებია. როგორც ითქვა, კოლხეთი არ წარმოიდგინება ერთ ეთნოსად, ეს არის კრებითი სახელი სხვადასხვა ქართული ტომებისა, რომელთა ნათესაობასაც ეტიმოლოგიური ძიებაც ადასტურებს. ამ ერთნაირობის გამო, როგორც ჩანს, სტრაბონისა და დიონ კასიოსის ეპოქაში მთელ ამ არეალს „იბერია" ეწოდა. რატომღაც შეცდომად მიაჩნიათ დასავლეთ საქართველოზე საუბრისას დიონ კასიოსის მიერ „იბერიის მეფე მითრიდატეს" ხსენება („დიონ კასიოსის ცნობები საქარველოს შესახებ", 1956, გვ. 28.). ნ. ლომოური მიიჩნევს, რომ კონტექსტის მიხედვით აქ უნდა იგულისხმებოდეს არა იბერიის, არამედ ბოსფორის მეფე მითრიდატე (ჩვ. ერის I საუკუნის 50-იანი წლები). რადგანაც სვანებთან დაკავშირებით ახსენებს სტრაბონი იბერებსა და იბერიას, ასევე აქვე მცხოვრებ მაკრონ-ჰენიოხთა მეფეებს შესაძლოა იბერიის მეფეებსაც უწოდებდნენ და ალბათ ამიტომ უწოდებს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მხარეების მმართველს დიონ კასიოსი „იბერიის მეფე მითრიდატეს". მით უმეტეს, რომ სვანების ქვეყნის აღწერისას სტაბონი განმარტავს, თუ რატომ ეწოდა ამ მხარეებს იბერია. საქმე ის იყო, რომ ბერძენი, და განსაკუთრებით ლათინი, მწერლები იმდენ ეთნიკურ მსგავსებას პოულობდნენ კავკასიისა და მათთვის ნაცნობ დასავლეთის იბერიის (კელტ-იბერულ) მოსახლეობას შორის, რომ ისინი კავკასიის (განსაკუთრებით საქართველოს) მოსახლეობას ხშირად უწოდებდნენ არა ვთქვათ „თესალიელებს" ან „მაკედონიელებს", როგორც წინა პერიოდის მკვლევარები, არამედ „იბერებს". დიონ კასიოსამდე ასე მოიქცა სტრაბონი, როცა მან დასავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო ზღვისპირა ნაწილს „იბერია" უწოდა და სვანები იბერებად მოიხსენია. ახლა უკვე დიონ კასიოსი უწოდებს ამავე მხარის მეფეს (როგორც აღვნიშნეთ) „იბერიის მეფე მითრიდატეს". უფრო მოგვიანებით საეკლესიო მწერლები დასავლეთ საქართველოს „ქვემო იბერიად" მოიხსენებენ და იმ საეკლესიო ერთეულს, რომელსაც ქართველები „აფხაზეთის კათალიკოსს" უწოდებდნენ, ისინი მუდამ „ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს" უწოდებდნენ.

XX საუკუნეში საბჭოთა, რუსი და ქართველი ისტორიკოსები კატეგორიულად კრძალავდნენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კავკასიაში იბერია ეწოდებოდა ვრცელ მხარეებს, იგნორირებას

უკეთებდნენ თვით სტრაბონის, პლინიუს უფროსის, ეპიფანე კონსტანტინეპოლელისა ან ვთქვათ დიონ კასიოსის და სხვათა ცნობებს იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოს სამხრეთ თუ ჩრდილო ნაწილებს იბერია ეწოდებოდა, ან მოიცავდა მის რომელიღაც ნაწილს. საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსების დაბეჯითებული მტკიცებით იბერია მხოლოდ შიდა ქართლს ეწოდებოდა. აღმოსავლეთის მიმართულებითაც კი ძლიერ ამცირებდნენ მას. მაგ., სტრაბონი ამტკიცებდა, რომ ალბანეთისა და იბერიის „საზღვარი გადიოდა მდ. ალაზანზე". მიუხედავად ამისა, ნ. ლომოური ამტკიცებდა, რომ იბერიის აღმოსავლეთი საზღვარი მდ. არაგვზე გადიოდა. ამიტომაც ის დიონ კასიოსის მიერ ნახსენებ მდინარე პელორს არაგვად მიიჩნევდა, სადამდეც თითქოსდა იბერიის სამეფოს საზღვრები აღწევდა (იხ. „დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ", 1966, გვ.60). ნ. ლომოურის თვალსაზრისით, იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვარი გადიოდა მდ. არაგვზე და შესაბამისად ალბანეთის მიწა-წყალი ვრცელდებოდა ქალაქ მცხეთამდე. ნ. ლომოურის თვალსაზრისით ივრისა და ალაზნის ხეობები ეთნიკური ალბანელებით იყვნენ დასახლებულნი და შესაბამისად ეს ტერიტორია არა ისტორიულ საქართველოს, არამედ ისტორიულ ალბანეთს მიეკუთვნებოდა. ასეთ საეჭვო საფუძველს დაეყრდნო თეორია თითქოსდა ხდებოდა ივრისა და ალაზნის ხეობების მოსახლეობის „ქართიზაცია, გაქართველება" და თითქოსდა ასე თანდათანობით შემოვიდა ეს ხეობები ქართულ სამყაროში, შემოუერთდა ქართულ ეთნოსს. ქართიზაცია-გაქართველების, როგორც ჩანს, ყალბი თეორია ნამდვილ „წმინდა თეორიას", შეურყეველ დოგმას წარმოადგენდა საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსებისათვის. ნ. ლომოური და მისი თანამოაზრეები, როგორც ითქვა, საზღვარს იბერიასა და ალბანეთს შორის მდ. არაგვზე დებენ და რატომღაც არაგვს „პელორს" უწოდებენ, მაშინ, როცა სტრაბონი არაგვს გარკვევით უწოდებს „არაგი" (სტრაბონი, XI - III,2), ხოლო იბერიასა და ალბანიას შორის საზღვრად მდ. ალაზანს მიიჩნევს (სტრაბონი, XI, IV, 5). სტრაბონი და დიონ კასიოსი თანამედროვენი იყვნენ და თითქმის ერთ ეპოქაში მოღვაწეობდნენ, ამიტომაც თუ სტრაბონისთვის ცნობილი იყო მდინარე არაგვისა და მდინარე ალაზნის სახელები, ისინი ალბათ ცნობილი იყო დიონ კასიოსისთვისაც. ამიტომაც „პელორი", ჩანს, ერქვა არა არაგვს, არამედ მტკვრის რომელიმე შენაკადს (შესაძლებელია იორს), შესაძლოა პომპეუსისაგან დევნილმა იბერიის მეფემ ხიდები გადაწვა არა მარტო არაგვზე, არამედ აღნიშნულ სხვა მდინარეზეც. საბჭოთა ისტორიოგრაფია, თითქმის ყოველ ათწლეულში ან ოცწლეულში, ცვლიდა საისტორიო შეხედულებებს ხალხთა განსახლების შესახებ, აყალბებდა ანდა თვითნებურ ინტერპრეტაციას უკეთებდა მას, ასწორებდა ან ცვლიდა საისტორიო წყაროებს იმის შესაბამისად კრემლი და საბჭოთა ხელისუფლება თუ როგორი თვალით უყურებდა ამა თუ იმ ხალხსა და ეთნოსს, წყალობდა თუ რისხავდა მას (მაგ: ლენინის დროს აზერბაიჯანელებს "მუსულმან ხალხს" უწოდებდნენ, სტალინის მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში - „თურქებს", მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი - „აზერბაიჯანელებს", შესაბამისად იცვლებოდა ამ ხალხის შესახებ წყაროების მიმართაც დამოკიდებულება. ვთქვათ, თუ 30-40-იან წლებში აზერბაიჯანელებს თურქული წარმოშობის ხალხად მიიჩნევდნენ, 70-80-იან წლებში მათ უკვე მიიჩნევდნენ ალბანელების შთამომავლებად, შესაბამისად ალბანელების ისტორიული მიწა-წყალი და ალბანური კულტურა აზერბაიჯანელთა მემკვიდრეობად იქნა გამოცხადებული.

ქართველთა მიმართ კრემლის დამოკიდებულება თითქმის მუდამ ერთგვარი იყო. მიიჩნეოდა, რომ ქართველები უსაფუძვლოდ ამაყობდნენ თავიანთ ისტორიული წარსულით, რაც კვებავდა ქართულ სეპარატიზმს. ეს კი ხელს უშლიდა მათ ინტეგრაციას საბჭოთა ხალხში. კრემლმა მიზნად დაისახა ქართველთა ეროვნული სიამაყის მასაზრდოებელი ძველი ქართული ისტორიოგრაფია ჩაენაცვლებინა ახალი ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიით, რაც შესანიშნავად მოახერხეს კიდეც. უარყოფილ იქნა ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ცნობები ქართველი ერის წარმოშობისა და ფარნავაზის ეპოქაში მისი ერთიანი სახელმწიფოს არსებობის შესახებ და მის ნაცვლად განახლებული ფორმით შემოთავაზებული იქნა ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე პროფ. პატკანოვისა და მისი მოწაფის ნ. მარის მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტის

არმენოლოგიის კათედრაზე შემუშავებული ე.წ. „ქართიზაციის თეორია". გამოჩენილი ისტორიკოსები და სწავლულები ჩაერთვნენ ამ საქმეში. ამ მიზნით, 1921 წლიდან, საქართველოს ხელმეორე ოკუპაციის შემდგომ, რუსული საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო ფართო კამპანია ძველი ქართული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ მის ჩასანაცვლებლად საქართველოს ისეთი ახალი შეთხზული ისტორიით, რომელიც ხელს შეუწყობდა ქართველი ხალხის სულისკვეთების დათრგუნვას. ამ მიმართულებით ხელისუფლების მიერ საგანგებო დავალება მიეცა იმჟამინდელი ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების უფროსსა და ამავე დროს უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს კ. ორაგველიძეს „საისტორიო მეცნიერებაში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დამკვიდრების მიზნით". მან გადაწყვიტა, რომ საბოლოოდ „აღებულიყო ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ციხე-სიმაგრე" და მისი ადგილი დაეჭირა „საქართველოს მარქსისტულ ისტორიას". ეს მხატრულადაც კარგად გამოხატა კ. ორაგველიძემ, რომელსაც შემდგომში თაობები იმეორებდნენ, როგორც პარტიის ურყევ მიზანს საისტორიო მეცნიერებაში. „ჩვენს წინაშე დგას ციხე-სიმაგრე, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება, რომელიც ჯერ აუღებელია, მაგრამ არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე რომლის აღებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ, საჭიროა ენერგიული მუშაობა და მტკიცე ბოლშევიკური ნებისყოფა ამ ციხე-სიმაგრის ასაღებად" (იხ. წიგნი: „ივ. ჯავახიშვილი ტირანიის წინაშე", თბ., 2004, გვ.172). ეს იყო დავალება პარტიისა, კრემლისა, რომლის აღსასრულებელ გეგმაშიც, ე.ი. საქართველოს ეროვნული ისტორიოგრაფიის დამაკნინებელ სამუშაოში, ჩართული იქნა ყველა იმჟამინდელი სწავლული, მეცნიერი, მოღვაწე, ასპირანტი და სტუდენტი. საბოლოოდ XX საუკუნის II ნახევარში მიღწეული იქნა მიზანი „დანგრეულ იქნა საქართველოს ისტორიის ციხე-სიმაგრე" და, როგორც აღვნიშნეთ, მის ადგილზე შემოთავაზებული იქნა საქართველოს ახლადგამოგონილი ისტორია, აგებული ე.წ. „ქართიზაციის" თეორიაზე, რომლის მიხედვითაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა იყო დამოუკიდებელი ეთნოსი, ძველი კოლხების ეთნო-კულტურული და ენობრივი მემკვიდრე, აღმოსავლეთ საქართველო კი სხვა ეთნოსით „ქართ"-ით იყო დასახლებული. შემდგომში თითქოსდა ამ უკანასკნელის ეთნო-რელიგიური გავლენის შედეგად ასიმილირდა საქართველოს ტერიტორიაზე იქამდე მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსები და ასე ჩამოყალიბდა ქართველი ხალხი. მარქსისტი ისტორიკოსების მიხედვით ეს მოხდა IX-X საუკუნეებში, თუმცა ბოლოდროინდელი იმავე მიმართულების „პატრიოტი" ისტორიკოსების მიხედვით ეს ჩვენს წ. აღრიცხვამდეც კი შეიძლება მომხდარიყო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის „ქართიზაციის" შედეგად. ამ თეორიით აღიზარდნენ თაობები, საისტორიო მეცნიერების დარგის სპეციალისტები. წამოვიდნენ თაობები ისტორიკოსებისა, მეცნიერებისა, რომელნიც დღესაც დაბეჯითებით ავითარებენ და ურყევ ჭეშმარიტებად მიიჩნევენ მარქსისტი ხელისუფლების დაკვეთით შეთხზულ ქართიზაციის თეორიას. ეს თეორია ნებსით თუ უნებლიეთ საფრთხის ქვეშ აყენებს ერის ერთიანობას, აფერხებს ქართველი ხალხის კონსოლიდაციას, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, რაც საბოლოოდ სავალალო შედეგებამდე მიიყვანს ჩვენს ერს. ამიტომაც საჭიროა დროულად იგნორირებულ იქნას ეს ცრუ თეორია და აღდგენილი იქნას ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ღირსება და მისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, აუცილებელ ჭეშმარიტებად იქნას აღიარებული მისი მართებული ცნობები ქართველი ერის უძველესი წარმომავლობისა და ფარნავაზის ეპოქაში მისი ეროვნული ერთიანობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საკითხის უგულვებელყოფა ან ქართიზაციის თეორიის მიმართ ყურწაგდება, როგორც უკვე ვთქვით, სავალალო და დამღუპველ შედეგს მოუტანს ჩვენი ხალხის ეროვნულ თვითშეგნებას და ქვეყნის ერთიანობას. ქართიზაციის თეორიიდან გამომდინარე არასწორმა მიდგომამ დააზარალა ასევე საქართველოს ეკლესიის ისტორიაც. საბჭოთა პერიოდში ტენდენციურად და გაყალბებულად შეისწავლებოდა საქართველოს ეკლესიის ისტორია, საბოლოო ჯამში მან საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის ისტორიულ კუთხეებში საეკლესიო სეპარატიზმს. მაგ., ამჟამინდელი საეკლესიო სეპარატიზმი აფხაზეთში და კუთხეებში ძირითადად ეყრდნობა ქართული საბჭოთა

ისტორიოგრაფიის მიერ XX საუკუნის 30-იან წლებში შემუშავებულ მტკიცებას, რომ თითქოსდა მთელი დასავლეთ საქართველო IX-X საუკუნეებამდე შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში და თითქოსდა აქ კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა ოთხი ბერძნული საეპისკოპოსო კათედრა (პეტრას, როდოპოლისის (ვარციხის), საისინის (ცაიშის) და ზიგანის (ძიღინევ-გუდაყვისა)), რომელნიც თითქოსდა გააუქმა „პროზელიტურმა" ქართულმა ეკლესიამ, რომელიც შეიჭრა დასავლეთ საქართველოში და გაბატონდა იქ. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ უეჭველ ჭეშმარიტებად შემოგვთავაზა თვალსაზრისი, კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებიდან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოსვლა თითქოსდა ქართული ეკლესიის აგრესიის შედეგად განხორციელდა. თითქოსდა ქართული ეკლესია დასავლეთ საქართველოში „გაბატონდა". სინამდვილეში, როგორც რუის-ურბნისის კრება, და ასევე ყველა ქართული მატიანე, საეკლესიო მწერალი მიუთითებდა, ჩამოყალიბებისთანავე მოციქულმა ანდრიამ იღვაწა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა" ("დიდი სჯულის კანონი", 1973, გვ. 545). ამ თვალსაზრისს ამტკიცებდნენ არა მარტო რუის-ურბნისის კრების წმ. მამები და ძველი ავტორები, არამედ ბერძენი და რომაელი ავტორებიც. მაგ., მსოფლიო ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი ისტორიკოსი გელასი კესარიელი წერს, რომ IV საუკუნის დასაწყისში „ქრისტიანობის ნათელი, ერთი ტყვე ქალის მიერ მიიღეს იბერებმა და ლაზებმა" ("გეორგიკა", I, გვ.186). გელასის ამ ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ წმიდა ნინოს გაუქრისტიანებია ლაზები და მათთან ერთად აღმ. საქართველოს მოსახლეობაც. ამ ძვირფას ცნობას ტენდენციურად განმარტავდა საბჭოთა ისტორიოგრაფია. ჩვენთვის ეს ცნობა იმითაა ძვირფასი, რომ აბსოლუტურად იდენტურია რუის-ურბნისის კრების მამათა განმარტებისა, რომ წმ. ნინოს დროს ნათელ იღო ყოველმა ქართველმა („დიდი სჯულის კანონი", 1973, გვ. 546). „ყოველი ქართველის" ქვეშ კი ცხადია იგულისხმება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, უფრო კი დასავლეთ საქართველო, რადგანაც კრების მოწვევის დროს 1103 წ. საქართველოს შემადგენლობაში არ იმყოფებოდა აღმოსავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი - თბილისი და ქვემო ქართლი, ხოლო კახეთ-ჰერეთი მხოლოდ იმ წელს შემოიერთა დავით აღმაშენებელმა.

გელასი კესარიელის ეს ცნობა განკერძოებით არ დგას, სხვა მრავალი ბერძენი და რომაელი მწერალი იძლევა მსგავს ცნობას, კერძოდ, იმპერატორ კონსტანტინეს ეპოქაში ქრისტიანობა მიიღეს პონტოსზღვისპირეთში მცხოვრებმა იბერებმა. საბჭოთა ისტორიკოსები, როგორც წესი, მიიჩნევდნენ, თითქოსდა უცხო წყაროთა „პონტოსზღვისპირეთში მცხოვრები იბერები" ესაა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, მაგრამ ბერძნებმა და ლათინმა მწერლებმა მშვენივრად იცოდნენ, თუ რომელ არეალს ეწოდებოდა პონტოსზღვისპირეთი, რადგანაც ეწეოდნენ მის აქტიურ კოლონიზაციას, ცხოვრობდნენ იქ და მათი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრებიც იქამდე აღწევდა. როგორც აღვნიშნეთ, მათ მშვენივრად იცოდნენ, თუ რომელ ქვეყანას ეწოდებოდა პონტოსზღვისპირეთი, არმენიის ჩრდილოეთი და კასპიის სანაპიროები. პონტოსზღვისპირეთში მათ რომ ეგულისხმათ აღმოსავლეთ საქართველო, მაშინ დაწერდნენ, რომ არმენიის ჩრდილოეთით, ან ალბანიასთან მდებარე ქვეყანამ მიიღო ქრისტიანობაო. მაგრამ მათ ტერმინ „პონტოსზღვისპირეთში" იგულისხმება სწორედ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო, ოდითგანვე დასახლებული ქართული ტომებით, სტრაბონის ეპოქაშივე იბერიელებად წოდებული სვანებით, იბერიელებად წოდებული, დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მესხებით და როგორც ბარონიუსი წერს, იბერიელებად წოდებული ლაზებით. დასავლეთ საქართველოსაც ქართლი, იბერია ეწოდებოდა ქართველ მემატიანეთა მტკიცებით. ამიტომაც აქ „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და „ქართლის ცხოვრების" ცნობით ეგრისწყალზე გადიოდა მეფე აზონის სახელმწიფო საზღვარი. აქ იყო მეფე ფარნავაზის სამეფოში შემავალი არგვეთისა და ეგრისის საერისთავოები. მეფე ფარნავაზის სახელმწიფოში (ე.ი. დას. საქართველოშიც) სხვა ენა „არა იზრახებოდა" გარდა ქართული ენისა.

პონტოსზღვისპირეთი იბერებით რომ იყო დასახლებული, ამის შესახებ არანაკლებ მნიშვნელოვანია V საუკუნის დიდი სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის ცნობა, რომ „ვრაცების (იბერების) თავდაპირველი სამშობლო იყო სამხრეთში მდებარე ქვეყანა „ივერია", საიდანაც ისინი გადმოსახლდნენ პონტოსზღვისპირეთში, სადაც გამრავლდნენ და მიაღწიეს სომხეთისა და ალბანეთის საზღვრამდე" (მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 107,111). ამ თვალსაზრისს, რომ პონტოსზღვისპირეთი კავკასიაში ქართველების თავდაპირველი საყუდარი იყო, წერს ყველა ძველი სომეხი ისტორიკოსი I ათასწლეულისა. მათ შორის უხტანესიც, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა ქართველთა წარმომავლობასა და ეთნოლოგიას თავისი ცნობილი წიგნის საჭიროებისათვის (უხტანესი. განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა).

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ბერძენი და რომაელი, ასევე ძველი ქართველი და სომეხი ისტორიკოსების ცნობებით, დასავლეთ საქართველო იყო ერთი წარმოშობის მოსახლეობით დასახლებული და იმავე წარმოშობისა იყო აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებნიც. მათ ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში შექმნეს ერთიანი საქართველოს სახელმწიფო, ერთი ქართული სახელმწიფო ენითა და კულტურით. ასეთივე იყო ძველ ქართველ საეკლესიო მამათა ის თვალსაზრისიც, რომელსაც ებრძოდნენ ოფიციალური წრეები XIX-XX საუკუნეებში.

როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა, პატკანოვი და მისი სკოლა ძალზე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თითქოსდა „მესხები და კოლხნი ქართული გვარისანი არ არიან და არც ყოფილან". (ი. ჭავჭავაძე „ქვათა ღაღადი"). ჩვენი საბჭოთა ისტორიკოსები თითქოსდა სიტყვიერად ილიას მემკვიდრეობას აღიარებენ, მაგრამ საქმით მათ მიერ სტრაბონის უტყუარი ცნობების იგნორირება (რომ ისტორიული კოლხეთის ცენტრი და პერიფერიებიც კი მესხური ტომებით იყო დასახლებული, რომ მის დროს (ანუ I საუკუნეში) სვანებს იბერებსაც უწოდებდნენ), ფაქტიურად წარმოადგენს პატკანოვის აღნიშნული დებულების აღიარებას. თუკი მართლაც კოლხეთის ცენტრალური პროვინციებიც მესხებით იყო დასახლებული I საუკუნეში, რატომღა დასჭირდათ მათ ქართიზაცია-გაქართველება IX საუკუნეში. ვისაც სჯერა „ქართიზაციის" თეორიისა და სჯერა, რომ ქართული ენა დასავლეთ საქართველოში გავრცელდა მხოლოდ IX-X საუკუნეებში, მას არ სჯერა იმისა, რომ მესხები ქართველები იყვნენ და მას არც კოლხების ქართველობისა სჯერა.

ასეა თუ ისე, ბერძენ-რომაელ მწერალთა მიერ ნახსენები პონტოსზღვისპირეთი ეს არის დასავლეთ საქართველო, რომელიც, გელასი კესარიელის სიტყვით, აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად მოაქცია წმ. ნინომ, რასაც რუის-ურბნისის კრებაც ადასტურებს. სასურველია, თანამედროვე საეკლესიო მოღვაწეებმა და ასევე იმ ისტორიკოსებმა, რომელთაც ღირსეულად აირიდეს საბჭოურ-ათეისტური ზეწოლა, გაიზიარონ და ერთმნიშვნელოვნად აღიარონ რუის-ურბნისის კრების წმ. მამათა თვალსაზრისი, რომ წმ. ნინომ ერთიანი ქართველი ხალხი („ყოველნი ქართველნი") მოაქცია და უფრო ადრე წმინდა ანდრიამ იქადაგა სრულიად საქართველოში („ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა"), რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო ეთნიკურ და პოლიტიკურ მთლიანობას წარმოადგენდა I საუკუნიდანვე. აქედან გამომდინარე მათთვის მიუღებელი უნდა იყოს დასავლეთ საქართველოს „ქართიზაცია" VIII - X საუკუნეებში.

ყველას, ვინც დღესაც ერთგული მიმდევარია ამ ე.წ. „ქართიზაციის" თეორიისა, მოვუწოდებთ და სიყვარულით შევაგონებთ, რომ იქნებ ახლებურად მოახდინონ თავიანთ შეხედულებათა გადაფასება და უფრო სხვა, ობიექტური თვალით შეხედონ რეალობას; ნუ გახდებიან მსხვერპლნი ქართველი ხალხის მტრის მიერ ჩვენი ერისთვის ძალად თავსმოხვეული, ფსევდოქართული თეორიისა. ცხადია, არავის მიმართ პიროვნული პრეტენზია არ გაგვაჩნია და არც ვისიმე ღირსების შელახვა დაგვისახავს მიზნად. ჩვენ კარგად ვიცით, რომ აბსოლუტური უმრავლესობა ქართიზაციის თეორიის მიმდევრებისა მეტად სახელოვანი და დამსახურებული, ამავე დროს ღრმა ცოდნითა და პროფესიონალიზმით გამორჩეული პიროვნებები არიან, რომელნიც ჩვენი მხრიდანაც დიდ პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებენ ამ თვისებათა გამო. ჩვენი მიზანი მხოლოდ

ერთია: ჩვენმა თანამედროვე საისტორიო მეცნიერებამ აღიაროს ფუნდამენტალური შეხედულებები ძველი ქართული ისტორიოგრაფიისა, კერძოდ ის, რომ ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში უკვე ჩამოყალიბებული იყო ქართველთა ეთნო-პოლიტიკური მთლიანობა, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა მეფე ფარნავაზის დროს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებით, რომელიც არსებობდა საუკუნეთა მანძილზე და წმ. ნინოს დროსაც არსებობდა. ღირსეული და დამსახურებული ადგილი მივუჩინოთ ჩვენი წარსულის რეალობას, რათა ჩვენი აწმყო და მომავალი უფრო ნათელი გახდეს, ვინაიდან როგორც ბრძანებდა დიდი ილია მართალი: „ერის წარსული, მომავლის საფუძველია, მისი მშობელი.”

სულს მიუძღვის ხორცთ ნაქნარი, ავსა-ავი, კარგსა-კარგი,
ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქო
....მე კი ვფარავ მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს
უკუღმართმა ხვნამ და ფარცხვამ ეს ნაყოფი გამოიღო
მოგვითხარა ქართლ-კახეთი ძირ-ფესვიან ამოიღო

ივლისი 2005

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქცია წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების მიხედვით

ო ქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ყოვლადსამღვდელო მეუფენო, ქალბატონებო და ბატონებო,

უფლის ნებითა და მოწყალებით ქრისტიანული სარწმუნოების სიწმინდის შეუპოვარმა დამცველმა ქართველმა ერმა შეძლო მართლმადიდებლობის უმწიკვლოდ მოტანა უძველესი ხანიდან დღემდე. ჯერ კიდევ ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი და ეპისკოპოსი პროკოფი კესარიელი წერდა VI საუკუნეში: “იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ” (“გეორგიკა”, II, 1965, გვ.48). პროკოფი კი იცნობდა აზიის, აფრიკისა და ევროპის მრავალ ქვეყანასა და ხალხს.

ამასვე ამტკიცებდნენ ძველი ქართული წყაროებიც, რომ ქართველი ხალხი “მიერითგან აღსასრულამდე ჰგიეს შეუძვრელად მართალსა სარწმუნოებასა ზედა” (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. “საქართველოს საეკლესიო კრებები”, ტ.II, 2003, გვ.102).

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია და ღირებულია ის ცნობები ქართველთა მტკიცე მართლმადიდებლობის შესახებ, რომლებიც დაცულია წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაში. წმიდა მაქსიმე 662 წელს გააძევეს ბიზანტიიდან და თავის ორ მოწაფესთან - ანასტასი აპოკრისარისთან და ანასტასი მონაზონთან ერთად ჩვენს ქვეყანაში, დასავლეთ საქართველოში გადმოასახლეს. მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ აღწერა კიდეც თვალით ხილული ცხოვრება თავისი მოძღვრისა. VII საუკუნის დასაწყისში, ჰერაკლე კეისრის შემდგომ, ჯერ სპარსთა ბატონობის, შემდეგ კი სპარსეთში ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის გამო, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობა მოშლილი იყო და დასავლეთ საქართველოშიც რამდენიმე ცალკეული ქვეყანა არსებობდა ბიზანტიელთა ხელქვეით. ესენი იყო: ლაზიკა, აფხაზეთი, აფშილეთი, სვანეთი, თაკვერი და სხვ. აი, როგორ ახასიათებს წმიდა მართლმადიდებლობის დამცველი და მისი სიწმიდის შეურყევლობისათვის დევნილი წმიდა მაქსიმე აღმსარებლის მოწაფე ანასტასი ქართველთა იმჟამინდელ ქვეყნებს: ის ლაზეთს უწოდებს “ქრისტეს მოყვარე ლაზთა ქვეყანას”

(“გეორგიკა”, IV, 2, გვ.41), აფხაზეთს კი - “ქრისტესმოყვარე აბაზგების ქვეყანას” (იქვე, გვ.45), ამ ქვეყანათა მეთაურებს კი - “ღვთისმოყვარე მთავრებს” (იქვე, გვ.45), “იბერიის ღირს საქებ პატრიკიოსსა და პრეტორს” (იქვე, გვ.48).

საქმე ისაა, რომ ეს ცხოვრება წმიდა მაქსიმე აღმსარებლისა, მისი მოწაფის წმ. ანასტასის მიერ დაწერილია VII საუკუნის 60-იან წლებში, მაშინ, როცა მთელ ბიზანტიაში ბობოქრობდა გამარჯვებული მონოთელიტობა, შესაბამისად, იდევნებოდა მართლმადიდებლობა, ბიზანტიაში აღარ დარჩა მთავარი და ეპისკოპოსიც კი წმიდა მართმადიდებლობის დამცველი. ასეთ დროს, ასეთ ეპოქასა და გარემოში, როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხალხი და მისი მთავრები ყოფილან “ქრისტესმოყვარენი”, ანუ მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველნი. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, ანასტასი აპოკრისარი, ცხადია მათ “ქრისტესმოყვარეთ” არ უწოდებდა. ის იყო კაცი, რომელმაც არ იკადრა სიცრუე და სიმართლის, წმიდა სარწმუნოების დაცვისათვის, თავის მოძღვართან და მეგობართან ერთად მოკვეთეს ენა და მკლავები. მას თავისი მოძღვრის, წმიდა მაქსიმეს ცხოვრება დაუწერია მოჭრილი მკლავით. ამ მკლავზე აღარ ჰქონია ხელის მტევანი და თითები, მკლავზე მიუმაგრებია ორი წვრილი ჯოხი და ამით დაუწერია თავისი მოძღვრის ცხოვრება, წერს VII საუკუნის მოღვაწე თეოდოსი განგრელი თავის მოგონებებში. ეს იყო სიმართლის მწერლის მარჯვენა.

საეკლესიო იურისდიქციის მხრივ დასავლეთ საქართველო, ძველი ქართული მატიანეების, ასევე რუის-ურბნისის “მეგლისწერის” ცნობით, IV საუკუნიდანვე იმყოფებოდა მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში. ანდრია მოციქულმა იქადაგა “ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა”, ხოლო წმიდა ნინომ მოაქცია “ყოველნი ქართველნი”, წერდნენ რუის-ურბნისის წმიდა კრების მამები, ეს იყო საფუძველი დასავლეთ საქართველოში მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციის განვრცობისა. ამასთანავე, მოციქულთა კანონების 34-ე მუხლის თანახმად, IV საუკუნეში ორგანიზებული საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები თან უნდა დამთხვეოდა სახელმწიფო-ადმინისტრაციულს. ძველი მატიანეების დაბეჯითებული ცნობით, იმჟამინდელი საქართველოს, ანუ ქართლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი გადიოდა შავი ზღვის პირას და მდინარე ეგრისწყალზე. მდინარე ეგრისწყალი (შემდეგდროინდელი ღალიძგა) ერთმანეთისაგან ყოფდა ქართლის სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას. მდ. ეგრისწყლის იქით აფხაზეთი ანუ აბაზგია-ბიზანტიის ხელდებული ქვეყანა მდებარეობდა. ასე ყოფილა მეფე აზონისა და მეფე ფარნავაზის დროს და მათ შემდეგ მეფე მირიანის ეპოქაშიც. წყაროების ცნობით, მეფე მირიანის გამგებლობაში აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად იყო ეგრისიც. შესაბამისად მის დროს, IV საუკუნის დასაწყისში, ორგანიზებულმა საქართველოს ეკლესიამ თავის იურისდიქციაში მოაქცია აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველო, მდინარე ეგრისწყლამდე. მეფე ვახტანგ გორგასლის დროს საქართველოს დაუბრუნდა კლარჯეთი და აგრეთვე აფხაზეთის ტერიტორია მდინარე ეგრისწყლიდან მდ. კლისურამდე (კელასურამდე). მაშასადამე, V საუკუნიდან საზღვარი ქართლის სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის გადიოდა მდინარე კელასურზე. ამ მდინარემდე ქართლის კათალიკოსი ახორციელებდა თავის საეკლესიო ძალაუფლებას. ამითაა გამოწვეული სომხური წყაროების ცნობა, რომ VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისში კირიონ კათალიკოსი იყო “არქიეპისკოპოსი ეგრისისა”. სომხური წყაროების გარდა, რომელნიც მიუთითებენ, რომ VI საუკუნის ბოლოს დასავლეთი საქართველო იმყოფებოდა მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში, ვახუშტი ბატონიშვილიც ბრძანებდა, რომ დასავლეთ საქართველოში ტერიტორია ე.წ. “ვაკე”, ანუ მიწა-წყალი ქუთაისსა და ცხენისწყალს შორის “საეკლესიო ერთობის” დროს, ანუ VIII საუკუნამდე, აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოშობამდე, იმყოფებოდა “მცხეთის არქიეპისკოპოსის” იურისდიქციაში. ვახუშტისვე ცნობით, რაჭის დიდი ნაწილი ნიქოზის ეპისკოპოსის სამწყსო იყო. ვითარება შეიცვალა ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის შემდეგ. VII საუკუნის 20-30-იან წლებში ჰერაკლე კეისარმა ქართლის სამეფოს ჩამოაჭრა შავი ზღვისპირეთის ვრცელი ტერიტორიები და შეიყვანა ისინი ბიზანტიის შემადგენლობაში.

შესაბამისად, იბერიის, ანუ ქართლის ნაცვლად, აქ ბიზანტიელთა ხელქვეშ ჩამოყალიბდა ლაზიკის, აბაზგიისა და სხვა სამთავროები. მიუხედავად პოლიტიკური ცვლილებებისა, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, ჩანს, მაინც მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში იმყოფებოდა. პროკოფი კესარიელი მიუთითებდა კიდეც, რომ VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ქრისტიანები "კათალიკოსის" იურისდიქციაში იმყოფებოდნენ. კათალიკოსი კი იმჟამად მცხეთაში იჯდა.

ქართული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით, დასავლეთ საქართველო მუდამ ქართული ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო. ასეთი მოსაზრება არსებობდა უძველესი ხანიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე. 30-იან წლებში, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ საეპისკოპოსოთა ნუსხების გაცნობის შემდეგ, ჩვენში მიიღეს ახალი შეხედულება, თითქოსდა დასავლეთ საქართველოში არსებობდა კონსტანტინოპოლისადმი დაქვემდებარებული ლაზიკის სამიტროპოლიტო ფაზისში და ოთხი საეპისკოპოსო კათედრა (ზიგანასი, საისინისა, პეტრასი და როდოპოლისისა). იმთავითვე ამავე ნუსხების შესწავლის შემდგომ, ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორმა, მსოფლიო მნიშვნელობის ბიზანტიოლოგმა ნიკოლოზ გიორგის ძე ადონცმა (1871-1942) გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული ბიზანტიური საეპისკოპოსოები ზიგანა-ზიგინებისა, როდოპოლისისა და საისინისა, სინამდვილეში განლაგებულნი იყვნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველი ხალხის უძველეს ქვეყანაში "ლაზიკაში", ანუ ტრაპიზინის ოლქში. ის წერდა, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ნუსხებში მოხსენიებული ზიგანას საეპისკოპოსო ცენტრი მდებარეობდა ტრაპიზონთან ახლოს, რომ იქვე იყო სხვა ტოპონიმებიც მსგავსი სახელის მქონენი (მაგ. "ზიგანას მთა" და სხვა). მის ახლოს იმყოფებოდნენ როდოპოლისისა და საისინის კათედრებიც. მაშასადამე, როდოპოლისს ის არ აკავშირებდა ვარციხესთან და, მისი აზრით, ვარციხესთან არავითარი ბერძნული საეპისკოპოსო არ ყოფილა. ასევე, მისი აზრით, საისინი არ იყო ცაიშის კათედრა, ხოლო ზიგანა არ იყო ზიგინევი, ანუ გუდაყვა. ადონცის თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველოში არ იმყოფებოდნენ ბერძნული საეპისკოპოსოები. ამასვე დაბეჯითებით მიუთითებს ქართული წყაროებიც. არც ერთი ქართული წყარო არ იცნობს დასავლეთ საქართველოში ბერძნულ საეპისკოპოსოებს - ვარციხეს, გუდაყვასა და ცაიშს. ჩვენი თვალსაზრისით, იგივეს გვიჩვენებს წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაც. აქ, მის დროს, ბერძნული საეპისკოპოსოები რომ ყოფილიყვნენ, ცხადია, ამ საეპისკოპოსოთა მრევლი იქნებოდა ისეთივე მონოთელიტი, როგორიც იყო მრევლი საერთოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპოსკოპოსოებისა. აღნიშნულ ეპოქაში, მაშასადამე, ამ კუთხის ხალხიც და მისი მთავრებიც არ იქნებოდნენ მართმადიდებლები და კონსტანტინოპოლურ საეპისკოპოსოთა მსგავსად, მონოთელიტობისადმი, ანუ მწვალებლობისადმი იქნებოდნენ მიდრეკილნი. წმიდა მაქსიმე აღმსარებლის მოწაფის წმ. ანასტასის სიტყვით კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოს ხალხი მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას უმძიმეს ეპოქაში, მსოფლიო ეკლესიაში მონოთელიტების ბატონობის დროს. შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ ამ მხრივ საფუძველი გვაქვს კიდევ ერთხელ ვენდოთ საეკლესიო ეროვნულ წყაროებს, რომ დასავლეთ საქართველო IV-VIII საუკუნეებში, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური ვითარებისა, იმყოფებოდა მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში და იცავდა მართლმადიდებლობის სიმტკიცეს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის მსგავსად.

დასავლეთ საქართველო მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში რომ იმყოფებოდა წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ეპოქაში, VII საუკუნეში, ამის შესახებ მიგვითითებს მარტვილის შესანიშნავი ტაძარი. VII საუკუნის I ნახევარში აგებული მარტვილის, ანუ ჭყონდიდის, ტაძარი წმიდა ანდრია მოციქულის მიერ აღმართული ჯვრის ადგილას ნაგები, სასულიერო კერა, რომელიც მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სამლოცველო იყო, აგებულია მცხეთის ჯვრის ტაძრის ანალოგიით. დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში რომ ყოფილიყო,

ხუროთმოძღვარი ეგრისის ცენტრში, საეკლესიო კანონების თანახმად, ვერავითარ შემთხვევაში შეძლებდა სხვა სახელმწიფოს, სხვა საეკლესიო იურისდიქციის ქვეშ მყოფ ქვეყანაში მცხეთის ჯვრის ტიპის დიდებული ტაძრის აგებას. მაშასადამე ხუროთმოძღვარს ჰქონოდა საეკლესიო იერარქის შესაბამისი კურთხევა და ნებართვა, რადგანაც ეგრისი მცხეთის იურისდიქციაში იმყოფებოდა.

მცხეთის ჯვრის ტაძრის არქიტექტურის გამეორება დასავლეთ საქართველოს ცენტრში კიდევ ერთხელ ადასტურებს ძველი ქართული წყაროების დაბეჯითებულ თვალსაზრისს, რომ ეს მხარეები იმყოფებოდნენ მცხეთელი კათალიკოსის იურისდიქციაში და არა კონსტანტინოპოლის პატრიარქისა. აღნიშნულ ვითარებათა გამო - IV, V, VI და VII საუკუნებში, დასავლეთ საქართველოში წირვა-ლოცვის ენა იყო ის ძველი ქართული ლიტურგიკული (სალიტერატურო) ენა, რომლის შექმნა-შემუშავებასა და დახვეწას, ჩვენი გამოკვლევით, ღვაწლი დადეს პეტრე იბერის აღმზრდელმა იოანე ლაზმა და დასავლეთ საქართველოს სხვა მოღვაწეებმა. ამიტომაც აღმოჩნდა პალესტინის უძველესი ქართული წარწერები V საუკუნის იერუსალიმის უდაბნოს ე.წ. "ლაზთა მონასტერში". საეკლესიო არქიტექტურა საზოგადოდ ასახავდა ლიტურგიკულ ვითარებას და იგებოდა წირვა-ლოცვის საჭიროებისათვის. მაშასადამე, არქიტექტურა შეესაბამებოდა ლიტურგიკულ ტიპიკონს. მცხეთის ჯვარი გულისხმობდა, რომ იმ არეალში, სადაც მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრები იყვნენ განლაგებული ერთი მსგავსი ტიპიკონით ტარდებოდა წირვა-ლოცვა. მცხეთის ჯვარში კი ჩვენ ვიცით, რომ წირვა-ლოცვა ტარდებოდა ქართულ ენაზე და მცხეთის კათალოკოსის იურისდიქციაში შემავალ ეკლესიებში ერთი სახის ლიტურგიკული წესი აღესრულებოდა. ამ არეალში მოქცეული ყოფილა მარტვილისა და ეგრისის მრევლიც. რუის-ურბნისის კრების "ძეგლისწერის" დადგენილებაში ასახული ცნობით, წმიდა ნინოს დროიდანვე, როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველო მცხეთელი კათალიკოსის იურისდიქციაში იმყოფებოდა და აქ, იმთავითვე, წირვა-ლოცვის ენა იყო ძველი ქართული ენა და არა ბერძნული.

საბოლოოდ, უნდა დავასკვნათ შემდეგი: 1. წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ეპოქაში დასავლეთ საქართველოს ქრისტიანები იყვნენ მტკიცე მართლმადიდებლები და 2. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა წმიდა ნინოს დროიდანვე იმყოფებოდა მცხეთის და არა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, მიუხედავად VI საუკუნიდან შექმნილი პოლიტიკური ძვრებისა.

წმიდა მართლმადიდებლობა საფუძველია ჩვენი თვითმყოფადობისა და ეროვნული მთლიანობისა. უფალმა ინებოს წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ლოცვით მისი განმტკიცება, ამინ.

12.09.2005.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

დედა ღვთისმშობელი - შემწე ქართული ენისა

ძველი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, საქართველოს წმიდა ეკლესიის მრევლი მოციქულების ეპოქიდანვე იყო მთელი ქართველი ერი და მისი იურისდიქციის საზღვრები მოიცავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა აღნიშნავს, პირველწოდებულმა ანდრია მოციქულმა "იქადაგა სახარება "ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა" ("დიდი სჯულის კანონი", 1975, გვ. 545), ხოლო წმიდა ნინომ განანათლა "ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისაი" ("დიდი სჯულის კანონი", 1975, გვ. 546). წმიდა ანდრია მოციქულმა ძირითადად იქადაგა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში. სწორედ ეს მხარეები მიაჩნია რუის-ურბნისის კრებას, I-II საუკუნეებში, მოციქულთა მოღვაწეობის ხანაში, საქართველოს შემადგენელ ნაწილებად, რადგანაც იმჟამად, მათი ცნობით, ქვეყანა ერთიანი იყო, მის ერთ ნაწილში ქადაგება

მთელი ქვეყნის განათლებად მიიჩნეოდა, შესაბამისად ანდრია "ყოველი საქართველოს" მქადაგებელი იყო, ხოლო წმიდა ნინო - მთელი ქართველი ერის, დასავლელ და აღმოსავლელ ქართველთა განმანათლებელი - მის მიერ ნათელ იღო "ყოველმა სავსებამ ყოვლისა ქართველთა ნათესავისა". ეკლესიის წმიდა მამების და მემატიანეების განმარტებით, ჩამოყალიბებისთანავე, I-IV საუკუნეებში, საქართველოს ეკლესია თავის იურისდიქციაში მოიცავდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს და, როგორც ითქვა, მთელი ქართველი ერი (საქართველოს ორივე, დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილის მოსახლეობა) მის მრევლს წარმოადგენდა I-IV საუკუნეებიდანვე. აღსანიშნავია, რომ იმავეს აღნიშნავენ ბერძენ-რომაელი ავტორებიც, კერძოდ, გელასი კესარიელისა (IV საუკუნის ავტორი) და გელასი კვირიკელის (V საუკუნე) ცნობებით "იბერებმა და ლაზებმა წმიდა ნინოს ხელით მიიღეს ქრისტიანობა". ესაა ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობა, რომლის იგნორირებაც მოხდა საბჭოთა ეპოქაში.

საქართველოში წმიდა მოციქულების (წმ. ანდრია, სიმონ კანანელი, მატათა, ბართლომე, თადეოზი) ქადაგებათა დროს, I-II საუკუნეებში, ორი ათასწლეულის მიჯნაზე ქართველურ ტომებს, ჯერ კიდევ, ფუძე ქართველური ენა აერთიანებდათ, რადგანაც ცნობილი ენათმეცნიერის გ. მაჭავარიანის სიტყვით, საერთო ფუძე ქართველური ენის დიფერენციაცია ახალი დაწყებული იყო. კერძოდ, "ქართულ-ზანურის დიფერენციაცია ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე დაიწყო" (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965, გვ.17).

I-IV საუკუნეებში, მოციქულთა და წმიდა ნინოს ეპოქაში, საერთო ფუძე ქართველურ ენაზე დაფუძნებული "ძველი ქართული ენა" (საერთო-სახალხო ენა) გადაიქცა საღვთისმსახურო და ლიტურგიკულ ენად საქართველოს ყველა კუთხეში, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთსა, სამეგრელოსა და სვანეთში. აღნიშნული მიზეზების გამო, ძველი ქართული საეკლესიო ენა ხასიათდებოდა ზოგადეროვნული მთლიანობით. მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებში ქვეყანა ხშირად ნაწევრდებოდა, ძველი ქართული ენა არ ამჟღავნებდა ტომობრივ-გეოგრაფიულ მიკერძოებას არც ენობრივ-სტილისტურად, არც იდეურ-პოლიტიკურად. მთელი ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურა იყო ერთიანი-ქართული, რომელ კუთხეშიც არ უნდა შექმნილიყო ესა თუ ის ნაწარმოები და რომელი კუთხის წარმომადგენელიც უნდა ყოფილიყო მისი ავტორი.

მიზეზი ამისა, როგორც ითქვა, იყო ის, რომ ძველი ქართული ენა წარმოადგენდა პროტო, ანუ წინარე ქართველური ენის უშუალო, პირდაპირ განვითარებას იმ ფუძე ენისა, რომელიც კიდევ უფრო ადრე ერთადერთ ენას წარმოადგენდა მთელი ქართველური მოსახლეობისათვის ჯერ კიდევ ძველ კოლხეთში. საერთო ქართველური ენისაგან შემდგომ ეპოქებში წარმოიქმნა ძველი ქართული ენის განშტოებანი, კერძოდ, თანამედროვე სალიტერატურო, მეგრულ-ლაზური და სვანური. ამიტომაც აფხაზეთში, სვანეთსა და სამეგრელოში, სრულიად საქართველოში მხოლოდ პროტოქართულის უშუალო მემკვიდრე ძველი ქართული ენა იყო ერთადერთი ენა წირვა-ლოცვისა, ღვთისმსახურებისა და კულტურისა. საერთო-ქართველური, ანუ ძველი ქართული ენა ღვთიური მადლით ყოფილა აღბეჭდილი. ეს ჩანს იქიდან, რომ წმიდა მამების ცხოვრების მიხედვით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი საუკუნეთა მანძილზე ეცხადებოდა და ესაუბრებოდა წმიდა მამებს ქართული ენით, ზოგჯერ კი ასწავლიდა კიდეც ქართულ ენას, ზოგჯერ კი აცხადებდა, რომ ქართული ენით ცხონება არის შესაძლებელი. მაგალითად, IX საუკუნეში ყოვლადწმიდა გამოეცხადა ოლიმპოს მთის მონასტრის ბერძენ მამასახლისს, რომელიც დევნიდა ქართულენოვან მლოცველებს, დედაღვთისამ განუცხადა წინამძღვარს: "მრავალნი დამკვიდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყველნი და ცხონებად არიან და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან" (ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, 1946, გვ.172).

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სიტყვიდან ნათლად გამოვლინდა, რომ:

1. ქართული ენა ცხონების ენაა. ცხონება კი ყოველი მორწმუნის გადარჩენაა.

2. ქართული ენის მტრობა ღვთისმშობლის საწინააღმდეგო ქმედებაა.

ერთი საუკუნის შემდეგ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი საბერძნეთშივე, ივერთა მონასტერში, გამოეცხადა მომაკვდავ პატარა ექვთიმე ათონელს. აქ აღსანიშნავია, რომ ყოვლადწმიდა საუბრობდა ქართული ენით. წმ. ექვთიმე აცხადებდა - "მრქუა ქართულითა ენითა - აღდეგ, ნუ გეშინინ, ქართულად ხსნილად უბნობდი". ამის შემდეგ წმ. ექვთიმეს პირიდან ქართული სიტყვა - "ვითარცა წყარო, მოდიან, უწმიდეს ყოველთა ქართველთა". იქამდე კი საუკუნეებით ადრე ქართული ენა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა შეასწავლა ასურელ მამებს და წმიდა ნინოს.

სინას მთაზე, იქ სადაც უფალი გამოეცხადა მოსეს და ათი მცნების ფიცრები გადასცა, ქრისტიანთა უდიდეს მონასტერში, ქრისტიანობის გარიჟრაჟზე, I ათასწლეულში ქართველი მამები კითხულობდნენ ქართული ენის, ანუ ღვთისმშობლისათვის სათნო ენის სადიდებელს, რომელსაც ერქვა "ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ".

"დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე ... რაითა ყოველსა ერსა ღმერთმან ამხილოს ამის ენითა ... სახარებასა შინა ლაზარე ჰქვიან ... ახალმა ნინომ მოაქცია და ჰელენე დედოფალმან ... ორნი დანი ვითარცა მარიამ და მართა". სინას მთის ბერებს VII-IX საუკუნეებში ხელთ ეპყრათ ვითარცა უეჭველი საისტორიო წყარო "მოქცევაჲ ქართლისაჲ", რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე IV-III საუკუნეებში აზონ მეფის დროს საქართველოს პირველი ერთიანი სახელმწიფო ("ქართლის სამეფო") აერთიანებდა ქვეყნის ორივე ნაწილს - დასავლეთსა და აღმოსავლეთს, რომ ქუჯი, ეგრისის ერისთავი, ამ ერთიანი სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. ხოლო მეორე საისტორიო წყაროს "ქართლის ცხოვრების" ცნობით, ამ ერთიან სახელმწიფოში ფარნავაზ მეფის ჟამს "არ იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა". ქართული ენა ერთადერთი საერთო-სახალხო-სალიტერატურო, კულტურისა და სახელმწიფო ენას წარმოადგენდა XIX საუკუნემდე, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე. ქართველობა იყო ერთი ერი, ერთი ენით და შემეცნებით. ამიტომაც მიიჩნევდა ქუჯი ერისთავის მსგავსად სამეგრელოს უდიდესი მთავარი ლევან II დადიანი თავის თავს "ივერიის მიწების ხელმწიფედ", ხოლო ჭყონდიდელი ეპისკოპოსები საქართველოს სახელმწიფოს გამაერთიანებლები იყვნენ საუკუნეთა მანძილზე.

ბოლო კვლევების თანახმად იოანე ლაზი, აღმზრდელი პეტრე იბერისა, IV საუკუნის ბოლოს და V საუკუნის დასაწყისში, ყოფილა წმიდა წერილის იმ პირველ ქართველ მთარგმნელთა მეთაური, რომელთაც იბერიის სამეფო კარზე, ბაკურ მეფის (პეტრეს პაპის) ოჯახის მფარველობით შეიმუშავეს საერთო ქართული საეკლესიო-ლიტურგიკული ენა (ე.წ. "ძველი ქართული საეკლესიო ენა"), მისი შესაბამისი ტერმინოლოგია და დაიწყეს ინტენსიური თარგმნა წმიდა წერილისა. IV-V საუკუნეთა ქართული თარგმანები XI საუკუნეშიც ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების წრეში "პირველითგან წმიდად თარგმნილად" მიიჩნეოდა. პალესტინაშიც იოანე ლაზი პეტრე იბერთან ერთად აგრძელებდა ამ სამუშაოს. XX საუკუნეში, ე.წ. "ლაზთა მონასტერში" იტალიელი არქეოლოგის კორბოს მიერ აღმოჩნდა ქართული წარწერები, სადაც მოხსენიებულია პეტრე იბერის წინაპრები. იოანე ლაზი, თუ იოანე მინჩხი - დასავლელი ქართველი მოღვაწეები წმიდა წერილის ქართულად მთარგმნელთა პირველი სკოლის, ძველი ქართული მწერლობის, ქართული კულტურის სათავეებთან იდგნენ. საერთო ქართველური, ანუ ძველი ქართული ენა ათასწლეულთა მანძილზე ვითარდებოდა. პირველი ათასწლეულის ბოლოსათვის, როგორც ჩანს, უკვე ინაკვთებოდა ძველი ქართული ენის ტერიტორიული დიალექტები ქართლ-კახური, ფხოური, სვანური, მეგრულ-ლაზური.

არაბთა შემოსევების გამო - იქამდე ერთიანი, ვახტანგ გორგასალის დროინდელი სახელმწიფოს დაშლამ, ახალი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულების (აფხაზთა, ტაო-კლარჯეთის, კახეთ-ჰერეთის, თბილისის საამირო) წარმოქმნამ შეუწყო ხელი ერთიანი ენის დიალექტებად დაყოფას. მიუხედავად ქვეყნის დაყოფისა, ძველი ქართული ენა კვლავ ინარჩუნებდა ერის გამაერთიანებლის ფუნქციას. ყველა აღნიშნულ ერთეულში, კვლავ მხოლოდ და მხოლოდ, ძველი ქართული ენა იყო სახელმწიფოებრივი, კულტურისა და საეკლესიო ლიტურგიკული დანიშნულების ენა.

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ (XV-XVI საუკუნეებში) ქართლის, კახეთის, იმერეთის, ოდიშის, გურიის, მესხეთის, სვანეთის სამეფო-სამთავროებში გრძელდებოდა ტერიტორიული დიალექტების გაღრმავება, განსაკუთრებით ახალი ენა-კავებისა და კილოების ჩამოყალიბება ოსმალთა და სპარსთა ბატონობისას. ხოლო რუსეთის იმპერია, ქართველი ერის დაშლა-დანაწევრების მიზნით, XIX საუკუნის ბოლოს სამეცნიერო წრეებისა და სახელმწიფო სტრუქტურების გამოყენებით მიზანმიმართულად ავრცელებდა თვალსაზრისს, თითქოსდა მეგრული იყო არა დიალექტი, ანდა კილოკავი ქართული ენისა, არამედ დამოუკიდებელი ენა. მიზეზი ამისა იყო სურვილი, რომ ამოეგდოთ სამეგრელოს ეკლესია-მონასტრებიდან ქართულენოვანი ღვთისმსახურება, მის ნაცვლად კი დაენერგათ მეგრული ღვთისმსახურება და სწავლა-განათლება. **მთელი ქართველი ინტელიგენცია, წმიდა ილია მართლის და დიმიტრი ყიფიანის მეთაურობით, ასევე ქართველი სასულიერო წოდება (წმ. ალექსანდრე ოქროპირიძე, წმ. კირიონი, წმ. ამბროსი ხელაია, წმ. ალექსი შუშანია და სხვ.) დაუპირისპირდა მთავრობის ამ ქმედებას ქართველი ერის დაშლა-დანაწევრების მიზნით წამოწყებულს.** თვითონ სამეგრელოს მოსახლეობა წინ აღუდგა ამ საქმეს. კერძოდ, სამეგრელოში ტარდებოდა საეკლესიო კრებები, რომელნიც იღებდნენ დადგენილებებს, რომ არ უნდა შემოღებულიყო მეგრული წირვა-ლოცვა და განათლება, არამედ სამეგრელოს ხალხს უნდა დარჩენოდა ძველი მამაპაპეული, ძველ ქართულზე დაფუძნებული განათლების სისტემა და წირვა-ლოცვა.

XX საუკუნეში, ათეისტების ბატონობისას, რუსეთის ხელისუფლებამ უკვე შეაჩვია საზოგადოებრივი აზრი, რომ მეგრული არის არა დიალექტი ქართული ენის, არამედ დამოუკიდებელი ენა. ასევეა დამოკიდებულება სვანურის მიმართაც. ამჟამად საქართველოს სახელმწიფოს დაშლა-დანაწევრებისა და ქართველთა მთლიანობის დაშლის მიზნით, შესაბამისი "მეცნიერები" და წრეები მოითხოვენ მეგრულზე, ვითარცა დამოუკიდებელ ენაზე, განათლების სისტემის და წირვა-ლოცვის აღორძინებას.

ჯორჯ ჰიუტი პირდაპირ მოუწოდებს სამეგრელოს მოსახლეობას "ამხილონ იმპერიალისტი ქართველები და შეიმუშაონ საკუთარი სალიტერატურო მეგრული ენა", შექმნან ახალი კულტურა.

ჯორჯ ჰიუტმა კარგად იცის, რომ სამეგრელოს მოსახლეობა ძველი ივერიელებია აღმოსავლეთ საქართველოს ხალხთან ერთად. ივერიული ენა და ივერიის ეკლესია ისევე ეკუთვნის მეგრელსა და სვანს, როგორც ქართლელსა და კახელს.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიისა და მისი ერის დაშლა-დანაწევრება არც ისე ადვილი საქმეა. ქართველი ერი მტკიცე უნდა იყოს და ერთიანი, ვითარცა ივერიის მიწას მობარებული კვართი უფლისა. გადარჩენისა და ცხონების ძველი ქართული ენა, ანუ თავდაპირველ ქართველურ ტომთა საერთო-სახალხო ენა, უფლის მადლით უძველეს დროსვე წირვა-ლოცვისა და ლიტურგიკის ენად ჩამოყალიბდა. როგორც აღინიშნა, ასურელ მამათა ცხოვრებიდან ნათლად ჩანს, რომ სულიწმიდა, რომელმაც ენათა ცოდნის უნარი მიანიჭა წმიდა მოციქულებს, საქართველოს ეკლესიის განმანათლებელთა შორისაც იღვწოდა. ამიტომაც, იოანე ზედაზნელის მემატიანის ცნობით, წმიდა იოანეს, გვარტომობით ასირიელს, საქართველოში გამომგზავრებისას სულიწმიდის მიერ მიენიჭა ქართული ენის ცოდნა - "ნეტარმან იოვანეცა წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა მიერ წმიდისა" ("ცხორებაჲ შიოსი და ევაგრესი", 2005, გვ.109).

სულიწმიდის მიერ ქართული მეტყველების მინიჭება ასურელი მამებისათვის უდიდესი სასწაული იყო იმ დროის მორწმუნეებისათვის. მემატიანე წერს - "ესე სასწაული, ძმანო, მიმსზგავსებულ არს სიონს გარდამოსვლასა სულისა წმიდისასა წმიდათა ზედა მოციქულთა და განყოფასა ენათა ცეცხლისათა, ჭეშმარიტად საკვირველ არს ღმერთი შორის წმიდათა მისთა, რომელმან სულითა წმიდითა წამსა შინა აღატყუა სიტყვითა ზრახვად იოანე, რომელი არცა ოდეს ასმიოდა და არა თუ ესწავა" ... "მოეცა იოანეს ენაი ქართულად მეტყველი" (იქვე, გვ. 29).

მაშასადამე, ქართული ენის ცოდნა ზეგარდმო მიენიჭათ ასურელ მამებს, იქამდე კი, წმ. ნინოსა და სულიწმიდის მოფენისას - წმ. მოციქულებს. ესაა ღვთისმშობლის ენა, წმიდა ივერიის საეკლესიო ენა. გაუჭირდება ამ ენის მტრებს ღვთის ნების წინააღმდეგ სვლა.

“აღსდგება საქართველო”, “აღსდგება საქართველო” - ოქროს დაფებზე წაწერილი ეს სიტყვები ეჭირათ თურმე ქართველ წმიდანებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კრებაზე, ვაჟა ფშაველას “ჩვენებით”.

ჩვენც ვსასოობთ, რომ ღვთისმშობლის წილხვედრილი წმიდა ივერია, რომელიც განფენილი იყო შავი ზღვითგან კასპიის ბჭეებამდე, გაბრწყინდება, ხოლო მისი ერი წმიდა კვართის მსგავსად უკუნისამდე იქნება ერთიანი და მთლიანი, ამინ.

7.02.2006.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სახელმწიფო და საეკლესიო საზღვრები ფარნავაზიან და ბაგრატიონ მეფეთა მმართველობის ეპოქაში და მისი არასწორი ასახვა «Православная энциклопедия»-ს ტომეულებში

საქართველოს უწმიდესმა პატრიარქმა ახალგაზრდათა მიერ მეცნიერების უკეთ დაუფლების მიზნით შემოგვთავაზა “ღრმა აზროვნების” პროგრამა, რაც მოითხოვს ფაქტების უფრო ღრმა ანალიზს. ეს არის კურთხევა, რომელიც უნდა შესრულდეს. უნდა შეიქმნას “ღრმა აზროვნების” სასკოლო სახელმძღვანელოები. ამჟამად ათასობით მოსწავლე და სტუდენტი ეუფლება რელიგიის ისტორიას. “ღრმა აზროვნების” პროგრამის შესაბამისად ვავალებთ სტუდენტებს უფრო უკეთ გაეცნონ სამეცნიერო ლიტერატურას ჩვენი ერისა და ეკლესიის წარსულისა და ისტორიის შესახებ. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ XX საუკუნის თანამედროვე საერო-საისტორიო ლიტერატურის საბაზისო მონაცემების ნაწილი არ ეთანხმება იმას, რასაც ასწავლიან ძველი მატიანეები და წმ. ეკლესია. ამის შესახებ თავდაპირველად მიგვითითეს სტუდენტებმა და ასევე ლექტორებმაც. მათ მიერ მრავალგზის დაისვა კითხვა, რომელიც ძალზე გვაფიქრებს და შეიძლება ითქვას დილემის წინაშეც კი გვაყენებს. მხოლოდ ერთ ყველაზე მცირე მაგალითს მოვიტან მათ შორის. კერძოდ, წმ. ეკლესია და ძველი მატიანეები გვასწავლიან, რომ I საუკუნეში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს წილად ხვდა ივერია, ივერიელი ხალხი მისი საფარველის ქვეშ უნდა ზიარებულიყო ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ეკლესიის ძველ მემატიანეთა სწავლებით, რაც ასახულია საეკლესიო კრებების დადგენილებებშიც, I საუკუნეში, ანუ წმ. მოციქულთა დროს “ქართლი”, ანუ “ივერია” ეწოდებოდა შემდეგდროინდელ სრულიად საქართველოს, “ქართველნი” კი ერქვათ ამ ქვეყნის მკვიდრთ, მთელს მოსახლეობას, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. სტუდენტები საბჭოთა ეპოქის საისტორიო ლიტერატურის გაცნობის შემდეგ აწყდებიან შემდეგ წინააღმდეგობებს: აღმოჩნდა, რომ ახალი ე.წ. “საბჭოური ეპოქის” - საისტორიო ლიტერატურის მიხედვით “ქართლი”, ანუ “ივერია” X საუკუნემდე ეწოდებოდა თურმე მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, “ქართველნი” - კი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილს. ცხადია, ეს შეუსაბამობები, რომელნიც არსებობენ უძველეს და საბჭოური პერიოდის ისტორიოგრაფიებს შორის, დაბნეულობასა და გაურკვევლობას იწვევს. მოუგვარებელ პრობლემათა ჩიხიდან გამოსასვლელი გზა სწორედ საერო და საეკლესიო-საისტორიო მეცნიერებათა ურთიერთთანამშრომლობით უნდა დაიწყოს. მივიჩნევთ, რომ საჭიროა უფრო ჩავუღრმავდეთ ამ საკითხს. როგორც ითქვა ძველ ქართველ მემატიანეთა მტკიცებით ქართველი ერი, ვითარცა ეთნოპოლიტიკური მთლიანობა, უკვე არსებობდა ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში და

ამიტომაც მან შეძლო იმ დროს ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბება მეფეების - აზონისა და ფარნავაზის მიერ. ახალი საბჭოური ქართული ისტორიოგრაფია უარყოფს ამ თვალსაზრისს და მიიჩნევს, რომ ფარნავაზი იყო მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე, ხოლო ქვეყნის გაერთიანება, ანუ დასავლეთ საქართველოს შემოერთება ქართულ სახელმწიფოებრივ და კულტურულ სივრცეში დაიწყო გაცილებით გვიან IX-X საუკუნეებში, შესაბამისად ამავე საუკუნეების შემდეგ დაიწყო ქართველი ერის ჩამოყალიბებაც, რასაც ხელი შეუწყო ე.წ. "ქართიზაციის" პროცესმა. მაშასადამე, ჩვენ გვაქვს ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავებული ორი თვალსაზრისი ქართველი ერის და მისი ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბების დროის შესახებ. ამისგან გამომდინარეობს არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა დასკვნები.

აღმოჩნდა, რომ ე.წ. საბჭოთა საერო ისტორიოგრაფიის აღნიშნული მონაცემები ასახულია ისეთ აკადემიურ საეკლესიო, მაგრამ უცხოენოვან გამოცემებში, როგორიცაა «Православная энциклопедия». გარკვევით უნდა ითქვას, რომ ეს წიგნი წარმოადგენს მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების უდიდეს საეკლესიო-სამეცნიერო მიღწევას და ის ვრცელდება არა მხოლოდ რუსეთსა და ჩვენს მომმე სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებში, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროში, მთელს მსოფლიოში. სამწუხაროა, რომ «Православная энциклопедия»-ს სხვადასხვა ტომეულებში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები ძალზე დამახინჯებითაა მითითებული:

1. «Православная энциклопедия»-ს I ტომში, სტატიაში "ალბანეთის საკათალიკოსო" და თან დართულ შესაბამის რუკაზე აღნიშნულია, რომ წმ. ნინოს დროს, IV საუკუნის დასაწყისში აღმ. საქართველოს დიდი ნაწილი ალბანეთის შემადგენლობაში შედიოდა, რომ თითქოსდა ბოდბე, რუკაზე აღნიშნული გურჯაანი, იორ-ალაზნის ხეობები და სხვა ტერიტორიებიც დასახლებული იყო ალბანელებით, ხოლო ეს უკანასკნელნი კი თანამედროვე აზერბაიჯანელი ხალხის წინაპრებად მიაჩნიათ. ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ამ სტატიისა და რუკის პათოსს, რადგანაც ქართლის განმანათლებელი წმ. ნინო ქართლის ერთ-ერთ დაბაში დაიკრძალა, რომელსაც მაშინ ბოდი (ამჟამინდელი ბოდბე) ეწოდებოდა და ეს ქვეყანა შედიოდა მეფე მირიანის იბერიის, ანუ ქართლის სამეფოში და არა ალბანეთში, რომელსაც «Православная энциклопедия»-მ მიაკუთვნა ბოდბე. ჩვენდა სამწუხაროდ, სტატიისა და რუკის ავტორები მიუთითებენ ქართველ საბჭოთა ისტორიკოსთა შრომებს, რომელნიც "ქართიზაციის თეორიის" შესაბამისად ამტკიცებენ, რომ თითქოს ჰერები ალბანელები იყვნენ, რომელთა გაქართველება, ასიმილაცია და ქართიზაცია დაიწყო უძველეს ხანაში და საბოლოოდ მხოლოდ ვახტანგ გორგასლის დროს შემოუერთდა ჰერეთი (ანუ ე.წ. დასავლეთ ალბანეთი) ქართლს (საქ. ისტ. ნარკვ. ტ.II, 1973, გვ.402). ეს თვალსაზრისი ასახულია ჩვენს ქართულ ენციკლოპედიებსა და საქართველოს ისტორიის ნარკვევების ტომეულებში და სწორედ ეს გახლავთ საყრდენი აღნიშნული სტატიისა «Православная энциклопедия»-ში.

საქმე ისაა, რომ წმ. ნინოს ცხოვრებას, ვითარცა საისტორიო წყაროს ბოლო დრომდე ნაკლებად ეყრდნობოდნენ, რადგანაც მიაჩნდათ: ვაკეთებ ციტირებას: "ლეგენდა წმ. ნინოს შესახებ ჩამოყალიბდა გვიან VIII-IX საუკუნეებში". არცთუ დიდი ხნის წინ ასეთი იყო ამ წყაროს მიმართ ოფიციალური ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება. მაგრამ, რადგანაც უკვე შეიცვალა "წმ. ნინოს ცხოვრების" მიმართ ასეთი დამოკიდებულება, ალბათ უკვე შეიძლება და უნდა შეიცვალოს კიდეც იორ-ალაზნის ხეობებისა და მისი მოსახლეობის მიმართაც მცდარი შეხედულება, ვინაიდან ეს მხარეები და მისი მოსახლეობა "წმ. ნინოს ცხოვრების" და უკლებლივ ყველა ქართული წყაროს მიხედვით ცხადია ქართლის სახელმწიფოს ეკუთვნიან და ეთნიკური ქართველები არიან. "ქართიზაციის თეორია" არც ამ მიმართულებითაა სამართლიანი, რადგანაც მიიჩნევს, რომ ალაზნისა და ივრის ხეობათა მოსახლეობა თითქოსდა არაქართველები იყვნენ, რომელნიც შემდგომ გაქართველდნენ. მითუმეტეს რომ, აღნიშნულ რუკაზე, რომელიც "ალბანეთის საკათალიკოსოს" შეეხება, ივრის ხეობის უდიდესი ნაწილი, მისი მარჯვენა სანაპირო მდ.

მტკვრამდე, ისევე როგორც მთელი ქვემო ქართლი "სომხურ ოლქადაა" გამოცხადებული. ცხადია, ეს "ქართიზაცია"-"გაქართველების" იმპერიულ-საბჭოური თეორიის შედეგია, რომელიც ჰიპერკრიტიკულად მიუდგა უძველეს ქართულ მატიანეებს, მათ შორის ფარნავაზიან მეფეთა მატიანესაც, სადაც გარკვევითაა აღნიშნული, რომ ფარნავაზიან მეფეთა სახელმწიფოში აქ ისხდნენ ერისთავები ხუნანისა და სამშვილდისა.

ივრისა და ალაზნის ხეობების ისტორიულ ჰერეთად, ანუ ალბანეთად წარმოდგენა ამჟამად აფერხებს ქართველი ერის კონსოლიდაციის საქმეს. საქმე ისაა, რომ თანამედროვე აზერბაიჯანელმა ისტორიკოსებმა აზერბაიჯანელ ერში ჩანერგეს თვალსაზრისი, რომ ისტორიული ალბანელები არიან აზერბაიჯანელთა წინაპრები. მაშასადამე, შესაბამისად ძველ ალბანელთა კულტურული მემკვიდრეობა აზერბაიჯანელი ერის სულიერი საგანძურია. ამიტომაც აღნიშნულ რუკაზე ალბანეთის საკათალიკოსოში გურჯაანის, ბოდბისა და სხვა ქართული ძველი ქალაქების მოქცევა არაა შემთხვევითი. მათ აქვთ რაღაც სამომავლო პრეტენზიები. ასევე არაა შემთხვევითი, რომ ისტორიულ აღმოსავლეთ კახეთში, რომელსაც ჩვენ ამჟამად საინგილოს ვუწოდებთ, ძველი ქართულ საეკლესიო ნაგებობებზე ბოლო წლებში აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს მიერ გაკრული იქნა ბრინჯაოს დაფები, რომლებზეც აღნიშნულია, რომ თითქოსდა ეს ქართული ეკლესიები სინამდვილეში არის ძველი ალბანური, ანუ აზერბაიჯანული კულტურის ძეგლები, რადგანაც ჰერეთი ისტორიული ალბანეთის ნაწილად, ხოლო ჰერები კი ალბანელებად, ანუ აზერბაიჯანელთა წინაპრებად მიაჩნიათ. მათი ეს მტკიცება, როგორც ეს «Православная энциклопедия»-ს შესაბამისი სტატიის თანდართული ლიტერატურიდან ჩანს, ეფუძნება ქართველ საბჭოთა მეცნიერთა შორის პოპულარულ ქართიზაციის თეორიას, რომლის მიხედვითაც, როგორც აღვნიშნეთ, ჰერები თითქოსდა უძველეს ხანაში არაქართველები იყვნენ, რომელთა ქართიზაციაც, ანუ გაქართველება შემდგომ მოხდა. განსაკუთრებით სავალალოა, რომ ჩვენი მეცნიერების დაუფიქრებლობით ვკარგავთ არა მარტო კულტურის ძეგლებს, არამედ მოსახლეობასაც. საქმე ისაა, რომ აზერბაიჯანში მცხოვრებ ინგილოებს თბილისიდან უნერგავენ დაბეჯითებულ თვალსაზრისს, რომ ისინი ჰერები არიან, ხოლო აზერბაიჯანელები კი უნერგავენ თვალსაზრისს, რომ ჰერები იგივე ალბანელები არიან, თითქოსდა ინგილოები არიან ალბანელთა შთამომავლები, ისევე როგორც აზერბაიჯანელი ერის სხვა ეთნოჯგუფები. ეთნოცნობიერების ასეთი გამრუდებით, ალბათ რამდენიმე ათეულ წელში ჩვენ ინგილოებსაც დავკარგავთ. აღნიშნული საკითხების მიმართ სულ სხვა თვალსაზრისი აქვს საეკლესიო ისტორიოგრაფიას. მაგ. წმ. შუშანიკი იყო ჰერთა ანუ რანთა დედოფალი. ასეა ეს გადმოცემული შესაბამის ძველ ლოცვებში, ტროპრებსა და კონდაკებში. ერთიანი საქართველოს მეფეებს ჰქონდათ "ჰერთა ანუ რანთა მეფის" ტიტული. მაშასადამე, საეკლესიო ისტორიოგრაფიის მიხედვით ჰერეთი არ ეწოდებოდა ივრისა და ალაზნის ხეობებს, არამედ ერქვა მიწა-წყალს, რომელსაც შემდგომ ეწოდა რანი და შაქი. ეს მიწა-წყალი მდებარეობდა უფრო სამხრეთით და მოიცავდა თანამედროვე განჯის და შაქის რეგიონს. ძველ მატიანეებშიც იგივე თვალსაზრისია გამოთქმული. მაგ: წმ. მეფე არჩილი VIII საუკუნეში გადავიდა კახეთში, იმ მხარეში, რომელსაც ჩვენ ამჟამად საინგილოს ვუწოდებთ, ანუ ისტორიულ კახეთში, ააშენა ეკლესიები. მემატიანეც წერს: "ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად... და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე... და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა". ("ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ. 244). ამასთანავე ნეკრესის საეპისკოპოსო დაარსებისთანავე, ლეონტი მროველის ცნობით, კახეთში მდებარეობდა და არა ჰერეთში, მაშასადამე მის მიერ ნახსენები პუნქტი "გულგულა" მდებარეობდა არა თელავთან, არამედ გაცილებით სამხრეთით. მაშასადამე ძველი ქართველი მემატიანეების მიხედვით ივრის და ალაზნის ხეობებს ვიდრე კავკასიის ქედამდე, ანუ იმ მიწა-წყალს, რომელსაც ამჟამად კახეთი და საინგილო ეწოდება, ერქვა არა ჰერეთი არამედ - "კახეთი". ასეა ეს მეფე არჩილის ცხოვრების მიხედვით VIII საუკუნეში და ჩანს შემდგომი დროის მემატიანეების ჯუანშერისა და ლეონტი მროველის მიხედვით. ანუ ის ეკლესიები, რომელთაც აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა მიაწერეს, რომ

თითქოს ალბანური კულტურის ძეგლები არიან, სინამდვილეში ააშენა არჩილ მეფემ კახეთის მხარეში და არა ჰერეთში. ჰერეთი არც კია ნახსენები მის ცხოვრებაში. ჰერეთი იმჟამად, როგორც ვთქვით, იორ-ალაზნის შესართავის სამხრეთით მდებარე მხარეს ეწოდებოდა და არა თანამედროვე საინგილოს, მითუმეტეს ბოდბე-გურჯაანის რეგიონს. აღსანიშნავია, რომ საინგილოს ჩრდილოეთით დაღესტნის ტერიტორიას ქართულ მატიანეებში "კახეთის მთიულეთი" ერქვა და არა ჰერეთისა. საინგილოს "აღმოსავლეთ კახეთი" ეწოდებოდა ერეკლე II იმ მიმართვებში, რომელსაც ის რუსეთის მთავრობას უგზავნიდა. ასე რომ, ჩვენი XX საუკუნის ისტორიოგრაფია, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ საბჭოთა ისტორიოგრაფიას, არ ეთანადება საეკლესიოს, ანუ XIX საუკუნემდელს, რაც მრავალ დაბრკოლებას ქმნის.

2. «Православная энциклопедия»-ს 2000 წელს დაბეჭდილ I ტომში დამახინჯებულია ასევე საქართველოს ეკლესიის ჩრდ. საზღვარის საკითხიც, რომელიც, სამწუხაროდ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ჯერჯერობით არ ყოფილა ქართველ მეცნიერთა განსჯის საგანი. კერძოდ აქ, სტატიაში ოსეთის ანუ "ალანიის ეპარქიის" შესახებ და მასზე თანდართულ რუკაზე აღნიშნულია, რომ თითქოს დიდი ლიახვისა და თერგის სათავეები, ალანების (ე.ი. ოსების) საეკლესიო ქრისტიანული ძეგლების ისტორიულ არეალს წარმოადგენდა X საუკუნეში (წყაროდ მითითებულია ვ. კუზნეცოვის შრომები). რუკის მიხედვით თანამედროვე ყაზბეგისა და ახალგორის რაიონები თითქოსდა არ შედიოდნენ აღნიშნულ დროს ქართული ეკლესიის იურისდიქციაში და ექვემდებარებოდა ოსეთის, ანუ ალანიის სამიტროპოლიტოს, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იყო. ეს მოსაზრება, ცხადია, არასწორია. ჩვენ ვიცით, რომ ისტორიული დვალეთი, ანუ ნარ-მამისონის ქვაბული მუდამ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. საქართველოს ეკლესიის კალენდარში დღესაც კი მოიხსენიება ის დვალი, ანუ ქართველი წმინდანები (მაგ. წმ. ნიკოლოზი), რომელნიც დვალეთის მიწაზე ოსური ტომების დასახლებამდე (ე.ი. XV-XVI საუკუნეებამდე) ჩვენს ეკლესიაში მოღვაწეობდნენ, ისევე როგორც ცნობილნი არიან ქართული წმ. წერილის დვალი გადამწერები და სხვა საეკლესიო მოღვაწენი. ცხადია, დვალეთი არასოდეს შედიოდა ალანიის ეპარქიაში. მით უფრო გასაოცარია აღნიშნული სტატიის ავტორთა მტკიცება და უხვი ფოტოგრაფიული მასალა, რომლითაც ისინი ავითარებენ მცდარ აზრს, რომ თითქოს ინგუშეთის ცნობილი ტყობა-იერდას ეკლესია ოსეთის - ალანიის ეპარქიაში შედიოდა. რამდენადაც ცნობილია, ამ ტაძარზე არის ქართული წარწერები, რომელთაგან ერთ-ერთში მოხსენებულია საქართველოს პატრიარქის სახელი, რომელსაც ამ წარწერის მიხედვით "აღმოსავლეთის პატრიარქი" ეწოდება. მაშ როგორ შეიძლება ითქვას რომ ეს ტაძარი ეკუთვნოდა ალანიის ეპარქიას და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს?! აქაც ცხადია, ე.წ. "ქართიზაცია-გაქართველების" იმპერიულ-საბჭოური თეორია გამოდის წინა პლანზე. საქმე ისაა, რომ ამ თეორიის მიხედვით, რომელიც ასახულია ქართულ ენციკლოპედიებსა (ГСЭ. ГССР, 1981, ст.60) და საქართველოს ისტორიის ნარკვევებშიც, IX-X საუკუნეებში თითქოს "აღ. საქართველოს მთიანეთის ქართიზაცია" მიმდინარეობდა. ხდებოდა მათი ქართულ კულტურულ და საეკლესიო არეალში შემოყვანა, ანუ თითქოსდა იქამდე ადგილობრივი ტომები ქართულ კულტურულ სამყაროს არ ეკუთვნოდნენ. ეს "მთიელები" სინამდვილეში იყვნენ ფარნავაზიანთა ხანის ქართველი ერის დვრიტა. ნ. მარი და მისი გავლენით ზოგიერთი ქართველი და ასევე რუსი სამეცნიერო თუ საეკლესიო მოღვაწენი (მაგალითად რუსული ეკლესიის ახალმოწამე წმ. იოანე ვოსტორგოვი) ამ ქართველ მთიელებს, კერძოდ ხევსურებსა და ფშავლებს, ჩეჩნურ-ვაინახურ ტომებად მიიჩნევდა, რომელნიც თითქოს აღნიშნულ IX-X საუკუნეებში გაქართველდნენ ქართული ეკლესიის მეოხებით. ეს აზრი, ცხადია, იმპერიული გადმონაშთია, რომელიც დროულად უნდა აღმოიფხვრას თეორიული მუშაობით, წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი სტატიები მუდამ დაიბეჭდება.

3. ფარნავაზიან მეფეთა სახელმწიფოში საქართველოს სამხრეთი ოძრხის, წუნდის და კლარჯეთის საერისთავოების სახით შედიოდა, ხოლო ძვ. ბერძენი ავტორების ცნობით

ქართველური ტომები კაპადუკიიდან ვიდრე არაქსის, ჭოროხისა, ფასისისა და მტკვრის სათავეებამდე იყვნენ დასახლებულნი, ისევე როგორც ამ მდინარეთა ხეობებში. ამით იყო გამოწვეული, რომ ვახტანგ გორგასალმა ჭოროხის ხეობაში ტაო-კლარჯეთში პირველი ქართული მონასტრები და ციხე-სიმაგრეები დააარსა, კერძოდ ტაოში (იმიერ ტაოში), იმ ადგილთან ახლოს, სადაც შემდგომ იშხნის ცნობილი კათედრალი აშენდა, ვახტანგ გორგასალმა აღმართა "თუხარისის" ციხე-სიმაგრე, ხოლო კლარჯეთში არტანუჯთან ახლოს - მონასტრები და ეკლესიები (ქ.ც. I გვ.177).

VI საუკუნის შემდეგ, სპარსეთის აგრესიის შედეგად, შეირყა ფარნავაზიან მეფეთა ქართლის სამეფო, მან დაკარგა სამხრეთის ტერიტორიების ერთი ნაწილი, სადაც სპარსეთი მხარს უჭერდა იმჟამად ანტიბიზანტიური მიმართულების სომხური ეკლესიის იურისდიქციის განვრცობას. ასე მოექცა ქართველი ხალხით დასახლებული სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ. ასევე იყო არაბების ბატონობის I პერიოდში. ამ მიზეზთა გამო VII საუკუნეში იშხანში დაარსებულ იქნა სომხური საკათალიკოსოს ერთ-ერთი ცენტრი. პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორებისთანავე ტაო-კლარჯეთის ქართულმა მოსახლეობამ სასწრაფოდ გადაიგდო სომხური ეკლესიის ბატონობის მძიმე უღელი, რომელიც მათ არმენიზაციას უწყობდა ხელს და დაიბრუნა, აღიდგინა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა. უფრო მეტიც, ამ ეთნიკური ქართველების გულმხურვალე პატრიოტიზმი იქცა სიძლიერის ტახტად ბაგრატიონი მეფეებისა და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობისა IX-X საუკუნეთა შემდგომ. როგორც ცნობილია, ნიკო მარმა წამოაყენა ამ ქართული საეკლესიო სწავლების საპირისპიროდ თეორია, რომელიც მიიჩნევდა, რომ მთელი ეს მხარეები, ტაო-კლარჯეთი თითქოსდა ეთნიკური სომხებით იყვნენ დასახლებულნი. შემდეგ აქ თითქოს შეიჭრა ქართული ეკლესია და გააქართველა აქაური სომხობა. სამწუხაროდ, ნ. მარს გამოუჩნდნენ მომხრეები, უფრო მეტიც მისი თეორია გაბატონდა კიდეც ისტორიულ მეცნიერებაში. მიუხედავად სიმონ ჯანაშიას და პავლე ინგოროყვას ცნობილი შრომებისა, ნ. მარის ეს მოსაზრება ისტორიულ ჭეშმარიტებადაა გამოცხადებული «Православная энциклопедия»-ს I ტომში. რადგანაც ეს საკითხი განხილული იქნა ჩვენი პრესისა და ტელევიზიის მიერ მრავალჯერ, მას აღარ შევეხები, თუმცა კი უნდა ითქვას, რომ "საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" მაინცაა მხარდაჭერილი ნ. მარის ეს მოსაზრება, სადაც ნათქვამია, რომ თითქოს "ტაო-კლარჯეთის ფეოდალური სამთავროს შემადგენლობაში შევიდა ამ ტერიტორიის ქართული და სომხურ-ქალკედონიტური ეპარქიებიც" (საქ. ისტ. ნარკ. II, 1973, გვ. «Православная энциклопедия» 585). სწორედ ამ "სომხურ-ქალკედონიტურ" ეკლესიებადაა გამოცხადებული მის მიერ ოშკი, ბანა, ხახული, ოთხთა ეკლესია და ტაო-კლარჯეთის ყველა სხვა ეკლესია. სინამდვილეში ისინი იყვნენ არა სომეხ-ქალკედონიტთა ეკლესიები, არამედ ეთნიკური ქართველებისა, რომელნიც დროებით "სომხურ-ქალკედონიტური" საეკლესიო ცენტრის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ და ეს უღელი მათ გადაიგდეს (ისევე როგორც, მაგალითად, თბილისის სიონი არ იყო "რუს-ქალკედონიტთა" ეკლესია XIX საუკუნეში, არამედ იყო ეთნიკური ქართველების ეკლესია, რომელიც დროებით იყო რუსული ქალკედონიტური ეკლესიის იურისდიქციაში). ამიტომაც არაა სამართლიანი ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის მოსაზრება «Православная энциклопедия»-ს სტატიაში. ესაა, ცხადია, ურთულესი საკითხი, მაგრამ წმ. ეკლესიას ამის შესახებ აქვს თავისი საეკლესიო ავტორთა შესაბამისი გამოკვლევები, რომელთა გაცნობაც საჭიროა უცხოეთში მსგავსი სტატიების გაგზავნის წინ.

4. დასავლეთ საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ძალზე სადავო საკითხად იქცა XX საუკუნის სეპარატისტული რეჟიმების მოთხოვნითა და ხელშეწყობით. ისინი დას. საქართველოს ეკლესიას, მათ შორის აფხაზეთის საკათალიკოსოს, მიიჩნევდნენ ადგილობრივი მოსახლეობის იმ ავტოკეფალიურ საეკლესიო ერთეულად, რომელიც ისტორიულად კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა და რომლის "ქართიზაცია-გაქართველებაც" შემდეგ მოხდა ქართული ეკლესიის მიერ.

სამწუხაროდ, «Православная энциклопедия»-ს I ტომში ეს თვალსაზრისია გადმოცემული, სადაც ნათქვამია, რომ თითქოს VII საუკუნის შემდგომ არაბების ძალაუფლების გავრცელებამ "ხელი შეუწყო ქართლის მოსახლეობის მასობრივ მიგრაციას დას. საქართველოში, რამაც აქ გამოიწვია აღმოსავლურ-ქართული (ქართლის) ენის შეჭრა დას. საქართველოს კულტურასა და საეკლესიო სფეროში. ამიტომაც ეს ენა აქ გადაიქცა ღვთისმსახურებისა და აგიოგრაფიის ენად" (სტატია "აფხაზეთის საკათალიკოსო" «Православная энциклопедия», ტ. I, გვ. 68).

მაშასადამე, ძველი ქართული საღვთისმსახურო ენა ყოფილა არა ზოგადეროვნული კოინე, არამედ მხოლოდ აღმოსავლურ-ქართული და ის VIII-IX საუკუნეებში შეჭრილა დასავლეთ საქართველოში, როგორც ეს შეიძლება გავიგოთ აღნიშნული სტატიიდან.

საეკლესიო ისტორიოგრაფიისთვის მიუღებელია მსგავსი თვალსაზრისი. ჩვენი საეკლესიო მატიანეები, უფრო მეტიც, საეკლესიო კრებათა დადგენილებანი, მაგ. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა "ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა", ხოლო წმ. ნინომ მოაქცია "ყოველნი ქართველნი".

ჩვენ ვიცით, რომ ანდრია მოციქულმა ძირითადად დასავლეთ საქართველოში იქადაგა, მაგრამ დასავლეთ საქართველო ეკლესიის წმ. მამათა მითითებით არა VII-IX საუკუნეებიდან, არამედ ძველთაგანვე, ისტორიულად არის იგივე ქართლი, ქართლის ფარნავაზიანთა სამეფოს ერთი ნაწილი, ანუ საქართველო. ამიტომაც უწოდებს I საუკუნის დასავლეთ და აღმოსავლეთ ქართლს რუის-ურბნისის კრება "საქართველოს", მატიანეებიც, როგორც "მოქცევაჲ ქართლისაჲ", ისე "ქართლის ცხოვრება", დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ აქ ქართლის ფარნავაზიან მეფეებს დადგენილი ჰყავდათ ე.წ. "დასავლეთის", ანუ ეგრისისა და არგვეთის ერისთავები. რუის-ურბნისის კრების წმ. მამათა მტკიცებით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ისევე ეწოდებოდათ ქართველნი, როგორც აღმოსავლეთ საქართველოსას. ეს იყო ერთი ხალხი, ერთი ერი, რომელიც მოაქცია წმ. ნინომ. ამიტომაცაა აქ ნაბრძანები "მოაქცია ყოველნი ქართველნი", ე.ი. მათ შორის ეგრისის და არგვეთის მოსახლეობაც. IV საუკუნიდანვე ეს მხარეები ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იყვნენ შესაბამისი საღვთისმსახურო ენით. ეკლესიის სწავლებით დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ენობრივად მთლიანი იყო, ამიტომაც წერდა დავით აღმაშენებლის მოძღვარი არსენ ბერი მათ შესახებ "ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაჲ მათი ვუწყით" (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ.47).

წმ. ნინოს ცხოვრების შემცველ უძველეს ქართულ მატიანეში ("მოქცევაჲ ქართლისაჲ"), რომელსაც სინას მთაზეც კი კითხულობდნენ ქართველი ბერები VIII-X საუკუნეებში, არიან-ქართლიდან გამოსული მოსახლეობა ისევე დასახლდა ეგრისში, როგორც შიდა ქართლში, ამიტომაც გაივლო მეფეების აზონისა და ფარნავაზის ქართლის სახელმწიფოს საზღვარი მდინარე ეგრისწყალზე ("მოქცევაჲ ქართლისაჲ", ძეგლ. I, გვ. 81).

საერთოდ, დასავლელ და აღმოსავლელ ქართველთა აქტიური ურთიერთთანამშრომლობის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო ის საოცარი ძველი ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც მოიცავდა სრულიად საქართველოში არსებულ დიალექტებს და იქვემდებარებდა მათ. როგორც ცნობილია, საქართველოში საეკლესიო, ღვთისმსახურების, სალიტერატურო და კულტურის ენას წარმოადგენდა მხოლოდ ძველქართული ენა. საქართველოში არასოდეს შექმნილა რაიმე თხზულება ანდა უბრალო წარწერაც კი რომელიმე დიალექტზე, ანდა რომელიმე კუთხურ ენაზე. ასეთი ენები და დიალექტები კი ძველ დროს ალბათ მრავლად უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქართველოში არსებული ენები და დიალექტები იმ დროისათვის, 1500 წლის წინ საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების დროს ერთმანეთთან ძალზე ახლოს უნდა ყოფილიყვნენ და ერთმანეთისაგან ნაკლები განსხვავება უნდა ჰქონოდათ, ვიდრე მათ ახლა აქვთ. როგორც ცნობილია, ერთ დროს ქართული, მეგრული და სვანური ენები ერთ ენობრივ მთლიანობას ქმნიდნენ, მხოლოდ შემდგომ, ათასწლეულთა მანძილზე დაშორდნენ ისინი ერთმანეთს.

ფარნავაზის მიერ ერთიანი, დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი სახელმწიფოს წარმოშობის, მოციქულთა ქადაგებათა და ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების დროს, ჩანს, მთელ საქართველოში ჯერ კიდევ ესმოდათ ის ერთიანი ენა, რომელიც დასდებია კიდეც საფუძვლად ღვთისმსახურებას. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ ამ სალიტერატურო ენის შემუშავებაში მონაწილეობა მიუღია დასავლეთ საქართველოს ქართველობას, რომლის რეალურ წარმომადგენლადაც იოანე ლაზი უნდა ვიგულისხმოთ. მეცნიერი წერდა: "ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და სამწერლო ენაც ჰქონდა და აბადია დღესაც, რომელიც მეგრელებისა და სვანებისთვისაც ერთადერთი სამწერლო და კულტურის ენა იყო და არის დღესაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსა და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი" (ივ. ჯავახიშვილი, ტ. I, 1979, გვ. 154).

კიდევ უფრო მეტი, ჯერ კიდევ წარმართობის დროს, ე.ი. IV საუკუნემდე, ყველა ქართულ ტომთათვის, მათ შორის, სამეგრელოსა და სვანეთშიც კულტმსახურების ენა იყო ქართული. ივ. ჯავახიშვილი წერს: " ცხადია, ხდება, რომ არამცთუ საზოგადოდ ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვის საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ წარმართობის საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა" (იქვე, გვ. 154). რა იყო ამის მიზეზი? როგორც აღინიშნა, პროტოქართველური თანდათან დაიშალა, ჯერ მას, როგორც ფიქრობენ, გამოეყო სვანური ენა, ერთი ენის ადგილას მიღებული იქნა ორი ენა: ესენი იყო სვანური და ე.წ. ზანურ-ქართული ენა. ზან-ქართული შემდგომ დაიშალა ასევე ორ ენად - მეგრულ და ქართულ ენებად. ამ ერთობის დაშლის დასაწყისად მიიჩნევა ქრისტეშობამდე VIII საუკუნე (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 338).

თითქმის ამავე ხანაში, ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში ჩამოყალიბდა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი ფარნავაზის სახელმწიფო. ფარნავაზის რეფორმათა შედეგად ამ სახელმწიფოში სხვა ენები "არ იზრახებოდა, თვინიერ ქართულისა ენისა". იმდროინდელი ქართული ენა უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ თითქმის დაუშლელი ე.წ. "ზანურ-ქართული" ენა . ჩანს, ეს ენა დაედო საფუძვლად ძველ ქართულ წარმართულ კულტმსახურებას, შემდეგ კი ქართულ საქრისტიანო ღვთისმსახურებას, საბოლოოდ კი ძველ ქართულ სალიტერატურო ენას. ძველი ქართული სალიტერატურო ენა ამოზრდილი უნდა ყოფილიყო ე.წ. ზანურ-ქართული ენიდან. მაშასადამე, ძველი ქართული სალიტერატურო ენა აღმოცენდა არა ქართის დიალექტის ბაზიდან, არამედ იმ დროისათვის ჯერ კიდევ თითქმის მთლიან, თითქმის დაუშლელი ზანურ-ქართული ენიდან. ამის გამო იყო, რომ ძველი ქართული ენა არ განეკუთვნებოდა არც ერთ დიალექტს, არც ერთ რეგიონს, იგი წარმოადგენდა დიალექტებზე მაღლა მდგომ საერთო ენას, რომელიც პირველ საუკუნეებშივე გასაგები იყო ყველა ქართველისათვის, მათ შორის მეგრელებისა და სვანებისათვის. თავიდანვე იგი იყო საკრალური, წმინდა, ლოცვისა და ურთიერთობის ენა. იოანე ლაზი და სხვა დასავლელი ქართველი მოღვაწეები (შესაძლოა ევაგრე პონტოელიც) ქართული სამწერლო და კულტურის ენის შექმნა-შემუშავების სათავეებთან დგანან თანახმად ჩვენი კვლევისა (მიტრ. ანანია ჯაფარიძე, "იოანე ლაზი", თბ. 2002).

ასეთი დიდი სამუშაოს ცენტრები იყვნენ მონასტრები საქართველოსა და პალესტინაში. როგორც ითქვა ეგრისი, სვანეთი და არგვეთი (შემდეგდროინდელი იმერეთი) ფარნავაზ მეფის სამეფოში შედიოდა საერისთავოთა სახით: ფარნავაზმა "მისცა ქუჯის ქვეყანა - ეგრისწყალსა და რიონს შუა ... რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ. 25). "ფარნავაზ მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა" (იქვე, გვ. 24). იგულისხმება ეგრისსა, სვანეთსა და არგვეთში ძველი ქართული ენა, ანუ რაც იგივეა ე.წ. "ზანურ-ქართული ენა", ფარნავაზის დროიდანვე იყო გავრცელებული, ფარნავაზი ვერავითარი იძულებით შეძლებდა აქ ქართული ენის გავრცელებას ეს ენა რომ არ ყოფილიყო აქ მოსახლეობის მშობლიური, დედაენა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მემატიანის და საერთოდ ძველი ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით ამ ეპოქაში, ანუ ქრისტეშობამდე 400-300 წლით ადრე, ე.წ.

ქართებს და მეგრელ-ჭანებს შორის ენობრივი განსხვავება მხოლოდ დიალექტურ დონეზე არსებობდა, ანუ ფუძექართული ენა ჯერ სუსტად იყო დიფერენცირებული. იმხანად ე.წ. ქართებისა და ეგრისელების კილოები ჯერ კიდევ არ იყვნენ ენებად გადაქცეული და ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ, არსებობდა ზანურ-ქართული ენობრივი ერთობა - ჯერ კიდევ საერთო-სახალხო, საზოგადო ენა. იგი წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ყველა კუთხის ენას და მას უწოდებს მემატიანე ქართულ ენას.

ამავე თვალსაზრისს უფრო დაბეჯითებით ავითარებს XII საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი არსენ ბერი, რომელსაც ზემოთ შევეხეთ. ახლა კი განვაგრძოთ ჩვენი მემატიანეების მტკიცებათა ციტირება, რომ დასავლეთ საქართველო უწყვეტად შედიოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს - "ქართლის სამეფოს" შემადგენლობაში: დადგა მოციქულთა ეპოქა, ქრისტეშობის შემდეგ I საუკუნეა, მოციქულებმა, კერძოდ კი წმინდა ანდრია პირველწოდებულმა მოწაფეებითურთ იქადაგა კლარჯეთსა და დასავლეთ საქართველოში (ეგრისში), ამის შედეგად მკვიდრმა მოსახლეობამ მიატოვა ძველი რჯული. მემატიანე წერს: "ვითარცა ესმა მეფესა ადერკის მეგრელთაგან რჯულისა დატევება, განუწყრა და წარავლინა ერისთავნი მისნი და იძულებით კუალადვე მოაქცივნა მეგრელნი და დამალნეს ხატნი და ჯუარნი და შერისხა მეფე ადერკიმ ერისთავი კლარჯეთისა მშვიდობით განტევებისათვის მოციქულისა" (ქ.ც. I. გვ. 42). ცხადია, ქართლის მეფე უცხო ერისთავებს ვერ დასჯიდა, სამხრეთ და დასავლეთ საქართველო იჟამინდელი საქართველოს ძირითადი ნაწილები რომ არ ყოფილიყო.

I-II საუკუნეების იბერიის სამეფოს სიდიადეს აღწერენ იმჟამინდელი ბერძენი და ლათინი ისტორიკოსები - ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვანი. იბერია კავკასიის მასშტაბით უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა, ალბანეთი მისი გავლენის სფეროში შედის, სომხეთი ფაქტიურად იბერიის სახელმწიფოს ნაწილადაც კი იქცა - სომხეთის სამეფო ტახტზე მეფეებად იბერიელ უფლისწულებს სვამენ, ზოგჯერ სომხეთის ტახტზე თვით ქართლის მეფე ადიოდა. რომის იმპერატორები იბერიელი მეფეების გულის მოგებას ცდილობენ, ფარსმან II იმპერატორმა სტუმრად მიიწვია რომში, იმპერატორს კიდევ უფრო გაუფართოვებია მისი სამეფოს საზღვრები, შედიოდა თუ არა მის სამეფოში დასავლეთი საქართველო, ჩვენი მემატიანის თანახმად შედიოდა: ფარსმან II ძეს ამაზასპს განუდგნენ კლარჯეთისა და ეგრისის ერისთავები, სპეციალური ტერმინითაც კი მოიხსენიებდნენ მათ - "დასავლეთ ერისთავები". "განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი. ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრახისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდის" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ. 57), თუმცა მალე მეფეს ისინი შემოურიგებია.

ფარსმან II სამეფოში რომ შედიოდა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, ამის შესახებ ცნობილი ლათინი ისტორიკოსი არიანეც წერს, რომელიც 131 წელს მოგზაურობდა შავი ზღვის პირას. შესაბამისად, ქართული ენა-დასავლეთ საქართველოში ფარნავაზისა და მოციქულების დროიდანვე იყო გავრცელებული, წმინდა ნინოს დროსაც დასავლეთ საქართველო ქართლის სამეფოში შედიოდა - მეფე მირიანი მეფობდა - " ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ. 65), "აქვნდა ეგრისიცა, ვიდრე ეგრისწყლამდე" (იქვე, გვ. 70). ამიტომაც წერს კიდეც დაბეჯითებით რუის-ურბნისის კრება, რომ წმინდა ნინო არის არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის განმანათლებელი და წერს თავის ძეგლისწერაში, რომელიც ეკლესიისათვის სახელმძღვანელო ჭეშმარიტებას წარმოადგენდა: წმინდა ნინომ "სარწმუნოებისა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა" (დიდი სჯულის კანონი, 1975, გვ. 546); ასევე, რუის-ურბნისის კრების განსაზღვრებით, უფრო ადრე, ანდრია პირველწოდებულმა განანათლა არა მხოლოდ დასავლეთი საქართველო, არამედ ერთიანი ქვეყანა. "პირველწოდებული ანდრია, ძმაი თავისა მოციქულთაისა პეტრესი ვიდრე ჩვენამდე მოიწია და ქადაგა ქადაგებაი სახარებისაი ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა" (იქვე, გვ. 545); მაშასადამე, ანდრიამ "ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა" იქადაგა. როგორ? საქმე ისაა, რომ ამ საეკლესიო კრების თანახმად ქვეყანა

მთლიანი, ერთიანი იყო, ერთი ხალხით დასახლებული, ამიტომაც წმ. მოციქულის დასავლეთ საქართველოში ქადაგება - უკვე მთელ საქართველოში, მთელ ქვეყანაში ქადაგებას გულისხმობდა და ასევე, რადგანაც წმინდა ნინოს დროს ქვეყანა, ერი, ერთიანი იყო, წმინდა ნინოც "ყოველთა ქართველთა განმანათლებელია", სადაც არ უნდა ექადაგა მას, ამ ქვეყნის შიგნით. ამიტომაც წერს მემატიანე - რომ წმინდა ნინოს და წმინდა მირიანის ხელქვეშ (ხელსა ქუეშე მათსა) - "ნათელს იღებდა ყოველი ქართლი" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ. 115); ყოველი ქართლი ეს ეგრისი, არგვეთი, სვანეთი და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებია აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად. მირიანის მემკვიდრის ვარაზ ბაქარის დროსაც ეგრისი ყოველი ქართლის ნაწილია, მას შემდეგ რაც, მას ბერძნებმა კლარჯეთი წაართვეს "დარჩა ვარაზ ბაქარს თვინიერ კლარჯეთისა ჰერეთი და ეგრისი" (იქვე, გვ. 137); ვახტანგ გორგასლის სიყრმის დროს ბერძნებმა მიიტაცეს "ყოველი ქართლის" ნაწილი დასავლეთ საქართველოში მდინარე ეგრისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე - "გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთი, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთი ყოველი და დაიპყრეს ბერძენთა ეგრისწყლიდან ციხე-გოჯამდე, მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ქართველთა ზედა" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ. 146); იმ ჟამის დევიზი ყოფილა "ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ. 146) - ანუ საზღვარი ეგრისწყალზე. მემატიანისათვის ეგრისელები - ქართველები არიან და ისინი წუხან თავიანთი ქვეყნის ნაწილის დაპყრობას. შემდგომ ვახტანგ გორგასალი გაძლიერდა, ცოლად მოიყვანა ბერძენთა იმპერატორის ქალი, რომელსაც მამამ მზითვად გამოატანა ტერიტორია მდ. ეგრისწყლიდან მდ. კლისურამდე, ეს ტერიტორია შეემატა "ყოველი ქართლის" სამეფოს (იქვე, გვ. 177). შესაბამისად VI საუკუნეში დაჩი მეფის საზღვარი მდ. კლისურაზე გადიოდა (იქვე, გვ. 205). ქართლის სამეფოს საზღვარმა ეგრისწყლიდან კლისურაზე გადაინაცვლა. ჩვენი წყაროს თანახმად, ყოველი ქართლის ტერიტორიის დასაცავად VII საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორმა საგანგებო ბრძანება გაუგზავნა იმჟამად იმპერიის საზღვრებში შემავალ აფხაზეთის ერისთავს: "ყოვლადვე საზღვართა ქართლისათა ჩვენგან ქმნილ არს ვნება.... არამედ კეთილად პატივს ცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა და ამიერითგან ნურღაღა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ. 226). მაშასადამე, ბიზანტიის იმპერატორის ბრძანება აფხაზთა ერისთავის მიმართ ასეთია: პატივი ვცეთ და ნუღარ დავარღვევთ ქართლის სამეფოს საზღვრებს ეგრისში, მდინარე კლისურაზე.

იმჟამად აფხაზეთი ერქვა ტერიტორიას მდინარე კლისურიდან მდინარე ყუბანამდე ("მცირე ხაზარეთის" მდინარემდე) და იგი შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში, ხოლო დასავლეთ საქართველოს სხვა დანარჩენი უმეტესი ნაწილი - "ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია" შედიოდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. არაბებმა თბილისი წაართვეს ქართველ მეფეებს, ამიტომაც ქართლის მეფე-ერისმთავრებმა სტეფანოზმა, მირმა და არჩილმა VII საუკუნის ბოლოსა და VIII საუკუნეში გადაწყვიტეს ქართლის სამეფოს დასავლეთ ნაწილში - ქუთაისში გადმოეტანათ დედაქალაქი. ციხე-გოჯიც ერთ-ერთ სატახტოდ იყო მოაზრებული. ამის ნიშნად სტეფანოზის გარდაცვალების შემდეგ მეფე მირი უბრძანებს თავის ძმას, არჩილს, რომ მეფე სტეფანოზის ნეშტი დაკრძალოს ქუთაისში, "რათა იპოვოს იგი (ე.ი. ქ. ქუთაისი) საწამებელად სამკვიდროსა ჩვენისა" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ.241). ამავე მოსაზრებით ბრძანებს შემდგომ მეფე არჩილი "უწყიეს შენება ადგილთა ჩვენთა კლისურითგან აღმართ და დავეშენები ციხე-გოჯსა და ქუთაისს" (ქ.ც.I. გვ.242). შესაბამისად, ქართლის სამეფოს ახალ ცენტრებში, ციხე-გოჯსა და ქუთაისში დაასვენეს ქართველ მეფეთა სამეფო ნიშნები, მეფე ვახტანგ გორგასლისა და მეფე მირიანის სამეფო გვირგვინები (იქვე, გვ. 255). როგორც ცნობილი არის, არაბებმა მოსპეს ვახტანგ გორგასლის შთამომავალთა ძველი სამეფო დინასტია, აწამეს წმინდა მეფე არჩილი, ქართლის მეფე მირს კი ძე, ვაჟიშვილი არ ჰყავდა. ამიტომაც მან VIII საუკუნის დასაწყისში გადაწყვიტა თავისი ქალიშვილები მიეთხოვებინა ქართლის ერისთავებისათვის და მათთვის გადაეცა სამეფო უფლებები. მემატიანის მიხედვით სიძეებმა მიიღეს სამეფო მემკვიდრეობა და იწოდნენ მეფის

“მეებად და ძმებად”. ამ ქართლის ერისთავთა რიცხვს შეუერთდა აფხაზთა ერისთავი ლეონ I. ეს არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მომენტი. მემატიანის ცნობით ის ოფიციალურად განდგა ბიზანტიისაგან, ჩამოშორდა მას და თავისი საერისთავო შეუერთა ქართლის სამეფოს, იქამდე ბიზანტიის ერისთავი ლეონ I გადაიქცა ქართლის ერისთავად. მან შეირთო მირ მეფის ქალიშვილი გურანდუხტი, ამით ის იწოდა ქართლის მეფეთა ძედ და ძმად. გურანდუხტისაგან კი მიიღო იქამდე ქართლის მეფეთა სამემკვიდრეო მიწა-წყალი, “ეგრისი, სვანეთი, თაკვერი, არგვეთი და გურია”. ლეონსვე, ვითარცა ქართლის მეფეთა ლეგიტიმურ მემკვიდრეს, გურანდუხტის ქმარს, გადაეცა სიმამრის მიერ ქართლის მეფის სამეფო გვირგვინი. ასე ჩამოყალიბდა აფხაზთა სამეფო ვითარცა ქართლის სამეფოს ლეგიტიმიური სამემკვიდრეო დასავლეთ საქართველოში და შეიქმნა ახალი სახელმწიფოებრივი ერთეული, რომელიც წარმოადგენდა გაგრძელებას დასავლეთ საქართველოში ქართლის სამეფო მემკვიდრეობისა. ამიტომაც ცხადია, აქ ბუნებრივად სახელმწიფო ენა იყო ქართული ენა და ცხადია, ასევე კულტურისა და ღვთისმსახურების ენასაც ქართული ენა წარმოადგენდა. **ეთნიკურად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა იყო ერთი ხალხი, ერთი სახელმწიფო ერთი კულტურის ენით.**

როგორც ვხედავთ, ქართული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით დასავლეთ საქართველო მეფე ფარნავაზის დროიდან აფხაზთა სამეფოს წარმოქმნამდე ქართლის სამეფოს უცილობელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, იქ მცხოვრებ მოსახლეობას ბიზანტიის იმპერატორი ქართული წყაროების თანახმად “ქართლის ერს” უწოდებს (ქ.ც. I, გვ. 226), ხოლო ამ სამეფოს საზღვარს მდ. ეგრისწყალსა და კლისურაზე უწოდებს “ქართლის საზღვარს ეგრისში” (იქვე, გვ. 226). ქართლს უცხოელები იბერიას უწოდებდნენ, ამიტომაც უცხოურ წყაროთა მტკიცებით დასავლეთ საქართველოს “ქვემო იბერია” ეწოდებოდა ძველთაგანვე, აღმოსავლეთ საქართველოს კი - “ზემო იბერია”.

ეთნიკური თვალსაზრისით დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაც ერთი ეთნოსია, ერთი ხალხია. ჯერ კიდევ ჰეკატოს მილეტელმა, ქრისტეშობამდე 600 წლით ადრე, მიაქცია ამ მოვლენას ყურადღება, რომ მისი დროის კოლხები და არანაკლებ სახელოვანი “მოსხები” ერთი ეთნოსი, ერთი ტომი, მაშასადამე, ერთი ენის მატარებელი მოსახლეობა იყო - “მოსხებს” ძვ. წ VI საუკუნის ბერძენი ავტორი ჰეკატოს მილეტელი “კოლხურ ტომს” ეძახის” (ნარკვ. I. გვ. 395).

თუ კი ქრისტეშობამდე 600 წლით ადრე კოლხები და მოსხები ერთი ტომი, მაშასადამე, ერთი ენის მატარებელი ხალხი იყო, მით უმეტეს უფრო ადრე ძველი კოლხეთის სამეფოს ძლიერების დროს, კიმერიელების შემოსევამდე, ე.ი. ძვ. წ. XI-VIII საუკუნეებში კოლხური კულტურა ცხადია, ერთიანი ქართული კულტურა იყო და არა რომელიმე ცალკე ქართული ტომის კულტურა. გიორგი მელიქიშვილი ხაზგასმით მიუთითებდა ამის შესახებ თავის ნაშრომებში - “ამ დროს ქართებსა და მეგრელ-ჭანებს შორის ენობრივი განსხვავება თითქმის არ იყო, მხოლოდ სვანური რამდენადმე დაშორებული იყო საერთო ქართველურს, თუმცა “კოლხური კულტურა” და ძველი კოლხეთის სამეფო მათაც მოიცავდა (ნარკვ. I. გვ. 389). შესაბამისად ასკვნიდა კიდეც მეცნიერი - “ამიტომაც მოსხების “კოლხურ ტომად” მოხსენიება ჰეკატოს მილეტელთან, საერთოდ მათ ქართველობაზე მიუთითებს და მეგრულ ჭანურ წარმომავლობაზე არაფერს ლაპარაკობს” (იქვე, გვ. 395). კოლხური კულტურის მატარებელი ხალხის ენას გ. მელიქიშვილი ქართ-ზანურს უწოდებს, ანუ ესაა “ფუძე ენასთან” ახლოს მდგომი საერთო ქართული ენა, რომელიც საერთო ენა იყო როგორც მოსხებისათვის (ე.წ. ქართებისათვის), ასევე იმჟამინდელი ზანებისათვისაც. როგორც ჩანს, აკად. გ. მელიქიშვილის ამ მოსაზრებას არ იზიარებს ზოგიერთი ახალი ისტორიკოსი. მაგალითად, ახლახან გამოცემულ წიგნშია: “კოლხეთის სახელმწიფოს შემქმნელები იყვნენ დასავლურ ქართული კულტურის მატარებელი ზანური (მეგრულ-ჭანური) ტომები. რაც შეეხება იბერიას (ქართლს), იგი აღმოსავლურ ქართულმა ტომებმა იბერებმა (ქართებმა) შექმნეს ძვ. წ. VI-III საუკუნეების მიჯნაზე” (რ. თოფჩიშვილი, “ქართველთა ეთნიკური ისტორია”, 2002, გვ. 5).

ჩვენ, ცხადია, ვეთანხმებით ჰეკატოს მილეტელსა და სხვა ავტორების გამოწვლილვითი ანალიზის შედეგად მიღებულ გ. მელიქიშვილის დასკვნას, მით უფრო, რომ მთელი ძველი ქართული ისტორიოგრაფია ამასვე ამტკიცებს, რომ უძველესი დროიდან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთი ეთნოსი, ერთი ხალხი, ერთი ენის მქონე ეთნოსი იყო. მისი ენა არის სწორედ ის ენა, რომელსაც, როგორც ითქვა, ძველ საქართველოში "ქართულს" უწოდებდნენ. ჰეკატოს მილეტელიდან სულ ორი-სამი საუკუნით დაშორებული ამბების აღწერისას ჩვენი მემატიანეც ამავე თვალსაზრისს ავითარებს, რომ ქრისტეშობამდე 400-300 წლით ადრე პირველი ერთიანი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი ერთიანი ქართლის, ანუ საქართველოს სახელმწიფოს ერის ენა არის ქართული ენა და ამ ენის გარდა ამ სამეფოში სხვა ენები არ "იზრახებიან". ეს ენა ფარნავაზმა გამოაცხადა კიდეც სახელმწიფო ენად.

გელასი კესარიელი V საუკუნის დასაწყისში პირდაპირ მიუთითებდა, რომ წმ. ნინოს მიერ ქრისტიანობა მიიღეს "იბერებმა და ლაზებმა" (გეორგიკა, I, 1961, გვ.186). VI საუკუნეში პროკოფი კესარიელის ცნობიდან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს ქრისტიანები კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ (გეორგიკა, II, 1965, გვ. 88). იმჟამად კი კათალიკოსი მცხეთაში იჯდა. მცხეთელ კათალიკოსს კირიონს, სომხური წყაროების ცნობით, ჰქონდა ტიტული "არქიეპისკოპოსი ეგრისისა". ვახუშტი ბატონიშვილის ცნობითაც, იმ დროს დასავლეთ საქართველო მცხეთის იურისდიქციაში იყო მოქცეული. ასე რომ, როგორც ბერძნული, ისე სომხური და ქართული წყაროების ცნობით, წმ. ნინოს მიერ მოქცეული დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველო მცხეთის იურისდიქციაში იყო IV საუკუნიდანვე და ჩვენ არა გვაქვს რაიმე პირდაპირი ცნობა, რომ დასავლეთ საქართველო IV-VII საუკუნეებში კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა (იგულისხმება ქართლის სამეფოში შემავალი ტერიტორია მდ. კლისურამდე).

საეკლესიო იურისდიქციის თვალსაზრისით, XX საუკუნეში გამოითქვა მოსაზრება, რომელიც თანდათან დოგმად იქცა, თითქოსდა დასავლეთ საქართველო ე.წ. "ეკთესისების" მიხედვით IV-VIII საუკუნეებში შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში.

წიგნის - "გეორგიკა"(ტ. IV, ნაკვეთი II, 1952 წ., ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა) წინასიტყვაობაში აღნიშნულია: "1934 წ. გამოიცა საკავშირო მთავრობის კომპარტიის ცეკას დადგენილება - "სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ სსრკ სკოლებში", იმავე წლის აგვისტოში მივიღეთ ი. სტალინის, ს. კიროვის და ა. ჟდანოვის მითითებები იმის შესახებ თუ როგორ უნდა დაიწეროს "სსრკ ისტორიისა" და "ახალი ისტორიის" სახელმძღვანელოები" (გეორგიკა, IV, 2, გვ. VIII).

ამ დადგენილებების, განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დადგენილებების შესაბამისად მავნებლობად გამოცხადდა საქართველოს ერთიან ქვეყნად წარმოსახვა და ქართველი ერის "უძველეს ხანაში" ჩამოყალიბების თეორია. 30-40-იან წლებში და შემდგომ ტოტალიტალური მმართველობისას ისტორიული "ფაქტები" ისე უნდა მიეწოდებინათ მკითხველისათვის, რომ მათ ქართველი ერი - ახლად ჩამოყალიბებულად, ხოლო საქართველო არცთუ უძველეს ხანაში წარმოქმნილ ქვეყნად დაესახათ. ჩანს, ამის შესაბამისია წიგნის წინასიტყვაობაც (სხვა შემთხვევაში წიგნი არ გამოიცემოდა). აქ აღნიშნულია, თითქოსდა ბიზანტიური საეკლესიო კათედრების ნუსხების ე.წ. "ეკთესისების" მიხედვით დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის კათედრას ექვემდებარებოდა IX საუკუნემდე, „ხოლო ის გარემოება რომ X საუკუნის დასაწყისიდან „დასავლეთ საქართველოს ეპარქია" აღარ იხსენება ბიზანტიურ ეკთესისებში, მოწმობს მის ჩამოშორებას ბიზანტიისაგან და მცხეთის საკათალიკოსოსთან დაკავშირებას, რაც უთუოდ საგულისხმოა საქართველოს გაერთიანების იმ პროცესის შესასწავლად, რომელიც IX საუკუნიდან იწყება" (იქვე, გვ. VII).

სინამდვილეში "ეკთესისებში" ჩამოთვლილი როდოპოლისის, ზიგანასა და სხვა საეპისკოპოსოები განლაგებულნი იყვნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ იმ ქვეყანაში, რომელსაც ბერძნები "ლაზიკას" უწოდებდნენ, ანუ ტრაპიზონის ოლქში, ისტორიული გეოგრაფიის უდიდესი მცოდნის ნ. ადონცის მიხედვით.

ლაზიკის ეპარქიაში ჩანს თავდაპირველად იყო ორი სამიტროპოლიტო: ფასისისა და ტრაპეზუნტისა, შემდეგ ისინი გაერთიანდნენ.

I ნოტიციის მიხედვით "ეპარქია ლაზიკისა - ფასისის მიტროპოლიტი 1. როდოპოლისის ეპისკოპოსი, 2. აბისსენთა ეპისკოპოსი, 3. პეტრათა ეპისკოპოსი, 4. ზიგნევთა ეპისკოპოსი" (გეორგიკა, IV,2, გვ.130). ტრაპეზუნტი I ნოტიციის მიხედვით პოლემონის ნეოკესარიის ერთერთი საეპისკოპოსოა კერასუნტის, პოლემონიონისა და კომანის გვერდით. (იქვე, გვ.184). ყველა ამ ქალაქს ასახელებს იუსტინიანეც.

II ნოტიციით ტრაპეზუნტი უკვე სამიტროპოლიტო ქალაქია.

III ნოტიციით "ლაზიკაში, ტრაპეზუნტის მიტროპოლიტს ექვემდებარება 13 ეპისკოპოსი, მათ შორის ერთ-ერთი არის "ფასიანის ეპისკოპოსი" (იქვე, გვ.133).

IV ნოტიციაში ტრაპეზუნტის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. ის უკვე არის "მიტროპოლიტი ტრაპეზუნტისა, მთელი ლაზიკისა, მას ახლა კესარიის ადგილი უჭირავს" (იქვე,გვ.136). აქედან ჩანს, რომ ტრაპეზუნტის მიტროპოლიტი თუ კი იქამდე იყო ლაზიკის მხოლოდ ერთი ნაწილის იერარქი, ახლა ის არის "მიტროპოლიტი მთელი ლაზიკისა", ანუ მის იურისდიქციაში ახლა ლაზიკის მეორე ნაწილის, ანუ "ფასისის" სამიტროპოლიტოცაა, თუმცა კი ჩანს ისინი მაინც ცალკე სამიტროპოლიტოების სახით არსებობენ, ანდა ზოგჯერ მთლიანდებიან, ისე რომ "ფასისი-ტრაპეზუნტი" ერთ ქალაქად წარმოიდგინება კიდეც. ამიტომაც უძველეს საეკლესიო წყაროებზე დაყრდნობით პ. ვესელინგი XVIII საუკუნეში წერდა, რომ "ნიკეის II კრების (787 წ.) მახლობელ ხანებში ფასისი და ტრაპეზუნტი, როგორც ჩანს ერთ ეპისკოპოსს ექვემდებარებოდნენ" (გეორგიკა, ტ. IV, ნაწილი II, 1952წ. გვ. 200).

ს. ყაუხჩიშვილს სამართლიანად მიაჩნია, რომ "სრულიად გამორიცხულია, რომ ერთმანეთს ტერიტორიულად ასე დაშორებული ფოთი და ტრაპეზუნტი ერთ საეპისკოპოსო კათედრაში ყოფილიყვნენ" (იქვე, გვ. 200), მაგრამ, თვით ნოტიციები და ასევე მრავალი წყარო მიუთითებს, რომ ფასისი და ტრაპეზუნტი გარკვეული ხნიდან ნამდვილად იმართებოდნენ ერთი ეპისკოპოსის მიერ, თუმცა ს. ყაუხჩიშვილიც მართალია. "აქედან გამოსავალი არის ერთი - ფასისი არ ერქვა ფოთს", რადგანაც ფოთი ძალზეა დაშორებული ტრაპეზუნტიდან. ფასისი ჩანს ერქვა არა ფოთს, არამედ მდ. ჭოროხთან, ანუ ფასისთან (და არა რიონთან) მდებარე ქალაქს. შესაძლოა ეს ყოფილიყო ძველი აფსაროსი, ანდა ნუსხებში მოხსენიებული საეპისკოპოსო ცენტრი "ფასიანი". ქალაქი ფასისი მდებარეობდა ძველი წყაროების განმარტებით, მდინარე ფასისის (ანუ ჭოროხის) მარცხენა მხარეს. აქვე ამ არეალშივე უნდა ყოფილიყო ფასისის სამიტროპოლიტოში შემავალი საეპისკოპოსოები როდოპოლისისა, საისინისა და ზიგანასი და არა დასავლეთ საქართველოს სიღრმეებში, როგორც ეს მიაჩნია ს. ყაუხჩიშვილს. ს. ყაუხჩიშვილამდე გაცილებით ადრე ისტორიული გეოგრაფიის დიდად აღიარებული მცოდნე ადონცი წერდა კიდეც, რომ "არდასის ჩრდილოეთით მდებარეობს ზიგანა, იმავე სახელის ქედის ძირში, ტრაპეზუნტის მთავარ გზაზე. ზიგანა იყო ძველ დროს ძალზე მნიშვნელოვანი პუნქტი და იქ იყო რეზიდენცია იმ ხუთი ეპისკოპოსიდან ერთერთის რეზიდენციად, რომელნიც ლაზიკის ეპარქიაში შედიოდნენ. საეკლესიო თვალსაზრისით ჭანიკა ლაზიკას მიეკუთვნებოდა" (Н.Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПБ. 1908. стр. 65). ს. ყაუხჩიშვილმა დიდი გამოკვლევა ჩაატარა იმის დასამტკიცებლად, რომ გუდაყვა თითქოსდა იყო საეპისკოპოსო კათედრა, და ეს იყო ზიგანა. ეს მტკიცება ძალზე ხელოვნურია. ასევე ხელოვნურია საისინის გამოცხადება ცაიშის კათედრად, როდოპოლისისა კი - ვარდციხედ. საქმე ისაა, რომ ვარციხე ბაღდადთან არ იწოდებოდა ვარდციხედ. პირიქით, ეტიმოლოგიურად ვარციხე არ არის ამოვარდნილი ქართული ტოპონიმების წარმოების წესიდან. ვარციხე ნაწარმოები არის ისე, როგორც მაგალითად ვარძია, ვარიანი, ვარკეთილი. როგორც ვარძია არ იყო "ვარდძია", ანდა ვარიანი - "ვარდიანი", ვარკეთილი - "ვარდკეთილი", ასევე ვარციხე არ ყოფილა "ვარდციხე" ანუ როდოპოლისი.

ს. ყაუხჩიშვილის აღნიშნული ჰიპოთეზა შემდგომში საფუძვლად დაედო ისეთ მძიმე დასკვნებს, რომელთა მიხედვითაც თითქოსდა დასავლეთ საქართველო შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში და მისგან გათავისუფლდა IX-X საუკუნეებში, თუმცა კი ს. ყაუხჩიშვილი პატიოსნად აღნიშნავდა ამის შესახებ: "ჯერჯერობით არავითარი მტკიცე დასაყრდენი არა გვაქვს ამ გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაციისთვის" (გეორგიკა, ტ. IV, გვ.189).

ამ მხრივ ჩვენ უფრო უნდა ვენდოთ უძველეს ქართულ წყაროებს, რომელნიც მიიჩნევდნენ დასავლეთ საქართველოს ვიდრე მდინარეებამდე ეგრისწყლამდე და კლისურამდე მცხეთის იურისდიქციის ქვეშ მდებარე ტერიტორიად IV საუკუნიდანვე, ხოლო "ლაზიკაში ფასისის მიტროპოლიაში შემავალი როდოპოლისი, საისენთა, პეტრასა და ზიგანას საეპისკოპოსოები" განლაგებულნი უნდა ყოფილიყვნენ მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე ტრაპეზუნტის მიმართულებით.

განსაკუთრებით გასაოცარი და შეიძლება ითქვას, რომ მიუღებელია ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ ნოტიციათა ცხრილებში ბერძნულ ხელნაწერებში არსებული ცნობების თვითნებური შეცვლა. კერძოდ, VI და VIII ნოტიციების ხელნაწერებშია "ამისიის სებასტოპოლისის ავტოკეფალიური ეკლესია" აქ სიტყვა "ამისია" ს. ყაუხჩიშვილმა წაშალა და მის ნაცვლად დაწერა "აბასგია" თანაც ბერძნული შრიფტით და ისე მიაწოდა მკითხველს, რის შედეგადაც მან და მასთან ერთად მთელმა საზოგადოებამ დაასკვნა, რომ თითქოსდა "აბასგიის ავტოკეფალური ეკლესია" არსებობდა X საუკუნემდე, რაც საფიქრებელია, რომ არასწორია. დედნებში არ არის ასეთი მინიშნება, პირიქით, ნოტაციების სწორი წაკითხვა, ანუ წაკითხვა იმისა, რაც წერია, იძლევა საშუალებას, რომ გამართლდეს ძველი ქართული ისტორიოგრაფია, რომ VIII საუკუნეში, ბერძენთაგან აფხაზეთის საერისთავოს გათავისუფლებისა და მისთვის დასავლეთ საქართველოს მიწების გადაცემის შემდეგ მეფეების - არჩილისა და მირის დროს, მოხდა საეკლესიო გაერთიანება - აბაზგიის ეკლესიისა და დასავლეთ საქართველოს (იქამდე ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაში მყოფი) ეკლესიისა. იქამდე, როგორც ითქვა აბაზგიისა და ქართლის საზღვარი მდ. კლისურაზე გადიოდა.

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ სიტყა "ფასისის" განსაზღვრებას. მ. ბერძნიშვილი წერს, რომ ბერძნები "ფასისს" უწოდებდნენ მდინარეებს 1) ყუბანს, 2) არაქსს, 3) ჭოროხს, 4) რიონს, 5) ჯულფას (მ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფასისის ისტორიისათვის, 1969, გვ.88). ერთი სიტყვით, შავი ზღვის იმ სანაპიროს მდინარეებს, სადაც ქართულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა, რადგანაც ფუძექართული ენით პ. ინგოროყვას კვლევის თანახმად ფსა, ფშა აღნიშნავდა წყალს, უფრო ზუსტად კი მდინარის დელტას, მის შესართავს ზღვასთან, ანუ გაშლილ წყალს.

აღნიშნულ მდინარეთაგან "შეუდარებლად უფრო ხშირად იხსენიება ფასისის სახელით მდ. ჭოროხი... ამ ფასისის სათავედ სდებენ არმენიის მთებს ან მოსხიკეს მთებს. საგულისხმოა, რომ ჭოროხის გაიგივება ფასისთან უფრო მყარიცაა. ამ სახით იგი გვხვდება (თუ ქსენეფონტეს არ ჩავთვლით) ძვ. წელთაღრიცხვით III საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე, დაწყებული ერისტოსთენედან და დამთავრებული პროკოფი კესარიელით" (იქვე, გვ.91).

ჭოროხის ქვემოთ მდებარე პუნქტები "ზიგანა", "სებასტოპოლისი", "პიტია", "მოხორა" შეტანილია ბიზანტიურ სამხედრო დანაყოფთა იმ ნუსხაში, რომელთა ჯარი მცირე არმენიაში იდგა (ტრაპეზუნტის ოლქში). ტრაპეზუნტის ოლქში მდებარე მცირე არმენიის ბიზანტიური ჯარის განლაგება არის შემდეგი: "არმენიის დუქსი, არმენიის სარდლის ხელქვეით არიან პონტოში - პონტოს პირველი ლეგიონის პრეფექტი დგას ტრაპეზუნტში, რაზმი რიზესი, რაზმი თეოდოსესი... ჯარი მცირე არმენიაში ასევე დგას პუნქტებში: პიტია (პიტიუნტი), ვალენტა, ესპორტო, პარამბოლე, სებასტოპოლისი, ზიგანნე, მოხორა" (გეორგიკა, ტ. I, 1961, გვ. 175). ისინი განლაგებულნი იყვნენ ტრაპეზუნტი მხარის ოლქში, რომელსაც მცირე არმენია ერქვა.

აქ მოხსენებული “ზიგანნე”, რომელშიც იდგა ბიზანტიის ჯარი და იყო ეპისკოპოსის კათედრა, ნ. ადონცის მტკიცებით მდებარეობდა ტრაპეზუნტის გზაზე. აქვე იყო მის არეალში ლაზიკის სხვა ოთხი საეპისკოპოსო და არა რიონის ხეობაში და დასავლეთ საქართველოში. აქ ყოფილა ზიგანის მთა, უღელტეხილი, სოფელი. ეს სახელი დღემდე ეწოდება ამ სოფელს და მთას! ლაზეთის საეპისკოპოსო ცენტრი “ზიგანე”, ადონცის აზრით, სწორედ აქ, ტრაპიზონთან იყო (იქვე, გვ. 176)

“მოხორა” ასევე საეპისკოპოსო ცენტრი და ბიზანტიის კოჰორტის ბანაკი ყოფილა ზიგანის მარჯვნივ (იქვე, გვ. 177).

უსუპორტი - საეპისკოპოსო ცენტრი და ბიზანტიის ჯარის ბანაკიც აქვეა, ესაა “არრიანა”, შემდეგდროინდელი “სუსარმია”, ახლანდელი “სიურმენე” ნავსადგური ტრაპეზუნტის მარჯვნივ (იქვე, გვ. 177). ესაა საისინის კათედრა.

აქვე, ანუ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, იყო “პიტია” და “სებასტოპოლი”, რადგანაც აღნიშნული ბიზანტიური ჯარების განლაგების წესის შედგენის დროს აბაზგიის პიტიუნტსა და სებასტოპოლზე ბიზანტიას ხელი არ მიუწვდებოდა (იქვე, გვ.177). აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური მონაცემებით ფაქტი აბაზგიის პიტიუნტში ბიზანტიური რაზმის (“ალას”) დაბანაკებისა არ დასტურდება. (გ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინთის ნაქალაქარი, 1991. გვ. 59, 172)

ფასისი ტრაპეზუნტის ოლქში რომ მდებარეობდა, ამას უნდა მიუთითებდეს თემისტიოსის წერილიც - “ფასისის მახლობლად, სადაც არგომ თესალიიდან წამოსულმა დაისადგურა... იქ სადაც ცნობილია, თერმოდონტი, ამაზონთ საქმეები და თემისკირი... სიბრძნემ და სათნოებამ აქციეს მუზების ტაძრად იმ ერთი კაცისა, რომელიც დამკვიდრდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში” (გეორგიკა, I, 1961, გვ. 50). მაშასადამე, ქალაქ ფასისთან არის ადგილები - თემისკირი და თერმოდონტი. ისაა “კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში”. ფოთი არასოდეს ყოფილა არმენიელების ქვეყანაში შემავალი ქალაქი, ტრაპეზუნის ოლქში კი ნამდვილად იყო რეგიონი სახელწოდებით “მცირე არმენია”. სხვათა შორის ქ. ტრაპიზონთან იყო ცნობილი ადგილები - თერმოდონტი და თემისკირა და არა ფოთთან. თემისტიოსის წერილიდან ჩანს, რომ კოლხეთის ცნობილი რიტორიკული სკოლა მდებარეობდა ქართველი ერის უძველეს ქვეყანაში, ლაზიკაში, რომელსაც ძველი მთარგმნელები უწოდებდნენ “სოფელი მეგრელთა”. ეს იყო ტრაპიზონის ოლქი.

ასე რომ, კონსტანტინოპოლურ საეპისკოპოსოთა განლაგების ნუსხებში მოხსენიებული ფასისის, ზიგანას, საისინის თუ როდოპოლისის კათედრები არ იყვნენ რიონის ხეობაში და დასავლეთ საქართველოში, ამიტომაც სწორია ძველი ქართული ისტორიოგრაფია, როცა ის დასავლეთ საქართველოს ქვემო იბერიას უწოდებს.

დოსითეოსი და ქრისანთო ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები XVII საუკუნეში ბერძნული წყაროების შესწავლის შედეგად აცხადებდნენ, რომ იმ ეკლესიას, რომელსაც ქართველები “აფხაზეთის საკათალიკოსოს” უწოდებენ, ბერძნულ და ბიზანტიურ წყაროებში ეწოდება “ქვემო იბერიის ეკლესია”, “ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსო” ჯერ კიდევ ლევ ისავროსის დროიდან, VIII საუკუნიდან, ვინაიდან იბერიას აქვს ორი გეოგრაფიული მხარე - ერთს, ე.ი. აღმ. საქართველოს ეწოდება “ზემო იბერია”, ხოლო მეორეს, ე.ი. დას. საქართველოს - “ქვემო იბერია”. იბერიელ ხალხს გარკვეული დროიდან ორი საკათალიკოსო ჰქონდა და ერთი უზენაესი პატრიარქი (მიტროპოლიტი მაქსიმე, “ქართული ეკლესიის ავტოკეფალია”, ათენი, 1966, გვ. 48).

ამ თვალსაზრისში, როგორც ითქვა, ეჭვი შეიტანეს XX საუკუნის დასაწყისში ნ. მარის “ქართიზაციის” თეორიის შედეგად, რომლის მიხედვითაც ქართული ენა არის მხოლოდ შიდა ქართლის მოსახლეობის ენა, რომელმაც თავისი ენა და კულტურა IX-X საუკუნეებში მცხეთის საკათალიკოსოს დახმარებით განავრცო მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ ჰერეთში, ქვემო ქართლში, ტაო-კლარჯეთსა, აღმ. საქართველოს მთიანეთსა და დას. საქართველოში. ეს მოსაზრება იქცა ურყეველ დოგმად, რომელიც ასახულია ქართულ ენციკლოპედიებსა და საქართველოს ისტორიის ნარკვევებში. მაგ. “მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ნიადაგზე დაყრდნობით) შეიჭრა

ლიხთიმერეთში, წამოაყენა ფორმულა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასაფუძნებლად" (საქ. ისტ. ნარკვ. II, 1973, გვ.586). როცა ამ უმართებულო თვალსაზრისს ავითარებს ქართული საბჭოური სკოლა, რაღა საკვირველია, მასზე დაყრდნობით მომზადებული «Православная энциклопедия» -ს სტატიები?

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა დას. საქართველოში მასობრივად რომ გადასახლებულიყო IX-X საუკუნეებში, ეს უთუოდ ეცოდინებოდა X საუკუნის ქართული ეკლესიის ისტორიის სომეხ მკვლევარს უხტანესს, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების საკითხს. ის ეხება ქართველთა ეთნიკურ ვინაობას და სწორედ X საუკუნეში წერს, "ივერიელები ის ხალხია, რომელიც პონტოს ზღვის პირზე დაასახლა ნაბუქოდონოსორმა, სადაც ეს ხალხი განმრავლდა, და განივრცო სომხეთამდე" (უხტანესი, განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა, გვ. 67). ასეთია X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის აზრი. არც სომხურ და არც ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში ოდნავი მითითებაც კი არ არის იმისა, რომ აღმ. საქართველოს მოსახლეობა გადასახლდა დასავლეთ საქართველოში, როგორც ამის შესახებ წერს «Православная энциклопедия». სომეხ მემატიანეთა ცნობით, ადგილი ჰქონდა პირიქითა მოძრაობას, დასავლეთიდან აღმოსავლეთით. აქ უნდა ითქვას, რომ დას. საქართველოს მოსახლეობასაც I საუკუნეში იბერიულ ტომებად მიიჩნევდნენ. მაგ. სტრაბონის დროს, I საუკუნეში, ბერძენი ისტორიკოსებისა და მეცნიერების ერთი ნაწილი სვანურ ტომებს იბერიელებად მიიჩნევდა. ამიტომაც წერდა სტრაბონი, რომ "ზოგიერთები მათ იბერიელებს უწოდებენ" (სტრაბონი, XI, 2,19). ეს იბერიელებად წოდებული სვანები კი, სტრაბონისავე ცნობით, ბატონობდნენ ყველა მეზობელ ტომზე და ცხოვრობდნენ ვრცელ ტერიტორიაზე აფხაზეთის ბიჭვინთიდან (პიტიუნტიდან) სოხუმამდე (დიოსკურიამდე). ცხადია, სვანები უცხოელებისათვის იბერიელები იყვნენ თავიანთი ენითა და კულტურით. ქართულენოვანნი უნდა ყოფილიყვნენ სტრაბონისავე ჩვენებით შიდა კოლხეთში მცხოვრები მესხებიც. სტრაბონისავე სიტყვით, აქ "მოსხთა ქვეყანაში" იყო კოლხეთის უმთავრესი "ლევკოთეას" სალოცავი. სწორედ იბერიელებად სახელდებული სვანები, მესხები, ქვემო იბერები ანუ ლაზები იყვნენ ჯერ კიდევ არადიფერენცირებული ფუძე - ქართული ენის მატარებლები, რომელსაც დაეფუძნა ძვ. ქართული საეკლესიო ლიტურგიკული ენა, რომლის შექმნა შემუშავებაშიც ივ. ჯავახიშვილის სიტყვით მეგრელებსაც და სვანებსაც მიუღიათ მონაწილეობა. როგორც ჩვენი გამოკვლევებიდან ჩანს, პეტრე იბერის აღმზრდელი და მოძღვარი იოანე ლაზი იყო წმ. წერილის ქართველ მთარგმნელთა იმ პლიადის მეთაური, რომელმაც IV-V საუკუნეების მიჯნაზე ქართულ ენაზე უზადოდ გადმოიღო წმ. სახარება, ძვ. და ახ. აღთქმის წიგნები. (ა. ჯაფარიძე, ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის, 2002, გვ.20). ამით იყო გამოწვეული, რომ უძველესი ხანიდან, ვიდრე XIX-XX საუკუნეემდე, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის აფხაზეთსა, სვანეთსა და სამეგრელოში საეკლესიო და სალიტერატურო საჭიროებისათვის მხოლოდ ძვ. ქართული ენა გამოიყენებოდა. მიზეზი ამისა იყო არა ქართიზაცია აღნიშნული ტომებისა, არამედ ის, რომ ეს ენა არასდროს ყოფილა სატომო, ერთ-ერთი რომელიმე კუთხის ენა, არამედ ფუძექართული ენის განვითარებას წარმოადგენდა და საერთო - სახალხო ენა იყო ყველა ქართველური ტომისათვის.

ეკლესიის სწავლებით ქართულ ენას მფარველობდა თვით დედაღვთისმშობელი. ექვთიმე ათონელს ღვთისმშობლის გამოცხადებით მიეცა ქართული ენის ცოდნის ნიჭი. უფრო ადრე, IX საუკუნეში, ილარიონ ქართველის ეპოქაში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა თავისი გამოცხადებით დაიცვა უცხოეთში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა. კიდევ უფრო ადრე, ქართველთა საეკლესიო პატივისცემა ამ ენისადმი დამოწმებულია ისეთ უკვდავ ქმნილებაში, როგორიცაა "ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ".

ვმადლობთ უფალს, რომ დადგა ჟამი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა, აღარ არის ის საბჭოური-იმპერიული ათეისტური დაუძლეველი მიჯნა, რომელიც აშორებდა ერთმანეთს

მეცნიერებასა და სარწმუნოებას, მაგრამ ჩანს, ჯერ კიდევ დასაძლევია ჩვენს ცნობიერებაში შემორჩენილი მისი ნაშთები. მეცნიერების და სარწმუნოების ურთიერთდაახლოება XX საუკუნეში კარგად შეძლეს ფილოსოფოსებმა და ფიზიკოსებმა, იმედი გვაქვს, რომ ჩვენი დღევანდელი კონფერენციაც თავის სიტყვას იტყვის ამ მიმართულებით.

“საქართველოს რესპუბლიკა”, 2006, 1 - 8 მარტი, N42-48.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თეორია საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ და მისი კრიტიკა

თეოლოგიის დარგთაგან უძველესი ხანიდანვე საქართველოში გამორჩეულად შეისწავლებოდა საისტორიო ღვთისმეტყველება, თუმცა არც მისი ეგზეგეტიკური, სისტემატური და პრაქტიკული ნაწილები იყო უყურადღებოდ დატოვებული.

საისტორიო ღვთისმეტყველება, როგორც ცნობილია, სწავლობდა საეკლესიო და ბიბლიურ ისტორიას. მისი კერძო დისციპლინების - პატროლოგიის, სიმბოლიკის, საეკლესიო არქიტექტურის, ქრისტიანული ლიტერატურის, ხელოვნების, ღვთისმსახურებისა და დოგმატების ისტორიის ძირითად მაკავშირებელ სამეცნიერო ღერძს ეკლესიის იტორია წარმოადგენდა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ვითარცა საისტორიო საღვთისმეტყველო ნაწილის შესწავლის ძირითადი მიზანია შეცნობა ჭეშმარიტებისა, ვითარცა თავისუფლების (პიროვნული, ეროვნული, საეკლესიო და სხვა) საფუძვლისა.

მაცხოვარი ბრძანებს: “სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ” (იოანე, 8, 32).

წმინდა მამები კი აღნიშნავდნენ - ”თავისუფლება… თვისითა სისხლითა მოგვანიჭა ჩვენ უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან განმათავისუფლებელმან ყოველთა კაცთამან” (III მსოფლიო კრების მერვე კანონი, “დიდი სჯულის კანონი”, 1975, გვ.267).

ღვთის დიდი შიშითა და კრძალვით ჭეშმარიტებით ძიება სიმართლისა მიზანი იყო საქართველოს ისტორიის სასულიერო მწერლებისა, უძველესი საისტორიო წყაროების - ”მოქცევაჲ ქართლისაჲსა” და “ქართლის ცხოვრების” ავტორებისა და შემკრებლებისა.

ამის საპირისპიროდ, XX საუკუნეში, ათეისტურ-ბოლშევიკური რეპრესიების შემდეგ ისტორიულ მეცნიერებაში ჭეშმარიტების ძიება წახალისებული არ ყოფილა, უფრო მეტიც, მოითხოვებოდა წყაროების გაყალბება ან მათი ინტერპრეტირება ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი ჩაყენება მარქსისტული იდეოლოგიის სამსახურში.

ჭეშმარიტებით შექმნილი ჩვენი ხალხის ძველი ისტორია “რეაქციულ თეორიად” გამოცხადდა, დაიწყო მის წინააღმდეგ “გადამწყვეტი ბრძოლა” (“აუცილებელია დრომოჭმული რეაქციული თეორიების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა” - გაზეთი “პრავდა” 18. 2. 1949).

უფრო ადრე XX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს ძველ ისტორიოგრაფიას “ციხე-სიმაგრე” უწოდეს, რომელიც უთუოდ უნდა დაენგრიათ, სახელმწიფოს დიდმოხელე აცხადებდა - ”ჩვენ წინაშე დგას ციხე-სიმაგრე, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება და რომელიც ჯერ აუღებელია, მაგრამ არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოთ, საჭიროა ენერგიული მუშაობა და მტკიცე ბოლშევიკური ნებისყოფა ამ ციხე-სიმაგრის ასაღებად” (“ივ. ჯავახიშვილი ტირანიის წინააღმდეგ”, თბ. 2004, გვ.172).

XX საუკუნის 20-იან - 30-იან წლებშივე ჩაეყარა საფუძველი “ქართიზაციის თეორიას”.

ეს თეორია ბოლშევიკების ხელში გადაიქცა არა მხოლოდ ბერკეტად საქართველოს ძველი ისტორიის დასანგრევად, არამედ მის ჩასანაცვლებლადაც. ამჟამად "ქართიზაციის" თეორია ერთადერთ და უტყუარ სამეცნიერო მიმართულებადაა აღიარებული. ის აბსოლუტურადაა გაბატონებული XX საუკუნის და XXI საუკუნის დასაწყისის ქართულ ისტორიოგრაფიასა და, ასევე, ფილოლოგიაში.

მართალია, ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ადგილი ახალმა დაიჭირა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ამჟამინდელი რეალური ფაქტები აჩვენებს, მან ვერ შეძლო ქართველი ერის ინტერესების დაცვა და ისტორიული სიმართლის წარმოჩენა სეპარატისტების მიერ გაჩაღებულ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების დროს. ოკუპანტების მიერ აფხაზეთის დაჭერის წინ ე.წ. "იდეოლოგიურ ომში" ქართველთა დამარცხება უნდა აიხსნას ახალი ქართული ისტორიოგრაფიის სისუსტითაც, რომელიც იქამდე ათეული წლების მანძილზე აცხადებდა, რომ თავდაპირველად, უძველეს ხანაშივე, კოლხეთის სამეფოს ეპოქაშივე, მთელი დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი დასახლებული იყო აფხაზურ-ადიღეური ტომებით და შემდგომ დროს მათ ადგილზე ჩასახლდნენ ქართველური ტომები. არა მხოლოდ აფხაზეთში, სამაჩაბლოს კონფლიქტის დროს მხოლოდ ენთუზიასტი ისტორიკოსები იცავდნენ ეროვნულ ინტერესებს. სამწუხაროდ, ოფიციალურმა "ქართიზაციის" თეორიით ხელშეკრულმა ისტორიოგრაფიამ ვერ შეძლო სიმართლის წარმოჩენა. მართლაც, მას გაუჭირდა ქართველთა სამართლიანობის წარმოჩენა, რადგანაც იქამდე მეცნიერულად ამტკიცებდა "ქართიზაციის" თეორიის შესაბამისად, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა, მათ შორის, სამაჩაბლოში ისტორიულად მცხოვრები დვალები იყვნენ არა ქართველები, არამედ - არაქართველები, რომელთა "ქართიზაცია-გაქართველება" მოხდა გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე. თითქოსდა არამარტო დვალები და სხვა მთიულები - გაქართველებული "ქართიზებული" ხალხი ყოფილან ჰერ-კახები, ქვემო ქართლელები, ტაო-კლარჯელები, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, თანაც თურმე მათი ასიმილაციის პროცესში საქართველოს ეკლესიას დიდი წვლილი მიუძღოდა. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში სტატიაში "ქართველები" ასეთი ტერმინოლოგიით არის აღწერილი ეს პროცესი: "ქართის ტომმა" შეძლო აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები "არაქართულ და არაქართველურ" ტომებში შეღწევა - ინფილტრაცია და მათი ასიმილაციის შემდეგ IX-X საუკუნეებში ჩამოყალიბდა "აღმოსავლურ-ქართული ეროვნება" (ქსე, ტ.10, 1986 წ. სტატია "ქართველები" გვ.459). ამ სტატიის მიხედვით, ქართის ტომმა შეძლო "ჰერულ-ალბანური მოსახლეობის ქართიზაცია" (ქსე, 10, გვ.460). მაშასადამე, ოფიციალური თვალსაზრისით, ჰერები და ალბანელები ერთი ხალხია ანდა ჰერულ-ალბანური მოსახლეობა ერთი ეთნოსია, რომელიც შემდგომ ქართიზებული იქნა და შეემატა "აღმოსავლურ-ქართულ ეროვნებას". აქედანაც ჩანს, რომ ოფიციალური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით იყო დრო როდესაც ჰერები ქართველები არ იყვნენ. "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" მიხედვით კი, თავდაპირველად ისინი ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში იყვნენ. საინტერესოა, რომ მიუხედავად ამ ოფიციალური მოსაზრების არსებობისა, თბილისიდან ამჟამად დაბეჯითებით უნერგავენ საინგილოს მოსახლეობას თვალსაზრისს, რომ ისინი ჰერები არიან. თუმცა იქამდე ინგილოებმა თავიანთი ჰეროობის შესახებ არაფერი იცოდნენ და ისინი თავიანთ თავს აღმოსავლეთ კახეთის მოსახლეობად მიიჩნევდნენ. ამჟამად კი თვალსაზრისი, რომ ინგილოები ჰერები არიან, ძალზე გავრცელდა, ამის პარალელურად, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები და მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ჰერები და ალბანელები ერთი ხალხი იყო და, ამასთანავე, ალბანელები აზერბაიჯანელი ხალხის წინაპრები იყვნენ, შესაბამისად, ალბანური კულტურა აზერბაიჯანული კულტურის საკუთრებაა და შემდგომ ქართულმა ეკლესიამ ის მიისაკუთრა. მაშასადამე, ინგილოები თუ ჰერები არიან, ისინი ამის გამო აზერბაიჯანულ ტომად მოიაზრება.

ქართული ენციკლოპედიის მიხედვით, როგორც ვთქვით, IX-X საუკუნეებში ჩამოყალიბებულა აღმოსავლურ-ქართული ეროვნება და მისი სახელი ყოფილა - "ქართველები".

რა მდგომარეობაა დასავლეთ საქართველოში? დასავლეთ საქართველოში თურმე ჩამოყალიბებულა სხვა დასავლურ-ქართული ეროვნება და ასეთი პროცესები განვითარებულა: ჩვენი ენციკლოპედიის თანახმად, დაიწყო დასავლეთ საქართველოს "ქართიზაცია" ეკლესიის მეოხებით - „IX საუკუნიდან მთელ დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესია გაბატონდა", რის შედეგადაც ტერმინმა „ქართველი" კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა (ქსე, ტ. 10, გვ. 460).

მეორე ავტორის აზრით, და ესაა საყოველთაო ოფიციალური თვალსაზრისი - „ეთნიკური არაქართველი, რომელიც ქრისტიანობას მიიღებდა, ქართველად ითვლებოდა" (რ. თოფჩიშვილი, 2002, გვ. 15). ამ ავტორის აზრით, დასავლეთ საქართველოში იქამდე უკვე ჩამოყალიბებული იყო მაღალი კლასის საფეხურის კოლხური ანუ მეგრულ-ჭანური ეთნოსი და შემდგომ დაიწყო მისი "ქართიზაცია" (იქვე, გვ.5,7, გვ.83). როგორც ვთქვით, ეს პროცესი ქართული ეკლესიის მეოხებით ხორციელდებოდა, რომელიც იჭრებოდა სხვა უცხო ეკლესიის, ამ შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციის საზღვრებში და მათ მრევლს ითვისებდა. ცხადია, ესაა დადანაშაულება პროზელიტიზმში. იყო თუ არა ქართული ეკლესია პროზელიტური? პროზელიტიზმი დაგმობილია მოციქულთა დროიდანვე და პროზელიტიზმი, ანუ სხვისი სამწყსოს მისაკუთრება ეკლესიისთვის სათაკილო ქმედებად ითვლებოდა ჯერ კიდევ I მსოფლიო კრებიდან. ქართული ეკლესიისათვის ასეთი ეპითეტი სასიამოვნო არ არის. ამ სათაკილო ეპითეტით თანამედროვე ავტორებს, ჩანს, ერის წინაშე ჩვენი ეკლესიის მნიშვნელობის წარმოჩენა სურთ.

საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის ოც საუკუნეს ეძღვნებოდა, ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი დ. მუსხელიშვილი წარდგა მოხსენებით "ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში", სადაც ბრძანა: "ქართული ეკლესიის კულტურულ- იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის". (დ. მუსხელიშვილი, 2005, გვ. 33).

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სახელმწიფოსა და ეკლესიის არაკეთილისმსურველებმა, განსაკუთრებით კი სეპარატისტმა იდეოლოგებმა, იმთავითვე აიტაცეს ჩვენი ისტორიოგრაფიის "ქართიზაციის" თეორიის დასკვნები ჩვენი ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ თავიანთ სასარგებლოდ. ისინი ვრცელ სამეცნიერო ნაშრომებში (მათ შორის, ქვემოთ განვიხილავთ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიას" სტატიებს) ამტკიცებენ, რომ საქართველოს ესა თუ ის კუთხე ისტორიულად არაქართული რეგიონია და, შესაბამისად, ქართველებს ისტორიული უფლება არა აქვს ამ კუთხეებზე.

ჩვენ კი ვაცხადებთ: შეუძლებელია, საქართველოს წმინდა ეკლესია პროზელიტური ყოფილიყო, რატომ? ისტორიულად სიტყვა "პროზელიტი" ერქვა იუდაურ სარწმუნოებაზე მიქცეულ წარმართს, მაგრამ ამჟამად "პროზელიტური" ეკლესია ისეთს ეწოდება, რომელიც იჭრება სხვა ეკლესიის სამრევლოში მისი მისაკუთრების მიზნით. ასეთი ქმედება კი მსოფლიო საეკლესიო კანონებით მიუღებელი იყო და არის. მაგალითად, მოციქულთა 35-ე კანონი ბრძანებს: "ეპისკოპოსმა არ უნდა გაბედოს ხელდასხმა თავისი სამრევლოს გარეთ, ქალაქებსა და სოფლებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან მის ეკლესიას. ხოლო თუ იგი მხილებული იქნება… უნდა განიკვეთოს ისიც და მის მის მიერ ხელდასხმულებიც" ("დიდი სჯულის კანონი", საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ.166).

მოციქულთა ამ კანონს კიდევ უფრო ამტკიცებს 381 წელს კონსტანტინოპოლში მოწვეული II მსოფლიო კრების მე-2 კანონი: "ეკლესიათა კეთილად განგებისა და მშვიდობისათვის არცერთ ეპისკოპოსს არ აქვს უფლება, გასცდეს თავისი ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიების აღრევა. კანონის თანახმად, ალექსანდრიის ეპისკოპოსი უნდა განაგებდეს მხოლოდ ეგვიპტის ეკლესიებს... პონტოელი ეპისკოპოსნი უნდა მართავდნენ მხოლოდ პონტოს ეკლესიებს, ხოლო თრაკიის ეპისკოპოსნი - მხოლოდ თრაკიის

ეკლესიებს. ეპისკოპოსი არ უნდა გავიდეს თავისი სამთავროს ეკლესიის ფარგლებიდან ხელდასხმისათვის (“დიდი სჯულის კანონი”, კალენდარი, 1987, გვ.210).

III მსოფლიო კრების მამებმა კიდევ უფრო დაბეჯითებით დამოძღვრეს ეკლესიათა მეთაურები, არ დაემორჩილებინათ სხვისი სამწყსო: - ”ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ მიიტაცებს სხვა ეპარქიას, რომელიც თავიდანვე და ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა მას და არ იყო მის წინამორბედ საყდრისმპყრობელთა გამგებლობის ქვეშ, ხოლო თუ ვინმე მიიტაცებს სხვის ეპარქიას იძულებით, განთავისუფლებული უნდა იყოს იგი, რათა არ დაირღვეს მამათა კანონები”, (III მსოფლიო კრების მე-8 კანონი, დასახ. ნაშრ. გვ.212).

იმავეს წერს და აღნიშნავს სხვა საეკლესიო კანონებიც. თუ ქართული ეკლესია პროზელიტური იყო და მას ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს ერთი ნაწილის, სამხრეთ საქართველოს სამწყსოები, ქართულმა ეკლესიამ კი მიითვისა ისინი, ამით დაურღვევია მსოფლიო საეკლესიო კანონები, კერძოდ, მოციქულთა 35-ე, II მსოფლიო კრების მე-2, III მსოფლიო კრების მე-8, კართაგენის 74-ე და სხვა კანონები, და განა კანონდამრღვევი ეკლესია შეიძლება ყოფილიყო მართალი და მართლმადიდებლური, რომლითაც ამაყობდნენ საქართველოს ეკლესიის წმინდა მამები? რომლის შესახებ მიუთითებდა პროკოფი კესარიელი, “რომ ქართველები მართლმადიდებლობის წესებს ყველაზე უკეთ იცავდნენ”, სომეხი იერარქები წერდნენ, რომ ქართველები ამაყობენ თავიანთი სარწმუნოებრივი სიწმიდით და თავიანთი საეკლესიო უპირატესობით.

ქართული ეკლესია კი თურმე არღვევდა უმთავრეს საეკლესიო კანონებს და სხვის იურისდიქციაში იჭრებოდა: - ”დასავლეთ საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელთმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში “ქართიზაციის” პროცესს” (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტომი “საქ. სსრ”, 1981წ. გვ.61).

ქართული ეკლესიის “გაბატონებამდე” დასავლეთ საქართველოში, ჩვენი ისტორიკოსების მტკიცებით, თურმე არსებობდა ეგრისისა და აფხაზეთის ეკლესიები, რომლებიც იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ისინი შემდგომ გაერთიანებულან კონსტანტინოპოლის იურისდიქციაშივე, მაგრამ IX საუკუნეში მცხეთის საკათალიკოსოს “გაბატონების” შედეგად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაუკარგავს მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი ეს მნიშვნელოვანი სამიტროპოლიტოები და საეპისკოპოსოები. ოფიციალური ისტორიკოსი წერს: “ეს საეკლესიო გამოყოფა, როგორც ვთქვით, ერთბაშად არ მომხდარა. ჯერ ხორციელდება ეგრის-აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება, როგორც კონსტანტინოპოლის სამწყსოში შემავალი ეპარქიისა, რომელსაც სათავეში აფხაზთა კათალიკოსი ედგა (VIII საუკუნის ბოლო ან IX საუკუნის დასაწყისი); შემდეგ IX საუკუნის მანძილზე (საფიქრებელია, უფრო მის პირველ ნახევარშივე) დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყოფა კონსტანტინოპოლს და მცხეთის ტახტს უერთიანდება, ხოლო აფხაზთა კათალიკოსი სრულიად საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარება. კონსტანტინოპოლიდან გამოყოფის შემდეგ იწყება ბერძნული კათედრების მოშლა და მათ საპირისპიროდ ქართული საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება, ეს საეკლესიო რეფორმა, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, საბოლოოდ X საუკუნეში სრულდება (ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ.427). თუ როგორი რეაქციული იყო ქართული ეკლესიის ეს “პროზელიტიზმი” ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეჭრა - ამის შესახებ ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია წერს: “ქართველები აქედან სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო - სამონასტრო წესებს. ქართულ კულტურას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და იდეალი, ასე რომ “მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასასაფუძვლებლად - ”ქართლია” იქ, სადაც მღვდელთმსახურება

ქართულ ენაზეა (მხოლოდ "კვირიელეისონი" შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა "ქართლს" განეწესება. მაშ ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელთმსახურება ქართულ ენაზეა. ცხადია, მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ, ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით (თ. პაპუაშვილი, 1973, გვ. 586). ამ მოსაზრების საპირისპიროდ XX საუკუნის ბოლოს ქართულმა საეკლესიო ისტორიოგრაფიამ სულ სხვაგვარად ახსნა ის პროცესები, რომელნიც მიმდინარეობდნენ VIII-IX საუკუნეებში ჰერეთში, ტაო-კლარჯეთსა და დასავლეთ საქართველოში (იხ. ა. ჯაფარიძე, 1996-1999).

საბჭოთა კავშირის საზღვრების ჩაკეტილობის გამო ბერძნულ სამყაროში და, მათ შორის, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოშიც XX სუკუნის ბოლოსაც არ იცნობდნენ იქამდე სრულიად ახალ საბჭოთა საისტორიო თეორიას ქართული ეკლესიის პროზელიტიზმისა და "მისი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის შესახებ" (საბჭოური სიტყვებია). ცნობილი ბერძენი კანონისტის - მიტროპოლიტ მაქსიმეს წიგნი "საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია", არ ფლობს ცნობებს ამასთან დაკავშირებით. შეიძლება დაისვას კითხვა, რა პრობლემები შეექმნება საქართველოს ეკლესიას სამომავლოდ, თუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ანუ უცხოეთის რომელიმე ეკლესია ოფიციალურად აღიარებს აღნიშნულ თეორიას ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ იქამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფ დასავლეთ საქართველოში, ეს თეორია ხომ არ შეუქმნით მათ მყარ სამართლებრივ საფუძველს, რათა ცნონ და აღიარონ სეპარატისტული ეკლესიები აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში. მეორე მხრივ, ეს თეორია იძლევა კარგ საშუალებას და მასზე დაყრდნობით უკვე აქეზებენ ამ კუთხეთა სეპარატისტ მოაზროვნეებს, რათა დედა ეკლესიად აღიარონ არა საქართველოს წმინდა ეკლესია, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო.

მრავალგზის აღინიშნა, რომ უცხოეთში ეს თეორია ყველაზე უფრო მეტად გაიტანა და გაავრცელა "პრავოსლავნაია ენციკლოპედიამ". არასოდეს არცერთ საუკუნეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არ გამოუთქვამს არავითარი თვალსაზრისი ანდა შენიშვნაც კი დასავლეთ საქართველოს მის ეპარქიებში ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ. ეს რომ ასე ყოფილიყო, ქართულ-ბერძნული ათასწლოვანი საეკლესიო ურთიერთობის დროს ამის შესახებ ერთხელ მაინც გამოითქმოდა თუნდაც მცირე შენიშვნა. საქმე ის არის, რომ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ფაზისის სამიტროპოლიტო და მისი ოთხი საეპისკოპოსო, რომელიც თითქოსდა ქართული ეკლესიის მიერ იყვნენ გაუქმებულნი, სინამდვილეში მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველი ერის უძველეს ქვეყანაში, რომელსაც ტრაპეზონის ოლქი ეწოდა, იქამდე კი მას ერქვა "ქალდეა", "სოფელი მეგრელთა". იქ ტრაპეზონის ოლქში მდებარე ჭოროხის ანუ ფასისის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდნენ ფასისის სამიტროპოლიტო და მისი საეპისკოპოსოები - როდოპოლისისა, საისინისა, პეტრონისა და ზიგანასი, როგორც ეს კარგად არის გარკვეული ნ. ადონცის მიერ. ეს სამიტროპოლიტო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ხოლო მის ჩრდილოეთით მოქცეული მიწა-წყალი ჭოროხიდან ვიდრე მდინარე ეგრისწყალამდე (ვახტანგ გორგასლის შემდგომ მდინარე კლისურამდე) - წმინდა ნინოს დროიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ასე რომ, ჩვენი ძველი საეკლესიო მატიანეების ცნობებით, დასავლეთ საქართველოში იმთავითვე ძველთაგანვე საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა. სხვა საეკლესიო წყაროებთან ერთად ამის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდა "რუის-ურბნისის" საკანონმდებლო კრების ძეგლისწერა - "ანდრია პირველწოდებულმა სახარება იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა" ("დიდი სჯულის კანონი", 1975, გვ. 545), ხოლო წმინდა ნინომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია "ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა" (იქვე, გვ.546).

ამ კრების წმინდა მამების თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველო მუდამ ისტორიული საქართველო იყო, რომლის მოსახლეობა, აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად მოაქცია წმინდა ნინომ. მაშასადამე, დასავლეთ საქართველოში საეკლესიო იურისდიქცია იმთავითვე მცხეთის ხელში იყო და არა კონსტანტინოპოლისა. დასავლეთ საქართველო ეკლესიურად როდესმე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში რომ ყოფილიყო, ამის შესახებ უთუოდ შემორჩებოდა პირდაპირი ან ირიბი ცნობები თვით ბერძნულ წყაროებშივე, ან რაიმე საყვედურნარევი მინიშნება მაინც ბერძენი იერარქებისა, ასეთი კი არ არსებობს. მაგალითად, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი ძალზე თბილ და მეგობრულ წერილებს წერდა აფხაზთა მეფეს - გიორგი II - X საუკუნის შუა წლებში, როცა საბჭოთა ისტორიკოსების აზრით, მის სამეფოში "ბრძოლა იყო გაჩაღებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ", ასე რომ ყოფილიყო, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი როგორმე მოახერხებდა პროტესტის განცხადებას აფხაზთა მეფის - გიორგი მეორისადმი (922-957), (იხ., მისი წერილები გიორგი II-ისადმი გეორგიკა, IV, ნარკვ. II); ერთი სიტყვით, წყაროები არ ადასტურებენ საბჭოურ თვალსაზრისს.

აღმოსავლეთში, ბატონ დავით მუსხელიშვილის თვალსაზრისით, თვით წმინდა ნინოს "საქმიანობა" თითქოსდა მიმართული იყო იქითკენ, რომ ჰერეთში მცხოვრები არაქართული მოსახლეობა (ალბანელები) გაექართველებინა. ჩემი აზრით, ასეთი წარმოდგენა წმინდა ნინოსი ძალზე უცნაურია. დ. მუსხელიშვილი წერს: ბოდბე სუჯეთისა და კამბეჩოვანის საზღვარზე მეფე მირიანის დროს ახლადშემოერთებული ქვეყანა იყო, აქ "ალბანელებიც (ჰერები) ცხოვრობდნენ... მათი საბოლოო ასიმილაცია დროის ამბავი იყო" (დ. მუსხელიშვილი, 2003, გვ.38). "ჩანს, მირიან მეფის და წმინდა ნინოს ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული ჰერეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელებისაკენ... რომელიც წინააღმდეგობას აწყდებოდა, არა მხოლოდ ალვანელთაგან, არამედ სომხებისგანაც" (იქვე, გვ.38). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წმინდა ნინო "აქართველებდა" არა მარტო ჰერ-ალვანელებს, არამედ, სომხებსაც; ჩვენი მეცნიერების ამ მოსაზრების საპირისპიროდ, მოვსეს ხორენაცს მთელი მოსახლეობა "კლარჯეთიდან მასქუთებამდე" (ანუ კასპიის ზღვისპირეთში მცხოვრებ ტომ მასქუთებამდე) - ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია (სადაც იქადაგა წმინდა ნინომ) და არა სომხებად, ანდა ალბანელებად (ჰერებად), როგორც წარმოადგინა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. სომხური საისტორიო მწერლობის მამა, სომეხთა ჰეროდოტედ წოდებული მოვსეს ხორენაცი წერს: "სანატრელი ნუნე წავიდა იქედან (ე.ი. მცხეთიდან), რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა (!) ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა. გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე. მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ" (მ. ხორენაცი, 1984, გვ. 172).

წმინდა ნინოს სომხები, ანდა თუნდაც ალბანელები (იგივე ჰერები, დ. მუსხელიშვილის აზრით) რომ გაექართველებინა, როგორმე ხორენაცი მიუთითებდა ამის შესახებ, მაგრამ ის სულ სხვა რაიმეს გვაუწყებს, კერძოდ, საზღვრავს ქართველების ეთნიკურ განსახლებას - ესაა კლარჯეთი, ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე (ე.ი. დარიალამდე), ვიდრე მასქუთთა საზღვრამდე - ამ საზღვრებში ქართველები სახლობენ, მათ უქადაგა წმინდა ნინომ; ასე რომ, დარიალის კარამდე მცხოვრები დვალები გაქართველებული ვაინახები არ იყვნენ, როგორც წარმოუდგენია საბჭოური ეპოქის ისტორიოგრაფიას, არამედ - ქართველები, ასევე მასქუთების ქვეყნამდე, ანუ აღნიშნულ მტკვარ-არაქსის შესართავამდე მცხოვრები ჰერები მ. ხორენაცს ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია და არა ალბანელებად. დ. მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ წმინდა ნინოს "პროზელიტიზმის სიმბოლო" აღუმართავს ახლად შემოერთებულ ალბანურ ქალაქ ბოდისში (ე.ი. სადღაც უჯარმა-ბოდბეში) და წერს - "მგონია ასე უნდა გავიგოთ წმინდა ნინოს გადაწყვეტილება, რომ ჯვარი - ქრისტიანული პროზელიტიზმის სიმბოლო - დროებით

“აღიმართოს იგი უჯარმას ქალაქსა და დაბა ბოდისი არა წინ აღუდგეს ქალაქსა მას მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ” (დ. მუსხელიშვილი, 2003, გვ. 39).

ასე იქცა დავით მუსხელიშვილის სიტყვით, “ორი ფაქტობრივად ეთნიკურად ერთმანეთისგან განსხვავებული ქვეყანა ერთ კულტურულ ერთეულად” (იქვე, გვ.41). აქედან ჩანს, რომ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსების აზრით, წმინდა ნინო ქართლის გარდა, ალბანეთშიც მოღვაწეობდა და მან ალბანეთის ქვეყნის ერთი ნაწილი ქართულ ეკლესიას შემოუერთა. ბოდბის მიჩნევა არა ქართლის, არამედ ალბანეთის ქალაქად, ქართულ წყაროებს ეწინააღმდეგება; წმინდა ნინო, ქართველთა განმანათლებელია და არა ალბანელებისა. ჯვარი არ არის პროზელიტიზმის სიმბოლო, ქართულ ეკლესიას ჯვარი პროზელიტური მიზნით არასოდეს გამოუყენებია, მით უმეტეს, არაქართული ტომების “ასიმილაცია-გაქართველების” მიზნით; ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოა, იგი არ ეყრდნობა წყაროებს.

“ქართიზაციის თეორიის” გაცნობის შემდეგ უცხოელთ ექმნებათ შთაბეჭდილება ქართველთა “იმპერიალიზმის” შესახებ, რომ, თითქოს, მათ პატარა “ერები” ჰყავთ დაპყრობილი; ამგვარ შთაბეჭდილებას მხარს უმაგრებს ენათმეცნიერთა ნაწილის თეორიაც ქართველთა ე.წ. სამი/ოთხი ენის შესახებ, რომელთაგან ერთის - ქართულის - ”აღზევებით” იჩაგრება სხვა ქართველური “ენები”; ეს ყოველივე კი მავანთათვის საფუძველს ქმნის არაქართველებად გამოაცხადონ ქართველთა ერთი ნაწილი, შესაბამისად, არაქართულად მიიჩნიონ მათი მეტყველება (მსჯელობისა და ლიტერატურის მიმოხილვისთვის იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ.42 - 77); მაგ., ნ. ქუთელია ამასთან დაკავშირებით წერს: “ინტერნეტის ვებსაიტებზე მუსირებს თემა - მეგრელები და სვანები პატარა ერები ყოფილან და ქართველ “ოკუპანტებს დაუპყრიათ” და ახლა მათ ენებს განვითარების საშუალებას არ აძლევენ. არსებობს “დოქტრინა” - არ არსებობს ქართველი ერი, არსებობს ცალკეულ ტომთა კონგლომერატი” (ნ. ქუთელია, 2005, გვ. 273).

არათუ უცხოელები, თვით ქართველები ე.წ. ქართიზაციის “თეორიის” გაცნობის შემდეგ ივიწყებენ ნაციონალურ ინტერესებს და კუთხურობის აპოლოგეტები ხდებიან, ამის ერთი კარგი მაგალითია ა. ლიპარტელიანი, რომელმაც 1994 წელს გამოსცა წიგნი “სვანურ-ქართული ლექსიკონი, ჩოლორული კილო”. ა. ლიპარტელიანი თავისი წიგნის შესავალში წერს: “აღმოსავლეთ საქართველოში იბერების მოქმედებით განადგურდა სვანური მოსახლეობა” (ა. ლიპარტელიანი, 1994, გვ. X). შდრ., სხვა მსგავსი ციტატები მისი წიგნიდან: “მირიანმა სასტიკად დასაჯა ეს ჰენიოხი ჰერი - წანარი - სვანები, ვინც ჟლეტას გადაურჩა, აყარა და დაასახლა ახლანდელ ტერიტორიაზე, რბევას გადარჩა ალბანეთის მოსაზღვრე ტერიტორია” (იქვე, გვ. XI). აი, ამონარიდები მისი წიგნიდან:

“ჰერების კულტურულ-ეთნიკური შერწყმა ქართულ ტომებთან, ჰერების ასიმილირება დაიწყო ძვ.წ. II-I საუკუნეების მიჯნაზე” (საქ. ისტ. ნარკ. ტ. II, გვ. 402).

“აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მის იბერიზაციამდე სვანური მოსახლეობა იყო” (ა. ლიპარტელიანი, ლექსიკონი, გვ. XIII). “ქართველ გლეხთა პოლიტიკური მომძლავრების შემდეგ მოხდა სვანური ეთნიკური შტოს განადგურება. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ეს მომხდარა არა ერთბაშად, მაგრამ ძალდატანებით. ამას ამტკიცებს ვახტანგ ბატონიშვილის ცნობა მირიან მეფის მიერ სვანების აყრის შესახებ და ბაგრატ მეფის მიერ მონღოლთა ჯარის მოშველიება და სვანების გაწყვეტა. ამასვე ამტკიცებს ბ. ეგნატაშვილი “მეფე ბაგრატ მიმართა ლანგ-თემურს: მომეც სიმრავლენი სპათა თქვენთანი, წარვალ თემთა და სამეფოთა ჩემთა, მოვხადო კაცთა მთიულთა, ოსთა, დვალთა, სვანთა, აფხაზთა და ყოველთა მუნ მყოფთა და მე დავარწმუნებ რჯულსა თქვენსა” (იქვე, გვ. XVII).

ა. ლიპარტელიანს არ ესმის სიტყვა “მოვხადოს” მნიშვნელობა. მეფე ბაგრატი ამბობს “მოვხადო” ე.ი. “მოვიხმობ მთიელებს ჩემთან და მათ ვუქადაგებ მაჰმადიანობას”, ა. ლიპარტელიანს კი ჰგონია, თითქოსდა მათ დახოცვას აპირებს მეფე მონღოლთა დახმარებით და

ასკვნის: “ბაგრატ IV მოიხმო მონღოლები და გაჟლიტა სვანები”(იქვე, გვ. XVIII), თუმცა კი მონღოლები არა ბაგრატ IV, არამედ ბაგრატ V დროს იყვნენ საქართველოში.

ა. ლიპარტელიანი თავის წიგნშივე უთითებს მისი აზრების წყაროს - ესაა ნიკო მარი და იმოწმებს ნ. მარის სიტყვებს: “თუბალ-კაინებსა (დასავლეთით) და ქართებს (აღმოსავლეთით) შორის ე.ი. მოსხების სამოსახლოს საზღვრებში თავდაპირველად ცხოვრობდნენ სვანურ ენაზე მოლაპარაკე ტომები... სომეხიაში ე.ი. ისტორიულ სომხეთში V-VI საუკუნეებში ჯერ კიდევ სვანები ცხოვრობდნენ. აქ შეიქმნა პირველი ქრისტიანული მწერლობა, აქედან აითვისეს ქართველებმა თავიანთი ქრისტიანული ლიტერატურის პირველი ძეგლები” (იქვე, გვ. XVIII).

ა. ლიპარტელიანი იმოწმებს ნიკო მარის რუსულენოვან წიგნებს - ნიკო მარი, “მოგზაურობა სვანეთში” (1911-1912) და ნ. მარი, “ხე-მცენარეულობის იაფეტური სახელები”(1913).

ქართიზაციის “თეორია”, როგორც ცნობილია, XX საუკუნეში დაეფუძნა ქ. პატკანოვისა და ნ. მარის მოსაზრებებს. პატკანოვ - მარის “თეორიის” საშიშროების შესახებ ჯერ კიდევ დიდი ილია მართალი ბრძანებდა და, სხვათა შორის, ამასვე მიუთითებდნენ ივანე ჯავახიშვილს მისი მშობლები წერილებში, რომელსაც წერდნენ ახალგაზრდა ვაჟიშვილს (წერილები გამოქვეყნებულია). თითქოს ჩვენს თემას ეხმიანება დიდი კონსტანტინე გამსახურდია თავის ცნობილ წერილში: “ტროასეული ცხენი” (აკად. ნიკო მარის წერილის გამო) წერს - ”არსად ისეთი ფელდეფელური მორჩილებით არ იხრის ქედს საზოგადოებრივი აზრი ავტორიტეტიან “უნივერსიტეტის პროფესორების” წინაშე, როგორც ჩვენში, რადგან ყველაზე ნაკლებად ჩვენში შეუგნიათ უცილო ჭეშმარიტება გოეთეს დიდი სიტყვებისა: “ხშირად დიდი ადამიანი დიდ გემსავით შეცდომების დიდ ზოლებს ტოვებს თავის სარბიელზე” (კ. გამსახურდია, “ტროასეული ცხენი”, თხზ. ტ. VIII, 1967, გვ. 140).

ჩვენ, ცხადია, ქედს ვიხრით იმ დიდი ადამიანების წინაშე, რომელთაც შევეხეთ ჩვენს წერილში, მაგრამ მხოლოდ იმ გულისტკივილით, რომ არ დაიშალოს ჩვენი ეროვნული სახლი, რადგანაც წმიდა წერილში ნაბრძანებია: “თუ სამეფო თვისივე თავის წინააღმდეგ დაიყოფა, ის სამეფო ვეღარ გაძლებს” (მარკოზი, 3, 24).

თუ ჩვენი დიდი ადამიანები ყველა ქართულ თემსა და ტომს საკუთარ წინაპარს გამოუძებნიან - მაგალითად, ინგილოებსა და კახელებს - ჰერ-ალბანელებს, ფშავ-ხევსურებს - ვაინახებს (ზ. დიდებულიძე, 1983, გვ. 33 - 34), ქვემო ქართლელებს - სომხებს, დასავლელ ქართველებს - ადიღე-ჩერქერზებს და ა.შ. თუ განაცხადებენ, რომ დასავლეთ საქართველოში სხვა ეთნოსი ჩამოყალიბდა, რომელიც შემდეგ “ქართიზებულ” იქნა - ერი-სახელმწიფო დაიყოფა. მით უმეტეს, რომ წყაროები, თუ მათ კარგად და სწორად წავიკითხავთ, მიკერძოების გარეშე, არ იძლევა ამის უფლებას, პირიქით, ჩვენი წყაროები: “მოქცევაჲ ქართლისაჲ” თუ “ქართლის ცხოვრება” ღაღადებენ, რომ ქრისტეს შობამდე შექმნილი ერთიანი საქართველოს - ”ქართლის სამეფოს” მოსახლეობა იმთავითვე იყო ქართველი ხალხი და ამ სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ეგრისწყალზე გადიოდა აზონისა და ფარნავაზის დროს; თუ რას ნიშნავს წყაროს ეს მითითება, გვიხსნის წმინდა ამბროსი ხელაია: “ჯერ კიდევ არაქრისტიანი ქართული ტომის მოდგმებმა შექმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით ერთადერთი მატარებელი წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა” (ა. ხელაია, 1990).

მაშასადამე, კათალიკოს-პატრიარქ წმიდა ამბროსი ხელაიას, ზოგადად საქართველოს წმინდა ეკლესიის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ გაქრისტიანებამდე I-IV საუკუნეებამდე ქართველთა მოდგმამ შექმნა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი ერთიანი სახელმწიფო, მატარებელი შესაბამისი ერთიანი კულტურისა.

საბჭოთა იმპერიას ჩვენი დიდი ადამიანებისათვის თავისუფალი მუშაობის საშუალება რომ მიეცა, საჭირო არ იქნებოდა ჩვენი მოსაზრებების გამოთქმა და არც წმინდა ეკლესია განაჩენდა შემდეგს: “დაუშვებელია ისტორიის გაყალბება - მეგრელებისა და სვანების მწიგნობრობისა და

ქრისტიანული კულტურის არმქონეებად გამოცხადება და ამ კუთხის შვილებისათვის XXI საუკუნეში ბიბლიის თარგმნა, რაც უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავს ერის გათიშვას და ქვეყნის მთლიანობის დარღვევის მცდელობას" (წმ. სინოდის სხდომის ოქმი, 23, 2005, საპატრიარქოს უწყებანი, N45, გვ.7).

ამჟამად, გარკვეული ქართული წრეები ისე წარმოადგენენ საქმეს, თითქოსდა "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში" მხოლოდ ტაო-კლარჯეთის ეთნიკური და კულტურული სახე იყოს დამახინჯებული, სინამდვილეში აქ საქართველოს ყოველი კუთხის და, საერთოდ, ქართველი ერის ისტორია გაყალბებულია, როგორც თანდართული ლიტერატურის ჩამონათვალიდან ჩანს, სტატიების ავტორები ქართულ ოფიციალურ ისტორიოგრაფიას ეყრდნობოდნენ. "პრავოსლავნაია ენციკლოპედიას" მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველო, კერძოდ კახეთის და მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მხარეები ისტორიული ალბანეთის მიწა-წყლადაა გამოცხადებული, ალბანელები კი აზერბაიჯანელი ერის წინაპრებად მიიჩნევა, ჰერები - ალბანელი ხალხის ერთ-ერთ ჯგუფადაა წარმოდგენილი. ბოდბე, გურჯაანი, საინგილო და მახლობელი მხარეები - ალბანელების, ანუ აზერბაიჯანელების წინაპრების ისტორიულ საცხოვრისად მოიაზრება. საქმე ისაა, რომ ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ეკლესიის ისტორიის გაყალბება, წყაროებზე ზეწოლა მისი მონაცემების თვითნებური ინტერპრეტირებით კარდინალური დასკვნების მიღება, ჯერ თვით საქართველოს მეცნიერთა მიერ და შემდგომ მათი დამოწმებით უცხოელ ავტორთა მიერ. კერძოდ, სტატია „ალბანეთის საკათალიკოსოს" რუკის მიხედვით, მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალი (ქვემო კახეთი) - ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიად მიიჩნევა.

ასევე "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში" სტატიაში: "ალანიის სამიტროპოლიტო" აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, კერძოდ ლენინგორის, ყაზბეგის და მიმდებარე მიწა-წყალი წარმოდგენილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ალანიის სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში, მრავალი ქართული ეკლესია-მონასტერი და, რაც მთავარია, მიწა-წყალი ალანურ კონსტანტინოპოლურადაა გამოცხადებული.

დასავლეთ საქართველოში ამავე ენციკლოპედიის სტატია "აფხაზეთის საკათალიკოსოს" აზრით, არაბების დროს „გადასახლდა აღმოსავლეთ საქარველოს მოსახლეობა და იქ შეიტანა ქართული ენა და კულტურა". ეს იმის შედეგად მოხდა, რომ იქამდე „კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფ დასავლეთ საქართველოში შეიჭრა მცხეთა და იქ გაბატონდა. აფხაზი სეპარატისტებიც ამ თვალსაზრისს არიან ჩაჭიდებულნი; ახლახან გამოიცა "აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მოკლე ნარკვევი" მღვდელ-მონაზონ დოროთე დბარის ავტორობით, სადაც დამოწმებულია "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" აღნიშნული სტატია - ქართველების დასავლეთ საქართველოში გადასახლების შესახებ VIII-X საუკუნეებში. ავტორი ეჭვმიუტანელ ფაქტად მიიჩნევს თვალსაზრისს, რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა და იქ ღვთისმსახურებისათვის ეკლესიებში არა მხოლოდ ბერძნული, არამედ აფხაზური ენაც გამოიყენებოდა, ხოლო შემდეგ თითქოსდა ეს ეკლესია და აფხაზური სახელმწიფო ქართველმა აგრესორებმა ქართული ეკლესიის წინამძღოლობით დაიპყრეს და აფხაზური ეკლესია ჩაკლეს (იხ. წიგნში Иермонах Дорофей (Дбар) «Краткий очерк истории Абхаской Православной Церкви» Новий Афон, 2005).

"პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" ტომეულებში, დასავლეთ საქართველოს მსგავსად, სამხრეთი საქართველოც არაქართულ ქვეყნადაა გამოცხადებული, სადაც, თითქოსდა, ქართული ეკლესიის გაბატონების შემდეგ მოხდა მკვიდრი "სომხების" გაქართველება. "სომხების" გაქართველების "თვალსაზრისი" იმდენადაა გავრცელებული, რომ მან უკვე ქართულ საეკლესიო გამოცემებშიც შეაღწია. მაგალითად, კირიონ I კათალიკოსმა თითქოსდა ქვემო ქართლში "არაქართული მოსახლეობის გასაქართველებლად მარჯვედ გამოიყენა პოლიტიკური ვითარება" ("საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები", თბ, 2000. გვ.28). სომეხი ავტორები და არა მხოლოდ

ისინი, ასეთ სტატიებს საფუძვლად უდებენ თეორიას, რომ ქვემო ქართლი და საერთოდ სამხრეთ საქართველო სომხური ქვეყანა იყო, რომელიც ეკლესიის მიერ "გაქართველდა". თუ გადავშლით აღნიშნული სტატიის ავტორის უამრავ ძველ შრომას და მის წიგნებს, ყველგან საუბარია "სომეხთა" "გაქართველების" შესახებ. ესაა თეორია, რომელიც ქართული საბჭოთა ოფიციალური ისტორიოგრაფიისათვის უეჭველ დოგმად იქცა და მას ავითარებდა ბოლო საუკუნის მანძილზე.

ერთი სიტყვით "პრავოსლავნაია ენციკლოპედიას" სხვადასხვა ტომში გამოქვეყნებული სტატიები არის მარცხი ქართული თანამედროვე ისტორიოგრაფიისა. მოსალოდნელი იყო, რომ სამეცნიერო წრეები ამ საკითხის განსახილველად გამართავდნენ სემინარებს და მოხდებოდა სამეცნიერო აზრის ურთიერთგაცვლა, მაგრამ მოხდა ამ სტატიების იგნორირება.

საქმე ისაა, რომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელიც ეყრდნობა "ქართიზაცია-გაქართველების" თეორიას (რაც თითქოს ეკლესიის წინამძღოლობით ქართის ტომმა VIII-X საუკუნეებში მოახდინა), არ შეუძლია ამჟამად ამ საკითხის გადაჭრა. ქართული ისტორიოგრაფია ამ საკითხის გადაჭრას შეძლებს, თუ ის გაიზიარებს ძველი ქართველი ისტორიკოსების თვალსაზრისს, რომ ქართველი ხალხი ჩამოყალიბდა არა VIII-X საუკუნეებში ეკლესიის მეოხებით მეზობელი ტომების ქართიზაციის შედეგად, არამედ რომ ისტორიაში გამოჩენის დროს ქართველი ხალხი წარმოადგენდა ეთნიკურ მთლიანობას, ერთ ხალხს, ერთი ენითა და კულტურით, რომლის საცხოვრისი მოიცავდა დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს, რომ იმთავითვე ქართველები იყვნენ არა მხოლოდ შიდა ქართლის მოსახლეობა, არამედ - ეგრისელები, სვანები, კახელები და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა, რომ მათ ჰქონდათ ერთი ენა (სუსტად დიფერენცირებული ფუძექართული ენა), რომელსაც დაეყრდნო საღვთისმსახურო ლიტურგიკული ენა (ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ), რომ მხოლოდ შემდგომ დაიწყო ამ ერთიანი ენის შიგნით დიალექტების წარმოქმნა. ასეთი ვითარება არ არის უმაგალითო (მაგალითად, ერთი სლავი ხალხი, ერთიანი ენით მხოლოდ გაქრისტიანების შემდეგ დაიყო სხვადასხვა დიდ ენობრივ ჯგუფებად).

ფაქტი ერთიანი ქართველი ხალხის ქრისტეშობამდე არსებობის შესახებ დაფიქსირებულია ძველ ქართულ წყაროებში, მაგალითად, როცა წერს, რომ აზონი დაადგინეს მეფედ მთელი ისტორიული საქართველოსი, რომ მისი პირველი ერთიანი "ქართლის სამეფოს" დასავლეთ საზღვარი გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე, ცხადია, გულისხმობს, რომ ეგრისწყალთან მდებარე ეგრისი ქართლია, ქართლის სამეფოს ნაწილია, და მისი მოსახლეობა ქართველი ერის ნაწილია. პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს საზღვრები ასეთია: "საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხეთი და მთა ცროლისა" («მოქცევაჲ ქართლისაჲ", ძეგლ. I, 1964, გვ.81). ამავე თვალსაზრისს ატარებს "ქართლის ცხოვრება", მისი ყველა მეფე უკლებლივ, ფარნავაზიდან ვახტანგ გორგასლამდე, ფლობს დასავლეთ საქართველოს, მაშასადამე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ქართველებია (ჩვენი საეკლესიო წყაროების ცნობით) და ამ მოსახლეობას არ ესაჭიროება არავითარი "ქართიზაცია-გაქართველება" (ა. ჯაფარიძე, 1994, გვ.62,65). როგორც აღინიშნა, ამავე თვალსაზრისს გამოთქვამს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაც, სადაც ანდრია პირველწოდებული მთელი საქართველოს მომაქცევლად, ხოლო წმ. ნინო მთელი ქართველი ერის გამაქრისტიანებლად იწოდება.

თუ ამ ძველ ისტორიკოსთა თვალსაზრისს არ გაიზიარებს ოფიციალური ისტორიოგრაფია, ცხადია, ვერ შეძლებს "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" და ვერც ე.წ. სეპარატისტთა (სინამდვილეში - მეზობელი იმპერიის მესვეურთა) მიზნების ჯეროვან შეფასებას.

ყოველივე ზემოთქმული ასე შეგვიძლია შევაჯამოთ:

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მთლიანობის დარღვევის მიზნით რუსეთის იმპერიის წიაღში შემუშავდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის პროზელიტურობის შესახებ, კერძოდ საქართველოს ეკლესიამ, რომელიც დაარსებისას თითქოსდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილს მოიცავდა, თავისი საზღვრები გაიფართოვა მეზობელი ეკლესიების ხარჯზე,

არაკანონიკურად დაიქვემდებარა მათი მრევლი და ის "გააქართველა", კერძოდ, თითქოსდა მან დაიქვემდებარა კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ მყოფი დასავლეთ საქართველოს მომცველი ფაზისის (ლაზიკის) სამიტროპოლიტო, შემდგომ, თითქოსდა, მან დაიქვემდებარა სამხრეთ საქართველოს (ტაო-კლარჯეთის), და ასევე, მცხეთის აღმოსავლეთით, მათი აზრით, ალბანეთის (ჰერეთის) საკათალიკოსოს საეპისკოპოსოები და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ალანიის სამიტროპოლიტოს ეკლესიები... ეს თვალსაზრისი კარგად გამოიხატა მოსკოვში 2000-2006 წლებში დასტამბულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" სტატიებში, რომელთა ძირითადი საფუძველი არის საბჭოთა ისტორიკოსთა ნაშრომები, ასახული „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასა" და სხვა გამოცემებში.

ამგვარ შეხედულებას არავითარი ისტორიული საფუძველი არა აქვს; კერძოდ, ძველი ქართული მატიანეებისა და საეკლესიო ისტორიოგრაფიის მრავალი დოკუმენტით დასტურდება:

ორგანიზაციულად ჩამოყალიბებისთანავე და შემდგომ პერიოდშიც საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია მოიცავდა ქართლში/საქართველოში შემავალ ყველა მხარეს: ეგრისს, ისტორიულ ტაო-კლარჯეთს, აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს, კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებზე არსებულ ქართველურ თემთა საცხოვრისებს... კვლევა გვიჩვენებს, რომ ფაზისის სამიტროპოლიტო მდებარეობდა არა ქალაქ ფოთში, არამედ მდინარე ჭოროხის (ფაზისის) მარცხენა სანაპიროზე, რომელიც ტრაპიზონის ოლქში იყო მოქცეული, იქვე მდებარეობდა ფაზისის სამიტროპოლიტოს ოთხივე საეპისკოპოსო და არა - დასავლეთ საქართველოში. მცხეთის აღმოსავლეთით მიწა-წყალი მუდამ საქართველოს იურისდიქციაში იმყოფებოდა ქართული წყაროების მიხედვით, და ამიტომ იქადაგა იქ, როგორც მოვსეს ხორენაციც წერს, წმ. ნინომ „ქართველთა შორის კლარჯეთიდან მასქუთებამდე (შდრ., "დიდი სჯულის კანონის "ძეგლისწერა", გვ. 545 - 546: "ანდრია პირველწოდებულმა სახარება იქადაგა "ყოველსა ქუეყანასა საქართველოისა", ხოლო წმიდა ნინომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია "ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა"). ასევე, ტაოსა და ნაწილობრივ კლარჯეთის ქართველი მოსახლეობა IX-X საუკუნეებში იყვნენ არა გაქართველებული სომხები, არამედ ეთნიკური ქართველები, რომლებიც იქამდე VI-VII საუკუნეებში დამპყრობელთა იძულებით იმყოფებოდნენ სომხურ-ქალკედონური ეკლესიის იურისდიქციაში, ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტისთანავე მათ გადაიგდეს სომხურ-ქალკედონური ეკლესიის იურისდიქციის უღელი და დაუბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ - ეროვნულ ქართულ ეკლესიას. რაც შეეხება საქართველოს მთიანეთსაუკუნის არასოდეს ყოფილა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, როგორც ამას წყაროები, ასევე სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ეკლესიების ნაშთების წარწერები აჩვენებს.

8. XI. 2006.

მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა 2007 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ინტრონიზაციის 30-ე წლისთავზე მსოფლიო პატრიარქის სტუმრობისას

თქვენო აღმატებულებავ ბატონო პრეზიდენტო,
თქვენო ყოვლადუწმიდესობავ,
თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,
თქვენო უნეტარესობავ, მაღალყოვლადსამღვდელო მეუფენო,
მამანო, ძმანო, ქრისტეს მიერ საყვარელო შვილებო,

არავალი ჩვენგანი მოწმეა იმისა, რომ მისმა უწმიდესობამ ამ 30 წლის წინ, ჩაიბარა უცხო ქვეყნის მპყრობელობის შედეგად დამცრობილი ეკლესია, მატერიალურად უნივთო, ნაკლოვანი და ქანცმილეული, ათეისტ მმართველთა მძლავრობით დაშინებული სულ რამდენიმე ათეული სამღვდელო პირით და აი, გავიდა 30 წელი და ჩვენ ვხედავთ თუ რა წარმატებებით შეეგება ჩვენი ეკლესია ახალ ათასწლეულს, როგორც ფსალმუნშია ნაბრძანები - "ვითარცა ორბისა განახლდა სიჭაბუკე მისი", ის ფრთებს ისწორებს, რათა ბუდიდან აფრინდეს და მიწიდან ზეცამდე სულიერად აღამაღლოს ქართველი ერი.

ერთ ძველ, საუკუნეთა წინანდელ ხელნაწერში, ჩვენი ეკლესიის დამაარსებელი შედარებულია არწივს და დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, თქვენ, თქვენო უწმიდესობავ გაგიშლიათ არწივის ფრთები და თქვენს ფრთეთა ქვეშე იკრებთ სრულიად საქართველოს ერს, ყველა მართლმადიდებელს განურჩევლად მისი ეთნიკური წარმომავლობისა, ყველა მოქალაქეს, დიდსა თუ მცირეს, ქვეყნის მმართველებს, პიროფლიან სოფლის მუშაკებს, რომელთა ლოცვა ახლოს არის უფრო უფალთან, თქვენ იკრებთ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, სამშობლოს მცველ ჯარისკაცებს, ახალ თაობას, იმედსა და მომავალს ერის.

თქვენ ჭეშმარიტად ბრძანდებით მამა სამშობლოისა.

დღევანდელ დღეს, შეუძლებელია არ გავიხსენოთ წარსული, როგორც ფსალმუნშია ნაბრძანები - "ვიგონებდი ადრინდელ დღეებს, გარდასულ წლებს" (ფსალ. 76(77)), ანდა "ჩავუკვირდები ყველა შენს ნამოქმედარს და შენს საქმეებზე ვისაუბრებ" (იქვე).

თქვენი ყოველდღიური საქმით და სიტყვით იყავით და ხართ ჭეშმარიტი მოძღვარი და მასწავლებელი, წმიდა ეტალონი, არა მხოლოდ სულიერ-ეკლესიურისა, არამედ ყოფითისა, ეთიკისა თუ ესთეთიკისა. ყველა ჩვენგანმა მცირედან დიდამდე ყველაფერი თქვენგან შეისწავლა, უფრო სწორად თუ ვიტყვით უნდა შეისწავლოს, რადგან თქვენ უკვდავი საღმრთო მაგალითი ბრძანდებით - წყალობისა და ქველის საქმისა, ლოცვისა და მარხვისა. როგორც იტყვიან, ვინ აღრიცხავს თქვენს სახიერებას ზეცათა მამის გარდა?

რამდენი ახალი ეკლესია, მონასტერი და საეპისკოპოსო შემატეთ უფლის სამწყსოს, რამდენი წინაპართა მიერ წამოწყებული, მაგრამ ამჟამად დავიწყებული საქმე განაახლეთ, რამდენი სიკეთის მიზეზად იქცა თქვენი სიტყვა და ზრახვა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ ივერიას ანუ სრულიად საქართველოს მრავალი დიდი წინაპარი ჰყავდა, როცა ვათვალიერებთ მათ მატიანეებს და ვადარებთ თქვენს მაგალითს, ჩვენს თვალწინ ამომზეურდება წმიდა კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის ცხოვრება. მე ვფიქრობ, სწორედ ესაა თქვენი სულიერი წინაპარი, მასზე ბრძანებს მემატიანე - "დიდნი საქმენი, ღმრთისაგან ოდენ შესაძლებელი, ადვილად წარმართა", ჩვენი ერი ელის, რომ გაკეთებულის გარდა თქვენ კიდევ მრავალს შეძლებთ, მაგრამ გაკეთებული, მართლაც უდიდესი საქმეები, რომელიც თქვენ აღასრულეთ, გარედან შეხედვით ადვილად, მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რაოდენი თქვენი დიდი შრომა დასჭირდა მათ წარმართვას, ჭეშმარიტად ღვთის გარეშე შეუძლებელთ.

წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მსგავსად თქვენ გაქვთ მტკიცე ხელი, რომლის მორიდებით 30 წლის წინანდელ ქაოტურ სასულიერო დასში დაინერგა წესიერება და კანონი, თქვენი მორიდებით და კრძალვით ვერავინ იკდრებს უწესო სვლას. პატიოსნება და ღირსება თავის ადგილს იმკვიდრებს. მონასტრები, საეპისკოპოსოები და ეკლესიები წესითა და რიგით აღასრულებენ საღმრთო მსახურებას.

საქართველოს ეკლესიის მეთაურთაგან ერთ-ერთი რჩეული კირიონ I კათალიკოსობის დროს, 1400 წლის წინ, აშენდა ჯვრის წმიდა მონასტერი VII საუკუნის დასაწყისში, ჩვენი ქვეყნის სპარსთა მიერ მფლობელობისას. იმ ეპოქაში მონოფიზიტებმა ისიც კი შეძლეს, რომ ჩვენი მრევლის ერთი ნაწილის ეკლესიებში ღვთისმსახურება სომხურ ენაზე დანერგეს დამპყრობელთა მხარდაჭერით. ქართული ენის დასაცავად ხმა აიმაღლა კირიონ I. მართალია, პირადად მას ძვირად დაუჯდა, მაგრამ მან შეძლო და აღუდგინა ქართველ ერს ქვემო ქართლში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა,

კირიონის მსგავსად დღესდღეობით ქართული ენის დაცვა, თქვენო უწმიდესობავ, თქვენი ზრუნვის საგანია. მისი უფლებები მსგავსადვე შეიბღალა XIX-XX საუკუნეებში რუსული იმპერიის წიაღში, თქვენ კვლავ უბრუნებთ ქართულ ენას თავის ნამდვილ სამეცნიერო სახელს, ადგილსა და ღირსებას. თქვენი დიდი წინაპრის მსგავსად იცავთ ენას, რომელსაც თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მფარველობდა წმიდა ილარიონ ქართველისა და წმიდა ექვთიმე მთაწმიდელის ცხოვრების მიხედვით. ჩვენ ეს ასევე ვიცით ასურელ მამათა ცხოვრებიდან, როცა მათ, მოციქულთა მსგავსად სულიწმიდის მიერ, ერთ წამში "წამისყოფით ზეციდან შეისწავლეს" ქართული ენა. კირიონის ჟამის მსგავსად დღესაც ესაჭიროება ქართულ ენას დაცვა და მფარველობა.

საქართველოს ეკლესიის მეთაურთაგან ერთ-ერთი რჩეულის კათალიკოს კორიონის მიერ აგებული ჯვრის მონასტრის 1400 წლისთავზე, რომლის მშენებლობა IV საუკუნეში რევ მეფის დროს დაიწყო VII საუკუნის დასაწყისში დამთავრდა, ჩვენ სიამაყით ვიხსენებთ კირიონის სიტყვებს "რჯული იერუსალიმიდან გვაქვს" გამოთქმულს მონოფიზიტებთან კამათისას, კათალიკოსი ამით ბრძანებდა, რომ მართლმადიდებლობა თვით მოციქულთაგან გვაქვს მიღებული. იერუსალიმი იმჟამად ქართველთა რელიგიური კერა იყო, რადგანაც იერუსალიმში არსებული ათეულობით ქართული ეკლესიიდან და მონასტრიდან იღებდა საქართველო სულიერ ძალას. სამწუხაროდ, იერუსალიმის სიწმიდეები ბოლო საუკუნეებში დაკარგა ქართულმა ეკლესიამ, მაგრამ კირიონის მსგავსად, ჩვენმა უწმიდესმა პატრიარქმა აქაც გადადგა პირველი ნაბიჯები და ჩასახა იმედი, რომ არა მხოლოდ იერუსალიმსა და ათონის წმიდა მთაზე, არამედ სინას მთაზეც ქართული ეკლესია აღიდგენს წარსულის დიდებას და ლოცვით მომავალს.

მართლაც, თქვენი პატრიარქობის პირველ წლებში, სინას მთაზე თქვენი ლოცვა წინ უძღოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ეს უდიდესი მადლი - ეროვნული, დამოუკიდებელი სახელმწიფო - სწორედ თქვენი პატრიარქობის ჟამს მიმადლა უფალმა ქართველ ერს. ასევე თქვენი ლოცვით და შრომით დაგვირგვინდა თითქმის თანაფარდი - ავტოკეფალური მოძრაობა.

თქვენი ბუნებითი საქმე სიყრმიდანვე იყო ლოცვა და თქვენ ქართველ მორწმუნე ერს აჩუქეთ შვიდგზის ლოცვის ჩვევა, რომ დღეში შვიდჯერ ადიდონ უფალი, ამ საყოველთაო ლოცვამ ააღორძინა სარწმუნოება, ხელახლა მოაქცია აჭარა და სრულიად საქართველო.

ჩვენ ამჟამად ვდგავართ ადგილზე, სადაც მეფე მირიანის ბაღი იყო გაშლილი, აქ წმიდა ნინომ იხილა ბაბილო - მაღლარი ვენახი, რომლის ნაყოფი იყო ფრიადი, ფურცელნი მშვენიერნი, მისი ტოტები ქვეყნის კიდემდე იყო გადაშლილი, ხოლო რტოებში ივანებდნენ ქვეყნიერების სხვადასხვა მხრიდან მოფრენილი ცის ფრინველები, ასევე დღევანდელ დღეს თქვენს გარშემო შემოკრებილია ქვეყნიური ანგელოზები - მსოფლიო პატრიარქი და მართლმადიდებელი მღვდელმთავრები, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, პატიოსანი მამები, ერი და ბერი.

თქვენი ღონიერი წინამძღოლობით მჯერა თქვენ აფხაზეთშიც - ივერიის პატრიარქების უძველეს ბიჭვინთის კათედრაზე დადგებით და ილოცებთ ერთობლივი საქართველოსათვის, ბიჭვინთიდან, სადაც უფალ ღმერთს 1000 წლის მანძილზე ქართული ენით უფალს ადიდებდნენ მწირველი მამები.

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი შესთხოვს უფალ ღმერთს თქვენს ხანგრძლივ მრავალჟამიერ სიცოცხლეს. მადლიერი სამწყსო, სამწყსო იმ ეკლესიისა, რომელიც 30 წლის წინ ჰპოვეთ სიმდაბლედ შთასული და თქვენი მძლავრი მარჯვენით კი აღამაღლეთ უფლის შეწევნით,

ღმერთმა ინებოს თქვენი მრავალჟამიერი სიცოცხლე,

ამინ.

14.10.2007.

პირველი წირვა ჭივჭავის ეკლესიაში

დღეს ჩვენ ვაკურთხეთ ახალი ეკლესია ახალი სოფლისა.

ეს სოფელი სულ ახლახანს შეემატა საქართველოს რუკას, მისი სახელი ჭივჭავია, აქ, მის ადგილას, შეიძლება ოდესმე იყო კიდეც რაიმე სოფელი, რომელის სახელი ძველადვე გაქრა და, ამიტომ, სულ რამოდენიმე წლის წინ, როცა თქვენ, ვითარცა ეკომიგრანტები აქ ჩამოსახლდით სვანეთიდან, არაფერი დაგხვდათ.

იმ დროს, რამდენიმე წლის წინ, თეთრიწყაროს ეკლესიის ახალნაკურთხ მამა ნიკოლოზთან ერთად მოვედი თქვენთან.

მახსოვს თქვენი დიდი სიხარული და ვაჟკაცური მოკრძალება.

80 ადამიანი მოვნათლეთ მაშინ და ეს იყო საზეიმო სიხარულის დაუვიწყარი დღე და გამოვთქვი აზრი, რომ თქვენი ახალი სოფლის დასაცავად მის ოთხივ გარე კუთხეებში ჯვრები დაეყენებინათ.

მართლაც დაგიცვათ ჯვრის მადლმა და უფრო მეტიც, აღმართეთ ეს შესანიშნავი ახალი ეკლესია, მშვენება ჩვენი ეპარქიისა, ბატონი ბუხუტა გარდაფხაძის თაოსნობითა და დიდი ძალისხმევით.

დღეის შემდეგ ეს ეკლესია, ისევ თქვენი თხოვნით, იწოდება მთავარანგელოზების - მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ეკლესიად.

აქვე, თქვენთვის ვნიშნავ თქვენს პირველ მოძღვარს, მამა ლაზარე გელაშვილს, ახალგაზრდა, ენერგიულ, მოყვარულ ადამიანს, რომელმაც თავი გამოიჩინა ჩვენს ეპარქიაში თავისი მორჩილებისა და დიაკვნობის დროს, როგორც პრინციპულმა, დიდბუნებოვანმა და მედგარმა ვაჟკაცმა. ჩვენ მისი დიდი იმედი გვაქვს, რადგანაც თქვენს ხასიათსა და თვისებებს ის კარგად გაიგებს და თქვენი სულიერი მამა იქნება ვიდრე წმიდად არ შეაბერდება ამ წმიდა ტრაპეზს.

მე იმედი მაქვს და გაძლევთ ლოცვა-კურთხევას, რომ ეს სოფელი გახდეს მართლმადიდებლობისა და ქრისტიანობის შუქურა მთელს ქვემო ქართლში, რათა ყველა სოფელი ამბობდეს, რომ ჭივჭავის ეკლესია და ჭივჭაველების ქრისტიანული შემართება სამაგალითოა მათთვის.

თქვენ უნდა გაავრცელოთ აქედან გარშემო მდებარე დაუძლურებულ სოფლებში, თქვენი ვაჟკაცური, თავდადებული, შემართული ქრისტიანული სულისკვეთება. რათა ხალხი განმტკიცდეს თავის სარწმუნოებაში და გადაირჩინონ თავიანთი სულები, ამ ურთულეს ეპოქაში, როცა საქართველოს ასე უჭირს ეკონომიკურად. ეს გასაჭირი არ უნდა გადაიქცეს სულიერ გასაჭირად, პირიქით, ჩვენ სულიერად უნდა განვმტკიცდეთ და გავძლიერდეთ. მაშინ ფიზიკურადაც შევძლებთ. ამის მაგალითი ჩვენ მრავლად ვიცით, როგორც წარსულში, ისე ამჟამინდელ სვანეთში. ეს სულიერი ვაჟკაცობა აქაც უნდა დავაფუძვნოთ და ერი გავამხნევოთ. ღმერთმა დაგლოცოთ!

2007.21.11.

სიტყვა წარმოთქმული ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეხვედრაზე

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე): ძველი საეკლესიო წესის მიხედვით ყველა ენაზე უნდა ყოფილიყო გადმოღებული წმიდა წერილი, ეს გაცხადდა სულთმოფენობისას, როდესაც სულიწმიდის ნებით მოციქულები ამეტყველდნენ სხვადასხვა ენებზე, შესაბამისად, წმიდა წერილი დასავლეთ საქართველოში იმთავითვე იქნებოდა გადმოღებული ადგილობრივ ენებზე ასეთნი რომ დაენახათ ძველ სასულიერო პირებს, მაგრამ მათ ამ სივრცეში მხოლოდ ქართული ენა გამოიყენეს საღვთო მსახურებისას.

საქართველოში, როგორც დასავლეთ ისე, მის აღმოსავლეთ ნაწილში იმთავითვე იქადაგეს წმიდა მოციქულებმა, ასევე I-III საუკუნეებში მრავალმა მისიონერმა. იმჟამინდელი წესის მიხედვით, იმისათვის რათა ხალხს გაეგო არსი ახალი სარწმუნოებისა, უფლის ახალი აღთქმისა, მოციქულები და მოძღვრები ქადაგებდნენ ხალხისათვის გასაგებ ენაზე, ანუ წმიდა წერილი ითარგმნებოდა ზეპირი მეტყველებით.

საზოგადოდ ენობრივი თვალსაზრისით მოციქულები და პირველმქადაგებლები ცდილობდნენ მოეძებნათ ხალხის საერთო ენა, ისინი იკვლევდნენ ჰქონდა თუ არა ერთი ხალხის სხვადასხვა ტომს საერთო ენა, რომელიც ესმოდა სხვადასხვა კუთხეების მცხოვრებლებს.

ძველ საბერძნეთში, თუმცა ელინური ენის სხვადასხვა (კორინთულ, დორიულ, იონურ) დიალექტებზე მოციქულთა ეპოქაში უკვე არსებობდა განვითარებული ლიტერატურა, მაინც გადაწყდა, ალბათ სულიწმიდის ნებით, რომ ყველა ბერძენი ტომისათვის საერთო, ერთ ენაზე ყოფილიყო შექმნილი და გადმოღებული წმიდა წერილი. ეს იყო კოინე ბერძნული ანუ საერთო ენა.

ყველა ძველი წყარო მიგვანიშნებს, რომ ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო მოციქულთა ეპოქის საქართველოშიც, კერძოდ, როდესაც პირველქრისტიანები შემოვიდნენ ჩვენში, ისინი რომელიმე პატარა ტომისათვის ანდა ერთი ხევისათვის ვერ თარგმნიდნენ (იგულისხმება ზეპირი გზით) წმიდა წერილს, მოციქულები ხედავდნენ მთელი ქართველი ხალხის განსახლების არეალს, ისინი ხედავდნენ მთელ სივრცეს, მთელს ჩვენს ქვეყანას, ამიტომაც მათ და მათმა მქადაგებლებმა საქრისტიანო მოძღვრება თარგმნეს კიდეც არა სხვადასხვა სატომო ენაკავებზე, არამედ საერთო ქართული კოინე ენით, მას ამჟამად ჩვენ ძველ ქართულ ენას ვუწოდებთ.

უძველესი ხანიდან XIX-XX საუკუნეებამდე, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის აფხაზეთსა, სვანეთსა და სამეგრელოში საეკლესიო, სალიტერატურო და სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის მხოლოდ ქართული ენა გამოიყენებოდა. არც ერთი ადგილობრივი ენაკავი თუ დიალექტი საღვთისმეტყველო და კულტურული საჭიროებისათვის გამოყენებული არ ყოფილა. ძველი ქართული ენა, რომელიც ამავე დროს საერთო სახალხო ენას წარმოადგენდა ხასიათდებოდა ზოგადეროვნული მთლიანობით, მიუხედავად ქვეყნის დაყოფისა, არ ამჟღავნებდა ტომობრივ-გეოგრეფიულ მიკერძოებას, არც ენობრივ-სტილისურად და არც იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ამიტომაც არ არსებობდა აღმოსავლურ-ქართული, სამხრეთ-ქართული და დასავლურ-ქართული ლიტერატურული მიმართულებანი, მთელი ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურა (მწერლობა) არსებითად იყო ერთიანქართული, საქართველოს რომელ კუთხეშიაც არ უნდა შექმნილიყო ესა თუ ის ნაწარმოები და რომელი ქართული ტომის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო მისი ავტორი. შეინიშნება კიდეც, რომ ეს მოვლენა ლიტერატურის ისტორიაში საყოველთაო ხასიათისა არ არის, ვინაიდან მსოფლიოს ბევრი მოწინავე ლიტერატურის ისტორია ტომობრივ-კუთხური მიმართულებით ვითარდებოდა.

ისმის კითხვა, რატომ არ წარმოიქმნა ძველ საქართველოში ლიტერატურის კუთხურ-ტომობრივი მიმართულებანი? ეს კითხვა ძალზე მნიშვნელოვანია, უნდა გაირკვეს თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში შექმნილი ქართული მწერლობის ძეგლი საერთო ქართული იყო ენობრივი თვალსაზრისით.

მიზეზი ამისა იყო არა ამჟამად აღიარებული თეორია "ქართიზაციისა", თითქოსდა ქართის ტომმა თავისი ენა ე.წ. "ქართიზაციის" შედეგად გაავრცელა დასავლეთ საქართველოში, არამედ პასუხი უნდა ვეძიოთ მოციქულთა ეპოქის ენობრივი ვითარების ანალიზში.

შევეხოთ მოციქულთა ეპოქას ანუ I-II საუკუნეებს და დავსვათ კითხვა, იყო თუ არა დაშლილი ფუძე ქართველური ანუ საერთო ქართველური ენა, მოციქულთა და პირველ მქადაგებელთა ეპოქაში?

თუ იმხნად, მოციქულთა ეპოქაში, ჯერ კიდევ არსებობდა საერთო ენა, რომლის წიაღშიც სვანური და მეგრული მხოლოდ დიალექტების სახით არსებობდა?

ჩვენ გვაქვს პასუხი მაჭავარიანისა და გამყრელიძის წიგნში "სონანტთა სისტემა", რომელიც 1965 წელს გამოიცა, სადაც ნათქვამია, რომ ზანურ-ქართული ენობრივი ერთობის დაშლა ივარაუდება I-II საუკუნეებში, ანუ მოციქულთა ეპოქაში.

მაშასადამე პირველქრისტიანული ქადაგებების დროს ჯერ ჯიდევ არსებობდა საერთო ენა, რომელითაც ჩვენში საქრისტიანო მოძღვრება იქადაგებოდა ეს იყო ქართული ქრისტიანული კულტურის ჩასახვის მოსამზადებელი პერიოდი.

(რეპლიკა ადგილიდან - "თავისი ეს თეორია გამყრელიძემ უარყო"),

მეუფე ანანია (აგრძელებს) - მაშასადამე ჩემი თვალსაზრისით ძველი ქართული ენა იმთავითვე მშობლიური და გასაგები იყო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის. მართალია ქართული ქისტიანული კულტურის ჩასახვის წინა პერიოდში ისტორიულ საქართველოში არსებობდა მრავალი სხვადასხვა სატომო დიალექტი (ენაკავი), მაგრამ ისინი ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, იმდენად ახლოს, რომ სხვადასხვა კუთხის (ტომის) მცხოვრებლებს ესმოდათ ერთმანეთის მეტყველება, იგებდნენ ერთმანეთის საუბარს, როგორც ითქვა მიზეზი ამისა იყო ის, რომ ფუძექართული (ქართველური) ენის დიფერენციაცია ახალი დაწყებული იყო.

მაშასადამე, ჩემი აზრით მოციქულთა ეპოქაში, როგორც გამყრელიძე და მაჭავარიანი უწოდებდნენ "ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე", I-II საუკუნეებში მეგრული, სვანური და სხვა ქართული კილოები გაცილებით უფრო ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, ვიდრე შემდგომ. თუ ჩვენ მათ წარმოვადგენთ სქემატური სახით უკეთ დავინახავთ (მეუფე ანანია აჩვენებს საგანგებო, სტამბური წესით დამზადებულ დიდ სქემა - პლაკატს), აქ კარგად ჩანს, რომ ქართული ენის სვანური განშტოება ამ 2000-1600 წლის წინ ახლოა ზანურ-ქართულთან, ათასი წლის შემდეგ ე.ი. XI-XIII საუკუნეებში ის უფრო მეტად არის დაშორებული ძველი ქართულისაგან, კიდევ ათასი წლის შემდეგ ანუ ჩვენს XXI საუკუნეში ეს დაშორება გაზრდილია.

ჩემი მოსაზრება, თუ გნებავთ თეორია, მდგომარეობს შემდეგში: ფუძე ქართველური (ანუ საერთო ფუძექართული) ენა დაიშალა (სვანურ, ზანურ და ქართულ დიალექტებად) არა ქრისტეშობამდე, არამედ მას შემდეგ, რაც ქართულად ითარგმნა წმიდა წერილი, ჩამოყალიბდა ქართული საეკლესიო და სალიტერატურო ენა და საერთოდ ქართული ქრისტიანული კულტურა.

IV-X საუკუნეებში სვანური და ზანური მხოლოდ დიალექტურ დონეზე იმყოფებოდნენ, ანუ მათ თანამედროვე ენობრივი სახე მიიღეს მოგვიანებით, საქართველოს დაშლა-დანაწევრების კვალდაკვალ XIII-XIX საუკუნეებში.

მაშასადამე, ქართული ქრისტიანული კულტურის შემოქმედი ისევეა სვანური და ზანური ტომები, როგორც აღმოსავლურ ქართული, რამეთუ წმიდა წერილის თარგმნის, საქართველოს წმიდა ეკლესიის ორგანიზების ეპოქაში ყველა ქართულ ტომს აერთიანებდა საერთო ენა და საერთო ქრისტიანული კულტურა.

ამის შესახებ მიუთითებდა ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი. იგი წერდა: "ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი სამწერლობო ენა ჰქონდა და აქვს, რომელიც მეგრელებისა და სვანებისათვისაც ერთადერთი სამწერლობო და კულტურის ენა იყო და არის ეხლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსა და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი".

ქართული სალიტერატურო ენა ფორმირდა IV-V საუკუნეებში და ამ ხანაში მის "შექმნა-შემუშავებაში" აქვთ მიღებული მონაწილეობა მეგრელებსა და სვანებს, რადგანაც IV-V საუკუნეებში რაღაც ფორმით ჯერ კიდევ არსებობდა ენობრივი ერთობა, მართალია ზანურ-ქართულში ისახებოდა დიფერენციაცია, მაგრამ ენობრივი ერთობას ათასწლოვანი ტრადიცია კვებავდა, რომლის შესახებაც წერს ივ. ჯავახიშვლი: ძალზე მნიშვნელოვან მოსაზრებას, რომელსაც ქვემოთ წარმოვადგენთ,

კერძოდ, თუ დაისმის კითხვა "შეეძლო თუ არა მეგრელებსა და სვანებს IV-V საუკუნეებში ქართულ სამწერლობო (საეკლესიო) ენის შექმნა-შემუშავებაში მონაწილეობის მიღება?"

ივ. ჯავახიშვილის პასუხი ასეთია: შეეძლოთ! რადგანაც ჯერ კიდევ წარმართობის დროს, ანუ IV საუკუნემდე გაცილებით ადრე, სამეგრელოსა და სვანეთში წარმართული კერპთმსახურება ანუ წარმართული ლოცვა-რიტუალი აღესრულებოდა ქართული ენით.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: "არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართული ტომისათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ, რომ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია" (ტ.I, 1979, გვ.156).

ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებამდე ყველა ქართულ ტომს ჰქონდა საერთო სარწმუნოება (წარმართული) საერთო ქართული ენით, ამიტომ ცხადია, რომ ქრისტიანობის პირველმქადაგებლები საქართველოში ისრგებლებდნენ ამ უკვე არსებული საერთო ქართული საკულტო ენით და გამოიყენებდნენ კიდეც მას. წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებს, რომ ჩვენში ქრისტიანობის რაღაც რაოდენობა უკვე ცხოვრობდა I-III საუკუნეებში.

მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით ჯერ კიდევ გაქრისტიანებამდე ქართველ ხალხს გააჩნდა საერთო საკულტო ენა ანუ კოინე. სამეგრელოსა და სვანეთშიც წარმართული ლოცვა-რიტუალი ამ საერთო ენაზე აღესრულებოდა.

მივუბრუნდეთ ჩვენს თემას - რომელი ენით უნდა ექადაგნათ საქართველოში ქრისტიან წინასწარმეტყველებს, მოძღვრებსა და მოსიარულე მოციქულებს? - ხალხის საერთო ენით! ეს იყო მათი ვალდებულება, ამასთანავე შეუძლებელია საქართველოს კუთხიდან-კუთხეში, ხევიდან-ხევში მოსიარულე მქადაგებლებს ორ-სამ დღეში შეეთვისებინათ თემის, კუთხის თუ ხევის დიალექტი და ენა (თუ ასეთი არსებობდა). ორ-სამ დღეზე მეტად დარჩენის უფლება კი მათ არ ჰქონდათ, ამას მიუთითებს უძველესი წყარო "დიდაქე" ანუ "სწავლა 12 მოციქულისა", რომელიც ასახავს II-III საუკუნეების ვითარებას.

მაშასადამე, როგორც დიდაქე მიუთითებს, ქრისტიანი წინასწარმეტყველების, მოძღვრებისა და მოსიარულე მოციქულების წინაშე, იმთავითვე იდგა ენობრივი საკითხი, კერძოდ მათ უნდა გამოეკვლიათ ჰქონდა თუ არა ამ ხალხს საერთო კოინე ენა, რომელიც ყველას ესმოდა, რათა მათი ნათქვამი და ნალოცი სიტყვა ყველასათვის გასაგები ყოფილიყო, ასეთი ენა საქართველოში უკვე არსებობდა, ეს იყო ქართული ენა, რომლითაც მოციქულებამდეც წარმართული ლოცვა-რიტუალი აღესრულებოდა თანაც ის ყველას ესმოდა - დიფერენციაციის პროცესი არ იყო დასრულებული.

დასავლეთ საქართველოში ზოგადქართული ენისა და კულტურის არსებობის შესახებ მიუთითებენ წყაროებიც, მათგან მნიშვნელოვანია სტრაბონის ცნობა, დ. მუსხელიშვილი ჯერ კიდევ 1986 წელს წერდა, რომ სტრაბონის ერთი მნიშვნელოვანი ცნობა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის, კერძოდ კი სვანების შესახებ, ჩვენში უსაფუძვლოდაა იგნორირებული. სტრაბონი წერდა "სვანებს ზოგიერთები იბერიელებს უწოდებენ" (სტრაბ. XI). ცხადია სვანები იბერები იყვნენ

უპირველეს ყოვლისა თავისი ენით, რადგანაც სტრაბონიდან 2000 წლის შემდეგაც სვანური ერთადერთ ქართველურ ენად იწოდება, მით უფრო, ეს ენა, ძალზე ახლოს იქნებოდა საერთო ქართულთან 2000 წლის წინ. ამიტომაც იყო შესაძლებელი სვანეთში, ივ. ჯავახიშვილის კვლევით, წარმართული ლოცვა-რიტუალის შესრულება ქართული ენით. მით უფრო ახლო იყო ზოგად ქართულთან ზანური, რაც პირველქრისტიან მოძღვრებს გამოუყენებიათ კიდეც საქრისტიანო მოძღვრების ზეპირი გავრცელებისას.

I-III საუკუნეებში, ნ. მახარაძის კვლევის თანახმად "უძველესი ბერძნული ნასესხობები ზეპირი გზითაა გავრცელებული ჩვენში (სიტყვები: ეკლესია, კერეონი, მონაზონი, გუტერი და სხვა ქრისტიანული ეკლესიის წმიდანთა და ანგელოზთა სახელები), რომელნიც შემდეგ ქრისტიანული ლიტერატურის წერილობით თარგმანებში უცვლელად შეინარჩუნეს (ე.ი. ზეპირი გავრცელების ზოგიერთი ნიშანი), ეს ითქმის საკუთარ სახელთა მიმართაც. (ბერძნული წოდებითი ბრუნვის ფორმით ჩვენში გავრცელებული) - იესუ ქრისტე, პავლე, დამიანე და სხვა".

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ მოციქულთა ეპოქაში, I-II, II-III საუკუნეებში და შემდგომ ქართული ქრისტიანული კულტურის შექმნა-ჩამოყალიბების ეპოქაში IV-X საუკუნეებში ჯერ კიდევ არსებობდა ქართველი ხალხის ენობრივი ერთობა და ქართული ქრისტიანული კულტურის შემოქმედი თანაბრად არის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა.

ეს არის სრულიად ახალი თვალსაზრისი, რომელიც გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 1988 წ. წიგნში "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", რომელიც მეორეჯერ გამოსცა გამომცემლობა მერანმა 1996 წელს. იქამდე კი მრავალ სხვა საეკლესიო და სამოქალაქო ორგანოში დაიბეჭდა ცალკე წერილების სახით.

ვფიქრობ ჩემი თეორია არაა უსაფუძვლო. რამდენადაც ცნობილია ზანურ-ქართული ენობრივი ერთობის შესახებ ძირითადად არსებობს 3 თვალსაზრისი, აკად. გ. მელიქიშვილის ნაშრომების მიხედვით (რომელიც მკაფიოდ აისახა "საქართველოს ისტორიის ნარკვევებში") ძვ.წ. XII-VI საუკუნეების შუალედური ხანა ამ ენობრივი ერთობისა, ემთხვევა კოლხური კულტურის აყვავების ხანას, ამ დროს კოლხეთის ენა იყო ქართულ-ზანური ენა. მხოლოდ ამ პერიოდის დასასრულს ღრმავდება ენობრივი დაშლის პროცესი.

ამავე თეორიის გაღრმავებას წარმოადგენს გ. მაჭავარიანისა და თ. გამყრელიძის მიერ "სონანტთა სისტემაში" (1984) გადმოცემული თეორია, რომ ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშლა დაიწყო უფრო გვიან, კერძოდ "ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე", ანუ I-II საუკუნეებში.

მეორე თვალსაზრისი უფრო ადრე გამოთქვა არქეოლოგმა ო. ჯაფარიძემ, რომლის მიხედვით, ქართულ-ზანური ერთობა არსებობდა უფრო ადრე თრიალეთურ და არა კოლხური კულტურის არსებობის ხანაში (1969). ამ თვალსაზრისის შესატყვისია თ. მიქელაძის ვარაუდი, რომ ქართულ-ზანური ერთობის დაშლა ძვ.წ. II ათასწლეულით უნდა დათარიღდეს, ის კოლხურ კულტურას მეგრულჭანურ ეთნიკურ სამყაროს უკავშირებს (1974).

ჩემი თვალსაზრისი, როგორც აღინიშნა, ეთანადება ივ. ჯავახიშვილის, აკად. გ. მელიქიშვილის, აკად. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის თეორიას, რომელთა მიხედვითაც ზანურ-ქართულმა ენობრივმა ერთობამ მოაღწია აზონ-ფარნავაზის ეპოქამდე, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, ძვ.წ. IV-III საუკუნეებამდე და მან უფრო გვიან დაიწყო დიალექტურ დონეზე დაშლა. უფრო მეტიც, იმ ენობრივი რეფორმების შედეგად, რომელიც გაატარა მეფე ფარნავაზმა ზანურ-ქართული ენა, ანუ ჩემი თვალსაზრისით იგივე ძველი ქართული ენა, გადაიქცა სახელმწიფო სავალდებულო ენად მათ შორის დას. საქართველოშიც. ამასთანავე ეს ენა დაფიქსირდა ვითარცა ერთადერთი საღვთისმსახურო და კულტურის ენა.

ასეთი მზაობა და ვითარება დახვდა მოციქულებსა და პირველმქადაგებლებს, რომელთაც ეს უფრო ფორმირებული ენა გადააქციეს ქართულ წმიდა წერილის ენად.

მაშასადამე ქართული ქრისტიანული კულტურის ფორმირების პროცესში ეგრისისა და სვანეთის მოსახლეობის მონაწილეობა, გამოწვეული იყო ბუნებრივი ვითარებით, ქართული ქრისტიანული კულტურის ენა მისი მშენებლობის დროს მათი მშობლიური ენა იყო.

ასეთი ვითარება არაა გამონაკლისი, მე ხშირად მომყავს სლავების მაგალითი. მართალია წმ. კირილემ და მეთოდემ ბულგარელებისათვის, ბულგარელთა ენაზე თარგმნეს წმ. წერილი, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ეს ენა ესმოდათ დიდ სივრცეზე ბულგარეთის გარეთ მცხოვრებ სლავებსაც, რადგანაც სლავური ენის დიფერენციაცია IX-X საუკუნეებში ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, ამიტომაც სლავური ქრისტიანული კულტურის მშენებლობაში თანაბრად მონაწილეობდნენ ქვეყნის სხვადასხვა მხარეში მცხოვრებნი სლავები, ენობრივი დიფერენციაციის (ე.ი. XIV-XV საუკუნეების) შემდეგ მათ ეწოდათ ზოგიერთს სერბები, ჩეხები, უკრაინელები, რუსები და ა.შ. მაგრამ მათ ყველას თანაბარი პრეტენზია აქვთ სლავურ კულტურაზე - სლავური წმიდა წერილი ყველა მათგანის საკუთრებაა.

ასევე ქართული წმ. წერილი საკუთრებაა ყველა ქართული ტომისა. ქართიზაციის თეორია, დიახაც რუსული იმპერიის მიერ არის თავსმოხვეული.

როგორც ითქვა ჩემი ეს მოსაზრება 1988 წლიდან დღემდე თითქმის უწყვეტად იბეჭდება მრავალ ორგანოში. 1999 წელს ჩემი თვალსაზრისი საგანგებოდ გავაცანი ამ დარგის სპეციალისტს ბატონ ტ. ფუტკარაძეს, ბატონი ტარიელი დაეთანხმა ჩემს თვალსაზრისს, მან შემდგომ ის განავრცო და ფაქტიურად მოგვცა სრულიად ახალი მოსაზრება "რამდენიმე ქართული ენის შესახებ", რომლის მიხედვითაც მეგრული და სვანური არა თუ ქართული კულტურის ფორმირების ეპოქაში (ე.ი. IV-X საუკუნეებში) იყვნენ დიალექტები (ესაა ჩემი თვალსაზრისი), არამედ ისინი ამჟამადაც დიალექტები არიან (ესაა ბატონ ტ. ფუტკარაძის თვალსაზრისი). ამ საენათმეცნიერო თვალსაზრისს მე ვერ შევეხები, მისი განსჯა თქვენ უფრო შეგეფერებათ, მე ვფიქრობ მას ადვოკატობა არც ესაჭიროება, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ბ. ჯორბენაძის შრომებზე დაყრდნობით მე ჩემი მოსაზრება 2007 წელს გამოვაქვეყნე გაზეთში "საქართველოს რესპუბლიკა".

ენობრივ-ლინგვისტური სხვაობის მიუხედავად, გერმანელებს აქვთ ერთი ენა, ხოლო სხვადასხვა გერმანული ენაკავები დიალექტებად მიიჩნევა და არა დამოუკიდებელ ენებად. ცნობილ მეცნიერს ბ. ჯორბენაძეს მოჰყავს მაგალითი ერთი გერმანელი ენათმეცნიერისა, რომელიც წერს: "მე ვერ ვუგებ ბადენელს, ბავარიელსა და ზემო გერმანელს, როცა ისინი თავიანთ დიალექტებზე ლაპარაკობენ" (ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1989 წ. გვ.35), მაშასადამე არა თუ უბრალო გერმანელ მოქალაქეს, არამედ ენათმეცნიერსაც კი არ ესმის კუთხური მეტყველება ბავარიელისა, ზემო გერმანელისა და ბადენელისა, ამის მიუხედავად არავინ ცდილობს მაგალითად გოეთეს "თარგმნას" ბადენურ ან ბავარიულ "ენებზე". ენათმეცნიერი წერს: "ბავარიულ, შვაბურ და ჰესენურ კილოებს შორის სხვაობა არანაკლებ ღრმაა ვიდრე ზოგიერთ ენებს, მაგალითად პოლონურსა და ჩეხურს, ან სერბიულსა და ბულგარულს შორის". მაშასადამე შვაბური და ჰესენური ისევე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ვთქვათ პოლონური და ჩეხური, ანდა როგორც სერბიული და ბულგარული, მიუხედავად ამისა გერმანიაში არავინ უწოდებს შვაბურ, ჰესენურ და ბავარიულ კილოებს - "ენებს", არავინ ფიქრობს ლუთერის ბიბლია "თარგმნოს" შვაბურად ან ჰესენურად და შეიტანოს ეს თარგმანი ეკლესიაში. ვფიქრობ ამას არ დაუშვებენ თვითონ ამ რეგიონების მცხოვრებნი, რადგანაც კარგად იციან, რომ ლუთერი იყო არა რომელიმე კუთხის შვილი, არამედ ერთიანი გერმანელი ნაციისა. გერმანული ბიბლიის ენა იქცა გერმანელი ერის ერთიანობის ნიშანსვეტად. კარგად იციან რომ ბავარიულად, ჰესენურად, შვაბურად, ბადენურად თუ ზემო გერმანულად ბიბლიის თარგმნით დაარღვევენ გერმანელი ერის ყველაზე წმიდათაწმიდას, გერმანელთა კულტურულ მთლიანობას, ეს კი უფრო მეტი და უარესი იქნება ვიდრე გერმანელთა დამარცხება I და II მსოფლიო ომებში. საერთოდ, როცა რომელიმე ხალხს აქვს ერთი საზოგადო, საეკლესიო, სალიტერატურო, სახელმწიფო ენა ეს არის უდიდესი ეროვნული მიღწევა. ამისთვის საუკუნეების მანძილზე იღწვიან ერის საუკეთესო შვილები.

მაგალითად XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა ქვეყნებიდან პალესტინაში ჩასულმა ებრაელებმა (იმჟამად ისინი სხვადასხვა ენებზე მეტყველებდნენ) დიდი ძალისხმევით შეძლეს ერთანი ებრაული ენის ჩამოყალიბება: მათ გააცოცხლეს ფაქტიურად უკვე 2000 წლის წინ მკვდარი ენა ბიბლიისა და დღეს ისრაელის ბავშვები ამ ენაზე მეტყველებენ.

კულტურული სიდიადის მიუხედავად, თანამედროვე საბერძნეთში ამჟამადაც კი მიმდინარეობს ერთიანი სალიტერატურო-სახალხო ენის შექმნის პროცესი. საბერძნეთში რამდენიმე ენა გამოიყენება სხვადასხვა სფეროში: სხვა არის ხალხური ენა (ე.წ. "დიმოტიკი"), სხვა არის უმაღლესი ინტელიგენციის ენა ("კათარევსა" - წმ. ენა) და სხვა არის საეკლესიო ენა. გარდა ამისა არსებობენ აგრეთვე ადგილობრივი დიალექტები.

ენობრივი საკითხი რთული იყო სომხებისთვისაც, რადგანაც სომხური კილოები ძალზე დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად ის მეტყველება, რომლითაც კილიკიაში საუბრობენ აბსოლიტურად განსხვავდება ვთქვათ ბულგარეთის სომხების ენისაგან. მიუხედავად ამისა სკოლებში შეისწავლება სალიტერატურო სომხური ენა, დიდად განსხვავებული იმ ენისაგან, რომელზეც ოჯახებში მეტყველებენ.

ცხადია წმ. წერილის ყოველ ენაზე თარგმნა კურთხეული საქმეა, მაგრამ ერთი ერის მრავალ ტომებად დანაკუწებისათვის მისი გამოყენება არასწორია. თვით წმ. მოციქულების ეპოქაში წმ. წერილი არ უთარგმნიათ კორინთულ, დორიულ ან ვთქვათ იონურ "ენებზე", თუმცა კი ბერძნული ენის სხვადასხვა დიალექტებზე შესაბამისი, ძალზე განვითარებული ლიტერატურა არსებობდა. წმ. მოციქულების ეპოქაში, მოციქულების ნებით, მე კი ვიტყოდი სული წმიდის ნებით წმ. წერილი ითარგმნა ბერძენთა საერთო ენაზე ანუ ბერძნულ კოინეზე, რომელიც შედარებით განუვითარებელი იყო, მაგრამ გასაგები ყველა ბერძნული ტომისათვის. ასევე IV-V საუკუნეებში ის ენა, რომლითაც ქართველთათვის ითარგმნა წმ. წერილი, უთუოდ გასაგები იყო ყველა ქართული ტომისათვის. ასე რომ არ ყოფილიყო ლაზეთ-ეგრისიდან იმდენი და ისეთი დიდი საეკლესიო მოღვაწეები მოევლინენ წმ. ეკლესიას (იოანე ლაზიდან - ჭყონდიდელების ჩათვლით), ისინი შეძლებდნენ და უთუოდ თარგმნიდნენ წმ. წერილს თავიანთი მრევლის საჭიროებისათვის, მაგრამ მათ ვფიქრობ ჩვენზე უკეთ იცოდნენ რომელია საერთო სახალხო სალიტერატურო საეკლესიო ენა და რომელი არის კუთხური დიალექტი. აღნიშნული საკითხი ღრმაა და მოითხოვს დიდ ყურადღებას, **XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, როცა რუსეთის იმპერიის მოხელეები ქართველი ერის მთლიანობის დარღვევის მიზნით ცდილობდნენ კუთხურ დიალექტებზე ეთარგმნათ ქართული წმ. წერილი, მთელი საზოგადოება მათ შორის ნიკო დადიანი, დიმიტრი ყიფიანი, ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი, წმ. ამბროსი ხელაია, წმ. ალექსი შუშანია, ილია, აკაკი, იაკობი და სხვანი პრესაში აქვეყნებდნენ მძაფრ წერილებს ამის აღსაკვეთად.** საეკლესიო წესია, ყველა ენაზე უნდა იყოს წმიდა წერილი. სულიწმიდის ნება იყო, როდესაც წმიდა მოციქულები ამეტყველდნენ სხვადასხვა ენაზე. რომ ყოფილიყო მეგრული ენა ჭყონდიდელების დროს ან სვანური ენა, მაშინ იქნებოდა ნათარგმნი წმიდა წერილი ამ ენებზე.

ენათმეცნიერული კვლევა შეიძლება თავიდან დაიწყოს...

ჩემი მისია ის იყო, რომ თქვენი აზრი დამეფიქსირებინა.

გამოვიდა რუსული ენციკლოპედია, სადაც წერია, რომ ქართული ენა იყო ქართლის მეტყველება და შემდეგ გავრცელდა სხვაგან. ჩვენ ეს თვალსაზრისი ძალიან ცუდად მოგვიბრუნდა.

კარგი იქნება თუ დავგეგმავთ კონფერენციას თემაზე: "ძველი ქართული ენა და კულტურა".

სიტყვა წარმოთქმული ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეხვედრაზე

15.05.2007

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს ეკლესია 1918-1921 წლებში

საეკლესიო სამართლის თანახმად ეკლესიის ავტოკეფალიის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი არის ეკლესიის მომცველი ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ასეთი რამ საქართველოს ეკლესიას XIX საუკუნეში არ გააჩნდა. რუსეთის იმპერიის წიაღში "საქართველო" არა თუ პოლიტიკურად იყო დამოუკიდებელი, არამედ ადმინისტრაციული ერთეულის სახითაც კი არ არსებობდა. ამიტომაც უკავშირდებოდა ერთმანეთს საქართველოს ჩამოყალიბება ადმინისტრაციული ერთეულის სახით, მისი შემდგომი ავტონომიისა და ავტოკეფალიის საკითხი.

XX საუკუნის დასაწყისში ქართველი ავტოკეფალისტების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო, რომ გაერთიანებულიყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები და ისინი ჩამოყალიბებულიყვნენ ახალი ადმინისტრაციული ერთეულის სახით, რომელსაც დაერქმეოდა "საქართველო" ანუ შექმნილიყო რუსეთის იმპერიაში სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი საქართველოს ავტონომიის სახით. მეორე მხრივ ეს გაერთიანება გახლდათ სამართებლივი საფუძველი საქართველოს სახელმწიფოს წარმოქმნისა, მართლაც 1917 წლის რუსეთის რევულუციის შემდეგ საიმპერატორო ხელისუფლება დაემხო, ეს იდეა რეალურად განხორციელდა, კერძოდ ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო.

ასე რომ ავტოკეფალიისათვის ბრძოლამ, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი სასულიერო პირები და ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, სასურველი შედეგი გამოიღო. 1917 წლის 25 მარტს წმ. მღვდელმთავარმა ლეონიდე ოქროპირიძემ განაცხადა - "ჩვენ მოვალენი ვართ დამოუკიდებელ ეკლესიას მალევე გვერდით ამოვუყენოთ დამოუკიდებელი საქართველო". და მართლაც, მალევე 1918 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1918 წელი ძალზე მნიშვნელოვანი იყო ეკლესიისათვის. აღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა. ქართველი ხალხი ვითარცა სუვერენული სახელმწიფოს მქონე ერი წარსდგა მსოფლიოს წინაშე. საქართველოს გათავისუფლებისთვის მთელი საუკუნე იღწოდნენ და უფალ ღმერთს ევედრებოდნენ ქართველი სასულიერო პირები. არ იყო შემთხვევითი, რომ XIX საუკუნეში საქართველოს გათავისუფლებისათვის ყველა აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ სასულიერო პირებიც, მაგალითად, 1819-20 წლებში მღვდელთმთავრები მიტროპოლიტი წმ. დოსითეოს ქუთათელი და წმ. ექვთიმე გაენათელი, 1832 წლის აჯანყების იდეოლოგი იყო არქიმანდრიტი ფილადელფოს კიკნაძე, საზოგადოდ, XIX საუკუნეში მხოლოდ ეკლესია ინახავდა სახელს "საქართველო" (საქართელოს საეგზარქოსოს სახით), რადგანაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ სიტყვა „საქართველოს" ხსენებაც კი, XX საუკუნის დასაწყისში, აკრძალული იყო.

1918 წლის 28 მაისს შედგა საკათალიკოსო საბჭოს კრება, რომელიც გაიმართა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აღსანიშნავად. კრებამ დაადგინა შესაბამისი საზეიმო ღონისძიებებით აღენიშნა ეს დიდმნიშვნელოვანი აქტი, რომლისთვისაც ეკლესია 117 წელი იღვწოდა 1801 წლიდან, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის პირველი დღიდანვე.

საეკლესიო იერარქიამ გაითვალისწინა, რომ საუკუნოვანი მონობის უღლის ქვეშ მყოფი ხალხის მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგული ჰქონდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება, მის აღსადგენად საჭიროდ იქნა მიჩნეული ეკლესიის სახელით გამოცემულიყო "დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მიმართ მორწმუნე მოქალაქეთა ფიცის ფურცელი".

იგი ასეთია: **"მე, ვფიცავ წინაშე ღვთისა და მისისა წმიდისა სახარებისა, რომ მსურს და ვალდებული ვარ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ერთგულად და გულწრფელად**

ვემსახურო, მორჩილ ვიქმნე და არა დავიშურო სიცოცხლე ჩემი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მისის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, დავიცვა ამ რესპუბლიკის ყოველი უფლება და უპირატესობა, აწ უკვე დაკანონებული და ამის შემდეგ კანონად დადგენილი, ჩემის შეძლებისა და ქონებისამებრ ხელი წარვუმართო ყოველსავე, რაც კი რესპუბლიკას სარგებლობას მოუტანს, ხოლო ყოველივე ზიანი და ვნება, რომელიც ჩემ და უწყების იქნება, არა თუ დროზედ განვაცხადო, არამედ ყოველის ღონისძიებითა ჩემითა ავარიდო, ყოველი ჩემ და რწმუნებულითა და არცა რაი მე სარგებლობის სიხარბითა არა ვიმოქმედო რა რესპუბლიკის წინააღმდეგ, მახსოვს რა, რომ ამაფიცისა დარღვევისათვის პასუხი უნდა ვაგო წინაშე კანონისა და ღვთისა მის საშინელ სასამსჯავროსა შინა, დასარწმუნებლად ამა ჩემის ფიცისა ვემთხვევი სიტყვასა და ჯვარს მაცხოვრისა ჩემისასა, ამინ".

1918 წელს საქართველოში სახელმწიფო მმართველობა თავის ხელში აიღო იმ დროისათვის ხალხში პოპულარულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, მისმა "მენშევიკურმა" ფრთამ. ეს პარტია იქამდე მუდამ იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, თავგამოდებით იცავდა "ერთიანი, განუყოფელი რუსეთის" იდეას, შემთხვევის წყალობით, მენშევიკური პარტია მოექცა იმ სახელმწიფოს სათავეში, რომლის წარმოშობის წინააღმდეგაც იბრძოდა ათწლეულების მანძილზე. ამან ასახვა პოვა მის დამოკიდებულებაში ქართული ეკლესიისადმი. ცხადია, ვერ შეაფასა ქართული ეკლესიის მნიშვნელობა.

"1918 წელს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ გააუქმა სასულიერო სასწავლებლები, რითაც ეკლესიას მოუსპო საშუალება სასულიერო კადრები მოემზადებინა. პარლამენტის 1918 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასწავლებლებში აიკრძალა საღვთო რჯულის სწავლება. 1918 წლის 3 დეკემბრის მთავრობის განკარგულებით ეკლესიას ჩამოერთვა სამოქალაქო რეგისტრაციის უფლება. ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 17 ივლისს ზოგიერთი საეკლესიო უქმე დღის გაუქმება.

აგრარული საკითხის გადაწყვეტის დროს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ეკლესიას არათუ დაუბრუნა ის საეკლესიო მიწები და ქონება, რომელიც მან ავტოკეფალიის გაუქმების დროს დაკარგა, არამედ სახელმწიფოს მფლობელობაში გადავიდა ის მცირე საეკლესიო მიწებიც, რომელიც მას ეგზარქოსობის დროს ჰქონდა. ეკლესია სახელმწიფოსაგან მცირე სუბსიდიებს და ნატურალურ ულუფას იღებდა, მაგრამ 1920 წლის მთავრობის განკარგულებით 21 მაისის დეკრეტით საეკლესიო ქონება სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. შექმნილ კომისიას დაევალა მათი მუზეუმებში თავმოყრა.

სამწუხაროდ, როგორც აღინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სათანადოდ ვერ დააფასა ეკლესიის საუკუნოვანი ღვაწლი ერის წინაშე, კერძოდ ისიც კი დაივიწყეს, რომ ეკლესია თვითვე იყო ერთ-ერთი უმთავრესი ფუძემდებელი იმ სახელმწიფოსი, რომელსაც იმჟამად მენშევიკები მართავდნენ. ამ ფაქტმა მალე სათანადო შედეგები გამოიღო.

1920 წლის 27 ივნისს გამართულმა საქართველოს II საეკლესიო კრებამ იმსჯელა მთავრობის მიერ ეკლესიის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ და აღნიშნა, რომ დიდად ილახებოდა ეკლესიისა და მორწმუნე ერის ინტერესები. საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები მთავრობას ეცნობა. საკათალიკოსო საბჭო წინააღმდეგი არ იყო ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფისა. ეკლესია უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას დემოკრატიული მთავრობა ათეისტური პროპაგანდის ფონზე ახდენდა.

მალე, 1920 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მთავრობამ ჩამოაყალიბა სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების პროექტი, რომლის საფუძველზე ეკლესია განთავისუფლდა სახელმწიფო ფუნქციებისაგან, გარდაცვალების, ქორწინებისა და დაბადების რეგისტრაციის მოვალეობისაგან, ეკლესია მატერიალურად დამოუკიდებელი ხდებოდა სახელმწიფოსაგან, ხოლო სახელმწიფო არ ჩაერეოდა შიდასაეკლესიო საქმეებში.

კანონ-პროექტი 24 მუხლისაგან შედგებოდა. მთავრობამ ამ კანონ-პროექტით ეროვნული ეკლესია უფლებრივად გაუთანაბრა სხვა რელიგიურ აღმსარებლებს. პროექტმა აღაშფოთა სამღვდელოება, სისტემატურად ეწყობოდა ეპარქიული კრებები, სადაც სამღვდელოება მსჯელობდა ეკლესიაში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე. ლეონიდემ ოფიციალური წერილით მიმართა ნ. ჟორდანიას. პროექტის მერვე მუხლით "ეკლესიის საკუთრებად გამოცხადდა უძრავ-მოძრავი ქონება გარდა მიწისა", ამიტომაც ლეონიდე წერდა - "მონასტრებსა და ეკლესიებში ხალხი ცხოვრობს და რით იარსებონ მათ, თუ მიწა არ ექნებოდათ?". ამ დროისათვის (1918 წლის 26 აგვისტოს მონაცემებით) საქართველოს საკათალიკოსოში ირიცხებოდა 1425 სამრევლო, აქედან 914 ქუთაისის გუბერნიაში, 453 თბილისი გუბერნიაში, 56 სოხუმის ოლქში, 2 განჯის გუბერნიაში, სულ მსახუროზდა 1520 მღვდელი, 21 დიაკვანი და 1501 მედავითნე238.

ამასთანავე აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკური (სოციალისტური) მთავრობა გულგრილად ექცეოდა ეროვნულ ეკლესიას უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ზოგიერთი დადგენილება ხელისუფლებისა. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე რუსული საეგზარქოსოს ნაშთების აღმოფხვრისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთავრობის 1920 წლის 21 თებერვლის კანონს "კავკასიის სინოდალური კანტორის გაუქმების შესახებ", რომელიც ეყრდნობოდა იმ ფაქტს, რომ "სინოდალურ კანტორაში მუშაობდნენ სახელმწიფოსათვის არა სანდო ელემენტები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ეროვნების მკვიდრ მოსახლეობას ერთმანეთს უპირისპირებდნენ", 1920 წლის თებერვლიდან საქართველოში შეწყდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქცია. საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენა სახელწმიფოს მთელ ტერიტორიაზე მოხდა მას შემდეგ, რაც 1920 წლის 17 აგვისტოს მთავრობის სხდომაზე მოსმენილ იქნა იუსტიციის მინისტრის მოხსენება საქართველოს ფარგლებში არსებული რუსული, ბერძნული და ოსური სამღვდელოების დაქვემდებარების შესახებ. დაევალა მსს მინისტრს საეკლესიო კანონმდებლობით ზემოხსენებული სამრევლოები დაექვემდებარებინა საქართველოს ეკლესიისათვის N7გ მუხლის ძალით.

როგორც აღინიშნა, 1920 წლის 27 ივნისს - 8 ივლისს საქართველოს ეკლესიის ე.წ. მეორე (ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ) საეკლესიო კრებამ, რომელმაც 1917 წლის საეკლესიო კრების მუშაობა გააგრძელა ეკლესიის მართვა-გამგეობის საკითხთა გადასაჭრელად. გამოსცა დებულება: "საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა". II კრებამ ერთსულოვნად საპატრიარქო ტახტზე აირჩია (დაამტკიცა) ლეონიდე, რომელსაც ეს ტახტი ეჭირა კირიონის გარდაცვალების შემდეგ.

მცხეთა-თბილისის მწყემსმთავრად განისაზღვრა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, რომლის ტიტულს ამის გამო დაემატა "მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და ტფილისისა".

აღსანიშნავია, რომ ქართულმა ეკლესიამ თავის იურისდიქციაში შეიყვანა აგრეთვე უცხოეთში მცხოვრები ქართველები (და საქართველოს ეკლესიის წევრები).

მთავრობა უსულგულოდ ექცეოდა აგრეთვე საქართველოს ეკლესიის წარსული ისტორიის, ერის წინაშე მისი დამსახურების შესწავლის საქმეს, კერძოდ, ქეთევან პავლიაშვილის კვლევის თანახმად, ვერ განხორციელდა დიდი ივანე ჯავახიშვილის მცდელობა იმისა, რომ თბილისის უნივერსიტეტში დაარსებულიყო საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა.

სურვილი, რათა საეკლესიო ისტორიოგრაფიას საზოგადოებაში დაებრუნებინა ის ღირსეული ადგილი და ავტორიტეტი, რომელიც მას დაუკარგეს რუსთა და ათეისტთა ბატონობისას XIX-XX საუკუნეებში. ეს სურვილი ეხმიანებოდა და ფაქტიურად იმეორებდა 1901 წელს ქართველ მღვდელმთავართა რუსეთის იმპერატორისა და ეკლესიისათვის გაგზავნილ თხოვნას, რათა დაარსებულიყო მთელ რუსეთის იმპერიაში (რომელშიც მაშინ საქართველოც შედიოდა) თუნდაც ერთადერთი ქართული ეკლესიის ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი. 1901 წელს რუსეთის მმართველ წრეებს სურდათ დიდი ზეიმით აღენიშნათ ე.წ. საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავი, ამიტომაც მთავრობამ გადაწყვიტა ქართული საზოგადოების

ზოგიერთი თხოვნის შესრულება. ამ მომენტით ისარგებლეს ქართველმა ეპისკოპოსებმა და იმპერატორთან გაგზავნეს შესაბამისი თხოვნა, რომელშიც კერძოდ წერდნენ: "ვითვალისწინებთ საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავს, 1901 წლის 18 იანვარს და მიგვაჩნია, რომ ჩვენი პირველი და უწმიდესი ვალია შევევედროთ წმ. სინოდს პეტერბურგის თეოლოგიის აკადემიაში დაარსოს ქართული საეკლესიო ისტორიის დამოუკიდებელი კათედრა, სადაც შეისწავლიან ხელნაწერებსა და ყველაფერს, რაც კი ქართულ ეკლესიას ეხება. ეს ნაშრომები გაამდიდრებენ თეოლოგიურ და საეკლესიო ლიტერატურას და ნათელს მოჰფენენ მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის ნაკლებად შესწავლილ ფურცლებს".

რუსეთში, კერძოდ, კი პეტერბურგში, 1911 წელს მართლაც შეიქმნა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შემსწავლელი ცენტრი, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე წელი იარსება ბოლშევიკების გაბატონებამდე. ამის გამო, საზოგადოდ უკვე აღარ არსებობდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შემსწავლელი რაიმე დაწესებულება არც საქართველოსა და არც უცხოეთში. ამ დანაკლისის შესავსებად ივანე ჯავახიშვილმა გადაწყვიტა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაეარსებინა საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა, მაგრამ მთავრობამ მხარი არ დაუჭირა, შემდეგში არასოდეს შექმნილა საქართველოში საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა. საქართველოში არც მენშევიკების და მითუმეტეს არც ბოლშევიკების დროს ცხადია ასეთი ცენტრები არ არსებობდა.

საქართველომ მართალია აღიდგინა დამოუკუდებლობა მე-20 საუკუნის ბოლოს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა ამჟამადაც კი, 21-ე საუკუნის დასწყისში, არ არსებობს არც უმაღლეს სასწავლებლებში და არც თბილისის სასულიერო აკადემიაში.

ამჟამად არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და არც სხვა უნივერსიტეტსა და ინსტიტუტში საქართველოს ეკლესიის ისტორიის არა თუ ფაკულტეტი, კათედრაც კი არ არსებობს, თუმცა კი ამას, როგორც აღვნიშნეთ ასი წლის წინაც ითხოვდნენ ქართველი ეპისკოპოსები.

შესაბამისად, როგორც საზოგადოებას, ისე სტუდენტ ახალგაზრდებსა და სკოლის მოწაფეებს საშუალება არ ეძლევათ ჭეშმარიტებით შეისწავლონ დედა ეკლესიის ისტორია, რომლის შესწავლითაც მათ ჩაენერგებოდათ სიყვარული ღვთისა და სიყვარული მოყვასისა, მამულისა და მშობელი ერისა, რაც ყოველთვის საჭიროა ყოველი საზოგადოებისათვის.

ამჟამად შექმნილია საინიციატივო ჯგუფი, რომელიც მოწიწებით ევედრება საქართველოს უწმიდეს პატრიარქს, რათა თბილისის სასულიერო აკადემიაში შეიქმნას საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა. ის, რაც შეუძლებელი იყო მენშევიკებისა და ბოლშევიკების ბატონობისას, ამჟამად ალბათ შესაძლებელია. (პ.ს. სამწუხაროდ, ამ წერილის დაწერიდან დაახლოებით 10 წლის შემდეგ, მოახერხეს დაინტერესებულმა პირებმა, და საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის ნაცვლად, უწმიდესს სასულიერო აკადემიაში დაარსებინეს "ეკლესიის ისტორიის კათედრა", რომელიც სწავლობს მსოფლიო ეკლესიის ისტორიას და არა განცალკევებულად საქართველოს ეკლესიის ისტორიას, ასეთივე მიდგომა ჰქონდა წარსულში საეგზარქოსოს, ამჟამად კი აქვს ფსევდოლიბერალური მიდგომის მქონე ქართულ საგანმანათლებლო სისტემას. იცვლება დრო, არ იცვლება ქართველთა კოსმოპოლიტიზმი).

1921 წლის 21 თებერვალს შედგა საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხეს. ქვეყანაში თებერვლის დასაწყისში შემოიჭრა რუსეთის XI არმია, რომელიც თბილისისაკენ მოიწევდა.

სხდომამ მიიღო მიმართვა:

"ა) ეკლესიებში გადახდილ იქნეს პარაკლისები მტრისაგან საქართველოს განსათავისუფლებლად;

ბ) ეკლესიებში წინამძღვრებმა განუმარტონ ხალხს დღევანდელი ომის მნიშვნელობა;

გ) სამრევლო საბჭოებმა გაიღონ ქონებრივი ხარჯი ომის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად;

დ) სამრევლო საბჭოებმა მიიღონ ზომები ტაძრების გაძლიერებისა და სიწმიდეთა დასაცავად;

ე) შეკრებილ იქნეს ნებაყოფლობით შეწირულობა აღნიშნული საჭიროებისათვის;

ვ) კრებული დაეხმაროს ჯარში გაწვეულთა ოჯახებს".

1921 წლის 22-23 თებერვალს მთავრობამ მიიღო დადგენილება თბილისის დატოვების შესახებ. საკათალიკოზო საბჭომ კი დადგენილება საეკლესიო განძეულობის (თბილისის, სვეტიცხოვლის ეკლესიამონასტრის ხატები და სხვა სიწმიდეები) ქუთაისში ევაკუაციის შესახებ. განძის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა ეპისკოპოს დავით კაჭახიძეს და არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძეს. 24 თებერვალს თბილისი დატოვა უწმიდესმა ლეონიდემ და ქუთაისში წავიდა. მთავრობამ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მუზეუმებში თავმოყრილი საეკლესიო განძეული გაეტანა უცხოეთში (საქართველოში დარჩენილი სიწმიდეები ბოლშევიკებმა ოქროვერცხლის ზოდებად ჩამოასხეს, ხოლო მათთვის უსარგებლო სიწმიდეები გაანადგურეს).

მთავრობა ემიგრაციაში გაემგზავრა 1921 წლის 11 მარტს, 13 მარტს კათალიკოს პატრიარქი თბილისში დაბრუნდა. იმავე წლის 11 ივნისს იგი გარდაიცვალა, ფიქრობენ, რომ იგი მოწამლეს, მეორე აზრით, იგი რუსის ჯარის მიერ შემოტანილმა შავი ჭირის ეპიდემიამ იმსხვერპლა.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ სახელმწიფომ გაატარა საგანგებო მეთოდური ღონისძიებანი, რათა საერთოდ მოესპო ეკლესია, მაგრამ ვერ გაითვალისწინა ერთი რამ, რომ სალ კლდეზე ქრისტეს მიერ დაფუძნებულ ეკლესიას "ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან". ბოლშევიკებმა, ცხადია, ეკლესია საბოლოოდ გამოყვეს სახელმწიფოსაგან, ე.ი. სამღვდელოება ულუკმაპუროდ დატოვეს.

1921 წლის 15 სექტემბერს, ლეონიდეს გარდაცვალების შემდეგ, გელათში შემდგარმა მესამე საეკლესიო კრებამ კათალიკოს პატრიარქად აირჩია ამბროსი ხელაია. ბოლშევიკებმა მალევე დახურეს გელათის ეკლესია. იგი შემთხვევით გადაურჩა მათგან დანგრევას.

"კომუნისტებად" სახელდებული ბოლშევიკები ეწეოდნენ ხალხის უმაგალითო ექსპლუატაციას, მოსახლეობა საბოლოოდ დაუმორჩილეს სსრკად სახელდებულ რუსეთის სახელმწიფოს. ადამიანთა ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ სახელმწიფოს, რომლის გაძლიერება კვლავ ადამიანთა დასამორჩილებლად ესაჭიროებოდათ. ბოლშევიკების საბოლოო მიზანი იყო მათ მიერ ფაქტიურად აღდგენილ რუსეთის იმპერიაში ჩამოყალიბებულიყო ერთი რუსული ენის მქონე ხალხი, ერთი ბოლშევიკურკომუნისტური ფსიქიკის მატარებელი.

ქართველი ერის ასეთი მძიმე გასაჭირის ჟამს, ცხადია, ეკლესია, რომელიც წმიდა ილია მართლის თქმით "ყოველთვის თავდადებით პატრონობდა ჩვენს ერს" (ტ. I, გვ. 213), განზე ვერ დადგებოდა, პოლიტიკაში ჩარევისაგან თავს ვერ შეიკავებდა. ამიტომაც საკათალიკოსო საბჭოს დასტურით პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ მემორანდუმით მიმართა მთელი მსოფლიოს მთავრობებს, კერძოდ კი "გენუის კონფერენციას".

23.03.2007.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

წყაროები დასავლეთ საქართველოს იურისდიქციის შესახებ

წმიდა მაქსიმე აღმსარებლისადმი
მიძღვნილი საერთაშორისო
კონფერენცია საპატრიარქოში

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციის შესახებ წყაროთა ნაკლებობაა. მიუხედავად ამისა საქართველოს წმიდა ეკლესიის მამათა მიერ საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული იყო ეჭვმიუტანელი თვალსაზრისი, რომ დასავლეთ საქართველო იმთავითვე, გაქრისტიანებისთანავე, ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა. ამ თვალსაზრისმა განსაკუთრებული მხარდაჭერა მოიპოვა რუის-ურბნისის კრებაზე, რაც ასახა მისმა ძეგლისწერამ.

მეორე თვალსაზრისი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციის შესახებ ჩამოყალიბდა საქართველოს დაშლა-დანაწევრების კვალდაკვალ და თავისი განსაკუთრებული გამოხატულება მიიღო XX საუკუნეში, როცა ქართულ ისტორიოგრაფიაში მტკიცედ დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ დასავლეთ საქართველო გაქრისტიანების შემდეგ საუკუნეთა მანძილზე იყო კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატრიარქოს იურისდიქციაში და მხოლოდ IX-X საუკუნეებიდან შევიდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, შესაბამისად მხოლოდ ამ საუკუნეებიდან გავრცელდა დასავლეთ საქართველოში ქართული ენა და კულტურა.

მაშასადამე, ჩვენში ისტორიულად ორი თვალსაზრისი ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს იურისდიქციის შესახებ. პირველის მიხედვით დასავლეთ საქართველო IV საუკუნიდანვე უწყვეტად საქართველოს ეკლესიის წიაღში იმყოფებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ასახა რუის-ურბნისის კრებამ. ამჟამად ეს თვალსაზრისი უარყოფილია და საყოველთაოდაა აღიარებული მეორე თვალსაზრისი, რომ IX-X საუკუნეებამდე დასავლეთ საქართველო ბერძნული ეკლესიის წიაღში იმყოფებოდა.

ვფიქრობ, საჭიროა გაგრძელდეს კვლევები ამ მიმართულებით. უკვე ტრადიციული კონფერენციები, მიძღვნილი წმიდა მაქსიმე აღმსარებელისადმი, გვაძლევს ამ კვლევა-ძიების კარგ საშუალებას, რისთვისაც ვლოცავ და მადლობას მოვახსენებ კონფერენციის ორგანიზატორებს.

წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების აღწერა, ვითარცა ერთ-ერთი წყარო, კარგი საშუალებაა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციის დასადგენად. მასზე დაყრდნობით ჩვენ პირველ კონფერენციაზე კიდევაც წარმოვადგინეთ შესაბამისი მოხსენება, რომელშიც ძველქართული საეკლესიო თვალსაზრისი იყო განვითარებული. სამწუხაროდ, ახლახან, 2007 წელს, გამოცემული “პრავოსლავნაია ენციკლოპედიის” მე-13 ტომში ერთადერთ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებადაა გამოცხადებული მეორე თვალსაზრისი, რომ დასავლეთ საქართველო IX-X საუკუნეებში ბერძნული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, შესაბამისად უარყოფილია ძველი ქართული საეკლესიო თვალსაზრისი. აღნიშნული ენციკლოპედიის მე-13 ტომში წმიდა ნინო მხოლოდ ქართლის, ამ ავტორის სიტყვით, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს განმანათლებლადაა წარმოდგენილი და მიწოდებულია მკითხველისადმი, თითქოსდა ის ერთადერთი თვალსაზრისი იყოს, მაშინ როცა ივანე ჯავახიშვილის სიტყვით: “ქართველებს იმთავითვე წმიდა ნინო ერთიანი ქვეყნის, ერთიანი საქართველოს განმანათლებლად მიუჩნევიათ და არა მისი ერთი რომელიმე ნაწილისა”. მართალია, “პრავოსლავნაია ენციკლოპედიის” მე-13 ტომის ავტორები მიუთითებენ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციის წყაროთა სიმწირის შესახებ, მაგრამ ძალზე სამწუხაროა, რომ დუმან და ოდნავ

მინიშნებასაც კი არ აკეთებენ იმის შესახებ, რომ ამ საკითხს თავისი განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რუის-ურბნისის კრებამ და მიიღო შესაბამისი განსაზღვრება. როგორც ჩანს, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" ავტორებს არ მიაჩნიათ წყაროდ დასავლეთ საქართველოს იურისდიქციის კვლევის საქმეში.

ჩვენი თვითმიზანი არ არის "პრავოსლავნაია ენციკლოპედია"-ში გამოთქმული თვალსაზრისის კრიტიკული განხილვა, ჩვენ ამ საკითხით, საერთოდ, არც დავინტერესდებოდით, ის რომ არ ეხებოდეს საქართველოს ეკლესიის და, საერთოდ, ქართველი ერის მთლიანობის საკითხს. საბედნიეროდ, ჩვენზე გაცილებით ადრე ივ. ჯავახიშვილი შეეხო სწორედ ამ თემას, გამოწვლილვით განიხილა და მოგვცა დიდებული დასკვნა. მიკვირს "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" ავტორებმა რატომ არ გაითვალისწინეს ივ. ჯავახიშვილის ეს დასკვა და შეფასება.

XV საუკუნეში საქართველოს დაშლა-დანაკუწების ჟამს ჩამოვიდა ანტიოქიის პატრიარქი მიხეილი, რომელმაც, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, "შეთხზა თეორია საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად, ქართველი ერის საუკეთესო შვილთა საუკუნოვანი ბრძოლით მიღწეული მონაპოვრის, საქართველოს ეკლესიის თავისუფლების მოსასპობად, მისი მთლიანობის დასარღვევად" (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ.III, 1982, გვ. 340).

მაინც რა თეორია შეთხზა უცხოელმა იერარქმა? ეს თეორია, რომელიც თითქოსდა ხელახლა გაცოცხლდა აღნიშნული ენციკლოპედიის ფურცლებზე, შემდეგში მდგომარეობს - ანდრია მოციქული არაა განმანათლებელი სრულიად საქართველოსი, ასევე წმ. ნინო მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილის განმანათლებელია. ივ. ჯავახიშვილი წერდა: "გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ **ანდრია მოციქულმა იქადაგა "ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა"**, ხოლო შემდგომ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულთმოქმედებამ და ქადაგებამ "მიიზიდა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა". ნიკოლოზ კათალიკოსიც წმ. ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად თვლიდა "ჩვენ ქართველთაჲსა" ("სასწაულნი სვეტიცხოვლისა"). ერთი სიტყვით ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა" (ივ. ჯავახიშვილი, ტ.III, გვ.340).

სამწუხაროა, რომ ძველ ქართულ "სახელოვან მეცნიერთა" მიერ ბოძებულ შემეცნებას სპობს ზოგიერთი ახალი ქართველი მეცნიერი, თანაც ისეთი უმაღლესი საერთაშორისო საეკლესიო ორგანოდან როგორიცაა "პრავოსლავნაია ენციკლოპედია".

მაგალითად, წინააღმდეგ ძველი ქართული წყაროებისა, "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" მე-13 ტომის ავტორები (გვ.200) ნოტიციებზე - ბიზანტიურ კათედრათა ნუსხებზე დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ დასავლეთ საქართველოში VI-IX საუკუნეებში არსებული საეპისკოპოსოები კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ. თითქოსდა "ეგრისის სამეფოში I ნოტიციის მიხედვით არსებობდა ლაზიკის ეპარქია, რომლის ცენტრი იყო ფაზისის (ფოთის) სამიტროპოლიტო ოთხი საეპისკოპოსო კათედრით - როდოპოლისი (ვარციხე), საისინი (ცაიში), პეტრა (ციხისძირი), ზიგანა (ზიგანისი, გუდავა), და აბაზგიის ეპარქიის სებასტოპოლის (ცხუმის) ავტოკეფალიური საეპისკოპოსო კათედრა (გვ.200). თითქოსდა შემდგომ ისინი ქართულმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლს ჩამოაშორა, ამასთანავე თვით "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" მე-13 ტომის ავტორის სიტყვით: "დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში არსებობდა სეპარატისტული ტენდენციები, რის გამოც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, იმისათვის რათა პრესტიჟი

შეენარჩუნებინა, იძულებული გახდა ტრაპეზუნტი ექცია ფაზისის მიტროპოლიის ალტერნატიულ საეკლესიო ცენტრად" (გვ. 202).

ჩვენი თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით IX-X საუკუნეებში იქამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფ დასავლეთ საქართველოში "შეიჭრა მცხეთა და იქ გაბატონდა" (ქსე, ტომი "საქართველო", 1981, გვ.61). თ.პაპუაშვილი წერს - "მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ ეს იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციული გაბატონების მიზნით" (თ. პაპუაშვილი. ნარკვევი II, გვ. 586). სხვა ცნობილი ისტორიკოსის აზრით, ეს იყო ქართული ეკლესიის პროზელიტიზმის გამოხატვა, ანუ შეჭრა სხვა ეკლესიის იურისციქციაში (დ. მუსხელიშვილი. "ქართული ეკლესია შუა საუკუნეებში" II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 2005, გვ.33). ეს მოსაზრებები, მათ შორის "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" შესაბამისი სტატიები დაუდო საფუძვლად თანამედროვე აფხაზური საეკლესიო სეპარატიზმის ერთერთმა იდეოლოგმა მღვდელმონაზონმა დოროთე დბარმა თავის წიგნს (2005 წელს) რუსულ ენაზე - "აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოკლე ისტორია" (ახალი ათონი). ეს ავტორი, ისევე როგორც ჩვენი ქართველი ისტორიკოსები, ეჭვმიუტანელ ფაქტად მიიჩნევს თვალსაზრისს, რომ ისტორიულად დასავლეთი საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა, რომ ქართველთა საეკლესიო სეპარატიზმი და ქართული ეკლესიის პროზელიტიზმი იყო არაკანონიკური ქმედება, მიმართული კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ. ამიტომაც ისტორიული სამართლიანობის აღდგენაა აფხაზეთის ეკლესიის საქართველოს ეკლესიისაგან გამოყოფა. ის ასევე მიიჩნევს, რომ დასავლეთ საქართველოში ქართული ენის გავრცელებამდე წირვა-ლოცვა აფხაზურ და ბერძნულ ენებზე აღესრულებოდა. როგორც ვთქვი, მას წყაროდ და ლიტერატურად, ძირითადად, ქართველი მეცნიერების ნაშრომები აქვს გამოყენებული.

სამწუხარო ისაა, და ჩვენ მხოლოდ იმ ფაქტს ვაქცევთ ყურადღებას, რომ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" მე-13 ტომის ავტორები აღნიშნულ თვალსაზრის მიიჩნევენ ერთადერთად და მკითხველს უმალავენ იმ ფაქტს, რომ აღნიშნულის გარდა ძველთაგანვე არსებობდა სხვა თვალსაზრისი, არა მხოლოდ ქართული საეკლესიო, არამედ მსოფლიო მეცნიერების გამოჩენილი კორიფეებისა, რომელნიც სწორედ ნოტიციებზე დაყრდნობით მიიჩნევდნენ, რომ ბერძნული საეპისკოპოსოები დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ეგრისში, არ არსებობდა.

როგორც მოგეხსენებათ, ნიკოლოზ გიორგის ძე ადონცი 1942 წლამდე იყო ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი, იქამდე პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართული და სომხური სიტყვიერების პროფესორი. მას მსოფლიო დიდება მოუხვეჭა მისმა ყველაზე მნიშვნელოვანმა სამეცნიერო ნაშრომმა "სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში", რომელშიც საგანგებოდ იკვლევდა კავკასია-ბიზანტიურ ურთიერთობებს ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში, ამასთანავე წყაროთა უხვ მონაცემებზე დაყრდნობით ადგენდა საეპისკოპოსოთა საზღვრებსა და მათი ცენტრების ლოკალიზაციას. ის წერდა, რომ ნოტიციებში ნახსენები "ფაზისის სამიტროპოლიტოს" ქვეშ იგულისხმებოდა არა ფოთის, არამედ ტრაპეზუნტის საეკლესიო ცენტრი. ამასთანავე ლაზიკა საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ არა ეგრისში, არამედ ტრაპეზუნტის სანახებში, რომელსაც ბერძნები "ლაზიკას", ხოლო ქართველები "მეგრელთა სოფელს" უწოდებდნენ. იქ და არა დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა ზიგანას, როდოპოლისისა და საისინის საეპისკოპოსოები. ის მაგალითად წერს - "არდასის ჩრდილოეთით მდებარეობს **ზიგანა,** ამავე სახელის ქედის ძირში, ტრაპეზუნტის მთავარ გზაზე. **ზიგანა** ძველ დროს იყო ძალზე მნიშვნელოვანი პუნქტი და იქ იყო რეზიდენცია იმ **ხუთი საეპისკოპოსოდან ერთ-ერთისა,** რომელნიც **ლაზიკის ეპარქიაში** შედიოდნენ ნ. საეკლესიო თვალსაზრისით ჭანიკე ლაზიკას მიეკუთვნებოდა" (Н. Адонц, "Армения в эпоху Юстиниана" СПБ, 1908, с.65).

მაშასადამე, არა მხოლოდ ძველი ქართული ისტორიოგრაფია, არამედ მსოფლიო დონის მეცნიერი ნიკოლოზ ადონციც მიიჩნევდა, რომ ფაზისის სამიტროპოლიტო იმთავითვე

ტრაპეზუნტში იყო, იქვე იყო სხვა მისი საეპისკოპოსოები და არა ეგრისში (დასავლეთ საქართველოში), მაშასადამე, მისი აზრით როდოპოლისი არ იყო ვარციხე, საისინი - არ იყო ცაიში და არც ზიგანა იყო გუდავა. თუ აღნიშნული საეპისკოპოსოები არ იმყოფებოდნენ დასავლეთ საქართველოში, მაშინ არც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქცია ვრცელდებოდა იქ, შესაბამისად ქართულ ეკლესიასაც ეხსნება მძიმე ბრალდება "საეკლესიო სეპარატიზმისა" და აგრეთვე "პროზელიტიზმში". შესაბამისად არც ამჟამინდელ აფხაზ საეკლესიო სეპარატისტებს ემლევათ საშუალება თავიანთი სეპარატიზმის გამართლებისა.

სამწუხარო ისაა, რომ მიუხედავად ადონცის, ასევე სხვა მეცნიერების ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული ნაშრომებისა, "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" მე-13 ტომის ავტორებმა არ განაცხადეს, რომ მათ მიერ გამოთქმულის გარდა არსებობდა კიდევ სხვა თვალსაზრისი დასავლეთ საქართველოს იურისდიქციის შესახებ.

საინტერესოა ის, რომ თვით ბერძნულ წყაროებშივე ეწოდება ტრაპეზუნტს ფაზისი (და არა ფოთს). მაგალითად VIII საუკუნეში 787 წელს ნიკეაში შემდგარი VII მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე ფაზისის მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ სამჯერ მოაწერა ხელი კრების აქტებს, სადაც სამივეჯერ განმარტა, რომ ფაზისი იგივე ტრაპეზუნტია, რომ ტრაპეზუნტის საეკლესიო სახელია ფაზისი: მიტროპოლიტი ქრისტეფორე პირველად ხელს აწერს შემდეგი განმარტებით "ეპისკოპოსი ფაზისისა" (სია ABE), მეორეჯერ - "ეპისკოპოსი ფაზისისა ე.ი. ტრაპეზუნტისა" (D) და მესამეჯერ "ეპისკოპოსი ტრაპეზუნტისა" (F). (იხ. "პრავოსლავნაია ენციკლოპედია", მე-13 ტ., გვ.200).

მაშასადამე, ახალი ქართული თეორიის მიხედვით დასავლეთ საქართველოში - ეგრისში, ძველთაგანვე არსებობდა ბერძნული საეპისკოპოსოები, რომლებიც ქართულით შეიცვალა X საუკუნისათვის. ასე რომ ყოფილიყო, ეს ფაქტი უთუოდ აისახებოდა ცნობილი ბერძენი კანონისტის, საეკლესიო კანონების სახელგანთქმული კომენტატორის, ჩვენი თანამედროვის მიტროპოლიტ მაქსიმე სარდელის წიგნში - "საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია", რომელიც 1966 წელს ათენში დაიბეჭდა, ხოლო მისი სრული თარგმანი 80-იან წლებში მიიღო ჩვენმა საპატრიარქომ. პირადად მე თითქმის ერთი წლის მანძილზე ვეცნობოდი ბერძენი მღვდელმთავრის ამ წიგნს და უნდა განვაცხადო, რომ მასში არ არის ოდნავი მინიშნებაც კი იმისა, რომ რიონის ხეობაში, ეგრისში ოდესმე ბერძნული საეპისკოპოსოები არსებობდა. ბერძნული საეპისკოპოსოები ქართულით რომ შეცვლილიყო, მითუმეტეს როგორც აცხადებდნენ, მისი "პროზელიტიზმისა" და "უცხო ეკლესიის სამრევლოში შეჭრის" გზით, ქართულ-ბერძნული ათასწლოვანი საეკლესიო ურთიერთობის დროს ამის შესახებ ერთხელ მაინც გამოითქმებოდა თუნდაც მცირე შენიშვნა. საქმე ის არის, რომ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ლაზიკის ეპარქია, ფაზისის სამიტროპოლიტო და მისი ოთხი საეპისკოპოსო სინამდვილეში, როგორც ითქვა, არასოდეს მდებარეობდნენ რიონის ხეობაში - ეგრისში, არამედ ტრაპეზუნტის ოლქში, რომელსაც ერქვა ასევე "ლაზიკა". ხოლო ეგრისი სხვა რეგიონში, რიონის ხეობაში მდებარეობდა, უფრო ჩრდილოეთით.

მაშასადამე, ბერძნული "ლაზიკა" ჭოროხის ხეობის მიმდებარე მხარეებს ერქვა. მაქსიმე ბერძნიშვილის კვლევის თანახმად ბერძნულ მწერლობაში ქსენეფრანტედან პროკოფი კესარიელამდე მდ. ჭოროხი ფაზისთან იყო გაიგივებული (მ. ბერძნიშვილი. ქ.ფაზისის ისტორიისათვის, 1969, გვ.88). ეგრისი ეკლესიურად კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში რომ ყოფილიყო X საუკუნემდე, კონსტანტინოპოლის პატრიარქი X საუკუნისა ნიკოლოზ მისტიკოსი თავის წერილებში აფხზთა მეფე გიორგი მეორისადმი ამის შესახებ მიანიშნებდა კიდეც. როგორც ცნობილია, ჩვენამდე მოღწეული პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები გიორგი მეორისადმი ძალზე თბილი და მეგობრული შინაარსისაა. მის ეპოქაში, ე.ი. IX-X საუკუნეებში, რიონის ხეობისა და მიმდებარე მხარეების ბერძნული საეპისკოპოსოები ქართულით რომ შეცვლილიყო, ანუ მის ეპოქაში რომ დაეკარგა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ეპარქიები, სამიტროპოლიტოები და საარქიეპისკოპოსოები ძალზე დიდი მრევლით, ამვე ეპოქის

მეფე გიორგი II და მისი მამის კონსტანტინე III დროს, მაშინ მათ დიდი სითბოთი და სიყვარულით კი არ მოიხსენიებდა პატრიარქი თავის წერილებში, არამედ რაიმე საყვედურნარევ მინიშნებას მაინც ინებებდა მისთვის ამ მძიმე ფაქტის შესახებ, მაგრამ პირიქით, სწორედ აღნიშნულ ეპოქაში, როცა ჩვენი მეცნიერების თქმით, "ბრძოლა იყო გაჩაღებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ" კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი, თბილ და მეგობრულ წერილებს უგზავნიდა ქართველ მეფეებს.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება. დასავლეთ საქართველოში წმიდა მაქსიმე აღმსარებლის დროს ბერძნული საეპისკოპოსოები რომ ყოფილიყვნენ, მათ შესახებ იქნებოდა კიდეც რაიმე მინიშნება მის ცხოვრებაში, გარდა ამისა ამ ცხოვრებაში ნათქვამია, რომ ხალხი და ხელისუფლება დასავლეთ საქართველოში იყვნენ არა მონოთელიტები, არამედ მართლმადიდებლები. ცნობილია, რომ წმიდა მაქსიმეს დროს ბიზანტიის იმპერიის თითქმის ყველა საეპისკოპოსო მონოთელიტური იდეების ცენტრებად იქცა. დასავლეთ საქართველოში კი წმიდა მაქსიმესა და მის მოწაფეებს სხვა ვითარება დახვდათ, ისინი ქართულ მხარეებს - "ქრისტესმოყვარე აბაზგების ქვეყანას" (გეორგიკა, IV, 2, გვ.48), ან "ქრისტესმოყვარე ლაზთა ქვეყანას" (იქვე, გვ.41), ამ ქვეყანათა მეთაურებს კი "ღვთისმოყვარე მთავრებს" (იქვე, გვ.45), ანდა "იბერიის ღირსაქებ პატრიკიოსსა და პრეტორს" უწოდებდნენ (იქვე, გვ.48). VII-VIII საუკუნეებში, როცა კონსტანტინოპოლურ მრავალ საეპისკოპოსოში მონოთელიტობამ იმძლავრა, დასავლეთ საქართველო მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას, რადგანაც ქართული ეკლესიის სამწყსოს წაროადგენდა, ბიზანტიაში და მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ საეპისკოპოსოებში კი, როგორც წმიდა მაქსიმე აღმსარებელის ცხოვრებიდან ჩანს, სამწუხაროდ, მონოთელიტობა ბატონობდა. ერთი სიტყვით, არც ნოტიციები და არც სხვა წყაროები არ ადასტურებენ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისს, თითქოსდა დასავლეთ საქართველო - ეგრისი თავდაპირველად კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა, რაც ერთადერთ თეორიადაა გამოცხადებული "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" მე-13 ტომში.

ჩვენ კარგად გვესმის: ის, რაც ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ინერგებოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ერთი საკონფერენციო თემით არ ამოიწურება და არც გვაქვს ამის პრეტენზია. ვიცით, რომ ამჟამად აღიარებული თვალსაზრისი ძლიერია, მაგრამ გვამხნევებს ის აზრი, რომ XIX-XX საუკუნემდე არსებობდა სხვა ათასწლოვანი საეკლესიო თვალსაზრისი, რომლის სიმართლეში მომავალი თაობა უთუოდ დარწმუნდება.

ჩვენი უფალი და მაცხოვარი იესო ქრისტე ბრძანებს: "თუ სამეფო თავისივე თავის წინააღმდეგ დაიყოფა, ის სამეფო ვეღარ გაძლებს" (მარკ. 3,24).

ეს შეეხება ჩვენს საეკლესიო მთლიანობასაც. თუ ამჟამად, როცა საეკლესიო სეპარატიზმი აფხაზეთში, და არა მარტო იქ, გამალებით ეძებს თეორიებს საერთაშორისო ასპარეზზე გადასატანად, რათა გაამართლოს თავისი არაკანონიკური ქმედებები და ამავე დროს, ჩვენი შესაბამისი მეცნიერები ეკლესიის მთლიანობისათვის საშიშ შეხედულებებს "აკადემიურობის" მომიზეზებით საერთაშორისოვე ორგანოებში გამოაქვეყნებენ ვითარცა ერთადერთსა და ეჭვმიუტანელს, ეს ალბათ ხელს არ შეუწყობს საეკლესიო მთლიანობას, ანუ ვერ გაძლებს ის სამეფო, რომელიც დაიყოფა თავისი თავის წინააღმდეგ. როგორც ითქვა, აქ გამოსავალი არის ყურისგდება და დაჯერება იმ ძველი და თანაც ღრმა სამეცნიერო თვალსაზრისისა, რომელსაც ეკლესიის მამები, შესანიშნავი მეცნიერები და ისტორიკოსები გამოთქვამდნენ საუკუნეთა წინ და რომელიც ასახულია ადგილობრივ კრებათა განსაზღვრებებშიც. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ძველი მამების ის "შემეცნება", რომელზეც მიუთითებდა ივ. ჯავახიშვილი, უთუოდ აისახება მომავალ "ქართული საეკლესიო ენციკლოპედიის" სტატიებში. ეს ენციკლოპედია, რომელიც მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II კურთხევით მზადდება, მართლაც, უდიდესი შენაძენი იქნება საქართველოს წმიდა ეკლესიისათვის.

საზოგადოდ, “პრავოსლავნაია ენციკლოპედიის” მე-13 ტომის ის ნაწილი, რომელიც შეეხება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, არის ძალზე მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი სტატიების სერია ქართული ეკლესიის ისტორიის, თანამედროვე მდგომარეობის, ღვთისმსახურების ისტორიის, სალიტერატურო-საღვთისმეტყველო სკოლების, კანონიკური, აგიოგრაფიული, დოგმატური ლიტერატურის, საეკლესიო ხელოვნების, არქიტექტურის, ფერწერის, ხატწერის, გალობისა და სხვათა შესახებ. საზოგადოდ, ცხადია, ეს ტომი არის უდიდესი შენაძენი საქართველოს ეკლესიისათვის, დიდი მონაპოვარი, შექმნილი მისი ავტორების ბეჯითი შრომითა და სიყვარულით. ჩვენ მხოლოდ მის ერთ მცირე მონაკვეთს ვეხებით - IV-X საუკუნეებს, იმ ეპოქას, რომელშიც მოღვაწეობდა წმიდა მაქსიმე აღმსარებელი.

10.X.2007.

მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქ ილია II “უფლის კვართის ორდენით” დაჯილდოებისას

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,

დღევანდელ დღეს განსაკუთრებული რუდუნებით ელოდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები.

ჩვენი ეკლესიის მღვდელმთავრებს, წმიდა მიტროპოლიტებს, მთავარეპისკოპოსებსა და ეპისკოპოსებს, და მათი სახით სრულიად საქართველოს ეკლესიის ეპარქიებს, სურვილი აქვთ დღეს აღისრულონ დიდი ხნის ოცნება, გამოხატონ განსაკუთრებული სიყვარული, შვილური მოკრძალება თქვენს მიმართ, თქვენი წმიდა ნახევარსაუკუნოვანი დაუცხრომელი მოღვწეობის მიმართ და მოგიძღვნან თქვენს შრომასთან შედარებით მართალია მცირე, მაგრამ გულწრფელი ჯილდო, რომელსაც ეწოდება “წმიდა კვართის ორდენი”.

წმიდა სინოდის წევრების თვალსაზრისით “კვართის ორდენი” არის და იქნება საქართველოს მართლმადიდებელი, სამოციქულო ეკლესიის ყველაზე უფრო საპატიო ჯილდო, განსაკუთრებული ღვაწლისა და წარჩინების ნიშანი, რომლითაც დღემდე არავინ დაჯილდოვებულა.

ჩვენი წმიდა მღვდელმთავრები დიდხანს მსჯელობდნენ მისი სახელდების შესახებ, და ბოლოს გადაწყდა მისთვის “წმიდა კვართის ორდენის” წოდება.

მართლაც, საქართველოს უდიდესი და უპირველესი სიწმიდე, გონებამიუწვდომელი საგანძური არის წმიდა კვართი ჩვენი უფლისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი, რომელიც ღვთის მოწყალებით საუკუნოდ მოებარა ჩვენს ქვეყანას და დაკრძალულია ამ წმიდა ტაძარში. წმიდა კვართს, I საუკუნეში, თავისი ხელით შეეხო საქართველოს მეფე ადერკი, რითაც კურთხევა მიიღო მან და საქართველოს მმართველმა სამეფო დინასტიამ, უფლის წმიდა კვართზე დაეფუძნა სამოციქულო საყდარი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლისა, უფლის კვართს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო წმიდა ნინომ, ქართველთა განმანათლებელმა, რადგანაც კვართი ნიშანია საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის მთლიანობისა, მუდმივი სიქადული ჩვენი ქვეყნისა. კვართი არ გაუყვიათ, არ დაუნაწილებიათ, რადგანაც მას მამისაგან მაღლით ერთიანობა ჰქონდა მიცემული. კვართის მთლიანობა მოასწავებს მისი მცველი ქვეყნისა და ერის ერთიანობასა და მთლიანობას. კვართის საიდუმლოთი უფალმა ერთიანობაზე მიგვანიშნა.

თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, საქართველოს ერთიანობას, მისი ერისა და ეკლესიის მთლიანობას მიუძღვენით თქვენი ხანგრძლივი 30-წლიანი საპატრიარქო მმართველობის წლები,

იქამდე კი სამღვდელმთავრო მოღვაწეობისა, ამიტომაც ორდენისათვის "წმიდა კვართის" სახელდება გადაწყდა.

მე ბედნიერი ვარ გავახმოვანო წმიდა სინოდის განჩინება აღნიშნულთან დაკავშირებით: "სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ყოვლადწმიდაო სამებაო, მამაო, ძეო და სულო წმიდაო, დიდება შენდა! იშვებენ ერნი და განსცხრების ეკლესია სრულიად საქართველოისა და იხარებენ წმიდათა ბრძენთა კრებულნი, რამეთუ მოგვმადლე მწყემსი კეთილი, კლდე სარწმუნოებისა, და პირი ქრისტესი, მცველი კვართისა საუფლოისა, რომელმან, ვითარცა ოდესმე დიდმან ანდრია და წმიდამან ნინო, შეგვკრიბნა განბნეულნი ცხოვარნი შენნი და მოგვგვარა შენ, ღმერთსა მაღალსა და მართალსა, ოხითა ღვთისმშობელისაითა, რაითა ვიყოთ სამწყსო შენი და შენ იყო ღმერთი ჩვენი! ამინ! საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით დაწესდა უმაღლესი საეკლესიო ჯილდო "უფლის კვართის ორდენი".

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საპატრიარქო მოღაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით, უღმრთოებასა შინა დანთქმისა წინაშე მყოფი ერის ღმრთისაკენ შემობრუნებისა და ჭეშმარიტ სარწმუნოებაში მისი გამთლიანებისათვის წმიდა სინოდმა განაჩინა - დაჯილდოვდეს "უფლის კვართის ორდენით" უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი".

14.10.2008

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

სიტყვა - პატრიარქის აღსაყდრების 31-ე იუბილეზე

25.XII.2008

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,

ჩვილნი საქართველოს წმიდა ეკლესიისა, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, თქვენი აღსაყდრების სასიხარულო დღეს პირად დღესასწაულად თვლიან.

თქვენ მუდამ ბრძანდებით მშვიდობისა და სამართლის, იმედისა და წყალობის ნავთსაყუდელი, საყრდენი სავანე ქართველთა მტკივანი გულებისათვის, როგორც იოანე მახარებლისათვის იყო მკერდი უფლისა, რომელზეც ისვენებდა.

აგვისტოს შემაშფოთებელი თვის შემდეგ, რაც საქართველოს ჩამოგლიჯეს თავისი ნაწილები, რაც წმიდა მეფის თამარის მიერ აგებული სოფელი თამარაშენი აღიგავა პირისაგან მიწისა და სხვა ათასწლოვანი სოფლებიდან განდევნეს ხალხი, ჩვენში დაისადგურა ეგთგვარმა უიმედობამ, მაგრამ სულმნათი აკაკი ბრძანებს - "გმირს წინა უძღვის ყოველთვის უძლური წინამორბედი". თქვენი ლოცვით გვაქვს მოლოდინი საქართველოს მომავალი დიდებისა, თქვენი ღვაწლი გვაფიქრებინებს, რომ ივერიის გაბრწყინების წინა სიძნელეთა ხანა წარსულს ჩაბარდება. უფალი მოწყალეა ჩვენი ერისა, ამის მარწმუნებელი მაგალითი ბრძანდებით პირადად თქვენ, რომელმაც აგვისტოს მწარე დღეებში შეიმოსეთ ახოვანება, დადეთ სული და თავი, მტრის ბომბდამშენებისა და არტილერიის ცეცხლის ქვეშ მოინახულეთ ნიქოზის ეპარქიის შეშინებული მოსახლეობა და ამით საქართველოს ხალხი დააიმედეთ.

თქვენს მიერ აღორძინებულმა საქართველოს ეკლესიამ იმ დღეებში აჩვენა თავისი ძალა - მრავალთა მიერ მიტოვებული მოქალაქეების, ქალების, ბავშვების, მოხუცებისა და უძლურების დამხმარე იყო თქვენს მიერ გამხნევებული სამღვდელოება, ამით მათ აღასრულეს თავისი ვალი წინაშე ღვთისა.

სასუფევლის კარის გასაღები მოყვასისათვის თავდადებაა. დღევანდელ საცისკრო სახარებაში ნაბრძანებია იგავი კეთილი მწყემსის შესახებ - "მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართათვის" (იო, 10, 11), ხოლო სასყიდლით დადგინებული - მოსული მგლის დანახვისას ტოვებს ცხვარს და გარბის, მგელი კი იტაცებს და ფანტავს მათ.

წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა გამარჯვებათა წინ, პირველ რიგში, გამოაწრთო სულები თავისი ჯარისკაცებისა. სიმხნევე, სიმამაცე, პატრიოტიზმი და მოვალეობის გრძნობა ჩაუნერგა მათ. პეტრიწონის მონასტრის ბერების ტიპიკონშიც კია ნაბრძანები - "ქართველნი ვართ მხნენი და მხედრობათა შინა აღზრდილნი". საქართველოს ეკლესიის მამები, მსახურნი უფლისა ანუ სიყვარულისა, წარსულის ძნელბედობათა ჟამს, როგორც ამბობდნენ, კვდებოდნენ არა საკუთარ სარეცელზე, არამედ დაუზოგავად ღვრიდნენ სისხლს მოყვასის გადასარჩენად, თუმცა, თვითონ საქართველოს მტრების მახვილით იღუპებოდნენ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სამომავლოდ ომებისა და სისხლისღვრის გარეშე, ქართველი მამები და დედები, თქვენი ლოცვით, უფრო მეტი ერთგულებით აღასრულებენ თავიანთ საუფლო ვალს, მოყვასისა და ერის გადარჩენისათვის. ჩვენი ერის დასამშვიდებლად, საყოველთაო მშიდობისა და იმედის დასანერგადაა გადადგმული თქვენი ყოველი ნაბიჯი უფლის გზაზე. ამ ბოლო დღეებში ეს კარგად გამოჩნდა. მშვიდობისმყოფელებს ლოცავს მაცხოვარი, როცა ბრძანებს - "მშვიდობასა ჩემსა მოგცემთ თქვენ".

"რაკი სარწმუნოებით გამართლებული ვართ, მშვიდობა გვაქვს ღვთის მიმართ, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ" (რომ, 5, 1) - ბრძანებს პავლე მოციქული. იქვეა ნაბრძანები "გასაჭირი შეიქმს მოთმინებას, მოთმინება - სიმტკიცეს, სიმტკიცე - სასოებას" (რომ, 5, 3 - 4). სასოება კი ღვთის სიყვარულს გვინერგავს.

ჩვენ ვმადლობთ უფალს ყველაფრისათვის, ვმადლობთ იმ უდიდესი წყალობისათვის, რომელიც უბოძა ქართველ ერს თავისი პატრიარქის სახით, რომლის აღსაყდრების დღე ეროვნული დღესასწაულია.

თქვენო უწმიდესობავ, უფალმა ღმერთმა ინებოს თქვენი მრავალჟამიერი სიცოცხლე, ამინ.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

25. XII. 2008

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

სკანდა და სარაპანა ართვინ-არტაანის გზაზე (ლაზიკის ეპარქიების იურისდიქციისათვის)

სარაპანას ადგილმდებარეობის გარკვევას უპირველესი მნიშვნელობა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების გამორკვევისათვის.

XX საუკუნის 20-30-იანი წლების შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ სტრაბონისა და ბერძნული წყაროების "სარაპანა" - არის პუნქტი შორაპანი, ამჟამინდელ ქ. ზესტაფონთან ახლოს ძირულასთან, მიჩნევა რომ აქვე გადიოდა იბერიის საზღვარი. შესაბამისად, ქართული (მცხეთის) ეკლესიის იურისდიქცია (უძველესი ხანიდან ვიდრე IX-X საუკუნეებამდე) თითქოსდა მხოლოდ აქამდე აღწევდა.

ასეთ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება ქართული წყაროების, ასევე საეკლესიო კრებების (მაგ. რუის-ურბნისის კრების) თვალსაზრისი, რომ დაარსებისას, წმიდა ნინოს ეპოქიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვარი აღწევდა არა თუ შორაპნამდე, არამედ შავ ზღვამდე და მდ. ეგრისწყლამდე, სადაც ამავე ქართული წყაროების ცნობით მეფე მირიანის დროს აღწევდა ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი.

ბერძნულ-რომაული წყაროების ცნობით ლაზიკისა და იბერიის საზღვარი გადიოდა ციხე-სიმაგრეებზე სკანდასა და სარაპანაზე.

სტრაბონის სარაპანა, როგორც კვლევამ აჩვენა, სინამდვილეში მდებარეობდა ჭოროხის ხეობაში, ხოლო სკანდა იყო არსიანის ქედის უღელტეხილ კანდრიდთან (უღელტეხილ იალზიჩმანთან) მდებარე ციხესიმაგრე (მისგან არც თუ დაშორებით მდებარეობს მთა "კანდილი").

პროკოფი კესარიელის სარაპანა და სკანდა განლაგებული იყვნენ ისეთ მაღალმთიან ადგილებში, სადაც არც ვენახი ხარობდა და არც სხვა რაიმე მოსავალი მოდიოდა.

შევადაროთ - როგორც ითქვა, თანამედროვე შორაპანი არის ზღვის დონიდან 170 მ სიმაღლეზე, მისი ციხის გარშემო ვრცელ რეგიონში აყვავებული ბაღები და ვენახის პლანტაციებია, ყველა აქაურ მოსახლეს აქვს ეზოში ვაზი და ხეხილი, აქ მოდის ყველანაირი მოსავალი. საბჭოთა ეპოქაში, ენციკლოპედიის მიხედვით, შორაპანში იყო მევენახეობის კოლმეურნეობა, ხოლო, რაც შეეხება სკანდას, ის მიჩნეულ იქნა თერჯოლის სოფელ სკანდედ. სკანდე, სოფელი თერჯოლის რაიონში ზღვის დონიდან იმავე 170 მეტრ სიმაღლეზეა. ესაა ვაკე ადგილი. აქაც ყოველგვარი მოსავალი მოდის.

პროკოფი კესარიელის ცნობით, "სარაპანისი და მისი მეზობელი სკანდის ციხე-სიმაგრე ლაზებმა დიდი გაჭირვებით ააშენეს" (პროკოფი კესარიელი, ომი გოთებთან, VIII, 13). მაშასადამე, სარაპანისი და სკანდა ერთმანეთთან ახლოს მდებარეობენ, ურთიერთმეზობლები იყვნენ, მაგრამ, როგორც ვიცით, თერჯოლის რაიონში მდებარე სკანდე და ზესტაფონის შორაპანი - ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით არიან დაშორებულნი. ამასთანავე, ისინი ერთ გზაზე არ მდებარეობენ. აღსანიშნავია, რომ თერჯოლის სოფელ სკანდეს არაფერი აკავშირებს აღმოსავლეთ საქართველოს გადასასვლელებთან.

იმერეთის შორაპანი მდებარეობს ქ. ზესტაფონთან, ხოლო სკანდე თავისი ციხით, თერჯოლის რაიონშია. "საქართველოს გეოგრაფიული ატლასის (1992)" ოროგრაფიული რუკის მიხედვით ("საქართველოს გეოგრაფიული ატლასი, 1992, გვ. 7), თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონები მდებარეობენ "მთათაშორის ვაკე-დაბლობზე" ზღვის დონიდან 200 მეტრამდე სიმაღლეზე.

ამავე, საქართველოს გეოგრაფიული ატლასის "სოფლის მეურნეობის" რუკის მიხედვით (იქვე, გვ. 21) იმერეთის სკანდე და შორაპანი მდებარეობენ "სპეციალიზებულ ზონაში", რომელშიც განვითარებულია - "მევენახეობა-მეხილეობა, მესიმინდეობა, ნაწილობრივ მეჩაიეობა" (იქვე, გვ. 21).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩვენი თემისათვის, ვფიქრობ, არის ამ ატლასის რუკა - "ბუნებრივი ზონები" (საქართველოს გეოგრაფიული ატლასი, 1992, გვ.16).

ამ რუკის მიხედვით იმერეთის სკანდე და შორაპანი მდებარეობს "ნოტიო სუბტროპიკების" ზონაში, რომელიც ასეა დახასიათებული - "გორაკ-ბორცვიანი მთისწინები, ფართოფოთლოვანი ტყეებით", (იქვე, გვ. 16).

ასე, რომ იმერეთის სკანდე და შორაპანი ზღვის დონიდან დაახლოებით 200 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობენ, ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში, მევენახეობის, მეხილეობის, მესიმინდეობის რეგიონში. ეს სურათი კი საერთოდ არ შეესაბამება პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილ ცნობას, რომლის სკანდა და სარაპანა მდებარეობენ მთა-კლდოვან რეგიონში, ძალზე მაღალ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, იმდენად მაღლა, რომ იქ არ მოდიოდა არავითარი მარცვლეული, შესაბამისად იქ არც მევენახეობა და მეხილეობა იყო განვითარებული.

ასე, რომ, ჩანს, სხვაა იმერეთის სკანდე და შორაპანი და სულ სხვაა პროკოფი კესარიელის სკანდა და სარაპანა. ისინი სხვადასხვა რეგიონებში მდებარეობდნენ. პირველნი ნოტიო სუბტროპიკების მთისწინებში, მეორენი კი მაღალმთის ალპურ ან სუბალპურ ზონებში

სტრაბონის კვლევით, ვაზი მაღალმთიანეთში არ ხარობდა, მაგალითად, მეზობელი ქვეყნის აღწერისას ვაზთან დაკავშირებით ის წერს - "არმენიაში ერთის მხრივ ბევრი მთაა, მეორეს მხრივ - ზეგნები, რომლებზედაც ვაზიც კი არ ხარობს ადვილად" (სტრაბონი XIV, 4).

მაშასადამე ვაზი, არ ხარობს მაღალმთიანეთის ზეგნებში, ამიტომ პროკოფის აღწერა, რომ სარაპანსა და სკანდეში ვაზი არ ხარობს, იმას მიუთითებს, რომ ისინი მაღალმთიანეთის რეგიონს და არა სუბტროპიკულ ზონას მიეკუთვნებოდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

ჩვენს მეცნიერებაში დამკვიდრებულია თვალისაზრისი, რომ სტრაბონისა და პროკოფი კესარიელის მიერ ნახსენები პუნქტი "სარაპანა" არის დღევანდელი შორაპანი ზესტაფონთან, რაც გ. გრიგოლიას კვლევის თანახმად საეჭვოა. საქმე ისაა, რომ, როგორც აღმოჩნდა "სარაპანა" ერქვა მნიშვნელოვან გზაზე არსებულ მგზავრთა მოსასვენებელ პუნქტს, თავშესაფარს, რომელიც საჭიროების მიხედვით შესაძლოა ციხე-სიმაგრეც ყოფილიყო ან უბრალო ნაგებობა, ზოგჯერ კი სოფელიც. თუ ეს ასეა, მაშინ საქართველოს გზებზე არა ერთი, არამედ რამდენიმე "სარაპანა" უნდა ყოფილიყო.

ერთერთი სარაპანა, მაგალითად, XV საუკუნის მონაცემების მიხედვით იყო გურიაში და მას სახელად ერქვა "შორაპანი".

გ. გრიგოლიას დაკვირვებით "პან" ფუძის მქონე ასეთი სახელები რამდენიმე ყოფილა.

ის წერს - შორაპანი (სარაპანა) არის სპარსული წარმომავლობის სიტყვა, რაც ნიშნავს დამცველს (პანა) "პანა", და მიღებულია ძირიდან პა - "პა" - დაცვა, რომელსაც ემატება სუფიქსი ანა - "ანა". ამგვარად ნაწარმოები სპარსული სიტყვებია: ასაპანა (ცხენის დამცველი), კაურაპანა (საქონლის დამცველი), კარაპარა (ხალხის, ჯარის დამცველი) და სხვა.

მაშასადამე, არ არის სავალდებულო, რომ სტრაბონის მიერ ნახსენები სარაპანა ის პუნქტი იყოს, რომელსაც მიუთითებს პროკოფი კესარიელი, რადგანაც "სარაპანები" მრავალი ყოფილა (თვით შუა საუკუნეების საქართველოშიც რამდენიმე "შორაპანი" იყო).

პროკოფის სარაპანა ფასისის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანაში მდებარეობდა იბერიის საზღვართან. სპარსელ-რომაელთა ომების დროს მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე, რადგანაც ამ პერიოდში, გ. გრიგოლიას აზრით ფაზისი ერქვა მდ. ჭოროხს, სარაპანაც მის მარჯვნივ - იბერიის საზღვართან უნდა ვეძიოთ არტაან-ართვინის გზაზე რადგანაც პროკოფის მიერ ნახსენები იბერია - არტაან-კოლას ქვეყანასაც მოიცავდა.

დარიოს I დროს მოწესრიგდა გზები, სადაც "მეფის შიკრიკებისათვის ყოველ 30 კმ-ში სპეციალური საფოსტო სადგურები დაიდგა" (დარჩიაშვილი)

ამ "საფოსტო სადგურებს" - ჩვენში მოიხსენებდნენ სპარსული სიტყვით -"სარაპანა" - შორაპანი.

სპარსეთის იმპერიის გზებზე სარაპანები (შორაპანები) უნდა მდგარიყვნენ ყოველ 30 კმ-ში. აღსანიშნავია, რომ სიგრძის საზომი ერთეული "ერთი დღის გზა" უდრიდა 20-30 კილომეტრს, მაშასადამე ყოველი ერთი დღის გზის გავლის შემდეგ მგზავრს დახვდებოდა სასტუმროს მსგავსი თავშესაფარი ანუ "სარაპანა".

ამჟამინდელი სურამ-ბათუმის გზაზე ისტორიულად უნდა ყოფილიყო რამდენიმე "სარაპანა" - შორაპანი, ასევე არტაან-ბათუმის გზაზე უნდა ყოფილიყო რამდენიმე სარაპანა-შორაპანი. ამ მიზეზის გამო საქართველოში იყო რამდენიმე "შორაპანი":

1) ზესტაფონთან;

2) პუნქტი შორაპანი იყო XVI საუკუნეში გურიაში, ოზურგეთთან. ეს კარგად ჩანს "საქართველოს ისტორიის ატლასის" (2003 წ.), გვ. 45-ის მიხედვით ("საქართველო XVI საუკუნის მეორე ნახევარში"). პუნქტი შორაპანი ატლასის 45-ე გვერდზე დაბეჭდილ რუკაზე მოთავსებულია ოზურგეთსა და აჭს შორის.

3) შორაპანი იყო ასპინძასთან - "ასპინძის ხევის სათავეზედ, მთის ძირში, არს შორაპანის მონასტერი სრულად სოფიის კენჭით აწ ცალიერი" (ვახუშტის გეოგრაფია, 1842, ბროსეს გამოცემული, გვ. 385).

4) ამავე ფუძის მატარებელნი უნდა იყვნენ სიტყვები - "სარფი" (პუნქტი ბათუმთან) და "არფალი" (პუნქტი ართვინ არტაანის გზაზე).

“არფალი” - სოფელი თანამედროვე შავშეთში არტანუჯის ჩრდილო-აღმოსავლეთით 20-25 კმ. მანძილზე, არსიანის ქედთან ახლოს ქ. შავშეთისა და ქ. არტაანის შემაერთებელ გზასთან 3-4 კმ. მანძილზე.

შორაპანი (ზესტაფონთან) და სტრაბონის სარაპანა ორი სხვადასხვა პუნქტი უნდა ყოფილიყო, არა თუ ისინი, სხვადასხვა პუნქტები უნდა ყოფილიყვნენ სტრაბონის სარაპანა და პროკოფის სარაპანა.

5) სტრაბონის მიხედვით, ფასისი სანაოსნო იყო სარაპანამდე, მაშასადამე სტრაბონის სარაპანა მდინარის პირზეა, მისგან განსხვავებით პროკოფის სარაპანა არა მდინარის ნაპირას არამედ მაღალ მთაში მდებარეობდა. პირველი იბერიას ოთხი დღის სავალი გზით იყო დაშორებული, მეორე კი იბერიის საზღვართან იდგა.

“რაც შეეხება დანარჩენ კოლხიდას, მისი დიდი ნაწილი ზღვაზეა განლაგებული. კოლხიდაზე გადის ფაზისი - დიდი მდინარე, რომლის სათავე არმენიაშია ის იღებს მდინარეების გლავკისა და ჰიპპის წყლებს რომელთა სათავეებიც მეზობელ მთებშია. ფასისი გემთმავალია სარაპანამდე - სიმაგრემდე, რომელსაც შეუძლია მთელი ქალაქის მოსახლეობაც კი დაიტიოს. აქედან გამავალი გზით მიდიან კირამდე (მტკვრამდე) 4 დღეში. სტრაბონი (XI, II, 17)

მდ. ფაზისზე არის იმავე სახელის ქალაქი - კოლხების სავაჭრო ცენტრი, ერთი მხრიდან შემოზღუდული მდინარით, მეორიდან - ტბით, მესამიდან კი - ზღვით. აქედან ამისამდე და სინოპამდე ცურვას 2 - 3 დღე სჭირდება იმის გამო, რომ ზღვისპირზე მიწა რბილია და მდინარეების შესართავებში ჭაობიანია. ქვეყანა შესანიშნავია არა მხოლოდ ნაყოფით (თაფლის გარდა (რომელიც ძირითადად მწარეა). სავსეა ყოველივე იმით, რაც გემთმშენებლობისათვის არის საჭირო. ის ამზადებს ბევრ ხე-ტყეს და აცურებს მდინარეებზე. მცხოვრებლები ამზადებენ ბევრ სელის ტილოს... ადგილობრივი სელის ქსოვილები ფართოდაც კია ცნობილი, მართლაც მათ ქსოვილები გააქვთ უცხო ქვეყნებშიც... მოსხების ქვეყანაში აღნიშნული მდინარეების მაღლა არის ფრიქსეს მიერ დაფუძნებული ლევდოთეას სამლოცველო და ფრიკსეს ორაკული, სადაც არ იწირება ცხვარი.” (სტრაბონი, XI, II, 17)

ჩვენი კვლევით სტრაბონის ფაზისი ჭოროხია, რომლის სათავე იმჟამად არმენიის მიერ იყო ხელდებული, სარაპანა იმჟამად შესაძლოა ართვინს ერქვა. აქედან არტანუჯ-არტაანის გზით იბერიამდე ანუ კოლა-არტაანის რეგიონამდე (ე.ი. მტკვარამდე) მისვლა ფეხით ოთხ დღეში ამჟამადაცაა შესაძლებელი. კოლა-არტაან-შავშეთი ამავე დროს მესხეთის მთიანი რეგიონია, რომლის ქვემოთაც ჭოროხი მიედინება თავისი შენაკადებით. მაშასადამე ამ მდინარეების მაღლა მესხეთია. აქედაც ჩანს, რომ სტრაბონის ცნობები ჭოროხის რეგიონს შეესაბამება.

სტრაბონის ცნობით, სარაპანასთან ფაზისი არის სწრაფი და ხმაურა (სტრაბონი, XI, III, 4). ის წერს იბერიაში არის ოთხი შესასვლელი - ”ერთი არის კოლხურ ციხე-სიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომლებზედაც ფაზისი მომდინარეობს, სწრაფი და ხმაურა მიემართება კოლხიდაში, რომელზედაც 120 ხიდით გადაისვლება” (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 128).

სტრაბონი გარკვევით მიუთითებს, რომ სარაპანასთან ფაზისი არის “სწრაფი და ხმაურა”, რომ იქვე ე.ი. შორაპანთან ახლო-მახლო მასზე 120 ხიდია გადებული, რადგანაც “ეს ადგილები სულ დახრულია მრავალი ნაკადულებით” (იქვე, გვ. 128).

არის თუ არა რეალურად თანამედროვე შორაპანადან მდინარე რიონი “სწრაფი და ხმაურა”, ანდა არის თუ არა ეს ადგილები “დახრული მრავალი ნაკადულებით”, არა, მსგავსი არაფერია ზესტაფონის შორაპანთან. მასთან გაედინება არა რიონი, ანდა ყვირილა არამედ ძირულა. ამჟამად მიიჩნევა, რომ ძირულა იყო სათავე მდ. ფაზისისა, ვთქვათ, ეს მართლაც ასეა და სტრაბონი შორაპნის ძირულას მიიჩნევდა მდინარე ფაზისად, არის თუ არა ის “სწრაფი და ხმაურა”? არა, შორაპანთან მდინარე ძირულა არც ჩქარია და არც ხმაურა, არა თუ ჩქარი, შორაპანთან ძირულა არის მდორე, სარკული ზედაპირის მქონე, სრულიად უხმაურო, რადგანაც შორაპანთან ის ვაკე

ადგილზე მიმდინარეობს. ამასთანავე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ შორაპანთან ძირულა არის წყალმცირე, იმდენად თხელი მდინარეა, რომ მასზე ნავი ვერ იმოძრავებს. კარგი გაგებით ის ნაკადულია. შორაპნის ქვემოთ ზესტაფონის თავზე ძირულა ყვირლას უერთდება ასევე ვაკე ადგილას. იქნებ ყვირილაა სწრაფი და ხმაურა იქ? არა, ყვირილაც უხმაურო, მდორე, ვაკის წყალია ამ ადგილას და საერთოდ ზესტაფონიდან რიონამდე მდორედ და უხმაუროდ მიედინება. პლინიუსის ცნობით ფაზისის შესართავიდან სარაპანამდე 37500 ნაბიჯია ანუ 30-40 კმ იყო. რეალურად კი თანამედროვე შორაპნიდან ფოთამდე 137 კილომეტრია. საერთოდ რიონის ყველა შენაკადი ქუთაისიდანაც ფოთამდე მდორეა!

სხვაა სტრაბონის მიერ აღწერილი სარაპანა და სხვაა პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილი.

პირველის (სტრაბონის) მიხედვით მდ. ფასისის შესართავიდან ვიდრე სარაპანამდე (ფასისზე მდებარე ქალაქამდე) აღმა ცურვა შესაძლებელა (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 123). სარაპანადან იბერიამდე ოთხი დღის გზაა ფეხით. მაშასადამე სტრაბონის სარაპანა დაშორებულია იბერიას და მდინარეზე მდებარეობს.

პროკოფი კესარიელის სარაპანა იბერიის საზღვარზეა, მაღალ მთაშია, სადაც მოსავალი არ მოდის, სასაპალნე საქონლითაც ვერ ახვალ, არამედ ფეხით.

რატომაა ძველ ავტორთა შორის ასეთი განსხვავება სარაპანას მდებარეობასთან დაკავშირებით? როგორც ითქვა, ამის მიზეზს გვიხსნის გ. გრიგოლია. მან გამოიკვლია, რომ სიტყვა "სარაპანა" სპარსული წარმოშობისაა და ნიშნავს გზაზე მდებარე საგანგებო ადგილს მგზავრების მოსასვენებლად, ის გარემო პირობების შესაბამისად, ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს გზაზე მდებარე ციხე-სიმაგრე, ქალაქი ანდა პუნქტი.

მაშასადამე საერთაშორისო გზაზე მრავალი სარაპანა შეიძლება ყოფილიყო. სტრაბონის დროს ის მდინარისპირა ქალაქს ერქვა, პროკოფის დროს კი იბერია-ლაზიკის გზაზე მდებარე ციხეს.

ჩვენი კვლევით მდ. ფაზისი ისტორიულ ხანაში ერქვა მდინარე ჭოროხს.

ჭოროხი სანაოსნო მდინარე იყო უძველესი ხანიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე. გ. ყაზბეგი, დ. ბაქრაძე, ე. ვეიდენბაუმი და სხვანი დაბეჯითებით მიუთითებენ მდინარე ჭოროხზე სავაჭრო-სასაქონლო ნაოსნობის შესახებ. ამ მდინარით ყარსიდან და ჯავახეთიდან ხორბალი ჩაჰქონდათ შავიზღვისპირა პორტებში, და პირიქით ბათუმიდან ართვინისაკენ ნავებით მოჰქონდათ ნავთი, მარილი და ფართლეული ქსოვილები. ამ მდინარით ართვინიდან ბათუმამდე ასევე ჩაჰქონდათ ხე-ტყის დახერხილი მასალა, კრამიტი, სელის ნაწარმი და სხვა. ჭოროხზე არსებობდა ნავმისადგომები, ნავთსამშენებლო საწარმოები, მოსახლეობის ძირითადი ხელობა ნაოსნობა იყო, ამიტომაც ვფიქრობ რომ სტრაბონისეული სარაპანა არის ართვინი, ხოლო პროკოფისეული სარაპანა მდებარეობდა ართვითნ-არტაანის შემაერთებელ საერთაშორისო გზაზე არსიანის უღელტეხილზე. უნდა ვიფიქროთ და მასშტაბებიც ამას აჩვენებს, რომ ფეხით ართვინიდან (სტრაბონის სარაპანიდან) ვიდრე იბერიამდე ანუ არსიანის ქედის გავლით მტკვრამდე ოთხი დღის სავალი გზა იყო.

სიგრძის ერთეული სახელწოდებით - "ერთი დღის გზა ფეხით" იყო დაახლოებით 17-20 კმ. შესაბამისად 4 დღის გზა დაახლოებით 80 კილომეტრია. მართლაც დაახლოებით ამდენივეა მანძილი ართვინიდან არტანუჯამდე, რომლის სიახლოვესაც მტკვარი მიედინება.

"იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ, იქვეა ლაზების მიწა-წყალზე ორი სიმაგრე... იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე, სხვა ადგილებიდან რისიმე შემოზიდვა, ვიწრობების წყალობით, შეიძლება, მხოლოდ ისე, თუ კაცები თვითონ მოიტანენ" (პროკოფი კესარიელი, გეორგიკა, 2, 1965, გვ. 51).

პროკოფი თავის მეორე წიგნშიც წერს სარაპანისისა და სკანდის შესახებ: "იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ, იქვეა ლაზეთთან ორი სიმაგრე სარაპანისი და სკანდა, იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო და არც სხვა რამ სიკეთე, ხოლო სხვა ადგილებიდან რისიმე შემოზიდვა

ვიწროებების გამო შეიძლება მხოლოდ ისე, თუ თვითონ კაცები მოიტანენ” (BG, გეორგიკა, II, 1965, გვ. 110).

ე.ი ამ მაღალ ციხეებში ურმებითაც ვერ აჰქონდათ სანოვაგე მაღალმთიანობის გამო.

პროკოფი სხვაგანაც წერდა, რომ მაღალმთაგორიანობის გამო ლაზიკაში არ მოდიოდა ხორბლეული, ღვინო და სხვა რამ სიკეთე (პროკოფი კესარიელი გეორგიკა 2, 1965, გვ. 96).

იბერიის ნაწილად მოიაზრებოდა კოლა-არტაანიც, საიდანაც არტანუჯის გავლით ჭოროხის ხეობით ზღვამდე (ანუ ლაზიკამდე) მიემართებოდა ძველი სავაჭრო-საჭაპანო გზა და იბერიის გავლით ლაზიკას ამ გზით უკავშირდებოდნენ.

ამ გზით ლაზიკაში შესვლისას მგზავრს ორი სიმაგრე - სარაპანა და სკანდა შეხვდებოდა.

პროკოფი სკანდასა და სარაპანას ქვეშ არ გულისხმობს იმერეთის სკანდესა და შორაპანს.

ჯერ ერთი, შორაპანისა და სკანდეს ციხეებში ურმები თავისუფლად შედიან, თითქმის ვაკეზე არიან, ზღვის დონიდან მხოლოდ 170-250 მეტრ სიმაღლეზე, მათ ტერიტორიაზე და მათ ირგვლივ მიწა-წყალზე მოდის ყოველგვარი მოსავალი, რაც კი დაითესება (ეს ფაქტი ჩემი თვალით მინახავს, რადგან მათ სიახლოვეს ვცხოვრობდი ათეულობით წელი). მეორეც, პროკოფისთან კარგად ჩანს, რომ პროკოფის მიერ აღნიშნული ორი სიმაგრე ერთ გზაზე - იბერიიდან ლაზიკეში მიმავალზეა, ხოლო რაც შეეხება იმერეთის სკანდესა და შორაპანს, ისინი ერთმანეთისაგან საკმაოდ არიან დაშორებულნი (მათ შორის მთელი ქვეყანა - ზემო იმერეთია გადაჭიმული) და ერთ გზაზე არ მდებარეობენ. მათთან გამავალი ერთი გზა აკავშირებს ზესტაფონს - ხაშურთან, მეორე კი თერჯოლას - მუხურა-ხრეითის გავლით ჭიათურასთან.

პროკოფის მიერ აღწერილი სკანდასა და სარაპანას გეოგრაფიული აღწერილობა არ შეესაბამება იმერეთის სკანდესა და შორაპნის რეალურ გარემოს, ამიტომ ისინი სხვადასხვა რეგიონში უნდა ვეძიოთ. სკანდე და შორაპანი სხვა პუნქტებია, ხოლო სკანდა და სარაპანა კი სხვა.

სტრაბონის მტკიცებით სარაპანა კოლხეთში მდებარეობდა მის ეპოქაში, ე.ი. I საუკუნისათვის, მაშინ როცა არქეოლოგიური მასალებით იმერეთის შორაპანის დასავლეთ რეგიონში ზღვისაკენ - კლდეეთსა და ბორითში - არმაზულ წარწერებიანი (სტრაბონის ეპოქის) არქეოლოგიური საგანძურები აღმოჩნდა იბერიელი პიტიახშებისა.

ამ ფაქტის გამო XX საუკუნის მკვლევარებმა შორაპანი იბერიაში მოაქციეს, მაგრამ ეს სტრაბონის ცნობის უგულებელყოფაა, რომელიც, როგორც ვთქვით, სარაპანას კოლხეთში ათავსებს.

პროკოფი კვლავ იმეორებს: “იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ (ლაზიკეში), იქვეა ლაზების მიწა-წყალზე ორი სიმაგრე (სკანდა და სარაპანისი), იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო, არც სხვა სიკეთე” (BP, I, 12) (იქვე, გვ. 96).

ჩანს ეს ორი სიმაგრე მესხეთში არსიანის მთების კალთებზე მდებარეობდა. ისინი ე.წ. კლარჯეთის გზის ციხეები უნდა ყოფილიყვნენ. ეს გზა არტაანის გავლით ზღვასთან აერთებდა იბერიას, სომხეთსა და სპარსეთს. არტაანი კი იბერიიის ნაწილი იყო.

პროკოფი წერს ასევე: “ამას გარდა ლაზიკეში არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე”. (BP, II, 28).

აქედან ჩანს, რომ ლაზიკე არ იყო დასავლეთ საქართველო, სადაც თუ საჭიროა ხორბლის და მარცვლეულის მოყვანა ადვილად შეიძლება (ქუთაისის, თერჯოლის, ზესტაფონის, ზუგდიდის და სხვა რეგიონებში), მითუმეტეს აქ ძველთაგანვეა გაშენებული ვაზი. ჩანს ლაზიკე იყო მთიანი მხარე - ჭოროხის ხეობის მომდგამი მთიანეთი, სადაც მაღალმთიანობის გამო ვაზი არც ახლა ხარობს იმ ოდენობისა, რომ მისგან საჭირო რაოდენობის ღვინო დააყენონ.

ლაზიკის მაღალმთიანობა დასტურდება პროკოფის კიდევ ერთი ცნობით - სპარსთა მეფის კიდევ ერთი ლაშქრობის შემდეგ, ლაზეთში სპარსელთა 20 000 ცხენი შიმშილით დაიღუპა. მიზეზი იყო ის, რომ მათ არ ჰქონდათ ცხენის საკვები ბალახი სამყოფად ლაზიკის კლდიანობის გამო: “როდესაც ლაზიკეში იყვნენ საკვები არც თუ საყოფად ჰქონდათ, და ამრიგად შიმშილით და

დაავადებით შევიწროვებულნი, მთლად დავარდნენ" (პროკოფი კესარიელი გეორგიკა, II, 1965 გვ. 194).

ცხენებისათვის ბალახი დასავლეთ საქართველოს ბარში უამრავია, ხოლო არტანუჯ-ართვინის რეგიონში კი ნაკლები, რადგანაც მაღალმთიან-კლდეებიანი მხარეა. ამიტომაც ამტკიცებს პროკოფი კესარიელი რომ ლაზიკეში არ მოდიოდა ღვინო, ხორბალი "და სხვა სიკეთე".

ს. ყაუხჩიშვილის თვალსაზრისით ლაზიკე იყო დასავლეთ საქართველო და რადგანაც პროკოფის მიერ აღწერილი დასავლეთ საქართველოში არსებული რეალობა არ ეთანადებოდა აღწერილს და ამიტომ ამ აღწერისას, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, პროკოფი ცდებოდა, მაგრამ რით უნდა ავხსნათ ცნობა იმის შესახებ, რომ ლაზიკეში პირუტყვის საკვები ბალახიც მცირე იყო, იმდენად რომ ცხენები დაიღუპა? ამით კარგად ჩანს, რომ ლაზიკე იყო კლდოვანი ქვეყანა, სადაც ნამდვილად არ მოიძიებოდა ასეთი "სიკეთეები". ჩვენ ვიცით, რომ ასეთი იყო მესხეთის მთიანეთი, კერძოდ კი კლარჯეთი (მამათა ცხოვრებიდანაც ჩანს).

პროკოფის სიტყვით, მთელ ლაზიკეში ერთადერთი რეგიონი იყო მოხირისი, სადაც "ღვინოც კარგიც მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება იგივე ითქვას" (გეორგიკა, 2, 1965, გვ. 194).

ჩვენი კვლევით "სკანდა" ერქვა პუნქტს თანამედროვე სოფელ ბაგდასენთან არტაანის რეგიონში, რადგანაც მის ახლოსაა "კანდ" ძირის მქონე ტოპონიმები - ნამონასტრალი "კანდრიდი", მთა "კანდილი", ციხე "ქინძოტამალი" და სხვა, სარაპანა კი ართვინ-არტანუჯის რეგიონში უნდა ვეძიოთ. პროკოფი, როგორც ითქვა, წერს: "იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ, იქვეა ლაზეთთან ორი სიმაგრე სარაპანისი და სკანდა, იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო და არც სხვა რამ სიკეთე, ხოლო სხვა ადგილებიდან რისიმე შემოზიდვა ვიწროებების გამო შეიძლება მხოლოდ ისე, თუ თვითონ კაცები მოიტანენ" (გეორგიკა, II, 1965, გვ. 110).

პროკოფი სხვაგანაც წერდა, რომ მთაგორიანობის გამო ლაზიკაში არ მოდიოდა ხორბლეული, ღვინო და სხვა რამ სიკეთე (იქვე, გვ. 96).

ყოველივე აღნიშნული შესაძლოა უსაფუძვლოდაც კი მოგვჩვენებოდა, რომ ქალაქებისა და მდინარეების აღნიშნული მდებარეობანი ურთიერთდაშორებებით, მანძილებით, მიმართულებებით, ადგილმდებარეობებით და სხვა ნიშნებით თითქმის ზუსტად რომ არ ემთხვეოდეს პროკოფი კესარიელისა და სხვა ავტორების მონათხრობს.

ჩვენ აღარ გავიმეორებთ სკანდას და სარაპანას ციხეებთან დაკავშირებულ, შეიძლება ითქვას, ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ ლაფსუსებს - მაგალითად, ძველი ავტორების ცნობით, სკანდასა და სარაპანას კლდოვან მთაგორიან ადგილზე მდებარე ციხე-სიმაგრეების ირგვლივ არ მოდიოდა არავითარი მოსავალი (არც ხორბალი, არც ღვინო, სურსათიც კი მეციხოვნეებს ცხენებითაც ვერ აჰქონდათ ქვეყნის კლდიანობის გამო და მას ზურგით ეზიდებოდნენ) და, ამავე დროს კი, ჩვენ თანამედროვე ზოგიერთ მეცნიერს ეჭვმიუტანელ ფაქტად მიაჩნია, რომ აღნიშნული სკანდა და სარაპანა არის თანამედროვე ზღვის დონიდან 170-200 მეტრ სიმაღლეზე სუბტროპიკულ ზონაში მდებარე პუნქტები სკანდე და შორაპანი, რომელთა ირგვლივ ვენახების პლანტაციებია გადაშლილი. რადგანაც აქვე ახლოს ზესტაფონის რაიონის სოფელში ვარ გაზრდილი, შემიძლია ვთქვა, რომ აქაურ მოსახლეებს ათეულობით ფუთი ღვინო ჰქონდათ დაყენებული ქვევრებში.

აღსანიშნავია, რომ სარაპანს სპარსეთის შაჰი ხოსრო უწოდებს "სარაპას" (გეორგიკა, გვ. 222), ასევე "სარაპას" უწოდებს მას ბერძენი ავტორი მენანდრე. ამიტომაც შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ეს ტოპონიმი დაცულია ჭოროხის ხეობაში და ერთ-ერთ პუნქტს ეწოდება კიდევაც სარფი. ვფიქრობ, სარაპანასთან ეტიმოლოგიურად სარფი უფრო ახლოა, მაგრამ სარფისაგან განსხვავებით, ძველი სარაპანა მდებარეობდა არა ზღვისპირას, არამედ მაღლა მთებში იბერიასთან, ვფიქრობ თანამედროვე არტაანთან ახლოს, სადღაც არტაან-არტანუჯის გზაზე. თანაც სარაპანა უნდა ყოფილიყო არა ერთი, არამედ ერთმანეთთან ახლოს მდებარე რამდენიმე ციხე-სიმაგრე. ამიტომაც მოიხსენიებენ მას ზოგჯერ მრავლობით რიცხვში - სარაპანები. ერთ-ერთი ასეთი სარაპანი

შესაძლოა მდინარე ჭოროხზე მდებარე ართვინიც ყოფილიყო სტრაბონის დროს. ასე, რომ სტრაბონის სარაპანა სხვაა, ხოლო პროკოფისა და აგათიასი სხვა. სტრაბონის სარაპანა მდ. ფაზისის პირზე მდებარეობდა, შემდეგი დროის ავტორები კი მის მდებარეობას მაღალმთიანეთში მიუთითებენ.

ლაზიკის ომების განხილვის დროს XX საუკუნის ავტორები ბერძნული წყაროების "იბერიად" მოიაზრებენ მხოლოდ თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს, მაგრამ არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ იბერიის დიდი ნაწილი თანამედროვე სამხრეთ საქართველოში მდებარეობდა, ვრცლად იყო სამხრეთით გადაშლილი, ვიდრე არაქსამდე.

ართვინ-არტაანის გზა (სკანდა და სარაპანა ხოსროს გზაზე)

"როდესაც ლაზები წინ მიუძღვებოდნენ ხოსროს, მათ გადავლეს მდ. ბოასი და ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფაზისი მარჯვნივ ჰქონდათ თითქოს იმიტომ, რომ მათ წინასწარ განჭვრიტეს რათა მდინარე ფაზისის გადასასვლელად არც დრო და არც შრომა დასჭირვებოდათ, ხოლო ნამდვილად იმიტომ, რომ არ სურდათ "სპარსელებისთვის ეჩვენებინათ თავიანთი საბინადრო ადგილები" (გეორგიკა 2, 1965 გვ. 102).

დიდი სიგრძის მდ. ჭოროხს, თავისი დინების სხვადასხვა მონაკვეთში, სხვადასხვა სახელი ერქვა. მას სათავეში "აკამფსი" და "ბოასი" ერქვა დაახლოებით ართვინამდე, ხოლო ართვინიდან ზღვამდე "ფაზისი". პროკოფი ბოასს მდ. ჭოროხს უწოდებდა კარჩხალის მთიანეთამდე (ართვინთან ახლოს), ამიტომაც ხოსრომ ან მდ. ბოასი გადალახა ამ ადგილას, ანდა სახელ "ბოასს" რომაელები ასევე უწოდებდნენ მდ. იმერხევს, რომელსაც სათავეში გ. ყაზბეგის ცნობით, მართლაც "ყვირილა" ერქვა (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მდინარეები. "სვეტიცხოველი" 2, 2010, გვ. 46 - 55).

ქართულ წყაროებში ნახსენები საერთაშორისო მნიშვნელობის "გზა კლარჯეთისა" არტაანიდან ზღვისაკენ ჯერ თანამედროვე არტანუჯში შედიოდა, შემდეგ გადალახავდა მდ. იმერხევსა და ასევე გადალახავდა მდ. ჭოროხს და შედიოდა ართვინში. იქიდან კი ზღვისაკენ სამდინარო და სახმელეთო გზებიც მიემართებოდა.

"კლარჯეთის გზით" მავალი ხოსრო ჯერ მდ. იმერხევს გადაკვეთდა, შემდეგ კი ჭოროხს და ამავე გეზით, ანუ ჭოროხის მარცხენა სანაპიროს გზით, სვლას გააგრძელებდა ზღვისაკენ, ამიტომაც ის ისე მისულა პეტრაში, რომ ფაზისი (ანუ ჭოროხი) მარჯვნივ ჰქონდა. ართვინიდან ზღვისაკენ ძველად მართლაც არსებობდა გზა ჭოროხის მარცხენა სანაპიროს გავლით, რასაც მარცხენა სანაპიროზე არსებული ქვის თაღოვანი ხიდების უამრავი ნაშთი და ადგილობრივ მცხოვრებთა მონათხრობი ადასტურებს, თუმცა ართვინიდან ზღვამდე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე გამავალი გზა უფრო მნიშვნელოვანი იყო.

მარცხენა სანაპიროს გზით მავალი კაცისათვის, ცხადია ჭოროხი ანუ ფაზისი მარჯვენა მხარეს აღმოჩნდებოდა. ამიტომ წერს პროკოფი - ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფაზისი მარჯვნივ ჰქონდათ (პეტრა ხუფათის რეგიონში მდებარეობა, მდინარის მარცხენა ნაპირას. ეს მხარე მარჯვენა სანაპიროზე მდებარე მოხირისის მხარესთან შედარებით დაუსახლებელი იყო).

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით ქალაქი არტანუჯი საერთაშორისო სავაჭრო ცენტრად ამ გზის მეშვეობით იქცა. როგორც ითქვა, ეს გზა დვინს (ე.ი სპარსეთსა და არმენიას) იბერიის (ანუ ამ შემთხვევაში არტაანის) გავლით ზღვასთან აკავშირებდა. დვინი-არტაან-არტანუჯის გზა ქართულ წყაროებში "კლარჯეთის გზის" სახელითაა ცნობილი. ეს გზა არტაანთან იყოფოდა. მისი ერთი მთავარი ტოტი მცხეთა-თბილისისაკენ მიემართებოდა. მაშასადამე, ეს გზა ასევე თბილისსა და საქართველოს შავ ზღვასთან აკავშირებდა. ეს ძირითადი გზა იყო, რომლითაც მრავალმა ქართველმა მეფემ ისარგებლა წყაროთა ცნობით. იბერიის, არმენიისა და სპარსეთის ზღვასთან დამაკავშირებელი ეს გზა I საუკუნეშიც კი ფუნქციონირებდა (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთავარი სავაჭრო გზები და არტერიები. "სვეტიცხოველი" 2, 2010, გვ. 40 - 45).

როგორც აღწერიდან ნათლად ჩანს, ამ გზით შემოსულმა სპარსელთა მეფე ხოსრომ გადალახა მდ. ბოასი (როგორც ითქვა, ეს ჭოროხის სახელი იყო ამ ადგილებში თანამედროვე ართვინის მაღლა, ხოლო მის დაბლა ვიდრე ზღვამდე ჭოროხს უკვე ფაზისი ერქვა) და ქ. პეტრამდე გაჰყვა მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროს, ისე რომ, როგორც პროკოფი წერს "ფაზისი (ე.ი. ჭოროხი) მარჯვნივ ჰქონდათ". ეს არის ჩვეულებრივი სვლა-გეზი, ანუ ხოსრო პეტრაში მივიდა არა სურამის ქედის გზით, არამედ სპარსეთიდან ქ. პეტრამდე ყველაზე მოკლე გზით - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან გაიარა შემდეგდროინდელი კლარჯეთი და მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროს გზით მივიდა პეტრაში.

სპარსთა ჯარმა გაიარა "იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა", (გეორგიკა, II, 1965, გვ. 182).

როგორც ითქვა, აქ იგულისხმება დვინი-არტაან-არტანუჯ-ართვინ-ჭოროხის ხეობის დამაკავშირებელი გზა, რომელიც გადადის არსიანის მთის მაღალ უღელტეხილზე.

არტაანი - იბერიის ქვეყანა იყო, არტანუჯი იმჟამად ლაზიკის ნაწილი იყო.

იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა, ყველგან დაქანებული ნაპრალებითა და ძნელსავალი ადგილებით დასერილი და დაფარული უღრანი ტყეებით, ისე გაასწორს რომ არა თუ მთელმა მათმა ცხენოსანმა ჯარმა გაიარა იქ დაუბრკოლებლად, არამედ სპილოებიც გაატარეს - წერს პროკოფი.

მაშასადამე, იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა "გაასწორეს".

აქედან ჩანს, რომ გზა იყო მოკლე და არა გრძელი. თუ კი ლაზიკა იყო მთელი დასავლეთი საქართველო და იბერია კი აღმოსავლეთი, მათი შემაერთებელი გზის "გასწორება" ნამდვილად არ იქნებოდა ადვილი, რადგანაც ეს გზა გრძელია, ხოლო არტაანიდან კლარჯეთში ე.ი. იბერიიდან კოლხიდაში გამავალი გზა, მართალია ძალზე ძნელ, მაგრამ მხოლოდ ერთ უღელტეხილს გადადიოდა, რომლის გასწორებაც სიმოკლის გამო ალბათ შესაძლებელი იყო.

აქ უნდა ყოფილიყო (და არა ლიხის ქედზე) "ლაზებისა და იბერების საზღვრები" (გეორგიკა, II, 1965, გვ. 185), აქვე, ახლომახლო უნდა ყოფილიყო სკანდისა და სარაპანისის ციხეები (ე.ი. არსიანის ქედზე და არა ლიხის მთაზე).

იმპერატორმა იუსტინიანემ ჭანეთში რომაელთა და პერსარმენიელთა საზღვრების გასაყარზე ააგო მტკიცე ციხე-სიმაგრეები. მათი დანიშნულება იყო დაეცვა გზები. პროკოფი წერს - "ეს ქვეყანა სამი გზაჯვარედინით არის დანაწილებული. აქედან იწყებენ გაყრას რომაელთა, პერსარმენიელთა და თვით ჭანთა საზღვრები. აქ იუსტინიანემ ააგო ძალიან მტკიცე ციხე-სიმაგრე ჰორონონი და ამით დაადგა თავი ზავის საქმეს. პირველად აქედან გახდა შესაძლებელი რომაელთათვის ჭანეთში შესვლა" (პროკოფი კესარიელი, შენობათა შესახებ, 2006, გვ, 106).

ციხე-სიმაგრის დანიშნულება ძირითადად იყო გზის დაცვა ანუ ძლიერი ციხე-სიმაგრე მნიშვნელოვანი გზის დაცვის საქმეს ემსახურებოდა. შესაბამისად, სკანდა და სარაპანა - სპარსეთიდან რომის მიწებისკენ (ბიზანტიისკენ) მიმავალ გზაზე უნდა აგებულიყო - რათა მტრისთვის გზა გადაეკეტათ.

პროკოფი წერს - იუსტინიანემ "აღმართა ძლიერი სიმაგრეები" (იქვე, გვ. 100) იმ ადგილებში, რომელნიც "მტრებისთვის გზის გადაკეტვის თვალსაზრისით მეტად საყურადღებონი იყვნენ" (პროკოფი კესარიელი, შენობათა შესახებ, 2006, გვ, 100).

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო სკანდას ციხე-სიმაგრე, სადავო ბიზანტიასა და სპარსეთს შორის, მნიშვნელოვან გზაზე მდებარეობდა.

ასეთი გზა, თუ კი დასავლეთ საქართველოში შორაპნის მხრიდან შედიოდა, მაშინ უშუალოდ ამ გზისპირზე უნდა ყოფილიყო კიდეც სკანდას ციხე. რეალურად კი, იმერეთის სკანდე სულ სხვა რეგონში მდებარეობს.

ბიზანტიელები სპარსეთთან დამაკავშირებელ გზაზე აგებდნენ ციხე-სიმაგრეებს, ასევე იქცეოდნენ სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, თეოდოპოლისის მახლობლად ხორზანეს მხარეში გამავალ გზაზე: "სპარსელთა მეფისათვის აქედან ადვილი იყო შეჭრილიყო რომაელთა ქვეყანაში,

ვიდრე იმპერატორმა იუსტინიანემ გზა არ ჩაკეტა. ამ კუთხის შუაგულში იყო სოფელი არტალესონი. იგი ციხე-სიმაგრედ იქცა" (იქვე, გვ. 101).

მაშასადამე, სკანდას ციხე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებდა თავის ფუნქციას, თუკი ის "გზის ჩამკეტი" სიმაგრე იქნებოდა, ანუ ის უშუალოდ გზაზე უნდა მდგარიყო.

იმერეთის სკანდე კი სურამ-შორაპანის გზაზე არ დგას, ანუ არ დგას და არასოდეს მდგარა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს შემაერთებელ გზაზე, ხოლო კლარჯეთის კანდრიდი, რომელსაც ჩვენ პროკოფისეულ სკანდად მივიჩნევთ, ნამდვილად ასეთ საერთაშორისო გზაზე იდგა.

როგორც ხშირად აღინიშნა, ბიზანტიელებს არ სურდათ, რომ სპარსელებს ხელში ჩაეგდოთ ის საერთაშორისო გზა, რომელიც ლაზიკის გავლით პერსარემენიას, ანუ სპარსულ არმენიას აერთებდა შავ ზღვასთან. კერძოდ, რადგანაც პერსარმენია ძირითადად სპარსელების ხელში იყო (იგულისხმება ქალაქ დვინისა და სხვა მიმდებარე ქალაქების სანახები), აქედან ისინი იმ გზით, რომელიც აერთებდა დვინს არტაანთან და შემდეგდროინდელ არტანუჯთან, ჩადიოდნენ ჭოროხის ხეობაში შემდეგდროინდელ ქალაქ ართვინში და ჭოროხისპირა გზით სწრაფად მიდიოდნენ ზღვისპირა ციხე-სიმაგრე "პეტრაში", ანუ გადიოდნენ შავ ზღვაზე. ეს კი ძალზე აფრთხობდათ ბიზანტიელებს, ამიტომაც წერს აგათია: "თუ სპარსელები ომში გაიმარჯვებდნენ და მთელ ქვეყანას (ლაზიკას) აიღებდნენ, აღარაფერი დააბრკოლებდათ მათ უშიშრად შემოეცურათ ევქსინის პონტოთი და ძალიან ღრმად გაეკვლიათ გზა რომაელთა სამეფოში" (გეორგიკა, III, გვ. 29).

აქედან ჩანს, დასავლეთ საქართველო რომ ყოფილიყო ლაზიკა, მაშინ ძველი ავტორები მას და არმენიას ერთად არ მოიხსენიებდნენ, რადგანაც არმენია და დასავლეთ საქართველო ერთმანეთისაგან ძალზე დაშორებული რეგიონები არიან და მათ შორის იმჟამად სხვა მრავალი ტომი ცხოვრობდა და მრავალი ქვეყანა იყო. ხოლო ლაზიკა და მცირე, ანუ რომაული არმენია ნამდვილად იყვნენ ერთმანეთის მეზობლები, ერთ სახელმწიფოში, ბიზანტიაში, შემავალი, ერთი მმართველობის, მათ შორის სტრატეგიული მმართველობის ქვეშ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია თვალსაზრისი, თითქოსდა სპარსელები ლაზიკეში გადადიოდნენ თანამედროვე სურამის უღელტეხილებით და თითქოსდა ამ გზის გავლის შემდგომ ეწოდნენ ე.წ. პეტრასათვის ომს.

ისმის კითხვა: თუკი პეტრასათვის ომის დროს სპარსეთის შაჰმა თავისი ჯარი შეაგზავნა ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში, შემდგომ ჯარმა გადალახა სურამის უღელტეხილები და მთელი დასავლეთ საქართველოს გავლით ჩავიდა პეტრაში, რატომ განახორციელა მან ეს ძალზე ურთულესი მანევრი, მაშინ, როცა უკვე არსებობდა უკვე გაკვალული გზა, რომლითაც სპარსულ ჯარს დვინის სანახებიდან (პროკოფის სიტყვით სპარსელთა ძირითადი სამხედრო ბაზიდან) შეეძლო პირდაპირ შესულიყო პეტრაში უმოკლესი გზით (ესაა იბერიის (კერძოდ არტაან-კოლას) გავლით არტაან-არტანუჯ-ართვინის გზა).

აღნიშნულის გარდა დასავლეთ საქართველო, კერძოდ კი რიონის დაბლობი, არის ზღვის პირას გადაშლილი ძალზე ვრცელი ვაკე, რომელიც ძველ დროს მეტისმეტად იყო დაჭაობებული და იქ გავრცელებული იყო მალარია, ციებ-ცხელება, დაავადებანი. ჭაობიანი ადგილები კი საომარი მოქმედებებისათვის უვარგისი იყო. ჭაობებში გავლა უჭირდათ შეიარაღებულ რაზმებს, მითუმეტეს წარმოუდგენელი იყო ასეთ ჭაობებში სპილოებით ომი. სპილოებს კი ლაზიკის ომის დროს იყენებდნენ როგორც ხოსროს უშუალო ხელმძღვანელობის, ასევე მის მხედართმთავარ ნახორაგანის დროს.

აგათია სქოლასტიკოსის სიტყვით ჭაობში, ჭაობიან ადგილებში და ისეთ ტყეებში, სადაც ტყეს გააჩნია საკუთარი ქვე-ტყე, გავლა უჭირდათ არა თუ სპილოებსა და ცხენოსან რაზმს, არამედ უბრალო შეიარაღებულ რაზმსაც კი.

კერძოდ, აგათია სქოლასტიკოსი ერთ უმნიშვნელო ჭაობზე წერს: "დაბლობები მეტისმეტად ჭაობიანი და შლამიანია და მათ გარს აკრავს იმდენად ხშირი ბუჩქნარები და ტყეები, რომ არათუ

შეიარაღებულ რაზმებს, არამედ კაცსაც კი - ისიც მსუბუქად ჩაცმულს, გაუჭირდება იქ გავლა” (გეორგიკა, III, გვ. 31).

მითუმეტს, რომ დასავლეთ საქართველო დაფარული იყო არა პატარა ზომის ფრაგმენტული ჭაობებით, არამედ მისი მთლიანი ზედაპირის დიდი ნაწილი - რიონის დაბლობი და ზღვისპირეთი, ერთ მთლიან ჭაობს წარმოადგენდა, სადაც შეიარაღებულ რაზმებს და არმიებს გავლა ცხადია გაუჭირდებოდა.

ჭოროხი კლდეთა შორის (ძველი ხიდის ნანგრევები)

სკანდას ციხე ართვინ-არტაანის გზაზე (ზღვის დონიდან 2600 მეტრი) სოფელ ბაგდასენთან ქინძოტამალის ციხე კანდილის მთასთან

ართვინ-არტაანის
კლდოვანი გზა მდინარის
პირზე
(პროკოფის კლისურები)



არტანუჯი (ერთ-ერთი
სარაპანა ანუ მგზავრთა
მოსასვენებელი პუნქტი
იბერია (არტაან)-ართვინის
(შავიზღვისპირეთის)
შემაერთებელ გზაზე

მდინარე ფაზისი (ჭოროხი),
სტრაბონისა და პროკოფი
კესარიელის ცნობით
კლდეთა შორის
მიედინებოდა

მდინარე რიონი არა თუ კლდეთა შორის მოედინება, არამედ შავიზღვისპირა ვაკეზე, სადაც ქმნის ჭაობებს, რომელთაც ხელოვნურად აშრობენ შესაბამისი სადგურები

ბანანის ხე შორაპნის ერთ-ერთ ეზოში, მიუთითებს, რომ სტრაბონის და პროკოფი კესარიელის მაღალმთიანი სარაპანა, სადაც არავითარი მოსავალი არ მოდიოდა სხვა რეგიონში უნდა ვეძიოთ.

იმერეთის სკანდეს ციხე-სიმაგრე, მდებარეობს თითქმის ვაკე ადგილას, ხოლო სტრაბონისა და პროკოფი კესარიელის სკანდას ციხე მაღალმთიანეთში მდებარეობდა.


„ოთხი დღის გზა“ სარაპანადან კირამდე (ართვინიდან მტკვრამდე)
პონტოს ზღვა
(შავი ზღვა)
ფაზისი
(გონიო)
(პეტრა)
(ხუფათი)
პიტიუნტი
(პიტიუსა, პაზარი,
ათინა)
რიზე
ოფი
დიოსკურია
(სურმენე)
სარაპანას
ციხე-სიმაგრე
(ართვინი)
(არტანუჯი)
(არტაანი)
„ოთხი დღის გზა“
(ყარსი)
(ანინი)
(ამბერდი)
(დვინი)
სტრაბონის კოლხეთი
„ოთხი დღის გზა“
რუკის ავტორის მიხედვით ანანია ჯაფარიძე
პირობითი აღნიშვნები
საერთაშორისო გზა იბარიიდან და არმენიიდან შავ ზღვამდე არტაან-არტანუჯის გაყოლით
საერთაშორისო გზის მონაკვეთი სარაპანადან (ართვინიდან) კირამდე (მტკვრამდე), რომელსაც ოთხ დღეში გადიოდნენ ფეხით (დაახლოებით 70 კმ-იანი აღმართი)
მასშტაბი 1:1.500.000
„დანარჩენ კოლხეთს რაც შეეხება, მისი დიდი ნაწილი ზღვასთანაა, კოლხიდის გაველით მიედინება მდინარე ფაზისი, დიდი მდინარე, რომლის სათავე არმენიაშია. ის იღებს შენაკადებს გლაკოსისა და პიპოსისა, მაძლობელი მთების მდინარეებისა. ფაზისი გემოსავალია სარაპანამდე. ესაა სიმაგრე, რომელსაც შეუძლია მთელი ქალაქის მოსახლეობა დაიტიოს.
აქ გაემავალი საურმე გზით ფეხით ოთხ დღეში მიდიან კირამდე.
მდ. ფაზისზე დგას იმავე სახელის მქონე კოლხების საველაქრო ქალაქი, რომელიც ერთი მხრიდან მდინარით, მეორედან კი ტბითაა და შესამდგან ზღვითაა შემოსაზღვრული. აქედან ამისომდე და სინოპამდე ცურვას სჭირდება 2-3 დღე, რადგან ზღვის ნაპირას მინა ჭაობიანია, ხოლო მდინარეთა შესართავები ჭაობიანი". (სტრაბ. XI, I, 17).
„სარაპანამდე ფაზისი გემთმავალია". მკვლევარები დ. ბაქრაძე, ე. ვეიდენბაუმი, და გ. ყაზბეგი, ასევე წერენ მდინარე ქორობის შესახებაც, რომ ზღვიდან ართვინამდე ქორობზე 200-იოდე სავაქრო ნავი დაცურავდა XIX ს.-შიც. ე. ვეიდენბაუმის ცნობით, ქორობის შესართავის დასაწყეთ სანაპიროზე, ზღვისპირზე, რამდენიმე ტბა იყო გონიოს ახლოს. აქ უნდა ვეძიოთ ქ. ფაზისი, ხოლო სარაპანა ართვინთან.
მდ. ფაზისი კი მდინარე ქორობია, რომლის სათავე არმენიის მიერ იყო ხელდებული სტრაბონის ეპოქაში.
სტრაბონი წერს: იბერიის „ქვეყანაში არის ოთხი შესასვლელი (გზა). ერთი მოდის კოლხთა სიმაგრე სარაპანიდან და მისი მაძლობელი უღელტეხილიდან. აქედან ფაზისი ხმაურიანი ზათქითა და მეტეორე სწრაფი ნაკადით მიემართება კოლხეთში. ამ მდინარეზე 120 ხიდია, ეს ადგილები დახრულია დიდი წვიმების დროს წარმომქმნილი მთის ნაკადულებით. ფაზისის სათავე იბერიის მაღლა მდებარე მთებშია, სადაც ის იესებაა მრავალი წყაროთი, დაბლობზე კიდევ მრავალ მდინარეს იმატებს, მათ შორის ვლაკოსსა და პიპოსს. ვიწრო შენაკადების წყლებით და სანაოსნოდ გამზადებული ეს მდინარე უარდება პონტოში. მის შესართავში მდებარეობს ამავე სახელის მქონე ქალაქი, რომლის მაძლობლადაც არის ტბა.
ასეთია კოლხეთიდან იბერიაში შესასვლელი, ჩამოვრილი კლდეებით, სიმაგრეებითა და ძალზე სწრაფი მდინარეებით (სტრაბ. XI, II, 4).
"Отсюда сухим путем по проезжей дороге доходят до Кира в 4 дня" (Страб. XI, II, 17).
მისიმიელები
ჩაჩხეთი
ფაზისი
(გონიო)
(პეტრა)
(ხუფათი)
პიტიუნტი
(პიტიუსა, პაზარი,
ათინა)
რიზე
ოფი
დიოსკურია
(სურმენე)
როდოპოლისი
(ართვინი)
სარაპანა
(არტანუჯი)
სკანდა
(არტაანი)
(ყარსი)
(ანინი)
(ამბერდი)
(დვინი)
პირობითი აღნიშვნები
დვინის სანახები, სპარსთა ჯარების დასასვენებელი ადგილი ლაზიკაში ომების დროს
სკანდასა და სარაპანას სიმაგრეები იბერიიდან ლაზიკაში მიმავალ გზაზე
სპარსეთის შაჰ ხოსროს გზა იბერიის გავლით პეტრასაკენ. „ისე, ორმ ფაზისი (ქორობი) მარჯვნივ ჰქონდა"
სპარსი სარდლის მერმეროეს ლაშქრობა ქ. ფაზისსა და პეტრას სიმაგრეებისკენ ისე, რომ „ფაზისი მარჯვნივ ჰქონდა" (გეორგიკა, II, გვ. 107).
მასშტაბი 1:1.500.000
ᲐᲠᲛᲔᲜᲘᲐ
ᲘᲑᲔᲠᲘᲐ
ᲚᲐᲖᲘᲙᲐ
ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ
ᲞᲝᲜᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘ

© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2011



© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2011



© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2011

STRABO ABOUT COLCHIS

Mitropolitan Anania Japaridze
Georgian Technical University

ABSTRACT: In the represented work there are considered results of the scientific researches about the location of Colchis. These researches were conduct based on the works of the famous Greek historian Strabo and the number of other scientists T. Kaukhchishili, P. Ingorokva and others. In the article there are discussed in details considerations of these scientists about location of Colchis and based on this is proved that Colchis was situated to the south - west of Iberia.

KEY WORDS: Colchis; Strabo; Dioscuri; Phasis; Sarapana; Armenia

1. Colchis is located to the south - weat of Iberia

In his book "Strabo's Geography" (1957) T. Kaukhchishvili wrote: "According to Strabo, Colchis was located not along Iberia - Albania, but more to the south - along the Armenia: "And to the south of the Hyrcanian Sea, in part, and of the whole of the isthmus between this sea and the Pontus lie the greater part of Armenia, Colchis, the whole of Cappadocia up to the Euxine and to the Tibaranian tribes (Strabo II.5.31)".

Strabo recurred different times to the above consideration about the location of Colchis. T. Kaukhchishvili wrote (p.21): "It is important to notice, that Iberians and Albanians are considered to reside above the Colchis - "the peoples who are situated above Colchis, both Albanians and Iberians" (Strabo VI, 4, 2)".

It appears from this that Colchis was located to the south (south - west) of Iberia, and according to Strabo, it involved the Trapezus region to the Chorokhy Gorge direction.

The reason, why Strabo insisted on the closeness of the location of Armenia to the head of the river Phasis, is his believe that river Phasis is the same with the river Chorokhy. Only in this case Colchis might appear to be located the south - west of Iberia, and Iberia, in its turn, "above" Colchis.

T. Kaukhchishvili recurred to this issue and wrote:

"In the secondary references of Strabo, Colchis was considered to be located to the east of Cappadocia, on the same line with Armenia, and Iberia and Albania are placed more to the north - eastern side" (T. Kaukhchishvili, Strabo Geography, 1957, p. 283).

It is clear from the above reference of Strabo that Colchis was located not "along Iberia", i.e. in the west Georgia, but "along Armenia", in the Trabzon - Chorokhy region, i.e. in the south - west part of the historic Georgia. As long as Strabo mentioned Colchis in relation with Cappadocia, it seems that one part of it was located below Trabzon.

2. Colchis shore

According to Strabo's references, "a shore of Colchis was spread from Pityus to Trabzon (T. Kaukhchishvili, Strabo's Geography, 1957, p. 283).

The location of Pityus is a controversial point. In particular, N. Adontsi and P. Ingorokva thought that Pityus (Pitia) was located at Off, near Rise. According to other considerations, the Abkhazian Bichvinta is assumed under it. From the consideration that Colchis is located along Armenia, it follows that Strabo's Pityus must be in Off - Rise region.

3. Armenia is along Colchis

It is evident from the Strabo's secondary references that there was Armenia located to the east of Colchis and not Iberia. For example, after Colchis, Jason invaded Armenia and Medes. Why? Because the immediate neighbor of Colchis was Armenia, and Medes next to it. That's why Strabo wrote: "The old people didn't sail, instead, they move along the beach like Jason, who left a ship on his way back from Colchis and invaded Armenia and Medes from the land" (T. Kaukhchishvili, Strabo Geography, 1957, p. 283).

4. Iberians settled down at Araxes, above Colchis

From the Strabo point of view, Iberians came to Caucasus from "Western Iberia", that is Spain and they settled down not around Colchis, but at Araxes, above Colchis. "Part of Western Iberians settled down in the regions above Pontus and Colchis (According Apolidor statement, Iberians border Armenia with

Araxes, Mtkari and Mosk mountains). Part of Egyptians settled down in Ethiopia and Colchis". (T. Kaukhchishvili, Strabo Geography, 1957). Therefore, Iberians were located above Colchis, to the direction of the river Araxes. From this follows, that Strabo didn't consider Colchis as western Georgia, because a river Araxes is not "above" the western Georgia!

5. Colchis is located near Samsun

Strabo writes elsewhere: "and from Amisus, if you bear towards the equinoctial sunrise, you come first to Colchis" (Strabo II, 1, 3). Therefore, Colchis is to the east of Amiss. The current name of Amiss is Samsun - "Amiss, a city in Pontus, current Samsun" (T. Kaukhchishvili, Strabo Geography, 1957, p. 270). Therefoe, Colchis is near Samsun, i.e. to the Trabzon direction.

6. Armenia and Colchis are situated in line

While speaking about Iberia Strabo frequently mentions tribes living in the littoral zone of the Georgia - Achaeans, Zygians, and Heniochians and etc (Strabo, II, 5, 31). But he always specifies that Armenia is located along Colchis. For example, he wrote: "between the Hyrcanian Sea and the Pontus lie the greater part of Armenia, Colchis, the whole of Cappadocia up to the Euxine and to the Tibaranian tribes" (Strabo II, 5, 31).

Of course, Strabo knew very well what he wrote. For example, the same place he indicates about the geographical "parallels" - "and, according to Eratosthenes, this parallel runs through Caria" (Strabo II, 5, 39), or "and a little north of it lies the parallel through Lysimachia" (Strabo II, 5, 40).

7. Albanians and Iberians, who are residing above the Colchis

Along the Iberians (to the west) reside Heniochians, Soanes and other tribes; and Armenians reside along Colchis (to the east). Therefore, in Colchis the Georgian tribes were living beside Cappadocians and Armenians.

Strabo recurred to the issue of Iberian residence and wrote: "As for the Armenians, and the peoples who are situated above Colchis, both Albanians and Iberians, they require the presence only of men to lead them, and are excellent subjects" (Strabo VI, 4, 2). Therefore, we can assert that Strabo considered as Colchis not western Georgia, but a territory located to the south - west of Iberia, because it was "above" it.

8. Colchis is located near Trabzon

In another place Strabo wrote, that Colchis was located near Trabzon. He wrote: "In the mountainous district of the Taurians is also the mountain Trapezus, which has the same name as the city in the neighborhood of Tibarania and Colchis." (Strabo VII, 4, 3).

9. Islands along the Colchis shore

It is known, that there are no islands at the west Georgian shore. But, according Strabo, there were islands along the Colchis shore, which were know as if Media killed her brother there - "There are islands along the whole of the aforesaid seaboard: first, the Apsyrtides,1 where Medeia is said to have killed her brother Apsyrtus who was pursuing her" (Strabo VII, 5, 5).

10. Jason's invasion in Armenia

To Strabo's opinion, Jason invaded Armenia as well. He wrote: "To this the expedition of Jason and the Jasonian monuments bear witness, some of which were built by the sovereigns of the country, just as the temple of Jason at Abdera was built by Parmenion" (Strabo XI, XIV, 12). These churches in Armenia were built in honor of Jason and his fellow travelers.

In general, to Strabo's point of view, Armenians establish after the Jason's invasion. He wrote: "There is an ancient story of the Armenian race to this effect: that Armenus of Armenium, a Thessalian city, which lies between Pherae and Larisa on Lake Boebe, as I have already said, accompanied Jason into Armenia; and Cyrsilus the Pharsalian and Medius the Larisaean, who accompanied Alexander, say that Armenia was named after him, and that, of the followers of Armenus, some took up their abode in Acilisene, which in earlier times was subject to the Sopheni, whereas others took up their abode in Syspiritis, as far as Calachene and Adiabene, outside the Armenian mountains. They also say that the clothing of the Armenians is Thessalian, for example, the long tunics, which in tragedies are called Thessalian and are girded round the breast; and also the cloaks that are fastened on with clasps, another way in which the tragedians imitated the Thessalians, for the tragedians had to have some alien decoration of this kind; and since the Thessalians in particular wore long robes, probably because they of all the Greeks lived in the most northerly and coldest region (Strabo XI, 14, 12)" (T. Kaukhchishvili, Strabo Geography, 1957, p. 194).

11. Medes - descendants of Media

In Strabo's opinion, Armenians and Medes are descendants of Media and Jason. In general Strabo admits, that Media was not genetically Colehian, instead he thought that she was Tesalinian, just like Jason. Strabo considered Tesalinians to be the same with Elininans. He wrote: "and therefore, from all this, it is supposed that both the Medes and the Armenians are in a way kinsmen to the Thessalians and the descendants of Jason and Medeia" (Strabo XI, XIV, 14).

12. Georgians in the Iberia, conquered by Armenians

In general, due to the political situation, Strabo couldn't distinguish between Armenians and some Georgian tribes. It seems that he considers Tibarenians and Chaldaei (Chans) as residents of Armenia. Although, he stressed out again the theory about Egyptians settled down in Colchis.

What might be the same between Chaldaei (Chans) and Egyptians, or Armenian and Tibarenians 2000 years ago? It is evident that in that time the Qartvelian languages were much less differentiated and Chaldaei (and Tibarenians) had more lingual closeness with Iberians. Despite of this evident fact, Strabo believes that Iberians, which were located at the Araxes, were Armenians. This was stipulated by the fact that the Iberians were under the political - cultural influence of Armenia, after Armenia seized their territory.

13. Jason by Araxes

According to Strabo's references, in Armenia Jason gave a new bed to the river Araxes and saved large lowland from the permanent flood: "And it is said that in ancient times the Araxes in Armenia, after descending from the mountains, spread out and formed a sea in the plains below, since it had no outlet, but that Jason, ..., made the cleft through which the water now precipitates itself into the Caspian Sea, and that in consequence of this the Araxene Plain, through which the river flows to its precipitate descent, was relieved of the sea. (Strabo XI, 14, 13)" (T. Kaukhchishvili, Strabo Geography, 1957, p. 194).

14. Phasis - "is a river of Armenia"

Strabo believed that rivers Phasis and Lycus were Armenian. That's why he wrote: "There are several rivers in the country, but the best known are the Phasis and the Lycus (Strabo XI, 14, 7)" (the same, p. 190).

Phasis was considered as Armenian river by Strabo (Strabo XI, XIV, 7). From this reference it is clear, that for Strabo Phasis doesn't belong to west Georgia. Otherwise, the west Georgia would be the part of Armenia, that is evident misunderstanding. The reason why Strabo believed that Phasis and Lycus are Armenian rivers was the fact that Chorokhy is assumed to be under Phasis. That's why Strabo repeats several times: "Through it flows the Phasis, a large river having its sources in Armenia" (Strabo XI, II, 17).

These references of Strabo should be explained as following: It is evident, that a lot of geographic points and rivers of south and south - west Georgia felt within Armenia's jurisdiction after they took away from Iberia big regions (according to Strabo references) - slopes of Paryadres, Khordzene and Gogarena. Therefore, as it was said above, according Strabo's references the south - west Georgian river Phasis (i.e. Chorokhy) flowed within Armenia and, consequently, its head was also there (Strabo XI, II, 17).

15. Trabzon, Pharnacia, Lesser Armenia, Scydises, Mosk mountains located above Colchis, Paryadres, Themiscyra, Sidene, Ephesuso, Smirna, Cyme and Mirna - are in the same region

All the other references of Strabo become clearer if we consider as Colchis a territory between Trabzon and Chorokhi. For example, Strabo wrote: "Above Trapezus and Pharnacia are situated Tibareni, Chaldasi, Sanni, (who were formerly called Macrones,) and the Lesser Armenia; and the Appaïtae, in earlier times called the Cercitae, are fairly close to these regions. Two mountains cross the country of these people, not only the Scydises, a very rugged mountain, which joins the Moschian Mountains above Colchis (its heights are occupied by the Heptacomitae), but also the Paryadres, which extends from the region of Sidene and Themiscyra to Lesser Armenia and forms the eastern side of Pontus. Now all these peoples who live in the mountains are utterly savage, but the Heptacomitae are worse than the rest...In former times they were called as Moschic...The Chaldaei of today were in ancient times named Chalybes; and it is just opposite their territory that Pharnacia is situated... Upon the whole, the seaboard in this region is extremely narrow, for the mountains, full of mines and forests... the people were in earlier times called "Alybes" instead of "Chalybes"... Homer calls them Halizoni, mentioning them next the after Paphlagonians in his Catalogue. .. Some change the text and make it read "Alazones," others "Amazones,"... And there are certain cities, it is said, which got their names from the Amazons, I mean Ephesus, Smyrna, Cyme, and Myrina" (Strabo XII, 3, 18 - 21).

Therefore, in the Moschic mountains, that is to the direction of the modern Erzurum above Trabzon (i.e. Colchis), Chaldeans, Tibarans, Sanni (Macrones), Apaits (Cercetae) and Moschic were located. The shore in front of this mountain system is very narrow. From this it is clear that they are not talking about the west Georgia. According to the researches of N. Khazaradze, Moschic mountains were located not in Imereti, but to the Erzurum direction.

16. Tibarans, Sanni (Macrones), Apaits (Cercetae), Heptacomitae (Moschic) and Chaldaei (Chalybes)

Strabo mentioned the same in another place - "Above the region of Pharnacia and Trapezus are the Tibareni and the Chaldaei, whose country extends to Lesser Armenia. This country is fairly fertile. Lesser Armenia, like Sophene, was always in the possession of potentates, who at times were friendly to the other Armenians and at times minded their own affairs. They held as subjects the Chaldaei and the Tibareni, and therefore their empire extended to Trapezus and Pharnacia" (Strabo XII, 3, 28).

Therefore, near Trabzon and Pharnacia Colchis tribes - Tibareni and Chaldaei - were situated. They are bordered with Lesser Armenia, but are under Armenian jurisdiction, because the jurisdiction of Armenia is spread till Trabzon and Pharnacia - according to Strabo references (T. Kaukhchishvili, Strabo Geography, p. 212).

17. Mithridates Eupator

Mithridates Eupator took authority under Colchis away from Armenians and "he established himself as master, not only of Colchis, but also of all these places" (T. Kaukhchishvili, Strabo Geography, p. 212). Under "all those" are assumed Chaldaei and all other tribes, mentioned above.

The town Pharnacia was situated in Pontus, near Trabzon. "Colchis and all those" were given to Mithridates by Antipater, the son of Sisis, a king of Lesser Armenia, according to Latishev (the same, p. 235). Here are described the most notable of these strongholds of Colchis, for example, "Sinoria; Sinoria was close to the borders of Greater Armenia" (the same, p.212). In general, these are slopes of Paryadres - I think and it is evident - it is Pontus mountains and not of west Georgia. "Mithridates fled for refuge into these farthermost parts of the kingdom of Pontus, when Pompey invaded the country, and having seized a well - watered mountain near Dasteira in Acilisene (nearby was also the Euphrates, which separates Acilisene from Lesser Armenia), he stayed there until he was besieged and forced to flee across the mountains into Colchis and from there to the Bosporus. Near this place, in Lesser Armenia, Pompey built a city, Nicopolis" (the same, p.213).

18. Pythodoris - a widow of Polemon and Archeläus

"Tibareni and Chaldaei, extending as far as Colchis, and Pharnacia and Trapezus are ruled by Pythodoris" (Strabo XII, 3,29) - a daughter of Pythodorus of Tralles, a wise woman, who received a throne from her husband Polemon. Her son was established as king of Greater Armenia of Greater Armenia. Afterwards she married the ruler of Lesser Armenia Archeläus and became a widow. According to Strabo, she dominated over the territories near Themiscyra and Paryadres and the Kabeira near Amiss, where the palace of Mithridates was located. Therefore, here is said nothing about the west Georgia. A discussion is about historical south - west Georgia from Tibaren to Trabzon, i.e. Colchis.

Why are these references of Strabo important for us? Because all of this concerns the jurisdiction of Georgian Church in west Georgia; and, the reliability of "Qartlis Tskhovreba" (Georgian Chronicles) as a historical source.

19. The reliability of "Qartlis Tskhovreba" (Georgian Chronicles) is strengthened by Strabo's references

The reliability of "Qartlis Tskhovreba" (Georgian Chronicles) as a historical source about west Georgia, is completely neglected by the present historiography. In spite of the fact, that according Georgian Chronicles, west Georgia belonged to the Georgian Kingdom from the period of Azon - Pharnavaz, it is strongly considered that Pharnavaz was the king of only the east Georgia. All the more is disregarded the authority of the subsequent Kings over the west Georgia. As a result, there were composed a completely new story about the existence of the Colchis kingdom in the west Georgia. This new story was mainly based on the references of the Strabo and Prokophi Kesarian. In fact, if interpret these sources properly, we will see that the west Georgia is one country; and the Colchis - Lazika - described by Strabo and Prokophi Kesarian - absolutely another. One of them was situated along Iberia to the west, and another - to the south - west.

To the east of Colchis there was located Armenia and not Iberia. The consideration that river Phasis, described by Strabo, was river Rioni was accepted under compulsion. In fact, almost always Strabo mentioned Phasis together with Armenia, because its head (i.e. the head of Phasis and not Rioni) was conquered with Armenians in Strabo's time.

20. The head of Phasis is in Armenia

In Armenia "There are several rivers in the country, but the best known are the Phasis and the Lycus (Strabo XI, 14, 7)". "Through it flows the Phasis, a large river having its sources in Armenia (Strabo XI, 2,17)" (the same, p.123).

The head of Phasis is in Armenia - "Through it flows the Phasis, a large river having its sources in Armenia and receiving the waters of the Glaucus and the Hippus, which issue from the neighboring mountains (Strabo XI, 2,17)" " (the same, p.123). This is a sentence of Strabo, and from this follows, that not only Phasis flows out from the Armenian mountains, but Glaucus and Hippus as well.

21. Is a head of Tskenistskali in Armenia as well?

The head of Phasis is in Armenia - "Through it flows the Phasis, a large river having its sources in Armenia and receiving the waters of the Glaucus and the Hippus, which issue from the neighboring mountains (Strabo XI, 2,17)" " (the same, p.123).

According to the widespread consideration Glaucus is a river Kvirila (the same, p.275), and Hippus is a river Tskenistskali (the same, p.301). If this is true, that is if the heads of Glaucus and Hippus are nearby the Armenian mountains, then we should look for the heads of Kvirila and Tskenistskali in Armenian mountains as well. But it seems, that Glaucus and Hippus are the tributaries of Phasis (i.e. Chorokhy), and their heads are in Sper - Arsiani mountains, which were nearby the Armenia indeed, because it was conquered by Iberia in that time.

22. Sarapana and Shorapani are not the same

In his narative Strabo didn't mention the word "Shrapani", but he wrote about Sarapana. Georgian interpreters translate "Sarapana" as "Shorapano".

"It is navigated as far as Sarapana, a fortress capable of admitting the population even of a city (Strabo XI, 2, 17)" (the same, p. 123). According G. Grigolia research, Shorapani, i.e. Sarapana is a Persian word and means a shelter for travelers. It can be fortress, a town, or a settlement on the central road, equipped with the places for rest and store houses. There were a lot of Sarapanas like this along the international road, separated with "one day walk" distance, in every 20 - 30 kms.

In general, even if Sarapana in Georgian language is pronounced as Shorapani, we shouldn't identify it with the Shorapani near Zestaphoni. As we said above, there might be a lot of such places there. One of such Sarapanas was on Phasis (Chorokhy) in Strabo time, and by Prokophy Kesariely's time Sarapana was in the high mountains of Arsiani, on the road connected Arnatuji - Artaani - Dvini.

Is it possible to sail up from Photi to Shorapani of Zestaphoni now? Or, was it possible in that time? I think, it was impossible at least for the reason, that they are separated with the long distance. Besides, Shorapani is on the shore of Dzirula and not Kvirila. Dzirula is very thin there and moves very slowly towards Kvirila. In general, Kviria is very slow till Kutaisi and doesn't look like very fast Phasis, described in the old writers' narative.

23. 120 bridges, put across very fast and noisy rivers

According Strabo, the river Phaisi is very quick and noisy near Sarapana:

"the Phasis, which has been made passable by one hundred and twenty bridges because of the windings of its course, flows down into Colchis with rough and violent stream" (Strabo XI, 3, 4). There are not found the remains of any of the bridges described by Strabo near Shorapani, but the gorge of Chorokhy is full of the remains of the oldest arched bridges. It is evident from this that Strabo's Phasis is a river Chorokhy; and one of the Sarapans, i.e. the shelter of the travelers, was located at its shore.

24. Phasis was a river for sail

"It was possible to sail up to Phasis till Shorapani" (T. Kaukhchishvili, Strabo's Geography, p.123) . In our mind, this reference concerns to Chorokhy. The sailing was developed here since oldest days and a lot of researchers, E. Veidenbaum, G. Kazbegi and Baqradze in particular, described it in their works. According to Baqradze's references: "200 passenger and cargo boats were sailing up and down Chorokhy from Batumi till Artvin". Therefore, in our mind, Strabo's Sarapana was one of the riverside settlements, and there are a lot of oldest bridges there. And what about Shorapani near Zestaphoni and the river

Dzirula, it is impossible to sail there, because this river is a small and slow stream in fact, and Kvirila is not a river for sail as well. In general, local inhabitants are not familiar with sailing at all.

25. The way of four days

"It is a way of four days by araba from Sarapani to Mtkvari "(the same, p.123).

As it was mentioned above, in general, one - day way was equivalent to 20 - 30 km, and to the less in the mountain regions. Therefore, a distance from Sarapana to Mtkvari was approximately 60 - 80 km.

In former times an araba road was very rare and important. By the Konstantin Porphirogeneti's time Artanuji was located on the road like this. It was an international road connecting Persia and Dvin with Black Sea, through Chorokhy gorge. Probably Strabo assumed one of the segments of this road, from Chorokhy to Mtkvari.

In other words, here is assumed an Artvin - Artanuji - Artaani araba road, which functioned in the Vakhtang Gorgasali time, and even Saint Apostles and others used it. That is, from Artvin to Mtkvari there was a distance of 4 day walking.

26. A town at the Phasis outfall

There was a town at the Phsisi outfall "surrounded with a river, lake and sea" (the same, p.123).

Photi is surrounded with a river, lake and sea indeed, that's why it is considered as Phasis, but not only Photi had a geographical location like that.

According to E. Veidenbaum description, there were big lakes to the left of Chorokhy outfall. Therefore, a river, lakes and sea had been gathered together on this place as well.

Nowadays there is one big and several smaller lakes to the left of Chorokhy outfall. It is possible, that the ancient town Phasis was located here. Probably, here is assumed one of the points near Gonio, exactly at the outfall.

It should be noticed that, according to the local residents, in front of Gonio flowed one of the biggest branches of Chorokhy; which was cut. Maybe in the future archeologists will discover remains of the town on this place.

Strabo describes this story in the chapter, where he discusses "Lesser Armenia". In Strabo time Lesser Armenia was ruled by Archeläus. The famous saying of Strabo that the town Phasis was surrounded by sea, river and lake corresponds not only to Photi area, but also to the confluence of the river Chorokhy and sea. On this place, that is, at the confluence of the Chorokhy and sea, there was a lake of considerable size in the XIX century (according to E. Veidenbaum references). This lake is there nowadays as well (according to local touristic maps). Therefore, there existed lakes other than the Paliastomi Lake there, but to the left shore of the Chorokhy outfall.

27. The sailing way from Phasis

According to Strabo's references, it was a voyage of three or two days from Phasis to Amisus and Sinope. T. Kaukhchishvili wrote: "In the late additions this information was changed to "8 - 9 days long" (the same, p.123). In my opinion, the older information was more appropriate, because Phasis is more likely to be Chorokhy than Rioni, therefore, the way from Chorokhy to Amiss is shorter. "Thence people go to Amisus and Sinope by sea (a voyage of two or three days), because the shores are soft and because of the outlets of the rivers" (Strabo XI, 3,4) - the same information is in the newest Russian translations: "Плавание отсюда до Амисса и Синопы занимает 2 или 3 дня из - за того, что земля на морских берегах топная и устьях рек болотистая".

It is interesting that if Phasis was Photi, travel by sea would take much longer.

28. A soft shore

A Chorokhy outfall is the same with Phasis outfall, described by Strabo: "the softness of the shores" - i.e. slough. To the direction from Chorokhy to Rise a shore is low and sandy.

29. Colchis' flax

"The country is fertile and its produce is good, except the honey, which has generally a bitter taste. It furnishes all materials for ship - building. It produces them in great plenty, and they are conveyed down by its rivers. It supplies flax, hemp, wax, and pitch, in great abundance. Its linen manufacture is celebrated, for it was exported to foreign parts" (the same, p.124). There are beautiful forests in the Chorokhy gorge, till Artvin. Also, according to researchers' references, in the XIX century a lot of sawed wood was transported from Artvin to Batumi by the river Chorokhy. And here, i.e. Erge - Ligani gorge, was a famous production of flax in XIX century, and this flax was sold out of Ligani as well.

30. A Leucothea temple in Moschic country, above Phasis, Glaucus and Hiposi

"Above the rivers which I have mentioned in the Moschic territory is the temple of Leucothea, founded by Phrixus and his oracle, where a ram is not sacrificed. It was once rich, but was plundered in our time" (the same, p. 124). That is, a temple is in the country of Moschic, above the mentioned rivers, but what rivers did Strabo mention here? - Phasis, Glaucus and Hippus. If Glaucus and Hippus are Kvilirila and Tskhenistkali, then we should look for the "country of Moschic" near their heads. Is it possible that a country of Moschic was above the river Tskhenistskali? it is very unlikely. But, if we assume that Glaucus is the "Liganiskhevi", i.e. "Imerkhevi", and that Hippusis a river flowing nearby, then there really is a country of Meskheti - Kola - Artaani - above them. There are Shavsheti and Samtkhe nearby as well, and Tao is below. The similar place indicates in his works N. Khazardaze. We should look for the Leucothea temple here, and not in Imereti. The similar toponyms we can encounter in Javakhety nowadays, this is a village "Kotelia". Country of Moschis, i.e. Meskhs, was also the Klarjeti, i.e. Artanuji region, near the Chorokhy. In Strabo time it was under the rule of Colchis. Indeed, Strabo wrote, that a part of the Moschic country was under the rule of Colchis.

31. A Country of Moschic, divided into the 3 parts

"A country of Moschic, were a temple is located, involves three parts: one of them belongs to Colchis, another to Iberians, and the third to Armenians" (the same, p. 125). Were "the country of Moschic", divided among Colehians, Iberians, and Armenians, might been located? Clearly, it is a historical Meskhety from Samtskhe - Javakheti till Tao - Basiani and Artanuj - Klarjeti. The same opinion is shared by T. Kaukhchishvili (the same, p.258). Colchis was spreading till Arsiani ridge, therefore, a part of Meskheti from Chorokhy till Arsiani was under the Colehians domination. The second part, i.e. Samtskhe - Javaxeti and Kola - Artaani, may be Shavsheti as well, belonged to Iberia, and the large territory from Kola included Tao - Tortum - Basiani was captured by Armenians. For this, Meskheti was divided into the tree parts.

32. A border between Colchis and Iberia

Hence, a border between Colchis and Iberia passed by here, on the Arsiani ridge, later Shavshet - klarjeti. An Iberian town Phriqsopolis - Ideesa must been situated here. P. Ingorokva thought that it was near Tao. Somewhere nearby must be Dioscuri, because Strabo reverted to it immediately after describing the division of Moschic country.

33. An Army of Soanes

The most brave and strong tribe among the Georgian tribes, Soanes, also came to Dioscuri for trading (the same, T. Kaukhchishvili, Strabo Geography, 1957, p. 126). "They are masters of the country around them, and occupy the heights of Caucasus above Dioscuri. They have a king, and a council of three hundred persons. They can assemble, it is said, an army of two hundred thousand men, for all their people are fighting men, but not distributed into certain orders."

34. Gold of Soanes'

"In their country the winter torrents are said to bring down even gold, which the Barbarians collect in troughs pierced with holes, and lined with fleeces; and hence the fable of the Golden Fleece..."

35. Soanes are called Iberians as well

"Some say that they are called Iberians (the same name as the western Iberians) from the gold mines found in both countries" (the same, T. Kaukhchishvili, Strabo's Geography, 1957, p.126).

Soanes are meant here, but what do they have the same with Iberians? Strabo wrote very clearly about this connection, but the translation is very vague. For example, an interpreter writes: "... if it is not put over Iberians the name like this" and so forth. What does it mean "put"? The subsequent phrase is not clear as well. Therefore, as long as the Georgian version is not very clear, we used a Russian edition of Strabo, where the statement above is given very obviously: "Некоторые называют их также Иберийцами - одинокого с западными - от золотых россыпей, находящихся с обеих сторон (Strabo XI, 2, 19)", i.e. Soanes were called Iberians also - like the name of western Iberians - because there are golden grains in both countries, brought by rivers and collected by the local population, which laid a basis for the legend of Golden Fleece.

Therefore, the name of the country of Soanes is Iberia as well, just like the name of western Iberia, because there are golden grains in both countries, brought by rivers.

Strabo wrote: "Some say that they are called Iberians". This simple statement was translated very obscurely, that's why this valuable information about Georgia is still not used properly.

36. Dwelling place of Soanes

Soanes is a big tribe - they have 200 000 warriors. These are all the efficient men, which might make up a third or fourth of the whole population. Therefore, the whole population of this tribe was more than a half of the million. It is evident, that such a big population couldn't reside on small territory. Where did Soanes live? They lived in the mountains above Dioscuri, over Moschic and Colchis; and in the inland of the country as well, near the mountaineer tribes. According to our research, the Dioscuri was located to the Trapezus direction, below Off - Rise. It seems that Soanes reside in the mountains above the narrow shore of Dioscuri, over Chaldeans, Tibareni, Moschic, and Colchis. The residents of the later Shavshet - Achara - Guria mountain region were known as Soanes in that time. Therefore, Soanes reside along Rioni gorge till Off - Rise (Dioscuri). It is clear that this small territory is not enough for the population of 0,5 - 0,8 mln. They were living in the today's Svaneti as well. They brought the golden grains as western Iberians did, and that's why they were called Iberians, wrote Strabo. Anyway, Iberia was the name of western Georgia as well, and such a big tribe, as Soanes was, was known as Iberians for some of the old historians. This reference of Strabo corresponds to our national source "Qartlis Tskhovreba" (Georgian Chronicles). According to "Qartlis Tskhovreba" (Georgian Chronicles) references, Egrisi, i.e. west Georgia after Pharnavaz, was always a part of Georgian Kingdom.

37. Jason

While speaking about Colchis, Strabo mentions Jason and Phriqse. Jason went to Armenia and Medes from Colchis (the same, p. 124).

38. Colchis was one of the parts of Pontus

As it was said above, in Strabo time Colchis was ruled by Pythodoris, who became a widow twice. In general, she was a queen of Pontus, a wife of the King of Pontus Polemon and, after his death, she married Archeläus - a king of one of the parts of Cappadocia - Armenia.

Mithridates of Pontus possessed Colchis earlier, and he sent his friend Moaphernes (Strabo's uncle) to rule there. After Mithridates overthrow, Colchis was given to Polomen, and, after his death, "his wife Pythodoris reigned over the Colehians, Trapezus, Pharnacia, and the Barbarians situated above them (Strabo XI, 2, 18)" (the same, T. Kaukhchishvili, Strabo Geography, 1957, p.125). Pharnacia was a town of Pontus, near Trapezus (the same, p. 298). Near Themiscyra, above it, resided Tibareni, Chaldeans, and Sanni. It is assumed, that Parnakia was located on the Chaldean (Chalybes') territory (the same, p.298). It seems that "Soanes" mentioned here are Chans or Soanes.

Therefore, the queen ruled over Pontus and Trapezus region, including Colchis, which was spread till Phasis (i.e. Chorokhy).

39. A tribe of Sanni beside the Chaldians

Maybe a tribe of Sanni, located beside the Chaldians, were Chans, or a part of Svan tribe (the dwelling place of tribes was changed dramatically during the Byzantium - Persian war and after it. This war was conducted because of Lazika first, and then because of Svaneti. In the key moment of the war Soanes draw in Persian side, which wasn't forgiven by the eventually victorious Byzantium. This was reflected by the fact, that Soanes were forced to move to the north, and approached their today's place of residence. It seems that in the time of Maximus the Confessor they had already been moved to the north).

40. Iberia to the west Georgia

The presence of Iberia in west Georgia is confirmed by Strabo as well, but indirectly. For example, he wrote that one of the ridges of Caucasus moves along from north to south, crosses Iberia and connects to the Moschic Mountains. Strabo writes about the big Caucasus ridge - "It throws out forks towards the south, which embrace the middle of Iberia, and touch the Armenian and those called the Moschic Mountains, and besides these the mountains of Scydises, and the Paryadres." (Strabo, XI, II, 15).

Which ridge in Georgia goes from the north to the south and connects to the Moschis (Lesser Caucasus) mountains? It is the only ridge - the Likhy, i.e. Surami ridge. Therefore, according to Strabo references, the Surami ridge passed through Iberia and surrounded only one part of it - "middle Iberia". IT is evident, that if there was a "middle Iberia", there must be other parts of Iberia as well, in particular - east and west parts of Iberia. If a Likhy ridge surrounds a middle Iberia, then it is a "shida qartli', surrounded by the Surami - likhy and Saguramo - Qartli ridges indeed, which go out from Caucasus and are directed from the north to the south. If this is the case, then the west part of Iberia is the west Georgian, and the east of Iberia is Kakheti. From this follows that in Strabo's mind west Georgia was a part of Iberia. Therefore, west

Georgia was a part of Mtskheta Kingdom, and Colchis was a part of Pontus Kingdom, which was located to the south - west of Iberia and its north border reached Chorokhy.

This reference of Strabo confirms facts described in "Qartlis Tskhovreba" (Georgian Chronicles)and "Moqcevai Qartlisai" (Baptizing of Georgia). Namely it confirms the fact that the west boarder of Mtskheta (Qartli) Kingdom reached the river Egristskali. In the period of the King Aderki, i.e. in Strabo time (according to "Moqcevai Qartlisai" (Baptizing of Georgia) references, even earlier), people came from Qartli settled down in west Georgia. The river Egristskali is mentioned in this source as well. Therefore, this source also confirms that population resided on the shore of Egristskali (Egrisians) came from Qartli, and not from Colchis.

41. Colchis, lied at the foot of the Moschic Mountains

As we mentioned above, Strabo called Colchis an advanced and economically developed region populated by Georgian people, which was located in Trapezus region, and not in west Georgia. Strabo wrote: "there is Colchis, lying at the foot of the Caucasian and Moschic mountains" (Strabo XI, II, 1). And the Moschic Mountains are the Arzrum - Arsiani Mountains.

The Moschic Mountains were a part of Paryadres - "One of which is called Paryadres, another Moschic mountains, and others by other names. The Moschic mountains comprehend the whole of Armenians as far as the Iberians and Albanians" (Strabo, XI, XII, 4).

In the different place he writes: "The Caucasus encircles these nations, and approaches close to the Armenians, the Moschic and Colchis mountains" (Strabo, XI, XIV, 1).

Therefore, Moschic and Armenian mountains are located in the same region and where joined with a Likhy ridge, which comes from middle Iberia and really joins the Arsiani mountain system. Is it was said earlier, Strabo wrote: Caucasus " throws out forks towards the south, which embrace the middle of Iberia, and touch the Armenian and those called the Moschic Mountains". We must say again, that only Surami ridge goes from Caucasus north toward the south. Therefore, Strabo was talking about Surami ridge, which passed through the "middle Iberia". To recur again, Strabo wrote: "It throws out forks towards the south, which embrace the middle of Iberia, and touch the Armenian and those called the Moschic Mountains". Therefore, Strabo called "Shua (middle) Iberia" the present "Shida Qartli". Only this place is surrounded with the mountains directed from the north to the south (and Surami ridge among them, which is connected with the Moschic Mountains). One of these mountains is Surami ridge, as it was said several times before, and another might be Tianeti - Saguramo ridge, which is also directed from the north to the south. Therefore, Strabo called "Shida Qartli" as "middle Iberia".

42. The "Middle Qartli" mentioned in "Qartlis Tskhoverba" (Georgian Chronicles) is the same with the Strabo's "Middle Iberia"

- "It throws out forks towards the south, which embrace the middle of Iberia, and touch the Armenian and those called the Moschic Mountains".

Did Strabo own any source to use a term "middle of Iberia"? Perhaps there existed a region named "Middle Iberia" in Strabo time? From this point of view, it is very interesting that this term is used in "Qartlis Tskhovreba" (Georgian Chronicles) as well. In this source it is used as "Middle Qartli".

In particular, there is said that - "Alexander came and conquered fortresses of middle Qartly and then fortresses of Kakheti". Afterwards Alexander gave Egrisi under Azon's governance. The chronicler listed in details all the fortresses in middle Qarti (i.e. middle Iberia) from Moschic to Khunani. But it didn't mention fortresses in Kakheti or Egrisi. Probably chronicler didn't mention them because of the fact that, just like Strabo, it considers as the main part of Qartli only its "middle" part, and not other parts of Qartly - Kakheti and Egrisi. That's how the following reference of Strabo should be interpreted: according to Strabo - this ridge (i.e. Surami ridge) passed through "middle Iberia", which means that in Strabo's opinion, west Georgia was a part of Iberia.

Word - in - word this source says - Alexander reinforced, came and "founded these strong fortresses of middle - Qartli (Tsunda, Khertvisi,..., Tukharisi,.., Urbnisi,.., Kaspi, Uplistsikhe, ..., Sarkine,..., Rustavi and main Fortress Samshvilde and ... Sunani) and towns of Kakheti" (Qartlis Tskhovreba, 1955, p.18). Azon "conquered Egrisi with Qartli as well" (Qartlis Tskhovreba (Georgian Chronicles), I, p.19).

The Strabo's "Middle Iberia" should be the same with the "Middle Qartli" in "Qartlis Tskhoverba" (Georgian Chronicles).

43. Georgian tribes at the shore

In general, Strabo distinguishes among the shores of west Georgia and Colchis. He lists tribes from the town Bata, (which in some modern scientists opinion, is the same with Novorossiysk (T. Kaukhchishvili, Strabo Geography, 1957, p.274)), in the following order - Cercetae, Achaeans and Heniochians. The chroniclers of Mithridates's wars listed those tribes in this order - Achaeans, Zygians, Heniochians, Cercetae again, Moschic, Colehians; then, above them - Phtheirophagi, Soanes and other smaller tribes (the same, p.120).

44. Colehians resided in south as well

From the list given above it is evident, that Colchis was one of the tribes and its population resided in the most south, below all the tribes. Therefore, Colchis is in south, and where in particular, it is described by Strabo in very details, given in distances - In Strabo opinion, from the river Phasis till Bosporus is a distance of 4000 stadia (Mithridates covered this way from Phasis to Bosporus). If we assume, that, as it is considered, one stadium is equivalent of 178 meters, then there is a shore of 712 kilometers from Phasis to Bosporus. Approximately 482 kilometers from this shore was taken by the Georgian tribes, listed above.

In particular "Next to Bata there is the coast of the Cercetae, which has places of shelter for vessels, and villages along an extent of about 850 stadia; then at 500 stadia more the coast of the Achaei, then that of the Heniochi, at 1000 stadia, then the Great Pityus, from which to Dioscurias are 360 stadia (Strabo, XI, 2, 14)" (T. Kaukhchishvili, Strabo Geography, 1957, p.120).

Therefore, a tribe of Cercetae took a shore of 151 kilometers long (850 stadia) from Bata (i.e. from approximately today's Novorossiysk). Achaei took 89 kilometers of the shore (500 stadia), Heniochi took 178 kilometers (1000 stadia) of the shore, the subsequent was large tribe Pityus, and from the Pityus to Dioscuri there was a distance of 64 kilometers (360 stadia). In total, these tribes occupied 482 kilometers of the shore.

In fact, the length of the Back sea shore of historical Georgia was the same. In particular, according to the search system "Google - Planet the Earth", a distance by land from Novorossiysk till Khopa (former Khupata) is approximately 460 kilometers. The references of Strabo are convincing.

45. Pityus is near the Off - Rise

If we convert those kilometers to the modern reality, then it turns out that a "big Pityus" of Strabo is not Bichvinta of Abkhazia, but it is a Ptiusa - Pityus near the Off - Rise. Exactly the same place was indicated as a Pityus location by N. Adontsi and P. Ingorokva. Therefore, 482 kilometers mentioned above is a distance from Bata - Novorossiysk till Pityus near the Off - Rise, and not till Bichvinta in Abkhazia. From here started Colchis, that is, a dwelling place of Colehians people.

46. A Cercetae shore

"Next to Bata there is the coast of the Cercetae, which has places of shelter for vessels, and villages along an extent of about 850 stadia (Strabo XI, 2, 14)"

According to both sources of Strabo (one of them is Arthemidor, and another is narrative of Mithridates's chroniclers), a big section of the Black Sea shore from Bata - Novorossiysk - 151 kilometers (850 stadia) - was taken by the Cercetae tribe (approximately till modern Sokhumi - Ochamchire). Our historians etiologically related a tribe of Cercetae to Cherquezians (Adige - Cherqezians first appeared on the shore of the Black Sea and in the North Caucasus in general after the Tamerlane's campaign. He resettled here tribes from the Steppes). The word "Cherqez" is considered to be Turkish.

According the etiology the word "Cercetae" is very close to the word "Gerget". Gerg, i.e. Georg - is a Georgian ethnic name. About the existence of "Georg" tribes in the north Caucasus wrote other ancient authors as well. "Cercetae" is the same with "Georget".

Cercetae - must be one of the regional names of the Georg tribe of Georgians. Especially since Cercetae - Cercitae lived near the Chaldea - Chaneti as well.

47. An Achaei shore

"...then at 500 stadia more the coast of the Achaei (Strabo XI, 2 14)"

The shore of 89 kilometers long (500 stadia), next to Cercetae shore, was took by Achaeans. According to Strabo and other authors' references, Achaeans descended from Thessalians, and they were offspring of the members of Argonauts' troop - "They say, that at the time of the expedition of Jason the Achaei Phthiotae founded the Achaia there, and the Lacedaemonians, Heniochia. Their leaders were

Rhecas, and Amphistratus, the charioteers of the Dioscuri; it is probable that the Heniochi had their name from these persons (Strabo XI, 2, 12)." (the same, T. Kaukhchishvili, Strabo Geography, 1957, p.118).

Achaei and Heniochi seem to be Georgian tribes, because, in Plinius opinion, Iberians, Albanians, north Armenians and Medes - people with the same Tesalinian origin - were also descendants of Argonauts (A. Japaridze, Saint Marry - The Aid of the Georgian Language, 2008, p.5 - 30). How correct was Plinius in this issue is a subject of further researches, but Achaei and Heniochi turned out to be kindred nations with Iberians because of the same Argonaut origin. Although, in Strabo's opinion, Iberians came from west Iberia (Spain), but according to other authors' references it seems, that the ruling dynasties of Iberians and Albanians (and probably the population as well) developed in Colchis, after the Argonauts' campaign. Moreover, as it was mentioned above, a descent of the Armenian people was also related to one of the members of Argonauts, Armenios (the same, p.5 - 30). According to the references of "Moqtsevai Qartlisai", people came from Arian - Qartly were settled down till Egristskhali (i.e. in Egrisi as well "from Hereti till Egristskhali").

48. A Heniochi shore

"...then that of the Heniochi, at 1000 stadia (Strabo XI, 2, 14)"

The longest section of the shore, 178 kilometers (1000 stadia), where taken by Heniochians. The name of this tribe - Heniokh - was related to riding. It is impossible not to recall here, that the word for "horse" in the old Georgian language is "Hune". If this connection is relevant here, then the word "Heniokh" means a horseman, i.e. a rider.

According to another source of Strabo, there resided "Heniochians, again Cercetae, Moschic, Colehians" from Bata till Dioscuri.

49. A Pityus shore

"... then the Great Pityus, from which to Dioscurias are 360 stadia (Strabo, XI, 2, 14)"

A dwelling place of Colehians is determined to be below Dioscuri - 360 stadia along the land (64 kilometers). "The rest of the shore after Dioscuri belongs to Colehians and it forms important curve together with the subsequent Trapezus".

About the existence of Chans' tribe near the Rise was indicated by Prokophi Kesarieli. According to his references, the Roman Army, with the leadership of Theodor from Chan (a person from Chan), was fighting with Chans near Rise.

It seems that Dioscuri was located between Off - Rise and Trapezus.

According to Strabo references, an east curve of the Black sea was started at Bata and ended near Pityus and Dioscuri. Indeed, if we look at the map, we will see that this curve ends somewhere near Rise.

Strabo wrote: "The direction of the sea - coast is at first, as I have said, towards the east, with a southern aspect; but from Bata it makes a bend for a small distance, then fronts the west, and terminates towards Pityus, and Dioscuri (Strabo XI, 2, 14)".

This Pityus - is a shore of Rise, because an east curve of the Black sea ends there.

While describing a Black Sea curve Strabo attaches Dioscuri to the Trapezus region: "Next to Dioscurias is the remainder of the coast of Colchis, and Trapezus contiguous to it; where the coast, having made a considerable turn, then extends nearly in a straight line, and forms the side on the right hand of the Euxine (Pontus), looking to the north (Strabo XI, 2, 14)" (the same, T. Kaukhchishvili, Strabo Geography, 1957, p.121).

Therefore, Colchis started at Dioscuri (near the Trapezus), at a distance of 64 kilometers from Off - Rise. It is Colchis of Strabo and not west Georgia. We must notice, that the primary source of west Georgia history - "Artemidorus" - didn't mention Colchis in the list of the Georgian Tribes at all. Another source - "Chroniclers of Mithridates" - names Colchis at the end of the list, and list begins with Bata - Novorossiysk till Trapezus. Therefore, Strabo's Colchis was located to the south - west of Iberia, i.e. below Iberia, and Iberia was located "above" Colchis.

On the other hand, river Phasis is a river of Colchis and Dioscuri is a town of Colchis as well. This place is "below the Caucasus". Under Caucasus Strabo, as well as many other ancient authors, assumes so - called Lesser Caucasus, where is the mountain system of Arsian - Karchllhali. The same place was a historical province "Sakavkasidzeo" and even now, there is a settlement "Kavkasori" on the slope of the Karchkhali. But, it is evident, that for Strabo the main Caucasus is "the big Caucasus ridge". According to Eratosthenes, named as Caspia by the local inhabitants, "It throws out forks towards the south, which

embrace the middle of Iberia, and touch the Armenian and those called the Moschic mountains, and besides these the mountains of Scydises, and the Paryadres. All these are portions of the Taurus, which forms the southern side of Armenia (Strabo XI, 2, 15)" (the same, p.122). "Situated on a bay of this kind, and occupying the most easterly point of the whole sea, is Dioscuri (Strabo XI, 2, 16)" (the same, p.122). Therefore, there were Armenian and Moschic mountains near Dioscuri. From here it follows, that if Dioscuri is Sukhumi, as it is considered now (the same, p.276), then there must be Armenian and Moschic mountains near it and it is "the most easterly point of the whole sea", which is not true. Therefore, we should look for Dioscuri more to the south.

Strabo mentioned Dioscuri together with Phasis (the same, p.122), because he thinks, that a country from Phasis (i.e. Chorokhy) till Themiscyra is a general Colchis (i.e. there exited concrete Colchis as well). That's how we interpret Strabo's phrase that these mountains are spread from Colchis till Themiscyra (the same, T. Kaukhchishvili, Strabo Geography, 1957, p.122). "Dioscuri is situated on a bay of this kind" - he wrote, i.e. there is an extreme north of the Black Sea located in front of it, and heights of Caucasus are raised behind.

50. A shore of Dioscuri - Colchis

Strabo wrote: "Situated on a bay of this kind, and occupying the most easterly point of the whole sea, is Dioscurias, called the recess of the Euxine Sea, and the extreme boundary of navigation, for in this sense we are to understand the proverbial saying, "To Phasis where ships end their course." Not as if the author of the iambic intended to speak of the river, nor of the city of the same name upon the river, but Colchis designated by a part, because from the city and the river there remains a voyage of not less than 600 stadia in a straight line to the recess of the bay (Strabo XI, 2, 16)".

How can be understood Strabo' words "the most easterly point of the whole sea" and "the recess"? We can't found words like "the most easterly point of the whole sea" and "the recess" in the Georgian translations of Strabo. But in Russian version there is: "Она считается "впадиной" Эвкасинского Понта" (Strabo, Geography, 1964, Russian translation, p. 472), or "от реки и города до "впадины" (the same)" and so forth.

It's clear, that the matter is a sea - shore or a bay that is the lowest relative to other bays in the Black sea. Therefore, the bay of Dioscuri was located at the lowest point of the Black sea. If we turn to the map, a bay like this is located at the present settlement Surmene, between Rise and Trabzon, more precisely, between Off and Arakle.

Indeed, the 42 - st geographic parallel that connects the most south point of the Black Sea goes though Rise, Trabzon and Istanbul. Other points of the Black sea are situated above this parallel. But there are two exceptions. One of them is a Surmene's "recessed" bay, which is located under this parallel, and can be seen well on the map (between Off and Arakle). Another "recessed" bay, which is located under the parallel, is the Ordugirsun's bay. The more "recessed" in Strabo time was considered Arakli - Surmene's bay (which is more southerly located). It seems, that Dioscurias (Dioscuri) was situated near Surmene.

The Dioscuri was far from Phasis (that is, Chorokhy) at a distance of 600 stadia, i.e. 106 kilometers. But, as it was mentioned above, a distance between Dioscuri and Pityus was 360 stadia (64 kilometers).

As it was said, the Colehians dwelling place was under Dioscuri. "Next to Dioscurias is the remainder of the coast of Colchis, and Trapezus contiguous to it; where the coast, having made a considerable turn, then extends nearly in a straight line, and forms the side on the right hand of the Euxine, looking to the north (Strabo XI, 2, 14)". Indeed, a shore form Surmene (where we locate Dioscuri) to Trabzon is curved, as it is directed not to the west, but upwards, to the north - west and leaves Surmene - Dioscuri in the "recessed" bay. this bay is located near Off - Rise, to the west.

In general, Colchis was a country from Phasis (Chorokhy) till Trapezus. From this follows that "a shore from Pityus till Trapezus" (tha same, T. Kaukhchishvili, Strabo's Geography, 1957, p.283) was a part of it, but Colchis was a name of the country from Dioscuri till Trapezus. A Black Sea shore from Trapezus till Dioscuri was a "Colchis shore", "Next to Dioscurias is the remainder of the coast of Colchis (Strabo XI, 2, 14)".

"The river Charis flows near Dioscurias (Strabo XI, 2, 18)".

The references of Strabo that "Next to Bata Artemidorus places the coast of the Cercetae, which has places of shelter for vessels, and villages along an extent of about 850 stadia; then at 500 stadia more the

coast of the Achaei, then that of the Heniochi, at 1000 stadia, then the Great Pityus, from which to Dioscurias are 360 stadia (Strabo XI, 2, 14)" should be interpreted as following:

There were 360 stadia from Dioscuri till Pityus, and was name correspondingly - "a Pityus shore" (then the Great Pityus, from which to Dioscurias are 360 stadia (Strabo XI, 2, 14)). 1000 stadia from this place was named as a "Heniochi shore", which was followed by an "Achaei shore" - 500 stadia; and from this point there was a "Cercetae shore" with the length of 850 stadia.

On the modern maps lengths given by Strabo look like the following: There are approximately 106 kilometers (600 stadia) from Chorokhy outfall till Rise, but Dioscire was located in the "recessed" bay. A bay like this is placed at the Surmene, to the west from Rise. A distance to this "recessed" place is about 140 km - s, this is more that 600 stadia, but this is what Strabo said: " there remains a voyage of not less than 600 stadia in a straight line to the recess of the bay (Strabo XI, 2, 16)" from Phasis to Dioscuri. Therefore, Dioscure was located between Rise and Surmene, near the Srumene's "recessed" bay.

There were 360 stadia, i.e. 64 km from Dioscuri to Pitiunt. In approximately 64 kilometers form Surmene there is a settlement Pazari (near Ardesan), therefore, Pazari (Chaieli) was named as Pityus.

Therefore, a shore from present Trabzon till urmene was a "Colchis shore", a shore from Surmene till Pazari was a "Pityus shore", which was followed by Heniochi, Achaei and Cercetae shores till Novorossiysk.

In addition we can say, that a Bishop of Pityus, which took part in the I World Church Meeting in 325, was from Ardesan (Pazari) - Pityus, and not from Abkhazian Bichvinta. We must notice that this misunderstanding was due to the phonetic similarity of his name with the Georgian toponym "Bichvinta". (In connection with the phonetic similarity it can be noticed that a lot of toponyms "Pazari" can be encountered in the Ardasen - Rise region: for example, "Dernepazari" to the south of Off; "Es(ki)pazari" to the north shore of Off; "pazariolu" to the south of Off again, near Ispiri, at the Chorokhy shore; "Pazariolu" and a town "Pazari" itself, which we consider as Pityus, together with Ardasen. A name "Pazari" is interesting because it resembles the word "Phasis". An eparchy in Lazika was also called as "Phasis Eparchy". May be under this name was assumed a historical region of Pazari, i.e. Off - Rise - Ardasani, which we consider as a part of Lazika eparchy.)

To P. Ingorokva's opinion, a harbour "Pitiusa" mentioned in the Claudius Ptolemy's Geography (and a "Hvisi" harbour as well) was situated between Trabzon and Rise (p. Ingorokva, Giorgi Merchule, 1954, p.253). According to his researches - Pitius, Pitiusa, Pithia - mentioned by different authors, was located near Off. He wrote: "In the narrative "Notatie Dignitatum", dated the V century, the Hvisi harbour, located in Ponto's province in Trapezus region, is Surmene, and Pithia - is Off (the same, p.253)".

In contrast to him, as it was mentioned above, I think that Dioscuri mentioned by Strabo was situated near Surmene, and Pityus - near Pazari.

51. Therefore, Colchis was situated not to the west of Iberia, but to the south - west. Consequently, it was "above Colchis", as it was written by Strabo.

REFERENCES

1. Strabo, Geography, Book II;
2. Strabo, Georgaphy, Book VI;
3. Strabo Geography, Book VII;
4. Strabo, Geography, Book XI;
5. Strabo, Geography, Book XII;
6. T. Kaukhchishvili, "Strabo's Geography", 1957;
7. P. Ingorokva, Giorgi Merchule, 1954;
8. Qartlis Tskhovreba (Georgian Chronicles), 1955;
9. A. Japaridze, Saint Marry - The Aid of the Georgian Language, 2008

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

სტრაბონი კოლხეთის შესახებ

ძველქართველ მემატიანეთა, ასევე რუის-ურბნისის საეკლესიო კრების წმიდა მამათა განმარტებით დასავლეთ საქართველო ზოგადქართული ეკლესიის (მცხეთის) იურიდიქციის სფეროში გაქრისტიანებისთანავე შედიოდა, ვითარცა ერთიანი ქართული სახელმწიფოს (ქართლის სამეფოს) ნაწილი, ამიტომაც განმარტა აღნიშნულმა კრებამ, რომ წმ. ანდრია მოციქულმა იქადაგა "ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა" (დიდი სჯულისკანონი, 1973, გვ. 545) ხოლო წმ. ნინომ გააქრისტიანა "ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა" (იქვე, გვ. 546).

ძველ საქართველოში შესაბამისად მიიჩნეოდა, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიები მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველთა ისტორიულ ქვეყანაში, მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროს მხარეს, ტრაპეზუნტის რეგიონში, რომელსაც ლაზეთი ერქვა. ლაზეთი ვრცელი რეგიონი იყო სინოპიდან ჭოროხამდე. ამ რეგიონის ერთ ნაწილს პირველსაუკუნეებში კოლხეთსაც უწოდებდნენ.

საკვლევად იმისა, თუ სად მდებარეობდა ქართველთა უძველესი ქვეყანა კოლხეთი, განვიხილოთ I საუკუნის ავტორის სტრაბონის (ძვ.წ. 63 - ახ.წ. 23) ცნობები კოლხეთის შესახებ.

1. კოლხიდა იბერიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა

თ. ყაუხჩიშვილი თავის წიგნში "სტრაბონის გეოგრაფია" (1957) წერს: სტრაბონის ცნობით, "კოლხები მოხსენებულნი არიან არა იბერია-ალბანიის გაყოლებაზე, არამედ უფრო სამხრეთით - არმენიის გასწვრივ" (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია", 1957, გვ. 21).

ამავე მოსაზრებას, რომ კოლხები ცხოვრობენ არმენიელების გასწვრივ და არა იბერებისა, სტრაბონი სხვაგანაც იმეორებს. თ. ყაუხჩიშვილი წერს (იქვე, გვ. 21) - "ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ იბერიელები და ალბანელები კოლხებს ზემოთ მცხოვრებლებად არიან გამოცხადებული" (სტრაბ. VI, 4,2).

აქედან ჩანს, რომ კოლხეთი - იბერიის სამხრეთით (სამხრეთ-დასავლეთით) მდებარეობდა. მართლაც, ის (კოლხიდა, სტრაბონის ცნობითვე) მოიცავდა ტრაპეზუნტის რეგიონს მიმართულს ჭოროხის ხეობისაკენ.

სტრაბონი თავის თხზულებაში, დაბეჯითებით და რამდენჯერმე, იმიტომ უთითებს მდინარე ფასისის სათავის არმენიასთან სიახლოვის შესახებ, რომ მას ფასისად მიაჩნია მდ. ჭოროხი. მხოლოდ ასეთი განლაგების შემთხვევაში აღმოჩნდება კოლხეთი იბერიის სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო იბერია კი მის "ზემოთ".

თ. ყაუხჩიშვილი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და წერს: "სტრაბონის მეორე რიგის ცნობებში კოლხიდა ისეა განსაზღვრული, რომ ის აღმოსავლეთითაა კაპადოკიისაგან, ერთ ხაზზეა არმენიასთან და იბერია და ალბანია მასზე უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობენ" (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 283).

აშკარაა, რომ სტრაბონის ამ ცნობების მიხედვით კოლხიდა მდებარეობდა არა "იბერიის გასწვრივ" ე.ი. დასავლეთ საქართველოში, არამედ "არმენიის გასწვრივ" ტრაპეზუნტ-ჭოროხის რეგიონში, ანუ ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. რადგანაც

კაბადოკიასთან კავშირშიც ახსენებს სტრაბონი კოლხეთს, ჩანს, მისი ერთი ნაწილი ტრაპეზუნტის დასავლეთითაც მდებარეობდა.

2. კოლხიდის სანაპირო

მართლაც, სტრაბონის ცნობით, კოლხიდის "სანაპირო ვრცელდება პიტიუნტიდან ტრაპეზუნტამდე" (იქვე, თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბ. გეოგრაფია, გვ. 283).

პიტიუნტის ადგილმდებარეობა დღემდე სადავოა. კერძოდ, ნ. ადონცი და პ. ინგოროყვა პიტიუნტს (პიტიას) ათავსებდნენ რიზესთან ახლოს პუნქტ ოფთან. სხვა მოსაზრებებით კი, აქ იგულისხმება აფხაზეთის ბიჭვინთა. ზემოთ აღნიშნულიდან, რომ კოლხიდა-არმენიის გასწვრივაა, "ერთ ხაზზეა არმენიასთან", უფრო სავარაუდოა, რომ სტრაბონის პიტიუნტი იყო ოფ-რიზეს რეგიონში.

3. კოლხიდის გასწვრივ, "ერთ ხაზზე" - არმენიაა

სტრაბონის ცნობებიდან ჩანს, რომ კოლხიდას გვერდით, "ერთ ხაზზე არმენიასთან", მის გასწვრივ აღმოსავლეთით მდებარეობდა არმენია და არა იბერია. მაგალითად, იაზონმა კოლხეთის შემდეგ ილაშქრა არმენიასა და მიდიაში. რატომ? იმიტომ, რომ კოლხების უშუალო, გასწვრივი მეზობლები იყვნენ არმენიელები და მის შემდეგ მიდიელები. ამიტომაც წერს სტრაბონი შემდეგს - "ძველი ხალხები შუა ზღვაში კი არ ცურავდნენ, არამედ ნაპირ-ნაპირ, როგორც იაზონი, რომელმაც დასტოვა ხომალდი, როდესაც კოლხებიდან მოდიოდა და არმენიასა და მიდიამდე ხმელეთით ილაშქრა" (სტრაბონი, I, 3, 2. იქვე, თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 74).

4. "იბერები დასახლდნენ კოლხიდის ზემოთ არაქსთან"

სტრაბონის თვალსაზრისით, კავკასიაში იბერები გადმოსახლდნენ "დასავლეთის იბერიიდან" ანუ ესპანეთიდან, და ისინი დასახლდნენ არა კოლხიდის გასწრივ მდებარე ადგილებში, არამედ - კოლხიდის ზემოთ, არაქსთან და მის იქით: "დასავლეთის იბერთა ნაწილი გადასახლდა პონტოსა და კოლხიდის ზემოთ მდებარე ადგილებში (იბერები, აპოლიდორეს მტკიცების თანახმად, არმენიას ესაზღვრებიან არაქსით, უფრო კი მტკვრით და მოსხური მთებით). ეგვიპტელთა ნაწილი ეთიოპიასა და კოლხებში გადასახლდა" (სტრაბონი, I, 3, 21. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 81). მაშასადამე, აქაც, იბერები კოლხიდის ზემოთ ცხოვრობენ მდ. არაქსის მიმართულებით. მაშასადამე, კოლხეთს სტრაბონი არ უწოდებს დასავლეთ საქართველოს, რადგანაც დასავლეთ საქართველოს "ზემოთ" არაა მდ. არაქსი!

5. კოლხიდა სამსუნთანაა

სტრაბონი სხვაგან წერს - "ამისოდან აღმოსავლეთისაკენ ჯერ შეგვხვდება კოლხიდა" (სტრაბ. II, 1, 3), მაშასადამე, კოლხეთი - ქალაქ ამისოს აღმოსავლეთ მხარესაა. ქ. ამისო, ამჟამად, იწოდება სამსუნად, ასე განიმარტება - "ამისო - ქალაქი პონტოში, ეხლანდელი სამსუნი" (თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 270). მაშასადამე, კოლხიდა სამსუნთანაა, ე.ი. ტრაპეზუნტის მხარეს.

6. არმენია და კოლხიდა ერთმანეთის გასწვრივაა

როცა იბერიაზე საუბრობს სტრაბონი, ხშირად ასახელებს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში მცხოვრებ ტომებს - აქეელებს, ზიგებს, ჰენიოხებს და სხვებს (სტრაბონი, II, 5, 31), მაგრამ კოლხიდის გასწვრივ, "ერთ ხაზზე", ყოველთვის არმენიას ასახელებს, მაგალითად წერს - "ჰირკანიის ზღვასა და პონტოს შორის არის დიდი ნაწილი არმენიისა, კოლხიდა და მთელი კაპადოკია ევქსინის პონტომდე და ტიბარენთა ტომებამდე" (სტრაბ. II, 5, 31). კოლხეთის ჩრდილოეთით საზღვრავს ზიგებს, აქეველებს, ჰენიოხებს და სხვებს.

სტრაბონმა, ცხადია, კარგად იცის რას წერს, მაგალითად, იქვე მიუთითებს გეოგრაფიული "პარალელების" შესახებ - "ერასტოსთენეს მიხედვით ეს პარალელი გადის კარიაზე" (II, 5, 39) ანდა "ცოტა ჩრდილოეთით არის პარალელი, რომელიც გადის ლისიმაქიაზე" (II, 5, 40) და სხვა.

7. “კოლხიდის ზემოთ მცხოვრები ალბანები და იბერები”

იბერების გასწვრივ (დასავლეთით) ჰენიოხები, სვანები და სხვა ტომები ცხოვრობენ, ხოლო კოლხების გასწვრივ (აღმოსავლეთით) კი არმენიელები, მაშასადამე, ქართული ტომები კოლხეთში ცხოვრობდნენ კაპადოკიელებისა და არმენიელების გვერდით.

სტრაბონი კიდევ ერთხელ უბრუნდება საკითხს, რომ იბერები არა კოლხების გვერდით, არამედ მათ მაღლა ცხოვრობენ და წერს - ”არმენიელები და კოლხიდის ზემოთ მცხოვრები ალბანებიცა და იბერებიც, საჭიროებენ მხოლოდ მმართველთა ყოლას და კარგად მორჩილებენ მას” (სტრაბ. VI, 4, 2). მაშასადამე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სტრაბონისთვის კოლხეთი ერქვა არა დასავლეთ საქართველოს არამედ იბერიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიწა-წყალს, ამიტომ ის “კოლხიდის ზემოთ” იყო მოქცეული.

8. კოლხიდა ტრაპეზუნტთანაა

სხვა ადგილას კი სტრაბონი მიუთითებს, რომ კოლხეთი - ტრაპეზუნტთან მდებარეობდა - ის წერს: “ტავრების მთიანეთში არის მთა ტრაპეზუნტი, თანამოსახელე იმ ქალაქისა, რომელიც მდებარეობს ტიბარანიასა და კოლხიდასთან” (სტრაბ. VII, 4, 3).

9. კუნძულები კოლხიდის სანაპიროს გასწვრივ

დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში, როგორც ცნობილია არ არის კუნძულები, მაგრამ სტრაბონის ცნობით კოლხიდის სანაპიროს გასწვრივ კუნძულები იყო, ისინი კი იმით იყო ცნობილი, თითქოსდა, აქ მოკლა მედეამ თავისი ძმა - ”მთელი სანაპიროს გასწვრივ არის აფსირტიდის კუნძულები, რომლებთანაც მედეამ მოჰკლა თავისი ძმა აფსირტე, რომელიც დაედევნა მედეას” (სტრაბ. VII, 5, 5). მაშასადამე, ეს სანაპირო ტრაპეზუნტის მხარეს მდებარეობდა.

10. იაზონის ლაშქრობა არმენიაში

სტრაბონის აზრით, იაზონმა ილაშქრა არმენიაშიც და წერს: “იაზონის ლაშქრობას მოწმობენ იაზონის ტაძრები, მაგალითად აბდერაში, იაზონის ტაძარი, პარმენიონის მიერ აგებული” (სტრაბ. XI, თავი XIV, 12). არმენიაში იაზონის თანამგზავრების პატივსაცემადაც აუგიათ ტაძრები.

საერთოდ, სტრაბონის თვალსაზრისით არმენიელები იაზონის ლაშქრობის შემდეგაა ჩამოყალიბებული, ის წერს - ”ძველი ისტორია ამ ხალხის ასეთია: არმენოსმა არმენიონიდან, თესალიის ქალაქიდან, რომელიც მდებარეობს ფერასა და ლარისას შორის, ილაშქრა იაზონთან ერთად არმენიაში... ვინც არმენოსთან ერთად იყვნენ, ზოგი დასახლდნენ აკილისენეში, რომელიც უწინ სოფენების გამგებლობაში იყო, ზოგიც სისპირიტისში კალაქენემდე და ადიაბენემდე არმენიის საზღვრებს გარეთ. ამბობენ, რომ ტანსაცმელი არმენიელებს თესალიური აქვთ... ხოლო თესალიელები გრძელ ტანსაცმელს ატარებენ, რადგან ელინთა შორის ყველაზე უფრო ჩრდილო და სუსხიან ადგილებში ცხოვრობენ” (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 194).

11. მიდიელები - მედეას შთამომავლები

სტრაბონის აზრით არმენიელები და მიდიელები არიან მედეასა და იაზონის შთამომავლები. საერთოდ სტრაბონი მიიჩნევს, რომ მედეა იყო არა გენეტიკური კოლხი (ე.ი. არა ეგვიპტელთა ჩამომავალი), არამედ თესალიელი, ისევე, როგორც იაზონი იყო თესალიელი. თესალიელები კი სტრაბონს მიაჩნია ელინებად, ამის შესახებ წერს - ”ყოველივე ამის მიხედვით ამსგავსებენ მიდიელებსა და არმენიელებს, რომელთაც რაღაცა ნათესაობა აქვთ თესალიელებთან და მათთან ვინც იაზონისა და მედეას ჩამომავლები არიან” (სტრაბონი XI, თავი XIV, 14).

12. ქართველები არმენიელთა მიერ დაპყრობილ იბერიაში

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ იმჟამინდელი პოლიტიკური ვითარების გამო, ტიბარენებიც და ქალდებიც (ჭანები), არაქსზე მცხოვრები იბერებიც არმენიის პოლიტიკურ-კულტურული გავლენის სფეროში იყვნენ მოქცეულნი, იმის გამო, რომ არმენიამ იბერიისაგან მიიტაცა მიწა-წყალი.

სტრაბონი წერს: “მოგვითხრობენ, რომ წარსულში არმენიის პატარა ქვეყანა გაფართოვდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად. ისინი იყვნენ ანტიოქ დიდის მხედართმთავრები,

მისი დამარცხების შემდეგ კი მეფეები გახდნენ. მათ ერთად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, ჩამოაჭრეს რა ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ოლქები. კერძოდ, იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე, რომელიც კირის მეორე მხარესაა, ხალიბებს და მოსინიკებს ჩამოაჭრეს კარენიტი და ქსერქსენე, მცირე არმენიის მოსაზღვრე ნაწილები" (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5). ამ ჩამორთმეულ (უკვე არმენიაში შემავალ) მიწებზე მცხოვრებ ქართულ ტომებს, ალბათ გარკვეულწილად უკვე არმენიზებულთ, სტრაბონი პოლიტიკურ სომხებად მიიჩნევდა.

13. იაზონი არაქსთან

არმენიაში იაზონმა, სტრაბონის ცნობით, არაქსის წყალს გაუჭრა ახალი კალაპოტი, რითაც მუდმივი დატბორვისაგან იხსნა ვრცელი დაბლობი (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 194).

14. ფაზისი - "არმენიის მდინარეა"

ასევე, სტრაბონისათვის ჭოროხი-ფაზისი-არმენიის მდინარეა, არმენიის მდინარეა ლიკოსიც. ამიტომაც წერს - "ქვეყანაში (არმენიაში) ბევრი მდინარეა, განსაკუთრებით ცნობილია ფაზისი და ლიკოსი" (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 190).

ფაზისი არმენიის მდინარედ მიიჩნევა სტრაბონის მიერ (სტრაბ. XI, თავი XIV, 7). ამ ცნობიდან კი აშკარაა, რომ ფაზისი არაა სტრაბონისთვის დასავლეთ საქართველოს მდინარე. ასე, რომ არ იყოს, მაშინ დასავლეთ საქართველო არმენიის ნაწილად ჩაითვლება, რაც ცხადი უზუსტობაა. ფაზისი არმენიის მდინარედ იმიტომ მიიჩნევა სტრაბონის მიერ, რომ ჭოროხი მოიაზრება ფაზისის ქვეშ. ამიტომაც, კიდევ რამდენჯერმე ამბობს სტრაბონი, რომ "ფაზისის სათავე არმენიაშია". (XI, II, 17).

სტრაბონის ეს ცნობები ასე უნდა განიმარტოს: მას შემდეგ, რაც არმენიამ, სტრაბონისავე ცნობით, იბერიას წაართვა ვრცელი ოლქები - პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენა, ცხადია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მრავალი გეოგრაფიული პუნქტი და მდინარე აღმოჩნდა არმენიის ხელში. ამიტომაც, როგორც ითქვა, სტრაბონის ცნობითსათავე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მდინარე ფაზისისა (ე.ი. ჭოროხი) მოექცა არმენიაში და შესაბამისად ამ არმენიიდან იღებდა ის სათავეს (სტრაბ. XI, II, 17).

15. ერთ რეგიონში მდებარე - ტრაპეზუნტი, ფარნაკია, მცირე არმენია, სკიდისე, კოლხიდის ზემოთ მდებარე მოსხური მთები, პარიადრე, თემისკირა, სადენე, ეფესო, სმირნა, კვიმე და მირინა

სტრაბონის სხვა ცნობებიც უფრო გასაგები ხდება იმ შემთხვევაში, თუ კოლხიდის მიწა-წყლად განვიხილავთ ტერიტორიას ტრაპეზუნტს და ჭოროხს შუა. მაგალითად, სტრაბონი წერს - "ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები, ქალდები და სანები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს, აქვეა მცირე არმენია, ამ ადგილების ახლოს ცხოვრობენ აპაიტები, უწინდელი კერკიტები. ამ ადგილებზე გადაჭიმულია სკიდისე, კლდოვანი მთა, რომელიც უერთდება მოსხურ მთებს, რომლებიც კოლხიდის ზემოთ მდებარეობენ. სკიდისეს მწვერვალები უჭირავთ ჰეპტოკომიტებს. პარიადრესადენესა და თემისკირასთან მდებარე ადგილებიდან მცირე არმენიამდე ვრცელდება და ჰქმნის პონტოს აღმოსავლეთ ნაპირს. ყველა ამ მთებში მოსახლენი სრულად ველურები არიან, ხოლო აღემატებიან სხვებს ჰეპტოკომიტები... ძველები მათ მოსინიკებს უწოდებდნენ... ეხლანდელი ქალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ. ამათ შორის მდებარეობს ფარნაკია... საერთოდ ამ ადგილებში სანაპირო მეტისმეტად ვიწროა, რადგანაც იქვე აღმართულია ლითონებით სავსე და ტყიანი მთები... უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ადამიანებს უწინ ერქვათ ალიბები, ხალიბების ნაცვლად... ჰომეროსი ალიძონებს უწოდებს ხალიბებს. ზოგნი წერენ ალაძონებს, ზოგნი კი ამაძონებს... ამბობენ, რომ ამ მიდამოებში ზოგი ამაძონების თანამოსახელე ქალაქია, როგორც მაგალითად ეფესო, სმირნა, კვიმე და მირინა" (სტრაბ. XII, თავი III, 18 - 21).

მაშასადამე, თემისკირადან (თანამედროვე თერმედან) და ორდუდან (თანამედროვე ფარნადან) თანამედროვე ერზრუმის მიმართულებით - ტრაპეზუნტის ზემოთ (ე.ი. კოლხეთში)

ცხოვრობდნენ ქალდები, ტიბარენები, სანები (მაკრონები), აპაიტები ანუ კერკიტები, მოსინიკები. ამ მთიანეთის წინ სანაპირო კი ვიწროა. აქედან ნათელია, რომ საუბარი შეეხება არა დასავლეთ საქართველოს არამედ მდ. კელკიტსა და ჭოროხს შორის მოქცეულ რეგიონს.

მოსხური მთები მდებარეობდნენ არა იმერეთში (როგორც ამჟამად მიიჩნევა), არამედ არზრუმის მიმართულებით - ნ. ხაზარაძის კვლევით.

სტრაბონის ცნობით, კოლხიდის სანაპირო ზღვის დონეზე კი არაა გადაშლილი (როგორც, მაგალითად, დასავლეთ საქართველოში), არამედ მაღალი მთიანეთია და ზემოდან დაჰყურებს კოლხეთს, მის ზემოთ მდებარეობს: "კოლხიდის მაღლა ძევს" (სტრაბ, XII, 3, 17).

ეს ცნობა, რომ კოლხიდის სანაპირო მაღალი მთიანეთია, მინიშნებაა იმისა, რომ სტრაბონი კოლხიდის ქვეშ გულისხმობდა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ ჭოროხის დასავლეთით მდებარე გონიო-ტრაპეზუნტის რეგიონს, სადაც მართლაც ზღვის სანაპიროს უშუალოდ ემიჯნება მაღალი მთიანეთი.

16. ტიბარენები, სანები (მაკრონები), აპაიტები (კერკიტები), ჰეპტოკომიტები (მოსინიკები) და ქალდები (ხალიბები)

იმავეს წერს სტრაბონი სხვაგანაც - "ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის მახლობლად მდებარე ადგილებს ზემოთ არიან ტიბარენები და ქალდები ვიდრე მცირე არმენიამდე. ეს კი საკმარისად მდიდარი ქვეყანაა. მას განაგებდნენ თავისი დინასტები. ესენი ხან ემეგობრებიან დანარჩენ არმენიელებს, ხან დამოუკიდებლად მოქმედებენ". ამ არმენიელების "ქვეშევრდომები იყვნენ ქალდები და ტიბარენები, ისე, რომ ტრაპეზუნტამდე ვრცელდება მათი ხელისუფლება".

მაშასადამე, ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის მახლობლად ცხოვრობენ კოლხიდის ტომები ტიბარენები და ქალდები, მათ მცირე არმენია ესაზღვრებათ, მაგრამ პოლიტიკურად არმენიელების ხელქვეითები არიან, რადგანაც არმენიელების ხელისუფლება ტრაპეზუნტამდე და ფარანკიამდე ვრცელდება - სტრაბონის ცნობით (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 212).

17. მითრიდატე ევპატორი

მითრიდატე ევპატორმა არმენიელებს ჩამოართვა ამ ადგილების, ე.ი. კოლხიდის, მმართველობა და "ის გახდა კოლხიდისა და ყველა ამათი ბატონი" (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 212), "ყველა ესენი" კი ქალდები და სხვა ნახსენები ტომებია.

ქალაქი ფარნაკია - პონტოში მდებარეობდა, ტრაპეზუნტის მახლობლად. "კოლხიდა და ყველა ესენი" მითრიდატესათვის დაუთმია ანტიპატროს სისიდეს ძეს, მას ლატიშევი მიიჩნევს მცირე არმენიის მეფედ (იქვე, გვ. 235).

აღწერილია კოლხეთის ეს ადგილები და ქალაქები, რომელთაგან ზოგიერთი იყო "დიდი არმენიის საზღვარზე" (იქვე, გვ. 212), მაგალითად, ასეთია ქალაქი სინორია. ძირითადად ესაა პარიადრეს კალთები, დაღარული ციცაბო ხეობებით - ვფიქრობ, და ცხადია - ესაა პონტოს მთიანეთი და არა დასავლეთ საქართველო. აქ გამოიქცა პომპეუსისაგან დევნილი მითრიდატე, აქვე დაიპყრო დასტირასთან აკილისენეს წყალუხვი მთა, ევფრატის მახლობლად რომელიც აკილისენეს მცირე არმენიისაგან ჰყოფდა, ბოლოს ის იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი სადგომი აკილისენეში და გაქცეულიყო ზღვის მიმართულებით, ჯერ ის გადალახავდა მიმდგომ მთებს, შესაბამისად ჩავიდოდა ჭოროხის ხეობაში ე.ი. კოლხეთში, იქიდან ის გადასულა ბოსფორში "პომპეუსმა ამ ადგილებთან მცირე არმენიაში ააშენა ქალაქი ნიკოპოლისი" (იქვე, გვ. 213).

18. პითოდოროსი - პოლემონისა და არქელაეს ქვრივი

"ტიბარენები და ქალდეები კოლხიდამდე, ფარნაკიამდე და ტრაპეზუნტამდე უპყრია პითოდოროსს" ჭკვიან ქალს, პითოდორე ტრაელის ასულს, პოლემონის მეუღლეყოფილს, რომლისგანაც მიიღო ტახტი. მისი შვილი დააყენეს დიდი არმენიის ბასილევსად. შემდეგ მითხოვდა მცირე არმენიის მმართველ არქელაეს და დაქვრივდა. მას უპყრია ასევე თემისკირასთან, პარიადრესთან მდებარე ადგილები, კაბეირა ამასიასთან, სადაც იდგა მითრიდატეს სასახლე - ასე გადმოგვცემს სტრაბონი. ასე, რომ აქ არაფერია ნათქვამი დასავლეთ საქართველოს შესახებ, მისი

მსჯელობა შეეხება ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტიბარენებიდან ტრაპეზუნტამდე, ანუ კოლხეთს.

რით არის ყოველივე ეს სტრაბონის აღწერილობა, ჩვენთვის საინტერესო? საქმე ეხება დასავლეთ საქართველოში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას, ასევე "ქართლის ცხოვრების" ვითარცა საისტორიო წყაროს ავტორიტეტს.

19. "ქართლის ცხოვრების" ავტორიტეტს სტრაბონის ცნობები ამტკიცებს

ამჟამინდელი ისტორიოგრაფიის მიერ "ქართლის ცხოვრების" ვითარცა წყაროს ავტორიტეტი დასავლეთ საქართველოს მიმართ მთლიანად უგულებელყოფილია. მიუხედავად იმისა, რომ ქართლის ცხოვრება დაბეჯითებით მოგვითხრობს ქართლის სამეფოს შემადგენლობაში დასავლეთ საქართველოს უეჭველი ყოფნის შესახებ, აზონ-ფარნავაზის ხანიდანვე, მაინც მტკიცედ მიიჩნევა, რომ ვთქვათ ფარნავაზი იყო მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე. მით უფრო უგულებელყოფილია მისი შემდგომი მეფეების ძალაუფლება დასავლეთ საქართველოზე. შესაბამისად შეითხზა უსაფუძვლო სრულიად ახალი ისტორია დასავლეთ საქართველოში კოლხეთის სახელმწიფოს არსებობის შესახებ. ამ ახალ ისტორიას აფუძნებენ ძირითადად სტრაბონისა და პროკოფი კესარიელის ცნობებზე. სინამდვილეში კი, თუ ამ წყაროებს ძალას არ დავატანთ, წავიკითხავთ სწორედ იმას, რაც უწერიათ ამ ავტორებს (სტრაბონს, პროკოფის და სხვებს) კარგად დავინახავთ, რომ დასავლეთ საქართველო არის სულ სხვა ქვეყანა, ხოლო სტრაბონისა და პროკოფის კოლხეთ-ლაზიკა სულ სხვა ქვეყანა. ერთი მდებარეობდა იბერიის გასწვრივ დასავლეთით, მეორე კი იბერიის სამხრეთ-დასავლეთით, თუმცა ისტორიული საქართველოს ეს ორივე მხარე ქართველი ხალხით, ქართული ტომებით იყო დასახლებული.

კოლხეთის აღმოსავლეთით მდებარეობდა არმენია და არა იბერია. მხოლოდ ძალდატანებით იქნა მიღებული თვალსაზრისი, თითქოსდა სტრაბონის ფაზისი არის რიონი, მაშინ, როცა სტრაბონი ფასისის თითქმის ყოველი ხსენების დროს არმენიას ახსენებს, რადგანაც მისი სათავე (ე.ი. ჭოროხის და არა რიონის სათავე) არმენიის მიერ იყო დაპყრობილი სტრაბონის დროს.

20. ფაზისის სათავე არმენიაშია

არმენიის "ქვეყანაში ბევრი მდინარეა, განსაკუთრებით ცნობილია ფაზისი და ლიკოსი" (სტრაბონის გეოგრაფია, იქვე, გვ. 190), "ფაზისი, დიდი მდინარე, რომელსაც სათავე არმენიიდან აქვს" (იქვე, გვ. 123).

ფაზისის სათავე არმენიაშია - "სათავე არმენიიდან აქვს, რომელიც ღებულობს გლავკოსსა და ჰიპოსს, მახლობელი მთებიდან გამომდინარეთ" (იქვე, გვ. 123). ესაა ერთი მთლიანი უწყვეტი წინადადება სტრაბონისა, ანუ არმენიის მთებიდან გამოდის არა მარტო ფაზისი, არამედ იქვე, ანუ არმენიის მთების მახლობლად გამოედინება გლავკოსი და ჰიპოსი.

21. ცხენისწყლის სათავეც არმენიაშია?

ფაზისის სათავე არმენიაშია - "სათავე არმენიიდან აქვს, რომელიც ღებულობს გლავკოსსა და ჰიპოსს, მახლობელი მთებიდან გამომდინარეთ" (იქვე, გვ. 123).

ჩვენში გავრცელებული აზრით გლავკოსი არის ყვირილა (იქვე, გვ. 275), ხოლო ჰიპოსი - ცხენისწყალი (იქვე, გვ. 301). სტრაბონის ცნობით, გლავკოსისა და ჰიპოსის სათავეები არმენიის მთების მახლობელადაა, თუ ეს ასეა, ანუ მაშინ ცხენისწყლისა (ჰიპოსის) და ყვირილას (გლავკოსის) სათავეებიც არმენიის მახლობელ მთებში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ჩანს, რომ გლავკოსი და ჰიპოსი არიან ფაზისის ანუ ჭოროხის შენაკადები, რომელთა სათავეები არიან სპერარსიანის მთებში, რომელთა მახლობელი მიწა-წყალი მართლაც შედიოდა არმენიაში, რადგანაც იბერიისაგან იყო მიტაცებული.

22. სარაპანა სხვაა, შორაპანი კი სხვა

სტრაბონი არ ახსენებს სიტყვა "შორაპანს", ის სარაპანას შესახებ წერს, მაგრამ ქართველი მთარგმნელები მას შორაპანს უწოდებენ: "ფაზისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპანამდე, ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა" (იქვე, გვ. 123). გ. გრიგოლიას

კვლევით, შორაპანი ანუ სარაპანა არის სპარსული სიტყვა და ნიშნავს მნიშვნელოვან გზაზე მდებარე მგზავრებისათვის განკუთვნილ მოსასვენებელს, ეს შეიძლება იყოს რაიმე სიმაგრე, ქალაქი ან პუნქტი შესაბამისი დასასვენებელი ადგილებით და საწყობებით. ასეთი სარაპანები კი საერთაშორისო გზებზე მრავალი იყო, დაშორებულნი ერთმანეთისაგან "ერთი დღის გზით" (20-30 კმ-ით).

საერთოდ კი სტრაბონის "სარაპანა", თუ ის ქართულად გამოითქმოდა როგორც "შორაპანი", არ უნდა ვეძიოთ მაინცდამაინც ზესტაფონის შორაპანთან. ასეთი პუნქტი, როგორც ითქვა მრავალი შეიძლებოდა ყოფილიყო. სტრაბონის დროს ერთი ასეთი "სარაპანა" ყოფილა ფაზისზე (ჭოროხზე), ხოლო პროკოფი კესარიელის დროს ასეთი "სარაპანა" ყოფილა არსიანის მაღალ მთაში, სადაც გადიოდა არტანუჯ-არტაან-დვინის დამაკავშირებელი გზა.

შეიძლებოდა თუ არა "აღმა ცურვა" ფოთიდან ზესტაფონის შორაპანამდე? ვფიქრობ ეს შეუძლებელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ დიდი მანძილით არიან ბოლო წერტილები ერთმანეთს დაშორებულნი, გარდა ამისა, შორაპანი ძევს არა ყვირილას, არამედ ძირულას სანაპიროზე, სადაც მდინარე, ძალზე თხელი და ძალზე მდორე ნელ-ნელა მიიკვლევს გზას ყვირილასაკენ. საერთოდ, ქუთაისამდე ყვირილა მდორეა და არ ჰგავს თავისი სიჩქარით იმ ძალზე სწრაფ ფაზისს, როგორსაც აღწერენ ძველი მწერლები.

23. სწრაფ და მქუხარე მდინარეებზე გადებული 120 ხიდი

სტრაბონის სიტყვით მდ. ფაზისი სარაპანასთან ჩქარა მიღრიალებს: "სწრაფი და ხმაურა მიემართება კოლხიდაში, 120 ხიდით გადაისვლება" (XI, III, 4). არც ერთი უძველესი ხიდის ნაშთი შორაპანთან მოძიებული არ არის (არც იმერეთში), მაშინ როცა ჭოროხის ხეობა სავსეა ასეთი უძველესი თაღოვანი ხიდებით. აქედანაც ჩანს, რომ სტრაბონის ფაზისი არის მდ. ჭოროხი, რომლის სანაპიროზეც სტრაბონის დროს ყოფილა ერთ-ერთი "სარაპანა ანუ მნიშვნელოვან გზაზე მდებარე მგზავრთა მოსასვენებელი პუნქტი".

24. ფაზისი სანაოსნო მდინარე იყო

"ფაზისზე აღმა ცურვა შეიძლებოდა შორაპანამდე" (სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 123). ეს ცნობა, ჩვენი ფიქრით, უფრო შეეხება ჭოროხს, აქ ძველთაგანვე იყო ნაოსნობა და მრავალმა მკვლევარმა, მათ შორის ე. ვეიდენბაუმმა, გ. ყაზბეგმა, და დ. ბაქრაძემ და სხვებმა აღწერეს ნაოსნობა ჭოროხზე.

დ. ბაქრაძის ცნობით "ჭოროხზე აღმა-დაღმა 200 სატვირთო და სამგზავრო ნავი დაცურავდა ბათუმიდან ართვინამდე". მაშასადამე, ჩვენი აზრით, სტრაბონის "სარაპანა" იყო ჭოროხისპირა რომელიმე პუნქტი, აქვეა უამრავი ძველი ხიდი. მდ. ჭოროხი ყოველთვის სანაოსნო იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირმა მასზე, ვითარცა სასაზღვრო მდინარეზე, ნაოსნობა არ აკრძალა 1926 წელს, ნაოსანი მენავეები კი დააპატიმრა, როგორც კონტრაბანდისტები. XIX საუკუნეში გ. ყაზბეგის, ე. ვეიდენბაუმისა და სხვათა აღწერით ჭოროხზე საქონლით დატვირთული 200-მდე ნავი მიმოდიოდა ართვინიდან ბათუმამდე და პირიქით.

რაც შეეხება ზესტაფონის შორაპანს და მასთან გამავალ მდ. ძირულას, იქ ნაოსნობა შეუძლებელია, რადგანაც ძირულა სინამდვილეში მცირე და მდორე ნაკადულია და არც ყვირილაა სანაოსნო, საერთოდ იქაურთათვის ნაოსნობა უცნობი საქმეა.

25. ოთხი დღის გზა

"სარაპანიდან საურმე (ე.ი საჭაპანო) გზით, ფეხით 4 დღეში მიისვლება მტკვრამდე" (იქვე, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 123).

როგორც აღინიშნა, ერთი დღის გზა 20-30 კილომეტრია, მთიან რეგიონში უფრო ნაკლები. მაშასადამე, სარაპანადან მტკვრამდე ოთხი დღის გზა ანუ 60-80 კმ ყოფილა.

ძველად საურმე გზა იშვიათობას წარმოადგენდა და გულისხმობდა მნიშვნელოვან გზას, მაგალითად ისეთს, როგორზეც მდებარეობდა კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს არტანუჯი, ეს იყო სპარსეთ-შავი ზღვის დამაკავშირებელი საერთაშორისო გზა, რომელიც ჭოროხის ხეობის

გავლით შავ ზღვას დვინთან და სპარსეთთან აკავშირებდა. ამ გზის ერთ-ერთ მონაკვეთს ჭოროხიდან მტკვრამდე გულისხმობს სტრაბონი.

ანუ აქ, ოთხი დღის გზაში იგულისხმება ართვინ-არტანუჯ-არტაანის საურმე გზა, რომელიც მოქმედი იყო ვახტანგ გორგასლის დროსაც, ამ გზით უსარგებლიათ წმ. მოციქულებს და სხვებს. ე.ი. ართვინიდან მტკვრამდე 4 დღის სავალი გზა ყოფილა ფეხით.

26. ქალაქი ფაზისის შესართავთან

ფაზისის შესართავთან ყოფილა ქალაქი "გარშემორტყმული მდინარით, ტბით და ზღვით" (იქვე, გვ. 123).

ფოთი მართლაც გარშემორტყმულია მდინარით, ტბითა და ზღვით, ამიტომაც ის მიიჩნევა ფაზისად, მაგრამ არა მხოლოდ ფოთს ჰქონია ასეთი გეოგრაფიული გარემო.

ე. ვეიდენბაუმის აღწერით ჭოროხის შესართავთან, მის მარცხენა მხარეს დიდი ტბები ყოფილა. მაშასადამე, ამ ადგილზეც ერთად ყოფილა თავმოყრილი ტბა, ზღვა და მდინარე.

ჭოროხის შესართავთან, მის მარცხენა მხარეს, ამჟამადაც ერთი დიდი და რამდენიმე მომცრო ზომის ტბორი არის და, ამიტომ, შესაძლოა, აქ მდებარეობდა ძველი ქალაქი ფაზისი. ალბათ აქ იგულისხმებოდა ამჟამინდელი გონიოს ახლოს, თვით უშუალოდ შესართავთან მდებარე რომელიმე პუნქტი.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, გონიოს წინ გაედინებოდა ჭოროხის ერთ-ერთი დიდი ტოტი, რომელიც შემდეგ გადაკეტეს. საფიქრებელია, რომ მომავალში არქეოლოგებმა ამ ადგილას (გონიოსთან) ქალაქ ფაზისის ნაშთი აღმოაჩინონ კიდეც.

საერთოდ, მთელი ეს თხრობა სტრაბონს აქვს თავში, რომელშიც მიმოიხილავს "მცირე არმენიას". ფოთი კი შორსაა მცირე არმენიიდან. მას, ესე იგი, მცირე არმენიას, სტრაბონის დროს განაგებდა არქელაე.

სტრაბონის ცნობილი ფრაზა, რომ ქ. ფაზისის გარშემო აკრავს ზღვა, მდინარე და ტბა შეესაბამება არა მხოლოდ ფოთს, არამედ, როგორც ითქვა, ასევე ჭოროხის ზღვასთან შესართავის ადგილსაც. აქ, ე.ი. ჭოროხის ზღვასთან შესართავთან XIX საუკუნეშიც იყო (ე. ვეიდენბაუმის ცნობით) და ამჟამადაც არის (ადგილობრივი ტურისტული რუკების მიხედვით) საკმაო ზომის ტბორი. ასე, რომ პალიასტომის გარდა სხვა ტბაც არსებობდა, ოღონდ ჭოროხის შესართავის დასავლეთ (მარცხენა) სანაპიროს მხარეს. სხვათაშორის აქ აპირებდა ცნობილი ტროას აღმომჩენი შლიმანი არქეოლოგიური გათხრების დაწყებას.

27. საზღვაო გზა ფაზისიდან

ამ ქალაქ ფაზისიდან ქ. ამისომდე და სინოპამდე ყოფილა სამი ან ორი დღის ზღვით სამგზავრო გზა. ასეა სტრაბონის ძველი გამოცემების მიხედვით, "უკანასკნელ გამოცემებში ეს წაკითხვა დამაჯერებლად შეცვლილია "8 ან 9 დღის სამგზავრო" - წერს თ. ყაუხჩიშვილი (იქვე, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 123). ჩემი აზრით ძველი წაკითხვა შესაძლოა სწორიც იყოს, რადგანაც ფაზისი უფრო ჭოროხია და არა რიონი, ამიტომაც ჭოროხიდან ამისომდე უფრო მოკლე გზაა. "ფაზისიდან ამისომდე და სინოპამდე იყო 2-3 დღის სავალია გემით" - ასეა ყველაზე უახლეს რუსულ თარგმანშიც - "Плавание отсюда до Амиса и Синопы занимается 2 и 3 дня из-за того, что земля на морских берегах топная в устьях рек болотистая" (სტრაბონი, გეოგრაფია, 1964, გამომცემლობა "ნაუკა". რუს. ენაზე, გვ. 472).

აქ საინტერესოა ის, რომ ქ. ფაზისი რომ ყოფილიყო ქ. ფოთი, მაშინ გემით მგზავრობას, ცხადია, მეტი დრო დასჭირდებოდა.

28. რბილი სანაპირო

ჭოროხის შესართავი ისეთივეა, როგორადაც აღწერს სტრაბონი ფაზისის შესართავს - "სანაპირო რბილია" ე.ი. ჭაობიანია. ხოლო ჭოროხიდან რიზეს მიმართულებით სანაპირო დაბალი და ქვიშიანია.

29. კოლხური სელი

“კარგი ნაყოფები იცის, გარდა თაფლისა (მეტწილად მწარეა) და მოიპოვება ნავთსაშენი ყოველივე მასალა, რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებითაც ჩამოიტანება, ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც კი არის. ქვეყნის გარეთაც კი გააქვთ” (იქვე, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 124).

ჭოროხის ხეობაში ართვინამდე მშვენიერი ტყეებია. ასევე მკვლევართა ცნობით XIX საუკუნეში ჭოროხზე ართვინიდან ბათუმში დიდი რაოდენობით ჩაჰქონდათ ნავებით დახერხილი ხის მასალა. აქ, ე.ი. ერგე-ლიგანის ხეობაში ასევე ამუშავებდნენ (XIX საუკუნეშიც) განთქმულ სელის ქსოვილებს, რომელიც ლიგანის გარეთაც იყიდებოდა.

30. ფაზისის, გლავკოსისა და ჰიპოსის მაღლა ლევკოთეას სამლოცველო მოსხების ქვეყანაში

“მოხსენებულ მდინარეებს ზემოთ მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს... გაძარცვული” (იქვე, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 124). ე.ი. ეს სამლოცველო მოსხების ქვეყანაშია, მოხსენებული მდინარეების ზემოთ, რომელი მდინარეები ახსენა აქ სტრაბონმა? - ფაზისი, გლავკოსი და ჰიპოსი. თუ გლავკოსი და ჰიპოსი არიან ყვირილა და ცხენისწყალი, მაშ მათ სათავეებთან უნდა ვეძიოთ ჩვენ “მოსხების ქვეყანა”. მდებარეობდა ვითომ მესხეთი ცხენისწყალის მაღლა? ძალზე საეჭვოა, მაგრამ, თუ კი ჩვენ გლავკოსად ვიგულისხმებთ “ლიგანისხევს” ანუ იმერხევს, ჰიპოსად კი იქვე გამდინარე წყალს, მათ მაღლა, ანუ არსიანის ქედთან მართლაც მესხეთის ქვეყანა - კოლა-არტაანია, იქვე შავშეთი და სამცხეა, ქვემოთ კი ტაოა. აი, აქ იყო “მოსხების ქვეყანა” ნ. ხაზარაძის კვლევითაც. აქ უნდა ვეძიოთ (და არა იმერეთში) ლევკოთეას ტაძარი. მსგავსი ტოპონიმი ამჟამადაც არის ჯავახეთში, ესაა სოფელი “კოთელია”.

მოსხების ან მესხების ქვეყანა იყო ასევე ჭოროხთან ახლოს მდებარე კლარჯეთი ანუ არტანუჯის მხარე. ის, სტრაბონის დროს, არსიანის ქედამდე კოლხების ხელში ყოფილა. მართლაც, სტრაბონი წერს, რომ მოსხების ქვეყნის მესამედი ნაწილი ეჭირათ კოლხებს.

31. სამ ნაწილად გაყოფილი მოსხების ქვეყანა

“მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო, სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს” (იქვე, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 125). სად შეიძლება იყოს ის “მოსხების ქვეყანა”, რომელიც სამ ნაწილადაა გაყოფილი კოლხებს, იბერებსა და არმენიელებს შორის? ცხადია, ესაა ისტორიული მესხეთი - სამცხე, ჯავახეთი, კოლა, ტაო-ბასიანი და შავშეთ-არტანუჯ-კლარჯეთი. ამ თვალსაზრისისაა თ. ყაუხჩიშვილიც (იქვე, გვ. 258).

კოლხეთის გავლენა ვრცელდებოდა არსიანის ქედამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ სტრაბონის ეპოქაში ჭოროხიდან არსიანამდე მესხეთის ნაწილი (კლარჯეთი) კოლხების ხელში იყო. მეორე ნაწილი - ე.ი. სამცხე-ჯავახეთი-კოლა-არტაანი და შეიძლება შავშეთიც - იყო იბერიისა, ხოლო - კოლადან ვრცელი მიწები ტაო-თორთუმ-ბასიანის ჩათვლით სომხებს მიუსაკუთრებიათ. ამის გამო, მესხეთი სამ ნაწილად აღმოჩნდა გაყოფილი.

32. საზღვარი კოლხიდასა და იბერიას შორის

მაშასადამე, საზღვარი კოლხიდასა და იბერიას შორის აქ, შემდგომდროინდელ შავშეთ-კლარჯეთში გადიოდა არსიანის ქედზე, აქ უნდა ყოფილიყო იბერიის ქალაქი ფრიქსოპოლისი-იდეესა. პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ ის ტაოსთან მდებარეობდა. სადღაც ამ არეალთანაა დიოსკურია, რადგანაც სტრაბონი მოსხების ქვეყნის დაყოფის აღწერის დამთავრების შემდეგვე უბრუნდება მას.

33. სვანთა ლაშქარი

დიოსკურიაში სავაჭროდ ჩადიოდნენ სვანებიც, ყველა ტომზე აღმატებულნი სიმამაცით და ძალით (იქვე, თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 126). “ფლობენ ისინი ირგვლივ ყველაფერს უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის. ჰყავთ მათ

ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი, როგორც ამბობენ ჰკრეფენ ლაშქარს 200 000 კაცის რაოდენობით, მართლაც მთელი ხალხი მეომარია, მაგრამ არაორგანიზებული".

34. სვანური ოქრო

"ამასთანავე ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ ოქროს დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით. აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ვერძზე"...

35. სვანებს იბერებსაც უწოდებდნენ

"თუ არ დებენ იბერებს მსგავს სახელს დასავლელებისას, რომელთაც აქვთ ოქროს საბადოები ორივე მხარეს" (იქვე, თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957 გვ. 126).

საუბარია სვანებზე, მაგრამ რა კავშირი აქვთ მათ იბერებთან? ამ კავშირის შესახებ სტრაბონი წერს გარკვევით და გასაგებად, მაგრამ გაუგებარია მისი ქართული თარგმანი, მაგალითად, მთარგმნელი წერს - "...თუ არ დებენ იბერებს მსგავს სახელს" და ა.შ. რას ნიშნავს "დებენ"? შემდგომი ფრაზაც გაუგებარია.

რადგანაც ქართული თარგმანი გაუგებარია, ამიტომაც გამოვიყენეთ სტრაბონის რუსულენოვანი გამოცემა, სადაც აღნიშნული ფრაზა სრულად გასაგებია - Некоторые называют их также иберийцами(XI, 2, 19).

XI, II, 19. "К числу народностей, которые сходятся в Диоскуриаду, принадлежат и соаны, которые превосходят своих соседей могуществом; и быть может, они почти что самые воинственные и сильные из всех. Во всяком случае, они господствуют над всеми народностями вокруг них, занимая вершины Кавказа, возвышающиеся над Диоскуриадой. У них есть царь и совет из 300 человек, как говорят, они могут выставить войско до 250.000 человек. Действительно, вся народная масса представляет боеспособную, хотя и неорганизованную силу.

В их стране, как передают, горные потоки приносят золото, и варвары ловят его решетами и косматыми шкурами. Отсюда, говорят, и возник миф о золотом руне. Некоторые называют их также иберийцами - одинаково с западными (т.е. Пиринейская Иберия - сост.) - от золотых росписей, находящихся в обеих странах. Соаны применяют для наконечников стрел яд удивительного действия, который своим запахом приносит мучения даже не раненым отравленными стрелами. Прочие народности, живущие около Кавказа, занимают скудные и незначительные пространства земли."

ე.ი. ასევე ზოგიერთები სვანებს უწოდებენ იბერიელებს - დასავლეთის იბერთა სახელის მსგავსად, რადგანაც ორივე ქვეყანაში არის ოქროს მარცვლები, რომელიც მდინარეებს ჩამოაქვთ და მათ აგროვებენ, რამაც საფუძველი დაუდო ოქროს საწმისის მითს.

მაშასადამე, სვანების ქვეყნის სახელიც - იბერიაა, დასავლეთის იბერიის ქვეყნის სახელის მსგავსად, რადგანაც ორივეგან ოქროს მარცვლები ჩამოაქვთ მდინარეებს.

სტრაბონი წერს: "სვანებს ზოგიერთები იბერებს უწოდებენ", ეს მარტივი ფრაზა ჩვენში გაუგებრად ითარგმნა, ამიტომაც ძვირფასი ცნობა საქართველოს შესახებ ძირითადად გამოუყენებელია.

36. სვანების საცხოვრისი

სვანები დიდი ტომია - 200 000 მებრძოლი ჰყავთ. ესაა ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცი, რაც შესაძლოა იყო მთელი მოსახლეობის მესამედი ან მეოთხედი, ანუ სვანების საერთო რიცხვი ნახევარმილიონზე მეტი ყოფილა. ასეთი მრავალრიცხოვანი ხალხი, ცხადია მცირე ტერიტორიაზე ვერ იცხოვრებდა. სად ცხოვრობდნენ სვანები? დიოსკურიის მაღლა მდებარე მთებთან, კოლხების მაღლა, ცხოვრობდნენ ასევე ქვეყნის სიღრმეში - მთიელი ტომების მეზობლად.

დიოსკურია - ჩვენი კვლევით, ტრაპეზუნტის მხარეს მდებარეობდა ოფ-რიზეს ქვემოთ. მის სანაპირო ვიწრო ზოლის მაღლა მთებში, ჩანს ქალდების, ტიბარენების, მესხების რეგიონში,

კოლხების მაღლა ცხოვრობდნენ სვანები. შემდეგდროინდელ შავშეთ-აჭარა-გურიის მთიანეთში მცხოვრებთაც, ჩანს იმ დროს, სვანების სახელით იცნობდნენ.

მაშასადამე, სვანები გაგრძელებით ცხოვრობენ რიონის ხეობიდან ვიდრე ოფ-რიზემდე (დიოსკურიამდე). ცხადია, დაახლოებით 0,5-0,8 მილიონიანი ხალხი მცირე ტერიტორიაზე ვერ მოთავსდებოდა. ისინი ბუნებრივია თანამედროვე სვანეთშიც ცხოვრობდნენ. მათ ქვეყანაში ჩამოჰქონდა მდინარეებს ოქროს მარცვლები დასავლეთის იბერიის მსგავსად, და მათაც იბერებს უწოდებენო, წერდა სტრაბონი. ასეა, თუ ისე, იბერია დასავლეთ საქართველოსაც ერქვა, რადგანაც იქ მცხოვრებ ისეთ დიდ ტომს, როგორიც იყვნენ სვანები - ზოგიერთი ძველი ისტორიკოსი იბერების სახელითაც იცნობდა.

სტრაბონის ეს ცნობა ეთანადება ჩვენს ეროვნულ წყაროს - "ქართლის ცხოვრებას", რომლის ცნობითაც ეგრისი ანუ დასავლეთ საქართველო ფარნავაზის შემდეგ, მუდამ ქართლის სამეფოს ნაწილს შეადგენდა, და მას ქართლი ანუ იბერია ეწოდებოდა, აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად.

37. იაზონი

კოლხეთზე სუბრისას, ცხადია სტრაბონი ახსენებს იაზონს და ფრიქსეს. კოლხეთიდან გადასულა იაზონი არმენიასა და მიდიაში (იქვე, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 124). თუ კოლხეთი დასავლეთ საქართველო იყო, არმენიისა და მიდიისაკენ მგზავრობისას იაზონისათვის ბუნებრივი იქნებოდა იბერიის გზით წასვლა, მაშინ როცა დასავლეთ საქართველოდან არმენიაში შესასვლელად ტრაპეზუნტის ახლო რეგიონის გავლა იყო საჭირო, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ არმენიის უშუალო მოსაზღვრე ტრაპეზუნტის მომიჯნავე რეგიონს უწოდებდა კოლხეთს სტრაბონი.

38. კოლხეთი - პონტოს ერთი ნაწილი

როგორც ითქვა, სტრაბონის დროს კოლხეთს პითოდორიდა მართავდა, რომელმაც ორჯერ მოასწრო დაქვრივება. საერთოდ, ის იყო პონტოს დედოფალი. მეუღლე იყო პონტოს მეფის პოლემონისა, მისი გარდაცვალების შემდეგ შეირთო არქელაუსმა - კაპადოკია-სომხეთის ერთი ნაწილის მეფემ.

მითრიდატე პონტოელი უფრო ადრე ფლობდა კოლხეთს, სადაც გამგებლად თავისი მეგობარი მოაფრენი (სტრაბონის ბიძა) გაგზავნა. მითრიდატეს დაცემის შემდეგ კი კოლხეთი პოლემონს გადაეცა, მისი სიკვდილის შემდეგ მისი მეუღლე "მეფობდა კოლხებზე, ტრაპეზუნტზე, ფარნაკიაზე და ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებზე" (იქვე, თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957 გვ. 125). ფარნაკია - პონტოს ქალაქი იყო, ტრაპეზუნტის მადლობლად (იქვე, გვ. 298) თემისკარასთან ახლოს, მის მაღლა ცხოვრობდნენ ტიბარენები, ქალდები და სანები. მიიჩნევა, რომ ფარნაკია უფრო ქალდების (ე.ი. ხალიბების) მიწაზე მდებარეობდა (იქვე, გვ. 298). აქ ნახსენები "სანები" ჩანს, რომ ჭანები ან სვანებია.

მაშასადამე, დედოფალი მართავდა პონტოსა და ტრაპეზუნტის რეგიონის მიწას, მათ შორის კოლხეთს, რომელიც ფაზისამდე (ე.ი. ჭოროხამდე აღწევდა).

39. სანების ტომი ქალდების გვერდით

სანების ტომი ქალდების გვერდით შესაძლოა იყო ჭანები ან სვანების ტომის ნაწილი (ტომთა საცხოვრისი მკვეთრად შეიცვალა ბიზანტია - სპარსეთის ომის დროს და მის შემდეგ VI-VII საუკუნეებში. ეს ომი ჯერ ლაზიკისათვის, შემდეგ კი სვანეთის გამო მიმდინარეობდა. სვანები ომის გადამწყვეტ მომენტში სპარსელებს მიემხრნენ, რაც მათ არ აპატია ამ ომში საბოლოოდ გამარჯვებულმა ბიზანტიამ, რაც გამოიხატა იმით, რომ სვანები იძულებულნი გახდნენ გადასახლებულიყვნენ უფრო ჩრდილოეთით, მიუახლოვდნენ მათ ამჟამინდელ საცხოვრისს. (მაქსიმე აღმსარებლის ეპოქაში ისინი უკვე გადასახლებულნი ჩანან უფრო ჩრდილოეთით).

40. იბერია დასავლეთ საქართველოში და "შუა იბერია"

დასავლეთ საქართველოში იბერიის ყოფნას სტრაბონიც ადასტურებს, ოღონდ არა - პირდაპირ. მაგალითად ის წერს, რომ კავკასიის ერთ-ერთი ქედი მოემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ჰკვეთს იბერიას და უერთდება მოსხების მთებს. სტრაბონი წერს დიდი კავკასიონის ქედის შესახებ: "ზოგი ტოტი ამ მთისა მოემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს და მოსხებისად წოდებულთ, აგრეთვე სკიდისეს და პარიადრეს" (სტრაბონი, XI, II, 15).

1.Некоторые отроги горы выдаются по направлению на юг; они охватывают середину Иберии, соприкасаются с Армянскими и так называемыми Мосхийскими горами, а также со Скидисом и Париадром. XI, II, 15 ГЕОГРАФИЯ в 17 книгах. 1964 г. М.

2.Часть этой страны окружают Кавказские горы. Как я указал выше, отроги гор выдаются в южном направлении; XI.III.2.

მაშასადამე იბერიის ერთერთი ნაწილია შუა იბერია, სტრაბონი საზღვრავს შუა იბერიის გეოგრაფიულ მდებარეობას, ის მდებარეობს კავკასიის ქედიდან სამხრეთისაკენ გამსული ორი ქედის შუა.

რომელია ის ქედი საქართველოში, რომელიც მიემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და უერთდება მესხეთის (მცირე კავკასიის) მთიანეთს? ესაა ერთადერთი ქედი - ლიხისა ანუ სურამისა. მაშასადამე, სტრაბონის ცნობით, ლიხის ქედი შუაზე კვეთდა ზოგადად იბერიას და ამასთანავე, მის ერთ ნაწილს - "შუა იბერიას" საზღვრავდა.

შუა იბერიას, ვითარცა იბერიის ერთერთ ნაწილს სტრაბონი თავისი წიგნის სხვა ადგილასაც მოიხსენიებს (XI.III.2). როგორც ვთქვით სტრაბონის განსაზღვრებით შუა იბერიაა საქართველოს ის გეოგრაფიული ნაწილი, რომელსაც ქართულ წყაროებსი შუა ქართლი ეწოდება, ტერიტორა ამჟამინდელი სურამის ქედიდან საგურამო - ქართლის ანდა გომბორის ქედამდე.

თუ იყო "შუა იბერია", ცხადია იყო მისი სხვა არაშუა ნაწილებიც - იბერიის დასავლეთი და აღმოსავლეთი რეგიონები. თუ ლიხის ქედი და კავკასიონიდან სამხრეთისაკენ მიმართული მეორე ქედი "შუა იბერიას" ერტყმოდა გარს, მაშინ "შუა იბერია" შიდა ქართლი ყოფილა, რომელსაც მართლაც ერტყმიან გარს კავკასიის ქედიდან გამომავალი სამხრეთისაკენ მიმართული სურამი-ლიხისა და საგურამო- ართლის ქედები; თუ ეს ასეა, მაშინ იბერიის დასავლეთი ნაწილი - დასავლეთ საქართველოა, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი - კახეთია, აქედან გამომდინარე დასავლეთ საქართველო იბერიის ნაწილად მოიაზრება სტრაბონის მიერაც. მაშასადამე, დასავლეთ საქართველო მცხეთის სამეფოს ნაწილად ითვლებოდა, ხოლო კოლხეთი კი - პონტოს სამეფოსი, რომელიც იბერიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა და ჭოროხამდე აღწევდა.

სტრაბონის ამ ცნობით, "ქართლის ცხოვრებისა" და "მოქცევაჲ ქართლისაჲს" მონაცემები მართლდება, რომ მცხეთის (ქართლის) სამეფოს დასავლეთი საზღვარი აღწევდა მდ. ეგრისწყლამდე მეფე ადერკის, ე.ი. სტრაბონის ეპოქაში.

"მოქცევაჲს" ცნობით, უფრო ადრე, აზონის დროს, არიან-ქართლიდან ჩამოსული ხალხი დასახლდა დასავლეთ საქართველოშიც და ამიტომ აზონის სამეფო მდ. ეგრისწყლამდე ვრცელდებოდა. "მოქცევაის" ცნობით, აზონის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ეგრისწყალი იყო. ამ ქართლის სამეფოს საზღვრად ამ უძველეს წყაროში, ისევე, როგორც "ქართლის ცხოვრებაში" - "ეგრისწყალი" იხსენიება. მაშასადამე, ამ წყაროსათვისაც ეგრისწყლისპირეთის მოსახლეობა (ეგრისელები) ნაწილი იყო არიან-ქართლის ხალხისა.

41. კოლხიდა მოსხების მთების ქვემოთაა

სტრაბონი, როგორც ვთქვით, კოლხეთს უწოდებდა ქართველი ხალხით დასახლებულ იმ ეკონომიკურად განვითარებულ და მოწინავე რეგიონს, რომელიც მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის მხარეს, ის წერს კიდეც: "მდებარეობს კოლხიდა კავკასიონისა და მოსხების მთების ქვემოთ" (სტრაბონი, წიგნი XI, თავ II, 1).

მოსხების მთები არზრუმ-არსიანის მთიანეთია.

მოსხების მთები - პარიადრეს უერთდებოდა: “მის ნაწილს უწოდებენ პარიადრეს, მისი მეორე ნაწილი არის მოსხების მთები, გარს ერტყმიან არმენიას იბერებამდე” (სტრაბონი, XI, თავი XII, 4).

სხვაგან წერს - ”ამ ტომებს გარს არტყია კავკასიონი და აღწევს არმენიელებამდე, უერთდება აგრეთვე მოსხებისა და კოლხების მთებს” (XI, XIV, 1).

მაშასადამე, მოსხების მთები და არმენიის მთები ერთ რეგიონში მდებარეობდნენ, მოსხების მთებს უერთდებოდა შუა იბერიიდან გამომავალი ლიხის ქედი, რომელიც, მართლაც, არსიანის მთათა სისტემას უერთდება.

სტრაბონი, როგორც ითქვა, წერს - კავკასიის ქედის “ზოგი ტოტი მოემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს და მოსხებისად წოდებულთ”, კვლავ უნდა ითქვას, რომ მხოლოდ სურამის ქედი გამოდის კავკასიიდან ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მაშასადამე, სტრაბონთან ლაპარაკია სურამის ქედზე, რომელიც “შუა იბერიაში” გადიოდა. კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, სტრაბონი წერს - ეს ტოტები გარს ერტყმიან შუა იბერიას და უერთდებიან არმენიის და მოსხების მთებს. მაშასადამე, იმ ქვეყანას, რომელსაც ახლა ჰქვია “შიდა ქართლი” სტრაბონი უწოდებს “შუა იბერიას”, მხოლოდ მას ერტყმიან გარშემო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართული მთები (მათ შორის განსაკუთრებით სურამის ქედი, რომელიც უშუალოდ უერთდება მოსხების მთებს), რომელნიც მიემართებიან ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ერთ-ერთი ასეთი კი, როგორც რამდენჯერმე ითქვა - სურამის ქედი, მეორე კი თიანეთ-საგურამოს ქედი მომართული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, მაშასადამე, “შიდა ქართლი” სტრაბონის მიერ იწოდებოდა “შუა იბერიად”.

42. ქართლის ცხოვრების “შუა-ქართლ” არის სტრაბონის “შუა იბერია”

“ზოგი ტოტი მოემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს და მოსხებისად წოდებულთ” (სტრაბონი, XI, II, 15).

ჰქონდა თუ არა სტრაბონს რაიმე წყარო იმისათვის, რათა ეხმარა ტერმინი “შუა იბერია”?

იქნებ სტრაბონის პერიოდში იბერიაში არსებობდა მხარე “შუა იბერიის” სახელწოდებით?

ამ კუთხით ძალზე საინტერესოა ის, რომ ამ ტერმინს (“შუა იბერია”) იცნობს “ქართლის ცხოვრებაც”. აქ მას ასეთი სახელი აქვს - ”შუა ქართლი”.

კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ, როცა მოვიდა ალექსანდრე, მან ჯერ დაიპყრო “შუა ქართლის” ციხეები და შემდეგ კი კახეთის ციხეები, მათ შემდეგ კი ეგრისი. მემატიანე ვრცლად ჩამოთვლის “შუა ქართლის” ციხე-სიმაგრეებს მესხეთიდან-ხუნანამდე, თუმცა კი არ ჩამოთვლის კახეთისა და ეგრისის ციხეებს, რადგანაც, როგორც ჩანს, სტრაბონის მსგავსად, ამ წყაროს, ქართლის მთავარ ნაწილად მისი “შუა” მიაჩნია, სხვა ნაწილებად კი კახეთი და ეგრისი. ასევე უნდა გავიგოთ სტრაბონის ცნობა, რომ ეს ქედი (ლიხი-სურამისა) “შუა იბერიას” საზღვრავდა ანუ სტრაბონის აზრით დასავლეთ საქართველო და კახეთი იყვნენ იბერიის ნაწილები,

სიტყვა-სიტყვით კი წყაროშია - გაძლიერდა ალექსანდრე, მოვიდა “და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლ (წუნდა, ხერთვისი... თუხარისი... ურბნისი, კასპი, უფლისციხე... სარკინე... რუსთავი და დედა-ციხე სამშვილდე და... ხუნანი) და კახეთისა ქალაქნი” (ქ.ც. I, 1955, გვ. 18). აზონმა “დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა” (ქ.ც. I, გვ. 19).

სტრაბონის “შუა იბერია” ქართლის ცხოვრების “შუა ქართლია”.

43. ქართული ტომები ზღვისპირეთში

საერთოდ, სტრაბონი, დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპიროს და კოლხიდის სანაპიროს ერთმანეთისაგან განარჩევს. ის ჩამოთვლის ტომებს ქალაქ ბატადან, რომელსაც ზოგი მეცნიერი თანამედროვე ნოვოროსიისკთან ათავსებს (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 274) შემდეგი თანმიმდევრობით - კერკეტები, აქეელები და ჰენიოხები, მითრიდატეს ომების აღმწერი მწერლები კი ასეთი თანმიმდევრობით - აქეელები, ზიგები, ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები, შემდეგ ამათ ზემოთ - ფთიროფაგები, სვანები და სხვა პატარა ტომები (იქვე, გვ. 120).

44. კოლხები სამხრეთში ცხოვრობდნენ

ამ ჩამონათვალიდან ჩანს, რომ კოლხები - ერთ-ერთი ტომია აღნიშნულთა შორის და ისინი ცხოვრობენ ყველა ტომის ქვემოთ, სამხრეთში. შესაბამისად, კოლხეთიც სამხრეთითაა, თუ კერძოდ სად - ამას თვითონ ზომებით აღწერს სტრაბონი - მისი თვალსაზრისით მდინარე ფაზისიდან ბოსფორამდე არის 4.000 სტადიონი (ბოსფორში მიმავალმა მითრიდატემ ფაზისიდან ეს გზა გაიარა), თუ ერთ სტადიონს ვივარაუდებთ 178 მეტრად, როგორც მიღებულია, მაშინ მდ. ფაზისიდან ბოსფორამდე არის 712 კმ. ამ მონაკვეთის თითქმის 482 კილომეტრიანი ზოლი ზღვისპირეთში ეჭირათ ზემოჩამოთვლილ ქართულ ტომებს.

კერძოდ, "ბატადან კერკეტების სანაპირომდე, რომელზედაც არის ნავთსაყუდელები და სოფლები დაახლოებით 850 სტადიონია, შემდეგ აქეელთა სანაპირო 500 სტადიონი, მერე ჰენიოხთა სანაპირო 1000 სტადიონი, ხოლო პიტიუნტის (სანაპირო) დიოსკურიამდე 360" (იქვე, თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957 გვ. 120).

მაშასადამე, ბატადან (ე.ი. მიახლოებით ნოვოროსიისკიდან) კერკეტების ტომს ეჭირა სანაპიროს 151 კმ (850 სტადიონი), აქეელებს ეჭირათ 89 კმ (500 სტადიონი), ჰენიოხებს ეჭირათ სანაპიროს 178 კმ (1000 სტ.), შემდეგ იყო პიტიუნტი, საიდანაც დიოსკურიამდე იყო 64 კმ (360 სტ.), სულ ამ ტომებს ეჭირათ სანაპიროს 482 კმ.

მართლაც, ამდენივეა ისტორიული საქართველოს შავიზღვის სანაპირო, კერძოდ, საძიებო სისტემა „Google Планета Земля" მიხედვით სახმელეთო მანძილი თანამედროვე ნოვოროსიისკიდან ხოფამდე (ძველ ხუფათამდე) არის დაახლოებით 460 კილომეტრი. სტრაბონის ცნობები დამაჯერებელია.

45. პიტიუნტი ოფ-რიზესთანაა

აღნიშნულ კილომეტრებს თუ გადავიყვანთ ჩვენს რეალობაში, მაშინ, გამოდის, რომ სტრაბონის "დიდი პიტიუნტი" არის არა აფხაზეთის ბიჭვინთა, არამედ რიზე-ოფთან ახლოს მდებარე პიტიუსა-პიტიუნტი. სწორედ აქ მიუთითებდნენ პიტიუნტის მდებარეობას ნ. ადონცი და პ. ინგოროყვა. მაშასადამე, აღნიშნულ 482 კილომეტრი ბატა-ნოვოროსიისკიდან არის არა მანძილი აფხაზეთის ბიჭვინთამდე, არამედ რეზე-ოფის მახლობელ პიტიუსამდე. აქედან აითვლებოდა კოლხიდა (სტრაბონის ცნობით), ანუ კოლხების საცხოვრისი.

46. კერკეტები და ქართულ ტომთა სახელების ფუძეები - "ერგ" და "არგ", (ეგრ-ისი, მ-არგ-ვეთი, მ-არგ-ალი, გურ-ია)

"ბატადან კერკეტების სანაპირომდე, რომელზედაც არის ნავთსაყუდელები და სოფლები დაახლოებით 850 სტადიონია".

სტრაბონის ორივე წყაროს ცნობით (ერთია არტემიდორე, მეორე კი მითრიდატეს ამბების აღმწერნი), შავი ზღვის სანაპიროს დიდი მონაკვეთი ბატა - ნოვოროსისკიდან 151 კმ (850 სტადიონი) ეჭირა კერკეტების ტომს, თითქმის, ალბათ, თანამედროვე სოხუმ-ოჩამჩირემდე. კერკეტები ჩვენმა ისტორიკოსებმა ეტიმოლოგიურად დაუკავშირეს ჩერქეზებს (ეს დაკავშირება ჩვენ შეუსაბამოდ მიგვაჩნია, რადგანაც თვით "პრავასლავნაია ენციკლოპედიას" ცნობითაც კი, ადიღე-ჩერქეზები შავიზღვისპირეთსა და საერთოდ ჩრდილო კავკასიაში გამოჩნდნენ თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდეგ, როცა აქ მან სტეპების ტომები გადმოასახლა. საერთოდ კი სიტყვა "ჩერქეზ" თურქულ სიტყვად მიიჩნევა.

ეტიმოლოგიურად სიტყვა "კერკეტი" გაცილებით ახლოა სიტყვა "გერგეტთან", გერგ ანუ გეორგ - ქართველთა ეთნიკურ სახელთან ("გერგ" და სუფიქსი "ეტი"). ჩრდილო კავკასიაში "გეორგ" ტომების ცხოვრების შესახებ სხვა ანტიკური ავტორებიც წერენ. საფიქრებელია, რომ "კერკეტ" იგივეა, რაც "გეორგეტ". ამასთანავე "გერგ" ფუძე-ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული ქართული ტომების სახელების ფუძეები - "ერგ", "არგ", აქედან ეგრ-ისი, მ-არგ-ვეთი, მ-არგ-ალი, გურ-ია და სხვა.

კერკეტ - ერთ-ერთი რეგიონალური სახელი უნდა ყოფილიყო გეორგების ქართული ტომისა. მით უმეტეს, რომ კერკეტ-კერკიტები ქალდეა-ჭანეთთანაც ცხოვრობდნენ.

47. აქეელთა სანაპირო

“შემდეგ აქეელთა სანაპირო 500 სტადიონი”.

კერკეტების შემდეგ 89 კილომეტრიანი ზოლი (500 სტადიონი) ეჭირათ აქეელებს. სტრაბონის და სხვა ავტორების ცნობით, აქეელები არიან წარმოშობილნი არგონავტების რაზმის წევრ თესილიელებისაგან, “ამბობენ, რომ იაზონის ლაშქრიდან ფთიელმა აქაველებმა დაასახლეს აქაური აქაია, ხოლო ლაკონელებმა - ჰენიოხები, რომლებსაც მართავდნენ რეკასი და ამფისტრატე დიოსკურების მეეტლეები. ჰენიოხებმა ამათგან მიიღეს სახელი” (იქვე, თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 118).

აქეელები და ჰენიოხები ქართული ტომები არიან, რადგანაც პლინიუსის აზრით მსგავსადვე არგონავტებისაგან ჩამოყალიბდნენ იბერები, ალბანელები, ჩრდილო სომხები და მიდიელები - ერთი თესალური წარმომავლობის ხალხები (იხ. მიტროპოლიტი ა. ჯაფარიძე, დედაღვთისმშობელი შემწე ქართული ენისა, 2008, გვ. 5-30). აქეელები და ჰენიოხები, “არგონავტული წარმოშობის” გამო, თანამონათესავენი გამოდიან იბერებისა. მართალია, სტრაბონის თვალსაზრისით იბერები გადმოსახლდნენ დასავლეთის იბერიიდან (ესპანეთიდან), მაგრამ სხვა მწერლების ცნობებით ისე ჩანს, რომ იბერიელებისა და ალბანელების მმართველი დინასტიები (და ალბათ ხალხებიც) ჩამოყალიბდნენ კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის შემდეგ. ასევე, ჩრდილო სომხეთში მცხოვრები ხალხის წარმოშობას, როგორც აღინიშნა, არგონავტების წევრ არმენიოსთან აკავშირებდნენ (იქვე, გვ. 5-30). “მოქცევაჲ ქართლისაჲს” ცნობითაც, ეგრისწყლამდე (ე.ი. ეგრისშიც “ჰერეთიდან ეგრისწყლამდე”) დასახლდა არიან-ქართლიდან ჩამოსული ხალხი (საფიქრებელია, რომ ჩრდილო სომხები ეთნიკურად განსხვავდებოდნენ სამხრეთში მცხოვრებ სომხებისაგან და ტომობრივად ალბანელებსა და იბერებს ენათესავებოდნენ).

48. ჰენიოხთა სანაპირო

“მერე ჰენიოხთა სანაპირო 1000 სტადიონი”.

სანაპიროს ყველაზე დიდი ნაწილი 178 კილომეტრი (1000 სტადიონი) ეჭირათ ჰენიოხებს.

ჰენიოხების სახელს ეტლთან, ე.ი. ცხენოსნობასთან აკავშირებდნენ. აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ, რომ ცხენს ძველ ქართულად ჰუნე ერქვა, თუ ეს დაკავშირება შესაძლებელია - სიტყა “ჰუნე” “ხი” - სუფიქსის დართვით თითქოსდა გვაძლევს “ჰენიოხს” - რაც ალბათ “ცხენოსნებს”, “ცხენოსანს” ნიშნავს. საერთოდ კი სიტყვა “ცხენი” შესაძლოა სიტყვა “მესხენთან” - ”მესხთან” იყოს ახლოს. შესაძლოა, ეს ტომი ცხენოსნობით იყო განთქმული, მართლაც მესხებით დასახლებულ კაპადოკიას “კარგი ცხენების ქვეყანა” ერქვა.

სტრაბონის მეორე წყაროს თანახმად კი ბატადან - დიოსკურიამდე ცხოვრობდნენ “ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები”.

49. პიტიუნტის სანაპირო

“ხოლო პიტიუნტის (სანაპირო) დიოსკურიამდე 360”.

კოლხების საცხოვრისი განისაზღვრულია დიოსკურიიდან ქვემოთ. “დიოსკურიის შემდეგ დანარჩენი სანაპირო კოლხიდისა არის და მის მომდევნო ტრაპეზუნტთან ქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას”.

რიზესთან ჭანების (ე.ი. კოლხების) ტომების ცხოვრების შესახებ მიუთითებდა პროკოფი კესარიელი, რომლის ცნობითაც რიზესთან ჭანებს ებრძოდნენ რომაელი ჯარები ჭანივე თეოდორეს მეთაურობით.

დიოსკურია ჩანს მდებარეობდა ოფ-რიზესა და ტრაპეზუნტს შორის.

შავი ზღვის აღმოსავლეთი რკალის მოხრილობა, სტრაბონის ცნობით, იწყებოდა ბატადან და მთავრდებოდა პიტიუნტთან და დიოსკურიასთან. მართლაც, თუ რუკას დავხედავთ, ვნახავთ, რომ ეს რკალი მთავრდება სადღაც რიზესთან.

სტრაბონი წერს - ”ეს სანაპირო მიემართება აღმოსავლეთისაკენ და უყურებს სამხრეთს, ხოლო ბატადან ნელ-ნელა ბრუნდება, შემდეგ შემობრუნდება დასავლეთისაკენ და სრულდება პიტიუნტთან და დიოსკურიასთან” (იქვე, თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 121). ესაა შავი ზღვის მორკალულობის აღწერა ნოვოროსიისკიდან ტრაპეზუნტისაკენ.

სტრაბონის პიტიუნტი - ამ მხრივ ათინა-რიზეს სანაპიროა, რადგანაც იქ შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაწილის სანაპიროს რკალი მთავრდება.

სტრაბონი დიოსკურიას ტრაპეზუნტის რეგიონში ათავსებს, როცა განაგრძობს აღწერას შავი ზღვის სანაპიროს მორკალულობისა: “დიოსკურიის შემდეგ დანარჩენი სანაპირო კოლხიდისა არის და მის მომდევნო ტრაპეზუნტთან ქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას, შემდეგ პირდაპირ მიემართება და ქმნის მარჯვენა გვერდს პონტოსას, რომელიც უყურებს ჩრდილოეთს” (იქვე, გვ. 121).

მაშასადამე, კოლხეთი იწყებოდა დიოსკურიასთან (ტრაპეზუნტის მახლობლად), რომელიც ათინა-პიტიუნტიდან დაშორებული იყო 64 კმ-ით. ამ არეალშია სტრაბონის კოლხეთი და არა დასავლეთ საქართველოს ცენტრში. აღსანიშნავია, რომ მისი პირველი წყარო - ”არტემიდორე” საერთოდ არ ახსენებს ტომების ჩამონათვალში კოლხებს, ხოლო მეორე წყარო - ”მითრიდატეს ამბების აღმწერნი” კოლხებს ასახელებს ტომების ჩამონათვალის ბოლოში, ჩამოთვლა კი იწყება ბატა-ნოვოროსიისკიდან თითქმის ტრაპეზუნტამდე.

ასე, რომ სტრაბონის კოლხეთი მდებარეობდა იბერიის სამხრეთ - დასავლეთით, ანუ იბერიის ქვემოთ, იბერია კი კოლხეთის “ზემოთ”.

მეორე მხრივ - მდ. ფაზისი კოლხეთის მდინარეა, დიოსკურიაც - კოლხეთის ქალაქია. ეს ადგილი “კავკასიონის ქვემოთაა”. კავკასიონის ქვეშ, ამ შემთხვევაში, სტრაბონი ისე, როგორც, სხვა მრავალი ძველი ავტორი, გულისხმობს ე.წ. “მცირე კავკასიონს”, სადაც განლაგებულია არსიან-კარჩხალის დიდი მთიანეთი. აქვეა ისტორიული პროვინცია “საკავკასიძეო” და ამჟამადაც კი, კარჩხალის ფერდობზეა პუნქტი სახელწოდებით “კავკასორი” (თუმცა, ცხადია, სტრაბონისათვისაც ძირითადი “კავკასია” არის “დიდი კავკასიის ქედი”), ერასტოსთენეს თქმით, ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ კასპიად წოდებული “ზოგი ტოტი ამ ქედისა მოემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს, და მოსხებისად წოდებულთ, აგრეთვე სკიდისეს და პარიადრეს. ყველა ესენი არიან ტავრის ნაწილები, რომელიც ჰქმნის არმენიის სამხრეთ ნაწილს” (იქვე, გვ. 122). “დიოსკურია ამისთანა უბეში მდებარეობს და უჭირავს უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი მთელი ზღვისა” (იქვე, გვ. 122). მაშასადამე, დიოსკურიის მახლობლად არმენიისა და მოსხების მთები ყოფილა. თუ დიოსკურია სოხუმია, როგორც მიჩნეულია ამჟამად (იქვე, გვ. 276), მაშინ გამოდის მის ახლოს იყო არმენიისა და მოსხების მთები და ის იყო “უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი მთელი ზღვისა”, რაც ასე არ არის. ამიტომ დიოსკურია უფრო სამხრეთით უნდა ვეძიოთ.

დიოსკურიასთან ახსენებს სტრაბონი ფაზისს (იქვე, გვ. 122), რადგანაც მიიჩნევს, რომ ქვეყანა ფაზისიდან (ე.ი. ჭოროხიდან) თემისკირამდე - ზოგადად კოლხეთია (ე.ი. არსებობდა კონკრეტული კოლხეთიც). ასე გვესმის ჩვენ სტრაბონის ფრაზა, რომ აღნიშნული მთიანეთის ნაწილები ვრცელდებიან თემისკირამდე დაწყებული კოლხიდიდან (იქვე, თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957 გვ. 122). “დიოსკურია ამისთანა უბეში მდებარეობს” - წერს ის, ე.ი. მის წინ შავი ზღვის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი მდებარეობს, ხოლო უკან კი კავკასიის მთიანეთისა და არმენიის ტავრის მწვერვალებია აზიდული.

50. დიოსკურია - მდებარეობდა შავი ზღვის “ყველაზე ჩავარდნილ უბეში” ანუ 41-ე პარალელს (განედს) ქვემოთ

სტრაბონი წერს: “დიოსკურიადა ასეთ უბეში მდებარეობს - უჭირავს მთელი ზღვის ყველაზე აღმოსავლეთი წერტილი, ეს უბე ევქსინის პონტოს ყველაზე “ჩავარდნილ ადგილად” ითვლება, ხოლო იქ ცურვა მიჩნეულია ყველაზე უშორესად, ამიტომ ასე უნდა გავიგოთ ცნობილი ლექსი:

“ფაზისზე, რომელიც ხომალდებისათვის ბოლო წერტილია”, და არა ისე თითქოს, იამბის ავტორს მხედველობაში ჰქონდა მდინარე და მასთან მდებარე თანამოსახელე ქალაქი. უფრო კი ისე, რომ ქვეყნის ამ ერთი ნაწილით, მან მთელი კოლხიდა გამოხატა, რადგანაც მდინარიდან და ქალაქიდან “ჩავარდნილ ადგილამდე” პირდაპირი ხაზით არანაკლებ 600 სტადიონია” XI, 2, 16 (სტრაბონი, გეოგრაფია, 1964, გამომცემლობა “ნაუკა”, რუს. ენაზე, გვ. 472).

(მაშასადამე, ფაზისიდან დიოსკურიამდე 600 სტადიონზე მეტი მანძილი იყო (სტრ, XI, 2, 16).

რას ნიშნავს დიოსკურიასთან დაკავშირებული სტრაბონის სიტყვები - ”ყველაზე ჩავარდნილი უბე”, “ჩავარდნილი ადგილი”?

სტრაბონის არც ერთ ქართულ თარგმანში ეს სიტყვა “ჩავარდნილობა”, “ჩავარდნილი უბე” არ ჩანს, მაგრამ რუსულში ასეა - ”ონა სჩიტაეტსია “ვპადინოი” ევკსინსკოგო პონტა” (სტრაბონი, გეოგრაფია, 1964, რუს. ენაზე, გვ. 472), ან “ოტ რეკი ი გოროდა დო ვპადინი” (იქვე, გვ. 472) და სხვა.

ცხადია, ლაპარაკია ზღვის ისეთ უბეზე, რომელიც განსაკუთრებით დაბლა მდებარეობდა შავი ზღვის სხვა უბეებთან შედარებით. მაშასადამე, დიოსკურიასთან უბე შავი ზღვის ყველაზე დაბალ წერტილში მდებარეობდა.

თუ ჩვენ რუკაზე დავიხედავთ, მთელი შავი ზღვის ასეთი ყველაზე დაბალი წერტილი, ყველაზე სამხრეთით მდებარე უბე ანუ “ყველაზე ჩავარდნილი უბე” მდებარეობს თანამედროვე პუნქტ სურმენესთან, რიზესა და ტრაბზონს შორის, უფრო ზუსტად ოფსა და არაკლის შორის.

მართლაც, ზუსტად რიზესა, ტრაბზონსა და სტამბოლზე გადის 41-ე პარალელი რომელიც ერთმანეთთან აერთებს შავი ზღვის ყველაზე სამხრეთით მდებარე წერტილებს. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს სხვა პუნქტები ამ პარალელის მაღლა მდებარეობენ, მაგრამ არსებობს ორი გამონაკლისი, ერთია ამ 41-ე პარალელის დაბლა მდებარე აღნიშნული სურმენეს “ჩავარდნილი” უბე, რომელიც კარგად ჩანს რუკაზე (ოფსა და არაკლის შორის). მეორე ასეთი 41-ე პარალელის ქვემოთ მდებარე უბეა ორდუ-გირესუნის უბე ტრაბზონის დასავლეთით, მაგრამ, ჩანს ამ ორ “ყველაზე ჩავარდნილ უბეს” შორის, უფრო “ჩავარდნილად” სტრაბონის დროს ითვლებოდა არაკლი-სურმენეს უბე (რომელიც ამჟამადაც, მართლაც უფრო სამხრეთით მდებარეობს) - ჩანს, აქ, სურმენეს ახლოს მდებარეობდა დიოსკურიადა (დიოსკურია).

დიოსკურია არანაკლებ 600 სტადიონით, ანუ 106 კილომეტრზე მეტი მანძილით იყო დაშორებული ფაზისს ანუ ჭოროხის შესართავს, ხოლო (დიოსკურია), როგორც ითქვა, 360 სტადიონით (64 კმ - ით) იყო დაშორებული პიტიუნტიდან.

51. კოლხიდის სანაპირო

როგორც ითქვა, კოლხების საცხოვრისი განისაზღვრულია დიოსკურიის ქვემოთ. “დიოსკურიის შემდეგ დანარჩენი სანაპირო კოლხიდისა არის და მის მომდევნო ტრაპეზუნტთან ქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას”. მართლაც, აღნიშნულ სურმენედან (სადაც ჩვენ ვათავსებთ დიოსკურიას) ტრაპეზუნტამდე სანაპირო მოხრილია, იმ მხრივ, რომ ის მიემართება არა დასავლეთით, არამედ ჩრდილო-დასავლეთით, მიემართება მაღლა. დაბლა კი, “ჩავარდნილ” უბეში, ტოვებს სურმენე-დიოსკურიას. ეს უბე ოფ-რიზეს ახლოს, მათ დასავლეთით მდებარეობს.

ზოგადად კოლხეთი იყო ქვეყანა ფაზისიდან (ჭოროხიდან) ტრაპეზუნტამდე, აქედან გამომდინარე მისი ნაწილია “სანაპირო პიტიუნტიდან ტრაპეზუნტამდე” (იქვე, თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 283), მაგრამ კონკრეტული “კოლხეთის სანაპიროს” ქვეყანა განლაგებული იყო დიოსკურიიდან (არაკლი სურმენედან) ტრაპეზუნტამდე.

შავიზღვისპირეთს ტრაპეზუნტიდან დიოსკურიამდე ერქვა “კოლხიდის სანაპირო”. რადგანაც წერდა: “დიოსკურიის შემდეგ დანარჩენი სანაპირო კოლხიდისა არის”.

“დიოსკურიასთან მიედინება მდ. ქარესი”.

52. “ფაზისი - ხომალდებისათვის ბოლო წერტილი”

“ფაზისზე, რომელიც ხომალდებისათვის ბოლო წერტილია” - წერდნენ სტრაბონამდეც ცნობილი ავტორები, რა იგულისხმება ამ სიტყვებით?

მიიჩნეოდა, რომ მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ყველაზე შორეული პორტი, ანუ ბოლო სამარშრუტო სანაოსნო წერტილი იყო ქალაქი ფაზისი.

ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა პორტები უფრო ახლოს იყვნენ ბერძნულ ცენტრებთან, მაგალითად, ტრაპეზუსიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ გასული გემი ჯერ დიოსკურიასა და პიტიუსას შეხვდებოდა, ბოლოს კი, ყველაზე ბოლოს ფაზისის პორტში შეცურდებოდა. რაც იმას ნიშნავს, რომ ფაზისიდან ბატამდე არცერთი სხვა პორტი არ მდებარეობდა, ის უნავსადგურო სანაპირო ყოფილა სტრაბონამდე, ამიტომაც იყო ფაზისი "ხომალდებისათვის ბოლო წერტილი", თუმცა უმნიშვნელო "ნავთსაყუდელები" კერკეტების სანაპიროზეც მდებარეობდნენ.

53. მანძილები პუნქტებს შორის (დიოსკურიადა არის თანამედროვე სურმენე, პიტიუნტი კი ათინა-პაზარია)

სტრაბონის ცნობა, რომ "ბატადან კერკეტების სანაპირომდე, დაახლოებით 850 სტადიონია, შემდეგ აქეელთა სანაპირო 500 სტადიონი, მერე ჰენიოხთა სანაპირო 1000 სტადიონი, ხოლო პიტიუნტის (სანაპირო) დიოსკურიამდე 360" - ალბათ ასე უნდა გავიგოთ:

დიოსკურიიდან პიტიუნტამდე იყო 360 სტადიონი და ასევე იწოდებოდა კიდეც - "პიტიუნტის სანაპირო" (დიოსკურია, როგორც ითქვა, 360 სტადიონით (64 კმ-ით) იყო დაშორებული პიტიუნტიდან), ამ უკანასკნელიდან 1000 სტადიონი იწოდებოდა "ჰენიოხთა სანაპიროდ", რომელსაც მოსდევდა "აქეელთა სანაპირო" (500 სტადიონი), აქედან ბატამდე "კერკეტების სანაპირო" 850 სტადიონზე გრძელდებოდა.

"მდინარიდან და ქალაქიდან (ფაზისიდან) "ჩავარდნილ ადგილამდე" პირდაპირი ხაზით არანაკლებ 600 სტადიონია" (XI, 2, 16).

თანამედროვე რუკაზე მანძილები სტრაბონის მონაცემებით ასეთ სახეს მიიღებს: ჭოროხის შესართავიდან (ფაზისიდან) რიზემდე არის დაახლოებით 106 კილომეტრი (600 სტადიონი), მაგრამ დიოსკურია "ჩავარდნილ" უბეში მდებარეობდა. ასეთი უბე მდებარეობს რიზეს დასავლეთით სურმენესთან. ჭოროხიდან ამ "ჩავარდნილ" უბემდე კი დაახლოებით 140 კილომეტრამდეა, ეს 600 სტადიონზე მეტია, მაგრამ სტრაბონიც ამას მიუთითებდა რომ მანძილი ფაზისიდან დიოსკურიამდე "600 სტადიონზე არანაკლები იყო", მაშასადამე, დიოსკურია რიზესა და სურმენეს შუა, უფრო სურმენეს "ჩავარდნილ" უბესთან მდებარეობდა.

დიოსკურიადან პიტიუნტამდე 360 სტადიონი ანუ 64 კმ იყო. სურმენედან დაახლოებით 64 კილომეტრის დაშორებითაა პუნქტი ათინა პაზართან (არდეშენთან) შესაბამისად, ალბათ, პაზარი (ჩაიელი) ან ათინა იწოდებოდა პიტიუნტად.

ე.ი. სანაპიროს ტრაბზონიდან სურმენემდე ეწოდებოდა "კოლხიდის სანაპირო", სურმენედან დაახლოებით პაზარამდე "პიტიუნტის სანაპირო", რომელსაც მოყვებოდა ჰენიოხთა, აქეელთა და კერკეტების სანაპიროები დაახლოებით ნოვოროსიისკამდე.

დამატებით, ალბათ, შესაძლოა ვთქვათ, რომ ქართველი ტომებით, ჭანებითა და ბიძერებით დასახლებულ სანაპიროზე მდებარე ამ პიტიუნტის კათედრიდან უნდა ყოფილიყო 325 წელს I მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე პიტიუნტელი ეპისკოპოსი და არა აფხაზეთის ბიჭვინთიდან. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი (ბიჭვინთა) პიტიუნტად მიიჩნიეს მხოლოდ მისი სახელის ბგერითი მსგავსების გამო იქაურ ქართულ ტოპონიმ "ბიჭვინთასთან". აფხაზეთის ბიჭვინთა კი მუდამ ქართულ ეკლესიასთან იყო დაკავშირებული და არა ბიზანტიურთან.

(ბგერით მსგავსებასთან დაკავშირებით ისიც შეიძლება აღვნიშნოთ, რომ არდაშენ-რიზეს რეგიონში გვხვდება მრავალი ტოპონიმი "პაზარის" სახელის მქონე, მაგალითად ოფის სამხრეთით "დერნეპაზარი", ოფის ჩრდილოეთით ზღვისპირზე "ეს(კი)პაზარი", ოფისავე სამხრეთით, ისპირთან ახლოს, ჭოროხისპირზე "პაზარიოლუ" და თვით ქალაქი "პაზარი", რომელსაც ჩვენ პიტიუნტად მივიჩნევთ ათინა-არდაშენთან ერთად. პაზარის სახელის მქონე პუნქტები ასევე მდ. კელკიტის შესართავის რეგიონშიც მდებარეობდა. სახელი პაზარი იმითაა საინტერესო, რომ მიაგავს სიტყვა ფაზისს. ეპარქიას ლაზიკეში, ასევე ერქვა "ფაზისისა").

პ. ინგოროყვას აზრით კლავდი პტოლომეს გეოგრაფიაში ნახსენები ნავსადგური “პიტიუსა” (და ასევე “ჰვისის ნავსადგური”) მდებარეობდა ტრაპიზონსა და რიზეს შორის (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ, 253). მისივე კვლევით სხვადასხვა ავტორების მიერ ნახსენები პიტიუს, პიტიუსა, პიტჰია ოფთან ახლოს მდებარეობდა. ის წერს - “V საუკუნის დასაწყისის ძეგლში, რომელსაც ეწოდება Notatiae Dignitatum პონტოს პროვინციაში, ტრაპიზონის მხარეში დასახელებული ჰვისის ნავსადგური (**უსი პორტო)** არის სურმენე, ხოლო პითია (პიტჰია) - არის ოფი” (იქვე, გვ. 253).

მისგან განსხვავებით, როგორც აღინიშნა, მე ვთვლი რომ სტრაბონის მიერ ნახსენები დიოსკურია მდებარეობდა სურმენესთან, ხოლო პიტიუნტი - პაზართან.

დასკვნა

კოლხეთი მდებარეობდა არა იბერიის დასავლეთით, არამედ მის სამხრეთ-დასავლეთით. შესაბამისად იბერია “კოლხეთის მაღლა” მდებარეობდა, როგორც წერს სტრაბონი. თუ ასე იყო, მაშინ მართლდებიან ძველქართული წყაროები (“ქართლის ცხოვრება” და «მოქცევაჲ ქართლისაჲ”), რომელთა დაბეჯითებული მტკიცებით ფარნავაზიდან ვახტანგ გორგასლამდე ქართლის სამეფო მოიცავდა დასავლეთ საქართველოსაც და მისი საზღვარი აქ მდ. ეგრისწყალზე გადიოდა (შემდეგ კი ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით უფრო განივრცო).

შესაბამისად, დასავლეთ საქართველო, არა ბიზანტიურ, არამედ ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში იდო და დაარსებისთანავე ქართულ საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა, რასაც მიუთითებენ კიდეც წყაროები.

ივ. ჯავახიშვილის სიდიადე ჩანს იქიდანაც, რომ მან ეკლესიის წიაღში ძველთაგანვე დანერგილ თეორიას - წმიდა ნინოს დროიდან ქართული ეკლესიის ერთიანობის შესახებ - უპირობოდ დაუჭირა მხარი, უფრო მეტიც, ის მის ერთგულ მცველად იქცა, ამ თეორიას მისცა დიდი შეფასება, მიიჩნია მთელი ქართველი ხალხისა და მის საუკეთესო შვილთა ნაღვაწად, საუკუნეთა ბრძოლით მიღწეულ მონაპოვრად.

ამავე დროს, მისთვის კარგად იყო ცნობილი სხვა თეორიებიც ამ სფეროში. მაგალითად, მისი მოღვაწეობის პერიოდში ზოგიერთი მეცნიერი აყალიბებდა თეორიას, თითქოსდა, თავდაპირველად დასავლეთი საქართველო იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ. ივ. ჯავახიშვილმა ეს ახალი თეორია მიიღო როგორც ერთ-ერთი მიმდინარე სამუშაო თეორია, რომელიც ემსგავსებოდა თეორიას - დასავლეთ საქართველოს ანტიოქიის იურისდიქციის ქვეშ ყოფნის შესახებ.

როგორც ითქვა, მისთვის ზოგადად, როგორც მეცნიერისათვის, მისაღები იყო მხოლოდ თეორია ქართული ეკლესიის თავდაპირველი ერთიანობის შესახებ, რადგანაც ის მიაჩნდა “მთელი ქართველი ერის მიერ შესისხლხორცებულ შემეცნებად”, რომლის მოსპობის უფლება, მისი აზრით, არავის ჰქონდა, არც მათ ვინც დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლურ იურისდიქციას უჭერდა მხარს და არც ანტიოქიურის მომხრეთ.

ივ. ჯავახიშვილმა განიხილა საქართველოს ეკლესიის მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, კერძოდ, ის წერს: “XV საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი ჩამოვიდა... რასაკვირველია, უმთავრესად შეწირულებისა და ფულის შესაგროვებლად იყო გარჯილი” (ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 447). მას დაუწერია “მცნება სასჯულო”, სადაც აღნიშნული აქვს, რომ წინათ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსნი ანტიოქიის პატრიარქისაგან იყვნენ დამოკიდებული და მათგან ჰქონდათ მიღებული ხელდასხმა. ქართული ეკლესიის მერმინდელი თვითმწყსობა და საეკლესიო თვითმმართველობა ანტიოქიელ-იერუსალიმელ პატრიარქს უკანონო მოვლენად ჰქონდა გამოცხადებული” (იქვე, გვ. 447).

ასეთი ქმედება აღაშფოთებს ივ. ჯავახიშვილს, მას მიაჩნია, რომ ანტიოქიელს არავითარი სამართლებრივი უფლება არ გააჩნდა აფხაზეთის საკათალიკოსოს მიმართ. თავისი მსჯელობის

საყრდენად მიიჩნევს ქართული ეკლესიის წიაღში ძველთაგან არსებულ სამართლებრივ დოკუმენტს, გამოცემულს რუის-ურბნისის კრების მამების მიერ, რომ თავდაპირველად ანუ I-IV საუკუნეებში, ანდრია მოციქულისა და წმიდა ნინოს ეპოქაში, ჩამოყალიბდა არა ორი სხვადასხვა ეკლესია, არამედ ერთი, სრულიად საქართველოს მომცველი ეკლესია, რომ ორივე განმანათლებელმა, როგორც ანდრიამ, ისე წმიდა ნინომ, მხოლოდ ერთი ეკლესია ჩამოაყალიბეს, რომ ისინი მოღვაწეობდნენ არა სხვადასხვა სახელმწიფოებრივ არეალზე, არამედ ერთ გეოპოლიტიკურ სივრცეში, რომ წმ. ანდრიამ სახარება იქადაგა "ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა", ხოლო წმიდა ნინომ კი განანათლა "ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა". მაშასადამე, მათ ერთი ეკლესია ჩამოაყალიბეს და ამ ეკლესიამ ავტოკეფალია ძველთაგანვე მოიპოვა, რომ მხოლოდ შემდეგ ამ ერთიანი ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა ორი საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული - ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები, რომ ისინი, მართალია, ადმინისტრაციულად თავისთავადი საეკლესიო ერთეულები იყვნენ, მაგრამ ქმნიდნენ ერთ ქართულ საეკლესიო მთლიანობას, რადგანაც გააჩნდათ საერთო საეკლესიო სამართალი, საერთო სჯულისკანონი, საერთო საეკლესიო ტრადიციები და ლიტურგიის საერთო ქართული ენა. ადმინისტრაციული თავისთავადობა აფხაზეთის საკათალიკოსოს მიუღია ქართლის საპატრიარქოსაგან, როდესაც IX საუკუნეში ქართველთა მეფე ბაგრატმა "განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს".

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენთვის ეს ფაქტი წარმოადგენს ისტორიულ მაგალითს.

როგორც ცნობილია, ამჟამად ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ მიიჩნევა, რომ თავდაპირველად დასავლეთ საქართველო IV-IX საუკუნეებში 500 წლის მანძილზე, თითქოსდა, იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. ეს თეორია ძალზე საშიშია სამომავლოდ, რადგანაც ისეთივე სამართლებრივ უფლებამოსილებას ანიჭებს კონსტანტინოლის საპატრიარქოს, როგორიც თავისთავზე მიიწერა ანტიოქიელმა პატრიარქმა მიხეილმა.

III მსოფლიო კრების მე-8, ასევე მოციქულთა 35-ე და II მსოფლიო კრების მე-2 კანონის ძალით, სხვის ეკლესიაში შეჭრილი მეორე ეკლესია ვალდებულია აღადგინოს თავდაპირველი მდგომარეობა.

ამ კანონებიდან გამომდინარე, თუკი დასავლეთ საქართველოზე თავის უფლებამოსილებას თავდაპირველად ახორციელებდა კონსტანტინოპოლი, მას უნდა დაუბრუნდეს კიდეც ეს საეკლესიო ერთეული.

ვფიქრობ, ივ. ჯავახიშვილი მხარს არ დაუჭერდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამჟამად გაბატონებულ თეორიას დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში 500-წლოვანი ყოფნის შესახებ. პირიქით, ის ამ თეორიას მიიჩნევდა "მთელი ქართველი ხალხის ბრძოლით მონაპოვრის" უარყოფად და ის მხარს დაუჭერდა რუის-ურბნისის კრების სამართლებრივ აქტს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში I-IV საუკუნეებში ჩამოყალიბდა ერთიანი ეკლესია, რომ წმიდა ანდრიასა და წმიდა ნინოს ღვაწლით დაფუძნებული ქართული ეკლესია თავიდანვე ერთიანი იყო, თუმცა მისთვის ეს და სხვა სამეცნიერო თეორიებიც აღნიშნულ საკითხზე ცნობილი იყო.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: "გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა "ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა", ხოლო შემდგომ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულთმოქმედებამ და ქადაგებამ "მიიზიდა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა". ნიკოლოზ კათალიკოსიც, წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად თვლიდა "ჩვენ ქართველთაჲსა" ("სასწაულნი სვეტიცხოვლისა"). ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ,

რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი, სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა" (ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. III, გვ. 340).

სამწუხაროა, რომ ძველ ქართველ სახელოვან მეცნიერთა (ივ. ჯავახიშვილის შეფასება) მიერ ბოძებულ შემეცნებას სპობს ზოგიერთი ახალი ქართველი მეცნიერი, თანაც ისეთი უმაღლესი საერთაშორისო საეკლესიო ორგანოდან, როგორიცაა "პრავოსლავნაია ენციკლოპედია".

მაგალითად, ძველი ქართული წყაროების საწინააღმდეგოდ "პრავოსლავნაია ენციკლოპედია"-ს მე-13 ტომის ავტორები (გვ. 200) ნოტიციებზე - ბიზანტიურ კათედრათა ნუსხებზე - დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ დასავლეთ საქართველოში IX საუკუნემდე არსებული საეპისკოპოსოები კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ. თითქოსდა, "ეგრისის სამეფოში, I ნოტიციის მიხედვით, არსებობდა ლაზიკის ეპარქია, რომლის ცენტრი იყო ფაზისის (ფოთის) სამიტროპოლიტო ოთხი საეპისკოპოსო კათედრით - როდოპოლისი (ვარციხე), საისინი (ცაიში), პეტრა (ციხისძირი), ზიგანა (ზიგანისი, გუდავა) ("პრავოსლავნაია ენციკლოპედია", ტ. XIII, გვ. 200, რუს. ენაზე). თითქოსდა, შემდგომ ისინი ქართულმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლს ჩამოაშორა.

ვშიშობთ, რომ ეს არასწორი თეორია, გავრცელებული მთელ მსოფლიოში "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" მიერ, დიდ საფრთხეს შეუქმნის სამომავლოდ საქართველოს ტერიტორიულ და საეკლესიო მთლიანობას.

სინამდვილეში, ლაზიკის აღნიშნული საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ ტრაპეზუნტის ოლქში - ქალაქ ზიგანას რეგიონში, იქვე იყო როდოპოლისის კათედრაც. ამის შესახებ მიუთითებს არა მხოლოდ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი ნ. ადონცი, არამედ, ამჟამად, საბერძნეთში დაბეჭდილი ზოგიერთი საეკლესიო რუკაც.

ქართული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით, მუდამ, ფარნავაზ მეფის დროიდანაც, დასავლეთ საქართველო ყოველთვის შედიოდა ქართლის სამეფოს საზღვრებში ვიდრე მდ. ეგრისწყლამდე (ვახტანგ გორგასლის შემდეგ ვიდრე მდ. კლისურამდე). ამიტომაც მიიჩნეოდა, რომ ამ სასაზღვრო მდინარეების აქეთ, დასავლეთ საქართველოში, კონსტანტინოპოლს არასოდეს იურისდიქცია არ გააჩნდა, მხოლოდ ამ მდინარეების იქით (ნიკოფსიისაკენ) მდებარე ტერიტორია შედიოდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში, VIII საუკუნემდე. ამიტომაც, როდესაც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დასავლეთ საქართველოში კონსტანტინოპოლს არ გააჩნდა თავისი იურისდიქცია, ცხადია, იგულისხმება ამ სასაზღვრო მდინარეების აქეთ მდებარე დასავლეთ საქართველოს ტერიტორია. როგორც ცნობილია, მდ. ეგრისწყლად მიიჩნევა მდ. ღალიძგა (ოჩამჩირის რაიონში), ხოლო მდ. კლისურად-მდ. კელასური (სოხუმთან). დასავლეთ საქართველოში კონსტანტინოპოლის იურისდიქციის მომხრე მეცნიერები თავიანთ მტკიცებას საფუძვლად უდებენ სტრაბონისა და სხვა ავტორების ცნობებს, თითქოსდა, ისინი კოლხეთსა და ლაზიკას დასავლეთ საქართველოს უწოდებდნენ. ვფიქრობ, ჩემი კვლევა სტრაბონისა აჩვენებს, რომ სტრაბონის კოლხიდა მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველთა ისტორიულ ქვეყანაში - სამხრეთ დასავლეთ საქართველოში. ამიტომაც სტრაბონი არა თუ ეწინააღმდეგება ძველქართული წყაროების ცნობებს დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებით, არამედ განამტკიცებს კიდეც მათ.


დიოსკურიადა
სტრაბონის ცნობით, დიოსკურიადა მდებარეობდა შავი ზღვის ყველაზე „ჩავარდნილ“ უბეში, 41⁰ პარალელის ქვემოთ
"Диоскуриада считается "впадиной" Евксинского Понта" (Страбон, XI, II, 16). "От реки и города до "впадины" (Страбон, XI, II, 16).
სტრაბონის კოლხეთი
დიოსკურიადა
რუკის ავტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
პირობითი აღნიშვნები
დიოსკურია (დიოსკურიადა) – შავი ზღვის ყველაზე სამხრეთით მდებარე წერტილი
პარალელები
მერიდიანები
მასშტაბი 1:7.000.000
შ ა ვ ი ზ ღ ვ ა
დიოსკურია
დიოსკურიადა
30°0'0"E
40°0'0"E
47°0'0"N
46°0'0"N
45°0'0"N
44°0'0"N
43°0'0"N
42°0'0"N
41°0'0"N
40°0'0"N
© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2011

სტრაბონის კოლხიდა
სამ ნაწილად გაყოფილი მოსახების ქვეყანა
ოქრომწყობლე მთიანეთი ანაგია მაკრონები
პირობითი აღნიშვნები
არიენის მიერ ხელდებული მესხები
იბერიის მესხები
კოლხეთის მესხები
მასშტაბი 1:3.300.000
სამაგალ მაკრონების საცხოვრისი იბერიას, არმენიასა და კოლხიდის შორის
სტრაბონის მიხედვით (I საუკუნე)
„მოსხების ქვეყნის სამ ნაწილს შეადგენს: ერთი მასი ნაწილი ახლო კოლხებს,
შეორე იბერებს და შესაძლე არმენიელებს“ (სტრაბონი, XI, II, 18).
კოლხეთის ზღვა
(შავი ზღვა)
© მიქელაძეების ანანია გაგარინის, 2011

ქართული ტერმინი ანბანური თანმიმდევრობით
სწორაბოლის კილსკიმი
ქართული წიგნები შიგნიზღვისპირეთში
ოქმის ასხლით: მიხეილ ლორთქიფანიძე ანანია ჯაშიაშვილი
პირობითი აღნიშვნები
მანრა ალ - ოლქი • ქალაქი
ხანგამბო - წყარო ——— მდინარე
პარიდი, მთა
მასშტაბი 1:3.000.000
© მიხეილოლაბი ანანია ჯაფარიძე, 2011


იბერია სტრაბონის ეპოქაში
სტრაბონის კოლხეთი
ორად გაყოფილი იბერია სტრაბონის ეპოქაში
რუკის ავტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
პირობითი აღნიშვნები
საზღვარი მცხეთისა და არმაზის იბერიებს შორის მიუყვებოდა მდინარე მტკვარსა და საერისთავოთა შესაბამის საზღვრებს
საერისთავოების საზღვარი
სუვერენული ანუ მცხეთის იბერია
რომისა და არმენიის მიერ ხელდებული არმაზის იბერია
მასშტაბი 1:3.000.000
პონტოს ზღვა
(შავი ზღვა)
(ანაკოფია)
(ცხუმი)
არქეოპოლისი (ციხისძირი)
ფაზისი (გონიო)
პიტიუნტი (პიტიუსა, პაზარი, ათინა)
სებასტოპოლისი (არდაშენი)
ტრაპეზუნტი
დიოსკურია (სურმენე)
ოფი
რიზე
მცხეთა
არმაზი
ხილხალა (გულგულა)
მტკვარი
ალგეთი
ქორახი
რახხი (არაქსი)
ქვირაქი
სევანის ტბა
© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2011

„ოთხი დღის გზა“ სარაპანადან კირამდე (ართვინიდან მტკვრამდე)



სტრაბონის კოლხეთი

„ოთხი დღის გზა“

რუკის ავტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

პირობითი აღნიშვნები

საერთაშორისო გზა იბარიიდან და არმენიიდან შავ ზღვამდე არტაან-არტანუჯის გავლით

საერთაშორისო გზის მონაკვეთი სარაპანადან (ართვინიდან) კირამდე (მტკვრამდე), რომელსაც ოთხ დღეში გადიოდნენ ფეხით (დაახლოებით 70 კმ-იანი ალმართი)

მასშტაბი 1:1.500.000

„დანარჩენ კოლხეთს რაც შეეხება, მისი დიდი ნაწილი ზღვასთანაა, კოლხიდის გავლით მიედინება მდინარე ფაზისი, დიდი მდინარე, რომლის სათავე არმენიაშია. ის იღებს შენაკადებს გლავკოსისა და ჰიპოსისა, მახლობელი მთების მდინარეებისა. ფაზისი გემთმავალია სარაპანამდე. ესაა სიმაგრე, რომელსაც შეუძლია მთელი ქალაქის მოსახლეობა დაიტიოს.

აქ გამავალი საურმე გზით ფეხით ოთხ დღეში მიდიან კირამდე. მდ. ფაზისზე დევს იმავე სახელის მქონე კოლხების სავაჭრო ქალაქი, რომელიც ერთი მხრიდან მდინარით, მეორედან კი ტბითა და მესამედან ზღვითაა შემოსაზღვრული. აქედან ამისომდე და სინოპამდე ცურვას სჭირდება 2-3 დღე, რადგან ზღვის ნაპირას მიწა ჭყაპიანია, ხოლო მდინარეთა შესართავები ჭაობიანი". (სტრაბ. XI, **II**, 17).

„სარაპანამდე ფაზისი გემთმავალია". მკვლევარები დ. ბაქრაძე, ე. ვეიდენბაუმი, და გ. ყაზბეგი, ასევე წერენ მდინარე ჭოროხის შესახებაც, რომ ზღვიდან ართვინამდე ჭოროხზე 200-იოდე სავაჭრო ნავი დაცურავდა XIX ს-შიც. ე. ვეიდენბაუმის ცნობით, ჭოროხის შესართავის დასავლეთ სანაპიროზე, ზღვისპირზე, რამდენიმე ტბა იყო გონიოს ახლოს. აქ უნდა ვეძიოთ ქ. ფაზისი, ხოლო სარაპანა ართვინთან.

მდ. ფაზისი კი მდინარე ჭოროხია, რომლის სათავე არმენიის მიერ იყო ხელდებული სტრაბონის ეპოქაში.

სტრაბონი წერს: იბერიის „ქვეყანაში არის ოთხი შესასვლელი (გზა). ერთი მოდის კოლხთა სიმაგრე სარაპანიდან და მისი მახლობელი უღელტეხილიდან. აქედან ფაზისი ხმაურიანი ზათქითა და მღელვარე სწრაფი ნაკადით მიემართება კოლხეთში. ამ მდინარეზე 120 ხიდია, ეს ადგილები დახრულია დიდი წვიმების დროს წარმოქმნილი მთის ნაკადულებით. ფაზისის სათავე იბერიის მაღლა მდებარე მთებშია, სადაც ის ივსება მრავალი წყაროთი, დაბლობზე კიდევ მრავალ მდინარეს იმატებს, მათ შორის გლავკოსსა და ჰიპოსს. გავსილი შენაკადების წყლებით და სანაოსნოდ გამზადებული ეს მდინარე ვარდება პონტოში. მის შესართავში მდებარეობს ამავე სახელის მქონე ქალაქი, რომლის მახლობლადაც არის ტბა.

ასეთია კოლხეთიდან იბერიაში შესასვლელი, ჩახერგილი კლდეებით, სიმაგრეებითა და ძალზე სწრაფი მდინარეებით (სტრაბ. XI, **II**, 4).

"Отсюда сухим путем по проезжей дороге доходят до Кира в 4 дня" (Страб. XI, II, 17).

© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2011

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ რომელია საერთო-სალიტერატურო ენა და რომელია ადგილობრივი დიალექტი

გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორს
პატივცემულო რედაქტორო,

თქვენს გაზეთში 12.01.07 გამოქვეყნდა მწერლის, ა.წერეთლის პრემიის ლაურეატის, ბატონ ბ. დავითაიას ჩემდამი მომართული წერილი, რომელიც ეხება ენობრივ საკითხს, კერძოდ მასში ნაბრძანებია - "ვეჭვობ არ იცოდეს პატივცემულმა მიტროპოლიტმა, რომ სვანური და მეგრული დიალექტები არ არის", ბატონ ბ. დავითაიას სურვილია მეგრულად და სვანურად "ლოცვების თარგმნა".

უნდა მოგახსენოთ, თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში არსებობს ძალზე სერიოზული სამეცნიერო მიმართულება, რომელიც ამტკიცებს, რომ მეგრული და სვანური არიან დიალექტები ერთი ენისა და ამ ენას ჩვენ ყველანი ვუწოდებთ ქართულს. ასე რომ, არა პირადად მე ვამტკიცებ აღნიშნულ მოსაზრებას, არამედ შესაბამისი სამეცნიერო მიმართულება. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, მთლიანად ვეთანხმები აღნიშნული საკითხის სპეციალისტს ბატონ მ. ნაჭყებიას, რომელიც წერს - "ენათმეცნიერებაში არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული კრიტერიუმი, რომელიც გამიჯნავს ენასა და დიალექტს, თანამედროვე ლინგვისტიკაში დღემდე დაუდგენელია ზუსტი და შემოწმებადი განსაზღვრა, მაგალითად ფონეტიკურ-გრამატიკული სისტემის მიხედვით საგრძნობლად განსხვავებული ბუხარული და ალჟირული ერთი არაბული ენის კილოკავებადაა მიჩნეული, ასევე ერთ გერმანულ ენად იწოდება ურთიერთისაგან ძალზე განსხვავებული პრუსიული და ბავარიული. არაიშვიათად ენის სტატუსი განისაზღვრება რელიგიური და პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი მიდგომის მიხედვითაც (მ. ნაჭყებია, ქართველთა ეთნო-ლინგვისტური ტერმინები, 2006 წ. გვ. 10).

ენობრივ-ლინგვისტური სხვაობის მიუხედავად, გერმანელებს აქვთ ერთი ენა, ხოლო სხვადასხვა გერმანული ენაკავები დიალექტებად მიიჩნევა და არა დამოუკიდებელ ენებად. ცნობილ მეცნიერს ბ. ჯორბენაძეს მოჰყავს მაგალითი ერთი გერმანელი ენათმეცნიერისა, რომელიც წერს - "მე ვერ ვუგებ ბადენელს, ბავარიელსა და ზემო გერმანელს, როცა ისინი თავიანთ დიალექტებზე ლაპარაკობენ" (ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1989 წ. გვ. 35), მაშასადამე არა თუ უბრალო გერმანელ მოქალაქეს, არამედ ენათმეცნიერსაც კი არ ესმის კუთხური მეტყველება ბავარიელისა, ზემო გერმანელისა და ბადენელისა, ამის მიუხედავად არავინ ცდილობს მაგალითად გოეთეს "თარგმნას" ბადენურ ან ბავარიულ "ენებზე".

ენათმეცნიერი წერს: "ბავარიულ, შვაბურ და ჰესენურ კილოებს შორის სხვაობა არანაკლებ ღრმაა ვიდრე ზოგიერთ ენებს, მაგალითად პოლონურსა და ჩეხურს, ან სერბიულსა და ბულგარულს შორის" (იქვე გვ. 35). მაშასადამე შვაბური და ჰესენური ისევე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ვთქვათ პოლონური და ჩეხური, ანდა როგორც სერბიული და ბულგარული, მიუხედავად ამისა გერმანიაში არავინ უწოდებს შვაბურ, ჰესენურ და ბავარიულ კილოებს - "ენებს", არავინ ფიქრობს ლუთერის ბიბლია "თარგმნოს" შვაბურად ან ჰესენურად და შეიტანოს ეს თარგმანი ეკლესიაში. ვფიქრობ ამას არ დაუშვებენ თვითონ ამ რეგიონების მცხოვრებნი, რადგანაც კარგად იციან, რომ ლუთერი იყო არა რომელიმე კუთხის შვილი, არამედ ერთიანი გერმანელი ნაციისა. გერმანული ბიბლიის ენა იქცა გერმანელი ერის ერთიანობის ნიშანსვეტად. კარგად იციან რომ ბავარიულად, ჰესენურად, შვაბურად, ბადენურად თუ ზემო

გერმანულად ბიბლიის თარგმნით დაარღვევენ გერმანელი ერის ყველაზე წმიდათაწმიდას, გერმანელთა კულტურულ მთლიანობას, ეს კი უფრო მეტი და უარესი იქნება ვიდრე გერმანელთა დამარცხება I და II მსოფლიო ომებში. **საერთოდ, როცა რომელიმე ხალხს აქვს ერთი საზოგადო, საეკლესიო, სალიტერატურო, სახელმწიფო ენა - ეს არის უდიდესი ეროვნული მიღწევა.** ამისთვის საუკუნეების მანძილზე იღწვიან ერის საუკეთესო შვილები. მაგალითად XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა ქვეყნებიდან პალესტინაში ჩასულმა ებრაელებმა (იმჟამად ისინი სხვადასხვა ენებზე მეტყველებდნენ) დიდი ძალისხმევით შეძლეს ერთანი ებრაული ენის ჩამოყალიბება: მათ გააცოცხლეს ფაქტიურად უკვე 2000 წლის წინ მკვდარი ენა ბიბლიისა და დღეს ისრაელის ბავშვები ამ ენაზე მეტყველებენ.

კულტურული სიდიადის მიუხედავად, თანამედროვე საბერძნეთში ამჟამადაც კი მიმდინარეობს ერთიანი სალიტერატურო-სახალხო ენის შექმნის პროცესი. საბერძნეთში რამდენიმე ენა გამოიყენება სხვადასხვა სფეროში: სხვა არის ხალხური ენა (ე.წ. "დიმოტიკი"), სხვა არის უმაღლესი ინტელიგენციის ენა ("კათარევსა" - წმ. ენა) და სხვა არის საეკლესიო ენა. გარდა ამისა არსებობენ აგრეთვე ადგილობრივი დიალექტები.

ენობრივი საკითხი რთული იყო სომხებისთვისაც, რადგანაც სომხური კილოები ძალზე დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად ის მეტყველება, რომლითაც კილიკიაში საუბრობენ აბსოლიტურად განსხვავდება ვთქვათ ბულგარეთის სომხების ენისაგან. მიუხედავად ამისა სკოლებში შეისწავლება სალიტერატურო სომხური ენა, დიდად განსხვავებული იმ ენისაგან, რომელზეც ოჯახებში მეტყველებენ.

ჩვენმა წინაპრებმა ენობრივი საკითხის მოგვარება შეძლეს ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე. ქართველმა ერმა კულტურულ მთლიანობას მიაღწია მეფე ფარნავაზისა და ერისთავ ქუჯის, პეტრე იბერისა და იოანე ლაზის, სხვა დიდ და დიდებულ ქართველთა ურთიერთ თანამშრომლობით და სწორედ ამ კულტურული მთლიანობის დარღვევა არის ცოდვა წინაშე უფლისა, მემატიანეთა ცნობით ქართულ ენას თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მფარველობდა და ვითარცა საერთო-სახალხო გამოიყენებოდა კიდეც ერთადერთ საეკლესიო და სახელმწიფო ენად საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ათასწლეულთა მანძილზე აფხაზეთსა, სვანეთსა, სამეგრელოსა, ქართლსა თუ კახეთში.

ცხადია წმ. წერილის ყოველ ენაზე თარგმნა კურთხეული საქმეა, მაგრამ ერთი ერის მრავალ ტომებად დანაკუწებისათვის მისი გამოყენება არასწორია. თვით წმ. მოციქულების ეპოქაში წმ. წერილი არ უთარგმნიათ კორინთულ, დორიულ ან ვთქვათ იონურ "ენებზე", თუმცა კი ბერძნული ენის სხვადასხვა დიალექტებზე შესაბამისი, ძალზე განვითარებული ლიტერატურა არსებობდა. წმ. მოციქულების ეპოქაში, მოციქულების ნებით, მე კი ვიტყოდი სული წმიდის ნებით, წმ. წერილი ითარგმნა ბერძენთა საერთო ენაზე ანუ ბერძნულ კოინეზე, რომელიც შედარებით განუვითარებელი იყო, მაგრამ გასაგები ყველა ბერძნული ტომისათვის. ასევე IV-V საუკუნეებში ის ენა, რომლითაც ქართველთათვის ითარგმნა წმ. წერილი, უთუოდ გასაგები იყო ყველა ქართული ტომისათვის. ასე რომ არ ყოფილიყო ლაზეთ-ეგრისიდან იმდენი და ისეთი დიდი საეკლესიო მოღვაწეები მოევლინენ წმ. ეკლესიას (იოანე ლაზიდან - ჭყონდიდელების ჩათვლით), ისინი შეძლებდნენ და უთუოდ თარგმნიდნენ წმ. წერილს თავიანთი მრევლის საჭიროებისათვის, მაგრამ მათ ვფიქრობ ჩვენზე უკეთ იცოდნენ რომელია საერთო-სახალხო-სალიტერატურო-საეკლესიო ენა და რომელი არის კუთხური დიალექტი.

აღნიშნული საკითხი ღრმაა და მოითხოვს დიდ ყურადღებას, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, როცა რუსეთის იმპერიის მოხელეები ქართველი ერის მთლიანობის დარღვევის მიზნით ცდილობდნენ კუთხურ დიალექტებზე ეთარგმნათ ქართული წმ. წერილი, მთელი საზოგადოება მათ შორის ნიკო დადიანი, დიმიტრი ყიფიანი, ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი, წმ. ამბროსი ხელაია, წმ. ალექსი შუშანია, ილია, აკაკი, იაკობი და სხვანი პრესაში აქვეყნებდნენ მძაფრ წერილებს ამის აღსაკვეთად, რადგან ამჟამად ამ საკითხს კვლავ ეხებიან,

გთხოვთ ნება დამრთოთ ამასთან დაკავშირებით გამოვაქვეყნო თქვენს გაზეთში რამდენიმე წერილი.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

"ლიტერატურნაია გაზეტას" გეგმა საქართველოს დაქუცმაცებისა

2007 წლის ნოემბრის თვეში მოსკოვის "ლიტერატურნაია გაზეტამ" დაბეჭდა ბაშკირეთის უნივერსიტეტის დოცენტის, ვინმე რუსტემ ვახიტოვის წერილი - "რაზდელ ნაროდა" („Раздел Народа").

საბჭოთა სისტემაში აღზრდილი ადამიანებისათვის ნათელია, რომ სინამდვილეში ესაა KGB-ს (იგივე ფსბ) წიაღში შემუშავებული ოცნებანი და ასევე მითითებანი საქართველოს რეგიონების მოსახლეობისადმი "სახელმწიფოს დასაშლელად."

მოსკოვის იდეოლოგები საქართველოს დაშლის უპირველეს წინაპირობად მიიჩნევენ დაარღვიონ ქართველი ერის მთლიანობა. როგორც XIX საუკუნეში, ახლაც ნერგავენ თვალსაზრისს, რომ სვანები და მეგრელები არიან, როგორც ისინი წერენ "ნაცემენშესტვა", ანუ ეროვნული უმცირესობანი, მეგრული და სვანური კი "ნაცუმცირესობათა ენები." ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო რომ საქართველოს პარლამენტი "აყოვნებს რატიფიკაციას ევროპის კონვენციისა ნაცუმცირესობათა და მათი ენების შესხებ", კერძოდ სტატიაში ნათქვამია (Об этом говорят… **отказ грузинского парламента ратифицировать Европейскую конвенцию о правах нацменьшинств и их языков, отказ признавать сванский и мингрельский языки как языки нацменьшинств** (Литератйрная газетая 6-11 ноября 2008 г. #45 http://lgz.ru/article/N45 - - 6197 - - 2008 - 11 - 06 - /Razd%D0%B5l - naroda6440/).

მაშასადამე, რა ახალ ხაფანგს აგებს კრემლი ქართველი ერის დასაშლელად? ის ურჩევს საქართველოს პარლამენტს მოახდინოს რატიფიცირება აღნიშნული კონვენციისა, ოღონდ იმ პირობით რომ ე.წ. "ნაცუმცირესობად" ჩათვალოს სვანები და მეგრელები.

რუსეთის იმპერიის ეს მცდელობა, როგორც ცნობლია ახალი არ არის. თითქმის ორასი წლის მანძილზე ქართული ინტელიგენციის წინააღმდეგობის გამო მან ეს იდეა ვერ განახორციელა. ახლა კი მას უკვე "ევროპული კონვენციის" სახით აჩეჩებს საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის.

აღნიშნული რატიფიკაციის საკითხს მრავალი გამოკვლევა უძღვნა ბ-მა ტ. ფუტკარაძემ, ამიტომ მას აქ აღარ შევეხებით და გავაგრძელებთ სტატიის განხილვას - წერილში მოსკოველი იდეოლოგები მოუწოდებენ ერთერთ რეგიონის მოსახლეობას, მათი სახით კი სხვებს, მოითხოვონ ავტონომია. მათ თითქოსდა უკვე წინასწარ იციან თბილისის პასუხი - "отказ Тбилиси в ответ на просьбу азербайджанского большинства района Квемо-Кертли в просьбе создать автономию".

ამ წერილში ძალზე წუხან - "აჭარის ავტონომიის ფაქტიური გაუქმების გამო", თუმც ავტორი თავს იმით იმშვიდებს, რომ მისი აზრით საქართველოს გაერთიანების იდეა წარუმატებელი აღმოჩნდა, ის წერს: "აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩამოშორება მხოლოდ დასაწყისია საქართველოს სახელმწიფოს დაყოფისა, საქართველო ამ კატასტროფისათვის რუსეთს ადანაშაულებს, მაგრამ საქართველო სტაბილური სახელმწიფო რომ ყოფილიყო ეს არ მოხდებოდა"-ავტორი დუმს და არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ საქართველოში დესტაბილიზაციის სტიმულატორი ყოველთვის პოსტსაბჭოთა რუსეთი იყო.

საინტერესოა, რომ ბაშკირელ დოცენტს უკვე ცოდნია ქართველ ენათმეცნიერთა ერთი ნაწილის თვალსაზრისი, რომ სვანური ერთერთი დიალექტია ქართული ენისა. ეს თეორია მას ძალზე აღაშფოთებს და წერს - "შუა საუკუნეებში რათქმა უნდა ქართველი ერი არ არსებობდა, არა თუ ძველად, ამჟამადაც კი განსხვავება ვთქვათ ქართველებსა და სვანებს შორის იმდენად დიდია, რომ საჭიროა საგანგებო ლექსიკონი "ქართულ-სვანური ენისა", ნაციონალისტ გამსახურდიას მმართველობის დროს სვანი "ოპალჩენცები" იარაღით ხელში გამოდიოდნენ ქართველი ნაციონალისტების წინააღმდეგ. სხვათა შორის, ეს ხელს არ უშლის თბილისელ ხელმძღვანელებს უწოდონ სვანებს "ქართველთ სუბეთნოსი", ხოლო სვანურ ენას - "ქართული ენის დიალექტი" - ავტორის ამ სიცრუეებს მოსდევს საშინელი დამცინავი ცილისწამებანი ქართველი ხალხის მიმართ, ის წერს: - "არავითარი ქართული ნაცია და შესაბამისად არავითარი ქართველი საერთოდ არ არსებობდა რუსეთთან სამხრეთ კავკასიის შეერთებამდე. ქართველურმა ხალხებმა რუსეთის ქვეშევრდომობა ცალცალკე მიიღეს. ქართველი ნაცია და მისი ნაციონალიზმი ჩამოყალიბდა რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში. მთავარი როლი ამ საქმეში იქონია ცენტრალური საბჭოთა ხელმძღვანელობის უყურადღებობამ. ამის მიზეზი იყო ქართველების ყოფანა საბჭოთა ხელმძღვანელობაში - სტალინი, ორჯონიკიძე, ბერია. ქართველი ეთნონაციონალისტების საბოლოო მიზანია - ქართველი ნაციის კონსოლიდაცია, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიების გაზრდა სამხედრო-პოლიტიკური ოპერაციებით აჯანყებულ რეგიონებში, ხოლო რუსეთის, სომხეთისა და თურქეთის დასუსტების შემთხვევაში ჩამოჭრა მათი ტერიტორიებისა" - წერს ავტორი და უმალავს მკითხველს, რომ სწორედ რუსეთმა სტალინისა და ორჯონიკიძის მონაწილეობით 1921 წელს დაიპყრო საქართველოს ერთიანი, ცენტრალიზებული, დემოკრატიული სახელმწიფო და ამის შემდგომ ქართველი ნაციის, ანუ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი გადასცა მეზობელ ქვეყნებს, მათ შორის რუსეთის ფედერაციას.

ირონიული ლანძღვის შემდგომ სტატიის ავტორი იძულებული გახდა მაინც ეღიარებინა სიმართლე, რომ საქართველოს ამჟამინდელი სახელმწიფოებრიობა ყალიბდება ევროპული სისტემების შესაბამისად. ავტორი თვითონვე განარჩევს ერთმანეთისგან მსოფლიოში სახელმწიფოთა მშენებლობის ორ გზას - ევროპულსა და არაევროპულს. ავტორს მოჰყავს ინგლისელი კულტურის ფილოსოფოსის არნოლდ ტოინბის თვალსაზრისი სახელმწიფოს მშენებლობის დასავლური ინსტიტუტის შესახებ: "ნაციონალური სახელმწიფოების მშენებლობის ევროპული ინსტიტუტი გულისხმობს, რომ კომპაქტურად დასახლებული ერთი ან მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ეთნოსები ახერხებენ მათ ირგვლივ "შუა საუკუნეთა ეთნოსების" კონსოლიდაციას და ყალიბდებიან ნაციებად. ასე ჩამოყალიბდნენ ევროპული სახელმწიფოები, ხოლო პლანეტის სხვა რეგიონებში სახელმწიფოთა მშენებლობის ამ ინსტიტუტებმა ვერ იმუშავა." სტატიის ავტორი, როგორც ავღნიშნეთ, იძულებულია აღიაროს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა შენდება ევროპული სისტემების შესაბამისად, მას ძლიერ აწუხებს და სურს როგორმე ეს არ დაუშვას. ოცნებობს, რომ აფრიკისა და აზიის ზოგიერთი რეგიონის მსგავსად საქართველოში მარად ღვივოდეს სამოქალაქო ომების კერები, რათა ქართველებმა არ აირჩიონ "დასავლეთის პროექტი", ასეთია შემოკლებით "ლიტერატურნაია გაზეტას" მეგობრული გეგმები საქართველოს დასაქუცმაცებლად და სურვილი, რომ პარლამენტმა ამ პროცესს ხელი შეუწყოს.

17.01.2008

Metropolitan Ananya Japaridze

Church - Connecting Member for Georgian Regions

Saint Ilia the Righteous said-from the very establishment the holy Church of Georgia presented a strong force serving for consolidation of whole population of the country. It was not closed in narrow ethnic borders, but was a church of different origin people; according to Holy Writ, it did not differentiate Hellenist or Jew, Georgian or non - Georgian because its flock was children of Georgia with mutual responsibility to the country and citizenship. Even Saint Nino, founder of Georgian church, came from Kapadokia; Saint of Georgian church -martyr Razhden -from Persia; Saint Evstati Mtskheteli -was also from Persia; famous 12 fathers struggling against fire - worship and Monophysitism - were from Syria; Neopyth Urbani Episcope -from Arabia, also Arabian was famous saint Abo Tbileli; Armenian was Saint Queen Shushanik etc. All the above obviously shows, that Georgian church unified all citizens of the country in spite of ethnic origin. Georgian church was creating united cultural space with one, united Georgian culture. It was connecting all corners of Georgia and different ethnic groups.

The main force of Georgian united Christian culture was Georgian language. From the very beginning, Georgian language supported by it Christian culture involved the whole Georgia, all its corners. Divine service, all church acts, in mountains and in lowlands from Black Sea to Armenia and Albania was only in Georgian language. Georgian language and Georgian culture was dominated everywhere. And just this differentiates the old Georgia from the present one.

It's evident, that main flock of Georgian church were Georgians of East and West Georgia, but all the above proves, that in flock there also were Persians, Arabians, Syrians, Armenians etc. dwelled in Georgia. How Georgian Church managed to unify so different ethnic population? - as we already mentioned it was service of Georgian language and Georgian culture. Georgian language -main arm of integration of Georgian population - was protected by God itself, as old fathers stated. For example, life of Syrian Fathers describes such a story: they were told from on high, that they would go for preaching to Georgia; they were astonished, because did not know Georgian language, some of them did not even heard about this country, but before leaving the Holy Spirit made for obtaining them Georgian language, like Apostles obtained different languages. And really, from the very arrival Syrian fathers were preaching in Georgian language throughout Georgia saving a number of people. Georgian language and culture was treated with special care by saint fathers from different regions. Saint Ilarion Georgian was from Kakheti region and he was praising the God in Greece in Georgian language and this was the reason that he was forbidden to conduct divine service by one preceptor of monastery, but the Blessed Virgin was shown to this Greek father and mentioned Georgian language as "Language of Salvation".

Besides, the Blessed Virgin was shown to Ekvtime Mtatsmindeli from Tao, dying in one of the Greece monasteries and taught him Georgian language; previously he talked only in Greek.

In Abkhazia, Svaneti, Kaheti, Adjara, Meskheti, Tianeti, Argveti and Samegrelo divine service was always in Georgian language. There were not any regional cultures -in Georgia there was the only Georgian culture -one Georgian language. Georgian language was not a product of Christianity; Ivane Javakhishvili stated that even during paganism period Georgian was a language of paganism service in all the Georgia, including Samegrelo and Svaneti. According to this, Georgian language existed even before Christianity - in paganism period; so Georgian tribes had mutual culture and language far before Christianity.

From the epoch of Saint Nino till Russians appearance in the Caucasus i.e. from the ancient period to XIX century Georgian language unified people of different ethnic origin settling in Georgia. Generally, all Georgian residents spoke Georgian language, even Muslims. Moreover, Georgian language was used for relation between nations by Caucasian tribes. It's not an accident, that there are a lot of Georgian lapidar inscriptions even mountain regions of the Caucasus - Dagestan, Chechnya - Ingushetya and North Osetia, nothing to say about Abkhazia and Shida Kartli being a hearts of Georgian culture even during destruction of Georgian State Power. During Arabians domination (lasting 400 years) in Tbilisi, in VIII - XI centuries, Abkhazia and Tao - Klarjeti were a centers of Georgian national consolidation, Georgian culture and State power. Also afterwards, in XVII century, when East Georgia was conquered by Persians, Samegrelo

assumed to be a center of Georgian State system and culture, during Levan II Dadiani. The same was in other regions of Georgia. In none of Georgian regions never appeared local culture; culture of each region was a part of common Georgian culture.

Proceeding from the above, present situation completely differs from the old one. Now, after 200 years of Russian domination, Georgian is no more a language of relation between different nations, but Russian is. The same is regarding culture; if in old times Georgian culture served for unification of different regions, today Russian culture is mutual for different ethnic groups of Georgia (it means, that Tatars, Armenians, Osetians or Abkhazains and Georgian themselves communicate in Russian language; Russian culture is common, and familiar for them). So, Russian language and culture not only limited Georgian language and culture in Georgia, but replaced it completely

Russian language deprived Georgian language a function of people's unification, because a culture is a base and sign of unity. So, as was mentioned above, from the ancient period to XIX century, main force and arm of Georgian nation was Georgian language and culture; it also served for inetgration of ethnic groups into united Georgian space.

Integrity of Christian Georgian culture is historic event; appears question -what provided for such achievement? How involved united Georgian culture politically so different regions? There are two answers on this question: according to first, in Apostles period, also in epoch of King Mirain and Saint Nino, Kartli involved all present Georgian territory, on which even during paganism Georgian culture was spread, i.e. Georgian regions, at the time of establishing Georgian church, were already unified under one language and culture. Indeed, according to episcope Leonti Mroveli 300 years earlier before Christ "no language but Georgian was heard". King Mirian, according to "Kartlis Ckhovreba" and "Mokcevai Kartlisai" was a king of united Georgia (from Egristskali to Albania) and Saint Nino according to Ruis - Urbnisi church meeting was an "Enlightener of Georgians" i.e. Georgian church from the very establishment involved both East and West Georgia. Accordingly, Georgian language and culture were spread throughout the whole Georgian from the ancient period. This viewpoint was given in church inscriptions up to XIX century. But this viewpoint changed during Russians domination. According to so called "Kartisation" theory West Georgia quasi was under jurisdiction of Constantinople for 600 years; then, in IX - X Georgian church invaded into foreign jurisdiction and abolished Greek episcope facilities in West Georgia and established Georgians instead, what was resulted in spreading of Georgian language and culture in West Georgia, i.e. "Kartisation" of population. Such tribes are also mountaineers of East Georgia and even Her - Albanians. One might, could say that "Kartisation Theory" is continuation of Russian imperial politics of XIX century, aimed at separation of Georgian regions from integral Georgian culture. Introduction of foreign regional cultures was the way of achieving the above goal.

Historiography was used by Soviet government as ideological weapon. "Kartisation Theory" was also a weapon directed towards division of Georgia into separate regions.

In particular, if old Georgian historiography stated that integral Georgia was founded centuries far before Christ in the period of King Parnavaz, Soviet historiography stated the opposite -that integral Georgian State established only in XI century during Bagrat III. If old historiography stated that Saint Nino and Andrew First - Called were enlighters of Georgian population, new Georgian historiography stated that Saint Nino was enlighter only of East Georgia, while Andrew - of West one. According to old Georgian historiography Georgian culture and language involved the whole Georgia from the very period of King Parnavaz. The opposite was statement of new historiography -according to it Georgian language was spread in West Georgia only in IX - X centuries. According to old historiography Vakhtang Gorgasali and all his predecessors were also kings of West Georgia, but according to new studies - they were kings only of East Georgia. In the period of Bagrat III not the latter but Parnavaz was mentioned to be a first king of Georgia. New Georgian historiography destroyed the viewpoint of Georgians integrity - it stated that Parnavaz was a king only of "Kartli" i.e. East Georgia. If old Georgian historiography stated that West Georgia was under jurisdiction of Georgian church from Saint Nino period, according to new one it west Georgia was under jurisdiction of Constantinople.

In Soviet period everything was done for separation of Samegrelo, Svaneti and Abkhazia from Georgian history. The latter needed creation of strong historiographical base for proving that in west Georgia existed Kolkheti (Colchis) and then Lazeti States with own language and culture, while sources indicate that Kolkheti culture was not a narrow local event, but general Georgian Colchis language. G.

Melikishvili and other famous historians stated that base was close to Georgian, not yet divided so called Zanur - Georgian language; that Colchis culture involved together with South - West Georgia whole present Georgia and that in the heart of Colchis State established old Georgian Kartli State of Parnavaz (refer to History of Kartli of A. Japaridze).

According to T. Gamkrelidze and G.Machaavriani Zanur - Georgian language integrity did not existed in Apostles period, because this language began complete differentiation "To the end of new era".

Unfortunately, recently, in volume 13 of "Orthodox Encyclopedia" issued in 2007 the only truth was declared to be the second viewpoint on being of West Georgia under jurisdiction of Greek church in IX - X centuries; accordingly, old Georgian church standpoint is rejected. In volume 13 of the same encyclopedia Saint Nino is mentioned to be enlighter only of Kartli, East Georgia and the reader is assured, that it is the only viewpoint, while according to Ivane Javakhishvili :"Georgians immediately considered Saint Nino to be an enlighter of integral Georgia and not of its separate part". It's true that authors of "Orthodox Encyclopedia" mentioned shortage of sources of West Georgian church jurisdiction, but it's a pity that they say nothing about the fact that the issue was discussed by Ruis - Urbnisi church meeting and accepted appropriate definition; apparently, authors of "Orthodox Encyclopedia" did not consider writing of Ruis - Urbnisi church meeting to be a source in West Georgian jurisdiction investigation case.

In order to meet globalization process in a worthy manner Georgian nation should strengthen its country, should manage to establish from different ethnic population devoted citizens of the country and use spreading of Georgian culture for the above goal.

Due to such situation it's obligatory to give to Georgian language and culture a priority in comparison with Russian. The government should lead appropriate language politics in the country; Georgian language should be real State language.

For implementation of the above, special attention should be given to the fact that all information means (TV, radio, internet) be in Georgian language. All broadcasting on Georgian channels should be in Georgian as it is in other countries. Its degrading for Georgian culture that great part of Georgian regions such as Kvemo Kartli, Samcxe - Javakheti, North Mtianeti etc presents foreign language TV and radio space (not Georgian). Even some Tbilisi radio and TV channels are of Russian language. Georgian children study Russian language by means of Television, adopt Russian culture. That's why a number of people being in Russia for work quite easily adopt to foreign situation. This is a reason for their quick assimilation when Georgian villages are empty.

Georgia, as small country, should be ready to meet globalization process with strengthening a centralized State. Accordingly, for territorial - administrative arrangement Georgia should not be divided into separate regions. This can be a dangerous for territorial integrity in future. Such division can provide for establishment and development of separatist tendencies by regional government (as in case of South Osetia). Federal arrangement can be fatal for Georgia; more dangerous is establishment of army (even reserve type), also of region prosecutor's office and other power facilities and educational system. Ivane Javakhishvili stated that communities always presented a danger for territorial integrity of Georgia; this was the reason for division of Georgia in XV - XVI centuries - communities won and the King was defeated. In Middle Ages Georgian territorial integrity was weakened by community properties existing in Georgians. Other countries, expecting globalization, already passed stages of feudal division (Turkey, Azerbaijan, Rumania etc) and established as centralized States. Now, according to medieval legal model division of Georgia into regions is a reanimation of ethnic state division. This will prevent consolidation of Georgian nation and integration of local ethnic groups as Georgian citizens what is a desire of our Empire neighbors and make Georgian leaders to establish Georgia as federal State.

Finally, we should conclude that before conquer of Georgia by Russia i.e. till XIX century, Georgian language and culture was a means of consolidation of Georgian population and of State integration; now, it's not like this and Georgian language is replaced with Russian one, but we hope that Georgian society will manage to solve this problem.

Bibliography:

1. Georgian Scripture, Tbilisi, 1975.
2. Metropolitan Ananya Japaridze, Language and the State, Tbilisi, 2008.
3. Metropolitan Ananya Japaridze, The Blessed Virgin - patroness of Georgian language, Tbilisi, 2008.

4. Metropolitan Ananya Japaridze, Theory on Proletariat of Georgian Church and Its Critics, Tbilisi, 2007.
5. Metropolitan Ananya Japaridze, Lazika Eparchy of Constantinople Patriarchy, Tbilisi, 2008.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

კუთხურობა "რეგიონალიზმი" - ისტორიული საფრთხე საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის

წარსულში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო რამდენჯერმე დაიშალა, რაც ყოველთვის უდიდეს ეროვნულ ტრაგედიას წარმოადგენდა. თანამედროვე ისტორიკოსი მოვალე არის გაანალიზოს ის მიზეზები, რაც წარსულში იწვევდა საქართველოს სახელმწიფოებრივ რღვევას, იმისათვის, რათა მიეცეს სწორი რეკომენდაციები პოლიტიკოსებს, რომელნიც მოვალენი არიან დაიცვან ამჟამინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა.

ივანე ჯავახიშვილი ისევე, როგორც უფრო ადრე ილია ჭავჭავაძე იკვლევდნენ აღნიშნულ მიზეზებს და ასკვნიდნენ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ მთლიანობას ისტორიულად საფრთხეს უქმნიდა არა იმდენად საგარეო ფაქტორი, არამედ საქართველოს დაშლის მიზეზი ყოველთვის იყო რეგიონალიზმი, კუთხურობა, თემობრიობა, ამ უკანასკნელს ივ. ჯავახიშვილი „ტომობრიობასაც" უწოდებს.

როგორც აღინიშნა, საქართველოს დაშლის ისტორიულ მიზეზებად ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს „ქართველი ერის წიაღში ტომობრივ გეოგრაფიული პირობების წყალობით არსებულ ძლიერ თემობრივ თავისებურებებს". დიდი მეცნიერი გულისხმობს ქართლელობას, კახელობას, იმერლობას, მეგრელობას, სვანობას, მესხობას და ა.შ.

მისი, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძის, თვალსაზრისით ქართველი ხალხი უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა ეროვნულ მთლიანობას, ზემოთ ჩამოთვლილი ეთნოგრაფიული ჯგუფები მის წიაღში ჩამოყალიბდნენ მოგვიანებით სწორედ ერთიანი საქართველოს სახელიწიფოს რღვევის ეპოქაში. განსაკუთრებით კი მონღოლთა შემოსევებისა და ოსმალობა-ყიზილბაშობის ეპოქაში. ამ დროს საოცრად დაკნინებულა საერთო ქართული ინტერესების შეგნება, დამცრობილა ეროვნული თვითშემეცნება "ეს პროცესი უფრო ადრე დაწყებულა მთაში". „მე-13 საუკუნის განმავლობაში საქართველოს ხალხის კულტურულად დაქვეითების გამო, ეროვნული თვითშემეცნების და ნათესაობის გრძნობა ისე დაკნინდა, რომ თემთა და ტომთა შორის შუღლისა და მტრობის ჩამოსაგდებად ზოგჯერ მათი თავმოყვარეობის მცირეოდენი შელახვაც კი საკმარისი იყო ხოლმე" (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 164).

მაშასადამე, ამჟამად აღნიშნულ ეთნო ჯგუფებთან დაკავშირებით, არსებობს ორი თვალსაზრისი, ერთის მიხედვით ეს ჯგუფები არსებობდნენ თავდაპირველადვე ისტორიის საწყისიდანვე და ისტორიულად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის სახე მათი განსახლების საზღვრებს ითვალისწინებდა. მეორე თვალსაზრისით კი აღნიშნული ეთნო ჯგუფები ჩამოყალიბდნენ მოგვიანებით შუასაუკუნეებში, საქართველოში კუთხური სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების კვალდაკვალ ასწლეულების მანძილზე, XV-XVIII საუკუნეებში.

მაგალითად, ძველი ქართული მატიანეები იმერეთის სახელმწიფოებრივი ერთეულის ჩამოყალიბებამდე არ იცნობდნენ ეთნო ჯგუფს „იმერლების" სახელწოდებით. „იმერელი" არა ეთნიკურ ვინაობას, არამედ სადაურობას აღნიშნავდა. აქამდე დასავლეთ საქართველოს შესაბამის რეგიონში ცხოვრობდნენ არა „იმერლები", არამედ „ქართველები". „იმერელის", როგორც ეთნო სახელწოდების შექმნა განაპირობა „იმერეთის" სამეფოს თითქმის სამასწლოვანმა არსებობამ XVI-XVIII საუკუნეებში - XIX საუკუნემდე, თავისი საზღვრებით, თავისი ჯარით, თავისი მთავრობით, საკუთარი ფინანსებით, ეკონომიკითა და ისტორიით.

ეს მაგალითი მიუთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფოს დაშლამ, XV-XVIII საუკუნეებში ხელი შეუწყო სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულში მცხოვრები ქართველების ადგილობრივი ეთნოფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას, ქართველი ერის ეთნო თემებად დაყოფას, კუთხური ეთნიკური თვითშემეცნების აღორძინების გზით. მითუმეტეს, რომ ეს კუთხური სახელმწიფოებრივი ერთეულები განუწყვეტლივ საუკუნეთა მანძილზე ეომებოდნენ ერთმანეთს იშვიათი გამონაკლისების გარდა, მაშასადამე, ხდებოდა ქართული ეთნოთემების ერთმანეთისაგან გაუცხოება საუკუნოვანი მტრობისა და ურთიერთქიშპის გამო.

XIII საუკუნეშივე დაიწყო მესხეთის, როგორც პოლიტიკურ ადმინისტრაციული ერთეულის განკერძოებისათვის ბრძოლა, ამას ხელი მონღოლებმა შეუწყვეს, ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ მალე გაჩნდა ტერმინი „ნათესავით მესხი". აქამდე არასოდეს იხმარებოდა ტერმინები „ნათესავით მესხი", „ნათესავით დვალი", „ნათესავით იმერელი", „ნათესავით კახელი", „ნათესავით გურული" და ა.შ. XI საუკუნეში და უფრო ადრე საქართველოს ყველა კუთხის შვილს, საიდანაც არ უნდა ყოფილიყო ის, ერთი ტერმინი „ნათესავით ქართველი" მიემართებოდა "წმიდა ილარიონს წარმოშობით კახელს, დავით და კონსტანტინეს, არგვეთელებს „დასავლეთ საქართველოდან", წმინდა მამებს მესხეთიდან ყველას მხოლოდ „ნათესავით ქართველი ეწოდებოდა". საქართველოს სახელმწიფოს დაშლამ, XV-XVIII საუკუნეებში წარმოქმნა უდიდესი კრიზისი ქართველი ადამიანის თვითშემეცნებაში, ეროვნული იდენტობა თანდათან ადგილს უთმობს კუთხურ რეგიონალურს, ეს უკანასკნელი იჭერს პირველის ადგილს. პირველი, ესე იგი ზოგად ეროვნული თვითშემეცნება იმდენად დასუსტდა და თემობრივ-ტომობრივმა ისე დაჩრდილა ის, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისში ვახუშტი ბაგრატიონს საგანგებო სამეცნიერო მსჯელობა და კვლევა-ძიება ესაჭიროება იმისათვის, რომ რეგიონებში მცხოვრებ ქართველებს ეროვნული ვინაობა გაახსენოს.

ჩვენ გავაგრძელებთ მაგალითების ჩამოთვლას, მესხები, როგორც ქართველი ხალხის ერთიანი, მთლიანი ცალკე, ეთნოგრაფიული ჯგუფი არ არსებობდა პირველ ათასწლეულში. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ ამ დროს არსებობდნენ „ტაოელები", „კლარჯები", „ოძრახელები", „სამცხელები" და ა.შ., მაგრამ „მესხები", როგორც ერთიანი ეთნოგრაფიული ჯგუფი, არ არსებობდა. ეს თემი ეთნოგრაფიულ ჯგუფად ჩამოყალიბდა მესხეთის სამთავროში ამ კუთხის მმართველთა საუკუნოვანი სეპარატიზმის შემდგომ XV-XVIII საუკუნეებში. ეს კარგად ჩანს ჩვენი მატიანეებიდანაც. XV საუკუნეში უკვე მემატიანე „ქართველს" უწოდებს ქართლის სამეფოს მოქალაქეებს, ხოლო „მესხებს" კი მესხეთის სამთავროში მცხოვრებთ "იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 481".

კახელების თემი. კახელების ამჟამად არსებული ეთნოგრაფიული ჯგუფი ჩამოყალიბებულია, ცხადია, მე-15 - მე-18 საუკუნეებში. პირველ ათასწლეულში კი კახელები ეწოდებოდათ თბილისის მახლობლად მცირე რეგიონის მცხოვრებთ. არც იმჟამად და არც დიდხანს შემდგომ „კახელები" არ ერქვათ ალაზნისა და იორის ქვემოწელის მოსახლეობას, მხოლოდ კახეთის, ვითარცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ XVI-XVIII საუკუნეებში თავისი საზღვრებით მოგვცა კიდეც კახელების თანამედროვე ამჟამინდელი ეთნოჯგუფი და მის ქვეშ მოიაზრება ამ ყოფილი სამეფოს შიგნით მცხოვრები მოსახლეობის შთამომავლები.

აჭარელთა თემი. შუა საუკუნეებში ქვემო გურიის თემში შედიოდნენ დღევანდელი ბათუმის, ჩაქვისა და ქობულეთის რაიონის მცხოვრებნი. მაშასადამე, ისინი „ქვემო გურულებად" ან

უბრალოდ „გურულებად“ იწოდებოდნენ XVI-XVII საუკუნეებში, მას შემდეგ კი, რაც ოსმალებმა ქვემო გურია ჩამოაშორეს გურიის სამთავროს და იქ მმართველებად დანიშნეს მეზობელი „უკვე გამაჰმადიანებული” აჭარელი ბეგები, ახალ ადმინისტრაციულ ერთეულში აჭარაში ქვემო გურულებს უკვე აჭარლები ეწოდებათ.

რაჭველთა თემი. XV-XVI საუკუნეებამდე დღევანდელი ონის რაიონი სვანეთის რეგიონის ნაწილი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ჯაფარიძეთა სათავადოს მიერ სვანეთის ბლოკადის შემდგომ უნდა იყოს ჩამოყალიბებული თანამედროვე რაჭველთა ეთნოჯგუფი XVII-XVIII საუკუნეებში.

სამურზაყანოს თემი. ჩამოყალიბდა XVIII საუკუნეში აფხაზთა მთავრის ძის მურზაყანის მიერ მიტაცებულ სამეგრელოს კუთხეში.

ინგილოთა თემი. ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეებში, ისტორიულ აღმოსავლეთ კახეთში. აქ ოდესღაც ჰერეთის სამთავრო არსებობდა, აღნიშნულ დროს XVII საუკუნის შემდეგ. აღმოსავლეთ კახეთის მოსახლეობა ლეკების, მუღანლებისა და შემდგომ აზერბაიჯანელების გარემოცვაში, ისტორიული სამშობლოსაგან იზოლირების შედეგად თანდათან საკუთარი დიალექტით „ინგილოურით” და ეთნოიდენტობით ეთნოგრაფიულ თემად ჩამოყალიბდა.

ასევე XV-XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა ყველა თანამედროვე ეთნოგრაფიული ჯგუფი. XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიულმა წრეებმა ისინი ცალკე ხალხებად გამოაცხადა. 1886 წლის „საოჯახო სიების” მიხედვით ცალკე ხალხებად “народность-ებად” არიან გამოცხადებულები გურულები, აჭარლები, მეგრელები, ფშაველები, თუშები, სვანები, ხევსურები, მთიულები (იხ. რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნიკური ისტორია, 2002, გვ. 24). XIX საუკუნეშივე რუსეთის იმპერიის წიაღში დაიწყო ქართველი ერის კონსოლიდაცია, მას შემდეგ, რაც მოირღვა ქართლის, კახეთის, იმერეთის ყოფილ სამეფოთა და ასევე სამთავროთა ფეოდალური საზღვრები, რაც იქამდე ხელს უწყობდა ერთიანი ეროვნული სხეულის დაქუცმაცებას. ერთიანი შიდაეკონომიკური ბაზრის შექმნა და შიდაეთნიკური საზღვრების მოშლა - ეროვნული კონსოლიდაციის უმთავრესი ხელისშემწყობი საშუალებაა.

ამჟამად დაინტერესებული ჯგუფები არწმუნებენ პოლიტიკოსებს, თითქოსდა აღნიშნული ეთნოჯგუფები ჩამოყალიბდა უხსოვარ დროს და სწორედ მათი განსახლების საზღვრის მიხედვით უნდა მოხდეს ახალი საქართველოს სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობა. ქართლის, კახეთის, იმერეთის და ა.შ. ეთნორეგიონების შექმნა არის მხოლოდ საქართველოს XVI-XVIII საუკუნეებში ფეოდალური დაქუცმაცების რეანიმაცია, რაც ხელს არ შეუწყობს ეროვნულ კონსოლიდაციას.

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოში, კერძოდ დავით აღმაშენებლის დროს ტერიტორიული მოწყობა უნიტარული სახისა იყო ერთი მონარქით სათავეში. საქართველოში მცხოვრები ეთნოჯგუფები და ეროვნებები XXI საუკუნეში ერთ ერად უნდა ჩამოყალიბდეს, რაც მხოლოდ უნიტარული სახელმწიფოს პირობებში, ფეოდალური დაქუცმაცებულობის მოშლითაა შესაძლებელი.

ისტორიულად საქართველოს დაშლის მიზეზი ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით ყოველთვის იყო თემობრივ-ტომობრიობა.

მაშ რა მიზეზით იყო, ჰკითხულობს ჯავახიშვილი, რომ საქართველოს მთლიანობა მაინც დაირღვა და დანაწილებისადმი მისწრაფებამ გაიმარჯვა, თემობრივობამ თავისი გაიტანა და სრულიად საქართველოს მეფე დამარცხდა.

ამ ბრძოლის ბედის გადაწყვეტაში ქართველი ერის წიაღში არსებულს და ტომობრივ-გეორგაფიული პირობების წყალობით ყოველთვის ძლიერს თემობრივ თავისებურებასა ჰქონდა. “ივ. ჯავახ. ტ. IV, ნაწ. I, გვ. 191, XV ს”.

ქართული ერის წიაღში ყოველთვის ძლიერი თემობრივი თავისებურება ივ. ჯავახიშვილის აზრით უფრო მეტად გამოწვეული იყო გეოგრაფიული პირობების წყალობით სხვა ფაქტორებთან ერთად “ტ. I, გვ. 100”.

თემობრიობა, რომელსაც ზოგჯერ ივ. ჯავახიშვილი „ტომობრიობასაც“ უწოდებს, აღორძინდა XV-XVI საუკუნეების შემდგომ, განსაკუთრებით კი ის XVII-XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა რეგიონალური პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნის წყალობით. კუთხეებში ჩამოყალიბებული სეპარატიზმი რეგიონალური მმართველი ელიტისა, რომელსაც ოსმალეთი და სპარსეთი ახალისებდა, საფუძვლად დაედო თემობრივობის აღორძინებას და წარმოადგენდა მის საფუძველს. მაგალითად, მესხეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობა იდენტური ეთნოგრაფიული თემები იყვნენ ქართველი ერისა, ერთი ენის, კულტურის, თვითშემეცნების მქონე. მესხეთის რეგიონალური სამთავროს სახით ჩამოყალიბებამ, მისი ელიტის საუკუნოვანმა სეპარატიზმმა, საბოლოო ჯამში უკვე XV-XVI საუკუნეებისათვის ჩამოაყალიბა „მესხობა”, ვითარცა ქართლის მოსახლეობისაგან „ქართველებისაგან” განსხვავებული ეთნოგრაფიული ჯგუფი. ამ სეპარატიზმის ძირითადი შედეგი იყო აღორძინებული ანუ ახლად წარმოქმნილი თემობრივი სამთავროს დიდი პოლიტიკური მარცხი-გაუცხოება ქართლის სამეფოსაგან და საბოლოოდ გათქვეფა ოსმალურ მასაში.

„მესხობა”, ვითარცა ეთნოგრაფიული ნიშან-თვისება, ჩვენ არ გვხვდება პირველ ათასწლეულში, აქ ცხოვრობდნენ ტაოელები, კლარჯები, სამცხელები და სხვანი, მაგრამ ისინი ერთიანობაში „ქართველებს” ქმნიდნენ და ეწოდებოდა კიდეც ტაო-კლარჯეთს „ქართველთა” სამეფო, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მონღოლების ბატონობისას ამ ტერიტორიამ მიიღო „დამოუკიდებელი” ქვეყნის სტატუსი და უკვე XIII საუკუნის შემდგომ „მესხობა” ყალიბდება ვითარცა ეთნიკური ჯგუფი, როგორც ეს უკვე მრავალჯერ აღინიშნა, განსაკუთრებით კი XV-XVI საუკუნეების შემდგომ. საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ კუთხურობა “რეგიონალიზმი” ყოველთვის წარმოადგენდა უმთავრეს ისტორიულ საფრთხეს საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის. ამიტომაც 1918 წელს ჩამოყალიბებული საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისას კატეგორიულად არ იქნა გათვალისწინებული რეგიონალიზმი საქართველოს სახელმწიფოს დაყოფა რეგიონალურ ერთეულებად. ეს იყო დიდი ილია ჭავჭავაძის მოწაფეების, ივანე ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვას და საერთოდ ქართველი ინტელიგენციის უპირველესი მოთხოვნა ხელისუფლებისადმი. მათ არათუ მენშევიკებს, არამედ ბოლშევიკებსაც კი არ მისცეს უფლება, რომ საქართველოს ტერიტორიული მოწყობა დაფუძნებოდა რეგიონალიზმის პრინციპს, რადგანაც ყოველ ასეთ რეგიონში მაშინაც და ამჟამადაც ცხოვრობენ ქართველი ერის სხვადასხვა თემები და სწორედ მათი კონსოლიდაციისა და ქართველი ერის გამთლიანებისათვის არის საჭირო საქართველოს უნიტარული სახელმწიფოებრიობის არსებობა თუნდაც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, რათა ერთიან დამოუკიდებელ სახელმწიფოში ჩამოყალიბდეს ახალი თანამედროვე ტიპის ერთიანი ქართველი ნაცია.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ვმადლობ ფასისელ აკადემიკოსებს

რამდენიმე ჩემს წერილში გამოვთქვი ფრთხილი მოსაზრება, რომ ფაზისი შესაძლოა მდებარეობდა არა თანამედროვე ფოთის ადგილას, არამედ მომიჯნავე რეგიონში. მადლობელი ვარ ფასისელი აკადემიკოსებისა, რომელთაც ეს ვარაუდი მეცნიერული კვლევებით განამტკიცეს.

ფასისის საერო „აკადემიამ" გამოსცა აღნიშნული მეცნიერების ნაკვლევი, რომლიდანაც აღმოჩნდა, რომ იქ სადაც ქალაქი ფოთი მდებარეობს 2000 წლის წინ, სტრაბონის დროს, უეჭველად ზღვა მდებარეობდა, ანუ თანამედროვე ფოთის ადგილი წყლის ქვეშ ყოფილა მოქცეული. ამის მიზეზს შემდეგნაირად აღწერს რამდენიმე ფაზისელი აკადემიკოსი: მდინარე რიონს თურმე ზღვაში ყოველწლიურად შეაქვს 10-12 მილიონი ტონა სილა (ქვიშა და ლამი), რაც სანაპიროსთან დალექვის შემდგომ იწვევს მიწის მატებას, ანუ რიონის შესართავთან იზრდება ხმელეთი და ეს მატება ხმელეთისა 2000 წლის მანძილზე გვაძლევს მრავალ ათეულ კილომეტროვან ახალ სანაპირო ზოლს.

ს. გვასალია წერს: "თუ უკვე ხსენებულ რიცხობრივ მონაცემებს დავუბრუნდებით და ხმელეთის მატებას წელიწადში საშუალოდ 4 მეტრს ვივარაუდებთ 2500 წლის მანძილზე ზღვის სანაპირო რიონის შესართავთან 10 კმ-ით მაინც უნდა ყოფილიყო გაზიდული აღმოსავლეთით დღევანდელი სანაპიროს ხაზიდან, შესაბამისად მთელი ტერიტორია, რომელზეც დღეს ქალაქი ფოთია გაშენებული და პირველ რიგში კი კუნძულის უბანი, გვიანდელ წარმონაქმნად უნდა ჩაითვალოს" (ს. გვასალია "ანტიკური ხანის კოლხეთი", კრებულში "ცოტნეიდელი", 2008, გვ. 57).

უღრმესად მადლობელი ვარ ღვაწლმოსილი მეცნიერისა, რომელმაც ჩემი მოსაზრება გამოთვლებით დაადასტურა. მართლაც, ქ. ფოთი არ შეიძლება იყოს ქ. ფაზისი, რადგანაც ს. გვასალიას მონაცემებით მისი მდებარეობის ადგილი 2500 წლის წინ ზღვის სიღრმეში იყო ჩაძირული, მაშინდელი სანაპირო ზოლიდან 10 კმ-ის მანძილზე. ცხადია ზღვაში და თანაც წყლის ქვეშ ქალაქის აშენება შეუძლებელია. ასევე ვმადლობ ს. ზაქარაიას, რომელმაც მსგავსი კვლევებით დაადასტურა ეს აზრი.

ს. ზაქარია წერს: "ქ. ფოთის პორტის სტატისტიკური მონაცემებით 1804, 1870, 1892 წლებში ხმელეთმა შესაბამისად წელიწადში 9 მეტრი მოიმატა!" (იქვე, გვ. 69).

თუკი წინა მეცნიერის ანგარიშით წელიწადში ხმელეთის 4 მეტრი მატების გამო 2500 წლის წინ თანამედროვე ფოთის მდებარეობის ადგილი განისაზღვრა ზღვის სიღრმეში 10 კმ-ით, 9 მეტრით მატების შემთხვევაში ის 2-ჯერ უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, დაახლოებით 20-22 კმ-ით დაშორებული თანამედროვე სანაპიროდან ზღვის სიღრმეში. ე.ი. დღევანდელი ფოთის ადგილსამყოფელი ანტიკურ ხანაში ზღვაში იყო ჩაძირული და დაშორებული სანაპიროდან 20-ზე მეტი კმ-ით. შესაბამისად იქ არც ქალაქი იქნებოდა.

რამდენად რეალურია ასეთი ანგარიში აღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, იქნებ მეცნიერები ცდებიან? არა, მათი აზრი დასტურდება ნიკო ნიკოლაძის პირადი დაკვირვებით და მისი გაზომვებით. კერძოდ, ს. ზაქარაია მკითხველს აწვდის ასეთ ცნობას - "მ. ბერძენიშვილს მოჰყავს ნიკო ნიკოლაძის მონაცემებიდან ფაქტი, რომ 1860-იან წლებში ზედ ზღვის სანაპიროზე აგებული შუქურა ჩვენი საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით 1910-15 წლებში, ნაპირს 2 ვერსზე მეტით აღმოჩნდა დაშორებული" (იქვე, გვ. 70). ამ ცნობას თან ერთვის ნახაზი რომელზედაც ავტორის მიერ მინიშნებულია, რომ 55 წლის განმავლობაში ხმელეთმა მოიმატა 2000 მეტრით (იქვე,

გვ. 71). ანუ უხეშად რომ ვთქვათ, ნახევარ საუკუნეში ხმელეთს 2 კმ-ით მოუმატია, ცხადია ერთ საუკუნეში მოიმატებდა 4 კმ-ით, რაც 25 საუკუნის მანძილზე გვაძლევს 100 კმ - ს!

ახლა უკვე აღარ მიკვირს წმიდა ალექსი შუშანიას მონასტერში არსებული (და ჩაწერილი) თქმულება-ამბავი, რომ ერთ დროს მენჯი - სენაკის "მთავარანგელოზთა კუნძულის" წინ რიონის ვაკე ზღვის წყლით იყო დაფარული და მის წინ გემები მიმოდიოდნენ!

მიუხედავად მეცნიერული კვლევისა, პირადად მე, მაინც ვერ განვაზოგადებ მის შედეგებს, სინამდვილეში რიონის სილა-შლამით იფარებოდა არა მთელი სანაპიროს პერიმეტრი, არამედ მხოლოდ რიონის შესართავის მიმდებარე ტერიტორია. ამას მიუთითებს იქვე ს. ზაქარაიას მიერ მოცემული კიდევ ერთი სტატისტიკური ცნობა. კერძოდ, "თურქმა მურად III გენერალსიმუსმა 1578 წელს ქ. ფაზისთან, უშუალოდ ზღვის სანაპიროზე, ააგო ფოთის ციხე, რომელიც 280 წლის შემდეგ, 1858 წელს, ზღვის ნაპირიდან 1,8 კმ-ით იყო დაშორებული. საქმის რეალობა იმაშია, რომ რიონი მსოფლიოში გამოირჩევა, როგორც ნაშალი მასალის დიდი რაოდენობის ზღვაში შემტანი და იწვევს ხმელეთის მატებას ზღვის ხარჯზე" (იქვე, გვ. 70). მაშასადამე, მურად III რიონის შესართავის სიახლოვეს აუგია ფოთის ციხე, რომელიც 280 წლის შემდეგ ზღვას უკვე დაშორებული იყო 1,8 კმ - ით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხმელეთის მატება ამ ადგილას უფრო ნაკლები იყო ვიდრე შუქურას პირზე, რატომ? საქმე ისაა, როგორც ს. ზაქარაიას ნახაზიდან ჩანს, შუქურა უფრო ახლო ყოფილა მდ. რიონის შესართავთან, ხოლო ფოთის ციხე უფრო მოშორებით მდგარა. მაშასადამე, 9 მეტრი მატება ხმელეთისა ყოფილა არა შავი ზღვის მთელ სანაპიროზე, არამედ უშუალოდ მდ. რიონის შესართავთან. თუმცა არც ფოთის ციხესთან ყოფილა მცირე. ერთი სიტყვით, მდ. რიონის შესართავთან გაშენებული ქალაქი ხმელეთის მატების გამო, 2500 წლის შემდეგ, ზღვის სანაპიროდან რამდენიმე ათეული კმ-ით იქნებოდა დაშორებული. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მდ. რიონის შესართავთან, ამ მდინარის შლამიანობის გამო, ქალაქს არ ააგებდნენ, რადგანაც ქალაქი რამდენიმე ათეულ წელიწადში ზღვას დაშორდებოდა და სავარაუდოდ უვარგისი გახდებოდა ნაოსნობისათვის, რადგანაც იმ ეპოქაში არც სილის სატუმბი მანქანები გააჩნდათ და არც რკინა-ბეტონის ჯებირებს აგებდნენ. მაშ სად ააგეს ქ. ფაზისი?

სამწუხაროდ ეს საუკუნოვანი კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა. თუმცა კი, პირადად მე მაინტერესებს არა ანტიკური ქალაქი ფაზისის ადგილსამყოფელი, არამედ შუა საუკუნეებში არსებული ფაზისის სამიტროპოლიტო ცენტრისა, კერძოდ, IV-VII საუკუნეთა ვითარება. არქეოლოგების ერთი ნაწილის აზრით სწორედ ამ ეპოქაში მკვეთრად აიწია მსოფლიო ოკეანის დონემ, თანამედროვესთან შედარებით 3-4 მეტრით. ამ კლიმატურ ეპოქას უწოდებენ ჰოლოცენს. ანუ ზღვა თანდათანობით მაღლდებოდა თითქმის XI საუკუნემდე, შემდგომ კი ისევ დაიწია და თანამედროვე ნულოვან დონეზე დადგა (1. Cereteli D. V. Pleqstocen Gruzii, Izd. "Mecniereba", 1966; 2. Fedorov P. V. Pleqstocen Ponto - Kaspi\. Izd. "Nauka". M. 1978; 3. Neqwtadt M. N. Golocen. Vvedenie. Izd. "Nauka". M. 1969; 4. Cereteli D. V. Maqsuradze G. M. k paleogeografii verxnego pleqstocena Gruzii. Izd. "nauka". M. 1980; 5. Djanelidze H. P. Izmeneni\ Fiziko - geografiheskix uloviq Gruzii v golocene. Avtoreferat kand. dis. Tbilisi. 1971). რიონის შესართავთან, ამ ვითარების გამო, როგორც ჩანს, ნამდვილი ტროპიკული წარღვნა იყო. ერთი მხრივ მდინარეს შემოჰქონდა 10-12 მილიონი ტონა შლამი, ამავე დროს ზღვის დონე მაღლა იწევდა, რასაც თან ერთვოდა დასავლეთის ქარების გამო გაშლილ ვაკეზე მდინარის შეგუბება. ჭაობი და ფაფისებური ნიადაგი, არათუ რიონის სანაპიროებს, არამედ დასავლეთ საქართველოს ვაკის დიდ ნაწილსაც მოიცავდა. აღნიშნული კლიმატური პირობების გამო, იძულებული ვარ, და ამვე დროს ჩემი მოვალეობაც არის, დავეთანხმო VII საუკუნის ტრაპეზუნტელ მიტროპოლიტს, რომელმაც 3-ჯერ მოაწერა ხელი VI მსოფლიო კრების მასალებს და 3-ჯერვე აღნიშნა, რომ ფაზისის სამიტროპოლიტო ცენტრი იმჟამად ტრაპეზუნტში მდებარეობდა.

11.06.2008.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ქისტების გამაჰმადიანება XX საუკუნის საქართველოში

XIX-XX საუკუნეებში საქართველოში რუსების ბატონობის დროს ქრისტიანული სარწმუნოება არა თუ განმტკიცდა მოსახლეობაში, როგორც მიიჩნევს ზოგიერთი რუსი მკვლევარი, არამედ აღმოიფხვრა კიდეც. ამის მაგალითად გამოდგება იქამდე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში მყოფი ჩეჩენთა და ინგუშთა აღმსარებლობის მაგალითი.

საქართველოს რელიგიის ისტორიის შთამბეჭდავი ფაქტია ის, რომ პანკისის ხეობაში XIX საუკუნის დასაწყისში ჩასახლებული ქისტების გამაჰმადიანების პროცესი დასრულდა XX საუკუნის 90-იან წლებში. ქისტები საქართველოს აღნიშნულ კუთხეში ჩასახლების დროს ქრისტიანები იყვნენ და ქართველი მთიელების მსგავსად ქრისტიანულ სარწმუნოებრივ წესებს აღასრულებდნენ. კერძოდ პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების ერთი ნაწილის გამაჰმადიანება დაწყებულა საქართველოში რუსების ბატონობის დროს XIX საუკუნის ბოლოს, ამავე დროს ქისტების უმთავრესი ნაწილი კვლავ ქრისტიანებად რჩებოდა, პროცესი გაღრმავებულა რუსთა მიერ საქართველოს მეორედ დაპყრობის შემდეგ XX საუკუნის 20-იან წლებში, გამაჰმადიანებას სწრაფი სახე მიუღია II მსოფლიო ომის შემდეგ და მოსახლეობის სრული გამაჰმადიანება დასრულებულა XX საუკუნის 90-იან წლების დამდეგს.

პანკისელი ქისტებისა და საერთოდ ვაინახების ყოფა-ცხოვრების მკვლევარი ხვთისო მამისიმედაშვილი წერს: "მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება ჯოყოლოს მოსახლეობის სწრაფი გამაჰმადიანება". მანამდე, როგორც თვითმხილველნი გადმოგვცემენ, სოფელში მეღორეობის ფერმაც კი ჰქონდათ. ჯოყოლოელთა გადასვლა მაჰმადიანურ რჯულზე დასრულდა XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს. ამჟამად ისინი ისლამის მიმდევრები არიან. (ხვთისო მამისიმედაშვილი. "ვაინახები და ქართველი მთიელები" თბილისი 1997. გვ. 27).

ქისტების პირველი ჯგუფი პანკისში გამოჩენილა 1826-28 წწ-ში. პანკისი ამჟამად ეწოდება მთელ ხეობას, მაგრამ ჩანს თავდაპირველად იგი ერთ-ერთი სოფლის სახელი ყოფილა, სადაც ისინი ზემოთ აღნიშნულ წლებში ჩასახლებულან დუი ციცხაშვილი-ხანგოშვილის წინამძღოლობით. დუის პატივსაცემად სოფელ პანკისისათვის დუისი უწოდებიათ. დუი ციცხაშვილ-ხანგოშვილი ავტორიტეტული პიროვნება ყოფილა, ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე, მეგობარი ადგილობრივ დიდებულებისა და უხუცესებისა. მისი მეთაურობით ქისტების ჩამოსახლება შეთანხმებული ყოფილა ხელისუფლებასთან, კერძოდ თიანეთის მაზრის გამგებლობასთან, რომელსაც იმ დროისათვის ექვემდებარებოდა თუშ-ფშავ-ხევსურეთი. უფრო მეტიც, ქისტების ჩამოსახლების დროს დუი ხანგოშვილს დიდად დახმარებიან ქართველი დიდებულები, კერძოდ, თავადები ჩოლოყაშვილი, ჯანდიერი და თუშეთის მოურავი ივანე ცისკარიშვილი. დუის გარშემო შემოკრებილან კახეთსა და მთიანეთში მცხოვრები ქისტებიც და საერთოდ, I ნაკადი წამოსულა არღუნის ხეობის მაისტის თემიდან. მაისტელი იყო დუი ხანგოშვილიც. ჩამოსახლების დროს ისინი ისეთივე ქრისტიანები ყოფილან, როგორც საზოგადოდ ქართველი მთიელები, ხევსურები, ფშავლები და სხვა მათი მეზობლები. ამას მიუთითებს ისიც, რომ პანკისელ ქისტებს თავიანთი მშობლიური ადგილებიდან თან "წამოუღიათ" სალოცავი ნიში, კერძოდ ჩამოტანილი აქვთ სალოცავი ნიში "მაისტიე წივ", რაც დაახლოებით მაისტის ხატს აღნიშნავს. (იქვე, გვ. 22) ასევე წარმოუდგენელია, კახეთ-მთიანეთის ადგილობრივ მმართველობას, ქართველ თავადებს და საერთოდ ქართულ მოსახლეობას XIX საუკუნის 20-იან წლებში ხელი შეეწყოთ კახეთის ქრისტიანთა შორის მაჰმადიანთა ჩასახლებისათვის. საქმე ის იყო, რომ სწორედ აღნიშნულ დროს აღ. საქართველოს ქრისტიანებისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა ე.წ.

„ლეკიანობა“, რომელშიც იგულისხმებოდა მაჰმადიანი მთიელების განუწყვეტელი ლაშქრობები და თარეში ქრისტიანულ სოფლებში. ასეთ პირობებში ქრისტიანები თავიანთ სოფლებსა და მამულებს არ დაუთმობდნენ მაჰმადიანებს. ქართველებს ჩამოსახლებული ქისტები ქართველი ხალხის ერთ-ერთ ეთნოჯგუფად მიაჩნდათ თუშთა და ხევსურთა მსგავსად. მართალია, ქისტებს ჰქონდათ თავიანთი სასაუბრო ენა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ასეთი ენა და მკვეთრად განსხვავებული დიალექტები ამჟამადაც გააჩნიათ ქართველ მთიელებს. ქისტების ამ პირველი ჯგუფის ქრისტიანობას მიუთითებს ისიც, რომ ქისტების მეორე ჯგუფი, რომელიც პანკისის ხეობაში ჩასახლდა 1854-55 წლებში, ნამდვილად ქრისტიანები იყვნენ. მეორე ჯგუფის ხელმძღვანელი ყოფილა ჯოყოლა ნაციშვილი-დარქიზანაშვილი. ჯოყოლაც ასევე დიდად ავტორიტეტული კაცი ყოფილა და ჰყოლია ქართველი ძმადნაფიცები. მათი და ზემოთაღნიშნულ თუშების მოურავ ივანე ცისკარიშვილის დახმარებით დუისის ჩრდილოეთით დაუარსებიათ სოფელი ჯოყოლო. მალე სოფლის ცენტრში ქისტებს აუშენებიათ ქრისტიანული ეკლესია, რომელშიც წირვა-ლოცვას აღასრულებდა ქისტი სამღვდელოება, რაც დიდად ნიშანდობლივია. ეს მიუთითებს, რომ ქისტები არა მხოლოდ ქრისტიანები იყვნენ, არამედ მათი წიაღიდან გამოსული ახალგაზრდები იღებდნენ შესაბამის სასულიერო განათლებას და მღვდლებად ხელდასხმის შემდგომ აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას ეკლესიებში.

ცხადია, ქისტი მღვდლები წირვა-ლოცვას აღასრულებდნენ ქართულ ენაზე, რადგანაც ეს ენა მათთვის წარმოადგენდა სალიტერატურო, კულტურის, საურთიერთობო და საღვთისმსახურო ენას. საერთოდ რუსების შემოსვლამდე **ძვ. საქართველოში შავი ზღვიდან ვიდრე ალბანეთამდე "აზერბაიჯანამდე" ღვთისმსახურება აღესრულებოდა მხოლოდ და მხოლოდ ძვ. ქართულ ენაზე, ძველ ქართულ დამწერლობას ხუცურს უწოდებდნენ. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ის, რომ ჯერ კიდევ მთაში ცხოვრებისას ქისტი ხუცესები მთის ჯვარ ხატებშიც აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას ხევსური და სხვა ქართველი მთიელების ხუცესთა მსგავსად,** რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ისმის კითხვა: რამ აიძულა ქისტები XIX საუკუნეში აყრილიყვნენ თავიანთი სამშობლო კუთხიდან და გადმოსახლებულიყვნენ რუსეთის სახელმწიფო მმართველობის ქვეშ მყოფ პანკისის მხარეში! (ამასთან დაკავშირებით ხ. მამისიმედაშვილი წერს: “ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ლეილა მარგოშვილი ასკვნის, რომ ვაინახების პანკისში ჩამოსახლების მიზეზი იყო მათი მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, მესისხლეობა და შამილის მიერ მაჰმადიანობის გასავრცელებლად ჩეჩნეთის მთიანეთში გატარებული მკაცრი ზომები. როგორც ცნობილია შამილი იქ ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდა ისლამს, ვინც უარს აცხადებდა ისლამის მიღებაზე განიცდიდა საშინელ დევნას და ეძებდა საიმედო თავშესაფარს" (იქვე, გვ. 24). მაშასადამე პანკისში ქისტების ჩამოსახლების მთავარი მიზეზი ყოფილა ის, რომ მათ არ სურდათ ისლამის მიღება და გამოქცეოდნენ მოძალადეებს, რომლებიც მათ ძალით ამაჰმადიანებდნენ.

აღსაღნიშნავია, რომ XVIII საუკუნემდე ქისტები საზოგადოდ ქრისტიანები იყვნენ, ხოლო XVIII საუკუნეში ნელ-ნელა ქრისტიანობის ადგილი დაუჭერია სუნიტური მიმართულების მაჰმადიანობას. იმ დროისათვის მაჰმადიანობა ფეხმოკიდებული ყოფილა მხოლოდ ქისტების ზოგიერთ ჯგუფში. ისინი კი შარიათის მიხედვით დადგენილ წესებთან ერთად არ ივიწყებდნენ მამა-პაპურ სარწმუნოებრივ და სხვა ქრისტიანულ ტრადიციებს. ასე რომ, ჩეჩნეთში და ინგუშეთში XIX საუკუნის დასაწყისში ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობდა ქრისტიანობა და მაჰმადიანობა. ამავე დროს მოსახლეობას აიძულებდნენ მიეღოთ მაჰმადიანობა. როგორც აღვნიშნეთ, ვისაც გამაჰმადიანების თავიდან აცილება სურდა, თავს აფარებდნენ საქართველოს და შესაძლოა სხვა ქრისტიანულ ქვეყნებსაც.

პანკისში ჩამოსახლების შემდგომ ქისტური მოსახლეობა დიდი ხნის მანძილზე ქრისტიანულ წესებს იცავდა, მაგრამ მათში თანდათანობით მაინც მოუკიდია ფეხი მაჰმადიანობას და XIX საუკუნის მიწურულისათვის, კერძოდ 1898 წელს, დუისში დაუწყიათ მეჩეთის მშენებლობა,

დაახლოებით 20 წლის შემდეგ მაჰმადიანური რელიგიის მოძალების შედეგად, კერძოდ 1921 წელს, ჯოყოლოს ეკლესიის მღვდელი იძულებული გამხდარა სამუდამოდ მიეტოვებინა სამსახური და თელავში გადასულიყო. ამის შემდეგაც მოსახლეობა კვლავ იცავდა ზოგიერთ ქრისტიანულ წესს და როგორც აღვნიშნეთ, მაჰმადიანურ რჯულზე მოსახლეობის საბოლოო გადასვლის პროცესი დასრულებულა XX საუკუნის 90-იან წლებში.

თვითონ ისტორიულ ქისტეთში, ვაინახების ქვეყნის ნასოფლარებში ამჟამადაცაა შემორჩენილი უამრავი კოშკი, რომლებზეც ჯვრებია გამოსახული. ტყობაიერდისა და ალიბერდის ეკლესიებში დაცულია ქართული წარწერები. არქეოლოგთა და სხვათა მიერ გათხრილ სამარეებში მიცვალებულები დაკრძალულნი არიან ქრისტიანული წესით, თავით დასავლეთისაკენ, ერთ-ერთი ქრისტიანი ქისტისათვის წმიდა გიორგის მედალიონი - ხატიც ჩაუტანებიათ, გროზნოს მუზეუმში დაცულია უამრავი თლილი ქვა და ქვაჯვარი ქართული ასომთავრული ასო ნიშნებით. **ქისტები ისტორიულად ქრისტიანები იყვნენ ათეულ საუკუნეთა მანძილზე** (“აია” N2, 1997. გვ.).

“ანატორის ჯვარი” შატილიონებისა და ქისტების საერთო სალოცავია. ანატორის ჯვარში ბოლო დრომდე მოდიოდნენ ქისტები სალოცავად საკლავით, ქადა-პურითა და სანთლით. საუკუნის ოციან წლებში ანატორის ჯვარს ჰყოლია გამორჩეულად წმინდა და ჯვარ-ხატების კარგი მცოდნე ქისტი ხუცესი ბაგახა. ის მთისიქითა ქისტეთიდან მოდიოდა ანატორის ჯვარში სანთლით, საკლავითა და ბაჩაყურეებით "სამკაპა ან ოთხკაპა ქადის მსგავსი" ჯვარს ადიდებდა. შემდეგ ქისტები მოხარშულ ხორცსა და ბაჩაყურეებს ხალხს ჩამოურიგებდნენ. ხევსურ ბავშვებს განსაკუთრებით უხაროდათ ქისტების მოსვლა ანატორის ჯვარში. ბაგახა სანთელს რომ აანთებდა, ასე ლოცულობდა: - “ნაქორინწა წეიმ ბარა”! - გწყალობდეთ ანატორის ჯვარიო. “ანატორის ჯვარი მტრედის სახით მოფრინდებოდა, აკლდამაზე დაჯდებოდა და ღუღუნს დაიწყებდა ხოლმე... მხოლოდ ბაგახას - ქისტ ხუცესს შეეძლო ჯვრის ძალით აკლდამასთან ასვლა, ხოლო მტრედი მხარზე დააჯდებოდა მას და კლდეებზე დაატარებდა. მტრედი და დროშა, როგორც ანატორის ჯვრის სახე, ქისტ ხუცესს ხშირად ქისტ სოფლებშიც მიჰყავდა და იქ ხუცობდა. როგორც მთხრობელმა ჩორეხ ჭინჭარაულმა მიამბო ქისტებს ხევსური ხუცესიც მიჰყავდათ თავიანთ სოფლებში. “ჩემ პაპა გიგიაც შატილის ხუცეს იყვის, მიჰყავდისთ ქისტეთჩი და ახუცვინებდიან ბანებზედ” (ხ. მამისიმედაშვილი, “ვაინახები და ქართველი მთიელები”, გვ. 21).

“როგორც გადმოცემიდან ირკვევა, ქისტები ანატორის ჯვრის უნჯი ყმანი ყოფილან” (იქვე, გვ. 22).

“ბალთაგორის წმინდა გიორგისა და მთის სხვა სალოცავებში მლოცველი ქისტი ისევე ლოცავდა და ესალმებოდა ხატში მისულ სხვა მლოცველს, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები” (იქვე. გვ. 22).

ცნობილ გმირ თორღვა ძაგანამდე ქისტების რჯული ისეთივე ყოფილა, როგორც სხვა ქართველი მთიელებისა, ე.ი. ქრისტიანული, ამიტომაც თორღვა საერთო გმირია.

“მუცოს სათემო სალოცავში, მთავარანგელოზის ჯვარში, ხონეს საათენგენოდ ახლაც მიდიან ქისტი ბორჩაშვილები ძღვნითა და საკლავით, ხოლო ხახმატის დღეობაზე პირაქეთ ხევსურეთში შეხვდებით ხევსურს, ფშაველს, ქისტს და სხვა. ისინი სანთლითა და საკლავით მფარველობას შესთხოვენ წმინდა სალოცავს” (იქვე. გვ. 23).

პანკისში, ამჟამად უკვე გამაჰმადიანებული ქისტების რელიგიური სიმღერა შესრულების სტილით ჯვარ-ხატებში აღვლენილ ფშაურ ფერხისაის ჰგავს. ქისტური რელიგიური სიმღერები თითქოსდა ალავერდის ე.წ. “მონების” იავნანას მელოდიას წააგავს.

“ქისტები” ისევე, როგორც კახელები და ქართველი მთიელები იხდიან კოლექტიურ საღვთოს. (იქვე, გვ. 31). ე. წ. წვიმის მოსაყვანი რიტუალი ამ ქისტებში ისეთივეა, როგორც საერთოდ ქართველებში, "გუთნის წყალში გაყვანა, გაწუწვა და ძალით ბანაობა ერთ-ერთი მონაწილისა და სხვა".

რაიმე მნიშვნელოვანი ამბის აღსანიშნავად "ავადმყოფის განკურნება, ჯარისკაცის დაბრუნება, ხიფათისაგან თავის დაღწევა" აღმოსავლეთ საქართველოში იხდიან საღვთოს, ადუღებენ ლუდს, ხდიან არაყს, კლავენ საკლავს, აკეთებენ ხინკალს და სუფრის ხუცეს-ხევისბერს ამწყალობინებენ, ანთებენ სანთელს და ჭრიან სარიტუალო ქადებს. ანალოგიური ჩვეულება აქვთ ქისტებს", ოღონდ ახლა ალკოჰოლიანი სასმელები აკრძალული აქვთ და ხუცესების მაგიერ მოლები ლოცულობენ (იქვე, გვ. 33).

ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში შეუნიშნავთ, რომ ახალი წლის შეხვედრის სარიტუალო წეს-ჩვეულება ქისტებში ისეთივეა, როგორც ქართველებში. ახალ წელს ქისტურად "ნიჯუა" ეწოდება. "ნიჯუა"-დან ხუთი კვირის შემდეგ იციან "ოღუაი", რომელიც ქართულ "აღების" დღესასწაულს ემთხვევა, ამ დღეს კლავენ საუკეთესო საკლავს "ისევე, როგორც ქართველი მთიელები, ქისტებიც საკლავს სოფლის რჩეულ უხუცესს დაამწყალობინებენ და დააკვლევინებენ ხოლმე". ქრისტიანული "აღება" ნიშნავს "ხორცის აღებას", ხორცის საჭამადის გამორიცხვას კვების რაციონიდან დიდმარხვის წინა, მოსამზადებელ პერიოდში. კერძოდ დიდმარხვის დაწყებამდე ჯერ არის ხორციელის, შემდეგ კი ყველიერის კვირა. ხორციელის შვიდეულში შეიძლება ხორცის ჭამა, ამ დროს ცდილობენ ხორცის საუკეთესო საკვების მიღებას, რადგანაც ხორციელის კვირა დღიდან, როდესაც სუფრიდან აიღებენ ხორცს, მისი ჭამა უკვე აღარ შეიძლება აღდგომის გახსნილებამდე, ე.ი. თითქმის ორი თვე. "აღება" და მისი შემდგომი ყველიერიც, სახალხო დღესასწაულში გადაიზრდებოდა ხოლმე, ამ კვირეებში ხალხი ზეიმობდა და მხიარულობდა, კარგადაც იკვებებოდა, რადგანაც ყველიერის ბოლოდან აღდგომამდე, დიდმარხვის დროს, ხალხი უკვე გლოვასა და მწუხარებაში იყო, ემზადებოდნენ ზიარებისა და აღდგომის ღირსეულად შესახვედრად, ამბობდნენ "მარხვა სინანულისა და აღდგომა სიხარულისა". როგორც აღვნიშნეთ ქისტური "ოღუაი" არის ქრისტიანული "აღების" დღესასწაული. ხორციელის კვირაში, ყოველი ოჯახი, როგორი ღარიბიც უნდა ყოფილიყო, ვალდებული იყო "ხორცზე კბილი დაედგა". "ოღუაის ორი კვირის შემდეგ, ასევე შაბათ დღეს ქისტები იხდიან დღესასწაულს, რომელსაც სახელად ჰქვია "სინი". (იქვ. გვ. 33) ამ დროს ახსენებდნენ მიცვალებულებს "ძველსა თუ ახალს", ვინც ახსოვდათ და მოაგონდებოდათ, რაც ყველაზე ნიშნეულია, ამ დღეს ქისტები მიცვალებულთა მოსაგონებლად იმ კერძს ამზადებდნენბ რომელსაც ქართველები "კორკოტს" ან "წანდილს" უწოდებენ, ქისტურად - "ბაკლას". დიდმარხვის პირველ შაბათს, ისევე როგორც სხვა მომდევნო შაბათ დღეებში, ქრისტიანები საგანგებოდ მოიხსენიებენ მიცვალებულებს, ე.წ. "მიცვალებულთა შაბათი". ამზადებენ საკურთხს, კორკოტ-წანდილს "მოხარშულ მარცვალს", მღვდელს თუ საშუალება აქვს, ალოცვინებენ. ასევე ქისტი მლოცველი მიცვალებულის მოხსენიებისას "ამოიღებს ქვაბით მოხარშულ ბაკლას, ქვაბს გარს შემოატარებს რკინეულს რასმე სამჯერ, მოიხსენებს იმავე მიცვალებულებს, მერე ზემოდან გაშლილი ხელით სამჯერ ჯვარს გამოსახავს და შემდგომ შეექცევიან ბაკლას: მოხარშული სიმინდი, ლობიო, ხორბალი ერთმანეთში არეული". (იქვე. გვ. 34).

ეს დღესასწაულები სცოდნიათ მხოლოდ პანკისელ ქისტებს. "ნიჯუა, ოღუაი და სინი" წააგავს ქართველი მთიელების რელიგიურ დღესასწაულებს. ლეილა მარგოშვილის ცნობით, ჩეჩნები და ინგუშები ამ დღეობებს არ იცნობენ. ამდენად მათ ისინი ან სავსებით დაივიწყეს, ანდა ქისტებმა იგი ქართველებისაგან შეითვისეს. (იქვ. გვ. 34). აქედან ჩანს, რომ პანკისში ჩამოსახლებისას ქისტებს გააჩნდათ ქრისტიანული საეკლესიო ჩვეულებები, მათ, როგორც ვთქვით, ჯოყოლოში თავიანთი ეკლესიაც ჰქონდათ და ქისტი სამღვდელოებაც ჰყავდათ. ამჟამადაც აღდგომას კვლავ დღესასწაულობენ, "აღდგომის დღესასწაულისათვის ჯოყოლოელი და სხვა სოფლელი ქისტები დღემდე საგანგებოდ ემზადებიან და მას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან. დღეობა ორ-სამ დღეს გრძელდება, იკვლება საკლავი, ინთება სანთელი, ლოცულობენ სოფელსა და მის მიმდებარე ადგილებში მდებარე ქრისტიანულ ეკლესიასა და სხვა ნიშებში. სოფელში ამ დღეებში დიდი ლხინი და მხიარულებაა. გარდა წმინდა ადგილებზე სანთლების დანთებისა, ქისტებმა ქართველების მსგავსად შემოინახეს ხეებზე ნაჭრების მიბმის ტრადიცია. ქისტები სალოცავად

ძღვნით ალავერდშიც მიდიან. ომალოში მცხოვრებ ქისტებს სოფლის სიახლოვეს სალოცავად აქვთ წმიდა გიორგის, თუშოლისა და კოპალას ნიშები. ბირკიანელები ლოცულობენ წმიდა გიორგის ეკლესიის ეზოში. თუშოლი, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იგივე ღვთისმშობელია, ხოლო კოპალას ნიშის არსებობა ომალოში ფრიად საგულისხმოა. კოპალას სახელობის ჯვარ-ხატები გვხვდება ფშავ-ხევსურეთში. (იქვე. გვ. 34).

ქისტებსა და ქართველებს ერთნაირი ადათები ჰქონდათ, როგორც ხევსურეთში, ქისტებშიც პატარძალი მამამთილს სახელით ვერ მიმართავს... მართალია ქისტები მაჰმადიანური რწმენის აღმსარებლები არიან, მაგრამ მათ სუფრაზე, თითქმის ჩვეულებრივი მოვლენაა ღვინის სმა, თუმცა მთიელთა ტრადიციის შესაბამისად იქ მაინც არაყი სჭარბობს. (იქვე. გვ.37). ღვინის ზომიერი სმა ქრისტიანული ტრადიციაა. ქისტები ჩანს, არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ ქრისტიანული წესების მკაცრი დამცველებიც ყოფილან, ამას მიუთითებს ის, რომ ისინი დიდ მარხვის პირველ დღესა და უკანასკნელს, ე.ი. დიდ შაბათს, მშივრები ატარებდნენ, ვიდრე ვარსკვლავი არ ამოვიდოდა. ახლაც მორწმუნე ქრისტიანები სწორედ დიდმარხვის პირველ და ბოლო დღეებში მარხულობენ განსაკუთრებულად. ასეთივე მმარხველნი ყოფილან ხევსურებიც. ძველად ფშავ-ხევსურები კარგი ქრისტიანები იყვნენ თავიანთი ქრისტიანული სალოცავებით, სამღვდელოებითა და დღესასწაულებით, მაგრამ ბოლო საუკუნეებში, სამღვდელოების არ ყოლის გამო, ნასწავლი და ნაკურთხი სასულიერო პირების ადგილი დაიჭირეს ხალხისგან ამორჩეულმა წმიდა ცხოვრებით მცხოვრებმა პირებმა, რომელნიც ცდილობდნენ უცვლელად აღესრულებინათ ის სარწმუნოებრივი წესები, რაც მათ ახსოვდათ ძველი სამღვდელოებისგან. ხევსურთა ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყვნენ ქისტებიც, საერთო სალოცავ-ჯვარ-ხატებით, ჩვეულებებით, ტრადიციებით, საეკლესიო ტერმინოლოგიითა და ქართული ანბანით. ჩეჩნეთ-ინგუშეთში აღმოჩენილია არა მარტო ქართული წარწერები, არამედ ხელნაწერებიც. ინგუშეთში ასას ხეობაში არსებობს ქრისტიანული ეკლესიები - თხობა - ერდიბ ალი - ერდიბ თარგიმიბ მაღარ - ერდი და სხვა. "1944 წლამდე მრავალი ინგუშის ოჯახში ინახებოდა ქართული სასულიერო წიგნები და მათი ფრაგმენტები... უფრთხილდებოდნენ მას, როგორც ძვირფას რელიქვიას და გადასცემდნენ თაობიდან თაობას. (А.И.Шавхелишвили, Грузино - Чечено - Ингушские взаимоотношения, 1992, с.189, იქვე, გვ. 68).

ვაინახებში რელიგიის კულტთან დაკავშირებული და ზოგიერთი სხვა ტერმინი ქართულია, მაგალითად ჯვარი ვაინახურად არის "ჯარ", მარხვა - "მარხ", კვირა - "კირ", სანთელი - "სენთალ", ორშაბათი - "ორჩუათ", პარასკევი - "პერასკ", შაბათი - "შოთ", ეკლესია - "ქილს" და სხვა. შავხელიშვილის ცნობით "ჩეჩნეთში, ხილდიხაროს ხეობაში, მრავალი ქართულიდან მომდინარე ტოპონიმია". ქართული კულტურის გავლენით წარმოქმნილი უნდა იყოს "ქერისტიე", "ცაცხი", "ჩამღა", "მოზღარი" და "მეციხ". ქართულად ქერისტიე ნიშნავს ქრისტიანს, ჩამღა-ჩაღმას, ცაცხი-ცაცხვს, მოზღარი-მოძღვარს, მეციხს კი ქართულ მეციხოვნესთან უნდა ჰქონდეს კავშირი".(ხ. მამისიმედაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 7).

ქისტები, საერთოდ, ხალხური თქმულებებითა და გადმოცემებით, ისეთი ღრმა ქრისტიანები იყვნენ, რომ რომელ თემშიც არ უნდა მოხვედრილიყვნენ, ეკლესიებს აშენებდნენ, მაგ. ზეგარდის წმიდა გიორგი ქისტეთიდან მოსულ კაცს დაუარსებია (იქვე, გვ. 19). გერგეტის ყოვლადწმიდა სამების ეკლესიის მცველობა ქისტეთიდან მოსულ სუჯის შთამომავლებისათვის დაუვალებიათ საქართველოს მეფესა და პატრიარქს.(„აია", 1997, N2, გვ. 63).

"ქისტებსა და თუშებს შორის ნათელ მირონით ნათესაობა მოუდიოდათ. ფშავში ლაშარის გორაზე ქისტების საჯვარე არსებობს, ხევსურეთში, ანატორის ჯვარში ქისტი და ხევსური ხუცესი ერთად ხუცესობდა, ქისტების ამინდის "ღმერთებია" - ოჩი "ქართულ ვაჩის შეესაბამება", ჰელი "ქართული წმ. ელია", დერგ ნანილგ - თოვლის დედა საქართველოში მყინვარზე ბუდობს". (იქვ. გვ. 66).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ქისტებს არა მარტო საერთო სარწმუნოება ჰქონდათ ქართველებთან, არამედ საერთო ისტორიაც, საერთო საისტორიო გმირები და წარსული ცხოვრება. ამის მაგალითი მრავალია. მაგალითად ცნობილი 300 არაგველი - ვაინახებად მიაჩნიათ. "ქისტებში დღემდე პოპულარულია გადმოცემა, თითქოს ის სამასი არაგველი, რომელიც კრწანისის ველზე დაეცა, ვაინახები იყვნენ. ამ ლეგენდას ისინი ასაბუთებენ იმ გარემოებით, რომ ჩრდილოეთიდან კავკასიონზე გადმოსული ქისტი მეომრები არაგვის ხეობას უნდა ჩამოჰყოლოდნენ და ამიტომაც იწოდებოდნენ არაგველებად". (ხ. მამისიმედაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 8).

მეორე ასეთი მაგალითი ეხება საქართველოს ბედით დამწუხრებულ ლელთ ღუნიას "გადმოცემით ილია ჭავჭავაძის ლელთ-ღუნია მალხების "ქისტების" ჩამომავალი ჯღუნა ხულელაძე ყოფილა" (ჯ. კაკულია, ანისტორესია, "აია", 1997 N2, გვ.63). ამ გადმოცემაში ჩანს ქართველებთან საერთო ისტორიის მქონე ქისტები როგორ იყვნენ დაინტერესებულნი საქართველოს კეთილდღეობითა და მომავლით.

მალხებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ისინი ვაინახების ერთერთი ეთნოჯგუფი ყოფილა. ვაინახი ხალხის ეთნოჯგუფები ერთი მოსაზრებით არიან ღალღაი, ნოხჩი, ახი და მელხი (იქვ. გვ. 65). მეორე მოსაზრებით ვაინახი ხალხი ბინადრობდა თემებად. ცნობილია ითონხალის, ხილდიხაროს, იალხაროს, მაისტის, მელხისტის და სხვა თემები (ხ. მამისიმედაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 15). თითქმის ყველა თემი, გარკვეული კუთხით დაკავშირებულია ქართველებთან. მაგალითად, ითონხალეს ქისტური თემის დამაარსებელი ვინმე ითონი წარმოშობით ქართველი ყოფილა. მაშასადამე ამ თემს ქისტებად გადაქცეულ ქართველებად მიიჩნევდნენ (იხ. იქვე, გვ. 70. შენიშვნა 14. შავხელიშვილის ცნობა).

ხილდიხაროს თემში მრავალი ქართულიდან მომდინარე ტოპონიმია (იქვე გვ. 7).

ასეთ მაგალითებთან დაკავშირებით შემთხვევითი არ უნდა იყოს თვით ვაინახთა შორის გავრცელებული ასეთი სახის გადმოცემა: "ქისტეთში გავრცელებულია ლეგენდა, რომ პირველი ქისტის დედა ქართველი ქალი იყო" (ა. ნოზღაიძე, "ქისტები" გაზ. "ლაშარის გორა" 1996, 8 ნოემბერი).

ეს ლეგენდა არა მხოლოდ ეხმიანება, არამედ თითქოსდა ადასტურებს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობას - "ქისტნი, ღლიღვნი და ძურძუკნი პირველ იყვნეს ენითა ქართულითა მომზრახენი და ქრისტიანენი". ქართულ და ჩეჩნურ ენებში დასტურდება უამრავი ლექსიკური ერთეული, რომელთაც საერთო ძირები მოეპოვებათ... საილუსტრაციოდ მოხმობილი მასალა მიუთითებს ქართული და ვაინახური ენების ერთგვარ ნათესაობაზე. სავარაუდოა, რომ ამ ხალხებს პრეისტორიულ ხანაში საერთო ენაც კი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ხანგრძლივი დროის მანძილზე მოხდა საგრძნობი დიფერენციაცია. ამის გამო ქართული და ჩეჩნური ენები ერთმანეთს დაშორდნენ (ხ. მამისიმედაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 68). თეიმურაზ ბატონიშვილი სწორი უნდა იყოს, ამ ენათა დაშორება არაა სავარაუდებელი მაინცდამაინც პრეისტორიულ ხანაში. დამოუკიდებელი ენის ჩამოყალიბებისათვის საკმარისია რამდენიმე ასეული წელიწადი, მითუმეტეს გარე სამყაროსაგან იზოლაციის დროს. უკრაინული და ველიკორუსული ენები, მიუხედავად მათი ერთმანეთთან მტკიცე კონტაქტისა და კულტურულ-სარწმუნოებრივ-საეკლესიო ურთიერთობისა, ერთმანეთს დაშორდნენ XIV საუკუნის შემდეგ და დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდნენ რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში, ასევე სხვა ევროპული ენებიც.

"თეიმურაზ ბატონიშვილი ძურძუკნის ქვეშ გულისხმობს ჩეჩნებს, რომლებსაც ასევე "ნოხჩი" ეწოდებათ, ხოლო ღლიღვთა ქვეშ ღილღოს ანუ ინგუშებს, იგივე ღალღა. ქისტების ქვეშ შესაძლოა გულისხმობს ზემოთაღნიშნულ მელხებს და მაისტის თემს. ეს უკანასკნელი, როგორც ფიქრობენ, მუცოსთან იყო, მაისტელები იქედან კახეთში "პანკისში" გადასახლებულან (იხ. იქვე, გვ.23). ყველა ამათი საერთო სახელია, როგორც აღვნიშნეთ, ვაინახი. "ვეინახები ჩვენს მეზობლად ცხოვრობს - წერს ა. ნოზღაიძე - ცენტრალურ კავკასიაში თერგის შენაკადებთან არმხის, ასას, არღუნის, და შარო არღუნის ხეობებში... ვეინახები ჩვენი უახლოესი ნათესავია ენითაც და სისხლითაც. წააგავენ

ქართველ მთიელებს. წეს-ჩვეულებით, ზნე-ხასიათით, სახლ-კარით, ჯამ-ჭურჭლით, ჩაცმა-დახურვით, ცეკვა-სიმღერით, სასმელ-საჭმელით, უფროს-უმცროსობით, მტერ-მოყვარეობით და სხვა" („აია" 1997, N2. გვ. 65).

ნიშანდობლივი ცნობა: "ბამუტში "ჩეჩნეთი" ცხოვრობს შემდეგი გვარების მოსახლეობა: გახაურები, ფერზაულები, სიგაურები, მარშაულები, გაბადაურები, ხაიაურები, ქარსამაულები, სვიაკაურები... ისინი თავს მელხებად თვლიან, მელხისტის თემს კი პირიქითა ხევსურეთის მეზობლად მიუთითებენ" (იქვე, გვ. 65).

"მალხებს დაბა გველეთში უცხოვრიათ, ძირითადად კი უთანკალესა და მაისტის რაიონებში, ხევსურეთის საზღვრებზე ყოფილან განლაგებული" (იქვე, გვ. 62).

ძალზე ნიშანდობლივია ისიც, რომ ქისტების გვარები ქართული სახისაა. ქისტების გვარებია: ფარეულიძე, აჭიშვილი, ბორჩაშვილი, გაჩალიკაშვილი, ბაღაკაშვილი, ქავთარაშვილი, მარგოშვილი, ნაციშვილი, მუთოშვილი, კოტორაშვილი და სხვა. ენათესავებიან ქართველ კოჭლაშვილებს, ვეშაგურებს, ზაქაიძეებს, მარსაგიშვილებს, მუშტიშვილებს, ღანიშაშვილებს და სხვა.

თავის მხრივ "ჩეჩნეთ-ინგუშეთში ცხოვრობენ გავაინახებული ქართველები, მრავალი ვაინახი "დარჩიევი, ქარჩიევი და სხვა" თავის წინაპრებად ქართველებს აღიარებს (ხ. მამისიმედაშვილი, ვაინახები და ქართველი მთიელები, 1997, გვ. 19).

ასე რომ, ეთნოგრაფ-მკვლევართა დაკვირვებით, ქისტები საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში ჩამოსახლდნენ ვითარცა ქრისტიანები და ქრისტიანული წეს-ჩვეულებების ერთგული დამცველნი, XIX საუკუნის ბოლოს მათში თანდათან გავრცელება იწყო მაჰმადიანობამ, XX საუკუნის შუა წლებში, II მსოფლიო ომის შემდეგ კი მათი უმრავლესობა უკვე გამაჰმადიანებული იყო, სრული გამაჰმადიანება XX საუკუნის 90-იან წლებში დასრულებულა.

დასარული

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს ეკლესიის ჩამოყალიბება (I - IV საუკუნეები). საქართველოს წმიდა სამოციქულო - მართლმადიდებელი ეკლესია

მოხსენება კონფერენციაზე

"საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას" უძველესი დროიდან "საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც" ეწოდებოდა, ვინაიდან იგი ქრისტეს მოციქულებმა დააფუძნეს. ძველი ქართული საეკლესიო წყაროების - "მოქცევაჲ ქართლისაჲს" (VII-IX საუკუნეები) და "ქართლის ცხოვრების" (VIII-XI საუკუნეები) ცნობებით, წმიდა მოციქულების ეპოქაში თანამედროვე საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა სახელმწიფო - "ქართლის სამეფო", რომელსაც უცხოელები იბერიას უწოდებდნენ, ის იყო მემკვიდრე დიდი ისტორიული კოლხიდისა.

საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრებული ტრადიციული გადმოცემით, ჩვენში უქადაგნია მოციქულთა სიმრავლეს - წმ. ანდრია პირველწოდებულს, სიმონ კანანელს, მატათას, ბართლომეს,

თომასა და თადეოზს. ქართული და უცხოური წყაროებიც მიუთითებენ მოციქულების საქართველოში მოღვაწეობას.

მიზეზი მოციქულთა ასეთი სიმრავლისა უნდა ყოფილიყო იმჟამინდელი საქართველოს პოლიტიკური გავლენის სფეროში საერთაშორისო სავაჭრო გზების მოქცევა. მოციქულთა მოღვაწეობის ეპოქაში იბერიის გავლენის სფეროში მოექცა ვრცელი ტერიტორია კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე და სამხრეთით ვანის ტბამდე. აქ გამავალი საერთაშირისო სავაჭრო გზები, რომელნიც რომის იმპერიას სპარსეთთან და სკვითიასთან აერთებდა, იბერიის მიერ კონტროლდებოდა. ამ მიზეზის გამო, სპარსეთ-ინდოეთსა თუ, ჩრდილოეთით, სკვითია-სარმატიაში საქადაგებლად მიმავალი წმიდა მოციქულები გზას ვერ აუქცევდნენ იბერიას.

წმ. მოციქულთა ეპოქაში, I საუკუნის 30-იანი წლებიდან II საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით, იბერია ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელიც კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა. რომაელი ისტორიკოსები - ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები აღწერენ იბერიის ცხოვრებას. ტაციტუსის ცნობით I საუკუნის 30-იანი წლებიდან იბერია მეგობრობდა რომთან და თავისი ძლიერი ჯარით ებრძოდა პართიის სახელმწიფოს, რათა არმენია გაეთავისუფლებინა პართიელთაგან. გათავისუფლების შემდეგ არმენიაში გამეფდა იბერთა მეფის მითრიდატეს ძე, შემდეგშიც იბერიის სამეფო სახლის წევრები მართავდნენ არმენიას, მათ შორის ტაციტუსი გამოყოფს იბერიის მეფის ფარსმანის ვაჟს რადამისტს. ტაციტუსის ცნობითვე არმენიასთან ერთად იმჟამად **“იბერიამ შეიერთა ალბანია და უხმო სარმატებს**” (CORNELIUS TACITUS, ANNALES, VI,33 - 36, IX,9, XII,15 - 50). მეორე ისტორიკოსის დიონ კასიუსის ცნობით II საუკუნის პირველ ნახევარში **“იბერიის მეფე ფარასმანესი როცა მეუღლესთან ერთად რომში ჩამობრძანდა ადრიანემ (რომის იმპერატორმა) გააფართოვა მისი სამფლობელოები”** (დიონ კასიოსი, რომის ისტორია, LXIX, 15).

ამაღლების შემდეგ მოციქულებმა წილი ყარეს თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. “ქართლის ცხოვრება” გადმოგვცემს, რომ საქართველო წილად ხვდა ღვთისმშობელს, მაგრამ მისი ძის, ჩვენი უფლის ნებით ღვთისმშობელმა თავის ნაცვლად საქართველოში წმ. ანდრია პირველწოდებული მოავლინა, რომელსაც თავისი ხელთუქმნელი ხატი გამოატანა. ანდრია მოციქულმა შემდეგი მოგზაურობის დროს საქართველოში სხვა მოციქულებიც ჩამოიყვანა. კერძოდ, მესამე მოგზააურობისას მას სიმონ კანანელი და მატათა ჩამოუყვანია. ამის შესახებ ცნობას ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (VIII საუკუნე) იძლევა.

ძველი ქართული საეკლესიო წყაროებისა და რუის-ურბნისის კრების განსაზღვრებით, ჩამოყალიბების დროიდან საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა სრულიად საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი და მთელი ქართველი ერი (მცხოვრები როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში), ამიტომაც ნაბრძანებია რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში - **“წმიდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა”,** საეკლესიო გადმოცემით, მოციქულების ქადაგებათა ეპოქაში, ქართლის სამეფოს (საქართველოს) მეფე ადერკიმ, ხელი შეახო ამ დროს საქართველოში იერუსალიმიდან ჩამოსვენებულ იესო ქრისტეს კვართს, რითაც მიღებული დიდი მადლი გადაეცა საქართველოს სამეფო დინასტიას. ამ მადლის მიღებით, ეს დინასტია მის შემდეგ 1900 წელი, XIX საუკუნემდე მართავდა საქართველოს კეთილმსახურებითა და ქრისტესმოყვარეობით (იგულისხმება ფარნავაზიანთა და ბაგრატიონთა სამეფო დინასტიები, აღსანიშნავია, რომ ბაგრატიონები ქრისტესა და მის დედას, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს თავიანთ ხორციელ ნათესავებადაც თვლიდნენ, რადგანაც თავიანთ თავს წმიდა დავით მეფსალმუნეს შთამომავლებად მიიჩნევდნენ).

ივერიის ეკლესიის დიდი მამა გიორგი მთაწმინდელი წერდა, რომ საქართველოში მოღვაწე სიმონ კანანელი დაკრძალულია “ქვეყანასა ჩვენსა აფხაზეთს” (კერძოდ ახალ ათონში), ხოლო მოციქული მატათა დაკრძალულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აფსაროსში.

უძველესი ქრისტიანული წყაროები მიუთითებენ ასევე მოციქულების ბართლომესა და თადეოზის ყოფნას საქართველოში.

მოციქულების ქადაგებათა დროს, იმდენად მრავალი ადამიანი გაქრისტიანებულა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, რომ წარმართ მეფე ადერკის საყვედურით მიუმართავს თავისი ერისთავებისათვის ეგრისსა და კლარჯეთში ანდრია პირველწოდებულის მშვიდობით განტევებისათვის.

მოციქულების ქადაგებათა ეპოქაში და შემდგომ, I-III საუკუნეებში, მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა რომ გაქრისტიანებულა, დასტურდება უახლესი არქეოლოგიური მონაპოვრებით, ისინი მეფე რევ მართლის ეპოქის (III საუკუნე) საზოგადოების ქრისტიანულ მიდრეკილებას ნათლად ასახავენ.

არქეოლოგების მიერ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გამოკვლეულია II-III საუკუნეთა ქრისტიანული სამარხები, ქრისტიანული წესით დაკრძალული მოზრდილები და ბავშვები შესაბამისი ატრიბუტებით (არტეფაქტებით). მასალიდან ჩანს, რომ ქრისტიანობას იღებდნენ ბავშვებიც კი, რომელთა მოსანათლად სამღვდელოება იყო საჭირო. ამით დასტურდება "ქართლის ცხოვრების" ცნობა, რომ ანდრია მოციქულმა, იმჟამინდელ საეკლესიო ცენტრში, აწყურში, ქრისტიანებს დაუდგინა სამღვდელოება ეპისკოპოსებთან ერთად, ანუ საფუძველი დაუდო საქართველოს წმიდა ეკლესიას, რომელსაც, ამ წყაროს ცნობით, თავისი იერარქიული მმართველობა გააჩნდა უკვე მოციქულების ეპოქიდანვე.

ანტიოქიის საპატრიარქო კარზე წმიდა გიორგი მთაწმინდელის მტკიცებით მოციქულების მიერ დაარსებული ეკლესიები პირველ საუკუნეებში თავისთავადები იყვნენ, მისი აზრით თავდაპირველად ასეთივე ყოფილა მოციქულების მიერ დაარსებული საქართველოს ანუ ივერიის ეკლესია, მაგრამ შემდგომ, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების წმიდა მამათა განმარტებით, რადგანაც საქართველოში არსებული ქრისტიანული თემები წარმართი მეფეების მხრიდან განიცდიდნენ დიდ დევნას, ამიტომაც IV საუკუნეში წარმოიქმნა საჭიროება მთელი ერის მოქცევისა.

IV საუკუნეში საქართველოში იქადაგა მოციქულთასწორმა წმიდა ნინომ, უფლისმიერი დავალებით მას უნდა გაექრისტიანებინა იბერიის სამეფო ოჯახი და უფლის შეწევნით მან ეს მოახერხა. სამეფო ოჯახთან ერთად ქრისტიანობა მიიღო მთელმა ქართველმა ერმა, ამიტომაც წერს რუის-ურბნისის კრება, რომ წმიდა ნინოს მიერ გაქრისტიანდა **"ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა",** ისევე როგორც იქამდე 300 წლით ადრე წმიდა ანდრიამ იქადაგა **"ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა" (დიდი სჯულისკანონი, 1974, გვ. 545 - 546).**

ჩვენი წყაროების ამ მითითებას, რომ წმიდა ნინომ **"განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა"** მთლიანად ეთანხმებიან IV-V და სხვა საუკუნეების უცხოური წყაროები - კერძოდ, IV საუკუნის ეკლესიის ისტორიკოსი გელასი კესარიელი წმ. ნინოს შესახებ წერს - იმპერატორ კონსტანტინეს **ხანაში "ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ"** (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

ამასვე წერს V საუკუნის ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც - **"ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ შეიწყნარეს"** (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).

მაშასადამე გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით, წმიდა ნინოს მიერ მთელმა ქართველმა ერმა, როგორც ზღვისპირეთში მცხოვრებლებმა (ლაზებმა), ისე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მცხოვრებლებმა (იბერებმა), ერთდროულად მიიღეს "ღვთის მცნება".

იბერთა მოქცევის ფაქტს აღწერენ ახ. წ. IV-V საუკუნეების ისტორიკოსები: სოკრატე (საეკლესიო ისტორია, წიგნი I, 19), თეოდორიტოს კვირელი (ეკლესიის ისტორია, წიგნი I, 1, 23.), სოზომენე (საეკლესიო ისტორია, წიგნი I, 6, 7, 34, 36) და რუფინუსი (საეკლესიო ისტორია, I, 10).

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია ლაზებიც იბერებთან ერთად, ეთანადება V საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის **მოვსეს ხორენაცის** ცნობა, ის

წერს, ვრცელი არეალი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მოაქცია წმიდა ნინომ, რომელმაც იქადაგა კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის ზღვიპირეთში იმჟამად მცხოვრებ მასქუთებამდე - **"სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა, მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ"** (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

აგათანგელოზის ცნობითაც, **მოვსეს ხორენაცის** სიტყვით, წმიდა ნინოს უქადაგნია შავი ზღვისპირეთიდან - კლარჯეთიდან, ვიდრე კასპიის ზღავმდე (მასქუთებამდე).

საქართველოს პროვინცია კლარჯეთი მდებარეობდა შავი ზღვისპირზე, ხოლო მასქუთების ტომი წმიდა ნინოს ეპოქაში ცხოვრობდა კასპიის ზღვისპირზე, ხორენელის ცნობით ამ არეალზე იქადაგა წმ ნინომ.

რადგანაც, ლაზიკა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) გელასი კესერიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით წმ. ნინოს სამოღვაწეო არეალში შედიოდა, ამიტომაც, დასავლეთ საქართველო წმ. ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველო. კირიონ კათალიკოსი (VI-VII საუკუნეები) ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო იოანე სომეხთა კათალიკოსის (899 წ.) ცნობით. ის წერს - კირიონ I იყო მამამთავარი **"იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა ადრინდელი წესის შესაბამისად"** (იოანე კათალიკოსის (დრასხანაკერტელის) მატიანე, 1912, გვ. 65).

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი ისტორიკოსის **უხტანესის** ცნობები, რომელიც ეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიას (VIII-X საუკუნეები). უხტანესი თანამედროვე იყო მის მიერ აღწერილი ამბებისა.

ქართული წყაროებით კი, როგორც აღინიშნა, დასავლეთ საქართველო გაქრისტიანებიდანვე უწყვეტად საქართველოს (მცხეთის) საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა. ქართული წყაროები ამ კუთხით საგანგებოდ შეისწავლა ივ. ჯავახიშვილმა და დაასკვნა - **ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს გამნტკიცებისა და აღორძინებისათვის იღწვოდნენ"** (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 47). **"ეს არის ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ დადგენილი და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებული შემეცნება"** (იქვე, გვ. 97). ხოლო რაც შეეხება ნოტიციებით ცნობილ საისინის, პეტრას, როდოპოლისისა, ზიგანასა და ფასიდის ეპარქიებს, ისინი განლაგებულნი იყვნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველთა უძველეს ქვეყანაში, ტრაპეზუნტ-ზიგანა-გუმიშხანეს რეგიონში.

საქართველოს ეკლესიის დაფუძნების ისტორიისათვის მნიშვნელოვან გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელისა და სხვათა ცნობებს, რომ წმიდა ნინო იყო ლაზიკის განმანათლებელი იბერიასთან ერთად, ბოლო საუკუნეში (ათეისტურ ეპოქაში) არ ექცეოდა ყურადღება. მიიჩნეოდა და ამჟამადაც მიიჩნევა, რომ ამ ცნობებს არ ეთანხმება წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების ძველი არაბული (დაახლ.VII-VIII საუკუნეები) თარგმანი, რომლის მიხედვითაც ლაზიკა იყო წმ. გრიგოლ განმანათლებლის მოღვაწეობის არეალი, სადაც მან დანიშნა კიდეც თავისი ეპისკოპოსი.

ნ. მარმა გრიგოლ განმანათლების არაბულ ხელნაწერში ამოიკითხა, რომ გრიგოლმა თავისი ეპისკოპოსი სოფრონი გააგზავნა ლაზიკაში, ამიტომ ლაზიკა წმ. გრიგოლის სამოღვაწეო არეალია და არა წმ. ნინოსი. მაგრამ, მისი გამოქვეყნების შემდეგ მალევე გამოიცა ნ. ადონცის ცნობილი ნაშრომი აღნიშნული რეგიონის შესახებ, საიდანაც გამოჩნდა რომ სინამდვილეში წმ. გრიგოლის ცხოვრების არაბულ ხელნაწერებში წერია არა სიტყვა "ლაზიკა", არამედ "არზანენა". ნ. ადონცმ გამოიკვლია, რომ ნ. მარმა ხელნაწერში არასწორად ამოიკითხა არაბული თანხმოვანთჯგუფი, რომელიც გადმოსცემს არა სიტყვა "ლაზიკას", არამედ "არზანენას". ასე, რომ ლაზეთი არ იყო წმიდა

გრიგოლის სამოღვაწეო არეალი და აღნიშნული სოფრონი იყო არა ლაზიკის, არამედ არზანენას ეპისკოპოსი, არმენიის სამხრეთ სასაზღვრო მხარეში. მაშასადამე გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია "იბერები და ლაზები", არ ეწინააღმდეგება აღნიშნული ხელნაწერი.

- ლაზეთი წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალია და არა წმიდა გრიგოლისა. ამით მართლდება ხორენაცის ცნობა, რომ წმიდა ნინომ იქადაგა "კლარჯეთიდან მასქუთებამდე", ე.ი. კლარჯეთი - ლაზიკა წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალი იყო.

დააარსა თუ არა წმიდა ნინომ თავის მიერ მოქცეულ ლაზიკაში საეპისკოპოსო კათედრა?

სწორედ ამ კითხვას უპასუხა ლაზიკის მიტროპოლიტმა გერმანემ რუსეთის მეფის კარზე XVII საუკუნეში. 1651 წელს რუსეთის მეფეს ალექსი მიხაილოვიჩს წარუდგა ლაზიკის მიტროპოლიტი გერმანე, რომელმაც წერილობითი სახით რამდენჯერმე განაცხადა, რომ რიზე-ოფის რეგიონი იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციის სფერო, რადგანაც ეს მხარეები ივერიასთან ერთად განანათლა ივერიის განმანათლებელმა და, მიტროპოლიტ გერმანეს ცნობით, მან ლაზეთში, ოფში დაარსა პირველი საეპისკოპოსო კათედრა (პ.ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 347).

ოფის საეპისკოპოსო ცენტრი, სადაც იმხანად ლაზიკის მიტროპოლიტს ჰქონდა კათედრა, იყო წმიდა ნინოს დაარსებული. მოგვიანო პერიოდის ლაზიკის მიტროპოლიტის ამ ცნობას, რომ ლაზიკის ქრისტიანები თავდაპირველად შედიოდნენ ივერიის ეკლესიის იურისდიქციაში, მთლიანად ეთანადება VI საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის ცნობა, რომ რიზე-ათინას რეგიონის ქრისტიანების მღვდელმთავარს კათალიკოსის ტიტული ჰქონდა. პროკოფი წერს - **"ქრისტიანთა მღვდელმთავარსაც კათალიკოსს უწოდებენ ელინთა ენით, რადგან ის ერთი განაგებს ყველა აქაურ სოფელს"** (პროკოფი კესარიელი, ომი სპარსელებთან, გეორგიკა, I, 1965, გვ. 88). რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერის ცნობით საქართველოს ეკლესიის მეთაურებს IV საუკუნიდანვე ჰქონდათ ტიტული "ეპისკოპოს-კათალიკოსი", ხოლო V საუკუნიდან -"კათალიკოსი". პროკოფის მიერ ნახსენები ე. წ. "ერთი "ხალხი", რომელიც კათალიკოსს ექვემდებარებოდა, მოიცავდა რიზე-ათინას რეგიონს, რომელშიც ქ. ოფიც შედიოდა. როგორც ითქვა ოფის საეპისკოპოსო კათედრა ივერთა განმანათლებლის, ე.ი. წმიდა ნინოს მიერ დაარსებულად მიიჩნეოდა. ის ლაზიკაში ანუ კლარჯეთის ზღვისპირეთში მდებარეობდა.

პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრა, ადონცის, ინგოროყვას და ასევე სხვა მეცნიერების მტკიცებით, IV საუკუნეში მდებარეობდა ოფ-რიზეს რეგიონში. ეს რეგიონი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გააქრისტიანა წმიდა ნინომ. შესაბამისად, ამ რეგიონში მდებარე **პიტიუნტის** კათედრა მისი დაარსებული ჩანს, ლაზიკის მიტროპოლიტის ცნობის გათვალისწინებით. როგორც ითქვა, მცხეთაში მოსვლამდე წმ. ნინოს გაუნათლებია ლაზიკა IV საუკუნის 10-20-იან წლებში, ჩანს, ამ დროს დაუარსებია ოფ-რიზეს რეგიონში მდებარე პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრა, რომლის ეპისკოპოსმა სტრატოფილემ მონაწილეობა მიიღო 325 წლის I მსოფლიო კრების მუშაობაში.

ამჟამად მიიჩნევა რომ სტრატოფილე აფხაზეთის ბიჭვინთიდან იყო, მაგრამ, როგორც ითქვა, სხვა აზრისა იყო ცნობილი მეცნიერი ნ. ადონცი, ასევე პ. ინგოროყვა და სხვანი. მათი აზრით **პიტიუნტი მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ისტორიული საქართველოს სხვა რეგიონში, რომელიც მოიცავს ოფ-ათინა-რიზეს ოლქს და ლაზიკა ერქვა.**

ნ. ადონცი თავისი აზრის ერთერთ საბუთად მიიჩნევს იმას, რომ რომაულ წყაროთა ცნობით პიტიუნტსა და სებასტოპოლისში თავისი მუდმივი საჯარისო ნაწილი ჰყავდა დაბანაკებული "არმენიის დუქსს", რომელიც იყო პონტო - მცირე არმენიის რომაული სამხედრო ოლქის მხედართმთავარი, მაგრამ, ადონცის სიტყვით, არმენიის დუქსის გავლენის სფეროში არ შედიოდა დასავლეთ საქართველო და მით უმეტეს მისი ისეთი შორეული რეგიონი, როგორიცაა ცხუმ-ბიჭვინთას ოლქი, აქ არმენიის დუქსს არ შეეძლო თავისი საჯარისო დანაყოფის დაბანაკება (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, სპბ, 1908, გვ, 212).

პ. ინგოროყვა პიტიუნტს ოფ-რიზეს რეგიონში ათავსებს, ამასთანავე უთითებეს ძველ ავტორებსა და ძველ რუკებს (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 293). მაშასადამე სხვადასხვა პუნქტები იყვნენ პიტიუნტი და ბიჭვინთა. ქართული წყაროებით ბიჭვინთის საეპისკოპოსო ცენტრი და მისი ეპარქია მხოლოდ ქართული ეკლესიის დაფუძნებულია და ის მუდამ, ათასწლეულთა მანძილზე, მხოლოდ საქართველოს ეკლესიასთან იყო დაკავშირებული, მის ერთერთ უმთავრეს სასულიერო ცენტრს წარმოადგენდა, ხოლო პიტიუნტი დაარსების შემდეგ, სიახლოვის გამო, უფრო პონტოს რეგიონის ეპარქიებთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

317-326 წლებში წმიდა ნინოს მიერ და წმიდა მეფე მირიანის ღვაწლით მთელი ქართველი ერი გაქრისტიანდა და დაფუძნებულ იქნა საქართველოს ერთიანი ეკლესია. საქართველოში იქამდე არსებული სხვადასხვა მცირერიცხოვანი ქრისტიანული თემებიც ამ ერთიან ცენტრალიზებულ ეკლესიაში გაერთიანდნენ. დედაქალაქ მცხეთაში დაიდგა ტახტი საქართველოს ეკლესიის პირველმა მეთაურმა, რომელსაც «მოქცევაჲ ქართლისაჲ" 326 წლისათვის ეპისკოპოსს უწოდებს. წმიდა მოციქულთასწორმა იმპერატორმა კონსტანტინემ და მისმა დედამ წმიდა ელენემ ხელი შეუწყეს საქართველოს ეკლესიის შემდგომ გაძლიერებას ანტიოქიელი პირველიერარქის ევსტათის ხელით. საქართველოს ეკლესიაში ეპისკოპოსთა რიცხვი ჯერ კიდევ წმიდა ნინოს დროს გაიზარდა. წმიდა ნინოს გარდაცვალების ჟამს "მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობით, საქართველოს ეკლესიის მეთაურს უკვე მთავარეპისკოპოსის წოდება ჰქონდა, ხოლო ეპისკოპოსები უკვე მრავლად ყოფილან. ამიტომაც "მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობით, წმიდა ნინომ თავისი ანდერძი გადასცა ამ ეპისკოპოსთა სიმრავლეს - "დახვედრა ეპისკოპოსთა". ამ ანდერძის აღსრულება, ანუ ქრისტეს სარწმუნოების გაძლიერების საქმეს უკვე 1600 წელია აღასრულებს საქართველოს წმიდა ეკლესია. მისი 141-ე პირველიერარქია საქართველოს უწმიდესი და უნეტარესი პატრიარქი ილია II, რომელსაც მთელი ერი უსურვებს ხანგრძლივ და მრავალჟამიერ სიცოცხლეს ამინ!

გელასი კესარიელისა და სხვათა ცნობებს, რომ წმიდა ნინომ ლაზიკა მოაქცია, ეთანადება XVI საუკუნის ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს ცნობა, რომ იბერიის განმანათლებელმა ლაზეთში დააფუძნა ქალაქ ოფის სამიტროპოლიტო კათედრა (რიზეს რეგიონი), ცნობილი ისტორიკოსის ნ. ადონცის კვლევით ოფ-რიზეს რეგიონში მდებარეობდა პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრა, რომლის ეპისკოპოსმა სტრატოფილემ მონაწილეობა მიიღო 326 წლის I მსოფლიო კრების მუშაობაში (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908 წ. გვ. 203).

აგათანგელოზისა და სხვა. V საუკუნის ცნობით, წმიდა ნინოს უქადაგნია შავი ზღვისპირეთიდან - კლარჯეთიდან, ვიდრე კასპიის ზღავმდე (მასქუთებამდე).

"მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობით, V საუკუნის 60-70-იან წლებში, ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, საქართველოს ეკლესიის მეთაურს მამამთავრის ტიტული ჰქონია (სიტყვა "მამამთავარი" იდენტურია სიტყვა "პატრიარქისა"). აქ პირველ კათალიკოსს პეტრეს მამამთავარი **ეწოდება - "აქაითგან იწყეს კათალიკოსთა მამამთავრობად"** (ძეგლ, I, 1964, გვ. 93).

ვახტანგ გორგასალმა ინება, რომ საქართველოს ეკლესია მოწყობილიყო როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული, სამამამთავრო ეკლესია, ე.ი. დედაქალაქის (მცხეთის) ეპისკოპოსი საქართველოს ეკლესიისათვის საყოველთაო ეპისკოპოსი ანუ კათალიკოსი გახდა (ბერძნ. სიტყვიდან - "კათოლოს" - საყოველთაო). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ათასწლეულთა მანძილზე ჩამოყალიბდა ორი თეორია. პირველი აღიარებული იყო X-XI საუკუნეებში და საერთაშორისო ასპარეზზე წარადგინა ათონელმა მამამ წმიდა გიორგი მთაწმიდელმა ანტიოქის საპატრიარქოში კამათის დროს: მან განაცხადა - საქართველოს ეკლესია რადგანაც დაფუძნებულია წმიდა ანდრია მოციქულის მიერ, ის დაარსების თანავე ავტოკეფალურია ისევე, როგორც ყველა სხვა მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიები. შესაბამისად, წმ. გიორგი მთაწმიდელმა წარადგინა საქართველოში მოციქულთა ქადაგებათა მამტკიცებელი წყაროები და მისი მტკიცება უდავოდ იქნა აღიარებული. ბალსამონიც საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალურად მოიხსენიებს II მსოფლიო საეკლესიო კრების II კანონის

განმარტების დროს. განსხვავებული თეორია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ძირითადად ჩამოყალიბდა XIX-XX საუკუნეებში, იმ ეპოქაში როდესაც რუსეთის იმპერიამ საქართველოს სახელმწიფოებრივი და საეკლესიო დამოუკიდებლობა გააუქმა. ამ დროს საქართველოს ეკლესიის წმიდა მამები იბრძოდნენ რათა საეკლესიო ავტოკეფალია დაებრუნებინათ. ამ დროს საისტორიო წრეებში ჩამოყალიბდა მოსაზრებანი, რომ საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალურობა მოიპოვა V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის ეპოქაში.

ქადაგებათა შემდგომ IV-VII საუკუნეებში საქართველოს ყოველ ნაწილში ჩამოყალიბდა ათეულობით ეპარქია და საეპისკოპოსო. მათი რიცხვი გასაკუთრებით გაიზარდა VIII-X საუკუნეებში, ამის გამო, წარმოიქმნა საჭიროება, რათა საქართველოს ეკლესიაში ეპარქიათა მართვის გაადვილებისათვის ჩამოყალიბულიყო რამდენიმე საეკლესიო ადმინისტარციული ოლქი, მსგავსნი ბიზანტიური სამიტროპოლიტო ოლქებისა. ამ მიზნით, **ქართული ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა დასვლეთ საქართველოს მომცველი საეკლესიო - ადმინისტაციული ერთეული, რომელსაც "ქვემო ივერიის" ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო ეწოდებოდა.** მის მმართველს "უმრწემესი კათალიკოსის" ტიტული მეინიჭა, რადგანაც "უხუცესი კათალიკოსი" მცხეთის პირველიერარქს ერქვა.

ძველ საქართველოში საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის დაარსების უფლება ეკუთვნოდა მეფეს, ამიტომაც აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებას ესაჭიროებოდა დასტური სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან და მართლაც, საქართველოს მეფე ბაგრატ ბაგრატიონმა (IX საუკუნე) გასცა ამის დასტური.

ამიტომაც წერს მემატიანე შემდეგს: **"ამან ბაგრატ განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს"** (ქართლის ცხოვრება, 1955, I, გვ. 255).

აფხაზეთის საკათალიკოსო აღმოცენდა ქართველ მეფეთა და პირველიერარქთა ნებით და ის შემდგომში ყოველთვის საქართველოს საპატრიარქოში შემავალ ერთ-ერთ საეკლესიო-ადმინისტრაციულ ოლქს წარმოადგენდა, ნაწილს ზოგადქართული ეკლესიისა. უცხოური წყაროები აფხაზეთის საკათალიკოსოს უწოდებენ "ქვემო ივერიის საარქიეპისკოპოსოს", ხოლო ქართლის საკათალიკოსოს უწოდებდნენ - "ზემო ივერიის საარქიეპისკოპოსოს".

ქართული საეკლესიო წყაროს - "ბიჭვინთის იადგარის" ცნობით "ქვემო ივერიის" საკათალიკოსო მოქცეული იყო - "რუსეთის სამზღვარსა და ჭანეთს შუა". აფხაზეთის საკათალიკოსოს თავის სამწყსოდ მიაჩნდა "პონტოს", ანუ შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მიწები - "პონტო ჩრდილოით" (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. 1970 წ., გვ. 923).

IX-XI საუკუნეებში, ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ, ჩამოყალიბდა ხუნძეთის (დაღესტნის) სამიტროპოლიტო ოლქი, რომელსაც ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი კათალიკოსი მართავდა, სინას მთის ქართულმა ხელნაწერებმა შემოინახეს "ხუნძელი კათალიკოსის ოქროპირის" სახელი, ამასთანავე ცნობილია, რომ კავკასიის ამ რეგიონში რამდენიმე ქართული საეპისკოპოსო მოქმედებდა (ანწუხისა, წახურისა, ჭარ-ფიფინეთისა და სხვა), არქეოლოგების მიერ დადასტურებულია ჩრდილო კავკასიის დაღესტნისა და სხვა რეგიონებში მრავალი ქრისტიანული ეკლესიის ნაშთი ქართული წარწერებით. სხვა ქრისტიანულ ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია IX-X საუკუნეების სეფისკვერის ქვის საბეჭდავიც კი ასევე ქართული წარწერებით.

საეკლესიო წყაროებით საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში მიქცეული იყო ჩრდილო კავკასიის ვრცელი ტერიტორია ყირიმის ნახევარკუნძულის ქალაქ კაფადან (ფეოდოსიადან) ვიდრე კასპიის ზღვამდე.

საქართველოს სამხრეთით, ქართული მრევლისათვის ასევე დაარსებული იქნა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი საეკლესიო - ადმინისტრაციული ერთეული - "სომხითის სამიტროპოლიტოს" სახელწოდებით, მისი იურისდიქცია თითქმის ვანის ტბამდე ვრცელდებოდა. იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის თანახმად, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი

საზღვარი მდინარე არეზამდე (არაქსამდე) ჩადიოდა, ის წერს, - მდინარე არაქსის **“...მარცხენა მხარე იბერიისაკენ მიმართული ეპყრათ იბერებს, ხოლო მარჯვენა, რაც თეოდოსიოპოლისაკენ არის, როგორც ციხეები, ისე სოფლები იყვეს ჩვენი მბრძანებლობის ქვეშ. საზღვრად მდინარე იქნება”** (გეორგიკა, ტ. IV, ნაკვეთი II, გვ. 271).

არაქსისა და ევფრატის სათავეები X საუკუნეში არა მხოლდ კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს იყო ქართველებით დასახლებული, არამედ საერთოდ არაქს-ევფრატის სათავეების მიწა-წყალი ისევე, როგორც ტრაპეზუნტის ოლქის მთიანეთი - პარიედრედან ვანის ტბის მიმართულებით, სტრაბინის ცნობით, იბერების ისტორიულ მიწა-წყალს წარმოადგენდა ძვ.წ. II საუკუნებდე, ამ მიწა-წყლის არმენიის სახელმწიფოში შესვლამდე.

სტრაბონი წერს - **“მოგვითხრობენ, რომ წარსულში არმენიის პატარა ქვეყანა გაფართოვდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად. ისინი იყვნენ ანტიოქ დიდის მხედართმთავრები, მისი დამარცხების შემდეგ კი მეფეები გახდნენ. მათ ერთად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, ჩამოაჭრეს რა ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ოლქები, კერძოდ... იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე, რომელიც კირის მეორე მხარესაა, ხალიბებს და მოსინიკებს ჩამოაჭრეს კარენიტი და ქსერქსენე, მცირე არმენიის მოსაზღვრე ნაწილები” (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5).**

სტრაბონის მიერ აღნიშნულ (უკვე არმენიაში შემავალ მიწებზე) ქართულები (იბერები) უწყვეტად ცხოვრობდნენ ოსმალების სახელმწიფოს შექმნამდე და მის შემდგომ საუკუნეთა მანძილზე, ისინი ტაოში (ამჟამად თურქეთშია) ამჟამადაც კი ცხოვრობენ.

დასავლეთ სომხეთში არეზისა, ევფრატისა და ჭორიხის სათავეების სიახლოვეს მცხოვრებმა ქართველებმა დიდხანს შეინარჩუნეს თავიანთი ენა, კულტურა, თავიანთი ქართული ეკლესია, მართალია, მათ XX საუკუნეში დაინტერესებულმა პირებმა სომეხი-ქალკედონიტები უწოდეს, მაგრამ ისისნი, თვით ამ რეგიონიდან გამოსული წმიდა მამების განმარტებით, ეთნიკურად იყვნენ მკვიდრი ქართველები, საკუთარი ქართული თვითშემეცნებით, რომელიც არ ჩაკვდა იმის გამო, რომ ქრისტემდე IV-III საუკუნეებში შექმნილი იბერიის სახელმწიფო ამ მიმართულებით საზღვრებს იფართოებდა ხოლმე, განსაკუთრებით I-II საუკუნეებში.

საქართველოს საპატრიარქოს წარმოქმნის დროს აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა უამრავი ქართველი ადგილობრივი მცხოვრები თავიანთი ცნობილი ოშკის, ხახულის, ბანას, იშხანის, პარხალისა და სხვა ცნობილი ეკლესიებით. მათთვის დაარსებული იქნა საეპისკოპოსოები, რომელთა საზღვრები აღწევდა რახსისა და ევფრატის ხეობებამდე. “XIII საუკუნეში მონღოლთა ბატონობის დროსაც კი სამხრეთ საქართველო აღწევდა - “აღმართ, ვიდრე კარნუ ქალაქამდე” და ბასიანამდე“... XVII საუკუნის ანტიოქიელი პატრიარქი მაკარი ადასტურებს, რომ ადრე საქართველოს სამხრეთი საზღვარი იყო მდინარე ევფრატი და ევფრატის აქეთა ტერიტორიები სულ საქართველოდ ითვლებოდა. საქართველოს საზღვარი რომ ევფრატამდე ჩადიოდა, ამას ამოწმებს ჩელებიც. მდინარე არეზის აქეთა მხარესა და არზრუმის მიდამოებს დიდხანს შემორჩა ქართული მოსახლეობა. XVII საუკუნეში არზრუმის მიდამოებში გამოვლილმა არქანჯელო ლამბერტიმ რამდენიმე ქართული სოფელი ნახა, რომელთაც არზრუმელად წოდებული ქართველი მწყემსმთავარი ეჯდათ არზრუმში” (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 256).

ამის გამო, საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა - ანისის, ყარსის, ერზრუმის, ვალაშკერტისა და სხვა საეპისკოპოსოები.

ეს მხარეები დავით კურაპალატის დროს X საუკუნეში, ივერიის ანუ “ქართველთა“ სამეფოს შემადგენლობაში მოექცა, ვიდრე ვანის ტბამდე. ბიზანტიის იმპერიამაც აქ (თეოდოსიოპოლ-არზრუმიდან ანისამდე) თავისი ადმინისტრაციული ერთეული ჩამოაყალიბა “იბერიის თემის” სახელწოდებით. რადგან ამ მხარეებს შუა საუკუნეებში სომხეთი ეწოდებოდა, აქ საქართველოს საპატრიარქოს მრევლის სულიერ მეთაურს “სომხეთის მიტროპოლიტი” ერქვა.

საქართველოს საპატრიარქოში შემავალი რამდენიმე საკათალიკოსო (ქართლისა, აფხაზეთისა, ხუნძეთისა) და მრავალათეული საეპისკოპოსო ქმნიდა ერთიან ქართულ ეკლესიას. **ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთო მეთაურობით.**

აღნიშნულ საკათალიკოსოთა ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი საქართველოს საეკლესიო კრებები. სრულიად საქართველოს პატრიარქის მოვალეობა იყო უზრუნველეყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში და სხვა საეკლესიო-ადმინისტრაციულ ერთეულებში) სჯულისკანონის დაცვა (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბ., 2010, გვ. 687).

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის სამოქალაქო სამართლის სფეროშიც). (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. 1963, გვ. 393 - 397 და სხვა).

ძველ ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიას მიაჩნდა, რომ ქართულმა ეკლესიამ საპატრიარქო ღირსება მოიპოვა 681 წლისათვის (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 231, 232). მართლაც, ამ ეპოქაში, პატრიარქის წოდებას ატარებდა ამიერკავკასიის ორივე მეზობელი ეკლესიის მეთაური - სომხეთისა და ალბანეთისა, როგორც ეს კარგად ჩანს მოვსეს კალანკატუაცის თხზულებიდან. ამიტომაც არაა გასაკვირი ის, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს ეძია პატრიარქის წოდება და მოეპოვებინა ეს უდიდესი ღირსება მსოფლიო ეკლესიის დასტურით. ამის შემდეგ ქართული ეკლესიის პატივი გაუთანაბრდებოდა მსოფლიოს სხვა საპატრიარქოთა პატივს. ამას საგანგებოდ აღნიშნავს ცნობა: **“ამის კრების მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა”** (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 231, 232). აქვეა განხილული ქართული ეკლესიის სამწყსო. მასში საქართველოს გარდა შევიდა ქართული ეთნოსით დასახლებული ტერიტორიები: შაქი და შირვანი, კავკასიის მთიანეთი **“მიდგმით - წარმოვლით მთისა ადგილნი” - ესენია დღევანდელი დაღესტანი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი “სუანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის”, მასში შესულა “სრულიად ოსეთი”.** ოსეთი იმ დროისათვის მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში არსებობდა.

აღსანიშნავია, რომ ალბანეთის ეკლესია, სწორედ VII საუკუნის დასასრულს შეიერთა სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ, მ. კალანკატუაცის თანახმად, ხოლო ალბანეთის ჩრდილოეთით მდებარე ეთნიკური ქართველებით დასახლებული მხარეები, როგორც აღინიშნა, დაუბრუნდა დედაეკლესიას. იგულისხმება ტერიტორია მოქცეული მტკვარ-ალაზნის შესართავიდან მტკვარ-არაქსის შესართავამდე, რომელსაც ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ, სადაც, როგორც აღინიშნა, ვიდრე მასქუთებამდე იქადაგა წმიდა ნინომ. ამ მხარეების მიმართ ქართულ ეკლესიას თავისი იურისდიქციის უფლება ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა მხარეები ამ დროისათვის, ე.ი. VII საუკუნის ბოლოსათვის, კვლავინდებურად შედიოდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. ხოლო, როგორც აღინიშნა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალი ბერძნულენოვანი საეპისკოპოსოები ფასისისა, როდოპოლისისა, პეტრონისა მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, როგორც მიიჩნიეს XX საუკუნეში, არამედ, ნ. ადონცის კვლევით, ტრაპეზუნტის რეგიონში, თანამედროვე გუმუშხანე-ზიგანას რეგიონში, რომელიც ისტორიულად ქართველი ხალხით იყო დასახლებული, მას ერქვა “ლაზიკის ეპარქია”.

მაშასადამე, თვით საქართველოს ეკლესიაში ისტორიულად დამკვიდრებული იყო მტკიცება, რომ საქართველოს ეკლესიას საპატრიარქო ღირსება მიუღია VII საუკუნეში, რომ საქართველოს

ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა ჩრდილო კავკასია, სამხრეთ კავკასიის მართლმადიდებლური ნაწილი და ასევე მის სამხრეთით მდებარე ქართველებით დასახლებული მიწა-წყალი. მართლაც ტაო-კლარჯეთში პარხლის მონასტრის წარწერაში, რომელიც შესრულებული არის მეფე დავით კურაპალატის (+1001) დროს, მოხსენიებული არის **"ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი იოვანე"**. "ყოველი აღმოსავლეთი" ქართული საეკლესიო წყაროების ცნობით ერქვა ვრცელ ტერიტორიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, სამხრეთით კი ვანის ტბამდე.

საქართველოს საპატრიარქოს მეთაურს ოფიციალურად ეწოდებოდა - "ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარქი და ქართლისა კათალიკოსი" (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, გვ. 51).

IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში იბერიის სამეფო კარისა და ეკლესიის იერარქთა მეთაურობით გაჩაღებული იყო ყოვლისმომცველი მთარგმნელობითი მუშაობა, რომელსაც ერთოდა საკუთრივ ქრისტიანულ-ქართული დამწერლობის შექმნა-ძიება. IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში საქართველოში მეფეების ბაკურისა და ფარსმანის დროს მოხდა ბერძნული ანბანის მიხედვით ძველი ქართული (სემიტურ-ფინიკიურიდან წარმომავალი ე.წ. არმაზული) დამწერლობის რეფორმა, დაიწყო ქართულ ენაზე წმიდა წერილის თარგმნა და ჩაწერა ქართული ასოებით. ქრისტიანული მწიგნობრობის დაფუძნების ამ ეპოქაში მოღვაწეობდნენ წმიდა წერილის პირველი მთარგმნელები, ძირითადად პეტრე იბერის პაპის, მეფე ბაკურის კარზე, პირველ მთარგმნელებს თავიანთი მოღვაწეობის საყრდენად ჰქონდათ ადგილობრივი ლიტერატურული მემკვიდრეობა. მემატიანის ცნობით მეფე ბაკურის შვილიშვილს (შემდეგში ცნობილ პეტრე იბერს) 3 წლის ასაკიდან ასწავლიდნენ წმიდა წერილს "დღე და ღამ" 9 წლის მანძილზე (დაახლ. 414-423 წლებში). პალესტინაში ბეთლემის მახლობლად პეტრე იბერის მიერ აშენებულ (ლაზთა) მონასტრებში (ივარაუდება 433 წლის ახლო ხანებში) აღმოჩნდა უძველესად მიჩნეული ქართული ასომთავრული წარწერები, სადაც იხსენიებიან პეტრე და მისი წინაპრები, მათ შორის მეფე ბაკური (პეტრეს პაპა დედის მხრივ) ამ დროს (V საუკუნის პირველ ნახევარში). ამ დროისათვის სალიტერატურო ქართული ენა მტკიცედ იყო ჩამოყალიბებული. ამავე ხანას განეკუთვნება ქართლის ეპისკოპოსის მობიდანის შესახებ დაცული ცნობა, რომ იგი "წერდა წიგნებსა" V საუკუნის I მესამედში. ეპოქას განეკუთვნება ცნობა არჩილ მეფის (422-432) შვილის მირდატის მეუღლისათვის წმიდა სახარების თარგმანის შესახებ.

ძველი საქართველოსათვის წმ. მეფე მირიანისა და მეფე ვახტანგ გორგასლის ეპოქიდანვე (IV-V საუკუნეებში) ნიშნეული იყო საერო და სასულიერო ძალაუფლების ერთობა."

სასულიერო ძალაუფლების სიმფონიური თავმოყრა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1103 წ.) დადასტურა. სასულიერო პირი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, სახელმწიფოში თანამდებობრივად მეფის შემდეგ მეორე სახელისუფლო პირად დაწესდა.

ივ. ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ საქართველოს სახელმწიფო იმართებოდა არა თვითმპყრობელი მეფის, არამედ მეფისა და სახელმწიფო საბჭოს მიერ, რომელსაც "დარბაზი", "დარბაზის კარი" ეწოდებოდა. ეკლესიის ადგილი სახელმწიფოს მართვის საქმეში სახელმწიფო საბჭოში ჩანდა. ამ საბჭოში, უპირატესი და უმთავრესი წევრები იყვნენ ქართული ეკლესიის პირველხარისხოვანი ოთხი იერარქი - "ოთხი ბერი". ეს ოთხი ბერი ქმნიდა საბჭოს უმთავრეს და ცენტრალურ ბირთვს, ისინი იყვნენ - საქართველოს პატრიარქი (იგივე კათალიკოსი ქართლისა), აფხაზეთის კათალიკოსი, ჭყონდიდელი ეპისკოპოსი-მწიგნობართუხუცესი და მოძღვართ-მოძღვარი. მათ განაწილებული ჰქონდათ არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ეკლესიის მართვის ფუნქციებიც - დარბაზის მეშვეობით. მათგან ერთ-ერთს მწიგნობართუხუცესს უშუალოდ ევალებოდა ხელმძღვანელობა გაეწია სახელმწიფო აღმსრულებელი და სასამართლო სფეროსათვის, მოეკითხებოდა ფინანსური და სამხედრო სფეროებიც. საბჭოს სხვა სამ წევრს - ე.ი. საქართველოს პატრიარქს, აფხაზეთის კათალიკოსსა და მოძღვართმოძღვარს არანაკლებ

მნიშვნელოვანი სფეროები ებარათ საქვეყნო-საეკლესიო მართვა-გამგეობისა, თუმცა მწიგნობართუხუცესი უშუალოდ წარმოადგენდა მთავრობის მეთაურს, ანუ ვაზირთა უპირველესს. ამიტომაც აცხადებს მემატიანე - ”მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცდომელსა და ყოვლად შვენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა”.

“საერო და სასულიერო ძალაუფლების ერთობის” გამო “დარბაზის კარი”, საეკლესიო საკითხების განხილვისას უკვე საეკლესიო კრებას წარმოადგენდა, აქედან წესსა და რიგს იღებდა ყველა უწყება - როგორც საერო, ისე საეკლესიო. დარბაზის კარის საქმიანობას უმაღლესი იერარქია წარმართავდა.

ცნობილია XII-XX საუკუნეებში საქართველოში შემდგარი 15 საეკლესიო-საკანონმდებლო კრება:

1. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, შემდგარი 1103 (1104) წელს, რომლის გამოცემული სამართალი დაყოფილია კანონებად. კრების მიერ გამოცემული კანონები (“მეგლისწერა”) დაყოფილია 19 მუხლად.

2. საკანონმდებლო კრება მოწვეული მეფე გიორგი ბრწყინვალეს მიერ (1335). კრებაში მონაწილეობდა საქართველოს პატრიარქი (“წმიდა მეუფე ქართლის კათალიკოსი ევფთვიმე”) და ეპისკოპატი. კრების მიერ გამოცემული კანონები ძირითადად სამოქალაქო “მსოფლიო” სამართლის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ თვით კრების განსაზღვრებით მათში გადმოცემულია “სასჯულო საქმე და საეკლესიო, რისიც გინდა სასაქმოსა - კაცის მკვლელთა, ეკლესიის მკრეხელთა, ცოლის გამგდებელთა ანუ წარმგვრელთა”. მათ საეკლესიო სამართლის სფეროს აკუთვნებდნენ. კრების “მეგლის დადება” შედგება შესავლისა და 46 მუხლისაგან, მათ შორის რამდენიმე საეკლესიოა. კრება სახელმწიფო დარბაზის სხდომას წარმოადგენდა.

3. ჭულევის საეკლესიო-საკანონმდებლო კრება (1381-1386). კრებამ განიხილა და უკლებლივ დაამტკიცა იქამდე 70-80 წლით ადრე შედგენილი ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, რომელსაც დაურთო 33 მუხლი, რომელიც აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის სახელითაა ამჟამად ცნობილი. ამასთანავე, კრებამ აღნიშნულ (ბექასა და აღბუღას) კანონებს დაურთო ძველთაგანვე არსებული ე.წ. “ბაგრატ კურაპალატის სამართალის” მუხლები. საბოლოოდ კი, კრებამ აღნიშნულ სამართლის წიგნებს დაურთო თავის, თვით ჭულევის საეკლესიო კრების მიერვე შედგენილი ე.წ. კანონიკური სამართლის 10 მუხლი. ამით ჭულევში შედგენილი იქნა სამართლის ახალი კრებული, რომელიც სულ 170 მუხლისაგან შედგებოდა (კრებული მუხლებად შემდეგ იქნა დაყოფილი). ჭულევის კრებაც სახელმწიფო (სამთავროს) დარბაზის სხდომას წარმოადგენდა. აქამდე მიიჩნეოდა, რომ “ბექა-აღბუღას სამართლის” ცნობილ კრებულს საბოლოო სახე მიეცა XVII-XVIII საუკუნეებში, ჩვენი კვლევის თანახმად ეს სამუშაო შეასრულა ჭულევის კრებამ.

4. დაახლოებით 1470-1474 წლებში შედგა ე.წ. “ცაიშ-ბედიის საეკლესიო კრება”, აღნიშნულ წლებში დასავლეთ საქართველოში ჩასულ ანტიოქიის პატრიარქს მიხეილს უცდია “ქართველი ერის საუკეთესო შვილთა მიერ საუკუნეთა ბრძოლით მონაპოვარი ქართული ეკლესიის თავისუფლების მოსპობა”, მაგრამ როგორც გარკვეულია, მან ეს ვერ შეძლო. გამოცემული სამართალი ჩამოთვლის ძირითადად ხალხის ზნეობრივი დაცემის აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებებს და შეიცავს 43 მუხლს.

5. დაახლოებით 1543-1549 წლებში, ბიჭვინთაში შედგა საეკლესიო კრება, რომელმაც გამოსცა “კათალიკოსთა სამართალი”. ეს სამართალი ასახავს მაშინდელი ყოფა-ცხოვრების სინამდვილეს. მიმართულია “კაცის სყიდვის”, საეკლესიო ქონების გამტაცებელთა, საეკლესიო კანონებისა და ქრისტიანული ზნეობის დამრღვევთა წინააღმდეგ, უდგენს ნორმებს ეპისკოპოსებს, სამართალს უჩენს მეფისა და ქვეყნის მოღალატეებს. კათალიკოსთა სამართალი მთელ საქართველოში მოქმედი

სჯული იყო. შეიცავს 22 მუხლს. კრებაში დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი მალაქია და აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონი.

6. 1702 წლის საეკლესიო კრების "განჩინება სამონასტრო წესის თაობაზე" მართალია კონკრეტულად დავით-გარეჯის სამონასტრო ცხოვრების მოსაწესრიგებლად გამოიცა, მაგრამ ზოგადეკლესიური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მონასტრებისათვის. შეიცავს სულ 6 მუხლს.

7. ვახტანგ VI "იგულისმოდგინა და შემოკრიბნა ყოველნი წიგნნი სამართლისანი, რომელნი ჟამთა ვითარებითა მიმოდაბნეული იყო. ეს ყოველი მოიძია, იპოვა და მოიშოვა ფრიადითა შრომითა". ვახტანგ VI შექმნა სამართლის წიგნთა ცნობილი კრებული და თავისი შემოქმედებითი ნამუშაკევი დაამტკიცებინა კრებას, რომელიც შედგებოდა კათალიკოსისა და ეპისკოპოსებისაგან. უმაღლეს სასულიერო იერარქიასთან ერთად კრებას, ვითარცა სახელმწიფო დარბაზის სხდომას, ესწრებოდნენ დიდებულნი და დარბაისელნი. ვახტანგს 1706-1709 წლებში შემდგარი კრების "დამოწმება და ნებადართვა" ესაჭიროებოდა, რათა მისი "სამართალი" ქვეყანაში ამოქმედებულიყო. სამართლის იმ მუხლებს, რომელთაც ეკლესიისათვის მნიშვნელობა ჰქონდა თან ვურთავთ აღნიშნულ კრებას.

8. მაჰმადიანთა მმართველობისას 1632-1744 წლებში, აღმოსავლეთ საქართველოში სოციალურად და ეკონომიკურად დაუძლურდა ქართული ეკლესია და საზოგადოდ შეირყა ქრისტიანული ზნეობრიობის სიწმინდე, ამიტომაც სამეფო ტახტზე თეიმურაზ I, ვითარცა ქრისტიანი მეფის, ასვლის შემდეგ მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიდგინა თავისი უფლებები. საქმის სწრაფი გამოსწორების მიზნით, კათალიკოსი ანტონ I რამდენიმე წელი ამზადებდა და 1748 წელს მოიწვია კრება, რომელსაც ჩვენ "თბილისის III საეკლესიო კრება" ვუწოდეთ (თბილისის I და II კრებები შედგა XII საუკუნეში და მათ კანონები არ გამოუციათ). 1748 წელს კრებამ გამოსცა სამართლის ძეგლი, რომელსაც "კანონნი" უწოდა. იყოფა 27 მუხლად.

9. 1759 წელს იმერეთის მეფე სოლომონ I მოიწვია საეკლესიო კრება, რომელიც სახელმწიფო დარბაზის სხდომას წარმოადგენდა, მასში ეკლესიის უმაღლეს იერარქთა და ეპისკოპოსებთან ერთად მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები და დიდებულები. კრებამ აკრძალა ტყვეთა სყიდვა, აღადგინა საეპისკოპოსო კათედრები, დაუბრუნა ეკლესიას იქამდე მიტაცებული მამულები, გადასახადისაგან გაათავისუფლა საეკლესიო ყმები, აუკრძალა საერო ხელისუფალთ საეკლესიო მფლობელობაში ჩარევა. გამოსცა "ხელითწერილი", რომელიც უმკაცრესად კრძალავს ტყვეთა სყიდვას, შეიცავს მოწოდებას მაჰმადიანი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ავალდებულებს თავის მოქალაქეებს სათანადო პატივი მიაგონ "სარწმუნოებასა და მეფის ერთგულებისათვის თავდადებულს".

10. XVIII საუკუნის II ნახევარში ეროვნულ-ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ საეკლესიო კრებებმა კვლავ დაიბრუნეს მაჰმადიანთა მმართველობის დროს დაკნინებული უფლებანი და გამოსცეს შესაბამისი ზნეობრივი სახის დადგენილებანი. 1762 წელს გამოიცა "დადგენილებანი საეკლესიო კრებისა საეპისკოპოსოთა მართვის შესახებ", 1768 წელს გამოიცა მეფე ერეკლე II და ანტონ I "განსაზღვრება" ეპისკოპოსთა მიმართ: "მცნება მღვდელთათვის", შეიცავს 35 მუხლს, 1777 წელს აფხაზეთის კათალიკოსმა მაქსიმემ გამოსცა მითითება თავის სამწყსოს მიმართ, რომელიც შეიცავს 10 მუხლს, 1793 წელს გამოიცა "კანონთა განმწესება ცოდვილთათვის ანტონ II მიერ", შეიცავს 10 მუხლს.

11÷15. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წ.) საეკლესიო-საკანონმდებლო კრებამ გამოცეს "მართვა-გამგეობის დებულებანი" (1917, 1920, 1927, 1937(1945), 1995 წლებში.

XIX-XX საუკუნეებში საქართველოს დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებლობა, სახელმწიფო წყობილება ათეისტური მიმართულებისა იყო, ეკლესია სახელმწიფოსაგან კანონმდებლობით იყო

გამოყოფილი, ხოლო სკოლა ეკლესიისაგან. მართლაც XX საუკუნეში შემდგარი ყველა საკანონმდებლო კრება აჩვენებს, რომ საქართველოს ეკლესიას ამ პერიოდში უკვე მთლიანად აქვს დაკარგული სახელმწიფოებრივი სხეულის ნიშან-თვისებანი (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბ. 2010, გვ. 717-723).

პირველი საუკუნეებიდანვე ქართველებს თავიანთი ეროვნული ღირსების უკეთეს გამოხატულებად მიაჩნდათ ქრისტიანული სარწმუნოების სიწმიდის დაცვა. ქართველთა მიერ მართლმადიდებელი სარწმუნოების ყველაზე უკეთ დაცვის შესახებ მიუთითებდნენ უცხოელი ავტორებიც. პროკოფი კესარიელი, რომელსაც VI საუკუნეში მოვლილი ჰქონდა აზიის, აფრიკისა და ევროპის მრავალი ქვეყანა, წერდა: "იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმაზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ".

XI საუკუნეში წმიდა გიორგი მთაწმიდელი: "წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ და რადგანაც ერთი ღმერთი გვიცნობიეს არღარა უარ-გვიყვიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი... ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთა მტკიცე ვართ".

X-XI საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღორძინებაში ეკლესიას უდიდესი წვლილი მიუძღოდა. საქართველოს ეკლესსიამ დიდ სიძლიერეს მიაღწია XII-XIII საუკუნეებში წმიდა კეთილმსახური მეფეების დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს. ამ ეპოქაში გაერთიანებულმა საქართველომ შეძლო თავისი პოლიტიკური საზღვრების შიგნით მოექცია კავკასია და მისი მომიჯნავე დიდი რეგიონები.

XI-XV საუკუნეებში საქართველოს საპატრიარქოს სიძლიერის ეპოქაში, საქართველოს პატრიარქს დიპტიხში ეჭირა VI ადგილი 5 პატრიარქის შემდეგ.

მართალია, ქართულ ეკლესიაში მიღებულ დიპტიხში ქართველ პატრიარქს ეჭირა VI ადგილი, მაგრამ სცნობდნენ თუ არა ამას მსოფლიოს სხვა საპატრიარქოები, აღიარებდნენ თუ არა ისინი ქართველი მამამთავრის საყდარს VI ადგილზე? ჩვენ დაბეჯითებით უნდა ვთქვათ, რომ როგორც რომის პაპები, ისე აღმოსავლეთის 4 პატრიარქი სცნობდნენ იბერიის ეკლესიას VI ადგილზე იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ. ამას მიუთითებს ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების დიპტიხი. ამ კრებაზე ქართულ ეკლესიას ეჭირა VI ადგილი რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საყდრების შემდეგ. ფლორენციის კრებამ 1438 წელს უნიის შესახებ დეკრეტში დაადგინა: "კონსტანტინოპოლის პატრიარქი იქნება მეორე რომის პაპის შემდეგ, ალექსანდრიელი მესამე. შემდეგ მეოთხე ანტიოქიელი და მეხუთე - იერუსალიმელი"...[80]

მართალია, ამ კრებას არ გამოუცია დოკუმენტი, თუ როგორ უნდა განაწილებულიყო შემდეგი ადგილები, რადგანაც კრება ეხებოდა არა დიპტიხის, არამედ სარწმუნოების საკითხს, მაგრამ, საერთოდ, ეკლესიათა (კათედრათა) ადგილების განაწილებას ძალზე დიდი ყურადღება რომ ექცეოდა, ზემოთ მოყვანილი დადგენილებითაც ჩანს.

ქართული, ანუ იბერიის ეკლესიის წარმომადგენელს ამ წარმომადგენლობით კრებაზე ეჭირა VI ადგილი. 1438 წლის 5 თებერვალს ფერარაში გახსნილ და ფლორენციაში გაგრძელებულ "მსოფლიო" საეკლესიო კრებას, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის წარმომადგენლები და რომლის აქტებსაც აღმოსავლეთის საპატრიარქოებმა ხელი მოაწერეს, "თანაბარი უფლებით ესწრებოდა იბერიის მიტროპოლიტი".

"იბერიის მიტროპოლიტი იჯდა მართლმადიდებელთა მხარეს მე-5 ადგილზე კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის წარმომადგენლების შემდეგ. "პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი. პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ... იერუსალიმის პატრიარქის მსოფლიო წარმომადგენელი მენზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი იბერიის მიტროპოლიტი".

კრების მონაწილენი ისხდნენ შემდეგი რიგის მიხედვით: ცენტრიდან თანაბარ მანძილზე იდგა ორი ტახტი - რომის იმპერატორისა და ბერძენთა იმპერატორისა. სასულიერო პირები განლაგებულნი იყვნენ შემდეგი რიგის მიხედვით: ერთ მხარეს ისხდნენ ლათინთა წარმომადგენლები, მეორე მხარეს ისხდნენ მართლმადიდებელთა წარმომადგენლები. ჩვენთვის საინტერესო მართლმადიდებელთა რიგი იყო შემდეგი სახისა: მართლმადიდებელთა რიგში პირველად იდგა - 1. კონსტანტინოპოლის პატრიარქის სავარძელი (პატრიარქი ამ სხდომას არ ესწრებოდა); 2. ალექსანდრიის პატრიარქის წარმომადგენელი - არქიეპისკოპოსი; 3. ანტიოქიის პატრიარქის წარმომადგენელი - არქიეპისკოპოსი; 4. იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი - არქიეპისკოპოსი; 5. იბერიის პატრიარქის (დოკუმენტშია - "მეფის") წარმომადგენელი - მიტროპოლიტი. ამის შემდეგ დიპტიხის მიხედვით ისხდნენ სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსები.

ნაწყვეტი ფლორენციის საეკლესიო
კრების ოქმიდან

1. პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებული იყვნენ: 2. ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი (რომელსაც ალექსანდრიის პატრიარქის კანონიერი მანდატი ჰქონდა და მისი ადგილი ეკავა), 3. ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოგზავნილი - ეფესიის არქიეპისკოპოსი, 4. იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი - მენეზიის არქიეპისკოპოსი და 5. იბერიის მეფის წარმომადგენელი - იბერიის მიტროპოლიტი.

ACTA SACRA OECUMENICI
CONCILII FLORENTINI

1. In quatuor scabellis post Patriarcham dispositis sequebantur 2. Archiepiscopus Heracleensis, Alexandrini Patriarchae legitimum mandatum habens, eiuque locum tenens, 3. Archiepiscopus Ephesinus Patriarchae Antiocheni Legatus, 4. Archiepiscopus Menesiensis Ierosolymitani Patriarchae personam reprae sentans **et 5. Metropolita Yberius Regis Yberiae Apocrisarius.**

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ეკლესია - საქართველოს კუთხეთა მაკავშირებელი დუღაბი

წმიდა ილია მართლის თქმით - ჩამოყალიბებისთანავე საქართველოს წმიდა ეკლესია წარმოადგენდა მთელი ქვეყნის მოსახლეობის მაკონსოლიდირებელ ძლიერ ძალას. ის არ იყო ჩაკეტილი ვიწრო ეთნიკურ ჩარჩოებში, არამედ წარმოადგენდა ქვეყნის სხვადასხვა წარმოშობის მოქალაქეთა ეკლესიას, მისთვის როგორც წმიდა წერილი მოითხოვდა არ იყო ელინი თუ იუდეველი, ქართველი და არაქართველი, თუმცა კი მისი მრევლი საქართველოს შვილები იყვნენ, ერთი ქვეყნისა და ერთი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონენი. თვით წმიდა ნინო, დამფუძნებელი საქართველოს ეკლესიის, კაპადოკიიდან იყო ჩამოსული, საქართველოს ეკლესიის წმინდანი - პირველმოწამე რაჟდენი - სპარსელი, წმიდა ევსტათი მცხეთელი, ასევე სპარსელი იყო, მონოფიზიტობასთან და ცეცხლთაყვანისმცელობასთან მებრძოლნი სახელოვანი წმიდა 12 მამა -

ასურელები (სირიელები) იყვნენ, ნეოფიტე ურბნელი ეპისკოპოსი - არაბი, ასევე არაბი იყო სახელოვანი წმინდანი აბო თბილელი, სომეხი იყო წმიდა შუშანიკ დედოფალი და სხვა მრავალნი, აღნიშნული სიიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს ეკლესია აერთიანებდა ქვეყნის ყველა მოქალაქეს ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად. თუმცა კი საქართველოს ეკლესია ერთიან კულტურულ სივრცეს ქმნიდა ერთი ქართული ერთიანი კულტურით. საქართველოს ეკლესია ადუღაბებდა ქვეყნის კუთხეებსა და სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს.

საქართველოს ერთიანი ქრისტიანული კულტურის მთავარი ბერკეტი იყო ქართული ენა. იმთავითვე ქართული ენა და მასზე დაფუძნებული ქართული ქრისტიანული კულტურა მოიცავდა სრულიად საქართველოს, მის ყველა კუთხეს. ღვთისმსახურება, ყოველი საეკლესიო წესი მთასა თუ ბარში შავი ზღვიდან სომხეთამდე და ალბანეთამდე მხოლოდ ქართულენოვანი იყო. ყოველ კუთხეში ქართული ენა და ქართული კულტურა დომინირებდა. ძველი საქართველო ამით განსხვავდებოდა XX საუკუნის საქართველოსაგან.

ცხადია ძირითადი მრეველი საქართველოს ეკლესიისა, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები იყვნენ, მაგრამ აღნიშნული სიიდან ჩანს, რომ მისი მრევლი იყო საქართველოში მცხოვრები სპარსელები, არაბები, ასირიელები, სომხები და სხვები. რა ხერხებით, რა საშუალებებით აერთიანებდა საქართველოს ეკლესია მის ასეთი სიჭრელის მრევლს? - როგორც ითქვა ეს იყო ქართული ენა და ქართული კულტურა. ქართული ენა - საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაციის უმთავრესი იარაღი - ძველი მამების ცნობით, თვით უფლის მიერ იყო დაცული. მაგალითად, ასურელ მამათა ცხოვრებაში აღწერილია ასეთი ამბავი: ეუწყათ, რომ საქართველოში უნდა ექადაგათ, მათ მაშინვე განაცხადეს რომ არ იცოდნენ ქართული ენა, საქართველოს სახელი ზოგიერთს არც კი გაეგონა, მაგრამ წამოსვლის წინ სულიწმინდის მიერ "წამისყოფით" მიენიჭათ ქართული ენის ცოდნა, მსგავსად იმისა როგორც წმიდა მოციქულებს სულთმოფენობისას მიეცათ სხვადასხვა ენების ცოდნა. მართლაც ჩამოსვლისთანავე ასურელი მამები ქართული ენით ქადაგებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მოაქციეს მრავალი ადამიანი. ქართულ ენას და კულტურას განსაკუთრებული რუდუნებით უვლიდნენ სხვადასხვა კუთხიდან გამოსული წმიდა მამები. მაგალითად, წარმოშობით კახეთიდან იყო წმიდა იღარიონ ქართველი, რომელიც საბერძნეთში ქართული ენით ადიდებდა უფალს, ამის გამო მას ერთი მონასტრის წინამძღვარმა აუკრძალა ღვთისმსახურება, მაგრამ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა ამ ბერძენ მამას და ქართულ ენას "ცხონების ენა" უწოდა.

ასევე ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა საბერძნეთის ერთერთ მონასტერში მომაკვდავ, წარმოშობით ტაოელ - ექვთიმე მთაწმინდელს და შეასწავლა ქართული ენა, ის იქამდე მხოლოდ ბერძნულად ლაპარაკობდა.

აფხაზეთში, სამეგრელოში, სვანეთში, კახეთში, მესხეთში, არგვეთში, თაკვერში, გურიაში, აჭარაში, თიანეთში და სხვა კუთხეებში მუდამ მხოლოდდამხოლოდ ქართული ენით ადიდებდნენ უფალს. არც ერთ კუთხეში არ არსებობდა რეგიონალური კუთხური კულტურები - სრულიად საქართველოში იყო მხოლოდ ერთი ქართული კულტურა, ერთი ქართული ენა.

ქართული ენა ქრისტიანობის პროდუქტი არ ყოფილა, ივანე ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ ჯერ კიდევ წარმართობის დროს ყველა კუთხეში, მათ შორის სამეგრელოსა და სვანეთში ქართული ენა იყო წარმართული ღვთისმსახურების ენა. მაშასადამე არა ე.წ. ქართიზაციის შედეგად გავრცელდა საქართველოს კუთხეებში ქართული ენა, არამედ გაქრისტიანებამდე დიდი ხნით ადრე - წარმართობის დროს წარმართობის ენა ქართული იყო, რომ არსებობდა საერთო ქართული წარმართული რელიგია - მაშასადამე გაქრისტიანებამდეც ქართულ ტომებს ერთიანი კულტურა და ენა აერთიანებდა.

წმიდა ნინოს ეპოქიდან ვიდრე კავკასიაში რუსების გამოჩენამდე, ე.ი. უძველესი ხანიდან XIX საუკუნემდე, როგორც ითქვა ქართული ენა და კულტურა აერთიანებდა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებს. ქართული ენა, როგორც წესი იცოდა საქართველოს

ყველა მცხოვრებმა, ქართული ენის საუკეთესო მცოდნენი იყვნენ თბილისელი და არათბილისელი სომხები, მთიელი ტომები, მუსულმანებიც კი. უფრო მეტიც, ქართული ენა ერთაშორისი ურთიერთობისათვის გამოიყენებოდა კავკასიელი ტომების მიერ. არაა შემთხვევითი, რომ ქართული ლაპიდარული (ქვაზე შესრულებული) თუ სხვა სახის წარწერებითაა მოფენილი კავკასიის მთიანი რეგიონიც კი - დაღესტანსა, ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და ჩრდილო ოსეთში უამრავი ქართული წარწერაა აღმოჩენილი, არას ვიტყვით საქართველოს ისეთ რეგიონებზე, როგორიცაა აფხაზეთი თუ შიდა ქართლი, რომელნიც თვითონ წარმოადგენდნენ კერებს ქართული კულტურისა, არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერებისას, არამედ მისი დაშლა-დანაწევრების დროსაც კი. მაგალითად, თბილისში არაბთა ოთხასწლოვანი ბატონობისას VIII-XI საუკუნეებში, აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი წარმოადგენდა ქართველთა ეროვნულ კონსოლიდაციის კერებს, ბუდეს ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრივი ძლიერებისა. ასევე შემდგომშიც, მაგალითად, XVII საუკუნეში, როცა აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთმა დაიპყრო, ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის კერის ფუნქცია თავისთავზე აიღო სამეგრელომ, ლევან II დადიანის დროს. ასევე იყო საქართველოს სხვა კუთხეები. არასდროს არცერთ კუთხეში არ წარმოქმნილა ადგილობრივი, ლოკალური ხასიათის კულტურა, ყოველი რეგიონის კულტურა იყო საერთო ქართული კულტურის ნაწილი.

ამ მხრივ, საქართველოს თანამედროვე ვითარება სავსებით განსხვავდება ძველქართულისაგან. ამჟამად, რუსების ორასწლოვანი ბატონობის შედეგად, საქართველოშივე ერთაშორისი ურთიერთობის ენა არის არა ქართული, არამედ რუსული. იგივე ითქმის კულტურის მიმართაც, თუ ძველ საქართველოში ქართული კულტურა აერთიანებდა სხვადასხვა კუთხეებს, ამჟამად რუსული კულტურა აერთიანებს საქართველოში არსებულ სხვადასხვა ეთნოსების კულტურებს (იგულისხმება, რომ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, სომხები, თვით ქართველები, ოსები თუ აფხაზები ერთმანეთთან ძირითადად ურთიერთობენ რუსული ენით, ასევე რუსული კულტურული სივრცე მათთვის ნაცნობი არის, საერთო და გასაგები). მაშასადამე რუსულმა ენამ და კულტურამ, არა მხოლოდ შეზღუდა საქართველოში ქართული ენა და კულტურა, არამედ ჩაანაცვლა ის და დაიჭირა მისი ადგილი.

რუსულმა ენამ ჩამოართვა ქართულ ენას ფუნქცია ხალხთა გამაერთიანებლისა, რადგანაც კულტურა მოქალაქეთა მთლიანობის უმთავრესი ნიშანი და ერთობის საფუძველია.

მაშასადამე, როგორც აღინიშნა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, ქართველი ერის შიდა კონსოლიდაციის ძლიერი იარაღი იყო ქართული ენა და კულტურა, ის ასევე წარმოადგენდა საშუალებას საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციისა ერთიან ქართულ სივრცეში.

ქრისტიანული ქართული კულტურის მთლიანობა ისტორიული ფაქტია, ისმის კითხვა რა გზებით, რა საშუალებით გახდა ეს მიღწევა შესაძლებელი? როგორ მოიცვა ერთიანმა ქართულმა კულტურამ საქართველოს ერთმანეთისგან პოლიტიკურად დაშორებული რეგიონები? არსებობს ამ კითხვის ორი პასუხი: პირველის მიხედვით, მოციქულების ეპოქაში, ასევე წმიდა მეფის მირიანისა და წმიდა ნინოს ხანაში, საქართველოს, ანუ ქართლის სახელმწიფო მოიცავდა მთელ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიას, რომელზეც იქამდე, წარმართულ ეპოქაშივე, განვრცობილი იყო ერთიანი ქართული კულტურა, ანუ საქართველოს რეგიონები საქართველოს ეკლესიის დაარსებისას უკვე გაერთიანებული იყვნენ ერთი ენითა და კულტურით. მართლაც, ლეონტი მროველი ეპისკოპოსის ცნობით, საქართველოში ქრისტეშობამდე 300 წლით ადრე "არა იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა". მეფე მირიანი, "ქართლის ცხოვრებისა" და "მოქცევაი ქართლისაის" ცნობით ერთიანი საქართველოს მეფე იყო (ეგრისწყლიდან ალბანეთამდე), წმიდა ნინო კი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ცნობით "ყოველთა ქართველთა" განმანათლებელი, ანუ დაარსებისთანავე წმიდა ნინოს ხანიდანვე საქართველოს ეკლესია მოიცავდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს. შესაბამისად ქართული ენა და კულტურა მოიცავდა

სრულიად საქართველოს უძველესი ხანიდანვე. ეს თვალსაზრისი დაცული იყო საეკლესიო წარწერებში XIX საუკუნემდე. სულ სხვა თვალსაზრისი ჩამოყალიბდა რუსების ბატონობის დროს. ე.წ. "ქართიზაციის" თეორიის თანახმად, თითქოსდა, დასავლეთ საქართველო 600 წლის მანძილზე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა, შემდეგ IX - X საუკუნეებში ქართული ეკლესია შეიჭრა უცხო იურისდიქციაში და გააუქმა დასავლეთ საქართველოში ბერძნული საეპისკოპოსოები და მის ნაცვლად დააარსა ქართული, რასაც შემდეგ მოჰყვა ქართული ენისა და კულტურის დასავლეთ საქართველოში განვრცობა, ანუ მოსახლეობის "ქართიზაცია". ასევე, თურმე, "ქართიზებული" ტომები არიან აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები და ჰერ - ალბანელებიც კი. "ქართიზაციის თეორია" შეიძლება ითქვას გაგრძელებაა XIX საუკუნის რუსული იმპერიული პოლიტიკისა, რომელსაც სურდა როგორმე საქართველოს რეგიონები ჩამოეშორებინა ერთიანი ქართული კულტურის სფეროსაგან. ამას კი ცდილობდა იმით, რომ აყალიბებდა იქამდე უცხო რეგიონალურ კულტურებს.

ისტორიოგრაფია საბჭოთა მთავრობის მიერ გამოიყენებოდა ვითარცა იდეოლოგიური იარაღი. "ქართიზაციის თეორია" ასევე წარმოადგენდა იარაღს საქართველოს კუთხეებად დაშლა-დანაწევრებისათვის.

კერძოდ, თუკი ძველი ქართული ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ ერთიანი საქართველოს სახელმწიფო ჩამოყალიბდა ქრისტესშობამდე ასწლეულებით ადრე მეფე ფარნავაზის დროს, საბჭოთა ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ ეს ასე არ იყო და ერთიანი საქართველოს სახელმწიფო მხოლოდ XI საუკუნეში ჩამოყალიბდა ბაგრატ III დროს. თუკი ძველი ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ წმიდა ნინო და ანდრია პირველწოდებული იყვნენ სრულიად საქართველოს მოსახლეობის გამაქრისტიანებლები, ახალი ქართული ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ წმიდა ნინო მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, ანდრეა კი დასავლეთ საქართველოს განმანათლებელი იყო. ძველი ქართული ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ ქართული ენა და ქართული კულტურა სრულიად საქართველოს მოიცავდა მეფე ფარანავაზის დროიდანვე. "არა იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა", ახალი ამტკიცებდა, რომ ქართული ენა დასავლეთ საქართველოში გავრცელდა მხოლოდ IX-X საუკუნეებში. თუკი ქართული ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ ვახტანგ გორგასალი და მისი ყველა წინამორბედი მეფეები დასავლეთ საქართველოს მეფეებიც იყვნენ, ახალი ამტკიცებდა, რომ ისინი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები იყვნენ. თვით ბაგრატ III დროს, არა ბაგრატ III მიიჩნეოდა სრულიად საქართველოს პირველ მეფედ, არამედ ფარნავაზი. ახალმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ ძირი გამოთხარა ქართველთა ერთიანობის თვალსაზრისს - ფარნავაზი თვით ამჟამადაც კი მხოლოდ "ქართლის" ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ მიიჩნევა. თუკი ძველი ქართული ისტორიოგრაფია ამტკიცებდა რომ დასავლეთი საქართველო წმიდა ნინოს დროიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იყო, ახალი ამტკიცებდა, რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინეპოლის იურისდიქციაში იყო.

საბჭოთა წლებში ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რათა აფხაზეთი, სამეგრელო, სვანეთი როგორმე ჩამოეშორებინათ საქართველოს ისტორიისაგან. ამისათვის საჭირო შეიქმნა მძლავრი ისტორიოგრაფიული ბაზა სამტკიცებლად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში არსებობდა კოლხური და შემდეგ ლაზური სახელმწიფოები თავისი საკუთარი ენითა და კულტურით, მაშინ როცა წყაროები მიუთითებს იმის შესახებ, რომ კოლხური კულტურა იყო არა ვიწრო კუთხური მოვლენა - არამედ ზოგადქართული კოლხეთის ენა. გ. მელიქიშვილისა და სხვა გამოჩენილი ისტორიკოსების მტკიცებით იყო ფუძე ქართულთან ახლოს მდგომი ჯერ კიდევ დაუყოფელი ერთიანი ე.წ. ზანურ-ქართული ენა, რომ კოლხური კულტურა მოიცავდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან ერთად მთელ თანამედროვე საქართველოს, რომ კოლხური სახელმწიფოებრიობის წიაღში ჩამოყალიბდა ძველი ქართული ფარნავაზის ქართლის სახელმწიფო (იხ. ა. ჯაფარიძე, საქართვ. სამოციქ. ეკლ. ისტორია).

თ. გამყრელიძის და გ. მაჭავარიანის თქმით ზანურ-ქართული ენობრივი მთლიანობა ჯერ კიდევ არ არსებობდა მოციქულების ეპოქაში, რადგანაც მათი მტკიცებით ამ ენამ ერთიანი დიფერენციაცია დაიწყო "ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე".

სამწუხაროდ, ახლახან, 2007 წელს, გამოცემული "პრავასლავნაია ენციკლოპედია"-ს მე-13 ტომში ერთადერთ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებადაა გამოცხადებული მეორე თვალსაზრისი, რომ დასავლეთ საქართველო IX-X საუკუნეებში ბერძნული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, შესაბამისად უარყოფილია ძველი ქართული საეკლესიო თვალსაზრისი. აღნიშნული ენციკლოპედიის მე-13 ტომში წმიდა ნინო მხოლოდ ქართლის, ამ ავტორის სიტყვით მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს განმანათლებლადაა წარმოდგენილი და მიწოდებულია მკითხველისადმი, თითქოსდა ის ერთადერთი თვალსაზრისი იყოს, მაშინ როცა ივანე ჯავახიშვილის სიტყვით: **"ქართველებს იმთავითვე წმიდა ნინო ერთიანი ქვეყნის, ერთიანი საქართველოს განმანათლებლად მიუჩნევიათ. და არა მისი ერთი რომელიმე ნაწილისა".**

მართალია "პრავასლავნაია ენციკლოპედია"-ს მე-13 ტომის ავტორები მიუთითებენ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციის წყაროთა სიმწირის შესახებ, მაგრამ ძალზე სამწუხაროა, რომ დუმან და ოდნავ მინიშნებასაც კი არ აკეთებენ იმის შესახებ, რომ ამ საკითხს თავისი განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რუის-ურბნისის კრებამ და მიიღო შესაბამისი განსაზღვრება, როგორც ჩანს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა "პრავასლავნაია ენციკლოპედია"-ს ავტორებს არ მიაჩნიათ წყაროდ დასავლეთ საქართველოს იურისდიქციის კვლევის საქმეში.

გლობალიზაციის პროცესის ღირსეულად შესახვედრად ქართველმა ერმა უნდა განამტკიცოს თავისი სახელმწიფო, შეძლოს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება, რისთვისაც უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართული კულტურის გავრცობას.

ამ ვითარების გამო, აუცილებლად მივიჩნევთ, რომ სამომავლოდ ქართულ ენასა და კულტურას საქართველოში მიენიჭოს პრიორიტეტი რუსულთან შედარებით. იგულისხმება საქართველოს მოცვა ქართული ენით, ლიტერატურით, მუსიკით, ფილოსოფიით, კულტურით, ეკონომიკური დოქტრინებით. სახელმწიფომ ქვეყანაში უნდა გაატაროს შესაბამისი ენობრივი პოლიტიკა, ქართული ენის სახელმწიფოებრიობა რეალურად უნდა განხორციელდეს.

აღნიშნულის განსახორციელებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საინფორმაციო საშუალებების (ტელეხედვის, რადიომაუწყებლობისა და ინტერნეტის) ქართულენოვნებას. ქართულმა ტელეარხებმა ყველა გადაცემა უნდა განახორციელონ სახელმწიფო ენით, ისევე როგორც ეს სხვა ქვეყნებშია. ქართული კულტურისათვის დამამცირებელია, რომ საქართველოს მხარეების უდიდესი ნაწილი ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთის მთიანეთი, ქვეყნის სხვა ოლქები წარმოადგენს აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ და უცხოენოვან ტელე და რადიო სივრცეს (და არა ქართულს). თვით თბილისის რადიო და ტელეარხების 30-40% რუსულენოვანია, ქართველი ბავშვები ტელევიზიის საშუალებით სწავლობენ რუსულ ენას, ითვისებენ რუსულ კულტურას. ამის შედეგია ის, რომ რუსეთში სამუშაოდ გასული ასეულათასობით ქართველს უცხო გარემოსთან შეგუება უადვილდება ენის ცოდნის გამო. ამიტომ ხდება რუსეთში მათი სწრაფი ასიმილაცია, საქართველოს სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი კი დაცარიელდა.

საქართველო ვითარცა მცირერიცხოვანი ქვეყანა, როგორც აღინიშნა, უფრო მეტად უნდა შეემზადოს გლობალიზაციის პროცესის შესახვედრად ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებით. შესაბამისად, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიზნით, ამჟამად, საქართველო არ უნდა დაიყოს კუთხური ნიშნით შექმნილ რეგიონალურ მხარეებად. ამან შეიძლება სამომავლოდ ქვეყნის მთლიანობას საფრთხე შეუქმნას. შესაძლოა, ამგვარმა დაყოფამ ხელი შეუწყოს სეპარატისტული ტენდეციების ჩანერგვასა და განვითარებას რეგიონალური

ხელისუფლების მხრიდან (მაგალითად, ისე, როგორც ეს მოხდა ე.წ. "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში"), ფედერალური მოწყობა შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს საქართველოსათვის. მით უმეტეს სახიფათოა ამ ნიშნით ჯარის (თუნდაც სარეზერვოსი) ჩამოყალიბება, ასევე სამხარეო პროკურატურებისა, ძალოვანი სტრუქტურებისა და განათლების სისტემისა. ივანე ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ საქართველოს ერთიანობას მუდამ ემუქრებოდა თემობრიობა, კუთხურობა, ერთიანი საქართველოს დაშლა-დანაწევრება XV-XVI საუკუნეებში ამ მიზნით მოხდა - "თემობრიობამ თავისი გაიტანა და სრულიად საქართველოს მეფე დამარცხდა" (ივ. ჯავახიშვილი, ტ. IV, ნაწ. I, გვ. 191) ფეოდალიზმის დროისათვის დამახასიათებელი "ქართველი ერის წიაღში არსებული (ტომობრივ - გეოგრაფიული) თემობრივი თავისებურება" არყევდა საქართველოს მთლიანობას შუა საუკუნეებში. ფეოდალური დანაწევრების ეტაპი უკვე განვლეს გლობალიზაციის მომლოდინე სხვა ქვეყნებმა (მაგალითად, თურქეთმა, აზერბაიჯანმა, რუმინეთმა და სხვა) და ჩამოყალიბდნენ ცენტრალიზებულ სახელმწიფოებად. ამჟამად, შუასაუკუნეობრივი სამართლებრივი მოდელის მიხედვით საქართველოს რეგიონებად დაქუცმაცება არის ეთნიკური სახელმწიფოებრივი დაქუცმაცების რეანიმაცია. ეს ძლიერ შეუშლის ხელს ქართველი ერის კონსოლიდაციასა და საქართველოში მცხოვრები ეთნოჯგუფების ინტეგრაციას საქართველოს მოქალაქეებად, რაც ასე ძლიერ სურთ ჩვენს იმპერიულ მეზობლებს და აიძულებენ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებს საქართველო ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბონ.

საბოლოოდ, უნდა დავასკვნათ, რომ რუსების მიერ საქართველოს დაპყრობამდე, ანუ XIX საუკუნემდე, ქართული ენა და კულტურა წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაციისა და სახელმწიფოებრივი ინტეგრაციის საშუალებას. ამჟამად, მართალია ეს ასე არაა და ქართულს რუსული ჩაენაცვლა, მაგრამ, იმედია, რომ ჩვენი ქვეყნის საზოგადოება შეძლებს ამ პრობლემის მოგვარებას.

ლიტერატურა:

1. დიდი სჯულის კანონი, თბ., 1975;

2.მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ენა და სახელმწიფო, თბ., 2008;

3. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, დედაღვთისმშობელი - შემწე ქართული ენისა, თბ., 2008;

4. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, თეორია საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ და მისი კრიტიკა, თბ., 2007;

5. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია, თბ., 2008.

(პ.ს. ეს წერილი დაიწერა 21-ე საუკუნის დასწყისში. ამ დროს რუსული კულტურით სრულად დაფარული იყო ჩვენი სივრცე).

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს ეკლესიის სამწყსო და იურისდიქციის საზღვრები

(საპატრიარქოს კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება)

კაცობრიობის ისტორიისა და მსოფლიო მართლმადიდებლობის წინაშე ჩვენი ქვეყნის დიდი დამსახურების გამო კულტურული სამყარო აღნიშნავს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების მეოცე საუკუნეს.

სახელგანთქმული დიდი კოლხური ცივილიზაციის მემკვიდრე იბერია (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. "ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია", თბ., 1994, გვ.56,63) ძველთაგანვე სახელოვან ქვეყნად მიიჩნეოდა საკუთარი დამწერლობით, ლიტერატურით, კულტურით.

ქართველი ხალხი დიდი და მრავალრიცხოვანი ერი იყო კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში, ქრისტეს ერთგული არა ასი და ორასი, არამედ თითქმის ორიათასი წლის მანძილზე. სარწმუნოებისათვის მტკიცედ მებრძოლი ქართველი ერი ფაქტობრივად წარმოადგენდა მცველსა და დარაჯს მსოფლიო ქრისტიანული ცივილიზაციისა, საქართველო იყო პირველი ციხესიმაგრე და გოდოლი, რომელსაც აწყდებოდა აღმოსავლური, იმჟამად აგრესიულ, სახელმწიფოთა ურდოები. საქართველო აკავებდა ამ მრისხანე მტრებს, რომელნიც ცდილობდნენ ევროპის ცენტრებისაკენ გაჭრას. ერთ ასეთ ბრძოლაში, მემატიანის ცნობით, ვახტანგ გორგასლის მეთაურობით ქართულმა ჯარმა შეაკავა 800 000 ჯარისკაციანი არმია სპარსული კოალიციისა, ხოლო XII საუკუნეში ჯვაროსანთა წარმატებებს მცირე აზიასა და პალესტინაში დავით აღმაშენებლის სახელმწიფოც აპირობებდა, რომელმაც დიდგორთან 600 000-იანი მაჰმადიანური არმია დაამარცხა.

XIII-XVII საუკუნეებში მსოფლიო ქრისტიანული ცივილიზაციის დასაცავად განუწყვეტელი ბრძოლებით საქართველო საშუალებას აძლევდა ევროპულ ქვეყნებს შედარებით მშვიდად ეცხოვრათ და ეღვაწათ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის. მართალია, უთანასწორო ომებით საქართველო დაუძლურდა, მაგრამ მან ზნეობრივად და სულიერად გაიმარჯვა, რამეთუ შეძლო ქრისტეს სარწმუნოების შენარჩუნება თავგანწირვის, მეგობართათვის თავდადების გზით.

საზოგადოდ, ქართველი ხალხი დიდი და მრავალრიცხოვანი ერი იყო. ათასწლოვანი გამაჩანაგებელი ომების შემდგომაც კი, XIX საუკუნის დასაწყისში, ქართველობა სამხრეთკავკასიის მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენდა. მისი რიცხვი გაცილებით მეტი იყო სს - ით ადრე. ამით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ საქართველოს წმიდა ეკლესია ისტორიულად თავის იურისდიქციას ავრცელებდა ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ვრცელ მიწა-წყალზე ევფრატისა და არაქსის სათავეებიდან შავ ზღვამდე, ვანის ტბიდან შემახიის მთებამდე და მოიცავდა არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიას, არამედ მცირე აზიის ერთ ნაწილსაც. ამასთანავე, მოღწეული წყაროების, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით საქართველოს ეკლესია თავის იურისდიქციას ავრცელებდა მთელ ჩრდილოკავკასიაში, ვიდრე ყირიმის ნახევარკუნძულამდე (მთავარეპ. ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.II, თბ., 1998, გვ.222). ამ ვრცელ მიწა-წყალზე ათეულობით ქართული საეპისკოპოსო არსებობდა.

საქართველოს ეკლესია მსოფლიო საყოველთაო ეკლესიის ერთ-ერთი ადგილობრივი ეკლესიაა. ამასთანავე ის ეროვნული ეკლესიაც არის, რაც განპირობებულია იმით, რომ ისტორიულად თავის უფლებამოსილებას ქართველ და საქართველოში მცხოვრებ ქრისტიანებზე

ახორციელებდა. ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევისათვის აუცილებელია განისაზღვროს მისი სამწყსოს რაობა. საეკლესიო ისტორიოგრაფიისთვის ცნობილია, რომ ჩვენში ქრისტიანობა გაავრცელეს, ანუ ქართული ეროვნული ეკლესია დააფუძნეს თვით მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა, ბართლომემ, მატათამ (მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ტ.I, თბ., 1996, გვ.34). ქრისტიანობის დაფუძნების ჟამს, ანუ თითქმის 20 საუკუნის წინ, რა სახისა იყო ქართული ეკლესიის სამწყსო? ის სხვადასხვაენოვან კავკასიურ ტომთაგან შედგებოდა, თუ ერთიან ხალხს წარმოადგენდა, რომელსაც ჰქონდა ერთობის რაიმე ნიშან-თვისება?

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ორი, ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავებული თვალსაზრისი ქართველი ხალხის (ეროვნების) ჩამოყალიბების შესახებ. პირველი ჩამონაკვთული იყო უკვე ქართული ისტორიოგრაფიის დაფუძნების ჟამს და არსებობდა ვითარცა ერთადერთი თეორია უძველესი ხანიდან ვიდრე XIX საუკუნის II ნახევრამდე. მეორე თვალსაზრისი ქართველი ხალხის რაობისა და წარმოშობის შესახებ ჩამოყალიბდა XIX-XX საუკუნეებში რუსეთის იმპერიის და აგრეთვე საბჭოთა კავშირის საისტორიო წრეებში. რა განსხვავებაა ამ ორ თეორიას შორის?

პირველის მიხედვით, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ქრისტეშობამდე საუკუნეებით ადრე იყო ერთი ეთნოსი, ერთი კულტურისა და სარწმუნოების მქონე ეთნიკური მთლიანობა. ამიტომაც შეძლო მან ჩვენს ერამდე IV-III საუკუნეებში, მეფე ფარნავაზის დროს, ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, ერთი ენითა და მწიგნობრობით, რომელიც აერთიანებდა ქვეყნის ორივე ნაწილს - შავი ზღვიდან და მდ. ეგრისწყლიდან სომხეთისა და ალბანეთის საზღვრებამდე. ამ სახელმწიფოს მოსახლეობა - ეგრისელები, მარგველები, დასავლეთ საქართველოს სხვა საერისთავოების მცხოვრებნი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად ერთი ენისა და ერთი "მწიგნობრობის" (ე.ი. კულტურის) მქონე ხალხს წარმოადგენდა თანახმად "ქართლის ცხოვრებისა", ხოლო უფრო ძველი საისტორიო წყარო "მოქცევაჲ ქართლისაჲ" წერს, რომ ფარნავაზ მეფემდეც ქართველთა სახელმწიფოს საზღვარს დასავლეთით შავი ზღვა და მდ. ეგრისწყალი წარმოადგენდა, აღმოსავლეთით კი სომხეთ-ალბანეთი - "საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთა ცროლისა... და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზო, ძე არიან ქართველთა მეფისა და მოკუდა, და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ" (ძეგლ. I, 1964, გვ. 82).

ყველა ძველი ქართული წყაროს თანახმად დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას (მეფე ფარნავაზიდან ვიდრე ვახტანგ გორგასლის შვილების ეპოქამდე) გააჩნდა ერთიანი სახელმწიფო, საერთო ისტორიული ცნობიერება, ერთი კულტურა (ჯერ საერთო წარმართული სარწმუნოება, შემდეგ კი ერთი ქრისტიანული ეკლესია, საერთო ენა, მწიგნობრობა), ერთიანი სამშობლოს განცდა, საერთო სოლიდაროზის შეგრძნება (მაგ. ვახტანგ გორგასლის სიყმაწვილის დროს (10 წლისა იყო), როდესაც ბერძნებმა მიიტაცეს ქართლის სახელმწიფოს ტერიტორია მდ. ეგრისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე, "ამას იგლოვდა ყოველი ქართველი", როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ("ქართლის ცხოვრება", 1955, ტ.I, გვ.146). ერთი სიტყვით, მემატიანეთა თქმით, ეს იყო ერთი სახელმწიფოს მქონე კულტურულ-ისტორიული ერთობა, ანუ ქართველი ერი ან ეროვნება. მემატიანეთა ეს მონაცემები გამოწვლილვით არის გადმოცემული ჩემს წიგნში "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია" (ტ. I, 1996). ამიტომაც მას აქ აღარ გადმოვცემ, მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ისეთი სომეხი უდიდესი ისტორიკოსები, როგორებიც იყვნენ ხორენაცი და უხტანესი, ჩვენი ერის შესახებ ავითარებენ იმავე თვალსაზრისს. კერძოდ, მათი აზრით, ქართველთა თავდაპირველი სამშობლო კავკასიაში არის დასავლეთი საქართველო, საიდანაც ისინი "გამრავლდნენ და მოედნენ მთელ არეს ვიდრე სომხეთამდე".

ამავე თვალსაზრისს ავითარებდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა მამები, რომლის უკეთესი გამოხატულებაა, ცხადია, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. ამ სახელმწიფო-საეკლესიო მნიშვნელობის ძეგლის თანახმად, I საუკუნეში საქართველო ვითარცა ერთიანი ეთნო-პოლიტიკური მთლიანობა უკვე არსებობდა, მოიცავდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს და აი, აქ იქადაგა ანდრია მოციქულმა - "იქადაგა სახარება ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა", ასევე წმიდა ნინომ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა კი არ გააქრისტიანა, არამედ მთელი ერი - "ყოველნი ქართველნი" ("დიდი სჯულისკანონი", 1975, გვ. 545). მაშასადამე, "ძეგლისწერა" ქვეყნის დასავლეთ ნაწილს ეგრისს ანდა კოლხეთს კი არ უწოდებს, სადაც ძირითადად იქადაგა ანდრიამ, არამედ საქართველოს, ხოლო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას - ქართველებს. ამავე თვალსაზრისს გადმოგვცემს არსენ ბერი (დავით აღმაშენებლის მოძღვარი): "ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენა მათი ვუწყით" (ძეგლ. III, გვ.47). როგორც "მოქცევა"-დან ჩანს, არიან-ქართლიდან გამოსული მოსახლეობა დასახლდა დასავლეთ საქართველოში მდ. ეგრისწყლიდან და განივრცო აღმოსავლეთით სომხეთ-ალბანეთამდე. აი, ამ ხალხის (ე.ი. ეგრისელების, მარგველების, სვანების და ა.შ.) საერთო სახელია ქართველები და ისინი არიან ერთი ნათესავი (ეთნოსი) შვილები, ერთი ენის მქონენი (ქართული ენა - არიან-ქართლშიც საერთო ენა იყო) და ერთი ქვეყნის, ერთი სახელმწიფოს მოსახლენი.

ერთი სიტყვით, ძველ საქართველოში ქართველი ხალხი ერთ ერად მოიხსენიებოდა. ვითარება შეიცვალა მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში.

რუსეთის იმპერიის წიაღში საქართველოს ყოფნისას, საიმპერიო რუსულ სამეცნიერო წრეებში, ჩამოყალიბდა ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ ახალი თეორია, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა იყო სხვადასხვა ეთნოსები, რომელნიც ერთ ერთობად ჩამოყალიბდნენ მოგვიანებით IX-X საუკუნეებში. ეს თეორია მთლიანად მიიღო და გაიზიარა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ და ჩამოაყალიბა ე.წ. ქართიზაციის თეორიის სახით, თითქოსდა აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდა რაღაც ჰიპოთეტური "ქართის ტომი", რომელიც IX-X საუკუნეებსი გამრავლდა და გადასახლდა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში და მოახდინა იქაური მოსახლეობის ქართიზაცია-გაქართველება. როგორც ვთქვით, ეს თეორია საერთოდ უცხოა ძველი ქართული და თანამედროვე საეკლესიო ისტორიოგრაფიისთვის.

XIX-XX საუკუნემდე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის აფხაზეთსა, სვანეთსა და სამეგრელოში საეკლესიო, სალიტერატურო და სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის მხოლოდ ძველი ქართული ენა გამოიყენებოდა. არც ერთი ადგილობრივი ენაკავი თუ დიალექტი საღვთისმეტყველო მიზნით გამოყენებული არ ყოფილა. ძველი ქართული საეკლესიო ენა, რომელიც, ამავე დროს, საერთო-სახალხო, სალიტერატურო ენას წარმოადგენდა, ხასიათდებოდა ზოგადეროვნული მთლიანობით, მიუხედავად ქვეყნის დაქსაქსვა-დაყოფისა, არ ამჟღავნებდა ტომობრივ-გეოგრაფიულ მიკერძოებას არც ენობრივ-სტილისტურად, არც იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით. ამიტომაც არ არსებობდა აღმოსავლურ-ქართული, სამხრეთ-ქართული და დასავლურ-ქართული ლიტერატურული მიმართულებანი. მთელი ქართული სასულიერო თუ საერო ლიტერატურა (მწერლობა) არსებითად იყო ერთიან ქართული, საქართველოს რომელ კუთხეშიც არ უნდა შექმნილიყო ესა თუ ის ნაწარმოები და რომელი ქართული ტომის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო მისი ავტორი. "ეს მოვლენა ლიტერატურის ისტორიაში საყოველთაო ხასიათისა არ არის, ვინაიდან მსოფლიოს ბევრი მოწინავე ლიტერატურის ისტორია ტომობრივ-კუთხური მიმართულებით ვითარდებოდა და ეს მიმართულებანი ღრმა კვალს ტოვებდნენ საერთო-ეროვნული ლიტერატურის განვითარებაზე" (მ. რეხვიაშვილი. "იმერეთის სამეფო", 1989, გვ. 472).

ისმის კითხვა: რატომ არ წარმოიქმნა ძველ საქართველოში ლიტერატურის კუთხურ-ტომობრივი მიმართულებანი მაშინ, როცა იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა არა ერთიან სახელმწიფოს, არამედ შიდაფეოდალური ომებით მოცულ

ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ წარმონაქმნებს, განაწილებულთ უცხო სახელმწიფოთა შორის (იგულისხმება VI-XVIII საუკუნეები).

ეს კითხვა ძალზე მნიშვნელოვანია. როგორც ითქვა, მსოფლიოს მრავალმა მაღალგანვითარებულმა ერმა თავი ვერ აარიდა კუთხური ლიტერატურის შექმნას. უნდა გაირკვეს, თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში შექმნილი ქართული მწერლობის ძეგლი საერთო-ქართული იყო ენობრივი თვალსაზრისით.

საქართველოში ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ზოგადეროვნულობა, ერთადერთობა და ყოვლისმომცველობა გამოწვეული იყო ქართველი ერის ენობრივი მთლიანობით გვიან შუა საუკუნეებამდე (XVI-XVII საუკუნეებამდე). საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის დაშლამდე, ე.ი. XV-XVI საუკუნეებამდე, მართალია, არსებობდნენ კუთხური დიალექტები, მაგრამ ისინი ძალზე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, რითაც, საბოლოო ჯამში, ქმნიდნენ ენობრივ მთლიანობას. XVI-XVIII საუკუნეებში კუთხური სახელმწიფოებრივი ერთეულების - ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოების, სხვა სამთავროების წარმოქმნის კვალდაკვალ წარმოიქმნა შესაბამისი დიალექტები. ქართლური, კახური, იმერული და სხვა დიალექტები არიან არა უძველეს დროს წარმოქმნილნი, არამედ ერთიანი საქართველოს დაშლისა და კუთხური სამეფო-სამთავროების დაარსების შემდეგ ჩამოყალიბებულნი. ასევე უნდა ვიგულისხმოთ, რომ კუთხური ქართველური ენებიც შედარებით ახალი წარმონაქმნია. იგულისხმება, რომ საერთო - ქართული ფუძე ენის დაშლა დიალექტურ დონეზე და მისგან ზანურის გამოყოფა მოხდა არა უძველეს დროს ქრისტეშობამდე ათასწლეულებით ადრე, არამედ ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, მაშინ როცა საფუძველი ეყრებოდა ერთიანი ქართული საღვთისმსახურო ენის შექმნას. ამის შესახებ მიუთითებდა ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი. იგი წერდა: "ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი სამწერლობო ენა ჰქონდა და აქვს, რომელიც მეგრელებისა და სვანებისათვისაც ერთადერთი სამწერლობო და კულტურის ენა იყო და არის ეხლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსა და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი" (ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი 12 ტომად, ტ.I, 1979, გვ. 154).

მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-შემუშავებაში მეგრელებსა და სვანებს თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი. რომელი ხანა იგულისხმება? ცხადია I-V საუკუნეებში, როდესაც მიმდინარეობდა ქართული საეკლესიო-სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება, წმიდა წერილის თარგმნა-გადმოღება ქართულ ენაზე ჯერ ზეპირი თარგმნის გზით, IV საუკუნიდან კი მწიგნობრულად (საქმე ისაა, რომ VI-VII საუკუნეების შემდეგ ბიზანტიური აგრესიის შედეგად დასავლეთ საქართველოში საღვთისმსახურო საჭიროებისათვის დაინერგა ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა და დასავლეთ საქართველოს ეკლესიებიდან განიდევნა ქართული ენა თითქმის IX-X საუკუნეებამდე. ამიტომაც დასავლელ ქართველებს ქართული სამწერლობო და კულტურის ენის შექმნა-შემუშავებაში თავიანთი წვლილი უნდა შეეტანათ იქამდე, ე.ი. VI-VII საუკუნეებამდე. მოციქულთა დროიდან დიდაქეს, ანუ თორმეტი მოციქულის სწავლის შესაბამისად I-III საუკუნეებში საქართველოში არსებულ ქრისტიანულ თემებში მოსიარულე წინასწარმეტყველებსა და მოძღვრებს ზეპირი სიტყვით უნდა ექადაგათ "ცოდნა უფალზე". საქრისტიანო ცოდნა იმჟამად გადაიცემოდა ცოცხალი სიტყვით, ხალხისათვის გასაგები ენით. ეს ენა უნდა ყოფილიყო იმჟამად ჯერ კიდევ ნაკლებად დიფერენცირებული საერთო - ქართული ფუძე-ენა).

ივანე ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ წარმართობის დროს, ანუ IV საუკუნემდე გაცილებით ადრე, ყველა ქართული ტომის მიერ, მათ შორის სამეგრელოსა და სვანეთში წარმართული კერპთმსახურება, ანუ წარმართული ლოცვა-რიტუალი ქართულ ენაზე აღესრულებოდა. ივანე ჯავახიშვილი წერდა: "არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართული ტომისათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ

რომ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია" (ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტ1, 1979, გვ. 156).

ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებამდე ყველა ქართულ ტომს ჰქონდა საერთო სარწმუნოება (წარმართული), საერთო ქართული ენითა და საერთო ტერმინოლოგიით. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ქრისტიანობის პირველმქადაგებლები საქართველოში ისარგებლებდნენ უკვე არსებული საერთო-ქართული საკულტო ენით და მას გამოიყენებდნენ კიდეც.

II-III საუკუნეთა ქრისტიანული სამარხები აღმოჩენილია, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ერწო-თიანეთიდან საჩხერემდე (თ.ბიბილური. "თიხის ფილასამაგრები", გვ. 57, თ. ბიბილური, "ქრისტიანობის გავრცელება", გვ. 2). იმავეს ადასტურებს იოანე საბანისძე, როცა VIII საუკუნეში ქართველებს 500-წლოვან ქრისტიანებად მიიჩნევდა. ეკლესიის ისტორიკოსთა ცნობებს საქართველოში მოციქულთა მიერ ქრისტიანული თემების დაარსებისა და II-III საუკუნეებში მათი ყოფის შესახებ წყაროებიც მიუთითებს. მაგალითად, II საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდნენ ჩვენი ეკლესიის წმიდანები "სუქია და 16 ქართველი მოწამე". თამარაშვილის ცნობით, I საუკუნეში იმპერატორ მაქსიმილიანეს ემსახურებოდნენ ქრისტიანი ქართველი მეომრები, რომელნიც კოლხიდაში გააძევეს. ირინეოსის ცნობით, კოლხიდაში ეპისკოპოსმა პალმოსმა და მისმა მეგობრებმა 70 ეკლესია ააშენეს. არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილია წმიდა ნინომდელი ეკლესიები სოფ. ნასტაკისში. "ქართლის ცხოვრების" თანახმად, III საუკუნის ქართლის მეფე რევ მართალმა სახელმწიფოში ქრისტიანული სახის რეფორმა გაატარა და სხვა (მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ახალციხე, 1988, გვ. 447).

ეგრისი, სვანეთი და არგვეთი (შემდეგდროინდელი იმერეთი) ფარნავაზ მეფის სამეფოში შედიოდა საერისთავოთა სახით: ფარნავაზმა "მისცა ქუჯის ქუეყანა - ეგრისწყალსა და რიონს შუა... რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ" ("ქართლის ცხოვრება", ტ.I, 1955, გვ. 24). "ფარნავაზ მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა" (იქვე, გვ. 24). იგულისხმება: ეგრისსა, სვანეთსა და არგვეთში ქართული ენა ფარნავაზის დროიდანვე იყო გავრცელებული, ფარნავაზი ვერავითარი იძულებით შეძლებდა აქ ქართული ენის გავრცელებას, ეს ენა რომ არ ყოფილიყო აქ მოსახლეობის მშობლიური დედაენა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მემატიანის და საერთოდ ძველი ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით იმ ეპოქაში, ანუ ქრისტეშობამდე 400-300 წლით ადრე, ე.წ. ქართებს და მეგრელ-ჭანებს შორის ენობრივი განსხვავება მხოლოდ დიალექტურ დონეზე არსებობდა, ანუ ფუძექართული ენა ჯერ სუსტად იყო დიფერენცირებული. იმხანად ე.წ. ქართებისა და ეგრისელების კილოები ჯერ კიდევ არ იყვნენ ენებად გადაქცეულნი და ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ, არსებობდა ზანურ-ქართული ენობრივი ერთობა - ჯერ კიდევ საერთო, სახალხო, საზოგადო ენა. იგი წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ყველა კუთხის ენას და მას უწოდებს მემატიანე ქართულ ენას.

ამის ანარეკლი გვაქვს ბერძნულ წყაროებში, სადაც არცთუ იშვიათად დასავლეთ საქართველოსაც იბერია ეწოდება. ეკლესიის ისტორიის მამა ევსევი კესარიელი და სხვა საეკლესიო მკვლევარები თავიანთ შრომებში დაბეჯითებით მიუთითებენ დასავლეთ საქართველოში, ანუ პონტოს ზღვის პირზე ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის ხანიდან იბერთა ცხოვრების შესახებ (გეორგიკა, I, 1961, გვ.30), ხოლო ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, რომელიც ძველ წყაროებს იყენებდა, აღნიშნავს, რომ წმიდა ანდრია მოციქულმა იქადაგა ფაზისში, სადაც ცხოვრობენ იბერები (გეორგიკა, VII, 1967, გვ.115 - 117). ცხადია, ის, ისევე როგორც სხვა ძველი უცხოელი ავტორები, ეგრისელებს იბერებად მიიჩნევს. ნიკიტა პაფლაგონიელი IX საუკუნეში წერდა, რომ მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ივერთა შორის, ივერიელებად კი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას მოიხსენიებდა. ბერძნული საეკლესიო ისტორიოგრაფია დასავლეთ საქართველოს უწოდებდა "ქვემო იბერიას", ხოლო იმ ეკლესიის მეთაურს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ აფხაზეთის კათალიკოსს, ბერძენი საეკლესიო ისტორიკოსები უწოდებდნენ "ქვემო იბერიის არქიეპისკოპოსს".

ასეა ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქების დოსითეოსის, ქრისანთოსისა და სხვათა შრომებში (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. "საქართველოს სამოციქულო ეკლესია", ტ.II, 1998, გვ.91). ამიტომაც წერდა უფრო ადრე, ეკლესიის ისტორიკოსი გელასი კესარიელი, IV საუკუნეში, რომ ტყვე ქალმა, ანუ წმიდა ნინომ გააქრისტიანა იბერები და ლაზები (გეორგიკა I, 1961, გვ.186). მათ ერთდროულად მიიღეს ქრისტეს სარწმუნოება, რადგანაც ჩვენი წყაროების ცნობით, ისინი ერთი სამეფოს მოქალაქენი იყვნენ მეფე მირიანის დროს. უფრო ადრე ლაზთა სამეფოს შემადგენლობაში იბერიული (აქ იგულისხმება აღმოსავლური) ტომებიც მოიაზრებოდნენ მენანდრეს მიხედვით. კიდევ უფრო ადრე კი, სტრაბონი წერდა, რომ სვანებს იბერიულ ტომს უწოდებენ. როგორც ცნობილია, ანტიკურ ტრადიციაში ზოგჯერ იბერია კოლხეთის არეალში მოიაზრებოდა. მ. თამარაშვილის, ისევე როგორც სხვა მრავალი მკვლევარის მიხედვით კი დასავლეთ საქართველოს ანტიკურ ეპოქაში იბერია ეწოდებოდა. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ლაზებისა და იბერების ეთნიკური ერთგვაროვნება. ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე 500 წლით ადრე ჰეკატოს მილეტელი აღნიშნავდა, რომ მესხები იბერიული ტომია. სწორედ ეს ეთნიკური მთლიანობა ედო საფუძვლად საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას. საეკლესიო კანონების თანახმად, მას შემდეგ რაც რომის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქცა, ეკლესიის იურისდიქციის საზღვარი უნდა დამთხვეოდა სახელმწიფო-ადმინისტრაციულ საზღვარს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია უნდა გავრცელებულიყო ქართული სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით. ჩვენი წყაროების ("ქართლის ცხოვრება", «მოქცევაჲ ქართლისაჲ"), სახელმწიფო და საეკლესიო სამართლის ძეგლების დაბეჯითებული მტკიცებით, არა მხოლოდ პირველი ქრისტიანი მეფის - მირიანის, არამედ საზოგადოდ ქართლის ყველა მეფის დროს, ფარნავაზიდან ვიდრე ვახტანგ გორგასლის შვილებამდე, სახელმწიფო საზღვარი გადიოდა შავ ზღვასა და მდინარეებზე ეგრისწყალსა და კლისურაზე, ხოლო აღმოსავლეთით აღწევდა სომხეთ-ალბანეთამდე. სწორედ ამ ვრცელ არეალზე ახორციელებდა საქართველოს წმიდა ეკლესია თავის უფლებამოსილებას IV საუკუნიდანვე. როგორც აღვნიშნეთ, ამის შესახებ მიუთითებდა რუის-ურბნისის კრება, რომ წმიდა ნინომ მოაქცია ყოველნი ქართველნი, ე.ი. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაც, ხოლო ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოსა.

IV საუკუნეში საქართველოს ერთიანი ეკლესიის ორგანიზების დროს მის იურისდიქციაში ჰერეთთან და ქვემო ქართლთან (ე.წ. გუგარქთან) ერთად მოიაზრებოდა დასავლეთ საქართველო. ასევე ყოფილა ჩვენი წყაროებით ვახტანგ გორგასლის დროსაც. ნიქოზის ეპისკოპოსის იურისდიქციაში V საუკუნეში შედიოდა ჩრდილო კავკასიის ნაწილთან ერთად რაჭაც, ხოლო კათალიკოსობის დაარსებამდე, მთავარეპისკოპოსობის დროს, მცხეთელი იერარქის იურისდიქციაში შედიოდა ე.წ. ვაკე, ანუ ტერიტორია ქუთაისსა და ცხენისწყალს შორის - ვახუშტის ცნობით (ბ. ლომინაძე. საქართველოს საპატრიარქო, საღვთისმეტყველო კრებული, 1981, N5, გვ.12). ყოველივე ეს ფაქტი ედო საფუძვლად იმას, რომ საქართველოს ეკლესიის ცნობილი კათალიკოსი კირიონი, სომხური წყაროების თანახმად, იწოდება ეგრისის არქიეპისკოპოსად "ძველი წესის შესაბამისად" (ს. ჯანაშია. შრომები, ტ.I, გვ.122-123). მცხეთიდან ის თავის ეპარქიაში, ეგრისში, გადასულა მას შემდეგ, რაც სპარსელებმა საკათალიკოსო ტახტიდან ჩამოაგდეს. როგორც ვიცით, ჩვენამდე მოღწეულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ საეპისკოპოსოთა ნუსხა დასავლეთ საქართველოდან. ამ ნუსხაში VII საუკუნის შემდგომ, ვიდრე თითქმის IX-X საუკუნეებამდე, წარმოდგენილი არის დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი საეპისკოპოსო. როგორც ჩვენს მიერაა დადგენილი. ეს ნუსხა არ შეეხება VI საუკუნეს და ცდებიან ის ქართველი მეცნიერები, რომლებიც ფიქრობენ, რომ VI საუკუნეში 553 წლის V მსოფლიო საეკლესიო კრების მუშაობაში მონაწილეობდა ციხისძირის, ანუ პეტრას ეპისკოპოსი, რადგანაც დაარსებიდან სულ რაღაც რამდენიმე წლის შემდეგ, 551 წელს, ამ ქალაქის ზღუდეები ბიზანტიელებმა მიწასთან გაასწორეს, რათა ის ლაზიკაში შემოსულ სპარსელებს კვლავ არ დაეკავებინათ (აქ 542 წლიდან სპარსელთა ჯარი იდგა). სწორედ ამ ქალაქთან ომების აღწერისას

პროკოფი კესარიელი, VI საუკუნის ცნობილი ავტორი, წერდა: “ქრისტიანთა მღვდელმთავარსაც კათალიკოსს უწოდებენ ელინთა ენითა, რადგან ის ერთი განაგებს ყველა აქაურ სოფლებს” (“გეორგიკა”, II, 1965, გვ. 88). მაშასადამე, პროკოფი კესარიელის ცნობით, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მღვდელმთავარს უწოდებდნენ “კათალიკოსს”. ეს, როგორც ჩვენს მიერ არის დადგენილი, არის მცხეთელი კათალიკოსი. პროკოფი კესარიელის ცნობით, ტრაპიზონიდან საქართველოს მიმართულებით მცხოვრები ქრისტიანები, რომლებიც არ იყვნენ “არც რომაელთა და არც ლაზთა მეფეების ქვეშევრდომები”, ღვთისმსახურებს იღებდნენ ლაზთა ეპისკოპოსებისაგან (“გეორგიკა”, II, 1965, გვ. 125), თავის მხრივ კი ეს ეპისკოპოსები მცხეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით, 2003, გვ.35), რადგანაც პროკოფისავე ცნობით, დასავლეთ საქართველოს ქრისტიანები მხოლოდ კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ - “ქრისტიანთა მღვდელმთავარსაც კათოლიკოსს უწოდებენ ელინთა ენით, რადგანაც ის ერთი განაგებს ყველა აქაურ სოფლებს” (“გეორგიკა”, II, 1965, გვ.88). მაშასადამე, მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში IV-VI საუკუნეებში იმყოფებოდნენ არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსებიც, თუმცა წყაროებით მათი სახელები მოღწეული არ არის. ვითარება შეიცვალა VII საუკუნის 20-30 წლებიდან ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს ლაშქრობის შემდგომ. მან ქართლის სამეფოს ამ დროს ჩამოაჭრა ზღვისპირა ტერიტორია სახელმწიფოს ერთი სასაზღვრო მონაკვეთიდან (მდ. კლისურიდან) მეორემდე (სპერისა და კლარჯეთის ბოლომდე) - “მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვის პირი” (“ქართლის ცხოვრება”, I, გვ.224,226). “ზღვის პირის ქვეშ” ჩვენი წყაროების მიხედვით იგულისხმება მთელი ზღვისპირა ტერიტორია, და არა მხოლოდ სპერისა და კლარჯეთის ერთი მონაკვეთი (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით, 2003, გვ.29). აქ, ამ მიწა-წყალზე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ VII საუკუნიდან დააარსა ლაზიკის ეპარქიაზე დაქვემდებარებული ფასისის სამიტროპოლიტო და ოთხი ბერძნული საეპისკოპოსო. ქართული ენა მოსახლეობის მშობლიური, ანუ დედაენა განიდევნა ეკლესიებიდან, მის ნაცვლად კი ბერძნული წირვა-ლოცვა გაჩაღდა. საბედნიეროდ, ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა მხოლოდ 80-90 წელი, დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული - აფხაზთა სამეფო და ქვეყანა გათავისუფლდა ბიზანტიელთა ბატონობისაგან. გათავისუფლებისთანავე ამ სამეფოს მოსახლეობამ და მმართველებმა ეკლესიებში კვლავ აღადგინეს მშობლიურენოვანი ღვთისმსახურება და თავის უფლებებში აღდგენის შემდგომ სახელმწიფო, საეკლესიო და სალიტერატურო ენა იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენა. ესაა ქართული ეკლესიის სამწყსო. აფხაზთა სამეფოს უდიდესი ძლიერების ეპოქაში X საუკუნის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი უხტანესი შეეხო აფხაზთა (ე.ი. იმჟამად დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის) ეთნიკური ვინაობის საკითხს. უხტანესის აზრით, აფხაზები იმ ივერიელ ტომთა შთამომავლები არიან, რომელნიც ნაბუქოდონოსორმა პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირზე დაასახლა ჩვ. ერამდე VI საუკუნეში - “ტომი აღორძინდა, გამრავლდა, გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე და ამ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება, თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდათ” (უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975, გვ.67).

გაცილებით რთული იყო ვითარება აღმოსავლეთ საქართველოში. როგორც ცნობილია, ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრიობა VI საუკუნეში მოიშალა სპარსელთა ნებით. სპარსელები მხარს უჭერდნენ მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას და სასტიკად სდევნიდნენ ბიზანტიური ორიენტაციის ქართულ-ქალკედონურ ეკლესიას. ამის გამო სპარსელმა დამპყრობლებმა ალბანეთის ის ნაწილი, რომელიც ჰერეთად იწოდებოდა და ქართველი ხალხით იყო დასახლებული, გამოიყვანა ქართული ეკლესიის იურისდიქციიდან და შეიყვანა მონოფიზიტური სომხური ეკლესიის იურისდიქციაში. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვემო ქართლის, ანუ გუგარქის

ქართველობა, რომელიც იქამდე ქართული კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს კერას წარმოადგენდა. აქ სპარსელთა დახმარებით სომხურმა ეკლესიამ VI საუკუნეში შეძლო ქრისტიანი ქართველებისათვის ღვთისმსახურების დროს დაენერგა სომხურენოვანი წირვა-ლოცვა. ამის გამო ჰერეთსა და ქვემო ქართლში ქართველები მოექცნენ სომხური ენისა და კულტურის არეალში და მიმდინარეობდა მათი არმენიზაცია. ცხადია, ქართველთა გასომხების ეს მოვლენა მოუთმენელი იყო ქართული ეკლესიისათვის. საბედნიეროდ, პოლიტიკური ვითარება შეიცვალა და ბიზანტიისა და სპასეთის 591 წლის ზავის შემდეგ, მცხეთა ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა. ამით ისარგებლა კირიონ კათალიკოსმა და მან წამოიწყო დიდი ღვაწლი ქვემო ქართლში საეკლესიო ღვთისმსახურების დროს ქართული ენის აღსადგენად. იქამდე ეკლესიურად სომხურენოვანი ქართველები (VI საუკუნიდან) თანდათან სიხარულით იბრუნებდნენ მშობლიურ ქართულ ენას. როგორც ცნობილია, ამ მოვლენამ საფუძველი დაუდო ე.წ. "განხეთქილებას" ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის. ჰერეთი, რომელიც IV-V საუკუნეებში ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ სპარსელებმა და შემდგომ არაბებმა დაუქვემდებარეს სომხურ ეკლესიას. ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტის დადგომისთანავე, ჰერეთის ქართველობამ გადაიგდო უცხო ეკლესიის უღელი, დაუბრუნდა ქართულ დედაეკლესიას და აღიდგინა მშობლიური ქართულენოვანი ღვთისმსახურება. ეს მოხდა IX-X საუკუნეებში დინარა დედოფლის დროს.

გაცილებით უფრო რთული ვითარება იყო ტაო-კლარჯეთში. ტაო, რომელიც იქამდე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, VI საუკუნეში მოექცა სომხურ მართლმადიდებლური ავანის საკათალიკოსოს იურისდიქციაში. ამ დროისათვის სომხური ეკლესია ორად იყო გაყოფილი, სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიის გვერდით გაჩნდა სომხურ-მართლმადიდებლური საკათალიკოსო. VII საუკუნეში ისინი, მართალია, გაერთიანდნენ, მაგრამ ძლიერი იყო ორივე სარწმუნოებრივი ფრთა. არაბთა ბატონობის დროს ტაო და კლარჯეთის ერთი ნაწილი კვლავ სომხურ-მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. აქაურმა ქართველებმა ისარგებლეს არაბთა დასუსტებით და ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტისთანავე აღიდგინეს არა მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობა, სიხარულით დაუბრუნდნენ ქართული დედაეკლესიის წიაღს და აღიდგინეს ქართულენოვანი ღვთისმსახურება (მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ტ.I, 1996, გვ.355).

საეკლესიო ისტორიოგრაფიისათვის მიუღებელია რუსულ და საბჭოთა საისტორიო წრეებში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, რომ აღნიშნულ IX-X საუკუნეებში მიმდინარეობდა ტაო-კლარჯეთის, ჰერეთისა და ქვემო ქართლის მოსახლეობის (თითქოსდა ეთნიკური სომხების) ქართიზაცია - გაქართველება. ამ დროს, როგორც აღნიშნული იყო, ამ კუთხეთა მოსახლეობა დაუბრუნდა მშობლიურ ერსა და მშობლიური ეკლესიის წიაღს და მოიშუშა იარები სპარსელთა და არაბთა აგრესიისა.

ქართული წყაროების თანახმად, 691 წლის VI მსოფლიო კრებამ ცნო ქართული ეკლესიის იურისდიქცია "შაქსა და შირვანზე". მათ გარდა ჩრდ. კავკასიის მთიანეთი "მთისა ადგილნი სუანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის" და ჩრდ. კავკასიაში მდებარე "სრულად ოსეთი" მის საზღვრებში შესულა ("ქართლის ცხოვრება", ტ.I, გვ.232).

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის შემდგომ, XI-XIV საუკუნეებში, მოღწეული წყაროების თანახმად, როგორც აღნიშნული იყო, საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქცია ვრცელდებოდა ჩრდილოეთით-ყირიმის ნახევარკუნძულამდე, სამხრეთით-ვანის ტბამდე, საერთოდ კი აღმოსავლეთით - შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე (შემახიის მთებამდე). საეკლესიო სამართლის ძეგლი ბიჭვინთის იადგარში XVI საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩრდ. დასავლეთ საზღვრად დასახელებული არის პუნქტი "კაფა". როგორც ვიცით, ქალაქი კაფა მდებარეობდა ყირიმის ნახევარკუნძულზე და იყო ერთერთი მნიშვნელოვანი ნავსადგური (საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.II, 1998, გვ.221).

სამხრეთის მიმართულებით, როგორც იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი აღნიშნავდა, მდინარე არაქსის მარცხენა სანაპირო ქართველებით იყო დასახლებული. ანტიოქიის პატრიარქ მაკარის დროსაც ქართველები მდ. ევფრატის სათავეებამდე ცხოვრობდნენ. ეთნიკური ქართველების სიჭარბის გამო ამ მხარეებში, როგორც აღვნიშნეთ, დაარსებული იყო ქართული საეპისკოპოსოები არზრუმისა, ანისისა, ყარსისა, ვალაშკერტისა და დადაშენისა (იქვე, გვ.223).

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლა XV-XVI საუკუნეებში და რეგიონალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნა იყო ქართული ერის უდიდესი ტრაგედია. ახლად წარმოქმნილი ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, რეგიონალური სამთავროები საუკუნეთა მანძილზე მხნედ იბრძოდნენ უთანასწორო მტრებთან ქრისტიანობის დასაცავად, მაგრამ ვერ ახერხებდნენ სპარსელთა და ოსმალთა წინაშე ერთიანი ფრონტით ბრძოლას. დაქსაქსვამ ერი დააუძლურა და მოიცვა ღრმა უიმედობამ. კუთხურ სამეფოებში, რომლებიც თითქმის 300 წლის მანძილზე XIX საუკუნემდე არსებობდნენ, ჩამოყალიბდა თემობრიობა, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ტომობრიობასაც უწოდებს. ამ სამეფო-სამთავროებში თანდათან ჩამოყალიბდა ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფები - ქართლელები, კახელები, იმერლები, მეგრელები, გურულები და სხვ. წარმოიქმნა და გაღრმავდა ქართული ენის შესაბამისი დიალექტები. ერის დაშლა-დანაწილებამ იმ დონეს მიაღწია რომ, ისტორიკოს ვახუშტი ბატონიშვილს საგანგებო მსჯელობა დასჭირდა, რათა დაემტკიცებინა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური მთლიანობა, რადგანაც ისინი დაშლილობის მიუხედავად მაინც ენით, "რჯულით", მწიგნობრობით და კულტურით ქართველები იყვნენ. ერთადერთი ძალა, რომელიც XVI-XVIII საუკუნეების ტრაგიკულ ეპოქაში აერთიანებდა დაშლილ-დანაწევრებულ ქართველობას, ეს იყო საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია. ღვთის შეწევნით ეკლესია იყო მაკონსოლიდირებელი ძალა, ჭეშმარიტი სულიერი საყრდენი, რომელიც იცავდა და ინახავდა ქართველობას.

XVI-XVII საუკუნეებში სპარსეთმა და ოსმალეთმა შეძლეს დაშლილი საქართველოს დანაწილება, რაც კიდევ უფრო აუარესებდა ქართველ ქრისტიანთა მდგომარეობას და ზღუდავდა ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებს. სპარსეთი, ისევე როგორც 1000 წლის წინ, XVI საუკუნის შემდგომაც, საქართველოში აძლიერებდა სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას, რადგანაც მიიჩნევდა, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერდა მის დიდ მტერს რუსეთის იმპერიას და ცდილობდა სამხრეთ კავკასია გადაექცია რუსეთის იმპერიის გავლენის სფეროდ. ქართლისა და კახეთის იმ ქალაქებსა და მხარეებში, სადაც სპარსული ჯარი იდგა, იძულებისა და სარგებლიანობის გამო ქართველთა დიდი ნაწილი XVII-XVIII საუკუნეებში გადაიქცა ეჩმიაძინის მრევლად, რაც ხშირად მათ ბატონყმობის უღლისა და სამხედრო ვალდებულებისაგან ათავისუფლებდა და გზას უხსნიდა, რომ ყმა-გლეხის მდგომარეობიდან გადასულიყო ვაჭარ-ხელოსანთა კლასში. გასომხებული მრავალი ვაჭარი და სოვდაგარი საქმიანობდა ინდოეთიდან ბრიტანეთამდე. გაგრიგორიანებულ ქართველებს დიდი ასპარეზი ეხსნებოდათ კულტურის სფეროშიც. ამიტომაც საქართველოს ეკლესიამ თავისი მრევლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა ქართლსა და კახეთში.

დიდი დანაკლისი იყო საქართველოს ეკლესიისათვის ქართველების გამაჰმადიანება. მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა მიიტაცა მესხეთი და იქ გააუქმა 14 ქართული საეპისკოპოსო, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი იძულებული გახდა მიეღო უცხო სარწმუნოება. თავის მხრივ, სპარსეთმა მიიტაცა იქამდე ქართველებით დასახლებული შაქი, აღმ. კახეთი ანუ ჭარ-ბელაქანი, ლორე-ტაშირის მხარე. აქაური ქართველობაც გამაჰმადიანდა და დაკარგა ქართველობა.

XVI-XVIII საუკუნეებში ე.წ. "მთის ჩამოწოლა", ანუ ჩრდ. კავკასიელი წარმართულ-მაჰმადიანური ტომების ჩამოსახლება საქართველოს კუთხეებში, ასევე ამცირებდა ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებს. აფხაზეთში ჩერქეზულ-აბაზური ტომების ჩამოსახლებამ, რომელთაც ოსმალეთი აძლიერებდა, აიძულა კათალიკოსი რეზიდენცია ბიჭვინთიდან

გადმოეტანა უფრო დაცულ გელათში. ადიღე-ჩერქეზთა შემოსევის გამო გაუქმდა დრანდის, მოქვისა და ბედიის ქართული საეპისკოპოსოები. აფხაზეთის საკათალიკოსოს საზღვრები ჩრდ. დასავლეთისა და სამხ. დასავლეთის მიმართულებით ძალზე შემცირდა. ქართლის საკათალიკოსომ კი ოს-დვალების შიდა ქართლში ჩამოსახლების, ხოლო აღმ. კახეთში ლეკებისა და მუღანლების, ხოლო ტაშირ-ქვემო ქართლში ბორჩალოს ტომების ჩამოსახლების გამო დაკარგა თავისი იურისდიქცია ამ კუთხეებში. ყოველივე ამას გამო მიმდინარეობდა ე.წ. ქართველების გათათრება, გასომხება, გაფრანგება, გალეკება. ქართველობის შენარჩუნება შეძლო ქვეყნის მხოლოდ მართლმადიდებლურმა მოსახლეობამ, მათ, რომელნიც იყვნენ სამწყსო და მრევლი საქართველოს ეკლესიისა. ჩვენი ეროვნული ეკლესია ქართველთა იდენტობის თვითშემეცნების საფუძვლად გადაიქცა.

საბედნიეროდ, ქართველთა კონსოლიდაცია დაიწყო XIX საუკუნის დასაწყისშივე. პლატონ იოსელიანი თავის ცნობილ წიგნში "გიორგი XIII" სიხარულით აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც გაუქმდა შიდაეთნიკური საზღვრები, მოიშალა კუთხურ-რეგიონალური სახელმწიფოებრიობა და ერთი იმპერიის საზღვრებში მოექცა ქართული თემები, დაიწყო სწრაფი კონსოლიდაცია ქართველობისა, აღორძინება ერთიანი ქართული შემეცნებისა. ის წერს, რომ რუსეთის იმპერიის საზღვრებში "თემნი ქართველთა სამეფოისა დაგლეჯილნი და დანაწევრებულნი გაუქმნდნენ. მცხოვრებნი თემთა ამათ: იმერელნი, მეგრელნი, გურულნი, სვანნი და რაჭველნი შეიქმნენ ერად და იწოდნენ ქართველებად" (პ. იოსელიანი. "ცხოვრება გიორგი XIII-სა", 1995, გვ.287). ერთიანი ეროვნული თვითშემეცნების, ანუ ქართველობის აღორძინება მას მიაჩნია "ღვთის განგებად".

მალე, XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ მისი საზღვრების შიგნით სამხრეთ კავკასიაში მთლიანდებოდა და ერად იკვრებოდა დიდი ხალხი, რომელიც სამომავლოდ მოითხოვდა თვითგამორკვევას და საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. შედეგმაც არ დააყოვნა და ქართველთა კონსოლიდაციის საწინააღმდეგოდ XIX საუკუნის 50-80 წლებში საიმპერიო წრეებმა სასწრაფოდ დაავალეს შესაბამის რელიგიურ და ფსევდო-საგანმანათლებლო წრეებს არ დაეშვათ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესისის გაგრძელება. შესაბამისი წრეები ჩართეს იმ მიზნის მისაღწევად, რათა ქართველი ერისათვის ჩამოეშორებინათ და არაქართველებად გამოეცხადებინათ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა (მაჰმადიანი მესხები, კათოლიკე და გრიგორიანელი ქართველები, სვანები, მეგრელები, აფხაზები, ლაზები, აღმ. საქართველოს მთიულები და სხვანი). სამეცნიერო და საისტორიო წრეებში შექმნეს შესაბამისი "სამეცნიერო" თეორიები, რომლებიც კიდევ უფრო გაღრმავდა საბჭოთა პერიოდში და ჩამოყალიბდა ქართიზაცია-გაქართველების თეორიის სახით.

ჩვენი საეკლესიო და კულტურის მოღვაწეები, ერის დიდი მამები გრძნობდნენ, რომ რუსეთის იმპერიისაგან ქართველთა გათავისუფლების პირველი ეტაპი უნდა ყოფილიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, გაუქმებული რუსეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში. ეს მართლაც შეძლო ქართველმა ერმა 1917 წლის 25 მარტს. 1943 წლამდე რუსეთის ეკლესია არ ცნობდა ქართული ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას. ამ წელს კი მან აღიარა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია "საქართველოს სსრ" ფარგლებში. ამავე საზღვრებში სცნო საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ 1990 წელს.

ამჟამად, ღვთის უდიდესი მოწყალებით, ქართველ ერს აქვს თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის მოსახლეობის 85% მართლმადიდებელი ქრისტიანია, ხოლო ქრისტიანთა საერთო რაოდენობა გაცილებით დიდია. ქართველ ერს აქვს თავისი ეროვნული ავტოკეფალიური საპატრიარქო ეკლესია, რომლის ავტორიტეტი მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მეთაურობით დიდი არის მთელს მსოფლიო მართლმადიდებელთა შორის.

დიდება და მადლობა უფალს, რომელმაც XXI საუკუნის დასაწყისში კვლავ შეახსენა ქართველობას, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის წმიდა მიწა მოციქულების კურთხევით არის მადლმოსილი.

ისტორიულად ყოველი ათასწლეულის დასაწყისი ნიშნეული და ბედნიერების მომტანი იყო ქართველი ერისათვის. I საუკუნეში ჩვენს მიწას მოებარა ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს კვართი, რომელსაც დაეფუძნა სვეტიცხოვლის ტაძარი და საპატრიარქო ტახტი. 1000 წლის შემდგომ XI საუკუნის დასაწყისში ბაგრატის ტაძარი აიგო ქვეყნის გამთლიანებისათვის ღვთისადმი მადლიერების ნიშნად. იმედი გვაქვს და შევთხოვთ უფალ ღმერთს, რომ ჩვენი უწმიდესი პატრიარქის ილია II მიერ აგებული წმიდა სამების ტაძარი XXI საუკუნეში საფუძვლად დაედება საქართველოს გამთლიანებას და მის გაბრწყინებას. ამინ.

Metropolitan Anania Japaridze

Formation of the Georgian church

(I - IV centuries)

The Georgian Orthodox Church has also been called the Georgian Apostolic Church for ages, as it was founded by the Apostles.

According to ancient Georgian sources *Moktsevai Kartlisais* (VII - IX cc.) and *Kartlis Tskhovreba* (VIII - XI cc.), in the era of the Apostles, the Kingdom of Kartli occupied the territory of modern Georgia. Foreigners called it Iberia, that state was the successor of historical Great Colchis.

According to the historical tradition accepted in the Georgian Church, a few Apostles preached in our country: St. Andrew the First - Called, Simon the Canaanite, Mattias, Bartholomew, Thomas and Thaddaeus. Georgian and foreign sources also testify to the activities of the Apostles in Georgia.

The reason of the presence of so many Apostles in this country was due to the fact that international trade roads had come into the sphere of influence of Georgia of that time. In the era of the Apostles, a vast territory from the Caspian Sea to the Black Sea and to Lake Van in the south came into the sphere of influence of Iberia. Iberia controlled the international trade roads lying through this territory and connecting the Roman Empire with Persia and Scythia. That is why the Apostles going to Persia and India or Scythia and Sarmatia could not go round Iberia.

In the era of the Apostles, from the 30 - ies of the I AD to the 60 - ies of the II AD, Iberia, which occupied a significant part of the Caucasus, was a powerful state. Ancient Roman historians - Tacitus, Dion Cassius and others described Iberia's life. Tacitus wrote that from the 30 - ies of the I AD Iberia had been a friend of Rome and, with its powerful army, fought the Parthian state for liberating Armenia from Parthians. After liberation of Armenia, the son of Iberia King Mithridates ascended the throne of Armenia. Afterwards the members of Iberia kings' dynasty ruled Armenia. Tacitus distinguishes King Parsman's son, Radamist, among them. According to Tacitus, along with Armenia, "Iberia had joined Albania and called Sarmatians" (Cornelius Tacitus, Annales, VI, 33 - 36; IX, 9; XII, 15 - 50). According to other historian, Dion Cassius, in the first half of the II century, "When the King of Iberia Parasmanes and his wife visited Rome, Adrian (Roman Emperor) widened his possessions" (Dion Cassius, The History of Rome, LXIX, 15).

Medieval Europeans knew about ancient Iberia much more than about Georgia of their time. The archeological findings in different regions of modern Georgia support the information of ancient authors.

After the Ascension, the Apostles cast lots who should go where to preach. According to *Kartlis Tskhovreba*, Iberia (Georgia) fell to Our Lady's lot. However, by Our Lord's Will, Our Lady sent St. Andrew the First - Called to Iberia in place of herself and gave him her icon Not Made by Hand. On his next journeys to Iberia, Apostle Andrew brought other Apostles with him. In particular, on his third journey, he was accompanied by Simon the Canaanite and Mattias. Epiphan of Constantinople (VIII c.) wrote about this.

St. Apostle Andrew not only made Georgians Christians, but also founded the first episcopate in the town of Atskuri, appointed a bishop and left a few priests and deacons. Actually, this was the founding of the Georgian Church with its hierarchy.

According to ancient Georgian ecclesiastical sources and by the Declaration of the Ruisi - Urbnisi Council (XII century), from the establishment of the Georgian Church, entire Georgia and all Georgian nation were under its jurisdiction. Therefore, the document of the Ruisi - Urbnisi Council declared "St. Apostle Andrew preached in entire Georgia".

According to the ecclesiastic tradition, in the era of the Apostles, Aderk, the King of Kartli (Georgia), touched the Robe of Jesus Christ, brought to Georgia from Jerusalem at that time, to bring blessing on the dynasty of Georgian kings. By this blessing, that dynasty had ruled Georgia with good service and love to God for 1,900 years till the XIX century (the dynasties of Pharnavazides and bagrationi are meant. It is noteworthy that the Bagrationis assumed Jesus Christ and his Mother, Our Lady, to be their blood relatives, as they believed that they were king David's descendants.).

Giorgi Mtatsmindeli, the Great Father of the Church of Iberia, wrote that Simon the Canaanite, who had preached in Georgia, was buried "in our country Abkhazeti" (in particular, in New Athon), while St. Apostle Mattias was buried in Apsaros in the south - west of Georgia.

Old Christian sources pointed to the stay of St. Apostles Bartholomew and Thaddaeus in Georgia as well.

At the time of preaching of the Apostles, so many people became Christians in West and South Georgia that pagan King Aderk addressed his landlords in Egrisi and Klarjeti with a reproach about deporting peacefully St. Andrew the First - Called.

Recent archeological findings have evidenced that, at the time of preaching of the Apostles and later, in the I - III centuries, significant part of the population became Christians. These findings show clearly Christian trends in the Georgian society at the time of reigning of King Rev Righteous (III century).

The archeologists excavated and studied ancient Christian burials (II - III cc.) in Western and Eastern Georgia. Adults and children buried by the Christian tradition and appropriate attributes (artifacts) were found. From these materials, it is evident that even children adopted Christianity, and for their baptizing priesthood was needed. This supports the statement in *Kartlis Tskhovreba* that St. Apostle Andrew, along with the appointment of the bishop, established the priesthood in Atskuri, the center of Christianity in Georgia at that time, i.e. he laid the foundation for the Georgian Holy Church, which, according to that source, had its hierarchic administration just since the era of the Apostles.

According to Giorgi Mtatsmindeli, the churches founded by the Apostles at the Eparchy of Antiochia were autonomous in the early centuries. In his opinion, in the beginning such was the Georgian (Iberian) Church founded by the Apostles. However, later, as the Saint Fathers of the Ruisi - Urbnisi Council stated, it had become essential to christen the nation as a whole, because the Christian communities of that time were persecuted by pagan kings.

In the IV century St. Nino preached in Georgia. By the Will of God, her mission was to christen the royal family of Iberia, and with the God's aid she managed to do that. Together with the royal family, the whole nation adopted the Christianity. Therefore, the Ruisi - Urbnisi Council stated that St. Nino

christened “every Georgian and every his relative” as well as 300 years earlier St. Andrew preached “ in every region of Georgia” (Nomocanon, 1974, p.p. 545 - 546)

The information that St. Nino christened “every Georgian and every his relative” in our historical sources corresponds completely to the information contained in foreign sources of the IV - V and succeeding centuries. Particularly, Gelasi of Caesarea, a historian of the IV century, wrote about St. Nino the following: At the time of Emperor Constantine “ Iberians and Lazians living at the seaside of the Pontus (the Black Sea) came to believe in God, they had not trusted in before. This good was due to one woman who was among them as a captive” (Georgica, I, 1961, p. 186).

Similarly wrote Gelasi of kvizika, a historian of the V century, “ Iberians and Lazians living at the seaside of the Pontus (the Black Sea) came to believe in the Word of the God, they had not trusted in before” (Observer, I, 1926, p.55).

Hence, according to Gelasi of Caesarea and Gelasi of kvizika, the Georgian nation as a whole, including those who lived at the seaside (Lazians) and those who lived in other parts of the country (Iberians) came to believe in Our Lord concurrently by St. Nino’s preaching.

The Christening of Georgia was also described by other historians of the IV - V cc.: Socrates (The History of Church, Book 1, 19), Theodoritos of Kviri (The History of Church, Book 1, I, 23), Sozomen (The History of Church, Book 1, 6, 7, 34, 36) and Rufinus (The History of Church, 1, 10).

With the information of Gelasi of Caesarea and Gelasi of kvizika that St. Nino christened Lazians along with Iberians agreed Movses Khorenatsi, a famous historian of the V century. He wrote that St. Nino christened the population of a vast territory from the Black Sea to the Caspian Sea, and that she preached first in Klarjeti and then among the Mascouts living at the seaside of the Caspian Sea at that time. “Belowed Nune (Nino) left this place in order to preach in other parts of Georgia… I dare to say that Nune became a female Apostle. She preached the Gospel beginning from Klarjeti and then to alans and at the gates of the Caspean Sea., to the borders of the lands of Mascouts, as Agatangelosis tells you.” (Movses Khorenatsi, History of Armenia, 1984, p.172).

As Movses Khorenatsi mentioned, Agatangelosis also wrote that St. Nino began preaching from the Black Sea, from Klaarjeti, prior to the territory adjoining the Caspian Sea (the lands of Mascouts).

In St. Nino’s times, Klarjeti, a province of Georgia, was located at the seaside of the Black Sea, while the tribe of Mascoots lived at the seaside of the Caspian Sea. According to Movses Khorenatsi, St. Nino preached on this territory.

As, according to Gelasi of Caesarea and Gelasi of Kvizika, the area of St. Nino’s activities included Lazica (South - West Georgia), Western Georgia was under jurisdiction of the Georgian Church founded by St. Nino just as was Eastern Georgia. According to Ioann, Catholicos of Armenia, (899), Catholicos Kirion (VI - VII cc.) was also the archbishop of Egrisi. Ioann wrote that Kirion I was the Father of “Iberians, Gugarians and Egrisians according to the old law” (Ioann, Catholicos’s Chronicle, 1912, p.65).

From this point of view, the information of the famous historian Ukhtanes concerning the history of the Georgian Church in VIII - X cc. is of primary importance. Ukhtanes was a contemporary with the events he described.

As was mentioned above, according to Georgian sources, Western Georgia was under jurisdiction of the Georgian Church (with the center in Mtskheta) continuously from the outset. Ivane Javakhishvili studied the Georgian sources from this standpoint and concluded that “both St. Andrew and St. Nino were believed to be the founders of the Georgian Church and the enlighteners of the Georgian nation as a whole. They even had no desire to find individual preachers of different regions of Georgia, as they contributed to strengthening and revival of uniform and indivisible Georgia” (Ivane Javakhishvili, The History of Georgian Nation, Vol. III, p. 97). “This is the knowledge achieved by Georgian scientists and adopted by the flesh and blood of the Georgian nation” (Ibid, p. 97). As to the Eparchies of Saisin, Petra, Rodopolis, Zigana and

Phasid, well - known for notitions, they were not located in Western Georgia, but in the ancient country of Georgians, in the region of Trapesund - Zigana - Gumishkhane.

In the last century (in the times of atheism) no attention was paid to the information, important for the history of foundation of the Georgian Church, reported by Gelasi of Caesarea, Gelasi of kvizika and others that St. Nino was the enlightener of Lazica along with Iberia. It was considered, and is still considered, that this information disagreed with an old Arabic translation (VII - VIII cc.) of the *Life of St. Grigol the Enlightener*, according to which Lazica was the area of

St. Grigol the Enlightener's preaching where he appointed the bishop.

N. Marr read in the Arabic manuscript of St. Grigol the Enlightener that he had sent his bishop Sophron to Lazica and concluded that Lazica had been the area of St. Grigol the Enlightener'spreaching, and not St. Nino's. However, soon after his publication, a well - known work about that region written by N. Adontz was published. In this work it was mentioned that, in the Arabic manuscript about the Life of St. Grigol the Enlightener was writthen the word "Arzanena" and not "Lazica". N. Adontz found that N. Marr had read wrongly the group of Arabic vowels, which represented the word "Arzanena" and not "Lazica". Hence, Lazica was not the area of St. Grigol the Enlightener's preaching, and Sophron was not the bishop of Lazica, but was the bishop of Arzazena, to the south of Armenia, at the frontier. Therefore, the abovementioned manuscript does not disagree with the information of Gelasi of Caesarea and Gelasi of kvizika that St. Nino christened "Iberians and Lazians".

Lazica was the area of St. Nino's preaching, and not of St. Grigol's. Thus, Movses Khorenatsi's statement that St. Nino preached "from Klarjeti to Mascouts", i.e. Klarjeti was the area of St. Nino's preaching, was confirmed.

Did St. Nino establish the bishop's chair in Lazica she had christened? Just this question was answered by Metropolitan German at the court of the Russian tsar. In 1651 German, the Metropolitan of Lazica, met Alexei Mikhailovich, the Tsar of Russia, and wrote to him several times that the region of Rize - Oph was in the sphere of jurisdiction of the Georgian Church, because this region had been enlightened by the enlightener of Georgia (St. Nino), and, to Metropolitan Grigol's knowledge, she had established the first bishop's chair in Oph, in Lazica.

The bishop's center in Oph, where the residence of the Metropolitan of Lazica was located at that time, was established by St. Nino. The statement of the Metropolitan of Lasica that at the outset the Christians of Lazica were under jurisdiction of the Church of Iberia (Georgia) was in complete agreement with the information of the famous historian of the VI century Prokophy of Caesarea that the chief priest of the region of Rize - Athena had the cloth of Catholicos Prokophy of Caesarea wrote "They called the chief priest the Catholicos in the language of Ellins, because he is solely in charge of all villages here."(Prokophy of Caesarea. War with Persians, Georgica, I, 1965, p. 88). According to the historical source of the Ruisi - Urbnisi Council, since as early as the IV century the Chiefs of the Georgian Church had the cloth of a bishop - catholicos, and since the V century - the cloth of Catholicos, "One people" subordinate to the Catholicos was the population of the region of Rize - Athenaincluding the town of Oph.

As was mentioned above, it was believed that the bishop's chair in Oph was established by the enlightener of Georgia, i.e. St. Nino. Oph was located in Greek Lazica, i.e. in seaside Klarjeti.

According to Adontz, Ingorokva and other researchers, in the IV century the Bishop's Chair of Pitiunt was located in the region of Oph - Rize. As mentioned above, this region was christened by St. Nino. Hence, bearing in mind the statement of the Metropolitan of Lazica, the Bishop's Chair of Pitiunt was likely to have been established by St. Nino as well. Before coming to Mtskheta, she had enlighjtened Lazica in the 10 - 20 - ies of the IV century. Evidently, at that time she established the Bishop's Chair of Pitiunt, the Bishop of which, Stratophiles, participated in the Ist Ecumenical Council in 325 AD.

Currently it is assumed that Stratophiles was from Bichvinta in Abkhazeti, but, as it was mentioned, well - known researcher N. Adontz was of different opinion as were other researchers including P. Ingorokva. They thought that Pitiunt was located in the historical region of Georgia other than Abkhaseti, namely in the region of Oph - Athena - Rize in Lazica.

N. Adontz brought forward the argument that, according to Roman sources, the Dux of Armenia hada permanent military detachments in Pitiunt and Sebastopol. The Dux was the Commander of the Roman Military District of Ponto - Minor Armenia. However, as N. Adontz wrote, the Dux of Armenia was never in charge of Western Georgia and moreover of its remote district like Tskhum - Bichvinta. Thus, he could not keep his detachment there. (N. Adontz, Armenia in the era of Justinian, St. Petersburg, 1908, p.212).

P. Ingorokva placed Pitiunt in the region of Oph - Rize. At the same time, he referred to old authors and old maps (P. Ingorokva, Giorgi Merchule, 1954, p. 293). Hence, Bichvinta and Pitiunt were different settlements. According to Georgian sources, the Bishop's Center of Bichvinta and its Eparchy was established solely by the Georgian Church, and it always was connected only with the Georgian Church, representing one of its most important ecclesiastical center. At the same time, the Bishop's Chair of Pitiunt, after its establishment, turned out to be connected closer with the Eparchies of the region of Ponto, because of their neighborhood.

In 317 - 324 AD, due to St. Nino's preaching and by the merit of King Mirian, all the nation was christened, and the United Georgian Church was founded. Small Christian communities of that time united in this centralized Church. In Mtskheta, the capital of the country, the Chair of the first Chief of the Georgian Church was placed. According to *Moktsevai Kartlisais* (VII - IX cc.), in 326 AD the Chief of the United Church was called "a bishop". St. Constantine, the Emperor, and his mother, St. Helen, made for the strengthening of the Georgian Church by the hands of Antiochia Chief Priest Eustatius. The number of bishops of the Georgian Church increased even at the times of St. Nino. According to *Moktsevai Kartlisais*, at the time of St. Nino's death, The chief of the Church had the cloth of the Chief Bishop, and there were already many bishops.

According to *Moktsevai Kartlisais*, that was why St. Nino handed her Will to those bishops; *Meeting the Bishops*. The Georgian Holy Church has been implementing this Will, i.e. strengthening the Christianity, for 1,600 years. **The 141st Chief of the Georgian** Orthodox Church is His Holiness and Beatitutde Ilia II, and the whole nation wish him a long life. Amen!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ლენინი კვლავ ებრძვის მართლმადიდებლობას, კვლავ ებრძვის ღვთისმშობელს

ჩანაწერი 2008 წლის აგვისტოს მწარე დღეებში

2008 წლის 7 აგვისტოს რისხვით გაიხსნა კავკასიის კარი, რუსეთიდან საქართველოში შემოიჭრა სამხედრო ურდო, შემართული იარაღით, ტანკებით, თვითმფრინავებით, კაცთა საკვლელად გამზადებული დამშეული ჯარისკაცებით, ჩაუცმელ-დაუხურავი ავაზაკები, დაგეშილნი ქართველთა სისხლის საღვრელად.

შემოვიდნენ საქართველოს გულში, ქართლის მხარეში, ეკვეთნენ მართლმადიდებლებს, როგორც საჭმელს დახარბებული მგლები. რუსების სხვა ჯარმა, სხვა მხრიდანაც დაარღვია საქართელოს საზღვარი, გადმოლახა სამეგრელოს ვრცელი ველები და მივიდნენ პალიასტომის დიდ ტბამდე, სანაოსნო ქალაქ ფოთამდე.

რუსების ბომბდამშენი თვითმფრინავები საზარელი წივილით კვეთდნენ ცას ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე და აშფოთებდნენ მშვიდობის მოყვარულ ხალხს, ქალაქებსა და სოფლებს. ბომბების გრიალმა შიშით შებოჭა მოულოდნელობისაგან გაოგნებული ხალხი, დააცხრო ნებისყოფა, გაფანტა შემართული დამცველები, რუსის სალდათებმა კი დაანგრიეს და ააოხრეს ქალაქები და სოფლები სენაკამდე, გორამდე, ატენამდე, ქარელამდე და იგოეთამდე და მის აქეთ.

რისხვით აღსავსე და საზარელი ღელვით აბობოქრებული რუსის ჯარი მოეფინა სამეგრელოს აყვავებულ მხარეს, ქართლის ვენახებსა და პურის ყანებს.

თავდამსხმელებმა ქვეყნის ორივე მხარე დაიპყრეს ფსოუდან რიონამდე და როკიდან მტკვრამდე. მოზღვავებულებმა დაფარეს მთები და ველები, გამოემართნენ დიდ და ბრწყინვალე დედაქალაქ თბილისისაკენ, მაგრამ უფალმა ღმერთმა საზღვარი დაუდო და თქვა წინასწარმეტყველის პირით: **“აქამომდე მოხვიდე და არა გარდახდე, არამედ შენზედვე შეიმუსრნენ ღელვანი შენნი”** (იობი, 38,11). რუსებს არ მისცა წინსვლის ნება, მსოფლიოს ხმა აღამაღლებინა და ხელი შეუშალა მათ სვლაში.

ასეთი რისხვის დღეებში მზაკვარმა მტერმა გაითვალისწინა ქართველთა მხურვალე მართლმადიდებლობა და სიყვარული სარწმუნოების მიმართ და თავისი აგენტების საშუალებით დაიწყო პროკლამაციების გავრცელება ხალხში: “ქართველნო, ორი მართლმადიდებელი ერი ერთმანეთს გადაგვკიდა დასავლეთმა, გაეროომ, ევროკავშირმა, მასონებმა...”, ქართველებმა კარგად იციან, რომ მათი მტერია არა რუსი მართლმადიდებელი ერი, არამედ ამ ერის სახელით მოქმედი რუსეთის სახელმწიფო მანქანა, ბოროტების იმპერია, რომლის შემოქმედი ლენინი, განკაცებული ბელზებელი, ყველა დროის სატანა და ეშმაკის მოციქული კვლავ უწევთ მინის კუბოში და მას დღესაც თაყვანს სცემს კრემლის მთავრობა.

ვინ იყო უფრო დიდი მასონი, ვინ აღასრულებდა მასონურ რიტუალებს ფარულად თუ საჯაროდ მთელი ქვეყნის დასანახავად, ყოველ 7 ნოემბერსა და 1 მაისს, როცა საბჭოთა რუსეთის ბოროტმოქმედი მთავრობა ჯერ თაყვანს სცემდა მინის კუბოში გაშოტილ სატანა - ლენინს, შემდეგ კი მის მაღლა მოწყობილი ტრიბუნიდან ნუსხავდა მათ წინ მონურად მავალ ასეულ ათასობით ადამიანს, მსოფლიოს კი უგზავნიდა შიშისა და შხამის იმპულსებს. იგივე სატანა ბელზებელი ლენინი მოძღვრავს დღეს საქართველოს დამარბეველ რუსეთის მთავრობას ქართველი მართლმადიდებლების ამოსაწყვეტად, ღვთისმშობლის წილხვედრი წმინდა ივერიის დასამხობად, რუსეთის მთავრობა და მისი საკუთარი ინტელიგენცია დღეს თაყვანს სცემს ლენინს -

მართლმადიდებლობის მომთხრელს, დედამიწის ერთ მეექვსედზე, ეკლესიათა მძარცველს და დამაქცეველს, ღვთისმსახურთა დამხოცველს. ამ სასტიკ დღეებში გავრცელებული დარიგება პროკლამაციები გვიმტკიცებენ რომ ლენინის რუსეთი კარგია, ხოლო დასავლეთი ცუდი, ხალხს კი ამავე დროს თავისი ყურით ესმის ჩრდილოეთიდან შემოფრენილი ბომბდამშენების გრუხუნი და თავისი თვალით ხედავს დაჭრილ-დასახიჩრებულ დევნილებს, ბუნებრივად ჩნდება აზრი რომ ეს პროკლამაციები მართალია რუსი ბერების მიერაა ხელმოწერილი, მაგრამ სინამდვილეში კრემლშია შედგენილი და ბომბებთან, რაკეტებთან, ტყვიებთან ერთად გამოგზავნილი საქართველოში ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის დასამხობად.

რუსეთის სახელმწიფო დედამიწაზე არც კი არსებობდა, როცა ქართველმა ერმა დასავლეთის ორიენტაცია აირჩია წმინდა ნინოს ხელქვეშ ნათლისღებით, ამით ბიზანტიური, ესე იგი დასავლური ცივილიზაცია ამჯობინა სკვითურ დესპოტიზმს.

რუსეთის სახელმწიფო სად იყო, როცა V საუკუნეში წმინდა მეფემ ვახტანგ გორგასალმა ანდერძად დაუტოვა ქართველ ერს ჰქონოდა სიყვარული დასავლური ცივილიზაციისა - "სიყვარული ბერძენთა მიმართ". დღეს საბერძნეთი ნატოს წევრია მართლმადიდებელ ბულგარეთთან და რუმინეთთან ერთად.

მოსკოვის რუსეთი არც კი იყო ჩამოყალიბებული, როცა რუის-ურბნისის კრებამ განაცხადა "არა განგცეთ შენ მართლმადიდებლობაო" რადგანაც ქართველი ერი მართლმადიდებლობის ერთგულია მოციქულთა დროიდან.

სწორედ მართლმადიდებლობისა და სარწმუნოების სიყვარულის გამო გავუხსენით რუსეთს კავკასიის კარი XIX საუკუნის დასაწყისში და რა მივიღეთ სანაცვლოდ? - გაციმბირება, სახელმწიფოებრიობის მოსპობა, ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ტომარაში ცემით მოკლული კათალიკოსი დოსითეოს ქუთათელი და ცოცხლად დამარხული მიტროპოლიტი ნაზარი, ეკლესიათა და კათედრათა ნგრევა, ამის შემყურე მოჯანყე მორწმუნე ხალხის უწყვეტი ხოცვა-ჟლეტა XIX საუკუნეში, ხოლო XX საუკუნის ათეისტურ ბარბაროსობას ვინ აღრიცხავს, ასე ესმით მართლმადიდებლობა ლენინურ რუსეთში.

ამ მწარე დღეებში საქართველოს გული სამაჩაბლო გოდებამ მოიცვა, რადგან სპობენ მის მკვიდრ მოსახლეობას. გაქრა პირისაგან მიწისა მხიარულება, ყველგან კვნესა, მოთქმა და ტირილის ხმაა, აღარსად ისმის მართლმადიდებელ მღვდელთა საგალობლები, ღვთის განდიდების ხმა, სამაჩაბლოში აღარ იკითხება საღმრთო წიგნები ხალხის სანუგეშოთ, ვინაიდან მთავარი ტაძრები გაუქმებულია, ეპარქიები დაცლილი, საღმრთო წიგნის მკითხველები განდევნილი, მათი მსმენელები კი დახვრეტილნი და დაკლულნი მოედნებზე, სადიდებელი წიგნები დამწვარია და ნაცრად ქცეული... აღარ ისმის რაიმე სიხარულის ხმიანობა, ხარება ახალ დაბადებულ ყრმათა შესახებ, მოხუცები აღარ სხედან მოედნებზე თავიანთი სახლების წინ და ბავშვები არ თამაშობენ მათ წინაშე, აღარ გროვდება მათი საქონელი საძოვრებზე და აღარ ხტიან კრავები მინდვრებში, აღარ ივსება საწნახელი, მტევნებით და ქვევრები ღვინით, კალოები ხორბლით, რუსის ჯარმა ყველა სიკეთე გააქრო.

ეს უბედურება დაატეხეს თავს ქრისტიანებს, მართლმადიდებლებს, დამწვარ ყამირად უქციეს ვენახები და თავთავიანი ყანები, მწიფე ნაყოფით დახუნძლული ვაშლის ბაღებიც კი ტანკებით გადათხარეს, დამწვარ ბოძების გროვად აქციეს მათი მშვენიერი სახლები, ყველა უბანი შეღებეს უდანაშაულოთა სისხლით.

ყველასთვის სანატრელი და პატარძლებივით ლამაზი თამარაშენი, ქურთა, ნიქოზი და კიდევ მათი მსგავსი, ქალაქებივით ფართო 40 სოფელი, შრომის მოყვარე, კეთილი, ეკლესიათა მაშენებელი, ბერ-მონაზონთა შემწყნარებელი, ღატაკთა შემწყალე ხალხით დასახლებული ორ დღეში ააოხრეს, ღვთის მოყვარეობა და სამართლიანობა შეურაცხყვეს, წესრიგი უწესრიგობით შეცვალეს, გაძარცვეს ეკლესიათა სამკაულები, წაბილწეს ტაძრები, გადაწვეს საცხოვრებლები,

წყალივით დაღვარეს უდანაშაულოთა სისხლი, ხოლო უპატრონოდ დაფლულთა რიცხვს ვინ მოთვლის.

უღმრთონი, უქრისტონი, დამშეული ნაგაზებივით თავს დააცხრნენ სოფლებს. ალყა შემოარტყეს, შეიჭრნენ, ამოხოცეს, დევნეს ისე რომ დაეცარიელეს, უწყალოდ გადაწვეს და კეთილ საქმედ მიიჩნიეს ასეთი ქმედება.

ჰაერიც მათი ხელშემწყობი იყო აოხრების ამ დღეებში, ვინაიდან დაჰბერა აგვისტოს ცხელმა ქარმა, აგიზგიზდა ალი ისე, რომ კვამლი ზეცას აღწევდა და ცეცხლის ალის ნაბერწკლებმა დაფარეს მზის სხივები. ქუჩები, სახლები და საქონლის გომურები აივსო მოკლულთა გვამებით, რიცხვის დამდგენი არავინ იყო, ვინაიდან, რომლებიც გაექცნენ კალაშნიკოვის ელვარე ტყვიას, დამალულნი სახლებში - გადაწვეს. ტყეებში დაფანტულთ კი ვერტმფრენები დაადევნეს და ყუმბარებით ხოცავდნენ. სულიერი მამები მასხარად აიგდეს.

ვაი, ათეულობით ბედნიერო და სიმდიდრით განთქმულო სამაჩაბლოს სოფელ-ქალაქო, ივერიის გულო, მშვენიერებავ, აწ აღაპყრე თვალნი შენნი და იხილე შენი დევნილი, ტყვედ წაყვანილი და ყელგამოჭრილი შვილები, უწყალოდ ქვით ჩაქოლილნი, შეურაცყოფილი ქალები, სკოლის ბავშვები, შიშველი ფეხებით გაქცეულნი მთებსა და ტყეებში.

ლენინის კრემლმა მკაცრი ბრძანებით მოითხოვა, რათა არ დაენდოთ არც მოხუცი და არც ახალგაზრდა, არც ყრმა და არც ასაკოვანი, არც კაცი და არც ქალი, რათა ქართველებისაგან "გაეწმინდათ სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო", დაანგრია სამაჩაბლოს ცხრა ხეობა და ცხრა ჯერ ცხრა სავანე, იქ სადაც კულტურის სასახლეები, სავაჭრო ცენტრები, სკოლები და ეკლესიები იდგა, დიდი ხარჯითა და ოსტატობით ნაგებნი მცხოვრებთა დასატკბობად - გადაიწვა, დაინგრა და განადგურდა.

ვაი, კრემლის შეუბრალებელ ბრძანებებსა და სიცრუეს, რომელმაც გადააჭარბა ყველა ბოროტებას, გაუკაცრიელა კეთილმოწყობილი ქვეყანა, ზამთრის მოსვლამდე აოხრდა და დაიცალა შიდა ქართლი. ჩაქრა მუდამ ანთებული კანდელები ღვთისმშობლისა და წმინდანების ხატების წინ, საგალობელთა ნაცვლად ბუებისა და რუსი ჯარისკაცების ღრიანცელის ხმა ისმის, რომელთაც ახარებთ ჩირგვებში და გათხრილ მიწაში შემალული დევნილების ნახვა, რომელთაც ხოცავენ ბაკში დამწყვდეული ცხვრებივით.

მძიმე მოსასმენია ეს მწარე ჩივილი, ვწერ, რათა მომავალმა თაობამ იცოდეს, რომ ნამდვილად იყო ეს დღეები, არ დაივიწყოს ქართველთა ეთნოწმენდა, რომ ისევე, როგორც ყველაფერი ცხინვალის რეგიონში - იკორთას ტაძარიც ქართველთა ნაგებია, რომელიც ლენინის რუსეთმა "სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოში" მოაქცია, იკორთას ტაძარში კი წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარი არიან დაკრძალულნი, მართლმადიდებლობის გადარჩენისათვის მებრძოლი ქართველთა გმირები, XVII საუკუნეში თავშეწირულნი, წუხან მათი ძვლები, რადგანაც "დამონებული მიწის ქვეშ წოლა ძვლებსაც აწუხებთ დაუვლით ჟრჟოლა".

ძველ წინაპართა სიტყვებს ვიმეორებთ, რათა გვახსოვდეს, რომ ასევე მიტაცებულ ბიჭვინთის ტაძარში ათასი წელი ქვემო ივერიის კათალიკოსს ედგა კათედრა და უფალ ღმერთს ქართული ენით ადიდებდა, ასევე ქართველებისაგან დაცლილი აფხაზეთის სხვა ტაძრები და საეპისკოპოსოები - დრანდა, მოქვი, ბედია... რა უნდა ვთქვა ამ მწარე დღეებში, როცა ჩემი ყურით მესმის ვერტმფრენების გრიალი, რომელნიც ახლა ჩემთან ახლოს დიდგორის ტყეებს ბომბავენ, რათა იქ თავშეფარებული ჩვენი ჯარისკაცები და ხალხი ამოხოცონ ...

წმიდაო ივერიავ, წმიდაო ივერიავ,

როდემდე გაგრძელდება შენი სატანჯველები, როდემდე იდგები მსოფლიო გზაჯვარედინზე რუსული ჩექმით გაქელილი ...

გაჰყურებ შორს და ნუკრის თვალით მშველელს დაეძებ...

აგვისტო, 2008

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ქართველი ერი მატიანეთა მიხედვით

საწყენია, რომ უცხოურ საინტერნეტო სივრცეში განთავსებულ რუკებში საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში არ უჩვენებენ დასავლეთ საქართველოს ვიდრე თითქმის მე-14 საუკუნემდე. ისეა წარმოჩენილი თითქოსდა დასავლეთ საქართველო იქამდე იწოდებოდა აფხაზეთად ანდა ლაზიკად და ისინი არ იყვნენ საქართველოს ნაწილები. ამ თვალსაზრისს ავითარებს როგორც ქართული („საბჭოთა"), ისევე რუსული ისტორიოგრაფა ამჟამადაც. მაშინ როცა ძველი ქართველი მემატიანეები, რომელნიც თვითონვე ცხოვრობდნენ როგორც დასავლეთ-აღმოსავლეთ, თუ სამხრეთ საქართველოში სრულიად განსხვავებულ თვალსაზრისს გვთავაზობენ, კერძოდ მათთვის მუდამ, მათ შორის ქრისტეშობამდეც, დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველო მუდამ ერთი - ქართველი ერის სამშობლო იყო და შესაბამისად დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთეულები ამ ერის კუთვნილება.

როგორც ითქვა, ამ რუკებზე დასავლეთ საქართველო "გეორგიად" მხოლოდ მე-14 საუკუნედან მოიხსენიება, ისიც წყვეტილებით.

მათგან განსხვავებით, აი, რას გვიამბობენ ჩვენი მემატიანეები ქართველი ერის ერთიანობის შესახებ -

ძველი მატიანეები გვაუწყებენ, რომ უწინარეს წმიდა ნინოს მოსვლისა, ჩვენი ხალხი იყო "განათლებულ ემბაზითა ქადაგებულისა ანდრია და სვიმონ კანანელისათა, რამეთუ მათ იქადაგეს ქრისტე ქართველთა შორის პირველად" ("მარტვილობაი დავით და კონსტანტინესი", "ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია", 1946, გვ. 235).

ანდრია მოციქულმა და სვიმონ კანანელმა, ძირითადად, **დასავლეთ საქართველოში** იქადაგეს. ამ წყაროში სწორედ **დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას უწოდებდნენ ჩვენი მემატიანეები „ქართველებს" აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად.** ეს თვალსაზრისია გადმოცემული რუის-ურბნისის კრების ძეგლის წერაშიც. კერძოდ, აქ ნაბრძანებია, რომ პირველწოდებულმა ანდრია მოციქულმა იქადაგა სახარება **"ყოველსა ქუეყანასა საქართველოისასა"** ("დიდი სჯულის კანონი", 1975, გვ. 545), "ხოლო წმიდა ნინომ განანათლა **ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისაჲ"** ("დიდი სჯულის კანონი", 1975, გვ. 546).

მაშასადამე, ყველაზე მნიშვნელოვანი **საეკლესიო კრების დადგენილებით, ანდრია მოციქულის დროს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო იყო ერთი ქვეყანა, რომელსაც საქართველო, ანუ ქართლი ერქვა, ხოლო წმიდა ნინო IV საუკუნეში იქცა ერთიანი ქართველი ერის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველების განმანათლებლად.**

უძველესი დროიდან, აღნიშნული მოსაზრება, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერქვა ქართლი, ანუ ივერია, ხოლო ივერიელნი, ანუ ქართველნი ეწოდებოდათ ამ ქვეყნის მცხოვრებთ, ვიდრე, XIX საუკუნემდე მიიჩნეოდა უეჭველ ფაქტად.

მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში, რუსულ იმპერიულ წრეებში, ხოლო შემდგომ საბჭოთა ათეისტური სკოლის მიერ უარყოფილი იქნა ეს მოსაზრება და ჩამოყალიბდა ახალი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც "ივერია" (ქართლი) თითქოსდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ეწოდებოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა სახელები ერქვა. შესაბამისად, თითქოსდა ივერიელნი, ანუ ქართველნი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ. ამ

რუსულ, კომუნისტურ თვალსაზრისს, მაგალითად, მთლიანად აბათილებს სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის მიმოწერა რუსეთის ხელმწიფისადმი, ასევე სხვა უამრავი საისტორიო წყარო.

ლევან II დადიანმა (1611-1657), ოდიშის მთავარმა, აღადგინა და შეამკო არა მარტო ოდიშის ყველა ეკლესია და მონასტერი, არამედ იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, რომელიც ვალებისგანაც გამოიხსნა და შესაბამისად გაამშვენა.

ლევან II დადიანი იყო ქართული კულტურის უდიდესი მეცენატი XVII საუკუნეში. მაგალითად, მისი ბრძანებითა და ხარჯით არის გადაწერილი "ვეფხისტყაოსნის" ჩვენამდე მოღწეული უძველესთარიღიანი ხელნაწერი, ის დაასურათებინა კიდეც მამუკა თავაქარაშვილს.

XVII საუკუნე იყო ქართული კულტურისათვის უაღრესად არახელსაყრელი პერიოდი. ქვეყანა ნაწილებად დაიშალა, მტერმა აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრო. ასეთ ეპოქაში ლევან დადიანმა მიიღო ზეგარდამოძალი და დაიწყო ზრუნვა საქართველოს გასაერთიანებლად. მან იცოდა, რომ ყველა უბედურების მიზეზი იყო ქვეყნის დაშლა, დანაწევრება, რომ მხოლოდ გაერთიანებული საქართველო შეძლებდა გაძლიერებას.

ლევან II დადიანის მიმოწერიდან ჩანს, რომ მისი თვალსაზრისით, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიამ XVII საუკუნეში ვერ შეძლო ქვეყნის ჯეროვანი პატრონობა. მათ ჯერ ერთმანეთს შორის გაინაწილეს ქვეყანა, რამაც ჩამოაყალიბა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამეფოები ქართლისა, კახეთისა და იმერეთისა, ხოლო შემდგომ ერთმანეთი დაასუსტეს გაუთავებელი შუღლით და ურთიერთბრძოლით. საბოლოოდ, შაჰ-აბაზის მიერ წმიდა მოწამე ლუარსაბ II მოკვლის შემდგომ ფაქტიურად შეწყდა ქართლის კანონიერი სამეფო დინასტია.

ლევან II დადიანის ეპოქაში ქართლის მმართველად სპარსეთის სამეფო კარმა დანიშნა გამაჰმადიანებული ბაგრატიონი, რომელიც არ იყო სამეფო ოჯახის წევრი. ასევე, სპარსეთმა შეძლო კახეთის დაპყრობაც და იქიდან კანონიერი სამეფო დინასტიის გაძევება.

ლევან II დადიანის ეპოქაში იმერეთის სამეფო ტახტიც შერყეული იყო. აქაც სამეფო დინასტიის ლეგიტიმურობა საეჭვო ხდებოდა, ამიტომაც სამეფო ტახტზე ხან გვერდითი შტოს წარმომადგენელი (ჭუჭუნაიშვილი) ადიოდა, ხან კიდევ გურიელთა სამთავროს სახლის წევრები. აღნიშნულის გამო (რადგანაც აღმოსავლეთ საქართველოს, ვითარცა სპარსეთის ხელდებულ ქვეყანას, არ შეეძლო ყოფილიყო საქართველოს პოლიტიკური გამაერთიანებელი, ხოლო იმერეთის სამეფო დასუსტებული იყო), ლევან II დადიანი საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს გაერთიანების საქმეს პირადად ჩაუდგა სათავეში. მიზეზი ამისა იყო ისიც, რომ ოდიში, ანუ სამეგრელოს სამთავრო, მისი მმართველობის დროს გაძლიერდა სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით.

ამასთანავე, ქართული კულტურის ცენტრებმაც მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოში გადაინაცვლა. აღმოსავლეთ საქართველოს რბევა-აოხრების დროს ქართული მწიგნობრობის, საეკლესიო ცხოვრების, ფერწერისა თუ ჭედური ხელოვნების (ხატების) დამამზადებელი მრავალი ახალი კერა სამეგრელოში წარმოიქმნა.

ქვეყნის გაერთიანების მიზნით, ლევან II შეძლო თავის გავლენის სფეროში მოექცია სრულიად დასავლეთ საქართველო. მისი მმართველობის დასაწყისში აფხაზეთი ოდიშის (სამეგრელოს) განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, ასევე სვანეთიც, ხოლო გურიისა და იმერეთის გავლენის ქვეშ მოქცევა ლევან II დადიანს არ გასჭირვებია.

მაშასადამე, სუვერენული საქართველოს ერთადერთი ფაქტიური მეპატრონე იყო ლევან II დადიანი და ის ასევე მოიხსენიებდა კიდეც თავის თავს ცაიშურ გულანში: - **"ხელმწიფეთა ხელმწიფე დადიანი ლეონ ყოვლისა საქართველოსა პატრონი".**

ცაიშური გულანის ამ მინაწერიდან, რომ ლევანი სრულიად (ყოვლისა) საქართველოს პატრონად მიიჩნევდა თავის თავს, ანუ სრულიად საქართველოს ხელმწიფედ, აქედანვე ჩანს, რომ იმჟამად ოდიში, ანუ სამეგრელო, არა მხოლოდ საქართველოდ, ანუ ქართველთა ქვეყანად იწოდებოდა, არამედ ოდიში იმჟამად სუვერენული (დაუპყრობელი) საქართველოს გულს, ცენტრს

წარმოადგენდა, ხოლო მისი მმართველი იყო დამოუკიდებელი საქართველოს გამაერთიანებელი და მისი „პატრონი" - "ხელმწიფე" (ცაიშური გულანის მინაწერის თანახმად).

ლევან II ტიტულიდან **("ყოვლისა საქართველოსა პატრონი, ხელმწიფე")** ჩანს, რომ XVII საუკუნეში, ეროვნული ცნობიერების უკიდურესი დაკნინების ეპოქაში, სამეგრელოს მოსახლეობის ეროვნული იდენტობა შეურყეველია და ქვეყნის დაშლა-დანაწევრების მიუხედავად მტკიცეა. აქაური საზოგადოება ფიქრობს არა იმაზე, რომ გამოიყენოს შექმნილი ვითარება და ქვეყნის დაშლის დროს ააღორძინოს კუთხური ცნობიერება, არამედ იღვწის იმისათვის, რათა ქვეყნის სხვა ნაწილების უძლურების დროს **მტერმა არ მოშალოს ერთიანი ივერიის სუვერენიტეტი** და სასწრაფოდ გააერთიანოს დაშლილი ქვეყანა. ასეთ დროს, სამეგრელოს საზოგადოებაში ჩაისახა იმედი იმისა, რომ საქართველოს გაერთიანების საქმეში დაეხმარებინათ რუსეთის ძლიერი სახელმწიფო. ამიტომაც გაგზავნეს ელჩად რუსეთში მღვდელი გაბრიელ გეგენავა. მან 1639 წლისათვის შესაბამისი დოკუმენტები წარუდგინა რუსეთის სახელმწიფო მოხელეებს.

ლევან II დადიანი სიგელში რუსეთის ხელმწიფისადმი თავის სამთავროს უწოდებს არა ოდიშს, ანდა სამეგრელოს, არამედ **„ივერიის მხარეს"**.

ლევანი აღნიშნავს, რომ **"იყო ივერიის მიწაზე ხუთი ხელმწიფე, მათგან სპარსეთის შაჰმა ორი სახელმწიფო დაამხო, ხოლო დარჩენილი სამი სახელმწიფო ღვთის შეწევნით იმართება ჩემ მიერ".** ე.ი. მეფე ლეონტის მიერ (ასე უწოდებდნენ მას რუსეთში). "**И было де в Иверской земле 5 государей и из них де Перской шах побил 2 государей, а остальных де 3-х государей государств Божию помошью владеет он, Леонтий Царь"** (Материалы по Церковной и этнополитичесской историй Абхазии, Посольство Федота Елчина в Мегрелию (1639 - 1640 г.г.), ТБ. 2005, с. 114).

რომელი სახელმწიფოები იყო ლეონ II დადიანის ხელში 1640 წლისათვის? ესენი იყვნენ: იმერეთის სამეფო, ოდიშისა და გურიის სამთავროები, რაც შეეხება აფხაზეთსა და სვანეთს, როგორც აღვნიშნეთ, ისინი ოდიშის სამთავროს შემადგენელ ნაწილებად მიიჩნეოდა. ამიტომაც, ესენია (იმერეთი, ოდიში და გურია) ის სამი სახელმწიფო, რომელთა მმართველად ლევან II დადიანს მიაჩნდა თავისი თავი.

მხოლოდ აქ, დასავლეთ საქართველოში, იყო შენარჩუნებული ქართული სახელმწიფოებრიობა, რადგანაც იმ დროისათვის ის ძირფესვიანად იყო მოშლილი აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლსა და კახეთში (1744 წლამდე - ქართლ-კახეთის სამეფოს ქრისტიან მმართველთა კურთხევამდე). ამიტომაც, სრულიად მართალი იყო ლევან დადიანი, როცა ის ივერიის, ანუ საქართველოს ერთადერთ სუვერენულ მმართველად - "ივერიის მეფედ" მიიჩნევდა თავისთავს. ეს მის ეპოქაში სრული სიმართლე იყო, ვითარება მხოლოდ მე-18 საუკუნის შუა წლებში შეიცვალა.

დევნილი თეიმურაზ I რუსეთის ხელმწიფოს კარს აცნობებდა კიდეც, რომ ლევან II დადიანი თავისთავს მიიჩნევს ივერიის მიწების ერთადერთ მეფედო.

ეს იყო რეალური ფაქტი იმჟამად.

ამიტომაც რუსეთის სამეფო კარი გამოკვლევათა შედეგად ადასტურებდა, რომ იმ დროისათვის "ივერიის მიწების" ნამდვილი ე.ი. სუვერენული ხელმწიფე ("მეფე") მხოლოდ ლევან II დადიანი ანუ "ლეონტი" მეფე იყო.

კერძოდ, რუსეთის მეფე მიხეილი თავის სიგელში ლევან II დადიანისადმი აღნიშნავდა - **"ივერიის მიწაზე იყო ხუთი ხელმწიფე. მათგან ორი გაანადგურა სპარსეთის შაჰმა, ხოლო დარჩენილ სამ სახელმწიფოს ღვთის შეწევნით მართავ შენ"** (იქვე, გვ. 165). ამავე სიგელში სამეგრელოს ეწოდება ლეონ II **"დადიანის ივერიის მიწა"**, მას ასე მიმართავენ: **"Тебя Леонтия Царя и твою иверскую землю", "твое Государство иверской стороне"**. სამეგრელო ივერიაა, ხოლო დასავლეთ საქართველოს მმართველი "ივერიის მეფეა" იმჟამინდელი რუსეთისათვის.

მღვდელი გაბრიელ გეგენავა, **"ივერიის მიწების ხელმწიფის ელჩი"** რუსეთში, აცხადებდა, რომ **სუვერენული ივერიის იმჟამინდელი საეკლესიო ცენტრი იყო ბიჭვინთა,** სადაც ივერიის

პატრიარქი იჯდა. აქედან ჩანს, რომ იმ დროისათვის აფხაზეთი ჯერ კიდევ შედიოდა სამეგრელოს სამთავროში, ანუ **აფხაზეთი იმჟამად ჯერ კიდევ ივერიად იწოდებოდა**.

დადიანის ელჩი სარწმუნოებრივ საკითხებთან დაკავშირებით აცხადებდა, რომ ამ ვრცელ ტერიტორიაზე სარწმუნოება (რჯული), საეკლესიო წიგნები, მაშასადამე, წირვა-ლოცვის ენა იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართული. თუმცა კი შინაობაში ერთმანეთთან ურთიერთობის საკუთარი სამეტყველო ენაც გვაქვსო. - **„А вера де у них христианская. грузинскою де верою их вера одна и книги те же, что и грузинские, только де язык свой как меж-собою говорят”**.

“ყოვლისა საქართველოსა პატრონი, ხელმწიფეთა ხელმწიფე” ლევან დადიანი, ალბათ, შეძლებდა კიდეც საქართველოს გაერთიანებას, რომ არა ადიღე-ჩერქეზების, ანუ აფსუების შემოსევები, რომელთაც XVII-XVIII საუკუნეებში სასტიკად გაანადგურეს სამეგრელოს სამთავრო, ანუ ქვემო ივერიის პოლიტიკური ცენტრი.

იმდენად ძლიერი იყო ჩრდილოკავკასიელ ადიღე-ჩერქეზთა შემოსევები, რომ ლევანი თავისი მმართველობის ბოლო პერიოდში იძულებული გახდა თავდაცვის მიზნით აეგო საფორტიფიკაციო ნაგებობები, ამჟამად ცნობილი აფხაზეთის დიდი კედლის სახელით. ამ ამბის მოწმე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ამბობს, რომ ლევან დადიანმა ძალზე დიდი დანახარჯებით ააგო 60 ათასი ნაბიჯის სიგრძის კედელი. ამასვე წერს მეორე მისიონერი კასტელიც, რომელიც აღნიშნავს, რომ ეს კელასურის კედელი განსაზღრული არის აფხაზთა შესაკავებლად. ადიღე-ჩერქეზებმა, ანუ აფსუებმა იმდროისათვის შეძლეს ამ კედლის იქეთ მდებარე ტერიტორიის დაპყრობა და რადგანაც მათ მიერ დამორჩილებულ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდებოდა, აფსუებსაც აფხაზები უწოდეს - პროვინციის სახელის შესაბამისად. აფხაზეთის, ანუ კელასურის კედლის სიგრძე არის ასი კილომეტრი. მტერს ელოდნენ ჩრდილო დასავლეთიდან და ნაგებობა დიდი სისწრაფით აუგიათ, ზოგჯერ კოშკებს უსაძირკვლოდ პირდაპირ მიწაზე დგამდნენ. ეს კედელი იცავდა იმჟამად ოდიშის სამთავროში შემავალი თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის და გალის რაიონების უხვმოსავლიან სამიწათმოქმედო მხარეებს და იქ არსებულ ქართულ საეპისკოპოსოებსა და ქრისტიანულ მოსახლეობას. ვახუშტი ბაგრატიონი წერს, რომ დღევანდელი ახალი ათონის, ანუ ანაკოფიის “აღმოსავლით ზღვიდამ მთამდე შევლო ზღუდე დიდმა ლევან დადიანმა აფხაზთა გამოუსვლელობისათვის”. მას ამ მშენებლობის დროს ეხმარებოდნენ ბედიის, მოქვისა და დრანდის ეპისკოპოსები თავისი მრევლითა და თანხით. მაგრამ მომხდური აფსუების შეკავება ვერ შეძლეს. საბოლოოდ, აფხაზებად წოდებულმა ამ ადიღე-ჩერქეზებმა დაიპყრეს სამეგრელოს ეკონომიკური სიძლიერის წყარო - ზემოთ აღნიშნული რაიონები, მოსპეს ზემოთ აღნიშნული საეპისკოპოსოები, მათი მრევლი, ანუ სამეგრელოს მოსახლეობა დახოცეს, ანდა დაატყვევეს. გადარჩენილი ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა თავიანთ მომსახურე ყმებად, ფაქტიურად მონებად გადააქციეს. დღესაც კი აფხაზურად დაბალ ფენას “აგირუა”, ანუ მეგრელი (გურული) ეწოდება. სამეგრელოს იმ დროისათვის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა განახევრებულა. მისიონერები აღწერენ, რომ ორმოცი ათასი კაციდან ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი ამოწყვიტეს, ანუ ოცი ათასი კაცი. ეს იმ დროისათვის ძალზე დიდი რაოდენობა იყო. წირვა-ლოცვა საბოლოოდ გაუქმდა ბიჭვინთის, დრანდის, მოქვის და ბედიის საეპისკოპოსოებში. აყვავებული ქვეყანა გაჩანაგდა. ეს ნიშნები უკვე ლევან დადიანის გარდაცვალების წინ კარგად გამოიკვეთა და ის მიხვდა, რომ ოდიშის, ანუ საქართველოს გამაერთიანებელი ბოლო ძალა იშრიტებოდა. მართლაც, თითქმის საუკუნით გადაიდო საქართველოს გაერთიანების საქმე და განახლდა ერეკლე II დროს, ლევანის გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ.

ჩვენამდეა მოღწეული საქართველოში მე-17 საუკუნეში მოგზაური ანტიოქელ-იერუსალიმელი პატრიარქების ჩანაწერები იბერიის ეკლესიასთან და ზოგადად იბერიასთან დაკავშირებით. ისინი **“ქვემო იბერიას”** უწოდებდნენ დასავლეთ საქართველოს, ხოლო **“ზემო იბერიას”** - აღმოსავლეთ საქართველოს, ზოგჯერ კი პირიქით, **“ზემო იბერიას”** დასავლეთ საქართველოს უწოდებდნენ.

მე-17 საუკუნის ეს იერუსალიმელ-ანტიოქიელი პატრიარქები იმ დროს მოღვაწეობდნენ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო ფაქტიურად დაპყრობილი იყო ირანის მიერ და მეფის მაგივრად აქ მაჰმადიანი ხანები მეფობდნენ, შესაბმისად დმცროზილი იყო ქართლის საკათალიკოსო, ხოლო დასავლეთ საქართველო, პირიქით, ინარჩუნებდა სუვერენობას. იმჟამად აფხაზეთის საკათალიკოსო წარმატებულ-აღზევებული იყო.

როგორც ითქვა, ისინი (იერუსალიმელ-ანტიოქიელი პატრიარქები) დასავლურ ქართულ ეკლესიას უწოდებდნენ არა აფხაზეთის საკათალიკოსოს, არამედ - **"ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს"**, მის მეთაურს კი **"ქვემო იბერიის პატრიარქს"** უწოდებენ. მათი აზრით, ზოგადად იბერიის ეკლესია ერთიანია, რადგანაც მის ორ პატრიარქს შორის უფროს - უმცროსობით დამოკიდებულება არსებობს. ზოგადად, როგორც ითქვა, ზემო იბერიის პატრიარქი უპირატესი იყო, მაგრამ მეფე-ხანების ეპოქაში, ვითარება შეცვლილა, და იბერიის პატრიარქთა შორის უპირატესობა ქვემო იბერიის პატრიარქს მიუღწევია.

ჩანს აღნიშნულის გამო, XVII საუკუნის უცხოელი საეკლესიო მოღვაწეები დასავლეთ საქართველოს პატრიარქს **"უპირატეს პატრიარქად"** მიიჩნევდნენ ზემო ივერიის (აღმოსავლეთ საქართველოს) პატრიარქთან შედარებით. ისინი ქვემო იბერიის, ანუ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსს პირდაპირ უწოდებდნენ **"უფროსს კათალიკოსს"**, ხოლო დასავლეთ საქართველოს უმაღლეს ხელისუფალს უწოდებდნენ **"მთელი იბერიის მეფეთა მეფეს"**.

რა იყო ამის მიზეზი?

ამჟამად საყოველთაოდ არის გავრცელებული თვალსაზრისი, რომ მცხეთელი კათალიკოსი უპირატესი იყო აფხაზეთის კათალიკოსზე. "ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწმესი ეწოდებოდა". ეს მართლაც, ძირითადად ასე იყო, მაგრამ XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის დასაწყისში, რადგანაც აღმოსავლეთ საქართველო მაჰმადიანთა ხელში აღმოჩნდა, საერთაშორისო საეკლესიო წრეებში ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ სწორედ ქვემო იბერიის, ანუ დასავლეთ საქართველოს მეთაური არის უპირატესი, სრულიად ივერიის საეკლესიო ხელისუფალი.

მართლაც, XVII საუკუნის იერუსალიმელი პატრიარქი დოსითეოსი წერს: **"იბერიაში ორი ავტოკეფალიური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერიას, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში... ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე... იბერები ქვემო იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა მეფედ"**. (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ტომი II, 1998, გვ. 90).

XVII საუკუნის მეორე იერუსალიმელი პატრიარქი ქრისანთი (ხრისანფი) იმავეს წერს: **"საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალიური არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს... არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარესს კათალიკოსად, ანუ მარტივად სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე, ხოლო მეორე ე.ი. ზემო იბერიისა იწოდება ქართლის, კახეთის, ალვანეთის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად"** (იქვე, გვ. 94).

აქედან კარგად ჩანს, რომ XVII საუკუნის საერთაშორისო წრეები, რუსეთის ხელმწიფის კარი და ბერძნული საპატრიარქოები აღიარებენ, რომ დასავლეთ საქართველო, ანუ ქვემო იბერია, იმჟამად წარმოადგენდა საქართველოს სუვერენიტეტის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ცენტრს.

მართლაც, ბიჭვინთელ კათალიკოსს, ოდიშის მთავრის მსგავსად სრულიად საქართველოს უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლად მიაჩნდა თავისი თავი.

მაგალითად, ბიჭვინთელი კათალიკოსი გრიგოლი საქმიან საბუთებსა და სიგელ-გუჯრებს ადასტურებდა ბეჭდით, რომელსაც ჰქონდა შემდეგი წარწერა: **“გრიგოლ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოისა კათალიკოსი”** (“ქართული სამართლის ძეგლები”, III, 1970, გვ. 675).

ასე რომ, არ არის სწორი ამჟამინდელი თვალსაზრისი, თითქოსდა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, აფხაზეთის საკათალიკოსო ქართლის ეკლესიას გამოეყო. პირიქით, თავისი თავი **აფხაზეთის კათალიკოსს სრულიად საქართველოს მწყემსად მიაჩნდა და ქრისტეს მიერ დადგენილად “ყოვლისა საქართველოჲსა” მამამთავრად.**

მის ამ უზენაესობას, როგორც ვთქვით, იმჟამინდელი საერთაშორისო წრეებიც ადასტურებდნენ. ამ ფონზე და აი ამ მნიშვნელობით არის სახელდებული ლევან II დადიანი ყოველი ივერიის ხელმწიფედ.

უამრავი დოკუმენტიდან და სიგელ-გუჯრიდან ნათლად ჩანს, რომ ბიჭვინთის ღვთისმშობლის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს სამწყსოს, ქართველები შეადგენდნენ, ანუ **იმჟამინდელ მეგრელებს, გურულებს, სვანებს, იმერლებს და სხვებს განვითარებული ჰქონდათ არა ვიწრო კუთხური ტომობრივი თვითშემეცნება, არამედ ერთიანეროვნული**. შესაბამისი დოკუმენტის დამოწმებამდე, უნდა ვთქვათ, რომ აღნიშნული კუთხეების მოსახლეობას ვიწრო ადგილობრივი ეთნიკურ-ტომობრივი თვითშემეცნება განუვითარდათ XIX და XX საუკუნეში, რუსულ-კომუნისტურ-ათეისტური მმართველობის დროს.

ზემოთ აღნიშნულის დასამოწმებლად მოვიყვანთ ამონაწერს აფხაზეთის კათალიკოსის 1733 წლის სიგელიდან, რომელშიც კერძოდ ნათქვამია: **“პირველწოდებულსა ანდრიას მიეცა ჩრდილოეთისა ქუეყანა მოქცევად, ჩვენებითა წმიდისა ღვთისმშობელისათა, რამეთუ ჩვენ ქართველნი მისი წილხვდომილნი ვართ”** (იქვე. გვ. 727), ესაა აფხაზეთის კათალიკოსის ცანაწერი თავისი მრევლის ანუ დასავლეთ საქართველოს ეროვნული ვინაობის შესახებ - ის მათ ქართველებს უწოდებს თავის საბუთში.

ბიჭვინთის ღვთისმშობლის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს მრევლი, წმიდა ანდრიას მიერ მოქცეული, მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ეთნიკური ქართველებია ამ დოკუმენტის თანახმად. ეს არის უეჭველი მოსაზრება იმ დროისათვის, ამიტომაც იყო ამ ხალხის სახელმწიფო, კულტურისა და საეკლესიო ენა მხოლოდ და მხოლოდ ქართული (უძველესი ხანიდანვე). სწორედ ამ ქართველობის გამო განდევნეს აფსუა-ჩერქეზებმა თავისი კათედრებიდან ჯერ ბიჭვინთის კათალიკოსი, შემდეგ კი დრანდის, მოქვისა და ბედიის ეპისკოპოსები. მათი მრევლი კი, ისტორიული სამეგრელოს მოსახლეობა ტყვეებად დაიტაცეს.

XIX საუკუნემდე ქართული ისტორიოგრაფია დაბეჯითებით ავითარებდა აღნიშნულ თვალსაზრისს. ეროვნული საისტორიო სკოლის ბოლო წარმომადგენელი თეიმურაზ ბატონიშვილი ამიტომაც წერდა, რომ “აფხაზეთი ნაწილია ივერიის ქვეყნისა - ქვემოსა შინა ივერიასა, რომელსაცა ეგრისი სახელ სძევს... მეგრელთა სამთავრო ქვემოისა ივერიისა არს ნაწილი. გურიის სამთავრო ქვემოისავე ივერიისა შავიზღვისპირია. სვანნი, ჯიქეთი, ქვემოის ივერიისავე არიან ნაწილნი. ქართლი ივერიისა არს ერთი ნაწილთაგანი, რომლისაცა სამთავრო არს სამცხე-საათაბაგო... ალვანია ანუ კახეთი ივერიისა არს ერთი ნაწილთაგანი, რომლისაცა სამთავრონი არიან შაქისი და შირვანი, ვიდრე ზღვრამდე კასპიისა” (თეიმურაზ ბაგრატიონი. “საქართველოს ისტორია”, 1858 წ). ძველი ქართული საეკლესიო და საერო ისტორიოგრაფიის თანახმად, ივერია, ანუ ქართლი, ორ გეოგრაფიულ ნაწილად იყოფოდა. ერთს ერქვა ქვემო ქართლი, ანუ ქვემო ივერია, მეორეს კი - ზემო ქართლი, ანუ ზემო ივერია.

მაშასადამე, ქვემო ქართლი ისტორიულ ეპოქაში ეწოდებოდა არა თბილისის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს, თანამედროვე ბოლნისისა და დმანისის რაიონებს, არამედ დასავლეთ საქართველოს. ხოლო ზემო ქართლი, ანუ ზემო ივერია ეწოდებოდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს.

უძველესი საბუთები მოწმობენ თვალსაზრისს, რომ იბერია, ანუ საქართველო, ორ გეოგრაფიულ ნაწილად, **ზემო და ქვემო ქვეყნებად** იყოფოდა. 1790 წელს შედგენილ "ერთობის" ტრაქტატში, რომელსაც საქართველოს ყველა ნაწილის წარმომადგენელი აწერდა ხელს, **"ქვემო ივერია"** ეწოდება დასავლეთ საქართველოს, - "საიმერეთოსა მეფესა, მთავარსა ოდიშისა, მთავარს გურიისა და ერთობით თავადთა აზნაურთა და ერთა **ქვემოისა ივერიისა"** ("ქართული სამართლის ძეგლები", ტ.II, 1965, გვ. 502).

ამ ერთობის ტრაქტატიდან ჩანს, რომ იმ არეალს, რომელსაც ამჟამად ვუწოდებთ დასავლეთ საქართველოს, ძველად უწოდებდნენ **ქვემო ივერიას**. იქვე აღნიშნულია, რომ **ზემო ივერია** არის ქართლ-კახეთი მესხეთთან ერთად. ეს მოსაზრება, თავისთავად იგულისხმება ყველა ძველ საბუთში. მაგალითად: XI საუკუნეში, დაახლოებით 1058 წელს, გამოცემულ ბაგრატ IV საუკუნის სიგელში ოპიზარ და მიჯნაძორელ მამებისადმი, ამავე თვალსაზრისით არის ნახმარი ტერმინი "ყოველთა ხევთა **ზემოთა და ქვემოთა**". კერძოდ, ამ საბუთში ნაბრძანებია, რომ ერთი საეკლესიო საბუთის განსახილველად ბაგრატ მეფის დარბაზის კარზე შეიკრიბნენ "მღვდელ-მოძღვარნი, ერისთავნი და **ყოველთა ხევთა ზემოთა და ქვემოთა** აზნაურნი და მეცნიერნი" ("ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი", 1984, გვ. 33). იმჟამად, XI საუკუნეში, საქართველო შედგებოდა ორი ნაწილისაგან, ეს იყო ყოფილი აფხაზთა სამეფო და ქართველთა სამეფო. ერთი მოიცავდა დასავლეთ საქართველოს, მეორე კი - აღმოსავლეთის დიდ ნაწილს. სიადვილისათვის დოკუმენტების შედგენის დროს ერთს უწოდებდნენ **ქვემო მამულს**, მეორეს კი - **ზემოს**.

ბაგრატ III დროსაც, ქუთაისის ეკლესიის კურთხევის დროს შეიკრიბა "ყოველნი დიდებულნი, **ზემონი და ქვემონი** მამულისა და სამეფოსა მისსა მყოფნი" ("ქართლის ცხოვრება", ტ.I, გვ. 28). სხვა საბუთებიდანაც ჩანს, რომ **ქვემო ქვეყანა**, ქვემო საქართველო ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოს. მაგალითად, როდესაც ქვეყნის მტრებისაგან გაძლიერებული ლიპარიტ ბაღვაში შეებრძოლა საქართველოს მეფეს, მას აუღია **ზემო ქვეყნის** ყველა უმთავრესი ციხე - არტანუჯი, ყველი, უფლისციხე, ბირთვისი და კლდეკარი. ამით, ფაქტიურად, ლიპარიტი გადაიქცა აღმოსავლეთ საქართველოს მფლობელად.

ამიტომაც წერდა მემატიანე - "მოირჭუნა ლიპარიტ **ზემოსა ქვეყანასა** და აღიხუნა ციხენი" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ.303), "ლიპარიტ მოირჭუნა **ზემოსა კერძსა** დაუფლებად" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ.304), თუ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, ანუ **"ზემო ქვეყანას"** დაეუფლა ლიპარიტი, რაღა დარჩა მეფეს? მემატიანე პასუხობს: - "ხოლო ბაგრატ აქუნდა **ქვემოთი** დაწყობით" ("ქართლის ცხოვრება", I, გვ.304).

მაშასადამე, ლიხს ქვემოთა ქვეყანა, ანუ **"ქვემო საქართველო"** მეფეს დარჩა იმჟამად, მაგრამ შემდგომ ლიპარიტი დამარცხდა, ამიტომაც ბაგრატ IV "ეუფლა ზემოსა და ქვემოსა თავის მამულსა" (იქვე. გვ. 296), ამიტომაც, როდესაც ბაგრატ IV ოპიზისა და მიჯნაძორის მონასტერთა შორის დავის გადაჭრის შესახებ წერს - "შევკრიბენ ყოველთა ხევთა ზემოთა და ქვემოთა აზნაურნი", აქ "ზემოს" ქვეშ, როგორც აღინიშნა, აღმოსავლეთ საქართველო იგულისხმება, ხოლო "ქვემოთას" ქვეშ, დასავლეთ საქართველო. ასეთივე თვალსაზრისი არის გატარებული დავით აღმაშენებლის ანდერძშიც: მას თავის შვილისათვის, დემეტრესათვის, გადაუცია ორივე ქვეყნის საგანძურნი, კერძოდ კი - "მივეც საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქვემონი" ("ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი", 1984, გვ. 62). ე.ი. მეფეს ორი საჭურჭლე, ანუ საგანძური ჰქონია, ერთი ზემო ანუ აღმოსავლეთ საქართველოში, მეორე კი ქვემო, ანუ დასავლეთ საქართველოში.

ზემო და ქვემო, იმერი და ამერი მრავალ დოკუმენტში გვხვდება. ეს ეკლესიის ისტორიისათვის იმითაა საინტერესო, რომ, როგორც ითქვა, დასავლეთ საქართველოს ეკლესიას, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს, უცხოელები „ქვემო ივერიის საარქიეპისკოპოსოს" უწოდებდნენ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს "ზემო ივერიის საარქიეპისკოპოსოს" (ა. ჯაფარიძე. "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ტ.II, გვ. 89-96). აღნიშნული თვალსაზრისი საეკლესიო საბუთებშიც არის ასახული. მაგალითად, ანტონ კათალიკოსი თავის

თავს „ზემოისა საქართველოს პატრიარქს" უწოდებდა ("ქართული სამართლის ძეგლები", ტ.III, 1970, გვ. 965).

საქართველოს ნაწილებს ზემო და ქვემო უნდა დარქმეოდა არა X-XI საუკუნეების გაერთიანების ეპოქაში, არამედ უძველეს დროსვე. მაგალითად, ნ. ბერძენიშვილი ქართლის ცხოვრებაში დაცულ VII საუკუნის შესაბამისი ცნობის - „შეითქვეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი ზემონი და ქვემონი ("ქართლის ცხოვრება", I, გვ. 217), წერს: „გვაქვს საბუთი ვიფიქროთ „ზემონი"-ში იგულისხმებოდა ქართლის ერისთავები, „ქვემონი"-ში ეგრისის, არგვეთის და ეგრისწყალის ქვემოთი" (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, მასალები ისტორიული გეოგრაფიისათვის, 1990, გვ. 632).

ამ საბუთში „შეითქვნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი ზემონი და ქვემონი" ნათლად ჩანს, რომ ყოველი ქართლი იყოფა ორ გეოგრაფიულ ზემო და ქვემო ნაწილებად. ქვემო ქართლი ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოს, ხოლო ზემო ქართლი - აღმოსავლეთ საქართველოს. ეს თვალსაზრისი ჩვენს მატიანეებში გვხვდება წინა საუკუნეთა აღწერის დროსაც. მაგალითად, ფარსმან ქველის შვილიშვილმა ამაზასპმა ჩრდილო კავკასიელებთან ომის დროს მოუხმო ქვეყნის ორივე ნაწილის ერისთავებს - „მოვიდეს ერისთავნი აღმოსავალისანი, ერისთავი კახეთისა, ხუნანისა, სამშვილდისა, და ვიდრე მოსვლამდე დასავლეთისა ერისთავებისა მოვიდეს ოვსნი" ("ქართლის ცხოვრება", ტ.I, გვ.55). დასავლეთის ერისთავების ქვეშ რომ ნამდვილად იგულისხმება ეგრისისა და მიმდებარე ქვეყნების ერისთავები, ამის შესახებ იქვე გვამცნობს მემატიანე ამაზასპი, რადგანაც მან მრავალი წარჩინებული ამოწყვიტა, „ამისთვის მოიძულეს იგი ერმან ქართლისამან" (იქვე, გვ. 57). ამ მიზეზის გამო მას თურმე განუდგნენ დასავლეთის ერისთავები. მემატიანე წერს: „განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა" (იქვე, გვ. 57). კარგად ჩანს, რომ ქართლი I-II საუკუნეებში მოიცავდა აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოს, და ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად, იმჟამად დასავლეთის ერისთავები იყვნენ ეგრისის, ოძრხისა, კლარჯეთისა და წუნდის ერისთავები. კერძოდ კი ეგრისში ყოფილა ორი ერისთავი, ხოლო ეგრისის მოსახლეობა „ქართლის ერია" სხვა კუთხეთა მცხოვრებლებთან ერთად.

ჩვენი მატიანეების მიხედვით, ეგრისი თვითონ იყო შემქმნელი ზოგადეროვნული ქართული სახელმწიფოებრიობისა, კერძოდ, ჩამომყალიბებელი ყოველი ქართლის სახელმწიფოსი, ქრისტეს შობამდე IV-III საუკუნეებში მეფეების აზონისა და ფარნავაზის დროს. ჩვენი ყველა მატიანე, „ქართლის ცხოვრება" თუ „მოქცევა ქართლისა", ასევე ყველა სხვა საბუთი და წერილობითი ძეგლი დაბეჯითებით ღაღადებს, რომ ფარნავაზი ვერ შექმნიდა ყოველი ქართლის სამეფოს ეგრისის ერისთავის, ქუჯის მონაწილეობის გარაშე.

ფარნავაზის მიერ შექმნილ ქართლის სამეფოში შედიოდა დასავლეთი საქართველო ვიდრე მდინარე ეგრისწყლამდე. მდინარე ეგრისწყალი ყოფილა იმჟამინდელი ქართლის სამეფოსა და საბერძნეთის სახელმწიფოს შორის საზღვარი. მდინარე ეგრისწყლის (სავარაუდოდ, ეს არის მდინარე ღალიძგა) იქეთ მცხოვრები ქართველობა ვიდრე მდინარე ყუბანამდე (მდინარე მცირისა ხაზარეთისა) თავის სახელმწიფოებრივ საზღვრებში მოუქცევია „საბერძნეთს". ამიტომაც, ამ მხარის მოსახლეობა ვერ შესულა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. ხოლო მდინარე ეგრისწყლის აქეთ ფარნავაზ მეფეს დაუარსებია ადმინისტრაციული ერთეულები - ეგრისის საერისთავო და არგვეთის საერისთავო.

ფარნავაზამდე, „მოქცევაი ქართლისაის" სიტყვით, ალექსანდრე მაკედონელის დახმარებით ჩამოყალიბებულ ქართლის სამეფოში შედიოდა ეგრისი ვიდრე მდინარე ეგრისწყლამდე. „მოქცევა ქართლისას" შატბერდისეული რედაქცია წერს: „თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა ძე არიან ქართლისა მეფისა და მას მიუბოძა მცხეთაი საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთა ცროლისა" ("ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები", წიგნი I, 1964, გვ.81).

მაშასადამე, უძველესი ქართული მატიანის თანახმად (რომელსაც ხმარობდნენ და კითხულობდნენ სინას მთაზე მლოცველი ბერები VII-VIII-IX საუკუნეებში და იყენებდნენ მას საეკლესიო საკითხავად, რადგანაც წიგნს ერქვა „მოქცევაჲ ქართლისაჲ"), ეგრისი, ანუ დასავლეთი საქართველო იმთავითვე შედიოდა პირველი ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელსაც ქართლის სამეფო ერქვა. ამასვე ადასტურებს „ქართლის ცხოვრებაც".

აზონს ქვეყნის ორივე კუთხეში დაუმყარებია სასტიკი მმართველობა, ამიტომაც, ქუჯი წერდა ფარნავაზს „გამოვჩდეთ მტრად აზონისა, მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა, აწყუედილთა მისგან" (ქ. ც. I, გვ.22). ამ „ყოველთა ქართველთა" ქვეშ იგულისმება ეგრისის მოსახლეობაც, რადგან აზონს თავისი სისასტიკე ქვეყნის ორივე მხარეში გამოუმჟღავნებია. „ყოველთა ქართველთა" ქვეშ ეგრისის მოსახლეობაც იგულისხმებოდა და ეროვნული მთლიანობის განცდა იმჟამადაც ჩამოყალიბებული რომ იყო, ეს კარგად ჩანს ქუჯი ერისთავის სიტყვიდან ფარნავაზის მიმართ - „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი. აწ ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ სპანი და უკეთუ მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი" (ქ. ც. ტ. I, გვ.22).

ქუჯიმ მოუწოდა ფარნავაზს, რომ უპირველეს ყოვლისა ჩამოეყალიბებინათ ჯარი, სპა. იქვე, ეგრისშივე, შეკრიბეს ურიცხვი მხედრობა - „ეგრისით შეკრბეს ურიცხვნი სპანი", ამ სპას ეწოდება მხედარნი ქართლისანი „ფარნავაზს განემრავლნეს მხედარნი ქართლისანი" (იქვე. გვ. 23). ერთიან ქვეყანას, როგორც ითქვა, ერქვა ქართლის სამეფო, ანუ „ყოველი ქართლი". სატახტო ქალაქ არმაზიდან ფარნავაზ მეფე ხშირად სტუმრობდა ქვემო ივერიას, ქვემო ქართლს ე.ი. ეგრისს და კლარჯეთს - „ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი და განაგის ყოველი საქმე" (ქ.ც. I, გვ. 25). ამ ერთიან სახელმწიფოში ფარნავაზმა ბერძენთა დამარცხების შემდეგ „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და მან შექმნა მწიგნობრობაი ქართული" (იქვე. გვ.26). აქედან ჩანს, რომ ქრისტეს შობამდე IV-III საუკუნეებში საერთო ქართველური, ანუ ფუძექართული ენა ჯერ კიდევ მთლიანი იყო და მისგან არ იყო გამოყოფილი მეგრული და სვანური დიალექტები. ამიტომაც შეძლო მეფე ფარნავაზმა ამ ფუძექართული ენის ფიქსირება და მისი გამოცხადება სახელმწიფო ენად. ენობრივადაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა იდენტური რომ იყო აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან, მიგვითითებს სტრაბონის ცნობა. სტრაბონი საუბრობს სვანების ტომის შესახებ, რომლებიც დიოსკურიასთან ცხოვრობდნენ და წერს, რომ ეს სვანები დიდი ხალხია, მრავალრიცხოვანი, შეუძლიათ ორასი ათასი მებრძოლის გამოყვანა და მათ „ზოგიერთები უწოდებენ აგრეთვე იბერიელებს" (სტრაბონი, XI, II, 18), ცხადია, იმ "ზოგიერთების" ქვეშ, რომლებიც სვანებს იბერიელებს უწოდებდნენ, მოიაზრება არა შემთხვევითი ადამიანები, არამედ სტრაბონისათვის ავტორიტეტული გეოგრაფოსები, ისტორიკოსები, ასევე სვანების ტომის თვითმხილველები. მათი განცხადება, რომ სვანები იგივე იბერები არიან, იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ საერთო ქართველური ენა ამ 2000 წლის წინ, სტრაბონის ეპოქაში, ცხადია, ნაკლებ დიფერენცირებული იყო და ჯერ კიდევ საერთო იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის. როგორც ვთქვით, ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული სტრაბონამდე სამასი წლით ადრე მცხოვრები მეფე ფარნავაზის მიერ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ სტრაბონი სიტყვა იბერიას ახსენებს სწორედ დასავლეთ საქართველოს აღწერის დროს. კერძოდ, ის წერს, რომ სვანების ტომის ქვეყანაში მთის მდინარეებს ჩამოაქვთ ოქროს მარცვლები, რომელთაც აგროვებენ ტყავგადაკრული ფაცერებით. მსგავსადვე აგროვებენ ოქროს მარცვლებს უფრო ძველ იბერიაში, ნამდვილ იბერიაში, რომელიც ევროპის დასავლეთითაა (იგულისხმება ესპანეთი) და რადგანაც იქაც და სვანების ქვეყანაშიც ოქროს მსგავსი, ერთნაირი წესით აგროვებდნენ, ამიტომაც აღმოსავლეთის ამ ქვეყანასაც, დასავლეთის მსგავსად, იბერია ეწოდა. მაშასადამე, სტრაბონისათვის სვანების ქვეყანა, ანუ ოქროს მარცვლის ჩამომტანი

მდინარეების მხარე იბერიაა და აღმოსავლეთ საქართველოსაც იბერია ეწოდება. ასე, რომ სტრაბონისთვისაც დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთთან ერთად გარკვეულ მთლიანობას შეადგენს. სტრაბონის რუსულ თარგმანში ნათქვამია:

„В их стране, как передают, горные потоки приносят золото, и варвары ловят его решетами и косматыми шкурами. Отсюда, говорят, и возник миф о золотом руне. Некоторые называют их также иберийцами одинакого с западными - от золотых россыпей, находящихся в обеих странах. Соани применяют для наконечников стгел яд" (სტრაბონი, XI, II, 19). აქედან ჩანს, რომ ოქროს საწმისის ქვეყანა სტაბონისათვის იბერიაა, ხოლო მოსახლეობა იბერებად იწოდება.

მაშასადამე, კოლხეთი, ანუ დასავლეთ საქართველო ნამდვილად უძველესი დროიდანვე იბერიად, ანუ ქვემო იბერიად, იწოდებოდა. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ სტრაბონის აღწერით კოლხეთში მრავალი ტომი ცხოვრობს, მათ შორის მესხებიც. ცენტრალურ კოლხეთს სტრაბონი პირდაპირ უწოდებს მოსხების ქვეყანას, სადაც კოლხების ყველაზე უმთავრესი სამლოცველო იმყოფებოდა. - Страна мосхов, в которой находится святилище (სტრაბონი, XI, II, 18).

საერთოდ, სტრაბონის სიტყვით, მის დროს კოლხიდის დიდი ნაწილი ზღვის პირზე იყო განლაგებული (სტრაბონი, XI, II, 17). ის წერს, რომ კავკასიის სხვადასხვა ტომებს უჭირავთ კავკასიის ძალზე უმნიშვნელო მიწა, ხოლო ალბანელებსა და იბერიელებს - უმეტესი. „Прочие народы, живущие около Кавказа, занимають скудние и незначительные пространства земли, напротив Албанийских и Иберийских племен, которые как раз занимают большую часть" (სტრაბონი, XI, II, 19).

სტრაბონამდე კიდევ უფრო ადრე, ალბათ ფარნავაზის დროს, ქართლის სამეფოში, ანუ იბერიაში, შედიოდა პარიადრეს, ხორძენესა და გოგარენეს პროვინციები, რომელნიც სტრაბონის სიტყვით, სომხებს წაურთმევიათ იბერიელებისათვის. სტრაბონისავე ცნობით, ამ მხარეებში მცხოვრები ხალხები ივიწყებდნენ მშობლიურ (ქართულ ენას) და იწყებოდა მათი არმენიზაცია, გასომხება. სტრაბონი წერდა: "Поэтому все эти народности теперь говорят на одном языке" (სტრაბონი XIV, II, 5). მაშასადამე, სტრაბონის ცნობით, იბერიელები კავკასიის უდიდესი ხალხი იყო. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ სვანები და დასავლეთ საქართველოს სხვა ტომებიც.

სტრაბონის ეს ცნობა ჩვენ გვეხმარება გავიგოთ ფარნავაზის მიმართ ნათქვამი ქუჯი ერისთავის სიტყვები: "შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი" ("ქართლის ცხოვრება", I, 22). თუ არა ეთნიკური მთლიანობა, სხვაგვარად შეუძლებელი არის გაგება იმისა, თუ რატომ უნდა ეწოდებინა დასავლეთ საქართველოს ფაქტიურ ლიდერს, რომელსაც უნარი შესწევდა თავის ქვეყანაში სპის შეკრებისა, ერთი მცხეთელი ჭაბუკისათვის, რომელმაც შემთხვევით განძი იპოვა - "უფალი". ქუჯის შეეძლო განძი წაერთმია კიდეც ფარნავაზისათვის და დაეპატიმრებინა, მაგრამ ჩვენი აზრით, სტრაბონი გვიხსნის ქუჯისა და ფარნავაზის ურთიერთობის აღნიშნულ მიზეზს. კერძოდ, სტრაბონი წერს, რომ იბერთა ქვეყანაში ხალხი დაყოფილია ოთხ ფენად. ერთ უმთავრეს ხარისხს შეადგენს ყველაზე უფროსები, ანუ ძველი ქართულით რომ ვთქვათ "უფლები", "უფალნი". მათი რიგებიდან, სტრაბონისავე ცნობით, ირჩევდნენ მეფეებს ნათესაობისა და ასაკის უფროსობის მიხედვით. ამასთანავე, ამავე უფალთაგან ირჩევდნენ მეფის შემდგომ მეორე პირს, რომელიც იყო უმაღლესი მსაჯული და მხედართმთავარი. მეორე ფენის, ანუ ხარისხის ადამიანებისაგან ირჩევდნენ ქურუმებს, რომელთაც ამასთანავე ევალებოდათ მეზობელთა შორის ურთიერთობების მოგვარებაც (სტრაბონი, XI, III, 6.).

ქართლის ცხოვრებიდან ჩანს, რომ ფარნავაზი იყო არა უბრალო ჭაბუკი, არამედ სტრაბონისეული უფალთა ფენის გამორჩეული წევრი, რომელთაგანაც ირჩევდნენ მეფეებს ნათესაობის ხარისხისა და ასაკის მიხედვით. ქუჯიც ჩანს იბერიელთა ამ უფალთა ფენის წევრია. ე.ი. ქუჯი და ფარნავაზი ერთი წრის, ანუ ერთი სამეფო დინასტიის უმაღლესი წევრები არიან. მათ

შორის უფროსი უნდა გაირკვეს შესაბამისი არსებული წესის მიხედვით. კერძოდ, მათ შორის უპირატესი იქნება ის, რომელიც უფროსი არის ნათესაობის ხარისხისა და ასაკის მიხედვით.

როგორც ჩანს, ქუჯისა და ფარნავაზს შორის ნათესაობის ხარისხის მიხედვით და, შესაძლოა ასაკითაც, ფარნავაზი უპირატესი იყო, ამიტომაც უთხრა მას ქუჯიმ - "შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა (ე.ი. უფალთა წრის წევრი), შენ გმართებს უფლობა ჩემი (ე.ი. ნათესაობის ხარისხით უმეტესობის გამო), შენ ხარ უფალი ჩუენი (ე.ი. სამეფო ტახტი შენ გეკუთვნის ამ წესების შესაბამისად) და მე ვარ მონა შენი (ანუ მე უფრო დაბალ საფეხურზე ვდგავარ "უფალთა წრეში" შენთან შედარებით). სტრაბონი გვიხსნის პირველი ერთიანი საქართველოს "ივერიის" სახელმწიფოს ჩამოყალიბების სურათს.

კოლხეთსა და იბერიაში, რომ ნამდვილად ერთი სამეფო დინასტია მეფობდა, ამის შესახებ ტაციტუსიც (50-117) გვაძლევს შესაბამის ცნობას - პართელებთან იბერების ბრძოლის აღწერისას ტაციტუსი საუბრობს მეფე ფარსმანის შესახებ. ეხება იბერიის სამეფო დინასტიისა და იბერების წარმოშობის საკითხს. ტაციტუსისათვის იბერების სამეფო დინასტია კოლხებშია ჩამოყალიბებული და ამიტომ კოლხეთი იბერიის დინასტიური მთავრობის ქვეშ იმყოფება. საერთოდ კი, მისი აზრით, იბერები კოლხებისაგან წარმოიქმნენ კოლხებში იასონის გამეფების შემდეგ.

ძველი ბერძენი ავტორების დიდი ნაწილის თვალსაზრისით, კოლხები, იბერები და საერთოდ კავკასიის მოსახლეობა ერთგვარი, მონათესავე ბალკანურ-თესალიური წარმოშობის ხალხია და შთამომავლები არიან არგონავტებისა. ტაციტუსი კერძოდ წერს: "იბერები და ალბანელები ამბობენ, რომ თესალიელებისაგან არიან წარმოშობილნი იმ დროს, როცა იასონი მედეას წაყვანის შემდეგ უკან დაბრუნდა აიეტის ცარიელ სასახლესა და თავისუფალ კოლხებში" (ტაციტუსი, ანალები, 6, 34). მისი აზრით, კოლხები არგონავტების შთამომავლები არიან, იბერები და ალბანელები მათგან წარმოიშვნენ. ერთი სიტყვით, ტაციტუსისთვის იბერები და კოლხები ერთი ეთნოსია და იბერები კოლხებს ეწოდათ შემდგომ საუკუნეებში. მისი აზრით, იბერების წარმოშობისა და მათი ეთნოგრაფიული ჩვევების წყარო კოლხებია.

აღსანიშნავია, რომ ტაციტუსის ეს მოსაზრება თითქმის ეთანადება ძველი ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრის, რომლის მიხედვითაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთი ეთნოსია და შთამომავალი არის "არიან - ქართველებისა". მაგალითად, "მოქცევაი ქართლისაის" თანახმად, სამხრეთში მდებარეობდა ქვეყანა არიან-ქართლი, რომლიდანაც მეფის ძე აზონის მიერ გამოყვანილი მოსახლეობა თანაბრად დასახლდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ამიტომაც, აზონის მიერ შექმნილი სახელმწიფოს საზღვარი გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე (ძეგლ. I, 1964, გვ. 81). როგორც ვიცით, მდინარე ეგრისწყალი ამჟამად გაედინება აფხაზეთში. მაშასადამე, აზონის მიერ შექმნილ სახელმწიფოში, ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეში, აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად შედიოდა დასავლეთ საქართველოს უმეტესი ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ ქართველი საეკლესიო მამების თვალსაზრისით, კერძოდ კი დავით აღმაშენებლის მოძღვრის არსენ ბერის სიტყვით, ამ სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის, ანუ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხალხის ენა იყო ერთი ენა "არიან-ქართველთა" ენა. არსენ ბერი წერდა: "ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაჲ მათი ვუწყით" (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ.III, გვ. 47). აქედან ჩანს, რომ ძველ ქართველ ავტორთა თანახმადაც, ქართველთა ეროვნულ-ეთნიკური ცნობიერება ჩამოყალიბებული იყო უკვე სამხრეთით მდებარე ქვეყანაში არიან-ქართლში და ამ ხალხის ენა, ანუ არიან-ქართველთა ენა შემდგომ გადაიქცა ქართლის სამეფოს ანუ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის სახელმწიფო კულტურისა და საეკლესიო ენად.

სად მდებარეობდა ქვეყანა არიან-ქართლი? სხვადასხვა მოსაზრება არის გამოთქმული ამ საკითხის შესახებ. ტაციტუსისა და სხვა ბერძენ-რომაელი მწერლის ცნობებზე დაყრდნობით, ჩვენ ალბათ შეიძლება ვთქვათ, რომ "არიან-ქართლი" მდებარეობდა ისტორიულ კოლხეთში, რომელსაც

შემდგომ ლაზიკასაც უწოდებდნენ, კერძოდ კი თანამედროვე ტრაპიზონის ოლქში. როგორც ვიცით, ამ ვრცელ ქვეყანას ძველი ქართული წყაროები უწოდებდნენ ასევე "სოფელი მეგრელთა".

მოსაზრება ტრაპიზონის მიმდებარე ქვეყანაში (ანუ ისტორიულ ქალდეაში) რომ მდებარეობდა "არიან - ქართლი", მიგვითითებს ის ფაქტი, რომ პონტოს სამეფოს მითრიდატების დინასტიის დამფუძნებელი სპარსეთის მეფის დარიოს III სატრაპი მითრიდატე, რომელიც ამ აღნიშნულ მხარეებს, ანუ ისტორიულ ქალდეას განაგებდა, იწოდებოდა "კიოსისა და არინას" მეფედ (ნარკვ. I, 1970, გვ. 442).

ისტორიული გეოგრაფიის უდიდესი მცოდნის ნ. ადონცის ცნობით, არიანა მდებარეობდა ტრაპიზონის ოლქში, კერძოდ ის წერს, რომ თანამედროვე სიურმენას, რომელიც მდებარეობს შავიზღვისპირზე ტრაპეზუნტის მარჯვნივ, უფრო ადრე ერქვა სუსარმია, ხოლო თავდაპირველი მისი სახელი არის „არიანა" (გეორგიკა, I, 1961, გვ. 177). მაშასადამე, არიანა ტრაპეზუნტის ოლქშია.

მითრიდატების სამფლობელო სწორედ ამ მხარეებში იყო. ძველი სომხური ისტორიოგრაფიის თანახმად, ამ დინასტიას მიეკუთვნებოდა ძველი ქართული სამეფო დინასტიაც. მაგალითად: მოვსეს ხორენაცი წერს: "ქართველთა დიდი პიტიახში ნაშიერი იყო დარეჰის ნახარარის მიჰრდატისა, რომელიც ალექსანდრემ ვერიელთა ქვეყნიდან მოყვანილი ხალხის ხელისუფლად დაადგინა" (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 111).

ხორენაცის თანახმადაც, ქართველთა თავდაპირველი ქვეყანა იყო "ვერია" ანუ ივერია. ის მდებარეობდა პონტოს ზღვისპირეთის სამხრეთით, მისი მეფე იყო მითრიდატების დინასტიიდან და მას ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში ივერიელი, ანუ ქართველი ხალხის ნაწილი წამოუყვანია ჩრდილოეთით და კვლავ პონტოსპირეთში, ანუ დასავლეთ საქართველოში დაუსახლებია. ეს ხალხი დასავლეთ საქართველოში გამრავლებულა ხორენაცის სიტყვით და გამრავლების შედეგად, თანდათანობით, დასახლებულა სომხეთამდე და ალბანეთამდე.

"არიანა" რომ ეწოდებოდა ტრაპიზონის მიმდებარე მხარეებს, კერძოდ კი მცირე კაბადოკიას, ამის შესახებ ჩვენ ცნობას გვაძლევს კონსტანტინე პორფიროგენეტი. მისი ცნობით, რომაელების გაძლიერებამდე პონტო-კაპადოკიას მეფე იყო არიარათე. მისი სახელი ასევე ეწოდა ტბას და ამ ტბას წინათ ბარბაროსები თავიანთ ენაზე უწოდებდნენ "კარატია". კარატია, ანუ არიარათეს ქვეყანა, რომელიც მცირე კაბადოკიის თემად გამოცხადებულა X საუკუნეში, კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით, იულიუს კეისრის ეპოქაში დასახლებული იყო კაბადოკიელთა პირველ წინაპარ მოსოხისაგან (გეორგიკა, IV, 2, 1952, გვ. 299).

მაშასადამე, როგორც ბერძენი, ლათინი, სომეხი, ასევე ძველი ქართველი მეისტორიენი ერთხმად გადმოგვცემენ: ქართველთა ეროვნულ-ეთნიკური ერთობა უკვე ჩამოყალიბებული იყო ქრისტეშობამდე საუკუნეებით ადრე. მათ სამხრეთშიც ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფო, ისტორიული ქალდეას, ანუ ლაზიკის ქვეყანაში, საიდანაც მათი ერთი ნაწილი, უფრო კი სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრები წანაცვლებულა უფრო ჩრდილოეთით, თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც მათ სახელმწიფო მკვიდრ ადგილობრივ ქართველობასთან ერთად დაუარსებიათ, რომელსაც ძველი ქვეყნის მსგავსად ქართლი, ანუ იბერია ეწოდა.

არიან-ქართველთა მეფეს იარედოსი ერქვა ძველი ქართული წყაროს მიხედვით. შესაძლოა, სიტყვა იარედოსი იყოს ნაშთი სიტყვისა მითრიდატე. ორივე სიტყვაში ჩვენ გვხვდება ფუძისეული "რედ" და "რიდ". როგორც ითქვა, მითრიდატე ყოფილა პირველი წინაპარი ძვ. ქართველი დინასტიის მითრიდატიანების, (შესაძლოა სიტყვა მითრიდატეს ნაშთად ძველ გაცრეცილ ხელნაწერებში დარჩა "ითრიდ". რადგანაც ასომთავრული "თ" და "ა" ერთმანეთს ემსგავსება, ხელნაწერის დაძველების შემდგომ, ალბათ, "ითრიდ" წაიკითხეს "იარედ" და მისგან მიიღეს სიტყვა "იარედოსი", აზონის მამის სახელი ("ქართლის ცხოვრება", I, გვ. 18). ქართველთა სამეფო დინასტიას მითრიდატიანებად მიიჩნევდა სომხური ისტორიოგრაფია, მითრიდატიანები პონტო-კაპადოკიის მეფეები იყვნენ,

ქუჯი ერისთავი, ისევე როგორც ფარნავაზი, ამავე დინასტიის, ძველი ქართულით "უფალთა" წრის წევრი უნდა ყოფილიყო, ამიტომაც, პოლიტიკური თვალსაზრისით, ის მზადაა დაექვემდებაროს თავის დინასტიურ "უფალს" - ფარნავაზს, კოლხურ-ქალდეური (ე.ი. არიან-ქართული) უფალთა წრიდან უნდა ამოზრდილიყო შემდეგში ფარნავაზის მრავალი უფლებრივი უპირატესობა.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

იბერთა არმენიზაცია, სომხური საეკლესიო უღლისაგან გათავისუფლება და ქართული წელთაღრიცხვს დაწყება „ზემო ქვეყნებში"

("ზემონი ქვეყანანი")

ქრისტეშობამდე, დაახლოებით VI-V საუკუნეებისათვის, ურარტუს ნანგრევები გადალეკა სომხური მოსახლეობის ტალღამ ხმელთშიაზღვის მხრიდან. ის ქრისტეშობამდე მე-4 საუკუნისათვის მიადგა არიან-ქართლსაც ანუ ტერიტორიას არაქსის ხეობიდან კლარჯეთამდე.

სტრაბონის ცნობით ძვ. წ. მე-2 საუკუნეში გაძლიერებულმა არმენიის სახელმწიფომ მიიტაცა იბერიის მხარეები - ხორძენა, გოგარენა და პარიადრეს კალთები. იბერიული მიწების მიტაცების ეს პროცესი შემდგომაც გაგრძელდა, საბოლოოდ ტაო და ბასიანიც სომხეთში აღმოჩნდნენ.

იქაური იბერები (ანუ ქართველები) არაქსიდან კლარჯეთამდე აღმოჩნდნენ სომხეთის სახელმწიფოში, დაიწყო მათი არმენიზაცია, რომელიც უფრო გაღრმავდა სომხეთში ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ.

სომხეთის მკვიდრი ქართველობა სომხური ეკლესიის მრევლად გადაიქცა, სომხურენოვანი წირვა-ლოცვით, ისინი მხოლოდ თავიანთ ოჯახებში ახერხებდნენ ქართულად საუბარს.

იქაურმა უკვე თითქმის არმენიზებულმა ქართველებმა მხოლოდ საქართველოს საზღვრებთან ახლოს, განსაკუთრებიით კი ტაოში, შეძლო ვინაობის ანუ ქართული თვითშემეცნების შენარჩუნება, ისინი წუხდნენ ქართული ენის „დამდაბლებისა" და „დაწუნების" გამო იმ უცხო სახელმწიფოში, რომელიც სინამდვილესი მათი მამაპაპეული სამკვიდრებელი იყო.

სომხეთის ქართველთა ანუ ტაო-ბასიან-კარინ-ვანანდის ქართველობამ მხოლოდ არაბთა მიერ სომხეთის დასუსტებს შემდეგ, მე-8 საუკუნის ბოლოს შეძლო თავი დაეხსნა სომხური ეკლესიის უღლისაგან.

ბიზანტიელთა დასუსტებით გამხნევებულმა სომხებმა 726 წლს მანასკერტის კრების შემდეგ სომხურ სარწმუნოებად კვლავ მონოფიზიტობა აღადგინეს (ერთი საუკუნით ადრე, მე-7 საუკუნის 20-იან წლებში, სპრსელებთან გამარჯვებულმა იმპერატორმა ჰერაკლემ სომხურ ეკლესია აიძულა ქალკედონიტობა ეღიარებიანა, არაბთა მიერ ბიზანტიელთა უკუქცევის შემდეგ, როგორც ითქვა, სომხურმა ეკლესიამ მე-8 საუკუნის ოციან წლებში კვლავ მონოფიზიტობა დაასახელა ყოველთა სომეხთა სავალდებულო აღმსარებლობად).

ამით ისარგებლეს ტაო-ბასიანელმა და სხვა იქაურ მხარეთა ქართველობამ და 780 წლის ტაოს საეკლესიო კრებაზე ქალკედონიტობას მტკიცედ დაუჭირეს მხარი, ამასთანავე საეკლესიო ღვთისმსახურებაში აკრძალეს სომხური ენა და ეკლესიებში აღიდგინეს ქართულენოვნი მსახურება. **ეს წელი ქართული წელთაღრიცხის პირველ წლად გამოაცხადდა.** ამ კრების

სარწმუნოებრივ საფუძვლად იქცა ფაქტი იმისა რომ სომხეთის ქართული მოსახლეობის უმრავლესობა ქალკედონიტობას უჭერდა მხარს.

ამ საეკლესიო თავდადებამ იქაურ ქართველებს მისცა ნებისყოფა დაეარსებიანათ თავიანთი სამეფო, მას „ტაოს" სამეფო ანდა „ქართველთა სამეფო" ეწოდება. მალევე ქართველთა სამეფოსა და აფხაზთა სამეფოს გაერთიანებამ ერთი სკიპტრის ქვეშ, საფუძველი დაუდო ფარნავაზის ოდინდელი სამეფოს რესტავრაციას, კვლავ ჩამოყალიბდა ერთიანი საქართელოს სამეფო მე-11 საუკუნეში. ის გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან თითმქმის კასპიის ზღვამდე. მის სამხრეთ ნაწილს წარმოადგენდა ზემოთაღნიშნული ტაო-ბასიანის რეგიონი, რომელსაც ბერძნულ წყაროებში იბერია, „ზემო" ანდა „აღმოსავლეთის ქვეყნები" ეწოდებოდა. ძველ ქართულ წყაროებში, სახელი "ზემო ქვეყანანი" საკმაოდ ხშირად გვხვდება. ის აღნიშნავდა როგორც წესი ტაოს მიმდებარე მხარეებს. ასევე ამ წყაროებში ჩვენ გვხვდება ტერმინი "ზენა სოფელი".

საფიქრებელია, რომ "ზენა სოფელი" და "ზემონი ქვეყანანი" აღნიშნავდნენ სხვადასხვა რეგიონებს. „ზემონი ქვეყანანი" იყო პერსარმენიის ერთერთი ჩრდილო დასავლეთ რეგიონი, ყოფილი არიან-ქართლის ნაწილი, დასახლებული უმეტესად არმენიზებული ანდა ნაწილობრივ არმენიზებული იბერებით, ასევე იმ იბერებით, რომელთაც შეძლეს ქართული ანუ იბერიული იდენტობის შენარჩუნება, ამიტომაც ამ უვრცელეს რეგიონს, ზოგჯერ „ქართლს" უწოდებდნენ, როგორც ითქვა ის იყო ყოფილი არიან-ქართლის ნაწილი, ხოლო „ზენა სოფელი" აღმოსავლეთ საქართველოს და მის მიმდებარე მხარეებსაც ერქვა ("ზენა სოფელი" რომელი არს ქართლი").

ბიზანტიას თავისი დიდი ინტერესები ჰქონდა აღნიშნული "ზემო ქვეყანათა" მიმართ. უფრო მეტიც ბიზანტიას ის საკუთარ მიწაწყლად მიაჩნდა, რადგანაც ის ბრძოლით მოიპოვა არაბთაგან.

თუ კონკრეტულად რომელია „ზემონი ქვეყანანი", ეს ჩანს იმ მიწების ჩამონათვალიდან, რომელიც ბიზანტიამ დროებით გადასცა სამართავად ტაოს მეფე დავით კურაპალატს. ესენი იყვნენ სამხრეთ ტაო და მისი მიმდებარე მიწა წყალი ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე.

მემატეანე წერს - "მაშინ მოსცნეს მეუფემან ბრძენთამან ზემო ქვეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რათა თავის სიცოცხლეში აქუნდეს და აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვა დავით კურაპალატისაგან და მისცა მძევალი უფლისწულნი" (ქართლის ცხოვრება ტომი I 1955 წელი. გვ. 273).

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს თვით საქართველოშივე დამკვიდრებული აზრით „ზემო ქვეყნები" იმჟამად ეკუთვნოდა ბიზანტიის იმპერიას.

ბიზანტიის იმპერიამ, როგორც ცნობილია პრეტენზია განაცხადა და საკუთარ ისტორიულ ტერიტორიად მიიჩნია არაბთა მიერ დაპყრობილი მიწა-წყალი აზრუმიდან ვანის ტბის მიმართულებით" რადგანაც არაბებამდე ეს ტერიტორიები ბიზანტიელებს ეჭირათ. მართლაც, VII-VIII საუკუნეებში არაბებმა აქედან გააძევეს ბიზანტიელები.

X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში, მას შემდეგ რაც არაბთა ძლიერება შესუსტდა, ბიზანტიამ კვლავ განაცხადა პრეტენზია ამ მიწა წყალზე.

„ზემო ქვეყნების" ადგილობრივ მოსახლეობაში IX-X საუკუნეებში მიმდინარეობდა იბერთა თვითგამორკვევის დიდი პროცესი.

„ზემო ქვეყნების" მრევლი ორ ნაწილად გაიყო აღმსარებლობითი ნიშნის მიხედვით. ქალკედონიტობას მხარს უჭერდა „ზემო ქვეყნების" ეთნიკურად ქართული მოსახლეობა, ხოლო სომხური მოსახლეობა მხარს მონოფიზიტობას უჭერდა.

როგორც ითქვა, „ზემო ქვეყნები" ფაქტობრივად წარმოადგენდა ისტორიული არიან-ქართლის მიწა-წყალს, ამის გამო აქ მკვიდრობდა ეთნიკურად ქართული მოსახლეობა ძალზე დიდი რაოდენობით.

როგორც ითქვა, სტრაბონის მიერ აღწერილი პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენა აქ მდებარეობდა.

აღნიშნული ქვეყნების ერთ-ერთ ძირითად ნაწილს შეადგენდა სამხრეთ ტაო და ისტორიული ხორეძენე.

როგორც აღინიშნა, სტრაბონის ცნობით, პარიადრეს მთისწინეთი, ხორეძენე და გოგარენა იყო იბერებით დასახლებული მიწა-წყალი, რომელიც ქრ. შობამდე II საუკუნეში არმენიელებმა წაართვეს იბერებს, ამის შემდგომ ეს ქართული ქვეყნები მოექცა არმენიის სახელმწიფოს შემადგენლობაში, და ბუნებრივია აქ დაიწყო ქართველობის არმენიზაციის პროცესი. ამ მიწა-წყალზე (ვანის ტბიდან ტაოს ჩათვლით გადაშლილ ტერიტორიაზე) იბერთა არმენიზაციის პროცესს გარკვეულწილად აფერხებდა საკმაოდ ხშირი ფაქტები იმისა, რომ მცხეთის იბერიის ხელისუფლება ზოგჯერ თავის პოზიციებს იმყარებდა ქართველთა ყოფილ ან მხარეებში, ანუ ყოფილ არიან-ქართლში, რომელიც შემდეგ პერსარმენიის ნაწილად იქცა.

მაგალითად, ქრისტეშობის ეპოქაში I-II საუკუნეებში როგორც ცნობილია, იბერიის სახელმწიფომ პართიელებისგან დაიცვა არმენია და რომაელთა ნებით მცხეთის იბერიის სამეფო სახლი მართავდა არმენიას, მაშასადამე პარიადრეს კალთებში ხორეძენე და გოგარენა კვლავ ქართველთა მმართველობის ქვეშ მოექცა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველთა (იბერთა) არმენიზაციის პროცესი ამ მხარეებში შედარებით შენელებული იყო. სომხეთის გაქრისტიანებამ სომხეთში მოქცეულ ამ ქართულ მხარეთა არმენიზაციის პროცესი უფრო ინტენსიური გახადა.

მიზეზი ამისა იყო ის, რომ ისტორიული ხორეძენე იმ თავითვე IV საუკუნიდანვე მოექცა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში სხვა ქართულ მხარეებთან ერთად.

მიუხედავად ამისა, ზოგადად „ზემო ქვეყნების" მკვიდრი იბერიული ანუ ქართული მოსახლეობის ერთმა ნაწილმა შეძლო ეთნიკურ-ეროვნული იდენტურობის შენარჩუნება, განსაკუთრებით ბასიანის, ტაოსა და არზრუმის ქვეყნებში, ასევე, ნაწილობრივ კარის (ყარსის), სპერისა და მიმდენარე პროვინციებში. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა VIII საუკუნეში ამ რეგიონში ქალკედონიტებისა და მონოფიზიტების დაპირისპირებისას.

726 წლის მანესკერტის საეკლესიო კრებამ სათავე დაუდო ზემო ქვეყნების ანუ აღმოსავლეთის ქართველების ეროვნულ გაღვიძებას.

ამ კრებაზე, როგორც ცნობილია, სომხური ეკლესია საბოლოოდ მიემხრო მონოფიზიტურ მიმართულებას, დაიწყო სომხური ეკლესიის ნაციონალიზაცია.

ეთნიკური სომხები მთლიანად მიემხრნენ თვიანთ უკვე ეროვნულ ნაციონალურ მონოფიზიტურ ეკლესიას, ხოლო ზემო ქვეყნების იბერიელები ცდილობდნენ მათგან გამიჯვნას, უარს ამბობდნენ სომხურ-ნაციონალური ეკლესიის იურისდიქციაზე, ცდილობდნენ საკუთარი საეკლესიო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას.

ასეთი ჭიდილის დროს ქართველებმა შეძლეს თავი დაეხსნათ სომხური ეკლესიის იურისდიქციისაგან.

ტაოში, ბაისანში, არზრუმსა და მიმდებარე მხარეებში მცხოვრებმა ქართველებმა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცხოვრობდნენ ბიზანტიის მიწა-წყალზე ეკლესიური გაერთიანება ინებეს არა ბიზანტიურ, არამედ ქართულ ეკლესიასთან.

ამის მიზეზი იყო მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკურ-ეროვნული ლტოლვა. მათ გარდა „ზემო ქვეყნებში" ცხოვრობდა უამრავი ქართველი, რომლებიც კულტურულად და ენობრივად უკვე არმენიზირებულები იყვნენ. მათ უარი განაცხადეს შესულიყვნენ მონოფიზიტური ეკლესიის წიაღში და შეადგინეს ე.წ. „სომხური ქალკედონიტური" ფრთა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიისა.

ე.წ. „სომეხი ქალკედონიტების" უმეტესი ნაწილი იყვნენ არა ეთნიკური სომხები არამედ ამ მხარეთა მკვიდრი არმენიზებული იბერები, სომხური განათლებითა და კულტურით. ისინი იყვნენ სომხურენოვანნი, იცოდნენ სომხური ენა. როგორც ვთქვით, ამ არმენიზებული იბერიელების ქვეყანა (სტრაბონის ცნობით პარიადრე, ხორეძენე და გოგარენა) მიიტაცა არმენიის სახელმწიფომ,

რამაც საფუძველი დაუდო აქაურ იბერიელთა არმენიზაციას, მათგან განსხვავებით, ტაო-ბასიან-ვანანდ-კარინის იბერთა ნაწილმა შეძლო აერიდებინა საბოლოო არმენიზაცა და დაუბრუნდა ეროვნულ - ქართული ეკლესიის წიაღს, შეინარჩუნა იბერიული იდენტობა.

როგორც ვთქვით ისინი იყვნენ ისტორიული არიან-ქართლის მკვიდრი მოსახლეობა, რომელთა არმენიზაციაც დაიწყო ქრ. შობამდე II საუკუნეში და მეტნაკლები წარმატებით გრძელდებოდა 726 წლის მანასკერტის საეკლესიო კრებამდე. მთელი 500-700 წელი გრძელდებოდა მათი ინტენსიური არმენიზაცია. მაგრამ ეს დრო შუა საუკუნეებისათვის დიდი დრო არ არის და ხალხის ერთმა ნაწილმა შეძლო თავისი იდენტობის შენარჩუნება. ტაოს (და ყოფილი არიან-ქართლის სხავა მიწების) იბერიულმა მოსახლეობამ, უმძიმესი წარსულის შემდგომ, კვლავ შეძლო აღედგინა თავისი ქართულ-ეროვნული ვინაობა. იქ შემდგარი 780 წლის საეკლესიო კრების შემდეგ ამ მხარეებში დაიწყო აღორძინება უბრწყინვალესმა ქართულმა საეკლესიო კულტურამ და შემდგომ ეროვნულმა ქართულმა სახელმწიფოებრიობამ, ამიტომაც ეს წელი დაედო საფუძვლად ქართულ წელთაღრიცხვას.

780 წლის კრების მამებს, სხვა მონაცემთა შორის, ჩანს, გამოუყენებიათ მე-6 საუკუნის იტალიელი სწავლული ბერის დიონისე მცირეს მიერ მოძიებული 532 წლიანი ციკლი, რომელიც მზისა და მთვარის 28 და 19 წლიანი მოქცევების ნამრავლს წარმოადგენს. ცნობილია, რომ ყოველ 28 წელიწადში კვირათა და თვეთა დღეები ერთმანეთს ემთხვევა, მას მზის სრული წრე ეწოდება, ხოლო მთვარის ფაზები ყოველ 19 წელიწადში თვეების ერთსა და იმავე რიცხვევზე მოდის.

„ყოველ 532 წელიწადში თვეების, კვირეების და მთვარის ფაზები ზუსტად ერთსა და იმავე დღეებზე მოდის, ე.ი კვირის დღე და თვის რიცხვი ემთხვევა მთვარის ფაზას. ამგვარი გადაწყვეტილება აადვილებს საეკლესიო დღესასწაულების გამოანგარიშებას, რადგან ზოგი მათგანი მზის წრის მიხედვით განისაზღვრება, მაგალითად შობა, ზოგი კი - მთვარის წრის მიხედვით, მაგალითად აღდგომა, ამიტომ შობა მუდმივია, აღდგომა კი მოძრავი”. http://ucnauri.com/180622

ტაოს საეკლესიო კრებამ დააკანონა დიონისე მცირეს მიერ შემოთავაზებული 532 წლიანი მოქცევა, და მისი (ამ კრების) მოწვევის 780 წელი დაედო საფუძვლად ქართულ წელთაღრიცხვას.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია

Სად მდებარეობდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის სამიტროპოლიტო? XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით, ეს საკითხი თითქოსდა გარკვეული იყო, რაც ასახულია მრავალ გამოკვლევაში. აღიარებული აზრით, ის დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა, მაგრამ უპირველესი წყაროს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხების, ე.წ. ნოტიციების მონაცემები არ ეთანხმება ამ თვალსაზრისს. კერძოდ, ნოტიციების უმრავლეს ნუსხაში ჩამოთვლილია ლაზიკაში მდებარე ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს შემდეგი კათედრები: 1. ხერიანი; 2. ხამაძური (ხამუზური, ხამაზრი, ხამატოზური); 3. ხახეი (ხალი, ხაიონი, ხალხევი); 4. პაიპერტი (პაიპერი); 5. კერამევი; 6. ლერიონი; 7. ბიზანა (ბიზანტი); 8. ხავიძიტი; 9. ხანძიორძი; 10. ოლნუტი; 11. ფასიანი; 12. (ტო)სერმანძი; 13. ანდაკი; 14. ზარინაკი (გეორგიკა, IV, ნაწილი II, 1952, გვ. 185).

ეს სია ასახავს ძირითადად IX-X საუკუნეთა ვითარებას. მაშასადამე, მიწა-წყალზე, რომელსაც კონსტანტინოპოლი უწოდებდა ლაზიკას, განლაგებული იყო ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო თავისი 14 კათედრით და ჩვენი განხილვის საგანია მოვიძიოთ ამ კათედრების გეოგრაფიული განლაგება. როგორც ცნობილია, ბიზანტიურ სამყაროში საეპისკოპოსო ცენტრები ხალხმრავალ ქალაქებში არსდებოდა. შესაბამისად, ლაზიკის ჩამოთვლილი კათედრები ალბათ მნიშვნელოვან ქალაქებში მდებარეობდნენ. აღნიშნულ ცხრილებში (ნოტიციებში) უცვლელად მეორდება ისეთი კათედრების სახელწოდებები, როგორიცაა ლერიონი, ოლნუტი, ანდაკი და სხვა. ამ სახელის მქონე ქალაქების ადგილმდებარეობა ცნობილია. კერძოდ, ლერიონი იყო ტრაპეზუნტის მთიანეთში, მისგან დაახლოებით 70 კმ-ით დაშორებული. ანდაკი თეოდოსიოპოლისსა და კარს (ყარსს) შუა იყო, ხოლო ოლნუტი არაქსისა და ევფრატის სათავეებთან ახლოს. ყველანი ისინი განლაგებულნი იყვნენ იმ ქვეყანაში, რომელსაც რომაელები უფრო მეტად არმენიას უწოდებდნენ, მაგრამ იქვე, არაქსის იქით მიუთითებდნენ იბერიის საზღვარს. ერთი სიტყვით, ისინი მდებარეობდნენ ვანის ტბასა და ტრაპეზუნტს შორის. ხომ არ იყვნენ ამ რეგიონში სხვა საეპისკოპოსოებიც ლაზიკის ეპარქიისა?

ცხადია, აღნიშნული საეპისკოპოსოები ქალკედონურნი იყვნენ, ამავე დროს, არმენიად სახელწოდებულ ქვეყანაში მდებარეობდნენ. ამის გამო ჩვენმა ძიებამ მოითხოვა გავცნობოდით ისტორიულ სომხეთში ქალკედონური საეპისკოპოსოების განლაგებას, რაც აღმოჩნდა მოსკოვში დასტამბულ "პრავასლავნაია ენციკლოპედიის" III ტომში. მართლაც, ამ სტატიაში "სომეხი ქალკედონიტები" ჩამოთვლილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში შემავალი ეპარქიები, მათ შორის აღნიშნული ლერიონისა და სხვა კათედრები და აღნიშნულია, რომ ისინი მდებარეობდნენ "სომხურ მიწებზე", აღსანიშნავია, რომ კონსტანტინოპოლის ნოტიციებში, ანუ წყაროებში, მათ უწოდებდნენ "საეპისკოპოსოებს ლაზიკაში", სტატიაში კი მათ ეწოდებათ "სომხურ-ქალკედონიტური საეპისკოპოსოები სომხურ მიწებზე". სტატიას თან ახლავს რუკა, რომელზეც თითქმის ყველა იმ საეპისკოპოსოს მდებარეობაა აღნიშნული, რომლებიც ნოტიციებში "ლაზიკის სამიტროპოლიტოში" იყვნენ (Prav.nc., T. 3, M.2001).

რუკაზე, როგორც ითქვა, აღნიშნულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის, ასევე ეკლესიენის, ხორძენესა და ტარონის სამიტროპოლიტოების, ასევე ანტიოქიის საპატრიარქოს თეოდოსიოპოლისის (კარინის) ეპარქიის მართლმადიდებლური (ქალკედონური) კათედრები. რუკაზე აღნიშნულია ნოტიციებში ჩამოთვლილი ლერიონის, შარიანის (ხერიანის), ბიზანას, ბაიბერდის (პაიპერტის), ოლნუტის, ანდაკის, ხახის (ხახეის), ხანძიორძის (ხორძენა?) და სხვა საეპისკოპოსოები, და ისინი განლაგებულნი არიან ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე.

ერთი სიტყვით, IX-X საუკუნეში (X საუკუნის დასაწყისიდან) ეკლესიური თვალსაზრისით კონსტანტინოპოლი ლაზიკას უწოდებდა ვრცელ მხარეს ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე, სადაც აღნიშნული საეპისკოპოსოები იყვნენ განლაგებულნი.

ისმის კითხვა - რატომ უნდა ეწოდებინა ამ ვრცელი ტერიტორიისთვის კონსტანტინოპოლს ლაზიკა? (ვანის ტბის მომიჯნავე ქვეყნებიდან ტრაპეზუნტის ჩათვლით).

მართლაც, აღნიშნულ მიწა-წყალზე მრავალი მართლმადიდებლური საეპისკოპოსო იყო, მათ შორის ისეთებიც, რომელნიც მცხეთის საპატრიარქოს ექვემდებარებოდნენ. მაგალითად, არც თუ შორს ვანის ტბიდან, იყო ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსო, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალ ანდაკის კათედრიდან არც თუ მოშორებით იყვნენ ანისისა და კარის ქართული საეპისკოპოსოები.

შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიური თვალსაზრისით კონსტანტინოპოლი "ლაზიკას" უწოდებდა ვრცელ ტერიტორიას, რომელნიც ქართულ წყაროებში მოიხსენებიან ვითარცა "ზემონი ქვეყანანი".

ქართულ "ზემო ქვეყნებსა" და მიმდებარე მიწა-წყალს რომ მოიცავდა კონსტანტინოპოლის სამიტროპოლიტო ლაზიკაში, იქიდანაც ჩანს, რომ აქაა განლაგებული მისი საეპისკოპოსოების

მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, ანდაკის კათედრა - მდინარე არაქსზე (მის ზემო წელში), მანასკერტთან ახლოს, ევფრატის სათავეში მდებარე ოლნუტის კათედრა. თითქმის "ზემო ქვეყნების" მიწა-წყალზე მდებარეობდნენ ბიზანასა და ხორძენეს საეპისკოპოსოები, ხოლო ბაიბერდის, ხახის, კერჩანისისა, ხერიანისა და ლერიონის საეპისკოპოსოები ისტორიულ სპერსა, ჭანეთსა და მიმდებარე მიწებზე მდებარეობდნენ. მას შემდეგ, რაც აღნიშნული "ზემო ქვეყნები", ანუ ტაოსა და ვანის ტბას შორის მოქცეული მიწა-წყალი ბიზანტიამ ჩამოართვა საქართველოს, მეფე გიორგი I დროს, იქ ჩამოყალიბებულ მართლმადიდებლურ სამიტროპოლიტოსთვის "ლაზიკის ეპარქია" უწოდებიათ. უნდა აღინიშნოს, რომ მის ოდნავ ჩრდილოეთით ჩამოაყალიბეს ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული "იბერიის თემი", ანუ ის მიწები, რომლებიც არაბობამდე "არმენიად" იწოდებოდა, X საუკუნის შემდეგ ლაზიკად და იბერიად იხსენიება - ვანის ტბიდან ტრაპეზუნტ-ტაომდე.

ლაზიკის გეოგრაფია

ზემოთ აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო IX-X საუკუნეში ლაზიკას უწოდებდა ვრცელ მხარეს ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე, სადაც ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს კათედრები იყვნენ განლაგებულნი. ამ ვრცელი მიწა-წყლის შუაგულში სათავეს იღებს ისეთი ცნობილი მდინარეები, როგორიცა არაქსი და ევფრატი. ეს მიწა-წყალი ისტორიულად ქართული ტომებით იყო დასახლებული, სწორედ ამის ანარეკლი, ანდა რეალური ვითარების გადმოცემის შედეგია ის, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ "ლაზიკა" უწოდა აღნიშნულ მიწა-წყალს, ამით ხაზი გაესვა მის მცხოვრებთა ეთნიკურ ვინაობას. სახელწოდებები "ლაზიკის ეპარქია" და "იბერიის თემი" აღნიშნულ დროს წარმოაჩენს იმ რეალურ სურათს, რომ ბიზანტიამ ცნო ვანის ტბიდან (ჩრდილოეთით) ანისამდე და (დასავლეთით) ტრაპეზუნტამდე მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა - მათი ქართველობა, რადგანაც იქამდე, კერძოდ კი არაბობამდე, ამ მიწა-წყალს ბიზანტია ოფიციალურად "არმენიას" უწოდებდა.

არაბთა შემოსევების ეპოქაში, როცა სომხურ ეკლესიას უნარი აღარ შესწევდა თავისი ზეწოლა განეხორციელებინა მკვიდრ ქართველებზე, IX-X საუკუნეებში, გამოცოცხლდა იქამდე შესუსტებული ეთნიკური თვითშემეცნება მკვიდრი ქართველებისა. ამიტომაც არაბებისაგან გათავისუფლებულ მიწა-წყალზე ბიზანტიელებს დახვდა სხვა სურათი - მკვიდრი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მცხოვრებნი ევფრატისა და არაქსის სათავეებში, ვიდრე ვანის ტბამდე და ანისამდე, მკვეთრად აცხადებდა, რომ ეთნიკურად იყვნენ არა სომხები, არამედ ქართველები. იყო თუ არა ამისათვის საფუძველი? საქმე ისაა, რომ აღნიშნული მიწა-წყალი იმთავითვე ქართული იყო. მისი ისტორიული წარსულის შესახებ წერს პავლე ინგოროყვა - "ანტიკური ხანის საისტორიო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ანტიკურ ხანაში, ვიდრე II-I საუკუნემდე ძვ.წ.აღ-ისა, ქართული ტომებით დასახლებული იყო არა მხოლოდ მტკვრისა და ჭოროხის ხეობები, არამედ ქართველ ტომებს ეჭირათ აგრეთვე არაქსისა და ევფრატის ხეობათა ზემოწელი, სახელდობრ, ხორძენე, პარიადრის მთიანეთი (მარდალიის ზონა), ბასიანის მხარენი, არაქსის სასპერეთი... კარინი, დერჭანი, აკილესენი, მუძური (ანტიტავროსის მხარე, იხ. სტრაბონი, წიგნი XI, თავი XVI, 5, ქსენეფონტე, ანაბასისი, წიგნი IV, თავი VI, 5, VII, 8, 25). ...სტრაბონის ცნობით, უმრავლესობა ამ პროვინციებისა საქართველომ დაკარგა პოლიტიკურად II-I საუკუნეში ძვ.წ.აღ-ისა, როდესაც სომხეთმა გაავრცელა თავისი გავლენა ევფრატისა და არაქსის ხეობათა ამ სექტორებზე. თუმცა საშუალო საუკუნეთა დასაწყისში (ყოველ შემთხვევაში VII საუკუნემდე, როგორც ეს ირკვევა წყაროებიდან), ამ ქვეყნებს ჯერ კიდევ ჰქონიათ შერჩენილი ქართული სახე. საქართველო არ შერიგებია ამ მხარეთა დაკარგვას და საშუალო საუკუნეთა მანძილზე საქართველო ცდილობდა შემოეერთებინა არაქსის და ევფრატის ხეობებში მდებარე ეს ადრინდელი ქართული მხარეები. ეს არის სწორედ ის "ზემონი ქვეყანანი", რომლის შემომტკიცებასაც ცდილობდა ქართველთა სამეფო

X-XI საუკუნეში და რომლის გამოც ქართველთა სამეფოს კონფლიქტი ჰქონდა ბიზანტიის იმპერიასთან" (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 517).

იბერიის სამეფოს გაძლიერების ეპოქაში, I-II საუკუნეში, აღნიშნული მიწა-წყალი (რომელზეც X საუკუნისათვის განლაგებული იყო ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს კათედრები) - დასახლებული იყო ქართული ტომებით, მართალია, შემდგომში ისინი მოექცნენ არმენიაში, შესაბამისად, იქაური მკვიდრი ქართველობა (იგულისხმება ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე მცხოვრები მოსახლეობა), განიცდიდა ეროვნულ და ენობრივ შევიწროებას და დაწყებულა კიდეც მათი არმენიზაცია, მაგრამ პ. ინგოროყვას კვლევით, მათ VII საუკუნემდე შეუნარჩუნებიათ ქართულენოვნება. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ, რომ ქართული მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილმა კიდევ უფრო დიდხანს შეინარჩუნა საკუთარი ეროვნება. ამას მიუითებს 1. კონსტანტინე პორფიროგენეტის ხაზგასმითი მითითებანი, რომ თეოდოსიოპოლისის (კარინის) მოსახლეობა (ქალაქი და მისი შემოგარენი) დიდ წინააღმდეგობას (თითქმის ნახევარი საუკუნე) უწევდა ბიზანტიურ ჯარებს, ქართველები კი მათ იცავდენ, არ ანებებდნენ მკვიდრი მოსახლეობის ქალაქებისა (და სოფლების) ბლოკადას, როცა ბიზანტიელები მოითხოვდნენ მათ ფაქტიურად შიმშილით ამოხოცვას და სხვა, რომელსაც სხვა ადგილასაც ვეხებით; 2. აღნიშნულ მიწა-წყალზე ქართული საეპისკოპოსოების დაარსება; 3. ამ ადგილებიდან გამოსული ქართველი ბერების მუდმივი მითითებები იმის შესახებ, რომ ისინი ეთნიკურად არიან ქართველები, რომ ისინი არ არიან სომხები (მაგალითად, გიორგი მთაწმიდელის ეპოქაში ანტიოქიის პატრიარქს მოახსენეს ქართული მონასტრის ბერების შესახებ - "არა ვუწყით ქართველნი არიან თუ სომეხნი"); 5. ქართული ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების ბოლო დრომდე არსებობა; 6. აღნიშნული მხარეებიდან გამოსული ქართველების დიდი ძალისხმევა, რომ სომხურიდან რედაქტირების ყოველგვარი ნაკვალევი აღმოეფხვრათ ქართული წმიდა წიგნებიდან; 7.ძლიერი ქართულენოვანი სამრევლოების არსებობა. მაგალითად, ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი გავლენა და წონა ჰქონდა ვალაშკერტელ ეპისკოპოს ზაქარიას, რომ ის ბიზანტიის სამეფო კარზე იცავდა ქართველთა უფლებებს იმით, რომ ცდილობდა ბიზანტია-საქართველოს მორიგებას. ვალაშკერტის ქართული მრევლი რომ არ ყოფილიყო მრავალრიცხოვანი და ძლიერი, მისი მღვდელმთავარიც არ იქნებოდა ისეთი გავლენის მქონე, როგორიც იყო ზაქარია. ანდა ანისის ქართული მრევლის სიძლიერე. ანისში ქართული მრევლი მრავალრიცხოვანი რომ იყო და მოიცავდა მოსახლეობის დაბალ ფენებსაც, ჩანს ამ ქალაქის ეკლესიის კედლის წარწერიდან. ქართლის კათალიკოსი არ ჩათვლიდა საჭიროდ უმნიშვნელო მრევლისა და მისი სამღვდელოების მორიგებას. ამასთან, მან ამ რეგიონში მრავალი სხვა ეკლესიაიც აკურთხა. მართალია, ანისი დაშორებულია ვალაშკერტს, მაგრამ აქ შეიძლება გავიხსენოთ ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობები, რომ იბერიელებსა და არმენიელებს ერთ დროს არაქსი ჰყოფდათ, მაშასადამე, არაქსის მარცხენა სანაპიროზე, მათ შორის ანისში, ქართული მოსახლეობის ცხოვრება ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. ალბათ ამიტომ შეიყვანა ბიზანტიამ ანისი იბერიის თემში, ხოლო მისი სამხერეთი - ლაზიკის საეკლესიო თემში.

საბჭოთა პერიოდში სხვა თვალსაზრისი ჩამოყალიბდა. თითქოსდა IX-X საუკუნეებში მოხდა ქართიზაცია - გაქართველება მთელი ამ მხარეების, კლარჯეთისა და ტაოსი, (მათი აზრით, ვალაშკერტის, ყარსისა და ანისის მოსახლეობისაც), ასევე მთელი დასავლეთ საქართველოსი (იმჟამინდელი აფხაზეთისა) და ჰერეთ-ქვემო ქართლისა. რა ძალა უნდა ჰქონოდა არაბების საამიროს სფეროში მოქცეულ შიდა ქართლს, რომ ასეთი ქართიზაციის პროცესი განეხორციელებინა მასზე 10-ჯერ და 20-ჯერ უფრო დიდ მხარეებში კლარჯეთიდან-ვალაშკერტ-ვანის ტბამდე, ლიხიდან-ნიკოფსიამდე და ბოდბედან-შამახამდე მაშინ, როცა შიდა ქართლი არც კი იყო პოლიტიკური ერთეული, ხოლო აღნიშნული მხარეები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. სინამდვილეში, მათ მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების წყალობით აღორძინდა იქამდე მინავლებული ეროვნულ-ქართული თვითშემეცნებისა.

სამხრეთის იბერია და სამხრეთის ლაზიკა

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო "ლაზიკა" თავის იურისდიქციას ახორციელებდა შავიზღვისპირეთიდან ვიდრე ვანის ტბამდე, რადგანაც მისი უმთავრესი საეპისკოპოსო კათედრები ლერიონი, პაიპერტი (ბაიბერდი), ბიზანა, ოლნუტი, ანდაკი და სხვანი აღნიშნულ ტერიტორიაზეა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ლაზიკის ეპარქია X საუკუნისათვის მოიცავდა ჭოროხისა და ევფრატის სათავეებს ვანის ტბამდე. ჩვენი აზრით, ამ სამიტროპოლიტოს მიწა-წყლისთვის "ლაზიკის" სახელწოდების მიცემა გამოწვეული უნდა ყოფილიყო მისი მოსახლეობის, ანუ ამ სამიტროპოლიტოს მრევლის ქართული წარმომავლობით. "ლაზიკის სამიტროპოლიტოს" თითქმის ეთანადებოდა "იბერიის თემი".

ბიზანტიის ადმინისტრაციული ერთეული იბერიის თემი, ანუ იბერიის საკატეპანო შეიქმნა ოდნავ მოგვიანებით, XI საუკუნის დასაწყისში ტაოს მეფის დავით III კურაპალატის გარდაცვალების (1001) შემდეგ. მასში შედიოდა ჩვენთვის საინტერესო არაქს-ევფრატის აუზში მდებარე ვრცელი ტერიტორია, რომელიც ეთნიკურად არაერთგვაროვანი მოსახლეობით იყო დასახლებული. იბერიის თემში არაქს-ევფრატის სათავეების აუზის გარდა შედიოდა იმიერ ტაო, ჩრდილო ბასიანი, ოლთისი, შავშეთი, თორთომი, კოლა, არტაანი, იბერიის თემშია კონსტანტინე X მონომაქოსის დროს (1042-55) - შირაქის სამეფო, თავისი მთავარი ქალაქით ანისით. ქ. ანისი იბერიის თემის დედაქალაქად იქცა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იბერიის თემის და ლაზიკის ეპარქიის ტერიტორიები თითქმის ემთხვეოდა ერთმანეთს, მაგრამ, ცხადია, ეს დამთხვევა ზუსტი არ არის. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ჭოროხისა და ევფრატის სათავეების მომცველი ქვეყნები, ვიდრე ვანის ტბამდე, თითქმის ერთსა და იმავე დროს შედიოდა როგორც ლაზიკის ეპარქიაში, ისე იბერიის თემში. რატომ უწოდეს მას ლაზიკა და იბერია ერთდროულად? როგორც ვთქვით, ეს გამოწვევული უნდა ყოფილიყო ქართული ეთნიკური თვითშემეცნების გამოცოცხლებით აღნიშნულ რეგიონში - ანისიდან და ვალაშკერტიდან ვიდრე ანდაკამდე და კარინამდე (არზრუმამდე), ასევე ჭოროხისა და ევფრატის სათავეებში. ამ გამოცოცხლების შედეგი იყო, როგორც ითქვა, მცხეთის საპატრიარქოს ქართული საეპისკოპოსოების არსებობა ანისსა და კარში (ყარსში), ვალაშკერტსა და ბაიბერდში (პაიპერტში). იქამდე საუკუნეთა მანძილზე სომხური ეკლესიის მიერ დევნილი ქართული ენა უკვე აღარ იდევნებოდა საყოფაცხოვრებო დონეზე, ანუ ქართულენოვან გლეხებსა და აზნაურებს მეზობლები ვეღარ უკრძალავდნენ მშობლიური ენის მოხმარებას, თუმცა მალევე კონსტანტინოპოლისადმი დაქვემდებარებული კათედრები ბერძნულენოვანნი გახდნენ.

აკად. გრ. გიორგაძე მიუთითებს ქართველური ტომების უძველესი კერების არსებობის შესახებ მდ. ჭოროხისა და ზემო ევფრატის სათავეებში, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე XII საუკუნეში, რადგანაც მისი აზრით, ასურული წყაროების მუშქაიას და დაიაენის (დიაოხის) ქვეყნები იქ - ევფრატ-ჭოროხის სათავეებთან არსებობდნენ. იქ მცხოვრებთ ბერძნული "მოსხოის" სახელით იცნობდნენ (ვ. გოილაძე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, 2002, გვ. 20)

ვ. გიოლაძე წერს - ძვ.წ. XII საუკუნეში მუშქების პოლიტიკური გავლენა ევფრატის ზემო დინების აღმოსავლეთით (თანამედროვე მდ. მურად სუს სამხრეთით) გავრცელდა. 50 წლით ადრე მათ იქ ალზისა და ფურულუმზის ქვეყნები დაუპყრიათ. როგორც ი. დიაკონოვი წერს, ესენი იყვნენ "აღმოსავლეთის მუშქები". მათი განსახლების ძირითადი ცენტრი ზემო ევფრატთან მდ. არცანიის (მურად სუ) შესართავთან მდებარე ალზის სამეფო იყო. ასურული წყაროები, დასძენს დიაკონოვი - ალზის უწოდებდნენ აგრეთვე "მუშქთა ქვეყანას". ი. დიაკონოვის თანახმად, ძვ.წ. X-IX საუკუნეში აღმოსავლეთის მუშქები უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, მდ. ტიგროსის ჩრდილოეთ შენაკადების სათავეში მდებარე მთებიდან ზემო ევფრატის ველის დასავლეთით მდებარე ტავრის მთებამდე უნდა ყოფილიყვნენ განსახლებულნი. გრ. გიორგაძის თანახმად, "მუშქთა ძირითადი ტერიტორია ისტორიული სამხრეთ საქართველო იყო" (ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21).

მაშასადამე, ლაზიკის ეპარქია - ისტორიულ სამხრეთ საქართველოში ყოფილა. ჩვენ ქვემოთ კიდევ მრავალჯერ შევეხებით, რომ ლაზიკის ეპარქია მოიცავდა ისტორიული ალზის მიწებს, ხოლო თვით ამ ეპარქიის არსებობის ეპოქაში იქ მდებარეობდა "ალზნიკის", იგივე არზანენას ოლქი, რომელიც კორდუენას (კორჩაიკის) ოლქს ესაზღვრებოდა. შეუძლებელია ეტიმოლოგიურად ერთმანეთთან არ დავაკავშიროთ "ალზ" და "ლაზ". ასევე "კორდუ" და "ქართუ". ნ. ადონცის მოსაზრებით, არმენიელების მოსვლამდე აღნიშნული მიწა-წყალი, კორდუენადან ვიდრე კავკასიის მთებამდე, ქართველებით იყო დასახლებული, შემდეგ მოსულ არმენიელებს ეს ქართული მოსახლეობა ორ ნაწილად გაუყვია - სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქართველებად, ხოლო მათ შუა თვით არმენიელები დასახლებულან. მართლაც, "კორდუენა" ანუ "კორდუს ქვეყანა" - მიგვანიშნებს ივ. ჯავახიშვილის თავდაპირველ "ქართუ" - "კარდუ" ქვეყანას, საიდანაც გამოსულა ყველა ქართული ტომი, მათ შორის მეგრულ-ჭანურიც. ნ. ადონცი დაბეჯითებით, რამდენჯერმე აღნიშნავს თავის ნაშრომში "არმენია იუსტინიანეს ეპოქაში", რომ სომეხი ხალხის ჩამოყალიბების საქმეში ქართველებს მიუღიათ მონაწილეობა იმით, რომ მომხდარა ქართული ტომების ტრანსფორმირება არმენიელებად. თუ ეტიმოლოგიურად "ლაზიკა" - "ლაზი" დაკავშირებულია "ალზთან", უნდა ვიფიქროთ, რომ გასაგები ხდება, თუ რატომ ეწოდა "ალზის ქვეყნის" მომცველ ეპარქიას "ლაზიკისა". თუმცა სხვა მოსაზრებაც შეიძლება არსებობდეს.

ნ. ადონცი კორდუენას ქვეყანას აკავშირებდა ქართველებთან და აკრიტიკებდა ერთ-ერთი მეცნიერის შეხედულებას, რომელიც კორდუენას ქურთებთან აკავშირებდა. ეს მოსაზრება განხილულია შესაბამის ადგილას. ისტორიულ კორდუენადან თეოდოსიოპოლისამდე ოდესღაც ქართველთა საცხოვრისი ყოფილა, მათი ნაშთი კიდევ მძლავრად არსებობდა IX-X საუკუნეებში და ქვეყანასაც ივერაის (იბერიას) უწოდებდნენ, ხოლო თეოდოსიოპოლისიდან ტრაპეზუნტამდე ქალდეას ქვეყანა, ანუ სამხრეთის ლაზიკა (ეგრი) მდებარეობდა, ჩრდილოეთის ეგრისი კი დასავლეთ საქართველო იყო.

მიწა-წყალი ლაზიკის ეპარქიისა

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკეში, როგორც გაირკვა, მდებარეობდა მიწა-წყალზე ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე, რადგანაც აქ მდებარეობდნენ მისი კათედრები ანდაკისა, ოლნუტისა, ხორძენასი, ბიზანასი, პაიპერტისა (ბაიბერდისა), ლერიონისა და სხვა. როგორც თვით სამიტროპოლიტოს სახელი "ლაზიკა" უჩვენებს, კონსტანტინოპოლს მიაჩნდა, რომ აღნიშნული მიწა-წყალი ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული. რამდენად შესაძლებელია, რომ ტრაპეზუნტიდან ვიდრე ვანის ტბამდე არეალი ქართველთა საცხოვრისი ყოფილიყო? პ. ინგოროყვას მიაჩნდა, რომ "საქართველოს ინტერესები ამ მხარეთა მიმართ იმით იყო გამოწვეული, რომ "აღმოსავლეთის" ეს ტერიტორიები ("ზემონი ქვეყანანი"), მდებარე ევფრატისა და არაქსის ხეობათა ზემო ნაწილებში (კარინი-თეოპოლისის მხარე, ბასიანი და მიმდგომი თემები), ანტიკურ ხანაში საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებულნი, ქართული ტომებით იყნენ დასახლებულნი, ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები მიზნად ისახავდნენ საქართველოს ძველი ისტორიული ტერიტორიების გაერთიანებას ქართველთა სამეფოს ფარგლებში" (პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, 1954, გვ. 65).

"აღმოსავლეთის ქვეყნებზე", ანუ ტერიტორიებზე - თეოდოსიოპოლისიდან (არზრუმიდან) ვანის ტბამდე, ბიზანტია რომ აღიარებდა ქართველთა უფლებებს, მიუთითებს ის ხელშეკრულებები, რომელიც იდებოდა ბიზანტიასა და საქართველოს შორის, რომლის მიხედვითაც იბერიელებს შეეძლოთ არაბების მიერ დაჭერილი თეოდოსიოპოლისის და "აღმოსავლეთის" ყველა იმ ქალაქების დაჭერა, რომელთაც გაათავისუფლებდნენ (იქვე, გვ. 65).

მალე ქართულმა ლაშქარმა დიდ წარმატებას მიაღწია, რადგანაც თვით კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით, აღნიშნული მიწა-წყლის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა ქართულ ლაშქარს ყოველმხრივ ეხმარებოდა, ხოლო ეს მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა

ბიზანტიურ ჯარს. საბოლოოდ, ბიზანტიამ დაადგინა საზღვარი საქართველოსთან კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქაში (X საუკუნის შუა წლებში). ის გადიოდა მდ. არაქსზე. იმპერატორი თვითონვე წერს - "საზღვრად ბასიანის (ფასიანის) მხარეში დადგენილია მდინარე არაქსი ანუ ფასისი; იბერიელების სამფლობელოდ რჩება მარცხენა (ჩრდილოეთი) ნაწილი, რომელიც აკრავს იბერიას, ხოლო მარჯვენა ნაწილი (სამხრეთი), რომელიც აკრავს თეოდოსიოპოლისს, თავისი ციხეებითა და სოფლებით უერთდება ჩვენს საბრძანებელს (ბიზანტიას). ასე რომ, მდინარე დადგენილია საზღვრად ამ ორ სამფლობელოს შორის" (იქვე, გვ. 66). მაგრამ ქართული მხარე ამით არ დაკმაყოფილდა და ეძებდა საშუალებას, რათა ვანის ტბის მიმდებარე ქვეყნებიც გაეთავისუფლებინა. ეს მიმართულება საოცნებო და სანეტარო იყო ქართველებისათვის, რადგანაც იქაურ მკვიდრ მოსახლეობას გაუმძაფრდა ეროვნული თვითშემეცნება, მათ უკვე ეძლეოდათ საშუალება დაუფარავად განეცხადებინათ, რომ ეთნიკურად და ეროვნულად ქართველები იყვნენ. ამიტომაც, ქართულ ლაშქარსა და ქართულ სახელმწიფოს აქ ყველა გზა ეხსნებოდა მკვიდრი მოსახლეობის მხარდაჭერის გამო. ბიზანტიამაც გადაწყვიტა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ეს მხარეები გადაეცა საქართველოსათვის. კერძოდ, კი გადასცა დავით დიდ კურაპალატს - ქართველთა მეფეს. "სახელდობრ, საქართველოს X საუკუნის ბოლოს შემოუერთდა შემდეგი პროვინციები: 1. თვით თეოდოსიოპოლი ანუ კარინი (თანამედროვე არზრუმი), თავისი თემით, რომელიც დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარეობს; 2. ციხე ხალტოი - არიჭი და მასთან მდებარე კლისურა ამავე დასავლეთ ევფრატის ხეობაში; 3. ჩორმაირის თემი - მდინარე ჭოროხის სათავეებთან; 4. სამხრეთ ბასიანის თემი მდინარე არაქსის ხეობაში; 5. ციხე სევუკი თავისი თემით (მარდალიის კანტონი) მდინარე არაქსის სათავეებთან; 6. ჰარქისა და 7. აპაჰუნის პროვნციები აღმოსავლეთ ევფრატის (არაწანის) ხეობაში (იხ. ასოღიკი, 1883, გვ. 192)".

978-990 წლებში, ჩანს, იმის გამო, რომ ვალაშკერტისა და ბაგრევანდის ვინაობა გამოღვიძებულმა ქართველობამ მიიპატიჟა, საქართველომ შემოიერთა აღმოსავლეთ ევფრატის ხეობის მიწები.

990 წელს ამავე ხეობაში ქართველებმა აიღეს ქალაქი მანასკერტი და აქედან მუსულმანები განდევნეს, ქალაქი არა მარტო სომხებით, არამედ, ადგილობრივი ქართველებითაც დაუსახლებიათ. ტაოდან, კლარჯეთიდან და, მით უმეტეს, შიდა ქართლიდან ისეთ დაშორებულ ვანის ტბასთან მდებარე ქალაქში ქართველებს ვერ ჩამოასახლებდენენ, ამიტომაც ასოღიკის ცნობა, რომ ქართველთა სამეფომ ქალაქი მანასკერტი ქართველებით დაასახლა, უნდა მიანიშნებდეს მიმდებარე პროვინციებში მკვიდრი ქართველების მოსახლეობის შესახებ, თუმცა იქვე, ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსოს არსებობა ამ ფაქტს ადასტურებს, მით უმეტეს, რომ ეს საეპისკოპოსო მრავალი საუკუნე არსებობდა, რაც მიუთითებს, რომ მისი მრევლი მახლობელ ქალაქებსა და სოფლებშიც ცხოვრობდა.

"X საუკუნის 90-იან წლებში ქართველთა სამეფოს საზღვრებმა ვანის ტბამდე მიაღწია. 997 წელს ქართველებმა ალყა შემოარტყეს ვანის ტბის ნაპირას მდებარე მნიშვნელოვან ქალაქ ხლათს, 998 წელს ქართველებმა უკუაქციეს მუსულმანთა დიდი კოალიცია და ქართველთა სამეფოს საზღვარი მიიტანეს ქალაქ არჭეშის სანახებამდე (ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირომდე) (იქვე, გვ. 68).

ქართულმა ჯარმა X საუკუნეში გმირულად გაათავისუფლა დამპყრობლებისაგან ეროვნული ტერიტორიები ვანის ტბამდე, მაგრამ ეს მოუთმენელი აღმოჩნდა ბიზანტიისათვის. მალე, მეფე გიორგი I დროს, მან არაბებისაგან გათავისუფლებული აღნიშნული მიწა-წყალი საქართველოს ჩამოართვა და თავის იმპერიაში შეიყვანა, რამაც ასახვა ჰპოვა საეკლესიო იურისდიქციაშიც, კერძოდ, როგორც აღინიშნა, ამ მიწა-წყალზე დაარსებული იქნა კონსტანტინოპოლის ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს კათედრები (ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე). კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ რომ აღიარა ამ მიწა-წყლის მრევლის ეთნიკური ქართველობა,

იქიდან ჩანს, რომ მან ამ ეპარქიას უწოდა "ლაზიკა", ანუ "ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში".

საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რომ სახელწოდება "ლაზიკა" მიუთითებს აღნიშნული რეგიონის მრევლის ქართველობის შესახებ.

ორი იურისდიქცია ვანის ტბამდე

ბერძნული წყაროების თანახმად, VI საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველო იყო სპარსეთის ხელში. ჩვენს მიერ გარკვეულია, რომ სპარსეთის მეფე ხოსროს დასავლეთ საქართველოში არ ულაშქრია. ის პეტრას მიადგა არა ლიხის ქედის მხრიდან, არამედ არტაანი-არტანუჯის გზით, თეოდოსიოპოლის-დვინის მხრიდან. იგი მიადგა არსიანის ქედს, რომელიც გადალახა არტანუჯის გზით და შემდგომ ჭოროხის გაყოლებით მიადგა პეტრას. ეს გზა უმოკლესია იმ მიმართულებით, სადაც იდგა პეტრას ომის წინ სპარსეთის ლაშქარი (იდგა ქ. დვინთან). ჯარისთვის არა მხოლოდ უსარგებლო იქნებოდა შორი ლიხის ქედის და მთელი დასავლეთ საქართველოს გავლით შესულიყო პეტრაში, არამედ არარაციონალურიც. ამას ვერც აიტანდა სპარსული ლაშქარი, თუნდაც დასავლეთ საქართველოს ჭაობების ციებ-ცხელების გამო. ცნობილია, რომ ქვეყანა პეტრასთან, რომელიც სპარსულმა ლაშქარმა გაიარა, ლაზიკად იწოდებოდა. პროკოფი კესარიელის დაბეჭითებული ცნობებით, ეს იყო კლდოვანი მხარე, როგორიცაა, მართლაც, არტაან-არტანუჯ-ჭოროხის ის მხარეები, სადაც გაიარა, ჩვენი აზრით, ხოსრომ და სწორედ ეს მხარე იწოდებოდა ლაზიკად სამხრეთით მიმდებარე (ხუფათ-რიზე) მხარესთან ერთად. ნ. ადონცისა და პ. ინგოროყვას კვლევითაც, აღნიშნული მხარე (ე.ი. კლარჯეთი და ე.წ. "ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი") ლაზიკას ეკუთვნოდა.

V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა აღნიშნული არტანუჯ-არტაანის გზით ისარგებლა, X საუკუნეში კი არტანუჯი ამ გზის წყალობით, რომელიც შავიზღვისპირეთს აერთებდა არმენიასთან და იბერიასთან - კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, დიდ ქალაქად იქცა. ვახტანგ გორგასალის დროს საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის, ხუფათზე იდო (ხოფთან), რადგანაც "ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი" საქართველოში შემოდიოდა. საქართველოს მეორე ჩრდილოეთის საზღვარი კი იდო მდინარე კლისურაზე (ცხუმთან). VI საუკუნეში, როცა სპარსეთმა იბერია დაიპყრო, მთელი იბერია მის ხელში აღმოჩნდა აღნიშნულ საზღვრებამდე. იუსტინიანეს მეფობის დასაწყისში ბიზანტიის საზღვარი, ნ. ადონცის ცნობით, გადიოდა რიზეს ახლოს. იუსტინიანეს დასჭირდა ომი და ძალისხმევა, რათა ბიზანტიის საზღვარი გადაეტანა ჭოროხის შესართავამდე, სადაც მან პეტრას ციხე ააგო.

ყოველივე აღნიშნული გვესაჭიროება ლაზიკის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის. იქამდე, ანუ იუსტინიანეს მეფობის დასაწყისში, როცა იმპერიის საზღვარი რიზე იყო, ლაზიკა ერქვა ტერიტორიას ტრაპეზუნტის მაღლა - ზიგანადან რიზემდე. ეს იყო ძველი ლაზიკა, მაგრამ იუსტინიანეს დროს გაჩნდა ახალი ლაზიკა. ეს იყო რიზედან ჭოროხამდე მოქცეული ახლად დაპყრობილი ტერიტორია კლარჯეთის ჩათვლით. ერთი სიტყვით, ლაზიკა დაერქვა ახალ მიწებსაც პეტრას ციხის სამხრეთით. ეს ჩანს იუსტინიანეს ნოველიდანაც, სადაც ის ლაზიკისა და ჭანეთის შესახებ ამბობს. სწორი იყო ნ. ადონცი, რომ "ლაზიკეში" ფაზისის მიტროპოლიტის საეპისკოპოსოები - როდოპოლისის, საისინისა, პეტრასი და ზიგანასი მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის მთიანეთში, ცნობილ ქალაქ ზიგანას რეგიონში. ამ ქვეყანას ერქვა კიდეც იმჟამად ლაზიკა, ე.ი. მხარეს ზიგანას ჩათვლით რიზეს გასწვრივ, ხოლო მას შემდეგ, რაც იუსტინიანემ რიზეს ჩრდილოეთი ვიდრე ჭოროხამდე მიუერთა თავის იმპერიას - ამ ახალ მიწებსაც "ლაზიკის" სახელი მიეკუთვნა (ეს მიტაცება მიწისა სპარსეთმა თავის წინააღმდეგ მიმართულ საქმედ მიიჩნია, რადგანაც იბერიის პოლიტიკური მემკვიდრეობა დასაკუთრებული ჰქონდა). იბერიის საზღვარი კი ბიზანტიასთან, როგორც აღინიშნა, ხუფათთან (ხოფთან) გადიოდა. მისი გადალახვა სპარსეთის საწინააღმდეგო ქმედება იყო. არაბების შემოსევის შემდეგ ბიზანტიამ

დაკარგა ტერიტორიები ე.წ. “მაღალ არმენიასა” და, საერთოდ, “დიდ არმენიაში”. დასავლეთ არმენიაში გაერთიანებული იყო ძველი ქართული მიწები. არაბებისაგან გათავისუფლების შემდეგ, ვრცელი მიწა-წყალი ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, ეკლესიური თვალსაზრისით “ლაზიკად” იწოდა, რაც იქიდან ჩანს, რომ მიტროპოლიტი “ტრაპეზუნტისა ლაზიკაში” თავისი კათედრებით ამ ვრცელ ტერიტორიაზე იყო განფენილი (ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე). მაშასადამე, ეკლესიური თვალსაზრისით, კონსტანტინოპოლი ლაზიკას უწოდებდა ვრცელ ტერიტორიას ჭოროხის შესართავიდან ტრაპეზუნტამდე და ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე. ამ ერთგვარი რკალის შიგნით მოქცეული იყო საქართველოს საპატრიარქოს საეპისკოპოსოები. მაშასადამე, აღნიშნულ ტერიტორიაზე, ჭოროხის შესართავიდან ტრაპეზუნტამდე და ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, ხორციელდებოდა ორი მართლმადიდებლური იურისდიქცია - კონსტანტინოპოლისა და მცხეთისა, ანტიოქიასაც, როგორც მიიჩნევა, აქ რამდენიმე ეკლესია ეკუთვნოდა.

ლაზიკა - ე.წ “სომხეთში”

პ. ინგოროყვასა და მ. ჩხარტიშვილს განხილული აქვთ ის არეალი, სადაც იქადაგეს წმიდა გრიგოლ განმანათლებელმა და წმიდა ნინომ. კერძოდ, გრიგოლის ცხოვრებაში მოხაზულია არეალი, სადაც იქადაგა წმიდა გრიგოლმა ტაოდან - კასპიის კარამდე, ასევე, მოვსეს ხორენაცის მიერ მოხაზულია წმიდა ნინოს ქადაგების არეალი - კლარჯეთიდან მასქუთებამდე, ანუ კასპიის კარამდე. ეს ორი არეალი ერთმანეთს არ კვეთს, თუმცა ერთმანეთს უშუალოდ ემიჯნებიან. კერძოდ, განსაზღვრულია წმიდა ნინოს სამწყსო. ესაა კლარჯეთის ჩრდილოეთით, უფრო ზუსტად, იმ ხაზის ჩრდილოეთით მოქცეული მხარე, რომელიც იქმნება კლარჯეთისა და მასქუთეთის შეერთებით, მის სამხრეთით მდებარე არეალი, ანუ ტაოდან იგივე მასქუთეთამდე, ანუ კასპიის კარამდე - გრიგოლის არეალია. ასე რომ, განსაზღვრული იყო სამწყსო ქართული ეკლესიისა. ამჟამად, ჩვენთვის საინტერესოა, რომ კლარჯეთის ჩრდილოეთით მდებარე მხარე, დასავლეთ საქართველო, ვისი მოქმედების არეალშია, წმიდა ნინოსი თუ წმიდა გრიგოლისა. ამ სქემის მიხედვით დასავლეთ საქართველო არ შეიძლება იყოს წმიდა გრიგოლის მოქმედების არეალში, რადგან ის მდებარეობს კლარჯეთის ჩრდილოეთით (ჩრდილო-დასავლეთით), ე.ი. ის წმიდა ნინოს არეალია. ცნობილია, რომ წმიდა გრიგოლის ცხოვრების მიხედვით - წმიდა გრიგოლმა ლაზეთში გააგზავნა თავისი ესპიკოპოსი, აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს ლაზეთი არის არა დასავლეთ საქართველო, არამედ კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მხარე, ანუ ჭანიკა-ტრაპეზუნტის რეგიონი, მართლაც, სომხური წყაროების ეგრის ქვეყანა მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ მოიცავდა ტრაპეზუნტის მხარეებს. იმავე წყაროებით ეგრი, ჭანივი, მანრილი და ლაზივი - თეოდოსიოპოლის - ტრაპეზუნტს შუა მდებარეობდა და არა დასავლეთ საქართველოში. არაბებისა და სომხური საეკლესიო უღლისაგან გათავისუფლების შემდეგ, ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე განივრცო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალი ლაზიკის სამიტროპოლიტო, რომლის მრევლი იყვნენ ეთნიკური ქართველები და არა ე.წ. სომეხი ქალკედონიტები. შესაბამისად, ლაზიკის საეპისკოპოსოები იყვნენ არა სომეხი ქალკედონიტები, არამედ ქართველთა სამღვდელთმთავრო კათედრები.

11.11.2008.

წირვა მარაბდის ეკლესიაში

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ქრისტესმიერ საყვარელო შვილებო, ამ უძველეს, ამავე დროს სახელოვან ტაძარში მრავალი წელი, ალბათ საუკუნეც არის წირვა არ დამდგარა. ამ ტაძრის ეკლესიის ეზოში დაკრძალული 9000 წმიდა მხედარი, გმირები მარაბდის ცნობილი ომისა, 9 წმიდა ძმა ხერხეულიძე თავიანთი დედითა და დით.

რა მადლი ტრიალებს, რა სულის მდუღარებაა ამ სიწმიდით სავსე ეზოში, ამ პატარა ეკლესიაში.

ასეთი მადლით ვერ დაიკვეხნის მრავალი და მრავალი ეკლესია დედამიწაზე.

ამდენი წმიდანი ერთ ეზოში და მათი მადლი მართლაც დიდებაა ამ ადგილისა და მთელი საქართველოისა.

მათ დიდ ომში იღვაწეს, სისიხლი დათხიეს და სული დადეს ჩვენთვის, ჩვენი გადარჩენისთვის.

მათ სული დადეს თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის.

მარაბდის ომში, ქრისტეს სარწმუნოების ომში, თვით მღვდელმთავრებმა დათხიეს სისხლი და ისინი, ამ ომში დახოცილები აქ, ამ ეზოში განისვენებენ.

ამ სულიერი დიდების მიუხედავად, ეკლესია უპატრონოდ იყო მიტოვებული ათეისტების ბატონობის ეპოქაში.

ათეისტებს წინ უძღვოდა ამ მახარეში მუსულმანებისა და მონოფიზიტების გამრავლება, რომელთათვისაც ეს ტაძარი თქვენც მოგეხსენებათ რაც იყო. ამიტომაც აქ არ იყო კანკელი. იატაკიც კი, სადაც ზაალ ბარათაშვილის საფლავია, ჩავარდნილი იყო, ხოლო ტრაპეზი მორყეული.

ახლა ეს ყველაფერი შეძლებისდაგვარად აღვადგინეთ, მრავალი და მრავალი წლის შემდეგ დავაყენეთ დღევანდელი პირველი წირვა.

ადრე ვაკურთხეთ და ამჟამად ამ ტაძრის წინამძღვრად დავადგინეთ მოძღვარი მამა ავთანდილ გულაშვილი, რომელიც მოვალეა იზრუნოს თქვენთვის, არ მოგაკლოთ წირვა, აღსარება და ზიარება, ის ეცდება კიდევ და კიდევ უფრო გაამშვენოს ეს ადგილი.

ჩვენი სულების ცხონებისთვის აუცილებელია აღსარება და ზიარება, უზიარებლად არ უნდა ადრჩეს არც ერთი ადამიანი. უფალი ბრძანებს: “ჩემი სისხლი თქვენთვის და მრავალთათვის იქნა დათხეული, ცოდვათა მისატევებელად“. უფალმა დათხია, დაღვარა თავისი წმიდა სისხლი ჩვენთვის, ჩვენი გადარჩენისთვი, ჩვენი სულების ცხონებისთვის, ჩვენი ცოდვების მიტევებისთვის. მის მაგალითს მიბაძეს ჩვენმა წინაპრებმა, აქ დაკრძალულმა წმინდანებმა. მათ თავიანთი სისხლი დათხიეს ჩვენი სარწმუნოების გადარჩენისთვის, ანუ ისევ ჩვენი ცხონებისათვის. ჩვენ ღირსნი უნდა ვიყოთ ჩვენი წინაპრებისა, დიდება უფალს ამ სიუხვისათვის, შეგეწიოთ მათი სიწმიდის მადლი, ღმერთმა დაგლოცოთ, ამინ.

თავი მეოთხე

2010-იანი წლები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

სვეტიცხოვლის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,
თქვენო უნეტარესობავ,
ყოვლადსამღვდელო მეუფენო, მამანო, ბატონებო

სრულიად საქართველოს ერი ამ დღეებში სიხარულით ეგებება დაარსებიდან 1700, ხოლო განახლებიდან მეათასე წლისთავს ტაძრისა, რომლის წიაღშიც განისვენებს განძი მსოფლიო ქრისტიანობისა - კვართი უფლისა.

ათასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმიდა მელქისედეკმა ინება სარკინოზთა შემოსევებით შებღალული სვეტიცხოვლის განახლება.

იმჟამად იდგა რთული პერიოდი. თბილისი ჯერ კიდევ არაბი ამირების ხელში იყო, ხოლო საქართველო რამდენიმე სამეფოდ დაშლილი. მაგრამ იგრძნობოდა, რომ იბადებოდა ახალი კურთხეული ჟამი. საფუძველი ეყრებოდა საქართველოს აღდგომასა და განახლებას.

ძველი დიდებული ივერია, ვითარცა არწივი ფრთებს ისწორებდა და ელოდა პირველი კათალიკოს-პატრიარქის კურთხევას, რათა ახალი ძლიერებით საფუძველი ჩაყროდა საქართველოს

ოქროს ხანას, ბაგრატ III, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქას. ეს კურთხევა აღასრულა უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ I.

წმიდა მელქისედეკი თავის **"მოსახსენებელში მცხეთის საყდრისადმი" წერს - "შევამკე ყოველივე სამკაულითა, გარეთითა ბჭითა და გარეშემო სტოათა მოქმნითა და ზედადაბურვითა".**

მას ოქროსა და ვერცხლის ფურცლებით მოუჭედია უფლის კვართზე დაფუძნებული სვეტი.

კვართი უფლისა ხომ მუდმივი სიქადულია ჩვენი ქვეყნისა, ნიშანია საქართველოს ეკლესიისა და ერის მთლიანობისა, რადგან ამ კვართს მამისაგან მაღლით მთლიანობა აქვს მიცემული - **"იყო უკერველ ზეით გამოქსოვილ ყოვლად"** (იოანე, 19, 23-24), და მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგაც არ განყოფილა, ის დასაცავად მიებარა ქართველ ხალხს. მისი მთლიანობა აპირობებდა და აპირობებს ეკლესიისა და ერის ერთობას.

სვეტიცხოველი, ვითარცა უფლის ნათელი სვეტი, მუდამ უნათებდა ქართველ ხალხს გზას ღვთისაკენ და მუდამ იყო ნიშანსვეტი ერის სარწმუნოებრივი გულმხურვალებისა, ღვთისადმი თავგანწირვისა, გული ეროვნულ-ეკლესიური ცნობიერებისა.

ათასწლეულთა მანძილზე საქართველოს წმიდა ეკლესიასთან კავშირში ცხოვრობდა ქართველი ერი და მტკიცედ იცავდა წმიდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას.

I-II საუკუნეებში ქარისტიანობის მიღებით ქართველმა ერმა წარმოაჩინა, რომ საქართველო არის ნაწილი ევროპულ-ქრისტიანული ცივილიზაციისა. გაქრისტიანების შემდგომ ის გაემიჯნა წარმართულ აღმოსავლეთს და დაუკავშირდა ქრისტიანულ დასავლეთს. ამასთანავე, მან იტვირთა ფუნქცია აღმოსავლეთში ქრისტიანობის დაცვისა.

საქართველო, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ფაქტობრივად წარმოადგენდა ევროპულ-ქრისტიანული სივრცის აღმოსავლეთის ბასტიონს, მის სასაზღვრო ჯებირს, რომელსაც ამის გამო საუკუნეთა მანძილზე ებრძოდნენ არაქრისტიანი იმპერიები.

ქართველმა ხალხმა ქრისტიანული ცივილიზაცია განამშვენა საკუთარი კულტურით, რომლის საფუძველი იყო ქართული ენა და დამწერლობა.

IV-V საუკუნეების ქართველ პირველმთარგმნელთა დიდი ღვაწლით მალევე ითარგმნა ქართულად წმიდა წერილი და სხვა ქრისტიანული ლიტერატურა. საქართველოს ყოველ კუთხეში, მათ შორის აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოსა თუ კლარჯეთში ქართული ენა კვლავ დარჩა კულტურის, სარწმუნოების, ადმინისტრაციისა და ურთიერთობის ენად ისევე, როგორც ეს იყო წინა საუკუნეების საქართველოში ფარნავაზ მეფის შემდგომ. უფრო მეტიც, საქართველოს ეკლესიის წიაღში და მისი გავლენით შექმნილი ქრისტიანული კულტურა გადაიქცა ქვეყნის გაერთიანების მძლავრ საშუალებად.

X-XI საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიის გაძლიერების შემდგომ, კვლავ დადგა საკითხი ევროპული ცივილიზაციის უფრო მაღალი დონის ათვისებისა, ამიტომაც, ქართველმა წმიდა მამებმა გადაწყვიტეს კვლავ ეთარგმნათ უზარმაზარი ლიტერატურა, რის შედეგადაც იმჟამინდელ საერთაშორისო ცივილიზაციას ქართველობა დაეწაფა მშობლიური ენით.

წარსულში, როგორც მოყვანილი მაგალითები ჩანს, მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევები ქართული ენის მეშვეობით გაითავისა ქართველთა თაობებმა. ასეთი მიდგომა სამაგალითო უნდა იყოს ჩვენთვისაც, რადგანაც ამჟამად კვლავ ისმის კითხვა თუ რომელი ენის მეშვეობით უნდა ვეზიაროთ მსოფლიო ცივილიზაციის თანამედროვე დონეს, ინგლისური თუ რუსულით, ჩვენი წინაპრების პასუხია - მხოლოდ ქართულით.

მელქისედეკ კათალიკოსი საქართველოს იმჟამინდელ მეფეს ბაგრატ III თავის გამზრდელად მოიხსენიებს.

მემატიანე წერს - **"ბაგრატ III დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობით ჯიქეთითგან ვიდრე გურგანამდე"** (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 38).

ბაგრატ III, XI საუკუნის დასაწყისში, შეძლო გაეერთიანებინა საქართველოს სახელმწიფო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, მიზეზი ამისა იყო მოსახლეობის ერთგვაროვნება - ამ ვრცელი

რეგიონის მოსახლეობის უმეტესობას, არაბობის მძიმე საუკუნეების შემდეგაც, კვლავ ქართველობა წარმოადგენდა ერთი ენით, ერთი კულტურით, ერთი ტრადიციებითა და ერთი ეკლესიით (ეს მომენტი ასისახა კიდეც შემდგომ XVIII საუკუნეში შედგენილ ე.წ "ერთობის ტრაქტატში ივერიელ მეფე-მთავართა შორის").

საქართველოს საპატრიარქო აერთიანებდა მთელი კავკასიის მართლმადიდებლურ მოსახლეობას, ყირიმის კაფას ნახევარკუნძულიდან ვიდრე ვანის ტბამდე.

საქართველოს საპატრიარქოში შედიოდნენ ჩრდილო კავკასიის ქრისტიანები, კერძოდ, იქ შეიქმნა კიდეც "ხუნძეთის საკათალიკოსო" (დაღესტანში) საქართველოს საპატრიარქოს შემადგენლობაში.

ბაგრატ III პაპამ დედის მხრიდან, მეფე გიორგიმ, მონაწილეობა მიიღო ალანიის ეპარქიის ჩამოყალიბებაში, როგორც ეს მისადმი მიწერილ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებიდანაც ჩანს. ალანიის ეპარქია საბოლოოდ საქართველოს საპატრიარქოში გაერთიანდა. სოტეროპოლში მჯდომი ალანიის ბოლო მიტროპოლიტი ქვემო ივერიის ქართველ კათალიკოსს ექვემდებარებოდა.

ბაგრატ III აღაშენა ბედიის საკათედრო ტაძარი და საქართველოს პატრიარქების მეორე რეზიდენცია ბიჭვინთაში იყო. აქ "ქვემო იბერიის" ანუ დასავლეთ საქართველოს სამიტროპოლიტო ერთეულის - აფხაზეთის საკათალიკოსოს მწყემსმთავრები უფალს 1000 წელი ადიდებდნენ ქართული ენით, ვიდრე ადიღე-ჩერქეზული ტომების ჩამოსახლებამდე.

აღმოსავლეთით საქართველოს საპატრიარქოს თავისი მრევლი თითქმის კასპიის ზღვამდე გააჩნდა. ამის შესახებ V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაციც მიუთითებდა, რომ წმიდა ნინომ თავისი ადვილად გასაგები ქართული ენით იქადაგა "კლარჯეთიდან ვიდრე მასქუთებამდე". მასქუთების ტომი კასპიის ზღვასთან ცხოვრობდა.

გელასი კესარიელის ცნობით კი წმიდა ნინომ იქადაგა იბერთა და ლაზთა შორის. ლაზეთის ქვეშ აქ იგულისხმება ტრაპეზუნტის რეგიონის ჭანეთ-ქალდეას მოსახლეობა. ჭანები, ანუ ქალდეველები (ე.ი. ქართუელები) - წმიდა ნინოს მოქცეულად მიიჩნეოდა, მათ ქვეყანას შემდგომ ლაზისტანი უწოდეს. მის მოსახლეობას მუდამ ეჭირა თვალი საქართველოსაკენ.

სამხრეთით საქართველოს საპატრიარქოს საზღვრები თითქმის ვანის ტბამდე აღწევდა - აქ იყო მისი საეპისკოპოსოები ქ. ვალაშკერტში, ასევე ანისსა და დვინში.

თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მოძიებული ცნობით, წმიდა ანდრია მოციქულმა საქართველოში ქადაგების დროს, მიაღწია მცხეთამდე და მყინვარწვერამდე. მცხეთის იმ გორიდან, სადაც ამჟამად ჯვრის მონასტერი დგას, მას დაულოცავს მის წინ მტკვარ-არაგვის ვაკეზე გაშლილი საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა.

აქ, წმდა კვართის ამ ადგილას, სვეტიცხოველში, წმიდა ანდრია მოციქულის ტახტზე დაეფუძნა კიდეც საქართველოს ეკლესიის პატრიარქთა კათედრა. ამ ტახტიდან, IV საუკუნიდან დღემდე, 140 საჭეთმპყრობელი ლოცავდა საქართველოს. ხოლო 141-ეა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელმაც თავისი ლოცვებით ათეიზმისაგან დაღდასმულ ხალხში მოციქულებრივი ღვაწლით კვლავ ჩანერგა წმიდა სარწუნოება. ერის სიმრავლე დაუბრუნა ეკლესიის წიაღს. თავისი სიტყვითა და საქმით გააერთიანა საქართველო, მოგვცა ახალი ტრაქტატი **"ღვთისმშობლის წილხვედრ სრულიად საქართველოს და ყოველთა ივერიელთა ერთობისა"**, ერთი წლის წინ, 2009 წელს, რომელიც სიხარულით მიიღო მთელმა ერმა. ჩვენ ვევედრებით უფალ ღმერთს მის ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლესა და დღეგრძელობას.

საბოლოოდ, როგორც სვანეთის ლატალის ხევის ტაძრის ხატზეა მიწერილი, ჩვენც შევევედროთ უფალს - **"ღმერთო ადიდე ერთობილი საქართველო, ამინ".**

12.10.2010

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველო ევროპულ სივრცეში საკუთარი ეროვნული იდენტობით

ქართველ ერს (ვიდრე კავკასიაში რუსების გამოჩენამდე) მუდამ გააჩნდა თავისი სახელმწიფო და ცხოვრობდა კიდეც ათასწლეულთა მანძილზე სახელმწიფოებრივი ცხოვრებით. იბერიის ანუ საქართველოს სახელმწიფოს შესახებ ჩვენ მრავალ ცნობას გვაწვდიან ანტიკური ეპოქის ავტორები. მაგალითად, I საუკუნის ცნობილი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი სტრაბონი აღწერს იბერიის სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემას, გვაწვდის ცნობებს მისი ჯარის, ქალაქების, სოფლებისა და ხალხის შესახებ. ჩვენთვის საინტერესოა, რომ სტრაბონი საქართველოს მიიჩნევს ევროპული სივრცის ნაწილად გეოგრაფიული თვალსაზრისით. კერძოდ, ის ძველ ავტორებზე დაყრდნობით წერს, რომ საზღვარი ევროპასა და აზიას შორის გადის მდინარე ფაზისზე. ძველ სამყაროში ცნობილი მდინარე ფაზისი გაედინება საქართველოში, თანამედროვე შეხედულებით ესაა მდინარე რიონი, მაგრამ ძველი ავტორების თვალსაზრისით ფაზისი ერქვა მდინარე ჭოროხს. მაგალითად, ბიზანტიური განათლებით სახელგანთქმული ექვთიმე მთაწმინდელი, სხვა წმიდა მამები ათონურ-ბიზანტიური სკოლისა (რომელთაც საქართველოში განამტკიცეს ევროპულ-ბიზანტიური განათლების საფუძვლები X-XI საუკუნეში) მიიჩნევდნენ, რომ მდინარე ფაზისი ერქვა მდინარე ჭოროხს. როგორც აღინიშნა, სტრაბონის ცნობით მდინარე ფაზისის მარჯვენა სანაპიროდან იწყებოდა ევროპა, ხოლო მის მარცხენა სანაპიროზე აზია იყო განლაგებული, ვინაიდან, ისტორიული საქართველოს უმეტესი ნაწილი ამ მდინარის მარჯვნივ მდებარეობდა, ანტიკურ ეპოქაშიც საქართველო ევროპის ნაწილად მოიაზრებოდა.

ალბათ გეოგრაფიულზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ, სულიერი და კულტურული თვალსაზრისით, საქართველოს მუდამ თავისი თავი მიაჩნდა ნაწილად ევროპული ცივილიზაციისა. ამის შესახებ ჩვენ ცნობებს გვაწვდიან ეროვნული მატიანეები. კერძოდ I-IV საუკუნეში ქართველთა მიერ ქრისტიანული სარწმუნოების მიღება, განიხილებოდა, როგორც უმთავრესი მომენტი, რომელმაც სულიერ-კულტურული თვალსაზრისით საქართველო გამოჯნა აზიიდან და შეუერთა იმჟამინდელ ევროპულ სივრცეს. მაგალითად, როგორც კი IV საუკუნეში იბერიის მეფე მირიანმა და მთელმა ქართველმა ერმა, წმ. ნინოს მოღვაწეობით, მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება, მაშინვე, იბერიის დედაქალაქ მცხეთიდან ცნობა გაიგზავნა რომის იმპერატორთან ამ მოვლენის შესახებ. მემატიანის ცნობით იმპერატორმა მადლი შესწირა უფალს, რომელმაც იბერიის ხალხი გაქრისტიანების გზით დაუკავშირა დასავლეთს. იმჟამად, ქრისტიანობა წარმოადგენდა სარწმუნოებას რომაულ-ბიზანტიური იმპერიისა, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა შუა საუკუნეთა ევროპული ცივილიზაცია. ქართველი ერი ამ სარწმუნოების მეშვეობით, არა მხოლოდ სულიერად გადაიქცა ერთ-ერთ ნაწილად ევროპული სივრცისა, არამედ, მან იტვირთა ფუნქცია აღმოსავლეთის მიმართულებით მისი დაცვისა. საბოლოოდ, ქართველი ხალხი კავკასიაში იყო ერთადერთი ერი, რომელსაც XI საუკუნის შემდეგ ერთდროულად გააჩნდა საკუთარი სახელმწიფო და ქრისტიანული სარწმუნოება, რის გამოც საქართველო ფაქტობრივად იყო ევროპულ-ქრისტიანული სივრცის დამცველი, მისი აღმოსავლეთის ბასტიონი, რომელსაც მუდამ უტევდნენ არაქრისტიანული აღმოსავლეთის იმპერიები. საქართველოს დაცვა - ევროპული ცივილიზაციის დაცვასაც ნიშნავდა, რადგანაც ის, მისი ერთ-ერთი ფორპოსტი, მისი სასაზღვრო ჯებირი იყო.

ქრისტიანული მსოფლიოს დამცველად რომ წარმოედგინათ ქართველ მეფეებს თავიანთი თავი, კარგად ჩანს V საუკუნის დიდი ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან, სადაც

ის აცხადებს, რომ მისი ბრძოლები მიმართულია იმისაკენ, რომ დაიცვას იერუსალიმისა და ყველა ქრისტიანი ერის უსაფრთხოება. მემატიანის ცნობით, მისი არმია ებრძოდა უზარმაზარ, ასიათასობით ჯარისკაცისგან შედგენილ არმიებს, ერთ-ერთ ბრძოლაში დაჭრის შემდეგ სიკვდილის წინ ვახტანგ გორგასალმა დატოვა ანდერძი, რომლის აღსრულება საუკუნეთა მანძილზე განსაზღვრავდა ქართველთა ლტოლვას ევროპული სივრცისაკენ. კერძოდ, მისი ანდერძი იყო "ნუ მიატოვებთ ბერძენთა სიყვარულს", ბერძნების ქვეშ აქ იგულისხმება ბიზანტიურ-ევროპული ქრისტიანული სივრცე. ასე, რომ ქართველობა არა მარტო მიიჩნევდა თავის თავს ევროპული სივრცის ნაწილად, არამედ საკუთარი სისხლით და თავდადებული ბრძოლით საუკუნეთა მანძილზე იცავდა მას. საქართველო შუა და დასავლეთ ევროპას არაქრისტიანული მებრძოლი ტომების მოზღვავებას არიდებდა.

თავის მხრივ, ევროპასთან კავშირმა გააძლიერა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ჩვენ მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს. როგორც ითქვა, ათასწლეულთა მანძილზე ქართველ ერს უწყვეტად გააჩნდა თავისი სახელმწიფო, ზოგჯერ ძლიერი, ზოგჯერ კი სუსტი. მაგრამ ყოველი გაძლიერება ქართული სახელმწიფოებრიობისა დაკავშირებული იყო ევროპასთან. ცნობილია საქართველოს სახელმწიფოებრიობის განსაკუთრებული გაძლერება I-II საუკუნეებსა და XII-XIII საუკუნეებში. ეს იბერიის (საქართველოს) სახელმწიფოებრიობის და კულტურის გაფურჩქვნის განსაკუთრებული საუკუნეები იყო.

მცხეთის მიდამოებში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ქვის სტელა ბერძნული და ლათინური წარწერებით. მასში ნათქვამია, რომ სტელა არმაზის ციხის გალავანთან აღიმართა რომის იმპერატორების ვესპასიანეს და დომიციანეს სახელით, ნიშნად იბერიასა და რომის იმპერიას შორის მეგობრული ურთიერთობისა. წარწერაში, რომელიც შედგენილია I საუკუნის 70-იან წლებში, იბერიის მეფე მითრიდატეს ეწოდება "კეისრისა და რომაელი ხალხის მეგობარი". ფაქტი, რომ რომის იმპერია, იმჟამინდელი მსოფლიოს ზესახელმწიფო, თავის მეგობრად მიიჩნევდა იბერიას, ცხადია, ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო და ამას უკვალოდ არ ჩაულია, არა თუ უკვალოდ, არამედ ამ მეგობრობამ განადიდა და განაბრწყინა იმჟამინდელი საქართველო. გაიზარდა მისი საზღვრები, იბერთა მეფემ თავისი გავლენა განავრცო, გაძლიერებულმა მისმა არმიამ, მემატიანეთა ცნობით, რამდენჯერმე დაამრცხა პართიის ჯარი. საქართველოში I-II საუკუნეებში გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო გზები, არქეოლოგიურ მონაპოვარი აჩვენებს იმპორტული მასალის სიუხვეს. ისტორიკოსთა დასკვნით რომის იმპერიასთან მეგობრობის დროს I საუკუნის 30-იანი წლებიდან II საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით იბერია იყო ძლიერი სახელმწიფო, ამიტომაც რომაელი ისტორიკოსები ტაციტიუსი, დიონ კასიუსი და სხვები თავიანთ თხზულებებში ხალისით უთმობდნენ ადგილს იბერიის სისხლსავსე ცხოვრების აღწერას. შუა საუკუნეთა ევროპელები ანტიკური დროის იბერიას უკეთ იცნობდნენ, ვიდრე თავიანთი ეპოქის საქართველოს. რომის იმპერიასთან მეგობრობის ნიშნად რომში სტუმრად მიიწვიეს იბერთა მეფე ფარსმან ქველი, იგივე ფარსმან II (134 წელს იმპერატორ ანტონიუს პიუსის დროს), სადაც ის დიდი პატივით მიიღეს, რომში დაიდგა იბერთა მეფის ფარსმან II ცხენოსანი ქანდაკება, ამასთანავე ისტორიკოსის ცნობით იმპერატორს გაუფართოვებია იბერიის საზღვრებიც. ქართველმა ხალხმა მადლიერების ნიშნად ფარსმან მეფეს "ქველი" უწოდა თავისი გულმოწყალების გამო, ის იყო წინაპარი საქართველოს მეფე რევ მართლისა, რომელსაც III საუკუნის დასაწყისში წყაროს ცნობით - უკვე მოსმენილი ჰქონდა წმიდა სახარება - „სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და აქვნდა რამე სიყვარული ქრისტესი" (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 58).

არანაკლები სიდიადე მოიპოვა საქართველომ ათასი წლის შემდეგ, XII საუკუნის დასაწყისში, მეფე დავით აღმაშენებლის დროს. იმჟამად, თურქ-სელჯუკებისა და ეგვიპტელების გავლენის ქვეშ მოექცა პალესტინის წმიდა ადგილები. ამასთანავე, ბიზანტიის იმპერია თურქ-სელჯუკებმა ძლიერ დაამარცხეს და შეუტიეს საქართველოს. თურქ-სელჯუკები, რომელთაც ბიზანტია დაამარცხეს უთუოდ საქართველოს საბოლოო დამარცხებასაც შეძლებდნენ. ამ დროს საქართველოს

ესაჭიროებოდა ისეთი დამხმარე ძალა, რომელიც შეძლებდა თურქ-სელჯუკების ყურადღების გადატანას საქართველოდან სხვა მიმართულებით. მართლაც, ქართველთა მემატიანის თქმით ეს შეძლეს ევროპელმა მეფეებმა, როცა ჯვაროსნულმა მოლაშქრეებმა თურქ-სელჯუკებს შეუტიეს მცირე აზიასა და წმიდა მიწაზე. შეიქმნა ერთიანი ფრონტი ქრისტიანობის დასაცავად. ჩვენი მემატიანე დავით აღმაშენებლის წარმატებებსა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების დაწყებას უკავშირებს ამ პროცესებს. ის წერს - "ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღვთისათა მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანს ხარაჯა და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს" (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 325-326). მაშასადამე, დაახლოებით 1099 წელს საქართველოს აღორძინების დასაწყისად მიიჩნევა იმ ერთიანი ქართულ-ევროპული სამხედრო კოალიციის შექმნა, რომელმაც შეძლო თურქ-სელჯუკების საბრძოლო მიმართულების გადატანა საქართველოდან უფრო სამხრეთით პალესტინისა და მცირე აზიისაკენ, მემატიანის სიტყვით. მუსულმანთაგან გათავისუფლდა იერუსალიმი, წარმოიქმნა ქრისტიანული სამეფო იერუსალიმისა, რომლის მეფეც თვითონ ჩამოსულა საქართველოში დავით აღმაშენებელთან მოსალაპარაკებლად. დიდგორის სახელოვან ომშიც ჯვაროსანთა 500 რაინდის მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან რაინდთა სამხედრო აღჭურვილობა და ბრძოლისუნარიანობა ამხნევებდა სხვა მებრძოლებს. დიდ დავით აღმაშენებელს მემატიანე "მეორე ალექსანდრე მაკედონელს" უწოდებს, რომელმაც შეძლო ქართველი ერის კონსოლიდაცია და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად მეგობრული კავშირების შეკვრა ევროპის სამხედრო ძალებთან. მართლაც, XII საუკუნის საქართველო ისევე ბრწყინავდა, როგორც ათასი წლის წინ ფარსმან II დროს.

ზემოთმოყვანილიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი გაძლიერების ვრცელი ეპოქები ეფუძნებოდა მეგობრობასა და მჭიდრო ურთიერთობას ევროპულ ქვეყნებთან.

საქართველოს ერის თავისთავადობის საყრდენი ათასწლეულთა მანძილზე იყო და ამჟამადაც არის მართლმადიდებელი სარწმუნოება. სიყვარული ამ ეროვნული სარწმუნოების მიმართ ვერ დაჩრდილა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობამ XIX საუკუნის დასაწყისში. ივანე ჯავახიშვილი თავის წიგნში "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში" კარგად აღწერს, ნაბიჯ-ნაბიჯ, კეთილმეგობრობის ნიღბით, თუ როგორ აუქმებდა რუსეთის იმპერია საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და ძირს უთხრიდა მისი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას. ბოლო 200 წლის მანძილზე რუსეთის მიერ ქართველთა შორის დაინერგა მრავალი ცრუ იდეოლოგიური წარმოდგენა. მაგალითად, ამჟამად გავრცელებული თვალსაზრისი, თითქოსდა ევროპული ცივილიზაცია მიუღებელია მართლმადიდებლობისათვის. ეს რა თქმა უნდა ასე არაა. სინამდვილეში მართლმადიდებელ ერთა და ქვეყანათა უმეტესი ნაწილი ევროპული სივრცის სრულფასოვანი წევრია. მაგალითად, მართლამდიდებლური ქვეყნები საბერძნეთი, ბულგარეთი, რუმინეთი ევროკავშირისა და ნატოს წევრები არიან, შესაბამისად ისინი თავიანთ თავს გრძნობენ უფრო დაცულად. მაგალითად, მე ბედნიერება მქონდა 80-იან წლებში მემოგზაურა საბერძნეთში და მომელოცა ათონის მონასტრები. იმჟამად, საბერძნეთი თითქმის ისეთივე განვითარების ქვეყანა იყო, როგორც საქართველო. მეორეჯერ, თითქმის 20 წლის შემდეგ, კვლავ ვეწვიე საბერძნეთს, სხვაობა ძალზე დიდი იყო. საბერძნეთი 20 წლის მანძილზე გაძლიერდა და განვითარდა. როცა ვიკითხე თუ რა იყო ამის მიზეზი განაცხადეს, რომ შევედით ევროკავშირში და მისგან მიღებული უდიდესი ეკონომიკური მხარდაჭერის შედეგიც სახეზეაო. ასე, რომ მართლმადედებლური ქვეყნების უდიდესი ნაწილი ევროპული სივრცის წევრია, ისინი ამჟამად ვითარდებიან და იფურჩქნებიან. ამავე სივრცის ნაწილი იყო ძველთაგანვე საქართველო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მართლმადიდებელი ქვეყანა მსგავსად ბულგარეთის, რუმინეთისა და საბერძნეთისა, კვლავ დაუბრუნდება მის

მშობლიურ ევროპულ სივრცეს, რომლის ნაწილად მიაჩნდა მას თავისი თავი ათასწლეულთა მანძილზე.

მართალია, საქართველო ძველთაგანვე იყო ბუნებრივი ნაწილი ევროპული სივრცისა, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ მას გააჩნდა თავისი საკუთარი ეროვნული იდენტობა - საკუთარი კულტურა, რომელიც ეფუძნებოდა ქართულ ენასა და დამწერლობას. ქრისტიანობა ქართველმა ერმა მიიღო საკუთარ, მშობლიურ ქართულ ენაზე და არა უცხო, იმჟამად საერთაშორისო ბერძნულ ანდა ლათინურ ენებზე. ქრისტიანული კულტურის განვრცობა ევროპაში გლობალიზაციის ერთ-ერთი პირველი ეტაპი იყო. ეს კულტურა მთლიანად მიიღო ქართველმა ერმა, მაგრამ გარდაქმნა ის საკუთარი ეროვნული კულტურის ქურაში და შედეგად აღმოცენდა ეროვნულ-ქართული ქრისტიანული კულტურა, რაც ქართველი ერის თავისთავადობის, მისი იდენტობის საფუძველი იყო. ამ საქმეს ემსახურებოდნენ თაობები ქართველი სასულიერო მამებისა, მათ შორის განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ათონის ივერთა მონასტრის სასულიერო კერა, რომელმაც შეძლო უვრცელესი ბერძნული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა-გადმოღება თავისი ერისათვის.

ჩვენ ამით იმის თქმა გვსურს, რომ ამჟამადაც გლობალიზაციის ახალი ტალღის ეპოქაში, ქართველმა ერმა თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევები უნდა მიიღოს და გაითავისოს არა რომელიმე საერთაშორისო ენის, არამედ ეროვნული ქართული ენისა და დამწერლობის საშუალებით. თანამედროვე ტექნიკური მიღწევები, ახალი ტექნოლოგიები ქართულენოვანი უნდა იყოს. ჩვენი მეზობელი ხალხები უფრო მომზადებულნი შეხვდნენ გლობალიზაციის თანამედროვე ტალღას. მაგალითად, ავიღოთ თითქოსდა უმარტივესი მობილური ტელეფონი - საქართველოში ამ ტექნიკური საშუალებისათვის ვიყენებთ ლათინურ შრიფტს, მაშინ, როცა ამისათვის აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინასა და ყველა მეზობელ ქვეყანაში ეროვნული საანბანო შრიფტები გამოიყენება. ამის შედეგად, აღმოჩნდა, რომ ჩვენი მოზარდი თაობის ერთ ნაწილს ლათინური ასოებით უფრო ემარჯვება აზრების ჩაწერა, ვიდრე ათასწლოვანი ქართული შრიფტით. ეს თავზარდამცემი მომენტია.

ახლა არის მოწოდება საყოველთაოდ შევისწავლოთ საერთაშორისო ენები ინგლისური და რუსული და მათი საშუალებით ვეზიაროთ თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციას, ეს არის მცდარი გზა. ჩვენ გვაქვს წინაპრების კარგი მაგალითი, კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, ათონელი მამების დროს X-XI საუკუნეებში საერთაშორისო ცივილიზაციის და გლობალიზაციის ენა ბიზანტიურ სამყაროში იყო ბერძნული, დასავლეთ ევროპაში კი ლათინური. მათი ცოდნის გარეშე თითქოსდა ვერავინ ეზიარებოდა იმჟამინდელ ცივილიზაციას, მაგრამ ათონელმა ქართველმა მამებმა სხვა გზა აირჩიეს, მათ ის კი არ მოუწოდეს ქართველებს, რომ ყველას შეესწავლა ბერძნული ენა, არამედ თვითონ დაიწყეს ბერძნულიდან თარგმნა უზარმაზარი ლიტერატურისა და ბერძნულენოვანი ცივილიზაცია ქართული ენის მეშვეობით გაათავისებინეს ქართველთა თაობებს. ამჟამად, საჭიროა, თანამედროვე ტექნიკური საშუალებები აღიჭურვოს ქართული შრიფტით, დაინერგოს საყოველთაო საკომპიუტერო თუ სატელევიზიო ქართულენოვნება და გლობალიზაციის ტალღა მივიღოთ ეროვნული იდენტობის სრული შენარჩუნებით. ასე უკვე იქცევიან აზერბაიჯანელები, სომხები, უკრაინელები, თუ არას ვიტყვით თურქეთსა და რუსეთზე, ბულგარეთსა და რუმინეთზე.

საბოლოოდ, უნდა ვთქვათ, საქართველო იყო და უნდა იყოს ნაწილი ევროპისა თავისი საკუთარი სახით, საკუთარი იდენტობით.

10. IV. 2010

წმიდა ხრისო და პატკანოვ-ვოსტორგოვის აღორძინებული იდეები

“ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც (რუსები და კომუნისტები) ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას სულიერად გაველურებისა და გახრწნის კარამდე”.
წმიდა კათალიკოს-პატრიარქი ამბოროსი ხელაია

ჩვენში, როგორც ვიცით, ინტელექტუალური საკუთრება დაცული არ არის და შეიძლება სიმართლეც იყოს ის, რომ ინტელექტუალური საკუთრება არც კი მიიჩნევა საკუთრებად. აქედან გამომდინარე მისი მითვისება თითქმის არ უქმნის ზნეობრივ უხერხულობას მიმთვისებელს. საზოგადოება გულგრილი არის ამ საკუთრების მიმართ, რადგანაც ადამიანებს არათუ აბსტრაქტული საკუთრება, არამედ პირადი ქონებაც ვერ დაუცავთ და მისი დაკარგვის შიშის ქვეშ არიან. ამიტომაც, უნდა ითქვას, რომ ინტელექტუალური საკუთრების მოპარვაც ცოდვაა და ექვემდებარება ათი მცებიდან ერთ-ერთ აკრძალვას - “არა იპარო”.

ინტელექტუალური საკუთრების ქვეშ თუ რა მძიმე შრომა ძევს, ეს ჩვენში მრავალმა იცის. რადენი ათეული წელი, დიდი ძალისხმევა, თეთრად გათენებული ღამეები, ფიქრი და კვლევა ესაჭიროება ნაშრომის შექმნას, შემდეგ კი მის საზოგადოებისათვის მიწოდებას და დამკვიდრებას.

განსვენებული პროფესორი შოთა ბადრიძე ამბობდა ხოლმე - ჩვენ ხალხისათვის ვწერთ, ამიტომაც არ უნდა გვიკვირდეს, როცა აღმოვაჩენთ, რომ ჩვენ იდეებსა და თეორიებს იმეორებენ სტუდენტები და ახალგაზრდები, მაგრამ მეცნიერი კი მოვალე არის მათი განმეორების შემთხვევაში ავტორის ვინაობა დაასახელოსო.

არცთუ დიდი ხნის წინ, ხელში ჩამივარდა ერთ-ერთი სასწავლებლის ლექტორის ბატონი X-ის ნაშრომი რომლის სათაურია “საქართველოს სამოციქულო ეკლესია”, ცოტა გამიკვირდა ასეთი სათაური, რადგანაც ჩემს წიგნსაც ასეთი სახელი - “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია” ჰქვია. გადავშალე ეს წიგნი, უფრო სწორად 30 გვერდიანი ბროშურა და ჰოი საოცრებავ, მის თითქმის ყოველ გვერდზე აღმოვაჩინე ჩემი წიგნიდან გადაწერილი მრავალი დასკვნა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მე ამ დასკვნების დასასაბუთებლად დამჭირდა ვრცელი ნაკვლევებისა და პარაგრაფების დაბეჭდვა მრავალ წყაროსა და ლიტერატურის მითითებებით, ხოლო ბატონ X-ს ეს დასკვნები, როგორც ავღნიშნეთ, პირდაპირ აქვს გადაღებული ყოველგვარი მითითებების გარეშე. პირველ თხუთმეტ გვერდზე არანაკლებ ჩემი ცხრა დასკვნა აქვს გადაწერილი და მითვისებული, მაგრამ მისი ნაშრომის მე-17 გვერდიდან უკვე შევწყვიტე მათი თვლა და ზოგადად, ალბათ მათ ყურადღებასაც არ მივაქცევდი და ამ წერილსაც არ დავწერდი, რომ ავტორს მე-17 გვერდიდან არ დაეწყო ჩვენი ერის მომავლისათვის საშიში თეორიების გამომზეურება. კერძოდ, “დასავლეთ საქართველოს ეკლესიის” განცალკევებული სახით წარმოჩენა. ჩვენ ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით, ამჟამად კი იძულებული ვართ წარმოვაჩინოთ პლაგიატიზმის ერთი-ორი მაგალითი.

ჯერ კიდევ კომუნისტური მართველობის დროს, 1989 წელს, საშუალება მომეცა არალეგალურად, ასე ვთქვათ, იატაკქვეშ გამომეცა წიგნი “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის” პირველი ტომი. მე ბედნიერი ვარ, რომ ის მაშინვე მოიწონა ჩვენმა მრევლმა. თვითონვე აბეჭდინებდნენ ამ სქელ წიგნს და ამრავლებდნენ (ბევრ საოჯახო ბიბლიოთეკაშია დაცული). შემდეგში 80-იან წლებში ეს წიგნი ოთხ ტომად გამოსცა გამომცემლობა “მერანმა”. ამ წიგნიდან ნაწილები დაიბეჭდა ვრცელი სახით საეკლესიო ორგანოებში, მაგალითად, 1994 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში დაიბეჭდა ამ წიგნის მესამე ტომის დიდი ნაწილი, ხოლო 1998 წლის საქართველოს ეკლესიის თითქმის მთელი კალენდარი (300 გვერდზე მეტი) დაეთმო აღნიშნული წიგნის მნიშვნელოვან ნაწილს.

1999 წელს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში დისერტაციაც კი დავიცავი ამ წიგნის მიხედვით. რეცენზენტებმა გ. ალასანიამ და ვ. გოილაძემ ზემოთ აღნიშნული დასკვნები საფუძვლიანად გააანალიზეს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველივე აღნიშნულის შემდგომ, ზემოთ ხსენებულ ბატონ X-ს ყოფნის გამბედაობა, თუ სხვა სიტყვებით ვიტყვით, ალბათ ცინიკური მიდგომა და თავის ბროშურაში სრულიად მოურიდებლად გადააქვს ისეთი დასკვნებიც კი, რომლებიც აღნიშნულმა რეცენზენტებმა, სახელოვანმა ისტორიკოსებმა და წყაროთმცოდნეებმა, თავიანთ რეცენზიებში გააანალიზეს და გამოაქვეყნეს კიდეც. ერთი ასეთი მაგალითია ჩემი დასკვნა იმის შესახებ, რომ ქართველ ხალხში მხსნელი მესიის მოლოდინი ქრისტეს შობამდეც არსებობდა და ცნობილი იყო მეფე მირიანის ეპოქაშიც. ცხადია, ეს არის სერიოზული თვალსაზრისი, თავისი დროისათვის ახალი და ორიგინალური, რომლის დასამტკიცებლად მე დამჭირდა არა მარტო ქართული, არამედ უცხოური წყაროებისა და ლიტერატურის მოხმობა და გამოყენება. ეს თვალსაზრისი პარაგრაფების სახით იყო ჩამოყალიბებული და გამოქვეყნებული ჩემი ავტორობით გამოსულ მრავალ წიგნში, მათ შორის ისეთში, როგორიცაა 1994 წელს გამოქვეყნებული "ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია", 1998 წელს გამოქვეყნებულ აღნიშნულ საქართველოს ეკლესიის კალენდარში, 1996 წელს გამოქვეყნებულ "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის" პირველ ტომში და ბოლოს 2001 წელს გამოცემულ ბროშურაში "ქართველი ხალხის მომზადება მაცხოვრის მისაღებად". როგორც ავღნიშნეთ, ხსენებულ საკითხს ვრცელი მსჯელობა დაუთმო თავის რეცენზიაში ვ. გოილაძემ და ბატონი X-ს კი უაპელაციოდ, საკმაოდ ვრცლად გადააქვს თავის ნაშრომში, მე იძულებული ვარ ბატონ ვ. გოილაძის ძალზე ვრცელი ამონარიდი მოვიტანო.

კერძოდ, ვ. გოილაძე აღნიშნული საკითხის შესახებ წერს: **"სახარებისეული ეს ეპიზოდი ჩემში პირადად ყოველთვის აუხსნელი იყო და ვერ გამეგო, რამ გამოიწვია ცეცხლთაყვანისმცემელთა თაყვანისცემა, როგორც სათანადო ევროპულ ლიტერატურაზე (ე. სვეტლოვ. ვესტნიკ ცარსტვა ბოჟია.V,1972, გვ. 363) დაყრდნობით მეუფე ანანია აჩვენებს, რომ ისრაელის გარეთ ზოროასტრიზმი მსოფლიოს ერთადერთი რელიგია ყოფილა, რომელიც იცნობდა მესიანიზმს... თითქმის ამავე საკითხს უკავშირდება და მეტად საინტერესოა, თუ რას უნდა ნიშნავდეს "წიგნი ნებროთისა", როგორც "მეფეთა ცხოვრებაში" ნათქვამია, ეს წიგნი ჯერ კიდევ წარმართ მეფე მირიანს ჰქონდა. "მეფეთა ცხოვრების" ცნობით, მირიანმა მასში "პოვა წერილი ესრეთ "უკანასკნელთა ჟამთა მოვიდეს მეფე იგი ცისა... მან გიხილოს ჭირსა შინა და გიხსნას შენ" (ქართ. ცხ. 1. გვ. 105). მეუფე ანანია წერს: მეფე მირიანმა წმინდა ნინოს მიერ გაქრისტიანებულ აბიათარისაგან მრავალჯერ გამოიკითხა ცნობები "ველთა და ახალთა წიგნთა". „გაქრისტიანებამდე აბიათარი ძველი აღთქმის, ე.ი. იუდაისტური სარწმუნოების მღვდელი იყო". მეფე მირიანს, რომელიც გაქრისტიანებამდე ცეცხლთაყვანისმცემლობასაც იცნობდა, "ნებროთის წიგნი" ჰქონია. ეს უნდა ყოფილიყო არა "ძველი აღთქმის აპოკრიფები", არამედ სწორედ ზოროასტრიზმის სულიერი ცოდნის შემცველი "სპარსთა წმინდა წიგნი" ავესტა, რომელსაც ზოგჯერ ირანულ ბიბლიასაც უწოდებდნენ. მეუფე ანანიას ასეთი მოსაზრების დასტურად მიაჩნია "ქართლის ცხოვრება". მარიამ დედოფლისეულ ვარიანტში ქართველთა ცხოვრების აღმწერელ თხზულებას წინ უძღვის მსოფლიო ისტორიისადმი მიძღვნილი ნაკვეთი, რომელშიც ნებროთი ცეცხლთაყვანისმცემლად და მის ერთ-ერთ მოძღვრადაა გამოყვანილი (კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. I, გვ. 440). მაშასადამე, - განაგრძობს მეუფე ანანია, - წმინდა ნინოს სასწაულთა შემდეგ მეფე მირიანი საგანგებოდ გაეცნო ძველი და ახალი აღთქმის უმთავრეს იდეას და ცეცხლთაყვანისმცემლური სარწმუნოების ძირითად თვალსაზრისთან შეადარა. ამის შემდეგ, მემატიანეს სიტყვით, "გულისხმა ყო მეფემან მირიან, რამეთუ ძველნი წიგნნი და ახალი ეწამებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა და შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა" (ქ.ცხ. 1, გვ. 105). როგორც ვხედავთ, ახლა გასარკვევია, რას ნიშნავს "მეფეთა ცხოვრებაში"გამოთქმა "ძველნი წიგნი და ახალი ეწამვოდეს" და ამას "ნებროთის" წიგნიც დაამტკიცებდაო". მეუფე ანანია მასაც ხსნის: "რას ეწამვოდნენ" ან რას ამტკიცებდნენ "ძველნი და**

ახალნი წიგნნი (სვამს კითხვას და პასუხობს: “რა თქმა უნდა, წინასწარმეტყველებას მესიის მოსვლის შესახებ, რომელსაც “დაამტკიცებდა”, ანუ ეთანხმებოდა “ნებროთის წიგნი”, ამან სრულიად შეძრა მეფე მირიანი და ხელი შეუწყო მის გაქრისტიანებას. შემდეგ მეუფე განაგრძობს, სამეფო ოჯახში “ნებროთის წიგნის არსებობის შესახებ მოგვითხრობს ჯუანშერიც, რომელიც ვახტანგს ათქმევინებს: “მამათა ჩუენთა ფარულად ეპყრა წიგნი ესე”, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ III-IV საუკუნეებში ქართველი ერის საუკეთესო ნაწილს გაგებული ჰქონდა მესიის მოსალოდნელი მოსვლის შესახებ”-ო. (გვ. 145 - 146). ამრიგად, მეუფე ანანიას დასკვნით, “ნებროთის წიგნი”, როგორც აქამდე ეგონათ, ძველი აღთქმის აპოკრიფი კი არაა, არამედ “სპარსთა წმინდა წიგნი” ავესტაა. ვფიქრობ, გამოდის, რომ მირიანის დროს სამეფო ოჯახში იყო მისი ქართული თარგმანი. ეს წიგნი დარჩენილა სამეფო ოჯახში და V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა იცოდა, “მამათა ჩუენთა დაფარულად რომ ეპყრათ წიგნი ესე “ - ნებროთისა” (ქ.ცხ. I, გვ. 140 - 142). …ავესტის შინაარსით, თუ იგი, მართლაც იგივე “ნებროთის წიგნია” იმთავითვე ჩრდ. შუამდინარეთის მოსახლეობასთან ერთად, ქართველებიც უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი, რადგან ნებროთი ბიბლიის თანახმად, შუამდინარეთის პირველი მეფე იყო და ამ სამეფოში შედიოდა ქართველთა ერთ-ერთი წინაპარი თუბალი” - წერს ვ. გოილაძე.

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს ის თემა, რომელსაც ბატონმა X-მა თავისი ბროშურის პირველი პარაგრაფები მიუძღვნა, კერძოდ, მეფე მირიანის ოჯახში დაცულ წიგნში მხსნელი მესიის მოლოდინის და აგრეთვე, მის მიერ ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ამ კუთხით განხილვის შესახებ, თავდაპირველად და საერთოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში განხილული იყო ჩემს მიერ გამოცემულ სხვადასხვა წიგნში და რაც მთავარია, ის რეცენზირებულიც კი იყო მეცნიერთა მიერ.

ბატონ X-ს, როგორც აღინიშნა, სხვა მრავალი იდეაც გადაუწერია ჩემი წიგნიდან. მათ შორის ერთი, განსაკუთრებით ღიმილის მომგვრელია ჩემთვის. საკითხი შეეხება წმიდა ხრისოს თემას. ის II საუკუნეში ცხოვრობდა, გააქრისტიანა ერთ-ერთმა მოციქულმა, თავის მხრივ კი მან შემდგომ სხვებს გადასცა ქრისტეს მცნებანი. ცხადია, წმიდა ხრისო არ იყო არც მოციქული და არც სამოცდაათ მოციქულთა შორის ირიცხებოდა. მიუხედავად ამისა, ბატონი X მაინც წერს, რომ ჩვენში “უქადაგია სამოცდაათ მოციქულთაგან ხრისოს, თავის 19 მოწაფესთან ერთად” (ე.ბ. “საქართველოს სამოციქულო ეკლესია”, 2008, გვ. 7)

ისეთი მოღვაწე, როგორიცაა ბატონი X, რატომ მიიჩნევს წმიდა ხრისოს ერთ-ერთ მოციქულად სამოცდაათ მოციქულთაგან?

საქმე ისაა რომ, ბატონ X-ს დიდად არ შეუწუხებია თავი, ერკვია მართალი იყო თუ არა ის ავტორი, რომლის შრომებზე დაყრდნობითაც ადგენდა თავის კომპილაციას, ამიტომაც პირდაპირ გადაუწერია ავტორის კალმისმიერი შეცდომა, ან უფრო სწორად მბეჭდავისმიერი შეცდომა.

კერძოდ, XX საუკუნის 80-იან წლებში, ჩემი ხელნაწერის საბეჭდი მანქანით გადაბეჭდვის დროს, ცხონებულ ნანა სამარგულიანს, რამდენიმე სიტყვა გამორჩა. რის გამოც, ჩემს ნაშრომში დარჩა ასეთი ფრაზა, რომ “სამოცდაათთაგან ერთ-ერთ მოციქულს ხრისოს უქადაგნია საქართველოს აღმოსავლეთ კუთხეში” ნაცვლად წინადადებისა: - “სამოცდაათთაგან ერთ-ერთ მოციქულს გაუქრისტიანებია ხრისო, რომელსაც უქადაგნია თავის 19 მოწაფესთან ერთად”. ეს კალმისმიერი შეცდომა ასევე შევიდა ჩემს ოთხტომეულში, ასევე შევიდა 1998 წლის კალენდარში და ასე მეორდებოდა გამოცემიდან გამოცემაში. ახლა კი ბატონ ე.ბ., რომელიც თურმე იფიცება პლაგიატორი არა ვარო, აუღია და ეს ჩემი შეცდომა თავის წიგნში უცვლელად გადაუტანია.

ხრისო, ცხადია, არ არის იმ სამოცდაათი მოციქულის ჩამონათვალში, რომელსაც წმიდა ეკლესია ძველი სტილით 4 იანვარს იხსენებს, რაც ნათლად აჩვენებს ბატონ X-ს მუშაობის წესს. როგორც ვთქვით, სხვაც მრავალია ასეთი გადანაწერი. ზოგიერთში, მაგალითად, ბატონი X ჩემი მოსაზრების გასხვისებას ცდილობს, მაგალითად ის წერს: “საეკლესიო ტრადიციით მატათა მოციქული განისვენებს გონიოში”. სინამდვილეში გონიოში მატათა მოციქულის განსვენების შესახებ, პირველად მე გამოვთქვი მოსაზრება, რა თქმა უნდა შესაბამის წყაროებზე დაყრდნობით.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი, რომ მეორე წმიდა მოციქულიც ჩვენს ქვეყანაში, აჭარაში, კერძოდ კი გონიოში განისვენებდა, მე დავიწყე გავრცელება ამ ახალი აზრისა პრესისა და წიგნების საშუალებით 80-იანი წლებიდან მრავალი წლის მანძილზე, ამჟამად, ღვთის მადლით, ეს აზრი ჩვენში დანერგილია. უფრო მეტიც, გონიოში სხვა მღვდელმთავრებთან ერთად დავდეთ ნიშანი მატათა მოციქულის განსვენების შესახებ. შემდგომ გონიო მოლოცვის ადგილადაც იქცა. რა თქმა უნდა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ წმიდა მოციქული გონიოში განისვენებს. თუმცა, ძველი საეკლესიო წყარო არა გონიოს მიუთითებს, არამედ აფსაროსს. ჩვენი შრომა სწორედ ის იყო, რომ ეკლესიის ისტორიაში პირველად ვუწოდეთ აფსაროსს მისი თანამედროვე სახელი გონიო, და ეს იყო თითქმის 20 წლის წინ. სწორედ ამის შემდეგ, მომეცა საშუალება მემტკიცებინა, რომ საქართველოში განისვენებდა არა მხოლოდ ერთი მოციქული - წმიდა სიმონ კანანელი (ასეთი აზრი გაბატონებული იყო იქამდე ჩვენში), არამედ ორი. რომ მეორე წმიდა მოციქული აჭარაში, ბათუმთან ახლოს გონიოში განისვენებს (იმჟამად ვიქრობდი, რომ აფსაროსი გონიოს ადგილას მდებარეობდა).

ასევე, პირველად ჩვენ მივუთითეთ, რომ ქართლის ცხოვრების ცნობა წმიდა ანდრიას მიერ აწყურში საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ, რომლისთვისაც იქამდე ყურადღება არ მიუქცევიათ, სინამდვილეში წარმოადგენდა ცნობას, ქართული ეკლესიის I საუკუნეში ორგანიზების შესახებ და თუ ეს ასეა, ქართველ იერარქთა რიგში აღნიშნული ეპისკოპოსი პირველი აღმოჩნდება. ეს თვალსაზრისი ბატონ X-ს ლამაზად ჩაურთავს თავის ნაშრომში და კიდევ სხვა მრავალი თვალსაზრისი, რომელთა მიმოხილვისთვის ადგილი აღარ რჩება, მაგრამ მაინც ჩემთვის გამოცანად რჩება ერთი საკითხი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ზოგიერთი თანამშრომელი, რატომ არ მიაგებს სათანადო პატივს დიდი ივანე ჯავახიშვილის შრომას. კერძოდ, საქმე შეეხება საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის საკითხს. როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილმა კატეგორიულად უარყო საეკლესიო გადმოცემა წმიდა მოციქულების საქართველოში მოღვაწეობის შესახებ და მას ლეგენდა უწოდა, მიაწერა თქმულებათა რიცხვს. ამ ნაშრომში, როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილმა დაიმსახურა რუსეთის წამყვანი უნივერსიტეტის სამეცნიერო ჯილდო. შემდგომში თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში წმიდა მოციქულების ხსენება არა მარტო შეუძლებელი იყო, ვითარცა არასამეცნიერო თვალსაზრისისა, არამედ მიაჩნდათ არაკომპეტენტურობადაც. კარგად მახსოვს ჩემი აღნიშნული ნაშრომების გამოქვეყნებამდე "საქართველოს ეკლესიის კალენდრების" საერო რედაქტორებიც კი ერიდებოდნენ წმიდა მოციქულების ხსენებას. მაგალითად, როცა ერთ, ზუსტად აღარ მახსოვს, 1982-84 წლების კალენდრების რედაქტორს ბატონ ნ.ბ. - ს შევეკითხე თუ რატომ არ ახსენებდა მის მიერ გამოქვეყნებულ საქართველოს ეკლესიის ისტორიის მწირ ქრონოლოგიურ ჩამონათვალში წმიდა მოციქულებს, მან ასე მიპასუხა: რა უვიცები არიან თანამედროვე ქართველი სასულიერო პირები, ისიც კი არ იციან, რომ ეს საკითხი ივანე ჯავახიშვილმა მეცნიერულად უარყოო. სწორედ ასეთი ფონის გამო დამჭირდა მე, რომ მთელი თავები მიმეძღვნა საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობისათვის. შემდეგ დამჭირდა საგანგებო დისერტაციის დაცვა ისტორიის ინსტიტუტში, რათა ბატონ ნ.ბ.-ს მსგავსად უვიცობად არ ჩაეთვალათ ჩემს მიერ მოციქულების ხსენება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პირველი საუკუნეების აღწერისას.

ასეა თუ ისე, საეკლესიო მწერლებს არც კი გვევალებოდა, მაგრამ მაინც შევეცადეთ მეცნიერული თვალსაზრი წარმოგვედგინა მოციქულთა ჩვენში მოღვაწეობის შესახებ. თუმცა, საეკლესიო ავტორებს მეცნიერული არგუმენტების გარეშეც, რა თქმა უნდა გვწამდა და პატივს ვცემდით ზემოთ აღნიშნულ თვალსაზრისს ჩვენში მოციქულთა ღვაწლის შესახებ.

თუ საერო ისტორიკოსი გულწრფელია, როცა დაბეჯითებით მიუთითებს საქართველოში წმიდა მოციქულების ქადაგებათა შესახებ, ის ვალდებულია პირველ რიგში კეთილსინდისიერად, მეცნიერული მეთოდებით გააბათილოს ივ. ჯავახიშვილის მიერ წამოყენებული მოსაზრება და მხოლოდ ამის შემდგომ წეროს აღნიშნულის შესახებ.

ჩვენში ჯერ-ჯეროვნად არცერთ საერო მეცნიერს არ გაუბათილებია ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული მოსაზრება. შესაბამისად, ის ვითარცა სამეცნიერო მოსაზრება კვლავ მოქმედია და დაძლეული არ არის. ასეთ ქმედებას კი მიესალმებოდა თვითონ დიდი ივანე ჯავახიშვილი, რადგანაც მისი თვალსაზრისით ისტორიოგრაფია არ არის დოგმატური მეცნიერება, ყოველ ახალ თაობას ახალი წყაროები და მეთოდები უჩნდება ძველის დასაძლევად და თავიანთი ახალი არგუმენტების დასასაბუთებლად, ისტორიოგრაფია ვითარდება და ჯანსაღი კრიტიკის გარეშე მას საქართველოში ღრმა ჩამორჩენილობა ელოდება. ასე, რომ თუკი ბატონ X -ს და სხვებს ნამდვილად სჯერათ ჩვენში მოციქულების ქადაგება, ეს მათ სამეცნიერო არგუმენტებით უნდა დაამტკიცონ, თუნდაც ისევე, როგორც ეს გავბედეთ ძველად რამდენიმე სასულიერო პირმა, თუმცა ახლა ყველა კარი ღიაა.

რაც შეეხება “დასავლეთ საქართველოს” ე.წ. ეკლესიას, მას ქვემოთ შევეხებით.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შესახებ

წმიდა წერილში ნაბრძანებია - “დიდებული მრავალია რჩეული კი ერთი”. საქართველოს უთვალავ დიდებულ ერისკაცთა შორის გამორჩეულია ივანე ჯავახიშვილი, რომელიც იმთავითვე შეიყვარა ქართველმა ერმა.

ივანე ჯავახიშვილი მოღვაწეობდა ურთულეს პერიოდში, რომელსაც ამჟამად უწოდებენ “ათეიზმის ეპოქას”, რომელიც გამოირჩეოდა ნიჰილიზმით, ყოველივე წმიდას და ღირებულის უარყოფით. უფალი ღმერთის უარყოფის შემდეგ ათეისტებმა ახალგაზრდებს აარჩევინეს ერის წარსული დიდების უარყოფის გზა. მიუხედავად ასეთი ეპოქისა ივ. ჯავახიშვილმა თავისი საოცარი ნიჭიერება და გამორჩეულობა აჩვენა იმით, რომ ის გადაიქცა ავტორიტეტად თვით ნიჰილისტურად განწყობილი თაობებისათვისაც კი.

ივ. ჯავახიშვილის ეპოქა ხასიათდებოდა ასევე სხვა მნიშვნელოვანი მომენტებითაც. კერძოდ, დაინგრა რუსეთის იმპერია, საქართველომ 1918-21 წლებში თავისუფლება მოიპოვა, მაგრამ დროებით. შესაბამისი იყო ეკლესიის ბედიც. საქართველოს ეკლესიამ მოიპოვა ნანატრი თავისუფლება, გათავისუფლდა რუსეთის ეკლესიის უღლისაგან, ამ დროს ეკლესიაც გაიზიარებდა საქართველოს სახელმწიფოს ბედს და ისიც დაკარგავდა თავისუფლებას თუ არა თავდადება გამოჩენილი მოღვაწეებისა. ივ. ჯავახიშვილი და მისი თანამოსაგრენი ყველაფერს აკეთებდნენ საქართველოს ეკლესიის თავისუფლებისათვის. ივ. ჯავახიშვილი ძალზედ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ეკლესიის მთლიანობასა და მის დამოუკიდებლობას. ამ მომენტს ის აფასებდა განსაკუთრებული სიტყვებით, რომელიც ალბათ უნდა დაიმახსოვრონ მომავალმა თაობებმა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით ჩვენი ეკლესიის თავისუფლება და მთლიანობა წარმოადგენდა - “ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მიღწეულ მონაპოვარს”. ამიტომაც შესაბამისად უარყოფითად აფასებდა კიდეც წარსულში საქართველოს ეკლესიის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს. კერძოდ, მან გამოწვლილვით განიხილა იმ ანიტოქიელი და იერუსალიმელი პატრიარქების ქმედებები, რომლებიც ქართველი სეპარატისტების მხარდაჭერით აქუცმაცებდნენ და ანაწევრებდნენ საქართველოს ეკლესიას.

ივ. ჯავახიშვილის სიდიადე ჩანს იქედანაც, რომ მან ეკლესიის წიაღში ძველთაგანვე დანერგილ თეორიას წმიდა ნინოს დროიდან ქართული ეკლესიის ერთიანობის შესახებ უპირობოდ

დაუჭირა მხარი, უფრო მეტიც, ის მის ერთგულ მცველად იქცა, ამ თეორიას მისცა დიდი შეფასება, მიიჩნია მთელი ქართველი ხალხისა და მის საუკეთესო შვილთა ნაღვაწად, საუკუნეთა ბრძოლით მიღწეულ მონაპოვრად.

ამავე დროს მისთვის კარგად იყო ცნობილი სხვა თეორიებიც ამ სფეროში. მაგალითად, მისი მოღვაწეობის პერიოდში თანდათან სხვა ზოგიერთ მეცნიერთა მიერ ყალიბდებოდა თეორია, თითქოსდა, თავდაპირველად დასავლეთ საქართველო იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ, ივ. ჯავახიშვილმა ეს ახალი თეორია მიიღო როგორც ერთ-ერთი მიმდინარე მუშა თეორია, რომელიც ემსგავსებოდა თეორიას დასავლეთ საქართველოს ანტიოქიის იურისდიქციის ქვეშ ყოფნის შესახებ.

როგორც ითქვა, მისთვის ზოგადად, როგორც მეცნიერისათვის მისაღები იყო მხოლოდ თეორია ქართული ეკლესიის თავდაპირველი ერთიანობის შესახებ, რადგანაც ის მიაჩნდა "მთელი ქართველი ერის მიერ შესისხლხორცებულ შემეცნებად", რომლის მოსპობის უფლება კი მისი აზრით არავის ჰქონდა, არც მათ ვინც დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლურ იურისდიქციას უჭერდა მხარს და არც ანტიოქიურის მომხრეთ.

ივ. ჯავახიშვილმა განიხილა საქართველოს ეკლესიის მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, კერძოდ, ის წერს: XV საუკუნის 70-იან წლებში "საქართველოში ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი ჩამოვიდა... რასაკვირველია, უმთავრესად შეწირულებისა და ფულის შესაგროვებლად იყო გარჯილი" (ივ. ჯავახიშვილი, III, გვ. 447). მას დაუწერია "მცნება სასჯულო", სადაც "აღნიშნული აქვს, რომ წინათ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსნი ანტიოქიის პატრიარქისაგან იყვნენ დამოკიდებული და მათგან ჰქონდათ მიღებული ხელდასხმა. ქართული ეკლესიის მერმინდელი თვითმწყსობა და საეკლესიო თვითმმართველობა ანტიოქიელ-იერუსალიმელ პატრიარქს უკანონო მოვლენად ჰქონდა გამოცხადებული" (იქვე, გვ. 447).

ეს ყოველივე მას სჭირდებოდა, რათა თვითონ ეკურთხებინა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ახალი მეთაური, ამით კი დასავლეთ საქართველოს ეკლესია ჩამოეშორებინა ერთიანი დედა-ეკლესიისაგან. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობა სურდა იმ დროს იმერეთის მეფეს, ბაგრატს. ამიტომაც, ანტიოქიელის საეკლესიო თეორია გამოთქმული იყო ქართველი სეპარატისტების გულის მოგების მიზნით. "მან, რასაკვირველია, ბაგრატ მეფესთან შეთანხმებით და სათანადო ჯილდოს მიღების შემდეგ აფხაზეთის კათალიკოსად აკურთხა იოვაკიმე, რომელიც საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქისაგან სრულებით დამოუკიდებლად გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ ანტიოქიელ-იერუსალიმელმა პატრიარქმა აფხაზეთის "კათალიკოსი საყდარსა ზედა ანდრია მოციქულისა" დასმულად აღიარა. ამავე დროს "სასჯულო მცნებაში ნათქვამია, რომ ნინო ქართველთა განმანათლებელმა მხოლოდ ქართლი მოაქცია, ანდრია მოციქულმა კი დასავლეთ საქართველო გააქრისტიანა. ამით ანტიოქიელ-იერუსალიმელ პატრიარქს მიხეილს საქართველოს საეკლესიო მთლიანობის მოშლა (რაც ბაგრატ მეფეს იმ დროს პოლიტიკური მიზნით სწადდა) უნდოდა, რომ ეს ისტორიული საბუთებით დაემტკიცებინა.

რაკი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობის სხვადასხვა მქადაგებლები ჰყავდა, ამით მას უნდოდა დაესაბუთებინა, რომ, მაშასადამე, აფხაზეთის კათალიკოსს დამოუკიდებლად არსებობისა და თვითმწყსობის უფლება ჰქონდა. ის მცხეთის კათალიკოსისაგან არ უნდა ყოფილიყო ხელდასხმული" (ივ. ჯავახიშვილი, III, გვ. 447).

რა ხერხებით უნდა დაემტკიცებინა უცხოელ პატრიარქს ქართული ეკლესიის ანტიოქიაზე დამოკიდებულება უძველეს დროს?

უცხოელმა პატრიარქმა ისე წარმოადგინა საქმე, თითქოსდა საქართველოს სივრცეში თავდაპირველად ჩამოყალიბდა ორი სხვადასხვა ეკლესია - ქართლისა და აფხაზეთისა, რომ თითქოსდა ისინი ორივენი თავდაპირველად იმყოფებოდნენ ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში. შესაბამისად, მათზე უფლებამოსილება გააჩნდა ანტიოქიას, მაგრამ მან

აღმოაჩინა, რომ დასავლეთ საქართველოზე თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ხელისუფალი. ეს მან მიიჩნია საეკლესიო კანონების დარღვევად. მართლაც, თავდაპირველად თუ სხვა ეკლესია იყო აფხაზეთის ეკლესია, რა უფლება ჰქონდა ქართლის ეკლესიას აფხაზეთში? საეკლესიო სამართლებრივი საფუძველი ამისთვის არ არსებობდა ანტიოქიელი პატრიარქის აზრით, ხოლო ანტიოქიის ეკლესიას კი გააჩნდა ძველი სამართლებრივი უფლება აფხაზეთის საკათალიკოსოზე. მაშასადამე, ქართლის ეკლესიამ საეკლესიო წესების დარღვევით თავის უფლებამოსილება გაავრცელა დასავლეთ საქართველოში. ეს იყო დადანაშაულება პროზელიტიზმში, ანუ ეს იყო ერთი ეკლესიის შეჭრა მეორე ეკლესიის იურისდიქციაში - დარღვევა III მსოფლიო კრების მე-8 კანონისა. ეს კანონი გმობდა ასეთ ქმედებას და ამასთანავე მოითხოვდა აღდგენას ძველი თავდაპირველი მდგომარეობისას. მართლაც, ანტიოქიის პატრიარქმა თავის აზრით აღასრულა ეს კანონი და გამოსცა სამართლებრივი დოკუმენტი "მცნებაი სასჯულოი", რომელშიც განაცხადა, რომ აფხაზეთის ეკლესია ანტიოქიამ უკან დაიბრუნდა თავის საეკლესიო წიაღში და აღადგინა თავისი ძველი იურისდიქცია აფხაზეთზე, რის შემდეგაც მას უფლება ჰქონდა ეპატრონა ამ საეკლესიო ერთეულისათვის და დაენიშნა მისი სასულიერო მეთაური. ის მართლაც ასე მოიქცა და ცაიშელ-ბედიელი მიტროპოლიტი იოაკიმე დანიშნა აფხაზეთის კათალიკოსად.

ასეთი ქმედება აღაშფოთებს ივ. ჯავახიშვილის, მას მიაჩნია, რომ ანტიოქიელს არავითარი სამართლებრივი უფლება არ გააჩნდა აფხაზეთის საკათალიკოსოს მიმართ. თავისი მსჯელობის საყრდენად მიიჩნევს ქართული ეკლესიის წიაღში ძველთაგან არსებულ სამართლებრივ დოკუმენტს გამოცემულს რუის-ურბნისის კრების მამების მიერ, რომ თავდაპირველად ანუ I-IV საუკუნეში, ანდრია მოციქულისა და წმიდა ნინოს ეპოქაში, ჩამოყალიბდა არა ორი სხვადასხვა ეკლესია, არამედ ერთი სრულიად საქართველოს მომცველი ეკლესია, რომ ორივე განმანათლებელმა, როგორც ანდრიამ ისე წმიდა ნინომ მხოლოდ ერთი ეკლესია ჩამოაყალიბეს, რომ ისინი მოღვაწეობდნენ არა სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალზე, არამედ ერთ გეოპოლიტიკურ სივრცეში, რომ ანდრეამ სახარება იქადაგა "ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა", ხოლო წმიდა ნინომ კი განანათლა "ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა", მაშასადამე, მათ ერთი ეკლესია ჩამოაყალიბეს და ამ ეკლესამ ავტოკეფალია ძველთაგანვე მოიპოვა, რომ მხოლოდ შემდეგ ამ ერთიანი ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა ორი საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული - ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები, რომ ისინი, მართალია, ადმინისტაციულად თავისთავადი საეკლესიო ერთეულები იყვნენ, მაგრამ ქმნიდნენ ერთ ქართულ საეკლესიო მთლიანობას, რადგანაც გააჩნდათ საერთო საეკლესიო სამართალი, საერთო სჯულისკანონი, საერთო საეკლესიო ტრადიციები და ლიტურგიის საერთო ქართული ენა. ადმინისტრაციული თავისთავადობა აფხაზეთის საკათალიკოსოს მიუღია ქართლის საპატრიარქოსაგან, როდესაც IX საუკუნეში ქართველთა მეფე ბაგრატმა "განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს".

ანტიოქიის პატრიარქის ჩამოსვლის დროს კი, XV საუკუნეში, რეალურად ვითარება ასეთი იყო. როგორც ვთქვით ანტიოქიელმა პატრიარქმა გაიხსენა III მსოფლიო კრების მე-8 კანონი, რომელიც კრძალავს ერთი ეკლესიის შეჭრას მეორე ეკლესიის იურისდიქციაში და მოითხოვს წინანდელი ანუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას. ანტიოქიელმა მცხეთა დაადანაშაულა, რომ ის შეიჭრა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, ამიტომაც მან სცადა გაეუქმებინა მცხეთის ყოველგვარი უფლებამოსილება იქ და თვითონ აკურთხა აფხაზეთის ახალი კათალიკოსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენთვის ისტორიულ მაგალითს უნდა წარმოადგენდეს ეს საქმე.

როგორც ცნობილია, ამჟამად, ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ მიიჩნევა, რომ თავდაპირველად დასავლეთ საქართველო IV-IX საუკუნეში 500 წლის მანძილზე, თითქოსდა, იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. ეს თეორია ძალზედ საშიშია

სამომავლოდ, რადგანაც ისეთივე სამართლებრივ უფლებამოსილებას ანიჭებს კონსტანტინოლის საპატრიარქოს, როგორიც თავისთავზე მიიწერა ანტიოქიელმა პატრიარქმა მიხეილმა, როგორც ითქვა, III მსოფლიო კრების მე-8, ასევე მოციქულთა 35-ე და II მსოფლიო კრების მე-2 კანონის ძალით, კანონდამრღვევი სხვის ეკლესიაში შეჭრილი მეორე ეკლესია ვალდებულია აღადგინოს თავდაპირველი მდგომარეობა და ამ კანონებიდან გამომდინარე თუკი დასავლეთ საქართველოზე თავის უფლებამოსილებას თავდაპირველად ახორციელებდა კონსტანტინოპოლი, მას უნდა დაუბრუნდეს კიდეც ეს საეკლესიო ერთეული.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ ივ. ჯავახიშვილი მხარს არ დაუჭერდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამჟამად გაბატონებულ თეორიას დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში 500-წლოვანი ყოფნის შესახებ. პირიქით, ის ამ თეორიას მიიჩნევდა "მთელი ქართველი ხალხის ბრძოლით მონაპოვრის" უარყოფად და ის უთუოდ ამჟამადაც მხარს დაუჭერდა რუის-ურბნისის კრების სამართლებრივ აქტს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში I-IV საუკუნეებში ჩამოყალიბდა ერთიანი ეკლესია, რომ თავდაპირველად წმიდა ანდრეასა და წმიდა ნინოს ღვაწლით დაფუძნებული ქართული ეკლესია თავიდანვე ერთიანი იყო, თუმცა მისთვის სხვა სამეცნიერო თეორიებიც აღნიშნულ საკითხზე ცნობილი იყო.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: "გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა "ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა", ხოლო შემდგომ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულთმოქმედებამ და ქადაგებამ "მიიზიდა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა", ნიკოლოზ კათალიკოსიც, წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად სთვლიდა "ჩვენ ქართველთაჲსა" ("სასწაულნი სვეტიცხოვლისა"). ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი, სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა" (ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. III, გვ. 340).

სამწუხაროა, რომ ძველ ქართველ სახელოვან მეცნიერთა (ივ. ჯავახიშვილის შეფასება) მიერ ბოძებულ შემეცნებას სპობს ზოგიერთი ახალი ქართველი მეცნიერი, თანაც ისეთი უმაღლესი საერთაშორისო საეკლესიო ორგანოდან, როგორიცაა "პრავოსლავნაია ენციკლოპედია".

მაგალითად, ძველი ქართული წყაროების საწინააღმდეგოდ "პრავოსლავნაია ენციკლოპედია"-ს მე-13 ტომის ავტორები (გვ. 200) ნოტიციებზე - ბიზანტიურ კათედრათა ნუსხებზე დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ დასავლეთ საქართველოში IX საუკუნემდე არსებული საეპისკოპოსოები კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ. თითქოსდა, "ეგრისის სამეფოში, I ნოტიციის მიხედვით, არსებობდა ლაზიკის ეპარქია, რომლის ცენტრი იყო ფაზისის (ფოთის) სამიტროპოლიტო ოთხი საეპისკოპოსო კათედრით - როდოპოლისი (ვარციხე), საისინი (ცაიში), პეტრა (ციხისძირი), ზიგანა (ზიგანისი, გუდავა) ("პრავოსლავნაია ენციკლოპედია", ტ. XIII, გვ. 200, რუს. ენაზე). თითქოსდა, შემდგომ ისინი ქართულმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლს ჩამოაშორა. ვშიშობთ, რომ ეს არასწორი თეორია, გავრცელებული მთელ მსოფლიოში, "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" მიერ, დიდ საფრთხეს შეუქმნის სამომავლოდ საქართველოს ტერიტორიულ და საეკლესიო მთლიანობას. სინამდვილეში ლაზიკის აღნიშნული საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ ტრაპეზუნტის ოლქში - ქალაქ ზიგანას რეგიონში, იქვე იყო როდოპოლისის კათედრაც. ამის შესახებ მიუთითებს არა მხოლოდ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი ნ. ადონცი, არამედ ამჟამად საბერძნეთში დაბეჭდილი ზოგიერთი საეკლესიო რუკაც.

ქართული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით, მუდამ და ფარნავაზ მეფის დროიდანაც, დასავლეთ საქართველო ყოველთვის შედიოდა ქართლის სამეფოს საზღვრებში ვიდრე მდ. ეგრისწყლამდე და ვახტანგ გორგასლის შემდეგ ვიდრე მდ. კლისურამდე. ამიტომაც მიიჩნეოდა, რომ ამ სასაზღვრო მდინარეების აქეთ დასავლეთ საქართველოში არასოდეს კონსტანტინოპოლს თავისი იურისდიქცია არ გააჩნდა, მხოლოდ ამ მდინარეების იქით მდებარე ტერიტორია შედიოდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში, VIII საუკუნემდე. ამიტომაც, როდესაც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დასავლეთ საქართველოში კონსტანტინოპოლს არ გააჩნდა თავისი იურისდიქცია, ცხადია, იგულისხმება ამ სასაზღვრო მდინარეების აქეთ მდებარე დასავლეთ საქართველოს ტერიტორია. როგორც ცნობილია მდ. ეგრისწყლად მიიჩნევა მდ. ღალიძგა (ოჩამჩირის რაიონში), ხოლო მდ. კლისურად - მდ. კელასური (სოხუმთან).

რუსულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში", დასავლეთ საქართველოს მსგავსად, სამხრეთ საქართველოც არაქართულ ქვეყნადაა გამოცხადებული, სადაც, თითქოსდა, ქართული ეკლესიის გაბატონების შემდეგ მოხდა მკვიდრი "სომხების" გაქართველება. "სომხების" გაქართველების "თვალსაზრისი" იმდენადაა გავრცელებული, რომ მან უკვე ქართულ საეკლესიო გამოცემებშიც შეაღწია. მაგალითად, ცნობილი ავტორი წერს: კირიონ I კათალიკოსმა, ქვემო ქართლში "არაქართული მოსახლეობის გასაქართველებლად მარჯვედ გამოიყენა პოლიტიკური ვითარება" (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, თბ., 2000, გვ. 28)

სომეხი ავტორები და არა მხოლოდ ისინი, ასეთ სტატიებს საფუძვლად უდებენ თეორიას, რომ ქვემო ქართლი და საერთოდ სამხრეთ საქართველო სომხური ქვეყანა იყო, რომელიც ეკლესიის მიერ "გაქართველდა". ესაა ე.წ. "ქართიზაციის" თეორია, რომელიც ოფიციალური ისტორიოგრაფიისათვის უეჭველ დოგმად იქცა.

ამ თეორიის მსგავსია ამჟამად გავრცელებული თვალსაზრისი, რომ მცხეთა-თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რეგიონები, ე.ი. ისტორიული კახეთი და ქვემო ქართლი, თითქოსდა, თავდაპირველად დასახლებული იყო ალბანელი ხალხით, რომელიც ქართული ეკლესიის მეშვეობით გაქართველდა. ეს თეორიაც უნდა ექვემდებარებოდეს გადახედვას, რადგანაც ძველი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, ჰერეთ-ალბანეთი მოიცავდა სულ სხვა ტერიტორიას. კერძოდ, შემდეგდროინდელი რანისა და შაქის მიწა-წყალს, ამიტომაც უწოდებდნენ შემდგომ საუკუნეებში ჰერეთის დედოფალს შუშანიკს საეკლესიო წყაროებში რანის დედოფალს, ხოლო მეფეთა ტიტულატურაში იხსენებოდა რანთა მეფე, რომელიც გულისხმობდა ჰერეთის ყოფილი სამეფოს მფლობელობას. ალბანეთის კულტურულ მემკვიდრეობაზე ამჟამად პრეტენზიას აცხადებენ აზერბაიჯანელები, ამიტომაც თუკი ალბანეთი უშუალოდ ემიჯნებოდა მცხეთა-თბილისს - აღნიშნული თეორიით მათ გარკვეული უფლებამოსილება ენიჭებათ მცხეთის აღმოსავლეთითა და თბილისის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალსა და მასზე მდებარე კულტურის ძეგლებზეც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან, ჩანს, რომ დიდი ივ. ჯავახიშვილი არ განიხილავდა საისტორიო მეცნიერებას როგორც დოგმას, არამედ მიიჩნევდა, რომ ის უნდა განვითარებულიყო, რომ ერთხელ მიღებული თვალსაზრისი არ უნდა ჩათვლილიყო შეუცვლელ ჭეშმარიტებად, რომლის კორექტირება ანდა უარყოფა შეუძლებელი იქნებოდა. მის მიერ რუის-ურბნისის კრების სამართლებრივი აქტის მხარდაჭერა მიუთითებს იმის შესახებაც, რომ ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის ზოგჯერ საჭირო არის ახალი იდეების ჩამოყალიბება ანდა ძველი ეროვნული საისტორიო იდეების აღორძინება-განახლება ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად.

მართლაც, თუ არ განვითარდა ისტორიული მეცნიერება ის ჩამორჩება და ერთ ადგილას გაიყინება, ამით კი ვერ შეძლებს თავისი ფუნქციის სრულყოფილად აღსრულებას.

ივანე ჯავახიშვილი ჩვენთვის ყოველთვის თვალსაჩინო ეტალონი და მაგალითი არის თავისი მოღვაწეობის ყოველი წახნაგით.

22.04.2010.



რუკა. ათენში დაბეჭდილი. ბერძნული. რუკაზე როდოპოლისის კათედრა ლოკალიზებულია ტრაპეზუნტთან, აქვე იყო ზიგანას, საისინისა და სხვა კათედრები.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

სახელმწიფო ენა - საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაციის, სამოქალაქო-საზოგადოებრივი ერთიანობის და კონფლიქტების დარეგულირების საშუალება

საქართველოს წმიდა ეკლესია ათასწლეულთა მანძილზე იყო და არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებელი მნიშვნელოვანი ძალა. ყოველი დამპყრობელი იმპერია ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ უპირველეს ყოვლისა ქართულ საეკლესიო სისტემას ანადგურებდა. ასე მოიქცა რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში, როცა ავტოკეფალიაც გააუქმა.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის დიადი საქმის უპირველესი ინიციატორი და ფუძემდებელი იყო საქართველოს ეკლესია, როცა XX საუკუნის დასაწყისში მოსახლეობის ყველა ფენა მიემხრო სოციალისტურ მიმართულებას, რომელთაც პარტიების ჩაგონებით არ სურდათ საქართველოს დამოუკიდებლობაზე მსჯელობაც კი ერთი-ორი ინტელიგენტის გარდა, ერთადერთი რეალური მძლავრი ძალა, რომელიც უწყვეტად ითხოვდა იმჟამინდელი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების გაერთიანებით ჯერ საფუძველი დადებოდა საქართველოს ავტონომიას, შემდეგ კი მის დამოუკიდებლობას - იყო საქართველოს ეკლესია, მისი საეკლესიო კრებები. ამ ფაქტმა ჩვენი სამღვდელოების მიმართ მტრულად განაწყო რუსეთის საიმპერიო წრეები, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელმეორე ოკუპაცია ევროპულ სახელმწიფოთა წინაშე მწვავედ გააპროტესტა წმიდა ამბროსი ხელაიამ, ახლა უკვე წითელი რუსეთის იმპერიამ დაიწყო ეკლესიის უკიდურესი დევნა. მაგრამ ცხადია, ქრისტეს სარწმუნოების მტკიცე კლდეზე მდგარ ეკლესიას ბრჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერეოდნენ.

ამ ბოლო წლებშიც კი, ჩვენმა წმიდა ეკლესიამ და მისმა სახელოვანმა მეთაურმა უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II რამდენჯერმე იხსნა ჩვენი ქვეყანა დესტაბილიზაციის მძლავრი რყევებისაგან, რამაც განამტკიცა ჩვენი სახელმწიფოებრიობა.

ათეიზმის ეპოქაში საზოგადოების ყველა ფენა, მუშები, გლეხები და ე.წ. ფენა ინტელიგენცია სრულიად დაიმორჩილა საბჭოთა სისტემამ, ერთადერთი საქართველოს ეკლესია ემიჯნებოდა “ბოროტების იმპერიას” - ამის დავიწყება არ შეიძლება.

ევროპული ღირებულებები ეფუძნება ქრისტეს წმიდა მცნებებს, ქრისტიანობას, მასზეა აგებული ევროპული ცივილიზაცია. წმიდა ნინოსა და მეფე მირიანის მიერ ქრისტიანობა იქცა სახელმწიფო სარწმუნოებად, ამით საქართველო გადაიქცა ევროპული სივრცის ბუნებრივ ნაწილად, აღმოსავლეთში მის ფორპოსტად, რადგანაც კავკასიაში მხოლოდ საქართველო იყო ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო ბოლო ათასწლეულში.

XV საუკუნიდან ბიზანტიის ქრისტიანული სახელმწიფოს დამხობისა და მის ადგილას მაჰმადიანური ქვეყნების ჩამოყალიბების შემდეგ ერთმანეთს მოწყდა ევროპა და საქართველო. ჩვენი ხალხი მუდამ ცდილობდა კვლავ დაბრუნებოდა თავის ბუნებრივ მოკავშირეებს, თავის ევროპულ სახლს. მხოლოდ ამჟამად, XXI საუკუნის დასაწყისში მოგვეცა ამის საშუალება - რაც გვაიმედებს, გვახარებს და გვჯერა თავის ევროპულ სახლში კიდევ უფრო გაძლიერდება

ქართველთა კულტურა და მისი სახელმწიფო და ერი, ისე, როგორც მართლმადიდებელი ბერძნებისა, რუმინეთისა, ბულგარეთისა და სხვათა.

ჩვენმა ქვეყანამ ბევრი რამ უნდა ისწავლოს ევროპის ისტორიული გამოცდილებიდან. ეს ითქმის იმ დამოკიდებულების შესახებაც, რომელიც არსებობს ევროპაში სახელმწიფო ენების მიმართ. **ევროპულ ქვეყნებში სახელმწიფო ენა გამოიყენება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის, ქვეყნის შიგნით მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციისათვის, სახელმწიფო ენის გათავისებით ისინი გადაიქცევიან ერთიანი, მთელი ქვეყნის მომცველი კულტურის თანამონაწილეებად.**

მთელი ქვეყნის მომცველი ერთიანი კულტურის ჩამოყალიბებას ევროპულ ქვეყნებში თავისი ისტორია გააჩნდა.

შუა საუკუნეთა ასწლოვანმა და სხვა მრავალმა ომმა ევროპა დათრგუნა. განათლებულ XIX საუკუნეში პოლიტიკოსები ეძებდნენ გზებს, რათა შეწყვეტილიყო ომები და მშვიდობას დაესადგურებინა. ამ მიზნით XX საუკუნეში შეიქმნა "ერთა ლიგა" და "გაერთიანებული ერების ორგანიზაცია", რომელთა მთავარი დანიშნულება იყო ერთაშორისი მშვიდობა.

მშიდობის მისაღწევი საშუალებების ძიებისას მეცნიერებმა და პოლიტიკოსებმა დაასკვნეს, რომ ომების ძირითადი მიზეზი იყო თვითგამორკვეულ ერთა მისწრაფება საკუთარი სახელმწიფოს დასაფუძნებლად. საერთაშორისო საზოგადოება თანდათან დარწმუნდა, რომ მშვიდობის მისაღწევად საჭირო იყო, რათა ყოველ ერს ჰქონოდა საკუთარი სახელმწიფო.

"ყოველ ერს - საკუთარი სახელმწიფო" - ეს დევიზი თანდათან იქცა რეალობად. დიდმა იმპერიებმა გაათავისუფლეს ყოფილი კოლონიები და იქ მცხოვრებ ერებს საკუთარი სახელმწიფოები ჩამოუყალიბეს. ევროპაშიც მრავალი ახალი სახელმწიფო ჩამოყალიბდა იქ მცხოვრები ყოველი ერისათვის. ეს პროცესი მსოფლიო მშვიდობის კარგი საშუალება აღმოჩნდა.

მაშასადამე, ერთა მიმართ თანამედროვე ევროპული დევიზი ასეთია - "თითოეულ ერს საკუთარი სახელმწიფო" - საყოველთაო სტაბილურობისა და მშვიდობისათვის.

ამასთან დაკავშირებით, ისმის კითხვა, თუკი ყოველ ერს მიეცემა საკუთარი სახელმწიფო ამ სახელმწიფოს შიგნით მცხოვრებ ეთნოსებს ხომ არ მიენიჭებათ ასეთივე უფლება საკუთარი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა? სახელმწიფოს შიგნით ხომ არ წარმოშობა დესტაბილიზაციის ახალ კერები?

ამასთან დაკავშირებით დიდი ხანია ჩამოყალიბდა წესი - როცა რომელიმე ერს მიეცემა საკუთარი სახელმწიფო აღიარებული საზღვრებით, მან, როგორც დომინანტმა ერმა უნდა შეძლოს თავისი სახელმწიფოს შიგნით მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსების ინტეგრაცია, მათი კულტურული გაერთიანება და სახელმწიფოს ერთგულ მოქალაქეებად გარდაქმნა საკუთარი ენისა და კულტურის განვრცობით.

მაგალითად, ვთქვათ საფრანგეთში ფრანგმა დომინანტმა კულტურულმა ძალამ უნდა შეძლოს საფრანგეთში მცხოვრები ვთქვათ არაბების ან სხვა ეთნოსების შეყვანა ფრანგული კულტურის წიაღში, ფრანგული ენის შეთვისებით, მისი გათავისებით.

ამიტომაცაა, რომ ვთქვათ საბერძნეთში - ბერძნული ენა მისი ყოველი მოქალაქის ინტეგრაციისა და კონსოლიდაციის საშუალებაა, ბერძნული ენა - საბერძნეთის ყოველი მოქალაქის ენაა, ამიტომაც სახელმწიფო ენა იქ არის ეთნიკური კონფლიქტებისაგან გათავისუფლებისა და სამოქალაქო ერთიანობის მიღწევის საშუალება.

ყველა ქვეყანაში - სახელმწიფო ენა არის სამოქალაქო საზოგადოების, კონფლიქტების დარეგულირების, მისი თავიდან არიდების საშუალება. სამოქალაქო ერთიანობა მხოლოდ სახელმწიფო ენის გავრცელების შედეგად მიიღწევა.

მაგალითად, ამჟამინდელ საქართველოში, როგორც ცნობილია, მთელი რეგიონები არსებობს, სადაც სახელმწიფო ენა არ არის ამ რეგიონების მოსახლეობის ენა. ქართული ენა ამ რეგიონებში, როგორც ცნობილია, არ იციან. ევროპული ტიპის სახელმწიფოში ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება

არსებობდეს, როგორც ვთქვათ, ევროპულ ქვეყნებში ქვეყნის დომინანტ ერებს ავალდებულებენ თავიანთი ენითა და კულტურით გაამთლიანონ ქვეყნის მოსახლეობა აქციონ ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად. გამონაკლისია კონფედერაციული სახელმწიფოები, რომელნიც სხვადასხვა ერების ურთიერთშეთანხმებითაა გაერთიანებული.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნემდე, რუსების შემოსვლამდე ქართული ენა იცოდა საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეთნიკურმა ჯგუფმა, თბილისელი სომხები და ასევე საერთოდ საქართველოში მცხოვრები სომხები შესანიშნავად ფლობდნენ ქართულს, ასევე ოსების, მუსულმანების და აფხაზების განათლებული ფენები და საზოგადოდ ხალხი, უფრო მეტიც, რუსების შემოსვლამდე ქართული ენა მთელი კავკასიისათვის ერთაშორისი ურთიერთობის ენა იყო, მაგრამ საქართველოში ორ საუკუნოვანი ბატონობის შემდეგ, XXI საუკუნეში, როგორც ითქვა ქართული ენა - არ იციან, ანდა ძალზე ცუდად იციან საქართველოში მცხოვრებმა ეთნოსებმა. ევროპული მიდგომა ამ საკითხისადმი გვავალდებულებს - **სახელმწიფო ქართული ენის საშუალებით ქვეყნის ერთგულ და შემოქმედ მოქალაქეებად გავაერთიანოთ ყველა ეთნოსი, სახელმწიფო ქართული ენის საშუალებით უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოებრივი ერთიანობის მიღწევა, მოსახლეობის ინტეგრაცია, ეთნოგაუცხოების დაძლევა.**

კონფლიქტების ერთ-ერთი წყარო არის გაუცხოება, როცა ეთნიკურმა ჯგუფმა, იმის გამო, რომ არ ფლობს სახელმწიფო ენას, არ იცის დომინანტი ერის მიზნები, მისწრაფებები, ის გაუცხოებულია, და უცოდინარობის გამო უნდობლობითაა გამსჭვალული, ამ დროს შეუძლებელია სამოქალაქო მთლიანობის მიღწევა.

ამასთან დაკავშირებით, მისასალმებელია ჩვენი სახელმწიფოს მეცადინეობა, რათა სახელმწიფო ენა გავრცელდეს რეგიონებში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა მეტი მუშაობა.

როგორც მოგეხსენებათ, მე ვარ მანგლის-წალკის ეპარქიის მმართველი, ვიცნობ ამ რეგიონს. წალკის რაიონში ცხოვრობდა 80 000-მდე ბერძენი, ქართული ენის უცოდინარობის გამო 90-იან წლებში ისინი უნდობლობით განეწყვნენ საქართველოს მიმართ, საბოლოოდ კი დაუბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოს. ერთი წალკელი ბერძენი ქალბატონი ამბობდა, რომ ამ გაუცხოებისა და ხალხის ტრაგედიის მიზეზი იყო სახელმწიფო, რომელმაც მათ სკოლებში არ ასწავლა ქართული ენა, არ გააცნო ქართული კულტურა. ამჟამადაც რეგიონები ითხოვენ და სურთ შეისწავლონ ქართული ენა. რუსეთის იმპერია ჩვენს ეთნოსებს მიზანმიმართულად არ ასწავლიდა ქართულ ენას, რასაც მოჰყვა გაუცხოება და კონფლიქტები. ამის თავიდან აცილება შეიძლება ქართული სახელმწიფო ენის განვრცობით. საჭიროა გამოყენებული იქნას მასმედიის საშუალებები. კომუნისტების მმართველობის დროს რადიო და ტელე სივრცის ძირითადი ნაწილი ეჭირა რუსულენოვან გადაცემებს. ახლა საჭიროა ეს სივრცე შეივსოს არა ინგლისური ენით არამედ ქართული ენით, ქართულენოვანი გადაცემებით, ქართულენოვანი ფილმებით, ქართული სიმღერებით თუ მუსიკით.

ყოველ დომინანტ ერს - როგორც ითქვა ევალება საკუთარი ენის განვრცობა საკუთარ სახელმწიფოში - ეს მოვალეობა ჩვენც უნდა შევასრულოთ. ამას გვავალებს ევროპის სახელმწიფოებრივი გამოცდილება. ეს ჩვენი ვალდებულებაა საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის მისაღწევად. ევროპა არ ითხოვს ჩვენს ბილინგვიზმს, ევროპა ითხოვს საქართველოში მშვიდობას, მის სტაბილურობას, აქ კი ასპარეზი ეხსნება ქართულ ენასა და კულტურას.

საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაცია ერთიანი კულტურით - ეს ჩვენი ვალდებულებაა. ეს ჩვენ უნდა შევძლოთ.

რუსეთის იმპერიამ საქართველოს მთელი მოსახლეობის, ყველა ეთნიკური ჯგუფის გამაერთიანებელ ქართული ენას ჩამოართვა ეს ფუნქცია და მის ნაცვლად ერთა შორის ურთიერთობის საშუალებად დანერგა რუსული ენა. ქართულ ენას აღარ ასწავლიდნენ საქართველოს რეგიონებში, ის მხოლოდ ქართველთა ჯგუფის ენად იქცა.

ენის მსგავსად საერთო ქართული კულტურა აერთიანებდა მთელ საქართველოს მოსახლეობას. საქართველოს ყოველ კუთხეში ათასწლეულთა მანძილზე მხოლოდ ქართული ენით ადიდებდნენ უფალს აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა თუ ქართლ-კახეთის მოსახლეობა. ქართული კულტურა ყოველ კუთხეს აერთიანებდა, ის იყო საერთო კულტურა.

ძველ საქართველოში არასოდეს შექმნილა კუთხური, ლოკალური კულტურა. მაგალითად, აფხაზეთში გავრცელებული იყო არა აფხაზური კულტურა, არამედ ქართული. ასევე სხვა კუთხეებში არასოდეს შექმნილა არათუ რაიმე თხზულება, არამედ რაიმე წარწერაც კი ვთქვათ სვანურ, მეგრულ, კახურ ანდა მესხურ კილოზე. ქართული ენა და კულტურა ყოველ კუთხეში მიიჩნეოდა საერთო, ამავე დროს საკუთარ ენად, ხოლო ქართული კულტურა საერთო კულტურად. ასეთი სურათი დახვდათ რუსებს საქართველოში, მაგრამ მათთვის ეს მოუთმენელი იყო. "დაყავი და იბატონეს" პოლიტიკის შესაბამისად საიმპერიო-სამეცნიერო წრეებს დაევალათ ბრძოლა საერთო ქართული კულტურის წინააღმდეგ. პეტერბურგის უნივერსიტეტის კათედრის გამგემ პროფესორმა პატკანოვმა და მისმა მოწაფეებმა, მათ შორის ნ. მარმა, მათმა მიმდევრებმა, მათ შორის დეკანოზმა ვოსტორგოვმა მთელი მიმართულება შექმნეს მეცნიერებისა - ე.წ. "ქართიზაციის" თეორია, რომლის მიხედვით საქართველოს ყოველ კუთხეს უძველეს ხანაში თითქოსდა გააჩნდა საკუთარი კულტურა, რომელიც შემდეგ, თითქოს, შთანთქა "ქართის ტომის" კულტურამ - ანუ ქართულმა კულტურამ, რომ თითქოსდა სულ სხვადასხვა წარმოშობის ხალხები არიან ქართლელები და კახელები, სულ სხვა ხალხია სვანები და მეგრელები, რომ თითქოსდა ქართიზაციის შედეგად მათ თავს მოახვიეს ქართული ეკლესია და ქართული კულტურა. ამიტომაც მოითხოვდნენ ისინი, რომ ბიბლია თარგმნილიყო მეგრულად და სვანურად. ასეთივე მდგომარეობა გაგრძელდა წითელი რუსეთის იმპერიაშიც. თავდაპირველად გამოაცხადეს და უდიდეს სამეცნიერო წარმატებად ჩათვალეს თეორია თითქოსდა დასავლეთ საქართველო თავდაპირველად დასახლებული იყო ადიღეურ-აფხაზური ტომებით, თითქოსდა "ფს" და "ყვა" ტოპონიმების სიჭარბე ამ ფაქტს ადასტურებდა, რომ ქუთაისიც კი აფხაზთა ეთნიკური ჯგუფის ქალაქი იყო და შემდეგ თითქოსდა IX-X საუკუნეებში ქართული ეკლესიის მძლავრობის შედეგად აფხაზეთში დაინერგა და გავრცელდა ქართული ენა და კულტურა. ეკლესიურადაც თითქოსდა დასავლეთ საქართველოში არ ვრცელდებოდა მცხეთის ე.ი. ქართული ეკლესიის იურისდიქცია, თითქოსდა მთელი დასავლეთ საქართველო IX-X საუკუნეებამდე იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საეკლესიო იურისდიქციაში, იქ თითქოსდა ეკლესიებში წირვა-ლოცვა არა ქართულ ენაზე, არამედ ბერძნულ ენასა და ადგილობრივ დიალექტებზე აღესრულებოდა და შემდგომ IX-X საუკუნეებიდან, თითქოსდა პროზელიტური ქართული ეკლესია შეიჭრა დასავლეთ საქართველოში და იქიდან გაამევა ბერძნული საეკლესიო იერარქია. გააუქმა ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა და დანერგა ქართული. ეს ცრუ საეკლესიო თეორია უფრო მეტად გავრცელდა საბჭოთა ეპოქაში, და ეს ყალბი თეორია ნაციონალური წარმატებების შარავანდედით შეამკეს.

მის შემდეგ რაც უკვე 60-70-იანი წლებიდან გამოიკვეთა აფხაზური სეპარატიზმი, ჩვენს სამეცნიერო წრეებში მიხვდნენ, რომ დასავლეთ საქართველოს თავდაპირველადვე ადიღე-აფხაზების ცხოვრების შესახებ - აქეზებდა აფხაზთა სეპარატიზმს, ახლა უკვე ახალი თეორია შემუშავდა, თავისი არსით იგივე, თითქოსდა, დასავლეთ საქართველო - კოლხური კულტურის არეალი იყო, აღმოსავლეთ საქართველო - იბერიული კულტურის, ხოლო კახეთის დიდი ნაწილი ბოდბისა და დავით-გარეჯის ჩათვლით, თითქოსდა, ალბანური კულტურის არეალს წარმოადგენდა. ეს თეორია იმდენად გამყარდა, რომ ამჟამადაც კოლხების მემკვიდრეებად ერთ-ერთი ქართული კუთხე მოიაზრება, იბერიულისა კი მეორე, მაშინ როცა, როგორც ვთქვით იმთავითვე, ისტორიაში გამოჩენისთანავე ყველა ქართულ ტომსა და კუთხეს ერთი ენა და კულტურა აერთიანებდა. ამ საკითხს რომ ქართული ენა და კულტურა საქართველოს ყველა კუთხის გამაერთიანებელი იყო წარმართობის დროსაც კი - თავისი ნაშრომები მიუძღვნა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა.

ჩვენ ვაცხადებთ - კოლხეთი ერქვა არა დასავლეთ საქართველოს ცალკე აღებულს, არამედ სრულიად საქართველოს ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე. იმჟამად სრულიად საქართველოს მოსახლეობას ერთი კულტურა - კოლხური კულტურა გააჩნდა, ამიტომაც აღმოჩნდა კიდეც კოლხური არქეოლოგიური საგანძურები აღმოსავლეთ საქართველოს მრავალ კუთხეში, მათ შორის სამაჩაბლოში და სევანის ტბის ჩრდილოეთით, ასევე ჭოროხის ხეობაში, ისტორიულ ლაზეთში ქართველთა უძველეს საცხოვრისში - ორდუდან დასავლეთ საქართველოს ჩათვლით. ასე, რომ თავის დროზე კოლხეთი მთელ საქართველოს ერქვა, ხოლო შემდეგ ეპოქაში ასევე იბერია ერქვა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ სრულიად საქართველოს, ამ ეპოქაში გავრცელდა ქრისტიანობა და ამიტომაც ქართულმა ქრისტიანულმა კულტურამ მოიცვა სრულიად საქართველო.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისთვის საკუთარი კულტურის ძიება და ამ მოსაზრების განმტკიცება მიიჩნევა ამჟამად პატრიოტიზმად, მაგრამ ძველ საქართველოში არავის უთარგმნია წმიდა წერილი კუთხურ დიალექტებზე - რადგანაც მთელ ერს ერთი კულტურა და ერთიანი ეროვნული შემეცნება გააჩნდა.

აი, ეს მოსპეს რუსეთის იმპერიის მსახურებმა, ამჟამად კი - ქვემო ქართლსა თუ ჯავახეთში არა ქართული კულტურით მთლიანდება საზოგადოება, არამედ რეალურად ერთაშორისი ურთიერთობის ენა არის რუსული ენა. აი, აქ არის საჭირო ქართული კულტურის გაძლიერება. მუშაობა, რათა ქართული ენა კვლავაც გადაიქცეს საქართველოში ყველა კუთხის მოსახლეობის ენად და რათა ქართულმა კულტურამ კვლავაც გააერთიანოს საქართველო, ამინ.

25. XI. 2011

ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კონფერენცია

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საეკლესიო ენა სვანეთში

ჩვენამდე მოღწეული ყველა წყარო მიუთითებს, რომ უძველესი ხანიდანვე სვანეთში საეკლესიო ენა იყო ქართული. სვანური წარმომავლობის უძველესი წერილობითი წყაროები (IX-X საუკუნეებით დათარიღებული) ბუნებრივად ქართულენოვანია. მათ უფრო აქვთ დაცული ძველი ქართული ენის ნორმები, ვიდრე მოგვიანო პერიოდის, ვთქვათ XV-XVI საუკუნის ძეგლებს. მიზეზი იმისა, თუ რატომ იყო უძველესი ხანიდანვე სვანეთში საეკლესიო ენა ქართული, გარკვეული ჰქონდა XIX საუკუნამდელ საეკლესიო ისტორიოგრაფიას.

ჩვენს ძველ მემატიანეებს და ჟამთაღმწერელებს ეჭვმიუტანლად მიაჩნდათ, რომ არამარტო საქართველოს ცენტრში, არამედ რეგიონებში - მათ შორის სამეგრელოსა და სვანეთში მცხოვრები მოსახლეობა იმთავითვე ერთიანი ქართველი ერის ნაწილს შეადგენდნენ, ერთი ქართული კულტურით, ენითა და შემეცნებით. ფაქტიურად იგივე მოსაზრება დაადასტურა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა თავისი კვლევებით. ის წერდა, რომ ქართული კულტურისა და ძველი ქართული სალიტერატურო ენისა და დამწერლობის შემოქმედი თვითვე არიან მეგრელები და სვანები სხვა ქართველ ტომებთან ერთად. მაშასადამე ძველ საქართველოში უეჭველ ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა ფაქტი, რომ სვანეთში წირვა-ლოცვის ენა ქრისტიანობის გავრცელებისთანავე იყო ქართული ენა, რადგანაც ეს ენა ადგილობრივი მოსახლეობის ენა იყო.

აღნიშნული თეორიის საპირისპიროდ XIX-XX საუკუნეებში, რუსეთის იმპერიის სამეცნიერო წრეებში ჩამოყალიბდა ე.წ. "ქართიზაციის" თეორია, რომლის მიხედვითაც არაბთა შემოსევების დროს, დასავლეთ საქართველოში თითქოსდა გადასახლდა ქართის ტომის ერთი ნაწილი, რომელმაც მოახდინა იქაური, დასავლურ-ქართული ტომების კულტურული ასიმილაცია, და

მხოლოდ ამის შედეგად დაინერგა დასავლეთ საქართველოს ეკლესიებში წირვა-ლოცვის ენად ქართული ენა. ეს პრიმიტიული თეორეა მარტივად ხსნის იქამდე თითქოსდა დაუდგენელ მრავალ საკითხს, მაგრამ ამ თეორიის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ არცერთი წყარო არც პირდაპირ და არც ირიბად არ ადასტურებს ამ მოსაზრებას. არამარტო ქართული წყაროებისათვის, არამედ ბერძნული და სომხური წყაროებისთვისაც უცნობია აღნიშნული მოსაზრება. პირიქით, სომხური წყაროების ცნობით, ქართველთა კულტურულ-პოლიტიკური ცენტრები ქრისტეშობამდე მრავალი საუკუნით ადრე არსებობდა დასავლეთ საქართველოში, შავიზღვისპირეთში, როგორც ამის შესახებ წერენ მოვსეს ხორენაცი, უხტანესი და სხვა ცნობილი ისტორიკოსები - მეათე საუკუნემდე მოღვაწე სომეხი ისტორიკოსები და სხვანი თავიანთ ისტორიულ თხზულებებში ქართველი ერის დასავლეთ საქართველოში მკვიდრობის ისტორიას ასე გადმოგვცემენ - თავდაპირველად ივერიელები (იბერები) ცხოვრობდნენ ლიბიაში (ჩანს იგულისხმება ქვეყანა ლუბია, ვანის ტბის მახლობლად, რომელიც ლურსმული წარწერებითაა ცნობილი), მათი ერთი ნაწილი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა გადმოასახლა ჩრდილოეთით და დაასახლა შავი ზღვის პირზე, ანუ დასავლეთ საქართველოში. როგორც ხორენაცი, ისევე უხტანესი ერთნაირად აღწერენ რომ პონტოს ზღვისპირზე დასახლებული ივერიელთა ტომი აღორძინდა, გამრავლდა, მოედო მთელ ამ არემარეს და მიაღწია სომხეთ-ალბანეთის საზღვრამდეო. უხტანესი წერს, რომ მის ეპოქაში, ანუ X საუკუნეში, იმ ივერიელებს, რომლებიც ნაბუქოდონოსორმა პონტოს ზღვისპირეთში დაასახლა, ამჟამად აფხაზები ეწოდებათ და მათ ქვეყანას აფხაზეთ ქვიაო. აქედან, როგორც ხორენაცის, ასევე უხტანესის ცნობების ანალიზი უჩვენებს, რომ მეათე საუკუნემდე ქართველი ტომების მოძრაობა, თუ ასეთი რამ მართლაც ხდებოდა, მიმართული იყო არა აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოსკენ, არამედ პირიქით - დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთისკენ.

ძველი ბერძენი და რომაელი ავტორებიც, გარკვეულწილად, მსგავს მოძრაობას აღწერენ. კერძოდ, მათი ცნობებით ხდებოდა მოსახლეობის გადანაცვლება-გადაადგილება პონტო-გალატეიადან კავკასიისაკენ, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, კერძოდ, თესალია-მაკედონიიდან კავკასიისაკენ. მაგ: სტრაბონის ცნობებით ჩრდ. არმენიელები, ჩრდ. მიდიელები, ალბანელები და იბერიელებიც შავიზღვისპირეთის აქეელებიც არგონავტების შთამომავლები იყვნენ, ანუ თესალიიდან კავკასიაში გადმოსახლებული მოსახლეობის ნამრავლი იყო.

მაშასადამე ქართული და სომხური მე-10 საუკუნემდელი წყროების ცნობებით, დასავლეთ საქრთველო ჯერ ჯკიდევ ნაბუქოდონოსორის ეპოქიდან დასახლებული იყო ივერებით, ანუ ქართველებით, ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთ საქართველოში ბინადრობდმნენ სვანები და მეგრელები სხვა ქართულ ტომებთან ერთად, მაშასადამე ხორენაცი თუ უხტანესი სწორედ სვანებსა და მეგრელებს უწოდებბდნენ ივერებს (ქართველებს), სტრაბონოც წერდა, რომ მის დროს სვანებს იბერებს უწოდებნენ, ამ მიზეზის გამო სვანეთში ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ წირვა-ლოცვის ენა - ქართული იყო.

ამასთანავე, ჩვენს ისტორიოგრაფიაში XX საუკუნის დასაწყისიდან ჩამოყალიბდა უმართებულო თვალსაზრისი, თითქოსდა დასავლეთ საქართველოს მხოლოდ IX საუკუნიდან ეწოდა "ქართლი", სინამდვილეში პირიქით, ჩვენი წყაროები, ანუ ჩვენი მემატიანეები აღწერდნენ სიმართლეს, კერძოს, ქართველი ეროვნული ერთობა უკვე არსებობდა ქრისტემდე საუკუნეებით ადრე, ქრისტეშობამდე მე-4, მე-3 საუკუნეებში ფარნავაზ-ქუჯის ზეობისას. მათ ეპოქაში დასავლეთ საქართველო უკვე იწოდებოდა ქართლად, რადგანაც ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

მე-20 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია უარყოფდა ძველ ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელი ჩვენი კვლევით, სიმართლით აღწერდა ურთულეს საისტორიო მომენტებს.

ჩვენი წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით დასავლეთ საქართველო თავდაპირველადვე, მეფე ფარნავაზის დროიდან, შედიოდა ქართლის სამეფოში. მაგალითად, «მოქცევაჲ ქართლისაჲ" ქართლის ქვეყნის ჩრდილო დასავლეთის საზღვარს დებს მდინარე ეგისწყალზე,

„მოქცევაჲ ქართლისაჲსაჲ" წერს - **"თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა ძე არიან ქართლისა მეფისა და მას მოუბოძა მცხეთა საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთა ცროლისა და წარვიდა"** (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. III, გვ. 476).

"მოქცევაჲ ქართლისაჲს" უამრავი ცნობიდან, რომელსაც სხვა ქართული წყაროების დაბეჯითებული მითითებანიც ეთანხმებიან, **ქართლის ანუ ქართლის სამეფოს საზღვრები ასეთია - დასავლეთით შავი ზღვა, ეგრისის ჩათვლით, ჩრდილო-დასავლეთით მდინარე ეგრისწყალი, აღმოსავლეთით ჰერეთი, სამხრეთით "სომხითი" ანუ სომხეთი. ეთნიკურად ეს ქვეყანა დასახლებული იყო ერთი ერით, ერთი ხალხით, რომელთაც ეწოდებოდათ ქართველები.**

მათ რიცხვში, ცხადია, სვანები და ეგრისელებიც შედიან, ამის შესახებ პირდაპირ მიგვითითებს მაგალითად "ქართლის ცხოვრების" შემდეგი ცნობა (სხვა უამრავ ცნობასთან ერთად): **"მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით (რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთი კერძი ყოველი) და დაიპყრეს ეგრის-წყალთაგან ვიდრე ციხე-გოჯამდე. მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა და იტყოდეს "განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ... სამართლიანად მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხვა, რამეთუ მიგვცნა ჩუენ წარტყუევნად უცხოთა ნათესავთა და მიგვიღო ჩვენ საზღვარი ბერძენთაგან... ერისა ცოდვათაგან... ვიძიოთ ჩუენ შური... ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან"** (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 70).

ამ ამონარიდში პირდაპირაა ნახსენები სიტყვა "საზღვარი ქართლისა", რომელიც ბერძნებმა დაარღვიეს, სად? მათ გადმოლახეს მდინარე ეგრისწყალი და მიიტაცეს ტერიტორია ამ მდინარედან ვიდრე ციხე-გოჯამდე. ვინ წუხს ამ უბედურებას? - ამასაც პასუხობს მემატიანე - **"ყოველნი ქართველნი".**

აგრესიამ, საზღვრის დარღვევამ, გამოიწვია **"წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა"**, ცხადია, ამ „ქართველთა" რიცხვში უპირველესად იგულისხმებოდა ეგრისელები, ეგრისის მოსახლეობა, ეს იგულისხმება მემატიანის წინადადებაში - "მიგვცნა ჩუენ წარტყუევნად უცხოთა ნათესავთა", სწორედ ისტორიული ეგრისის დიდი ნაწილი მდინარე ეგრისწყლიდან ციხე-გოჯამდე დაიპყრეს ანუ "წარტყუენეს" ბერძნებმა, იქვეა "მიგვიღო ჩვენ საზღვარი ბერძენთაგან" - ეგრისელები, ისევე როგორც მთელი (ყოველი) ქართლის მოსახლეობა წუხდა ამ უბედურებას.

ამ ამონარიდში მრავალჯერ გვხვდება სიტყვა "ჩუენ", ამ "ჩუენის" ქვეშ იგულისხმება "ყოველნი ქართველნი", როგორც იქვე ჩანს, ამ ქართველთა რიცხვში კი უპირველესად ეგრისელები და სვანები იგულისხმება, რომელთა რეგიონის საზღვარიც და რომლის მიწა-წყალიც იქნა "წარტყუენილი".

საბოლოოდ შეურაცხყოფილი ქართველები ასკვნიან **"ვიძიოთ ჩვუენ შური, ვძებნეთ საზღვარი ქართლისაჲ"**, ანუ აღვადგინოთ იგი, სად? ცხადია, მდინარე ეგრისწყალზე (ესაა V საუკუნის ამბები). შემდგომში, ვახტანგ მეფის დროსვე საზღვრად გადაიქცა მდინარე კლისურა. **რომელ ენაზე ურთიერთობდნენ ეს ქართველები? რომელი ენა იყო მათი ეროვნული ანუ სახელმწიფო ენა? - ეს იყო ქართული ენა.**

ქართული ენა რომ საერთო ეროვნული ენა იყო "ყოველთა ქართველთა", რომ ეს ენა ეგრისისა და სხვა რეგიონებშიც მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობის ენა იყო, ამის შესახებ ჩვენ მოგვითხრობს ცნობილი მოღვაწე არსენ ბერი (მიიჩნევდნენ, რომ იგი იყო დავით აღმაშენებლის მოძღვარი).

ის წმიდა ნინოს ცხოვრებაში გადმოსცემს ცნობებს ქართველთა ეთნოგენეზისის, მათი ქვეყნის საზღვრების შესახებ და ასევე გვაწვდის ცნობას ენის შესახებაც.

არსენ ბერი გადმოსცემდა ქართულ საზოგადოებაში არსებულ თვალსაზრისს, რომ უძველეს ხანაში, ალექსანდრე მაკედონელმა თავის მოკავშირე არიანქართლის მეფის ძეს აზონს განუმტკიცა სახელწიფო ეგრისწყლიდან ვიდრე სომხეთ-ალბანეთამდე. ეგრისწყლიდან ჰერეთ-სომხეთამდე მცხოვრები მოსახლეობის ენა, არსენი ბერის აზრით, ქართული იყო, ის წერს: **"ჩვენ შვილნი ვართ**

მათ არიან ქართლით გამოსულთანი და ენა მათი უწყით” (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. III, გვ. 477).

არიან-ქართველთა ენა ასევე იყო აზონის მცხეთის სამეფოს მოსახლეობის ენა. მაშასადამე, **ქართული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით ეგრისწყლიდან-ჰერეთამდე ცხოვრობს ერთი ხალხი, ერთი ენით, მათ აქვთ ერთი სახელმწიფო “ქართლის სამეფო”, “ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ (ე.ი. არიან ქართლიდან გადმოსახლებულთა) მეფეთა შვილნი არიან”.**

არსენი ბერის თვალსაზრისით, ყველა რეგიონის მცხოვრებთა, მათ შორის ეგრისისა და სვანეთის მოსახლეობის ენა ქართული ენაა, თუმცა, ცხადია, ალბათ მისთვის ცნობილი იყო ამ კუთხეთა ენების არსებობა, მაგრამ ალბათ ისინი დიალექტებად მიაჩნდა.

რუის-ურბნისის კრების მიერ გამოცემულ კანონთა “მეგლისწერაშიც” საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ წმიდა ნინომ მოაქცია არა მხოლოდ ქვეყნის ერთი კუთხის (აღმოსავლეთ საქართველოს) მოსახლეობა, არამედ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაც ქართლის სამეფოს საზღვრებში, ე.ი. ეგრისიც მოაქცია, მდინარე ეგრისწყლამდე, ქართლის სამეფოს საზღვრამდე, კერძოდ - წმიდა ნინომ **“სარწმუნოებასა მიმართ თვისისასა მიიზიდა ყოველი სავსებაჲ ყოვლისა ქართველთა ნათესავისა”.**

მეფე მირიანის სამეფოში, ქართლის ცხოვრების თანახმად, ეგრისიც შედიოდა - **“მეფობდა მირიან ქართლს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრისწყლამდე”** (ქართლის ცხოვრება, 220).

ამ წყაროს ცნობით ქართული სახელმწიფოს საზღვრებს ცნობდა ბიზანტიის იმპერატორი: **“მე, კონსტანტინე მეფე, თვითმპყრობელი... მოვსწერე შენდა ღმრთივ-განბრძნობილისა... მეფისა მირიანისასსა. იყავნ შენ თანა მშვიდობა... განდევნენ ღმერთმან დამბადებელმან ეშმაკი მაცდური საზღვართაგან შენთა”** (ქართლის ცხოვრება, გვ. 221).

მემატიანეთა თანახმად, ქართველ მეფეთა უპირველესი მოვალეობა იყო სახელმწიფო საზღვრების დაცვა, ასევე მემატიანეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ბიზანტიელი იმპერატორები ცნობდნენ ამ საზღვრებს, მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელი “აჩენს” პირველი ქართული სახელმწიფო საზღვარს მდინარე ეგრისწყალზე, ზემოთ მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, რომ იმპერატორი კონსტანტინე ცნობს ქართლის სამეფოს საზღვრებს და სხვ.

ქართული ეკლესიის მამებიც თავიანთ ყურადღებას აპყრობდნენ ქვეყნის გეოპოლიტიკურ არეალს. მაგალითად, რუის-ურბნისის კრების მამების განმარტებით, ის არეალი, სადაც იქადაგა ანდრია პირველწოდებულმა არის ქართველთა ქვეყანა ანუ “საქართველო”. ცნობილია, რომ ანდრიამ იქადაგა კლარჯეთსა და ეგრისში. მაშასადამე, კრების წმიდა მამები უეჭველად დარწმუნებულნი არიან, რომ ეგრისი კლარჯეთთან ერთად I-II საუკუნეებში, მოციქულთა ქადაგებების დროს ქართველთა ქვეყნები არიან ანუ **“საქართველოა”** - კრება წერს: **“პირველწოდებული ანდრია... ჩუენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხოვრებელი ქადაგება სახარებისაჲ ყოველსა ქუეყანაჲსა საქართველოსაჲსა...”** (“დიდი სჯულის კანონი”, 1975, გვ. 545). “ეგრისი, რომელ არს სვანეთი” - წერს მემატიანე.

წმ. ვახტანგ გორგასლამდე, როგორც აღინიშნა, საზღვარი ბიზანტიასა და ქართლის სამეფოს შორის გადიოდა მდ. ეგრისწყალზე, ამ მეფის დროს კი საზღვარს გადაუნაცვლებია უფრო ჩრდილოეთით და საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის დადებულა მდ. კლისურაზე. ამის მიზეზი ყოფილა ვახტანგ გორგასლის მეუღლე, ბიზანტიელი იმპერატორის ქალიშვილი, რომელსაც მზითვის სახით გადაეცა ტერიტორია მდ. ეგრისწყლიდან, ვიდრე მდ. კლისურამდე.

ქართველ წმიდა მამათა და რუის-ურბნისის კრების უეჭველი თვალსაზრისი განსხვავდება თანამედროვე, XX საუკუნის ოფიციალურ ისტორიკოსთა თვალსაზრისისაგან, რომლის მიხედვითაც საქართველო მხოლოდ XI საუკუნის შემდეგ ეწოდა ერთიან ქვეყანას. მათ ამ მოსაზრებას არ დაეთანხმებოდნენ არც ჩვენი მემატიანეები, მაგალითად ჯუანშერი, რომელიც წერს, რომ VII საუკუნის ბოლოსა და VIII საუკუნის დასაწყისში საქართველო ერქვა მიწა-წყალს

მდინარე კლისურამდე - **“კლისურა რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა”** (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 235). მემატიანეს ცნობით, ეს საზღვარი შეიბღალა VII საუკუნის 20-იან წლებში ბიზანტიის კეისარ ჰერაკლეს მიერ - “მაშინ წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა, სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვის პირი” (ქართლის ცხოვრება, გვ. 226).

“საზღვარი ქართლისა”, როგორც ზემოთ მრავალგზის აღინიშნა, მე-5 საუკუნის შემდეგ, გულისხმობდა მდინარე კლისურას, მაშასადამე, ახლა VII საუკუნის 20-იან წლებში, ეს საზღვარი მიიტაცა ჰერაკლე კეისარმა, მაგრამ ეგრისი და არგვეთი კვლავ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში დარჩა, უნდა მიუთითებდეს ის, რომ მურვან ყრუს შემოსევის დროს ქართლის იმჟამინდელმა მეფე სტეფანოზმა და მისმა ვაჟმა მირმა სამეფო გვირგვინები, მეფე მირიანისა და მეფე ვახტანგ გორგასლისა, უსაფრთხოების მიზნით გადაიტანეს თავისი სამეფოს დაცულ ნაწილში ე.ი. შეინახეს ქუთაისსა და ციხე-გოჯში, ხოლო ქართლის მეფე სტეფანოზი გარდაცვალების შემდეგ თავის ქვეყანაში ეგრისში დაკრძალეს (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 235).

არაბთაგან დევნილი ქართლის მეფეები ეგრისიდან გადავიდნენ აფხაზეთში - მურვან ყრუ **“შეუდგა კვალსა მათსა... შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა. და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფიისასა... მუნ იყვნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ”** (ქართლის ცხოვრება, გვ. 242).

ეს მეფეები შეებრძოლნენ არაბებს და უკუაქციეს ისინი. ეს იყო მნიშვნელოვანი მომენტი. ამით გახარებულმა ბიზანტიის იმპერატორმა, ქართული წყაროს ცნობით, გადაწყვიტა აღედგინა ბიზანტიის მიერ შებღალული ქართლის სამეფოს საზღვრები, ცხადია, მდინარე კლისურაზე და საერთოდ ეგრისის ზღვისპირეთში, ანუ მან აღიარა ქართული სახელმწიფოს უფლებამოსილება იმ ტერიტორიაზე, რომელიც თავის დროზე მიიტაცა ჰერაკლე კეისარმა.

წყარო გვამცნობს, რომ იმპერატორმა ბრძანება მისწერა თავის მოხელე-ერისთავს აფხაზეთში აღარ დაერღვია ქართლის საზღვრები, კერძოდ, იმპერატორმა ამ წერილში აღიარა, რომ ეს საზღვრები დარღვეული იყო ბიზანტიელთა მიერ, მაგრამ ამის შემდეგო - ნათქვამია ბრძანებაში, ასეთი რამ აღარ განმეორდეს, პატივი ეცი ამ საზღვრების ურღვევობასო, კერძოდ, წერილი ასეთია - **”ყოვლადვე საზღვართა ქართლისათა ჩვენგან ქმნილ არს ვნება... არამედ კეთილად პატივს ცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა და ამიერიდან ნურღარა ხელგეწიფების ვნებათ მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა”**. ეს იმას ნიშნავს, რომ კვლავ აღსდგა ოფიციალურად, ქართლის სამეფო საზღვარი მდინარე კლისურაზე, ამასთანავე ბიზანტიამ აღიარა, რომ ის არღვევდა ამ საზღვრებს. ამის შემდეგ მეფე მირის სამეფოში შედის **“ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია”** (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 235).

როგორც აღინიშნა, მეფე სტეფანოზი (არჩილ და მირ მეფეების მამა) ქუთაისში დაკრძალეს. ქუთაისი ქართლის მეფეთა “სამკვიდრო” იყო. მეფე მირის ანდერძი თავისი ძმისადმი ამას მიუთითებს - **”წარსცენ ძუალნი მისნი და დაჰფლენ საყდარსა ქუთაისისასა, რათა იპოვოს საწამებლად სამკვიდროსა ჩვენისა”** (ქართლის ცხოვრება, გვ. 242). მაშასადამე, მეფე სტეფანოზი ქუთაისში დაკრძლალეს, რადაგანაც სამეფო საძვალე - მცხეთის ტაძარი უკვე მტრის მიერ იყო დაპყრობილი, იმის შემდეგ, რაც თბილისში არაბთა საამირო ჩამოყალიბდა. მდ. კლისურიდან მთელი დასავლეთ საქართველო ქართლის მეფეთა სამკვიდროდ დარჩა ასევე, არჩილის დროსაც. ის თავისი სამეფოს ტერიტორიას საზღვრად მიიჩნავს მდ. კლისურას. ის ამბობს - **”ადგილნი ჩვენნი კლისურითგან აღმართ”**. ამ მდინარიდან მცხეთა-თბილისის მიმართულებით იყო განფენილო ქართლის სამეფოს დაუპყრობელი ნაწილი.

არაბებმა სამეფოს დედაქალაქები მცხეთა-თბილისიც დაიპყრეს. ამ ვითარებამ დასვა საკითხი იმისა თუ სად უნდა დაფუძნებულიყო ქართლის სამეფოს ახალი დედაქალაქი. მეფე არჩილმა ასეთ ქალაქებად მიიჩნია ციხე-გოჯი და ქუთაისი. მართლაც არჩილის დროს ქართლის სამეფოს დედაქალაქად თავდაპირველად გადაიქცა ციხე-გოჯი, სადაც დაფუძნდა არჩილი, შემდეგ კი

ქუთაისი. ამიტომაც ამბობს - **„წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთაისს”** (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 70).

უფრო უკეთესი მაგალითების მოყვანა შეუძლებელია იმის დასამტკიცებლად, რომ IX-X საუკუნეებამდე ქართველობა, ქართული ეკლესია და სახელმწიფო მოღვაწეები “ყოველი ქართლის” ქვეშ მოიაზრებდნენ მთელ დასავლეთ საქართველოს ვიდრე მდინარე კლისურამდე, დასახლებულს ქართველი ხალხით. ამიტომაც უწოდებდნენ ქვეყნის ამ ნაწილს **“ქვემო იბერიას”**.

ისტორიული გეოგრაფიის საკითხების რკვევა ჩვენ დაგვეხმარება დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების დადგენაში, კერძოდ, რომ დასავლეთ საქართველო, მათ შორის სვანეთი, ქრისტიანობის გავრცელებისთანავე ქართული ეკლესიის წიაღში შედიოდა.

სვანეთის ქართულენოვნება იმდენად ბუნებრივი მოვლენა იყო და იმდენი წყარო არსებობს ამის დასასაბუთებლად, რომ შეუძლებელია ერთ წერილში მათი განხილვა, მაგრამ, ამ კუთხით ჩვენ საინტერესოდ მივიჩნიეთ საეკლესიო სამართლის ერთი სვანური წარმომავლობის წყარო, რომელსაც **“სვანეთის საეკლესიო კრებათა მატიანეები”** ეწოდება. მათ პირობითად ზოგიერთი სპეციალისტი ჰყოფს **“სვანეთის საეკლესიო კრებათა პირველ მატიანედ”** (სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, პ. ინგოროყვას გამოცემა, 132). და **“მეორე მატიანედ”** (გ. გასვიანი, სვანეთის საეკლესიო კრებათა II მატიანე “მაცნე”, 1972, N2, გვ. 101-123).

“საეკლესიო კრებები” ამ ძეგლებს მხოლოდ პირობითად ეწოდება, ფაქტობრივად, მასში წარმოდგენილია იმ პირთა სია, რომელთაც ეკლესიის მიმართ გარკვეული მოვალეობა გააჩნდათ, ანდა ღვაწლმოსილნი იყვნენ ეკლესიის წინაშე. ამ პირების ერთობლიობა წარმოადგენდა კიდეც “საეკლესიო კრებას”. ამ პირთაგან, უმრავლესობა გარდაცვლილი იყო. ისინი სხვადასხვა დროს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოღვაწეობდნენ, მათი დასახელება-მოხსენიება ანუ “სიცოცხლის წიგნში” ჩაწერა უდიდეს საქმედ მიიჩნეოდა. აღნიშნული ჩანაწერები იმ პირებისა, რომელთაც ეკლესიისათვის სიკეთე გააკეთეს, როგორც ჩანს, იწოდებდა „სიცოცხლის წიგნად”. ესაა ეკლესიის წევრთა მიერ მომზადებული ე.წ. “ცხოვრების წიგნი” ანუ “სიცოცხლის წიგნი”.

სავარაუდოა, რომ ზოგიერთი პირველქრისტისნული თემი პირდაპირი მნიშვნელობით იგებდა სახარებისეულ თხრობას სიცოცხლის წიგნში ჩანაწერების შესახებ, მასში მოხსენიებულნი გადარჩებოდნენ უფლის მიერ და მეორედ მოსვლის შემდგომ საუკუნო სიცოცხლეს დაიმკვიდრებდნენ. ჩანს, პირველ ქრისტიანული ეკლესიის წევრები თვითონ ადგენდნენ “სიცოცხლის წიგნის” სიას, რომელშიც შეჰყავდათ იმ პირთა სახელები, რომელთაც ღვაწლი მიუძღოდათ კრებულის წინაშე.

იოანე მახარობელი “გამოცხადებაში” ამბობს: “ვიხილე ტახტზე მჯდომარის მარჯვენაში ნაწერი წიგნი... გალობდნენ ახალ საგალობელს და ამბობდნენ: “შენ ხარ ღირსი აიღო წიგნი და ახსნა მისი ბეჭდები... როცა მეხუთე ბეჭედი აიხსნა, სამსხვერპლოს ქვეშ დავინახე სულები დახოცილთა ღვთის სიტყვისათვის... მიეცა თითოეულ მათგანს თეთრი სამოსი... იდგნენ ტახტის წინ და კრავის წინ სპეტაკი სამოსით შემოსილნი და პალმებით ხელში... აღარ მოშივდებათ, აღარც მოსწყურდებათ, აღარც მზე დასწვავთ და არავითარი პაპანაქება, ვინაიდან კრავი რომელიც ტახტის შუაშია, აძოვებს მათ და სიცოცხლის წყლის წყაროზე მიიყვანს და მოსწმენდს მათ ღმერთი თვალთაგან ყოველგვარ ცრემლს” (გამოცხადება, 5:1,9; 6:9; 7:9,15 - 17).

ამ რწმენით, როგორც ჩანს, პირველი ქრისტიანების რაღაც ნაკადი ან მიმდინარეობა თვითვე ადგენდა კრებულის იმ წევრების სიას, რომელნიც ღვთისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის წიგნში ჩაწერის ღირსად იქნენ მიჩნეულნი.

სწორედ ასეთი სახის წიგნი, ანუ სია გვიანსაუკუნეთა გაგრძელება უნდა იყოს **“მატიანე სუანეთისა კრებისა”**. პირველსაუკუნეთა მატიანეები ჩანს დაიკარგა, მისი “პირველი მატიანეს” მთავარი ტექსტი XIII-XIV საუკუნეებს ეხება და შეიცავს სვანეთის მღვდელმსახურთა შემადგენლობასა და სვანეთის ეკლესიათა ზოგად აღწერას (ძველი ქართული აგიოგრაფიული

ლიტერატურის ძეგლები, ტIII, გვ. 477), ხოლო **“სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანე”** სვანეთის ცხოვრების საერთო დაქვეითების მძიმე XVII-XVIII საუკუნეთა ხანას (გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1973, გვ. 66, 74).

როგორც თვითონ **“მატიანე სვანთა კრებისას”** ტექსტიდან ჩანს, არსებულა წინა საუკუნეთა სიებიც, რომელნიც დრო-ჟამის მსვლელობის გამო გაცრეცილა თუ გამქრალა, ამიტომაც შეუდგენიათ ახლები. საერთოდ, როგორც ჩანს, საქართველოში ქრისტიანობა პირველ საუკუნეებში, მოციქულთა დროიდან გავრცელდა, ხოლო IV საუკუნიდან ის შეიცვალა ქრისტიანული ეკლესიის იმ ეპოქისათვის მისაღები ფორმით და საყოველთაო ხასიათი მიიღო.

პირველ საუკუნეთა ქრისტიანობას სპეციალისტები “იუდაურ ქრისტიანობას” უწოდებენ, ხოლო შემდგომს - “ელინურ ქრისტიანობას”. როგორც ჩანს, IV საუკუნიდან ჩვენში გავრცელებულმა ელინურმა მძლავრმა ქრისტიანობამ ვერ იგუა ძველი ე.წ. იუდაური ქრისტიანობა და ამ ძველმა ქრისტიანულმა მიმდინარეობამ მთებს შეაფარა თავი. ეს რთული საკითხია და ამის შესახებ ალბათ სხვა გამოკვლევაა საჭირო, ყოველ შემთხვევაში, საქართველოს მთებში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა ღრმა ქრისტიანი იყო და ქრისტიანობისათვის მზად იყო თავის დასადებად, თუმცა ზოგიერთი ისეთი წეს-ჩვეულებაც ჰქონდათ, რომელთაც ახსნას ვერ უძებნიან და წარმართობის ელემენტებად მიიჩნევენ. ერთი ასეთია მაგალითად აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ე.წ. “სისხლით განწმენდა”, როგორც ცნობილია, ზვარაკის სისხლს ასხურებდნენ სხვადასხვა შენობასა თუ ნივთებზე მათ “განსაწმენდად”. ეს ჩვევა სათავეს უნდა იღებდეს არა წარმართობიდან ანდა იუდეველობიდან, არამედ ჩანს პირველქრისტიანთა ან მისი ერთ-ერთი მიმდინარეობის ჩვევიდან, რომელიც “იოანეს გამოცხადების” ერთ მუხლზე უნდა იყოს დაფუძნებული - “მე ვუთხარი მას: “უფალო ჩემო შენ იცი”. და მან მითხრა: “ესენი არიან დიდი გასაჭირიდან მოსულები, გაირეცხეს თავიანთი სამოსი და გაასპეტაკეს ისინი კრავის სისხლით” (გამოცხადება, 7:14).

კრავის ანუ კურატის (ზვარაკის) სისხლით ამჟამადაც ხდება “განწმენდა” აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, ეს მომენტი იმის გამო წამოვწიეთ, რომ როგორც ჩანს, არა მხოლოდ XIX საუკუნის რუსული ეკლესიის წევრებისათვის იყო უცნაური საქართველოს მთის მოსახლეობის ქრისტიანული წეს-ჩვეულებები, არამედ აღნიშნული “ელინური ქრისტიანობის” დაფუძნების შემდეგვე ე.ი. უკვე IV-V საუკუნეებიდან, ყოველ შემთხვევაში, როგორც სვანეთის მაგალითი აჩვენებს იქ მცხოვრებ მოსახლეობას უდიდესი ქრისტიანული რწმენა ჰქონდა.

როგორც ამჟამად ჩვენი ყურით გვესმის საზოგადოებაში გავრცელებულია ცრუ მოსაზრება, თითქოსდა საქართველოს მთის მოსახლეობა სარწმუნოებრივად არა ქრისტიანები, არამედ უფრო წარმართები იყვნენ და მათში შემონახული ადათ-ჩვევები, დღეობები თუ დღესასწაულები ქრისტიანობის მცირე ელემენტების მქონე წარმართულ რიტუალებს წარმოადგენენ. ეს მოსაზრება საქართველოში თითქმის ორასი წლის მანძილზე ინერგებოდა XIX საუკუნის რუსული საეგზარქოსოს დაარსების შემდეგვე და საბოლოოდ განმტკიცდა XX საუკუნეში ათეისტური ხელისუფლების დროს. ამ მოსაზრების სისწორეში ამჟამად არა მხოლოდ ბარის, არამედ თვით მთის მოსახლეობაც კი დაჯერებულია.

სინამდვილეში კი ანალიზი და ძეგლები, რომელთაც მიეკუთვნება **“სვანეთის საეკლესიო კრებათა მატიანე”** სულ სხვა სურათს გვიჩვენებს. “ამ მეტად მნიშვნელოვანი საბუთიდან ირკვევა, რომ სვანეთის ეკლესიათა მღვდელმსახურები თავისი შემადგენლობით ჭრელი და მრავალრიცხოვანი ყოფილა... სვანეთის ეკლესიათა საქმიანობას ქორეპისკოპოსნი, მამასახლისნი და მოძღვარნი წარმართავდნენ... უმრავლესობა ადგილობრივი ყოფილა... X-XV საუკუნეებში სვანეთის საერისთაოში რამდენიმე “საქორეპისკოპოსო” ყოფილა, მათ შორის, მესტიაში (სეტის მონასტერი), ლაშხეთში, სვანეთის “მთიულეთში” (ზედ ქალაქს), ასევე სავარაუდოა სვანეთის სხვა ადგილებში.

“სვანეთის მთიულეთში” (XV-XVI საუკუნეთა მიჯნა) საეპისკოპოსოს არსებობაზე **“ჯაფარიძეთა სიგელში” ნათქვამია: ზედ ქალაქსა კარგი საბატიო გუმბათიანი საყდარი ჯუარცმისა**

საეპისკოპოსო მისით ომოფორითა შემკობილი, რაც ეფისკოპოზსა და იმისთანათა საყდარს ეკადრების” (სვანეთის საისტორიო ძეგლები, III, გვ. 33).

სვანეთში საერთო მნიშვნელობის და ეკონომიკურად ძლიერ ეკლესიას მამასახლისთან ერთად მეჭურჭლე, მოლარეთუხუცესი, მედროშე, ჯვრის მტვირთველი და სხვა მოხელეც ჰყოლია... ეტყობა სვანეთის ეკლესიები უმეტესად ცაიშელსა და ცაგერელის მეურვეობასა და სამწყსოში შედიოდნენ... სვანეთის პირველ მატიანეზე და კვირიკობისას ექ. თაყაიშვილმა შეამჩნია, რომ სვანეთის ქორეპისკოპოსები ხუცესნი (და არა ბერები) და საქართველოს უძველესი ეპისკოპოსებივით “ცოლოსანნი” ყოფილან...

ექ. თაყაიშვილმა გამოარკვია, სვანეთში დროგამოშვებით (სხვადასხვა საუკუნეში) ყველა სოფელში ტარდებოდა საეკლესიო კრებები, რომელშიც მთელი საერო და სასულიერო საზოგადოების შეძლებული და შეგნებული მასა იღებდა მონაწილეობას. სწირავდნენ ფულებს თუ ხვადაგს, ინანიებდნენ ცოდვებს, აცხადებდნენ სურვილს საეკლესიო მატიანეში შესულიყვნენ **“რათა მეორეთ მოსვლის დროს მთავარანგელოზებს ქრისტეს წინაშე თავიანთი გვარები წაეკითხათ, სვანების ღრმა რწმენით, ვაი იმათ ვისაც ცოდვა შეუნანიებელი დარჩებოდა, მათთვის ჯოჯოხეთი გარდაუვალი იყო”**. ამითაა გამოწვეული ის, რომ საეკლესიო კრებათა მატიანეში ძირითადად ჩამოთვლილია სვანეთის მრავალრიცხოვანი გვარები.

გ. გასვიანი მთლიანად ეთანხმება ამ საკითხებზე ექვთიმე თაყაიშვილის ცნობებს, რომელიც თავმოყრილია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ექვთიმე თაყაიშვილის ფონდიში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთში დაცული ჩვეულების თანახმად, წელიწადის რომელიმე დღეს, სვანეთის სოფლების ეკლესიებში იკრიბებოდა მრევლი, რომლის დროსაც სასახელოდ მიიჩნეოდა ეკლესიისათვის რაიმეს შეწირვა, მათი სიები ჩანს დგებოდა კიდეც, რასაც უნდა ასახავდეს “სვანეთის კრებების” სიები.

სვანური წარმომავლობის უამრავი წყაროს ანალიზი უფლებას იძლევა ითქვას, რომ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგვე სვანეთში მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენით ადიდებდნენ უფალ ღმერთს, ეს ენა აქ იყო კულტურისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის საშუალება.

სვანეთის საეკლესიო კრებები, ლიტარატურა:

1. “მველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები”, 1964, ტ III
2. “ქართლის ცხოვრება”, 1955, ტ. I.
3. “დიდი სჯულის კანონი”, 1975.
4. ა. ჯაფარიძე, “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია”, 1999, ტ II
5. “სვანეთის საისტორიო ძეგლები”, 1941, ნაკვეთი II, პ. ინგოროყვას გამოცემა
6. გასვიანი, სვანეთის საეკლესიო კრებათა II მატიანე “მაცნე”, 1972, N2,
7. გასვიანი, “დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან”, 1973

მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის

ქადაგება გუდარეხის ახალნაკურთხ მონასტერში

22.09.2012

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

ქრისტეს მიერ საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენთვის, ჩვენი წმიდა ეკლესიისათვის დიდი დღე არის, უფალმა ღმერთმა ინება, რომ თითქმის 300 წლის შემდეგ ხელახლა იკურთხოს ეს წმიდა მონასტერი.

აქ იქნება მუდმივი წირვა და ლოცვა, მუდმივი ლიტურგია, მუდმივი ღვთისმსახურება და ღვთის დიდების ხმა გაისმება უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ჩვენი უწმიდესი პატრიარქი ხშირად იმეორებს წმიდა წერილში ნაბრძანებს - არის ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა.

ჩვენი თაობა ბედნიერები ვართ იმით, რომ მოგვიწია ცხოვრება და ყოფნა ეკლესიათა შენების ეპოქაში, რომელსაც ჰქვია უწმიდესი ილია II ეპოქა. ეს არის ჟამი აღორძინებისა და თქვენც ხედავთ, რომ საქართველო იშუშებს ძველ ჭრილობებს, რომლებიც მას მიადგა, ქრისტიანების დევნის დროს.

წარსულში, შუა საუკუნეებში, ჩვენი ქვეყანა იცავდა მსოფლიო ქრისტიანულ ცივილიზაციას.

ამ დიდ ბრძოლაში სულიერად გაიმარჯვა საქართველომ, მაგრამ ფიზიკურად ძალზე დაზარალდა. მიადგა დიდი ჭრილობები.

ჭრილობა იყო ისიც, რომ ეს წმიდა მონასტერი გაუქმებულ იქნა XVIII საუკუნის დასაწყისში, მაგრამ, აი დადგა XXI საუკუნე და ჩვენ კვლავ ერთად ვადიდებთ უფალს მის ამ წმ. ეკლესიაში.

ქრისტეს მიერ საყვარელო შვილებო, ჭეშმარიტად დიდი დღე არის, სიხარულის დღე არის, კურთხევის დღე. დღეს არის ენკენია, ანუ განახლება წმიდა ტაძრისა.

თქვენ იცით, რომ საქართველოსა და ქრისტიანობის ბოროტმა მტრებმა მრავალი ჩვენი წმიდა ეკლესია დაადუმეს, მაგრამ დიდია ძალა უფლისა.

XIX საუკუნეში ჩვენი ქვეყანა დაიპყრეს და ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიაც გააუქმეს. შემდეგ ათეისტების ჟამი დადგა, მათ დაასუსტეს ჩვენი წმიდა ეკლესია, მაგრამ ეს იყო რა თქმა უნდა დროებითი მოვლენა და დაშვებული იქნა იმისთვის, რომ ჩვენ უფრო გავძლიერებულიყავით, ბრძანებს ჩვენი უფალი და მაცხოვარი იესო ქრისტე - ჩემს წმიდა ეკლესიას დავდგამ სალ კლდეზე და მას ქარიშხლები ვერ მოერევიანო და მართლაც ასეა.

ვინ იფიქრებდა რომ ქართველი ერი და მათი შთამომავლები, ე.ი. თქვენ, ჩვენ ყველანი მოვესწრებოდით აი ამ დღეს, როდესაც დაემხობოდა ძალა ბოროტებისა, უზარმაზარი საბჭოთა იმპერია, რომელსაც სძულდა ეკლესია და დევნიდა. ძალა, რომელსაც ჰქონდა დიდი სამხედრო ძლიერება და მთელს დედამიწას, მსოფლიოს აშფოთებდა. მე თვითონ იმ დროს ვცხოვრობდი და როცა თქვენი ასაკის ვიყავი, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ დადგებოდა ასეთი ბედნიერი ხანა, მაგრამ მადლობა უფალს, დიდება უფალს, რომ დაემხო ბოროტება, ჯოჯოხეთის ბჭე დაემხო და გამოჩნდა ნათელი ქრისტესი, როგორც ანათებს დღეს მზე, სწორედ ასე მოვიდა მადლი უფლისა და მისი ნიშანი არის სწორედ დღევანდელი დღე, დღევანდელი კურთხევის დღე, ახალი ლიტურგია, ახალი წირვა და ლოცვა.

მინდა განსაკუთრებულად მოგილოცოთ თქვენ, რომელნიც აქ დგახართ. ეს მონასტერი უღრან ტყეში დგას, ქალაქისა და სოფლებისაგან განშორებით, უგზო და მიუვალ ადგილას. მიუხედავად ამისა, თქვენ დაძლიეთ უგზოობის ეს სიძნელე და დილაადრიან აქ მობრძანდით.

თქვენს ფერხთა ქვეშ იმათი საფლავებია, რომელთაც ააშენეს ეს წმიდა ეკლესია - აქ განისვენებს წინაპართა თაობები, მრავალი თაობა, დიდი ვაჟკაცები, რომელთაც თავიანთი

ლოცვით, თავიანთი სისხლით, თავიანთი ოფლით თქვენამდე მოიტანეს ჩვენი წმიდა სარწმუნოება.

ძველი წარმოდგენით თუ თოთო, უასაკო ბავშვს დააყენებდით წინაპრის საფლავზე, მას ძვლები გაუმაგრდებოდა და ბავშვი განმტკიცდებოდა. პაპა-ბაბუა ანდერძს უტოვებდა შვილს, რათა მის შვილიშვილს "მის გულზე გაევლო" ანუ მის საფლავზე ჩვილი ფეხებით დაეყენებინათ. დავით აღმაშენებელმა ინება, რომ დაფლულიყო გზაზე, კარიბჭესთან, სადაც ფეხით გადაივლიდნენ მორწმუნეები, ფეხით შეეხებოდნენ საფლავს და მიიღებდნენ სიძლიერეს წმიდა მეფისაგან. ზოგიერთს ჰგონია, რომ ეს მეფემ გააკეთა თავმდაბლობის გამო. რა თქმა უნდა, მეფე იყო თავმდაბალი, მაგრამ სინამდვილეში მისი საფლავიდან იღებდნენ გამარჯვების ძალას. თქვენც ნუ მოგერიდებათ, მტკიცედ დადექით ამ ეკლესიაში მდებარე ჩვენი წინაპრების უამრავ საფლავზე და გაძლიერდებით.

ხარობენ აქ დაკრძალული ჩვენი წინაპრების ძვლები თქვენი აქ ყოფნით, ახარებთ მათ მკერდზე გადარბენილი აქ მყოფი ბავშვების სიმრავლე. ერთ-ერთი აქ დაკრძალულთაგანი ისაა, ვინც ბოლოს აღადგინა ეს მონასტერი გერმანოზიშვილების ცნობილ საგვარეულოდან, აქ დაკრძალულები არიან დიდებულები ძირითადად ორბელიანებისა და ბარათაშვილების განაყოფებიდან - გერმანოზიშვილები, ისინი მაშინ გააძლიერა უფალმა ღმერთმა ჩვენმა, როცა მთელ საქართველოს უჭირდა და სასტიკი ომი იყო მომხვდურ მაჰმადიანებთან. ამ ომისას ჩვენ ვიყავით ქრისტეს მებრძოლები და წინამბრძოლები ქრისტესთვის, მსოფლიო ქრისტიანობის დამცველები. სწორედ აი ეს გერმანოზიშვილები, ორბელიანები, ბარათაშვილები იცავდნენ საქართველოსა და მსოფლიო ცივილიზაციას, მსოფლიოში ქრისტეს ნათელს.

აი, რა ფუნქცია ჰქონდა საქართვლოს - საქართველო იცავდა მსოფიო ქრისტიანულ ცივილიზაციას, რომელიც იმჟამად აყვავდა ევროპაში, იმიტომ, რომ ჩვენი წინაპრები აქ იბრძოდნენ და აქ აკავებდნენ მუსულმანურ სახელმწიფოებს. ქრისტიანობის მტრები აქ, კავკასიაში რომ არ შეეკავებინათ, მაშინ ევროპელებს იქ, ევროპაში, მოუწევდათ ომი მუსულმანურ იმპერიებთან, რაც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებას შეაფერხებდა.

მუსულმანურ იმპერიებთან ომი არ იყო იოლი საქმე. იმჟამად კავკასიაში მხოლოდ საქართველო იყო ქრისტიანული სახელმწიფო.

ჩვენმა წინაპრებმა სულიერად გაიმარჯვეს დიდ თავდაცვით ომში.

დღეს ჩვენ ვულოცავთ ეკლესიისა და მონასტრის კურთხევას მათ, აქ დაფლულ ჩვენს წინაპრებს და დღეს ისინი ხარობენ ჩვენთან ერთად, ხარობენ რომ აქ აღდგება წირვა-ლოცვა.

დღევანდელი სამოციქულოს საკითხავში ნათქვამი იყო და იგივე ითქვა სახარებაშიც: ბრძანებს ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე - ნეტარია ის, ვინც მე შემომიდგება.

მართლაც ასე მოიქცნენ ამ მონასტერში, ამ შუაგულ ტყეში მოღვაწე წმიდა ბერები. ისინი აქ 1000 წლის წინ შეუდგნენ ჩვენ უფალს იესო ქრისტეს - მათ დატოვეს თავიანთი სახლ-კარი, დატოვეს თავიანთი მამულები, ბევრმა მიატოვა დიდი ქონება, მიატოვა ოჯახი და წამოვიდნენ აქ და შექმნეს ამ ტყეში სამონასტრო ქალაქი.

გუდარეხი იყო შესანიშნავი ტაძარი, დღეს ჩვენ მას შემოვუარეთ გარშემო და ვხედავდით, რომ მისი სიმშვენიერიდან მრავალი დაკლებია და დაზიანებულა ქრისტიანობის მტრების მიერ.

ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი ეპარქიის ხალხმა მიიღოს მადლი უფლისაგან, რათა შეძლოს ისევ ქალაქად აქციოს ეს შესანიშნავი მონასტერი, რომ მას ისევ შესანიშნავი ეზო ჰქონდეს, სამრეკლოს ედგას კვლავ შესანიშნავი ჯვარი და კარგი ზარი იყოს იქ დაკიდებული და აქ იყოს გაჩაღებული წმიდა ლოცვები.

ჩვენს მლოცველ ბერებზე ვამბობდი, რომ მათ მიატოვეს სახლ-კარი და აქ მოვიდნენ. რისთვის მოვიდნენ აქ, რისთვის ლოცულობდნენ?

ბერების მთავარი დანიშნულება იყო და არის ლოცა მშვიდობისათვის, ლოცა ერისათვის და ლოცა ქვეყნისათვის. მონასტერთა ლოცვაზე იდგა ძველი საქართველოს სიდიადე, დააკვირდით,

როგორი ძლიერი და დიადი იყო ძველი საქართველო. როგორი ძალა ჰქონდათ ხელმწიფეებს, როცა ასეთ დიდებულ ტაძრებს აგებდნენ, აქედან ჩანს თუ რაოდენ დიდი მლოცველები იყვნენ საქართველოს მონასტრებში.

და მე მინდა კიდევ ერთხელ შევთხოვო უფალს, რომ ღმერთმა ისევ მოგცეთ სიძლიერე, ისევ მისცეს ქართველ ერს ძალა, რომ ისევ აღვადგინოთ სალოცავები და ისევ მონასტრებიდან გაძლიერდეს საქართველო, ისევ მონასტრების ლოცვით, მონასტრების ძალით, რათა ღვთის ნათელი დაიმკვიდროს ჩვენმა ქვეყანამ და ბრწყინვალება ღვთისა.

წინა წლებში როცა ამოვდიოდით აქ ვხედავდით უფრო დიდი ნგრევის კვალს, ახლა რა შედარებაა, ბევრი რამ გაკეთდა, ძალზე ბევრი. აღდგა ტრაპეზი, სამკვეთლო, კანკელი და მრავალი სხვა, მე მინდა დავლოცო ვინც გვერდით დაგვიდგა, ვინც გვეხმარებოდა. მამა თორნიკე, ჩვენი იღუმენი, რომელსაც უფალმა ღმერთმა მისცა აქ ლოცვის ძალა, რათა ჩვენმა სულებმა დაიმკვიდრონ ქრისტეს ნათელი და ჩვენ ვლოცავთ მამაოს, თქვენ იცით, რომ როცა მოვედით ჩვენ ეპარქიაში, მღვდელი არ ყავდა ეპარქიას და ერთერთმა მეუფემ დროებით გამოგვიგზავნა მწირველი მღვდელმონაზონი მანგლისისათვის, საბედნიეროდ შეიცვალა ვითარება და ეპარქიაში ახლა მრავალი სასულიერო პირი გვყავს, ბევრი ვაკურთხეთ. დღეს მე ვიყავი ბედნიერი, როცა ჩვენი ათი ღვთისმსახური იდგა ტრაპეზის გარშემო.

ჩვენი მამები ყველაფერს აკეთებენ არა იმისთვის, რომ ჩვენ დავინახოთ მათი საქმეები, არამედ რათა უფალმა იესო ქრისტემ დაინახოს და ადგილი დაიმკვიდრონ მის მარჯვნივ სასუფეველში.

ღმერთმა, ღმერთმა აკურთხოს ჩვენი ერი, ღმერთმა გააძლიეროს ჩვენი ეკლესია, ღმერთმა მშვიდობა და სიხარული მიანიჭოს ჩვენი ეპარქიის ხალხს. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ!

მის უწმიდესობას და უნეტარესობას სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია II მანგლისისა და წალკის ეპარქიის მმართველის, საპატრიაქოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის თავჯდომარის მიტროპოლიტ ანანიას მოხსენებითი ბარათი

ო ქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ვითხოვ კურთხევასა და შენდობას ამ ბარათის მოწერისათვის.

საქმე შეეხება ჩვენი წმიდა ეკლესიისა და ერის მთლიანობისათვის საშიშ საისტორიოგრაფიო-იდეოლოგიურ მიმართულებას. მიმაჩნია, რომ ამის არ მოხსენება და დაფარვა დიდი დანაშაული იქნებოდა ჩემი მხრიდან. ამ თემის ირგვლივ მე ინტენსიურად ვმუშაობ და დამიგროვდა მრავალი ფაქტობრივი მასალა.

მოგახსნებთ ჩვენი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების შესახებ საისტორიო მეცნიერებაში გაბატონებულ თვალსაზრისს:

ამჟამინდელი ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიხედვით -

1) დასავლეთ საქართველო 500 წლის მანძილზე IV-IX საუკუნეებში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში და ის თითქოს, მხოლოდ X საუკუნიდან დაიქვემდებარა ქართულმა ეკლესიამ. შესაბამისად, თითქოსდა, მხოლოდ X საუკუნიდან გავრცელდა დასავლეთ საქართველოში ქართული ენა და კულტურა, მოხდა იქაური მოსახლეობის "ქართიზაცია" ანუ "გაქართველება" (ეს მოსაზრება ასახულია "პრავასლავნაია ენციკლოპედიაში").

2) აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთის რეგიონის დიდი ნაწილი (მათ შორის ბოდბე, გურჯაანი, დავით გარეჯას მონასტრები და სხვა) თითქოსდა, თავდაპირველად შედიოდა ალბანეთში, ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში და მხოლოდ წმიდა ნინოს დროს, თანამედროვე ავტორების სიტყვით, "პროზელიტურმა ქართულმა ეკლესიამ" გააქართველა ეს ალბანური ქვეყანა (ე.ი. კახეთის დიდი ნაწილი). გადააქცია ქართული ეკლესიის ნაწილად და გააქართველა ეს მხარე (ეს მოსაზრება ასახულია "პრავასლავნაია ენციკლოპედიას" შესაბამის რუკაზე, რომელიც თან ერთვის ამ წერილს).

3) მიიჩნევა, რომ სამხრეთ საქართველო - მათ შორის ქვემო ქართლი, ტაო და კლარჯეთი თავდაპირველად დასახლებული იყო სომხური მოსახლეობით, რომელსაც, თითქოსდა, ქართულმა ეკლესიამ მიაღებინა ქალკედონიტური აღმსარებლობა და ამით მოახდინა ამ ეთნიკური სომხების "გაქართველება". ამ მოსაზრებას ავითარებდნენ ჩვენი ერის თანამედროვე ფილოლოგ-ისტორიკოსებიც კი.

4) მიიჩნევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი თავდაპირველად დასახლებული იყო ჩეჩნურ-ვაინახური ტომებით, რომელნიც ეკლესიამ "გააქართველა" ("ქართიზაციის" შესახებ მოსაზრება ქართულ ენციკლოპედიაშიცაა ასახული).

მაშასადამე, თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიხედვით, თავდაპირველად არსებობდა მცირე ზომის "ქართლის ეკლესია", რომელიც თანდათან შეიჭრა უცხო იურისდიქციებში და შედეგად: კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, ალბანეთისა და სომხეთის საკათალიკოსოებს ჩამოაჭრა რეგიონები.

ეს მოსაზრება ქართული ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ ჩამოყალიბდა XX საუკუნის დასაწყისში და საისტორიო მეცნიერებაში გაბატონებული სახე მიიღო საბჭოთა ეპოქაში.

ამჟამად, მიიჩნევა, რომ ესაა უეჭველი სამეცნიერო ჭეშმარიტება და მის შესაბამისადაა დაწერილი უკლებლივ ყველა სამეცნიერო-სასწავლო სახელმძღვანელო. ეს მოსაზრება ასახულია ენციკლოპედიებშიც (მაგალითად "პრავასლავნაია ენციკლოპედიაში", ასევე, "ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში").

ამჟამადაც, რაც საგანგაშოა, ზემოთაღნიშნული თვალსაზრისით (ქართული ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ) იწერება ეკლესიის სახელითა და ეკლესიის ეგიდით ოფიციალურად გამოცემული წიგნები (მათ შორის ინგლისურენოვანიც). როგორც ვთქვით, ესაა ახალი, XX საუკუნის თვალსაზრისი.

იქამდე, უძველესი ხანიდან XIX-XX საუკუნემდე ჩვენი საეკლესიო და ეროვნული ისტორიოგრაფია, მემატიანეები, ჩვენი ეკლესიის წმიდა მამები საუკუნეთა მანძილზე ავითარებდნენ სულ სხვა შეხედულებებს, რაც კარგადაა ასახული რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში, რომელიც წერს - წმიდა ნინომ მოაქცია "ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა" ("დიდი სჯულისკანონი", 1975, გვ. 546), ხოლო წმიდა ანდრია მოციქულმა სახარება იქადაგა "ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა" (იქვე, გვ. 545).

ჩვენი ეკლესიის წმიდა მამების მიერ საუკუნეთა მანძილზე მიიჩნეოდა, რომ ისტორიული საქართველოს მოსახლეობა, ანუ მთელი ქართველი ერი მოაქცია წმიდა ნინომ, ამიტომაც მას ტროპარი "ქართველთა განმანათლებელს", ხოლო კონდაკი "ქართველი ერის წინამძღვარს" უწოდებს - IV საუკუნიდანვე დასავლეთ საქართველო იყო მცხეთის იურისდიქციაში, ისევე, როგორც მთელი ქართული მიწა-წყალი ისტორიულ საქართველოში.

ამჟამად, აფხაზი საეკლესიო სეპარატისტები (რომლის იდეოლოგის მღვდელმონაზონ ნ. დბარის წიგნიც თან ახლავს ამ წერილს), აღნიშნულ თეორიას ქართული ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ, საფუძვლად უდებენ თავიანთ სეპარატისტულ საეკლესიო თეორიებს და რის დასასაბუთებლადაც იყენებენ "პრავასლავნაია ენციკლოპედიაში" დაბეჭდილ ქართველი ავტორების სტატიებსაც, მათ გარდა სხვა რეგიონალური საეკლესიო სეპარატისტებიც, თუ არას

ვიტყვით აზერბაიჯანელი მხარის პრეტენზიების შესახებ დავით-გარეჯისა და საინგილოს ეკლესია-მონასტრების მიმართ და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით, რათა ეს სეპარატიზმი კიდევ უფრო არ გამწვავდეს და არ მიიღოს სერიოზული სახე, რათა ჩვენმა ახალმა ისტორიკოსებმა თვით საეკლესიო გამომცემლობების მეშვეობით არ გაავრცელონ ეს ანტიეკლესიური თეორია, ალბათ, კარგი იქნებოდა თუ წმიდა სინოდი თქვენი უწმიდესობის კურთხევით მიიღებდა ისეთ დადგენილებას, როგორიც იქნა მიღებული ქართული ენის მიმართ. მისსივე იდენტურად იქნებ მიგვეღო ასეთი სახის დადგენილება:

წმიდა სინოდი ადგენს -

რუის-ურბნისის კრების წმიდა მამების ცნობით ისტორიული საქართველოს ყველა კუთხე დაარსებისთანავე იმყოფებოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, განსაკუთრებით კი წმიდა ნინოსა და მეფე მირიანის დროიდან, რაც ჩვენი ეკლესია გადაიქცა ეროვნულ ეკლესიად, "ძეგლისწერაში" ნათქვამია - წმიდა ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა "ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა", ხოლო წმიდა ნინომ მოაქცია "ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა" (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545 - 546). ამიტომაც ეწოდება წმიდა ნინოს მის ტროპარში "ქართველთა განმანათლებელი", ხოლო კონდაკში "ქართველი ერის წინამძღოლი".

ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს "საქართველოს ეკლესიის წმიდა მამებს, ძველ ქართველ სახელოვან მეცნიერებსა და მთელ ქართველ ერს XIX საუკუნემდე შესისხლხორცებული ჰქონდათ შემეცნება, რომ წმიდა ანდრია და წმიდა ნინო ყოველთა ქართველთა საერთო მოციქულნი და განმანათლებელნი იყვნენ, საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებელნი" (ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. III, გვ. 340).

XX საუკუნეში, ათეიზმის ეპოქაში, შეიცვალა და გაყალბდა საისტორიო შეხედულება საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების შესახებ, ისე წარმოადგინეს, თითქოსდა, დასავლეთ საქართველო IV-IX საუკუნეებში, 500 წლის მანძილზე, არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში და ასევე სხვა ზოგიერთი ისტორიული რეგიონიც.

დაუშვებელია ისტორიის გაყალბება, დასავლეთ საქართველოსა და სხვა რეგიონების უცხო საპატრიარქოთა იურისდიქციაში წარმოდგენა, რომელსაც საფუძველი დაედო XX საუკუნეში (ათეიზმის ეპოქაში), ერის გათიშვისა და ქვეყნის მთლიანობის დარღვევის მიზნით.

ვითხოვ თქვენს კურთხევას, 15.03.2012

2012 წლის წმიდა სინოდის დადგენილება

"2012 წლის 5 ივლისს საქართველოს საპატრიარქოში შედგა წმიდა სინოდის მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II.

წმიდა სინოდმა მოისმინა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) მოხსენება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით და განაჩინა:

ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში და, განსაკუთრებით, XX საუკუნეში, კომუნისტების მმართველობის ხანაში, მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ, მკვიდრდებოდა რა აზრი, თითქოს, დასავლეთ საქართველო IV-X საუკუნეებში, ანუ 600 წლის მანძილზე, არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. ამასთან, თითქოს, ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ასევე არ შედიოდა ჩვენი ზოგიერთი ისტორიული რეგიონი, დაევალოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს, გადადგას რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯები ათეისტურ პერიოდში შემუშავებული

იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის.

ხელი შეეწყოს მეუფე ანანიას (ჯაფარიძე) მიერ წარმოდგენილი მასალების დაბეჭდვას და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობილი იმ ჭეშმარიტი აზრის განმტკიცებას, რომ **“წმიდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა”**, ხოლო **წმინდა ნინომ “განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა”** (დიდი სჯულის კანონი, 1974, გვ. 545 - 546). ამას მოწმობენ უცხოური წყაროებიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აზრს სრულად იზიარებს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. იგი წერს: **“ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ”** (ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 47).

“საპატრიარქოს უწყებანი”, N27, 12-20 ივლისი, 2012 წ., გვ. 4

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

სიტყვა - ავტოკეფალიის აღდგენის დღესასწაულზე

25.03.2012

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,

საქართველოს წმიდა ეკლესია ზეიმობს თავისი ავტოკეფალიის აღდგენის დღესასწაულს.

რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების კვალდაკვალ გააუქმა 1500 წლოვანი ეკლესიის ავტოკეფალია. რასაც არ შეურიგდა ქართველი ერი და 1917 წლის 25 მარტს თავდადებული ღვაწლის შედეგად ის აღდგენილი იქნა.

მისი უწმიდესობა და უნეტარესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია იყო უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი ქართველი ერის საუკეთესო შვილებისა და რომ არ ჰქონოდა საქართველოს წმიდა ეკლესიას ავტოკეფალია, დღეს არ გვექნებოდა ისეთი საამაყო ეროვნული ღირებულებები, როგორიცაა საკუთარი უძველესი ქრისტიანული მწერლობა, ლიტერატურა, ქართულენოვანი ღვთისმსახურება. ქართულ ენაზე თარგმნილი წმიდა წერილი IV-V საუკუნეებიდან, უნიკალური ხელოვნება, ფერწერა, მუსიკა თუ არქიტექტურა.

საქართველოს წმიდა ეკლესიამ იმთავითვე დიდი ავტორიტეტი მოიპოვა საქართველოში, რადგანაც მას თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა ეზრუნა ხალხის დასაცველად, მის მოსაფრთხილებლად, მისთვის ნიშნეული იყო ზრუნვა ტვირთმძიმეთა, უპოვართა, მაშვრალთა, გაჭირვებულთა, უსახსროთა, უბინაოთა თუ უმიწაწყლოთა მიმართ, ტყვეების დასახსნელად, პატიმრების, ავადმყოფთა ნუგეშინისცემა, აღზრდა ობოლთა და ოჯახების შენახვა და მზრუნველობა.

საზოგადოდ, ქრისტიანობა წარმოადგენდა სარწმუნოებას რომაულ-ბიზანტიური იმპერიისა, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა შუასაუკუნეების ევროპული ცივილიზაცია. ქართველი ერი ამ სარწმუნოების მეშვეობით, გადაიქცა ერთ-ერთ ნაწილად ევროპული სივრცისა, და მან იტვირთა ფუნქცია აღმოსავლეთის მიმართულებით მისი დაცვისა. ქართველი ხალხი კავკასიაში იყო

ერთადერთი ერი, რომელსაც XI საუკუნის შემდეგ ერთდროულად გააჩნდა საკუთარი სახელმწიფო და ქრისტიანული სარწმუნოება, რის გამოც საქართველო ფაქტობრივად იყო ევროპულ-ქრისტიანული სივრცის დამცველი და მისი აღმოსავლეთის ბასტიონი, რომელსაც მუდამ უტევდნენ არაქრისტიანული აღმოსავლეთის იმპერიები. საქართველოს დაცვა - ევროპული ცივილიზაციის დაცვასაც ნიშნავდა, რადგანაც ის, მისი ერთ-ერთი ფორპოსტი, მისი სასაზღვრო ჯებირი იყო.

ქრისტიანული მსოფლიოს დამცველად რომ წარმოედგინათ ქართველ მეფეებს თავიანთი თავი, **კარგად ჩანს V საუკუნის დიდი ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან, სადაც ის აცხადებს, რომ მისი ბრძოლები მიმართულია იმისაკენ, რომ დაიცვას იერუსალიმისა და ყველა ქრისტიანი ერის უსაფრთხოება. ვახტანგ გორგასალმა დატოვა ანდერძი, რომლის აღსრულება საუკუნეთა მანძილზე განსაზღვრავდა ქართველთა ლტოლვას ევროპული სივრცისაკენ. კერძოდ, მისი ანდერძი იყო "ნუ მიატოვებთ ბერძენთა სიყვარულს", ბერძნების ქვეშ აქ იგულისხმება ბიზანტიურ-ევროპული ქრისტიანული სივრცე. ასე, რომ ქართველობა არა მარტო მიიჩნევდა თავის თავს ევროპული სივრცის ნაწილად, არამედ საკუთარი სისხლით და თავდადებული ბრძოლით საუკუნეთა მანძილზე იცავდა მას.**

მცხეთის მიდამოებში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ქვის სტელა ბერძნული და ლათინური წარწერებით. მასში ნათქვამია, რომ სტელა არმაზის ციხის გალავანთან აღიმართა რომის იმპერატორების ვესპასიანეს და დომიციანეს სახელით, ნიშნად იბერიასა და რომის იმპერიას შორის მეგობრული ურთიერთობისა. წარწერაში, რომელიც შედგენილია I საუკუნის 70-იან წლებში, იბერიის მეფე მითრიდატეს ეწოდება "კეისრისა და რომაელი ხალხის მეგობარი". ფაქტი, რომ რომის იმპერია, იმჟამინდელი მსოფლიოს ზესახელმწიფო, თავის მეგობრად მიიჩნევდა იბერიას, ცხადია, ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო და ამას უკვალოდ არ ჩაუვლია, არა თუ უკვალოდ, არამედ ამ მეგობრობამ განადიდა და განაბრწყინა იმჟამინდელი საქართველო, გაიზარდა მისი საზღვრები, იბერთა მეფემ თავისი გავლენა განავრცო, გაძლიერებულმა მისმა არმიამ, მემატიანეთა ცნობით, რამდენჯერმე დაამრცხა პართიის ჯარი. საქართველოში I-II საუკუნეში გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო გზები, არქეოლოგიური მონაპოვრები აჩვენებს იმპორტული მასალის სიუხვეს. **ისტორიკოსთა დასკვნით რომის იმპერიასთან მეგობრობის დროს I საუკუნის 30-იანი წლებიდან II საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით იბერია იყო ძლიერი სახელმწიფო, ამიტომაც რომაელი ისტორიკოსები ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები თავიანთ თხზულებებში ხალისით უთმობდნენ ადგილს იბერიის სისხლსავსე ცხოვრების აღწერას.**

არანაკლები სიდიადე მოიპოვა საქართველომ ათასი წლის შემდეგ, XII საუკუნის დასაწყისში, მეფე დავით აღმაშენებლის დროს. იმჟამად, თურქ-სელჯუკებისა და ეგვიპტელების გავლენის ქვეშ მოექცა პალესტინის წმიდა ადგილები. თურქ-სელჯუკები, რომელთაც ბიზანტია დაამარცხეს უთუოდ საქართველოს საბოლოო დამარცხებასაც შეძლებდნენ. ამ დროს საქართველოს ესაჭიროებოდა ისეთი დამხმარე ძალა, რომელიც შეძლებდა თურქ-სელჯუკების ყურადღების გადატანას საქართველოდან სხვა მიმართულებით. მართლაც, - "ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღვთისათა მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანს ხარაჯა და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს" (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 325 - 326). მაშასადამე, საქართველოს აღორძინების დასაწყისად მიიჩნევა დაახლოებით 1099 წელს ქართულ-ევროპული სამხედრო კოალიციის შექმნა, რომელმაც შეძლო თურქ-სელჯუკების საბრძოლო მიმართულების გადატანა საქართველოდან უფრო სამხრეთით პალესტინისა და მცირე აზიისაკენ. მემატიანის სიტყვით, მუსულმანთაგან გათავისუფლდა იერუსალიმი, წარმოიქმნა ქრისტიანული სამეფო იერუსალიმისა, რომლის მეფეც თვითონ ჩამოსულა საქართველოში დავით აღმაშენებელთან მოსალაპარაკებლად. დიდგორის სახელოვან ომშიც ჯვაროსანთა მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

აქედან ჩანს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი გაძლიერების ვრცელი ეპოქები ეფუძნებოდა მეგობრობასა და მჭიდრო ურთიერთობას ევროპულ ქვეყნებთან.

საქართველოს ერის თავისთავადობის საყრდენი ათასწლეულთა მანძილზე იყო და ამჟამადაც არის მართლმადიდებელი სარწმუნოება. სიყვარული ამ ეროვნული სარწმუნოების მიმართ ვერ დაჩრდილა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობამ XIX საუკუნის დასაწყისში. ივანე ჯავახიშვილი თავის წიგნში "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში" კარგად აღწერს, ნაბიჯ-ნაბიჯ, კეთილმეგობრობის ნიღბით, თუ როგორ აუქმებდა რუსეთის იმპერია საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და ძირს უთხრიდა მისი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მართლმადიდებელი ქვეყანა მსგავსად ბულგარეთის, რუმინეთისა და საბერძნეთისა, კვლავ დაუბრუნდება მის მშობლიურ ევროპულ სივრცეს, რომლის ნაწილად მიაჩნდა მას თავისი თავი ათასწლეულთა მანძილზე.

ქრისტიანული კულტურის განვრცობა ევროპაში გლობალიზაციის ერთ-ერთი პირველი ეტაპი იყო. ეს კულტურა მთლიანად მიიღო ქართველმა ერმა, მაგრამ გარდაქმნა ის საკუთარი ეროვნული კულტურის ქურაში და შედეგად აღმოცენდა ეროვნულ-ქართული ქრისტიანული კულტურა, რაც ქართველი ერის თავისთავადობის, მისი იდენტობის საფუძველი იყო. ამ საქმეს ემსახურებოდნენ თაობები ქართველი სასულიერო მამებისა, მათ შორის განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ათონის ივერთა მონასტრის სასულიერო კერა, რომელმაც შეძლო უვრცელესი ბერძნული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა - გადმოღება თავისი ერისათვის. ათონელი მამების დროს X-XI საუკუნეში საერთაშორისო ცივილიზაციის და გლობალიზაციის ენა ბიზანტიურ სამყაროში იყო ბერძნული, დასავლეთ ევროპაში კი ლათინური. მათი ცოდნის გარეშე თითქოსდა ვერავინ ეზიარებოდა იმჟამინდელ ცივილიზაციას, მაგრამ ათონელმა ქართველმა მამებმა სხვა გზა აირჩიეს, მათ დაიწყეს ბერძნულიდან თარგმნა უზარმაზარი ლიტერატურისა და ბერძნულენოვანი ცივილიზაცია ქართული ენის მეშვეობით გაათავისებინეს ქართველთა თაობებს. ამჟამადაც გლობალიზაციის ახალი ტალღის ეპოქაში, ქართველმა ერმა თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევები უნდა მიიღოს და გაითავისოს არა რომელიმე საერთაშორისო ენის, არამედ ეროვნული ქართული ენისა და დამწერლობის საშუალებით. **და ამიტომ საჭიროა, თანამედროვე ტექნიკური საშუალებები აღიჭურვოს ქართული შრიფტით, დაინერგოს საყოველთაო საკომპიუტერო თუ სატელევიზიო ქართულენოვნება და გლობალიზაციის ტალღა მივიღოთ ეროვნული იდენტობის სრული შენარჩუნებით.**

ევროპულ ქვეყანებში - სახელმწიფო ენა არის სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაცია - ინტეგრაციის, კონფლიქტების დარეგულირების, მისი თავიდან არიდების საშუალება. სამოქალაქო ერთიანობა მხოლოდ სახელმწიფო ენის გავრცელების შედეგად მიიღწევა.

XIX საუკუნემდე, რუსების შემოსვლამდე ქართული ენა იცოდა საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეთნიკურმა ჯგუფმა, ისინი შესანიშნავად ფლობდნენ ქართულს, ასევე ოსების, მუსულმანების და აფხაზების განათლებული ფენები და საზოგადოდ ხალხი. უფრო მეტიც, რუსების შემოსვლამდე ქართული ენა მთელი კავკასიისათვის ერთაშორისი ურთიერთობის ენა იყო. მაგრამ საქართველოში ორ საუკუნოვანი ბატონობის შემდეგ, XXI საუკუნეში, როგორც ითქვა ქართული ენა - ნაკლებად იცის საქართველოში მცხოვრებმა ზოგიერთმა ჯგუფმა. რუსეთის იმპერიამ საქართველოს მთელი მოსახლეობის, ყველა ეთნიკური ჯგუფის გამაერთიანებელ ქართული ენას ჩამოართვა ეს ფუნქცია და მის ნაცვლად ერთა შორის ურთიერთობის საშუალებად დანერგა რუსული ენა. ქართულ ენას აღარ ასწავლიდნენ საქართველოს რეგიონებში, ის მხოლოდ ქართველთა ჯგუფის ენად იქცა. ევროპული მიდგომა ამ საკითხისადმი გვავალდებულებს - **სახელმწიფო ქართული ენის საშუალებით ქვეყნის ერთგულ და შემოქმედ მოქალაქეებად გავაერთიანოთ ყველა ეთნოსი, სახელმწიფო ენის საშუალებით უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოებრივი ერთიანობის მიღწევა, მოსახლეობის ინტეგრაცია, ეთნოგაუცხოების დაძლევა.**

კონფლიქტების ერთ-ერთი წყარო არის გაუცხოება, როცა ეთნიკურმა ჯგუფმა, იმის გამო, რომ არ ფლობს სახელმწიფო ენას, არ იცის დომინანტი ერის მიზნები, მისწრაფებები, ის გაუცხოებულია, და უცოდინარობის გამო უნდობლობითაა გამსჭვალული, ამ დროს შეუძლებელია სამოქალაქო მთლიანობის მიღწევა.

საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაცია ერთიანი კულტურით - ეს ჩვენი თაობის ვალდებულებაა.

ენის მსგავსად საერთო ქართული კულტურა აერთიანებდა მთელ საქართველოს მოსახლეობას. საქართველოს ყოველ კუთხეში ათასწლეულთა მანძილზე მხოლოდ ქართული ენით ადიდებდნენ უფალს აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა თუ ქართლ-კახეთის მოსახლეობა. ქართული კულტურა ყოველ კუთხეს აერთიანებდა, ის იყო საერთო კულტურა.

ძველ საქართველოში არასოდეს შექმნილა კუთხური, ლოკალური კულტურა.

ძველ საქართველოში არავის უთარგმნია წმიდა წერილი კუთხურ დიალექტებზე - რადგანაც მთელ ერს ერთი კულტურა და ერთიანი ეროვნული შემეცნება გააჩნდა.

საქართველოს წმიდა ეკლესია დაარსეს თვით იესო ქრისტეს წმიდა მოციქულებმა, მათ მიერ დანერგილი წმიდა ანუ მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვა შეძლო საქართველოს ეკლესიამ. დღეს მისი დღესასწაულია, კიდევ ერთხელ ვულოცავთ მის უწმიდესობას და უნეტარესობას, ამ დიდ დღესასწაულს, ვულოცავთ მთელ ჩვენს ქვეყანასა და ერს, მრავალს დაესწარით, ღმერთმა დაგლოცოთ, ამინ.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ანალიზი 2012 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის ოთხტომეულისა

(საქართველოს ეკლესიის ისტორიის არასწორი ასახვა)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და რელიგიის შესწავლის სამეცნიერო ცენტრმა, გამოსცა საქართველოს ისტორიის ოთხტომეული (სარედაქციო კოლეგია: მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, რ. მეტრეველი, თბილისი 2012).

მასში მოცემული მტკიცებებით დასავლეთ საქართველო და ასევე კახეთის დიდი ნაწილი IX-X საუკუნემდე (ე.ი. გაქრისტიანების დროიდან, თითქმის 600 წლის მანძილზე) შედიოდა არა საქართველოს წმიდა ეკლესიის იურისდიქციაში, არამედ კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატრიარქოსა და ასევე ალბანეთის იურისდიქციაში.

I. კონსტანტინოპოლთან დაკავშირებით საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემის ავტორი წერს:

“კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში დასავლეთ საქართველოს ოთხი დიდი ეპარქია შედიოდა:

1. ფაზისის სამიტროპოლიტო, საკუთრივ ეგრისი, ოთხი საეპისკოპოსო კათედრით, ძიგანევის (გუდავის), პეტრას, როდოპოლისის (ვარციხე), საისენის (ცაიშის),

2. ბიჭვინთის საარქიეპისკოპოსო, რომელიც მოიცავდა საკუთრივ აფხაზეთს (აბაზგიას).

3. ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო, რომელშიც შედიოდა ჯიქეთი და

4. სებასტოპოლის (ცხუმის) კათედრა” (გვ. 199).

ავტორი წერს თითქოსდა - კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შემავალი საეპისკოპოსო კათედრები მცხეთამ გააუქმა თანდათანობით:

“თანდათან გაუქმდა ფაზისის სამიტროპოლიტო და მასში შემავალი საეპისკოპოსოები, მათ მაგიერ დაარსდა ახალი საეპისკოპოსოები: მოქვი, დრანდა, ბედია, ქუთაისი და სხვა” (საქართველოს ისტორია, 2012, ტ. II, გვ. 201).

რაც შეეხება საეკლესიო კულტურასა და ენას, ამ წიგნში მიიჩნევა, რომ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ენა X საუკუნემდე იყო ბერძნული ენა და მხოლოდ ამის შემდგომ გავრცელდა ქართული ენა, და იქ ნათქვამია:

“IX საუკუნის დასაწყისიდან, ის ეპარქიები უკვე აღარ შედიოდნენ კონსტანტინოპოლის სამწყსოში, სადაც წირვა-ლოცვა ბერძნულად მიმდინარეობდა, ახლა კი დანარჩენი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დარად აქ საეკლესიო მსახურება უკვე ქართულად ტარდებოდა” (იქვე გვ. 200).

მაშასადამე საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემაში გამეორებულია საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, რომელიც მთლიანად ეწინააღმდეგება ძველ ქართულ წყაროებსა და რუის-ურბნისის ძეგლისწერას, რომ ანდრია პირველწოდებულისა და წმიდა ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს წმიდა ეკლესია იმთავითვე მოიცავდა სრულიად საქართველოს მიწა-წყალს და ის მწყსიდა მთელ ქართველ ერს (ამიტომაც მიუთითებდა რუის-რბნისის კრების ძეგლისწერა - წმიდა ნინომ მოაქცია “ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა”, ხოლო ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა “ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა”).

“პირველწოდებული ანდრია, ძმა თავისა მოციქულთასა პეტრესი, ვიდრე ჩუენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხორებელი ქადაგება სახარებისა ყოველსა ქუეყანასა საქართველოჲსასა და ურიცხუნი სიმრავლენი ერთანი განაშორა საცთურისაგან....” (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545);

აქედან ნათლად ჩანს, რომ რუის-ურბნისის კრების დადგენილების შესაბამისად ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, არამედ **“ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა”**, ე.ი. სრულიად საქართველოში, მსგავსადვე წმიდა ნინომ რუის-ურბნისის კრების თანახმად **“სარწმუნოებასა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი სავსებაჲ ყოვლისა ქართველთა ნათესავისა”** (იქვე, გვ. 546). **ე.ი. ამ კრებას მიაჩნია, რომ წმიდა ნინომ მთელი ქართველი ერი (“ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა”) გააქრისტიანა.**

ყველა ძველი ქართული წყარო (მოქცევაჲ ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, ძეგლისწერა და სხვა) მიიჩნევს რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო გაქრისტიანებისთანავე ერთ პოლიტიკურ და ეკლესიურ მთლიანობას წარმოადგენდა გაქრისტიანებისთანავე. ქართულ წყაროთა ეს მტკიცებანი საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემაში უგულებელყოფილია.

საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემაში ასევე უგულებელყოფილია ბერძნული და სომხური წყაროები იმის შესახებ, რომ, ანდრია პირველწოდებულისა და წმიდა ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს წმიდა ეკლესია იმთავითვე მოიცავდა სრულიად საქართველოს მიწა-წყალს და ის მწყსიდა მთელ ქართველ ერს, კერძოდ კი უგულებელყოფილია IV საუკუნის ავტორის გელასი კესარიელის ცნობა, რომ წმიდა ნინომ მოაქცია “იბერები და ლაზები”, ეს ძვირფასი ცნობა მთლიანად ეთანადება ძველ ქართულ წყაროებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია “ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა”, ე.ი. იბერები და ლაზები.

ამასვე იმეორებს V საუკუნის ავტორი ეპისკოპოსი გელასი კვიზიკელი.

კერძოდ, IV საუკუნის ეკლესიის ისტორიკოსი გელასი კესარიელი წმ. ნინოს შესახებ წერს: იმპერატორ კონსტანტინეს ხანაში **“ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ”** (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

ამასვე წერს V საუკუნის ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც: **“ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ, შეიწყნარეს”** (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).

მაშასადამე, გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით, წმიდა ნინოს მიერ მთელმა ერმა, როგორც ზღვისპირეთში მცხოვრებმა (ლაზებმა), ისე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მცხოვრებმა (იბერებმა), ერთდროულად მიიღეს "ღვთის მცნება".

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია ლაზებიც იბერებთან ერთად, ეთანადება V საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის ცნობა. ის წერს: ვრცელი არეალი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მოაქცია წმიდა ნინომ, რომელმაც იქადაგა კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის ზღვისპირეთში იმჟამად მცხოვრებ მასქუთებამდე: "სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ" (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

აგათანგელოზის ცნობითაც, მოვსეს ხორენაცის სიტყვით, წმიდა ნინოს უქადაგნია შავი ზღვისპირეთიდან - კლარჯეთიდან, ვიდრე კასპიის ზღავმდე (მასქუთებამდე).

რადგანაც, ლაზიკა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) გელასი კესერიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით, წმ. ნინოს სამოღვაწეო არეალში შედიოდა, ამიტომაც, დასავლეთ საქართველო მე-4 საუკუნიდანვე წმ. ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველო.

ამ საკითხში ქართულ წყაროებს უცხოურებიც ეთანადებიან. კირიონ კათალიკოსი (VI-VII საუკუნეები) ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო, იოანე სომეხთა კათალიკოსის (899 წ.) ცნობით. ის წერს: კირიონ I იყო მამამთავარი "იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა ადრინდელი წესის შესაბამისად" (იოანე კათალიკოსის (დრასხანაკერტელის) მატიანე, 1912, გვ. 65).

მეოცე საუკუნეში საისტორიო წრეებში გავრცელდა არასწორი შეხედულება, თითქოს დასავლეთ საქართველო შედიოდა არა საქართველოს, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. ამის დასამტკიცებლად იშველიებენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალ საეპისკოპოსკოპოსოთა ნუსხებს (ე.წ. ნოტიციებს). მასში მართლაც აღნიშნულია, რომ ლაზიკის სამიტროპოლიტო ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლს ვიდრე თითქმის მე-10 საუკუნემდე. ჯერ კიდევ ცნობილი მეცნიერი ნ. ადონცი მიუთითებდა, ამჟამად კი ახალი გამოკვლევებით დასტურდება, რომ ლაზიკის სამიტროპოლიტოს ზიგანას, საისინის, როდოპოლისისა და პეტრას საეპისკოპოსოები სინამდვილეში მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ამჟამინდელ ლაზისტანში, ისტორიული ლაზიკის სამხრეთ ნაწილში, ტრაპეზუნტ-ზიგანა-გუმიშხანეს რეგიონში, ხოლო დასავლეთ საქართველო მუდამ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

ქადაგებათა შემდგომ IV-VII საუკუნეში საქართველოს ყოველ ნაწილში ჩამოყალიბდა ათეულობით ეპარქია და საეპისკოპოსო. მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა VIII-X საუკუნეში. ამის გამო წარმოიქმნა საჭიროება, რათა საქართველოს ეკლესიაში ეპარქიათა მართვის გაადვილებისათვის ჩამოყალიბულიყო რამდენიმე საეკლესიო-ადმინისტრაციული ოლქი, მსგავსნი ბიზანტიური სამიტროპოლიტო ოლქებისა. ამ მიზნით ქართული ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს მომცველი საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც "ქვემო ივერიის", ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო ეწოდებოდა. მის მმართველს "უმრწემესი კათალიკოსის" ტიტული მიენიჭა, რადგანაც "უხუცესი კათალიკოსი" მცხეთის პირველიერარქს ერქვა.

ძველ საქართველოში საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის დაარსების უფლება ეკუთვნოდა მეფეს, ამიტომაც აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებას ესაჭიროებოდა დასტური სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. მართლაც, საქართველოს მეფე ბაგრატ ბაგრატიონმა (IX საუკუნე) გასცა ამის დასტური.

ამიტომაც წერს მემატიანე შემდეგს: "ამან ბაგრატ განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს" ("ქართლის ცხოვრება", 1955, I, გვ. 255).

აფხაზეთის საკათალიკოსო აღმოცენდა ქართველ მეფეთა და პირველიერარქთა ნებით და ის შემდგომში ყოველთვის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ-საეკლესიო ოლქს წარმოადგენდა ზოგადქართული ეკლესიისა.

აფხაზეთის საკათალიკოსო ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო:

❖ ასევე უგულებელყოფილია შესაბამისი სომხური წყაროებიც იმის შესახებ, რომ ანდრია პირველწოდებულისა და წმიდა ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს წმიდა ეკლესია იმთავითვე მოიცავდა სრულიად საქართველოს მიწა-წყალს და ის მწყსიდა მთელ ქართველ ერს, ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ზემოთ აღნიშნულ სომეხთა კათალიკოს იოანეს ცნობს, რომ VI საუკუნის ბოლოს და VII საუკუნის დასაწყისში მცხეთის კათალიკოსი კირიონი იმავდროულად იყო ეგრისის არქიეპისკოპოსი, ანუ ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაში კირიონის ეპოქაში სრულიად საქართველო შედიოდა. ამასვე მიუთითებს ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები. მაგალითად I ათასწლეულის სომეხი პატრიარქისა და ისტორიკოსის ცნობა, რომ VI საუკუნის ბოლოს მოღვაწე კირიონ ქართლის კათალიკოსი **"წინანდელი დროის წესების შესაბამისად იყო არქიეპისკოპოსი ეგრისისა და გუჯარეთისა, ქართლის ეკლესიის მრევლისა"** (იოანე დრასხანაკერტცი. 1937. გვ. 9. რუს. ენაზე). VI საუკუნის "წინანდელი დრო", ცხადია, IV და V საუკუნეებია.

❖ ამასვე მიუთითებს საეკლესიო ხელოვნება - არქიტექტურა. მაგალითად ჭყონდიდში VII საუკუნეში აგებულ მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძარი, რაც არ იყო შემთხვევითობა და პირიქით წარმოადგენდა მცხეთისა და ჭყონდიდის საეკლესიო-ლიტურგიკული მთლიანობისა და ერთობის ნიშანსვეტს.

❖ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მთლიანობის შესახებ, როგორც აღინიშნა, მიუთითებდა რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, რომ ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა **"ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა"** ("დიდი სჯულის კანონი" 1975, გვ. 545), ამ წინადადებით კრებამ ხაზგასმით მიუთითა, რომ დაარსებისთანავე ქართული ეკლესია თავის იურისდიქციაში მოიცავდა სრულიად ისტორიულ საქართველოს და არა მის რომელიმე ერთ კუთხეს.

❖ ასეთია ძველ ქართველ წმიდა მამათა მტკიცებანი.

❖ მათთგან განსხვავებით, როგორც აღინიშნა, თანამედროვე საერო საისტორიო სკოლა მიიჩვევს, რომ 500-600 წლის განმავლობაში, ვიდრე IX-X საუკუნეებამდე დასავლეთ საქართველო შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში და იქ არსებობდნენ ლაზიკის ეპარქიის ბერძნული საეპისკოპოსოები, ხოლო ეკლესიებში წირვა-ლოცვა ბერძნულ ენაზე აღესრულებოდა, ვიდრე ის არ გააუქმა მცხეთის ეკლესიამ.

❖ ამჟამად საყოველთაოდ აღიარებული ამ თეორიის მიხედვით, რომელსაც არავითარი წერილობითი წყარო არ ადასტურებს, თითქოსდა IX-X საუკუნეებში ქართული ეკლესია შეიჭრა დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, გააუქმა იქ ბერძნული კათედრები და ბერძნულენოვნის ნაცვლად შემოიღო ქართულენოვანი მსახურება და ამით კი მოახდინა **"ქართიზაცია-გაქართველება"** იქაური მოსახლეობისა.

"სამეცნიერო ლიტერატურაში" ე.წ. **"ქართიზაცია"** განიმარტება ასე:

❖ **"ქართიზაცია" - "ქართის ტომების შეღწევა-ინფილტრაცია - არაქართულ ან არაქართველურ ტომებში... სადაც შეაღწევდა ქართლის ელემენტი, ვრცელდებოდა ქართული ენა და აღმოსავლეთ ქართული კულტურა. ასეთი ვითარება შეიქმნა არა მარტო აღმოსავლეთით ჰერეთის (ალბანეთი) ტერიტორიაზე, არამედ დასავლეთ საქართველოშიც"** (ქსე, ტ.X,გვ. 459-160. სტატია "ქართველები"),

❖ **ოფიციალური ისტორიოგრაფიის ამ განსაზღვრებით თითქოსდა დასავლეთ საქართველო დასახლებული იყო "არაქართული და არაქართველური ტომებით" და "ქართიზაციის შედეგად" მათში "შეაღწია ქართულმა ენამ" და კულტურამ, ამით თითქოსდა დასავლეთ საქართველოში ბიზანტიური ეკლესიის სამწყსოს, მცხეთა დაეპატრონა და გააუქმა იქ არსებული ძველთაგანვე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ფასისის (ფოთის), როდოპოლისის (ვარციხის), ზიგანას ("ზიგინევი-გუდაყვას"), საისინისა (ცაიშის) და პეტრას (ციხისძირის) საეპისკოპოსო კათედრები.**

❖ მეცნიერულად დადგენილ ფაქტად მიაჩნიათ, რომ ლაზიკის ცენტრები მდებარეობდნენ რიონის დაბლობში.

❖ ზემოაღნიშნულის ერთი თვალნათელი მაგალითია ახლახან (2001 წლის დასაწყისში) ნ. ლომოურის მიერ გამოქვეყნებული შრომები, ესენია **"ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება"** და **"საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია"**. ავტორი წერს: **"როდესაც მოხდა ქრისტიანობის დამკვიდრება საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში, საქართველო წარმოდგენილი იყო ორი პოლიტიკური ერთეულით: აღმოსავლეთ საქართველო, ე.ი. ქართლის ანუ იბერიის სამეფო და დასავლეთ საქართველო, ე.ი. ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფო. ამ ორ სახელმწიფოებრივ ერთეულში პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება საკმაოდ განსხვავებული იყო და, შესაბამისად, ქრისტიანობის გავრცელება და საბოლოო დამკვიდრება სხვადასხვა გზით და სხვადასხვა სიტუაციაში ხდებოდა"** (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2001, გვ. 113).

❖ აქედან ჩანს, რომ ნ. ლომოურს წმ. ნინო დასავლეთ საქართველოს განმანათლებლად არ მიაჩნია, რადგან, მისი სიტყვით, "დასავლეთ საქართველოში სხვა გზით შევიდა ქრისტიანობა".

❖ ეს დასკვნა ეწინააღმდეგება ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში მიღებულ საეკლესიო კრებათა, კერძოდ კი რუის-ურბნისის კრების მიერ დადგენილ დებულებას აღნიშნულ საკითხზე და აგრეთვე, საერთოდ ქართველ წმიდა მამათა, ისტორიოგრაფთა და მემატიანეთა მიერ ტრადიციულად განსაზღვრულ თვალსაზრისს.

❖ რუის-ურბნისის კრების ღვთივგანბრძნობილ და წმიდა მამათა თქმით, საქართველო ერთიანი, მთლიანი ქვეყანა იყო, როგორც ანდრია პირველწოდებული მოციქულის, ისე წმიდა ნინოს ქადაგებათა დროს, ამიტომაც, როგორც წმ. ანდრია, ისე წმ. ნინო არიან სრულიად საქართველოს და მთელი ქართველი ერის განმანათლებელნი, აი, აქვე მოვიყვანთ შესაბამის ამონარიდს რუის-ურბნისის ძეგლისწერიდან ჯერ ძველ ქართულ, შემდეგ კი ახალ ქართულ ენაზე, რათა მკითხველი თვითონ დარწმუნდეს: **"პირველწოდებული ანდრია, ძმა თავისა მოციქულთასა პეტრესი, ვიდრე ჩუენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხორებელი ქადაგება სახარებისა ყოველსა ქუეყანასა საქართველოჲსასა და ურიცხუნი სიმრავლენი ერთანი განაშორა საცთურისაგან...."** (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545).

❖ აქედან ნათლად ჩანს, რომ რუის-ურბნისის კრების დადგენილების შესაბამისად ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, არამედ **"ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა"**, ე.ი. სრულიად საქართველოში, მსგავსადვე წმიდა ნინომ რუის-ურბნისის კრების თანახმად **"სარწმუნოებასა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი სავსებაჲ ყოვლისა ქართველთა ნათესავისა"** (იქვე, გვ. 546). ე.ი. ამ კრებას მიაჩნია, რომ წმიდა ნინომ მთელი ქართველი ერი ("ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა") გააქრისტიანა.

❖ შეიძლება ვინმემ თქვას, ამ "ყოველთა ქართველთაში" დასავლეთ საქართველო არ იგულისხმება, და ამ კრების მამები სწორედ ვერ საზღვრავდნენ ქართველთა ვინაობასო, რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგანაც ამ კრების ძეგლისწერის ერთ-ერთი მთავარი ხელისმომწერი იყო გიორგი ჭყონდიდელი ეპისკოპოსი და კრება შედგა იმ წელს და იმ დროს, როდესაც თბილისი და ქვემო ქართლი, ასევე კახეთ-ჰერეთი ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული საქართველოს სამეფოსთან, ამ მიზეზის გამო კრების მიერ მოხსენიებული „საქართველო" იმ დროს შედგებოდა

დასავლეთ საქართველოსა და ტაო-კლარჯეთისაგან, ამიტომ ცხადია, კრება "ყოველთა ქართველთაში" სამეგრელოს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას გულისხმობდა, სადაც იქადაგა კიდეც ბერძნული წყაროების მიხედვითაც წმიდა ნინომ, რომელსაც ქვემოთ შევეხებით. იგივე რუის-ურბნისის კრება მეფე მირიანთან დაკავშირებით წერს: "ნათელ იღო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან" (იქვე, გვ. 546). "ქართლის ცხოვრების", კერძოდ კი, ჩვენი უდიდესი საეკლესიო ისტორიკოსის ლეონტი მროველი ეპისკოპოსის თანახმად, მეფე მირიანის სამეფოში აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც "ეგრისიც" შედიოდა: "მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს" (ქ.ც.,1955, I, გვ. 65), ანუ მემატიანეთა მიერ მოხსენიებული „ქართლი" გულისხმობდა აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართელოს.

❖ რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის ახალი ქართული შესაბამისი ტექსტი ასეთია: **"მოციქულთაგან ერთი - პირველწოდებული ანდრია, მოციქულთა თავის, პეტრეს ძმა ჩვენამდე მოვიდა, სახარების საცხონებელი ქადაგება მთელ საქართველოში იქადაგა"** (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ.464); ამ კრების განსაზღვრებით, **წმიდა ნინომ "თავისი სარწმუნოების მიმართ მიიზიდა ქართველთა სრული მოდგმა"** (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 464); წმიდა მეფე მირიანის დროს **"ნათელი იღო მან და მთელმა ქართველმა ერმა"** (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 464);

❖ აი, ესაა საეკლესიო ისტორიოგრაფიის მტკიცება, რომ როგორც ანდრია პირველწოდებულის, ისე წმიდა ნინოს დროს ნათელიღო მთელმა ერმა. ეს თვალსაზრისი სავსებით განსხვავდება ბატონ ნოდარ ლომოურის თვალსაზრისისაგან, რომ თითქოსდა აღნიშნულ ეპოქაში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა სულ სხვა გზითა და სხვა ვითარებაში დაინერგა. სხვათა შორის, ბატონი ნოდარ ლომოურის თეორია, რომელიც მეცნიერებაში ახალ სიტყვად მიიჩნევა, არა თუ ძალზე ჰგავს, არამედ იმეორებს კიდეც XV საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქ მიხეილის თეორიას.

❖ დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, საქართველოში ჩამოსულმა ანტიოქიის პატრიარქმა მიხეილმა "შეთხზა თეორია საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად, ქართველი ერის საუკეთესო შვილთა საუკუნოვანი ბრძოლით მიღწეული მონაპოვრის, საქართველოს ეკლესიის თავისუფლების მოსასპობად, მისი ერთიანობის დასარღვევად"(ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III, 1982, გვ. 340), რათა ადვილად დაემორჩილებინა. ეს თეორია შემდეგში მდგომარეობს - თითქოსდა ანდრია მოციქული განმანათლებელია არა სრულიად საქართველოსი, არამედ მხოლოდ მისი დასავლეთ ნაწილისა, ასევე წმიდა ნინო განმანათლებელია არა სრულიად საქართველოს, არამედ მხოლოდ მისი აღმოსავლეთ ნაწილისა. ივანე ჯავახიშვილი წერს: **"გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა "ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა", ხოლო შემდგომ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულმოქმედებამ და ქადაგებამ "მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა", ნიკოლოზ კათალიკოსიც წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად სთვლიდა, "ჩვენ ქართველთაჲსა"** (სასწაულნი სვეტიცხოვლისა, ქრონიკები, გვ. 40-69); **ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიცა და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი, სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა"** (ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 340).

❖ სამწუხაროა, რომ ძველ ქართველ "სახელოვან მეცნიერთა" (ივ. ჯავახიშვილის სიტყვებია) მიერ ჩვენდამი ბოძებულ შემეცნებას სპობს ზოგიერთი ახალი ქართველი მეცნიერი. მათგან

განსხვავებით, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გაარკვია ივანე ჯავახიშვილმა, რომ **“ქრონოლოგიურადაც ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისი აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში როგორც ეტყობა, ერთსა და იმავე ხანად უნდა ვიგულისხმოთ, ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღების ღირსია გელასი კვიზიკელის მოთხრობა. მას იბერთა მოქცევის ამბავში ნათქვამი აქვს: “ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ შეიწყნარეს”. გამოდის, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობა ერთსა და იმავე დროს მიუღია... გელასი კვიზიკელის დანართი ცნობა, რომ იბერებმა და ლაზებმა ერთსა და იმავე დროს მიიღეს ქრისტიანობა, არსებითად სწორი გამოდის იმ მხრივ, რომ დასავლეთ საქართველოშიც IV საუკუნის დამდეგიდან ქრისტიანობას გზა გაკვლეული უნდა ჰქონოდა”** (ივ. ჯავახიშვილი, ტ.1, 1979, გვ. 269-271); იბერთა მოქცევის შესახებ IV საუკუნეში წერდნენ სოკრატე, სოზომენი, თეოდორიტე კვირიკელი, ნიკიფორე კალლისტო და სხვანი. მართალია, ისინი არ ახსენებენ ლაზების გაქრისტიანებას, მაგრამ ამის მიზეზი იყო ის, რომ ლაზებს იბერიელი ხალხის ერთ-ერთ ტომად მიიჩნევდნენ, გელასი კვიზიკელს კი ეს ამბავი უფრო დაუკონკრეტებია

❖ **ჩვენი კვლევა უარყოფს ე.წ. “მეორე თეორიის” მიმდევართა მტკიცებებს და საზღვრავს ლაზიკის ეპარქიების რეალურ ადგილმდებარეობას, მრავალ ფაქტსა და წყაროზე დაყრდნობით.**

❖ **მეორე თეორიის მიმდევარი ზოგიერთი ავტორის აზრით, დასავლეთ საქართველოში IX-X საუკუნეებამდე უკვე ჩამოყალიბებული იყო კოლხური ანუ მეგრულ-ჭანური ეთნოსი და შემდგომ დაიწყო მისი “ქართიზაცია” და ამ პროცესს თითქოსდა წარმართავდა ქართულ ეკლესია, რომელიც, თითქოსდა, იჭრებოდა სხვა უცხო ეკლესიის, ამ შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციის საზღვრებში და მის მრევლს ისაკუთვრებდა.**

❖ **ცხადია, ესაა დადანაშაულება პროზელიტიზმში.**

❖ პროზელიტიზმი კი დაგმობილია მოციქულთა დროიდანვე და სხვისი სამწყსოს მისაკუთრება ეკლესიისათვის სათაკილო ქმედებად ითვლებოდა ჯერ კიდევ I მსოფლიო კრებიდან. საქართველოს ეკლესიისათვის ამ სათაკილო ეპითეტით, თანამედროვე ავტორებს, ჩანს, ერის წინაშე ჩვენი ეკლესიის მნიშვნელობის “წარმოჩენა” სურთ, მაგალითად, 2005 წელს, საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის ოც საუკუნეს ეძღვნებოდა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სახელით წარდგენილი იქნა მოხსენება - **”ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში”**, სადაც ნათქვამია: **“ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის”** (დ. მუსხელიშვილი. ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 24-26 ნოემბერი, 2005).

❖ შეუძლებელია, საქართველოს წმიდა ეკლესია პროზელიტური ყოფილიყო იმიტომ, რომ “პროზელიტური” ისეთ ეკლესიას ეწოდება, რომელიც იჭრება სხვა ეკლესიის სამრევლოში მისი მისაკუთრების მიზნით. ასეთი ქმედება კი მსოფლიო საეკლესიო კანონებით მიუღებელი იყო და არის. მაგალითად, მოციქულთა 35-ე კანონი ბრძანებს: “ეპისკოპოსმა არ უნდა გაბედოს ხელდასხმა თავისი სამრევლოს გარეთ, ქალაქებსა და სოფლებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან მის ეკლესიას. ხოლო თუ იგი მხილებული იქნება, უნდა განიკვეთოს ისიც და მის მიერ ხელდასხმულებიც” (“დიდი სჯულის კანონი”, 1974, მოციქულთა კანონები).

❖ მოციქულთა ამ კანონს კიდევ უფრო ამტკიცებს 381 წელს კონსტანტინოპოლში მოწვეული II მსოფლიო კრების მე-2 კანონი: “ეკლესიათა კეთილად განგებისა და მშვიდობისათვის არც ერთ ეპისკოპოსს არა აქვს უფლება, გასცდეს თავისი ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიების აღრევა. კანონის თანახმად, ალექსანდრიის ეპისკოპოსი უნდა განაგებდეს მხოლოდ ეგვიპტის ეკლესიებს... პონტოელი ეპისკოპოსნი უნდა

მართავდნენ მხოლოდ პონტოს ეკლესიებს, ხოლო თრაკიის ეპისკოპოსნი - მხოლოდ თრაკიის ეკლესიებს. ეპისკოპოსი არ უნდა გავიდეს თავისი სამთავროს ეკლესიის ფარგლებიდან ხელდასხმისათვის" ("დიდი სჯულის კანონი" 1974, მოციქულთა კანონები).

❖ III მსოფლიო კრების მამებმა კიდევ უფრო დაბეჯითებით დამოძღვრეს ეკლესიათა მეთაურები, არ დაემორჩილებინათ სხვისი სამწყსო - "ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ მიიტაცებს სხვა ეპარქიას, რომელიც თავიდანვე და ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა მას და არ იყო მის წინამორბედ საყდრისმპყრობელთა გამგებლობის ქვეშ, ხოლო თუ ვინმე მიიტაცებს სხვის ეპარქიას იძულებით, განთავისუფლებული უნდა იყოს იგი, რათა არ დაირღვეს მამათა კანონები" (III მსოფლიო კრების მე-8 კანონი).

❖ იმავეს წერს და აღნიშნავს სხვა საეკლესიო კანონებიც. თუ ქართული ეკლესია პროზელიტური იყო და მას ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს ერთი ნაწილის, სამხრეთ საქართველოს სამწყსოები, ქართულმა ეკლესიამ კი მიითვისა ისინი, ამით დაურღვევია მსოფლიო საეკლესიო კანონები, კერძოდ, მოციქულთა 35-ე, II მსოფლიო კრების მე-2, III მსოფლიო კრების მე-8, კართაგენის 74-ე და სხვა კანონები, და განა კანონდამრღვევი ეკლესია შეიძლება ყოფილიყო მართალი და მართლმადიდებლური, რომლითაც ამაყობდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა მამები? ამის თაობაზე შესანიშნავად მიუთითებდა პროკოფი კესარიელი, "რომ ქართველები მართლმადიდებლობის წესებს ყველაზე უკეთ იცავდნენ". სომეხი იერარქები წერდნენ, რომ ქართველები ამაყობენ თავიანთი სარწმუნოებრივი სიწმიდით და თავიანთი საეკლესიო უპირატესობით.

❖ **საქართველოს ეკლესია კი თურმე, "ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" თანახმად, არღვევდა უმთავრეს საეკლესიო კანონებს და სხვის იურისდიქციაში იჭრებოდა: - "დასავლეთ საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში "ქართიზაციის" პროცესს"** (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. "საქ. სსრ", 1981 წ. გვ. 61).

❖ ქართული ეკლესიის "გაბატონებამდე" დასავლეთ საქართველოში, ჩვენი ისტორიკოსების მტკიცებით, თურმე არსებობდა ეგრისისა და აფხაზეთის ეკლესიები, რომლებიც იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ისინი შემდგომ გაერთიანებულან კონსტანტინოპოლის იურისდიქციაშივე, მაგრამ IX საუკუნეში მცხეთის საკათალიკოსოს თითქოსდა "გაბატონების" შედეგად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაუკარგავს მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი ეს მნიშვნელოვანი სამიტროპოლიტოები და საეპისკოპოსოები. საბჭოთა ისტორიკოსი წერს: "ეს საეკლესიო გამოყოფა, როგორც ვთქვით, ერთბაშად არ მომხდარა. ჯერ ხორციელდება ეგრის-აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება, როგორც კონსტანტინოპოლის სამწყსოში შემავალი ეპარქიისა, რომელსაც სათავეში აფხაზთა კათალიკოსი ედგა (VIII საუკუნის ბოლო ან IX საუკუნის დასაწყისი); შემდგომ IX საუკუნის მანძილზე (საფიქრებელია, უფრო მის პირველ ნახევარშივე) დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და მცხეთის ტახტს უერთდება, ხოლო აფხაზთა კათალიკოსი სრულიად საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარება. **კონსტანტინოპოლიდან გამოყოფის შემდეგ იწყება ბერძნული კათედრების მოშლა და მათ საპირისპიროდ ქართული საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება". ეს საეკლესიო რეფორმა, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, საბოლოოდ X საუკუნეში სრულდება** (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973).

❖ თითქოსდა "პროზელიტური ქართული ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში რეაქციული შეჭრის" შესახებ ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია წერს: **"ქართველები აქედან სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო-სამონასტრო წესებს. ქართულ კულტურას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და**

იდეალი, ასე რომ მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტებზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასაფუძნებლად - "ქართლია" იქ, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა (მხოლოდ "კვირიელეისონი" შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა "ქართლს" განეწესება. მაშასადამე, ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა. **ცხადია, მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით"** (თ. პაპუაშვილი - ადრეფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურა და საისტორიო მწერლობა, წიგნში: "საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973).

❖ საბჭოთა კავშირის საზღვრების ჩაკეტილობის გამო **ბერძნულ სამყაროში და, მათ შორის, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოშიც XX საუკუნის ბოლოსაც არ იცნობდნენ იქამდე სრულიად ახალ საბჭოთა "საისტორიო თეორიას" ქართული ეკლესიის პროზელიტიზმისა და "მისი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის შესახებ" (საბჭოთა ისტორიკოსების სიტყვებია). ცნობილი ბერძენი კანონისტის - მიტროპოლიტ მაქსიმეს 1966 წელს გამოცემული წიგნი "საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია", არ შეიცავს ცნობებს აღნიშნულთან დაკავშირებით. შეიძლება დაისვას კითხვა, რა პრობლემები შეექმნება საქართველოს ეკლესიას სამომავლოდ, თუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ან უცხოეთის რომელიმე ეკლესია ოფიციალურად აღიარებს აღნიშნულ თეორიას, ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ იქამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფ დასავლეთ საქართველოში, ეს თეორია ხომ არ შეუქმნით მათ მყარ სამართლებრივ საფუძველს, რათა სცნონ და აღიარონ სეპარატისტული ეკლესიები აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში. მეორე მხრივ, ეს თეორია იძლევა კარგ საშუალებას და მასზე დაყრდნობით უკვე აქეზებენ ამ კუთხეთა სეპარატისტ მოაზროვნეებს, რათა დედაეკლესიად აღიარონ არა საქართველოს წმიდა ეკლესია, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. აღნიშნული "საეკლესიო თეორია" ყველაზე უფრო მეტად გაიტანა და გაავრცელა რუსულმა "პრავოსლავნაია ენციკლოპედიამ".**

❖ არასოდეს, არც ერთ საუკუნეში, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არ გამოუთქვამს არავითარი თვალსაზრისი ან შენიშვნაც კი დასავლეთ საქართველოს მის ეპარქიებში ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ. ეს რომ ასე ყოფილიყო, ქართულ-ბერძნული ათასწლოვანი საეკლესიო ურთიერთობების დროს ამის შესახებ ერთხელ მაინც გამოითქმებოდა თუნდაც მცირე შენიშვნა. საქმე ის არის, რომ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ფაზისის სამიტროპოლიტო და მისი ოთხი საეპისკოპოსო, რომლებიც თითქოსდა ქართული ეკლესიის მიერ იყვნენ გაუქმებულნი, სინამდვილეში მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველი ერის უძველეს ქვეყანაში, რომელსაც ტრაპიზონის ოლქი ეწოდა. იქამდე კი მას ერქვა "ქალდეა", "სოფელი მეგრელთა". იქ ტრაპეზონის ოლქში მდებარე ჭოროხის ანუ ფასისის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდნენ ფასისის სამიტროპოლიტო და მისი საეპისკოპოსოები - როდოპოლისისა, საისინისა, პეტრონისა და ზიგანასი, როგორც ეს კარგად არის გარკვეული ნ. ადონცის მიერ. ეს სამიტროპოლიტო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ხოლო მის ჩრდილოეთით მოქცეული მიწა-წყალი ჭოროხიდან ვიდრე მდინარე ეგრისწყლამდე (ვახტანგ გორგასლის შემდგომ მდინარე კლისურამდე) - წმიდა ნინოს დროიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ასე რომ, **ჩვენი ძველი საეკლესიო მატიანეების ცნობებით, დასავლეთ საქართველოში, ძველთაგანვე საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა. სხვა საეკლესიო წყაროებთან ერთად ამის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდა "რუის-ურბნისის" საკანონმდებლო კრების მეგლისწერა - "ანდრია პირველწოდებულმა სახარება იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა", ხოლო წმიდა ნინომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია "ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა".**

რუის-ურბნისის საკანონმდებლო კრების მონაწილე წმიდა მამების თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველო მუდამ ისტორიული საქართველო იყო, რომლის მოსახლეობა, აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად, მოაქცია წმიდა ნინომ. მაშასადამე, დასავლეთ საქართველოში საეკლესიო იურისდიქცია იმთავითვე მცხეთის ხელში იყო და არა კონსტანტინოპოლისა. დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ოდესმე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში რომ ყოფილიყო, ამის შესახებ უთუოდ შემორჩებოდა პირდაპირი ან ირიბი ცნობები თვით ბერძნულ წყაროებშივე, ან რაიმე საყვედურნარევი მინიშნება მაინც იქნებოდა ბერძენი იერარქებისა, ასეთი კი არ არსებობს. მაგალითად, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი ძალზე თბილ და მეგობრულ წერილებს წერდა აფხაზთა მეფეს გიორგი II მე-10 საუკუნის შუა წლებში, როცა საბჭოთა ისტორიკოსების აზრით, მის სამეფოში "ბრძოლა იყო გაჩაღებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ", ასე რომ ყოფილიყო, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი როგორმე მოახერხებდა პროტესტის გაცხადებას აფხაზთა მეფის - გიორგი მეორისადმი (922-957 წ.წ.), **[პატრიარქ მისტიკოსის წერილები გიორგი მეორისადმი; გეორგიკა, IV, ნაკვეთი II]**; ერთი სიტყვით, წყაროები არ ადასტურებენ საბჭოურ თვალსაზრისს.

სამწუხაროდ, როგორც ითქვა, საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემა წყაროთა საწინააღმდეგოდ (კერძოდ: გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელის, იოანე კათალიკოსის, ქართლის ცხოვრების, ძეგლისწერის) თვლის თითქოსდა X საუკუნემდე დასავლეთ საქართველო არ შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში.

II. 2012 წ. გამოცემული საქართველოს ისტორიის II ტომი ალბანეთთან დაკავშირებით

საქართველოს ისტორიის II ტომში აღნიშნულია რომ ჰერები იყვნენ არა ქართველები, არამედ ალბანელები, კერძოდ იქ (II ტომში) ნათქვამია: **"ჰერებს ქართველთა მეზობლად მოსახლე ერთ-ერთ ალბანურ ტომად მიიჩნევენ, რომელმაც იბერიის გავლენის შედეგად განიცადა ქართიზაცია"** (საქართველოს ისტორია, 2012, ტ. II, გვ. 180).

ამასთანავე მიიჩნევა, თითქოსდა ისტორიულად ჰერეთს ეკუთვნოდა ამჟამინდელი კახეთის მიწა-წყალის დიდი ნაწილი - ბოდბე, დავითგარეჯის მონასტრების ტერიტორია და იქვე აღნიშნულია, თითქოსდა ამ **ისტორიულად არაქართულ ჰერეთში** მოღვაწეობდნენ სირიელი მამები: **"ჰერეთში მოღვაწეობდნენ ცნობილი სირიელი მამები: დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი, აბიბოს ნეკრესელი, სტეფანე ხირსელი"** (იქვე გვ. 181) - წერს II ტომის ავტორი.

მაშასადამე ამ II ტომის ავტორის წარმოდგენით გარეჯა, ალავერდი, ნეკრესი და ხირსა ჰერეთში შედიოდა, სადაც სირიელი მამები დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი, აბიბოს ნეკრესელი და სტეფანე ხირსელი მოღვაწეობდნენ, ავტორების ეს მტკიცება ეწინააღმდეგება წყაროთა ცნობებს, რადგანაც ცხოვრებათა თანახმად ასურელ მამებს უფალმა უბრძანა, რომ მათ ექადაგათ ქართლში, ქართლის ქვეყანაში, და არა ალბანეთში, რომელსაც ჰერეთს უწოდებენ ავტორები. ამის მიუხედავად, ავტორები გვიმტკიცებენ, რომ აღნიშნული ასურელი მამები ჰერეთში მოღვაწეობდნენ. საქმე ისაა რომ მემატიანეები, შესაბამისად წყაროები ალავერდს, ხირსას, ნეკრესს, დავით გარეჯას უდაბნოს და ბოდბეს მიიჩნევდნენ არა ალბანეთ-ჰერეთის, არამედ ქართლის ქვეყნის ნაწილად. ეს პუნქტები მხოლოდ საბჭოთა ეპოქის მეცნიერებმა მიჩნიეს ალბანეთის ნაწილად, რაც მიგვაჩნია შეცდომად, სინამდვილეში ალბანეთ-ქართლის საზღვარი გადიოდა არა ცივ-გომბორის მთაზე, როგორც ამჟამადაა მიჩნეული, არამედ, ამჟამინდელ მინგეჩაურის ტბასთან, თანამეროვე ოგუზ-ვარტაშენის მთებიდან გამომავალ მდინარეზე, რომელიც ალაზნის უმთავრესი და ყველაზე წყალუხვი შენაკადია, მას ამჟამად გიშისწყალი ეწოდება, უცხოელები კი მას, ჩანს, ალაზანს (ოკაზანს) უწოდებდნენ.

თუკი **"ჰერები ქართველთა მეზობლად მოსახლე ერთ-ერთ ალბანურ ტომი იყო"** (როგორც ავტორი წერს), მაშინ გარეჯა, ალავერდი, ნეკრესი და ხირსა (აღნიშნული ავტორის ლოგიკით)

ალბანელების ისტორიული მიწა-წყალი ყოფილა (ამჟამად ალბანელების სახელით ალბათ ამიტომაც გვედავებიან დავითგარეჯას აზერბაიჯანელთა დაინტერესებული წრეები).

აღნიშნული ავტორის მოსაზრება არაა ორიგინალური, რადგანაც 2012 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიაში გამეორებულია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შემუშავებული თეორია კახეთის დიდი ნაწილის ე.წ. ქართიზაციის შესახებ.

2005 წელს, საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის ოც საუკუნეს ეძღვნებოდა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სახელით წარდგენილი იქნა მოხსენება - "ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში, სადაც ნათქვამია: **"ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის"** [დ. მუსხელიშვილი. ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 24-26 ნოემბერი, 2005.].

ეს ქართველი მეცნიერი წერს: მეფე მირიანის დროს ბოდბე „ახლადშემოერთებული" იყო, აქ "ალბანელებიც (ჰერები) ცხოვრობდნენ... მათი საბოლოო ასიმილაცია დროის ამბავი იყო" - წერს ის და განაგრძობს - "ჩანს, მირიან მეფის და წმიდა ნინოს ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული იყო ჰერეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელებისაკენ... რომელიც წინააღმდეგობას აწყდებოდა არა მხოლოდ ალბანელთაგან, არამედ სომხებისგანაც" [დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003, გვ.38].

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წმიდა ნინო "აქართველებდა" არა მარტო ჰერ-ალბანელებს, არამედ, სომხებსაც; ჩვენი მეცნიერის ამ მოსაზრების საპირისპიროდ, მოვსეს ხორენაცს მთელი მოსახლეობა "კლარჯეთიდან მასქუთებამდე" (ანუ კასპიის ზღვისპირეთში მცხოვრებ ტომ მასქუთებამდე) - ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია (სადაც იქადაგა წმიდა ნინომ) და არა სომხებად, ანდა ალბანელებად (ჰერებად), როგორც წარმოადგინა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. სომხური საისტორიო მწერლობის მამა, სომეხთა ჰეროდოტედ წოდებული, მოვსეს ხორენაცი წერს: "სანატრელი ნუნე წავიდა იქედან (ე.ი. მცხეთიდან), რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა. გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გვაუწყებს" (მოვსეს ხორენაცი. "სომხეთის ისტორია"; 1984; გვ. 172).

❖ წმიდა ნინოს სომხები, ანდა თუნდაც ალბანელები (ჩვენი მეცნიერის აზრით - იგივე ჰერები) რომ გაექართველებინა, როგორმე ხორენაცი მიუთითებდა ამის შესახებ, მაგრამ ის სულ სხვა რაიმეს გვაუწყებს, კერძოდ, საზღვრავს ქართველების ეთნიკურ განსახლებას - ესაა კლარჯეთი, ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე (ე.ი. დარიალამდე) და ვიდრე მასქუთთა საზღვრამდე - **ამ საზღვრებში ქართველები სახლობენ, მათ უქადაგა წმიდა ნინომ;**

❖ ასე რომ, ხორენაცის აზრით, დარიალამდე მცხოვრები დვალები გაქართველებული ვაინახები კი არ იყვნენ, როგორც წარმოუდგენია საბჭოური ეპოქის ისტორიოგრაფიას, არამედ - ქართველები.

❖ ასევე ხორენაცის აზრით, მასქუთების ქვეყნამდე, ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე მცხოვრები ჰერები მ. ხორენაცს ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია და არა ალბანელებად.

❖ მისგან განსხვავებით, ქართველი მეცნიერი ფიქრობს, რომ წმიდა ნინოს **"პროზელიტიზმის სიმბოლო" აღუმართავს ახლადშემოერთებულ ალბანურ ქალაქ ბოდისში** (ე.ი. სადღაც უჯარმა-ბოდბეში) და წერს - **"მგონია ასე უნდა გავიგოთ წმიდა ნინოს გადაწყვეტილება, რომ ჯვარი - ქრისტიანული პროზელიტიზმის სიმბოლო - დროებით "აღიმართოს იგი უჯარმას ქალაქსა და დაბა ბოდისი არა წინ აღუდგეს ქალაქსა მას მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ"** (დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38).

❖ **ასე იქცა ჩვენი მეცნიერის სიტყვით, "ორი ფაქტობრივად ეთნიკურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ქვეყანა ერთ კულტურულ ერთეულად"** (დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV - VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38).

❖ აქედან ჩანს, რომ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსების აზრით, წმიდა ნინო ქართლის გარდა, ალბანეთშიც მოღვაწეობდა და მან ალბანეთის ქვეყნის ერთი ნაწილი ქართულ ეკლესიას შემოუერთა.

❖ მათ მიერ ბოდბის მიჩნევა არა ქართლის, არამედ ალბანეთის ქალაქად, ქართულ წყაროებს ეწინააღმდეგება;

❖ წმიდა ნინო ქართველთა განმანათლებელია და არა ალბანელებისა. ჯვარი არ არის პროზელიტიზმის სიმბოლო, როგორც ისტორიკოსი წერს. საქართველოს ეკლესიას ჯვარი პროზელიტური მიზნით არასოდეს გამოუყენებია, მით უმეტეს, არაქართული ტომების "ასიმილაცია-გაქართველების" მიზნით; ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოა, იგი არ ეყრდნობა წყაროებს.

❖ ეს არაა ერთეული ისტორიკოსების კერძო მოსაზრება, არამედ არის საბჭოური ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრესი თვალსაზრისი, რომელიც აისახა კიდეც ეპოქის ოფიციალურ ორგანოში ("ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის").

❖ "ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" თანახმად, საქართველოს ეკლესია თურმე არღვევდა უმთავრეს საეკლესიო კანონებს და სხვის იურისდიქციაში იჭრებოდა - იქ ნათქვამია - **"დასავლეთ საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში "ქართიზაციის" პროცესს"** [ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. "საქ. სსრ", 1981 წ. გვ. 61.].

„ქართული" ეკლესიის "გაბატონებამდე" დასავლეთ საქართველოში, ჩვენი ისტორიკოსების მტკიცებით, თურმე არსებობდა ეგრისისა და აფხაზეთის ეკლესიები, რომლებიც იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ისინი შემდგომ გაერთიანებულან კონსტანტინოპოლის იურისდიქციაშივე, მაგრამ IX საუკუნეში მცხეთის საკათალიკოსოს თითქოსდა "გაბატონების" შედეგად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაუკარგავს მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი ეს მნიშვნელოვანი სამიტროპოლიტოები და საეპისკოპოსოები [საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი 1973, გვ. 427], იმავეს იმეორებს 2012 წლის ისტორიაც, საბჭოთა იმპერიის დამსხვრევის მიუხედავად მისი საისტორიო იდეოლოგია ჩვენში შეუცვლელია. ეკლესიის ისტორია კვლავ იწერება უცვლელი საბჭოური დოგმებით.

❖ თუ როგორი რეაქციული იყო "ქართული ეკლესიის" ეს "პროზელიტიზმი" ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეჭრა - ამის შესახებ ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია წერს: **"ქართველები აქედან (დასავლეთ საქართველოდან) სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო-სამონასტრო წესებს. ქართულ კულტურას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და იდეალი, ასე რომ მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტებზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში,** ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასაფუძნებლად - "ქართლია" იქ, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა (მხოლოდ "კვირიელეისონი" შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა "ქართლს" განეწესება. მაშასადამე, ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა.

❖ ცხადია, **მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით"** [თ. პაპუაშვილი. ადრეფეოდალური ხანის

ქართული ლიტერატურა და საისტორიო მწერლობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბილისი, 1973, გვ. 574 - 601.].

❖ **XIX-XX საუკუნეებამდე ქართული საისტორიო სკოლა, როგორც აღნიშნული იყო, მიიჩნევდა რომ დასავლეთ საქართველო გაქრისტიანების თანავე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, მაგრამ XX საუკუნის ისტორიოგრაფია მისგან განსხვავებით ამტკიცებს, რომ დასავლეთ საქართთველო IX-X საუკუნეებამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იყო და მხოლოდ შემდეგ მიიერთა ის ქართულმა ეკლესიამ.**

❖ **მაშასადამე გვაქვს ორი თეორია - ერთი ძველი, ეკლესიისათვის ტრადიციული, მეორე კი ჩვენი თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიერ აღიარებული.**

❖ ივ. ჯავახიშვილი იხილავდა ორივე თვალსაზრისს და გულმხურვალედ უჭერდა მხარს ეკლესიისათვის ტრადიციულს.

❖ ივ. ჯავახიშვილის სიდიადე ჩანს იქიდანაც, რომ მან ეკლესიის წიაღში ძველთაგანვე დანერგილ თეორიას - წმიდა ნინოს დროიდან ქართული ეკლესიის ერთიანობის შესახებ - უპირობოდ დაუჭირა მხარი, უფრო მეტიც, ის მის ერთგულ მცველად იქცა, ამ თეორიას მისცა დიდი შეფასება, მიიჩნია მთელი ქართველი ხალხისა და მის საუკეთესო შვილთა ნაღვაწად, საუკუნეთა ბრძოლით მიღწეულ მონაპოვრად.

❖ ამავე დროს, მისთვის კარგად იყო ცნობილი სხვა თეორიებიც ამ სფეროში. მაგალითად, მისი მოღვაწეობის პერიოდში ზოგიერთი მეცნიერი აყალიბებდა თეორიას, თითქოსდა, თავდაპირველად დასავლეთი საქართველო იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ. ივ. ჯავახიშვილმა ეს ახალი თეორია მიიღო როგორც ერთ-ერთი მიმდინარე მუშა თეორია, რომელიც ემსგავსებოდა თეორიას - დასავლეთ საქართველოს ანტიოქიის იურისდიქციის ქვეშ ყოფნის შესახებ.

❖ როგორც ითქვა, მისთვის ზოგადად, როგორც მეცნიერისათვის მისაღები იყო მხოლოდ თეორია ქართული ეკლესიის თავდაპირველი ერთიანობის შესახებ, რადგანაც ის მიაჩნდა "მთელი ქართველი ერის მიერ შესისხლხორცებულ შემეცნებად", რომლის მოსპობის უფლება, მისი აზრით, არავის ჰქონდა, არც მათ ვინც დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლურ იურისდიქციას უჭერდა მხარს და არც ანტიოქიურის მომხრეთ. ივ. ჯავახიშვილი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ეკლესიის მთლიანობასა და მის დამოუკიდებლობას. ამ მომენტს ის აფასებდა განსაკუთრებული სიტყვებით, რომლებიც ალბათ, უნდა დაიმახსოვრონ მომავალმა თაობებმა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით ჩვენი ეკლესიის თავისუფლება და მთლიანობა წარმოადგენდა **ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მიღწეულ მონაპოვარს".** ამიტომაც იყო, რომ იგი უარყოფითად აფასებდა კიდეც წარსულში საქართველოს ეკლესიის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს. კერძოდ, მან გამოწვლილვით განიხილა იმ ანტიოქიელი და იერუსალიმელი პატრიარქების ქმედებები, რომლებიც ქართველი სეპარატისტების მხარდაჭერით აქუცმაცებდნენ და ანაწევრებდნენ საქართველოს ეკლესიას.

❖ ივ.ჯავახიშვილმა განიხილა საქართველოს ეკლესიის მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, კერძოდ, ის წერს: "XV საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი ჩამოვიდა... რასაკვირველია, უმთავრესად შეწირულებისა და ფულის შესაგროვებლად იყო გარჯილი" (ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 447). მას დაუწერია "მცნება სასჯულო", სადაც აღნიშნული აქვს, რომ წინათ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსნი ანტიოქიის პატრიარქისაგან იყვნენ დამოკიდებული და მათგან ჰქონდათ მიღებული ხელდასხმა. ქართული ეკლესიის მერმინდელი თვითმწყსობა და საეკლესიო თვითმმართველობა ანტიოქიელ-იერუსალიმელ პატრიარქს უკანონო მოვლენად ჰქონდა გამოცხადებული" (იქვე, გვ. 447).

❖ ეს ყოველივე მას სჭირდებოდა, რათა თვითონ ეკურთხებინა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ახალი მეთაური, ამით კი დასავლეთ საქართველოს ეკლესია ჩამოეშორებინა

საქართველოს ერთიანი დედაეკლესიისაგან. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობა სურდა იმ დროს იმერეთის მეფეს, ბაგრატს. ამიტომაც, ანტიოქიელის საეკლესიო თეორია გამოთქმული იყო ქართველი სეპარატისტების გულის მოგების მიზნით. "მან, რასაკვირველია, ბაგრატ მეფესთან შეთანხმებით და სათანადო ჯილდოს მიღების შემდეგ აფხაზეთის კათალიკოსად აკურთხა იოვაკიმე, რომელიც საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქისაგან სრულიად დამოუკიდებლად გამოაცხადდა. აღსანიშნავია, რომ ანტიოქიელ-იერუსალიმელმა პატრიარქმა აფხაზეთის "კათალიკოსი საყდარსა ზედა ანდრია მოციქულისა" დასმულად აღიარა. ამავე დროს "სასჯულო მცნებაში ნათქვამია, რომ ნინო ქართველთა განმანათლებელმა მხოლოდ ქართლი მოაქცია, ანდრია მოციქულმა კი დასავლეთ საქართველო გააქრისტიანა. ამით ანტიოქიელ-იერუსალიმელ პატრიარქს მიხეილს საქართველოს საეკლესიო მთლიანობის მოშლა (რაც ბაგრატ მეფეს იმ დროს პოლიტიკური მიზნით სწადდა) უნდოდა, რომ ეს ისტორიული საბუთებით დაემტკიცებინა.

❖ რაკი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობის სხვადასხვა მქადაგებლები ჰყავდა, ამით მას უნდოდა დაესაბუთებინა, რომ, მაშასადამე, აფხაზეთის კათალიკოსს დამოუკიდებლად არსებობისა და თვითმწყსობის უფლება ჰქონდა. ის მცხეთის კათალიკოსისაგან არ უნდა ყოფილიყო ხელდასხმული" (ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 447).

❖ რა ხერხებით უნდა დაემტკიცებინა უცხოელ პატრიარქს ქართული ეკლესიის ანტიოქიაზე დამოკიდებულება უძველეს დროში?

❖ უცხოელმა პატრიარქმა ისე წარმოადგინა საქმე, თითქოსდა საქართველოს სივრცეში თავდაპირველად ჩამოყალიბდა ორი სხვადასხვა ეკლესია - ქართლისა და აფხაზეთისა, რომ თითქოსდა ისინი ორივენი თავდაპირველად იმყოფებოდნენ ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში. შესაბამისად, მათზე უფლებამოსილება გააჩნდა ანტიოქიას, მაგრამ მან აღმოაჩინა, რომ დასავლეთ საქართველოზე თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ხელისუფალი. ეს მან მიიჩნია საეკლესიო კანონების დარღვევად. მართლაც, თავდაპირველად თუ სხვა ეკლესია იყო აფხაზეთის ეკლესია, რა უფლება ჰქონდა ქართლის ეკლესიას აფხაზეთში? ანტიოქიელი პატრიარქის აზრით საეკლესიო სამართლებრივი საფუძველი ამისთვის არ არსებობდა, ხოლო ანტიოქიის ეკლესიას კი გააჩნდა ძველი სამართლებრივი უფლება აფხაზეთის საკათალიკოსოზე. მაშასადამე, ქართლის ეკლესიამ საეკლესიო წესების დარღვევით თავისი უფლებამოსილება გაავრცელა დასავლეთ საქართველოში. ეს იყო დადანაშაულება პროზელიტიზმში, ანუ ეს იყო ერთი ეკლესიის შეჭრა მეორე ეკლესიის იურისდიქციაში - დარღვევა III მსოფლიო კრების მე-8 კანონისა. ეს კანონი გმობდა ასეთ ქმედებას და ამასთანავე მოითხოვდა აღდგენას ძველი თავდაპირველი მდგომარეობისას. მართლაც, ანტიოქიის პატრიარქმა თავის აზრით აღასრულა ეს კანონი და გამოსცა სამართლებრივი დოკუმენტი "მცნებაი სასჯულოი", რომელშიც განაცხადა, რომ აფხაზეთის ეკლესია ანტიოქიამ უკან დაიბრუნდა თავის საეკლესიო წიაღში და აღადგინა თავისი ძველი იურისდიქცია აფხაზეთზე, რის შემდეგაც მას უფლება ჰქონდა ეპატრონა ამ საეკლესიო ერთეულისათვის და დაენიშნა მისი სასულიერო მეთაური. ეს უცხო ეკლესიის მეთაური მართლაც ასე მოიქცა და ცაიშელ-ბედიელი მიტროპოლიტი იოაკიმე დანიშნა აფხაზეთის კათალიკოსად.

❖ ასეთი ქმედება აღაშფოთებს ივ. ჯავახიშვილს, მას მიაჩნია, რომ ანტიოქიელს არავითარი სამართლებრივი უფლება არ გააჩნდა აფხაზეთის საკათალიკოსოს მიმართ. თავისი მსჯელობის საყრდენად მიიჩნევს ქართული ეკლესიის წიაღში ძველთაგან არსებულ სამართლებრივ დოკუმენტს, გამოცემულს რუის-ურბნისის კრების მამების მიერ, რომ თავდაპირველად ანუ I-IV საუკუნეში, ანდრია მოციქულისა და წმიდა ნინოს ეპოქაში, ჩამოყალიბდა არა ორი სხვადასხვა ეკლესია, არამედ ერთი, სრულიად საქართველოს მომცველი ეკლესია, რომ ორივე განმანათლებელმა, როგორც ანდრიამ, ისე წმიდა ნინომ, მხოლოდ ერთი ეკლესია ჩამოაყალიბეს, რომ ისინი მოღვაწეობდნენ არა სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალზე, არამედ ერთ გეოპოლიტიკურ

სივრცეში, რომ ანდრიამ სახარება იქადაგა “ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა”, ხოლო წმიდა ნინომ კი განანათლა “ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა”. მაშასადამე, მათ ერთი ეკლესია ჩამოაყალიბეს და ამ ეკლესიამ ავტოკეფალია ძველთაგანვე მოიპოვა, რომ მხოლოდ შემდეგ ამ ერთიანი ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა ორი საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული - ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები, რომ ისინი, მართალია, ადმინისტრაციულად თავისთავადი საეკლესიო ერთეულები იყვნენ, მაგრამ ქმნიდნენ ერთ ქართულ საეკლესიო მთლიანობას, რადგანაც გააჩნდათ საერთო საეკლესიო სამართალი, საერთო სჯულისკანონი, საერთო საეკლესიო ტრადიციები და ლიტურგიის საერთო ქართული ენა. ადმინისტრაციული თავისთავადობა აფხაზეთის საკათალიკოსოს მიუღია ქართლის საპატრიარქოსაგან, როდესაც IX საუკუნეში ქართველთა მეფე ბაგრატმა “განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს”.

❖ ანტიოქიის პატრიარქის ჩამოსვლის დროს კი, XV საუკუნეში, რეალური ვითარება ასეთი იყო. როგორც ვთქვით, ანტიოქიელმა პატრიარქმა გაიხსენა III მსოფლიო კრების მე-8 კანონი, რომელიც კრძალავს ერთი ეკლესიის შეჭრას მეორე ეკლესიის იურისდიქციაში და მოითხოვს წინანდელი, ანუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას. ანტიოქიელმა მცხეთა დაადანაშაულა, რომ ის შეიჭრა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, ამიტომაც მან სცადა გაეუქმებინა მცხეთის ყოველგვარი უფლებამოსილება იქ და თვითონ აკურთხა აფხაზეთის ახალი კათალიკოსი.

❖ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენთვის ისტორიულ მაგალითს უნდა წარმოადგენდეს ეს საქმე.

❖ როგორც ცნობილია, ამჟამად ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ მიიჩნევა, რომ თავდაპირველად დასავლეთ საქართველო IV-IX საუკუნეში 500 წლის მანძილზე, თითქოსდა, იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. ეს თეორია ძალზე საშიშია სამომავლოდ, რადგანაც ისეთივე სამართლებრივ უფლებამოსილებას ანიჭებს კონსტანტინოლის საპატრიარქოს, როგორიც თავისთავზე მიიწერა ანტიოქიელმა პატრიარქმა მიხეილმა.

❖ ამიტომაც დაიხვია ხელზე ეს საბჭოური საისტოტიო თეორია აფსუა სეპარატისტმა დოროთე დბარმა და ე. წ. “აფხაზეთის ავტოკეფალური ეკლესიის” სახელით მიმართვის წერილები დაუგზავნა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს, რის საფუძველზეც კონსტანტინოპოლის საპარტიარქოდან მართლაც ჩამობრძანდა ამ დღეებში უმაღლესი იერარქი საქმის შესასწავლად.

❖ როგორც ითქვა, III მსოფლიო კრების მე-8, ასევე მოციქულთა 35-ე და II მსოფლიო კრების მე-2 კანონის ძალით, სხვის ეკლესიაში შეჭრილი მეორე ეკლესია ვალდებულია აღადგინოს თავდაპირველი მდგომარეობა და ამ კანონებიდან გამომდინარე, თუკი დასავლეთ საქართველოზე თავის უფლებამოსილებას თავდაპირველად ახორციელებდა კონსტანტინოპოლი, მას უნდა დაუბრუნდეს კიდეც ეს საეკლესიო ერთეული.

❖ ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ ივ. ჯავახიშვილი მხარს არ დაუჭერდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამჟამად გაბატონებულ თეორიას დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში 500-წლოვანი ყოფნის შესახებ. პირიქით, ის ამ თეორიას მიიჩნევდა “მთელი ქართველი ხალხის ბრძოლით მონაპოვრის” უარყოფად და ის უთუოდ ამჟამადაც მხარს დაუჭერდა რუის-ურბნისის კრების სამართლებრივ აქტს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში I-IV საუკუნეში ჩამოყალიბდა ერთიანი ეკლესია, რომ თავდაპირველად წმიდა ანდრიასა და წმიდა ნინოს ღვაწლით დაფუძნებული ქართული ეკლესია თავიდანვე ერთიანი იყო, თუმცა მისთვის სხვა სამეცნიერო თეორიებიც აღნიშნულ საკითხზე ცნობილი იყო.

❖ ივ. ჯავახიშვილი წერდა: “გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი

ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა "ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა", ხოლო შემდგომ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულთმოქმედებამ და ქადაგებამ "მიიზიდა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა", ნიკოლოზ კათალიკოსიც, წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად თვლიდა "ჩვენ ქართველთაჲსა" ("სასწაულნი სვეტიცხოვლისა"). ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი, სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა" (ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. III, გვ. 340).

❖ **სამწუხაროა, რომ ძველ ქართველ სახელოვან მეცნიერთა (ივ. ჯავახიშვილის შეფასება) მიერ ბოძებულ შემეცნებას სპობს ზოგიერთი ახალი ქართველი მეცნიერი, თანაც ისეთი უმაღლესი საერთაშორისო საეკლესიო ორგანოდან, როგორიცაა "პრავოსლავნაია ენციკლოპედია".**

❖ მაგალითად, ძველი ქართული წყაროების საწინააღმდეგოდ "პრავოსლავნაია ენციკლოპედია"-ს მე-13 ტომის ავტორები (გვ. 200) ნოტიციებზე-ბიზანტიურ კათედრათა ნუსხებზე - დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ დასავლეთ საქართველოში IX საუკუნემდე არსებული საეპისკოპოსოები კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ. თითქოსდა, **"ეგრისის სამეფოში, I ნოტიციის მიხედვით, არსებობდა ლაზიკის ეპარქია, რომლის ცენტრი იყო ფაზისის (ფოთის) სამიტროპოლიტო ოთხი საეპისკოპოსო კათედრით - როდოპოლისი (ვარციხე), საისინი (ცაიში), პეტრა (ციხისძირი), ზიგანა (ზიგანისი, გუდავა)** ("პრავოსლავნაია ენციკლოპედია", ტ. XIII, გვ. 200, რუს. ენაზე). თითქოსდა, შემდგომ ისინი ქართულმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლს ჩამოაშორა.

❖ ვშიშობთ, რომ ეს არასწორი თეორია, გავრცელებული მთელ მსოფლიოში "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" მიერ, დიდ საფრთხეს შეუქმნის სამომავლოდ საქართველოს ტერიტორიულ და საეკლესიო მთლიანობას.

❖ სინამდვილეში ლაზიკის აღნიშნული საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ ტრაპეზუნტის ოლქში - ქალაქ ზიგანას რეგიონში, იქვე იყო როდოპოლისის კათედრაც. ამის შესახებ მიუთითებს არა მხოლოდ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი ნ. ადონცი, არამედ ამჟამად საბერძნეთში დაბეჭდილი ზოგიერთი საეკლესიო რუკაც.

❖ ქართული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით, მუდამ, ფარნავაზ მეფის დროიდანაც, დასავლეთ საქართველო ყოველთვის შედიოდა ქართლის სამეფოს საზღვრებში ვიდრე მდ. ეგრისწყლამდე და ვახტანგ გორგასლის შემდეგ ვიდრე მდ. კლისურამდე. ამიტომაც მიიჩნეოდა, რომ ამ სასაზღვრო მდინარეების აქეთ, დასავლეთ საქართველოში, კონსტანტინოპოლს არასოდეს იურისდიქცია არ გააჩნდა, მხოლოდ ამ მდინარეების იქით მდებარე ტერიტორია შედიოდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში, VIII საუკუნემდე. ამიტომაც, როდესაც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დასავლეთ საქართველოში კონსტანტინოპოლს არ გააჩნდა თავისი იურისდიქცია, ცხადია, იგულისხმება ამ სასაზღვრო მდინარეების აქეთ მდებარე დასავლეთ საქართველოს ტერიტორია. როგორც ცნობილია, მდ. ეგრისწყლად მიიჩნევა მდ. ღალიძგა (ოჩამჩირის რაიონში), ხოლო მდ. კლისურად - მდ. კელასური (სოხუმთან).

❖ რუსულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში", დასავლეთ საქართველოს მსგავსად, სამხრეთ საქართველოც არაქართულ ქვეყნადაა გამოცხადებული, სადაც, თითქოსდა, ქართული ეკლესიის გაბატონების შემდეგ მოხდა მკვიდრი "სომხების" გაქართველება.

❖ "სომხების" გაქართველების "თვალსაზრისი" იმდენადაა გავრცელებული, რომ მან უკვე ქართულ საეკლესიო გამოცემებშიც შეაღწია. მაგალითად, ცნობილი ავტორი წერს: **კირიონ I**

კათალიკოსმა, ქვემო ქართლში **“არაქართული მოსახლეობის გასაქართველებლად** მარჯვედ გამოიყენა პოლიტიკური ვითარება” (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, თბ., 2000, გვ. 28)

❖ **სომეხი ავტორები, და არა მხოლოდ ისინი, ასეთ სტატიებს საფუძვლად უდებენ თეორიას, რომ ქვემო ქართლი და, საერთოდ, სამხრეთ საქართველო სომხური ქვეყანა იყო, რომელიც ეკლესიის მიერ “გაქართველდა”. ესაა ე.წ. “ქართიზაციის” თეორია, რომელიც ოფიციალური ისტორიოგრაფიისათვის უეჭველ დოგმად იქცა.**

❖ ამ თეორიის მსგავსია ამჟამად გავრცელებული თვალსაზრისი, რომ მცხეთა-თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რეგიონები, ე.ი. **ისტორიული კახეთი და ქვემო ქართლი, თითქოსდა, თავდაპირველად დასახლებული იყო ალბანელი ხალხით, რომელიც ქართული ეკლესიის მეშვეობით გაქართველდა.** ეს თეორიაც უნდა ექვემდებარებოდეს გადახედვას, რადგანაც ძველი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, **ჰერეთ-ალბანეთი მოიცავდა სულ სხვა ტერიტორიას. კერძოდ, შემდეგდროინდელი რანისა და შაქის მიწა-წყალს, ამიტომაც უწოდებდნენ შემდგომ საუკუნეებში ჰერეთის დედოფალს შუშანიკს საეკლესიო წყაროებში რანის დედოფალს, ხოლო მეფეთა ტიტულატურაში იხსენებოდა რანთა მეფე, რომელიც გულისხმობდა ჰერეთის ყოფილი სამეფოს მფლობელობას. ალბანეთის კულტურულ მემკვიდრეობაზე ამჟამად პრეტენზიას აცხადებენ აზერბაიჯანელები,** ამიტომაც თუკი ალბანეთი უშუალოდ ემიჯნებოდა მცხეთა-თბილისს - აღნიშნული თეორიით მათ გარკვეული უფლებამოსილება ენიჭებათ მცხეთის აღმოსავლეთითა და თბილისის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალსა და მასზე მდებარე კულტურის ძეგლებზეც.

❖ **დიდი ივ. ჯავახიშვილი არ განიხილავდა საისტორიო მეცნიერებას როგორც დოგმას, არამედ მიიჩნევდა, რომ ის უნდა განვითარებულიყო, რომ ერთხელ მიღებული თვალსაზრისი არ უნდა ჩათვლილიყო შეუცვლელ ჭეშმარიტებად, რომლის კორექტირება ანდა უარყოფა შეუძლებელი იქნებოდა.** მის მიერ რუის-ურბნისის კრების სამართლებრივი აქტის მხარდაჭერა მიუთითებს იმის შესახებაც, რომ ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის ზოგჯერ საჭირო არის ახალი იდეების ჩამოყალიბება, ანდა ძველი ეროვნული საისტორიო იდეების აღორძინება-განახლება ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად.

❖ მართლაც, თუ არ განვითარდა ისტორიული მეცნიერება, ის ჩამორჩება და ერთ ადგილას გაიყინება, ამით კი ვერ შეძლებს თავისი ფუნქციის სრულყოფილად აღსრულებას.

❖ ივანე ჯავახიშვილი ჩვენთვის ყოველთვის თვალსაჩინო ეტალონი და მაგალითი არის თავისი მოღვაწეობის ყოველი წახნაგით.

❖ “პრავასლავნაია ენციკლოპედიას” მიხედვით წმიდა ნინომ გააქრისტიანა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, რადგანაც წმიდა ნინო ქართლის განმანათლებელი იყო, ქართლი ანუ იბერია კი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ერქვა (“პრავასლავნაია ენციკლოპედია”, მოსკოვი, 2006, ტ.13, გვ.193.რუს.ენაზე)

❖ აქედან გამომდინარე წმ. ნინოს მიერ ფუძეჩაყრილი ეკლესია, “პრავასლავნაია ენციკლოპედიას” მიხედვით, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში, იმავე ენციკლოპედიის თანახმად, ქრისტიანობის მომძლავრების შემდეგ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ VI საუკუნის შუა წლებში დაარსა საეკლესიო კათედრები.

❖ **შეუძლებელია აღნიშნულ მტკიცებას ეკლესია დაეთანხმოს რადგანაც ეწინააღმდეგება არა მხოლოდ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების განსაზღვრებას** საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილს, არამედ ძველქართულ შემეცნებას, რომელიც ასახულია წმიდათა ლოცვებშიც კი, მაგალითად წმ. ნინოს თავის ტროპარში ეწოდება “ქართველთა განმანათლებელი”, ხოლო კონდაკში “ქართველთა ერის წინამძღოლი”.

❖ სად ცხოვრობდა ქართველი ერი, რომელიც განანათლა წმიდა ნინომ? როგორც აღინიშნა, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში ამის შესახებ ნათქვამია - წმიდა ნინომ მოაქცია “ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა” (“დიდი სჯულისკანონი” 1975, გვ. 546). დავუსვათ

კითხვა ამ ისტორიკოსებს: "ყოველთა ქართველთა ნათესავი" არ ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში? და თუ ცხოვრობდა, მაშინ მათი განმანათლებლის მიერ დაარსებული ქართლის ეკლესიის მრევლსაც წარმოადგენდა. როგორც ითქვა, იგივეს წერდა გელასი კესარიელიც, მსოფლიო ეკლესიის ერთერთი პირველი ისტორიკოსი - "ტყვე ქალის" (ე.ი. წმიდა ნინოს) მიერ ერთდროულად მიიღეს ქრისტიანობა ექვსინის პონტოს მახლობლად მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა (გეორგიკა, ტ. I. გვ. 189). წმ. ნინოს მიერ გაქრისტიანებული ერი დასავლეთ საქართველოშიც რომ ცხოვრობდა მიუითებს ნოქალაქევის IV საუკუნის ეკლესია და მის მახლობლად აღმოჩენილი I ათასწლეულის ქართული ასომთავრული საეკლესიო წარწერები.

❖ XIX საუკუნედან იძირკვებოდა ქართველთა გონებიდან საერთო ენისა და საერთო ისტორიის შემეცნება.

❖ XX საუკუნედან ინერგება თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საქართველოს თითოეული კუთხის მოსახლეობას გააჩნია საკუთარი წარმომავლობა და საკუთარი ისტორია.

❖ ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერების დანგრევის მიზნით, როგორც ითქვა, შეიქმნა ე.წ. "ქართიზაციის" თეორია - XX საუკუნის 20-30-იან წლებში რუსულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს მიერ, ჩვენი ხალხის ძველი, ჭეშმარიტი ისტორია "რეაქციულ თეორიად" გამოცხადდა, დაიწყო მის წინააღმდეგ "გადამწყვეტი ბრძოლა" უკვე "გამარქსისტებული" მეცნიერების მხრიდან. "ქართიზაციის" თეორია ბოლშევიკების ხელში გადაიქცა არა მხოლოდ ბერკეტად საქართველოს ძველი ისტორიის დასანგრევად, არამედ მის ჩასანაცვლებლადაც საქართველოს ახალი, მათ მიერ მოგონილ-მიწონებულიი ისტორიოგრაფიით.

ამჟამად "ქართიზაციის" თეორია ერთადერთ და უტყუარ სამეცნიერო მიმართულებადაა აღიარებული. ის აბსოლუტურადაა გაბატონებული XX და XXI საუკუნის დასაწყისის ქართულ ისტორიოგრაფიასა და ფილოლოგიაში.

"ქართიზაციის" თეორიის გაცნობის შემდეგ უცხოელთ ექმნებათ შთაბეჭდილება ქართველთა "იმპერიალიზმის" შესახებ, რომ, თითქოს, მათ პატარა "ერები" ჰყავთ დაპყრობილი;

ამგვარ შთაბეჭდილებას მხარს უმაგრებს ენათმეცნიერთა ნაწილის თეორიაც ქართველთა ე.წ. სამი-ოთხი ენის შესახებ, რომელთაგან ერთის - ქართულის "აღზევებით" იჩაგრება სხვა ქართველური "ენები";

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სახელმწიფოსა და ეკლესიის არაკეთილისმსურველებმა, განსაკუთრებით კი სეპარატისტმა იდეოლოგებმა იმთავითვე აიტაცეს ჩვენი ისტორიოგრაფიის მიერ ლეგალიზებული "ქართიზაციის" თეორიის დასკვნები ჩვენი ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ თავიანთ სასარგებლოდ.

ისინი ვრცელ სამეცნიერო ნაშრომებში (მათ შორის, რუსული "პრავოსლავნაია ენციკლოპედია"-ს სტატიებში) ამტკიცებენ, რომ საქართველოს ესა თუ ის კუთხე ისტორიულად არაქართული რეგიონია და, შესაბამისად, ქართველებს ისტორიული უფლება არა აქვთ ამ კუთხეებზე.



პირველი წირვა “ორმოცების” მონასტერში

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა, ჩვენთან არს ღმერთი.

ქრისტეს მიერ საყვარელო შვილებო, დღეს დიდი დღეა ჩვენი ეპარქიისთვის. ამ მონასტრის მრევლისთვის, უფალმა ღმერთმა ინება, მრავალი დროის შემდეგ ამ მონასტრის განახლება და მისი ენკენია - ხელახლა კურთხევაა.

დღეს ჩვენ ჩამოვასვენეთ მანგლისიდან წმიდა ნაწილი, აღვადგნეთ წმიდა ტრაპეზი და ვაკურთხეთ ეს დიდებული, უძველესი მონასტერი.

მრავალი ეკლესია და მონასტერი არის და უფრო მეტი იყო სამხრეთ საქართველოში.

ქვემო ქართლი, სადაც ჩვენი ეპარქია მდებარეობს, იყო ბეღელი პურისა, სიუხვის, სიმდიდრისა და ნაყოფიერების არე მთელი საქართველოსთვის, აქ მოსახლეობა მხოლოდ და მხოლოდ ქართული იყო, მრევლი ჩვენი დედა, წმიდა ეკლესიისა.

გავიდა დრო და საქართველოს დაშლა-დანაწევრების შემდეგ, XVII-XVIII საუკუნეებში, დაიწყო ლეკიანობა. ეს იყო ჩრდილო-კავკასიური მუსულმანი ტომების შემოსევები სპარსთა და ოსმალთა მფარველობით.

ძარცვა-გლეჯა, ხალხის ხოცვა და დატყვევება გაგრძელდა ორი საუკუნე, ქვეყანა დაცარიელდა. ყოველივე ამას თან დაერთო ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება XIX საუკუნეში და ათეისტების ბატონობა XX საუკუნეში.

მონასტრები და ეკლესიები ტყეებითა და ბუჩქებით დაიფარა.

ღვთის დიადი მოწყალებით დადგა უწმიდესი პატრიარქის ილია II ეპოქა და ჩვენ ჩაგვაბარეს ეს ეპარქია.

ამ დროს დავავალეთ მამა კონსტანტინეს (მამა დავითს) მოეხედა სოფელ ღოუბანთან ახლოს ტყით და ხეებით დაფარულ ამ მონასტრის ნანგრევებისათვის. მან დიდად იღვაწა და მრავალი საქმე აღასრულა, მაგრამ მის სიცოცხლეში ვერ მოვასწარით მონასტრის კურთხევა. ამ საქმისთვის უფალმა გამოარჩია შეასნიშნავი ახალგაზრდა ბერი მამა ანტონი, რომელიც ბერად აღვკვეცეთ და არც ისე დიდი ხნის წინ მანგლისში მღვდლად ვაკურთხეთ. მას დაევალა ტრაპეზის, საკურთხევლისა და სამკვეთლოს მოწესრიგება და შემზადება კურთხევისთვის და, აი, უფლის წყალობით დღეს აღსრულდა ეს წმიდა საქმე.

მე მინდა განსაკუთრებით დავლოცო შემწენი ამ დიდი საქმისა.

მარტის დღევანდელ თოვლიან დღეს, დილაადრიან, ამ მიყრუებულ ტყეში მდებარე მონასტრის ურთულეს გზაზე მე ვნახე აქ მომავალი ტალახში ჩარჩენილი მანქანები და ტრაქტორიც კი, მიუხედავად ამისა, თქვენ მიატოვეთ ტრანსპორტი და მაინც ამობრძანდით ფეხით. როგორც წმიდა სახარებაშია ნაბრძანები რთული და ძნელი გზით, რათა ერთად გვედიდებინა უფალი ღმერთი.

ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა ინებოს თქვენი შვილების გამრავლება და ხანგრძლივი სიცოცხლე, რათა მრავალ და მრავალ ასეთ დიდებულ დღეს დაესწრონ.

ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობისაა ძველითგანვე ეს მონასტერი, ხალხი მას "ორმოცების სალოცავს" უწოდებს, აქვე ახლოს მდებარე მშვენიერ, მაგრამ მიტოვებულ კაბენის ეკლესიას კი "მონასტერს" უწოდებენ, აქვე ახლოს დგას კიდევ ერთი პატარა ეკლესია, სავსე მიცვალებულთა ძვლებით, ხალხისთვის ისინი წმიდათა ნაწილებია და იმასაც ამბობენ, რომ ისინი ჯარისკაცების და ბერების ძვლებია.

ჯარისკაცები 1921 წელს აქ შეებრძოლენ ათეისტური რუსეთის წითელ არმიას, როცა ისინი თბილისის დასაპყრობად მიდიოდნენ, ბერები კი მათი დახოცის შემდეგ აღარ დაუნდიათ.

როგორც მოგეხსენებათ, წმიდა ორმოცი მოწამე ცხოვრობდა ქრისტიანთა დევნის ეპოქაში, IV საუკუნეში. მათი სამშობლო ქალაქი სებასტია ტაოს სამხრეთით მდებარეობდა, ძველი ქართული ქვეყნის არიან-ქართლის მიწა-წყალზე.

ამ ქალაქის ტბასთან გაიყვანეს წმინდანები, რომელთაც არ დათმეს ქრისტეს სარწმუნოება, ისინი ტბაში შერეკეს და არ მისცეს გამოსვლის საშუალება. წმიდანები ერთმანეთს ეხმაურებოდნენ და ამხნევებდნენ, მათი ნათელი სულები კი ქრისტემ მიიბარა.

ახლა, მათი სახელობის მონასტრის კურთხევისას, ისინი ხარობენ ჩვენი სიხარულით, რამეთუ მათი ეკლესია და მონასტერი კვლავ განახლდა. ისინი დგანან ამ მონასტრისა და მრევლის მეოხად წინაშე ღვთისა და დიდია მათი მეოხების ძალა.

განსაკუთრებით ვულოცავთ ამ მონასტრის წინამძღვარს, მღვდელომაზონ ანტონს.

სიყრმიდანვე, სკოლის დამთავრებისთანავე, მან აირჩია სასუფევლის დასამკვიდრებლად ყველაზე ვიწრო და უძნელესი გზა, რომელსაც მორჩილება და ბერობა ეწოდება.

ძველი საქართველოს სიძლიერე მონასტრების ძმათა ლოცვებს ეფუძვნებოდა და ამიტომაც იყო უძლეველი. ამჟამადაც კვლავ მრავლდება მონასტრები და მათში მლოცველი ბერ-მონაზვნები. ერთი მათგანი, ჩვენთვის კი გამორჩეული მოძღვარია მამა ანტონი, რომელსაც დავავალეთ არა მხოლოდ ამ მონასტრის, არამედ კაბენის მონასტრის აღდგენა და მისმა წინამძღვრობა.

მან უნდა გამოძებნოს ასევე დრო, ევალება დააყენოს წირვა-ლოცვა აქვე მდებარე ღოუბნის ეკლესიაში, რომლის მრევლი მონატრულია თავიანთ ეკლესიაში წმიდა ლიტურგიას.

ვლოცავ აქ შემოკრებილ ჩვენი ეპარქიის სამღვდელოებას. აქ არიან წინამძღვრები ფიტარეთისა და გუდარეხის მონასტრისა, მამა ექვთიმე და მამა თორნიკე, მათ გადალახეს უძნელესი გზა და ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ზამთარში მდინარე ხრამზე უხიდოდ გადმოსვლა ამ დილა ადრიან, ფაქტიურად ღამით, რთული საქმეა, მიუხედავად ამისა მათ შეძლეს და მოვიდნენ თავიანთი მონასტრებიდან ამ ახალი მონასტრის დაფუძვნებისას მისი წინამძღვრის გასამხნევებლად.

აქ არიან სხვადასხვა ეკლესიებიდან მამები თავიანთი მრევლით, მანგლისელი მამები, ყველას გლოცავთ და შეგახსენებთ, რომ ვუახლოვდებით წმიდა მარხვას, როდესაც გვეველება კიდევ უფრო მეტი ყურადღება მივაპყროთ. ვეცადოთ, რათა მარხვაში კიდევ უფრო მოვუმატოთ ლოცვასა და ზიარებას. ვეცადოთ რომ წმიდა აღდგომის ღამეს ეზიაროს მრევლის ყოველი წევრი, მთელი სოფლის ხალხი, ბავშვები თუ მოხუცები. მხოლოდ მარხვითა და ლოცვით გადარჩება სული ადამიანისა. თქვენი მოვალეობა არის, რათა არ წარწყმდეს, არ დაიღუპოს არც ერთი ადამიანის სული, უნდა გადარჩეს და ცხონდეს თქვენი მრევლის ყველა წევრი, მათი დამარცხება სულიერ გზაზე თქვენ მოგეკითხებათ.

გადარჩენისა და ხსნის გზა გვიბოძა უფალმა თავის ჯვარცმითა და აღდგომით, ჩვენც მოველით აღდგომას მკვდრეთით, ამიტომაც ველოდებით უფლის აღდგომის დღეს, მის ღირსეულად შესახვედრად მარხვა გვაქვს დაწესებული.

ამ მონასტერში უკვე შესაძლებელი იქნება ზიარება, წმიდა მონასტერი უკვე მოქმედია.

დიდება უფალს, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, ამინ.

2012.19.12

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

წმინდა ამბროსი ხელაია რეგიონალიზმის წინააღმდეგ

(არა თვითმმართველი რეგიონები, არამედ თვითმმართველი ქალაქები და სოფლები)

საქართველოს ოკუპირებისთანავე, 1922 წლის აპრილის თვეში, დაარსდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ბოლშევიკები საქართველოს სხვა ტერიტორიებსაც შეპირდნენ თვითმმართველობას, ავტონომიური უფლებების მინიჭებას, ამით შეშფოთებული საქართველოს იმჟამინდელი პატრიარქი წმინდა ამბროსი ხელაია იძულებული გახდა ჩარეულიყო სახელმწიფო საქმეებში და ეტვირთა ეროვნული ინტერესების დაცვა საერთაშორისო ასპარეზზე, ის ცხადია დააპატიმრეს.

სასამართლო პროცესზე წმინდა ამბროსიმ კატეგორიული განცხადება გააკეთა რეგიონების ავტონომიების მიუღებლობის შესახებ, პატრიარქმა ბრძანა: **“რა საჭირო იყო საქართველოს დაყოფა ავტონომიებად, განსაკუთრებით რა საჭირო იყო ოსეთისა და აჭარის რესპუბლიკების დაარსება, ამჟამად საჭიროა თუ არა ყველა მაზრას, თემსა და სოფელს, ქონდეს ავტონომიური უფლებები”** - ეს სიტყვები ბრძანა პატრიარქმა 70 წლის წინ და დღესაც, რადგან აყალიბებენ ახალ ავტონომიურ და თვითმმართველ რეგიონებს ალბათ ის იმავე კითხვას დასვამდა.

ამჟამინდელი ე.წ. “მუნიციპალიტეტების გაერთიანებით” ჩამოყალიბებული თვითმმართველი რეგიონი იგივეა, რაც ბოლშევიკების მიერ ჩამოყალიბებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. თუ ამჟამად თვითმმართველ რეგიონებში ქმნიან “მუნიციპალიტეტთა გაერთიანების საბჭოს”, იმჟამად შექმნეს რეგიონის “სახალხო დეპუტატთა საბჭო”.

1990 წელს სწორედ სამხრეთ ოსეთის დეპუტატთა საბჭომ მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ. რუსეთის ფედერაციამ კი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა და დღეს იქ, საქართველოს უძველეს მიწაზე, რუსეთის ჯარია ჩაყენებული.

როგორც ძველად ბოლშევიკების დროს, ისე ამჟამადაც ერთიდაიგივე გაისმის - "რეგიონებს მათი განვითარების მიზნით ვანიჭებთ თვითმმართველობას".

ბერძნული სიტყვა ავტონომია, ქართულად ასე ითარგმნება - "საკუთარი კანონებით მართული, თვითმმართველი", მაშასადამე თვითმმართველობა იგივეა, რაც ავტონომია. (ასევე განიმარტება ლექსიკონებშიც, ასევეა მითითებული, რომ თვითმმართველობისათვის მოძრაობა დაიწყო იტალიის ქალაქებში, რათა ქალაქის მმართველ წარჩინებულებს, ბურჟუებისათვისაც გაეზიარებინათ და ხშირად ბოლოს მთლიანად დაეთმოთ ძალა-უფლება. ჩამოყალიბდა წარმომადგენლობითი ორგანოები შესაბამისი ავტონომიურობის ხარისხით, საბოლოოდ კი ეს პროცესი ასე განიმარტება, სახელმწიფო თავის ძალა-უფლებას გადასცემს თვითმმართველი ანუ ავტონომიური ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს).

წმინდა ამბროსი ხელაია ცხადია წინააღმდეგი იყო არა სოფლების ანდა ქალაქების თვითმმართველობისა, არამედ ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბებული რეგიონებისა, როგორიც იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მისი დაპატიმრების შემდეგ პრესაში აცხადებდნენ, რომ ამ ოლქის დეპუტატთა საბჭო, მხოლოდ სოციალურ საკითხებზე იზრუნებდა, გაიყვანდა გზებს, წყლის არხებს, დაეხმარებოდა ხალხს მიწის დამუშავებისას და სხვა. და მას არ ექნებოდა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს ფუნქციები, მაგრამ ისტორიამ გვიჩვენა, რომ სამწუხაროდ გამართლდა წმინდა ამბროსი ხელაიას შიში. 1990 წელს თვითმმართველი რეგიონის დეპუტატთა საბჭომ როგორც ითქვა, მიიღო გადაწყვეტილება საქართველოდან თავისი რეგიონის გაყვანის შესახებ. ამჟამადაც თუკი ჩამოყალიბდება თვითმმართველი რეგიონები, რუსეთის იმპერია და სხვა დაინტერესებული სახელმწიფოები უთუოდ იპოვიან გზებს საქართველოდან ამ რეგიონების ჩამოსაშორებლად, თუ მაშინ ბოლშევიკებმა დიდი წინააღდეგობის გამო მხოლოდ სამი თვითმმართველი რეგიონი შექმნეს, ამჟამად აპირებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების გარდა შეიქმნას 9 თვითმმართველი ანუ ავტონომიური რეგიონი - გურიისა, იმერეთისა, კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისა, სამეგრელო-ზემო სვანეთისა, სამცხე-ჯავახეთისა, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლისა.

იმჟამად წმინდა ამბროსი ხელაიას პოზიციით აღშფოთებული კომუნისტური საზოგადოება და პრესა პატრიარქს ბრალს სდებდა რომ ის შეეხო სახელმწიფო საქმეებს, რომ რადგანაც მათ შეძლეს სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფა, ამიტომაც ამბროსი ხელაიას უფლება არ ქონდა ჩარეულიყო სახელმწიფო საქმეებში. ამასთან დაკავშირებით ამბროსი ხელაიამ განაცხადა სასამართლოზე შემდეგი: "მქონდა თუ არა მე უფლება, როგორც სასულიერო პირს შევხებოდი პოლიტიკურ საკითხებს, მეუბნებიან, რომ ჩემს უფლებებს გადავამეტე და ჩავერიე სახელმწიფო წყობილებისა და მართვა-გამგეობის საკითხებში, მართალია ჩვენ ვიცავთ პრინციპს მიეცი "კეისრისა კეისარს, და ღვთისა ღმერთს", მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირში წყალი ჩავიყენოთ და არა ვთქვათ რა, როდესაც ვხედავთ უსამართლობას, გარეშე ძალების მოძალებას, ხალხის შევიწროებას, ერისათვის საზიანო შეცდომებს და საზოგადოდ არ ვიტვირთოთ ხალხის სამსახური, მისი ინტერესების დაცვა და მისი მწუხარების საგანი არ ვამცნოთ ქვეყანას, ყველაფერს ამას ქრისტიანული მოძღვრება არ გვიკრძალავს, ქრისტეს ებრალებოდა ერი, მას ემსახურებოდა და მასზე ზრუნავდა. ბასილი დიდი, გრიგოლი ღვთისმეტყველი და იოანე ოქროპირი, იბრძოდნენ ქვეყნის ხელისუფლების უსამართლობასთან. სამღვდელოება ყოველთვის იყო დამცველი საქართველოში თავისუფლების იდეისა. რუსების დამკვიდრების ხანაში ერის თავისუფლების დასაცავად ქუთათელი და გენათელი მიტროპოლიტები სათავეში ჩაუდგნენ ხალხის აჯანყებას რუსების წინააღმდეგ. გადასახლებულმა ექვთიმე გენათელმა მოახერხა იმპერატორის ნახვა და მას ნერონი უწოდა, როგორც სარწმუნოებრივი ისე ისტორიული მაგალითები უფლებას მაძლევენ ხმის ამოღებისას, და ეკლესიას ევალება ეროვნული ინტერესების დაცვა" .

სამწუხაროა, რომ საუკუნის შემდეგ, დღეს იმავეს ვიმეორებთ, როგორც წმინდა ამბროსის მიაჩნდა რეგიონების ავტონომიები საშიშად და მიუღებლად საქართველოს მთლიანობისათვის, ასე

მიგვაჩნია ჩვენ დღეს და ეს საკითხი არის არა სახელმწიფო ხელისუფლების პირადი საკითხი, არამედ ეროვნული საკითხი, იმ ერის მთლიანობისა, რომელიც ქმნის საქართველოს წმინდა ეკლესიას, რომლის მეთაურიც არის მაცხოვარი იესო ქრისტე. ამიტომაც მოუწოდა საქართველოს პატრიარქმა ილია II ხელისუფლებას "არ დააჩქაროს თვითმმართველობის მიღების კოდექსი. ეს თუ განხორციელდა ჩვენ მივალთ საქართველოს დაშლამდე, ჩვენ არასდროს შევურიგდებით ამას და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს არ შესრულდეს, ყველა რაიონი უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს ხელისუფლებას, მას არ სჭირდება შუა რგოლი, ხელისუფლებამ თვითონ უნდა მიხედოს ყველა რაიონის გასაჭირს".

ჩვენს ხელთ არის საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც დასამტკიცებლად გადაეცა საქართველოს პარლამენტს. ჩვენ გავეცანით ამ კოდექსს და მიმაჩნია, რომ ეს არის საქართველოს დაშლის სამართლებრივი მექანიზმის შექმნის მცდელობა, ეს არის საქართველოს დანაწევრების დაკანონების მცდელობა.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ არ გვაღელვებს ქალაქებისა და სოფლების თვითმმართველობის შემოღება, არამედ გვაღელვებს საქართველოში ეთნიკური ნიშნით თვითმმართველი ანუ ავტონომიური რეგიონების ჩამოყალიბება. შეიცავს თუ არა ის სეპარატიზმის საფრთხეს? - მრავალმა ოფიციალურმა პირმა ამის შესახებ განაცხადა, რომ არ შეიცავს, მაგრამ თვით დოკუმენტის ავტორი, ანუ საქართველოს მთავრობა, ამ დოკუმენტის N161 მუხლში აცხადებს, რომ შეიცავს, ამ მუხლში ნათქვამი: "1. საკრებულოს დათხოვნა ან მისი საქმიანობის შეჩერება ხდება... თუ წარმომადგენლობითი ორგანოს მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ქვეყნის მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კონსტიტუციურ უფლება-მოვალეობათა განხორციელებას". თვით ეს კოდექსი აღიარებს, რომ მისი ამოქმედება შესაძლოა საფრთხის შემცველი იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და ქვეყნის სუვერენიტეტისათვის.

ამ დოკუმენტის მე-7 კარი ძალზედ სახიფათოა და ეს გულისხმობს რეგიონებში ეთნიკური ნიშნის მიხედვით ავტონომიური ოლქების ანუ რეგიონების ჩამოყალიბებას.

მე-7 კარის დასათაურება ასეთია: "მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანება". მის პირველ მუხლში ნათქვამია: "გაერთიანების უფლებამოსილებათა განხორციელების ტერიტორია ემთხვევა სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორის უფლებამოსილებათა განხორციელების ტერიტორიას. გაერთიანება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს".

167-ე მუხლის თანახმად გაერთიანების კოლეგიალური ორგანოა გაერთიანების საბჭო, გაერთიანება უფლებამოსილია "განახორციელოს და დაამტკიცოს რეგიონის განვითარების სტრატეგია".

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოს ფორმირების წესი. 169-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის თანახმად "საბჭოს ფორმირება ხდება მათში გაერთიანებული მუნიციპალიტეტების, საკრებულოების წევრთაგან, კერძოდ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების რაოდენობა განისაზღვრება თითოეულ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ყოველ 10000 ამომრჩეველზე საკრებულოს ერთი წევრით". რეგიონთა მმართველი საბჭოს წევრების არჩევის ამ წესითაც სჩანს რომ რეგიონები თვითმმართველნი ანუ ავტონომიურები ხდებიან ეთნიკური ნიშნით. ავიღოთ მაგალითად ქვემო ქართლის რეგიონი, აქ საბჭოს წევრად აირჩევა 10000 ამომრჩეველზე საკრებულოს 1 წევრი. ქვემო ქართლში საინტერნეტო მონაცემებით ცხოვრობს 300000-მდე აზერბაიჯანელი (დაახლოებით 284000) და 100000-მდე ქართველი (დაახლოებით 94000), აქედან ჩანს, რომ საბჭოში არჩევნების შემდეგ წარმომადგენელი დეპუტატების 2/3 ანუ საბჭოს უმრავლესობა მუდამ იქნებიან აზერბაიჯანელები, უმცირესობა კი ქართველები, შესაბამისი იქნება საბჭოს გადაწყვეტილებები.

რუსეთის იმპერია (ან სხვა რომელიმე დაინტერესებული სახელმწიფო) მუდამ იპოვის გზებს და საშუალებებს რათა დაარწმუნოს საბჭოს უმრავლესობა, რომ მათი რეგიონის განვითარებისათვის უმჯობესი იქნება თუ რეგიონი გამოაცხადებს დამოუკიდებლობას ანდა შევა სხვა უფრო მდიდარი, ძლიერი და სტაბილური სახელმწიფოს შემადგენლობაში. განა ასევე არ გამოყო ე.წ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა საოლქო საბჭომ თავისი რეგიონი?

30 წელზე მეტია მე სამხრეთ საქართველოს რეგიონების ეპისკოპოსი ვარ, ვიცნობ მრავალ აზერბაიჯანულ და სომხურ ოჯახს, მრავალ კათოლიკეს, ბერძენს და სხვებს და ჩემი დაკვირვებით დავრწმუნდი, რომ ხალხს არც აზერბაიჯანელს, არც სომხებს და არც სხვებს არ გააჩნიათ არავითარი სეპარატისტული განზრახვები, სეპარატიზმისკენ მათ უბიძგებს მთავრობიდან წამოსული შეუსაბამო ქმედებები, ეკონომიკის განუვითარებლობა, საცხოვრებელი პირობების მოუგვარებლობა და საქართველოს მთავრობის ინიციატივები, რომ მათგან ეთნიკური რეგიონები შექმნან. ეს ცხადია მათ თანდითანობით გაუღვივებს და ჩამოუყალიბებს სეპარატისტულ მიზნებს.

კოდექსის თანახმად რეგიონში საქართველოს მთავრობას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი. ზოგიერთი მუხლის მიხედვით რეგიონის საბჭოს უფრო მეტი უფლებები აქვს ვიდრე გუბერნატორს. მაგალითად: ის მთავრობის წინაშე აყენებს საკითხს გუბერნატორის გადაყენებისა (მუხ.172,ზ). გუბერნატორი პასუხისმგებელია საბჭოს მიერ დამტკიცებული საპროექტო განაცხადების აღსრულებაზე, საბჭო უფლებამოსილია გუბერნატორისგან მოითხოვოს ინფორმაცია, ხოლო გუბერნატორი ვალდებულია საბჭოს ათ დღეში მიაწოდოს ინფორმაცია და შესაბამისი ანგარიშით წარსდგეს საბჭოს წინაშე. (მუხლი 174).

175-ე მუხლით ის კიდევ უფრო ექვემდებარება საბჭოს - "საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი არის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი". (მუხ. 175.1).

გუბერნატორი "უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებას (მუხ.175. 2,ა) აქედან ჩანს, რომ რეგიონის საკანონმდებლო (ანუ უფრო ზუსტად, დადგენილებათა მიმღები) ორგანო არის საბჭო, ხოლო აღმასრულებელი არის გუბერნატორი და მისი ადმინისტრაცია, რომელიც წელიწადში არანაკლებ ერთხელ საბჭოს წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს. (მუხ.175,2,ე). 176-ე მუხლით მართალია მუნიციპალიტეტთა რეგიონულ გაერთიანებას საქართველოს მთავრობა აკონტროლებს, მაგრამ კოდექსში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ თუ რა არის ამ კონტროლის მექანიზმი.

ზემოთ ნათქვამებიდან ჩანს რომ კოდექსის რეალური მიზანი არის არა იმდენად ქალაქებისა და სოფლების თვითმმართველობების ჩამოყალიბება, არამედ ეთნიკური ავტონომიური რეგიონების ჩამოყალიბება. სამცხე ჯავახეთისა და ქვემო ქართლის გარდა, როგორც აღვნიშნეთ ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და სხვათა. აქედანაც ჩანს, რომ დოკუმენტის ავტორებს, ქართლელები, კახელები, იმერლები და სხვები ეთნიკურ ჯგუფებად მიაჩნიათ და თუ ასეა, მაშინ ისინი უნდა ცდილობდნენ არა ერთმანეთისაგან მათ დაცალკევებას ტერიტორიული ავტონომიებით, არამედ მათ ინტეგრაციას და ერთიან ნაციად გადაქცევას.

"ქართველი ნაციის კონსოლიდაცია" - ყოვლად მიუღებლად მიაჩნია რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ იდეოლოგს, ვინმე რ. ვახიტოვს, რომელმაც შესაბამისი წერილი დაბეჭდა მოსკოვის ლიტერატურნაია გაზეტაში და გააჟღერა, რომ რუსეთის იმპერიის ნებაა - "არ დაუშვას ქართველი ნაციის კონსოლიდაცია", ამ წერილში ის მოუწოდებს ქვემო ქართლის რეგიონის აზერბაიჯანულ უმრავლესობას, მოითხოვონ ავტონომიის შექმნა. ის მოითხოვს აჭარის ავტონომიის უფლებების გაზრდას. ვრცლად მსჯელობს იმის შესახებ, რომ ერთმანეთისგან განსხვავდებიან, როგორც ის ამბობს, "ქართველები და სვანები", კახელები, იმერლები, მეგრელები და სხვები, რომ ისინი სხვადასხვა ეთნოსები არიან, წინასწარმეტყველებს საქართველოს დაშლა-დანაწევრებას ამ ნიშნით, და აჟღერებს მოსკოვის გეგმას საქართველოში, ავტონომიური რეგიონების შექმნისა. მას 2009 წლის იანვარში უპასუხეს აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ და პროფესორმა გიორგი ოთხმეზურმა და მეც მათ შორის.

ქართველი ერის კონსოლიდაციის დაბალი დონე აიმედებთ იმპერიალისტებს, რომ საქართველო დაიშლება შინაგანი წინააღმდეგობით, მათი ერთ-ერთი იდეოლოგი ბოროზდინი, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში წერდა - " შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორია სხვა არა იყო რა თუ არა მუდმივი ომები. პატარა სამთავროები: იმერეთისა, სვანეთისა, გურიისა, სამეგრელოისა და აფხაზეთისა სულმუდამ ერთმანეთს ებრძოდნენ, ერთი-მეორეს სწეწავდნენ, ძნელი იყო კაცს გაეგო მათის დაუცხრომელის ბრძოლის მიზეზი და მებრძოლნი როგორმე შეერიგებინა" (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1934, გვ.258).

ახლაც დიდი იმედი აქვთ რომ არაკონსოლიდირებული ქართველი ერი დაიშლება. მისმა მთავრობებმა ვერ შესძლეს ხალხის ნამდვილი სურვილის აღსრულება, ანუ ეკონომიკის აღზევება. ამის გამო ხალხი აღარ მრავლდება, სოფლები და რეგიონები ცარიელდება და სამუშაოს საძებნელად უცხოეთში გარბის, ხალხი მათ - შორის რეგიონებში მცხოვრებნი, ითხოვენ არა ახალი ადმინისტრაციული ერთეულების ჩამოყალიბებას, არამედ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, რათა ახალგაზრდებმა დაგეგმონ თავიანთი ოჯახების შექმნა და ქვეყანაში არ იყოს ასეულ-ათასობით დაუქორწინებელი ქალი და ვაჟი და წელიწადში არ კეთდებოდეს ასეულ-ათასობით აბორტი. დაცარიელებულ რაჭის რეგიონს ვთქვათ ავტონომია ესაჭიროება? თუ ეკონომიკის აღორძინება მიმართული ხალხის გამრავლებისაკენ! ინტერნეტში დევს საბუთი რომელშიც ასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეშფოთება, რომ 2050 წლისთვის კიდევ ორი მილიონით შემცირდება ქართველთა რაოდენობა. შეიქმნება საფრთხე, რომ თვითონ ქართველები საქართველოში ეთნიკურ უმცირესობად იქცევიან, ამ საკითხებზე უფრო მეტად არის საჭირო პარლამენტში პროექტების წარდგენა.

პროექტში შეიძლება უკლებლივ დარჩეს მუხლები სოფლებისა და ქალაქების თვითმმართველობის შესახებ, მაგრამ ამოღებული უნდა იქნას მეშვიდე კარი მთლიანად, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში თვითმმართველი ანუ ავტონომიური რეგიონების შექმნას ეთნიკური ნიშნით. ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა რომ ამ საბჭოს დაერქმევა საკონსულტაციო საბჭო, მაგრამ ეს ამ საბჭოს რეგიონალურ მნიშვნელობას არ ცვლის, მიუხედევად იმისა თუ მას რა დაერქმევა მაინც ყალიბდება თვითმმართველი რეგიონი ეთნიკური ნიშნით. ზოგჯერ ამბობენ თითქოს და საქართველოს დაყოფას რეგიონებად მოითხოვს ევროპული კანონმდებლობა, მაგრამ ეს არის სიცრუე რადგანაც ვინც იცნობს იმ საბუთებს რაც იგზავნება საქართველოს მიმართ ევროპიდან აღნიშნულია რომ ევროპელები შეშფოთებულები არიან საქართველოს ხალხის ინტეგრაციის დაბალი დონით და მრავალჯერ ითხოვეს საქართველოს ხელისუფლებას ეზრუნათ რათა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანებს შეესწავლათ ქართული ენა, გაცნობოდნენ ქართულ კულტურას, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მათი ინტეგრაცია ერთიან საქართველოს ხალხში, როგორც აღვნიშნეთ საქართველოს ხალხის კონსოლიდაციისა და ინტეგრაციის წინააღმდეგი არის რუსეთის იმპერია.

რუსეთის დერჟავის ერთ-ერთი იდეოლოგი რ. ვახიტოვი, როგორც ითქვა, მოუწოდებს იმპერიალისტურ ძალებს "არ დავუშვათ ქართველი ხალხის კონსოლიდაცია", თავის სტატიაში რომელიც მან "ლიტერატურნაია გაზეტაში დაწერა 2009 წელს".

საქართველოს ხალხის ინტეგრაციასა და კონსოლიდაციას უმძიმეს დარტყმას მიაყენებს ეთნოავტონომიური რეგიონებისა და მათი წარმომადგენლების მიერ საქართველოს პარლამენტის ზედა პალატის შექმნა, რადგანაც იგეგმება თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ პარლამენტში ორი პალატის ჩამოყალიბება.

თვითმმართველი რეგიონების ჩამოყალიბება მეორე ხაფანგია. ხშირად ამბობენ, რომ 2008 წელს ჩვენი ჯარისკაცების შეტყუება ქალაქ ცხინვალში იყო რუსეთის მიერ საგანგებოდ დაგეგმილი მახე, რასაც იმდენად მძიმე შედეგები ჰქონდა, რომ რუსებმა უპასუხოდ შეძლეს სამაჩაბლოში ეთნოწმენდის ჩატარება. ქართველები ათასწლოვანი სოფლებიდან, საქართველოს გულიდან,

ქართლის ცენტრიდან გამოყარეს, სახლკარი დაატოვებინეს, ლტოლვილებად აქციეს თავიანთ მიწა-წყალზე.

მეორე ასეთ ხაფანგი საქართველოს თვითმმართველი რეგიონების ჩამოყალიბებაა. უფალმა ღმერთმა ინებოს, რომ აგვარიდოს ყოველ ბოროტებასა და მტრის მიერ დაგეგმილ ხაფანგს, ღმერთმა ინებოს ქართველი ხალხის გამრავლება და საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაცია სახელმწიფო ენითა და ქართული კულტურით. ამინ!

9.12.2013 წ.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის სიტყვა წარმოთქმული თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი "ქართველოლოგიური საერთაშორისო კონფერენციის" გახსნისას

2013 წლის 14 ივნისი

ო ქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,

დღეს დიდი სიხარულია ტექნიკურ უნივერსიტეტში, მოწიწებით მოგესალმებათ ათასობით ახალგაზრდა და პედაგოგი.

ჩვენ ვმადლობთ უფალ ღმერთს მადლისათვის, რომელიც თქვენი სახით მიენიჭა ღვთისმშობლის წილხვედრ ივერიას.

უფლის განსაკუთრებული მოწყალებაა ის, რომ საქართველოსათვის უმძიმეს პერიოდში, როცა ირღვეოდა საბჭოთა იმპერია და იბადებოდა ახალი საქართველოს სახელმწიფო, მოგავლინათ უფალმა. ამ პროცესებს თან ახლდა დიდი ეროვნული ტკივილები. ერს ჰქონდა მრავალი არჩევანი, მრავალი გზა, მაგრამ არ იცოდა მათგან რომელი აერჩია. სწორედ ამ ურთულეს ეპოქაში უფალმა ღმერთმა მოგანდოთ ყოფილიყავით წინამძღვარი და ჩირაღდანი ეროვნული და სულიერი გადარჩენისა, ამიტომაც ამჟამად, როცა ეს სირთულეები უკვე გარკვეულწილად გადალახულია და გვაქვს საკუთარი სახელმწიფო, ერი უდიდეს სიყვარულსა და მადლიერებას გამოხატავს თქვენს მიმართ.

საქართველოს წმიდა ეკლესია, წმიდა ილია მართლის თქმით, მუდამ პატრონობდა ჩვენს ერს, ამიტომაც ყველა მტერი და მომხდური უპირველეს ყოვლისა ებრძოდა და აუძლურებდა მას. საბჭოთა ათეისტურმა სისტემამ განსაკუთრებით დააუძლურა ჩვენი დედა ეკლესია. პირადად ვარ მოწმე ამისა. უკვე 33-ე წელი დაიწყო, რაც თქვენმა უწმიდესობამ მე ეპისკოპოსად მაკურთხა. საკუთარი თვალით ვნახე თუ თქვენ თქვენი მიზანმიმართული და გმირული შრომით, როგორ ამოიყვანეთ დავიწყების ჯურღმულიდან წმიდა ეკლესია აიყვანეთ იმ სიმაღლეზე აღიარებისა და დიდებისა, რომლის მოწმენიც ჩვენ დღეს ვართ.

თქვენო უწმიდესობავ, თქვენ საეკლესიო საქმეთა გარდა ახალი სული ჩაუდგით და მიმართულება მიეცით ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის მრავალ დარგს, მათ შორის უნდა გამოვყოთ ისტორიოგრაფია.

საისტორიო მეცნიერება განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო საბჭოთა კავშირში, რადგანაც ის ემსახურებოდა იმპერიულ და ათეისტურ იდეოლოგიას, გათიშე და იბატონეს პოლიტიკას. ამიტომაც საბჭოთა პერიოდში მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა საქართველოს ისტორია. თქვენ მრავალჯერ შეეხეთ ამ საკითხს თქვენ ეპისტოლეებსა და ქადაგებებში. თქვენ აღვნიშნავთ, რადგანაც ქართული ისტორიოგრაფია აღარაა იმპერიულ

დაქვემდებარებაში და გვაქვს საკუთარი სახელმწიფო, დროა კვლავ აღორძინდეს ქართული შესაბამისი ისტორიოგრაფია და ახალ, მაღალ საფეხურზე ავიდეს საისტორიო კვლევათა საქმე. მე პირადად ვარ მოწმე იმისა, თუ არა თქვენი წინასწარ განჭვრეტა, ამ დღეებშიც კი უდიდესი საფრთხე ელოდა ჩვენს საეკლესიო მთლიანობას, მაგრამ თქვენმა ვიზიტმა კონსტანტინოპოლში აგვარიდა ამას. ერძოდ, ათეისტურ ეპოქაში XX საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა არასწორი თეორია, თითქოსდა დასავლეთ საქართველო 600 წლის მანძილზე IV-IX საუკუნეებში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში და მხოლოდ ამის შემდეგ X საუკუნიდან ქართულმა ეკლესიამ გააუქმა რა აქ ბერძნული საეპისკოპოსოები თვითონ გაბატონდა, დაარსა ქართული კათედრები მოახდინა მოსახლეობის ქართიზაცია. ეს ყალბი თეორია არ ეყრდნობოდა არავითარ წყაროს, რადგანაც ე.წ. ნოტიციებში მოხსენიებული ლაზიკის სამიტროპოლიტოს კათედრები (ზიგანა, როდოპოლისი, საისინი და პეტრა) ლოკალიზდებიან არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქალდეა-ლაზიკაში, გუმუშხანე-სუმელას რეგიონში, ტრაპეზუნტის სამხრეთით. ამის მიუხედავად თეორია ქართული ეკლესიის პროზელიტიზმის (კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შეჭრის) შესახებ გაბატონდა და ასახულია ყველა სახელმძღვანელოსა და ენციკლოპედიაში. ის ამჟამად ვრცელდება უცხოეთშიც, მასზე დაყრდნობით საეკლესიო სეპარატისტები აფხაზეთსა და სხვაგან ავრცელებენ არასწორ საისტორიო ცნობებს მსოფლიოსა და კონსტანტინოპოლში.

აი, აქ გამოჩნდა თქვენი უდიდესი წინასწარჭვრეტა, თქვენ ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, 1990 წელს შეძელით და ავტოკეფალია აღიარებინეთ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, რომ ეს უდიდესი მოვლენა იყო, ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ამ დღეებში. თუ არა ავტოკეფალია, რომლის გამოც კონსტანტინოპოლი ცნობს ჩვენი ეკლესიის იურისდიქციას მთელი საქართველოს მიწა-წყალზე, ამჟამად აღნიშნული საბჭოთა თეორიების გამოყენებით სეპარატისტებს შეუძლიათ აფხაზეთში მათი "სამართლებრივი" მიწვევა. მათ ამჟამად აკავებთ თქვენს მიერ მოპოვებული სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, როგორც ითქვა კონსტანტინოპოლი ცნობს ჩვენი ეკლესიის იურისდიქციას მთელი საქართველოს მიწა-წყალზე, მათ შორის აფხაზეთზე. ეს დოკუმენტი თქვენ 1990 წელს მოიპოვეთ, კონფლიქტის დაწყებამდე 2-3 წლით ადრე და ამისათვის ვმადლობთ უფალს. ამ და საქართველოს ეკლესიის ისტორიის სხვა საკითხების კვლევას სტუდენტების აღზრდასთან ერთად დიდ დროს უთმობს ტექნიკურ უნივერსიტეტში თქვენი კურთხევით არსებული თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ის უკვე მე-12 წლისთავს ითვლის. ამ სიკეთისათვის განსაკუთრებულად ვმადლობთ და ვლოცავთ მის აღმატებულებას ბატონ რექტორს, ბატონ არჩილ ფრანგიშვილს. ჩვენს ცენტრს ეამაყება, რომ თეოლოგიის კათედრის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ მისი მამა, ყველა ქართველის საამაყო მეცნიერი ივერი ფრანგიშვილი. მისი მითითებები ჩვენ მრავალგზის გამოგვადგა. ჩვენი ცენტრის პროფესორ-მასწავლებლებმა, რომელნიც საქართველოს გამოჩენილი სასულიერო პირები არიან, თეოლოგიის საფუძვლები შეასწავლეს, ამ 12 წლის მანძილზე 40-50000 სტუდენტს.

მე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენს ცენტრში ძველი ქართული წყაროების გარდა საგანგებოდ შევისწავლეთ და წიგნების სახით გამოვეცით ძველი ავტორები და წყაროები, ესენია - სტრაბონი, პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი, ფლავიუს არიანე, შევისწავლეთ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხები ანუ ნოტიციები, სხვა წყაროები, მათ შორის სომხურიც და საგანგებოდ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ არც ერთი წყარო არ მიუთითებს დასავლეთ საქართველოში ოდესმე ბერძნული კათედრების არსებობას, ხოლო წყაროებში ნახსენები ლაზიკის კათედრები, როგორც აღინიშნა, მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ისტორიულ ქართულ რეგიონში, რომელსაც ერქვა ქალდეა - ლაზიკა. მისი, ტრაპეზუნტის სამხრეთით, ამჟამინდელ გუმუშხანე-სუმელას რეგიონში მდებარეობის შესახებ

წერდა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში დიდი მეცნიერი ნ. ადონცი. საქართველოს ეკლესიის საკითხებს ეხება კონფერენცია, რომელიც დღეს ტარდება.

უდიდესი მადლობა თქვენო უწმიდესობავ დიდი სიხარულის მონიჭებისათვის.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

უწმიდესის ვიზიტი თურქეთში

2014 წლის 30 აპრილს მისი უწმიდესობა ილია მეორე და მისი დელეგაცია მსუბუქი მანქანებით თურქეთში გავემგზავრეთ ქობულეთიდან ტრაბზონში, იქიდან უნდა გადავფრინდეთ ანკარაში, თურქეთის რელიგიათა მინისტრთან შესახვედრად.

მე პატრიარქის გვერდით ვიჯექი მანქანაში და მევალებოდა მასთან მესაუბრა თურქეთში არსებული ქართული სიწმიდეებისა და ეკლესიების შესახებ.

სარფში საბაჟოზე კარგა ხნით გაგვაჩერეს ტექნიკური მიზეზების გამო, ხოფასთან უწმიდესს მოვახსენე, რომ აქ ძველად იყო ხუფათის ციხე და საზღვარი საქართველოს სამეფოსი, ხოლო უფრო ადრე, წინა საუკუნეებში, კერძოდ კი მე-5 საუკუნის პირველ წლებამდე, საზღვარი გადიოდა უფრო სამხრეთით, ოფ-რიზეს რეგიონში მდებარე ე.წ. "რკინის პალოსთან", რომელიც იყო საქართველოს თავდაპირველი საზღვარი ბიზანტიასთან. შემდეგში, V საუკუნის დასაწყისში, საზღვარი გადმოტანილ იქნა ხუფათთან, აქვე უნდა ყოფილიყო პეტრას ციხე.

არდაშენთან მანქანებმა მკვეთრად მოუხვიეს და ჩვენ შევედით მდინარე "ფურტუნას" ხეობაში, რომელიც მიაგავს იმერეთის მდინარეთა ხეობებს, აქ მიგვიყვანეს "თამარის ხიდთან", მოსახვევთან ახლოს ზღვაში, სანაპიროსთან ახლოს წყალში, პატარა კუნძულზე დგას "თამარის ციხე", რომელზეც თურქეთის დროშაა აღმართული და მიმდინარეობს კაპიტალური რესტავრაცია.

თამარის ხიდთან დაგვხვდნენ თურქი მუსულმანი სასულიერო პირები, რომელნიც ჩვენი მასპინძლები იყვნენ იმჟამად. აქვე ვისაუზმეთ. მოიტანეს ლაზური სამარხო კერძები, რადგან ოთხშაბათი იყო. აქ იყო თევზი ერთგვარად შემწვარი და სხვადასხვა მსგავსი ლაზური კერძები. ეს სასულიერო პირები ლაზები არიან. გამასპინძლების შემდეგ, უკან მობრუნებისას უწმიდესს დავანახე აქაურ ხეობებში მთათა ფერდობებზე შეფენილი ხალხით სავსე სოფლები, და ვუთხარი, რომ ჩვენს საქართველოში, სამწუხაროდ, სოფლები ცარიელდება და უკვე სხვაგვარი სურათია, დემოგრაფიული პრობლემა აშკარაა და ხალხის დეპოპულაცია რეალობად გადაიქცა.

უწმიდესმა ბრძანა - "ჩვენთანაც შეივსება" და შემდეგ მიამბო: **"მე ვუთხარი პრემიერმინისტრ ღარიბაშვილს, თუ როგორ უნდა შევავსოთ ხალხით სოფლები, უნდა მივცეთ კრედიტი არა პიროვნებებს, არამედ მთელ სოფელს, რათა ამ ფულით ააშენონ საწარმო იმ კულტურის გადასამუშავებლად, რაც იმ მხარეში ტრადიციულია. შემდეგ, საწარმოს მშენებლობის დროს, მშრომელებს ამ თანხიდან უნდა გადავუხადოთ ხელფასი, შემდეგ დარჩენილი თანხა მივცეთ 20 წლიანი კრედიტით, რათა ეს საწარმო გამოისყიდონ. ხალხს ექნება სამუშაო და ხელფასი, პროდუქტი გაიყიდება"**.

რიზეს გავლისას მე გავიხსენე ძველი ისტორია და უწმიდესს ვუთხარი, რომ ამ მხარეებში ოფ-რიზეს მიტროპოლიტის ტიტული იყო „მოტროპოლიტი ლაზიისა". თურქ-ოსმანების შემოსვლისას ოფ-რიზელი მიტროპოლიტი გერმანე რუსეთის ხელმწიფესთან გაემგზავრა დახმარების სათხოვნელად. მან რუსეთის მეფეს განუცხადა, რომ მისი **„ოფის კათედრა ააგო ივერიის გამანათლებელმა", ცხადია იგულისხმებოდა წმიდა ნინო, მაშასადამე ეს ტერიტორია ოდესღაც საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა და ჩვენ აქ საეპისკოპოსო კათედრაც**

გაგვაჩნდა. უწმიდესმა გაიხსენა რომელიღაც მკვლევარის ნათქვამი, რომ იაკობის მონასტერი ქართველებს ეკუთვნოდათ იერუსალიმში.

ჩავედით ტრაბზონში, აქ ადგილობრივი მუფტი დაგვხვდა, მასპინძელმა ბრძანა, რომ აქვთ 2700 მეჩეთი და სამლოცველო, ყველა სასულიერო პირს სახელმწიფო უხდის ხელფასს, ასევე სომხების ეკლესიების ხარჯებს სახელმწიფო ფარავს თურქეთში.

მიგვიყვანეს ტრაბზონის "აია სოფიაში", ბერძნულ ძველ მარმარილოს ეკლესიაში. ორი წლის წინ აქ ჯერ კიდევ მუზეუმი იყო, ახლა მეჩეთად გადაუკეთებიათ, იატაკზე წითელი ხალიჩა დაუფარებიათ და გუმბათის ქვეშ სივრცე დაუფარავთ, რომ ქრისტიანული ელფერის გუმბათქვეშა სივრცე არ ჩანდეს, საგრძნობია რომ მიმდინარეობს ისლამიზაცია თურქეთისა და, როგორც ფაქტები აჩვენებს, გარკვეულწილად საქართველოსი.

პირველი მაისი, 2014. ვარ ანკარის სასტმრო "შერატონში", უწმიდესი ხვალ უნდა შეხვდეს თურქეთის რელიგიის მინისტრს. შევთანხმდით ეპისკოპოსები და მისი უწმიდესობა, რომ დავაყენებთ საკითხს, რათა თურქეთში ქართულ ეკლესიას ოფიციალური სტატუსი მიანიჭონ, როგორც აქვთ სხვა რელიგიურ ნომინაციებს. შემდეგ ვაპირებთ არზრუმში გამგზავრებას, რათა მოვილოცოთ ოშკი და იშხანი. ამ ეკლესიების საკითხიც ხვალ უნდა დადგეს მინისტრთან.

ანკარაში ჩამოვფრინდით ტრაპზონიდან, შეგვხვდა თურქეთში საქართველოს ელჩი ირაკლი კოპლატაძე, მისი მეუღლე ირინე გივიშვილი, კონსული, საელჩოს მუშაკი ჩემი მოგვარე გელა ჯაფარიძე. გვქონდა შეხვედრა საქართველოს საელჩოში, ლამაზ ადგილზეა და ლამაზი შენობაა. სიხარულით მოვიდა აქაური ქართველი ახალგაზრდობა, მათ მართალაც გაიხარეს უწმიდესთან შეხვედრით. თბილი საღამო იყო, როგორც ყოველთვის ახასიათებს უწმიდესის წიაღს.

გვიან ღამით ტელევიზიით აჩვენეს, რომ აქაური პრეზიდენტი შეხვდა სომხების ეპისკოპოსს. მე ეჭვი გამიჩნდა, ჩვენი პატრიარქის ჩასვლასთან დაკავშირებით სომხები თურქებს ხომ თხოვენ იშხანსა და ოშკს.

2 მაისი, 2014. დღეს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, როგორც ჩვენი დელეგაციის წევრებმა შეაფასეს, შედგა "ისტორიული შეხვედრა" საქართველოს უწმიდესი პატრიარქისა თურქეთის რელიგიის საბჭოს თავჯდომარესთან, რომელიც ისლამის სასულიერო პირია, მას რელიგიის მინისტრსაც უწოდებენ.

მან თავიდან თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ არ უნდა იჩაგრებოდეს არცერთი რელიგიის მიმდევარი, რომ მათ უნდა ჰქონდეთ აღმსარებლობითი თავისუფლება და უნდა ჰქონდეთ თავიანთი სალოცავები შეუზღუდავად, ამ სიტყვებიდან ჩანდა, რომ მას სჯეროდა ქართველი ფსევდოლიბერალების მიერ გავრცელებული ხმებისა, თითქოსდა საქართველოში ისლამის მიმდევრებს პრობლემები აქვთ. ქართველი ფსევდოლიბერალები ამ სიცრუეს მსოფლიოში ავრცელებენ.

საპასუხო სიტყვაში თურქეთის რელიგიის მინისტრს ჩვენი დელეგაციის წევრებმა დაუდეს ფაქტობრივი ცნობები, რომლის მიხედვითაც ნახევარ მილიონზე ოდნავ მეტ მუსულმანს საქართველოში ემსახურება 350 - მდე მეჩეთი, მათ აქვთ ისლამური 2 უმაღლესი სასწავლებელი, საშუალო სკოლები, ბაგა - ბაღები, მედრესები ანუ სემინარები ათეულობით. ამასთანავე, საქართველოში აქვთ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სტატუსი და სახელმწიფომ აიღო ვალდებულება მათ აუნაზღაუროს საბჭოთა რეჟიმის დროს მიღებული ზარალი, ამასთანავე, დააფინანსა ბიუჯეტიდან.

ეს ხდება საქართველოში, მაშინ როცა თურქეთში, სადაც თითქმის იგივე რაოდენობის ქართველი ქრისტიანია (უმეტესად ბოლო წლებში იქ ჩასული), არ მოქმედებს არც ერთი ქართული ეკლესია, ლაპარაკიც კი არაა იმის შესახებ, რომ ქართველებს თურქეთში (თურქეთის უძველეს მკვიდრებს ტაოსა თუ კლარჯეთში, ასევე სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებთ) არა აქვთ სულიერ - კულტურული ცენტრები (მაშინ როცა საქართველოში არსებობს ასეთი თურქული ცენტრები), რა თქმა უნდა, თურქეთში არ არსებობს ქართული სკოლები და ცხადია უმაღლესი სასულიერო

სასწავლებლები, თუმცა კი თუნდაც ანკარაში ქართული მრევლი არსებობს, რომელნიც ჩვენ გუშინ ვიხილეთ ჩვენი თვალით და რომელთანაც შეხვედრამ ძალზე ასიამოვნა უწმიდესი.

ასე, რომ ფაქტები თავისთავად ღაღადებენ სიმართლეს.

ეს ინფორმაცია მოულოდნელი აღმოჩნდა რელიგიის საბჭოს თავჯდომარისთვის. ის იყო ძალზე კეთილგანწყობილი, დიდი პატივისცემა გამოხატა მისი უწმიდესობისა და ჩვენს მიმართ, დელეგაციის ყველა წევრის მიმართ. მან ინება მოესმინა დელეგაციის ყველა წევრის აზრი. ინება, რომ შეიქმნას ორმხრივი სასულიერო კომისია, რომელიც შეისწავლის ამ საკითხებს. ჩვენ განსაკუთრებით დავაყენეთ იშხანისა და ოშკის ამოქმედების საკითხი. ვისურვეთ მათ რესტავრაციაში ქართული მხარის მონაწილეობა, რაც მოსმენილი იქნა და კომისია ამ საკითხებს განსაზღვრავს. მან ისაუბრა ახალციხის აჰმედეს მეჩეთზე. ეს შეხვედრა ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო.

შაბათი, 3 მაისი, 2014. ამჟამად, ღამის 10 საათზე, ვიმყოფებით ტაოს სოფელ იუსუფელის სასტუმრო "მარელანში". დღეს დილით უწმიდესი პატრიარქი და მისი დელეგაცია გამოვფრინდით ანკარიდან ქალაქ არზრუმში.

შეგვხვდა არზრუმის რეგიონის მთავარი მუფტი, რომელმაც დარბაზობა-სადილი გამართა ჩვენს პატივსაცემად, მე სიტყვით გამოვედი და გავიხსენე ცნობა კონსტანტინე პორფიროგენეტისა, თუ როგორ უყვარდათ X საუკუნეში ქართველებს ქალაქი არზრუმი და როგორ იხსნეს მისი მოსახლეობა შიმშილისა და სიკვდილისაგან ბიზანტიელთა ალყის დროს, რომ გვახარებს ქალაქის ამჟამინდელი განვითარება. მოვიდა ქალაქის მერი, რომელმაც საჩუქრად გადმომცა ოლთუს გიშრის ნაკეთობა.

არზრუმიდან გავემგზავრეთ ოშკში, პატრიარქს ძალზე ბევრი ჩამოსული ქართველი შეხვდა. აქედან გავემგზავრეთ იშხანში, რომელიც კარგად აღუდგენიათ თურქებს.

პატრიარქი საღამოს გაემგზავრა საქართველოში, მე დავრჩი თურქეთში. ხვალ ვაპირებთ ანისის მონახულებას მეუფე თევდორესა და მეუფე ანდრიასთან ერთად, ანისი სულ სხვა მხარესაა, თურქეთის ქურთებით დასახლებულ ოლქში, ეს მოულოდნელი მგზავრობაა, ღმერთო შენ გვიშველე.

5 მაისი, 2014. დილის 9 სთ. ახლა ვარ თურქეთის ქალაქ ყარსის სასტუმროში, ვაპირებთ გამგზავრებას ძველ ქალაქ ანისში.

გუშინ დილით გამოვედით იუსუფელის სასტუმროდან ანისისაკენ ყარსის გავლით. გზაზე მოვინახულეთ ბანა. აქ იყვნენ ჩემთან ერთან მეუფე თევდორე და მეუფე ანდრია, შორენა, ირინე გივიშვილი, თავის მეუღლესთან, თურქეთში საქართველოს ელჩ ირაკლისთან ერთად. ასევე, ახალციხის ეპარქიის მონაზვნები. მე შემმოსა თვითონ მეუფე თვედორემ და გადავიხადეთ პარაკლისი.

ჩავედით ანისში და გაგვაოცა მისმა გრანდიოზულობამ, სიდიადემ, სილამაზემ, მშენებლობის ხელოვნებამ და დიდებულად ნაგებმა გალავნებმა.

დიდებულია და კარგად შენახული ანისის მთავარი ტაძარი კათოლიკონი, აი, როგორ უნდა ეკლესიის მშენებლობა. გაოცებული ვარ. ბრწყინვალეა, ასეთი დიდებულად ნაგები ეკლესია მე ადრე არ მინახავს. ვნახეთ აქაური ყოფილი ქართული ტაძრები. დავით ჰოჰენცის ეკლესიის ფრესკები ქართულია, ქართული წარწერებით, გუშინ ვაფიქსირებდით, მაგრამ დრო არ გვეყო.

დავრჩით ღამე ყარსში და დღეს ორშაბათს, 5 მაისს, კვლავ ვაპირებთ ანისში გამგზავრებას. ანისში ქართველი ეპისკოპოსი იჯდა და ანისის შემონახული ეკლესიების უმეტესობა ქართულია - ქართული წარწერებით, აქაურობა სავსეა ქართული ნაშთებით ანდა ფრესკების ჩრდილებით.

5 მაისი, 2014. ანისი. ვიმყოფებით თურქეთში, ქალაქ ანისის ნაშთებთან, უფრო სწორად გრანდიოზულ ნაქალაქართან, რომელმაც გამაოცა თავისი კედელ-გოდოლებისა და ეკლესიათა დიდებულებით, სიმშვენიერითა და სილამაზით, ასეთი იყო ალბათ ძველი თბილისიც და სხვა ჩვენი ქალაქები. ამ ნაშთების ასე მშვენიერ დაცულობას, ალბათ აქვს თავისი განმარტება. ჩანს, ის

ერთდროულად და ერთბაშად მიატოვა ხალხმა და სხვები აქ აღარ დასახლდნენ. გრანდიოზული, მონუმენტური მშვენიერებაა.

ანისში ყარსიდან საგანგებოდ ჩავედით გადარჩენილი, გუმბათიანი, მშვენივრად შენახული ქართული ეკლესიის ფრესკების მოსანახულებლად.

ფრესკები კარგადაა შემორჩენილი, ქართული წარწერებით, რომლებიც გადავიღეთ და ალბათ გამოაქვეყნებს ჩვენთან მყოფი ხელოვნებათმცოდნე ბატონი მერაბი.

პირდად მე, თუ საშუალება მომეცა დავწერდი წერილს ასეთი სათაურით - **"სვეტიცხოველი ანისში". დიახ, ანისის ერთ-ერთი უმშვენიერესი ქართული ეკლესიის დასავლეთის კედელზე მოჩანს დიდი ზომის ფრესკა - სვეტიცხოვლის გადაჭრილი სვეტი დგას ჰაერში, მის მარცხნივ უფალს ევედრება ხელაპყრობილი წმიდა ნინო, ხოლო სვეტის მარჯვნივ წმიდა ნინოს თანამგზავრი ქალები არიან გამოხატულნი მლოცველების სახით. სვეტს მაღლა სწევს ორი ანგელოზი, ხოლო მთელი ფრესკის მარჯვენა ზემო კუთხეში მაკურთხეველი იესო ქრისტეა გამოხატული, საერთოდ კი, აქ, ანისის ამ ეკლესიაში, მრავალ ფრესკაზეა გამოხატულია წმიდა ნინოს ცხოვრების ეპიზოდები სვეტის ამაღლებამდე.**

როგორც ვთქვი, ანისის სვეტიცხოვლის ფრესკა დიდებულია და ალბათ უძველესია სვეტცხოვლის ფრესკათა შორის.

აქ გამოხატული წმიდა ნინო მშვენიერია მავედრებელ პოზაში.

საოცარია, ქართველებს ასეთი კარგი წმიდა ნინოს გამოხატულებები გვაქვს და წმიდა ნინოს სუსტი ხატები ვრცელდება ხალხში, რადგანაც ისინი იყიდება ეკლესიებში და არა, ვთქვათ, ანისის ფრესკის ასლი.

სამწუხაროდ, ჩვენმა ფოტოაპარატებმა კარგად ვერ გადაიღეს ეს ფრესკები, ტექნიკურად მოუმზადებელი აღმოვჩნდით, რადგანაც არ ვიცოდით, რომ აქ, თურქეთში, ანისში, გამოხატულია წმიდა ნინოს ცხოვრების ეპიზოდები.

ანისის სვეტიცხოვლის ეს ფრესკა წარმოადგენს ერთ-ერთ ნაწილს ვრცელი ფრესკული კომპოზიციისა.

ეკლესიის მთელ დასავლეთ მხარეს ქვემო რეგისტრში გამოხატულია წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრება, კერძოდ მისი კურთხევა, ჩანს, მის მიერ თავისი შვილის ეპისკოპოსად კურთხევა, ამავე, დასავლეთის მხარეს კედელზე ბუნდოვნად ჩანს, თითქოსდა ხაროდან ამოჰყავთ წმიდანი. ალბათ, ეს არის წმიდა გრიგოლ განმანათლებელი, რომელიც სომეხთა მეფემ ხაროში ჩააგდო და შემდეგ კი გაათავისუფლეს, ხოლო ეკლესიის დასავლეთ, უფრო სწორად ჩრდილო-დასავლეთ მხარეს გამოხატულია წმიდა რიფსიმიანი ქალწულების სიკვდილით დასჯა. მე არ შემიმჩნევია, მაგრამ აქ უნდა იყოს, ამავე ფრესკაზე ვარდის ბუჩქებში დამალული წმიდა ნინო, რომელიც იმჟამად სიკვდილს გადაურჩა, რადგანაც უფლის მიერ ქართლის მოქცევა ჰქონდა დავალებული.

ეკლესიის ამავე კუთხეში ჩრდილოეთის მხარეს სამხრეთ რეგისტრში გამოხატულია მეფე თავის მეომრებთან ერთად, ჩემი აზრით, ესაა მირიან მეფე თხოთის მთაზე ნადირობის დროს. იქვეა მრგვალი სარკმელი კედელში გამოჭრილი, სარკმლის მარჯვნივ გამოხატულია წმიდა ანგელოზები, რომელნიც მადლის გრძელ სხივს, ორი სინათლის ნაკადის სახით, გზავნიან ორი მიმართულებით. ერთი სქელი წითელი სხივი მიემართება წმიდანის თავისაკენ, ვინაა ეს წმიდანი არ ვიცი, მაგრამ ის უნდა იყოს მეფე მირიანი, რომელიც დაბრმავდა ნადირობისას და წმიდა ნინოს ღმერთის აღიარების შემდეგ თვალები აეხილა, ხოლო მეორე სხივი მიემართება რომელიღაც მოქალაქეთა ჯგუფისაკენ. სინათლის ეს სხივები და სინათლის წყარო - მეფის თავთან გამოჭრილი მრგვალი პატარა სარკმელი, უნდა იყოს სიმბოლო მეფე მირიანის თვალის ახელისა.

ტრაბზონში, რიზეს ოლქში, ანკარასა თუ არზრუმში ჩვენს უწმიდესს პატრიარქს შესაფერისი პატივითა და ღირსებით შეხვდნენ: რიზეს მუფტი იუსეფ დოღანი; ტრაბზონის მუფტი ქერამედდინ დემირი; პროფესორი, დოქტორ მაჰმედ გიორმეზ; რელიგიის საქმეთა სამმართველოს

(საბჭოს) თავჯდომარე მთელი თურქეთისა; ერზრუმის მუფტი ჰასან ჩინარი; ართვინის მუფტის მოადგილე მუსტაფა. ის საბოლოოდ გაგვაცილებს და საზღვრამდე გამოგვყვება. ბორჩხის მხარეში უკვე ჩვენი მასპინძელია თბილისის თურქეთის საელჩოში რელიგიის საქმეთა მრჩეველი ბორჩხელი ახმედ ერდემი (ქავთარაძე), ბორჩხელ მკვიდრ ქართველებთან შეხვედრა, ისევე, როგორც ყველა აქაურ ქართველა მონახულების სიხარული - დაუვიწყარია.

იმედია ოშკსა და იშხანში მათი აღდგენის შემდეგ კვლავ გაისმება ქართული გალობისა და ლოცვის ხმა.

აქ ხშირად ისმოდა კითხვა, თუ რა იყო მიზეზი წარსულში ქართული საეპისკოპოსოების განვრცობისა ასეთ ფართო არალზე - ანისი, კიდევ უფრო სამხრეთით მდებარე ვალაშკერტი, დვინი, დადაშენი, ყარსი, არზრუმი და შავიზღვისპირეთში - ოფი და რიზე ქართული საეპისკოპოსო ცენტრები იყვნენ.

ჩემი პასუხი ასეთია - მიზეზი იყო ძველი იბერიის განვრცობა ამ არეალზე - არაქსისპირეთიდან შავ ზღვამდე.

ძველი იბერია - რომელსაც მოქცევაი ქართლისაი „არიან ქართლს" უწოდებს განფენილი იყო არაქსისპირეთიდან შავ ზღვამდე. ასევე, მისი მცხოვრები იბერი ხალხი ისტორიულად ცხოვრობდა არაქსისისპირეთიდან პონტოს ზღვამდე.

არმენიული ტომების არაქსისპირეთში დასახლების შემდეგ არიან-ქართლის პოლიტიკურმა ცენტრმა უფრო ჩრდილოეთით გადაინაცვლა, დევნილმა არიან-ქართლის მეფის ძემ-აზონმა ახალი ქართული სახელმწიფო ჩამოაყალიბა, მისი ცენტრად უკვე მცხეთა გადაიქცა. **მაშასადამე ძველი იბერია ერქვა არაქსისპირეთის ქვეყანას (როგორც ითქვა არაქსისპირეთიდან შავ ზღვამდე), ხოლო ახალი იბერია მცხეთის სამეფოს, რომელიც ფარნავაზმა ქუჯისთან ერთად განამტკიცა.**

ისტორიული იბერიის პოლიტიკური ცენტრების არაქსისპირეთიდან მცხეთაში გადმოტანის მიუხედავად ძველ იბერიაში კვლავინდებურად ცხოვრობდა იბერი ხალხი, თუმცა კი ისინი შემოსულ არმენიელებსა და რომაელებს დაემორჩილნენ და უკვე არმენიისა და რომის (შემდეგ ბიზანტიის) სახელმწიფოების ქვეშევრდომები გახდნენ.

იმის შემდეგ რაც სომხურმა ეკლესიამ მხარი დაუჭირა მონოფიზიტობას, ძველი იბერიის ანუ უკვე სომხეთში მცხოვრებმა ქართულმა მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ქალკედონიტობას.

780 წელს აქაურ იბერთა საეკლესიო კრებამ სრულიად დაუჭირა მხარი ქალკედონიტობას და დაუბრუნდა დედა - ქართული ეკლესიის წიაღს, ამ კრებამ აღადგინა აქაურ ეკლესიებსა და მონასტრებში ქართულენოვანი მსახურება, ამის შედეგად ანისის, დვინის, ტაოს, არზრუმის, კარინის, ყარსის, ბაგრევანდის და სხვა აქაურ კუთხეთა ქართველობა ანუ იბერები ეროვნულად გაძლიერდნენ და აქ ტაოს „ქართველთა სამეფო" ჩამოაყალიბეს. მისი დიდი მეფის დავით კურაპალატის შესანიშნავი ბარელიეფი არზრუმის მუზეუმში მოვინახულეთ, ის აქ ოშკიდან ჩაუტანიათ.

ამ მხარეებს - არაქსისპირეთიდან შავ ზღვამდე, იბერიას უწოდებდა ასევე ანტიოქიის საპატრიარქო, რაც ასახულია ანტიოქიის პატრიარქის ტიტულატურაში. ანტიოქიის პატრიარქს ტიტულატურაში დღესაც ეწოდება - „პატრიარქი იბერიისა". ზოგიერთს ჰგონია, რომ ამ ტიტულატურაში იბერიის ქვეშ იგულისხმება დღევანდელი საქართველო, სინამდვილეში აქ იგულისხმება არაქსისპირეთის იბერია, რომელის მართლმადიდებლები ამ მხარეებში მონოფიზიტობის გავრცელების შემდეგ ანტიოქიის მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდნენ, ვიდრე, 780 წლამდე.

ამ მხარეებს იბერია რომ ერქვა, მიუთითებს, ასევე, ტრაპეზუნტის იმპერატორის ტიტულატურა, მას „იბერთა ავტოკრატორი" ეწოდებოდა.

ტრაპეზუნტის იმპერატორის ამ ტიტულატურიდან ჩანს, რომ იბერები ერქვა შავიზღვისპირეთში მისი სახელმწიფოს მოსახლეობის ერთ ნაწილს, ისინი ასევე ლაზებადაც იწოდებოდნენ. ლაზიკა აქაურ, ტრაპეზუნტის მხარის ტერიტორიას ერქვა და არა დასავლეთ

საქართველოს, ამას მიუთითებს თამარის ისტორიკოსიც, მისი სიტყვით თამარის ჯარი ლაზიაში (ლაზიკაში) შევიდა და ტრაპეზუნტის იმპერია დაარსა და არა დასავლეთ საქართველოში.

ისტორიკოსი წერს - თამარ მეფე - **„განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი, და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამსონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსნი და მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა ანდრონიკესშვილსა, რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი”** (ქართლის ცხოვრება, ტომი 2, გვ. 142).

ქართული წყარო ქვეყანას, რომელიც „ლაზიკად” იწოდება, მოიხსენიებს სიტყვით - „ლაზია”.

თამარის ისტორიკოსის ცნობით „ლაზია” მოიცავდა ტერიტორიას ხუფათიდან ტრაბზონამდე, ჩამოთვლილია ქალაქები ამ არეალში. ცნობილია, რომ საქართველოს საზღვარი ბიზანტიასათან თამარის დროს გადიოდა ხოფა-ხუფათთან, შესაბამისად ქართველები „ლაზიას” უწოდებდნენ ხუფათიდან ტრაპზონამდე მოქცეულ მიწა-წყალს და არა დასავლეთ საქართველოს.

აღინიშნება, რომ სიტყვა “ლაზიკის” სუფიქსი “იკა” (კ, ქ) არის სომხურენობრივი წარმოშობისა. ამ მაწარმოებელი სუფიქსითაა დაბოლოებული სომხური პროვინციების სახელები, მაგალითად კორჩაიკა, ალზნიკა, უტიკი, მოქკი, ცოფკი და სხვა. სიტყვებში კორჩაიკა, პარსფაიკა, ალზნიკა და სხვა, სომხური სუფიქსები - „ქ”, „კ”, „კა”, „იკა” იგივეა, რაც ქარული ტოპონიმების მაწარმოებელი სუფიქსი „ეთი”. მაგალითად ქართული ჯავახეთი სომხურად გამოთქმის ჯავახქ, ჯავახკ. კლარჯეთი - კლარჯქ, ტაო - ტაიკ, გოგარენა გუგარეთი - გუგარქ და სხვა.

ქართული სახელი „ლაზია” სომხურად გამოითქმის როგორც - „ლაზიკ”. ჩანს იუსტინიანეს ეპოქაში „პირველი არმენიის” მეზობელ „ლაზიას” ბიზანტიელებმა ლაზიკა უწოდეს სომხურის გავლენით.

მაშასადამე ქართულად ლაზიკას ერქვა ლაზია და ის მოიცავდა ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე ან ხუფათამდე მდებარე მიწაწყალს. ბერძნები ლაზიკას უფრო ლაზივს, ლაზონას, ლაზიას უწოდებდნენ. სახელწოდებაში ლაზიკა ფუძე „ლაზ” რომაა, იქედანაც ჩანს, რომ მისგანაა ნაწარმოები სახელები - ლაზეთი და ლაზისტანი.

ტერმინ იბერიასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერატორი თავის ტიტულატურატურაში მოხსენიებულია, როგორც „ხელმწიფე იბერიისა”, აქ იბერიის ქვეშ არ იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო, რადგანაც რუსეთის იმპერატორს იქვე ეწოდება ასევე „ქართლ-კახეთის მეფე”.

რუსეთის იმპერატორის ტიტულატურაში - „ხელმწიფე იბერიისა” იგულისხმება დასავლეთ საქართველო, რადგანაც მე-16, მე-17 საუკუნეებში დასავლელ ქართველი მეფე-მთავრები რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილბში თავიანთ თავს უწოდებდნენ „იბერიის ხელმწიფეებს”, მაგალითად ლევან მეორე დადიანი, ასევე იმერეთის მეფეები.

ჩანს, დასავლეთ საქართველოს ხალხსაც ამ საუკუნეებში იბერებს უწოდებდნენ, ამას მიუთითებს ანთიმოზ ივერიელის მაგალითი, ის გაიტაცეს დასავლეთ საქართველოდან და მონად გაყიდეს, შემდეგ კი რუმინეთის მიტროპოლიტი გახდა, დასავლურქართული წარმოშობის მიუხედავად მას იბერს უწოდებდნენ.

ასე, რომ იბერია ისტორიულად ერქვა ვრცელ ქვეყანას არაქსისპირეთიდან შავ ზღვამდე, ამიტომაც ეს არეალი აღვსილი იყო ქართული საეპისკოპოსოებითა და ეკლესია-მონასტრებით.

დიდებული მომენტი იყო ჩემთვის და ყველა ჩვენგანისათვის მათი აჩრდილების მონახულება-მოლოცვა.

2014, მაისი.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს დეპოპულაცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დემოგრაფიულ ლექსიკონებში დეპოპულაცია განიმარტება, როგორც მოსახლეობის რაოდენობის შემცირება - **"რომელიმე ქვეყანაში ან ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, როცა შემდეგი თაობის რიცხობრივი რაოდენობა უფრო ნაკლებია ვიდრე წინა თაობისა".** ამჟამად დეპოპულაცია აღინიშნება მსოფლიოს ოც ქვეყანაში, მათ შორისაა საქართველოც, ყველა ამ ქვეყანაში მოქმედებს მთავრობათა ეფექტური და შედეგის მომცემი დემოგრაფიული პოლიტიკა, საქართველოც ალბათ შეიმუშავებს შესაბამის დემოგრაფიულ პოლიტიკას.

ევროპოს მთავრობათა დემოგრაფიულ პოლიტიკას სათავე დაედო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, როცა შეამჩნიეს, რომ საფრანგეთში დაიწყო შობადობის შემცირება. 1846-1872 წლებში 89 დეპარტამენტიდან 44-ში დარეგისტრირდა მოსახლეობის შემცირება. ამ ფაქტს მაშინვე გამოეხმაურნენ მეცნიერები და საზოგადოების წევრები, მათ შორის ამ საკითხს განსაკუთრებით შეეხო მონტესკიე, რამაც დიდი შედეგი გამოიღო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის ქვეყნებში ამოქმედდა მთავრობათა შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკა, თავისი დადებითი შედეგებით.

საქართველოში, თუმცა კი ვითარება საგანგაშოა, საზოგადოების ყურადრება ამ საკითხს ნაკლებად ეხება. **დეპოპულაცია საქართველოში** თავისი განსაკუთრებული ნიშნებით გამოირჩევა, მართალია საქართველოში მცირდება მოსახლეობის ზოგადი რაოდენობა, მაგრამ დაბალი შობადობის გამო მცირდება ქვეყნის მოსახლეობაში ქართველთა რაოდენობრივი წილიც.

ქართველთა რაოდენობრივი კლება საქართველოს მოსახლეობაში გამოწვეულია იმით, რომ ქართველთა ჯგუფში შობადობის დონე უფრო დაბალია სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით და მათში სიკვდილიანობა ბევრად ჭარბობს შობადობას.

დემოგრაფიულ მეცნიერებაში დადგენილია - მოსახლეობის მიღწეული რაოდენობა რომ არ შემცირდეს, საჭიროა ყოლა 2,7-3 ბავშვისა.

დაბალი შობადობის გამო ევროპის დიდ ქალაქებში (პარიზში, ლონდონში და სხვა) მკვიდრ ქალაქელთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და გაქრობის პირას მივიდა, ამ ქალაქების ზრდა მხოლოდ სხვა რეგიონებიდან შესულთა ხარჯზე ხდება. მსგავს სურათს ხატავს საქართველოში ქართველთა რაოდენობრივი კლება, საქართველოს მოსახლეობა შეიძლება მხოლოდ არაქართველთა ხარჯზე გაიზარდოს.

მსგავსი სურათის გამო დეპოპულაციის საკითხს დიდი ადგილი ეთმობა რუსულ საზოგადოებაში.

ანტონოვისა და სხვა მეცნიერთა თვალსაზრისით დეპოპულაცია შეიძლება რუსეთის ბედის განმსაზღვრელი იყოს XXI - საუკუნის პირველ ნახევარში, მით უფრო მძიმე შეიძლება იყოს ის საქართველოსათვის და შეიძლება ქართველი ხალხის ბედი XXI საუკუნეში კარდინალურად შეიცვალოს, რადგანაც მისი დეპოპულაციის დონე უფრო უარესია, ვიდრე რუსეთში. საქართველოში ქართველთა რაოდენობა უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე რუსეთში რუსებისა.

რუს მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ოჯახური პოლიტიკის გარეშე რუსეთი როგორც ქვეყანა მოკვდება.

რუსეთში, აქ, ა. ანტონოვის სიტყვით, ყოველწლიურად კვდება ერთ მილიონი რუსი ეროვნების ადამიანი, უფრო მეტი ვიდრე იბადება. მოსკოვში ყოველწლიურად ასი ათასი რუსი ეროვნების ადამიანი კვდება, რომლის ადგილს იჭერს არარუსი. ამავე დროს ერთ შვილიანი ოჯახი

თავის შვილს ნებას არ აძლევს იმუშაოს მძიმე სამუშაოზე. მის ადგილს იჭერს დედაქალაქებში შემოსული სტუმარი. ყოველივე ამის გამო, ა. ანტონოვის სიტყვით, შემოსულებისა და ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირება ქმნის დისბალანსს, რომელიც თავის თავში მალავს აფეთქებასაშიშ ერთა შორის ნაციონალურ კონფლიქტს.

ანტონოვისა და ბესტუჟევ-ლადას თვალსაზრისით დეპოპულაციის პრობლემის გადასაჭრელად მრავალი პროგრამის ამოქმედებაა საჭირო, **მათ შორის სულ მცირეა - გაეწიოთ დახმარება ახალგაზრდებს 20-წლის ასაკში,** რათა მათ შექმნან სამ-ოთხ ბავშვიანი ოჯახი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ბინით და მრავალი სოციალური შეღავათით, ასევ საჭიროდ მიაჩნიათ შეიქმნას საგანგებო სოციალური კლასი დედა-დიასახლისებისა, შესაბამისი ბავშვების რაოდენობით, რომელთაც მოემსახურებიან დაქირავებული მუშაკები და ექნებათ ყოველგვარი სოციალური უზრუნველყოფა, მსოფლიომ იცის რუსული მაშტაბები და რუსეთი შეძლებს საგანგებო სახელმწიფო და სახალხო პროექტების ამუშავებას ამ პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ რა ეშველება საქართველოს?

მეცნიერი ლ. ფოკეევა თავის სტატიაში "შეხედულებათა სისტემა მოსახლეობის დეპოპულაციის პრობლემების შესახებ" მსოფლიოს იმ ქვეყნებს, რომლებიც დეპოპულაციას განიცდიან ჰყოფს ხუთ კატეგორიად და ფაზებად, მისი კვლევით დეპოპულაციის ღრმა პროცესში არიან შემდეგი ქვეყნები ევროპისა - გერმანია, ლატვია, ესტონეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი და იტალია. დეპოპულაციის კიდევ უფრო ღრმა ფაზაში იმყოფებიან ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა - დიდი ბრიტანეთი, დანია, შვეცია, ავსტრია, ბელგია, ესპანეთი, სლოვაკეთი, **საქართველო** და იაპონია. ამ ქვეყნებში დემოგრაფიული სიტუაცია ხასიათდება, როგორც დეპოპულაციის ლატენტური სტადია ანუ სტაგნაციის პერიოდი.

დეპოპულაციის საკითხს რუსეთში იხილავენ ძალზე აქტიურად. ამ ქვეყნებში ყოველწლიურად ტარდება კონფერენციები, რომელიც ეძღვნება დეპოპულაციასა და ასაკობრივ დისპროპორციას. მეცნიერები, პოლიტიკოსები და რელიგიური მოღვაწეები გამოთქვავენ წუხილს და აფრთხილებენ საზოგადოებას, რომ საჭიროა აუცილებელი ზომების მიღება ნეგატიური პროცესების აღმოსაფხვრელად.

საქართველოში ახალგაზრდობა სულ უფრო ნაკლებად აძლევს სიცოცხლეს ახალ თაობას. მათ არა აქეთ სამუშაო, არ იციან რა აკეთონ და მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, რომ ქვეყანა დატოვონ, უბედურია ის ქვეყანა, სადაც ხალხს აღარ სურს შთამომავლობის ყოლა, რომლისაგანაც გარბიან პირველი შემთხვევისთანავე.

ბალკანეთის ქვეყნებში დემოგრაფიულ პრობლემას ეძახიან "თეთრ ჭირს", შავი ზღვიდან ადრიატიკის ზღვამდე მდებარე ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობა მცირდება და როგორც იქ წერენ, ეს ქვეყნები "ვარდებიან **დემოგრაფიულ ორმოში".** ამ ქვეყნების რიცხვს უნდა მიემატოს საქართველოც.

დეპოპულაციის გამო 50 წლის შემდეგ საქართველო სულ სხვა ქვეყანა იქნება. აქ მკვეთრად შემცირდება ქართველთა რიცხვი და ზოგადად მკვიდრი მოსახლეობა.

2013 წლის 25 თებერვალს ქალბატონმა თინა ყიფშიძემ განიხილა საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები, ის წერს, რომ დემოგრაფიული განვითარების პროექტის ხელმძღვანელმა საზოგადოებას გააცნო გაეროს საერთაშორისო გამოკვლევები, რომლის მიხედვითაც **2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა შემცირდება ერთ მილიონით,** უფრო ზუსტად კი ერთი მილიონ ას სამოცდაათი ათასი კაცით. ამ დროისათვის საქართველოში იცხოვრებს სამი მილიონ სამასი ათასი ადამიანი.

ამიერკავკასიაში და საერთოდ კავკასიაში დემოგრაფიული ბალანსი დაირღვევა ქართველთა ხარჯზე.

1926 წლის მონაცემებით **კავკასიაში ყოველი მესამე ადამიანი იყო ქართველი,** ამჟამად მხოლოდ ყოველი მეცხრამეტე არის ქართველი.

გაეროს მონაცემებით, როგორც აღინიშნა, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა მკვეთრად შემცირდება, მაგრამ გაიზრდება სომხეთის მოსახლეობა, განსაკუთრებით გაიზრდება აზერბაიჯანის მოსახლეობა, 9 მილიონიდან 11 მილიონამდე.

საქართველოში საჭიროა საგანგებო დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოება, რომლის მთავარი მიზანი, უნდა იყოს მესამე შვილის გაჩენის წახალისება.

ვაშინგტონის ვილსონის ცენტრის გამოცემა აღნიშნავს, რომ რუსეთში მოსახლეობის შემცირებას აღრმავებს მამაკაცების ჰიპერსიკვდილიანობა და ამის შედეგად შრომისუნარიანი მოქალაქეების ყოველწლიური მკვეთრი კლება. რუსეთში მოსახლეობა 143 მილიონიდან-დან 2030 წლისათვის დაიკლებს 115 მილიონამდე-მდე. ამით შეშფოთებული კვლევითი ცენტრი წერს, რომ მსოფლიო შესაძლოა რუსეთის გაქრობის მოწმე გახდეს. თუკი „რუსეთის გაქრობად" მიიჩნევა ამ ქვეყანაში 115 მილიონამდე მოსახლეობის შემცირება, მაშინ რაღა უნდა ვთქვათ საქართველოზე, რომლის ისედაც მცირე მოსახლეობა თითქმის მილიონ ნახევრით დაიკლებს. ამის გამო **შესაძლოა ამჟამინდელი თაობა საქართველოს გაქრობის მოწმე გახდეს.**

ეს პროცესი იწოდება როგორც სიცოცხლის მასობრივი განლევა, ამ პრობლემით დაინტერესებულმა ჯგუფმა შეადგინა საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეფციის წინასწარი ვარიანტი, მასში აღნიშნულია რომ 1259 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობა 8 მილიონ კაცს შეადგენდა, 1770 წლის აღწერით ის შემცირდა და გახდა 761000 კაცი. კავკასიაში რუსების შემოსვლის წინ, 1800 წლის აღწერით, ქართლ-კახეთის სამეფოს, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 675000 კაცს, მაგრამ იმჟამად ეს არ იყო მცირე რაოდენობა, რადგანაც კავკასიის მოსახლეობა ზოგადად მცირე იყო, მათ ზოგად რიცხვში ქართველების რაოდენობა ძალზე ჭარბობდა, **1800 წლისათვის სამხრეთ კავკასიაში ყოველი მეორე მცხოვრები ქართველი იყო და ის სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის 44% შეადგენდა.** XIX საუკუნეში ქართველთა რიცხვი 5-ჯერ გაიზარდა. XX საუკუნეში მისი რაოდენობა გაორმაგდა და 1992 წელს შეადგინა 5467000 კაცი. 2002 წლის აღწერით საქართველოში ქართველთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა და შეადგინა 3661000 კაცი, მის შემდეგ სულ უფრო და უფრო ნაკლები ბავშვი იბადება.

1926 წელს საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ-კავკასიის მოსახლეობის 45,5% შეადგენდა. ამჟამად შეადგენს 26,5%, აზერბაიჯანისა არის 53,9%, მკვეთრად გაიზრდება აზერბაიჯანელთა რაოდენობა გაეროს მონაცემებითაც, ის საქართველოში მილიონს გადააჭარბებს და 2050 წლისათვის საქართველოში აზერბაიჯანელთა რაოდენობა თითქმის გაუტოლდება ქართველთა რაოდენობას.

თუ ქართველი ერი არ გამოიჩენს კულტურულ აქტივობას, ანუ თუკი ქართული ენის ცოდნა არ გავრცელდება საქართველოს აზერბაიჯანელთა და სომეხთა შორის, მაშინ საქართველოში ქართველთა შემცირების გამო, ქართული ენა და კულტურა დაკარგავს საზოგადოებრივ ფუნქციებს, ის აღარ იქნება საქართველოში მცხოვრებ ეთნოსთა და ხალხთა გამაერთიანებელი, ქართული ენა აღარ იქნება სახელმწიფო ენა, ხოლო ქართული კულტურა იქნება ვიწრო, თავისთავში ჩაკეტილი კულტურა საქართველოში მცხოვრები ერთ-ერთი ეთნოჯგუფისა, ე.ი. ქართველობისა,

ვევედრებით უფალს, რომ ასე არ მოხდეს, რათა დაუყოვნებლივ გამოფხიზლდეს საზოგადოება და შეიმუშავოს ყოველდღიური სამოქმედო პროგრამა და შემუშავდეს სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა.

ბიბლიოგრაფია

1.Антонов А. Н., Борисов В.А. Кризис и пути его преодоления М.1990.

2.Антонов А. Н., Депопуляция и кризис семьи. Социология. 1995.

3.Антонов А. Н., Сорокин С. А., Судьба XXI века: Размышления о семейной политике, М. 2000.

4.Вестужев - Лада И.В., Цивилизация. М. 1998.

5.Вишневский А. Г., Демографическая революция. Статистика. М. 1976.
6.Демографическая модернизация, 1900 - 2000.
7.www.undp.org.or/popin/popin - html

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მეცნიერებს, რომლებიც იკვლევენ პირველი ათასწლეულის ისტორიას

ძვირფასო ბატონებო, ქრისტეს მიერ საყვარელო შვილებო, მოგეხსენებათ თქვენს მიმართ გამოხატული ჩემი პატივისცემის შესახებ. წლების მანძილზე ერთსა და იმავე საქმეს ვემსახურებით - ჩვენი სამშობლოსა და წმიდა ეკლესიის ისტორიის კვლევას და გვიხდებოდა კიდეც ათეული წლის მანძილზე ურთიერთ თანამშრომლობა.

მისი უწმიდესობა სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II თავის 2012 წლის საშობაო ეპისტოლეში ბრძანებს: **“ჩვენი უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი, რაც ქართველთა წარმომავლობასა და ერის ერთიანობას უკავშირდება, რეალური სახით თანამედროვე საზოგადოებამ ნაკლებად იცის. ამის მიზეზი არის ის, რომ ცარიზმი და საბჭოთა იმპერია ყოველთვის ცდილობდნენ, იგი არაობიექტურად წარმოეჩინათ... ჩვენს ცნობილ მკვლევარებს დიდი ძალისხმევა და თავდადება დასჭირდათ, რათა ნაწილობრივ მაინც გადაერჩინათ და დღემდე მოეტანათ ჩვენი ერის ისტორიული სიმართლე. ახლა კი, როდესაც აღსდგა საქართველოს თავისუფლება, აუცილებელია, შეგნებულად დაფარული წარსულის წარმოჩენა და საქართველოს ობიექტური მატიანის დაწერა უხსოვარი დროიდან დღემდე (აღნიშნულ საკითხზე ბოლო სხდომაზე იმსჯელა წმ. სინოდმა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება)”.**

ვფიქრობ, თქვენი ყურადღება მივაპყრო შემდეგ საკითხს -

1. საეკლესიო სეპარატისტთა საისტორიო კვლევები

2012 წლის დასაწყისში ჩვენ შევიტყვეთ იმ მიმართვების შესახებ, რომელსაც აფხაზეთში მცხოვრები საეკლესიო სეპარატისტთა ერთ-ერთი გამოკვეთილი ჯგუფი და მისი ხელმძღვანელი ვინმე თ. დბარი ავრცელებს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსა და საერთაშორისო საეკლესიო წრეებში. მათში ისინი აღნიშნავენ, რომ აფხაზეთში შემდგარმა რაღაც კრებამ გაავრცელა ინფორმაცია თითქოს მათ დაარსეს ეგრეთ წოდებული “წმინდა სამიტროპოლიტო აფხაზეთისა” და თხოვეს მსოფლიო პატრიარქს გამოაცხადოს აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია ავტონომიურად (კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში), ხოლო შემდგომში კი (როცა ეს ეკლესია გაძლიერდება) მიენიჭოს მას ავტოკეფალობა. მისი ავტოკეფალობის საფუძვლად მათ მიაჩნიათ გაყალბებული ისტორიული ფაქტები. კერძოდ, ისინი წერენ: IV საუკუნის დასაწყისში პიტიუნდაში (თანამედროვე პიცუნდა) არსებობდა აფხაზეთის პირველი ადგილობრივი ეკლესია - “პიტიუნტის სამიტროპოლიტო”. პიტიუნტის ეპისკოპოსმა მონაწილეობა მიიღო 325 წ. მსოფლიო კრებაზე. VI საუკუნეში იუსტინიანემ განასრულა აფხაზი ერის გაქრისტიანება და დააფუძნა “აბაზგების სამიტროპოლიტო”, სებასტოპოლის (დღევანდელი სოხუმი) ავტოკეფალი მთავარეპისკოპოსის ხელმძღვანელობით.

ეს ავტოკეფალური სამთავარეპისკოპოსო მოხსენიებულია კონსტანტინოპოლის ეკლესიის ჩამონათვალში 34-ე ნომრით. VIII საუკუნის შუა წლებში დაფუძნდა აფხაზეთის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია პატრიარქ იოანეს მეთაურობით, რომლის არჩევა და ხელდასხმა

განხორციელდა ანტიოქიაში. აფხაზეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ იარსება XVIII საუკუნის დასასრულამდე და მისი ბოლო პატრიარქი მაქსიმე II 1795 წელს გარდაიცვალა".

ასე ამახინჯებენ აფხაზეთის საეკლესიო სეპარატისტები ჩვენი ეკლესიის ისტორიას, ისაკუთრებენ მას და მისი საშუალებით დიდ გამორჩენას მოელიან.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში გაგზავნილი ეს მიმართვა ფაქტიურად წარმოადგენს მოკლე შინაარსს 2005 წელს დაბეჭდილი თ. დბარის წიგნისა - Иеромонах Дорофей Дбар-Краткий очерк истории Абхазской Православной Церкви, Новый Афон, 2005.

ამ წიგნში თ. დბარი მრავალჯერ აღნიშნავს, რომ თითქოსდა დასავლეთ საქართველო IV-IX საუკუნეებში იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, სადაც განლაგებული იყვნენ აბაზგიის (სებასტოპოლის) ავტოკეფალური ეკლესიის გარდა ფაზისის სამიტროპოლოში შემავალი როდოპოლისის, ზიგანევის, საისინის და პეტრას ბერძნულენოვანი საეკლესიო კათედრები. ისინი უწყვეტად მოქმდებენ 500 წლის მანძილზე VI-IX საუკუნეებში და X საუკუნიდან კი, დბარის სიტყვებით რომ ვთქვათ, "იმპერიალისტური ქართული ეკლესია" აღმოსავლეთ საქართველოდან შეიჭრა დასავლეთ საქართველოში, გააუქმა იქ აღნიშნული ფაზისის სამიტროპოლიტოს როდოპოლისის, პეტრას, ზიგანევის და საისინის ბერძნულენოვანი საეპისკოპოსოები და მათ ნაცვლად დააფუძნა ქართული. "იმპერიალისტმა ქართველებმა" მისი სიტყვით, აბაზგიის ავტოკეფალურ ეკლესიაში ქართულენოვნება გაავრცელეს, პიტიუნტა კი აფხაზეთის საკათალიკოსოს საპატრიარქო ეკლესიად გადააქციეს. თ. დბარი თავისი ლიტერატურის ჩამონათვალში უთითებს ქართველი მეცნიერების შრომებსაც.

2. თანამედროვე კვლევები

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი გაგზავნილ სეპარატისტთა მიმართვას გამოეხმაურა რამდენიმე ჩვენი ცნობილი ისტორიკოსი. მაგალითად, ისტორიკოსი თამარ ქორიძე თავის გამოკვლევაში აღნიშნავს შემდეგს: "აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოქმნამდე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სამი საეკლესიო კათედრა არსებობდა: აბაზგიის (იგივე სებასტოპოლისის) საარქიეპისკოპოსო, ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო და ფაზისის სამიტროპოლიტო, მასში შემავალი ოთხი - როდოპოლისის (დღევანდელი ვარციხე), ცაიშის, პეტრას (დღევანდელი ციხისძირი), ძიღანევი (დღევანდელი გუდავა) საეპისპოკოსოებით. შემდგომ ისინი კონსტანტინოპოლისაგან გათავისუფლებულან და შეუქმნიათ დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაცია აფხაზეთის საკათალიკოსო და მხოლოდ შემდეგ დაწყებულა მისი "გაქართულება" - IX-X საუკუნეშივე შეიცვალა დასავლეთ საქართველოში ბერძნულენოვანი ღვთისმსახურება ქართულით... აფხაზეთის საკათალიკოსო მისი არსებობის საწყის ეტაპზე (IX საუკუნის ბოლო X საუკუნის პირველი ნახევარი) დამოუკიდებელი იყო ქართლის საკათალიკოსოსაგან" - წერს თამარ ქიქოძე.

ამავე საკითხებს ეხება ცნობილი მკვლევარი ბატონი ზურაბ პაპასკირი, ის წერს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს VII-IX საუკუნეების "პირველი ჯგუფის ნოტიციებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრებს შორის დასახელებულია დასავლეთ საქართველოს ეპარქიები: ფაზისის (ლაზიკის) სამიტროპოლიტო მისდამი დაქვემდებარებული ოთხი (როდოპოლისის, საისი-ცაიშის, პეტრას, ზიგანევის) საეპისკოპოსოთი. 901-907 წლებში დათარიღებულ მეორე ჯგუფის პირველსავე ნუსხაში კი მხოლოდ სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსოა მოხსენიებული. ეს ფაქტი მიიჩნევა იმის დატურად, რომ X საუკუნის დამდეგისათვის დასავლეთ საქართველოს ეკლესია უკვე გამოსული იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციიდან, ეს უნდა მომხდარიყო IX საუკუნის 90-იან წლებში "თხოვნითა ბერძენთაგანვე" (ვახუშტი ბატონიშვილი), ანუ კონსტანტინოპოლის დასტურით". ზ. პაპასკირის სიტყვით ამ პროცესს თან სდევდა ბერძნული ეპარქიების მოშლა და მათ ნაცვლად ახალი ქართული საეპისკოპოსო კათედრების დაფუძნება. საერთოდ კი ზ. პაპასკირის სიტყვით "ქართული ეთნიკური ელემენტი, განსაკუთრებით მისი ქართიზირებული ნაწილი. მერვე

საუკუნის მიწურულისათვის დასავლეთ საქართველოში რიცხობრივად მნიშვნელოვნად მომრავლდა". ასევე წერს თითქმის ყველა თანამედროვე მკვლევარი ამ საკითხისა, ამასვე წერს თ. დბარიც.

3. ანალიზი

ყველა მოხსენებული ისტორიკოსი ისევე, როგორც ამჟამინდელი საისტორიო საზოგადოება ეჭვმიუტანელ ფაქტად მიიჩნევს, რომ IX-X საუკუნეებამდე დასავლეთ საქართველო იყო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა გარკვეულ ეტაპზე - ვიზიარებდი მეც (როგორც ს. ყაუხჩიშვილის 1952 წელს დაბეჭდილი ნაშრომის შემდეგ ყველა ქართველი ისტორიკოსი) აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობის დაწყებამდე.

ბოლო ოცმა წელმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა: უმჯობესია მივსდიოთ ძველი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის გზას, რომელიც საერთოდ არ იცნობს თეორიას დასავლეთ საქართველოში ბერძნული კათედრების არსებობის შესახებ.

აფხაზი საეკლესიო სეპარატისტები და არა მხოლოდ ისინი XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიას თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ.

სინამდვილეში, თეორია იმის შესახებ, რომ თითქოსდა დასავლეთ საქართველო 500-600 წლის მანძილზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა საშიშია მრავალმხრივ. მართალია, ამჟამად ჩვენი უწმიდესი პატრიარქების კალისტრატესა და ილია II ღვაწლით მსოფლიო საპატრიარქო და რუსულ-სლავური ეკლესიებიც სრულიად აღიარებენ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას, მაგრამ ის შეიძლება სადაოდ აქციოს არა ამ საპატრიარქოებმა, არამედ ადგილობრივმა სეპარატისტულმა საეკლესიო დაჯგუფებებმა, რომელნიც, იმედია უფლის შემწეობით არ აღმოცენდება დასავლეთ საქართველოში, თუმცა კი ისტორიულად ასეთი დაჯგუფებები ძველადაც არსებობდნენ, ასეთები იყვნენ მაგალითად XVII საუკუნეში იმერეთის მეფე ბაგრატი და ერისთავთ-ერისთავი დადიან-გურიელი. რაც იყო წარსულში შესაძლოა მომავალშიც გამეორდეს. ყოველი სახელმწიფოებრივი დესტაბილიზაცია ამის ალბათობას ზრდის, ასე, რომ სწორედ ასეთი სეპარატისტული საეკლესიო დაჯგუფებები აღძრავენ უცხოეთის საპატრიარქოებს, როგორც მაგალითად იმერეთის აღნიშნულმა მეფემ ანტიოქიის საპატრიარქო, ანდა როგორც ახლა აფხაზეთს შეფარებული სეპარატისტები კონსტანტინოპოლს.

4. სამეცნიერო ჭეშმარიტი ძიება

ჩვენი მეცნიერები ამჟამად ამბობენ, რომ ისინი ემსახურებიან ისტორიული სიმართლის კვლევის საქმეს, რაც მეცნიერის მოვალეობაა.

ეს არის ძლზე სწორი და მოსაწონი პოზიცია, ეკლესიაც სწორედ ჭეშმარიტების კვლევას აყენებს უპირველეს საფეხურზე, რადგან ბრძანებს უფალი "მე ვარ გზა და ჭეშმარიტება". ეკლესია ყოველთვის მიესალმება სიმართლის კვლევას, მაგრამ რომელია ის?

5. მეცნიერული სიახლე

ყველა სამეცნიერო დარგი ვითარდება და მისი საფუძველია სამეცნიერო სიახლე რომელიც ახალ, ახლად გამოვლენილ, ანდა ახლად აღმოჩენილ ფაქტებს ეფუძვნება, უნდა განვითარდეს საისტორიო მეცნიერებაც. თუკი ის ერთ ადგილზე გაიყინება და მხოლოდ გაიმეორებს XX საუკუნის დასკვნებს და ამ დასკვნების დაცვას მიიჩნევს პირადი ღირსების საქმედ, მაშინ, ისტორიული მეცნიერება ვერ განვითარდება და უფუნქციოდ დარჩება (როგორც, ვთქვათ აფხაზეთში სეპარატისტთა მიერ წამოწყებულ ომის დროს ოფიციალური საისტორიო მეცნიერება ვერ არწმუნებდა ჩვენს ხალხს, რომ მას უსამართლოდ ებრძოდნენ. პირიქით, ოფიციალური საისტორიო მეცნიერება ანელებდა ქართველი ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთებას, რადგანაც უმტკიცებდა, თითქოსდა დასავლეთ საქართველო, თავდაპირველად, ადიღე-ჩერქეზ-აფსუათა ტომებით იყო დასახლებული თავიანთი "ყვა" და "ფსა" ტოპონიმებით და თითქოსდა მათ

ქვეყანაში მხოლოდ გვიან, არაბობის შემდგომ დასახლდნენ ქართველები. ეს ისტორიოგრაფია, პირიქით, სამართლიანი ბრძოლის სულისკვეთებას განამტკიცებდა სეპარატისთთა შორის).

საისტორიო დარგში სიახლე საჭიროა და ის არ უნდა იყოს არავისთვის სათაკილო.

6. სიახლე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციასთან დაკავშირებით

პირადად, როგორც აღვნიშნე, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ვიკვლევდი ამ საკითხს და ვიზიარებდი ჩვენი XX საუკუნის მეცნიერებების მტკიცებებს ამ საკითხთან დაკავშირებით. თუმც კი მიმაჩნდა, რომ დასავლეთ საქართველოში თავის იურისდიქციას IV-V-VI საუკუნეებში ახორციელებდა არა კონსტანტინოპოლის, არამედ მცხეთის (ქართლის) ეკლესია და მხოლოდ ჰერაკლე კეისრის ლაშქრობების შემდეგ ის დაემორჩილა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს (ე.ი VII-VIII საუკუნეებში) ხოლო IX საუკუნიდან კვლავ დაუბრუნდა მცხეთის ეკლესიას.

ამჟამად კი ახალი ფაქტების მიკვლევის შემდეგ, მე ვიზიარებ ახალ თვალსაზრისს, რომელიც სინამდვილეში არის არა ახალი, არამედ წარმოადგენს იმ თვალსაზრისს, რომელიც არსებობდა XX საუკუნემდე, როგორც საისტორიო წრეებში ისე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში, ეს შემდეგია: ლაზიკის ცნობილი ეპარქიები (პეტრა, საისინი, როდოპოლისი, ზიგანა-ზიგანევი) მდებარეობენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველთა ისტორიულ ქვეყანაში, რომელიც ტრაპიზონის მახლობლად მდებარეობს და რომელსაც ახლაც და ძველადაც "ლაზიკა" (ლაზეთი) ერქვა. XX საუკუნემდე ეს თვალსაზრისი რომ იყო გავრცელებული საისტორიო მეცნიერებასა და ასევე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში მიუთითებს:

ა) მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, ცნობილი მკვლევარი აღნიშნული რეგიონისა, ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორი ნიკოლოზ ადონცი თავის ვრცელ ნაშრომებში ასაბუთებდა, რომ ლაზიკის ეპარქიები მდებარეობდნენ ტრაპეზუნტის მთიანეთის რეგიონში (გუმუშხანე-არზრუმის საერთაშორისო გზის ოლქში).

ბ) ამავე თვალსაზრისს, ცხადია არა ნ. ადონცზე დაყრდნობით, არამედ თავიანთი ათასწლოვანი საეკლესიო ცოდნის შესაბამისად, ავითარებდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში XIX საუკუნეშიც. კერძოდ იმჟამად XIX საუკუნეში შედარებით გაძლიერდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიები ტრაპეზუნტის რეგიონში. ამ ეპარქიებს ცხადია ჰქონდათ თავიანთი სახელები და ცნობილი იყო მათი საზღვრებიც, საბედნიეროდ XX საუკუნეში, ათენში დაბეჭდილმა საეკლესიო რუკამ ასახა ეს თვალსაზრისი, მასზე აღნიშნულია ტრაპეზუნტის მიმდებარე ეპარქიების საზღვრები. ამ რუკაზე ნათლად ჩანს, რომ მაგალითად როდოპოლისის ცნობილი ეპარქია მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის რეგიონში, იქ სადაც მას მიუთითებდა ნ. ადონცი (ეს რუკა თან ერთვის ამ წერილს).

ჩვენი ისტორიის კვლევისთვის სიახლე შემდეგია: იქნებ ახალი თვალით შეგვეხედა ლაზიკის ეპარქიების განლაგების საკითხისთვის, ჩემი მიმართვის არსიც ესაა.

იქნებ მართლაც ლაზიკის ეპარქიები ვეძიოთ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველთა უძველეს ქვეყანაში, რომელიც უფრო სამხრეთით მდებარეობდა.

ასეთი მიდგომა გამართლებულია არა მარტო ამჟამინდელი ვითარების ანალიზით, არამედ მას მხარს უჭერს ძველი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფია, რომელიც, როგორც ითქვა საერთოდ არ იცნობს დასავლეთ საქართველოში ბერძნული ეპარქიების არსებობას და როგორც ჩანს არც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში იცნობდნენ ასეთ ფაქტს. მაგალითად თუკი IX-X საუკუნეებში აფხაზთა მეფის გიორგის და მისი მამის მიერ გაუქმდა დასავლეთ საქართველოს ბერძნული კათედრები, ეს ძალზე მნიშვნელოვანი მტკივნეული დანაკარგი აისახებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებში, რომელსაც ის წერდა აფხაზეთის აღნიშნულ მეფეებს, მაგრამ ამ წერილებში, რომლებიც ჩვენამდეა მოღწეული, ოდნავი ნიშან-წყალიც კი არ არის იმისა, რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა. ჩვენი მეცნიერების აზრით კი სწორედ ნიკოლოზ მისტიკოსის პატრიარქობის ეპოქაში მიმდინარეობდა პროცესი ბერძნული კათედრების ქართულით შეცვლისა.

მოღწეულია ნიკოლოზ მისტიკოსის მრავალი წერილი, მიწერილი იმპერიაში და იმპერიის გარეთ მცხოვრები მრავალი პირისადმი, არცერთ წერილებში ეს ფაქტი არ აღინიშნება.

საეკლესიო წყაროების გარდა (რომელნიც ასეთ ფაქტს არ იცნობენ), ბერძნული კათედრების არსებობას უნდა მიანიშნებდეს არქეოლოგიური ანდა ეპიგრაფიკული მონაცემები, საეკლესიო არტეფაქტები, საეკლესიო არქიტექტურა ანდა კულტურა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ I ათასწლეულში დასავლეთ საქართველოში ერთადერთი კულტურა ფიგურირებდა - ეს იყო ქართული საეკლესიო კულტურა, რომელსაც ქვემოთ ვეხებით, იქამდე კი უნდა ითქვას არქეოლოგიური მონაპოვრების შესახებ.

ჩვენმა მეცნიერებმა შეისწავლეს ვარციხე, სადაც როდოპოლისის კათედრის არსებობა ივარაუდება, სხვა პუნქტები (მაგალითად ფოთი, ნოქალაქევი, ქუთაისი, გუდაყვა) - არსად ბიზანტიური საეპარქიო ცენტრის არსებობა არქეოლოგიურად არ დასტურდება.

ბიზანტიურ სამყაროში საეპისკოპოსო კათედრა ფუნძდებოდა, როგორც წესი დიდ ქალაქში, რომელნიც იყო რეგიონის სავაჭრო-ეკონომიკური ხალხმრავალი ცენტრი. ამასთანავე, ცნობილია, რომ როდოპოლისისა და ზიგანას საეპისკოპოსო ქალაქებში იდგა ბიზანტიური ჯარის ნაწილები, თანაც საუკუნეთა მანძილზე. იმ ადგილებში კი, სადაც ბიზანტიური (რომაული) ჯარი იდგა - იგებოდა დიდი შენობა-ნაგებობანი ჯარის საჭიროებისათვის (საცხოვრებლები, საწყობები, იარაღის საცავები, დროშისათვის და კულტმსახურებისათვის საგანგებო ნაგებობანი). ჯარის მიერ დაცულ ამ ადგილას მიდიოდა რეგიონის მოსახლეობა სავაჭროდ. შესაბამისად, იგებოდა სავაჭრო მოედნები, აბანოები, ამფითეატრები, საბოლოოდ კი შენდებოდა ქალაქი თავისი ქუჩებითა და საქალაქო ატრიბუტებით, მხოლოდ ამის შემდეგ ირჩევდნენ ასეთ ქალაქს საეპისკოპოსო ცენტრად. ვარციხეში თუკი ის იყო როდოპოლისი, უნდა აღმოჩენილიყო ბერძნული წარწერები, რომაულ-ბიზანტიური კათედრალის, სხვა ნაგებობების, მოედნების, საქალაქო ქუჩების ნაშთები, უამრავი ნუმიზმატიკური და შესაბამისი მასალით, თუ არას ვიტყვით აბანოების და ამფითეატრების ნაშთებზე - არსად, არათუ ვარციხეში, მსგავსი რომაულ-ბიზანტიური ნაშთები არ აღმოჩენილან, მაშინ როცა, სულ ოდნავ სამხრეთით-ქართველთა უძველეს ქვეყანაში - ტარპეზუნტის რეგიონში - ამჟამადაც კი, ფეხზე მდგარი და გადარჩენილი მსგავსი ნაგებობა უამრავია, თუ არას ვიტყვით იმ უამრავ თაღოვან ხიდზე, რომელნიც ჭოროხის ხეობიდან - ტრაპეზუნტამდე უამრავ მდინარეზეა გადებული, რეგიონიც ეკონომიკურად ძალზე განვითარებული იყო, რადგანაც ეს რეგიონი ერთმანეთს აკავშირებდა აღმოსავლეთს ბიზანტიურ-ევროპულ სამყაროსთან. ესაა ფაქტი. ტრაპეზუნტის რეგიონს კი, ქალდეა-ლაზიკა ერქვა.

7. წყაროები

ვფიქრობ, რომ უცხოური წყაროები დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესიის იურისდიქციის შესახებ - გამოუყენებელია. ესაა გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელის, მოვსეს ხორენაცისა და იოანე დრასხანაკერტელის ცნობები, მაშინ როცა ამჟამინდელი ზემოთაღნიშნული მტკიცებანი წყაროებს არ ეფუძნება. მაგალითად, ისმის კითხვა - რომელი წყაროს პირდაპირ მითითებას ეფუძნება მტკიცებულება, რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იყო I ათასწლეულში? ასეთი წყარო არ არსებობს, არსებობს მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ცნობილი ნუსხები, რომელშიც ნახსენებია სებასტოპოლისის, როდოპოლისის, ზიგანას, საისინის, პეტრასა და სხვა კათედრები, მაგრამ მათი კონკრეტული ადგილმდებარეობა მითითებული არ არის. მათ ადგილმდებარეობას სხვადასხვა საუკუნეში სხვადასხვა რეგიონში ეძებდნენ. ბოლოს ჩვენში უფრო მისაღები და შემდგომ გაბატონებული პოზიცია მოიპოვა ს. ყაუხჩიშვილის კვლევამ, რომ ისინი დასავლეთ საქართველოში მდებარეობდნენ. მაშასადამე, დღევანდელი სამეცნიერო დასკვნა - ეფუძნება არა წყაროს პირდაპირ მითითებას, არამედ მხოლოდ სამეცნიერო კვლევას, ასე ვთქვათ, ვარაუდს, მაშინ როცა, როგორც ითქვა, უგულებელყოფილია წყაროთა პირდაპირი მითითებანი. ეს წყაროები კი არის არა მხოლოდ ზემოთაღნიშნული ბერძნული და სომხური წყაროები, არამედ ქართულიც.

მაგალითად, მოსკოვში დასტამბული "პრავასლავნაია ენციკლოპედიას" XIII ტომში ავტორები ეჭვმიუტანელ ფაქტად აცნობენ მკითხველებს თავიანთ მოსაზრებას, რომ დასავლეთ საქართველო 500 წლის მანძილზე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იყო, მაშინ როცა, არც ერთხელ არ ახსენდებათ რუის-ურბნისის კრების წმიდა მამათა მტკიცება ამ საკითხის შესახებ. კერძოდ, "მეგლისწერაში" ნაბრძანები: **ანდრია მოციქულმა იქადაგა "ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა", ხოლო წმიდა ნინომ მოაქცია "ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა" მიუთითებს იმის შესახებ, რომ იმთავითვე, IV საუკუნიდანვე, დასავლეთ საქართველო მცხეთის იურისდიქციაში იმყოფებოდა, რადგანაც ჩვენი ყველა ძველი წყაროს ცნობით "ქართველნი" ეწოდებოდა "ქართლის სამეფოს" ყველა მცხოვრებს. "ქართლის სამეფოში" კი, როგორც ადრე, ისე მეფე მირიანის დროსაც შედიოდა დასავლეთ საქართველო მდ. ეგრისწყლამდე, ვახტანგ გორგასლის დროიდან კი მდ. კლისურამდე. ამ მდინარიდან ვიდრე სომხეთამდე გავრცელებული იყო მცხეთის იურისდიქცია.**

ამ მოსაზრებას მთლიანად ეთანადება სომეხი პატრიარქის იოანე დრასხანაკერტელის ცნობა, რომ VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველო (ეგრისი) მცხეთის კათალიკოსის კირიონის იურისდიქციაში შედიოდა. **წმიდა ნინოს დროიდანვე, რომ ასევე იყო, მიუთითებს გელასი კესარიელის ცნობილი ცნობა, რომ წმიდა ნინომ მოაქცია "იბერები და ლაზები".**

შეიძლება ითქვას, გელასი კესარიელის ამ ძვირფასი ცნობის პირდაპირი გაგრძელებაა - V საუკუნის ცნობილი სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის ცნობა, რომ **"წმიდა ნინომ თავისი ადვილად გასაგები ტკბილი ენით იქადაგა კლარჯეთიდან მასქუთებამდე", ანუ შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე.**

კლარჯეთი - ერთი ნაწილი იყო იმ განვითარებული ეკონომიკური რეგიონისა, რომელზეც ზემოთ მივუთითეთ. "კალრჯეთი, ბოლო კალრჯეთისა - ზღვისპირი" - რიზე-ათინა-ხოფას რეგიონსაც მოიცავდა და ის, ბერძნულ წყაროებში ლაზიკად იწოდებოდა. აი, იქ უქადაგნია წმიდა ნინოს ფარავნის გზით მცხეთაში შემოსვლამდე (სომხური წყაროს ამ ცნობით). აღსანიშნავია, რომ ამ ცნობას ეთანადება ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს XVII საუკუნის ცნობა, რომ ლაზიკის ეპარქიის მთავარი კათედრალი ოფში ქართველთა განმანათლებელს დაუარსებია (პ. ინგოროყვა, გვ. 263).

IV საუკუნეში მეფე მირიანის დროს ოფი-რიზეს რეგიონი ჯერ კიდევ ქართლის სამეფოში შედიოდა (ასევე იყო უფრო ადრეც, არიანეს ცნობით ეს რეგიონი (ძიდრიტების დასახლება) ფარსმანის იბერიის სამეფოში შედიოდა).

მხოლოდ გუბაზ I დროს, V საუკუნეში, გადავიდა ის ბიზანტიის ხელში, როცა ბიზანტიასა და თავისუფალ ლაზიკას შორის საზღვარი დაიდო ხუფათზე. წყაროს ცნობით გუბაზ I და ბიზანტიის იმპერატორ ლეონის შეხვედრისას უმსჯელიათ. ძველი წყარო წერს: "და დასდვეს საზღვრად ციხე ხუფათი" (პ. ინგოროყვა, გვ. 204).

საქართველოს საზღვრის გადაწევის გამო, ოფი და რიზე აღმოჩნდა ბიზანტიის საეკლესიო იურისდიქციაში. იქამდე კი, როგორც ითქვა, IV საუკუნეში, აქ, ლაზთა შორის უქადაგნია წმიდა ნინოს (გელასი კესარიელი ცნობა) და დაუფუძნებია კიდეც ოფში საეპისკოპოსო კათედრა ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს ცნობით. ამავეს მიუთითებს მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც ადგილზე ნახა ეს მხარეები და ისტორიული საქართველოს მიწა-წყალი უწოდა მას. ასეთია წყაროები.

8. სად მდებარეობდა პიტიუნტი, რომელთაც აპელირებს თ. დბარი. ეს საკითხი ასევე სადავოა თაობათა შორის.

ისეთი გამოჩენილი და ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ნ. ადონცი და პ. ინგოროყვა ფიქრობდნენ, რომ ცნობილი პირველი პიტიუნტი მდებარეობადა ოფ-რიზესთან, შესაბამისად აქ, ამ ქართულ მხარეში იყო კათედრა იმ ეპისკოპოსისა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო კრებაში 325 წელს. ეს კათედრა კი წმიდა ნინოს დაუარსებია ლაზეთის მიტროპოლიტის

ცნობით. როდის დაუარსებია ის? იქამდე, სანამ ის შევიდა აღმოსავლეთ საქართველოში კლარჯეთიდან მასქუთებისაკენ მიმავალ გზაზე.

თუმცა პიტიუნტის შესახებ სხვა მტკიცება გაბატონდა XX საუკუნის საქართველოში, რომ თითქოსდა, ის იყო იმ ადგილს, სადაც ქართული ბიჭვინთა მდებარეობს.

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული წყაროები, იწერებოდნენ აფხაზეთის საკათალიკოსოს აყვავების პერიოდში და ისინი ერთმანეთთან არ აიგივებდნენ ძველ პიტიუნტსა და ქართულ ბიჭვინთას. მაგალითად, ქართლის ცხოვრების ცნობილი ჩანართი, რომელიც XVIII საუკუნის "სწავლულ კაცთა კომისიას" მიეწერება (სხვა თვალსაზრისით, ის უფრო ადრინდელია) წერს - "პიტიოტა - რომელ არს ცხუმი".

მაშასადამე, ცნობილი მეორე პიტიუნტი ცხუმს ეწოდება და არა ბიჭვინთას. სწავლულ კაცთა კომისია გელათის სამეცნიერო სკოლის მიღწევებსაც ითვალისწინებდა. გელათში კი იმჟამად რეზიდენცია იყო აფხაზეთის კათალიკოსებისა. მაშასადამე, თვით აფხაზეთის საკათალიკოსოში ბიჭვინთასა და პიტიუნტს ერთმანეთთან არ აკავშირებდნენ. ეს დაკავშირება მოხდა გვიან XX საუკუნეში და არასწორიცაა. მაშასადამე, ორი პიტიუნტიდან - არცერთი ბიჭვინთას არ უკავშირდებოდა.

საერთოდ, ბიჭვინთის საეკლესიო-საკათალიკოსო ცენტრს არაფერი აკავშირებდა ბერძნულ საეკლესიო წარსულთან. მას ასეთი წარსული არც გააჩნდა. მეორე მხრივ, IV-V საუკუნეების აფხაზეთში, რომელიც იმჟამად წარმოადგენდა ალანებისა და სარმატების სათარეშო ობიექტს, შეუძლებელია ყოფილიყო ცნობილი საეპისკოპოსო კათედრა. მაგრამ ოფ-რიზეს რეგიონი შედარებით დაცული იყო ბიზანტიის მიერ ტარპეზუნტის სიახლოვის გამო. რიზეს რეგიონი საქართველოს რომ ეკუთვნოდა ეს გვიანი დროის საბუთებიდანაც ჩანს. ეს, როგორც ითქვა, კარგად ჩანს ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანესა და მიტროპოლიტ ტიმოთე გაბაშვილის ჩანაწერებიდან, რომელნიც პირადად ცხოვრობდნენ ამ მხარეებში და იკვლევდნენ მას.

9. ამასია თუ აბაზგია?

ჩვენი ყველა მკვლევარი ს. ყაუხჩიშვილის გეორგიკის ცნობილი IV, მე-2 ტომის გამოქვეყნების შემდეგ იზიარებს თვალსაზრისს, რომ აფხაზეთში ჩამოყალიბებული იყო აბაზგიის სამიტროპოლიტო სებასტოპოლისის ავტოკეფალური ეპარქიის საზღვრებში IV-VIII საუკუნეში. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი გაგზავნილ მიმართვაში ამასვე უთითებს თ. დბარი აფხაზეთის მომავალი ავტოკეფალური ეკლესიის სამართლებრივ საფუძვლად.

მაგრამ, ჩვენი კვლევით, ჩვენი ისტორიკოსების ეს ჰიპოთეზა, რომელიც ამჟამად ჭეშმარიტებად მიიჩნევა არ არის წყაროს პირდაპირ მითითებაზე დაფუძნებული, ის მხოლოდ ვარაუდია და არა უეჭველი სიმართლე.

ჩვენ შევეხეთ საკითხს, იმის შესახებ, რომ ალბათობა იმისა, რომ ოფ-რიზეს რეგიონში მდებარე პიტია-პიტიუნტი იყო ის კათედრა, რომლის ეპისკოპოსმაც მიიღო მონაწილეობა I მსოფლიო საეკლესიო კრების მუშაობაში 325 წელს გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე აფხაზეთის ბიჭვინთისა. რაც შეეხება ოფ-რიზეს-პიტიუნტას, მას ნამდვილად გააჩნდა დიდი საეკლესიო ტრადიციები, ამასთანავე მდებარეობდა ტრაპეზუნტის რეგიონში, პონტოს ქვეყანაში. პონტოს ქრისტიანთა შორის კი თვით მოციქულებმა იქადაგეს და პონტო-კაბადოკიის რეგიონი ქრისტიანული იყო I საუკუნეებამდე. ხოლო აფხაზეთის ბიჭვინთა მდებარეობდა არამდგრად პოლიტიკურ გარემოში, ალანთა და სარმატთა მუდმივი ლაშქრობებისა და თავდასხმების არეალში. IV-V საუკუნეებში კი გაძლიერებული ალანები თვით ევროპის ქვეყნებსაც კი აოხრებდნენ თავიანთი თავდასხმების დროს. ტრაპეზუნტის რეგიონი ამ მხრივ სააგნგებოდ იყო დაცული რომაულ-ბიზანტიური გარნიზონების მიერ. ასე, რომ თუ რომელი იყო სტრატოფილე პიტიუნტელის კათედრა ოფ-რიზეს პიტიუნტი თუ აფხაზეთის პიტიუნტა საბოლოოდ არ არის დადგენილი, ამიტომაც ის ვერც სეპარატისტული იდეოლოგიის საფუძვლად ჩაითვლება.

რაც შეეხება აბაზგიის მიტროპოლიას:

ს. ყაუხჩიშვილის ცნობილი გეორგიკა IV, 2-ის გამოსვლის შემდეგ, მთელმა საბჭოურმა საისტორიო მეცნიერებამ მიიღო თვალსაზრისი, რომ აფხაზეთში IV-VIII საუკუნეებისათვის უკვე არსებობდა აბაზგიის სამიტროპოლიტო სებასტოპოლისის ავტოკეფალურ ეპარქიაში, სებასტოპოლისად კი მიიჩნეოდა სოხუმი. საბჭოთა საისტორიო მეცნიერებას გააჩნდა დიდი საერთაშორისო ავტორტეტი, ამიტომაც აღნიშნული თვალსაზრისი მიიღეს ამ დარგის უცხოეთის სპეციალისტებმა, მათ შორის თვით ცნობილმა დარუზესმაც. ბოლო ათეულ წლებში განვითერებულმა მოვლენებმა, ჩვენ როგორც ითქვა, გვაიძულა კიდევ ერთხელ მივბრუნებოდით ამ წიგნებს და აღმოჩნდა, რომ საეჭვოა სებასტოპოლისის ცხუმთან გაიგივება, საეჭვოა თვით აბაზგიის სამიტროპოლიტოს არსებობაც, ამ განცხადების თქმის უფლებას იძლევა შედეგი ფაქტი:

ს. ყაუხჩიშვილის თავისი გეორგიკა IV, 2-ის სქოლიოებში და წვრილად დაბეჭდილ შენიშვნებში ორჯერ, სხვადასხვა გვერდზე აღნიშნავს - "ნოტიციების ბერძნულ დედანში შეცდომით "აბაზგიის" ნაცვლად წერია - "ამასია", ის იმასაც აღნიშნავს, რომ მან "გაასწორა ბერძნული დედანი და ყველგან "ამასიის ნაცვლად ჩაწერა აბასგია". მაშასადამე, შესაბამისი ნოტიციის ბერძნულ დედანში ეწერა "ამასია", ხოლო მან მის ნაცვლად ჩაწერა "აბასგია", ამასთანავე მან ბერძნულადაც გამოსცა ნოტიციები და ყველგან მის მიერ ბერძნულად გამოცემულ ნოტიციებში "ამასია" ყველაგან შეცვლილია სიტყვით - "აბასგია".

ამის საფუძვლად მას მიაჩნდა, რომ ამასია იყო უმნიშვნელო პუნქტი, ხოლო აბასგია ცნობილი ქვეყანა.

სად მდებარეობდა ამასია და სებასტოპოლისი?

ამასია იყო ერთერთი უმთავრესი პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი პონტოს რეგიონისა, იმდენად სახელოვანი და სახელგანთქმული, ამასთანავე იმდენად წმიდა თავისი ქრისტიანული წარსულით, რომ აქ საძვალე ჰქონდათ ტრაპეზუნტის იმპერატორებს. როგორც მცხეთა იყო საძვალე ბაგრატიონი ხელმწიფეებისა, ასევე ამასია-ტარპეზუნტის იმპერატორებისა, თუნდაც აქედან ჩანს, მისი საეკელსიო წარსული და დიდებულება. რაც შეეხება სებასტოპოლისს, ის მდებარეობდა ამასიას რეგიონში, მისგან დაშორებული იყო დაახლოებით 70 კმ-ით და სწორედ ის იყო ცნობილი საეკლესიო ცენტრი, რომელიც მოცემულია ნოტიციებში. საიდან ჩანს ეს? - თუნდაც XIX საუკუნის საეკლესიო ეპარქიათა საზღვრების ამსახველ ათენში დაბეჭდილ რუკაზე. აქ ერთ-ერთი უმთავრესი ქალაქი სებასტოპოლისი ნეოკესარიის სამიტროპოლიტოში შედის, მაგრამ უფრო ადრე - ნოტიციების ე.წ. I რიგის ეპოქაში, ჩანს სებასტოპოლისი, ვითარცა ზღვიდან უფრო დაშორებული ეპარქია, შესაბამისად უფრო ძნელი სამართავად, ჩანს ქმნიდა ავტოკეფალურ საარქიეპისკოპოსოს და ჩანს ერთ პერიოდში მასში ამისიაც შედიოდა.

ასე, რომ ნოტიციებში, თვით ს. ყაუხჩიშვილის მითითებით ორ ადგილს ეწერა "ამასია" და მან სიტყვა "ამასია" შეცვალა სიტყვა "აბასგიით". უნდა აღინიშნოს, რომ ყაუხჩიშვილის გამოცემულ ნოტიციებში სიტყვა "აბასგია" სულ ოთხჯერ გვხვდება, როგორც ითქვა ორჯერ დედანში "აბაზგიის" ადგილას "ამასია" ეწერა. მაშასადამე, დარჩა კიდევ ორჯერ ნახსენები "აბასგია", ამიტომაც საჭიროა კვლევის გაგრძელება და გამოკვლეულ უნდა იქნას ნოტიციბის ის ბერძნული დედნები, რომლნიც 1950 წლამდეა გამოცემული - ნამდვილად წერია იქ სიტყვა "აბაზგია" (IV-VIII საუკუნეში) თუ არა. სამწუხაროდ, 1950 წლის შემდეგ ნოტიციათა გამოცემებს მკვლევართა ჩასწორებები შეეხო.

ჩვენ, კიდევ ერთხელ შევეხებით ამ საკითხს.

როგორც ითქვა, სიმონ ყაუხჩიშვილმა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხის გამოქვეყნების დროს, ბერძნულ ნუსხებში შეცვალა სიტყვა "ამასია" სიტყვა "აბაზგიით". კერძოდ, ნოტიცია VI-ში მას შეხვდა ასეთი წინადადება "35, ეპარქია ამასიისა-სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი" (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, ტომი IV, ნაწილი მეორე, 1952, გვ. 139) და მან ამ წინადადებას დაურთო შემდეგი შენიშვნა - "აშკარა შეცდომაა, უნდა იყოს აბასგიას (აბასგიას→ამასგიას→ამასიას) (გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 139,

შენიშვნა 2). შემდეგ კი მან კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოთა ნოტიციების მის მიერ გამოქვეყნებულ საგანგებო ცხრილში სიტყვა “ამასიის” მაგიერ დაწერა სიტყვა “აბასგია” ოღონდ არა ქართული შრიფტით, არამედ ბერძნულით, ამით კი მკითხველს შეექმნა მყარი შთაბეჭდილება, რომ ბერძნულ დედანში თითქოსდა ნამდვილად ეწერა სატყვა “აბაზგია”, მაშინ, როცა ნოტიციების დედანში ეწერა “ამასია”. კერძოდ, აღნიშნულ ნოტიციათა ნუსხაში ნოტიცია VI მან დაწერა “აბასგიას, სებასტოპოულეოს - ბერძნული შრიფტით (გეორგიკა, IV, ნაწ. II, 1952, გვ. 192-სა და გვ. 193-ს შუა ჩართული საგანგებო ფურცელი - ნუსხა ნოტიციებისა).

ამით ს. ყაუხჩიშვილი არ შეჩერებულა. მან ასევე ნოტიცია VIII შეცვალა სიტყვა “ამასია” სიტყვა “აბაზგიით”, კერძოდ 141-ე გვერდზე ნოტიცია VIII მან სიტყვა “ამასიას” დაურთო შენიშვნა - ”უნდა იყოს აბასგიას (“აბასგიისა”). იხ. შენიშვნა ზემოთ”, (იქვე, გვ. 139).

შემდეგ კი მან თავის მიერ განხორციელებულ ცვლილებათა შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ ნოტიციათა ნუსხებში ნოტიცია VIII “ამასიას” მაგივრად დაბეჭდა სიტყვა “აბაზგია” ბერძნული შრიფტით (იხ. ნოტიციათა ცხრილი, ფურცელი მოთავსებულია გვ. 192-სა და გვ. 193-ს შუა, გეორგიკა, IV, ნაწ. II). საბოლოოდ კი მკითხველს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ “ამასიას სებასტოპოლისი” იყო არა პონტოს რეგიონში არამედ აფხაზეთში, რადგანაც როგორც ითქვა ნოტიცია VI და VIII მან დაწერა - ”აბასგიას შებასტოპოულეოს” მაშინ როცა უნდა დაეწერა - ”ამასიას შებასტოპოულეოს” (იხ. გეორგიკა, IV, ნაწ. II, ფურცელი 192 გვერდსა და 193 გვერდს შორის).

ყოვლივე ამ თვითნებურ ცვლილებას ცხადია მოჰყვა თავისი თეორიული მსჯელობაც. კერძოდ, შეიქმნა შთაბეჭდილება თითქოსდა აფხაზეთში ნიკოლოზ მისტიკოსის დროს არსებობდა სებასტოპოლისის ბერძნული კათედრა კონსტანტინოპოლის დაქვემდებარების ქვეშ. ამიტომაც დაწერა კიდევაც ს. ყაუხჩიშვილმა - ”ნიკოლოზ მისტიკოსს ახალ საეკლესიო ეკთესისში, რომელიც მან 901-907 წლებში შეადგინა ლეონ კეისართან ერთად კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა შორის შეაქვს (ძველი ტრადიციით) “სებასტოპოლის (ცხუმის) საერქიეპისკოპოსო აფხაზეთში”, თუმცა ეს უკანასკნელი კათედრა ფაზისის მიტროპოლიასთან და ნიკოფსიის საერქიეპისკოპოსო კათედრასთან ერთად უკვე მცხეთის საკათალიკოსოს განმგებლობაშია (იხ. ზემოთ გვ. 194-196 და განსაკუთრებით გვ. 201)” - წერს ის.

ყოველივეს შეჯამების შემდეგ ს. ყაუხჩიშვილი ნიკოლოზ მისტიკოსის მიერ შედგენილ X ბ ნოტიციის განხილვის დროს წერს: “ამ ნოტიციაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: საარქიეპისკოპოსოთა ნუსხაში 47-ე წერია სებასტოპოლი, ხოლო კონსტანტინე პორფიროგენეტის დროინდელ რედაქციაში სებასტოპოლის (ე.ი. აფხაზეთის) საარქიეპისკოპოსო აკლია” (გეორგიკა, IV, ნაწ. II გვ.196). ამის მიზეზად მას მიაჩნია შემდეგი: “კონსტანტინე პორფიროგენეტის მეფობის წინა ხანებში აფხაზეთის საარქიეპისკოპოსო ჩამოშორდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და დაუკავშირდა მცხეთის საკათალიკოზოს”, - წერს ის, თუმცა კი მიიჩნევს, რომ, როგორც ითქვა, თითქოსდა, ნიკოლოზ მისტიკოსმა (კონსტანტინოპოლის პატრიარქმა), თითქოსდა “ძველი ტრადიციით სევასტოპოლის (ცხუმის) საარქიეპისკოპოსო შეიტანა კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა შორის” (იქვე, გვ. 216).

ისმის კითხვა, თუკი ეს სებასტოპოლისი აფხაზეთის ცხუმია და ის ნიკოლოზ მისტიკოსს მიაჩნდა თავის კათედრად, და თუ ეს კათედრა აფხაზთა მეფეებმა გააუქმეს და მცხეთას დაუქვემდებარეს, რატომ არ გამოთქვამს ამ მტაცებლობის გამო თავის პროტესტს ნიკოლოზ მისტიკოსი სწორედ ამ აფხაზთა მეფეებისადმი გაგზავნილ წერილებში?

სინამდვილეში ნოტიციების სებასტოპოლისი მდებარეობდა ამასიას რეგიონში და არა აფხაზეთში. საზოგადოდ, ისტორიულად მათი ნოტიციებიდან გაქრობა გამოიწვია არაბების ლაშქრობებმა ძველი პონტოს რეგიონში და ამ სებასტოპოლისს არაფერი აკავშირებდა არც აფხაზეთთან და არც ცხუმთან.

ჩვენი კვლევით ნოტიციებში ნახსენები "სებასტოპოლისი" მდებარეობდა ამასიასთან ახლოს და ის იყო ძალზე მნიშვნელოვანი ქალაქი ეკონომიკურად განვითარებული ბიზანტიური რეგიონისა. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ დედანში თავდაპირველად ჩანს, ეწერა "ეპარქია ამასიისა - სებასტოპოლის ავტოკეფალი", ხოლო შემდეგ სიტყვა "ამასია" ჩანს შეიცვალა სიტყვა "აბაზგიით" (აბასგიით). ასეთ შემთხვევაში სწორია ჩვენი ერის სახელოვანი მეცნიერი ბატონი სიმონ ყაუხჩიშვილი, რადგანაც მან დაადგინა, რომ ეს ორი სიტყვა ("ამასია" და "აბასგია") შესაძლოა ერთმანეთში არეოდა გადამწერს, იმ ეპოქაში, როცა აბაზგიის სამეფომ მოიპოვა ძლიერება IX-X საუკუნეებში და დასავლეთ საქართველოს ვიდრე კავკასიის მთებამდე ეს სახელი (აბასგია) ეწოდა (იგულისხმება აფხაზთა სამეფო), მაშინ როცა არაბების შემოსევის გამო ამასია დაემხო და მნიშვნელობა დაკარგა.

ჩვენმა საზოგადოებამ უკრიტიკოდ მიიღო ს. ყაუხჩიშვილის შესწორება ნოტიციისა, როცა მან ამასიის ნაცვლად "აბასგია" დაწერა, ჩვენ შემთხვევაში კი ვიყენებთ თვით ყაუხჩიშვილის მიერვე ჩატარებულ ეტიმოლოგიურ კვლევას, "აბასგიას→ამასგიას→ამასიას" (გეორგიკა IV, ნაწ. II, გვ. 139). ანალოგიურად შესაძლოა ასეთი გადასვლაც - ამასიას→აბასგიას.

მაშასადამე, ჩვენი აზრით თავდაპირველად, დედანში, ეწერა ეპარქია ამასიისა - სებასტოპოლის ავტოკეფალი" და არა "აბასგიისა". ისტორიულად, სებასტოპოლის ავტოკეფალური კათედრა მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ამასიას რეგიონში.

საბოლოოდ კი უნდა ითქვას შემდეგი - საერთოდ საეჭვოა აფხაზეთში ბერძნული ეპარქიების არსებობა თუნდაც იმიტომ, რომ ისინი VI-VII საუკუნეებში აფხაზეთს უწოდებდნენ არა "აბასგიას", არამედ "ალანიას", რადგანაც მათ ბიზანტია-სპარსელების ომების გამო თავიანთი მოკავშირე ალანთა ტომები გააბატონეს ამ მხარებში ხაზართა შემოსევამდე.

ალანები კი მხოლოდ X საუკუნისათვის გაქრისტიანდნენ, ამიტომაც მათ აქ კათედრები არ ესაჭიროებოდათ. ბერძნებმა მხოლოდ ქართულ აფხაზეთს უწოდეს აბაზგია, ანუ სოხუმ-ბიჭვინთის მიწა-წყალს ბერძნებმა აბაზგია უწოდეს VIII საუკუნის შემდეგ, რაც აფხაზთა ქართულმა ტომმა ამ მხარეებში ჰეგემონობა მოიპოვა და შესაბამისად, იქ ქართული სახელმწიფოებრიობა განამტკიცა ქართული ეკლესიის სულიერი წინამძღოლობით.

10. აფხაზეთის საკათალიკოსო ქართული ეკლესიის პირმშო

ამჟამად, XX საუკუნეში მიღებული თვალსაზრისით, აფხაზეთის საკათალიკოსო აღმოცენდა ბერძნული ეკლესიის წიაღიდან. კერძოდ, დასავლეთ საქართველოში თითქოსდა, თავდაპირველად IV-VIII საუკუნეში არსებობდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალი ლაზიკის (ფაზისის) საეპისკოპოსოები და აბაზგიის (სებასტოპოლისის) ავტოკეფალური ეკლესია, თითქოსდა მათი გაერთიანების შედეგად ბერძნული ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა აფხაზეთის საკათალიკოსო, რომელიც შემდეგ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა - ესაა ამჟამინდელი ოფიციალურად აღიარებული თვალსაზრისი, მაგრამ სულ სხვა თვალსაზრისისა იყო ძველი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფია, რომელიც გადმოცემულია ყველა ძველ ქართულ წყაროსა და დადგენილებაში (მაგ. ძეგლისწერაში). ამიტომაც მკვლევარების აზრი, რომ თითქოსდა, IV-VIII საუკუნეში ჩვენში არსებობდა "ორი ეკლესია" - არასწორია.

ქართული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით დასავლეთ საქართველო ანდრია მოციქულის დროიდან ერთიანი საქართველოს ნაწილი იყო (იქადაგა ანდრიამ "ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა" - რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა), ხოლო წმიდა ნინომ მოაქცია "ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა" - ანუ ამ "საქართველოს" მოსახლეობა შავი ზღვიდან სამხრეთ-ალბანეთამდე. **ამიტომაც დასავლეთ საქართველო თავიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იყო, რასაც ადასტურებს არა მხოლოდ გელასი კესარიელის (IV საუკუნე) (რომ წმიდა ნინომ მოაქცია "იბერები და ლაზები"), მოვსეს ხორენაცის (V საუკუნე) (რომ წმიდა ნინომ იქადაგა "კლარჯეთიდან მასქუთებამდე"), არამედ X საუკუნემდელი სომხური ცნობები (იოანე კათალიკოსისა, რომ კირიონი VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისში იყო ეგრისის**

არქიეპისკოპოსიც მცხეთის კათალიკოსობასთან ერთად). შემდეგ, როცა აფხაზთა სამეფოში კიდევ უფრო გაძლიერდა ქრისტიანობა ქართულმა ეკლესიამ გადაწყვიტა შეექმნა დასავლეთ საქართველოში თავისი საკუთარი სამიტროპოლიტო ოლქი (ანუ საკათალიკოსო), მცხეთის იურისდიქციის ქვეშ, რომელსაც მიენიჭებოდა უფლება განეგო ადგილობრივი საეკლესიო საქმეები. ასე ჩამოყალიბდა ქართული ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსო, ამიტომაც "განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს" ბაგრატ მეფემ IX საუკუნეში. **ასე, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო აღმოცენდა ქართული ეკლესიის წიაღში, ის მისი პირმშოა და არა ბერძნული ეკლესიისა. ესაა არა ჩვენი მოსაზრება, არამედ ძველი ქართული ისტორიოგრაფიისა, რომელიც უფრო მართებული აღმოჩნდა ვიდრე ახალი კვლევები ამ მხრივ.**

11. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კულტურა I ათასწლეულში ქართულია და არა ბიზანტიური.

ცნობილი ისტორიკოსი ნ. ლომოური დარწმუნებულია, რომ დასავლეთ საქართველო "ყველა არსებულ წყაროთა მოწმობით, ვიდრე IX საუკუნემდე რჩებოდა ეკლესიურად კონსტანტინოპოლის პატრიარქზე დაქვემდებარებულად". (ნ. ლომოური, საქართველოსა და ბიზანტიის კულტურულ ურთიერთობათა ზოგიერთი ასპექტი, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XIV, 2011, გვ. 124). მიუხედავად ასეთი შეხედულებისა, ის ვერ გაექცა ფაქტებს და აღიარებს, რომ დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდის ქრისტიანული კულტურა ქართულია და არა ბიზანტიური.

თუ დასავლეთ საქართველო IV საუკუნიდან IX საუკუნემდე თითქმის 500 წლის მანძილზე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა ეს ფაქტი უნდა აესახა საეკლესიო არქიტექტურასა და კულტურას. საბედნიეროდ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო არქიტექტურა და ქრისტიანული კულტურა მიუთითებს არა ამ რეგიონის ბიზანტიური ეკლესიის წიაღში ყოფნის შესახებ არამედ ქართულისა.

დამახასიათებელი არქიტექტურული ელემენტებით დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები (ბიჭვინთა, ციხისძირი, ნოქალაქევი, სეფიეთი) ეთანადებიან ზოგადქართულ საეკლესიო სტილს და არა ბიზანტიურს. კერძოდ ნ. ლომოური ამის შესახებ წერს -

1) სამნავიანი ბაზილიკები საქართველოში განსხვავდებიან ბიზანტიურისაგან, რადგანაც მათ არქიტექტურულ სახეს აქვთ ბიზანტიურისაგან განსხვავებული მკვეთრად გამოხატული თავისებურება და განსხვავდებიან ამ ტიპის საყდრების კლასიკური ნიმუშისაგან (მაგ. შუა ნავი შედარებით მოკლეა, არა აქვს სვეტების რიგი, გვერდითი ნავები ვიწროა და სხვა). "ნიშანდობლივია, რომ ჩამოთვლილი ელემენტები მჟღავნდება დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებზეც (ბიჭვინთა, ციხისძირი, ნოქალაქევი, სეფიეთი)... უფრო მეტიც, სამნავიანი ბაზილიკის ასეთი თავისებურებები ახასიათებს ციხისძირში (ანუ ძველ პეტრაში) გამოვლენილ ეკლესიებსაც" (იქვე, გვ. 124)

2) სამნავიანი ბაზილიკების გარდა საქართველოში ჩამოყალიბდა უგუმბათო ტაძრის სრულიად განსხვავებული სახეობა ე.წ. "სამეკლესიანი ბაზილიკები" (ერთ ბაზილიკაში მოქცეულია სამი ნავი, რომელიც ერთმანეთისაგან გაყოფილია კედლებით, სამივე ნავს აქვს საკუთარი საკურთხეველი და აქვს სხვა ორიგინალური ნიშნები, უცნობი ბიზანტიური არქიტექტურისათვის. "ასეთი "სამეკლესიანი ბაზილიკები" ერთდროულად გამოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოში და ძველი აფხაზეთის ტერიტორიაზედაც - ძველი გაგრის ეკლესია" (იქვე, გვ. 125).

3) "თითქმის სრულ დამოუკიდებლობას ბიზანტიური საეკლესიო ხუროთმოძღვრებისაგან ამჟღავნებენ ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრები, რომელთაც ვ. ბერიძის სიტყვით განვლეს განვითარების თავისებური გზა, მარტივიდან რთულისაკენ, ძველი გავაზისა და თბილისის ქვაშვეთის უბრალო ტეტრაკონქიდან მცხეთის ჯვრისა და მისი ტიპის რთული აღნაგობას მეგლებამდე. ეს ტიპი არის ქართული ხუროთმოძღვრების ორიგინალური ქმნილება, რომელიც შემდგომ სომხეთშიც გავრცელდა, მაგრამ ბიზანტიის სხვა პროვინციებში მას არ ეძებნება

პარალელები. მათ წინამორბედს საქართველოში წარმოადგენს საცხოვრებელი ნაგებობების დარბაზული ფორმა. ამ ტიპის ნაგებობებია - ატენის სიონი - ქართლში, ძველი შუამთა კახეთში, მარტვილის ღვთისმშობლის ტაძარი - ოდიშში, ჩამუსი ტაოში" (იქვე, გვ. 125) ე.ი. მარტვილის ტაძარი ქართული და არა ბიზანტიური სტილისაა.

4) "დამოუკიდებელი არქიტექტურული მიმართულება" დამახასიათებელი ისეთი ტაძრებისთვის, როგორიცაა სვეტიცხოველი, ბაგრატი, ალავერდი, იშხანი, ბანა, ხახული და ა.შ. ყველა ამათი საფუძველი იყო, აგდილობრივი, საუკუნეთა განმავლობაში თანდათან შემუშავებული ეროვნული წარმომავლობის თავისებურებანი. ეს დასკვნა ვრცელდება აფხაზეთში აგებულ ისეთ ეკლესიებზე, როგორიცაა ბზიფის, ანაკოფიის, ლიხნის, მოქვის, გაგრის ეკლესიები" (იქვე, გვ. 125). ე.ი. ბაგრატის, ბზიფის, ანაკოფიის და სხვა დასავლეთ საქართველოს ტაძრები "საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული ეროვნული არქიტექტურული თავისებურებანი" ყოფილა. ამით ისინი განსხვავდებიან ბიზანიურისაგან.

არქიტექტურულად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ხელოვნება ერთ მთლიანობას წარმოადგენდა, რაც შედეგი იყო ერთიანი ქართული საეკლესიო იურისდიქციისა.

მაშასადამე არქიტექტურული ფაქტებით დასტურდება ძველ ქართველ მემატიანეთა ცნობები, რომ დასავლეთ საქართველო არ ყოფილა ბიზანტიურ საეკლესიო იურისდიქციაში. ამას მიუთითებს ბიჭვინთის, ციხისძირის, ნოქალაქევის, სეფიეთის, გაგრის, მარტვილის, ბაგრატის, ბზიფის, ლიხნის, მოქვის და სხვა საეკლესიო არქიტექტურა.

ბიჭვინთის მოზაიკის შესახებ იგივე შეიძლება ითქვას. ის "არ ნახულობს არსად ანალოგს გარდა საქართველოსი, რაც აძლევს მკვლევარებს საფუძველს ეს მოზაიკა მიაკუთვნონ ამ დარგის ადგილობრივ სკოლას." (იქვე, გვ. 123)

ეს საეკლესიო ხელოვნება არ ადასტურებს იმ თვალსაზრისს თითქოსდა აფხაზეთის ბიჭვინთაში იყო ბიზანტიელი ეპისკოპოსის რეზიდენცია. ადგილობრივი კულტურის ელემენტები დადასტურდა ბიჭვინთის ეკლესიის ნანგრევებში (IV-VI საუკუნეები) მხედველობაშია მოზაიკები, რომელნიც ავლენენ ადგილობრივ ხელოვნებასთან მჭიდრო კავშირს" (იქვე, გვ. 123)

სინამდვილეში ბიზანტიური საეპისკოპოსო კათედრა და რომაული გარნიზონები იდგა ტრაპეზუნტის რეგიონში მდებარე პიტია-პიტიუნტში, ხოლო აფხაზეთის ბიჭვინთა - თავიდანვე ქართული პოლიტიკური და კულტურული სივრცის ნაწილია.

12. ბოდბე, დავითგარეჯა, ნათლისმცემელი - ალბანურ მიწა-წყალზეა?

XX საუკუნის ისტორიოგრაფიამ გააბატონა თვალსაზრისი, თითქოსდა ალბანეთის საზღვარი აღწევდა თელავამდე (ტყეტბა გულგულამდე), ამიტომაც შესაბამისად ბოდბე, დავითგარეჯა, ნათლისმცემელი მთელი მიწა-წყალი თელავიდან სამხრეთით თითქოსდა არ შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში და მხოლოდ შემდეგ მისი "ქართიზაციის" შედეგად, აღმოჩნდა ეს მხარე ქართული ეკლესიის შემადგენლობაში, ყოველ შემთხვევაში ასეა ეს გადმოცემული "პრავასლავნაია ენციკლოპედიას" I ტომში და მასზე დართულ "ალბანეთის საკათალიკოსოს" რუკაზე.

ეს კი ასე არ იყო, რაც გამოკვლეულია და ჩვენს მიერ უკვე დაბეჭდილია. საერთოდ კი ეს საკითხი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ამჟამად სადავოა (და თანაც თითქმის საერთაშორისო დონეზე აჰყავთ ეს დავა ჩვენს მოწინააღმდეგეებს), არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქცია, არამედ აღმოსავლეთისა და სამხრეთისა (სომხეთთან მომიჯნავესი). ასევე ცხინვალის რეგიონში მოკალათებულ საეკლესიო სეპარატისტები ინტერნეტ ქსელში ვრცელ, ცრუ ინფორმაციაზე აგებულ მრავალ მასალას აქვეყნებენ. თითქოსდა, კონსტანტნოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიაში მთელი შიდა ქართლი, მისი მთიანეთი და საერთოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი საქართველო შედიოდა.

შეშფოთებულმა საპატრიარქომ ამიტომაც შექმნა "რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია", წმიდა სინოდმა კი "ისტორიკოსთა ჯგუფი" რომლის მეთაურობაც მე

დამეკისრა. ჩვენ ყველამ უნდა ვიმუშაოთ ამ საკითხზე, რადგანაც ის ეხება არა ჩვენს პირად ღირსებას, არამედ ერისა და ასევე ეკლესიის მომავალს.

საქართველოს საპატრიარქოს რეალური ისტორიის მუდმივმოქმედი კომისიის თავჯდომარე, ქართული უნივერსიტეტის საქართველოს ობიექტური ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

“ჰაიასა” - ”აიას ქვეყანა” (შემდგომი კოლხიდა)

2014 წლის მარტი

“ჰაიასა”, “ჰაიასა - აცცი” (აზზი) - იყო სახელმწიფო, რომელიც მოიხსენიება ხეთურ ლურსმნულ ტექსტებში ძ.ვ.წ XVI-XIII საუკუნეებში.

ხეთოლოგთა უმეტესობა ჰაიასას ათავსებს შავიზღვისპირზე ჭოროხისა და ევფრატის სათავეებთან.

ჰაიასის ქვეყნის არსებობა მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა XX საუკუნის დასაწყისისათვის, მას შემდეგ რაც გაიშიფრა ხეთური წარწერები, ამ სიახლეს დიდი რეზონანსი ჰქონდა და შეცვალა იქამდე არსებული წარმოდგენები მსოფლიოს ძველი ისტორიისა.

სიტყვა ჰაიასას და სომეხთა თვითსახელწოდების “ჰაი”-ს მსგავსებამ სომეხ მეცნიერებს ჩამოუყალიბა ამჟამად სომხეთში დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომ ჰაიასის ქვეყანა იყო სომხური სახელმწიფო და ჰაიასელები პროტოსომხები იყვნენ.

ეს თვალსაზრისი მსოფლიო სამეცნიერო წრეებში საეჭვოდ მიიჩნევა. თუმცა გავრცელებული არის სომხეთში (და ჩანს საქართველოშიც, როგორც ამას უჩვენებს ქართული საინტერნეტო სტატიები სომხეთისა და სომხების ეთნოგენეზის შესახებ).

სომხებს ჰაიასასთან აკავშირებენ ძალზე ცნობილი სომეხი მეცნიერები.

ჩვენი აზრი განსხვავებულია - **აღნიშნულ ტერიტორიაზე (ჭოროხის სათავეებიდან ვიდრე შავ ზღვამდე, სადაც XIV საუკუნეში მდებარეობდა ჰაიასა), ბერძნული წყაროების თანახმად (ქრისტეშობამდე XIII-XII საუკუნეებისათვის) მდებარეობდა სახელმწიფო სახელწოდებით “აია” და სწორედ მისი სახელია ასახული ხეთურ წყაროებში.**

შესაბამისად ჰაიასა უნდა იყოს აიას სახელმწიფო, რომელსაც შემდგომში კოლხეთი ეწოდა.

როგორც ცნობილია კოლხეთის ძველი სახელი არის “**აია**”, სადაც, მეფე აიეტის დროს, შავი ზღვის სანაპიროს მოადგნენ არგონავტები და მითის მიხედვით მოიტაცეს ოქროს საწმისი.

მართალია “აია” და არგონავტები მითების სფეროს განეკუთვნებიან, მაგრამ, ხეთური წყაროების “ჰაიასა” სწორედ აღნიშნულ ადგილას მდებარე სახელმწიფო აღმოჩნდა, თითქმის იმავე სახელწოდებით, ეს ჩვენ შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ დადასტურებად იმისა რომ მითში აღწერილი ამბები აირეკლავდა ისტორიულ რეალობას.

ჩვენს ერამდე XII საუკუნისათვის, როგორც ჩანს, ჰაიასა დაიშალა და მისი ტერიტორია დაიპყრეს. ამ პერიოდში ჰაიასას ტერიტორია შეიძლება დაიაენის ნაწილად ჩაითვალოს.

ცნობილია რომ ჩვენს ერამდე XIV საუკუნეში ჰაიასელები შეიჭრნენ ხეთების ტერიტორიაზე და გადაწვეს მისი დედაქალაქი, რომლის შემდეგაც თავის საზღვრად აქციეს ქალაქი სამუხა. ჰაიასა დროდადრო დებდა სამშვიდობო ზავს ხეთების სამეფოსთან და ხეთებს უხდიდა ხარკს.

ლურსმნული ფირფიტებიდან ცნობილია რამდენიმე ჰაიასელი მეფის სახელი. როდესაც ხეთების სამეფო ტახტზე ავიდა მეფე დუდხალია III, ჰაიასელების წინააღმდეგ გაიგზავნა მეფის მემკვიდრე მხედართმთავარი.

იმჟამად ჰაიასელები თავის ქვეყანაში იფარავდნენ ლტოლვილებს ხეთების ტერიტორიიდან, მხედართმთავარს დაევალა მათი და ქალაქ სამუხას უკან დაბრუნება.

ჰაიასას მეფემ ხეთების მხედართმთავართან დადო სამშვიდობო ხელშეკრულება და დაუზავდა.

ხეთების მეფემ ჰაიასას მეფეს ცოლად მისცა თავისი დაი, იმ პირობით, რომ ჰაიასას მეფეს აეკრძალებოდა ხეთების სამეფო სახლის სხვა ქალებთან რაიმე სახის ურთიერთობა.

სამშვიდობო შეთანხმება შემდგომ დაირღვა და ჰაიასას ბელადი თავს დაესხა ხეთების ერთ-ერთ ოლქს, თავის მხრივ ხეთებმაც ალყა შემოარტყეს ჰაიასა - აცცის ციხე-სიმაგრე ურას. ბრძოლები გაგრძელდა. ხეთების ერთ-ერთმა მეფემ გადალახა პონტოს მთები, გავიდა შავი ზღვის სანაპიროზე და აიღო იქ მდებარე ჰაიასელების ქალაქი არიპსე, იქედან გაემართა აცცის ცენტრისაკენ, ჰაიასის ქვეყანა დამორჩილებულ იქნა.

როგორც ითქვა, ჰაიასის ქვეყნის არსებობის შესახებ მეცნიერებმა შეიტყვეს მხოლოდ ხეთურ-ლურსმნული დამწერლობის გაშიფვრის შემდეგ, XX საუკუნის დასაწყისსში. იქამდე ურარტუს სახელმწიფოს, ეთნოსსა და კულტურას პროტოქართველებთან, ქართველთა თვითსახელწოდების ფუძე "ქალდთან" აკავშირებდნენ, არმენიელებს კი ამ არეალზე მხოლოდ ძვ.წ. VI საუკუნეში გამოჩენილებად მიიჩნევდნენ, რომელთაც ურარტუს პროტოქართველთა მემკვიდრეობა გაითავისეს.

ამ თეორიას ავითარებდნენ წმ. ილია მართლის ეპოქის გამოჩენილი ევროპელი მეცნიერები. ილიამ ეს ფაქტი ასახა თავის **"ქვათა ღაღადში"**, სადაც ტენდენციური კვლევებისათვის მკაცრად გააკრიტიკა ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ქ. პატკანოვი და, ასევე, როგორც წერდა - "მისი **შეგირდი ნიკო მარი"**,.

ი.ჭავჭავაძის შეფასებამ გააღიზიანა ნ. მარი, მან მიზნად დაისახა საკადრისი პასუხით თავისი სამეცნიერო ღირსება დაემტკიცებინა. ამ მიზნის მიღწევას ნ.მარმა მრავალი ათეული წელი და მრავალი ნაშრომი მიუძღვნა. საბოლოოდ მის კვლევა ძიებებს ფართო ასპარეზი მიეცა საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 20-30-იან წლებში, მის სიცოცხლეშივე.

აღნიშნულის გამო, ნ.მარი და მისი მიმდევრები გაახარა ხეთურ წარწერებში არა ქალდის (ქართველთა ეპონნომის), არამედ ჰაიასას (სომეხთა ეპონომის) სახელის ამოკითხვამ. ახლა უკვე, ახლი ხეთური წარწერები მათ საშუალებას აძლევდა ფაქტებზე დაყრდნობით საზოგადოებისათვის დაემტკიცებინათ თავიანთი მიუკერძოებლობა

ამ აღმოჩენამ აღაფრთოვანა ნ. მარის გავლენის სფეროში მომუშავე მეცნიერები, რადგანაც ხეთურმა წარწერებმა მათ საშუალება მისცა "მეცნიერული პასუხი" გაეცათ ქართველი "მოხალისე ისტორიკოსებისათვის", მათ დაიწყეს მტკიცება, რომ არმენიელები არა ძვ.წ. მე-6 საუკუნეში გამოჩნდნენ ურარტუს რეგიონში, არამედ უკვე ძვ.წ. 14 საუკუნიდან მათ ჭოროხ-ევფრატის სათავეებთან, და მცირე აზიის სხვა რეგიონებშიც საკუთარი სახელმწიფოები ჰქონდად, და უფრო მეტიც, ურარტუ თვითვე იყო პროტოსომხური სახელმწიფო.

თავდაპირველად კი ნ. მარის მიმდევარმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს დიდტანიანი წიგნები და გამოკვლევები რომ ურარტუს არ ერქვა ქალდეა, რომ ურარტუს ხალხს არ ერქვა ქალდეველები, რომ ასეთი მტკიცება დიდი შეცდომაა და მიუღებელი სამეცნიერო თვალსაზრისით, რადგანაც, ხეთურ წარწერებში ჰაიასა უკვე ერქვა შავიზღვისპირეთის სახელმწიფოს ძვ.წ. XIV საუკუნეში.

ჰაიასა უნდა იყოს აიას სახელმწიფო, რომელსაც შემდგომში კოლხეთი ეწოდა.

როგორც ცნობილია კოლხეთის ძველი სახელი არის "აია", სადაც, მეფე აიეტის დროს, შავი ზღვის სანაპიროს მოადგნენ არგონავტები და მითის მიხედვით მოიტაცეს ოქროს საწმისი.

მართალია “აია” და არგონავტები მითების სფეროს განეკუთვნებიან, მაგრამ, ხეთური წყაროების “ჰაიასა” სწორედ აღნიშნულ ადგილას მდებარე სახელმწიფო აღმოჩნდა, თითქმის იმავე სახელწოდებით, ეს ჩვენ შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ დადასტურებად იმისა რომ მითში აღწერილი ამბები აირეკლავდა ისტორიულ რეალობას.

ჯერ კიდევ ჰაიასას ქვეყნის რაობის გააზრებამდე სხვადასხვა წყაროების ურთიერთ შეჯერებით გ.გოზალიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ ქვეყანას ჭოროხის სათავეებიდან ვიდრე შემდგომ დროინდელ ტრაპეზუნტამდე ერქვა სახელი “გაია”, “აია”, “მიწა-ქვეყანა” (გ.გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი 1965, გვ. 8,9).

ძალზე მნიშვნელოვანია გოზალიშვილის აზრი, რომ იქამდე, სანამ აღნიშნულ მიწა-წყალს ეწოდებოდა კოლხიდა, მას ერქვა სახელი “გაია”, გოზალიშვილის ეს აზრი შემდეგში პრაქტიკულად დაადასტურა ხეთური წარწერების ანალიზმა, მათში მართლაც აღმოჩნდა ქვეყანა სახელწოდებით ჰაიასა.

ხეთოლოგთა მიერ აღიარებულია, რომ ამ ტერმინში “ჰაიასა”, ფუძეა “ჰაია”, ხოლო “სა” არის ხეთური სუფიქსი, გამოყენებული ქვეყნის სახელის საწარმოებლად, იგივეა რაც ვთქვათ ინგლისურში “ლენდ”, “ლანდ”, ანუ ჰაიასა ნიშნავს, ჰაიას ქვეყანას, უნდა აღინიშნოს, რომ ამავე სუფიქსით “სა”, “სი”, ქართულშიც აღინიშნება გეოგრაფიული სახელები, მაგალითად: თბილისი, ქუთაისი, ბოლნისი, კვაისა, ჯვარისა, უბისა, გორისა, დღნორისა, პერევისა, სხვა სოფლებისა და ქალაქების სახელები.

მაშასადამე, ჩვენი აზრით, ჰაიასა იგივეა, რაც ბერძნულ მითოლოგიის აია, აიას ქვეყანა, რომელსაც შემდგომ კოლხიდა უწოდეს.

აღნიშნავენ, რომ ლურსმნულ წარწერებშივე მოიხსენიება ჰაიასას მახლობლად მდებარე ქვეყანა სახელწოდებით “გიურიანი”, “იურია” ან “გურია”, ამ ქვეყნის სახელი ზუსტად არ იკითხება, (მაგრამ მას როგორც აღინიშნა ერქვა გიურიანი, იურია ან გურია). (Дъяконов, И.М. Предисторя Армянского народа, глава II, История Армянского нагоря в эпоху бронзи и раннего железа, ст. 43/46).

ქვემოთ, სხვადასხვა სტატიაში მივუთითებთ, რომ აია-კოლხიდა იგივეა რაც ჰაიასა-ქალდი, არიან-ქართლი, რომ ეტიმოლოგიურად ერთმანეთის იდენტურები არიან ტერმინები ჰაიასა, აია და არიანი (აია, ჩანს აქედან სიტყვა - არიანი, აია - არიანი), ასევე ქალდი და კოლხიდა (ქალ - კოლ, “დ” და “ხ” მრავლობითობის გამომხატველი იდენტური ნიშნებია).

დიაკონოვი თავის ამ ნაშრომში რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ ქალდები, ქართულ (ქართველურ) ენოვანი ტომი იყო, ის ასევე აღნიშნავს რომ ნ. მარმა სტრაბონის მიერ მოხსენიებული ჰალიბონ-ქალდები ქართულ სამყაროს დაუკავშირა, ხოლო თავის მხრივ ქალდების ტომი იყო ჰაიასას შემდგომ წარმოქმნილი ურარტუს მრავალეთნიკური სახელმწიფოს ერთ-ერთი შემადგენელი ტომი.

ჩვენ ასევე ერთმანეთს ვუკავშირებთ ძველ ქართულ ტერმინ არიან-ქართლსა და ზემოთ აღნიშნულ ჰაიასა-ქალდს. ტერმინი ქართველი იგივეა რაც ქალდუელი, თავის მხრივ ქალდუ იყო ურარტუს ხალხთა უზენაესი ღვთაება. ჩვენ ვფიქრობთ რომ ჰაიასას უნდა დაუკავშირდეს ტერმინი “აია” და ასევე ტროას ქვეყნის მეორე სახელი “**ილიონი**”, “**ილია**” (აქედან ჰომეროსის ილიადას, პოემისა და გმირების სახელები).

ამასთანავე, ილიონს ეტიმოლოგიურად უნდა დაუკავშირდეს სტრაბონისა და სხვა ძველი ავტორების მიერ აღნიშნული **ტერმინიც - ”ჰალიბონი” (ალი(ბ)ონ - ალიონ - ილიონი).**

ვფიქრობთ რომ სიტყვა ჰალიბონში “ჰ” და “ბ” მერყევი და ცვალებადი თანხმოვნები იყვნენ და ზოგჯერ არც კი გამოითქმოდნენ, ამიტომაც ასეთ შემთხვევაში, სიტყვა ალიბონიდან სიტყვა **ალიანის** ან და **ილიონის** მიღება შესაძლებელია, ალიანიდან შემდგომში შესაძლებელია მივიღოთ სიტყვა - **ალია(არია), აია.**

“**დაიაენი**”, “**დიაოხი**”, “**ბიაინალი**” და სხვა აღნიშნულ ტერმინებში მუდამ გამოყენებული ხმოვნები “**აია**” უცვლელად გადადიოდა ამავე რეგიონში წარმოქმნილი სახელმწიფოების

სახელებში - **”აია”, “ილია”, “გაია”, “გიურია”, “ჰაიასი”, “დაიაენი”, “დიაოხი”, “ტაოხი”, “ბიაინალი”,** მათში, როგორც ითქვა, მუდამ მეორდება ერთი და იგივე ფუძე-ხმოვნები, ეს არის “აია” (აღსანიშნავია, რომ მეგრულში, შესაბამისად პროტოქართულში, ქვეყანას, მიწა-წყალს, ტერიტორიას ეწოდება “**ქიანა**”).

აია

გ**აია**

ჰ**აია**სი

დ**აია**ენი

დ**იაო**ხი

ტ**აო**ხი

ბ**იაი**ნალი

ილია - **ი**ლ**იო**ნი,

ალ**ია** - **ა**ლ**ი**ძ**о**ნი

გ**იუ**რია და სხვა.

ზოგჯერ ამ ხმოვანთა (იგულისხმება **აია**) შორის ჩნდებიან სონანტები (სონორები) - ”**ლ**”, “**წ**” და “**რ**”, და ვიღებთ ამავე რეგიონში ცნობილ სახელებს, მაგალითად: **ნაირი**, **არიანი** და სხვა. ამასთანავე აღნიშნული “**ლ**” და “**წ**” უნდა იყვნენ ე.წ. “**რბილი ლ**” და **“რბილი რ**”, რაც დამახასიათებელია ქართულისათვის.

რბილი “**რ**” და “**ლ**” ხშირად მოისმოდა, როგორც “**ი მოკლე**”, ანდა არც ისმოდა, შესაბამისად მაგალითად ტერმინი **ილიონი**, მოისმოდა, როგორც **იიანი**, ან **იია**, **ალიონი** (აქედან ალიძონები), როგორც **არიანი**, **აიანი**, **აია**. მაშასადამე, თუ ასეა, მაშინ **ალიანი**, **არიანი და აია** ერთიდა იგივე ტერმინებია, სახელი იმ ქვეყნისა, რომელსაც შემდგომ კოლხიდა ეწოდა.

როგორც ტერმინ “**ნაირში**”, ასევე ტერმინ “**არიანში**” ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ხმოვნები “**აია**”, ასევე თანხმოვნები “**რ**” და “**წ**”, ისინი, როგორც ითქვა, შეიძლება იყვნენ რბილი “**ლ**”, რბილი “**რ**”. ტერმინი “**ჰაიასა - აცცი**”-ში “**აცცი**” ზოგჯერ იწერება როგორც “**აზზი**”, საფიქრებელია, რომ ამ ორ “**ზზ**“-ს შორის იდგა “**რბილი ლ**”, მაშინ მივიღებთ ცნობილ ტერმინს “**ალზი**” (აქედან აქაური ტომის სახელი ალიზონი ანუ ალიძონი). ეს სახელი (“**ალზი**”) შემდგომ საუკუნეებში ერქვა ქვეყანას ვანის ტბის სიახლოვეს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყოფილი ჰაიასა-აზზის ქვეყანაში ე.წ. ზღვის ხალხების დასახლების შემდეგ აზზი ანუ ალზი (იგივე ალიძონი) ხალხის ერთი ნაწილი უფრო აღმოსავლეთით გადასახლდა და შექმნა ალზის ოლქი. (აღსანიშნავია, რომ ტერმინი ჰალიძონი შესაძლოა საფუძვლად დაედო მწერალ არიანეს მიერ ნახსენებ ქვეყნის სახელს “**ხორასმიონს**”. ის წერს, რომ ალექსანდრე დიდთან მივიდა ხორასმიონის მეფე ფარასმანი, რომელსაც კონფლიქტი ჰქონდა კოლხებთან.

სახელი **ხორასმიონი = ჰორასმიონი(ხორაზმ) = ჰორასმ = ჰორასმ = ჰარასმ = ჰალასმ = ჰალაზმ = ჰალაძმ = ჰალაძნ = ჰალაძონ = ხალიზონ. ან ხორაზმ = ხალიზონ.** თუ ასეა ხორასმიონის სამეფო ალაძონების ტომისა ყოფილა. კოლხებისა და ხორასმიელთა ომი შიდა კონფლიქტად უნდა ჩაითვალოს).

აღნიშნული სახელები და ტერმინები არ არის ხელოვნურად მოფიქრებული, არამედ დასტურდებიან ამ ტერიტორიაზე (შავი ზღვისპირეთიდან თითქმის ვანის ტბამდე) სხვადასხვა ეპოქაში წარმოქმნილი სახელმწიფოებისა და ქვეყნების სახელებში, რომელნიც საისტორიო წყაროებითაა დადასტურებული,

ჩვენი აზრით როგორც ითქვა, ტრაპეზუნტიდან ვიდრე ვანის ტბამდე გადაშლილ მთიანეთს უნდა ეწოდოს **“არიან ქართლის”** მთიანეთი, სხვადასხვა საუკუნეებში აქ ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახელმწიფო, რომელთა ტერმინოლოგიაში მუდამ მეორდება ერთი და იგივე ხმოვნები - “**აია**”.

უნდა ითქვას რომ ამავე მთიანეთში ძალზე ხშირად გამოიყენება ტერმინები **კოლ ხი**, **ხალიტუ** და **ქალდი**, თავის მხრივ ეს ტერმინებიც ერთმანეთთან უნდა იყვნენ დაკავშირებული.

როგორც ვიცით თანხმოვნები **გ, კ, ქ** პროტოქართულში გამოითქმოდა ერთი თანხმოვნით, ასევე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი საშუალო თანხმოვნით გამოითქმოდა **დ, ტ, თ** და ხმოვნები **ა, ო**. თუ ჩვენ აღნიშნულ ტერმინებში, **კოლხსა და ქალდში** აღნიშნულ თანხმოვნებს შევცვლით თანაიდენტური თანხმოვნებით, ანუ "**კ**"-ს თუ შევცვლით "**ქ**"-თი, "**ო**"-ს შევცვლით "**ა**"-თი, მაშინ სიტყვა კოლხიდან შეიძლება მივიღოთ სიტყვა "**ქალხი**".

როგორც ცნობილია "**ხი**" გამოხატავს მრავლობითობას, ისევე როგორც **ებ (ბ), თ, დ** თანხმოვნები, ამიტომაც სიტყვა კოლხში სუფიქს "**ხი**"-ს შეცვლა შესაძლებელია სუფიქსით **დ** თანხმოვნით, მაშინ სიტყვა კოლხი "**ქალხიდან**" შესაძლოა მივიღოთ სიტყვა "**ქალდი**" და "**ქალიტუ**" (**ხალიტუ**). მართლაც ქალდელები ერქვა კოლხეთში მცხოვრებ ალიძონებს, ასევე, ჩანს, ურარტუს მრავალეთნიკურ ქვეყანაში მცხოვრებთაც, მათ მთავარ "**ღმერთს**", ამიტომაც ურარტუს - ქალდის ქვეყანაც ერქვა, აქედანვეა ხალიტუ.

საბოლოოდ უნდა ვთქვათ რომ ჰაიასას ქვეყანა იყო პროტოქართველების სახელმწიფო, აია-კოლხიდა, რომლის ხალხმაც შემდგომ ჭოროხის სათავეებიდან არაქსამდე და ვანის ტბამდე ხალიტუსა და "ნაირის" ქვეყანები წარმოქმნა, ხოლო შემდგომ ურარტუს-ქალდუს ქვეყანას დაუდო საფუძველი, ძველი კოლხების ანუ იმჟამინდელი ქალდების უზენაესი ღვთაების (ქალდის) მეთაურობით, ვფიქრობთ მთელი ეს მიწა წყალი იყო **არიან-ქართლი**, უძველესი **აია-ქალდუ**.

როგორც აღვნიშნეთ, ცნობილი ხეთოლოგების მიერ გამოკვლეულია, რომ ტერმინ **"ჰაიასაში"** ფუძე ძირია **"ჰაია"**, ხოლო **"სა"** წარმოადგენს ხეთურ სუფიქსს, ამ სუფიქსით (**ასა, ისი**), ხეთურში აღინიშნებოდა ქვეყანა. ასე რომ **"ჰაიასა"** ნიშნავს **"ჰაიას ქვეყანას"**, უამრავი მცდელობაა, რომ სუფიქსი "**სა**" როგორმე დაუკავშირონ იმავე მნიშვნელობის სომხურ სუფიქსს "**კ**"-ს, ან და ირანულ "**სტან**"-ს, მაგრამ უშედეგოდ, თუმცა ამის დასამტკიცებლად გამოქვეყნებულია მრავალი ნაშრომი, თუმცა, ამ ნაშრომებში არსად მიუთითებენ რომ "**სა**", "**ისა**", "**ასა**" ქართულ ენაში იმავე მნიშვნელობით გამოიყენებოდა, როგორც ხეთურში "**სა**", როგორც ინგლისურში "**ლანდ**" და ირანულში "**სტან**", რომ ქართულში "**ისა**" და "**ასა**" აღნიშნავს ქვეყნის, სოფლის თუ ქალაქის სახელს.

ასე, რომ ტერმინი ჰაიასა იყო "**ქვეყანა ჰაია**", ეს სიტყვა ქართული სუფიქსით "**სა**"-ასე გამოითქმოდა - "**ჰაიასა**" (ანუ ქვეყანა **ჰაია**), იგივეა რაც ბერძნული მითების ცნობილი ქვეყანა "**აია**", რომელსაც შემდეგ **კოლხიდა** ეწოდა.

2014 წლის მარტი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

პეტრე იბერის ეკლესიაში მოხსენიების ხანგრძლივობა

პეტრე იბერთან კანონიზაციასთან დაკავშირებით არსებობს ორი თვალსაზრისი. პირველი ეკუთვნის ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბებულ სწავლულ კაცთა კომისიას (ის მუშაობდა მე-18 საუკუნეში კათალიკოს-პატრიარქ დომენტის მეთაურობითა და მრავალი ეპისკოპოსის მონაწილეობით), ხოლო მეორე შემუშავდა ავტოკეფალიის გაუქმების პერიოდში ერისკაცთა წრეში.

მეფე ვახტანგ VI ბრძანებით მომუშავე სწავლულ კაცთა კომისიის დასკვნით პეტრე იბერი ქართულ ეკლესიაში კანონიზირებული იყო უკვე XI საუკუნეში ექვთიმე მთაწმიდელის ეპოქაში, ხოლო მსოფლიო ეკლესიის მიერ კანონიზირებული იყო ჯერ კიდევ რომის პაპის გრიგოლ დიალოღოსის დროს.

ქართლის ცხოვრებაში თითქმის ყველა ხელნაწერში ნათქვამია პეტრე იბერის შესახებ - “ამის ნეტარისა ფრიადი ქება აღეწერა გრიგოლ დიალოღოსსა, წმიდასა პატრიარქსა ჰრომისასა, წიგნსა შინა თვისსა” (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 135).

იმავე თვალსაზრისისაა „ქართლის ცხოვრების” თეიმურაზ ბატონიშვილისეული ნუსხა - “რამეთუ იყო დიდი წმიდა წინაშე ღვთისა და იქმნა ჩვენებითა და ბრძანებითა ქრისტესითა ეპისკოპოს მოჰამისა, რამეთუ არავინ შემძლებელ იყო ქებად მისა, გარნა გრიგოლი დიალოღი, პატრიარქი რომისა, რომელ აღეწერა ქება მისი წიგნსა შინა თვისსა” (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 133).

ისმის კითხვა, სწავლულ კაცთა კომისიამ საიდან აიღო ცნობა, რომ პეტრე იბერის “ქება აღწერა” წმიდა გრიგოლ დიალოღოსმა?

ეს ცნობა მათ უნდა აეღოთ ექვთიმე მთაწმიდელის იმავე შინაარსის ცნობიდან, ექვთიმე მთაწმიდელის ცნობით წმ. გრიგოლი წერდა პეტრეს შესახებ შემდეგს - “მონაზონი ვინმე იყო სახელით პეტრე, ნათესავით ქართველი და იგი მითხრობდა მე ცხოვრებისათვის თვისისა უმანკოდ ... ქვეყანასა ქართლისასა”... (მ. ჯანაშვილი, თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, წიგნი III, გვ. 21 - 22).

მაშასადამე წმ. გრიგოლს ესაუბრებოდა ბერი პეტრე იბერიიდან, რომელთანაც საუბარი წმ. გრიგოლს გადმოუცია წიგნში “დიალოგები”. ეს პეტრე ექვთიმე მთაწმიდელს მიაჩნია “ქართლის ქვეყნიდან” გამოსულ მონაზვნად, რომელიც უმანკოდ ცხოვრობდა.

სწავლულ კაცთა კომისიის თვალსაზრისით ექვთიმე მთაწმიდელი დარწმუნებული ყოფილა, რომ წმიდა გრიგოლ დიალოღოსის მიერ ნახსენები პეტრე იბერიელი არის ქართველი პეტრე იბერი, ამიტომაც დაწერა კომისიამ თავის დასკვნაში ზემოთნახსენები სიტყვები, რომ ქება პეტრე იბერისა შეეძლო მხოლოდ გრიგოლ დიალოგოსს.

მაშასადამე, სწავლულ კაცთა კომისიის აზრით პეტრე იბერი ქართულ ეკლესიაში მოიხსენიებოდა ექვთიმე მთაწმიდელის დროსაც, მსოფლიო ეკლესიაში კი, წმიდა გრიგოლ დიალოგოსის დროიდან. „გრიგოლ ჰრომთა პაპისა დიალოღონი” ექვთიმეს 1011 წელს უთარგმნია” (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 203).

კ. კეკელიძის აზრით პეტრე იბერი საქართველოს ეკლესიის მიერ კანონიზებული იყო მე-13 საუკუნედან მე-18 საუკუნის შუა წლებამდე. ის ამტკიცებდა, რომ პეტრე იბერი და, ასევე, ასურელი მამები მონოფიზიტები იყვნენ, და ისინი ქართველებმა წმინდანთა რიგში შეიყვანეს შეცდომით. კ. კეკელიძის სურვილი იყო კალენდრიდან ამოღებული ყიფილიყო ასურელ მამათა ხსენებაც პეტრე იბერის მსგავსად.

კ. კეკელიძის თვალსაზრისით XIII საუკუნისათვის ვინმე მთარგმნელმა მაკარიმ მოიპოვა სირიული ტექსტი პეტრე იბერის შესახებ, თარგმნა ქართულად და მხოლოდ ამის შემდეგ შევიდა პეტრე იბერის ვითარცა წმიდანის ხსენება ქართულ ეკლესიაში.

კ. კეკელიძე წერს, რომ წყაროები დაუთარიღებელია, ამიტომაც ზუსტად არ იცის დრო მაკარი მესხის თარგმანისა.

კ.კეკელიძის ამგვარი დათარიღება მიუღებელი და არასწორია, მაგალითად, პეტრეს ცხოვრების თარგმანი კ. კეკელიძის აზრით არ შეიძლება იყოს IX-X საუკუნეებზე ადრინდელი, იმ მიზეზის გამო, რომ მასში იხსენიება წმიდა ნინო. კ. კეკელიძის აზრით წმ. ნინოს, თავის განმანათლებელს, თურმე ქართველები არ იცნობდნენ და არც ახსენებდნენ მეცხრე საუკუნემდე და მხოლოდ IX-X საუკუნეებიდან შეუდგნენ მის ხსენებას. ესაა გავრცელებული, მაგრამ სრულიად დუსაბუთებელი აზრი, მეოთხე - მეხუთე საუკუნეებში ქართველთა განმანათლებელს (წმიდა ნინოს) ახსენებდნენ უცხოელებიც კი, გელასი კესარიელი, გელასი კვიზიკელი სხვა იმჟამინდელი ბერძენ-რომელი ავტორები და ამავე საუკუნეთა (მე-4, მე-5 საუკუნეები) სომეხი მწერლები - აგათანგელოზი, მოვსეს ხორენაცი და სხვანი, ხოლო ქართველები, თურმე, ამავე ეპოქაში, წმიდა

ნინოს არ ახსენებდნენ, ასეთია საბჭოთა ანუ რუსული ეპოქის ქართველ მეცნიერთა შეურყეველი, მაგრამ მცდარი მტკიცება.

კ. კეკელიძის ეს აზრი, რომ თითქოსდა ქართველები წმ. ნინოს მხოლოდ მეცხრე საუკუნიდან ახსენებდნენ, ცხადია მცდარია. ქართველები წმიდა ნინოს ახსენებდნენ მუდამ, IV საუკუნიდანვე. შესაბამისად, არასწორია ქვედა მიჯნა პეტრე იბერის ცხოვრების თარგმანისა.

ასევე არასწორია კ.კეკელიძის მიერ შემოთავაზებული აღნიშნული თარგმანის მაღალი მიჯნაც (მე-13 საუკუნე). მას კ. კეკელიძე საზღვრავს ერთადერთი ფრაზით - "არა მიდრეკილ არს ქვეყანა იგი ქართლისა წმიდისა და მართლისა სარწმუნოებისაგან და არც მივდრკეთ უკუნისამდე". ის ამ სიტყვებს მიაწერს რუის-ურბნისის კრებას. სინამდვილეში ეს სიტყვები რუის-ურბნისის კრებამდე გაცილებით ადრე გამოთქვა წმ. გიორგი მთაწმიდელმა.

იმპერიაში გაჩაღებული სარწმუნოებრივი ბრძოლის გამო ბიზანტიის იმპერატორი შეეკითხა წმ. გიორგი მთაწმიდელს - "იწყო მეფემან კითხვად შჯულისათვის მართლმადიდებელთაისა - ანუ თუ არს განყოფილებაი სარწმუნოებისა თქვენისა სრულისა მას და უცთომელსა სარწმუნოებისასა ბერძენთა თანა? ხოლო ნეტარმან მან ესრეთ მაღლად და ღვთივ-ბრწყინვალედ წარმოთქვა სარწმუნოებაი მართალი ჩვენ ქართველთა ნათესავისა, რომელ განაკვირვა მეფე და ყოველნი მთავარნი მისანი და ჰრქუა მეფესა - "ესე არს სარწმუნოებაი მართალი, ნათესავისა ჩვენისაი და რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა მარჯულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს " (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, 1967, გვ. 178).

მაშასადამე, წმიდა გიორგი მთაწმიდელი ამბობს - "ესე არს სარწმუნოებაი მართალი, არღარა მიდრეკილ ვართ... არცა მივდრკეთ" (იქვე, გვ. 178).

მაკარი მესხი წერს - "არა მიდრეკილ არს ქვეყანა იგი ქართლისა წმიდისა და მართლისა სარწმუნოებისაგან და არც მივდრკეთ" (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 336).

ეს ორი გამონათქვამი იდენტურია.

მაშასადამე, მაკარი მესხი არ ხმარობს "რუის-ურბნისის კრების ტერმინოლოგიას".

შესაბამისად, კ. კეკელიძის აღნიშნული მტკიცება თარგმანის მაღალი მიჯნის (მე-13 საუკუნე) შესახებ, არის შეცდომა.

მაკარი მესხი ხმარობს გიორგი მთაწმიდელის (მე-11 საუკუნე) სიტყვებს და არა რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერისას, ამიტომაც, კ. კეკელიძის მიერ შემოთავაზებული ზღვარი პეტრე იბერის მოხსენიების დაწყებისა, მე-13 საუკუნე, არასწორია.

აქედან გამომდინარე, მისაღებად ჩანს ძველი თვალსაზრისი, რომ საქართველოს ეკლესიაში პეტრე იბერის მოხსნიება ვითარცა წმიდანისა, ექვთიმე მთაწმიდელის ეპოქას განეკუთვნება.

ასახა თუა არა ეს მომენტი ამავე ეპოქაში გიორგი მთაწმიდელის ცნობილმა ნაშრომმა, რომელიც დიდი სვინაქსარის სახელითაა ცნობილი?

წმიდა გიორგი მთაწმიდელმა თარგმნა ერთერთი ცნობილი ბერძნული მონასტრის სვინაქსარი, რომელშიც შეტანილია „ცხორებანი და წამებანი დღითი დღეთა წმიდათანი სულმცირედ და შემოკლებულად" („დიდი სვინაქსარი", 2017, გვ.6). ამ სვინაქსარში მთარგმნელს შეტანილი აქვს მხოლოდ აღნიშნული ბერძნული მონასტრის დედანში მოხსენიებულ წმიდათა ცხოვრება, ის მას დედნიდან უცვლელად უთარგმნია. შესაბამისად მის თარგმნილ ქართულ სვინაქსარში არ იყო შეტანილი არცერთი ქართველი წმიდანის ცხოვრება, ერთი გამონაკლისის გარდა. გიორგი მთაწმიდელმა გადაწყვიტა დედნისაგან დამოუკიდებლად თარგმანში შეეტანა ცხორებანი თავისი ანუ ივერთა მონასტრის ყოფილი წინამძღვრების იოანე და ექვთიმე მთაწმიდელებისა.

მაშასადამე, თავდაპირველად, თარგმნილ სვინაქსარში მხოლოდ ორი ქართველი წმიდანი მოიხსენიებოდა. მხოლოდ შემდგომი წლების გადამწერებმა შეიტანეს აქ სხვადასხვა ქართველი

წმიდანის ცხოვრება, მაგალითად, მხოლოდ შემდეგ შეიტანეს ასურელი მამებისა და სხვათა ცხოვრებანი. რა იყო ამის მიზეზი? საფიქრებლია, რომ ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ იმ ეპოქაში არ იყო დაკანონებული საზოგადო წმიდათა მოხსენიების საყოველთაო საეკლესიო წესი. იმ ეპოქაში ყველა მონასტერს თუ ეპარქიას შეეძლო თავისი საკუთარი წმიდანების ცხოვრების წარმოჩენა, შემდეგში მოხდა ცვლილება და სავალდებულოდ იქცა საზოგადო წმიდათა კანონიზაცია, მაგალითად, როგორც ითქვა, ივერთა მონასტერმა თავის საჭიროებისათვის თარგმნილ სვინაქსარში საჭიროდ მიიჩნია მხოლოდ საკუთარი მონასტრის ფუძემდებლი მამების იოანესა და ექვთიმეს კანონიზაცია.

შემდგომ ეპოქაში, ამ სვინაქსარის განვრცობისა და სხვა ეპარქიებსა და მონასტრებში გამოყენების კვალდაკვალ, გადამწერთა მიერ შეტანილ იქნა საზოგადო წმიდათა ცხოვრებანიც. მათ შორის, წმიდა ნინოსი, პეტრე იბერისა, ილარიონ ქართველისა, პროხორე ქართველისა, ილარიონ ქართველისა, შუშანიკისა, რაჟდენისა, იოანე ზედაზნელისა და სხვა, საქართველოსთან დაკავშირებული წმიდანებიც იხსენიებიან - მაგალითად, იოანე გუთელი (ქართლის კათალიკოსის მიერ ნაკურთხი), მაქსიმე აღმსარებელი და სხვა.

დიდი სვინაქსარის 2017 წლის გამომცემელი წერს - „ამრიგად, ბერძნულიდან თარგმნილ ბერძნულ სვინაქსარში გიორგი მთაწმიდელის მიერ უშუალოდ ტექსტში შეტანილია ერთადერთი ქართული ცხოვრება იოანე და ექვთიმე მთაწმიდელებისა, სხვა ქართული მასალა წარმოადგენს ნუსხების გადამწერთა ინიციატივას" (დიდი სვინაქსარი, 2017, გვ.032).

იხსენიებოდა თუ არა პეტრე იბერი დიდ სვინაქსარში? როგორც ითქვა მასში გიორგი მთაწმიდელს ქართველი წმიდანების ცხოვრებანი არ შეუტანია გარდა იოანე და ექვთიმე მთაწმიდელებისა, **ამ ნუსხის შემდეგდროინდელმა გადამწერებმა მას დაამატეს ზოგიერთი სხვა ქართველი წმიდანების სახელები. მათ შორის ყოფილა პეტრე იბერიც, რადგანაც დიდი სვინაქსარის მე-11 საუკუნის ნუსხაში რომლის ნომერია D. A 193 არშიაზე მიწერილია პეტრე ქართველის ხსენება (დიდი სვინაქსარი, 2017, გვ. 43). ეს ხელნაწერი თ. ჟორდანიასა და კ. კეკელიძეს გიორგი მთაწმიდელის სიცოცხლეში გადაწერილად მიაჩნიათ (იქვე, გვ. 43).**

ასე, რომ ეს საკითხი პრობლემატურია.

ამ პრობლემატური საკითხის განხილვა ეკლესიას საჭიროდ მიაჩნია.

შესაძლოა დადგა დრო პეტრე იბერის პრობლემის სიმშვიდით განხილვისა. მეცნიერულ მსჯელობასა და კვლევას წინ რა უდგას? მით უფრო, რომ იქამდეც ცნობილი იყო საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია მეორის დადებითი გამონათქვამები პეტრე იბერის მიმართ მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდანვე, კიდევ უფრო ადრე წმიდანად მოიხსენიებდნენ პეტრე იბერს კირიონ მეორე და სხვა ჩვენი კათალიკოს პატრიარქები, ამის გამო საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა, ჩემი თანამონაწილეობით, 21-ე საუკუნის დასწყისში თავის ერთერთ სხდომაზე დაადგინა კიდეც პეტრე იბერის კანონიზაცია, თუმცა ეს გადაწყვეტილება მეორე დღესვე იქნა თაროზე შემოდებული. ამის მიზეზი, როგორც ამბობდნენ სასულიერო აკადემიის სტუდენტების პროტესტი იყო და, იმავე ხანს გამოიცა ერთერთი ყველასათვის ცნობილი მეცნიერის ბროშურა "პეტრე იბერის თაობაზე" (2010 წ.), სადაც ავტორი მძვინვარე ტონით წერს, რომ "ამ მხრივ დღეს რაიმე სერიოზული მსჯელობის წარმოება სხვა არაფერია თუ არა უკიდურესი შეურაცხყოფა ეკლესიის უცთომელობის დოგმატიკისა" (გვ. 3), რომ, მკვლევარები რომელნიც პეტრე იბერს მართლმადიდებლად მიჩნევენ - "მოკლებულნი არიან ყოველგვარ მეცნიერულ კომპეტენციას" (გვ. 22), ის, პრობლემის სიმშვიდით განხილვის ნაცვლად გასაოცარი დიდაქტიკური სიამაყით ხაზგასმით აცხადებს - "ამ პირთა წინაშე მეცნიერული კვლევის წარმოება შეურაცხება იქნებოდა თავად მეცნიერული კვლევისა" (გვ. 22), ავტორი თავის ამ სიტყვებით შეურაცხყოფს XII-XVII საუკუნეების ქართველ მამებს, რომელნიც პეტრე იბერის მოიხსენებდნენ ვითარცა მართლმამდიდებელ წმიდანს, ასევე, მე-18 საუკუნის ძალზე კომპეტენტურ "სწავლულ კაცთა კომისიას", რომელიც შედგებოდა მღვდელმოძღვართა და მეცნიერთაგან, მათ, როგორც ცნობილია

ქართლის ცხოვრებას თან დაურთეს ინფორმაცია პეტრე იბერის შესახებ, სადაც მას უწოდებენ - “მართლმადიდებელთა მნათობს” და ა.შ.

მაშასადამე ის თავის თავს ყველა ძველ იმ საეკლესიო მამაზე მაღლა აყენებს, ვინც არამისებურად განიხილავდა პეტრე იბერს. რით არის ის უფრო მეტი ვიდრე ვთქვათ მღვდელმთავარი კვიპრიანე სამთავნელი, დიდი სამართალმცოდნე, რომელმაც ბერძნულიდან თარგმნა სამართლის წიგნი და იგი იყო ერთ-ერთი წევრი კომისიისა, რომელმაც პეტრე წმიდანად აღიარა?

ისმის კითხვა, როგორ, ნუთუ უბრალო მსჯელობაც კი პეტრე იბერის სარწმუნოების შესახებ შეურაცხყოფს ეკლესიის უცთომელობის დოგმატს?

ქართველ მეცნიერთა და მორწმუნეთა სხვადასხვა ჯგუფი წლების მანძილზე აყენებდა და აყენებს საკითხს პეტრე იბერის კანონიზაციის შესახებ. მათ თავიანთი მოსაზრების საფუძვლად მიაჩნიათ არამხოლოდ პეტრე იბერის საყოველთაო სახელგანთქმულობა, არამედ ისიც, რომ პეტრე იბერმა V საუკუნეში პალესტინაში დააარსა ქართველთა მონასტრები, რომელნიც საუკუნეთა მანძილზე საეკლესიო ცენტრები იყვნენ და ამასთან ის XII-XVIII საუკუნეებში ეკლესიის წმიდანი იყო. მაშასადამე არსენ იყალთოელს, არსენ ბერს, წმ. დავით აღმაშენებლის მოძღვარს, გიორგი ჭყონდიდელსა და სხვა გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეებს და მათ შემდეგ მიჯრით ვიდრე მე-18 საუკუნემდე პეტრე იბერი თუ კი წმიდანად მიაჩნდათ ამით მათ მიერ უცდომელობის დოგმატი ირღვევა?

ჩანს, ანტონ კათალიკოსის დროს, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, პეტრე იბერი ამოღებული ყოფილა წმიდათა რიგიდან, მაგრამ მის მომდევნო პატრიარქებს იოსებ და შემდეგ ანტონ II კათალიკოსებს აღუდგენიათ პეტრე იბერის ძველებურადვე მოხსენების წესი.

მაშასადამე პეტრე იბერს საქართველოს ეკლესია იხსენიებდა მე-11, 12 საუკუნედან მე-18 საუკუნის შუა წლებამდე (ანტონამდე), შემდეგ, მე-18 საუკუნის მიწურულს მისი ხსენება აღსდგა, მაგრამ ამავე დროს საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია დაკარგა, ამის მიუხედავად, მას ზოგიერთი მოღვაწე წმიდანად მოიხსენიებდა მე-19 საუკუნის დასაწყისშიც კი.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების პერიოდში ის, სხვა ეროვნულ მოღვაწეთა მსგავსად დავიწყებულ იქნა, ხოლო ათეისტურ ეპოქაში ის ფილოლოგიურ წრეებში მსგავსად ასურელი მამებისა მონოფიზიტად იქნა აღიარებული.

კ.კეკელიძე, როგორც ითქვა, თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ასურელი მამაები მონოფიზიტები იყვნენ და კალენდრიდან მათ ამოღებასაც ცდილობდა, თუმცა ამით ასურელი მამების წმიდანობის შარავანდედი არ გაფერმკრთალებულა, მსგავსადვე, არც პეტრე იბერის სიდიადეს მოაკლდება სიკაშკაშე ზოგიერთი ჯგუფის მიერ მისი დაკნინებით.

თავისი აზრის დასაცავად, რომ თითქოსდა ასეურელი მამები მონოფიზიტები იყვნენ, კ.კეკელიძე დაურიდებელ პოლემიკას აწარმოებდა წმ. გრიგოლ ფერაძესთან და ეკლესიის სხვა მამებთან (რის შესახებაც აღშფოთებით მომითხრობდა XX საუკუნის 70-იან წლებში სიონის ტაძრის პროტოპრესვიტერი მამა პახუმი ობოლაძე).

ასურელი მამების მონოფიზიტობას ასე ამტკიცებს კ. კეკელიძე - ”სირიელ მოღვაწეთა” საკითხს ჩვენ ვუძღვნით სპეციალურ მონოგრაფიას (1926), რომელშიც ვამტკიცებთ, რომ ეს მოღვაწენი ეროვნებით ქართველნი, სარწმუნოებით კი - მონოფიზიტები იყვნენ, ისინი გამოექცნენ სირიაში მონოფიზიტების დევნას და ჩვენში მოვიდნენ სხვადასხვა დროს”. ამ მონოგრაფიას გამოეხმაურა ცნობილი ისტორიკოსი და ფილოლოგი წმ. გრიგოლ ფერაძე. კ.კეკელიძე დასცინის წმიდა გრიგოლ ფერაძეს რომელიც ასურელი მამების მართლმადიდებლობას ამტკიცებდა.

კ. კეკელიძე წერდა - „ფერაძის შრომა აგებულია სრულ გაუგებრობაზე, ახასიათებს ქართული ენისა და წყაროების უცოდინარობა და ისტორიული ფაქტების უგულებელყოფა ... ავტორს იმის სურვილიც არ ემჩნევა ყოველთვის, რომ სხვის ნათქვამს ჩაუკვირდეს. რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილს ის არ იზიარებს ჩვენს მოსაზრებას ამ პირთა მონოფიზიტობისა და ქართველობის

შესახებ, უმთავრესად იმიტომ რომ X-XII საუკუნეებში ძეგლებში ისინი სირიელებად და მართალის სჯულის - დიოფიზიტობის აღმსარებლებად არიან წარმოდგენილნი (მართალი სჯული ყოველთვის დიოფიზიტობას არ უდრის)... ამ ძეგლებში საუკუნეთა განმავლობაში წარმოებული ბრძოლისა და დუღილის შედეგად, საქმის ვითარება ტენდენციურად შეცვლილი და შეკეთებულია, ეს ძეგლები თვითონ თხოულობენ კრიტიკულ მიდგომასა და გაცხრილვას. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მაგალითად პეტრე მაიუმელის მონოფიზიტობის შესახებ მისი ქართული "ცხოვრება" არას ამბობს, მაგრამ ნადვილად, როგორც ცნობილია სხვა წყაროებიდან, ის ბელადი იყო მონოფიზიტობისა, ასევე უნდა ითქვას სირიელ მოღვაწეთა შესახებაც" (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 157, შენიშვნა).

მაშასადამე, კ. კეკელიძის აზრით ასურელი მამები და პეტრე იბერი "ბელადები" იყვნენ მონოფიზიტობისა. კ. კეკელიძე ცდებოდა, ასურელი მამების მონოფიზიტობის შესახებ. მისი ეს აკვიატებული იდეა, მადლობა ღმერთს, არ გაიზიარა ეკლესიამ, რაც იყო მღვდელმთავართა დამსახურება, თუმცა ამის გამო მათ უვიცებს და ჩამორჩენილებს უწოდებდნენ („რა უვიცია ქართველი სამღვდელოება" - მიმტკიცებდა ეკლესიის მიერ დაქირავებული ერთერთი ერისკაცი - რედაქტორი, 70-იან წლებში, თითქოსდა იმის გამო რომ „მათ სჯერათ მოციქულების საქართველოში ქადაგება, რაც უკვე უარყოფილია მეცნიერთა, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის მიერ" - მიმტკიცებდა ის).

წმიდა ეკლესიამ, კ.კეკელიძის უძლიერესი ზეწოლის მიუხედავად, ჩვეულებრივ გააგრძელა ასურელი მამების ათასწლოვანი ხსენება, არ გაიზიარა იმჟამინდელ საზოგადოებაში დანერგილი აზრი მათი მონოფიზიტობის შესახებ, მსგავსადვე, ჩემი ფიქრით, მცდარია აზრი პეტრე იბერის მონოფიზიტობის შესახებ, მაგრამ ამ საკითხის სათანადოდ განსასჯელად დღემდე ვერ მოიცლა ეკლესიამ, რომელიც ათეისტური ეპოქის წნევის სისიხლიან დაღს ჯერ კიდევ იშუშებს, მაგრამ, ვფიქრობ, კვლავ დადგება დრო პეტრე იბერის კანონიზაციისა.

პეტრე იბერი ვითარცა წმიდანი გამოხატულია იერუსალიმის ამჟამად ბერძნული ჯვრის მონასტრის ფრესკაზე, რაც ამ მონასტრის მფლობელ ბერძნულ საპატრიარქოს არ უქმნის არავითარ უხერხულობას, რადგანაც ბერძნლი ეკლესია პეტრე იბერს მწვალებლად არ მიიჩნევდა, პირიქით, მაგალითად, მე-14 საუკუნით დათარიღებული ე. წ. ბერძნულ-ქართული ხელნაწერი ათონის წმიდა მთისა, რომელიც ამჟამად პეტერბურგშია დაცული, პეტრე იბერს წმიდათა რიგში გამოხატავს, ასევე, სინას მთის ცნობილ ბერძნულ მონასტერში, რომელიც მართმადიდებლობის საამაყო საუკუნოვანი კერაა, დაცულია ძველი ხატი, რომელზეც გამოხატულია პეტრე იბერი, ვითარცა წმიდანი. ამ ხატზე გამოხატულ პეტრე იბერს, შიო მღვიმელსა და ილარიონ ქართველს ეწოდებათ „მნათობნი ქართველთანი", ამ ხატის ასლი საქართველოში, ჩვენს მონასტერშია დაცული.

ასე, რომ ამჟამადაც კი, პეტრე იბერის ხატი თვით სინას მთაზე და, ასევე, იერუსალიმში ფრესკაზეა დაცული, მართმადიდებლობის სასიქადულო კერებში.

ასევე, კვლავ შეიძება ითქვას ათონის მთის ცნობილ ე. წ. ბერძნულ-ქართულ ხელნაწერზე, რომელშიც გამოხატულია პეტრე იბერი ვითარცა წმიდნი. ე.წ. „ბერძნულ-ქართული ხელნაწერი" იშვიათი ხელნაწერია - რადგანაც მასში გამოხატულია ყველა წმიდანი რომელიც კი მოიხსენიებოდა წმიდა მართმადიდებელ მსოფლიო ეკლესიაში საუკუნეთა მანძილზე. მხოლოდ ამ ხელნაწერშია დაცული ყველა წმიდანის გამოსახულება. ამ მიზეზის გამო, ცნობილი რუსული მართმადიდებლური ენციკლოპედია „პრავასლავნაია ენციკლოპედია" ხშირად სარგებლობს ამ ხელნაწერით წმიდანების სახის გადმოცემისას. ამ ხელნაწერში პეტრე იბერის რამდენიმე გამოსახულებაა სხვა წმიდათა შორის.

ამჟამად ავრცელებენ მოსაზრებას, თითქოსდა ჩვენი ცნობილი პეტრე იბერი არის ის პიროვნება, რომელიც მე-6 მსოფლიო კრებამ მწვალებლად მოიხსენია და განკეთა, ამასთან დაკავშირებით უნდა გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ეს აზრი არასწორია, რადგანაც შეუძლებელია

იერუსალიმში მართლმადიდებლური ტაძრის კედელზე გამოესახათ უზარმაზარი ფრესკა პეტრე იბერისა, რომელიც მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ იყო განკვეთილი.

მართალია იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ქართული იყო, მაგრამ ის მდებარეობდა იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ამასთანავე, ამ მონასტერს ხშირად ბერძენები განაგებდნენ და ნუთუ ისინი დაუშვებდნენ ამ ტაძრის კედელზე მსოფლიო კრების მიერ დაგმობილი მწვალებლის, ვითარცა წმიდანის გამოსახვას? ანდა აღნიშნულ ბერძნულ-ქართულ ხელნაწერში, სადაც მსოფლიო მართლმადიდებლობის ყველა წმიდანია გამოხატული, თანაც საბერძნეთშია შედგენილი, დაუშვებდნენ მსოფლიო კრების მიერ დაგმობილი მწვალებლის წმიდანად გამოსახვას? იქ კი რამდენჯერმეა გამოხატული პეტრე იბერი, ვითარცა წმიდანი, მსოფლიოს უდიდეს წმიდანთა გვერდით.

დავუშვათ, რომ ქართველები არ იცნობდნენ მსოფლიო კრებათა იმ დადგენილებას, რომელსაც ეყრდნობიან პეტრე იბერის მოწინააღმდეგენი, მაგრამ სინას მთის ბერძენი ბერები ხომ იცნობდნენ, ნუთუ ისინი მათ უწმიდეს მონასტერში ადგილს მისცემდნენ ხატს, სადაც პეტრე იბერი გამოხატულია ვითარცა წმიდანი მაქსიმე აღმსარებელთან და სხვა უდიდეს ბერძენ წმიდანებთან ერთად?

ზემოთაღნიშნული მეცნიერი ედავება XII-XVIII საუკუნეების იმ საეკლესიო მამებს, რომელთაც პეტრე იბერის წმიდანად მოხსენებთ, "საეკლესიო უცთომელობის დოგმატი" დაარღვიეს. თუ ასეა, მაშინ ეს დოგმატი ბერძნებსაც დაურღვევათ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, ათონის მთაზე, და სინას მთაზე, როცა შემოინახეს პეტრე იბერის გამოსახულებები, ვითარცა წმიდანისა.

მისი ბრლადებები და მენტორული კილო გვახსენებს წმ. ამბროსი მედიოლანელის მიმართვას იმპერატორ ვალენტინიანე მეორესადმი - "სად გაგონილა, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ სარწმუნოების საქმეში ერისკაცები ეპისკოპოსთა მსაჯულებად გამოდიოდნენ? გამოდის - ერისკაცი მსჯელობს და ეპისკოპოსი მას უსმენს! ნუთუ ვინმე უარყოფს, რომ სარწმუნოების საქმეში იმპერატორები კი არ არიან ეპისკოპოსთა მსაჯულები, არამედ პირიქით, ეპისკოპოსები სჯიან იმპერატორებს. რა ფასი აქვს იმ ეპისკოპოსს, რომელსაც თავის სამღვდელო უფლებას ერისკაცს ფეხქვეშ უფენს. მამაშენი იტყოდა ხოლმე - "მე არ შემშვენის ეპისკოპოსთა მსაჯული ვიყოვო" შენ კი ამბობ - "მე უნდა განვსაჯო ისინიო" (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 155, შენ. I).

ჩვენი ეკლესიის ვარსკვლავმა წმ. გრიგოლ ხანძთელმა დამოძღვრა მეფე, რომ ერისკაცმა, თუნდაც ხელმწიფემ, ეპისკოპოსის წინაშე არ უნდა იკადროს სჯულისმოძღვრება - ერისკაცმა თუნდაც რაიმე კეთილი წესი იხილოს ისეთი, "რომც ქრისტიანობასა შუენოდეს და ჩუენს შორის არა იყოს" ანდა "წიგნთაგან წმიდათა გულისხმა ყოს", - არ უნდა "აუწყებდეს" ხალხს, არამედ უნდა გაჩუმებული იყოს - "უმჯობეს დუმილი არსო", მაგრამ თუ "დუმილი ვერ ძალედვას", მაშინ "აუწყოს" თვისსა ეპისკოპოსსა, ხოლო ვინც პირადად, თვითონ, უეპისკოპოსოდ, თანამოძმეთა აუწყებდეს, თუნდაც კეთილს, იგი "უფლისა წინააღმდგომთა თანა დაისაჯოსო".

მრევლისა და სასულიეროთა მნიშვნელოვანი ნაწილი სვამს კითხვას, თუკი სინას მთაზე, იერუსალმსა და ათონზე პეტრე იბერი წმიდანად იწოდებოდა, და საქართველოს ეკლესია მას საუკუნეთა მანძილზე განადიდებდა ავტოკეფალიის დაკარგვამდე, რატომ არ უნდა დადგეს საკითხი მისი კანონიზაციის შესახებ?

პირადად მე, ისევე როგორც მრავალ ქართველ სასულიერო პირს - კირიონიდან ჩვენს პატრიარქამდე, სჯეროდა, რომ პეტრე წმიდანი იყო მართმადიდებელი ეკლესიისა, წმიდა კირიონ კათალიკოსის აზრით პეტრე იბერი წმიდანი იყო როგორც მართმადიდებელი ასევე შესაძლოა, ასევე, მონოფიზიტური ეკლესიისა, რადგანაც ორივე ეს მიმართულება მას უდიდეს პატივს სცემდა.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს წმიდა სამოციქულო ეკლესიის მეთაურები (მოციქულებიდან დღემდე)

I. ისტორიულ საქართველოს მიწა-წყალზე მოღვაწე წმიდა მოციქულები

1. **წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული** - (საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დამაარსებელი (I საუკუნის 30-50-იანი წწ.)
2. **წმიდა მოციქული სიმონ კანანელი** (I საუკუნე)
3. **წმიდა მოციქულები: მატათა, ბართლომე, თადეოზი** (I საუკუნე)

II. პირველი ერარქები საქართველოს ერთიანი ეკლესიის ორგანიზებამდე (I-III სს.) (ერთმანეთისაგან ურთიერთდამოუკიდებელნი იყვნენ)

4. **წმიდა მოციქულ ანდრიას მიერ დადგენილი პირველი მაწყვერელი ეპისკოპოსი** (I საუკუნე)
5. **პალმოსი,** პონტოელი ეპისკოპოსი (II საუკუნის დასაწყისი)
6. **მარკიონ კოლხიდელი** (ფასისელი) ეპისკოპოსი (138 წლამდე მწვალე ბელი)
7. **სოფრონი** ლაზეთის ეპისკოპოსი (დაახ. 302-325 წწ.)
8. **იბირბზხუა (ირენარხე)** ქართლის ეპისკოპოსი (დაახ. 302-325 წწ.)
9. **სტრატოფილე** პიტიუნტის ეპისკოპოსი (325 წლისათვის)
10. **დომნუს** ტრაპეზუნტელი ეპისკოპოსი (325 წლისათვის)

III. მოციქულთა სწორ წმ. ნინოს შემდგომი ერთიანი ("ყოველი ქართლის") ეკლესიის მეთაურები "კათოლიკოს-ეპისკოპოსნი" რუის-ურბნისის კრების - "ძეგლისწერის" მიხედვით

11. **იოანე I** მთავარეპისკოპოსი (326 წლიდან)
12. **იაკობი** (IV საუკუნის 60-70-იანი წწ.)
13. **იობი** (დაახ. IV საუკუნის 70-90-იანი წწ.)
14. **ელია** (დაახ. IV საუკუნის 90-იანი წლებიდან - V საუკუნის დასაწყისამდე)
15. **სვიმონ I** (დაახ. V საუკუნის დასაწყისი - 20-იანი წლები)
16. **მოსე** (დაახ. V საუკუნის 20-იანი წლები)
17. **იონა** (დაახ. V საუკუნის 20-იანი წლები)
18. **იერემია** (დაახ. V საუკუნის 20-იანი წლების ბოლო)
19. **გრიგოლ I** (დაახ. V საუკუნის 20 - 30იანი წწ.)
20. **ბასილ I** (დაახ. V საუკუნის 30-იანი წლები)
21. **მობიდანი** (დაახ. V საუკუნის 30-იანი წლების ბოლო)
22. **იოველ I** (დაახ. V საუკუნის 40-იანი წლები)
23. **გლონოქორი** (დაახ. V საუკუნის 40-იანი წლების ბოლო)
24. **მიქაელ I** (V საუკუნის 50-იანი წლებიდან 60-იანი წლების ბოლომდე)

IV. კათალიკოს-მამამთავარნი
წმ. ვახტანგ გორგასლის შემდეგ საქართველოს ეკლსიის მეთაურები
("აქაითგან იწყეს კათალიკოზთა მამამთავრობად"
„მოქცევაჲ ქართლისაჲ", ძეგლ. I, გვ. 93)

25. **პეტრე I** (დაახ. V საუკუნის 60-იანი წლებიდან)
26. **სამოელ I** (VI საუკუნის დასაწყისი)
27. **გაბრიელ I** (დაახ. 505-507 წწ.)
28. **თავფაჩაგ (თავფაჩაღ) I** (დაახ. VI საუკუნის 10-იანი წლები)
29. **ჩიმაგა (ჩერმაგ) I** (VI საუკუნის 10-იანი წლების II ნახევრიდან 20-იან წლებამდე)
30. **საბა (დასაბია) I** (დაახ. VI საუკუნის 20-30-იანი წწ.)
31. **ევლალე (ევლათი, ევლავიოს) I** (VI საუკუნის 30-იანი წლები)
32. **მაკარი** (დაახ. VI საუკუნის 30-იანი წლების ბოლო)
33. **სამოელ II** (VI საუკუნის 40-60-იანი წწ.)
34. **სვიმონ II (სვიმონ-პეტრე)** (დაახ. VI საუკუნის 60-70-იანი წწ.)
35. **სამოელ III** (დაახ. 575-582 წწ.)
36. **სამოელ IV** (დაახ. VI საუკუნის 80-90-იანი წლები)
37. **ბართლომე** (VI საუკუნის 90-იანი წლების ბოლო)
38. **კირიონ (კირიონ) I** (დაახ. 599-614/16 წწ.)
39. **იოანე II** (დაახ. VII საუკუნის 20-იანი წლების ბოლო)
40. **ბაბილა** (დაახ. VII საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისი)
41. **თაბორი** (დაახ. VII საუკუნის 30-იანი წლები)
42. **სამოელ V** (დაახ. VII საუკუნის 30-იანი წლების ბოლო 40-იანი წლების დასაწყისი)
43. **ევნონ** (დაახ. VII საუკუნის 40-იანი წლები)
44. **თავფაჩაგ II** (დაახ. VII საუკუნის 50-60-იანი წლები)
45. **ევლალე II** (დაახ. 664-668 წწ.)
46. **იოველ II** (დაახ. 668-670 წწ.)
47. **სამოელ VI** (დაახ. 670-677 წწ.)
48. **გიორგი I** (დაახ. 677-678 წწ.)

V. საქართველოს ეკლესიის მეთაურები "პატრიარქთა სწორნი"
VI მსოფლიო კრების შემდეგ

("VI მს. კრების მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის ...
იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორ პატრიარქთა თანა" ქ.ც. I, გვ. 232)

49. **კვირიონ II** (დაახ. 678-683 წწ.)
50. **იზიდ-ბოზიდი** (დაახ. 683-685 წწ.)
51. **თეოდორე I** (დაახ. 685-689 წწ.)
52. **პეტრე II** (დაახ. 689-720 წწ.)
53. **მამაი** (დაახ. 720-744 წწ.)
54. **იოანე II** (VIII საუკუნის 40-60-იანი წლები)
55. **გრიგოლ II** (დაახ. 760-767 წწ.)
56. **კლემენტოსი** (VIII საუკუნის 70-იანი წლები)
57. **სარმეანე** (VIII საუკუნის 70-იანი წლები)
58. **თალალე** (VIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლო)
59. **მიქელ II** (დაახ. 774-780 წწ.)

60. **სამოელ VII** (დაახ. 780-784 წწ.)
61. **კირილე I** (დაახ. 781-802 წწ.)
62. **გრიგოლ III** (დაახ. 802-814 წწ.)
63. **სამოელ VIII** (დაახ. 814-826 წწ.)
64. **გიორგი II** (დაახ. 826-838 წწ.)
65. **გაბრიელ II** (დაახ. IX საუკუნის 30-50-იანი წწ.)
66. **ილარიონ** (დაახ. IX საუკუნის 50-იანი წლების ბოლო)
67. **არსენ I დიდი (საფარელი)** (დაახ. 860-887 წწ.)
68. **ევსუქი** (დაახ. 887-914 წწ.)
69. **ბასილ II** (დაახ. 914-930 წწ.)
70. **მიქელ III** (დაახ. 930-947 წწ.)
71. **დავით I** (დაახ. 947-955 წწ.)
72. **არსენ II** (დაახ. 955-980 წწ.)

73. **იოანე IV (ოქროპირი)** (დაახ. 980-1001 წწ. პატრიარქის წოდების მქონე ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით)
74. **სვიმონ III** (დაახ. 1001-1010 წწ.)
75. **მელქისედეკ I** (დაახ. 1010-1033 წწ. პატრიარქის ტიტულის მქონე სამართლის ძეგლის მიხედვით)
76. **იოანე V (ოქროპირი)** (დაახ. 1033-1049 წწ.)
77. **ექვთიმე I*** (1049-1055 წწ.)
78. **ევსტათი*** (კათალიკოსობის წლები უცნობია)
79. **გიორგი III (ტაოელი)** (დაახ. XI საუკუნის 50-60-იანი)
80. **გაბრიელ III (საფარელი)** (დაახ. 1065-1080 წწ.)
81. **დემეტრე** (დაახ. 1080-1090 წწ.)
82. **ბასილ III** (დაახ. 1090-1100 წწ.)
83. **იოანე VI** (XII საუკუნის პირველი მეოთხედი)
84. **სვიმონ IV (გულაბერისძე)** (XII საუკუნის მეორე მეოთხედი)
85. **საბა II** (დაახ. XII საუკუნის 40-50-იანი წლები)
86. **ნიკოლოზ I (გულაბერისძე)** (დაახ. XII საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან)
87. **მიქელ IV*** (1178-1187 წწ.)
88. **თეოდორე II** (დაახ. 1188-1204/1205 წწ.)
89. **ბასილ IV** (დაახ. 1204/1205 წ.)
90. **იოანე VII** (დაახ. 1205/1206-1210 წწ.)
91. **ეპიფანე (ეტიფანე)** (დაახ. 1210-1220 წწ.)
92. **ექვთიმე II*** (1220-1222 წწ.)
93. **არსენ III** (XIII საუკუნის 20-30-იანი წლები)
94. **გიორგი IV** (XIII საუკუნის 30-იანი წლები)
95. **ნიკოლოზ II*** (XIII საუკუნის 30-იანი წლები)

ქვემო ივერიის (აფხაზეთის) კათალიკოსები

1. **სვიმონ I** (XI საუკუნის ბოლო)
2. **ევსტათი,** რუის-ურბნისის კრების მონაწილე
3. **ნიკოლოზი** (XIII საუკუნის II ნახევარი)
4. **დანიელი** (XIV საუკუნის 70-80-იანი წწ.)
5. **არსენი** (XIV საუკუნის 90-იანი წლები)

მეორე ანუ სამხრეთის ივერიის (ავანის) კათალიკოსი იოანე (VI ს.)

ხუნძეთის საკათალიკოსო

1. **ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი** (სინას მთის ხელნაწერის მიხედვით) XV საუკუნე

96. **მიქელ V** (XIII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისი) 97. **არსენ IV (ბულმაისიმისძე)** (1241/42-1249/50 წწ.) 98. **ნიკოლოზ III** (დაახ. 1250-1282 წწ.) 99. **აბრაჰამ I** (დაახ. 1282-1310 წწ.) 100. **ექვთიმე (ეფთვიმე) III** (დაახ. XIV საუკუნის 10-იანი წლებიდან 30-იანი წლების II ნახევრამდე) 101. **ბასილი V** (XIV საუკუნის 30-60-იან წწ.) 102. **დოროთეოზ I** (XIV საუკუნის 60-იანი წლები) 103. **შიო I *** (1356-1364 წწ.) 104. **ნიკოლოზ IV** (დაახ. XIV საუკუნის 70-იანი წლები) 105. **გიორგი V** (დაახ. XIV საუკუნის 80-90-იანი წწ.) 106. **ელიოზი (გობირახისძე)** (XIV საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან 1419 წლამდე) 107. **მიქელ VI** (1419-1426 წწ.) 108. **დავით II** (მეფე ალექსანდრე I-ის ძე) (1425/26-1428 წწ.) 109. **თეოდორე III** (დაახ. 1429-1435 წწ.) 110. **დავით III** (დაახ. 1435/36-1438/39 წწ.) 111. **შიო II** (დაახ. 1439-1443/47 წწ.) 112. **დავით IV** (ჭავჭავაძე) (1443/47-1459 წწ.) 113. **მარკოზი** (1460-1466 წწ.) 114. **დავით V** (1466-1479 წწ.)	

VI. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ

ზემო ივერიის (აღმ. საქართველოს) კათალიკოს-პატრიარქები	**ქვემო ივერიის (დას. საქართველოს ანუ აფხაზეთის) კათალიკოს-პატრიარქები**
115. **ნიკოლოზ V*** (დაახ. 1479-1488 წწ.) 116. **ევაგრე** (დაახ. 1488-1492;1500-1503 წწ.) 117. **აბრაამ II** 118. **აბალაკი** (1492-1497 წწ.) 119. **ეფრემ I*** (1497-1503 წწ.) 120. **დოროთეოზ II** (1503-1505;1511-1516 წწ.) 121. **იოანე VIII** (1505-1509 წწ.) 122. **დიონისი (დიონისე)** (დაახ. 1510-1511 წწ.) 123. **ბასილ VI** (1517-1528; 1529-1531 წწ.) 124. **მელქისედეკ II (ბაგრატიონი)** (დაახ. 1528-1529; 1540-1545; 1548-1552 წწ.) 125. **მალაქია** (1532-1534 წწ.)	6. **იოაკიმე (იოვაკიმე)** (XV საუკუნის 70-იანი წლები) 7. **ბართლომე** (დაახ. 1488-1519 წწ.) 8. **სტეფანე** (1490-1516 წწ.) 9. **მალაქია I (აბაშიძე)** (XVI საუკუნის 30-იანი წლები 1519 წლიდან (კათოლიკოს პატრიარქის ტიტულით)

126.**გერმანე** (დაახ. 1535-1546 წწ.)
127.**ნიკოლოზ VI*** (დაახ. 1542-1547 წწ.)
128.**სვიმონ V** (1547-1548 წწ.)
129.**ზებედე I** (1552-1556 წწ.)
130.**დომენტი I** (1556-1560 წწ.)
131.**ნიკოლოზ VII (ბარათაშვილი)** (1561-1584 წწ.)
132.**ნიკოლოზ VIII (ბაგრატიონი)** (1584-1589 წწ.)
133.**დოროთეოზ III** (დაახ. 1589-1595 წწ.)
134.**დომენტი II** (დაახ. 1595-1610 წწ.)
135.**ზებედე II** (1610-1611 წწ.)
136.**იოანე IX ავალიშვილი** (1612-1616 წწ.)
137.**ქრისტეფორე I** (1616-1622 წწ.)
138.**ზაქარია (ჯორჯაძე)** (1623-1632 წწ.)
139.**ევდემოზ I (დიასამიძე)** (1632-1642 წწ.)
140.**ქრისტეფორე II (ურდუბეგისძე-ამილახვარი)** (1642-1660 წწ.)
141.**დომენტი III** (1660-1676 წწ.)
142.**ნიკოლოზ IX (იოთამის ძე ამილახვარი)** (1678-1688; 1692-1695 წწ.)
143.**იოანე X (დიასამიძე)** (1688-1692; 1695-1700 წწ.)
144.**ევდემოზ II (დიასამიძე)** (1700-1705 წწ.)
145.**დომენტი IV (დამიანე ლევანის ძე ბაგრატიონი)** (1705-1741 წწ.)
146.**ბესარიონ (ბარათაშვილი-ორბელიშვილი)** (1724-1737 წწ.)
147.**კირილე II** (1737-1739 წწ.)
148.**ნიკოლოზ X (ხერხეულიძე)** (1741-1744 წწ.)
149.**ანტონ I (ბაგრატიონი)** (1744-1755; 1764-1788 წწ.)
150.**იოსები (ჯანდიერი)** (1755-1764 წწ.)
151.**ანტონ II (ბაგრატიონი)** (1788-1811 წწ.)
10. **ევდემონ I (ჩხეტიძე)** (1541; 1557-1578)
11. **იოსებ I (მაჭუტაძე)** (XVI საუკუნის 40-იანი წლები 1557 წ.)
12. **ეფთვიმე (ექვთიმე)** (1578-1615/16 წწ.)
13. **მალაქია II (გურიელი)** (1615/16-1639 წწ.)
14. **გრიგოლ I** (1639 წ.)
15. **მაქსიმე I (მაჭუტაძე)** (1639-1657 წწ.)
16. **ზაქარია (ქვარიანი)** (1657-1660 წწ.)
17. **სვიმონ II (ჩხეტიძე)** (1660-1666 წწ.)
18. **ევდემონ II (საყვარელიძე)** (1666-1669 წწ.)
19. **ეფთვიმე (ექვთიმე) II (საყვარელიძე)** (1669-1673 წწ.)
20. **დავითი ნემსაძე** (1673-1696 წწ.)
21. **გრიგოლ II (ლორთქიფანიძე)** (1696-1742 წწ.)
22. **ბესარიონი (ერისთავი)** (1742-1769 წწ.)
23. **გერმანე წულუკიძე** (XVIII საუკუნის შუა წლები)
24. **იოსები (ბაგრატიონი)** (1769-1776 წწ.)
25. **მაქსიმე II (აბაშიძე)** (1776-1795 წწ.)
26. **დოსითეოსი (წერეთელი)** (საკათალიკოსოს გამგებელი) (1795-1814 წწ.)

VII. ზოგიერთ კათედრათა იერარქიები რუსთა ბატონობის ჟამს

(ქიროტონიის მატარებელნი ძველ კათალიკოსთა ეპოქიდან ავტოკეფალიის აღდგენამდე)

ბესარიონ დადიანი (1810)
მიტრ.იოაკიმე ახტალელი (1811)
მიტრ. სტეფანე ბოდბელი (1816)
წმ.დოსითეოს ქუთათელი (1820)
წმ.ექვთიმე გენათელი (1822)
მიტრ. იოანე ქიზიყელი (1821)
მიტრ. იოანე ნინოწმიდელი (1823)

გრიგოლ ჭყონდიდელი, მიტრ. ანტონ დადიანი, მიტრ. დავით წერეთელი, ცაგერის მიტრ. იოანე დადიანი, მიტრ. იონა გედევანიძე, ანტონ ხონელ-მთავარეპისკოპოსი, ეპისკ. ანტონ დადიანი, სოფრონ ნიკორწმიდელი, იოანე ბოდბელი, არსენ მიტროპოლიტი თბილელი, ანტონ მიტროპოლიტი (1803-1849 წწ.)

მიტრ. იოსებ თბილელი, მიტრ. ნიკოლოზ ორბელიანი, გრიგოლ დადიანი, წმიდა გაბრიელი (ქიქოძე), წმიდა ალექსანდრე (ოქროპირიძე), ლეონიდე გორის ეპისკოპოსი (1854-1900-იანი წლები)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები

ავტოკეფალიის აღდგენიდან (1917 წლიდან)

152.**წმიდა კირიონ II (საძაგლიშვილი)** (1917-1917 წწ.)
153.**ლეონიდე (ოქროპირიძე)** (1919-1921 წწ.)
154.**წმიდა ამბროსი (ხელაია)** (1921-1927 წწ.)
155.**ქრისტეფორე III (ციცქიშვილი)** (1927-1932 წწ.)
156.**კალისტრატე (ცინცაძე)** (1932-1952 წწ.)
157.**მელქისედეკ III (ფხალაძე)** (1952-1960 წწ.)
158.**ეფრემ II (სიდამონიძე)** (1960-1972 წწ.)
159.**დავით VI (დევდარიანი)** (1972-1977 წწ.)
160.**ილია II (შიოლაშვილი)** (1977 წ.-დან)

გამოყენებული ნაწარმოები და ლიტერატურა:

მოქცევაი ქართლისაი; 1964; ქართლის ცხოვრება; 1954; რუის-ურბნისის კრების "ძეგლისწერა"; დიდი სჯულისკანონი, ე. გაბიძაშვილის, ე. გიუნაშვილის, მ. დოლაქიძის, გ. ნინუას გამოც., თბ., 1975; აგათანგელოსი; მოვსეს ხორენაცი: სომხეთის ისტორია / ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, 1984. გეორგიკა I (1961); П. Иоселиани, Жизнеописание святых, 1850; ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ტ.2, 1997; საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1999; საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქები, თბ. 2000.

მისი უწმიდესობის დავალებით საქართველოს წმიდა ეკლესიის მამამთავართა სია შედგენილია **მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მიერ.**

Митрополит Ананиа Джапаридзе

Лазика

(Имеет два значения: 1. Историческая часть Юго-Восточной Грузии, известная так же, как «Лазское Царство»; 2. Граничащая с ней, на юге, часть в нынешней Северо-Восточной Турции (т. н. Лазистан), где находились «Лазские епархии» Константинопольской патриархии - Родополисская, Сайсинская, Петры и Зиганская).

Определение географического местоположения Лазики имеет большое значение для изучения истории Грузинской Церкви первого тысячелетия.

По словам Прокопия Кессарийского, раньше Лазика должна была называтся Колхидой **(Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга I, Г. XI. 19-30).**

Лазика (Лазское царство).

Лазское царство находилось у Черного моря, между рекой Суфса (близ Риони) и построенной в VI в. Петрской крепостью (современная Хопа в Турции) (поздняя Гурия, Аджара и причерноморье), на севере граничила с Апсилией, на северо-востоке с мисимийским племенем, Сванией и Сквимнией, на востоке - с Иберией (в VI в. граница между Лазикой и Иберией проходила по

Арсианскому хребту), на юге - со «Страной римлян» (нынешний «Лазистан»). Длина береговой линии составляла 500 стадий (прибл. 100 км.), столицей был Археополис (Археополис должен быть пунктом Кобулетского региона - сосновый бор - „Пичвнари", (или его непосредственное продолжение в сторону Кобулети).

Из повести Прокопия Кесарийского видно, что Лазика (Лазское царство) была на расстоянии «шести дневного пути» от Трапезунта (прибл. 200 км). Прокопий Кесарийский так описывает месторасположение Лазики (Лазского царства):

«Границы Трапезунта простираются до поселка Сусурмен и до местечка, носящего название Ризей, которое отстоит от Трапезунта на расстоянии двух дней пути вдоль берега по направлению к Лазике (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 2). "Старинный город Апсарус, отстоит от Ризея приблизительно на три дня пути. От города Апсарунта до города Петры и границ лазов, где кончается Эвксинский Понт, пути один день.» (Прокопий Кесарийский, Война с Готами, Книга VIII, ст. 2)

Петра отстояла от Трапезунта на шесть дней пути (от Трапезунта до Ризея - два дня пути, от Ризея до Апсарунта - три дня, от Апсарунта (Апсароса) до Петры (Лазики) - один день пути).

Известно, что дорога измерялась в днях пути (inter pedestre), - приблизительно 28725 м. http://www.home - edu.ru/user/uatml/00000732/dlina/dlinaives.html

«день пути»

итер педестр (лат. iter pedestre)

28 725 м

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%94%D1%80%D0%B5%D0%B2%D0%BD%D0%B8%D0%B5_%D0%B5%D0%B4%D0%B8%D0%BD%D0%B8%D1%86%D1%8B_%D0%B8%D0%B7%D0%BC%D0%B5%D1%80%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1%8F#.D0.9C.D0.B5.D1.80.D1.8B_.D0.B4.D0.BB.D0.B8.D0.BD.D1.8B

За шесть дней путник должен был пройти *приб. 172 км.*

Расстояние шести дневного пути от Лазики до Трапезунта составило бы 180-200 км. На этом расстоянии от Трапезунта, в сегодняшней Турции, находится приморский пункт Хопа (древний Хупати), который во времена Прокопия назывался Петрой, и был самым южным пунктом Лазского царства, у границ Византийской империи.

В регионе Трабзона, на востоке приморского пункта Хопа, который считается древней Петрой (**Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис-Лазского царства, Грузинский институт истории и этнографии, 1994 г., ст. 97**). Петра была крайне южным приморским пограничным пунктом Лазского царства. По исследованиям Н. Адонца, знаменитая епископская кафедра Петры находилась не в этой крепости, а в регионе Гумушхане, у г. Байбурт (**Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, на рус. Язык, 1908, ст. 100**).

Природа (географическое расположение)

Согласно источникам, Лазика была скалистой страной. Прокопий Кесарийский писал:

«Ибо, как я уже говорил, Лазика - страна труднопроходимая и состоящая сплошь из отвесных скал» (27) (Прокопий Кесарийский, Тайная История, Г. XXX 12-16).

По словам Прокопия, скалистость Лазики отмечал и персидский шах Хосров:

«Он сказал, что слышал раньше из многих рассказов, будто страна эта и для легковооруженного воина труднопроходима, будто горы ее необыкновенно крутые и на большом пространстве она покрыта густыми лесами из громадных деревьев» (33) (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XV. 31-34).

Персидское войско, по словам Прокопия, вошло в скалистую Лазику -

XVII. (1) Хосров же и мидийское войско, пройдя Ивирию, оказались в пределах Лазики...они рубили деревья, которые росли в этих скалистых местах сплошным, огромным, высоким лесом (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II,Г. XVII.1 - 2.

Скалистыми были берега реки Фазис, о чем Прокопий пишет так: -

«(24) Ибо Лазика и с той, и с другой стороны реки одинаково труднопроходима. (25) По обеим сторонам этой местности поднимаются очень высокие скалы, на большом пространстве образующие здесь ущелья. Римляне, говоря по - гречески, называют такие проходы клисурами. (26) (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXIX 14 - 26).

Таким образом, *По сведениям Прокофия не только все побережье Лазики, но и берега реки Фазис от истока до устья были скалисты.*

По причине скалистости приморской части Лазики, рядом устья р. Фазиси были перевалы:

(27) Теперь же Гуваз, узнав о походе персов, наказал Дагисфею послать туда кого-нибудь с тем, чтобы они тщательно охраняли ущелье, расположенное ниже реки Фасис, но ни в коем случае не снимая осады до тех пор, пока не захватят и Петру, и находящихся в ней персов (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXIX 27-32).

Такой же скалистой была и вторая часть Лазики, обращенная к Иберии:

“У лазов возле самых границ Иберии были два укрепления, Сканда и Сарапанис. Расположенные в трудно проходимых местах на отвесных скалах, они были недоступны. В прежнее время лазы с большим трудом охраняли их, потому что в этих местах не растет никаких злаков, и люди доставляли сюда продовольствие, неся его на плечах. В начале этой войны император Юстиниан удалил отсюда лазов и поставил гарнизон из римских воинов. Немного спустя, из-за недостатка продовольствия, они покинули эти крепости, так как питаться, подобно колхам, долгое время местным пшеном, к которому они не привыкли, они совершенно не могли, того же продовольствия, которое приносили им лазы, совершая длинный путь, им совершенно не хватало (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 13).

Скалистым был и морской берег Лазики:

«Но в Лазике берег по всей линии удерживает дальнейшее продвижение моря и заставляет море как бы вздыбиться на натянутых возжах, впервые только здесь ставя ему преграду. явно, что творец мира здесь поставил ему пределы. Коснувшись берега в этих местах, море уже не двигается дальше н не поднимается больше вверх, хотя отовсюду в него вливается бесчисленное количество очень больших рек, по уходит назад н вновь туда же возвращается: сохраняя свою собственную, ему свойственную высоту, оно держится в своих границах, как бы свято соблюдая какой-то закон, как будто связанное точными его предписаниями и как бы остерегаясь нарушить каким-либо образом эти предписания. Все остальные берега этою моря лежат не против него, но по окружности. Но обо всем этом пусть рассуждает каждый, как он хочет» (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 4).

Таким образом, согласно Прокопию, берег Лазики был настолько скалист, что *удерживал дальнейшее продвижение моря и заставлял море вздыбиться, ставя ему преграду. Если р. Фазиси это Риони, тогда на всей прибрежной равнине должны быть скалистые берега. Но это не так. Наоборот, от Кутаиси до Поти, Риони течет по широкой равнине без каких-либо скал. Этот факт противоречит сведениям Прокофия.*

Так-как морской берег Лазики был скалистым, то Лазика не могла быть низиной Риони Западной Грузии. Поскольку, Западний берег грузинского побережья от Чакви до Энгури не скалист, а наоборот территория от Чакви до Энгури и от Поти до Кутаиси, которую сейчас называют Лазикой представляет собой широкую равнину. Здесь нет скал, этот реальный факт противоречит сведениям Прокофия о том, что на всем побережье Лазики протянуты скалы ***«явно, что творец мира здесь поставил ему пределы. Коснувшись берега в этих местах, море уже не двигается дальше и не поднимается больше вверх».*** Тогда как, центр Западной Грузии, Рионская низина, которая сейчас считается Лазикой, является равниной, морской берег которой не скалист, берег здесь находится на

нулевом уровне моря. В Западной Грузии, нет скалистого берега, однако Он есть, например, на Батумо-Хопском направлении и следовательно там можно искать Лазику Прокофия. В грузинских источниках этот регион называется ***«приморским концом Кларджети"*** «ბოლო კლარჯეთისა-ზღვისპირი».

Источники сообщают, что Лазика была такой же скалистой, как и историческая Юго-Западная Грузия, высокогорье Чорохи, а Мохериси должен быть субтропическим регионом современного Батуми и Хелвачаури (исторический Эрге-Лигани).

Основная территория Лазики должна была быть с обеих сторон долины реки Чорохи-территории Борчхи, Артвина и Артануджи, до высокого хребта Арсиани. Здесь и поныне проходит важная в прошлом международная дорога (дорога Артануджи, или Кларджети), которая соединяла черноморье с Персией, Арменией и Сирией. По сведению Константина Порфирогенета (византийский император X в.) «крепость Артануджи весьма крепка - у нее есть и рабат и город, туда стекается товар из Трапезунта, Иверии, Абхазии, Армении и Сирии, и от этого товара крепость получает большой налог. Земля Артануджи, т. е. Арзена обширна и плодородна, и является ключем к Абхазии и стране месхов» (Георгика 2, часть II, ст. 278-279).

Описание Кларджети, которое принадлежит перу грузинских святых отцов совпадает с описанием Прокофия. А именно: по сведениям святых отцов Кларджети была настолько горно-скалиста, что практически полностью бесплодна. Только съедобными травами, родниковой водой и чистым воздухом был здоров этот край (Георгий Мерчуле, Жизнь Григория Хандзтели, 1954, ст.197). Георгий Мерчуле несколько раз отмечает остроту кларджетских гор. Например: строительство храмов, было затруднено, Строительные материалы рабочие довольно далеко доставляли «на плечах». веками ранее Прокофий Кесарийский писал буквально тоже самое, в крепости Лазики-Сканду и Сарапана продукты доставляли «на плечах». Сарапана и Сканда располагаются в бесплодных местах, где не удовалось получать урожай зерновых (пшеница) и винограда, куда, из-за скалистости и высокогорья, продукты доставлялись исключительно «на плечах». Кларджети была скальной страной, по грузинским источникам, а Лазика скальной страной по греческим источникам. Оба описания одинаковы.

Совсем другая картина на Рионской равнине, здесь горы не могут остановить влияние моря, регион равнинен, на протяжении месяцев с моря дует ветер, который возвращает вспять воды реки. Поскольку низина реки находится на нулевом уровне моря, то заболачивается огромная равнина-т.н. «Рионская равнина». Поэтому, по географическому положению и природным условиям Лазика более Кларджети, но не Западная Грузия.

Вывод: по словам Прокофия, Лазика не была равнинной страной (как, например, Западно грузинске приморье, низина Риони), а наоборот гористой с отвесными скалами. Из-за скалистости и высокогорью только в одном маленьком уголке Лазики (Мохириси) то есть Эрге-Лигани, (нынешний Махинджаурский район) получали урожай (пшеница, вино), остальные её регионы были неурожайны.

Фазис-Главная река Лазики

Страбон относит р. Фазис и ее исток к Армении (Страб, XI, гл. XIV, 7), и этим самым под Фазисом подразумевается Чорохи, исток которого, в эпоху Страбона, находился в Армении, так, как по сведению Страбона во II в. до н. э. Армения присвоила иверийские территории Париадрские склоны, Ходзену и Гогарену (Страб., XI, II, 7); исток Чорохи следует искать у исторической Хордзены, которая в эпоху страбона была присвоена Арменией.

По сведениям византийских авторов главной рекой Лазики была Фазис. По поводу этой реки существует несколько мнений.

Древняя грузинская церковная историография считала, что Фазис была рекой Чорохи. Упомянутую в греческих текстах реку «Фасис» св. отцы Грузинской Церкви передавали как Чорохи, на что указывает С. Джанашия (С. Джанашия, Труды, VI, 1979, ст. 254).

Св. Евфимий Святогорец, переводя греческий текст жития св. апостола Андрея, слово «Фасис» переводит, как Чорохи: ***«Великий Андрей ходил из города в город, из села в село, научал народ и творил чудеса и так дошел до картлийской земли и до реки Чорох, и неустанно проповедовал имя Божие»*** (Путешествие Андрея Первозванного, 2008, ст. 189). Здесь, в оригинале, на месте Чорохи упомянута река Фазис (там же, ст. 189). По сведению автора VIII в., св. Епифания Константинопольского, св. апостол Андрей сначала пришел в лазский город Трапезунт, а затем дошел до р. Фазис. Данный автор (св. Епифании) Лазикой называет современный Лазистан от Трапезунта до р. Фазис; приводя сведение о св. Андрее, он ссылается на автора IV в. Епифания Кипрского. Данный факт дает основания полагать, что в IV-VIII вв. Лазикой назывался регион от Трапезунта до Фазиси. По мнению св. Епифания Константинопольского, Трапезунт был городом Лазики, а страна рядом с Лазикой и Трапезунтом-Иверия.

Св. Епифаний Константинопольский критически пересмотрел свои источники, и сам обошел места подвижничества апостола Андрея. Здесь везде жили иверы. Автор пишет: «В великом Севастополисе, у Апсарской крепости и у реки Фазис жили иверийцы, сусы, фустийцы и аланы» (Георгика, IV, I, 57). По мнению автора Трапезунт был городом Лазики, а страна рядом с Трапезунтом-Иверия; апостол Андрей просветил лазский Трапезунт, Иверию и жителей приморья. Св. апостол Андрей «после Амисоса прибыл в Трапезунт, город Лазики; потом он отправился в Иверию, и когда просветил многих жителей приморья, пошел в Иерусалим» (Епифаний Константинопольский, Георгика, IV, I, ст. 58). Епифаний Константинопольский и в другом месте Жития св. Андрея упоминает Иверию и Фазис вместе: «Обошли города, содеяли чудеса, и пришли в Иверию, а через несколько дней отправились в Сусанию» (Георгика, IV, I, ст. 58). Сусания (по С. Каухчишвили-Суания), согласно грузинским источникам находилась в горах Аджарии и в Ордзхе-Самцхе, где св. Андрей проповедовал после перехода через реку Чорохи, на пути из Трапезунта (Епифаний Константинопольский, Георгика, IV, I, ст. 58).

По сведениям Прокофия, река Фазис текла из гор месхов, подчиненных иверам (в этом регионе Иверия распростиралась до Персармении. Здешние горы простирались до кавказских гор, за которыми на востоке находилась Иверия. В этих кавказских горах находился исток р. Фазиси). Прокопий пишет: ***«В областях, граничащих с этой страной, главным образом вдоль самой Иберии, живут месхи, издревле являющиеся подданными иберов. Живут они в горах, но горы месхов не кремнисты, не страдают от бесплодия... В этой стране поднимаются очень высокие горы, покрытые лесом и труднодоступные. Они тянутся до самых Кавказских гор позади же них по направлению к востоку лежит Иберия, простирающаяся до пределов персо-армян. Через эти горы, уходящие высоко в небо, течет река Фазис, начинаясь с гор Кавказа и впадая в середину этого «полумесячного» залива Понта».*** Под «месхетским нагорьем» имеется в виду нагорье вдоль истока Чорохи (как исследовал акад. Н. Хазарадзе), на северо-востоке от которого находился важный регион Иверии Кола-Артаани, там находился регион Сакавкасидзео (საკავკასიძეო), на востоке от него - Персармения, которая граничила с Иверией в этом регионе. Весь этот регион был заселен месхами. Такую же картину рисует и Прокопий.

Таким образом, в области, где сходились границы Иверии и Персармении, был исток Фазиси. Таковым является регион Спера, где находится исток р. Чорохи. Это высокогорье т. н. «Малого Кавказа», к которому присоединяется Арсианское нагорье - место проживания месхов. Для Прокопия, в данном случае, «Горы Кавказа» это высокогорье Малого Кавказа. Отсюда видно, что исток Фазиси находился в историческом регионе «Сакавкасидзео», в высокогорье «Малого Кавказа».

Здесь же - в Артануджской, Артаанской, Кольской и Сперской областях (в исторической Иверии, рядом с Персармением) было место проживание месхов; в данном случае Фазис, это р. Чорохи.

По поводу Фазиса существет несколько предположений. Часть ученых считает рекой Фазиси реку Риони, с ее притоком р. Квирилой в Западной Грузии. Но эти предположения противоречат Прокопию, который пишет, что исток р. Фазис, в начале называющейся Воа, находился в пределах армян (арменийцев), рядом с пунктом Фарангия и Чанети. Пункт Фарангия находился в нагорье Малого Кавказа, рядом с истоком р. Чорохи, в современной Турции, на севере Лазистана; здесь же был исток р. Воа, которую с середины называли Фазис (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXX. 23-29). Тоже самое отмечает и Страбон, когда пишет, что «исток Фазиса в Армении» (XI, II, 17), "Колхиду протекает Фасис - большая река, берущая начало в Армении" (Страбон, География, кн. XI, II, 17). Страбон несколько раз связывает Фазис и ее исток с Арменией (Страб., XI, гл XIV, 7). Тот факт, что Страбон считает Армению истоком Фазиса, говорит о том, что под Чорохи понимается Фазис (то же и у Прокопия). Это сведение Страбона можно истолковать и так: после того, как армени, по сведениям того же Страбона, отняла у Иверии обширные области - Париардсике склоны, Хордзене и Гогарена (Страб., XI, II, 17), множество географических пунктов и рек Юго-Западной Грузии перешли во владение Армении. Прокопий так пишет об этом: *(14) Река Воа вытекает из пределов армян, живущих около Фарангия, недалеко от пределов цанов. Сначала она довольно долго течет направо, будучи неширокой и для кого угодно легко преодолимой, вплоть до того места, где по правую сторону находятся границы Ивирии, а прямо - заканчивается Кавказский хребет.* Здесь, под «Кавказским хребтом» подразумевается высокогорье т. н. Малого Кавказа, где из страны чанов вытекает р. Чорохи - она течет по направлению северо-востока и и севера, втекает у границы Иверии, в области Артануджи-Артвина, где ей преграждает путь Карчхальское нагорье (3000 м.); здесь река круто меняет направление, где в нее втекают полноводные р. Имерхеви и Шавшетисцкали, и она продолжает путь в западном направлении.

Прокопий так описывает путь р. Фазис: *«(16) Когда же река доходит до того места, где находятся границы Ивирии и Кавказа, то тут в нее вливается много других водных потоков и она становится много шире и течет, получив отсюда название Фасиса вместо Воа; с этого места она судоходна вплоть до так называемого Понта Эвксинского, куда она и впадает. Тут по обеим ее сторонам расположена Лазика... (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXIX 14-25).*

О судоходстве на Чорохи пишут много авторов - Вайденбаум, Бакрадзе и др.

Прокопий повторяет: *«В этой стране поднимаются очень высокие горы, покрытые лесом и труднодоступные. Они тянутся до самых Кавказских гор* (Карчхал-Арсианское нагорье рядом с «Сакавкасиздео»). *позади же них по направлению к востоку лежит Иберия* (Кола-Артаанская область, часть Иверии, с которой на востоке граничила Персармения). *простирающаяся до пределов персо-армян. Через эти горы, уходящие высоко в небо, течет река Фазис, начинаясь с гор Кавказа и впадая в середину этого «полумесячного» залива Понта (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 2).)*».

У границ Иверии (у современного Артвина) Фазис становилась полноводной, годной для судоходства, проходила среди Лазики и впадала в Черное море с такой быстротой, что образовывало отдельный поток. Таким течением обладает р. Чорохи. *«Когда же река доходит до того места, где находятся границы Ивирии и Кавказа, то тут в нее вливается много других водных потоков и она становится много шире и течет, получив отсюда название Фасиса вместо Воа; с этого места она судоходна вплоть до так называемого Понта Эвксинского, куда она и впадает. Тут по обеим ее сторонам расположена Лазика. (17) Но только лежащая по правому ее берегу страна заселена местным населением, вплоть до пределов Ивирии» (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXX. 23-29).*

Как видно из описания, Фазиси была горной рекой и в устье (как и Чорохи).

Река Риони, в отличии, от Фазиса, в устье низинная река, поэтому она плавно втекает в море, и не образуует там своего потока;

р. Фазиси же очень быстра в устье, как и Чорохи.

(25) Эта река здесь глубже любой другой и необычайно широка. (26) Течение ее настолько стремительно, что, впадая в море, она долго течет, не смешиваясь с морской водой. Плавающие в этих местах могут иметь совершенно пресную воду даже в открытом море (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXX. 23-29).

По описанию Прокопия Риони и Фазиси разные реки - ***„Повернув назад и захватив проходы из Иберии в Колхиду, там где Фазис представляет возможность переправы, он перешел его вброд, равно как и реку по имени Рион, которая тоже в этом месте была несудоходной"***

Фазис *по* Ариану - С теми же свойствами Флавий Ариан опысывает р. Фазис:

«Отсюда мы приплыли к Фасису, ...из всех известных мне рек имеющему самую легкую воду и притом необыкновенного цвета. ...По цвету вода Фасиса кажется окрашенной свинцом или оловом, но, устоявшись, она делается очень чистой. ...Вода Фасиса не гниет и остается неиспорченной даже более десяти лет, разве только делается еще преснее» (§ 10). Античная лоция Черного моря.

Путешествие Арриана http://budetinteresno.info/kraeved/pont_arrian.htm

По тем пяти фактам (которые высказывают древние авторы, описывая Фазис) Р. Фазис на самом деле Чорохи, а не Риони. Эти факты: исток Фазиса, ее особенный цвет, употребление ее для питья рядом с устьем, ее легкий вес, большая скорость даже в устье.

А) Исток Фазиса из Армении.

Река Черохи истекает из Спер-Чанетского региона, который в эпоху Страбона Была под влиянием армении, поэтому писали, что исток Фазиса в Армении (Страб, XI, гл. XIV, 7).

Б) Цвет Фазиса.

«По цвету вода Фасиса кажется окрашенной свинцом или оловом».

http://budetinteresno.info/kraeved/pont_arrian.htm

Цвет Чорохи-земельно-свинцовый, именно этим цветом древние авторы описывали Фазис. В устье Риони коричневатая, поскольку содержит большое количество песка и земли.

В) Фазис пригоден для питья.

Использование Чорохи для питья при необходимости возможно и сегодня, но использовать для питья в ее равнинном течении Риони, около устья, невозможно. Потому что в этих местах течение слабое и граничит с заболоченными равнинами, полными всевозможных бактерий, опасных для жизни.

Г) Вес Фазиса.

Риони около устья содержит большое количество песка и земли, поэтому рионская вода «тяжела» из-за примесей, Чорохская вода по сравнению с ней намного легче, в ней малое содержание песка и менее илиста, поскольку она равномерным потоком течет среди скал. По этому описанию Чорохи похожа на Фазис. Легкость воды Фазиса также описана древними авторами.

Д) Скорость Фазиса.

С той скоростью, которую описывают древние авторы о впадении реки Фазис в Черное море, в наше время впадает р. Чорохи, а не в Риони. Стоит отметить, что античные авторы указывали голубизну р. Фазис в месте впадения ее в море. Например, Руфус Фестус Авиенус, автор IV в., называет Фазис «голубой рекой»; он пишет: «Западнее голубого Фазиса племя Бидзеров, потом Бекиров…» (Руфус Фэстус Авиенус, Античный Кавказ, 2010, стр.595). В то время как цвет Риони у его устьем, как выше было сказано, грязновато-кофейный.

Кроме цвета р. Фазис имел особое свойство, которое выделяло ее среди других рек и приводило в восторг многих видевших ее древних путешественников и историков. Это свойство было

характерно только для этой конкретной реки и выделяло ее среди прочих: это было то, что из-за большой скорости Фазис впадая в море, не смешивался поначалу с морской водой, и на поверхности моря создавал струю - слой пресной воды. Таковы Чорохи, быстро впадающая в море, и образующая в нем струю, отогда как Риони впадаетв море плавно.

Г. Григолия установил по древним источникам, что р. Фазис является не реокй Риони, а Чорохи. Рассматривая труд Прокопия, он пишет, что у истока Прокопий называет р. Чорохи Воасом, которая в его времена истекала из «страны арменийцев»; там же находился пункт Фарангион. У истока эта река была мелководной, до «границ иверийских, где заканчивается кавказская гора». По мнению Г. Григолии, «у Артвина она попадает в узкое русло, у гор Аджирахи и Мезла она меняет направление с северо - востока на северо-запад,и с большой скоростью направляется к морю» (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис-Лазского царства, Грузинский институт истории и этнографии, 1994, ст. 33).

Мнение Г. Григолии о том, что р. Фазис является р. Чорохи, подтверждается многими фактами, например сведением Прокопия, что «Лазика непроходима по обеим сторонам р. Фазис, поскольку по обеим сторонам страны находятся скалы». Это сведение дает основание предполагать, что здесь говорится о Чорохи, а не о Риони, поскольку вдоль берегов Риони, в отличие от Чорохи, скалы не встречаются, а на побережья Чорохи возвышены огромные скалы которые создают сужение, по сведению Прокопия, римляне называли такую дорогу клисурой.

В результате исследования Г. Григолия делает вывод, что упомянутая Прокопием Иверия, находящаяся направо от Воас - Фазиса, является Кларджет-Кола-Артаани: «Прокопии предполагает границы Иверии у Артвина, и с этих мест Чорохи приобретает имя Фазис. Река полноводна, и Начиная с Артвина на реке круглогодично осуществляется судоходство, кроме начала лета, когда начинаются паводки» (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис-Лазского царства, Грузинский институт истории и этнографии, 1994, ст. 33).

Фраза Прокопия - «здесь к Фазис у присоединяются другие воды, и вместо Воаса, она называетс Фазис» - по мнению Г. Григолии подразумевает артвинские земли: «До Артвина Чорохи называлась Воасом, у Артвина-Фазис; упомянутая Прокопием «кавказская гора» подразумевает Карчхальское нагорье, там же находились упомянутые Прокопием «кавказские и иверийские границы».

Прокопий пишет: «Фазис пригоден доля судоходства до моря, по обеим его сторонам находится Лазика, на правом берегу, до границ Иверии, проживает местное население. По эту сторону реки находятся села и города лазов, среди них Археополис, Севастополис и Питиунтская крепость, Сканда и Сарапани находятся по направлению к иверийским границам; самые достопримечательные города здесь - Родополис и Мохирис. На лево от реки, на расстоянии дневного пути, граница Лазики. Эта часть менее заселена, по соседству здесь живут римляне, называющиеся понтийцами» (Георгика, II, ст. 100-102).По мнению Г. Григолии, здесь имеются в виду берега р. Чорохи; левый берег действительно был мало заселен, и здесь находилась крепость Хопа-Хупати, или Петра;

правая сторона р. Чорохи действительно густо населена и по сей день, поскольку там находятся плодородные земли Хелвачаурского и Батумского районов.

Г. Григолия пишет, что Прокопиево описание Фазиса-Воа-Акамфсиса похоже на сведения о Чорохи путешественников XIX в. Османа-Бея и Д. Бакрадзе (Г. Григолия, Эгрис-Лазское царство, ст. 23).

Персо-византийская дорога, проходящяя по Лазике

Лазика, вместе с другими территориями, включала в себя Чорохское ущелье. По словам Константина Порфирогенета по международной торговой дороге, проходившей по этому региону (через Артануджи), проходили грузи между Сирией, Иверией, Арменией (Персией), и Византией.

Константин Порфирогенет (византийский император X в.) пишет: ***«крепость Артануджи весьма крепка - у нее есть и рабат и город, туда стекается товар из Трапезунта, Иверии, Абхазии, Армении и Сирии, и от этого товара крепость получает большой налог. Земля Артануджи, т. е. Арзена обширна и плодородна, и является ключем к Абхазии и стране месхов» (Георгика 2, часть II, ст. 278-279).***

Таким образом, в IX-X вв. По артануджской дороге, в Чорохском ущелье перевозились товары из черноморья (Трапезунт, и близлежащие регионы) в Армению, Иверию и Сирию, и наоборот. У города Артвин, р. Чорохи становилась судоходной вплоть до Черного моря. Кроме того, от Артвина вдоль реки до Черного моря шла пешеходная дорога.

По второму направлению Артануджи, через Арсианский хребет, соединялся с иверийским городом Артаани (Ардагани), оттуда путь шел в Армению и Персармению, а затем в Персию, Сирию, и другие страны. «Армяянские города, с помощью Артануджи, соединялсиь с восточным берегом Черного моря и Западной Грузией» ***(Я. Манандян, О торговле и городах Армении, стр. 233-234).***

По древней Артаан-Артануджи-Артвинской дороге перевозили тбилисский и двинский товар. В VIII в. Артануджи и его области опустошили арабы, но уже в X в., по сведениям Константина Порфирогенета, это дорога снова приобрела международное значение. ***«Главным фактором развития Артануджи было его стратегическое местоположение» (Очерки Истории Грузии., II, 1973, ст. 347).***

По Артануджи проходила дорога, соединяющяя Тбилиси с византийскими городами: Тбилиси-Самшвилде-Паравани-Ахалкалаки, Артаани-Артануджи (Очерки Истории Грузии, II, 1973, ст. 347). Самшвилде-Гударехи-Манглиси-Клдекари-Паравани-Ахалкалаки-Артаани-Артануджи-Артвин-Хопа (Петра), по сведениям грузинских источников этой дорогой воспользовался Вахтанг Горгасали, после возвращения из похода на Понто (ქართლის ცხოვრება, Картлис цховреба (К. Ц.) I, ст. 177-178). Этот путь, по тем же источникам, действовал и в первом веке; в эпоху апостолов этот путь именовался «путем Кларджети».

Св. Апостол Андрей, согласно его житию, впервые пришел в лазский город Трапезунт; в грузинских источниках это место называлось «страной мингрелов», а население, т. е. лазы - мингрелами, часть которых он обратил в веру. ***«Андрей обратил мегрелов, и пошел в Кларджети»*** (ქართლის ცხოვრება, т. I, ст. 38). Это путь соединял Чорохи с Артаани. В «Картлис цховреба (Житие Картли)» читаем: ***«Андрей Первозванный вошел в страну Картли, в Нигалу, Кларджети, и Артаан-Колу, где пробыл долгое время».*** Таким образом, Артаан-Кола была частью Иверии, или Картли; Артвин считался Лиганским, или нигальским городом; отсюда апостол Андрей пришел в Артануджи, затем - в Артаан-Колу. Таким образом, св. апостол ходил по путям, которые были важны и через тысячу лет, во времена Константина Порфирогенета. Это путь был важным и в XI в., во время багарата IV. Он перевел войско через Куру из Западной Грузии через Кутаиси-Хупати-Артануджи-Джавахети-Тбилиси и победил враг (К. Ц, I, 338).

В VI в. Лазика обращает на себя внимание своим стратегическим расположением - дорогой, соединяющей Персию и Византию. Обе стороны хотели захватить ее - путь через Чорохское ущелье, т. н. «кларджетский путь».

По прошествии почти 1500 лет, в 70-х годах XIXв., этой дорогой заинтересовалась и Россйиская империя (Г. казбеги, Три месяца в турецкой Грузии, 1875, на рус. яз.).

В то время Чорохское ущелье входило в состав османской империи, на находившуюся там Батум-Артвин-Ардаганскую дорогу обратил внимание Г. Казбеги. Это дорога шла вдоль р. Чорохи из Батуми до Артвина, от которого соединялась с Ардагани через Арсианский хребет, затем дорога шла в Карс, Арзрум и Ахалцихе. Г. Казбеги, и присланый из России ученый Е. Вейденбаум уверяли российское правительство в том, что Батум-ардаганская дорога имела важнейшее значение, поскольку она кратчайшим путем соединяла Персию с Европой. Г. казбеги прямо писал, что после расширения ***«эта дорогоа может превратится в транзитную магистраль между Персией и Европой» (Г.***

казбеги, Три месяца в турецкой Грузии, 1995, ст. 108). Г. Казбеги писал, что для работ на Батум-Артаан-Карсийской дороги Османская империя создала комиссию, которая почти без изменений оставила прежний маршрут. Это была ***«единственная линия по реке Чорохи по направлению Артануджи, затем к Карси, через Артаани, вдоль Артанудж - Чаи... Кони непрерывно двигались по направлению Артвина, перевозя карсский хлеб. Хлеб сюда перевозился на лошадях из Артвинского порта, а отсюда по р. Чорохи в батуми» (там же, ст. 104-106). Г. казбеги и Е. Веиденбаум в своих трудах выражали интерес Российской империи к Аджаре-Лазистану: «Этот интерес усиливается историческим значением чорохского бассейна, и той ролью, которую он может сыграть в будущем» (Г. Казбеги, Три месяца в турецкой Грузии, ст. 29).*** По мнению Г. Казбеги, европейцы знали о значении чорохского басейна из рассказов Страбона и Ариана; он тоже писал о будущих возможностях дороги (там же, ст. 29). Это была дорога международного значения, проходящяя по р. Чорохи; взяв под контроль эту дорогу, Россия смогла бы контролировать регионы Эрзрума, Карса (отсюда видно, что по мнению Г. Казбеги, Колхиду и Фазиси Страбона и Ариана следует искать в чорохском ущелье). Г. Казбеги был очень заинтересован положением этой дороги, и в своем труде описывает разные ее участки. Например, он пишет: «необходимо построить триста каменных мостов и тоннелей» (там же, ст. 108). Эта фраза напоминает нам сведение Страбона, согласно которой через р. Фазиси было проложено 120 мостов. Остатки этих мостов были обнаружены и в XIX в. Среди них были и хорошо сохранившиеся мосты.

Казбеги и Вайденбаум с удивлением описывают мосты через р. Чорохи и ее притоки. Количество древних каменных арочных мостов и их остатков было впечатляющим. Вайденбаум отмечал, что такое количество мостов, а так же проложенные в скалах дороги говорили о международном значении проходящего по чорохскому бассейну. По обеим берегам р. Чорохи проходила важная дорога: ***«Если судить по остаткам мостов Мургулис Цкали и Хатила-Су, то можно предположить, что ранее на левом берегу р. Чорохи была оживленная торговая дорога. В одном месте были заметны останки стены, на которые опиралась дорога по отвесным склонам. Дата постройки мостов и стены неизвестна, но если судить по тому факту, что мосты схожи по конструкции Артвинским мостом, то можно предположить, что они это древние дорожные сооружения, построенные еще в мирные времена, т. е. еще до турецкого владычества» (Евгений Вейденбаум, От Батуми до Артвина, 2005, ст. 75).***

Коллосальное количество мостов на р. Чорохи и ее притоках напоминает нам сведение Страбона, что на р. Фазис, по пути в Иберию, было 120 мостов. Некоторое количество каменных арочных мостов сохранилось и по сей день. Эта дорога шла через Чорохское ущелье из Бытумского региона в Артаани, который входил (согласно не только грузинским, но и армянским источникам) в состав Иберии (Ардагани).

Если Чорохское ущелье считалось частью Лазики, то там проходила историческая дорога из Лазики в Иберию, которой пользовались персы в войне за Лазику с Византией. Эта дорога не теряла своего значения и в XIX в., когда по ней ездили ***«русские, английские и французские купцы» (Г. Казбеги, ст. 108).***

Большое значение имела перевозка грузов по реке. Г. Казбеги пишет: ***«Чорохский речной путь является единственным способом развития артвинской торговли. В этом году данный путь приобрел особое значение. Уже второй год, как английская компания начала закупку карссийского и шавшетского хлеба, который доставляется в Батуми путем р. Чорохи. Большую часть хлеба до Артвина несут курды шаками и конями, затем хлеб нагружают на лодки. В текущем, 1874 г., агент одной из компаний прислал 44 фунтов пшеницы. Доставка фунта пшеницы из Карса в Батуми обходится в один рубль» (там же, ст.115).***

Вайденбаум отмечает оживленную торговлю на пути Батуми-Ардагани. Он пишет: ***«Батуми соединен с Ардаганом горной вьючной дорогой. Длинна пути 191 версты. Сначала она идет вдоль правого берега р. Чорохи до устья р. Имерхеви; затем, по ущелью р. Артанудж-Чаи до перевала Ялнызчам (8442 фута от уровня моря) - это хребет, разделяюший бассейны Куры и Чорохи. От Яланусчамского перевала дорога идет К Ардагану. На этой дороге примечательны следующие населенные пункты: Артвин, который в период господства турков назывался Лиган. Этот маленький городок построен на левом берегу р. Чорохи, на расстоянии 80 верст от Батуми. Здесь находится резиденция главы Артвинского округа... Коммуникация между Артвином и Батуми осуществляется, главным образом, при помощи каюков (плоскодонных лодок) по р. Чорохи. Артануджи находится на левом берегу Артанудж-Чая, притока р. Чорохи. На сегодняшний день это незначительная деревня... Ардаган соединенис Батуми и Карси вьючными путями. На юго - западе от Ардагана (99 верст) находится Олтыс. Эти населенные пункты соединяются почтовым путем, прходящим через Панжуретский перевал (7728 футов от уровня моря), который разделяет бассейны Куры и Чорохи; затем, почтовый путь, черерзь ущелья Канли-Су спускается в долину Олту-Чаи. На Ардаган-Олтысской дороге сохранилось не мало останков древних крепостей и церквей»*** (Е. Вейденбаум, От Батуми до Артвина, 2005, ст. 79-86).

То, что Батум-Ардаганская дорога должна быть Фазис-Иберийской соединительной дорогой, описанной Страбоном и Прокопием, видно и из того, что на ее участках подтверждается наличие тех древних имен, которые упоминались этими авторами. Например, Г. Казбеги пишет: ***«Среди них недьзя не обратить внимание на то, что один из притоков р. Чорохи назывался Квирила... р. Квирила получила свое названия от грузинского слова «квирили-крик», что соответствует характеру реки-она шумно течет по каменистому дну, вымывая глинистые породы»*** (Г. казбеги, упомянутый труд, ст. 75). Квирила-та же Воа. По мнению наших ученых, греческое имя реки - Воас - должно было быть греческим переводом грузинского названия. **Описанная Прокопием Лазика - своей** скалистостью и мостами международной - торговой дороги - напоминает нам только Лазистан - лиган - артануджи, описанные Казбегом, Вайденбаумом, и другими исследователями.

Е. Вейденбаум и г. Казбеги подчеркивают международной значение Батум - Артвин - Артаан - Карсской дороги (напр., они отмечают, что артвинское население занималось внешней торговлей. Завозили товар из заграницы в Батумский порт, а оттуда по Чорохи, на лодках привозили его в **Артвин.** Затем, этот груз они перевозили в Ардагани и Карс на лошадях и ишаках: ***«Артвинские армяне занимались, в основном, внешней торговлей - из Константинополя и других мест они завозили товар, из Батуми на лодках перевозили его в Артвин, а затем, вьючным путем в Ардагани, Карс и другие места»*** (Е. Вейденбаум, 2005, ст. 68). По сведению Вейденбаума артвинские купцы, с одной стороны, ввозили Артаани и Карси иностранный товар, но оттуда ***«вывозили хлеб, и свозили его в Батуми по р. Чорохи»*** (ст. 69). По этому факту, Вейденбаум, с целью улучшения международной торговли, советовал правительству построить дорогу р. Чорохи. Он писал: «Я не сомневаюсь, что и после прокладки трассы от Карси до Батуми, судоходноые грузоперевозки по р. Чорохи нетолько не прекратятся, но наоборот, увеличатся. Поэтому, постройка спуска от трассы к реке очень важно для увеличения торгового оборота. Какой бы хорошей не была магистраль, доставка таких грузов, как пшеница, овес и т. д., удобней лодками, чем колесным транспортом. Говорят, что Карсский округ может давать значительное количество хлеба. Если кто захочет вывозить этот продукт, ему необходима будет дорога до артвинского порта, поскольку перевозка по Чорохи выгодна в смысле времени и себестоимости» (там же, ст. 69). Помимо пшеницы, судоходными путями Чорохи из Артвина в Батуми перевозили до 30 т. оливок (там же, ст. 70).

Согласно исследованиям современного историка Г. Григолия, ***В Лазику, в Петру, проходя Артануджи и Чорохское ущелье входили шедшие на войну персидский шах и его войско;*** хотя, до сих

пор распространено мнение, что их путь в Петру проходил через Лихский хребет, в Западную Грузию.

По мнению Г. Григолия персидское войско вошло в Петру через Чорохское ущелье. Он пишет - ***«Для того, что бы легче было определить направление этой дороги, Прокопий Кесарийский детально описывает встречающиеся на пути реки, их физические свойства, направление, местонахождение их истоков, устья, вблизии каких стран или племен они текут и др. Все это дает бесценную информацию о лазском царстве и для локализации г. Петра»*** (Г. Григолия, Проблемы историечской географии Эгрис - Лазского царства, 1994, ст. 29). Затем исследователь продолжает - ***«Хопа кратчайшим путем соединяется с Чорохским ущельем у Борчхи. Путь, ведущий к верху Чорохи делится на две части у Артвина, одна часть идет вдоль Чорохи к Карсу, Ардагану и Армении. Следует думать, что именно по этой дороге повели лазы царя Хосро Анушрвана против Петры; В частности, как известно из сведения Прокопия, персы пересекли Воас (мы предполагаем, верхнюю часть Чорохи, пишеь Г. Григолия) и «так дошли до Петры, что Фазис был справа от них»*** (там же, ст. 64).

Г. Григолия считает, что та река Фазис, которую пересекли персы и есть Чорохи, а Хопа (древний Хупати) именовалась Петрой (там же, ст. 65).

По мнению Г. Григолии, дорога, ведущая из Хопы к Чорохи, а отсюда в Иберию, Армению и Персармению, существовала издавна. На этой дороге движение не прекращалось даже зимой - «дорога из Хупати и Иберии к Чорохи была настолько хорошо освоена, что по ней массы людей ходили даже зимой» (там же, ст. 65).

«То, что Воас - Фазис действительно является Чорохи, а не Рион - Квирилой, как это понималось раньше, об этом свидетельствуют многие места из труда Прокопия Кессарийского. Это касается расселения лазов и соседних пемен, описания крепостей и городов лазов, или описания маршрутов персидских войск, идущих в Петру» (там же, ст. 42).

Исследователей особенно беспокоит то место из сведения Прокопия, где речь идет о левом берегу р. Фазиси, на **котором «мало населения, и где у лазов нет ни города, ни крепости или поселения, стоящего упоминания».** Если Прокопиев Фазис, это современный Риони, тогда речь идет о большой части Имерети, всей Гурии и Аджаре, т. е. о лучшей части историчекого Колхети, где по последним археологическим находкам появились раннеантические и эллинистические городские центры: Вани, Дабла Гоми, Фасиси, Пичвнари и Апсарос» (Г. Григолия, «Исторические проблемы Эгрис - Лазского царства», 1994, ст. 32).

Г. Григолия делает вывод - ***«Одним словом, все сведения Прокопия, которые неясны и противоречивы в связи с Рион - Фазиси, становятся вполне ясными и логичными в связи с Фазис - Чорохи»*** (там же, 53). Про дорогу Персия - Петра автор пишет - «Прокопий Кесарийский упоминает Путру всегда в связи с Фазиси, и локализация Петра возможно только в связи с Фазиси... » (там же, ст. 55). Река Фазис и есть Чорохи - войны персов были в ее ущелье. Здесь проходила та важная дорога, которая соединяла Петру с Двином.

Мы установили, что персидская армия под руководством шаха Хосро, а затем его военачальников доходили до Лазики и Петры из соверемнного Артаана по дороге, пересекающей Арсианский хребет. Двин сообщался с г. Петрой по этой дороге. Двин был тем городом Персармении, в котором отдыхала уставшая в Лазике от боев персидская армия (Георгика, II, ст. 115).

Главный лагерь (для отдыха) персидской армии находился в Персармении - в Двине. Отсюда они направлялись в Петру и Лазику, а оттуда возвращались обратно для передышки - по сведениям Прокопия Кесарийского (Георгика, II, ст. 115).

По сведениям Прокопия Кесарийского, отдохнувшая персидская армия из Персармении входила в Лазику, приниамла участие в походах на Петру и близлежащие территории, после чего

войско возвращалось для восстановления сил в лагере г. Двина, как об этом несколько раз писал Прокопий: лагерь г. Двина в Персармении пресдтавляли собой место отдыха и восстановления сил персидской армии в походах на Лазику (Георгика, II, ст. 115).

«Мермерой оставил в Лазике 5,000 человек, а с остальными 25,000 перешел в Армению и расположился рядом с Двином». Из Петры Мермерой «вошел в Персармению с оставшейся армией, и отдохнул в селах близ Двина» (Георгика, II, ст. 115).

По принятой сейчас точке зрения, шедшая в Петру армия прошла бы г. Тбилиси, затем, через сурамский хребет заходила в ущелье, переходила через равнину р. Риони, затем, пройдя современную Гурию и Аджару, входила в крепость Петры.

Такой муршрут не совпадает с описанием Прокопия, поскольку по его сведению, уставшая в боях с Петрой армия направлялась на отдых в Двин, или Персармению, откуда, вскоре, восстановив силы должна была возвращатся в Лазику. Если бы армия проходилы столь огромное расстояние - всю Западную, а затем почти всю Восточную Грузию, Армению и пришла бы отдыхать в Двин, то эта армия была бы совершенно измотана. С военной точки зрения, прохождение такого пути ради отдыха неефективно и даже невозможно. Таким образом, путь из Двина Петру, который проходили Хосро и его военачальник Мремерой, должен был быть короче.

При этом, нам известно, что этот путь через часть Иберии, и очень высокий хребтовый перевал, спустилась в Фазисское ущелье, где р. Фазис мелководна. Здесь армия перешла пешком через реку и р. Фазис была справа от них. При этом, на пути им не встретилось ни одно лазское село.

Короткая дорога, ведущая из Двина в Петру через Иберию действительно существовала. Это была Двин - Артаан - Артанудж - Артвин - Петрская дорога, переходящая через высокий перевал Арсианского хребта. Эта древнейшмй, и притом легчайший путь из Петры в Двин. Самым трудным участком этого пути для войска был высокогорный перевал, который выравняли Персы.

Артаан - Артанудж - Артвинская дорогая, как уже гворилось, прошла бы через Арсианский хребет, перевал которого находится на высоте 2687 м. от уровня моря.

Таким образом, персидское войско дошло до Петры не через Тбилиси, Лихский хребет и всю Западную Грузию, а кратчайшей дорогой, соединяющей Персию - Петру, которая, как часто отмечал Прокопий: через Персармению (землю Двина), затем - Иберию (Кола - Артаани), и вдоль р. Чорохи быстро вошли бы в регион Петры. Как уже говорилось, этот путь существовал на протяжении веков - по сведениям «ქართლის ცხოვრება(К. Ц)», даже в III в. до н. э. во времена Парнаваза -

Царь Парнаваз отправился на войну с Азоном - ***«встретились они у артаанского городища, которое тогда называлось городом Каджи, он же Хур»*** (К. Ц., I, ст. 23).

После победы над Азоном Парнаваз вошел в Грецию (Понто - Трапезунт), оттуда ***«пришел в Кларджети, завоевал его и прибыл в Мцхету с великой радостью»*** (К. Ц. I, ст. 23). Он вернулся по той единственной дороге, которая соединяла Кларджети с Артааном, и через Джавахети входила в Мцхету. Это та дорога, которую потом использовал Вхтанг Горгасали, на которой построил Артануджскую крепость.

На соединяющей Византию с Иберией Гонио - Артвин - Артанудж - Мцхетской международной дороге была сравнительно развита местная экономика, появились поселения городского типа. Этим должно быть вызвано то, что часть грузинских епархий IV - IX вв. была расподложена на этой дороге. По церковным правилам епископская кафедра должна была находится в городе. Видимо, упомянутые придорожные поселения городского типа давали возможность основания епископской кафедры. На этой дороге были следующие кафедры:

1. Ахизская;
2. Анчская;
3. Эрушетская;

4. Цкароставская;

5. Кумурдская;

6. Цундская;

7. Цалкская;

8. Манглисская.

Мы можем сделать следующий вывод: по городу Артануджи - до X в., и после,и по словам Константина Парфирогена - проходила международная торговая дорога, соединяющая Артануджи с Иберией, Арменией и Сирией; Артануджи, в свою очередь, по упомянутой причорохской дороге (и по самой р. Чорохи) соединялся с причерноморскими торговыми портами. Вот на этой международной дороге и располагалась Лазика в VI в.

Длинна примосркой полосы Лазики

Прокопий пишет - От города Апсарунта до города Петры и границ лазов, где кончается Эвксинский Понт, пути один день. Упираясь в эти места, Понт образует береговую линию в виде полумесяца. Длина пути при переезде по этому заливу - полумесяцу составляет приблизительно пятьсот пятьдесят (550) стадий, а все, что лежит за этой береговой линией, является уже страной лазов и носит название Лазики (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 2).

Петра располагалсь между Лазикой и провинцией Эвксинского Понта, прямо на границе.

Длинна приморской линии Лазики от Петры составляла 550 стадий, т. е. приблизительно 100 км (если одну стадию, как и принято, будем считать за 178 м., получим 97900 м., т.е. примерно 100 км).

• стадий (др. - греч. στάδιον) •178,6 м

1. аттический 1. 177,6 м
2. олимпийский 2. 192,27 м
3. эллинистический 3.185 м

• стадий (лат. Stadium) • 185 м

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%94%D1%80%D0%B5%D0%B2%D0%BD%D0%B8%D0%B5_%D0%B5%D0%B4%D0%B8%D0%BD%D0%B8%D1%86%D1%8B_%D0%B8%D0%B7%D0%BC%D0%B5%D1%80%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1%8F#.D0.9C.D0.B5.D1.80.D1.8B_.D0.B4.D0.BB.D0.B8.D0.BD.D1.8B

Если от Петры, нынешней Хопы, отсчитать 100 км., то дойдем до левого берега р. Рион - это показывает, что Лазика располагалась на западном берегу р. Рион до Хопы.

Хопа, по грузинским источникам называлась Хупати. Гавная река - Чорохи - на земле между Риони и Хупати (Хопа, древняя Петра) - Фазис.

Таким образом, длина примосркой линии Лазики составляла примерно 100 км.

Города Колхиды и Лазики. Петра.

Прокопий Кесарийский писал - «Есть в Колхиде приморский город Пе́тра у так называемого Понта Эвксинского. Ранее это было ничтожное местечко; василевс Юстиниан укрепил его стеной и другим снаряжением и вообще сделал его видным (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XVII. 3 - 17)».

Перемирие между Византией и Персией в 5 и в 6 веках часто нарушалось. По мнению персидского шаха Хосро, согласно перемирию, земля на восточном причерноморье (В том числе и западно - грузинская территория до римской провинции Понта (до Петра) принадлежала Персии, поэтому Юстинианов строительства в Петре он принимал за нарушение перемирия. Хосро считал, что Юстиниан присвоил Петру - Хосров, узнав, что здесь находится римское войско во главе с Иоанном, послал войско и стратига Аниаведа с тем, чтобы они взяли их при первом же натиске (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XVII. 3 - 17).

Петра была важна тем, что международная дорога проходящая у этой приморской крепости через Фазисское ущелье соединяла приморские порты с Персармением, а соответственно, с Персией.

Петра была неприступна - Город Пе́тра недоступен частью из - за моря, частью из - за обрывистых скал, которые возвышаются здесь повсюду. Из-за этого он и получил свое название {342}. (28) Имущество Иоанна, которое было довольно большим, он по обнаружении забрал, ни у кого же другого ни он, ни кто - либо из персов ничего не взяли. Римляне, сохранив, что у них было, присоединились к мидийскому войску. (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XVII. 18 - 28).

У петры проходила граница страны римлян -

К югу от города Петры сразу же находятся границы римлян. Здесь расположены весьма многолюдные места: так называемый Ризей, Афины и многие другие вплоть до Трапезунда. (23) Когда лазы вели Хосрова, они, перейдя реку Воа и имея по правую сторону Фасис, подошли таким образом к Петре, поступая так якобы из опасения, что придется переходить реку Фасис с большим трудом и огромной тратой времени, на самом же деле - из - за нежелания показывать персам свои жилища (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XVII. 18 - 28). По исследованием Г. Григолия, Петрой назывался Хопа (Хупати) а не Цихисдзири, (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эшрис - Лазского царства, Грузинский институт истории и этнографии, 1994 г., ст. 96). Г. Григолия пишет, что «первым петрскую кафедру с петрской крепостью связал С. Каухчишвили» (там же, ст. 15).

Такое связывание не имело оснований, поскольку в византийском миру епископские кафедры основывались только в многолюдных, значительных городах (А не в малолюдных местностях). Крепость Петры, по сведению Прокопия, до эпохи юстиниана находилась в малолюдном, не заселенном месте (на левом, не населенном берегу Фазиса). Город - крепость здесь основал Юстиниан в 530 - х годах, но через несколько лет его разрушили сами греки, поэтому, согласно греческим правилам, это место не соответсвовало епископской, кафедре.

Крепость Петры не следует принимать за епископскую кафедру. Н. Адонц перенес петрскую кафедру горный регион Байбурд.

Источники не указывают, что петрская епископская кафедра находилась в крепости Петры, у моря. Следует отметить и то, что в Византии и Лазике существовало много населенных пунктов которые назывались Петр, Петронов и Петрогалов.

Упомянутая в 535 - м году в новелле Юстиниана Петра была крепостью, а не епископским центром (таким образом, петрская крепость это одно, а кафедра Петры находилась в совершенно другом месте). По исследованиям Н. Адонца кафедра Петры находилась у г. Байбурда, в горном и скалистом регионе.

В связи с границей Хопской и Византийско - Лазской границей Г. Григолия отмечает, что во II в. Римская империя отняла у Лазики территорию на юге, и ввела эту территорию в состав Каппадокийского Понта (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, Грузинский институт истории и этнографии, 1994 г., ст. 130). В последующих веках территория Лазики еще больше уменьшилась.

Согласно Житию Даниила Столпника, в V в., во время императора Леона I (457 - 474), меджу Византией и Лазикой («царством мегрельской Абхазии») во время царя Губаза I находилась крепость Хупати. - (там же, ст. 138).

Хупати это сегодняшняя Хопа, таким образом, здесь проходила граница меджу Лазикой и Византией в 5 - м веке (там же, ст. 138).

По мнению Г. Григолия византийцы построили г. Петра именно в Хупати (VI в.).

Крепость Петра была северными вратами Византийской империи (там же, ст. 25) и, По сведениям Прокопия Кесарийского, находилась в страшном скалистом метсе. Поэтому Г. Григолия считает, что Петра не является Цихисдзири, по его мнению, Петра это Хопа, древний Хупати, скалы которого являются своего рода геогрфической границей низинной части, направленной из Трапезунта в сторону Западной Грузии. Поэтому. У этой естественной границы сидел Иоан - Циба, торговый монополист, который с помощью Петры захватил всю монополию Чорохского ущелья (тогдашней Лазики).

По мнению Г. Григолии, войны Петры происходили не не в Рионском, а в Чорохском ущелье, рядом с Хупати (Г. Григолия, упом. Труд, ст. 56).

У Петры начиналась междунаролная дорога, проходящая через Чорохское ущелье, соединяющая Византию и Персию.

По поводу этой дороги Г. Григолия приводит свидетельства автора V в. н. э. Приския Панионского и делает вывод, что кратчайшая дорога между Арменией и Лазикой существовала и раньше (там же, ст. 126).

Приск Панионский, описывая в своей истории события 433-474 гг. коснулся неудачного похода римлян на Лазику. Возвращаясь назад, они спланировали новое нападение на Лазику - «они обдумывали, каким путем напасть: тем же путем, или путем соседней Армении; плыть по морю было невозможно, поскольку в Колхиде не было портов и была труднодоступна» (там же, ст. 127).

В результате анализа сведений Приска Панионского Г. Григолия делает выводы: 1) Колхида (Лазика) соединялась с Арменией «кратчайшим путем»; 2) Лазика и Армения были соседями, имели общюю границу; 3) Колхидское приморье было скалистым.

По выводу Г. Григолии, Приск Панионский под Колхида не подразумевает современную Западную Грузию.

Упомянутая Приском Панионским т. н. «Армянская дорога», ведущяя из Колхиды должна быть Артвин - Артанудж - Артаанской соединительной дорогой, входящей непосредственно в Армению из Артаана и ведущей в Двин. Один из ее участков в грузинских источников назывался «Кларджетской дорогой». Это кртачайшая магистраль Двин - Артвин (там же, ст. 127). Эта дорога соединяла между собой византийский и персидский миры. Дорога начиналась в Хопа - Хупати, которую Г. Григолия считает Петрой.

Г. Григолия пишет - «Хопа с Чорохским ущельем кратчайшим путем соединяется у села Борчха. Дорога, идущяя от верхней части Чорохи делится на две части - одна идет в Карс, Армению, по этой дороге повели лазы царя Хосро Ануширван против Петры. Персы пересекли Воас (в верх по течению Чорохи)»... и так пришли в Петру, что Фазис был на парво от них». Персы должны были пересечь Чорохи выше Артвина, за 10 - 15 км, там где находится устье Имерхеви и Чорохи. Затем, по левому берегу Чорохи - фазиса спускаются до Борчхи и отсюда, кратчайшим путем, через Хопское ущелье идут в Петру. Видно, что то же путь прошли и вошедшие во второй раз в Лазику, теперь уже под предводительство Мермероя, направляясь на помощь окруженной римлянами Петре.

По сведению Прокопия, он (Мермерой - Г. Г.) не хотел проходить через лазские села во избежание препятствий» и так шел до Петры, что «Фазис был направо от него». Таким образом, исходя из всего вышесказанного, Чорохи является ясным знаком, указывающим на существование интересующей нас Петры в Хопских областях» - пишет Г. Григолия (там же, ст. 127).

Таким образом, Петра это современная Хопа.

Трапезунт, Исулмен, Кене Парамболе, Севастополь

Г. Григолия рассматривает знаменитую Notitia Dignitatum, которая по грузински называется «Список всех чинов и должностей, гражданских и военных, в восточных и западных частях» (Г. Григолия, «Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства», там же, ст. 120). Это

памятник V в., согласно которому «военачальнику Армении подчинялась пограничная линия Понта - Трапезунт и Пития, Исульмен, Кене Парамболе, Севастополь, Зигана, Мохора». По мнению Г. Григолии, военачальснику Армении подчился не абхазсский Севастополис, Пития и Зигана, а трабзонского округа. П. Григолия приводит свидетельство Н. Адонца, П. Ингороква. В. Леквинадзе, Н. Ломоури и делает вывод, что из 11 пунктов Нотиции 10 находились не в современной Западной Грузии, а у Трапезунта. В частности, между Тарпезунтом и Саталой находились Зигана, Хадзана, Силуана, Мохора и Авидза, а к северу от Трапезунта до устья Чорохи - Гисский порт (Сурмен), Пития (Питиунт), Кене парамболе (Новый лагерь), Валентия (Апсарос), одиннадцатый пункт - Севастополис, по его мнению, Цихисдзири (там же, ст. 123).

«Таким образом, в подчинении военачальника Армении из 5 из 11 пунктов Нотиции - Зигана, Хадзана, Силуана, Мохора и Авадза - находятся на юге от Трабзона, между Трабзоном и Саталой. Остальные 5 пунктов - Трабзон, Гисский порт (Сурмен), Пития (Питиус), Кене Парамболе (Новый лагерь) и Валентия (Апсарос) - на севере от Трабзона - причерноморье (там же, 123).

Выводы Г. Григолия меняют существующие на сегодняшний день представления о исторической географии Западной Грузии. Эти выводы крайне важны для истории церкви и противоречат распространенному в XX в. мнению, что епископские кафедры Фазисской митрополии Константинополя находились, якобы, в Западной Грузии.

По заключению Г. Григолии, принятое на сегодняшний день мнение основано на нигилистическом отношении к сведениям Прокопия Кесарийского, и других древних историков, и оно не соответствует действительности. Здесь мнение Г. Григолия совпадает с древней грузинской историографией, которая совершенно ничего не знает о существовании греческих кафедр в Западной Грузии. Н. Адонц располагал лазские епархии в Трапезунте.

Г. Григолия соглашается с Птолемеем, что Севастополис находился между Апсаросом и Фазисом (Чорохи); такого же мнения придерживался и П. Ингороква (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эшрис - Лазского царства, Грузинский институт истории и этнографии, 1994 г., ст. 96).

Пития - Питиус (Питиунт)

Г. Григолия соглашается с П. Ингороква, что часто упоминаемый греко - римскими историками Пития - Питиунт находился у Ризе (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, Грузинский институт истории и этнографии, 1994, ст. 89).

Согласно памятнику V в. Notatiae Dignitatum (Список всех чинов и должностей, военных и гражданских, в восточных и западных областях) «военачальнику Армении подчинялась понтийская приморская линия - Трапезунт, Пития, Исульмен, Кене Парамболе, Севастополис и др.» (там же, ст. 120).

Если Пития является Бичвинтой, а Севастополь Цхумом (как принято считать сечас), тогда они (Бичвинта и Сохуми), согласно этому источнику, находятся в Армении.

Г. Григолия считает, что к концу IV в. абхазские Питиунт - Бичвинта уже не являлось военно - стратегическими пунктом (археологические материалы свидетельствуют, что на на месте главной стоянки гарнизона, в IV в. была установлена керамическая печь). По этой причине, Г. Лорткипанидзе совершенно исключает наличие византийского гарнизона в Бичвинте в V в. (ст. 121).

По мнению Г. Григолия, в Западной Грузии, в IV - V вв., соврешенно не было визангийских гарнизонов (ст. 122).

Г. Григолия свиделеьствует Н. Адонца, что во время составления Нотиции, абхазсские Питиунт и Севастополись не принадлежали римлянам; абхазсские Питиунт и Севастополись это совершенно одно, а Питиунт и Севастополись Нотиции - совсем другое (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, Грузинский институт истории и этнографии, 1994, ст. 122).

Где находились - Питиа-Питиус-Питиунт? Г. Григолия пишет: «Правдоподобным выглядит мнение предположение П. Ингороквы (П. ингороква, Г. Мерчуле, ст. 253) о том, что согласно Птолемею пития располагалсь между Трапезунтом и Ризе, и называлась Питиус - она должна совпадать с Офским портом» (Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, ст. 122). «Правильность данного предположения подтверждается сведение Амияна Мерцелина, автора IV в.: рядом с Трапезунтом находится знаменитый г. Питиунт» (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, Грузинский институт истории и этнографии, 1994, ст. 123).

Таким образом, из этого лазского Питиунта были приглашены епископы на I Вселенский Собор, а не из Абхазии. Церковное величие Бичвинты связано только с Грузинской Церковью, а не греческой.

Таким образом, Питиунт располагался не в Абхазии, а в историческом приморье Грузии, рядом с Лазикой, в Понтийской области, в направлении Трапезунта.

Зигана, Мохора, Ардас

В списках (в т. н. Нотициях) митрополий VII - X вв. Константинопольской патриархии упомянуты епископские кафедры Фасидской митрополии - Родополисская, Сиасинская, Петрская и кафедра Зигана (Зиганеон).

Известный исследователь исторической географии Лазики, Понта и Армении, знаменитый ученый Н. Адонц еще в XX в. установил, что они находились в Лазике Трапезунтского региона, в том же чанети, где сформировалась византийская административная единца (фема) - Халдея (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, ст. 97 - 104). В 30 - ые годы того же века другая точка зрения появилась в Грузии. Согласно этой точке зрения, данные кафедры Константинопольской патриархии в течении нескольких веков находились в Западной Грузии, и затем, их якобы заменили епископскии кафедры Грузинской Церкви. Эта распространенная точка зрения.

Г. Григолия соглашается с Н. Адонцем, упомянутая в Нотиции Зигана, которую С. Каухчишвили называет Зиганев, находилась не в Абхазии, а на пути из Трапезунта в Ардасу (рядом с современной Зиганой, расположенной на южныой стороне Зиганского перевала (6640 футов), у Гумушханы) (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, Грузинский институт истории и этнографии, 1994, ст. 122).

Что касается Мохоры, то это село на востоке от Зиганы, сущестыующее и поныне (там же, ст. 122, Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, ст. 100). По мнению Г. Григолии Зигана и Мохоора находятся в историческом Чанети (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, Грузинский институт истории и этнографии, 1994, ст. 122), а не в Западной Грузии. Зигана, о которой писали древние авторы, находилась у Трапезунта, и Зиганская кафедра находилась там же.

Г. Григолия не соглашается с существующей до сегодняшнего дня точкой зрения, что Зигана (Зиганеос), Пития, Севастополис и другие пункты находились у Цхума (Сухума), а Мохора - у Кутаиси.

Г. Григолия согласен с Н. Адонцем (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, ст. 100), что упомянутая в Нотиции Зигана находится на пути из Трапезунта в Ардасу, у Зиганского перевала (6640 футов), который сегодня так называется. Мохора, это село на востоке от Зиганы, существующее и поныне (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, Грузинский институт истории и этнографии, 1994, ст. 31, ст. 122). По его мнению, епископская кафедра Зиганы, которую С. Каухчишвили называет Зиганеом, не находилась на рядом с Цхумом (в Гудакве), а у Трапезунта.

Г. Григолия не соглашается с мнением С. Каухчишвили, что Зигана была Гудаквой, Пития - Бичвинтой, Севастополись и Диоскурия - Цхумом, а Мохора - Мухурисом.

Согласно туристическим картам турецкого города Гумушхана, впечатляющие кафедральные соборы, епископские церкви и по сей день стоят в регионе Зиганского перевала, их и сейчас называют «митрополитскими кафедрами» (таких всего две).

Зиганский перевал находился в исторической Колхиде, в Лазике, в 70 км. от Трапезунта.

Апсару - Апсарос (Апсарунт)

Согласно Прокопию, Ризе находился на границе Трапезунтского округа - «границы трапезунтцев распространяются до Сусармены и Ризе, которая находится на расстоянии двух дней морского пути... После Ризе находится земля народа, проживающего между римлянами и лазами. Там находятся Афина, Архав и Апсару (на расстоянии трех дневного пути от Ризе), ранее называющийся Апсарунт» (Георгика, II, ст. 121 - 123, там же ст. 58).

Таким образом, Знаменитый Апсарос следует искать у Архава и Ризе. От Апсарос - Апсарунта до Петры было расстояние однодневного пути:

„От города Апсарунта до города Петры и границ лазов. где кончается Эвксинский Понт, пути один день. Упираясь в эти места. Понт образует береговую линию в виде полумесяца. Длина пути при переезде по этому заливу - полумесяцу составляет приблизительно пятьсот пятьдесят стадий, а все, что лежит за этой береговой линией, является уже страной лазов и носит название Лазики. За этими местами внутри страны лежат области Скимния и Суания. Живущие здесь племена являются подчиненными лазам".

Поскольку Хопа считается за Петру, в современной Турции, а Апсарунт от Петры был на расстоянии однодневного пути (примерно 30 км.), то Апсарунт следует искать рядом с Хопой, в направлении Трапезунта. На расстоянии примерно 30 км. от Хопа находятся известные пункты Афина и Ардашен. Апсарунт должен был находится у моря. Прокопий ясно пишет, что Апсарунт не принадлежал Лазике, он в ходил в византийскую часть Понта, а Петра был первым городом Лазики, находящимся на границе между Византией и Лазикой.

В византийских источниках Пития так же называется Питиусом и Питиунтом. Такими же синонимами являются названия одного и того же пунтка - **Апсарос, Апсарунт и Апсару**. На пример, сравним имена**: Пития - Апсару; Питиус - Апсарос; Питиунт - Апсарунт**. Как одним и тем же пунктом был **Пития - Питиус - Питиунт**, Так же одним и тем же пунктом был **Апсару - Апсарос - Апсарунт**.

Фасис - Севастополис

По мнению Г. Григолия, согласно карте Кастория, или Табуле певтенгерии (сегмент XI - XII), из древней столицы Армении Арташана к Севастополю шла важная дорога.

Согласно И. Манандяну эта дорога проходила село Фока (пага) у Параванского озера, затем Абульскую гору (апулум), село Хоспио (Часпия), заетм неизвестный пункт Ад - Мерцуриум«, затем «АД - Фонтен - Фелицем», и входила в Севастополис (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, 1994, ст. 106).

Расстояния были следующими: от Ад - Фонтем - Фелицема до Севастополиса было 90 км, или же 60 римских миль (там же, 106).

Согласно некоьорым историкам Ад - Фонтен - Фелицем это Варцихе (Родополис), однако Варцихе от принятого за Севастополис - Цхума отстоит не на 90 км, а на 165 км, в три раза дальше! - пишет Г. Григолия.

Таким образом, определение Варцизе не верно - И. манандян видит выход в том, что в точке зрения проф. Еремяна (основываясь на Киперте) - «г. Фазис со времен Трояна назывался севастополисом» (там же, 107).

По сведениям Зосима (Георгика I) граница империи достигала до р. Фазис, здесь же, по мнению Г. Григолия находился Севастополис. Фазис это Севастополис (Еремян) (там же, 107).

Согласно нашему исследованию, эти византийские авторы, под р. Фазис подразумевали р. Чорохи. Поэтому, г. Фазис следует искать у устья Чорохи, у приморья, на западном берегу, там где сейчас находится известная римская крепость Гонио. По сведению Страбона на западе г. Фазиса было морское побережье, на севере - р. Фазиси,, а на юге - озеро. Похожее географическое положение есть у г. Поти, но по сведению русского исследователя Вейденбаума, исследовавшего эти места по государственному поручению, в XIX в. у устья р. Чорохи, на ее левом берегу, моря, были озера (между Гонио и Чорохи). Мы можем предполагать, что здесь, между озером и Чорохи находился г. Фазис, от которого впоследствии осталась грандиозная римская крепость Гонио. Следует отметить, что известный Шлиман намеревался искать г. Фазиси у устья Чорохи.

И «г. Фазис со времен Трояна (98 - 117) называется Севастополис» - (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, 1994, ст. 107).

Следует отметить, что Питиунтом назвали и пункт рядом с Фазиси, возможно сосновый бор (Пичвнари) Кобулети (греческий перевод - соснового бора). Возможно сосновый бор находился ближе к Чорохи. На этом месте и сегодня много сосен. Там же, у Кобулети следует искать и Археополис, который, видимо, был в близ соснового бора.

Согласно Прокопию Питиунт - Севастополис находился в Лазике рядом с Фазиси (Г. Григолия, упом. Труд., ст. 30). В Понтийском регионе был так же другой Питиунт, и другой Севастополис.

Севастополис тот же г. Фазиси, рядом с сегодняшним Гонио, на левой стороне Чорохи, где по описанию Вейденбаума даже в XIX в. были маленькие озера. Значит Севастополис находился между озером, морем и рекой, как описывает Страбон г. Фазис.

Севастополис рядом с Питиунтом упоминает и Юстиниан, только он эти города включает в Полемонский Понт,а не в Лазику; по его словам, эти пункты находились не в Лазике, а Лазика нахожилась за Севасополисом и Питиунтом.

Юстиниан писал - городами Полемоснкого Понта являются - Неокесария, Комана, Трапезунт, Керасунт, Полемонион, Питиунт и севастополис - «После них находится наша Лазика, в которой есть г. Петра, который мы превратили в город и назвали нашим именем - Юстинианом» (Георгика II, ст. 33 - 35).

«Лазика» находилась после Питиунт - Севастополиса; за Севастополисом идет Лазика. «После них находится наша Лазике» - писал он, или Питиунт, упоминаемый Юстинианом находился между Хопой и Ризе. Другой Питиунт был у Фазиси.

Переименование городов в Римской империи и Византии было обычным явлением. Об этом говорил Юстиниан в в упомянутой новелле, он переименовал Петру и назвал ее Юстинианом, тогда как в Византии был еще один город с таким же названием. То же можно и сказать о городах с названием «Фазис» - так назывались разные города в разную эпоху; именем «Фазис» назывались важные реки, например Аракс, на берегу которой и сейчас есть город Фасильнер; р. Келькит, у морского устья которой должен был быть г. Фазис, сейчас здесь г. Фатса; Риони и Чорохи, у устей которых также предполагается наличие городов с таким названием.

Как уже говорилось, существовало и несколько Севастополисов.

В книге Клавдия Птолемея «Географический учебник» книга V, глава VI перечислены места Каппадокии. В частности, после р. Апсарос и ее притока Ликоса упоминается Севастополис. Он (Севастополис) назван в конце списка городов - видимо, он принимался за крайний пограничный пункт Каппадокии (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, там же, ст. 128).

Цхумский Севастополис не мог быть пограничным пунктом Каппадокии.

Птолемей располагет Севастополис между Апсаросом и Фазисом (там же, ст. 141).

Севастополис - согласно Птолемею - находился на юге Колхиды. Колхида находилась за Каппадокией, начиналась Диоскурия - Севастополисом и заканчивался р. Фазис. На севере «Колхида завершается Фазисом», «на юге с ним граничит Каппадокийский Понт, и следующая за ним часть Великой Армении» (там же, ст. 128).

Нокалакеви, Поти

По словам Г. Григолии, согласно карте Кастория, или Табуле Певтенгериане (сегмент XI - XII), важная дорога - магистраль - не входила в Нокалакеви. Распространено мнение, что во времена составления карты (III - IV вв.) Нокалакеви был «столицей Лазики» - Археополис.

По мнению Г. Григолии, трудно представить что бы дорога «прошла мимо столицы, или что бы Касторий позабыл про нее» (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, 1994 там же, ст. 108).

По словам Г. григолии, на карте дорога не входит ни в Поти, и на ней не виден Кутаиа - Кутаиси (там же, ст. 109).

Исходя из вышесказанного - дороги Табулы Пентергарии отображают участок не Западной Грузии, а южную дорогу (южнее), возможно из Арташана до области устья Чорохи, где и следует искать Кутаю, Археополис и другие города.

Г. Григолия пишет, что дорога Табулы Певтенгерианы вела в Севастополис (Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, там же, ст. 113). Поскольку на карте Касториуса дорога не ведет в Нокалакеви, то этот факт еше раз подтверждает наше мнение, что Севастоплис и Археополис - столицу Лазики, следует искать в другом месте.

На карте Кастория не виден ни современный Кутаиси, и это тоже важный показатель. Согласно Житию Картли, Кутаиси и Цихегоджи всегда были связаны с Картлийским царством, с общегрузинским государством, а не греческо - византийским.

Они всегда входили в состав грузинского царства, а Лазика была под влиянием Византии, хотя и была населена грузинским населением. Поэтому города Картли, и города византийской Лазики, это разные города, но они были населены одним и тем же населением, поэтому на этой территории было множество пунктов с одинаковым наименованием.

Археополис

Археополис должен быть пунктом Кобулетского региона - сосновый бор - „Пичвнари", (или его непосредственное продолжение в сторону Кобулети). Богатая археология Кобулети - Пичвнари подтверждает этот факт. Кутаиа находилась на расстоянии однодневного пути (30 км.) от Археополиса. На такой же дистанции находится известное село Марадиди в плодородном Хелвачаур - Лиганском регионе. Один из районов этого села - согласно «Тбетис султа матиане» (ტბეთის სულთა მატიანე) - назывался тем же названием - Кутурети. Возможно Кутаиа - Кутаиси находился здесь, в Чорохском ущелье.

Из описания Прокопия видно, что войско Хосро так вошло в Лазику, что Фазиси был направо от них. Здесь Прокопий под рекой Фазиси подразумевает реку Чорохи, и там же упоминает вторую реку - Реони. Прокопий пишет: «На той стороне р. Фазиси у лазов нет другого населенного пунтка кроме Петры». Он занял переходные места, где можно было пересечь фазиси вброд. Эту, и еще другую реку - Реон (она тоже не судоходна) - он пересек пешком, и оказавшись на другой стороне Фазиса, повел войско по направлении к одному городу - Археополиса, главного города Лазики» (ст. 182).

Реони (Гремшигеле, Греони), предположительно, в VI в. называлась река впадающая в Чорохи, протекающая рядом с селом Марадиди. Недалеко от этого места был город Археополис. Он находился на густо населенной правой стороне Чорохи, на что указывает и Прокопий, тогда как левая сторона была мало населена.

По сведениям Прокопия и других авторов, левая сторона р. Фазис не была населенной. также левая сторона Чорохи действительно не была населена, а левая сторона Риони была густо населена, как показывают пичвнарские археологические раскопки у Кобулети.

Под «переходом из Иберии в Колхиду» имеются в виду перевалы на Арсианском хребте (2600 м.), соединяющие иберийский г. Артаани с Артануджи. Эта дорога соединяла Персармению и Колхиду (Лазику) через Иберию. Это была Персо - Лазская соединительная дорога, проходящяя по Чорохскому ущелью. Персидская воиска на левом берегу Чорохи, или Фазиси подошла к Реони.

Согласно Прокопию, фазиси и Реони были разными реками.

Река Реони была левым притоком р. Фазиси, во всяком случае, она протекала по левой стороне фазиси. Как отмечалось, Прокопий писал, что глава персидского войска «эту и другую реку - Реон - перешли пешком, и оказавшись на правой стороне Фазиси, повел армию против города - Археополиса, главного города в Лазике».

Реони протекала по левой стороне Фазиси, а на правой был г. Археополис. Если Дзирула - Квирила это Фазис, то Реони следует искать на ее левой стороне, такой реки не существует. Текущая из Рачи Риони втекает в Дзирула - Квирилу с правой, а не с левой стороны. Если Фазиси это Чорохи, то Реони была ее левым притоком у села марадиди, где в Чорохи втекает р. Гремшигеле (Греони).

С Марадиди граничит Хелвачаурский район, который мы считаем Мохирисом - здесь протекает р. Реони. В древние времена, здесь, на равнине построили крепость Котаиони - Кутаиси, рядом с Кутаиси крепост - Уфимерий (Укимерион).

Один из уголков села Марадиди назывался **«Кутурети»** (в первом тысячелетии, согласно «Тбетис султа матиане» (ტბეთის სულთა მატიანე) однокоренные имена, то тоже самое, что Кутаиси (**Кут**урети - **Кут**ети - **Кут**ати - **Кут**атиси - **Кут**аиси). Согласно С. Каухчишвили, в маой Азии было много городов и пунктов с названием на этот - «**Кут**» - корнем.

Здесь же, с Кутатаиси, на речной равнине располагалась Уфимерская, или Укимерионская Крепость. Сегодня, на аджарском диалекте равнина около реки называется «мери», «мере». По сведениям византийских писателей это крепость находилась на равнине около реки. Отсюда, от слова «мере» должно быть происходит название этой крепости - «Уки - мери», или «Уфимери».

Г. Григолия пишет - «Многие места из работ Прокопия Кесарийского свидетельствуют, что Воас - Фазис действительно является рекой Чорохи, а не Квирилой - Риони. (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, 1994, ст. 42).

Он продолжает - Заинтересованных исследователей особенно волнует та часть сведения Прокопия, где речь идет о левой стороне Фазиси, которая «не населена, и в этой стороне у лазов нет ни города, ни крепости ни села, достойного упоминания».

Если Прокопиев Фазис это современный Риони, то речь идет о большей части Имерети, всей Гурии и Аджаре, лучшей часит т. н. „исторической Колхиды", где по свидетельству археологических находок последнего времени, появилис городские центры ранне античного и элинистического периода: Вани, Даблагоми, Фазиси, Пичвнари и Апсарос» (Г. Григолия, Проблемы исторической географии Эгрис - Лазского царства, 1994, ст. 32).

Г. Григолия делает вывод - «Одним словом, все сведения Прокопия, кажущиеся противоречивыми и непонятными в связи с Рион - Фазисом, становятся вполне логичными в связи с Фазис - Чорохи» (там же, ст. 53).

В Чорохском ущелье следует искать знаменитые лазские города.

Мохерезис от археополиса отдален однодневным путем. Здесь много поселений. Место плодородное. Здесь есть вино, чего нет в остальной Лазике. Рядом находятся Сванетия и Скимния.

В 6 - м, 7 - м вв., как показали исследования, Сванетией называлась значительная часть Западной Грузии, в том числе и в Рионской долины, непосредственно на границе с Лазикой.

„Мохерезис отстоит от Археополя на один день пути. В этой области много многолюдных поселков. Из [63] всех земель Колхиды это самая лучшая. Тут выделывается вино и растет много хороших плодов, чего нет нигде в остальной Лазике. По этой стране протекает река по имени Рион; в древности колхи построили здесь укрепление, большую часть которого впоследствии они **сами** разрушили до основания, так как оно было расположено **на равнине** и, по их мнению, давало легкий доступ и возможность его завоевать. На греческом языке в то время это укрепление называлось **Котиаион,** теперь же **лазы** называют его **Кутаисом**, изменяя произношение букв в этом имени вследствие незнания греческого языка. Так передал это **Арриан** в своей истории {715}. Другие же говорят, что в древности в этих местах был городок и назывался он **Койтайос**. Отсюда происходил и двинулся походом Ээт, и вследствие этого поэты называют его самого **Койтайеем**, а колхидскую землю".

Сканда и Сарапанис

Сканда и Сарапани находились в высокогорье, в скалистой местности.

Прокопий пишет - «***У лазов возле самых границ Иберии были два укрепления, Сканда и Сарапанис. Расположенные в трудно проходимых местах на отвесных скалах, они были недоступны. В прежнее время лазы с большим трудом охраняли их, потому что в этих местах не растет никаких злаков, и люди доставляли сюда продовольствие, неся его на плечах. В начале этой войны император Юстиниан удалил отсюда лазов и поставил гарнизон из римских воинов. Немного спустя, из - за недостатка продовольствия, они покинули эти крепости, так как питаться, подобно колхам, долгое время местным пшеном, к которому они не привыкли, они совершенно не могли, того же продовольствия, которое приносили им лазы, совершая длинный путь, им совершенно не хватало. Персы захватили эти укрепления и владели ими; во время перемирия римляне вновь получили их в обмен на крепость Бол и Фарангий, как я сообщал об этом в прежних книгах. Лазы уничтожили эти крепости до основания, чтобы персы не могли воспользоваться этими укреплениями против них. Но из этих двух укреплений персы вновь отстроили и заняли гарнизоном то, которое называется Скандой. После этого Мермероес повел войско мидийцев дальше. (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 13)».***

Лазы разрушили Сарапанис и Сканду, но последнюю заново построили персы. далеко от Лазики. поскольку они были - Расположенные в трудно проходимых местах на отвесных скалах, они были недоступны, поэтому добраться до крепостей можно было только пешком, и для охранников крепости продовольствие доставлялось вьючно.

Эти крепости располагались в высокогорной альпийской зоне, где не было никакого урожая из - за высокогорья. Они, наверно находились на высоте более 1500 м. от уровня моря.

На сегдняшний день считается, что Сарапана и Сканда находились в современном Имерети, в субтропическом регионе Западной Грузии, в пунктах Шорапани и Сканде (150 - 200 м. от уровня моря). Эти имена (Шорапани и Сканде) действительно похожи на Сарапани и Сканду, но они находятся в соверешенно другой георафической среде. В сутбтропической зоне вокруг них хорошо цветет не только виноградник, но всякого рода фрукты и овощи. где не была ни высокогорная ни скалистая местность. Пэтому, в результатет длительного анализа источников, и проведенной нами полевой работе сделали вывод, что упомянутая Прококпием Сканда находилась в юго - западной Грузии (нынешняя Турция), у перевала Арсианского хребта, на высоте 2600 м. от уровня моря, у современного села Багдасен.

Здесь и поныне проходит важная для региона дорога, соединяющая Чорохское ущелье и причерноморье с высокорными областями Турции (Адагани и Карс).

Здесь и раньше проходила дорога международного значения, соединяющая через Чорохское ущелье приморские порты с Артаанской областью (Иберией), Двином (Персармением), и через нее с Персией.

Современный Артануджи соединен с Ардаганом (Артаани) автомобильной дорогой. Средняя часть этой дороги, пересекающая Арсианский хребет, перевал Ялнычзам, на высоте 2657 м. от уровня моря. Дорога от Артануджи до перевала проходит через огромного хребта, высота пиков которого составляет 3068 м. от уровня моря. Данный перевал на разных картах называется «Кандриди», «Киндзотамали»; там же рядом находится вершина «Кандили», там же рядом было село «Кандриди» и монастырь Киндзис цихе.

„Киндзис цихе", как уже много раз отмечалось находился на Арсианском хребте, на правой стороне Артаан - Артануджской дороги (3 - 4 км. от дороги), у села Киндзотамали (на тур. яз. - Багдечен). На юге от Киндзотамали (4 - 5 км.) есть село с похожим названием «Кандриди» (по турецки «Кандрит», там же находятся развалины церкви), близкое существование трех пунктов с одинаковой этимологией (Киндзис цихе, Киндзотамали, Кандрид) указывает на то, что данном участке Арсианского хребта существовал важный пункт с корнями «канд» в названии. Мы полагаем, что это Сканда - известная лазская крепость у границ Иберии. От нее остались имена - Кандрити, Киндзотамали, и Киндзи (см. карту 2007 г. Димитрия Дондуа «Шавшети», и карту Т. Хуцишвили 2004 г. Тао - кларджети).

Как известно, у Скандской крепости существовала вторая лазская крепость Сарапана, у границы с Иберией .

Таким образом, у нас есть основания полагать, что упомянутая греческими авторами крепость Сканда, стоявшая высоком неурожайном регионе, не является имеретской «Сканде», а пунктом «Кандриди», на перевальной дороге Арсианского хребта, стоявшим на Артанудж - Артаанской автомобильной дороге, у перевала Арсианского хребта «Ялнызчам». Как уже отмечалось, на Арснианском хребте находится гора высотой 2412 м. с тем же названием - «Кандили» (на расстоянии 20-30 км. от дороги), на самой же дороге находится село «карадджасу», мы можем полагать, что изветсная Скандская крепость располагалась на Артанудж - Артаанской дороге. Тем более, что это дорога, по сведению Константина Порфирогенета, в X в. была международной - она соединяла с черным морем не только Иберию, но и Армению.

Можно сделать вывод, что название пунктов вблизи перевала - бывший монастрь «кандриди», гора «Кандили», крепость «Киндзи», село «Киндзотамали», все слова с коренм «канд - кинд» - этимологически близки с с коернем слова «Сканда».

Как уже говорилось, дорога идущяя из Двина (Персармении) вела в Иберию (Артаани), отсюда - в Лазику (Кларджети), в город Артвин, и Ерге, т. е. в Фазисскую, или Чорохскую долину. Единственное препятствие для них было у Сканды (предположителько села Багдасени(3000 м) - перевал Арсианского хребта.

Персидские войска, шедшие на Петру, выровняли дорогу, ведущюю из Иберии в Колхиду. Персидский царь отметил непригодность этой дороги, но его уверили, что расщелины были бы заполнены, персидские конные войская и боевые слоны смогли пройти по этому пути. Прокопий пишет: «Дорога, ведущяя из Иберии в Колхиду покрыта труднопроходимыми расщелинами, густыми лесами, так что даже пешему трудно было там пройти; сейчас же они так исправили дорогу, что не только там смогло пройти не только их конное войско, но и боевые слоны» (там же, Георгика, II, ст. 182). Леса здесь начинаются по направлении Артануджи, затем идет резкое понижение.

Артаан - Артанудж - Артвинская дорога проходила Арсианский хребет, перевал которого находится на высоте 2687 м. от уровня моря, .

Упомянутые Страбоном и Прокопием «Сарапаны» должны были быть разными пунктами.

Первая («Сарапаны» Страбона) находилась на берегу р. Фазис, откуда фазис использовалась для водного транспорта;

А, Прокопиева Сарапана находилась в высокогорье, где не было урожая.

Эти пункты были названы одними и теми же именами по той причине, что слово «сарапана», на персидском языке, обозначало пункт важной дороги, где каждые 30 км. располагались здания для отдыха (крепости, поселки и т. д. - «Сарапаны»).

По сведению Страбона на Фазисе судоходный город Сарапана был на расстоянии 37500 шагов от моря. Мы полагаем, что это был город Артвин на Чорохи.

Византийская мера в один шаг равна примерно 1,5 м. 37 500 шагов составляют примерно 56 250 м., т. е. - 50 - 60 км. На таком же расстоянии от моря находится Артвин, известный чорохский речной порт. Во времена Прокопия этот пункт имел свое название и уже был городом. В то время расположенная там же Борчха должны были называтся Родополисом. Тем более что корнем «ард» в грузинском языке обозначается роза, цветущее. Артвин - Ардвин в грузинском языке город - обитель роз, Вардовани - Вардван - Артван - Артвин.

А, упомянутый прокопием пункт «Сарапана» находился в высокогорье - его следует искать на Артаан - Артануджской дороге у Арсианской горы.

Родополис

Родополис находиллся на равнине у Мохириса. Лазы разрушили его до основания. Прокопий пишет о Родополисе:

«Был на равнине город, по имени Родополис; для тех, кто идет из Иберии в Колхиду, он первым попадается на пути. Доступ к этому городу был легкий, и его очень не трудно было взять приступом. Поэтому за много времени до этого, боясь вторжения персов, лазы разрушили этот город до основания. Когда узнали об этом персы, они прямо двинулись к Археополю. Но Мермероес, узнав, что враги стоят лагерем около устья реки Фазиса, решил двинуться против них. Он думал, что для него будет лучше сначала покончить с ними, а потом приступить к осаде Археополиса с тем, чтобы они не могли зайти в тыл персидскому войску и тем причинить ему неприятности. Пройдя очень близко под стенами Археополя, он, издеваясь, приветствовал находящихся там римлян и задорно, по - мальчишески заявил им, что он скоро к ним вернется.»

Как выяснилось, дорога из Иберии в Лазику проходила реку Чорохи, Артануджи, современный Артвин и Борчху.

В Борчхе высокогорье снижается, дорога тут делится на две части - одна идет к Хопе (Петре), вторая - через Марадиди к Хелвачаур - Батуми.

По описаниям Прокопия, Родополис должен был быть Борчхой, или каким - нибудь пунктов в нынешнем Хулвачаурском районе, поскольку это действительно низинная равнина.

Известный Мохирис или Мохерезис должен быть урожайным Хелвачаурским районом, в субтропической зоне, где много разного урожая, как пишет о Мохирисе Прокопий.

На сегодняшний день распространено мнение, что Варцихе это Родополис, но по сведениям Прокопия, Родоплис располагался на правой стороне Фазиси (как Сканда и Сарапана). Если Фазис это р. Рион, тогда Родополис дожен был быть направо от Риони, однако Варцихе находится на левой стороне Риони.

Варцихе не нахоится на правой стороне Риони, поэтому Родополис слеудет искать в другом месте, предположительно в чорохской долине, у Иберийско - Лазской дороги, в нынешнем Хелвачаурском районе. Это должен быть исторический Мохирис - Мохерезис. Это (Хелвачаурскии район) как уже говорилось, равнина, находящаяся в субтропической зоне, в исторической Лазике. Где высокая урожайность, как и в Мохирисе, который описывают византийские авторы.

В Хелвачаурском районе сегодня есть пункты, котрые этимологически близки с **Мох**ирис : - **Мах**о, **Мах**инджаури, **Мах**унцети, **Мах**вилаури и др.

Следует отметить, что город с названием Родополис был и в близ лежащем Понтийском округе, где располагалось войско армянского дука, видимо в районе нынешнего Сумельского монастыря, рядом с Зигана - Гумушханой. В втаром Родополисе рядом с Сумелой была кафедра одного из епископов лазской митрополии. Родополисская епископская кафедра была создана после христианизации чанов в конце 6 - го, в начале 7 - го вв.. Как уже отмечалось, он находился у нынешнего Гумушхане. Но первии, Родополис - Прокопия, был другим городом и он находился близ г. Борчха, на р. Чорох.

Итория царства лазов

Ариан (95-175) пишет в «Периплюсе»: **«Ныне лазы занимают территорию от дзитридов до абасков»** Дзитриды, по сведению Ариана, жили у р. Архав, в регионе нынешней Ризе - Афины, и подчинялись иберскому царю (Т. Каухчивили, არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, 1976, ст. 100).

Из сведения VI в. Прокопия видно, что в его времена византийцы в этом регионе (от Ризе до Петры) еще не властвовали окончательно, и он местные пелемена упоминает, как “незываисимые”. Византийцы полностью заняли этот регион к 60 - м годам VI в. - после окончания «персо - византийской войны за Лазику».

Народ, проживающий от Петры до Ризе, Прокопий Кесарийский называет христианами. Византии удалось вывести их из подчинения иберийскому царю, однако она не смога там обосноваться. Как уже говорилось, здесь проживающий народ Прокопий называет христианами.

Лазы жили выше дзитридов, у моря, по направлению Чорохи. Мемнос (I в.) первым упоминает лазов (в греко - римских источниках), указывая на диоскурские окрестности, (История Геракла). Источник: http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziya/istoriya/3255 - bolshaya - vojna - v - egrisi.html

Птолемей (100 - 178) называет Колхидой территорию от р. Коракс до р. Фазис. Там проживали лазы, манралы и жители Экриктики; на севере Колхиды - в Самратии - живут: ахаии, керкеты, гениохи и суаноколхи (Т. Каухчишвили, 1976, ст. 100, 160). Сваноколхи проживали в Западнйо Грузии вместе с другими племенами - их страну Птолемей называет Сарматией.

Горами Коракса считается высокогорье Малого Кавказа, рядом с провинцией Кола (Кора) у истока р. Куры (Кора, Кура, Кири, Кирос).

По сведениям Геродота - *«От Меотического озера до реки Фасиса и колхидиан считается 30 дней пути для доброго путника, от Колхиды же до Мидии не более того, и один только народ между ними, саспиры». “Колхида простиралась от Питиуса до Трапезунда”.*

Согласно Геродоту, Колхида располагалсь у фазиса до Трапезунта; от Колхиды до Мидийцев был 30 дневный путь, и от Колхиды до Мидийцев проживал только один народ - Саспиры. Отсюда видно, что Колхидой подразумевалась страна у Чорохи, поскольку от Риона до мидийцев путь гораздо длинней.

В источниках речь идет о нагорье истоков Куры и Чорохи. Как уже горовилось, это нагорье находилось в регионе Кола, и оно называлось горами Коракса. Из региона Кола вытекает Кура. Она входила в исторический Кларджети, в одну из провинций Иберии, по соседству с Арменией.

Амиан Марцелин (IV в.) пишет: Император Валент «согласился разделить Иберию так, что бы границей стала р. Кирос (Кура), а Сарвомаку досталась территория, граничащая с лазами и Арменией». Источник: http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziya/istoriya/3255 - bolshaya - vojnavegrisi.html

«Папа и Килакий, напуганные приходом Шабура попытались спрятаться в высоких горах, отделяющих нас (византийцев) от лазов» (Георгика, 1961, ст. 90, 128). Имеется в виду высокогорье Малого Кавказа.

Агафангел (IV в.): «Св. Григорий посылал некоторых священников в страну иберов, некоторых - в страну лазов» (по исследованию Адонца в арабском переводе упоминается не лазика, а Арзанена) (Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, ст. 89).

Приск Паниoнский (V в.): «Когда римляне пришли в Колхиду и воевали против лазов» (Георгика, 1961, ст. 254) (Этой войны касается Житие Картли, описывая набег греков на Кларджети, и потерю Кларджети во время Вараза Бакура).

По сведениям автора VIII в. св. Епифания Константинопольского, апостол Андрей впервый вошел в лазский город Трапезунт. Св. апостол Андрей «после Амиса пришел в г. Трапезунт, в лазский город, отдуда он отправился в Иберию, после того как просветил многих живущих у моря, и затем он пошел в Иерусалим» (Георгика, IV, I, ст. 58). Из лазского города Трапезунта св. Андрей дошел до р. Фазис. Данный автор (Епифаний Константинопольский) называет Лазикой нынешний Лазистан - от Трапезунта до р. Фазис. Давая сведения о св. Андрее он ссылается на автора IV в. Епифания Кипрского. Этот факт дает право высказать мнение, что в IV-VIII вв. Лазикой назывался регион между Трапезунтом и Фазисом.

Епифагий Константинопольский в Житии Андрея несколько раз упоминает Иберию и Фазис вместе, они в одном регионе. «Обошли города, Сотворили чудес и прибыли в Иберию, а через несколько дней - в Сусанию» (Георгика, IV, I, ст. 58).

Евфимий Святогорец, переводя греческий текст Жития Андрея, слову «Фазис» сопостовляет «Чорохи». Он так перевел соответствующие места: «Велики Андрей вместе с другими ходил по селам и городам, учил народ и творил чудеса, и так дошли до Картли и до реки Чорохи, и неустанно проповедовали имя Господне» (Путешествие Андрея Первозванного, 2008, ст. 189). Здесь, в оригинале на месте Чорохи упомянут Фазис (там же, ст. 189).

В IX в. Иоане Сабанисдзе Трабзон и Халдею называет южной границей Абхазии.

Никифор Константинопольский (IX в.) считает Трапезунт южной границей Лазики; в частности, при описании похода Ираклия Кесаря, он пишет: «Ираклий попытался ворвтся в Персию через Лазику когда он дошел до Тарпезнту - границы Лазики, его жена родила сына» (Георгика, т. 3, 1952, ст. 207 - 208). Отсюда видно, что и в IX в. страна от Фазиси до Трапезунта называлась Лазикой. Интересно отметить, что в переведенном в 1042 г. на грузинский язык тексте Лазика переводится, как Мегрелия: «Дошел до Трапезунта, страны мегрельской» (Георгика, т. 3, 1952, ст. 207 - 208). Согласно армянскому анонимному географу, в VII - IX вв. Лазика (Эгри) состояла из четырех малых стран - Манраливи, Эгревик (Эгре), Лазив и Чанив - «Это страна в Азии и расположена от Понтийского моря до Сармартии, и от р. Дракон (от притока р. Келькитчай, по армянской карте) до кавказской горы и ее ответвления (до нагорья Малого Кавказа и Арсианского хребта), разделяющей ее от Иверии». Таки образом. Упомянутые Манраливи, Эгревик (Эгре), Лазив и Чанив составляли одну область, от Трапезунта до Чорохи, где и сейчас есть малая область Эрге. По сведениям Прокопия и других авторов, Европу и Азию разделяла р. Фазиси - Азия находилась на левом берегу, Европа - на правом. Этому соответствует и сведение армянского географа, что Лазика была «страной Азии», поэтоу она находилась на левом берегу Фазиси, т. е. Лазика армянской географии современный Лазистан, т.е. Трапезунтский округ до р. Чорохи. Этой важной заметкой данной гоеграфии не следует пренебрегать.

Эгри, или Лазика Армянский географии, подразумевает не Западную Грузию, а современный Лазистан, ту же Лазику, которая по грузинский называвлась «страной Мегрелов»; она находилась на левом, западном берегу Чорохи.

В армянской географии Лазика называется «страной Азии», а как уже говорилась. «страной Азии» считалась часть левого берега Фазиси (Чорохи), согласно Прокопию.

Причиной войны за Лазику стало строительство Юстинианом крепости в Петре и введение туда римсих войск. Поскольку Петра принадлежала Лазике, то согласно перемирию Лазика входила в сферу влияния Персии, поэтому активность византии здесь было сочтено на нареушение перемирия. Так понимал этот вопрос Хосро - персидский шах.

Прокопий писал: (3) *«Есть в Колхиде приморский город Пе́тра у так называемого Понта Эвксинского. Ранее это было ничтожное местечко; василевс Юстиниан укрепил его стеной и другим снаряжением и вообще сделал его видным{341}. (4) Хосров, узнав, что здесь находится римское войско во главе с Иоанном, послал войско и стратига Ниаведа с тем, чтобы они взяли их при первом же натиске (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XVII. 3 - 17)».*

Персидский шах повел свое войско на войну с Петрой, что бы выдворить оттуда незаконно ворвавшихся византийцев. В 542 году Хосро I ввел многочисленное войско и подступило к Границе Лазики на Арсианском ущелье (по маршруту Двин - арзрум - Артаан - Артануджи - Артвини).

Армия Хосро (Хосрова) прошла Двин и Персармению, затем Иберию (Кола - Артаанскую область) и приступила к Арисанскому хребту.

Здесь иранцев встретили лазы и провели их в Лазике. После переговоров иранского шаха с царем Лазики Губазом II их объединенные силы двинулись к городу - крепости Петра (Хопа в нынешней Турции).

Крепость была взята.

В это самое время шах получил известие, что византийский полководец Велизарий с большим войском вторгся в Иран. Хосро поставил в Петра свой гарнизон, а сам вернулся в Иран. Источник: http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziya/istoriya/3255 - bolshaya - vojna - vegrisi.html

Но, У Византийской империи осложнилось положение и на Западе - из - за нападений варваров Византия могла потерять Италию. В такой ситуации император Юстиниан предложил иранскому шаху мир. В 545 году между Ираном и Византией был заключен мир. Шах Хосро I стремился утвердиться в Лазике и в Западной Грузии, поэтому он решил выселить местное грузинское население. Вероломство иранцев и их господство восстановили против них население. Лазы вновь предпочли союз с Византией. Император Юстиниан смог управиться со своими проблемами в Италии и был готов возобновить войну против Ирана. В 549 году византийское войско под предводительством Дагиста обступило крепость Петра. В свою очередь, Хосро в помощь своему гарнизону прислал большое войско под командованием Мермероеса. Источник: http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziya/istoriya/3255 - bolshaya - vojna - vegrisi.html

Миновав границы Ивирии, Мермерой со всем персидским войском двинулся дальше, имея по правую руку реку Фасис. Он спешил спасти Петру и находившихся в ней персов, (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XXX. 1-7).

Дагист совершил ошибку: На защиту проходов Арсианского хреба на границе Лазики и Иберии отправил слишком малочисленный отряд.

иранское войско беспрепятственно перешло в Лазику - в Чорохском ущелье. Узнав об этом, Дагист тотчас оставил крепость Петра, и отступил назад.

Мермероес вновь укрепил крепость Петра и начал опустошать и разорять внутренние области Лазики. Источник: http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziya/istoriya/3255 - bolshaya - vojna - vegrisi.html

Лазы во главе с царем Губазом оказали ожесточенное сопротивление врагу. Включение лазов в войну совершенно изменило положение дел - В результате иранцы вынуждены были покинуть Лазику и вернуться в Двин, свой военный лагерь по Прокопию. В 550 году шах выслал новое войско в Лазику.

Лазы выразили желание первыми вступить в схватку с врагом. В бою был смертельно ранен иранский полководец. Враги потерпели жестокое поражение. Тем временем византийцы вновь обступили город Петра и взяли его. Они не пожелали занять крепость и сравняли его с землей. Несмотря поражение Ирана, положение в Западной Грузии оставалось крайне тяжелым. Источник: http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziya/istoriya/3255 - Большая война в Эгриси. html

Жестокость и несправедливость византийцев вызвала выступления в 555 году - мисимиан.

Шах Хосро вновь прислал в Лазику Мермероеса. Узнав о падении крепости Петра, иранский полководец решил взять Археополис (Кобулети - Пичвнари), но не достиг успеха. Тем временем, очевидно, некоторая часть лазов вновь приняла проиранскую ориентацию.

Мермероес предложил даже Губазу встать на сторону иранцев, но Губаз оставался верен византийцам. Источник: http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziya/istoriya/3255 - bolshaya - vojna - vegrisi.html

Лазика к 553 г. была разделена на двое. Линия фронта между Персией и Византией проходила примерно там, где р. Аджарисцкали соединялась с рекой Чорохи, выше моря на расстоянии 20 - 30 км. Линия фронта, видимо, проходила парралельно берегу черного моря. Как видно из повествования Агафия, Мермерой вместе с персидским войском два раза напал на Археополис, и отступил в Мухирис.

Между тем византийцы действовали изменнически: терпя поражение в борьбе с иранцами, они нападали на лазские села и разоряли их. Губаз сообщил императору о постыдных действиях византийцев. В ответ на это византийские военачальники подло убили Губаза (554). Возмущенные убийством царя Губаза, лазы устроили тайное собрание, на котором победила сторона выступающая за союз с Византией. при условии, чтобы император наказал виновных в убийстве царя. Император выполнил условие. На престоле утвердили преемника Губаза - его брата Цатэ II. Между тем военные действия продолжались, хотя и Иран, и Византия уже склонялись к перемирию. Источник:
http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziya/istoriya/3255 - bolshaya - vojna - vegrisi.html

Персы были вынуждены уступить Лазику византийцам, но большая часть Западной Грузии, которую тогда называли Сваниа - Сванети, все же оставась под влиянием персов. В 562 г. состоялся т. н. пятидесятилетний договор, в котором вопрос Сванети был спорным.

Сванети (Сваниа), по сведениям греческих авторов, была важной страной, за которую боролись две империи в течении целого века. В трудах современных историков Сванети почти не видно. Тогда как она занимало значительную часть Западной Грузии. Где был Сванети? В VI в. это не был нынешний регион Сванетия (состоящий из двух райнов), а обширной и важной частью Западной Грузии.

В 562 году «Большая война» закончилась. Иран уступил Византии Лазику, но пытался сохранить за собой Сванети (остальную Западную Грузию). В 70 - х годах VI века Ирану пришлось уступить и Сванети. Итак, двадцатилетняя война для лазов фактически закончилась безрезультатно. Лазское царство осталось в вассальной зависимости от Византии.Источник:
http://u2949652.plsk.hc.ru/ru/gruziya/istoriya/3255 - bolshayavojna - v - egrisi.html

«Большая война» в Эгриси.

2.

Лазы называли себя «лазонами», а свою страну - «Лазона» (Лазистан, Материал из Википедии - свободной энциклопедии); эту страну называют так же - Лазистан, Лазика.

Лазистан (лазск. ლაზონა) - территория, занимаемая османской провинцией (санджаком), входившей в состав Трапезундского вилайета и граничащей с Батумским округом Кутаисской губернии, населённая лазами, или чанами (XIX В).

Лазика известна так же и под именем Колхида - историки говорят о ней, как о стране, расположенной поблизости с Трапезунтским регионим (Страбон, География, 12, 3, 17).

Много историков считали, что Лазика начиналась с Трапезунта, поскольку и по словам Прокопия лазы непосредственно граничили с Персармением - «За ней живут так называемые персо - армяне и армяне, подданные римлян, занимающие пространство вплоть до самых пределов Иберии»

(Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 2). В другом месте Прокопий дает сведение, что Колхида (та же Лазика) начинается у Петры. Прокопий спорит с историками, пишущими, что Кохида (Лазика) начиналась у Трапезунта, но число таких историков было велико; о том, что Колхида начиналась у Трапезунта, писали и Страбон, и намного ранее, Геродот. Согласно Геродоту, Колхида находилась от Фазиса до Трапезунта - Колхида простиралась от Питиуса до Трапезунда. От Колхиды до мидийцев проживал только один народ - саспиры. Геродот не упоминает здесь ни дзитридов, ни другие племена.

Страбон связывает с Колхидой г. Зиганополис (Зигана, где затем находилась епископская кафедра Константинопольской Патриархии), который на карте Страбона находился рядом с Гумушхане, у дороги Тарпезнт - Феодосиополиса (Арзрума), и входил в халдейское сообщество во времена в византийский период. Некоторые грузинские историки именуют этот город Зиганевом.

Зигана, древний Зиганополис, располоагался в стране чанов.

Во время Юстиниана, в VI в., после христианизации чанов, в Чанети (в Чанике) должны были появиться епископские кафедры, поскольку лазы и чаны были большими племенами, жившими на обширынх территориях. Некоторые чанские и лазские область находились под влиянием Византии, а некоторыми Византия владела. Чаны в общем принимались за лазов, землю чанов называли Лазикой, поэтому бывшая в их стране церковная область получила название - митрополия в «Лазике».

После христианизации чанов в их поселках - в Зигане, Саисине, Родополисе и Петре Константинопольская Патриархия основала свои кафедры. Их церковным центром изначально был Фасид (Фазис), пунтк неизвестной локализации, по видимому рядом с Ризе, а затем Трапезунт.

Как уже омечалось, по утверждению Страбона, Зиганополис находился в Колхиде или Лазике, и упомянутые чанские епископские кафедры считались лазскими кафедрами.

Таким образом, Колхида Страбона была областью вдоль Трапезунта, куда входили Зиганополис, Ризе, Афина и другие города, это область со времен Геродота называли Колхидой. Местное имя области - «Лазона» (нынешний Лазистан). В «Армянской географии» анонимного автора VII в. эта область называется «Лазив». Население этого региона и ныне называется лазами.

Епифаний Константинопольский (VIII в.) называет Трапезунтский округ Лазикой. В Житии св. Апостола Андрея он пишет - «прибыл Андрей в Трапезунт, который в Лазике» (Георгика, IV, I, ст. 58).

Переводя сведение Епифания Константинопольского, Евфимий Святогорец (Мтацминдели) называет Лазику «страной мегрелов». Слово Лазика он переводит так - «страна мегрелов».

Епифаний Константинопольский (VIII в.) Лазикой называет нынешний Лазистан, находящийся от Трапензунта до р. Фазис. Давая сведения о св. Андрее, он указывает на автора IV в. Епифания Кипрского. Этот факт дает право предполагать, что в IV - VIII вв. Лазикой назывался регион от Трапезунта до Фазиси. Трапезунт по мнению Епифания Константинопольского, это лазский город, а страна рядом с Трапезунтом - Иберия.

Св. апостол Андрей «после Амисо пошел в Трапезунт, в лазский город, оттуда в Иберию, а через несколько дней в Сусанию» (там же, ст. 58).

Епифаний Константинопольский, в Житии св. Андрея, не раз упоминает Иберию и Фазис вместе, они находятся в одном регионе. «Обошли грода, сотворили чеудеса и пошли в Иберию, а через несколько дней в сусанию» (там же, ст. 58).

Евфимий Святогорец, переводя греческий текст Жития Андрея, слову «Фазис» сопостовляет «Чорохи». Он так перевел соответствующие места: «Великий Андрей вместе с другими ходил по селам и городам, учил народ и творил чудеса, и так дошли до Картли и до реки Чорохи, и неустанно проповедовали имя Господне» (Путешествие Андрея Первозванного, 2008, ст. 189). Здесь, в оригинале на месте Чорохи упомянут Фазис (там же, ст. 189).

Св. апостол Андрей впервые пришел в лазский город Трапезунт, оттуда до реки Фазис. Епифаний Константинопольский пишет: «у реки фазис жили иберийцы» вместе с другими племенами (Георгика, IV, I, ст. 57).

Никифор Константинопольский (IX в.) считает Трапезунт южной границей Лазики. В частности, при описании входа Ираклия Кесаря, он пишет: «Ираклий пытался ворватся в Персию через Лазику; дойдя до Трапезунта, границы Лазики, его жена родила сына» (Георгика, т. 3, 1952, ст. 207 - 208).

Интересно отметить, что в переводенном в 1042 г. на грузинский язык тексте - «Лазика» переведена как «Мегрели». «И пришел в Трапезунт, в мегрельские края» (П. Ингороква, 1957, ст. 214 - 215). Предками лазов, или лазонов должны были быть живущие здесь племена «лазонов», или «алазонов», сведения о которых дает Страбон. Он пишет: «Нынешние халды раньше назывались халибами, между ними находится Фарнакия. Они получают доход ловля рыбы - пеламиды, и добыча металла (ныне железо, раньше - серебро). В этих местах берег очень узкий, поскольку выше находятся горы покрытые лесами и полные металла, Раньше эти люди назывались алибами вместо халибов...Гомер халибов называет ализонами» (Страбон, XII, 3, 20). Гомер пишет - ализонами. «некоторые пишут ализоны, некоторые - амазоны» (Страбон, География, XII, 3, 19, 21).

Главный город - Аргиополис (серебряные рудники) был в районе Гурмишхане.

Михаил Панарет пишет о Лазистане, Лазике и Лазах. в совей книге, он исследует историю Лазистана и пишет:

Трапезундская область восточной стороны примыкала к Колхиде, расположенной в бассейне Фазиса и получившей название Лазики со времен Юстиниана. Византийские историки Прокопий, Агафий и др. утверждают, что колхи впоследствии стали называться лазами, а страна их Лазией или Лазикой, поныне населенной народом грузинского племени. Лазы, под этим именем, известны уже в I в. по Р. Хр. У Мемнона в фрагменте (XVI, LIV) указывается, что у берегов внутреннего Понта живут санеги и лазы. В санегах же [5] нужно видеть саннов иди тзанов, как назызвают их комментарии Евстаефя к Дионисию Периегету (XIв.). Страна же названа им Тцаникой. Тзаны или тцаны суть дчаны, грузинской истории, говорящие языком картвельской (грузинской) группы В I же веке по Р. Хр. Плиний (в ***Hist Natur.*** *VI, 4,3) называет саннов (ср. санеги) и лазов, живущих у берега. В начале II в. саннов и лазов знает Арриан (ვერიძლეს). О саннах он говорил что они очень воинственны и неприязненны к трапезундцам. Царем же лазов он называет Маласса, получившего царство от римского имератора, Кл. Птоломей во II по Р. Х. (V, 9), определяя метожительство колхов и лазов, говорит: ближайшие соседи колхов на морском берегу 47 лазы, а над колхами живут манралы, т. - е. мингрельцы, впервые упоминаемые под этим именем. Аммиану же Марцелину известно даже название Лазики, а Страбон (XII, 318), Арриан, Евстафий, коментатор Дионисия Приегета, называют саннов народом, сопредельным с трапезундцами. Мингрелия составляла часть Егера или Колхиды (География, приписыв. Моисею Хоренскому, 38). «Егер, (Эгриси груз. источников) разделяется на 4 провинций: Манрали, Егревина Лазив, Джанив». Что лазы тот же самый народ, что и прежде называвшийся колхами, утверждают Прокопий, Агафий и др. Из вышеприведенных известий заключаем, что лазы и санны-тцаны-тчаны были соседи, жили у берегов Понта. Язык лазов и тчанов в живущих в Тчанетии или по Евстафию, язык грузинский, как показывают исследования Георга Розена и проф. Цагарели.*

В эпоху римского владычества лазы жили до обеим сторонам р. Чороха на границе с Тцаникой. Ныне лазистанский и джаникский санджаки с казами Самсун и Бафра входят в состав трапезунтского вилайета (Статист, таблицы вилайетов Турецкой империи Тифл. 1888). Лазистан географически занимает тонкую полосу земли по берегу Черного моря, на западном склоне Понтийского или Лазистанского хребта от мыса Кемер до приморского местечка Макриала. Европа считала лазов [6] за

народ самый дикий и неразвитый, по мнению же некоторых «в Лазистане говорят имеретинским (?) языком, а по привычкам и костюму население много сходствует с черкесами и грузинами». ВОЗ эти ошибочный сведения о Лазистане могли жить упорно в понятиях европейцев, в виду того, - говорит Г. Казбек, автор соч. «Три месяца в Турецкой Грузии», - что Лазистан по своему географическому положению и по топографическим свойствам, мало привлекал к ОЗбе путешественников (стр. 94). Имя Лазистана или вернее Лазики встречается помимо византийцев и у армянских писателей (Инджиджиан, География древней Армении, и Минас Бжушкян, История Понта). 48 В грузинской истории этот термин заменяется Мингрелией, иногда Одиши, но чаще Джанети, т. е. страна джанов или лазов. Лазистан Джанетией называет также географ Вахушт".

http://www.vostlit.info/Texts/rus/Panaret/framepred.htm

Здесь автор ошибается, повторяя неверное мнение других, что **«Вообще под именем Лазики подразумевается грузинская провинция Эгриси и заключает в себе нынешнюю Имеретию, Гурию и все прибрежье от Ингура до устья Чороха. В этих пределах в V в. образовалось царство Лазика, составлявшее предмет раздора между персами и византийцами».**

http://www.vostlit.info/Texts/rus/Panaret/framepred.htm

Лазское царство возникло не Западной Грузии, а в исторической Юго - Западной Грузии после того, как в V в. во время царя Вараз Бакура Византия присвоила Кларджети, (эриставство, включающее в себя Чорохское ущелье), дала ему определенную дозу суверенитета и этой новой единице дала имя Лазика, распространила там византийское влияние, а, эриставству (греческой ориентации - по грузинским источникам) - назвала василевсом.

В VII же в. на берегах Риона образовалась абхазское царство, и с этих пор исчезает самое название Лазики и до нашего времени остатки его сохранились только в названии нынешнего Лазистана.

Так же неправ автор, когда пишет - Все важнейшия события в судьбе древней Лазики происходили на берегах Риона, нынешний Лазистан остался в стороне от политических движений того времени. На самом деле, все важные события - происходили в области Чорохи.

http://www.vostlit.info/Texts/rus/Panaret/framepred.htm

Сегодня историческая земля лазов называется Лазистан, Лазети, Чанети. Большая ее часть на территории Турции (в области Ризе). Страна лазов во времена прокопия находилась в пределах Римской империи, граница которой, по словам Прокопия, начиналась у стен крепости Петры (по словам Н. Адонца, епископская кафедра Петры находилась не в приморской крепости Петра, а в другом регионе - Байбурд). По мнению персидской власти VI в., проходящяя здесь граница разделяла империи персов и римлян. Византийцы построили здесь крепость Петры.

Страна на востоке от нее известна под названием «лазское царство». В источниках Прокопия Кесарийского ее называли «Лазика». Историческая Лазика в эпоху Прокопия (регион Ризе - Гурмихане в Трабзонской области, населенный современными лазами (чанами) называлась не Лазикой, а считалась территорией в составе «римской страны» (в источниках времен Прокопия Кесарийского).

Таким образом, на юге с лазским царством граничила Лазона, или нынешняя Лазика, которая тогда входила римские переделы. Во время Прокопия у нее была определенная автономия, но она все же считалась римской страной.

Таким образом, две Лазики существовали по соседству - одна была «Лазским царством» («Лазика», «страна лазов»); вторая - Лазона, нынешний лазский край по напралению Трабзона (считалась частью римских земель).

Ставшая тогда «римской земелй» Лазика была южным соседом «лазского царства»: таким образом, как уже отмечалось, существовало две Лазики, одна т. н. Лазика римской страны, другая - «Лазской царство».

Лазику, «страны римлян» (нынешний Лазистан), можно назвать Южной Лазикой. Территория Южной Лазики была политически поделена, одна ее часть от Гумушхане до Ризея непосредственно входила Византийскую империю; вторая часть Лазики - от Ризея до Петры - хоть и была в римских пределах, но ее племена еще не находились в подчинении у византийских властей.

Прокопий не приводит имя племен, живших от Петры до Ризе, однако называет их «независимыми племенами». Грузинские авторы называют эти племена «одним народом».

Другим было «Лазское царство», которое находилось от Петры до Апсилии, и пользовалось определенной независимостью.

По сведениям Вахуштия и грузинских источников, до середины V в. земля до Ризея входила в состав Иберии (грузинского государства), с. IX в. абхазское царство рапространялось до халдейского сообщества (фемы), согласно Житию Або Тбилисского. Позднее оно входило в гурийское княжество, до рапространения османского владычества.

Эта область, согласно Вахушти входила в состав грузинского государства. Вахушти пишет: «Ризе маленький город, на западе от него есть малая гора до моря, это граница Грузии и Греции, здесь находится железный стержень, и здесь же есть Саткепела (საჭყეპელა)». (Вахушти, Картлис Цховреба, т. 4, ст. 507).

Территорию от Ризея до Хупати в V в. присвоила Византия, и вследвствие этого - **граница** между Грузией и Византией передвинулась от Ризея к Хупати. Политическу обстановку в V в. на этой земле описывает Картлис Цховреба (Житие Картли).

Во время картлийского царя Вараз - Бакара (V в.) Византия присвоила Клерджети, приморскую линию до Арсианского хребта, т. е. территорию Лазики. Летописец пишет: «после этого кларджийци отступили от Бакара и примкнули к грекам... завоевали греки от моря до Арсиана» (Ж. К. 1, ст. 136 - 138). В присвоенном кларджети Византия возвеличила местного правителя - предположительно, эристава «отступника», и дала ему титул василевса, что эквивалентно титулу эристави. В исчтониках, царем лазов в этот период упоминается Губаз первый - 456 и 465 - 466 гг.

Согласно источнику, отступивший от грузинского царя эристав выявил желание быть независимым и от византийцев. Последние не простили ему это - его независимую политику они сочли за бунт, согласно Приску Панионскому в Лазику отправили войско, которое победило лазов.

Для византийцев неприемлемы оказались попытки Губаза союзничества с Сасанидским Ираном (Приск Панийский, Готская история (фрагменты 19, 20, 28 и 35).

Таким образом, византийская Лазика соответствует грузинскому Кларджети.

В 465 - 466 гг. Губаз решил провести переговоры с царским двором. В итоге этих переговоров **Лазика уступила Византии свои земли от Ризе (от т. н. железного стержня) до Петры - Хупати (Хопа).**

Границы изменились, территория суверенных лазов сократилась, **границу перенесли от Ризе до Хупати (Хопа).**

Перенесение границы до Хупати во время Губаза первого упоминается и вдругом источнике.

Византийцы и лазский царь «положили границу у крепости Хупати и пообещали друг другу мир и любовь» (“Житие Даниила Столпника”, К. Кекелидзе, 7, 1961, ст. 5).

Эти же границы описывает и Прокопий Кесарийский. Если Петра это Хупати, как принято считать сейчас, тогда сведения «Картлис Цховреба» (Жизни Картли) и Прокопия совпадают. Следует отметить, что оба источника считают Петру и Хупати пограничными пунктами.

Как отмечалось, «страна римлян» граничила с «лазским царством» на юге (22) К югу от города Петры сразу же находятся границы римлян.

Люди, живущие на территории от Ризея до Петры, которых Прокопий называет «независимыми племенами», не подчинялись рмиской власти. Несколько веков назад Ариан называл их дзитридами и подданными иверийского царя Парсмана; в VI в. эти люди не подчинялись ни иверийскому царю, ни римлянам, хотя в VI в. эта земля, в целом, подчинялась Византии, поэтому Прокопий называет эту территорию «римской землей» или Лазикой.

Среди лазскийх стран в то время политический суверенитет смогла сохранить лиш т. н. «лазское царство».

Соответственно, Прокопий, проживающих в лазском царстве людей называл лазами, а их страну - Лазикой (как отмечалось, он называл римлянами людей, проживающих от Ризе к Трапезунту, имена племен от Ризе до Петры он не упоминает вообще, поскольку они были «независимыми племенами», хоть и жили в «пределах римлян»). По сведениям Прокопия и других авторов от Ризе до Петры жило племя («независимые пелемна»), не подчинявшееся ни лазам (имеется в виду лазское царство), ни римлянам, он пишет -

За Ризеем начинаются пределы независимых племен, которые живут между римлянами и лазами. Тут расположен некий поселок, по названию Афины... За Афинами лежит Архабис и старинный город Апсарус, который отстоит от Ризея приблизительно на три дня пути. В древности он назывался Апсиртом (Arrian. Peripl. гл. 6. (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 2)

Таким образом, города между Ризеем и Петрой - Афина и Апсарус - принадлежали т. н. независимым племенам; они находились в Византийских пределах и их называли понтийскими римлянами, но все же они были независимы. Видимо, у них были свои конкретные названия, но Прокопий их не упоминает, но они были лазами, потому что лазы жили от Зиганополиса и Трапезнута до Апсилы, но они находились под разным политическим влиянием. Но как уже отмечалось, вся эта территория была Лазикой, а проживавший на ней народ - лазами.

Церковная Лазика

Св. Нина в Лазике по греко - византийским источникам

Основоположник церковной историографии IV в. Геласий Кесарийский говорит о распространении христианства на Кавказе, и упоминает, что св. Нина просветила лазов и иверов.

http//www.world-history.ry/countriesabout/581/2259.html

Это сведение повтраяют многие греческие и латинские историки в V в. Св. Нина была миссионером, а это значит, что она лично пребывала в Лазике, и так просветила лазов. Это сведение подтверждается несколькими другими важными источниками, например, сведение **V века** Мовсеса Хоренаци о подвижничества св. Нины от Черного моря до Каспийского моря, она проповедовала от Кларджети до живущих в то время на каспийском побережье маскутов (Мовсес Хоренаци, История Армении, 1984, стр. 172), так же сведение Руис-Урбнисского Собора; однако непосредственное сведение о пербывании св. Нины в Лазике и оосновании ею епископской кафедры дает сам лазский митрополит XVII века, Герман (П. Ингороква, Георгий Мерчуле, 1954, ст. 226).

Историк IV века Геласий Кесарийский пишет о св. Нине - во время императора Константина «Божий Закон получили проживающие на сопредельных Понту землях иверы и лазы, которые до тех пор не веровали. Причиной сего величайшего блага стала одна женщина, которая у них была в плену» (Георгика, I, 1961, стр. 186). Церковная история Геласия Кесарийского до нас не дошло, однако его сведения сохранилисъ. http//www.world-history.ry/countries about/581/2259.html

То же самое пишет и историк V века **Геласий Кизикийский** - ***«в то же время, иверы и лазы, жившие вдоль Понта приняли Слово Божие, которому доселе не верили»*** ***(Мимомхилвели*** I, 1961, стр. 55). Таким образом, согласно сведениям Геласия Кесарийского и Геласия Кизикийского,

весь грузинский народ, как живущие в приморье лазы, так и живущие на остальной территории страны - иверы, одновременно получили «Божию заповедь» от св. Нины.

Сведениям Геласия Кесарийского и Геласия Кизикийского о том, что св. Нина обратила лазов вместе с иверами, соответствует и сведения знаменитого историка V века Мовсеса Хоренаци. Он пишет, что св. Нина обратила обширную территорию от Черного моря доКаспийского моря, она проповедовала от Кларджети до живущих в то время на каспийском побережье маскутов - «блаженная Нуне отправилась оттуда, что бы своей удобопонятной речью обратить и другие уголки Грузии... Дерзну, и скажу, что Нуне стала женщиной - апостолом, она проповедовала Евангелие от Кларджети до пределов Алан и Каспия, до границ Маскутов, как и оповещает об этом Агафангел» (Мовсес Хоренаци, История Армении, 1984, стр. 172). Согласно Агафангелу и другим источникам V века св. Нина проповедовала от Черноморья (Кларджети) до Каспийского моря (Маскуты).

Упомянутая в этом сведении грузинская провинция - Кларджети располагалась у берегаЧерного моря, а племя маскутов во временя св. Нины жило у Каспийского моря, на данной территории - от Черного моря до Каспийского - проповедывала св. Нина, По сведениям Хоренаци.

Лазика - согласно сведениям Геласия Кесарийского и Геласия Кизикийского - входила в ареал подвижничества св. Нины.

Западная Грузия, как и Восточная, входила в юрисдикцию основанной св. Ниной Грузинской Церкви, что видно и из позднейших зарубежных исторических источнков. Согласно сведению армянского каталикоса Иоанна (899 г.) - каталикос Кирион (VI-VII вв.) был и Эгрисским архиепископом. Он пишет - Кирион I был патриархом «иверийцев, гугарийцев, и эгрисцев согласно давнему правилу» (летопись каталикоса Иоанна Драсханакерсткого, 1912, стр. 62).

Как уже отмечалось, согласно грузинским источникам, Западная Грузия, с момента принятия христианства входила в грузинскую (мцхетскую) церковную юрисдикцию.

Грузинские источники по данному вопросу детально изучил Ив. Джавахишвили и пришел к следующему выводу - «Андрей Первозванный и св. Нина были изветны, как основатели Грузинской Церкви и просветители грузинского народа, у них даже не было желания посылать других проповедников в разные уголки Грузии, поскольку они подвизались за сплочение и возрождение единой и неделимой Грузии» (Ив. Джавахишвили, История грузинского народа, т. III, стр. 47). «Это знание установлено именитыми грузинскими учеными и усвоено всем грузинским народом» (там же, стр. 97). Что же касается известных из нотиций Сайсинской, Петрийской, Родополисской, Зиганской, и Фасидской епархий, то они располагались не в Западной Грузии, а в древнейшей стране грузин, в регионе Трабзона - Зиганы - Гумишханы (митрополит Анания Джапаридзе, Епископские кафедры в Лазике, тб., 2011, стр. 29 - 30).

Сведениям Геласия Кесарийского о том, что Лазику обратила св. Нина, соответствует сведение митрополита лазского Германа (XVII в.), что женщина просветительница Иверии в Лазике около Ризе основала митрополитскую кафедру города Офи (П. Ингороква, Георгий Мерчуле, 1954, ст. 226).

Согласно исследованию известного историка Н. Адонца в регионе Оф-риза находилась и питиунтская (пицундская) епископская кафедра. Ее епископ Стратофил принял участие в работе I Вселенского Собора в 326 г. (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, стр. 203).

Лазские Епископы

По сведениям Прокопия, лазы были лучшими христианами.

“лазы более всех других людей преданы христианству, в то время как религия персов прямо противоположна их вере” (Прокопий Кесарийский, Война с персами, Книга II, Г. XVII. 18 - 28).

Следует отметить, что Геласий Кесарийский принимает лазов христианами еще с IV в. Таким образом, во время Прокопия лазы были христианами уже в течение века, и у них были свои

епископы в юрисдикции грузинской церкви, поскольку по сведению Геласия Кесарийского и Геласия Кизикского (IV - V вв.) лазов обратила просветительница иверов, основательница грузинской церкви - ее паствой, согласно этим источникам, были грузинские племена - иверы и лазы.

Геласий считает лазов и иверов - паствой грузинской церкви, поскольку, по его словам, их просветила проповедница, просветительница грузинской церкви.

В последующее время, почти через два века, в VI в., после христианизации чанов, им так же назначили епископов, но в Константинопольской юрисдикции, поскольуко они приняли христиансвто благодаря константинопольскому царскому двору. В этом же веке Лазы и их страну подчинила Византия, соответственно Константинопольский патриархат.

Таким образом, к VI в., когда чаны приняли христианство, в Лазике, на обширной территории, от Чанети до Ризея, в разных церковнх юрисдикциях было основано много христианских приходов и епархий.

На лазской земле было несколько разных церковных юрисдикций, в частности, от исторического Зиганополиса (поздее Гумушхан) до Ризея были кафедры Константинопольской Патриархии - Родополиийская, Сайсинская, Зиганская и Петрская.

(Родополисская кафедра, находилась рядом с будущим Сумельским монастырем), Сиасинская - у Сисилона, Зиганская (Зиганевс) находиась у будущего Гумушхане, Петрская кафедра - у Байбурда, по исследованиям Н. Адонца. В этих пунктах находились упомянутые епархии Константинопольской Патриархии.

Что касается территории Лазики от Ризея до Петры (Хопы), то во времена Прокопия, к местным племенам священников высылали лазские епископы; лазскими епископами, Прокопий видимо называет епископов лазских кафедр, входящих в юрисдикцию Грузинской Мцхетской Церкви, но вскоре всю Лазику подчинил Константинополь

Церковная юрисдикция лазского царства

По сведению Прокопия, у лазов были свои епископы; лазами он называет жителей лазского царства. Граница между этим царством и Византией проходила у Петры или Хупати (Хопа). Главной рекой на этой земле была Фазиси или Чорохи. Согласно грузинским источникам - церкви, монастыри и паства Чорохского ущелья подчинялись непосредственно картлийскому каталикосу, а часть из них кутатскому(ქუთათელი - кутаи скии епископ).

Источник пишет -

«Выше Дахатулы, ближе от Анкерта. Весь Шавшети принадлежало мичихского князя (მიჭიხიანთ ბატონი), он же был и ясаулом (იასაული) **местного епископа**. Ему принадлежала Аджара выше Дандало, а Аджара ниже Дандало принадлежала **кутатскому…** глава этих епископов был **каталикос Грузии**» (Хроники, II, 1897, ст. 53 - 54). Соответственно, те «лазские епископы», которые посылали священников к т. н. «одному народу» - входили в юрисдикию Иверской Церкви. Положение дел поменялось после VI в., после того, как Византия вытеснила персов из этих краев.

Церковная юрисдикция «одного народа» («независимых племен»), живущего от Ризея до Петры

Прокопий пишет: *“За Ризеем начинаются пределы независимых племен, которые живут между римлянами и лазами. Живущие ныне здесь люди не являются подданными ни римского императора, ни царя лазов: только в силу того, что они являются христианами, епископы лазов назначают им священников. Эти племена по доброй своей воле являются в силу договора друзьями и той и другой стороны. . .Но до сего времени они еще никому не платили дани. Направо от этих мест поднимаются*

очень отвесные горы а на огромное пространство простирается пустынная страна. (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 2).

Как уже отмечалось, о цероковной юрисдикции этих земел говорит в своем сведении лазский митрополит, побывавший в России в 1646-1652 гг. лазский митрополит гворил, что его кафедра находилась в юрисдикции Грузинской Церкви еще с IV в. кафедра находилась у Оф-Ризея. В частности, он говорил, что христианство в Оф-Ризей принесла просветительница иверов (П. Ингороква, Георгий Мерчуле, 1954, ст. 226). Такое же сведение приводил и Геласий Кесарийский 1300 лет назад.

Лазика - согласно сведениям Геласия Кесарийского и Геласия Кизикийского - входила в ареал подвижничества св. Нины (Георгика, I, 1961, стр. 186). Сведениям Геласия Кесарийского о том, что Лазику обратила св. Нина, соответствует сведение митрополита лазского Германа (XVII в.), что женщина просветительница Иверии в Лазети (Лазика), в регионе Ризе основала митрополитскую кафедру города Офи (П. Ингороква, Георгий Мерчуле, 1954, ст. 226).

Из сведения митрополита Лазики XVII в. видно, что регион Оф-Ризея-Афины с IV в. входил в юрисдикцию Иверской Церкви, поскольку епископская кафедра Оф-Ризея была основана прстветительницей иверов. Это сведение совпадает с несколькими важными источниками. Как говорилось, согласно Ариану, дзитриды жившие в Архаве или Оф-Ризейском регионе подчинялись иверийскому царю. Из этого круга и сведение Геласия Кесарийского, в котором говорится, что иберов и лазов просветила просветительница иверов. Соответственно, лазские епископы, еще во времена Прокопия должны были быть под юрисдикцией мцхетского каталикоса. лазские кафедры по видимому находились в Чорохском ущелье, в лазском царстве. Они (лазские епископы) посылали священников к упомянутым «независимым племенам», жившим от Ризея до Петры.

В стране «независимых племен», т. н. «одного народа» не распространаялась юрисдикция Константинополя, поскольку, по словам Прокопия, Византия над ними еще не осуществляла полного политического контроля. Пэтому лазские епископы посылали туда священников. В конце VI, в начале VII вв. здешние «независимые племена» полностью подчинила Византия, после чего здесь (в Оф - Ризейском регионе) появилась византийская фасидская митрополия, а в регионе Чанет - Сумелы четыре епископские кафедры - Зиганская, Петрская, Саисинская, и Родополисская. Они были подчинены Фасидской митрополии.

Чанская юрисдикция

Страна чанов располагалась в Трапезунтском регионе. Согласно некоторым авторам, Колхида начиналась с Трапезунта. Колхида с V в. нзывалась Лазикой. Источник V в., т. н. аноним пишет, колхи именуются лазами, страна чанов в это время называлась Лазикой - «От Диоскурии (которая также называется Себастополем) до р.Апсара раньше жил народ, который назывался колхами и затем перемеиновался в Лазы» - Аноним V века».

В конце VI, в начале VII вв. после всеобщей христианизации чанов, Константинополь основал здесь (в Чанике) епископские кафедры - в основном, у Трапузент-Теодосиопольского (Арзрум) придорожья, поскольку этот регион был экономически развитым благодаря развитой международной торговле на этой дороге. Византия основывала здесь города, например, Теодосиополис, о котором особенно заботились императоры. Император Феодосий в IV в. дал этому городу свое имя. Вдоль этой дороги, у Зиганского перевала, в городе Зигана была основана кафедра, так же у этой дороге расположились Саисинская (у Ардасы) и Родополисская (рядом с будущим Сумельским монастырем) кафедры.

По исследования Н. Адонца, эти епархии исторически располагались в Чанети (будущая Халдея), в Гумушхане - Сумельском районе - они должны были появится после того, как Юстиниан христианизировал чанов в VI в.

«Епархии, входящие в Фасидскую митрополию упоминаются в визнатийских источниках с VII в.» (Георгика, 1952, т. 4, ნაკვ. 2, ст. 130). То же пишет Мих. Тархнишвили.

После христианизации чанов (VI в.), в VII в. византия основала здесь, в чаника - Лазике епископские кафедры Зиганы, Родополиса, Петры, и Саисина.

Апсилы и другие племена христиане

Фазис, впадает в конечную часть Эвсинского Понта, на краях залива - полумесяца; на одной его стороне, принадлежащей Азии, находился город Петра, а на противоположной стороне берега, принадлежащего уже Европе, находится область апсилиев: они подданные лазов и с давних уже времен христиане, как и все остальные племена. о которых я упоминал в этом рассказе. (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 2).

Абазги

За Апсилиями и за вторым краем этого «полумесячного» залива по берегу живут абазги и, границы которых простираются [19] до гор Кавказского хребта. Абазгам построили церковь Богородицы и назначили священников. Тогда же император Юстиниан воздвиг у абасгов храм богородицы и, назначив к ним священников, добился того, чтобы они приняли весь христианский образ жизни. В скором времени абасги, низложив своих царей, решили жить на свободе. Так шли дела здэсь (Прокопий Кесарийский, Война с готами, Книга. IV. 3).

Заключение:

Церковная юрисдикция в Лазике

Точное определение месторасположения Лазики имеет большое значение для установления границ юрисдикции Грузинской Церкви в первом тысячелетии, поскольку в Лазике - в Петре, Родополисе, Сайсине и Зигане - в VI-X веках действовали Лазские кафедры Константинопольского Патриархата.

Требуется исследовать, находились ли они в Западной Грузии, или в Халдейско-Лазском регионе, приграничном Трапезунту. Известный ученый и исследователь этих кравев Н. Адонц считал, что данные кафедры располагались в Трапезунтском регионе (Н. Адонц, Армения в Эпоху Юстиниана, 1908, ст. 100).

В свяи с данным вопросом Святой Синод Грузинской Православной Церкви 5 июля 2012 года объявил следующее - «утвердившаяся в двадцатом веке точка зрения, что якобы в IV-X веках, в течение 600 лет Западная Грузия не находилась в пределах Грузинской церкви исскуственно было внедрено в период тоталитарного атеистического правления, дабы представить границы Грузинской Церкви в ложном виде» ... Святой Синод, в связи с этим вопросом, считает истинным утверждение, высказанное в постановлении Руис - Урбнисского церковного собора, согласно которому, св. Андрей Первозванный, и св. Нина проповедовали и обращали народ в обеих частях Грузии - Как в Западной, так и Восточной - поэтому, основанная ими Грузинская Церковь изначально распространяла свою юрисдикцию и в Западной Грузии. Отцы Руис-Урбнисского собора пишут: «Св. Апостол Андрей Первозванный проповедовал на всей территории Грузии» (Великий Канон «Диди Сджулисканони», 1974, стр. 545), а св. Нина «просветила весь народ грузинский» (Великий Канон «Диди Сджулисканони», 1974, стр. 546). С данным утверждением Руис-Урбнисского собора как уже было

сказано соглашаются и зарубежные источники. В частности, историк IV века Геласий Кесарийский пишет о св. Нине - во время императора Константина «Божий Закон получили проживающие на сопредельных Понту землях иверы и лазы, которые до тех пор не веровали. Причиной сего величайшего блага стала одна женщина, которая у них была в плену» (Георгика, I, 1961, стр. 186). (Церковная история Геласия Кесарийского до нас не дошло, однако его сведения сохранилисъ)

http//www.world - history.ry/countries about/581/2259.html

То же самое пишет и историк V века Геласий Кизикийский - «в то же время, иверы и лазы, жившие вдоль Понта приняли Слово Божие, которому доселе не верили» (Мимомхилвели I, 1961, стр. 55).

Таким образом, согласно сведениям Геласия Кесарийского и Геласия Кизикийского, весь грузинский народ, как живущие в приморье лазы, так и живущие на остальной территории страны - иверы, одновременно получили «Божию заповедь» от св. Нины.

Сведениям Геласия Кесарийского и Геласия Кизикийского о том, что св. Нина обратила лазов вместе с иверами, как уже было сказано, соответствует и сведения знаменитого историка V века Мовсеса Хоренаци. Он пишет, что св. Нина обратила обширную территорию от Черного моря до Каспийского моря, она проповедовала от Кларджети до живущих в то время на каспийском побережье маскутов - «блаженная Нуне отправилась оттуда, что бы своей удобопонятной речью обратить и другие уголки Грузии... Дерзну, и скажу, что Нуне стала женщиной - апостолом, она проповедовала Евангелие от Кларджети до пределов Алан и Каспия, до границ Маскутов, как и оповещает об этом Агафангел» (Мовсес Хоренаци, История Армении, 1984, стр. 172). Согласно Агафангелу и другим источникам V века св. Нина проповедовала от Черноморья (Кларджети) до Каспийского моря (Маскуты).

Упомянутая в этом сведении грузинская провинция Кларджети располагалась у берега Черного моря, а племя маскутов во временя св. Нины жило у Каспийского моря. По сведениям Хоренаци, на данной территории - от Черного моря до Каспийского - проповедывала св. Нина.

Лазика - согласно сведениям Геласия Кесарийского и Геласия Кизикийского - входила в ареал подвижничества св. Нины.

Западная Грузия, как и Восточная, входила в юрисдикцию основанной Ниной Грузинской Церкви, что видно и из позднейших зарубежных исторических источнков. Согласно сведению армянского каталикоса Иоанна (899 г.) - каталикос Кирион (VI-VII вв.) был и эгрисским архиепископом. Он пишет - Кирион I был патриархом «иверийцев, гугарийцев, и эгрисцев согласно давнему правилу» (летопись каталикоса Иоанна (драсханакерсткого, 1912, стр. 62).

Как уже отмечалось, согласно грузинским источникам, Западная Грузия, с момента принятия христианства входила в грузинскую (мцхетскую) церковную юрисдикцию. Грузинские источники по данному вопросу детально изучил Ив. Джавахишвили и пришел к следующему выводу - «Андрей Первозванный и св. Нина были изветны, как основатели Грузинской Церкви и просветители грузинского народа, у них даже не было желания посылать других проповедников в разные уголки Грузии, поскольку они подвигались за сплочение и возрождение единой и неделимой Грузии» (Ив. Джавахишвили, История грузинского народа, т. III, стр. 47). «Это знание установлено именитыми грузинскими учеными и усвоено всем грузинским народом» (там же, стр. 97).

Что же касается известных из нотиций Сайсинской, Петрийской, Родополисской, Зиганской, и Фасидской епархий, то они располагались не в Западной Грузии, а в древнейшей стране грузин, в регионе Трабзона-Зиганы-Гумишханы (митрополит Анания Джапаридзе, Епископские кафедры в Лазике, тб., 2011, стр. 29 - 30).

Сведениям Геласия Кесарийского о том, что Лазику обратила св. Нина, соответствует сведение митрополита лазского Германа (XVII в.), что женщина просветительница Иверии в Лазети (Лазика), в

регионе Ризе основала митрополитскую кафедру города Офи (П. Ингороква, Георгий Мерчуле, 1954, ст. 226).

Согласно исследованию известного историка Н. Адонца в регионе Оф-риза находилась и питиунтская (пицундская) епископская кафедра и ее епископ Стратофил принял участие в

работе I Вселенского Собора в 326 г. (Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, стр. 203).

Согласно последним исследованиям, Лазика была обширным регионом, который делился на две политических единицы - 1. Горный регион вдоль Трапезунта, входил в Понтийскую провинцию, и составлял часть империи, затем его включило в себя халдейское фема. 2. Вторую часть Лазики составляло т. н. «Царство лазов», с которым на юге граничила понтийская провинция (митр. Анания - Халдея,2014, с.321).

Царство лазов на западе граничило с Черным морем, на востоке с Иверией, на крайнем юге, на границе Понта, у моря располагалась крепость Петры, а на севере Апсилия. Расположенные на границе с Иверией крепости Сканды и Сарапаны располагались на очень высоком Арсианском хребете 2687 м. от уровня моря, на дороге связующей **Артаан-Артанудж-Артвин**, между Иверией и Лазикой, где не было урожая и не цвел виноградник.

На сегодняшний день принято считать, что названием Сарапана назывался Шорапани, пункт в Западной Грузии, находящийся на высоте 250 м. от уровня моря, в субтропической зоне, где прекрасно цветет виноградник и есть урожай. По этому признаку Сарапана и Шорапани не соответствуют друг другу. То же самое можно сказать и о Сканда, которую отождествляют с имеретинским Сканде, который так же расположен в субтропической зоне, где есть обильный урожай, вопреки сведениям источников. Так же, он (Сканде) не расположен на важной дорожной магистрали.

Согласно последним исследованиям Сканда и Сарапана были расположены в другом регионе, в Чорохском ущелье, на высоком нагорье, на дороге Артвин - Артаани, где нет урожая, и не цветет виноградник.

Чорохское ущелье было частью Лазики, Артаани - частью Иверии, их связующяя дорога в грузинских источниках называется «Кларджетской дорогой», она была основной магистралью, ведущей в Иверию с Черного моря. Согласно «Житию Картли», этой дорогой пользовались царь Парнаваз. Св. Апостол Андрей Первозванный, Вахтанг Горгасал, Баграт Четвертый и др. По этой дороге ввезли христианские святыни в Картлийское царство из Византии в 4 - м веке (части Животворящего креста, дощечку для ног и гвозди (Картлис Цховреба).

Среди имеющихся несколько источников о Лазике, важны сведения Прокопия Кесарийского и Агафия Схоластика. По сведению Прокофия Кесарийского расположение Лазики было таковым - «От города Апсарунта до города Петры и границ лазов, где кончается Эвксинский Понт, один день пути. Упираясь в эти места Понт образует береговую линию в виде полумесяца. Длина пути при переезде по этому заливу - полумесяцу составляет приблизительно пятьсот пятьдесят стадий, а все, что лежит за этой береговой линией, является уже страной лазов и носит название Лазики. За этими местами внутри страны лежат области Скимия и Свания. Живущие здесь племена являются подчиненными лазам. Они управляются начальниками из числа местных жителей: и когда для того или другого из начальников наступает роковой час его жизни - его смертный час, то по обычаю, раз навсегда установленному, царь лазов ставит над ними другого, взамен умершею. В областях, граничащих с этой страной, главным образом вдоль самой Иберии, живут месхи, издревле являющиеся подданными иберов. Живут они в горах, но горы месхов не кремнисты, не страдают от бесплодия; напротив, они изобилуют всякими благами, а сверх того и сами месхи - искусные земледельцы и хорошие для этих мест виноградари. В этой стране поднимаются очень высокие горы, покрытые лесом и труднодоступные. Они тянутся до самых Кавказских тор, позади же них по направлению к

востоку лежит Иберия, простирающаяся до пределов персо - армян. Через эти горы, уходящие высоко в небо, течет река Фазис, начинаясь с гор Кавказа и впадая в середину этого «полумесячного» залива Понта. Некоторые считают, что в этом месте река Фазис служит границей двух материков. Места, которые идут налево, если смотреть вниз по течению, являются Азией, а направо лежащие называются Европой. В той части, которая принадлежит Европе, находятся все населенные места лазов, на другой же стороне лазы не имеют ни городов, ни укреплений. ни заслуживающею какого - либо внимания поселка, если не считать, что раньше римляне выстроили здесь крепость Петру (Прокопий Кесарийский, Война с готами Книга IV,8,2).

По определению Прокопия Кесарийского город Апсарунт (Апсару-Апсурта) находится в сторону Ризе, где убили сына Айета, Апсурта, здесь нахолится страна лазов и санигов (Георгика, 2,1965, стр. 125,126). Отсюда до Петры один день пути (прибл. 30км.). Плиний упоминает Апсарос под названием Абсарос (VI,4).

Арриан пишет - «на расстоянии 140 000 шагов от Трапзона течет река Абсарос, и есть крепость с таким же названием. В этих местах за горами находится Иверия, а уберега проживают гениохи, ампревты и лазы» (Флавий Ариан, Путешествие, 1961, стр. 76).

Согласно исследованию К. Григолии «Апсару» находился у Афины, источником для него служит сведение Прокофия Кесарийского, согласно которому рядом с Апсару находился Аркаб. Сегодня есть пункт Аркаб рядом с Ризе. Прокофий упоминает и Ризе - «Границы трапезунтцев расположены до селения Сусармены и Ризе, который от Трапезунта отделяют два дня морского пути... За Ризе находится земля народа, который живет среди римлян и лазов. Там расположены Афина, Архаб, и Апсару (три дня пути от Ризе), который раньше назывался Апсуртом» (Георгика, II, стр., 121 - 123, стр. 58).

Согласно этому сведению Апсарунт, тот же Апсару находился на расстоянии трех дневного пути (90-100) от Ризе. От Апсарунта до Петры пути на один день. У петры заканчивалась Понтийская провинция, т. е. римская земля, и начиналась Лазика. Согласно исследованию К. Григолии Петра та же самая Хофа, или Хуфати грузинских источников. Она расположена на западном берегу реки Чорохи на расстоянии одного дневного пути.

Апсарунт находился не в Лазском цапстве, а в границах римлян, это явствует из сведений Прокофия - «По левому берегу реки границы Лазики простираются на расстояние одного дня пути для не обремененного тяжестью пешехода, но эта земля совершенно безлюдна. По соседству с этой страной живут римляне, которые называются понтийскими (Прокопий Кесарийский, Война с готами Книга вторая, (2), (19)»

На западном берегу реки Фазиси на расстоянии одного дня пути от Апсароса располагалась граница Лазики, и здесь была крепость Петры. От Фазиса до Петры земля была ненаселенной, а за границей, в пределах римлян, на пути одного дня располагался Апсарунт, т. е. в пределах 30 км. «От города Апсарунта до города Петры и границ лазов. где кончается Эвксинский Понт, пути один день. (Прокопий Кесарийский, Война с готами Книга четвёртая, 2)»

По сведениям Вахушти, кларджетское и одзрхское эриставство картлийского царства до V в. включали в себя последующие Гурию, Аджару, землю до Ризе, и от Орджохских гор до девабоинского хребта, или почти до Арзрума, в них входил Тортоми, Хахули, Испири, Порчха, Байбурд и Чанети (Ж. К. 1973, Т. 4, ст. 657). После того, как V в Византия упразднила эти княжетсва и присвоила их землю значительной частью этой территории владела Лазское царство, Лазона (Лазистан) и чанети.

В VI в лазское царство входили будущие Гурия, Аджара, чорохское ущелье, территория до Хопы, в «Лазону» входила территория до ризейского т. н. железного стержня и другие земли; чанети занимало территорию от Ризея до Гумушханского региона включительно, будущую Халдею, где

располагались константинопольские лазские митрополиа. с конца VI века, начала VII в. со времени христианизации чанов. Что касается Западной Грузии, то с IV в., после христианизации этого края, входила в юрисдикцию Грузинской Церкви.

Таким образом, Лазика греческих источников - это кларджетское княжество грузинских источников. В лазскую митрополию входил старый Аргиополисский регион (чанский, поздее Гумушханский), который позднее назывался халдейской фемой, здесь находились кафедры лазской митрополии Зиганская, Родополисская, Саисинская, а Петрская кафедра, согласно исследованию Н. Адонца, находилась в Баибурде.

В заключение можно сказать, что Точное месторасположение Лазики до сих пор остается спорным.

На сегодняшний день распространено два мнения о месторасположении Лазики.

Согласно грузинской церковной историографии Лазика включала в себя историческую юго-западную Грузию, которое в источниках именуется Страной мегрелов, включая Чорохское ущелье.

Согласно другой точке зрения, принятой в кругу историков XX в., Лазика включала в себя среднюю часть Западной Грузии.

20. 06. 2015

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

სიტყვა სასულიერო აკადემიაში

14.04.2016

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა,
ჩვენთან არს ღმერთი,

ამ 35-40 წლის წინ მართლაც რთული ეპოქა იყო და ვმადლობ ღმერთის, რომ მომცა დრო, რათა ჩემი თვალით მეხილა ფერიცვალება საქართველოს წმიდა ეკლესიისა. სულ სხვა მდგომარეობა იყო როცა მე ვიყავი სიონის წმიდა ტაძარში მედავითნე 1970-იანი წლების ბოლოს, მაშინ საქართველო არ იყო თავისუფალი, ნაწილი იყო რუსეთის წითელი იმპერიისა, სარწმუნოება აკრძალული, სასულიერო პირები აბუჩად აგდებული, და დღეს ვხედავთ ფერიცვალებას - უწმიდესის ღვაწლით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შემწეობით, სულ სხვა მდგომარეობაა და ვმადლობ ღმერთს, რომ ამჟამად ჩვენ გვაქვს სახელმწიფო, მტკიცე საყრდენი ეროვნული ღირსებისა.

ჩვენი ისტორიის შესწავლა გვიმტკიცებს, რომ ქართველი ერი ვერ შეძლებს არსებობას თუ არ ექნება საკუთარი, თავისუფალი სახელმწიფო.

საქართველოს წმიდა ეკლესიის სასახელოდ უნდა ითქვას რომ ის მუდამ იღწოდა საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის, ასევე მარად იღწოდა საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობისათვის. ისტორიული წარსულის გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ წარსულში დაშლილ-დაქუცმაცებულ საქართველოს ეკლესია აერთიანებდა.

ეკლესია ყოველთვის იყო ქართველი ერის და საქართველოს გამაერთიანებელი. თქვენ ეს იცით, მაგრამ მინდა ყურადღება მიაქციოთ, რომ საზოგადოების ინფორმირების ამჟამინდელი საყოველთაო საშუალებანი, ზოგიერთი ტელეარხი ავრცელებს და ნერგავს თვალსაზრისს, თითქოსდა ეკლესიას არა აქვს ღვაწლი საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, მის გამთლიანებასა და დამოუკიდებლობაში. გაოცებით ვისმენ ასეთ მტკიცებას. შეიძლება მართლაც არ ჰქონდეს რომელიმე ჟურნალისტს ისტორიული წარსულის შესაბამისი ცოდნა, მაგრამ ვაკუუმი

უნდა შეივსოს, სასურველია, რომ თქვენ, სტუდენტები დაინტერესდეთ მსგავსი საკითხებით, და ხელი შეუწყოთ სიმართლის გავრცელებას ჩვენი ეკლესიის ღვაწლის შესახებ.

აი, თუნდაც რამდენიმე მაგალითი - VIII-IX საუკუნეებში ეკლესია სულიერად აერთიანებდა დაშლილ საქართველოს. თქვენ გახსოვთ გრიგოლ ხანძთელი თუ როგორ ლოცავდა და აკურთხებდა ქართველ ხელმწიფეებს, რათა მათ ცხოვრების მიზანად ექციათ ქართული სახელმწიფოებრიობის გამტკიცება.

ეკლესია ქვეყანაში ნერგავდა იდეებს საქართველოს გაერთიანებისა და მართლაც ეკლესიის მცდილობა წარმატებით დაგვირგვინდა X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში საქართველო გაერთიანდა.

ავიღოთ მეორე მაგალითი მეცხრამეტე საუკუნისა, ამ დროისათვის რუსეთის იმპერიამ გააუქმა საქართველოს დამოუკიდებლობა, ის დანაწევრებული იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, სოხუმისა და ზაქათალას ოლქების (ოკრუგების) სახით.

მათი გაერთიანები იყო უმთავრესი იდეა ქართველი მღვდელმთავრებისა და სასულიერო პირებისა.

XIX საუკუნეში წმიდა ეკლესიამ გაბედა და ხმამაღლა წარმოთქვა საქართველოს გამთლიანების იდეა.

იმჟამად, მართალია არსებობდა ერთი-ორი ეროვნული პარტია, რომელნიც უცხოეთში 1-2 ფურცელს უშვედნენ საქართველოს გათავისუფლების იდეით, მაგრამ მათი ხმა არ აღწევდა ხალხამდე, მაგრამ სულ სხვა იყო ეკლესიის ხმა, ქართველი მამების ხმა, რომელსაც იმჟამად, მე-19 - მე-20 საუკუნეთა დასწყისში დაწაფებით ისმენდა ქართველი ერი, ამის შესაბამისად კი რუსეთის საიმპერატორო კარი.

საქართველოს გაერთიანებისა და ერთიან ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბების მძლავრი იდეის ხმა გაისმა წმიდა ეკლესიიდან.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში და საეკლესიო კრებებზე უშიშრად გაისმოდა მოთხოვნა რათა გაერთიანებულიყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმისა და ზაქათალა-საინგილოს ოლქები და მათი გაერთიანების საფუძველზე ჩამოყალიბებული ერთიანი საქართველო, ვითარცა ავტონომიური პოლიტიკური ერთეული რუსეთის იმპერიის შიგნით, მსგავსი პოლონეთისა და ფინეთის ადმინისტრაციული მოწყობისა იმპერიის შიგნით.

ეკლესიის მამათა აქტიურობის მიზეზი იყო ავტოკეფალიის მოპოვებისათვის სათანადო პოლიტიკური პლატფორმის მომზადება.

საქმე ის იყო, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს ჩაისახა დიდი საეკლესიო მოძრაობა ავტოკეფალიის აღდგენისათვის. მან საერთო-სახალხო მშვიდობიანი ბრძოლის სახე მიიღო. საკითხი გულდასმით განიხილებოდა რუსეთის მთავრობისა და წმიდა სინოდის მიერ. მათი უარის ერთერთი მთავარი მიზეზი ასე განიმარტა - „საეკლესიო ავტოკეფალია, როგორც წესი, ემყარება ტერიტორიულ ადმისტრაციულ ერთეულს, თქვენ ითხოვთ “საქართველოს ეკლესიის” ავტოკეფალიას, მაგრამ რუსეთის იმპერიაში არ არსებობს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული “საქართველოს” სახელით, ცხადია თუკი არ არსებობს “საქართველო”, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც ვერ იარსებებს” - ასეთი იყო პასუხი პეტერბურგიდან.

მართლაც, იმჟამად, როგორც ითქვა, არსებობდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, მაგრამ რაიმე პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული საქართველოს სახელწოდებით არ არსებობდა, ამ საკითხმა რეალურად დააყენა ქართველ სასულიერო მამათა წინაშე იდეა საქარველოს, ვითარცა ერთიანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბებისა. ამ მიზანს დაუფარავად აცხადებდა საეკლესიო კრებები, რომელთა დადგენილებები ე.წ. პეტიციების სახით იგზავნებოდა იმპერატორთან, წმ. სინოდში, რუსეთის მთავრობაში, ქართველმა მღვდელმთავრებმა თავიანთ გავლენიან სულიერ შვილებს, გავლენიან თავად-აზნაურებს, ხალხს

მიწოდეს იდეა საქართველოს ვითარცა ერთიანი ტერიტორიული ერთეულის ჩამოყალიბებისა რუსეთის იმპერიის წიაღში, რომელზეც განხორციელდებოდა ეკლესიის ავტოკეფალია.

წმიდა მღვდელმთავარ ალექსანდე ოქროპირიძის სულიერი შვილი წმიდა ილია მართალიც ჩაერთო ამ საკითხში, ასევე მრავალი გამოჩენილი მოღვაწე, მაგრამ საიმპერატორო ტახტის დაცემამდე ვერ მოხერხდა გამოცხადება ეკლესიის ავტოკეფალიისა.

1917 წელს დაემხო რუსეთის საიმპერატორო ტახტი, ამ მომენტით მყისიერად ისარგებლეს ჩვენმა ბრძენმა მღვდელმთავრებმა და 25 მარტს გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ამავე წელს საჯაროდ განაცხადა დიდმა მიტროპოლიტმა ლეონიდე ოქროპირიძემ - **ჩვენ დამოუკიდებელ ეკლესიას გვერდით უნდა ამოვუყენოთ დამოუკიდებელი საქართველო.** და, მართლაც, 1918 წელს შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო, ეკლესიის ლოცვითა და სუკუნოვანი ღვაწლით.

მხოლოდ სამ წელს იარსება მან დამოუკიდებლად, მაგრამ ის საძირკველი იყო, რომელსაც დაეფუძნა ჩვენი დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო, რომლის ერთერთი ფუძემდებელი არის საქართველოს ეკლესია.

ეკლესია მუდამ აღასრულებდა თავის ვალს და თავისი მრევლის თავისუფალი განვითარებისათვის მუდამ აძლიერებდა საქართველოს სახელმწიფოს, ამის მაგალითია ჩვენი უწმიდესი პატრიარქი, მან ბოლო ათეულ წლებში მრავალი რყევისაგან იხსნა საქართველო.

ჩვენი უწმიდესი პატრიარქი ილია მეორე არის საზოგადოებრივი სტაბილურობის მტკიცე საყრდენი. მისი უწმიდესობის დავალებით მე თბილისის სასულიერო აკადემიაში ვასწავლი 1993-94 წლიდან. ჩემი სურვილიც იყო წამეკითხა ლექციები, რატომ? 1992 წელს, როცა ჩვენ აფხაზეთში დავმარცხდით, ქართული საზოგოების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა ნიჰილიზმმა, უარყოფითმა განცდამ ყოველივე ეროვნულის მიმართ, დაისადგურა უიმედობამ და უილაჯობამ. ეს გასაგებიც იყო - აფხაზეთში განხორციელდა ქართველთა ეთნიკური წმენდა, …ტერორმა, რომელსაც საშინელი მეთოდებით აწყობდა მეორე მხარე - შეაშინა ხალხი, იცით რომ ქართველთა სისხლს სვამდნენ, მასიურ მკვლელობებს აწყობდნენ და აწამებდნენ . შიშის გამო ხალხმა დატოვა აფხაზეთი. დამარცხდა ჩვენი ეროვნული სახელმწიფო და ამან ხალხში, როგორც ითქვა, დაბადა უარყოფითი დამოკიდებულება ყოველივე ეროვნულის მიმართ, საერთოდ ეროვნულობის ხსენება აღარ იყო. მე კავშირი მქონდა ამ დროს სემინარია-აკადემიასთან და ვნახე, რომ აქაც არაეროვნული მიმართულება იმარჯვებდა. ამიტომ გადავწყვიტე დაუყოვნებლივ შემესრულებინა კურთხევა, მესწავლებინა აკადემიაში, რათა მეცადა ეროვნული სულის გაღვიძება. უკვე 22-23 წელია აქ ვასწავლი, ჩემი ზოგიერთთ სტუდენტი ახლა უკვე ეპისკოპოსია, მათ შორის არიან მიტროპოლიტებიც, ზოგი მახსოვს ჯერ კიდევ ახალციხის სემინარიიდან.

როცა თქვენთან მოვდიოდი ვკითხე ჩემს ამჟამინდელ სტუდენტებს, თუ რა თემები აინტერესებს სემინარია-აკადემიის ახალგაზრდებს, მათ შემირჩიეს რამდენიმე საკითხი, მათ შორის ერთერთია შიდა სეპარატიზმის საკითხი.

ქართველთა დაბრკოლების ლოდი, ახლაც და წინათაც იყო კუთხურობა - ანუ იმერლობა, კახელობა, ქართლელობა, მეგრულობა, სვანობა. კუთხურობა იყო ჩვენი გამთლიანების წინააღმდეგ მოქმედი დიდი ძალა, თვისება, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლა-დანაწევრების შემდეგ, ძირითადად, მე-16 საუკუნედან, მაგრამ თავისი დასრულებული და ჩამოყალიბებული სახე მიიღო მე-19 საუკუნის შუა წლებში რუსეთის საიმპერიო წრეების პრინციპის - „დაყავი და იბატონეს” შედეგად.

მე-15 საუკუნის ბოლოსა და მე-16 საუკუნეში საქართველოს სამეფო დაიშალა რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ერთეულად - ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად, ასევე სამთავროებად. ისინი არსებობდნენ მე-15 საუკუნედან მე-19 საუკუნემდე ანუ 300-400 წლის მანძილზე - თავიანთი საზღვრებით, ლაშქრით, ეკონომიკით, ამასთანავე მუდამ ეომებოდნენ და აჩანაგებდნენ ერთმანეთს.

ამან, რამდენიმე საუკუნოვანმა იზოლაციამ, ერთმანეთისაგან გაუცხოებამ, ერთმანეთის მტრობამ, ამ კუთხეებში ჩამოაყალიბა ქართველთა ადგილობრივი ეთნოგრაფიული ჯგუფები - კახელობა, ქართლელობა, იმერლობა, გურულობა, მეგრელობა, სვანობა და ა.შ. მაგრამ ამ ეთნოგრაფიულ მოზაიკას არ შეუბღალავს ქართული ეროვნული ცნობიერება. მხოლოდ, მე-19 საუკუნეში, როგორც აღინიშნა, მიიღო კუთხურობამ ეთნოელფერი, შემაფერხებელი ნაციონალური ინტეგრაცია-კონსოლიდაციისა. ამჟამად, ვითარება სასიკეთოდაა შეცვლილი, უკვე გვაქვს ეროვნული ერთიანი სახელმწიფო.

სამომავლოდ, ერთიან საქართველოს სახელმწიფოში ცხოვრება საბოლოოდ გაამთლიანებს ქართველ ერს, ასევე საჭიროა საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქის ინტეგრაცია ერთი ქართული სახელმწიფო ენით, და ასევე, სამშობლოს - საქართველოს სიყვარულით.

გავუფრთხილდეთ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს წმიდა ეკლესიას, ღმერთმა დაგლოცოთ, კურთხევა უფლისა თქვენზედა. ამინ.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია

აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულის კანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთო მეთაურობით.

აფხაზეთისა და ქართლის პირველიერარქთა შორის ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწემესი ეწოდებოდა.

ერთიან ქართულ ეკლესიაში წოდება "კათალიკოსი" შეესაბამებოდა ბერძნული საპატრიარქოების "მიტროპოლიტის" წოდებას. როგორც ბერძნული საპატრიარქოს მიტროპოლიტს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თავისი ეპისკოპოსები, ასევე ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ორივე ეს საკათალიკოსო ერთიანი ქართული ეკლესიის მხოლოდ საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები (სამიტროპოლიტო ოლქები) იყვნენ. როგოც ითქვა, მათი ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულის კანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი ადგილობრივი საეკლესიო კრებები. პატრიარქის მოვალეობა იყო უზუნველეყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში) საერთო სჯულის კანონის დაცვა.

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის სამოქალაქო სამართლის სფეროშიც). მაგ. XVI საუკუნის საეკლესიო სამართლის ძეგლში, რომელსაც "სამართალი კათალიკოსთა" ეწოდება, ნათქვამია: "ქ. სახელითა და ღვთისათა: - მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოჲსა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი

ებისკოპოზნი აფხაზეთისანი .....დავიდევით სჯულის კანონი და ჩვენცა იმისგან გამოვიღევით.... და სჯულის კანონიცა ასრე ბრძანებს".... (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. 1963, გვ. 393-397).

აფხაზეთის საკათალიკოსოს ამ საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით გამოსცა 15 კანონი. ამ კრების კანონები სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ის აფხაზეთში იქნა მიღებული და ისინი აფხაზეთის საკათლიკოსოს ეპისკოპოსებმა დაამტკიცეს, ესენი იყვნენ ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმიდელი, ცაიშელი (ჩიშელი) ეპისკოპოსები.

"უხუცეს" პირველიერარქად ანუ "საქართველოს პატრიარქად", როგორც წესი, ირჩევდნენ მცხეთელ კათალიკოსს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში ბიჭვინთელ ანუ აფხაზთა კათლიკოსს გადაეცემოდა ეს ტიტული ("საქართველოს პარტიარქი").

მაგალითად შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ (XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის I ნახევარში) აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებმა დაკარგეს სუვერენიტეტი (მუსულმანური მმართველობის ქვეშ მოექცნენ), ხოლო დასავლეთ საქართველო ძველებურად მართლმადიდებელ მეფე-მთავართა მიერ იმართებოდა.

ამ ფაქტმა გაზარდა დასავლეთ საქართველოს მმართველთა (მეფეთა და კათალიკოსთა) ავტორიტეტი, რაც მათ ტიტულატურაშიც აისახა - აფხაზეთის კათალოკოსთა ტიტულატურაში გამოჩნდა ტიტული "საქართველოს პატრიარქი", მაგალითად, XVIII საუკუნის აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი თავის მიერ გამოცემული დოკუმენტებს ხელს აწერს ასე - "გრიგოლ მწყემსი ქრიტეს მიერ ყოვლისა საქართველოჲსა კათალიკოსი" ("ქართული სამართლის ძეგლები", III, გვ. 675); ასევე ზოგიერთი სხვა აფხაზეთის კათალიკოსიც თავის თავს საქართველოს პატრიარქს უწოდებდა XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში, ანუ ის არა მხოლოდ აფხაზეთის არამედ სარულიად საქართველოს უხუცესს პირველიერარქად თვლიდა თავის თავს. ეს ფაქტი ასახულია უცხოურ წყაროებშიც. უცხოური წყაროების თანახმად ამ ეპოქაში აფხაზეთის კათალიკოსი სრულიად საქართველოს (იბერიის) უხუცეს (უპირატეს) პირველიარარქად ითვლებოდა, მაგალითად ანტიოქია - იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (XVII საუკუნე) ამის შესახებ წერდა - "იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი, რომელიც კავკასიის მთებში იწყება, ქართულად ქულფარგი ეწოდება, ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე, რადგანაც ის უკვე ისავროსის დროს, 720 წელს, კათალიკოსი იყო ქვემო იბერიისა... იბერები ქვემო იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა-მეფედ" (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: "სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

დას. საქართველოს ეკლესიას უცხოელები უწოდებდნენ "ქვემო იბერიის ეკლესიას" (იხ. სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია "თეოლოგია", ათენი, 1966 წ.).

საქართველოს ანუ იბერიის სამეფოს მთლიანობა დაარღვია თავდაპირველად VI საუკუნეში სპარსთა, ხოლო VII საუკუნეში არაბთა შემოსევებმა, ამის შედეგად VIII საუკუნიდან საქართველოს კუთხეებში ჩამოყალიბდა რეგიონალური ქართული სახელმწიფოები. ერთერთი ასეთი იყო აფხაზთა სამეფო.

VIII საუკუნის II ნახევარში შექმნილ "აფხაზთა სამეფოში" შევიდა და მისი ძირითადი ნაწილი გახდა იბერიის სამეფოს ყოფილი ტერიტორიები დასავლეთ საქართველოში - ეგრისი, გურია, თაკვერი, არგვეთი, სვანეთი, ამიტომაც აფხაზთა სამეფოს VIII-X საუკუნეებში "ქვემო

იბერიას” უწოდებდნენ. არსებობდა ორი იბერია: ზემო იბერია - ანუ აღმოსავლეთი საქართველო და “ქვემო იბერია” - ანუ დასავლეთი საქართველო. საერთოდ, დასავლეთ საქართველო (ქვემო იბერია) მცხეთის ანუ ერთიანი იბერიის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა IV საუკუნიდანვე. ამის შესახებ წერს რუის-ურბნისის კრება: (წმიდა ნინომ მოაქცია ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა მცხოვრებნი როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში, ამავე კრების განსაზღვრებით ანდრია მოციქულმა სახარება იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა, სომხური საეკლესიო წყაროებიც აღნიშნავენ, რომ დასავლეთ საქართველო იმყოფებოდა მცხეთის საეკლესიო იურისდიქციაში. მაგალითად, ამ წყაროებში აღინიშნება რომ კირიონი ქართლის კათალიკოსი VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისში მართავდა დასავლეთ საქართველოს ეპარქიებსაც. კირიონი, “ეგრისის, გუგარქისა და ქართლის არქიეპისკოპოსად ანუ კათალიკოსად იყო ნაკურთხი “წინანდელ წესთა თანახმად” (იოანე დრასხანაკერტელი, “სომხეთის ისტორია”, გვ. 10).

მეორე იერუსალიმელი პატრიარქი ხრისანფი ამბობს: “...საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს და არა არქიეპისკოპოსებს. ასე მათ მარტო ქართველები უწოდებენ. ამათგან ერთი, ე.ი. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, ანუ მარტივად, სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე, ხოლო მეორე, ე.ი. ზემო იბერიისა, იწოდება ქართლის, კახეთის, ალვანეთის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად... რომელი იმპერატორის დროს, ან რომელ კრებაზე გახდა ის საარქიეპისკოპოსო, ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ 26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე, გოთეთის ეპისკოპოსი, ხელდასხმული იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ, რადგანაც რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერესი, ასე რომ, როგორც ჩანს, ერეკლეს შემდეგ ისავრამდე ქვემო იბერია საარქიეპისკოპოსო გახდა...” (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: “სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

ეს იერუსალიმელი პატრიარქები XVII საუკუნეში ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნის II ნახევარში აღსდგა აღმოსავლეთ საქართველოში სახელწიფოებრივი სუვერენიტეტი და სამეფო ტახტი კვლავ მართლმადიდებელმა ხელმწიფეებმა დაიჭირეს, ამ ფაქტმა ძველი ავტორიტეტი დაუბრუნა მცხეთელ კათალიკოსს, და ის ძველებურად “უხუცეს”, პირველპატრიარქად იქცა ქართულ საეკლესიო სამყაროში.

ეს ფაქტი საეკლესიო სამართლის სფეროშიც აისახა, მაგალითად, აფხაზ კათალიკოსთა ტახტზე მჯდომი წმ. დოსითეოს ქუთათელის დროს ანტონ კათალიკოსის დიკასტერიის (საეკლესიო სასამართლოს) სამართალის სფეროში შედიოდა აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, 2003, ტ. III. გვ. 7-9). სამართლებრივად და ადმინისტრაციულად XVIII საუკუნის ბოლოს დოსითეოს ქუთათელის დროს ისევე, როგორც ყოველთვის IV საუკუნიდან საქართველოს ეკლესია ერთიანი იყო.

XIX საუკუნეში მთელი ეს სისტემა მოიშალა, რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის მთავრობამ (1917 წლის 25 ივლისს მინისტრთა თავმჯდომარე ა. კერენსკისა და უწმიდესი სინოდის ობერპროკურორის ა. კარტაშევის ხელისმოწერით) დაუბრუნა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია, რომელიც იქამდე 1917 წლის (12) 25 მარტის აქტის საფუძველზე აღდგენილად გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებმა და მრევლმა (იქვე, ტ. III, გვ. 121).

ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ საეკლესიო კრებამ ეკლესიის პირველიერარქს აღუდგინა სრულიად საქართველის კათალიკოს პარტიარქის ტიტული, მაშასადამე ის აერთიანებდა საუკუნის მანძილზე უკვე არ არსებული (გაუქმებული) ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებს და მას უკვე უშუალოდ ექვემდებარებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები.

ამის შემდეგ ტიტული - მიტროპოლიტი - აღნიშავდა მხოლოდ პატივს ეპისკოპოსისა და არა იერარქიულ თანამმდებობას. ამჟამად ეს ტიტული მხოლოდ საეპისკოპოსო ჯილდოს წარმოადგენს. შესაბამისად ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველის თანამდებობრივი ტიტული არის ეპისკოპოსი და მას ღვაწლისათვის შესაძლოა ჯილდოს სახით ებოძოს მთავარეპისკოპოსის ანდა მიტროპოლიტის წოდება.

1917 წლის საეკლესიო კრების მიერ საქართველოს პატრიარქს მიენიჭა უფლება მუდმივად ან დროებით მართავდეს რომელიმე ეპარქიასაც. 1917-18 წლების კრებებმა მას სამართავად გადასცა მცხეთა-თბილისის ეპარქია, ხოლო 2010 წლის კრებამ (წმ. სინოდმა) სამართავად გადასცა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია (ამასთანავე, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას უწოდა ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია). (სხვადასხვა წლებში საქართველოს პატრიარქები სხვა ეპარქიებსაც მართავდნენ, მაგ. მანგლისისა, ქუთაისისა და სხვა).

შესაბამისად ამჟამად საქართველოს პქტრიარქი ასე იწოდება - "უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფე მამაი ჩვენი ილია".

რეზიუმე

საეკლესიო სეპარატისტი ნ. დბარი და სხვანი იმეორებენ საბჭოთა ეპოქაში ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ განმტკიცებულ თვალსაზრისს, რომ თითქოსდა, დასავლეთ საქართველო IV საუკუნიდან IX-X საუკუნემდე იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ, სადაც მას ჰქონდა თავისი საეპისკოპოსო კათედრები და მხოლოდ 500-600 წლის შემდგომ, IX-X საუკუნიდან მცხეთის ეკლესიამ დასავლეთ საქართველოში გააუქმა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ბერძნულენოვანი საეკლესიო კათედრები. იგივე თვალსაზრისი აქვთ საბჭოთა ეპოქის ქართველ ისტორიკოსებსაც. მათ იმოწმებს კიდევაც ნ. დბარი თავის წიგნში და ასევე სხვანიც.

ნ. დბარი ამტკიცებს, რომ ე.წ. „აფხაზური ეკლესია" ქართულ ეკლესიაზე ადრე ჩამოყალიბდა, რადგანაც პიტიუნტის ეპისკოპოსი უკვე ესწრებოდა 325 წელს მოწვეულ პირველ მსოფლიოს საეკლესიაო კრებას, ხოლო ამ დროს ქართული ეკლესია ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, ესაა არასწორი აზრი, რომელიც საბჭოთა ეპოქაში ზღვისპირა პუნქტების არასწორ ლოკალიზაციას ეყრდნობა, სინამდვილეში ის პიტიუნტი, რომლის ეპისკოპოსიც მონაწილეობდა პირველ მსოფლიო კრებაში, მდებარეობდა არა თანამედროვე ბიჭვინთასთან, არამედ გაცილებით სამხრეთით, ოფ-რიზეს რეგიონში, ამას მიუთითებდა როგორც ნ. ადონცი, ისე პ. ინგოროყვა. რაც შეეხება ბიჭვინთის საეკლესიო ცენტრს, ის შეიქმნა ქართველი მღვდელმთავრების მიერ აფხაზთა ანუ ძველქართველთა სამეფოს ეპოქაში, ათასი წლით ადრე ვიდრე ადიღე-აფსუები ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლდებოდნენ.

დბარის თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოში არამხოლოდ ბერძნულად, არამედ აფხაზურ ენაზეც აღევლინებოდა წირვა-ლოცვა, რომელიც თითქოსდა პროზელიტურმა ქართულმა ეკლესიამ არაკანონიკურად გააუქმა. აფხაზური ენა ადიღეურ ენად იქცაა მხოლოდ მე-17 საუკუნის შემდეგ, იქამდე ძველი აფხაზები ანუ ქართველები მხოლოდ ქართულ ენას იყენებდნენ ღვთისმსახურებისას, ამას მიუთითებს ათასობით წერილობითი და ეპიგრაფიკული მასალა, ხოლო აფსუათა ენაზე ერთი ნაკაწრიც კი არაა აღმოჩენილი.

ჩვენს წერილში მოკლედაა გადმოცემული რეალური ისტორია ქართულ, ბერძნულ და სომხურ წყაროებზე დაყრდნობით. ამონარიდები ამ წყაროებიდან მოყვანილია კიდეც ჩვენს წერილში.

რუსულ საეკლესიო "პრავასლავნაია ენციკლოპედიაში" სტატიაში "აფხაზეთის საკათალიკოსო" არასწორადაა ნათქვამი, რომ დასავლეთ საქართველოში ქართული ენა და კულტურა გავრცელდა მხოლოდ არაბობის დროს, მას შემდეგ, რაც თითქოსდა არაბთა მიერ დევნილი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა მასიურად გადასახლდა დასავლეთ საქართველოში და ამის შედეგად დაიწყო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის "ქართიზაციის" პროცესი, თითქოსდა ეკლესიებიდან განიდევნა ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა და მის ნაცვლად დაინერგა ქართულენოვნება. ეს არასწორი მოსაზრება მთლიანად უცხოა ძველი ქართული საეკლესიო წყაროებისათვის, რაც ასახულია ჩემს წერილში.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქცია აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებამდე

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციასთან დაკავშირებით სომეხი ისტორიკოსი კათალიკოსი იოანე დრასხანაკერტელის ცნობა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები ერთმანეთს ეთანადებიან. კერძოდ ისინი ორივენი ეხებიან დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციის საკითხს პირველ ათასწლეულში.

როგორც ცნობილია იოანე დრასხანაკერტელი კირიონ ქართლის კათალიკოსოს შესახებ წერს რომ ის ამასთანავე იყო **ეგრისის არქიეპისკოპოსი.**

❖ იოანე დრასხანაკერტელი წერს - სომეხმა კათალიკოსმა **"ხელი დაასხა წმიდა კათოლიკე (საკრებულო) ეკლესიის უხუცესს კირიონს ქართლის სამწყსოს - გუგარქის და ეგრისის არქიეპისკოპოსად" (ი. დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ 10**). ასევე, კირიონი **"წინანდელი დროის წესების შესაბამისად იყო არქიეპისკოპოსი ეგრისისა და გუჯარეთისა, ქართლის ეკლესიის მრევლისა"** (იოანე დრასხანაკერტცი, 1937. გვ. 9. რუს. ენაზე).

❖ VI საუკუნის "წინანდელი დრო", ცხადია, IV და V საუკუნეებია. მაშასადამე სომეხი კათალიკოსის ცნობით მე-4, მე-5 საუკუნეებშიც ეგრისის მრევლი მცხეთელი კათალიკოსის იურისდიქციაში იმყოფებოდა.

იმავეს, რომ დასავლეთ საქართველოს მრევლი ამ პერიოდში მცხეთის იურისდიქციაში იმყოფებოდა, წერს ვახუშტი - **"არს ხონს ეკლესია დიდი, გუმბათიანი, მშვენიერი ნაგები, ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ვაკისა, ეს იყო ერთობასა შინა ქართლისა მთავარეპისკოპოსისა. შემდგომად განყოფისა დასვეს აქა ეპისკოპოსი"** (ქართლის ცხოვრება IV, 1973 გვ,750).

ვახუშტის ამ ცნობიდან ჩანს, რომ მისი აზრით აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებამდე დასავლეთ საქართველოს მრავლი ემორჩილებოდა მცხეთელ მთავარეპისკოპოსს (ხოლო აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების შემდეგ აფხაზეთის კათალიკოსს), ამ პერიოდში მცხეთელ პირველიერარქს ჯერ კიდევ მთავარეპისკოპოსის ტიტული ჰქონია. პერიოდს ეწოდება „ერთობა" ანუ საეკლესიო ერთობა, ამ დროს ანუ „ერთობასა შინა" მთელი ქართლის მრევლი, ანუ ქართლის სამეფოს მოსახლეობა (მდინარე კლისურიდან აღმოსავლეთით) ქართლის მთავარეპისკოპოსს ექვემდებარებოდა.

ვახუშტის ამ ცნობის მიხედვით, აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებამდე, იმ დროს, როცა ეკლესიურად დასავლეთ საქართველოს უშუალოდ მართავდა მცხეთელი მთავარეპისკოპოსი, ანუ "ერთობასა შინა ქართლისა მთავარეპისკოპოსისასა" ხონში აუგიათ საეპისკოპოსო ეკლესია.

მაშასადამე, ხონის საეპისკოპოსო ანუ ხონის ეპარქია არსებობდა ჯერ კიდევ მე-4 საუკუნიდან, რადგანაც ვახტანგ გორგასლის შემდეგ ქართლის მთავარეპისკოპოსს კათალიკოსი ეწოდა, თუმცა მთავარეპისკოპოსის ტიტული შეინარჩუნა მცხეთაში სამთავროს ეპისკოპოსმა, რომელიც ასევე მიიჩნეოდა ქართლის მთავარეპისკოპოსიის სამართალმემკვიდრედ.

ვახუშტისავე ცნობით აფხაზეთის საკათალიკოსო დაარსდა დაახლოებით 720 წელს, ანუ აღნიშნულ "საეკლესიო ერთობის" დროს, მე-8 სუკუნის დამდეგამდე, ხონში მდგარა საეპისკოპოსო კათედრა მცხეთელი მთავარეპისკოპოსის იურისდიქციაში. ვახუშტის მეორე ცნობაც აქვს, რომელიც დასავლეთ საქართველოს არა მხოლოდ ვაკის რეგიონის, მთის რეგიონის ქრისტიანების მცხეთასთან საეკლესიო კავშირს შეეხება - ის წერს, რომ ნიქოზის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა **რაჭისა და მის მიმდებარე მთიანეთის მოსახლეობა**.

როგორც ზემოთ აღინიშნა იგივე ცნობა აქვს იოანე სომეხთა კათალიკოსს, რომლის ცნობითაც დასავლეთ საქართველოში არსებობდა საარქიეპისკოპოსო რომელიც ექვემდებარებოდა ქართლის კათალიკოსოსს, ეს იყო ეგრისის საარქიეპისკოპოსო.

მცხეთელი მამამთავარი იყო "ყოველი ქართლის" მთავარეპიკოპოსი.

თავის მხრივ „ყოველი ქართლი" შედგებოდა სამი გეოგრაფიული ნაწილისაგან ანუ ქვეყნისაგან, ესენი იყვნენ 1. ეგრისი, 2. შუა ქართლი და 3. კახეთი.

ფარნავაზის დროს ეს ოლქები ქმნიდნენ ერთიან სახელმწიფოს, რომელსაც ერქვა "ქართლის სამეფო".

აღსანიშნავია, რომ ტერმინ "შუა იბერიას" ხმარობს სტრაბონი, მისი სიტყვით „შუა იბერია" ერქვა კავკასიის მთავარი ქედიდან სამხრეთისაკენ მიმართულ ორ ქედს შუა მოქცეულ ქვეყანას, ის გულისხმობს ლიხისა და საგურამოს (ან გომბორის) ქედებს შუა მოქცეულ ოლქს.

ქართლის ცხოვრება „შუა ქართლს" უწოდებს წუნდიდან ხუნანამდე მოქცეულ ოლქს.

ქართლის ცხოვრებაში ნათქვამია: "განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრო ყოველი ქვეყანა და აღმოვიდა ქუეყენასა ქართლისასა და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკურისა, ოძრხე (მოკიდებული კლდესა ღადოსსა), თუხარისი (მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვიან ჭოროხი), ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა (და უბანნი მისნი), სარკინე, ციხედიდი და ზანავი (უბანი ურიათა) და რუსთავი და დედა-ციხე სამშვილდე და მტუერის ციხე (რომელ არს ხუნანი) და კახეთისა ქალაქნი" (ქ.ც. I. გვ. 18). მაშასადამე წყარო „შუა ქართლს" უწოდებს სპერიდან ხუნანამდე მდებარე ქვეყანას, ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, თუკი „შუა ქართლი" ერქვა სპერიდან ხუნანამდე გადაჭიმულ ქვეყანას, საზგადოდ „ყოველი ქართლი" ანუ მთელი ქართლი რომელ ქვეყანას ერქვა? წყაროები მოქცევაჲ ქართლისაჲ და ქართლის ცხოვრება მიუთითებენ, რომ ქართლი ერქვა მდ. ეგრისწყლიდან ჰერეთ-სომხეთამდე მდებარე ქვეყანას.

მატიანის აღნიშნულ ცნობაში იხსენიება - ორი ოლქის ციხე-ქალაქნი - "შუა ქართლისა" და "კახეთისა ქალაქნი", იქვე წყაროში იხსენიება ქართლის სამეფოში შემავალი მესამე ქვეუანა - ეგრისი.

აზონ "დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა" (ქ.ც. I გვ. 19). მაშასადამე, ქართლის სამეფო შეადგინა ეგრისმა, შუა ქართლამ და კახეთმა.

იგივეა "მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობაც.

ქართლის ცხოვრების ცნობით ეგრისი არა თუ იყო ქართლის სამეფოს ნაწილი, არამედ სწორეთ ეგრისის ერისთავი ქუჯი იყო ფარნავაზთან ერთად ფუძემდებელი ამ სამეფოსი, მაშასადამე ორივე წყარო, როგორც მოქცევაჲ ქართლისაჲ, ისე ქართლის ცხოვრება დაბეჯითებით მიუთითებენ, რომ დასავლეთ საქართველო აზონისა და ფარნავაზის დროს და მათ შემდეგ,

ქართლის ნაწილს შეადგენდნენ, შესაბამისად, საქართველოს ეკლესიის დაფუძნების შემდეგ, დასავლეთ საქართველო ქართლის მთავარეპიკოპოსის სამწყსოში შედიოდა, რასაც მიუთითებს სომხური და ქართული წყარო.

წყაროს ცნობით, თავდაპირველად, ფარნავაზის მმართველობის პირველ წლებში, ქართლის სამეფოს დასახელებული სამი ნაწილი შედიოდა ფარნავაზის სამეფოში, ხოლო კლარჯეთი შედიოდა, აზონის მამის სამეფოში, ანუ არიან-ქართლში, კლარჯეთი მხოლოდ აზონის დამარცხების შემდეგ შევიდა ქართლის სამეფოში. ამის შემდეგ სამხედრო-ადმინისტრაციული თალსაზრისით ერთიანი ქართლის სამეფო დაუყვიათ ორ მთავარ სამხედრო ოლქად, დასავლეთის სამხედრო ოლქში შედიოდნენ - **„ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთნი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა”** (ქ.ც. I გვ. 57). როგორც ითქვა, ქართლის სამეფო შედგებოდა ორი სამხედრო ოლქისაგან, პირველ სამხედრო ოლქს ქმნიდნენ - ერისთავნი დასავლეთისანი, ხოლო მეორე სამხედრო ოლქს ქმნიდნენ - ერისთავნი აღმოსავლეთისანი.

მაგალითად, ქართლის მეფე ფარსმან ქველის ღალატით მოკვლის შემდეგ დასავლეთის ერისთავები იბრძოდნენ მისი შვილის სამეფო ტახტზე ასაყვანად - **“მეგრნი დაადგეს ერთგულობასა ფარსმანის ძისასა”** (ქ.ც. I. გვ.53),

ამ “მეგრმა” ანუ დასვლეთ საქრთველოს ერისთავებმა კოალიციასთან ერთად დაიწყეს ფარსან ქველის სისხლის ძიება, დაამარცხეს მათთვის უზურპატორი მირდატ მეფე, ის მოკლეს ბრძოლაში და ქართლში გაამეფეს ფარსმან ქველის ძე ადამი.

“დასავლეთ ქართლის” ანუ ეგრისის ერისთავები ქართლის სხვა მეფეების ტახტისათვის ბრძოლაშიც იღებდენენ მონაწილეობას - **“ამაზასპ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა, და მოვიდეს ერისთავნი აღმოსავალისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა, ერისთავნი სამშვილდისა და შემოკრბეს მხედარნი სპასპეტისანი და ვიდრე მოსვლადმდე დასავლეთისა ერისთავისა, მოვიდეს ოსნი”** (გვ.55).

ამაზასპ მეფეს შემდგომ განუდგნენ “დასავლეთის ერისთავები” - **“განგდეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთნი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა”** (ქ.ც. I გვ. 57). მათ შეკრეს კოალიცია და შეებრძოლნენ მეფეს, სურდათ ახალი მეფე. კოალიცია „მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისათა” - შეებრძოლნენ ძველ მეფეს.

დასავლეთ ქართლის, ანუ ეგრისის, ოძრხის, კლარჯეთისა და წუნდის ერისთავებს ასევე უწოდებდნენ “ქვემო ერისთავებს”, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ერისთავებს “ზემო ერისთავებს” - „ერისთავნი ზემონი და ქვემონი” (ქ.ც.1. გვ. 217).

საქართველოს ეკლესიის დამაარსებელი წმ. მოციქულთა სწორ მირიან მეფის სამეფო მოიცავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს, ამიტომაც მცხეთელი მთავარეპისკოპოსი თავის იურისდიქციაში მოიცავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს, მატიანე წერს - **”მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს”** (გვ. 65).

მემატიანე წერს, რომ მეფე მირიანის სამეფოს საზღვარი დასავლეთის მიმართულებით გადიოდა შავ ზღვასა და მდინარე ეგრისწყალზე, ამიტომაც მცხეთელი მთავარეპისკოპოსის თავდაპირველი იურისდიქციაც აქამდე - შავ ზღვამდე და მდინარე ეგრისწყლამდე აღწევდა, როგორც ამის შესახებ მატიანე წერს - **”და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრისწყლამდე”** (გვ.70).

ასევე, ეგრისი შედიოდა მეფე მირიანის შვილთაშვილის ვარაზბაქარის სამეფოში. მემეტიანე წერს - **„დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი (თვინიერ კლარჯეთისა) და ჰერეთი და ეგრისი** (გვ.137).

ვარაზბაქარის შვილისშვილის შვილიშვილი იყო წმ. ვახტანგ გორგასალი, რომლის სიყმაწვილის დროსაც მტერმა ქართლის სამეფოს ჩამოაჭრა ეგრისი, შემდგომში წლების შემდეგ, ეს მიწები დაიბრუნა ვახტანგმა და კიდევ უფრო გააფართოვა მისი საზღვრები, კერძოდ ამ

მიმართულებით ქართლის სამეფოს საზღვარი გადატანილი იქნა ეგრისწყლიდან უფრო ჩრდილოეთით და დაიდო მდინარე კლისურაზე.

როგორც ითქვა, მატიანე საზღვრების ცვლილების ამბავს ასე აღწერს - ვახტანგის სიყმაწვილის ჟამს **„გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქვემოთი კერძი ყოველი და დაიპყრეს ეგრის წყალთაგან ვიდრე ციხე-გოჯამდე. მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა... ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან" - ამას იტყოდეს ყოველნი ქართველნი და იყვნეს მწუხარებასა შინა დიდსა"** (ქ.ც. I გვ. 146).

მატიანის ამ ცნობიდან ჩანს, რომ ქართლის სამეფოს საზღვარი ვახტანგის სიყმაწვილის ჟამს გადიოდა მდ. ეგრისწყალზე, ეს მდინარე გადმოულახავს მტერს და დაუპყრია მიწები ეგრისწყლიდან ციხე-გოჯამდე. ეს დანაკარგი ძალზე განუცდია მთელი ქვეყნის მოსახლეობას და ამას თურმე იგლოვდა **„ყოველნი ქართველნი და იყვნეს მწუხარებასა შინა დიდსა"**.



შემდეგში გაძლიერებულმა და გამარჯვებულმა ვახტანგ მეფემ შეირთო მეორე ცოლი - კეისრის ქალიშვილი, რომელსაც მზითვად მოჰყვა ტერიტორია ეგრისწყალსა და კლისურას შუა. ქართლის სამეფოს შეემატა ეს ტერიტორია, საზღვარმა ეგრისწყლიდან გადაინაცვლა და გავლებულ იქნა მდ. კლისურაზე, შესაბამისად ქართლის სამეფოს დასავლეთ საზღვრად ვახტანგის დროს გადაიქცა მდ. კლისურა. ორივე ცოლთან მეფე ვახტანგს ჰყავდა შვილები, მეფე დაჩი - მისი მემკვიდრე პირველი ცოლისაგან, ხოლო მეორე ცოლისაგან შვილებს დარჩათ საერისთავოდ ტერიტორია ეგრისწყალსა და კლისურას შუა, წყარო ამ ტერიტორიას უწოდებს - „დასავლეთ ქართლისა" (ქ.ც. გვ. 205) ე.ი. ვახტანგის ბერძენ ცოლს მოჰყოლია იმპერატორისაგან მზითვის სახით ტერიტორია ეგრისწყალსა და კლისურს შუა, ეს მიწა-წყალი დარჩათ კიდეც მის შვილებს მეფე დაჩის ნახევარ ძმებს. მათ მიიღეს ერისთავთმთავრის ტიტული, ხოლო მიწა-წყალის ეგრისწყალსა და კლისურს შუა ეწოდა „დასავლეთ ქართლისა".

შემდეგშიც, მე-7 საუკუნის დასაწყისისათვის, შავი ზღვის პირზე ბიზანტიასთან ქართლის სამეფოს საზღვარი გადიოდა სპერის ოლქში, ხოლო არაბთა შემოსევის ეპოქაში ქართლის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი გადოდა მდ. კლისურაზე, ამიტომაც წერს მატიანე **„კვლად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირი"** (გვ. 226) და

შემდეგ, **„შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა”** (გვ.235).

მურვან ყრუს შემოსევისას ქართლის მეფეებმა გადალახეს თავიანთი სამეფოს საზღვარი მდ. კლისურაზე და თავი შეაფარეს იმჟამად ბიზანტიაში შემავალ ტერიტორიას. ანაკოფიასთან გამარჯვების შემდეგ, დასვლეთ საქართველოში იქნა გადატანილი **ქართლის სამეფოს სატახტო ცენტრები, ესენი იყვნენ ციხე-გოჯი და ქუთათისი.** ამ ფაქტის სიმბოლოს სახით აქ დაასვენეს ვახტანგ გორგასლისა და მირიან მეფის სამეფო გვირგვინები. ამის მიზეზი ის იყო, რომ თბილისი არაბული საამიროს ცენტრად იქცა და ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს თავს არიდებდნენ ქართლის მეფეები.

ამ ფაქტს აღნიშნავს ქართლის მეფე მირი თავისი ძმის არჩილის წინაშე - მეფე ვახტანგის და მეფე მირის **გვირგვინები “მე და მამამან ჩუენმან დავსდევით ქუთათისს და ციხე-გოჯს”** (გვ. 236). არაბთა შემოსევებამდე ბიზანტიელები ხშირად არღვევდნენ ქართლის სამეფოს საზღვარს მდ. კლისურაზე, მაგრამ არაბთა შემოსევების შემდეგ გადაწყვიტეს დამეგობრება ქართლის მეფეებთან. ამ მიზეზის გამო, წყაროს ცნობით, ბიზანტიელთა კეისარმა უბრძანა თავის ერისთავს აფხაზეთში აღარ დაერღვია ქართლის სამეფოს საზღვარი მდინარე კლისურაზე, რომელსაც ის, ასევე, ეგრისის საზღვარს უწოდებს, ბერძენთა კეისარმა მისწერა თავის ერისთავს აფხაზეთში - **”ყოვლადვე საზღვართა ქართლისათა ჩვენგან ქმნილი არს ვნება... კეთილად პატივს ცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა და ამიერითგან ნუღარამცა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა”** (გვ. 259).

მირ მეფემ, რომელსაც არ ჰყავდა ვაჟიშვილი, თავისი სამეფო გაუყო თავის ძმა არჩილსა და თავის სიძეებს, მან დატოვა ასეთი ანდერძი - ”განუყვენ მათ [ერისთავებს] **ქვეყანანი ქართლისანი**: ნახევარი შენ და ნახევარი მათ, ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა მომიცემია შენდა და გქონდეს საუხუცესოდ **ეგრისი, სვანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია”**. გვ. 241

ამ ანდერძის მიხედვით “ქვეყანა ქართლის ნახევარი” - არის ეგრისი, თაკვერი, არგვეთი და გურია, ანუ დასავლეთ საქართველო, ისაა ნახევარი “ქართლის ქვეყნისა” და ის სამართავად ანუ საუხუცესოდ გადაეცა არჩილს. ქართლის ქვეყნის მეორე ნახევარია აღმოსავლეთ საქართველო კლარჯეთიდან აბოცის ჩათლით.

თბილისში არაბული საამიროს დაარსების შემდეგ, ქუთაისი გადაიქცა ქართლის სამეფოს დედაქალაქად, ამ ფაქტს გამოხატავს ანდერძი მეფე - ერისმთავარ მირისა - **”დაჰფლენ ძვალნი მისნი [სტეფანოს ერისმთვრის] საყდარს ქუთათისს”** (გვ. 241).

თანდათანობით დასუსტდა არაბული ხელისუფლება, კვლავ მოშენდა დასავლეთ საქართველო, ამ ფაქტმა გაამხნევა დასავლეთ საქართველოში გადასული ქართლის სამეფო ხელისუფლება, მათ გადაწყვიტეს ციხე-გოჯი და ქუთაისი, როგორც უკვე აღინიშნა, გადაექციათ თავიანთ სატახტო ქალაქებად, მატიანეს ცნობით მატომაც განაცხადეს ქართლის მეფეებმა - **აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩვენთა კლისურითგან აღმართ, წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათს** (გვ. 242).

მეფე მირის გარდაცვალების შემდეგ არჩილ მეფე, რომელმაც „საუხუცესოდ” მიიღო დასავლეთ საქართველო, დაფუძნდა ეგრისში და იქედან მართავდა ქართლის ქვეყნებს, ამას აღნიშნავს მატიანე - **წარვიდა არჩილ და დაემკვიდრა ეგრისს ვიდრე შორაპნამდე” (კლისურიადან - შორაპნამდე)** (გვ. 243).

არაბთა შემოსევებმა განსაკუთრებით დაასუსტა შიდა ქართლი, შედარებით კარგ მდგომარეობაში იყვნენ ქართლის განაპირა რეგიონები - კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი, მათ წყარო უწოდებს „ქართლის ხევებს” - **„მოოხრებულ იყვნეს ყოველნი ხევნი ქართლისანი: თვინიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა”** (ქ.ც. გვ. 205).

ეს ხევები იყვნენ და არაბთა შემოსევების შემდეგაც დარჩნენ მცხეთელი კათალიკოსის იურისდიქციაში. როგორც აღინიშნა, ვახუშტის ცნობით დაახლოებით 720 წლისათის ჩამოყალიბდა აფხაზთა საკათალიკოსო, რომელმაც მოიცვა ტერიტორიას ლიხის ქედამდე.

ამჟამად მიიჩნევა, რომ აფხაზთა საკათალიკოსო თავის იურისდიქციაში მოიცავდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, სინამდვილეში კი აფხაზთა საკათალიკოსო მოიცავდა გაცილებით დიდ მიწაწყალს, მდინარე ყუბანიდან (მცირე ხაზარეთის წყლიდან) ვიდრე ლიხის ქედამდე. როგორც ითქვა, ქართლის კათალიკოსის იურისდიქცია მეფე ვახტანგ გორგასლის შემდეგ აღწევდა მდინარე კლისურამდე.

მდ. კლისურას იქით ყუბანისაკენ მიმართული ტერიტორია შედიოდა ბიზანტიის გავლენის სფეროში (ბიზანტიას ქართული წყაროები საბერძნეთს უწოდებდნენ).

არაბთა შემოსევებმა და ხაზარეთის კაგანატის გაძლიერებამ დააკნინა ბიზანტიის გავლენა ამ რეგიონში, შესაბამისად, ვახუშტის ცნობით ბიზანტიისაგან გათავისუფლდა უკვე ხაზარული გავლენის სფეროში შემავალი აფხაზთა საერისთავო (სამეფო), ის მოქცეული იყო მდინარე ყუბანსა და ბზიფისწყალს შორის.

მდინარე ბზიფისწყლიდან ვიდრე მდინარე კლისურამდე ბიზანტია კვლავ ცდილობდა თავის გავლენის შენარჩუნებას, იმჟამად, ანუ ხაზარულ ეპოქაში ამ ტერიტორიას, მოქცეულს მდ. ბზიფისწყალსა და კლისურას შუა ეწოდებოდა ალანია, ეს ტერიტორია ბიზანტიისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო და ის აქ ცდილობდა თავისი საეკლესიო გავლენის შენარჩუნებას. ამის მიუხედავად, მას შემდეგ, რაც აფხაზთა ერისთავმა ცოლად შეირთო ქართლის მეფის მირის ქალიშვილი გურანდუხტი, ვითარება ძალზე შეიცვალა. გურანდუხტს მამის ანდერძით უკვე ეკუთვნოდა დასავლეთ საქართველო მდ. კლისურიდან ვიდრე ლიხის ქედამდე - ის მისი მზითვი იყო, ხოლო აფხაზთა ერისთავის ქვეყანა მოიცავდა ტერიორიას მდ. ბზიფისწყლიდან ვიდრე მდ. ყუბანამდე. გურანდუხტისა და ლეონ ერისთავის ამ შეუღლების წყალობით გაერთიანდა ორი ქვეყანა - გურანდუხტისა და ლეონისა, მაგრამ ამ ორ ქვეყანას შორის მდებარეობდა ბიზანტიის ხელდებული ალანია, მოქცეული კლისურასა და ბზიფისწყალს შორის. საბოლოოდ ლეონ პირველმა შეძლო ბიზანტიის ხელდებულ ამ ტერიტორიაზე თავისი მმართველობის დამყარება, მაშასადამე მისი საერისთავო უკვე მოიცავდა ტერიტორიას ლიხიდან ვიდრე ყუბანამდე, ეს მიწაწყალი მოექცა კიდეც აფხაზთა საკათალიკოსოს იურისდიქციაში. როგორც ითქვა აფხაზთა საკათალიკოსოს ჩამოყალიბებამდე ტერიტორია ლიხიდან კლისურამდე მცხეთელი კათალიკოსის იურისდიქციაში შედიოდა, ეს მიწა-წყალი მცხეთამ სამართავად გადასცა აფხაზთა საკათალიკოსოს, რადგანაც როგორც ქართლის, ისე აფხაზთა საკათალიკოსოები ერთიანი ქართული ეკლესიის ნაწილები იყვნენ და ისინი საერთო სჯულისკანონით იმართებოდნენ, ორივეთა ლიტურგიის ენა ქართული იყო, ამის გარდა მათ საერთო საეკლესიო ტრადიციები აერთიანებდათ. არაბთაგან შევიწროებული ბიზანტია მე-10 საუკუნემდე ითმენდა კლისურასა და ბზიბისწყალს შუა მოქცეული ტერიტორიის აფხაზთა მეფეების მიერ მმართველობას, მაგრამ თანდათან ის კვლავინდებურად გაძლიერდა, ამას თან დაერთო ის რომ საქართველოს მეფის გიორგი პირველის ყოფილმა მეუღლემ ალდემ ამ ალანაში მდებარე თავისი საუფლისწულო ანაკოფიის ციხე-სიმაგრე ბიზანტიას გადასცა, მიდმგომ მხარეებთან ერთად. აქ ბიზანტიელებმა კვლავ გააგრძელეს საეკლესიო საქმიანობა, დაახლოებით 40 წლის მანძილზე, შემდეგ კი თურქ-სელჯუკების ასპარეზზე გამოსვლის კვალდაკვალ ბიზანტიამ გრიგოლ ბაკურიანისძის ხელით სამხრეთ საქართველოში ციხეები გადასცა. ამ დროისათვის საქართველომ ანაკოფიაც დაიბრუნა.

ნაკვლევიდან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველო აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებამდე საეკლესიო იურისდიქციის მხრივ შედიოდა ერთიანი ქართული ეკლესიის შემადგენლობაში (და არა კონსტანტინოპოლისა), ეს ეხება დასავლეთ საქართველოს უმთავრეს ნაწილს, რომელიც ქართულ წყაროთა ცნობით შედიოდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში, კლისურა - შავიზღვიდან სომხეთამდე და ალბანეთამდე.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

კირიონ I

ვირიონი, ქართლის (საქართველოს) კათალიკოსი დაახლოებით 599-614 წლებში, დაიბადა ჯავახეთის სოფელ სკუტრში. ბავშვობიდანვე იზრდებოდა და განათლება მიიღო ტრაპეზუნტის მახლობელ ქალაქ ნიკოპოლისში კოლონიის პროვინციისა, რომელსაც რომაელები პირველ არმენიასაც უწოდებდნენ.

ამ რეგიონის ძირითად მოსახლეობას ბერძნებთან ერთად შეადგენდნენ მკვიდრი ქართველები - ლაზები, ქალდები (ხალიბები) და სხვა ქართული ჯგუფები, ქართველთა მრავალრიცხოვნობის გამო, შემდგომში, ტრაპეზუნტის იმპერიის მეთაურს - "ივერთა ავტოკრატორს" უწოდებდნენ (დიდი კომნინები, მართმადიდებლური ენციკლოპედია, VII, გვ. 444. რუს ენაზე).

ქართველები ასევე შეადგენდნენ ძირითად მოსახლეობას მეზობლად მდებარე ტაოს, ბასიანისა და სხვა რეგიონებისა დვინის მიმართულებით (ამიტომაც, შემდგომში ამ ტერიტორიაზე ბიზანტიის იმპერიამ "იბერიის თემი" ჩამოაყალიბა). ჩანს, ეთნიკურ ქართველთა სიჭარბის გამო, განათლების მიღების შემდეგ კირიონმა ამ რეგიონში მოღვაწეობა ინება, მან დაიკავა სომხეთში არარატის გავარის ქორეპისკოპოსისა და დვინის მთავარი "კათოლიკე" მონასტრის წინამძღვრის ხარისხები.

უცხოეთში, აღნიშნულ რეგიონებში (პონტო, იმიერტაო-ბასიანი, აირარატი) მცხოვრები ქართული მრევლი იმჟამად (VI-VII საუკუნეებში) გაყოფილია ორ ნაწილად ბერძნულ და სომხურ ეკლესიათა შორის. აღსანიშნავია, რომ სტრაბონი ამ ტერიტორიას იბერთა უძველეს საცხოვრისად მოიხსენიებს.

იბერთა ამ ტერიტორიის შესახებ სტრაბონი წერს:

"მოგვითხრობენ, რომ წარსულში არმენიის პატარა ქვეყანა გაფართოვდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად. ისინი იყვნენ ანტიოქ დიდის მხედართმთავრები, მისი დამარცხების შემდეგ კი მეფეები გახდნენ. მათ ერთად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, ჩამოაჭრეს რა ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ოლქები. კერძოდ, იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე, რომელიც კირის მეორე მხარესაა, ხალიბებს და მოსინიკებს ჩამოაჭრეს კარენიტი და ქსერქსენე, მცირე არმენიის მოსაზღვრე ნაწილები" (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5).

არტაქსია და ზარიადრი ქრისტეშობამდე 188 წელს მეფეები გახდნენ და ბრძოლებით გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, კერძოდ ხალიბებს ჩამოაჭრეს კარენიტი-კარინის (კარნუ ქალაქის, ანუ არზრუმის) ოლქი, **იბერებისაგან მიიტაცეს** პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე.

პარიადრეს ადგილსამყოფელი ცნობილია, ის ახლოს მდებარეობდა კოლონიას პროვინციასთან, სადაც აღიზარდა **კირიონ I**, ხოლო ცნობას გოგარენეს ადგილსამყოფელის შესახებ თვითონ იძლევა სტრაბონი.

გუგარქი, რომლის კათალიკოსი შემდგომში გახდა კირიონი, და გოგარენე არ იყო ერთი და იგივე ქვეყანა, კერძოდ გუგარქი სომხურ წყაროებში ზოგადად ერქვა აღმოსავლეთ საქართველოს, უფრო ხშირად კი ქვემო ქართლს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. გოგარენე, მისგან განსხვავებით, სტრაბონის ცნობით, მდებარეობდა არა მტკვრის მარჯვენა, არამედ მარცხენა სანაპიროზე, ანუ მტკვრის იქით, "მეორე მხარეს".

პარიადრესა და გოგარენეს შუა (ანუ პარიადრედან მტკვრამდე), ხორძენე მდებარეობდა. ამ მიწაწყლის იბერიული მოსახლეობა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ VIII-IX საუკუნემდე სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა (იგულისხმება იმიერ ტაოს, ბასიანისა და აირარატის მკვიდრი იბერები ანუ ქართველები. **კირიონის** ეპოქაში VI-VII საუკუნეში მათი არმენიზაციის პროცესი გრძელდებოდა და ძირითადად ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული). ამ მიზეზის გამო ქართველები სომხური ეკლესიის წევრები და ზოგჯერ იერარქებიც იყვნენ. როგორც აღინიშნა, **კირიონიც** ქალაქ ნიკოპოლისიდან დვინში გადავიდა და თავისი დამსახურების შესაბამისად აირარატის გავარის ქორეპისკოპოსისა და დვინის კათოლიკე (მთავარი საკრებულო) ეკლესიის წინამძღვრის ხარისხით დაჯილდოვდა.

ამ რეგიონების ძირითადი მკვიდრი იბერიული მოსახლეობა (განსაკუთრებით ტაოსა და ბასიანში) იმთავითვე მიდრეკილი იყო "ბერძნულად" მიჩნეულ ქალკედონიტობის მიმართ, თუმცა მათი ეს მიდრეკილება VI საუკუნის ბოლომდე, ავანის ქალკედონიტ კათალიკოს იოანე კოგოვიტელამდე მკვეთრად გამოხატული არ ყოფილა.

VI საუკუნის ბოლოს (აირარატსა და დვინში მოღვაწეობის მეხუთე წლისთავზე), თავისი გამორჩეულობის გამო კირიონი ქართლს დაუბრუნდა და იგი მცხეთის საკათალიკოსო ტახტზე აიყვანეს.

ივ. ჯავახიშვილი წერს: - კირიონის დროს "ქართული ეკლესიის საზღვრები ვრცლად ყოფილა გადაჭიმული: დასავლეთ-სამხრეთით იგი კლარჯეთსაც მოიცავდა და საზღვრად აქ ტაოს საეპისკოპოზო ყოფილა, რომელიც ამ დროს სომხეთის ეკლესიას კუთვნებია (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, 1, გვ. 340).

დასავლეთის მიმართულებით ქართული ეკლესიის საზღვარი შავ ზღვამდე აღწევდა - "სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათალიკოსის ცნობით, კირიონი წინანდელი წესის თანახმად, ქართველთა, გუგარელთა და მეგრელთა არქიეპისკოპოზად იქმნა ხელდასხმული. გუგარეთი ქართლის კათალიკოსის სამწყსოს ეკუთვნოდა. კირიონის მეგრელთა კათალიკოსადაც აღნიშვნის ცნობა იმის მომასწავებელია, რომ ქართლის, ანუ მცხეთის კათალიკოსის სამწყსოს უკვე დასავლეთ საქართველოშიც ჰქონდა ასპარეზი მოპოვებული და საკათალიკოსოს საზღვარი ლიხთ იმერეთშიც იყო გადაწეული. იმიერ-ამიერ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა და ნიადაგს უმზადებდა გაცილებით უფრო ადრე მომხდარი საეკლესიო ერთობისა და მთლიანობის პროცესი" (იქვე, გვ. 341 - 342).

იოანე კათალიკოსის ცნობით, კირიონი VI საუკუნის ბოლოს დაუსვამთ "ქართველთა, გუგარელთა და მეგრელთა კათალიკოსად, ისევე როგორც წინანდელი წესი მოითხოვდა". აქედან ჩანს, რომ ქართული ეკლესიის იურისდიქცია, ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოზე, არა მხოლოდ VI საუკუნეში, არამედ ადრეც, ე.ი. V საუკუნეში - "წინანდელი წესის თანახმად".

ქართული ეკლესიის წიაღში მყოფ ეგრისში (დასავლეთ საქართველოში), მალევე, აფხაზეთის სამეფოს დაარსებისას, ჩამოყალიბდა საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთ სამიტროპოლიტო ოლქი აფხაზეთის საკათალიკოსოს სახელწოდებით. ეს დაასტურა სახელმწიფო ხელისუფლებამ. წყარო წერს - "ამან ბაგრატ 830 წელს განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს" (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ, 72).

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, V საუკუნის შუა წლებისა და მეორე ნახევრისათვის საქართველოში 21 საეპისკოპოსო ყოფილა. "ჯუანშერი ქართლის კათალიკოსის სამწყსოში ვახტანგ გორგასლის დროს შემდეგ საეპისკოპოზოებს იხსენიებს: მცხეთის საეპისკოპოზოს, კლარჯეთში - ახიზისას, არტაანში - ერუშეთისას, ჯავახეთში - წუნდისას, ქართლში - ნიქოზისას, მანგლისისას, ბოლნისისას, კახეთ-ჰერეთში - რუსთავისას, ნინოწმინდისას, უჯარმოისას, კარისას, ჭერემისას, ჩელთისას, ხორნაბუჯისას, აგარაკისას ანუ ხუნანისას. ამგვარად, სულ თექვსმეტი საეპისკოპოზო გამოდის, მაგრამ ეს სია, ცხადია, სრული არ არის" (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 339).

ივ. ჯავახიშვილი ამ სიას უმატებს ცურტავისა და სამეფო სახლის ეპისკოპოსებს, აგრეთვე რუისის ან ურბნისის, წილკნისა და სამთავისის საეპისკოპოსოებს. "...მაშინ 21 სამწყსო იქმნება და V საუკუნის შუა წლებისა და მეორე ნახევრისათვის ეს რიცხვი დაახლოვებით სწორი უნდა იყოს. უეჭველია V საუკუნის დამლევისათვის მეტიც უნდა ყოფილიყო. 506 წელს ალბანელთა, სომეხთა და ქართველთა გაერთიანებულ საეკლესიო კრებას საქართველოდან კათალიკოსიანად სულ 24 ეპისკოპოზი დასწრებია... რადგან შესაძლებელია, ამ კრებას ყველა ვერ დაესწრო, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ VI საუკუნის დამდეგს ქართული ეკლესია სულ ცოტა 24 საეპისკოპოზოს შეიცავდა. მართლაც, ცნობილი ასურელი მონოფიზიტი მოღვაწის სიმეონ ბეთ-არშამელის (VI საუკუნის დამდეგს) სიტყვით, მის დროს ჰენოტიკონი შეიწყნარეს და მის აღსარებას მისდევდნენ ქართლის ეკლესიის 33 ეპისკოპოზი მეფითა და აზნაურებითურთ და სპარსეთის სომხეთის 32 ეპისკოპოზი და მარზპანი. მაშასადამე, VI საუკუნის დამდეგს აღმ. საქართველოში 33 ეპისკოპოზი ყოფილა" (იქვე, გვ. 339-340).

"ქართული ეკლესიის შედგენილობის შემდეგი ცნობა VII საუკუნის დამდეგისაა, სახელდობრ, **607 წელს დაწერილ თავის მეორე საპასუხო ეპისტოლეში კირიონ ქართლის კათალიკოსი აბრაამ სომეხთა კათალიკოსს სწერდა, ქართლის საკათალიკოსოში სულ 35 ეპისკოპოზი არისო.** ერთი საუკუნის განმავლობაში ქართულ ეკლესიას მოჰმატებია 2 საეპისკოპოზო. ეს გარემოება ქრისტიანობის წარმატებული წინსვლით უნდა აიხსნებოდეს..." (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 341). **გამოკვლეულია, რომ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმ დროისათვის ტაოც შედიოდა, თუმცა ის სომხურ საეპისკოპოსოთა სიაშიცაა. შესაძლებელია, ტაო ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ერთი ნაწილი შედიოდა ქართულ ეკლესიაში, ხოლო მეორე ნაწილი სომხურში.**

VI და VII საუკუნეების, **კირიონის** ეპოქის, ქართული ეკლესიის ისტორია გადმოცემულია თხზულებაში, რომელსაც ეწოდება "განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა". ავტოროზა მიეწერება IX საუკუნის მოღვაწე არსენი მცხეთელ კათალიკოზს. **"განყოფა სომეხთა ქართლისაგან უეჭუელად აღვწერე წიგნსა ამას შინა"** წერს ავტორი (არსენი საფარელი, განყოფისათვის, გვ. 78).

აქ ყურადღება უნდა მიექცეს ავტორის იდეოლოგიურ პოზიციას - არა ქართლი და ქართველები განშორდნენ სომხებს, არამედ პირიქით, სომხები განშორდნენ ქართლს - მართლმადიდებლობას, არამართლმადიდებლები გახდნენ. საქართველო მართლმადიდებელი იყო და ისეთივე დარჩა,

არსენი საფარელი წერს:

"სპარსთა მეფემ (იგულისხმება ხოსრო I) განუცხადა სომხებს: "ერთი ორთაგან გამოირჩიეთ - ან მიიღეთ ასურელთა სარწმუნოება ანდა დატოვეთ თქვენი ქვეყანა. სომხები ძლიერ შეწუხდნენ, მათ არც სარწმუნოების შეცვლა სურდათ და არც ქვეყნის დატოვება. ამ საქმის გადაწყვეტა მიანდეს ნერსე კათალიკოსს (548-557), რომელსაც მიჯნი ერქვა. მოიწვიეს კრება ქალაქ დვინში 551 წელს, მიიღეს ხაჩეცარი და განდგნენ მართალი (ბერძნული) და ჭეშმარიტი სარწმუნოებისგან. ამის გამო ისინი მოწყვეტილ იქნენ წმიდა დიდებულ კათოლიკე და სამოციქულო მსოფლიო ეკლესიისგან. იქვე დვინს განაწესეს არაჯორი, და თქვეს - ეს არის პირველი დღე ჩვენი სარწმუნოებისაო (სომხური წელთაღრიცხვა იწყება დვინის ამ კრებით 551 წელს). სომხეთი განშორდა ბერძნულ სჯულსა და იერუსალიმს. ამის გამო ყოველი ქართლი და სომხეთის მეოთხედი განეყენენ სომეხთაგან მღვდლობის ხელდასხმას, ხოლო ჰერნი და სივნიელნი ერთ პერიოდში განშორდნენ და შემდეგ კვლავ შეერივნენ (ყოველი ქართლი აქ ეწოდება ტაო-ბასიანსა და მიბდებარე რეგიონს, სომხეთის მეოთხედის ქვეშ იგულისხმება - აირარატი და მიმდებარე რეგიონები, რომლებიც მიდრეკილი იყვნენ ქალკედონიზმისადმი). ნერსე II კათალიკოზმა და აზნაურებმა ბრძანეს მეორე დიდი კრების ჩატარება დვინში - მეორე წელს (553-54 წლებში). **ამ კრებაზე შეაჩვენეს ქალკედონის კრება, უწოდეს ნესტორიანული, მიიღეს ერთბუნებიანობა და ხორცითა და უკვდავი ბუნებით ქრისტე ჯვარცმულად იქადაგეს. განსაზღვრეს შეჩვენებით განდგომა მართალი სარწმუნოებისგან.**

ამ კრებამ სომხური ეკლესია ჩამოაცილა ოთხ მსოფლიო საპატრიარქოს, ამით კი დაირღვა წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ანდერძი. ქართველმა კათალიკოსმა **კირიონ მცხეთელმა** (591-615) და ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა (552-596) იხილეს, რომ სომხური ეკლესია კვლავ დვინის იმ კრების ერთგულია, რომელმაც წმიდა მსოფლიო საყოველთაო კათოლიკე ეკლესიას ჩამოაცილა სომხური ეკლესია. როცა ასეთი პრაქტიკა კვლავ აღორძინებული იხილეს კირიონ კათალიკოსმა, ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა და სივნიეთის ეპისკოპოსმა გრიგორმა, შეიქნა დიდი დავა სომხეთსა და ქართლს შორის. ქართველნი ამბობდნენ, რომ საბერძნეთიდან მოგვეცა ჩვენ სარწმუნოება, რომელიც თქვენ დაუტევეთ, აბდიშო ასურს და სხვა ბოროტ მწვალებლებს დაემორჩილენით. ამ მხილების შემდეგ სომხებმა ქართლი დააბეზღეს სპარსთა მეფესთან, რომ ქართველებს რომაელთა სარწმუნოება აქვთო. დავა იყო ქართველთა და სომეხთა შორის საკათალიკოსო ტახტზე მჯდომ აბრაამის დროსაც ისევე, როგორც ნერსე II დროს. ამ დროს განდევნა **ქართლის კათალიკოსმა კირიონმა** მოსე ცურტავის ეპისკოპოსი თავისი ეპარქიიდან, რომელიც წმიდა შუშანიკის საფლავზე იყო. **თხოვა აბრაამმა კირიონს ეს ეპარქია,** ხოლო მან არ მისცა და გადიდდა მათ შორის ცილობა. აბრაამის შემდგომ დაჯდა კათალიკოსად კომიტასი (607-629), უფრო მეტად მოძულე ქალკედონის კრებისა. მისცა შვიდი საეპისკოპოსო ჰერთა კათალიკოსს და შეიერთა ის. მისცა ჯვრის ტარების პატივი სივნიეთის ეპისკოპოსს. ასეთი ხერხით მთელი სომხეთი გააერთიანა ქალკედონის კრების საწინააღმდეგოდ. ათარგმნინა მონოფიზიტ და სხვა მწვალებელ ერესიარქთა წიგნები, გაავრცელა და ამ ტყუილით მთელი სომხეთის ქვეყანა დააჯერა. შეცვალა თავდაპირველი საეკლესიო წესები და კანონები, თვითონ კი ახალი მრუდენი შემოიღო. ამ დროს აიშალა ძველი და ახალი კი ვერ დაამტკიცეს (არ დაინერგა). ამის გამო დღემდე ყოველი კაცი სომხეთში თავის მიერ შექმნილ-გამოგონებულ საეკლესიო კანონებს იყენებს - წერდა ქართლის კათალიკოსი არსენ საფარელი.

VI და VII საუკუნეების, **კირიონის** ეპოქის, ქართული ეკლესიის ისტორია გადმოცემულია ასევე თხზულებაში, რომელსაც ეწოდება "ეპისტოლეთა წიგნი". მასში შემონახულია კირიონ კათალიკოსის წერილები, რომელნიც მან საეკლესიო დავისას მიწერა სომხური ეკლესიის მეთაურებსა და სხვა პირებს, იქვეა პასუხები და მიმართვები. "წიგნი" სომხურ ენაზეა შემონახული. ქართული დაკარგულია.

ეპისტოლეთა წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოსე ცურტავის ეპისკოპოსს.

ცურტავი და მოსი საეპარქიო ოლქი - გუგარქი (ქვემო ქართლი) მცხეთის იურისდიქციაში შედიოდა, აქ თავდაპირველადვე (IV-V საუკუნეებში) ქართულ ენაზე მიმდინარეობდა წირვა-ლოცავა, რაც დასტურდება ბოლნისის სიონის ეკლესიის კედელზე ამოტვიფრული V საუკუნის ქართული წარწერითა და სხვა მსგავსი მასალებით.

VI საუკუნეში ქართული სახელმწიფოებრიობის რღვევამ, დამპყრობელი სპარსეთის მიერ ბიზანტიური მიმართულების, ანუ ქალკედონიტური ქართული ეკლესიის დევნამ, ამავდროულად კი მის მიერვე ანტიბიზანტიური სარწმუნოებრივი მიმართულების მქონე სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიის გაძლიერებამ, ხელი შეუწყო სპარსეთის მოსაზღვრე ქართულ რეგიონებში (მათ შორის ცურტავში) "ქალკედონიტური" (ამ შემთხვევაში ქართული) წირვა ლოცვის აკრძალვასა და მის ნაცვლად სომხურენოვანის შემოღებას. ცურტავის ეპარქიაში სომხურენოვანი ღვთისმსახურება პირველად წმ. შუშანიკის საფლავის ეკლესიაში დანერგილა. ცურტავის საეპარქიო მმართველობა მონოფიზიტობის მხურვალე მხარდამჭერად იქცა, ამიტომაც, მოსე ცურტაველმა ეპისკოპოსმა მიატოვა თავისი ეპარქია, როცა შეიტყო კირიონის (ქართული ეკლესიის) მტკიცე ქალკედონიტობის შესახებ და თავი სომხეთს შეაფარა. ამ დევნის მიზეზად მოსეს მიაჩნია ის, რომ მან "ამხილა" ქართლში არსებული სარწმუნოებრივი მიმართულება

ძალზე საყურადღებოა, რომ მოსემ ერთ რეგიონში (ცურტავში) "ამხილა" ქალკედონიტობა და მას მყისიერად დაემუქრნენ სრულიად ქართლის მთავრები და ეპისკოპოსები, ამას თვითონვე აცხადებს - "...ხმა ავიმაღლე, მტერი გავხდი კათალიკოსად წოდებულისა, ყველა მთავრისა და იმ

ქვეყნისა და ბოლოს ვიდევნე" (ეპიტოლეთა წიგნი, გვ.2). აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ცურტავი ქართლის განუყოფელი ნაწილი იყო.

"ეპისტოლეთა წიგნში" მოყვანილია ქართლიდან ლტოლვილი მოსე ეპისკოპოსის ეპისტოლე ცურტავის ეკლესიის "სომხურენოვანი" თემისადმი, ის გმობს ქალკედონიტობას და აფრთხილებს თავის "სომხურენოვან" მრევლს, ფრთხილად იყოს. "ქურდულად შემოაცოცეს და შემოიღეს მწვალებლობა..." (გვ. 11) - წერს ის. "აწ ესე ყოველი ვიცით რა, საყვარელნო, ვიაროთ სამეუფეო გზით, ნურც მარჯვნივ გადავუხვევთ და ნურც მარცხნივ" (გვ. 12).

"ეპისტოლეთა წიგნში" მოტანილია მეორე ეპისტოლე, სადაც **მოსეს "ქართველთა ეპისკოპოსი"** ეწოდება (გვ. 15). (ამ ეპისტოლეს სრული სათაურია **"მიზეზი ორბუნებიანთა მეოთხე კრებისა, მოსე ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა")**. ამ სათაურიდანაც ჩანს, რომ მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი არის **ეროვნებით ქართველთა** ეპისკოპოსი. მას უწოდებენ **"მოსე ქართველთა მართლმადიდებელ ეპისკოპოსს"**. ეპისტოლეთა წიგნში "მართმადიდებლებად" მონოფიზიტებს მოიხსენიებდნენ. მოსე "მართმადიდებელი" ანუ მონოფიზიტია და არის ქართველთა ეპისკოპოსი. ამ ეპისტოლეს მიხედვითაც მოსეს ეპარქია ქართველებითაა დასახლებული.

აქედანაც ჩანს, რომ ცურტავის "სომხურენოვანი" თემი ქართველების თემია, ოღონდ ამ ქართველებს სომხური ტიპიკონი აქვთ მიღებული, ისინი საეკლესიო დანიშნულებისთვის სომხურ წიგნებს ხმარობენ, ამიტომაც "სომხურენოვანნი" არიან. თვით სომხური ეკლესია მათ ქართველებად მიიჩნევს და არა სომხებად, ამიტომაც მათი ეპისკოპოსი მოსე "ქართველთა" ეპისკოპოსია. ეს არის უეჭველი ფაქტი, დადასტურებული პირველხარისხოვან წყაროში - "ეპისტოლეთა წიგნში", ამიტომაც ამ ფაქტის იგნორირება არ შეიძლება.

საბედნიეროდ პოლიტიკური ვითარება VI-VII საუკუნეების მიჯნაზე კავკასიაში შეიცვალა, აქ გამავალ საომარ ფრონტზე ბიზანტიამ შეძლო სპარსელებზე გამარჯვება და საზღვარი ამ ორ იმპერიას (ბიზანტიასა და სპარსეთს) შორის დაიდო თბილისთან ახლოს. ამ პოლიტიკური მომენტით მარჯვედ ისარგებლა კირიონმა და გუგარქ-ცურტავის მრევლს ეკლესიებში აღუდგინა ქართულენოვანი მსახურება. ამ მომენტმა კიდევ უფრო აღაშფოთა მეორე მხარე, რაც შემდეგმა ეპისტოლემ ასახა.

კირიონისდმი გაგზავნილ თავის ეპისტოლეში სომეხთა კათალიკოს აბრაამს სიკვდილზე უარესად მიაჩნია სომხურენოვანი საეკლესიო მსახურების ნაცვლად ქართულენოვანი მსახურების დანერგვა ქვემო ქართლის ცენტრ ცურტავში. **"...სომხური მსახურება წმიდა შუშანიკისგან დადგენილი, მესმის, რომ შეგიცვლიათ, ჩვენ სიკვდილზე უფრო უბოროტესად მივიჩნიეთ ეგ საქმე" (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 67).**

აქედანაც ჩანს, რომ ცურტავში სომხურენოვანი მსახურება ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ე. ი. IV საუკუნიდან კი არ იყო დანერგილი, არამედ V საუკუნის ბოლოდან, ან VI საუკუნის დასაწყისიდან, წმიდა შუშანიკის საფლავზე ეკლესიის აშენების შემდგომ. ყოველ შემთხვევაში ცურტავის ეკლესიაში სომხურენოვანი მსახურება წმიდა შუშანიკის დადგენილად ითვლებოდა, მაგრამ აბრაამის ეპისტოლე შეეხება არა მხოლოდ ცურტავის ეკლესიას, არამედ მთლიან ქართულ ეკლესიას. ქართულ ეკლესიას ის სომხურ ეკლესიაზე ხელშეკრულებით დაკავშირებულად მიიჩნევს. კირიონს ბრალად სდებს სპარსეთის მეფის კავადის დროს ამ ეკლესიათა შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევას: - "თუმცაღა მეფეთა მეფის კავადის წლებში კვლევა-ძიება იქმნა ჩვენს ქვეყანასა და რომაელთა შორის, რომელთაც ქალკედონის კრება... შეიწყნარეს, ჩვენი და თქვენი ქვეყნების მოძღვარნი და მთავარნი განეშორნენ მათთან ზიარებას, რაც ერთობის წიგნითაც არის დაცული ჩვენ შორის აქამომდე" (გვ. 67).

კირიონთან ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ თავისი წარუმატებლობით იმედგაცრუებული აბრაამი საყოველთაო მრგვლივმოსავლელ ეპისტოლეს აგზავნის მთელ სომხეთში, რომელშიაც გადმოსცემს სარწმუნოების მონოფიზიტურ მრწამსს და გმობს ქალკედონიტობას. ქალკედონიტობა

მთელ ქვეყანაზე გავრცელდაო, წერს ის, - "...მიაღწია ქართლს და ალბანეთს, რომელთაც მყრალი თესლი დიდებით შეიწყნარეს, თვის შორის დაამტკიცეს. კირიონმა ცურტავის ეპისკოპოსი განდევნა მართლმადიდებლური სარწმუნოების გამო ... წმიდა შუშანიკისგან დადგენილი სომხური მსახურება, ჩვენს საწინააღმდეგოდ რომ ამხედრდა, შეცვალა, ამისათვის მივწერეთ..." (გვ. 120).

შემდეგ წერს: "...ჩვენც ვბრძანეთ ქართველთა შესახებ: სრულიად არ ეზიაროთ მათ არც ლოცვაში, არც ჭამასა და სმაში, არც მეგობრობაში, არც დედამძუძუობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში, რომლითაც განთქმულია მცხეთის მიდამოები, არც მანგლისის ჯვარში, ნურც ჩვენს ეკლესიაში მიიღებთ მათ, არამედ მათთან ქორწინებითაც სრულიად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ ვითარცა ურიებს, იგივე ბრძანება უცვლელად რჩება ალბანელთათვისაც..." (გვ. 122).

ასე დამთავრდა ქართული ეკლესიის თავდადებული ბრძოლა ქალკედონური სარწმუნოების დასაცავად სპარს დამპყრობთა ძალადობის პერიოდში. (როგორც აღინიშნა, სპარსელები მონოფიზიტობას ანტიბიზანტიურ სარწმუნოებად მიიჩნევდნენ და მტკიცედ უჭერდნენ მხარს). კირიონმა შეძლო იმ ეტაპზე ქართულენოვანი ტიპიკონი აღედგინა თავის ერთერთ ეპარქიაში - ცურტავსა და მის ოლქში.

XX საუკუნეში, საბჭოთა პერიოდში, ჩამოყალიბდა და გავრცელდა უმართებულო თალსაზრისი, თითქოსდა კირიონმა ცურტაველ და საზღვრისპირეთში მცხოვრებ სომხებს ეკლესიებში ქართულენოვანი მსახურება დაუნერგა და ამით ისინი "გააქართველა". ეს მოსაზრება წყაროების პირდაპირი ჩვენებით არ დასტურდება, პირიქით, როგორც ვაჩვენეთ წყაროები მიუთითებს, რომ კირიონმა ცურტავის ეკლესიებში აღადგინა ქართულენოვანი მსახურება, რადგანაც სპარსთა იძულებით მის ნაცვლად ამ რეგიონში სომხურენოვანი მსახურება იყო დანერგილი, თავდაპირველად წმ. შუშანიკის საფლავის ეკლესიაში შემოიღეს, შემდეგ კი სხვაგანაც. საფიქრებელია, რომ რადგანაც წმ. შუშანიკის საფლავს პოლიტიკურ-რელიგიური მნიშვნელობა მიენიჭა და მას მონოფიზიტობის ცენტრად აყალიბებდნენ, ამიტომაც, ეს რომ არ მომხდარიყო, წმ. შუშანიკის გვამი თბილისში იქნა გადასვენებული, ქარკედონიტობის ცენტრში.

ქართიზაციის საბჭოური თეორიის სქემა არც ამ მიმართულებითაა მართებული. VI-VII საუკუნეებში, სპარსთა მპყრობელობისას, შაჰები სომხურ ეკლესიას სახელმწიფოებრივ დონეზე უჭერდნენ მხარს, მათ მიერ დევნილ ბიზანტიური ორიენტაციის ქართულ ეკლესიას პოლიტიკურად არახელსაყრელ გარემოში არ შეეძლო სხვა, მითუმეტეს იმჟამად გამარჯვებულ-გაბატონებული სომხური ეკლესიის სამწყსოს მისაკუთრება, თავის წიაღში შეყავანა, პირიქით, იმჟამად ქართველთა არმენიზაციის პროცესი იყო გაღრმავებული, მათ შორის ტაო-ბასიანსა და ქვემო ქართლშიც. იმჟამინდელი შაჰი სპარსეთისა ხოსრო II ფარვიზი (გ. 628 წ.), განსაკუთრებით მფარველობდა სომხურ ეკლესიას, მან იერუსალიმისაკენ ლაშქრობისას მოიწვია მთელი თავისი იმპერიის ქრისტიანულ ეკლესიათა ე. წ. "სპარსული კრება" და დაავალდებულა ისინი მიეღოთ "სომხური სარწმუნოება" ანდა იმპერიის საზღვრები დაეტოვებინათ (მიტროპოლიტი ანანია, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", ტ. II, 2012, გვ. 126). სპარს დიდებულთა ერთი გავლენიანი ნაწილიც კი უკმაყოფილო იყო და შეშფოთდა სომხურ ეკლესიასთან ხოსროს უკიდურესი დაახლოების გამო, ამიტომაც მათ ისარგებლეს ჰერაკლე კეისრის სპარსეთში შეჭრის მომენტით - ხოსრო II ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს 628 წელს, მაგრამ იქამდე, კირიონ II სასტიკად დაისაჯა სომხურ ეკლესიასთან დავისათვის, მას, როგორც ჩანს, 614 წლისათვის დაატოვებინეს საკათალიკოსო ტახტი. კირიონი თავისი ბრძოლის დროს ეფუძნებოდა ერთი წმიდა მსოფლიო ეკლესიის ძალასა და ავტორიტეტს, ამის გამო მას უწყვეტი წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიო საეკლესიო ცენტრებთან. მიმოწერა ჰქონია იერუსალიმისა და სხვა ეკლესიების მეთაურებთან, რომის პაპთან.

კირიონ I საქართველოს წმიდა ეკლესიის უდიდესი მოღვაწეა, თუ არა მისი თავდადება და თავშეწირული ბრძოლა ქალკედონიტობის დასაცავად, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, ქართული მრევლის დიდი ნაწილი დაკარგავდა ეროვნულ იდენტობას და არმენიზდებოდა სომხურ ეკლესიაში ისევე, როგორც მოხდა არმენიზაცია ალბანური მოსახლეობისა VII-VIII საუკუნეებში, მას შემდეგ რაც ისინი სომხურ ეკლესიაში გაერთიანდნენ და მათ ალბანურ ეკლესია-მონასტრებში სომხურენოვანი ღვთისმსახურება დაინერგა.

წყარო:

არსენი საფარელი, “განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა”, ზ. ალექსიძის გამოც. 1980.

ეპისტოლეთ წიგნი, ზ. ალექსიძის გამოც. 1968.

უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, ზ. ალექსიძის გამოც. 1975.

ლიტერატურა:

ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I. 1960.

მიტროპოლიტი ანანია, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, 2012, ტ. II.

№ 104
ქრისტეს შემდეგ
(VII ს-ის დასაწყისი)
„ქრისტეს შემდეგ ქ-ნ ე იქმნა კრება მეფეპაპე [680-681]... ამის კრებისა მიერ მრძანეს ესრეთი წმიდისა ეკლესიისა საქართველოსთვის რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატრიარქისა ანტიოქიისა და ერთარს ეკლესიისა საპატრიარქოთა. და იყოს კათოლიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქისა თანა და აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს... საშინაოსა თჳისა ქართლისა, გამოლაშქრებასა, კახეთისა, შაქსა, შირვანსა და მიიღებიან ბრძანებანი ამისა ადგილთა სათა სუანეთისა და ჩერქეზ ჩის სა ზღურაშტის, სრულად ოესეთის და ყოველსა ზედო ქართლისა და სამცხე-საათაბაგოსა“ (ქ.ც. I, გვ. 233). ქ.ი. იოანემდეკანოზი შედის ქართლი, გამოლაშქრება კახეთი, შაქი, შირვანი და მიდგმით-წარმოვლით ამისა ადგილნი (ჩრჩილი-დაღესტანი) სუანეთისა და ჩერქეზის საზღურებამდე, სრულიად ოესეთი (ჩრდილო კავკასია) და ყოველი ზედო ქართლი სამცხე-საათაბაგო (ე.ი. მინა-წყალი ბერაპე ბურნაშიდე ვალაშეკურების ჩათვლით).
იოანე სომებთა კათალიკოსის ცნობით, კირიონ მცხეთის კათალიკოსი ამბავს დროს იყო ეგრისის არქიეპისკოპოსი.
მცხეთა – საკათალიკოსო ცენტრი კირიონ I-ის დროს
აირარეთის პრივილეგია, სადაც კირიონ I იყო ქორეპისკოპოსად ქართლში გაკათალიკოსობამდე
სეფერი – ჯვარძეთის სოფელი, სადაც დაიბადა კირიონ I (სეფერი-კოლეტი-კოთელა)
ქ. ნიკოპოლისი – ქალაქ კოლონიასთან ახლოს, სადაც კირიონ I-მა ახალგაზრდობის წლებში მიიღო საღვთის მეცნიერული განათლება (15 წელი სწავლობდა)
საეკლესიო ეპარქიის პირობითი საზღვარი (ეპარქიები, ვანძოებრივ გამოსახული, მეფეპაპეროვილი შემდეგდროინდელ ანაპეთან)
ქართველი და უცხოური წყაროები ადგილის უძველესი საკათალიკოსოს მიმდებარე ტერიტორიის საკათალიკოსოს. მისი საზღვრები „მცხეთაში სასჯელთისა“ და „პიჭვინთის იღდგარის“ პუნქტს კავშირდებოდა და ოჯუალის საზღვრებად. კავკასიონის ქედებით ყორის ნაბეღლარებით ყურძნის ლაზე, გასწვრივ ზღვისპირეთის შემდეგნაირად: „კათალიკოზის საკუთარი ღიხსა და ჯავახეთის საკათალიკოსოს ქვეშ ჩრდილოეთით ანანია ჯაფარიძე, 2013
მასშტაბი 1:4.500.000
© მიგრაციების ატლასი საქართველოს

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ფიქრი ვეფხისტყაოსანის ღვთისმეტყველების შესახებ

(სიტყვა წარმოთქმული საერთაშორისო კონფერენციაზე - ვეფხისტყაოსნის 850 წლისთავი)

ბატონო თავმჯდომარე, ბატონებო და ქალბატონებო,

რუსთველი პოეტთა შორის დიდებული ღვთისმეტყველია, მან შეძლო აღმატებული სიტყვიერებით ედიდებინა უფალი ღმერთი. მისი ღვთისმეტყველება მთლიანად ეფუძნება წმიდა წერილს, კერძოდ კი წმიდა წერილის გამორჩეულ წიგნებს - შესაქმესა და ფსალმუნებს, მოციქულთა ეპისტოლეებს.

უკვდავი პოემა იწყება ღვთის დიდებით და ის მხატვრული სიტყვის გამოყენებით აფერადებს წმიდა წერილს, რაც ზოგადი უნარია პოეზიისა. ამიტომაც წერს, რომ პოეზია სიბრძნის ერთ-ერთი დარგია -

"საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი,
მსმენელთათვის დიდი მარგი".

პოეტური სიტყვით გამოთქმული წმიდა წერილი საამო მოსასმენია გონიერი კაცისათვის, ამიტომაც წერს -

„კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი",

რუსთველის გარდა იმავეს წერენ ჩვენი უდიდესი პოეტები თეიმურაზ პირველი და არჩილი. თავის პოემაში მეფე არჩილი ასე ათქმევინებს რუსთაველს -

„საქართველო სავსე არის,
ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს,
ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ,
ანუ ვისცა გული უწუხს".

იმავეს ამბობდა მეფე თეიმურაზი რუსთაველის შესახებ - მის პოემას უვლიან, პატრონობენ, მასზე ზრუნავენ, ის ხელიხელ საგოგმანებელი წიგნია, ამკობენ კარგი ყდით, ინახავენ საგანგებო ბუდეში, ის სახალხო წიგნია, საზოგადოების ყველა ფენა მისით სულდგმულობს, ის ამხნევებს და ძალას აძლევს ქართველობას.

ამ ფაქტს იმით ხნის ორივე პოეტი, რომ რუსთველი მხატვრული სიტყვით გადმოცემს საღვთო სიტყვას, რაც, როგორც ითქვა, საამო მოსასმენია.

მაგალითად დაბადების ტექსტში ნათქვამ ფრაზას -

"შექმნა ღმერთმან სამყარო" (დაბად.1.7), რუსთველმა ასეთი მხატვრული სახე მისცა - "რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა".

დაბადების მეორე ცნობილი ფრაზა შექმნასთან დაკავშირებული -

"შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი სულად ცხოველად"(დაბად,2,7), რუსთველმა ასე ჩამოაყალიბა მხატვრული სიტყვით - "ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა".

უფალმა შესაქმეს თანახმად ადამიანს უბოძა მრავალფეროვანი ქვეყანა და დაადგინა ყველა არსების უფლად, ადამიანი ასე აკურთხა -

"აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას", რუსთველმა მცირე მხატვრული ფორმით ეს სიტყვები ასე ჩამოაყალიბა - "ჩვენ კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა".

წმიდა მოციქულ პავლეს მიერ გამოთქმული სწავლება - „ხელმწიფენი - ღმრთისა მიერ განწესებულ არიან"(რომ.13,1) - რუსთაველმა ასე გარდაქმნა - "მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა".

უფალმა ღმერთმა ყოველ ცოცხალ არსს თავისი ინდივიდუალური სახე მისცა, ამქვეყნიურ სამყაროში ადამიანის მოვალეობაა ებრძოლოს საცდურს, ცოდვას - სიყვარულის გზით, მოემზადოს იმქვეყნიურ, სულიერ სამყაროში გადასავლელად, იმქვეყნად ადამიანის სულის დამამძიმებელია

ამ ქვეყნად ჩადენილი ცოდვები, მაგრამ მას, ხორციელ არსებას უჭირს ცოდვებთან ბრძოლა, ამიტომ ევედრება უფალ ღმერთს რათა შეუმსუბუქოს ცოდვები - ეს ყოველივე რუსთველმა ულამაზესი სიმარტივით გადმოგვცა -

“ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა''.

რუსთაველის პოემა სიყვარულის პოემაა, ღმერთი სიყვარულია, ამიტომაც სიყვარული მარადიულია, პოეტი ამასთან დაკავშირებით ახსენებს ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს წმიდა მოციქულებს, ეპისტოლეებში მოციქულები სიყვარულს განადიდებენ, რუსთაველი ამბობს -

“წაგიკითხავს ?
სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ!
ვით იტყვიან, ვით აქებენ?!
ცან, ცნობანი მიაფერენ.
“სიყვარული აღგვამაღლებს'',
ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ...''

ამის მოსმენისას ასევე გვახსენდება მოციქულის ნათქვამი -

“...სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ“.

რუსთაველის პოემის მიმართ ქართველთა სიყვარული კიდევ უფრო გამძაფრდა ურთულეს XV-XVII საუკუნეებში, მძიმე დროს, როდესაც პატარპატარა სამეფო-სამთავროებად დაიწყო დაშლა კავკასიაში უძლიერესმა საქართველოს სახელმწიფომ, რასაც თან სდევდა ქართველი ხალხის დენაციონალიზაცია ოსმალთა და სპარსელთა მიერ ხელდებულ ქართულ რეგიონებში.

ამ ურთულეს დროს დაშლილ-დანაწევრებულ ქართველ ხალხს მხოლოდ საქართველოს ეკლესია და ქართული კულტურა აერთიანებდა.

ქართველთა ერთერთი გამაერთიანებელი იყო უკვდავი ვეფხისტყაოსანი, მისი ტკბილქართული სიტყვა, მისი ფრთიანი ფრაზა -

„არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამციროზა”.

რუსთველი იყო საქართველოს ეკლესიის საუკეთესო შვილი, ამიტომაც მისი ზრუნვის საგანი ღრმა მოხუცობის დროსაც იყო მსახურება და შემკობა ქართული ეკლესიისა, იერუსალიმში მან ხელახლა მოახატინა ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძარი.

პირადად რუსთველს წმიდა ეკლესიამ დადო უდიდესი პატივი, მისი ღვთის მადიდებელი გამოსახულება დაახატინა იერუსალიმის ქართულ მონასტერში, მსოფლიო ეკლესიის წმიდადათა ფრესკაზე, აქ მისი სახე გამოხატეს დიდი წმიდანების რიგში.

მე-18 საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფო ტახტის გამგებლად დავით გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის ბერის სულხან-საბა ორბელიანის მიერ გაზრდილი ვახტანგ მეექვსე დაინიშნა, რომლის სახელს უკავშირდება ”ვეფხისტყაოსნის” პირველი ბეჭდური, მეცნიერული გამოცემა 1712 წელს.

ვახტანგი პოემის ღრმა ანალიზით მივიდა დასკვნამდე, რომ ვეფხისტყსოსანი - საღვთო სწავლაა, მასში გადმოცემული მიჯნუროზა ალაგორიული სახეა ღვთისადმი სიყვარულისა, მან დაასკვნა, რომ ვეფხისტყაოსანი სრულყოფილი ქმნილებაა, ხოლო შოთა ბრძენი მეცნიერი.

საქართველოს დედა ეკლესიაში შოთა რუსთველს მუდამჟამს მიაგებდნენ დიდ პატივს.

გამოკვლეულია, რომ პირველად რუსმა ევგენი ბოლხოვიტინოვმა შეთხზა ცილი და შემდეგ მისი გავლენით პლატონ იოსელიანმა გაავრცელა ცნობა, თითქოსდა ვეფხისტყაოსანს ფიზიკურად ანადგურებდნენ საეკლესიო პირები.

მე-19 საუკუნეში, როდესაც საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა, დაკარგა სამეფო ტახტი და ავტოკეფალია, ამ სიცრუეს მონდომებით ავრცელებდა რუსული საიმპერიო ხელისუფლება ქართული ეკლესიის ავტორიტეტს დამცროზის მიზნით.

რუსთა ბატონობის ამ სასტიკ დროს მოჯანყე ქართველი ხალხი ითხოვდა საპატრიარქო ტახტის აღდგენას, ხალხს ეროვნულ გმირებად და წმინდანებად მიაჩნდა ძველი პატრიარქები, ასეთ დროს რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ძველი ქართველი პატრიარქების სახელის დაკნინება, ამიტომაც შეითხზა ცნობა, თითქოსდა - უდიდესი ქართველი მეცნიერი კათლიკოს-პატრიარქი ანტონ პირველი - ვეფხისტყაოსანს წვავდა და მტკვარში ყრიდა, ეს სიცრუე ასევე აიტაცეს მე-20 საუკუნეში საქართველოში ათეისტების ბატონობის დროს.

სინამდვილეში ანტონ დიდი კათალიკოსი დიდად აფასებდა ვეფხისტყაოსანსა და მის ავტორს, ის წერდა -

„შოთა ბრძენ იყო
სიბრძნისმოყვარე ფრიად
თუ სამ სწადოდა (თუ ინებებდა)
ღვთისმეტყველიცა მაღალ".

ამავე ეპოქაში ასევე გავრცელდა უმართებულო მოსაზრება თითქოსდა რუსთაველი მუსულმანი იყო.

ზ. გამსახურდია აღნიშნავს - "ნიკო მარი და იუსტინე აბულაძე, - ვეფხისტყაოსნის ავტორს მუსულმანად თვლიდნენ".

მეცნიერ რუსთველოლოგთა თაობები ამის შემდეგ ცდილობდნენ გაებათილებინათ ნიკო მარის თავალსაზრისი რუსთაველის მუსულმანობის შესახებ.

ეს მომენტი ასე ახსნა პავლე ინგოროყვამ, ვეფხისტყაოსნის გმირები აღიარებდნენ იმ სარწმუნოებას, რომელი აღმსარებლობაც მათ ქვეყანაში იყო გავრცელებული.

მაგალითად - ავთანდილი არაბია, შესაბამისად ის აღიარებს არაბულ სარწმუნოებას ანუ ისლამს და მისი ლოცვაც შეესაბამება ისლამს, ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ინდოელია - ამიტომ ისინი ცეცხლთაყვანისმცემელთა ღვთისმეტყველების შესაბამისად ფიქრობენ და მსჯელობენ, ამ რელიგიის მიხედვით სული განწმენდის გზაზე გაივლის სხვადასხვა სტიქიებს, მათ შორის ცეცხლის სტიქიას, ამ დროს ნესტანის სიტყვით, სული დაბრწის ამ სტიქიათა შორის, მისი მსჯელობით ასეთი ბედი მოელის მის სულსაც, ხოლო რაც შეეხება ავტორს, რუსთაველი, პავლე ინგოროყვას კვლევით - თვითონ, პირადად, იყო ქრისტიანი ღვთისმადიდებელი, ხოლო, მისი პოემის გმირები, როგორც ითქვა, სხვადასხვა სარწმუნოებრივი აღმსარებლობის მქონენი არიან.

რუსთაველი უდიდესი მოაზროვნეა, მისი ქმნილება ქართული სიტყვიერების მწვერვალია, ჩვენ ვლოცულობთ რათა ქართველმა ერმა კვლავ შეძლოს ვეფხისტყაოსნის მსგავსი და უკეთესი ქმნილებების შექმნა, რათა უკუნისამდე ადიდოს უფალი ღმერთი, ამინ.

11.11.2016

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ალბანეთის (კავკასიის) ეკლესია

ალბანეთი (ქართ. რანი; სომხ. ალუანქ; სირ. არან; არაბ. - სპარს. არ-რანი), ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო იყო კავკასიაში, რომლის ტერიტორია დაახლოებით ემთხვევა თანამედროვე აზერბაიჯანს და დაღესტნის რესპუბლიკის (რფ) სამხრეთ ნაწილს.

ანტიკური ავტორები (სტრაბონი) ალბანელების განსახლების არეალად წარმოადგენენ ტერიტორიას, მოქცეულს კავკასიონის ქედსა და მტკვრის ქვემო დინებას შორის კასპიის ზღვის სანაპიროზე, შემდგომ საუკუნეთა წყაროები არ იძლევიან საშუალებას ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს კავკასიის ალბანეთის საზღვრები, რადგანაც ალბანელების განსახლების არეალი მნიშვნელოვნად შეიცვალა ისტორიულ ალბანეთში მასქუთების (მასაგეტების) ჩასახლების შემდეგ (ახ.წ. I-II საუკუნეებში). ქრისტეს შობამდე II საუკუნეში ალბანეთის 26 ტომის გაერთიანებით წარმოიქმნა ალბანეთის სამეფო.

I-II საუკუნეებში ალბანეთის ძირითად ნაწილში ჩასახლებულმა მასქუთებმა ჩამოაყალიბეს სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო ქ. ჩოლი (ჩორი). მასქუთების დასახლების სიღრმე კასპიის ზღვიდან მტკვარ-არაქსის შესართავამდე აღწევდა. ამ ადგილამდე მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხრიდან აღწევდა ჰერეთის, ხოლო მარჯვენა სანაპიროს მხრიდან - რანის ოლქის საზღვრები.

პლინიუს უფროსის მიერ ნახსენები ალბანელების მასქუთებამდელი დედაქალაქი კაპალაკი კასპიის ზღვასკენ მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ეს არ იყო თანამედროვე ქალაქი ყაბალა, რომელიც ისტორიულად ჰერეთის ოლქში მდებარეობდა).

პლინიუსის ცნობით, ალბანელებს იბერებისაგან მდინარე ოკაზანი ჰყოფდა. მდ. ოკაზანი მდ. თეთრწყლის, ანუ აღსუს ძველი სახელი უნდა იყოს. თუმცა ივარაუდება, რომ ოკაზანი, შესაძლოა ალაზნის სახელი იყო.

პლინიუსისავე ცნობით, კავკასიის მთებიდან ჩამომდინარე მდ. ოკაზანი მტკვარს მარცხენა მხრიდან უერთდებოდა.

ამ რეგიონში მტკვარს მარცხენა მხრიდან უერთდებიან მდ. აღსუ, გოიჩაი და ალაზანი. ალაზანთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ამ მხრიდან ალაზნის მთავარი ტოტია მისი შენაკადი აგრიჩაი. შესაძლოა, აგრიჩაი, ალაზნის უმთავრესი შენაკადი ამ მხარეს, ერთმანეთისაგან აშორებდა ალბანეთსა და იბერიას და მას ერქვა ოკაზანი.

პლინიუსი წერს: всю равнину, начиная от реки Кура, заселяют племена албанов, а затем иберов, которые отделены от первых рекой Оказаном, текущей с Кавказских гор в реку Кир"... (Подосинов А.В., Скржинская М.В. Римские географические источники - Плинии Старшии «Естественная история», кн. VI, XI.29. М. 2001).

პლინიუსის ცნობისაგან განსხვავებით მინგეჩაურის წყალსაცავის ავსებამდე ალაზანი მტკვარს არ უერთდებოდა უშუალოდ, არამედ მდ. იორს. იორ-ალაზნის ნაერთი მდინარე უერთდებოდა მტკვარს. ძნელი სათქმელია, რომ ალაზანი და იორი მთებიდან გამოედინებიან, მაგრამ ალაზნის შესართავი აგრიჩაი მთებიდან გამოედინება, ასევე მთებიდან გამოედინება აღსუ და გოიჩაი. ამიტომაც პლინიუსის ცნობა მათ უფრო ესადაგება, ამ სამიდან ერთ-ერთის სახელი უნდა ყოფილიყო ოკაზანი.

ძვ.წ. I საუკუნეში ქართლის სამეფომ ალბანეთისგან დაიბრუნა ჰერეთი (იხ. ჰერეთი).

მასქუთების ჩასახლების შემდეგ ალბანელების კულტურულ-პოლიტიკურმა ცენტრებმა მათი განსახლების ძირითადი რეგიონიდან (კასპიისპირეთიდან) უფრო ჩრდილო-დასავლეთით, რანისა და ჰერეთის მიმართულებით გადაინაცვლა. ალბანთა ტომები დასუსტდნენ, მათი საცხოვრისის უმთავრეს კერად საქართველოს საზღვრებთან მდებარე შემდეგდროინდელი რანი იქცა.

ამის შემდეგ ალბანეთად ძირითადად მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორია იწოდებოდა, რომელსაც ქართველები რანს უწოდებდნენ.

სავარაუდოდ, კასპიის ზღვისპირეთიდან მიგრირებული ალბანელების ჩასახლებამდე რანის ოლქი, მსგავსად ჰერეთისა, ქართულენოვანი ტომებით იყო დასახლებული. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მოვსეს ხორენაცისა და მის მიერ დამოწმებული აგათანგელოზის ცნობები იმის თაობაზე, რომ წმ. ნინომ იქადაგა ქართველთა შორის "ვიდრე მასქუთებამდე": **"სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან - დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის**

კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ". მასქუთებამდე, ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე კი რანისა და ჰერეთის ოლქები მდებარეობდნენ. შესაბამისად, ხორენაცისა და აგათანგელოზის ცნობებით, ისინი ქართველებით ყოფილა დასახლებული ჯერ კიდევ IV საუკუნეში წმ. ნინოს ქადაგების დროს.

სომხური წყაროებით ალბანეთად უკვე მასქუთებით დასახლებული მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა მიიჩნევა კასპიისპირეთიდან კავკასიის მთებამდე. შემდეგდროინდელი ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია მთელ აღნიშნულ, მასქუთებითა და ასევე ეთნიკური ალბანელებით დასახლებულ მიწა-წყალს მოიცავდა ჩოლის, კასპიისპირეთისა და რანის რეგიონების ჩათვლით.

ეთნოდემოგრაფიული სურათი, როგორც აღინიშნა, შეცვალა ალბანეთის უმთავრეს ნაწილში, ანუ კასპიისპირეთში მასქუთების ჩასახლებამ. ალბანური მოსახლეობა ორად გაიყო. ძირითადი ნაწილი რანის ოლქში აღმოჩნდა დასახლებული, მცირე კი ჩოლის რეგიონში კავკასიის მთებისაკენ. მათ **ლფინებს, ჭილბებსა** და სხვადასხვა სახელებს უწოდებდნენ.

ქრისტიანობის გავრცელებამ ხელი შეუწყო აღნიშნული მიწა-წყლის მრავალეთნიკური მოსახლეობის კონსოლიდაციას. ამავე დროს ეს პოლიეთნიკურობა იქცა იმის მთავარ მიზეზად, რომ ვერ ჩამოყალიბდა და ვერც გავრცელდა ყველასთვის ერთი საერთო ალბანური ენა და კულტურა.

ალბანეთის ეკლესია ერთ-ერთი უძველესი იყო კავკასიაში. ქრისტიანული ტრადიციით, ქრისტიანობა აქ იქადაგა მოციქულთა მოწაფემ ელისემ (ელიშემ). მის შესახებ არსებობს ორი გადმოცემა: პირველი გადმოცემის მიხედვით, ალბანეთში ქრისტიანობა შევიდა უშუალოდ იერუსალიმიდან სომხეთის გვერდის ავლით განმანათლებელ ელისესგან, რომელიც იყო უფლის ძმის, იაკობის, მოწაფე. ეს გადმოცემა მიუღებელი გახდა VII საუკუნეში მას შემდეგ, რაც ალბანეთის ეკლესიამ თავისთავადობა დაკარგა და სომხური ეკლესიის ნაწილად იქცა. მეორე, ახალი, ვერსიით ელისე იყო სომხეთის განმანათლებელ წმ. მოციქულ თადეოზის მოწაფე და მხოლოდ შემდეგ შეხვდა ის მოციქულ იაკობს. კერძოდ, სომხეთში წმ. მოციქულ თადეოზის ქადაგებათა შემდეგ მისი მოწაფე ელისე იერუსალიმში დაბრუნებულა, მიუღია კურთხევა ეპისკოპოს იაკობისგან, უფლის ძმისაგან და დაბრუნებულა უკან ალბანეთში, სადაც ჩორის ციხე-სიმაგრესთან ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება დაუწყია. "მასქუთების მხარეში" მოციქული ელისე წამებით აღსრულებულა. ის იქცა ალბანთა ქრისტიანობის სიმბოლოდ. ორივე ვერსიას გადმოგვცემს მოვსეს კალანკატუაცის (VII ან X საუკუნე) "ალვანთა ქვეყნის ისტორია". III საუკუნის ალბანეთი ირანის ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა. ალბანეთს მართავდა ირანის შაჰებს დამორჩილებული ადგილობრივი დინასტია. IV საუკუნის ალბანეთის მეფე ურნაირი განუდგა სპარსელებს, ჩავიდა სომხეთში და საკუთარ დიდებულებთან ერთად მოინათლა. ქრისტიანობა მის სამეფოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

ამ პერიოდში, სომხური წყაროებით, ისტორიული ალბანეთის დიდ ნაწილში მტკვარ-არაქსის შესართავიდან (შემდეგდროინდელ შამახადან) კასპიის ზღვამდე, მასქუთების მხარეში ქრისტიანობა გრიგოლ განმანათლებლის შვილიშვილს გრიგორისს უქადაგია და მასქუთთა ხელით მოწამეობრივად აღსრულებულა. წყაროებში ეს გრიგორისი მოიხსენიება ივერიისა და ალბანეთის ეპისკოპოსად.

აღსანიშნავია, რომ იმჟამად მასქუთების ქვეყნის მოსაზღვრე ჰერეთი და რანი ჯერ კიდევ მიიჩნეოდა იბერიის (ივერიის) ერთ-ერთ ნაწილად და ამიტომ ისიც იბერიად იწოდებოდა. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ისიც, რომ შემდეგდროინდელ ჰერეთის დედოფალ დინარს რუსული წყაროები ივერიის დედოფალს უწოდებდნენ (როგორც ჰერეთის დედოფალ დინარს, ასევე მტკვარ-არაქსის შესართავამდე მდებარე ჰერეთში მქადაგებელ გრიგორისს, იბერიის ეპისკოპოსს უწოდებდნენ). V საუკუნის 10-იან წლებში ალბანეთის დედაქალაქი იყო მტკვრის მარჯვენა

სანაპიროზე მდებარე ქალაქი ფაიტაკარან-ბაილაკანი, სადაც მცხოვრებ გარგარელთა ენა მიღებულ იქნა ალბანურ სალიტერატურო ენად (ზ. ალექსიძე).

შემდეგში, V საუკუნის შუა წლებში, ალბანეთის სახელმწიფოს აღდგენისთანავე - ალბანეთის მეფეებმა ალბანეთის ახალი დედაქალაქი კვლავ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დააფუძნეს. მეფე ვაჩე II (444-463) ალბანეთის დედაქალაქი პარტავი (ბარდავი-ბარდა) მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ააგო. ეს ქალაქი იქცა ალბანეთის კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრად, ამის გამო შეიცვალა საეკლესიო-სალიტერატურო ენაც. იქაური (ე.ი. არანული) ენა იქცა ალბანელთა სალიტერატურო ენად (ზ. ალექსიძე).

სპარსეთი ცდილობდა კავკასიელ ქრისტიანებში ზოოასტრიზმი დაენერგა. ამ მხრივ სპარსეთის პოლიტიკა განსაკუთრებით გააქტიურდა შაჰ იეზდიგერდ II დროს, რასაც მოჰყვა კავკასიელ ხალხთა მძლავრი ანტიირანული აჯანყება (450-451). აჯანყების მეორე ეტაპზე აჯანყებულმა ალბანელებმა შესძლეს ჩოლის (ჩორის) გადასასვლელის დაჭერა კასპიისპირზე, მაგრამ მალე სპარსელებმა დაქირავებული ჰუნ-ონოგურების დახმარებით მოახერხეს ალბანელთა წინააღმდეგობის გატეხვა და მისი დამარცხება. 462 წელს მათ გააუქმეს ალბანეთის სამეფო და შექმნეს სამარზაპანო, რომელშიც შევიდა ალბანეთის კასპიისპირა პროვინციები, ასევე არცახი, უტიკი და უტიკის ჩრდილოეთით მდებარე ქართული მიწა-წყლის ერთი ნაწილი თბილისის მიმართულებით, ჰერეთთან (ყაბალას რეგიონი) ერთად.

ალბანეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ სპარსი მარზაპანებიც 30 წლის მანძილზე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ისხდნენ.

არაბობამდელ ეპოქაშიც ალბანეთის ძირითადი ნაწილი მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანას და უსაფუძვლოა ზოგიერთ იმ ისტორიკოსთა მტკიცება, რომელიც ალბანეთს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და ალაზნის ხეობაშიც კი ათავსებენ.

ვაჩე II ნათესავმა ვაჩაგან III (487-510) აღადგინა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ალბანთა სამეფო. 551 წელს ალბანეთის ეკლესიის მეთაურმა მიიღო კათოლიკოსის ტიტული. პირველი კათოლიკოსი იყო აბასი, რომლის კათედრა პარტავში იყო. "ეპისტოლეთა წიგნის" მიხედვით, ალბანეთში იყო შემდეგი საეპისკოპოსოები: პარტავის, ჩოლის, კაპალაკის, ამარასის, ხაშუს, ტალაძანკის და სალიანის.

ვაჩაგან III გარდაცვალების შემდეგ ირანელებმა ისევ სამარზაპანო შექმნეს, რომელშიც ჰერეთიც შედიოდა. სამარზაპანოში ჰერეთის შეყვანის გამო VI საუკუნიდან ქართული წყაროები მთელ ალბანეთს ჰერეთს უწოდებენ.

VI საუკუნეში ალბანეთი ქართლთან და სომხეთთან ერთად სპარსეთის მმართველობის ქვეშ მოექცა, VII საუკუნის ბოლოსათვის კი - არაბებისა.

VII საუკუნის ალბანეთში პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვა უტიკის (გარდმანის) ოლქმა. მისი მმართველი ჯუანშერი (640-680) ისევე, როგორც მისი მემკვიდრე ვარაზ-თრდატი, მართლმადიდებლები (ქალკედონიტები) იყვნენ, ამის გამო 705 წელს ვარაზ-თრდატი ქრისტიანობის მდევნელმა ქვეყნის მპყრობელმა არაბებმა თანამდებობიდან გადააყენეს და არანი (ანუ ალბანეთი) უშუალოდ ხალიფატის შემადგენლობაში შეიყვანეს, კერძოდ, სახალიფოს იმ პოლიტიკურ ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელსაც არმინია ერქვა და რომლის ცენტრი იყო ქ. დვინი.

დვინის სომხური საკათოლიკოსო გაძლიერდა და ახლა ალბანეთის ეკლესიასაც აკონტროლებდა, ვითარცა არმინიაში შემავალი ერთ-ერთი ოლქის ეკლესიას.

არმინიის შემადგენლობაში ალბანეთი (არანი) დარჩა თითქმის IX საუკუნის ბოლომდე.

არაბებმა, რომლებიც ბიზანტიის საპირისპიროდ სომხეთში მონოფიზიტობას მფარველობდნენ, აიძულეს ალბანელები სომხური აღმსარებლობა გაეზიარებინათ.

VII საუკუნის ბოლოს, როგორც მოვსეს კალანკატუაცის შრომიდან ჩანს, არაბულმა ხელისუფლებამ ალბანური ეკლესია სასტიკად დასაჯა პრობიზანტიური, ანუ ქალკედონური

მიმართულებისათვის და ის სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას დაუმორჩილა. ამის შემდგომ კიდევ უფრო გაღრმავდა ალბანეთის მოსახლეობის არმენიზაცია, რასაც მოსახლეობის ნაწილის ისლამიზაცია ერთვოდა.

მოვსეს კალანკატუაციის მიხედვით, "ალბანეთის საკათალიკოსო ტახტზე ავიდა ქალკედონიტი ნერსესი გარდმანის (უტიკის) ეპისკოპოსი. მას მხარს უჭერდა ალბანეთის ქალკედონიტი დედოფალი სპარამი, ვარაზ-თრდატის მეუღლე. სომხეთის კათოლიკოსმა ელიამ ამ ამბის შეტყობინებისთანავე ნერსესს არაბებთან უჩივლა. არაბ ხელისუფალს სომეხთა კათოლიკოსმა მიწერა: "სომხეთი ღმერთის ნებით არაბებს ემორჩილება და ემსახურება, ალბანელები და სომხები ქრისტიანები არიან, მაგრამ ალბანელთა კათალიკოსი, რომელიც პარტავში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა იმპერატორს, იხსენიებს მას ლოცვებში და ალბანელთა ქვეყანას აიძულებს, მიიღოს ბიზანტიური სარწმუნოება". სომეხთა კათოლიკოსმა მოუწოდა ამირას, რომ ალბანელი ქალკედონიტები დაესაჯა, რაც ამირამ სიამოვნებით აღასრულა და სომეხთა კათოლიკოსს შეატყობინა, რომ ალბანეთში გაგზავნა დიდი ჯარი, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ქალკედონიტი ალბანელები სომხურ სარწმუნოებაზე მოექცია. ამ მეომრებმა "...ჩვენი ხელისუფლებისაგან გამდგარი ალვანელები თქვენი სჯულის მიხედვით სიმართლეზე უნდა მოაქციონ".

იმავე წერილში არაბი ამირა წერს სომეხთა კათოლიკოსს: "ჩვენი მსახური შენს წინაშე პარტავში სისრულეში მოიყვანს სასჯელს, ნერსესსა და მის თანამოაზრე ქალს რკინის ჯაჭვით გადააბამენ და შერცხვენილებს სამეფო კარზე მოიყვანენ, რათა ყველამ იხილოს მეამბოხეთა შეურაცხყოფა".

სომეხთა კათოლიკოსი საგანგებოდ ჩავიდა ალბანეთში, ქ. პარტავში, დაჯდა მთავარ ტაძარში და ბრძანა მისთვის დასასჯელად მიეგვარათ ალბანთა კათალიკოსი ნერსესი. შეშინებული ალბანელთა კათოლიკოსი დაიმალა, მაგრამ შეიპყრეს და მიიყვანეს სომეხთა კათოლიკოსის წინაშე. "მრავალრიცხოვან შეკრებილთა შორის ელიას წინაშე უპასუხოდ იდგა უბედური. მეფის ბრძანებით მას მძიმე სასჯელი გამოუტანეს: გადააბეს ფეხით ფეხზე იმ ქალთან (უტიკის დედოფალ სპარამთან) და შორეულ ქვეყანაში გასაგზავნად მოამზადეს, მაგრამ ვერ აიტანა ეს ტანჯვა და რვა დღის შემდეგ გარდაიცვალა". სომეხმა მღვდლებმა არაბებთან ერთად ალბანთა კათოლიკოს ნერსესის ქალკედონიტური ალბანური წიგნები, რომლითაც სავსე იყო ზანდუკი, წყალში ჩაყარეს. დევნის ამ ეპოქაში გადარჩა მხოლოდ ის ალბანური წიგნები და ხელნაწერები, რომელნიც ლტოლვილმა ალბანელმა ქალკედონიტმა ბერებმა ქართულ მონასტრებში მიიტანეს. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში ქართულ ხელნაწერთა შორის აღმოჩენილი ალბანური ხელნაწერები მიუთითებს არა ალბანელი ბერების "ქართიზაცია-გაქართველებას", როგორც ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, არამედ გამოხატავს იმ პროცესს, რომლის შედეგადაც ალბანეთიდან ლტოლვილი ალბანელი ქალკედონიტი ბერები თავიანთი ალბანური ხელნაწერებით თავს აფარებდნენ ქართულ მონასტრებს, ვითარცა მართლმადიდებლურ კერებს. მათ ამით სიცოცხლე გადაირჩინეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ალბანელთა კათოლიკოს ნერსესის მსგავსად მკაცრად დაისჯებოდნენ.

ამ მოვლენების შემდეგ ალბანელთა საეკლესიო კრების მონაწილეებმა პირობა დადეს, რომ ალბანეთის კათოლიკოსის კურთხევა მოხდებოდა მხოლოდ სომეხთა კათოლიკოსის მიერ: "ალბანთა კათალიკოსის კურთხევა უნდა მოხდეს სომხეთში წმიდა გრიგორის ტახტზე, თუ ალბანეთის კათალიკოსი გაბედავს და არ ეკურთხება სომხეთში, ის კათალიკოსად არ ჩაითვლება", აღნიშნულია მ. კალანკატუაცისთან.

ეს პირობა დაიდო პარტავის კრებაზე, რომელსაც სომეხთა კათოლიკოსი ელია თავმჯდომარეობდა სომხური წელთაღრიცხვით 148 წ. (სხვა ცნობებით, პარტავის კრება გაიმართა 706 წ.).

სომხურმა ეკლესიამ შესძლო მთლიანად გაბატონებულიყო ალბანურ ეკლესიაზე. ალბანურ ეკლესიაში არაბთა ძალდატანებით აიკრძალა ქალკედონიტობა და ალბანელებმა "სომხური სარწმუნოება" მიიღეს, რასაც შედეგად მოჰყვა ალბანურ ეკლესიაში უკვე დანერგილი სომხურენოვანი წირვა-ლოცვის სრული გაბატონება. ალბანური ეკლესია მთლიანად გაითქვიფა სომხურ ეკლესიაში.

მოვსეს კალანკატუაცი ჩამოთვლის ალბანეთის ეკლესიის მამამთავრებს. ამ და სხვა წყაროებით დგინდება ალბანეთის კათოლიკოსთა ქრონოლოგიური რიგი სომხეთის საკათოლიკოსოს დაქვემდებარებაში შესვლამდე: აბასი (551-595), ვირო (595-629), ზაქარია (629-644), იოანე (644-671), უხტანესი (671-683), ელიაზარი (683-689), ნერსესი (689-706).



ალბანეთის საკათალიკოსოს ამ რუკუდან ჩანს, რომ ალბანეთის საკათალიკოსო ვრცლად იყო გადაჭიმული სევანის ტბიდან და ამჟამინდელი მინგეჩაურის წყალსაცავიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე, მის იურისდიქციაში არ შედიოდა კახეთის სამხრეთი ნაწილი და არც საინგილო.

ალბანეთის საკათოლიკოსომ, როგორც სომხეთის ეკლესიის ადმინისტრაციულ-სტრუქტურულმა ერთეულმა, იარსება 1815 წლამდე. XIV საუკუნის ბოლოდან კათოლიკოსების რეზიდენცია იმყოფებოდა არცახში არსებულ განძასარის მონასტერში. ე.წ. ალბანეთის “ივერიის”,

ანუ ჰერეთის მოსახლეობა ქართული ეკლესიის წიაღში გაერთიანდა. კახეთისა და ჰერეთის საზღვარი გადიოდა ქ. ყაბალასა და ვარდაშენს შუა ქედზე, რომელსაც დღესაც "ქართველთა მთა" (გურჯი დაღი) ეწოდება.

წყარო:

1. ქართლის ცხოვრება, ტომი I, 1955. ტ. II, 1959; ტ. IV, 1973;
2. მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ლ. დავლიანიძე-ტატიშვილის გამოც., თბ., 1985;
3. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ა. აბდალაძის გამოც., თბ., 1968;
4. სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 4, 7; XI, 14, 5.
5. თ. ყაუხჩიშვილი, "სტრაბონის გეოგრაფია" (1957 წ.).
6. Страбон, География. м. - л.1964.
7. Плиний Старший, "Естественная история" VI.

ლიტერატურა:

1. კ. კეკელიძე ეტიუდები, II, 1941;
2. ალექსიძე ზ., ალბანური მწერლობის ძეგლები სინას მთაზე,1998; http://www.krotov.info/histori
3. გ.მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005; www.volistil.info|texsts|Dokumenty|Kavkaz|VI|Dag-sron|ist
4. ს. კარაპეტიანი, შუა საუკუნეთა არქიტექტურის ძეგლები საკუთრივ ალბანეთში, შაქისა და კაპალაკის გავარებში;
5. "Кавказ и Византия", 1988, N6;
6. "Тифлисские ведомости", т. 82, 1830;
7. ივ. ჯავახიშვილი, "საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტ. ეთნოლოგიური პრობლემები, 1950;
8. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საეპისკოპოსოები ლაზიკაში, 2011.

ჰერეთი

ქართული წყაროები ერთსა და იმავე სახელს - ჰერეთს უწოდებდნენ ორ, სხვადასხვა, ერთმანეთისაგან საუკუნეებით დაშორებულ სახელმწიფოს - ძველ ალბანეთსა და შემდეგ, საკუთრივ ჰერეთს. ისინი დასახლებულნი იყვნენ სხვადასხავა ხალხებით და არსებობდნენ სხვადასხა ეპოქაში.

ალბანეთმა სახელმწიფოებრივი არსებობა მე-5 საუკუნისათვის შეწყვიტა. ის არ იყო მონოლითური ეთნოსი, დასხლებული იყო სხვადასხვა ტომებით, ამიტომაც ვერ შეძლო კონსოლიდირება ერთინ ხალხად. ალბანეთისა და ქართლის (იბერიის) საზღვარი გადიოდა ხალხალა-ხორანთას შემაერთებელ ხაზზე. ხორანთა მდებარეობდა ალაზან-იორის შესართავთან, ხოლო ხალხალა, სავარაუდოდ ამჟამინდელ სოფელ ხალხალასთან ოგუზის (ვარტაშენის) რაიონში.

სტრაბონის ცნობით იბერიიდან ალბანეთში შესასვლელი გზა გადიოდა მდინარე ალაზნის მიერ წარმოქმნილ ქვაბულში, სად მდებარეობდა ის? სავარაუდოდ იქ, სადაც იორი და ალაზანი უერთდებოდა ერთმანეთს. ეს იყო გრძელი, გორაკებით შემოფარგლული ქვაბული, მასზე გადიოდა გაერთიანებული იორ-ალაზანი, ეს იყო ალაზნის ქვაბული, საიდანაც გასვლის შემდეგ ეს მდინარე მტკვარს უერთდებოდა. ამ კლდოვან და დაჭაობებულ ქვაბულს ერქვა კამბისენა, ალბათ მის ჭაობებში კამბეჩებიც კარგად გრძნობდნენ თავს, და შესაძლოა ამ ადგლს ქართველები უწოდებდნენ კამბეჩოვანს, ამ ადგილს ამჟამად ფარავს მინგეჩაურის წყალსაცავი, მისი სიგრძე 70 კილომეტრია, ასე, რომ კამბისენას სიგრძე 70-80 კილომეტრი უნდა ყოფილიყო. იბერია-ალბანიის საზღვარი, შესაბამისად ამჟამინდელ მინგეჩაურის წყალსაცავზე გადიოდა, რომელსაც ადრე კამბისენა, ქართულად კი კამბეჩოვანი ერქვა. საზღვარზე მდებარე ალაზნის ამ ქვაბულთან

დაკავშირებით სტრაბონი წედა - **„Проход из Албании идет сначала через скалы высеченной в камне тропой, а затем через пойму, образуемую рекой Алазонием, текущей с Кавказа”** (სტრაბ. 11.3.5.)

როგორც ითქვა, კამისენას ადგილზე ამჟამად მდებარეობს მინგეჩაურის წყალსაცავი (და არა ქიზიყში), მის დასაწყისთან მდებარეობდა ხორანთა (იორ-ალაზნის შესართავთან).

იბერიაში ალბანიიდან გზა გაივლიდა მდ. იორისა და ალაზნის შერევის ადგილას მდებარე ჩაღრმავებულ ქვაბულში, რომელიც იმჟამად კლდოვანი და ამავე დროს დაჭაობებული ალაზნის გრძელი ველი იყო, ამიტომაც აქ დააგუბეს ეს მდინარე, რომელზედაც წარმოიქმნა მინგეჩაურის წყალსაცავი.

ამჟამად არასწორად მიიჩნევა, თითქოსდა კამბისენა არის ქიზიყის კამბეჩოვანი. კამბისი - იორს ერქვა, По сообщениям античных авторов (Плиния, Помпония Мелы, Диона Кассия, Клавдия Элиана, см. 223, 224), река **Иори** называлась **Камбис**. იორ-ალაზნის შესართავთან კი მდებარეობდა ამ სახელის მიხედვით მიღებული სახელი კამბისენას ოლქი. აქ გადიოდა საზღვარი იბერიასა და ალბანეთს შორის. ალბანური საეკლესიო ნაგებობები, თუ ასეთი არსებობდა, შეიძლება ვეძიოთ მინგეჩაუის წყალსაცავთან ან მის ფსკერზე.

ალბანეთის სახელმწიფო, როგორც ითქვა გაქრა მე-5 საუკუნეში, მისმა ეკლესიამ დიდი გასაჭირით მიაღწია მე-7 საუკუნემდე, შემდეგ კი სომხური ეკლესიის ნაწილად იქცა. ამ ალბანეთს - ქართული წყაროები, როგორც ითქვა ჰერეთს უწოდებდნენ, ქართული წყაროები ასევე ჰერეთს უწოდებდნენ თვისობრივად ამავე რეგიონის ფარგლებში შექმნილ ახალ სახელმწიფოს - ჰერეთის სამეფოს, რომელიც იმთავითვე ქართულენოვანი იყო.

ალბანეთის ეკლესიამ თავისთავადობა, ავტოკეფალია, ეროვნული სახე და თავისი ალბანი მრევლი საბოლოოდ დაკარგა მე-7 საუკუნეში, როგორც ამას კარგად აღწერს მოვსეს კალანკატუაცი, მას შემდეგ, რაც სომხურმა ეკლესიამ საბოლოოდ გააუქმა მისი თავისთავდობა და შეიერთა ის. ამის შემდეგ ალბანურ ეკლესიებში, რომელიც უკვე სომხური ეკლესიის ნაწილი იყო, წირვა ლოცვა სომხურ ენაზე აღესრულებოდა. ალბანეთი მრავალეთნიკური ქვეყანა იყო, ალბანეთის ქართული მრევლი არ შეუერთდა სომხურ ეკელსიას და ის თავს აკავშირებდა ქართულ ეკესიასთან.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სომხურ ეკლესიას არ შეუერთდა ძველი ალბანეთის ქართულენოვანი ნაწილი, რომელიც დასახლებული იყო მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შაქის მხარეს, იორ-ალაზნის შესართავთან, ეს მებრძოლი ოლქი გათავისუფლდა არაბებისაგან და შექმნა სახელწიფო - რომელსაც ქარველები ჰერეთს უწოდებდნენ. თბილისის საამიროსა და ჰერეთის სამეფოს შორის მოქცეული იყო კახეთის საქორეპისკოპოსო. ის მათი თავდასხმების ობიექტი გახდა. ამან კახეთი დაასუსტა და ჰერეთის სამეფომ შეძლო მისი მიწების მიტაცება ამჟამინდელი ქიზიყის ჩათვლით.

ამ მიზეზის გამო, ძველი ალბანეთის ანუ ძველი ჰერეთის სამეფოების საზღვრები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

თუ კი ძველი ალბანეთის საზღვარი იბერიასთან გადიოდა იორ-ალაზნის შესართავთან, ჰერეთის ანუ შაქის სამეფოს საზღვარმა კახეთთან მისი მიწების მიტაცების შემდეგ უფრო ჩრდილოეთით გადაინაცვლა.

„ქართულ წყაროებში ეს სახელმწიფო ხან „ჰერეთად” იწოდება და ხანაც „რანად”,
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D

ჰერეთის სამეფოს დამაარსებელია ჰამამი, მოსე კალანკატუელის ცნობით, 893 წელს მან მეფის ტიტული მიიღო და არაბთა ხელშეწყობით შეძლო სამეფოს გაფართოვება კახეთის ხარჯზე, კერძოდ მას ჩამოართვა ამჟამინდელი არიში (ახლანდელი მთისძირი), გავაზი (ახლანდელი ახალსოფელი), ორჭობი და სხვა. მისი შვილის ადარნასე პატრიკის დროს (დაახლოებით 915 წელი), კახეთის ქორეპისკოპოსმა I (892-918 წლები) აფხაზთა მეფის დახმარებით კახეთს უკან დაუბრუნა საკუთარი მიწები, მალევე ადარნასე პატრიკმა რევანში აიღო, ილაშქრა კახეთში და კვლავ ჩამოაჭრა მას ტერიტორიები.

„ადარნასე პატრიკის შემდეგ ჰერეთის მეფე იყო მისი ძე იშხანიკი (დაახლოებით 943 წელი - X საუკუნის 60-იანი წლები). მასთან ერთად ჰერეთს მართავდა დედამისი - დინარ დედოფალი (ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი, ადარნასე II ასული და ცნობილი გურგენ IV დიდის, ერისთავთერისთავის, მაგისტროსის და).

X საუკუნის 50-იან წლებში იშხანიკმა ისარგებლა სალარიდების სახელმწიფოში შინაფეოდალური ომებით და ხარკის მიცემა შეწყვიტა. ქართული წყაროების მიხედვით, იშხანიკისა და დინარ დედოფლის მმართველოს ხანაში ჰერეთმა უარყო მონოფიზიტობა და აღიარა ქალკედონული მრწამსი. ამ დიდმნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული აქტით განხორციელდა ჰერთა საბოლოო გაერთიანება ერთიან ქართულ (მცხეთის) ეკლესიასთან. ჰერეთის სახელმწიფო და საეკლესიო ენა იყო ქართული.

იშხანიკის შემდეგ მეფობდა იოანე სენექერიმი (დაახლოებით X საუკუნის დასასრული)" https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D

მან წანართა მეფის ტიტულიც მიიღო. წანარია ჩანს ერქვა ასევე დაღესტანში - ამჟამინდელი ოგუზის (ვართაშენის) რაიონის მიმდებრე მხარეს, ანუ შაქის მომიჯნავე ოლქს კავკასიის მთის იქით - დაღესტანში, ის შემდგომ მაჭის საერისთავოში შევიდა.

არაბთა ბატონობისას, ანტიბიზნტიურად განწყობილი დამპყობლები კალანკატუაცის აღწერით, მფარველობდნენ სომხური მონოფიზიტური ეკლესიას და გააბატონეს ის, მათ მიერ ქალქედონიტობა, ვითარცა ბიზანტიური აღმსარებლობა სასტიკად იდევნებოდა, ჰერეთის ქართულმა მოსახლეობამ მიუხედავად დევნისა, ქალკედონურ მიმარათულებას უერთგულა და არაბთა დასუსტებისას მე-10 საუკუნისათვის ქართული ეკლესიის წმიდანის დინარა დედოფლის დროს - გაბედა საჯაროდ აღიარება თავისი ქალქედონური მრწამსისა.

საქართველოს ეკლესიის მრევლით დასახლებულ ჰერეთის ძირითადი ნაწილი, როგორც ითქვა, მოიცავდა მიწაწყალს მტკვარ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე. ეს ტერიტორია ამჟამად მოქცულია აზერბაიჯანში, მაგრმ მისი საეკლესიო სამართალმემკვიდრე არის საქართველოს ეკლესია, ამას მიუთითებს მრავალ წყარო, მათ შორის მნიშვნელოვანია - მაღალაშვილისეული სახარების მინაწერი, რომლიდანაც ნათლად ჩანს საქართველოს პატრიარქის მიერ მოხილული თავისი სამწყსო და ეკლესიები ამ რეგიონში.

როგორც ითქვა, ჰერეთი იყო ერთერთი ქართული სამეფო, რომელიც გაძლიერდა მე-10 საუკუნისათვის და შეძლო კახეთის საქორეპისკოპოსოს მიწა-წყლის ერთი ნაწილის მიტაცება, ამ ნაწილს ამჟამად საინგილო ეწოდება, მალევე გაერთიანდა კახეთისა და ჰერეთის სამეფოები, რადაგნაც ისინი ერთი ქართულენოვანი ეთნოსით იყო დასასახლებული და ამით ხელი შეუწყო საქართველოს საბოლოო გაერთიანებას მე-11 საუკუნის ბოლოსა და მე-12 საუკუნის დასაწყისში.

XI საუკუნის დასაწყისში კახთა ქორეპისკოპოსი დავითი (976-1010 წლები) იბრძოდა ჰერეთისა და კახეთის გასაერთიანებლად. მას ეხმარებოდა გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ III.

XI საუკუნის ოციან წლებში კახეთის მეფე კვირიკე III დიდმა (1010-1037 წლები) გააერთიანა სამეფოები, რითაც დასრულდა კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესი. ამიერიდან ჰერეთ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს ეწოდა - "რანთა და კახთა" სამეფო.

ჰერეთს მემატიანეები შემდგომში უწოდებდნენ "რანს და მოვაკანს". **საინგილო არც რანს და არც მოვაკანს განეკუთვნებოდა. მოვაკანი ერქვა შირვანის ვაკეს, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ვიდრე მდ. ალიჯანჩაიმდე (Алиджанчай), შაქის მხარეს.**

ქართული წყარო წერს - "მოვაკანი არს მცირის ალაზნის შესაყარს ქვევით ვიდრე ზღვამდე, მცირე ალაზანი იორია" (ქ.ც. გვ. 5). მასასადამე, მოვაკანს, ქართველები უწოდებდნენ, ამჟამინდელი მინგეჩაურის წყალსაცავიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე გაშლილ ვაკე-ველს, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. მოვაკანი მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა, მის გასწვრივ კი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა რანი. რანი და მოვაკანი ერთად ჰერეთია.

უცხოური წყაროების ალბანეთი, რომელსაც ქართველები ასევე ჰერეთს უწოდებდნენ „რანადაც" იწოდებოდა. ვარსქენ პიტიახში სპარსთა მეფემ დანიშნა "ერისთავად რანისა", და, (რადგანაც, რანს ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ), ამიტომ ქართული წყარო აღნიშნავს, რომ უკან დაბრუნებული შევიდა თავის საპატრონო ქვეყანაში ანუ ქვეყანასა "ჰერეთისასა"

„მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა". ("შუშანიკის წამება" http://www.nplg.gov.ge), ანუ ჰერეთი ქართლის ერთი ნაწილია. ქართლის საზღვრის გადაკვეთის შემდეგ, ის ქართლში შემავალ ჰერეთის ოლქში შევიდა.

შემდეგში, ვარსქენის ნაცვლად სპარსეთის შაჰმა **"რანისა და მოვაკანის"** ერისთავად გამოგზავნა სხვა ერისთავი (ქ.ც.1. გვ. 217).

აქედან ჩანს, რომ ქართული წყაროების ჰერეთი შემდეგდროინდელ ქართულ წყაროებშივე იწოდებოდა **"რანად და მოვაკანად"**.

წმ. შუშანიკს საეკლესიო წყაროებში "რანის დედოფალი" ეწოდება, „რანის მმართველის მეუღლე" (http://www.orthodoxy.ge/sitsmindeebi/vazis/jvari_vazisa.htm) ე.ი. **ჰერეთი რანია მოვაკანთან ერთად. აქედან ჩანს, რომ ისტორიულად ჰერეთი ერქვა არა კახეთში შემავალ ამჟამინდელ საინგილოს, არამედ შაქისა და რანის ოლქის მხარეებს.**

ძველ ალბანეთს შეეხება „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობა, რომლის მიხედვით გლონიქორი იყო ერისთავი "ქართლ-ჰერეთისა", მეფე მირდატის დროს (დაახლოებით 437-447 წლები). გლონოქორს საეკლესიოს გარდა საერო ძალაუფლებაც ჰქონდა: "ესე მთავარეპისკოპოსი ერისთვადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს (მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული X საუკუნისა, 1979, გვ. 325)

როგორც ითქვა, წმიდანის ცხოვრების სხვადასხვა ვარიანტში შუშანიკი იწოდება ზოგჯერ დედოფლიად რანისა, ზოგჯერ კი - დედოფლად ჰერეთისა. **"რანი და ჰერეთი"** (ქ.ც. I, გვ. 14), როგორც ითქვა, ერქვა თანამედროვე განჯისა და შაქის რაიონებს.

საქართველოს მეფეებს ასევე ჰქონდა ტიტული „ჰერეთის ანუ რანის მეფე".

ჰერთა მეფეებს შემდგომ საუკუნეებში რანთა მეფეებს უწოდებდნენ, ამიტომაც გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში გვხვდება "რანთა და კახთა მეფე" ე.ი. ჰერეთი და კახეთი სხვადასხვა ოლქები იყვნენ (ჰერეთი, რანი და შაქია ყოფილი ალბანეთის ერთ დროს ქართულენოვანი მხარეები), ხოლო, კახეთში შედიოდა დაღესტნის დასავლეთი ნაწილი (კახეთის მთიულეთი) და, შესაბამისად, მის წინ მდებარე საინგილო. როგორც აღინიშნა, ჰერეთის სამეფომ გაძლიერებისას დროებით შეძლო ამ მხრის მიტაცება მე-10 საუკუნეში.

ჰერეთის სამეფოში სახელმწიფო და საეკლესიო ენა იყო არა ალბანური ენა, არამედ ქართული, რადგანაც, მისი მოსახლეობა იმთავითვე ქართულენოვანი იყო, როგორც ეს ჩანს მოვსეს ხორენაცისა და აგათანგელოზის ქვემოთ მოყვანილი ცნობიდან, რომ წმიდა ნინომ ქართველთა შორის იქადაგა „ვიდრე კასპიის კარამდე და მასქუთებამდე" (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.172).

ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსის აზრითაც ჰერეთში თითქოსდა შედიოდა ბოდბე (დ. მუსხელიშვილი "საქართველო IV-VIII საუკუნეში). ბოდბე **"ალბანელთა არაქართულ ქალაქად"** მოიხსენიება ავტორის მიერ. მხოლოდ მე-10 საუკუნეში შეძლო ჰერეთმა დროებით კახეთის ზოგიერთი ოლქის მიტაცება, მაგრამ განსხვავებული ვითარება იყო ალბანეთის არსებობის ეპოქაში, მაგალითად, წმიდა ნინოს დროს ხორენაცის ცნობით, სხვა ვითარება იყო, ამ დროისათვის, ქართულენოვანი ხალხი მასქუტებამდეც კი ცხოვრობდა. ბოდბე ამ ქართულენოვანი ქვეყნის ცენტრადაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ, ამიტომაც ის "ქართველთა განმანათლებელად" იწოდებოდა და არა ალბანელებისა, რადგანაც ყოველთვის მიიჩნეოდა, რომ ბოდბე ქართლის ქვეყნის ნაწილი იყო და არა ალბანეთისა. წმიდა ნინო კი ბოდბეშია დაკრძალული. ამასვე მიუთითებს, მოვსეს ხარენაცის ცნობა - **"ადვილად გასაგები ტკბილი ენით ნუნემ იქადაგა ქართველთა შორის კლარჯეთიდან მასქუთებამდე"**. მაშასადამე, მთელი ზოლი, მტკვრის მარცხენა

ნაპირი მასქუთებამდე “ქართველთა ქვეყანა” იყო, ქართველებით იყო დასახლებული და არა ალბანელებით, შემდგომში აქ ჩამოყალიბდა ჰერეთის ქართულენოვანი სამეფო.

წმიდა ნინომ “ქართველთა შორის ვიდრე მასქუთებამდე” იქადაგა და არა ალბანთა შორის, მასქუთები კასპიის ზღვის პირზე ცხოვრობდნენ, მაშასადამე „კასპიის კარამდე” მცხოვრებ მოსახლეობას მოვსეს ხორენაცი აგათანგელოზთან ერთად - ქართველებს უწოდებდა და არა ალბანელებს, წმიდა ნინო აქაურ ქართველთა განმანათლებელიც იყო.

„სანატრელი ნუნე წავიდა იქიდან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე,როგორც ამას აგათანგელოსი გაუწყებს შენ” (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.172).

მოვაკანი ქართული სიტყვაა “მო-ვაკე-ანი” და ნიშნავს “ვაკე ადგილის ქვეყანას”. მასქუთები მოვაკანის ბოლოში ცხოვრობდნენ. როგორც ითქვა, ჰერეთის სამეფო გაიზარდა კახეთის ხარჯზე კვირიკე მეფის წინა მეფეების დროს, როცა მათ შეიერთეს კახეთის სამხრეთი მიწებიც, სამეფოთა გაერთიანების შემდეგ ეს მდგომარეობა აისახა კვირიკე მეფის გადაწყვეტილებაში, როცა მან ჰერეთში საერისთავოები დაარსა.

ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „შემდგომად ბაგრატ მეფის სიკუდილისა ამან კვირიკემ (1010 - 1037 წლები) დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა. გარნა თუ ისხდნენ ერისთავნი ჰერეთს. არამედ ამან კვირიკე მეფემან უფროს განამტკიცნა და დასხნა სამი კახეთს და **ოთხი ჰერეთს.** და კახეთსა ერთი რუსთავს და მისცა სრულიად კუხეთი, რომელ არს ნაგები, ყარაია, ჩადივარ, სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი, ხერკი და თიანეთი, არაგვის კერძო ჟინვანამდე. მეორე დასუა კუეტერისა და მისცა უჯარმას ზემოთ ორთა მთათა შორის, რომელ არიან კახეთისა და კუხეთისა, ვიდრე კავკასამდე და გარდაღმად. ესე არს ერწო-თიანეთი, ფხოველნი, ძურძუკი და ღლიღვი. მესამე პანკისისა ანუ მარილისისა და მისცა ჰერეთის საზღვრის ზეით კავკასამდე და კახეთის მთამდე თუშეთითურთ. ხოლო **ჰერეთს დასუა პირველი ხორნაბუჯს ანუ ხორანთას და მისცა ქისიყი და გარეთ-კახეთი კუხეთის საზღვრამდე, ალაზანსა და მტკუარს შიგნით და ჰერეთის მთისა. მეორე ვეჯინს და მისცა ქისიყის საზღვარს ზეით თურდოს ხევამდე და ალაზანსა და ჰერეთის მთის შიგნით, რომელ არს აწ შიგნით-კახეთი. მესამე მაჭისა და მისცა მაჭის წყლის ქუეით და ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ და ხუნზახითურთ. მეოთხე დასუა შტორისა და მისცა შტორის ხევიდამ მაჭის წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთითურთ, რომელ არს აწ გაღმამხარი”**

კახეთის გაღმამხარი (საინგილო და ჭარ ბელაქანი) დიდოეთირთურთ შედიოდა შტორის საერისთავოში.

შაქი ანუ შაკიხი და ხუნძახი (დაღესტნის ავარია) შედიოდა მაჭის საერისთავოში.

კვირიკე მესამის დროს ჰერეთში შედიოდა ქიზიყთან ერთად შაქი დიდოეთ-ხუნძახთან ეთად.

ეს იყვნენ ქართულენოვანი კუთხეები, რასაც კარგად აჩვენებს მატერიალური კულტურის ძეგლები, მისი აგებული დიდებული ალავერდი თავისი დიადი ქართულენოვანი მწერლობით და, მაგალითად, თვით კვირიკე დიდის საფლავის ქვის ქართული წარწერა. კვირიკე ქართული ეკელსიის დიდი მშენებელი იყო, რაც ზედაზნის კანკელიდანაც ჩანს.

როგორც ითქვა, მოვსეს ხორენაცის ცნობით წმიდა ნინოს დროს ქართველობა ცხოვრობდა „კასპიის კარამდე და მასქუთებამდე” ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე, ქართულენოვანი დარჩენილა მოსახლეობა თითქმის 500 წლის შემდეგაც კვირიკე მეფის დროს, აქაური ქართული მოსახლეობის შესახებ კარმელიტი ბერებიც წერდნენ მე-17 საუკუნეში.

რანთა და კახთა მეფის კვირკე მესამე დიდის საფლავის ქვა სოფელ კალაურში (გურჯაანის რაიონი). მას ამჟამად „კახეთ-ჰერეთის" მეფეს უწოდებენ, მაგრამ საფლავის ქვაზე გარკვევით წერია - „რანთა და კახთა მეფე". რანი ანუ ჰერეთი ქართულენოვანი ხალხით იყო დასახლებული, რაც მათი მეფის საფლავის ქვის წარწერიდანაც ჩანს.

https://www.kvirispalitra.ge/istoriani/38140 - kakheth - herethis - mefis - saflavi - sofel - kalaurshi - aghmoachines.html

გულგულა-ხალხალა პუნქტი კახეთ-ჰერეთის (იბერია-ალბანეთის) საზღვართან

ჩვენი მეცნიერების დაბეჯითებული მტკიცებით, თელავთან მდებარე სოფელ "გულგულამდე", აღწევდა ჰერეთის საზღვარი. ჰერეთს კი აზერბაიჯანელი მეცნიერები მიიჩნევენ ალბანეთად, ამასთანავე, აზერბაიჯანს მიიჩნევენ ალბანეთის სახელმწიფოსა და მისი ხალხის კულტურის სამართალმემკვიდრე. შესაბამისად თელავ-გულგულასთან საზღვრის გავლება პრობლემას ქმნის იურისდიქციის საზღვრების კვლევისას.

მიაჩნიათ, რომ ალბანეთის საზღვრები - აზერბაიჯანის ისტორიული საზღვრებია, ამის გამო, მაგალითად, ბაქო-აზერბაიჯანის რუსულ ეპარქიას თავის ვებგვერდზე მიაჩნია, რომ ბოდბე, გურჯაანი, საინგილოს ეკლესიები და დავით-გარეჯას მონასტრები - „ალბანური ძეგლებია" ანუ აზერბაიჯანელთა ისტორიული კულტურის საკუთრებაა.

მაგრამ, ამ მტკიცებას ეწინააღმდეგება მრავალი წყაროს ცნობა, მაგალითად ერთ-ერთი ცნობით ქრისტეობამდე მე-2 საუკუნეშიც კი, ნეკრესი, თელავის სამხრეთით, კახეთში მდებარეობდა და არა ჰერეთში.

მემატიანე წერს, რომ მეფე ფარნაჯომმა **"იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი" (ქ.ც. I, გვ. 29)**, ხოლო შემდგომ მეცხრე მეფემ არშაკ II **"განაშვენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი"** (იქვე, გვ. 33).

გულგულას ლეონტი მროველი ახსენებს ვითარცა სასაზღვრო პუნქტს ჰერეთთან, მაგრამ სად მდებარეობდა ის ნამდვილად თელავთან თუ შაქის რეგიონის სოფელ ხალხალასთან, როგორც მე ვამტკიცებ. ხალხალას იბერია-ალბანეთის სასაზღვრო პუნქტად მიიჩნევდა ეღიშე და მოვსეს კალანკატუაცი.

ქართლის ცხვრებაში ნათქვამია - "ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკვრისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითდან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქვიან გულგულა. ამან ჰეროს

აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი... და აწ მას ადგილსა ჰქვიან ხორანთა” (ქ.ც. I, გვ. 5).

აქედან ჩანს, რომ ჰერეთი მტკვართან, მტკვრის რეგიონში, მის ჩრდილოეთში, “ჩრდილოთ” მდებარეობდა, შესაბამისად მის საზღვარზე მდებარე ძველი ტყეტბა, რომელსაც შემდგომში ეწოდა **გულგულა, მდებარეობდა არა ალაზნის, არამედ მტკვრის ხეობაში.**

შესაბამისად, გულგულა, ანუ ტყე-ტბა უნდა ვეძიოთ არა თელავთან, არამედ მტკვრის იმ რეგიონის “ჩრდილო” საზღვარზე, სადაც მტკვარს უერთდება იორ-ალზანი, ესაა კავკასიონის მთა იქ, სადაც აღწევდა შაქის ოლქის საზღვარი, ანუ გულგულა იყო კავკასიონის რომელიღაც მთასთან.

ასეთი, თითქმის იმავე სახელის მქონე პუნქტი “ხალხალა”, ნამდვილად არის კიდეც ჩვენს მიერ საძებნ რეგიონში. მით უმეტეს, რომ, როგორც ითქვა, ხალხალა ეღიშესა და მოვსეს კალანკატუაცის მიაჩნდა საზღვრად იბერია-ალბანიას შორის.

1923 წლის ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ “საქართველოს ისტორიულ რუკაზე” პუნქტი ხალხალა მდებარეობს ნუხპატსა და არეშს შუა, შაქის რეგიონში.

ვახუშტის დროს ცნობები გულგულა-ტყეტბის შესახებ უკვე დაკარგული ყოფილა და ის თელავთან უძებნიათ, მაგრამ, ეს არ იყო სწორი მიმართულება, რადგანაც წყაროთა ცნობით, VIII საუკუნესა და შემდგომ კახეთი ნუხპატამდე, ანუ შაქამდე აღწევდა, როგორც მემატიანე წერს:

“მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია სამძორს, შეირთო ცოლი და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე და პოვნა წუქეთს მთავარნი და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა” (ქ.ც. I. გვ. 243). აქედან ჩანს, რომ **ქართლის ანუ არჩილის სამეფოს საზღვარი ნუხპატამდე** აღწევდა. **ნუხპატი** (თანამედროვე ნუხა) კახეთში შედიოდა და არა ალბანეთში, რადგანაც, ნუხპატი ვითარცა ქართლის სამეფოს ციხე-ქალაქი, არჩილს აუშენებია.

მართლაც, ხალხალა (რომელიც ჩვენ გულგულად მიგვაჩნია) ნუხასთან (ნუხპატთან) არჩილ მეფის მიერ აშენებულ ციხე-ქალაქთან, ახლოს მდებარეობს.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ჰერეთის საზღვარი აღწევდა გულგულა-ტყეტბამდე. როგორც ითქვა, მიიჩნევა, რომ ის მდებარეობდა თელავთან.

ვახუშტის დროს ჰერეთი აღარ არსებობდა და ის ათასწლოვანი დავიწყების მტვრით იყო დაფარული, აღარც მისი საზღვრები იცოდა არა თუ ხალხმა, არამედ მემეტიანეებმაც. მათ მხოლოდ ის ახსოვდათ, რომ ის ქართული ქვეყანა იყო. ვახუშტიც მხოლოდ ვარაუდობდა მისი საზღვრის თელავთან არსებობას. ალბათ, რომელიმე წყაროში, შესაძლოა, მოვსეს კალანკატუაცთან, ნახსენები სასაზღვრო პუნქტი ხილხალა მან ეტიმოლოგიური მსგავსების გამო თელავის გულგულად მიიჩნია.

“ქართლის ცხოვრების” ანალიზი გვაძლევს უფლებას გამოვთქვათ აზრი, რომ ვახუშტის წყაროს გულგულა უნდა იყოს არა თელავთან მდებარე პუნქტი, არამედ გიშსა და ნუხპატოს აღმოსავლეთით (დაახლოებით 30 კმ-ში) მდებარე პუნქტი ხალხალა (გულგულა).

გულგულას ახსენებს ასევე მეორე წყარო „წმ. არჩილის’” ცხოვრება.

ნუხპატოს მეზობლად რომ მდებარეობდა “გულგულა”, ეს ჩანს წმ. არჩილის ცხოვრებიდან ამოღებული შემდეგი ფრაზით: **“კუალად მოესრა ნოხპატელთა სიმრავლე ყრუსა და არჩილ ნათელ სცა მათ იძულებით. შემდგომად მოიყვანნა ძმისწულნი ადარნასეს ბრმისანი და დასხნა შაკიხით და დაემკვიდრნენ იგინი გულგულამდე და მისცა ქვრივი აბუხოსროსი და წუქეთი ციხე-კარითურთ”** (“ქართლის ცხოვრება,” IV, 1973, გვ.126).

მე-8 საუკუნეში წუქეთი ეწოდებოდა მიწა-წყალს ამჟმინდელ სამხრეთ დაღესტანში.

სამხრეთ დაღესტანში გზა გადადის ოგუზის ანუ ვართაშენის რაიონიდან, გაივლის სოფელ ხალხალას და შედის დაღესტანის იმ ოლქში, რომელსაც ოდესღაც წუქეთი მოიაცვდა (სამურის ხეობა).

ასე, რომ ხალხალა და ძველი წუქეთი ერთი ოლქია კავკასიონის ქედით გაყოფილი, ეს ოლქი არჩილს სამართავად გადაუცია თავისი ერისთავისათვის, შაქიდან დაღესტნის სამხრეთი ოლქის ჩათვლით, ამ რეგიონშია ყველა აღნიშნული პუნქტი. **„დასხნა შაკიხით და დაემკვიდრნენ იგინი გულგულამდე და მისცა ქვრივი აბუხოსროსი და წუქეთი ციხე-კარითურთ",**

აქ ნახსენები შაკიხი არის შაქი, გულგულა არის ხალხალა, ხოლო წუქეთი მდებარეომდა იქვე, სოფელ ხალხალასთან გამავალი გზის ბოლოს, ჩრდილო კავკასიაში.

რადგანაც, აქ ნახსენები ყველა პუნქტი - ნოხპატო, (ნუხპატო), შაკიხი (შაქი) და წუქეთი ერთ რეგიონში მდებარეობს, აქვე უნდა ვეძიოთ „გულგულა".

არჩილ მეფის მემატიანის ამ ცნობიდან ჩანს, რომ ნუხპატოსთან ახლოს უნდა ყოფილიყო გულგულაც. ეღიშესა და მოვსეს კალანკატუაცის სასაზღვრო პუნქტი იბერიასა და ალბანიას შორის.

ეს ქალაქი (ხალხალა) მდებარეობდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე, რომელიც იყო სახელმწიფოთაშორისი გზის ნაწილი. ამ ადგილას ქალაქი ხალხალა დაფიქსირებულია 1923 წელს ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ რუკაზე. ამ რუკის მიხედვით, არც თუ მოშორებით მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე იყო ასევე, მეორე პუნქტი ამავე სახელისა ხალხალა. მათ შორის ის განსხვავება იყო, რომ მთაში მდებარე ხალხალა საერთაშორისო გზაზე მდებარეობდა

თუ დავუშვებთ, რომ გულგულა თელავთან მდებარეობდა, ასეთ შემთხვევაში მემატიანის სხვა ცნობა **(„მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი")** შეუსაბამო გამოდის - კახეთი აღმოჩნდებოდა არა „ტაძრეულის", არამედ, შაკიხისა და წუქეთის მმართველების ხელში, რომელთა სამმართველო ქვეყანა გულგულამდე აღწევდა **(„დაემკვიდრნენ იგინი გულგულამდე")**. **შაკიხისა და წუქეთის** მმართველების ხელში ვერ აღმოჩენდებოდა კახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ვიდრე გულგულა-თელავამდე, რადგანაც ამავე მემატიანის ცნობით, კახეთი საპატრონოდ არჩილმა სულ სხვა მმართელებს „ტაძრეულს" გადასცა.

არჩილმა კახეთის ეს ნაწილი საკუთრებაში, საპატრონოდ გადასცა თავის ტაძრეულს, ასე, რომ შაკიხ-წუქეთის მმართაველების ხელში გადასცა ტერიტორია ამჟამინდელ ხალხალა-ფილფილამდე. ამჟამინდელი ოგუზის რაიონის ხალხალა-ფილფილამდე აღწევდა კახეთის საზღვარი, შესაბამისად არჩილის სამეფოს საზღვარი, მის იქით ჰერეთი იყო კასპიის ზღვის მიმართულებით.

ქართიზაციის თეორიის შედეგი

მოვსეს ხორენაცის ცნობით ტერიტორია კლარჯეთიდან ვიდრე მასქუთებამდე ქართველებით იყო დასახლებული, მასქუთები კი კასპიის ზღვის პირზე ცხოვრობდნენ, შესაბამისად, ვრცელი მიწაა - წყალი მასქუთების ტერიტორიამდე, მათ შორის შექის ოლქის ჩათვლით, ქართველებით იყო დასახლებული, ასევე ყოფილა მე-8 საუკუნეში, არჩილ მეფის დროსაც, რადგანაც თბილისის დაპყრობის შემდეგ არაბებისაგან დევნილმა არჩილ მეფემ თავისი სატახტო ანუ დედაქალაქი შექის რეგიონში - ნუხპატოში გადაიტანა. ეს რეგიონი (შექის ოლქი ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე და „კასპიის კარებამდე") ქართველთა პოლიტიკური აქტიურობის ცენტრად იქცა, წანარებთან და კახ-გარდაბნელებთან არაბებს ომები გაუჭირდათ.

ამასვე მიუთითებდა მე-5 საუკუნეში მოვსეს ხორენაცი, როდესაც ის აღწერს წმიდა ნინოს მოღვაწეობის არეალს ქართველთა შორის. როგორც ითქვა, მოვსეს ხორენაცი წერს, ვრცელი არეალი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მოაქცია წმიდა ნინომ, რომელმაც იქადაგა კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის ზღვისპირეთში იმჟამად მცხოვრებ მასქუთებამდე - "სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... **მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ"** (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

აგათანგელოზის ცნობითაც, ქართველთა განმანათლებელს, წმიდა ნინოს, უქადაგნია შავი ზღვისპირეთიდან - კლარჯეთიდან, ვიდრე კასპიის ზღავმდე (მასქუთებამდე). როგორც ითქვა,

შაქი - არჩილ მეფის დროს, მე-8 საუკუნისათვის, ქართლის სამეფოს დედაქალაქად იქცა. თავისი სატახტოდან, შექ-ნუხპატოდან, ამ რეგიონში არჩილმ მეფემ დიდი აღმშენებლობითი საქმიანობა გააჩაღა.

დაპყრობილ ქართლს არაბებმა გურჯისტანი (გურზანი) უწოდეს. არჩილ მეფის ეპოქაში, არაბთა ბატონობის დროს შექმნილი გურზან-გურჯისტანის საზღვარი გადიოდა - შექის სამხრეთით. https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/c/c4/Emirate_of_Armenia_750-885.png



რუკა - „გურზან-გურჯისტანი" - „ქართველების ქვეყანა", არაბთა მიერ თბილისის საამიროს ჩამოყალიბების შემდეგაც კი შაქის რეგიონი შედიოდა. გურჯისტანში, რადგანაც ისტორიულად აქ (შაქის რეგიონის სამხრეთით) გადიოდა ქართლის სამეფოს საზღვარი, ამ საზღვარზე მდებარეობდა პუნქტი ფილფილა, იგივე ქართული წყაროების გულგულა, იგივე ხალხალა.

XVII და XVIII საუკუნეებშიც კი, როგორც კარმელიტების ქრონიკა აჩვენებს, შირვანის ქვეყანაც კი ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული. მისიონერმა კარმელიტებმა თავიანთ ქრონიკებში დააფიქსირეს შირვანის ქვეყნის ქართულობა, ისინი აღნიშნავენ: **"შირვანი, სადაც ქართველები ანუ, იბერიელი მოხარკენი ცხოვრობდნენ, მუდამ იყო სადავო ტერიტორია სპარსეთსა და თურქეთს შორის"** (ქ. პავლიაშვილი, "კარმელიტების ქრონიკა" საქართველოზე, XVII-XVIII საუკუნეები, 1999, გვ.10).

ქართველებს რანი, მოვაკანი, შაქი და შირვანი ისტორიულად ქართულ მიწა-წყლად მიაჩნდათ, როგორც ეს დოკუმენტებშიც ჩანს.

ძველ საქართველოში თავისი თვალით ხედავდნენ, რომ უვრცელესი ქვეყანა დაღესტნიდან ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე და შემახიის მთებამდე ქართველებით იყო დასახლებული, ქართული წირვა-ლოცვით, ენით, კულტურით და თვითშემეცნებით. ამიტომაც, როცა ამ მხარეებში თანდათანობით თემურლენგის შემდეგ ჩრდილოკავკასიელები და შემოყვანილი მუსულმანური ტომები გაბატონდნენ, საქართველოს ხელისუფლება იბრძოდა მის გასათავისუფლებლად.

თუ როგორ ესახებოდათ ეს მიწა-წყალი, კარგად ჩანს 1783 წლის ტრაქტატში რუსეთსა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის. ერეკლესა და ეკატერინე II შორის დადებული 1783 წლის 24 ივლისს დადებული ტრაქტატის მეორე მუხლში ნათქვამია:

"მუხლი II - ყველა ის ტერიტორია, რომელიც უწინ საქართველოს ეკუთვნოდა, ხოლო ამჟამად თურქეთს, სპარსელებსა და ლეკებს უპყრიათ, როგორიცაა საათაბაგოს, რანის,

მოვაკანის, ახალციხის, ჯავახეთის, ლივანის, აჭარის, ნუხის, შაქის, შირვანისა და სხვა, - საქართველოს დაუბრუნდება და მის შემადგენელ ნაწილად იქცევა" (წიგნიდან მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 1995, გვ. 121).

ქართველ ხალხსა და მის ხელმძღვანელობას ერეკლე II დროს რუსეთის იმპერიამ საღვთო მტკიცე ფიცით აღუთქვა, რომ დაუბრუნებდა თავის ისტორიულ ტერიტორიებს შირვან-მოვაკანის ჩათვლით და საქართველო კვლავ გადაიშლებოდა ორ ზღვას შუა, ვითარცა ძლიერი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სახელმწიფო.

საქართველოს არა თუ ეს ტერიტორიები დაუბრუნდა, პირიქით, რუსეთის იმპერიაში შემუშავდა ე.წ. "ქართიზაციის" სამეცნიერო თეორია, რომელმაც იქამდე მუდამ უდავო საქართველოს გულში მდებარე ტერიტორიებიც კი სადავოდ აქცია, ამ თეორიით არა თუ შირვანი, თელავამდე მდებარე კახეთიც კი ალბანურ-აზერბაიჯანულ მიწა-წყლად გამოცხადდა. ამიტომაც ახლა მრავალწლიანი შრომა ესაჭიროება ამ თეორიის გაბათილებას.

ქართველი მკვლევარები, როგორც გ. მარჯანიშვილის წიგნიდან ჩანს, მიიჩნევენ, რომ ჩვენს განსახილველ რეგიონში (ანუ მდინარე ალაზნის ქვემო წელზე და საინგილოში) ქართველობა არ იყო მკვიდრი მოსახლეობა და იქ ქართველები მოხვდნენ მიგრაციის პროცესის შედეგად. გ. მარჯანიშვილი ამის შესახებ წერს: **"პოლიტიკურმა პროცესებმა შექმნა ჰერეთში აღმოსავლურ ქართული ტომების მიგრაციის პირობები. VIII საუკუნისათვის უკვე დასრულებული ჩანს ჰერეთის გაქართლების პროცესი"** (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 50).

გ. მარჯანიშვილი ისე, როგორც სხვა ყველა ჩვენი ეპოქის მკვლევარი, ჩვენს მიერ განსახილველ რეგიონს (ალაზნის გაღმა მხარს - „საინგილოს" და მიმდებარე ტერიტორიებს ალაზანსა და იორს შორის) არაქართულ ქვეყანად მიიჩნევს, რომლის ქართიზაცია, ანუ როგორც გ. მარჯანიშვილი უწოდებს, "გაქართლება", VIII საუკუნისათვის დასრულდა.

ეს მოსაზრებანი მთლიანად ეწინააღმდეგებიან ძველ ქართულ წყაროებს, რომელთათვისაც ქართველობა იყო ერთიანი ეთნოსი, ერთიანი ხალხი, რომლითაც დასახლებული იყო ჩვენი რეგიონი.

როგორც აღინიშნა, ამავე თვალსაზრისს ავითარებს V საუკუნეში მოვსეს ხორენაცი. კერძოდ, ის თავის ცნობილ სომხეთის ისტორიაში წერდა, რომ წმ. ნინომ იქადაგა კლარჯეთიდან მასქუთებამდე და ამ რეგიონის მოსახლეობა, ანუ კლარჯეთიდან მასქუთებამდე მცხოვრები ხალხი თავისი ტკბილი და ადვილად გასაგები ენით მოაქცია.

კიდევ ერთხელ მოვიყვანთ ხორენაცის ნათქვამს: **"სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ"** (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

მოვსეს ხორენაცი, რომელიც კარგად იცნობდა ქართულ სამყაროს, იყენებდა ქართულ წყაროებს და ცხოვრობდა თითქმის წმ. ნინოს ეპოქაში, არსად აღნიშნავს, რომ კლარჯეთიდან მასქუთებამდე მცხოვრები ხალხი იყო მრავალეთნიკური, პირიქით, ხორენაცი წმ. ნინოს ერთმნიშვნელოვნად უწოდებს **„ქართველთა განმანათლებელს"**. მისი სიტყვით, არეალი კლარჯეთიდან მასქუთებამდე ქართველი ხალხის საცხოვრისი იყო, სადაც წმ. ნინომ იქადაგა.

როგორც ცნობილია, IV საუკუნისათვის მასქუთები ან მასაგეტები ცხოვრობდნენ მტკვარ-არაქსის შესართავიდან ჩორ-დერბენტამდე.

წმ. ნინოს მიერ მოქცეული მასქუთებამდე მცხოვრები ქართველობის საცხოვრებელი არეალი მოიაზრებოდა მტკვარ-არაქსის შესართავამდე (მოვსეს ხორენაცის მიერ).

აქედან გამომდინარე, არასწორია ქართიზაციის თეორია, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს მხარე VIII საუკუნისათვის "გაქართველდა", მას ამჟამად ჰერეთს უწოდებენ, თუმცა ის კახეთის ნაწილი იყო.

ქართიზციის ეს თეორია გამეორება და გაღრმავებაა XIX საუკუნის სომხური საისტორიო შეხედულებებისა, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო ბრუნვაში შეიყვანეს პროფესორმა ქ. პატკანოვმა და აკადემიკოსმა ნ. მარმა.

მაღალაშვილის სახარების მინაწერის მიხედვით, აქ, სოფელ ლექართში (ამჟამინდელ საინგილოში) მდებარეობდა წმ. ნინოს ეკლესია. აქ, წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის არსებობა განამტკიცებს ხორენაცის ცნობას, რომ წმიდა ნინომ მასქუთებამდე და, შესაბამისად, ამ მხარეშიც იქადაგა, და ეკლესიაც მისი სახელობისა იყო, შესაბამისად, მისი (წმიდა ნინოს მიერ) დაფუძნებული ან აგებული ყოფილა.

ამ ეკლესიის სახელი უნდა წარმოადგენდეს მის არეალში წმ. ნინოს მოღვაწეობის ანარეკლს, ამ ეკლესიის სახელი - წმ. ნინოს - არაა შემთხვევითი და ეთანადება მოვსეს ხორენაცის ცნობას აქ წმ. ნინოს ქადაგების შესახებ.

აქ, ამჟამინდელ საინგილოში, ღანუხის ეკლესია წმ. არჩილ მეფის სახელზე იყო აგებული იქ მდებარე სოფლის - ღანუხის სახელწოდებაში ეძებენ ალბანურ კვალს. მისი სახელი ისევეა ნაწარმოები, როგორც სხვა მრავალი პუნქტის სახელი საქართველოში, გ. მარჯანიშვილი სოფელ ღანუხის სახელს უკავშირებს ალბანეთში მცხოვრებ ერთ-ერთი ტომის ხენუკების სახელს.

როგორც აღვნიშნეთ, ღანუხის ეკლესია წმ. არჩილ მეფის სახელზე იყო აგებული. ეს მიუთითებს, რომ ამ რეგიონში უღვაწია წმ. არჩილ მეფეს VIII საუკუნეში მურვან-ყრუს დროს. მართლაც, ეს დასტურდება ქართული წყაროებით, რომელნიც მიიჩნევენ, რომ კახეთის ამ რეგიონში მრავალი ციხე-სიმაგრე ქალაქი და ეკლესია ააგო წმ. არჩილ მეფემ.

საზოგადოდ კი, როგორც აღინიშნა, 1310 წლისათვის ამ რეგიონის (შაქი-საინგილოს) მრავალი ეკლესია ატარებდა ქართულ სახელს - აქ ეკლესიები ატარებდა სახელებს - წმ. ნინო, წმ. არჩილი, წმ. აბო, მათ ემატება წმ. გიორგის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ყოვლადწმიდა სამების ეკლესიები.

როგორც ითქვა, გვიან პერიოდში, უფრო მეტად XVIII საუკუნეში, პასკევიჩის შემდეგ ყარაბაღიდან ჩამოსახლებულ სომხებს ხელში ჩაუგდიათ უკვე გაუკაცრიელებული ძველქართული ეკლესიები და დაურქმევიათ მათთვის ახალი სახელები - წმ. რიფსიმე, წმ. ელიშე და სხვა მსგავსი, თუმცა შეუცვლელად დაუტოვებიათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის ეკლესიათა სახელები. როგორც ცნობილია, სომხურ ეკლესიებს ნაკლებად არქმევდნენ ასეთ სახელებს. ისინი უფრო მეტად არქმევდნენ წმ. გრიგოლს, წმ. გაიანეს, წმ. რიფსიმეს, ასტვაცაცინ, სტეფანოსი და სხვა მსგავსი. ქართველი მკვლევარები, როცა ისინი ისტორიულ კახეთს (იგულისხმება საინგილო და ბოდბე-გურჯაანის რეგიონი) ჰერეთად მიიჩნევენ, შეცდომას უშვებენ. მათი შეცდომის მთავარი წყაროა ის, რომ ისინი უმართებულოდ საზღვრავენ პუნქტ ტყეტბა-გულგულას ადგილმდებარეობას, ანუ საზღვარს ქართლას და ჰერეთს, იბერიასა და ალბანიას შორის.

აქვე, ვართაშენთან ახლოს (ამჟამინდელ ოგუზთან) უნდა ყოფილიყო კახეთის უძველესი ქალაქი **ჩელეთი**. ამის დასტურია ისიც, რომ მისი სახელი დღესაც ცოცხალი არის აღნიშნულ რეგიონში შაქსა და ვართაშენს შუა. მას ამჟამად **ჩალეთს** უწოდებენ. სოფელი სახელწოდებით „ჩალეთი" დღესაც არსებობს ყოფილ კახეთში, რომელიც ახლა შექის რაიონშია. ისაა ძველქართული წყაროების ჩელეთი.

მართალია, სახელი ჩელეთი ემსგავსება ძველქართულ ქალაქ ჟალეთის სახელს, მაგრამ ჩელეთი ჟალეთი არ არის, ერთი შემდგომდროინდელ სიონის წყალსაცავთან მდებარეობდა, ხოლო მეორე - შაქ-ვართაშენის რეგიონში. **ამ რეგიონის ეკლესიების ქართული სახელები**

უეჭველად მიუთითებს, რომ ეს რეგიონი ქართველებით მჭიდროდ იყო დასახლებული და საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. ამ რეგიონის ქართველობა, როგორც აღინიშნა, უკიდურესად დააზარალა შაჰ-აბასმა, როცა მან ეს მიწა-წყალი კახეთს ჩამოაცილა და სამართავად დაღესტნელ ლეკებს გადასცა.

ამ პროცესმა ქართველების ასიმილაცია, რაოდენობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია.

ქართველების რაოდენობა აქ კიდევ უფრო შემცირდა XX საუკუნის დასაწყისში სომეხ-აზერბაიჯანელთა კონფლიქტის დროს, ამ დროს მათ მიატოვეს სოფელი ვართაშენი, ასევე სოფელი ნიჯი და თავი შეაფარეს თავიანთ მშობელ ქართველ ერს, საქართველოს მიწა-წყალს.

თვითონ აღწერეს სომხებმა ვარტასენისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობა, აქ ისინი უდინების გვერდთ ასახელებენ მრავალრიცხოვან ქართველებს. სომხური აღწერით გადმოსახლებამდე, მე-19 საუკუნეში, ცალ-ცალკე აღირიცხებოდნენ უდები (უდინები) და ქართველები. ქართველების რაოდენობა ვართაშენში 150 კომლი ყოფილა, აქვე, ვართაშენში ქართველების გვერდით ცხოვრობდნენ უდინები ანუ უდები.

1918-1922 წლებში მღვდელ ზინობი სილიკაშვილის მეთაურობით ქართველები და უდინები ვართაშენიდან გადმოსახლდნენ ყვარლის რაიონში. სულ, როგორც ჩანს, ჩამოსახლებულა 600 კაცამდე.

როგორც აღინიშნა, 1890 წელს ვართაშენში 150 ქართულ-მართლმადიდებლური ოჯახი ყოფილა. რაც, ალბათ, გულისხმობს 600 კაცამდე სულადობას, მათ გვერდით აღირაცხებოდნენ უდინები განსხვავებული რაოდენობით, ისინი, ყველანი ვართაშენიდან და მეზობელი სოფლიდან გადმოსახლდნენ ყვარელში. მათ, გადმოსახლების შემდეგ, ყვარლის რაიონში სოფელი ზინობიანი დაუარსებიათ. ყვარელში ვართაშენიდან გადმოსახლებულ ქართველებსაც უდინები უწოდეს შეცდომით. ჩათვალეს, რომ ვართაშენიდან ჩამოსახლებულები ყველანი უდინები იყვნენ, ალბათ იმის გამო, რომ ისინი ერთი ყაიდის ცხოვრებით ცხოვრობდნენ ანუ ადგილობრივ ქართველებისაგან განსხვავდებოდნენ საყოფაცხოვრებო კულტურით.

ვართაშენიდან ჩამოსახლბულ ქართველებსაც ამჟამად უდინებს უწოდებენ, მათთან ერთად საქართველოს იმავე სოფელში ვართაშენელი უდინებიც დასახლებულან. ვართაშენელ უდინებს და ვართაშენელ ქართველებსაც საქართველოში, შეცდომით, ერთი სახელი უდინები ეწოდათ.

დასკვნა

ამჟამად აიგივებენ ალბანეთსა და ჰერეთს, სინამდვილეში ისინი არსებობდნენ სხვადასხვა ეპოქაში, სხვასხვა საუკუნეებში, გააჩნდათ სხვადასხვა საზღვრები და დასახლებული იყვნენ სხვადასხვა ხალხით, კერძოდ ალბანეთმა სახელმწიფოებრიობა დაკარგა მე-5 საუკუნეში და თავის ეკლესიასთან ერთად მე-5, მე-7 საუკუნეებში შეერწყა სომხურ ეკლესიასა და ხალხს, ხოლო ჰერეთის სახელმწიფო დაარსა ადგილობრივმა ქართველმა ხალხმა არაბობის ეპოქაში, ის იმჟამად, არაბთა მხარდაჭერით, ისე გაძლიერდა, რომ მე-10 საუკუნეში, დროებით, კახეთის საქორეპისკოპოსოს პუნქტებიც კი წაართვა. ეს ორი სამეფო, კახეთისა და ჰერეთისა (რანისა) სულიერად ერთიანი იყო, რადგანაც ერთი ქართველი ხალხით იყვნენ დასახლებულნი და შედიოდნენ საქართველოს ეკლესიის ერთიან წიაღში, ამიტომაც გაერთიანდნენ კიდეც.

ხოლო რაც შეეხება ალბანეთს, ის არაბობამდე დასახლებული იყო სხვადასხვა ენოვანი ტომებით, მათ შორის ეთნიკური ალბანელების გარდა გამოიყოფოდა სამი დიდი ჯგუფი: ირანულენოვანი, თურქულენოვანი და ქართულენოვანი. ალბანეთის დასავლეთ ოლქებში კომპაქტურად დასახლებული ქართველები, იგივე ქართულენოვანი ანუ ქართველი ალბანელები დასავლეთ ალბანეთის ძირითად ხალხი იყო, ამ ოლქს ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ. მხოლოდ ქართულენოვანმა ალბანელებმა ანუ ჰერებმა შეძლეს სახელმწიფოებრიობრივი ცხოვრების მოწყობა არაბთა ბატონობისას (ეთნიკურმა ალბანელებმა ეს ვერ შეძლეს). უფრო მეტიც, მათი სახელმწიფო - ჰერეთის სამეფო გაძლიერდა და კახეთის საქორეპისკოპოსოს, როგორც

აღინიშნა, ტერიტორიებიც კი ჩამოაჭრა. არაბობის შემდეგ მხოლოდ ჰერები იყვნენ ყოფილ ალბანეთში მართლმადიდებლები, ანუ საქართველოს ეკლესიის წევრები, უფრო მეტად მე-10 საუკუნედან.

საერთოდ კი, ამჟამინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მართლმადიდებელი მრევლი მე-7 საუკუნედან ვიდრე მე-19 საუკუნემდე შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, ამას მიუთითებს არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური წყაროებიც.

მე-7 საუკუნემდე კავკასიის ალბანეთის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა ამჟამინდელი აზერბაიჯანის დიდი ნაწილის მართლმადიდებელი სამრევლოები. წყაროთა, განსაკუთრებით კი მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ალბანეთის ეკლესიამ თავისთავადობა დაკარგა მე-7 საუკუნეში, არაბობის დროს ის დაიმორჩილა დვინის სომხურმა საკათალიკოსომ, ამის შემდეგ ის მუდამ სომხური ეკლესიის ნაწილი იყო, ალბანელი ხალხი კი გაქრა სხვადასხვა ხალხებში ასიმილაციის შედეგად. როგორც ითქვა, ალბანეთი მრავალენოვანი და მრავალეროვანი ქვეყანა იყო, ალბანეთში მცხოვრებმა ქართველმა მართლმადიდებლებმა არ ინებეს სომხურ ეკლესიასთან გაერთიანება და შეუერთდნენ მშობლიურ ქართულ ეკლესიას, ამის შემდეგ ამჟამინდელი აზერბაიჯანის მართლმადიდებელი მოსახლეობა შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში. შესაბამისად, ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამართალმემკვიდრე არის საქართველოს ეკლესია, და არა მოსკოვის საპატრიარქოს ბაქო-აზერბაიჯანის ეკლესია, როგორც გვაუწყებს მისი ვებგვერდი. მით უფრო, რომ აზერბაიჯანის მკვიდრი მართლმადიდებელი სამრევლოების უდიდესი ნაწილი ამჟამადაც შედის საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

უწმიდესი პატრიარქის ილის II მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მოძრაობის დაგვირგვინება

2017 წლის 28 მარტის კონფერენცია

საქართველოს ეკლესიის ავტოკაფელია, საეკლესიო სამართლის თანახმად, უკანონოდ გააუქმეს XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის საიმპერატორო კარის მოთხოვნით. XIX საუკუნის I ნახევარში დაიწყო ბრძოლა ავტოკეფალიის აღდგენისათვის, რაშიც მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრები, ყველა ეპარქიის სამღვდელოება, მრევლი და დიდი ნაწილი ქართული ინტელიგენციისა.

საქართველოს ეპარქიებში ტარდებოდა სამღვდელოების კრებები. სამღვდელოება იღებდა დადგენილებებს პეტიციის სახით, რომელსაც უგზავნიდნენ რუსეთის იმპერატორს. პეტიციაში სამღვდელოება თხოვდა საიმპერატორო კარს გაეერთიანებინა ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები ზაქათალას ოლქთან და სოხუმის სამხედრო ოკრუგთან ერთად. ამ ერთიან ადმინისტრაციულ ერთეულს უნდა წოდებოდა საქართველო, რომელიც ავტონომიური ერთეულის სახით იარსებებდა რუსეთის იმპერიის წიაღში. საბოლოოდ კი, ამ ავტონომიური ერთეულის საფუძველზე უნდა დამყარებულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკაფელია ანუ საქართველოს ეკლესიის ავტოკაფელიისათვის აუცილებლად საჭირო იყო

ერთიანი ადმინისტრაციული ერთეულის არსებობა, რასაც თხოვდა ქართველი სამღვდელოება რუსეთის საიმპერატორო კარს.

მრავალი ასეთი მოთხოვნის შემდგომ, მართლაც განხილულ იქნა ეს საკითხი და რუსეთის იმპერატორმა პირადად ამ საკითხის გადაჭრა, ანუ საქართველოს ეკლესიის ავტოკაფელიის შესახებ დადგენილების გამოტანა, დაავალა რუსეთის დიდ საეკლესიო კრებას, რომელიც უნდა ჩატარებულიყო XX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ კი დაგეგმილი იყო ის ჩატარებულიყო 1917-18 წლებში. საქართველოს ეკლესიის მაღალმა იერარქებმა, ამასთან დაკავშირებით ბრძანეს, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკაფალური იყო ჯერ კიდევ მოციქულთა დროიდან, ამიტომაც ამ საკითხზე არ უნდა ემსჯელა რუსეთის გაფართოებულ კრებას.

1917 წლისათვის შეიქმნა შესაბამისი პოლიტიკური მომენტი. კერძოდ, I მსოფლიო ომში ოსმალეთის ფრონტზე წარუმატებლობა განიცადა რუსეთის მხედრობამ და მან დატოვა ამიერკავკასია, და ამასთანავე 1917 წლის თებერვლის თვეში საიმპერატორო ტახტი დატოვა იმპერატორმა. რუსეთის იმპერიის მმართველობა გადაეცა დროებით მთავრობას. ამ პერიოდში, 1917 წლის 25 მარტს, აღნიშნული მომენტით ისარგებლა საქართველოს ეკლესიის მაღალმა იერარქიამ და სვეტიცხოველში წირვის შემდგომ გამოაცხადა ავტოკეფალიის აღდგენა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკაფელია არ ცნო რუსეთის ეკლესიამ და არც სხვა იმჟამინდელმა დიდმა საპატრიარქოებმა ვიდრე 1943 წლამდე. 1943 წელს საბჭოთა მთავრობამ ჩანს გაითვალისწინა ქართველი ერის თავდადებული ღვაწლი გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ ომში, რაც საფუძვლად დაედო რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკაფელიის აღიარებას.

ამასთან ერთად რუსეთის ეკლესიამ ცნო საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ღირსება და მე-6 ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში. ეს იყო ძალზედ დიდი გამარჯვება, მაგრამ მსოფლიო საპატრიარქოებმა ამის მიუხედავად არ ცნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკაფელია და სხვა უფლებები. 1977 წლის შემდგომ, რაც საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი ილია II, მან დაიწყო ძალზედ დიდი ბრძოლა, შრომა და დიდი ღვაწლი ჩადო, რათა მსოფლიო საპატრიარქოებს, განსაკუთრებით კი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკაფელია. პირადად მახსოვს, რადგანაც იმ დროს საქართველოს საპატრიარქოში ვმოღვაწეობდი 1981 წელს ვითარცა ეპისკოპოსი, ვეცნობოდი შესაბამის წერილებს, რომელიც მოდიოდა კონსტანტინოპოლიდან. კერძოდ, ამ წერილებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ითხოვდა საქართველოს ეკლესიის შესახებ მასალებს. კერძოდ, ისინი წერდნენ, რომ არ ყოფნიდათ და არ ქონდათ მასალები საქართველოს ეკლესიის ავტოკაფელიასთან დაკავშირებით და თხოვდნენ საქართველოს ეკლესიას გაეგზავნა კონსტანტინოპოლში თავის ავტოკეფალიის დამადასტურებელი ისტორიული წყაროები, საბუთები, მასალები, გამოკვლევები. ამის გამო უწმიდესი პატრიარქი ილია II თხოვდა საქართველოს გამოჩენილ მეცნიერებს, ასევე გვავალებდა ჩვენც, დამავალა პირადად მეც მემუშავა ამ საკითხზე და მოგვემზადებინა შესაბამისი წყაროები. კერძოდ, უწმიდესმა პატრიარქმა მე დამავალა დამეწერა თემა საქართველოს ეკლესიის ადგილის შესახებ მართლმადიდებლურ დიპტიხში. დამავალა ასევე მეორე თემაც - საქართველოს ეკლესიის ძველი ავტოკაფელია. როგორც მე, ასევე სხვა მეცნიერებმა ნაშრომები გადავეცით პატრიარქს. საქართველოს საპატრიარქოს მჭიდრო ურთიერთობა ქონდა კონსტანტინოპოლთან. იქიდან რამდენჯერმე ჩამოვიდნენ მაღალი საპატრიარქო დელეგაცია, რომელიც აზუსტებდა საბოლოო ტექსტს ავტოკეფალიასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, საქართველოს პატრიარქის უდიდესი შრომით, მისი დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის გათვალისწინებით, მისი უშუალო ღვაწლით 1990 წელს მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს კონსტანტინოპოლმა გამოაცხადა და გამოაქვეყნა საქართველოს ეკლესიის ავტოკაფელიის ცნობის სიგელი. ეს სიგელი უშუალოდ პატრიარქმა ჩამოაბრძანა სტამბოლიდან

ანუ კონსტანტინოპოლიდან თბილისში და გააცნო საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს ეს უდიდესი გამაჯვება. მე პირადად, მიმაჩნია ჩემთვის სასიამოვნო მომენტად, რომ სინოდის ამ სხდომაზე უწმიდესმა პატრიარქმა პირადად მე დამავალა წამეკითხა აღნიშნული სიგელი მსოფლიო პატრიაქის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკაფელიის ცნობისა.

ეს იყო უდიდესი მოვლენა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, კერძოდ კი, ცნობის ეს სიგელი წარმოადგენდა თითქმის 200 წლოვანი ავტოკეფალური მოძრაობის დაგვირგვინებას. ეს იყო ჩვენი უწმიდესი პატრიარქის უდიდესი შრომისა და ღვაწლის შედეგი.

ამის დადებით შედეგს ჩვენ ვგრძნობთ ამჟამადაც კი. კერძოდ, დაიშალა საბჭოთა კავშირი, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რის შემდგომაც აფხაზეთში მოიკალათეს საეკლესიო სეპარატისტებმა. ისინი მუდმივად უგზავნიდნენ თხოვნებს მსოფლიო საპატრიარქოს, ასევე სხვა ეკლესიებს, რათა მათ ეცნოთ აფხაზეთის ე.წ. ეკლესიის ავტოკეფალია. ამის პასუხად კონსტანტინოპოლმა მათ შეაყტობინა, რომ 1990 წელს კონსტანტინოპოლმა აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკაფელია და საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედის მათ შორის აფხაზეთი. მსგავსი ვითარება არის ცხინვალის რეგიონის მიმართ. ანუ უწმიდესი პატრიარქის აღნიშნული ღვაწლი დღესაც არის საფუძველი საქართველოს ეკლესიის მთლიანობისა საერთაშორისო მაშტაბით.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ალბანეთი

(რანი და ჰერეთი, ლფინები და ჭილბები)

საზღვარი ალბანეთსა და ქართლის სამეფოს შორის

რუსეთის საპატრიარქოს ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის ოფიციალური საინტერნეტო გვერდი http://baku.eparhia.ru/history/albania/architrave/, ამტკიცებს, რომ ბოდბის, გურჯაანისა (მე-7, მე-9 საუკუნეებამდე) და სხვა ეკლესიები, განსაკუთრებით საინგილოში, არა ქართული, არამედ ალბანური ეკლესიები იყვნენ. შესაბამისად, ცხადია, მიიჩნევა, რომ დავით გარეჯას მონასტრები, და სხვა ეკლესიები ამ რეგიონში, არა ქარტული, არამედ ალბანური წარმოშობის ეკლესია-მონასტრები იყვნენ.

აქ ნათქვამია - **В качестве архитектурных памятников Албанской Церкви логично рассматривать и ряд церквей, расположенных в исторической области Камбисена, сохранившихся на территории современной Грузии. Это особенно оправдано в случае отнесения храмов в Гурджаане и Бодбе к эпохе VII-IX веков, до включения области в царство кахов и ранов. Архитектурное наследие Албанской Церкви** http://baku.eparhia.ru/history/albania/architrave/

რუსეთის ეკლესიიის ეს ოფიციალური ორგანო იმეორებს, როგორც რუსულ, ისე ქართულ საისტორიო წრეებში გაბატონებულ მოსაზრებას, რომ აღნიშნული ეკლესიები ალბანური არიან, რადგანაც, მათი მტკიცებით, საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის გადიოდა რუსთავის ქვემოთ, კვეთდა ცივგომბორის ქედს, ისე, რომ ბოდბე-გურჯაანი, დავთ გარეჯას მონასტრები და ამჟამინდელი საინგილოს ეკლესიები ალბანეთში ექცეოდნენ.

უმთავრესი წყარო, რომელსაც ეყრდნობა აღნიშნული მტკიცება, არის არასწორი განსაზღვრება ალბანია-იბერიის საზღვრისა. ამ მტკიცების მიხედვით შექმნილია ალბანეთის რუკები.

რუკა - ალბანეთის არასწორი რუკა. სინამდვილეში საზღვარი ქართლსა და ალბანეთს შორის გადიოდა ალაზნის უმთავრეს შენაკად მდ. გიშისწყალის (აგრიჩაი, გეტარუ) სათავესთან ახლოს გამავალ მდინარესთან, რომელიც კავკასიის მთებიდან გამომდინარე უერთდება მტკვარს, რომელსაც ამ რუკაზე ეწოდება - კალაძერ. ჩანს, მას ანდა მის ახლო გამავალ მდინარეს ერქვა ოკაზანი, რომელიც იყო საზღვარი იბერიასა და ალბანეთს შორის.

ჩვენ არ ვიზიარებთ არასწორ განსაზღვრებას, რადგანაც ის არ ეყრდნობა წყაროთა ცნობებს ალბანეთ-ქართლის (იბერიის) საზღვრების შესახებ.

სულ ოთხი ძირითადი წყარო არსებობს იბერიისა და ალბანიის საზღვრის შესახებ: პლინიუს უფროსი, ეღშე და მოვსეს კალანკატუეცი იძლევიან ცნობებს უშუალოდ იბერია-ალბანიის საზღვარს შესახებ, ხოლო მეოთხე - ლეონტი მროველი, იძლევა ცნობას ქართლსა და ჰერეთს შორის საზღვრის შესახებ.

რაც შეეხება აღნიშნულ ოფიციალურ მტკიცებას, ის არ ეყრდნობა არც ერთ წყაროს, ასევე არასწორია ოფიციალურად გავრცელებული რუკა ალბანიისა.

საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის პლინიუს უფროსის, ეღიშესა და მოვსეს კალანკატუაცის ცნობებით:

პლინიუს უფროსი წერდა - „მდინარე მტკვრის იქეთ მთელი ვაკე დასახლებულია ალბანთა ტომით და, შემდეგ, იბერებით, რომელნიც ერთმანეთისაგან გამოყოფილი არიან მდინარე ოკაზანით, რომელიც გამოედინება კავკასიის მთებიდან და ჩაედინება მდ. კირში" (პლინიუს უფროსი, ბუნების ისტორია, 6, 28 - 29).

„Теперь будут перечислены жители пограничных с Арменией областей: всю равнину, начиная от реки Кура, заселяют племена албанов, а затем иберов, которые отделены от первых рекой Оказаном, текущей с Кавказских гор в реку Кир"… (Плиний Старший, «Естественная история», кн. VI, 28-29)

პლინიუს უფროსის ცნობით „მტკვრის იქითა ვაკე", დასახლებული იყო იბერებითა და ალბანელებით, რომელნიც ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყვნენ მდინარე ოკაზანით. ეს მდინარე (ოკაზანი) გამოედინებოდა კავკასიის მთებში და უერთდებოდა მტკვარს.

მაშასადამე იბერია-ალბანიის საზღვარი მდებარეობდა მდინარით გაყოფილ მტკვრისპირა ვაკეზე (ეს ვაკე დიდი იყო რადგანაც ორი ხალხით იყო დასახლებული).

შესაბამისად პლინიუს უფროსი იბერია-ალბანიის საზღვრის შესახებ იძლევა რამდენიმე მინიშნებას, რომელთაც არ ექცევათ სათანადო ყურადღება.

საზღვარი გადიოდა მტკვრისპირა დიდ ველზე, ამავე ველზე გაედინებოდა მთებიდან გამომავალი მდინარე ოკაზანი, რომელიც კვლავ მტკვარს უერთდებოდა. მაშასადამე საზღვარი მტკვრის რეგიონშია და, შეასაბამისად, საეჭვოა მტკიცება იმისა, რომ მდ. ოკაზანი არის ალაზანი.

იბერია-ალბანიის საზღვრის ძიებისათვის უნდა ვეძიოთ მტკვრისპირა დიდი ველი, სადაც გაედინებოდა მთებიდან გამომდინარე ოკაზანი.

ამჟამად, მტკვრის დიდი ველი და მასზე გამმდინარე ოკაზანი არ არიან ლოკალიზებულნი, თუმცა სახელების (ოკაზანი - ალაზანი) მსგავსების გამო მიიჩნევა, რომ ის ალაზანია.

სახელი „ალაზანი" კი ამ რეგიონში მრავალ მდინარეს ერქვა (პირიქითა ალაზანი, თუშეთის ალაზანი, მცირე ალაზანი - იორი, ქართული წყაროები იორს უწოდებენ „მცირე ალაზანს"და სხვა). მდინარე ალაზნის მთავარი ძარღვის ყველა შენაკადი „ალაზნად" იწოდებოდა.

ალბანიასთან ყველაზე ახლოს კი გაედინებოდა ალაზნის უმთავრესი წყალუხვი შენაკადი გიშისწყალი (ამჟამად აზერბაიჯანშია და აგრიჩაის (გეტარუს) უწოდებენ).

ალბანიასთან მიმართებაში სწორედ ეს მდინარე (გიშისწყალი ანუ აგრიჩაი) უნდა წოდებულიყო ალაზნად, რადგანაც მდინარის ეს უმთავრესი ძარღვი (აგრიჩაი) ალბანიასთან ყველაზე ახლოს იყო.

ისმის კითხვა, პლინიუსის გარდა, არსებობს თუ არა სხვა მნიშვნელოვანი წყაროების ცნობები იბერიისა და ალბანიის სასაზღვრო პუნქტების შესახებ? როგორც ითქვა, არსებობს, ეღიშესა, მოვსეს კალანკატუაცისა და სხვათა ცნობები, კერძოდ ისინი იძლევიან ინფორმაციას, რომ იბერიისა და ალბანიის საზღვარზე მდებარეობდა პუნქტი „ხალხალა".

ეღიშე, სომეხი ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი მე-5 ან მე-6 საუკუნისა, წერს „შეხვდა მათ იბერიის საზღვართან, ქალაქ ხალხალში, სადაც ალბანთა მეფეებს ჰქონდათ თავისი ზამთრის რეზიდენცია". http://baku.eparhia.ru/history/albania/geographic/

Егише пишет: «…встретился с ними около границы Иберии, в городе Халхал, в котором албанские цари имели свою зимнюю резиденцию». http://baku.eparhia.ru/history/albania/geographic/

იმავეს წერს მოსე კალანკატუაცი მე-7 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, „ალვანთა ქვეყნის ისტორიის" ავტორი - „და შეხვდა მათ იბერიის საზღვარზე, ხალხალას პირისპირ, ალბანთა სამეფოს საზამთრო რეზიდენციასთან". http://baku.eparhia.ru/history/albania/geographic/

Моисей Каланкатуйский передает: «…и встретился с ним на границах Иберии, напротив Халхала, зимней резиденции царства Албанского». http://baku.eparhia.ru/history/albania/geographic/

ამჟამინდელი აგრიჩაის მახლობელ რეგიონში მართლაც ორი ისტორიული „ხალხალა" არსებობდა, ერთი ახლოს იყო ხორანთასთან (იორ-ალაზნის შესართავთან), ხოლო მეორე ხალხალა დღესაც არსებობს ოგუზის რაიონში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასზე გაედინება კავკასიის მთებიდან გამომავალი მდინარე (ამჟამინდელი გალაჩაი), რომელიც უშუალოდ მტკვარს უერთდება, როგორც ახასიათებს ოკაზანს პლინიუს უფროსი.

ორი ხალხალას პუნქტები იდენტიფიცირებულია და ისინი ახლოს მდებარეობენ მდ.აგრიჩაისთან, რომლის არეალშიც უნდა ვეძიოთ ალბანია-იბერიის საზღვარი.

სამი წყარო ერთმანეთს ეთანადება - როგორც ითქვა, ხალხალა ამჟამინდელი სოფელია ამ რეგიონში კავკასიის მთებიდან გამომავალ მდინარე გალაჩაისთან ახლოს ოგუზის რაიონში ყოფილ ვართაშენთან. აქვე უნდა ვეძიოთ მეოთხე წყაროს - ლეონტი მროველის მიერ დასახელაბული გულგულა, საზღვარი ქართლსა და ჰერეთს შორის.

ლეონტი წერს - „ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქჳან გულგულა. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა. და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი. და მის გამო ჰქჳან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქჳან ხორანთა" (ქ.ც. 1. 1955, გვ.17).

ეღიშესა და კალანკატუაცის მიერ იბერიასა და ალბანიას შორის საზღვრად დასახელებული პუნქტი ხალხალა უნდა ყოფილიყო სწორედ ის ტყეტბა-გულგულა, რომელსაც ასახელებს ლეონტი,

არა თელავთან მდებარე პუნქტი გულგულა, არამედ ხალხალა, ოგუზის, ძველი ვართაშენის რაიონში.

საქმე ისაა, რომ ლეონტის ცნობით ტყეტბა-გულგულა „მტკვრის ჩრდილოთ" ანუ მტკვრის ახლო რეგიონში მდებარეობდა, როგორიცაა ეღიშეს მიერ დასახელებული ხალხალა, რაც შეეხება თელავის გულგულას, ის გეოგრაფიულად ძალზე დაშორებულია მტკვარს.

მტკვარსა და თელავს შორის სხვა დიდ მდინარეთა ხეობებია.

მაშასადამე იბერია-ალბანიის საზღვარი არ გადიოდა თელავის გულგულასთან, მაშ სად გადიოდა ის?

ივანე ჯავახიშვილიც აღნიშნავდა, რომ საეჭვოა გულგულას ლოკალიზება თელავთან, რომ ამ პუნქტის შესახებ ვახუშტისაც, მე-18 საუკუნეში, უკვე აღარ ჰქონია ცნობები.

ლეონტის ცნობის შესატყვისად ამჟამინდელი ხალხალა „მტკვრის ჩრდილოთ" მდებარეობს და საზღვარი მასზე გადიოდა ეღიშესა და კალანკატუაცის ცნობებით. ასეთია ოგუზის ანუ ვართაშენის რაიონის პუნქტი ხალხალა.

აქედან (ხალხალადან) გავლებული სასაზღვრო ხაზი, რომელიც უერთდებოდა ლეონტის ცნობითვე ოირ-ალაზნის შესართავთან მდებარე ჰერების ქალაქს ხორანთას - უნდა ყოფილიყო საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის.

მაშასადამე, ოთხი წყაროს - პლინიუს უფროსის, ეღიშეს, მოვსეს კალანკატუაცისა და ლეონტი მროველის ურთიერთშეჯერებით მივედით დასკვნამდე, რომ საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის ერთმანეთს აერთებდა ხორანთასა და ხალხალას (ვართაშენტან).



https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/c/c4/Emirate - of - Armenia - 750 - 885.png

რუკა - სამხეთ კავკასიის ოლქები არაბთა მმართველობისას. არაბებმა საქართველოს (გურზან- ურჯისტანს) უწოდეს ალ-არმინიია 2, ხოლო ყოფილ ალბანეთს (რან-არანს) უწოდეს ალ-არმინიია 1. ეს რუკა კარგად აჩვენებს საზღვარს ჰერეთ-ალბანეთსა და საქართველოს შორის. აქ საზღვარი გადის არა თელავთან და ბოდბე-გურჯაანთან, როგორც არასწორად უთითებენ ჩვენი თანამედროვე ავტორები, არამედ ვართაშენ-ფილფილასთან გამავალ მდინარესთან, რომელიც უერთდებოდა მტკვარს. ნიშანდობლივია, რომ საზღვარი გურჯისტანსა და არანს შორის გადიოდა საქართველოს ძველ საზღვარზე.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ხაზთან ახლოს გადიოდა საზღვარი მე-8 საუკუნეში არაბების მიერ დაპყრობილ გურზანსა (გურჯისტანსა) და ალბანეთს (რანს) შორის (არაბებმა დაპყრობილ ალბანეთს „ალ-არმინიია 1" უწოდეს, ხოლო გურზანს „ალ არმინიია 2", მათ შორის საზღვარი მოცემულია რუკაზე), ასევე სხვა ადმინისტრაციული ერთეულებისა თუ სახელმწიფო წარმონაქმნებისა საუკუნეთა მანძილზე, რაც მოცემულია ქვემოთ.

აღსანიშნავია, რომ ხალხალასთან ახლოს დღესაც არის სოფელი იმავე ეტიმოლოგიით - ფილფილა. აქ შესანიშნავი არის ის, რომ სახელები „გულგულა", „ხალხალა" და „ფილფილა" ერთნაირი ეტიმოლოგიისა.

ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ამ სახელის მქონე პუნქტი - გულგულა, შესაძლოა მართლაც მდებარეობდა რეგიონში, კავკასიის მთის ძირში, სადაც ახლაც მდებარეობენ ამავე ეტიმოლოგიის პუნქტები - ხალხალა და ფილფილა, ამასთანავე, ამ სოფლებთან - ხალახალასთან და ფილფილასთან გამოედინებიან მთის მდინარეები, რომელნიც მტკვარს უერთდებიან, როგორც აღწერს პლინიუსი საზღვარს იბერია-ალბანიას შორის.

ხალხალასა და ფილფილასტან კავკასის მთებიდან გამომდინარე აგრიჩაისა და გალაჩაის შორის, მიწის ძალზე მცირე მონაკვეთში გაედინება კავკასიის მთებიდან გამომავალი მდინარე ალიჯანჩაი (Алиджанчай).

ეს სამი მდინარე აგრიჩაი, გალაჩაი და ალიჯანჩაი გამოედინებიან ერთმანეთთან ძალზე ახლოს, შემდეგ კი იყოფიან დიდ ვაკეზე. როგორც ითაქვა, დიდი ვაკის გავლის შემდეგ ალიჯანჩაი და გალაჩაი უშუალოდ მტკვარს უერთდებიან, მესამე კი აგრიჩაი ალაზანს უერთდება. ანუ ისინი აკმაყოფილებენ წყაროს მოთხოვნას, რომ კავკასიის მთებიდან გამომავალი მდინარე უნდა უერთებოდეს მტკვარს, თანაც აქაა პუნქტები წყაროსვე მიერ მოცემული მოთხოვნის შესაბამისი ეტიმოლოგიისა.

წყაროსავე მოთხოვნით, სასაზღვრო მდინარე გაედინებოდა „მტკვრის იქითა ვაკეზე".

ისმის კითხვა სად მდებარეობს ის მტკვრისპირა ვაკე, სადაც გადიოდა საზღვარი იბერიასა და ალაბანიას შორის, პლინიუსის ცნობის შესაბამისად?

აღსანიშნავია, რომ მთებიდან გამომდინარე აღნიშნული მდ. აგრიჩაი გაედინება დიდ ველზე, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება „ალაზან-აგრიჩაის ვაკე", ხოლო გალაჩაი და მდ. ალიჯანჩაი მტკვარს უერთდებიან „შირვანის ვაკეზე". ეს ორი ვააკე ერთმანეთს უერთდებიან იმ რეგიონში სადაც უნდა ყოფილიყო საძიებელი საზღვარი.

სწორედ აქ, არნიშნულ მდინარესათან, სადაც ერთმანეთს უერთდება ორი დიდი მტკვრისპირა ვაკე, ამჟამადაც მდებარეობს საზღვარი შექი-ზაქათალას ეკონომიკური რაიონსა, ხოლო წინა საუკუნეებში გადიოდა საზღვარი აზერბაიჯანის სახანოსი.

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%90%D0%B7%D0%B5%D1%80%D0%B1%D0%B0%D0%B9%D0%B4%D0%B6%D0%B0%D0%BDN/media/File:Azerbaijan - economic - regions.png

ოგუზის რაიონი შეფენილია კავკასიის სამხრეთ ფერდზე და იმდენად მშვენიერი ბუნებისაა, რომ უწოდებენ აზერბაიჯანის შვეიცარიას. მისი ტერიტორიის ნახევარი დაფარულია ტყეებით, აქ ბევრია ჩანჩქერი, წყარო, ხარობს ხეხილი, აქ მდებარეობდა ლეონტი მროველის მიერ დასახელებული ტყეტბა - გულგულა, აქ ერთერთ ქედს ეწოდება გურჯი-დაღი, ადგილობრივების გადმოცემით ამ ქედზე გადიოდა საზღვარი საქართველოსთან.

http://www.azerbaijan.az/portal/Society/Tourism/tourism - r.html?tourism - 04

რუკა - აზერბაიჯანის ეკონომიკური რეგიონები. ამ რუკიდან ჩანს, რომ შექი-ზაქათალას ეკონომიკური რეგიონის სამხრეთი საზღვარი გადის საქართველოს ძველ საზღვარზე.

რუკა - აზერბაიჯანის სახანოები მე-18 საუკუნეში. ამ რუკიდან ჩანს, რომ, მაგალითად, შექის სახანოს სამხრეთი საზღვარი გადის საქართველოს ძველ საზღვარზე, იბერიასა და ალბანეთს შორის გამავალ ძველ საზღვარზე. ეს ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საზღვარი სტაბილური დარჩა, მიუხედავად პოლიტიკურ-ეთნიკური ცვლილებებისა.

აზერბაიჯანის სახანოებს საზღვარი იმის შემდეგ გავიდა მდინარე აგრიჩაი-გიშისწყალზე, რაც საქართველომ დაკარგა შექი. აქ მდებარეობს ე.წ. ალაზან-აგრიჩაის ვაკე. ოდესღაც ალაზნის უმთავრესი შენაკადის აგრიჩაი-გიშისწყალის (მასაც „ალაზანი" ერქვა) მეზობლად გამდინარე „ოკაზანი" იყო საზღვარი ალბანეთსა და იბერიას შორის, იმის შემდეგ, რაც საქართველომ დაკარგა შექი, აქ, მდინარე აგრიჩაი-გიშისწყალზე გადიოდა ე.წ. „აზერბაიჯანის სახანოების" საზღვარი, აქვე მდებარეობს ე.წ. ალაზან-აგრიჩაის ვაკე (ოკაზანი, წყაროს ცნობით ვაკეზე გაედინებოდა), ვაკეზე გაედინებოდა ოკაზანი. ალაზან-აგრიჩაის ვაკეზე მდ. აგრიჩაი გაედინება მდ.გალაჩაისთან და მდ. ალიჯანჩაისთან უახლოესად). „ალაზან-აგრიჩაის ვაკეს" თავისი სახელი აქვს მისი დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის გამო.

Алазань - Агричайская равнина, Алазань - Авторанская равнина (авар. ЦIор, цах. Гал) район в Грузии и Азербайджане вдоль южного подножия Большого Кавказа по рекам Алазани и Агричай.

https://dic.academic.ru/dic.nsf/encgeo/404/%D0%90%D0%BB%D0%B0%D0%B7%D0%B0%D0%BD%D1%8C

აგრიჩაის სათავესთან ახლოს, მდ.გალაჩაი გამოედინება კავკასიის მთებში, ძველ ისტორიულ პუნქტ ხალხალასთან ახლოს (ვართაშენთან) და უერთდება მდ. მტკვარს ტურიანჩაის სახელით ე.წ. შირვანის ველზე

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A8%D0%B8%D1%80%D0%B2%D0%B0%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F - %D1%80%D0%B0%D0%B2%D0%BD%D0%B8%D0%BD%D0%B0

Ширванская равнина, Ширванская степь (азерб. *Şirvan düzü* - равнина Ширван) - часть равнинного пространства Кура-Аракской низменности в Азербайджане, расположенная на левобережье Куры.

მდ. გალაჩაი გაედინება სოფელ ფილფილასთან (ხალხალასთან ახლოს, რომელც გულგულად მიგვაჩნია, ხოლო გულგულა ლეონტი მროველს მიაჩნადა საზღვრად ქართლსა და ჰერეთს შორის, ეს სოფელი ხალხალა, რომელიც, როგორც ითქვა, ეღიშეს, მოვსეს კალანკატუაციისა და სხვათა ცნობით იყო საზღვარზე იბერიასა და ალბანიას შორის).

როგორც ითქვა, პლინიუს უფროსი, ლეონტი მროველი, ეღიშე და მოვსეს კალანკატუაცი აქ უნდა მიუთითებდნენ საზღვარს იბერია-ალბანიას, ქართლსა და ჰერეთს შორის.

მასასადამე, ჩვენი კვლევით, „ალაზანი” ერქვა - აგრიჩაის (გიშისწყალს), ხოლო ოკაზანი ერქვა მის უახლოეს მდინარეს - ალიჯანჩაის - **Алиджанчай** (ეს მდინარე ჩაედინება მტკვარში) ანდა ასევე უახლოეს მთის მდინარეს გალაჩაის.

შესაძლოა, ასევე, რომელიმე მათგანი (ალიჯანჩაი ანდა აგრიჩაი), იწოდებოდა ოკაზანად. ისინი ორივენი გავაკების შემდეგ უერთდებიან მტკვარს, მათზე გადიოდა საზღვარი შემდეგ საუკუნეებშიც, როგორც ითქვა, არაბობის დროს, ასევე, მე-18 საუკუნეში და ამჟამადაც, მასზე გადის საზღვარი ზაქათალა-შექის ეკონომიკური რაიონისა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მდინარე ოკაზანის გარდა პლინიუს უფროსი გვაძლევს სხვა მინიშნებას იმისა, თუ სად უნდა ვეძიოთ საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის, ეს ყოფილა მტკვრის იქითა ველი, ანუ **საზღვარი გადიოდა დიდ ველზე**.

ამჟამინდელი ისტორიკოსები წყაროს ამ ჩვენების საწინააღმდეგოდ, რუკებზე იბერიასა და ალბანიას შორის საზღვარს ავლებენ არა მტკრის ველზე, არამედ იორ-ალაზნის შუაწელზე (მათ გამყოფ ცივგომბორის მთაზე).

კიდევ ერთხელ ვიკითხოთ, რომელია მტკვრის მომიჯნავე დიდი ველი, რომელიც ცნობილი იყო უცხოეთშიც? ამ ველს ამჟამად ოფიციალურად ეწოდება აზერბაიჯანის „შირვანის სტეპი”, დიდი ვაკე, რომელსაც ქართულ წყაროებში „მოვაკანი” (ანუ სავაკე, ვაკე ადგილი) ეწოდება. მისი ბუნებრივი გაგრძელებაა ველი, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება „ალაზან-აგრიჩაის ველი”.

აგრიჩაის სათვე მდბარეობს ქალაქ შექის მარჯვნივ დაახლოებით 10-15 კილომეტრში.

თვით ამ ქალაქში ჩაედინება აგრიჩაის შენაკადი გიშისწყალი, რომელიც სათავეს იღებს სოფელ გიშთან, რომელიც რუკის მიხედვით შექის მაღლა მთაში მდებარეობს. როგორც ითქვა, აღსანიშნავია, რომ აქ, ამ მდინარესათან (აგრიჩაისთან) შექთან ახლოს ამჟამადაც გადის შექი-ზაქათალას ეკონომიკური რაიონის საზღვარი, აქვე, ამ მდინარესთან გადიოდა მე-18 საუკუნეში აზერბაიჯანის სახანოს საზღვარი, უფრო ადრე, ამავე მდინარესთან (750-885 წლებში) გადიოდა არაბული პროვინცია „ალ-არმინიია 2”-ის საზღვარი, ალ-არმინიია 2 ასევე იწოდებიდა გურზან-გურჯისტანად.

ასე, რომ საზღვარი საქართველოსთან არაბობის დროს გადიოდა შექ-აგრიჩაისთან, აქვე გადიოდა აზერბაიჯანის სახანოს საზღვარი, ხოლო ამჟამად გადის შექი-ზაქათალას ეკონომიკური რეგიონის საზღვარი. ეს ფაქტები სრულ უფლებას იძლევა, რომ გამოვთქვათ აზრი, რომ აგრიჩაი-შექ-ხალხალასთან გადიოდა ალბანია-იბერიის საზღვარი.

რას ეფუძნება ამჟამინდელი არასწორი მტკიცება, რომ ალბანია-იბერიის საზღარი ჰკვეთდა ცივგომბორის მთას და გადიოდა რუსთავიდან ვიდრე ყვარლამდე?

ეს მტკიცება თურმე ეფუძნება ვ. ლატიშევის არასწორ ლოკალიზაციას ალბანიის ქალაქებისა.

პტოლომეოსის (70-147) ცნობით იბერია-ალბანიის გამყოფ მდინარესთან, რომელიც მთებში გამოედინებოდა და მტკვარს უერთდებოდა, მდებარეობდა ალბანური ქალაქები ტაგოდა, ბაქრია, სანუია, დეგლიანა და ნიგა.

Так, перечисляя города и деревни Албании, он пишет: «Города и деревни Албании следующие. Между Иберией и рекой, вытекающей с Кавказа (т.е. Кавказских гор - А.Н.) и впадающей в Кир, которая течет по всей Иберии и Албании, отделяя от них Армению: Тагода, Бакрия, Сануя, Дегляна, Нига».

ლატიშევს განუსაზღვრია, რომ ალბანეთის ქალაქი (სოფელი) ნიგა არის ნუხა, დეგლიანა-არის სოფელი დახნა, ხოლო ქალაქები ტაგოდა, ბაქრია და სანუია - მოუთავსებია საქართველოს სიღრმეში, დაუდგენია, რომ ალბანური ქალაქი ტაგოდა თავისი მდებარეობით ეთანადება შემდეგდროინდელ თოინეს, შემდეგ განუსაზღვრავს, რომ ალბანური ქალაქი ბაქრია (ბახტია) ლოკალიზდება თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო ალბანური ქალაქი საუნია ლოკალიზდება სადღაც ახლოს სიღნახთან",

აი, ასე, ყოველგვარი საფუძვლიანი ახსნა-განმარტების გარეშე, ლატიშევმა, თავისი ვარაუდით, რომელიც შემდეგი თაობებისათვის კანონად იქცა, ალბანურ ტერიტორიად გადაიქცა თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, სიღნაღისა და ბოდბე-გურჯაანის ჩათვლთ.

Последние два названия комментатором В.В. Латышевым определяются как современные селения Дахна и Нуха в Шекинском районе Азербайджана. А вот три первые, расположенные западнее, локализуются в пределах Грузии. Тагода «по своему положению отождествляется с позднейшим Тионией», Бакрия или «по другому чтению Бахтия локализуется к северо - востоку от Тбилиси», а Сануя «между Алазанью и границей Грузии, где - либо близ позднейшего Сигнаха».

კითხვაზე, რატომ? ოფიციალური ისტორიკოსები ამბობენ, ეს ლატიშევმა თქვა, თუმცა, წყარო სხვას ამობს.

ამ კითხვის მიუხედავად, ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქია დარწმუნებულია, რომ ეს საკითხი უკამათოა.

Для нынешней исторической географии нет сомнения в том, что Кавказская Албания в период средневековья охватывала почти всю территорию современной Азербайджанской Республики, Южный Дагестан и Алазанскую долину Восточной Грузии.

ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის ვებგვერდი ბოდბეს ალბანურ ქალაქად მიიჩნევს, ისე, როგორც ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი. ბოდბის ალბანურ პუნქტად მიიჩნევასთან დაკავშირებით, ისმის კითხვა, როგორ შეიძლება ბოდბე ყოფილიყო ალბანიის ქალაქი, რადგანაც იქ დაკრძალულია წმიდა ნინო, რომელიც ქართლის განმანათლებელი იყო და არა ალბანიისა?!

აქედან გამოსავალი ადვილად იპოვნა საბჭოთა ისტრიოგრაფიამ - მისი მტკიცებით, წმიდა ნინო შევიდა ალბანიის ქალაქ ბოდბეში და მოახდინა ალბანელების ქართიზაცია. ეს მტკიცება არ ეყრდნობა რაიმე წყაროს და პირიქით, წარმოადგენს იგნორირებას მოვსეს ხორენაცის ცნობისა (მე-5 საუკუნე), რომ ქართველთა შორის ვიდრე მასქუთებამდე იქადაგა წმ. ნინომ. ამ ცნობიდან ჩანს, რომ ბოდბე, რომელიც გეოგრაფიულად მასქუთებამდე მდებარეობდა, ქართველების ქალაქი იყო და არა ალბანელებისა.

ბოდბისა და გურჯაანის ეკლესიები იმის გამოც მიიჩნევა ალბანურად, რადგანაც ისინი თითქოსდა კამბისენაში მდებარეობდნენ, ანუ იმეორებენ გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ კამბისება ქიზიყია. ჩვენი კვლევით, რომელიც მოცემულია წიგნში ხუნძეთისა და ალბანეთის საკათალიკოსოები, კამბისენა ერქვა ამჟამინდელი მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილას მდებარე ტერიტორიას და არა ქიზიყს. ეს დასკვნა ეფუძნება სტრაბონის ცნობას, რომ კამბისენა შემოფარგლული იყო მთა-გორებით, შესაბამისად ის წყალუხვი, დაჭაობებული ადგილი იყო, რადგანაც მასზე გაედინებოდა მტკვარი, რომელსაც იქვე შეურერთდა იორ-ალაზანი. კამბეჩოვანი ადგილი სწორედ ეს ჭონჭყო-ჭაობიანი ადგილი უნდა ყოფილიყო და არა უწყლო ზეგანი ქიზიყისა. სტრაბონი ახსენებს კიდეც, რომ იბერიაში ალბანიიდან შესასვლელი ჭაობებზე და კლდეებში გადიოდა, ეს უნდა ყოფილიყო ამჟამინდელი მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილი, აქ იყო ქალაქი ხორანთა - ჰერეთი და სხვა ქალაქები.

https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/c/c9/Aghuank.jpg

შირვანისა და მიმდებარე დაბლობებს ეწოდება მტკვარ-არაქსის დაბლობი, მისი გაგრძელებაა ალაზან-გოიჩაის დაბლობი, ერთმანეთისაგან იყოფოდნენ მდინარე გოიჩაით, აქვეა გალაჩაი, ალბანია-იბერიისა და ამ ერთიანი ვრცელი დაბლობის გამყოფი მდინარეები. ამ მტკვრისპირა დაბლობზე დებდა საზღვარს პლინიუს უფროსი იბერიასა და ალბანიას შორის. ამ არეალზე ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქია შექი.

შექი თავდაპირველად ერქვა ნუხის რაიონს, შემდეგ გახდა ვართაშენის რაიონის ნაწილი, 1968 წელს შეუცვალეს სახელი და დაარქვეს შექი, აქ ახლოა გიშელის ქართული საეპისკოპოსო ეკლესია. იყო წმ. ელისეს გისის სხვა ეკლესია სულ სხვა რეგიონში.

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A8%D0%B5%D0%BA%D0%B8%D0%BD%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9 - %D1%80%D0%B0%D0%B9%D0%BE%D0%BD

შექი – ზაქათალას ეკონომიკური რაიონი – აზერბაიჯანის ერთერთი ეკომიკური რაიონია. მასში შედიან კახის, გაბალინის, ოგუზის, ზაქათალას, შექის, ბალაკანის ადმინისტრაციული რაიონები.

ეღიშესა და მოვსეს კალანკატუაცის მიერ დასახელებული ხალხალა, პუნქტი იბერია-ალაბანიის საზღვარზე მდებარეობს შექის ვრცელ რეგიონში.

ხალხალი. სოფელი კავკასიის მთის სამხრეთ ფერდზე, 810 მ. სიმაღლეზე. ხალხალაზე გადის გზა, რომელიც გადადის დაღესტანში უღელტეხილ ფიიზე გავლით.

დასახელება ხალხალი საკმაოდ გავრცელებულია, სოფლები, დასახლებები და ქალაქები ამ სახელით ცნობილია ნახჩევანში და სამხრეთ აზერბაიჯანში.

ქვემო ფილფილლი. მე-20 საუკუნეში სოფელი წალეკა კალაპოტიდან გადმოსულმა მდინარე ფილფილამ, ამის გამო სოფელი დაინგრა. ჩენი კვლევით შესაძლოა საუკუნეთა წინ ხალხალი ერქვა ოგუზის რაიონში, აქვე, ამავე სოფელთან ახლოს მდებარე, ამავე ეტიმოლოგიის პუნქტ ფილფილას, რომელზეც გამავალი მთის მდინარე უერთდება მტკვარს. ეს მხარე ჭეშმარიტად დიდებულია, მთის მდინარეები მოჩუხჩუხებენ, ოგუზის რაიონში გაედინაბიან მდინარეები ალიჯანი, დაშახილი, გალაჩაი და სხვა. ტყეები და ტბები https://vk.com/wall - 23232544 - 924830

სოფელი ფილფილლი მდებარეობს ოგუზის რაიონში, 1160 მ. სიმაღლეზე, ძველ ხაჩმაზის უღელტეხილთან, მდინარე გალაჩაის მარჯვენა სანაპიროზე, კავკასიის მთების სამხრეთ ფერდზე. ამბობენ, რომ ეს სოფელი წარსულში იყო ციხე-ქალაქი. https://vk.com/wall - 23232544 - 924830

ალჯანჩაი - უერთდება მტკვარს, გამოდის ოგუზთან.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა „შირვანის სტეპი", მას ქართველები უწოდებდნენ მოვაკანს, რადგანაც დიდი ვაკეა, (მოვაკანი, ანუ ვაკეებიანი, ვაკე, მოვაკებული). შირვანის სტეპს უერთდება აგრიჩაი - ალაზნის ვაკე, ამ ორ ვაკეს ანუ დაბლობას ერთმანეთისაგან ყოფს მდინარე ალჯანჩაი, ესაა პლინიუსის ოკაზანი.

შირვანის ვაკის მდინარეა ალიჯანჩაი, რომელიც გამოედინება ოგუზ-ვართაშენთან, ისაა ოკაზანი. http://portal.azertag.az/ru/node/875

შესაბამისად კახეთისა და ჰერეთის საზღვარი გადიოდა არა თელავთან, (როგორც ამჟამად მიღებული თვალსაზრისი ამტკიცებს), არამედ ვართაშენის სოფელ ფილფილასთან და იქვე მდებარე ხალხალასთან, როგორც მიუთითებენ ეღიშე და მოვსეს კალანკატუაცი. ტყეტბა-გულგულას, ვითარცა სასაზღვრო პუნქტს კახეთსა და ჰერეთს შორის ახსენებს ლეონტი მროველი, თუმცა არ მოუცია ამ პუნქტის ლოკალიზაცია.

ვახუშტი შეეცადა მის დაზუსტებას, და აღნიშნა, რომ ასეთი სახელის სოფელი (გულგულა) თელავთან არსებობდა.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ვახუშტის არ ჰქონდა ზუსტი ცნობები ჰერეთსა და კახეთს შორის საზღვრის შესახებ და ის მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამდა. მიუხედავად ამისა ჰერეთსა და კახეთს შორის (შესაბამისად საქართველოსა და ალბანეთს შორის) სასაზღვრო ხაზი შემდეგმა

ისტორიკოსებმა და კარტოგრაფებმა გაავლეს თელავთან (შემდგომ კი ოდნავ სამხრეთით), რაც ასეა დღესაც ამის გამო, მაგალითად, ბოდბე და გურჯაანი დავით გარეჯას მონასტრებთან ერთად ჰერეთში შეიყვანეს, ესაა შეცდომა, რომელიც უნდა გამოსწორდეს.

ჩვენი კვლევით საზღვარი ალბანეთსა და ქართლის სამეფოს (იბერიას) შორის გადიოდა ამჟამინდელი აზერბაიჯანის ოგუზის (ვართაშენის) რაიონის სოფელ ფილფილასთან, გარდა სახელების ეტიმოლოგიური მსგავსებისა (გულგულა-ფილფილა). აქ (ფილფილასთან) გადის ქედი "გურჯი დაღი", რომელიც, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, საქართველოს ძველ საზღვრად მიიჩნევა, რაც უმთავრესია, ფილფილასთან, კავკასიის მთებიდათან, გამოდინება მდინარე, რომელიც მტკვარს უერთდება, ეს უნდა იყოს მდინარე ოკაზანი, რომლიც პლინიუს უფროსის ცნობით წარმოადგენდა საზღვარს იბერიასა და ალბანიას შორის.

Одной из этнических групп, населявших Албанию, были чилбы (сильвы), обитавшие на южном склоне Большого Кавказа в зоне верхнего течения реки Алазани. Здесь же расселены и лпины. (См. Папуашвили Т.Г. Вопросы истории Эретии. Очерки по социально-экономической и политической истории: автореферат дис.д - ра ист.наук. Тбилиси, 1971. с.8.)

http://baku.eparhia.ru/history/albania/geographic/

თ. პაპუაშვილის არასწორი კვლევის შედეგად დამკვიდრდა თვალსაზრისი, თითქოსდა ალბანური ტომები ლფინები და ჭილბები ცხოვრობდნენ ალაზნის სათავეებთან, შესაბამისად კახეთი ალბანიის ისტორიულ მიწა-წყლად მიიჩნევა, მაშინ, როცა, ლფინები და ჭილბები, ჩვენი კვლევით, ცხოვრობდნენ თანამედროვე დაღესატნის სამხრეთ ნაწილში ამჟამინდელ ხოფელ ხალხალადან ჩორის (დაღესტნის) მიმართულებით (იხ. ჩემი ხუნძეთისა და ალბანეთის საკათალიკოსოები).

ქართული ისტორიოგრაფიის ჩამორჩენილობის გამო ალბანურად მიიჩნევა ბელაქნის რაიონის მე-5, მე-6 საუკუნეების ეკლესიები, კახის რაიონის ყუმის მე-6 საუკუნის ეკლესია,ზაქათალას რაიონის მამრუხის, გახის რაიონის ლექითის, შექის რაიონის მე-9, მე-10 საუკუნეების ორტა-ზეიზიტის და სხვა ეკლესიები.

1310 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ექვთიმემ მოილოცა ეს სოფლები: კასრი, სამება, ყუმი, ლექართი, ზარი, ვარდიანი, განუხი, ქიშნუხი, ვართაშენი.

კერძოდ, აღნიშნულ რეგიონში მან მოილოცა შემდეგი ეკლესიები -

კასრის ყოვლადწმინდა სამების ეკლესია,

ყუმის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია,

ლექართის მოციქულთასწორ **წმინდა ნინოს** ეკლესია,

ზარის მთავარმოწამე **წმიდა გიორგის** ეკლესია,

ვარდიანის **წმინდა აბოს** ეკლესია,

განუხის წმინდა მოწამე **არჩილის** ეკლესია,

ქიშნუხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია,

ვართაშენის წმინდა **ელიას** ეკლესია;

ამ ეკლესიებს სახელები გადაარქვეს აქ, მე-19 საუკუნის დასაწყისში პასკევიჩის მიერ ჩასახლებულმა სომხებმა. აქაური ქართველებისაგან რეგიონი ლეკიანობამ დაცალა, ზოგიც გალეკდა, სომხებს დახვადათ კარგ მდგომარეობაში მყოფი მთელი ეკლესიები, ისინიც დაეპატრონენ და სახელები დაარქვეს ამ ქართულ ეკლესიებს თავიანთი ისტორიული წარსულის (საკუთარი ხედვის) შესაბამისად, ამ დროისათვის ანუ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში, ალბანური ეკლესია უკვე დიდი ხნის გაუქმებული ანუ გასომხებული იყო და ამიტომ, ალბანთა განმანათლებელი ელისე, უკვე სომხური ეკლესიის წმინდანად მიაჩნდათ. ჩამოსახლებულ სომხებს ადგილზე დახვდათ გიშის ეკლესია კარგ მდგომარეობაში, გაიგეს რომ ამ ეკლესიას „გიში" ერქვა, მათ ამ სახელის გაცნობისას წარმოიდგინეს, რომ სახელების მსგავსების გამო გიშის ეკლესია წმ. ელისეს მიერ აგებული გისის ეკლესიაა, ეს აზრი გავრცელდა და ახლაც ბატონობს.

მსგავია ლექართის ეკლესიის ბედიც. ლექართის (ლექითის) ეკლესიას წმიდა ნინოს სახელი უკვე ერქვა მე-14 საუკუნეში, როცა ის მოილოცა საქართველოს პატრიარქმა, და ცხადია, იქამდეც, ამ სახელის შესაბამისად ის დაარსებული იყო წმიდა ნინოს მიერ, ამიტომ, ცინიზმია, როცა ის მიიჩნევა ალბანურ ეკლესიად. http://baku.eparhia.ru/history/albania/architrave/

საზოგადოდ, ალბანურმა ეკლესიამ სულ ორიოდე საუკუნე იარსება დიდი გასაჭირით, მაშინ როცა ქართული ეკლესია აქ თავის უეჭველ იურისდიქციას ახორციელებდა არჩილ მეფიდან მაინც ვიდრე თითქმის მე-17 სააუკუნემდე, ე. ი ათასი წლის მანძილზე, თუ უფრო მეტი არა.

არც ერთი ეკლესია ამ რეგიონში არ ატარებდა წმ. ელისეს სახელს, ვართაშენის ეკლესია ატარებდა წინასწარმეტყველ ელიას სახელს და არა ელისესი, ის ელისესთან დააკავშირეს, მხოლოდ აქ პასკევიჩის მიერ ჩასახლებულმა სომეხმა სასულიერო პირებმა.

აქაური ეკლესიები წმ. ნინოს, საქართველოს მეფეების, მათ შორის, წმ. არჩილ მეფის ზრუნვის ქვეშ იყვნენ. ასეთი ყოფილა წმ. არჩილის მიერ აგებული (მისი სახელობის) განუხის ეკლესია.

ფაქტებისა და წყაროების მიუხედავად, მათ ალბანურ ეკლესიებად მიიჩნევენ. ამიტომაც სრულიად უსამართლოდ ბაქოს ეპარქია წერს, თითქოსდა ბელაანის, კახის, ზაქათალასა და აშქის რაიონების ეკლესიები, რომელნიც მოილოცა საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ, რადგანაც ისინი საქართველოს ეკლსიის იურისდიქციაში შედიოდნენ, სინამდვილეში თითქოსდა ალბანური ეკლესიები იყვნენ. - Ранние христианские храмы Кавказской Албании: зальные и однонефные базилики Мазымгарай Белоканского района - V-VI века Кумская в Кахском районе - VI века, Едти Килсе в Гахском районе - VI века, Мамрухский в Закатальском районе - Ш-IV века, Лекитский в Гахском районе - V-VI века), церковь в селении Орта-Зейзит Шекинского района - IX-X века).
http://baku.eparhia.ru/history/albania/architrave/

მათ გარდა, ალბანურ ეკლესიად მიიჩნევა, როგორც აღინიშნა, ბოდბსა და გურჯაანის ეკლესიები, რომელნიც თითქოსდა ისტორიულ კამბისენაში მდებარეობდნენ.

В качестве архитектурных памятников Албанской Церкви логично рассматривать и ряд церквей, расположенных в исторической области Камбисена, сохранившихся на территории современной Грузии. Это особенно оправдано в случае отнесения храмов в Гурджаане и Бодбе к эпохе VII - IX веков, до включения области в царство кахов и ранов, სინამდვილეში კამბისენა ერქვა ტერიტორიას არა ბოდბეს რეგიონში, არამედ მინგეჩაურის წყალსაცავის ადგილას, და ის საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. http://baku.eparhia.ru/history/albania/architrave/

ასევე, ალბანიის საულიერო კერად მიიჩნევა გიშის ეკლესია შექის რაიონში. ის მიიჩნევა მოციქულ ელისეს მიერ დაარსებულად.

По традиции «**местечко Гис**» **идентифицируется с селением Киш** Шекинского района, а церковь, построенная Елисеем, **идентифицируется** с церковью селения Киш. **Древнейший храм Кавказской Албании - церковь святого Елисея в селении Киш.**

მიიჩნევა, რომ ალბანთა განმანათლებლის მიერ შერჩეული ადგილი „გისი“ არის სოფელი გიში შექის რაიონში, რომელიც სინამდვილეში, როგორც ითქვა, ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა და ამიტომაც მოიხილა ის საქართველოს პატრიარქმა 1310 წელს. სინამდვილეში ალბანური სასულიერო კერა გისი - სხვა რეგიონში მდებარეობდა, გიში - ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, გისი კი ალბანურისა.

მტკიცება იმისა, რომ შექის გიში ალბანური ეკლესია იყო, ეწინააღმდეგება მე-7 ს. წყაროს - „ალვანთა ისტორიას“.

მოვსეს კალანკატუაცი წერს რომ „გისი“ მდებარეობდა არა აქ, არამედ უტის ოლქში, უტიკში, ჭაობიან ადგილას, მაშინ, როცა შექის რაიონში მდებარე „გიში“ არა ჭაობიან, არამედ მთიან რეგიონშია, ამასთანავე, შექის ოლქს არ ერქვა უტიკი.

უტიკის ოლქი და უტიელთა ქვეყანა ეწოდებოდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ბარდავის მხარეს. შესაბამისსად, წმ. ელისეს მიერ დაარსებული გისის ქრისტიანული ცენტრი

მდებარეობდა არა შექთან, არამედ ბარდავთან ახლოს, ჭაობიან ადგილას. რაც შეეხება გიშს, ის იყო ქართული საეპისკოპოსო ცენტრი.

სახელ „ელისენთან“ დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ის გაჩნდა გვიან შუა საუკუნეებში, მაშინ როცა ალბანური ეკლესია თითქმის 1000 წლის გაუქმებული იყო, და არც მოგონება არსებობდა წმ. ელისესი. სახელი ელისენი სხვა ეტიმოლოგიისაა და ელისეს სასულტანოს დამაარსებლის პიროვნულ სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული.

შესაბამისად არასწორია ეს მტკიცება - Эта точка зрения подтверждается многими свидетельствами проповеди святого Елисея в левобережной Албании. Эта часть территории Албании в грузинских исторических источниках именуется **Элисени**. Многие церкви здесь носят имя святого Елисея.

В **«Истории албан»** селение с названием **Гис** упоминается еще раз в связи с событиями начала V века. В главе XXVII I - ой части «Историческое повествование о Месропе и товарищах его» **Моисей Каланкатуйский** пишет, что возвращающийся из Иерусалима Маштоц «проходя по дороге в Армению, достиг пределов Востока в **области Ути** и расположился жить в болотистых местах, покрытых мхом у места, называемого **Гис**. Он утвердил веру возобновленной церкви и проповедование Евангелия распространил в **стране Утиев**, в Агвании, Лпинии, Каспии и в **ущелье Чога**».

Албанский историк Киракос Гандзакский в своей «Истории» повторил сведения «Истории албан» о проповеди святого Елисея и основа - нии церкви в селении **Киш**.

В период всего средневековья Киш оставался центром епархии. Здесь по свидетельству **Вахушети находилась кафедра епископа Элисени, Цукети и Шеки**.

В 50-60-ых годах XIX века переселенные в Шекинский район главнокомандующим русскими войсками на Кавказе генералом Паскевичем армяне отремонтировали церковь и приспособили ее к своему богослужению. სომხები ჩამოასახლა პასკევიჩმა გიშში.

Едди килсе и Мамрух, несомненно, относится к доарабскому периоду зодчества Албании.

ზემოთ მოყვანილ ალბანიიის რუკაზე უტიკი, სადაც გისის ეკლესია დაარსა წმ. ელისემ, მდებარეობს ბარდავთან, მტკვრის მარჯვენა მხარეს.

https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/c/c9/Aghuank.jpg

შეიძლება საბოლოოდ ითქვას, უტიკის ოლქში შედიოდა პარტავი, ამიტომ, წმ. ელისეს მიერ აგებული „გისის ეკლესია უტიკში“ ანუ პარტავთან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა და ის არ იყო გიშის ეკლესია შექთან!

ამავე რუკაზე არის ორი ხალხალი, ერთი კავკასიის მთებთან (ვართაშენთან), მეორე გარდმანში. ვართაშენის ხალხალთან გადიოდა იბერია-ალბანიის საზღვარი, სხვა იყო გარდმანის ხალხალი.

მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია მეორეს მიტროპოლიტ ანანიას მოსაზრება აზერბაიჯანში ქართული ეპარქიის დაარსების შესახებ

ოქვენო უწმიდესობავ და უნეტერესობავ, მოგახსნებთ ჩემს თვალსაზრისს აზერბაიჯანში ქართული სამრევლოების შესახებ.

1943 წელს რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდმა დაარსა სტავროპოლ-ბაქოს ეპარქია, რომელიც თავის იურისდიქციას ჩრდილო კავკასიასთან ერთად ახორციელებდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუვერენიტეტის აღდგენის შემდეგ, 1998 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით რუსეთის საპატრიარქომ დაარსა ბაქო-კასპიისპირეთის ეპარქია, რომელსაც 2010 წელს (აზერბაიჯანში რუსეთის პატრიარქ უწმიდეს კირილის ვიზიტის შემდეგ) ეწოდა სახელი - „ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქია", ის აზერბაიჯანის რესპუბლიკამ სამართლებრივად ცნო.

ოფიციალური ცნობით, ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის საზღვრები ემთხვევა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრებს. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანის რესპუბლიკა სამართლებრივად ცნობს, რომ აზერბაიანში არსებული საინგილო-ჰერეთის ქართული სამრევლოები აღნიშნული რუსული ეპარქიის იურიდიქციაში შედიან.

ჯერ-ჯერობით ამ ქართულ სამრევლოებში რუსულ ეპარქიას არ ჰყავს დანიშნული თავისი სასულიერო პირები, თუმცა, უკვე აწამოებს შესაბამის თეორიულ-სამეცნიერო მუშაობას და ამზადებს შესაბამის ფონს.

მაგალითად, ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით აზერბაიჯანის რუსული ეპარქია არის სამართალმემკვიდრე ალბანეთის ეკლესიისა, რომელიც, ისტორიულად არსებობდა აზერბაიჯანში.

საგანგაშო ისაა, რომ რუსული ეპარქიის ოფიციალური შეხედულებით არა მხოლოდ კახის, ზაქათალასა და ბელაქანის რაიონების, არამედ, ბოდბის, გურჯაანის, დავით-გარეჯას ეკლესია-მონასტრები თითქოსდა ალბანური ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდნენ, და შესაბამისად, მათზე მას აქვს სამართლებრივი უფლება, მაშინ როცა აღნიშნული ეკლესიები მუდამ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდნენ.

შესაბამისად, მზადდება თეორიულ-სამეცნიერო საფუძვლები რათა აღნიშნულ სამრევლოებში, რომელნიც ამჟამად აზერბაიჯანში მდებარეობენ, სამომავლოდ დაინიშნონ რუსი ღვთისმსახურები. ამის ნიშნებს ამჩნევენ საინგილოდან ჩამოსული პირებიც.

საბოლოოდ, ჩვენი თვალსაზრისით, აზერბბაიჯანის რესპუბლიკაში სამართლებრივი საკითხების მოსაგვარებლად სასურველია ჩვენმა ეკლესიამ აზერბაიჯანში მოიპოვოს ის სამართლებრივი უფლებები რაც ამჟამად იქ აქვთ რუსულ და სომხურ ეპარქიებს.

თქვენო უწმიდესობავ, როგორც ცნობილია, ამჟამინდელი პრაქტიკის შესაბამისად, იმ სახელმწიფოში სადაც არ არსებობს ადგილობრივი ავტოკეფალური ეკლესია მსოფლიოს მართლმადიდებელი ავტოკეფალურ ეკლესიებს უფლება აქვთ დააარსონ თავიანთი ეპარქია.

მაგალითად, ამ პრაქტიკის შესაბამისად დააარსა რუსეთის ეკლესიამ თავისი ეპარქია აზერბაიჯანში, ამ პრაქტიკას ჩვენც ვიყენებთ და დავაარსეთ ქართული ეპარქიები უცხოეთში.

მსგავსადვე, სამომავლოდ სასურველია დაარსდეს საქართველოს საპატრიარქოს აზერბაიჯანის ეპარქია, რომელიც მოიცავს მთელ აზერბაიჯანს და არა მხოლოდ საინგილოს.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას კითხვა, რატომ მთელ აზერბაიჯანს?

ჩვენ თუ აზერბაიჯანის მთავრობას ვთხოვთ საშუალება მოგვცეს, რომ სათანადო ყურადრება მივაქციოთ მხოლოდ საინგილოს სამრევლოებს, აზერბაიჯანი სამართლებრივად ვერ შეძლებს ამ თხოვნის აღსრულებას, რადგანაც მისი სამართლის სისტემა ითვალისწინებს მთელ სახელმწიფო ტერიტორიას და არა მის ერთ-ერთ ნაწილს, მაგრამ თუკი ჩვენ ჩამოვაყალიბებთ საქართველოს ეკლესიაში შემავალ ახალ „აზერბაიჯანის ეპარქიას", მის მიმართ აზერბაიჯანში გავრცელდება იგივე უფლებამოსილება, რაც ვრცელდება საზოგადოდ ამ შემთხვევაში, ანუ აზერბაიჯანი მას ისეთივე უფლებებს მიანიჭებს, რაც აქვთ მაგალითად იქაურ რუსულ და სომხურ ეპარქიებს.

ამიტომაც სასურველია თუკი თქვენი უწმიდესობა ჩამოაყალიბებს საქართველოს საპატრიარქოს აზერბაიჯანის ეპარქიას, რომლის სამართლებრივი რეგისტრაციის საკითხი უფრო ადვილად მოგვარდება. ამის შემდეგ, მეორე ეტაპზე აზერბაიჯანში არსებული ორი მოძმე მართლმადიდებელი ეპარქია, ანუ რუსული და ქართული ეპარქიები, ერთმანეთთან დადებენ შეთანხმებას, რომ საინგილოს სამრევლოებს ქართული ეპარქია გაუწევს მსახურებას.

მოხსენებას თან ერთვის ჩვენი კვლევა ისტორიული აზერბაიჯანის რეგიონებში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის განვრცობის შესახებ,

ასევე თან ერთვის ამონაწერები ბაქო-აზერბაიჯანის რუსული ეპარქიის ოფიციალური საინტერნეტო ვებ-გვერდიდან

ვითხოვ თქვენს კურთხევას

მანგლის-თეთრიწყაროს მიტროპოლიტი ანანია

დანართი 1.

რუსეთის საპატრიარქოს ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის ოფიციალური საინტერნეტო გვერდი http://baku.eparhia.ru/history/albania/architrave/, **ამტკიცებს, რომ ბოდბისა და გურჯაანის ეკლესიები, ასევე ეკლესიები საინგილოში, დავით გარეჯას მონასტრები, არა ქართული, არამედ ალბანური ეკლესიები იყვნენ, შესაბამისად მათზე უფლებამოსილია ალბანეთის ეკლესიის სამართალმემკვიდრე რუსეთის საპატრიარქოს ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქია.**

აქ ნათქვამია - **В качестве архитектурных памятников Албанской Церкви логично рассматривать и ряд церквей, расположенных в исторической области Камбисена, сохранившихся на территории современной Грузии. Это особенно оправдано в случае отнесения храмов в Гурджаане и Бодбе к эпохе VII-IX веков, до включения области в царство кахов и ранов. Архитектурное наследие Албанской Церкви.** http://baku.eparhia.ru/history/albania/architrave/

რუსეთის ეკლესიიის ეს ოფიციალური ორგანო იმეორებს, როგორც რუსულ, ისე ქართულ საისტორიო წრეებში გაბატონებულ მოსაზრებას, რომ აღნიშნული ეკლესიები ალბანური არიან, რადგანაც, მათი მტკიცებით, საზღვარი იბერიასა და ალბანიას შორის გადიოდა რუსთავის ქვემოთ, კვეთდა ცივგომბორის ქედს, ისე, რომ ბოდბე, გურჯაანი, დავთ გარეჯას მონასტრები და ამჟამინდელი საინგილოს ეკლესიები ალბანეთში ექცეოდნენ.

უმთავრესი წყარო, რომელსაც ეყრდნობა აღნიშნული მტკიცება, არის არასწორი განსაზღვრება ალბანია-იბერიის საზღვრისა. ამ მტკიცების მიხედვით შექმნილია ალბანეთის რუკები, რომელიც მტკიცების სახითაა მოცემული ბაქო-აზერბაიჯანის ვებგვერდზე - აქ მოცემულია რუკა, რომლის მიხედვითაც ქართული მიწა-წყალი ბოდბე-გურჯაანიდან დავით-გარეჯას ჩათვლით ალბანეთის ანუ ძველი აზერბაიჯანის ტერიტორიად განიხილება.

Бакинское епархиальное управление
AZ 1010, Азербайджанская Республика,
г.Баку, ул.Ш.Азизбекова, 205
тел.(+99412) 440 - 43 - 52
E - mail: baku@eparhia.ru
Бакинско-Азербайджанская епархия, границы совпадают с границами Азербайджанской Республики, http://baku.eparhia.ru/eparchy/index/

დანართი 2

წყაროები საქართველოს ეკლესიის ისტორიული იურისდიქციის შესახებ ამჟამინდელ აზერბაიჯანში

ამჟამინდელი ზაქათალას, ბელაქანისა და კახის რაიონები, ასევე მათი მომიჯნავე რაიონები, ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში რომ შედიოდა მიუთითებს სხვადასხვა წყარო, მათ შორის მაღალაშვილის სახარების 1310 წლის მინაწერი, რომლის მიხედვითაც საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ მე-14 საუკუნის დასაწყისში მოიხილა თავის იურისდიქციაში შემავალი ეკლესიები ამჟამინდელ აზერბაიჯანში.

“ქ. ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩვენმან ექვთიმე მოიხილა კახეთს: ანწუხისა საეპისკოპოზო და მიერითგან გადმოვიდა წახურს, კაკელისენს და მოვლო საყდარნი: კასრი სამებისა, ყუმი ღმრთისმშობლისა, ლექართის წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინოისი, ზარს წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი, ვარდიანს წმიდისა აბოისი, განუხს არჩილისი, ქიშნუხს ღმრთისმშობლისაჲ, ვართაშენს ელიასი, თა(ბა)სარანს ყოვლადწმიდისა მოციქულისა პეტრესი, კუალად საყდარნი - ხუნძთა, ნახჩთა, თოშეთისა, ნეკრესისა, ლაგოეთისა, ბელაქანისა, მაჯ-ფიფინეთისა, ფერიჯან-მუხახ-მამრეთისა და ყოვლის-ვაკისა, ესე იგი არს ძველი მოვაკანისა და ელისენისა, ვერხვიანით ზეგანით გამო ივრის მდინარის ჩასართავამდე ალაზნისა და - ამან სანატრელმან ექვთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარეპისკოპოსსა და ყოვლისა მთიულეთისა წინამძღვარსა კვირილე დონაურსა გარდაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თითოეულისათვის ეკლესიისა. მეცა გარდავაწერინენ კაკისა წმიდისა ბარბარეს ტაძრისა მღვდელსა იასე ქიტიაშვილსა და ათორმეტთა მისთა მოწაფეთა და წარვგზავნენ საყდართა, მონასტერთა და შვიდთა სასწავლებელთა თავს-მდგომთადმი და ვუბრძანე სწავლებად სჯული

ჭეშმარიტი და ფილასოფოსობა, მამათა ცხოვრება - ქართლის ცხოვრება, და ცხოვრება ალვანიისა, ესე იგი არს სავანიისა, რომელ დაწერა პეტრე ლაგაძემან და ვინმე სომეხმა გა(ნრყვნა) იგი და საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“ (კ. კეკელიძე ეტიუდები, II, 1941, გვ. 314 - 315).

აღნიშნულ მინაწერში ჩამოთვლილია, საქართველოს პატრიარქმა აღმოსავლეთ კავკასიაში თუ რომელი სამრევლოები მოინახულა.

ესენი ყოფილან:

1. ანწუხის საეპისკოპოსო;

2. წახურის რეგიონი (იგივე წუქეთი, წახეთი);

3. ამჟამინდელ აზერბაიჯანში კაკ-ელისენი, სადაც 1310 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ექვთიმემ მოილოცა ქალაქ-სოფელები: კასრი, სამება, ყუმი, ლექართი, ზარი, ვარდიანი, განუხი, ქიშნუხი, ვართაშენი.

კერძოდ, აღნიშნულ პუნქტებში მან მოილოცა შემდეგი ეკლესიები -

კასრის ყოვლადწმინდა სამების ეკლესია,

ყუმის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია,

ლექართის მოციქულთასწორ წმინდა ნინოს ეკლესია,

ზარის მთავარმოწამე წმიდა გიორგის ეკლესია,

ვარდიანის წმინდა აბოს ეკლესია,

განუხის წმინდა მოწამე არჩილის ეკლესია, -

ქიშნუხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია,

ვართაშენის წმინდა ელიას ეკლესია;

შემდეგ აქედან გადავიდა და მოილოცა დაღესტნის ოლქში:

4. ტაბასარანი (მისი სახელი მინაწერში ასოებნაკლულია - „ტა...სარანი“). პატრიარქს ამ რეგიონში მოციქულ პეტრეს ეკლესია მოულოცავს (ესაა ეკლესია დაღესტნის ტაბასარანისა).

ტაბასარანის გარდა, პატრიარქს მოუხილავს -

5. ხუნძეთი;

6. ნახჩეთი;

7. თუშეთი;

მათ შემდეგ მოუხილავს ეკლესიები კვლავ კახეთში:

8. ნეკრესი, ლაგოეთი, ბელაქანი, მაჯ-ფიფინეთი, ფერიჯან-მუხახ-მამრეთი;

მათ შემდეგ კვლავ გაუგრძელებია გზა და მოუხილავს ვრცელი რეგიონები:

9. ამჟამინდელ აზერბაიჯანში მოვაკანი, ანუ ვაკე (ტერიტორია ალაზან-მტკვრის შესართავიდან, ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე) და

10. ელისენი (ტერიტორია ვერხვიანის ზეგანიდან მდინარე იორ-ალაზნის შესართავამდე).

ჩანს, ზემოთ ჩამოთვლილი გეოგრაფიული ერთეულების მეტი ნაწილი შედიოდა მაშინდელ აღმოსავლეთ კახეთსა და კახეთის მთიულეთში (მთიან დაღესტანში). ის შედიოდა ქურმუხის მთავარეპისკოპოსის ეპარქიაში. მასში (ქურმუხის მთავარეპისკოპოსის ეპარქიაში) შედიოდა ნახჩეთი (ჩეჩნეთ-ინგუშეთი), ხუნძეთი, ტაბასარანი, ანწუხი, წახური (ყველა დაღესტანში), აღმოსავლეთ კახეთი და მოვაკანი, ანუ ვრცელი ტერიტორია ჩეჩნეთ-მთიან დაღესტნიდან შემახამდე. ამავე ტერიტორიულ ერთეულს შემდეგში მართავდა დაღესტნის ნუცალი. ჩანს, ის ადრე ერთ-ერთი საერისთავო იყო კახეთისა, ეკლესიურად მისი ცენტრი ექვთიმეს დროს ქურმუხი ყოფილა.

ქურმუხის მთავარეპისკოპოსს ასევე ეწოდებოდა “ყოვლისა მთიულეთისა წინამძღვარი”.

მის საგამგებლოში შედიოდა “ყოველი მთიულეთის” ეკლესიები. როგორც ჩამოვთვალეთ, ესენი ყოფილან წახური, კაკ-ელისენი, ტაბასარანი დაღესტანში, იქვე ხუნძეთი, ნახჩეთი, ასევე

თუშეთი და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი კახეთის სოფლები, მათ შორის, ასევე მოხსენებულია ანწუხის საეპისკოპოსო, ასევე ნეკრესი, სადაც შესაძლოა ეპისკოპოსი იჯდა.

ქურმუხის მთავარეპისკოპოსს კირილე დონაურს დაუვალებია (ქალაქ) კაკის წმიდა ბარბარეს ტაძრის მღვდლისათვის იასე ქიტიაშვილისათვის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ეკლესიაში გაეგზავნა წმინდა სახარების წიგნი.

კაკის წმიდა ბარბარეს ტაძრის მღვდელს თავის სამწერლობოში შეუკრებია თავისი თორმეტი მოწაფე, რომელთაც გადაუწერიათ ამ ეკლესიებისათვის წმიდა სახარებათა წიგნები.

შემდგომ ეს წიგნები გაუგზავნიათ აღნიშნული რეგიონის ეკლესიებსა, მონასტრებსა და სასწავლებლებში.

კერძოდ, როგორც აღინიშნა, ქურმუხის მთავარეპისკოპოსს ამ მთიან მხარეებში ჰქონია შვიდი სასწავლებელი. როგორც ითქვა, აქ, ამ სასწავლებლებში, ისწავლებოდა სხვა საგნებთან ერთად ქართლის ცხოვრება, ანუ საქართველოს ისტორია და ალვანიის ისტორია.

ქართულ ეკლესიას აღმოსავლეთ კავკასიის მთიან მხარეებში ჰქონია შვიდი სასულიერო სასწავლებელი. მათ რექტორებს ეწოდებოდათ "თავსმდგომნი". მათ ევალებოდათ მოსწავლეებისათვის ესწავლებინათ:

1. "შჯული ჭეშმარიტი", ანუ წმინდა წერილი და კატეხიზმო;
2. ფილოსოფია;
3. მამათა ცხოვრება, ანუ პატროლოგია;
4. "ქართლის ცხოვრება", ანუ საქართველოსა და მისი ეკლესიის ისტორია;
5. ხოლო, საისტორიო წიგნთაგან "სავანიის" ისტორია (მაღალაშვილის სახარების 1310-1318 წლის მინაწერი, კ. კეკელიძე ეტიუდები, -II, 1941, გვ. 314-315).

ალვანიის ისტორია დაუწერია ვინმე პეტრე ლაგაძეს და შემდეგ მისი ეს თხზულება რომელიღაც სომეხ პლაგიატორს მიუსაკუთრებია და გაურყვნია (დაუმახინჯებია) თავისი შეხედულების მიხედვით. "საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ" (იქვე, გვ. 17).

განვიხილოთ, თუ სად მდებარეობდნენ ჩამოთვლილი პუნქტები იმჟამინდელი კახეთ-ჰერეთისა:

კაკ-ელისენი

კაკ-ელისენი ერქვა ბელაქანის, ზაქათალასა და კახის რაიონებს, მდინარე გიშის წყლამდე. როგორც ითქვა, კახეთის სამეფოს ეს რაიონები XVII საუკუნეში დაიპყრეს სპარსელებმა და იქ გააბატონეს წახურელი და ავარიელი ლეკები. ავარიელთა ლეკების ე.წ. "თავისუფალი თემები" საინგილოში არის: ჭარ-ბელაქანი, კატეხი, მუხახი და ქინიხი. წახურელი ლეკების თავისუფალი თემები საინგილოში არის: წახური, ელისუ და ყარადუკულაკი. კახეთის ამ დაპყრობილ ნაწილს ერთ პერიოდში "წახური", ანუ წუქეთი ეწოდა.

ძველი წუქეთი, როგორც ითქვა, XVII საუკუნემდე მოიცავდა დაღესტნის ტერიტორიას თუშეთიდან ვიდრე მდ. სამურის სათავემდე.

XVII საუკუნის შემდეგ ყოფილი კახეთის ცენტრს ზაქათალას, ბელაქანისა და კახის რაიონებს ეწოდა ახალი წუქეთი. ის ფაქტიურად მოიცავდა ყოფილი მაჭის საერისთავოს.

მაჭი ცნობილი არის VIII საუკუნიდან. XI საუკუნის შემდეგ მაჭის საერისთავო მოიცავდა ტერიტორიას მაჭის წყლიდან შაკიხამდე (შექამდე), ალაზნიდან ხუნზახამდე, აქ შედიოდა პუნქტები - გიში, შაკიხი, კასრი, ლაკუასტი.

მაჭის საერისთავო 1471 წელს გააუქმა კახეთის მეფე ლევანმა. როგორც ითქვა, XVII საუკუნის შემდგომ იქ გაბატონდნენ წუქეთელი ლეკები და ამ ტერიტორიასაც შესაბამისად მათი სატომო სახელი ეწოდა. საერთოდ, კაკი ქალაქ კახს ერქვა.

I. კასრი

კასრი ყოფილა ქალაქი წუქეთისა. როგორც ჩანს, ის აუგია VIII საუკუნეში არჩილ მეფეს. “მაღალაშვილის ოთხთავის” მინაწერში ჩამოთვლილ ეკლესიათა შორის იხსენიება კასრის წმ. სამების საყდარი. პირველი ცნობა მის შესახებ დაკავშირებულია მეფე არჩილთან (VIII საუკუნე). “მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია სამძორს, შეირთო ცოლი ასული გურამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა, ბერძნის ცოლისა ნაშობთა, და დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, და ხევსა ლაკუსტისასა აღაშენა ციხე, და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა - სახელით აბუხუასრო და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა, ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მხეცისბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი” (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 243). შემდგომში მეფე არჩილმა წუქეთი და ქალაქი კასრი გადასცა სომხეთიდან მოსულ ბაგრატიონ პიტიახშებს, რომელნიც ვასალური სახით ეყმნენ არჩილს.

გ. მარჯანიშვილის კვლევით, ქალაქი კასრი მდებარეობდა ქალაქ კახთან ახლოს, დასავლეთით, მდინარე კობალას მახლობლად (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 32). ჩვენ ეს მოსაზრება საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგანაც, ჩანს, ქალაქი კასრი მდებარეობდა მდინარე სამურის სათავესთან ახლოს. მაგრამ სხვა პუნქტი კასრი ქალაქ კახთანაც მდებარეობდა. ჩანს, სწორედ ეს უკანასკნელი მოუხილავს პატრიარქ ექვთიმეს, რადგანაც ოთხთავის მინაწერში ნახსენები კასრის ყოვლადწმინდა სამების ეკლესია კაკ-ელისენში მდებარეობდა. გ. მარჯანიშვილის აზრით, როგორც ითქვა, ის მდებარეობდა ქალაქ კასრის დასავლეთ მხარეს. ეკლესიასთან ახლოს ყოფილა ქვით ნაგები და შიგნიდან გალესილი ძველისძველი დიდი ცისტერნა, საზედაშე ქვევრი, მისი სიგრძე და სიმაღლე ყოფილა 2 მეტრი. შესაძლოა, ამ ცისტერნას უწოდებდნენ კასრს და მისი სახელი დაერქვა ეკლესიასაც.

კასრის ეკლესია იყო ყოვლადწმიდა სამებისა.

II. ყუმი

ყუმის ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს კახის რაიონში. ითვლება, რომ ყუმის ეკლესია VI საუკუნისაა. ყუმი მდებარეობს კახის რაიონის სოფელ ლეკითთან, იგივე ლექართთან ახლოს, მის გვერდით. აქ დღესაც დგას ეკლესიის ნანგრევი, შვერილაფსიდიანი სამნავიანი ბაზილიკა. გ. მარჯანიშვილის კვლევით, ეს ის VIII საუკუნის ეკლესიაა (და არა VI საუკუნისა).

III. ლექართი

ლექართის წმიდა ნინოს ეკლესია მდებარეობს კახის რაიონში. სოფელ ლექართს ახლა ლეკითი ეწოდება. სოფელთან ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს მონასტრის ნანგრევები, ხოლო სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორი ეკლესიის, აბანოსა და ქარვასლისაგან შედგენილი კომპლექსი. ლეკითის ტეტრაკონქის სტილით ნაგები ეკლესია ბანას ტიპის მრგვალი ტაძარი ყოფილა VIII-IX საუკუნეებისა, ე.ი. არჩილ მეფის დროინდელი. აღნიშნული ლეკითის მონასტერსაც ასევე ჰქონია მრგვალი ეკლესია, მათ შორის ორი დიდი გუმბათიანი და სამი მცირე დარბაზი (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, გვ. 28). ყველა ჩამოთვლილი ეკლესია “ქართული ძეგლების ფართო წრეს განეკუთვნება” (იქვე, გვ. 29). წმიდა ნინოს სახელზე ნაგები ეკლესიის დასახელება მიუთითებს, რომ ამ მხარეებში უქადაგნია ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს.

IV. ზარი

ზარის წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს ზაქათალას რაიონში ს. ზარნას (ძვ. ზარი) მთის წვერზე, მრგვალი ნაგებობაა. ასეთივე სახელი აქვს შექის რაიონის სოფელ ორთა-ზეიზითის, ძველი ზედგზითის ეკლესიას, რომელიც მოხატული ყოფილა ქართულ წარწერებიანი ფრესკებით. “გასული საუკუნის 80-იან წლებში აქ გაირჩეოდა მთავრული (ასომთავრული) ასოები “ვხ” და “მხტოლ” (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, გვ. 36).

ამ სოფელს ს. კარაპეტიანი ზაიზიტს უწოდებს, მდებარეობდა ქ. შაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით 8-9 კმ დაშორებით (ამჟამინდელი ორთა ზაიზიტი აზერბაიჯანის შექის რაიონში). ამჟამადაც ამ ეკლესიას წმ. გიორგის უწოდებენ. მის მოსახლეობას ს. კარაპეტიანი და მისი წინამორბედები "გამუსულმანებულ სომხებს" უწოდებენ, რადგანაც მიიჩნევენ, რომ მთელი ამ მხარის მოსახლეობა ეთნიკური სომხები იყვნენ, რომელნიც გამუსულმანდნენ (ს. კარაპეტიანი, საკუთრივ ალბანეთის რეგიონები შაქსა და კაპალაკში" "Кавказ и Византия", ტ. 6, გვ. 231). ეს მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოა, რადგანაც აქ სომხები ძირითადად პასკევიჩმა გადმოასახლა XIX საუკუნეში ყარაბაღიდან, რის შემდეგაც მათ ადგილობრივი ქართული ეკლესიები აითვისეს, რადგანაც გამუსულმანებულ მკვიდრ მოსახლეობას (ყოფილ ქართველებს) ეს ეკლესიები უპატრონოდ ჰქონდათ დატოვებული. ნ. კარაპეტიანის ზაიზიტის ეკლესიისა და გ. მარჯანიშვილის ზედგზითის ეკლესიების გეგმები იდენტურია. ზარის წმ. გიორგის ეკლესია კი, როგორც ითქვა, ზაქათალას რაიონში მდებარეობდა.

V. ვარდიანი

სოფელ ვარდიანში მდგარა წმ. აბოს ეკლესია. "ვარდ" ფუძე - ძირით ძველი, ისტორიული კახეთის ამ რეგიონში მრავალი პუნქტი მოიხსენიება, მათ შორის, ვარდაშენი (ვართაშენი) და მის სამხრეთით ამჟამინდელი "ვარდანლი". მის მახლობლად გადიოდა გზები, რომელნიც ერთმანეთში აკავშირებდა შემახას განჯასთან, ასევე კაპალაკსა და შექს დერბენდ-ჩოლთან, საბოლოოდ, ყველა ეს გზა თბილისს-მცხეთას უკავშირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ მაღალაშვილის სახარების მინაწერში არ იხსენიება სიტყვა "ჰერეთი", თუმცა კი ამჟამად კატეგორიულად აცხადებენ, რომ ეს მინაწერი ჰერეთის ეკლესიებს შეეხება. საქმე ისაა, რომ სინამდვილეში ჰერეთი მდებარეობდა არა აქ, არამედ ჩამოთვლილი ეკლესიების აღმოსავლეთით კაპალაკსა (ყაბალასა) და მტკვარ-არაქსის შესართავს შორის. ეს იყო ალბანეთის ნაწილი. ამჟამად არასწორად მიიჩნევა, თითქოსდა ჰერეთი ერქვა ტერიტორიას შექიდან გურჯაან-ბოდბის ჩათვლით, ანუ იმ მიწა-წყალს, რომელსაც ქართულ წყაროებში კახეთი ეწოდება, ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ ამ წყაროში (მაღალაშვილის სახარების მინაწერში) ეს რეგიონი კახეთად მოიხსენიება და არა ჰერეთად. ჩამოთვლილი ეკლესიების სახელებიც მიუთითებს, რომ მათ არაფერი აკავშირებდათ ალბანეთის ეკლესიასთან. მათი სახელები: წმიდა ნინო, წმიდა არჩილი, წმიდა აბო, წმიდა გიორგი მიუთითებს, რომ ისინი ქართული სამყაროს ეკლესიებია, ქართველ განმანათლებელთა, წმიდანთა და მეფეთა სახელობისა და არა ალბანელებისა. თუმცა ს. კარაპეტიანი აყალბებს რა მაღალაშვილის მინაწერს, არწმუნებს მკითხველს, თითქოსდა ეს ეკლესიები ალბანელთა განმანათლებელ ელიშესთან იყო დაკავშირებული. მაღალაშვილის მინაწერში კი, როგორც ითქვა, არ იხსენება არც სიტყვა "ჰერეთი" და არც სიტყვა "ელიშე".

ს. კარაპეტიანი იმასაც კი წერს, თითქოსდა ამ მინაწერში "წმიდა ელიშეს 12 მოწაფე იხსენიება" მაშინ, როცა მინაწერში იხსენიება არა I საუკუნის წმინდანის, არამედ XIV საუკუნის მღვდლის იასე ქიტიაშვილის სახელი, რომელსაც ქალაქ კაკში ჰყოლია 12 მოწაფე, რომელთაც გადაუწერიათ სახარების წიგნები ჩამოთვლილ ეკლესიებში დასარიგებლად.

ს. კარაპეტიანი უხეშად, განუკითხავად აყალბებს წყაროებს.

ასეთი გაყალბება კი, ამ მინაწერის სიტყვებით, ძველადაც ერთ-ერთი ჩვეულება ყოფილა ს. კარაპეტიანის წინამორბედებისა. მასში ნათქვამია: "ცხოვრება ალვანიისა, ესე იგი არს სავანიისა, რომელ დაწერა პეტრე ლაგამემან, ვინმე სომეხმან გა(რყვნა) იგი და საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ".

ალვანია აღნიშნული ეკლესიების რეგიონის უშუალო მეზობლად, მის აღმოსავლეთით მდებარეობდა და ამიტომ მისი ისტორიის შესწავლაც საჭიროდ იყო ცნობილი.

ვარდიანში ყოფილა წმიდა აბოს ეკლესია.

წმიდა აბო ქართული ეკლესიის წმინდანი იყო, რომელსაც იცნობდა მთელი ქართული სამყარო VIII საუკუნისა ანუ წმ. არჩილის ეპოქისა. ეს ეკლესიაც არჩილს უნდა დაუკავშირდეს.

VI. განუხი

განუხის წმ. არჩილის ეკლესია უნდა მდებარეობდეს შაქსა და ვართაშენს შორის. პუნქტი ღანუხი ქურმუხთან ახლოსაა შაქის მხარეს. მისი ეკლესიის სახელიდან (წმ. არჩილი) ჩანს, რომ ის კახეთში წმ. არჩილის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული და არა ალბანეთის ეკლესიასთან.

ცნობილია, რომ წმ. არჩილი თავის საბრძანებელში გადავიდა კახეთში არაბთა მპყრობელობისას და იქ მრავალი ქალაქი და ეკლესია ააშენა. მათ შორის, ჩანს, განუხის ეკლესიაც.

VII. ქიშ-ნუხი

ქიშნუხშია ღვთისმშობლის ეკლესია. კიში - იგივე ქიში, ნაჩვენებია შაქთან ახლოს მდინარე ქიშისწყლის მარჯვენა სანაპიროზე. იქ მდებარე ეკლესიას მიიჩნევენ "გიშის საეპისკოპოსოდ".

გიშის ეკლესია შაქის მახლობლად მცირე ნაგებობაა. XI საუკუნეში განუახლებიათ. გ. ჩუბინიშვილი წერდა: "შეუძლებელია მისი მიჩნევა უკვე VI საუკუნეში არსებულ საეპისკოპოსო კათედრად. საფიქრებელია, რომ გიშის კათედრა X-XII საუკუნეში გადატანილი იქნა იქვე, 5 კმ-ით, დაშორებულ ქალაქ ნუხაში. ეკლესია ხელმეორედ გამოყენებული იქნა პასკევიჩის ბრძანებით XIX საუკუნის 50-60-იან წლებში გადმოსახლებული სომხების მიერ" (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, გვ. 26).

საერთოდ, სხვაა ქართული წყაროების გიშის ქართული საეპისკოპოსო და სხვაა სომხურ-ალბანური გისის საეპისკოპოსო.

გისის ცნობილი ალბანურ-სომხური სასულიერო კერის მდებარეობა ივარაუდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე უტიკის რეგიონში, კერძოდ, კი პარტავთან ახლოს, მის ჩრდილოეთით (იხ. ბ. არუთინიანის სომხეთის რუკა), ხოლო ქართული გიშის საეპისკოპოსო სულ სხვა რეგიონში - შექთან მდებარეობდა.

შაკიხი ერქვა შექსა და მის რაიონს. სომხური წყაროების "გარდმანი" (გარდაბანი) და ქართული შაკიხი ერთმანეთის მეზობლები იყვნენ. ერთი მტკვრის მარჯვენა, ხოლო მეორე მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა. ეს საინტერესოა ჩელეთის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის.

კახეთის ქალაქი ჩელეთი უნდა ვეძიოთ შექის რაიონში, რადგანაც მის მშენებლობაში გარდაბნელები მონაწილეობდნენ.

მართლაც, სოფელი "ჩალეთი" ს. კარაპეტიანის რუკაზე მდებარეობს ვართაშენ-ვარდაშენთან ახლოს, მის დასავლეთით. ამ ჩალეთის გასწვრივ - მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, როგორც აღვნიშნეთ, ისტორიული გარდმანის პროვინცია მდებარეობს.

ქართლის ცხოვრება წერს - "კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვთგან ვიდრე ტყეტბადმდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი, კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რამეთუ დედა ციხე კახოსის ხვედრი იყო და მისცა კახოსს შეწევნისათვის და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქვა პირველშენებელსა კახეთისასა" (ქ.ც., ტ. I, გვ. 9).

ჩელეთის საეპისკოპოსო ვახტანგ გორგასალის დროს იხსენიება ხორნაბუჯსა და აგარაკს შორის. ეს აგარაკი მდებარეობდა "ხუნანის გამართებით" (იქვე, გვ. 199).

ამ განლაგებიდან ჩანს, რომ ჩელეთის საეპისკოპოსო მდებარეობდა ხორნაბუჯ-ხუნანის რეგიონში, ანუ იქ, სადაც ჩვენ ვვარაუდობთ ქალაქ ჩელეთის მდებარეობას. შაქსა და ვართაშენს შორის, როგორც აღვნიშნეთ, აქ მართლაც მდებარეობს პუნქტი ჩალეთი თავისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიით (ს. კარაპეტიანი, 2005, რუკა, გვ. 252).

ამ რეგიონში უნდა ყოფილიყო ტყეტბა - საზღვარი ჰერეთთან, კერძოდ კაბალა-ყაბალსა და ვართაშენს შორის, აქ გამავალ მთას "გურჯი დაღის" იქაურები საქართველოს საზღვრად მიიჩნევდნენ. ამ მთის დასავლეთით ზაქათალა, კახისა და ბელაქანის რაიონებში ისტორიულად მდებარეობდნენ კახეთის სამეფოს დედაქალაქები ბაზარქალაქ-ზაგემი და სხვა სამეფო რეზიდენციები. აქ იყო კახეთის ყველაზე ნაყოფიერი მიწა-წყალი, სხვა ტერიტორიები კახეთისა-ძირითადად ნაკლებდასახლებული იყო.

ჩვენი კვლევით, “კახეთის მთას” უწოდებდნენ გომბორის ქედს. ის კახეთსა და კუხეთს ერთმანეთისაგან ჰყოფდა.

მიწები არაგვიდან გულგულა-ტყეტბამდე, ანუ კაბალა-ხილხალამდე - კახეთს ეკუთვნოდა. მართლაც, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ხილხალა - საქართველო-ალბანეთის საზღვრად მიიჩნეოდა.

ყაბალაზე გადიოდა ჩორსა და განძა-ალბანეთს დაკავშირებული გზა. ამ გზით შემოდიოდნენ ჩორ-დერბენდიდან ალბანეთის ეკლესიების დასანგრევად ჩრდილოკავკასიელები.

როგორც ითქვა, ეს რეგიონი, ანუ ზაქათალა-კახი-ბელაქანის მომცველი მიწა-წყალი სპარსეთმა მიიტაცა, სადაც მისი ქართველი მოსახლეობა ძირითადად ასიმილირდა ჩრდილო-კავკასიიდან ჩამოსახლებულ ლეკებში, რომელთაც სამართავად გადაეცათ კიდევაც ეს ტერიტორიები.

ბელაქნის რაიონში განსაკუთრებულად, და საერთოდ საინგილოში, ბევრი ლეკი მიუთითებდა თავის ქართულ წარმოშობას. მაგალითად, გალაჯოევების წინაპრები ვაჩნაძეები ყოფილან, ნასტაგალოვებისა - ერისთავები. ბევრ ლეკს სცოდნია, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ და ცოდნიათ კიდეც თავიანთი ქართული გვარები.

ქიშ-ნუხამდე, ანუ გიშისწყლამდე მიწა-წყალი კახეთად ითვლებოდა. გიშის ტაძარი, როგორც აღინიშნა, ქ. ნუსხალის (შექის) ჩრდილოეთით 6 კმ მოშორებით მდებარეობდა. გიშის საეპისკოპოსო ვახტანგ გორგასლის დაარსებულად ითვლება. ისტორიულად გიში ასამ და ასათ გრიგოლისძეებს ეკუთვნოდათ.

ასათ გრიგოლისძეს საღირ კოლონკელისძისგან მძლავრობით მიუტაცნია ჰერეთის ერისთავობა და ასევე მას მიუტაცნია არიშიანისაგან ადგილი საქართველოს სახელმწიფო დარბაზში (პარლამენტში), კერძოდ, ის “დაჯდა სასთაულით” არიშიანის ადგილზე დარბაზობის დროს.

ასათ გრიგოლისძემ ჰერეთის ერისთავობა გადასცა თავის შვილს გრიგოლს.

ოქროს ხანის პერიოდში ასათ გრიგოლის ძის მოწოდებით, ანუ “წვევით” საქართველოს ჯარმა დალაშქრა ქვეყანა “განძას ქვემოთ ბელაყნამდის, რახსის პირი მასისამდე” (ქ.ც., II, გვ. 40).

“განძის პირის” ქვეყანა, ჰერეთის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მეორე, მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა. ჰერეთში შედიოდა არეში, ანუ არიში. ყვარყვარე ათაბაგმა 500 კაცით ილაშქრა არეშში იქაური ვაჭრის დასასჯელად. მან გაიარა ფარავნის ტბა, დმანისი, ხუნანი, “განვიდა მტკვარს და მივიდა არეშს”.

ხუნანიდან გზა მიემართებოდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს და თანამედროვე მინგეჩაურის ტბის ოდნავ ქვემოთ კვეთდა მტკვარს. ამ მხარეს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ყოფილა არეში.

მაშასადამე, ქართველთა წინაპრების ქართლოსისა და კახოსის დროიდან ეს მიწა-წყალი ქართულ სახელმწიფოებრივ სფეროში შედიოდა, ხოლო შემდგომ ვახტანგ გორგასლის, წმ. არჩილ მეფის თუ ათაბაგების ეპოქაში - ქართულ საეკლესიო იურისდიქციაში, ამას მიუთითებს გიშის ქართული საეპისკოპოსოს, ქიშნუხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ვარდიანის წმიდა აბოს და განუხის წმიდა არჩილ მეფის ქართული ეკლესიების არსებობა.

ამ მხარეში, როგორც აღინიშნა, მდებარეობდა კახეთის ძველი ქალაქი ჩელეთი (და არა ერწო-თიანეთში, ამჟამინდელ სიონის წყალსაცავთან, როგორც ამჟამად მიიჩნევა).

ქართლის ცხოვრებით ჩელეთი - მნიშვნელოვანი ნაგებობა ყოფილა. მართლაც, ამ ნაგებობათა ნაშთი დღემდეა შემორჩენილი შაქის რაიონის სოფელ ჩელეთში, რომელსაც გ. მარჯანიშვილი “ჯალეთს” უწოდებს. კერძოდ, აქ შემორჩენილია დიდი სასახლის ნანგრევები, მისი სიგრძე 16-17 მეტრია. აქვეა ჩელეთის, ანუ ჩალეთის, ჯალეთის ეკლესია.

VIII. ვართაშენი

ვართაშენის ეკლესია - წმ. ელიას სახელობისაა.

სოფელი ვართაშენი მდებარეობს შაქის აღმოსავლეთით, ყაბალა, კაპალაკის მარცხნივ. XVIII საუკუნეში ვართაშენში მცხოვრები უდები თავიანთ თავს უწოდებდნენ ასე -"ვართ ალბანელები და ეროვნებით უტიელები" (გ. მარჯანიშვილი, გვ. 51).

არცახი და უტი ერქვა არმენიზებულ ალბანურ პროვინციებს ვართაშენის გასწვრივ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. არცახელებმა და უტიელებმა შეძლეს გმირულად შეენარჩუნებინათ ქრისტიანობა ალბანეთის ისლამიზაციის საუკუნეებში, მაგრამ საბოლოოდ უტიელები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ უტის რეგიონი და თავი მახლობლად, ჯერ კიდევ ძლიერ საქართველოში, ვართაშენისათვის, შეეფარებინათ. საქართველოს სახელმწიფოებრივი სიძლიერის დროს უტიელები თავდაცვის მიზნით გადასახლდნენ ისტორიული ალბანეთიდან, ანუ მტკვრის მარჯვენა სანაპირო ქვეყნიდან, იქვე მახლობლად - მარცხენა სანაპიროზე, ანუ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

უტი ერქვა ალბანურ პროვინციას სწორედ ვართაშენის მოპირდაპირე მხარეს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ამ პროვინციას ასევე ერქვა მეორე სახელი "არანძაკი" (არანის ქვეყანა) - მის ხალხს უტიელები ერქვა პროვინციის სახელის მიხედვით.

სოფელ ვართაშენში, რომელიც ახლა ქალაქი და რაიონული ცენტრია, რამდენიმე ეკლესია არის. ვართაშენი იხსენიება 1310 წლის განსახილველ დოკუმენტში.

XIX საუკუნეში სოფელში ყოფილა სამასი კომლი მოსახლე. მათ შორის ასი კომლი ყოფილა ქართველი მართლმადიდებლების ოჯახი და, მათ გარდა, ცხოვრობდნენ უტიელებიც (უდინები).

ეს აღწერა იმით არის საინტერესო, რომ ს. კარაპეტიანის სიტყვით, ის ჩაუტარებია თვით სომეხ სამღვდელოებას XIX საუკუნის მეორე ნახევარში. სომეხი სამღვდელოება კი ტენდენციურად იყო განწყობილი, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ ყოველი ხერხით ცდილობდნენ დოკუმენტებში გაეზარდათ მოსახლეობაში სომეხთა, ანუ მონოფიზიტთა რიცხობრივი რაოდენობა.

მიუხედავად ამ მდგომარეობისა, მათი აღწერით, სოფელ ვართაშენის მოსახლეობის ერთი მესამედი ქართველი მართლმადიდებელი ყოფილა. არა ზოგადად მართლმადიდებლების რიცხვი ყოფილა ასეთი, არამედ ეთნიკური ქართველებისა.

ამ სოფელში ასევე ცხოვრობდნენ ეგრეთწოდებული უდინები (უტიელები), სომხები, ებრაელები და სუნიტი მუსულმანები.

1890 წლისათვის მოსახლეობის წილობრივ რაოდენობაში ქართველი მართლმადიდებლების რიცხვი შემცირებულა. კერძოდ, ამ წელს ვართაშენში მოსახლეობდა 680 ოჯახი (კომლი). მათგან 450 ყოფილა მონოფიზიტური აღმსარებლობისა (მონოფიზიტთა შორის ჩამოთვლილები არიან ეთნიკური სომხები და ეთნიკური უდინები), 150 ყოფილა მართლმადიდებლური ქართული ოჯახი, 200 ებრაული და 30 მუსულმანური. სომეხთა და მონოფიზიტ უდინთა საერთო რაოდენობა ყოფილა 1463 კაცი. აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ ოჯახი შედგებოდა 3-4 კაცისაგან, ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, ვართაშენის 150 ქართული ოჯახი შედგებოდა 450-600 კაცისაგან.

კიდევ ერთი აღწერა ჩაუტარებიათ 1913 წელს და ამ დროს ვართაშენში ცხოვრობდა 2914 კაცი (ს. კარაპეტიანი, შუა საუკუნეთა არქიტექტურის ძეგლები საკუთრივ ალბანეთში, შაქისა და კაპალაკის გავარებში, წიგნში "Кавказ и Византия", N6, 1988, გვ. 246).

ამ აღწერათა შემდგომ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რასაც მოჰყვა რევოლუციები და საქართველო-აზერბაიჯანის კონფლიქტი საინგილოსათვის, გასაბჭოება, საინგილოს დაუფლება აზერბაიჯანის მიერ. ქართველთა მიზანმიმართული დევნა ამ რეგიონში. ამ მიზეზის გამო ვართაშენის ქართველობა იძულებული გახდა გადმოსახლებულიყო საქართველოში, კერძოდ, კახეთში. საქართველოში დასახლების შემდგომ ისინი მუდმივად აცხადებდნენ, რომ ისინი იყვნენ ეთნიკური ქართველები და აღწერებშიც ქართველებად ეწერებოდნენ, მაგრამ მათ ეთნიკურ ვინაობაში ეჭვი შეიტანეს თბილისის სამეცნიერო წრეებმა. ქართიზაციის თეორიის გავლენით ისინი აცხადებდნენ, რომ კახეთში ჩასახლებული ვართაშენელები იყვნენ არა ეთნიკური ქართველები, არამედ უდინები, რადგანაც ვერ წარმოედგინათ აზერბაიჯანის შორეულ სოფელში

ქართული მოსახლეობის ცხოვრება. თბილისელი მეცნიერები მრავალ სამეცნიერო ექსპედიციას აწყობდნენ კახელ ვართაშენელებთან, უმტკიცებდნენ მათ, რომ ისინი იყვნენ არა ქართველები, არამედ ეთნიკური ალბანელების ბოლო, გადარჩენილი მცირე რაოდენობა, უდინები. მოუწოდებდნენ, შეესწავლათ და აღედგინათ თავიანთ მეტყველებაში უდინური ენა. ეს მაშინ, როცა XIX საუკუნის სომხური აღწერებითაც კი აზერბაიჯანის ვართაშენში ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ ქართული და უდინური ოჯახები და მათ კარგად იცოდნენ თავიანთი ეთნიკური ვინაობა.

ვართაშენში ქართველებს თავიანთი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაც ჰქონიათ და ასევე იქვე ყოფილა მონოფიზიტური ეკლესიაც, ხოლო ვართაშენის გარეუბნებსა და სასაფლაოებზე სხვა ეკლესიებიც მდგარან. ქართული 1310 წლის საბუთის მიხედვით, ვართაშენში მდგარა წმიდა ილია წინასწარმეტყველის (“ელიას”) სახელობის ეკლესია. ეს ეკლესია პასკევიჩის შემდგომ XIX საუკუნეში ჩასახლებულ ყარაბახელ სომხებს თავისებურად, მონოფიზიტურად გადაუკეთებიათ და მისთვის უწოდებიათ ალბანეთის განმანათლებელ მოციქულ ელიშეს სახელი. შეუთხზიათ ლეგენდაც, რომ თითქოს იქ არის დაკრძალული ამ მოციქულის ორი მოწაფე, რომელზეც აღმართული არის სამლოცველო. ამ ლეგენდას ს. კარაპეტიანი ამატებს კიდევ ერთ სიახლეს, რომელიც შეიძლება ითქვას არის სრული უზუსტობა და არასწორი ინფორმაცია, თითქოსდა მოციქულ ელიშეს მოწაფეთა საფლავებზე აღმართული სამლოცველოები მოხსენიებულია 1310 წლის ჩვენს მიერ განსახილველ ქართულ დოკუმენტში. სინამდვილეში ამ დოკუმენტში ნახსენებია ვართაშენის წმიდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია და მასში საერთოდ არ იხსენიება არც მოციქული ელიშე და არც მისი მოწაფეები. ჩვენი თვალსაზრისით, ვართაშენში შესაძლოა არც იყო ძველი სომხური ეკლესიები, რადგანაც ს. კარაპეტიანის მიერ გამოქვეყნებული სომხური წარწერები XIX საუკუნეს განეკუთვნება.

როგორც აღინიშნა, ვართაშენის რაიონშია სოფელი ჩალეთი (ჭალეთი), ანუ ჩელეთი, ჩანს, უძველესი კახური ქალაქი. მას ჯალეთსაც უწოდებენ. ამ მიდამოებში, გ. მარჯანიშვილის სიტყვით, “ძველი შაქისა და ხაჩმაზის გამყოფ ქედზე, საქართველოსთან დაკავშირებული კიდევ ერთი სახელი “გიურჯი დაღი” (ქართველთა მთა) არის დაფიქსირებული. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს გადიოდა საქართველოს საზღვარი” (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 40).

როგორც აღინიშნა, სოფელ ჩელეთ-ჭალეთში არსებობს სასახლის ნაშთი, რომელსაც გ. მარჯანიშვილი “ტიპიური კახური სასახლეების მსგავსს” უწოდებს.

ასევე აღინიშნა, რომ სოფელ ნიჯისა და ვართაშენის მცხოვრებ უდებს პეტრე პირველისათვის XVIII საუკუნეში გაუგზავნიათ წერილი. უდების თქმით, ისინი “ალბანელები და ეროვნებით უტიელები” არიან. ამ განსაზღვრებაში, ალბანელებისა და უდების ცნება არ ფარავს ერთმანეთს” (იქვე, გვ, 51). მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე რეგიონს სომხურად “უტი” და ასევე “არანძაკი” ერქვა (იხ. არუტუნიანის რუკა).

ძველი “უტიკის”, ანუ უტის პროვინციაში მდებარეობდა ალბანეთის დედაქალაქი პარტავი (ბარდა) . “უტიდან ვართაშენში გადასახლებულ უტიელებს XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ ახსოვდათ თავიანთი ეთნიკური ვინაობა. ისინი იყვნენ ძველი ალბანეთიდან, ამავე დროს კი იყვნენ უტიელები, ანუ ძველი უტიკის მცხოვრები, ტომობრივად უტები, ანუ უდები.

XV-XVI საუკუნეებში, ძველ რეგიონში, როცა ქრისტიანთათვის იქ ცხოვრება გაძნელდა, როგორც ითქვა, მათ თავი შეაფარეს ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოში შემავალ შაქი-ვართაშენის რეგიონს, რომელიც, მართალია, უკვე იწყებდა გამაჰმადიანებასა და სეპარატიზმის გზას ადგა, მაგრამ ვართაშენსა და მის შემოგარენში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო ქრისტიანთათვის.

ვართაშენში უტიელებს, ცხადია, დახვდათ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა და ეკლესია. აქვე, ჩანს, ეთნიკური სომხური მოსახლეობაც გაჩნდა. ამის შედეგად ვართაშენში აღმოჩნდა ქართული, უტიური, სომხური, ებრაული და მაჰმადიანური მოსახლეობა.

XVIII საუკუნეში, როგორც პეტრე პირველისადმი მიმართვიდან ჩანს, ამ უდინებს (უდებს) კიდევ ახსოვდათ, რომ ისინი ალბანელები და ამავე დროს უტები იყვნენ. შემდეგში ვართაშენის ქართულ მოსახლეობას უფრო და უფრო გაუჭირდა ამ რეგიონში ცხოვრება, რადგანაც შაქში მაჰმადიანური ხელისუფლება გაძლიერდა, კახეთის დიდი ნაწილი კი შაჰ-აბასმა კახეთის სამეფოს ჩამოაცილა, ამავე დროს სპარსელთა ნებით შეიქმნა კაკ-ელისენის განდგომილი რეგიონი, რომლის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა აღმოჩნდა ლეკური მმართველობის ქვეშ. ამ რეგიონის ქართველები შესაბამისად ლეკდებოდნენ და მაჰმადიანდებოდნენ.

ამგვარ პირობებში მით უმეტეს გაუჭირდებოდა ვართაშენის ქართველებს, ისინი, ჩანს, ასიმილირდნენ უტიელებსა, სომხებსა და მაჰმადიანებში. თუმცა, მაინც, XIX საუკუნეში მათი რაოდენობა 600 ყოფილა. ისინი XX საუკუნეში ზინობიანში გადასახლდნენ და უკვე ნაწილობრივ დაკარგული ჰქონდათ თვითშემეცნება, მაგრამ მაინც სჯეროდათ, რომ გადარჩენა მხოლოდ საქართველოში შეეძლოთ და ამიტომაც მისკენ ისწრაფვოდნენ საბოლოოდ დასაფუძნებლად.

ქართლის კათალიკოსის სამწყსო შაქსა, ჰერეთსა და შირვანში ქართლის ცხოვრების ჩანართის მიხედვით

აღნიშნულ პუნქტთაგან ზოგიერთი ცნობილი არის "ქართლის ცხოვრების" იმ ჩანართიდან, რომელიც შეეხება VI მსოფლიო კრების მიერ VII საუკუნეში საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად გამოცხადებას, კერძოდ იქ ნათქვამია:

"იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა და აკურთხევდეს (საწმყსოსა) სამწყსოსა თვისსა ქართლსა: გამოღმა გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით წარმოვლით მთისა ადგილისათა, სვანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოსეთსა და ყოველსა ზემო ქართლსა სამცხე საათაბაგოსა..." (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 232).

ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია ქართლის ქვეყანაში შემდეგი პუნქტები: **გამოღმა კახეთი, გაღმა კახეთი, შაქი, შირვანი, ასევე კახეთის, შაქისა და შირვანის მიმდგომი მთის ადგილები, ანუ დაღესტანი და ჩეჩნეთი, მათთან ერთად სვანეთი, ჩერქეზეთი, ოვსეთი და ზემო ქართლში სამცხე საათაბაგო.**

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის იგივე პუნქტები არის დასახელებული 1310 წლის მაღალაშვილის სახარების მინაწერში. როგორც აღინიშნა, მასში ჩამოთვლილია შემდეგი სახელები - **კახეთში ანწუხის საეპისკოპოსო, წახური, კაკ-ელისენი, კასრი, ყუმი, ლექართი, ზარი, ვარდიანი, განუხი, ქიშნუხი, ვარდთაშენი, თაბასარანი, ხუნძები, ნახჩები, თოშეთი, ნეკრესი, ლაგოეთი, ბელაქანი, მაჯ-ფიფინეთი, ფერიჯან-მუხახ-მამრეხი, ყოველი ვაკე, ანუ მოვაკანი, ელისენი, ვერხვიანთ ზეგანი, ივრისა და ალაზნის შესართავი, ქურმუხი, ყოველი მთიულეთი, კაკი, ალვანი, ანუ სავანია და სხვა.**

1. შირვანი

ყველაზე შორეული პუნქტი, სადაც ამ დოკუმენტების მიხედვით, თავის იურისდიქციას ახორციელებდა საქართველოს ეკლესია, იყო შირვანის პროვინცია. ის ამჟამად შედის აზერბაიჯანში და მოიცავს შამახის რაიონს. აქ განვითარებული არის მევენახეობა და ერთ-ერთ ტურისტულ ცენტრად ითვლება. მიიჩნევა, რომ შირვან-შაჰების სახელმწიფო ჩამოყალიბდა VIII საუკუნეში, აბასიდების დინასტიის დასუსტების შემდეგ, შირვან-შაჰების სახელმწიფო შეუერთდა საქართველოს დავით აღმაშენებლის დროს. დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ტიტული იყო შირვანშაჰი. აქ ცხოვრობდა ქრისტიანული მნიშვნელოვანი სამრევლო საქართელოს ეკლესიისა.

2. ჰერეთი

შირვანს მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხრიდან ჰერეთი ესაზღვრებოდა. მართალია, არცერთ აღნიშნულ დოკუმენტში სახელი ჰერეთი ნახსენები არ არის, რადგან არამდგრადი პოლიტიკური ერთეული იყო I ათასწლეულშივე (მისი ძლიერების პერიოდში). ამიტომ II ათასწლეულში მისი ხსენებაც კი გაქრა და დოკუმენტებშიც არ მოიხსენებოდა, მაგრამ ჰერეთის სახელი XX საუკუნეში გააცოცხლეს სამეცნიერო წრეებმა და მას მისთვის იქამდე უჩვეულო ეთნოპოლიტიკური დატვირთვაც მიანიჭეს. კერძოდ, XX საუკუნის მეცნიერებმა ეთნიკურ ჰერებად გამოაცხადეს კახეთის ძირძველი ისტორიული რაიონების - კახის, ბელაქნისა და ზაქათალას მოსახლეობა მაშინ, როცა თვით ძველი, თავდაპირველი, I ათასწლეულის ჰერეთი ეთნოსის სახით არც კი ჩამოყალიბებულა. ჰერეთი იყო ქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებული რეგიონი სადავო ალბანეთსა და ქართლს შორის, თანაც ისტორიული ჰერეთი არ მოიცავდა ამ (კახის, ბელაქანისა და ზაქათალას) რაიონებს, რომელნიც მუდამ კახეთის რეგიონში შედიოდნენ. კახეთს ჰერეთისაგან, როგორც მიიჩნევა, გულგულა ჰყოფდა. სავარუდოდ, არსებობდა ორი პუნქტი ასეთი სახელით, ერთი თელავთან, მეორე კი - ვართაშენთან, პუნქტ ხალხალასთან ახლოს, რომელსაც, მოვსეს კალანკატუაცი და ეღიშე ასახელებენ ვითარცა სასაზღვრო პუნქტს იბერიასა და ალბანიას შორის.

ისტორიული ჰერეთი იწყებოდა არა თელავის სოფელ გულგულადან, არამედ ვართაშენის სოფელ ფილფილადან (ხალხალადან). სწორედ ამ თანამედროვე პუნქტ ფილფილას ეწოდებოდა ქართულ წყაროში ნახსენები სახელი "ტყეტბა-გოლგოლა", იგივე გულგულა. **ე.ი. იყო ორი გულგულა, ერთი თელავთან, მეორე კი ვართაშენთან.** როგორც ითქვა, ისტორიული ჰერეთი იწყებოდა ვართაშენის ფილფილა-გულგულასთან და გრძელდებოდა შამახასთან მდებარე მდინარე აღსუმდე. ასე ერქვა მდინარეს, რომელიც მტკვარს უერთდებოდა მარცხენა სანაპიროს მხრიდან იქ, სადაც მტკვარს მარჯვენა სანაპიროს მხრიდან უერთდება არაქსი.

აღსუს ქართველები თეთრ წყალს უწოდებდნენ. აქ საუკუნეთა მანძილზე გადიოდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. რაც შეეხება უშუალოდ კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვარს, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ კახეთ-ჰერეთის საზღვარი გადიოდა აღნიშნულ ფილფილა-გულგულასთან. საქართველოს სახელმწიფოში შემავალი ჰერეთის აღმოსავლეთი საზღვარი უკვე საქართველოს სახელმწიფოს საზღვარს წარმოადგენდა აღნიშნულ აღსუ-თეთრწყალზე.

დიდხანს, მონღოლთა ბატონობის დამთავრების შემდეგაც, აქამდე აღწევდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია შირვანის ქვეყანაში.

როგორც აღვნიშნეთ, აქვე შირვანთან მთავრდებოდა ჰერეთის საზღვარი.

პლინიუს უფროსიც წერს, რომ ალბანია და იბერია ერთმანეთისაგან განყოფილი იყვნენ მდინარე ოკაზანით, რომელიც ჩაედინებოდა მტკვარში (პლინიუსის ცნობით, ეს მდინარე ოკაზანი გამოედინებოდა კავკასიის მთებიდან და ჩაედინებოდა მტკვარში, ამჟამად მიჩნეულია, რომ ოკაზანი იყო მდ. ალაზანი, სახელების ჟღერადობის მსგავსების გამო, მაგრამ კახეთის რეგიონში მრავალ მდინარეს ეწოდებოდა ალაზანი (პირიქითა ალაზნები და სხვა), ამიტომაც ოკაზანის გამოცხადებას ალაზნად, არ გააჩნია საფუძველი, მაგრამ ეს მდინარე (ოკაზანი) ამ რეგიონშია საძებნი. ეს მდინარე არის ან ამჟამინდელი მდ. გოიჩაი (გიშისწყალი, შექთან), რომელიც ალაზანს უერთდება, ამიტომაც ისიც შეიძლება ალაზნად იწოდებოდეს, ანდა იქვე, სოფელ ფილფილასთან ჩამდინარე მდინარე აგრიჩაი, რომელიც მტკვარს უერთდება, ანდა აღნიშნული აღსუ. ოკაზანი უფრო არის აგრიჩაი, ის გამოედინება კავკასიის მთებიდან და უერთდება მტკვარს, მაშასადამე, ჩვენი ვარაუდით პლინიუსის მდ.ოკაზანი არის ამჟამინდელი მდინარე აგრიჩაი, მის სანაპიროზეა სოფ. ფილფილა, რომელის უნდა იყოს წყაროებში ნახსენები ტყეტბა-გულგულა, საზღვარი ალბანეთსა და იბერიას შორის ანუ საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შორის.

პლინიუს უფროსი **ოკაზანის შესასახებ წერს** - „Теперь будут перечислены жители пограничных с Арменией областей: всю равнину, начиная от реки Кура, заселяют племена албанов, а

затем иберов, которые отделены от первых рекой **Оказаном**, текущей с Кавказских гор в реку Кир“ … » (**Плиний Старший,** «Естественная история», кн. VI, 28 - 29)

ჰერეთი, როგორც აღვნიშნეთ, იწყებოდა ფილფილასთან, რომელიც ერთ დროს მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა (მას ძველ წყაროებში ეწოდებოდა ტყეტბა-გოლგოლა). 1923 წელს ჯავახიშვილის რედაქტორობით დაბეჭდილ რუკაზე ამ ადგილას პუნქტი **ხალხალაა** ნაჩვენები. როგორც აღინიშნა, ის მდებარეობს ვართაშენის რაიონში. ქალაქ ვართაშენს XX საუკუნის ბოლოს შეუცვალეს სახელი და ოგუზი უწოდეს.

ვართაშენის, ანუ აზერბაიჯანის ოგუზის რაიონი გამოირჩევა თავისი ლამაზი და ხშირი ტყეებით, რადგანაც ამ რაიონის ნახევარი ტყით არის დაფარული. აქ არის ბევრი ჩანჩქერი, წყაროები, თერმული წყლები, ფაუნა ძალზე მდიდარია, მათ შორის, ხოხბით და კალმახით, ხარობს ყოველგვარი ხილი. სოფ. ფილფილა სახელგანთქმული არის ხალიჩების მქსოველი ოსტატებით. ამავე სოფელში ცნობილი არის ასევე რიყის ქვით ნაგები კოშკი XVIII საუკუნისა, რომელსაც სულხაიხანის კოშკს უწოდებენ. ეს კოშკი არის მდინარე გალაჩაის ნაპირზე ფილფილასთან ახლოს.

ფილფილასთან გადის კავკასიის ამ რეგიონისათვის მნიშვნელოვანი გზა, რომელიც უღელტეხილით გადადის ჩრდილო კავკასიაში, **სამურის ხეობაში**. იქიდან ეს გზა მიემართებოდა დერბენდისაკენ. ეს მომენტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეთანადება მოვსეს კალანკატუაცის ცნობას და ბადებს თვალსაზრისს, რომ ფილფილა და მოვსეს მიერ დასახელებული ხალხალა-ხილხილა ერთიდაიგივე პუნქტია.

მოსეს კალანკატუაცის ცნობით, დერბენდის „ჩორის ქვეყნიდან“ ამ გზით ხალხილას გავლით მტრები ალბანეთის ეკლესიების დასანგრევად მოემართებოდნენ, ე.ი. ისინი გაივლიდნენ ჩორიდან სამხრეთ დაღესტანს, გზით შეივლიდნენ სამურის ხეობაში, იქედან კი იქვე მდებარე ფილფილა-ხალხილას გავლით გაემართებოდნენ მტკვრის მარჯვენა სანაპიროსაკენ, ანუ ალბანეთისაკენ. ფილფილას მხარე ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმითაც, რომ, როგორც აღინიშნა, აქ ერთ-ერთ ქედს **“გურჯი დაღი”**, ქართველთა მთა, ეწოდება. გ. მარჯანიშვილი წერს: **“გამოთქმული იყო მოსაზრება რომ სწორედ აღნიშნული ქედის არეში ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს გადიოდა საქართველოს საზღვარი”** (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 40).

ჩვენი კვლევით, აქ, ვართაშენის ფილფილა-ხალხალასთან და „გურჯი დაღთან“ გადიოდა საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შორის, უფრო ადრე კი იბერიასა და ალბანიას შორის, აქ, ფილილასთან გამავალი მდინარე, რომელიც სათავეს იღებს მთებში და უერთდება მტკვარს უნდა იყო მდ. ოკაზანი, რომელსაც ახსენებს პლინიუს უფროსი. **შესაძლოა, ხალხურმა მეხსიერებამ შემოინახა მოგონება სასაზღვრო ქედის „გურჯი დაღის“ შესახებ.** ამ ქედის ერთ მხარეს კახეთი მდებარეობდა, აქვეა პუნქტი **ჭალეთი**, რომელიც, შესაძლოა, იყოს ისტორიული **ჩელეთი**.

ჭალეთი ამჟამად იწოდება ჩელეთად და არის ვართაშენის, ანუ ოგუზის რაიონის ერთ-ერთი სოფელი დასავლეთის მხარეს, ანუ საქართველოს მიმართულებით. ჰერეთი, ამ კვლევით, განფენილი იყო ვრცელ მიწა-წყალზე აქედან ვიდრე მტკვარ არაქსის შესართავამდე.

მარტივად რომ ვთქვათ, გულგულამდე (ფილფილამდე) იყო კახეთი, აქედან თეთრწყალ-აღსუმდე - **ჰერეთი ე.ი. ჰერეთში შედიოდა ამჟამინდელი ოგუზის, ანუ ვართაშენის რაიონი, გაბალა, იგივე კუტკაშენის რაიონი და ისმაილის რაიონი, მასში შედიოდა შემახას რაიონის ერთი ნაწილი, ხოლო კახეთში შედიოდნენ თანამედროვე შექის რაიონი, თანამედროვე გახის რაიონი, ანუ კახის რაიონი, თანამედროვე ზაქათალას რაიონი და თანამედროვე ბელაქანის რაიონი. მათ, როგორც ითქვა, ერთმანეთისგან ყოფდა ფილფილა - გურჯი დაღი, ანუ ძველი გულგულა (ვართაშენისა).**

შექის რაიონის მთავარ ქალაქს ძველად ერქვა ნუხა, აქაურ სოფლებში, ისევე როგორც კახეთის ზემოჩამოთვლილ სხვა რაიონებში, ეკლესიები აღუმართავს წმ. მოწამე არჩილ მეფეს, რადგანაც ის იყო კახეთის რეგიონი.

კახეთის ეს ეკლესიები და ასევე ჰერეთის ზოგიერთი ეკლესია 1310 წელს მოუხილავს საქართველოს პატრიარქს.

ჰერეთის საზღვრები, როგორც აღინიშნა, მოქცეული იყო მტკვარ-არაქსის შესართავიდან ხალხაამდე, ანუ ვართაშენის სოფელ ფილფილამდე, იგივე გულგულამდე (ანუ ვართაშენის სოფელ ფილფილამდე). მის დასავლეთით მდებარე შექის, ანუ ნუხის რაიონი ისტორიული კახეთის ნაწილი იყო. ამიტომაც **ნუხის, შექის, კახის, ზაქათალას და ბელაქნის რაიონებში მდებარე ეკლესიები არ იყვნენ ალბანური ეკლესიები.** ისინი იმთავითვე მცხეთის იურისდიქციაში შედიოდნენ და მათ აშენებდნენ კიდეც ქართლის მეფეები.

ამჟამად ალბანურ ეკლესიებადაა მიჩნეული შექის, ანუ ნუხის რაიონის სოფლების ბიდეიზის, ბაშკიუნგიუცის, ორთაზეიზიცის და კიშის (გიშის) ეკლესიები. მიჩნეულია, რომ კიშის ეკლესია წმ. ელისემ (მოციქულმა ელიშამ) ააგო. ეს ეკლესიები, თავის მხრივ, ს. კარაპეტიანს სომხურ ეკლესიებად მიაჩნია მაშინ, როცა ამ ეკლესიათა წარსული ისტორიის ნამდვილ და უეჭველ წყაროში, 1310 წლის ქართულ დოკუმენტში, ისინი ქართულ იურისდიქციაში მოიხსენიებიან და მეორე ასეთივე წყაროში წმ. არჩილ მეფის ნაღვაწად მიიჩნევა.

რაც შეეხება აზერბაიჯანელ და სომეხ მეცნიერთა თვალსაზრისს, მათ არ გააჩნიათ არავითარი პირდაპირი წყარო და ისინი მხოლოდ ვარაუდებზეა დამყარებული. მაგალითად, ვარდთაშენის ეკლესია 1310 წლის წყაროში იწოდება ელიას სახელობის ეკლესიად, ელია ყოველთვის ეწოდებოდა წმ. წინასწარმეტყველ ილიას, ხოლო ს. კარაპეტიანს მიაჩნია, რომ თითქოსდა წყარო უთითებს არა ელიას, არამედ, ელიშეს, ალბანეთის განმანათლებელს. იგივე გაიმეორა ბაქო-აზერბაიჯანის რუსული ეპარქიის ვებ-გვერდმა. შესაბამისად, მან ეს ვითომდა ელიშეს ეკლესია ალბანურ იურისდიქციაში მოაქცია. ეს წყაროს ცნობის განგებ დამახინჯებაა.

როგორც აღინიშნა, ოგუზის რაიონის ნახევარზე მეტი ტყითაა დაფარული და აქ არის ბევრი ჩანჩქერი. აქაა ტყეში ჩაფლული სოფელი ფილფილა, იგივე "ტყე-ტბა გულგულა"

3. "შექი მდებარეობს დიდი აბრეშუმის გზის ტრასაზე".

სავარაუდოდ, შაქი არის სიტყვა შაკიხისაგან მიღებული, თავის მხრივ, "შაკიხი" არის იგივე "საკიხი", ანუ საკახო. ნაწარმოებია ფუძიდან "კახ" ("კუხ", "კიხ") (აქედან სა - კახ - ო, შა - კიხ - ი, კუხ - ეთი).

ქიშ-ნუხი სავარაუდოდ მდებარეობდა პუნქტ "გიშთან" (კიში).

ამ ოლქში ხშირია სახელები "ნუხ" ფუძე-ძირით, მაგ. განუხი და ნუხპატო. "ნოხო" - გამოქვაბულია ადრეული რკინის სადგამის არტეფაქტებით ბელაქნის რაიონში, ნუხი - შექის რაიონი (ძველი ნუხა).

როგორც აღვნიშნეთ, 1310 წლის ცნობის მიხედვით, საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ მოიხილა კახეთში ანწუხის საეპისკოპოსო. იქიდან გადავიდა წახურში, შემდეგ მოიხილა თავის იურისდიქციაში შემავალი **კაკ-ელისენი და ამ პროვინციის ეკლესიები, კერძოდ, ქალაქ კასრში ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძარი, სოფელ ყუმში ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ლექართში წმ. მოციქულთა სწორ ნინოს სახელობის ეკლესია, სოფელ ზარში წმ. მთავარმოწამე გიორგის ეკლესია, სოფელ ვარდიანში წმ. აბოს სახელობის ეკლესია, სოფელ განუხში წმ. არჩილის სახელობის ეკლესია, სოფელ ქიშნუხში ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ბარდაშენში წმ. წინასწარმეტყველ ელიას სახელობის ეკლესია** და მათ შემდეგ მიმოიხილა სხვა პროვინციები: კერძოდ, **მოუვლია ხუნძეთი, ნახჩთა ქვეყანა, თუშეთი, იქიდან კვლავ გადმოსულა კახეთის მხარეს, მოულოცავს ნეკრესის, ლაგუთის, ბელაქანის, მაჯ-ფიფინეთის, ფერიჯან-მუხახ-მამრეთის და ძველი მოვაკანის, ანუ ვაკის და ელისენის ეკლესიები, რომლებიც მდებარეობდნენ ვერხვიანთ ზეგანიდან იორ-ალაზნის შესართავამდე. ამ დროს პატრიარქ ექვთიმეს მიუცია ბრძანება, ყოველი მთიულეთის წინამძღვარი ქურმუხელი მთავარეპისკოპოს კირილე დონაურისათვის თვითოეულ ამ ეკლესიაში გაეგზავნა სატრაპეზო-სახარების წიგნი. მართლაც, სოფელ კაკის წმიდა ბარბარეს ეკლესიის მღვდელს იასე ქიტიაშვილს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს დავალება შეუსრულებია**

თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად. ქიშ-ნუხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია ამ ჩამონათვალში მოთავსებულია ვარდიანსა, განუხსა და ვართაშენს შორის. უნდა ვიფიქროთ, რომ ქიშ-ნუხი ამ რეგიონში მდებარეობდა.

აღსანიშნავია, რომ ვარდაშენს ბარდაშენი ერქვა და მისი სახელი დაკავშირებულია არა ვინმე პიროვნება ვარდანთან, როგორც ამჟამად მიიჩნევა იქაური გიდების მიერ, არამედ ქალაქ ბარდას სახელთან, რომელსაც ძველქართულად ბარდავი ერქვა. საფიქრებელია, რომ დიდი შემოსევების და ქრისტიანობის დევნის გამო ქალაქ ბარდას მართლმადიდებელი მოსახლეობა გადასახლდა მახლობელ რეგიონში, სადაც ამჟამად ვარდაშენი, იგივე ოგუზი მდებარეობს და დააფუძნა იქ ბარდაშენი. ამ გადასახლებას თითქოსდა ვარდაშენის მოსახლეობის ერთი ნაწილის ეთნოსახელი "უდიელებიც" (უდინი) მიუთითებს. ისინი ბარდის რეგიონის უტის ცნობილი პროვინციის მცხოვრებთა სახელი უნდა იყოს.

უდიელები იგივე უტიელები არიან, ალბანეთის პროვინცია უტის (უტიკის) მცხოვებნი. უტიელები გადასახლდნენ უტიდან ვართაშენში, ქართველებით დასახლებულ პუნქტში, რომელსაც ბარდაშენი, ანუ ვართაშენი ეწოდა. იქამდე, ალბანეთშივე, ეს უტიელები, ანუ უდები არმენიზებულები იყვნენ, თუმცა ენა ახსოვდათ.

მაშასადამე, უტიელები გადასახლდნენ უფრო ჩრდილოეთით და მათ თან გადაიტანეს ძველი პროვინციის - "უტისა" და მისი მთავარი ქალაქის - "ბარდას" სახელი - "უტი-უდინები", "ბარდა-ვართაშენი".

4. თუშეთიდან პატრიარქი ექვთიმე გადასულა და მოუხილავს ნეკრესის, ლაგოეთის (ლაგოდეხის) და ბელაქანის ეკლესიები.

5. შემდეგ წყაროში ნახსენებია მაჯ-ფიფინეთი და ფერიჯან-მუხახ-მამრეთი.

მუხახი მდებარეობს ზაქათალას რაიონში, ქ. ზაქათალას სამხრეთ-აღმოსავლეთით. მის სამხრეთით რამდენიმე კილომეტრში არის სოფელი ალიაბადი. წყაროდან ჩანს, რომ მაჯ-ფიფინეთი და ფერიჯან-მუხახ-მამრეთი მდებარეობდა თანამედროვე ბელაქანისა და ზაქათალას რაიონებში.

ამის შემდეგ წყაროში დასახელებულია **"ყოველი ვაკე"**. მას ამავე წყაროში ასევე ეწოდება ძველი მოვაკანი და ელისენი. ჩანს, ეს უკანასკნელი, ანუ ელისენი **„ვერხვიანთ ზეგანიდან"** იორ-ალაზნის შესართავამდე მდებარეობდა (შესაძლოა აქ მდებარეობდა ელია წინასწარმეტყველის უპირველესი მოწაფის ელისეს სახელობის ეკლესია, თვითონ ელიას (ილიას ეკლესიაც მახლობელ პუნქტშია), ხოლო მოვაკანი ერქვა ძალზე ვრცელ ვაკეს მტკვრის ხეობაში აღნიშნული იორ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე თითქმის კასპიის ზღვამდე.

როგორც ითქვა, ზაქათალას მომდევნო კახის რაიონის სოფელ კაკში წმ. ბარბარეს სახელობის ტაძარი ყოფილა ერთ-ერთი უმთავრესი სამწიგნობრო ცენტრი აღნიშნული ვრცელი რეგიონისა, საიდანაც ქართული საღვთისმსახურო წიგნებით მარაგდებოდა მთიანეთის ყველა აღნიშნული ეკლესია-მონასტერი, ე.ი. თანამედროვე კაბალას (გაბალას) რაიონიდან ვიდრე ჩეჩნეთისა და დაღესტნის ჩათვლით (შეიძლება შევადაროთ ტოპონიმი კაბალა-გაბალა, "გაბური" - სახელი კახეთის მთავარისა და ასევე სახელი "გაბულოცი").

შენიშვნა:

1) ლექართი - დღევანდელი "ლეკითია".

2) ზარი - ზარნა.

3) ზაგემი, ბაზარქალაქი - აკსიბაზარი (ზაქათალასთან) - კახეთის მეფეთა რეზიდენცია - ალიაბადთან.

4) მაჭი (VIII საუკუნე) - ლაგოდეხ-ბელაქანის გზაზე, მაჭისწყლთან (ლაგოდეხთან ახლოს) - კახეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია იყო.

5) ბოეთანი - კახეთის მეფეთა ერთ-ერთი დიდი რეზიდენცია - მდ. ბელაქანის და ალაზნის შესართავთან. აქ იღებდნენ კახეთის მეფეები ელჩებს.

6) “კავკასიის დიდი კედელი” (საინგილოს დიდი გალავანი - იწყებოდა ყვარლის რაიონის სოფელ საბუედან ვიდრე ნუხამდე (დღევანდელ შექამდე) - 1830 წლის „კავკაზსკიი ვედემოსტის“ ცნობით, ის აუგიათ „მტაცებელი ლეკებისაგან - თავდაცვის მიზნით XVI-XVII საუკუნეში . აქ ქართველებს მუდამ ჰყოლიათ დარაჯები“ (“Тифлисские ведомости”, т. 82, 1830).

7) ქედი “გიურჯი დაღი” (ქართველთა მთა) - ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს - იქაურ ხალხში დაცული გადმოცემით - “გიურჯი დაღის ქედის არეში გადიოდა საქართველოს საზღვარი” - (მარჯანიშვილი, გვ. 40).

8) “შარომატი” (სარმატი) - “ქართველთა ნათესავი ტომი ჩნდება კავკასიაში” (ივ. ჯავახიშვილი, “საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტ. ეთნოლოგიური პრობლემები, 1950, გვ. 55).

9) “იბერია მდ. არაქსამდე ვრცელდებოდა” - აპოლოდორი (ძვ. წ. II ს.) [გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951, გვ. 138].

http://www.world-history.ru/countries_about/2253.html Аполлодора, передаваемое Страбоном, что иберов от армян отделяет р. Аракс (Страбон, I, 3, 21).

Страбон сообщает, что «Армения, первоначально имевшая небольшие размеры, была увеличена Артаксием и Зариадрием, которые сначала были полководцами Антиоха Великого, а впоследствии, после его поражения, сделавшись царями - один в Софене, Акисене, Одомантиде и некоторых других (областях), а другой - в окрестностях Артаксат, - расширили (Армению), отрезав себе части (земель) у окрестных народов, а именно у иберов - склоны Париадра, Хордзену и Гогарену, лежащую по ту сторону Кира...» (XI, 14, 5)

10) “ხურიტული და მისი ერთ-ერთი დიალექტი - ურარტული... ყველაზე ახლოს ქართულ-კავკასიურ ენათა ჯგუფთან დგას” (იქვე, გვ. 143).

11) ისტორიული კახეთის ცენტრი - ზაქათალადან კახის რაიონის ჩათვლით ვიდრე ვარდაშენამდე (შექამდე) შაჰ-აბასმა ჩამოართვა კახეთის მეფეებს და იქ გააბატონა მის მახლობლად მცხოვრები დაღესტნის ტომი წუქებისა. ამიტომაც ამ ტერიტორიას ეწოდა - წუქეთი XVII საუკუნის შემდეგ.

12) XVII საუკუნემდე წუქეთი ერქვა დაღესტნის თემს მდ. სამურის სათავეში.

13) ქართული წყაროების ცნობით, ძველი წუქეთი მოიცავდა ტერიტორიას თუშეთიდან ვიდრე სამურის სათავემდე დაღესტანში.

14) XVII საუკუნის შემდეგ გაჩნდა ე.წ. ახალი წუქეთი (ყოფილ კახეთის ცენტრში ზაქათალას, ბელაქანის, კახის რაიონები), მოიცავდა ყოფილი მაჭის საერისთავოს მიწა-წყალს.

15) მაჭი (VII საუკუნე) “მაჭის საერისთავო (XI საუკუნე) მოიცავდა ტერიტორიას მაჭისწყლიდან შაკიხამდე (შექამდე). ალაზნიდან ხუნძახამდე, აქ შედიოდა პუნქტები გიში, კახი, ლაკუასტი და სხვა, შაკიხამდე. საერისთავო გააუქმა 1471 წელს მეფე ლევანმა. ძველად, არაბთა შემოსევებისას, ამ საერისთავოს ალაზნისპირა ნაწილს, “ალაზნის გაღმართი ჩაყოლება, გარდაბანიც” ერქვა, (მაჭისწყლიდან შაკიხამდე (შექამდე), მისი მოსახლეობა იყო ე.წ. კახნი-გარდაბნელნი. ამ სახელწოდების ქართველობა მიმდებარე ტერიტორიებზეც ცხოვრობდა). ის, არაბთა ნებით, ჰერეთმა დაიპყრო და XI საუკუნისათვის განთავისუფლდა.

16) ბელაქანის, ზაქათალის, კახის, შექისა და, ნაწილობრივ, ვართაშენის რეგიონები, როგორც აღინიშნა, კახეთს ჩამოაჭრა შაჰ-აბასმა. აქ შექმნა ელისუს სასულთნო და შეიქმნა “ახალი წუქეთი”, იგივე “ალის-სულთანი”, იგივე მაჭის საერისთავო, სამწყსო გიშელი ეპისკოპოსისა (ისტორიულ კახეთში, მას არასწორედ ამჟამად ჰერეთს უწოდებენ).

17) ძველი წუქეთი იგივე წახეთი - წახური (დაღესტანში).

18) ელისენი მოიცავდა ტერიტორიას ქურმუხიდან ვიდრე გიშისწყლამდე.

19) შაკიხი შექია.

20) გიში - შექის მახლობლად (აქ შემდეგ გადაიტანეს კათედრა).

მაღალაშვილის სახარების მინაწერში დაცული ცნობის მიხედვით, კახეთის სოფელ განუხში მდებარე ეკლესია იყო წმიდა არჩილ მეფის სახელობისა, რაც საფუძველს გვაძლევს მოსაზრებისა, რომ ეს ეკლესია არჩილ მეფის მიერ იყო აგებული. მართლაც, ქართლის ცხოვრების ცნობით, კახეთ-მთიულეთში არჩილს მრავალი ეკლესია აუგია.

ნუხა - ქართლის მეფის სატახტო (მე-8 საუკუნე) ამჟამინდელ აზერბაიჯანში

მურვან ყრუს არაბული ლაშქრის შემოსევების გამო არჩილ მეფე იძულებული გახდა დაეტოვებინა დედაქალაქი და თავისი სამეფოს შედარებით დაცულ კუთხეში გადასულიყო. ასეთი იმჟამად ყოფილა კახეთის მთიულეთი.

კახეთის მთიულეთი ეწოდებოდა ამჟამინდელი დაღესტნის დასავლეთ ნაწილს - თუშეთს, ხუნძეთს, დიდოეთს. **კერძოდ კი, არჩილ მეფე თავდაპირველად დაფუძნებულა წუქეთში, მდინარე სამურის ხეობის სათავეში, აქ, წუქეთში, გადაუტანია მას ქართლის სამეფო ტახტი, ანუ ის "დაჯდა წუქეთს", აქვე აუშენებია ახალი ქალაქი კასრი, იქვე აუშენებია ციხე-სიმაგრე მდინარე ლაკუასტისის ხეობაში.** ("აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე"), მაგრამ მალევე წუქეთში დაუნიშნავს თავისი ერისთავი აბუხუასრო (თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა) და თვითონ კი სატახტოდ და სამეფო კარის სამყოფელად წუქეთთან ახლოს, კახეთში, აუშენებია დიდი ციხე-ქალაქი ნუხპატი **(აჟამინდელი ნუხა აზერბაიჯანში).**

"ქართლის ცხოვრება" ამის შესახებ წერს:

"ამის შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი ასული გურამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა ბერძნის ცოლისა ნაშობთა და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო და არ ინება მისგან წაღებად წუქეთი და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნენ კაცნი წარმართნი და მხეცისბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი.

განძლიერებულ იყვნეს სარკინოზნი ქუეყანასა რანისასა; დაეპყრათ გაზირი და სომხეთი და ჰბრძოდა მასლამა ბერძენთა, ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი, რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თვალნი, წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი და დაემკვიდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილისათა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი უმკვიდრო ქმნილ იყო, ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო და დაემკვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის.

მასვე ჟამსა პიტიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელს ერქვა კალმახი და აღაშენნეს ციხედ. ხოლო ნახევარნი მოვიდეს კახეთს არჩილის თანა. ერთსა მათგანსა მისცა ცოლად ნათესავისაგან აბუხუასროსა, რამეთუ დაქურივებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი, და მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრითურთ. ჟამთა მათ დაეცადნეს სარკინოზნი შემოსვლად ქართლად ყრუსა წარსვლითგან წელიწადსა ორმოცდამეათესა. აქა ჟამამდე არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან" (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 243).

ამ დოკუმენტში ნახსენებია: **კახეთი, საძმორი, წუქეთი, კასრი, ლაკუასტი, თუშები, ხუნძები, მთის წარმართები, აბუხოსრო, ნუხპატი, რანი, გაზირი, სომხეთი, ტარონი, შაკიხი, ჰერეთი, კლარჯეთი, ტაო, კალმახი და სხვა.** ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის ადგილსამყოფელი ცნობილია.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ილია II - უახლესი ქართული ისტორიოგრაფიის სათავესთან
(საუბრის ჩანაწერი)

სტამბულში (კონსტანტინოპოლში), აფხაზეთისა და საერთოდ, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საკითხების განსამტკიცებლად მიმართული ვიზიტი ჩვენი უწმიდესი პატრიარქისა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, რომელსაც წესით უნდა მოყოლოდა ქართველი ისტორიკოსების მუშაობის გააქტიურება ამ კუთხით. მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა.

ასევე ძალზე მნიშვნელოვანი იყო ამავე საკითხების დასარეგულირებლად უწმიდესი პატიარქის სხვა ვიზიტი თურქეთში, ისტორიულ ტაოში.

თურქეთში ვიზიტისას, რომელიც ოშკის, იშხანისა და სხვა ეკლესიების მდგომარეობას შეეხებოდა, უწმიდეს პატრიარქს მეც ვახლდი. ვიზიტი კიდევ უფრო რთული სკითხების გადაჭრას შეეხებოდა, მაგრამ იგრძნობოდა კვალი იმისა, რომ სადავოდ არის ქცეული ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობა.

როგორც აღინიშნა, ჩვენში არსებული საბჭოთა ეპოქის თეორიით, აღნიშნული ეკლესიები ნაგებია ტაოს მკვიდრი სომხების მიერ, რომელთა ქართიზაცია შემდგომ მოხდა. ეს არასწორი თეორია ეფუძნება ისტორიული ფაქტების არასაწორ ინტერპრეტაციას, მაგალითად, მართალია იშხანის ეკლესია ააგო ტაოს მართლმადიდებელმა ეპისკოპოსმა ნერსე იშხნელმა, რომელიც შემდგომ სომხეთის პარტიარქი გახდა, მაგრამ ის იყო ეთნიკური ქართველი და მან ტაძარი ააგო ტაოს მკვიდრი ქართველებისათვის. ის, როგორც საერთოდ ტაოს მკვიდრი მოსახლეობა, მტკიცე მართლმადიდებელი იყო, რომელიც მიისწრაფოდა რათა დაბრუნებოდა მშობლიური ქართული ეკლესიის იურისდიქციას.

არაქსისპირეთის მხარეების ქართულ მოსახლეობა სპარსეთის იმპერიის არსებობისას, განსაკუთრებით მე-6 საუკუნეში, ალბანეთისა და გუგარქის მსგავსად, მოექცნენ სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში, ამიტომაც სომხეთის იმჟამინდელ ეკლესიაში უამრავი ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა და თავის ერს პატრონობდა, მაგალითად, კირიონ პირველი. ის თავდაპირველად იყო სომხეთის ცენტრალური, აირარატის პროვინციის ქორეპისკოპოსი და დვინის ეკლესიის წინამძღვარი, ჩვენ მისი ქართველობის შესახებ არაფერი გვეცოდინებოდა, შემდგომ ის რომ არ გამხდარიყო ქართლის კათალიკოსი, მსგავსადვე მოღვაწეობდა სომხეთში მართლმადიდებლობით განთქმული ეთნიკურად ქართველი, ტაოელი, ნერსე იშხნელი, რომელმაც იშხნის ეკლესია ააგო.

780 წელს შემდგარმა ამ მხარეების (ტაო-ბასიანის, ვანანდისა და კარინის) ქართველთა საეკლესიო კრებამ დაადგინა, რომ ამ მხარეების ქართველობა მტკიცე ქალკედონიტები არიან და ამიტომ სრულიად ემიჯნებიან მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას, ეს წელი განისაზღვრა კიდეც ქართული წელთაღრიცხვს პირველ წლად. ამ კრებამ გაიმეორა 607-608 წლებში ქართლში შემდგარი კრების დადგენილება, რომლითაც კირიონ პირველი გაემიჯნა სომხურ ეკლესიას.

ტაოს დიდებული ქართული ეკლესიები უცხოენოვან საინტერნეტო სივრცეში სადავოდ არიან ქცეულნი, არა მხოლოდ ისინი, თვით შიდა ქართლის ეკლესიებიც კი.

სულ რადენიმე წლის წინ სადავოდ იქცა შიდა ქართლის იურისდიქციის საკითხიც. როგორც პრავასლავნაია ენციკლოპედია, ისე უცხოენოვანი საინტერნეტო სივრცე ამტკიცებს თითქოსდა ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალი, ჯავა და ყაზბეგის რაიონიც კი, მიმდებარე ჩრდილო კავკასიის მიწებთან ერთად, თითქოსდა ისტორიულად შედიოდა არა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, არამედ ალანიის ეპარქიაში, თითქოსდა აქაური ეკლესია-მონასტრები არა ქართული, არამედ ალანური კულტურის ძეგლები არიან.

ამ და მსგავს უსამართლობათა დასაძლევად უწმიდესმა პატრიარქმა ილია მეორემ და მისი თავმჯდომარეობით საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა მიიღო მრავალი დადგენილება. 2011 წლის 20 დეკემბრის წმიდა სინოდის დადგენილება თავის 2.დ. მუხლში აღნიშნავს - ***„საბჭოთა პერიოდში ხდებოდა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის გაყალბება, შეცდომების გამოსასწორებლად შეიქმნას ისტორიკოსთა ჯგუფი მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ხელმძღვანელობით”.***

საკითხის სიმძაფრის გამო უწმიდესმა პატრიარქმა საჭიროდ მიჩნია, რათა ეს საკითხი განეხილა მომდევნო წლის სინოდის სხდომას, კერძოდ, 2012 წლის 5 ივლისს წმ. სინოდის სხდომამ მიიღო დადგენილება, რომლის მე-6 მუხლი აღნიშნავს -

„წმინდა სინოდმა მოისმინა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) მოხსენება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით და განაჩინა: ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით, XX საუკუნეში, - კომუნისტების მმართველობის ხანაში, მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ, მკვიდრდებოდა რა აზრი, თითქოს დასავლეთ საქართველო IV-X საუკუნეებში, ანუ 600 წლის მანძილზე, არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ამასთან, თითქოს, ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ასევე არ შედიოდა ჩვენი ზოგიერთი ისტორიული რეგიონი, დაევალოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს, გადადგას რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯები ათეისტურ პერიოდში შემუშავებული იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის. ხელი შეეწყოს მეუფე ანანიას (ჯაფარიძე) მიერ წარმოდგენილი მასალების დაბეჭდვას და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობილი იმ ჭეშმარიტი აზრის განმტკიცებას, რომ “წმინდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა,” ხოლო წმინდა ნინომ “განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა.” (დიდი სჯულის კანონი, 1974, გვ.545-546) და რომ ამას მოწმობენ უცხოური წყაროებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აზრს სრულად იზიარებს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. იგი წერს: “ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ.” (ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ.47.)”

კიდევ უფრო ადრე, შექმნილი პრობლემების აღმოაფხვრელად, უწმიდესმა პატრიარქმა ილია მეორემ თავისი 2009 წლის 10 ივლისის N76 ბრძანებით დაარსა **„საქართველოს საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია”**, თავის 2009 წლის 76-ე ბრძანებაში უწმიდესი პატრიარქი ბრძანებს -

„მე-19, მე-20 საუკუნეებში საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები, ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

1. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ხელმძღვანელობით. 2.საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესორ მანანა ტაბიძის ხელმძღვანელობით”.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ უწმიდესმა პატრიარქმა ილია მეორემ სათავე დაუდო უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელიც აღარ იმეორებს საქართველოს ანექსიის წლებში შემუშავებულ საისტორიო თეორიებს, არამედ ემყარება რუის-ურბნისის კრების მამათა და ძველ მემატიანეთა სწავლებას, რომ საქართველოს ეკლესია თავისი ჩამოყალიბებისთანავე მოიცავდა სრულიად საქართველოს, როგორც მის აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილებს.

შესაბამისად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ტრაპეზუნტის რეგიონში, ამჟამინდელ ლაზისტანში, სადაც მდებარეობდნენ როდოპოლისის, საისინის, პეტრასა და ზიგანას კათედრები.

ასევე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია მოიცავდა არა შიდა ქართლს, არამედ ის მდებარეობდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის რეგიონში, დონისპირეთის სტეპებში. შიდა ქართლი და მომიჯნავე დვალეთი, ჩრდილო კავკასიის მომიჯნავე მხარეებთან ერთად, მუდამ შედიოდა საქართველოს ეკლესის იურისდიქციაში.

რაც შეეხება კახეთს, ბოდბე-გურჯაან-დავით-გარეჯას რეგიონს, ის ამჟამინდელ კახის, ზაქათალასა და ბელაქნის რაიონებთან ერთად მუდამ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, ხოლო ალბანეთს საკათალიკოსო მის სამხრეთით მდებარეობდა. საზღვარი ალბანეთსა და იბერიას შორის მდინარე ოკაზანზე გადიოდა, მდინარე ალაზნის ყველაზე უმთავრეს და წყალუხვ შენაკადზე (მდ. გოიჩაი, აზერბაიჯანში), ამ მდინარეზევე გადიოდა საზღვარი ქართლისა და ალბანეთის საკათალიკოსოებს შორის, სადაც, მტკვარ-ალაზნის შესართავთან, მდებარეობდა კამბისენა (და არა ბოდბესთან). ხოლო, ისტორიულ სამხრეთ საქართველოს ხალხის ეთნიკურ ვინაობას კარგად წარმოაჩენს აქ დაარსებული სახელმწიფოს სახელი, რომელსაც „ქართველთა სამეფო" ერქვა და საქართველოს წმიდა ეკლესის უმთავრეს სასულიერო კერას წარმოადგენდა.

საქართველოს ეკლესიის იურიდიქციის საზღვრების დასაცავად მისი უწმიდესობის 60 წლიანი ბრძოლა იყო ჩუმი და გაუხმაურებელი, ამით მან უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიას დაუდო საფუძველი.

ჩვენი წინაპრებმა რუის-ურბნისის წმიდა კრების მამებმა, მემატიანეებმა, დიდმა ისტორიკოსებმა ვახუშტი და თეიმურაზ ბაგრატიონებმა ძველი, სახელოვანი ქართული ისტორიოგრაფია დიდ სიმაღლეზე აიყვანეს. მათი დებულებების თანახმად ქართველი ერი სახელმწიფოებრივად, ენით, მწიგნობრობითა და კულტურით ერთიანი იყო ქრიტეშობამდეც, ამიტომაც საქართველოს წმიდა ეკლესია დაარსებისთანავე თავის იურისდიქციაში სრულიად საქართველოს, მის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს მოიცავდა. სამწუხაროდ ახალმა ქართულმა ისტოროგრაფიამ მე-19, მე-20 საუკუნეებში, საქართველოს სახელმწიფოსა და ავტოკეფალიის გაუქმების პერიოდში, არ გაიზიარა ეს თეორია. საბედნიეროდ, ავტოკეფალიისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ უწმიდესმა პატრიარქმა ილია მეორემ სათავე დაუდო უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელიც არის გაგრძელება ძველი ქართული ისტორიიგრაფიისა.

უფალმა ინებოს უახლესი ქართული ისტორიოგრაფიის მამის, უწმიდესი და უნეტარესი კაოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მარავალჟამიერი სიცოცხლე, ამინ

14.02.2018

Μητροπολίτης Ανανίας Τζαπαρίτζε

Η ΑΓΙΑ ΑΠΟΣΤΟΛΙΚΗ ΚΑΙ ΟΡΘΟΔΟΞΗ ΕΚΚΛΗΣΙΑ ΤΗΣ ΓΕΩΡΓΙΑΣ

Η Ορθόδοξη Εκκλησία της Γεωργίας από τα παλιά χρόνια ονομάζεται και «Αποστολική Εκκλησία της Γεωργίας», αφού ιδρύθηκε από τους αποστόλους του Χριστού.

Σύμφωνα με τις πληροφορίες των αρχαίων γεωργιανών εκκλησιαστικών πηγών - «Μόκτσέβაї Κάρτλισαї» (Εκχριστιανισμός του Κάρτλι) (Ζ' - Θ' αι.) και «Κάρτλις Τσχόβρεμπα» (Η Ζωή του Κάρτλι) (Η' - Θ' αι.) την εποχή των αποστόλων στο έδαφος της σύγχρονης Γεωργίας υπήρχε ένα κράτος - το

βασίλειο του Κάρτλι, το οποίο οι ξένοι ονόμαζαν Ιβηρία. Αυτή ήταν η κληρονόμος της μεγάλης ιστορικής Κολχίδας.

Σύμφωνα με την παράδοση της Εκκλησίας της Γεωργίας, τον χριστιανισμό στην Γεωργία, είχε κηρύξει ένα πλήθος αποστόλων - Άγιος Ανδρέας ο Πρωτόκλητος, Σίμων ο Κανανίτης, Ματθίας, Βαρθολομαίος, Θωμάς και Θαδδαίος. Τόσο οι γεωργιανές όσο και οι ξένες πηγές αναφέρουν ότι οι απόστολοι δραστηριοποιούνταν στην Γεωργία.

Η αιτία του τόσο μεγάλου αριθμού των αποστόλων πρέπει να ήταν το γεγονός πως οι διεθνείς εμπορικοί δρόμοι βρισκόντουσαν στην σφαίρα της πολιτικής επιρροής της Γεωργίας εκείνης της εποχής. Την εποχή της δραστηριότητας των αποστόλων, στην σφαίρα επιρροής της Ιβηρίας βρισκόταν μια ευρεία περιοχή από την Κασπία Θάλασσα μέχρι τη Μαύρη Θάλασσα και νότια μέχρι τη λίμνη του Βάνι. Οι διεθνείς εμπορικοί δρόμοι που περνούσαν από εδώ και οι οποίοι ένωναν την Ρωμαϊκή Αυτοκρατορία με την Περσία και Σκυθία, ήταν υπό τον έλεγχο της Ιβηρίας. Για αυτό το λόγο, οι Άγιοι Απόστολοι που πήγαιναν να κηρύξουν τον χριστιανισμό στην Περσία και την Ινδία ή βόρια στην Σκυθία και την Σαρματία, ήταν αδύνατο να λοξοδρομήσουν από την Ιβηρία.

Στην εποχή των Αγίων Αποστόλων, από την τρίτη δεκαετία του Α΄ αιώνα μέχρι τα τέλη της έκτης δεκαετίας του Β΄ αιώνα η Ιβηρία υπήρξε ένα ισχυρό κράτος, που περιελάμβανε σημαντικό μέρος του Καυκάσου. Οι ρωμαίοι ιστοριογράφοι - ο Τάκιτος, ο Δίων ο Κάσιος και άλλοι, περιγράφουν τη ζωή της Ιβηρίας (Σύμφωνα με τις πληροφορίες του Τάκιτου από την τρίτη δεκαετία του 1ου αιώνα η Ιβηρία είχε φιλικές σχέσεις με τη Ρώμη και πολεμούσε το κράτος της Παρθίας με το δικό του ισχυρό στρατό για να ελευθερώσει την Αρμενία από τους Παρθίους. Μετά την απελευθέρωση της Αρμενίας βασιλιάς της έγινε ο γιος του βασιλιά Μιθριδάτη της Ιβηρίας. Και ύστερα στην Αρμενία βασίλεψαν τα μέλη της βασιλικής οικογένειας της Ιβηρίας που ανάμεσά τους ο Τάκιτος ξεχωρίζει τον Ραδαμίστ, τον γιο του βασιλιά της Ιβηρίας Πάρσμαν. Κατά τις πληροφορίες του ίδιου του Τάκιτου, την εποχή εκείνη μαζί με την Αρμενία **«η Ιβηρία προσάρτησε την Αλβανία και κάλεσε τους Σαρμάτες»** (CORNELIUS TACITUS, ANNALES, VI,33 - 36, IX,9, XII,15 - 50). Σύμφωνα με την πληροφορία του άλλου ιστοριογράφου του Δίωνα Κασίου στο πρώτο μισό του Β΄ αιώνα **«ο βασιλιάς της Ιβηρίας Παρασμανές μετέβη μαζί με την σύζυγό του στη Ρώμη και ο Αδριανός (ο ρωμαίος αυτοκράτορας) επεξέτεινε τις κτήσεις του»** (Δίων Κάσιος, Η Ιστορία της Ρώμης, XIX, 15)).

Μετά την Ανάληψη οι απόστολοι έριξαν κλήρο να μάθουν ποιος και πού έπρεπε να κηρύξει τον χριστιανισμό. «Κάρτλις Τσχόβρεμπα» μας πληροφορεί, ότι η Γεωργία δόθηκε ως κλήρος στην Παναγία, αλλά με την θέληση του Γιού της, του Κύριού μας, η Παναγιά στη θέση της έστειλε στην Γεωργία τον Άγιο Ανδρέα τον Πρωτόκλητο, στον οποίο έδωσε την αχειροποίητη εικόνα της να την φέρει στην Γεωργία. Ο απόστολος Ανδρέας στο επόμενο ταξίδι του στην Γεωργία έφερε μαζί του και άλλους αποστόλους. Στο τρίτο ταξίδι έφερε μαζί του τον Σίμωνα τον Κανανίτη και τον Ματθία. Για αυτό το γεγονός μας πληροφορεί ο Επιφάνειος Κωνσταντινουπολίτης (Η΄ αι.)

Σύμφωνα με τις αρχαίες εκκλησιαστικές πηγές και την Σύνοδο Ρουίσι - Ουρμπνίσι, από την εποχή της διαμόρφωσης της Εκκλησίας της Γεωργίας η δικαιοδοσία της επεκτεινόταν σε όλη την ιστορική περιοχή πάσης Γεωργίας και όλο το γεωργιανό λαό (που κατοικούσε τόσο στην δυτική όσο και στην ανατολική Γεωργία) και για αυτό στην καταγραφή της Συνόδου Ρουίσι - Ουρμπνίσι διαβάζουμε - **«Ο Άγιος Απόστολος Ανδρέας κήρυξε τον χριστιανισμό σε όλη την Γεωργία»**.

Ο μεγάλος πατέρας της Εκκλησίας των Ιβήρων (Γεωργιανών) ο Γεώργιος Αγιορείτης έγραφε, ότι ο τάφος του Σίμωνα του Κανανίτη ο οποίος δραστηριοποιούταν στην Γεωργία βρίσκεται **«στην χώρα μας στην Αμπχαζία»** (συγκεκριμένα στο Νέο Άθως), και ο τάφος του αποστόλου Ματθία βρίσκεται στη νοτιοδυτική Γεωργία, στον Άψαρο.

Οι αρχαιότερες χριστιανικές πηγές μας πληροφορούν επίσης ότι και οι απόστολοι Βαρθολομαίος και Θαδδαίος κατέβηκαν στην Γεωργία.

Το γεγονός ότι ένας σημαντικός αριθμός των κατοίκων έγιναν χριστιανοί κατά την κήρυξη του χριστιανισμού από τους απόστολους και αργότερα, στους Α' και Γ' αιώνες, τεκμηριώνεται με τις καινούριες αρχαιολογικές ανασκαφές, που ανακάλυψαν τις χριστιανικές τάσεις της κοινωνίας της εποχής του βασιλιά Ρεβ του Αληθή (Γ' αι.).

Με την ερμηνεία των Αγίων Πατέρων της εκκλησιαστικής Συνόδου Ρουίσι - Ουρμπνίσι, αφού στην Γεωργία οι χριστιανικές ομάδες διώχνονταν πολύ από τους ειδωλολάτρες βασιλιάδες, το Δ' αιώνα έγινε απαραίτητο να εκχριστιανιστεί όλο το έθνος.

Το Δ' αιώνα την χριστιανική πίστη κήρυξε η ισαπόστολος Αγία Νίνα. Με την αποκάλυψη του Θεού στην Αγία Νίνα, αυτή έπρεπε να αναλάβει τον εκχριστιανισμό της βασιλικής οικογένειας της Ιβηρίας και με την βοήθεια του Κυρίου, η Αγία Νίνα το κατάφερε. Μαζί με την βασιλική οικογένεια εκχριστιανίστηκε όλος ο λαός, γι' αυτό και γράφει η Σύνοδος του Ρουίσι - Ουρμπνίσι, ότι η Αγία Νίνα έκανε χριστιανούς **«όλους τους Γεωργιανούς»**, όπως 300 χρόνια πριν απ' αυτήν κήρυξε το χριστιανισμό ο Άγιος Ανδρέας **«σε όλη την περιοχή της Γεωργίας»** (Μεγάλος Νόμος της Πίστης, 1974, σελ. 545 - 546).

Με αυτή την πληροφορία των πηγών μας, ότι η Αγία Νίνα **«εκχριστιάνισε όλους τους Γεωργιανούς»** συμφωνούν απόλυτα οι ξένες πηγές των Δ', Ε' και μεταγενεστέρων αιώνων.

Συγκεκριμένα, ο εκκλησιαστικός ιστοριογράφος του Δ' αιώνα ο Γελάσιος Καισαρείας γράφει για την Αγία Νίνα, ότι στην εποχή του Μεγάλου Κωνσταντίνου **«το χριστιανισμό δέχτηκαν οι κατοικούντες στις ακτές του Πόντου, οι Ίβηρες και οι Λάζοι. Η αιτία αυτού του μεγάλου γεγονότος ήταν μια γυναίκα, η οποία ήταν μαζί τους ως αιχμάλωτη»** (Γεωργικά, τ. 1ος, 1961, σελ. 186).

Το ίδιο γράφει και ο ιστοριογράφος του Ε' αιώνα ο Γελάσιος Κυζικηνός - **«την ίδια εποχή οι κάτοικοι της χώρας που βρίσκονταν στις ακτές του Πόντου, οι Ίβηροι και οι Λάζοι δέχτηκαν το χριστιανισμό, που δεν πίστευαν πριν»** (Μιμομχίλβελι, τ. 1ος, 1926, σελ. 55).

Δηλαδή, σύμφωνα με τις πληροφορίες του Γελάσου Καισαρείας και του Γελάσου Κυζικηνού, με την προσπάθεια της Αγίας Νίνας όλος ο γεωργιανός λαός, τόσο οι κατοικούντες στις ακτές (οι Λάζοι), όσο και οι κάτοικοι της ηπείρου (οι Ίβηρες), δέχτηκαν ταυτόχρονα «το λόγο του Θεού».

Τον εκχριστιανισμό των Ιβήρων περιγράφουν οι ιστοριογράφοι των Δ' και Ε' αιώνων μ. Χ.: ο Σωκράτης ο Σχολαστικός) (Εκκλησιαστική Ιστορία, βιβλίο 1ο, 19), Θεοδώρητος ο Κύρος (Εκκλησιαστική Ιστορία, βιβλίο 1ο, 6, 7, 34, 36) και Τύραννος Ρουφίνος (Εκκλησιαστική Ιστορία, 1ο, 10).

Με τις πληροφορίες **του Γελάσου Καισαρείας και του Γελάσου Κυζικηνού,** ότι η Αγία Νίνα εκχριστιάνισε και τους Λάζους μαζί με τους Ιβηρες, αντιστοιχεί και η πληροφορία του γνωστού ιστοριογράφου του Ε' αιώνα **του Μωυσή της Χωρηνής**, ο οποίος γράφει, ότι μια ευρεία περιοχή από τη Μαύρη Θάλασσα μέχρι την Κάσπια Θάλασσα εκχριστιάνισε η Αγία Νίνα, η οποία κήρυξε τον χριστιανισμό από το Κλαρτζέτι μέχρι τις ακτές της Κασπίας Θάλασσας που ζούσαν τότε οι Μασχούτες - **«Η μακάρια Νίνα έφυγε από εκεί, για να διδάξει και στις άλλες περιοχές της χώρας των Γεωργιανών... Θα τολμήσω να πω, ότι η Νούνη έγινε η απόστολος, που κήρυξε το Ευαγγέλιο αρχίζοντας από το Κλαρτζέτι μέχρι τους Αλανούς και μέχρι τις πήλες της Κασπίας Θάλασσας, μέχρι τα σύνορα των Μασχούτων, όπως πληροφορεί ο Αγαθάγγελος»** (Μωυσής της Χωρηνής, Η Ιστορία της Αρμενίας, 1984, σελ. 172).

Η περιοχή της Γεωργίας Κλαρτζέτι βρισκόταν στις ακτές της Μαύρης Θάλασσας και η φυλή των Μασχούτων στην εποχή της Αγίας Νίνας ζούσε στις ακτές της Κασπίας Θάλασσας. Σύμφωνα με τον Μωυσή της Χωρηνής, η Αγία Νίνα κήρυξε τον χριστιανισμό σ' αυτή την περιοχή.

Επειδή, η Λάζικα (νοτιοδυτική Γεωργία) κατά τις πληροφορίες του Γελασίου Καισαρείας και του Γελάσου Κυζικηνού υπαγότανε στην περιοχή της δραστηριότητας της Αγίας Νίνας, η δυτική Γεωργία ακριβώς όπως και η ανατολική Γεωργία βρισκόταν υπό την δικαιοδοσία της Εκκλησίας της Γεωργίας, ιδρυμένης από την Αγία Νίνα. Ο Καθολικός Κυρίων (ο πρώτος ιεράρχης της Εκκλησίας της Γεωργίας Σ' - Ζ' αιώνες)κατά τις πληροφορίες του Καθολικού των Αρμενίων Ιωάννη (899) υπήρξε και Αρχιεπίσκοπος

του Εγκρίσι. Αυτός γράφει, ότι ο Κυρίων ο Α' ήταν ο Πατριάρχης **«των Ιβήρων, των Γκουγκάρων και των Εγκρίσιων σύμφωνα με το παλιό νόμο»** (Η ιστορία του Καθολικού Ιωάννη (Δρασχανακέρτης), 1912, σελ. 65)

Με αυτή την έννοια είναι ιδιαίτερης σημασίας οι πληροφορίες του γνωστού ιστοριογράφου Ουχτανές, που αφορούν στην ιστορία της Εκκλησίας της Γεωργίας των Η' - Ι' αιώνων. Ο Ουχτανές ήταν σύγχρονος των γεγονότων που έχει περιγράψει.

Αλλά σύμφωνα με τις γεωργιανές πηγές, όπως προαναφέραμε, η δυτική Γεωργία αμέσως μετά τον εκχριστιανισμό έμπαινε στην εκκλησιαστική δικαιοδοσία της Γεωργίας (της Μτσχέτας). Ο Ιβάνε Τζαβαχισβίλι μελετώντας τις γεωργιανές πηγές για το συγκεκριμένο θέμα κατέληξε στο εξής συμπέρασμα ότι **«και ο Ανδρέας ο Πρωτόκλητος και η Αγία Νίνα ήταν γνωστοί ως ιδρυτές της Εκκλησίας της Γεωργίας και διαφωτιστές ολόκληρου έθνους. Κανείς δεν είχε τη θέληση να ψάξει τους κήρυκες των διαφόρων περιοχών της Γεωργίας, γιατί αυτοί οι άγιοι δραστηριοποιούνταν για την ενίσχυση και ανανέωση ολόκληρης της Γεωργίας» (Ι. Τζαβαχισβίλι, Ιστορία του Γεωργιανού Έθνους, τ. 3ο, σελ. 47). «Αυτή είναι η άποψη, την οποία δεχόντουσαν γνωστοί γεωργιανοί ιστορικοί και η οποία ήταν αποδεκτή από το γεωργιανό λαό»** (το ίδιο, σελ. 97). Ότι αφορά στις επαρχίες του Σαϊσίνι, της Πέτρας, της Ροδόπολης, της Ζιγκάνας και του Φασίδι, αυτές βρίσκονταν όχι στη δυτική Γεωργία αλλά στο αρχαίο κράτος των γεωργιανών, στην περιοχή Τραπεζούντα - Ζιγκάνα - Γκιουμουσχάνε (Μητροπολίτης Ανανία Τζαπαρίτζε, Οι Επαρχίες στη Λάζικα, Τιφλίδα, 2011, σελ. 29 - 30).

Οι πληροφορίες του Γελάση Καισαρείας και αλλονών, ότι η Αγία Νίνα εκχριστιάνισε την Λάζικα, ταυτίζονται με την πληροφορία του Μητροπολίτη της Λάζικας του 17ου αιώνα Γερμανού, ότι ο διαφωτιστής της Ιβηρίας στην Λάζικα ίδρυσε την έδρα του Μητροπολίτη της πόλης Όφη (περιοχή του Ρίζε) όπως επίσης και με την μελέτη του γνωστού ιστοριογράφου Ν. Αντόντσι, ότι στην περιοχή Όφι - Ρίζε βρισκόταν η έδρα του Επισκόπου του Πιτιούντι, ο Επίσκοπος του οποίου Στρατόφιλος πήρε μέρος στις εργασίες της Πρώτης Οικουμενικής Συνόδου (Ν. Αντόντσι, Η Αρμενία στην Εποχή του Ιουστινιανού, 1908, σελ. 203).

Σύμφωνα με τις πληροφορίες του **Αγαθάγγελου και** άλλων (Ε' αι.), η Αγία Νίνα κήρυξε τον Χριστιανισμό από τις ακτές της Μαύρης Θάλασσας, Κλαρτζέτι μέχρι την Κασπία θάλασσα (μέχρι Μασχούτων).

Σύμφωνα με το «Μόκτσεβαϊ Κάρτλισαϊ» κατά τις τελευταίες δεκαετίες του Ε' αιώνα, την εποχή του Βαχτάνγκ Γκοργκασάλι, ο επικεφαλής της Εκκλησίας της Γεωργίας είχε τον τίτλο του «Μαμαμτάβαρι» (η λέξη «Μαμαμτάβαρι» είναι ταυτόσημη με τον «Πατριάρχη»). Εδώ ο πρώτος Καθολικός Πέτρος ονομάζεται **«Μαμαμτάβαρι» - «Από δω και πέρα οι Καθολικοί έγιναν Μαμαμτάβαρι (Πατριάρχες)»** (Τζεγκλισντέμπα τ. 1ο, 1964, σελ. 93).

Με την πρωτοβουλία του Βαχτάνγκ Γκοργκασάλι η Εκκλησία της Γεωργίας οργανώθηκε ως πατριαρχική Εκκλησία, δηλαδή ο Επίσκοπος της Πρωτεύουσας (Μτσχέτα) έγινε ο Καθολικός Επίσκοπος δηλαδή ο Καθολικός της Εκκλησίας της Γεωργίας.

Σχετικά με το αυτοκέφαλο της Εκκλησίας της Γεωργίας κατά τη διάρκεια των επομένων δεκαετιών διαμορφώθηκαν δύο θεωρίες. Η πρώτη θεωρία ήταν αναγνωρισμένη στους Ι' - ΙΑ' αιώνες, την οποία σε διεθνές εκκλησιαστικό πεδίο παρουσίασε το θέμα του αυτοκέφαλου Εκκλησίας της Γεωργίας ο Άγιος Γεώργιος ο Αγιορείτης συζητώντας στο Πατριαρχείο Αντιοχείας: αυτός δήλωσε ότι, η Εκκλησία της Γεωργίας, εφ' όσον είναι ιδρυμένη από τον απόστολο Ανδρέα, απ' τη στιγμή της ίδρυσής της είναι αυτοκέφαλη όμοια με τις εκκλησίες που ιδρύθηκαν από άλλους αποστόλους. Αντίστοιχα ο Άγιος Γεώργιος Αγιορείτης παρουσίασε τις πηγές που υποστήριζαν την δράση των άλλων αποστόλων. Και ο Βάλσαμων ερμηνεύοντας το β' κανόνα της Β' Οικουμενικής Συνόδου αναφέρει ότι η Εκκλησία της Γεωργίας είναι αυτοκέφαλη. Η διαφορετική θεωρία σχετικά με το αυτοκέφαλο της Εκκλησίας της Γεωργίας βασικά διαμορφώθηκε στις ΙΘ' - Κ' αιώνες, την εποχή που η Ρωσική Αυτοκρατορία ακύρωσε

την κρατική και εκκλησιαστική ανεξαρτησία της Γεωργίας. Αυτή την εποχή οι Άγιοι Πατέρες της Εκκλησίας της Γεωργίας πολεμούσαν για την αποκατάσταση του εκκλησιαστικού αυτοκέφαλου. Αυτή την περίοδο στους ιστορικούς κύκλους διαμορφώθηκαν απόψεις, ότι η Εκκλησία της Γεωργίας απέκτησε το αυτοκέφαλο τον Ε' αιώνα, στην εποχή του Βαχτάνγκ Γκοργκασάλι.

Μετά τις ανακηρύξεις του αυτοκέφαλου στους Δ' - Ζ' αιώνες σε όλα τα μέρη της Γεωργίας δημιουργήθηκαν δεκάδες Επαρχίες και Επισκοπές. Ο αριθμός τους αυξήθηκε ιδιαίτερα κατά τους Η' - Ι' αιώνες, και για το λόγο αυτό, για την διευκόλυνση της διοίκησης των επαρχιών στην Εκκλησία της Γεωργίας, δημιουργήθηκαν εκκλησιαστικές διοικητικές περιφέρειες, όμοιες με τις βυζαντινές μητροπολιτικές. Με την έννοια αυτή, **στα σπλάγχνα της Εκκλησίας της Γεωργίας δημιουργήθηκε η εκκλησιαστική και διοικητική μονάδα που περιείχε την δυτική Γεωργία, η οποία ονομαζόταν «Κάτω Ιβηρία» δηλαδή Πατριαρχείο της Αμπχαζίας.** Στον επικεφαλής του δόθηκε ο τίτλος του «Μικρού Καθολικού», αφού «Μέγας Καθολικός» ήταν το όνομα του πρώτου Αρχιερέα της Μτσχέτας.

Στην αρχαία Γεωργία το δικαίωμα της ίδρυσης της εκκλησιαστικής και διοικητικής μονάδας κατείχε ο βασιλιάς, συνεπώς για τον τίτλο του Καθολικού της Αμπχαζίας χρειαζόταν η έγκριση του βασιλιά. Και ο τότε βασιλιάς της Γεωργίας ο Μπαγκράτ Μπαγκρατιόνι (Θ' αι.) παραχώρησε τον τίτλο στο Καθολικό της Αμπχαζίας.

Γι' αυτό ο γνωστός ιστοριογράφος γράφει το εξής: **«Ο Μπαγκράτ έχρισε τον Καθολικό της Αμπχαζίας το 830 μ.Χ.»** (Κάρτλις Τσχόβρεμπα, 1955, τ. 1ο, σελ. 255).

Το Πατριαρχείο της Αμπχαζίας διαμορφώθηκε με την έγκριση των γεωργιανών βασιλιάδων και των πρώτων Ιεραρχών και γι' αυτό ύστερα όταν δημιουργείτο μια εκκλησιαστική και διοικητική περιφέρεια σ' ένα μέρος της πανγεωργιανής Εκκλησίας υπαγόταν στο Πατριαρχείο της Γεωργίας. Οι ξένες πηγές ονομάζουν το Καθολικό της Αμπχαζίας «Αρχιεπισκοπή της Κάτω Ιβηρίας», και το Πατριαρχείο του Κάρτλι - « Αρχιεπισκοπή της Άνω Ιβηρίας».

Κατά πληροφορία της γεωργιανής εκκλησιαστικής πηγής - «Ιαντγκάρι της Μπιτσβίντας» το Πατριαρχείο της «Κάτω Ιβηρίας» βρισκόταν μεταξύ «των συνόρων της Ρωσίας και του Τσανέτι», το δε Καθολικό της Αμπχαζίας θεωρούσε ως ποίμνιό του τον «Πόντο», δηλαδή την περιοχή στα βόρεια της Μαύρης Θάλασσας - «Βόρειος Πόντος» (Μνημεία του Γεωργιανού Δικαίου, τ. 3ο, 1970, σελ. 923).

Στους Θ' - ΙΑ' αιώνες στον βόρειο Καύκασο μαζί με την διάδοσης του χριστιανισμού, δημιουργήθηκε η Μητροπολιτική περιφέρεια της Χούντζας (Νταγκεστάν), την οποία διοικούσε ο Καθολικός (Πατριάρχης) ο οποίος ανήκε στην δικαιοδοσία της Εκκλησίας της Γεωργίας. Στα γεωργιανά χειρόγραφα του Όρους Σινά μας σώθηκε το όνομα του «Καθολικού (Πατριάρχη) της Χούντζας Οκροπίρι». Επίσης είναι γνωστό, ότι σ' αυτή την περιοχή του Καυκάσου λειτουργούσαν μερικές γεωργιανές Επισκοπές (του Αρτσούχι, του Τσαρούχι, του Τσαρ - Πιπινέτι και άλλα), οι δε αρχαιολόγοι αποκάλυψαν ερείπια χριστιανικών ναών στο Νταγκεστάν και σε άλλες περιοχές του Καυκάσου με γεωργιανές επιγραφές. Μαζί με τα άλλα χριστιανικά λείψανα ανακαλύφθηκε και η πέτρινη σφραγίδα με την οποία σχημάτιζαν το Σταυρό ή την Εικόνα της Παναγίας στο αντίδωρο με τις γεωργιανές επιγραφές.

Σύμφωνα με της εκκλησιαστικές πηγές στην δικαιοδοσία της Εκκλησίας της Γεωργίας ανήκε μια ευρεία περιοχή του Καυκάσου από την πόλη Κάφα (Φεοδοσία) της χερσονήσου της Κριμαίας μέχρι την Κασπία Θάλασσα.

Νότια της Γεωργίας για το γεωργιανό ποίμνιο ήταν ιδρυμένη η εκκλησιαστική και διοικητική μονάδα με το όνομα «Μητρόπολις της Αρμενίας», η οποία υπαγότανε στην δικαιοδοσία της Εκκλησίας της Γεωργίας της οποίας η δικαιοδοσία επεκτεινόταν μέχρι τη λίμνη Βάν. Σύμφωνα με τον αυτοκράτορα Κωνσταντίνο τον Πορφυρογέννητο, το νοτιοδυτικό σύνορο της Γεωργίας έφτανε μέχρι το ποτάμι Αρέζ (Αράξ). Αυτός γράφει για το ποτάμι Αράξ - «στην αριστερή του όχθη κατοικούσαν οι Ίβηρες και στην την δεξιά του προς την Θεοδοσιούπολη, τόσο οι πύργοι όσο και τα χωριά ήταν στην εξουσία μας. Το ποτάμι θα είναι το σύνορο» (Γεωργικά, τ. 4, μέρος 2, σελ. 271).

Η περιοχή των ποταμών Αράξου και Ευφράτη τον Ι' αιώνα, στην εποχή του Κωνσταντίνου του Πορφυρογέννητου, δεν ήταν απλώς κατοικημένη από γεωργιανούς, αλλά όπως και με την ορεινή περιοχή της Τραπεζούντας, από το Παριεδρέ προς την κατεύθυνση της λίμνης Βαν σύμφωνα με τον Στράβωνα, υπήρξαν τα ιστορικά εδάφη των Ιβήρων μέχρι τον Β' αιώνα π.χ.,δηλαδή έως την εποχή που αυτά τα εδάφη υπαχθήκανε στο κράτος της Αρμενίας.

Ο Στράβων γράφει : **«Μας διηγούνται ότι η μικρή χώρα της Αρμενίας, επεκτάθηκε ύστερα από τους πολέμους του Αράξ και της Ζαριαδρίας. Αυτοί ήταν οι στρατηγοί του Αντιόχου του Μέγα που ύστερα από την ήττα του έγιναν βασιλιάδες. Αυτοί επεξέτειναν το βασίλειό τους παίρνοντας από τις γύρω χώρες περιοχές... Από τους Ίβηρες άρπαξαν το οροπέδιο του Παριάδρε, Χορτζένε και Γκογκαρένε, που βρίσκονται στην άλλη πλευρά του Κύρ, από τους Χαλίβιους και Μοσινίκιους έκοψαν το Καρενίτι και το Ξερξένε από τις γειτονικές περιοχές της Μικράς Αρμενίας»** (Στράβων, Γεωγραφία, τ. 11, 14, 5).

Στην περιοχή που βρισκόταν στα σύνορα της Αρμενίας, όπως αναφέρει ο Στράβων, στο Τάο (σημερινή Τουρκία) οι Γεωργιανοί (Ίβηρες) ζούσαν αδιάκοπα μέχρι την δημιουργία του Κράτους των Οσμάνων, και συνέχισαν να ζούνε κατά την διάρκεια των αιώνων, και μέχρι σήμερα.

Οι γεωργιανοί που ζούν στην δυτική Αρμενία, στις αρχές των ποταμών Αρέζε, του Ευφράτη και του Τσορίχι διατήρησαν για πολύ καιρό την γλώσσα, τον πολιτισμό και την Γεωργιανή τους Εκκλησία. Παρ' όλο που στον 20ο αιώνα κάποια ενδιαφερόμενα πρόσωπα τους ονόμασαν Αρμένιους - Χαλκηδονίτες, όπως βεβαιώνουν, οι Άγιοι Πατέρες της περιοχής αυτής, αυτοί παρέμειναν εθνικά γνήσιοι Γεωργιανοί, με τη δική τους γεωργιανή νοοτροπία, η οποία δεν πέθανε χάριν του κράτους της Ιβηρίας που δημιουργήθηκε στους Δ' - Γ' αιώνες π.χ. και επεξέτεινε στη συνέχεια τα σύνορά της προς αυτήν την κατεύθυνση, ιδιαίτερα στους Α' - Β' αιώνες.

Στην περίοδο της δημιουργίας του Πατριαρχείου της Γεωργίας σ' αυτή την περιοχή ζούσαν πάρα πολλοί Γεωργιανοί με τις δικές τους γνωστές εκκλησίες του Όσκι, Χαχούλι, Μπάνα, Ίσχανι, Πάρχαλι και άλλες. Για αυτούς ιδρύθηκαν οι Επισκοπές, τα σύνορα των οποίων έφταναν μέχρι τις χαράδρες του Χάρς και του Ευφράτη. «Το ΙΓ' αιώνα και στην εποχή της κυριαρχίας των Μογγόλων η νότια Γεωργία έφτανε «μέχρι την πόλη Κάρνου» και το Μπασιάνι»... Ο Αντίοχος Πατριάρχης του 17ου αιώνα ο Μακάριος επιβεβαιώνει ότι πριν το νότιο σύνορο της Γεωργίας ήταν το ποτάμι Ευφράτης και οι περιοχές από τον Ευφράτη και προς την κατεύθυνση της σημερινής Γεωργίας θεωρούνταν η Γεωργία. Ότι δηλαδή τα σύνορα της Γεωργίας έφταναν μέχρι τον Ευφράτη, το μαρτυρεί και ο Τσέλεμπ. Στις περιοχές του ποταμού Αρέζε και Ερζερούμ κατοικούσαν οι Γεωργιανοί για πολύ καιρό. Το ΙΖ' αιώνα όταν ο Αρχάγγελος Λαμπέρτι πέρασε από την περιοχή Ερζερούμ, είδε μερικά γεωργιανά χωριά, τα οποία είχαν τον λεγόμενο γεωργιανό Ποιμενάρχη στο Ερζερούμ (Σ. Λόμσατζε, Σάμτσζε και Τζαβαχέτι, σελ. 256).

Γι'αυτό το λόγο, στο Πατριαρχείο της Γεωργίας υπάγοντα οι Επισκοπές του Ανίς, Κάρς, Ερζερούμ, Βαλασκέρτ και άλλες.

Αυτές οι περιοχές τον Ι' αιώνα, στην εποχή του Δαβίδ Κουραπαλάτη βρέθηκαν στο βασίλειο της Ιβηρίας δηλαδή «των Γεωργιανών» (από την Θεοδοσιούπολη και Ερζερούμ και μέχρι το Ανίς) μέχρι την εποχή που και η Βυζαντινή Αυτοκρατορία δημιούργησε μια μονάδα με την ονομασία «Ιβηρική φυλή». Αφού στον μεσαίωνα τις περιοχές αυτές μέχρι τη λίμνη Βαν ονόμαζαν Αρμενία, ο Επικεφαλής του ποιμνίου του Πατριαρχείου της Γεωργίας είχε το όνομα «Μητροπολίτης της Αρμενίας».

Μερικά Πατριαρχεία (του Κάρτλι, της Αμπχαζίας, της Χούντζας) και πολλές δεκάδες Επισκοπών υπό την αιγίδα του Πατριαρχείου της Γεωργίας, δημιουργούσαν την ενιαία Εκκλησία της Γεωργίας.

Γενικά η ενότητα της Εκκλησίας της Γεωργίας επιτυγχάνεται με το ενιαίο Εκκλησιαστικό Δίκαιο, ενιαίο Νόμο της Πίστης, ενιαία γεωργιανή λειτουργική γλώσσα, ενιαίες παραδόσεις και την ενιαία διοίκηση του Καθολικού - Πατριάρχη της Γεωργίας.

Το ανώτατο εκκλησιαστικό Ινστιτούτο των αναφερόμενων Πατριαρχείων ήταν ο ενιαίος Νόμος της Πίστης και οι Εκκλησιαστικοί Σύνοδοι της Γεωργίας που σχημάτιζαν το εκκλησιαστικό δίκαιο. Η

υποχρέωση του Πατριάρχη Πάσης Γεωργίας ήταν να φροντίζει να τηρηθεί στην Εκκλησία της Γεωργίας (δηλαδή στα Πατριαρχεία του Κάρτλι και της Αμπχαζίας και σε άλλες εκκλησιαστικές και διοικητικές μονάδες) ο Νόμος της Πίστης (Μητροπολίτης Ανανία Τζαπαρίτζε, Συλλογή των Νόμων της Εκκλησίας της Γεωργίας, Τιφλίδα, 2010, σελ. 687).

Οι Νόμοι που εξέδωσαν οι Εκκλησιαστικές Σύνοδοι σε συνεργασία με τους Καθολικούς της Αμπχαζίας και του Κάρτλι απέκτησαν ισχύ υποχρεωτικής εφαρμογής για όλη την Γεωργία (φυσικά και στην Αμπχαζία) (μεταξύ τους και στη σφαίρα του Αστικού Δικαίου). (Μνημεία Γεωργιανού Δίκαιου, τ. 1ο, 1963, σελ. 393 - 397 και άλλα).

Η αρχαία γεωργιανή εκκλησιαστική ιστοριογραφία θεωρεί, ότι η Εκκλησία της Γεωργίας απέκτησε τον πατριαρχικό τίτλο το 681 (Κάρτλις Τσχόβρεμπα, 1955, σελ. 231, 232). Και πραγματικά, την εποχή αυτή, τον τίτλο του Πατριάρχη είχαν οι Επικεφαλείς και των δύο γειτονικών Εκκλησιών - της Αρμενίας και της Αλβανίας, όπως αυτό αποδεικνύεται καθαρά στο έργο του Μωυσή Καλανκατουάτς. Για αυτό δεν είναι παράξενο, να ζητάει ο Επικεφαλής της Εκκλησίας της Γεωργίας τον τίτλο του Πατριάρχη και να αποκτήσει αυτόν τον μεγάλο τίτλο με την επικύρωση της Οικουμενικής Εκκλησίας. Ύστερα απ' αυτό το γεγονός η θέση της Εκκλησίας της Γεωργίας θα ήτανε ισότιμη με την θέση των άλλων Πατριαρχείων της Οικουμένης. Αυτό επίσημα δηλώνει το κείμενο: **«Η σύνοδος αυτή διέταξε για την Αγία Εκκλησία της Γεωργίας, η οποία είναι η ιερή Μτσχέτα, να είναι ισότιμη με τις Άγιες Αποστολικές Καθολικές Εκκλησίες, τα Πατριαρχεία και τον Καθολικό του Κάρτλι να είναι ισότιμος ανάμεσα στους Πατριάρχες»** (Κάρτλις Τσχόβρεμπα, 1955, σελ. 231, 232). Το κείμενο μιλάει επίσης και για το ποίμνιο της Εκκλησίας της Γεωργίας. Σ' αυτό εκτός από τη Γεωργία υπαχθήκανε και οι εξής περιοχές κατοικημένες από το γεωργιανό έθνος: Σάκι, Σιρβάνι και ολόκληρη η ορεινή περιοχή του Καυκάσου. **Αυτές οι περιοχές είναι το σημερινό Νταγκεστάν, η Τσετσενία, η Ινγκουσετία «μέχρι τα σύνορα του Σβανέτι και του Τσερκεζία»**, σ'αυτή είχε μπει «πάση Οσετία». Η Οσετία την εποχή εκείνη υπήρχε μόνο στο βόριο Καύκασο.

Πρέπει να επισημάνουμε, ότι την Εκκλησία της Αλβανίας, ακριβώς στα τέλη του Z' αιώνα συνένωσε η Μονοφυσιτική Εκκλησία της Αρμενίας, σύμφωνα με τον Μ. Καλανκατουάτς. Και οι περιοχές που βρισκόταν βόρια της Αλβανίας και ήταν κατοικημένες με τους εθνικούς Γεωργιανούς, όπως αναφέραμε, επέστρεψαν στην Μητέρα Εκκλησία. Εννοείται η περιοχή της εκβολής της Κουρά - Αλαζάνι και μέχρι της εκβολής της Κουρά - Αράξ, την οποία οι Γεωργιανοί ονόμαζαν το Ερέτι, και όπου, όπως αναφέραμε, μέχρι των Μασκούτων κήρυξε τον χριστιανισμό η Αγία Νίνα. Η Εκκλησία της Γεωργίας είχε το δικαίωμα της δικαιοδοσίας της επί αυτών των περιοχών.

Πρέπει να επισημανθεί, ότι οι περιοχές της Μαύρης Θάλασσας της Δυτικής Γεωργίας την εποχή αυτή, δηλαδή στο τέλος του Z' αιώνα, και πάλι υπαγόντουσαν στην δικαιοδοσία της Εκκλησίας της Γεωργίας. Αλλά, όπως προαναφέραμε, τα ελληνόγλωσσα Πατριαρχεία του Πασίσι, της Ροδούπολης, της Πέτρας που υπαγόντουσαν στο Πατριαρχείο της Κωνσταντινουπόλεως βρισκόνταν όχι στην δυτική Γεωργία όπως το νόμισαν στο Κ' αιώνα, αλλά, με την μελέτη του Ν. Αντόντς, στην περιοχή της Τραπεζούντας, στη σημερινή περιοχή του Γκιουμούσχανε - Ζιγκάνα, η οποία ιστορικά ήταν κατοικημένη από το γεωργιανό λαό και το όνομα της ήταν η «Επαρχία της Λάζικας».

Δηλαδή, στην ίδια την Εκκλησία της Γεωργίας ιστορικά πίστευαν, ότι η Εκκλησία της Γεωργίας τον Πατριαρχικό τίτλο τον πήρε στο Z' αιώνα, και ότι στην δικαιοδοσία της Εκκλησίας της Γεωργίας υπαγότανε ο Βόρειος Καύκασος, το ορθόδοξο μέρος του Νότιου Καυκάσου και επίσης το έδαφος πιο νότια, κατοικημένο από Γεωργιανούς. Και πραγματικά, στην επιγραφή της Μονής Παρχάλι του Τάο - Κλαρτζέτι της εποχής του βασιλιά Δάβιδ Κουραπαλάτι (+1001), αναφέρεται «Ο Πατριάρχης του Κάρτλι και πάσης Ανατολής Ιωάννης».

Σύμφωνα με τις γεωργιανές εκκλησιαστικές πηγές «Πάση Γεωργία» ήταν το όνομα μιας πελώριας περιοχής από την Μαύρη Θάλασσα μέχρι την Κασπία Θάλασσα και νότια μέχρι τη λίμνη Βαν.

Ο επικεφαλής του Πατριαρχείου της Γεωργίας επίσημα ονομαζόταν **«ο Πατριάρχης Πάσης Γεωργίας και ο Καθολικός του Κάρτλι»** (Ι. Τζαβαχισβίλι, Ιστορία του Γεωργιανού Έθνους, τ. 4, σελ. 51).

Στα τέλη του Δ' αιώνα και στις αρχές του Ε' με την καθοδήγηση της βασιλικής αυλής και των ιεραρχών της Εκκλησίας άρχισε η μεταφραστική εργασία, η οποία αφορούσε όλους τους τομείς και την οποία συνόδευε η δημιουργία και η αναζήτηση των χριστιανικό - γεωργιανών γραμμάτων. Στα τέλη του Δ' αιώνα και στις αρχές του Ε' αιώνα στην Γεωργία στην εποχή των βασιλιάδων Μπακούρ και Παρσμάν πραγματοποιήθηκε η μεταρρύθμιση του αρχαίου γεωργιανού αλφαβήτου (λεγόμενο «Αρμαζούλι» που είχε σημιτικοφοινικική προέλευση) σύμφωνα με το ελληνικό αλφάβητο, και άρχισαν να μεταφράζουν στην γεωργιανή γλώσσα την Αγία Γραφή γραμμένη με το γεωργιανό αλφάβητο. Σε αυτή την εποχή της γέννησης των χριστιανικών γραμμάτων, δραστηριοποιούνταν οι πρώτοι μεταφραστές της Αγίας Γραφής, βασικά στην βασιλική αυλή του παππού του Πέτρου του Ιβηρος, του βασιλιά Μπακούρ. Οι πρώτοι μεταφραστές ως βάση για την εργασία τους είχαν την τοπική λογοτεχνική κληρονομιά. Σύμφωνα με την πληροφορία του ιστοριογράφου, ο εγγονός του βασιλιά Μπακούρ (ύστερα ο γνωστός Πέτρος ο Ίβηρας) από τα τρία του χρόνια διδασκόταν την Άγια Γραφή «μέρα - νύχτα» για εννιά ολόκληρα χρόνια (περίπου 414 - 423). Στην Παλαιστίνη κοντά στην Βηθλεέμ, στα μοναστήρια των Λαζαριτών (περίπου το 433), κτισμένα από τον Πέτρο τον Ίβηρα, βρέθηκαν οι αρχαιότερες γεωργιανές «Ασομτάβρουλι» (ένας είδος γεωργιανού αλφάβητου) επιγραφές, όπου αναφέρονται ο Πέτρος και οι πρόγονοί του, και ανάμεσά τους ο βασιλιάς Μπακούρ (ο πατέρας της μητέρας του). Για την εποχή (πρώτο μισό του Ε' αιώνα) αυτή η γεωργιανή γλώσσα ήταν αυστηρά μορφοποιημένη. Στην ίδια εποχή ανήκει η πληροφορία για τον Επίσκοπο του Κάρτλι Μομπιντάν, ότι «έγραφε βιβλία» στο πρώτο μισό του Ε' αιώνα. Στην ίδια εποχή ανήκει η πληροφορία, ότι για την σύζυγο του Μιρντάτ, του γιου του βασιλιά Αρτσίλ (422 - 432) μεταφράστηκε η Αγία Γραφή.

Για την αρχαία Γεωργία ήδη απ' την εποχή του Άγιου βασιλιά Μιριάν και του Βασιλιά Βαχτάγκ (Δ' - Ε' αιώνα.) ήταν χαρακτηριστική η ομόνοια της λαϊκής και κληρικής εξουσίας.

Η εκκλησιαστική Σύνοδος του Ρουίσι - Ουρμπνίσι (1103) έδειξε την συμφωνία αυτής της συνεργασίας. Ο κληρικός Μτσιγκνομπαρτουχουτσέσι - Τσκοντιντέλι καθορίστηκε ιεραρχικά το δεύτερο πρόσωπο στη χώρα μετά το βασιλιά.

Ι. Τζαβαχισβίλι μελέτησε, ότι το βασίλειο της Γεωργίας κυβερνούσε όχι ο αυτοκράτορας βασιλιάς, αλλά ο βασιλιάς και η Δημογεροντία του κράτους, η οποία ονομαζόταν το «Ντάρμπαζι» ή «Ντάρμπαζις Κάρι». Η θέση της Εκκλησίας στην κυβέρνηση του Κράτους φαινόταν στην δημογεροντία. Τα κυριότερα μέλη αυτής της δημογεροντίας ήταν οι τέσσερις πρωτοβάθμιοι ιεράρχες της Εκκλησίας της Γεωργίας, οι επονομαζόμενοι «Τέσσερις Καλόγεροι». Αυτοί οι Τέσσερις Καλόγεροι σχημάτιζαν τον βασικό και κεντρικό πυρήνα της Δημογεροντίας. Αυτοί ήταν ο Πατριάρχης της Γεωργίας (που ήταν και ο Καθολικός του Κάρτλι), ο Καθολικός της Αμπχαζίας, ο Επίσκοπος - Γραμματέας του Τσκοντίντι και ο Πατέρας των Πατέρων. Αυτοί είχαν μοιράσει μεταξύ τους όχι μόνο τα καθήκοντα (τα χρέη) της διοίκησης του Κράτους, αλλά και της Εκκλησίας - μέσω του Νπαρμπάζι. Ένας απ' αυτούς, ο Μτσιγκνομπαρτουχουτσέσι ήταν επικεφαλής του εκτελεστικού και του διοικιτηκού τομέα, του οικονομικού και στρατιωτικού τομέα. Τα τρία άλλα μέρη της Δημογεροντίας, δηλαδή ο Πατριάρχης της Γεωργίας, ο Καθολικός της Αμπχαζίας και Πατέρας των Πατέρων διοικούσαν εξίσου σημαντικούς τομείς του κράτους και της Εκκλησίας, αλλά ο Μτσιγκνομπαρτουχουτσέσι υπήρξε ο επικεφαλής της κυβέρνησης, δηλαδή ο πρώτος βεζίρης. Για αυτό και δηλώνει ο ιστοριογράφος - «Όλα τα μοναστήρια και οι Επισκοπές και όλες οι εκκλησίες έπαιρναν τον νόμο και την σειρά των προσευχών, τον τρόπο της προσευχής και της νηστείας και άλλα ζητήματα της Εκκλησίας από την Δημογεροντία, σαν τον απαραβίαστο, υπέρτατο και κανονιστικό νόμο.

Αφού «η δημόσια και η πνευματική εξουσία ομονοούσαν, «Ντάρμπαζις Κάρι» όταν συζητούσαν εκκλησιαστικά ζητήματα εκπροσωπούσαν ήδη την Εκκλησιαστική Σύνοδο. Απ' αυτήν έπαιρναν τον νόμο

τόσο δημόσιοι, όσο και κληρικοί. Την εργασία του «Ντάρμπαζις Κάρι» καθοδηγούσε ο Ανώτερος Ιεράρχης.

Είναι γνωστές οι 15 εκκλησιαστικό - νομικές Σύνοδοι των ΙΒ' - Κ' αιώνων:

1. Η Εκκλησιαστική Σύνοδος του Ρουίσι - Ουρμπνίσι, που έγινε 1103 (1104), το δίκαιο της οποίας είναι χωρισμένο σε νόμους. Οι Νόμοι που εξέδωσε η Σύνοδος («Τζεγκλιστσέρα») περιέχουν 19 άρθρα.

2. Η νομοθετική Σύνοδος, την οποία κάλεσε ο βασιλιάς Γεώργιος ο Λαμπρός (1335). Στην Σύνοδο έπαιρνε μέρος ο Πατριάρχης της Γεωργίας («ο Άγιος Δεσπότης ο Καθολικός του Κάρτλι ο Ευθύμιος) και οι Επίσκοποι. Οι Νόμοι τους οποίους εξέδωσε η Σύνοδος, ανήκουν βασικά στη σφαίρα του Αστικού «Οικουμενικού» Δικαίου, αλλά στις αποφάσεις της ίδιας Συνόδου βρίσκονται και «τα θρησκευτικά και εκκλησιαστικά ζητήματα, όπως επίσης ζητήματα για τους δολοφόνους, τους αγιογδύτες της Εκκλησίας, τους διώκτες της συζύγου». Αυτά έμπαιναν στη σφαίρα του Εκκλησιαστικού Δικαίου. Το «Τζεκλισντέμπα» της Συνόδου περιέχει την εισαγωγή και 46 άρθρα, μεταξύ των οποίων μερικά είναι εκκλησιαστικά. Η Σύνοδος ήταν η συνέλευση του Νταρμπάζι.

3. Η Εκκλησιαστική και Διοικητική Σύνοδος (1381 - 1386) του Τσουλέβι. Η Σύνοδος αυτή συζήτησε και επικύρωσε το Δίκαιο του Αρχιμαντατούρη Μπέκα, το οποίο γράφτηκε 70 - 80 χρόνια πριν. Η Σύνοδος πρόσθεσε στο Δίκαιο αυτό 33 άρθρα. Το Δίκαιο αυτό σήμερα είναι γνωστό με το όνομα του Δικαίου του Αταμπάγκι και Αμιρσπασαλάρι Αγμπούγα. Η Σύνοδος, επίσης σε προαναφερόμενα Δίκαια (του Μπέκα και του Αγμπούγα) πρόσθεσε τα άρθρα από το λεγόμενο «Δίκαιο του Μπαγκράτ Κουραπαλάτι» το οποίο υπήρχε απ' τα παλιά χρόνια. Τελικά η Σύνοδος σε αυτά τα Βιβλία του Δικαίου πρόσθεσε 10 άρθρα του λεγόμενου Κανονικού Δικαίου που σύνθεσε η ίδια Σύνοδος του Τσουλέβι. Έτσι στο Τσουλέβι δημιουργήθηκε μια νέα συλλογή του Δικαίου, η οποία περιείχε 170 άρθρα (η συλλογή αργότερα διαχωρίστηκε σε άρθρα). Και η Σύνοδος του Τσουλέβι ήταν η συνέλευση του Νταρμπάζι του Κράτους. Μέχρι σήμερα θεωρούσαν, ότι στη γνωστή συλλογή το «Δίκαιο του Μπέκα και του Αγμπούγα» η τελευταία μορφή δόθηκε στους ΙΖ' - ΙΗ' αιώνες. Κατά τη γνώμη μας την εργασία αυτή έκανε η Σύνοδος του Τσουλέβι.

4.Περίπου το 1470 - 1474 έγινε η λεγόμενη «Εκκλησιαστική Σύνοδος του Ταϊσι - Μπέντια». Στα αναφερόμενα χρόνια ο Πατριάρχης της Αντιοχείας ο Μιχέλης, ο οποίος βρισκόταν στην Γεωργία προσπάθησε «να εξολοθρέψει την ελευθερία της Εκκλησίας της Γεωργίας, την οποία κατά την διάρκεια των αιώνων το άνθος των παιδιών του γεωργιανού έθνους απέκτησε με πόλεμο. Όπως όμως είναι γνωστό, δεν μπόρεσε να το καταφέρει. Το Δίκαιο μιλάει βασικά για τις ενέργειες που πρέπει να γίνουν για να ξεριζωθεί η ηθική πώρωση και περιέχει 43 άρθρα.

5.Περίπου το 1543 - 1549 στη Μπιτσβίντα έγινε η Εκκλησιαστική Σύνοδος, η οποία εξέδωσε το «Δίκαιο των Καθολικών». Αυτό το δίκαιο απεικονίζει την πραγματικότητα της καθημερινής ζωής εκείνης της εποχής. Αναφέρεται στην «εμπορία ανθρώπων», στους ληστές της περιουσίας της Εκκλησίας, στους παραβάτες των εκκλησιαστικών νόμων και της χριστιανικής ηθικής, καθορίζει τα όρια στους Επισκόπους, δικάζει τους προδότες του βασιλιά και της χώρας. Το Δίκαιο των Καθολικών ίσχυε σε όλη την Γεωργία. Περιέχει 22 άρθρα. Στη Σύνοδο μαζί με τους Επισκόπους της Δυτικής Γεωργίας έπαιρναν μέρος ο Καθολικός Πατριάρχης της Γεωργίας Μαλακίας και ο Καθολικός της Αμπχαζίας ο Ευδαίμων.

6.Ο «Νόμος για τους κανόνες του μοναστηριού» της Εκκλησιαστικής Συνόδου του 1702 εκδόθηκε ιδιαίτερα για την οργάνωση της ζωής της Μονής του Δαβίδ Γκαρέτζι, αλλά είχε πανεκκλησιαστική σημασία για τις μονές της Γεωργίας. Περιέχει μόνο 6 άρθρα.

7.Ο Βαχτάνγκ Ε' «με μεγάλη προσπάθειά συγκέντρωσε όλα τα βιβλία του δικαίου, τα οποία ήταν σκορπισμένα κατά την διάρκεια των αιώνων. Αυτός τα έψαξε, τα βρήκε και τα απέκτησε με πολλή δουλειά». Ο Βαχτάνγκ Ε' έφτιαξε την γνωστή συλλογή των βιβλίων του Δικαίου και την έδωσε στην Σύνοδο για να εγκρίνει την εργασία αυτή. Στην Σύνοδο έπαιρναν μέρος οι Καθολικοί και οι Επίσκοποι. Μαζί με την υψηλή κληρική ιεραρχία την Σύνοδο παρακολουθούσαν και οι άρχοντες, ως την συνέλευση

του κρατικού Νπαρμπάζι. Ο Βαχτάνγκ χρειαζόταν για να «την επικυρώσει και την άδεια» της Συνόδου που έγινε το 1706 - 1709, ώστε να αρχίσει να λειτουργεί το «Δίκαιό» του στην χώρα. Τα άρθρα του Δικαίου είχαν σημασία και για την Εκκλησία.

8.Στην εποχή που κυβερνούσαν οι μουσουλμάνοι το 1632 - 1744, στην ανατολική Γεωργία, κοινωνικά και οικονομικά εξασθένησε η Εκκλησία της Γεωργίας και γενικά αμβλύνθηκε η καθαρότητα της χριστιανικής ηθικής. Μετά την ενθρόνιση του Τεϊμουράζ του Α'ως χριστιανού βασιλιά, η ορθόδοξη Εκκλησία επέστρεψε στα δικαιώματά της. Ο Καθολικός Αντώνιος ο Α' για να διορθώσει την κατάσταση, μετά από μερικά χρόνια προετοιμασίας το 1748 κάλεσε την Σύνοδο, την οποία εμείς ονομάζουμε «Γ' Εκκλησιαστική Σύνοδο της Τιφλίδας» (Οι Α' και Β' Σύνοδοι έγιναν στο ΙΒ' αιώνα στην Τιφλίδα και αυτές δεν εξέδωσαν κανόνες). Η Σύνοδος εξέδωσε το Δίκαιο το 1748, το οποίο ονομάστηκε ως «Νόμοι». Περιέχει 27 άρθρα.

9.Το 1759 ο βασιλιάς του Ιμερέτι ο Σολομών Α' κάλεσε την Εκκλησιαστική Σύνοδο, η οποία ήταν η συνέλευση του κρατικού Νπαρμπάζι, και σ' αυτή μαζί με τους ανώτερους Ιεράρχες και Επισκόπους, έπαιρνε μέρος ο βασιλιάς και οι άρχοντες της Δυτικής Γεωργίας. Η Σύνοδος απαγόρεψε το εμπόριο αιχμαλώτων, ανανέωσε τις έδρες των Επισκόπων, επέστρεψε στην Εκκλησία τα καταπατημένα κτήματά της, απάλλαξε από τους φόρους τους Βλάχους της Εκκλησίας, και απαγόρεψε στους κυβερνήτες να ανακατεύονται στις ιδιοκτησίες της Εκκλησίας. Εξέδωσε το «Χελιττσέρριλι», το οποίο απαγορεύει αυστηρότατα το εμπόριο αιχμαλώτων, περιέχει την κήρυξη του πολέμου εναντίον των μουσουλμάνων εισβολέων, και υποχρεώνει τους κάτοικούς της να τιμήσουν δεόντως τους «πιστούς και μάρτυρες της θρησκείας και του βασιλιά».

10.Στο Β' μέρος του ΙΗ' αιώνα μετά την αναγέννηση του εθνικό - χριστιανικού κράτους, οι Εκκλησιαστικές Σύνοδοι αποκατέστησαν τα δικαιώματα που είχαν αφαιρεθεί την εποχή της διακυβέρνησης των μουσουλμάνων και εξέδωσαν ηθικούς κανόνες. Το 1762 εκδόθηκαν «οι κανόνες της Εκκλησίας της Γεωργίας σχετικά με την διακυβέρνηση των Επισκόπων», το 1768 εξέδωσαν τον «Ορισμό» του βασιλιά Ηρακλή Β' και του Αντωνίου του Α' περί Επισκόπων: «Εντολή για τους Ιερείς» που περιέχει 35 άρθρα. Το 1777 ο Καθολικός της Αμπχαζίας ο Μάξιμος εξέδωσε διάταγμα προς το ποίμνιό του, το οποίο περιέχει 10 άρθρα. Το 1793 εκδόθηκαν «Οι Νόμοι για του Αμαρτωλούς από τον Αντώνιο τον Β'», που περιέχουν 10 άρθρα.

11 - 15 Μετά την ανανέωση του αυτοκέφαλου της Εκκλησίας της Γεωργίας (1917) οι Εκκλησιαστικό - Νομοθετικές Σύνοδοι εκδώσανε «νόμους της διοίκησης» (το 1917, 1920, 1927, 1937 (1945), 1995).

Στους ΙΘ' - Κ' αιώνες η Γεωργία είχε χάσει την ελευθερία της, το καθεστώς του κράτους ήταν αθεϊστικής κατεύθυνσης, η Εκκλησία ήταν χωρισμένη από το κράτος με νόμους, και το σχολείο από την Εκκλησία. Πραγματικά, όλες οι Σύνοδοι του Κ' αιώνα δείχνουν, ότι η Εκκλησία της Γεωργίας αυτή την εποχή έχει χάσει τα στοιχεία και τις ιδιότητες της κρατικής της υποστάσεως (Μητροπολίτης Ανανία Τζαπαρίτζε, Η Συλλογή των Νόμων της Εκκλησίας της Γεωργίας, 2010, Τιφλίδα, σελ. 717 - 723).

Από τους πρώτους ήδη αιώνες οι Γεωργιανοί θεωρούσαν σαν την καλύτερη έκφραση της εθνικής τιμής τους να τηρήσουν την καθαρότητα της χριστιανικής πίστης. Για το γεγονός, ότι οι Γεωργιανοί καλύτερα από όλους τηρούσαν την χριστιανική τους πίστη αναφέρουν και οι ξένες πηγές. Ο Προκόπιος Καισαρείας, ο οποίος στο ΣΤ' αιώνα είχε ταξιδέψει σε πολλές χώρες της Ασίας, της Αφρικής και της Ευρώπης, έγραφε: «Οι Ίβηρες είναι χριστιανοί οι οποίοι τηρούν τους νόμους αυτής της θρησκείας καλύτερα από όλους, απ' όσους εμείς γνωρίζουμε».

Στο ΙΑ' αιώνα ο Γεώργιος ο Αγιορείτης έλεγε: «Εμείς είμαστε φωτισμένοι από τους Αγίους Αποστόλους και αφού πιστέψαμε έναν Θεό, δεν τον αρνηθήκαμε πια και το γένος μας δεν έχει ούτε τάση

προς τις αιρέσεις... Είμαστε σταθεροί σε αυτή τη βάση της ορθοδοξίας, των εντολών και κηρυγμάτων των Αγίων Αποστόλων».

Στους Ι' - ΙΑ' αιώνες η Εκκλησία διαδραμάτιζε μεγαλύτερο ρόλο στην ακεραιότητα και διαιώνιση του γεωργιανού κράτους. Η Εκκλησία της Γεωργίας έγινε ιδιαίτερα ισχυρή στους ΙΒ' - ΙΓ' αιώνες, στην εποχή των Αγίων Βασιλιάδων Δαβίδ Αγμασενεμπέλι (Κτίστης) και της βασίλισσας Τάμαρ. Στην εποχή αυτή η ενωμένη Γεωργία κατάφερε να συγκεντρώσει στα πολιτικά της σύνορα τον Καύκασο και τις γύρω μεγάλες περιοχές.

Στους ΙΑ' - ΙΕ' αιώνες, στην εποχή της ισχύος του Πατριαρχείου της Γεωργίας, ο Πατριάρχης της Γεωργίας είχε την 6η θέση στο Δίπτυχο ύστερα από 5 Πατριάρχες.

Παρ' όλο που στο Δίπτυχο της Εκκλησίας της Γεωργίας ο Γεωργιανός Πατριάρχης κρατάει την 6 θέση, είναι ενδιαφέρον να δούμε αν το αναγνώριζαν αυτό οι υπόλοιποι Πατριάρχες της Οικουμένης, ότι δηλαδή η Έδρα του Γεωργιανού Πατριάρχη κατείχε την 6η θέση. Εμείς επισημαίνουμε ότι τόσο οι Πάπες της Ρώμης, όσο και οι 4 Πατριάρχες της Ανατολής αναγνώριζαν στην Εκκλησία της Ιβηρίας την 6η θέση, ύστερα από το Πατριαρχείο των Ιεροσολύμων. Αυτό μας δείχνει το Δίπτυχο της Εκκλησιαστικής Συνόδου της Φεράρα - Φλωρεντίας. Σ' αυτή την Σύνοδο η Γεωργία κρατούσε την 6η θέση ύστερα από τις έδρες της Κωνσταντινούπολης, της Αλεξάνδρειας, της Αντιόχειας και των Ιεροσολύμων. Το 1438 η Σύνοδος της Φλωρεντίας καθόρισε στο διάταγμα περί Ουνίας: Ο Πατριάρχης της Κωνσταντινουπόλεως θα είναι δεύτερος μετά τον Πάπα της Ρώμης, τρίτος ο Πατριάρχης Αλεξανδρείας, τέταρτος ο Πατριάρχης Αντιοχείας και πέμπτος ο Πατριάρχης των Ιεροσολύμων.

Παρ' όλο που αυτή η Σύνοδος δεν μας λέει πως έπρεπε να διανεμηθούν οι άλλες θέσεις, γιατί η Σύνοδος αφορούσε όχι το δίπτυχο, αλλά το θρησκευτικό ζήτημα, γενικά όμως, πρόσεχαν ιδιαίτερα τις θέσεις των Εκκλησιών (εδρών) και αυτό φαίνεται και απ' τον προαναφερόμενο καθορισμό.

Ο εκπρόσωπος της Εκκλησίας της Γεωργίας, δηλαδή της Ιβηρίας έπαιρνε την 6η θέση σ' αυτή την Σύνοδο. Την Εκκλησιαστική Σύνοδο, η οποία άρχισε στις 5 Φεβρουαρίου του 1438 στη Φεράρα και συνέχισε στη Φλωρεντία, και στην οποία συναντήθηκαν οι εκπρόσωποι της Ανατολής και της Δύσης και τις πράξεις της οποίας υπέγραψαν τα Πατριαρχεία της Ανατολής, « παρακολουθούσε ο Μητροπολίτης Ιβηρίας με ίσια δικαιώματα».

«Ο Μητροπολίτης της Ιβηρίας καθόταν στην πλευρά των Ορθοδόξων στην Ε' θέση, ύστερα από τους εκπροσώπους της Κωνσταντινουπόλεως, της Αλεξάνδρειας, της Αντιόχειας και των Ιεροσολύμων. Απέναντι του Πρώτου Καρδινάλιου βρισκόταν η πολυθρόνα του Πατριάρχη. Ύστερα από τον Πατριάρχη σε 4 καρέκλες καθόντουσαν... ο αντιπρόσωπος του Οικουμενικού Πατριάρχη των Ιεροσολύμων, ο Αρχιεπίσκοπος της Μένζιας και ο αντιπρόσωπος του Βασιλείου της Ιβηρίας, ο Μητροπολίτης της Ιβηρίας».

Τα μέλη της Συνόδου καθόντουσαν με την εξής σειρά: από το κέντρο σε ίδιες αποστάσεις ήσαν στημένοι δύο θρόνοι για τον Αυτοκράτορα της Ρώμης και για τον Αυτοκράτορα των Ελλήνων. Οι Κληρικοί καθόντουσαν με την εξής σειρά: από μια πλευρά οι εκπρόσωποι των Λατίνων, από την άλλη οι αντιπρόσωποι των Ορθοδόξων. Ενδιαφέρουσα για μας είναι η σειρά των Ορθοδόξων που ήταν η εξής: στην σειρά των Ορθοδόξων πρώτος στεκόταν 1. Ο θρόνος του Πατριάρχη της Κωνσταντινουπόλεως (Ο Πατριάρχης δεν παρακολουθούσε αυτή την Σύνοδο), 2. Ο αντιπρόσωπος του Πατριάρχη της Αλεξάνδρειας, ο Αρχιεπίσκοπος, 3. Ο εκπρόσωπος του Πατριάρχη της Αντιόχειας, ο Αρχιεπίσκοπος, 4. Ο αντιπρόσωπος του Πατριάρχη των Ιεροσολύμων, ο Αρχιεπίσκοπος, 5. Ο αντιπρόσωπος του Πατριάρχη (στο ντοκουμέντο διαβάζουμε «του Βασιλιά») της Ιβηρίας, ο Μητροπολίτης. Και ύστερα σύμφωνα με τον Δίπτυχο κάθονταν άλλοι ορθόδοξοι Επίσκοποι.

Απόσπασμα από την πράξη

της Εκκλησιαστική Συνόδου της Φλωρεντίας

1.Ύστερα από τον Πατριάρχη σε 4 καρέκλες καθόντουσαν: 2. Ο Αρχιεπίσκοπος της Ηράκλειας (ο οποίος είχε το πληρεξούσιο του Πατριάρχη της Αλεξάνδρειας και έπαιρνε τη θέση του), 3. Ο Αρχιεπίσκοπος της Εφέσου τον οποίο είχε στείλει ο Πατριάρχης της Αντιόχειας, 4. Ο Αρχιεπίσκοπος της Μένζιας, ο αντιπρόσωπος του Πατριάρχη των Ιεροσολύμων και 5. Ο εκπρόσωπος του βασιλιά της Ιβηρίας - ο Μητροπολίτης της Ιβηρίας.

ACTA SACRA OECUMENIKI
CONCILII FLORENTINI

1.In quatuor scabellis post Patriarcham dispositis sequebantur 2. Archiepiscopuw Heracleensis, Alexandrini Patriarchae legitimum mandatum habens, eiuque locum tenens, 3. Archiepiscopus Ephesius Patriarchae Antiocheni Legatuw, 4 Archiepiscopuw Menesiensis Ierosolymitani Patriarchae personam repraesentans et 5. **Metropolita Yberiuw Regiw Yberiae Apocrisarius**. (Μητροπολίτης Ανανία Τζαπαρίτζε, Οι Εκκλησιαστική Σύνοδοι με την συμμετοχή των Γεωργιανών Επισκόπων, 2003, σελ. 37).

Προς το παρόν το κανονικό έδαφος της Αυτοκέφαλης Εκκλησίας της Γεωργίας δηλαδή του Πατριαρχείου της Γεωργίας είναι η Γεωργία σε διεθνώς αναγνωρισμένα σύνορα, δηλαδή εκεί μπαίνει προσωρινά η Αμπχαζία και η λεγόμενη Νότια Οσσετία που βρίσκονται υπό κατοχή, επίσης οι περιοχές που συνορεύουν με την βόρεια Αρμενία, το βορειοδυτικό Αζερμπαϊτζάν και τη βορειοανατολική Τουρκία. Έχει 39 Επαρχίες και η Εκκλησιαστική Σύνοδος, που έχει Ανώτατη Νομική και Δικαστική εξουσία, διαλέγει τον Καθολικό Πατριάρχη Πάσης Γεωργίας, τον οποίο βοηθάει η Σύνοδος. Σ' αυτή υπάγονται οι Αρχιερείς των Επαρχιών.

Η Εκκλησία της Γεωργίας το 1811 έχασε το αυτοκέφαλο με την παράνομη απόφαση των ηγετών της Ρωσικής Αυτοκρατορίας, το οποίο απέκτησε ξανά το 1917 και το οποίο το 1943 αναγνώρισε η Εκκλησία της Ρωσίας. Το 1990 χάρη στις ενέργειες του Καθολικού Πατριάρχη της Γεωργίας του Αγιοτάτου και Μακαριότατου Ηλία του Β' το Πατριαρχείο της Κωνσταντινουπόλεως βεβαίωσε την αρχαιότητα του αυτοκέφαλου της Εκκλησίας της Γεωργίας. Το ποίμνιό της είναι περισσότεροι από 4. 000. 000 άνθρωποι.

Μετάφραση
Μάγια Κακασβίλι

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ოკუპანტი ახლა უკვე ჩვენი ეკლესიის ისტორიას აყალბებს

(სამაჩაბლოში ე.წ. „ალანიის ეპარქიის" შესახებ)

(კონფერენცია საპატრიარქოში 14.07.2018)

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ,

ძვირფასო მეუფენო,

ბატონებო და ქალბატონებო

2017 წლის 14 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბატონმა პუტინმა გამოსცა ბრძანებულება ალანიის გაქრისტიანების 1100 წლისთავის დღესასწაულის საგანგებოდ აღნიშვნის შესახებ.

პრეზიდენტი ვ. პუტინი თავის ბრძანებულებაში იძლევა ასეთ განკარგულებას -

"ალანიის გაქრისტიანების 1100 წლისთავთან დაკავშირებით ვადგენ:

მიღებულ იქნას რუსეთის ფედერაციის მთავრობის წინადადება 2022 წელს ალანიის გაქრისტიანების 1100 წლისთავის დღესასწაულის აღნიშვნის შესახებ.

რეკომენდაცია ეძლევა რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მონაწილეობა მიიღონ ალანიის გაქრისტიანების 1100 წლისთვის დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებებში.

ეს ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვ. პუტინი

მოსკოვი, კრემლი, 14 ოქტომბერი 2017 წ.

N 480

MOCKBA, 16 октября. /TACC/". http://tass.ru/obschestvo/4648321

პრეზიდენტის ამ განკარგულებით რუსეთის სახელმწიფო ორგანოები შეუდგნენ სამზადისს რათა 5 წლის შემდგ - 2022 წელს დიდი ზეიმით აღინიშნოს ალანიის გაქრისტიანების 1100 წლისთავი.

მზადების მაშტაბს მიუთითებს ისიც, რომ რუსეთის მთავრობის უმაღლესი პირები, კერძოდ ვიცე პრემიერი (ოლგა გოლოდეცი) უხელმძღვანელებს ორგკომიტეტს, რომელიც მოამზადებს ამ იუბილეს, მის მოადგილედ დანიშნულია ჩრდილო ოსეთის მეთაური ვიაჩესლავ ბიტიროვი, 26 კაციანი ორგკომიტეტის შემადგენლობაშია ეროვნებათა საქმეების ფედერალური სააგენტოს მეტაური იგორ ბარინოვი და სხვა უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელეები.

ისმის კითხა, რატომ მიანიჭა რუსეთის მთავრობამ ალანიის გაქრისტიანებას ასეთი დიდი მნიშვნელობა? სინამდვილეში საქმე ეხება საქართველოს ოკუპირებული რეგიონის - სამაჩაბლოს ანუ სამხრეთ ოსეთის ახლა უკვე კულტურულ ანექსიას, მისი ისტორიის სრულ გაყალბებას საერთაშორისო მასშტაბით, რადგანაც ამ დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ყველა მართლამადიდებელი ეკლესიის ოფიციალური პირები, პატრიარქები და მღვდელმთავრები, ასევე მრავალი სახელმწიფოს დელეგაცია. მათთვის საგანგებოდ იწერება ახალი ისტორია, რომ სამხრეთ და ჩრდილო ოსეთი ისტორიულად წარმოადგენენ ერთიან ეთნოკულტურულ სივრცეს, რომელსაც ერქვა ალანია, რომელსაც გააჩნდა სახელოვანი უძველესი საქრისტიანო წარსული.

ამის შესახებ მრავალჯერ განაცხადა რუსეთის საპატრიარქოს ვლადიკავკაზისა და ალანიის ეპარქიის მმართველმა ეპისკოპოსმა ლეონიდემ. მისი სიტყვით ალანიის გაქრისტიანების 1100 წლისთავი უნდა გადაიქცეს უმნიშვნელოვანეს მოვლენად არა მხოლოდ რუსეთის ფედერაციის

სუბიექტებისათვის, არამედ მართლმადიდებლური თანამეგობრობისათვისაც. მან ეს განაცხადა ფედერაური და რესპუბლიკური დონეების უმაღლეს მოხელეებთან შეხვედრისას.

დადგინდა, რომ იუბილეს არ ექნება მხოლოდ შიდასაეკლესიო ხასიათი.

ნაბრძანებია, დღესასწაულის პროგრამაში ჩაერთოს 1. ღონისძიებანი ალანიის სასულიერო პირებისა და მოღვაწეების წარმოჩენისა. 2. პროექტები მეცნიერების, კულტურისა და განათლების სფეროში. 3. სოციალური პროექტები, 4. საგამომცემლო საქმიანობა. - **цитирует** ТАСС епископа Владикавказского и Аланского Леонида

საიუბილეოდ გაიხსნება ჩრდილო კავკასიაში ყველაზე დიდი ტაძარი ალაქსანდრე ნეველის სახელობისა. მის კურთხევის საზეიმო წირვას დაესწრებიან მსოფლო ეკლესიების მეთაურები და უამრავი დელეგაცია სხვადასხავა ქვეყნიდან.

პრეზიდენტის მიერ გამოცემულ ბრძანებულებას რამდენიმე თვით ადრე წინ უძღოდა სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმის ჩატარება.

2017 wlis 9 aprils samxreT osეთში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის მიზანი იყო, რომ სამხრეთ ოსეთს წოდებოდა ახალი სახელი - ალანია. ამ რეფერენდუმის შედეგად სამხრეთ ოსეთს ეწოდა „სახელმწიფო ალანია", ხოლო, უფრო ადრე, ჩრდილო ოსეთსაც ალანია უწოდეს,

რეფერენდუმის შედეგი 2017 წლის აპრილისავე თვეში სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილო ოსეთის მეთაურებმა აცნობეს პრეზიდენტ ვ. პუტინს და მიმართეს თხოვნით რათა ფედერაალურ დონეზე აღნიშნულიყო ეს გამარჯვება.

რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რათა საერთაშორისო წრეებისათვის ორი ალანია წარმოჩენილიყო ვითარცა დიდი წარსულის მქონე ერთიანი ეთნოკულტურული სივრცე, ასეთმა აღიარებამ აღაფრთხოვანა სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა, მათ მაშინვე საჯაროდ განაცხადეს:

„ისტორიული მომენტი დადგა! დროა ოსეთის ორივე ნაწილი გამთლიანდეს, ისევ ძველი ერთობა დაიბრუნოს და მთლიანად რუსეთის ეგიდის ქვეშ გავერთიანდეთ".

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ამ იდეის მიწოდება საზოგადოებისათვის ალანიის გაქრისტიანების 1100 წლისტავის იუბილეს სახით.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დოკუმენტების დამუშავების შემდეგ მიღებულ იქნა უმაღლესი თანხმობა და მიეცა შეასაბამისი მითითებები რუსეთის მტავრობას.

2017 წლის 14 ოქტომბერს რუსეთის პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულება ალანიის გაქრისტიანების დღესასწაულით აღნიშვნის შესახებ მიჩნეულ იქნა აღნიშნული მიზნის აღსასრულებლად ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად.

https://sputnik - abkhazia.ru/news/20171017/1022152820/ukaz - o - prazdnovanii - 1100 - letiya - kreshheniya - alanii - podpisal - vladimir - putin.html

უნდა აღინიშნოს რომ ისტორიულად ალანია arასოდეს რქმევია სამხრეთ ოსეთს, მართალია არსებობდ კავკასიის ალანია, მაგრამ ის მოიცავდა ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილს, ძირიადად, თანამედროვე ყარაჩაისა და ბალყარეთს. ამიტომაც თვით რუსეთის ფედერაციის შიგნითვე გამოჩნდნენ ავტორიტეტული წრეები, რომელნის აპროტესტებდნენ სამხრეთ ოსეთისათვის ალანიის სახელის დარქმევას, ერთერთი ასეთი იყო ჩრდილო კავკასიაში მდებარე ყარაჩაი-ჩერქეზეთი.

სამხრეთ ოსეთში აღნიშნული რეფერენდუმის ჩატარებამდე რამდნიმე ხნით ადრე ყარაჩაი-ჩერქეზეთის სახალხო კონგრესმა ოფიციალური წერილით მიმართა რუსეთის მთავრობას, რათა არ ეცნო სამხრეთ ოსეთი ალნიად. ყარაჩაი-ჩერქეზეთის სახალხო კონგრესმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, სერგეი ლავროვს ოფიციალური წერილით მიმართა და სთხოვა, რომ რუსეთმა სამხრეთ ოსეთი "ალანიად" არ ცნოს, თუ ეს საკითხი სამხრეთ ოსეთში დაგეგმილი რეფერენდუმით გადაწყდება. როგორც განცხადების ავტორები წერენ, აღნიშნული გეგმა იწვევს დასაბუთებულ შეშფოთებას, ვინაიდან ის პრინციპულად ეწინააღმდეგება ისტორიის რეალურ ფაქტებს. მათი თქმით, ისტორიულად, ალანია იყო ჩრდილო კავკასიის სახელმწიფო, რომელიც

მოიცავდა ძირითადად ყარაჩაი - ჩერქეზეთსა და მის აღმოსავლეთით მდებარე ვრცელ მხარეებს. “გარდა ამისა, უკანასკნელი ერი, რომელიც “ალანის” სახელს ატარებდა, არის ყარაჩაი-ბალყარეთის ხალხი. შესაბამისად, თვითნებური და ცალმხრივი მითვისება სახელწოდებისა - ”ალანია” - განიხილება, როგორც ოფიციალური პრეტენზია ისტორიულ მემკვიდრეობაზე, მომავალში შესაძლო პრეტენზიებით ჩვენი ტერიტორიის მიმართ”, “ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, გთხოვთ, მიიღოთ ყველა ზომა, რათა ოფიციალურმა რუსეთმა არ აღიაროს ეს ცვლილება - ნათქვამია ყარაჩაი-ჩერქეზეთის სახალხო კონგრესის ოფიციალურ წერილში.

https://imedinews.ge/ge/msoflio/5632/karachaicherqezetis - sakhalkho - kongresi - rusets - stkhovs - ar - tsnos - samkhret - oseti - alaniad

ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარე ომი ე.წ. “ალანური მემკვიდრეობისთვის”. ჩრდილოეთ ოსეთისა და ე.წ. “სამხრეთ ოსეთის”, ინგუშეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის სამეცნიერო ელიტები ერთმანეთის მიყოლებით გამოდიან სხვადასხვა ინიციატივებით, რათა საკანონმდებლო დონეზე დაიკანონონ ექსკლუზიური უფლება **“ალანიის შუა საუკუნეების კულტურული ძეგლების მემკვიდრეობაზე”**. ისინი თვლიან, რომ ალანია - ეს იყო შუა საუკუნეების სამეფო კავკასიაში, რომელიც რეგიონის რამდენიმე რესპუბლიკის ამჟამინდელ ტერიტორიებს მოიცავდა. «ფაქტობრივად, ალანური მემკვიდრეობა ერთმანეთში გაიყვეს ოსურმა ელიტებმა და მართლმადიდებელმა ეკლესიამ. საქმე ხომ შუა საუკუნეების კულტურულ მემკვიდრეობას ეხება», - ამბობს ექსპერტი ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან http://accent.com.ge/ge/news/details/51064

როგორც აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ თვით რუსეთის ფედერაციის სუბიექტების შიგნითაც კი სამხრეთ ოსეთისათვის ალანიის სახელის დარქმევას მიიჩნევდნენ ისტორიიის გაყალბებად, მაინც რუსეთმა აღიარა სახელის ეს გადარქმევა.

როგორც აღინიშნა, 2017 წლის აპრილში სახრეთ ოსეთს ეწოდა ალანია, ისევე როგორც 5 წლით ადრე ჩრდილო ოსეთს. როგორც აღინიშნა, აპრილისავე თვეში რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ეს ორი ალანია ერთიან ეთნო-კულტურულ და საეკლესიო ერთეულად წარუდგინონ მთელ მაღთლმადიდებლურ სამყაროს, რადგანაც 2022 წლის დღესასწაულში მსოფლიოს ყველა ეკლესიის დელეგაციის ვიზიტი იგეგმება. **იდეოლოგიური შემზადებისათვის** განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა ვლადიკავკაზისა და ალანიის ეპისკოპოსი ლეონიდე, რომელმაც პრეზიდენტ პუტინის მიერ ბრძანებულების გამოცემა ასე შეაფასა -

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულება აფორმულირებს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების, ასევე, საეკლესიო და სამეცნიერო საზოგადოების მიერ ცნობას ფაქტისა, რომ შუასაუკუნეთა ალანური ქრისტიანული სახელმწიფოს უშუალო მემკვიდრეა თანამედროვე ალანია - ოსეთი, თანაც, უცილობლად, ამჟმად არსებულ საზღვრებში. ეს აბსოლუტურად სამართლიანია, რადგანაც სწორედ აქ, ამ ერთიან ეთნოკულტურულ სივრცეში ოსმა ხალხმა დაიცვა თავისი იდენტობა და ძველი კულტურა, რომლის განუყოფელ ნაწილს მრავალი საუკუნის წინ წარმოადგენდა ქრიტიანობა - ალანური მართლმადიდებლობა, თავის თავში გამაერთიანებელი და შემნახველი წინა ათასწლეულების კულტურული ტრადიციებისა - ბრძანებს ვლადიკავკაზელი მეუფე. https://regnum.ru/news/2335106.html

ჩვენი საზოგადოება ამჟამად გლოვობს და განიცდის ომკის, ბანასა თუ ხახულის ტაძრების უბედობას, მაგრამ ისინი დაიკარგა ჩვენი წინაპრების დროს, ილია მართალი ამბობს, - “მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ ჩვენი უნდა ვშვათ მყოობადი,” ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უფრო მეტად უნდა ვიზრუნოთ ჩვენს მყოობადზე ანუ ჩვენს აწმყოზე, ჩვენს ამჟამინდელ ვითარებაზე. უმჯობესია წარსულზე დარდის ენერგია გამოვიყენოთ იმისათვის რათა ახლა, ჩვენსავე დროს იდეოლოგიურად მაინც არ დავკარგოთ დაკარგვის ბურუსში მდგარი აფხაზეთში ბიჭვინთის, ბედიის, მოქვის, დრანდის, სამაჩაბლოში იკორთისა და სხვა ტაძრების ქართული საეკლესიო

წარსული. მათ რუსულ საინტერნეტო სივრცეში უკვე არა ქართულ არამედ ე. წ. ალანურ-ბიზანტიურ არქიტექტურულ სკოლას მიაკუთვნებენ.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ქართული საეკლესიო საგანძურს სწორედ ახლა, ყალბი და ცრუ სამეცნიერო გამოკვლევებით გვაცლიან ხელიდან, მათ შლიან ქართული კულტურის სფეროდან.

ამის ნათელი მაგალითია სამაჩაბლოში, ანუ ქართლის შუაგულში „ალანიის ეპარქიის დაარსება".

რუსულ და უცხოურ საინტერნეტო სივრცეში განთავსებულია ინფორმაცია ალანიის ეპარქიის შესახებ, რომლის მიხედვითაც ეს ეპარქია დაფუძნებულია, „ფაქტიურად უმოქმედო საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის ტერიტორიაზე, დაარსებულია 2005 წელს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში და შედის საბერძნეთის ჭეშმარიტ - მართმადიდებელ ქრისტიანთა იურისდიქციაში (ქრისტოსტომოსის სინოდი). 2011 წლის მაისიდან დროებით იმართება მეფონის ეპისკოპოს ამბროსი ბერდომის მიერ. ალანიის ეს ეპარქია მოიცავს 3900 კვადრატულ კილომეტრს, 55 ათასი მოსახლეობით. სულ 7 მოქმედი ეკლესია გაჩნია, მათ შორის 4 ცხინვალში".

საბერძნეთიდან ცხინვალში მწვალებელ ეპისკოპოს ამბროსის ჩასვლა აღინიშნა დიდი ზეიმოთ, ოსი სეპარატისტების ხელმძღვანელებმა განაცხადეს ახალი სიცრუე, რომ ეპისკოპოსმა ამბროსიმ „500 წლის შემდეგ აააღორძინა ალანიის ეპარქია". спустя 500 лет возродилась Аланская епархия," https://www.ekhokavkaza.com/a/29175501.html

ისინი მთელ მსოფლიოს არწმუნებენ რუსული მასმედიის გამოყენებით, რომ თითქოსდა ცხინვალის რეგიონს 500 წლის წინ, ანუ მე-15, მე-16 საუკუნეში მოიცავდა ალანიის ეპარქია, რომელიც გააუქმეს ქართველებმა, მაგრამ ის სასწაულებრივად აღორძინდა ახლახან, 500 წლის შემდეგ.

<u>ისეთი მძაფრი და ყველაფრის მომცველი უძლიერესი ჭავლით ყალბდება საქართველოს ეკლესიის ისტორია რუსულენოვან სამეცნიერო და პოლიტიკურ სივრცეში, რომ ახლა უკვე ქართულ მხარეს ესაჭიროება მტკიცება იმისა, რომ ვახტანგ გორგასლის დროიდან, ვიდრე 2008 წლამდე ცხინვალის რეგიონი ანუ შიდა ქართლი მუდამ საქართველოს საპატრიარქოს ნიქოზის, სამთავისის, წილკნის, მცხეთის და სხვა ქართულ ეპარქიებში შედიოდნენ და სახელი ალანია არც კი გაუგონიათ ამ რეგიონში მე-20 საუკუნემდე .</u>

"პრავასლავნაია ენციკლოპოედიას" ტომეულებმაც შეუწყეს ხელი ამ საქმეს, ჯერ კიდევ 10-იოდე წლის წინ იქ ჯავისა და ყაზბეგის რაიონები კონსტანტინოპოლის ალანიის ეპარქიის ნაწილებად ცხდდებოდა, ცნობილი ტყობა-იერდის ქართულ ეკლესიასთან ერთად, ისევე როგორც მთელი დასავლეთ საქართველო ასევე კონსტანტინოპოლის იურისდიქციასი შემავლად, ამ თეორიას ამჟამადაც კი იზიარებენ თბილისელი ისტორიკოსების დიდი ნაწილი, რომელნიც არ აკრიტიკებენ ამ საბჭოურ საისტორიო თეორიას. თუ როგორ დაუმორჩილეს ცხინვალის ალანიის ეპარქია 2008 წლის შემდეგ საბერძნეთის ეკლესიას, ამის შესახებ წერს რუსეთის საზღვარგარეთული სინოდის ყოფილი მღვდელმთავარი აგაფანგელ პაშკოვსკი.

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%90%

Агафангел Пашковский· Русская Православная Церковь Заграницей, Русская православная церковь.

ის სიტყვასიტყვით წერს შემდეგს - „დღეს ნათელია, რომ რუსეთისა და საქართველოს დაპირისპირების წლებში, რუსეთმა დაიპყრო საქართველოს ტერიტორიები - აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მართლამადიდებელი ეკლესიები შედიოდა საქართველოს საპატრიარქოს შემადგენლობაში. იმისათვის რათა სამხრეთ ოსეთი გაეთიშათ საქართველოს ეკლესიისაგან, კრემლში მაღალმა მოხელემ, ვინც კავკასიაში სიტუაციას კურირებს, მიიღო გადაწყვეტილება მიემართა უცხოეთის რუსული ეკლესიის სინოდისათვის (ამ საკითხებში ნეიტრალური ეკლესიისათვის), რათა მას სამხრეთ ოსეთის ქრისტიანები შეყვანა თავის

იურისდიქციაში (ე.ი. უცხოეთის რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის („ურმე") სინოდში). „ურმე"-ს სინოდს შესაბამისი წერილით მიმართა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა. ისინი მიიღეს. რაც „ურმე" შეუდგა რუსეთის საპატრიარქოსთან შეერთების სამზადისს, ამის შემდეგ სამხრეთ ოსეთი მიიერთა ბერძნულმა ეკლესიამ, რომელთანაც „ურმეს" კავშირი ჰქონდა. ამჟამად სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილია სამხრეთ ოსეთის ქრისტიანები გადასცეს კირილს. კრემლში ჩანს რაღაც გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. პატრიარქ კირილედან სამხრეთ ოსეთის ქრისტიანების ჩათვლით ყველა ვალდებულია კრემლის გადაწყვეტილება აღასრულოს" - წერს რუსი მღვდელმთავარი აგაფანგელ პაშკოვსკი.

ამ რუსი მღვდელმთავრის წერილიდანაც ჩანს, რომ პოლიტიკური მიზეზებით კრემლის მაღალჩინოსანმა სამხრეთ ოსეთის მრევლი გამოყვანა კანონიკური (ანუ ქართული) მართლამადიდებელი ეკლესიის წიაღიდან და შეიყვანა მწვალებელთა ე.წ. „კიპრიანეს სინოდში", შემდეგ რამდენჯერმე გადაამისართეს ეს „იურისდიქცია", საბოლოოდ კი ის, სამხრეთ ოსეთის ე. წ. პრეზიდენტის განცხადებით, შეერთებულ იქნება მოსკოვის საპატრიარქოსთან.

http://litbook.ru/article/7885/

აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე, ჩრდილო ოსეთში ვლადიკავკაზის ეპარქიასაც 2012 წელს, ასევე „ალანიიის ეპარქია" უწოდეს. ამჟამად მისის სახელია „ვლადიკავკაზისა და ალანიის ეპარქია".

ვლადიკავკაზის კათედრა დაარსებულ იქნა 1875 წელს, როგორც საქართველოს საეგზარქოსოს ქართლ-კახეთის ეპარქიის საქორეპისკოპოსო. 1885 წლიდან კი ვლადიკავკაზის კათედრა საქართველოს საეგზარქოსოს თავისთავადი კათედრა გახდა.

რადგანაც ისტორიულად საქართველოს ეკლესია საუკუნეთა მანძილზე ახორციელებდა თავის იურისდიქციას ჩრდილო კავკასიაში, შესაბამისად მე-19 საუკუნეში საქართველოს საეგზარქოსოს ვლადიკავკაზის კათედრის შემადგენლობაში შევიდა ჩრდილო კავკასიიის დაღესტნისა და თერგის ოლქები, ასევე ყუბანის ოლქის ნაწილი (თერგის ოლქს შემდეგში ინგუშეთ, ჩეჩნეთი და ჩრდილო ოსეთი ეწოდა). ეპარქიის ტერიტორია იკავებდა 99 000 კვ.ვერსტს.

ვლადიკავკაზის ეპარქია შემდეგ ჩამოაშორეს საქართველოს საეგზარქოსოს და გადასცეს სტავროპოლის ეპარქიას, მას, 2012 წლიდან ეწოდება აღნიშნული სახელი - „ვლადიკავკაზისა და ალანიის ეპარქია".

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%92%D0%BB%D0%B0%D0%B4%D0%B8%D0%BA%D0%B0%D0%B2%D0%BA%D0%B0%D0%B7%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F_%D0%B5%D0%BF%D0%B0%D1%80%D1%85%D0%B8%D1%8F

ჩრდილო ოსეთის ეპარქიის ისტორია აჩვენებს, რომ არა თუ შიდა ქართლი და ცხინვალი, ისტორიულად ჩრდილო კავკასიაც საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა და წყაროებში მასთან კავშირში არასოდეს იხსენიება ალანიის ეპარქია, მხოლოდ 21-ე საუკუნეში პოლიტიკური მიზეზების გამო გადაწყვიტა მოსკოვმა გაეყალბებინა ეკლესიის ისტორია ჩრდილო და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ახალი ტერმინის „ალანიის" შემოღებით.

ეკლესიის იტორიის გაყალბებისათის გამოყენებული იქნა რეალური ფაქტი იმისა, რომ ნამდვილად არსებობდა ალანიის ეპარქია, მაგრამ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიათა ნუსხებში მოხსენიებულ ალანიის ეპარქიას არაფერი აკავშირებდა ჩრდილო ოსეთთან, მით უმეტეს კი სამაჩაბლოსთან. მიიჩნევა, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია დაარსებულ იქნა მე-10 საუკუნეში, იხსენიებოდა 16 საუკუნემდე.

კონსტანტინოპოლს საპატრიარქოს ალანიის ეპარქია ბოლო გამოკვლევის თანახმად, ლოკალიზდება არა კავკასიის მთებში, არამედ, მომიჯნავე დონ-დნესტრისპირეთის სტეპებში.

ძალზე მწირი ცნობებია შემონახული წყაროებში კონსტანტინოპოლის ალანიის ეპარქიის შესახებ - აღნიშნული რამდენიმე ნოტიცია, კონსტანტინოპოლის საპატრიარქიაქოს წმიდა სინოდის ცნობა (1347 წ. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქტი), ასევე ალანიის ეპისკოპოს თეოდორეს წერილი პატრიარქთან, კონსტანტინოპოლის წმ. სიოდის ამ აქტში ნათქვამია რომ **„ალანიის მიტროპოლიას არა აქვს საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრა იმ მიზეზის გამო, რომ მისი ხალხი**

მწყემსურია (მომთაბარეა)” (Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI. Одесса, 1867. с. 447)

იგივე ჩანს ალანიის ეპიკოპოს თეოდორეს აღნიშნულ ოფიციალური წერილიდან. სხვა ასეთი მაღალი დონის სანდო ცნობა კი ალანების საეკლესიო ცხოვრების შესახებ კი არ არსებობს.

კონსტანტინოპოლის 1347 წლის აქტიდან ჩანს, რომ ალანიის ეპარქია მდებარეობდა ნომადი ანუ მომთაბარე ალანების ქვეყანაში - დონისპირეთის სტეპებში და არა კავკასიის მთებში, სადაც მიწათმოქმედი ხალხი ცხოვრობდა.

წერილში ალანიის ეპისკოპოსი თეოდორე პატრიარქს მოუთხრობს თავისი ალანი მრევლის შესახებ. ის ძალზე შეწუხებულია ალანების სარწმუნოების დაბალი დონით, წერს „ალანები ქრისტიანები არიან მხოლოდ გარეგნულად, მათ ხელახალ მოქცევას ახალი პავლე ესაჭიროება” (აღსანიშნავია, რომ იმავეს აღნიშნავს ალანების სარწმუნოების შესახებ კონსტანტინოპოლის წმ. სინოდი). ეპისკოპოსი თეოდორე თავის ოფიციალურ წერილში (1220-1240 წწ.) კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი (ე.წ. „ალანური ეპისტოლე”), ადასტურებს, რომ ალანები სტეპების მომთაბარე ხალხია (Епископа Феодора «Аланское послание»)

http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Krym/XIII/1220–1240/Feodor/text.phtml?id=5429

1220-1240-იან წლებში ალანიის ეპისკოპოსი თეოდორე თავის წერილში კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი წერს: „ალანები დაფანტულნი არიან ცხვრის ფარის მსგავსად მთებსა და უდაბნოებში, მათ არ გააჩნიათ სადგომები და გადახურული თავშესაფარიც კი”.

http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Krym/XIII/1220 - 1240/Feodor/text.phtml?id=5429

… ამავე წერილში ის წერს: Аланы. …Они же по истине (не постыжусь сказать, и да не будет это для меня проявлением малодушия) - были стадо, рассеянное по горам, пустыням и пропастям земным, не имеющее ни стойла, ни навеса, выставленное на пожирание (диким) зверям.

თეოდორეს ცნობა, რომ ალანებს არა აქვთ თავიანთი სადგომიც კი (არც სოფელი, არც ქალაქი), სრულებით ეთანადება 1347 წ. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქტში ნათქვამს, რომ **„ალანიის მიტროპოლიას არა აქვს საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრა იმ მიზეზის გამო, რომ მისი ხალხი მწყემსურია (მომთაბარეა)”** (Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI. Одесса, 1867. с. 447). (აქედან ჩანს, რომ არხიზ-ზელენჯუკის, სენტისა და შოანას მშვენიერი გუმბათიანი ეკლესიები ალანიის ეპარქიაში არ მდებარეობდნენ, გამოკვლევები აჩვენებს, რომ ისინი საქართველოს საპარტრიარქოს აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდნენ). ალანთა მწყემსურ (სამომთაბარეო) ცხოვრებას მიუთითებს ყირიმში საეკლესიო სასამართლოზე გამოთქმული შეფასება, იმის შესახებ, რომ ალანები არიან სკვითებზე უფრო მეტად უღმერთონი.

ამ საეკლესიო სასამართლოზე შემდეგი სიტყვებით მიმართეს ალანიის ეპისკოპოს თეოდორეს: **„წადი შენს უღმერთო ალანებთან”, „Но пропади ты с нечестивыми и безбожными Аланами, которые хуже Скифов!“**

http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Krym/XIII/1220 - 1240/Feodor/text.phtml?id=5429

ასევე, ამ საეკლესიო სასამართლოს მსგავსად, აფასებს ალანების სარწმუნოების დონეს ეპისკოპოსი თეოდორეც: „ალანები მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები და მათ მოქცევას ახალი პავლე ესაჭიროება” (Аланы христиане только по имени).

http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Krym/XIII/1220 - 1240/Feodor/text.phtml?id=5429

ისმის კითხვა, სად ცხოვრობდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ალანები მთებში თუ სტეპებში? ანუ სად უნდა ლოკალიზდეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქის ალანიის ეპარქია?

ალანთა ეპარქიის ლოკალიზაცია (1220-1240 წწ.), ალანთა ეპისკოპოს თეოდორეს წერილის მიხედვით, უნდა მოხდეს დონისპირეთის სტეპებში, რასაც მიუთითებს თვით თეოდორე, რომ ის ყირიმიდან გაემგზავრა თავის ეპარქიაში - **„უწყლო ქვეყანაში შუაგულ სკვითიაში 60 დღის გზაზე”**

… „А мы направились в середину Скифии на 60 дней пути, что в местах безводных”
http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Krym/XIII/12201240/Feodor/text.phtml?id=5429

ის თავის ალანიის ეპარქიაში გაემგზავრა, როგორც ის წერს - „სკვითიის შუაგულში 60 დღის გზაზე”.

ალანიის ეპისკოპოსის ეს განცხადება გამოთქმული თავის ოფიციალურ წერილში ნიშნავს, რომ ალანიის ეპარქია უწყლო ადგილებშია, ანუ სტეპებშია და არა წყაროს წყლით გაჯერებული კავკასიის მთებში.

ალანიის ეპისკოპოსი წერს, რომ მისი ეპარქია „შუაგულ სკვითიაშია”, კავკასიის მთები არასოდეს ითვლებოდა „შუაგულ სკვითიად”. ცნობილია, რომ სკვითია სტეპების ველ-მინდვრებიანი ქვეყანა იყო.

შესაბამისად, თეოდორეს მიერ აღწერილი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია მდებარეობდა მდ. დონისპირეთის სტეპში, რომელსაც ამჟამად ეწოდება „პონტო - კასპიისპირეთის სტეპი”. ის მდებარეობს მდ. დონისპირეთში, ყირიმის მხარეს (Понтийско - Каспийская степь огромная степь, простирающаяся от северного побережья Чёрного моря на восток до Каспийского моря.

http://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/1602399

დონის სტეპები ასე აღიწერება ამჟამინდელი ავტორის მიერ: დონის სტეპი არის გაშლილი სივრცე, გარშემო ერთი ხეც არ არის, მხოლოდ სწორი ველია ჰორიზონტის ხაზამდე, რომელიც ცას და მინდორს ერთმანეთისაგან ჰყოფს. დონის სტეპი გვაოცებს თავისი უკიდეგანობით

http://dontourism.ru/poi_view.aspx?id=152

შესაბამისად, თვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან გამოსული ცნობების თანახმად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია მდებარეობდა დონისპირეთის სტეპებში ყირიმის მხარეს, სადაც ბინადრობდნენ ნახევრადმომთაბარე ალანები, თავიანთი ნომადური ცხოვრების წესიდან გამომდინარე არ ჰქონდათ ქალაქები, არც საკათედრო ტაძარი თავიანთი მღვდელმთავრისათვის. ამიტომაც ამ მღვდელმთავარს კონსტანტინოპოლმა კათედრა გამოუყო ქალაქ სოტირიოპოლში, ტრაპეზუნტთან ახლოს, ხოლო რაც შეეხება კავკასიის ალანიას აფხაზეთის მეზობლად, აქ მცხოვრებთ ჰქონდათ ქალაქები და შესანიშნავი ეკლესიები (სენტი, ზელენჯუკი, შოანა).

კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი მართალია კავკასიის მთიან ალანიაში ცდილობდა ეპარქიის დაარსებას და აქ ეპისკოპოსიც კი გამოაგზავნა (912 და 925 წწ.) მაგრამ არაბული წყაროს ცნობით, ბერძენი სამღვდელოება ალანიიდან გააძევა ალანთა მეფემ, ახლა ცდილობენ დაამკვიდრონ თვალსაზრისი, რომ ისინი ალანიიდან გააძევეს ხაზართა მოთხოვნით, მაგრამ ასეთი წყარო არ არსებობს, სინამდვილეში, როგორც ფაქტები აჩვენებს აფხაზთა მეფეებმა არ აღასრულეს კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნება და არ ინებეს აფხაზეთის უშუალო მომოჯნავე კავკასიის ალანიაში დაარსებულიყო ბერძნული კათედრა, რატომ? იმ მიზეზის გამო რომ აფხაზთა მეფეები თვითონვე იყვნენ მეპატრონენი და საერო მეთაურები თავიანთ ქვეყანაში მდებარე აფხაზეთის საკათალიკოსოსი, რომელიც დამოუკიდებელ საეკლესიო პოლიტიკას აწარმოებდა, აფხაზთა მეფეებმა თავიანთ სამეფოში მრავალი ქართულენოვანი კათერდრა დაარსეს, მათ შორი ჭყონდიდისა. ბიჭვინტის ანუ აფხაზეთის კათალიკოსს, წყაროთა თანახმად, მიაჩნდა, რომ ის იყო „ყოველი ჩრდილოეთის კათალიკოსი”, მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა ყირიმის ქალაქ კაფადან ვიდრე ჭოროხამდე.

1074 წლის შემდეგ, გრიგოლ ბაკურიანის ძის ხელით ბიზანტიამ საქართველოს გადმოსცა მიტაცებული ტერიტორიები ტაოში, ასევე ალანიასთან მდებარე ანაკოფიის ციხე-ქალაქი, რაც გულისხმობდა მათ მიერ ეკლესიურად კავკასიის ალანიიის გადმოცემასაც, ასეთ დროს ბიჭვინთიდან სულ რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებული არხიზ-ზელენჯუკის, სენტისა და შოანას ტაძრები საბოლოოდ აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში

აღმოჩნდებოდნენ, ამავე დროისათვის დონისპირეთში დაარსებული მომთაბარე ალანების ეპარქიის მღვდელმთავრისათვის ბიზანტიაში გამოყოფილი იქნა ქალქი სოტირიოპოლი, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, კონსტანტინოპოლის სინოდს მიაჩნდა, რომ მომთაბარე ალანებს არ გააჩდათ ქალაქი თავიანთი მღვდელმთავრის კათედრისათვის. არხიზ-ზელენჯუკის, სენტისა და შოანას ტაძრები ლიხნის, მოქვისა და სხვა ქართული ეკლესიების შემცირებული ასლები არიან, არქიტექტურულად გააჩნიათ ქართული ეკლესიის სახე, რაც მათ იურიდიქციასაც მიუთითებს.

კავკასიის ალანია, სადაც მრავალი ქალაქი არსებობდა, შედიოდა არა კონსტანტინოპოლის, არამედ ქართული ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოს შემადგენლობაში, ხოლო აღნიშნული დონისპირეტის ალანია (სტეების ალანია) შედიოდა კონსტანტინოპოლის იურიადიქციაში, მას ეწოდებოდა „ალანიის ეპარქია".

ამიტომაც დონისპირტის ამ სტეპებზე მომთაბარე ალანებს თვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდი უწოდებს ნომადებს, ანუ მომთაბარე ხალხს.

აღნიშნულ, 1347 წ. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქტში ნათქვამია: სოტირიოპოლი **„განისაზღვროს ალანიის მღვდელმთავრის მუდმივ კათედრად, რადგანაც ამ მიტროპოლიას არა აქვს საკუთარი სამღვდელმთავრო კათედრა იმ მიზეზის გამო, რომ მისი ხალხი მწყემსურია (მომთაბარეა)"** (Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI. Одесса, 1867. с. 447).

В акте Константинопольской патриархии от 1347 г. указана:

Сотириупольская «определена состоять навсегда кафедрой Аланского архиерея, так как митрополия сия не имеет собственной архиерейской кафедры по той причине, что народ ее пастушеский» (Древние акты Константинопольского патриархата, относящиеся к Новороссийскому краю. ЗООИД, т. VI. Одесса, 1867. с. 447).

როგორც აღინიშნა, მე-11 საუკუნის ბოლოს ალექსი კომნინის (1081-1118 წწ.) ქრისობულით და სინოდის დადგენილებით გაერთიანებულ იქნენ ალანიისა და სოტირუპოლის არსებული მიტროპოლიები.

В конце XI века по хрисовулу Алексея I Комнина (1081-1118) и синодальному указу были объединены существующие митрополии Алании и Сотируполя [на границе Авасгии и Алании (вариант: Лазика)]". (Агусти Алеманъ, там же, стр.317).

https://ok.ru/group52091390787748/topic/64593326257572

„განისაზღვრა, რომ სოტირიუპოლი მუდმივად ყოფილიყო კათედრა ალანიის იერარქისა, „რამეთუ ამ სამიტროპოლიტოს (ალანიისა) არ გააჩნია იერარქის კათედრა იმ მიზეზის გამო, რომ მისი ხალხი მომთაბარეობს (მწყემსურია)" („კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ძველი აქტები...", ს.ნ მალახოვი). ე.ი. არა აქვს ქალაქები.

ამავე დროს საკმაო არქეოლოგიური და წერილობითი მასალა ამტკიცებს რომ მრავალი ქალაქი და ნაქალაქარი იყო ჩრდილო კავკასიის მთიანეთში (მაგრამ დონისპირეთის სტეპის ზონაში მე-10, მე-14 საუკუნეებში არავითარი ქალაქი არ არსებობდა).

„... Сотириуполь был определен состоять навсегда кафедрою аланского архиерея, «так как митрополия сия (т. е. Аланская - С. М.) не имеет собственной архиерейской кафедры по той причине, что народ ее пастушеский» («Древние акты Константинопольского патриархата...", С. Н. Малахов, там же, стр. 159), то есть, не имеет городов. Третье: в то же время достаточный археологический и летописный материал утверждает о многих городищах и даже городах, расположенных в горно-предгорной полосе Северного Кавказа, и полное их отсутствие в степной зоне, на рубеже X - XIV вв.

https://ok.ru/group52091390787748/topic/64593326257572

მაშასადამე კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ მე-11 საუკუნეში დაადგინა ტრაპეზუნტის რეგიონში ლაზიკის ქალაქი სოტირიუპოლი ალანიის მღვდელმთავრის კათედრად, იმ მიზეზის გამო რომ ალანიაში ქალაქები არ არსებობდა.

არქეოლოგათა მიერ დადგენილია, რომ ამ პერიოდში ქალაქები არ არსებობდა დონისპირეთის სტეპებში, სადაც ნომადი ალანები მომთაბარეობდნენ, და სადაც მდებარეობდა ალანიის ეპარქია. მისგან სრულიად განსხვავდებოდა კავკასიის მთიანეთში მდებარე ალანია (აფხაზეთის მეზობლად მდებარე). არქეოლოგებმა და წერილობითმა წყაროებმა დაადასტურეს, რომ კავკასიის ამ მთიანეთში, აფხაზეთის მეზობლად, მრავალი ქალაქი არსებობდა.

კავკასიის ალანიაში ქალაქების არსებობა მიუთითებს, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია აქ (კავკასიის მთიანეთში) არ მდებარეობდა (რადგანაც კონსტანტინოპოლის სინოდის ცნობით ალანიის ეპარქიაში ქალაქები არ არსებობდა) და ის სხვაგან უნდა ვეძიოთ. როგორც ითქვა, არქეოლოგებმა დაადასტურეს, რომ განსახილველ დროს მე-10 - მე-14 საუკუნეებში დონისპირეთის სტეპებში მართლაც არ არსებობდა ქალაქები, ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ალანიის ეპარქია ამ სტეპზე არსებობდა და არა კავკასიის მთებში.

როგორც ითქვა, 1347 წლის 114-ე აქტის თანახმად, იმპერატორ ალექსი კომნინის დროს (1081-1118 წწ.) ალანიის მღვდელმთარის კათედრად განისაზღვრა სოტირიუპოლი ალანიიდან შორს, ტრაპეზუნტის რეგიონში.

В нотициях времени Андроника Палеолога говорится, что **по хрисовулу императора Алексея Комнина и акту Синода Алания была соединена с архиепископством Сотириуполя, но вследствие «смут» они были разъединены.**

Причина объединения указана в акте 114 Константинопольской патриархии от 1347 г.: Сотириупольская «определена состоять навсегда кафедрой Аланского архиерея, так как митрополия сия не имеет собственной архиерейской кафедры по той причине, что народ ее пастушеский».

https://ok.ru/group52091390787748/topic/64593326257572

ანაკოფიის ციხე და მისი მიმდებარე ოლქი 1033 წელს საქართველოს მეფის გიორგი პირველის ძემ გადასცა ბიზანტიას, მაგრამ ეს გაგრძელდა მცირე ხნით, 1074 წელს ეს ციხე-სიმაგრე საქართველომ უკანვე დაიბრუნა, სწორედ ამის შემდეგ აიღო საბოლოოდ კონსტანტინოპოლმა ხელი კავკაისიის ალანიაზე, რომლის სანაცვლოდ ალანიის ეპარქია დაარსა დონისპირეთის სტეპების ნომადი ალანებისათვის, მათ ქალაქი არ გააჩნდათ მღვდელმთავრის კათედრისათვის, ამიტომაც იმპერატორ ალექსი კომნინის დროს (1081 წლის შემდეგ) ალანიის მღვდელმთავრის კათედრისათვის გამოყვეს ლაზიკის ქალაქი სოტირიუპოლი.

დასკვნა

1. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიაში არასოდეს შედიოდა ჩრდილო ოსეთი, მით უმეტეს სამაჩაბლო, ისინი ისტორიულად საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდნენ (რასაც მიუთითებს ჩრდილო ოსეთის ყველა ისტორიულ ეკლესიასა და სალოცავში ქართულენოვანი წარწერები სხვა უხვ მასალასთან ერთად, მით უმეტეს სამაჩაბლოში), შეასაბამისად მათი გამოცხადება ალანიად, მხოლოდ პოლიტიკურ მიზანს ემსახურება, რათა სამაჩაბლო განაშორონ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციისაგან.

2. ამჟამად ყარაჩაიში მდებარე ცნობილი ქართული სტილის ჯვარგუმბათოვანი ეკლესიები არხიზ-ზელენჯუკში, სენტი და შოანა (განსაკუთრებით 1074 წლის შემდეგ) შედიოდნენ არა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიის იურისდიქციაში, არამედ საქართველოს საპატრიარქოს აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში, ისინი მოქმედნი იყვნენ შუა საუკუნეებშიც, რეალურად, ისინი ჩრდილო კავკასიის სვანეთში მდებარეობდნენ, მე-18 საუკუნეშიც კი, გერმანელმა მეცნიერმა რეინეგსმა დააფიქსირა, რომ მის დროს შოანას ანუ სვანების ეკლესიაში ღვთისმსახურება აღესრულებოდა (შესაბამისად, ქართულენოვანი ლიტურგიით, აქედან რეინეგსმა რამდენიმე წიგნი სამშობლოში წაიღო).

3. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქია მდებარობდა არა კავკასიის ალანიაში, არამედ დონისპირეთის სტეპების ალანიაში, ამის შეასხებ მიუთითებს როგორც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს 1347 წლის აქტი, ასევე ალანიის ეპისკოპოს თეოდორეს წერილი კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი.

4. ალანები დიდი მრავალტომიანი ხალხი იყო, არსებობდნენ როგორც თურქულენოვანი, ასევე ირანულენოვანი ალანები. წყაროებიდან არ ჩანს, რომ მონღოლებამდელი კავკასიის ალანები ირანულენოვნი ხალხი იყო, პირიქით, არაბი ისტორიკოსის აბულფედასა და ასევე, ალ-დიმაშკის ცნობებით ისინი თურქულენოვანი ქრისტიანები იყვნენ.

http://www.blagos.ru/stranitsy - istorii - 1981/item/233 - mixail - mamiev - kandidat - istoricheskix - nauk - pismennye - istochniki - o - pravoslavnom - xristianstve - v - srednevekovoj - alanii?tmpl=component&prin=

ამიტომაც უფრო სამართლიანი ჩანს ყარაჩაელთა და ბალყარელთა განცხადებები, რომ სწორედ ისინი არიან მემკვიდრენი ისტორიული კავკასიელი ალანებისა, თურქულენოვან ალანებს მტრობდნენ და სასტიკად ებრძოდნენ მონღოლები, ხოლო ირანულენოვნი ალან-ოსები ვითარცა მოკავშირეები თან შემოყვნენ მონღოლებს კავკასიაში მე-13, მე-14 საუკუნეებში. მოკავშირეობის გამო მონღოლებმა ირანულენოვან ოსებს საბატონოდ გადასცეს ქართულენოვანი ოლქი დვალეთი (ჩრდილო კავკასიაში), ვახუშტის დროს ქართულენოვნი ქრისტიანი დვალები საბოლოოდ ჯერ ჯიდევ არ იყვნენ ასიმილირებულნი დამპყრობელ ოსებში. დვალების საბოლოო ასიმილაცია ოსებში მოხდა მე-19, მე-20 საუკუნეებში.

5. რადგანაც, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს არაფერი აკავშირებდათ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიასთან, ამიტომაც პრეზიდენტ პუტინის მიერ გამოცემული ბრძანებულება ალანების გაქრისტიანების 2100 წლისთავთან დაკავშირებით, არ უნდა დაუკავშირდეს ჩრდილო ოსეთს, მით უმეტეს სამაჩაბლოს.

საბოლოო დასკვნა:

მიტროპოლიტი აგაფანგელ პაშკოვსკის სიტყვით კრემლში მიღებულია გადაწყვეტილება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მომავალ საეკლესიო იურისდიქციასთან დაკავშირებით. ცდილობენ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთი გააერთიანონ მოსკოვის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიაში. ისტორიულად საუკუნეთა მანძილზე ჩრდილოეთ კავკასია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, ამიტომაც ჩრდილო კავკასიში ამჟამადაც არსებობს უამრავი ქართული ეკლესია და მათი ნაშთები ქართული წარწერებით, ამჟამად მათ არა ქართულ, **"ალანიის შუა საუკუნეების კულტურულ ძეგლებს"** უწოდებენ. ქართული ისტორიული მემკვიდრეობის გამოცხადება ალანურად მეთოდურად მიმდინარეობს ბოლო ათეული წლების განმავლობაში. მაგალითად ცნობილი „პრავასლავნაია ენციკლოპედიის" ტომეულებში ჩრდილო კავკასიის ისეთი ქართული ეკლესია როგორიცაა ამჟამად ინგუშეთში მდებარე ტყობა-იერდი ქართული წარწერებით გამოცხადებულია ალანურ ძეგლად, უფრო მეტიც ყაზბეგისა და ჯავის რაიონები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის ეპარქიაში შემავალ ერთეულებად განიხილება. სამწუხაროდ სტატიები საქართელოს ეკლესიის შესახებ ამ ენციკლოპედიაში მომზადდა თბილისში. თბილისელმა ისტორიკოსებმა გაიმეორეს საბჭოთა ეპოქის არასწორრი თეორიები არა მხოლოდ აღნიშნულის, არამედ აფხაზეთის საკათალიკოსოს შესახებაც და გამოაცხადეს თითქოსდა დასავლეთ საქართველო 600 წლის მანძილზე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შედიოდა. ეს იყო შეცდომა საქართველოს მხრიდან და ეს შეცდომა დღესაც გრძელდება. **კონსტანტინოპოლის იურიდიქციაში ყაზბეგისა და ჯავის რაიონების, ასევე დასავლეთ საქართველოს წარმოჩენა რუსულ მხარეს ესაჭიროება იმისათვის, რათა დაარწმუნოს მსოფლო მართლმადიდებლობა, რომ ისტორიულად საეჭვოა ქართული ეკლესიის იურისდიქცია სამხრეთ ოსეთზე ასევე აფხაზეთზე.** აღნიშნულის გამო საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევა ინტენსიურად მიმდინარეობს არა მხოლოს მოსკოვს, პეტერბურგის, სხვა დიდი ქალაქების

კვლევით ცენტრებში, არამედ ჩრდილო კავკასიის დედაქალაქებში, მახაჩკალაში, გროზნოში, ვლადიკავკაზში, ნალჩიკში და სხვაგან, სამწუხაროდ ამ დაკვეთილ კვლევათა საბოლოო მიზანია, ისე წარმოაჩინონ ისტორია, თითქოსდა ქართველებს არავითარი წილი არ უდევთ ჩრდილო კავკასიის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობაში, პირიქით თითქოსდა ქართველები მიაზანმიმართულად აჩანაგებდნენ ანდა ითავისებდნენ იქაური ხალხების კულტუულ მემკვიდრეობას. საბოლოო მიზანია რათა ჩრდილოკავკასიელი ხალხები მტრულად განეწყონ ქართველი ხალხის მიმართ. ამავე დროს საქართველოში არ არსებობს კვლევითი ცენტრი, რომელიც საგანგებოდ სწავლობს საქართველოს ეკლესიის ისტორიას. სასულიერო აკადემიაში უწმიდესი პატრიარქის რექტორობის დროს საქართველოს ეკლესიის ისტორია ისწავლებოდა 1, 2, 3, კურსებზე, ამჟამად მხოლოდ 1 კურსზე ისწავლება. ასევეა სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც.

სასურველია 2022 წლამდე ჩატარდეს მრავალი კონფერენცია ჩრდილო კავკასიის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის საეკლესიო ისტორიასთან დაკავშირებით, ეცნობოს და დაეგზავნოს უცხოეთის ეკლესიებსა და სახელწიფოებს ცნობები ისტორიული სიმართლის შესახებ ალანიასთან დაკავშირებით.

კონფერენცია საპატრიარქოში **14.07.2018**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მოხსენება თურქეთში ქართული რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციასთან დაკავშირებით

ო ქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, გვაკურთხეთ,
საქართველოს წმიდა სამოციქულო ეკლესია, წყაროთა ცნობებით, ისტორიულად, თავის იურისდიქციაში მოიცავდა როგორც კავკასიას, ასევე ვრცელ რეგიონს სამხრეთის მიმართულებით, ვიდრე მდ. არაქსამდე, ამჟამინდელ თურქეთში, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალ სამხრეთის ვრცელ არეალზე მცხოვრებ მართლმადიდებელ მორწმუნეებს წარსულში ემსახურებოდა მრავალი ქართული საეპისკოპოსო, ესენი იყვნენ ანისის, ყარსის (კარის), ვალაშკერტისა, არზრუმის, წურწყაბის, წყაროსთავის, დადაშენის, ტბეთისა და სხვა საეპარქიო ცენტრები საქართველოს ეკლესიისა, ამჟამად კი, თურქეში არა გავაქვს რეგისტრირებული რელიგიური სამრევლოები, ეპარქიები, ეკლესია-მონასტრები, კულტურის ცენტრები.

თურქეთის მთავრობამ 2011 წლის 27 აგვისტოს ევროკავშირის რჩევით მიიღო გადაწყვეტილება, დააბრუნოს ყველა ქონება თუ შენობა-ნაგებობა, რომელიც ადრე სხვა რელიგიის მიმდევრებს ჩამოერთვა. ეს გადაწყვეტილება იმ უძრავ ქონებას ეხება, რომელიც თურქეთის ხელისუფლებამ 1936 წელს სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა. მათ შორის იყო დარეგისტრირებული რელიგიური ჯგუფების ეკლესიები, სინაგოგები, სხვადასხვა რელიგიური უმცირესობის წარმომადეგენელთა კუთვნილი სკოლები და საავადმყოფოები.

თურქეთში სომხური, ბერძნული და ებრაული ეკლესიები ოფიციალურად არსებობს, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ქართული მართლმადიდებელი უმცირესობა დარეგისტრირებული არ არის. - შესაბამისად თურქეთის მთავრობა დააბრუნებს იმ საკუთრებას, რომელიც ბერძნებს, სომხებსა და ებრაელებს 1936 წლიდან წაერთვა.

თურქეთში არსებულ ქრისტიანთა შორის ქართული მართლმადიდებელი რელიგიური ჯგუფი, ორგანიზაციის მქონე ქართული საეკლესიო ჯგუფი, როგორც ასეთი, არ არსებობს და ოფიციალურად რაიმე ორგანიზაციის სახით დარეგისტრირებული არ არის.

სწორედ ეს ფაქტი ქმნის პრობლემას.

ამ საკითხის შესაწავლად და მოსაგვარებლად თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, თქვენ დელეგაციასთან ერთად 02.05.2014-ში თურქეთის დედაქალაქ ანკარაში შეხვდით თურქეთის რელიგიის საბჭოს თავჯდომარეს, რომელიც ისლამის სასულიერო პირია, მას რელიგიის მინისტრსაც უწოდებენ.

რელიგიის საბჭოს თავმჯდომარემ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ არ უნდა იჩაგრებოდეს არცერთი რელიგიის მიმდევარი, რომ მათ უნდა ჰქონდეთ აღმსარებლობითი თავისუფლება და უნდა ჰქონდეთ თავიანთი სალოცავები შეუზღუდავად.

საპასუხო სიტყვაში თურქეთის რელიგიის მინისტრს ჩვენი დელეგაციის წევრებმა დაუდეს ფაქტობრივი ცნობები, რომლის მიხედვითაც ნახევარ მილიონზე ოდნავ მეტ მუსულმანს საქართველოში ემსახურება 350-მდე მეჩეთი, მათ აქვთ ისლამური 2 უმაღლესი სასწავლებელი, საშუალო სკოლები, ბაგა-ბაღები, მედრესები ანუ სემინარები ათეულობით. ამასთანავე, საქართველოში აქვთ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სტატუსი და სახელმწიფომ აიღო ვალდებულება მათ აუნაზღაუროს საბჭოთა რეჟიმის დროს მიღებული ზარალი, ამასთანავე, დააფინანსა ბიუჯეტიდან.

ამავე დროს, თურქეთში, სადაც თითქმის იგივე რაოდენობის ქართველი ქრისტიანია, არ მოქმედებს არც ერთი ქართული ეკლესია, ლაპარაკიც კი არაა იმის შესახებ, რომ ქართველებს თურქეთში არა აქვთ სასულიერო-კულტურული ცენტრები, თურქეთში არ არსებობს ქართული სკოლები და ცხადია უმაღლესი სასულიერო სასწავლებლები, თუმცა კი თუნდაც ანკარაში ქართული მრევლი არსებობს, რომელნიც ჩვენ ამ შეხვედრის წინა დღით ვიხილეთ ჩვენი თვალით და რომელთანაც შეხვედრამ ძალზე ასიამოვნა უწმიდესი.

ისმის კითხა, ცხოვრობენ თუ არა თურქეთში ქართველი ქრისტიანები, რომელთაც უნდა ჰქონდეთ აღმსარებლობითი თავისუფლება და, შესაბამისად,უნდა შეეძლოთ ლოცვა თავიანთ ეკლესიებში? დიახ, არსებობს, მათი რიცხვი შესაძლოა ნახევარი მილიონიც კი იყოს.

ბოლო ათეულ წლებში საქართველოდან თურქეთში სამუშაოდ და საცხოვრებლად ჩავიდა თითქმის ნახევარი მილიონი ქართველი ქრისტიანი, იმის გამო რომ მათ არ გააჩნიათ დარეგისტრირებული სამრევლოები და ეკლესიები, ამიტომ მათი რელიგიური უფლებები შებღალულია, ქართველი ქრისტიანრბი იჩაგრებიან სხვა რელიგიის მიმდევარებთან შედარებით, რადგანაც მათ არ გააჩნიათ აღმსარებლობითი თავისუფლება და და არა აქვთ თავიანთი სალოცავები.

ამ შეხვედრისას რელიგიის საბჭოს თავჯდომარემ ინება, რომ შეიქმნას ორმხრივი სასულიერო კომისია, რომელიც შეისწავლის ამ საკითხებს.

უწმიდესმა განსაკუთრებით დააყენა იშხანისა და ოშკის ამოქმედების საკითხი. ვისურვეთ მათ რესტავრაციაში ქართული მხარის მონაწილეობა, რაც მოსმენილი იქნა.

რელიგიის საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კომისია ამ საკითხებს განსაზღვრავს. მან ასევე, ისაუბრა ახალციხის აჰმედეს მეჩეთზე. ეს შეხვედრა ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო. აღნიშნულის გამო, საჭიროა მოძებნილ იქნას სამართლებრივი გზა თურქეთში ქართული რელიგიური სამრევლოების დასაფიქსირებლად და შემდგომ მათ დასარეგისტრირებლად, პრობლემას ის ქმნის რომ თურქეთში ჩასული ქართველი ქრისტიანები არ არიან ამ მხრივ ორგანიზებულნი, ამ მხრივ მათ დახმარება ესაჭიროებთ.

ასეთ ვითარებაში, საჭიროა სახელმწიფოს თანადგომა, პირველ ეტაპზე შესაძლებელია თურქეთში საქართველოს საელჩოსა და საკონსულოებში შეიქმნას და დარეგისტრირდეს ქართული ეკლესიები, მათ ბაზაზე ჩამოყალიბდეს ადგილობრივი ქართული ეპარქია, რომელიც

ასევე დარეგისტრირდება, შემდგომ ეტაპზე კი თანდათანობით ალბათ უნდა დარეგისტრირდეს იქაური ქართული ეპარქიებიც.

აღსანიშნავია, ისიც, რომ როცა თურქეთთან რამოდენიმე ტაძარზე მოლაპარაკება მიმდინარეობდა, ეს ძეგლები მათ ქართულ ძეგლებად აღიარეს. ამასთან დაკავშირებით, შესაძლებელია აღნიშნულმა კომისისაამ დააყენოს ასევე საკითხი რომ იქ ისტორიულად არსებული ეკლესია-მონასტრები ასევე ქართულ ძეგლებად იქნან აღიარებულნი, მათი მიახლოებული ჩამონათვალი ასეთია: - თანამედროვე თურქეთში ისტორიულად არსებული ქართული საეპისკოპოსოები აერთიანებდა მრავალ სამრევლოს, მათგან ცნობილია შემდეგი ქართული ეკლესია და მონასტრები **ანჩი, აგარა, ბანა, ბარეთელთა, ბერთა, დოლისყანა, ენირაბათი, ექექი, იშხანი, მამაწმინდა, მიჯნაძორი, ნაქალაქოი, ნუკას საყდარი, ოთხთა ეკლესია, ოპიზა, ოშკი, პარეხი, პარხალი, პატარა ვანქი, სათლე, სინკოთი, ტბეთი, შატბერდი, ჩანგლი, ხანძთა, ხახული, ჯმერკი ერუშეთის ეკლესია, გოგიუბას ეკლესია, ზეგანის ეკლესია, დადაშენის ეკლესია, პატარა ჭინჭრობის ეკლესია და სხვა მრავალი.** მათ გარდა ნანგრევების სახითაა შემორჩენილი - **არტანუჯის ციხის პეტრე-პავლეს ეკლესია (კლარჯეთი), ახიზას დარბაზული ეკლესია, აღჯაყალის ეკლესია (არტაანი-ფოცო), ბერკის ეკლესია (ზემო ბორგი), ბოსელთას ღვთისმშობლის ტაძარი (კლარჯეთი), ბრილი (ცნობილი ბრილის საწინამძღვრო ჯვარით. X ს.), გასადინარის მონასტერი, გუნათლის (სოფ. გურნათელი, შავშეთი) ტაძარი საძვალით, გურჯაანის ეკლესია (კლარჯეთი), დაბა (კლარჯეთი, სოფ. ჯმერკი, მე-9 საუკუნის ტაძარი), <u>დადაშენის ეკლესია და საეპისკოპოსო რეზიდენციის ნანგრევები, დოლისყანის მთავარანგელოზების ტაძარი (კლარჯეთი), დორთ ქილისა - ოთხთა ეკლესია, (კოლა), დოლისყანას მთავარანგელოზების ტაძარი სოფ. ევფრატში,</u> (მაჭახელა) ეკლესიის ნანგრევები, ესბეკის (ეზბეკის) ბაზილიკა, სამრეკლო, ვაშლობის ეკლესია, ვაჩეძორის სამონასტრო კომპლექსი (ამიერტაო), ზეგანი (ზაქი) ეკლესიის ნანგრევები, ისის ეკლესიის ნანგრევები, კავკასიძეების ციხის ეკლესია, კიაგლის (ალტი) დარბაზული ეკლესიები, კინეპოსის ტეტრაკონქი, კოპის ეკლესია, მაკრიალის ეკლესია, მგელციხის ციხის ეკლესია, მერეს ეკლესია, მერეს მონასტერი (კლარჯეთი), მიძნაძორი (კლარჯეთი, სოფ. დიდვენახი), ტაძარი, საძვალე, ნარუმაკის ნამონასტრალი (სამნავიანი ბაზილიკა), ნიგალის ეკლესია (კლარჯეთი), ნუკას საყდარი (კლარჯეთი), ოთხთას ეკლესიები (სპერი), ოლჩეკის დარბაზული ეკლესია (არტაანი ფოცო), ოპიზა (იოანე ნათლისმცემლის ტაძარი, სამონასტრო ეკლესიის ნანგრევები - მე-8-9 სს.), ორეზაქეს ბაზილიკური ტაძრის ნანგრევები, ოშკი (იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, ოშკის სკრიპტორიუმი, სატრაპეზო, მცირე ეკლესია), პარეხი, პარეხთას მონასტერი - სამნავიანი ბაზილიკა და დარბაზული ეკლესია - მე-9 ს., პარხალი (წმ.იოანე ნათლმცემლის ტაძარი, მე-10 ს.) და ეკლესია, სათლე-ეკლესია, საპაჯას ეკლესია (იმიერტაო), სინდისგომის (იალნიზჩამი) ტაძრის ნანგრევები (არტაანი), სვეტი კლარჯეთი (ღვთისმშობლის სახ. მთავარი ტაძარი და მცირე ეკლესია), სპერის ეკლესია, სპერის ციხის სამნავიანი ეკლესია, სუმელას მონასტერი, ბაზელონის მონასტრის ნანგრევები, ტაოსკარის ეკლესიები (ამიერტაო), ტბეთის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი (შავშეთი), ურთას ეკლესია (არტაანი-ფოცო), ფარნაკის ეკლესია (ამიერტაო), ფექრაშენის ეკლესია (ფოცო), ქალისციხე - კიზკალე (ლაზეთი), ქაჯის ციხის ეკლესია (არტაანი-ფოცო), შატბერდის (შარბეთი) ეკლესია, ჩანგლი, ჩენგერლის ციხე (იმიერტაო), წურწყაბის საეპისკოპოს რეზიდენციის ნანგრევები, წყაროსთავის მონასტერი (კლარჯეთი), ხანცთა, ხანძთის წმ. გიორგის ტაძარი, სამრეკლო, მე-9-მე-10 სს., ხახულის ღვთისმშობლის ტაძარი, მცირე ეკლესია, ხიმშიაშვილების ეკლესია (შავშეთი), ძველი ჯეჯორის ეკლესია (კოლა), ყაზანყალეს უცნობი ეკლესია (არტაანი-ფოცო), ჭინჭრობის ეკლესია (არტაანი), ჯალას (ჭალას) ეკლესია (არტაანი-ფოცო) და სხვა. სპერის ციხე სამნავიანი ბაზილიკით, ცირქინეს (სპერი) სამნავიანი ბაზილიკა, პარხალის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია და მცირე ეკლესია პარხლისწიყლის გადაღმა, ბოსელთას (კლარჯეთ) ღვთისმშობლის ტაძარი, პარეხთას მონასტერი (სამნავიანი ბაზილიკა და დარბაზული ეკლესია) - მე-9 ს. ოპიზის მონასტერი - იოანე ნათლისმცემლის ტაძარი - მე-8-მე-9 სს.

ხანძთის მონასტერი წმ. გიორგის ტაძარი, სამრეკლო მე-9 - მე-10 სს, ნიგალის ეკლესია, ესბეკის მონასტერი, სამრეკლო, მცირე ეკლესია (იმიერტაო), უცნობი ნამონასტრალი ნარუმაკის ციხის რეგიონში, სამნავიანი ბაზილიკა, კოშკი, საპაჯას (აშკისორის) ეკლესია, იქრიბაგეთის კომპლექსი - ეკლესია (შავშეთი), ტბეთის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი, იშხანი - საკათედრო ტაძარი (მე-7 - მე-9 სუკუნეები) (ამიერტაო), ტაოსკარის ეკლესიები, ვაჩეძორის სამონასტრო კომპლექსი, არნაკის ეკლესია, ბანას საკათედრო ტაძარი, ბანას მღვიმის ეკლესია, კიაგმის ალტი - ეკლესია და გამოქვაბულის სენაკები, სოლომონისის ციხის მღვიმის ეკლესია, უცნობი ეკლესია ბანას რეგიონში, ძველი ჯეჯორის ეკლესია (კოლა), დადაშენის ეკლესია და საეპისკოპოსო რეზიდენციის ნანგრევები, ოლჩეკის დარბაზული ეკლესია (არტაანი), ყაზანყალეს ეკლესია, ჭინჭრობის ეკლესია, ფექრაშენის ეკლესია (ფოცო), სოფ. ურთის ეკლესია, ჩრდილის ტბის აღჯაყალის ეკლესია, ჭალას (ჯალას) ეკლესია, ქაჯის ციხის დარბაზული ეკლესია, წურწყაბის საეპისკოპოს რეზიდენციის ნანგრევები (ერუშეთი), ერუშეთის ძველი ეკლესიის ნანგრევები, მგელციხის ციხის ეკლესია, ბერკის ეკლესია და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სამწყსოების მიწაწყალი დაკარგა საქართველოს სახელმწიფომ, საქართველოს ეკლესიამ ნომინალურად შემდგომშიც შეინარჩუნა ამ რეგიონს ქართული ეპარქიები.

აღნიშნულის გამო საქართველოს ეკლესიის მართვა გამგეობის დებულებებში 1917 წლიდან 1995 წლამდე თანამედროვე თურქეთის მიწაწყალზე მდებარე ისტორიული ქართული ეპარქიების - წურწყაბის, ერუშეთის, დადაშენის, წყაროსთავის, ანისის კარისა და ალაშკერტის სამწსოები გაერთიანებულნი იყვნენ აწყურის ეპარქიაში, ამჟამად ისინი ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის, ასევე ბათუმ ლაზეთის ეპარქიებში არიან გაერთიანაებულნი. შესაბამისად, სასურველია, რომ ისინი სამართლებრივად ცნოს თურქეთის სახელმწიფომ.

წმ. სინოდის დადგენილების პროექტი -

ისტორიულად, თანამედროვე თურქეთის მიწა-წყალზე ათეულბით ქართული საეპისკოპოსო და ეკლესია-მონასტერი არსებობდა, მაგრამ, ამჟამად, ოფიციალურად, სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული ქართული რელიგიური ორგანიზაციები არ არსებიბს, ამ საკითხის განსახილველად საქართველოს უწმიდეს კათალიკოს პატრიარქთან 2014 წლის მაისში შეხვედრისას თურქეთის რელიგიის საბჭოს თავმჯდომარემ ინება შეიქმნას ორმხრივი თურქულ-ქართული კომისია. ბოლო ათეულ წლებში საქართველოდან თურქეთში სამუშაოდ და საცხოვრებლად ჩავიდა ასეულათასი ქართველი ქრისტიანი, იმის გამო რომ მათ არ გააჩნიათ დარეგისტრირებული სამრევლოები და ეკლესიები, მათი რელიგიური უფლებები შებღალულია, ქართველი ქრისტიანები იჩაგრებიან სხვა რელიგიის მიმდევარებთან შედარებით, რადგანაც მათ არ გააჩნიათ აღმსარებლობითი თავისუფლება და და არა აქვთ თავიანთი სალოცავები.

1. აღნიშნულის გამო, საჭიროა მოძებნილ იქნას სამართლებრივი გზა თურქეთში ქართული რელიგიური სამრევლოების დასაფიქსირებლად და შემდგომ მათ დასარეგისტრირებლად, ასეთ ვითარებაში, საჭიროა სახელმწიფოს თანადგომა, პირველ ეტაპზე შესაძლებელია თურქეთში საქართველოს საელჩოსა და საკონსულოებში, იქ მომუშავეთა და მათთან დაკავშირებულ ქრისტიანეთათვის შეიქმნას და დარეგისტრირდეს ქართული სამრევლო, შემდგომში, თანდათან, მათ ბაზაზე ჩამოყალიბდეს ადგილობრივი ქართული ეპარქია, რომელიც ასევე დარეგისტრირდება, შემდგომ ეტაპზე კი თანდათანობით ალბათ უნდა დარეგისტრირდეს იქაური ისტორიულად არსებული ქართული ეპარქიებიც

2. აღნიშნულის გამო კომისიამ ასევე დააყენოს თურქეთის მთავრობის წინაშე თხოვნა, რათა ქართული ძეგლების სატატუსი მიენიჭოს ზემოთ ჩამოთვლილ თურქეთში არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრების ნაშთებსა და ნაგებობებს.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, **14. 05. 2018.**

სარჩევი

მეუფე ანანიას ღვაწლი - შესავალი 3

თავი პირველი - 1980-იანი წლები 20

სიტყვა წარმოთქმული ახალციხის ეკლესიაში უწმიდესი პატრიარქის სტუმრობისას 1981 წლის სექტემბერში 21

მოგზაურობა ათონზე 22

წმიდა ნინოს ტროპარი 29

ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესია 34

მესხეთის წარსულიდან 40

პირველი წირვა უდეს ტაძარში 51

პირველი წირვა საფარაში. ეპისკოპოს ანანიას ქადაგება საფარის მონასტრის კურთხევისას 55

წირვა ვალეს ეკლესიაში. ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ქადაგება ვალეს ეკლესიაში. 59

თავი მეორე 1990-იანი წლები 64

ჩვენგან გავაუცხოოთ ჩვენი სისხლი და ხორცი? 65

ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ქადაგება ახალციხის სასულიერო სასწავლებლის გახსნისას 72

ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს! 75

ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სიტყვა წარმოთქმული პანაშვიდისას ეკლესიაში მეფე სოლომონ მეორის ნეშტის ქ. ახალციხიდან გადასვენების შემდეგ 86

ენკენია აბასთუმნის ეკლესია. ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ქადაგება აბასთუმნის ეკლესიაში 88

ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის ქადაგება უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში 89

„რაი არს ჭეშმარიტება" 91

მოციქულთა გზა 98

„საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი" 103

მესხეთის შესახებ 110

ქართული ეკლესია XIX საუკუნეში 114

ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სიტყვა წარმოთქმული სამგლოვიარო მიტინგზე ქ. ბორჯომში 1992 წლის 9 ოქტომბერს 132

ვასწავლოთ თუ არა საქართველოს ეკლესიის ისტორია სკოლაში 134

პირველი წირვა კიმოთესუბანში 141

„მეგრელთა სისხლი სწყუროდათ..." 144

მირონის კურთხევის შესახებ 149

ახალი ერი 156

საქართველოს საპატრიარქოს ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში 159

ქართველების არმენიზაცია 165

ქართველების გამაჰმადიანება 171

ქართველების გააფხაზება 177

ქართველების გაბერძნება 184

ქართველების გალეკება 189

ქართველთა გაოსება 194

აფხაზების საცხოვრისი ჩრდილო კავკასიაში 202

მებრძოლი ეკლესია 207

აფხაზეთში მიმდინარე ე. წ. "გამეგრელების" იძულებითი პროცესის ნამდვილი არსი 213

საბრძოლო დროშა 218

ეროვნული ეკლესია 224

პირველი წირვა კოდის ეკლესიაში 231

თავი მესამე - 2000-იანი წლები 233

ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხი 234

მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის სიტყვა წარმოთქმული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ დიდ საბჭოზე 245

პირველი წირვა ასურეთის ეკლესიაში. ეკლესიის როლი თანამედროვე საქართველოს გეოპოლიტიკურ რეალობაში 249
რეგიონალიზმი შეაფერხებს ეროვნულ კონსოლიდაციას 256
მოგზაურობა ათონის წმიდა მთაზე 22 წლის შემდეგ 264
ენა და სახელმწიფო 272
ქართული ენა - საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაციის საშუალება 277
ორი თვალსაზრისი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ 278
კულტურა და ეროვნული მისია 284
“ქართიზაციის” თეორიის კრიტიკის ისტორია XX საუკუნის ბოლოს 290
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ბატონ თ. გამყრელიძეს 295
მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მოხსენება წარმოთქმული საერთაშორისო კონფერენციაზე - “რელიგია და მეცნიერება” 297
ქუჯი ერისთავისა და ფარნავაზის ურთიერთმიმართება სტრაბონის ცნობის გათვალისწინებით 309
პირველი წირვა წყლულეთის მონასტერში 311
ბერძენ-რომაელი ავტორები ქართველთა წარმოშობის შესახებ და “ქართიზაციის” თეორია 313
დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქცია წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების მიხედვით 330
დედა ღვთისმშობელი - შემწე ქართული ენისა 333
საქართველოს სახელმწიფო და საეკლესიო საზღვრები ფარნავაზიან და ბაგრატიონ მეფეთა მმართველობის ეპოქაში და მისი არასწორი ასახვა «Православная энциклопедия»-ს ტომეულებში 337
საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თეორია საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ და მისი კრიტიკა 352
მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა 2007 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ინტრონიზაციის 30-ე წლისთავზე მსოფლიო პატრიარქის სტუმრობისას 362
პირველი წირვა ჭივჭავის ეკლესიაში 365
სიტყვა წარმოთქმული ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეხვედრაზე 366
საქართველოს ეკლესია 1918-1921 წლებში 372
წყაროები დასავლეთ საქართველოს იურისდიქციის შესახებ 377
მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II “უფლის კვართის ორდენით” დაჯილდოებისას 382
სიტყვა - პატრიარქის აღსაყდრების 31-ე იუბილეზე 383
სკანდა და სარაპანა ართვინ-არტაანის გზაზე (ლაზიკის ეპარქიების იურისდიქციისათვის) 384
STRABO ABOUT COLCHIS 399
სტრაბონი კოლხეთის შესახებ 412
ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ რომელია საერთო-სალიტერატურო ენა და რომელია ადგილობრივი დიალექტი 438
“ლიტერატურნაია გაზეტას” გეგმა საქართველოს დაქუცმაცებისა 440
კუთხურობა “რეგიონალიზმი” - ისტორიული საფრთხე საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის 445
ვმადლობ ფასისელ აკადემიკოსებს 449
ქისტების გამაჰმადიანება XX საუკუნის საქართველოში 451
საქართველოს ეკლესიის ჩამოყალიბება (I - IV საუკუნეები) საქართველოს წმიდა სამოციქულო - მართლმადიდებელი ეკლესია 457
ეკლესია - საქართველოს კუთხეთა მაკავშირებელი დუღაბი 470
საქართველოს ეკლესიის სამწყსო და იურისდიქციის საზღვრები 476
Formation of the Georgian church 486
ლენინი კვლავ ებრძვის მართლმადიდებლობას, კვლავ ებრძვის ღვთისმშობელს 491
ქართველი ერი მატიანეთა მიხედვით 494
იბერთა არმენიზაცია, სომხური საეკლესიო უღლისაგან გათავისუფლება და ქართული წელთაღრიცხვს დაწყება „ზემო ქვეყნებში” 506
კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია 509
წირვა მარაბდის ეკლესიაში 518

თავი მეოთხე - 2010-იანი წლები..... 519
სვეტიცხოვლის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია 520
საქართველო ევროპულ სივრცეში საკუთარი ეროვნული იდენტობით 523
წმიდა ხრისო და პატკანოვ-ვოსტორგოვის აღორძინებული იდეები.....527
ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შესახებ 531
სახელმწიფო ენა - საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაციის, სამოქალაქო-საზოგადოებრივი ერთიანობის და კონფლიქტების დარეგულირების საშუალება. 537
საეკლესიო ენა სვანეთში.....541
ქადაგება გუდარეხის ახალნაკურთხ მონასტერში 549
მის უწმიდესობას და უნეტარესობას სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია II მანგლისისა და წალკის ეპარქიის მმართველის, საპატრიაქოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის თავჯდომარის მიტროპოლიტ ანანიას მოხსენებითი ბარათი.....551
სიტყვა - ავტოკეფალიის აღდგენის დღესასწაულზე 554
ანალიზი 2012 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის ოთხტომეულისა.....557
პირველი წირვა “ორმოცების” მონასტერში.....575
წმინდა ამბროსი ხელაია რეგიონალიზმის წინააღმდეგ 577
მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის სიტყვა წარმოთქმული თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი “ქართველოლოგიური საერთაშორისო კონფერენციის” გახსნისას 582
უწმიდესის ვიზიტი თურქეთში 584
საქართველოს დეპოპულაცია 590
მეცნიერებს, რომლებიც იკვლევენ პირველი ათასწლეულის ისტორიას 593
“ჰაიასა” - ”აიას ქვეყანა” (შემდგომი კოლხიდა).....605
პეტრე იბერის ეკლესიაში მოხსენიების ხანგრძლივობა.....609
საქართველოს წმიდა სამოციქულო ეკლესიის მეთაურები (მოციქულებიდან დღემდე).....616
Лазика 621
სიტყვა სასულიერო აკადემიაში 662
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია.....665
დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქცია აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებამდე.....669
კირიონ I 675
ფიქრი ვეფხისტყაოსანის ღვთისმეტყველების შესახებ.....683
ალბანეთის (კავკასიის) ეკლესია.....685
უწმიდესი პატრიარქის ილის II მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მოძრაობის დაგვირგვინება 704
ალბანეთი.....706
მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია მეორეს მიტროპოლიტ ანანიას მოსაზრება აზერბაიჯანში ქართული ეპარქიის დაარსების შესახებ 718
ილია II - უახლესი ქართული ისტორიოგრაფიის სათავესთან.....736
ოკუპანტი ახლა უკვე ჩვენი ეკლესიის ისტორიას აყალბებს 750
სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მოხსენება თურქეთში ქართული რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციასთან დაკავშირებით 760